
ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

როსტომ ჩხეიძე



მუხა უდაბნოში

ილია ჭავჭავაძის
ცხოვრების
ქრონიკა

„ჩვენი მწერლობა“
თბილისი
2020

რედაქტორები
ნინო ვახანია
ელგუჯა თავგერიძე

ოპერატორი
თამარ ჩიხლაძე

მხატვარი
გია არაბული

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თენგიზ როგიტაშვილი

ISBN 978-9941-8-1822-6
© როსტომ ჩხეიძე, 2020



ილია ჭავჭავაძე მუხა იყო უდაბნოში ამოსული... გარშემო ბუჩქნარი ერტყა. მუხნარად გადააქცია.

მიხეილ ჯავახიშვილი

და წარმოუდგენელია ინტელექტუალური ცხოვრება ჩვენში უილიაოდა, ილიას გარეშე, წარმოუდგენელია და შეუძლებელი. ეს ერთი ხატი მაინც შეგვარჩინეთ, თორემღა რაო, – სადღა დავხაროთ თავი, სადღა მოვიოხოთ გული, ვიღას რა შევჩივლოთ, ვიღას ვეახლოთ სააღსარებოდა...

ოთარ ჩხეიძე

ეგების ვინმეს ისიც წამოსცდეს, – რად მოგიკიდია ხელი ისეთი საქმისათვის, რომ ვინ უწყის სიკვდილიც მოგელისო. მაშინ პასუხად ასე მივუგებდი: მართალი არა ხარ, შე კაი კაცო, თუ ადამიანს სიკეთის მოტანა შეუძლიან, არ უნდა შეეჭმევინოს სიკვდილ-სიცოცხლის ფიქრსა...

პლატონი

(„სოკრატეს აპოლოგია")

მკითხველისადმი

ვერა და ვერ მომეკიდა ხელი ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ქრონიკის შესადგენად.

გადავიდოდა მისი სახება ერთი ბიოგრაფიული რომანიდან მეორეში, მეორედან მესამეში, მესამედან მეოთხეში... წარმოჩნდებოდა შტრიხები, კონტურები, გაიელვებდა სილუეტიც, მაგრამ არა მონუმენტური ფიგურა.

ორი პიესა საკუთრივაც მიეძღვნებოდა, დეტექტივ-გამომძიებლადაც რომ წარმოდგებოდა და კიდეც გახსნიდა ზურაბ ანტონოვისა და ივანე მაჩაბლის საიდუმლოებით მოცულ მკვლელობებს.

მისტიკური დეტექტივიც საკუთრივ მიეძღვნებოდა: „ეკლიანი და პატარა გზა“ – როგორც გოლგოთის ქართული განმეორება, განშტოება თუ ვერსია, მხოლოდღა თავის მახარებელს რომ ელოდა...

ჟანრობრივი განსაზღვრება ივანე ამირხანაშვილს ეკუთვნის, მან შეურჩია ეს ჟანრი იმ თხზულებას: მისტიკური დეტექტივი – ანუ მკვლელებისა და მოწმეების თვალში არეკლილი მსხვერპლი.

თავის დანიშნულებას ასრულებდა ეს მცირე თხზულება, მაგრამ... როგორღაც ბიოგრაფიულ რომანთა ციკლის მიღმა რჩებოდა ილიას მონუმენტური ფიგურა, უიმისოდ რომ არ წარმოისახებოდა არაერთი პიროვნების ცხოვრება, თუმც ისეც ხომ არ შეიძლებოდა, ილია გაუთავებლად ყოფილიყო რიგითი პერსონაჟი და შესაბამისად – ყველგან და არსად.

ყველგან – როგორც პერსონაჟი, თვალნათლივი თუ იდუმალად გამოდევნებული სიუჟეტურ ქარგას; და არსად – როგორც მთავარი გმირი.

მეტაფორულად რატომაც არა, ილიას მოვლინება და ამქვეყნიური ღვაწლი სწორედ ასე შეიძლება გაიაზრებოდეს: ნაკვალევად კაცისა, რომელიც იმყოფებოდა ყველგან და არსად, მაგრამ ეს მეტაფორა როგორ გაგამართლებინებდა თავს, თუკი მისი ბიოგრაფიული ქარგა მხოლოდღა გაფანტული და დანაწილებული იქნებოდა სხვადასხვა რომანში.

და განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ჩემსა ზედა იყარეს წილი!..

ეს სიმბოლური ფონი თავისთავად... მაგრამ მაინც, მაინც...

არადა „ეკლიანი და პატარა გზა“, რომლის შექმნაც ასე მომწყურდა და კიდეც მოვუნახე შესაფერისი სტრუქტურა: უამრავი პერსონაჟი თვითონვე ჰყვება ილიაზე ავტორის ჩაურევლად – სულაც დაბრკოლებად გადამექცა.

ვეღარ გადავდებდი გვერდით და უიმისოდ ვეღარ შევქმნიდი ილიას ცხოვრების წიგნს. არადა მისი საგრძნობლად შევსება წამგებიანი აღმოჩნდებოდა, მთელი ცხოვრება რომ მოეცვა — მკვლელობის სხვა მონაწილეთა და მოწმეთა ნაამბობებიც — უკვე გაჭიანურებული და მოსაწყენი; ცოტაოდნავ გაზრდა კი ბიოგრაფიულ რომანს ვერ გაწვდებოდა.

რაღაც ესაჭიროებოდა, რაღაც... მაგრამ რა შეიძლება ყოფილიყო ეს „რაღაც“?

ცხადია ისეთი კომპოზიციური აღნაგობის მონახვა, „ეკლიანი და პატარა გზა“ ბუნებრივად რომ მოერგებოდა.

და... როდის-როდის, ოღონდ უეცრად უნდა გამნათებოდა გონება:

ეს შესაძლოა ყოფილიყო მეოთხე ნაწილი, მაინც ქართული გოლგოთის გმირს ეძღვნებოდა და ოთხთავს უნდა მორგებოდა.

ასეთივე სტრუქტურისა უნდა ყოფილიყო მეორე ნაწილიც: ისიც სხვადასხვა პერსონაჟის ნაამბობზე აგებული.

პირველი და მესამე ნაწილი კი ავტორისეული თხრობა ყოფილიყო.

და ეს სტრუქტურა მომაფიქრდა მაშინ, როცა უკვე შეიძლებოდა ილიას კვალზე შევმდგარიყავ და მარტოდენ შორიდან აღარ გამეხედა მისი ბიოგრაფიის გრანდიოზული პანორამისათვის, აღარ მქონოდა შიში, რომ სადღაც უიმედოდ შევჩერდებოდი დაბნეული და გაბოცებული დაუსრულებლობასთან შეჯახებით.

შესაფერის კომპოზიციას ილიას ცხოვრებაც უნდა მოექცია თავის ჩარჩოში, როგორც აკაკი წერეთლის ცხოვრების – ასევე გრანდიოზულის – შემორკალვა მოხერხდა და სიუჟეტისათვის დამორჩილება: ის თავით ბოლომდე ავტორისეულ თხრობაზე აგებული.

ოთხთავად პირველად აკაკი წერეთელი დაინახავდა ილიას ცხოვრების წიგნს, ყვარელში ბეთლემს რომ განჭვრეტდა.

ეს უკვე ნიშნავდა, რომ წინამური ბედისწერის გარდუვალობა და გოლგოთად და მხოლოდ გოლგოთად უნდა გვეგულისხმა.

თვითონ ილია ჭავჭავაძე წინასწარმეტყველის ვალსა და დანიშნულებაში ხედავდა თავის ამქვეყნიურ გზასავალს.

და კიდეც უნდა გადაეტარებინა ხალხისათვის უდაბნო დაკარგული სამშობლოს საძიებლად და მიეყვანა იმ აღთქმული ქვეყნის კარიბჭესთან, სადაც ვინაობაჩაფერფლილ ხალხს სასწაულებრივი ფერისცვალება უნდა განეცადა და კვლავ ერად გარდაქმნილი შედგომოდა იმ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, რომელიც პირველად სამ წელიწადში გაუქრებოდა, მაგრამ მეორედ მის მოძღვრებაზე აღზრდილი პიროვნების ხელში ჰპოვებდა იმ სახეს, რომლის წიაღშიც ვტრიალებთ და მივესწრაფით საკაცობრიო მდინარებაში ჩვენი ადგილის მოპოვება-დამკვიდრებას.

* * *

და განვიყავით სამოსელი მისი.

და კვართსა ზედა მისსა ვიყარეთ წილი...

პარი პირველი

ანრდილი შვილისა

სხვისა არ ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობ-დით ჩვენ მშობლიური ენის მინასთან გასწორებას.

ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.

ილია ჭავჭავაძე

საერთო სახელი ქართველი კერძოობითად გავხადეთ, მამუ-ლი დანეხვილ ნაფუძრად გარდავაქციეთ, პატივი — ნეხვად, თავი — გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ, და მის შემდეგ კიდევ გინდათ, რომ ენა გვქონდეს?

ილია ჭავჭავაძე

თავი პირველი

ილია ჭავჭავაძე ხალათში

ნეტა რითი დაიწყებდა ილია ჭავჭავაძე თავის მემუარებს, რომ დასცლო-და ამ ჟანრისთვისაც ხელის მოკიდება?

ბავშვობის შთაბეჭდილებებით შემოუყვებოდა თხრობას ბროკჰაუზ-ეფ-რონის ენციკლოპედიისათვის შედგენილი ავტობიოგრაფიისა არ იყოს?

რატომაც არა, თუკი გასახსენებლად არ ექნებოდა ის ეპიზოდი, თავისე-ბურ სიმბოლოდ და ნიშანსვეტად რომ კიაფობს განსაკუთრებული დრამა-ტიზმით აღსავსე მის ცხოვრებაში, განსაკუთრებულისა – მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კვალობაზე, თორემ მეფესა თუ მთავარსარდალს სხვაგვარი ბიოგრაფია არც ექნებოდა.

მწერალი უნდა რქმეოდა და პუბლიცისტი, რედაქტორი და ბანკის ხელ-მძღვანელი, თეატრალური საზოგადოების მეთაური და წერა-კითხვის გა-მავრცელებელი საზოგადოების თავკაცი და... მეფური ღვაწლი კი უნდა აღესრულებინა, და აღესრულებინა იმ უბრალოებით, მადლად რომ დაჰყო-ლიათ ღვთით მირონცხებულთ, და ილიასთვისაც ისეთივე ბუნებრივი და ძალდაუტანებელი იქნებოდა ეს უბრალოება, როგორც თუნდ ერეკლე მეო-

რისათვის, ნიმუშად და თარგად რომ აღიარებდა „აჩრდილის“ შემოქმედი მეფობისაც და კაცობისაც, იქვე კაცურსაც რომ დაურთავდა და... გული ეთანაღრებოდა: რა დრო დაგვიდგა, კაცი კაცს რომ აღარ ნიშნავს, თუ კაცურიც არ დავუმატეთო.

არას ედავებოდა ლეგენდების შარავანდში გახვეულს, შეუნარჩუნებდა ამ შარავანდს თავის წარმოსახვაში და, როგორც კი შესაფერისი შემთხვევა მიეცემოდა, ფურცელზეც გადმოღვრიდა ამ განცდას.

არას ედავებოდა, რაკიღა ზუსტად და შეუმცდარად მოეხსენებოდა ის იძულება, რომლის კლანჭებშიც მოექცეოდა ეს სახელოვანი და ტრაგიკული მეფე, და იყაბულებდა რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის გაბმას და იმ ტრაქტატზე ხელმოწერას, საბედისწეროდ რომ გადაგვექცეოდა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ტრაქტატი საამისოს არც არაფერს გულისხმობდა და მისი მუხლების შესრულება — შესრულება და არა დარღვევა! — მხოლოდღა სასიკეთოდ წაადგებოდა ჩვენს ქვეყანას.

ტრაქტატი თავისთავად ყოვლად უწყინარი გახლდათ.

და სინამდვილეში კი ოცდაათწლიანი ფარული ომი დასჭირდებოდა რუსეთს, აგენტურული ქსელის გაშლა და მოსყიდვის გზით შემოღწევა ჩვენს ტერიტორიულ საზღვრებში, რაკიღა პირდაპირი შემოტევა ძვირად დაუჯდებოდათ.

ერეკლე მეორეს აეკიდებოდა ეს ცოდვა – რუსეთთან „დამოყვრებისა“.

და მოგვიანებით კონსტანტინე გამსახურდია ამ მეფეს რომ მისდგებოდა ჩვეული მრისხანებით, ამ მწარე-მწარე გამოთქმებში ამოაფარებდა გულისწყრომას რუსეთის ძალმომრეობის მიმართ, ხოლო ერეკლე მეორის დამცველნი მართლა მას კი არ იცავდნენ, ამ გმირ და ტრაგიკულ ხელმწიფეს, საბჭოური მორალით ხელმძღვანელობდნენ და რუსეთთან საქართველოს შეერთების ბედნიერებას ირწმუნებოდნენ მოიარებით.

პუბლიცისტური ყაიდა აზროვნებისა მოითხოვს ამგვარ ხერხსაც მძიმე პოლიტიკური წნეხის ჟამს, პირდაპირ თქმას რომ გიშლიან, და ამ გადმოსახედიდან სავსებით გამართლებული იქნებოდა კონსტანტინე გამსახურდიას მოქმედება, ასე – ერეკლე მეფის დამცირების ხარჯზე – რომ მიანიშნებდა ხალხს რუსეთთან შეერთების ტრაგიკულობას, ნაცვლად მფარველისა, დამპყრობლად რომ მოგვევლინებოდა.

ილიასგანაც ასე და მხოლოდ ასე თუ აღვიქვამდით, ერეკლე მეორის სახელი რომ გაებიაბრუებინა – რუსულ ძალმომრეობას ამხელს, სინამდვილეში იქით მიუმართავს პუბლიცისტური ისრებიო.

მაგრამ მოერიდებოდა ერეკლეს სახელის გამოყენებას მწვავე პოლიტიკური ქვეტექსტების გამოსათქმელად და სხვა ისტორიული თუ თანადროული რეალიების მოშველიებას ამჯობინებდა.

და ეს – ალექსანდრე ორბელიანისადმი განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად.

მითუმეტეს, პოლიტიკური კულისებისა და რუსული ფარული ხლართების ამბებიც მისგანვე ეცოდინებოდა და ისევე გადაეშლებოდა ხელისგულ-

ზე, თითქოს თვითონაც უშუალო მხილველი ყოფილიყოს იმ საბედისწერო მოვლენებისა, საქართველოს სამეფო კარის დამხობით რომ დასრულდებოდა და ქვეყანაც ზედ გადაჰყვებოდა.

ალექსანდრე შეჰხაროდა ერეკლეს სახებას, მითოსური თუ საგმირო ეპოსის გმირისაგან რომ არც განერჩეოდა.

და ეს განწყობილება გადმოედებოდა ილიასაც, ერეკლეს ხსენება მის თვალთახედვაშიც უპირველესად იმ სურათს რომ მოიყოლებდა: ირმის ძუძუ რომ ეწოვნა და იმ იდუმალებიდან მოვლენოდა ქვეყნიერებას.

აკაკი წერეთელს რომ არ დაესწრო „ჩემი თავგადასავლის“ გამოქვეყნება, შესაძლოა ეს სურათიც ემჯობინებოდა კომპოზიციური ქარგის ამოსახვევად ილია ჭავჭავაძესაც: ალექსანდრე ორბელიანი დარაბებს რომ ჩამოაფარებდა, სანთლებსაც ჩააქრობდა და ისე მოუყვებოდა ჩვენი სამეფო კარის დაქცევის ეპიზოდებსაც და საიდუმლო შეთქმის თავგადასავალსაც, ანუ დაკარგული სახელმწიფოებრიობის ამოსაგებად ამაო გაბრძოლებასაც თავისი თუ თანამზრახველთა გამწარებული ცხოვრების ამბებსაც, მაგრამ აკაკის ავტობიოგრაფიული რომანი უთუოდ ხელს ააღებინებდა ილიას ამ ეპიზოდით დაწყებაზე და სხვა სიმბოლურ სურათს შემოუცურებდა კალამქვეშ.

თავისებურ ნიშანსვეტად რომ კიაფობსო...

რომც არ მომხდარიყო ის ეპიზოდი ყოფით რეალობაში, არ გაემტყუნებოდა, წარმოსახვითაც შეეთხზა სწორედ იმ სიმბოლურობის გამოისობით, და რა სჯობს, როდესაც წარმოსახვა და ყოფითობა თვითვე გადაეჯაჭვება და განსაზღვრავს ერთიმეორეს.

– ჩვენ რომ რუსეთს მივდიოდით და კავკასიონის მთებზე ვიწყეთ ასვლა, – ხალისით გაიხსენებდა ხოლმე გარშემომყოფებთან, – მლეთის დაღმართზე შემოგვეყარა გრიგოლ ორბელიანი, რომელიც რუსეთიდან ბრუნდებოდა თბილისს.

გრიგოლი ფეხით ჩამოსდევდა დაღმართს, ჩვეულებისამებრ ზურგსუკან ხელშემოწყობილი, პირმღიმარე და დაფიქრებული.

დაშორებით ნელი ნაბიჯით მოჰყვებოდა ეტლი.

ისედაც განუყოფლად და განუშორებლად წარმოედგინათ პოეტი კავკასიონის მთებისაგან და ახლა სწორედ ამ ფონზე რომ იხილავდნენ – მთებითა და ღრუბლებით გარშემოზღუდულს, აღტაცებით გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს:

– სწორედ ახლა, ამ დამშვიდებულ გულზე, ლექსს რასმე უწერს ამ მშვენიერ ბუნებას.

გარშემომყოფებში, ერთგულ მსმენელთა შორის იონა მეუნარგიაც უნდა გამორეულიყო, ეს ნაამბობიც რომ უნდა ჩაენიშნა და ის შთაბეჭდილებაც დაერთო:

იმ დროიდან დაწყებული სიკვდილამდის ილია იყო თაყვანისმცემელი გრიგოლ ორბელიანისაო.

და ამ პირად შეხვედრას განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდა, რაკილა იგრძნობდა, რომ თვითონ ილიასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭებინა.

„ლექსს რასმე უწერს ამ მშვენიერ ბუნებასო“ – ეს სიტყვები თავისთავად მოწმობს, რომ ილია კარგად იცნობდა პოეტი-გენერლის პოეზიას და ძალიანაც მოსწონდა, მაგრამ ეს თითქოსდა უნებლიე, არადა იდუმალი კანონზომიერებით აღბეჭდილი, შეხვედრა სულ სხვაგვარი განცდით აღავსებდა, სწორედაც თაყვანებაში რომ გადაიზრდებოდა, და ლამის ააბოდებდა, წამდაუწუმ მისი სტრიქონები რომ ეკერებოდა პირზე.

„მგზავრის წერილებში“ თვითონ გრიგოლი თუ არ გამოჩნდებოდა, მისი ლანდი ხომ ძალუმად იტრიალებდა – შოთა რუსთველი თუ ერთხელ გადაიელვებდა, ეს – რამდენჯერმეც, თუნდ იმ საღამოს, სტეფანწმინდას ამოსული, აწ უკვე ნასტუდენტარი ილია იქ რომ დარჩებოდა, რათა თვალი გაეძღო მშვენიერი სანახავების ხილვით და მთელი აღტაცება თუ ყმაწვილური აღტკინება ამ აფორისტულ სტრიქონებში გამოეხვია: სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისაო.

იმ დასაღუპავ თერგს რომ ახსენებდა მანამდე, პოლიტიკურ ქვეტექსტს გამოურევდა საკმაოდ გამჭვირვალედ, დიდი რამ ამოცნობა რომ არ ესაჭიროება: რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მომკვდარა. რაკი ზურგი ჩვენკენ უქნია და პირი რუსეთისაკენ, რაკი გაუმინდვრებია და გაუვაკნია, როგორღაც ის დევგმირული ხმა ჩასწყვეტიაო.

ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ იქნებოდა, რომელზედაც ჩვენს პოეტს ეთქვა: თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიანო.

იქ ისე დამდორებულიყო და დადუმებულიყო, თითქოს: ან როზგქვეშ გაეტარებინოთ და ან დიდი ჩინი მიეღო. ეს დეტალი ნუ გამოგვრჩება: როზგქვეშ გატარება და დიდი ჩინი ერთმანეთისაგან რომ არ განერჩევა!.. ორივ ერთნაირად კრიჭის შემკვრელი ადამიანისათვის.

მაგრამ იქნებ თერგი იქ ეგრე მართლაც იმიტომ მიჩუმებულიყო, რომ მობანე კლდენი თან აღარ ახლდა? ის კლდენი, რომლის: კლდოვანთა გულთა ღრუბელნი შავადა ზედ დასწოლიან და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან.

როგორ არ დაეტირებინა თერგი და ირონიულადაც როგორ არ გადაეკრა: შენ, ჩემო ძმობილო, ზოგიერთი კაცივით, სადაც მისულხარ, იქაური ქუდი დაგიხურავსო.

და შეიცოდებდა მის ჭექა-ქუხილს, მის ზარიან ხმაურობას, მის შფოთვასა და ფოთვას, მის გაუთავებელ ბრძოლას ქვა-კლდე-ღრესთან, თითქო მისი განიერი წადილი მის ვიწრო საწოლში ვერ მოთავსებულიყო.

ბევრი რამ საგულისყურო ეჩვენებოდა ჩვენს დაუმონავ თერგში, და ეს საგულისყურობა მის ძლევამოსილ და შეუპოვარ დენაში ცნაურდებოდა.

აქ კი... მიმხრჩვალიყო დამარცხებულ და ნათრევი ლომივით.

და შეჰკვნესოდა:

ცოდვა ხარ და ცოდვას შვრებიო!..

შეიბრალებდა, აბა რა იქნებოდა, ამხელა განსხვავებას რომ დაინახავდა ორ თერგს შორის – ვლადიკავკასის იქით და ვლადიკავკასის აქეთ, სადაც

მისი ძლევამოსილება და შეუპოვრობა, მისი დაუმონავობა, მისი თავზეხელაღებულობა, სიგიჟე და გადარეულობა, თვით მისი სიმღერიეც და ბღავილიც, გარემოსაც რომ აბღავლებდა, მისი ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი ადამიანის გაღვიძებულ ცხოვრებას აგონებდა, მის ამაღელვებელ და ღირსსაცნობ სახეს: მის მღვრიე წყალში რომ მოჩანდა მთელი ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა.

და კიდევ რას აგონებდა თერგი?

მრისხანე და შეუპოვარ ბაირონს.

და შენატრებდა:

ნეტავი შენაო.

და დითირამბადაც დაიღვრებოდა:

იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემიო...

ეგ კი არის:

ვლადიკავკასს გამოშორებული ნასტუდენტარი პირს თავისი ქვეყნისაკენ რომ იზამდა, თერგის ხიდს ისე გადმოივლიდა, რომ არამცთუ წყალს დალევდა, თვალსაც კი არ აახელდა.

რას ერიდებოდა, რისი ეშინოდა ასე ძალიან?

რისა და:

თერგდალეულობა არ დაეწამებინათ.

თერგდალეულები ქართველ კაცს – დამატებით კუთვნილებით ნაცვალსახელსაც წაუმძღვარებდა: ჩვენსო, – რათა გაეძლიერებინა ინტიმიც და... ირონიაც ერთსადაიმავე დროს – როგორღაც რომ არ ეჭაშნიკებოდა და არ მოსწონდა, ამაზედ ფრიად საფუძვლიანი საბუთიც მოეპოვებოდა:

პირველი იმიტომ არ მოსწონდა, თერგდალეულები მართლადა თერგდალეულები რომ იყვნენ, მეორე იმიტომ... იმიტომ, რომ მეორედაც თერგდალეულები იყვნენ, და მესამე იმიტომ... იმიტომ... იმიტომ, რომ მესამედაც თერგდალეულები იყვნენ.

ილიას თავისებური იუმორი და ირონია, ასერიგად ნატიფი და დახვეწილი , ამისთანა პასაჟებში უკვე მთელი სისავსით იჩენდა თავს, გვირგვინად მწარე ღიმილიც რომ უნდა დართვოდა:

მოდი და ამისთანა ჭკვიანური საბუთი სხვა საბუთით დაურღვიე ჩვენს დარღვეულს ქართველობასო.

მწარე ღიმილს კი ის უეცარი ტკივილი უნდა შეზავებოდა, „მგზავრის წერილების“ ფინალში ტვინიდან გულამდე რომ ჩაირბენდა, იქ, გულში გაითხრიდა სამარეს და დაიმარხებოდა...

სტანციის ოთახის ტახტზედ მამაპაპურად გაშოტილი ფიქრს რომ მისცემდა თავის სრულ გულისყურსა და ყურადღებას – ღვთის წყალობა შენა გქონდესო, მკითხველს რომ დალოცავდა ასე და ამგვარად, რათა ფიქრში ჩაძირვის შეგრძნება ბოლომდე განეცდევინებინა მისთვისაც – ჯგუფად მო-

უგროვდებოდა ყველაფერი, რაც კი დაეტოვებინა თავის მშვენიერი პატარძალივით მორთულ ქვეყანაში; რაც კი ენახა, ეცადნა და ეცნო უცხოეთში.

მრავალნაირი ფიქრი ერთად, რეულად გონების თვალწინ წარმოუდგებოდა, მაგრამ ელვის უმალეს ერთი ფიქრი მეორეზედ ეცვლებოდა, ასე რომ, გონების თვალს ერთსადაიმავე საგანზედ ერთ წუთსაც ვერ გააჩერებდა – ერთი სიტყვით მის ტვინში სრული რევოლუცია მოხდებოდა.

ეს სიტყვა ბევრი მკითხველისათვის მთლად მკაფიო ვერ იქნებოდა?

გაითვალისწინებდა ამ გარემოებას და იქვე ჩართავდა განმარტებასაც სულხან-საბასებური სისხარტითა და ხატოვანებით:

ძირს მილაგებულნი ფიქრი მაღლა მოექცნენ, მაღლა დალაგებულნი – ძირსა, და მერე აირივნენ ერთმანეთშიო.

ამ განმარტებას ვაითუ დაეფრთხო მკითხველი, რომელსაც ეს სიტყვა ბუნდოვნად ისედაც სმენოდა, მაგრამ ბოლომდე გაცნობიერების შემდეგ კი გონებაში აღარ დაჯდომოდა ეს მოვლენა. ამიტომაც უნდა დაემშვიდებინა:

სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვსო.

თვალსაჩინოებისათვის უკეთესი მაგალითი რაღა ენებათ, მახლობელი და ადვილად აღსაქმელი:

ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირდაირიოს და მერე დაწმნდება ხოლმეო.

ასე გახლდათ ყველაფერი ამქვეყნად და რევოლუცია რაღა გამონაკლისი უნდა ყოფილიყო.

ამ სიტყვასა და მის განმარტებას კარგა ხანს უტრიალებდა.

ჯერ დაწერდა: რევოლუცია მყუდროების სათავეაო.

მერე „მყუდროებას“ „დაწყნარებით“ შეცვლიდა, ვიდრე საბოლოოდ „მშვიდობიანობას“ ამჯობინებდა.

თვითონ კი ამჯობინებდა, მაგრამ ცენზურა ერთიანად ამოუშლიდა მკითხველის დამამშვიდებელ ამ სტრიქონებს, რევოლუციისა და ღვინის გაიგივების თარგზე რომ ააგებდა. და ეს პასაჟი არამცთუ ვერ გაატანდა 1871 წელს გამოცემულ ჟურნალში „კრებული“, არამედ ქართველთა ამხანაგობის გამოცემაშიც მისი თხზულებებისა – 1892 წლისა.

პავლე ინგოროყვა საგანგებოდ მოიძევდა ცენზურის მიერ გადახაზულ ადგილებს და „მგზავრის წერილების“ კომენტარებში გულისშემძვრელ სურათსაც წარმოსახავდა ლიტერატურის გმინვისა ძალმომრე ხელისუფლების კლანჭებში, ყოველ აზრს, ეროვნული და საპროტესტო სულისკვეთებით გაჟღენთილს, შანთით რომ დასდევდა და ილიასაც მთელ ცხოვრებას გაუწამებდა: როგორც მწერალსა და პუბლიცისტს და როგორც რედაქტორს, სხვათა ფრაზები და სტრიქონები რომ გაუხდებოდა გამოსახსნელი თუ გადასარჩენი.

„მგზავრის წერილებში“ კი უნდა შელეოდა ამ ფრაზებს:

ჩემმა ქვეყანამ რომ მიამბოს თავისი გულისტკივილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობაო.

სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინოო.

თვითეული ნაპერწკალი ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემი ქვეყნის გაციებული გულის გასათბობადო.

რაო, რას წერდა ილია რუსეთზე: „უცხო ნიადაგზედო“, არა?

„უცხოს“ ცენზურა როგორ გაუშვებდა „რუსეთის“ მიმართ და ამ შესიტყვებას ამგვარად შეასწორებდა: სხვა ნიადაგზედო.

არც „უცხოეთს“ დაუტოვებდა რუსეთის განსასაზღვრად.

მიდგებოდა და, სადაც „რუსსა“ და „რუსულს“ ამოიკითხავდა, ყველგან ხაზს გადაუსვამდა, რაკიღა ამოუცნობი არ დარჩებოდა ავტორის ირონიული დამოკიდებულება, რუსეთის პრესტიჟს კი იმით მოუფრთხილდებოდა, რომ ამ სიტყვას არსად გააჭაჭანებდა.

ის კი არა, ლარსში რუსის ოფიცერი რომ ეტყოდა მთავარ გმირს:

– აქაურები, ესე იგი ქართველები და სომხები, სამეცნიერო ლაპარაკს ჩვეულნი არა ხართ.

ამ ჩანართს – ესე იგი ქართველები და სომხებიო – გააქრობდა ტექსტიდან, რათა არ გამჟღავნებულიყო დიდმპყრობელური ყოყოჩობა.

სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველოო...

რევოლუციის ხსენებას გონების თვალწინ ლორდ ბაირონის სახების ტრიალიც მოიყოლებდა და თერგის დაუმცხრალობაც, ერთიმეორეს გადაჯაჭვული, მაგრამ თვალსაჩინოებისა თუ მეტი სიმკვეთრისათვის შედარებასაც დაისაჭიროებდა, შედარებისთვის კი უკეთესი რა უნდა გამოეძებნა, თუ არა სტეფანწმინდის პირდაპირ აყუდებული მყინვარი, ყაზბეგის მთად სახელდებული, დიდებული რამ, თუ ვინმეს და რაიმეს, მას რომ შეეძლო ეთქვა: ცა ქუდადა მაქვს და დედამიწა ქალამნადაო.

და დითირამბადაც დაიღვრებოდა:

ცისა ლაჟვარდზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუმღვრეველად. ერთი მუჭისოდენი ღრუბელიც არა ჰფარავდა მის მაღალ შუბლსა, მის ყინვით შეეერცხლილ თავსა. ერთადერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე, ზედ დაჰნათოდა, ერთ ალაგს გაჩერებული, თითქო მყინვარის დიდებულ სახეს განუცვიფრებიაო.

მაგრამ...

აქ სწორედ ეს „მაგრამ“ უნდა გამოჩხერილიყო, რაკიღა მყინვარი დიდებული კი გახლდათ, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ – ამასთან ცივიც და თეთრიც. დანახვა მისი გაკვირვებდა და არ გაღელვებდა, გაციებდა და არ გათბობდა. ერთი სიტყვით მყინვარი იყო – მთელი თავისი დიდებულებით საკვირველი და არა შესაყვარებელი.

და აბა რაღად უნდოდა მისი დიდებულება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალ შუბლზედ ერთ ძარღვსაც თუ არ აატოკებდა. ძირი თუმც დედამიწაზედ ედგა, თავი კი ცისათვის მიებჯინა, განზედ გამდგარიყო მიუკარებელი.

არ უყვარდა და არა ილიას არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზე გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა.

და თუ თავზეხელაღებული, შეუპოვარი და დაუმონავი თერგი ბაირონს აგონებდა, მყინვარი – დიდ გოეთეს, თავისი უკვდავებისა და განცხრომის

დიდებული სახით: ცივი, როგორც უკვდავება, და ჩუმი, როგორც განცხრომა.

არა, არ უყვარდა მყინვარი, მითუფრო, რომ მიუკარებლად მაღალი გახლდათ. ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი – დაე მკითხველს შეესმინა – ყოველთვის ძირიდან დადებულიყო, ყოველი შენობა ძირიდან ამაღლებულიყო, მაღლიდან კი შენობა არსად დაწყებულიყო. და რაღა გაგემტყუნებინა მთხრობელი, თუკი – როგორც ქვეყნის შვილს – თერგის სახე უფრო მოსწონდა და უფრო უყვარდა. მყინვარი კი როგორ ჰყვარებოდა, როდესაც მისი სიცივე სუსხავდა და სითეთრე აბერებდა!..

რაო, იმით უნდა მოხიბლულიყავი, მაღალიაო?

რად უნდოდა მისი სიმაღლე, თუ ეს აქედან ვერ აწვდებოდა და ის იქიდან ვერ ჩამოწვდებოდა.

და ასე გასიმბოლოვდებოდა მყინვარი გოეთედ და თერგი – ბაირონად. და თუმც ბაირონს არანაკლებ დიდ შემოქმედად მიიჩნევდა, მის სახელს არ დაურთავდა ამ ეპითეტს: დიდი – გოეთეს რომ მიუსადაგებდა.

რაკიღა „არ მიყვარსო“ ამბობდა, ამ ეპითეტით – დიდი – სურდა ერთგვარად გაენეიტრალებინა ის ცოტა არ იყოს მკაცრი შეფასება?

ერთ-ერთი მოტივი ესეც უნდა იყოს, მაგრამ უპირველესი მაინც ისაა, რომ:

მიუხედავად თავისი სიდიადისა, ბაირონი სულიერად ეახლობლება და ენათესავება, თავის მეგობრად აღიქვამს ილია, თავისი გულის მოზიარედ, ვისაც ყოველგვარ სატკივარ-სადარდებელს გაუზიარებს, ყოველგვარ საიდუმლოს გაანდობს, გვერდითაც ამოიყენებს რევოლუციური გარდაქმნებისას, ასეთი აუცილებლისა მშვიდობიანობის მოსატანად, ნამდვილი მშვიდობიანობისა და არა მოჩვენებითის, რისი მხილველიცაა და ვერ ეგუება ამ მოჩვენებითობას. და აგერ ვერც მიუკარებლობას ეგუება, და როგორი აღტაცებულიც უნდა იყოს ყაზბეგის მთის დიდებულებითა და ზედ გადმომდგარი ვარსკვლავის ბრწყინვალებით, არამცთუ ხმამაღლა შენატროს, გულშიაც კი არ დაცდება:

ნეტავი შენა, მყინვაროო.

თერგს კი... თერგს სხვაგვარად ვერც შეხედავდა და ვერც გაიხსენებდა, თუ არა შენატრებით:

ნეტავი შენა, თერგოო!..

სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველოო...

რევოლუციის წინამორბედნი უნდა ყოფილიყვნენ მისი პერსონაჟებიც: გაბროც – მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“, და კაკოც და ზაქროც – პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, სადაც ეს ნატვრა ახდილადაც გაიელვებდა, როდესაც მეურმეს მჭმუნვარე სახის მხედარი გადაუდგებოდა და კუდიგორის გზის მისწავლებას სთხოვდა. მეურმე გზის სწავლებას რომ დაასრულებდა, ურჩევდა, ბღაჭიაშვილს მოერიდე, თუ თავი გებრალვისო. მართალია – მისი შეტყობით – მხედარსაც ჰქონდა მკლავი და ბევრ თავის ტოლ ბიჭს არ დაუვარდებოდა, მაგრამ ბღაჭიაშვილს თუ გადაეყრებოდა, ბევრსაც ინანებდა.

და ეს იმიტომ, რომ: მალი გახლდათ კაკო ყაჩაღი ვით ხირიმის ტყვია და ტყვიასავით დაუნდობელი, და თუ სისხლი ჰმართებდა მხედრისა, ისა სჯობდა, ამას შეერჩინა და ხელი აეღო სამაგიეროს გადახდაზე.

მაგრამ პასუხად უცნობი:

შენ ფიქრი ნუ გაქვს!.. მეც იმას ვეძებ,
მეც მისებრ, ძამო, მიღრინავს გული;
როგორც ის ცხოვრობს, ისე ვიცხოვრებ,
ამ დღითგან თავზედ ხელაღებული!

და კიდეც მოხდენით ცხენს რომ მოსხლეტდა ლაზათიანი, თითქოს შენატვრით უნდა მიეყოლებინა მზერა მეურმეს და წაედუდუნებინა:

– ახ, ნეტავი შენ!

და გაექნია მერე თავი შურით, ხარისათვის შოლტი გადაეტყლაშუნებინა და უფრო მწუხარედ გაეგრძელებინა თვისი სიმღერის ღუღუნი.

თვითონ ვერ აიღებდა ხელთ იარაღს მეურმე უნუგეშო რეალობის გარდასაქმნელად?

ვისაც შეეძლო იარაღის აღება ხელთ, შენატვრით ხომ მაინც შენატრებდა.

ახ, ნეტავი შენო, – მიჰქროდა მხედარი და თან მიჰყვებოდა ეს გულიანი ამონაკვნესი.

ახ, ნეტავი შენო, – მიაგელვებდა ტალღებს თერგი და თან მიჰყვებოდა ეს გულიანი ამონაკვნესი.

მთავარია არ შეგეშინებოდა ამ სიტყვისა „რევოლუცია“:

ბოლოსდაბოლოს ღვინო როგორ დაწმდებოდა, თუ ჯერ არ ადუღდებოდა და აირდაირეოდა.

და ტვინშიც სრული რევოლუცია უნდა დაგტრიალებოდა, ძირს მილაგებული ფიქრები მაღლა მოქცეულიყვნენ, მაღლა დალაგებულნი კი – ძირსა, და მერე არეულიყვნენ ერთიმეორეში, ვიდრე ყველაფერი დამშვიდდებოდა და თვითეული ნაფიქრი თავის შესაფერ ადგილს დაიჭერდა შენს გონებაში. მათ შორის ერთი უფრო ბრწყინვალედაც გამოგეხატებოდა. იმ ერთს მოჰყვებოდა მეორე, მეორეს – მესამე, ასე რომ, ბოლოს ერთ განუწყვეტელ გრეხილად შეგექმნებოდნენ.

და ეს გრეხილი ვერ გამოიკვეთებოდა, გონებაში ატეხილი რევოლუცია რომ არა.

რიალებდა ბაირონის აჩრდილი ილიას გონებაშიც და სტეფანწმინდის მიდამოებშიც.

მოჰქუხდა და მობღაოდა თერგი.

და იდუმალად სწორედ მათ უიგივებდა თავს ილია ჭავჭავაძე – ბაირონშიც და თერგშიც საკუთარ თავს იგულისხმებდა, მყინვარსა და გოეთეს კი – გრიგოლ ორბელიანს გაუიგივებდა, რევოლუცია ვისაც აშინებდა, ძირს მილაგებულის მაღლა მოქცევა რომ აფრთხობდა და მაღლა დალაგებულისა – ძირს გადმონაცვლება.

დიდისა და დიდებულის ეპითეტებსაც იმსახურებდა პოეტი-გენერალი ილიას თვალთახედვაში, გოეთესთან შეთანაბრებასაც, მაგრამ ვერ გაიზიარებდა მისი ცხოვრების წესს – შემგუებლურს, წარსულისაკენ მაცქერალს და რუსეთის გარეშე საქართველოს სახელმწიფოებრივ არსებობაში დაეჭვებულს; და თვითონ კი სიგიჟესა და გადარეულობას ამჯობინებდა შეუპოვრობასა და დაუმონავობას, ვიდრე შეგუება-მორჩილებასა და სამხედრო თუ ჩინოვნიკურ კარიერაზე ზრუნვასა და თვალსაჩინო წარმატებების მოპოვებასაც დაკარგული სახელმწიფოებრიობის პირობებში.

ამიტომაც:

გაიზიარებდა ალექსანდრე ორბელიანის ცხოვრების წესს – პროტესტანტული სულის უწყვეტობის შენარჩუნებას, და არა გრიგოლ ორბელიანისა, რომელთან ურთიერთობაც არ ექნებოდა სწორხაზობრივი და საკმაო წინააღმდეგობითაც დაიმუხტებოდა შიგადაშიგ, მაგრამ არამცთუ გრიგოლის პოეზიის მოთაყვანეობაზე არ აიღებდა ხელს ილია, პიროვნულადაც სულიერ სიახლოვეს განიცდიდა და ყოველთვისაც ესწრაფოდა მასთან საუბარს, მისი შეხედულების მოსმენას.

და თუმც ერთხანს ისეც გამოჩნდებოდა – ყოველ შემთხვევაში გარეგნული, ზედაპირული აღქმით – ეს ორნი სრულიად საპირისპირო პოლუსზე იმყოფებიანო, თურმე მთლად ასეც არ გახლდათ საქმე, მერე და მერე კი ილია საკმაოდ გადაიხრებოდა გრიგოლ ორბელიანისაკენ და უთუოდ ღიმილით დახედავდა „მგზავრის წერილების“ იმ პასაჟს, რევოლუციის სიკეთეს რომ ირწმუნებოდა და უკვირდა, როგორ შეიძლება ამ სიტყვის, ამ მოვლენისა ვინმეს შინებოდა, რაკიღა იმჟამად ყველაზე უკეთეს გზად რევოლუცია ეგულებოდა გაუსაძლისი ყოფითი რეალობის გარდასაქმნელად.

ფეხით ჩამოსდევდა გრიგოლ ორბელიანი მლეთის დაღმართს.

ფეხით ასდევდა ილია ჭავჭავაძე აღმართს მლეთისა.

შესაძლოა მართლაც ახალი ლექსის სტრიქონებს აწყობდა გუნებაში პოეტი-გენერალი.

ახალგაზრდები, ილია და მისი თანამგზავრნი, ერთმანეთს არ აცდიდნენ აღფრთოვანების გამოხატვას ბუნების დიდებულებით და ღიმილით აფრთხილებდნენ ერთიმეორეს: დარიალის ხეობას რომ მივადგებით, არამცთუ არ ვისხუროთ თერგის წყალი, მზერაც კი არ გაგვექცეს იქით, თორემ ჩვენც თერგდალეულებს შეგვარქმევენ და ჩვენი წინამორბედი სტუდენტებივით შეგვრისხავენო.

ეს იდეა ილიასი იქნებოდა – მის გულსა და გონებაში დაიბადებოდა ეს იუმორისტული აზრი, მოგვიანებით „მგზავრის წერილებში“ რომ უნდა შეეტანა და გაღიმებული ბაგით ემცნო მკითხველისათვის: არც იქიდან მომავალს გამქცევია თვალი თერგისაკენ და თერგდალეულობას ნუ დამწამებთ, რა დაურღვეველი საბუთებიც უნდა მოგეძევებოდეთ ჩემს გასათერგდალეულებლადო.

მლეთის აღმართზე უნებლიე შეყრის ეს სცენა კი სწორედაც მისწრებაა როგორც ბიოგრაფიული, ისე ავტობიოგრაფიული რომანისათვის. ყოფი-

თობაში რომ არ მომხდარიყო, შესაძლოა შეგეთხზა კიდეც და თვით ეს ჟანრებიც, ბიოგრაფიული თუ ავტობიოგრაფიული, უკიდურეს წვრილმანებამდე მიახლოებული ყოფით რეალობას, აიტანდა ამგვარ შეთხზვას – თავისებური სიმბოლურობით განმსჭვალულს.

ამ და სხვა ნაამბობებს კი მონდომებით ინიშნავდა იონა მეუნარგია, მაგრამ თავს უწყრებოდა: ოთხი-ხუთი წელი სულ ტყუილად დავკარგე, იმთავითვე როგორ ვერ მოვიფიქრე, მისი მონაყოლები თუ ცალკეული ფრაზები ჩამეწერა, გაცილებით დიდძალი მასალაც მომიგროვდებოდა და ისევეც გავმართავდი ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიულ ქრონიკას, როგორც გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა თუ გიორგი ერისთავის ცხოვრებანი არ დამრჩა აღუწერელიო.

იმათზე სხვათაგან უფრო უნდა მოეძია ცნობები, გრიგოლთან ხანმოკლე ურთიერთობა მაინც მოუწევდა და ფსიქოლოგიური დაკვირვების საშუალება ექნებოდა, იმა ორის ბიოგრაფიის შედგენისას ამასაც რომ მოკლებოდა.

არადა ილიასთან ისეთი ხშირი მიმოსვლა მოუწევდა, დროულად რომ აელო ალღო თავისი მომავალი ლიტერატურული საქმიანობისათვის, 1879 წლის იმ პირველივე დღიდან უკვე ისე დაუწყებდა ყურებას ილიას – როგორც მსხვერპლს, მუშტრის თვალით, და კიდეც წამოკრეფდა და წამოკრეფდა იმ „წვრილმანებს“, ფასდაუდებელი რომ შეიქნებოდა ილიას ბიოგრაფიული ქრონიკისთვისაც და იმჟამინდელი საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების წარმოსახვისთვისაც.

მაგრამ იმხანად ვერც წარმოედგინა, ბიოგრაფოსის ხელობა თუ უნდა ეტვირთვა.

კიდეც იპოვნიდა ამ თავის მოწოდებას, ენერგიულად და თავდადებითაც ჩაუჯდებოდა და... აუტირდებოდა გული, ან წერა-კითხვის საზოგადოების წევრი რისთვის ვიყავი და საქმის მწარმოებელი, და ან მის ჟურნალ-გაზეთებთანაც რისთვის ვთანამშრომლობდი, თუ ხელიდან გავუშვებდი ზეციურ წყალობას – ილიასთან სიახლოვეს, და ამდენი რამ ჩაუწერელი დამრჩებოდაო.

კიდევ კარგი იმ ოთხი-ხუთი წლის შემდგომ მაინც დაფაცურდებოდა, და თუმც ძალიანაც დააკლდებოდა გულს, რასაც ჩაინიშნავდა და თანდათანობით შეავსებდა, მაგრამ ეს ყოველივე მხოლოდ და მარტოდენ თავისი მონაპოვარი იქნებოდა, არას გაურევდა თხრობაში სხვის ნაკალმარს.

და მაინც:

ილიას ცხოვრების აღწერას ვეღარ გაწვდებოდა, მხოლოდღა ილიას ცხოვრების მასალას მოაქუჩებდა, რომელიც ან თვითონ ილიასაგან გაეგონა, ან მის თანამედროვეთაგან სმენოდა, ანდა თავისი თვალით ენახა.

ნანახსა და განაგონს აქ მხოლოდ დაახლოებით ქრონოლოგიურად, მაგრამ მაინც უსისტემოდ აღნუსხავდა.

რაო, მეწვრილმანედ ჩამდგარიყო ქართული მწერლობის მდინარებაში?

სხვებს თუ არ გაეგებოდათ ამგვარი მეწვრილმანეობის მნიშვნელობა, იონა მეურნარგიას კიდეც ეამაყებოდა და ფარული სიხარულიც აღავსებ-

და იმის წარმოდგენაზე, რარიგ დაუმადლებდნენ ახალ-ახალი თაობები თუნდ მასალების მოქუჩებასა და ყოფითი თუ ფსიქოლოგიური დეტალების ჩანიშვნას, აგერ ამ შემთხვევაშიც მისგან შეკრებილი წვრილმანებით ილიას ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი ასე თუ ისე ნათლად რომ გამოიკვეთებოდა.

თავს დაიმშვიდებდა: ამით ჩემს ვალს მოხდილად მივიჩნევო, – მაგრამ ისიც როგორ ეპატიებინა თავისათვის, დაგვიანებით რომ დაეწყო ბიოგრაფიულ ქრონიკაზე ზრუნვა და მანამდე ისე ტრიალებდა ილიას გვერდით, ეგონებოდა, ყოველთვისაც ასე გაგრძელდებოდა – ილიაც სულ ცოცხალი იქნებოდა და ცალკეულ ეპიზოდებს, ნაამბობებსა თუ ფრაზებს რა ჩაწერა ესაჭიროებოდა, ისედაც არასოდეს დაავიწყდებოდა...

მაგრამ ყოფითი რეალობა გაცილებით მკაცრი რომ გახლდათ, ვიდრე წარმოდგენა შეიძლებოდა?

და კიდევ კარგი იონა მაინც დაფაცურდებოდა იმ ოთხი-ხუთი წლის თავზე, სხვანი საამისოდ სრულებით რომ არ გაირჯებოდნენ და მხოლოდღა მერე მოისაკლისებდნენ თავთავიანთ დღიურებში ამ ყაიდის ჩანაწერთა არარსებობას, მეხსიერების დაძაბვა რომ უხდებოდათ და ცალკეული რეალიების გამოხმობა ხსოვნის სალაროდან, ზოგიერთი რამის აღდგენას რომ მოახერხებდნენ, მაგრამ გაცილებით სრული და რელიეფური სურათი წარმოისახებოდა ილიას ცხოვრებისა, ეს ყოველივე იმთავითვე რომ ჰქონოდათ ნაზრუნ-ნაგროვები და ბიოგრაფიული ქრონიკების გასამდიდრებლად და გასახალისებლად უკეთესი რა უნდა ენატრათ.

მუშტრის თვალით ბევრსაც რომ ეტრიალა ილიას გარშემო, სამყოფ მასალას ყველა მოაქუჩებდა – ყველას გაწვდებოდა და თავისუფლადაც გაწვდებოდა მისი ბობოქარი, მეომრის, მთავარსარდლის, მეფის დასადარი ცხოვრება, ერთიდაიმავე მონაყოლის, ეპიზოდისა თუ ფრაზის სხვათა და სხვათა ჩანიშვნაც რაოდენ საგულისხმო იქნებოდა, ნიუანსების სიუხვე კიდევ უფრო რომ გაგვიკვლევდა გზას მისი სულის ლაბირინთებში... გვიანდელი მოგონებანიც საქმეა, მაგრამ ცინცხალ კვალზე ჩანიშვნას მაინც ვერაფერი შეედრება, ამ მასალებს, ამ სურათებს კი მემუარებიც რომ შეავსებს, ამას რაღა ემჯობინება:

როგორ ალაგებს მოვლენებს იმწამიერი ხედვა, როგორ ალაგებს – შორიდან გამოცქერა!..

ოჰ ის ოთხი-ხუთი წელიო, – რარიგ ენანებოდა იონა მეუნარგიას, ახლა თავის სამახსოვრო წიგნს რომ ფურცლავდა, ათვალიერებდა ჩანაწერებს, უდარებდა გონებაში ჩარჩენილს და: საიდან დავიწყო წერაო? – თავს ეთათბირებოდა.

ბოლოს ისევ იმას ამჯობინებდა, თავიდან დაეწყო, ათადან-ბაბადან – როგორც თვითონ ილიას ჰყვარებოდა თქმა.

ეს კი, ათადან-ბაბადან დაწყება, ნიშნავდა:

შინ მისულიყო მასთან და ჯერ შინაურ კაცად ეჩვენებინა ილია მკითხველისათვის.

მოგვიანებით ამავე გზას რომ დაადგებოდა დავით კასრაძე თანამედროვეთა პორტრეტების წარმოსახვისას, ამორჩეულ მწერლებს თავის მსხვერპლად რომ მიიჩნევდა და მუშტრის თვალით დააკვირდებოდა მათ საქციელსა თუ ნათქვამ-ნალაპარაკევს, ეს შინაურობა მოხიბლავდა მასაც – შინაურ კაცად ჩვენება ამათუიმ პიროვნებისა, შინ სტუმრობა მასთან.

„მწერალი ხალათში“ – საუკეთესო საშუალებად ეჩვენებოდა მისი ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის წარმოსაჩენად.

და ამ მეთოდითა თუ სტილისტიკითაც უშუალოდ დადგებოდა დავით კასრაძე იონა მეუნარგიას კვალზე, იმ მექრონიკე-ბიოგრაფოსისა, აუცილებლობად რომ მიიჩნევდა ემცნო მკითხველისათვის, ილია ჯერ რომ სახლობდა ახალ ბებუთოვის ქუჩაზე, დიმიტრი სტაროსელსკის, თავისი ქვისლის, სახლის პირდაპირ, მერე, 80-იანი წლების მეორე ნახევარში, გადავიდოდა კუკიას, თავისი დის – ლიზა საგინაშვილის – სახლში, ბოლო დროს კი იყიდდა საკუთარ სახლსაც ანდრეევის ქუჩაზე.

არც ეს და არც სხვა მისი სახლები არ იქნებოდა ფართოდ გაშლილი და უხვსტუმრიანი, მასთან არ შეიკრიბებოდა ეგრეთწოდებული მაღალი საზოგადოება, და მის სალონში თავი უნდა მოეყარათ მხოლოდ მწერლებს, არტისტებს, საზოგადო მოღვაწეთ, ქალთაგან – მარტოდენ ნათესავებს.

თუ რაიმე საღამო გაიმართებოდა მასთან, ანდა წვეულება, მომსვლელი ამ წრიდან უნდა ყოფილიყო.

ურთიერთობაში როგორი გახლდათ ილია და:

თავაზიანი, პურმარილიანი, მომლხენი.

მას პირადად და მის სუფრას, რომელსაც ქართული კერძი თავისდღეში არ მოაკლდებოდა, ყოველთვის ქართველი მოსამსახურე ემსახურებოდა. და ეს გარემოებაც საგანგებოდ როგორ არ ემცნო მკითხველისათვის ბიოგრაფოსს: საქართველოს საუკეთესო კაცსა და მამულისმოყვარეს მუდამ სწავლული და მამულისმოყვარე მოსამსახურე ებედებოდაო.

ამიტომაც იყო, როდესაც ირაკლი ბატონიშვილს ვაჟი დაებადებოდა, დილაადრიანად შეიჭრებოდა ილიასთან მსახური ბიჭი, აფოფინებული და აღტაცებული:

– მომილოცავს, ბატონო!

ეს ვერ გაიგებდა, რას ულოცავდნენ და ჩაეკითხებოდა:

– რა, ბიჭო?

და მსახური, გაამაყებული, მას რომ მოუწევდა ამ განსაკუთრებული ამბის მიხარება:

– ბატონის რძალს ვაჟი ეყოლა ამ დილას.

დამხობილიყო ბაგრატიონთა ტახტი?

და ირაკლი ბატონიშვილის ვაჟი, შვილთაშვილი ერეკლე მეორისა, აწ უკვე ჩვეულებრივი მოქალაქე იქნებოდა და არა ტახტის მემკვიდრე?

ილია სულ სხვა განწყობილებასა და შეხედულებებს ამკვიდრებდა გარშემო, დაკარგული სახელმწიფოებრიობის ამოგების დაუმცხრალი სწრაფვითა და წყურვილით რომ აღავსებდა ყველას და ბაგრატიონთა ტახტის აღდგენის გაუტეხელ-გაუნელებელი რწმენითაც.

მონარქიზმის დაბრუნებას აშკარად არსად ქადაგებდა თავის საჯარო გამოსვლებსა თუ პუბლიცისტურ სტატიებში?

ტაქტიკური მოსაზრებით, მხოლოდდამხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებით, რათა დამოუკიდებლობის დაბრუნებამდე დაუმცხრალი პოლიტიკური შეხლა-შემოხლა არ ამტყდარიყო სახელმწიფოებრივი მოწყობის ირგვლივ.

დავა-კამათი მერეც იკმარებდა, რუსეთის იმპერიას რომ გამოვეხსნებოდით, ჩვენს თავს ჩვენადვე დავიგულებდით და შესაფერისი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი პროექტებიც შემუშავდებოდა.

ილია გუნებაში პარლამენტური მონარქიისაკენ იხრებოდა – სოლომონ დოდაშვილის კვალობაზე, 1832 წლის შეთქმულნი ერთადერთ სახელმწიფო მოდელად რომ დასახავდნენ, მაგრამ დაე ეს ყოველივე სამომავლოდ გადადებულიყო. თუმც თვითონ რომ ეგონებოდა, ღრმად ვფარავ განზრახულსო, თურმე არც ისე გახლდათ საქმე და აგერ მსახური ბიჭის თავგამოდება ადასტურებდა ამას, თავის ბატონს ტახტის მემკვიდრის დაბადებას რომ ულოცავდა, თორემ თუნდ საკმაოდ ცნობილ და ყველასათვის პატივსაცემ პიროვნებას ვაჟი შესძენოდა, დილასისხამზე რატომ უნდა ემცნოთ ეს ილიასათვის, როგორც განსაკუთრებული მოვლენა?

დაზუსტებით ვეღარ მოიგონებდა, 1884 წელი უნდა ყოფილიყო თუ 85 – სოლომონ ცაიშვილი კომენტარებში დააზუსტებდა: 1885-ო – ილია სამეგრელოს მთავრის ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად რომ გაემგზავრებოდა ამ მხარეში, ისე გამხიარულდებოდა ბანძაშიც, მექი ფაღავასთან, და ცაიშშიც, თვითონ იონასთან, სულ „ფარინა, ფარინას“ იმღერებდა და ფერხულითაც გულს შეიჯერებდა.

აუჩქარებელი კაცი რომ იყო, დინჯი და მძიმე, და აუჩქარებელი ხშირად რომ ნიშნავს ზარმაცს, ეს თვისება – სიზარმაცე – იონა ამ სიტყვის წარმოთქმისას მობოდიშებით მაინც მოიბოდიშებდა – ილიასათვის ცილისწამებად არავის უნდა მიეთვალა.

მითუმეტეს ილიას თვითონვე სჩვეოდა თქმა: ჩემი განთქმული სიზარმაცეო.

დიმიტრი ყიფიანი მოსწერდა ერთხელ ქვიშხეთიდან სამდურავს:

– რად უგვიანებ წერა-კითხვის საზოგადოებას საქმეებს?

და სხვას რომ ვერას მოახერხებდა ილია თავის გასამართლებლად, პასუხად ამას მისწერდა მხცოვან პატრიოტს:

– არაფერია, ყველაფერს მოვასწრებთ.

და რუსთველსაც შემოიშველებდა:

თქმულა, სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსაო.

სად წაადგებოდა?!. საერთოდაც ძალიან რომ შველოდა რუსთველური შეგონებანი.

ბარემ მეორე მაგალითიც დაერთო იონას:

1890 წელს, როდესაც ბათუმი ითხოვდა, თბილისის სააზნაურო ბანკს ნება მისცემოდა მიეღო გირაოდ ბათუმის მამულები, ფინანსთა მინისტრი ქალაქს ჩამოვიდოდა, მაგრამ ილია არ წარსდგებოდა მასთან და არც მოხსენებას წარუდგენდა ამ საგანზე.

როცა ამის გამოისობით საქმის გადაწყვეტა დაგვიანდებოდა და ილიას უსაყვედურებდნენ:

– რატომ მინისტრი არა ნახე?

ამ პასუხს შეაგებებდათ:

– ვერც ჩემი მისვლა დააჩქარებდა საქმეს და ვერც მიუსვლელობა დააბრკოლებდა.

მის ხელმოჭერილობასაც რომ აღნიშნავდა, იმიტომაც, ილიას ჩივილი ხშირად რომ მოესმინა:

– მეტი აღარა ვართ ამ საქველმოქმედო საღამოების გამო.

და უცნობი ქალი ან კაცი რომ მიადგებოდა, გული ისე, ისე აუფართხალდებოდა ხოლმე: ვაითუ ფული მთხოვოსო.

მოუყვებოდა ივანე მაჩაბელი ღიმილით იონას:

თუ როგორ ესტუმრებოდა ერთხელ ილიას საადგილმამულო ბანკში პლატონ იოსელიანის ცოლისაგან მიგზავნილი ქალი, ამას მთხოვნელი რომ ეგონებოდა და მიღებაზე უარს განუცხადებდა. მაგრამ მოგზავნილი შეუთვლიდა:

– პლატონ იოსელიანისაგან დარჩენილი ნაწერები მომაქვს თქვენს ჟურნალში დასაბეჭდად.

და კიდეც გადასცემდა „მეფე გიორგის ცხოვრებას“, იოსელიანისაგან შედგენილს, გახალისებული ილია სასწრაფოდ რომ მიუჩენდა ამ ისტორიულ ქრონიკას ადგილს „ივერიის“ ნომრებში.

ხელმოჭერილობა ხელმოჭერილობად, მაგრამ დაე ნურც ეს დაიფარებოდა, რაკიღა ბიოგრაფოსი მიუკერძოებელი თვალით აკვირდებოდა და ინახავდა ყველა დეტალს:

ილია არაფრად აგდებდა ასობით და ათასობით ფულის წაგებას ბანქოს თამაშისას.

80-იანი წლების დამდეგს თითქმის ყოველ საღამოს თამაშობდა და თითქმის განუყრელ პარტნიორებად ეყოლებოდა: გიორგი შარვაშიძე (დიმიტრიჩი – თბილისის გუბერნატორი და არა პოეტი და დრამატურგი), კონსტანტინე რეიტერი, კოლა ერისთავი, დავით ავალიშვილი. თუმც „კრუჟოკსა“ თუ კლუბს სტუმრობით ხშირად არა სტუმრობდა, და იქ თუ წავიდოდა – მხოლოდღა ზაფხულობით.

იონა ხშირად რომ გამოვიდოდა ალიონზე ალექსანდრეს ბაღში, შეეყრებოდა ხოლმე ილიას – კუკიიდან მომავალს, თამაშში მთელი ღამის გადათენების შემდგომ.

ილია ხონელი რას უამბობდა სიცილით იონას?

მისი დიდებული სეხნია მთელი ღამე რომ ითამაშებდა რომელიღაც კლუბში, იმ ღამით ათას ხუთას მანეთს წააგებდა. შინ რომ დაბრუნდებოდა და ეტლის გასასტუმრებლად ქისას ამოიღებდა, შიგ ნაშალს ვერ იპოვნიდა, ერთი თუმნიანიღა შერჩენოდა გაუტეხელი.

„ეჰ, საცა სხვა წავიდა, ესეც იქ წავიდეს“ – გაივლებდა გულში და გაუწვდიდა მეეტლეს თუმნიანს.

– აჰა წაიღე.

ის გაკვირვებდა:

– ბატონო, აქ ერთი თუმანია.

– არაფერია, წაიღე, – გაუმეორებდა.

და როგორ არ დაემადლებინა თვალგაპრიალებულ მეეტლეს სულგრძელი მგოსნისათვის:

– გეტყობა, კნიაზო, წუხელის მოგიგიათ, ღმერთმა ყოველთვის ასე მოგაგებინოს.

მზამზარეული ანეკდოტი იქნებოდა, ილია ხელიდან რომ არ გაუშვებდა ამისთანა შემთხვევას, რათა ახლობლები გაეცინებინა და გაეხალისებინა.

მეეტლეს ეგონა, დიდად ვაამებო, და... დაწყევლა კი გამოუვიდოდა?

ილიას უღირდა თუნდ ეს დაწყევლა, რაკიღა სახალისო ამბავი თავისთავად გამოიჩარხებოდა.

„ივერიის“ რედაქცია იმხანად კუკიის ქუჩაზე რომ მოთავსდებოდა, ლიზა საგინაშვილის სახლში, დაბლა გაიმართებოდა გაზეთის სტამბა, მაღლა კი – რედაქცია, და თვითონ რედაქტორიც იქ იდგებოდა.

მეორე სართულზე ასული სტუმარი მარცხენა კარს შეჰყავდა რედაქციაში, და მარჯვენას – ილიას სადგომში. სადგომის ყურეში, შესვლისთანავე, მარცხნივ იქნებოდა რედაქტორის კაბინეტი – პატარა ტანის ოთახი – სწორედ ისე მოწყობილი, როგორც შეჰფეროდა მის პატრონს: პოეტსა და მამულისმოყვარე რედაქტორს.

შეხვიდოდი კაბინეტში და: ყოვლის უწინარეს ყურადღებას მიიპყრობდა ფერადი სურათებით აჭრელებული ჭერი ოთახისა. და ჭერის ოთხ კუთხეზე დახატული გახლდათ ფართო მედალიონები: მეფე ლუარსაბის, დიმიტრი თავდადებულის, გიორგი მესამის – თამარ მეფის მამისა – და დავით აღმაშენებლის, შუაში წმინდა ნინოს სახება რომ იკიაფებდა.

კედლებზე ეკიდებოდა: მეფე ერეკლესა და ვახტანგ გორგასლის სურათები.

კედლებზევე: სოფლის გლეხკაცი და ყასაბი გიგო გაბაშვილისა, ბართოლომე ესტებან მურილიოს გრავიურა და მითოლოგიური სურათები.

კაბინეტი გადავსებული დაგხვდებოდა: კარადებით, მაგიდებით, წიგნებით, ქანდაკებებით.

მიიხედ-მოიხედავდი და დაინახავდი: ერთგან უილიამ შექსპირის ბიუსტს, სხვაგან – იოჰან ვოლფგანგ გოეთესი (გოეთესი და არა ბაირონის!), კიდევ სხვაგან – შოთა რუსთველისა და ჯუზეპე გარიბალდისა.

აქა-იქ კედლებზე: კაკაბისა და ხოხბის ფიტულებს.

და – ჩაღიმება გაკრთებოდა სტრიქონებს შორის – რადგანაც ნამდვილ ქართველს ძველთაგან ანდერძად უწერია, ამ კაბინეტში ნახავდი რვა ყანწს, ერთიმეორეზე მოზრდილსო.

მთავარი მაგიდის გადავსებული იქნებოდა რაგინდარათი: წიგნებით, გაზეთებით, სამწერლო იარაღებით, სუყველაფერი ამ ვეება მაგიდაზე არეულ-დარეულად რომ დაზვინდებოდა, რათა აქაც გამართლებულიყო ნათქვამი პოეტურ დაუდევრობაზე.

აი აგერ იდგებოდა ამომშრალი დიდი საწერელი, რომელშიც ვიღაცას მეორე, მომცრო ტანის საწერელი ჩაედგა. აგერ შვლის ქანდაკება, რომელსაც რქაზე პოეტის ჩაჩი წამოცმოდა. აგერ გადაშლილი წიგნი, შუაგულში პაპიროსის ნამწვით. აგერ გლობუსი, საანგარიშე, სათვალე, გაზეთის ორიგინალები, ვეებერთელა წითელი ფანქარი...

თუ საღამოხანი იდგებოდა, ამ მაგიდასთან თვითონ რედაქტორი იჯდებოდა და აქ, ამ ვიწრო ქარხანაში მზადდებოდა ყოველდღიურად ის აზრი, რომელიც ხვალ შესაძლოა სახელმძღვანელოდ გამხდარიყო ყოველი ქართველისათვის – ბაქოდან დაწყებული სოხუმამდის, და კავკასიის გარეთაც.

როგორც გაზეთის მეთაურ-მესვეურს, ილიას იონა მეუნარგია შეაფასებდა დიდად ნაყოფიერად, ბევრს რომ წერდა და გრძლად. და აქვე კრიტიკულ შენიშვნასაც არ მოერიდებოდა: გრძლად წერა სამწუხაროდ მისი ნაკლულოვანება იყოო.

შენიშვნის მიზეზსაც განმარტავდა:

გაზეთი წიგნი არ არის, რომ კაცი დაუჯდეს იმას და იკითხოს. საგაზეთო სტატია თუ საჟურნალო სტატიად გახადე, რაც უნდა კარგად იყოს დაწერილი, თავის ღირსებას ჰკარგავსო.

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო, – თუ მხოლოდ შაირზე ეთქვა რუსთველს, იონას შეტყობით: ეს იმიტომ, რომ მეთორმეტე საუკუნეში არც გაზეთები ყოფილა და არც მოწინავე სტატიები.

იონასათვის მახლობელი გახლდათ ფრანგების ის მტკიცება:

თუ გინდათ თქვათ, რომ წვიმს, თქვით: წვიმსო.

არ უნდა მოჰყოლოდი ათადან-ბაბადან, ნუ დაიწყებდი ციდან, ღრუბლებიდან, ჰაერიდან, მოკლედ უნდა გეთქვა: წვიმსო.

და ილიას მეთაური წერილები მოკლედ და პირდაპირ ვერ ეუბნებოდნენ მკითხველს იმას, რისი თქმაც მის დამწერს სურდა, და რაც, როგორც პოეტს, კიდეც შეეძლო.

შეჰყვებოდა და შეჰყვებოდა ამ თემას – მოკლედ წერის ხელოვნებას – ბიოგრაფოსი და განაცხადებდა, რომ: მისი იდეალი გაზეთის მოწინავე წერილების წერისა გახლდათ ფრანგი ჟურნალისტი ჟირარდენი, რომლის სტილურ მანერასაც ასე ახასიათებდა ფრანგივე მწერალი დანკური:

– იგი იწყებს რაიმე საგანზე ლაპარაკს, წამოაყენებს წინ ერთს აზრს, თეზისს. მოუსვამს კალამს და ორ სტრიქონში საქმის ექსპოზიცია მზად არის. ორი-სამი სტრიქონი და ჟირარდენი შუაგულ კითხვამდის არის მიწევნილი. ამის შემდეგ გადადის დასკვნაზე, წინდაწინ ხედავს, თუ თქვენ მასთან არა ხართ თანახმა და თქვენკენ მოიწევს. თქვენ შეიძლება ამაზე ესა და ეს მითხრათ; ახ, რაგვარად მებრალებით, – და იგი მტვრად აქცევს თქვენს ნათქვამს, ან დაანახვებს სხვებს, რომ თქვენი ნათქვამი მტვრად აქცია, და გასწევს და გასწევს. კიდევ ორი სტრიქონი. გათავდა? არა. იმას კიდევ აქვს სათქმელი უკანასკნელი სიტყვა, კიდევ უნდა გაისროლოს უკანასკნელი ისარი. ახლა მაინც გათავდა? არა. ერთი სტრიქონი კიდევ და ამ სტრიქონ-

ში კიდევ სულ ბევრი-ბევრი სამი სიტყვაა, ხანდახან – ორი და ხშირად – ერთი. ჰა, და გათავებულ მოწინავეს ხელი მოაწერა.

და შედარებისთვის ამ ერთადერთ ფრაზას იკმარებდა:

ამგვარად ილიას არ უწერია.

გრძლად წერას კი დაუწუნებდა, საკითხავად საწვალებელს, და საკმაოდ ვრცელი მსჯელობებსაც ფრანგი ჟურნალისტების წერის მანერითაც მოხიბლული და გამხნევებული, მაგრამ... იმასაც რომ აღნიშნავდა: ილიას აზრები სახელმძღვანელო რომ ხდებოდა ყოველი ქართველისათვის – კავკასიაშიც და კავკასიის გარეთაც?

თუ ათი მკითხველიდან ცხრა ამ სტატიებს ვერ თუ არ წაიკითხავდა, მაშ ამხელა ზეგავლენას როგორღა ახდენდა თვითეული პუბლიკაცია, მკითხველი სულმოუთქმელადაც რომ მოელოდა?

ამას უკვე ვეღარ ახსნიდა ბიოგრაფოსი.

არადა მთავარი აქ ისაა, რომ იონა მეუნარგია სუბიექტურობას გამოიჩენდა და ილიას მოწინავე სტატიებს იმ გადასახედიდან გადმოხედავდა, თვითონ პირადად რომელი სტილისტიკაც ემარჯვებოდა და ეხალისებოდა.

მისთვის მახლობელი არ ყოფილა ეპიკური სტილი, ძალიან წურავდა სათქმელს და ამიტომაცაა, რომ მისი ბიოგრაფიული ქრონიკები ჟანრობრივად მოთხრობის ჩარჩოში თავსდება და არა რომანისა.

აი ილიას რომ მოეკიდა ხელი ბიოგრაფიებისათვის, მოთხრობის სარტყელს ვერაფრისდიდებით ვერ იმყოფინებდა და რომანის სივრცეში გადაიჭრებოდა, მისი ხვავრიელი სტილი მდინარესავით რომ დაიწყებდა დენას ყოველი ახალი თხზულების შექმნისას, ქართული ენის უშრეტ სალაროს მთელი თავისი სილამაზითა და ექსპრესიულობით რომ გადმოჰფენდა და მკითხველსაც მთელი არსებით განაცდევინებდა ამათუიმ პიროვნების ცხოვრებასაც და სულიერ თავგადასავალსაც.

მოწინავე სტატიებითაც ასე ითრევდა და იყოლიებდა და აზრისა და განცდის მორევში ჩაფლული მკითხველი ამიტომაც რჩებოდა მონუსხულიც და გულსა და გონებაზეც აღმბეჭდავიც ილიას ყოველი სიტყვისა, არამცთუ ფრაზისა თუ შეგონებისა:

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო, – ზედმეტსიტყვაობას დაუპირისპირდებოდა შოთა რუსთველი, თორემ ეპიკური გაშლა თხრობისა თუ რას ნიშნავდა, მისგან უნდა გვესწავლა, თუ უნდა გვესწავლა, და ილიაც მისგანვე შეითვისებდა, მოუნყინრად რომ იკითხავდა და იკითხავდა მთელი სიცოცხლე „ვეფხისტყაოსანს“ და ბაგეზეც სულ ის სტრიქონები ეკერებოდა, ძალდაუტანებლად რომ წამოაგონდებოდა ხოლმე, ეგაა მოზიარეებიც გაუჩნდებოდა რუსთველს, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებიც რომ ააბოდებდა ილიას და იმ გრიგოლ ორბელიანისაც, მლეთის დაღმართზე ჩამომავალი ამის თვალში ერთბაშად რაღაც უჩვეულო შარავანდში რომ გაეხვეოდა და ლამის ვეღარც დაეჯერებდა, რეალურ ადამიანს შეჰყურებდა თუ ღმერთკაცს.

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო, – სულაც არა ნიშნავდა, თითქოს რუსთველი – ფრანგი ჟურნალისტების კვალობაზე – წვიმის შემყურე ამ ერთადერთ სიტყვას იკმარებდა: წვიმსო.

ისე დაატრიალებდა სიტყვასაც და სტრიქონსაც, ისეთი ჯადოსნობითა და ფერადოვნებით, ისეთი ექსპრესიითა და სიმახვილით, სურვილი გაგიჩნდებოდა, წვიმის ნაკადს არც არასოდეს გადაეღო, სულ ეწვიმა და ეწვიმა იმის მონათხრობში... და პრესის ეპოქაში რომ დაბადებულიყო, სიტყვათა მორევში შეგიყვანდა და აღარც ამოგაყურყუმელავებდა, და ყოველი მისი აზრი სახელმძღვანელოდ ამიტომაც შეიქნებოდა თვითეული ქართველისათვის – ბაქოდან დაწყებული სოხუმამდის, და კავკასიის გარეთაც.

ისე ერთი იონა მეუნარგია მასაც რომ ჰყოლოდა გვერდით!

დაე ბიოგრაფიული ქრონიკა ვერც შეედგინა და „ნანახი და განაგონი“ ეკმარა, და იმის ჩანიშვნაც ოთხი-ხუთი წლის შემდგომღა დაეწყო რუსთველის გაცნობიდან, გადაბმისას კი დაწურული სტილი მოემარჯვებინა, მაინც რა განძი გვექნებოდა ხელთ რუსთველის თანამედროვე იონა მეუნარგიას წყალობით. და ვიღა აუხირდებოდა: ეპიკურად რატომ არ გაგიშლია თხრობაო.

არა, არც ამჯერად უხირდება ვინმე, მისი ბიოგრაფიული ქრონიკებისა თუ საქრონიკე მასალების მკითხველი, რატომ უფრო გაშლილად არ გვაწვდი ამბებსა თუ ნათქვამსო, მის მიერ შემონახული განძის შემყურეთ რა თავი გაგვექნევა, ეგაა თვითონ არ უნდა მიეჩნია თავისი წერის მანერა ყველაზე მართებულ არჩევანად და ილიას ეპიკურ თხრობაში ნაკლულოვანება არ დაენახა. სწორედაც პირიქით, თორემ ამხელა გავლენას განა როგორ მოიპოვებდა, „ივერიის“ გამოსვლის ყოველი დღე მკითხველს განსაკუთრებული მოლოდინით რომ აღავსებდა, და უწინარესად – სწორედ მოწინავე სტატიების გამოისობით.

წვიმს, – იტყოდა რომელიმე ფრანგი ჟურნალისტი.

წვიმს, – იტყოდა იონა მეუნარგია.

ილია კი... ილია წვიმის შუაგულში შეგაგდებდა, სულაც გადაუღებელ თავსხმაში, მაგრამ იქიდან გამოსვლა არაფრისდიდებით აღარ გენდომებოდა, და გამოფხიზლებული ინატრებდი: რა იქნებოდა ეს მოწინავე წერილი ოთხ და ხუთ სვეტს გადაცდენოდა, ანდა ექვსიც რა არის, რაღაც ძალიან მალე თავდება ეს უჩვეულო ნაუბარიო.

ილიას კიდევ რა სჩვეოდა?

ვიდრე თავის ნაწერს დასაბეჭდად გაგზავნიდა, უკითხავდა თანამშრომლებს და ყოველგვარ რჩევას სიამოვნებით ითვალისწინებდა.

ნინო მუხრან-ბატონის დასაფლავების გამო მოწინავე სტატიას რომ დაბეჭდავდა, მეორე დღეს ჰკითხავდა იონას:

– წაიკითხე ჩემი წერილი?

– წავიკითხე გუშინლამე სტამბაში და ძალიან მომეწონა. მხოლოდ რომ გენებებიათ და საღვთო წერილის სიტყვაც ჩაგეტანებიათ შიგ შრომისმოყვარე ქალის თაობაზე დაწერილი, სტატია ბევრს მოიგებდა.

– რა სიტყვა? – გაფაციცდებოდა რედაქტორი.

– ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა.

– ოხ, მართლა, რომ კარგი იქნებოდა, და რატომ ეს სიტყვები არ მიაწერე, რაკი სტამბაში მოხვედრიხარ, – ეტყოდა ნაღვლიანად ილია, საზოგადოდ მოყვარე დეკლამაციისა.

დავუკვირდეთ:

არამცთუ რჩევად გაითვალისწინებდა, დროულად რომ შეეტყო, ნებას რთავს თანამშრომელს, რომ მისი – თვით რედაქტორის – დაუკითხავადაც შეიტანოს შესაფერისი შესწორება მოწინავე სტატიაში, თუკი მის ქსოვილს რითიმე წაადგება.

სხვის ნაწერებს როგორ ეპყრობოდა და:

თავაზიანად.

მხოლოდ ენის მხრივ იჩენდა ულმობელობას, მეტადრე დასავლეთ საქართველოდან გამოგზავნილი კორესპონდენციებისა და წერილების კითხვისას.

და როგორ არ განეცხადებინა იონას:

ენის მხრით ილია მართლა რომ კანონმდებელია ქართული ენისაო.

ვიღაცას რომ ესაყვედურა ვიქტორ ჰიუგოსათვის: ეს სიტყვა ფრანგული არ არისო?

– არ არის, მაგრამ იქნება, – თავმოწონებით მიუგებდა დიდი მგოსანი საფრანგეთისა.

და იგივე როგორ არ გაემეორებინა ბიოგრაფოსს ილიასა და ქართულ ენაზე.

ვიდრე ილია არ დაუშლიდათ, ჩვენში ამგვარად დამკვიდრებულიყო მიმართვა: უფალი კერესელიძე, უფალი მესხი... ეს „უფალი“ გადმოღებული იქნებოდა საღვთო წერილიდან, ანდა ითარგმნებოდა რუსული სიტყვიდან. და აი ილიას უნდა შეეთავაზებინა მკითხველისათვის:

– „უფალი მესხის“ თქმას „ბატონი მესხის“ თქმა არა სჯობს?

და ეს სიტყვა მას აქეთ კიდეც საბოლოოდ უნდა დამკვიდრებულიყო ჩვენში და ისე ძლიერადაც მოეკიდებინა ფეხი ჩვენს ენაში, რომ ვეღარ განდევნიდა ვეღარც „ამხანაგი“ და ვეღარც „მეგობარი“, ისევე როგორც ვერ განედევნა ფრანგული ენიდან „მონსენიორ“ ვერც დიდი რევოლუციისა და ვერც კომუნის მიერ შემოღებულ მიმართვას.

ისე ზოგი თავის გულში და ზოგიც ახდილად შეუთანადებდნენ ხოლმე ვიქტორ ჰიუგოს ხან ილიასა და ხანაც აკაკის, და იონა მეუნარგიასაც სავსებით ბუნებრივად წამოაგონდებოდა ეს ერთი უპირველესი ფრანგი მწერალი, აკაკისაც და ილიასაც რომ უყვარდათ მისი ხსენება და შემთხვევას არ გაუშვებდნენ, რაღაც არ ეთქვათ ჰიუგოზე, თუნდ იმ ეპიზოდისა არ იყოს, იონა თვალსაჩინოებისათვის რომ გაიხსენებდა, რომ:

ილია, როგორც ეს შეჰფეროდა პოეტს, ხშირად და ადვილად რომ აღტაცდებოდა ხოლმე და ეძლეოდა პათოსს ხანდახან სულ უბრალო მიზეზთა გამოისობითაც.

– ვაა... ვერ წარმოიდგენ, – ეტყოდა ერთხელ ბიოგრაფოსს, – რაღაც შემთხვევის გამო ბრაზილიის იმპერატორმა დონ-პედრომ შეუთვალა ვიქტორ ჰიუგოს.

და აქ მგოსანი ზეზე უნდა წამოჭრილიყო და გამოჭიმულიყო მთელი თავისი სიმაღლით:

– შენი ნახვა და გაცნობა მწადიაო.

და პასუხად რა შეეთვალა ჰიუგოს?

– მე სადარბაზოდ არავისთან დავდივარ.

მაშინ იმპერატორი და ტახტის მემკვიდრე თვითონ ინახულებდნენ დიდ მგოსანს, და ვიზიტისას, როდესაც მასპინძელი ასე მიმართავდა მეფეს:

– თქვენო უდიდებულესობავ!

იმპერატორი სიტყვას შეაწყვეტინებდა მგოსანს და მიუბრუნდებოდა თავის მემკვიდრეს:

– ჩემო შვილო, დაიმახსოვრე, აქ არ იმყოფება სხვა უდიდებულესობა, გარდა ვიქტორ ჰიუგოსი.

ამ სიტყვებს ილია დიდი ამბისყოფით წარმოთქვამდა და იონა ადვილად შეატყობდა სიხარულს, რომ: ქვეყნის მბრძანებელი ასერიგად ემორჩილებოდა სიტყვისა და ლექსის ისეთ მეფეს, როგორიც გახლდათ ვიქტორ ჰიუგო.

ხოლო ილიას მიერ გამოგონებულ სიტყვათაგან ხსოვნაში ჩარჩებოდა: სულთა-სწრაფვა, თვალთახედვის ისარი.

არ მოსწონდა იმერელთა – ლიხთიქითელთა – წერილებში სიტყვები: „ვღებულობ“, „ამნაირად“, და სადაც კი ეს სიტყვები მოხვდებოდა თვალში, მაშინვე გადაშლიდა და ზემოდან დააწერდა: „ვიღებ“, „ამგვარად“.

სადაც ყველა ჩვეულებრივ წერდა „მაგრამს“, ილია ამჯობინებდა „გარნას“.

იმასვე ეკუთვნოდა – თუკი იონა არა ცდებოდა – ესეც: „ჰსჩადის“, რომელსაც ახლაც ვერ შეთვისებოდა და რომელიც არცერთ ძველ წიგნში არ წაეკითხა, და არც ხალხში გაეგონა სურამს აქეთ მაინც. გადაღმაც – იონა ვერ ირწმუნებდა – რომ ხალხში „ჰსჩადის“ გაისმოდა. შესაძლოა ეთქვათ: „ჩადის“, სიტყვიდან – „ჩასვლა“, მაგრამ „ჰსჩადის“ ქალაქში უნდა ყოფილიყო გაზვიადებული.

როგორც რედაქტორს, ილიას მუდმივ ერთი აზრი ექნებოდა:

გაზეთი არავის პირადობას უმართებულოდ არ უნდა შეხებოდა.

და ამ მხრივ რომ დაშინებულიყო გაზეთის – „დროება“ – განურჩევლობით, მისი წარმოსახვისა და ფანტაზიის პატრონიც ვერ წარმოიდგენდა და ვერც იგუმანებდა, თუკი დაარსდებოდა „კვალი“ და „მოგზაური“, გამოცემები, სადაც მარქსისტი ჟურნალისტები ამ მხრივ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბებდნენ და შორსაც გადააჭარბებდნენ, მანამდელი პირადობის უმართებულო შეხება უწყინარ გამოხუმრებად რომ გამოჩნდებოდა მათ მიერ შემოღებულ-დამკვიდრებული ლაგამწაყრილი ციილისწამებისა და ლანძღვა-გინების ფონზე.

რაკიღა თვითონ ილია სხვის პირადობას მცველად დაუდგებოდა თავის გაზეთში, არც ის სურდა, რომ თვითონ აუგად თუ აბუჩად ეხსენებინათ სხვის გაზეთში.

და როდესაც ნიკო ნიკოლაძე „ნოვოე ობოზრენიეს“ ფურცლებზე წერილს დაბეჭდავდა მისი პიროვნების შესახებ, ილია თავს შეურაცხყოფილად მიიჩნევდა და ორ თავის ამხანაგს მიუგზავნიდა სეკუნდანტებად ნიკოლაძეს: კოლა ერისთავსა და სოსიკო შალიკაშვილს. და ისიც პასუხად

გამოუგზავნიდა ორ თავის ამხანაგს: დათიკო გურამიშვილსა და ნიკოლოზ სიმბორსკის.

და კიდეც მომზადდებოდა მათ შორის დუელი, მოწინააღმდეგენი უკვე ბარიერთან რომ დადგებოდნენ გატენილი ფიშტოებით და... ყველაფერი იმ წერტილს მიაწევდა, სადაცაა ტყვია რომ უნდა გავარდნილიყო...

მაგრამ ამ დროს სიმბორსკი შერიგების უკანასკნელი სიტყვით მიმართავდა დუელიანტებს და... დუელიც მორიგებით დამთავრდებოდა: არამცთუ იმწამიერ მოპირისპირეთა, არამედ საქართველოს საკეთილდღეოდ.

იონას არ ეცოდინებოდა, ვინ ვის მოუხადა ბოდიში, რაკიღა მათი შერიგების ოქმი არ გამოქვეყნდებოდა. გაგონებით კი გაეგონა, თითქოს ილიას ეთქვას:

– მე შეურაცხყოფილად მივიჩნიე თავი მარტო იმისათვის, რომ ნიკოლაძეს თუნდ ერთი წამით შეეძლო ეფიქრა, რაც „ივერიაში “დაიბეჭდა, ის ჩემი თანხმობით იყო.

და პასუხად ნიკო ნიკოლაძეს განეცხადებინოს:

– თუ ეს ასეა, მაშ რაც ჩემს გაზეთში ვთქვი ჭავჭავაძის შესახებ, უკან მიმაქვს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ განა რა შეიძლება ეთქვა ამისთანა გადამწყვეტ წუთს ნიკოლოზ სიმბორსკის, ჰადაჰა გასავარდნად გამზადებული ტყვიები ფალიაშივე ჩაეტოვებინა?

კიდევ კარგი ამ ეპიზოდს გრიგოლ ყიფშიძეც შემოგვინახავდა თავის ბიოგრაფიულ ქრონიკაში, სადაც ეს რეალიაც აღინიშნებოდა, სიმბორსკი, როგორც გულჩვილი კაცი, ამაოდ რომ შეეცდებოდა დუელიანტთა შერიგებას და ვერას გააწყობდა, აქვითინდებოდა, რაკიღა არცერთი არ ემეტებოდა სასიკვდილოდ.

მარტო ეს იქნებოდა მიზეზი შერიგებისა თუ სხვა გარემოებაც დაერთოდა?

თუმც სხვა გარემოება რაღა საჭირო უნდა ყოფილიყო, როდესაც ცრემლი გადაწყვეტდა გადასაწყვეტს, სიტყვაზე უფრო მეტყველი საბუთი აღმოჩნდებოდა და ასეთ სასიკეთო ნაყოფს გამოიღებდა მისი გადმოღვრა.

და ოქმი რომ შედგებოდა, იქ ჩაინერებოდა:

ილია უარყოფდა თავის წერილს „დროებაში“ (რომელსაც „ივერია“ შეერთებოდა), ხოლო ნიკო ნიკოლაძე აღარ შეეხებოდა ილიას პირადობას „ობზორის“ ფურცლებზე.

გრიგოლ ყიფშიძე იონა მეუნარგიაზე არანაკლებ, თუ მეტადაც არა, იცნობდა ილიას შინაურ გარემოში, და მის ბიოგრაფიულ ქრონიკაშიც არაერთხელ წარმოდგებოდა ილიას მონუმენტური სახება სწორედ „ხალათში“.

ერთხელ ილია ისე გაერთობოდა მუშაობით, რომ თავს დაათენდებოდა და კინაღამ შუადღე მოაწევდა. ილიას კაბინეტში კი ლამპარი ისევ ენთებოდა. კნეინა ოლღა ძალიან შეფიქრიანდებოდა: ვაითუ დაემართა რამეო, – მაგრამ შიშით ვერც თვითონ ბედავდა შესვლას და ვერც მოსამსახურე შეეგზავნა. ამ დროს „ივერიის“ რედაქციაში უკვე მოიყრიდნენ თავს თანამშრომელნი და კნეინა ერთ-ერთს – ალექსანდრე ნანეიშვილს მიმართავდა:

– მიშველე რამე, ასეა საქმე და ლამის შიშით დავილიო.

ეს ის დროა, რედაქცია და ილიას ბინა ერთად რომ იქნებოდა. ნანია, როგორც ეძახდნენ ტოლ-მეგობრები, მაშინვე დაფაცურდებოდა, შეაღებდა კაბინეტის კარს და ასეთი სურათი დახვდებოდა:

ილიას ზურგი შეექცია საწერი მაგიდისათვის და ღრმა ფიქრებში ჩაფლულიყო.

– ბატონო, – მიმართავდა ნანია, – შუადღეა მოტანებული და რაღა დროს ლამპარია?!.

არადა გამონაკლისი სულაც არ ყოფილა ეს ეპიზოდი – ბევრჯერაც დასთენებოდა თავს გონებრივი მუშაობით გართულს.

მისდა ბედად და სასიკეთოდ: თვით მეუღლე ილიასი აღმოჩნდებოდა ყოვლად კეთილი, სათნო ხასიათის ადამიანი, ქველმოქმედი, ყოველი სასიკეთოს თანამგრძნობელი, დიდად მოსიყვარულე თავისი სახელოვანი ქმრისა და მაღმერთებელი მისი ნიჭისა. სულ თვალწარბში რომ შესცქეროდა ილიას, თავისი დღენი იმას ცდილობდა, ქმრის საწყენი და უსიამოვნო არა მოემოქმედა რა.

როცა ილია წერას ჩაუჯდებოდა, სახლში ჩამიჩუმიც არ უნდა გახმიანებულიყო, ოლღას წყალობით სასტიკი მდუმარება გამეფებულიყო და არავის შეეძლო ოდნავი ხმაურიც აეტეხა. თვითონ კნეინაც სულ ფეხაკრეფით დაიარებოდა ოთახებში, ემანდ მცირე ჩქამმაც არ დაუშალოს ილიას წერა, გონებრივი მუშაობაო.

ცხადია გრიგოლ ყიფშიძისთვისაც მოეყოლა ილიას გრიგოლ ორბელიანთან ის თავისებურად სიმბოლური შეხვედრა, მის ბიოგრაფიულ ქრონიკაში აღბეჭდილს ყიფშიძის ეს ფრაზაც რომ დაერთვოდა:

ეს კარგი ნიშანი იყოო.

ნიშანდობლივია, გრიგოლ ყოფშიძე „განდეგილის“ თითქმის შობასაც რომ უცქერდა და ნათლობასაც დაესწრებოდა.

ერთ დილას ილიას შინ რომ ესტუმრებოდა ივანე მაჩაბელთან ერთად საქმეების გამო, ამ საქმეებს რომ მოათავებდნენ, მასპინძელს უნდა ეთქვა:

– დავიწყე ერთი პოემა და არ ვიცი, როგორი გამოვა.

და წაეკითხა პირველი ხანა – ჯერ მეტი არ დაეწერა. და გრიგოლს თვალწინ წარმოუდგებოდა დიდებული სურათი თოვლიან-ყინულიანი მთებისა და მუნ გამოკვეთილი ბეთლემის მონასტრისა; თითქოს თავბრუ დაესხმოდა, გამოყუყეჩდებოდა (თვით ამ სიტყვასაც არ მოერიდებოდა ღრმა შთაბეჭდილებისაგან მოგვრილი განწყობილების გადმოსაცემად) და თითქმის ვეღარას გაიგებდა რა იმისა, რასაც ილია უამბობდათ იმ თემისა და შინაარსისა, რომელიც უნდა განვითარებულიყო და დაწერილიყო პოემის დასათავებლად.

„განდეგილს“ რომ მოათავებდა, როგორც სჩვეოდა ილიას, საჯაროდ წაიკითხავდა დავით სარაჯიშვილის სახლში, სადაც თავს მოიყრიდნენ მაშინდელი ინტელიგენტები, მოყვარულნი მწერლობისა.

და კითხვას რომ დაასრულებდა, აქეთ-იქით ისე მიიხედ-მოიხედავდა, თითქოს ეკითხებოდა შეკრებილთ: რასა ბრძანებთო?

წამოდგებოდა იონა მეუნარგია – გრიგოლის თვალშიც: ცნობილი მოყვარული ქართული მწერლობისა – და იტყოდა აღტაცებით:

– მშვენიერია, ილია, მშვენიერი, მხოლოდ პოემაში სურათს ვერა ვხედავ, თვით განდეგილის სურათს, მისი გარეგნობის აღწერას, მის პორტრეტს.

გაიმართებოდა საუბარი, კამათი...

და პოემა რომ დაიბეჭდებოდა „ივერიის“ 1883 წლის თებერვლის ნომერში, შიგ გაჩნდებოდა მეხუთე ხანად აღწერა განდეგილის სურათისა:

არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს,
სულის სიმაღლე ზედ დასჩნეოდა;
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა...
სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
შარავანდედი გადაჰფენოდა...

ესეც ის სტრიქონები, რომელთა საჭიროებასაც ილია თავდაპირველად ვერ დაინახავდა, მაგრამ იონა მეუნარგია რომ მოისაკლისებდა, ავტორიც ირწმუნებდა განდეგილის გარეგნული პორტრეტის აუცილებლობას და კიდეც წარმოსახავდა შესაფერის შტრიხებს, გარეგნობიდან სულიერებაც ასე კანთიელად რომ გამოსჭვიოდა.

ასე შემატებდა „განდეგილის“ ტექსტს იონა მეუნარგია მეტად საჭირო სტრიქონებს მეტი სრულყოფილების მისაღწევად.

და ამის თაობაზე კრინტსაც არ დაძრავდა „ნანახსა და განაგონში“, მოერიდებოდა თავისი დამსახურების აღნიშვნას, სამაგიეროდ შემოგვინახავდა თვითონ ილიასაგან არაერთხელ განაგონს, რომ:

წერა-კითხვა მისთვის სოფლის მთავარს ესწავლებინა, დედა კი უკითხავდა სხვადასხვა მოთხრობებსა და „ვეფხისტყაოსანს“, თუმც გრძლად აღარ გადმოგვცემდა ამ ამბებს, რაკიღა ეს ყოველივე ილიასვე დაეწერა თავის ავტობიოგრაფიაში.

მეთერთმეტე წელი რომ დაუდგებოდა, ქალაქს ჩამოიყვანდნენ და რაევსკის პანსიონში მისცემდნენ, საიდანაც დაიწყებდა სიარულს გიმნაზიაში და, მერვე კლასის დამთავრების შემდეგ, გაემგზავრებოდა პეტერბურგს 1857 წელს და შევიდოდა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

იაკობ გოგებაშვილთან რომ იქნებოდნენ მიწვეული სადილად, იქ პოეტი მოუყვებოდათ, რომ:

ბავშვობისას ხშირად აციებდა და ტყლიპი გაუდიდდებოდა, ქალაქს რომ ჩამოიყვანდა მამა, ყველა ექიმს დაასევდა, მაგრამ ვერას გახდებოდნენ. მაშინ ვიღაც ფერშალს მოუყვანდნენ ავლაბრიდან. კაბა ეცმეოდა, თავზე კარტუზი ეხურებოდა, ჩოფურა იქნებოდა.

და სინანულით ჩაურთავდა მთხრობელი:

ხატვა რომ ვიცოდე, დავხატავდი, ისე ცოცხლად მახსოვს იმისი სურათიო.

ის წამალს დაალევინებდა, წაუსვამდა ტყლიპზე რაღაცას და იტყოდა:

– თავის დღეში ამას აღარ გააციებს.

და მართლაც მას აქეთ აღარც აღარასოდეს გააციებდა.

სამაგიეროდ გვამცნობდა, რომ:

1864 წლის დამლევს ილიას გაგზავნიდნენ იმერეთს, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ, და დაევალებოდა გამოერკვია, თუ რა ურთიერთობა სუფევდა მემამულეთა და გლეხკაცთა შორის, ბატონყმობისაგან წარმომდგარი.

როცა ბატონყმობა მოისპობოდა და საგლეხო დაწესებულებები დამკვიდრდებოდა, თბილისის გუბერნიაში დანიშნავდნენ მომრიგებელ შუამავლად დუშეთის მაზრაში: იმავე წლის 4 ნოემბერს.

ბიოგრაფოსის აზრით:

ამაზე უკეთეს ადგილს ილიასათვის კაცი ვერ წარმოიდგენდა.

მომრიგებელი შუამავალი, კანონმდებლის შეხედულებით, გლეხკაცის მამა გახლდათ, მისი მფარველი ანგელოზი, როგორც ამბობდნენ იმხანად, ეს თანამდებობა როდესაც არსდებოდა. კანონი მას ავალებდა: ევლო სოფელ-სოფელ და ადგილზევე გაერჩია ნაბატონევთა და გლეხთა შორის მომხდარი ცილობა. ობლის პატრონობაც მას ევალებოდა, სოფლის მართვა-გამგეობის მეთვალყურეობაც, მასწავლებლობაც და მოძღვრობაც გლეხკაცობისა.

რისთვისაც ისედაც მოწოდებულიყო – ბიოგრაფოსი ამ სიტყვას ამჯობინებდა: დაგეშილიყოო – ის მოვალეობა დაეკისრებოდა.

მოწოდებულიყო, როგორც მწერალი და პუბლიცისტი.

დაეკისრებოდა, როგორც მომრიგებელ შუამავალს.

და თანაც გაუმართლებდა, რომ ეს თანამდებობა ერგებოდა არა სადმე შორს, სამშობლოს გარეთ, როგორც აგერ მოუწევდათ ილია ჭყონიასა თუ დუტუ მეგრელს, არამედ თავისიანებში, არაგვის პირად, მცხეთიდან ორ ნაბიჯზე, მთიულეთის ახლოს, მყინვარის კალთებზე.

და ბიოგრაფოსი მიადევნებდა:

ეს იქ, სადაც იგი პოულობდა ყოველგვარ მასალას როგორც მგოსანი, ენის მოყვარული, მამულის ერთგული; მარტო მთიულეთი და მისი პოეზია რად ღირდა მგოსნისათვისო...

მომრიგებელ შუამავლად ყოფნის დროიდან ბევრს არას ჰყვებოდა, მხოლოდ ერთხელ, როცა ჩინოვნიკთა ქუდის კოკარდზე ჩამოვარდებოდა სადღაც ლაპარაკი, ილია მთიულების გულუბრყვილობის ნიმუშად გაიხსენებდა:

ერთხელ ანაზდეულად რომ მოუხდებოდა მისვლა მთიულეთს, სადაც კვირადღეს ხალხი შეყრილიყო ერთ სოფლის სასამართლოში. რაღაც საქმის გამო მამასახლისს უბრძანებდა დაებარებინა ერთი გლეხი, რომელიც შორიახლო იდგებოდა. მამასახლისი ბრძანებას გზირს გადასცემდა, გზირი იქ-

ვე მიდგებოდა განზე და – რაც ძალი და ღონე ექნებოდა – ხმამაღლა დაუძახებდა დაბარებულს. დაბარებული, დაბლიდან თუ მაღლიდან, ხმას მისცემდა გზირს და მათ შორის ამგვარი მიძახილ-მოძახილი გაიმართებოდა:

– გიბარებენ ჩქარა!

– ვინ მიბარებს?

– ჩინოვნიკი!

– ვინ ჩინოვნიკი?

– აი ქუდზე რომ ქათმის სკინტლივით რაღაცა აქვს, ის გიბარებს.

და იცინებდა ილია მაშინაც და ამბის მოყოლისასაც:

– ვითომდა ნაპოლეონის გენერალმა ვატერლოოს მინდვრიდან სიტყვა რომ შეუთვალა ინგლისელებს, რითი იყო ამ სიტყვაზე უფრო გემრიელი?

მომრიგებელ მოსამართლედ ყოფნის მოგონებები უფრო საგულისხმოდ ეჩვენებოდა იონას.

ერთი გლეხი მიწას ედავებოდა ყაზბეგს და ახლა ილიას შესჩივლებდა:

– ბატონო, მიწა ჩემია, თეიმურაზ მეფის დროსა მაქვს ნაყიდი, მოწმეცა მყავს და ახლა ყაზბეგი მართმევს, მიშველე, დამიფარე.

მოსამართლე დაიბარებდა გლეხის ნახსენებ მოწმეს.

– შენ მოწმე ხარ, რომ ესა და ეს მიწა ამ გლეხს აქვს ნაყიდი თეიმურაზ მეფის დროს?

– დიახ, შენი ჭირიმე, მოწმე ვარ, თუნდ დამაფიცეთ, ფრჩხილის საკვეთი ამიღია.

თურმე ძველი ჩვეულება ყოფილიყო:

როცა მიწას იყიდდა ვინმე, დამსწრე მოწმეს ფრჩხილს მოსჭრიდნენ – ამისათვის გასამრჯელოსაც აძლევდნენ – და ეს მოწმე ვალდებული გახლდათ უფროსი შვილისათვის ეამბნა ამ ნასყიდობის ამბავი. შვილი შვილიშვილს გადასცემდა და ამგვარად ნასყიდობის შეთანხმება გადადიოდა მოდგმიდან მოდგმაზე. და თუ ვინმეს შვილი არ ეყოლებოდა, იმათთვის უნდა ეამბნა, გვარში უფროსი ვინც იქნებოდა.

ილიას ეს ჩვეულება მეტად არა სმენოდა, ძლიერ მოეწონებოდა და – მოწმის ჩვენების თანახმად – სადავო მიწას გლეხს მისჯიდა.

ყაზბეგი აპელაციას გადაიტანდა და იქ ამ გულისწყრომასაც აღნიშნავდა:

– მომრიგებელმა მოსამართლემ მკვდრები ააყენა მიწიდან და ჩვენება ჩამოართვა.

ილია კი ამ ჩვეულების კვალს რომ გაჰყვებოდა, უშორეს წარსულში მიაკვლევდა ბაბილონურ ადათს, აგურს რომ იპოვნიდნენ წარწერით:

– ესადაეს მამული ნასყიდია და ამ ნასყიდობის მოწმეა ესადაეს კაცი, რომლის ფრჩხილიც ამ აგურშია.

გატეხდნენ აგურს და შიგ მართლაც იპოვნიდნენ ფრჩხილს.

ერთხელ კი ისე მოხდებოდა, რომ:

ილია ერთი ძმის მაგიერ მეორეს გაასამართლებდა და საპატიმროშიც ჩასვამდა.

ვიღაც ზაქარიას დაბრალდებოდა ხეების მოპარვა. საქმის გარჩევისას მოსამართლე ბრალდებულის გვარს მოიკითხავდა.

– მე გახლავარ, ბატონო, – წამოიძახებდა გლეხი.

– შენ წაიღე ხეები?

– დიახ, ბატონო, წავიღე, – დაუდასტურებდა იგი.

რაკილა დანაშაული ეჭვს არ იწვევდა, მოსამართლე იქვე განჩინებას დაწერდა და ბრალდებულს სატუსაღოში გაგზავნიდა. ჯერ კიდევ პატიმრობის ვადა არ გაუვიდოდა დასჯილს, რომ ილიასთან მივიდოდა იმისი ძმა.

– შენ ვინ ხარ?

– ესადაეს ზაქარია გახლავარ, ბატონო!

გაიკვირვებდა ილია გლეხის ზაქარიობას და ჩაეკითხებოდა:

– როგორ თუ ზაქარია, ის ხომ ციხეშია?

და თურმე:

– არა, შენი ჭირიმე, ციხეში ჩემი ძმა გავგზავნე. მე საქმეები მქონდა ქალაქში და არ მეცალა.

აბსურდის სკოლის მწერლები შენატრებდნენ ამგვარ ეპიზოდს, ყოფითი სინამდვილისაგან ნაჩუქარს, თვითონ რაღაც ასეთის შესათხზველად ფანტაზიის დაძაბვა რომ მოუწევდათ და... ან შეთხზავდნენ და ან ვერცა.

სამაგიეროდ გაიხსენებდა, გაზეთ „ივერიის“ გამოცემას რომ მოჰკიდებდა ხელს, ილია რა დიდ ფაციფუცში იქნებოდა. იონას იმხანად პეტერბურგში მოუწევდა ყოფნა დროებით, არადა გაზეთში თანამშრომლობა აღეთქვა რედაქტორისათვის:

გაგრძელებებით უნდა გამოქვეყნებულიყო მის მიერ შეკრებილი ისტორიული და სამწერლო ნაკვესების ბეჭდვა ლელოს ფსევდონიმით.

თვითონ სათაური – ნაკვესი – ილიას უნდა მოეფიქრებინა, მაგრამ ფსევდონიმი არ მოსწონდა. და აი 1885 წლის 20 დეკემბერს უნდა მიეწერა მისთვის:

– დაგვანებე, ჩემო იონავ, თავი და დაგვაობლე ამისთანა გაჭირვების დღეს... მაგრამ რა გაეწყობა? თურმე სოფელი ასეა. თუმცა შენ ბევრს გვაკლიხარ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით და ვჩხირკედელაობთ 1-ს იანვრისათვის. ვნახოთ, ღერძი ბედისა როგორ დაიწყებს ტრიალსო.

უგზავნიდა გამოცხადებულს და ყველგან დაგზავნილ უწყებას ახალი გაზეთის გამოცემის თაობაზედ.

ზოგიერთი ახალშემოღებული სიტყვა და ტერმინი მოწონებისა და დაწუნების ღაღადს მოჰფენდა ჩვენს სალიტერატურო არემარეს. ესენიც ნუგეშობდნენ და ამბობდნენ:

– ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებამ შეგვნიშნა.

უარარაობას კიდევ ესა სჯობდა.

და ინატრებდა:

ახ ნეტა ახლა ჩვენთან იყო, ყინვამ მაგ უმადურ და უსიხარულო ქვეყნისამ გული არ გაგიყინოს და არ დაგვღუპოს შენდამი მსასოებელნიო.

არადა მისი ფსევდონიმებიდან არცერთი არ მოეწონებოდა ილიას და რედაქციაში მოუგონებდნენ ორ ფსევდონიმს:

„მე ვარ და ჩემი ნაბადი“ – თუმც გრძელი გახლდათ, მაგრამ იონა მეუნარგიაზე ზედგამოჭრილი.

და „აბედი“ – ვითომდა ნაკვესს იონასათვის ცეცხლი მოეკიდებინა და რედაქციისა და მკითხველისათვის გადაეცა.

„აბედი“ ილიას ძალიანაც მოსწონდა, მაგრამ როგორ არ გაეთვალისწინებინა, აკაკი წერეთელს საბუთს რომ მისცემდა, ქართული „აბედი“ რუსულ „აბედად“ გადაექცია: იონას მაინც სხვისი სადილების მაძებარს ეძახდა და დასცინოდა... და სიცილი ახლა ენახათ...

რაც იყო თუ როგორც იყო, დაე იონას ამ ორთაგან ერთი ამოერჩია და ტელეგრამით დროულად ეცნობებინა.

ასოებისათვის ფული საჭირო არ იქნებოდა, რადგანაც თვითონ ასოები ილიას აქ ჩამოესხმევინებინა და ძალიან ცოტა განსხვავება ჰქონდა იქაურთან. წიგნები კი, რაც საჭირო იყო, უკვე დაებარებინა, ვიდრე იონას ბარათი მოუვიდოდა.

ეგებ ნიკო ნიკოლაძისათვის ეთხოვა და შეხვეწნოდა ილიას მაგიერ, რომ:

გაზეთს თავისი ნაწერებით შესწეოდა.

მობოდიშებაც გადაეცა ილიასაგან, რომ საკუთარ წერილს არა სწერდა, მაგრამ ეიმედებოდა, რომ ნიკო იმისთანა კაცი არ გახლდათ, ამის გამო გაენაწყენებოდათ და გულიდან ამოეღო „ივერია“, წვრილმანს წვრილმანისათვის მოეკიდებინა ცეცხლი.

ქაღალდისა თაობაზე ილია სერებრიაკოვისათვის მიეწერა წერილი და პასუხს ელოდა. ჯერხანად კი „ნოვოე ობოზრენიეს“ ქაღალდს გამოიყენებდა.

საყვედურობდა:

რატომ არა გვწერ, ეგ ჩვენი ივანე მუხრან-ბატონი რას სჩადის და როგორ მიჰყავს ჩვენი საზოგადო საქმეებიო?

იონასაგან უკვირდა და ეოცებოდა. და ღმერთსა სთხოვდა, რომ სამერმისოდ არც ერთი შემთხვეოდა იონასაგან და არც მეორე.

უსურვებდა მშვიდობით ყოფნასა და დღეგრძელობას და ნურც იმას დაივიწყებდა, რომ ერთადერთი მეგობარი ჰყავდა და ის ერთადერთი – ილია ჭავჭავაძე იყო.

პოსტსკრიპტუმში მიადევნებდა, რომ:

მოუთმენლად ელოდა მის სტატიას.

და აი „ივერიის“ პირველი ნომერი კიდეც გადმოიშლებოდა სამზეოზე 1886 წლის 1 იანვარს.

* * *

ახალი წლის ღამეს ახალი გაზეთის შესახვედრად ილიასთან ორმოცამდე კაცი რომ შეიკრიბებოდა, მათგან არტურ ლაისტს დაამახსოვრდებოდა:

ივანე მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი, დავით ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, გრიგოლ ყიფშიძე, ნიკო ცხვედაძე, ნიკო ღოღობერიძე, მაშინდელი ქუთაისის ქალაქის თავი ასათიანი, პეტრე უმიკაშვილი... მეტს აღარ გაჰყვებოდა...

სწორედ ღამის 12 საათზე სტამბიდან მოიტანდნენ დიდი ფორმატის ახალი გაზეთის რამდენიმე ეგზემპლარს.

და რა გასაკვირია, რომ პირველად ამ ახალი გაზეთის სადღეგრძელო დაიცლებოდა ღვინით სავსე ჭიქებით, შემდეგ „მრავალჟამიერსაც“ შემოსძახებდნენ და მერე კი რედაქციის ერთ-ერთი წევრი ხმამაღლა დაიწყებდა კითხვას სტატიებისა და ლექსებისა.

ახალი ნაკადი უნდა შემოჭრილიყო ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

ახალ ძარღვს უნდა დაეწყო ფეთქვა, მოძრაობის გამაძლიერებელსა და ქვეყნისათვის კიდევ ახალი ღონისა და სიცოცხლის მიმნიჭებელს: თერგული შეუპოვრობითა და დაუმონავობით და ბაირონული თავზეხელაღებულობით.

* * *

კიდევ ერთი ბარათიც უნდა შემონახულიყო, რომელსაც იონა ბიოგრაფიულ ქრონიკაში არ ჩართავდა, რაკიღა ძალზე სპეციფიკური გახლდათ, მაგრამ ზედმეტი არ იქნება მისი გახსენება თვალსაჩინოებად იმისა, თუ რა საფიქრალი დასწოლოდა ილიას, დამოუკიდებელ და დაწყობილ ქვეყანაში ამისთანებისაგან სულაც შორს რომ უნდა მდგარიყო და მარტოდენ ლიტერატურულ თუ სახელმწიფოებრივ საქმეებს მისცემოდა.

უბოდიშებდა, რომ სანუგეშოს ვერას სწერდა, რადგანაც:

ყოველ გასასესხს გზავნიდნენ დასამტკიცებლად სამინისტროში, რომლისთვისაც უნდა ეჩვენებინათ, თუ რამხელა შემოსავალი ჰქონდა მამულს. ეს შემოსავალი მეთორმეტედით უნდა აეღოთ და ის უნდა ყოფილიყო ფასი მამულისა. და ამ ფასისა 60 პროცენტამდე შეეძლოთ სესხად გაეცათ. რუსულადაც გაუმეორებდა, რათა ადრესატს უფრო კარგად გაეგო.

პრინცესას (იგულისხმებოდა სალომე მიურატი, სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ასული და აშილ მიურატის მეუღლე) მამულს შემოსავალი – როგორც იონა იწერებოდა – ჰქონდა 4 000 მანეთი, აქედან კანონით თუ გამოვიდოდნენ 20 პროცენტს სხვადასხვა ხარჯებისათვის, დარჩებოდა 3 200 მანეთი. ეს 3 000 მანეთი უნდა აეღოთ 12-ნახევარჯერ და გამოვიდოდა 40 000 მანეთი, მთელი ფასი მამულისა. აქედან 60 პროცენტი შეიქმოდა 24 000 მანეთს. ზოგიერთის მოსაზრებით პრინცესას ამაზე მეტს დაუნიშნავდნენ, სახელდობრ 28 000 მანეთს, და ამასაც შიშობდნენ: ვაითუ სამინისტრომ არ დაამტკიცოსო. ბევრიც რომ მოენდომებინა, ამ ანგარიშს ვერ წაუვიდოდა და ვერც ვერაფერს გახდებოდა, რაკიღა შემოსავალი 4 000 მანეთს არ აჭარბებდა. და სამწუხაროდ მიითვლიდა ილია, რომ იონას წერილზე ამაზე უკეთეს და მეტ პასუხს ვერ მოახსენებდა: რაც არ შეიძლებოდა, იმას სათავადაზნაურო ბანკის გამგეობა ვერ იქმოდა.

ამისთანა ანგარიშებში ჩაფლულიყო ილია, და ეს ინტერესები ცალკეულ ნაკადებად კი არ შემოვიდოდა მის ცხოვრებაში, არამედ ერთიანად მოიცავდა და შთანთქავდა და თვალსადახელშუა ბანკირად ისე გარდაისახებოდა, თვითონაც ვერ გაიგებდა, კალამი საანგარიშოზე როდის გადაეცვალა.

თუმც... გაზეთიო, ბანკიო... ეს ყოველივე ჯერ როდის უნდა იყოს, ილია ახლაღა რომ გამოსცდენია თერგის ხიდს და თვალები ისე დაუხუჭავს, ისე საიმედოდ, უნებურადაც აღარ გაექცევა მდინარისაკენ, თორემ მასაც თერგდალეულს დაარქმევენ, გინდ წყალი სახეზედაც არ იპკუროს.

არადა არც ამტყუნებს თვისტომთ, თერგდალეულები დიდად რომ არ ჩაჰქრით გულში და ფრიად საფუძვლიანი საბუთიც მოეძევებათ ამგვარი ათვალწუნების გასამართლებლად.

ჯერ ერთი: თერგდალეულები არიანო.

მეორეც: მეორედაც თერგდალეულები არიანო.

და მესამეც: მესამედაც თერგდალეულები არიანო.

მითუმეტეს, სულაც არ აპირებს უჩუმრად დაუბრუნდეს თავის ქვეყანას, უჩუმრად კი არა, რევოლუციის სუნთქვა უნდა მოიტანოს და გარშემო ყველაფერი ისე აურდაურიოს, ლიტერატურის ასპარეზი ვერც იკმაროს და ყველგან გადაიჭრას, საზოგადოებრივი ცხოვრების მხარეებს რაც შეადგენს.

გრძნობს სულიერ სიბობოქრეს, კანში რომ ვეღარც ეტევა, მაგრამ მაინც ჰგონია, რომ ერთი თუ ორი სფეროთი შემორკალავს თავის სამოღვაწეო სარბიელს, პირველ ყოვლისა კი მგოსანი იქნება, შოთა რუსთველისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ღრმა შთაბეჭდილებით მოცულს, გრიგოლ ორბელიანის პოეტურ ნამკალთან ერთად, აგერ მისი პიროვნებაც რომ ამოესვეტებოდა თვალწინ, შემთხვევით სულაც რომ არ შემოხვდებოდა მლეთის აღმართზე და ის – ჩამომავალი – ამას – ამომავალს – ლირას გადასცემდა... ოღონდ მისი ცხოვრების წესს კი ანდერძად ვერ მიიღებდა ილია ჭავჭავაძე, და თუმც ჯერ ბოლომდე არ ახელოდა თვალი ალექსანდრე ორბელიანის წყალობით, მაგრამ ეს კი მოეხსენებოდა, გრიგოლის ჩინებითა და ორდენებით მოკირწყლულ მუნდირს რომ არ უნდა მიეტაცა მისი მზერა.

ლირას კი დიდი მოწიწებითა და სიამაყითაც ჩამოართმევდა.

მოშხუოდა, მოღელავდა, მოისწრაფოდა, მოარღვევდა ირგვლივ ყველაფერს თერგი, მის სრბოლაში რომ იკითხებოდა ის ბაირონული ძალა და ღონე, სიცოცხლის ის ნიშატი, ქვეყანა რომ უნდა აემოძრავებინა და თან გაეყოლებინა.

თავი მეორე

ენის რესპუბლიკის პრეზიდენტი

– ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია?!

და კიდეც დითირამბად დაიღვრებოდა ამ წლების მიმართ, უჩვეულობისა და განსაკუთრებულობის შარავანდით რომ შემოსავდა, ოღონდ როდესაც ამ პასაჟს გრიგოლ ყიფშიძე მოიშველიებდა თავის ბიოგრაფიულ ქრონიკაში, შენიშვნად დაურთავდა:

ილია ალბათ სათვალავში არ აგდებს, რომ ამ ოთხ წელიწადში ერთი ზაფხული სამშობლოში გაატარა ავადმყოფობის გამოო.

ბიოგრაფოსი მოვალედ რომ მიიჩნევდა თავს, დაზუსტებით ყოველი დეტალი დაეზუსტებინა, თორემ ოთხი წელიწადის მთლიანობას მის მეტაფორულ თუ სიმბოლურ შინაარსს, ვერ დაარღვევდა სნეულების გამო ცოტახნით სულის მოთქმა საქართველოში. მაშინაც კი შეეძლო ეთქვა: ჩემი ქვეყანა არ მენახაო.

აქ კი, ნასტუდენტარის შინისაკენ მგზავრობის თხრობისას საერთოდაც რატომ უნდა ჩაეგდო სათვალავში, „მგზავრის წერილებს“ ავტობიოგრაფიულ ნოველად ხომ არა წერდა?!.

მართალია საკმაოდ იჩენს თავს ავტობიოგრაფიული ელემენტები და – შესაბამისად – ხელშესახებია დოკუმენტური ფონიც, მაგრამ „მგზავრის წერილების“ მხოლოდ დოკუმენტურობის ჩარჩოში არ თავსდება და ზღვარზეა მხატვრულობისა და ავტობიოგრაფიული რეპორტაჟისა. ასე რომ, მთხრობელი თან ილიაა და თან არცაა ილია, და ნურც ის გაგვიკვირდება, თუკი ლელთ ღუნია არა რეალურად მოვლენილი თანამგზავრი, არამედ ილიას მეორე მე აღმოჩნდება.

რუსის ოფიცერთან დიალოგიც თუ პირწმინდად გამონაგონი არა, სხვადასხვა დროს მოსმენილი თუ უნებლიეთ შესწრებული ნაწყვეტებისაგან ჩანს მოქსოვილი.

ისე მაინც რა არის ეს ოთხი წელიწადი?

პირველი, რომ:

მთელი საუკუნე გახლდათ მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოჰშორებოდა.

და მეორე:

ცხოვრების საძირკველი, ცხოვრების წყაროს სათავე, ბეწვის ხიდი, სიბნელესა და სინათლეს შუა ბედისაგან გადებული.

მაგრამ ყოველთვის კი არა, მარტოდენ მათთვის, ვინც რუსეთს იმიტომ წასულიყო:

ჭკუა ევარჯიშებინა, ტვინისა და გულისათვის მოძრაობა მიენიჭებინა, ფეხი აედგმევინებინა. და კიდეც გამოიკვენძებოდა ყოველი ჭაბუკის ტვინსა და გულში ცხოვრების კვირტი, ოღონდ ეს კვირტი ის კვირტი გახლდათ, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც შეიძლება გამოსულიყო და ძაღლყურძენაც.

და აღტაცება ექსტაზში გადაიზრდებოდა:

ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხქვეშ არ ჩატყდომია! ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარაო!

აღტაცებაც და ექსტაზიც იმისაა, თვითონ რომ ეიმედება, ჩემი ცხოვრების კვირტიდან სწორედაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანია გამოსული, რადგანაც ოთხწლეულის მიერ გადებული ბეწვის ხიდი არ ჩამწყდომია და რიგიანადაც მომიხმარიაო.

კი მაგრამ... ოთხ წელიწადს რატომ აღუვლენს ხოტბას, ხუთ წელიწადს არ უნდა აღუვლენდეს? პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, უშუალოდ კი მის კამერალურ განყოფილებაზე, ისევე როგორც სხვა ფაკულტეტებზეც, სწავლა ხუთ წელიწადს გრძელდებოდა და... ილიასათვის ის ერთი წელი სად გამქრალიყო, დიპლომით ხელში რომ დაბრუნებოდა თავის ქვეყანას?

დიპლომს ვინ მისცემდა, თორემ...

მონმობას თუ აღირსებდნენ 1861 წლის 12 ოქტომბრის თარიღით: მოისმინა კურსიო.

და ნიკო ნიკოლაძეს თავის დღეში არ დაავიწყდებოდა ის აზრი, რომელსაც ერთი უფროსი სტუდენტი, ავტორიტეტად აღიარებული გაუზიარებდა, როდესაც თავს წამოადგებოდა „სოვრემენიკის“ კითხვაში გართულს:

– გაიხსენე ჩემი სიტყვები, თუ შენც ისე არ წახდე, როგორც ილია ჭავჭავაძე წახდა. ისიც აქ შილერის, ბაირონის და ვალტერ სკოტის კითხვის მეტს არას შვრებოდა... უდიპლომოდ წაბრძანდა... აბა ახლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმან?..

ჩინოვნიკის წარმატებულ კარიერაზე ვეღარც იფიქრებდა, იმ ავტორიტეტს ოცნებად რომ გადაქცეოდა და ნიკოსაც ურჩევდა, რომ მისთვის დაეჯერებინა, სწორედაც მისი ცხოვრების წესი გადაეღო სახელმძღვანელოდ და არა ილია ჭავჭავაძისა, რომელმაც თავი დაიღუპა ისეთი მწერლების კითხვით, თავგზას რომ აგიბნევდნენ და სწორი სავალიდან გადაგაცდენდნენ, თორემ სასიკეთოს არას შეგყრიდნენ.

სურდა ნიკოს გზა წინსვლისა და აღმატებისა?

აგერ თვალწინ რომ ედგა მაგალითი ავტორიტეტული სტუდენტის სახით.

და... წახდენა ერჩივნა?

აგერ თვალწინ კიდევ ერთი სახიერი მაგალითი, რა სავალალო შედეგი მოსდევდა შილერის, ბაირონისა და ვალტერ სკოტის კითხვას.

ავტორიტეტის ის რჩევა ნიშნისმოგებისაა, ძალიან რომ არ ეჭაშნიკებოდა ამ არაორდინარული სტუდენტის გავლენა სხვებზე, ვერ აეხსნა და უკვირდა, რანაირად ახერხებდა ანგარიში გაეწიათ მისთვის, როდესაც სწავლით დიდად არა ბრწყინავდა და სულ სხვა მიმართულებით იჩენდა ბეჯითობას, წამგებიანი და მარცხის მომასწავებელი მიმართულებით, და აჰა, კისერს რომ წაიმტვრევდა, მისი ეს უნუგეშო ყოფა კიდევ უფრო განუმტკიცებდა ნიკოს მრჩეველს თავისი მისწრაფებების რწმენას, უმცროსებს დარიგებას რომ არ დაამადლიდა.

ასე უნდა შემოსულიყო ილიას სახელი ნიკო ნიკოლაძის აღქმაში:

თავი რომ წაეხდინა ლიტერატურული გატაცებებით და ზედ მეხუთე კურსის წინ უდიპლომოდ გამოებრძანებინათ უნივერსიტეტიდან.

მართლაცდა: ახლა რა ადგილი უნდა მიეღო იმას?..

არა, სასწავლო საგნებიც რომ აინტერესებდა, პოლიტიკურიც და ეკონომიკურიც, კოხტა აფხაზზე უკეთესი მოწმეც ვიღა გვინდა, ილიასთან ერთად შეზრდილისა.

რაც თავი ახსოვდა, იმ დღიდანვე ახსოვდა ილიაც – ერთი წლით, ცოტა ნაკლებით, მასზე უფროსი: ის – 1837 წელს დაბადებული, ეს კი – 38-ში.

და გიმნაზიაშიც ერთად იქნებოდნენ და სტუდენტობის დროსაც ერთ ოთახში მოუწევდათ ცხოვრება.

როგორც აგონდებოდა:

ილია პატარაობიდანვე წერდა ლექსებს.

მაშინ 11 წლისა შესრულებულიყო და ეს ორნი, გიმნაზიელები, კარდანახში იმყოფებოდნენ. კვირადღე იდგებოდა, და ოცი თუ თხუთმეტი ვერსის მანძილზე კოხტას მამას მამითადი ექნებოდა გამართული, ესენიც რომ ესტუმრებოდნენ და მთელი დღე უყურებდნენ გახურებულ მამითადს.

საღამოსპირზე შინისაკენ რომ გამობრუნდებოდნენ და კარდანახამდე 7 ვერსის სავალიღა დარჩებოდათ, კოკისპირული წვიმა დაუშვებდა და მთელი ნიაღვარი მოვარდებოდა. და ყმაწვილებს მეტი რა გზა ექნებოდათ, უნდა შებრუნებულიყვნენ სოფელ ჩალაუბანში და ღამეც იქ გაეტარებინათ ისე, რომ წათვლემაც ვერ მოეხერხებინათ. გლეხკაცის სახლში მოუწევდათ ყოფნა და იმდენი რწყილი დაეხვეოდათ, გათენებისას გამოცვივდებოდნენ გარეთ ლოგინებითურთ და ერთი კაკლის ქვეშ რომ გაშლიდნენ, ცოტახნით მაინც გამოიძინებდნენ.

აი სწორედ აქ უნდა დაეწერა ილიას თავისი პირველი ლექსი „რწყილები“: 1847 თუ 48 წელს.

სამწუხაროდ ეს ლექსი არ შემოინახებოდა – უნებლიეთ დაიკარგებოდა თუ ილია თვითონვეც გაიმეტებდა დასახევად, მაგრამ კოხტა აფხაზს დაამახსოვრდებოდა მისი ზოგადი შინაარსი და განწყობილება, დიდი ოხუნჯობით და მეტად კომიკურად რომ აღწერილიყო მათი ბრძოლა რწყილებთან. და ყველას სიცილის გუნებაზე დააყენებდა, ვინც კი გაეცნობოდა ამ ლირიკულ ჩანახატს.

ილია პატარაობიდანვე როგორღაც მიუკარებელი და უფრო ჩუმი რომ გახლდათ?

მაგრამ კოხტა მაშინაც შეატყობდა: ოხუნჯობის დიდი უნარი რომ ემჩნეოდა. მეტად მოსწრებული ხუმრობა სჩვეოდა და თუკი ვინმეს სასაცილოდ აიგდებდა, კიდეც მიწასთან გაასწორებდა.

გიმნაზიაში ილია ნიჭიერ და გონებაგახსნილ შეგირდად რომ აღიარებულიყო, კოხტას როგორ დაემალა, რომ:

ზარმაციც დიდი გახლდათ.

არასოდეს გაკვეთილებს არ ამზადებდა და მხოლოდღა მაშინ, როდესაც გამოცდა მოახლოვდებოდა, ბეჯითად შეუდგებოდა სწავლას და ორ-სამ საათში იმდენს შეისწავლიდა და დაძლევდა, სხვას ამისათვის ორი დღეც რომ მოუნდებოდა.

ერთბაშად შესწავლილი ერთბაშადვე რომ ავიწყდებათ ხოლმე და ფსიქოლოგები ამგვარ მოქმედებას გაუმართლებლად ამიტომაც მიიჩნევენ?

უჩვეულო ის იყო, რომ – ნაცვლად მოულოდნელი ზერელეობისა – ილია ზედმიწევნით შეითვისებდა ხოლმე, რასაც ჩაუჯდებოდა, გამოცდის ჩაბარების შემდგომ სულაც რომ არ უქრებოდა გონებიდან.

პატარაობიდანვე ტანდაბალსა და ჩასხმული აგებულებისას მოძრაობა დიდად არა ხიბლავდა და ამხანაგებსაც აგრერიგად არ უახლოვდებოდა, რაკიღა მათთან ერთად ვერ თამაშობდა, მაგრამ ამხანაგის გატანა და მხარდაჭერა კი ბუნებით მოსდგამდა.

გიმნაზიისდროინდელი ჩვეულება უნივერსიტეტშიაც გადაჰყვებოდა – მთელი წელი სასწავლო საგნებს ყურადღებასაც რომ არ აქცევდა და სულ სხვა წიგნების კითხვაში ეფლობოდა, და ბევრს კითხულობდა ძველქართულ წიგნებს.

მოახლოვდებოდა გამოცდები და... ილია დღე-ღამეში ხშირად 18-20 საათი იმუშავებდა და – კოხტასაც რამდენჯერ დაენახა – წიგნთან მჯდომარეს რომ ჩასძინებოდა.

მართალია ილია არ გაერეოდა და მონაწილეობას არ მიიღებდა იმდროინდელ სტუდენტთა არეულობაში, მაგრამ – კოხტა აფხაზისა არ იყოს – იძულებული შეიქნებოდა მეოთხე კურსიდან გამოსულიყო და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

ეს მოხდებოდა ეგრეთწოდებული მატრიკულების გამოისობით, რომელსაც შემოიღებდნენ პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორის მონდომებითა და მეცადინეობით.

თითქმის ყველა სტუდენტი პროტესტს განაცხადებდა – და მართალია არც ილია და არც კოხტა სტუდენტთა კრებას არ დაესწრებოდნენ – დააგვიანდებოდათ და როდესაც მივიდოდნენ, კრება უკვე ალყაშემორტყმული დახვდებოდათ პოლიციისა და ჯარის მიერ – მაგრამ მაინც გამოუცხადებდნენ:

– ვინც მატრიკულებს არ დაემორჩილება, პეტერბურგიდან 24 საათის განმავლობაში უნდა გაემგზავროს თავის სამშობლოში.

და ამათაც მეტი რაღა ჩარა ექნებოდათ.

უდიპლომოდ წაბრძანდა... აბა ახლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმანო?..

ეს მოსდევდა შილერის, ბაირონისა და ვალტერ სკოტის კითხვას!..

რა აგონდებოდა კიდევ კოხტა აფხაზს პეტერბურგული შთაბეჭდილებებიდან და:

სტუდენტები ხშირად იკრიბებოდნენ და ბაასობდნენ როგორც საზოგადო კითხვებზედ, ისე თავიანთი დაბეჩავებული სამშობლოს მომავალზედ. კითხულობდნენ ხშირად ქართულ წიგნებს და „პატრიარქად" აღიარებდნენ ბესარიონ ღოღობერიძეს, რომელსაც ყველა ამათზე დიდი გავლენა ექნებოდა.

აქ შეიქნებოდა ილია დიდი თაყვანისმცემელი ინგლისის სახელმწიფო წესწყობილებისა.

და ეს მონმობა ადასტურებს, დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური მომავალი მის თვალთახედვაში კონსტიტუციურ, პარლამენტურ მონარქიას რომ უკავშირდებოდა – დიახ: სოლომონ დოდაშვილისა და საერთოდაც 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა პოლიტიკური იდეალის ხორცშესხმას, უშუალო აღდგენას გაწყვეტილი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ბუნებრივი მდინარებისა.

ალექსანდრე ბატონიშვილი – უეჭველი მეფე ქვეყნისა, თუკი შეთქმულება აჯანყებაში გადაიზრდებოდა, აჯანყებას კი საქართველოს თავისუფლება მოჰყვებოდა – თანახმა გახლდათ ამ წესწყობილებისა.

გუნებაში თანახმა უნდა ყოფილიყო ირაკლი ბატონიშვილიც, ძე ალექსანდრესი, ტახტის დაკარგვას რომ ეგუებოდა და ვერც ეგუებოდა.

და თანახმა უნდა ყოფილიყო მისი ვაჟიც, რომლის დაბადებასაც, როგორც ცისკრის გახსნას, ისე ახარებდნენ ილიას. და ეს იმიტომ, ყველას, დიდსაც და პატარასაც მოეხსენებოდა, ილია ირაკლი ბატონიშვილზე არანაკლები სასოებით რომ მოელოდა ბაგრატიონთა გვარის გამგრძელებლის შობას – როგორც მომავალი მეფისა.

და თუ აღმერთებდა ჯუზეპე გარიბალდის:

როგორც წინამძღოლს იტალიის გამოსახსნელად და სახელმწიფოებრიობის დასაბრუნებლად.

და თუ აფასებდნენ უილიამ ევარტ გლადსტონს:

როგორც პრემიერ-მინისტრსა და წარმმართველს კონსტიტუციური მონარქიისა ინგლისის სახელმწიფოებრივ სინამდვილეში.

ამ გადმოსახედიდან, გლადსტონური სიმაღლიდან რომ ადევნებდა თვალს თავისი სამშობლოს ცხოვრების ნირს, დიდად სანუგეშოს ვერას ამჩნევდა და ამას პირდაპირაც აცხადებდა გარშემომყოფებთან, აბა ილუზიებს ხომ არ გამოეკიდებოდა:

– ჩვენ ჯერ ჭოჭინა გვჭირია.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებზე თუ არ შემოგვრჩებოდა ილია ჭავჭავაძის მოგონებანი, სამაგიეროდ აკაკი წერეთლისა თუ ნიკო ნიკოლაძის მემუარები შეგვიქმნიდნენ ზოგად წარმოდგენასაც და ცალკეულ რეალიებსა თუ ნიუანსებსაც წარმოგვიჩენდნენ ამ ყოფასა და გარემოს, იმ ნიკოსი, წინასწარვე რომ აფრთხილებდნენ, ტყუილუბრალოდ დროს ნუ დაკარგავ შილერის, ბაირონისა და სკოტის კითხვაზე და მიზანმი-

მართულად შეიქმენი საფუძველი მომავალი წარმატებული ჩინოვნიკური კარიერისათვისო.

ილიას ბედიც აგრძნობინებდა და პირველივე დაკვირვებანიც მიახვედრებდა ნიკო ნიკოლაძეს, რომ: ვისაც დიდი ნიჭი და მძლავრი ტვინი მომადლებოდა, იგი თვითონვე იკაფავდა გონების გახსნის გზას. ამიტომაც არ აკმაყოფილებდა ადამისჟამინდელი პროფესორების დაძველებული ლექციები და მოსვენებას არ აძლევდა ის კითხვები, რომელნიც ხეირიანი ახალგაზრდების გონებაში ჯგუფ-ჯგუფად იბადებიან და პასუხსაც მოუსვენრად დაეძებენ.

ამისთანა ყმაწვილები – და მათ შორის ერთი ყველაზე თავგამოდებული ნიკოც იქნებოდა – თავისით, თავიანთი შრომითა და გაგებულებით შეუდგებოდნენ გონების გამხსნელ სწავლას, არავითარი კავშირი რომ არ მოეძებნებოდა პროფესორთა ლექციებთან. და ცხოვრების დაკვირვებით, ლიტერატურის გაცნობით, კითხვით, ფიქრით, ბაასით, მოქმედებისა და წერის ცდით რომ ესწრაფოდნენ გამხდარიყვნენ ჩვენი ხალხის სასარგებლო მსახურები, რამდენადაც მაშინდელი გარემოებანი და პიროვნული ნიჭი ამის ნებას აძლევდათ, კიდეც გახდებოდნენ.

– ამგვარი იყო, მაგალითად, ილია ჭავჭავაძისა და ზოგიერთი იმ დროის ახალგაზრდების დამზადება. სხვები, ნაკლები ნიჭისა და ჭკუის პატრონები ძველ გატკეპნილ გზას შეუდგნენ.

კიდევ რას გაიხსენებდა ნიკო ნიკოლაძე, დამლუპველად რომ დაუსახავდნენ შილერს, ბაირონსა და ვალტერ სკოტს?

ქართველ სტუდენტებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ძველი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეეგროვებინათ და თავზედაც ევლებოდნენო.

პავლე ინგოროყვა ნიშანდობლივ გამოარკვევდა, რომ:

ამ კოლექციის დაგროვებაში სტუდენტებს დიდ დახმარებას გაუწევდა ლექსიკოგრაფი დავით ჩუბინიშვილი, ქართული ენის პროფესორად რომ მიწვეულიყო პეტერბურგის უნივერსიტეტში და მის ლექციებს ილიაც ისმენდა. დავითი გადასცემდათ გარდაცვლილი სალომე ბატონიშვილის მდიდარ ბიბლიოთეკას ქართული წიგნებისა და ხელნაწერებისა, რომელშიც შედიოდა: ვახტანგ მეექვსის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია“, ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებული „სიბრძნე სიცრუისა“, მისივე „ლექსიკონი ქართული“ და კიდევ რა აღარ.

და მოიშველიებდა ილიას წერილს „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს?“ – კამათს იმ პიროვნებებთან, რომელნიც აცხადებდნენ, რომ: ქართული კრიტიკის უქონლობა აიხსნებოდა ჩვენი ლიტერატურის სიღარიბით.

და როგორ არ ეცადა შეეგონებინა მათთვის, რომ: რა სიღარიბე და რომელი სიღარიბე, როდესაც ხელთ გვქონდა დიდი და დაუფასებელი სიმდიდრე.

თუნდ არას იტყოდა ჩვენს ძველ ლიტერატურაზე, რომელსაც ასეთი სიუხვით ასხივოსნებდა „ვეფხისტყაოსანი“, ეს უძირო მორევი, ზღვა აზრისა და გრძნობისა.

არც დავით გურამიშვილზე, რომლის პოეზიაც პირს არ შეირცხვენდა, თუნდ ლუკრეციუსის, ვერგილიუსისა და ჰორაციუსის პოეზიასთან დაგვეყენებინა პირისპირ.

არც ვახტანგ მეექვსეზე, არჩილ მეორეზე, თეიმურაზ პირველსა და თეიმურაზ მეორეზე, რომელთაც – ნამეტნავად პირველ ორს – ვერავინ შესწამებდა სიმჩატეს აზროვნებისა და გრძნობებისა, და რომელნიც მოელოდნენ გონებამახვილ კრიტიკოსს, რომ თავისი კუთვნილი მიეწყოთ და სამართლიანი შარავანდით მოერთოთ მათი ღირსშესანიშნავი გონებრივი ღვაწლი.

და იკმარებდა XIX საუკუნის პოეზიას და მის წარჩინებულ წარმომადგენელთ: ალექსანდრე ჭავჭავაძიდან დაწყებული თანადროულ მწერლობამდე.

პავლე ინგოროყვა დასძენდა, რომ:

ძველი ქართული მწერლობის მდიდარი მემკვიდრეობიდან ილია – გარდა ჩამოთვლილი მწერლებისა – განსაკუთრებით მაღლა აყენებდა „ვისრამიანს“, რომელსაც მოგვიანებით გამოსცემდა კიდეც, დიდად აფასებდა სულხან-საბას დიდაქტიკურ პოეზიასაც; და ნიშანდობლივი გახლდათ, რომ ლექსს „ალაზანს“, რომელსაც სტუდენტობისას დაწერდა, ეპიგრაფად წაუმძღვარებდა სტრიქონებს სულხან-საბას მიერ თარგმნილი, ვახტანგ მეექვსესთან ერთად, „ქილილა და დამანადან“, ხოლო ციკლში – „დამაკვირდი“ – რომელსაც „ივერიის“ ფურცლებზე გამოაქვეყნებდა, რუსთველსა და გურამიშვილთან ერთად ხშირად მიმართავდა საბასაც.

სტუდენტობის დროსვე საფუძვლიანად რომ გაეცნობოდა საქართველოს ისტორიასაც იმდროინდელი ცნობილი წყაროების მიხედვით, „აჩრდილის“ პირველ ვარიანტში, 1858-59 წლებში რომ დაიწერებოდა, ამიტომაც შეინიშნებოდა გამოძახილი როგორც ქართულ მატიანეთა, ისე ანტიკური ხანის ავტორთა ცნობებისა ჩვენი ქვეყნის წარსულის შესახებ.

ვიდრე ილიასა და კოხტა აფხაზს გუდა-ნაბადს აუკრავდნენ, მომეტებულ ნაწილად მოუწევდათ ცხოვრება ვასილევის კუნძულზედ.

ზაფხულობით ქართველი სტუდენტები პავლოვსკში რომ ატარებდნენ ხოლმე დროს, ეს ორნიც იქ იმყოფებოდნენ.

ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავიდოდნენ და ეწვეოდნენ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანს, რომელიც გამოიტანდა და გადასცემდათ წასაკითხად ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს – მისივე ხელნაწერს. ეს ნიმუშები აღმოჩნდებოდა „ბედი ქართლისა“ და „მერანი“.

და როგორ არ აღენიშნა კოხტა აფხაზს, თუ რაოდენ ღრმა და განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ხელნაწერები ილიაზედ:

თითქმის ერთი კვირა ყმანვილი ჰბოდავდა ბარათაშვილითო.

ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის გამო უფრო გარეშე წყაროებს რომ ეძიებდნენ, ხოლო თვით ქართულ სათავეებს ნაკლებ შეისწავლიდნენ, პავლე ინგოროყვა

დაწვრილებით ჩაუღრმავდებოდა სწორედაც ამ სათავეებს და წარმოაჩენდა, რომ:

ილიას პირველი პერიოდის შემოქმედება ზოგიერთ ხაზში ენათესავებოდა გრიგოლ ორბელიანის პოეზიას, ხოლო ნამდვილი სულიერი წინაპარი მისი გახლდათ ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც სხვაგვარად აღარც უნდა მოგვეხსენიებინა, თუ არა:

პირველი დიდი ფუძემდებელი ახალი ქართული მწერლობისა, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში დასახავდა ქართული ლიტერატურის განვითარების ახალ გზას.

პავლე ინგოროყვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდა თარიღს, თუ როდის მომხდარიყო ილიას ზიარება ამ უჩვეულო პოეზიასთან, და ადვილად ამიტომაც ვერ დაეთანხმებოდა მანამდელ მოსაზრებას: ეს 1860 წელი უნდა იყოსო.

და ორი წლით ადრე გადასწევდა: 1858 წელს – როდესაც ფორმირდებოდა ილიას მსოფლხედვა და ჯერ არ დაწერილიყო: „აჩრდილი“ და „დედა და შვილი“, „გლახის ნაამბობი“ და „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“.

ყურადღებას მიაქცევდა, რომ:

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებიდან მხოლოდ ოთხი ნიმუში დაებეჭდა გიორგი ერისთავს „ცისკარში“ 1852 წელს: „ბულბული ვარდზედ“, „სულო ბოროტო“, „ნუ ჰყვედრი კაცსა“ და „ჩემი ლოცვა“. 1858 წლის დასაწყისში კი „ცისკარი“ გამოაქვეყნებდა კიდევ ორ ნიმუშს: „ჩჩვილი“ და „ლაშქრობა ქართველთა კავკასზედ“. ხოლო დიდი მემკვიდრეობა პოეტისა: პოემა „ბედი ქართლისა“, და ლექსები – „მერანი“, „სუმბული და მწირი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“... ჯერაც გამოუმზეურებელი რჩებოდა.

და როდის იმყოფებოდა სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე პეტერბურგში?

პირველად – 1856 წლის ივლისში რუსეთის იმპერატორის კურთხევაზე დასასწრებად, სამეგრელოს 1857 წლის აპრილში რომ დაუბრუნდებოდა.

და მეორედ – უკვე გადასახლება მოუწევდა 1857 წლის დეკემბრიდან 1861 წლამდე, თავისი შვილებითა და ამალით.

ამ ყოველივეს საიდან დააზუსტებდა პავლე ინგოროყვა, თუ არა იონა მეუნარგიას იმხანად გამოუქვეყნებელი მონოგრაფიისა – „გრიგოლ დადიანი“ – და ეკატერინეს პირადი მოძღვრის თევდორე ხოშტარიას დღიურების შემწეობით.

და რაკიღა ეკატერინე დადიანის ოჯახის კარი ღია გახლდათ პეტერბურგელი ქართველებისა და კერძოდ სტუდენტებისათვის, რომელნიც აქ ხშირად იკრიბებოდნენ, რა გასაკვირია, რომ არაერთხელ სწვეოდა ილიაც, მითუფრო: მოგვარე და ახლობელი მასპინძელისა, რომლის მამის – ალექსანდრეს – მახლობელი პირი ყოფილიყო თავის დროზე ილიას მამა გრიგოლიც.

რაკიღა ილია იმ დროს უკვე ცნობილი გახლდათ როგორც პოეტი – მისი ლექსები „ცისკრის“ ფურცლებზე 1857 წლიდან იბეჭდებოდა – და ეკატერინეს ოჯახში კი გამეფებულიყო ბარათაშვილის პოეზიის კულტი, საფიქრებელი იქნებოდა მკვლევარისათვის, რომ: ახალგაზრდა მგოსანს ადრევე გადასცემდნენ იმ ავტოგრაფულ ხელნაწერებს, რომელსაც მასპინძელი ყოველთვის თან ატარებდა.

გასაცნობადაც და ქართველ სტუდენტთა წიგნთსაცავისთვისაც, ილიას თაოსნობით რომ დაარსდებოდა და საგანგებოდ იწერდნენ ხელნაწერთა პირებს.

ამ ავტოგრაფულ ხელნაწერებს მოგვიანებით ექვთიმე თაყაიშვილი აღმოაჩენდა პეტერბურგში, სწორედ იმ დედნებს, კოხტა აფხაზი რომ იხსენიებდა.

არა, 1860 წელი მაინც რატომ ევარაუდათ ბარათაშვილის პოეზიასთან ზიარების თარიღად?

ილიამ მას სწორედ ამ წელს მიუძღვნა ორი ლექსიო.

მაგრამ ილიას იმავე წელს რომ მიეძღვნა ლექსი ალექსანდრე ჭავჭავაძისადმიც, განა ეს ნიშნავდა, რომ მისი პოეზიასაც იმხანად გაცნობოდა?

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიას ხომ ბავშვობიდანვე იცნობდა.

როგორ იხსენებდა კოხტა აფხაზი?

თითქმის ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილითო.

ეს მოწმობდა, რომ ილიას ამ დრომდე ჯერ კიდევ წაკითხული არ უნდა ჰქონოდა „ბედი ქართლისა“ და „მერანი“, არადა ეს პოემა დაიბეჭდებოდა „ცისკარში“ 1858 წლის სექტემბრის ნომერში.

ისიც წარმოუდგენელი ეჩვენებოდა მკვლევარს, რომ:

1858 წლის დასაწყისიდან მოკიდებული 1860 წლის ზაფხულამდე არ გადაეცათ ახალგაზრდა პოეტისათვის ბარათაშვილის ლექსთა კრებული.

ჯერაც პავლე ინგოროყვამდე შეენიშნათ, რომ:

ილიას ლექსში „მტკვრის პირას“ იგრძნობოდა უცილობელი გავლენა ბარათაშვილის ლექსისა „ფიქრნი მტკვრის პირას“ – არამარტო სათაურთა მსგავსებით, არამედ არეკვლით მთელი რიგი სახეებისა და გამოთქმებისა. ამას კი იმ გარემოებისათვის უნდა მიექცია ყურადღება, ილიას ლექსი 1858 წლის 9 ოქტომბერს რომ შექმნილიყო, მაშინ როდესაც „ფიქრნი მტკვრის პირას“ ჯერაც არ დაბეჭდილიყო. ეს მოხდებოდა მხოლოდ 1862 წლის იანვრის ნომერში.

და ილიას სხვა ლექსშიც „ოჰ, სად არიან სიჭაბუკენ სიტკბონი შენნი“ ასევე უცილობელი გავლენა იგრძნობოდა ბარათაშვილის სამი ლექსისა: „ვპოვე ტაძარი“, „ჩემთ მეგობართ“ და „სულო ბოროტო“. ხოლო ილიას ლექსი რომ დაიწერებოდა 1859 წლის 30 სექტემბერს, ის ორი ლექსი – გარდა „სულო ბოროტოსი“ – ჯერაც არ დაბეჭდილიყო: ერთი 1860 წლის მაისში რომ იხილავდა მზის სინათლეს და მეორე – 1862 წლის მაისში.

ამასთან: მოთხრობაში „კაკო“, რომელიც 1858-59 წლებში დაიწერებოდა, ილია რომ დაიმოწმებდა ადგილს პოემიდან „ბედი ქართლისა“, ამ შემთხვევა-

შიც არ ეყრდნობოდა „ცისკრისეულ“ პუბლიკაციას, რადგანაც იმ პასაჟს ცენზურა აკრძალავდა და ამოაგდებდა ჟურნალიდან. მაგრამ ავტოგრაფული ხელნაწერიდანაც ხომ ვერ ამოაგდებდა, ილია რასაც მოიშველიებდა?!.

ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილითო...

ვიდრე აბოდდებოდა, მანამდელ განწყობილებას თვითონ პოეტურად გამოთქვამდა: როს წავიკითხე მისი ლექსები, ვერარა ვთქვი რა განცვიფრებულმაო!..

ვით ქარიშხლით ატეხილ ბუქს ცისათვის განებნია შავი ღრუბლები, ისე გამოედარა ყმაწვილი მწუხარე შუბლსაც.

და ბარათაშვილი თავის სულიერ ობლობას რომ მისტიროდა, თურმე ისეც შეიძლება მომხდარიყო, მის გადასახლებას იმიერ სამყაროში დაეობლებინა ხალხი, ბარათაშვილის ციური შუქი რომ მოშორებოდა და განეშორებინა თვისი სხივები. და თავიც როგორ შეიძლება განეცადა ილიას, მის სულიერ შვილს, თუ არა დაობლებულად?!.

– ყრმაო პოეტო, უღმრთო იყო შენი სიკვდილიო, – დაიტირებდა სხვა ლექსშიც, – ვინ უწყს, რავდენნი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენაო!..

და ის ზღვა გული, სიყვარულის სხივქვეშ გაშლილი, რამდენი გრძნობით, ჯერაც უთქმელით, ჩაგვსვენებოდა?.. და ვინ უწყოდა ისიც, თან რაოდენი წაელო ფიქრნი?..

ეპიგრაფად ბარათაშვილურ სტრიქონებს რომ წაუმძღვარებდა: ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება, და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩებაო, – ეს ფსალმუნს შეტოლებული გადმოღვრა განცდისა არამცთუ ამ ერთ პოეტურ ნიმუშს, ილიას მთელს შემოქმედებასაც მიესადაგება ეპიგრაფად, და... მთელს მის ცხოვრებასაც, სწორედაც განწირული სულისკვეთებით აღბეჭდილს, ცუდად რომ მაინც არ ჩაივლიდა... და კიდევ ყველა იმათი, მისი გზისა და ანდერძის გამგრძელებელნი ვინც შეიქნებოდნენ, საქართველოს დრამატულ თუ სულაც ტრაგიკულ ბედისწერას გადაჯაჭვულნი.

ხოლო დროს რომ იხელთებდა ილია და ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებას განჯიდან დიდუბის პანთეონში დიდ ეროვნულ მანიფესტაციად გადააქცევდა... თუმც მანამდე ადრეა და საკმაოდ ადრეც. ჯერ ხომ უნივერსიტეტიდან ახალი გამოსტუმრებულია და ვინ ირონიული სიცილი უნდა გამოაყოლოს და ვინ გულისტკივილი თუ სინანული: უდიპლომოდ აბა ახლა რა ადგილი უნდა მიიღოსო?..

მოდიოდა და:

აქ კი უნდა დახვედროდა ხმაური, მისი აპრილის სტატიის მიერ ატეხილი, ჯერაც რომ არ განელებულიყო და როდის ჩაცხრებოდა, არავინ უწყოდა... ჩანელება კი რას უშველიდა, როდესაც ათწლეულის თავზე კვლავ მძაფრად უნდა ეჩინა თავი იმ წინააღმდეგობას, შინაგან უთანხმოებას რუს ხელმწიფის სამსახურში მდგარ თუ მისადმი ლოიალურად განწყობილ ადამიანებთან, ილიას ვერასდიდებით რომ ვერ შეურიგდებოდა მათ მიერ დამკვიდრებულ და ასერიგად ნაფერებ-ნალოლიავებ წესრიგს, რაც წესრიგად სულაც არ მი-

აჩნდა, მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, მყრალი გუბისაგან რომ არც განერჩეოდა.

რაო, ვითომ საშიშარი იყო მდინარის ხმაურობა?

საშიშრად ის უფრო ეჩვენებოდა, ეს ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ თუ გადაიცვლებოდა, რაკიღა: მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა გახლდათ ქვეყნის ძალისა და სიცოცხლის მიმცემი...

ახლა რომ მშვიდობიანობა არისო? – ამ სიტყვებით თითქოს უნდა აღეკვეთა მოხევის ჩივილი, თანადროული სინამდვილე თავზარს რომ სცემდა და ნერვებს უწყვეტდა, თითქოს უნდა დაეშოშმინებინა და ახალი რეალობის მიმართ კეთილად განეწყო, მაგრამ... იგი განა რას აქნევდა ცარიელ მშვიდობას ცარიელი სტომაქით?!.

– რაი არნ მშვიდაბა! უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომნი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არნ მშვიდაბა, ცოცხვალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიალ მშვიდაბა მიწაჩიც გვეყოფის.

ეს მრწამსი, ეს სულისკვეთება, ეს მისწრაფება მისცემდა ძალას, არამცთუ მთარგმნელობითი – და საერთოდაც ლიტერატურული – ყოფის მოწესრიგებაზე ეზრუნა, არამედ ანბანისა და ენის რეფორმისკენაც გადაედგა ღონიერი და გადამწყვეტი ნაბიჯი, არ დალოდებოდა თანდათანობით შემზადებას საზოგადოებისა და მკვეთრად განეცხადებინა მოსალოდნელი და გარდუვალი ცვლილების მოახლოება... სწორედაც გარდუვალი, თორემ რა რჯიდა, ამ სქოლიოს რომ დაურთავდა იმ ისედაც დიდი ალიაქოთის გამომწვევ წერილს:

– უ, ჱ, ჲ, ჯ, ჴ, ეს ასოები არ გვიხმარია ჩვენ სტატიაში; თუ ვინიცობაა, ეს ენის წინააღმდეგ მიაჩნდეს ვისმეს, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გავსცეთ პასუხი და გამოუცხადოთ, რა მიზეზითაც არა ვხმარობთ.

სქოლიო მარტოდენ პირველწყაროს კი არ მიუთითებს ხოლმე, ანდა ზოგიერთ დეტალსა თუ გარემოებას კი არ აზუსტებს, არამედ არცთუ იშვიათად დიდად მნიშვნელოვანი ცნობები თუ მოსაზრებანი შეიძლება შეგვხვდეს ძირითადი ტექსტის ამ თითქოსდა მეორეხარისხოვან ნაწილში, მაგრამ ასეთი სქოლიო, ილია ჭავჭავაძის ამ სტატიას რომ დაერთვის, ამგვარი მნიშვნელობისა, ყუმბარის ძალა რომ აქვს, შესაძლოა სხვაგან არც არსად შეგვხვდეს და გამონაკლისად რჩებოდეს. ასეა, ასე, სადამდეც მზერა მიგვიწვდება.

ყუმბარის ძალაც და გამოძახილიც, მთელს საზოგადოებას რომ დააბორიალებდა.

და მოასწავებდა გარდატეხას არამარტო ქართული ანბანისა და ენის სფეროში, არამედ საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც.

ერთბაშად ხუთ ასოს უნდა გამოთხოვებოდა ჩვენი ანბანური დამწერლობა.

ამას ადასტურებდა „ორიოდე სიტყვის“ ძირითადი ტექსტიც, საიდანაც პირწმინდად განდევნილიყო ეს ასოები.

და ადასტურებდა სქოლიოც, რომელიც აცხადებდა, რომ ეს ხუთი ასო რაღაც შემთხვევითობით კი არ ამოვარდნილიყო ძირითადი ტექსტიდან, ავტორი მაშინვე რომ ინანებდა და შემდგომ წერილებში გამოასწორებდა აჩქარებასა თუ ამჩატებას, არამედ ამ აქტით დაბეჯითებით გამოთქვამდა ეს ახალგაზრდა კაცი თავის მრწამსს, რომლის დამკვიდრებასაც ესწრაფოდა.

სწორედაც დამკვიდრებას, თორემ სად ეცალა პირადი ახირებებისათვის.

თუ ვინიცობაა ეს ენის წინააღმდეგ მიაჩნდეს ვინმესო...

კიდეც ენის საწინააღმდეგო მოქმედებად ჩამოართმევდნენ და პასუხსაც მოსთხოვდნენ, თუ რა მიზეზით არ იყენებდა.

ის ნაზი ბულბული, ილიას გულში რომ სტვენდა, ხელის აქნევას ელოდებოდა და... რაკიღა აუქნევდნენ, ერთბაშად სამი სტატიის საპასუხოდ დაწერილ წერილში საგანგებოდ წარმოაჩენდა ამ მიზეზს ანბანის რეფორმის აუცილებლობისა.

„უ“-ზედ ბევრჯერ რომ ექნებოდა ლაპარაკი სხვადასხვა პირთან, ზოგს ეთქვა: უნდა გადაიგდოსო, ზოგსაც: უნდა დარჩესო. თუმც არცერთ იმათგანს ცხადად არ დაემტკიცებინა თავისი აზრი, მაგრამ ილიას მათი ლაპარაკიდან ის სარგებლობა გამოეტანა, რომ:

ეგ ასო, მართლა თუ უვარგისი გახლდათ, უნდა გადაგდებულიყო, როგორც უსაჭირო, რათა ჩვენი ანბანი უფრო გამარტივებულიყო და მართლწერაც გაადვილებულიყო,

მაგის თანასწორი ხმოვანი ასო მოგვეპოვებოდა: „ვ“.

რომ ამბოდნენ: სადაც „ვ“ გამოიყენება, იქ „უ“ – არა, იმიტომ, რომ „უ“ ნახევარ „უ“-დ გამოითქმის ანუ უ-სა და ვ-ს შუახმადაო?

მაგრამ ილია მიიჩნევდა, რომ:

როგორც „უ“, ისე „ვ“ გამოთქმაში ერთიმეორეს ჰგავდნენ და არაფრით განსხვავდებოდნენ, რადგანაც სადაც „უ“ გამოიყენებოდა, იქ უ ვ-დ ისმოდა, და სადაც ვ იხმარებოდა, იქ ვ-ნი უ-თად ისმოდა.

მაგალითი თუ გვენება:

„ვითარი“, სადაც „უ“-ს არ იყენებდნენ, სწორად რომ გამოეთქვა კაცს და არა დაძალებით, „ვ“ „უ“-სავით გამოვიდოდა; თუ ვინმე მაგრად და მტკიცედ გამოთქვამდა, იქ ორ „ვ“-ს გამოიყენებდა და არა ერთს.

აქედან კი ჩანდა, რომ:

ამ თანასწორ ხმოვან ასოთა შორის ან ერთი იყო მეტი და ან მეორე.

თვითონ ილიას უფრო „უ“ ეგონებოდა მეტი, რადგანაც როგორც „უ“-ს გამოყენებისას, ისე „ვ“-სი, უფრო ვ-ნი ისმოდა, ვიდრე რაიმე ხმა.

მერეადა: „უ“ იქ გამოიყენებოდა, სადაც „ვ“-ს უხმო ასო შეხვდებოდა ხოლმე და ეს ორი უზმო ასო ერთად გახლდათ გამოსათქმელი. უ-უთაც არ აძლევდა კაცს ენა ნებას, რომ „ვ“ მტკიცედ გამოთქმულიყო.

ამ მიზეზით არ იყენებდა ილია „უ“-ს, და თუკი დაუმტკიცებდნენ საწინააღმდეგოს, სიხარულით დაეთანხმებოდა.

იმისთვის ხომ არ დაერთო აპრილის სტატიისათვის ის სქოლიო, რომ მართლა არ იცოდა ამ ასოს გამოყენება; ამ ასოს საჭიროებაზედ დაეჭვებული-

ყო და ამისათვის განეცხადებინა: ან მე დამეთანხმოს ვინმე, ან კიდევ საწინააღმდეგო დამიმტკიცოსო.

კაცის ენა ხომ კერძო პირივით იზრდებოდა და ვითარდებოდა; ამ ზრდაში იცვლებოდა, როგორც კაცთაც სჩვეოდათ ზრდისას ცვლილება; ამიტომაც ხდებოდა, რომ კანონები, ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი ხდებოდნენ; ამიტომაც ახალი ენა ძველ ენას არა ჰგავდა, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ხოლმე ძველ კაცს. ამიტომაც ის საბუთი ილიასათვის საფუძვლიანი და დამაჯერებელი ვერ იქნებოდა: რადგანაც ძველ წიგნებში გამოიყენებოდა, იმიტომ ახლაც უნდა გამოვიყენოთ ეგ ასოო.

იქნება მართლადა „უ"-სა და „ვ"-ს შორის უწინ რაიმე განსხვავება ყოფილიყო გამოთქმაში, მაგრამ ამჟამად – ილიას ფიქრით – განსხვავება აღარ შეიმჩნეოდა.

ეს „უ" კიდევ გადასაწყვეტი საქმე გახლდათ, მაგრამ: ჲ, ჭ, ჴ, ჯ, ჱ, ჶ.

ამ ასოებზედ კი თქმაც აღარ უნდოდა – ისინი სულ აღარ ისმოდა ახლანდელ ენაში.

„ჴ" და „ხ"-ზედ რომ ირწმუნებოდნენ: სხვადასხვანაირად გამოითქმისო?

გლეხკაცი ქიზიყში ისე წარმოთქვამდა „ხოხობს", თითქოს „გხოგხობი" მოისმოდა.

თუ ეს მართალი გახლდათ, დაემტკიცებინათ და ამ ასოს საჭიროებაზედ დაყაბულდებოდა.

მაგრამ სრულიად არ ესმოდა, რა განსხვავება იყო ამ ასოთა შორის:

„ჱ" და „იე", „ჲ" და „ი", „ჯ" და „ვი", „ჭ" და „ჰოი".

ეგებ ჩვენს უწინდელ ენაში ყოფილიყო განსხვავება ამ ასოთა შორის – და სწორედაც უნდა ყოფილიყო, რადგანაც შემოელოთ – მაგრამ თანადროულ ენაში ვეღარ ხედავდა.

და თუ ხედავდა ვინმე, ის ანბანთ თეორეტიკით ნუკი ცდილობდა დამტკიცებას, არამედ ყურადღება მიექციათ დაკვირვებით ხალხის სიტყვის წარმოთქმისათვის, ხალხის ენაში მოენახათ ფაქტი, დაენახებინათ ილიასთვისაც და... მაშინ კი იყაბულებდა.

ენის კანონს ხომ თვითვე ენა იძლეოდა და არა რაიმე თეორეტიკა.

მოპაექრეებს უნდა დაენახვებინათ განსხვავება ამ ასოთა შორის და ენიდან მოშველიებული ფაქტით დაემტკიცებინათ.

მაშინ ილიასაც აღარა ეთქმოდა რა.

ხოლო თავიანთი თეორეტიკა თავისთვის შეენახათ, ის ამგვარ საქმეს პასუხს ვერ გასცემდა, სხვა უნდა მონახულიყო.

მერე კიდევ: თვით მოპაექრეთა სახელოვანი თეორეტიკაც არ იყენებდა ასოს ô, რომელიც ახალი შემოღებული გახლდათ უცხოურის გავლენით, და ილიას არ გაეგებოდა: თუ რისთვის?

ეს ასო ქართულ ენაზე „ფ"-დ იცვლებოდა, თუნდ „ფილოსოფიაც" რომ გვეთქვა.

ამასთან ქართველ გლეხკაცს – თუკი ბატონთან არ გახლდათ ნამყოფი – ამ ასოს ვერც წარმოათქმევინებდი, „ჶ"-ს მაგივრად სულ „ფ"-ს იტყოდა, ვიდრე ბევრჯერ არ გაამეორებინებდით.

და უკვირდა და გაჰკვირდებოდა ილიას:

ეს ასო ჩვენი ენის თვისებისა არ გახლდათ და რაღად იყენებდნენ?

ესეც ის პასუხი, თუ რა მიზეზით ამოეყარა ეს ასოები აპრილის სტატიიდან და ახლა სხვათაც უბეჭითებდა, რომ რაღაც ექსპერიმენტისათვის კი არ მიემართა, რაც გაუმართლებდა და ან არ გაუმართლებდა, არამედ ამგვარად უნდა გადაწყობილიყო ქართული ანბანიც და მართლწერაც, რადგანაც:

ეს ასოები სულ ტყუილად ჩარჩენილიყვნენ ანბანში, თუ სულ არა, უმეტესწილად მაინც; ტყუილად აგრძელებდნენ ანბანს, აძნელებდნენ მართლწერას და სხვა არაფერს გვძენდნენ, არამცთუ სასიკეთოდ გამოგვეყენებინა.

თუ ეს ასოები აღარ ისმოდა ახლანდელ ენაში, რატომ არ უნდა გადაგდებულიყვნენ? შემსუბუქება და გაადვილება მართლწერისა და ანბანისა განა ცოტა საქმე გახლდათ? და თუ მოისმოდა, ამ ასოების გამოყენების კანონს რატომ არ ვეძებდით ენაში, რომ ყველას ერთნაირად მოგვემარჯვებინა?

სანიმუშოდ მოიხმობდა ევროპას:

იქ ცდილობდნენ ყველაფრის გამარტივებას, გაადვილებას და – სხვათა შორის – ანბანისასაც და მართლწერისასაც.

და შორს რომ აღარ წასულიყო:

აი თვითონ რუსეთშიც ცდილობდნენ i, Ѣ, ъ-ს ამოშლას თავიანთი ანბანიდან, რადგანაც მათ ახლანდელ ენაში აღარ ისმოდა ეს ასოები.

აგერ ილიასაც შეხვედროდა წიგნი, 1859 თუ 60 წელი დაბეჭდილი, სახელდობრ: „Сказание об языческих богах“ – სწორედაც ამ მართლწერით – სადაც არც i, არც Ѣ და არც ъ არ ყოფილა გამოყენებული.

როგორ გადაწყდებოდა ეს დავა, ილია რას დაეძებდა; და თუ მოიხმობდა, მხოლოდ როგორც ფაქტს, რომელიც ამტკიცებდა სურვილს: გამარტივებულიყო ანბანიც და მართლწერაც. და ჩვენთვისაც ურიგო რატომ უნდა ყოფილიყო, თუ ამ ასოებზე კარგად მოვიფიქრებდით და, თუკი უსაფუძვლოდ გამოიყენებოდნენ, ამოგვეშალა, როგორც უხმარნი; ეს მოაშორებდა ახალ მოსწავლეს რამდენიმე უსარგებლო ასოს სწავლას და მწერალსაც გაუადვილებდა წერას.

ზოგადევროპულ ტენდენციას ადევნებდა მზერას და ითვალისწინებდა, აგერ რუსულ ანბანში მომხდარ შესაძლო ცვლილებასაც დაუკვირდებოდა, მაგრამ უპირველესად მაინც ქართული ენის კანონებს ასდევდა, მის ძარღვზე ედო ხელი და ფეთქვასაც ამიტომ შეიგრძნობდა ასე ძალუმად; და რაც ენას თვითვე ჩამოეცილებინა, ბარემ ეს მიდრეკილება ანბანის გადახალისებითაც წარმოეჩენილიყო, მითუფრო თუ ევროპული აზროვნებაც აქეთ და სწორედაც აქეთ მიისწრაფოდა: ყველაფრის გამარტივება-გაადვილებისაკენ, და მათ შორის ანბანისაც.

აზროვნება: ენათმეცნიერულიც და ფილოსოფიურიც და ფსიქოლოგიურიც.

ადვილად არ დაუთმობდნენ რეფორმის განხორციელებას?

ადვილად არც მოელოდა, ბრძოლისათვის კი შემართული გახლდათ და – მიუხედავად სიჭაბუკის ასაკისა – იმ გარემოებასაც ითვალისწინებდა, რომ:

თეორიულ დისკუსიაში არ უნდა ჩაბმულიყო, თორემ შესაძლოა გახლართულიყო და ანბანში ცვლილების შეტანასაც ძალიან დაეგვიანა.

ამიტომაც თეორიულ განსჯას მხოლოდღა ჩართავდა ლიტერატურულ სტატიაში, თავდაპირველად ერთიბეწო სქოლიოს რომ არც გასცილდებოდა და საპასუხო წერილშიც რაც შეიძლება მოკლედ და სხარტად ჩამოაყალიბებდა სათქმელს.

მთავარი თვალსაჩინოება გადაეშალა წინ მკითხველისათვის, თუ როგორ გაუადვილდებოდათ კითხვა, თუკი იმ ხუთ ასოს შეელეოდნენ.

და უკეთესი თვალსაჩინოებაც რა უნდა ყოფილიყო, თუ არა მძაფრი კრიტიკული განსჯა წარუმატებელი თარგმანისა, ილია სათქმელს რომ განაზოგადებდა და ზოგადმთარგმნელობით და ზოგადლიტერატურულ პრობლემატიკასაც თამამად შეახებდა ხელს, მითუმეტეს სტატია საკმაო ირონიითა და სარკაზმითაც აღივსებოდა, ისედაც ექსპრესიულ განსჯას კიდევ უფრო რომ გაახალისებდა.

დაე ამყოლიც თეორიული მსჯელობით კი არ აჰყოლოდა, არამედ გადაეღო მისი მართლწერა. და რაც მეტნი აჰყვებოდნენ, მითუფრო მალე დამკვიდრდებოდა ეს ახლებური წესი წერისა, ჟურნალიდან – და შემდგომ უკვე გაზეთიდანაც – და წიგნებიდან მტკიცედ რომ ჩაიბეჭდებოდა მკითხველის გონებაში და ანბანის შეკვეცაც თავისთავად მოხდებოდა, საგანგებო მცდელობა რომ აღარც დასჭირდებოდა.

მართლწერიდან გამოდევნილ ასოებს ანბანიც აღარ შეიფარებდა.

„ორიოდე სიტყვა“ თითქოსდა ლიტერატურულ წერილად ჩაფიქრებულიყო, არადა უფრო მკვეთრ მცდელობას ენისა და ანბანის დასაახლოებლად განახორციელებდა.

ასეთი მწვავე ბრძოლა ენისათვის არცთუ სადმე ყოფილაო, – ამგვარად შეაფასებდა ამ მოვლენას ოთარ ჩხეიძე ბიოგრაფიულ რომანში ვასილ ბარნოვზე, – თუმცა ენა ყოველთვის ბრძოლის სარბიელია, ოღონდ არცთუ ისე მრისხანე ბრძოლისაო.

და ილიას „ორიოდე სიტყვას“, რითაც ეს ძლევამოსილი ლაშქრობა დაიწყებოდა, დანტე ალიგიერის ტრაქტატს – „ხალხური ენისათვის“ – რომ შეადარებდა, იმ განსხვავებით კი, რომ:

იქ, იტალიაში ენისათვის ბრძოლა ენისათვის ბრძოლად ითქმოდა, პოლიტიკურ ბრძოლებში არ აღრეულიყო, და არც აღირეოდა, რადგანაც იმისთვის სხვა სარბიელი ჰქონდათ – აქეთ სამშობლოს გაერთიანებაო, იქით ჭიდილი პაპისა და მეფისა, იყო საშუალება, რომელსაც ისურვებდა, იმ სარბიელზეც გადაჭრილიყო. და დანტეც გადაიჭრებოდა იქაც და იქაც, მარცხსაც განიცდიდა, დევნასაც, შევიწროებასაც, სიმწარესაც სხვის კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლისას.

მერე რაო, – ამსუბუქებდა თუ სულაც აქარწყლებდა ამ სატკივარს ოთარ ჩხეიძე, – სხვის კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლის სიმწარე რა არის მოწოდების ჩაკვლის სიმწარესთან შედარებითო.

აქ, ჩვენში სწორედ მოწოდება ჩაეკლათ.

და ორი მშფოთვარე პოლიტიკური მოღვაწე – გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე – ენის ასპარეზზე გაიტანდა ერის ბედსა და უბედობას.

გრიგოლის მეფისნაცვლობის ხანიდან ბიოგრაფიულ რომანში გახსენებულია ის ეპიზოდი, იმპერატორის წინაშე რომ შუამდგომლობდა: საზღვარგარეთ წასვლის ნება მიეცათ ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილისათვის, და თანაც პეტერბურგი ნუღა ჩაერეოდა ამ საქმეში, თვით კავკასიის მეფისნაცვალს გადაეწყვიტა, ვინ გაეგზავნა და ვინ არა.

ბევრი მოენდომებინა გრიგოლ ორბელიანს თუნდ მცირე უფლების გამოტაცებით.

ვინ დაანებებდა.

და კავკასიის კომიტეტს პეტერბურგიდან წერილი რომ მოუვიდოდა, გრიგოლს გულისტკივილით მოუწევდა მისი ჩაკითხვა, თითქოსდა დიპლომატიურად შედგენილი წერილი საკმაოდ სუსხიანად რომ ბოლოვდებოდა:

კავკასიის მეფისნაცვალს არაფრისდიდებით არ უნდა მიეცეს უფლება გაუშვას საზღვარგარეთ ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილის მსგავსი პირები, რადგანაც მისთვის სრულიად უცნობია ამ პირთა მოქმედება უნივერსიტეტში მათი ყოფნის დროსო.

რისთვის დაემტკიცებინა გრიგოლ ორბელიანს არაერთხელ ერთგულება რუსხელმწიფის ტახტისა, თუკი პატარა უფლებასაც ვერ გამოსტყუებდა?

ამ პატარა უფლების მოპოვებიდან დაიწყებოდა მეტისა და მეტის მოთხოვნა მეტი და მეტი გაბედულებით, და გაბედულების სურვილი ძირშივე უნდა აღეკვეთათ და ამოეშანთათ.

მაინცდამაინც არ ეტყობოდა გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების წესს, მგარამ ოთარ ჩხეიძეს – ერეკლე ტატიშვილის კვალობაზე – სჯეროდა, რომ:

მის არსებაში ყოველთვისაც ჩქროლავდა სისხლი ოცდათორმეტისა, ჩქეფდა სული ახალგაზრდული, სული დამოუკიდებლობისა.

და აღარ უკვირდა „მატიანე ქართლისას“ შემოქმედს, მფარველად რომ დასდგომოდა გრიგოლი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებს, ამღელვარებულთ, ყველგან რომ ჩნდებოდნენ, სადაც იმპერატორის საწინააღმდეგო მოქმედება მზადდებოდა. ოცდათორმეტის სული ინვევდა იმათ საქომაგოდ, იგივე სული, სიცოცხლის მიმწუხრზე ვედრებად რომ დააყენებდა თამარ მეფის ხატის წინაშე.

მფარველად დასდგომოდა და, პეტერბურგიდან დევნილთ, საზღვარგარეთისაკენ მიუკვლევდა გზას სწავლისა შუქით გასანათებლად.

და უფლება რომ უნდოდა — თუნდ მცირე, მაგრამ მაინც უფლება — დამოუკიდებელი მოქმედებისა, მისი უდიდებულესობა რას დაანებებდა მოსალოდნელ გართულებათა გათვალისწინებით და ამიტომაც ბრძანებდა: არაფრისდიდებითო!..

და ოთარ ჩხეიძე თითქოსდა თვალდათვალ შეჰყურებდა მეფისნაცვლად დადგენილ ამ უუფლებო ადამიანს, მის მწარე განცდებსა და განწყობილებებს, შიგნიდან ჩუმად როგორ იკვნეტდა ტუჩს, მწარედ იკვნეტდა, რაკიღა მეტი რაღა დარჩენოდა.

აჯანყებულებში გარევით ვერაფერი მოეხერხებინა?

ეგება წაწოლის პოლიტიკით მოეხერხებინა – მოეპოვებინა ნდობა თავგანწირული სამსახურით, უფლება ამოეგო ერთგულებით.

და სხვა რა ჩარაღა უნდა ჰქონოდა კაცს, ღირსს პრეზიდენტობისა, ღირსს გულითა და გონებით, მაგრამ რესპუბლიკად მხოლოდღა ენა დარჩენოდა – მდიდარი და დარბაისლური, და ვიდრე ნდობის მოხვეჭას ლამობდა რუსხელმწიფის თვალში, ამ დარბაისულ ენას მდაბიური და უცხოური მიესეოდა.

ამას აღენთო პრეზიდენტი ენის რესპუბლიკისა და, ვითარცა თურქთა და ლეკთ ებრძოდა, ისეც ეკვეთებოდა, იმავე რისხვით სამოციანელთა თაობას, რომელიც უკვე კანონად დასდებდა, რაც მანამდე ჯერ მხოლოდ გზას იკაფავდა.

მეოცე საუკუნის გადმოსახედიდან ისე მოჩანდა, რომ:

ეს უკანასკნელი რესპუბლიკაც თვალსადახელშუა უქრებოდა დიდ პრეზიდენტს ანუ ახალ პრეზიდენტს ეფარებოდა: სამოციანელთა დიდი მედროშის, ილიას კალთას.

ენანებოდა და რარიგ ენანებოდა ოთარ ჩხეიძეს:

აფსუს – ორივეს, გრიგოლ ორბელიანსაც და ილია ჭავჭავაძესაც ძალა შესწევდა, წარმატებით ემართა რომელიც გნებავს დიდი სახელმწიფო ანუ ისეთი რთული ქვეყანა, ჩვენი საქართველო რომ გახლდათ; მაგრამ უფლება აჰყროდათ და გრამატიკის წესების დადგენას ალევდნენ უდიდეს ძალას, უდიდეს ნიჭსა... მთავარსარდლებივით ალაშქრებულიყვნენ, ნამდვილადა, ჭეშმარიტადა, ეპითეტებად როდი ითქმის, იმათი რკენა მოგაგონებდათ გადახდილ ომებს, სახელოვან ომებს... მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდიო, ამბობდა ილია; რა ენა წახდეს, ერი დაეცესო, მრისხანებდა გრიგოლი და ულმობელი სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვეულიყო უკანასკნელი რესპუბლიკაო.

ამ პასაჟს მოსდევდა ის სტრიქონები: ასეთი მწვავე ბრძოლა ენისათვის არცთუ სადმე რომ ყოფილიყო – და დანტე ალიგიერის ლინგვისტური ტრაქტატიც წამოტივტივდებოდა: როგორც ნიმუში, იტალიაში ენისათვის ბრძოლა რომ არ აღრეულიყო პოლიტიკურ ბრძოლებში.

დანტე ცალკე იბრძოლებდა ენის გახალხურებისათვის.

და ცალკე ჩაერთვოდა პოლიტიკურ ბატალიებში.

ჩვენში ენისათვის ბრძოლა ერის გადარჩენისათვის ბრძოლას რომ გადაეჯაჭვებოდა, გრიგოლ ორბელიანიც და ილია ჭავჭავაძეც ანბანისა და მართლწერის წესების ირგვლივ შეუპოვრად რომ შეებმოდნენ ერთიმეორეს, ამით უკვე მონაწილენი შეიქნებოდნენ მძაფრი პოლიტიკური ბრძოლისა.

ის ხუთი ასო დარჩენილიყო თუ არა ქართულ ანბანში, ამის ირგვლივ დავა-კამათი სწორედაც პოლიტიკური ბრძოლის შუაგულსა და ქარცეცხლში მოექცეოდა.

სამოქალაქო ომადაც მოიხსენიებდა ამ ჭიდილს ილიას სულიერი შთამომავალი, ენას რაკიღა რესპუბლიკად დასახავდა.

ზუსტ სახელებს შეურჩევდა იმ პროცესსა და მის მსვლელობას, იმას დაარქმევდა, შინაგანად რასაც გამოხატავდა ანბანისა და მართლწერის ირგვლივ პაექრობა, თუკი დიდი გადმოსახედიდან შევხედავდით და იმ მასშტაბურო-

ბით, რასაც იმსახურებდა ენის რესპუბლიკაც და მისთვის გადახდილი სამოქალაქო ომიც.

ხოლო თუ პაწია ჭუჭრუტანიდან დააკვირდებოდი, უფრო მეტს ვერ ამოიკითხავდი და ვერც ამოიცნობდი მოვლენათა იმ ტრიალსა და ქარბორიაში, ვიდრე ტიციან ტაბიძე ამოიტანდა და ამგვარ მსჯელობად გაშლიდა:

– ჩვენ არასდროს უნდა დავივიწყოთ, რომ როცა... ყველაზე ფანტასმაგორიულმა ედგარ პომ გაიარა შარლ ბოდლერის პრესში და ხელახლა იშვა პოეზიისათვის, როცა უარყოფილი იქნა პრიმიტიული და სილამაზეს დაუპირისპირდა დეკადანსის პირველი არგუმენტაცია... მაშინ საქართველოში არც კი იყო დაწყებული დავა ილია ჭავჭავაძესა და კნეინა ბარბარე ჯორჯაძეს შორის... ამ დროს შემოქმედება მოგვაგონებს ჭურში ჩამჯდარი ადამიანის სიმღერას. მთელი ტრაგიზმი ქართული პოეზიისა ის იყო, რომ... ევროპის რადიუსი ყოველთვის გვერდს უვლიდა ტფილისს.

გარეგნულად, ფორმალურად ვერ შეედავები, ზოგადი სურათი თითქოსდა მიუკერძოებლადაა აღდგენილი და პოეტის მწარე წუხილიც და გულისტკივილიც სავსებით გასაგებიცაა და გასაზიარებელიც ქართული პოეზიის ტრაგიზმის გამო, ევროპის რადიუსმა თუნდ იმჟამად გვერდი რომ აუარა თბილისს, მაგრამ... მაგრამ ის, რომ უნებლიეთ რაღაც დიდი კნინდება და პრიმიტიულდება, თუკი იმ ამბებს მოვიხსენიებთ დავა-კამათად ილია ჭავჭავაძესა და ბარბარე ჯორჯაძეს შორის, რაკიღა უფრო დაკვირვებული, ღრმა და მართებული გააზრებით, ეს გახლდათ:

სამოქალაქო ომი ენის რესპუბლიკის პრეზიდენტის ტახტისათვის.

იძულებით უნდა დაეთმო ეს ტახტი გრიგოლ ორბელიანს.

და გაბედულად გაეწვდინა ხელი მის მოსაპოვებლად ილია ჭავჭავაძეს.

დაეთმო სახელოვან გენერალს, კავკასიის მეფისნაცვლობაც რომ ერგუნებოდა, უფლებააყრილი, მაგრამ მაინც მეფისნაცვლობა.

და ხელთ მოეგდო სტუდენტს, ჯერ დიპლომიც რომ არ აეღო და... თურმე ვერც ვერასოდეს აიღებდა, უდიპლომოდ რომ გამოისტუმრებდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტიდან და თან მწარე ირონია და სიცილიც დაედევნებოდა: დაგეჯერებინა ჩვენთვის და საგნების სწავლას დასჯერებოდი, სკოტის, შილერისა და ბაირონის კითხვას რომ გადაჰყევი, აბა რა დაგემართებოდაო?!.

დაგვიგვიანდებოდა და ძალიანაც დაგვიგვიანდებოდა იმ ლიტერატურული ძვრების შუაგულში მოქცევა, ედგარ პო შარლ ბოდლერის წყალობით ხელახლა რომ დაიბადებოდა პოეზიისათვის, მაგრამ ეს მოვლენაც უნდა შეგვეგრძნო და გაგვეთავისებინა გალაკტიონ ტაბიძის მეოხებით, მათი ლანდები ცისფერყანწელებთან და კიდევ არაერთი შემოქმედის ხილვაში რომ აკიაფდებოდნენ, მაგრამ ენის რესპუბლიკა დაფუძნება-დამკვიდრებისათვის თავისას მოითხოვდა – ჯერ ანბანისა და გრამატიკის წესების დადგენას, ახალი ნორმების ჩამოყალიბებას, მერე კი უკვე თავდაუზოგავ მცდელობას დასავლეთთან გაწყვეტილი კავშირის აღსადგენად, ილია ევროპეიზაციას რომ უწოდებდა და ამ მხრივაც ხიბლავდა ნიკოლოზ ბარა-

თაშვილი, ხიდი ხელახლა რომ გაედო დასავლეთთან სოლომონ დოდაშვილის შემწეობით.

ენობრივი რეფორმის ყველაზე სახიერი სიმბოლო იმ ხუთი ასოს განდევნა აღმოჩნდებოდა ანბანიდანაც და პრესის ფურცლებიდანაც, ილია ამყოლთ მალევე რომ აიყოლიებდა და „ცისკრის“ ფურცლებზევე გამოჩნდებოდა ამ ახალი მართლწერის ნიმუშები, შემდგომ „საქართველოს მოამბე“ – ილიას მიერ დაარსებული ჟურნალი – თავით ბოლომდე რომ დაიცავდა რეფორმირებულ ანბანსა და მართლწერას, მალევე ჟურნალი „კრებული“ და გაზეთი „დროებაც“ რომ ამოუდგებოდა გვერდით.

და რაც გადამწყვეტი აღმოჩნდებოდა:

იაკობ გოგებაშვილი გაიზიარებდა ილიასეული ენობრივი რეფორმის აუცილებლობას და „დედა-ენას“ სწორედ იმ შეკვეცილ ანბანს დაუდებდა საფუძვლად: 38 ასო 33-მდე რომ შემცირდებოდა, გადახალისდებოდა და თვალშიც უკეთ გამოიხედავდა, რაკიღა აღარაფერი დაამძიმებდა, თუნდ სულ ოდნავადაც.

არსებითად იაკობ გოგებაშვილი მოახდენდა ახალი ანბანისა და მართლწერის კანონიზაციას.

ილია ჭავჭავაძის წამოწყებას შესაფერისი შარავანდითაც შემოსავდა და ახალ თაობებს რეფორმირებული ანბანით რომ აღზრდიდა, კიდეც დაადასტურებდა ილიას გამარჯვებას სამოქალაქო ომში.

რომ არა იაკობ გოგებაშვილის ჩარევა ამ პროცესში, ილიასა და მის მიმდევართა მცდელობა უფრო ექსპერიმენტს დაემგვანებოდა, არაერთი ადამიანის თვალში კი – სულაც ახირებას, ბოლოსდაბოლოს ერთ ნაკადს და არა უფრო მეტს...

მაგრამ კანონიზაციას ყველაფერი უნდა მოეთავებინა.

„დედა-ენა“ 33 ასო-ნიშანს დაყრდნობოდა და ამაოდღა გაფართხალებულიყვნენ მოწინააღმდეგენი – მდინარებას კალაპოტს უკვე ველარაფერი შეუცვლიდა.

საუკუნეებით განმტკიცებულ ანბანში ასე ხელის ერთი მოსმით მკვეთრი ცვლილება როგორ შეეტანა ილია ჭავჭავაძეს?

ენის რესპუბლიკის პრეზიდენტად მეოცე საუკუნის გადასახედიდან ითქმოდა, თორემ იმჟამად ყმაწვილკაცი გახლდათ და ის გავლენა, რაც პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრეში მოეპოვებინა, განა კმაროდა ამხელა რეფორმის ხორცშესასხმელად?

წარმოსახვითი ენის რესპუბლიკის პრეზიდენტი კი არა, რეალური პრეზიდენტები ვერ განახორციელებდნენ ამდაგვარ რეფორმას, კიდეც რომ დასჭირებოდათ, საუკუნეობით ნაგებ კოშკს შესაცვლელად ასე ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით ვერ მიეტანებოდნენ.

თუმც... ვერ მიეტანებოდნენ, თუკი ეს მხოლოდ მათი სურვილი იქნებოდა და არა ენის შინაგანი განვითარების კანონებით ნაკარნახევი პროცესი.

სწორედაც ენის შინაგანი განვითარების კანონებით ნაკარნახევი.

და არა ორიოდე ლექსის ავტორი ყმაწვილკაცის მცდელობა, ზურგს დიპლომიც რომ არ უმაგრებდა. და თუმც წოდებით თავადი გახლდათ, მაგრამ ჭავჭა-

ვაძეთა ღარიბი და ნაკლებგავლენიანი შტოს წარმომადგენელი, თანაც – ობოლი, ასე რომ: ვერც მამა ამოუდგებოდა მხარში და ვერც გვარის ავტორიტეტი.

ეს ისე, სხვათა შორის, თორემ ილიას კი არა, ალექსანდრე ჭავჭავაძეს რომ მოენდომებინა ჩარევა ანბანსა და მართლწერაში, ვერც გვარის ავტორიტეტით გახდებოდა რაიმეს და ვერც პირადი ზეგავლენით; თორემ უფრო მეტი ავტორიტეტი და ზეგავლენა რაღა გვინდოდა, გრიგოლ ორბელიანი რა ძალმოსილებითაც წარმოსდგებოდა, მაგრამ თვით ისიც ვერას გააწყობდა საუკუნეობით განმტკიცებულის შესანარჩუნებლად.

ილიას თავისით კი არ მოფიქრებოდა ენის რეფორმა, საერთო განწყობილებას დაუგდებდა ყურს და, ვიდრე საქვეყნო ასპარეზზე გადმოდგებოდა, ჯერ შინაურ პაექრობა-დისკუსიებში შეამოწმებდა, რამდენად მართებული შეიძლება ყოფილიყო ის ანბანური და ენობრივი ცვლილება, რის გარშემოც დაუცხრომლად ლაპარაკობდნენ.

ეგაა: საქვეყნო გამოტანას ერიდებოდნენ.

ჩურჩულის იქით ვერ მიდიოდა მართლწერის ცვლილების მოთხოვნა.

სავსებით დამაჯერებელი, არგუმენტირებული იქნებოდა ანბანისა და მართლწერის გაადვილებისაკენ სწრაფვა, ზოგადევროპული აზროვნებაც აქეთ რომ იხრებოდა, მაგრამ არ გინდოდა ეს ყოველივე ხმამაღლა განგეცხადებინა?

ვიღაცას უნდა გაებედა.

ვიღაცას უნდა თავზე აეღო ხელი.

ვიღაც უნდა მოყოლილიყო ქარცეცხლში და შესაძლოა მახვილსაც პირველი წამოგებოდა, როგორც წინა ხაზზე მებრძოლი.

ერთმანეთს მიაჩერდებოდა ყველა, ერთმანეთს შეაგულიანებდა, ერთმანეთს უბიძგებდა.

ილიას შეგულიანება არ დასჭირდებოდა, არც წაბიძგება, მთავარია ბოლომდე ერწმუნა ცვლილების აუცილებლობაც და დროულობაც, დამაჯერებელი საბუთებიც მოეპოვებინა და... კიდეც გამოვიდოდა წინა ხაზზე და კიდეც ხმამაღლა განაცხადებდა იმას, ჩურჩულით რაც მეორდებოდა და ოდესმე ალბათ ეს ჩურჩულიც გამოიღებდა შესაფერის ნაყოფს, მაგრამ ილიას სად ეცადა იმ დროის დადგომისათვის, სად ედევნა კუდში გაჭიანურებული პროცესისათვის – აღსასრულებელი უნდა აღსრულებულიყო, რადგანაც მასზე ბევრი რამ ეკიდა.

გამოხდებოდა ხანი და:

სოციალ-დემოკრატები რომ აუტყდებოდნენ ილიას და რას აღარ დააბრალებდნენ, რას აღარ დასწამებდნენ, რას აღარ გაუზვიადებდნენ, რას აღარ გადაუკეთებდნენ, ყოველივეს მაინც რამდენიმე ბრალდების ირგვლივ მოაქცევდნენ, ხალხში მისი სახელის გასატეხად რაც ეიმედებოდათ, უპირველესად მაინც ულმობელ მებატონედ რომ წარმოსახავდნენ, გლეხებისათვის წყაროს წყალი რა არის, ისიც რომ ენანებოდა, და რუსხელმწიფის მორჩილ მსახურადაც მოიხსენიებდნენ, ივანე მაჩაბლის უგზოუკვლოდ გაქრობასაც მასვე აჰკიდებდნენ და... ენობრივ რეფორმასაც ამოუწევდნენ:

შეგვიკვეცა და დაგვიმახინჯა ანბანი, რა უფლებით ამოაგდო ხუთი ასონიშანიო!..

და ამას გაიძახოდნენ ის ადამიანები, რომელთათვისაც არათუ ხუთი ასო, არაფერს ნიშნავდა მთელი ქართული ანბანიც და – მართლწერას რაღას დაგიდევდნენ – ქართული ენაც: ყალბად გაგებული კოსმოპოლიტიზმის ბაცილაშეპყრობილთათვის.

ერსა და ეროვნებაზე მსჯელობაც დრომოჭმულად მიაჩნდათ, ძველი დროის გადმონაშთად, რომლისგანაც რაც მალე გათავისუფლდებოდნენ, მითუკეთესი.

და რა: მაინცდამაინც იმ ხუთ ასოს მისტიროდნენ, ფუნქციადაკარგულებს?!.

ხელზე კი დაიხვევდნენ და...

ისედაც მძიმე ბრალდებას ამასაც კი ამოაკერებდნენ და...

და სხვადასხვა თავყრილობაზე დაჟინებით იმეორებდნენ ადამიანთა ზომბირებისათვის, მარქსიზმით ისედაც რომ ურევდნენ გონებას და ბანგავდნენ მიწიერი სამოთხის დაპირებით.

ცხადია არ ითვალისწინებდნენ, ანკი რატომ გაითვალისწინებდნენ, ვითარება რომ არ ყოფილიყო სათანადოდ მომზადებული და მომწიფებული, საყოველთაო განწყობილება რომ არა ყოფილიყო ამგვარი, არამცთუ 23 წლის ილია ვერ შეახებდა ხელს ანბანს ასე თამამად, თვით 70 წლის ილიაც ვეღარ გაბედავდა, და ერთ ასოსაც ვერ გამოდევნიდა, არამცთუ ერთბაშად ხუთი გამოეცხადებინა ზედმეტად და არაფრისმაქნისად.

არც იმის გათვალისწინება ენებათ, რომ იაკობ გოგებაშვილისა და მისი „დედა-ენის“ გარეშე ილიას ძალიან გაუძნელდებოდა და საკმაოდაც გაუჭიანურდებოდა ანბანურ-ენობრივი რეფორმის დამკვიდრება თუნდ ჟურნალისა და გაზეთის შემწეობით... და მაშ იაკობისთვისაც არ უნდა ეპატიებინათ რეფორმის კანონიზება, მაგრამ რაკიღა მას არას ედავებოდნენ პოლიტიკური თვალსაზრისით, რა გასაკვირია, ანბანის შეკვეცის ბრალდება მისთვის აღარ მიეწებებინათ.

ეს... ვინ იცავდნენ ქართულ ანბანს!..

და... ვისგან იცავდნენ!..

სწორედაც სასაცილო იქნებოდა, სატირალიც რომ არ იყოს.

მაგრამ რეალობა კი ეს გახლდათ: აბსურდის ნიშნებით აღბეჭდილი, მოგვიანებით მთლიანადაც რომ ჩაიძირებოდა აბსურდის მორევში.

მაგრამ... ვერც გალაკტიონ ტაბიძე და ვერც კონსტანტინე გამსახურდია რომ ვერ ეგუებოდნენ ანბანიდან იოტას გაძევებას და ისე მისტიროდნენ, როგორც დაკარგულ ბავშვს გაეტირება ადამიანი?

და როგორი კრძალვითა და აღტაცებითაც უნდა ყოფილიყვნენ აღესილნი ილიას მიმართ, მიიჩნევდნენ, რომ ანბანის გადახალისება-რეფორმირებაში გართულს ცოტა მეტი მოუვიდა, მართლაც უფუნქციო ასო-ნიშნებს იოტაც რომ მიაყოლა.

რა – ვითომ არ შეიძლებოდა მისთვის კანონიერი უფლების დაბრუნება და ძველი ადგილის მიჩენა ანბანურ რიგში?

ოთხი ასო ხომ ამოეკვეთა ილიას და... ალალი ყოფილიყო, მაგრამ ეს ერთი, ეს საბრალო და ტყუილუბრალოდ დაჩაგრული იოტა მაინც ნუღა გაიწირებოდა საბოლოოდ.

ერთიც დაისაჭიროებდა და მეორეც, გალაკტიონ ტაბიძეც გამოექომაგებოდა და კონსტანტინე გამსახურდიაც, და...

და კიდეც მოსინჯავდნენ გზასა და საშუალებას იოტას უფლების აღსადგენად.

სალიტერატურო ქართულის ბედით საერთოდაც ძლიერ დაინტერესებული კონსტანტინე გამსახურდია, თავის სტილურ მანერას თეორიულ განსჯასაც რომ შეაშველებდა, საგანგებოდ აღნიშნავდა იმ საფრთხეს, რომელიც იდგებოდა XIX საუკუნის განმავლობაში და XX-ის პირველ ათეულ წლებში ქართული ენის წინაშე: გასოფლურება რომ მოელოდა, და შესაძლოა შთა რუსთველისა და გიორგი მერჩულეს ენა ორლობის ენად გადაქცეულიყო.

მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილსა და გრიგოლ ორბელიანს ბევრი რამ ეღონათ დარბაისლური ქართული ენის აღდგენისათვის თავიანთი ინტელექტუალური სიმწიფის ჟამს. და არსებითად ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი აღმოჩნდებოდნენ გამგრძელებელნი იმ მაგისტრალური ხაზისა, რომელიც მეხუთე საუკუნიდან მომდინარეობდა.

ენის კულტურის პროგრესი და მისივე პატრიოტიზმი რას მოითხოვდა და:

ყოველ შემოქმედს ენისა სასიცოცხლოდ ჰქონდა დასახული თუნდ ერთი მტკაველით წინ წასწრება წინამორბედებისათვის: და ეს საქმე მხოლოდ თავგანწირული გარჯით თუ აღსრულდებოდა.

და იოჰან სებასტიან ბახსა და რიჰარდ ვაგნერს რომ გაიხსენებდა: ერთიდაიმავე მუსიკალური ნიშნებით წერდნენ თავიანთ ქმნილებებსო, – ეს იმისათვის, რათა დაერთო:

მაგრამ ვაგნერი ბახის მიღწევებთან რომ შემდგარიყო, ვაგნერის ადგილი ცარიელი დარჩებოდა მსოფლიო მუსიკის ისტორიაშიო.

და პარალელიც გაევლო, რომ იგივე ხდებოდა მწერლობაშიც:

ილია სასტიკად ამიტომაც ებრძოდა გრიგოლ ორბელიანის გეზს ქართულ სალიტერატურო მეტყველებაში, თორემ ილიაც რომ იქ გაჩერებულიყო, სადაც ნიკოლოზ ბარათაშვილი და გრიგოლ ორბელიანი შედგნენ, ქართული ენა ჩვენამდის ვერ მოაღწევდაო.

ზოგი რამ სადავო რომ გასჩენოდა წინაპრებთან კონსტანტინე გამსახურდიას სალიტერატურო ენის საკითხების გამო?

მთავარი ის გახლდათ, რომ ეს არამცდაარამც არ გამორიცხავდა დიდ პატივისცემას მათი ხსოვნისადმი. ბოლოსდაბოლოს ახალ თაობას რომ არა ჰქონოდა ძველთა ნამოქმედარში კორექტივის შეტანის უფლება, განა რა აამოძრავებდა ადამიანურ პროგრესს ყოველი ხალხის ცხოვრებასა და ყოველ დროში?!

მოგვიანებით დაბეჯითებით უნდა განეცხადებინა:

არც მეცნიერს, არც მწერალს, არც პოლიტიკურ მოღვაწეს არავითარი ნება არა აქვს ქართულ ანბანს თუნდაც ერთი ასო გამოაკლოსო.

ამას ის გარემოებაც ათქმევინებდა, რომ:

მის ცნობიერებაში მყოფ ენათა შორის არცერთს ასეთი მარტივი, თანაც ფონეტიკურად ასე ზუსტი ანბანი არ მოეპოვებოდა.

და სიამაყით უნდა დაერთო:

1921-24 წლებში მე შევძელი უმართებულოდ გაძევებული და დავიწყებული იოტას კვლავ შემოღება. და მთელმა პრესამაც გაიზიარა ეს ამბავიო.

მაგრამ... ანბანში რომ არავის აღუდგენია ეს ასო-ნიშანი?

იოტას გაძევებას უხეშ ადმინისტრირებას რომ აბრალებდა, თუკი მის მცდელობას შესაფერისი ნაყოფი გამოეღო და მთელ პრესას მოსდებოდა იოტა, მერე... მერე სადღა დაკარგულიყო, ერთი-ორი ადამიანის გარდა არავინ რომ აღარ იყენებდა და კონსტანტინე გამსახურდიას მცდელობას მის ახირებასა თუ აჩემებას მიაწერდნენ?..

თავისაზე იდგა „დიდოსტატის მარჯვენას“ შემოქმედი:

რატომ უნდა იწერებოდეს თუნდ: „რევოლუცია“, „რეზოლუცია“ თუ „ევოლუცია“ – როდესაც სავსებით მართებულია: რევოლ҃უცია, რეზოლ҃უცია თუ ევოლ҃უციაო?

ნიუკესტლი უნდა შეგვენაცვლებინა ნ҃უკესტლით, ნიუ იორკი – ნ҃უ იორკით.

ვერას მიაღწევდა ამ მხრივ კონსტანტინე გამსახურდია – და ანბანის 33 ასო 33 ასოდვე დარჩებოდა.

საგანგებო სტატიის დაწერას განიზრახავდა ამ თემაზე გალაკტიონ ტაბიძე, ჩვეულებისამებრ გეგმას რომ შეადგენდა: ცხრაპუნქტიანს. და სათაურის ასარჩევად დიდხანს არ მოუწევდა ფიქრი: „ანბანი „ҙ“.

იოტას მიიჩნევდა სრულიად უკანონოდ განდევნილად ილია ჭავჭავაძის მიერ – ზოგიერთ სხვა ანბანთან ერთად. ზეპირად აღარ გაახსენდებოდა სხვა გაძევებულნი და თავისთვის ჩაინიშნავდა, რომ დაეზუსტებინა: რა და რა ანბანები იყვნენ.

ვერ აეხსნა ასეთი გამეტების მიზეზი, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ იოტა ილიას დროსაც დიდ საჭიროებას წარმოადგენდა.

ანბანი აღდგებოდა მხოლოდ ახალ ეპოქაში, ერთი დიდი წიგნიც გამოვიდოდა 1925 წელს: „რევოლ҃უციის პოეტები“.

აქ თავის წვლილს მიანიშნებდა გალაკტიონი – თვითონ რომ გამოიყენებდა იოტას, ამას დაარქმევდა აღდგენას, მაგრამ... ანბანში რომ არავინ დააბრუნებდა ამ ასო-ნიშანს?

დაინტერესდებოდა ცოტა არ იყოს გაღიზიანებული: რა მოსაზრებით განედევნა ილიას ეს ანბანი? როდის, რანაირად, რომელ გაზეთსა ან ჟურნალში, ვისთან კამათის დროს?

სად შეეფარებინა თავი განდევნილ ანბანს? მხოლოდღა ძველი წიგნების გადაბეჭდვისას ან ისტორიულ თარიღთა აღსანიშნავად: იოტა წელთა აღრიცხვისათვის ნიშნავდა... ზეპირად არც ეს მოაგონდებოდა, რომელ წელს ნიშნავდა ეს ასო, და ღიად დატოვებდა.

უხაროდა, რომ ხანდახან ახლაც იჩენდა თავს. აგერ მაგალითად: ვლადიმერ ტატიშვილის წერილში „ქართველები მოსკოვში“ („ლიტერატურა და ხელოვნება“, №29, 26 ივნისი, 1947) ეწერებოდა: ალექსანდრეს დაჲ.

მკითხველს ურჩევდა, დაკვირვებოდა აქ მოყვანილობას ამ ანბანისა – ზედვე ეტყობოდა, რომ თავს მკვიდრად არა გრძნობდა, შეწუღიყო ზევით, სადღაც, გალიორკაზე იმყოფებოდა. ის განირჩეოდა ამით სხვა ანბანთაგან, მაშინ როდესაც არ უნდა გამორჩეულიყო და თანაბარი ყოფილიყო სხვა ანბანებისა... ეს გვირგვინის მსგავსი ანბანი, უძველესი, წამოსული 26 საუკუნისაგან – ხუცური ანბანიდან.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ იმავე ნომერში დაბეჭდილ მეთაურ წერილში – „პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა და მწერლობა“ – იოტა უაღრესად საჭირო გახლდათ გამოთქმისათვის: პოპულარული.

ქართლელები ყოველი არსებითი სიტყვის დასასრულს გამოთქმის დროს იყენებდნენ ამ ბგერას. ისინი გამოთქვამდნენ: მამაჲ, დედაჲ, ჩვენებიანთ ნიკაჲ, ჩვენებიანთ სანდრუაჲ; ასევე სვანი („სვანური პოეზია“), აფხაზი (აფხაზური ლიტერატურა), ფშაველი (ფშაური პოეზია, აგრეთვე ვაჟა-ფშაველა), მოხევე (ალექსანდრე ყაზბეგი, ილია ჭავჭავაძე), იმერი (ნიკო ლორთქიფანიძე, დავით კლდიაშვილი), გურული (ეგნატე ნინოშვილი, ლალიონი, სიმონ გუგუნავა), მეგრელი (გიორგი ჭალადიდელი, გრიგოლ დადიანი) და სხვანი: რაჭველები, კახელები, მესხნი და აჭარლები. იოტა მათი საუბრის მუდმივი თანამგზავრი გახლდათ.

და კონსპექტური მონახაზი ამ სტრიქონებით უნდა დაგვირგვინებულიყო, აშკარა პროტესტად რომ აღიქმებოდა ილიას მიერ ქართული ანბანური დამწერლობის „ხელყოფისა“:

განქრნენ ძვირფასნი ანბანები: ჩუენი ქვეყანა,

მშვენი, თვინიერ, ჰოჲ, ზღუათა და ჴმელთა ზედა.

ნება რომ მისცემოდა, ხუთივე ასო-ნიშანსაც დააბრუნებდა გალაკტიონი ანბანში თავთავიანთ ადგილას, მაგრამ ეს ერთი მაინც, ეს იოტა...

ნუთუ მისი ჯადოსნური სტრიქონებიც ვერ ამოზიდავდნენ ამ ასოს აუცილებლობას?

მაშ თეორიული განსჯით შეეცდებოდა იოტას კანონიერი უფლების დამტკიცებას.

სტატია ვერ დაიწერებოდა და გეგმა... გეგმადვე დარჩებოდა?

რომც დაბეჭდილიყო, ვერც გალაკტიონ ტაბიძე მიაღწევდა ამ მხრივ რაიმეს – და ანბანის 33 ასო 33 ასოდვე დარჩებოდა.

ამ პერსპექტივას რომ გააცნობიერებდა, ტყუილუბრალოდ აღარ გაირჯებოდა ამ შინაარსისა და მოთხოვნის სტატიის შესადგენად, თუმც კონსპექტურ მონახაზს კი დაგვიტოვებდა თავისი გულისწყრომისა და პროტესტის დასტურად.

რისთვისაც ყმაწვილკაც ილიას მიეღწია, ეს ორი სახელოვანი მწერალი რატომ ვერაფერს გააწყობდა? ორივე ერთ ასო-ნიშანსაც ვერ „უპატრონებდა“. არადა: სად ამათი ამჟამინდელი ავტორიტეტი, დიდების ზენიტში მყოფი გალაკტიონ ტაბიძისა და კონსტანტინე გამსახურდიასი, და სად უდიპლომოდ გამოძევებული ახალგაზრდისა?!.

მაგრამ წყვეტდა არა ავტორიტეტი, არამედ მსვლელობა ბუნებრივი თუ არაბუნებრივი გზით.

კორექტივის შეტანაო, – ფრთხილად შეეცდებოდა კონსტანტინე გამსახურდია იოტასათვის გზის გაკაფვას, არც ეს სიფრთხილე რომ არ უშველიდა და არც დაჟინებული განმეორება ამ ასო-ნიშნისა, ხელსაყრელი შემთხვევა როგორც კი მიეცემოდა ანუ საერთაშორისო სიტყვებს მოიმარჯვებდა თუ უცხოელ მწერალთა გვარ-სახელთა გადმოტანისას დაისაჭიროებდა, მაგალითად უოლტ უიტმენისა.

აკაკი შანიძე, უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერი, წოდება-აღმატებანიც რომ არ დაჰკლებოდა, არამცთუ ამ ხუთი ასო-ნიშნის აღდგენას მოინდომებდა, მთლად ასომთავრული ანბანური დამწერლობის გაცოცხლებასა და შემოტანასაც ჩვენს კულტურულ-საგანმანათლებლო მიმოქცევაში იმ მოტივით: გვაქვს და რადა ვკარგავთ, რატომ არ გამოვიყენებთ, ევროპულ ენებში არის ასომთავრული და ჩვენ რატომ არ უნდა გვქონდეს, ქართული წიგნის შემკობაც გაადვილდება და ესთეტიკურადაც ამაღლდებაო.

მოინდომებდა შეეჯვარებინა ეს ორი ანბანი – ასომთავრული და მხედრული – და თავის წიგნებს ხომ არ შეჯვარებული ანბანით გამოსცემდა თვალსაჩინოებისათვის – რაოდენ მომხიბლავი გახლდათ ამგვარი შერწყმა-შეერთება, სამწერლო გაზეთის ფურცლებზე თეორიულ ნააზრევად და მტკიცებადაც გამოაქვეყნებდა, რათა ეს ნამოწყება მის კერძო მცდელობად არ დარჩენილიყო და საყოველთაო სახე შეეძინა. და ყმაწვილებიც იმთავითვე ასე აღზრდილიყვნენ: შეჯვარებული ანბანი განეცადათ ყოფიერების სახლადაც და ცნობიერების დადგინების სათავედაც.

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია – რევაზ თვარაძის რედაქტორობით – მხარში ამოუდგებოდა სახელოვან გრამატიკოსს და ისე წარმართავდა დისკუსიას, მკითხველს ეჭვიც აღარ უნდა შეპარვოდა აკაკი შანიძის წამოწყების განუზომელ სიკეთეში, და კიდეც მალევე გადაწყობილიყო ჩვენი გამოცემები ამ ნაჯვარ ანბანზე.

მტკიცება-მტკიცებისას აღიარებული ენათმეცნიერი გაიხსენებდა იმ ეპიზოდსაც ჩვენი სამწერლო ცხოვრებიდან:

1866 წელს „დროების“ მესვეურებს – გიორგი წერეთელსა და სტეფანე მელიქიშვილს – უკვე რომ ეცადათ ასომთავრული ანბანის შემოღება.

ამ წამოწყებამ ვერ იხეირაო, – მწუხარედ დასძენდა.

და როდესაც გამოეკამათებოდნენ, ამ გარემოებასაც მიაქცევდნენ ყურადღებას, რისი გახსენებაც ავტორიტეტულ მკვლევარს არ ენება:

იმავე ხანებში სხვა რამ რომ ეცადა ილია ჭავჭავაძეს, ერთბაშად ამოეღო რამდენიმე ასო ანბანიდან და ამ წამოწყებას კი მაშინვე ეხეირა, ეხეირა და აქამდისაც ხარობდა.

ამას ოთარ ჩხეიძე შეახსენებდა თავის პოლემიკურ სტატიაში – „რამეთუ გაცდუნებდეს“ – აკაკი შანიძეს, და დასძენდა, რომ: ეს არ მომხდარიყო პირადი ზეგავლენით ილიასი და არც ნაკლები ზეგავლენით გიორგი წერეთლისა თუ სტეფანე მელიქიშვილისა, არამედ გახლდათ ბუნებრივი შედეგი იმისა: ერთი რომ წაღმა მიდიოდა და მეორენი – უკუღმა.

პირიქით რომ მომხდარიყო?

ცხადია პირიქითაც დაემართებოდათ – მაშინ უკვე წერეთელ-მელიქიშვილის წამოწყება იხეირებდა, ილიასი კი ჩაფლავდებოდა.

დაე ყური დაეგდოთ და გაეთვალისწინებინათ ანბანის შეჯვარების მომხრეთ, რომ:

ძლევამოსილი ქართული ანბანი დასდგომოდა განვითარების ჭეშმარიტ გზას, დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ ბრძოლაში ჩართულიყო ქართული ანბანიც, და ანბანიც იბრძოდა ენათა ალყიდან, ენათა გარემოცვიდან თავდასაღწევად.

და ილიას განვითარების ეს ჭეშმარიტი გზა დაედასტურებინა თავისი რეფორმისტული ჩარევით.

და ოთარ ჩხეიძე აფრთხილებდათ:

ეს გარემოცვა კვლავაც რომ გრძელდებოდა და გონიერება მართებდათ გონიერთ. და თავმომწონეობისათვის გადადგმული ყოველი ნაბიჯი მწარე სინანულს თუ განგვიმზადებდა. ქართულმა ანბანმა თავისი გზა იცოდა, განვითარების ჭეშმარიტ გზას ადგა, გაევლო ის ეტაპები, სხვა ერები ახლა რომ ცდილობდნენ თავთავიანთი ანბანისათვის. და ამიტომაც ულონო გახლდათ ვნება რეფორმატორული, თუკი აუცილებლობით, ენის განვითარების შინაგანი კანონებით არ იქნებოდა ნაკარნახევი.

სამი-ოთხი დღე თუ დასჭირდება ძველი ანბანის შესწავლასო, – შეაგონებდა, უფრო კი უჩიჩინებდა ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს სახელოვანი მეცნიერი, – სამი-ოთხი დღე გაირჯებით და მოგენიჭებათ ბედნიერება, ბოლნისს ეწვევით თუ პალესტინასა, ამოიკითხავთ ძველ წარწერებსო.

და ოთარ ჩხეიძე პასუხად მიადევნებდა:

ძალიანაც კარგი, თუ გავყოფდით ისევე, როგორც გაყოფილიყო – ძველს ძველად და ახალს ახლად, თორემ შეჯვარება სულ არევდარევდა ყველაფერს. ევროპელები რომ იყენებდნენ ასომთავრულ ასოებს, მათი ანბანი, ამ ასომთავრულებიანად, ორმოცის სათვალავში ტრიალებდა, და ჩვენი მხედრული ანბანი ისედაც ლამის ორმოცამდე რომ აღწევდა, ასომთავრულიანად ოთხმოცამდეც ავიდოდა – მაშინ ილიას მიერ ამოყრილი ის ასო-ნიშნებიც უნდა აღგვედგინა... და ისედაც რომ აშინებდათ ჩვენი ანინდელი ანბანის რაოდენობა უცხოელებს, თუ გავაორმაგებდით, და იმ ასო-ნიშნებსაც წავუმატებდით, სულაც დავაფრთხობდით და გულს გავუხეთქავდით.

– ენა მარტო ჩვენს საღეჭად როდი გვნდომია, სხვაც რომ ვაზიაროთ ენასა ჩვენსა, დამწერლობასა ჩვენსა, და ვეღარ მოვიზიდავთ გაძნელებითა, გაადვილებით თუ მოვიზიდავთ.

და ნიშანდობლივი გახლდათ, რომ:

გამარტივებას ესწრაფოდნენ ის ენებიც, რომელთა მიბაძვასაც მოუწოდებდა თვისტომთ აღიარებული გრამატიკოსი.

ის რაღა იყო, არგუმენტად იმ მოსაზრების მოტანა:

შეჯვარებული ანბანი აამაღლებს დაბალ ხარისხს ქართული წიგნის გამოცემისაო?

მწარედ ეღიმებოდა ოთარ ჩხეიძეს:

სხვა ქვეყნებში თუ უკეთესად გამოდიოდა წიგნები, ეს იყო შედეგი უკეთესი ქაღალდის, უკეთესი სტამბებისა და უკეთესი ოსტატობის და არა ასომთავრული ასოების წყალობა.

რაც შეეხებოდა ერთფეროვნებას – ამ ვითომდა არგუმენტს: ერთფეროვანია ჩვენი წიგნები უასომთავრულოდაო – ამ მხრივ ერთფეროვანი გახლდათ უცხოური წიგნებიც, ერთიდაიგივე შრიფტი რომ მეორდებოდა და მეორდებოდა, მეორდებოდა და მეორდებოდა...

ჩვენთან კიდევ ასომთავრულის შემოღება მხოლოდღა გართულებული სიახლე იქნებოდა, მალე მარტო სირთულედ რომ შეგვრჩებოდა, თვალი რომ მიეჩვეოდა, და კვლავ ერთფეროვნებად მოგვეჩვენებოდა ნაბეჭდი.

მრავალფეროვნება ხომ სხვა რამ გახლდათ:

– აზრებშია მრავალფეროვნება, სახეებშია მრავალფეროვნება; აურაცხელია სახეები, აზრიც ასევე აურაცხელია, მცირეა ოღონდ საშუალებანი გამოხატვისა, გამოთქმისა, და ღირსებაც ისაა ანბანისა, უამრავი რო გამოითქმის უმცირესი საშუალებითა. ფერწერის საშუალებანი ბევრად მცირეა თუ უფრო მცირეცაა, არქიტექტურისაცა აგრეთვე და რაღა თქმა უნდა, მაგრამ ჰო არ ჩამომათვლევინებთ, თუ რამდენი რამ დიდებული, რამდენი რამ გასაოცარი შექმნილა ამა მცირე საშუალებითა!..

ეს მაინც როგორ არ დაერთო:

დიდებულად რომ იკითხებოდა შოთა რუსთველი უასომთავრულოდ.

ვაჟა-ფშაველაც ასევე დიდებულად რომ იკითხებოდა.

და ასომთავრულის შემომატება მხოლოდღა დაგრეხდა, დაამახინჯებდა მათ მხატვრულ სამყაროს და მეტს არას მოიტანდა.

ან ეს რაღა იყო, რუსთაველს ასე და მხოლოდ ასე რომ წერდა აკადემიკოსი: ?უსთველი – თვითონ რომ არასოდეს დაეწერა ასე „ვეფხისტყაოსნის" შემოქმედს, რადგანაც მის დროს უკვე მოძველებულიყო ასომთავრული თუ ნუსხური დამწერლობა, ორგვარი დამწერლობა მოძველებულიყო XII საუკუნეში და... როგორ არ გადაეკრა მწერალს ირონიულად: ახლა ასე რამ გააცხოველაო?!.

რაო, ესთეტიკურიაო?

დაე შეესმინათ, რომ:

სიძველის ესთეტიკა სულ სხვა რამ გახლდათ და სიახლე სულ სხვა – არ აირეოდა ერთმანეთში.

ერთადერთი, რასაც მწერალი გაიზიარებდა მეცნიერისას, ის იქნებოდა:

ჩვენს სკოლებში რომ ესწავლებინათ ძველი ანბანი, უხეიროდ გაბერილი პროგრამების ნაცვლად ასეთი და ამგვარი რამ ესწავლებინათ თუნდ ძველქართულ ლიტერატურულ ძეგლებთან ერთად.

ძალიანაც კარგი, ეს უნდა მოხერხდებოდა, მაგრამ... შეჯვარება?

უნდა შეგვეგნო, რომ ეს მხოლოდ ცთუნება გახლდათ, თანაც ისეთი ცთუნება, თაობანი რომ შეეწირებოდნენ ხოლმე წინაპართა დაუფიქრებლობას. ჩვენი ცნობიერების გარკვეული ფორმები დაკავშირებოდა ჩვენს ანბანს და ანბანთა თუ ენათა აღრევა ჩვენს ცნობიერებაშიც ბევრ რაიმეს აურევდა. და რაკიღა მძიმე იქნებოდა შედეგები, სულაც არა უბრალო და ზერელე, ამიტომაც მოთოკვა ესაჭიროებოდა ამგვარ სურვილებს.

სარედაქციო შენიშვნასაც გამოეხმაურებოდა, მეცნიერის წერილში რომ ჩაედგათ: შეჯვარებული ანბანით გამოცემულიყო ქართული ენციკლოპედიის მრავალტომეული:

თუ მართლაც აპირებენ ამ აღრეული ანბანით გამოსცენ ენციკლოპედია, ამ სარისკო ექსპერიმენტს მიანდონ ბედი ქართული ენციკლოპედიისა, იცოდნენ, რომ მკვდრადშობილი შერჩებათ ხელში და მაშ აქედანვე შეუკვეთონ აღაპები იერუსალიმის ქართულ მონასტერშიო.

აღიკვეთებოდა ეს გადაწყვეტილება, ეს წამოწყება ჩაიფუშებოდა.

ვითომ ზეგავლენით ოთარ ჩხეიძისა?

ზეგავლენა აკაკი შანიძეს ჰქონდა თუ ჰქონდა, ხელისუფლებაც კეთილი თვალით რომ უყურებდა, განსხვავებით შერისხული, შევიწროებული, დევნილად გადაქცეული ოთარ ჩხეიძისაგან... მაგრამ ამ ჭიდილში მწერლის შეხედულება თუ გადასწონიდა, იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, წალმა რომ მიდიოდა, მეცნიერი კი უკუღმა და მისი ის შეჯვარებულანბანიანი გამოცემები დარჩებოდა ახირებად თუ აჩემებად. ნეტა „ვეფხისტყაოსანს“ მაინც არ შეხებოდა შეჯვარებული ანბანით, რუსთველი ვერაფრისდიდებით რომ ვერ წარმოიდგენდა, ასე ულმერთოდ აჭრელებულად თუ შეიძლება ოდესმე გადაეწერათ მისი ეპოსი.

კონსტანტინე გამსახურდიაც რომ ელოლიავებოდა ამ ოცნებას: ეგებ როგორმე მოხერხდეს ასომთავრული ანბანის აღდგენა ამ გზით, მხედრულს რომ შეერიოსო, – აკაკი შანიძის წამოწყება ძალიან გაახარებდა: მე თუ ვერ მივაღწიე ჩემსას, აგერ მისი ავტორიტეტი მაინც გადაძალავსო, – და აღტაცებით შეეგებებოდა მოსალოდნელ ცვლილებას, კიდევ ერთხელ რომ გაიმეორებდა დაბეჯითებით:

ერთი ბედნიერება თან დაჰყვა ბერძნულიდან ევროპულ ენებზე გამოცემულ წიგნებს – ასომთავრულით დაწყება ტექსტისა, ასომთავრული წერტილის შემდეგ, ასომთავრული საკუთარი და გეოგრაფიული სახელების ბეჭდვისასო.

ხუცური გვერდს რომ არ უვლიდა ასომთავრულს, ფრიად უცნაური ეჩვენებოდა: მხედრულ დამწერლობას რად არ აეთვისებინა ეს კარგი ტრადიცია?

და ახლა როგორ არ მისალმებოდა აკაკი შანიძის თაოსნობასაც და გაზეთ „კომუნისტის“ ინიციატივასაც: ასომთავრულით დაწყებას ტექსტური პერიოდებისა.

მაგრამ ეს არ უნდა ეკმარათ.

ოფიციოზი აქ არ უნდა გაჩერებულიყო.

მტკიცედ მოითხოვდა მწერალი:

უცილოდ ასომთავრულით დაწყებულიყო ყოველი ახალი ფრაზა, ასომთავრულით დაწერილიყო გეოგრაფიული და საკუთარი სახელები.

თბილისში რომ არსებობდა საშრიფტო კომიტეტი, მის არსებობას ნომინალურად მიიჩნევდა და მოითხოვდა, ამ კომისიას მითითებოდა: წესიერად ემუშავა, თუ არადა სხვა კომისია არჩეულიყო.

„წესიერ მუშაობად“ გულისხმობდა ასომთავრულის გამოცხადებას შრიფტად და მხედრულთან მის შეზავებას, სულაც გადაუდებელ და საშურ საქმედ რომ მიიჩნევდა და გაჭიანურებასაც აღარ მოითმენდა, არათუ ამ რეფორმისტული წამოწყების ჩაშლას.

„კომუნისტის“ თავგამოდება ძალიან შეაგულიანებდა, მაგრამ საქმე ჯერ მისაყვანი გახლდათ ბოლომდე და გაცილებით მასშტაბურად, ვიდრე ოფიციოზი ეთანხმებოდა.

მაგრამ... ბევრი უკუღმართი რეფორმა რომ განხორციელდებოდა კომუნისტური მმართველობისას, ეს ერთი მაინც აღარ ჩაეწერებოდა მათ რიგსა და მწკრივში. იმათ ქართული ანბანის ბედი არ ანაღვლებდათ და – რა ბედენა იყო – კიდეც იყაბულებდნენ, მითუმეტეს აკაკი შანიძე და კონსტანტინე გამსახურდია მოითხოვდნენ თავგამოდებით, ავტორიტეტებიც და დიდად პოპულარულნიც ამავდროულად... მაგრამ რომ წარმოიდგენდნენ, ამხელა ანბანი გაგვიხდება სასწავლიო, თავზარი დაეცემოდათ და „კომუნისტის“ გაკეკლუცებასაც ძირშივე აღკვეთდნენ, არამცთუ მეტი მასშტაბურობა მიენიჭებინათ.

კიდევ კარგი კონსტანტინე გამსახურდია ამ მხრივ მაინც აღარ აჰყვებოდა აკაკი შანიძეს და შეჯვარებული ანბანითა და შეჯვარებული შრიფტით არ ააჭრელებდა თავის წიგნებს, ის კი არა ერთხელ, ერთადერთხელაც არ მიმართავდა ამ ექსპერიმენტს, თუნდ მინიატურა ან ნოველა გაეწყო შანიძისებურად, თორემ ერთბაშად დაკარგავდა მკითხველს – და არამარტო მათ, ვისაც ჯერ არ შეესწავლა ასომთავრული, არამედ მათაც, შესანიშნავად რომ იცოდნენ ეს დამწერლობა და იოლადაც კითხულობდნენ ძველ წარწერებს... მაგრამ თავისი ადგილი ჰქონდა ქართული დამწერლობის იმ პირველ სახეობას – ისტორიულიც, ესთეტიკურიც – ოღონდ არ შეეჯვარებოდა მესამე სახეობას, ძალდატანება აქ არ გამოდგებოდა, ვერ იხეირებდა და... აკი ვერც ეხეირა...

ეგაა: იოტას არ მოეშვებოდა კონსტანტინე გამსახურდია. ძალიან რომ დაიმედდებოდა, შეჯვარებული ანბანი თვითონვე მოიყოლებს ამ ასო-ნიშანსაცო, მერე იმასღა ეცდებოდა, თავისი ნაწერებით შემოეპარებინა, რაკიღა ამდენი წლის გადავლის შემდგომაც ხელს არ აიღებდა ამ განზრახვაზე. დაე დაკვირვებოდნენ, რომ მისი ის მცდელობა 20-იანი წლების ახირება კი არ გახლდათ, არამედ სისხლხორცეული საქმედ ქცეოდა... და მისი მოთაყვანე მთარგმნელები – მათი ერთი გუნდი – მის სტილისტიკას რომ გაიზიარებდნენ და ერთიხანობა მკვეთრადაც მოიმარჯვებდნენ, იოტასაც გამოიყენებდნენ ხოლმე სტილისტურ ნიშნად.

და ზვიად გამსახურდია მთარგმნელთა იმ გუნდშიც იგულისხმებოდა და ბოლოსდაბოლოს სულიერთან ერთად მისი ხორციელი მემკვიდრეც გახლდათ, იოტას ისიც რომ მოეჭიდებოდა და დროდადრო გაეელვებდა თავის ნაწერებში.

ნეტა საქართველოს პრეზიდენტობა შესაფერისად რომ დასცლოდა – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ბუნებრივი მდინარებისას მეორედაც ტრიუმფით რომ აირჩევდნენ, დიდი რამ ფიქრი არ ესაჭიროება – თუ შეეცდებოდა ამ ასო-ნიშნის უფლების აღდგენას და მის დამკვიდრებას ანბანში 33 თანამოძმის გვერდით?

ხუთივე გამოდევნილს ხომ არ მოუნდომებდა უკანვე დაბრუნებას, ოთხს კვლავაც ანბანის ფარგლებს გარეთ დატოვებდა და ამ ერთსღა მოაქცევდა მის საზღვრებში.

ვითომ ეს ნაბიჯი ილიას წინააღმდეგ მსვლელობად ჩამოერთმეოდა?

მაგრამ... ანბანურ-ენობრივი რეფორმა ილიას ისე სრულყოფილად განეხორციელებინა, რაიმე კორექტივის შეტანას არ იყაბულებდა და ხელოვნურად მიტმასნილ ასოს კვლავინდებურად მოიკვეთდა, თუნდ ერთხანს იოტა ანბანშიც ჩაწერილიყო.

და ამ გარემოებას რომ აწონ-დაწონიდა და გაითვალისწინებდა ზვიად გამსახურდია, ეჭვიც არ მეპარება, იმთავითვე გადაიფიქრებდა ანბანის კიდევ ერთხელ გადასინჯვა-გადახალისებას და... მოუბოდიშებდა მამის აჩრდილს: რაც არ გამოვა, არ გამოვაო!..

თავის ნაწერებში კი შეინარჩუნებდა ერთგვარ სტილურ ნიშნად – ვისაც ენება, დაე გაეზიარებინა ამგვარი მიდგომა და თვითონაც გაემეორებინა, თუ არადა დარჩენილიყო გარკვეული დროის მცდელობად, არცთუ ხანმოკლესი, კონსტანტინე გამსახურდიას 20-იანი წლების დასაწყისში კიდეც რომ ეგონებოდა: ეგაა და აღვადგინე, არ დავუთმე მისი გამეტება ილია ჭავჭავაძესა და იაკობ გოგებაშვილსო.

არადა: სხვა რა – სქოლიო გახლდათ, ერთიბეწო სქოლიო, „ორიოდე სიტყვას" დართული, დეკრეტის ძალა, კანონის ძალმოსილება რომ შეეძინა და აწ უკვე რეფორმირებული ანბანის კომპოზიციურ ჩარჩოში ვერავითარ ზედმეტობას ველარ მოითმენდა.

დაე დაფასებოდათ იმ ასოებს თავიანთი წვლილი და გარჯა, თავის დროზე აუცილებლობით ნაკარნახევი, ახლა ეს აუცილებლობაევე რომ ისტუმრებდათ ანბანური ჩარჩოს მიღმა, თორემ მთლად გადასაყრელადაც რატომ გაიმეტებდნენ – ძველი ძეგლების მეცნიერული გამოცემისას უიმათობა აბა როგორ იქნებოდა!..

ანბანის და მართლწერის დადგენისათვის უნდა შეელია ილიას ის უზარმაზარი ძალა, პრეზიდენტობისათვის რომ უნდა მოეხმარა?

რესპუბლიკად ესღა დარჩენილიყო – ქართული ენა:

ჩამოსაქცევად გამზადებული ციხე-სიმაგრე, ხელახლა რომ უნდა აღდგენილიყო, კიდევ უფრო გაძლიერებულიყო და გალამაზებულიყო, შინაგანი ძალმოსილება გარედანაც არანაკლები ექსპრესიითა და დინამიკურობით რომ უნდა აღბეჭდილიყო და მის მოქნილობასაც ბოლომდე გამოევლინა თავი.

ასეთი ენა თუ ჩაებმოდა ბრძოლაში, ასეთი ენა თუ გაუძლებდა სხვა ენათა ალყას და შეეცდებოდა იქიდან თავდაღწევას, ასეთი ანბანი თუ გაუძლებდა...

* * *

იოტა მაინც დაგეტოვებინაო, – შესჩიოდა კონსტანტინე გამსახურდია წინამორბედის აჩრდილს, თითქოს იმ გადახალისების აუცილებლობას პირადად ილია წყვეტდა და არა ანბანის განვითარების იდუმალი კანონები, რასაც ილია ჭავჭავაძე მხოლოდღა დაადასტურებდა იაკობ გოგებაშვილთან ერთად.

თავი მესამე

იდუმალი ხიდი გიორგი მერჩულესთან

1881 წლის 27 აპრილის „შინაურ მიმოხილვას" ილია ჭავჭავაძე იმით დაიწყებდა, რომ:

ალექსანდრე მეორე ავიდოდა თუ არა იმპერატორის ტახტზე, სულ სხვა, ახალი სიო დაუბერავდა რუსეთს. იმ დრომდე თვალდახუჭული და ენადაბმული ქვეყანა თვალს აახელდა, ენას ამოიდგამდა, ოღონდ ეს უცებ არ მოხდებოდა და არც ერთი კაცის ნებით – ეგ მოეტანა ცხოვრებას, რომელიც თავისდღეში უქმად არა ჩერდებოდა; ეგ მოეტანა ცხოვრების ნამუშევარს. და ახალი დრო თუ თავს რაიმეთი იჩენდა, ეგ იმით, რომ თავის თავს ცოტად თუ ბევრად იცნობდა და თავის მოთხოვნილებას აჰყვებოდა.

ახალთვალახელილი რუსეთი ცხადია ჯერ თავის თავზე დაიხედავდა, გაიჩხრეკდა თავისი ყოფაცხოვრების თირკმელებს, შიგნეულობას. ნახავდა, რომ ზოგიერთ მაცხოვრებელს ძარღვი ჩაწყვეტოდა, ჩირქი ჩადგომოდა და შეგუბებოდა. აღმოჩნდებოდა, რომ მისი სნეულების სათავე თვითონ ცხოვრების წყობა და აგებულება ყოფილიყო. ერთხელ და ერთხელ შემოღებული და გაუახლებლად დამკვიდრებული.

და უარყოფდა იმ წყობასაც და ყოველივე იმასაც, რაც კი იმ წყობას შეეწეოდა და ხელს უმართავდა.

არსებულის ეს უარყოფა წამოიწევდა იმ წრიდან, რომელსაც გონებით მცხოვრებ საზოგადოებას ეძახიან და რომელიც ყველგან და ყოველთვის ნუგეშად რჩება და იმედად ყოველი ერისა; და კიდეც ცხოვრების წარმატების უღლის თავში პირველი ჩადგება ხოლმე.

და ეს საზოგადოება მთელი თავისი ძალ-ღონით მიაწყდებოდა ამ უშველებელ საქმეს უარყოფისა და ყოველ მის მოქმედებაში ან წუნი და კიცხვა გაისმოდა დროგადასული ძველისა, ან მოძღვრება და ნატვრა ნელა აკვირტებული ახლისა.

უკეთესი წარმომადგენელნი ამ საზოგადოებისა – პოეზიაში, მეცნიერებასა თუ პუბლიცისტობაში – სულ ამ დიდი საქმის მიმდევარნი შეიქნებოდნენ დაუღალავად. მათი მართლაცდა დაუვიწყარი ღვაწლით ეს მთავარი უარმყოფელი მიმართულება ფეხს კარგად გადგამდა განზედ და რუსეთის ცხოვრების მოედანზეც დაიჭერდა ადგილს.

და რაკიღა აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერში ქვეყნად, ერთი მეორეს ადგილს არ უთმობდა უომრად, უბრძოლველად, აქაც ასე მოხდებოდა. და ყველასათვის ცხადი გახლდათ, რატომაც.

ჯერ ერთი:

არსებული, ძველი ისე არ გაცუდდებოდა, რომ ვინმეს გამოსაყენებელი არა ყოფილიყო.

მეორეც:

ბევრი იმისთანა მოდუნებული და შელახული კაცი გახლდათ ქვეყანაზედ, რომელიც ისე შესჩვეოდა ჭირს, რომ შეჩვეული ჭირი შეუჩვეველ ლხინს ერჩივნა.

და მესამე და ყველაზე უფრო ფესვმაგარი კიდევ ის იყო, რომ:

ყოველ არსებულს, ყოველ ძველს თავისი ადგილი უკვე დაეპყრო ადამიანის ცხოვრებაში, უმრავლესობისა ან აღიარებულიყო, ნებით თუ უნებლიეთ გულშეჯერებულიყო და ჟამთა ხნიერობით ბეჭედდაკრულიყო და დამტკიცებული.

ამ სამი მიზეზის გამოისობით ძველ, არსებულს მომხრე არ დაელეოდა. თვითონ ახალიც, რომელიც ძველის ადგილას უნდა ჩამომდგარიყო, დაბადებისთანავე უმალ ისე არ მომწიფდებოდა, რომ პირში ჩადებისა და დაღეჭვის მეტი სხვა აღარა სდომოდა რა. როგორც ძველი ობი, ისე ახალი კვირტი ძნელი დასანახი ყოფილა და ამიტომაც ესაჭიროებოდა მეტად საღი, გამჭრე თვალი გონებისა.

ეს მიზეზი მთელ რუსეთს ორ დიდ ბანაკად გაჰყოფდა: ერთში მოექცეოდნენ ძველი, არსებულის მომხრენი, მეორენი კი – ძველის უარმყოფელნი და ახლის მესვეურნი.

პირველს დაერქმეოდა „მამების ბანაკი“, და მეორეს – „შვილებისა“.

ილიას ძალიანაც არ ეჭაშნიკებოდა ეს რუსეთში მოგონილი სახელები, რადგანაც:

სრულებით არ უხდებოდა იმ საგანს, რომელიც ევროპაში მოქმედებდა კონსერვატორთა და ლიბერალთა გასარჩევად.

„მამობა და შვილობა“ თვალითაც გაირჩეოდა.

და სწორედ ამისთანა გარეგანად სანიშნავი სახელწოდების ბრალი იქნებოდა, ბევრ წყალწყალა ჭკუას გზა-კვალს რომ დაუბნევდა რუსეთში და – რუსეთის ბაძით – ჩვენშიც.

ამ მკაცრ შეფასებას არ იკმარებდა ილია და დაბეჯითებით განაცხადებდა:

ერთის სიბერე და მეორის სიყმანწვილე სამყოფი იყო ზოგიერთი ცრუპენტელა კაცისთვის, რომ ერთი ერთ ბანაკში მოექცია და მეორე – მეორეში, იმისდა მიუხედავად, თუ რა აზრების მაღიარებელნი არიან ან ერთნი და ან მეორენიო.

ერთი შეხედვით კაცს ეგონებოდა, რომ:

რუსეთის „მამების ბანაკი“ ერთი მხრივ და „შვილებისა“ მეორე მხრივ ევროპის კონსერვატორობასა და ლიბერალობას მოასწავებდა.

მაგრამ ამგვარ ფიქრს შეცდომად მიიჩნევდა ილია იმ მოტივით, რომ:

თუ რუსეთის ლიბერალობა, ამ ბოლოდროინდელი ხანისა მაინც, ჩამოჰგავდა ევროპის ლიბერალობას, რუსეთის კონსერვატორობაზე ამას ვერავინ იტყოდა, რადგანაც რუსეთში ჭეშმარიტი კონსერვატორობა ჯერაც არ არსებობდა.

ჯერ ზოგად სურათს რომ წარმოსახავდა ისტორიის ღირსი ყოველი ერის ცხოვრების აზრის ორნაირი წყობისა, აზრის ეს ორნაირი წყობა რომ შეადგენდა ცხოვრების მიმდინარეობას:

ერთი ის წყობა, რომელიც ცხოვრებას აღმოეჩინა, დაედგინა და კიდეც მოქმედებდა, მეორე კი ის – დღევანდელი დღე რომ თხოულობდა, მაშინ ეს მეორე წყობა იმარჯვებდა და ყოველი ახალი საქმის სათავეში მოექცეოდა ხოლმე. ახლა ეს წყობა დაიჭერდა პირველ ადგილს, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, ცხოვრება მაინც მოქმედებდა და ახალ საჭიროებას აჩენდა. ამიტომ ახალგამარჯვებულ წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდებოდა ხოლმე მოპირდაპირედ.

ამგვარად მიედინებოდა კაცობრიობის ყოფა და ამნაირ სვლას დასასრული არ უჩანდა. და თვითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არა იყო რა, თუ არა ამგვარად ფეხის გადანაცვლება.

პირველი წყობის მომხრეთ ევროპაში კონსერვატორებს უწოდებდნენ.

მეორისას – ლიბერალებს.

პირველნი წარმოდგებოდნენ უკვე დადგენილის მცველებად.

მეორენი – ახლის მესვეურებად და მნდომელებად.

თუმც პირველებს ყველაფერი ძველი სულაც არ მოსწონდათ.

და მეორეებს ყველა ახალი სულაც არ ენატრებოდათ.

ნუ გამოგვრჩებოდა და ჯეროვნადაც შეგვეფასებინა, რომ:

ბევრი იმისთანა ახალი ჩნდებოდა, რომლის მოსაპოვებლადაც ჭეშმარიტი კონსერვატორი სიცოცხლესაც არ დაზოგავდა.

და ბევრი იმისთანა ძველი არსებობდა, რომლის დღეგრძელობისთვისაც ჭეშმარიტი ლიბერალი თავის საკუთარ დღეს შეიმოკლებდა.

თვალსაჩინოებისათვის უკეთესი მაგალითი რა გვენება:

ირლანდიისათვის ინგლისის ხელიდან გათავისუფლება ახალი საქმე იქნებოდა, მაგრამ, ჭეშმარიტი კონსერვატორი ირლანდიისა თავს დადებდა, ოღონდაც ეს თავისუფლება მოეპოვებინა.

ირლანდიას დაწერდა და... საქართველოს იგულისხმებდა საკმაოდ გამჭვირვალედ, ინგლისს დაწერდა და... რუსეთზე მიანიშნებდა... და ამ მოდელით გამოხატავდა იმ რწმენას, საქართველოს გამოხსნისათვის რუსეთის ხელიდან ჭეშმარიტი ქართველი კონსერვატორი თავს რომ დასდებდა. და ქართველ ლიბერალებზე ნაკლებ არ აღიტაცებდათ ეს ახალი საქმე.

თვალსაჩინოებისათვის კი დაე კიდევ ერთი მაგალითი მოხმობილიყო:

ინგლისის „დიდი ქარტია“ ძველი რამ გახლდათ, მაგრამ ინგლისელი ლიბერალი უსიკვდილოდ არ დათმობდა არცერთ ასოს ამ ქარტიისა.

დაე გაეთვალისწინებინა მკითხველს, რომ:

ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლებოდა და იცავდა მარტოდენ იმისთანა ძველს, რომელიც – მისი გულწრფელი აზრით – ჯერაც გამოსადეგი გახლდათ და საჭირო ცხოვრებისათვის.

და თუ ხანდახან სცოდავდა რაიმეთი ქვეყანას, მარტო იმით, რომ ზოგჯერ ისეთ ძველსაც გადაეფარებოდა, რომელიც თუმც გამოსადეგი აღარ

იყო, მაგრამ უვნებელი კი გახლდათ და ძველის ადგილს არ უთმობდა ახალს – ვიდრე კარგად გულს არ დააჯერებდა, რომ ახალი კეთილს მოიტანდა.

ჭეშმარიტი ლიბერალობაც უარყოფდა მხოლოდ ისეთ ძველს, რომელსაც თავისი დრო და ჟამი მოეჭამა, დღესდღეობით ხარისხად გასდებოდა ცხოვრებას და წინსვლას უშლიდა. და ძველის მაგიერ ნდომულობდა იმისთანა ახალს, რომელიც ძველზე უკეთ მოუმართავდა ხელს ცხოვრების განკარგებასა და წარმატებას.

სადაც ბრალმდებელია, იქ მფარველიც უნდა ყოფილიყო.

ესეც შეგონება თუ გონიერი ანდაზა – ილიას როგორც უყვარდა თქმა – დასტურად იმისა, რომ: მარტო ამ ორკეცად გასინჯულ საქმეს მოსდევდა მართალი და ჭეშმარიტი.

და კაცობრიობას დღესაქამომდე სხვა გზა რომ არ აღმოეჩინა ჭეშმარიტისა და მართლის მოსაპოვებლად, ხელისგულზე მოჩანდა, და დღეისამაისიოთაც რომ ვერ აღმოაჩენდა უკეთეს გზას, ვიდრე აზროვნების წყობის ეს მდინარება და ურთიერთმონაცვლეობა გახლდათ, არცერთ გონიერ კაცს ეჭვიც აღარ უნდა შეჰპარვოდა.

ორკეცად გასინჯული საქმეო...

ამ ორკეცობას მოსდევს მართალი და ჭეშმარიტიო...

შეპირისპირებით სურათს ხელშესახებად უნდა გამოეკვეთა, თუ სადამდე შეიძლებოდა გაეწვდინა ხელი ან ძველის მცველს და ან ახლის უარმყოფელს, ან ძველის უარმყოფელსა და ახლის მნდომელს, რათა ჭეშმარიტ კონსერვატორობასა და ლიბერალობას არ გადაცდენოდა.

კონსერვატორთა უკან და ლიბერალთა წინ, მარცხნივ თუ მარჯვნივ, ბევრნაირი სხვადასხვა აზრის ნაკადულები რომ შეიმჩნეოდა კიდევ?

ილიას ეს ორი წყობა აზრისა იმიტომაც გამოერჩია, რომ:

ცხოვრების მიმდინარეობის შუაწელი აზრის ამ ორ მხარდამხარ მოარულ წყობას ეჭირა იმთავიდან ამთავამდე.

ეს ევროპული მოდელი თუ სურათი გახლდათ, ევროპული მორალით ნასაზრდოები.

აი რუსეთში კი სულ სხვა სურათს დაინახავდი.

აქ „მამები“ ისე გაიწევდნენ, რომ ყოველივე ძველს გამოესარჩლებოდნენ ავისა და კარგის გაურჩევლად და ყოველივე ახალს დაუწყებდნენ ძაგებასა და დევნას; გაქირს იზამდნენ ამაზედ და წინ ფეხს ველარ გადმოაბიჯებდნენ.

გაქირი რომელ ცხოველსაც სჩვეოდა, ყველას მოეხსენებოდა, და ილია მაინცდამაინც ამ გამოთქმას რომ მოიმარჯვებდა, უთუოდ იმიტომ, ძალდაუტანებლად რომ წამოუტივტივდებოდა რუსთველური: მაგრა იტყვის: ჩემი სჯობსო, – უცილობლობს ვითა ჯორიო.

„მამების“ შორს გაწევის მაგალითებს კი დიდი რამ ძებნა არ ესაჭიროებოდა, აგერ იდებოდა „რუსსკი ვესტნიკი“ და აგერ იდებოდა „მოსკოვსკიე ვედემოსტი“ – ეს ორი უპირველესი ფალავანი „მამებისა“.

ჯერ კიდევ გუშინ რას ღაღადებდა „მოსკოვსკიე ვედემოსტი“:

დამნაშავეებს რაღა უნდათ, აიღეთ და ჩამოახრჩეთო.

და საცინლად იგდებდა თანადროულ გასამართლების წესს, რომლის შემოღებისთვისაც განსვენებული იმპერატორი ევროპისა არ იკადრებდა მაგას და ეგრე უსირცხვილოდ არ შეეხებოდა ამ დიდ და ახალ დაწყობილობას, რომელსაც გასამართლების ახალ წესად იხსენიებდნენ.

და გაუმკაცრდებოდა კილო ილიას:

თუ გუშინ ამას კადრულობდნენ რუსეთის „მამები", რაღა უნდა ვთქვათ მასზედ, რაც ოცი წლის წინათ იქნებოდა მათი წყალობითო?

და აღარ უკვირდა, რომ:

ასეთ წყალგაღმა გაბიჯებას „მამებისა" – ანუ უკეთ რომ თქმულიყო: გაქირს – გაეგულისებინა „შვილები". და ამას გაეფიცხებინა, გაემწვავებინა და გაეკაპასებინა „მამებსა და შვილებს" შორის ბრძოლა და „შვილების" ბანაკი იქამდე მიეყვანა, რომ უარყოფდნენ არამცთუ მხოლოდ იმას, რაც ღირსიც გახლდათ უარყოფისა, არამედ ზოგიერთ იმისთანასაც, რომლის უარყოფისთვისაც წამოწითლდებოდა სირცხვილმორეული თანამედროვე ჭეშმარიტი ლიბერალი რუსეთისა.

გამრუდებულად შემოდიოდა სიახლე რუსეთში, გამრუდებულად იკიდებდა ფეხს?

ეს ცოდვა ახალუხლებზე მეტად „მამებს" უნდა ეტვირთათ, რაკიღა „შვილებისათვის" სხვა გზა აღარ დაეტოვებინათ, გარდა სასტიკი და შეუვალი შეწინააღმდეგებისა, და ამიტომაც მოხდებოდა, რომ:

„შვილების" ბანაკიც მხოლოდ უარყოფაზედ შედგებოდა და მესვეურობას ახლისა უკანა კუთხეში მიაგდებდა.

უკანასკნელი ფალავანი ამ თითქმის ყოვლისუარმყოფელი მიმართულებისა შეიქნებოდა მეტად სხარტი და ნიჭიერი მწერალი დმიტრი პისარევი, რომლის მეთაურობითაც ეს გადაჭარბებული უარყოფა იქამდე მიუშვებდა სადავეს, რომ უარჰყოფდა თვით ალექსანდრ პუშკინის მოღვაწეობასაც და მთელს უილიამ შექსპირს ერთ კაი სიგარას ამჯობინებდა.

და რა გასაკვირი გახლდათ, თუკი ეს მიმზიდველი, ლამაზად მოუბარი, ხელმსუბუქი მწერალი ბევრ მოზარდ ყმაწვილს ჩაითრევდა და ბრმად აიყოლიებდა.

და ილიას გულს ის მოუკლავდა, პისარევის მიმზიდველ ძალას ჩვენებურებიც რომ ვერ გადაურჩებოდნენ.

ზედაპირული ახსნა იქნებოდა, თუ ამ ჩათრევას მარტოდენ პისარევის მიმზიდველობას მივაწერდით. აქ ყმაწვილის გონება უარმყოფელობის სითამამესა და გაბედულებას უნდა გაეტაცა, რადგანაც ყმაწვილის გონებას ისე არაფერი იზიდავდა, როგორც სითამამე და გაბედულება, რომელსაც ბევრი ბრწყინვალე მხარე მოეპოვება, და ყმაწვილიც მას ეტანებოდა, რაც ბრწყინავდა. ბავშვისა არ იყოს, მაშინვე რომ გაუწვდის ხოლმე ხელს სინათლის ალს.

ამას ილია ამბობდა იმ ყმაწვილკაცობაზედ, რომელთაც ჯერ გონების თვალი არ უჭრიდათ, რომ ამ მიმართულების არსებითი ძარღვი ეპოვნათ.

იმის თქმა სულაც არ ენება, თითქოსდა უარმყოფელობას კარგი არა მოეტანა რა:

ბულბულივით უაზრო გალობისათვის პოეზიაში კრიჭა აეკრა და მადა წაერთმია, ავტორიტეტებზე ბრმად დანდობა საიქიოს გაესტუმრებინა, ისტორიისათვის, დიდკაცთა ცუღლუტობის ნაცვლად, საგნად ერის ყოფაცხოვრება ებოძებინა, ყმა ადამიანად ელიარებინა და გაეთავისუფლებინა.

წუხილით კი იმას წუხდა, რომ ბოლოსდაბოლოს, უფრო პისარევის წყალობით, ბევრი რამ ამ მიმართულებაში ჩალასავით ტკაცატკუცით აპილპილებულიყო და გონებაგაუხსნელი ყმაწვილკაცობა წაეტყუა, როგორც ფარვანა ცეცხლს.

კიდევ კარგი მეორე ნაწილიც რომ არსებობდა ყმაწვილკაცობისა, უფრო გონებაგახსნილი, სავსებით რომ შეითვისებდა ყოველივე კეთილს ამ მიმართულებისა და ზურგს შეაქცევდა ტყუილუბრალო ფრაზების ტკაცატკუცს.

ასეა თუ ისე პისარევისებრი უარყოფა დიდ მოდად შემოვიდოდა ბრმათათვის – ვისაც ადვილად და მოუმზადებლად, კუსავით სურდა ფეხის გამოყოფა ქვეყანაზედ, მათთვის ეს მოდა სწორედ რომ მისწრება იქნებოდა. და ამისათვის ორიოდე ფრაზა გესაჭიროებოდა:

პოეზია, საერთოდ ხელოვნება, რა ჭკვიანი კაცის საქმეა, ერთი წყვილი წაღა შექსპირს მირჩევნიაო.

ავტორიტეტები არა მწამსო.

ისტორია ზღაპარიაო.

ქვეყანაზედ მარტო გლეხკაცია ადამიანი და თავადი და აზნაური კი არაო.

დაისწავლიდით ამ ფრაზებს და... ლიბერალი იქნებოდით და ლიბერალი.

და გულსატკენიც ის იქნებოდა, რომ სწორედ ამგვარ ლიბერალიზმში ჩაცვივდებოდა ჩვენებური ყმაწვილკაცობის დიდი წილი.

თუ დააკვირდებოდით ჩვენებურ შინგამომცხვარ ლიბერალებს, ადვილად აღმოაჩენდით, რომ მარტოდენ ამ უთავბოლო ფრაზებით იკვებებოდნენ და ქვეყნის სასაცილოდ თავიანთ თავს ლიბერალებად და რადიკალებად იხსენიებდნენ. ყურს მიუგდებდი და... ყველგან, სადაც გინდოდა და არ გინდოდა, სულ ეს ფრაზები წამოგეჩხირებოდა, ფერად-ფერად ძონძებში გახვეულები.

ვიდრე სახელოვანი „სოვრემენიკი“ ედგებოდა სათავეში იმას, რაც შემდგომ „შვილების“ ბანაკად გადაიქცეოდა, ძველის უარყოფას დამჯდარი ჭკუა და მეცნიერება გაუძღვებოდა წინ და ახლის მესვეურობა თავმინებებული არ იქნებოდა.

ივან ტურგენევი ყოვლისუარმყოფელ ევგენი ბაზაროვს რომ გამოხატავდა რომანში „მამები და შვილები“, „სოვრემენიკი“ ამ პერსონაჟს თავის მოძმედ არ მიიღებდა და ითაკილებდა, თუმც კი ჭეშმარიტი ლიბერალური მოძრაობა რუსეთში და თვით უარყოფა „სოვრემენიკის“ საქმე გახლდათ და დროშა ლიბერალებისა მას ეჭირებოდა.

ხოლო დმიტრი პისარევი ევგენი ბაზაროვს გულში ჩაიკრავდა და თავისიანად მიიჩნევდა.

რად მოხდებოდა ასე?

რად და:

„სოვრემენიკისეულ“ უარყოფას კარგისა და ავის გარჩევა იწვევდა.

და პისარევისა ამას გადაცილებოდა და ბაზაროვივით კარგისა და ავის განურჩევლობა ემჯობინებინა.

დაე შეესმინა მკითხველს ილიასი, რომ:

ამგვარი მოქმედებით პისარევს ჭეშმარიტი ლიბერალობისათვის წინ კი არ გაესწრო, არამედ გვერდზედ გახტომოდა, მის მოძღვრებას ნახტომი შეშლოდა, ფეხი მოსხლტოდა და დაცემულიყო. დაძველებულიყო ის ახალიც და... მწარედ ელიმებოდა ილიას, რომ: ჩვენს ლიბერალებს ეს ჯერაც არ შეეტყოთ.

მართალია ამასობაში რუსეთიც წინ წაიწევდა, მაგრამ... მისი კონსერვატორობა ევროპულ კონსერვატორობას ვერ შეწვდებოდა და გადაიქცეოდა რეტროგრადობად... თუმც ლიბერალობა მაინც თავისას გაიტანდა, თავის გზაზედ დადგებოდა და ბევრ რაიმესაც შეიძენდა.

შეიცვლებოდა საუკეთესოდ რუს ლიბერალთა აზრი ხელოვნებაზეც, პოეზიაზეც, ავტორიტეტებზეც, გლეხსა და თავადზეც – უფრო ფართოდ გაიშლებოდა და გაიხსნებოდა მეცნიერების ნათელქვეშ. ცხოვრების შიგნითაც და მის გარეთაც ბევრ საგანს ფეხზე წამოაყენებდა, ბევრ ძველს უმფარველებდა, ბევრ ახალს აღნუსხავდა დასადგენად და ბევრსაც განსადევნად.

მაგრამ რაკიღა ეს ყოველივე ჯერ „ჩოტკში“ არ ჩაგდებულიყო, არ შეჯამებულიყო, რათა მზამზარეულად ხელზე დახვევის მეტი არა სდომოდა რა, და რაკიღა ჩვენებური შინგამომცხვარი ლიბერალებისათვის ღმერთს იმდენი ჭკუა არ გაემეტებინა, თვითონვე აღენუსხათ ის, რაც დღესდღეობით რუსეთის ლიბერალთა მოძღვრებას შეადგენდა, ამიტომაც ეს ჩვენი ტყუილი ლიბერალები კვლავინდებურად იმ აზრებში ტრიალებდნენ, რომელთაც კარგა ხანია თავისი დრო და ჟამი მოეჭამათ, თავისი შეესრულებინათ და ჩაილულის წყალიც დაელიათ.

და ილიასებურ სარკაზმსაც უნდა გაეკვესა:

ამ სახით ჩვენს ბრმა და ცრუპენტელა ლიბერალებს ჭეშმარიტი ლიბერალობა ცხვირწინ გაპარვოდათ, და თუ გაოცების ნიშნად ჯერ პირი არ დაეღოთ, ვაი, ეს რა საქმე მოგვსვლიაო, ეგ იმიტომაც, ჯერ კიდევ რომ არ შეეტყოთ, რა დღეში ჩაცვენილიყვნენ.

თუმც „მამებისა და შვილების“ ბრძოლას რუსეთში ბრმად აეყოლიებინა ჩვენებური ყმაწვილკაცობაც და იმ ბრმად აყოლილებს ეს ბრძოლა ჩვენშიც გადმოეტანათ, მაგრამ ჩვენს ყმაწვილკაცთა სასახელოდ როგორ არ ეთქვა, რომ:

მათგან თითოოროლა გამოინაპირებდა და თავის შეცდომას მალევე აღიარებდა, გამოვიდოდა და ცალკე გუნდად დადგებოდა ცხოვრების მოედანზედ.

და მას აქეთ ჩვენშიაც ყმაწვილკაცობა ორ ბანაკად გაიყოფოდა:

ერთში მოექცეოდნენ ისინი, რომელნიც რუსული უარმყოფელი მიმართულებიდან იმ ოთხი ფრაზის გარდა სხვა ვერას გამოიტანდნენ.

და მეორეში – ახალი გუნდის მომხრენი.

პირველნი დაიხვევდნენ ხელზე რუსულ „მამაშვილობას“, ენაზე დაიკერებდნენ იმ ოთხ ფრაზას და დღესაქამომდე აწიოწოს იძახებდნენ და იოლად გავიდოდნენ.

მეორენი კი დააკვირდებოდნენ ჩვენი ქვეყნის ვითარებას და დაინახავდნენ, რომ:

ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აწუხებდა, სულ სხვა ფათერაკი სდევდა, და ჩვენებური დღევანდელობა სულ სხვას თხოულობდა, სულ სხვას ღაღადებდა და მაშასადამე ჩვენი ლიბერალობაც სულ სხვა რამეზე უნდა მიქცეულიყო მთელი თავისი ძალ-ღონით.

და თუ აქაც ბედისწერას ისე ვერ გადავურჩებოდით, რომ „მამაშვილობა“ არ გამართულიყო, ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო და „მამებსა და შვილებს“ შორის მიჯნად დადებულიყო.

ის „სხვა რამე“ რას გულისხმობდა და:

ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენას, ფეხზე დაყენებასა და თავგანწირულ დაცვას ყოველი მოსალოდნელი ფათერაკისაგან.

ხოლო ეს ფათერაკი რომ მოსალოდნელი გახლდათ და ჯერაც – იმ 80-იანი წლების დამდეგს – თავიდან არ აგვცილებოდა, ყველასთვის ცხადზე ცხადი უნდა ყოფილიყო.

ის ახალი გუნდი მთელს თავის ძალ-ღონეს ამ საგანზე მიმართავდა.

ეს ახალი მიმართულება დაიპყრობდა მთელს ჩვენს ღარიბ ლიტერატურას:

„საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „დროება“ და ბოლოს „ივერია“ სულ ამ მიმართულების ბუკსა და ნაღარას დასცემდა. და საუკეთესო წარმომადგენელნიც ჩვენი პოეზიისა სულ ამას გაამხელდნენ, სულაც ამას იგალობებდნენ დღესაქამომდე.

გაელვებითაც არსად გაიელვებდა, თუ ილია არამცთუ წევრი გახლდათ ამ გუნდისა, არამედ – მთლად მეთაურიც. გარედან გამოხედავდა ამ გუნდის მოღვაწეობას და დიდი თავმდაბლობით აღნიშნავდა, რომ:

მართალია ჩვენი ვინაობის აღსადგენად ამ ახალ გუნდს ბევრი არა მოემოქმედა, რაკილა ამისათვის საჭირო მეცნიერებასა და ცოდნაში კარგა ქვეითობდნენ, მაგრამ ისიც დიდი საქმე გახლდათ, ამ მიმართულებისათვის რომ მიეგნოთ და ცოტად თუ ბევრად ფეხიც მოეკიდებინათ ჩვენს ცხოვრებაში.

და ისიც დიდად მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუკი ეს გუნდი ამ საგანზე მოახედებდა ჩვენს ალმაცერად მაყურებელ თვალს და, რაც ძალ-ღონე მოიპოვებოდა, სულ მაგ საქმეს ზედ მოახვევდა და შეაჭიდებდა.

რასაც ესენი ვერ შეიძლებდნენ?

სხვანი აღასრულებდნენ, ოღონდაც კი ამ მიმართულებას თავი დაეჭირა ჩვენს ცხოვრებაში, ღრმად გაედგა ძირი და ემოქმედა, ვიდრე საჭიროება მოითხოვდა.

ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი, ქართველი კაცი, დღესდღეობითაც მხოლოდ ამ მიმართულების მიმდევარი უნდა ყოფილიყო ჩვენში.

ნურავის ეგონებოდა, რომ ეს მიმართულება, რაკიღა უკვე დიდი ხნისა გამხდარიყო, იმიტომ ძველიც შექმნილიყო, და რაკიღა ძველი შექმნილიყო, იმიტომაც უკადრისად და სათაკილოდ მიეჩნიათ ლიბერალებს.

დაე ასე ეფიქრათ იმ ოთხფრაზიან ლიბერალებს.

ჭეშმარიტი ლიბერალები კი – ილიას ბაგით – იმას იტყოდნენ, რომ:

ეს მიმართულება იქნებოდა ახალი იმ დრომდე, ვიდრე ჩვენი ვინაობა თავის შესაფერის და კუთვნილ ადგილს არ დაიჭერდა ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეშიც არ მოექცეოდა.

– სხვა საგანი მაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველგან, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს.

ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენი ცხოვრების მდინარებისას თავისით თუ სხვისით აღმოჩნდებოდა, ეს ყველაფერი ჩვენი ვინაობის საქმისათვის უნდა შეგვერჩია და ქვეშ დაგვეყენებინა.

სკოლა იქნებოდა, ბანკი თუ თეატრი – ყოველივე სულ აქეთ უნდა შეგვებრუნებინა.

ვაყენებდით სადმე კაცს მარშლად, ბანკის გამგებლად თუ მასწავლებლად, თუ რაიმე სხვად?

ამ და მხოლოდ ამ მიმართულების სასწორზე უნდა აგვეწონა

აი ჭეშმარიტი ლიბერალის საქმე რა გახლდათ ჩვენში.

და ჩვენებური რეტროგრადი ის იქნებოდა, ვინც ამ ჩვენი დღევანდელი დღის მღაღადებელს ხმას არ გაუგონებდა, ყურს მოუყრუებდა და არ აჰყვებოდა.

და გინდ „მამა“ დაგერქმია ამისთანა კაცისათვის და გინდ „შვილი“, აქ სახელწოდება არაფერ შუაში იქნეოდა, ოღონდ ეს კი უნდა გვცოდნოდა, რომ:

მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ გახლდათ.

სლავიანებს, რომელთ ვინაობისთვისაც სხვადასხვა მტერი მიეჩინა ისტორიას, სულ ამ საქმისათვის მოეხმარათ თავიანთი დრო და მეცადინეობა. და ამისთანა თავგანწირულ კაცებს დღეს წმინდანებივით ლოცულობდნენ და თაყვანსა სცემდნენ. მათი უკეთესი წარმომადგენელნი იმით ქადულობდნენ, იმით ლიბერალობდნენ, რომ მაგ საქმეს მისდგომოდნენ და მარტო მაგით სულდგმულობდნენ. დღესაც ამ საქმეს ზედ აკვდებოდნენ და რასაკვირველია არც მოეშვებოდნენ, ვიდრე თავისას არ გაიტანდნენ.

თავიანთი ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახად თავიანთი წარსული ხელახლა აეყენებინათ საფლავიდან, გამოეჩხრიკათ, მისხლობით აეწონათ, გოჯით გაეზომათ ყველაფერი, რაც ძველად მოეპოვებოდათ, რაც მათ ეროვნებას, მათ ვინაობას, მათ ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულადაც ედებოდა.

გაუცოცხლებდნენ თავიანთ ერს – პოეზიის შემწეობით – დიდებულ საქმეთ ძველი გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულთა, ძველი ქველობისა, ძველი კაცურკაცობისა.

მოაგონებდნენ – ისტორიის შემწეობით – დავიწყებულ სახელოვან დღეებს წარსულისა, აღადგენდნენ, გაწმენდნენ, გააძლიერებდნენ დედაენას, ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილსა და შელახულს.

ამ გზით გამოაბრუნებდნენ, გამოაცოცხლებდნენ თითქმის სასიკვდილოდ გადადებულ ერს.

ერი თავის ვინაობას გაიგებდა, შეიტყობდა, რა ყოფილიყო, რა გამხდარიყო და რისი იმედი უნდა ჰქონოდა, შეიტყობდა და ფეხზეც დადგებოდა, ფრთას შეისხამდა.

ამის ნიმუშად ილია თუნდ ჩეხებს დასახავდა.

ასე მსჯელობა-მსჯელობაში სულაც პოლიტიკურ პროგრამას გადმოშლიდა და დასძენდა:

აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევადო.

აი რისთვის უნდა მომზადებულიყო ჩვენი ყმაწვილკაცობა, მთელი ევროპის მეცნიერებისა და გამოცდილების ფარ-ხმლით შეჭურვილი, აი რა მოედანი უნდა შემოეხაზა თავისი მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოერჩია.

ამისთვის არა კმაროდა კაცს დაესწავლა პარიზის ყავახანაში მოარული ფრაზები და ამით თავი მოეტანა.

ყმაწვილკაცობა უნდა მომზადებულიყო ბეჯითი და ზედმიწევნილი ცოდნით, უნდა, რამდენადაც შესაძლო იყო, ძირეულად შეესწავლა ევროპული მეცნიერება, წინ გაემძღვარა ევროპის გამოცდილება და ამ თოფ-იარაღით შედგომოდა ჩვენი ქვეყნის საქმეს.

უამისოდ ამ მოედანზე ვერაფერს, ვერანაირ სასიკეთო კვალს საბოლოოდ ვერ დააჩნევდა.

და თავის მხრივ ილიას ამაზე უკეთესი საგანი, ამაზე უკეთესი გზა, უკვე სხვაგან გამოცდილი და გამოყენებული, რაღა შეეთავაზებინა ჩვენი საიმედო ყმაწვილკაცობისათვის.

ეს საგანი და ეს გზა უნდა გაგვეთვალისწინებინა სულმუდამ, ვიდრე ასეთი დრონი მეფობდნენ.

რას ამბობდა ერთი სლავი პატრიოტი?

ჯერ მაცოცხლე და მერე მაფიქრებინე, თუ როგორ გავმდიდრდეო.

და ილია ურჩევდა თანამოძმეთ:

ნამდვილად გულშემატკივარმა საქართველოს შვილმა ეს სიტყვები უნდა დაიწეროს გულის ფიცარზედ და სხვა არაფერზე წაიტყუოს ჭკუა და ხელიო.

ყოველი ჩვენგანის მოქმედების საწყაო საზოგადო საქმეებსა თუ ლიტერატურაში რა უნდა ყოფილიყო?

მარტო ის:

თუ ვინ რამდენად აღასრულებდა და მისდევდა ამ ჩვენთვის მიუცილებელ საგანსა და გზას.

სხვა საწყაოს როგორ აფასებდა?

როგორც ტყუილსა და ამაოს: რადგანაც სხვისი ბაძი იქნებოდა და არა ჩვენი თავის საჭიროებაზედ გამოჭრილი.

საპროგრამო საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი თუ სულაც მუხლები ჩვეული მოვლენაა ილია ჭავჭავაძის ნაწერებში, არამცთუ ლიტერატურულ და პუბლიცისტურ სტატიებში, არამედ მოთხრობებშიც: „მგზავრის წერილები“ იქნებოდა თუ „ოთარაანთ ქვრივი“, ზოგჯერ კი მისი ესათუის

თხზულება თავით ბოლომდეც პროგრამად შეიძლებოდა აღექვა მკითხველს. და 1881 წლის 27 აპრილის ეს საშინაო მიმოხილვაც ერთ-ერთია იმ რკალში, გამზადებულ პროგრამად რომ წარმოგვიდგება.

გარდასული ხანა იდეოლოგიური თვალსაზრისით რაოდენ ლაკონიურად და ტევადად არის წარმოსახული, ორი მრწამსის ჭიდილი – კონსერვატორულისა და ლიბერალურის – რა სიღრმისეულად არის გააზრებული. საბაბად ისაა გამოყენებული: რუსული მოდელი ხელოვნურად ნუ გადმოგვაქვს ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების შეფასებისასო, – არსებითად კი განასხვავებს თეორიულ დოქტრინებსა და ყოფით რეალობაში მათი გამოყენების გზებს, თავისთავად მნიშვნელოვანი მრწამსი და მიმართულება დაცემული მორალის პირობებში როგორ შეიძლება დაკნინდეს და გადაგვარდეს – სასიკეთო, მოულოდნელად, მავნებლობად იქცეს, ბოროტების სულით გაიჟღინთოს და ქვეყანა, ნაცვლად ბუნებრივი გზა-ბილიკებისა, ჩიხისაკენ წაიყვანოს.

თავის ნამდვილ გამოვლინებაში კონსერვატიზმიც ღირსეულად წარმოდგება და ლიბერალიზმიც, და მათი ურთიერთმონაცვლეობის აუცილებლობაც ამით არის ნაკარნახევი – უკეთესი მომენტებისა თუ მოტივების გამოკვეთა, ზედმეტის უკუგდება და დარჩენილის მისადაგება საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივი მდინარებისათვის.

ჯერ ისედაც ძნელი აღსასრულებელი რომ არის თეორიული ნააზრევი ყოფით სინამდვილეში, რუსულ ნიადაგზე ეს სირთულე კიდევ უფრო გაღრმავდებოდა, ძალმომრე და შოვინისტური სულით რომ განიმსჭვალებოდა და აღარც კონსერვატიზმი იქნებოდა კონსერვატიზმი და აღარც ლიბერალიზმი – ლიბერალიზმი, ორივე ყოვლად მახინჯ იერს რომ შეიძენდა, და შესაბამისად – მათი ჭიდილიც წინ კი არ წასწევდა საზოგადოებრივი ცხოვრების დინებას, შეაგუბებდა და სულაც სხვა კალაპოტში მიუშვებდა, მდინარე... არხს რომ დაემსგავსებოდა.

და... ეს ფორმაც შემოიჭრებოდა ქართულ გარემოში, ისედაც ორ გუბერნიად დაყოფილში, ჩვენი ვინაობა ისედაც აღსადგენი რომ გაგვხდომოდა... და ახლა ამ ორი მრწამსისა თუ მიმართულების ჭიდილი რუსულ მღვრიე წყალში განათლული უნდა მოგვხვეოდა თავს, გაუკუღმართებული და მამებისა და შვილების ბრძოლად სახელდებული, ილია სიმღვრიესა თუ ბურუსის გადაწმენდას აქედან რომ მოჰკიდებდა ხელს, ძაფის ამ წვერიდან: თაობების ჭიდილი აქ არაფერ შუაშია, სულაც არ არის აუცილებელი უფროსი თაობა კონსერვატორი იყოს და უმცროსი თაობა კი – ლიბერალიო.

მახინჯი ფორმითაც რომ შემოიჭრებოდა ლიბერალური აზროვნება ყოფილი საქართველოს ტერიტორიაზე – რუსი ჩინოვნიკები, პოლიტიკოსები და პუბლიცისტები როგორც გვიხსენიებდნენ – კიდევ კარგი, რომ მხოლოდ ამ ფორმით არა და თავისი ჭეშმარიტი სახითაც უნდა გამოვლენილიყო ილია ჭავჭავაძისა და მისი გუნდის წყალობით, და ილია ამ „შინაური მიმოხილვით“ დაბეჯითებით შეეცდებოდა ამ ზღვარის გავლებას ნამდვილ და დამახინჯებულ ლიბერალიზმს შორის, ნამდვილი ლიბერალიზმი ისევე რომ ესწრაფოდა

ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენას, ფეხზე დაყენებასა და დაცვას ყოველი მოსალოდნელი ფათერაკისაგან, როგორც კონსერვატიზმი.

თორემ კონსერვატორებზე არანაკლებ ზარავდა ლიბერალ ილიასაც ლიბერალებად თვითგამოცხადებულ ადამიანთა ჟინი და მისწრაფება, ამოზრდილი ამ შეხედულებებიდან, მათი გაგებით ჭკვიან კაცს ხელოვნება ჩირადაც რომ არ უნდა ჩაეგდო და შექსპირისათვის ერთი წყვილი წაღა დაემჯობინებინა, ავტორიტეტები აბუჩად აეგდო, ისტორია ზღაპრად გამოეცხადებინა, თავადი და აზნაური კი ადამიანადაც არ შეერაცხა, გლეხი რომ ელიარებინა იდეალად.

ოხ ეს ოთხფრაზიანი ლიბერალებიო!..

მარჯვედ მიაგნებდა მათი დახასიათების ფორმულასაც, მეტი აღარც აღარაფერი რომ იქნებოდა საჭირო: ოთხფრაზიანებიო!..

და აბა მათი მოტანილი სიკეთე, ამ ოთხფრაზიანებისა, რა შეიძლება ყოფილიყო?!.

გრიგოლ ორბელიანისათვის ლიბერალთა სწორედ ეს ფრთა აღმოჩნდებოდა ყოვლად მიუღებელი: ლოცვა რად გვინდა? ღმერთი რად გვინდა? ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთიო, – რომ გაიძახოდნენ, ოღონდ აღარ განარჩევდა ამ ფრთას ილიასა და მისი გუნდისაგან და ყველას ერთ ტაფაში მოაქცევდა თავის იმ მკაცრ პასუხში – პოეტურად ჩამოსხმულში – შვილებისადმი, ილია რომ ივედრებოდა: მამები და შვილები არაფერ შუაშია, რუსული მოდელის გადმონერგვის ნაცვლად სჯობს ვილაპარაკოთ კონსერვატორებსა და ლიბერალებზე, ოღონდ განვასხვავოთ ნამდვილი ლიბერალიზმი ოთხფრაზიანთა ლიბერალიზმისაგანო.

იმ პასუხში არ განასხვავებდა გრიგოლ ორბელიანი ამ ორ ფრთას, ის კი არა, ილიას სწორედ მათ მეთაურად გამოიყვანდა, ღმერთი რად გვინდა, ლოცვა რად გვინდაო, რომ დიდგულობდნენ, მას მიაწერდა ამ სიტყვებს და გარეგნობაზეც მწარედ წაჰკრავდა: ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალიო, – პოლემიკური ლექსის გადაკეთებულ ვერსიაში ამ სტრიქონის გამეორებას რომ მოერიდებოდა.

ბედი არ გინდა?

ოთხფრაზიანებს ემიჯნებოდა და კიდეც დასცინოდა, არადა თვითონაც სწორედ იმ ოთხფრაზიანებში იგულისხმებდნენ, თანაც ვინ – მისთვის ასე-რიგად პატივსაცემი პიროვნება, რომლის ლირიკული სტრიქონებიც ბაგეზე ეკერებოდა და შემოქმედებით ძიებებშიც ჩაფლულსაც ძალდაუტანებლად ამოუჩნდებოდა ხოლმე, ხან ციტატებად, ხანაც მათ რემინისცენცია-გადაძახილებს რომ შექმნიდა თავისი ტაეპებით.

გარდასული საზოგადოებრივ-ლიტერატურული სურათის მიუკერძოებელი და რელიეფური აღდგენა მიუკერძოებელ და რელიეფურ აღდგენად, მაგრამ ამ შინაურ მიმოხილვას ის მოვალეობაც დაეკისრება, წინ გაეხედებინა საზოგადოება და ჩაეგონებინა, რომ კვლავაც მოსალოდნელი გახლდათ საფრთხე: სიახლის შემოჭრა დამახინჯებული სახით – დასავლეთში გაჩენილი დოქტრინის გადასხვაფერება და დამახინჯება რუსულ-შოვინის-

ტურ ქურაში და მაინცდამაინც ამ სახით მისი გადმონერგვის მცდელობა საქართველოშიც.

სოციალისტური მრწამსის მარქსისტული ვერსია ჯერ დასავლეთშიც ვერ გამოიყურებოდა დამამშვიდებლად ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ადამიანების თვალში, და ახლა მისი რუსული ნაირსახეობა მთლად უბედურებას გვიქადდა, თუკი დროულად არ აღიკვეთებოდა...

რაო, აღკვეთა შეუძლებელი იქნებოდა? მაშ ეგებ შენელება მაინც მომხდარიყო მისი, გარკვეულ ჩარჩოში მოქცევა, მთლად რომ არ გადაელეკა მოსახლეობის გონება გარეგნული ბრჭყვიალებით, უმთავრესად კი იმ მომხიბლაობით, ყოველი შეჩვეულის უარყოფა რომ იწვევს ხოლმე – გაბედულებად და სითამამედ რომ ჩამოერთმევათ ამისთანა მცდელობანი პისარევ-ბაზაროვებს, და არა უპატიებელ, გამოუსწორებელ შეცდომად, სულაც დანაშაულში რომ გადაიზრდება.

უარყოფა თვითმიზანი არ უნდა გამხდარიყო.

ახლის დანერგვას ძველის პირწმინდა შემუსვრით არ უნდა შესხმოდა ხორცი.

მთავარი ძარღვი ცხოვრების მდინარებისა ხელუხლებელი და შეუბღალავი უნდა დარჩენილიყო და მასზე დამყნობილიყო ახალი ნერგი – ილია და მისი გუნდი როგორც მოქცეულიყო თავის დროზე. და თუ ზოგჯერ გადაჭარბებანიც მოუვიდოდათ, მწარედ ინანებდა იმასაც ილია და ამის გამო შეიცვლებოდა მისი მსოფლხედვა ასე მკვეთრად – ლიბერალი მერედამერე კონსერვატორად რომ წარმოდგებოდა. და კრიტიკულ დარჯაკში რომ გამოატარებდა თავის სიჭაბუკეს და ზოგიერთ რაიმეს გადააფასებდა, წამითაც არ ინანებდა ანბანის რეფორმას, ის კი არა იმ ხუთი ასო-ნიშნიდან ერთზეც არ იტყოდა, და თვით იოტაზეც: ნეტა ხომ არ დამეტოვებინაო?!.

თვითონ ყველაზე უკეთ მოეხსენებოდა, ეს ამოკლება-ჩამატება მის ნებაზე რომ არ გახლდათ – ანბანისა და ენის განვითარების იდუმალი კანონები აწესრიგებდა ამასაც და ილია მხოლოდ იარაღი იყო იდუმალების ხელში, თორემ იაკობ გოგებაშვილი ხომ მაინც არ დასცემდა დასტურს და გადახალისებულ ანბანს კანონიერ და მოქალაქეობრივ უფლებას ხომ არ დაუმკვიდრებდა.

სახიფათოდ მოიწევდა მარქსისტულ ბრძმედში გამოწრთობილი სოციალისტური მრწამსი, სახიფათოდაც და საბედისწეროდაც, ჩვენ გაცილებით უფრო რომ დაგვაზარალებდა, ვიდრე რუსეთს, ჯერ მარტო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას დაგვიბრკოლებდა ყალბად გაგებული კოსმოპოლიტიზმით, პატრიოტიზმს გადაყლაპვას რომ მოუნდომებდა და განიორწყლებას.

ამ ხიფათს შეიგრძნობდა და შეიცნობდა გაბრიელ ეპისკოპოსი.

ამ ხიფათს შეიგრძნობდა და შეიცნობდა ილია ჭავჭავაძე.

და ჯერ ასე მოიარებით შეეცდებოდა მკითხველის ჩაგდებას გულისხმაში, გარდასული ხანის სურათებს რომ ამოუწევდა თვალსაჩინოებად, სახიერ პანორამად – რა მომხდარიყო სინამდვილეში და როგორ ცდილობდნენ

მის წარმოჩენას... და რა იყო მოსალოდნელი და მის წარმოჩენას როგორ შეეცდებოდნენ.

ხელისგულზე ხედავდა ამ ყოველივეს და დაე მისი ხელისგულიდან ამოეკითხათ სიმართლე — წრფელი და მიუკერძოებელი.

არც ის ყოფილა მამებისა და შვილების ჭიდილი და არც ახლა შეებმოდნენ ერთმანეთს მამები და შვილები, ეროვნული და ყალბად გაგებული კოსმოპოლიტური მრწამსი რომ დაუპირისპირდებოდა ერთმანეთს და ულმობლადაც, გვერდი-გვერდ რომ გაუძნელდებოდათ არსებობა და ან ერთს უნდა გადაეძალა და ან მეორეს.

გამჭვირვალეა მინიშნებული მოსალოდნელი ჭიდილი, რომელიც ადვილად ვეღარ ჩაგითრევდა, ან მცდარ შეხედულებას ვერ ჩაგინერგავდა, თუკი ახლო წარსულის სურათი სწორად, მართებულად გეცოდინებოდა. და უსათუოდ უნდა გაგეთვალისწინებინა, რომ რუსული ვერსიების გარეგნულ ხიბლსა და ტყვეობაში ახლა მაინც აღარ მოქცეულიყავი.

თორემ საქართველოსათვის სასიკეთო თუ იქნებოდა რაიმე სიახლე, ილიას ვინ დაასწრებდა მის შეთვისებას, ეროვნული სატკივარისა და საფიქრალისათვის მორგებას და დამკვიდრებისათვის ზრუნვა-თავგამოდებას.

ჭაბუკური სულისკვეთება ისედაც არ განელებოდა და ხელახალ მოზღვავებასაც იგრძნობდა, და ისე შეიმართებოდა, როგორც მაშინ, ერთბაშად ბევრი სათქმელი რომ მოაწვებოდა და ერთბაშადვე მოინდომებდა ამოთქმას, საბაბად კი ივან კოზლოვის „შეშლილს" დაიხვევდა, მის თარგმანს, რევაზ ერისთავს რომ დაებეჭდა „ცისკრის" ფურცლებზე, სანტიმენტალურ პოეზიას, მგრძნობიარე მკითხველზე, განსაკუთრებით ქალებზე, ძალიან რომ მოქმედებდა და რევაზიც მათი გულისათვის გაირჯებოდა, რათა ქართულადაც შეძლებოდათ გაცნობა, რუსი ქალები ცრემლს რომ ღვრიდნენ მთავარი გმირის უბედობით შეძრულნი.

დამიფასებენო, გუნებაში ეიმედებოდა, ქართულ ენობრივ სამოსელში რომ მოაქცევდა მწუხარე ამბავს, თან ეჭვიც არ ეპარებოდა, რედაქცია ძალიანაც დაინტერესდებოდა ამ პოემით – ეგებ ტირაჟიც გაეზარდათ – მგრძნობიარე მკითხველის შემომატების ხარჯზე, და მათ ცრემლისღვრას ერთი-ორი გროშით შეევსო „ცისკრის" ღატაკი სალარო.

ეს კეთილშობილური ზრახვებიც ამოძრავებდა რევაზ ერისთავს, გარდა იმისა, რომა გაუსაძლის ზამთრის ღამეებში ცოტა სულს მოითქვამდა და გაიხალისებდა, რაკიღა საქმეს გაიჩენდა. ერთ ზამთარს კი გადაატანინებდა კოზლოვი და მისი პოემა და... სხვა რაღა გინდოდა.

მოუწონებდნენ, დაუმადლებდნენ, და იქნებოდა გახარებული და კმაყოფილი, ყველა ოჯახში ისედაც საპატიო სტუმარი ახლა მთლად ნანინანატრი რომ შეიქნებოდა.

– აქეთ მობრძანდი, უფალო რევაზ!

– აქეთ დაბრძანდი, უფალო რევაზ!

– რას ინებებთ, უფალო რევაზ!

სულაც შუაგულში მოექცეოდა წვეულება-ნადიმებისა, ქალები განზე რომ გამოინაპირებდნენ და სთხოვდნენ წაეკითხა ცალკეული ადგილები პოემისა, ისე რომ აცრემლდებოდნენ, თითქოსდა პირველად ისმენენ ამ დრამატულ ამბავსო.

ისე ჩანდა, ასეც გალევდა წუთისოფელს, რომლის იქითაც აღარავინ მოიგონებდა მის სახელს, თუკი ელიზბარ ერისთავის, მისი სიძის, ბიოგრაფიით არ დაინტერესდებოდა ვინმე და სანათესაოსაც მიმოავლებდა თვალს – ბოლოსდაბოლოს ქეთევანი, მეუღლე ელიზბარისა და რევაზისა კი – და, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის შთამაგონებელიც გახლდათ და „ქეთევანის“ კომენტირებისას შეიძლება დასჭირებოდა მკვლევარს რევაზის ხსენებაც, როგორც იმდროინდელი პოეტისა და მთარგმნელის, ჟამთა დინებას რომ მიენამქრა მისი სახელი.

რას წარმოიდგენდა, დროდადრო როგორი ამბიციებიც უნდა მოძალებოდა, თუკი უკვდავებაში შეაბიჯებდა იმ შემთხვევითობის – ან ეგებ რაღაც კანონზომიერების – წყალობით, კრიტიკულ და რეფორმისტულ გუნებაზე დამდგარი ილია ჭავჭავაძე, ჯერაც სტუდენტი, მაინცდამაინც ამ თარგმანს რომ წამოავლებდა ხელს, მას დაიდებდა ნიმუშად და ოთხშიც ამოიღებდა, რათა განეზოგადებინა და გაეთვალსაჩინოებინა, რა ავტორებისა და რა თემებისთვის არ ეცალა ქართულ ლიტერატურას და რაზე უნდა გვეფიქრა და რაზე უნდა გვეზრუნა, თუ მიამიტურად კი არ დავინტერესდებოდით და მდარე გემოვნების მკითხველს კი არ დავიგულებდით ჩვენს ორიენტირად, არამედ მიზანდასახულად შევარჩევდით უცხოურ სამწერლო მონაპოვარს და ავამაღლებდით მკითხველის გემოვნებას, ივან კოზლოვისა და მისი „შეშლილისთანა“ თხზულებებს ახლოსაც რომ აღარ გავიკარებდით.

ზოგიერთი რუსი ამ პოეტში რაღაც პატარა ტალანტს მაინც ხედავდა?

ილია იმ პატარასაც ვერ დაინახავდა და მკითხველსაც შეაგონებდა, რომ ქართული ლიტერატურისათვის სრულიად არას წარმოადგენდა „შეშლილი“, დაძალებული გრძნობით სავსე, ხოლო დაძალებული გრძნობა, დაძალებული ცრემლი სასაცილო უფრო გახლდათ და საზიზღარი და არა მწუხარების აღმძვრელი.

დაე ჩვენშიც შეეტყოთ, რომ:

ივან კოზლოვი იყო ნიკალაი კარამზინის სკოლის მწერალი, და არამცთუ თავის ლექსებს შეჰყრიდა ჭირს ამ წირპლიანი სკოლისა, არამედ იმ პოეტებსაც, რომელთაც არუსულებდა და რომელთაც სულ არ სცვიოდათ ძალად გაჭიმული პაწაწინა გრძნობის უმარილო ცრემლი კარამზინივით და მისი მიმყოლი კოზლოვივით.

სხვა პოეტთა შორის ლორდ ბაირონიც ამოერჩია კოზლოვს სათარგმნელად: ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ერთიც მთელი პოემა, „აბიდოსელი საცოლე“, მაგრამ – მწარედ ეცინებოდა ილიას – სადღა მოიპოვებოდა ამ რუსულ ვერსიაში ის მეხი სიტყვა, ის საკვირველი ძლიერი სული ბაირონის გენიისა!..

ბაირონს ბევრი ტალანტი რომ გაეტაცა, ილია აღტაცებით იტყოდა, რომ:

თითქმის არცერთ პოეტს არ გაეჩინა იმდენი მიმბაძველი, რამდენიც ბაირონს – ევროპაში და ნამეტნავად რუსეთში, თუმცა კი სატანის სკოლის თავადად უხმობდნენ თანამედროვენი. მისი მიმბაძველნი – როგორც საერთოდ ხდება ხოლმე – ზოგნი სულ უნიჭონი იქნებოდნენ და ზოგნიც კარგა დიდი ტალანტისანი, რომელთან შედარებითაც კოზლოვი ბუზად თუ გამოჩნდებოდა. სხვა რომც არაფერი, თვით ალექსანდრ პუშკინიც, მიუხედავად თავისი გენიისა, ვერ გადაურჩებოდა მიმბაძველობის ჭირს: მთელი ერთი ხანა მისი ნაწერებისა, „კავკასიის ტყვიდან“ დაწყებული „ევგენი ონეგინამდე“, და თვით ეს რომანიც ლექსად თითქმის აღიბეჭდებოდა ბაირონის გავლენით.

მიხაილ ლერმონტოვიც რომ ბაძავდა ბაირონს, მთელს მის პოეზიასაც ეტყობოდა ბეჭედი მომხიბლავი ბაირონის გენიისა, თუმც კი ლერმონტოვი, როგორც მიმბაძველი, მაღლა იდგებოდა თვით პუშკინზედაც.

ხოლო კოზლოვი რომ შეეცდებოდა თავის პოემებში ბაირონის გმირებივით რაღაცის გამოხატვას, სად შეეძლებოდა მის პაწაწა ნიჭს პერსონაჟებისათვის შთაებერა ის მორჭმული, მოუდრეკელი სული ბაირონის ხასიათებისა! განა მარტო სიბნელე მოთხრობისა, მწუხარება, წყევლა და აი! უი! ოხ! უხ! და ამაზე უფრო უძლიერენი შორისდებულნი ქმნიდნენ ბაირონს. მისი გმირები კოზლოვის ბერივით კი არ კნაოდნენ და ჩიოდნენ, რათა ენუგეშებინა ვინმეს; ისეთი აგებულებანი გახლდნენ, რომ თავიანთ ტანჯვათა წვაში, ეჭვის ღრღნაში, თავიანთი სულის წყურვილში ხედავდნენ უკვდავების ღირს ცხოვრებას. არ შეეკედლებოდნენ მონასტრის კედლებს მოსასვენებლად, რადგანაც გამუდმებით მოძრაობა სურდათ; არ მირბოდნენ გულის გაუთავებელ წყურვილთა მოსარჩენად კაცთან, არამედ თავიანთივე გულის სიღრმესა და სულის უკვდავებაში ეძიებდნენ სასონარკვეთილების წამალს.

და ნაცვლად ბაირონისა, რომელსაც ცრემლის მაგიერ მდუღარე ტყვია სცვიოდა თვალთაგან და კალმის მაგიერ ხელთ ეპყრა მეხი, ივან კოზლოვი შეიქნებოდა ნიკალაი კარამზინის სკოლის ერთ მოტირალ და ღრეჭია აშუღად.

და რევაზ ერისთავს რომ აეღო მისი ეს უშვერი და გამოუსადეგარი პოემა სათარგმნელად, ილიას როგორ არ წამოეჭრა ამგვარი შეკითხვა: რა საჭიროა ახლა ან ჩვენი ლიტერატურისათვის და ან ხალხისათვის სანტიმენტალური სკოლის მწერლების გაცნობაო?

რამდენიმე წლის წინათ სარდიონ ალექსი-მესხიშვილს ეთარგმნა სანტიმენტალური სკოლის მწერალი ჟან-ფრანსუა მარმონტელი და იმას აწ უკვე კოზლოვიც მიმატებოდა.

თუკი ფიქრობდნენ: ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, თუ არ გაიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცთომილებაო, – ილია ცხადყოფდა ამგვარი ფიქრის მცდარობას: მაშ ისტორიას თავისი დიდი მნიშვნელობა აღარა ჰქონიაო.

ისტორია ხომ იმით გახლდათ დიდი, რომ გვიჩვენებდა ჩვენს წინაპართა ცთომილებას, და ამასთან გვასწავლიდა ჭკუას, როგორ უნდა მოვქცეულიყავით.

– მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ.

რას ირწმუნებოდა ჩინური ფილოსოფია?

რაც მამა-პაპას უქნია, ის ჩვენც უნდა ვქნათო.

მაგრამ თუ ამ შეგონებას მივყვებოდით, ჩვენც ჩინელებივით შევდგებოდით ერთ ალაგზე და წინ ფეხს ვეღარ წარვდგამდით.

უსაყვედურებდა და ასე მკაცრადაც რევაზ ერისთავს:

თუ კაცს რუსულიდან თარგმნა სურს, როგორ უნდა დაავიწყდეს ალექსანდრ პუშკინი, მიხაილ ლერმონტოვი და ნიკალაი გოგოლი და მივარდეს წირპლიან კოზლოვს, თანაც მის სუსტ პოემებში უსუსტესი როგორ უნდა ამოარჩიოსო?!.

და მძაფრი ირონიით მიადევნედა:

ისე კარგი კი უნებებია, ღონის გასასინჯად და გამოსაცდელად კოზლოვი რომ ამოურჩევია. ახლა თვითვე დარწმუნდება, რომ არამცთუ პუშკინისა და ლერმონტოვის თარგმნა შეეძლო, არამედ კოზლოვისა და სხვა უფრო მდარე, რითმების მბეჭველ პოეტთა, რომელნიც რუსეთში ქვიშაზე უმრავლესნი არიან. არა, კარგად მოქცეულა, პუშკინისა და ლერმონტოვისათვის რომ ხელი არ უხლია, თორემ მათი ქმნილებანიც ისე რომ წაეხდინა, როგორც კოზლოვის „შეშლილი“, სწორედ ღვთის გმობა იქნებოდაო.

აქ მკითხველს უნდა გამოთამაშებოდა ილია:

ჩვენს სტატიაში ნუ ელოდებით ესთეტიკურ კრიტიკას; ვინ ჩვენ და ვინ ესთეტიკური კრიტიკა! ჩვენ ერთი უბრალო სიკვდილის შვილი ვართ, სად შეგვიძლიანო?

ქვეტექსტურად რომ მიანიშნებდა:

ნამდვილი კრიტიკის, ესთეტიკურის გასაცნობად მოემზადეთ, რაღაც ახალი რომ ჩნდება ჩვენს ლიტერატურაშიო.

თვითონ ეს უშუალო მიმართვა მკითხველისადმი უნებლიეთ კი არ დაცდებოდა, არამედ ეს მხატვრული ხერხი მისი სტილის ერთ-ერთი ნიშანი აღმოჩნდებოდა, მის ნაწერებს რომ გამოჰყვებოდა: ბელეტრისტულსაც, პოეტურსაც, პუბლიცისტურსაც – ყოველთვის ბუნებრივი რომ იქნებოდა შეხმიანება-გადაძახილი მკითხველთან, მათ შორის თუნდ ამ მიმართვითაც, ინტიმურობის განწყობილებას რომ ჰქმნიდა.

სადღაც კი არ გულისხმობდა მკითხველს, არამედ – პირდაპირ მჯდომს, რომელსაც გულგადახსნილი უზიარებდა ფიქრსაც და სატკივარსაც, მეგობრად დაეგულებინა, თანამონაწილე რომ უნდა გამხდარიყო მწერლის მოსაზრებათა გაცხადებისა – გამგები და მისიანი, ღრმად შემგრძნობი აშკარად ნათქვამისაც და მინიშნებულისაც, არანაკლები მნიშვნელობა რომ ენიჭებოდა მკაცრი ცენზურის პირობებში.

იახლოებდა ამ მიმართვით.

თანამოაზრედ იხდიდა.

და აგრძნობინებდა, რომ ნაფიქრალ-სატკივარის ეს გაზიარება რაღაც დიდი წამოწყების ნაწილი გახლდათ, რაღაც გრანდიოზული ჩანაფიქრისა,

რომლის აღსრულებაც დიდი თანადგომის, დიდი აუდიტორიის, მერედამერე კი სულაც დიდზე დიდი აუდიტორიის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

ის ლექსიც, ის მოთხრობაც, ის ესთეტიკური თუ პუბლიცისტური სტატიაც ახალი სინამდვილის დადგომას მოასწავებდა, წინასწარმეტყველის რწმენითა და შეგონებით განათებულის. და ამ ახალი სინამდვილის გარდუვალობა უნდა განეცადა და ერწმუნა მკითხველს და თვითონაც ჩამდგარიყო ამ მამითადში იმ განსაკუთრებულის მოლანდებით შეჯანჯღარებული და აღვსილი, დაკარგული დამოუკიდებლობა რომ ერქვა, და ჯერ წარმოსახვაში უნდა შეეძინა კონტურები იმ სახელმწიფოს, რომლის სამუდამო გაქრობასაც არაფრისდიდებით არ უნდა შევგუებოდით, თორემ დაცემული ვინაობა დაცემულ ვინაობად დარჩებოდა და თვალსადახელშუა ისე ჩაგვეკარგებოდა, მერე ბევრიც რომ გვეძებნა, ვეღარც მივაგნებდით.

გაშიშვლებული ნერვით ამიტომაც იწერებოდა ამ ახალგაზრდა კაცის ყოველი სტრიქონი.

და თუ თვისტომთა თავმოყვარეობასაც შეეხებოდა მოურიდებლად, ისევ მათდა გამოსაფხიზლებლად, მათდა სასიკეთოდ დაამუნათებდათ: მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი, ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო, რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიაროო!..

ამისთანა მუნათი და საყვედური, ამისთანა და უფრო მკაცრი შეჯანჯღარება არ მოაკლდებოდა მკითხველს ილიას ხელში, სწორედ ეს სიმკაცრე რომ უნდა გაენელებინა იმ უშუალო, პირად მიმართვას, განსაკუთრებული ინტიმურობით განმსჭვალულს: ჩემოო!

ვინ ჩვენ და ვინ ესთეტიკური კრიტიკაო...

და თუნდ დიდი, დიდი ბობოლაც რომ ყოფილიყო და საამისო შეძლებაც მინიჭებოდა, ამ „შეშლილში“ მცირედი საზრდოც რომ არ მოიპოვებოდა ესთეტიკური კრიტიკისათვის?

ეს პოემა რა იყო და:

ჩვენი „ეო-მეოსავით“ რაღაც უბრალოდ აღსრულებული, რაღაც ბნელი სიუჟეტი. აქ ისმოდა რაღაც უიმედო სიყვარულის ტანჯვა, რაღაც უგემური ჩივილი, კვნესა და ოხვრა რუსის გოგოსი, როგორც კოზლოვი ირწმუნებოდა. მაგრამ ტანჯვა და რაღაც ჩივილის მსგავსი კნავილი არც ტანჯვასა ჰგავდა, არც ჩივილს, რაკილა აქ არ ისმოდა გულის განმგმირავი კვნესა მოტყუებული გულისა, არა ჩანდა ის უნებური სიუგუნურე მარტივი სოფლის გოგოს სიყვარულისა, რომლის მუხთლობასაც ჭკუიდან შეეშალა იგი.

მაგრამ... ილიას შეტყობით: ის გოგო რუსის მუჟიკისა შეშლილი სულაც არ გახლდათ და ძალიან კარგ გონებაზეც იმყოფებოდა, თუმც ავტორი იფიცებოდა: შეშლილიაო. მართალია ლაპარაკში თვალებიც ერეოდა და სახეც ეშლებოდა, მაგრამ ნურავინ დაიჯერებდა, თითქოს მხოლოდ თვალებისა და სახის ამღვრევაში ჩანდა ადამიანის ჭკუიდან შეშლილობა.

და ნიმუშად მოიშველიებდა უილიამ შექსპირის ოფელიასა და მეფე ლირს, რომლებზეც შემოქმედი სულაც არ ამბობდა: შეშლილები არიანო, –

მაგრამ აბა მიგვეყოლებინა გონება მათი სიტყვებისათვის და მაშინვე გავიგებდით შესაბრალისი შეშლილი ადამიანის სულის მდგომარეობას; თქმა რაღად უნდოდა, როდესაც საქმიდანვე ჩანდა ყველაფერი.

ხოლო თუ კოზლოვის პოემიდან ამოვფხეკდით ზედსართავ „შეშლილს“ და მერე გავსინჯავდით პერსონაჟის სიტყვებს, ჭკვიანადაც კი მოგვეჩვენებოდა.

როგორ მიეწერა ავტორს პოემისათვის: რუსული მოთხრობაო?

მაგრამ ამ მოთხრობაში მარტოდენ: ენა, ზარი, მარხილი და იემშჩიკი თუ იქნებოდა რუსული – თორემ სხვა არაფერი. და ქართველს ბევრიც რომ ეკითხა არამცთუ ეს საშინელი თარგმანი თავად ერისთავისა, არამედ ათი ათასჯერაც უკეთესი, მაინც არა გამოვიდოდა რა. და ჩაეღიმებოდა ილიას: ათი ათასჯერ არაფერი მაინც არაფერიაო.

რაკიღა რუსულისა ნიშანწყალი არ ეტყობოდა, მაშ ქართველი მკითხველი ფრჩხილისოდენადაც ვერ გაიცნობდა რუსის გოგოს. და თუმც კოზლოვი ირწმუნებოდა: რუსისააო, – მაგრამ რუსის სარაფანიც არ ეცმეოდა ზედ; რაღაც ურუსო რუსსა ჰგავდა, კოზლოვის ფანტაზიის შვილს, და არა რუსის ცხოვრებისა. და მაგას აღარც ჩიოდა ილია, პოემის გმირი რომ არ იყო რუსი, ოღონდაც მასში ერთიბეწო დრამატიზმი და ხელოვნება მაინც ყოფილიყო.

არასწორი შერჩევა სათარგმნისა უკვე უმართებულოდ წარმოუდგებოდა:

კოზლოვის ლექსები თვით რუსეთშიც ჩაბარებოდნენ პატრონს და ქართველებს რაღად გვინდოდა?!.

თუ სათავე მღვრიე იყო, ბოლოში ამაოდ დაუწყებდი ძებნას წმინდა წყალს, მაგრამ თვით ასეთი სუსტი პოემაც კი არ უნდა წამხდარიყო მთარგმნელის ხელში ისე, რაც რევაზ ერისთავს დაემართა მისთვის. და ისეთი ვერსია შეექმნა, შთამომავლობისათვის უნდა გადაეცა კაცს, რათა გამოუთქმელი სიცუდის მაგალითად თვალწინ ჰქონოდა.

თარგმანი ხომ თარგმანად არ ვარგოდა და ენა უფრო უვარგისი ექნებოდა რევაზ ერისთავს. და კიდეც უნდა გამორეულიყო ილიასებური სარკაზმი: გულდაჯერებით ვუწინასწარმეტყველებთ, რომ დრო მოვა, როცა მისი თარგმანით დასჯიან წარმართებს, როგორც დედოფალ ეკატერინეს დროს ვასილი ტრედიაკოვსკის ლექსებითა სჯიდნენო.

კითხვისას ილიას ხან ეცინებოდა და ხანაც ეტირებოდა, როდესაც ასეთ უენო ენად ნახავდა თავის საყვარელ ენას, რომელსაც აქ დითირამბს აღუვლენდა:

ეს ხომ ის ენაა, რომელზედაც ჩვენმა უკვდავმა შოთა რუსთველმა დაიღიღინა „ვეფხისტყაოსანი“, რომელზედაც დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები ალექსანდრე ჭავჭავაძემ, და რომელზედაც ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ამ უდროოდ დამარხულა ჩვენმა იმედმა, ჰარმონიულად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის ბედი“ და თავისი მართლაცდა ზეგარდმო შთაგონებული წვრილი ლექსებიო!..

ამ პასაჟში გრიგოლ ორბელიანი არ მოიხსენიებოდა, თუმც იქვე ხელმეორედ რომ ჩამოიწერებოდა ეს ჩამონათვალი, უკვე გრიგოლიც შეემატებოდა სამეულს მეოთხე წევრად და ისიც აღიარდებოდა იმ პოეტად, რომლის მშვენიერ ლექსებიდანაც უნდა შეგვესწავლა მშვენიერი ენა.

ხოლო გაკვირვებას რომ გამოთქვამდა:

რედაქტორი როგორ ბეჭდავს „შეშლილივით“ და უფრო შეშლილი „ზადაჩებივით“ გამოუსადეგარ სტატიებსო?

მაგრამ ივანე კერესელიძეს მთლად ვერც ამტყუნებდა:

აბა ნუ დაბეჭდავს და ნახავს, რამდენი ხელმომწერი მოაკლდება გულნატკენ ვიღაც „მოზადაჩების“ მეცადინეობითო.

თუ ხელმომწერი არ ეყოლებოდა ჟურნალს, როგორღა იცოცხლებდა? და ასეთ ჯოჯოხეთში იმყოფებოდა ყველა რედაქტორი, რომლის ჟურნალსაც საკუთარი კაპიტალი ანუ თანხა არ გააჩნდა. გინდა თუ არა, დამოკიდებული უნდა ყოფილიყო იმ კაცებზე, რომელნიც წინდაუხედავად, უთავბოლოდ, რაც მოხვდებოდათ და როგორც მოხვდებოდათ, ბღაჯნიდნენ, რადგანაც ეიმედებოდათ, რომ საბრალო „ცისკარი“, მათგან ფულით დავალებული – ნებით თუ არანებით – ადგილს დაუთმობდა თავის ფურცლებზე მათ გამოუსადეგარ სტატიებს.

დაფასებით დაუფასებდა ამ ყოფაში ჩავარდნილს, რომ:

ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ლექსები მაინც ხომ გაეცნო მკითხველისათვის, სხვა რომ არა ყოფილიყო რა.

აქ ყისტს წაჰკრავდა დიმიტრი ბერიშვილს, როგორც ახალი რითმის მარახუნებელსა და უმდარეს მწერალს, რომელიც გუთნისდედას აძინებდა და ანუგეშებდა, რომ ძილზე უკეთესი არა იყო რა ქვეყანაზე, – ის კი არ აგონდებოდა, რომ სულ მაგ მამაპაპურ ძილს დაველუპეთ. მაგრამ თუმც იგი პოეზიაზედ უკაცრავად ბრძანდებოდა, ენა მაინც უვარგოდა, თუმც ისიც ვერ აცდებოდა ამგვარ კონსტრუქციას რითმის ტრფიალების გამო: ფეხი გავიქნიე, ხელი – ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა: ფეხი და ხელი გავიქნიეო.

რევაზ ერისთავის ენა კი სწორედ ნაღველს გაუხეთქავდა კაცს, და ძალიან დიდი მოთმინება უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ „შეშლილი“ თავიდან ბოლომდე წაეკითხა, რაკიღა ისე ჭრიჭინებდნენ მისი სტრიქონები, როგორც გაუსაპნავი საპალნის ურმის თვლები. ნამეტნავად ნაზი აგებულების ქალისათვის უნდა მოგერიდებინა ეს თარგმანი, თორემ ჭლექად ჩავარდებოდა.

აქ ხშირად შეხვდებოდი იმისთანა კონსტრუქციას, „ხელი გავიქნიე ფეხი“ და ამგვარ აუარებელ სიღრმეს სიცარიელისა.

არ დაზოგავდა ილია არც თავის გონებამახვილობას, არც ირონიასა და იუმორს, და რაც მთავარია – კრიტიკულ უნარს, რათა დაესაბუთებინა, როგორ სრულიად შეშლილიყო კოზლოვის „შეშლილი“ ქართულ ენაზე და მის მთარგმნელს ერთიბეწო შებრალება და სიყვარული არა ჰქონოდა: არც იმისი, რაც ეთარგმნა, არც თავისივე ამორჩეული პოეტისა, არც ხელოვნებისა, არც თავისი მშობლიური ენისა. მარტო ის ჩანდა, რომ საკვირველად ჰყვარებოდა რითმების რახარუხი.

მაგრამ თვით ასეთი კრიტიკული პათოსის ჟამს ილიას არ გამორჩებოდა, რომ თარგმანში მოიპოვებოდა ექვსი სტრიქონი – ლამაზიც და მსუბუქიც, და მკითხველს წარუდგენდა, რომ მათში:

ხან მიიხედავს, ხან მოიხედავს,
გარემოს ჩვენსა საფლავს შეხედავს...
ამოიოხრებს, იწყებს ლოცვასა...
ხან ათრთოლდება, შეხედავს ცასა,
შეშინებული მე მომეკვრება
და ხან უეცრად კრეჭას მოჰყვება...

ჩანდა ენაც, მხატვრობაც, აზრიც და ის სურათიც, რომლის წარმოდგენაც ცხადად შეიძლებოდა. და ეს სტრიქონები ისე შვენობდა დანარჩენ სტრიქონებში, როგორც ვარდი ჭინჭრებში.

რევაზ ერისთავი გაუნაწყენდებოდა ამ პირმოუფერებელი სტატიისათვის?

ილია იმ რწმენით აღვსილი წერდა იმ მძაფრ კრიტიკულ სტატიას:

თვითონაც და ყველაც რომ სცოდავდა ქართული ენის გამოყენებისას და ჩვეულება ერთმანეთის ცოდვათა ჩვენებისა არამცთუ ზედმეტი, სწორედაც აუცილებელი გახლდათ.

მაშ როგორ გავსწორდებოდით, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინებოდა?

და ამას უნდა მოჰყოლოდა მისი მხატვრულ-იდეური და მოქალაქეობრივი მრწამსიც და ესთეტიკური მეთოდიც, ჩვეული სისხარტითა და ლაკონიურობით ჩამოსხმული:

ნეტა ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად აღეწეროს და დაგვანახოსო...

აი ის იქნებოდა ნამდვილი საქებარი მამულისმოყვარე და არა ის, ვინც მეტისმეტად დამჟავებული სიყვარულის გამოისობით ანგელოზივით წარმოსახავდა საქართველოს. ბოროტების აღიარება ხომ ნახევარ გამოსწორებას გულისხმობდა.

და ახლა კი ის სტრიქონები, სისხარტე და ლაკონიურობა განსაკუთრებულ ექსპრესიასა და ძალმოსილებას რომ მიაღწევდა და ღრმააზროვანი ფორმულა საქვეყნო ორიენტირად წარმოისახებოდა, ანდერძად რომ უნდა შემორჩენოდა შთამომავლობას და ილიას ყოველი ხსენება უთუოდ რაიმე სტრიქონებს რომ მოიყოლებდა, უპირველესად ამასაც:

– სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება.

და თუ ამათაც არ ვუპატრონებდით, რაღა კაცნი ვიქნებოდით, რა პასუხს გავცემდით შთამომავლობას.

რას წარმოიდგენდა ილია, უნებლიეთ გრიგოლ ხანძთელსა და გიორგი მერჩულეს თუ ეხმიანებოდა, X საუკუნეში დადგენილ ფორმულა-ორიენტირს იმეორებდა.

რას წარმოიდგენდა, რადგანაც სადღაც ჩაჩუმქრულიყო ბიოგრაფიული რომანი გიორგი მერჩულესი გრიგოლ ხანძთელზე, დაკარგული სახელმწიფოებრიობიდან ხელახლა შობილი საქართველოს თავგადასავალს რომ ჰყვებოდა – დრამატიზმითა და ტრაგიკული მოვლენებით აღსავსეს, მაგ-

რამ იმ რომანტიკული სულითაც გაჟღენთილს, ურომლისოდაც სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა ეს გრანდიოზული წამოწყება, დავით აღმაშენებლის მოვლინებით დაგვირგვინებული.

რას ნიშნავს მაინც სულიერი ერთობა, სულიერი თანაზიარობა, ათზე მეტი საუკუნით დაშორებულ მოღვაწეებს ერთნაირად რომ აფიქრებს და ერთნაირადაც ალაპარაკებს... თუმც ანკი რა არის ამ სულიერი, მისტიკური თანაზიარობის ფონზე ათი საუკუნე – ვითარცა წამი...

თურმე ეხმიანებოდა...

იმეორებდა თურმე...

ნახევარი საუკუნეც უნდა გასულიყო, ვიდრე ნიკო მარი აღმოაჩენდა ამ დიდებულ ლიტერატურულ ძეგლს – ბიოგრაფიულ რომანს გრიგოლ ხანძთელზე, აღწერას ცხოვრებისა, რომელიც ამ სამ საუნჯეს ეყრდნობოდა, ილია მამა-პაპათაგან ბოძებულად რომ მოიხსენიებდა და მათ გადარჩენაში ხედავდა თავისი მოღვაწეობის აზრსა და მიზანსაც.

ასე პირდაპირ სულაც არ ეწერა გიორგი მერჩულეს და არაერთი მკითხველის მზერა ისე გადაირბენდა ამ სტრიქონებზე, მათ გამჭვირვალე შინაარსს ვერ ამოიკითხავდა?

მაგრამ რისთვის გაჩენილიყო პავლე ინგოროყვა, თუ არა იმ აუცილებლობისათვისაც, ამგვარი რეალიები მიუგნებელი, ამოუცნობი და წარმოუჩენელი რომ არ დარჩენილიყო.

საიდან სად გაედო ხიდი ილიას, თურმე გრიგოლ ხანძთელს რომ დამოწაფებოდა... პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას, და უდიპლომოდ რომ აუკრავდნენ გუდა-ნაბადს, სულიერ და მისტიკურ ყოფაში ტაო-კლარჯეთში იმყოფებოდა თურმე... და იმ უდაბნოდან იწყებდა აღმასვლასა და დაქცეული ვინაობის აღდგენასაც და ყოფილი საქართველოს ამოგება-შემომტკიცებასაც, მოწაფე მოძღვარს რომ შეუთანასწორდებოდა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში მეორე გრიგოლ ხანძთელად წარმოდგებოდა, მისი სახელის სულ უფრო და უფრო გაზრდის კვალობაზე კი სხვა რაკურსიდან რომ გავხედავდით უკვე გარდასულ ხანას, ილიამდელ ილიათა ჩამოთვლისას გრიგოლ ხანძთელსაც მივაპყრობდით აღფრთოვანებულ და მოწიწებულ მზერას.

ილია ჭავჭავაძე მანამდე გრიგოლ ხანძთელადაც გამოგვცხადებოდა და გრიგოლ ხანძთელი ილია ჭავჭავაძედაც მოგვევლინებოდა.

რისთვის გაჩენილიყო პავლე ინგოროყვა, თუ არაო...

ეგებ უიმისოდაც არ დარჩენილიყო ის პასაჟი მიუკვლეველი და... არც დარჩებოდა, მაგრამ ასე დეტალიზებულად, ასე გულისგულამდე ჩაწვდომილად მის მეცნიერულ მონაპოვარში უნდა ეელვა და მარგალიტივითაც გამობრწყინებულიყო.

რას წერდა ამისთანას გიორგი მერჩულე და:

– ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების.

კიდევ გრძელდებოდა და საგულისხმოდაც გრძელდებოდა თხრობა, მაგრამ ამჯერად ის გაგრძელება სხვაგან გაგვიყოლიებს. ამიტომაც ეს სიტყვე-

ბი ვიკმაროთ და დავუკვირდეთ პავლე ინგოროყვას კომენტარს, ყურადღებას რომ მიაქცევდა იმ გარემოებას, გიორგი მერჩულეს თხზულებაში, სამეფო-სამთავროებად დანაწილებული საქართველოს რეალობაში რომ შექმნილიყო, რა ღრმააზროვნებით იკვეთებოდა იდეა ქვეყნის კულტურული მთლიანობისა, და არამარტო საეკლესიო ერთობის საფუძველზე, არამედ საფუძველზეც ენის ერთობისა, ვინაიდან ქართული ენა შეიქნებოდა კულტურის საერთო ენად საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

ესეც თავისი ეპოქისათვის კლასიკური ფორმულა საქართველოს მთლიანობისა.

და რათა მკითხველისათვის ყოველივე ბოლომდე ცხადი ყოფილიყო, ამ ფორმულას შესაფერისადაც დაანაწევრებდა მკვლევარი და მთავარ სიტყვებს ცალ-ცალკე გამოჰყოფდა და დაახასიათებდა.

ქართლი ამ ძეგლში რას ნიშნავდა და:

სულ სხვა შინაარსის გამოთქმას, არამარტო ეთნოგრაფიულ ქართლ-იბერიას, არამედ „ფრიად ქვეყანას“ ანუ დიდ ქვეყანას, მთელს საქართველოს.

სადაც კი ქართული ენა მიღებულიყო

და

სადაც ამ ენით შეიწირვოდა ჟამი და ლოცვაი ყოველი აღესრულებოდა.

და პავლე ინგოროყვას კვალობაზე რომ ჩავუფიქრდებოდით ამ ფორმულას, ზუსტად ის ცნებები წარმოგვიჩნდებოდა, აგერ ილია ჭავჭავაძე რომ იღაღადებდა და იქადაგებდა მამულის, ენისა და სარწმუნოების გამოცხადებით მამა-პაპათაგან ნაანდერძევ ძვირფას საუნჯეებად.

ეროვნული მთლიანობის კლასიკური ფორმულა იდუმალი კარნახის ძალით კვლავ შემუშავდებოდა სახელმწიფოებრიობადაკარგულ საქართველოში, იაკობ გოგებაშვილიც სავსებით რომ გაიზიარებდა ამ ტრიადას, მაგრამ გულს დააკლდებოდა ამ ფორმულაში სკოლის მოუხსენიებლობა და მეოთხე წევრად ანუ მეოთხე ბურჯად ერის წარმატებისა სწორედ სკოლას გამოაცხადებდა.

და კიდეც მიანიჭებდა ფორმულას იმ სრულყოფილებას იმ მეოთხე ბურჯის შემომატებით, ილიაც სავსებით რომ გაიზიარებდა ამ საბოლოო სახით.

პირდაპირი საბუთი და მოწმობა არსად მოიძევება, ილია გაიზიარებდა თუ არა იაკობისეულ ფორმულას – მეოთხე საუნჯისა თუ ბურჯის შემომატებას?

ისე გადაეჯაჭვებოდა მათი ბიოგრაფიები ერთიმეორეს, და ერთობლივადაც იმდენ სტატიას შეადგენდნენ პედაგოგიკის თემატიკაზე, დიდი რამ მიხვედრა და ვარაუდი არ ესაჭიროება, უმთავრეს სამოქმედო პრინციპებს რომ იზიარებდნენ. და ილია ასე ენერგიულად არ გადაეშვებოდა ქართული სკოლის აღმშენებლობაში, რომ არა მეოთხე საუნჯედ სწავლა-განათლების აღიარებისა.

გულისხმობით – ეჭვიც არ არის – იმთავითვე რომ გულისხმობდა სკოლასაც, როდესაც მამა-პაპათა ნაანდერძევიდან სამეულს გამოჰკვეთდა, მაგრამ იაკობისეული ფორმულა დაარწმუნებდა, რომ მინიშნება არა კმა-

როდა და ისევე კანთიელად უნდა აღენიშნა, როგორც ის სამი საუნჯე, რომლის შუაგულშიც ენას მოაქცევდა და გულახდილადაც განაცხადებდა:

სხვისა არ ვიცი და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებასო.

ენა ჰკრავდა მამულსა და სარწმუნოებას ერთ მთლიანობად, ენა ადუღაბებდა და განამტკიცებდა, ენა განსაზღვრავდა იმ ორთა სიმყარე-ძლევამოსილებასაც და ილია ამ დაწურული და ტევადი სტრიქონით აღუვლენდა მას ქებათა ქებას:

ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა და მაგას კაცი ცოდვილი ხელით არ უნდა შეეხოსო.

იქნებ ამ სტატიაში თვითონაც შეეცოდა ჩვენი საყვარელი ენისათვის, მაგრამ ხედვით კი ვერა ხედავდა?

ამიტომაც ამის განხილვას მკითხველს მიანდობდა.

თავის მხრივ კი დასძენდა:

ქართული ენა ისე გვიყვარს, ჯერ ვეცდებით, რომ მის წინააღმდეგ არ მოვიქცეთ და, თუ ღმერთი გაგვიწყრება და უხერხოდ მოგვივა რამე, მკითხველის ყოველ შენიშვნას სიხარულითა და მადლობით მივიღებთ.

მრავლობითი ფორმით იმიტომ: მარტოდენ თავის თავს რომ არა გულისხმობდა, არამედ თანამოაზრეთაც, რომლებისაც ძალიან ეიმედებოდა და არცთუ უსაფუძვლოდ – მარტოკინას რომ არ დატოვებდნენ ცხარე კამათში და აქეთ-იქიდან შემოუდგებოდნენ; და ანბანსაც და მართლწერასაც ილიას შემოთავაზებულს რომ გამოიყენებდნენ – მათი გემოვნების კანონმდებელი ილია გახლდათ და ვერ დაელოდებოდნენ, გრიგოლ ორბელიანი რას და როგორ გადაწყვეტდა.

ფინალში კი კვლავ მკითხველს უნდა გასაუბრებოდა გულითადობით და მოებოდიშებინა: იქნება ამ სტატიაში ჭკვიანურ განხილვას ელოდი და ვერა ჰპოვეო?

და ღიმილით მოიშველიებდა ანდაზას: როგორიც მღვდელიო, ისეთიც ერიო.

როგორც პოემა თარგმნილიყო, გამხილავიც ისეთი შეხვედროდა.

ვითომდა ისეთი...

და ის უმთავრესი ფინალურ აკორდად უნდა გაეჟღერებინა:

ეს სტატია ჩვენი ენის დამცირებამ დაგვაწერინაო.

და კვლავ ღიმილი, ილიასებური ლაღი და უშურველი, ირონიისა და სარკაზმის გარდა ესეც უხვად რომ მომადლებოდა, მაგრამ მათ ფონზე როგორღაც ჩაიკარგებოდა, არადა არანაკლებ ემარჯვებოდა და მკითხველსაც დროებით ამ ღიმილით გამოეთხოვებოდა:

ჩვენ ვინა და კალამი ვინაო?

თავს მოიგულუბრყვილოებდა, თორემ ისეთი გამჭვირვალე, ისეთი კანთიელი გახლდათ ქვეტექსტი:

რაკიღა დავიწყე, რაღა გამაჩერებს, მოვდივარ და დამხვდითო!..

სეტყვად მოდიოდა.

და... ქვად თუ დახვდებოდნენ?

ქვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გაყუჩებით არ გაუყუჩდებოდნენ და ერთბაშად სამი პიროვნება გამოეპასუხებოდა: თვითონ რევაზ ერისთავი, და მის გარდა – ბარბარე ჯორჯაძე და გიორგი ბარათაშვილი, მათი სამი წერილი ილიას მხიარულ გუნებაზე რომ დააყენებდა: ჩემს მოპირდაპირეთ რიცხვით ჯობნა სურვებიათ და არა თავიანთი სტატიების ღირსებით, იმ ზღაპრისა არ იყოს, ასმა კაცმა რომ ვერ შეჭამა და ერთი კაცის ლუკმა იყოო.

შეეტყო, სხვა პოლემიკური გამოხმაურებანიც რომ მზადდებოდა მასზე და... ერჩივნა ისინიც ამ სამს დამატებოდა: ჯერ ერთი, პასუხს ერთად გასცემდა, და მეორეც – ეს რამდენიმე კრიტიკა ერთად კაი ზომიერი ლუკმა მაინც გამოვიდოდა, რომ ღირებულიყო ჩასაყლაპავად.

რევაზ ერისთავი ზრდილობას რომ მოაგონებდა ილიას და უსაყვედურებდა: განხილვის მაგივრად ლანძღვა დაგიწერიაო, – ის არ მიიღებდა ამ საყვედურს:

ამას ჩემს აპრილის სტატიაზე ისინი იტყვიან, რომელთაც თავის დღეში კომპლიმენტების მეტი არა გაუგონიათ რა. მე ყიზილბაშობა არც მყვარებია და არც მიყვარს, როგორც მესმის, ისე ვლაპარაკობ და პირდაპირ ვეუბნები კაცს: ეს ცუდია და ეს კარგია-მეთქი... ლანძღვა ის არის, რომ იტყვი და არას დაამტკიცებ: დაუმტკიცებელი და უსაფუძვლო ქებაც კი ლანძღვაზედ საწყენია პატიოსანი კაცისათვისო.

რაც ეთქვა, ის დაემტკიცებინა კიდეც, როგორც შეეძლო. და რომ დაემტკიცებინა, იმოწმებდა იმ გარემოებას: ვერცერთი ჩემი კრიტიკოსი ვერ არღვევს ვერცერთ ჩემს მოსაზრებასო. რაც დამტკიცდებოდა, ის მართალიც გახლდათ; და რაც მართალი იყო, ის ლანძღვა ვეღარ იქნებოდა.

ერთგან ირონიულად რომ იტყოდა:

მე რომ სხვისი გემოვნებით ვცხოვრობდე, როგორც უფალი ბარათოვი (გიორგი ბარათაშვილი) ანტონ კათოლიკოსის გემოვნებითა ცხოვრობსო, სქოლიოს დაურთავდა:

ნურავინ გაიფიქრებს, რომ არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათოლიკოსისა. ანტონი დიდ ალაგს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისაო.

მხოლოდ იმას ამბობდა, რომ:

ახლა თუ პოეზიის განხილვას იმ დროის კანონებით მოვინდომებდით, ძალიანაც შევცდებოდით, რადგანაც მაშინ სხვაგვარად ესმოდათ, ახლა კი – სხვაგვარად.

ილიას ყოვლისმომცველი და ჩაღრმავებული ბიოგრაფია ჯერ კიდევ ელის თავის ავტორსო, – სარგის ცაიშვილი რომ აღნიშნავდა, მიადევნებდა, რომ: ზოგიერთი შტრიხი მისი პიროვნული თვისებებისა ასე თუ ისე მაინც გახლდათ ცნობილი.

ის გარემოება, რომ იგი სიმკაცრეს იჩენდა სხვათა მიმართ, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ყველაფერს, რადგანაც – მკვლევარი ამ ფსიქოლოგიურ შტრიხს ერთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდა – როგორც დიდ-

ბუნებოვან ადამიანთა წესია, ილია საკუთარი თავის მიმართაც ასევე მომთხოვნი და კრიტიკული გახლდათ. და უდრტვინველად ღებულობდა მართებულ შენიშვნებს, თუნდ ისინი ლიტერატურული „მტრების“ ბანაკიდან ყოფილიყო გამოსროლილი.

ილია ერთ საუკეთესო მოქართულედ აღიარებულიყო და ქართული ენის კანონმდებლად?

მაგრამ მის პირველ, სიჭაბუკისდროინდელ ლექსებში აქა-იქ რომ გაპარულიყო დაუხვეწავი ფრაზა ანდა ქართულისათვის უცხო კონსტრუქცია – რაშიც გარკვეული როლი ეთამაშა ამ წლებში პოეტის მოწყვეტას მშობლიური გარემოდანაც – სარგის ცაიშვილიც ადასტურებდა, და იმ ცხარე პოლემიკისას მოპირდაპირენი ხელზე დაიხვევდნენ ამ დაუხვეწავ სტრიქონებსა თუ არცთუ მარჯვედ შერჩეულ გამოთქმებს.

არ მოაკლებდა ილია ირონიასა და სარკაზმს გიორგი ბარათაშვილს, რომელიც თავის იმ საპასუხო სტატიაში დაიწუნებდა ლექსის – „ელეგია“ – იმ სტრიქონს: როსღა გვექნება ჩვენ განღვიძებაო: უთუოდ ხუმრობით მოსვლია ასეთი ლექსი, თორემ განა თვითონ უფალმა ჭავჭავაძემ არ იცის, რომ არ ითქმება „გვექნება გაღვიძება“ და უნდა იყოს „როს გვეღირსება ჩვენ განღვიძებაო“?

რაოდენ გაღიზიანებულიც უნდა დარჩენილიყო ილია გიორგი ბარათაშვილის შემოდავებით, აზრადაც არ მოუვიდოდა, აინუნშიც არ ჩაეგდო მისი შენიშვნა და ან ჯიბრით არ ეღო ყურთ.

მისთვის უპირველესი ტექსტის დახვეწა-სრულყოფა გახლდათ და ამიტომაც მომდევნო პუბლიკაციისას ლექსში შეიტანდა შესწორებას თითქმის ისე, როგორც რეცენზენტს შემოეთავაზებინა: ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძებაო?!

და როგორ არ დაერთო სარგის ცაიშვილს: ამ გასწორების შემდეგ მხატვრული თვალსაზრისით დიდებული „ელეგია“ კიდევ უფრო უზადო შეიქნაო.

ბარბარე ჯორჯაძეს ისე უმეორებდა „ანბანთ თეორეტიკასა“ და „შინიდან ფეხის გამოუდგმელობას“, მთელს იმ პოლემიკურ გამოხმაურებას გამოადევნებდა და ცხადყოფდა, რომ მწერალი ქალის შენიშვნებისათვის შეუძლებელია რაიმე ანგარიში გაეწია... მაგრამ აი იმ მიუღებელ შენიშვნებს შორის გამოერეოდა დაწუნება ლექსის – „გაზაფხული“ – იმ ფრაზისა: ტყეს ესხმება ფოთოლიო, – რომლის უხერხულობას აწ უკვე თვითონაც იგრძნობდა ილია და კიდეც შეასწორებდა: ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალიც ჭყივისო...

ნურავის მოეჩვენება წვრილმანი ეს რედაქციული ცვლილებანი, ხელშესახებად რომ აირეკლავს ილიას დიდბუნებოვნებას და პირად ურთიერთობაზე, პირად განაწყენებაზე მაღლა ლიტერატურული და მხატვრული ინტერესის დაყენებას.

ბევრს გაუძნელდებოდა თავის მორევა გაცხარებული პოლემიკის ჟამს თუ მისი გახსენებისას, ბევრსაც და... თითქმის ყველასაც: უმართებულოდ

შემომტევთა რაიმე შენიშვნას, თუნდაც სწორს, როგორ გავითვალისწინებთო. მაგრამ თუკი შენიშვნა შენი ნაწერის გაუკეთესებას შეუწყობდა ხელს? არც დააკვირდებოდნენ, ის კი არა, სწორედაც ჯიბრით დატოვებდნენ ძველებურად.

მაგრამ ილია ვის გაჯიბრებოდა – მკითხველს? მის წინაშე ჯერ მკითხველი იდგა – თანადროული თუ საუკუნეთა გადაკეცვის კვალობაზე შორიდან და შორიდან შემომყურე, და მათ და სწორედ მათ უნდა მიწოდებოდათ ბოლომდე ჩასუფთავებული, დახვეწილი ტექსტი, ავტორს გულს რომ აღარა დააკლდებოდა რა.

ამ ფონზე სულ რაღა გასაკვირია, „განდეგილის“ საჯაროდ წაკითხვის შემდგომ ყურად რომ იღებდა მისადმი ასერიგად კეთილად განწყობილი, სულაც მოთაყვანე იონა მეუნარგიას კრიტიკულ შენიშვნას: პოემაში თვით განდეგილის სურათს ვერ ვხედავ, მისი გარეგნობის აღწერას, მის პორტრეტსო.

და ილია დასაბეჭდად გამზადებულ ტექსტს მეხუთე ხანად რომ დაუმატებდა განდეგილის აღწერას, სარგის ცაიშვილი ყურადღებას მიაქცევდა, რომ:

ეს დამატება არ იქნებოდა იმ სახისა, როგორც ეს ალბათ წარმოედგინა შენიშვნის ავტორს. ეს მაინც არ იქნებოდა პლასტიკური ხერხებით მოხაზული რეალისტური პორტრეტი მეუდაბნოე მწირისა, რადგანაც ასეთი პორტრეტი აშკარად სტილურ აღრევას შეიტანდა მთელი პოემის არქიტექტონიკაში, რომელიც ითვალისწინებდა შუა საუკუნეთა ამ ყაიდის თხზულებათა მყარ ტრადიციას.

პოემაში სიმძიმის ცენტრი – რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებდა პოეტის მხატვრულ ალღოზე — გადასულიყო სულიერ მოძრაობებზე, მინიშნებებზე და მეუდაბნოეს პორტრეტიც არსებითად მსგავსი მხატვრული ხერხით შესრულდებოდა.

სანიმუშოდ მოიხმობდა მკვლევარი გიორგი მერჩულეს ბიოგრაფიული ქრონიკიდან მსგავსი სტილით შესრულებულ პორტრეტს გრიგოლ ხანძთელისა, სულიერ სიქველეს რომ უფრო გადმოგვცემდა, ვიდრე გმირის დეტალურად აღნერილ გარეგნობას:

– იყო ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლადკეთილ, სრულიად გუამითა მრთელ.

მართლაც აშკარად ემთხვევა, არა, ილია ჭავჭავაძისა და გიორგი მერჩულეს დამოკიდებულება თუ გააზრება გმირთა პორტრეტების წარმოჩენისას?

თითქოს ილიას წინ ედო „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ და მის კვალობაზე, მისი შთაგონებით მოხაზავდა განდეგილის უფრო სულიერ, ვიდრე გარეგნულ სილუეტს.

მაგრამ ჯერაც აღმოუჩენელი ჰაგიოგრაფიული ძეგლი წინ როგორ ედებოდა და მის გათვალისწინებას როგორ შეძლებდა?

როგორ და:

როგორც იმ ეროვნულ ფორმულას გაიმეორებდა, ანუ:

იდუმალების კარნახით, ღრმა სულიერი სიახლოვის წყალობით, სივრცეებში ერთად მოხვედრის მეოხებით.

ილია ჭავჭავაძე მანამდე გრიგოლ ხანძთელადაც გამოგვცხადებოდა და გრიგოლ ხანძთელი ილია ჭავჭავაძედაც მოგვევლინებოდაო...

ეგაა: ტრაგიკული აღსასრული ილიას აშოტ კუროპალატისა ერგებოდა, მათი ამქვეყნიური სიცოცხლის ფინალი დაემსგავსებოდა ერთიმეორეს.

კინაღამ გრიგოლ ხანძთელისასაც, ის ბოროტგანზრახულება რომ აღსრულებულიყო და ჩასაფრებით ისევე მოესწრაფათ მისთვისაც სიცოცხლე, როგორც წინამურში განმეორდებოდა ჯვარცმის მისტერია.

ეს მისტერია ჯერ შესაძლოა გრიგოლ ხანძთელს მოსწეოდა.

მაგრამ აარიდებდა უფალი მას ამგვარ აღსასრულს და აშოტ კუროპალატს არგუნებდა ჩვენთვის აუხსნელი გადაწყვეტილებით.

და ისე მოხდებოდა, რომ ილია თავის არსებაში თავისებურად გაამთლიანებდა ამ ორ წინაპარს, მათი გზების უნებური გაერთიანებით სულიერ აღმშენებლობასაც შეუდგებოდა და მთავარსარდლობასაც იტვირთებდა.

ესეც უდაბნოში იდგებოდა – იმათსავით.

ესეც დაკარგული და ყოფილი საქართველოს შემყურე იქნებოდა – იმათსავით.

ესეც თავის მისიას იმთავითვე შეიგრძნობდა – იმათსავით.

და კიდეც შეუყვებოდა მარტვილობის გზას – იმათსავით.

ამქვეყნიური მისიის გაცნობიერების,სულიერ ძალთა მოზღვავების შეგრძნება რომ არა, ანბანის რეფორმას რა მოახდენინებდა და ან გემოვნების კანონმდებლობისკენაც როგორ გაიწვდიდა ხელს, ლიტერატურული ცხოვრებისათვის კალაპოტის გასაჭრელად და პუბლიცისტიკისათვის გეზისა და მიმართულების მისანიჭებლად.

ეს ყოველივე თითქოს თანდათანობით უნდა მომხდარიყო, მაგრამ მისიის შეგრძნება კარნახობდა და ავალდებულებდა კიდეც, თავიდანვე ეროვნულ-პოლიტიკური და სულიერი პროგრამით შემოსულიყო ლიტერატურულ სარბიელზე, თითქოსდა სინას მთაზე შთაგონებულს იმეორებდა.

თავაზიანობისთვისაც ამიტომ ვეღარ მოიცლიდა, ეს საყვედური რომ არ ასცდებოდა მოპაექრეთაგან.

და დიდი გადმოსახედიდან რომ განსჯიდა და შეაფასებდა ლიტერატურულ პროცესებს, აღარ გაითვალისწინებდა ყოფითობასა და ჟურნალის ყოველდღიურობას, იმ გარდუვალობას, რაოდენაც უნდა ეზრუნა და ეღვაწა მკითხველის გემოვნების ამაღლება-დახვეწისათვის, ხან საზოგადოების მოთხოვნებიც რომ უნდა ჩაეგდო ანგარიშში, უსათუოდ გაეთვალისწინებინა.

ტირაჟის გაზრდის, მკითხველთა გაბევრების აუცილებლობა მოითხოვდა დაკანონებული ნორმებისა თუ გემოვნების წინაშე ხარკის გაღებას, და „შეშლილის“ თარგმანი ამგვარ ხარკად რომ მიეჩნია, ასე აღარ გაიბურთავებდა რევაზ ერისთავს, მის თავმოყვარეობას ასე სუსხიანად აღარ შეეხებოდა.

გარედან ცოტა სხვაგვარად მოჩანს ამგვარი ხარკის გარდუვალობა და ირონიულადაც ადვილად შეიძლება შეხედო, მაგრამ მოგიწევს რედაქციაში

საქმიანობა – მითუფრო: რედაქტორი თუ ხარ – და ხედვის რაკურსიც თავისთავად შეგეცვლება. არა, გარკვეული ყაიდისა და შინაარსის მასალებზე კვლავინდებურად ადრინდელი აზრი შეგრჩება, მაგრამ მათ არამცთუ მოიშორებ და მოიკვეთ, ხელსაც შეუწყობ მათ მომზადება-პუბლიკაციას.

შესაძლოა შენი ხელითაც გაამზადო – დაწერო ანდა თარგმნო. ისე – კაცმა რომ თქვას – თარგმნა სწორედ მისწრება იქნება ასეთ დროს.

23 წლის ილიას 1879-80 წლების ჟურნალი „ივერია" რომ გადაეშალა და წაწყდომოდა ალექსი ბუვიეს რომანს „იზა", ნომრიდან ნომერში რომ გადადიოდა, ცეცხლს დაანთებდა 42-43 წლის ილიას თავზე: ეს უშვერი და გამოუსადეგარი რომანი რამ დაგაბეჭდინა. მართლაცდა საკვირველია! თუ კაცს ფრანგულიდან უნდა თარგმნა რისამე, ონორე დე ბალზაკი, სტენდალი და გუსტავ ფლობერი როგორ უნდა დაავიწყდეს და მივარდეს წირპლიან ბუვიეს, ამ რომანში თითქმის სუყველგან დაძალებული ანუ ძალად მოყვანილი ცრემლია, ძალად მოყვანილი ცრემლი კი სასაცილოა, საზიზღარი და არა სამწუხარო დასანახადო.

დაამუნათებდა ჯერ მარტო დაბეჭდვისათვის და... და გაოგნებით გაოგნდებოდა და კარგა ხანსაც ვეღარ მოვიდოდა გონს, როდესაც აღმოაჩენდა, რომ... „იზა" ილია ჭავჭავაძეს თავისი ხელითვე ეთარგმნა.

ამაზე მოცდენილიყო ის ადამიანი, რომელსაც დღე და ღამის გასწორება უწევდა ხოლმე, იმდენი საქვეყნო საქმე დაეყრებოდა თავზე?

არა დიდებული ფრანგების მეგზური გამხდარიყო ქართულ ენობრივ სივრცეში, არამედ იმ ბუვიესი, რიგით მწერლად რომ მოჩანდა ბულვარული ყაიდის კალმოსანთა ნაკადში და „იზაც" ერთი რიგითი თხზულება გახლდათ ამ ჟანრისა, თორემ ბულვარულ რომანისტიკაშიც ყოფილან გამორჩეული სახელები, ადვილად რომ ვერ წამოჰკრავდი ხელს მათ ამ ყაიდის თხზულებებს.

23 წლის ილია თუ სხვებსაც და თავის თავსაც შეაგონებდა, რომ მხოლოდ უკეთესი მხატვრული ქმნილებანი, მხოლოდ სულიერი მონაპოვრები უნდა ამეტყველებულიყვნენ ქართულ ენაზე, 40-ს გადაცილებული ილიასათვის რაღას მოედუნებინა სიფხიზლე, რაღას ჩაეხშო კრიტიკული ალღო თუ სმენა და ქართულ ლიტერატურაში შემოძღოლოდა მაინცდამაინც წირპლიან ბუვიეს, და მის ბულვარულ რომანზე დაეხარჯა ამხელა დრო და ენერგია?!.

არადა: არც სიფხიზლე მოდუნებოდა ცხადია, და არც კრიტიკული ალღო თუ სმენა ჩახშობოდა, ეგაა საჟურნალო ინტერესები უბიძგებდა საამისოდ, მკითხველის შემომატების, ტირაჟის გაზრდის გზის ძიება: დიასახლისებისა და ახალგაზრდა ქალებისათვის მისწრება გახლდათ მელოდრამატული სიუჟეტი და ბულვარული მანერა თხრობისა, გულათრთოლებულნი რომ დაელოდებოდნენ „ივერიის" ყოველ ახალ ნომერს, და ერთმანეთს რომ მოუყვებოდნენ, გარშემოც გააღვივებდნენ ჟურნალის გამოწერის წადილს. არა, თხოვებითაც კი ათხოვებდნენ ერთიმეორეს, მაგრამ ყველას ენდომებოდა, თავისი კოლექცია შეეგროვებინა, საბოლოოდ კიდეც რომ აკინძავდნენ და პუბლიკაციების მოთავების შემდგომ ერთხელ კიდევ გადაიკითხავდნენ.

„ივერიის“ ახალ-ახალი ნომრები რომ გაჩნდებოდა ახალ-ახალ ოჯახებში, ბავშვებიც შეეჩვეოდნენ მის არსებობას, აიღებდნენ, გადაშლიდნენ, გადმოშლიდნენ, მერე ნელ-ნელა მათთვის სასურველ მასალებს შეარჩევდნენ და მათი კითხვით შეეჩვეოდნენ ჟურნალს, წამოზრდილები უკვე ტრადიციად რომ დაამკვიდრებდნენ მის შეძენას – ნომერგამოუტოვებლად.

მანამდე კი ოჯახის მამებიც მათთვის საგულისხმო მასალებს ჩაჰკრავდნენ მზერას, და დაინტერესდებოდნენ სხვა – მხატვრული თუ პუბლიცისტური – ნიმუშებითაც...

„იზა“ შეაღწევინებდა ჟურნალს ოჯახებში.

ბულვარული რომანი გაუკვალავდა გზას „ივერიას“.

ყოფითი რეალობა ეს გახლდათ, და არამარტო საქართველოში, არამედ დიდ და ძლევამოსილ ქვეყნებშიც, თორემ დიდებული სახელებით დახუნძლულ ფრანგულ ლიტერატურულ-კულტურულ სივრცეში ალექსი ბუვიესა და მის მსგავსთ რა გააძლებინებდათ!..

გააძლებინებდათ კი არა, დიასახლისებისა და ახალგაზრდა ქალების შემწეობით სწორედ ისინი უკვალავდნენ გზას იმ დიდებულ სახელებს ოჯახებში შესაღწევად, ჟურნალებისადმი ცნობისწადილის გასაღვივებლად, სხვა მასალებისათვის ჯერ მზერის წასაკვრელად, მერე კი გულდასმით გასაცნობადაც.

მასობრივი მკითხველის გემოვნება განმსაზღვრელი არ უნდა ყოფილიყო ლიტერატურული ჟურნალისა თუ გაზეთისა, მას არ უნდა გადაეყლაპა ნამდვილი სულიერი ღირებულებანი, და ხარკის ხვედრითი წონა რაც შეიძლება ნაკლებად უნდა მოხვედროდა თვალში გემოვნებიან მკითხველს, თორემ... სულ უამისოდ?!. გაზეთსაც და ჟურნალსაც უბრალოდ სული ამოხდებოდა რამდენიმე ნომრის შემდეგ.

ეს რომ არის ყოფითი რეალობა, ილია სულაც თვითონ ამიტომ გაირჯებოდა „იზას“ ქართული ვერსიის შესაქმნელად. სიამოვნებით დაავალებდა სხვა თანამშრომელს, მაგრამ ისინი ძლივს აუდიოდნენ თავთავის საქმეს და რომანის თარგმნას ვეღარ გაწვდებოდნენ, თანაც ბეჭდვა რომ დაიწყებოდა თარგმნისთანავე, პუბლიკაციები არ უნდა გამწყდარიყო. და ილიას კოლოსალური ძალა თუ შეძლებდა თავზე დაყრილ უამრავ საქმესაც მორეოდა და „იზას“ გაქართულებაც ეტვირთა, რომანისა, რომელიც ის-ისაა დაბეჭდილიყო პეტერბურგის ჟურნალში „ჟივოპისნოე ობოზრენიე“ და კიდეც აეყოლიებინა რუსი დიასახლისები და ყმაწვილქალები, იმ გემოვნების აუდიტორია მკითხველებისა, და ზოგნი სულაც ისინი, თავის დროზე კოზლოვის „შეშლილის“ ნაკითხვაც რომ აღვრევინებდათ ცრემლს.

სწორებასაც ვეღარ ასწრებდა, იქვე თარგმნიდა, რედაქციაშივე და ფურცელ-ფურცელ ჩაჰქონდათ სტამბაში ასაწყობად, მერეც გულდასმით რომ ვეღარც მოასწრებდა გადაკითხვას, ეს გამოიწვევდა რუსიციზმების სიუხვესაც, რაც ამ დროს უკვე აღარ უნდა დამართოდა, რაკიღა ბევრი რამ საბოლოოდ გარკვეულიყო და უკვე დადგენილიყო ის ქართული შესატყვისებიც, მკითხველის ყური რომ შესჩვეოდა და გაცილებით დახვეწილადაც მეტყვე-

ლებდნენ, თუ ვინმესი, ერთი უპირველესის ილიას წყალობით, ახლა რომ რაღაც-რაღაცები უნებურად გაჰპარვოდა ბულვარული რომანის ქართულ ვერსიაში: შკაფიო, სტოლიო, ფადნოსიო, კრესლოო... საკუთარ სახელებსაც ხან როგორი ფორმით იყენებდა და ხანაც როგორი... ისიც ნომრის სასწრაფო მომზადებას უნდა გამოეწვია, პალიარის ქვრივი და ჩუმად მაძიებელი ბოიე ხან ძალუა-ძმისწულად რომ იხსენიებოდნენ, ხანაც დეიდა-ძმისწულად, და ლუი და ბოიე ხან ბიძაშვილები გამოდიოდნენ და ხანაც დეიდაშვილები...

რა ილიას საქმე იყო ბუვიე და მისი ბულვარული რომანი?

დიასახლისებსა და ყმაწვილქალებს კი შემოიმატებდა მკითხველებად, ოჯახის უფროსებს ნელ-ნელა მიაჩვევდა ჟურნალს, ბავშვებსაც გაასინჯებდა მის გემოს და...

უღირდა, ნამდვილად უღირდა ათასი საქმით გაძეძავებულს ამ ტვირთის წამოკიდებაც, დროდადრო გაბეზრებული ლამის კიდეც რომ მოისროდა რუსულ ჟურნალს: ხომ არ უნდა გადამიყოლოსო...

ილია გახლდათ და ბოლომდეც მიიყვანდა პუბლიკაციას. და არ მოჰყვებოდა ეს თარგმანი 23 წლის ილიას ხელში, ბრდღვირი რომ გაედინა, ან რამ აგარჩევინა და ან ეს შეცდომები რაღააო.

შეცდომები შეცდომებად და: ვერც თარგმანის ენა გამოირჩეოდა იმ დიდებულებითა და სინოყივრით, იმ სიმდიდრითა და ექსპრასიით, ილიას რომ სჩვეოდა, და დრო რომ ჰქონოდა, ამ მხრივ უთუოდ გააუკეთესებდა და ძალიანაც გააუკეთესებდა „იზას" ქართულ ორეულს, ენის სილამაზით რომ მაინც მოვიხიბლებოდით. ახლა კი თუ მის შეფასებას მოვინდომებთ, მთლად თარგმანს ვერც დავარქმევთ – აცილებულია პწკარედის დონეს, ეგაა და ეგ...

თუმც... ეგებ ვაჭარბებ? ილიასაგან ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს რომ მოველით, იმიტომაც ავითვალწუნე მისი ეს მცდელობა და მთლად ასე უნუგეშოდაც არ იყოს საქმე? უნუგეშოდ კი არა, აგერ იოსებ გრიშაშვილი აღტაცებასაც კი გამოთქვამდა:

– ილიას მიერ ნათარგმნი „იზა", შიგ რომ უცხო სახელები არ იყოს, ქართული რომანი ეგონება მკითხველს.

ასე ძალიან მაინც რამ მოაწონა?

შესაძლოა ხელახლა აღარ გადაუკითხავს, როდესაც ამ ნარკვევზე მუშაობდა: „ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი" – და ძველი, ყმაწვილობიდან გამოყოლილი შთაბეჭდილებებით აფასებდა?

რაც არის თუ როგორც არის: ეს თარგმანი თავის დანიშნულებას კი შეასრულებდა და...

ისე არამცთუ ჟურნალის ფურცლებზე ჩარჩენილიყო, ილიას ორტომეულშიც შევიდოდა, 1892 წელს რომ გამოიცემოდა და ილია თავიდან, როგორც სჩვეოდა, მის სწორებასაც რომ შეუდგებოდა, მერე საფუძვლიანი რედაქტირებისათვის ვეღარ მოიცლიდა, ენობრივად ხომ ვერ გაამდიდრებდა და ვერა.

თვითონ გადაწყვეტდა ამ ბულვარული რომანის შეტანასაც თავის ორტომეულში თუ გამომცემლები ურჩევდნენ, საბოლოოდ მაინც მისი თანხმობით მოხდებოდა: რათა ეს ორწიგნეული – „იზას“ მეოხებით – უფრო მეტ ოჯახში მოხვედრილიყო, დიასახლისებისა თუ გასათხოვარ ქალიშვილთა წყალობით ოჯახის უფროსებსაც გადაეფურცლათ და ბავშვებიც გაშინაურებოდნენ... იქ მისი ლექსებისთვისაც ჩაეკრათ თვალი, იქ მისი მოთხრობებისთვისაც, იქ მისი პუბლიცისტური თუ ლიტერატურული სტატიებითაც დაინტერესებულიყვნენ...

თავისებური „პარავოზი“ აღმოჩნდებოდა იზას დრამატული, ამაღელვებელი თავგადასავალი: ტომებშიც, თორემ ჟურნალში ხომ თავისთავად!..

აქვე ერთი წვრილმანიც ხომ არ ჩამერთო? თუმც იქნებ წვრილმანიც არ იყოს.

ილია სასაცილოდ რომ აიგდებდა კონსტრუქციას: „ფეხი გავიქნიე, ხელი“ თუ „ხელი გავიქნიე, ფეხი“, იმჟამადაც ამ ფრაზას გამოიყენებდნენ მკითხველები რევაზ ერისთავის თარგმანის, მისი ენობრივი სტილის დასახასიათებლად და შთამომავლობაშიც სამასხარაოდ დარჩებოდა, თავისებურ განზოგადებულ ფორმულად, როდესაც ენობრივი სიმახინჯის აღნიშვნა გვენება, ამ სიტყვებს რომ მოვიშველიებდით:

ესეც ის არის, იმისთანა გაუგებრობა თუ სიმახინჯე, ხელი გავიქნიე, ფეხიო...

ვიცინოდით და ვხალისობდით, და... სიფრთხილითაც ვფრთხილობდით: ემანდ ჩვენც არ გაგვეპაროს მსგავსი კონსტრუქცია და თუმც მეგობრული დაცინვის მსხვერპლნი არ აღმოვჩნდეთო.

სამაგიეროდ ძალიან მოგვწონდა რუსთველური სტრიქონი, ანდაზის ბადალი, ზნეობრივ და ეთიკურ ორიენტირად რომ გვესახებოდა ავთანდილის სულის ღაღადი:

ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერადო!..

მოგვწონდა და ვიმეორებდით, ვიმეორებდით და... აღარ ვუკვირდებოდით, ზუსტად იმ კონსტრუქციას, ზუსტად იმ თარგს რომ მორგებოდა ეს „თამაშად და მიჩანს მღერად“: ხელი გავიქნიე, ფეხიო.

არა, ცხადია არსებობს ზოგადი კონტექსტი და ფონი, ყველა სიტყვას აქვს თავისი ემოციური ველი თუ ისტორიული თავგადასავალი, თავისი შეხამების უნარი და ბოლოსდაბოლოს რუსთველს შეეძლო ჯადოსნური ძალითა და მადლით ყოველგვარ ენობრივ კონსტრუქციაში ახალი სიცოცხლე ჩაეღვარა, მაგრამ... მაგრამ ის, რომ ავთანდილის ამ ეთიკური მრწამსის გახსენების შემდგომ მთლად იოლად ვეღარ წამოვკრავთ ქიმუნჯს იმ ყბადაღებულ „ფეხი გავიქნიე, ხელს“.

ისე ჩვენთვის რომ ჩავუფიქრდეთ და რუსთველური სტრიქონი ასეთნაირად გადავაწყოთ: ვის სიკვდილი მოყვრისათვის მიჩანს თამაშად და მღერადო – საზომი და რიტმი სრულიად არ ირღვევა, წყობაც უფრო ბუნებრივი მოჩანს, თუმც... ექსპრესია რომ სადღაც გამქრალა, ესეც ხომ აშკარაა.

„თამაშად და მიჩანს მღერად“ მაინც სულ სხვა ძალისა და მოხდენილობის სიტყვათდინებაა.

და ილიას ეს სტრიქონი ავთანდილურად რომ წამოაგონდებოდა ხოლმე, თავისთვის ამასაც გაივლებდა გულში: თვითონ რუსთველიც ასეთი იქნებოდა, პერსონაჟს კი არ მიაწერს თავის ოცნებას, არამედ საკუთარ ეთიკურ მრწამსს ამჟღავნებს, საკუთარი ცხოვრების წესსა და ამგვარად არსებობის აუცილებლობას ასე მიანიშნებს მკითხველსო.

და ფიქრშივე დასძენდა:

ავთანდილს რომ არ ეთქვა, მე ვიტყოდი, მე მოვუძებნიდი ჩემს ზნეობრივ სწრაფვას რაღაც ამდაგვარ სიტყვიერ ქსოვილს, მოყვრისათვის სიკვდილი თამაშად რომ მიჩანს და მღერადო...

არადა: ერთი წვრილმანიც ხომ არ ჩამერთოო...

რაღა წვრილმანი გამოდის – ამდენ მსჯელობას რომ გამოიწვევდა.

* * *

რა არის მაინც ეს წუთისოფელი თუ ცხოვრების უცნაური აბრუნდები.

ხარ ერთი ათასთაგანი და მდორედ მიედინება შენი ყოფა, რომელსაც ხანდახან თუ გაგიხალისებს ლექსისა თუ თარგმანის გამოქვეყნება, პოეტობაზე თავს რომ არა სდებ, მაგრამ ლიტერატურული ინტერესით სულს იბრუნებ, მარაქაში შენც გამოერევი ხოლმე, სასურველი სტუმარი ყველგან ხარ, ყველა არისტოკრატულ ოჯახში და ესეც სიმხნევეს გმატებს... მაგრამ საერთო დინებიდან ვერ ამოვარდნილხარ და უკვე აღარც მიელტვი ამგვარ მიზნებს... და როდესაც გალევ შენს წილ წუთისოფელს, უკეთესი არა გელოდება რა, თუ არა შერწყმა დავიწყებასთან... ანკი ვინ ანდა რამ შეიძლება გიშველოს – შენც ბევრად უკეთესი მწერლებიც, შენზე ბევრად უკეთესი მოღვაწენიც, შენზე ბევრად თავმომწონე ბიჭებიც განწირულნი არიან სამუდამო გაქრობისათვის, რაკიღა ის „ბევრად უკეთესიც“ არა კმარა უკვდავების მოსაპოვებლად...

„ბევრად უკეთესი“ არა კმარა, მაგრამ თუ მხიარულების გუნებაზე დადგება ბედისწერა, თუ უცნაური აბრუნდები მოუნდება წუთისოფელს, აიღებს და შენს თავს ილია ჭავჭავაძეს შეაჩეჩებს, რათა იმან უამრავი საფიქრალი და უმნიშვნელოვანესი მიგნებანი და დასკვნები, და რეფორმატორული მიზანიც მაინცდამაინც შენი თარგმანის მეოხებით მოაქციოს კომპოზიციურ ჩარჩოში.

საამისოდ უხვი მასალა მიმობნეულიყო „ცისკრის“ ფურცლებზე?

ბედისწერის ღიმილიც და წყალობაც ის არის, იმ მიმობნეულიდან მაინცდამაინც „შეშლილს“ რომ წაატანინებდა ხელს ილიას

და

პირდაპირ უკვდავებაში შეგიძღვებოდა.

რარიგ გაუნაწყენდებოდა რევაზ ერისთავი ილიას, ასე დაუნდობლად რომ შეუმუსრავდა თარგმანს: თავაზიანობაც დავიწყნია კრიტიკის ეშხში შესულსო, – არადა მომავლის განჭვრეტა რომ შეძლებოდა, მადლიერი უნდა ყოფილიყო და რარიგ მადლიერი.

რამდენი წამოყელყელავებული სახელი გაქრება და დავიწყებაში ჩაიძირება: ზოგი მაშინვე, სამარეში ჩასვენებისთანავე, ზოგისა ათწლეულებს

გასტანს, ზოგმა შესაძლოა საუკუნესაც გააღწიოს, მაგრამ მეტი ონსილა აღარ ეყოს...

რევაზ ერისთავის გვარ-სახელი კი სამუდამოდ დამკვიდრდება საქართველოს ცხოვრების მდინარებაში უკუნითი უკუნისამდე.

სტატიის სათაურშივე აღბეჭდილი, იმას ამაზეც გული რომ დაწყდებოდა: განა რა აუცილებელი იყო სახელწოდებაშივე მოხსენიება, არა კმაროდა მთელი წერილის მანძილზე ასე რომ მაქიაქებსო?!.

არა, ეს რა მოწყალებას გამოიჩენდა ბედისწერა რევაზ ერისთავისადმი, ბევრად თავგამოდებულთ დაუნანებლად რომ მიაყრუებდა და დავიწყების უფსკრულში ჩაუძახებდა.

თავი მეოთხე

გამოკამათება გოგოლთან და... უცნაურობა წუთისოფლისა

ლექსის წერა მარტოდენ საზომის გამართვა და რითმების მიბმა არასოდეს იქნებოდა ილიასათვის.

თვით სიყრმიდანვე, როდესაც უკვე აეყოლიებინა ქართვლის ბედს და აინუნშიც არ აგდებდა დაძრახვას არაკეთილგონივრული არჩევანის გამო, რაკიღა ჯერ იქნებ გაუცნობიერებლად, მაგრამ მერე და მერე სავსებით შეგნებულად გრძნობდა, მისი ძებნით, ქართვლის ბედის ძიებით რომ უნდა დაელია დღენი.

ქართლის ბედის ძებნას უნდა შესწირვოდა კიდეც.

ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენას უნდა გადაჰყოლოდა.

ამიტომაც პოეტობა წინასწარმეტყველის მისიად უნდა განეცადა და პოეტის სიმბოლური სახებაც ასე წარმოედგინა:

მას ცა ნიშნავდა და ერი ზრდიდა – მიწიერი ზეციერსა.

და ღმერთთან რისთვის ლაპარაკობდა?

რომ წაძღომოდა წინა ერსა.

დიდი ღმერთის საკურთხევლისა მისთვის უღვიოდა ცეცხლი გულში, რათა ერის მოძმედ ყოფილიყო ჭმუნვასა და სიხარულში. ერის წყლული დაჩნეოდა წყლულად, დასწოდა მისი ტანჯვით სული, მისი ბედითა და უბედობით დასდაგოდა მტკიცე გული. და მაშინ ციდან ნაპერწკალი თუ აღუნთებდა გულში ცეცხლსა, მაშინ იმღერდა, მხოლოდ მაშინ მოწმენდდა ერსაც ტანჯვის ცრემლსა.

ისეთი განცდა გიჩნდება, თითქოს სინას მთაზე ამავალი მოსე წინასწარმეტყველი მარცვლავდეს გუნებაში ამ სტრიქონებს.

და თითქოს მისგან გადმოსცემოდეს ილიას ანდერძად:

იმ ნაფიქრისა და ხილვების გადმოტანა ფურცელზე, შიგ თავის გულსაც რომ გაჰხვევდა.

ბარემ კიდეც ერჩივნა, მხოლოდღა ტკბილ ხმათათვის გამოეგზავნა ქვეყნად ცას, და არც დაცემული ვინაობის აღდგენისათვის გადაეკლა თავი და არც ქართვლის ბედის ძებნას შესწირვოდა, მაგრამ წინასწარმეტყველის მისია და მოვალეობა თავისას ავალებდა და ვეღარც გადაუხვევდა ამ მოვალეობიდან, თუნდ ხანგამოშვებით დაეგმინა და მწარედაც დაეგმინა ხოლმე:

მამაო, ამაცილე სასუმელი ესეო!..

და თითქოსდა მოსე წინასწარმეტყველის გუნებაში დამარცვლული სტრიქონები ფურცელზე რომ უნდა გადაეტანა, დასაწყისს ამგვარს მოაბამდა, კანთიელად მიმანიშნებელს მთელი ლექსის სულისკვეთებისა:

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო ვით ფრინველმა გარეგანმაო...

ამგვარი განცდა ისედაც ექნებოდა, რაკიღა წინასწარმეტყველად შეიგრძნობდა თავს, მაგრამ მარტოდენ ამ სულიერი განწყობილებით არ უნდა დაბადებულიყო ეს სტრიქონები და თავისებურ ასოციაციასაც იწვევდა, პავლე ინგოროყვას შეუნიშნავი რომ არ დარჩებოდა და პირველწყაროსაც ადვილად მიაკვლევდა, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს სტრიქონსა და მისი მხატვრულ-ესთეტიკურ მრწამსის გამომხატველს:

მე ვმღერი, ვით მღერის ფრინველიო...

მე არაო, – იმას ეკამათებოდა ფარულად ილია, იმისი ეს კრედო არ უჯდებოდა გუნებაში, მიუხედავად მისადმი განსაკუთრებული პატივისცემისა. გამტყუნებით არ ამტყუნებდა ცხადია: საბედისწერო ყოფაში არ ჩავარდნილიყო გოეთეს ერი – არ დასერილიყო წყლულებით, არ იტანჯებოდა ტანჯულის ცხოვრებით... გერმანიის ბედისა და ძალმოსილების სახელმწიფოს მისივე შესაფერისი სულისა და ყაიდის შემოქმედნი ესაჭიროებოდა, გონიერი მრჩეველნი და არა მსხვერპლად გამზადებულნი და წინასწარმეტყველის კვალზე მავალნი, და რაც ქვეყანას ესაჭიროებოდა, იმ მოთხოვნაზეც მოემართა გოეთესაც თავისი ებანი: და კიდეც მღეროდა ფრინველივით.

ტანჯული ერის შვილის სამზერიდან ცოტა სხვაგვარად მოჩანდა ეს ლაღი, თავდავიწყებული სიმღერა, ცოტა გამაღიზიანებლადაც, ცოტა ცივ განდგომილებადაც, და გოეთეს ყოველი წამოგონებისას ამიტომაც აუფრინდებოდა თვალწინ ილიას მგალობელი ჩიტი და დიდებული მყინვარიც ამიტომ ამოესვეტებოდა, იმის თავს – მიუხედავად დიდებულებისა – მაინც თერგსა და მის მშფოთვარებას რომ ამჯობინებდა.

ეს ჭიდილი გოეთური და ბაირონული სულისკვეთებისა დროდადრო აღეძვროდა ხოლმე გულში, და გარეგნულად ცალ-ცალკეც წარმოედგინა ერთიცა და მეორეც.

მაგრამ ერთგან უსათუოდ უნდა გადმოშლილიყო ამ ჭიდილის სურათი და საამისოდ აირჩევდა „მგზავრის წერილებს“, გარდამავალი ჟანრის თხზულებას მემუარულსა და ბელეტრისტულს შორის, დარიალურ-სტეფანწმინდური პეიზაჟები ერთბაშად რომ უნდა გასიმბოლოვებულიყვნენ და ახალი შინაარსითაც აღვსილიყვნენ და იმთავითვე მიენიშნებინათ თხრობის შინაარსიც და დოკუმენტური მოთხრობის კონცეფციაც, ლელთ ღუნიასთან დიალოგით რომ გამოიკვეთებოდა და დაგვირგვინდებოდა.

არსებითად საკუთარ თავს, თავის მეორე მეს უსაუბრებოდა, მასთან ლაპარაკ-კამათისას ამოწმებდა თავის არჩევანს, გოლგოთისაკენ რომ მიემართებოდა და არა იმ კეთილდღეობისაკენ, რომელ გზაზე გადმოსვლაც... თერგს უნდა დაეშალა მისთვის, ის გადაღობებოდა, ის აღმართოდა გადაულახავ დაბრკოლებად, უფრო მომაღლოდაც გამოჩენილიყო, ვიდრე მყინვარწვერია, რომელიც არამცთუ დაგაბრკოლებდა, გულსაც გადაგიხსნიდა განცხრომისაკენ.

პლატონური თუ სოკრატული ყაიდისა გამოვიდოდა „მგზავრის წერილების“ ეს მონაკვეთი.

და როლების გადანაწილებისას ილიას სწორედაც სოკრატესავით უნდა მოეგულუბრყვილოებინა თავი და მოხევე თუ თავისი მეორე მე ამ ხერხით აელაპარაკებინა, ეთქმევინებინა ის, რაც ასე გულით ეწადა თვითონვე, მაგრამ ასე პირდაპირ მკითხველს ეგებ შესაფერისად ვერ აღექვა, ამიტომაც კონტრასტული ფონის მოშველიება უფრო სახიერად და გულშიჩამწვდომადაც გამოხატავდა სათქმელს, ტვინიდან გულამდე ჩარბენილ სატკივარს, იქ, გულში რომ გაითხრიდა სამარეს და იქვე დაიმარხებოდა ილიას ხელით მოსაახლოვებელ დრომდე.

ბევრ რაიმეს უნდა გადაწვდომოდა ეს დიალოგი – სოკრატული აღნაგობა როგორც ავალებდა.

ამისთანა წყალსა და ჰაერს ბედნიერებად მიუთვლიდა მოხევეს მთხრობელი, იმას პასუხად რომ უნდა ჩაეცინა, რადგანაც: ცარიელი სტომაქი ამეებით ვერ გაძღებოდა.

მაშ მთას ისევ ბარი ხომ არა სჯობდა: იქ ხალხი უფრო მაძღარი გახლდათ.

მაგრამ იქითაც რომ საჭირბოროტო გამხდარიყო დარჩენა? ადგილი ხამობდა. იქაურ კაცს აღარც ფერი ექნებოდა და აღარც ჯანი შეუნარჩუნდებოდა. აქაურები კი ჯანმრთელად მაინც გამოიყურებოდნენ, ცარგვალის გამჩენს როგორც განერიგებინა: იქით სიმაძლრე დაედგინა, აქეთ – სიმრთელე.

მთხრობელი სტეფანწმინდის პირდაპირ მონასტრისაკენ რომ გაახედებდა, მოხევეს უნდა აეხსნა, რომ: ეს წმინდა სამება გახლდა, უწინდელთ განძთა საფარი და ერთა საბჭო, როგორც გადმოცემით იცოდა. და ახლა რატომღა აღარ ბჭობდნენ?

– აწინა?.. ერობა სადა არნ? რუსობაჩი ვარნ. აწინა ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის.

ეს უბედურება მოეტანა რუსობაში ყოფნას.

მაშ უწინდელი დაწყობა და დრო უკეთესი იყო?

და მოხევე რომ დაუბეჯითებდა: რაიდ არაო? – მთხრობელი მიამიტურად უნდა დაინტერესებულიყო: რით იყო უკეთესიო? – რათა თანადროულობა შეუფერადებლად, მთელი თავისი დრამატულობითა და ტრაგიკულობით წარმოსახულიყო.

პირველ ყოვლისა ის ფრაზა უნდა გახმიანებულიყო, ფარზე რომ აიზიდებოდა, როგორც უმთავრესი პოლიტიკური და ეროვნული მოთხოვნა, როგორც მრწამსი და იდეალი, როგორც გზამკვლევი და ორიენტირი:

– ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ.

ხოლო ადრე რა ხდებოდა, ცხოვრების როგორც წესი გამეფებულიყო და:

ერი ერობდა, გული გულობდა, ვაჟი ვაჟობდა და ქალი ქალობდა. ერთურთს ვეყრდნობოდით, ერთიმეორეს გვერდში ვედექით. ქვრივ-ობოლს

ვიფარავდით, შინ ეშმაკსა და გარეთ მავნეს არ ვაჭაჭანებდით. მტერთან ერთმანეთს გადავეფარებოდით, დაცემულს წამოვაყენებდით, ატირებულს ვანუგეშებდით და ყოველივე აღივსებოდა თანაგრძნობით.

ეს ზნეობრივი სულისკვეთება და გარემო როგორ შეცვლილიყო და:

ერობა დაშლილიყო, მეძავ-მრუშობა ჩამოვარდნილიყო, ხარბობა, ანგარება მოჭარბებულიყო, ერთსულობა გავარდნილიყო, მტრობა-ჩაგვრა გახშირებულიყო. ქვრივ-ობოლს ვიღა განიკითხავდა, ატირებულს ვიღა ანუგეშებდა და ხალისს დაუბრუნებდა, დაცემულს ვიღა აღადგენდა? კაცნი აღარ შემორჩენილიყვნენ, და თუ იყვნენ – პირად და გულად დახშულნი.

– ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილ.

წამხდარიყო ქართველთა სახელი, ქართველთა წესწყობა.

ადრე ჩვენობა რომ არსებობდა, წამხდარიყო, მოსრულიყო ქვეყანა. და რაღა იყო აწ ჩვენი ყოფა?

საჭმელ-სასმელი სასყიდელი, ტყე სასყიდელი, გზა სასყიდელი, ლოცვა-კურთხევა სასყიდელი, სამართალი სასყიდელი.

და ამოიგმენდა თანამოსაუბრე:

რაიდ დარჩების ბეჩავი მახევეო?..

ახლა რომ მშვიდობიანობა არის? – თითქოს სიტყვა უნდა მოუჭრას მთხრობელმა, მაგრამ პასუხად ისეთი რამ უნდა მოისმინოს, იმ სიტყვებმა მოჩვენებითი მშვიდობიანობის არსი ერთბაშად რომ უნდა გააშიშვლოს და მის სახიფათო, მეტიც – საბედისწერო ბუნებაში ჩაახედოს:

რას ვაქნევ ცარიელ მშვიდობას ცარიელი სტომაქით. რა არის მშვიდობა? უხმარ სატევარს ჟანგი დაედება, უსრბოლო წყალში ბაყაყნი, ჭია-ჭუა, ქვემძრომი გამრავლდება. უდეგარ, უსვენარ თერგში კი კალმახი იცის! რა არის მშვიდობა ცოცხალ კაცთათვის? რა არის მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიელი მშვიდობა მიწაშიც გვეყოფაო.

მაგრამ ასე ადვილადაც ვერ აჯერებს მთხრობელს, უფრო სწორად – აკი სოკრატული მეთოდი ამჯობინებს დიალოგს პეტერბურგიდან მომავალი ახალგაზრდა კაცი:

მტერი რომ დაგეცემოდათ, აგიკლებდათ და ცოლ-შვილსაც გიწიოკებდათ ხოლმეო?

თუმც მოხევის მტკიცე რწმენასა და ღრმა გააზრებას მოვლენებისა ეს და ამისთანა მყიფე საბუთები რას გადაძალავდა, პასუხად რომ შემოაგებებდა:

ახლა მევალე სომეხი უფრო გვაწიოკებს, უფრო გვიკლებს სახლ-კარსო.

ადრე მტერს მაინც ფარ-ხმლით გამოეგებებოდი, მოიგერიებდი, სომეხს რაღას უზამდი, როდესაც ვეღარც მოგეგერიებინა და ვეღარც იარაღით შეგებებოდი.

ადრე მტერთან ბრძოლაში, სწორებთან მჯობინებაში სახელს შოულობდი, სომეხთან კი ვაჟკაცი რა სახელს გამორჩებოდა?!.

ადრე სამსახურს რომ ადგა ადამიანი, საჩუქარიც და საბოძვარიც დიდი ერგებოდა, სახელით, ვაჟკაცობით სარჩო-საბადებელს იშოვნიდი, კაცი უბრა-

ლოდ არ წახდებოდა. ახლა კი ტყვეობით, მეძავ-მრუშობით, ფიცთა გატეხვით, ურთიერთღალატით გაგიხდებოდა სარჩო-საბადებელი საშოვნელი.

როდესაც ყოველივეს თავთავისი სახელი დაერქმეოდა და არა იმპერიულ-პროპაგანდისტული საბურველის მოშველიებით, არამედ მიუკერძოებლად შეუდარდებოდა ერთიმეორეს ადრინდელი და აწინდელი დრო-ჟამი, როგორღა გინდოდა რაიმე გამართლება მოგეძებნა რუსობაში ყოფნისათვის, უამრავ უბედურებისათვის გამართლების მოძებნას ამით რომ ლამობდნენ: მშვიდობა ხომ მაინც მოგიტანეთო!..

გამოხდებოდა ხანი და... ილია „მგზავრის წერილებს“ რომ გადაავლებდა ხოლმე თვალს, ანდა წამოაგონდებოდა ცალკეული პასაჟები, მოხვევეს თანდათან რეალურ პიროვნებად მიიღებდა, მართლაც გზად შემოხვედრილ თანამგზავრად, ხალხის მისწრაფების გამომხატველად, და ეჭვიც არ ეპარებოდა, ყველა ქართველი ლელთ ღუნიასავით რომ ფიქრობდა და ლაპარაკობდა, და შემთხვევა მიეცემოდა თუ არა, მოინდომებდა თავის ხილვაში დაბადებული სურათი ყოფით სინამდვილეშიც ეხილა – ხელშესახებად, თვალნათლივ დადასტურებულიყო, პეტერბურგიდან გამოძევებული და თავის სამშობლოსთან შეხვედრის მომლოდინე ჭაბუკის გონებაში რა ოცნებებიც იხატებოდა.

აჰა და: თითქოს ლელთ ღუნია უშუალოდაც უნდა გამოცხადებოდა ხევსურთა სახით, კავკასიის მთების ბინადართა, იგივე სული რომ უნდა სდგმოდათ, „მგზავრის წერილებიდან“ რომ ახსოვდა.

იმ საღამოს, საგურამოში, მზე ჯერაც მაღლა რომ იდგებოდა, ილია კაკლის ქვეშ იჯდებოდა და ლაპარაკის გუნებაზე იქნებოდა. იაკობ მანსვეტაშვილი — ილიას შემწეობით რომ გაიკვლევდა გზას ჟურნალისტიკაშიც და საბანკო საქმიანობაშიც — ისარგებლებდა მისი ამგვარი განწყობილებით და დაეკითხებოდა:

– ყველა საქმის გაკეთება საფუძვლიანად, მკვიდრად გიყვართ და ეს სახლი კი ვერა გაქვთ მკვიდრად, საშვილიშვილოდ ჩამდგარი.

ეს იმიტომ, მაშინ ჯერ კიდევ ძველ, ორსართულიან სახლში რომ ცხოვრობდა. უზურში კი ექნებოდა ახალი სახლის წამოჭიმვა, მაგრამ თანამოსაუბრის სიტყვებზე საკბილოს იპოვნიდა გასახუმრებლად და ხელიდან როგორ გაუშვებდა:

– მერე შვილები სადა მყავს, რომ შვილიშვილებზე ვიზრუნო?!.

ილიას ჭკუასა და შემოქმედებით ნიჭს რომ უკვირდებოდა იაკობი, ერთი რამ გარემოება აკვირვებდა და მოსვენებას არ აძლევდა... ფიქრობდა: რა უნდა იყოს მიზეზი, რომ ასეა გაჩუმებული, იშვიათად წერს, რომ ამისი შთაგონებული სული დუმს, რომ ამის ენამზეობა, დაუშრეტელი წყარო ამის მდიდარი სიტყვიერებისა არ ატკბობს ქართველის გულსა და სმენასო. და ალექსანდრ პუშკინის სტრიქონები წამოუტივტივდებოდა: დუმს მისი წმინდა ლირა, სული ჩაძირულა ცივ სიზმარეთშიო.

გაბედავდა და ამ ფიქრს ილიას გაუზიარებდა, მაგრამ პასუხს ვერ მიიღებდა. მასპინძელი სიტყვას ბანზე აუგდებდა და გასძახებდა მოურავს, რომელიც იქვე ახლოს ტრიალებდა:

– ვინ არიან, ემანდ კარებწინ რომ ბალახს თიბვენ?

– ხევსურები.

– აბა ერთი აქ დამიძახე.

ისინიც მოეახლებოდნენ.

– ღვინოს არ დალევთ? – ჰკითხავდათ ილია.

– რატომაც არა, თუკი თქვენი წყალობა იქნება. სიცხისაგან ენა ამოგვიშრა.

ილია განკარგულებას გასცემდა, ღვინო მოეტანათ, თვითონ კი კითხვას მოუნაცვლებდათ:

– საიდანა ხართ?

– შორიდან, თითქმის ერთი დღის სავალია.

– უწინდელი დრო გახსოვთ, აი ჩვენი მეფეები რომ გვყავდა?

– ხსოვნით კი აბა რა გვეხსომება და გაგონებით კი გაგვიგონია.

– მერე: მაშინდელი დრო სჯობდა თუ ახლანდელი?

და სული აუთრთოლდებოდა რაღაც ამგვარის მოსმენის მოლოდინში:

ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის და ქალაი ქალაბდისო.

და ხევსურები კი... ხევსურები:

– რა სათქმელია: გარეთ ვერ გამოვდიოდით. სოფელს რომ გავცილებულიყავით, ან ლეკი დაგვიხვდებოდა, ან შინაური ავი კაცი. სისხლი იღვრებოდა. მოსვენება არა გვქონდა, შველა არსაიდან იყო. აი დალოცოს ღმერთმა რუსის ხელმწიფე: ახლა არა გვიშავს, აი თქვენთანაც ჩამოვდივართ სამუშაოდ და ქალაქშიაც დავიარებით. თუ რამ გასაყიდი ან სასყიდელი გვაქვს, ხელს ვიმართავთ. გზაში ხელს არავინ გვახლებს.

და წახდებოდა და რას წახდებოდა ილია, წარსულის დიდებისა და აწმყოს დაგმობის მომლოდინე... სულ სხვა პასუხს რომ მიიღებდა, თითქოს ცივი წყალი გადაესხათ მისთვის, ანდა სულაც სილა გაეწნათ.

„კოჭი ალჩუზე არ დაუჯდა“, გაიფიქრებდა იაკობი.

„მგზავრის წერილები“ დაწერილი რომ არა ჰქონოდა, ცხადია გამოეკამათებოდა მთიბავებს, აუხსნიდათ და გონშიც ჩააგდებდათ, ცარიელი მშვიდობა რა ბედენა რომ იყო, უხმარ სატევარს ჟანგი დაედებოდა, უსრბოლო წყალში კი ბაყაყნი, ჭია-ჭუანი და ქვემძრომნი გამრავლდებოდნენ... აუხსნიდათ და თავისი ენამზიანობით კიდეც დააჯერებდათ, ბოლომდე გააცნობიერებინებდათ, მტერზე მეტად მევალე სომეხი რომ გახდომოდათ ამკლებ-დამწიოკებლად...

ახლა კი კარგახანს კრინტსაც ვეღარ დაძრავდა.

გაოგნდებოდა, აბა რა იქნებოდა, ერთბაშად ისეთი შეგრძნება გაუჩნდებოდა, თითქოსდა ლელთ ღუნია გადმოსულიყო მოთხრობიდან და სულ სხვა ჰანგზე ამღერებულიყო, ყოფით-ფილისტერული მიზანი ცხოვრებისა ამაღლებული სწრაფვისათვის რომ დაემჯობინებინა და ახლა ავტორის მოქცევასაც ცდილობდა თავის ჭკუაზე.

ისე რას სთხოვდა ხევსურებს:

მთიბავები იყვნენ, მუშაკაცები, დღევანდელი დღით რომ ცხოვრობდნენ და, რაკიღა შინ უკვე აღარავინ ეჭრებოდათ იარაღით, მშვიდობის დასადგურება ბედნიერების ყლუპი ეგონათ და რუსხელმწიფესაც ამიტომ ემადლიერებოდნენ: ის რომ არა, რა გვეშველებოდაო.

რა გვეყუდნეს და რომელი გვეყუდნეს!..

თუ რამ გასაყიდი ან სასყიდელი გვაქვს, ხელს ვიმართავთო...

არ ინდომებდნენ, არა, ძველი დიდების დაბრუნებას, და არც სახელმწიფოებრიობის აღდგენას შეეგებებოდნენ დიდი ხალისით, არამცთუ თვითონაც ყოფილიყვნენ მონაწილენი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პროცესებისა და გამასხივოსნებელი აქტისა ერის ცხოვრებაში, ლელთ ღუნია როგორც მოიქცეოდა, და – თუკი აუცილებელი შეიქნებოდა – მსხვერპლადაც შეეწირებოდა იმ გამასხივოსნებელი აქტის მოახლოებას.

ილიას მეორე მეს როგორც შეშვენის!..

და თავზარი როგორ არ დაგეცემოდა:

გზაში ხელს არავინ გვახლებსო...

და მასპინძელი ერთბაშად გაერიდებოდა ამ თემას და იკითხავდა:

– შვილები თუ გყავთ?

– ჰაი, ჰაი, რომ გვყავს, უშვილობა როგორ შეიძლება. თუ ცოლი უშვილო გამოდგა, გავაგდებთ და სხვას მოვიყვანთ.

ამ დროს ილიას მეუღლე გადმოდგებოდა აივანზე და დაინტერესდებოდა, რაზე ლაპარაკობდნენ. და მასპინძელი სიტყვას გადუკრავდა ხევსურებს ხუმრობით:

– აი ჩემი ცოლიც უშვილოა და რა ვუყო?

– ბერწი ყოფილა. რად გინდა, გააგდე და სხვა მოიყვანე, – სრულიად გულუბრყვილოდ და დინჯად მიუგებდნენ ხევსურები.

– ილია, რა სისულელეს ალაპარაკებ, – იტყოდა წყენით ოლღა, ისედაც გულნატკენი, შვილი რომ არ ეძლეოდა, და აწითლებული და დარცხვენილი შებრუნდებოდა შინ.

და ხევსურებიც დაემშვიდობებოდნენ და... არ გაგვიკვირდეს, ყველა ერთს თუ ფიქრობდა გამოუკლებლივ: რა უწინდელი დრო და რომელი უწინდელი დრო, დალოცოს ღმერთმა რუსის ხელმწიფეო...

ხოლო მოხევეს რომ ესაუბრებოდა მთხრობელი, მხოლოდღა გაკვრით, როგორც მგზავრი, გაიხსენებდა მის ნათქვამს დოკუმენტურ მოთხრობაში, როგორც თითქოსდა გულისგადასაყოლებელს, მგზავრობას რომ გიადვილებს კაცს, თორემ სიმართლეს ღაღადებდა ლელთ ღუნია თუ არა, ამის გასინჯვას რატომ დაიწყებდა. მარტოდენ იმას ეცდებოდა, მისი აზრისათვის მისივე ფერი შეერჩია და მისი სიტყვისათვის – მისივე კილო.

კიდევ ბევრ რაიმეს რომ ეტყოდა მოხევე?

ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგებოდა შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა... მხოლოდ იმას დასძენდა, რომ:

იმას თავისი სიტყვით თავისი გულისტკივილი მიეხვედრებინა.

და ლანდად წამოსვეტილისათვის მის წინაშე უნდა დაედასტურებინა და თავისი გზასავალიც კანთიელად მიენიშნებინა მკითხველისათვის:

მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტრითაც ხარ ნაჩხვლეტიო.

რა ნესტრით და:

ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო!..

ეთქვა იმას და ამას გაეგონა.

მაგრამ გაიგონებდა თუ არა, რაღაც უეცარ ტკივილს ტვინიდან გულამდე უნდა ჩაერბინა, იქ, გულში გაეთხარა სამარე და დამარხულიყო.

როდემდის დარჩებოდა ეს ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?..

და შესთხოვდა, და ენუკვოდა, და ევედრებოდა, და ემუდარებოდა:

ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხიო!..

ათი წელი შინ უნდა სდებოდა ეს მოთხრობა ილიას და თავის ჟურნალშიც – „საქართველოს მოამბე" – ვერ მოეხერხებინა მისი გამოქვეყნება. და მხოლოდ 1871 წელს რომ ეღირსებოდა მზის სინათლე, მოუწევდა ცენზურის დარჯაკში გამოვლა და ილია არაერთ პასაჟს უნდა შელეოდა, ვიდრე 1892 წელს, ხელმეორე პუბლიკაციისას, მოახერხებდა მათ აღდგენას. ყველასი ვერა – ცხადია, მაგრამ სათქმელი მაინც უკეთ გამოიკვეთებოდა, ტკივილი და სადარდებელიც უფრო გადმოიშლებოდა, ვიდრე იმ პირველი გამოჩენისას, ილია ცენზურასთან შეხლა-შემოხლისას ორიოდ ადგილს თუღა რომ გადაარჩენდა.

ცენზურასთან ბრძოლის პერიპეტიები ერთ სათავგადასავლო წიგნს შეადგენდა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებაში, ულმობელი კვალი მის ნაწერებზეც და მის რედაქტორულ ნამოღვაწარზეც ასე კანთიელად რომ აისახებოდა და პავლე ინგოროყვა ამ კვალსაც ჩაუჯდებოდა, მის ამოზიდვა-გადმოფარჩავებას მკითხველის თვალწინ, ილიას ტომების გამოცემას რომ ითავებდა და კომენტარებსა და შენიშვნებს – მისთვის ჩვეული ხელოვნებით – დეტექტიური ყაიდის ჩანაწერებს, ზოგჯერ რა ყაიდა და რომელი ყაიდა, სულაც დეტექტიურ მოთხრობებს დაამსგავსებდა.

თუ რაიმეს, „მგზავრის წერილებსაც" დაუნდობლად რომ შეეხებოდა ცენზორის მაკრატელი, არ გაუკვირდებოდა პავლე ინგოროყვას, ცოტას რომ მოიძევდა XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ისეთ პოეტურ ძეგლს, ამ მცირე შედევრს რომ დაუდგებოდა გვერდით მხატვრული სრულყოფის მხრივ. და ყოველი ფრაზა, ყოველი თქმა ამ პოეტური თხზულებისა თითქოს შეზავებულიყო ასაფეთქებელი ნივთიერებით და ანთებულიყო პოეტური შთაგონების ცეცხლით.

და ცენზორსაც თავისი მოვალეობა დაჰკისრებოდა:

გაექარწყლებინა ასაფეთქებელი ნივთიერებანი და ჩაენელებინა ცეცხლი იმ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტისა, რომელიც – ნაცვლად რომანტიკული იდეებისა საქართველოს წარსულზე, ამ საუკუნის პირველი ორი თაობის მწერლობა რითაც სულდგმულობდა – წარმოადგენდა მკვეთრად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ კონცეფციას და ეროვნულ-გამათავისუფ-

ლებელი მოძრაობის იდეოლოგია ამ თხზულებაში ამიტომაც ჰპოვებდა ასეთ ბრწყინვალე გამოხატულებას.

ორიოდ ადგილს თუღა რომ გადაარჩენდაო...

ცენზურა მოინდომებდა მთლად მოეკვეთა ფინალი, გვირგვინი მთელი მოთხრობისა, დაწყებული იმ სიტყვებით: მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტრითაცა ხარ ნაჩხვლეტიო.

ცენზორს სუნის აღება სცოდნიაო, – მწარედ რომ გაიფიქრებდა ილია, ამ განაფიქრს აშიაზეც მიაწერდა, უპირველესად კი მოითხოვდა ამ ადგილის აღდგენას, ისევე როგორც სხვა აუცილებელი პასაჟებისა:

ადრიდა, ავად თუ კარგად, ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედო.

აწინა ერობა დაიშალის – იმ სტრიქონამდე – სამართალ სასყიდელ, რაიდ დარჩების ბეჩავი მოხევეო.

მეფეთა გუჯარს რუსობამ ყური არ ათხოვაო, - ამ ფრაზაში „რუსობა" არ უნდა შესწირვოდა ცენზორის მაკრატელს.

იდავებდა, იბრძოლებდა და... ჩაატოვებინებდა ამ პოლიტიკურ ფორმულასა და ორიენტირს:

ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო.

და ფინალური მონაკვეთიდან დასაწყისს მაინც, თუკი მთელი მონაკვეთის გადარჩენა ვეღარ მოხერხდებოდა:

მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტრითაცა ხარ ნაჩხვლეტიო.

უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა და როდემდე დარჩება ეს ტკივილი გულში, როდემდე, ახ როდემდე, როდემდეო? – ამ რევოლუციურ მოწოდებას, აჯანყებაზე მინიშნებას ვინ გააჭაჭანებდა, „მგზავრის წერილები" ასერიგად შთამაგონებელი აკორდთი რომ გვირგვინდებოდა.

კიდევ კარგი, იმ ფრაზის გადარჩენას მაინც მოახერხებდა, ასერიგად ტევადისა და შემძვრელის, თორემ მოთხრობის – ამ მართლაც პოლიტიკური პროგრამის – მრწამსი ჩაბნელდებოდა და საკმაოდაც ჩაბნელდებოდა და ერთი-ორი კაცის მოსახვედრილა შეიქნებოდა.

ცენზურა რუსეთის პრესტიჟის გადარჩენას იმით შეეცდებოდა, კომიკურად, სატირულად დახატულ რუსის ოფიცერს სადაურობის აღმნიშვნელ ეპითეტს ჩამოაშორებდა და სადაც წააწყდებოდა:

– ერთმა რუსის აფიცერმა შემოყო თავი.

– მითხრა მან რუსულად.

ამ აღნიშვნას – რუსი და რუსულადო – საგულდაგულოდ გადახაზავდა.

ილია წინასწარვე ივარაუდებდა ამგვარ ჩარევას და შეეცდებოდა გაეპარებინა ამგვარი ფრაზა, მკითხველს ოფიცრის სადაურობას გამჭვირვალედ რომ მიანიშნებდა:

– აქაურები, ესე იგი ქართველები და სომხები, სამეცნიერო ლაპარაკს ჩვეულნი არა ხართ.

მაგრამ ცენზორს სუნის აღება რომ სჩვეოდა, არ გამორჩებოდა ეს მინიშნება და... კიდეც ამოვარდებოდა ტექსტიდან: ესე იგი ქართველები და სომხებიო.

ილია რომ დაწერდა: უცხო ნიადაგზედო, – და რუსეთს იგულისხმებდა, ცენზორი ნებას როგორ დართავდა ეს ეპითეტი „უცხო“ მწერალს რუსეთისათვის მიესადაგებინა, ამიტომაც ასე ჩაუსწორებდა: სხვა ნიადაგზედო.

ან იმ ფრაზაში:

– ჯგუფად მომიგროვდა ყველაფერი, რაც კი დამეტოვა ჩემს მშვენიერს პატარძალსავით მორთულს ქვეყანაში, რაც კი მენახა, მეცადნა და მეცნო უცხოეთშია.

„უცხოეთს“ როგორ დატოვებდა რუსეთის სინონიმად და პირწმინდად გადახაზავდა.

ან ის სტრიქონი როგორ შეიძლებოდა დაბეჭდილიყო ამ სახითვე:

– მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავისი გულის-ტკივილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა.

ცენზურა წაწვდებოდა ფრაზას იქიდან: თავისი გულისტკივილიო, – და ამ მძაფრ, ღრმა განცდის გამომსახველ და საპროტესტო განწყობილებით აღსავსე სიტყვათდინებას ჩაანაცვლებდა სრულიად უწყინარი გამოთქმით: თავისი ამბავიო.

რევოლუციისადმი აღვლენილ პანეგირიკს არამცთუ 1871 წლის პუბლიკაციაში, არამედ 1892 წლსი ხელახალ ნაბეჭდშიც რომ არ გააჭაჭანებდა ლიტერატურის ჟანდარმი, ისედაც ადვილი მისახვედრია, ამიტომაც პავლე ინგოროყვას კომენტარებში იმ მონაკვეთს მივაქციოთ ურადღება, პირველი პუბლიკაციისას პირველი თავი მთლიანად რომ ამოიშლებოდა.

რას უნდა გაეღიზიანებინა და დაეფრთხო ცენზორი, აქ ხომ თითქოს უბრალო ამბები აღწერილიყო: ფოშტის პოვოსკით მოგზაურობა და „იამშჩიკი“?

მაგრამ სუნის აღება რომ სჩვეოდა ლიტერატურის ჟანდარმს, კიდეც ამოიცნობდა, რომ ფოშტის პოვოსკისა და „იამშჩიკის“ სახით რუსეთი გასიმბოლოვებულიყო.

მკვლევარს ანკი ის როგორ გამორჩებოდა, ამ პირველ თავში ილია მძაფრად რომ ეკამათებოდა ნიკოლაი გოგოლს, უშუალოდ კი მისი პოემა-რომანის „მკვდარი სულები“ დასასრულს, მწერალი ხოტბას რომ ასხამდა რუსეთის იმპერიას საკმაოდ გამჭვირვალე მინიშნებით:

რუსეთის მონარქიას რომ წარმოსახავდა ტროიკად, რომელსაც მართავდა კისკასი „იამშჩიკი“ – ანუ მონარქი – და ელვისსისწრაფით რომ მიაქანებდა მალ ცხენებს და გზას უთმობდნენ სხვა სახელმწიფოები და ხალხები.

ვითომ შემთხვევითი შეხვედრა მომხდარიყო მხატვრული სახეებისა „მგზავრის წერილებსა“ და „მკვდარ სულებს“ შორის?

შემთხვევითობის არსებობას ვერ დაიჯერებდა პავლე ინგოროყვა, ორივე ტექსტის შედარების საფუძველზე რომ დაასკვნიდა:

ილიას აქ მიზანში ამოღებული ჰქონდა სწორედ გოგოლის რეაქციული კონცეფციაო.

უნდა გაგვეთვალისწინებინა, რომ:

აქ საქმე გვქონდა არა უბრალო გამარტივებით დაპირისპირებულ პოლემიკასთან, არამედ – მხატვრულ პლანში გახსნილ კამათთან, ვინაიდან როდესაც დაკვირვებული თვალით გავსინჯავდით გოგოლისა და ილიას მიერ დახატულ პოეტურ სურათებს, დავინახავდით, რომ აქ გახლდათ არა მხოლოდ ზოგადი პარალელიზმი მხატვრული სახეებისა, არამედ ნიშანდობლივი შეხვედრაც მთელ რიგ დამახასიათებელ ხაზებში, სადაც ილია სარკასტული სიტყვის შებრუნებით ესიტყვებოდა გოგოლს.

და იმ გარემოებასაც გაგვიცხადებდნენ, რომ:

ილიას სულაც არა სურდა, რათა ეს კამათი გოგოლთან ვუალჩამოფარებული და ოდნავ გასარჩევი ყოფილიყო, პირიქით – შეეცდებოდა, რათა ეს კამათი შეუმჩნეველი არ დარჩენილიყო დაკვირვებული თვალისათვის, და ამიტომაც სახეების ირონიულად შებრუნების დროს ხაზს გაუსვამდა სწორედ იმავე დეტალებს, რასაც გოგოლი.

დილის ექვსი საათი შესრულდებოდა თუ არა, ვლადიკავკასში, იმ სასტუმროს წინ, რომელშიც მთხრობელი წინაღამით ჩამოხტებოდა, რუსის პირდაუბანელი და თავდაუვარცხნელი „იამშჩიკი“ ფოშტის პოვოსკას მიაყენებდა. და საკვირველად ეჩვენებოდა მთხრობელს, რუსი მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად გამოყვანილიყო ამ სქელკისერა „იამშჩიკის“ ბრიყვული სახე, მისი ოყრაყული სანახაობა, მისი მიდუნ-მოდუნებული ზლაზვნა, უადამიანო და პირუტყვული მიხრა-მოხრა. და რამდენადაც სურათი მოეწონებოდა კაცს, ორ იმდენად საძაგლად წარმოუდგებოდა ნამდვილი.

და მთხრობელი ახალგაცნობილ ფრანგს რომ მიუბრუნდებოდა გამოსასალმებლად პოვოსკაში ჩაჯდომის წინ, ის უნდა დაინტერესებულიყო: ეგ ეტლი ვისი მოგონილიაო? – და მიეშვირა ხელი პოვოსკაზედ, რომელზედაც ჯერაც გამოუფხიზლებელი „იამშჩიკი“ უგემურად თვლემდა.

– რუსისა, – მიუგებდა.

და ის ერთბაშად უნდა გამხიარულებულიყო, რაკიღა ამ ტრანსპორტში რუსებს არა ხალხი არ შეეცილებოდა:

– მებრალებით, რომ თქვენ იძულებული ხართ მაგას გაალაყებინოთ ტვინი და გაადღვებინოთ გულ-მუცელი.

მთხრობელი თითქოსდა გაამართლებდა პოვოსკის არსებობას და თავსაც ინუგეშებდა:

– არა უშავს-რა. მთელი რუსეთი მაგით დადის, და მე რა ღმერთი გამიწყრება, რომ დამიშავდეს რამე.

ფრანგს ეს პასუხი კიდევ უფრო რომ გაახალისებდა:

– მაგით დადის?! ამიტომაც შორს არის წასული!.. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ. მე კი, სწორე გითხრათ, თავს ვერ გავიმეტებდი, რომ მაგაში ჩავმჯდარიყავ.

პოვოსკა მთხრობელის ჩაჯდომაზე რომ შეტოკდებოდა, „იამშჩიკი“ თვალებს აახელდა და ბღვერას დაუწყებდა. მერე აკრეფდა სადავეებს, დაუწრუწუნებდა უჭმელობისაგან გადალეულ და ყურებჩამოყრილ ცხენებს და მოუღერებდა შოლტს. ცხენები მიდგებ-მოდგებოდნენ, მაგრამ ალაგიდან

ვერ დაიძრებოდნენ. „იამშჩიკი“ კიდეც შეუძახებდათ, კიდეც აიქნევდა სადავეებს და ფეხებითაც ტყაპუნს დაიწყებდა. ცხენები ყურსაც არ გაიბერტყავდნენ. და ამ ყოფას ის ფრანგი ფანჯრიდან რომ უყურებდა, სიცილით სკდებოდა.

– მაგით დადის!.. ხა, ხა, ხა! – იხითხითებდა იგი, – ვიღა დაეწევა!

თუმც მთხრობელს სამხიაროდ საქმე არ ექნებოდა, მაგრამ მასაც გაეცინებოდა. „იამშჩიკი“ პასუხად თავის ძროხის თვალებს მისკენ მწყრალად მიაბრუნებდა და ისე მრისხანედ შემოუბღვერდა, თითქოს ემუქრებოდა: შენც ეგრეო!..

მერე ისევ ცხენებს მიუბრუნდებოდა და ყოველ მათგანს თითო შოლტს გადაუჭერდა. ცხენები პასუხად ტყუპ-ტყუპ ტლინკს აყრიდნენ, როგორც იქნებოდა ადგილიდან დაძრავდნენ პოვოსკას და ძუნძულით გასწევდნენ. დანჯღრეული ზარი დაიწყებდა თავის უგემურ ჟღარაჟღურს, პოვოსკა – ქვებზე ხტომასა და მთხრობელი – ლაყლაყს ხან აქეთ და ხანაც იქით.

ამ თავის გადარჩენას რომ შეეცდებოდა ილია ცენზურის კლანჭებისაგან, მტკიცებას მოჰყვებოდა: ყოფითი სურათებია, სხვა არაფერიო.

მაგრამ ასე ადვილად ვერ აუხვევდა თვალს სუნზე დაგეშილ ცენზორს, რომელსაც არც „მკვდარ სულებთან“ პარალელი გამორჩებოდა და გოგოლის პანეგირიკის პაროდიასაც ამოიცნობდა.

მაშ ეს გაპამპულებული პოვოსკა და „იამშჩიკი“ რუსეთის სიმბოლოებად უნდა აღექვა და... კიდეც ჩამოეცილებინა ეს დასაწყისი თხრობისათვის, რომელიც უკვე იქიდან უნდა დაწყებულიყო, თერგის ხიდზე გადმომავალი ილია თვალებსაც რომ დახუჭავდა: ემანდ თერგდალეულობა მეც არ დამწამონო!..

– მაგით დადის!.. ხა, ხა, ხა! – ხითხითისაგან ლამის დაოსდებოდა ევროპელი სტუმარი, – ვიღა დაეწევა!

და მის ხითხითს მიედევნებოდა ილიას სიცილიც, ირონიული და სარკასტული, გოგოლსაც რომ არ დაუთმობდა და გაუმასხრებდა ქვეშევრდომულ გრძნობებს.

ჩვენ მოგვშვებოდა რუსეთი და ისემც ექნა, ამ პოვოსკისა და „იამშჩიკის“ შემყურე ყოფილიყო და მისი მოლამაზება-მოკოხტავების მცდელი თავისი ველიკოდერჟავული სულის გაჟღენთილი მხატვრებისა და მწერლების მეოხებით.

გარდა ამ უშუალო გამოკამათებისა, მიხეილ ჯავახიშვილი მათ შინაგან ჭიდილს — ილიასი და გოგოლისა — ზოგადიდეურ და ზოგადესთეტიკურ ფონზე გაიაზრებდა თავის „უბის წიგნაკებში“ და უპირატესობას ილიას მიანიჭებდა იმ დებულებაზე დაყრდნობით:

მწერლისათვის ვიწრო ყოფა სახიფათოაო.

ამიტომაც მოკვდებოდა ნახევრად ნიკოლაი გოგოლი ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, ხოლო რევოლუცია სამუდამოდ დამარხავდა.

ხოლო ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“ კვლავინდეურად შეინარჩუნებდა სიცოცხლეს, თუმც პოემა კაკო ყაჩაღზე და მოთხრობა „გლახის ნაამბობი“ კი მისუსტდებოდნენ.

ნეტა „მკვდარი სულების“ ფინალი რომ ეთარგმნა ილიას, როგორ აამეტყველებდა ქართულად?

მიამიტი თუ საქმეში ჩაუხედავი მკითხველი გაიკვირვებს:

ეს რა სათქმელია, რუსულ გამოთქმებს შესაფერის შესატყვისებს მოუძებნიდაო.

ვითომ?

აბა საეჭვოც რა უნდა იყოს?

რა უნდა იყოს და:

სავარაუდოდ და სულაც დასაბეჯითებლად მიხაილ ლერმონტოვის პოემის – „მწირი“ – ის ადგილი უნდა გავიხსენოთ, ილია 1859 წელს რომ გადმოაქართულებდა.

იკმარებდა პოემის პირველ-მეოთხე თავებს სათარგმნელად, და როდესაც მიადგებოდა იმ პასაჟს – რუსი პოეტი უფლის წყალობად რომ მიიჩნევდა რუსეთის შემოსვლა-დამკვიდრებას საქართველოში, მას შემდგომ რომ აყვავდებოდა და გაიფურჩქნებოდა აქაურობა და მტერთა შემოსევა-თარეშისაც აღარ შეეშინდებოდა მფარველისა და მეგობრის იარაღით გულმოცემულს – თუ როგორ გადმოიტანდა.

შეეძლო კიდეც ისევე ეთარგმნა, როგორც სხვა პასაჟები და, თუკი მოისურვებდა, კომენტარში დაერთო მძაფრი გულისწყრომა ამ სიცრუე-სიყალბით, რუსული პროპაგანდისტული მანქანა რომ ამკვიდრებდა თავისი ველიკოდერჟავული მისწრაფებებით ანთებული ისტორიკოსების, პუბლიცისტებისა და მწერალთა ხელით; მაგრამ ილია უფრო მწვავე გზას აირჩევდა და შიგ ტექსტშივე ჩაურთავდა გამოკამათებას, სიცრუეს სიმართლით რომ შეანაცვლებდა.

მანამდე ერთგულად მიჰყვებოდა დედანს და ქართველ მკითხველს გააცნობდა იმ სურათს, ნანგრევთა მცველი, მოხუცებული, კაცისა და სიკვდილისაგან დავიწყებული, მარტოკინა და ცოცხალ-მკვდარი როგორ აშორებდა მტვერს საფლავის ქვებს, რომელთა ნაწერნი მოგვითხრობდნენ, გვამცნობდნენ: ვითარ ჰქონოდათ ადრე დიდება, ვით წართმეოდათ ბედნიერება, როს ქართველთ მეფე ამადაამ წელს რუსს ჩააბარებდა თავის ერთგულ ერს.

და უეცრად, მოწმენდილ ცაზე გავარდნილი მეხივით:

მას აქეთ რაცა კურთხევა ღვთისა
მიეცა ტანჯულს ივერიის ერს,
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა,
ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს.

ინტერპოლაცია და ასეთი?!

და რარიგ გაიხარებდა პავლე ინგოროყვა, ამ სტრიქონებს რომ წაადგებოდა: თარგმანის ნაცვლად პოლემიკას, მწვავესა და შეურიგებელს, თვით ლერმონტოვსვე რომ ათქმევინებდა სიმართლეს – ბოლოსდაბოლოს ქარ-

თველი ლერმონტოვი მოვალე გახლდათ სწორად დაენახა და გაეაზრებინა ისტორიაც და თანადროულობაც და არა დერჟავული გადასახედიდან, რუსი ლერმონტოვი რასაც სჩადიოდა.

უკვე ნათელია, არა, „მკვდარი სულების“ ფინალს ილია როგორც მოექცეოდა?

დითირამბს პაროდიად გადააქცევდა, „იამშჩიკსა“ და პოვოსკას თავისი ნამდვილი სახით რომ წარმოადგენდა და არა იმ მოლამაზებით, რუს მხატვრებს რომ სჩვეოდათ და გოგოლიც ბელეტრისტული საღებავებით შეამკობდა მკითხველისათვის თვალის ასახვევად. არ იკმარებდა და არა ილია ზუსტად გადმოქართულებასა და პოლემიკური კომენტარის დართვას, რაკიღა გამოკამათებას ტექსტშივე ამჯობინებდა.

დერჟიმორდულ სულისკვეთებას იქვე ჩაუხშობდა – აწ უკვე გაქართველებულ გოგოლს.

ვერ დამდგარიყვნენ და ვერა რუსი მწერლები იმპერიულ მისწრაფებებზე მაღლა, მთელი ცხოვრება ზნეობრიობას, ეთიკური ნორმების განუხრელ დაცვას რომ ქადაგებდნენ და სჯეროდათ: გულწრფელნი ვართო, – მაგრამ შეეხებოდა თუ არა ფიქრი თუ განსჯა რუსეთის მესამე რომობასა და იმპერიალისტურ, გაუმაძღარ დამპყრობლურ მადას, ერთბაშად ავიწყდებოდათ კაცთმოყვარეობაც, თანაგრძნობაც, ზნეობაც, ეთიკის ყოველგვარი ნორმაც და აქეზებდნენ და მთელი მონდომებითა და დაჟინებითაც აქეზებდნენ ხელისუფლებას, რათა დროულად აღესრულებინა რუსეთის მესიანისტური მოვალეობა მსოფლიოს წინაშე.

ამიტომ უკვირდა და აღარც უკვირდა მიხეილ ჯავახიშვილს, 1924 წლის უბის წიგნაკში რომ ჩაინიშნავდა:

გოგოლი თურმე „ოხრანკაში“ მუშაობდა. დღესაც მას უდიდეს პატივს სცემენ, ილია ჭავჭავაძეს კი მარხავენო.

ანდა 1925 წლის ჩანაწერი:

პუშკინი ჭავჭავაძესთან შედარებით შოვინისტ-ფეოდალი იყო. დღეს კი ჩვენს კომუნისტებს პირუკუღმა გამოჰყავთო.

მასალებისათვის მიუთითებდა რ. ო. ლერნერის მონოგრაფიას „პუშკინის პროზა“, და დაურთავდა: ვასო გორგაძეს აქვსო.

და იქვე კიდევ:

პუშკინი ემხრობოდა ცენზურას, იცავდა თავადაზნაურობას, ებრძოდა პოლონეთს. კორპუსში პოლიციის შემოღებას მოითხოვდა (სკოლაში), კერძო სწავლის მოსპობას. წერდა: მეფე ხალხს არ უნდა დაენახოს, არ უნდა დაუახლოვდესო. ტურგენევი პოლიტფანატიკოსად მიაჩნდა. ამის შემდეგ ზოგს იგი რადიკალად გამოჰყავს, ჭავჭავაძე კი რეაქციონერადო.

ქართველი მწერლის ბედი ეს გახლდათ.

ეს გახლდათ ქართველი მოღვაწის ბედი.

ის ნიშან-თვისებები პუშკინისა, ასე მძიმედ რომ გამოიყურება ჩვენს თვალში, უპატიებელ ნაკლად და ცოდვად, ღირსებად მიეთვლებოდა რუს ლიტერატურის მკვლევართაგანაც და ისტორიკოსთაგანაც, რაკიღა გადამ-

დგარიყო იმპერიალიზმის დამცველ-წამქეზებლად, ხოლო ილიას ან სიცოცხლეში და ან წინამურის ჯვარცმის შემდგომ ვინ აპატიებდა რუსულ შოვინიზმთან დაპირისპირებასა და ეროვნული ვინაობის ძიება-აღდგენას. და ამიტომაც შოვინისტს პუშკინს კი არ უწოდებდნენ, ვინც ამ სახელს სავსებით იმსახურებდა, არამედ ილიას, რომელიც უბრალოდ შეუძლებელია შოვინისტი ყოფილიყო – მცირერიცხოვანი ერის შვილი ამ სულისკვეთებით ვერასოდეს იქნება განმსჭვალული, ვინაიდან მის ქვეყანას საამისო ძალღონე არ შესწევს.

მესამე რომობასა და ინდოეთის ოკეანეში გაღწევაზე იფიქროს კი არა, თავი გახდომია გადასარჩენი, აგერ ილიას ამსოფლიური არსებობის ჟამს საქართველო მარტოდენ მამულიშვილთა წარმოსახვაში რომ სულდგმულობდა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებად დანაწილებული.

ხოლო პუშკინი ცენზურას რომ ემხრობოდა და მისი გამკაცრების მოსურნეც გახლდათ, წამიერად რომ წარმოვიდგინოთ მისი შეხვედრა ილიასთან: ის ცენზორად თუ დაუდგებოდა ილიას ნაწერებსაც და „ივერიასაც“, რაფიელ ერისთავივით ან სოფრომ მგალობლიშვილივით ლმობიერებას კი არ გამოიჩენდა, არამედ ლუკა ისარლიშვილივით მოევლინებოდა ლიტერატურას სულის შემხუთველად და ყველაზე ულმობელ ჯალათად, ილია რომ არას დაუთმობდა და ზედაც შეასკდებოდა. და ასეთ დროს აღარ გაახსენდებოდა, ანკი როგორღა, პუშკინის მომხიბლავი სტრიქონები, გუნებაში არაერთხელ რომ ჩამომარცვლავდა აღტაცებული; და გაცენზორებულს ყველაფერს თუ ვერა, რაღაც-რაღაცებს მაინც გამოგლეჯდა ხელიდან, ზოგიერთ გადახაზულ სტრიქონსა თუ პასაჟზე თავისივე ხელით რომ მიაწერინებდა პუშკინს: აღდგესო!..

ნეტა ნიკოლოზ ბარათაშვილი როგორ მოეპყრობოდა ილიას, ასე ნაადრევად რომ არ აღსრულებულიყო და თავისი თანაკლასელივითა და მეგობარივით, ლუკა ისარლიშვილი რომ გახლდათ, ისიც ცენზორად გაემწესებინათ?!.

ერთგულ ჩინოვნიკად წარმოგვიდგება მოგონებათა ფონზე, დავალებათა პირნათელ აღმსრულებლად, და... ნეტა „მერანის“ ავტორთან მოუწევდა ხოლმე შეხვედრა ილიას თუ... თუ იმ ერთგულ და გულგაქვავებულ ჩინოვნიკთან, რომელსაც ვერანაირ ნართაულსა თუ ქვეტექსტს ვერ გამოაპარებდი?..

ეს ისე, სხვათა შორის, წუთისოფელს უცნაური აბრუნდები რომ სჩვევია და ბედისწერაც ხშირად დამდგარა მხიარულ თუ ირონიულ გუნებაზე.

ეს აბრუნდიც წუთისოფლისა, ეს მხიარულებაც და ირონიულობაც ბედისწერისა ილიას ბიოგრაფიაში ისე მკვეთრად იჩენდა თავს, ისე რელიეფურად, ისე ულმობლად და გამმეტებლად:

მის მიერ ყოველმხრივ მომზადებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რომლის საძირკველშიც თვითონვე ჩაეკირებოდა წინამურის მისტერიის შემდგომ, ის ადამიანები მოიგდებდნენ ხელთ, მაინცდამაინც ისინი, რომლებთან ცხარე, მწვავე დავაც სიცოცხლის მიმწუხრს გაუმწარებდა ილიას.

სიმწვავეს კიდევ რა უშავდა.

არანაკლებ ცხარე, ის კი არა, კიდევ უფრო მასშტაბური და მთელი საზოგადოების ჩამთრევი კამათი მანამდე ივანე მაჩაბელთანაც ექნებოდა გამართული, მაგრამ საფუძველი ამ შეხლა-შემოხლისა სულ სხვა მოტივი და წანამძღვარი შეიქნებოდა, და მერეც, შუაგულ ცეცხლში ყოფნისას, ამ თემას აცდებოდა, რაკილა ამ მხრივ გასაყოფი არაფერი ექნებოდათ.

ორივე ერთნაირად აღიარებდა ეროვნებისა და ეროვნულობის განსაკუთრებულ და გადამწყვეტ მნიშვნელობას ადამიანისა და კაცობრიობის ცხოვრებაში.

ორივე ერთნაირად აღიარებდა სამშობლოს უზენაესობას.

და მამა-პაპათაგან ნაანდერძევ საუნჯეთაგან მამულთან ერთად მშობლიურ ენასა და სარწმუნოებასაც თავიანთი არსებობის საფუძვლად მიიჩნევდნენ.

თავიანთ თვისტომთა არსებობის საფუძვლადაც.

და ოცნებაში ნალოლიავები, სახელმწიფოებრიობაამოგებული საქართველოს უმთავრეს დასაყრდენადაც.

ამ საუნჯეთა აღიარება-რწმენით ივანე მაჩაბელი ტოლს არც დაუდებდა ილიას, მისგანაც რომ შეთვისებოდა, და განმტკიცებით ხომ განმტკიცებოდა თაყვანება ქართული მოდგმის, ქართული ენისა და მართლმადიდებლური ქრისტიანობისადმი.

და ისე რომ მომხდარიყო და:

დამოუკიდებელი საქართველო ივანე მაჩაბლის ხელთ აღმოჩენილიყო – ერთიხანობა მაინც მას ამზადებდა ილია თავის მემკვიდრედ – წუთისოფლისა თუ ბედისწერის პარადოქსად ამ მოვლენას არავინ აღიქვამდა. და იმ დაუმცხრალ პოლემიკას მათ შორის მხოლოდღა ერთგვარი სინანულით მოიგონებდნენ და მოვიგონებდით: ერთიმეორის ასე მოყვარულ და პატივისცემელ კაცებს ეს რატომ უნდა დამართოდათო.

და ივანე მაჩაბელი სახელმწიფოს მმართველობის სათავეში შეიქნებოდა უშუალო გამგრძელებელი და აღმსრულებელი ილიას იდეებისა, საფუძვლად ეროვნულ იდეოლოგიას და ქვეყნის პოლიტიკურ მოწყობას ილიას ნაწერებს რომ დაუდებდა და გზამკვლევადაც წაიმძღვარებდა საკაცობრიო ცხოვრებაში საქართველოს ჩასართველად იმ სრულფასოვნებით – ანუ თანასწორად სხვა ერთა შორის – ურომლისოდაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოჩვენებითი უფროა, ვიდრე რეალური, თავის დამამშვიდებლად და მოსატყუებლად გამოსადეგი, თორემ ბუნებრივ მდინარებას აცდენილი... აცდენილი საბედისწეროდ!..

და ისე რომ მომხდარიყო და:

დამოუკიდებელი საქართველო არჩილ ჯორჯაძის ხელთ აღმოჩენილიყო, წუთისოფლისა და ბედისწერის პარადოქსად არც ამ მოვლენას აღიქვამდა ვინმე, და იმ გამოკამათებას მათ შორის და ილიას უნდობლობას არჩილის მიმართ, ვერაფრისდიდებით რომ ვეღარ მოიბრუნებდა გულს ამ პიროვნებაზე, მხოლოდღა ერთგვარი სინანულით მოიგონებდნენ და მოვიგონებდით: ილიას, ცხრა მთას იქით ქვის ქვეშ რა იდო, იმის შემჩნევაც რომ

არ ეძნელდებოდა, მისი ასერიგად მოყვარული და პატივისმცემელი კაცი როგორ ვერ უნდა ამოეცნო არჩილ ჯორჯაძეშიო.

და ესეც, არჩილ ჯორჯაძეც, სახელმწიფოს მმართველობის სათავეში შეიქნებოდა უშუალო გამგრძელებელი და აღმსრულებელი ილიას იდეებისა, საფუძვლად ეროვნულ იდეოლოგიასა და ქვეყნის პოლიტიკურ მოწყობას ილიას ნაწერებს რომ დაუდებდა და გზამკვლევადაც წაიმძღვარებდა საკაცობრიო ცხოვრებაში საქართველოს ჩასართველად იმ სრულფასოვნებით, ჩვენს მოდგმასა და ისტორიულ თავგადასავალს რომ შეჰფეროდა.

ასე რომ:

დავა-კამათი არ გახლდათ მთავარი, არც უნდობლობა, ნოე ჟორდანიასა და მისი გუნდისადმი რომ იჩენდა ილია... არამედ ის პოლიტიკური მრწამსი და იდეალი, ერთმანეთს სრულიად რომ აშორებდათ და საპირისპირო პოლუსებზე ამყოფებდათ.

სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როდესაც მამა-პაპათა ნაანდერძევ საუნჯეთაგან არცერთს არ აღიარებდნენ სოციალ-დემოკრატები:

არც მამულს.

არც მშობლიურ ენას.

არც ქრისტიანულ სარწმუნოებას.

მარქსიზმი ურჩევდათ, მარქსიზმი შეაგონებდათ და არწმუნებდათ ეროვნებებისა და ყოველგვარი ეროვნული დრომოჭმულობაში, მხოლოდღა ტვირთად რომ აწვებოდა ადამიანსაც, ხალხსაც და კაცობრიობასაც და მინიერ ბედნიერებას ვერც ვერასოდეს ჰპოვებდნენ, თუკი ამ ტვირთისაგან არ გათავისუფლდებოდნენ ერთხელ და სამუდამოდ, ზედვე რომ მიაყოლებდნენ მშობლიურ ენასაც და ქრისტეს რჯულსაც, როგორც დამბანგველს გონებისა და კომუნისტური იდეალებიდან და გზიდან გადამცდენელს.

ამ რწმენით, მარქსისტული რელიგიით ატაცებულნი შეეტაკებოდნენ ილიას, როგორც ყველაზე დიდ დაბრკოლებასა და ბარიერს სოციალისტურ-კომუნისტური იდეალების აღსრულების გზაზე, ხალხის ყველაზე მეტად დამაბნეველსა და ახალი სინამდვილისა და სივრცეებისაგან მომწყვეტელს.

ილიას ზეგავლენა – ლამის პრეზიდენტისა, ან რაღა ლამის, წარმოსახვით სწორედაც ქვეყნის მეთაურად რომ აღიარებულიყო ყველას თვალში – უნდა შესუსტებულიყო...

რაო, შესუსტება ვერ მოხერხდებოდა?

მედგრად დაიცავდა თავს და იქით ისე შეუტევდათ, ნაფოტებივით მირეგვ-მორეგვავდა?

მაშინ... მაშინ უკვე უნდა აღკვეთილიყო მისი ამქვეყნიური არსებობა.

და როდესაც აღთქმულ ქვეყანაში შევიდოდა ხალხი, ილიას მიერ დაძრული მოსე წინასწარმეტყველივით, იქ ილიას სამყარო არ დახვდებოდათ.

ვერც მოსე უნდა ღირსებოდა მის მიერ მოპოვებულ ქვეყანაში ცხოვრებას და მის ზღურბლზე უნდა დაცემულიყო?

დაცემას რა უჭირდა თურმე, რაკიღა ის ქვეყანა მოსეს კანონებს უნდა დაფუძნებოდა, უიმისობას რომ არც დაატყობდნენ მისი მიმდევარნი.

და ილიაც არ ინაღვლიდა ზედ ზღურბლზე აღსრულებას და ღვთიურ განაჩენად და აუცილებლობადაც მიითვლიდა, იმ ნაანდერძევ საუნჯებს რომ განემსჭვალა ახალამოგებული სახელმწიფოს მმართველობა.

მაშინ ხომ ხელშიც არ ჩაგვეფშხვნებოდა ასე ელვისსისწრაფით.

რაც არა სწამდათ და უნებლიეთ ჩაუვარდებოდათ ხელთ, დახარბებულნი კი მოიგდებდნენ ძალაუფლებას დამოუკიდებელ სახელმწიფოში, მაგრამ მისი შემნარჩუნებელნი როგორღა იქნებოდნენ და იოლად ამიტომაც დაუთმობდნენ მარქსიზმის ძუძუთივე გაზრდილ თავიანთ ძმებს, ხელისუფლებისათვის ბრძოლაში მტრად რომ მოეკიდებოდნენ ურთიერთს, მაგრამ იმ სამ ნაანდერძევ საუნჯეს ერთნაირი დაუნდობლობით მისტანებოდნენ გასაგლეჯად და გასანიორწყლებლად, და ერთნაირივე სიძულვილითაც აღვსილიყვნენ ჯერ თვითონ ილიასა და მერე უკვე მისი ხსოვნის მიმართ, ვერაფრისდიდებით რომ ვერ აეხსნათ: სიკვდილთან ერთად როგორ არ მოთავებულიყო მისი არსებობა, მისი გავლენა, მისი ძალმოსილება.

დემაგოგიურ ფანდად მოეშველიებინათ – განსაკუთრებით მენშევიკურ ფრთას – ილიას მოღვაწეობასა და აწ უკვე მის მემკვიდრეობას ერთიანად კი არ ვუპირისპირდებით, არამედ ერთიმეორისაგან ვმიჯნავთ მის მხატვრულსა და პუბლიცისტურ თხზულებებს, ერთი მხრივ, და ადრინდელ და გვიანდელ ილიას, მეორე მხრივ, შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსეს, სწორი, მართებული გზიდან რომ გადაუხვია და რეტროგრადთა და რეაქციონერთა ბანაკში აღმოჩნდა კაცი, რომლის მხატვრულ თხზულებებზეც გავიზარდეთ და დიდი ზეგავლენაც განვიცადეთ, და ჩვენი მსოფლმხედველობა და პოლიტიკური იდეალი თუ რაიმემ ჩამოაყალიბა, მათ შორის უდავოდ ილიას „გლახის ნაამბობმა“ და „კაკო ყაჩაღმაცო“.

შინაურულად ყველა ასე იხსენიებდა პოემას „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, რომლის მთავარი გმირიც, კაკო ბღაჭიაშვილი, კოხტა აფხაზს კარგად ემახსოვრებოდა, რომ პირდაპირ ცხოვრებიდან გადმოსახლებულიყო პოემის ფურცლებზე.

კაკო ყოფილიყო ერთი კარდანახელი გლეხი, ვინმე გაუხარაშვილი, რომელსაც მართლა ესროლა თავისი ბატონისათვის – რომელიღაც ვაჩნაძისათვის – და ყაჩაღად გავარდნილიყო. იმალებოდა ალაზნის ტყეში და გამვლელ-გამომვლელის ძარცვით ირჩენდა თავს. ხმა და სახელი დიდი ექნებოდა გავარდნილი.

ერთხელ ილია სწორედ ამ გზას დაადგებოდა კარდანახისაკენ, თან მოსამსახურე ბიჭს რომ იახლებდა. და უეცრად ერთ ალაგას წინ გადაუდგებოდა შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეაჩერებდა.

გამოჰკითხავდა ვინაობასა და მოგზაურობის მიზანს.

ვითომ მგზავრებს სულ ასე ვინაობას ეკითხებოდა და საით გაეწიათ?

ილიას დანახვისას ეტყობა რაღაცას უგრძნობდა გული, მთლად ჩვეულებრივ მგზავრად რომ აღარ მიიჩნევდა და ცნობისწადილიც ამიტომ წასძლევდა: ნეტა ვინ უნდა იყოსო.

ჭავჭავაძის გვარს რომ მოჰკრავდა ყურს, ჩაეძიებოდა:

– ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდა?

მსახური ჩაერეოდა ლაპარაკში:

– თავის ნათესავ აფხაზიანთსა მიდის.

ყაჩაღი თოფს ძირს დაუშვებდა და თავის ბინაზე მიიწვევდა, და გზაშიც და მერეც რაღაც ამდაგვარებს ეტყოდა, პოემისეულ თხრობაში ასე რომ გადავიდოდა:

მე ვარ მდიდარი, ამ ტყეში მარტო მე მაქვს მეფობა; გაშლითა არის ჩემი სახლ-კარი, და ვერას მაკლებს აქამდინ მტრობა. ყოველ ხის ძირას ჩემი სახლია, სად მიღამდება, იქ მითენდება; თუმცა ბევრი რამ მე აქ მაკლია, მაგრამ აქ ჭირიც მიადვილდება... უსახლკარობა, შიში, შიმშილი, მარტოკა გდება მხეცივით ტყეში, კურდღელსავითა ფხიზელი ძილი და იარაღი დღედაღამ ხელში, – მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება ძუნწი ცხოვრება ეს დასაღონი, მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება, სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონიო!..

და სუფრას რომ გაუშლიდა, რაღაც ამგვარსაც უთუოდ დასძენდა:

ღარიბულადა მე დაგიხვდები, და ნუ დამძრახავ ყაჩაღსა, ძამო, თუ მასპინძლად არ მოგეწონებიო.

ღვინოსაც შესთავაზებდა და კარგადაც გამოათრობდა.

და როდესაც მიადგებოდა კოხტა აფხაზსა და მის ოჯახს, აბარბაცებული და გაბურბუსალებული ილია მარტო იმას იძახებდა ენის ბორძიკით:

– დამაძინეთ, დამაძინეთ!..

– სად ყოფილხარ?

– დამაძინეთ!..

– ვინ გიმასპინძლა?

– დამაძინეთ!..

და მეორე დღესღა უნდა მოეყოლა ის თავგადასავალი, უცნაური და დაუჯერებელი, ყაჩაღთან პურობა უმთავრესად იმით რომ დამახსოვრებოდა, გაუხარაშვილი სულ ბატონებს რომ წყევლიდა და აგინებდა.

აგერ წინ არ ეჯდა თავადიშვილი?

არამცთუ გაეძარცვა, სტუმრადაც მიეწვია და გულიც გადაეშალა მისთვის... და ილიას ის ამბავი სიზმარივითაც რომ დაამახსოვრდებოდა და ზღაპარივითაც, გაუხარაშვილის სახება თავისთავდა გადაეჯაჭვებოდა სახებას არსენა ოძელაშვილისა, იმ მხნე არსენასი, მისი მღელვარე ცხოვრებაც ზღაპარივით რომ გადმოდიოდა და ილიასაც ღვიძლ დედასავით შეთვისებოდა, ბევრ რაიმეს ჩასძახებდა გულში, ხან მოალხენდა და ხანაც დააღონებდა, და ის გმირი შეიქნებოდა მისი ჯავრიც და ლხენაც, მისი გულიც და სულიც. და გონება ხალისიანი არსენას ამბით რომ ეზრდებოდა, ეყვარებოდა ის კეთილღიანი და არსენობა ენატრებოდა.

რაღა ილია და რაღა მისი პერსონაჟი ზაქრო, ვისაც მიაწერდა თავის განცდებს და შეეცდებოდა არსენას გზაზეც დაეყენებინა, მის ბედს კაკო ბღაჭიაშვილის ბედს რომ გადააბამდა მას შემდეგ, რაც მამის მოკვლას არ აპატიებდა ბატონს და თოფით შეუნგრევდა გულის ფიცარს.

შურისგების ამ აქტის წყალობით მიიღებდა კაკო ყაჩაღი თავისიანად ზაქროს, საქციელს ისე რომ მოუწონებდა, სულაც დითირამბად დაიღვრებოდა:

შენი გამჩენი ჭირიმე, შენი! ბიჭი ყოფილხარ, ხმლისა დამშვენი... შენ დაგიკეხვოს შენმა მშობელმა – რომ იმის ძუძუ შენ შეგრგებია, აი დალოცოს ის ქრისტე-ღმერთმა – ვისაც შენებრი დაჰბადებიაო.

ხოლო ის ბატონი, ვინც შეიწირავდა ზაქროს მამას, მხნეს, გამრჯეს, დაუღლელსა და ბეჯითს, მარჯვეს, იქნებოდა მხეციც, აჯამიც, გულქვაც და რეგვენიც, კაცებრი გული რომ არ გააჩნდა... მაგრამ იგი ეგებ რაღაც გამონაკლისია და სულაც არა სიმბოლური გამომხატველი თავისი წრისა და ფენისა?

ზაქრო ასე სულაც არა ფიქრობდა და მის მძაფრ ამონათქვამსა და პროტესტში ილია თავის გულისთქმასაც შეურევდა:

რა გავაგრძელო, თავადის-შვილი კარგი რა არის, ავი რა იყოსო?!.

და მოიხიბლებოდნენ ბატონის მოკვლითაც და ამგვარი განზოგადებითაც მარქსის კლასობრივი ბრძოლის თეორიით შთაგონებული ახალგაზრდები, თავად-აზნაურთა ფენის განადგურებაში რომ ხედავდნენ მიწიერ სამოთხესაც და თავიანთი ცხოვრების მიზანსაც. პარტიული ეგოიზმი აქეთ უბიძგებდათ და პროპაგანდისტული ლიტერატურა რომ წამოეშველებოდათ ფარული წრეების შესაქმნელად, „კაკო ყაჩაღსაც“ გამოიყენებდნენ საამისოდ, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხისა“ არ იყოს.. და კიდევ „გლახის ნაამბობს“, გაბრო რომ არ შეარჩენდა დათიკოს – მასთან შეზრდილ თავადიშვილს – ავკაცობას: გაბროს საყვარელი ქალის, თამროს, ნამუსის ახდას, და ყაჩაღად გავარდნილი კიდეც მოძებნიდა სანადიროდ მყოფს, ცხენს რომ ასკუპებდა და ზედ მიაგდებდა.

– თუ ვაჟკაცი ხარ, გამიმაგრდი, – შესჭყივლებდა, ის ჯერ რომ ვერ იცნობდა და თამამად და გულმაგრად დაუხვდებოდა: ვინც უნდა იყო, შენ მე ფერს ვერ მაცვლევინებო, – და კიდეც მარდად გადმოიგდებდა მხარზე გადაკიდებულ ორლულიან თოფს და თვალის დახამხამების უმალ ორივეს ერთად დაახლიდა. მაგრამ ეს თოფს ხელს აუკრავდა და ნასროლი საფანტი ზუზუნით გადაუვლიდა თავზე.

– მე ვარ, გაბრო, შენი სულთამხდელი, – შესძახებდა და, ვიდრე დათიკო სხვა იარაღს მოიხმარდა, შიგ მარცხენა ძუძუში დასცემდა დამბაჩას.

ცხენიდან ჩამოვარდნილს თავზე რომ წაადგებოდა, დაინახავდა, რომ ის მშვენიერი ყმაწვილი კაცი, ის თავმომწონე თავადიშვილი ძლივსღა ფეთქავდა თავისი ყმის ფეხთა წინაშე!.. მაგრამ შეცოდებით როგორ შეიცოდებდა.

– ნაგაკალ თუ არა შენს უნამუსობას!.. – წააყვედრიდა.

– ჰმ, – ჩაიცინებდა ის ისე გულდინჯად, თითქო ქვეშაგებში მშვიდობით წევსო, – ამით გათავდა შენი შერმადინობა?

და მოუჭრიდა სიტყვას ყოფილი ქვეშევრდომი:

– როგორიც ავთანდილი შენ იყავი, მეც იმისთანა შერმადინობა გაგიწიე.

თუ „კაკო ყაჩაღში“ არსენას თავგადასავლის, მისადმი მიძღვნილი მესტვირული სიმღერების გამოძახილი ტრიალებდა, „გლახის ნაამბობი“ შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ ალუზიებით დაიყურსებოდა, მთავარი სიუჟეტური ხაზი ავთანდილ-შერმადინის პატრონყმური ურთიერთობის პაროდიად რომ წარმოგვიდგება. გათვითცნობიერებული მკითხველისათვის

ეს ისედაც მისახვედრი იქნებოდა, მაგრამ ილია თავს დაიზღვევდა და ამ პასაჟს საგანგებოდ ჩართავდა, რათა ეპოსის ამ პერსონაჟთა მოხსენიებას აშკარადაც განეცხადებინა ნაგულისხმევი და მიამიტი მკითხველისთვისაც არ ყოფილიყო დაფარული.

მოგვიანებთი ეგნატე ნინოშვილი მოთხრობას – „ჩვენი ქვეყნის რაინდი" – და მისი ერთ-ერთი მთავარი გმირის, ტარიელ მკლავაძის, ხასიათს ერთი მხრივ თუ გიორგი წერეთლის გავლენით – ძალდაუტანებლად წამოგაგონდებათ „პირველი ნაბიჯი" და მისი ერთ-ერთი მთავარი გმირი იერემია წარბა, სულიერი შვილი ილიას დათიკოსი – შექმნიდა, „გლახის ნაამბობიდან" მომდინარე შთაგონებაც შემოეშველებოდა, რათა გმირის თავგადასავალი „ვეფხისტყაოსნის" ტარიელის ბიოგრაფიის პაროდიად გაეაზრებინა.

ფარზე აზიდავდნენ სოციალ-დემოკრატები ეგნატე ნინოშვილის სახელს ამ მოთხრობისთვისაც და სხვა მოთხრობებისთვისაც, თავადაზნაურული ფენის ავკაცობათა ჩამონათვალ-მწკრივით რომ გადაივსებოდა და მისწრება აღმოჩნდებოდა მათი პროპაგანდისტებისა და პუბლიცისტებისათვის, ქართული ლიტერატურის ისტორიას სულაც ეგნატე ნინოშვილით დაიწყებდნენ – მანამდელს, რომ მოჰკვეთდნენ, როგორც ფეოდალურსა და ბატონყმური იდეოლოგიით გაჟღენთილს – და ისეთ ფორმულას შეიმუშავებდნენ, ამ ორ სახელს რომ გაასიმბოლოვებდნენ: ჩვენი ეგნატე, თქვენი ილიაო, – როგორც წყალგამყოფს, და როგორც ისეთ პარალელურ ხაზებს, რომელნიც უსასრულობაშიც არ გადაჰკვეთდნენ ერთმანეთს.

ილიას „კაკო ყაჩაღისა" და „გლახის ნაამბობის" სულისკვეთება რომ გაეგრძელებინა და გაელრმავებინა, ეგნატემდელ ეგნატედ იქცეოდა, სოციალ-დემოკრატიულ ფარზე აიზიდებოდა და სხვაგვარ სიმბოლურ დაპირისპირებაში აღმოჩნდებოდა, მარქსისტები ასე რომ მოუგებდნენ ნიშნს დაცემული ეროვნული ვინაობის აღდგენის მოწადინეთ: ჩვენი ილია, თქვენი აკაკიო!..

ილიას დაკრძალვისას კარლო ჩხეიძესაც უნდა წარმოეთქვა სიტყვა, 11 სექტემბრის „ჩვენი გზის" ფურცლებზე რომ დაიბეჭდებოდა, მასაც უნდა გამოეგლოვა და თავისი ცრემლიც მიედევნებინა უღვთოდ მოკლული მოღვაწისათვის, გამიჯვნოდა იმ პარტიულ ფორმულას, ილიას მკვლელობა რომ ათქმევინებდათ ვალიკო ჯუღელსა და ნოე ჟორდანიას: ტყეს რომ ჩეხავენ, ნაფოტები ცვივაო...

გამოეგლოვა, მაგრამ პოლიტიკური სარჩულიც ამოეკერებინა თავისი გამოსათხოვარი სიტყვისათვის, რათა ეროვნული სულისკვეთების ადამიანთა თანამოაზრე რომ არავის ჰგონებოდა, რადგანაც ამ მრწამსის მოღვაწენი შოვინისტებისაგან არც განერჩეოდა.

კი მაგრამ... მცირერიცხოვანი ერის შვილი რომ შეუძლებელია შოვინისტი იყოს?

ამდენს აღარ დაგიდევდა კარლო ჩხეიძე, ახალგაჭრილი საფლავის წინაშე მდგარი მწარედ რომ ვალალებდა:

დროებით ჩვენ საზოგადოებას კვლავ გადაეფარა პოლიტიკური მწუხრის ზენარი, კვლავ გამოტყვრნენ ბნელი ძალები უტიფრად ცხოვრების მოედან-

ზე, გამოფხიზლებული ხალხის მაჯისცემა მოდუნდა, საერთო ჭირ-ვარამზე გაბედულად აზრთა გაცვლა-გამოცვლა შეწყდა, ხმა გავიკმინდეთ და დადუმებულნი ველოდებით უმჯობეს მომავალსო.

მიუხედავად ასეთი საერთო მდუმარებისა, მიუხედავად იმ ათასგვარი ბოროტებისა, რომელსაც სჩადიოდა დღეს თავაღებული და წუთიერი გამარჯვებით გაამაყებული ბნელი ძალა, ილიას სიკვდილს ყველა ძალზე რომ აელელვებინა, დაევალებინა კიდეც, სათანადო ანგარიში გაეწიათ როგორც იმ ბოროტმოქმედისათვის, ილია რომ ემსხვერპლა, ისე იმ პირობებისათვის, რომელთა გამოისობითაც შესაძლებელი ხდებოდა ჩვენში ასეთი ბოროტმოქმედება.

– თანაც ჩვენ მოწყურებულნი ვართ უკანასკნელი ამქვეყნიური პატივისცემა მოგაგოთ და ჩვენი შენდამი სიყვარული აღვნიშნოთ.

მაგრამ სიყვარულიც იყო და სიყვარულიც.

საზოგადოება, რომელიც შემოკრებილიყო დღეს ილიას ცხედრის გარშემო, იმდენადვე სხვადასხვაგვარი გახლდათ, რამდენადაც მრავალმხრივ იყო თვით მისი წარსულიც.

ჭეშმარიტებას ძალიან დაშორდებოდა, თუ ვინმე იტყოდა:

ჩვენ ყველა ერთნაირად ვუყურებთ ილიას წარსულს, ყველა ერთრიგად ვცემთ პატივს და ვაფასებთ ილიას მოღვაწეობასო.

დაე დაეტირებინათ ილია, როგორც შეგნებული მესაკუთრე, თავად-აზნაურობას, ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც მშრომელი ხალხის შრომის ნაყოფით ცხოვრობდა.

დაე მისულიყვნენ და პატივი მიეგოთ მისთვის ძალაუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს, როგორც თანადროული სახელმწიფოებრივი პრინციპის მომხრისათვის.

დაე ექოთ და ედიდებინათ იგი შოვინისტებს, როგორც მამულიშვილი.

კარლო ჩხეიძე და მისი თანამოაზრენი რა თქმა უნდა არ შეუერთდებოდნენ ასეთთა ქებათა ქებას და მითუმეტეს სიცხადით აღნიშნავდნენ იმას, რაც გახლდათ ილიას ღვაწლიდან და საქმეთაგან მათთვის ძვირფასი.

ილია სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდოდა მაშინ, როდესაც რუსეთის ბნელი ცხოვრების საძირკველი მძლავრად შეირყეოდა, როდესაც ბატონყმობის დახავსებული სიმაგრის ზღუდეებს ძლიერად შეეჯახებოდა ახალი ცხოვრების აზვირთებული ტალღები და როდესაც პირველად მოისმოდა ხმა ძველი მონური ცხოვრების წინააღმდეგ.

ემადლიერებოდნენ, რომ:

იგი ერთი პირველთაგანი გახლდათ, რომელიც ჩაებმოდა განახლებული ცხოვრების ფერხულში და ჩადგებოდა იმ მცირე რაზმში, რომელიც იკისრებდა მეთაურობას მაშინდელი საზოგადოებისა, და თავისი ნიჭისა და პოეტური შემოქმედების საგნად დაისახავდა დაესურათხატებინა მკითხველისათვის ბატონყმური ცხოვრების საზიზღრობა.

მას დაესურათებინა უფსკრული და ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა ბატონსა და ყმას შორის.

მას დაეცინა გესლიანი ენით და სასიკვდილოდაც მოეშხამა ის, ვინც წინათ დიდებითა და პატივით მოცულიყო.

მას გადაეშალა საოცარი ძალით გონებრივი სიკოტრე, გონებრივი სიდუხჭირე, სრული არარაობა და პარაზიტობა ბატონის, ამ ბრწყინვალე წოდების, რომელიც ფუქსავატი სიამაყითა და მედიდურობით აღვსილიყო.

მას დაეხატა ლუარსაბი და დარეჯანი, ეს ღვიძლი შვილები და ტიპური წარმომადგენელნი ქვეყნის ბრწყინვალე წოდებისა.

ამასთან იმ დროისათვის საუცხოოდ დაესურათებინა აგრეთვე უმწეო და უბედური მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებოდნენ ლუარსაბების უღელში გაბმული გლეხები.

მას დაეპირდაპირებინა ერთიმეორისათვის თავადი დათიკო და გლეხი გაბრო და დაენახვებინა, მათი ერთად არსებობა შეუძლებელი რომ გახლდათ, რადგანაც პირველის ბედნიერება მეორის უბედურებაზედ აგებულიყო, სადაც პირველი იცინოდა, იქ მეორეს უნდა ეტირა, როცა ერთი მაძღარი გახლდათ, მეორე მშიერი უნდა ყოფილიყო, როცა დათიკო თხლად იგრძნობდა თავს, გაბროს სიცივე უნდა მორეოდა.

ორატორსა და მის თანამოაზრეთ სიჭაბუკიდანვე გულის სიღრმეში ჩაეჭრებოდათ ეს სურათები.

და მაშინ ისინი დაგმობდნენ ძველ ცხოვრებას და სიტყვას დადებდნენ, შეძლებისდაგვარად გამკლავებოდნენ ბოროტებას, რომლითაც აღვსილიყო ქვეყნის ცხოვრება.

ამრიგად ილიას მგოსნური ნიჭის ნაყოფი ხელს შეუწყობდა: ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე გამოსულიყო ახალი თაობა, რომელიც კლასთა ბრძოლას საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს მამოძრავებელ ძალად, მთავარ ღირსებად აღიარებდა.

– ამ ახალგაზრდობისთვის სხვათა შორის, შენი იმდროინდელი შემოქმედების ნაყოფი გახდა მისი გონებრივი და ზნეობრივი ზრდის პირველ საფეხურად, რომელზედაც ეს ახალთაობა უნდა შემდგარიყო, რომ გულმოდგინედ შესდგომოდა იმ დიადი მოძღვრების შესისხლხორცებას და ჩვენ ცხოვრებაში გადმონერგვას, რომელიც გვასწავლის, რომ კაცობრიობის წინსვლის აუცილებელ და უდიდეს მიზანს შეადგენს სოციალიზმის დამყარება. ხოლო გზა, რომლითაც ამ მიზანს მიაღწევს კაცობრიობა, არის შეურიგებელი სასტიკი ბრძოლა კლასთა შორის.

ილია თვითონვე გამხდარიყო მოწმე, თუ რა ძლევამოსილება შეესხა ამ სწავლა-მოძღვრებას ჩვენში და რა ღრმა კვალი გაეველო ჩვენს ცხოვრებაში.

რამდენადაც ილიას იმდროინდელი შემოქმედებითი მუშაობით ხელი შეეწყო ჩვენი საზოგადოების თვითცნობიერებისათვის, რათა შეგვეყვარებინა აღნიშნული მოძღვრება, რამდენადაც ილიას გაეღვიძებინა ჩვენ ახალგაზრდა ბუნებაში გრძნობები, რომელნიც აუცილებლად გვესაჭიროებოდა, რომ გულწრფელად გვემსახურა სოციალიზმის დიადი მომავლისათვის, აი სწორედ ამდენად სურდათ სოციალ-დემოკრატებს უკვდავყოფილიყო ილიას სახელი.

ჩვენი პროლეტარიატი საბედნიეროდ უკვე შემდგარიყო განვითარების ისეთ საფეხურზე, რომ ის გაცილებით უფრო ღრმად და სავსებით აფასებდა ხელოვნებისა და შემოქმედებითი ნიჭის მარგალიტებს როგორც შინაარსით, ისე გარეგანი სახით, ვიდრე დანარჩენი ელემენტები ჩვენი საზოგადოებისა.

და კარლო ჩხეიძე, თანამოაზრეებით ზურგგამაგრებული, მკაცრად დაიმუქრებოდა:

ვაი მას, ვინც განიზრახავს, რომ ეს მარგალიტები გათელოსო.

– ვაი თქვენ, – ეტყოდა პროლეტარიატი ილიას ცხედრის წინაშე მათაც, რომელნიც ილიას მოკვლის გაგონების შემდეგ ბუკსა და ნაღარას სცემდნენ ქვენა მისწრაფებითა და მურტალი მიზნით, თითქოს ილიასთან ერთად მოკლულიყო მთელი ხალხიც.

ასეთები ვერა ხედავდნენ, რომ ვერაფრისდიდებით ვერ აქარწყლებდნენ ილიას ნიჭის საუკეთესო ნაყოფს, ვერა ხედავდნენ, რომ ის ხალხი, რომელსაც შეესისხლხორცებინა, რაც ილიას მოღვაწეობაში საუკეთესო გახლდათ, და უარეყო, რაც მის საერთო ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა ილიას წარსულ მოღვაწეობაში, ასეთი ხალხი – აცხადებდა კარლო ჩხეიძე თანამოაზრეთა სახელითაც – უკვდავი გახლდათ და არც პასუხს აგებდა, თუ ვინმე მათ შორის მტარვალობას ჩაიდენდა.

– ვაი მათ, – ასე ახმოვანებდა პროლეტარიატისა და მთელი მშრომელი ხალხის გულისთქმას ორატორი, – ვინც ლამის მართლა ავაზაკურად ისარგებლებდა ილიას მკვლელობის შემთხვევით და ჩირქს მოსცხებდა მშრომელ ხალხსა და მას, ვინც ამ ხალხს ხელმძღვანელობდა.

და დამაგვირგვინებელი აკორდი, წრფელი, თუმც გაორებული, წინააღმდეგობრივი გამოსათხოვარისა:

– დღეს ჩვენში შურისძიებისათვის მოწოდებას ჩვენ არ ვიკადრებთ ცხედრის წინაშე, მაგრამ სასტიკ ანგარიშს მოვთხოვთ მათ, ვინც ჩვენ სასიარულო გზაზე ეკალსა სთესს და შხამს ანთხევს.

თუმც კარლო ჩხეიძე სულაც არ მიიჩნევდა თავის სამგლოვიარო სიტყვას გაორებულად თუ წინააღმდეგობრივად და ამ ეპითეტებს სწორედ ილიას მიაწერდა: რა მისი ბრალი იყო, თუკი ეს ამხელა მოღვაწე, რომლის ნაწერებსაც დასაწყისში ასე დაწაფებოდნენ მომავალი სოციალ-დემოკრატებიც, გადაუხვევდა არჩეული გზიდან და აღარ განირჩეოდა იმ თავადაზნაურთაგან, რომელნიც მშრომელი ხალხის ნაყოფით ცხოვრობდნენ, და მიემხრობოდა იმ წეს-წყობილებას, რომელსაც თავიდან მთელი არსებით უპირისპირდებოდა და სოციალ-დემოკრატები კი ამ პრინციპების დასამხობად შემართულიყვნენ, მის გამოსაცვლელად და ამ სივრცეში სოციალისტური სინამდვილის დასამკვიდრებლად.

პროლეტარიატის სახელით რომ ირწმუნებოდა და... ეს პროლეტარიატი კი არ არსებობდა იმჟამინდელ საქართველოში?

ამას აღარ დაგიდევდნენ კარლო ჩხეიძე და მისი თანამოაზრენი, მთავარი იყო, რომ კარლ მარქსს პროლეტარიატი დაესახა ახალი ისტორიის მამოძრავებლად, პოლიტიკური პროცესების წარმმართველად, და ქართველ სოცი-

ალ-დემოკრატებს სად ეჩხრიკათ და ედევნათ, მათ ეთნიკურ გარემოშიც მოიპოვებოდნენ თუ არა პროლეტარები... აბსტრაქტულ წარმოსახვებს გადაეგვარებინა მათი ფსიქიკაც და შთაენთქა მათი რეალობის შეგრძნებაც...

მარქსიზმის წინარე საფეხურად მიიჩნევდა ილიას ადრინდელ ნაწერებს, მოსამზადებელ ეტაპად, რათა მათი შეთვისების შემდგომ გაადვილებოდათ ახალგაზრდებს მარქსიზმის შეცნობა-გააზრება.

საამისოდ წაადგებოდათ გაბროს შურისგება.

საამისოდ წაადგებოდათ ზაქროს შურისგება.

საამისოდ წაადგებოდათ ლუარსაბისა და დარეჯანის ხასიათებიც, მათი მცონარობა თუ ჭამა-სმას გადაყოლა, თვალშისაცემი რაც გახლდათ.

ეგაა, უღელში შებმა საიდან მოლანდებოდათ?

ასეთი რამ იმ მოთხრობაში – „კაცია-ადამიანი?!" – არა ხდებოდა, მაგრამ ორატორი ლუარსაბს განაზოგადებდა თავადაზნაურობის წრედ, ეს უმსგავსი მოქმედება კი უდანაშაულო ლუარსაბსა თუ ლუარსაბებს მიეწერებოდათ არა ისტორიული სინამდვილის გამოისობით, არამედ „სურამის ციხის" გავლენით, პროპაგანდისტული შენათხზით, სიმართლედ გასაღებას რომ ცდილობდა დანიელ ჭონქაძე. და თუმც ალექსანდრე ორბელიანი მაშინვე გამოააშკარავებდა ავტორის ცრუპენტელობასა და ყალბისმქნელობას, აგერ სოციალ-დემოკრატები როგორ მოეჭიდებოდნენ და სულაც ფარზე აზიდავდნენ და განაზოგადებდნენ.

ასეთი რამ – უღელში გლეხის ქალები შებმა – მოხდენით მომხდარიყო საქართველოში, მაგრამ არა ქართველ მებატონეთაგან, არამედ რუსი ოფიცრები ჩაიდენდნენ ამ დანაშაულს ხევში, და აღშფოთებული მოხევენი კიდეც წამოავლებდნენ იარაღს ხელს, რაკიღა მათ აღშფოთებასა და საჩივარს რუსი ჩინოვნიკ-მმართველები არ შეისმენდნენ.

მეტჯერ ასეთი რამ აღარ განმეორდებოდა და რუსებიც კი მოერიდებოდნენ, არამცთუ ქართველ მებატონეს წაცდენოდა ხელი.

მარქსისტული აზროვნება, ბოლშევიკური მიზანსწრაფვა და ცხოვრების წესი ეს იქნებოდა, რომ მათთვის სასურველი სიცრუე სიმართლედ გამოეცხადებინათ, სიყალბე ჭეშმარიტებად შეებურათ, და ამ შემთხვევასაც – „სურამის ციხის" მონაჭორს – ხელზე ამიტომაც დაიხვევდნენ და ჩვენს ისტორიასაც კლასთა ბრძოლის მოდელს მიატმასნიდნენ.

ამ მხრივ საკბილოს კი ვერას იპოვნიდნენ „კაცია-ადამიანში", მაგრამ ის პასაჟი მაშინაც გაამხიარულებდათ და მერეც მოიმარჯვებდნენ, როდესაც კი ვინმე გაიხსენებდა თუ წამოსწევდა ალექსანდრე ორბელიანის შეხედულებას გარდასულ დროებაზე, რუსეთისა და დასავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით არავითარი დაპირისპირება რომ არ არსებობდა ბატონებსა და გლეხებს შორის, არც არავითარი ზღუდე და წინააღმდეგობა, და სუფევდა ჰარმონიული, მამაშვილური ურთიერთობა, რის კვალობაზეც ამ მტკიცებას მამაშვილობის თეორიად მონათლავდნენ.

ილია რარიგ აფასებდა ალექსანდრე ორბელიანს, რაკიღა მისგან გადაშლოდა თვალწინ ერეკლე მეორის, მისი ოჯახისა და გარემოცვის ყოფაც და

ახალი საუკუნის ტრაგიკული დასაწყისიც, რარიგ ენდობოდა და ეიმედებოდა მისი თუნდ ანბანის რეფორმისას; თუ ვინმე უფროსთაობელთაგან, ერთი უპირველესი ალექსანდრე ორბელიანი დამიდგება გვერდითო; მაგრამ ამ შეხედულებას, მამაშვილობად წარმოსახვას ბატონისა და ყმა-გლეხის ურთიერთობისა, ესეც მიამიტობად ჩამოართმევდა, კეთილშობილი კაცის სურვილად, თვითონ როგორც იქცეოდა ყმა-გლეხებთან, თითქოსდა ეს ყოფილიყო ფეოდალური საქართველოს ცხოვრების წესიც და ზნეობრივი ნორმაც. და კბილს გაჰკრავდა ამ თეორიას, საქილიკოდ და საირონიოდ რომ გახდიდა.

– რა კარგი იქნებოდა თქვენთვის, რომ ჩვენ არა გყვანდეთ, – შეაგონებდა ლუარსაბ თათქარიძე თავის მოურავს, დათოს, რომელიც ფარისევლურად დაუკრავდა კვერს:

– შენი მტერი ყოფილა, ჩვენ ვიქნებოდით, შენი ჭირიმე!

– რაც უნდა იყოს, მამასავით გპატრონობთ.

უკვე უშუალოდ უნდა გაჩენილიყო მამობრივი მოპყრობის მოტივი. და კიდეც უნდა გამომკრთალიყო პერსონაჟის სიტყვებს მიღმა ილიას ღიმილიც:

– დიაღ, შენი ჭირიმე! სწორედ მამა ბრძანდებით და ჩვენ შვილები ვართ. თუ ხანდისხან გაგვიწყრებით, აგვიკლებთ, წაგვართმევთ, – ეგ რა? სულ ჩვენის სიკეთისათვის არის ხოლმე, განა მამა შვილს არ გაუწყრება?

ლუარსაბმა, თავისი გულუბრყვილობით, პირდაპირ უნდა გაიგოს გაიძვერა მოურავის ნათქვამი და გაიხაროს:

– ოღონდაც, რომ გაუწყრება, მაგრამ შვილი ისევ შვილია, მამა ისევ მამაა ხოლმე.

და მოურავმა სულ უნდა გაილაღოს:

– მართალი ბძანებაა. სხვას არა აქვს მაგის გაგება, ამბობს, რომ რაც ჩემია – ჩემი უნდა იყოს, ბატონი რად უნდა გვართმევდესო. ის კი არ იციან, რომ თუ ბატონი ართმევს რასმე, სულ იმათისავე სიკეთისათვის ართმევს. ხომ მოგეხსენებათ, გლეხკაცი რეგვენია.

– ოღონდაც რეგვენია, – უნდა ჩაერიოს დარეჯანი, – მაშ ბატონი რისა არის, თუ არ დასტუქსავს, არ წაართმევს? თუნდ ეგ არ იყოს: უცხო ხომ არ ართმევს, ისევ თავისივე ბატონია.

– მართალი ბძანებაა. მამაა, უცხო რად იქნება? – უნდა დაუმატოს ეშმაკობით დათომ.

დიდი რამ მიხვედრა არ ესაჭიროება, ეს იუმორით შეზავებული დიალოგი შინაგანად პოლემიკური რომ არის.

და საკმაოდ გამჭვირვალეა, რა შეხედულების გაბათილებასაც ლამობს ილია, ვითომდა მიამიტურის ჩანაცვლებას რეალისტურით... თუმც თანდათან უნდა დარწმუნებულიყო, რომ ალექსანდრე ორბელიანი არას აზვიადებდა და სრული საფუძველიც ჰქონდა ამგვარი მტკიცებისათვის.

და მერე და მერე რომ გაიზიარებდა ამ თეორიას, კიდეც უნდა მისულიყო ჩატეხილი ხიდის აღდგენის თეორიამდე, „ოთარაანთ ქვრივში“ რომ წარმო-

სახავდა, ცხადია მხატვრულ საბურველში გახვეულს, მაგრამ ძალდაუტანებლად გამოირჩევა მოთხრობის იმ მონაკვეთიდან, არჩილს რომ ათქმევინებს თავის სათქმელს მწერალი, თეორიული საყრდენები იმ მტკიცების დასტურად, სულიერი ხიდი ქართველ მებატონეებს და გლეხებს შორის ახალ დროებას რომ ჩაემსხვრია, რუსულ მფლობელობას დაეშორიშორებინა ისინი, მაგრამ ტრადიციის აღდგენა ყველაფერს გამოასწორებდა, რაკიღა შინაგანი, იდუმალი სწრაფვა, გულითადი ურთიერთობა კვლავაც შენარჩუნებულიყო ამ ორ წოდებას შორის.

ამოშლით არ ამოშლიდა „კაცია-ადამიანიდან“ იმ ირონიული სულით გაჟღენთილ დიალოგს, მაგრამ გადაფასებით გადააფასებდა მაშინდელ დამოკიდებულებას და „ოთარაანთ ქვრივს“ აქცევდა იმ პროგრამად, რომელსაც არჩილ ჯორჯაძე უკვე საერთო ნიადაგის თეორიადაც გარდასახავდა და ჩამოაყალიბებდა იმ ნიშნებს, ასერიგად რომ ესაჭიროებოდა ბრძოლის წარმართვასაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ამოსაგებად, და მერე უკვე თავისუფალი ქვეყნის პოლიტიკის შესამუშავებლადაც, ადვილად რომ აღარ მოჰყვებოდი ხელახალ კაბალაში.

და მიხეილ ჯავახიშვილი უბის წიგნაკში რომ ჩაინიშნავდა:

„ოთარაანთ ქვრივი“ კვლავინდებურად ინარჩუნებს სიცოცხლეს, „კაკო ყაჩაღი“ და „გლახის ნაამბობი“ კი მისუსტდნენო, თავისი გადმოსახედიდან აფასებდა ამგვარად, თორემ ბოლშევიკური ხელისუფლება და ჩეკისტური კრიტიკა თუ რაიმეს იწყნარებდა ილიას ნაწერებიდან და წინ წამოწევასაც ცდილობდა, სწორედ ეს პოემა და მოთხრობა გახლდათ, ხელზე დასახვევი პროპაგანდისტული მიზნით – ზედაპირზე რაც იდო, აბა ჩაღრმავებას ხომ არ მოინდომებდნენ. არც მოინდომებდნენ და ვერც შეძლებდნენ.

მიხეილ ჯავახიშვილი კი „ოთარაანთ ქვრივის“ მნიშვნელობას აღნიშნავდა პირწმინდად მხატვრული ღირსებების გამოც და ამ იდეური მრწამსისთვისაც, წოდებათა შორის დაახლოებაზე რომ ზრუნავდა.

არა იარაღის ტრიალი მათ შორის, არა მკვლელობა ბატონისა ყმაგლეხის მიერ, თანაც სავსებით მოწონებული და გამართლებული, არამედ გვერდიგვერდ დგომა და ერთობლივი საქმიანობა ქვეყნის სასიკეთოდ.

ექსპრესია კი არ აკლდა „გლახის ნაამბობს“, სტილური სილაღე, ამბების მოხდენილი აკინძვა და სიმონ ჩიქოვანი სწორედ ამ მხრივ მოხიბლულიყო ამ მოთხრობით, თავისებურ თარგად რომ სდებდა:

მსუბუქად არის დაწერილიო!..

ეს სიმსუბუქე ბარემ ბევრ მწერალს ენატრება, ილია ამ მადლს ასე უხვად რომ ფლობდა და „გლახის ნაამბობში“ კიდეც უშურველად გადმოღვრიდა, რაკიღა შესაფერისი განზრახვაც ექნებოდა – სიუჟეტურადაც აეყოლიებინა და ჩაეთრია მკითხველი.

მაგრამ აი „კაცია-ადამიანის“ წერისას...

დაიწყებოდა მდორედ, ძალიან მდორედ და არც გაგრძელება უნდა ყოფილიყო ერთბაშად გალაღებული, მიუხედავად თხრობის იუმორისტულ-სატირული მანერისა, აშკარად რომ გაახალისებდა მკითხველს, მაგრამ

ისეც ვერა, რისი მხატვრული ხერხებიც არსებობდა მის მოსაზიდად და ამ მოთხრობის შემოქმედსაც ჩინებულად მოეხსენებოდა, მაგრამ... მაგრამ ილია ამ მოთხრობაში გაერიდებოდა სავსებით შეგნებულად: რათა მკითხველი გულისგულამდე ჩაწვდომოდა ამ სატკივარსა და საფიქრალს, რის გაცხადებაზეც მწერალი დიდ იმედს ამყარებდა.

– მკითხველო, ხომ არ მოგეწყინა? – რიტორიკულად იკითხავდა სადღაც მერვე გვერდზე, თვითონვე რომ ეღიარებინა:

რასაკვირველია მოგეწყინაო.

და მიზეზსაც თვალსაჩინოს გახდიდა, რაკიღა ის საიდუმლოც მოეხსენებოდა, მოწყენისაგან როგორ დაეხსნა მკითხველი:

აქ არ არის არც სიყვარულის ეშმაკობა, არც კაცის-კვლა, არც უიმედო ქალის ოხვრა, არც წყალში გადავარდნა, ერთი სიტყვით – რაც ამშვენებს გასართველად დაწერილ მოთხრობასა – ის აქ არაფერი არ არისო.

მაშ კიდეც მოეწყინებოდა მკითხველს, ამას რაღა დიდი მტკიცება ესაჭიროებოდა.

ისე ეს ჩამონათვალი მთლიანად შეისხამდა ხორცს „გლახის ნაამბობში“, მას დაამშვენებდა, როგორც სწორედაც გასართობად დაწერილ მოთხრობას, გარეგნულადაც რომ მიეზიდა მკითხველი. ბულვარული თხზულების ხერხები საამისოდ მისწრება რომ გახლდათ, მოგვიანებით აკი ამიტომაც მოინდომებდა „იზას“ გადმოქართულებასაც, თუმც სტილურ სილაღეს კი იქ ვეღარ მიაღწევდა ალექსი ბუვიეს გამოისობითაც და თავისი მოუცლელობითაც. თუმც... იოსებ გრიშაშვილისათვის რომ გეკითხათ: მიაღწევდა რომელია!..

რაკიღა შესაფერისი გამოცდილება უკვე შეეძინა „გლახის ნაამბობში“, მაშ „კაცია-ადამიანშიც“ ნუღა მოაწყენდა, ყველა ამ ხერხს თუ არ მოიმარჯვებდა, ზოგიერთი მაინც გამოეყენებინა და შიგადაშიგ მაინც გაერთო მკითხველი.

მაგრამ საგანგებოდ აერჩია ეს მანერა თხრობისა, გარეგნულ სამშვენისებს ოდნავადაც რომ არ მოეჭრა მზერა მკითხველისათვის, რაკიღა მის გასართობად არ იწერებოდა ეს სტრიქონები.

სურდა ამ მოთხრობას ჩაეფიქრებინა მკითხველი და, თუ მოიწყენდა, ამის გამო მოეწყინა; იმიტომ, რომ ფიქრი და მოწყენა განუყრელი და-ძმანი არიან.

სურდა მკითხველს იმიტომ კი არ მოეწყინა: გასართველი არ არისო, – არამედ იმიტომ: ჩამაფიქრებელიაო.

თუ ამდენს იხერხებდა და შეიძლებდა ეს უხეირო წერილი, ამის მეტი არცა სურდა და არც მოინდომებდა! და თუ ვერ იხერხებდა, თავს იმ ანდაზით ინუგეშებდა: ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო. ამ დალოცვილ შეგონებას რამდენი უხეირო კაცი ხეირიანად გამოეყვანა და... ჩაიღიმებდა ილია: მეც მათ შორისო...

მიაქციეთ ყურადღება, „კაცია-ადამიანი“ არა მოთხრობად, არამედ წერილად რომ მოიხსენიება?

ჟანრობრივად განა რა საერთო შეიძლება ჰქონოდა ამ მოთხრობას წერილთან, მოულოდნელად ასე რომ განგვისაზღვრავდნენ მის ჟანრობრივ თავისებურებას?

ამიტომაც აქ რაღაც სხვა უნდა იგულისხმებოდეს.

თუმც რაღა „რაღაც“ – წერილი იმ მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული, ბიბლიურ წიგნებს წმინდა წერილად რომ იხსენიებდნენ.

„კაცია-ადამიანი?!“ თავისი არსით სწორედ იმ წიგნებთან გასდებს ხიდს, ძველი და ახალი აღთქმების წიაღიდანაა ამოზრდილი და მათ ეხმიანება.

ნიშანდობლივია, მაინცდამაინც რიტორიკის ხსენებით რომ იწყება: იქ წერია – ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კაცმაო. ჭეშმარიტია. და ჩვენც ასე დავიწყოთო.

ეს დასაწყისი რომ ამოვაკლოთ, ვითომ უამციტატოდ ვერ დაიწყებოდა მოთხრობა შესავლით?

მაგრამ მაშინ ის მინიშნება დაიკარგებოდა, ბიბლიას რომ მოგალანდებდა, ისევე, როგორც: „ცით მონაბერი სულის“ ხსენება, სხვა შემთხვევაში ცალფად რომ დარჩებოდა და ის მნიშვნელობაც არ მიენიჭებოდა, რაც ერთი მხრივ რ ი ტ ო რ ი კ ი ს გვერდით აქვს, მეორე მხრივ კი – წ ე რ ი ლ ი ს ა.

ყველა სიტყვა რომ აწონილია ამ მოთხრობაში, მათ შორის შინაგანი, იდუმალი კავშირებიც, შეგნებული გადაძახილებიც იმთავითვე ჩაფიქრებული და გულდასმით შერჩეული ჩანს და „წერილის“ შინაარსიც ამ ფონზე უკვე ნათლად განიმარტება.

ლუარსაბის ცხოვრების დიდ თავგადასავალს ყველა თავისებურად კითხულობსო, – თამაზ ბიბილური რომ იტყოდა ლიტერატურულ ნარკვევში „განძი და ანდერძი“, იცოდა, ყურს მოჭრიდა მკითხველს ეს სიტყვათშეთანხმება და საგანგებოდ დასძენდა:

ეს უბრალოდ არ მითქვამს, ლუარსაბს მართლაც დიდი თავგადასავალი გადახდა, ყოფის თავგადასავალი, ყოველდღიური არსებობის თავგადასავალი. მისი ცხოვრება თვითონ ცხოვრებაში იქნებოდა უღიმღამო, ოღონდ ლიტერატურაში კი – არა. ამ საკუთარ ტახტს მიჯაჭვული კაცის ცხოვრება ფართო ლიტერატურულ სივრცეებს ეჭიდება, დიდ განზომილებას იძენსო.

და ცოტა ხნის შემდგომ კვლავ დაგვიბეჯითებდა:

ლუარსაბმა, როგორც პერსონაჟმა, როგორც გმირმა – ნუ შეგვეშინდება ამის თქმისა – ძალზედ დიდი და ცნობისწადილის აღმძვრელი გზა განვლო. იცხოვრა, როგორც შეეძლო, მაგრამ თავისი ცხოვრება გაკვეთილად დაგვიტოვა. მეტი რაღა უნდა ექნა საწყალ ლუარსაბს? უღიმღამო ცხოვრება პერსონაჟისა დიდ ლიტერატურად იქცაო!..

ვინც ლუარსაბის სახეში თავის თავს იცნობდა, ვინც ლუარსაბზე დაწერილს თავის თავზე მიიღებდა – ილიას ეჭვიც არ ეპარებოდა – ის რასაკვირველია ლაფის სროლას დაუწყებდა და „გიჟიას“ ძახილსაც მის შემოქმედს. და წინასწარვე აფრთხილებდა და შეაგონებდა ყველას, რომ:

ერთ პირთან საქმე არა ჰქონდა და საზოგადო ჭირზედ წერდა.

გაფრთხილება და შეგონება იმისი გახლდათ, სწორად წაეკითხათ და სატკივარიც მიუკერძოებელი თვალით და ზუსტად ამოეცნოთ, თორემ შიში და ამისთანები ილიას გულს არ ეკარებოდა.

ამავე მიზნით გაიტანდა ეპიგრაფად ანდაზას – წინ მეტი დამარწმუნებლობისათვის „გონიერსაც“ რომ წაუმძღვარებდა, თორემ უგუნური ანდაზა განა სად თქმულიყო – მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირუკანაო. და თავიდანვე ერთხელ კიდევ გაიმეორებდა, როგორც მისი სიმართლით თავის გამამხნევებელს, და... ძებნას დაუწყებდა ამ გონიერი სიტყვის მთქმელს: სადა ხარ ახლაო?..

ეს იმიტომ, საძებნელად რომ განეწყო მკითხველიც, თორემ განა არ იცოდა, სადაც იმყოფებოდა ის სიმართლისმოყვარე:

ხალხში, უხილავი, და ხალხისა გახლდათ ხალხისავე გენიად სახელდებული, ამ თვისებებით რომ შემკულიყო: შეუცთომელი და ყოველთვის მართალი.

ამიტომაც იგი და მხოლოდ იგი უკეთებდა გულს იმას, ვისაც „სხვისთვის“ გული სტკიოდა.

მაშინაც კი უკეთებდა, როცა თვით ის „სხვანივე“ თავიანთ გულშემატკივარს ცოდვად უთვლიდნენ გულისტკივილს და არც ლაფის სროლას მოაკლებდნენ და არც „გიჟიას“ ძახილს.

რა უნდა გეღონა:

ზოგი გულისტკივილს იმით იჩენდა, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებდა, და ზოგი კი იმით, რომ ცუდს უწუნებდა.

და ამ ორგვარ ხალხში რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულისტკივილი და სიყვარული ამოქმედებდა – დაე ეს თვითონ მკითხველს გამოეცნო.

ქვეტექსტი საკმაოდ გამჭვირვალეა და დაკვირვებულ მკითხველს ადვილადაც დააკვალიანებდა.

„კაცია-ადამიანი?!“ იმ მხრივაც აღმოჩნდებოდა გამორჩეული ილიას ბელეტრისტიკაში, რომ ძალიან გაუძნელდებოდა დაწყება და საბოლოოდ ოთხი ვარიანტი შერჩებოდა ხელთ დასაწყისისა, რომელთაგანაც არცერთს აღარ იყაბულებდა და რიტორიკის ხსენებით გახსნიდა თხრობას.

არადა ის წინასიტყვაობანი თავისთავად საგულისხმონი გახლდათ და გულს მაკლია, ერთი მაინც რატომ არ დაერთო მოთხრობას და აკადემიური გამოცემებისას ყველა რატომ უნდა მოხვედრილიყო ვარიანტებისა და შენიშვნების განყოფილებაში. პოპულარული გამოცემები კი „კაცია-ადამიანისა“ სულაც უიმათოდ რატომ უნდა იბეჭდებოდეს.

იმ წამოწყებისას მთხრობელს სახელი ღვთისა უნდა ეხსენებინა, აეკიდა თავისი გუდა-ნაბადი და შედგომოდა მგზავრობას, რაკიღა სმენოდა, მგზავრობა გონებას ხსნისო. და ერთ კარგად მოზრდილ, ხავსმოკიდებულ გუბეს რომ წააწყდებოდა, მართალია იმ გუბის გარშემო მშვენივრად აყუდებულიყვნენ დიდებული მთანი, მაგრამ იმ მთების დიდებულება იმ გუბეში არ ისახებოდა: მღვრიე ზედაპირი გუბისა ვერ გადმოსცემდა დიდებულების სახეს, რადგანაც ამას ანკარა წყალი ესაჭიროებოდა. იმ გუბის ახლომახლო მეტად ცუდი ოხშივარიც მოდებულიყო, ისეთი, ისეთი, რომ: კაცს სული შე-

უგუბდებოდა, გონებასა და გულზე ობი მოეკიდებოდა, მუხლი კი, წინ წასადგმელად მოცემული, მოეჭრებოდა დაეხუთებოდა.

შიგ მრავალი ცხოველი რომ მოჩანდა, მათ შორის ორფეხა მხეცნიც და ამ ორფეხა მხეცებში კაცის სახის მქონენიც, მაგრამ ძალიან ცოტა. და თავისთვის უნდა ჩაელაპარაკა მთხრობელს:

ეს რა გუბეა ამოდენა? ამ გუბის ხსენება რატომ არსად არის? ამ საძაგელ, დამყაყებულ და ერთ ალაგს გაჩერებულ წუმპეს რატომ აქამდინ კაცის ყურადღება არ მიუქცევია? ნეტა ვიცოდე ამ გუბეს სახელად რას ეძახიანო?

– ამ გუბეს ქართველები ქვეყნის სამასხაროდ ცხოვრებას ეძახიან, – უნდა წაეჩურჩულებინა ვიღაცას და ზედაც დაეტანებინა, – ახლო არ მიხვიდე, თორემ ერთი ბრიყვი ვინმე კუდს მოიქნევს და ზედ შემოგასხამს ამ გუბის ტალახსა.

– ვისაც ტალახისა ეშინიან,ის გარეთ არ გამოვა, – ვიღაცას რომ ეთქვა, ამას ეს სიტყვები თავისი გულის გასამაგრებლად სწორედ მაშინ მოაგონდებოდა. თუნდ ეგ არა ყოფილიყო, ეს ხომ გაეგონა, რომ ტალახისა მხოლოდ დიდყურაანთ გვარს ეშინოდა. და ამისთვისაც ტალახის შიშით მთხრობელი უკანდახევას არ იკადრებდა.

ფეხს წინ წადგამდა თუ არა, იმ გუბის სიმყაყის სუნი კიდეც ცხვირში უნდა მოხვედროდა. ჯერ შეტოკდებოდა და თავბრუდასხმული წაიბარბაცებდა, მაგრამ მერე, როცა ყნოსვა აგრძნობინებდა, ის ცხარე სუნი ჩვენებურია, ძველებურიაო, თავს შეიმაგრებდა.

– დიახ, ბატონო, იგი სუნი ვცან და განვიცადე.

და არამცთუ მიუახლოვდებოდა, შიგ იმ გუბეში შესვლასაც მოიწადინებდა. ცნობისმოყვარეობის საღერღელი აეშლებოდა. მოინდომებდა შეეტყო: ამ გუბეს ცხოვრების ნიჭი ჰქონდა თუ არა? მოინდომებდა ეცნო, როგორ და რაფრად ალპობდა ყოველს, რასაც ცხოვრება მინიჭებოდა.

ამ განზრახვით შეტოპავდა შიგ. პირველშივე საფლობი ლექი დახვდებოდა. ათასნაირი ქვეშემძრომი ზედ მოეხვეოდა, ნამეტნავად წურბელები. ყველას, ვისაც კბილი ესხა, კბენას დაუწყებდა, მაგრამ, ღმერთიც უშველიდათ, არცერთს კბილი არ უვარგოდა: ზოგს ბევრი მჟავე-მჟუვის ჭამისაგან მოჭროდა, ზოგს დაბადებიდანვე მჭრელი კბილი არ ღირსებოდა, ზოგს კიდევ კბენის მოხერხების თავიც არ გააჩნდა.

და სარკასტულად უნდა ჩაეცინა მთხრობელს:

კბენასაც, როგორც ვატყობ, ჭკუა სდომებიაო.

რასაკვირველია იმ ჭია-ჭუებს ყურსაც არ ათხოვებდა, მაგრამ ფეხს კიდევ წინ რომ წადგამდა, ახლა ამ დამპალი წყლის ქვეშ ამოზრდილი ბალახბულახისაგან მოუწევდა თავდაღწევა.

და აი დააბიჯებდა თუ არა მოლხობილ გუბის მიწას, გუბე ისეთ სუნს ამოუშვებდა, სულს შეუგუბებდა. და მაშინვე თავს გუბის ზედაპირს ამოაცილებდა, თორემ კატასავით შიგ ამოიხრჩობოდა. კარგია, რომ ცურვა იცოდა და გუბეზე ნავტიკივით ამოტივტივდებოდა, თორემ ცუდად წაუვიდოდა საქმე.

ახლა კი მადლს შესწირავდა წმინდა, ციაგ ჰაერს და თავის ცურვის უნარს! ისინი დაიხსნიდნენ, რომ იმ წუმპეში ცოცხალი თავით არ დაილუპებოდა.

– გაინაპირე, გაინაპირე, – ეტყოდა თავს, – თუმც ნაპირზედაც ფრთა ვერ გაიშლება, როგორც რიგია, თუმც იქაც დამპალ ჰაერში უნდა სული ვიბრუნო, მაგრამ მაინც იქა სჯობია. იქიდან ჩანდა ის დიდებული მთანი, დაუდგრომელი ბუნების ცხოვრების ძალით დედამიწის გულიდან ამოზრდილნი.

იქიდან ჩანდა მწვანე მინდვრები და ზედ კვალი კაცური კაცის დაუდგრომელი შრომისა.

და ერთიმეორეს რომ შეუპირისპირებდა:

იქიდან ჩანდა ცხოვრება, სიცოცხლე, აქ სუფევდა გახრწნილება და სიკვდილი; აქ მზე ალპობდა და აობებდა, იქ მზე ათბობდა და აცხოვრებდა; აქ წყალი ხავსს უკიდებდა, იქ აგრილებდა და ზრდას ახალისებდა.

და კვლავ თავისთვის უნდა შეეძახა და გაემხნევებინა:

– გაინაპირე, გაინაპირე, ჩემო თავო, აქ ყოველივე დგას, იქ ყოველივე ჩანს, რომ დაუდგრომელად წინ მიიწევს. გაინაპირე, გაინაპირე, ჩემო თავო! თუ იმ დაუდგრომელ წინ ლტოლვაში ჩვენ არ გავერევით, შორიდან ხილვით მაინც დავტკბეთ, თვალს წყალი დავალევინოთ, გლეხისა არ იყოს.

დადუმებული, ხმაგაკმენდილი, ძილად წასული ქვეყანა ახლა ასე უნდა დაენახა, იმ უკიდურესი სიმძაფრით, სიმბოლურად სულაც ჭაობთან რომ გაეთანაბრებინა, თვისტომნი კი, ამ ჭაობს შეგუებულნი, ორფეხა ცხოველებად მოენათლა.

აწონიდა, დაწონიდა ამ წინასიტყვას და რაღაც არ დაუჯდებოდა გონებაში.

არა, ამ შემზარავ სურათებს გადაჭარბებად სულაც არ მიიჩნევდა და არც მის შენელებას მოინდომებდა, მხოლოდღა სტილურად მოიწადინებდა დახვეწა-გადამუშავებას, რაკილა იმ დასაწყისით ვერ აეკრიფა ქანი და მარჯვედ ვერ გადასულიყო მთავარ ამბავზე... მაგრამ ამჯერადაც აღარ ეჭაშნიკებოდა რაღაც და... მესამე ცდისას უკვე ეპიგრაფადაც რომ წაეწერებოდა ის გონიერი ანდაზა, წინასიტყვას ზღაპრის ფორმაში მოაქცევდა და ასეც დაასათაურებდა: ზღაპარი წინასიტყვაობის მაგიერიო.

და კიდეც შეიქმნებოდა ლიტერატურული ზღაპრის მშვენიერი ნიმუში, თავისთავადი მხატვრული ღირებულებისა, რომელიც ცოდვაა, ნამდვილი ცოდვა, „ვარიანტების“ სარკოფაგში რომ იხრჩობოდეს.

მთხრობელი და მისი მეორე მე ამ ვერსიაში ორ მგზავრად უნდა გარდასახულიყო, რომელთაგან პირველს კიდეც უნდა შეეტოპა წუმპეში, და თუმც თავს ისიც შეუძახებდა: გაინაპირე, გაინაპირეო! – თხრობა ისე გაგრძელდებოდა, რომ:

არ მოინდომებდა ხელცარიელს გაენაპირნა.

ესროდა ბადეს და მოახვედრებდა ქვემძრომს, საკმაოდ მძიმეს, და „ვაი-ვაისა“ და „მეტკინას“ ძახილით ძლივს გამოათრევდა ნაპირზედ.

– ვინ ხარ, რა სულიერი ხარ? – ჰკითხავდა მგზავრი.

– კაცი ვარ, ადამიანი, – უნდა მიეგო იმას, ილია უკვე აქ რომ გახსნიდა მოთხრობის სათაურის აზრს, უშუალოდ რომ გაამეორებინებდა რუსთველურ სტრიქონს, ოღონდ რაც ეპოსში ავთანდილს უნდა ეთქვა, აქ მის პა-

როდიულ ორეულს უნდა გაემეორებინა და პერსონაჟის ხასიათიც უკვე კანთიელად მინიშნებულიყო.

თუ ადამიანი გახლდათ, იმ დამპალ გუბეში ბაყაყებსა და ჭიანჭველებთან რაღა უნდოდა?

მაგრამ იმას თუ არა აქ, აბა სხვაგან სად ეცხოვრა, როდესაც კაცები სწორედ იქ ეგულებოდა და ბრმა უნდა ყოფილიყო, ვინც მათ კაცობას ვერ შეამჩნევდა. ეგაა: სინათლეზე დიდხანს დგომა არ შეეძლოთ, რადგანაც სინათლე თვალებს სტკენდათ.

სინათლე განა საწამლავი იყო, ასე რომ გაურბოდნენ?

იქნება საწამლავიც არა ყოფილიყო, მაგრამ პატარაობიდანვე გაეგონა: დაუჩვევარს ნუ დამაჩვევ, დაჩვეულს ნუ გადამაჩვევო. და აი რისთვის ეჯავრებოდათ სინათლე! არ დაჩვეულიყვნენ და არც სურდათ დაჩვეოდნენ.

ყველას ერთნაირი ნიშანი დასდებოდა ზედ და მგზავრი გაიხარებდა, კარგი ნიმუში უნდა მოჰყოლოდა ხელთ. და რომ ჩაეკითხებოდა:

– როგორ არ მოგწყინდა ამ საძაგელ ალაგას ყოფნა, რომ ეგრე გინდა კიდევ იქ ყოფნა?

იმას გულწრფელად უნდა მიეგო:

– იქნება მომწყინდა კიდეც, მაგრამ ნათქვამია: ნუ დააგდებ ძველსა გზასაო – და ახლა როგორ დავაგდო? არა, გეთაყვა, დამეხსენ, როგორც მიწირავს, ისე ვწირო.

მაგრამ მგზავრი მის გაშვებას სულაც არ აპირებდა იმ მიზეზით:

ნიმუშად მინდიხარ: შენ ათასსა ჰგავხარ და ათასი შენა. ქვეყანას მინდა დაგანახვო, რომ „კაცი ხარ, ადამიანი“ – გზა და კვალი კი აგრევიაო.

ეგრე ამოტლაპული ვის უნდა დამანახვო, სირცხვილი არ არისო? – უნდა შემოეყვირა კაც-ადამიანს და ეცადა შეეგონებინა, ეს სირცხვილი შენთვის უფრო იქნება, ვიდრე ჩემთვისო.

და წინასიტყვაობა-ზღაპარი კიდეც ერთბაშად და ცოტა პუბლიცისტურად მოკვეთილიყო: უფრო მეტი გულისტკივილი და სიყვარული გამოიცნოს თვითონ მკითხველმაო.

რაღაც დააკლდებოდა გულს ილიას, აშკარად დააკლდებოდა, თითქოს უადგილო ადგილას გაწყვეტილიყო თხრობა... ან რაღა თითქოს, ნაჩქარევად წყდებოდა და ეგაა... და კიდეც მიაგნებდა, რითი უნდა გაგრძელებულიყო თხრობა.

– რომ მიგყავარ, სად მიგყავარ? – ის ორფეხი რომ გაუძალიანდებოდა, ამას უნდა აეხსნა:

– მოთხრობაში, ჩემო კარგო!

– მოთხრობა რა არი?

– პატარა ტილოა, ზედ ადამიანებსა ხატავენ.

– არ მინდა, არ მინდა! – უნდა დაეღრიალა საშინელი ხმით ლუარსაბს და ძმებისა და ნათესავებისათვის ეხმო საშველად.

მის ღრიალზე უნდა გამოცვენილიყო გუბიდან ადამიანთა ხროვა და მოეთხოვათ მთხრობელისათვის თავიანთი ძმაკაცის გაშვება: არავინ შეასწროს თვალიო.

ვინმეს ლუარსაბი რომ დაენახა, მათ ამით ვითომ რა დაუშავდებოდათ?

– როგორ თუ ჩვენ რა? ხარი ხართან დააბიო, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო. ყველამ იცის, რომ დაბადების დღითვე ეგ ჩვენთან იყო დაბმული, ვინც მაგას ნახავს – მითამ ჩვენც უნახივართ. ყველა იტყვის, ვისთან ეს ყოფილა – ყველა იმისთანა იქნებაო. ეს ჩვენ არ გვინდა, გესმის თუ არა?

არადა მგზავრს სწორედ ეს ახარებდა, ეს იმათ რომ ჰგავდა და ისინი – ამას. იმისთვის ეძნელებოდა თავის დანებება, რომ კაი ნიმუშად ეჩვენებოდა.

ისინი დაემუქრებოდნენ საშინელი ლაფის სეტყვით და კიდეც დაუშენდნენ, თანაც დაჰყვიროდნენ: გიჟია, გიჟიაო!..

მაგრამ მგზავრს ერთიც არ მოხვდებოდა, სულ საწყალ ლუარსაბს ხვდებოდა და წებოსავით ზედ ეკვროდა, ასე რომ, იმათი ნიმუში ლუარსაბი, ისედაც ამოტლაპული, კიდევ უფრო ამოიტლაპებოდა.

და კმაყოფილებას გამოთქვამდა მგზავრი, რომ ზიანს გადარჩენოდა. თუმც ლაფს მას ესროდნენ, მაგრამ ჯერ ხომ თვითონვე ესვრებოდათ ხელები, მერე იმათვე პორტრეტს თხვრიდა და მითუფრო ტალახის ფერი და ნიშანი ემატებოდა.

და ფინალური აკორდი ამ დასაწყისისა, ღიმილიანად რომ დასათაურდებოდა:

„მითამ ესეც წინასიტყვაობაა!!!"

ეს უნდა ყოფილიყო:

ვინც ლუარსაბის სახეში თავის თავს იცნობს, იმან ოღონდ კი გამოაჩინოს, რომ მე მგავსო, და დაე თუნდ საფლავის კარამდინ ასორსოლოს გუნდებად ლაფი და „გიჟია" უძახოს ამ მოთხრობის დამწერსაო.

გულს აღარაფერი უნდა ჰკლებოდა, საგულდაგულოდ მომზადებული და ასერიგად ნაწვალები წინასიტყვაობა ბოლოსდაბოლოს შეიძენდა იმ სახეს, დასრულებულად რომ წარმოდგებოდა, მაგრამ... რომ მოათავებდა და შვებითაც ამოისუნთქებდა, საერთოდ აღარ იყაბულებდა ამხელა დასაწყისს და.. ხუთფურცლიანი შესავლისაგან ორიოდ ნამცეცი თუღა გადარჩებოდა მოთხრობაში შესატანად.

ვერ შეელეოდა ფინალურ აკორდს, ოდნავ გადამუშავებული სახით რომ ჩაურთავდა თხრობას, რაკიღა „გიჟიას" ძახილი უკვე ყურში ედგებოდა, ვიდრე ლუარსაბის დიდი თავგადასავალი სამზეოს იხილავდა, იმ სამზეოს, რომელიც გუბეში ვერ ატანდა...

კირილე ლორთქიფანიძე რომ მისწერდა:

„კაცია-ადამიანის" დაბეჭდვა მოვიწადინეთ და გთხოვთ ნება დაგვრთოთო;

1868 წლის 19 დეკემბერს სიხარულით დაეთანხმებოდა:

მაგას რაღა თხოვნა უნდოდა: მომიცია სრული ნება დაბეჭდვისა და თუ ძალიან გსურთ, ჩემი სახელიც ჩაურთეთ ჯიმშერიძის მაგიერადო.

ხოლო წინასიტყვაობის თაობაზე მოახსენებდა, რომ:

ის ცალკე არ დაეწერა.

მართალია, როცა ამ მოთხრობას დაასრულებდა, მოინდომებდა ცალკე წინასიტყვაობაც დაეწერა (დამეჯღაბნაო, – ამ სიტყვას ამჯობინებდა), მაგ-

რამ როცა გადაიკითხავდა, გამოჩნდებოდა, რომ რაც წინასიტყვაობაში სურდა ეთქვა, ყველაფერი შიგ მოთხრობას აჩნდა ავტორის უნებურად.

დარწმუნებული იყო, ყურადღებით წაკითხვა ამაში კირილესაც დაარწმუნებდა.

და ზედმეტადაც ამიტომ მიიჩნევდა – ის, რაც მოთხრობაში ისედაც კანთიელად გამოსჭვიოდა, რაღად დართვოდა თავში ერთგვარ განმარტებად?!.

რაც უნდა იყოს და როგორც უნდა იყოს, ლიტერატურულ ზღაპარს კი შეელეოდა და...

დასანანია, რაოდენ დასანანი!..

თუმც თვითონ ილია თუ შეელეოდა, ჩვენ მაინც ნუღა შეველევით და ქართული ლიტერატურული ზღაპრის ისტორიის სრული სურათის აღდგენისას – მეცნიერული შესწავლისას თუ ანთოლოგიის შედგენისას – „კაცია-ადამიანის“ წინასიტყვაობას ნუ გამოვტოვებთ.

თვითონვეც არ გამოგვატოვებინებს თავს ავტორისაგან გამეტებული, ისერიგად მოუხდება, ისერიგად დაშვენდება ქართული ლიტერატურული ზღაპრის აკიდოს.

ისე მხოლოდ ეს წინასიტყვაობა არ გაუჯანჯლდებოდა, „კაცია-ადამიანს“ კიდევ დიდხანს ეწვალებინა ილია, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც სამი თხზულება – „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?!“ და „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ – ერთ მოთხრობად ექნებოდა განზრახული.

მის სტუდენტობისდროინდელ ერთ ხელნაწერში, „კაკოდ“ რომ დასათაურებულიყო, გაერთიანებულიყო სამივე ნაწარმოების იდეა.

და პავლე ინგოროყვა სიუჟეტის ჩაკირკიტებული ანალიზით კიდეც გამოავლენდა, რომ:

„კაკოს“ პირველ ნაწილში გაშლილი გახლდათ ზოგადი ხაზებით „კაცია-ადამიანის“ თემა; შემდეგ მას გადაებმოდა თემა „გლახის ნაამბობისა“: დათიკო, „გლახის ნაამბობის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, წარმოდგებოდა ლუარსაბ თათქარიძის შვილად; და ივარაუდებდა მკვლევარი, რომ მოთხრობა უნდა გაგრძელებულიყო „კაკო ყაჩაღის“ სიუჟეტით – გაბრო, მთავარი გმირი „გლახის ნაამბობისა“, უნდა ყოფილიყო იგივე კაკო – მაგრამ რაკიღა თხრობა წყდებოდა, სიუჟეტიც ჰაერში გამოეკიდებოდა.

ამ სამი თხზულების ელემენტებიდან მოთხრობაში „კაკო“ უფრო სრულად წარმოდგებოდა ის ნაწილი, რომელიც შეიცავდა „გლახის ნაამბობის“ თემატურ რკალს. საერთო კონცეფცია და სიუჟეტის განვითარების ცალკეული ეპიზოდები აქ იგივე გახლდათ, რაც „გლახის ნაამბობის“ უკანასკნელ რედაქციაში.

გარდა „კაკოსი“ მიიკვლეოდა ილიას მეორე პროზაული ნაწყვეტიც „კოლა“, რომელიც წარმოდგებოდა „გლახის ნაამბობის“, „კაცია-ადამიანისა“ და „კაკო ყაჩაღის“ თემატურ ელემენტთა შეერთებად.

„კოლა“, როგორც კიდევ უფრო ადრე დაწერილი, ამჟღავნებდა ამ მხატვრული თემის პირველი დამუშავების ნიშნებს. „კაცია-ადამიანის“ სიუჟე-

ტიდან აქ ჯერ მხოლოდ ერთი-ორი დეტალი შეტანილიყო; ხოლო „გლახის ნაამბობის“ სიუჟეტის განვითარება აქ უფრო დაშორებოდა მოთხრობის საბოლოო რედაქციას, ვიდრე „კაკო“.

ყმაწვილი კაცი ერთბაშად შემოხვევდა ხელს ვეება თემას, შესაძლოა რომანადაც იგუმანებდა, რათა ამ მხრივაც შეთანასწორებოდა ქართული პროზა დასავლურს, რომანის ჟანრი მთელი თავისი სრულყოფილებით რომ მოისინჯებოდა ჩვენშიაც, დებიუტი – საამისოდ თავი რომ ეღირსებოდა – იმთავითვე სრულფასოვანი რომ უნდა ყოფილიყო.

ძალიც შემწევს ქადილისაო, – ფრიდონისებურად გაიფიქრებდა ილია და არა ერთხელაც, მაინც „ვეფხისტყაოსნით“ სუნთქავდა და ეს სტრიქონი ამ შემოქმედებით პროცესში სწორედ მისწრება იქნებოდა.

კი მაგრამ... „გლახის ნაამბობი“ და „კაკო ყაჩაღი“ სიუჟეტურად ერთმანეთთან სიახლოვეს რომ იჩენდა, „კაცია-ადამიანი“ როგორღა უნდა მორგებოდა ბუნებრივად ამ კომპოზიციურ ჩარჩოს?

თანაც ასერიგად დაშორებულნი ერთიმეორისაგან, ლუარსაბის თავგადასავალში ნიშანწყალიც რომ არ მოიპოვებოდა იმ გარეგნული მიმზიდველობისა, რითაც დამშვენებულიყო გაბროს თავგადასავალი: სიყვარულის ეშმაკობა იქნებოდა, კაცისკვლა, უიმედო ქალის ოხვრა თუ წყალში გადავარდნა.

გამწევი „კაკოსი“ გაბრო უნდა ყოფილიყო და მისი სიუჟეტური ხაზი, ლუარსაბი – გინდა-არგინდა – მის დანამატად რომ იქცეოდა, თუნდ გადარბენით სულაც არ მოხაზულიყო მისი ამბავი და საკმაოდაც გაშლილიყო, მოცულობით ეგებ ტოლიც რომ არ დაედო „გლახის ნაამბობის“ სიუჟეტისათვის...

მაგრამ უშველიდა კი მოცულობა?

მკითხველის გასართობი სიუჟეტი ხომ არ გადაყლაპავდა ლუარსაბ თათქარიძის ყოფის დრამას, ხომ არ ჩაკარგავდა და მკითხველსაც ააცდენდა ამ მონაკვეთის დედააზრს, რის წარმოჩენაზეც ილია ასეთ დიდ იმედებს ამყარებდა?

გადაყლაპავდა, აბა რა იქნებოდა.

ამიტომაც ერთიმეორისაგან უნდა გაემიჯნა ეს ორი სიუჟეტი. ის კი არა, „კაკო ყაჩაღიც“ დაეშორებინა „გლახის ნაამბობისათვის“.

და რომანის შექმნაზე ოცნება შემდგომისათვის გადაედო.

სიუჟეტური მონახაზებისაგან ჯერ მაინც რომელი დაეწინაურებინა?

და თუმც „კაცია-ადამიანისათვის“ ეცმადუნებოდა ხელი, მაინც „გლახის ნაამბობს“ ამჯობინებდა, რათა მკითხველისათვის თვალნათლივი გაეხადა, გარეგნულად მძაფრი და ამაღელვებელი სიუჟეტის დამორჩილება არაფრად რომ უღირდა. მიეზიდა, მიეტყუებინა მკითხველი, „იზას“ თარგმნისა არ იყოს, სატყუარად რომ დაუგდებდა დიასახლისებსა და ყმაწვილქალებს „ივერიისათვის“ გზის გასაკვლევად ოჯახიდან ოჯახში სანათესაოდან სანათესაოში, სამეზობლოდან სამეზობლოში.

და უხაროდა, განზრახვა რომ გაუმართლებდა, და თუმც მოთავება ძალიანაც გაუჭიანურდებოდა, ძირითად ნაწილს კი დაასრულებდა და „პირმ-

შოდაც“ ამიტომ მონათლავდა ამ თხზულებას, თორემ მოთავებით — ისე მოხდებოდა — „კაცია- ადამიანი?!“ დაასწრებდა.

„საქართველოს მოამბეს“ – თავის პირველ ჟურნალს –„გლახის ნაამბობით“ გახსნიდა და მერე უკვე ლუარსაბის ყოფით დრამასაც მიაყოლებდა, მის ულიმლამო ცხოვრებას დიდი ლიტერატურის მდინარებას შეუერთებდა.

ლაფის სროლა არ მოაკლდებოდა.

არც „გიჟიას“ ძახილი.

და ეს იმიტომ, ლუარსაბ თათქარიძის პორტრეტში ბევრი რომ ამოიცნობდა თავს, და ილია იძულებული შეიქნებოდა, სადაც მიდგებოდა და მიდგებოდა, ემტკიცებინა:

– ლუარსაბი მე თვითონ ვარ, უპირველესად ჩემი თავი გამოვხატე და მერე უკვე სხვებიც.

თხრობისას რომ არსად იგრძნობოდა, ილია თუ საკუთარ თავს გულისხმობდა, საამისო მინიშნება რომ არსად იელვებდა?

იქ უნდა დაენახა, იქ უნდა ამოეცნო მკითხველს, ლუარსაბი, მიუხედავად სატირული და გროტესკული ფერებისა, მაინც სიყვარულითა და თანაგრძნობით რომ იხატებოდა, რაღაც ძვირფასსა და სანუკვართან გამოთხოვებასაც რომ მიანიშნებდა მისი ცხოვრების წარმოსახვა, ყოფის მდინარება ულმობლად რომ ეხლებოდა იმ შეჩვეულსა და შეთვისებულს, იმ გაშინაგანებულს, და იდუმალი კანონზომიერება მოითხოვდა გადაწყობას ამ ახალ ტალღაზე, ძველი პირწმინდად რომ არ დაგეკარგა, მაგრამ ამაოდაც არ მობღაუჭებოდი, რისი შელევაც გმართებდა.

აქ იჩენდა სწორედ თავს განსხვავება ევროპულ და რუსულ ლიბერალიზმს შორის, ქართველ ყმაწვილკაცთა უმეტესობა რუსულ ნაირსახეობას რომ უფრო ასდევდა, და ილია ამაოდ ლამობდა შეეგონებინა მათთვის, ყველაფრის ხელაღებული, განუსჯელი, თვითმიზნად გადაქცეული უარყოფა ჩიხში რომ შეიყვანდათ.

ხოლო ლუარსაბი მაინც სიყვარულითა და თანაგრძნობით რომ იხატებოდა, ამას ჩაკვირვება ესაჭიროებოდა, გათვალსაჩინოება იმ ვითარებისა, საბრალო გმირს გარშემო სულ ცრუპენტელა და გაიძვერა ადამიანები რომ ეხვივნენ, ფარისეველნი, მუხთალნი, ორ ნაბიჯზედაც რომ ვერ ენდობოდი, და ამ სიყალბით ავსებულ გარემოში ყველაზე ალალად და მიამიტად ლუარსაბი გამოიყურებოდა, ადვილად რომ ატყუებდნენ და აცუცურაკებდნენ.

ჯერ მარტო: ცოლს როგორ შერთავდნენ, ლამაზის მაგივრად გონჯს შეაჩეჩებდნენ, და მახის დაგებაში მისი ძმაც უნდა გარეულიყო.

ეს სიწრფელეა, ეს გულუბრყვილობაა, დაკვირვებულ მკითხველს კიდეც რომ გადასდებს იმ მუხტს მწერალი, რა მუხტითაც ძერწავდა ამ დაუვიწყარ სახებას, მაგრამ მასობრივი მკითხველის, გნებავთ მასობრივი ადამიანის თვალში ილიას ლაღი იუმორი პერსონაჟის გამასხრებად მოჩანდა, გაპამპულებად, კარიკატურად ხომ თავისთავად, თუმც სჯობდა მეგობრულ შარჟად მიგვეჩნია, რათა უფრო ადვილად ჩავწვდომოდით ამ ხასიათის გულისგულს.

ამაოდ ივედრება ილია:

ლუარსაბ თათქარიძე მე თვითონ ვარო.

მასობრივ მკითხველს გულს ვერ მოუბრუნებდა მასზე, ვერ შეაყვარებდა კი არა, თანაგრძნობითაც ვერ განაწყობდა. და კიდეც მოთავდებოდა საქართველოში ბავშვებისათვის ლუარსაბის დარქმევა. შემთხვევიდან შემთხვევამდე, თორემ გულს აიყრიდა ქართველობა ამ პოპულარულ და სულაც სათაყვანო სახელზე, ორ მეფეს რომ ერქვა: ერთს – რჩეულთა შორის რჩეულს და მეორეს – წმინდანად შერაცხულს.

ნუთუ ეს ვერ გაეთვალა?

ბოლოსდაბოლოს ამდენი სახელი ტრიალებდა გარშემო და... ისეთი როგორ ვერ უნდა შეერჩია, უნებლიეთ მაინცდამაინც ამაღლებული, შარავანდით შემოსილი სახელი არ დაეკნინებინა?!.

ეგებ ამ შერჩევით სურდა მიენიშნებინა: არც ისეა საქმე, ერთი შეხედვით როგორც შეიძლება მოგეჩვენოთ, რაკიღა ლუარსაბი დავარქვი, ცოტა უფრო ღრმად ჩახედეთ ამ ხასიათს და მის ლაბირინთების შეღწევასაც ეცადეთო?..

თუკი ასეა, არ გაუმართლებდა ჩანაფიქრი და ეგაა.

მაგრამ ეგებ სხვა რაიმ მიზეზია ამ სახელის არჩევისა? სხვა რაიმ მოტივი?

* * *

ისე მაინც რა მხატვრულ სიმაღლეზე ატყორცნილიყო ეს მდორე, უღიმღამო, მოსაწყენი და ტრაგიკომიკურად დასრულებული ცხოვრება, ჭამასმით განთქმული გმირი მაინცდამაინც კალმახების შთანთქმას რომ უნდა გადაჰყოლოდა?!

რა სიმაღლე და:

დიდი თავგადასავლის.

დიდი დრამის.

ფართო ლიტერატურულ სივრცეებს შეჭიდებულის.

თავი მეხუთე

ცოლი ფეხმძიმედ: „საძართველოს მოამგე“

პავლე ინგოროყვას მაშინვე უგრძნობდა გული, ამ უთავბოლოდ დალაგებულ სატრფიალო ბარათებში პოემა რომ ჩამალულიყო.

ისე შეუტოკდებოდა, ისე აუთრთოლდებოდა გული, რაღაც უფრო მეტს განაცდევინებდა, ვიდრე ილიას სიჭაბუკისდროინდელი ბარათების სერია იქნებოდა, გამიჯნურებული ილიასი, ოლღა გურამიშვილში არამარტო მომხიბლავ ქალს რომ დაინახავდა, არამედ თავისი მომავალი ცხოვრების სანდო თანამგზავრსა და საიმედო დასაყრდენსაც, ვინც ბუნებრივად მიიღება, ამ ახალგაზრდა კაცს მისთვის სიყვარულისა და ერთგულების მეტის შეთავაზება რომ არც არაფრისა შეეძლო, და იმ მეტს არც მოითხოვდა.

მართალია ადამიანები ამ ორი რამითაც იყვნენ ბედნიერნი და ილიასაც სჯეროდა, რომ შესაძლებელი გახლდათ ასეთი ბედნიერება, მაგრამ... სწორედაც რომ ეს „მაგრამ“, რადგანაც მთავარი აქ ის იყო, ოლღა... ოლღა რაღას ფიქრობდა, იზიარებდა თუ არა ამ შეხედულებას, თუ სჯეროდა ამგვარი ბედნიერების არსებობა?

და ამ არჩევანის წინაშე მდგარი, ბოლოს მაინც გაჰყოფდა თუ არა თავს უღელში, რომელიც სასიკეთოს არას უქადდა განებივრებულ ყმაწვილქალს, სასიკეთოს მატერიალურად, თორემ სულიერად კი ბოლომდეც უნდა აღვსებულიყო იმ ადამიანის სიახლოვეს, გარშემო ყველა რაღაც განსაკუთრებული კრძალვით რომ უმზერდა, მტერიცა და მოყვარეც, არც ერთი რომ არ აკლდა უკვე და არც მეორე, მთელი არსებით გადაშვებულიყო ცხოვრების ორომტრიალში, მოქცეულიყო დიდ წინააღმდეგობათა და შეხლა-შემოხლათა შუაგულში და ეს მღელვარება და სრბოლა თერგისებრი, ეს დაუმცხრალი მოძრაობა არამცთუ არა ღლიდა, თამაშად და უჩნდა მღერად.

სჯეროდა თუ არა ოლღასაც ასეთი ბედნიერება, სჯეროდა თუ არა, სჯეროდა თუ არა?..

ესეც ის ახალი სატკივარ-საფიქრალი, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა ჭაბუკს და ხან ერთ კედელს შეახლიდა და ხანაც მეორეს.

მოეხსენებოდა და კარგადაც მოეხსენებოდა ქალს ყველაფერი ილიას მდგომარეობის, მისი აწმყოს შესახებ.

ხოლო რაც შეეხება მომავალს...

ეჰ, იმაზე არც ღირდა ლაპარაკი: რაც უფრო შორს იხედებოდა, მითუფრო ცოტას ხედავდა სანუგეშოს ვაჟი.

თავი სიღარიბისა და შრომისათვის რომ გადაედო, მართალია არც ერთისა და არც მეორისა არ ეშინოდა, მაგრამ... კიდევ ეს „მაგრამ“: ნეტა ოლიასაც თუ არ ეშინოდა ამგვარი მომავლისა?

თუკი არ ეშინოდა, როგორ არ გაეხარა ილიას და აღტაცების კიჟინაც როგორ არ დაეცა:

– თუ არ გეშინიათ, მე თქვენი ვარ, ესე იგი – შენი ვარ.

ასეთ დროს ცხადია მიმართვის მანამდელი თქვენობითი ფორმა შენობითით უნდა შენაცვლებულიყო და ამ შენაცვლებაში მოლანდებულიყო მომავალი ერთობლივი ცხოვრების კონტურები, თავისი დაუმცხრალი მღელვარებითა და მშფოთვარებით, ოლღა მეუღლის თავსდატეხილი დაუნდობლობისა და მრისხანების თანაზიარი რომ უნდა გამხდარიყო და ეტარებინა ეს ტვირთი, განგებას რომ გაემზადებინა მისთვის, მოსვენება და სიწყნარე საოცნებო რომ შეექნებოდა, და რასაც გამოგლეჯდა წუთისოფელს სიმშვიდისას, იმასაც ილიას რომ შემოახვევდა სულის მოსათქმელად.

შენაცვლდებოდა კი მიმართვის ფორმა თქვენობითიდან შენობითად?

გადამწყვეტ წუთსაც თუ შეინარჩუნებდა ყმაწვილქალი იმ სულიერ სიმტკიცეს, წამიერად კიდეც რომ აფოფინებულიყო: სიღარიბე რას მიქვიაო!..

და ვიდრე ის გადამწყვეტი წუთიც უკან არ დარჩებოდა, ილიას რა მოასვენებდა, ისედაც ჟურნალის გამოცემის საქმეებით გაძეძავებულს.

ორშაბათს ოლღასაგან პირდაპირ ბერიძესთან რომ მივიდოდა, ვერც წარმოიდგენდა ქალი, იქ თუ რა საინტერესო ამბავს შეიტყობდა. მისგან უნდა გაეგო, რომ თურმე გურამიშვილების ოჯახში ცხოვრობდა ვინმე მონაზონი, რომელიც სამი დღის წინათ გამოცხადებულიყო გიორგი ბერიძესთან მოხელესა და სამიწათმზომელო კომისიის წევრთან, რაღაც საქმიანი ქაღალდებითურთ, რათა ამით როგორმე დაეფარა თავისი დაუპატიჟებელი სტუმრობა.

საუბარს დაიწყებდნენ ჯერ რომელიღაცა სადავო მამულზე, ილაპარაკებდნენ ყველაფერზე და სხვათა შორის... ილიაზეც.

მაინც რას იტყოდნენ?

ერთი-ორი სიტყვით გადმოცემა ოლღასათვის გულს დააკლდებოდა ილიას, ამიტომაც სრულად აღადგენდა ბარათში ამ საუბარს, თანაც დიალოგურადაც გამართავდა, რა – არ ეხერხებოდა ლიტერატურული დიალოგი თუ რა?!.

ხომ შეგიტყვიათ, რომ თადეოზს ქალი ჰყავს? – უეცრად ჩაურთავდა სტუმარი და თანხმობას რომ მიიღებდა, სიამაყით განუცხადებდა: კაი მზითვიანიც არისო.

მასპინძელს ესეც სცოდნოდა.

და სტუმარს გული უნდა გადაეშალა მისთვის:

უბედურება ისაა, კაცი არ არის, რომ მივათხოვოთო.

მასპინძელს უნდა გაკვირვებოდა:

ქალაქში კაცების მეტი რა არის, თუნდაც ათასიო.

სტუმარი ჯერ ცუცა ჭავჭავაძეს ახსენებდა: მას ხომ არ მივცეთო? – და მერე კი:

– ილიკო ჭავჭავაძესაც აქებენ, მაგრამ მე და შენში კი დარჩეს, ამბობენ, ჯიბეზედ კუტრად არისო.

– მაგას თვითონაც გეტყვით, რომ ჰკითხო. რა დასამალია.

– კუტრი რომ არ იყოს, კაი საქმროა.

და თავს გამოიდებდა მასპინძელი, ილიას ახლობლობა რომ ახარებდა, და ყველაზე სასურველ სასიძოდაც დასახავდა, თანაც თავმოყვარეობას გაუღიზიანებდა სტუმარს:

– ისეთი კარგი საქმროა, რომ იქნება თქვენი ქალი არც კი შეირთოს.

წამოეგებოდა მ ფანდს და... კიდეც ძალიან ითაკილებდა მონაზონი:

– უი, იმის თვალებს!.. მითომ მივეცით და დაგვიწუნა კიდეც!

და კიდეც უნდა წაკამათებულიყვნენ:

– ილიკო ჩემი მეგობარია, მე იმას კარგად ვიცნობ, იქნება ძალიანაც რომ შეეხვეწოთ, არც კი შეირთოს.

– მითომ რატომაო!.. თქვენ რატომ ეგრე ჩვარში ახვევთ ჩვენს ქალსა, ცოდო არ არის!..

– არა, იქნება თქვენი ქალი კარგიც იყოს, მაგრამ იმან კი დაიწუნოს.

– რა ორთ ხელმწიფის შვილი ბრძანდება, რომ დაიწუნოს.

– ორთ ხელმწიფის შვილი თუ თქვენა ბრძანდებით, ისიც იქნება.

– თქვენი სიტყვიდან კი ეგ გამოდის და!

– ჩემი სიტყვიდან ის გამოდის, რომ იგი უფრო უარს იტყვის, ვიდრე ჰოსა.

– ქა!.. უარსო!..

მონაზონი გონს ველარ მოსულიყო ასეთი დახვედრით და გაკვირვებას გაკვირვებაზე ამიტომაც გამოთქვამდა, მაგრამ მასპინძელს თითქოს ბეჭდითაც უნდა დაებეჭდა:

– დიახ.

და კიდეც გამოეწვია სტუმარი ამის სათხოვნელად:

– ერთი რას მოგახსენებთ, აბა თქვენ მაგიერად სიტყვა გადაუგდეთ, მითამ ჩვენგნით არა იცით რა, ვნახოთ, რას იტყვის.

მასპინძელი შეპირდებოდა:

ბატონი ბრძანდები, ვეტყვიო.

ამით გათავდებოდა ის საგულისხმო ბაასი, და ახლა მეგობარი ილიას ეკითხებოდა: დაქორწინდებოდა თუ არა ოლღაზე?

ეს არას მიუგებდა გიორგი ბერიძეს, მხოლოდ როგორღაც სულელურად გაეღიმებოდა. და არც უპასუხებდა არაფერს, ვიდრე ოლღა, მისი ჭკვიანი ქალი, არ ურჩევდა, თუ რა ეთქვა.

ამ საუბრიდან ილიას ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ მონაზონი ვილაცას უნდა მიეგზავნა, თორემ თავის მხრივ ამას ვერ გაბედავდა. და საკითხავი ახლა ის იყო, ვის მიეგზავნა? იქნებ თვითონ თადეოზ გურამიშვილსაც? ხომ ვერ აუხსნიდა ამას ქალი? თვით ის მათი გუვერნანტიც, როგორც ოლღა იხსენიებდა, საიდანღა გამოცხადებულიყო? პატიოსან სიტყვას აძლევდა ილია, რომ ის ქალი არასოდეს ენახა აქამდე და არც ეძებნა.

მაშ საიდან უნდა გამომტყვრალიყო?

თუკი ოლღას არ გამოეგზავნა, ილიას ეჭვი უჩნდებოდა, რომ მათ საქმეში ვიღაც უცხო ურევდა ხელს. და შეემუდარებოდა:

ღვთის გულისათვის, ამიხსენი, რა ხდება, ჩვენი გულუბრყვილობით არავინ ისარგებლოსო.

ოლღა თითქოს უკმაყოფილო გახლდათ, ილია წერილების დაბრუნებას რომ სთხოვდა. ქალიც თხოულობდა წერილების უკან დაბრუნებას და ბოლოში დასძენდა: ბარი ბარშიო. ეთანხმებოდა ჭაბუკი:

კეთილი! ჩვენ მერმეც გავასწორებთ ანგარიშს. დრო მოვა, ბარი ბარში ვიქნებით, ოლონდ დამაცადე საწერ მაგიდასთან დაგსვა ჟურნალის სტატიის საწერად: მაშინ სხვანაირად ალაპარაკდებიო.

რა – ტყუილი იყო თუ?.. ხუმრობა იქით ყოფილიყო, წერილებს იმიტომ არ უტოვებდა, ვაითუ ვინმეს ენახა... და მერე ქალს რა ეშველებოდა?!. ამიტომაც დაე დაედო პატივი ილიასათვის და ბარათები უკანვე გამოეგზავნა. ოლღას წერილები კი, ქალისავე ნებართვით, დაე ილიასთან დარჩენილიყო – მასთან ხომ ვერავინ ნახავდა.

ენდე ამ ბიჭსო – წერილის მიმტანზე ეტყოდა – დიდი ერთგულია ჩემი. გუშინ განვუცხადე, ჯვარს ვიწერ-მეთქი, და სიხარულისაგან ორჯერ ჰქნა ჰაერში მალაყიო.

კიდეზე კი როგორ არ მიეწერა გულისტკივილი, ოლღას ბარათი გახსნილი რომ მიეტანათ:

მეგობრობაც ამას ჰქვია! ძალიან კი გიმეგობრა შენმა ნინომო!

ნინო ორბელიანი (ყაფლანიშვილი) იგულისხმება — პირველი შუამავალი ილიასა და ოლღას მიმოწერისა.

თუკი ილია შინ არ დახვდებოდა ბარათის მიმტანს? ბიჭი ხომ შეატყობინებდა, როგორც კი წერილს მიიტანდნენ.

ეს ბარათი 1863 წლის 26 იანვარს დაიწერებოდა, პასუხად ოლღას იმ ბარათისა, ქალი გულახდილობას რომ სთხოვდა. ყაბულდებოდა ამ სურვილს ჭაბუკი, თავის მხრივ კი მხოლოდ ყურადღებას ითხოვდა და ამ ბარათის მოთმინებით ბოლომდე წაკითხვას.

ორშაბათს სიტყვა რომ მიეცა ქალისათვის: თქვენი ვიყო და რაც უნდა მოხდეს, თქვენი ვიქნებიო, – ამჟამად თუკი რაიმეს უსაყვედურებდა თავს, მხოლოდ ამას:

სიტყვის მიცემამდე პატიოსანი კაცის ღირსება ავალებდა ეთქვა, თუ როგორი გახლდათ ბედი იმ ადამიანისა, რომლის მინდობაც ოლღას გადაეწყვიტა.

რის თქმასაც მაშინ ვერ შეძლებდა, ახლა ასრულებდა.

და კიდეც გადაუხსნიდა გულს:

სიყვარულისა და ერთგულების მეტს ვერაფერს შემოგთავაზებთო.

ემატებოდა ბარათს ბარათი, თავისებურ კომპოზიციურ ჩარჩოში ექცეოდა ილიას სატრფიალო თავგადასავალი, თანდათან პოემას რომ ემსგავსებოდა, მაგრამ... თანმიმდევრობა აირეოდა თუ არა ოლღას არქივში ნაპოვნი

კოლექციისა, პოემის კომპოზიციური საყრდენებიც მოიშლებოდა და პავლე ინგოროყვას უჩვეულო ალღო და დაკვირვების უნარი რომ არა, მხოლოდღა დაშლილი ფარლული შეგვრჩებოდა ხელთ და უნუგეშოდ მიმობნეული მარგალიტები.

ალღოთი ნაგრძნობს დაკვირვება შეეშველებოდა და გონებამახვილობა, აწყობის ხელოვნებას კი პავლე ინგოროყვა ისე ფლობდა, ბევრი რომ ვერ დაიკვეხნიდა და... გული რასაც უკარნახებდა, კიდეც აქცევდა გულისშემძვრელ რეალობად.

მშვენიერება ილიას სულისა, რომლითაც განათებულიყო ეს ბარათები, დაღავებულ მარგალიტებადაც მოხიბლავდა მკითხველს, მაგრამ პოემად გარდასახულს სულ სხვა ძალა და შთამბეჭდაობა ექნებოდა, მიშრეტილ მადლსაც რომ აღადგენდა და სულის კარდიოგრამასაც თვალნათლივ გადაგვიშლიდა თვალწინ, სულის დრამა გაცილებით უფრო ხელშესახები და გულისშემძვრელი რომ შეიქნებოდა.

დაახლოებით ისეთივე სიძნელის წინაშე აღმოჩნდებოდა პავლე ინგოროყვაც, როგორც ნიკო მარი, ჩახრუხაძისა და იოანე შავთელის დაშლილ-დაღავებული „თამარიანიდან“ და „აბდულმესიანიდან“ ამ სახოტბო თხზულებათა პირვანდელი სახებანი რომ უნდა აღედგინა და ეს პოემები მთელი თავიანთი მხატვრული შთამბეჭდაობით წარმოეჩინა.

მხოლოდ ნიკო მარი თუ გაიკვლევდა გზას იმ აბურდულ გორგალში, რასაც დამსგავსებოდა ორივე სახოტბო თხზულება.

და მხოლოდ პავლე ინგოროყვა თუ გაიკვლევდა გზას იმ აბურდულ გორგალში, რასაც დამსგავსებოდა ილიას ბარათების ეს წყება: 60 ნიმუში, უწესრიგოდ დაყრილიც ძვირფას თვლებს რომ მოგაგონებდა, მაგრამ სად შინაგან მთლიანობას მოკლებული უწესრიგობა, თუნდ ძვირფასი თვლებისა, და სად ძაფზე აცმული თვალმარგალიტი, ძვირფას ფარლულად არსებული, აღდგენას რომ მოითხოვდა.

რესტავრატორი და... პავლე ინგოროყვას ბადალი?!.

და აწ უკვე ის ძვირფასი ფარლული უნდა დაწყებულიყო 1863 წლის 16 იანვრის ერთიბეწო ბარათით, ჭაბუკი რომ იხვეწებოდა:

მითხარით, – სად შევხვდეთ, დროის გამო ნუ წუხდებით, დროს ყოველთვის მოვნახავ, ოღონდ ერთი საათით ადრე მაცნობეთო.

პავლე ინგოროყვა გუნებაში ილიას ბარათებს ტარიელის დაუწერელ წერილებს რომ ადარებდა, იმ ასოციაციებით მოცული ამ ბარათისათვის დართულ ექსკურსში აღნიშნავდა, რომ: ოლღას მეგობარს ნინო ორბელიანს ასმათობა გაეწია დობილისათვის, სწვეოდა ილიას და ურთიერთობა გაება მათ შორის. ის გარემოება კი აღარ ჩანდა, ოლღას ბარათი მიეწერა ილიასათვის თუ ნინოს სიტყვიერად შეემზადებინა მათი შეხვედრა.

ამასთან ბარათში თუ საუბრისას ისიც აღნიშნულიყო დიდი ტაქტით, რომ:

ილია ალბათ ჯერ ვერ მოიცლიდა შეხვედრისათვის, რადგანაც დღედაღამ დაჭერილიყო სტამბაში მუშაობით.

ბოლოსდაბოლოს ასეთი უმნიშვნელოვანესი რამ უნდა მომხდარიყო არამარტო მის ცხოვრებაში, არამედ საქართველოს ისტორიულ ბიოგრაფიაშიც – მზადდებოდა გამოსაცემად პირველი ნომერი ახალდაარსებული ჟურნალისა „საქართველოს მოამბე“, რომელიც სიცოცხლით დიდხანს კი ვერ იცოცხლებდა, მაგრამ გავლებით ღრმა ხნულს გააკლებდა და გარკვეული ათვლის წერტილიც შეიქნებოდა ახალ განზომილებაში გადასვლისა, განზომილებაში, რომელშიც არამარტო ლიტერატურა და ჟურნალისტიკა გადადიოდა, არამედ მთელი კულტურა და საზოგადოებრივი ყოფაც.

რაკიღა ეს ერთიბეწო ბარათი დაინერებოდა ნინო ორბელიანთან შეხვედრისას, მართლაც ამიტომ უნდა იყოს ერთგვარად ოფიციალური იერისა – გარეშე პირის თანდასწრებით და მისივე ხელით გასაგზავნი სტრიქონები სხვაგვარი ანკი როგორ იქნებოდა.

თითქოსდა შემთხვევით გადაეჯაჭვებოდა ერთიმეორეს სიყვარულის დაბადება და დაბადება ჟურნალისა, მაგრამ გარეგნული შემთხვევითობის მიღმა ღრმა კანონზომიერება რომ გამოსჭვივის, ისე კანთიელად, ისე ცხადლივ, ისე ხელშესახებად გამოსჭვივის, დიდი რამ დაკვირვება არც ესაჭიროება მის ამოცნობას.

ხოლო ახალ განზომილებაში გადასვლა თავისთავად გულისხმობდა, რომ ილიას მკვეთრად უნდა გაეგრძელებინა, გაეღრმავებინა და განეტოტა ის ისედაც მძაფრი კრიტიკული პათოსი და წინასწარმეტყველური გზნება, რითაც გამოჩენილიყო სალიტერატურო სარბიელზე. და სიახლის მოთხოვნისა და მართლაც ღირებულ სიახლეთა კვალში მიყოლის აუცილებლობაც მისი სტატიების – გნებავთ თავისებურ ქადაგებებადაც წარმოიდგინეთ – ქვაკუთხედად ამიტომ წარმოდგებოდა, გამჭოლ იდეად, აშკარა თუ შეფარულ მტკიცებებად.

და „საქართველოს მოამბის“ სარედაქციო წერილიც სხვაგვარი მანერით როგორ შეიძლება დაწერილიყო ან სხვაგვარად როგორ შეიძლება დაწყებულიყო, თუ არა ასე:

ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს რომ ცხოვრება, რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ ის იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყველაფრისაო.

წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მათი გამომეტყველია, ყველაფერი იცვლებოდა მისი ძლიერი გავლენისაგან. რაც გუშინ კაცს ეგონა დაურღვეველი ჭეშმარიტება, რასაც სცემდა პატივს, როგორც მოუცილებელ საჭიროებას, არაერთხელ მომხდარიყო, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად აღიქმებოდა, ის კი არა, კიდეც გაკვირვებას გამოთქვამდნენ, ადრინდელ კაცს როგორ სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჭეშმარიტებად, როგორ არ გააჩნდა იმხელა გონიერება და მხედველობა, რომ თეთრი და შავი გაერჩია და შავისათვის შავი დაერქმია და თეთრისათვის – თეთრიო.

მიზეზი რა შეიძლება ყოფილიყო ასეთი მკვეთრი გადაფასებისა?

თურმე ის არა, თითქოს ჩვენ იმ ადრინდელებზე უფრო ჭკვიანები გახლდით, არამედ უფრო ის, რუსთველურად ამგვარად რომ გაეწყობოდა: სხვა სხვის ომში ბრძენიაო.

– ჩვენ რომ ამ თავმოწონებულის გონიერებითაც ვყოფილიყავით და იმ ადრინდელის კაცის ვითარება და გარემოება გარს შემოგვრტყმოდა, არა მგონია, ავსცდენოდით საზოგადო ცდომილებას, რომელსაც დღეს ეგრე თავმოწონებით დავსცინით.

მხოლოდ დიდ გენიოსს შეეძლო და მისი მახვილი ჭკუის თამამ განჭვრეტელობას, რომ მსჯელობით დროებაზედ მაღლა აღმართულიყო, ცხოვრების წრის გარეთ განმდგარიყო და გარემოების თვალდამაბნელებელ ქაოსში შეუმცდარად, წმინდა აზრით დაენახა და სხვათათვისაც დაენახვებინა საგანი ისე, როგორც იყო და როგორიც უნდა ყოფილიყო.

და კვლავ რუსთველური უნდა წამოჰგონებოდა:

მარტოდენ ბრძენი ეურჩება საწუთროს, სხვანი კი მისი მონები არიანო.

არ ამტყუნებდა ილია ჩვეულებრივ კაცს, თუკი თან მიაქანებდა ცხოვრების ტალღა. ბუნებრივი სისუსტე არ აძლევდა ნებას, წინ აღდგომოდა ამ შემოტევას, რასაც გენიოსის მკერდი აპობდა და მუსრავდა კიდეც შორსმხედველობითა და დროებაზე უფლობით.

გენიოსის ბუნებასა და დანიშნულებას როგორ განსაზღვრავდა?

უნდა გვცოდნოდა, რომ ახალს არას გვეტყოდა, მხოლოდ აგვიხსნიდა იმას, რაც თვითონ ცხოვრებას გამოერიყა თავის მდინარებაში, და რაც თავის დაუდგრომელ დუღილში ამოეგდო ზედაპირზე – ამიტომაც ხანდახან მას უფრო დაეტყობოდა დროების ნიშანი, ცუდისა თუ კარგისა, ვიდრე მას, ვინც მხოლოდ იმისათვის იბადებოდა, რომ უხეიროდ მომკვდარიყო.

ახალს არას გვეტყოდა, მხოლოდ აგვიხსნიდაო...

რაც თვითონ ცხოვრებას გამოერიყა თავის მდინარებაშიო...

გენიოსობაზე თავს სდებდა თუ არა, მთავარია, რომ არც იმჟამად და არც არასოდეს უფიქრია, თითქოს მის და მხოლოდ მის ნებას გადაეწყვიტოს ჩარევა ანბანში და მისი გადახალისება-რეფორმა.

ახალი არა ეთქვა რა ამ მხრივაც ილიას, მხოლოდღა აეხსნა ხალხისათვის.

და აეხსნა ის, რაც თვითონ ცხოვრებას გამოერიყა თავის მდინარებაში.

ცხოვრება, მოზარდისა არ იყოს, რომ იზრდებოდა, ჰყვაოდა, მოჰქონდა ნაყოფი და მერე ჭკნებოდა, იმისთვის კი არა, რომ მომკვდარიყო და საუკუნოდ დამარხულიყო, არამედ – თავისივე მოყვანილი ნაყოფის თესლზედ ამოეყვანა სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ ისე უნდა წასულიყო ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუკი უკვდავება სურდა.

ცხოვრებასაც მოეპოვებოდა თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორც ბუნებას.

მაცხოვნებელი გახლდათ პირველი ქროლა გაზაფხულის პირველი დილისა, ცა და ქვეყანა ერთიერთმანეთს რომ შეჰხარის?

ილია შეგვაგონებდა, რომ:

უფრო მაცხოვნებელი იყო პირველი ქროლა ახალი ცხოვრებისა – მაგ ახალდაბადებული ყრმისა, რომელსაც ძველი ცხოვრება ისეთი სიხარულით უნდა შეხვედროდა, როგორც ძუძუმძლეველი დედა შეჰხარის ხოლმე ახალგაღვიძებულ ბავშვს.

გული სხვარიგად სცემს ხოლმე, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახს?

დაე შეგვესმინა, რომ:

უფრო სხვარიგად თრთის და ბორგავს ხოლმე, როცა ცხოვრებაზედ ამოდის, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალი აზრისა...

ყვავილის მშვენიერება იმით ფასობდა, ცხოვრობდა თუ ჭკნებოდა, მაინც ისე არ გაძუნწდებოდა, სხვა რომ არ აღმოეშობა, ამ სხვას კიდევ სხვა და ასე შეედგინა ისტორიული ყვავილთა გრეხილი, რომელშიაც მომდევნო წინამსველელზე უფრო სრული გახლდათ, უკეთესი და მშვენიერი, თუკი ცხოვრების ვითარებისა და გარემოების გავლენა ადრე და მალე არ დაუხლართავდა გზას და ზრდას არ დაუშლიდა.

თუმც სანუგეშოს ესეც ვერ წაგართმევდა:

როგორი დარიც უნდა დადგომოდა ამ ყვავილს, თუკი ძირი ღონიერი ექნებოდა, რაც უნდა ფეხი დაეჭირათ და ესრისათ, მაინც გაარღვევდა დღესა თუ ხვალ მიწას, ამოხეთქავდა და გამოვიდოდა დღის სინათლეზედ უფრო დამშვენებული და ძლიერი.

და ეს მეტაფორული განსჯა იმ ჭეშმარიტების დაბეჯითებით უნდა დაგვირგვინებულიყო:

ყველაფრის სიკვდილი შეიძლებოდა, აზრისა კი თავისდღეში არაო.

და აზრის უკვდავება განსაზღვრავდა იმედს კაცობრიობის უკვდავებისა, რადგანაც გრეხილი აზრისა გაუწყვეტელი რჩებოდა: ერთს ზედ მოსდევდა მეორე, უფრო ახალი, ჯანმრთელი და ღონიერი – ამასთან დაუქცეველიც, მარადმყოფი სალაროც რომ მოეპოვებოდა, მისი შემნახავი: მეცნიერება და ხელოვნება.

ამ ფონზე მოურიდებლად უნდა დაენახვებინა მკითხველისათვის, რომ:

ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდებოდა, არ გააჩნდა თავისი გაზაფხული და ნაყოფიერი შემოდგომა, რომელიც ბერდებოდა კი, მაგრამ ამ სიბერის ნაყოფზე არ ამოიზრდებოდა განახლებული, განათლებული სიახლის მშვენიერი გვირგვინით – ის ხალხი, ის ცხოვრება მიჩანჩალებდა სამარისაკენ, ბოლოს კიდეც მიაღწევდა იქამდე და... კიდეც აღიგვებოდა როგორც მტვერი მიწის ზურგიდან.

რა აახლებდა, რა ცვლიდა, რას მიჰყავდა წინ და:

ცოდნასა და მეცნიერებას, თვითვე ცხოვრების ნაყოფთ.

ცხოვრებას ძნელად რომ რაიმე შეექმნა უაზროდ – ყოველდღე ნაყოფი ემატებოდა, ყოველდღე ყვავილებით იმოსებოდა ხე ცხოვრებისა. ეს ნაყოფი, ეს ყვავილები შეადგენდა ცხოვრების ვითარებას, მოსავალს. და ხალხი, უმეტესობა მაინც, ვერ გამოიკვლევდა ამ ვითარებას, აზრს, მნიშვნელობას ხშირად კი ბუნდად მიხვდებოდა. გრძნობდა, მაგრამ ხშირად ხდებოდა, რომ ხალხი რასაც გრძნობდა, იმას ვერა ცნობდა და ვერ არჩევდა.

მაგრამ ხომ არსებობდა მეცნიერება და ხელოვნება, სხვადასხვა გზით რომ კისრულობდნენ ახალი ვითარების ახსნასა და საყოველთაო გაცნობიერება-გაცხადებას.

და მათი ზეგავლენითა და წყალობით უკეთესი მიმდევარი, ხალხის დაწინაურებული თაობა მაშინვე ხვდებოდა, რომ დრო იცვლებოდა, გრძნობდა, რომ სცემდა სუნი ახალი გაზაფხულისა და განახლებისა, გრძნობდა, რომ ძველი ცხოვრება ავსებულიყო, დამწიფებულიყო, რაც დათესილიყო, ნაყოფიც მოეტანა და ახლა ამ ნაყოფიდან უნდა გამოკრეფილიყო ახალი თესლი ახალი ცხოვრების გამოსაკვანძად, რათა მადლობით გაესტუმრებინა ძველი და სიხარულით მიგებებოდა, გზა გაეხსნა ახლისათვის.

კვლავდაკვლავ იმეორებდა, კვლავდაკვლავ ამტკიცებდა და ირწმუნებოდა, რომ მიჯნა და ბარიერი არ არსებობდა ძველსა და ახალს შორის და ხელოვნურად არ უნდა მოგვეხვია თავს მათთვის ეს არარსებული წინააღმდეგობა, ყალბად გაგებული ლიბერალიზმის მიმდევარნი, უარყოფის ჟინს გამოკიდებულნი, რასაც სჩადიოდნენ და ძველის სრულ გაქარწყლებას ლამობდნენ, და თუ მიღწევით ვერ აღწევდნენ მიზანს, დაზიანებით ხომ აზიანებდნენ და ძალიანაც აზიანებდნენ საზოგადოებრივ ცნობიერებას და ამრუდებდნენ კეთილშობილურ ჩანაფიქრებსაც.

აუცილებლად უნდა დაგვენახა ღრმა შინაგანი კანონზომიერება ძველსა და ახალს შორის.

უსათუოდ უნდა მივმხვდარიყავით და სხვათათვისაც გაგვეთვალსაჩინოებინა მათი განუყოფლობა და დამოკიდებულება ერთმანეთზე.

უთუმცაოდ უნდა გამოგვეკრიფა ყოველგვარი ღირებული ძველიდანაც და ახლიდანაც და მათი შეკინძვით უნდა გვეძია ის გზა, ქვეყანას ამაღლებული იდეალებისაკენ რომ წარუძღვებოდა.

უფრო ხშირად ისიც ხომ ხდებოდა, რომ სიახლის მიმდევარნი ვერა სძლევდნენ მოსავლის სიმრავლეს, და ხშირად თვით მეცნიერებაც და ხელოვნებაც უღონობას იჩენდნენ ცხოვრების მოსავლის შეცნობა-მოწესრიგებაში?

ზოგიერთ გარემოებას ახსნიდნენ, ზოგიერთს გააგებინებდნენ ხალხს, მაგრამ უფრო ბევრს კი რომ ვერ დასდებდნენ ღირებულის ფასს, ვერ შეურჩევდნენ შესახვედრ და შესაფერის ადგილს?

მაშინ ეს თავგამოდებული მოჭირნახულენი რჩებოდნენ მუშაკებად, რომელთაც ზოგიერთი მასალა მოემზადებინათ ახალი შენობისათვის, მაგრამ გამგებელი არა ჰყავდათ; არ არსებობდა ძლიერი ხელი, რომ დაეძრა პირველი ქვა ძველი შენობისა და გაემაგრებინა პირველივე ქვა ახლის საძირკველში.

საძირკვლის ამოყვანა გახლდათ ძნელი, თორემ დანარჩენს ის მუშაკნიც ამოიყვანდნენ.

საძირკვლის ამომყვანელიც არ დაიგვიანებდა ხოლმე, როგორც კი საამისო ვითარება მომწიფდებოდა.

და მაშინ ჩნდებოდა სწორედ გენიოსი.

ნეტა ზოგადად ამბობდა, ზოგადად განსაზღვრავდა გენიოსის რაობასა და მოვალეობას თუ... შეფარულად, იდუმალად თუ უნებურად თავის თავსაც მიათვლიდა?

როდესაც პოეტის დანიშნულებას წინასწარმეტყველისას ადარებდა, და თავის ლექსსაც და ყოველგვარ ნაწერსაც ამ თვალთახედვით განსჯიდა, უკვე მკაფიოდ უნდა ჰქონოდა განცდილიც და შეცნობილიც თავისი ამქვეყნიური გზასავალი, რომლის დასასრულსაც, ტრაგიკული შარავანდით შემოსილს, ალღოთიც გრძნობდა და ხილვაშიც ჭვრეტდა... და რაკიღა მნიშვნელოვანი საქვეყნო ცვლილების, არსებითად მკვეთრი გარდაქმნის სათავეში მოქცეულიყო და აჟიოტაჟიც გამოეწვია, სურდა-არ სურდა, წინამძღოლის კვერთხი ხელთ ეპყრა უკვე და ფეხიც შეედგა უდაბნოში, არც უშუალო მიმდევართ რომ არ მოისაკლისებდა და თანდათან კვალში სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი ჩაუდგებოდა.

ღმერთთან მისთვის ლაპარაკობდა, რომ წაძღომოდა წინა ერსა.

ალმოდებული ბუჩქი უკვე უკანაც დარჩენილიყო.

და სინას მთა გახდომოდა ასავლელი ათი მცნების კიდევ ერთხელ მოსაპოვებლად თუ დასადასტურებლად.

და მაშინ ჩნდებოდა სწორედ გენიოსიო...

ისე ნურავინ გაუგებდა, თითქოს გენიოსი მხოლოდ იმწამს იბადებოდეს, იგი მანამდეც იქნებოდა და უთუოდაც უნდა ყოფილიყო, რათა ცხოვრებას თავისი ძუძუთი გამოეზარდა, თავისთან გამოეცადა და მოემზადებინა თავისივე ვითარების ასახსნელად.

მაშ აქამდე რატომ არა ჩანდა?

რატომ და:

მისი ძლიერი სულის შესაფერი საქმე არსად მოიძევებოდა.

და გამოჩნდებოდა თუ არა საქმე, ისიც გაშლიდა თავის ძლიერ ფრთას და... კიდეც მზესავით გამობრწყინდებოდა ცხოვრების გასანათებლად.

და ეს გოლიათი გონიერებისა თავისი ძლიერი მკლავით გადაწვდებოდა მთელი ცხოვრების ნამუშევარს, შემოაგროვებდა ერთად, რაც ცხოვრებას გამოეჩინა, თავისი გამჭრიახი თვალით თავიდან ბოლომდის განჭვრეტდა, გაანათლებდა იმ შემოგროვილს და ცხოვრების ყოველ კითხვას მისცემდა შესაფერის პასუხს, ყოველ ფაქტს – ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ყოველ მიმართულებას – კუთვნილ გზასა და ღონისძიებას.

ერთი სიტყვით: ახსნიდა და გააცნობიერებდა მას, რაც ხალხში ისედაც მოიპოვებოდა, მაგრამ გაგებით არ გაეგებოდათ.

აი მაშინ კი გამოანგრევდა ძველის საძირკველს და, რაკიღა ახლის საძირკველში ქვას დაამკვიდრებდა, კიდეც მიანებებდა საქმეს უმცროს მუშაკთ.

ერთი საათის დაგვიანებით მიიღებდა ოლღას ბარათს 18 იანვარს, შეხვედრას რომ უნიშნავდნენ. იქ, იმ დანიშნულ ადგილას უნდა შეხვედროდა ქალი, რომელსაც ოლღასთან უნდა მიეყვანა. რაღა დროსი იყო, მაგრამ მაინც მივიდოდა დანიშნულ ადგილას, სადაც ცხადია აღარავინ დახვდებოდა, და სახელდახელოდ შედგენილ წერილს ასე დაიწყებდა, რომ:

სადაც ნაბრძანები ჰქონდა ყოფნა, კიდეც მისულიყო, მაგრამ ვეღარავინ ენახა. ეს ყველაფერი კი მათი საერთო მეგობრის ბრალი იყო, ექვს საათზე რომ გადაეცა ბარათი.

შვიდის თხუთმეტ წუთზე ეს უკვე სიცივისაგან კანკალებდა ჭიშკართან, მაგრამ... რა დაგეკარგა და რას ეძებდი.

ორჯერ შემოივლიდა იმ ადგილს, სადაც – მის ანგარიშით – ოლღას უნდა შეხვედროდა. მერე გიორგი ბერიძესთან შეივლიდა გასათბობად, შემდეგ კი ისევ – თუ არა ცდებოდა, ათ წუთს – იდგებოდა გარეთ, მაგრამ...

სასწაულს ელოდა, მაგრამ სასწაული არ უნდა მომხდარიყო. ევლო, ებოდიალა ნახვის ნატვრით შეპყრობილს, მაგრამ აქეთ-იქით მიმოწყდომა რაღას უშველიდა.

ეჰ, რა დღე დაკარგულიყო!..

ხვალ შუადღისას ზუსტად პირველ საათზე გიორგი ბერიძეს ესტუმრებოდა და... ხომ შეიძლება ახლა მაინც ენახა ოლღა, თუნდაც აივანზე? რომ არ გაყინულიყო ქალი, კიდევ ერთხელ აფრთხილებდა, რომ ზუსტად პირველ საათზე იქნებოდა იქ.

თუკი ოლღას ნახვა ვერ მოხერხდებოდა, ეგებ ქალს დაენახვებინა მისთვის ბარბარე, რომელსაც – როგორც ილიას სმენოდა – ოლღა ყველაფერში ენდობოდა.

იგულისხმებოდა ბარბარე ორბელიანი, ქვრივი ილია ორბელიანისა და ასული ილია ბაგრატიონისა, დიდად გავლენიანი თბილისის საზოგადოებაში. კომენტარებში იმასაც დაგვიზუსტებდნენ, რომ 1863 წელს, რა დროსაც ეკუთვნოდა ილიასა და ოლღას მიმოწერა, იგი გახლდათ წმინდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე.

რაიმესათვის რომ მიეღწია ქალ-ვაჟს, საჭირო იყო ილიას გაეცნო ბარბარეს ღირსეული ფიზიონომია. დაე შეეწუხებინა თავი და ენება ერთი-ორჯერ გავლა-გამოვლა ეზოში, უკანა კიბის მხარეს – ალბათ ბედი ეწვეოდა ილიას და ეღირსებოდა ფანჯრიდან მის დანახვას.

ფიქრობდა, რომ ხიფათში იგდებდნენ თავს, როდესაც ოლღა პაემანს უნიშნავდა თავის სახლში, სადაც ასი თვალი უთვალთვალებდათ. არადა ვაჟს ბევრი რამის, ძალიან ბევრი რამის გამო სურდა მასთან საუბარი. და შიშობდა: ვაითუ ყველაფრის თქმა ვერ მოვასწროო.

თან ქალისთვისაც მოუხერხებელი იქნებოდა ყურისგდება, სადაც პატარა შარიშურსაც კი შესაძლოა შიში გამოეწვია და ყურადღება წაერთმია.

ყველაფერს აჯობებდა შეხვედროდნენ სადმე სხვაგან, გურამიშვილების სახლისაგან მოშორებით, თუნდ... თუნდაც ტაძარში.

ამას ისე, სხვათა შორის შესთავაზებდა, თორემ პაემანის ადგილის არჩევას ოლღას მიანდობდა და რასაც ქალი ინებებდა, ილია ყველაფერს შეასრულებდა.

ოლონდ ერთს სთხოვდა, რათა დაემახსოვრებინა ერთხელ და სამუდამოდ:

არავისთვის არაფერი ეთქვა, არავის მინდობოდა, რადგანაც ადამიანები ბოროტები გახლდნენ და ძნელად თუ ვინმე დაფარავდა საიდუმლოს, მითუმეტეს ისეთი შინაარსისას, როგორიც ოლღასი იყო.

თითქოს მოათავებდა ბარათს, მაგრამ რაღაც დარჩებოდა სათქმელი და პოსტსკრიპტუმსაც მიადევნებდა:

რაც უფრო ადრე ვნახავთ ერთმანეთს, მითუკეთესია, – ბევრი რამ მინდა გადმოგცეთო.

სთხოვდა, რომ დღესვე ეპასუხა ამ ნაჩქარევ წერილზე. დაე გვარიც მოეწერა – ბოლოსდაბოლოს რისი ეშინოდა? ერთხელ თუ მინდობოდა ილიას, მაშ კიდეც სრულად და ბოლომდეც გამოეცხადებინა ნდობა.

და კიდევ ერთი თხოვნა:

ეს ბარათი დაებრუნებინა ავტორისათვის.

მიზეზი?

როცა შეხვდებოდნენ, მაშინ აუხსნიდა.

ხოლო გენიოსის კანონიერი მემკვიდრენი იყვნენ მეცნიერება და ხელოვნება – ეს საკვირველი სალარონი კაცის გონებისა. ისინი თავის უკეთეს წარმომადგენელთა ხელით გენიოსისგან ნაჩვენებ საძირკველზე განაგრძობდნენ მუშაობას, გენიოსის ახალ აზრზედ, ახსნაზედ დაამყარებდნენ შემდგომ გამოკვლევასა და ცნობიერების წინ წაწევას.

და როდესაც მეცნიერება ამ მონაპოვარს აღიარებდა კანონად და სახელმძღვანელოდ, კიდეც გადაინაცვლებდა ეს ყოველივე ხალხში. და რამდენადაც ეს ახალი ცნობები, აზრები ადვილად გასაგები იქნებოდა ხალხისათვის, იმდენად ადვილადაც განდევნიდნენ უწინდელს, რომ ცხოვრებაში მათი ადგილი თვითონ დაეჭირათ.

ცხოვრებისაგან აღმოცენებული და მეცნიერების სიცხოვლით ნაყოფად მონეული კვლავ ცხოვრებას უბრუნდებოდა წარმატებისათვის.

ცხოვრება ძირი გახლდათ, მეცნიერება და ხელოვნება კი მასზედ ამოსული შტოები, და როგორც მიწიდან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ხოლმე ნაყოფს, და როცა სათესლედ მოაწევენ, კვლავ მიწას გადასცემენ, რათა ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, ცხოვრებაზე ამოსული შტოებიც – მეცნიერება და ხელოვნება – ისხამდნენ ზედ ცხოვრების ნაყოფს, და როცა მოაწევდნენ სათესლედ, კვლავ ცხოვრებას გადმოსცემდნენ ახალი ცხოვრების გამოსაკვანძად.

მეცნიერება და ხელოვნება ხომ ერთსა და იმავეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას; ერთსა და იმავეს გამოთქვამენ: ხალხის აზრს. და თუ რაშიმე განირჩევიან, სხვადასხვა გზით და სხვადასხვანაირად რომ მოქმედებენ.

ბევრი ახალგაზრდა რომ რჩებოდა სასწავლებლებს გარეთ? ბევრს სურდა გაეგო რამე, შეევსო სწავლა, გაეხსნა გონება, მაგრამ ზოგი შეუძლებლობისა გამო, ზოგიც – სიშორის, ზოგიც – მოუცლელობის, ზოგიც სხვადასხვა დაბრკოლებისაგან ამ მოუცილებელ ღონისძიებას მოკლებული რომ გახლდათ?

ამიტომაც ხდებოდა საჭირო სკოლებს გარეთ ისეთი ღონისძიებაც, ისეთი საშუალებაც, რომელსაც იმისთანა თვისება უნდა ჰქონოდა, რომ ყველგან მიწვდომოდა, გამოეფინა საქვეყნოდ კაცის ჭკუის ძვირფასი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად, რათა მრავალთათვის გაეხადა მისაწვდომი ის, რაც დაესაკუთრებინა ცოტას.

ის საშუალება, ის ღონისძიება უნდა ცდილიყო, თუ არ სრულიად ხალხთან, მის მომეტებულ ნაწილთან მაინც დაეჭირა საქმე, შექმნილიყო შუამავლად მეცნიერებისა ერთი მხრივ და ხალხისა და ცხოვრებისა მეორე მხრივ.

და ამ ძნელ საქმეს ასრულებდა ყველგან ლიტერატურა.

თითქოს სოკრატეს დასდარებია ილია, რაც შეიძლება უღეჭავს მკითხველს სათქმელს, ნელ-ნელა, თანდათან ამზადებს საფეხურებს ჟურნალის დანიშნულების წარმოსაჩენად, მისი განსაკუთრებული მოვალეობის გადმოსაშლელად და საზოგადოების ცნობიერებაში ჩასაბეჭდად.

აგერ უკვე ლიტერატურას მიადგებოდა, რათა იმ კუთხით მიექცია მკითხველის ყურადღება, ხოლო ბოლო ხანს, თითქმის ამ საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს შეატყობდნენ, რომ: თვით ეს ლიტერატურაც ისე სწრაფად ვერ ავრცელებდა მეცნიერებას ხალხში; შეამჩნევდნენ, რომ: ლიტერატურა თუმც დღედადღე მდიდრდებოდა, ივსებოდა ახალი ნაყოფით, ახალი იდეებითა და აზრებით, მაგრამ ცხოვრებაში ასე ადვილად არ გადადიოდნენ, როგორც საჭირო გახლდათ.

უმთავრეს მიზეზად რას მიიჩნევდა?

რას და:

თვით ლიტერატურის ენა დაშორებოდა ხალხის ენას, ხალხს ისე ადვილად აღარ შეეძლო მისი გაგება, და თუ ვერ გაიგებდა, ვეღარც ცხოვრებაში შეიტანდა.

რაწამსაც მიხვდებოდნენ ამ დაშორებას ლიტერატურასა და ხალხს შორის, მაშინვე დაისაჭიროებდნენ იმგვარ მწერლობას, რომელიც როგორც ენით, ისე აზრის გამოთქმით უფრო ადვილად გასწევდა შუამავლობას მეცნიერებასა და ცხოვრებას შორის.

მწერლობის ამ ნაირსახეობას დაერქმეოდა პოპულარული ლიტერატურა, რომელსაც უნდა გაეადვილებინა მეცნიერებისა და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფა ყველასათვის; მათგან დამუშავებული ძნელად მისახვედრი ცნობები საყოველთაოდ გასაგებად უნდა გაემარტივებინა, გაეადვილებინა და ამის წყალობით გაევრცელებინა საჭირო სწავლა და ცნობები ხალხში.

ამგვარ ლიტერატურას მიეკუთვნებოდა ჟურნალიც, ნამეტნავად ის, რომელსაც საზოგადო ჟურნალი დაერქმეოდა.

და სწორედ ამგვარი სამსახურისათვის დაარსებულიყო „საქართველოს მოამბეც“.

როგორც ილია ურჩევდა ნანდაურს, ოლღა მართლაც ტაძარში დაუნიშნავდა შეხვედრას ილიას, კვირადღისათვის, და აღტაცებული ილია ერთიბეწო წერილს აფრენდა ქალთან 19 იანვარს:

მოვალ, ჩემო ანგელოზო, მოვალ! მგონი ცხრაზე იწყება წირვაო.

ხოლო ჟურნალი რომ საჭირო გახლდათ, ამას თქმაც აღარ უნდოდა. ეგაა ყველას უნდა შეეგნო, რომ:

ჟურნალი, როგორც სხვა, ისე ეს ახალიც, არ შეიძლება ყოფილიყო ერთი კაცის სურვილის ნაყოფი: მოუვიდოდა ჟინი წერისა და გამოსცემდა. ასეთი ჟურნალი თავს დიდხანს ვერ დაიჭერდა. რაკიღა ყოველი საჭიროება ცხოვრებისაგან წარმოდგებოდა, თუკი ცხოვრებას არ ენდომებოდა, ვერაფერს მიამყნობდით ისე, რომ იმ ნამყნობს ეხეირა და ნაყოფი მოეტანა.

მარტო ის საქმე შეიქნებოდა მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვიც შიგ ცხოვრებაში გამოიკვანძებოდა; უამისოდ ვერა საქმე ვერ გაძლებდა, ვერ მოიტანდა ნაყოფს, როგორც თესლი უდედამიწოდ.

როცა ცხოვრება იმოქმედებდა და იმ მოქმედებით მოიყვანდა რაიმენაირ მოსავალს, რომლის გაგებაც და გარჩევაც უძნელდებოდა ხალხს, დარჩებოდა ის მოსავალი მოუხმარებლად;

როცა ხალხში ისმოდა სურვილი, ძლიერი ნდომა იმ ნაჭირნახულევის გაგებისა, გაცნობიერებისა;

და როცა ხალხს სურდა და ვერ მიწვდომოდა მეცნიერების ნაყოფს:

მაშინ ხალხის საშველად გამოდიოდა ჟურნალიც.

რასაკვირველია: რამდენადაც ცხოვრება – ეს დედა ყოველი საქმისა – ძლიერი იქნებოდა და უხვი, იმდენად მოსავალი და ნაჭირნახულევი დიდი და უხვი მოჰყვებოდა.

რამდენადაც მომავალი მრავალი იქნებოდა, ერთი ჟურნალის თვალი რომ ვერ გადაწვდებოდა, და ერთი ჟურნალის ღონე რომ ვერ შეძლებდა მის ზიდვას, იმდენად მომეტებული ჟურნალები გამოვიდოდა ხალხში.

ეს ჟურნალები სხვადასხვა მხრივ მოექცეოდნენ ცხოვრების მოსავალს, სხვადასხვა მხრივ გასინჯავდნენ, სხვადასხვა მხრივ წარმოაჩენდნენ – და ამ სხვადასხვაობითაც ურთიერთშორის განირჩეოდნენ.

ამის გამო ჟურნალების სიმრავლე არამცთუ საწყენი არ უნდა ყოფილიყო, არამედ პირიქით – სასიხარულო მისთვის, ვისაც უანგაროდ უყვარდა თავისი ხალხი და მისი ბედნიერება. ჟურნალთა სიმრავლე ცხადად აჩვენებდა, რომ: ხალხს არ ეძინა, ფიქრობდა, განსჯიდა; რომ: ხალხში ტრიალებდა, მოძრაობდა სხვადასხვა აზრი, რომელთა გამომეტყველადაც არსდებოდა სხვადასხვა ჟურნალი.

და გაელიმებოდა ილიას:

ჩვენი საწყალი „მოამბე“ ჯერ არც კი დაბადებულიყო, ზოგიერთმა პირმა მტრობა რომ შესწამაო.

პასუხად რა შეეძლო ეთქვა იმის გარდა, რომ:

ვინც ლაფში თავით ფეხამდე ამოსვრილიყო, შეუძლებელია ისე შეხებოდა სხვას, რომ თავისი ლაფი მისთვისაც არ მიეცხო.

„ცისკარი“ „მოამბის“ უფროს ძმად რომ ესახებოდა, უფრო კი ეოცნებებოდა, და ეიმედებოდა, რომ ყველაზე მეტად მას უნდა გახარებოდა მოძმის დაბადება, მშველელის გამოჩენა, სწორედ ეს „ცისკარი“ წინასწარვე აშინებდა „მოამბეს“: მკითხველს ვერ იშოვნიო.

ილია მკითხველს განუცხადებდა:

ამ წინდაუხედავ და უგუნურ წინასწარმეტყველებას ყურსაც არ ვათხოვებდით, რომ მხდალ „ცისკარს“ რამდენჯერმე არ გამოეთქვა საქვეყნოდ თავისი დაფარული შიში და სამარცხვინო აზრიო.

დაე რაც უნდა ეთქვა შიშისაგან ზარდაცემულ და გონებაგამოცლილ „ცისკარს“, ილია მას შეადარებდა იმ ანგარებისმოყვარე ძმას, რომელსაც ძმის დაბადება სწყინდა და გულს უხეთქავდა, რადგანაც შიშობდა: ვაითუ საცხოვრებელი შუაზე გამიყოსო.

უნებლიეთ ასე უნდა გაეელვა „სამანიშვილის დედინაცვლის“ მთავარ მოტივს, დავით კლდიაშვილი რისთვისაც აამგზავრებდა პლატონ სამანიშვილს მაინცდამაინც ორნაქმარევი უშვილო დედინაცვლის საძებნელად.

ეს საკმაოდ სერიოზულ პრობლემად ამოიზრდებოდა ბატონყმობის წესმოშლილ რეალობაში – შიში ძმის დაბადების, როგორც მამულის მოზიარისა და მოწილის, ილია ყველაზე სახიერ საბუთად რომ მოიხმობდა, რაკიღა დარწმუნებული გახლდათ, ამ სატკივარს ყველა ადვილად გაუგებდა და მეტაფორულ გააზრებაშიც იოლად აჰყვებოდა.

არადა ტყუილუბრალოდ შიშობდა „ცისკარი“, რადგანაც ახალი ჟურნალის რედაქტორს ფიქრადაც არ უტრიალებდა ვინმესთვის საცხოვრებლის შუაზე გაყოფა, და არც არავითარი მტრობა ვისიმე.

თავის საქმედ რას მიიჩნევდა და:

საქართველოს ხალხის ცხოვრებას.

და ამ ცხოვრების გაუმჯობინებას აცხადებდა თავის პირველ და უკანასკნელ სურვილად.

ღმერთს შესთხოვდა, რომ ეხსნა იმ სულელური სითამამისაგან, რომელიც ფიქრობდა ცხოვრების გადასხვაფერებას თავისებურად. ისე როგორ გაბრიყვდებოდა, რომ თავის წესზე მოენდომებინა ცხოვრების გატარება.

ეს თვითონ ცხოვრება წარმოშობდა თავისთვის წესს, განსაზღვრავდა თავის რჯულსა და კანონს. ეგაა: ამ კანონს გაგება უნდოდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი სწრაფვა არაფერს შეეყენებინა.

ამიტომაც მისი „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება უნდა ყოფილიყო თავისი სრული ნარმოებით, სრული ვითარებით.

წინასწარ მხოლოდ იმის თქმა სურდა, რომ:

ჩამდგარიყო თანადროული ცხოვრების წრეში, რათა მისგან ყრუდ ჩაძახილი ამოეძახა, მისი ვითარება გაეცნობიერებინა და მოძრაობისათვის გზა გაეხსნა.

ნურავინ გაიგებდა ისე, თითქოს ჟურნალი უთუოდ უნდა ყოფილიყო თანადროული ცხოვრების წრეში მოჯადოებულივით გაჩერებული, რადგანაც ყოველი გონიერი ჟურნალის თვალი ხშირად მიმართული არის ხოლმე მომავლისაკენ.

და აქ კვლავ უნდა გაეხსენებინა გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცის სიტყვები, რამდენიმე წლის წინათ ეპიგრაფად წამძღვარებული ლექსისათვის „ქართველის დედა“: აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისაო, – რათა მიედევნებინა, რომ თანადროულ ცხოვრებას სწორედ ეს მნიშვნელობა ენიჭებოდა ახალი ჟურნალისათვის.

აწინდელი ცხოვრების ვითარება არამარტო სადღეისო მოსავალი გახლდათ, რომელიც დღესვე უნდა დახარჯულიყო, არამედ მასში მომავლისთვისაც ერია თესლი, როგორც წარსულში ერია აწმყოსათვის.

და თუ ახალი ჟურნალი დახედავდა თანადროული ცხოვრების მოქმედებას, უფრო ამ თესლისათვის დახედავდა, რომ ეგ გამოეკრიფა ხვალისათვის.

– რაც შორსა სცემს ჟურნალის თვალი, მითუფრო კარგია, ჩვენის ფიქრით, ჟურნალი და დღეგრძელი.

თუკი ჟურნალს ენება კეთილსინდისიერად აღესრულებინა თავისი ძნელი საქმე, თვალგაფაციცებით უნდა აჰყოლოდა თანადროულ ცხოვრებას, რათა ყოველი წარმოშობილი ფაქტისათვის თვალი და გონება ედევნებინა; ყოველი აზრის საკეთილი მოძრაობისათვის გზა მიეცა, ერთი სიტყვით – ეშველა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ამ ძნელ საქმეში ჟურნალს უნდა წაემძღვარებინა წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი.

აქ ირონიულად გადაჰკრავდა ზოგიერთ მწიგნობარს, რომელნიც მეცნიერების სახელით იწყალებდნენ თვალსა და გონებას იმის გამოსაძიებლად, ეგვიპტის ამადაამ პირამიდაზე ეს იეროგლიფი ისე არ უნდა იყოსო, აწ წარლტოლვილი ჭეშმარიტების ძიებაში ავარჯიშებდნენ თავიანთ გონიერებას.

არ მოერიდებოდა ზოგიერთ უნაყოფო პოეტსაც, რომელიც ხელოვნების სახელით ემიჯნებოდა თავისი ხალხის ცხოვრებას, მეშვიდე ცას აშტერდებოდა გაბეცებული თვალებით, ბულბულივით უაზრო სტვენას იწყებდა და აღარ ამთავრებდა.

იმათთან საერთო გზა როგორ ექნებოდა!..

ისინი მარცხნივ მიემართებოდნენ გატკეპნილ სავალზე, ილიას კი მარჯვნივ უჯობდა.

მეცნიერებასა და ხელოვნებას სთხოვდა არსობის პურს ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგს.

მეცნიერებას უნდა ეშველა თავისი გამოცნობილი ჭეშმარიტებებით ცხოვრების ახსნა და გაგება, და მოეცა პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზე.

რაც კი პირდაპირ მოედგმოდა ცხოვრების ვითარებას, რაც კი გადმოიღებოდა ცხოვრებისათვის – ის იქნებოდა უფრო საჭირო ახალი ჟურნალისათვის. ხოლო სხვა რაღაც წარტოლვილ ცნობებში გაბმა და ტრიალი – სრულიად უფასო და გამოუსადაგერი.

ეგ დაე იმას ენდომა, ვინც სიტკბოებას ხედავდა უქმი ჭკუის ვარჯიშობასა და ფრენაში.

ხელოვნებასაც იმას სთხოვდა, რომ:

სარკესავით ცხოვრება გადმოეცა, რათა ჩვენი თავი მისი მომხიბლავი კალმით ცხოვლად ყოფილიყო წარმომდგარი ჩვენს წინ, ჩვენი სიცუდეც და სიკარგეც რომ დაგვენახა.

შენი სულისა, ოლიკოჯანო! – უკვე სულ სხვაგვარად დაიწყებოდა 28 იანვრის ბარათი, უკან რომ დარჩებოდა „თქვენობითი“ მიმართვა და შორით კრთომა და შორით დაგვა და შორით ტრიალი და ჩნდებოდა ის მზრუნველობა, რაც ოჯახურ სიახლოვეში უნდა გადაზრილიყო. და ილიას აინტერესებდა, გუშინდელი შეხვედრის შემდეგ როგორ გრძნობდა თავს ქალი, ნუთუ მართლა ავად შექმნილიყო? დაე მოეთავებინა ავადმყოფობები.

ბარბარეს ეთქვა ბიჭისათვის: ორი დღეა არაფერს ჭამსო, – და ილია როგორ არა ცდილიყო მის დამშვიდებას:

– რა გემართება? ღვთის გულისათვის, ნუ ღელავ, შენს თავს ვფიცავ, ჩვენი საქმე კარგად დაგვირგვინდება.

იქნებ იმას ნანობდა, ილია რატომ ამოვირჩიეო?

ო, ეს სხვა საქმე გახლდათ.

და თუ ეს არა, მაშ რაღა ჰქონდა სანაღვლო ქალს?!.

მხურვალედ ეფიცებოდა:

შენი ილიკო მუდამ შენი იქნებაო.

არ უყვარდა დაშაქრული თუ დაცრემლილი სიტყვები, არ უყვარდა საკუთარ გრძნობებზე ლაპარაკი – რომანებში როგორც იცოდნენ, ისიც ფრანგული ყაიდის მოსულელო რომანებში.

არ უყვარდა, მაგრამ ჟურნალი ან გაზეთი თუკი დაისაჭიროებდა ამ ფრანგული ყაიდის მოსულელო რომანის გამოქვეყნებას, რაკიღა მუშტარი საკმარისზე მეტიც ეყოლებოდა, თავისივე ხელით გადმოიღებდა ერთ ასეთ ნიმუშს, ამაო გარჯის შეგრძნებას სწორედ ეს მიზანი რომ შეუმსუბუქებდა: მკითხველთა აუდიტორიის გაზრდა.

ოლღას კი უნდა დაეჯერებინა მისთვის, რომ:

რაც მეტი იყო სიტყვა, მით ნაკლები – გრძნობა, ანდა პირიქით, რაც ნაკლები სიტყვა – მით მეტი გრძნობა. და ეს ისეთივე ჭეშმარიტება გახლდათ, როგორც ორჯერ ორი ოთხს უდრიდა.

გუშინდელი დღე დიდებული რამ გამოდგებოდა, მაგრამ უცნაური ის იქნებოდა, რა ბევრის თქმა ენდომებოდათ და რა ცოტას ილაპარაკებდნენ.

არ იქნებოდა, ერთხელაც რომ შეხვედროდნენ?

გინდაც შეხვედროდნენ, ერთმანეთს ალბათ ისეთს ვერაფერს ეტყოდნენ, არადა რარიგ სურდა ოლიკოსთან საუბარი, ისეთ მხიარულ ქალთან, რომ დაუნანებლად მასთან განშორება უძნელდებოდა.

და როგორ არ გაღიმებოდა:

არც ისეთი სულელი ვარ, როგორიც შენს გვერდით ვჩანვარო.

ეფიცებოდა, რომ მეტისმეტად მოწყენილი იქნებოდა, თუკი ბარბარე ყოველდღე არ მიუტანდა ოლიკოს წერილებს. პარასკევამდე აბა როგორ მოეთმინა?!.

ოლიკოს დღევანდელ ბარათს კი შეეწუხებინა – ისეთი მხიარული არ იყო, როგორიც ქალს სჩვეოდა. ნეტა რა მომხდარიყო? თუ ცოტა მაინც უყვარდა ილია, დაე მიზეზს ნუ დაუმალავდა, მოეწერა ყველაფერი, რაც აწუხებდა და აღელვებდა.

არ ეფიქრა, ილიას შეეშინდებოდა, თუკი რამე უსიამოვნოს გააგებინებდა. ისეთი სუსტი სულაც არ გახლდათ, უსიამოვნებებს შეეშინებინა. ცხოვრებაში ბევრი რამ გადაეტანა და კიდევაც გადაიტანდა.

– შენი ჭირიმე, ოლიკოჯან, თუ გიყვარდე, ნურაფერს ნუ დამიმალამ. რა არი, ქალო? თუ შენ ჩემი ხარ და მე შენი, რად უნდა ჩვენში დასამალავი იყოს რაიმე? ღმერთმა უწყის, საიდან მომეჩვენა, თითქოს შენ ცუდი რამ შეგემთხვა. გაჰფანტე ეგ სისულელე, გეხვეწები.

დღეს საღამოს შვიდ საათზე ილიას ბიჭი არშაკუნის ბაღთან იდგებოდა, და ეგებ ბარბარეს ერთი წამით მიერბინა და გადაეცა ოლღას წერილი, რომელიც ამ ბარათის პასუხი იქნებოდა.

თუ შეძლებდა, ოლიკოს იქნებ ილიას მაგივრად ეკოცნა თავისი თავისათვის.

დაწერდა ამ ფრაზას და... გაიოცებდა, ასეთი რამ გონებაში როგორ მომივიდაო. და თავს იმით იმართლებდა, მისი ოთახი სტუმრებით რომ გატენილიყო.

თითქოს მოთავდებოდა ბარათი, მაგრამ გულს ვერ შეაჯერებდა და დაურთავდა:

ჩემო ანგელოზო! რატომ ღელავ, ჩემო მეგობარო? რისი უნდა გვეშინოდეს? სიტყვას ვაძლევ ჩემს ოლიკოს, რომ მის თავს ვერავინ წამართმევსო.

ილიასათვის სულერთი იყო, რა ეთქვა ოლღას მუხრანიანთ ქალბატონისათვის. დაე რაც სურდა, ის ელაპარაკა. ილია თუ ღელავდა, ოლღას გამო ღელავდა, რადგანაც ქალს ესეც მოეწერა:

— მამაჩემმა რომ შეიტყოს, თოფით დამხვრეტს.

რაო, რას ეკითხებოდა ქალი: გავემგზავრო თუ არა მუხრანიანთასო?

როგორც სურდა, ისე მოქცეულიყო, მისი ნება გახლდათ. და ილია პირდებოდა, რომ მარტო ახლა კი არა, მომავალშიც არაფრით შეზღუდავდა ქალის ნება-სურვილს.

ეგებ შეეტყობინებინა, რა აწუხებდა.

ბარბარე როგორც ამბობდა: პურს აღარ ჭამდა. და ილია ემუდარებოდა: პური ჭამე და ქეიფიც გასწიე, სატირალი და საწუხარი რა გვაქვს მე და შენო?!.

ყველაფერი ამაღამვე მოეწერა. ეს თხოვნა მაინც აესრულებინა ვაჟისათვის.

ხოლო ხელოვნებას უკვე დრო იყო თავი დაენებებინა ამისთანებისათვის: ღრუბლების ცურვაო, გაფაღარათებულ ვარსკვლვთა ბოლთის ცემა ცაშიო, მთვარისადმი ხვეწნა: ჩემ საყვარელს უთხარი: ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც შენი გამოისობით ოხვრის კვამლი თვალებსა სწვავს და ცრემლს ადენსო.

დრო იყო ხელოვნებას თავი დაენებებინა უგემური ღმეჭისა და თვალების სრესისათვის, ეგება ცრემლი მომივიდესო. დრო იყო ჩასულიყო ცხოვრების მდინარის ძირში და იქ მოენახა შიგმდებარე აზრი თავისი ცხოველი სურათებისათვის.

იქ, ცხოვრების ძირში ბევრ მარგალიტს რომ იპოვნიდა და ბევრ ლექსა და ლაფსაც, არც ერთის გამოხატვისა უნდა შეშინებოდა ხელოვნებას და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმისა უნდა შეშინებოდა ჟურნალს და არც მეორისა.

29 იანვარს მადლობას მოახსენებდა ოლღას მხიარული წერილებისათვის და აღტაცებად დაიღვრებოდა:

ნამდვილი მწერალი მყავხარ, – გიჟმაჟი, მხიარული, ხუმარა, – სახელი და დიდება შენ! მერმე რა ქართულითა წერ!.. პირდაპირ გამაოცა, არაფრით არ მოველოდი, თუ შენ ასე ლაღად შეგეძლო აზრის ქართულად გამოთქმაო.

და ცოტას წაუტრაბახებდა:

აი რას ნიშნავს ქართველი რედაქტორის ცოლობაო!..

ისეთი კარგი გახლდათ ქალი, ჭკვიანი, მაგრამ მაინც ცელქი. ამასთან: ცოტა მოუთმენელიც. და ეს იმიტომ, დღის ოთხ საათზე თავისთვის მისვლას რომ სთხოვდა ილიას.

თუმც ვაჟი დიდად გაიხარებდა და ეცდებოდა კიდეც მისულიყო, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც არ შეუშლიდა ხელს ეთქვა, რომ ამ შეხვედრის გამოისობით შესაძლოა მთელი მათი საქმე ხიფათში ჩავარდნილიყო.

მაშინ – დაე ქალს ასე განესაჯა – უნდა მოეტაცებინა ილიას, გაეთამაშებინა პატარა რომანი, რომელსაც ოლღას მოტაცებით დაამთავრებდა.

ვახ — ილია ჭავჭავაძე და... ამისთანები?!.

თუმც რატომაც არა, თუკი ვითარება დაისაჭიროებდა.

ხვალ პირველ საათზე გოლოვინის პროსპექტიდან დროშკით მივიდოდა გიორგი ბერიძესთან, და ვიწრო ქუჩაზე რომ ამოიელიდა, ღვთის გულისათვის, ოლღა აივანზე ჩვენებოდა. და თუკი შესაძლებელი იქნებოდა მასთან შეხვედრა სადარბაზო კართან, როგორმე ენიშნებინა ეს აივნიდან, თუნდ ხმამაღლა დაეხველებინა.

ილია მეეტლესთან განგებ დიდხანს გაჩერდებოდა, რათა ქალს იქნებ რაიმეს თქმა მოესწრო.

რატომ სწერდა ამას?

გუშინ თეატრში სიტყვა მიეცა ცენზორისათვის: სამ საათზე მოვალო.

უნდა მისულიყო ერთ მნიშვნელოვან საქმეზე, რომელიც ჟურნალს ეხებოდა. იგი არაფრისდიდებით არა თანხმდებოდა გაეშვა ერთი წერილი, მიუხედავად იმისა, რომ ილია მთელი კვირაა ამაზე ეჩიჩინებოდა.

ჟურნალი კი ამის გამო უჩერდებოდა.

ეცდებოდა, რაც შეიძლება მალე მოეშორებინა ცენზორი, რომ ქალთან ამორბენა მოესწრო. და თუ საუბედურო ვერ მოასწრებდა, ოლღას უნდა მიეტევებინა.

ქალი ისეთი ჭკვიანი გახლდათ და იმდენს გულკეთილობას იჩენდა ილიასადმი, რომ გულცივობას არ დასწამებდა და არ აწყენინებდა ამით საქმროს, რომელიც უკვე თავისად იხსენიებდა ქალს. იმდენად ერთგული გახლდათ ოლღასი, როგორ შეიძლება არ გაეხარებინა ყოველ შემთხვევას მასთან შეხვედრისა. ამიტომაც სთხოვდა, ნურავითარ საყვედურს ნუ ჩაიდებდა გულში და ამით ვაჟს ნუ აწყენინებდა.

ჯერ კიდევ რამდენი ხნის წინათ სწერდა:

როდესაც თქვენთან მოსვლას მიბრძანებ, ერთი დღით ადრე მაინც მაცნობე, რადგან დღეები ძალზე გადატვირთული მაქვს იმგვარი საქმეებით, რომ მათი გადადება გაფუჭებას ნიშნავს საქმისას, რომელსაც მოვეჭიდეო.

ეს თხოვნა კარგად ხსომებოდა ქალს და გაემართლებინა ილია, თუკი დღეს, მიუხედავად ცდისა, ზუსტად ოთხ საათზე ვერ მივიდოდა.

ეს ილიასთვისაც საწუხარი იქნებოდა, მითუფრო საწუხარი, რომ ქალი შესაძლოა ნაწყენი დარჩენილიყო.

განა ილიას კი უნდოდა ეს?

პირველიდან სამამდე რომ ეცალა, და იქნებ მაშინ შეხვედროდნენ?

ქალი საკმაო ეშმაკი იყო და ეცადა, ეგება მოეხერხებინა. და თუკი ვერა, მაშინ რაღა გაეწყობოდა! დალოდებოდა ზუსტად ოთხ საათამდე. თუ მივიდოდა ილია, ხომ კარგი, თუ არადა მაშინ საქმრო კი ნუ, არამედ ცენზორი დაეწყევლა, მისი და მხოლოდ მისი ბრალი იქნებოდა.

ნუ გაუჯავრდებოდა, თუ დღეს ვერა ნახავდნენ ერთმანეთს, მერე ხომ ნახავდნენ.

რას ფიქრობდა ქალი, მათი ქორწილი ნააღდგომევს მოეწყობოდა?

ილიას სჯეროდა, რომ მოეწყობოდა.

ეს კი აინტერესებდა: ოლღას დეიდას ასე რატომ სძულდა? მუხრანიანთ ლიზაც, როგორც სმენოდა, თურმე ალმაცერად უყურებდა. და ქალს ეკითხებოდა: მართალიაო?

თუმც როგორც ოლღას დეიდას სიძულვილი, ისე მისი ბრწყინვალება კნეინა ლიზას უმოწყალო თვალი ილიასათვის არაფერს ნიშნავდა, მაგრამ ცუდი არ იქნებოდა, შეეტყო მიზეზი.

ისე თუ დღეს ვერა ნახავდა, პარასკევამდე უნდა დალოდებოდა საცოლის ბარათს.

ხოლო ქართველობას არ უნდა სწყენოდა, თუკი „საქართველოს მოამბე“ ხელოვნების შემწეობით დაუნდობლად გამოჰფენდა ჩვენი ცხოვრების ჭუჭყსაც. ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოართმევდნენ, როცა ჟურნალი მკაფიოდ გამოთქვამდა მას, რაც ქართველში ცუდი სუფევდა და საზიზღარი.

საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარდა ქართველი, ილია თავს მათში უკანასკნელად არა რაცხდა. ეს კი უნდა ეთქვა, რომ ქართველში უყვარდა მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარი გახლდათ, ქართველი იქნებოდა თუ ინგლისელი, არ განერჩეოდა – ორივე წყალში გადასაყრელი იქნებოდა.

ბევრნი რომ იყვნენ ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობდნენ ჩვენი ცხოვრების სიბოროტის დამალვას?

ილიას შეტყობით, ეს მათ მოსდიოდათ ქართველთა უმეცარი სიყვარულისა გამო, ის კი არ უწყოდნენ, რომ დიდი ხანია ჩვენში არსებობდა გლეხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო.

ისინი, უმეცარი მოყვარენი ჩვენი, ზედ დაასვამდნენ მოჩვენებისა და განგდების ბეჭედს მას, ვინც კი ვეღარ მოითმენდა ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომას და ამოჰყოფდა თავს, რომ სხვისთვის მაინც ეთქვა: ამ გუბეში არ ჩაიგდო თავი, თორემ დალპები მისი წარმწყმედელი ოხშივარის ზემოქმედებისაგანო.

„კაცია-ადამიანის“ ეპიგრაფად შერჩეულ შეგონებას თავისთავად მოჰყვებოდა ეს სურათიც, უარყოფილ წინასიტყვაობებში რომ გადადიოდა: ერთიდან მეორეში, მეორედან მესამეში, მესამედან მეოთხეში!..

საბედნიეროდ მოიპოვებოდნენ იმისთანა პირნიც, რომელთაც ჩინებულად უწყოდნენ, რომ ვინც შენიშნავდა მართლად სხვის ნაკლულოვანებას, შეიძლება მასვე სდომებოდა გასწორება და სიკეთე მისი.

დაე ესეც გაეთვალისწინებინა მკითხველს, იქნებ არცთუ ადვილად დასაჯერებელი, მაგრამ უტყუარი — რაკიღა ილია სწორედ ამ განცდა-განწყობილების შუაგულში ტრიალებდა, პირადადაც გამოეცადა, სხვებსაც საგანგებოდ დაკვირვებოდა ამ კუთხით და ამის შემდგომ უკვე დაბეჯითებით ერწმუნა:

რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად გამოთქმულიყო ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მითუფრო ჩანდა გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მიუთმენელი, ცხარე წადილი გასწორებისა.

ვის შეიძლება ძალიან ჰყვარებოდა კეთილი?

ვისაც ძალიან სძულდა ბოროტება.

და თავისივე ლექსს შემოიშველებდა, იმ ძრახვა-კილვას გადმოშლიდა, მასზე რომ ამბობდნენ: ქართველის სიცუდეს ამბობს, ჩვენ ჭუჭყს არ მალავს – ეგ ხომ ცხადი სიძულვილიაო, – რომლის პასუხადაც ეს რწმენა მოემარჯვებინა:

ამას ბრიყვნი ამბობენ, თორემ კარგი გული მაშინვე გრძნობს, ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულიაო.

ისედაც რომ უწუნებდნენ ლექსის გამართვას, ხელოვნურობასა და ძალდატანებას საყვედურობდნენ, ამ სტროფში მაინც განსაკუთრებით უსიამოდ და სულაც მჭახედ გაისმოდა ეს „ამბობენ-ამბობს-ამბობენ", მაგრამ იმხელა მნიშვნელობას მიანიჭებდა თვითონ აზრსა და შინაარსს, თითს აღარ მიაკარებდა, ვაითუ სტრიქონთა დახვეწის სურვილმა აზრი როგორღაც გააფერმკრთალოსო, თორემ შეუძლებელია არ ეგრძნო სტილური სიბლაგვე, კეთილხმოვანებას სრულიად დაშორებული.

არ დაგიდევდა, თორემ დამოწმებას მაინც მოერიდებოდა, ახლა ზედ რომ მოაბამდა მტკიცებას: ოღონდაც ხელოვნება არ გადაცდენოდა თავის კანონებს და მეცნიერება – ჭეშმარიტებას, და დაე ნურც ერთი და ნურც მეორე ნუ მოერიდებოდა იმის გამოაშკარავებას, გაკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხავიც მოჩანდა და ცუდიც. დაე ორივეს ეარა ცხოვრების მდინარებაში, მოენახათ მარგალიტები, და თუ მათი ამოკრეფისას ლაფი და ლექი თან ამოჰყვებოდა, რას იზამდი?!. ლაფს ჩამოირეცხავდი, ჭუჭყს მოიშორებდი, რათა მხოლოდ მარგალიტები დაგრჩენოდა ჩვენი ცხოვრების სასახელოდ.

30 იანვარს ოლღას უსაყვედურებდა:

შენ უკვე ჩემი წყენინება მოგსურვებიაო.

დაეთაკილებოდა მისგან ათი მანეთის გამოგზავნა, თითქოს ისეთი ღარიბი გახლდათ, რომ ათი მანეთის შოვნაც არ შეეძლო.

მიხვდებოდა ილია, განა არა, რომ:

ოლიკო იმ შავ პოპლინს თავისთვის კი არა, თავისი ყაზბეგისათვის იძენდა იმ პელაგიასათვის, საიდუმლოს დაფარვის მიზნით ვის სახელზეც აგზავნიდა ილია ოლღასადმი მიმართულ წერილებს. იმასაც მიხვდებოდა ვაჟი, რომ ქალს თავისი ფულით სურდა ეყიდა საჩუქარი და ილიას სახელით მიერთმია.

– ო, როგორი ეშმაკი ხარ! განა მე თვითონ ვერ შევძლებდი ამას?

მაგრამ არ მოენდომებინა ქალს, ალბათ ეგონებოდა, რომ საქმროს ათი მანეთიც არ მოეძევებოდა. დაე მიეღო თავისი ფული ოლღას, ხოლო თუკი უკან დაბრუნებას შეეცდებოდა ილიასათვის, სასტიკად აწყენინებდა.

დღეს ეყიდა ეს რაღაც სისულელე და არ იცოდა, მოეწონებოდა ქალს თუ არა. თუკი არ მოეწონებოდა, უკან დაებრუნებინა და, საქმრო ახლა სხვას ამოარჩევდა.

უკვე ყველას რომ ულოცავდა: გავიგეთ, ოლღა გურამიშვილზე იწერ ჯვარსო, – მაინცდამაინც არ ეჭაშნიკებოდა და დაინტერესდებოდა, საიდან შეიძლება გავრცელებულიყო ასეთი ხმები?

გიორგი ბერიძე გუშინ ეტყოდა:

– რაღაცას მიმალავ, მონაზვნისაგან შევიტყე, რომ ერთმანეთს წერილებსა სწერთ და თქვენი საქმე უკვე გადაწყვეტილია.

როგორც ჩანდა, მონაზონს გაეგო ბ ათი მიმოწერის ამბავი, ეს კი ნიშნავდა, რომ ოლიკო მეტად უნდა გაფრთხილებულიყო.

ბარათის თავზე ამ სტრიქონებს წააწერდა:

ხვალ შუადღის პირველზე ბერიძესთან მოვალ და აივანზე მეჩვენე. მომიტევე, მოკლედ რომ გწერ, ჩემთან სტუმრები არიან. ნუთუ მხოლოდ პარასკეობით გვექნება მიმოწერა? რა საწყენიაო!..

სარედაქციო სტატიის მკითხველს კი მიტევებას სთხოვდა, რომ მეცნიერება და ხელოვნება – ეს უდიდესი საგანნი – ისე, გაკვრით მოეხსენიებინა, რადგანაც ის სურვილი ჰქონდა, ეჩვენებინა არა მათი სრული არსებითი ვითარება, რომელზედაც „საქართველოს მოამბეს“ კიდევ ბევრჯერ მოუწევდა შემდგომშიაც ლაპარაკი, არამედ მარტო მათი დანიშნულება, ანუ: რომ ისინი იყვნენ მხოლოდ ღონისძიებანი, რომელნიც გვშველოდნენ ცხოვრების გამოსაყვანად სიბნელიდან სინათლეში.

ცხოვრება, მეცნიერება და ხელოვნება, ყოველი ჟურნალის შიგმდებარენი, მოეხსენიებინა იმდენად, რამდენადაც საჭირონი იყვნენ იმისათვის, მკითხველს წარმოესახა ის გზა, რომელზედაც უნდა ევლო „მოამბეს“.

კიდევ მოიბოდიშებდა, თუკი ეს სტატია მეტაფორებით სავსე მოეჩვენებოდა მკითხველს.

– ჩვენი ცდა მარტო ის იყო, რომ ჩვენი აზრი გაგვეგონებინა მკითხველთათვის, იმიტომაც ყოველი ღონისძიება მოვიხმარეთ, რომ ეგ აგვესრულებინა. თუ ამ სტატიამ მაგოდენი შესძლო, ჩვენ კმაყოფილნი ვიქნებით.

ამთავრებდა და ვეღარ ამთავრებდა.

ემშვიდობებოდა მკითხველს და ვეღარ ემშვიდობებოდა.

და რაკილა ახალ თემას ვეღარ გაშლიდა კომპოზიციური შემორკალულობის გამოისობით, მოკლედ გაიმეორებდა უკვე ნათქვამს:

რომ ცხოვრება თვითრჯული გახლდათ და არ გამოიჭრებოდა კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ;

რომ თუმც ბერდებოდა, მაგრამ ამ სიბერის გამოცდილებით ისევ თავისთავად ახლდებოდა და ჰყვაოდა;

რომ მეცნიერება და ხელოვნება არ გამოგონებულიყვნენ კაცისა ჭკუისა და გამოხატულობის არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის;

რომ ისინი წინ მიდიოდნენ ცხოვრების ვითარების გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავდათ ცხოვრება;

რომ რაც მათგან გაცნობიერებულიყო და დამტკიცებულიყო, ის გადადიოდა ხალხში და კიდეც ცვლიდა ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებას.

და ამ დამტკიცებული აზრებისა და ცნობების გადასვლის გაადვილება ევალებოდა „საქართველოს მოამბესაც“.

2 თებერვალს მიტევებას ითხოვდა, ოლღას ბარათს გვიან რომ პასუხობდა და თანაც მოკლედ სწერდა.

წინადღეს დილის ცხრიდან საღამოს ექვსამდე სტამბაში იმყოფებოდა. თვითონ ამ სიტყვას ამჯობინებდა: ვეგდეო. ისეთ სულელურ სამუშაოს გადაჰყვებოდა, შინ დაღლილი დაბრუნდებოდა. თავი ისე დაებურებოდა ნისლით, შიგ ერთი ხეირიანი აზრიც აღარ გაუჭაჭანდებოდა.

მოსვლისთანავე, არც ისადილებდა, ისე მიეგდებოდა მკვდარივით.

გადაწყვეტილი ექნებოდა, ღრმა ძილისათვის მიეცა თავი, მაგრამ ვინ ადროვებდა! ჩათვლემასაც არ დააცდიდნენ.

დღეს ცუდად გრძნობდა თავს, კარგად რომ არ იყო, ამას კიდევ არა უშავდა რა, საქმე ისაა, ბევრი საქმე დაუგროვდებოდა. და ამიტომაც სთხოვდა მიტევებას ასეთი მოკლე და სულელური (ამ სიტყვას არ მოერიდებოდა) ბარათისათვის.

სამაგიეროდ ხვალ 11 საათზე ქალი ილიასაგან მიიღებდა ისეთ დიდ წერილს, შესაძლოა წყენოდა კიდეც.

ჟურნალი ამ დღეებში გამოვიდოდა.

და ილია საცოლისაგან მოითხოვდა, უბრალოდ მოითხოვდა, დაწვრილებით კრიტიკას.

კრიტიკას, თანაც დაწვრილებითს, არამარტო ოლიკოსაგან, ყველასგანაც მოითხოვდა – თვითონ რომ არ ერიდებოდა არავის და მოურიდებლად ეუბნებოდა თავის შენიშვნებსა და მოსაზრებებს, დაე ნურც მას მოერიდებოდა ნურავინ. ბოლოსდაბოლოს ქების სიტყვებს, საამურთ და გულის დამამშვიდებელთ, ეს ერჩივნა და ბევრადაც ერჩივნა – კრიტიკული მოსაზრებების გაზიარება, ზნეობრივ მრწამსადაც რომ ჩამოუყალიბდებოდა, ეთიკურ აუცილებლობად; მოგვიანებით კი ამ მრწამსსა და ამ აუცილებლობას ოთარაანთ ქვრივს მიაწერდა, ტკბილი სიტყვის წინააღმდეგ წარმოთქმულ ტირადად რომ ჩაერთოდა თხრობას.

ტკბილი სიტყვა რა არისო! – იტყოდა ხოლმე ის პერსონაჟი, ილიასთან რომ აიგივებდნენ, მის ალტერ ეგოდ სახავდნენ და საკმაოდ საფუძვლიანადაც, – ამ გამწარებულ ნუთისოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი ხომ არ არის, – მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულ პურს. გული ადგილიდამ უნდა მისძრას- მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმი კაცის საქმეაო.

თავადიშვილები ფეხისგულზე ხელს რომ ასმევინებდნენ, რათა ძილი მოგვროდათ, გულის ფხანაც ეს გახლდათ: ძილსა ჰგვრიდა. ის კი არ უწყოდნენ, რომ თუ წუთისოფელს ერთბეწო ხანს თვალს მოუხუჭავდი, ისე გაგთელავდა, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა.

ოთარაანთ ქვრივს გულის მაგიერ ქვა უდევსო, – სოფელში რომ ამბობდნენ, ეს ფრაზა იმისაა, თვით ილიას რომ გააგონებდნენ: ქვა გიდევს გულის მაგიერო.

არ შეისმენდა და თავის გზასავალს მიჰკვალავდა ოთარაანთ ქვრივი.

არ შეისმენდა და თავის გზასავალს მიჰკვალავდა ილია, რომელიც სულაც ჩაიძირებოდა სტამბაში, რათა იქიდან მზესავით გამოეშუქებინა ახალ ჟურნალს, რომელსაც ისეთი სასოებითა და იმედით შეჰყურებდა რედაქტორი, ისე მობჯენოდა გული ყელში, ერთი გაფიქრება გაიფიქრებდა: ემანდ კიდეც არ გავიგუდო, ანდა საგულიდან არ ამომვარდეს, მერე წადი და ეძებეო!..

მაინც რამდენად პატივდებული იქნებოდა „საქართველოს მოამბე“ საზოგადოებაში და ნაყოფიერი ცხოვრებისათვის?

რამდენად და:

რამდენადაც მიაგნებდა და შეიტყობდა ცხოვრების მაჯისცემას და შენიშნავდა იმ მაჯის მცირედ ცვლილებას, რამდენადაც ნათლად განარჩევდა ცხოვრებისაგან მოგუბებულ მასალასა და თვითეულ მის შემადგენელ ნივთს საყოველთაოდ განაბრწყინებდა მეცნიერების შუქით და ხელოვნების წარმოდგენით.

გზა დანიშნული ჰქონდა და არჩეული „მოამბეს“ და გამოჩნდებოდა, გავლით როგორღა გაივლიდა!

ღმერთს კი დაე მშვიდობისა და სიკეთის მგზავრობა ებოძებინა მისთვის, და ღმერთსვე მოეპოვებინა მრავალი თანამშრომელიც, რომ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულის სახელით ძმურად ურთიერთს მხარს მისცემდნენ და არ დაივიწყებდნენ, რომ ხალხი, დაბალი თუ მაღალი, ყველა მოყვასი გახლდათ ჩვენი და შეძლებისამებრ ყველას უნდა გვეშველა...

და თუ ხალხი მართლა მოყვასი იყო, რუსთველი გვასწავლიდა, მოყვასს როგორც უნდა მოქცეოდა კაცი: ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდადო.

ყველაფერი ამოეთქვა, რისი ამოთქმაც სურდა სარედაქციო სტატიაში, დანარჩენს კი თანდათანობით გამოჰფენდა ახალ და ახალ ნომერში, ძალზე შორეულ გზას რომ გაჰყურებდა იმედით აღსავსე და ვერ წარმოიდგენდა, ერთწლიანი, მხოლოდღა სიცოცხლე თუ დასაზღვროდა „საქართველოს მოამბეს“.

3 თებერვალს კი როგორ არ ესაყვედურა ოლიკოსათვის:

რა ჭკვიანი იყავი გუშინდლამდე, გუშინ კი, რაღა გითხრა, მიმტყუნეო.

რატომ ამუნათებდა ასე და:

აქამდე იმდენად უყვარდა ილია ქალს, რომ მთელ ფურცელს სწერდა ხოლმე, ხანდახან – ორსაც, გუშინ კი ორიოდე წყალწყალა სტრიქონი თუ გამოემეტებინა.

– როგორ არა გრცხვენია!

თუმც... ვერც ილია დაიტრაბახებდა თავისი გუშინდელი ბარათის სიგრძით, მაგრამ უძილობისაგან ისე სტკიოდა თავი, თანაც იმდენი საქმე დახვა-

ვებოდა, ქალს რომ ენახა, უთუოდ შეებრალებოდა. სამაგიეროდ დღეს დასჯიდა დიდი წერილით საცოლეს.

ბოლოსწინა ბარათში ოლიკოს ცნობისწადილი რომ გამოეჩინა ჟურნალისა და მისი მოსალოდნელი წარმატების მიმართ, ამცნობდა და არწმუნებდა, რომ:

ჟურნალი არც ისეთი სულელური იქნებოდა, თუკი ღრმადპატივცემული საზოგადოება ყურადღებას მიაპყრობდა იმას, რაც წაკითხვის ღირსი გახლდათ.

გამოცემისათვის სახსრები კმაროდა – 5 290 მანეთი. და თუ ილია და მისი ამხანაგები კეთილსინდისიერად იშრომებდნენ, მაშინ მომავალ წელს ხელმოწერა შეიძლება გაზრდილიყო 10 000 მანეთამდეც.

მაგრამ აი რისი თქმა უნდოდა:

იმათ საიდანღაც გაეგოთ, რომ ილია ამ წელს ჯვარს იწერდა და... სასოწარკვეთილებაში ჩავარდებოდნენ, ეგონებოდათ, დაქორწინდებოდა თუ არა, ჟურნალსაც მიატოვებდა.

ეს თავის ამხანაგებს გადაარწმუნებდა და დაამშვიდებდა, რადგანაც მტკიცედ ეტყოდათ:

– იქნებ მართლაც დავქორწინდე, მაგრამ დავქორწინდები ისეთ ჭკვიან ქალზე, რომელიც ამ წმინდა საქმეს კი არ ჩამომაშორებს, პირიქით, უფრო მეტადაც მიმაჯაჭვავს და ძალასა და ენერგიასაც შემმატებს.

რა – განა შემცდარიყო, ასე რომ ეთქვა ოლიკოზე?

არა, თავის ოლიკოში ილია არ შეცდებოდა.

დისათვის დიდი ხანია ყველაფერი გაემჟღავნებინა. და ოლიკოს საიდან მოეტანა, თითქოს ის ძმის არჩევანით კმაყოფილი არ იქნებოდა?

ოთხი თვეა, ის სულ ოლიკოზე ეჩიჩინებოდა.

ილია ხუმრობით არიდებდა თავს პასუხს. და როდესაც ეტყოდა: ვქორწინდებიო, – ის მოეხვეოდა და აკოცებდა. ოლღა მას არ იცნობდა, მაგრამ დაე აქედანვე სცოდნოდა, რომ იგი საუცხოო ქალი გახლდათ.

გუშინწინისწინ კეკე ბარათაშვილიც ილიას დალაპარაკებოდა ოლღასა და მოსალოდნელ ქორწინებაზე.

ილია რას მიუგებდა და:

– უკვე ჯვარდაწერილი ვარ, ცოლი ფეხმძიმედა მყავს და მალე ეყოლება ვაჟიშვილი, რომელსაც სახელად წინასწარ „საქართველოს მოამბე“ დავარქვი.

– შენ იხუმრე, – ეტყოდა კეკე, – შენს მეტი შენს სახლში აღარავინ დარჩა, უშვილოდ ამოწყდები.

– თქვენ რა გენაღვლებათ, – ილია ასე ადვილად მორჩებოდა ხუმრობას თუ რა, – იმოდენა სიმდიდრე ჩემი თქვენ დაგრჩებათ. გიხაროდეთ.

წურბელებივით ჩააცივდებოდნენ:

– უსათუოდ შეირთე.

შეუქებდნენ და რას შეუქებდნენ ოლღა გურამიშვილს, თავისებურად ისე შეალამაზებდნენ, ილია იძულებული გახდებოდა, არც ჰო ეთქვა და არც არა.

– კარგი, – მიუგებდათ, – ბოლოსდაბოლოს რაც გინდათ, ისე ჰქენით, ოღონდ მე გადაწყვეტილ სიტყვას ვერ მოგცემთ.

მხოლოდ ამით ჩამოიშორებდა არამკითხე ნათესავებს და ამოიგმენდა: უჰ, ღმერთო ჩემო, რა ხალხიაო.

და ოლიკოსაც სთხოვდა:

თუ ღმერთი გწამს, ჩამოეხსენი იმათ, განსაკუთრებით ყაფლანიანთა. მერწმუნე, ისინი შენი ნდობის ღირსნი არ არიან. მე ძალზე კარგად ვიცნობ იმათო.

ნუ გაუწყრებოდა, ოლიკოს მეგობარ ნინოზე ამას რომ ამბობდა. ის მართლაც ჭკვიანი ქალი გახლდათ, მაგრამ – დაე ერწმუნა ილიასი საცოლეს – სიმახინჯემდე პირმოთნე.

ემუდარებოდა, სიფრთხილე გამოეჩინა:

ისინი იმდენს არ გიშველიან, რამდენადაც საქმეს გააფუჭებენო.

იასე ანდრონიკაშვილსაც, თავის ნათესავსა და კომერციული სასამართლოს თავმჯდომარეს, ჯერ ნურაფერს ეტყოდა ქალი. სჯობდა მოეთმინა.

და ისეთ გუნებაზე დადგებოდა ილია, რაინდებს რომ სჩვეოდათ:

ოლიკოს მე ვერავინ წამართმევს, თუკი ოლიკოც ამასვე მოისურვებსო.

რაც შეეხებოდა მათ „მაჭანკალს":

სჯობდა არ გაეჯავრებინათ, თორემ შესაძლოა გაეცა შეყვარებულთა საიდუმლო.

როგორ ფრთხილობს, როგორ ფარავს და იდუმალებაში ჰხვევს იმ ურთიერთობას, რაც აღარავისთვის რჩებოდა დამალული: აღარც ნათესაობაში, აღარც ნაცნობ-მეგობართა წრეებში და უკვე აღარც მათ მიღმა, უცნობების ყურსაც რომ მიწვდენოდა.

მაგრამ დადასტურებით არაფრისდიდებით არ ადასტურებდა.

სიფრთხილე არასოდეს ჰკლებია, და ესეც მისი ხასიათის ერთი არსებითი ნიშანი გახლდათ, ისევე როგორც რისკი და თავზეხელაღებულობა. თითქოს ერთმანეთის საპირისპირო თვისებებია – სად სიფრთხილე და სად თავზეხელაღებულობა, მაგრამ ილიას არსებაში ბუნებრივად ჩაფესვილიყო ორივე და ესეც განსაზღვრავდა ამ უჩვეულო პიროვნების ღრმა ხასიათის ერთ უმთავრეს თავისებურებას.

ტყვიას არ ეპუება – აბა დუელში რა გაიყვანდა ხოლმე, თან ერთხელ ხომ არა, რამდენჯერმეც.

დანას არ ეპუება – აბა მათი ტრიალის შუაგულში რა შეაგდებდა.

მის წინააღმდეგ ალესილ, ცოფმორეულ ადამიანთა გუნდს არად აგდებს – სიჭაბუკეშიც ისევე, როგორც სიბერკაცისას – და ამიტომაც არ ერიდებოდა არავის და არაფერს.

ჟურნალსაც და გაზეთსაც იმთავითვე მკვეთრი და საკმაოდაც მკვეთრი ცვლილებების განსახორციელებლად განიზრახავდა და თამასას არც არასოდეს ჩამოუშვებდა ოდნავ დაბლაც კი.

თუმც დიპლომატიურ სვლებსაც არ გაურბოდა, ტაქტიკას მარჯვედ იყენებდა და ცენზურასაც და ხელისუფლებასაც ხან თუ ჯიქურ დაეტაკებოდა, ხანაც დიპლომატიური ხელოვნებით აღწევდა თავისას.

ცოლის შერთვისას ფრთხილობს და თანაც რარიგ ფრთხილობს: ალბათ როგორც არასდროს.

ქორწინების ჩაშლისა ეშინია და არც გაზვიადებულია მისი შიში – იცნობს საზოგადოებას, მის დაცემულ მორალსა და ჭორიკნობისაკენ მიდრეკილებას და ჯვრისწერის ერთადერთ გზად და საშუალებად დრომდე გასაიდუმლოება ამიტომაც ესახება.

მერე კი... მერე ბევრსაც ეცადონ და ქოშიც უკუღმა ჰყარონ, ვიღას რაღას დაუშავებენ.

ოლღა გამოუცდელია, მიამიტი, მალემრწმენი, და წამდაუწუმ შეგონება და მოწოდება რომ არა სიფრთხილისაკენ, შესაძლოა ველარ დაფაროს გულისნადები.

* * *

ჯვრისწერაზე რომ ჩამოუგდებდნენ სიტყვას, რას უპასუხებდა?

უკვე ჯვარდაწერილიც ვარ, ცოლიც ფეხმძიმედა მყავს და მალე ეყოლება ვაჟი: „საქართველოს მოამბეო“.

ხუმრობად ჩამოართმევდნენ.

თითქოს მართლაც ხუმრობდა, მაგრამ „საქართველოს მოამბე“ ვაჟისაგან რომ არც განერჩეოდა, ამას რაღა მტკიცება უნდა.

დანიშნულებას აკი ასე განუსაზღვრავდა:

არამარტო შეეტყო ცხოვრების მაჯისცემა, არამედ შეენიშნა იმ მაჯის მცირედი ცვლილებაც.

ჟურნალის საქმიანობას, უფრო კი მოღვაწეობას, წმინდას რომ უწოდებდა, რელიგიური შინაარსით მსჭვალავდა, ისევე როგორც თეატრიც უნდა შეედარებინა ტაძრისათვის, მსახიობთა ხელოვნება კი – ღვთისმსახურებისათვის.

ჟურნალის რედაქციაც ღვთისმსახურებას აღასრულებდა და ილია შეეცდებოდა ეს აზრი და დამოკიდებულება საყოველთაო შეხედულებად დაემკვიდრებინა.

თუ რელიგიური იერით იმოსებოდა ყოველი სამოღვაწეო გზა, მაშ შესაფერისი მითოსიც უნდა გამოკვეთილიყო, რადგანაც უმითოსოდ რელიგია უფესვო ხეს ემსგავსებოდა. და საამისოდ ხალხური სიტყვიერების ტევრში რომ შეაბიჯებდა და სულ უფრო ღრმად და ღრმად შეაღწევდა შიგნით, მითისმთხზველობის სურვილიც ისე მძაფრად, ისე ძალუმად დაეუფლებოდა, რომ...

თუმც ამ წუთას მთელი არსებით იქით გადართულა, როგორმე თვალი მოჰკრას აივანზე გამოსულ ოლღა გურამიშვილს და გული ისე უთრთის, სად ელოდოს ჯვრისწერის დღეს, ეგებ ახლავე გაითამაშოს პატარა რომანი, რომელსაც ოლიკოს მოტაცებით დაამთავრებს.

მეორე ცოლი კი უკვე ვაჟსაც ელოდება და ამიტომაცაა, ილიას თავი რომ ველარ გამოუყვია სტამბიდან, იმ მოსაწყენი გარემოდან, რომელშიაც ოლიკოს სახება და მისი მხიარული წერილები აძლებინებს და ასულდგმულებს.

მხოლოდღა ეს სახება და მხოლოდღა ეს ბარათები...

* * *

სულ უფრო იცრიცებოდნენ სხვა სახებანი, შორეულდებოდნენ და უჩინარდებოდნენ.

პირველი ტრფიალება ვინმე ტერ-ასატუროვისადმი უნდა გასჩენოდა, ილია იმჟამად 13-14 წლისა რომ იქნებოდა. მისი სატრფოს მშობლები ცხოვრობდნენ თამამშევის ქარვასლის მეორე სართულზე და ილია კოხტა აფხაზთან ერთად ხშირად მიახლოვებია მისი ღვთაების სარკმელს და იქიდანაც ღიმილით გადმოხედავდათ ხოლმე პატარა ქალი.

და ის დღეები რომ აგონდებოდა კოხტა აფხაზს, ეს სიყვარული – თუკი სიყვარულად ჩაითვლებოდა – სხვაგვარად როგორ მოეხსენიებინა, თუ არა ნამდვილ პლატონურად.

საზოგადოდ კი – მისი შეტყობით – ილია მეტად ადვილად აენთებოდა ხოლმე, მაგრამ გულის ცეცხლი არც ისე უხანგრძლივდებოდა.

ამ პატარა ქალს უნდა მოჰყოლოდა მათი გიმნაზიის დირექტორის – დემენტიევის – ქალიშვილი.

პეტერბურგში ილია მეტად აღტაცებული იქნებოდა გენერალ ჩაიკოვსკის ქალით, იმ გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის და რომ გახლდათ, პიოტრ ჩაიკოვსკისა. ამ ოჯახში ეს ორნი ხშირად დაიარებოდნენ და კარგადაც ღებულობდნენ და ექცეოდნენ მასპინძლები.

ღიმილით გაახსენდებოდა კოხტას, პირველად რომ მოემზადებოდნენ მათთან სადარბაზოდ წასასვლელად, რა დიდ გასაჭირში ჩაცვივდებოდნენ. ერთი, ერთადერთი მუნდირი ექნებოდათ და... მარტოკა კი არც კოხტას ენდომებოდა წასვლა და არც ილიას. გადაწყვეტდნენ, დაეჭირათ კარეტა, ერთად წასულიყვნენ და ჩაიკოვსკების სახლს რომ მიადგებოდნენ, ჯერ ერთი შესულიყო მუნდირით და მეორეს კი კარეტაში მოეცადა. როდესაც პირველი დაბრუნდებოდა კარეტაში, გადასცემდა მუნდირს ამხანაგს, და ახლა ეს ჩაიცვამდა და წავიდოდა სადარბაზოდ.

ასეც დააღწევდნენ თავს უხერხულ მდგომარეობას.

1859 წლის 18 თებერვალს თავის დას, ნინოს, რომ გამოუგზავნიდა ბარათს იმ პეტერბურგიდან, კვლავინდებურად ცივი რომ იყო, ქვით მისიპული და უზარმაზარი, ახალი ამბები კი არ ეცნობებინა, თავისი ჯიბის კუტრობის მეტი, თხოვნით სთხოვდა ერთ სათხოვარს: თუ გიყვარდე, თუ ჩემი მცირედი სიყვარული გაქვს, ამისრულეო.

ერთ ქალს ქალური ვერცხლის ქამარი ეთხოვა ხანჯლით და ილიაც დაპირებოდა.

ვინაობას არ გაუმჟღავნებდა, თუმც მკვლევარებისათვის დანამდვილებით სოფია ჩაიკოვსკაია იქნებოდა ის ქამარ-ხანჯლის მთხოვნელი.

ამას მოწმობდა ილიას აღფრთოვანებული სიტყვები:

ნუ გამამტყუნებ იმ ქალთან, მერე უნდა იცოდე, რა ქალიაო!

და გაშინაურება მის ოჯახთან:

იმათ ოჯახში როგორც შვილი ისე ვარ მიღებული, ასეთი დედ-მამა ჰყავს, რომ თავი შემაყვარესო.

და ენუკვოდა და ემუდარებოდა:

თუ შეიძლება, შენი სულის ჭირიმე, ნინო, სააღდგომოდ გამომიგზავნე: ვიცი, რომ გიყვარვარ, თუმცა ცოტა ხელის მოჭერა გიყვარს, მარამ ჩემი სიყვარული გაგაბედინებსო.

სხვათა შორის:

ერთ მინაწერში მიადევნებდა:

იანვრის „ცისკარში“ ჩემი ლექსია დაბეჭდილი, წაიკითხე თუ არა? აი გინდოდა ჩემი ლექსი გენახა „ცისკარში“ და აგისრულე, თორემ შენ რომ არ გსურვებოდა, არც მაგას დავაბეჭდინებდი, იმიტომ, რომა ჩვენი „ცისკარი“ ჯოჯოხეთის კარია და არა ცისაო.

მეორე მინაწერით კი ამცნობდა, რომ:

ეგონა, რომ ეს ბარათი უკვე გამოეგზავნა და... ახლაღა ეპოვნა ქაღალდებში – 18 მარტს. აქ დარჩენოდა თურმე და ახლაღა უგზავნიდა. დაე ნინო ნუ დასცინებდა ამ დაუდევრობაზედ, ილიაც ხომ ისეთივე ქართველი გახლდათ, როგორც სხვა, და ამის გამო მიეტევებოდა, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!..

ხოლო თავისი გრძნობის მხურვალება და უზღვავობა ამ სიტყვებში ჩაეწურა:

მერე უნდა იცოდე, რა ქალიაო!..

მიძღვნას ვითომდა დაშიფრავდა ლექსების სათაურებში: „ს... ჩ...სას“ და „ჩ...სას“ – მაგრამ ისედაც ყველას ეცოდინებოდა გარშემო, თუ ვინ იგულისხმებოდა ინიციალების მიღმა: სოფია ჩაიკოვსკაია. ეს ორი ლექსი კი ზედიზედ შეიქმნებოდა: 1860 წლის 21 და 22 ივლისს, პირველში პირდაპირ ასე რომ მიმართავდა:

სატრფოვო, – და გაანდობდა იმ ლაღ ფიქრებს, მსუბუქი ფრთით რომ გაიტაცებდა ხოლმე, თითქოსდა მოხვეოდა კიდეც ქალს, სავსეს ეშხის სიამით. და ის ეუბნებოდა: დატკბი, გიჟო, აჰა ჩემი წრფელი გული! ბაგე ბაგეს დავაკონოთ და ჩავართათ სულთან სულიო!.. თუმც... ეს ხომ სიზმარი გახლდათ, მაგრამ ამითიც კი ტკბებოდა გული კრული, და თუ არა გულთმაამი სიზმარი, მაშ რიღათი დამტკბარიყო უიმედო სიყვარული!..

მეორე ლირიკულ ნიმუშში საყვედურობდა:

უცხო თემის ყარიბი მთქმელისათვის რად აღეგზნო სიყვარული? და ლამის ამ ტრფობაში შთაეწურა სრულად გული!

ერთხელ როგორ ეთქვა ვაჟისათვის?

– ცხოველი ქვეყნის ივერიის შობილი ხარ, გაზრდილი მაღალი მთების ქარიშხლით, ელვითა და ჭექით, მე კი ჩრდილოეთის ველზედ ვყვავი, ზამთრის სუსხით დაჩაგრული, შენს მხურვალე გულს ვით გასცემს პასუხს ჩემი ცივი გული?!.

ნეტა ყოფით რეალობაშიც ასე ეთქვა მისთვის სოფია ჩაიკოვსკაიას?

თუ ვაჟი თანაგრძნობას რომ ვერა ჰპოვებდა, თვითონვე წარმოიდგენდა ამ განცდა-განწყობილებას ქალისას?

რაც იყო თუ როგორც იყო: ტურფას განრიდებით კი განერიდებინა ვაჟის წმინდა სიყვარული! და ლირიკულ გმირს გულმწუხარედღა უნდა ამოეთქვა: ჩანს ოდითვე დანიშნულა სამარტოოდ ჩემი გულიო!..

ბევრს რომ ეგონა, თითქოს ილიას ჰყვარებოდეს ელისაბედი – ასული სოლომონ ჭავჭავაძისა?

საქმე ასე ნამდვილად არ გახლდათო, ირწმუნება კოხტა აფხაზი.

აბა მაშ როგორღა?

თურმე როგორ და:

ილია გიმნაზიას რომ დაასრულებდა, დააპირებდა რუსეთში გამგზავრებას – უნივერსიტეტში შესასვლელად, მაგრამ შეძლება არ გააჩნდა. ნდომით გრიგოლსაც ძალიან ენდომებოდა, რომ შვილი სტუდენტი გამხდარიყო, მაგრამ...

და აი სწორედ ამ გაჭირვებით ისარგებლებდა შედარებით შეძლებული სოლომონ ჭავჭავაძე და გრიგოლთან პირობას შეჰკრავდა:

იგი გაუგზავნიდა ილიას ოთხ თუმანს უნივერსიტეტში კურსის დასრულებამდე, მაგრამ სამაგიეროდ ილია რომ დაბრუნდებოდა, უნდა შეერთო მისი ქალი.

ეს შეთანხმება უილიაოდ მოხდებოდა, მაგრამ ილია მაინც დაემორჩილებოდა სოლომონ და გრიგოლ ჭავჭავაძეების პირობას.

ჯერ კიდევ სტუდენტობისას მეტად ემძიმებოდა ილიას ეს დამოკიდებულება და მეტადრე ის შეთანხმება.

უნივერსიტეტიდან რომ დაბრუნდებოდნენ, ერთ დღესაც – 1859 წლის 27 სექტემბერს – ალავერდს გაემგზავრებოდნენ ხატობაში და გზად ილია სიხარულით ამცნობდა კოხტას:

– მომილოცე, გავათავე, სოლომონმა აი ამდენი ფული გამომიგზავნა პეტერბურგში. ახლა მამიდა მაკრინეს დავავალე, სულმთლად დაუბრუნემეთქი. ახლა თავისუფალი ვარ.

და რა დაავიწყებდა კოხტას ილიას სახეს, მეტად ნასიამოვნებს, რომ მძიმე ტვირთს თავიდან მოიშორებდა.

კი მაგრამ... გრიგოლი 1852 წელს რომ გარდაიცვლებოდა, როდესაც ილია მეხუთე კლასში იმყოფებოდა? და მაშ იმ პირობას როგორღა დაუდებდა სოლომონს?

ამ უზუსტობას გრიგოლ ყიფშიძე გაასწორებდა და, ნაცვლად გრიგოლისა, შეთანხმების მონაწილედ მოიხსენიებდა ილიას მამიდას – მაკრინეს, მონაწილედაც და თაოსნადაც, რაკიღა მის გამოცდილ თვალს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, ილია გულგრილად რომ არ ყოფილა განწყობილი ლიზასადმი, და კიდეც შესთავაზებდა სოლომონს:

– გაუგზავნე ფული ილიას სწავლის გათავებამდე, და რომ დაბრუნდება, შენს ქალს შეირთავს ცოლად.

მემუარისტს არ უკვირდა, რომ:

ქალის მამასა და ილიას მამიდას, როგორც ძველებური, პატრიარქალური წესის ხალხს, ოდესღაც ქალ-ვაჟს აკვანში რომ ნიშნავდნენ, სწორედ ასეთი პირობა შეეკრათ.

მაგრამ ამისთანა შეთანხმება რომ აღარ შეეფერებოდა ახალ დროს, XIX საუკუნის მეორე ნახევარს?

სწორედაც პირიქით – ასეთი პირობა საშიშიც იყო სიყვარულის არსებობისას და ადვილი შესაძლებელია, რომ სულაც ამ სიყვარულის სამარედ გადაქცეულიყო.

ამ შემთხვევაში სწორედ ასეც მოხდებოდა:

პირობა დაირღვეოდა, საქმე ჩაიშლებოდა.

ნაზი სფერო გრძნობისა და პოეზიისა ვერ აიტანდა ულმობელ პროზას ცხოვრებისა.

და იმ უსათაურო ლექსს: გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში მე და შენ რომ ერთად ვრბოდითო?.. – შექმნილს 1860 წლის 5 ნოემბერს, გრიგოლ ყიფშიძე სწორედ ამ დარღვეული პირობისა და ჩაშლილი საქმის უშუალო გამოძახილად მიიჩნევდა.

მისი დაბეჯითებით:

ამ ლირიკულ ლექსში მოხსენიებული სატრფო არ უნდა ყოფილიყო არც ტერ-ასატუროვის ასული, არც დემენტიევის ქალი და მითუფრო არც დაი კომპოზიტორ პიოტრ ჩაიკოვსკისა. არამედ ელისაბედ ჭავჭავაძე, რომლის ვინაობაც, ისევე როგორც მამამისისა, დაიშიფრებოდა ამ მონათხრობში, რაკიღა ყველასათვის ცნობილი გახლდათ ეს ქალი – შემდგომ ინჟინერ მარჯანიშვილის მეუღლე და 17 შვილის დედა, მათ შორის: კოტე მარჯანიშვილისა, საქვეყნოდ აღიარებული რეჟისორის.

არ უკვირდა მემუარისტს იმ ლექსის სევდიანი კილო, ილია რომ წუხს და ენანება ის დასამარებული წრფელი გრძნობა სიყვარულისა, კუკურშივე ჩამჭკნარი ყვავილი:

ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენმ გიჟმა რა იცოდა,
რომ იმ ვარდზე ადრე შენი
სიყვარული დასჭკნებოდა!..

რომელ ვარდზე უფრო ადრე და:

დიდ ბაღში ერთად რომ რბოდნენ იმ ნეტარ დროს, სიყვარულის მეტს რომ არაფერს გრძნობდნენ. მაშინ მოეწყვიტა ქალს ქორფა ვარდი, გადმოეგდო სატრფოსათვის და ეთქვა:

– ჩემო გიჟო! ჩემ სახსოვრად გქონდეს ესა!

და მხარზე თავი დაეყრდნო და:

ქალი ვაჟის სუნთქვას რომ გუშაგობდა, ვაჟი კი – ქალის წრფელ სუნთქვას.

მიაჩერდებოდა, მიაჩერდებოდა, ვეღარ გაძლებდა და... ლოყაზე კოცნას მოჰპარავდა, ქალი რომ შეკრთებოდა და ლამაზი თითითა და ღიმილით დაემუქრებოდა.

ან ქალს რა ეცოდინებოდა მაშინ და ან მის „გიჟს“, რომ:

ის კოცნა ბოლოს გესლად, ქალის გმობით შეეცვლებოდა ვაჟს.

ასეაო – დასძენდა გრიგოლ ყიფშიძე – სიყვარული, აღტაცება, პოეზია ვერ იშვნევს პროზას, ანგარიშს, ამიტომაც მოსდევს ხშირად დიდ სიყვარულს დიდი სიძულვილიცაო.

ცხადია ეცოდინებოდა და კარგადაც ეცოდინებოდა ილიას, თუ საიდან ჩასდიოდა პეტერბურგში იქ თავის გასატანი ფული, ის კი არა, ავად რომ გახდებოდა და მკურნალობას საკმაო თანხა დასჭირდებოდა, სასიმამროს

მოსწერდა, ეგებ სამკურნალო ფულიც მას გაესტუმრებინა, თორემ ილიას ის დადგენილი ნიხრი ამ თვეს აღარ ეყოფოდა.

შენუხებით კი ძალიან შენუხებულიყო, რადგანაც ხმა ჩასვლოდა, თითქოს:

ლუარსაბი და დარეჯანი არწმუნებდნენ სოლომონს, გამოგიყენებს ილია ჭავჭავაძე, შენს გაგზავნილ ფულებს კარგად მოიხმარს, საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი პირს შეშლის და შენს ქალზედ უარს იტყვისო.

თუ ეს ხმები მართალი იყო და ლუარსაბი და დარეჯანი ამას კადრულობდნენ, ილია მხურვალედ პირდებოდა სოლომონს და ეფიცებოდა, რომ:

პირობა პირობად დარჩებოდა, შეთანხმებას არაფერი გააუქმებდა და გარდუვალი იყო მისი დაქორწინება ლიზაზე.

მოიცა, რაო, რაო?

ლუარსაბი და დარეჯანიო?

ვინაობა არ აღნიშნულა მათი, მაგრამ სოლომონის საახლობლოდან რომ არიან, რა დიდი მისახვედრია, ეს მათ ეეჭვებათ პირობის უმტკიცობა, ეს ისინი ასარსალებენ ენას და წამლავენ როგორც სოლომონის, ისე ალბათ ლიზას ყურსა და გონებასაც, ისინი ჩარეულან ასე ცუდად და საბედისწეროდ... ეგებ ავის მოსურნეობით, ან ეგებ დიდი გულშემატკივრობითაც: რომ არ ემეტებათ ფუფუნებასა და შეძლებაში გაზრდილი ქალიშვილი ღატაკი თავადისათვის.

პატარა როლს კი არ ითამაშებდნენ ქალ-ვაჟის დაშორებაში და...

ლუარსაბი და დარეჯანი.

სამაგიეროს ყოფით ცხოვრებაში როგორ მიაგებდა მათ ილია, მაგრამ მხატვრული სინამდვილე ხომ მის ხელთ გახლდათ და ირონიულ-გროტესკულ პორტრეტებს მოხაზავდა თუ არა ცოლ-ქმრისა, ერთს ლუარსაბს ამიტომაც დაარქმევდა და მეორეს – დარეჯანს, და აღარ დაფიქრდებოდა და ვეღარც გაითვალისწინებდა, ამ დიდად აღმატებულ სახელს რას დამართებდა თავისდაუნებურად – ლამის პირწმინდად რომ ამოშლიდა ქართული ონომასტიკონიდან, აღარავის რომ აღარ ენდომებოდა ვაჟისათვის ლუარსაბი დაერქმია: სახელი არამარტო რჩეული მეფისა, არამედ წმინდანი მეფისაც, ორივე ლუარსაბის სახელი ასე რომ მოსდევდა ჩვენს ცნობიერებას, მაგრამ... უკვე თათქარიძისაც, რომელზეც უნდა გეცინა, გეხალისა, გეხარხარა... არა, შვილს საამისოდ ვიღა გაიმეტებდა!..

გამქრალიყო, მიკარგულიყო და სიზმარივითღა თუ წამოგაგონდებოდა ის დრო, დიდ ბაღში სატრფოსთან ერთად რომ რბოდი და სიყვარულის მეტს არაფერს გრძნობდი...

ნეტარების წამები არსებობით კი არსებობდა ოდესღაც, მაგრამ სიამით ვეღარ მოგეგონებინა, რადგანაც მასაც, იმ თავდავიწყებული, სიყვარულით აღვსილი წუთების გახსენებასაც გესლი უნდა შერეოდა, გმობა უნდა გადაფარვოდა, სევდასა და ტკივილს უნდა შეებურა და... უკვე ბაღიც კი ვეღარ აღედგინა გონების თვალით, არამცთუ სატრფოსთან ერთად ის თავდავიწყებული სირბილი...

რას იზამ: ხან სიყვარულზე ადრე ვარდი ჭკნება, ქორფა, ხასხასა, მთელი ცხოვრების სიმბოლოდ ნანატრი ვარდი...

თავი მეექვსე

მოსე წინასწარმეტყველის დაკარგული ძადაგება

1863 წლის 6 თებერვალსაც ისე გაახარებდა ქალის მხიარული ბარათი, სახება ისედაც გამუდმებით თვალწინ რომ უტრიალებდა და იმ დღეს დღედ არც მიიჩნევდა, თუ ოლიკოს წერილით არ გაუთენდებოდა და ოლიკოს წერილით არ დაუღამდებოდა. ქალიც ისეთ ყურადღებას იჩენდა, რომ იშვიათად, ძალზე იშვიათად უთენდებოდა ილიას მოსაწყენი დღე. და ეიმედებოდა, რომ შემდგომშიაც ოლღა კვლავ ასეთივე ყურადღებას გამოიჩენდა მის მიმართ.

გახარებოდა ქალს, ილია კახეთში გამგზავრებაზე უარს რომ ამბობდა:

თუკი მართლა უხაროდა, ამ სიხარულისათვის თავისი ბარბარესათვის უნდა დაემადლებინა, იმას შეეშინებინა ილია, რადგანაც ეთქვა:

– შენს გამგზავრებაზე ფიქრით ოლიკო თავს აღარ ეკუთვნის, მთელი დღე მოწყენილია, დარდობს, მიზეზიანობს, ბრაზობს...

ეს რომ არ გაგრძელებულიყო, ილია გადაწყვეტდა, აღარ გამგზავრებულიყო კახეთს, თუნდაც იქ ყველაფერი ყირაზეც დამდგარიყო. დარჩებოდა, რათა თავისი გიჟი და მიზეზიანი ოლიკო დაემშვიდებინა.

რაცა სურდა, დაე კიდეც ებრძანებინა ქალს და ილია – ეფიცებოდა – ყველაფერს ოლიკოს სურვილისამებრ აღასრულებდა.

რატომ არ აეკრძალა გამგზავრება გუშინვე, როცა ილიას ეს ამბავი ეცნობებინა?

ეს არაა შენი მხრით კარგიო, – ამუნათებდა, – ეს ნიშნავს, თითქოს ჩემი ხარ, მაგრამ თითქოს ბოლომდე არცა ხარ ჩემი, არ იყენებ შენს უფლებებს, რომლებიც მოგენიჭა მას შემდეგ, რაც ჩემი თავი შენად ვაღიარე, შენი კი – ჩემადო.

ქალს უყვარდა ამის გამეორება და ილიაც კვლავდაკვლავ უდასტურებდა: შენ მარტო ჩემი მომავალი მეუღლე კი არა, ჭეშმარიტი მეგობარიცა ხარო.

მაშ რატომ არ უნდა გაეზიარებინა მეგობრისათვის, რა წყინდა და რა უხაროდა?

ოლონდაც არ ეფიქრა ოლიას, თითქოს ვაჟი ჯავრობდა. მას ხომ ისე უყვარდა და ისეთ პატივს სცემდა საცოლეს, რომ თავს როგორ მისცემდა ნებას გაჯავრებისა. მაგრამ ცოტათი მაინც არ ესიამოვნებოდა, ქალს რომ არ ენდომებოდა მისი გამგზავრება და გუშინვე არ ეტყოდა. ეთქვა და... ილია დაუნანებლად დარჩებოდა... და ჩაიღიმებდა მისებური ჩაღიმებით: შეიძლება მხოლოდ ერთხელ ზედმეტად მეკოცნა ამისათვისო.

ჭამის მადა კიდევ არა ჰქონდა ოლღას?

დაე ნუ იწუხებდა ამის გამო – არც ილიას ჰქონდა ჭამის მადა.

და არც უკვირდა, რადგანაც ეს ჭეშმარიტად ერთ-ერთი აუცილებელი შედეგი ყოფილა და იქნებოდა სიყვარულისა და არა კარჩაკეტილი ცხოვრებისა, როგორც ქალს თავისი ექიმი არწმუნებდა.

დიახ, ეს ორნიც დაავადებულიყვნენ ერთი სენით – სიყვარულით.

და აბა ექიმს სად შეეძლო მიმხვდარიყო, თუ რა სენი იყო ეს სენი, რომელსაც ზოგჯერ ბედნიერებასაც უწოდებდნენ!..

დე იმას ისე ეფიქრა, როგორც მოესურვებოდა, ილიასა და ოლიას კი ჭამის მადის დაკარგვა სიყვარულის პოვნისათვის მიეწერათ. ისინი – როგორც ჩანდა – ერთ არსებაში ვერა რიგდებოდნენ. და ოლიკო როგორ ფიქრობდა, ეს ჭკვიანი ქალი, რომელი სჯობდა:

მადა თუ სიყვარული?

ერთი აუცილებლობა მეორეს რომ გამორიცხავდა, ამ ორიდან რომელი ემჯობინებინათ?

წინასწარვე გრძნობდა ოლიკოს ღიმილსაც და პასუხსაც ამ უცნაურ კითხვაზე, ყურში რომ ჩაესმოდა: სიყვარული სჯობს, სიყვარულიო!.. – და ილიასაც მეტი რაღა დარჩენოდა, თუ არა თავისი ბეჭდით დაბეჭდვა საცოლის ღიმილისა: იყავნ ნება შენი, ჩემო ანგელოზოო!..

სათქმელი დარჩებოდა და გამოთხოვებისთანავე დასძენდა: მუხრანიანთას იყავიო?

ნეტა იქ ილიას და თუ ენახა, ლიზა?

სწორედ დღეს ეთქვა მისთვის ილიას:

– კახეთში აღარ მივდივარ.

– რატომ? – დაინტერესდებოდა ლიზა.

– ოლიკომ ამიკრძალა.

და ამ პასუხს რომ მოისმენდა, რა სიამით გაიღიმებდა.

ილიას კი ერთი ნატვრა ჰქონდა, როგორმე მოხვეოდა თავის ოლიკოს... მაგრამ რანაირად. ნანდაურს ხომ ახლა ეძინებოდა და ვერც კი მიმხვდარიყო, ილია ღამის სამ საათამდე მას რომ ესაუბრებოდა.

ბარათს კი ამ სიტყვებით მოათავებდა:

იძინე, ჩემო ანგელოზო, ძილი სიჯანსაღეაო.

ხავსმოდებულ გუბესთან შედარება საქართველოს თანადროული ყოფისა, ქვეყნის სამასხარაოდ ცხოვრებას რომ ვეძახდით, „კაცია-ადამიანის?!“ დასაწყისიდან რომ ამოვარდებოდა, სამაგიეროდ აგერ სარედაქციო სტატიაში ამოეყო თავი და კიდევ იმ საპროგრამო წერილში – „ზოგიერთი რამ“ – ეროვნული ხასიათის ზოგიერთ დეტალს რომ ჩაუკვირდებოდა, და თუმც მის შექმნას, უფრო სწორად – გამოქვეყნებას საკმაო ხანი დასჭირდებოდა და ჰოი როდის, 1876 წელსღა, ეღირსებოდა მზის სინათლე, მისი იდეა 1862 წელს უკვე ჩაესახებოდა გულში და გაამჟღავნებდა კიდეც ესკიზად მოხაზულ მიმოხილვაში „ცისკარი 1857 წლიდან – !863 წლამდინ“, თუმც 1866 წლამდე ვერ ჩამოყალიბდებოდა, ვერ ჩამოიქნებოდა განსჯა ისე, ილიას

რომ შეჰფეროდა, და მაშინაც „დროების“ დაარსება შეაგულიანებდა, რათა აღარ გადაედო, აღტაცებული რომ შეეგებებოდა ამ გაზეთის გამოჩენას:

– მოგვეცა, მადლობა ღმერთს, ხმის ამოღების უფლება მაინც, რომ სხვა არა იყოს რა...

ვიღაცას მისცემდნენ ხმის ამოღების უფლებას, ვიღაცას – არა, ყოველ შემთხვევაში „ზოგიერთი რამ“, პირვანდელი სათაურით „ტფილისი“, არ უნდა გაჭაჭანებულიყო გაზეთის ფურცლებზე. ცენზურა რომ გაეცნობოდა და აწონ-დაწონილა, მიიჩნევდა, რომ ცალკეული პასაჟების გადახაზვა-ამოყრა არაფერს უშველიდა, ერთადერთი რისი დატოვებაც შეიძლებოდა – სახელწოდება გახლდათ, დიახ — მარტოდენ სახელწოდება, და ამიტომაც თავით ბოლომდე ამოაგდებდა.

არ გაუკვირდებოდა ილიას და პავლე ინგოროყვაც ადვილად ახსნიდა მიზეზს: იმ ეროვნულ რადიკალიზმს, ყოველი სტრიქონიდან რომ მოჩქეფდა, და მხოლოდღა ათი წლის თავზე ეხილა მკითხველს იმის წყალობით, საცენზურო კომიტეტის სათავეში დიმიტრი ბაქრაძე რომ აღმოჩნდებოდა, მწერალი და მკვლევარი, ცალკეულ შემთხვევებში გაცილებით მეტ ლიბერალიზმს რომ იჩენდა ავტორების მიმართ თავის წინამორბედებთან შედარებით. ვაი, რომ მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში, თორემ აბა აკაკი წერეთლისთვისაც გეკითხათ, რა ლიბერალიზმსაც იჩენდა, დიმიტრისთან, როგორც ცენზორთან, ურთიერთობა ძალზე მძიმე შთაბეჭდილებად რომ დაამახსოვრდებოდა.

ერთადერთი, რის უფლებასაც მისცემდა თავს დიმიტრი ბაქრაძე ამჯერად, სამ ადგილას ჩაამატებდა სიტყვებს აზრის დაბუნდოვანების მიზნით. და ეს ჩარევები როგორ არ წარმოეჩინა პავლე ინგოროყვას, ილია თანადროული საქართველოს დაძაბუნებას რომ გულისხმობდა, ჩამატებანი კი ისეთ ელფერს ანიჭებდა ტექსტს, რომ ამ დაძაბუნების სათავე შორეულ წარსულში უნდა გვეძებნა.

ილია რომ წერდა:

დედის ძუძუ გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარა სწოვსო, – ცენზორი ჩაურთავდა: დიდი ხანიაო.

ილია რომ წერდა:

ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენი გონებიდან ამოშრა, და ქართველი ახლა ერთი კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელიღა გახდა და არა საერთო საყოველთაო მთელი იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულაო, – ცენზორი „დიდი ხანიასაც“ ჩაუმატებდა და „ოდესმესაც“, თითქოსდა ახალ დროებაში არც არა ამოშრობილიყო რა და არც ერთად ტანჯულიყვნენ სხვადასხვა კუთხის შვილები.

ეპიგრაფად გრიგოლ ორბელიანის სტრიქონს რომ შეარჩევდა: თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისაო, – პატარ-პატარა თავებად დაყოფილი სტატიის პირველივე თავს ამ სტრიქონის განმეორებით მოათავებდა: ჩვენი პოეტისა არ იყოსო.

ყველაზე დიდ საჭმუნავად კი ის გადაქცეოდა, ჩვენს ღარიბ ლიტერატურასა და თანადროულ მწერლობაზე რომ იწყებდნენ ლაპარაკს, მაშინვე რა-

ღაც მოდუნებული მთქნარებითა და თითქოს რაღაც სიმზაკვრით სავსე სიხარულით მოგახლიდნენ: ახლანდელ მწერლებს ენა არ უვარგათო.

ილიაც ცოტად თუ ბევრად ამაზე თანახმა გახლდათ, მაგრამ ეს კი სურდა ეკითხა:

– გვაქვს კი ენა, რომ ვიწუნებთ კიდეც?..

გრძნობდა, ამ ერთი შეხედვით უსაფუძვლო კითხვის გამო ბევრი მკითხველი მასხრადაც აიგდებდა, მაგრამ აბა ყური ეგდოთ მისთვის და რასაც ეტყოდათ, დალაგებითა და აუჩქარებლად მოესმინათ.

წინასწარვე მოეხსენებოდა, რომ: რასაც ახლა იტყოდა, მკითხველს გული დაეთანაღრებოდა, აიტკიცებოდა და შეწუხდებოდა; მაგრამ დაე გაეთვალისწინებინა, რომ:

თითო სიტყვას, რასაც ეს წერილი თანდათან გადაუშლიდა, იქნება თითო კოშტი სისხლიც თან ამოჰყოლოდა.

რატომ გაეხადა საამისოდ საქმე?

მიზეზს ეპიგრაფი ცხადყოფდა, გრიგოლ ორბელიანის სიტყვა კვლავაც მანუგეშებლად და მშველელად რომ ევლინებოდა.

7 თებერვალს გაკვირვებას გამოთქვამდა, რატომ უნდა გაბრაზებოდა ოლია. ბარბარესაგან რომ შეეტყო, ქალი საშინლად წუხს კახეთში შენი გამგზავრების გამო და მიზეზიანობსო, ოლიკოს დასამშვიდებლად კიდეც გადაედო გამგზავრება. და ახლა ნუღა სთხოვდა ქალი: გაემგზავრეო.

ოლიკო ისეთი გახლდათ, რომ მისთვის ილიას უნდა დაეჯერებინა და უჯერებდა კიდეც. და ამიტომაც დარჩებოდა ქალაქში გარკვეულ დრომდე.

ხომ ხედავდა ქალი, როგორ პატივს სცემდა საქმრო. და დაე მასაც ესწავლა მომავალი ქმრის დაფასება.

ავად ხომ არ შექმნილიყო? მკერდი ხომ არ აწუხებდა? ევედრებოდა ილია: თუ ღმერთი გწამს, ნუ იავადმყოფებ, ახლა მაგის დრო არ არისო.

თან ენუკვოდა, თან ითხოვდა ოლიასაგან ყოველდღე ბარათის მიღებას. და დღეს უგუნებოდ იმიტომაც წავიდოდა სტამბაში, ქალს ერთი სტრიქონიც რომ არ მოეწერა.

ებოდიშებოდა მოკლე წერილისათვის და ეკითხებოდა, დაესწრებოდა თუ არა შაბათს მასკარადს?

ორი დღის თავზე უნდა მიეწერა: ჭკვიანი ყოფილხარ, მარტო ეს კია ცუდი, მაგ „მოლოზანს“ რომ აბრიყვებ, მაგრამ რა? ბრიყვი ყოველთვის ბრიყვი უნდა იყოს, ჩემო ოლიკოო!..

და შეაქებდა, საცოლე ისეთი რამ რომ ყოფილიყო, თუ ვინმეს თავისი კბილისას ჩაიგდებდა, მიწასთანაც გაასწორებდა. მანამდე რომ შიშობდა, თავისი მიამიტობით ქორწინების საქმე არ წაახდინოსო, თურმე არც ისეთი გულუბრყვილო გახლდათ ოლღა გურამიშვილი და ყველასაც თავის ადგილს მიუჩენდა. და ახლა მხიარულ ბარათს რომ იწერებოდა, ილიას გულს აამებდა: კარგა მადიანად გამოგიძინიაო.

თვითონ ილია კი ისევ ისე უძილო იყო, არც დღე ასვენებდნენ და არც ღამე და... ქალს მაინც დაეძინა მის მაგივრად.

რაო, რას ეკითხებოდა ქალი? მასკარადში ნიღბით იქნები თუ არაო?

ამ უწყინარ შეკითხვას ილია თავისებურად გამოიყენებდა, იუმორით რომ შეაზავებდა:

შენგან არ მიკვირს, რომ მაგასა მკითხავ! მე რახანია ავიხსენი ნიღაბი და შენ დაგენახვე ისეთი, როგორიცა ვარ; და ახლა ნიღბის ჩამოფარების დრო აღარ არისო.

თუკი წავიდოდა, ამაღამ 11 საათზე მოიცლიდა და მაშინ მიადგებოდა იქაურობას; თუ არადა დაბრუნდებოდა შინ და გუშინდელი დღის მოგონების ბურანში დაიძინებდა.

იქნება მისი ჟურნალი ხვალ დაბადებულიყო.

ტკივილები აშლოდა მშობიარეს და...

იმედოვნებდა ილია, რომ 12 საათამდე ქვეყანასა ნახავდა „საქართველოს მოამბე“.

ჩვენიო, – საგანგებოდ დაურთავდა. და ჩაიცინებდა: აბა კრიტიკებს მაშინ უყურეო!..

მაგრამ ქალს ნურაფრისა შეეშინდებოდა: მათთან იქნებოდა მარად წმინდა ჭეშმარიტება.

და პირველად მოაწერდა ასე: შენი უკუნითი უკუნისამდეო.

და იქვე როგორ არ გაეზიარებინა ის აღმტაცი ამბავი, ეს-ესაა რომ მოუვიდოდა:

მშობიარე მათი სწორედ სამშაბათს დაწვებოდა „საქართველოს მოამბის“ საშობავად.

ეს ცნობა რარიგ ეამებოდა და... თანაც ეწყინებოდა.

სიამე გასაგებია, მაგრამ ეს წყენა რიღასი უნდა ყოფილიყო?

საძაგლად დამტვრეულად გრძნობდა თავს და მკვდრად. ეზარებოდა ამაღამ ჯაფა და შრომა... თუმც თავს იმით გაიმხნევებდა, ოლიკოს რომ შეეხუმრებოდა: სულ შენი ბრალიაო!..

ხოლო აიღებდა თუ არა ბეჩავი ქართველი მწერალი ხელში კალამს, მაშინვე გულამოსკვნით შედგებოდა და თავსა ჰკითხავდა:

– ვის უნდა ველაპარაკო?

და ძარღვში სისხლი გაუშრებოდა. და ილია ეთანხმებოდა ამ წუხილსა და გაოგნებას: მართლადა ვის უნდა ელაპარაკოსო?

რაო, რას ეტყოდნენ: ყველასო?

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ... ჩვენ, ქართველებს, საყოველთაო განა რა გვქონდა, რომ მწერალს ფრთა გაეშალა და იმაზე ვენაღვლებინეთ საყოველთაო ნაღველით, ანუ ველხინებინეთ საყოველთაო ლხენით? ქართველობა ხომ არ უნდა ყოფილიყო ეს საყოველთაო სანაღვლებელი და სალხინებელი?

დიახაც რომ ეს უნდა ყოფილიყო, მაგრამ... სადღა მოიპოვებოდა ქართველი და ქართველობა? და ამოსცდებოდა ღრმა სადარდელი, რომლის გამხელაც საკუთარი თავისთვისაც ეძნელებოდა, მაგრამ ადრე თუ გვიან ხომ უნდა თქმულიყო და თქმულიყო ასე პირდაპირ:

– ვართღა სადმე?

და მოელოდა მკითხველის შემოტევას წყრომით:

როგორ თუ ვართღაო?

ეგაა: თუკი მკითხველს ადამიანობა, კაცურკაცობა ხელში ჩვრად არ გადაქცეოდა, ამ კითხვაზე ძარღვი ჩაწყდებოდა; ისიც იცოდა: იმას რა ტკივილიც ამოაკვნესებდა; მაგრამ დაე ესეც შეეგნო, რომ: ბალღამში ამოვლებულ ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა ესაჭიროებოდა.

რით ვერ გაეგოთ, რომ უბედურნი შევქმნილიყავით?

მაშ ყური მიეგდოთ ილიასათვის, მისი მოურიდებელი ღაღადისისა და მუნათისათვის.

10 თებერვალს ოლიკოსაგან ისეთი ნაწყენი დარჩენილიყო, გადაწყვეტდა, ყოველ შემთხვევაში ორ დღეს მაინც სტრიქონიც აღარ მიეწერა. წუხელ საღამოს ქალს პწკარიც არ მოეწერა, ერთი სიტყვაც არ გაემეტებინა და... ამუნათებდა ილია: განა ასე შეიძლებაო?

რამდენჯერ ეთხოვა მისთვის: მალ-მალე მომწერეო, – ოლიკო კი რას სჩადიოდა? ნებივრობას თუ იწყებდა, ვაჟი ამ საქციელს ვერ მოუწონებდა. ეს იქით რომ ყოფილიყო, ქალი უყურადღებობას იჩენდა, ეს კი უარესი გახლდათ.

წინა დღეს ნამასკარადევს სურდა წერილი მიეწერა, კიდეც ორჯერ მოჰკიდებდა ხელს კალამს და იგრძნობდა, გაბრაზებული წერდა. ცეცხლში ჩააგდებდა ფურცელს და დაიფიცებდა: ვიდრე არ დავმშვიდდები, არაფერს მივწერო.

ხომ კარგად მოქცეულიყო? იცოდა: მისი ბარათი ძალზე აწყენინებდა ქალს და ამიტომაც იფრთხილებდა:

შენ ხომ ისეთი შთაბეჭდილებიანი ხარ, მაშინვე აფეთქდებოდი; მერმე კი ვაი ჩემს თავსაო!..

მასკარადზე ილია ისე მოწყენილად გრძნობდა თავს, ირგვლივ ისე სულელურად გამოიყურებოდა ყველაფერი და ისეთი მტვერი იდგებოდა, ქალი ვერც კი წარმოიდგენდა. ერთი ნიღაბი აეკიდებოდა, მივიდოდა მასთან და ეტყოდა:

– შენ წესიერი ქართველი ხარ და მიყვარხარ...

ოლია ნუ იეჭვიანებდა, რადგანა ის ნიღაბი კაცი გახლდათ და არა ქალი.

იქ ნიღაბი ორლოვ-უფროსს მიადგებოდა ირონიული შეკითხვით, იქ ვარვარა თამამშევას გადაჰკრავდა... ილია ძალზე დაინტერესდებოდა ამ ნიღბის სითამამით და შეეცდებოდა მისი ვინაობის გამორკვევას. მიხვდებოდა: იმისათვის შეინიღბა, რათა ზოგიერთი ბატონი და ქალბატონი გაეწკეპლაო. კიდეც ბევრს შეაცბუნებდა და ერთადერთს ილიას დაინდობდა, მისადმი განსაკუთრებულ ალერსიანობას გამოიჩენდა და ესეც მადლიერი დაურჩებოდა, რაკიღა ისედაც გაბრაზებული იყო ოლიაზე.

აბა გულზე ხელი დაედო ქალს და ეთქვა: არ უნდა ყოფილიყო გაბრაზებული მისი ოლიკო?

ნეტა რითი გახლდათ ავად? იქნებ ავად სულაც არ იყო და ილიას შეშინება სურდა? თუმცაღა ბარბარე რომ გამოეკითხა, მას ეთქვა: ოლიკო ნამდვილად უქეიფოდ არისო. და ნეტა რატომ?

ღვთის გულისათვის, რომელიც ეგრე გიყვარსო, – შესთხოვდა ილია, – თავი დაანებე ავადმყოფობას. ეს მე ძალზე, ძალზე არა მსიამოვნებსო.

რაო, ოლიკოს ხომ არ ენება სურდო გადაედო ვაჟისათვის? ტყუილუბრალოდ გაირჯებოდა, რადგანაც ილიას ისეთი მამალი სურდო აჰკიდებოდა, ოლიასაც კი შეშურდებოდა.

შენი ჭირიმე, ოლიკოო, – იმიტომაც შეემუდარებოდა:

– ერთი რამ მინდა დაგეკითხო და სწორედ მინდა პასუხი მომცე, თუ გიყვარდე, ღობე-ყორეს ნუ მოედები და პირდაპირ მითხარი. მე მინდა გაგიკეთებინო ზაპონკები, აი აქავ გიხატამ, როგორიც მინდა.

და კიდეც მიუხატავდა ნიმუშს, წარწერით: ო. ჭ.

იქნებოდა გაუპრიალებელი ოქრო, გვირგვინი, ასოები ო და ჭ პრიალა, მოჭედილი წვრილ-წვრილი ალმასებით. ეიმედებოდა, კარგი რამ გამოვიდოდა და ნეტა ქალს მოეწონებოდა თუ არა? დაე პირდაპირ მოეხსენებინა: ან ჰო, ან არა. თუ აქ კარგად გააკეთებდნენ, მაშინ ილიას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ქალი კმაყოფილი დაურჩებოდა.

და მუნათიც და ვედრებაც, ვედრებაც და მუნათიც, შეყვარებულ გულს როგორც სჩვევია:

ბარათები ხშირად გზავნე, თორემ არც მე და არც შენო.

12 თებერვლის ღამის სამ საათზე – ბარათს ღამის სამი საათი წაეწერებოდა, 12 თებერვალი კი არა – მადლობას მოახსენებდა იმდღევანდელი დღისათვის, ქალი განსაკუთრებულ ალერსიანობას რომ გამოიჩენდა საქმროსადმი:

აი რას ნიშნავს „რასპეკანცია“, როგორც სალდათები ამბობენ ხოლმეო.

ერთი რამ აწუხებდა და თანაც დიდად აწუხებდა:

ოლიკო მართლა ძლიერ ავად გახლდათ და ორი დღეა ამიტომაც იწვა თუ ჩვეულებისამებრ ცელქობდა, ატყუებდა ილიას, რათა მოფერებოდა ვაჟი? ღმერთმა ხომ იცოდა, ისეთი ბუნებისა იყო ოლღა გურამიშვილი, მისგან ამგვარი ხუმრობაც მოსალოდნელი გახლდათ. ის კი არა სურდა სცოდნოდა ქალს, ილია მისი ავადმყოფობის ერთ გაფიქრებაზეც კი რარიგ მწუხარებდა, ლამის...

რატომ გახდიო? – ეკითხებოდა ქალი.

იმიტომ, რომ ძალზე შეთვისებოდა ერთ არსებას, რომელსაც ოლიკო ისევე კარგად იცნობდა, როგორც თავის თავს... იგი ახლახან ანუ დღეს ეძახდა თავისი იარის მოსარჩენად. ილიას გასცინებოდა და გაეფიქრა: ქაჩალმა წამალი რომ იცოდეს, თავის თავს უშველიდაო.

ებოდიშებოდა, გაცვეთილი ანდაზა რომ მოეშველიებინა, მაგრამ ამ მდგომარეობას კი სწორედაც ესადაგებოდა. ხუმრობა იქით ყოფილიყო, ილია ხშირად ფიქრობდა ოლიკოზე, თავის ანგელოზზე. ისე ნეტა დიდხანს გაგრძელდებოდა მათი ეს სულელური მდგომარეობა?

დაწყევლოს ეშმაკმაო, – დასცდებოდა, – რა მოსაწყენია, სურვილი გქონდეს ერთად ყოფნისა და შესაძლებლობა კი არაო!

ერთადერთ სიხარულად ოლღას ბარათების კითხვა რჩებოდა.

და გმობდა სიყვარულს: ცუდი რამ ყოფილა, თავის მსხვერპლთან ხუმრობა არ ჰყვარებია, ასე არ არისო?

მიტევებას სთხოვდა, თავის გრძნობებზე ცოტა ჭარბად რომ ალაპარაკებულიყო. მათი გამოთქმა არ უყვარდა და, როგორც ატყობდა, ოლიკოსაც არ უნდა ჰყვარებოდა თავისი გრძნობების გადმოშლა. ეს ყველაფერი სულ ზედმეტი გახლდათ, მაგრამ ქალი ისეთი კეთილი იყო, აპატიებდა საქმროს მცირე გადაჭარბებას, მითუმეტეს მაშინ – ერთხელ კიდევ გაუმეორებდა – როცა სიყარული არ გახლდათ მოყვასი მათი.

ნილაბს დაეინტერესებინა ქალი? აკი მიეწერა საქმროს: კაცი იყოო, – და ახლა თავისი ოლიკოს ბრძანება რომ შეესრულებინა, მისი გვარიც დაედგინა – სანიცაი ყოფილიყო, გუშინ – ილიას გარდას – კაი ოინი რომ დაეყენებინა ზოგიერთისთვის.

რას იწერებოდა ქალი გუშინდელ კილოკავად?

სტუმრებოდა ვაჟი და ყურებიც აენია ნანდაურისათვის.

როდის და როგორო? – წუხდა და იფიცებოდა საქმრო, – ოლიკო არ მომიკვდეს, რომ მასზე ნაკლებ არ მინდოდეს სტუმრობა და მისი მონახულება, მაგრამ რა ვიღონო, შენ გეთაყვანე? ვშიშობ, რომ მაგითი საქმე არ წავახდინოთ, შენ სახელსა ვფიცავ ოლიკოჯან, და რაც კი რამ მწამს ქვეყანაზედ, იმასა, რომ თუ ჩვენი საქმე რითიმე დაშავდება, მე ვერ გავუძლებო.

ამისი ეშინოდა, მათი ქორწინების ჩაშლისა, თორემ საცოლის ნახვა როგორ არ ენდომებოდა!

თუ ქალს გული დაჯერებული ჰქონდა, რომ ამითი საქმე არ წაუხდებოდათ, დაე მოეწერა – რა დროსაც ენება, და ილია მაშინვე მასთან დაიბადებოდა.

მუნათის კილოს გაურევდა, ქალს რომ არაფერი მოეწერა ილიას პროექტისა და „ზაპონკების“ მხატვრობის მოწონება-არმოწონების თაობაზე. მხოლოდღა ეს ფრაზა: როგორ შევინახოო? – დაე როგორც მისი ნება იქნებოდა. და ისე აენთებოდა ილია, თავს რომ ვეღარ იკავებდა ხოლმე:

– შენ ხომ ჩემზედ მოხერხებული ხარ, რასა მკითხამ, შე გიჟო! დამაცა, შენი ჯავრი მჭირს. თავის დროზედ ამოვიყრი შენს ჯავრსა. ნეტავი ეხლა, შენი ჯავრის ამოსაყრელად, მაკოცნინა!..

შენი სამუდამოდო, – ასე გამოეთხოვებოდა, ბარათს კი თავზე წააწერდა, რომ: სტუმრებოდა ოლღას დას, ეკატერინეს, რომელსაც კანფეტები გადმოეცა. ამას მადლობა მოეხსენებინა, თუმც კანფეტი არ უყვარდა. და კვლავ ის შეკითხვა, გულსა და გონებას რომ უბურღავდა: შენი ჭირიმე, ოლიკო, მართლა ხარ ავადა თუ ცელქობ? რა დაგემართაო?

და იმავე დღეს ამ ერთიბეწო ბარათსაც მიადევნებდა, რომ:

უთუოდ მივიდოდა, ოღონდ ეგებ ქალს კართან მოეცადა, რათა იმდღევანდელივით არ ეწვალებინა ვაჟი, რომელიც ზუსტად თერთმეტზე ესტუმრებოდა.

და დიდი ასოებით გამოიყვანდა ამ სიტყვას:

– მოვალ.

სტატიაში კი სწორედ აქ უნდა გაეიგივებინა თანადროული ყოფა ხავსმოდებული გუბისათვის, ქვეყნის სამასხარაოდ ცხოვრებას რომ ვეძახდით და შიგ რაღაც დაუდეგარი კმაყოფილებითაც ვჭყუმპალაობდით, იქიდან კი ათასი სხვადასხვაფერი ნაკადული იწრიტებოდა ცალ-ცალკე და სხვადასხვა გზითაც მიდიოდა და:

– რაოდენადაც ერთმანეთზედ შორსა ვალს, ეგოდენ დაუძლურდების.

ამ გუბეს რომ თვალღია და აუჩქარებლივ დაჰკვირვებოდი, მაშინ შენც ილიასავით ამოიკვნესებდი და იტყოდი:

– ვართლა!

აჩქარებული კაცი, ის კაცი, რომელსაც ენდომებოდა შავი ფიქრები თავიდან მალე მოეშორებინა, ადვილად უპასუხებდა და ეტყოდათ:

– ბრმანი ყოფილხართ ეს ჩვენი დედაქალაქი და ეს შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გუნდ-გუნდად მორიგებული მისი შვილი – სოფლები, ქართველები არ არიან, მაშ ვინ არიან?

ქალაქი იქნება მართლაც დედა ყოფილიყო, სოფლებიც იქნება მისი შვილები ყოფილიყვნენ, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ დედის ძუძუ გამშრალიყო და დედის ძუძუს შვილი აღარა სწოვდა.

13 თებერვალს სთხოვდა, რომ ნუ გაუბრაზდებოდა ოლიკო, ბარბარეს მიტანილ ბარათზე რომ ვერ ეპასუხა. ნუ გაურისხდებოდა, რადგანაც... ლოგინიდან ადგომა დაეზარებოდა – ისე გაზარმაცებულიყო გუშინდელი შფოთიანი და თითქმის ტრაგიკული შეხვედრის შემდეგ.

ეფიცებოდა: ჩემს ბინამდე სიცილი არ შემიწყვეტიაო. ოღონდ არ ეცოდინებოდა, რატომ იცინოდა.

დეიდაშენი როგორა მყავსო? – მსუბუქ ირონიას გაურევდა, – მაგან აიღო გუმანი ჩვენი პაემანის შესახებო?

მარჯვედ და ეშმაკურად კი უსხლტებოდა ხოლმე ხელიდან ოლიკო და როგორ არ შეექო ილიას ამ სიმარჯვისათვის: ყოჩაღ, ქალოო!..

სტამბიდან სწერდა საჩქაროდ და აქედანვე უგზავნიდა ათას ხვევნასა და კოცნასაც.

იმავე დღეს ასე რომ მიმართავდა: ოლიკო, შენი სულისაო! – ახლაღა გახსენებოდა, რომ გურამიაანთ დარჩენოდა თავისი ჯოხი, რომლითაც – გულშვებით იცინებდა – საცოლის ცემა არ დაეცლიათ. და სთხოვდა: ან გამოეგზავნა და ან დარაბებს მიღმა დაემალა, გუშინ სადაც იჯდებოდა ილია თავის დედოფალთან ერთად.

მეორედ რომ ესტუმრებოდა, თვითონვე წამოიღებდა. და ღვთის გულისათვის, ახლავე გაეცა ოლღას განკარგულება, ეს სამეფო კვერთხი დარაბებს მიღმა დაესვენებინათ.

ჯოხი საერთოდ სულელურ ნივთად მიაჩნდა, განსაკუთრებით კი ასეთი შემთხვევების დროს. მას შეეძლო ქალ-ვაჟის საიდუმლო გაემჟღავნებინა. დაე ახლავე, ამ წერილზევე მიეწერა პასუხად ილიას დედოფალს, რას უპირებდა ამ ჯოხს.

და სიყვარულით მოუგებდა ნიშნს:

– ესეც შენ!.. ისე იჩქარე ჩემი გამოგდება, სიჩქარეში იძულებული გავხდი, ჩემი საყვარელი ჯოხი იქ დამეტოვებინა, სადაც შეიძლება გაცივდეს და სიბრაზისაგან რაღაც-რაღაცები წამოროშოს.

ოლღას დეიდა ხომ არა ნებულობდა, აბრამს ბლინებზე დაწვეოდა? ასე რომ არა ყოფილიყო, მაშ რატომ აფუსფუსებულიყო ოლიკო? რას უბრძანებდა, რა გადაეცა ილიას ონიკაშვილებისათვის?

და თხოვნით დასძენდა: რაც დღეს მასზე გითხარი, არავის გაუმხილოო...

15 თებერვალს კვლავ „შენი სულისათი" დაიწყებდა ბარათს. მართალია დაპირებოდა: ხვალ წიგნს არ მოგწერო, – მაგრამ გული ვეღარ მოუთმენდა.

შე გიჟოო! – შესცინოდა, – რაზედ გამაგიჟე პატიოსანი, დარბაისელი რედაქტორიო?..

ილია ვინა და... შუაღამისას ქალთან წიგნების წერა!..

და ამ ვითარებაზე ზედგამოჭრილად მიიჩნევდა ანდაზას: ნუ შეხვალ, ნუ ებანები, ნუ გამოხვალ და ნუ თრთიო.

16 თებერვალს როგორ არ ეთქვა, ოლიკოს ბარათს ძალიან რომ დაემწუხრებინა. რა დამართნოდა ქალს? ასეთი კეთილგონიერი როგორ აძლევდა თავს ნებას, მოწყენილი და ნაღვლიანი ყოფილიყო?!.

როგორ ამბობდა ჩვენი მოხუცი რუსთაველი?

ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო.

და რა აშფოთებდა ნეტა ქალს?

– შენ ჩემი ხარ, ჩემო მეგობარო, და ჩემი იქნები. დე მამაშენმა, თუკი უნდა, უარი თქვას, განა ოლიკოს უიმისოდ არ შეუძლია ჩემად გახდომა? რას იზამს? დაგწყევლის თუ რა? დე დაგწყევლოს, ღმერთი ისეთი სულელი კი არ არის, რომ ადამიანთა უგუნურებას ყური ათხოვოს. თუ ცოტათი მაინც გიყვარვარ, მშფოთვარე ფიქრებს თავი ანებე, თავს ნუ იღლევებ.

რა უნდა მომხდარიყო, დიდი-დიდი მზითევზე უარი ეთქვათ. ესეც დიდი არაფერი! დე უარი ეთქვათ. ნუთუ ისეთი უვარგისი გახლდათ ილია, რომ პური არსობისა თავისი შრომითა და გარჯით ვეღარ მოეპოვებინა? ნურას იფიქრებდა ოლიკო, ნუ დაეჭვდებოდა საქმროს შრომისმოყვარეობაში.

სხვის დაუხმარებლადაც იცხოვრებდნენ, თუკი ქალი დათანხმდებოდა. ტყუილუბრალოდ კი ნუ იწუხებდა, საამისო განა რა სჭირდა? ოლიკო ჯერაც ყმაწვილი გახლდათ და არც ილია დაბერებულიყო. თავისითაც იცხოვრებდნენ და, ნახავდა ქალი, ბედნიერებასაც დაიპყრობდნენ, თუკი მანამდე თვითონვე არ ინებებდა მათთან მოფრენას.

– ცხოვრება მაშინ არის კარგი, როცა მას ებრძვი.

თითქოს სასხვათაშორისოდ ჩაგდებული ფრაზაა, მარტოდენ ნანდაურის გასამხნევებლად და გულის გამოსაკეთებლად, მაგრამ ისე ძალდაუტანებლად ამოსცდებოდა შეგონება ილიას, თვითონაც ვერ გაიგებდა, ანდაზათა დასადარი სიტყვები რომ წარმოეთქვა.

ისე ეკერა პირზე ანდაზები, ისე გადმოჩქეფდა, ამ სამყაროში ტრიალი და ბოლომდე ჩაწვდომა თვითეული სენტენცია-შეგონებისა მის სტილურ მანერაზეც მოახდენდა სასიკეთო გავლენას და მეტყველების ხატოვანება-

ზეც, ანდაზა-შეგონებების შექმნა არასოდეს რომ არ გაუძნელდებოდა და ხან შეგნებულადაც თხზავდა და უმატებდა ამ ჟანრის სალაროს, მაგრამ ხან ასე თავისთავად ამოსცდებოდა.

ცხოვრება მაშინ არის კარგი, როცა მას ებრძვიო...

შენ სასხვათაშორისოდ ჩაგდებული ეძახე: ეს ხომ მისი პიროვნული ბუნებაა, მისი ხასიათის ერთი უმთავრესი ნიშანი, მისი არსების გულისგული – ბრძოლა დაუმცხრალი და დაუღალავი, ბრძოლა წუთისოფლის ყოველგვარ სირთულესთან, დაპყრობილი ერის უუფლებობა კიდევ ცალკე რომ ემატებოდა. ბრძოლა არა მთლად მეტაფორულად, არამედ პირდაპირი აზრითაც – იარაღად მარტოდენ კალამი და საანგარიშო რომ არ ეგულებოდა, არამედ... რევოლვერიც, ისედაც გაშინაურებული, სიცოცხლის მიმწუხრზე სულაც მოუშორებლად რომ დასჭირდებოდა მისი ტარება, რაკიღა ყოველწუთიერ მოელოდა შეიარაღებულ თავდასხმას.

ახლა კი ქალს აგულიანებდა, რომ: ჯერ ისე ახალგაზრდები იყვნენ და ამ ბრძოლისათვის ძალა შესწევდათ. მაშ რაღად უნდა შინებოდათ ცხოვრებისა? დაე ოლიკოს ნურც ნურაფრისა შეეშინდებოდა. ილიას ეიმედებოდა, რომ ოლღაში ეპოვნა რეალური საყრდენი და დაე ქალსაც იგივე ეძია ილიაში – ეფიცებოდა ნანდაურს, რომ ყველაფერი რიგზე იქნებოდა.

არ უყვარდა ასეთ რამეებზე ლაპარაკი, მაგრამ ოლღას ბარათი აიძულებდა და საჭიროდ დაინახავდა, ოდნავ შეხებოდა მას. ოდნავ იმიტომ, რომ ეს ამბები – სჯეროდა – უმისოდაც კარგად ესმოდა მის ჭკვიან ოლიკოს.

ოლია არ მოკვდომოდა, სწორედ რომ აერია მის ბარათს, ნამეტნავად კი იმას, რაც ბარბარეს ეთქვა ლაზარესათვის. და უკვირდა: ღმერთმა იცის, რა დაგემართაო? გულში რაღაც მწუხარება დასადგურებოდა ქალს და... ილიას უმალავდა. ეს კი გიჟივით ხან აქეთ ეცემოდა და ხანაც იქით, ფიქრობდა და ვერა გაეგო რა, ვერაფერს მიმხვდარიყო.

ხან რას ფიქრობდა და ხანაც რას. ხან ეჭვი ეპარებოდა, ეგონებოდა, უსიამოვნო რაღაც იწყებდა ოლიას არსებაში ღაღადს და ეშურებოდა მაშინვე გაეფანტა მისთვის ეს უსიამოვნება, მაგრამ მერე ირკვეოდა, რომ:

– თურმე ჩლუნგი ვარ და ვერაფერს ვხვდები.

ეს რატომ ემართებოდა?

იმიტომ, რომ ქალი მაინც ღელავდა და მოწყენილობას თავს ვერ აღწევდა. ეს რას ნიშნავდა? ან სულ არა სჯეროდა ილიასი, ან ეჭვიანი გახლდათ, ძალზე ეჭვიანი, ანდა არ ებრალებოდა საქმრო.

ამ სამთაგან არცერთი არა ვარგოდა და ისინი შეძლებისდაგვარად უნდა მოეშორებინა თავიდან.

თუმც ილიას ცოლი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ვაჟი მაინც არ მისცემდა თავს უფლებას, რაიმე შენიშვნა მიეცა მისთვის. ამას იმიტომ კი არ ეუბნებოდა, რომ ნოტაციები წაეკითხა, არამედ სურდა ცოტათი მაინც ეგრძნობინებინა, რა უსიამოვნო ფიქრებში აგდებდა ქალის ნაღვლიანი ჩივილი. დაე შეებრალებინა საქმრო და თავიდან მოეშორებინა ყველაფერი, რაც ასე აშფოთებდა მათი მომავალი ცხოვრების გამო.

ესენი კი არ ეკუთვნოდნენ მომავალს, არამედ მომავალი ეკუთვნოდათ ამათ.

მათ შეეძლოთ, უკუღმართი აწმყოს მიუხედავად, ის ბრწყინვალე თუ არა, ასატანი მაინც გაეხადათ. დიდად მომთხოვნი ხომ არ იყვნენ – ურთიერთსიყვარულითა და ნდობით მცირედითაც კმაყოფილდებოდნენ. მაშ რაღას უნდა შეეწუხებინათ? კიდევ ერთხელ სთხოვდა ოლიკოს, თავი დაენებებინა ეჭვის, უსიამოვნო ფიქრისა და მკითხაობისათვის.

დაე სცოდნოდა ქალს, რომ: ილიას მასში მხოლოდ იგი უყვარდა და ყოველგვარი უბედურება მასთან ერთად წმინდა იქნებოდა.

ნუ მაწყენინებო! – შესთხოვდა.

თუ უყვარდა ილია, გამხიარულებულიყო, თორემ საქმროს ცუდ დღეს მიაყენებდა.

ხოლო ქართველები თუ არ იყვნენ, მაშ ვიღა იყვნენ შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე შემორკალულ ტერიტორიაზე?

თავადნიც იყვნენ, აზნაურნიც, მღვდელნიც, ვაჭარნიც, გლეხნიც, ჩინიანნიც და უჩინონიც – ყველანი იყვნენ, ყველანი, ოღონდ... ქართველები კი არსად მოიძევებოდნენ.

თავადს აზნაური სძულდა, აზნაურს – თავადი, გლეხს – ორივე.

და ნუთუ ისინი ქართველები იყვნენ, ერთი დედის, საქართველოს ოჯახის, შვილნი?

თავადის აზრი სათავადო გახლდათ, აზნურისა – სააზნაურო, გლეხისა – საგლეხო, ვაჭრისა – სავაჭრო, და ნუთუ ესენი ქართველნი იყვნენ, ერთ თესლზე ამოსულნი?

თავადის აზრი აზნაურს არ უხდებოდა, აზნაურისა – თავადსა და ორივესი – გლეხსა, და ნუთუ ესენი ქართველნი იყვნენ, ერთიდაიმავე ხორცისა და სულის ნაყოფნი და ერთი დედის – საქართველოს – ძუძუთი გაზრდილნი?

ეს ასომთავრული რომ ასომხედრულს გზას უღობავდა, ეს თავადი რომ აზნაურს ზურგს აქცევდა, აზნაური თავადსა და ორივე – გლეხსა; ეს ვაჭარი რომ სამივეს ერთნაირი სიხარბით სწოვდა, ნუთუ ესენი, თვითეული ცალკე და ყოველნივე ერთად, ქართველი შეიძლება ჰგონებოდა ვინმეს?

ქართველი საყოველთაო სახელად რომ წარმოდგებოდა, ამათში განა რა იყო საყოველთაო.

თითო-თითოდ, ერთი გაწყვეტილი ჯაჭვის რგოლებივით რომ ცალ-ცალკე და თავთავად დავგორავდით, ზოგი აქეთ და ზოგიც იქით, ნუთუ ეს თვითეული ქართველი შეიძლება ჰგონებოდა ვინმეს?

თუკი ვინმე აჩვენებდა იმ ადგილს, სადაც თვითეულის გზა ერთიანდებოდა საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ ილიაც დაბეჯითებით განაცხადებდა:

ქართველი აგერ იქ არისო!..

ის საერთო ნიშანი ეჩვენებინათ, საითკენაც თვითეული ჩვენგანის ფიქრი, ჭკუა, გონება, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდა საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის და მაშინ ილიაც დაბეჯითებით განაცხადებდა:

ქართველი კაცი აგერ იქ არისო!..

საერთო ლხინი ეჩვენებინათ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სადღა მოიპოვებოდა: ჩემი ლხინი შენი ლხინი არ იყო და შენი ჭირი – ჩემი ჭირი. და ქართველი საყოველთაო სახელი რომ გახლდათ, კიდევ ამას იკითხავდა ილია:

საყოველთაო რა გვაქვს? ჩვენში არის: მე თუ შენ, შენ თუ მე, – და ორივე ერთად კი – არაო.

აბა დაგეძახა: ქართველოო!..

შავი ზღვიდან მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპგადმოგდებული ქართლელის – ანუ გორის მაზრაში მცხოვრების – მეტი თუ შემოგხედავდა ვინმე; და თუ გაჭირდებოდა, იქნებ კახელსაც თავისი მსხვილი კისერი შენსკენ მოეღრიჯა, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებდნენ, თითქოს მათ არ ეძახი და ისინი ქართველები არ არიანო.

ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელიც ყოველ ჩვენგანს ქართველობაში უნდა დაენახა, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დარღვეულიყო, ჩვენი გონებიდან ამომშრალიყო, და ქართველი ახლა ერთი კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელიღა გამხდარიყო და არა საერთო, საყოველთაო მთელი იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულიყო, რომელსაც ქართველთა შესისხლული ისტორიის მძიმე უღელი ჭირსა თუ ლხინში ერთად ძმურად ეწია, რომელსაც ერთიდაიმავე ენით ჭირში ეგლოვა და ლხინში ემხიარულა, და რომელიც დღესაც ერთიდამავე ენით – თუ არაფერს აკეთებდა – თავის მოძმეს მაინც აბეზღებდა ღმერთთანაც და კაცთანაც.

18 თებერვლის ღამის ორ საათზე შეშფოთებული მისწერდა ქალს: რატომ დაეწვინათ ექიმებს? ეს ოლიკოს ეშმაკობა იყო თუ სხვა რამ? თუმც ქალს შეეძლო ამ კითხვაზე არც ეპასუხა. ილიას თავისი ბიჭისათვის ებრძანებინა, ეცნობებინა ბარბარეს მოსვლა, და ყველაფერს მას გამოჰკითხავდა, თუმც ოლიას ებრძანა: მას ყური აღარ ათხოვოო.

დღეს ელენე ჩოლოყაშვილთან დაეძახათ ილიასათვის და მას ეთქვა:

– შენთვის მშვენიერი პატარძალი მყავს ამორჩეული და თუკი შეირთავ, სიამოვნებით გამოგყვება.

ეს მიხვდებოდა, ოლიას გულისხმობსო, და მაჭანკალს გასასულელებლად ეტყოდა:

– ჩემისთანა მდგომარეობისა და ჩემისთანა ყმაწვილი კაცის დაქორწინება ძნელია. მითუმეტეს, – დასძენდა, – თბილისში არ არის ქალი, რომელიც მომწონდეს.

ერთი წუთის შემდეგ მუხრანიანთ ლიზა შემოსულიყო, საიდანღაც რომ გაეგო: ილიას ვეჯავრებიო. ეს არ მოელოდა მის გამოჩენას!.. ილიას გრძნობები, როგორიც უნდა ყოფილიყო, ისეთი ძვირფასი გახლდათ მისთვის, რომ არა ხარჯავდა ისე უბრალოდ, როგორც შესაძლოა მათ მოსჩვენებოდათ. მთისას და ბარისას ილაპარაკებდნენ, ილია ბევრ ღვარძლიან რაიმეს ეტყოდა, მაგრამ ის.. მგონი ვერ გაიგებდა. და ილია შეჰღიმოდა ოლიკოს: ღმერთმა თავისი თავი მოახმაროსო.

ოლიას საათი ოსტატისათვის მიეცა და ამ დღეებში იქნებოდა მზად. კრიალოსანი კი უბეში ედებოდა, და ქალს ამშვიდებდა: არა უშავს რა, თბილად იქნებაო.

დაე ნუ დასცინებდა ოლიკო – ჩემო გიჟოო, ასე მიეალერსებოდა ილია – რომ: მისი ძველი წერილისათვის მოეხია ქაღალდი და იმაზედ სწერდა. რაც ქაღალდი მოეძევებოდა, სულ საცოლისათვის გაეგზავნა და ვეღარ მოეფიქრებინა, რომ ეყიდვინებინა.

და ახლა ორი საათი იყო ღამისა და სადღა იშოვნიდა?

და კიდეც გრძნობებად გადმოიღვრებოდა:

– კარგად იყავ და ჭკვიანად, თორემ არც მე და არც შენ. უჰ, უჰ, რა გიჟს გადავეკიდე! არა უშავს რა, დაგაჭკვიანებ. დაიცა, ჯერ ხელში ჩამივარდე!.. – მგონი იტყვი, ნეტავი ეგრე იყოს და რაც გინდა, ის მოახდინეო. მეც ეგრე ვფიქრობ, ჩემო ოლიკო: ნეტავი კი ეგ მალე მოხდეს და შენს სიგიჟეს ყურსაც აღარ ვათხოვებ.

ჟურნალს ხვალ საღამოზედ გაუგზავნიდა.

ოღონდ ეს კი უნდა გაეთვალისწინებინა: თუ ვინმე ნახავდა ოლიკოს ხელში „საქართველოს მოამბეს“, ცუდი იქნებოდა, ისეც ქვეყანა ამ ორზე ლაპარაკობდა.

დღეს ელენეს ეთქვა:

– სიტყვებს რა ბანზე მიგდებთ! ხომ ვიცი, პატარძალი მოგწონთ კიდევაც და შეყვარებულიცა ხართ...

აი ხომ ხედავდა მისი ანგელოზი, რას მოსწრებოდნენ. ძალზე უნდა ეფრთხილათ, რომ სუფთად გამოსულიყვნენ იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც იმყოფებოდნენ. მთავარი კეთილგონიერება გახლდათ, რომელიც ოლიკოს – ილიას ამ ჭკვიან ქალს – არ აკლდა.

18 თებერვალს ამ შეთავაზებას გაუზიარებდა:

თუ ამ მოკლე ხანში მუხრანიანთ ლიზა გურამიშვილებთან შეივლიდა, ოლიკოს ეთქვა, თითქოს მას გაეგო გაბაანთაგან, რომელთაც თავის მხრივ მაღალაანთაგან შეეტყოთ, რომ ელენე ჩოლოყაშვილთან სტუდენტები ყოფილიყვნენ და რაღაც-რაღაცები წაეკითხათ.

თანაც დაემატებინა, თითქოს იმათვე ეთქვათ, რომ: ელენესთან გამართავდნენ ლიტერატურულ საღამოს, სადაც ყმაწვილები წაიკითხავდნენ სხვადასხვა თხზულებას.

და ეთხოვა: მეც წამიყვანეო.

ამ კვირას ილია და მისი ამხანაგები ნამდვილად შეიკრიბებოდნენ იმასთან, და ილია – ოლიკოს პატარა რედაქტორი – რაღაც-რაღაცებს წაიკითხავდა კიდეც.

აოცებდა, ბარბარე ძალიან რომ აჩქარებდა.

უგზავნიდა ჟურნალს და სთხოვდა:

ყურადღებით წაიკითხე, ჩემო ძვირფასო ანგელოზოო!

ჰკოცნიდა ათასჯერ თავის გიჟს და პირდებოდა, რომ დღეს 10 საათზე უფრო მეტს აკოცებდა.

„საქართველოს მოამბის“ ბოლო გვერდზე რედაქციისაგან საბოდიშო სტრიქონები მიდევნებოდა, პირველ ნომერს ასე რომ დაეგვიანა, თუმც რედაქტორის ბრალი არა ყოფილა.

უფალ ენფიანჯიანცს, რომელსაც წერილით შეჰკვროდნენ, რომ სტამბა მზად უნდა ჰქონოდა პირველ ნოემბრამდე, ვერ შეესრულებინა პირობა. ნოემბრის მაგიერ 12 იანვარსღა მოსვლოდა პეტერბურგიდან ასოები და მეორე დღესვე კიდეც დაეწყოთ ბეჭდვა; ისე აჩქარდებოდნენ, რომ შიგადაშიგ კორექტურული შეცდომებიც გამოერეოდათ და „დამატებისთვისაც“ ამ ნომერში თავი უნდა დაენებებინათ.

რაკი პირველი ნომერი ასე დაიგვიანებდა, ცხადია, რომ ამის გამო დანარჩენი ნომრებიც დაიგვიანებდნენ. რედაქტორი რასაკვირველია შეეცდებოდა დაკარგული დრო დაებრუნებინა, რომ რამდენიმე თვის თავზე მაინც ჟურნალი თავის დროზედ გამოსულიყო.

ეპიგრაფად მარკოზის სახარების სტრიქონები (13, 23) შეირჩეოდა, დიდი იმედოვნებით აღვსილი, იესო ქრისტე რითაც ამხნევებდა და განამტკიცებდა ადამიანებს:

– ხოლო ლელვისაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩვიან და გამოვალნ ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლო არს ზაფხული.

არც ისე ახლოს?

და მის მოსაახლებლად აუცილებელი გახლდათ სულაც ჯვარცმის მისტერია?

იესოს სიტყვები უკვალავდა გზას დიდ შემობრუნებას საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, და იესოს მოქმედების განმეორებას, ჯვარცმის მისტერიით დაგვირგვინებულს, უნდა მოეყვანა ის გაზაფხული, სულს რომ მოათქმევინებდა 117-წლოვან პყრობილობაში ჩაკარგულ ქვეყანას, სახელსაც და სახესაც ერთბაშად რომ დაიბრუნებდა.

ნომერი გაიხსნებოდა არა ილია ჭავჭავაძის სარედაქციო-საპროგრამო სტატიით „საქართველოს მოამბეზედ“, არამედ ნიკოლოზ ბარათაშვილის ელეგიით „შემოღამება მთაწმინდაზე“, როგორც საუკეთესო გამომხატველით ჟურნალის სულისკვეთებისაც და მიზანდასახულებისაც, იქვე რომ მიედევნებოდა ანონიმურად დაბეჭდილი ილიას უსათაურო ლექსი, რომლის მთავარი სტრიქონებიც დაამშვენებდა ჟურნალის გარეკანსაც და მთელი თაობის მოღვაწეობის გეზსაც:

აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა და დაე გვძრახონ – ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენიო.

ეს ის ლექსია, სარედაქციო სტატიაშიც რომ დაიმოწმებდა ერთ სტროფს, ეროვნულ ხასიათსა თუ ცხოვრების წესში შემოჭრილ მანკიერებათა მხილება აუცილებლობად რომ ესახებოდა, ნაკლოვანებათა დაფარვა და გარეგნული მოლამაზება კი – შეცოდებად და დანაშაულად ქვეყნის წინაშე.

და ნამდვილი სიყვარული მძაფრ კრიტიკულ პათოსში თუ არ გამოეხვეოდა, იმ გუბეს ვერც ვერასოდეს დავაღწევდით თავს, სამასხარაოდ ცხოვრებას რომ ვეძახდით.

ადამიანები ადვილად ვერ მიუხვდებოდნენ, წმინდა რომ გახლდათ განზრახვა და სურვილი მისი, როდესაც წინასწარმეტყველივით აბობოქრდებოდა და გზნება მრისხანებაშიც გადაეზრდებოდა?

ღმერთი ხომ მაინც ხედავდა გადახსნილსა და მთრთოლვარე გულს, ერთიანად გაჟღენთილს სიწრფელითა და თავგანწირვის ჟინით, და მზადმყოფს ჯვარცმის მისტერიის გასამეორებლად.

მზადმყოფს, რაკიღა ილიას ხილვაში მოჩანდა წიწამური.

და აკაკის, აკაკი წერეთლის ხილვაშიც მოჩანდა.

წინასწარმეტყველის კვერთხი ახალ დროებაში კალმით რომ შენაცვლებულიყო, უფრო ზუსტად – თვითონ ილიას შეენაცვლებინა ეს სიმბოლიკა, კიდეც ამ მიმართვით გახსნიდა ლექსს:

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაშიო?

უტაშოდაც: რასაც მსახურებდნენ, ერთგულადვე კვლავ ემსახურათ, წმინდა სიტყვა უშიშრად განეგდოთ ხალხში ბოროტთა საკლავად – და შორიდან სეირისათვის ეყურებინათ.

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაშიო...

მოგვიანებით არაერთხელ განმეორდებოდა ეს განწყობილება: ტაშს არაფრად რომ არ აგდებდნენ პოეტები, განმეორდებოდა გარეგნულად ჩამოქნილი და ელვარე სტრიქონებით, და იმ წუთებში, როდესაც ამას წერდნენ, სავსებით გულწრფელნიც იყვნენ, მაგრამ ყოფით რეალობაში ძალიან და ძალიან გაუძნელდებოდათ ამ პოეტური ლოზუნგის შესრულება და ტაშისაგან გულცივად განზე გადგომა. საამოდ ელამუნებოდა მათ ყურთასმენას ტაშის ხმაც და აღტაცების ყიჟინაც, ისე საამოდ, რომ ვეღარ უძლებდნენ და თრთოდნენ და კანკალებდნენ ტაშის მოლოდინში. ვერ გაამტყუნებ და არც უნდა გაამტყუნო ვინმე ამისათვის, მაგრამ მითუფრო დასაფასებელია ის ახალგაზრდა კაცი, რომელიც ამ შემთხვევაშიც – და საერთოდაც – რასაც ამბობდა, თავისი ცხოვრების წესით კიდეც ასხამდა ხორცს და ვერავითარი ცთუნება ვერა ძლევდა, თუნდ ყოვლად უწყინარი ცთუნებანიც.

და ტაშსაც გულგრილად და ირონიულადაც შეეძლო მოჰკიდებოდა.

დაბეჭდავდა ლექსსაც „მუშა“ – ხარკს რომ გადაუხდიდა იმჟამინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განწყობილებებს, ისევე როგორც „გლახის ნაამბობსაც“, პირველ ხუთ თავს არდაბოლოებული მოთხრობისა, თანადროულ პოლიტიკურ ტენდენციებს მიუსადაგებდა.

მ. ჯიმშერიძის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ამ მოთხრობას მოჰყვებოდა თარგმანი ნიკოლაი დობროლუბოვის თხზულებისა „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგება“.

მის შემდეგლა უნდა დაბეჭდილიყო საპროგრამო სტატია „საქართველოს მოამბეზედ“, რომელსაც მოჰყვებოდა სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია“, დროის უკუღმართობის გამო დაწერილი რუსულ ენაზე. ეს რვეული შეიცავდა ისტორიის ძველ ნაწილს და სარედაქციო მინაწერში ილია იმედოვნებდა, რომ ავტორი დანარჩენსაც გამოუგზავნიდათ. ასე რომ,

საბოლოოდ ჟურნალი თავის მკითხველს წარმოუდგენდა მთელს ისტორიას ჩვენი ქვეყნისა.

რედაქცია თავის თავზე იღებდა, თუ რაიმე გაუგებრობა და უკანონობა გაიპარებოდა ამ ნარკვევის აღნაქვსში, რადგანაც თარგმანი მას ეკუთვნოდა. მაშასადამე ავტორს ამ მხრივ არა დაებრალებოდა რა. ხოლო რაც შეეხებოდა ნათარგმნის სისწორეს ორიგინალთან, რედაქცია იმედოვნებდა, რომ ავტორის აზრები გადმოღებულიყო ნამდვილად. და რედაქცია სარგებლობდა შემთხვევით, ამ შენიშვნაში გამოეცხადებინა ავტორისათვის გულითადი მადლობა ამ ნაშრომის გამოგზავნისათვის.

ჩვენი სამშობლო ისტორია ისე დამუშავებული არ გახლდათ და ისე ცოტა დაწერილიყო მასზე, რომ ყოველ შრომას, სადაც კი იქნებოდა ახსნილი რომელიმე კითხვა წარსული ხალხის ცხოვრებიდან, რედაქცია მიიღებდა დიდი მადლობით. მითუმეტეს სასიამოვნო იყო მიღება ამ თხზულებისა, რადგანაც მასში ჩანდა დიდი შრომა ავტორისა და სურვილი ჭეშმარიტების ახსნისა.

მაგრამ ამასთან რედაქცია თავს ვალდებულად რაცხდა, გამოეცხადებინა თავისი მოსაზრება ამ თხზულებაზედ.

და მიუხედავად დიდი პატივისცემისა, უნდა ეთქვა, რომ: არ იზიარებდნენ ავტორის ზოგიერთ კრიტიკულ შეხედულებასა და საკითხის ახსნას.

და იმედოვნებდა ილია, რომ: თავის დროზე წარმოადგენდა თავის შეხედულებებსაც ამ კითხვებზე.

ამ განზრახვას აღასრულებდა მითუფრო დიდი სიამოვნებითა და გაბედვით, რომ ავტორს – როგორც შეეტყოთ – ძლიერ სურდა მოესმინა სხვათა მოსაზრებანი თავის თხზულებაზე.

ამ სურვილშიც ჩანდა ავტორის კეთილშობილური სიყვარული თავისი საგნისა და სურვილიც ჭეშმარიტების ახსნისა, რადგანაც რომელიმე კითხვა მხოლოდ მაშინ აიხსნებოდა კარგად, როდესაც გაისინჯებოდა სხვადასხვა მხრიდან.

და დაიმოწმებდა ფრანგებს: აზრები ერთიერთმანეთს რომ შეხვდებიან, მაშინ ჭეშმარიტება გამოჩნდებაო.

ნომერს აბოლოვებდა რუბრიკა „სხვადასხვა ამბავი", შინაური მიმოხილვის სიუჟეტურ ქარგაზე რომ აიგებოდა.

ხოლო იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი – ეს ცალ-ცალკე მითვისებული, კერძოობითად მიღებული, განმაყოფებელი სახელები ილიას მტკიცების ცხად მაგალითებად წარმოდგებოდა.

ეტყოდნენ: ეგ ყველა ხალხში არისო?

ყველა ხალხში კი იყო, მაგრამ არა ასე გულსაკლავად, როგორც ჩვენში.

იქ, სხვა ხალხში, სადაც თვითეულ პირს არ შეენყვიტა თავისი დამოკიდებულება მშობლიურ ხალხთან და სისხლსა და ხორცში გაჯდომოდა, ამისთანა სახელები შინაურობაში გამოიყენებოდა ურთიერთის გასარჩევად და არა საქვეყნოდ, საგარეოდ. მარსელში მცხოვრები ფრანგი რასაკვირველია ფრანგსავე ეტყოდა: მარსელელი ვარო, – მაგრამ უცხო ქვეყნელებს კი გა-

ნუცხადებდა: ფრანგი ვარო. ეს ნიშნავდა, რომ: იგი შინაურობაში მარსელელი გახლდათ და გარეობაში – ფრანგი.

უცხოსათვის ერთი იმათგანი იქნებოდა, სადაც ყველა ამისათვის ცხოვრობდა და თვითონ ყველასათვის ცხოვრობდა. ეს ნიშნავდა, რომ:

ჩემი ძალა ჩემი ხალხის ძალააო, ჩემი სიკეთე ჩემი ხალხის სიკეთეაო, ჩემი სისხლი ყოველ ფრანგთან ერთად დუღსო, ყოველი ფრანგის ცხოვრების ძარღვი ჩემი ცხოვრების ძარღვიაო, და თუ გინდათ, ყოველი ფრანგის ავად და კარგად მყოფობას ჩემს მაჯაზედ შეატყობთო.

ეს ნიშნავდა, რომ:

მისი წყენა უცხოსაგან მისი ხალხის წყენა იქნებოდა, და მისი ხალხის წყენა – პირადად მისი წყენა.

და ჩვენში, ჩვენში როგორღა გახლდათ?

განა მკითხველსაც არ მოეხსენებოდა, რომ: ქართველი ჩვენი ტომის საერთო სახელი აღარ იყო, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლისა და არც უცხოსათვის: იმერელი იმერელი გახლდათ, გურული – გურული, მეგრელი – მეგრელი, ქართლელი – ქართლელი და... ყველა ერთად კი ქართველები სულაც არ იყვნენ.

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაწყდომოდა; ვაი იმ ქვეყანას, სადაც საერთო ძარღვში სისხლი გამშრალიყო, სადაც ყველაში თითო არ იგულისხმებოდა და თითოში – ყველა, სადაც თვითეული ყველასათვის არა ფიქრობდა და ყველა თვითეულისათვის, სადაც „მე“ ხშირი გახლდათ და „ჩვენ“ – იშვიათი!..

თითქოს მოსე წინასწარმეტყველის დაკარგული ქადაგების ფრაგმენტს ვეცნობოდეთ.

ილიას შეეძლო სულაც ქადაგების სტილში გაეწყო თავისი სულის ეს მდუღარება, ფრაგმენტი კი არა, თავით ბოლომდე ის დაკარგული ქადაგება რომ გვგონებოდა, მაგრამ ასე ამჯობინებდა, ახალ დროებას მიუსადაგებდა და პუბლიცისტური აზროვნების მწვერვალად აქცევდა, თავისი შინაგანი პათოსითა და სულისკვეთებით მაინც წინასწარმეტყველების ჟანრს რომ დაუახლოვდებოდა.

19 თებერვალს უსათუოდ შეატყობინებდა თავის გიჟსა, როცა წავიდოდა ელენესთან, მაგრამ არ იცოდა კი – როგორ. ილიას ბიჭი ხომ ვეღარ მივიდოდა ოლიკოსთან და როგორღა მიეწერა?!. თუ ბარბარეს ყოველ დილას გამოგზავნიდა ქალი და საღამოზედაც, მაშინ კი შეიძლებოდა თუ არა შეეტყობინებინა, როგორ მიეწვდინა ოლღამდე ამბავი.

მართლა აციებდა? წუხანდელ ღამეს კარგი რა მოეხსენებინა ოლიკოსათვის? იასე ანდრონიკაშვილს ჯერ ნურას ეტყოდა. ილია თვითონვე მოახერხებდა, თუ ქალს არ უნდოდა და რცხვენოდა. მოუბოდიშებდა, რომ ასე მოკლედ სწერდა, რადგანაც ამისი სახლი გატენილიყო ყოველგვარი ხალხით. თუმც სურდა ოლიკოს კოცნა, მაგრამ სად მიწვდებოდა? ისღა დარჩენოდა, სურვილით დაკმაყოფილებულიყო და წარმოსახვაში ეკოცნა და ეკოცნა დაუსრულებლად.

20 თებერვალს შეიტყობდა, რომ:

მის ბარათს, ოლიკოს გარდა, სხვა მკითხველიც ეყოლებოდა. ამის გამო ბევრს არაფერს მისწერდა, თუმც სათქმელი ბევრი დაგროვებოდა. ცუდად დატრიალებულიყო მათი ყოფა, როგორც ილია ხედავდა. და აღარ იცოდა, ოლიკოს მოსწონდა თუ არა მათი ეს მდგომარეობა. ილიას კი, სწორად მოეხსენებინა, ვერაფრად ეჭაშნიკებოდა. რა ხდებოდა – კვირაში ორჯერ უნდა ეწერათ ერთმანეთისათვის ბარათები და მეტი არა? ვერაფერი ხუმრობა გახლდათ. იქნებ ქალს თავისი პორტრეტი გამოეგზავნა – ილიას ჩარჩო ეყიდა კიდეც საგულვებელი პორტრეტისათვის.

პოსტსკრიპტუმად მიაყოლებდა: პასუხი მოიწერეო.

23 თებერვალს როგორ არ გამოეხატა დიდი წუხილი, რომ თითქმის შეეწყვიტათ მიმოწერა. ილიას ტრაგიკულ ყოფაში ერთადერთი სიხარული ოლიკოს წიგნის მიღება გახლდათ და... ესეც უნდა შემწყდარიყო?!.

დაე ღმერთს შეენდო, ვისაც ამაში ბრალი მიუძღოდა!.. მაგრამ ილიას ეს რას უშველიდა: რა იცოდა ქალმა, ეს ამბავი რა საშინლად მოქმედებდა ილიაზე, როგორ აწვებოდა გულზე და რარიგ ტანჯავდა. არ იყო ეს კარგი, არა!..

ოლიკოს, ილიასდა საუბედუროდ, მაშინ დაეწყო ძუნწად წერა, როდესაც ეს ხელგაშლილად იმედოვნებდა საცოლისაგან ბარათების მიღებას. ფიქრები და ეჭვები მთლად შთანთქავდა ვაჟს, რადგანაც, გარშემო ვერა ხედავდა ისეთ ვითარებას, ისეთ შემთხვევას, რომელზედაც თავიანთი საქმის გამარჯვების იმედს დააფუძნებდა. დაე ქალს ერწმუნა, რომ ილიას ცხოვრებაში არა ჰქონოდა ისეთი უსიამოვნო წუთები, როგორსაც ახლა მთელი დღეობით განიცდიდა.

ამ დღეებს ჯერჯერობით ბოლო არ უჩანდა და მითუფრო უჭირდა მათი ატანა.

მძიმე ნაღველი აწვებოდა და... ოლიკო არც კი ფიქრობდა წერილებით მის გამხიარულებას.

სულ დაბნეულიყო.

ფიქრობდა, ფიქრობდა, როგორ მოეპოვებინა ის, რასაც ესწრაფოდა, მაგრამ ვერა მოესაზრებინა რა. უარესი კი რაღა უნდა ყოფილიყო.

სურდა თადეოზ გურამიშვილთან მისულიყო და ყოველგვარი ტრაგიკული შეძახილებისა და სანტიმენტალური ცრემლების გარეშე ოლიკოს ხელი ეთხოვა, მაგრამ... ამბობდნენ: არავის ღებულობსო.

გინდაც მიეღო, მაინც არაფერი გამოვიდოდა ამ ვიზიტისაგან.

ეს ძველი ხალხი კაცისაგან მოითხოვდა ზიზილ-პიპილებს, რაც ილიას არ გააჩნდა; მოითხოვდა ჩინებს, რაც ბედს – ილიასავე თხოვნით – არ ერგუნებინა მისთვის...

ოლიკოს დისათვის რომ მიემართა ეკატერინესათვის?

თუმც მასაც სხვადასხვა მიზეზისა გამო, რომელიც ორივე დას მოეხსენებოდა, ძალიანაც რომ მოენდომებინა, არაფრის გაკეთება არ შეეძლებოდა.

ქალის სხვა ნათესავებისათვის მიმართვა არა სურდა, რადგანაც სულ ეგონა, რომ: ან ილია ეჩვენებოდათ იმათ სულელად, ანდა ილიას ეჩვენებოდა ისინი სულელებად. და გინდ ბედნიერი შემთხვევაც მისცემოდა, ეჭვი

ეპარებოდა, რომ ერთმანეთისათვის გაეგოთ – სულელურად შეხვდებოდნენ და კიდევ უფრო სულელურადვე გაიყრებოდნენ.

– დიახ, მეგობარო, ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ორჯერ ორი ოთხია.

რაღა რჩებოდა გასაკეთებელი? ეგების დაეცადა და გული ერთი ქართული ზღაპრით დაემშვიდებინა: კატა ძეხვს რომ ვერ მიწვდებოდა და გულამოსკვნით წაიბუტბუტებდა: პარასკევია დღესაო, — და ილიასთვისაც პარასკევი გახლდათ, პარასკევი... და ჩაეღიმებოდა: მგონი კაი ნუგეშიაო.

ხუმრობა იქით ყოფილიყო და: ეგებ ესწავლებინა ქალს, რა ეღონა. ეფიცებოდა, რომ ამის ატანა აღარ შეეძლო – მითუმეტეს, ოლიკოს ბოლო ბარათი არამარტო პირადად ნახვის, არამედ კვირაში სამ წერილზე მეტის მიღების იმედსაც დაუკარგავდა.

ენდომებოდა ოლიკოსათვის ახალთახალი და თანაც უსიამოვნო ამბავი მიეწერა, ამბავი, რომელიც არსებითად ილიას ეხებოდა, მაგრამ ამჯობინებდა, პირადად შეხვედრას დალოდებოდა. სიტყვებით გამოთქმული ისე საშიშრად არ მოეჩვენებოდა ქალს, როგორც ქაღალდზე დაწერილი გამოჩნდებოდა.

ღვთის გულისათვის, მათი საქმის გამარჯვებისათვის ილიას ბარათებს ნურავის უჩვენებდა. იყვნენ ქვეყნად ისეთი არსებანი, რომელნიც მათი მიმოწერისაგან მოითხოვდნენ ლამაზ-ლამაზ სიტყვებს. არადა ილიას მხოლოდღა საბედნიეროდ ესახებოდა, რომ არცერთს არ უყვარდა ასეთი რამ, არც მას და არც მის სატრფოს, და რა კარგი იყო, რომ არ უყვარდათ!..

ლამაზი სიტყვა გრძნობისათვის ფერუმარილი გახლდათ და, ოლიკოსაც კარგად მოეხსენებოდა, ფერუმარილს ის იყენებდა, ვისაც სურდა თავი იმად მოეჩვენებინა, რაც ნამდვილად არ გახლდათ. მათ გრძნობებს კი ფერუმარილი არ ესაჭიროებოდა. მათ სჯეროდათ ერთმანეთისა და პატივს სცემდნენ – და ეს უფრო დიდხანს გაძლებდა, ვიდრე ყველა შორისდებული და შეძახილი ფერუმარილის წამცხებლისა.

ათასჯერ კოცნას შეუთვლიდა, გამოემშვიდობებოდა და... დასძენდა: როდის შევხვდებით? მომწერეო.

24 თებერვალს კი როგორ არ გაემჟღავნებინა განსაკუთრებული გულისტკივილი, რომ ცხოვრებაში ცოტა თუ ჰქონოდა ისეთი საზიზღარი დღე, დღევანდელი რომ აღმოჩნდებოდა. ისე მისჩვეოდა ყოველდღე სანატრელი ქალის დანახვას, გაფიქრებაც კი აუტანელი ეჩვენებოდა, დიდხანს ველარ ვიხილავო.

დილით იმით სულდგმულობდა: საღამოს ვნახავო, — მაგრამ ესეც არ მოხერხდებოდა.

– ღმერთო ჩემო! ნუთუ მართლა დიდხანს ველარ შევხვდებით? ეს ყველაზე მეტად მაწუხებს ამქვეყნად. რა მოწყენაა!

არა, იმ როკაპ დედაკაცს რა საქმე ჰქონდა ოლიკოსთან? ხომ არა სურდა ჩვეულებისამებრ როგორმე ან რითიმე მოეთბო იქ ხელი? მის სისხლმსმელობასა და ანგარებას ხომ არ ეპოვნა ოლღასთან რაიმე საკვები – ნუთუ? სხვაგვარად იგი ოლიკოს ახლოს არ იფუსფუსებდა და ტყუილუბრალოდ არ დაჰკარგავდა ოქროს დროს, რომელიც ასე ესაჭიროებოდა სხვა ათასი ხრიკისათვის. ღვთის

გულისათვის, დაე ქალს შინებოდა იმისა, მორიდებოდა როგორც კეთროვანს, რამდენადაც ეს შესაძლებელი გახლდათ, და ნურაფერს, სრულებით ნურაფერს ანდობდა მას. ოლიკომაც იცოდა, რომ იმას ყოველგვარ სისაძაგლეზე მიუწვდებოდა ხელი, მისთვის ამქვეყნად არ არსებობდა კარგი თუ ცუდი გზა – ანდა უკეთესად რომ თქმულიყო – მისთვის ყველა გზა კარგი გახლდათ, თუკი ამ გზით მიაღწევდა ყველაზე ბინძურ, მაგრამ მისთვის საჭირო მიზანს.

არ კი იცოდა ილიამ, მაგრამ გრძნობით გრძნობდა, თუ რაიმე ცუდი შეემთხვეოდათ, ამ ტარტაროზის ხრიკების ბრალი იქნებოდა. დიახ, მათი საქმე ცუდად იყო და მითუმეტეს არ უჩანდა კეთილი ბოლო, რომ ის შხამიანი, საზიზღარი არსება მათ საქმეში დიდ როლს თამაშობდა.

ვერ იტყოდა, ეს ყოველივე რითი დასრულდებოდა, მაგრამ ის კი იცოდა, ვიდრე ყველაფერი არ მოგვარდებოდა, ილიას თავისი დაემართებოდა. ყოველივე, რაც განეზრახა, რაც ჩაეფიქრებინა, თუ არ დაიღუპებოდა, შესამჩნევად მაინც დაზარალდებოდა.

დაე წარმოედგინა ქალს:

აღარაფრის გაკეთება აღარ შეეძლო ილიას, ახლა კი ყველაზე მეტის გაკეთება იყო საჭირო; გარდა იმისა, რაც მათ აწუხებდათ, გული არაფერზე მისდიოდა და არაფერზე სურდა ეფიქრა. ამავე დროს – ოლიკომაც იცოდა – ათასი ეჭვი, ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში და უნისლავდა ტვინს. იბრძოდა, იბრძოდა, ლამობდა როგორმე მოეშორებინა ისინი, მაგრამ ვერას ახერხებდა. არა, ასეთ მდგომარეობას ვერ აიტანდა!..

სთხოვდა დალაგებით მოეწერა, სიტყვა-სიტყვით, რა გადაეცა იასე ანდრონიკაშვილისათვის და იასეს რა ეთქვა. ეს ილიას ესაჭიროებოდა, რათა სცოდნოდა, როგორ მოქცეულიყო – თვითონ მისულიყო მასთან თუ მას დალოდებოდა თავისთან. როგორმე სწრაფად უნდა მოეშორებინათ ეს აუტანელი გაუგებრობა, როგორმე უნდა მოეთავებინათ.

არ იცოდა, რისგან ემართებოდა, მაგრამ საშინლად ღელავდა, ის ჯოჯოხეთის მაშხალა ოლიკოს გარშემო რომ იკლაკნებოდა, მის ახლოს რომ ტრიალებდა. მას შეეძლო სუნთქვით მოეწამლა ადამიანები. მისი ყოფნა გურამიანთა სახლში კეთილს არ მოუტანდა შეყვარებულებს – დაე დაემახსოვრებინა ქალს, რომ ეს უბრალო წინათგრძნობა არ გახლდათ.

ხოლო რომ განვითითეულებულიყავით, ცალ-ცალკე დავშლილიყავით, ასოასოდ დაჭრილიყავით, და ეს განთვითეულება, ცალ-ცალკეობა ყოველგან და ყველაფერში იმ საქმეს გვიზამდა, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულ წკეპლას მოუვიდოდა, ერთად ძნელად გადასამტვრევს. ამის შემდეგ რასაკვირველია საერთო სახელი აღარ შეგვრჩებოდა და... აკი აღარც შეგვრჩენოდა.

რაკიღა ის დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდან გამოგვეცლებოდა, ჩვენი გონება დაიფუყებოდა, სულითა და ხორცით დავკუწმანდებოდით. გონება ჩვენი, როგორც ყოველი საგანი, რომელიც დაიფუყება ხოლმე, შეგვივიწროვდებოდა, დაგვისუსტდებოდა და რასაკვირველია ველარაფერს ფართოსა და დიდ აზრს ველარ დაიტევდა და ველარც ზიდავდა.

ამ მიზეზით ყოველი აზრი, ფიქრი, სურვილი, გრძნობა დაგვინამცეცდებოდა, გონებითად, ზნეობრივად დავპატარავდებოდით. და მას აქეთ, რასაც კი ხელს მოვკიდებდით, ვეღარ მოვერეოდით; რასაც კი გონების თვალით დავაკვირდებოდით, გონებაში ვერ დავიტევდით; ავიღებდით იმ ყველაფერს და დავანაკუწებდით, იმდენ ნამცეცად ვაქცევდით, რამდენის ზიდვასაც თვითეული ჩვენგანის ღონე შეძლებდა, რადგანაც მთელის ზიდვისთვის საერთო მხარი აღარ გვექნებოდა.

ერთიანი სახელი მთელი ჩვენი ხალხობისა ხუთ თუ ექვს ნაჭრად დაგვეყო!

გონება ჩვენი ერთიან, მთლიან აზრს ამ სახელისა ვეღარ დაიტევდა, ვეღარ ზიდავდა, აიღებდა და იმ სახელსა და იმ აზრს ხალხის მცირე ნაწილს დაარქმევდა.

ამრიგად სიტყვას: ქართული – რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა – კერძოობითი მნიშვნელობა მიენიჭებოდა.

სიტყვასაც: მამული – ეს საქმე დაემართებოდა.

26 თებერვალს თავის გვრიტსა და ანგელოზ ოლიკოს შეპირდებოდა, რომ უსათუოდ ნახავდა იასე ანდრონიკაშვილს, მერე კი თადეოზ გურამიშვილსაც შეხვდებოდა. დაე ქალი ნურაფერზე შეწუხდებოდა. ვიდრე თვითონ არ გაგზავნიდა ჯანდაბაში ილიას, მანამდე ეს ნანდაურის გულისათვის ცეცხლსაც არ დაერიდებოდა და წყალსაც გადაცურავდა.

დაე მამამისს მოეკლო მათთვის ლოცვა-კურთხევა, ეს ხომ ოლღას ილიკო გახლდათ. ოლონდაც არ შეშინებოდა საქმროს სიღარიბისა და დანარჩენი ეშმაკსაც ნაეღო.

და თუკი... თუკი ეშინოდა ოლიკოს ილიას სიღარიბისა? ეს სხვა საქმე იყო, და მაშინ გულწრფელადაც გაემჟღავნებინა თავისი შიში და კრთომა, როგორც პატიოსან, უმწიკვლო ქალს შეშვენოდა.

ხოლო რაც შეეხებოდა ვაჟს, დიდი ხანია მიეწერა, რომ ოლიკოში მხოლოდ ოლიკო უყვარდა, სხვა არაფერი, გინდ უკანასკნელი პერანგიც გაეხადათ ქალისათვის, დაე ერწმუნა ილიასი, რომ: მაშინ უფრო საყვარლად მოეჩვენებოდა, უფრო მომხიბვლელად. და შეეძლო ნანდაურის თავი დაეფიცა.

ოლია რაღაც ხშირ-ხშირად უმეორებდა ამ ბოლო დროს: დაფიქრდიო.

და ვაჟმა აღარ იცოდა, მართალი ეთქვა, როგორ გაეგო ეს ხშირი შენიშვნა. ილიაზე ზრუნავდა ქალი თუ... საკუთარ თავზე?

ხომ არა სურდა ილიასაგან შეეტყო, შეძლებდა თუ არა საკუთარი სახსრებით ცოლის შენახვას. არ უნდოდა ხათაბალაში გაბმულიყო თუ საქმროზე წუხდა? ღვთის გულისათვის, ეგებ გაეფანტა ეს უსიამოვნო ეჭვები ილიასათვის.

– მე რომ შენთან ბედნიერი ვიქნები, რომ შენისთანა ცოლის პატრონისა შეშურდებოდათ, ამაში ეჭვი არ მეპარება. გუშინ ხომ გწერდი ამის შესახებ, შენ გეთაყვანე, მერწმუნე, ჩვენი საქმის გამარჯვებასა ვფიცავ, – ამაზე დიდი საფიცარი მე ახლა არა მაქვს.

რომ არ მოსწონებოდა ოლიკოს ზნეობრივი ღირსებანი, ოლიკოს გონიერება და გული, გინდ კრეზის სიმდიდრის მფლობელი ყოფილიყო, პირველივე პაემანზე მისგან გულს იბრუნებდა ვაჟი.

შესაძლოა ილიაზე ბევრ ცუდსაც ამბობდნენ ირაკლისმაგვარი კეთილი ადამიანები (ირაკლი მუხრან-ბატონს იგულისხმებდა, იმჟამად საგანგებო მინდობილობათა მოხელეს კავკასიის მეფისნაცვალთან), მაგრამ არავის მისცემდა ლაყბობის ნებას თავისი გრძნობების სიწმინდეზე, ოლიკოსადმი მის სიყვარულზე.

იმდენად აფასებდა თავის თავს, რომ: არავის ამოასვრევინებდა ლაფში მისთვის ყველაზე ძვირფასს ანუ: თავის წმინდა გრძნობებს, კეთილ ზრახვებს.

ოლიკოს თავსა ფიცავდა, თუკი ყველაფერს წაართმევდნენ, რის წართმევასაც შეძლებდნენ და... ქალი მაინც ილიასი გახდებოდა, ისეთ მოულოდნელ სიხარულს მოანიჭებდა, ისე ამაღლდებოდა მის თვალში, ისეთი მარგალიტი გაიელვებდა ოლიკოს სხვა ღირსებათა გვერდით, რომ მათი ყიდვა მილიონებითაც შეუძლებელი იქნებოდა.

დარწმუნებული გახლდათ ილია, ქალს შეეძლო ასეთი საგმირო საქმის ჩადენა, და ამიტომაც დამშვიდებული ელოდებოდა ბედნიერებას, რომელსაც თავისი ოლიკო მოანიჭებდა.

რა იყო სიმდიდრე? კარგი რამ, რატომაც არა, მის საწინააღმდეგოდ ანკი ილიას რა ეთქმოდა, მაგრამ ის მაინც არ გახლდათ საჭირო პირობა ბედნიერებისათვის:

უიმისოდ ბედნიერება კარგად გრძნობდა თავს და იგრძნობდა კიდეც, თუკი ჩვენ ვიქნებოდით ისეთი ადამიანები, რომელნიც უპირველესად თავიანთი ზნეობრივი მხარის დაკმაყოფილებას ესწრაფიანო.

თუ ასე არ იყო, სჯობდა ახლავე დაშორებოდნენ, რომ შემდგომ ერთმანეთს აღარასოდეს შეხვედროდნენ.

დაე გაეხსენებინა მის ანგელოზს, რას სწერდა ილია თავის სიღარიბეზე, თავის უჩინობაზე...

არც ისეთი ღარიბი გახლდათ, როგორცა სწერდა.

აღმოაჩნდებოდათ ერთობლივი ცხოვრებისათვის სახსრები, უსათუოდ აღმოაჩნდებოდათ, იცხოვრებდნენ ისე, როგორც მრავალნი ცხოვრობდნენ; მაგრამ ცდილობდა უფრო ღარიბად ეჩვენებინა თავი, ვიდრე ნამდვილად იყო. რატომ ვითომ?

რატომ და:

თუ ასეთი უბრალო რამ შეაშინებდა ქალს, შეეძლო მაშინვე უარი ეთქვა ილიასათვის. იგი ასეთი ცოლის ყოლას არ მოინდომებდა. ამასთან სურდა დარწმუნებულიყო, რომ ოლიკო ადამიანს უყურებდა არა როგორც ოქროებით გატენილ ზანდუკს ან ჯვრებითა და ვარსკვლავებით მორთულ აბრას, არამედ – ღვთის მიერ შექმნილ არსებას, რომელშიაც უპირველესად მისი სული უნდა მზიანებდეს.

დიახ, ოლიკო ისე კარგი იქნებოდა, რომ დაარწმუნებდა კიდეც იმაში, რაშიაც ასე ძალიან სურდა დარწმუნება ვაჟს, და ამით ისე მიაჯაჭვავდა, რომ ვეღარავითარი ძალა ვეღარ დააშორებდა მისგან, ცხადია თუ ქალი თვითონვე არ მოისურვებდა განშორებას.

და თუ მოისურვებდა, მაშ გულწრფელადაც ეთქვა, ნუ შეიბრალებდა.

პირველად ამეტყველებულიყო ილიას გული, მაგრამ დე ეს მისი უკანასკნელი ღაღადისიც ყოფილიყო. ილია დამარხავდა მას, თუკი მისი ოლიკო მას სამარადისო ხსოვნას უსურვებდა.

დანარჩენი დაე თვითონ სცოდნოდა ქალს. ილია მთლიანად ამ ბარათში იმყოფებოდა. გინდ დაეტოვებინა ქალს, რომ შემდგომ ემხილებინა, თუკი დაწერილ სიტყვას ილია სიცოცხლეში ერთხელ მაინც უღალატებდა.

ოლიკოსი გახლდათ ილია ყოველგვარ ფათერაკში, უბედურებაში, სიღატაკეში, მანამდე, სანამ ოლიკო მას თავისად დაიგულებდა.

ახლავე მოეწერა პასუხი, თუკი უყვარდა ილია. შეხვდებოდნენ დღეს? და ამგვარ შეთავაზებას გაუზიარებდა:

თუ მარხულობდა ქალი, სემინარიის ეკლესიაში ევლო, იქ შეეძლო ქანდარაზე ასულიყო. ილიაც ივლიდა მწუხრის ლოცვებზე. ქანდარაზე ოლიკოს ვერავინ დაინახავდა. ვერც ილიას. და შეეძლებოდათ ცისკრამდე ლაპარაკით გული ეჯერებინათ, მითუმეტეს მწუხრის ლოცვა გვიან მთავრდებოდა, რაკიღა მასთან ერთად დილის ლოცვასაც ასრულებდნენ.

თანხმობას ეტყოდა ქალი?

ეტყოდა ქალი თანხმობას?

ქალი ეტყოდა თანხმობას?

ხოლო როცა ითქმოდა: მამული!.. – ამ სიტყვის ყოვლადმპყრობელი მნიშვნელობა ვრცელი გახლდათ და ფართო. იქ, სადაც ხალხობა არ დარღვეულიყო და განთვითეულება – ეს ჭირთაჭირი – არა მეფობდა, იქ ამ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სული იქნებოდა, მთელი ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვი.

იქ ამ სიტყვის ხსენება თვითეულს – მთელი ხალხისა და მთელ ხალხს – თვითეულის ჭირად და ლხინად წარმოუდგებოდა ხოლმე.

იქ ამ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავისი ქვეყნის ნაღველითა ნაღვლობდა, ლხენითა ლხინობდა, დღეობითა და დიდებითა – დღესასწაულობდა.

იქ ამ სიტყვაში ყოველი იგულისხმებოდა, და ყოველში – ყველა.

და... ჩვენში?

ჩვენშიც ამ სიტყვას ასეთივე მნიშვნელობა ჰქონოდა თურმე.

და... ეს როდის?

როცა ჩემი „მე“ და შენი „მე“ ჩვენი ერთიანი ხალხის ცხოვრების საყევარში ერთად შებმულიყვნენ.

ახლა? – რომ იკითხავდა მკითხველი, ნუთუ ამას კითხვაღა უნდოდა? განა თვითონვე არ მოეხსენებოდა, რომ: ამჟამად ეს დიდებული სიტყვა თვითეული ჩვენგანის გათავთავებულ უძრავ ქონებას ნიშნავდა და არა მთელი ხალხის სამშობლოს – ბინას, რომელიც ქვისა და კირის მაგიერ ჩვენი მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულიყო.

სადღა მოგვეძევებოდა მამული?

ხორცის დაუძლურებას სულის დაუძლურებაც ზედ მოსდევდა:

განვთითოებულიყავით, და რამდენადაც თვითეული ჩვენგანი მთელ ქართველობაზედ უძლური გახლდათ და პატარა, იმდენად თვითეული

ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძლურდებოდა, დაპატარავდებოდა.

ჩვენს დაფუყულ და შევიწროებულ გონებას სადღა შეეძლო ჰქონოდა ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებული სიტყვისა? და მამულის ხსენებაზედ ახლანდელ ქონდრისკაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგებოდა ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ამჟამად სასამართლოში შეტანილ ღერბიან ქაღალდზე სადავო საჩივარს გაიგივებოდა; მამულისათვის ძლევამოსილება – მოგებული საქმის განაჩენის პირობა გახლდათ, ჯეროვნად შემოწმებული; მამულის სიმაგრე – ტყრუშული ღობე, ვენახ-გარეშემო შემორტყმული; მამულის პატივი – ნეხვი, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; და მამულიშვილობა – მხვნელისა და მთესველის სახელადღა დაშთომილიყო.

უფრო მეტად როგორღა უნდა დაშორიშორებულიყო ყოფითი რეალობა და ამაღლებული რწმენა-წარმოდგენა?

უფრო მეტად როგორღა უნდა აცდენოდა ერთიმეორეს ილიასა და უამრავი მისი თვისტომის თვალთახედვა?

უფრო მეტად როგორღა უნდა გამოცლოდათ შინაარსი სიტყვებს და უფრო საცოდავად და დამცირებულად როგორღა უნდა მოგვჩვენებოდნენ?

მამული იყო და: ნეხვდაყრილი სახნავი მიწის მეტს ვერას ხედავდი.

მამულისათვის ბრძოლა იყო და: სადავო საჩივრის იქით ვერ მიდიოდი.

მამულისათვის ძლევამოსილება იყო და: სასამართლოში მოგებული საქმის სიხარულს არა სცილდებოდა.

მამულის სიმაგრე იყო და: ტყრუშული ღობის მილმა ვეღარ გადაგეხედა.

მამულის პატივი იყო და: სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილიღა გიამებდა გულს.

მამულიშვილობა იყო და: მხვნელისა და მთესველის გარჯა სავსებით გეკმაროდა ამ მოვალეობის შესაგრძნობად.

და ყოველივე ამის შემდგომ კიდევ ილია გაგემტყუნებინა და თანამემამულეთა სიძულვილი გეკიჟინებინა მისთვის: რამ გაგახელა ასე, ჩვენს ცუდს რომ არა მალავო?!.

აბა კვლავინდებურად ასე გაგრძელებულიყო ცხოვრება – ამ დაკნინებული, ციდამტკაცლური ინტერესებითა და მისწრაფებებით?

ამ დაცემული ზნეობით?

ამ გადავიწყებული ვინაობით?

ვერა, ვერაფრისდიდებით ვერ შეეგუებოდა თვალთახედვის ასეთ დავიწროებასა და ზნეობის ასე მოშლას ენის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ჯერ მხოლოდ ენის, აქედან რომ იწყებდა გრიგოლ ხანძთელურ და აშოტ კურაპალატურ ბრძოლას უდაბნოში მდგარი, ბევრი ისე რომ გაიგებდა მის წამოწყებას მამულის გამოსახსნელად: ააა, ეტყობა სასამართლოში შეუტანია სადავო საჩივარი ღერბიან ქაღალდზეო...

თავი მეშვიდე

ილიას ეპისტოლური რომანი

1863 წლის 28 თებერვალს, დილის ხუთ საათზე: შენი სულისა, ოლიკო-ჯანო! – ასე რომ მიმართავდა საცოლეს, გაოცებით დასძენდა: სად, როდის და საიდან შემამჩნიე გუშინო?

ნუთუ ილია ისეთი უბედური აღმოჩენილიყო, რომ ხელიდან გაეშვა მისთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი ნახვის შესაძლებლობა!..

უცნაურად და გაუგებრად ეჩვენებოდა:

საღამოს 5 საათამდე შინ იმყოფებოდა, 5-ზე გამოვიდოდა ოლიკოს სანახავად, მაგრამ საუბედუროდ ვერსად დალანდავდა. და მაშ როდისღა დაენახა ქალს? მოეწერა, დროზედ მოეწერა – ცნობისწადილი არ ასვენებდა ილიას. გუშინდელ ბარათს რატომ არ უბრუნებდა – ხომ არ მოსწონებოდა?..

ოჰ, ოჰ, ოჰ! – რა ძვირფას რამეებს აფიცებდა, რომ: გიორგი მუხრან-ბატონთან გამგზავრებულიყო.

კეთილი, ჩემო ანგელოზოო, – ყაბულდებოდა და მისვლითაც მივიდოდა, მაგრამ – გულწრფელად რომ ეთქვა – წარმატების დიდი იმედი არა ჰქონდა, რადგანაც ილიას ოფიციალური წინადადება მისთვის მეტად ცივი იქნებოდა, როგორც ყველაფერი, რასაც ოფიციალური ეწოდებოდა.

თუკი იმდენ მოწყალებას გამოიჩენდა, რომ გაიგებდა ღარიბი კაცის სიტყვას, ხომ კარგი, თუ არადა, რაც იმ სტუმრობას ცუდი მოჰყვებოდა, ილია თავის ანგელოზს დააბრალებდა, დაე მას ეგო პასუხი თავისი თავის წინაშე.

ნეტა ვინ ეჩიჩინებოდა ოლიკოს, გიორგი მუხრან-ბატონთან ილიას გაგზავნაზე?

ვინც ამას ეუბნებოდა, არ შეიძლება ყოფილიყო მათდამი კეთილად განწყობილი.

ილიას მთელი უბედურება ის გახლდათ, რომ: გიორგისა არა სჯეროდა, იგი არ მოისურვებდა მათი საქმის კეთილად დაგვირგვინებას. მუხრანბატონს – ეჭვობდა ილია – თავი დაემცირებინა და მასთან დანათესავება ენდომებინა. ასე რომ მომხდარიყო, დაუჯერებელი იქნებოდა, ყოვლად დაუჯერებელი.

განა მარტო ის განწყობილიყო ასე? ოლღას მთელი ნათესაობა, ყველაზე ახლობლით დაწყებული და ყველაზე შორეულით გათავებული, თითქოს ერთნაირად დამუხტულიყვნენ ელექტრონით მათი საქმის საწინააღმდეგოდ.

თუ ვინმე ახლა ეთანხმებოდა ქალს ამ ქორწინებაზე, ეს არ ნიშნავდა, საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, თითქოს მაშინაც დაეთანხმებოდნენ: ისინი აუცილებლობასა და – დაე წარმოედგინა – ოლიკოს ენერგიას ემორჩილე-

ბოდნენ, რადგანაც იმედოვნებდნენ, რომ თავზე დაახვევდნენ ბრწყინვალე ახალგაზრდობას, და ყოვლისმომსპობი დროისა და ქალის ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანთა მოქნილი ოსტატობის წყალობით თანდათან მოაშორებდნენ ილიათი გატაცებას. მერე კი საბოლოოდ ამოიგდებდა გულიდან ამ სისულელეს – ანუ ილიას.

დაეჯერებინა ვაჟისათვის, რომ:

არცერთი, რომელიც გურამიშვილთა ნათესაობის დიდი ჯაჭვის თუნდ უკანასკნელ რგოლსაც წარმოადგენდა, არ მოქმედებდა წრფელად და პატიოსნად, როგორც ქალი ფიქრობდა. ატყუებდნენ, არ ეწინააღმდეგებოდნენ ამჟამად, შესაფერის დროს უცდიდნენ, რათა უფრო ადვილად მიეღწიათ მიზნისათვის, რაც გულისხმობდა, რომ ოლღა თანდათან განელებულიყო და დაევიწყებინა ეს საქმე, რასაც ახლა ასე მხურვალედ ეკიდებოდა.

ზოგიერთ ახლობელს იმიტომ სურდა ამ საქმის ჩაშლა, რომ ოლიკოსათვის ბედნიერება ემეტებოდათ, რაკიღა დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ილიასთან უბედური იქნებოდა – ანუ სიმდიდრესა და წარჩინებას არ უნდა დალოდებოდა. სხვებს კი ზნეობრივი მამოძრავებელი მიზეზიც არ გააჩნდათ და ამოძრავებდათ მხოლოდღა ტრფიალი ხელოვნებისა – ევნოთ მოყვასისათვის. აი ესენი იყვნენ ზიზღის ღირსნი, თორემ გულწრფელად შემცდარ ადამიანებს, თავიანთ ახლობელზე გადაგებულთ, რას ერჩოდა.

ოლიკო მეტისმეტად კეთილი იყო საიმისოდ, რომ შეემჩნია ეს ოსტატურად დაგებული მახეები, ილიას კი საუბედუროდ არ შეეძლო ეს დაეკვეხა: ძალიან კარგად მოეხსენებოდა, რომ ენა ოლიკოს ნათესავებისა ერთს ამბობდა, ხოლო გული სხვა რამეს უკარნახებდათ. ეს მეტად სამწუხარო ჭეშმარიტება ილიას ძალიანაც არა სიამოვნებდა, მაგრამ რა შეეძლო ეღონა? ფარისევლურ ბუნებას როგორ შეუცვლიდათ. ისე სჯობდა ადამიანებს სცოდნოდათ სამწუხარო ჭეშმარიტება, ვიდრე სასიხარულო სიცრუე. და მგონი არა ცდებოდა, ასე რომ ფიქრობდა.

ოლიკოს ნათესავთა ეს დაგებული მახეები ილიას წინათგრძნობას აკრთობდნენ და უბედურებას უქადდნენ. მაგრამ არა უშავდა რა – რაც მოსახდენი იყო, დაე მომხდარიყო! იგი სხვა ვარსკვლავზე დაბადებულიყო – ბედნიერებას შეეძლო სიცოცხლე შეემატებინა მისთვის, მაგრამ უბედურებას არ შეეძლო მისი მოკვლა, მხოლოდ ცოტათი თუ შეარყევდა, მაგრამ რომ წაექცია – ვერასოდეს!..

ილიას წინაშე დიდი გზა გაშლილიყო.

თუ ამ გზაზე არ ეღირსებოდა თავის რჩეულთან ერთად ეარა, ანუ თუ ოლიკო გადაიფიქრებდა მასთან ერთად დადგომოდა გზას – რაც ღმერთს ნუ ენებებინა! – მაშინ, ყველაფრის დამკარგველს, დარჩებოდა ერთი იმედი – ეცხოვრა იმ წმიდათაწმიდა მიზნისათვის, რომელიც დიდიხანია აერჩია. ერთი სიტყვით: ექნებოდა ის, რითაც დაკარგულ ბედნიერებას დაიტირებდა, და სუნთქვის საშუალებაღა შერჩებოდა.

ეს მძიმე ფიქრები უკვე სამი დღეა უწესრიგოდ ირეოდნენ მის თავში – გაღიზიანებული ამ ეპითეტსაც არ მოერიდებოდა: სულელური – და ახლა

უკვე უწესრიგოდ დალაგდებოდნენ ქაღალდზე. ძალა არა ჰყოფნიდა, გადაეკითხა და ხელახლა დაბრუნებოდა ამ ფიქრებს, რომლებიც სურდა – რაც შეიძლება მალე – მოეშორებინა თავიდან.

როდესაც წერას იწყებდა, ეგონა, ეს ფიქრები გაეფანტებოდა. არადა ქალიც დაინახავდა, ამ სტრიქონებში როგორ ჩამოწოლილიყვნენ ისინი ნისლად, თუმც შესაძლოა არა ისეთი სიხშირით, და მგონი მათ მაინც შერჩენოდათ ის განწყობილება, რომელიც ჰქონდათ ოლიკოს ილიას (თავს სხვაგვარად აღარც მოიხსენიებდა, თუ არა: ოლიკოსად) მტკივან გულში. დიახ, ეს სამი დღეა რაღაც აწვებოდა მძიმედ. ღმერთს ნუ ენებებინა, რომ მხოლოდ ამით დასრულებულიყო!..

ფიზიოლოგები – ამცნობდა თავის ანგელოზს – ამბობდნენ: ვინც გამუდმებით მხოლოდ ერთ საგანზე ფიქრობს, გიჟი ეწოდებაო.

თუ ეს სიმართლე გახლდათ, მაშინ ილიაც გაგიჟებულიყო და ეგაა, რადგანაც ყოველ წუთში ოლიკოთი გახლდათ გართული და მასზე ფიქრობდა. წინ რა მოელოდა, არ იცოდა, უწყოდა მხოლოდ ერთი რამ, სულით მიისწრაფოდა ოლღასაკენ, რათა მოხვეოდა და კოცნით დაეფარა.

აი უკვე მეორედ დაათენდებოდა ოლიკოსადმი მიმართული ბარათის წერაში საუკუნოდ მის ილიას.

1 მარტს კი ერთხელ კიდევ აღტაცდებოდა: რა საოცარი ხარო!

ქალის ბარათები, განსაკუთრებით კი გუშინდელი, ილიასათვის იყო ნამდვილი წყარო, საიდანაც ღებულობდა ძალასაც და იმედსაც. ოლიკოს ყოველი სიტყვა სიცოცხლის მომნიჭებელ ცვარ-ნამად ესალბუნებოდა. აი ამიტომაც სწყუროდა ქალის წერილები. და კიდეც დითირამბად უნდა დაღვრილიყო:

– მე შენად არ ვღირვარ, შენ ჩემზე გაცილებით მაღლა დგახარ. არ გეფარისევლები, შენგან ბევრი რამის სწავლა მომიხდება და თუ გამოვსწორდი, ეს ჩემი ძვირფასი და საოცარი ოლიკოს წყალობა იქნება. რა ჭკვიანი მყავხარ! როგორი აღერსითა და სინაზით მამცნევ ხოლმე ჩემს შეცდომებს! აი კიდევ ახალი ალმასი შენს სხვა ღირსებათა შორის, ჩემო მშვენიერო ოლიკო! ბედი ოლიკოზე უკეთეს საჩუქარს ვერ მომიძღვნიდა. მადლობა, ათასი მადლობა მას!

სთხოვდა ნებართვას, თავი ემართლებინა გუშინდელი წერილის გამო. ყველაზე მეტად იმიტომ გახლდათ შეშფოთებული, რომ აკრძალული ჰქონდა ოლღას ნახვა.

თავს ბედისაგან ზედმეტად განებივრებულადაც კი მიიჩნევდა:

თუკი ოდესმე რაიმე მოსურვებოდა, ადვილად მოეპოვებინა კიდეც.

ამას გაეხადა დიდგულა, მოუთმენელი და, რაც ყველაზე უარესია, მცირე წინააღმდეგობის ატანაც კი უჭირდა.

შესაძლოა ეს იმიტომაც ხდებოდა, რომ:

აქამდე მისი სურვილები მეტად წვრილმანი გახლდათ, წვრილმანს კი ხურდა ფულითაც იყიდდი, ანუ ადვილად მოიპოვებდი.

ახლა საქმე სხვანაირად იყო:

– ჩემი სურვილების საგანი შენა ხარ, ჩემო ანგელოზო, შენ კი ისე ძვირი ღირხარ, რომ ბედი იაფად არ მითმობს ჩემს ოლიკოს.

გასაკვირიც აღარ იყო, რომ ბედის სიმკაცრეს უჩვეულოდ შეეკრთო და გუშინდელი ბარათი დაეწერინებინა. ოლიას წერილს გაეხსენებინა მისთვის ერთი ჭეშმარიტება, რომელიც კინაღამ დავიწყნოდა: ყოველ ნივთს თავისი ფასი ედო. და ასეც უნდა ყოფილიყო!..

რაც ილიას არსებაში ბრუნავდა და რაც მის ირგვლივ სუფევდა, სულ ახალი იყო, ამიტომაც უხერხულად გრძნობდა თავს ამ ახალ მდგომარეობაში და გამოთქვამდა სისულელისა და უაზრობის მსგავს რაღაცებს. და ამისათვის მიტევებას ითხოვდა!..

რაც შეეხება მათ შეხვედრას, ილია ყველაფერზე ყაბულს გახლდათ, ოღონდაც კი ერთხელ ეამბორა ოლიკოსათვის. ღვთის გულისათვის, ეგებ მოეწყო ქალს ისე, რომ შეხვედროდნენ!.. როცა ამის შესაძლებლობა ჩნდებოდა, ქალმა რა იცოდა, როგორი სიხარულით მიფრინავდა მისკენ ილია.

დღეს იასე ანდრონიკაშვილთან მივიდოდა, თუ მოასწრებდა – გიორგი მუხრან-ბატონთანაც. და მოუნდებოდა ოლიკოს დაენახა ჭუჭრუტანიდან, როდესაც ილია ბატკნის სახეს მიიღებდა ამ უფაფრო და უკუდო ლომებს შორის. თუმცაღა ეს იასეს არ შეეხებოდა: იგი ვითომც ქრისტესავით იკატუნებდა თავს.

ოლიკოს სურათები მიეღო და... მოურიდებლად განუცხადებდა საქმრო: გადასაყრელიაო. ქალი კი არწმუნებდა: კარგად ვარ გამოსულიო.

როგორ შეიძლებოდა ვესტინისთან გადაღება? თუკი ილიას დაუჯერებდა, შეეძლო კარგი სურათების შეძენა. რანესაგან რომ წამოჰყვებოდა ტროტუარს, მარჯვნივ პირველივე ალაყაფში შევიდოდა, მერე ივლიდა პირდაპირ და დიუბილერის ფოტოგრაფიის კარს მიადგებოდა. თუ წამოვიდოდა და წამოიყვანდა ისეთ თანმხლებ ქალს, რომელსაც ილია არასოდეს ენახა და არ იცნობდა, მაშინ იქ შეხვდებოდა, ვითომცდა ფოტოგრაფი გახლდათ – პოზას ამოურჩევდა ოლიკოს; სურათის სიავკარგე ასეთუისე ამაზე რომ არის დამოკიდებული; და ფოტომანქანასაც ილია დააყენებდა. და აი მაშინ ენახა ოლიკოს, როგორი პორტრეტი გამოვიდოდა. ოღონდ თმა ისე უნდა გადაევარცხნა, როგორც პირველად ექნებოდა ვესტინისთან – ძალზედ უხდებოდა ის ვარცხნილობა!..

თუ დღეს მოახერხებდა წამოსვლას, ახლავე ეცნობებინა, წინდაწინვე რომ მომზადებულიყო ვაჟი. ამჯერად კი მედალიონს გაუგზავნიდა.

2 მარტს როგორ არ ესაყვედურა:

რამ გაფიქრებინა ქორწილის გადადება სექტემბრამდეო?

ოლიკოს ჭკვიან თავში როგორ უნდა დაბადებულიყო ასეთი აზრი?

აპრილში, უსათუოდ აპრილში უნდა გამხდარიყო ილიასი, რადაც უნდა დაჯდომოდა ვაჟს.

ეს ნუ დაავიწყდებოდა მის ანგელოზს!..

მეტის მოთმენა აღარ შეეძლო.

რიღასთვის ეცადათ – განა ორივეს არა სურდა, ეს ამბავი რაც შეიძლება მალე მომხდარიყო? მაშ რაღას იგონებდა ოლღა?

არა, დაე შთაებეჭდა გონებაში, რომ: ასე დიდხანს ცდა შეუძლებელი გახლდათ.

ბევრი ეფიქრა და გადაეფიქრა, ბოლოს გადაეწყვიტა, თუკი რაიმე წინააღმდეგობა შეხვდებოდათ, ერთი კარგი და საქებური საქმე მოემოქმედა. ამას, როცა დრო დადგებოდა, მაშინ ეტყოდა.

იასეს სტუმრებოდა და ვერ ენახა; დღეს 9 საათზე ხელმეორედ მიაკითხავდა. იქნება ბედს გაეღიმა და მათი საქმე მოგვარებულიყო. ნეტა ღმერთს ენება, თორემ ილიას ისე მოეწყინა, ლამის მომკვდარიყო!..

იმგვარად დავარცხნილი თმა, როგორც ილია სწერდა, მართლა უხდებოდა ოლიკოს. მადლობას ეტყოდა, წინადღეს იმგვარად რომ დაევარცხნა.

– ისეთი კარგი იყავი, სულ მინდოდა მოგხვეოდი.

რას იწერებოდა ქალი? ცუდად ვარო.

და ამ ამბავს როგორ არ შეეწუხებინა საქმრო:

– რათა, შენი ჭირიმე, რათა ხარ ავად? თუ კიდევ ავად იქნები, მე მაინც აღარ გამოვივლი. ხვალ თუ მოვალ მეთორმეტე საათზედ. შე გიჟო, ჩემ პორტრეტს რომ ჰკოცნი, მე რა?

ეს მაინც გაუკითხავ გლახასავით გულნატკენი ბრუნდებოდა ხოლმე შინ. და ახლა სახვეწარი ეს გახდომოდა: ერთი კიდევ როგორმე მოახდინე, რომ გნახო, და მეტს აღარა გთხოვო.

ვინ ეძახდა ოლიკოს პატრიოტს?

ეტყობა ირონიას გაურევდნენ ამ ეპითეტს და შეფარულად... ჩამორჩენილობას უკიჟინებდნენ, მაგრამ ილია ამხნევებდა და გულს უკეთებდა: იმათ რაც უნდა თქვან, შენ მართლა პატრიოტი მეყოლები. განა ასე არ არის, ჩემო სულიკოო?

ეს დიდებული სახელწოდება მათთვის თუ საძრახისი გახლდათ, ოლიკოს ამით მხოლოდ უნდა ეამაყა – ამიტომაც ეჩვენებოდა ძვირფასად და ამიტომაც უყვარდა თავისი ოლიკო ილიას.

მაშინ, დოღზე ერთად რომ იქნებოდნენ, ქალი შეაქებდა და პატრიოტსაც უწოდებდა, და ილიას... დაეუხერხულებოდა: ჩემისთანა სუსტი ძალის ადამიანი სად შეწვდება პატრიოტიზმსო, – მაგრამ იმ სიტყვებითა და კილოთი, – რომლითაც ოლიკო ამას იტყოდა, ილია მიხვდებოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე...

და როცა ღმერთი ინებებდა მათ ერთად ყოფნას, ილია აჩვენებდა კაცს, რომლისთვისაც ოლიკოზე ეთქვა:

– ეს ქალი ატარებს თავის გულში სამშობლოს სახეს.

3 მარტს აცნობებდა, იასე ანდრონიკაშვილს რომ სტუმრებოდა და მას დაეიმედებინა. და ეს მადლიერებით აღსავსე გულს დაიმშვიდებდა: ჩვენს საქმეს კარგი პირი უნდა უჩანდესო.

მასთან შეხვედრის შემდეგ ისეთი სიხარულით გამოივლიდა ოლიკოს ოთახის წინ, და... სამწუხაროდ ისე, ისე ნაღვლიანი მოეჩვენებოდა ქალი, რომ გაოცდებოდა. რა დამართნოდა ასეთი, რომ არც გაუღიმებდა – ეს რა ბრაზიანი ყოფილიყო!..

ცუდი რამ ხომ არ შემთხვეოდა?

3 მარტს სთხოვდა, ღვთის გულისათვის ახლავე ეპასუხა ამ ბარათზე. არ უნყოდა ქალმა და არც ეცოდინებოდა, რა ცუდად ხდებოდა ილია, როდესაც ქალს ასე ნაღვლიანს ხედავდა, დღეს რომ შეემჩნია.

აღარ შეეძლო დაეცადა საღამოს წერილისათვის. მოეწერა ახლავე – რა მოსვლოდა? გარკვეულ საათს კვლავ გაივლიდა ქალის კეთილი ფანჯრის წინ, და იქნებ მის ანგელოზს გაეღიმა, თორემ დამწუხრებული დარჩებოდა ვაჟი.

მოსწერდა თუ არა პასუხს, მაშინვე მიფრინდებოდა მასთან, რათა მიელო კეთილი ღიმილი მისი მშვენიერი ოლიკოსი.

და გამოთხოვებისთანავე შეპირდებოდა, რომ: გიორგი მუხრან-ბატონს ხვალ ესტუმრებოდა.

4 მარტს კილო შეიცვლებოდა ბარათისა, რადგანაც ილია ყოველთვის ჯანმრთელად გრძნობდა თავს, თუკი თავისი ოლიკო ჯანმრთელად ეგულებოდა და მხიარულად. რა კარგი იყო დღეს ქალი და ილიასაც რარიგ სიამოვნებდა, გაღიმებულს რომ ხედავდა.

შენ ნამდვილი ჯადოქარი ხარო, – ეტყოდა, ოღონდ ქალი დაე ნუ ჰკითხავდა: ასე რატომ მიწოდებო?

ეს ილიას გულმა იცოდა. და აღტაცდებოდა: შენი სულისაო!..

ხვალ 8 საათზე გაეგზავნა ლაზარე თუ დღესვე? ისე, ისე ძალიან სურდა ოლიკოს ნახვა, ეგებ გამოეჩინა სიკეთე ქალს და დღესვეც მოეხერხებინა.

გიორგის დღეს ვერ ესტუმრებოდა. ხვალ დილის 9 საათზე უმდაბლესი სალმით ეახლებოდა და მერე ყველაფერს შეატყობინებდა ქალს.

დღეს კი ხუთის ნახევარზე და ექვსის თხუთმეტ წუთზეც კვლავ გაევლო ოლიკოს ფანჯრის წინ, მაგრამ ქალი ისე ბოროტად მოქცეოდა, ერთხელაც არ გამოჩენილიყო. და დაემუქრებოდა ილია: დამაცადე, როცა შეგხვდები, კოცნით დაგსჯიო.

5 მარტს კი გაიხარებდა და სასიკეთო ნიშნად მიიჩნევდა, ოლიკოს მაინცდამაინც მაშინ რომ მოაფიქრდებოდა ფანჯარასთან მისვლა, როდესაც ილიას მათ ქუჩაზე გავლა მოუხდებოდა. და ახლა მადლობას უძღვნიდა ამისათვის. ის ფანჯარას შეიყვარებდა, ყოველდღე 2 საათისათვის ამ ფანჯრის წინ გაივლიდა, რომ მინებს იქით თავისი ოლიკო დაენახა. ის კი არა ტროტუარზედაც ხედავდა, ორჯერ ჩაევლო ილიას და... იმას ერთხელაც არ შეემჩნია, მზერა არ ესროლა და... ეს სიყვარულიან გულისწყრომას არ დამალავდა: უჰ რა ბოროტი ხარო!..

თან გული წყდებოდა, მზერა რომ არ შემოენათებინა ქალს, თან სიამოვნებდა, თავდახრილი რომ დაიარებოდა და არა თვალების ცეცებით. აგერ ილიაც კი ვერ დაენახა.

დღეს ილიას გიორგი მუხრან-ბატონისათვის მიეკითხებინა. როგორც იქნებოდა ჩაიცვამდა სულელურ ფრაკს, სულელურადვე მოღრეცდა ფიზიონომიას და სულელურზე უფრო სულელური გუნებით მიადგებოდა. ორჯერ ესტუმრებოდა და მასპინძელი ერთხელაც არ დახვდებოდა შინ. მაგრამ ეს

ხელის აღებას არ აპირებდა ამ წამოწყებაზე, რაკიღა მისვლა მის ოლიკოს ებრძანებინა. ამას ისეთი კილოთი ამცნობდა ნანდაურს, თითქოს თვითონ რომ მოფიქრებოდა ილიას ეს მოლაპარაკება, მაშინ კი აიღებდა ხელს.

ფანჯარასთან რომ იდგებოდა ქალი, ილია ცდილობდა ენიშნებინა, გიორგისთან ვიყავიო. განგებ პალტოსაც გაიხსნიდა იმის საჩვენებლად, რომ ფრაკი ეცვა. აქედან უნდა მიმხვდარიყო ოლიკო, რომ საქმრო სადღაც კი არა, ოფიციალურ დარბაზობაზე იმყოფებოდა, მაგრამ ვერ მიუხვდებოდა ამ მინიშნებებს მისი ძვირფასი მეგობარი!..

საღამოს 5 საათზე კიდევ გაივლიდა იმ ფანჯარასთან, სადაც ცოტა ხნის წინათ მოულოდნელად გაებრწყინა მის ვარსკვლავს, მაგრამ ამაოდ – იგი აღარ ჩანდა.

ნეტა ქალს ახალი რა გაეგო მათი საქმისა და თავს როგორღა გრძნობდა? ილიასას ნუ იკითხავდა – სულ დაბნეულიყო, მოწყენილიყო, მითუმეტეს ოლიკოს დღეს საღამოს ბარათი არ გამოეგზავნა. ილია ისე მიჩვეოდა ძილის წინ ლოცვის მაგიერ საცოლის საღამოს უსტართა კითხვას, დღეს რომ არ მიეღო, ღელვასა და წუხილს ვეღარ იოკებდა. რატომ ეძუნწა ოლიკოს და არ გამოეტანებინა ბარათი თავისი მეეტლისათვის?

ხომ არ მოსწყენოდა წერილების წერა?

მედალიონი მზად იყო, პორტრეტი – ჯერ არა, მაგრამ თუ ქალს არ გადაეფიქრებინა, კვირა დილით უკვე ხელთ ექნებოდა მედალიონში ჩასმული.

ეს რა ეჭვიანობას იჩენდა ილია? რას იზამდა ქალი, საქმროს ამ თვისებას უნდა შეჰგუებოდა – თუმც ძვირფას ნივთს ყველა დაჰკანკალებდა და ილიაც ასეთი გახდათ.

მისი ანგელოზი ძალზე ძვირფასი გახლდათ ილიასათვის, უფრო ძვირფასიც, ვიდრე ოლიკოს შეეძლო ევარაუდა, და რაღა გასაკვირია, ყოველი წვრილმანი თუ აღელვებდა და აკრთობდა, თუნდაც ის, რომ დღეს საღამოს ქალს თავისი ბარათის წაკითხვის ბედნიერება მოესწრაფებინა საქმროსათვის.

რისთვის დაებრალებინა ეს გაწბილება? ილიას უყურადღებობისა თუ საქმეში ჩაფვლისათვის? დილით და საღამოს თავისი ბარათების კითხვისათვის მიეჩვია ილია და... უცებ სურდა გადაეჩვია? ხელი ხომ არ ჩაეკიდა მკაცრი ანდაზისათვის: კარგი ცოტ-ცოტაო.

არადა ასეთი ზომიერება ილიასათვის უცხო გახლდათ, რადგანაც მრწამსად და ცხოვრების წესად დაედო:

ან ყველაფერი, ან არაფერი!

მისთვის საშუალო არ არსებობდა.

ერთი ეს ეთქვა ოლიკოს:

გიორგის რომ სტუმრებოდა ილია და გაემხილა ყველაფერი, არც მაშინ ექნებოდა ნება ოლიკოსთან სიარულისა? გაგონილიყო ამისთანა უხეირო საქმე, როგორიც მათი საქმე იყო?

ეგებ ისე მოეწყო ქალს, რომ ერთი წამით მაინც ყოფილიყო მის ახლოს საქმრო, თორემ ძალიან მკაცრად და დაუნდობლად ეპყრობოდა თავის ილიას, რომელსაც ასე სურდა მისი ნახვა და ყურისგდება.

– რა ვქნა? როდის უნდა ვნახო ჩემი გიჟი?

ღმერთს ამ საქმეში ღმერთობა არ ეტყობოდა, თორემ ისე ხელი როგორ აეღო ილიაზედ, რომ ოლიკოსთან აღარ შეეხვედრებინა. ნეტა ოლღას მამიდა ისევ ცოცხალი ყოფილიყო – მისი შემწეობით ნახავდა ხოლმე მაინც თავის საცოლეს, სხვას თუ არას ეღირსებოდა. ნახვაც კი რამხელა სიამესა და ნეტარებას მიანიჭებდა.

ეს სულელი პოეტები კი – საფოთი დაწყებული და ივანე კერესელიძით გათავებული – უპატივცემულეს საზოგადოებას არწმუნებდნენ, რომ ამ სურვილებში, ამ თრთოლვაში, ამ შიშში სუფევდა ბედნიერება.

მეტი არაფერი უნდოდა ილიას:

მის ადგილზე და მის ახლანდელ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ ისინი ჩავარდნილნი, მაშინ ნახავდა, როგორ მოატყუებდნენ ხალხს. აი მაშინ სულ სხვა ყაიდაზე, სხვა ჰანგზე იმღერებდნენ.

ღმერთმანი, ვერ მოესაზრებინა, როგორ გამოსულიყო ამ მდგომარებიდან?

ნეტა ოლიკო რასა ფიქრობდა?

ისე დაბნეულიყო ილია, გაწვალებულიყო და გამომწყვდეულიყო, რომ თავიც კი ეჯავრებოდა.

– ეჰ, ოლიკო, ოლიკო! შენ რომ ასე ძვირფასი არ იყო ჩემთვის, არაფერიც არ მოხდებოდა, მაგრამ რა ვქნა, როცა დღითა და ღამით მხოლოდ შენით ვსულდგმულობ.

ოჰ რარიგ სურდა, ერთი წამით მაინც დამშვიდებულიყო ქალის ახლოს, და ამ სიმშვიდეს დაარქმევდა ბედნიერებას.

გამოთხოვებისას დასძენდა: დაე მე ვიტანჯო, ოღონდ შენ იყავ დამშვიდებულიო!

შიშობდა, ვაითუ ოლღას ვერ გაერჩია მინაწერი, და კიდეებზე წააწერდა, რომ:

თუ ქალი საღამოობით აღარ მოსწერდა ბარათებს, ილიაც შეწყვეტდა წერას. თუ რაიმეს მოეშალა, მხოლოდ ამას, საცოლისაგან წერილებს რომ აღარ ღებულობდა.

გაუგზავნიდა ქაღალდს და სთხოვდა, რომ ნუღა იძუნწებდა და მოეწერა, ნუ წაართმევდა უკანასკნელ ნუგეშს. ეს ლიტონი სიტყვა კი არ იყო, არამედ ჭეშმარიტება.

და აი 6 მარტს ბოლოსდაბოლოს გიორგი მუხრან-ბატონსაც ნახავდა.

ის ღიმილით შემოხვდებოდა და მეგობრულადაც ჩამოართმევდა ხელს.

სტუმარი პასუხად დარბაისლურად დაუკრავდა თავს და დაუწყებდა ძებნას თავისი სველი შლიაპის დასადებ ადგილს.

დასხდებოდნენ და მასპინძელი გაუბამდა საუბარს ჟურნალზე, აქეთურზე, იქითურზე.

ილიას, მართალი ეთქვა ქალისათვის, არა სურდა ღობე-ყორეს მოსდებოდნენ და ბარემ პირდაპირ გადასულიყო საქმეზე, რისთვისაც სტუმრებოდა და რაც ასე ეძვირფასებოდა. ამიტომაც ცდილობდა ყველაფერში დათანხმებოდა.

ზოგიერთ გადახვევათა შემდგომ საქმეს დაუბრუნდებოდნენ. მასპინძელი არას ეტყოდა დადებითს, მაგრამ ილიას ნუგეშად ის დარჩებოდა, „ჰოზე“ რომ უფრო დააიმედებდა, ვიდრე „არაზე“.

მხოლოდ ცოტახნით სთხოვდა გიორგი მოცდას, რათა თადეოზ გურამიშვილი შეემზადებინა თანხმობისათვის. ყაბულის მეტი სტუმარს რა დარჩენოდა ამ შეთავაზებაზე, მაგრამ აგრძნობინებდა კი, რომ რაც მალე მოთავდება საქმე, მითუკეთესი იქნებოდა, რადგანაც გაურკვევლობა უფერხებდა მუშაობას...

მაგრამ ეს თხოვნა დიდად ვერ უშველიდა, რაკიღა შეატყობდა, რომ მასპინძელი ორივე შეყვარებულზე პრაქტიკული გახლდათ, ხოლო პრაქტიკის წინაშე უკანდახევა რომ გიხდება ხოლმე ადამიანს, ილია ამას თან ირონიულად, თან სევდიანად, თან გულისწყრომით, თან იმედიანადაც დასძენდა.

მოკლედ ასე გადასცემდა იმ დარბაზობის ამბავს.

სხვათა შორის ესეც უნდა ეცნობებინა ქალისათვის, რომ საკმაოდ დიდხანს ესაუბრათ ილიას შეძლებაზე.

ეტყოდა სტუმარი:

– ღატაკი არასოდეს ვიქნები და არც მდიდრად ყოფნას გპირდებით.

და დასძენდა:

– ვფიქრობ, აქ საჭიროა რწმენა, რომ სიმდიდრის გარეშეც შესაძლებელია ბედნიერება – დანარჩენს ყველაფერს მოევლება. ვიცი, რომ მას სწამს ბედნიერება სიმდიდრის გარეშე და მე მეტი არა მინდა რა.

– თქვენ ხომ მას კარგად არ იცნობთ? – მაინცდამაინც არ გაიზიარებდა მის რწმენას მასპინძელი.

ილიას გაეცინებოდა ამ კითხვაზე და გაიფიქრებდა: უფრო კარგად ვიცნობ, ვიდრე შენო. თქმით კი ეტყოდა:

– მართალია კარგად არ ვიცნობ, მაგრამ რამდენადაც ვიცნობ, იმდენადვე ვმსჯელობ მასზე...

ერთი სიტყვით გიორგი მუხრან-ბატონი დიდად თავაზიანი იქნებოდა სტუმრის მიმართ, გონიერებასაც გამოიჩენდა, თან გულახდილობასაც გამოამჟღავნებდა, რაც ილიას ყველაზე მეტად მოეწონებოდა მასში.

ბარათს კი ამ სტრიქონით დაუსვამდა წერტილს, უფრო ზუსტად – სამ ძახილის ნიშანს:

ასე, ჩემო ანგელოზო, უნდა მოვიცადოთ, რა მოსაწყენიაო!!!

ამ დიალოგს ილიას ბარათიდან ოთარ ჩხეიძე ჩაურთავდა ბიოგრაფიულ რომანს „რომანი და ისტორია“, ვასილ ბარნოვის სიყმაწვილისდროინდელ თბილისს რომ წარმოსახავდა, მის საზოგადოებრივ-კულტურულ სინამდვილეს, და იმ აჩრდილებსაც გადმოასახლებდა თხრობაში, მომავალი მწერალი რომელთა სუნთქვითა და სახებანითაც შთაგონებულიყო.

და აბა ის ეპოქა, იმ ისტორიულ პერსონაჟთა გალერეა და: უილიაოდ?! – განმსაზღვრელი ვინც აღმოჩნდებოდა იმ შინაგანი დუღილისა და მღელვარებისა, ძველი ძარღვისა და კალაპოტის შემანარჩუნებელი, მაგრამ გადახალისებითაც გადამხალისებელი და ახალი ნაკადების გამჭრელიც, რაკიღა

აფორიაქებული საზოგადოება ველარ ჩაეტეოდა ძველ არტახებში, ველარც სულს მოიბრუნებდა და ველარც იმ სახელმწიფოებრიობის ამოგებაზე იფიქრებდა, თითქოსდა შორს რომ დარჩენილიყო რუსთა გარეკვის ჟინი და სწრაფვა და ისღა უნდა გეცადა, როგორმე მორგებოდი გუბერნიებად გადაქცეულ ყოფილ საქართველოს, ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური სულით წარმართულ მისი ცხოვრების მდინარებას.

და შემოვიდოდა თხრობაში ილიაც, გიორგი მუხრან-ბატონის მდიდრულ კაბინეტში მჯდომი, მეფისნაცვლის საბჭოს წევრის, სამართლის საქმეთა დეპარტამენტის დირექტორის, გვარიშვილობითაც მორჭმულისა და ახალ დროებასაც მარჯვედ მორგებულის, აი ილიას თვალში კი უკუდო და უფაფრო ლომის, რომლის ხელშიც მოქცეულიყო მისი ბედი – ეღირსებოდა თუ არა ოლღა გურამიშვილთან ერთად ოჯახური უღლის გაწევა.

იმ ათასგვარი დაბრკოლების გადამლახველად, დაუსრულებლად რომ ჩნდებოდა შეყვარებულთა გზაზე, ქალს ძია გიორგი ესახებოდა, ვის სიტყვასაც კანონით ძალა ენიჭებოდა გურამიშვილთა ოჯახში.

ორჯერ რომ გამოაბრუნებდნენ მუხრან-ბატონიანნი, თითქოსდა მასპინძელი შინ არ იმყოფებოდა, აგრძნობინებდნენ: ნუღა შეწუხდებიო, – მაგრამ ასე იოლად არა სჩვეოდა ილიას საქმის მიტოვება, ჯერ ისედაც და მითუმეტეს ახლა, როდესაც სხვა გზას აღარც უტოვებდნენ ოლღა გურამიშვილთან შეერთებისა.

თუ დასჭირდებოდათ, მესამედაც გამოაბრუნებდნენ, მოერიდებოდნენ თუ რა, მაგრამ სენატორი განუცხადებდა შინაურებს: დიდი მიდეგა ვინმე ჩანს, არ მოგვეშვება და გაგვაბეზრებს, სჯობს შევხვდე და მოვიცილო თავიდანო.

ტკბილი სიტყვა-პასუხი არავისგან ესწავლებოდა გიორგი მუხრან-ბატონს, ოფიციალურ ეტიკეტს ისე იცავდა, ბარე ორი კაციც ვერ შეედრებოდა და ილიასთან სულაც თავაზიანობად დაიღვრებოდა, საშიში ვინმე ჩანდა, თავზეხელაღებული, ცა ქუდად რომ არც მიაჩნდა და დედამიწა – ქალამნად, არა ღირდა მასთან პირადი ურთიერთობის გამწვავება, და დაპირებითაც ამიტომ გამოისტუმრებდა.

წამიერად სიძულვილი ჩაუქრებოდა სტუმარს, მასპინძლის თავაზიანობით მოხიბლულს, მაგრამ ოთარ ჩხეიძე წარმოსახვით აღიდგენდა თუ არა ბარათით მოთხრობილს და მწერლურ მზერასაც მიადევნებდა ორი იდეური მოწინააღმდეგის შეხვედრას, როგორ გამოეპარებოდა, რომ:

ქუდს დაუბრუნებდნენ თუ არა ილიას და სველ შლიაპას დაიხურავდა თუ არა თავზე, სიძულვილიც ისევ ისე დაეხურებოდა გულზე.

და ვერაფერი გაუნელებდა იმ სიძულვილს მაშინაც, ოლღა გურამიშვილს რომ შეირთავდა და გიორგი მუხრან-ბატონსაც დაუნათესავდებოდა, მაგრამ როგორ ეპატიებინა ის შეხედულებანი, ბროშურად მოგვიანებით რომ ჩამოყალიბდებოდა, 1872 წელს: „ნაციონალური ინდივიდუალობის რაობისა და მსხვილი სახალხო ერთეულების განმანათლებლობის მნიშვნელობის შესახებ“ – თუმც მტკიცებით უკვე ამტკიცებდა ამ მოსაზრებებს და დიდადაც წაადგებოდა ეს აზრები სამოხელეო კარიერის გზაზე.

უნდა შევგუებოდით ქართული და სხვა მცირერიცხოვანი ერების ენათა გაქრობას და ჩვენი ნებითაც შეგვეწყო ხელი ამ პროცესის დასაჩქარებლად, რაკიღა ადრე თუ გვიან მაინც ეს მოელოდა ჩვენს მშობლიურ ენასაც და რაც დროზე შევერწყმოდით რუსეთს სხეულითაც და სულითაც, მითუკეთესი ჩვენთვის – ტყუილუბრალოდ არ დავიტანჯავდით თავს და აღარც მდინარების საპირისპიროდ ვივლიდით.

რაო, რაზე ასტეხოდნენ ერთმანეთს ილია ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი, რაზე შეხლოდნენ ურთიერთს ერთის თანამოაზრენი და მეორის მომხრენი: ის ხუთი ასო მართლა ზედმეტი იყო თუ არა და დარჩენილიყვნენ თუ განდევნილიყვნენ ქართული ანბანიდან?

სასაცილოდაც არა ჰყოფნიდა ეს დავა სენატორს, ხუთ ასოს კი არა, მთელ ანბანსაც მიაყოლებდა და ქართულ ენასაც ზედ დაუსართავდა, იმპერიული გამოსახედიდან შემუსრავდა ერთის რესპუბლიკასაც და მეორისასაც, ოღონდ წამითაც არა ფიქრობდა, თითქოსდა რაიმეს აშავებდა თავისი ქვეყნის წინაშე. უბრალოდ ასე წარმოედგინა უკეთესი მომავალი თავისი ხალხისათვის და თვისტომებს უადვილებდა რუსეთთან შერწყმის გარდუვალობას, ის ანდაზა მეტად გონივრულად და სახარბიელოდ რომ ესახებოდა: ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო.

განა როდემდე უნდა მოვკონწიწებოდით ქართულ ენას, ერთი ან ორი თაობის შემდგომ მაინც განწირულს.

ის ხანა, რასაც ეს მოკონწიწება შეგვანარჩუნებინებდა მშობლიურ მეტყველებას, ისტორიისათვის წამი გახლდათ და... განა ღირდა წამისათვის თავის გადადება?..

7 მარტს ოლიკოს დაუმადლებდა, მუხრანიანთას რომ არ გადასულიყო.

– ასეთი მიამა, ოლიკო არ მამიკვდება, რომ მეტი აღარ იქნება.

ძალიან წუხდა, რომ ამაღამ ვეღარ ნახავდა, მაგრამ რაღა ეშველებოდა.

სთხოვდა, რომ: ნიკო ჩოლოყაშვილთან ხშირად ეარა, დამეგობრებოდა იმის ცოლს, ელენეს, და... ილიას იქ ხშირად ნახავდა.

გამოეთხოვებოდა და მიადევნებდა, რომ:

ამაღამ ილია ელენე ჩოლოყაშვილთან აპირებდა სტუმრობას, ოღონდ არ იცოდა, ოლღასაც შეეძლო იქ მისვლა თუ არა. ოთხ წყვილ საყურეს უგზავნიდა და, პელოს რომელიც მოეწონებოდა, ის აეღო.

რას ეკითხებოდა ქალი: იცოდა თუ არა ნიკომ მათი საქმისა?

მეორე დღესვე ამცნობდა ილია, რომ: სრულიად არაფერი უწყოდა და არც ეცოდინებოდა ამათ ქორწილამდე.

ანკი რად უნდა სცოდნოდა?

ესენი უიმისოდაც მოაგვარებდნენ თავიანთ საქმეს, თუმც ნიკო ჩოლოყაშვილიც და მისი ცოლიც ზოგჯერ სიტყვას გადმოჰკრავდნენ ილიას ოლიკოსა და მასთან დაქორწინების თაობაზე, მაგრამ ყველაფერი სიტყვა-გადმოკვრად რჩებოდა, იმიტომ, რომ ილია თავს იძვრენდა ყველგან და ყოველთვის. როგორა ცდილობდა დაემალა და მაინც...

ვერ დაასრულებდა ამ ბარათს და აღარც გამოეკიდებოდა მის მოთავებას.

9 მარტს დაამშვიდებდა:

ნუ გეშინიან, ქალო, განა ისე ავადა ვარ, რომ ვეღარ წამოვდგე ქვეშაგებიდანო.

წუხებ შუაღამისას სისხლი მოაწვებოდა გულზე და მთელ გულს დაუხუთავდა. დღეს კი ორლანდს ეთქვა:

– ორიოდე დღე ქვეშაგებში იყავი და კარგად შეიქნები.

და ესეც მთელი დღით ჩაწოლილიყო.

დილანდელი ბარათის პასუხს ლაზარეს გამოატანდა საღამოს.

– ნუ გიჟობ და ნუ ჰსწუხარ, თორემ არ ვიცი რას გიზამ.

10 მარტს „ჩემო მტრედოთი“ მიმართავდა და რიტორიკული შეკითხვა დაებადებოდა:

ნეტა ჩვენს წინაპარ ნოეს ისე გაეხარდებოდა მტრედის მოფრენა მწვანე რტოთი, როგორც ამას გახარებოდა ოლიკოს ნახვა?

არა და არა.

რაოდენ კარგიც უნდა ყოფილიყო ცხოვრება, მაინც მწვანე რტო იმდენად არ გაამხიარულებდა, როგორც კოცნის თაიგული, რომელსაც ოლიკო მოუტანდა...

– რა კარგი იყავ, შე გიჟო! ჯადო ხარ, ჯადო!

ქალი რომ არ შემოფრენილიყო მასთან, გუშინდელი დღე მკვდარი იქნებოდა. ოლიკოს, მის საოცარ გენიას, გაეცოცხლებინა ის. და ეს ჩაიწერებოდა – თურმე სად: სადაც იჯდებოდა ილიას გიჟი, ანუ გულში. აჰ, ერთხელ მაინც განმეორებულიყო ეს დღე, მაგრამ მისი კდემამოსილი ოლიკო როდი ინებებდა.

– შენი კი ჭირიმე, ჩემო ოლიკო! ეს რა გამიჩნდი? დაილოცა ის საათი, როცა მე შენ შეგხვდი. ღმერთმა უშენოდ ერთი საათი ნუ მაცოცხლოს.

ან რატომ უნდა ეცოცხლა უოლიკოოდ?

ცხოვრება და მისი აზრი ხომ მას შემდეგღა გაეგო, რაც ოლღას შეიყვარებდა, სხვანაირად რომ ეთქვა: მანამდე დამზრალად გრძნობდა თავს, გამოეცხადებოდა ოლიკო და... კიდეც დაიწყებდა ილია სულით აღვსილ ნამდვილ ცხოვრებას.

უოლიკოოდ ვეღარ იცოცხლებდა, თუნდ კიდეც სდომებოდა.

ცხოვრება ხომ მისთვის არსებითად ოლღა გახლდათ, ხოლო ცხოვრების გარეშე განა შეიძლებოდა სიცოცხლე?

ტყუილად კი არ უწოდებდა ჯადოქარს: თვით ჯადოქრობას მთელი თავისი ძალით არ შეეძლო ის გაეკეთებინა, რაც ოლიკოს მოემოქმედა – ამ მშვენიერ და კეთილ გენიას!..

და ღმერთს შეევედრებოდა:

როდისღა დამითმობ ჩემს ოლიკოს? უმისოდ მოწყენილი ვარ... დღეები გადის და ჩემი ოლიკო ჩემთან არ არის, რითიღა მიბრძანებ ვინუგეშოო?

ნეტა მაგისთანა მაინც არ ყოფილიყო ქალი; რა ექნა, რა ეღონა ილიას, რომ ოლიკო ასეთი კარგა გახლდათ და, როდესაც ვერა ნახულობდა, ის დღე დაკარგულად მიაჩნდა, ვითომ არც კი გათენებულიყო.

პოსტსკრიპტუმად მიადევნებდა:

შენ, ჩემო მეგობარო, ჩემზე ნუ იდარდებ, გამოვჯანმრთელდები: შენ ხომ კოცნით ისეთი წამალი მომეცი, რომ მკვდარსაც კი გააცოცხლებდა და ეს უბრალო ავადმყოფობა როგორღა დაუდგებოდა მასო.

ამჟამინდელი მდგომარეობის მიხედვით: ზეგ სრულიად გამოჯანმრთელდებოდა და ეცდებოდა, როგორმე დანახვებოდა.

პორტრეტს კი გაუგზავნიდა, მაგრამ თვითონ არ მოსწონდა ეს ფოტოსურათი და პირდებოდა, რომ სხვა დროს უკეთესს გადაიღებდა.

11 მარტს „შენი სულისაო“, ასე რომ დაიწყებდა ბარათს, დაინტერესდებოდა: ნუთუ ოლიკომ არ იცოდა, რაზე ისაუბრებდნენ? ეშინოდა, ქედმაღლური რჩევა-დარიგებებით არ აეფეთქებინათ, თორემ ხანდახან ძალზე უხეში ხდებოდა. ამისა ეშინოდა სწორედ: ვაითუ თავი ვეღარ შეეკავებინა და ლაზათიანადაც გაებურთავებინა არამკითხე მრჩეველნი.

რა კარგი იყო გუშინდელი პაემანი – ოღონდ თუ ოლიკო სემინარიაში მარტო არ ივლიდა, ილიაც აღარ მივიდოდა.

ქალი უმტკიცებდა: ლიზა არაფერს იტყვისო, – ნიკოლოზ მუხრან-ბატონის ქალიშვილს რომ გულისხმობდა; და განა ილიას ეშინოდა მისი სულელური სიტყვებისა, დე თავისთვის ეპუტუნა, რაც მოესურვებოდა, მაგრამ არ უნდოდა პატარა შესაძლებლობაც კი მიეცა მასზე ლაპარაკისა.

ოლიკოს მეეტლე რომ აჩქარებდა, ბარათიც სასწრაფოდ უნდა დაესრულებინა.

12 მარტს მადლობას მოახსენებდა ქალს მისი ღირსეული პასუხისათვის.

ოლიკოს დისაგან, ეკატერინესაგან, მოწვევა მიეღო და უნდა სწვეოდა ან დღეს 8 საათზე, და ან ხვალ 12-ზე. დაე ოლიკოს მადლობა მოეხსენებინა კატოსათვის ილიას მაგივრად და გადაეცა, რომ: ხვალ დანიშნულ საათზე გამოცხადდებოდა, რათა შიშითა და თრთოლვით დალოდებოდა მომავალ საშინელ განსჯას.

დღესაც მივიდოდა, მაგრამ ეშინოდა, რომ ჩვეულებისამებრ სტუმრები იქნებოდნენ და არა სურდა მისი იქ ყოფნა თვალში მოხვედროდათ.

გარდა ამისა: ხელს შეუშლიდნენ საქმეზე ლაპარაკს. თუმც თუ დები ფიქრობდნენ, რომ არავინ იქნებოდა, შეეტყობინებინათ და მივიდოდა.

დაე მოებოდიშებინა ოლიკოს თავის დასთან ილიას მაგივრად, წერილითვე რომ ვერა პასუხობდა. და გადაეცა სიტყვიერად მისი პასუხი. მართალია ილიას უზრდელობად გამოსდიოდა, მაგრამ ეიმედებოდა, რომ კატო აპატიებდა.

14 მარტს ოლიკოს მოწონებული ლაზარე გააღვიძებდა და ეტყოდა:

– ქალბატონს წიგნი უნდა მისწეროთ.

– ვინ ქალბატონს? – იკითხავდა გაბურბუსალებული.

– აი ახალ ქალბატონს.

და მაშინ კი მიხვდებოდა ილია, ოლღაზე რომ ეუბნებოდა. ძლივს აახელდა თვალებს და ისე მისწერდა, რომ ვერც ვერაფერსა ფიქრობდა და ვერც ვერაფერსა ხედავდა. ოლიკოს კეთილი გული თუ აპატიებდა, რომ მის გუშინდელ ბარათზე ახლაღა სწერდა პასუხს, ისიც ასე მოკლედ.

რას ეკითხებოდა, ქალი, როგორა ვნახოთ ერთმანეთიო?

როგორც ოლიკოს სურდა – მას მხოლოდ ებრძანებინა და აღსრულება ილიაზედ მოეგდო. გინდ გუშინდელივით აქ მოსულიყო – აქა ნახავდა; და გინდ ილია მისულიყო მასთან.

გუშინდელ ბარათში მხოლოდ ერთი რამ არ მოსწონებოდა: თავისი დისათვის რად მოეყოლა ოლიკოს ყველაფერი? მართალია ეკატერინე გურამიშვილი მთელი ქალაქის ქალებში უკეთეს ქალად ეგულებოდა, მაგრამ მაინც კიდევ არ უნდა ეთქვა.

რაც შეეხებოდა ბარათების გზავნას, ურჩევდა, კვლავ ბარბარე ორბელიანის საშუალებით გადმოეგზავნა. მას დაეწყო წერილების მიტან-მოტანა და ბარემ მასვე დაესრულებინა.

კომპოზიციის გრძნობა არამარტო მხატვრულ ქმნილებებში გამახვილებოდა ილიას, არამედ ყოფით სინამდვილეშიც, ცალკეული ამბები თუ ეპიზოდები იქაც მოხდენილად რომ შეკრულიყო თუ გამონასკულიყო. და მაშ ბარბარეც, იგივე ვარვარა ილინიშნა, აღარ უნდა დარენილიყო ამ ორთა ურთიერთობის მიღმა, თორემ როგორი ამბის – სიყვარულის თავგადასავლის – კომპოზიციურ სრულყოფილებას რაღაც მოაკლდებოდა.

იმავე დღეს კიდევ ერთ ბარათს მიაყოლებდა, რაკიღა ქალს ის ფიქრი გასჩენოდა, ჩემზედ გაჯავრებულიაო. თავისი დისათვის რაც გაემჟღავნებინა, ეს ილიას რად ეწყინებოდა ისე, რომ გაჯავრებულიყო, ან რა ნება ჰქონდა გაჯავრებულიყო საცოლეზედ.

– მე და შენ თავთავისი ბატონები ვართ, ჩემო ოლიკო!

ამიტომაც ფიქრი ნურაფრისა ექნებოდა. მხოლოდ ეს კი იყო: დღეს ოლიკოს დასთან ვიზიტად წასვლას რომ აპირებდა, რაკიღა შეიტყობდა, კატომ ჩვენი ამბავი იცისო, ხელს აიღებდა სტუმრობაზე.

ამას ის უზრდელობაში ჩამოართმევდა, მაგრამ ილიასაც რა ეღონა? თუმც ერთი რამ ანუგეშებდა: იგი იმდენად ჭკვიანი გახლდათ, გაიგებდა, რას ეიძულებინა სასიძო, არა სწვეოდა. უხერხულობას მაინც განიცდიდა და ეიმედებოდა, თავის დროზე გამოისყიდდა თავის დანაშაულს ეკატერინე გურამიშვილის წინაშე, მანამდე კი ასე დარჩებოდა ყველაფერი, როგორც იყო.

თხოვნით სთხოვდა: არცერთი სტრიქონი მისი ბარათებისა კატოსათვის არ ეჩვენებინა. ოლონდ ეგეცაა: არ ეფიქრა ოლიკოს, თითქოს მის დას ილია არ ენდობოდა:

– ღმერთმა დამიფაროს.

ამას იმიტომ სთხოვდა, რომ როგორღაც უკეთესი იყო, როდესაც იცოდი, რომ შენს წერილს მხოლოდ ის კითხულობდა, ვისაც უგზავნიდი.

ახლა ვარვარა ილინიშნასთან ეპირებოდა წასვლას. ამ ბარათს ასე მალე არ მოათავებდა, მაგრამ სტუმარი მოუვიდოდა და:

იმავე 14 მარტს კიდევ ერთი ბარათი:

როგორც მონა, მორჩილებით რომ შეასრულებდა თავისი დედოფლის ბრძანებას.

11 საათზე, თუ ეღირსებოდა, თავის ძვირფას ოლიკოს მოეხვეოდა.

თავს კარგად გრძნობდა და ქალი მასზე ნუ ინაღვლებდა.

მიტევებას სთხოვდა, მოკლედ რომ სწერდა, მაგრამ მასთან იჯდებოდა ერთი „ბობოლა“ და... დაეუხერხულებოდა მისი თანდასწრებით ბევრის წერა.

15 მარტს კი ეს შეკითხვა დაებადებოდა:

რატომ იყო ასე, რომ რაც დრო გადიოდა, ოლიკო მითუფრო ძვირფასი რად ხდებოდა მისთვის?

– ოჰ, შე ჯადოქარო, შენა!

ქალი დღეს, რომელიც მოღრუბლულიყო, ჩვეული ხალისით უღიმოდა აღთქმული ფანჯრიდან; და მაშ ილიაც მთელ დღეს კარგ გუნებაზე იქნებოდა.

როდესაც რაღაცებზე ჩაფიქრდებოდა ხოლმე, სხვათა შორის იმაზეც ფიქრობდა, რომ ქალს სრულიად დაემორჩილებინა.

იყო კი დრო, როდესაც ზვიადად ფიქრობდა ილია თავის თავზე: ჩემი თავის ბატონ-პატრონი მევე ვიქნებიო?

ახლა კი ოლღა გურამიშვილი გამოსჩენოდა მფლობელად, ვისი დამონებაც ისე საამო იყო, თვით თავისუფლება ამ დამონებასთან შედარებით მოსაწყენად მოჩანდა.

ცხოვრება ხომ მაშინ ნიშნავდა სითბოსა და სინათლეს, როცა მასში გონების გარდა გრძნობაც ამეტყველდებოდა.

და „გლახის ნაამბობიდან“ ციტატას რომ დაიმოწმებდა:

– ჭკუა გაგინათებს, გონება კი გაგათბობს.

დაურთავდა:

ეს აზრი შესანიშნავად გადმოსცა ჯუმბერიძემო.

არ ამხელდა, თვითონ რომ იყო ამ მოთხრობის ავტორი, ოღონდ ესეცაა: თავისი ფსევდონიმი როგორღაც დაავიწყდებოდა და ბარათში ჯუმბერიძეს დაწერდა ჯიმშერიძის ნაცვლად.

და კიდევ უფრო გაასაიდუმლოებდა თავის ავტორობას:

ამ აზრის მთელი მშვენება ახლაღა გავიგე, ის მეტად სწორია და სამართლიანიო.

16 მარტს შინ რომ მობრუნდებოდა ბულვარიდან, სადაც ოლიკოს დაინახავდა, სასწრაფოდ ბარათს აფრენდა ქალთან, რომელთანაც მისვლასაც მოერიდებოდა, არადა ხომ შეიძლებოდა ის გულში გაჯავრებოდა.

თუმც მისვლით როგორ მისულიყო, მაშინ ხომ ქალაქის ჭორებს ვიღა გადურჩებოდა.

დაე დარწმუნებული ყოფილიყო ქალი, რომ ილიას მისი ნახვა უფრო უნდოდა, ვიდრე მას – ილიასი. მაგრამ უნდა ეფრთხილა და ეფრთხილა, რადგანაც:

მათი საქვეყნოდ ნახვა მათთვის მარხვა შეიქნებოდა.

დღეს შიოვის სახლში ქალს პორტრეტი რომ აეღო, რატომ არ შეეტყობინებინა საქმროსათვის? ხომ არ დავიწყნოდა?

იმ დღეს ელენე ჩოლოყაშვილი რაღაცას რომ ეტყოდა, ეს რუსულ „ატკაზს“ მიარტყამდა. არ იცოდა რა ეთქვა და... ეს მგონი გაჯავრებულიყო ილიაზე.

ოლიკოს დასთან ჯერ ვერ მივიდოდა, ვიდრე თადეოზისაგან პასუხი არ მოუვიდოდა...

გუშინ ვიღაც სოლომონას გაუგზავნიდა თადეოზ გურამიშვილს, მაშვალი დიდად რომ დააიმედებდა და ილიამ აღარ იცოდა, რატომ არ შეატყობინებდა პასუხს, რომელიც დღეს უნდა მოეტანა.

ეს კი სცოდნოდა და კარგადაც სცოდნოდა ოლიკოს, რომ არცერთ მის ნათესავს არ ეჭაშნიკებოდა ილია ჭავჭავაძის ჩასიძება. ამას რასაკვირველია სწყინდა ამგვარი დამოკიდებულება გურამიშვილთა ნათესაობისაგან, მაგრამ ისეც არა, თავის ოლიკოზედ მინდობილი არა ყოფილიყო. რაკიღა მისი ოლიკო გახლდათ თანახმა, იმათ ბევრი ქოქოლაც რომ დაეყარათ, ესენი მაინც კიდევ თავიანთებურად ბედნიერნი იქნებოდნენ. ვითომ არა?!.

თადეოზის პასუხს თრთოლვით ელოდებოდა. გული ეუბნებოდა: მაინცდამაინც საამო პასუხი არ იქნებაო. ღმერთს ენებებინა, შემცდარი ყოფილიყო!..

სხვა, ოლია როგორ გრძნობდა თავს? ილიას ისე შეეტყო, თითქოს აჯავრებდნენ ქალს და აინტერესებდა: მართალიაო?..

– იმათ ერთი შენებურად დაუტრიალდი, ჩემო მეგობარო, რომ ცოტათი ენა ჩააწყვეტინო, თორემ ძალიან შეტოპეს.

უგზავნიდა ბევრ ქაღალდს, ამ ქაღალდების გათავებამდე – ილიას ვარაუდით – ოლიკო უკვე მისი ცოლი უნდა ყოფილიყო. და მაშინ ქაღალდი აღარც დაჭირდებოდა, რადგანაც სულ ერთად იქნებოდნენ.

ეგებ როგორმე მოეხერხებინა ხვალ, ექვსის საათის შემდეგ საქმროსთან შემოვლა. ძალზე სურდა თავისი ოლიკოს ნახვა.

თუ ვერ შეძლებდა, მოეწერა – ელენესთან როდის იქნებოდა, და ილიაც იქ მივიდოდა. ხვალ კიდევ გაუგზავნიდა ბიჭს.

მინაწერში დაურთავდა, რომ:

დღეს ლაქსინთან ყოფილიყო და... ის ჯვარი ოლიკოსი იქნებოდა. ეგებ ერთხელ კიდევ შეევლო ქალს ლაქსინთან? კარგად დაეთვალიერებინა სამაჯურები. სხვათა შორის ილიას იქ ყველა სამაჯურის ფასი გაეგო; და იმ სამაჯურისათვის, რომელიც 700 მანეთი ღირდა, მიექცია განსაკუთრებული ყურადღება ქალს – ეგებ მოსწონებოდა.

მიტევებას სთხოვდა ნაჩქარევი ბარათისათვის, ეშინოდა, სადმე არ გაესწრო ოლღას, ამიტომაც სწრაფად სურდა გაეგზავნა.

17 მარტს ბარბარე ორბელიანი რაღაც კაი ამბავს მოუტანდა გურამიშვილთა სახლიდან. ოღონდ ამან აღარ იცოდა, დაბოლოებით როგორ დაბოლოებულიყო ის ამბავი.

– რა უნდა შენგან იმ სულწაწყმედილს, ნინოა ვილაცა? ნუთუ მე და შენი საქმე ისე უღვთო რამ არის, რომ იმაში ღმერთმა გარია ეს ქაჯი და სულთამხუთავი? აი დააშამათოს ღმერთმა, – აქედანვე ქოქოლას ვაყრი მის ბრწყინვალებას.

სხვა რას იქმოდა ოლიკო თავის ახალ სადგომში? როგორ მოწყობილიყო? მისი ახალი ოთახის ფანჯრები საით იყურებოდა? დღეს ორჯერ გაევლო იქ ილიას და... ოლიკოს ისეთი უგულობა გამოეჩინა, არც კი გადმოეხედა.

– შენი ჭირიმე, ოლიკო! არაფერი დამიმალო, ყველაფერი მომწერე, რაც მუხრანსკის ცოლისაგან შენ გადაგხდება.

18 მარტს აცნობებდა, რომ:

გუშინ იმყოფებოდა ოლიკოს დასთან, მაგრამ იმისთანა ამბავი არა მოხდებოდა რა, რომ იმედი მომატებოდათ. სწორე ეთქვა, ვერც რიგიანად მოილაპარაკებდნენ, ვიღაც ქალი იჯდებოდა ეკატერინესთან და ის დაუშლიდათ ამ თემაზე საუბარს.

შეეტყო, რომ თურმე ქალს აწუხებდნენ, რაღაც ნივთებსა და კომოდებს სთხოვდნენ. ნუ იწუხებდა – დაე სულ წაეღოთ, ოღონდაც კი ოლიკო მოესვენებინათ. მაგის გულისათვის ჩხუბსა და დავიდარაბას ნუ გამართავდა. თუ ვინცობაა დასჭირებოდა რაიმე, ილიასათვის შეეტყობინებინა, და ესეც ყველაფერს უშოვნიდა.

ერთი რამ უნდოდა ეთქვა და ეშინოდა, არ გაწყრომოდა ქალი, მაგრამ რადგანაც იგი ოლიკოსი გახლდათ და ოლიკო – მისი, ამიტომაც ბედავდა თქმას:

– თუ ფული დაგჭირდება, მე ძალიან მეწყინება, რომ არ შემატყობინო. ან რად უნდა გაჯავრდე, მე ხომ შენი ილიკო ვარ და შენ ჩემი ოლიკო, თუ ეგრეა, ნურაფერში ნუ მომერიდები, შენ გეთაყვანე.

დღეს 12 საათზე ელენე ჩოლოყაშვილს დაებარებინა, და ინატრებდა ილია: ნეტავი ოლიკოც მისულიყო. საშინლად სურდა მისი ნახვა. ჰა – მივიდოდა თუ არა? მივიდოდა თუ არა?..

უკუნითი უკუნისამდე მისად ყოფნას კი ეფიცებოდა.

ზღვა კოვზით დაილევაო, ნათქვამი რომ გახლდათ, აი თუ არ დაილეოდა: სადღა იყო მამულის ყოვლადმპყრობი, ვრცელი, ფრთაგასაშლელი მნიშვნელობა?

გაიმეორებდა:

განვთიეულებულიყავით და თვითეულის ზურგს ველარ ეზიდა ის დიდი აზრი მამულისა, ერთობლივ ყველასათვის ადვილი საზიდი რომ გახლავთ.

თვითეულობით ტვინი ამოშრებოდა, შევიწროვდებოდა და ამ სიტყვის დიდ მნიშვნელობას ველარ იტვირთებდა.

რა უნდა გველონა ამის შემდეგ?

ავმდგარიყავით და მთელი მამული, ერთიანი ჩვენი ბინა დაგვეყო, დაგვენამცეცებინა თვითეულის ღონის კვალობაზედ ასე, რომ ზიდვაც შესაძლო ყოფილიყო ჩვენი ქონდრისკაცობისათვის და დაპატარავებულ ტვინში მოთავსებულიყო.

დაგვექცია ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი, რომლის ბოძად გვეგულებოდა ერთიანი მხარი მთელი ქართველობისა, და მისი ნაშთის ნამტვრევებისაგან პატარა-პატარა ხუხულები აგვეშენებინა, რომლისთვისაც საზოგადო სახელი „მამული“ დაგვერქმია და რომელშიაც ჩვენც დავტეულიყავით და ჩვენი ამომშრალი ტვინისა და გონების აზრიც დაგვეტია.

დაგვექცია მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი.

დიდი „მამული“ დაგვეშალა, პატარები გაგვეკეთებინა და აქაც გაგვემართლებინა ჩვენი რუსთაველის სიტყვა: ყოველი მსგავსი მსგავსსა შობსო.

თვითეული ჩვენგანი თავის ხვედრს, დიდი „მამულის“ ნაშთს თავთავად შემოღობავდა; იმ შემოღობილში თვითეული ჩვენგანი თავის საკუთარ ქვე-

ყანას აიშენებდა და საზოგადო სახელს – „მამული“ – თავის კერძო მამულს დაარქმევდა და იტყოდა: თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო.

ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემოღობილში შეიკეტებოდა, თავის საკუთარ ჭირსა და ლხინს აიჩენდა; და რომ თვითეული ჩვენგანი საერთო საქმეს თვალს მოაშორებდა და გონებას საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშებდა, ის გონებაც ისე დაუბრმავდებოდა, რომ თავისი ქონების ღობის იქით ვეღარ გადააცილებდა, თავის მოძმეს რომ გახმაურებოდა მაინც.

18 მარტს 11 საათამდე რომ იჯდებოდა ოლიკოს დასთან, ეგონა მოუვიდოდა საცოლე, მაგრამ ამაოდ – არ გამოჩნდებოდა და არა...

19 მარტსაც ელოდებოდა და კარგს იზამდა ქალი, თუკი მივიდოდა. მძიმე ნაღველი დაანვებოდა გულზე. არ იცოდა, ძვირფას სტუმარს რომ ელოდებოდა, იმიტომ თუ სხვა მიზეზისა გამო. ხვალ მისულიყო ილიასთან – ეს თავისუფალი იქნებოდა, თუნდ შუაღამემდე. თუ შეძლებდა, ეგებ დღესვე მოსულიყო. ძალიან სურდა ენახა ქალი და შეეხურებინა გუშინდელი ბარათისათვის.

იმიტომაც სწერდა ასე ცოტას, რომ ოლიკოს მოსვლა ეიმედებოდა, ღვთის გულისათვის მოსულიყო, თუნდ ერთი წუთითაც შემოეველო.

და მინაწერს მიადევნებდა:

დღეს ნამდვილად არავინ მეყოლება. 10 საათამდე დაგელოდები, ეცადე არ დაიგვიანოო.

შენი სულისა, ოლიკო! – 20 მარტის ბარათს ასე დაიწყებდა. დღეს რომ არა სურდა საქმროსთან შემოვლა, რა არაკეთილი გახლდათ. ხომ შეპირებოდა: კვირამდე მოსვლას როგორმე მოვახერხებო. და რად დაედო ასეთი ცოდვა – ჯერ იმედი მიეცა და გაეხარებინა, და მერე წაერთმია და მოეწყინებინა?!.

და ეს მითუფრო საწყენი აღმოჩნდებოდა, რამდენადაც შეხვედრის იმედი იყო სასიხარულო. თუმც შინ და გარეთ ისე გართულიყო მისი ანგელოზი, მისთვის აღარც ეცალა. ტყუილი იყო თუ?..

მხიარულად გართულს ძალდაუტანებლად არც კი მოაგონდებოდა, რომ სადღაც იმყოფებოდა ერთი არსება, ისე განწყობილი, რომ შესაძლოა ოლიკოს გამოისობით დაღონებული ყოფილიყო.

მიუხედავად ამდენი საქმისა, რომელთაც გადაიყვარებდა მას შემდეგ, რაც შეიყვარებდა ერთ გიჟმაჟს, ეს სამი დღეა 12-დან საღამოს 6 საათამდე ბულვარზე დასეირნობდა იმ იმედით, იქნება იმ გიჟმაჟს თვალი მაინც მოვკრაო.

ეტყოდნენ: ოლიკო ყოველდღე სეირნობსო, – და აბა რა გული გაუძლებდა. მხოლოდ გუშინ გაუღიმებდა ბედი და დაინახავდა ნანდაურს – და მადლობას მოახსენებდა ბედს, რომელიც თურმე არც ისეთი ინდოური ყოფილიყო.

მართლა არ მოსწონდა ოლიკოს ილიას მიერ ამორჩეული მაჭანკალი? დარჩიანოვი თუმც არისტოკრატი არ გახლდათ, მაგრამ კარგ მაჭანკლობას არისტოკრატობა რაში ესაჭიროებოდა?

ეთქვათ:

ეს ბატონი თადეოზ გურამიშვილთან დაახლოებული კაცია და სხვაზე მეტად მას უჯერებსო.

და ამის შემდეგ როგორ არ უნდა მოენახა ასეთი ძვირფასი ადამიანი იმ საქმის გამარჯვებისათვის, რომელიც ერთსადაიმავე დროს ახარებდათ და ტანჯავდათ კიდეც.

ესეც არ ყოფილიყო, მას რითი სჯობდა ოლიკოს მიერ ამორჩეული მაჭანკალი, რომელიც პირველ დღეს გამოეგზავნა ილიასთან? ამისი შეტყობით: ერთმანეთის უკეთესობას ვერცერთი დაიტრაბახებდა, ასე რომ, ბარი ბარში იყვნენ ის და მისი ანგელოზი!

ხუმრობა იქით ყოფილიყო და ილიას სურდა მომავალ მეუღლეს მისი მთავარი ნაკლი სცოდნოდა:

მისი არსება ისე აგებულიყო, რომ ამ უბრალო, გულზვაობას მოკლებულ მოკვდავებში ყოველთვის ნაკლები ჭუჭყი და მეტი საღი აზრი ეგულებოდა, ვიდრე ზოგიერთ ბატონში, რომლის შთამომავლობითაც კეთილშობილური სისხლი გულზვაობას შეედედებინა.

ოლიკო ისეთი ჭკვიანი ეგულებოდა, რომ იცოდა, მისი ანგელოზი არ უსაყვედურებდა ამ სიტყვების გამო, რომლის სიმართლეც ფაქტებს ეფუძნებოდა.

გამოჩნდებოდა, რა პასუხს მოუტანდა თადეოზისაგან ის სომეხი, მერე კი, თუ საჭირო იქნებოდა, ირაკლისაც მიაკითხავდა, ირაკლი მუხრან-ბატონს, თუმც ეს მეტად ემძიმებოდა მაგრამ რა ეღონა, როდესაც მისი ოლიკო თავის სიყვარულს აფიცებდა. ასეთ დროს ცეცხლშიაც ჩავარდებოდა დაუფიქრებლად, მითუმეტეს მივიდოდა ირაკლისთან, რათა გამოეთხოვა ის, რასაც ასერიგად ესწრაფოდა ორივე, ესწრაფოდა სიზმარსა და ცხადში.

თუ გიყვარდეო, – სთხოვდა ოლიკოს, დღესვე შეევლო ლაქსინთან და კარგად გაესინჯა ის სამაჯური თავისი მოწყობილობით, რომელიც – მისი ფიქრით – 70 თუმნადა ღირდა. ნუ შეეშინდებოდა ქალს – ოღონდაც მოსწონებოდა და ილია იაფად გამოიტანდა, ეგ იყო, არავის უნდა სცოდნოდა ეს ამბავი.

და კიდევ ერთხელ შეენუკვოდა და შეეევედრებოდა:

ახლა მინამ ჩვენი საქმე არ გათავდება, არ მეჩვენებიო?

რა იქნებოდა, რომ მოეგონებინა რაიმე – ან სტარიცკისთან წასულიყო, ან დობღანსკისთან და იქიდან ილიასთან შემოფრენილიყო. თავისი დის ფაეტონით კი არ მოსულიყო, ექირავა და საქმრო გაისტუმრებდა. ელენე ჩოლოყაშვილთან თუნდ ენახა, რა გამოვიდოდა – ხომ ვერ აკოცებდა? არადა ისე, ისე ენატრებოდა მისი ამბორი.

პოსტსკრიპტუმად კი მიადევნებდა: მართალია, რომ არ შეიძლება ყოველდღე ბიჭის გამოგზავნაო?

ხოლო მკითხველს რომ მიმართავდა:

შენ შენს კერძო მამულზედ სწუხარ და ტირი, მე კი ჩემს კერძო მამულზედაო.

დასძენდა რიტორიკულ შეკითხვად:

ყველას გაცალკევებული, საკუთარი და კერძო მამული გვაქვს და როგორღა მივუყენებთ ერთმანეთს აზრსაო?

რადგანაც ვიცოდით, რომ ერთმანეთს აზრს ვეღარ მივუყენებდით, სალაპარაკოდაც აღარ შევიყრებოდით ხოლმე. ანკი სალაპარაკოდ რიღასთვის უნდა შევყრილიყავით? ლაპარაკი ხომ აზრის აღებ-მიცემობაა. და მე რაღა მქონდა შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრნა, საერთო აზრის აღებ-მიცემობა გაგვეწია?!.

რაკი შენ იმერლობას დაირქმევდი და მე – კახელობას, მე შენთან სალაპარაკო აღარა მექნებოდა რა და შენ – ჩემთან; რაკიღა შენ შენი სახნავი მიწისა და ერთობ შენი უძრავი ქონებისათვის შენი მამული დაგერქმია და მე ჩემისათვის – ჩემი, მე შენთან საერთო მოსაფიქრებელი აღარა მექნებოდა რა, და შენ – ჩემთან.

ამიტომაც დავშორებოდით ერთმანეთს, შენ იქით წასულიყავ და მე აქეთ წამოვსულიყავ, და მას აქეთ მე და შენ ერთად აღარ ვილაპარაკებდით. დიდი ხნის ულაპარაკობა, როგორც აზრით, ისე სიტყვითაც, ერთმანეთს დაგვაშორებდა. ერთმანეთის სიტყვას ყურს გადავაჩვევდით: შენ ჩემი სიტყვა ან სულ არ გესმოდა, და თუ გესმოდა, შენებურად გესმოდა, მე კიდევ შენი სიტყვა მესმოდა ჩემებურად.

ამიტომაც ქართველი ვეღარავის გვეცნო, თუმც კი ყველა ქართულად ვლაპარაკობდით.

რად მომხდარიყო ასე?

რად და:

ყოველ სფეროში გავთავთავდებოდით, აზრსა და ყოველ საგანს გავითავთავებდით და სიტყვაც, რომელიც მარტო აზრისა და საგნის ნიშანია, გათავთავდებოდა.

ამიტომაც ჩვენი ენა კილოიანი გახდებოდა, იგავიანი, ორპირი შეიქნებოდა, ასე რომ ერთსადაიმავე სიტყვას მრავალგვარი აზრი მიენიჭებოდა.

აბა რა შეიძლება მეთქვა ისეთი, რომ შენ კილო არ გამოგება?

მ ი ი რ თ ვ ი ც რომ მეთქვა, ამ კარგ, დარბაისლურ სიტყვასაც, თუკი მოინდომებდი, ცუდად ჩამომართმევდი, თუ ნამეტნავად ზოგიერთი კაცის გულის გარყვნილებაში შენც წილს ჩადებდი.

შ ე მ ო ბ რ ძ ა ნ დ ი რომ გეთქვა, ხომ კაი სიტყვა, ეგ ჩემზედ ეკიდებოდა, საწყენად მივიღებდი თუ სალხენად.

აი აქ „ჰ კ ი დ ი ა ს“ გამოვიყენებდი და შენც ათასჯერ გამოგეყენებინა, მაგრამ უნდა შეგშინებოდა, რომ მაგ სიტყვისათვის ერთ ბრიყვ ვინმეს თავისი წამხდარი და გარყვნილი გონების აზრი არ მიეწერა.

21 მარტს ცნობისწადილს გამოიჩენდა, რა ეთქვა ოლიკოსათვის მამამისს – ალბათ რაიმე არასასიამოვნო.

ნუ შეიბრალებდა ქალი – რაც იყო, ყველაფერი შეუფერადებლად მოეწერა, რომ სცოდნოდა ილიას ამის შემდგომ, როგორ ემოქმედა.

ძალზე მოსწყენოდა ასეთი სულელური, გაურკვეველი მდგომარეობა, და რაც შეიძლება მალე უნდა მოეთავებინათ. უსათუოდ წავიდოდა ირაკლი

მუხრან-ბატონთან, თუკი უიმისოდ მართლაც არაფერი ხერხდებოდა. დღეს ან ხვალ გამოეცხადებოდა უმდაბლესი სალმითა და მორჩილი თხოვნით. და თუ აქაც არა გამოვიდოდა რა, დარჩენოდა რომანტიკული რაღაც მოემოქმედა, რომ ამით მაინც დაემარცხებინა ისინი, რომლებიც მას ბედნიერებას ართმევდნენ.

„რომანტიკულ მოქმედებაში“ რასაც გულისხმობდა, უკვე ვიცით:

ოლღა გურამიშვილის მოტაცებას.

ლაქსინს თუ სტუმრებოდა ქალი? მოსწონებოდა თუ არა სამაჯური? ოჰ როდის იქნებოდა ენახა საქმრო:

– მე კი ჩემი დამემართა და შენი არ ვიცი.

რომ ენახა ოლიკოს, ველარც იცნობდა, ისე გამხდარიყო ილია.

მოვიდოდა დღეს?

– შენი ჭირიმე, თუ გიყვარდე მოდი. მეყოფა, რაც შენი უნახაობით ჭირი გამოვიარე

მიტევებას ითხოვდა მცირე ბარათისათვის. საჩქაროდ წერდა და... ოლიკოს დაიკო როგორ გრძნობდა თავს – ხომ არ დაწოლილიყო?

22 მარტს შეენუკვოდა:

ნუ წახვალ, ნუ წახვალ, ჩემო ანგელოზო, თორემ ცუდი დღე დამადგება, დარჩი ტფილისშიო.

გინდ ყველა აჯანყებოდათ, ოლიკო მაინც მისი იქნებოდა, თვითონ კი – ოლიკოსი. ოღონდ რა თქმა უნდა დიდი სიფრთხილე მართებდათ.

ღვთის გულისათვის: ირაკლი მუხრან-ბატონთან ნუ გაგზავნიდა, ოლიკო მას კარგად არ იცნობდა. თუ ვინმე მათ ბედნიერებას ხელს უშლიდა, ის გახლდათ, ეს ილიას სანდო წყაროებიდან ექნებოდა გაგებული.

გუშინწინისწინ ილიაზე ყოფილიყო ლაპარაკი თადეოზ გურამიშვილთან და, როგორც ამბობდნენ, ირაკლი ყბადაღებით აუგად უხსენებდა მოსალოდნელ სასიძოს. და აბა ამის შემდეგ როგორღა უნდა მისულიყო ილია მასთან, მაგ ბატონის ნახვისას ხომ სულ ღვარძლი უნდა ენთხია. გაუძნელდებოდა თავი დაეჭირა უკმეხობისაგან, რისი ღირსიც ის გახლდათ, კავკასიის მეფისნაცვლის უწყებაში მოხელეობით გაყვინიზებული.

თუმც მგონი მისი დახმარება აღარც დასჭირებოდათ.

დღეს თადეოზი კინაღამ დათანხმდებოდა ილიას წინადადებას და ამით მათი საქმის კეთილად დამთავრების იმედს მისცემდა.

თადეოზი – ილიას ვარაუდით – ნამდვილად დათანხმდებოდათ, თუკი ირაკლი მუხრან-ბატონი და მისთანანი მასთან არ იფლიდებდნენ.

ხვალ წერილით სურდა აუდენცია ეთხოვა თადეოზ გურამიშვილისათვის.

აი იქ კი ქრისტედ უნდა მოეკატუნებინა თავი, რომ მაშინვე დაეყოლიებინა სასიმამრო.

თუმც ზედმეტად რაღად უნდა ეღელვა?

ილიას ისა ჰკლავდა, რომ:

თუკი გასაქცევად ექნებოდათ საქმე, ოლიკო არ გამოჰყვებოდა.

ხოლო რაკიღა თანახმა გახლდათ სასიმამრო, ზღვასაც კი გადალახავდნენ.

– აი მაგისთვის მიყვარხარ, ჩემო ოლიკო! ყოჩაღი ხარ, ყოჩაღი!

ამის შემდეგ როგორღა წარმოეთქვა ქალს: დაფიქრდი, ჩემთან უბედური არ იყოო?

ის თუ გახდიდა ილიას უბედურს, რომ თვით შეშურებოდა თავისი თავისა, თავისი ძვირფასი ოლიკო ასეთი კარგი რომ ჰყავდა: მიზეზად უბედურებისა სხვა რამ უნდა წარმოედგინა!

– ჩემზე ნუ ფიქრობ, ოლიკო ისეთი ქალი იქნება, რომ მისი ქმარი იმად არ ელირება.

სჯობდა თვითონ დაფიქრებულიყო ქალი, ყველაფერი აეწონ-დაეწონა, მერე რომ კმაყოფილი დარჩენილიყო – ადამიანები ხომ კმაყოფილებაში ხედავდნენ ბედნიერებას.

ეგრე გაეხარებინა ხოლმე, როგორც მის წიგნს დღეს საღამოზედ გაეხარებინა, და ილია ბედნიერი იქნებოდა.

ბედნიერება როდის დგებოდა, ნამდვილი და არა მოჩვენებითი ბედნიერება?

როდის და:

როდესაც ბრძოლაში ჰპოვებდი, ტანჯვით იყიდდი, როგორც პოეტები ამბობდნენ.

გამარჯვება წინააღმდეგობის გარეშე გამარჯვება არ არისო, – ირწმუნებოდნენ მხედართმთავრები.

ამათაც ხომ უხდებოდათ პატარ-პატარა წინააღმდეგობათა დაძლევა ცოლქმრობისათვის, და კიდევ უნდა დაეძლიათ.

ღმერთს იმიტომაც ებოძებინა გრძნობები, რომ იმით ჩვენი სიცოცხლე გაგვეთბო, რომ მისთვის გვებრძოლა და გაგვემარჯვა. ეს ბრძოლა როგორც უნდა დასრულებულიყო, მაინც ადამიანისათვის ღირსების მიმნიჭებელი გახლდათ და თვით დამარცხების დროსაც სასახელო.

ოლიკოს პორტრეტი ილიას დილასვე გამოერთმია.

– რა ნაღვლიანი ხარ, ჩემო ანგელოზო!

ყველას ვაჟი დაიტოვებდა. ისინი მთლად ისე კარგიც ვერ იყო. ოლიკო ბევრად უკეთესი გახლდათ, ვიდრე სურათებში.

ნეტა დღეს მოსულიყო: რარიგად ელოდა საქმრო. რამდენი რამის ჩვენება უნდოდა მისთვის.

ცალკე ფურცელზე მიაწერდა:

ეს ნივთები, ოლიკოს რომ ლაქსინთან ენახა, ილიას თავისთვის გადაეენახვინებინა: საათი თავისი მოწყობილობით (ის ქალს არ ენახა), ჯვარი და სამაჯური ქინძისთავებით, საყურეები, გულსაბნევები, სამი ოქროს ძეწკვი, სხვადასხვა რამისათვის რომ გამოდგებოდა – ეს ყველაფერი თავისთვის გადაენახვინებინა, ოღონდ ერთი პირობით:

თუ ოლიკოს არ მოენონებოდა და თუ თადეოზ გურამიშვილი არ დაეთანხმებოდათ დაქორწინებაზე, უკანვე დაებრუნებინა.

თუ თადეოზი მართლაც უარს ეტყოდათ, უკეთესი იქნებოდა, ეს ფული უფრო საჭირო საქმისათვის გადაეენახათ.

– განა მართალი არ არი, მეგობარო!

24 მარტს თავს დაიდანაშაულებდა, ბარათი რომ არ მიეწერა. სურდა ჯერ ირაკლი მუხრან-ბატონი ენახა და მერე ეცნობებინა ყველაფერი. ნუ გაუჯავრდებოდა ქალი – რაღა ეგ უნდოდა, ისიც ეყოფოდა, რაც ბედი მასზე ჯავრობდა, რომ ოლიკოს არ აჩვენებდა ხოლმე. მასთან, რაც უნდა საქმე ჰქონოდა ილიას, როგორ დაზარდებოდა წიგნის მიწერას.

– ეს მიმოწერა, ჩემო ძვირფასო ანგელოზო, ჩემი არსობის პურია, შენ ეს იცოდე, და მომიტევე.

ოლიკოს რომ ნახავდა, იქიდან პირდაპირ ირაკლი მუხრან-ბატონთან წავიდოდა; შინ არ დახვდებოდა, მაგრამ ერთ ახალ ამბავს კი შეიტყობდა. დილას ილიას ერთი ამხანაგი – მისივე სეხნია – წინამძღვრიშვილი სტუმრებოდა თადეოზს და ილიაზე დაეწყოთ ლაპარაკი. წინამძღვრიშვილს ეთქვა:

– მოგილოცოთ ქალის ბედნიერება?

თადეოზი შორს დაიჭერდა:

– მე მოლოცვისა არა ვიცი რა, თუ უნდათ ერთმანეთი, ღმერთმა მშვიდობა მისცეთ. მე არც არას ვეტყვი, არც ჰოსა. როგორც დაუწყიათ, ისეც გაათავონ.

ამასაც შეიტყობდა, რომ მისი მიღება არა სურდა სასიმამროს და ამიტომაც ეთქვა:

– აქ, ამ ქოხმახში სად მივიღო?!

აი მოკლედ ის, რაც ელაპარაკნა თადეოზს, სხვა რაც ეთქვა, ისე სასიამოვნო არ იყო, როგორც საწყენი. რად უნდოდა ქალს, რომ სცოდნოდა.

რა ეღონა – წუხელ მთელი ღამე არ დაეძინებოდა: ხვალ ოლიკოსთან ვიქნებიო, – მაგრამ აქაც მოტყუვდებოდა და ვეღარ მივიდოდა.

– შენც არ მამიკვდე, ხომ იცი შენს სახელს ძნელად დავიფიცამ, რომ ჯავრისაგან აღარა ვარ.

თავი გამოტენოდა უსიამოვნო ფიქრებით, და თუ რამ სასიხარულო ჰქონდა, ეგ ის და მხოლოდ ის, ოლიკო ჩემკენ არის და ჩემი იქნებაო.

ნეტა მალე გახსნილებულიყო მაინც – იცოდა ილიამ, რარიგად მოეღო ბოლო ამ საქმისათვის.

მათი ჯერიც მოვიდოდა და ბედს თავიანთ დუდუკზე სულის ამოხდომამდე აცეკვებდნენ. თუ თვითონ არ შეიბრალებდა შეყვარებულებს, აღარც ესენი შეიბრალებდნენ მაგ სულელს. დე ოლიკოს მამას მათზე ებუზღუნა, თუკი ეამებოდა. კარგი კი იქნებოდა დაელოცა ესენი – მაგრამ არ ექნა და არა. ღმერთი ყოფილიყო მისი შემწე, დაულოცავადაც შეიძლებოდა ბედნიერად ცხოვრება. ოლიკოს და გახლდათ ამის ცოცხალი მოწმე, ეკატერინე გურამიშვილი.

ილია ოთხიდან ხუთ საათამდე ბაღში იქნებოდა და თუ ოლიკოს ენდომებოდა, მისულიყო.

გამოეთხოვებოდა და მიაყოლებდა:

მინდოდა კოცნა გამომეგზავნა, მაგრამ ჩემზე გაბრაზებული ხარ და არ მიიღებო.

ხოლო იქ, იმ პუბლიცისტურ სტატიაში წინასწარმეტყველივით რომ ღაღადებდა:

სადღა არის ახლა ქართული ენაო? – გულდათუთქული კითხულობდა და მწარედ დასძენდა, – ან გვინდაღა ქართული, როცა ჩვენ თვითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზე ხელი ავიღეთო?

გონებით რომ აღარ ვცხოვრობდით, ქართულ ენას აზრს როგორღა გამოვათქმევინებდით?

ერთობისათვის რომ აღარ ვიყავით, ერთნაირი სიტყვის მნიშვნელობას როგორღა მოვთხოვდით ჩვენს ენას?

თუნდ რომ ჩვენი ენისა და სიტყვისათვის აზრი გამოგვეთქმევინებინა, ვის რაღად უნდოდა, ენას აზრს ვიღა სთხოვდა?

ჩვენ თვითონ დავცარიელებულიყავით გუდაფშუტასავით, ცარიელი სიტყვებიღა გვინდოდა, ცარიელი ხმები, რომ ენას პირში ესტვინა და ყურს ძარღვი ეფხანა.

სხვა რიღასთვის გვინდოდა ენა?

საერთო სახელი ქ ა რ თ ვ ე ლ ი კერძოობითად გაგვეხადა, მ ა მ უ ლ ი დანეხვილ ნაფუძრად გადაგვექცია, პ ა ტ ი ვ ი – ნეხვად, თ ა ვ ი – გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მიგვეყვანა, რომ კ ა ც ი კაცს აღარ ნიშნავდა, თუ ზედ კ ა ც უ რ ს ა ც არ დავუმატებდით.

და ამის შემდეგ კიდევღა გინდოდათ, რომ ენა გვქონოდა?

26 მარტს კი მიტევებას სთხოვდა ოლიკოს, გვიან რომ პასუხობდა წერილზე. მასთან ლეონ ზაგურსკი მჯდარიყო, მასწავლებელი ისტორიისა და გეოგრაფიისა ტფილისის გიმნაზიასა და ქალთა ინსტიტუტში, და ღამის სამის ნახევრამდე დარჩენილიყო. უხერხული იქნებოდა მასთან წერა.

– რა საკვირველი ხარ, ჩემო ტრედო! დღეს მოწყენილი ვიყავი, შენ კი მოგჩვენებია, თითქოს შენზე ვიყავი გაჯავრებული, რადგან პლატონოვსა და ბრიუგელს ესაუბრებოდი. როგორ ფიქრობ, ვითომ ვეჭვიანობ?

დაე სცოდნოდა მის ანგელოზს, რომ: სადაც ეჭვიანობა ჩნდებოდა, იქ ნდობა და პატივისცემა არ შეიძლება ყოფილიყო. ილიას არ უნდოდა, რომ ოლიკოს ასე ეფიქრა მასზე.

– შე გიჟო! მაგისათვის ყურების გასაწევი ხარ, მაგრამ რა გიყო, რომ შორსა ხარ.

ამიტომ კი არ ყოფილა მოწყენილი, ქალი რომ მხიარულობდა, ძალზე სუსტად გრძნობდა თავს და ცუდად ხდებოდა. კიდევ ოლიკოს მხიარული და მალულად ნასროლი მზერა აცოცხლებდა, თორემ ღმერთმა იცოდა, რა დაემართებოდა – ნახევარი საათიც კი ვერ გაეძლო ფეხზე.

დიახ, კვლავაც ცუდად გრძნობდა თავს, საშინლად მოშლილიყო. აღარ იცოდა, რითი დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, ის კი იცოდა, იმდენად დასუსტებულიყო, იძულებული იქნებოდა კვლავ ჩაწოლილიყო ლოგინში.

გუშინ ოლიკოს მისთვის რაღაც რეცეპტი რომ გამოეწერა, კიდეც ისარგებლებდა, მაგრამ მჟავე მურაბების, ფორთოხლებისა და ზოგიერთი ხილის გარდა სხვა რამის ჭამა აკრძალული ჰქონდა.

დღეს უკვე მეოთხე დღეა საჭმელად არაფერს აძლევდნენ, მაგრამ ოლღა ნუ ინაღვლებდა, ყველაფერი გაივლიდა და ილიაც გამოჯანმრთელდებოდა.

მათი საქმისა რა შეეტყო ქალს?

რატომ არასა სწერდა ამის თაობაზედ?

რა კარგი გახლდათ დღეს!

მისი გვრიტიც კი რამდენიმე ხანს დაღონებულიყო, საქმრო რომ ისე ენახა. ილიასაც შეეცოდებოდა და, თუმც არ ეცინებოდა, გაუცინებდა ხოლმე. და მაშინ მისი ოლიკოც გაუმხიარულდებოდა.

შესთხოვდა, რომ ბარათები არ მოეკლო, თორემ უკეთეს წამალს წაართმევდა და მერე თვითონ ქალიც ცარიელზე დარჩებოდა.

ასე ნეტა კიდევ ერთხელ მაინც საქმროსთან შეფრენილიყო!

ღმერთს ეფიცებოდა: მკვდარიც რომ ყოფილიყო, გაცოცხლდებოდა. გაგონილიყო კი ამისთანა უღვთოობა: დღესა თუ ხვალ მისი ცოლი უნდა გამხდარიყო ოლღა გურამიშვილი და... როცა კი უჭირდა ილიას, ვერა ხედავდა.

27 მარტს დეპეშურ სტრიქონებს იმყოფინებდა:

მოხარული ვარ, ჩემო ანგელოზო, ნება მომეცი გაკოცო კარგი ამბის შეტყობინებისათვისო.

28 მარტს მგონი ცოტათი მომჯობინდებოდა. ექიმს ელოდებოდა და გამოჩნდებოდა, რას იტყოდა. ალბათ ნახევარი საათით ადგომის ნებას დართავდა. იმდენად საეკლესიო ცერემონიის ნახვა არ ენდომებოდა, რამდენადაც თავისი მშვენიერი ანგელოზისათვის ოდნავ თვალის მოკვრა.

და იმავე დღეს ეს ბარათიც უნდა მიეყოლებინა, რომ:

ექიმი მოუვიდოდა და ხვალ გარეთ გასვლის ნებას მისცემდა, თუკი კარგი დარი იდგებოდა. მართალია სუსტად გახლდათ, მაგრამ ავადმყოფობისაგან კი არა, არამედ იმის გამო, რომ ორი დღეა პირში ფორთოხლებისა და მჟავე მურაბის გარდა ლუკმა არ ჩაედო.

ხვალ ოლიკოს სანახავად გამოვიდოდა.

ძალზე უხაროდა, მათი საქმის თაობაზე კეთილი ამბავი რომ ეუწყებინა ქალს.

ღმერთს ენება, ღმერთს ენება და ყოველივე შესაფერისადაც დაგვირგვინდებოდა.

ისე ილიას და მასთან იმყოფებოდა, ლიზა, და კიდევ ერთ წელიწადს დარჩებოდა აქ.

2 აპრილს კვლავ მიტევებას სთხოვდა, ასე გვიან რომ უგზავნიდა წერილს. უპატივცემულესი ლაზარე მთელი კვირა ისე იქცეოდა, რომ ბრაზით ავსებდა ილიას; და მის მიმართ ცუდი რამე რომ არ ეკადრა, გადაწყვეტდა, გაეგდო, და გააგდებდა კიდეც.

აღარ ეცოდინებოდა, ვისთვის გამოეტანებინა ბარათი. ხალხი კი ჰყავდა, მაგრამ არ ეგონა, თუ ვინმეს ეცოდინებოდა გურამიშვილთა სახლი. გამოკითხვის შემდეგ გამოირკვეოდა, რომ: თურმე ყველასაც სცოდნოდა. გაიხარებდა ილია და აგერ სწერდა.

გუშინ მასთან მისულიყო ხეჩო, დარჩიანოვი, და დაეიმედებინა:

– თადეოზ გურამიშვილი დაგლოცავს.

ამბობდნენ: ნაწყენი არისო.

და ილიას არ უკვირდა მისი განაწყენება, რადგანაც მისთვის არაფერი შეეტყობინებინათ და ისე მოეგვარებინათ საქმე.

ეს – სხვათა შორის.

დღეს საღამოს ირაკლი მუხრან-ბატონს ესტუმრებოდა, შუადღისას კი დახმარების სათხოვნელად – ივანე მალხაზის ძეს, ანუ გენერალ-ლეიტენანტ ანდრონიკაშვილს.

გუშინ 7-დან 9 საათამდე ძაღლივით მოუწევდა წანწალი ძაღლების ბაღში. წერილის გამო უყურადღებობისათვის ოლიკოს რიგიანად დაესაჯა.

სთხოვდა: თუ ქალთან ლაზარე მივიდოდა, ნუ მიიღებდა და ნუ მიუშვებდა თავისთან, თორემ ილიას აწყენინებდა.

3 აპრილს შეწუხდებოდა ქალის გულისწყრომის გამო: როგორ თუ ჩემს სანახავად მაღლა „ბალკონზედ“ ახვედიო!..

დღეს მთელი საღამო სულ ბაღში დაეღამებინა და ოლიკო კი ვერ ენახა.

– რა დაგემართა?

ხვალ მალხაზიჩი, ივანე ანდრონიკაშვილი, ესტუმრებოდა თადეოზ გურამიშვილს და ხვალვე ეგება ილიაც ხლებოდა თავის ქალბატონს.

ლაზარესი ნუ შეეშინდებოდა ოლიკოს – გამცემი არ იყო.

ცოტას სწერდა იმიტომ, რომ სტუმრებით გატენილიყო ამისი სახლი. და იმედოვნებდა, რომ ოლღა პასუხს აღირსებდა.

4 აპრილს კარგად ყოფნის დილას რომ უსურვებდა, წუხილსაც დაურთავდა, რომ:

ქალი მუშტაიდში ყოფილიყო წუხელ, ილია კი – არა.

განა არა, გული უწევდა უნდოდა წამოსულიყო, მაგრამ ამისიც ეშინოდა: ვაითუ აქ ბაღში გამოვიდეს და მოვცდე ოლიკოს ნახვასაო.

დღეს სადილს აქ შეჭამდა, საიდანაც გუშინ დაენახა ქალი. 2 საათზე მივიდოდა და დაე ოლიკო დანახვებოდა, თორემ ილია... გიჟს დაუძახებდა.

რარიგ მოუთმენლად მოელოდა მალხაზიჩის გამოჩენას! მათი ბედი სასიკეთოდ რომ დატრიალებულიყო და ოლიკოს ნახვის ნება დაერთო, რარიგად გაიქცეოდა მისკენ.

ეს კი იყო, მათ იქ ცალკე ოთახი უნდა ჰქონოდათ, რომ მარტო ისინი ყოფილიყვნენ ხოლმე და სხვა არავინ.

– არა, შენ გეთაყვანე, ესე კარგი არ იქნება?

– შეყვარებულებსო, – პოეტები ამბობდნენ, – მარტოობა უყვართო.

და ილიას ახლა სჯეროდა, რომ ეს მართალი გახლდათ.

ეჰ ნეტა ენახა ხოლმე და რას დაეძებდა, საცა უნდა ყოფილიყო, სულერთი გახლდათ, ათასი კაციც რომ დახვეოდათ გარშემო, ოლიკოს მეტს მაინც ვერავის დაინახავდა ილია.

ხოლო წინასწარმეტყველივით ღაღადებისას:

ჩვენ რომ ერთიერთმანეთს გადვუდგებოდით, თავს შევიკეტავდით ჩვენს პატარა ხუხულებში და ერთიერთმანეთს აღარ დაველაპარაკებოდით, რა საკვირველია ენაც დაგვიმუნჯდებოდა და დაგვიკოჭლდებოდა.

მეტყველების ნიჭს რომ ისეთი ვარჯიშობა ესაჭიროებოდა, როგორც სხვა ყველაფერს.

მეტყველების წყარო კი აზრია და აზრის წყარო – გონებითი ცხოვრება.

ჩვენ განკერძოების შემდგომ გონებითად აღარც გვეცხოვრა და, რადგანაც ენას მაინც პირში ტოკვა უნდოდა ჩვეულებისამებრ, ავიღებდით და უაზრო ხმებს, რომლებიც ჩვენი ხუხულების გარშემო პირუტყვის ბუნებაში ისმოდა, ენის სალაქლაქო ქართულ სიტყვებად ვაქცევდით, და მადლობა ღმერთს დღევანდლამდე ამგვარი სიტყვებით იოლად მოვდიოდით.

ამიტომაც პირუტყვ-ბუნების მსგავსი სიტყვებით იოლად აივსებოდა ჩვენი ენა.

და დახე, თუ გონებითი აზრის მცველ ერთ სიტყვას მაინც ემატნა.

მაგალითი გვენება?

თუნდ ათასს შემოგვთავაზებდა ილია:

ფრიალი, კრიალი , ბრიალი, პრიალი, გრიალი, ქრიალი, ღრიალი, ჭრიალი, ხრუტუნი, ღრუტუნი, სრუტუნი, წრუტუნი, ჟრუტუნი, ფრუტუნი... და ათასი ამისთანათი აივსებოდა აზრმოკლებული, უნიადაგო ჩვენი უბედური ენა.

სადღა იყო ქართული ენა?

ქართველობა გათავთავებულიყო, მამულიც – აგრეთვე.

სადღა გაება ქართულ ენას თავისი ფესვი საერთო აზრიანობისათვის?

კიდევ იმას გაიმეორებდა, დაუბეჯითებდა და შეაგონებდა მკითხველს წინასწარმეტყველური ჟინითა და სწრაფვით:

მე რა მქონდა შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრნა, და რომ ერთმანეთის აზრის აღებ-მიცემობისათვის საერთო მნიშვნელობის სიტყვა და ენა შეგვექმნაო?

შენ შენთვისო, მე – ჩემთვისო: ძმებს ერთმანეთისათვის გვეთქვა და ცივად თავი დაგვეკრა, უცრემლოდ ძმა ძმას გამოვსალმებოდით, უკანასკნელი საერთო სიტყვა „მშვიდობით“ უკანასკნელადღა გვეხსენებინა, შენ იქით წასულიყავ და მე – აქეთ, თვითეულად, თავთავადა, და ვინ უწყოდა, როდისღა შევხვდებოდით ერთმანეთს, რომ კიდევ ძმური, ერთიანი, განუყოფელი ქართული „გამარჯვება“ გვეთქვა შენ – ჩემთვის და მე – შენთვის.

და ამ ამონაკვნესით უნდა დასრულებულიყო ეს წინასწარმეტყველური ტკივილითა და გზნებით გაჟღენთილი პროგრამა, სინას მთის გადმონაშუქი, ახალი სივრცისაკენ გზის გამკვალავი ჩვენი მცნებანი, ამოვლებული ქრისტიანობის ემბაზში:

ჩემო დაკარგულო ძმაო თუ დაოო!..

გამჭვირვალე გახლდათ ყოველი სტრიქონის ქვეტექსტი და მითუმეტეს – ფინალური მონაკვეთისა და ფრაზისა, დიდი, საყოველთაო ერთიანობის რწმენით რომ აღვსილიყო და, პირწმინდად დაკარგული ტერიტორიის სივრცეში, სახელმწიფოს წარმოსახვითი სურათის აღდგენის აუცილებლობას ქადაგებდა, ამ აუცილებლობას უბეჭდავდა ყველას გულსა და გონებაში და სიმხნევით მსჭვალავდა, ეროვნული ენერგიის ამოსაფრქვევად განაწყობდა და საკუთარი ვინაობის დასამტკიცებლად აგულიანებდა.

5 აპრილს სიხარული აღტკინება-აღტაცებაში უნდა გადასვლოდა:

„ვაშა“ ვის ეკუთვნოდა – ილიას თუ ოლიკოს?

არცერთ მათგანს.

მხოლოდ ხეჩოს.

და ამ უკვდავი ხეჩოსათვის უნდა შეეძახათ ერთად „ვაშა“!

აი ხომ ხედავდა ოლღა, რა საქმე მოეგვარებინა ხეჩოს.

დაე ამის შემდეგ სცოდნოდა ქალს, რომ: პატარა ადამიანებსაც შეეძლოთ დიდი საქმის მოგვარება.

სახელი და დიდება უნდა რგებოდა მას, რაკიღა მოეხერხებინა ამათი საქმის უდავიდარაბოდ მოთავება.

მაშ ერთადაც შეეძახათ მისთვის: ვაშა!

ოლიკოს უნდა ჩამოეცვა იმისათვის წვეტიან თავზე დაფნის გვირგვინი და იმ გვირგვინში იქნებ ალკიბიადესაც დამსგავსებოდა ილია ჭავჭავაძე.

ოლიკოს უკვე დათრობაც მოესწრო?

ცუდად ახასიათებდა ხომ თავის თავს ქალი პირველ ხანებშივე?

თუმც თვით სიხარულიც, მითუმეტეს მოულოდნელი, ხომ დამათრობელი ბანგი გახლდათ და ზოგჯერ ღვინოზე მეტადაც არყევდა, თუკი კაცი მას არ შესჩვეოდა.

ოლიკოს მორჩილი მსახურიც ახლა მისგან იმასვე გრძნობდა, რასაც ოლიკო გრძნობდა შამპანურის დალევის შემდეგ.

– ბარი ბარში, ჩემო გვრიტიკო!..

როგორც კი ოლიკოსგან მობრუნდებოდა, ლაზარეს ორლანდისთან გაგზავნიდა.

თუ — ექიმის დასტურით — ხვალ ილიას წამოდგომა სახიფათო არ იქნებოდა, თვითონვე წავიდოდა იქ, სადაც საჭირო იყო, და ყველაფერს მოაგვარებდა.

და... გაოგნება... და... აღტაცება... და... დაუჯერებლობა... და ნანინანატრის მიწვდენის სიხარული... და...

– ქალო! მართლა ჩემი ხარ?..

6 აპრილს ხუთ საათზე ადგებოდა და სავსებით ჯანმრთელადაც გრძნობდა თავს.

და მცირე ბარათს რომ შეადგენდა ოლიკოს სახელზე, ამ კითხვასაც ჩაურთავდა:

იცი, რატომ ავდექი ასე ადრეო?

დიდი რამ მისახვედრი არ გახლდათ, მაგრამ თავის მხრივ სურდა დაედასტურებინა სისხამზე ადგომის აუცილებლობა:

რათა ემუშავა, რათა თავისი საქმეები ადრე მოეთავებინა და დიდი დრო დარჩენოდა თავის ანგელოზთან სალაღობოდ!..

და ამიერიდან სულ ასე უნდა ყოფილიყო:

დილის საათებში, როცა მის ანგელოზს ეძინებოდა, ილია იმუშავებდა, რათა მთავარი დრო მასთან გაეტარებინა.

და მოზღვავებულ გრძნობებს ვეღარ უძლებდა:

– რა ბედნიერებაა!..

ჰეპი ენდით მთავრდებოდა სატრფიალო ბარათთა პოემა, პირდაპირ სამიჯნურო პოემადაც რომ ითქმის.

გნებავთ რომანიც ვუწოდოთ, სხვა არაფრის მიმატება რომ არ ესაჭიროება. ჰა – თუ მაინცდამაინც – ცალკეულ პირთა ვინაობანი რომ გაიშიფროს და ერთი-ორი საგულისხმო დეტალიც მიემატოს, კომენტარების ჟანრს რომ არც გაცდება, და... მზამზარეული რომანია, იმხელა განცდებითა და მღელვარებით აღვსილი, მთავარი გმირებისაც და გარშემომყოფი საზოგადოებისაც, და ნეტა რომელი რომანი დაიტევს უფრო მეტს, რომელი რომანი გააშიშვლებს უფრო კანთიელად და ხელშესახებად შეყვარებულ გულთა თრთოლვას, სულიერ კარდიოგრამას, და რომელი რომანი წარმოაჩენს უფრო რელიეფურად და ნიშანდობლივ საზოგადოებრივი ყოფისა და ეპოქის მაჯისცემას?!.

ჩახრუხაძისა და შავთელის პოემათა სტროფებივით ალუფხულიყო ეს ბარათები ერთიმეორეში და კომპოზიციური ჩარჩო და ქარგა სრულიად მორღვეულიყო?

პავლე ინგოროყვა ყოფილიყო შემსწრე ამ დაღავება-ალუფხულობისა და... ასე დატოვებდა?

სატრფიალო პოემას დაუბრუნებდა თავის ნამდვილ სახეს, ძიებათა სურათს სულაც დეტექტიურ მოთხრობად და წარმტაც საკითხავად რომ აქცევდა.

სხვა ხანა იწყებოდა ილიას ცხოვრებაში და 5 საათზე ადგომა უკვე აუცილებელი ხდებოდა, რათა საქმეები მოეთავებინა, ის ათასგვარი საქმე და საზრუნავი, წესითა და კანონით უამრავ ადამიანზე რომ უნდა გადანაწილებულიყო, მაგრამ – ვითარებისდაკვალობაზე – ილია ჭავჭავაძეს მარტოს უნდა ეტვირთა, სხვათა საზიდიც მას უნდა ეზიდა, სხვათა გასაკვლევიც მას უნდა გაეკვალა, სხვათა დასანგრეველიც მას უნდა დაენგრია და სხვათა ასაშენებელიც მას უნდა აეშენებინა, თორემ ოცნების საქართველო მართლა ოცნებად დარჩებოდა, მერე კი სულაც გაფანტულ, დამსხვრეულ ილუზიებად.

ხოლო ლელვისაგან უნდა გვესწავლა იგავი ესე:

რაჟამს იგი რტონი მისნი დაჩვიოდნენ და გამოვიდოდნენ ფურცელნი, უნდა გვერწმუნა, რომ ახლო იყო გაზაფხული, ძველქართული ზაფხული რასაც გულისხმობდა.

ახლო არს ზაფხულიო, – შეგვაგონებდა იესო მაცხოვარი.

ახლო არს ზაფხულიო, – შეგვაგონებდა ილია ჭავჭავაძე.

„ახლო" – ისტორიის გადასახედიდან, თორემ...

* * *

გონებითი ცხოვრების გაშლა და გაცხოველება გვაპოვნინებდა და აღგვადგენინებდა თანდათანობით დაკარგულ ქვეყანას.

მამულს გამოიყვანდა კერძოობითის ვიწრო საზღვრებიდან თუ უფრო ჩარჩოდან.

ქართულ ენასაც აწ უკვე მთელი თავისი ძალმოსილებით უნდა გაება ფესვი საერთო აზრიანობისათვის.

და გამზადებულიყო ყველაფერი ძმური, ერთიანი, განუყოფელი ქართული „გამარჯვების" სათქმელად.

თავი მერვე

ულელი ჩინოვნიკური

თელეთიდან ქალაქს რომ ჩამოუვლიდნენ და შეუდგებოდნენ კახეთის გზას, კნეინა დარეჯანი ზურგს შეაქცევდა კოფოს, წამოიჩოქებდა და გამოჰხედავდა ქალაქს. და ლუარსაბსაც გამოაღვიძებდა, ტკბილად რომ მისძინებოდა ურემში.

კნეინას ქალაქი ჯერ რომ არ ენახა, გააოცებდა მისი სიდიდეც და ქვითკირის შენობების წყებაც, და საყდართა სიმრავლეც, ლუარსაბი თავს რომ გამოიდებდა, რაკიღა ქალაქში ნამყოფი გახლდათ.

– პირველად რომ ჩაგიყვანეს, კენჭები არ გადაგაყლაპეს? – უნდა ეკითხა კნეინას.

– როგორ არა? სამი ისეთი კენჭი ჩავყლაპე, რომ ძლივს მოვინელე, – მიუგებდა ლუარსაბი.

– აღარ დაგცადა ქალაქმა?

– არა, რაღას დამცდიდა, რომ კენჭებ-ჩაყლაპული ვიყავ? რომ არ ჩამეყლაპა, მაშინ სხვა იქნებოდა.

– ეგ ხომ ეგრეა. კაი სანახავი კი უნდა იყოს, – დანანებით უნდა ეთქვა კნეინას, რაკიღა ქალაქში შესვლა არ ეღირსებოდა.

თუმც ამჯერად ის სიტყვებია საგულისხმო:

კენჭები არ ჩაგაყლაპესო?

ეს პასაჟი შესაძლოა ბევრისათვის მთლად გასაგები არა ყოფილიყო და ამიტომაც ილია სქოლიოს დაურთავდა, მაინცდამაინც რომ არა სჩვეოდა, მაგრამ აქ, „კაცია-ადამიანის“ თხრობაში საჭიროდ ცნობდა:

– ჩვენში ბევრსა სწამს, რომ, თუ ვინც პირველად ქალაქში ჩადის და კენჭს არ ჩაჰყლაპავს, ქალაქი დასცდისო. მეც, ამის დამწერს, გადამაყლაპეს ერთ დროს.

თავს ვერ შეიკავებდა, რომ ეს ბიოგრაფიული დეტალი არ აღენიშნა, და რა კარგია, მხოლოდღა განმარტებას რომ არ იკმარებდა.

მეტად სახიერია ეს ფრაზა, არამცთუ საგულისხმო. და შესაძლოა ის გადახდენოდა, რასაც აგერ პერსონაჟს მიაწერდა: სამი ისეთი კენჭი რომ ჩაეყლაპა ლუარსაბს, ძლივს მოენელებინა.

ისე რაღაც თბილი გეღვრება გულში, როდესაც წარმოიდგენ პატარა ილიას, კენჭს რომ აყლაპებენ: ქალაქმა არ დაგცადოსო.

ეს წინასწარწმენა და ამ თავისებურ რიტუალში მონაწილეობა ისე წარუშლელად აღიბეჭდებოდა მის ცნობიერებაში, შემთხვევას იშოვნიდა თუ არა, მკითხველს ამცნობდა.

ამავე მოთხრობაში კიდევ ერთ სქოლიოს ჩაურთავდა და კვლავ წინასწარმეტყველის ნიმუშს, თვითონ ამაოდმორწმუნეობად რომ მოიხსენიებდა, და ეს იმ ეპიზოდში, სიზმრად ლუარსაბი ღმერთს რომ ემუდარება და... თავის ძმაზე, დავითზე, კი ეუბნება:

– მერცხალი გინდა, იმას დასძლევს ხოლმე, ოფოფი გინდა, იმას დასძლევს, კვიცი – რაც გინდა, ყველაფერი ბოროტი იმაშია.

და აი მწერალს უნდა გაეხსენებინა ის რწენა, რომ:

თუ ღვინოდალეული არ შეხვდებოდი პირველად მერცხალს, მერცხალი დაგძლევდა. კვიცს რომ დაინახავდი, მაშინვე ქვაზედ უნდა შემდგარიყავი, თორემ დაძლეული იქნებოდი, ოფოფს თმადავარცხნილი უნდა დახვედროდი და ამისთანები.

და ღიმილით დაერთო:

ლუარსაბს, როგორც ათასს სხვას, ეს დაძლევა ცოდვა ჰგონია და ამიტომაცაა, ეგრე გულმოდგინედ რომ აბეზღებს დავითს ღმერთთანო.

ამგვარ გადმოცემებს ყოველთვის უკვირდებოდა და პეტრე უმიკაშვილსაც ურჩევდა, ამოეკრიბა ხალხის მეხსიერებიდან ამაოდმორწმუნეობის ჩვეულებანი, ისევე როგორც ყოველგვარი წესი, თაობიდან თაობაში რომ გადმოდიოდა და პოლიტიკურ ცვლილებათა მიღმა აგრძელებდა არსებობას.

ერთი ასეთი წესი, ყოფითობიდან ამოზრდილი თავისებურ სიმბოლიკა, ნოველაში გამოეყენებინა: „სარჩობელაზედ“ – რომელშიც ახსენებდა თუ არა გზის მამალს, მაშინვე სქოლიოსაკენ მიუთითებდა მკითხველს და განუმარტავდა, რომ:

ურმის ქარავანი შორ მანძილზე რომ წავიდოდა, ერთ-ერთ ურემზედ მამალს დასვამდნენ ხოლმე, რათა მას გათენება შეეტყობინებინა ქარავანისათვის. მეურმეების საათი გზაზედ მამალი გახლდათ. უფრო ხშირად ვისაც პირველობა ენიჭებოდა ქარავანში, მამალიც იმას ეჯდა ხოლმე. ურმის ქარავანში პირველობა, ანუ წინაურმის მეურმეობა, გლეხობაში სასახელოდ მიიჩნეოდა, რადგანაც მხოლოდ კარგს, გზის მცოდნეს, ფხიზელს, სანდო მეხრეს და კაი ხარ-კამეჩის პატრონს ანდობდნენ ხოლმე ამ პირველობას.

ცალკე იყო შესაგროვებელი ამისთანა წეს-ჩვეულებანი, ისევე როგორც ხალხური სიტყვიერების სხვა ჟანრთა ნიმუშები, და მათ შორის ის ანდაზები, პირზე რომ ეკერებოდა ილია ჭავჭავაძესაც და თავის ნაწერებშიც მიმოაბნევდა, ძალდაუტანებლად რომ წამოაგონდებოდა ხოლმე ხალხური სიბრძნის ეს მარგალიტები, აკაკი წერეთლისა არ იყოს, ამ ორის მიერ მოხმობილი ანდაზები ცალკე რომ გამოიკრიბოს, ერთი ჩინებული კრებული საკუთრივ შედგება.

პეტრე უმიკაშვილთან სხვაც არაერთი რამ ექნებოდა გასაზიარებელი, ოღონდ მანამდე ის ეპიზოდია გასახსენებელი „კაცია-ადამიანიდან“, ლუარსაბის რძალი ელისაბედი რომ ესტუმრებოდა ცოლ-ქმარს, გოგოსა და ბიჭს დაითხოვდნენ და გარშემო რომ აღარავინ იქნებოდა, დაბალი ხმით ამცნობდა მასპინძლებს კუდიანი ვარსკვლავის ამოსვლის ამბავს, იმ დღეს თურმე გველეშაპი რომ გამოსდგომოდა მზესა.

– დიახ, დიახ, გავიგეთ! – წამოიძახებდა ერთად შეშინებული ცოლ-ქმარი.

– იმ კუდიან ვარსკვლავზედ და გველეშაპზედ სომხების ტერტერებს თავიანთი კარაბადინი გაუშლიათ და უთქვამთ, რომ, – აქ უფრო დაიდაბლებდა ხმას ელისაბედი, – თავადიშვილებს ყმები ჩამოერთმევათო.

– ვაი შენს ლუარსაბს, – უნდა წამოეძახა ფერწასულ მასპინძელს, – ეგ რა თქვი, რა? აკი მოგახსენეთ, ბატონებო, რომ წარღვნა უნდა მოვიდესმეთქი. აი, ღვთის წყრომა! სულ ჩვენისავე ცოდვებისაგან მოგვევლინა.

მაგრამ დარეჯანი დამშვიდებას რომ დაუწყებდა: სომხების კარაბადინს როგორ უჯერებო! – კიდეც დააწყნარებდა და ათქმევინებდა:

– ჭორი იქნება აბა, გეთაყვა, მეფის ერეკლეს ნაბოძებს სომხის კარაბადინის სიტყვით ვინ წამართმევს? თუნდ ეგ არ იყოს, რიღას თავადიშვილი ვიქნებით, თუ ყმაც არ გვეყოლება: კარაბადინი კი არა, სოლომონ ბრძნის წიგნიც რომ იყოს, არ დავიჯერებ. ან რა დასაჯერია?

– რასაკვირველია, დასაჯერი არ არის, მაგრამ გლეხობაში ეგ ხმა გავარდნილა და ეგ ცუდია, ჩემმა მზემ, – იტყოდა ელისაბედი.

– ხმა გავარდნილა, მე ვიცი, თათქარიძეობას წამართმევენ! შარშან კი არ იძახდნენ, რომ საიქიოს ბატონები ყმებად შეიცვლებიან, ყმები ბატონებადო, – ვენაცვალე ღვთის მდლსა, იქაც ისე არიანო, ბატონი ბატონადა, ყმა ყმადაო, როგორც აქა. ინგლისის ხელმწიფეს ბარათი ჩამოუგდიაო ფრანგის ხელმწიფისათვის, რომ „ნუ გეშინიანო, მეცა და ჩემ დიდკაცებსაცაო აქ უფრო დიდი პატივიც გვაქვსო, მინამ მანდაო. ნუ დაიჯერებო, რასაც მანდ ყბედობენო“.

– რასაკვირველია, ეგ ეგრე იქნება: ბატონ-ყმობა ღმერთს დაუწესებია და თითონვე ღმერთი რად მოშლის? ვენაცვალე ღვთის დიდებასა! – უნდა ეთქვა დარეჯანსაც.

– უფლისა უფალსა და კეისრისა კეისარსაო, სახარებაში სწერია: კეისრები ჩვენა ვართ, – დასძენდა ელისაბედი.

– მართალი ბრძანებაა, ჩემო რძალო! სახარების სიტყვას ვინ წაუვა? – მიატანდა დარეჯანი.

– არავინ, თქვენმა სიცოცხლემ! – დაამტკიცებდა ელისაბედი და წამოდგებოდა შინ წასასვლელად, – მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

– მშვიდობით, ჩემო რძალო! ბიჭებში კი ხმა გააგდეთ, რომ ტყუილიათქო, – ურჩევდა ლუარსაბი.

– თქვენც რომ ეგრე ჰქმნათ, ცუდი არ იქნება: გლეხები არიან, მალე დაიჯერებენ ტყუილსაც და მართალსაც. მშვიდობით, – გამოესალმებოდა და წავიდოდა ელისაბედი.

ლუარსაბს კი მალევე მოურავი უნდა დაებარებინა და განეცხადებინა მისთვის:

– ყმები ჩამოგვერთმევაო, რომ ამბობენ, ტყუილია. გესმის თუ არა? ყველას უთხარი, რომ ტყუილია. ხელმწიფეს მოუწერია, რომ დავარჩობ, ვინც იტყვის, რომ ეგ მართალიაო, ვინ გუნებაში მაგას გაიტარებსო. გაიგე?

– გავიგე, შენი ჭირიმე! – მიუგებდა მოურავი, – განა მაგას ვინა ჰფიქრობს? აი, რაღაც გოგო-ბიჭები მიჰქარავენ, შენი ჭირიმე, იმათ ვინ დაუჯერებს. წვრილფეხობის სიტყვა რა დასაჯერია? იყბედებენ და გაჩუმდებიან.

და მერეა უკვე ის პასაჟი, ლუარსაბი რომ ეტყვის ცბიერ მოურავს:

ან რა კარგი იქნება თქვენთვის, რომ ჩვენ არა გყავდეთ, რაც უნდა იყოს მამასავით გპატრონობთო.

და ირონიული ისრები არ დააკლდებოდა ალექსანდრე ორბელიანის მამაშვილობის თეორიას, მოგვიანებით გადასინჯულსა და ფარზეც აზიდულს თვით ილიას მიერვე, ოღონდ ის სარკაზმი, რასაც გამოიჩენდა ბატონყმობის გაუქმების მიმართ, აღარც არასოდეს შეეცვლებოდა – ეს გახლდათ გარდუვალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესი, რომელიც ისევე ბუნებრივად უნდა წარმართულიყო და შესაფერისადაც მოთავებულიყო გუბერნიებად დანაწილებულ ყოფილ საქართველოში, როგორც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირობებში უნდა აღსრულებულიყო.

„კაცია-ადამიანის“ ამ სატირულ პასაჟში ხელშესახებად აირეკლებოდა ის განწყობილება, რაც იმჟამინდელ საზოგადოებრივ ყოფაში ტრიალებდა და ილიაც ამ მოვლენების შუაგულში იქნებოდა მოქცეული.

რუსეთში გლეხებს რომ გაათავისუფლებდნენ, საქართველოშიც დაარსდებოდა თავადაზნაურთა კომიტეტი იმ პროგრამის შესამუშავებლად, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო ეს პროცესი ჩვენში. დიმიტრი ყიფიანი, იმჟამინდელი საგუბერნიო მარშალი, სთხოვდა ზოგიერთ წარჩინებულ პირს, გაეგზავნათ მისთვის წერილობითი აზრი, როგორ უნდა გათავისუფლებულიყო გლეხობა – უმიწოდ თუ მიწიანად...

მხოლოდ იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილები იქნებოდნენ ყაბულს: მიწიანადო.

ამიტომაც კომიტეტი უმრავლესობის აზრის გათვალისწინებით დაადგენდა: უმიწოდო.

და მოიწვევდნენ თავადაზნაურთა საგანგებო კრებას კომიტეტის დასკვნის განსახილველად.

კრებას გააცნობდნენ ოქმებს და გაიმართებოდა კამათი.

და აი უნდა წამომდგარიყო სალიტერატურო ასპარეზზე ახალგამოსული ილია ჭავჭავაძე და ხმამაღლა განეცხადებინა:

– გლეხებს მიწა უნდა მიეცეს.

კრების უმეტესობას ეს აზრი აღაშფოთებდა. ის კი არა ერთი თავადი ხანჯალსაც კი იშიშვლებდა და ლანძღვა-გინებით ილიასაკენ გაიწევდა, წონასწორობადაკარგული რომ იყვირებდა და იყვირებდა:

– გამიშვით, გამიშვით, ახლავე უნდა მოვკლა!..

წინ რომ არ გადადგომოდნენ, ნეტა რა მოხდებოდა?

ილია იარაღს არ ატარებდა, მაგრამ ფეხსაც არ მოიცვლიდა ადგილიდან, და ალბათ სკამს წამოავლებდა ხელს თავის დასაცავად. რას წარმოიდგენდა ან ის თავადი და ან სხვა მონაწილენი იმ კრებისა, ამ შედარებით ტანმორჩილ, არცთუ სპორტული აღნაგობის ახალგაზრდა კაცში მეომრის სული თუ ტრიალებდა, და სულაც თავზეხელაღებულობა სჩვეოდა, მოგვიანებთი არაერთხელ რომ მოუწევდა ამის დამტკიცება.

გაგიჟებულ თავდამსხმელს შეაკავებდნენ და გარეთაც გაიყვანდნენ, მაგრამ ძლივძლიობით, რაკიღა ადვილი დასაშოშმინებელი არ აღმოჩნდებოდა.

ქრისტეფორე მამაცაშვილი დასწრებით არ ესწრებოდა ამ კრებას, რადგანაც გომბორში მსახურობდა, მაგრამ სასწრაფოდ შეატყობინებდა ილია წინამძღვრიშვილი, რომელიც ამ სტრიქონებსაც მოსწერდა:

– ჩქარა თბილისში ჩამოდი, რომ ახალგაზრდობა ილიას გარს შემოვერტყნეთ და ბატონყმობის მოსპობის საქმე დავიცვათ.

ისიც ჩამოასკდებოდა გომბორიდან და რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად, რომელთა შორისაც იმყოფებოდნენ ბარათის ავტორიც და ანტონ ფურცელაძეც, მუდმივ შორიახლო გაჰყვებოდნენ ილიას და მზად იქნებოდნენ მის დასაცავად.

მეორე კრებაზე გლეხთა გათავისუფლების წინააღმდეგ ილაპარაკებდა გენერალ-ლეიტენანტი ივანე მუხრან-ბატონი და არც ამის თქმას მოერიდებოდა:

– უმიწოდ გლეხთა გათავისუფლებას მთელი თავადაზნაურობა მიემხრობა, მიწიანად კი – მხოლოდ ორიოდე კაცუნა.

ყველა მიხვდებოდა, ვისაც გულისხმობდა და ვისაც გადაჰკრავდა უპირველესად, და თვითონაც კმაყოფილებას რომ ვერ დაფარავდა, ეს რა კარგად მივაგე მისაგებელიო, უეცრად ვიღაცას უნდა ეტაცა მისთვის ხელი, თავისკენ მიებრუნებინა და... ორატორი ილია ჭავჭავაძის წინაშე აღმოჩნდებოდა, ჯერ მის ანაკვერჩხლებულ თვალებს რომ დაინახავდა და მერეღა გააცნობიერებდა, ვის ჩაებღუჯა ასე ძალუმად, უფრო ტანმორჩილი რომ ახსოვდა, მაგრამ ახლა როგორღაც თვალდათვალ გაზრდილიყო, თავზე გადმოდგომოდა და ცარიელ ტიკჭორასავით ანჯღრევდა. და ივანეს სადღაც შორიდან ჩამოესმოდა:

– ვინ არიან ეგ კაცუნები?

და პასუხად ამასღა ამოიბლუკუნებდა:

– შევცდი, უბრალოდ სწორად ვერ გამოვთქვი, თორემ „რამდენიმე კაცი" მინდოდა მეთქვა... დიახ, დიახ... რამდენიმე კაცი, კაცი, კაცი... ენა დამება და...

და კიდეც შვებით ამოისუნთქებდა, მარწუხი რომ მოეშვებოდა.

ხოლო ქრისტეფორე მამაცაშვილი, ილია წინამძღვრიშვილი, ანტონ ფურცელაძე და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ღიმილით რომ გადახედავდნენ ერთმანეთს, ამ ღიმილსა და მზერაში ძალდაუტანებლად ამოიკითხებოდა:

ამას რა ჩვენი დაცვა უნდა, აქეთ დაგვიცავს ყველას ერთად, აბა ერთი ვინმემ რაიმე გაგვიბედოსო?!.

და ყინჩად მიმოიხედავდნენ გარშემო.

ამ დროს დარბაზში უნდა შემოსულიყო ტფილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი, მეფისნაცვლის ადიუტანტი ალექსანდრე ორბელიანი (ისედაც მიხვდებით, ეს სხვა ალექსანდრე ორბელიანი რომ გახლდათ და ი ს არა!) და კრებას განუცხადებდა „ნამესტნიკის" დანაბარებს:

– თავადაზნაურობა გლეხთა გათავისუფლებას უმიწოდ ფიქრშიაც ნუ გაივლებს.

და უმრავლესობა დაემორჩილებოდა ამ განკარგულებას, თუმც შემდგომ მთავრობა თავის სიტყვას უკანვე წაიღებდა და გააჩენდა დროებით ვალდებულებას.

იმ რამდენიმე კაცში, ილიას დაცვა რომ განეზრახათ ხანჯალგაშიშვლებულ მოშუღართაგან, აკი ანტონ ფურცელაძეც იმყოფებოდა, თუმც ეს ხელს ვერ შეუშლიდა, თავისი მხრივ მძაფრი კამათი გაემართა „საქართველოს მოამბესა“ და მის რედაქტორთან. და ნეტა თვითონვე გამოიდებდა თავს თუ „ცისკრის“ რედაქტორს აჰყვებოდა? ილია ვარაუდობდა, ივანე კერესელიძე აქეზებსო, და „ქერელი ბექასა“ თუ „თავხედის“ ფსევდონიმებით გამოქვეყნებული სტატიების გამო პირადად რედაქტორს შეეპასუხებოდა.

ეს ყურმახვილა და ენაჩლუნგი ქერელი ბექა მახე გახლდათ, რომელსაც ამისთანებში გაწვრთნილი „ცისკარი“ „მოამბეს“ უგებდა.

თუ ახალდაარსებული ჟურნალი ხმას გასცემდა და ბექასთან ლაპარაკს არ ითაკილებდა, „ცისკრის“ პატივცემული რედაქტორი მასხრად აიგდებდა „საქართველოს მოამბეს“:

„მოამბეს“ მცირედი დარბაისლობა და თავისი პატივი რომ ჰქონდეს, თავს როგორ გაუყადრებდა ჩემგან მოწვეულ ქერელ ბექას!.. ძლივს მახეში არ გავაბი ჩვენი „მოამბე“! სახელი და დიდება ჩემს ოსტატობასო.

თუ ხმას არ გასცემდა და – ქერელი ბექა დოინჯს აღარ მოიშორებდა და სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგებოდა:

ჰი! ჩავაჩუმე „მოამბე“ თუ არა!.. ენა კი ჩაუვარდათ იმ წყეულ თერგდალეულებსა და! შიშით ხმა ვეღარ ამოუღიათო!..

ზომისათვის რომ არ გადაეცილებინათ სიხარული „ცისკრის“ დარბაისელ რედაქტორსა და მის აიარ-ქარიან ბექას, ილია მოინდომებდა, ისე, ოხუნჯობით გადაემტვრია ის ღობე, რომლის იქითაც დამალულიყო ბექა და კენჭებს ისროდა და უკვირდა კიდეც: რატომ ამ კენჭებით ქვეყანა არ ირყევაო?!.

იუმორის ყველა სახეობას ერთნაირი ხელოვნებით რომ მოიმარჯვებდა ხოლმე ილია, ამჯერად სხარტულა ოხუნჯობას მიანდობდა მოპაექრის ბედს, მთავარ მონაკვეთს კი სულაც დიალოგზე ააგებდა, მაინც ცდიდა დრამატურგიაშიც კალამს და მაინც, იქ „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენების“ რომ შეთხზავდა, იქ „კაცია-ადამიანს“ გადააკეთებდა პიესად „მაჭანკალი“, და მაშ ერთი წარმოსახვითი სცენა აქაც გამართულიყო, „ცისკრის“ რედაქციაში, ივანე კერესელიძე შეფიქრიანებული რომ უჩიჩინებდა ანტონ ფურცელაძეს: ვაითუ თერგდალეულებს გაუწყრეთ ღმერთი, თავზედ ხელი აიღონ და შენთან ლაპარაკი არ ითაკილონ, მერე ხომ შენთან ერთად მეც თან გამიტანენ. რაც მე და შენ ცოდვები ჩაგვიდენია, მოგვიკრეფენ და სულ შხამად ამოგვადენენ! შენ არ იცი, რა დაუნდობელი ხალხია ის თერგელებიო!..

რა ცოდვებს გულისხმობდა და:

ქერელი ბექა რომ წააყვედრიდა „მოამბეს“: აბა როდის გლანძღავდით, აკი ჩვენს მკითხველებს ვახარეთ „მოამბე“ გამოდისო?

მაგრამ თუ ერთხელ ცბიერებით ეხარებინათ, წინა თვეებში მრავალგზის ელანძღათ და ამაში ყველა დარწმუნდებოდა, ვინც თვალს გადაავლებდა „ცისკრის“ ნომრებს აპრილიდან ოქტომბრამდე თუ ნოემბრიდან 1862 წლისა.

ანდა მარტის ნომერში ქერელი ბექა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსს რომ მივარდებოდა: მადა გამიღვიძა და კუჭი კი ვერ გამიძღოო, – პოეზია ნეტა ლობიო-შეჭამანდის ქოთანი ხომ არ ეგონა, რომ ლობიო გაესვლიპა. ვითომ თვითონ ბექას ლექსი, ბაირონიდან რომ გადმოეღო, იმაზედ უკეთესი იყო?.. ცოტა ენას თუ არ შეიკავებდა, „ცისკრის“ რედაქტორს ხეირს არ დააყრიდა თავისი გამოხდომებით, ილიას ყბაში რომ მოჰყვებოდა.

ფელეტონში ჩაერთვოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსის – „ვაჰ, დრონი, დრონი“ – მოხდენილად გადაკეთებული პაროდია, როგორც ივანე კერესელიძის ღაღადისი: ვაი „ცისკრის“ დრონი, ნაქებნი მტკბარად, წარივლტნენ, გაჰქრნენ სიზმრებრივ ჩქარად, მე კი იგივ ვარ მარად და მარად... გლახ ბედისაგან ეგრედ დასჯილი მე ჩემს ბაქიას ვუწოდებ ფარად... ჯერ მარტო ვიყავ, რაებს ვჩადოდი, აწ ბაქიაც მყავს ტაკიმასხარად, მეც იგივე ვარ მარად და მარად... აბა ვინ მე და ვინ ახალი გზა, შენგან არ მიკვირს: გჯერა ნეტა რად? მე ხომ იგივ ვარ მარად და მარად. რით ვერ გაიგეთ, არ ვსდევ ჟამთა ცვლას!.. მე ისევ ის ვარ მარად და მარადო!..

და ბაქია რომ მოუწონებდა, ერთ საყვედურს მაინც შეჰკადრებდა:

ჩინებულია, მაგრამ მე კი მასხარად რომ არ გეხსენებინეთ, უფრო თქვენი სახელის ღირსი იქნებოდაო.

რედაქტორს საყვედური უნდა ეთაკილა:

ახლა, შე დალოცვილო, არ გინდა, რომ ჩემ სიცოცხლეში ერთი მართალი სიტყვა მაინც მათქმევინოო!..

ხოლო ფინალში რედაქტორი რომ უბრძანებდა: ცეცხლში დაწვი ეგ შეჩვენებული „მოამბეო“, – ქერელი ბექა ჯერ წიხლით უნდა შემდგარიყო ჯავრის ამოსაყრელადაც და ივანე კერესელიძისათვის გულმოდგინების საჩვენებლადაც, მერე კი ანთებულ ბუხარში უნდა შეეგდო უმწეო „მოამბე“.

იცინებდა, იხალისებდა ილია წერისას, წინასწარვე რომ იფშვნეტდა ხელებს მკითხველის სიცილ-ხარხარის მოლოდინში და... მოპირისპირეთა დაძმარებისა, ყველაზე ეფექტური გზა რომ გამოეძებნა მათ განსაქიქებლად: არც გაყუჩებოდა „ცისკრის“ თავდასხმებს და არც თავი დაემდაბლებინა, მთელი სერიოზულობით რომ ემტკიცებინა თავისი სიმართლე. წაჰკრავდათ და წამოჰკრავდათ, წაჰკრავდათ და წამოჰკრავდათ... და იუმორისა და ირონიის ფრქვევაში ვერც აჰყვებოდნენ, არამცთუ წაეჭარბებინათ...

– სცენაზე დადგმაც მოუხდება, – ხან ვინ ეტყოდა და ხანაც ვინ, ეს პასუხად მხოლოდ რომ გაიღიმებდა და გაიფიქრებდა: ნეტა რაც დასადგმელია, ის დაიდგასო.

თავისი დამფასებელნი არ მოაკლდებოდა ანტონ ფურცელაძეს, და ნატო გაბუნია არა მხოლოდ თავის, არამედ ბევრი ადამიანის განწყობილებას გამოხატავდა, ანტონს – კოჭლობის გამოისობითაც – ლორდ ბაირონთან რომ აიგივებდა.

შეიფერებდა და რას შეიფერებდა ანტონი, აგერ არტურ ლაისტსაც ასე რომ წარუდგენდნენ მის თავს 1884 წლის ივნისში:

– ეს ჩვენი ბაირონია.

გერმანელი სწავლული მას შემდგომ ხშირად იმიტომაც ნახავდა „ქართველ ბაირონს", ანტონი ილიას რომ სტუმრობდა თბილისში და ხანდახან საგურამოშიც ააკითხავდა ხოლმე ეტლით.

და ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ:

ანტონ ფურცელაძე ქართული მწერლობისა და პოეზიის დიდი მოყვარული გახლდათ. ამასთან ძალიან მოწადინებულიყო, სამაგალითო თხზულებებიც შეექმნა, თუმც... ნიჭი ხელს არ უწყობდა. და ილია მოურიდებლადაც ეტყოდა ხოლმე:

– საამისო ნიჭი არ შეგწევს.

და აუტყდებოდათ კიდეც კამათი. თუმც ანტონს გაგულისება არ ეტყობოდა, მაგრამ თავისი ნაწერების დაცვას მაინც ცდილობდა, მიუხედავად იმისა, რომ პაექრობისას წარმატებას ვერ აღწევდა, მითუფრო – თუ ნიკო ხიზანაშვილი შეესწრებოდათ ხოლმე, მახვილი ენითა და მოსწრებული სიტყვით ანტონს იარაღს რომ აყრევინებდა.

თუ სადმე სხვაგან მოუხდებოდა ანტონის გაქილიკება ნიკოს, ილიას ისევე უამბობდა ხოლმე სახალისოდ, როგორც ამხანაგთა სათრეველ სხვა ეპიზოდებს, ძნელად რომ ვინმეს გაეძლო ნიკო ხიზანიშვილის შემოტევისათვის.

ამისთანა ამბების მოსმენა ძალიან რომ უყვარდა ილიას, ნიკო ამიტომაც გაფაციცებულიყო და გამეცადინებულიყო, ხელსაყრელი შემთხვევა არ გამომრჩეს და ჩემს მეგობარს ახალ-ახალი ანეკდოტური ეპიზოდები დავუხვავო და გულიანადაც გავამხიარულოო.

თუნდ ამ ნაამბობითაც ძალიან აცინებდა.

ეს ორნი – ნიკო და ანტონი – სამკურნალოდ გერმანიაში ერთად რომ გაემგზავრებოდნენ მატარებლით, ბერლინთან მიახლოებისას ანტონი ეტყოდა:

– ჩემი დრამა „გიორგი სააკაძე" თან მომაქვს. გერმანულად გადასათარგმნელად მივცემ და უეჭველად რომელიმე თეატრი წარმოადგენს.

ამ დრამაზე აქ რომ აგრძნობინებდნენ, სცენისათვის გამოუსადეგარიაო, ავტორი არაფრისდიდებით არ დაიჯერებდა, რაკიღა თვითონ დიდად აფასებდა, თანაც სული უსწრებდა, „გიორგი სააკაძე" სცენაზე ეხილა.

– არა, შენს პიესას ვერ წარმოადგენენ, – ცეცხლზე უეცრად წყალს გადაუსხამდა თანამგზავრი.

– რატომ? – გაიბუსხებოდა ანტონი.

– იმიტომ, რომ შენს დრამაში ოცდაათი აქლემია სცენაზე გამოსაყვანი და აქ სად იშოვნიან ამდენ აქლემს? – თავის დროს იშოვნიდა ნიკო, ასე ძალიან რომ უყვარდა გულსაკლავი სიტყვები და ულმობელი კრიტიკა...

როცა ნიკო ხიზანაშვილი სერიოზულ გუნებაზე დგებოდა, მისი ლაპარაკი ძლიერ საგულისხმო გახლდათ და სწრაფად და სწორად მსჯელობდა ადამიანებსა და საგნებზე. და არტურ ლაისტიც ატყობდა, რარიგ უყვარდა ილიას ამის გამო ნიკოსთან ყოფნა, და ცინიკურ გამონათქვამებსაც პატიობდა, თანამოსაუბრე რომ ვერ ითმენდა და ჩაურთავდა ხოლმე თვით ყველაზე სერიოზული საუბრისასაც.

ეგ კია: როდესაც ნიკო ზოგიერთ მოღვაწესა თუ მწერალს მისებური სუსხით შეეხებოდა და დაახასიათებდა, ილია და არტური ერთმანეთს ეჭვით გადახედავდნენ ხოლმე: რაღაც ზედმეტად მკვეთრად იქნევს თავის კრიტიკულ მახვილსო...

და არტურ ლაისტი მართალია არ უარყოფდა და საკმაოდაც დააფასებდა ნიკო ხიზანაშვილის დაკვირვების დიდ ნიჭსაც, მიხვედრილობასაც და კრიტიკულ სიმარჯვესაც, მაგრამ მიიჩნევდა, რომ მის კრიტიკას სალიტერატურო მნიშვნელობა აკლდა, და ეს იმიტომ, რომ: ზომიერების გრძნობა ღალატობდა და, თუკი ვინმე არ მოსწონდა, დაუნდობლადაც შოლტავდა.

– რაო ვითომ, ოცდაათი აქლემის აყვანაც რა გახდა სცენაზე, რა გაუჭირდათ საამისო გერმანელებს? – თითქოსდა მიამიტურად ეკითხებოდა ხოლმე ილია, რათა ნიკოს კიდევ ერთხელ და გემოსჩატანებით მოეთხრო ანტონის ის გაკენწვლა ბერლინის მატარებელში, და თავის მხრივ ექილიკებოდა ილიას:

ჩემი რომ გიკვირთ სუყველას და ზომიერების უქონლობას მაბრალებთ, შენ როგორღა გაიმეტე ასე ძალიან ანტონი, დაუნდობლად რომ მიახალე, არადა სულ ღიმილ-ღიმილით: მე ვიცი, რომ შენ არ შეგიძლია ულიტერატუროდ ცხოვრება, მაგრამ ლიტერატურას კი შეუძლია გაძლოს უშენოდო?

– ეგ როდის? – ეს ვითომ ვერ იხსენებდა.

– როდესაც... – აბა ახლა დღე და საათი აღარ აგონდებოდა.

ილიას ჩვეულებად რომ ჰქონდა წელიწადში რამდენჯერმე თავისი მეგობრების მიწვევა და ახალ წელს, ოლღა გურამიშვილის დაბადების დღესა თუ აღდგომის კვირის ერთ-ერთ დღეს უსათუოდ გამართავდა ხოლმე ასეთ წვეულებას, რაკიღა რედაქციის მუშაკებსაც ყოველთვის პატიჟობდა, გიორგი ლასხიშვილიც რას გამოაკლდებოდა ამ შეკრებებს, ვახშმობამდე კამათი რომ იმართებოდა, ანდა ილია მოგონებებში გადაეშვებოდა ხოლმე და ასეთ დროსაც მის მოსმენას არაფერი სჯობდა.

კარგ გუნებაზე მყოფს მეტად სასიამოვნო და საინტერესო საუბარი რომ სჩვეოდა, ამ დროს სწორედ ამ განწყობილებაზე გახლდათ და ზეპირი მოთხრობებით თავბრუს ახვევდა და აღიტაცებდა ხოლმე სტუმრებს.

ილიას გარდა მის მეგობრებთანაც იკრიბებოდნენ „ივერიელები“, უფრო ხშირად მაინც: ანტონ ფურცელაძესთან, რომელსაც უყვარდა ამ წრეში თავის ნაწარმოებთა კითხვა. წაიკითხავდა ახალ თხზულებას და იწყებოდა კამათი, განხილვა, საუბარი, და ილია და ნიკო ხიზანაშვილი – როგორც სჩვეოდათ – ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ ოხუნჯობაში. და ამასობაში კიდეც დგებოდა ვახშმობის დრო.

ნიკოს, დიდ გურმანს, კარგი ჭამა რომ ეყვარებოდა, ანტონთან მისულიც თავდაპირველად უკანა ოთახებსა და სამზარეულოში უნდა გასულიყო დასაზვერად – მზადდებოდა თუ არა ვახშამი.

როდესაც გაიგებდა, კარგი ვახშამი ყოფილაო, მშვენიერ გუნებაზე დგებოდა და ლმობიერი კრიტიკოსიც ხდებოდა. თუ არადა: გესლიანი კრიტიკით დაეტაკებოდა მასპინძელს.

ერთხელ ანტონი მიიწვევდათ, რაღაც რომ დაეწერა უილიამ შექსპირზე, იმის მოსასმენად. ნიკო ცოტა გვიან მივიდოდა და ჩვეულებისამებრ ჯერ მაინც დასაზვერად მიივლ-მოივლიდა სამზარეულოს.

ანტონს არ უყვარდა შექსპირი და არათუ გენიოსად არ მიიჩნევდა, უბრალო მხატვრული ნიჭიც არ ემეტებოდა მისთვის – და ეს უცნაური შეხედულება დმიტრი პისარევის გავლენით ექნებოდა შემუშავებული.

გიორგი ლასხიშვილსაც და სხვებსაც ყველაზე მეტად იმაზე ეცინებოდათ, ანტონი შექსპირს ცრუმორწმუნეობას რომ სწამებდა და საყვედურობდა „ჰამლეტში“ მამის აჩრდილის გამოყვანას. არადა: ფრენსის ბეკონის საუკუნეში შექსპირს სულების არსებობა სწამდა და სცენაზეც გამოჰყავდა გარდაცვლილთა აჩრდილები.

დაასრულებდა თუ არა მასპინძელი კითხვას, ნიკო წამოდგებოდა და დაიწყებდა ულმობელ კრიტიკას, ქვას ქვაზე არ დატოვებდა წერილიდან და უმოწყალოდ აიგდებდა მასხრად მოხსენების ავტორს. ესენი მიხვდებოდნენ მიზეზს და ანტონიც ღიმილით მოუსმენდა ნიკოს ბობოქრობას. და დაასრულებდა თუ არა კრიტიკოსი თავის გესლიან სიტყვას, ანტონი მიუბრუნდებოდა დანარჩენებს და ეტყოდათ:

– ჩანს მარია მოისეევნას ვახშამი არ დაუმზადებია.

ნიკოს საარაკო მჭამელობასა და არაჩვეულებრივი მუცლის პატრონობას საგანგებოდ რომ გაიხსენებდა თედო სახოკიაც, იმ ეპიზოდს როგორ არ მოიხმობდა, ერთხელ ილიას სამზარეულოში რომ შეიპარებოდა ოფიციალური ვახშმობისას, დანახავდა დაბრაწულ გოჭს, პირი ნერწყვით გაევსებოდა და მანამდე შეჰყვებოდა ჭამას, სანამ ცარიელ ძვლებსღა არ დატოვებდა. გოჭის შემოტანა რომ დაუგვიანდებოდა მზარეულს, თვითონ ილია შევიდოდა მასთან ასაჩქარებლად და... იქ დახვდებოდა დარცხვენილი ნიკო ხიზანაშვილი და ცარიელი ძვლებიღა გოჭისა. ილიას რა გული მოუთმენდა, ეს ამბავი მაშინვე არ ეცნობებინა სტუმრებისათვის, ჰომერული ხარხარით რომ გააყრუებდნენ იქაურობას.

სოფრომ მგალობლიშვილისათვის რომ გეკითხათ: ქერელი ბექას ფსევდონიმზე ანტონს ილია ააღებინებდა ხელს, ის სწორედ ფელეტონური ყაიდის წერილებს რომ აქვეყნებდა ამ ხელმოწერით და, ფელეტონების წერა ეგრე არ უნდაო, ილია ამ ჟანრში მასტერკლასს რომ ჩაუტარებდა, დაუკარგავდა ხალისს ქერელი ბექას ტყავში გამოხვევისა. მაგრამ სიძულვილი კი გაუღვივდებოდა ანტონს ილიასადმი.

სოფრომი ანტონ ფურცელაძეს ილიას ლიტერატურულ მტრადაც მოიხსენიებდა და პირადი შურისგების გრძნობით ხსნიდა, ის ილიას თვით წმინდა ენასაც რომ უწუნებდა.

ერთხელ გორში, კერესელიძის ოჯახში რომ იქნებოდნენ შეკრებილნი და ხმამაღლა წაიკითხავდნენ პოემას „მეფე დიმიტრი თავდადებული“, მის ლექსწყობასა და ენას მკაცრად მისდგებოდა ანტონი. და კიდეც წამოუხტებოდა მიშო ყიფიანი, მაშინდელი ხალხოსნური მოძრაობის ბელადი, და შეუყვირებდა:

– აბა დაასახელე, რომელი ადგილია აქ ლექსით მოუწყობელი, სად კოჭლობს მისი ენა?

და კიდეც ენას ჩააგდებინებდა.

სოფრომს კი როგორ არ გაკვირვებოდა ანტონის ასეთი გადამეტებული თავგამოდება ენის სიწმინდის დასაცავად, როდესაც თვითონ იგი, ავტორი „მაცი ხვიტიასი“, არად აგდებდა ენის სიწმინდესა თუ სტილის სისუფთავეს, წერდა, როგორც მოხვდებოდა, და „და“ კავშირს ღმერთს აცლიდა ხშირი და უალაგო ალაგას გამოყენებით.

გადმოუღებდნენ ერთხელ მის პოემებს – „თამარ ღაზნელი“ და „ცისკარა“ – და ყოველ სტრიქონში რამდენიმე გრამატიკულ და სტილისტურ შეცდომას უჩვენებდნენ, მაგრამ მისი გამტეხი კაცი არ იყო.

ბოლო ჟამს, როცა ანტონი საადგილმამულო ბანკში შეუდგებოდა სამსახურს, ილიას მიმართ კეთილგანწყობის გამომჟღავნებას დაიწყებდა.

არც სოფრომს და არც კიდევ ბევრს არა სჯეროდათ მისი გულწრფელი ფერისცვალებისა: თეთრი კბილის მიღმა შავ გულს ინახავს, რაკიღა ილიაზეა დამოკიდებული და მის წყენინებას ამიტომაც ერიდებაო.

ილია ტყუვდებოდა ვითომ ამგვარი ფარისევლობით?

სოფრომის გუმანით: გრძნობდა, ანტონის კეთილგანწყობის მიღმა რა გულიც იმალებოდა, მაგრამ თავშეკავებასა და დიპლომატიურ მოქცევას ამჯობინებდა და ერთხელ რა არის, ერთხელაც არ მიანიშნებდა თავის ფარულ ლიტერატურულ მტერს: ხელისგულზე მიდევს შენი ყოველგვარი ფიქრი და განცდაო.

ილია და... ასე ადვილად მოტყუებულიყო?

მაგრამ ასეთ შემთხვევებში ყოველთვის შველოდა დიპლომატიის ხელოვნება და იოლად მიუჩენდა ხოლმე ადამიანებს თავთავიანთ ადგილს, მჭევრმეტყველებისა და დარწმუნების ხელოვნებაც დიდად ეხმარებოდა მოწინააღმდეგეთა დაშოშმინებასა თუ მოთვინიერებაშიც, თორემ მის პატივისმცემლებთან კამათისას ხომ მთლად მალევე გვარდებოდა ყველაფერი.

ერთადერთხელ არ გაუმართლებდა დიპლომატიის ხელოვნება.

ერთადერთხელ არ გაუჭრიდა მჭევრმეტყველებისა და დარწმუნების ხელოვნება.

და მერე ვისთან?

ივანე მაჩაბელთან, არამცთუ ილიას პატივისმცემელი, სულაც მოთაყვანე რომ გახლდათ და ეოცნებებოდა მას დამსგავსებოდა.

ერთადერთხელ და... ყველაზე საბედისწერო უთანხმოებისას, ერთიბეწო ბზარი, სავსებით მოსათმენი და შესაწყნარებელი, თვალდათვალ უფსკრულად რომ უნდა გადაქცეულიყო და ყველა და ყველაფერი — მართლაც რომ ყველა და ყველაფერი — თავის წიაღში შთაენთქა.

თუმც მანამდე ჯერ რადროსია.

ჯერ ხომ „საქართველოს მოამბე“ ახალი მიხურულია და ილია სამსახურს დაეძებს, თანახმაა ნებისმიერ სამსახურზე, ოღონდაც ხელფასი ჰქონდეს და სულიც მოითქვას, როგორღაც ისე გამართოს თავისი ყოველდღიური ყოფა, სახსარი იშოვნოს ჟურნალის აღსადგენადაც და ლიტერატურული საზოგადოების დასაარსებლადაც, 1862 წელს უკვე რომ შეეცდებოდა ამ საქმის ნამოწყებას, გარეგნულად მიზნად რომ ისახავდა ქართული წერა-კითხვისა და წიგნების გავრცელებას, ფარულად კი პოლიტიკური ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო, მაგრამ მთავრობა ნებას როგორ დართავდა, მისთანა კაცი რომ გარეულიყო ამ წამოწყებაში, რომელსაც უკვე მოესწრო ერთი ყველაზე დიდი მეამბობის სახელის დამკვიდრება.

დედაქალაქში არც ეიმედებოდა სამსახურის შოვნა და შეჰგუებოდა პროვინციაში გადასახლებას, 1864 წლის აპრილში იმერეთში რომ მიუჩენდნენ ადგილს: საგანგებო მინდობილობათა მოხელედ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან.

მის მოვალეობას მაინც რა შეადგენდა და:

შეესწავლა ბატონყმობის ნიადაგზე წარმოშობილი ურთიერთგაგება მებატონეთა და გლეხებს შორის.

იქაურ თავადაზნაურთა მოზრდილი ნაწილი როგორ შეხვდებოდა ამ თანამდებობაზე ილიას დანიშვნას, დიდი რამ მიხვედრა არ ესაჭიროება, და მეუღლესთან 22 მაისს მიწერილი ბარათი მხოლოდღა ადასტურებს მკითხველის ვარაუდს:

– ჩვენი მოსვლა ვერაფრათ ეჭაშნიკათ, „აი ესენი არიან ჩვენი დამლუპავებიო, ჩვენი ყმების წარმრთმეველებიო“. ნამეტნავად ჩემზედ თურმე ტლინკებსა ჰყრიან, რადგანაც მე აქაური არა ვარ და, ამათი ფიქრით, სხვა ქვეყნიდან ვარ მოსული.

ეს სატკივარია, ეს მწარე და გულმოსაკლავი სატკივარი, იმ წინასწარმეტყველურ გამოსვლაში ასეთი ექსპრესიით რომ გაიშლებოდა და საყოველთაო საზრუნავადაც გადაიქცეოდა, როგორც უპირველესი მოსაგვარებელი სახელმწიფოებრივი აზროვნების აღდგენა-განმტკიცების გზაზე.

ლიხს იქით გადასულა და:

სხვა ქვეყნიდან ჰგონიათ მოსული.

ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთათვის ტფილისის გუბერნია სხვა ქვეყანაა და მისი მკვიდრნიც – სხვა ქვეყნის შვილები.

თუმც ილია იმედიანადაა:

მაგრამ არა უშავს რა, იქნება მოვრიგდეთ როგორმეო.

ამ მორიგებაში ესახება თავისი ამქვეყნიური მისიის უმთავრესი მიმართულება, ერთიანი ქართული ცნობიერების ჩამოყალიბებაში. თუ ამას ვერ შეძლებს, თუ ამას ვერ მიაღწევს, რა ბედენაა სხვა ყველაფერი. ეგაა: რეალობის სიმკაცრეს მზერა უნდა გაუსწორო და მიჰყვე და მიჰყვე მის აღმოფხვრას, იმ თავზარდამცემი ვითარების გამოსწორებას, ქუთაისში სხვა ქვეყნიდან მოსული რომ ჰგონიათ!.. ამასთან: ისტორიული პროცესებისაც

არა გაეგებათ და, რაკილა ილია ჭავჭავაძე ენერგიულად ჩარეულა ბატონყმობის გაუქმების ირგვლივ წამოჭრილ თემატიკისა და საკითხებში, სულაც მას მიაწერენ ყმების ჩამორთმევას!..

არა უშავს რა, იქნება მოვრიგდეთ როგორმეო...

ქვეტექსტი გამჭვირვალეა:

სხვა ანკი რა გზა გვაქვს ან მე და ან ამათო.

ბარათს კი იმით დაიწყებდა:

ოლიკოს ორი წერილი რომ მიეღო, ერთი გუშინ და ერთიც – დღეს, ორივეში ეს ამოეკითხა, რომ: მოწყენილიყო ქალი, არა მხიარულებდა. და თუმც ქმრისათვის ფრიად სასიამოვნო უნდა ყოფილიყო, ცოლი უიმისოდ რომ წუხდა, მაგრამ ილია იმისთანა ქმარი არ გახლდათ და სურდა, ოლღას ყოველთვის კარგად და მხიარულად ეგრძნო თავი: ქმრის გვერდით თუ ქმრის მოლოდინში.

განა რაზედ წუხდა?

ილია – ღვთის მადლით – მალე ნახავდა და აქეთ წამოიყვანდა, მხოლოდ მირსკის ელოდა, რათა დროზე მოსულიყო და შეეტყობინებინა: რა უნდა ყოფილიყო ილია, სად უნდა ყოფილიყო და როგორ უნდა ყოფილიყო, – და შეიტყობდა ამას თუ არა, მაშინვე მეუღლისაკენ გამოიქცეოდა და წამოიყვანდა: ნურას ნაღვლობდა ქალი, კარგად უნდა ეგრძნო თავი, თუ სურდა, რომ ქმარიც კარგად ჰყოლოდა.

ხომ კარგად მოეხსენებოდა ოლიკოს, რომ:

მისი მწუხარების გარდა ილიას სხვა მწუხარება არა ჰქონდა, ანუ ცოლი როდესაც შეწუხებული და დაღონებული ეგულებოდა, თვითონაც მაშინ წუხდებოდა და ღონდებოდა, სხვაფრივ კი ვერც ვერაფერი შეაწუხებდა და ვერც ვერაფერი დააღონებდა. და ამისათვის სთხოვდა: ბევრი არ ენაღვლა ქალს.

იქნება სურდა აქაური ამბების შეტყობა?

მაგრამ ამხანად ვერას მისწერდა იმის გარდა, რომ: თვითონ ქვეყანა ძალიან კარგად მოწყობილი ეჩვენებოდა და... ხალხისას კი ვერას იტყოდა იმიტომ, რომ ჯერ არავის იცნობდა.

კვირას აპირებდა კუდიანი ფრაკის ჩაცმასა და თაყვანისსაცემლად ყველგან და ყველასთან წასვლას.

მერეა, რომ სწერდა:

ჩვენი მოსვლა ვერაფრად ეჭაშნიკათო.

ერთხელ გამოემშვიდობებოდა და... პოსტსკრიპტუმს დაურთავდა, რომ:

დაეკოცნა ქალს სენა, ნინა, თამარი და ლიზო. ლიზოსათვის გადაეცა, ილიას დისათვის: წერილი გაუგზავნეო. ვინც ილიას იკითხავდა, ოლღასაც ქმრის მაგივრად მოეკითხა. კოცნით ხომ ბევრსა და ბევრს აკოცებდა.

მეორედ გამოემშვიდობებოდა და... ამ სტრიქონებს მიადევნებდა:

არ გაჯავრებოდა, ბარათი რომ დაეგვიანებინა. მას აქეთ, რაც აქ იმყოფებოდა, დღეს პირველი დღე იქნებოდა ფოსტისა.

თავზე კი წააწერდა, რომ:

როგორც ატყობდა, ავეჯის გადმოტანა მოუხდებოდათ და ფურგონით აპირებდა გადმოტანას, უფრო დიდიც გახლდათ და წვიმისგანაც დაფარული. ეგებ ჩიკვაიძის მამისათვის ეთხოვა ქალს, შეეტყობინებინა ილიასათვის: ტფილისიდან აქამდე ფურგონის ქირაობა რა ეღირებოდა, და მალე მოეწერა.

წერილს ნუ დაუგვიანებდა ქალი, ესეც თითქმის ყველა ფოსტის ჩამოდგომისას მისწერდა და ყოველი ფოსტის მოსვლისას ურმებით კოცნას გაუგზავნიდა.

25 მაისს სამ წერილს მიიღებდა ერთბაშად ოლიასაგან, მესამეს „ზაპონკები" მოჰყვებოდა. სურდა მადლობა გადაეხადა, მაგრამ ეს სიტყვა ხშირი და უადგილო ხმარებისაგან ისე გათახსირდებოდა და გამოიფიტებოდა, უსაგნო გამოთქმადღა დარჩებოდა, უშინაარსო ფორმად. და არ უნდოდა ამ სიტყვისათვის მიენდო ის, ოლიკოსადმი რასაც გრძნობდა მისი ბარათებისა და საჩუქრის მიღებისას.

ატყობდა, რომ უმისოდ ქალი მოწყენილი გახლდათ და არ ეამებოდა. რატომ უნდა მოეწყინა? მართალია ცოლ-ქმარი ერთმანეთს ძალზე შეჩვეოდა, მაგრამ როდესაც აუცილებელი გამხდარიყო მათი დაშორება, ამ ჩვევაზე მაღლა უნდა დამდგარიყვნენ, მას კი არ უნდა დამონებოდნენ, თვითონვე უნდა დაემორჩილებინათ.

თუ ქალს თავისი ილია უყვარდა, მის რჩევა-დარიგებას ნუ უგულებელჰყოფდა და გაუჯავრებლად დაეგდო ყური.

ასე რომ, ნუ უწყენდა, ევედრებოდა. ჩამოსვლით ხომ მალე ჩამოვიდოდა მეუღლის სანახავად.

მირსკი აქამდე არა ჩანდა და ილია მოუთმენლად ელოდებოდა, რადგანაც იქ მისი ჩასვლა მირსკიზე გახლდათ დამოკიდებული. ამავე დროს ცოლისათვის ოთახის შოვნას ცდილობდა, მაგრამ სამწუხაროდ ახლა ძნელი საშოვნელი გამხდარიყო. დიდი მთავრის ასულისა და არჩევნების გამოისობით, რომელიც ჯერ არ დაწყებულიყო, იმდენი თავადაზნაურობა მოწყვეტილიყო და ისე გაეტენა აქაურობა, ნემსის ჩასაგდებ ადგილს ვერ იპოვნიდი.

როგორც კი მორჩებოდა ეს აურზაური და ქუთაისი თავის ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდებოდა, ურჩევდნენ, მაშინ მოეძებნა საცხოვრებელი ბინა: უფრო იაფად უკეთესს იშოვნიო.

ჯერჯერობით ღოღობერიძესთან ცხოვრობდა.

გუშინ ვიზიტები ჰქონოდა. მოენახულებინა ლევან გურიელის მეუღლე, ძალზე რომ გაახარებდა ოლღას მოსალოდნელი ჩამოსვლა. იმერელი ქალებიც გაეცნო. ვერ წარმოიდგენდა ოლიკო, რა ხალხი აღმოჩნდებოდა:

რამდენი პრანჭვა-გრეხვა, კეკლუცობა და სანტიმენტალობა სცოდნოდათ!..

ასეთი რამ ტფილისიდან არ აგონდებოდა ილიას და როდესაც ამათ ელაპარაკებოდა ან ყურს უგდებდა, სიცილს ძლივს იკავებდა.

ჯერ რაღაცნაირი სინაზით ენაბებოდათ თვალები, სანდომიან სახეებს უპრანჭავდათ სანტიმენტალური სულელური ღიმილი, მერე კი იღებოდა პატარა პირი და ბაგეებიდან გამოფრინდებოდა რაღაც ამის მსგავსი სიტყვები:

– სევდის ისრით გაპობილი ჩემი გული სულის სახსნელი მოთმინების ლურსმანზე ჰკიდია...

ატრიზავებდა, აპაროდიულებდა ქუთათურ მანდილოსანთა ლაპარაკს, მაგრამ მეტყველების მანერითაც რომ განსხვავდებოდნენ ლიხსაქეთა ქალებისაგან, არამარტო კილოკავით, ილიასათვის რა ძნელი შესამჩნევი უნდა ყოფილიყო.

პოსტსკრიპტუმში დაინტერესდებოდა, რა გაერკვია ჩიკვაიძეს აღწერისა. იქით მიდიოდა სულიე სულ ახალი და შესანიშნავი შემადგენლობით...

29 მაისს ოლიკოს ბარათს რომ მიიღებდა, ძალიან ეამებოდა ქალის კარგად და მხიარულად ყოფნა.

– ბარაქალა, რომ ეგრე ხარ.

ხვალ მირსკის მოელოდნენ, და ვარაუდობდა, რომ ერთ კვირაში წამოსულიყო ტფილისს.

სხვა რაღა მოეწერა იმის გარდა, რომ: მშვიდობით და კარგად გრძნობდა თავს.

დაე მოეწერა ოლიკოს, როგორ გაატარებდა დროს მამასთან.

კატოსთვის ხელზე ეკოცნა ილიას მაგივრად.

სენასათვის გადაეცა, რომ: ბარათი მოეწერა ილიასათვის და დაერიგებინა, თუ როგორ მოქცეულიყო ამ უცნობ ხალხში.

ეჩქარებოდა წერას, იმიტომ, რომ ყმაწვილები სტუმრებოდნენ და აშურებდნენ, და ფოსტაც ნახევარ საათში წამოვიდოდა.

2 ივნისს პასუხს გამოუგზავნიდა ამ დღეებში მიღებულ წერილზე და იმ ბევრ მწუხარებაზე: დეზოლმის ამბავი რად მოგწერეო!.. ამშვიდებდა: მაგაზე შენ ნუ წუხარო.

მაგ საძაგლებისათვის მართალია ილიას ეთქვა: ჩემი ცოლი გადმოგცემთო, – მაგრამ იმ იმედით: იქნება „პრიკაზის“ ფულს მოესწრო – რადგანაც ბაღდანოვი დაპირებოდა; მაგრამ ესეც დაეტანებინა: ჩემი ცოლი არ შეაწუხოთო. იმ საძაგლებს ეს პირობა მიეცათ, მაგრამ შესრულებით არ შეესრულებინათ. და გაღიზიანებული ილია იმათ ოხტში როგორ არ ამოვიდოდა:

– მე მალე მოვალ და მაგათი საქმე მე ვიცი, შენ ნუ შეჰსწუხდები.

მირსკი მოვიდოდა და დაითხოვდა ილიას ორი კვირით, მაგრამ ჯერ ექვს თუ შვიდ დღეს აქ უნდა დარჩენილიყო, რომ თავისი ოლიკოსათვის სახლები ეშოვნა. ყოველდღე დაეთრეოდა (არ მოერიდებოდა ამ სიტყვას, როგორც ყველაზე უკეთ გამომხატველს მისი ამ ყოველდღიური ყოფითი საზრუნავისაც და გაბეზრებისაც) და ვერსად სახლს ვერ წაწყდომოდა. სახლი რომ არ აეჩინა და ისე წამოსულიყო, მგონი ცოლი განყრომოდა კიდეც. იშოვნიდა თუ არა, მაშინვე გამოემგზავრებოდა, იმიტომ, რომ ძალიან უნდოდა თავისი კარგი ოლიკო მაგრად და მაგრად მიეკრა გულზედ.

– უშენოდ მეც ძალიან მომწყინდა ყოფნა.

მაგრამ ახლა, თუნდ სახლები ნაშოვნიც ჰქონოდა, მაინც ვერ წამოვიდოდა, რადგანაც დიდ მთავარს – ველიკი კნიაზს – ებრძანებინა: ცხენები არავის მისცეთ, ვიდრე მე არ წავალო.

ახლა ოლიკო მამასთან იქნებოდა. და მოეწერა, როგორ მიელოთ. ისიც დაეპატიჟნათ და ისე წასულიყო, თუ დაუპატიჟებლად წაჰყოლოდა თავის დას.

„პრიკაზისა“ და „ოცენჩიკების“ ამბავს ძალიან შეეწუხებინა ილია: ნუთუ იმედი არ იყო, რომ მეტად დაეფასებინათ?

დიმიტრის ნახვა ძალიან ეამებოდა, თითქმის მთელი საღამოს ერთად გაატარებდნენ. და შენატრებდა: ნეტა იმას, რომ შენა გნახავსო!..

ლიზო ბარათს რატომ არ უგზავნიდა? ავად ხომ არ იყო? ნინუცას ან მამიდას წერილი ხომ არ მოსვლოდა ოლიკოს? იქნებ მიეწერა მამიდა მაკრინესათვის, რომ პატარა ბიჭი გამოეგზავნა, რადგანაც ილია მალე აპირებდა წამოსვლას ოლიკოს წამოსაყვანად და ეგ ბიჭი საჭირო იქნებოდა. ეგებ გიგოს ამბავი შეეტყობინებინა. გოგო ხომ არ აჯავრებდა? თუ აჯავრებდა, სჯობდა ახლავე დაეთხოვა და სხვა გოგო მოენახა, რომელსაც რეცხვა უთუოდ ეცოდინებოდა, თორემ სააქაოდ, საქუთაისოდ გოგოს ველარ იშოვნიდნენ.

გამოეთხოვებოდა და დასძენდა:

ღამე გწერ და არ ვიცი, რასა გწერ, ისე გადავირიე, რომ მგონია ვერა გაიგო რაო.

გამოეთხოვებოდა და:

ათასჯერ მოეხვეოდა და ათასჯერაც აკოცებდა.

5 ივნისს ოლიკოსაგან ორ ბარათს მიიღებდა და ორივე ძალიან დააფიქრებდა. ეტყობოდა ორივე წერილს, რომ: როცა წერდა ქალი, ქეიფზედ არ ყოფილიყო, და ქმარი ამას ძლიერ შეეწუხებინა.

რას უჩიოდა ოლიკო – წიგნს არა მწერო?

ეფიცებოდა ილია:

შენ არ მამიკვდები და მე არ მოგიკვდები, რომ ჯერ ფოშტა არ გამეშვას ისე, რომ შენთვის წიგნი არ გამომეგზავნოსო.

არ იცოდა, მის ბარათებს რა მოსდიოდა და რა ღმერთი უწყრებოდა. მარტო ორშაბათის ფოსტისათვის ველარ მიესწრო ერთხელ და ისიც ღმერთს ეშველა და დიმიტრისათვის გამოეტანებინა, ვეზირიშვილისათვის.

ამ ბარათს სწერდა და აღარ იცოდა, ბარათი უფრო ადრე მივიდოდა ქალთან თუ ავტორი. სულ მზად გახლდათ და ელოდა, რომ როგორმე ცხენები ეშოვნა და წამოსულიყო. ხვალისათვის შეპირებოდნენ ცხენებს. თუ მისცემდნენ, ორშაბათს შუადღისას ოლიკოს თავს დაუკრავდა.

ილიას ამბავს რომ კითხულობდა ცოლი, ძალიან კარგად გრძნობდა თავს და უფრო კარგადაც იქნებოდა, ოლიკო რომ თანა ჰყოლოდა და ახლა გვერდზედ ჯდომოდა; მაგრამ ბედს რა გაეწყობოდა, რომ ქალი იქა ნაღვლობდა და ვაჟი კიდევ – აქა.

პოლტორაცკისათვის ეთქვა, რომ: რაწამსაც ჩამოვიდოდა ტფილისს, ავეჯს მაშინვე გამოართმევდა აქ წამოსაღებად; მათი ავეჯი კი დაე ტფილისში დარჩენილიყო, რათა გადმოტანისას არ წამხდარიყო.

სახლები ეშოვნა, დიმიტრისათვისაც ეთქვა: ოლიკოს გადაეციო, – მაგრამ იმ წყეულ სომეხს მოეტყუებინა, ჯერ ოც თუმნად შეპირებოდა და მერე

ამ ფასად აღარ მიეცა. ამასაც თავი დაენებებინა. ახლა აქ სახლების შოვნა ვერასგზით ვეღარ მოხერხდებოდა. რაც ჩამოსულიყო, მას აქეთ ყოველდღე დაეთრეოდა (კვლავ ამ სიტყვას გამოიყენებდა გაბეზრებული და გულმოსული!) და ვერსად ეპოვნა. ღმერთიც უშველიდა ღოღობერიძის მამას, თავის სახლებს რომ ათხოვებდა, ვიდრე ილია იშოვნიდა. ამ იმედით მოემგზავრებოდა ოლღასთან, რომელიც მზად უნდა ყოფილიყო, რომ მალე მოუწევდა ქუთაისში გადასვლა საცხოვრებლად.

გამოემშვიდობებოდა და დასძენდა, რომ:

ასე ცოტას იმიტომ სწერდა, ფიქრობდა, ამ ბარათზე ადრე შესაძლოა მე თვითონვე ვნახოო. და რაც იცოდა აქაური, მაშინ უამბობდა.

ბევრს მოეხვეოდა და ბევრსაც აკოცებდა და მოკითხვას დააბარებდა კატოსთან, დიმიტრისა და მათ შვილებთან.

ამ ბარათის გამოგზავნის დღე კი დაუზუსტებელი დარჩებოდა, ილია თავის „კუკლუშკას" რომ ატყობინებდა:

მე აღარ გამომიშვეს და ძალიანაც ვწუხვარ, მანდ რომ არავის გამოვეთხოვე, და მეორე, შენ უჩემოდ უნდა წამოხვიდეო.

ტიტიკოს ეთქვა, რომ დიმიტრი ვეზირიშვილი ტფილისში იმყოფებოდა, და მაშ ოლიკოს მისთვის ეთხოვა წამოყვანა. ბარგისა და დედაკაცისათვის ფურგონი ან ურემი დაეჭირა, და ოლიკო, დიმიტრი, ბიჭები და გოგო ტარანტასით წამოსულიყვნენ.

წინასწარ დეპეშით შეეტყობინებინა ოლიკოს, თუ როდის წამოვიდოდა. ავეჯის ფული აეღო – ოცი თუმანი ერგებოდა, და რაც სასყიდელი იყო – ლიზოსათვის კაბა და კატოსათვის ძეწკვი – უთუოდ ეყიდა, მედუქნეს გასწორებოდა და მეპაპიროსესათვისაც ორი მანეთი უნდა მიეცა, დარჩენილი ფული კი თან წამოეღო.

ვახტანგ გურამიშვილისათვის გადაეცა ილიას დანაბარები, რომ: თუ „ზაპროსი" მიუვიდოდა ახალ თანამდებობაზედ, არამცდაარამც უარი არ ეთქვა.

ევგენი სტარიცკისათვის იმისი ამბავი ყველა რომ ეთქვა, პასუხად მას აი რა მიეგო ილიასათვის: თუ ეშინია, რომ ეს თანამდებობა დროებითი იქნება, მე ვკისრულობ პასუხისმგებლობას მის მომავალ სამსახურებრივ კარიერაზეო. ნამდვილად ასე მოეხსენებინა და ვახტანგ გურამიშვილმაც კარგად იცოდა, ეს სიტყვები რასაც ნიშნავდა, რადგანაც სტარიცკი ახლა აქ ყოვლისშემძლე გახლდათ — კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, ამიერკავკასიის სამინათმზომელო პალატის მმართველი — და ოლიკოს დაე ილიას მაგივრადაც ეთქვა ვახტანგისათვის, რომ: თუ თავისი თავის სიკეთე სურდა, უთუოდ დათანხმებოდა ამ თანამდებობას.

წერეთლისათვის გადაეცა, რომ: ილიასთან უსათუოდ წამოსულიყო. ეს მისცემდა ცხენსაც, სახლსაც, ყველაფერსაც და თხუთმეტ თუმანსაც წელიწადში; თუ წამოვიდოდა, ძალიან კარგი იქნებოდა ილიასთვისაც და მისთვისაც. მისთვის იმიტომ, რომ: როდესაც ლიხსაქეთა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნა გადაწყდებოდა, „მირავოი პოსრედნიკობა" გარიგებოდა, რადგანაც

უფრო გამოცდილად წარმოდგებოდა ამგვარი საქმეებისათვის მთავრობის თვალში. სურდა თუ არა აქეთ გამომგზავრება, საცა უნდა ყოფილიყო, ეგებ ოლიკოს მოეძებნა, დაკითხოდა და ქმრისათვის ედეპეშა.

მოკითხვას დააბარებდა ყველასთან.

იასესათვის ეთქვა: ღვინოს მოგიტანდა ილია, თვითონ რომ წამოსულიყო, ტიტიკოს კი არ მოაქვსო. დეპეშის მოწერას კი აპირებდა, მაგრამ ტიტიკოს წამოსვლა მოატყუებდა. აი დღეს წავალ, აი ხვალო და... დეპეშას ვერც იასეს მისწერდა და ვერც ოლიკოს იმ იმედით, წიგნით უფრო ვრცლად მივწერო.

ვახტანგის საქმეს ტიტიკო უფრო ვრცლად შეატყობინებდათ.

თავის და ოლიკოს „კარტოჩკებს“ უგზავნიდა, ლევან გურიელს, ნიკოლაი სიმონიჩს, ღოღობერიძეს, ღრანცოს, ვასილ თუმანიშვილს მგონი ჰქონდა, და თუ არა, მისთვისაც გადაეცა.

უოლიკოდ, ოლიკოს გარეშე ასე ეგონა, უცხო ქვეყანაში ვიმყოფებიო. ჩქარა წამოსულიყო, თორემ ილია გაექცეოდა სადმე.

ლაზარესათვის გადაეცა რომ: მამამისის ბარათი მიეღო და მაგისი ცოლეური ჯერ თურმე ყურსაც არ იბერტყავდა. ამისთვისაც სწერდა: ნუ წამოხვალ ჯვარის საწერადო.

„პერჩატკები“ აქ ორი მანეთი გამხდარიყო, ტფილისში კი მგონი უფრო იაფი ღირდა. ერთი დუჟინი დაე თავისი და კატოს ხელისა ეყიდა ოლიკოს, თუ ფული ექნებოდა, და წამოეღო. წამოსასხამი რომ დაებარებინა ქმრისათვის, ჯერ ფული არ აეღო და ამიტომაც ვერ ეყიდა. ჩამოვიდოდა თუ არა, მისმა გაზრდამ, უყიდდა. ეგ არის: მაშინვე დეპეშით შეეტყობინებინა ქმრისათვის ოლიკოს წამოსვლა.

აკოცებდა და მრავალჯერაც ჩაეხუტებოდა.

მერე კვლავ დაუთარიღებელი ბარათით სთხოვდა მეუღლეს, გადაეცა ნიკოლაი სიმონიჩისათვის, გამოეგზავნა დაბეჭდილი „ვედომოსტები“. ეხარებინა, რომ: რაცა ჰქონდა ილიას, სულ გათავებოდა და ორი წილიც მთელი საჯავახოს „უჩასტკისა“ შემოლეოდა. ხუთი სოფელიღა დარჩენოდა, იმასაც ამ ოთხ-ხუთ დღეში მიხედავდა და კიდეც ჩამოვიდოდა ტფილისში საპრეფერანსოდ.

გუშინ რომ წერილი მიეწერა, აღარ იცოდა, რაც ეთხოვნა, გამოეგზავნა ოლიკოს თუ არა. ახლა „კარანდაშების“ მოწოდებასაც სთხოვდა.

და აი 1864 წლის 28 ოქტომბერს აღმოსავლეთ საქართველოში ოფიციალურად რომ გამოცხადდებოდა ბატონყმობის გადავარდნა – ლიხს იქით 1865 წლამდე შენარჩუნდებოდა – ილია ნოემბრის თვიდან დაინიშნებოდა მომრიგებელ შუამავლად ლიხს გადმოღმა.

მის მოვალეობას რა შეადგენდა და:

მოწესრიგება იმ ურთიერთობისა, რაც შეიქმნებოდა ყოფილ მებატონეთა და გლეხებს შორის – მიწების მიზომვა გლეხებისათვის და სხვა ამისთანანი. ილიას საქმიანობისათვის შეურჩევდნენ გარეკახეთის უბანს თბილისის მაზრისა და მცხეთის უბანს დუშეთის მაზრისა, ვიდრე 1868 წლის თებერვალში დანიშნავდნენ მომრიგებელ მოსამართლედ დუშეთის მაზრაში, ხუთი

წელი რომ მოუწევდა თავისი უდიპლომო იურისტობის გამოჩენა, ვიდრე 1873 წლის მაისამდე.

თუმც ჯერ რა დროს ამ წლის ეს თვეა, როდესაც, ჯერ ხონიდან აქვს გამოსაგზავნი სახელდახელო ბარათი მეუღლესთან 1865 წლის 20 სექტემბერს, პეტრე ჯერ თუ არ წამოსულიყო, ეთქვა, მალე დადგომოდა გზას, ძალიან საჭირო გამხდარიყო მისი გამოჩენა. სტარიცკის სახლებისა რა გადაეწყვიტა, ეს ყველაფერიც შეეტყობინებინა. მათი საქმე ჯერჯერობით ურიგოდ არ მიდიოდა. და თუ პეტრე არ წამოსულიყო, პაპიროსები და შაშკა გამოეტანებინა. ოლიკოს კი თავისი თავისათვის ეკოცნა ილიას მაგივრად. ხოლო იასეს ახალციხისა რა ეთქვა, დაწვრილებით მოეწერა.

შემდგომი სახელდახელო თუ ცოტა მოზრდილი ბარათების დათარიღება გაძნელდებოდა და პავლე ინგოროყვა თვითეულის შედგენას რამდენიმე წლის ფარგალში თუ ივარაუდებდა, კერძოდ 1865-68 წლებს მიუზომავდა, უფრო ნიშანდობლივად გამორკვევა შინაარსისა თუ სხვა მონაცემთა მიხედვით შეუძლებელი რომ შეიქნებოდა:

17 ივნისს აპირებდა დუშეთიდან მთაში, და იქ დარჩებოდა, თუ მშვიდობა იქნებოდა, ერთ კვირას, მერე ერთი კვირაც აქ, დუშეთის ახლომახლო სოფლებში მოუგვიანდებოდა და მერეღა მივიდოდა საგურამოს.

ბარათი მიეწერა ამ მისამართზე: ნიკოლოზ გაბრიელის ძე ყაზბეგს. ილია ჭავჭავაძისათვის გადასაცემად – თუმც შესაძლოა ამ ბარათს მთაში ვერც მიესწრო ილიასათივს და უკვე დუშეთს ყოფილიყო დაბრუნებული. დიამბეგს ფული უკვე გამოეგზავნა ოლღასათვის თუ ჯერ არა? ემშვიდობებოდა, რადგანაც ეს-ეს იყო ცხენზე ჯდებოდა და მიემგზავრებოდა.

27 ივნისს ყაზბეგიდან უნდა შემოეჩივლა, რომ:

ამ მამაძაღლი მწერლის გადამკიდეს ძალიან უგვიანდებოდა მთაში, ასე რომ, აღარც კი იცოდა, როდის მოასწრებდა წამოსვლას. იმედოვნებდა, ივლისის პირველ რიცხვებში რომ მაინც წამოსულიყო და მეუღლეც ენახა.

ისეთ ტანჯვასა და უსიამოვნებაში იმყოფებოდა ამდენი სულელი ხალხის გადამკიდე, მაგრამ რას იზამდა, რაც იყო, ეს იყო.

ამას წინათ დუშეთიდან ბარათი რომ მიეწერა, ნეტა მიეღო ოლღას თუ არა? ეგრე უნდოდა? – რაც წამოსულიყო ილია, მეუღლეს თავისი ამბავი აღარ შეეტყობინებინა.

როგორ ენატრებოდა ოლიკოს ნახვა, და კიდევ – დიმიტრის, კატოსი, ნასტასი, თადეოზ გურამიშვილისა, მაგრამ ვიდრე ამ სულელ ხალხს არ მორჩებოდა, ვერასგზით ვერ მოახერხებდა.

მერე კვლავ უნდა დაეჩივლა, მთებში საშინელი სიცივეები რომ დაეჭირა. ეს კიდევ არაფერი, ცუდი ის იყო, გლეხურ ქოხში რომ იჯდებოდა და, ოლიკოს გამო კი არა ტიროდა, კვამლი უწვავდა თვალებს.

საქმეები ძალზედ კარგად მიდიოდა. დღეში ასამდე აეწერა და იმედოვნებდა, ეს უბანი 8-10 დღეში სრულიად მოეთავებინა. იქნებ გაეგზავნა ოლიკოს: თბილი პალტო, ჩაი, სანთლები, მელანი, თბილი გრძელი საცვლები, თითბირის ჩაიდანი და ლურჯი ფუფაიკა.

მერე უნდა მოეწერა, რომ:

ხვალ ალიონზე ტფილისს მიემგზავრებოდა, რადგანაც 13 რიცხვში მათგან დაიწყებოდა წარდგინება და – როგორც ოლიკოსაც მოეხსენებოდა – ილიას იქ ყოფნა აუცილებელი იყო, რათა თავის წარდგინებაზე, როგორც საჭირო გახლდათ, ისეც ეზრუნა.

დროზე ვერ დაესრულებინა თავისი სიგელები, კიდევ 26 დარჩენოდა, მაგრამ რას იზამდა? ტფილისში ყოფნა კიდევ იმისათვის ესაჭიროებოდა, რომ თავიანთ სახლზეც ეზრუნა.

უგზავნიდა უკანასკნელ ექვს მანეთს. მთავარი იყო ილიასათვის, მეუღლე კარგად ჰყოლოდა და არ მოეწყინა. სთხოვდა გამოგზავნას: ჩოკაევის ქაღალდის, თავისი ახალი სამოსის, პერანგებისა და ჩექმების – ორივე წყვილის. და კიდევ – 30 ფურცლისა.

მერე მუხრანიდან გამოუგზავნიდა ყურძენსა და ატამს და დასძენდა, რომ ძალიან ენატრებოდა ოლღა, მაგრამ რა უნდა ეღონა? საქმე ხომ ბოლომდე უნდა მიეყვანა. თუკი რაიმე ქაღალდები იყო ტფილისიდან, მოეწოდებინა.

მერე სთხოვდა, ქაღალდები „ღუბერნსკი პრისუსტსტივაში“ გაეგზავნა, მიხეილმა იცოდა, ჩიკვაიძეს რომ წაეყვანა, იქ მიეტანა. გამოეგზავნა ნახევარი გირვანქა ჩაი. რკინის კალმები. და უეცრად გამოფხიზლდებოდა, რომ: თავისი „კუკლუშკა“ არ მოეკითხა. ნეტა როგორ გრძნობდა თავს? კუტრად განა? ეგებ გამოერკვია, ილიას თავის „ნაგრადას“ როდის მისცემდნენ. კატო და დიმიტრი მოეკითხა და ლიზო თავისთან გადაეყვანა. ილია კი დღეს ქსოვრისს ეპირებოდა. თუ ქალი როგორმე მოახერხებდა, ეგებ ერთი თუმანი გამოეგზავნა. და კიდევ: ის ახალი სერთუკი, შარვალი თავისი ჟილეტით და ჩექმები.

მერე მჭადისჯვრიდან შემოეხმიანებოდა და დააიმედებდა, რომ ამ ორ კვირაში ნახავდა. ისე ნეტა როგორ გრძნობდა თავს ქალი ამ კუტრობაში? ძალიან უნდოდა თავისი ოლიკოს ნახვა, მაგრამ შორს რომ იყო?!. „ნაგრადისას“ რატომ არას იწერებოდა – დაქვითვითა თუ დაუქვითავად?

– ხომ კარგად გაიმართე, ჩემო პატარა გვრიტო!

და შენატრებდა, თბილად რომ იყო ქალი, თვითონ ილია კი ორი ღამე უნაგირა მთის გაკვამლულ მიწურში იწვებოდა, გზა თოვლით ჩაკეტილიყო და ქვემოთ ვერ ეშვებოდნენ: რაღაც საშინელებას განიცდიდა და თავის თავსაც წყევლიდა და ყველა მომრიგებელ შუამავალსაც.

რაც უნდა ყოფილიყო, საშობაოდ ოლიკოს კალთაში ჩარგავდა თავს. გრამოტები თითქმის სულ გაეთავებინათ, აი ჩამოვიდოდა და ერთიანად ჩამოიტანდა.

ამ მცირე ბარათების თარიღს კიდევ უფრო ფართო თარიღით თუ ივარაუდებდა მკვლევარი: 1865 წლიდან 1872-მდე შუალედში.

იმ საძაგელ ერისთავს რომ მოეტყუებინა და ტყუილად ამოეთრია აქ. ბუტკოვს ისე გაეარა, არც კი დადგებოდა სტანციაში. იქნება სამშაბათს ჩამოსულიყო მეუღლესთან, ანდა სულაც ვერა ამ ცოტა ხანში. სარეცხს გა-

მოუგზავნიდა, რადგანაც ლიზოს რაღაცები მოსვლოდა. აბრამასათვის გადაეცა ილიას ეს დანაბარები: კვიცი წამოიყვანე და წამოდიო.

აქ გუბერნატორი ეპირებოდა ჩამოსვლას ორშაბათს და ილიას სურდა ენახა და თავისი საქმე გამოეკითხა. და მისი წასვლის შემდეგ თუ მოიცლიდა, ჩამოვიდოდა.

მერე სთხოვდა, სამი მანეთი ეჩუქებინა ზალიკა მებაღისათვის, რომელსაც ილიას ცხენისათვის ეწამლა, ეს კი ისე წამოსულიყო, ვერ მოესწრო, რაიმე ეჩუქებინა მისთვის. ოთხ კალოდ ქაღალდს უკანვე უგზავნიდა – კნიაზისათვის მისართმევად.

მოკითხვას აბარებდა ყველასთან და: თვითონ კი დუშეთს ეპირებოდა.

მერე ორი ბარათი რომ მოუვიდოდა ოლიკოსაგან, ვერცერთში ვერ ამოიკითხავდა იმ საქმეზედ, რომლის შეტყობაც ეთხოვა. ეგებ ახლა მაინც გაეგო ყველაფერი და მოეწერა. თუ ქალი ევგენი სტარიცკის ნახავდა და ის ილიას ბოლოდროინდელ ყოფნას იკითხავდა ოჯახში, ოლღას უნდა ეთქვა:

– ავადმყოფობის გამო იყო ორიოდ დღეს.

ბარათი მალე მოეწერა, ყველაფერი, რაც შეეტყო, დაწვრილებით ეამბნა ქმრისათვის. მალე წამოსულიყო, თორემ სიღნაღში მათი გადასვლა დაგვიანდებოდა.

ამ სამ ბარათს უფრო ნიშანდობლივ თარიღს მოუძებნიდა პავლე ინგოროყვა: 1868 წელს.

ერთში:

ბიჭს გაუგზავნიდა ცხენის წამოსაყვანად, ილიას კალოშებიც და „მირავოი პოსრედნიკობის“ ბეჭედიც რომ უნდა გამოეტანებინა თან. თუ ბეჭედი იქ არ იყო, მოეწერა ქალს, სად ჩაედო. ილია ვეღარ მოდიოდა მის წამოსაყვანად., თუ ოთხშაბათამდე ტელეგრაფით არ შეატყობინებდა, ხუთშაბათს ოლიკოს ტარანტასი უნდა დაეჭირა და წამოსულიყო.

პალტარაცკის ილიას ცხენი რომ მისვლოდა, ხვალვე ოლიკოს ამ ბიჭისათვის გამოეტანებინა. თუ ჩული ენდომებოდა, ეყიდვინებინა.

ნიკოსთვის ეკითხა ქალს: პრიკაზის ფულისას რას შვებოდა, ამას წინათ რომ დაპირებოდა?.. თუ ახლა უმტყუნებდათ, მოეწერა ოლიკოს, რათა ვადა არ გადასვლოდათ.

აქაური რა მიეწერა:

ორი დაქცეული ოთახი ეშოვნა, ერთში „კუხნა“ ექნებოდათ, მეორეში თვითონ დადგებოდნენ. თადეოზს პური რომ გაეგზავნა მისთვის, ამას შესაფერისი ალაგი ვერ ეშოვნა, სად დაეწყო, და ისე ეყრებოდა. ვიდრე ოლიკო გამოჩნდებოდა, ისიც დალპებოდა.

მათი „მებელი“ რიგიანად მოსულიყო, მაგრამ ისეთ ადგილას ეყრებოდა უილაჯობით, რომ სულერთიანად ობი მოეკიდებოდა.

კარგ სიკეთეს შეყროდნენ ქმარიც და ცოლიც „მირავოი სუდიობაში“ – სულ დაუპულიყვნენ. დაღუპვასა და ზარალს ჯანი გავარდნოდა, ნეტა ერთი ოთახი მაინც ყოფილიყო, რომ წვიმისაგან შეფარებოდნენ. ყარანგოზაშვილის სახლს იჭერდა ოთხ ოთახს ოცდაათ თუმნად – ნახევარში თვითონ მასპინძე-

ლი უნდა მდგარიყო და ნახევარში – ილია ცოლიანად, მაგრამ ახლა ქალები უნდა ჩამოსვლოდნენ დასაწოლად და თიბათვემდე ვეღარ აძლევდათ.

ცუდად მიდიოდა მათი საქმე. მანდ თუ ჩამოვიდოდა ილია, მგონი გუბერნატორისათვის ეთხოვა: უწინდელი ჩემი ადგილი არავის მისცეო, – რადგანაც ისევ „პოსრედნიკობა“ ერჩივნა ამ ლაფში ყოფნას.

ჩინოვნიკები ძალიან კარგად გრძნობდნენ თავს და ილიაც ემადლიერებოდათ. საქმეები კარგად მიდიოდა – რაც კი ექნებოდათ, თუ მორიგებით მოათავებდნენ.

ახლახან დაეჭირათ ერთი საკვირველი რუსის დედაკაცი მოპარული ნივთებით. მისი ამბავი რომ შეეტყო ოლღას, გაოცდებოდა. იმას, როგორც პირველი გამოძიებით ჩანდა, ქალაქში ბევრი რამ უნდა მოეპარნა, იმიტომ, რომ ამას წინათ აქ, დუშეთში ყოფილიყო ხავერდის სალოფით, გარშემო სულ ბეწვით მორთული, და ახლა ძონძებში გახვეულიყო. როგორც ეტყობოდა, ბევრნი უნდა ყოფილიყვნენ გარეულნი იმის ქურდობაში. გამოძიება მიმდინარეობდა.

მეორეში:

შეხუმრებით უსაყვედურებდა: ეს რა კაი საქმეს მიშვრები ხოლმე, ამოდენა ბარგსა გზავნი და ერთი ბალიშსა და საბანს არ ატან, რომ დავწვე რაზედმეო.

ამას გარდა: რად უნდოდა ეს ყუთები, თუკი გასაღებებიც არ მოჰყვებოდა.

თულაევისაგან გაზეთში გახვეული ქაღალდები რომ მოეტანათ, „გასტინაში“ პატარა „სტოლზედ“ რომ იდებოდა, ის ქაღალდები სად შეენახა ოლიკოს, მოეწერა.

ამას გარდა: ნიკოს კაბინეტში ყვითელი დიდი „ეტაჟერკა“ რომ იდგა, იმაზე ორი „გრამოტა“ დარჩენოდა და ისიც გამოეგზავნა. იქავ კაბინეტში განჯინა გაეღო და ზემოთ თაროზე, მარცხნივ ორი სხვა „გრამოტაც“ რომ დაედო ილიას, ისიც ჩამოეღო და თან მოეყოლებინა.

თავისი ამბავი რა მიეწერა:

ექვსი კაცი ერთ ოთახში იდგებოდა. ილია ავადაც გახდებოდა... ოლიკოს წყალობით, რადგანაც ერთი პალტოს სინაბარასღა დარჩენილიყო. საბნადაც ის ექნებოდა და ლეიბადაც. ეს ორი დღეა იწვებოდა. სახლები სულ არსად იშოვებოდა. მათი „სუდი“ ისეთი იქნებოდა, ლამის სულერთიანად დანოლილიყო. ამ ერთ თვეზედ მანდ არ იქნებოდა.

პოლტარაცკი თუ ცხენს მოუყვანდა, ოლიკოს ზურაბასათვის უნდა გამოეტანებინა.

მესამეში:

ძველ უსიამოვნებებს ახლანდელი კარგი საწოლი დაავიწყებდა. ოლიკო ნაწყენი დარჩენილიყო მისი წერილით? თავს იმით იმართლებდა ქმარი: როდესაც სწერდა, ავად იყო, თან – გაჯავრებულიც.

ამჟამად სავსებით გამოჯანმრთელებულიყო, ოღონდ ცოტათი სუსტად გრძნობდა თავს. სამწუხაროდ ტფილისიდან ცოლის წამოყვანა არ შეეძლო: ბინა ვერსად ეშოვნა, მათი ავეჯი სარდაფში ეწყო და დასალპობად განწირულიყო.

ნიკოს დიდადა მადლობდა იმისათვის, რაც მისი წყალობით მომავალში მოელოდა. ახლანდელზე არას ამბობდა. დეპეშების პასუხის ღირსადაც არ გაეხადა, ასე რომ, ახლა უიმისოდ უხდებოდათ ევგენი სტარიცკისთან დაკავშირება.

თუ კიდევ ასეთ ყოფაში მოუხდებოდა ცხოვრება, გადაწყვეტილი ჰქონდა, დიდი სასამართლო უწყების მზრუნველი მმართველობისათვის თავი დაეკრა და დამშვიდობებოდა. დაე იმათ ღმერთი შესწეოდათ.

და ამ ყოფისაგან ამგვარ დასკვნასა თუ შეგონებას ჩამოაყალიბებდა:

სჯობს მარტო ხმელ პურზე ცხოვრობდე, ვიდრე გქონდეს შეძლება და პურს ვერა შოულობდეო.

პოლტარაცკისათვის ოლიკოს იქნებ ილიას მაგივრად ჩამოერთმია ხელი და მადლობა მოეხსენებინა ცხენისათვის. და დეპეშით ეცნობებინა ქმრისათვის: შეპირებულ ცხენს როდის მიუყვანდნენ. მოუთმენლად ელოდებოდა. ის ცხენი ძალზე ექოთ მისთვის.

ეს ბარათი 19 აპრილით კი დათარიღებულიყო, მაგრამ წლების ფარგალი 1868-72 წლებზე გადაიჭიმებოდა, და ილია შეშფოთებულიყო, უკვე მეორე წიგნს რომ სწერდა მეუღლეს და მისგან კი პასუხი არა და არ მიელო. ნეტა რა მოეგვარებინა იმ საქმისა? ან თვითონ როგორ გრძნობდა თავს ქალი? თუ ვინიცობაა ის საქმე მოეთავებინა, ზალიკოსათვის შეეტყობინებინა.

ქართველიშვილის სახლში, „იარმუკასთან“ „აპტეკარის“ ტარანტასი რომ იდგებოდა, ეგებ იმით გამოჩქარებულიყო, თორემ ილია გიჟივით მიმოდიოდა მარტოკა ოთახებში.

ხომ არა ტიროდა ოლიკო? მგონი დიმიტრი წასულიყო და ორივ დები ერთი ერთ კუთხეში ოხრავდა და მეორე – მეორეში. კატო მოეკითხა. ყმაწვილებიც დაეკოცნა და „ბაბუშკაც“, ბარათი კი უსათუოდ მოეწერა.

28 ოქტომბერს გაკვირვებას გამოთქვამდა, ცოლისათვის რომ ედეპეშა: გრაფ ვლადიმერ ორლოვსკის დეპეშა აქ გამომიგზავნეო, – რატომ არ მოეწოდებინა ის ძლიერ საჭირო დეპეშა კავკასიის მეფისნაცვლისა და მთავარსარდლის ადიუტანტისა? ძალიან წუხდა ამის გამო ილია.

ოლღა ეკითხებოდა: მამაჩემთან წავიდე თუ არაო?

ილია ამ ხუთ დღეზე ადრე ვერ ჩამოვიდოდა, თუ მანამდე ოლიკოს და იქნებოდა, ეგებ მოეცადა და ილია თვითონვე წაიყვანდა; თუ არ იქნებოდა და, პლატონ იგნატიჩისათვის ცხენები ეთხოვა, შეებმევინებინა ფაეტონში და წასულიყო პლატონ იგნატიჩთან ერთად. მხოლოდ წყალთან ეფრთხილა. თან წაეყვანა ორი ჩაფარი და წყალში კაცები მოეშველებინა სოფლებიდან.

სხვა რა მოეწერა – ლიზოს მუცლის წახდენას ძალიან შეეწუხებინა, ვერ გაეგო, საწყალს ამისთანა რა ემართებოდა. რასაკვირველია: თუ ლიზო მოინდომებდა დუშეთს წამოსვლას, ილია მზად იყო წამოეყვანა.

ბარათს მეორე გვერდზე მიწერილი ექნებოდა: კნეინა ოლღა ჭავჭავაძისას. დუშეთს.

ისე ვერც ამ ორიოდე სტრიქონის წლები შემოიფარგლებოდა ადვილად, ცოლს რომ ამშვიდებდა: ძალიან კარგად ვარ და ჩემი ფიქრი ნუ გექნებაო.

წუხდა, რომ ევგენი სტარიცკი უსახლოდ დარჩენილიყო და ავადაც გამხდარიყო. ამ კვირია აპირებდა ჩამოსვლას, საქმე ძალიან კარგად მიდიოდა, ეგაა: მცირედი დაბრკოლებით.

ამ ბარათის წელი კი უფრო ნიშანდობლივად ივარაუდებოდა: 1871.

ოლიკოს გამოგზავნილი კაცი ისე თავაზიანად მოიქცეოდა ილიასთან, რომ... გამოეპარებოდა და პასუხს წიგნისა არ წამოიღებდა. რაკიღა მოეხსენებოდა ოლიკოს ამბავი, წერილის მიუწერლობაზე რომ გაჯავრდებოდა, ამიტომაც გზავნიდა ახლა ჩაფარს და ამ ბარათსაც ატანდა. იქნებ ოთხშაბათ საღამოს ჩამოსულიყო მეუღლესთან. პარასკევს შუადღემდე სულ ეიმედებოდა, რომ წამოვიდოდა, ბოლოს საქმეები გამოუჩნდებოდა და პირღია დარჩებოდა. ეწყინებოდა ძალიან ფრანგების დამარცხება, მაგრამ რა გაეწყობოდა.

ამ ტრაგიკულ დღეს — 1871 წლის 23 მაისს — როგორც დღეს კომუნის დაცემისა, ისტორიის შეფერხებისა და განახლების ძალთა შეყოვნებისა, აკი ლექსითაც გამოიგლოვდა.

ამ ბარათის თარიღი კი ზოგადადაც ვერ ევარაუდა პავლე ინგოროყვას, საწყალი მამიდა მაკრინე 19-ს რომ გარდაიცვლებოდა და ილია თავის შეწუხებას ასე ამცნობდა ცოლს:

მერე შენც აქ არა ხარ და გიჟსავით დავდივარ ოთახიდან ოთახში. ძალიანა ვწუხვარ, რომ ჩვენ ესე პირშავად დავრჩით მამიდის წინაშე. საწყალი მამიდა! ღმერთმა საუკუნო განსვენება მიანიჭოსო.

ილია მარტო იმასა წუხდა, რომ: არ იცოდა, თავის ქმართან დაემარხათ თუ არა მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავი. საკვირველი ხალხია ჩვენი ხალხიო, – ესეც დასცდებოდა, რადგანაც არავინ არასა სწერდა. ფულს კი გამოუგზავნიდათ.

დღეს სურდა აქეთ წამოსვლა, მაგრამ საგინაშვილს ელოდებოდა. ის მოდიოდა, რათა კრიტის ბატალიონი დაეთხოვა.

არადა ილიას ისე საშინლად ენატრებოდა ოლიკოს ნახვა, იქნებ ხვალაც ჩამოსულიყო. საშინლად ენატრებოდა! სამ წიგნს „საქმისას“ უგზავნიდა, რათა მეუღლეს ყურადღებით წაეკითხა ამერიკელ ქალებზე. ჩამოვიდოდა და გამოცდას მოუწყობდა. ჯერ კი ოლიკოს ილიას მაგივრად ეკოცნა თავისი თავისათვის ტუჩებში. თადეოზთან მოკითხვას დააბარებდა და... კვლავ დაიგმენდა: საწყალი მამიდაო!..

ვისაც ქვეყნისათვის გული სტკიოდა, არცერთი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, დიმიტრი სტაროსელსკისათვის ის ადგილი რომ ებოძებინათ. რაც ყმაწვილკაცობა იყო ტფილისსა და საქართველოში, სულ დიმიტრისთან ნდომულობდა სამსახურს. უკეთეს ალაგებს ანებებდნენ თავს, ოღონდაც კი იმასთან ემსახურათ. ყოველდღე მოსდიოდა და მოსდიოდა წერილები ამ საგანზედ და... კიდეც შენატრებდა ილია დიმიტრის:

ნეტავი მას, რომ ამისთანა სახელი აქვსო.

გამოემშვიდობებოდა და ამ ფრაზასაც მიადევნებდა:

მჭადის-ჯვარში ვგზავნი ეხლავო.

ეს რკალი მეუღლესთან გამოგზავნილი ბარათებისა ქუთაისიდან, დუშეთიდან თუ სხვადასხვა ადგილიდან, რაოდენ ხელშესახებად წარმოაჩენს იმ ყოველდღიურობას, იმ ყოფით რეალობას, ასე რომ ჩაითრევდა უსამსახუროდ და უსახსროდ დარჩენილ ილიას, ამხელა წამოწყება – „საქართველოს მოამბე“ – მალე რომ ჩაეფერფლებოდა ხელთ: და უკვე ეს რეები აწუხებს და ადარდებს, რა საზრუნავი გასჩენია, რის გამორკვევას დასდევს და ალევს ძალ-ღონეს, რაში ჩაფლულა და თავი ვეღარ დაუღწევია.

გადაიკითხავ და... ვეღარ გააცნობიერებ, მწერალი ადგენს ამ ბარათებს თუ წვრილფეხა მოხელე, ერთიც რომ არაფერი წაცდება ისეთი, რაც თვითონ მაინც მოაგონებს, რამხელა მისიით მოვლენია წუთისოფელს და მის ყოველ მხატვრულ თუ პუბლიცისტურ თხზულებაში ეს შეგრძნება ისე კანთიელად, ისე ხელშესახებად რომ ირეკლებოდა!..

პლატონ იგნატიჩი – პლატონ იოსელიანია, ერთი სახელოვანი ფიგურა მაშინდელი დროისაც და მისი ნაწერ-ნაღვაწი, მიუხედავად რუსოფილური მიდრეკილებისა და რუსულ-იმპერიული შეხედულებების გაზიარებისა, მრავალმხრივ მნიშვნელოვანია და არამცთუ ლიტერატურის ისტორია მიაგებს შესაფერის პატივს, ყოველთვისაც დაისაჭიროებენ ისტორიკოსებიც და ლიტერატურის მკვლევარებიც.

აგდებული კი ეყოლებოდათ არცთუ მომხიბლავი გარეგნობის გამო ნიკოლოზ ბარათაშვილსაც და ილია ჭავჭავაძესაც, ადვილად რომ ექილიკებოდნენ და გაჰკრავდნენ ხოლმე კბილს, და ილია ამჯერადაც პლატონის ხსენებისას ხელიდან არ გაუშვებდა შემთხვევას, ღიმილითა და ხუმრობით მოეხსენიებინა, გაბეზრებული რომ არ იყოს ყოფითობისაგან, გაღიზიანებული, გაგულისებული და იუმორის გრძნობადაკარგული.

ქილიკობის გუნებაზე როგორლა უნდა იყოს, თავისი გასჭირებია, ლამის მართლაც გაგიჟდეს გაუსაძლისი რუტინის შუაგულში მოქცეული, რაიმე სანუგეშოს რომ ვერც ვერას ხედავს და გულს ასკდება: გავიდა ცხოვრება და ესაა... როდისღა უნდა მოვეკიდო ჩემს ნამდვილ საქმეს... როდისღა... როდისღაო?!.

არა, მთლად მოწყვეტილი კი არა ყოფილა მწერლურ ფიქრსა და მცდელობებს, ის კი არა მთელი არსებით გადაეშვებოდა ხალხური ზეპირსიტყვიერების შეგროვებაში, ყველა ჟანრს რომ ერთობლივ დაჰხვევდა ხელს სოფლიდან სოფელში გადასვლისას: ლექსები იქნებოდა, ჯადოსნური ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები თუ ანდაზები.

ამ მასალებს შეარჩევდა, დაახარისხებდა, გამოაცალკევებდა პოეტურ ნიმუშებს და „გლეხური სიმღერების“ სახელწოდებით გამოუგზავნიდა კირილე ლორთქიფანიძეს ჟურნალში – „კრებული“ – გამოსაქვეყნებლად, იქ მხოლოდ მცირე ნაწილი რომ დაიბეჭდებოდა, მერე რაფიელ ერისთავის მიერ შეკრებილ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებთან ერთადაც რომ განმეორდებოდა ცალკე წიგნად, მაგრამ დანარჩენი, და საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილიც ფოლკლორული ძეგლებისა გამოუმზეურებელი დარჩებოდა.

სადღა მოეცალა მათ გასამზადებლად, სად ეტვირთა პეტრე უმიკაშვილის მოვალეობა.

არტურ ლაისტი ხშირად მოისმენდა პეტრეს ქებას ილიასაგან, ძალიან რომ უფასებდა სიძველეთა განსაკუთრებულ სიყვარულს. თავის მხრივ კი იგი დაამახსოვრდებოდა კეთილ, პატიოსან და მოკრძალებულ კაცად, რომლის შრომისმოყვარეობაც და კეთილსინდისიერებაც დიდ სარგებლობას მოუტანდა ლიტერატურას. და პეტრე უმიკაშვილის თვისებებს სწორედ მისაბაძ მაგალითად დასახავდა გერმანელი სწავლული, რადგანაც:

რასაც დაიწყებდა, საფუძვლიანად, მოთმინებითა და სიყვარულით აკეთებდა. და ხშირად მუშაობის დროს ჭამა და მოსვენებაც კი ავიწყდებოდა.

1887 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაში რომ მონაწილეობდა, იმჟამად არტურ ლაისტი ამ ეპოსს გერმანულად თარგმნიდა და ცალკეული ადგილების გასარკვევად ბევრჯე მიმართავდა პეტრეს, ერთხელ ქართველი მკვლევარი, უმთავრესად მაინც ფოლკლორისტი, მოთმინებიდან რომ გამოიყვანდა.

შუაღამისას ერევანსკის მოედნით შინ რომ მიეშურებოდა, გზად პეტრე უმიკაშვილი შემოხვდებოდა, ივანე მაჩაბელთან ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომაზე. პეტრე მაშინვე ამ თემაზე დაუწყებდა ლაპარაკს და ერთ საათს აღარც გაჩერდებოდა. ლაისტი ჯერ გულდინჯად დაუგდებდა ყურს, მერე კი ველარ მოითმენდა და პირდაპირ მიახლიდა:

– პირველის ნახევარია და დასაძინებლად წავიდეთ.

პეტრე... გაიცინებდა და გატაცებულ ლაპარაკს შეწყვეტდა.

გაჯავრება საერთოდ არ ეცოდინებოდა, მაგრამ ყოველგვარი უსამართლობა აღელვებდა. და მიუხედავად მოკრძალებული ბუნებისა, სადაც კი საჭიროდ დაინახავდა, თავის აზრს პირდაპირ და მოურიდებლად გამოთქვამდა.

მის ამ პირდაპირ და პატიოსან ხასიათს ზოგიერთი რომ არ აფასებდა, ზოგი კი მისი დიდსულოვნებით სარგებლობდა?

იუმორის გრძნობა არ აკლდა და ყოველთვის მშვიდობიანი ხუმრობით პასუხობდა, ნაცვლად გამწვავებისა, ვითარებას ჩააშოშმინებდა. არტურ ლაისტი რომ დაუკვირდებოდა, ასეთი ადამიანების რაოდენობა არ ებევრებოდა, გაყვინტრულთა თუ სარგებელზე მონადირეთა, რადგანაც უმეტესობა პეტრე უმიკაშვილს პატივისცემით ეპყრობოდა.

საერთოდ კი იუმორის უნარი დიდად ფასობდა ამ გარემოში, და დიდი გასავალი ამიტომაც ჰქონდა იუმორის ყოველგვარ გამოვლინებას.

ილია „ოთარაანთ ქვრივს“ რომ წაიკითხავდა დავით სარაჯიშვილის სალონში და მოთხრობა დიდ სჯა-ბაასს გამოიწვევდა, მოწონებით ძალიან მოუწონებდნენ, მაგრამ არც კრიტიკულ შენიშვნებს მოერიდებოდნენ, შუაღამე რომ გადავიდოდა და პურადი მასპინძელი თავყრილობის მონაწილეთ დიდებულ სუფრას გაუშლიდა, დიდ ლაზათს დასდებდა ვახშამს მოხუცი რაფიელ ერისთავის თამადობა, რომელიც განთქმულიყო როგორც ჩვენი მწერლობის პატრიარქი და გლეხთა მგოსანი.

იაკობ მანსვეტაშვილს რაფიელის ყოველი ხსენებისას აგონდებოდა ხოლმე მისი ენაწყლიანობაც, გონებამახვილობაც, ოხუნჯობაც – ნამდვი-

ლი ძველებური ქართული, დარბაისლური. და ამჯერადაც ვის სადღეგრძელოსაც დალევდა, უსათუოდ შესაფერი სახუმარო სიტყვითაც მიმართავდა, ხან ექსპრომტად ლექსსაც რომ ჩააკერებდა.

მოვიდოდა ალექსანდრე ჩოლოყაშვილის დღეგრძელობის რიგი, ქართული ბანკის დირექტორის, იმხანად ხმოსნადაც რომ აირჩევდნენ ქალაქის საბჭოში – „დუმაში“, და თამადა ამისთანა მარჯვე შემთხვევას ხელიდან აბა როგორ გაუშვებდა:

– ალექსანდრე, გიყვარდა კეთილი ცხოვრება და სულ იმას ნატრობდი, კაი მსუქანი ლუკმა გეშოვნა. აკი აგიხდა კიდეც ეს ნატვრა: ახლა ქალაქის „დუმა“ გიჭირავს ხელში, სთალე და სთალე, ნუ დაზოგავ, მსუქანი დუმაა.

„მე უნდა მეთქვა“ – მოწონებით გაიფიქრებდა ილია, არავისი არაფერი რომ არ ეხარბებოდა, გარდა მოსწრებული სიტყვისა. და თუმც მისი მოსწრებული სიტყვა, მარჯვე კალამბური, მოხდენილი ხუმრობა, ირონიული ისარი ცნობილი გახლდათ, ვერა და ვერა კმარულობდა და სურდა, ყველა ხუმრობა-ოხუნჯობა მისი ყოფილიყო, აკაკი წერეთლისა არ იყოს, თითქოს რომ წყინდა: რა არის, ყველა ხუმრობას, შთამბეჭდავსა თუ ბლაგვს, სულ მე რომ მომაწერენ, თითქოს მოლა ნასრედინი ვიყოო, – არადა ძალიანაც სიამოვნებდა, ყველა ანეკდოტური შემთხვევისა თუ გაქილიკების შუაგულში მას რომ ახსენებდნენ, ვისაც უნდა გადახდომოდა, მას რომ გულისხმობდნენ, აკაკის გარეშე ქართული იუმორის მდინარება რომ ვეღარც წარმოედგინათ და... თავიანთ ხუმრობასაც მას მიაწერდნენ, აკაკის უფრო მოუხდება, და მისი გონებამახვილობის სალაროც უფრო გაიზრდებაო.

მისი იუმორისტული მარგალიტების ფანტვას ვერ შეეგუებოდა თედო სახოკია, თავის დიდ სამოღვაწეო გზას აკაკი წერეთლის ხუმრობებისა და ფრთიანი გამოთქმების შეგროვებით რომ დაიწყებდა და აპირებდა, ეს წამოწყებაც შეევსო და ილია ჭავჭავაძის ხუმრობანი და მოსწრებული სიტყვებიც მოექცია ერთი გარეკანის ქვეშ... მაგრამ აკაკის ნაკვესების გამოცემას ისეთი არაჯანსაღი აჟიოტაჟი უნდა მოჰყოლოდა, თედოსათვის სულ თავბედი ეწყევლინებინათ, ის კი არა; კინაღამ ილიასთანაც დააპირისპირებდნენ...

და სრულიად დაუკარგავდნენ სურვილს, იმ პატარა კრებულისათვის ეს პატარა კრებულიც ამოეყენებინა გვერდით – ილიას იუმორისტული მარგალიტები, უხვად მიმობნეული საზოგადოებაში, იმჟამად ყველას რომ ახსოვდა და ხშირადაც იმეორებდნენ ხან სად და ხანაც სად, მაგრამ ჟამთა დინება ნაიღებდა ამ მოსწრებულ სიტყვებსა და მხიარულ ეპიზოდებს და დღესდღეობით საძებარი გაგვხდომია ილიას ფრთიანი ფრაზები, იუმორის შთამბეჭდავი გაელვებანი, თითოროლასღა რომ ვაწყდებით მის თანამედროვეთა მოგონებებში და მათ იმედადღა ვცდილობთ წარმოვიდგინოთ ილიას ბუნების ეს მხარე – ზეპირადაც არანაკლებ რომ ეხერხებოდა იუმორისტული, მხიარული, კომიკური, პაროდიული ვითარების შექმნა, ვიდრე ლექსში, მოთხრობასა თუ პუბლიცისტურ სტატიაში.

პერფორმანსების გათამაშებაც რომ სჩვეოდა!..

ამასობაში რაფიელ ერისთავს პეტრე უმიკაშვილი უნდა ედღეგრძელებინა – როგორც ერთგული საზოგადო მოღვაწე და ქართული მწიგნობრობის დიდი მოყვარული, და ალავერდს ნიკოლოზ ერისთავთან რომ გადავიდოდა, თან უნდა მიედევნებინა:

– შენთვის მომინდვია, ყური უგდე პეტრეს და, თუ ჭიქა არ გამოცალოს, ულვაში აუწიე.

და ყველას სიცილი წასკდებოდა.

სასაცილო განა რა არის?

პეტრე ხომ წვერ-ულვაშს არ ატარებდა, გაპარსვას ამჯობინებდა, რაც ქართველებში იმხანად იშვიათად ხდებოდა, ამიტომაც პეტრე ამ მხრივაც ნიშანში ეყოლებოდათ ამოღებული და სულ იმის ცდაში იქნებოდნენ, მისი უულვაშობისათვის დაეცინათ.

მაშინაც ერთად მოხვდებოდნენ ზედაზენზე პეტრე უმიკაშვილი და იაკობ მანსვეტაშვილი, ილიაობის მეორე დღეს რომ გადაწყვეტდნენ საგურამოდან იქ ასვლას, თუმც გუშინდელ ნაქეიფრებს, შორი და ძნელი გზით დაღლილთ, ჭამის თავი აღარ ექნებოდათ და იმასღა ფიქრობდნენ, როგორმე დავისვენოთო. შენაყრდებოდნენ ცოტათი და საძილედ მოემზადებოდნენ. და ლოგინებს, რომლებიც საკმარისად წამოეღოთ, გაშლიდნენ მიწაზე, ღია ცის ქვეშ.

ბევრი მაშინვე დაიძინებდა, მაგრამ აღმოჩნდებოდნენ ისეთებიც, რომელნიც ძილს ღვინოს ამჯობინებდნენ. შექეიფიანდებოდნენ და ისეთ ყიჟინას ასტეხდნენ, მრავალჟამიერს ისე გაჰკიოდნენ, არამცთუ აქ, ტყეში დამფრთხალიყო ნადირ-ფრინველი, მგონი ტფილისშიაც უნდა ჩასულიყო ამათი ხმა. მთელი ღამე ამის გამო ბევრს ძილიც გაუკრთებოდა.

პეტრე უმიკაშვილსაც კი, ამ ტანმორჩილ, უჩინარ, სუსტ კაცსაც, ისე აიყოლიებდა ღვინო, მთელ ღამე იფროტიალებდა და მძინარეებს თავზე დაადგებოდა. მზრუნველი ბუნებისას ყოველთვის კარგი ლალასავით რომ სურდა ყველასათვის მოევლო, ამჯერადაც ვის საბანს გადაახურავდა, ვის ბალიშს გაუსწორებდა. მეტადრე თავს შემოევლებოდა დიმიტრი ბაქრაძესა და ილია ოქრომჭედლიშვილს.

– აბა ილიაჯან, კარგად დაიხურე, არ შეგცივდეს, – ერთი ხელით საბანს რომ გაუსწორებდა, მეორე ხელში ღვინით სავსე აზარფეშა ეჭირებოდა. და რადგანაც ღვინოს კარგად დაეძალა და ხელთ სიმაგრე აღარ ექნებოდა, ამიტომაც აზარფეშიდან ღვინო ეღვრებოდა და მწოლიარეს თავზე დასდიოდა.

ვინც შემთხვევით შეასწრებდა თვალს, ეგონებოდა, პეტრე მძიმე ავადმყოფის საზიარებლად მისულაო.

ილია ოქრომჭედლიშვილი მოერიდებოდა პეტრეს წყენინებას და ამასღა თუ ეტყოდა:

– გმადლობ, პეტრეჯან, გმადლობთ! მაკმარე. ჯერ საქმე იქამდე არ გამჭირვებია, რომ საზიარებელი ვიყო.

– მღვდლობაც დაგიწყია და მაშ წვერ-ულვაშის მოშვებაც მოგიწევს, – რაღაც ამგვარს უთუოდ შესცინებდა ილია ჭავჭავაძე პირველივე შეხვედრისას.

მაშინ კი, წლების წინათ, 1872 წლის 20 ივნისს, „პეტრუს-ბეგად“ რომ მიმართავდა ბარათში, მიტევებას ითხოვდა, მისი წერილის პასუხად ბარათი რომ დაეგვიანებინა. რაც პეტრეს მოეწერა, ილია იმ ყველაფერზედ სრულ თანხმობას უცხადებდა, ხოლო ახალი რისამე გაგზავნას რომ ენუკვოდა, ილიას ახალი დამთავრებული – ან უკეთ რომ ეთქვა: შესრულებული არა გააჩნდა რა, დასაბეჭდად ღირსი რომ ყოფილიყო.

გაუკვირდებოდა პეტრეს ამისი ზარმაცობა?

მაგრამ დაეჯერებინა, რომ ილიას სიზარმაცით არ მოსდიოდა.

სწორე ეთქვა:

ცუდი აგებულების კაცად მიაჩნდა თავი. დიდი მოსვენება და შეღავათი ესაჭიროებოდა, რომ დაეწერა რაიმე. და ვიდრე ჩინოვნიკობას თავს არ დაანებებდა, ეგ მოსვენება და შეღავათი მისთვის სიზმარი იქნებოდა.

თუ დაიწყებდა რაიმეს და ხელს არაფერი შეუშლიდა, დაწყებულს მალეც შეასრულებდა, და თუ დაწყებულს შეაწყვეტინებდა რაიმე, გათავებული იყო – მას ველარც დაუბრუნდებოდა.

ამჟამინდელი მისი წყეული მდგომარეობა ისეთი გახლდათ, რომ:

წერისათვის ხანგრძლივი მოცალეობა არ გააჩნდა და ამის გამო ასე უხეიროდ და უნაყოფოდ მიდიოდა მისი ორიოდე დღის ცხოვრება.

დიდად წუხდა ამგვარი ყოფისათვის, მაგრამ საშველს ვერსაით ხედავდა.

ფიქრობდა, თავი დაენებებინა სამსახურისათვის, მაგრამ რითი ეცხოვრა?

ვაითუ კიდევ უფრო მოკლებოდა მოცალეობა ლუკმაპურის შოვნის დევნაში, სამსახურს თუ მიატოვებდა.

ესეც მისი ვითარება.

მაგრამ მაინც კიდევ ეცდებოდა როგორმე დაეწერა რამე. წინასწარ არა პირდებოდა, იმიტომ – რომ ბევრჯერ დაპირებული ვერ შეესრულებინა.

30 აგვისტოს რომ მიიღებდა პეტრეს წიგნს, პასუხსაც იმდღესვე მისწერდა.

ილიას აზრი ეს გახლდათ:

ჟურნალი „კრებული“ უსათუოდ უნდა არსებულიყო.

მოეხსენებოდა, განა არა, იმ მდგომარეობაში, რომელშიაც იმყოფებოდნენ, ძნელდებოდა ამ „კრებულისათვის“ ნოყიერი საზრდოს მიცემა, რადგანაც ნიჭიერი მწერლები მაინცდამაინც არ მოიპოვებოდნენ; იქნებ ამ „კრებულის“ საქმე რიგიანადაც წასულიყო, რომ მწერლებს – გარდა ჟურნალისა – სხვა კავშირიც ჰქონოდათ ერთმანეთთან.

რას გულისხმობდა და:

თუნდაც ქალაქში ერთი იმისთანა სახლი რომ მოხერხებულიყო, საცა შესაძლებელი იქნებოდა მწერალთა და მათ თანამგრძნობელთა ერთად თავშეყრა თვითეულის გონების საუნჯის აღებ-მიცემობისათვის.

ჩვენდა საუბედუროდ არც ესა ხერხდებოდა.

და ეთანხმებოდა პეტრეს:

გაფანტულობა და დაქსაქსულობა გვღუპავს ჩვენო.

ეს უბრალოდ გამოთქმული აზრი შეადგენდა ქვაკუთხედს მისი წინასწარმეტყველური სტატიისა „ზოგიერთი რამ“.

აქ კი ბარათს იმ სიტყვებით აგრძელებდა, რომ:

„კრებულს“ უსათუოდ უნდა ეარსება, თუმც თვითონ ილია დიდ შემწეობას ვერა პირდებოდა იმ რეალობის გათვალისწინებით:

მწერალს დამოუკიდებლობა უნდა, მწერალს თავისი დრო სულერთიანად უნდა ეკუთვნოდესო.

სხვისა არ იცოდა და თვითონ კი ასეთი აგებულებისა გახლდათ და!..

რას სწერდა პეტრე?

მოახერხე როგორმე, უეჭველად ქალაქში გადმოხვიდეო.

ეგ გადმოსვლა ტფილისში ადვილი იქნებოდა, თუკი ვაკანსია გაიხსნებოდა, შეპირებითაც შეპირებოდნენ, მაგრამ... ილიას დამოუკიდებლობას ეგ რას უშველიდა? თუ კიდევ სამსახურში იქნებოდა.

ილია სამსახურგარეთ უნდა ყოფილიყო: უთუოდ და უთუმცაოდ.

სამსახურისათვის თავის დანებება მისთვის იმჟამად დიდ არაფერს წარმოადგენდა და თუ სამსახურიდან გამოვიდოდა, მარტოდენ იმისათვის: ჟურნალი გამოეცა.

ფიქრობდა, ფიქრობდა და... ეს გამოცემა ვერ მოეხერხებინა და ვერა.

აი სრულიადი დაბრკოლება მისი, ხელ-ფეხს რომ უკრავდა.

თუ ორიოდ თუ სამიოდ რიგიან – სად იყვნენ, თორემ! – მწერალზედ იმედი ექნებოდა, ან უკეთ – მოეცემოდა, მაშინვე დაჰკრავდა ფეხს და გადავარდებოდა ბახტრიონ-გალავანზედა.

იერემიას გოდება როგორღაც გონებაში არ დაუჯდებოდა და ამიტომაც არ იყაბულებდა პეტრეს შეთავაზებას: ეს ბიბლიური წიგნი ეგებ გაგელექსაო.

გულწრფელად რომ გაემხილა, გონებაში იმიტომ არ დაუჯდებოდა, რომ... ვერ გაიგებდა, თუმც დიდი ყურადღებით კი წაიკითხავდა. მიიჩნევდა, რომ ეს მონაკვეთი საძაგლად თარგმნილიყო ჩვენს დაბადებაში, თუმც ალაგ-ალაგ მოეწონებოდა კიდეც.

კორესპონდენტად ან უკეთ – კომისიონერად წიგნების გასაყიდად დუშეთში პეტრესათვის ეშოვნა სანდო კაცი: ზურაბ სვიმონის ძე მორთულაძე. ის მოუხერხებდა: წიგნების გაყიდვას.

მომავალი ნომრისათვის შესთავაზებდა პოემის – „აჩრდილი“ – პირველ სამ ხანას. მეტი არა ჰქონდა და...

გიორგი მუხრან-ბატონის ბროშურა წაეკითხა და პასუხად ეს სიტყვები გასჩენოდა:

– ლიშ პრავა სილნეგო რაბ სვიატო პოჩეტაეტო! ძლიერის სამართალს მონა წმინდად აღიარებსო!

ამ ფრაზითაც მოუღებდა ბოლოს, თუმც ბარათი ბარათად და პოლემიკური ლექსიც შეეთხზა – „რჩევა“ – ყველა იმათ გასაბიაბრუებლად, ქართული ენის მეორეხარისხოვნობას ვინც ირწმუნებოდა და ქადაგებდა და უჩიჩინებდა და შეაგონებდა თვისტომთ: რაც დროზე გამოეთხოვებოდნენ

ამ ისედაც გასაქრობ მეტყველებას და მშობლიურად გაიხდიდნენ რუსულს, მითუკეთესი იქნებოდა – სად დასაღუპად განწირული ერის შვილობა და სად შვილობა მესამე რომისა, მთელი სამყაროს მბრძანებელიც რომ შეიქნებოდა, და იქნებ ძალიან და ძალიან მალეც, ოცნებად რაც გადაქცეოდა მთელს რუსობას.

„რჩევა" სწორედ წინადღით შეეთხზა და მთლიანად ჩაურთავდა პეტრესთან გაგზავნილ ბარათში, პაროდიულ შეგონებას იმით რომ იწყებდა: ვისაც სურდა ეგემნა ამა ქვეყნისა შვებანი, დიდთა საფერად უნდა მოემართა თავისი გულ-სიტყვის ებანი.

მერე ბრძნობით შემოსულიყო, დიდთათვის ეკმია, სხვათათვის – არა, და ექადაგა: წესია, რომ დიდმა ჰყლაპოს პატარაო.

ამ წესის სიმართლისათვის თუ პასუხს მოჰკითხავდნენ, მაშინვე შეეგებებინა: ჯერ ეგრე დამიჯერეთ, საბუთი კი მერე იყოსო.

დიდნი რომ დაუჯერებდნენ, აბა უარს რად იტყოდნენ?! პატარებს ჯანიც გავარდნოდათ, მთავარია, რომ დიდნი გადაუხდიდნენ მადლს.

თუმცა დიდთა პირფერობა მონებრივი ქცევა გახლდათ, მაგრამ მაღლა აცოცებისათვის თუ რაიმე შემოგეშველებოდა – კუდის ქნევა.

ამას ურჩევდა, რადგანაც გვყავდა ერთი მეგობარი, რომელიც ამგვარი ქცევით ჩვენში გაბედნიერებულიყო.

გამჭვირვალე იქნებოდა ეს მწარე გადაკვრა გიორგი მუხრან-ბატონზე, მისი ბროშურა სალაპარაკო რომ გამხდარიყო და დიდი შეხლა-შემოხლის გამომწვევიც საზოგადოებაში, იმათაც შეექმნებოდათ წარმოდგენა დიდის მიერ პატარის გარდუვალი ჩაყლაპვის თეორიაზე, ამ ბროშურას ვინც არ გასცნობოდა.

ძია გიორგისთან მიდი, გაგიგებს, დაგთანხმდება, იმისი სიტყვა ჩვენს ოჯახში კანონიაო...

და იდგებოდა სენატორის წინაშე ყმაწვილკაცი სულელური ფრაკითა და ფიზიონომიით და სულელურზე უფრო სულელური გუნებით და უმტკიცებდა მასპინძელს:

– ვიცი, ოლიკოს სწამს ბედნიერება სიმდიდრის გარეშე...

– თქვენ ხომ იმას კარგად არ იცნობთ.

– რამდენადაც ვიცნობ...

და ტკბილი საუბრის შემდგომ თავის სველ ქუდს რომ მიაწვდიდნენ და თავზე დაიხურებდა, სიძულვილიც ისე დაეხურებოდა გულზე, ისე, ისე, რომ...

და გაიმეორებდა და გაიმეორებდა მწარე ღიმილით: ლიშ პრავო სილნეგო რაბ სვიატო პოჩტაეტო!..

მოათავებდა ლექსის ჩაწერას და დაამუნათებდა პეტრეს:

რაც ქართული წიგნები გამოდიოდა, რატომ არ აგზავნიდა? აი ქალებს რომ ეთარგმნათ, გამოეგზავნა და ფული არ დაეკარგებოდა.

იგულისხმებდა კრებულს – „თარგმანნი საამონი საკითხავთა თხზულებათა, გამოცემული ქართველი ქალებისაგან", ეკატერინე გაბაშვილის, ეკა-

ტერინე მელიქიშვილის – შემდგომ სერგეი მესხის მეუღლე რომ გახდებოდა – და ელენე ყიფიანის თარგმანებისაგან შედგენილს.

1873 წელს პეტერბურგიდან მოსწერდა „ჩვენს დედა-ბოძს... პეტრუსბეგს“:

ჩვენი ნათარგმნი „მეფე ლირი“ აქამომდე მიღებულიც გექნება და გადაკითხულიცაო.

მაშინ ეთხოვა: „კრებულში“ დააბეჭდინეო.

ახლა კი ორ შეუცვლელ პირობას დაუდებდა.

ერთი ის, რომ:

იმგვარად უნდა დაებეჭდათ, ლექსი არ გაეტეხათ, ანუ – მთელი სტრიქონი ერთ სტრიქონზედ დაეტიათ.

და მეორე:

ეს პირველი მოქმედება ერთ ნომერში სრულად, ხელუხლებლად დაებეჭდათ და კორექტურის ნაკითხვა პეტრეს გაფაციცებული თვალისათვის მიენდოთ.

ცუდი არ იქნებოდა, ამ თარგმანზე პეტრეს მისთვის ჩვეული პირუთვნელი აზრი მოეწერა ამ მისამართზე: სტუდენტს პეტერბურგის უნივერსიტეტისა ივანე გიორგის ძე მაჩაბელს, ილია ჭავჭავაძისათვის გადასაცემად.

სანდრო ერისთავი ამ ბარათის მიღებისთანავე უნდა ენახა პეტრეს და გადაეცა, რომ: დაღუპავდა ილიას, თუკი არ აღასრულებდა, რასაც შეჰპირებოდა.

პოსტსკრიპტუმად კი დასძენდა, რომ:

თუ პეტრეს ეს თარგმანი მოეწონებოდა, მაშ ილია იმასაც ახარებდა, რომ მეორე მოქმედება სწორედ დღეს მოეთავებინათ და სიკეკლუცით პირველ მოქმედებას არ ჩამოუვარდებოდა.

მას შემდეგ კარგა ხანს აღარ მოუწევდა შეხმიანება ბარათით, ვიდრე 1885 წლის 14 სექტემბერს ამ სახელდახელო წერილს მისწერდა:

ძმაო პეტრე, ჩემო კარგო მეგობაროო!

დღეს წასვლა ვეღარ მოუხდებოდა და სთავაზობდა: ხვალ, ანუ შაბათს, დილით „პოეზდით“ წავიდეთ, თუ გიყვარდეო. მაშ პეტრე ხვალ ვაგზალში უნდა დახვედროდა დილის მატარებლისათვის.

– თუ არ მოხვალ, არც მე და არც შენ.

რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას უნდა ანიჭებდეს ამ მგზავრობას, თორემ ასე არ მიმართავდა, მეგობრული დამუქრებით.

თუ პეტრეს ენდომებოდა, დღესვე შეძლო წასვლა. მცხეთაში ცხენები დახვდებოდა, ილიას კნეინას ძალიან ეამებოდა პეტრეს სტუმრობა. ოღონდ სახვალიოდ ილიასათვის ცხენები უნდა გაეგზავნათ მცხეთას.

1890 წლის 31 მარტს გაგზავნილ ბარათში კი თავისი გაოცება უნდა გამოეთქვა იმის შეტყობით, რომ:

თურმე პეტრე რაღაცის გამო გაჯავრებული ყოფილიყო ილიაზედ. ეს მითუფრო შესაწუხებელი შეიქნებოდა მისთვის, რომ ვერ მოესაზრებინა, რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი.

ვისგან-ვისგან და პეტრესაგან უკვირდა, თუ რამ მიზეზი ჰქონდა, აქამომდე პირდაპირ რატომ არ ეთქვა. ამას თხოულობდა მათი დიდი ხნის მეგობრობა.

თუ უყვარდა ილია და მისი მცირეოდენი პატივისცემა კიდევ შერჩენოდა, ამაღამ მასთან ასულიყო გასახსნილებლად. აქ ყმაწვილები იქნებოდნენ, „ივერიაზე“ ილაპარაკებდნენ და ილიას სურდა, პეტრე უმიკაშვილიც დასწრებოდა ამ შეკრებას და მისი რჩევაც მოესმინათ. თუ სამუდამოდ არ აპირებდა ილიაზე შემოწყრომას და არა სურდა ილიაზე ხელის აღება, ეხვეწებოდა: უარი არ მითხრა და უსათუოდ მოხვიდეო.

და ფაქსიმილეს წაუმძღვარებდა: შენი ერთგულიო.

ნეტა რა მომხდარიყო ამისთანა, თვით წყნარი, ბუნჩულა, ილიას მოთაყვანე პეტრე ისე რომ განაწყენებულიყო, ილიამდე მიეღწია მის გულისწყრომას? ამას კი ვერა გაეხსენებინა რა, რითი ეტკენინებინა გული.

რაც იყო თუ როგორც იყო, უბოდიშებდა და კვლავ მის თანადგომას ესწრაფოდა.

ამას ვერ იხსენებდა, თორემ მაშინ კი უსიამოვნოდ ჩარჩებოდა ცნობიერებაში ორივეს, „ვისრამიანის“ გამო რომ მოუწევდათ საჯარო შეხლა, უფრო ზუსტად – ილია დაეტაკებოდა გულმოსული, პეტრე თავის დაცვას რომ შეეცდებოდა, მაგრამ ამაოდ, რაკიღა ლაპარაკში ილიას მძლეველი არავინ მოიძებნებოდა, თუნდ სიმართლე იმ წუთას მის მხარეს არც ყოფილიყო.

იონა მეუნარგია დაბეჯითებით ამიტომაც ირწმუნებოდა:

მის დიალექტიკას, მის მოსწრებულ სიტყვებს, მის მდიდარ ლექსიკას ჩვენს ქართველობაში წინ ვერავინ დაუდგებოდა ხოლმეო.

და შეახსენებდა მკითხველს ილიას საჯარო გამოსვლებს საადგილმამულო ბანკის წევრთა საზოგადო კრებებზე წინააღმდეგ ძმათა მაჩაბელთა, როდესაც ბევრი გრძნობდა, სიმართლე ივანე მაჩაბლისკენააო, მაგრამ ილია მაინც დაამარცხებდა მას თავისი დიალექტიკითა და მოსწრებული სიტყვებით.

სანიმუშოდ კი ილიას უძლეველობისა სიტყვიერ პაექრობაში გაიხსენებდა არა რომელიმე გამოკამათებას ივანე მაჩაბელთან, არამედ პეტრე უმიკაშვილთან შეტაკების იმ ეპიზოდს.

„ვისრამიანის“ ბეჭდვა რომ დაიწყებოდა, უკანასკნელი რედაქციის დადგენასა და ვარიანტების ურთიერთშეჯერებას მიანდობდნენ: ილია ჭავჭავაძეს, პეტრე უმიკაშვილსა და ალექსანდრე სარაჯიშვილს.

ერთ უძველეს ვარიანტში ისინი დაინახავდნენ, რომ: უ-ს ბრჯგუ არ ექნებოდა. ილიასაც მეტი რა ენდომებოდა, ჩვეულებრივი აღტაცებით დაიჟინებდა:

– უ უბრჯგუოდ დავბეჭდოთ.

პეტრე უმიკაშვილი თაყვანისმცემელი რომ გახლდათ ყოველგვარი არქაული ფორმისა, არამცთუ მხარს დაუჭერდა, არამედ შეშინდებოდა კიდეც ამგვარი გადაწყვეტილებით. შეეშინდებოდა, რადგანაც კორექტორი ის იყო და ვაითუ ბრჯგუს განდევნა მისთვის დაეწამებინათ.

ამიტომაც დაწერდა ამ საგანზე დადგენილ გადაწყვეტილებას და ხელს მოაწერინებდა ილიასაც და ალექსანდრესაც.

მერე დაიბეჭდებოდა წიგნი, რომელსაც გადაშლიდით თუ არა, თვითონვე დაინახავდით, შიგ რეებიც ეწერებოდა. რა სიტყვები გამოვიდოდა, თუ ბრჯგუ არ ექნებოდა უ-ნით დაწერილ სიტყვებს: ჩვენ – ჩუენ, მოსვენება – მოსუენება, გამოკვება – გამო... სკაბრეზზე მინიშნებასაც არ მოერიდებოდა იონა მეუნარგია, რათა უნებლიეთ შექმნილი კომიკური ვითარება გაემკვეთრებინა.

– ილია, ეს რა გიქნიათ, როგორ დაგიბეჭდავთ? – ჰკითხავდნენ თუ არა, ის შუბლშეკრული რომ მიუბრუნდებოდა პეტრეს:

– წარმოიდგინეთ! მე რომ რუსეთში ვიყავი, პეტრეს გაუკეთებია. პეტრე, ეს რასა ჰგავს, როგორ დაგიბეჭდია?

– მე ისე დავბეჭდე, როგორც გადაწყვიტეთ, – ის თავს იმართლებდა, მაგრამ ილია ასე ადვილად არ მოეშვებოდა:

– თავის დღეში მე ამგვარი დაბეჭდვა არ მიფიქრია.

მაგრამ პეტრე დაიმედებული გახლდათ, დოკუმენტი რომ ეპყრა ხელთ, და გაჯავრებით რომ ეტყოდა:

– გიფიქრია კი არა, გითქვამს კიდეც და ხელიც მოგიწერია!

სასწრაფოდ გაიხსნიდა ჯიბეს, ამოიღებდა ხელმოწერილ ბარათს და წინ დაუდებდა, მაგრამ ილიას წამითაც ვერ შეაკრთობდა თავისი ხელმოწერის ხილვა.

– თავის დღეში მე ეს არ მითქვამს, მე სხვარიგად მქონდა წარმოდგენილი, – კვლავ გაუმეორებდა, უფრო დაბეჯითებით, უფრო მჭახედაც და შეუვალადაც და... თავისი ლაპარაკით პეტრეს დამნაშავედ გამოიყვანდა.

ილია და... სხვისათვის გადაბრალება?.. მაგრამ კერძო კაცი აღარ გახლდათ დიდი ხანია, წინამძღოლი თაობისა წინამძღოლად გამოკვეთილიყო მთელი ერისა, სავარაუდო პრეზიდენტადაც რომ იგულისხმებოდა ამოგებული სახელმწიფოსი, და ეს ავალებდა ყველგან და ყოველთვის შეუმცდარი ყოფილიყო საზოგადოების თვალში, ყველგან და ყოველთვის შეუვალი... და ანბანიდან ხუთი ასოს ამოგდებაზე კვლავაც რომ ეჯუჯღუნებოდნენ, ახლა უბჯგრუზე ვერ „გადაიჩეხებოდა“.

და ამ აუცილებლობას უნდა „შეწირვოდა“ პეტრე უმიკაშვილი.

„შეწირვა“ „შეწირვად“, უბჯგრუ უბჯგრუდ და:

„ვისრამიანი“ – ეს მართლაც ყოველმხრივ შესანიშნავი განძი ქართული ლიტერატურისა – არა ყოფილიყო მანამდე დაბეჭდილი სრულად. ზოგიერთი ხანა ამ მშვენიერი წიგნისა დავით ჩუბინაშვილს ჩაერთო თავის „ქრესტომათიებში“. და არც მისი ხელნაწერები გახლდათ ისე ხშირი ჩვენში, როგორც თვით თხზულების ღირსება სამართლიანად ითხოვდა.

ეს თხზულება რომ ეკუთვნოდა დიდებულ დროს თამარ მეფისას, ამას ყველასთვის და ცხადია ილიასთვისაც მოწმობდა: თვით ენის სიკეთე, სიცხოველე და კილო.

დამწერად სარგის თმოგველს რომ ამბობდნენ, მტკიცე საბუთი ამისა არსად მოიპოვებოდა. ეგ კია: „ვეფხისტყაოსანზედ“ ადრე დაწერილიყო, რად-

განაც შოთა რუსთველი რამდენიმე ადგილას იხსენიებდა „ვისრამიანის“ გმირებს.

გამოცემის წინასიტყვაობისათვის პირველ პროექტს დაწერდა პეტრე უმიკაშვილი და გადასცემდა განსახილველად ილია ჭავჭავაძეს, როგორც გამოცემის მთავარ ხელმძღვანელს, რომელიც ამ პროექტის პირველ ნაწილს, ზოგადი საკითხების მომცველს, არ მიიჩნევდა მისაღებად და მის ნაცვლად დაწერდა ახალ ტექსტს. და პეტრეს რომ დაუბრუნებდა შესწორებულ წინასიტყვაობას – ახალი ტექსტის დართვით – თავმდაბლურად შეინიშნავდა:

– პეტრე, თუ მოგვეწონოს, თავი ასე დავიწყოთ და ბოლო შენი ნაწერი იყოს, სადაც ნიშანია, იქიდამ.

ილიას ამ ახალ ტექსტს – წერილის დასაწყისს – მიღებით მიიღებდნენ თანარედაქტორები – პეტრე უმიკაშვილიც და ალექსანდრე სარაჯიშვილიც – მაგრამ ზოგიერთ ცვლილებას კი შეიტანდნენ.

როდესაც ილია ჩაუკვირდებოდა „ვისრამიანის“ სადაურობას, უფრო იმ მოსაზრებისაკენ გადაიხრებოდა: უფრო მომდინარეობდეს ირანული ლიტერატურული პროტოტიპიდანო.

მაგრამ თანარედაქტორები – და უპირველესად ალექსანდრე სარაჯიშვილი – ამ თვალსაზრისს არ გაიზიარებდნენ და სწორედ ამ ადგილს შეასწორებდნენ ილიას ვერსიაში. და გამოცემისას წინასიტყვაობის ეს ნაწილი, ილიას მიერ მომზადებული, დაიბეჭდებოდა თანარედაქტორთა მიერ შეტანილი შესწორებით.

როდესაც პავლე ინგოროყვა ამ წინასიტყვაობას „ვისრამიანისა“ გაამზადებდა ილიას ტომებში შესატანად, აღადგენდა ილიას იმ პირვანდელ ტექსტს – ხელნაწერზე დაყრდნობით.

ჯერ ისედაც ის პირვანდელი, ილიასეული ვერსია უნდა აღდგენილიყო მის ტომებში, მაგრამ მკვლევარ-გამომცემელს ისიც უხარებდა გულს, რომ:

შემდგომი მეცნიერული კვლევა გაამართლებდა ილია ჭავჭავაძის მოსაზრებას და არა მისი თანარედაქტორებისა:

„ვისრამიანი“ საკუთრივ არც ქართული თხზულება გახლდათ და არც ქართველი მწერლის მიერ განაგონი სპარსული ამბავი, მხოლოდ შინაარსს რომ აიღებდა და თავისით დაწერდა, არამედ: თარგმანს წარმოადგენდა.

აკი კიდეც ეიმედებოდა ილიას, რომ:

შემდეგში ამ შესანიშნავი თხზულების სრული ვითარება გამოუძიებელი არ დარჩებოდა, მითუფრო, რომ ეს თხზულება ამის ღირსი გახლდათ და სასახელოც იმ ერისათვის, რომელსაც ის პირველად შეექმნა.

შემდგომი მეცნიერული კვლევა კი გულისხმობდა „ვისრამიანის“ იმ გამოცემას – 1938 წლისა – რომელსაც პავლე ინგოროყვა მოამზადებდა კორნელი კეკელიძესა და ალექსანდრე ბარამიძესთან ერთად.

არ აუხირდებოდა თანარედაქტორებს ილია, მაგრამ კვლავინდებურად თავის მოსაზრებაზე დარჩებოდა: საგულდაგულო გამოძიება-გამორკვევისა და დადასტურების მოლოდინში.

* * *

ეს კენჭი უნდა გადაყლაპოო, – ხელთ მისცემდნენ ქალაქში პირველად ჩასულს.

რატომო? – გაუკვირდებოდა ყმაწვილს.

ქალაქმა რომ არ დაგცადოსო, – აუხსნიდნენ.

ისე განა რამდენი და რამხელა კენჭები უნდა გადაეყლაპა ილია ჭავჭავაძეს, ქალაქს რომ არ დაეცადა?

სხვაგვარად ჩასაფრებოდა ავი ბედისწერა.

სხვაგვარად მისდევდა და მოჰყიოდა თავბედითი შავი ყორანი, სხვაგვარი მუქარითა და ყაშყაშით.

და განა რამხელა კენჭები...

და განა რამდენი...

თავი მეცხრე

დიდი გარდატეხის კარიბჭესთან

რას სწერდა ილია პეტრე უმიკაშვილს, სად გამომიგზავნე პეტერბურგში ბარათიო?

უნივერსიტეტში, ივანე მაჩაბლის სახელზეო, არა?

რას წარმოიდგენდა, ეს ახალგაზრდა კაცი ასეთ დიდ როლს თუ ითამაშებდა მის ცხოვრებაში, განუყრელნი რომ შეიქნებოდნენ ერთხანს, ვიდრე საბედისწეროდ დასრულდებოდა მათი მეგობრობა, სასტიკ დაპირისპირებაში გადაზრდილი, საბედისწეროდ: ერთისთვისაც, მეორისთვისაც, და რაც მთავარია და ყველაზე სავალალო – ქვეყნისთვისაც...

არადა ისე აეწყობოდა მათი ურთიერთობა, გულითად დამოკიდებულებას უილიამ შექსპირი და „მეფე ლირი“ რომ განუმტკიცებდათ, მათი ჩარევა შეადუღაბებდათ, ავტორისაც და მისი ქმნილებისაც, და ამ კიდევ ერთი დიდი წამოწყების სათავეში ერთად აღმოჩნდებოდნენ.

ივანე მაჩაბელი შემოჰყურებდა აღტაცებული, იჯერებდა და ვერც იჯერებდა, პირადად რომ გაიცნობდა ილიას... და ის როგორი დასაჯერებელი უნდა ყოფილიყო, ერთად რომ უნდა მოეკიდათ ხელი შექსპირული ტრაგედიისათვის და „მეფე ლირის“ ქართულ ვერსიაზე გვერდი-გვერდ აღბეჭდილიყო მათი გვარ-სახელები!..

მადლს სწირავს თავის ძმას, ვასილს, უფრო კი უფალს, ილიას გაცნობის ბედნიერება რომ ერგებოდა.

და ეს იმიტომ, ძმისგანაც ხშირად გაეგონა ილიას ქება და მისი ნაწერების მხურვალე და ერთგული მკითხველიც შეიქნებოდა, განსაკუთრებით რომ მოხიბლავდა „საქართველოს მოამბის“ ნომრები, გულისფანცქალით რომ ელოდებოდა თვითეული წიგნის გამოსვლას. რაო, დოკუმენტურად არ დასტურდება ვანოს გატაცება ილიას ჟურნალით? განა რა დოკუმენტური დასტური ესაჭიროება, როდესაც ადვილი მისახვედრია, ამ ჟურნალს ყმაწვილკაცობაც რომ დანაფებოდა, ვანოც მათ შორის იგულისხმებოდა. და ვახტანგ ჭელიძე არაერთ საგულისხმო რეალიასა თუ შტრიხს გუმანით რომ ივარაუდებდა ივანე მაჩაბლის დრამატულ თავგადასავალსა თუ პიროვნულ ბუნებაში, ამ შემთხვევაში დიდი რამ დაკვირვების გარეშეც ჩარიცხავდა ჯერაც ყმაწვილ ვანოს „საქართველოს ამოაბის“ ერთგულ მკითხველთა წრეში.

პეტერბურგში ილიას სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის საქმეების მოსაგვარებლად მოუწევდა ყოფნა, ადვილად რომ ვერ მოათავებდა საქმეს, გა-

უჭიანურდებოდა და გაუჭიანურდებოდა ჩინოვნიკთა კარზე ტრიალი – ერთიდან მეორესთან, მეორედან მესამესთან, მესამედან მეოთხესთან, მეოთხედან... ამოიწურებოდა თუ რა ასე ადვილად დაბრკოლებანი თუ მოულოდნელობანი, საიდან რა გამოიჩხირებოდა, თავიდან ვარაუდითაც რომ ვერ ივარაუდებდი, რამდენიმე თვეში რომ გეიმედებოდა სამშობლოში ჩამობრუნება.

ამიტომაც ვერ გაუძლებდნენ საქართველოში საადგილმამულო ბანკის დაარსების თაოსანნი, კეთილშობილური იდეა კეთილშობილურ იდეად რომ რჩებოდათ და აკვდებოდათ ხელში, ბიუროკრატიულ ლაბირინთებში ვერა და ვერ გარკვეულიყვნენ და, ვიდრე სული ამოხდებოდათ, კიდეც თავქუდმოგლეჯილნი გამოეცლებოდნენ ამ საქმეს, ასერიგად მნიშვნელოვანს და – როგორც მოვლენათა მსვლელობა დაადასტურებდა – სასიცოცხლოს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისთვის, მისი იმ აღმავლობისათვის, ურომლისოდაც სახელმწიფოებრიობის ამოგებაზე ფიქრიც კი ხელში ჩაგეფშხვნებოდა.

1873 წელს აცნობებდა ილია ვასილ მაჩაბელს, რომელსაც ძმად მოიხსენიებდა ბარათის დასაწყისში, რომ: ამას წინათ მდივნისათვის მიეწერა ვინაობა აქაური ბანკების მმართველებისა და ეთხოვა, რომ მის ნაცნობთა შუამდგომლობით, ანუ ბარიატინსკის მეოხებით, რაიმე ღონისძიება მოგვნიჭებოდა აქაურ ბანკებში შესვლის თაობაზედ.

ვერ გაერკვია, რა მიზეზი იყო, რომ აქამდე მდივნისაგან პასუხი ვერ მიელო. იქნება მისი წიგნი არ მისვლოდა? უსათუოდ ეს მიზეზი უნდა ყოფილიყო, თორემ მდივნის რიგიანობის ამბავი რომ მოეხსენებოდა, თვითონ მდივნის ბრალი არ იქნებოდა, აქამდე პასუხი რომ არ მოსვლოდა. არადა წუხდა და რარიგ წუხდა!..

საქმის წინ წაგდებისათვის აღარავის მოუცდიდა, აიღებდა თავს და პირდაპირ მოსკოვის ბანკის მმართველთან – ვიღაც ვოლკოვი გდიაო, გაღიზიანებული ჩაურთავდა – შეეხეტებოდა. უამბობდა ყოველივე თავის ნაღველს შესაფერისი წინასიტყვაობით და შეეცდებოდა, რომ მისი კაცობრიული გული აღეძრა ჩვენდა საკეთილდღეოდ, მაგრამ ცერცვი კედელს – ვერაფერს მოიბირებდა, ისეთი ბრიყვი რამ აღმოჩნდებოდა ეს ბანკის მმართველი: გადაწყვეტით უარს მოახლიდა:

– ვერასგზით ნებას ვერ მოგცემთ, რომ ჩვენი წესი შეისწავლოთ.

მოეკვეთებოდა ფრთენი ილია ჭავჭავაძეს და აღაღადდებოდა უდაბნოსა შინა.

ცუდად მიდიოდა ჩვენი საქმე და ეგაა.

ვერც ვანოს ბარათები გაჭრიდა.

კროტკოვი მოსკოვში არ იქნებოდა, პერფილიევი თუმც ცდით ეცდებოდა, მაგრამ იმედგადაწყვეტილი დარჩებოდა. გუშინ ესტუმრებოდა ილიას და ზოგიერთ რამ ნუგეშს მისცემდა მასზედ: იქნება ტულის ბანკში კარი გაგიღოო. მაგრამ იმის ნუგეშინში უიმედობა მოისმოდა. ერთ კვირას ითხოვდა საქმის გადაწყვეტილად შეტყობისათვის და, ილიასაც მეტი რა ჩარა დარჩენოდა, უნდა დალოდებოდა, რას იქმოდა.

– თუ აქედამაც არა გახდა რა, ვაი შენს მტერს, ჩვენ საქმე მოგვივა.

ვოლკოვი მოსკოვის ბანკში მმართველის თანამდებობას დროებით ასრულებდა: ნამდვილი მმართველი თავადი ვლადიმირ ალექსანდროვიჩ ჩერკასკი გახლდათ, ძალიან კარგ კაცად რომ იცნობდნენ და ილიას ამხნევებდნენ: თუ ვინმე დაგვეხმარება, ჩერკასკი ნებას მოგვცემსო.

მაგრამ რად გინდა: ჩვენდა საუბედუროდ ამჟამად აქ არ იმყოფებოდა, თუმც მალე კი უნდა მოსულიყო.

იქნება ბარიატინსკის ძმა იცნობდა ჩერკასკის? ეგება ვასილს ეთხოვა ძმურად მდივნისათვის, დაფაცურებულიყო, რათა ბარიატინსკის ძმას ბარათი მიეცა ილიასათვის ჩერკასკისთან – დიდ სიკეთეს გაუწევდნენ, ამას თუ თავს მოაბამდნენ. ეს ის ჩერკასკი გახლდათ, რომელიც მოსკოვის „გოლოვად“ იმყოფებოდა ერთ დროს.

– შენი ჭირიმე, ვასო, რაც შეგეძლოთ მალე მომეშველენით, თორემ დრო უბრალოდ მიდის და ამას გარდაც სხვა გზით შველა არსაით არის.

ტულის ბანკის მმართველი ალექსანდრ ვასილევიჩ იაკოვლევი რომ გახლდათ, იქნება მისი მცნობიც ყოფილიყო ვინმე და იქნებ ამ მცნობს ილიასათვის სარეკომენდაციო ბარათი გაეტანებინა მასთან.

ერთი სიტყვით: რაც მოუხერხდებოდა ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას, ის მოეხერხებინათ.

„ცენტრალნი“ ბანკისა რა შეეტყო ვასილს? ილიასათვის ეგებ მისი სიმამრის საქმის ამბავიც დაწვრილებით მიეწერა.

ვასილ მაჩაბლის საქმიანობისა და რიგიანობისა ეიმედებოდა, რომ ამ ბარათის პასუხს მალე მისწერდა და ამასთან შეატყობინებდა, რა თადარიგს დაიჭერდა და რა განკარგულებას მოახდენდა ყოველ იმ საგანზედ, რომელთაც ილია ამ წიგნში იხსენიებდა.

ვარვარა ილინიშნასა და გიორგის თავის ერთგულებასა და პატივისცემას განუცხადებდა.

მიგულე შენს მეგობრადო, – ამ სიტყვებით გამოეთხოვებოდა.

იმავე წელს აღუსრულებდა თხოვნას ვასილს და თვით „ადრესნის სტოლნის“ ბლანკს გაუგზავნიდა. თვითონ ილია კი კვლავ აქ რჩებოდა ჩერკასკის მოსვლამდე უსაქმოდ და უიღბლოდ. საკვირველი საქმე მოსვლოდათ და ეგაა: ვინ მოიფიქრებდა, რომ „პოზემელნი ბანკში“ ფეხის შედგმა ასე გაძნელდებოდა.

ახლა კი აი ჰქონდა სათხოვნელი:

მანდ, პეტერბურგში იმყოფებოდა რუბენ გულიშამბაროვი, რომელთანაც ინახებოდა ილიას წიგნები, დიმიტრი ყაზბეგისაგან დატოვებული. ეგებ ვასილს გამოერთმია და ილიასათვის გამოეგზავნა – ფრიად ესაჭიროებოდა.

მეორე სათხოვნელად ეს ექნებოდა:

იქაური მიწის საკრედიტო გაერთიანების საზოგადოება მოენახულებინა ვასილს, როგორც სჩვეოდა ციბრუტივით დატრიალებულიყო და ეგებ ამ საზოგადოების ყოველნაირი ფორმა, წიგნების სახეები და სხვა, რასაც კი

მმართველობაში იყენებდნენ, ეშოვნა და ილიასათვის გამოეგზავნა. ამას გარდა:

ამ ფორმებსა და წიგნების ნიმუშებში ჩვეულებისამებრ იქნება თავისუფალი ადგილები როგორც გრაფებში, ისე სტრიქონებში. შესაძლებელია თუ არა ეს თავისუფალი ადგილები და გრაფები შეივსოს ცალკეული საქმიანი შემთხვევებით, რათა ამით შესწავლა გაგვიადვილდესო.

ესეც შეეტყობინებინა:

თუ ვინიცობაა აქ ილია ვერას გამხდარიყო, შეუშვებდნენ თუ არა ამ საზოგადოების სამმართველოში, რომ შეესწავლა რაიმე.

იქ ამ ორს – ანუ ვასილსა და მდივანს – ბევრი ნაცნობი ჰყავდა; და ეგებ მათი შემწეობით ილიასაც გზა გახსნოდა.

თავისი სიმამრისათვის ეცნობებინა ვასილის მონაწერი და გამოჩნდებოდა, რა პასუხს გასცემდა.

და მოკითხვას რომ დააბარებდა მდივანსა და ვანოსთან, ვარვარა ილინიშნასა და გიორგის კვლავ პატივისცემას შეუთვლიდა.

21 აგვისტოს მისწერდა: ამას წინათ ბარათი რომ გაეგზავნა, ნეტა მიეღო თუ არა? ხვეწნა აღარ უნდოდა, რომ იმ ბარათის თხოვნა შეესრულებინა ვასილს. ახლა კი ამას ეხვეწებოდა: „დროების“ 25-ე ნომერი გამოეგზავნა: ნიკო ნიკოლაძისა და ბესარიონ ღოღობერიძის კრივში ილიასაც დაეპირებინა ჩარევა და ცოტაოდენი ქვაც აერია.

ორივე ცუღლუტობდა – ნიკოლაძე კი უფრო ბევრს.

– მაინც უსაქმოდ ვგდივარ და დავწერ რასმეს მაინცა.

ახლა ცოტა იმედი მოეცემოდა, რომ თავის საქმეს გაარიგებდა. კაცი ეშოვნა, შემწეობას რომ შეპირებოდა; და ხვალ დაბოლოვდებოდა მისი იმედოვნების აღსრულება თუ გამტყუნება.

25 აგვისტოს შეატყობინებდა, რომ:

ვასილის წერილიც და სანდროსიც გუშინ მიეღო. ვიდრე ეს ბარათები მოუვიდოდა, უკვე გაერიგებინა ბანკში შესვლა, ოღონდ „პოზემელნი“ ბანკში კი არა, არამედ მოსკოვის საკრედიტო საზოგადოებაში, არსებითი თვისებებით რომ უკავშირდებოდა ჩვენს მომავალ ბანკს.

აქ შეისწავლიდა თუ არა, რაც საჭირო გახლდათ, მაინც წამოვიდოდა, რათა მიწის საკრედიტო გაერთიანების საზოგადოებაში შეესწავლა ის, რაც დააკლდებოდა. რადგანაც მისი საქმე ასე მორიგდებოდა, სანდროს წიგნები მისთვის საჭირო აღარ იქნებოდა.

სიმამრის ბარათი მოსვლოდა, იწერებოდა: 40 თუმანს მივცემ, ამ საქმეს ვინც კარგად წაიყვანსო. თუ გაჭირდებოდა, მომეტებულიც შეიძლებოდა. ასე ცოტას კი იმისათვის ნიშნავდა საზღაურად: საქმე თითქმის მოგვარებულიაო.

ილია შეენუკვებოდა ვასილს, დაფაცურებულიყო. თუმც პირობის წერილი არ გამოეგზავნა თადეოზს, მაგრამ პირობის წერილს ილია თვითონაც გასცემდა სიმამრის წერილის რწმუნების ძალით, ანუ თავისი საკუთარი სახელით. ეგებ მალე მოეწერა ვასილს, ამ საგანზედ რა თადარიგს დაიჭერდა.

ამასთან სთხოვდა: კრედიტის კანცელარიაში, რომელიც ხელმწიფის სასახლის პირდაპირ იდგა, მისულიყო და შეეტყო, გაგზავნილიყო თუ არა „გოსუდარსტვენნი სოვეტში“ ამათი უსტარი.

და კიდევ ერთი სათხოვარი:

უგზავნიდა პატარა წერილს, რომლის მეოხებითაც ვასილს შეეძლო შეეტყო „ოკრუჟნოი სუდში“ ანუ პალატაში ამ წერილში მოხსენიებული საქმეების მდგომარეობა.

მესამე საქმეს კი, აღარ იცოდა ილიამ, როგორ იპოვნიდა ადრესატი, რადგანაც ვინ უწყოდა, რომელ „მიროვოი სუდში“ იმყოფებოდა. პირველ ორ საქმეს კი ადვილად მიაგნებდა „ოკრუჟნოი სუდში“.

ადვოკატ ჩიჩაგოვს დაეტყუნა ეს საქმეები და აქამდის არას ატყობინებდა პატრონს.

ახლა ელენე ზახაროვის მემკვიდრედ გახლდათ მედიცინის დოქტორი კონსტანტინ ივანიჩ ზაქაროვი, რომლის შემწეობითაც ილიას ბანკის კარი გაღებოდა და რომელიც ილიას ქვისლის, დიმიტრი სტაროსელსკის, დიდი მეგობარი იყო. იმას ეთხოვა, რომ: ილიას ამ საქმეებისა დაწვრილებითი ამბავი შეეტყო.

რადგანაც ვასილ მაჩაბელი იქ ეგულებოდა და ვასილის გულკეთილობას კი საზღვარი არა ჰქონდა, ამიტომაც მის იმედად დაპირდებოდა ილია ზაქაროვს: შეგიტყობო. მთავარი იყო ახლა, კიდეც მალე გამოერკვია ვასილს და სასწრაფოდაც ეცნობებინა.

1 სექტემბერს მეგობრული საყვედურით მიმართავდა:

რად დამივიწყე? შენი რიგიანობისა და ფაციფუცისა განა ეგ იმედი მქონდაო?

შესთხოვდა, ამ ბარათის მიღების უმალვე „კრედიტნი კანცელარიაში“ შეეტყო – გაეგზავნათ თუ არა ამათი წესდება „გოსუდარსტვენნი სოვეტში“. დაწვრილებით გამოერკვია ამ „უსტავის“ ყოფა და აწინდელი მდგომარეობა და დაწვრილებითვე ამ ორ დღეში ეცნობებინა. უსათუოდ ძალიან მალე უნდა შეესრულებინა ეს თხოვნა – ფრიად ესაჭიროებოდა ილიას მომავლის გაწყობას.

ილიას სიმამრის საქმისა რაღა გაერიგებინა? იმას აკი შემოეთვალა და 40 თუმანს ჰპირდებოდა ამ საქმის მომგვარებელს. ასე ცოტას კი იმიტომ ნიშნავდა, საქმე უკვე მოგებული რომ გახლდათ.

მიწის საკრედიტო გაერთიანების საზოგადოება მიუშვებდა თუ არა, რომ მათი რიგი და წესი შეესწავლა? ეგებ ესეც მალე მოეწერა ვასილს. ილია 10 სექტემბრამდე აქაურ კრედიტის ბანკში ყველაფერს შეათავსებდა და აქეთ წამოვიდოდა, თუ საჭიროება მოითხოვდა.

სანდრო ერისთავი რამდენ ხანს დარჩებოდა იქ? მოკითხვა გადაეცა მისთვისაც და მდივნისთვისაც, აგრეთვე თავის ძმისთვისაც – ვანოსთვის.

პოსტსკრიპტუმად მიადევნებდა: პასუხი მალე მომაშველეო.

1874 წლის 15 ივნისის ბარათს ამ სიტყვებით დაიწყებდა:

მამულის-შვილსა მამულის-შვილი შორიდან სალამს გიყენებ, ძმაო ვასილო!

და დაამუნათებდა, ბანკის ვითარება ჯერ პირველად ვიღაც სანაქსაროვისაგან რომ შეეტყო, მაშინ, როდესაც ეს საქმე ვასილს უნდა ეკისრა და აღესრულებინა.

გული ეტკინებოდა ილიას, ასე რომ მოხდებოდა, მაგრამ რაც იყო, ახლა აღარა ეშველებოდა რა. სანაქსაროვისათვის უნდა ერგუნებინა სამახარობლო და გულითადი მადლობაც გამოეცხადებინა.

ეს კია: იმას ტელეგრამა მეტად ბუნდოვნად დაეწერა, ასე რომ, ილია ეჭვში ჩაეგდო. ის იწერებოდა:

– 7 მაისს ფინანსთა მინისტრს მოუვიდა უმაღლესი ბრძანება სათავადაზნაურო ბანკის დამტკიცების შესახებ.

და ვეღარ გაეგო ილიას, რას ნიშნავდა ბრძანება დამტკიცების შესახებ? განა თვით სახელმწიფო საბჭო არ ამტკიცებდა?

თუ სახელმწიფო საბჭო არ ამტკიცებდა, მაშინ ასეთი ბრძანების შემდეგ შეეძლო თუ არა მინისტრს, არ დაემტკიცებინა წესდება?

ამის გამო გუბერნიის წინამძღოლი იძულებული შეიქნებოდა დეპეშით მიემართა დირექტორ ციმსენისათვის და ეთხოვა: კეთილი ენება და დაეჩქარებინა 7 მაისს დამტკიცებული სათავადაზნაურო წესდების გამოგზავნა.

ციმსენი ამაზე მიუგებდა, რომ: წესდების სწრაფად გადაბეჭდვის შესახებ მიემართა სენატისათვის.

ეს პასუხიც სასურველად ვერ განუმარტავდა ილიას თავის იმ შეკითხვას.

არსებითად სურდა გაეგო, დამტკიცებული იყო თუ არა წესდება, და... სწორი პაუხი კი მაინც ვერ მიეღო.

ამიტომაც სწორი პასუხისათვის მიეკითხა ვასილისათვის. და ის კი იწერებოდა:

წესდება დეკემბრამდე ძნელად თუ დამტკიცდესო.

რას ნიშნავდა ეს – წესდება ჯერაც არ დამტკიცებულიყო?

ღვთის გულისათვის: ეგებ გამოეყვანა ილია ამ უსიამოვნო მდგომარეობიდან და მიეცა დაბეჯითებული პასუხი შემდეგ კითხვებზე:

განხილულიყო თუ არა ილიას მიერ შეთავაზებული წესდება სახელმწიფო საბჭოს მიერ?

თუ განხილულიყო, რა განკარგულება მოჰყოლოდა?

თუ მართლა მისვლოდა უმაღლესი ბრძანება ფინანსთა მინისტრს წესდების დამტკიცების თაობაზე, მაშინ მინისტრს შეეძლო თუ არა, რომ არ დაემტკიცებინა?

თუ არ შეეძლო, მაშინ რატომღა ფერხდებოდა და ჭიანურდებოდა დეკემბრამდე?

შენი ჭირიმე, ვასიკოო, – შინაურულად შეუძახებდა, რათა ერთი მისებურად ციბრუტივით დატრიალებულიყო და დაეხსნა ილია ამდენი იჭვნეულობისაგან. პასუხი მალე მოეწერა.

მისულიყო „კრედიტნი კანცელარიაში“ და ციმსენისათვის ეთხოვა:

– თქვენ თავად ჭავჭავაძეს შეეპირდით მიგეცათ სახელმწიფო საბჭოში დაბეჭდილი წესდების ასლი ან ამონაბეჭდები, ახლა კი გთხოვთ ამ დახმარების გაწევას.

გამოერთმია და გამოეგზავნა ილიასთან. რასაკვირველია ეს თხოვნა ვასილ მაჩაბელს მისებურად უნდა გაემშვენიერებინა და ზრდილობით გალესილი შალაშინიც წაესვა.

ვანოსათვის გულითადი მოკითხვა გადაეცა.

და ესეც ეთქვა, რომ:

ილიას „მეფე ლირი“ გადაეცა „კრებულში“ დასაბეჭდად.

მოწონებით ყველას მოსწონდა ეს თარგმანი... აკაკი წერეთლის გარდა, ამჯერადაც რომ შეეცდებოდა, საზოგადოებრივ აზრს წინ აღდგომოდა და სადაც მიდგებოდა და მოდგებოდა, ყველგან გაეკილა ეს მცდელობა, როგორც ამთავითვე განწირული.

გულზე მოხვედროდა ილიას ეს მძაფრი კრიტიკული მსჯავრი, მაგრამ ბარათში აღარას იტყოდა ფაქტის აღნიშვნის გარდა, მთლად უთქმელად კი ვერ გადაატარებდა – აკაკი გახლდათ, თვით აკაკი, ვიღაც ხომ არა, და შესაძლოა კიდეც ემოქმედა საზოგადოებრივ აზრზე მის უარყოფით შეფასებას...

თუ სამოქმედო იყო, დაე ემოქმედა, თუ მოწონება ზერელე, ზედაპირულ შთაბეჭდილებას გამოეწვია, დაე გაქარწყლებულიყო, მაგრამ ილიას სჯეროდა ამ წამოწყების, „მეფე ლირის“ ქართული ვერსიისა ძალიანაც ეიმედებოდა, და რაღაც დიდსა და განსაკუთრებულს რომ ეყრებოდა საფუძველი, ამის ამოცნობა თუ განჭვრეტაც არ გაუძნელდებოდა.

თვითონ რომ ვეღარ გაჰყვებოდა ამ წამოწყებას, ამასაც გრძნობდა, მაგრამ ისეთ მტკიცე ხელს ჩააბარებდა, ივანე მაჩაბელი რომ გახლდათ, ღვთისაგან გამოგზავნილი მისთვის, უმცროს ძმად რომ დაიგულებდა და უფროსი ძმისა და მამის ამაგსაც დასდებდა თანდათანობით.

არა, შექსპირის ქართულად ამეტყველებაში სხვა დროსაც შეეშველებოდა, როგორც კი საამისო დროს იშოვნიდა და საჭიროებაც თუ მოითხოვდა, მაგრამ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს მაინც ვანო უნდა შებმოდა მთელი არსებითა და თავდადებით, ილიასაგან გზადალოცვილი.

დღეს საღამოს დიდი ყრილობა უნდა გამართულიყო და იქ აპირებდა ილია ამ ტრაგედიის წაკითხვას, ოღონდ წინასწარ მაინც შეფიქრიანებულიყო და ვასილს შესჩიოდა:

თუ ჩემებურად გაქირი ვქენ, ვერაფერი კითხვა მომივაო.

აგერ ქუთაისში წაეკითხა, გამოვლაზედ, და... ძალიან ცუდად და საძაგლად მოსვლოდა კითხვა. ეგებ არც ძალიან, მაგრამ თუ ვინმეს ექცეოდა ილია ულმობლად და კრიტიკულად, უპირველესად თავის თავს, და ამჯერადაც დარჯაკში გამოატარებდა თავის იმდღევანდელ დეკლამაციას და მწუხარედ აუწყებდა მეგობარს:

თქვენ რომ იქ ყოფილიყავით, შემიბრალებდით, ასე საძაგლად ვიყავიო.

თუმც ხელს ასე ადვილად არ ჩაიქნევდა – მაშ ილიაც აღარ იქნებოდა, და შეეცდებოდა თავი გაემხნევებინა:

ვნახოთ, ამაღამდელი ღამე რას იტყვისო.

დიმიტრი ყაზბეგთან კინაღამ ის მოსვლოდა, რაც ვასილსაც მოეხსენებოდა... ბოლოს შეარიგებდნენ და... ილიას აღიარებდნენ დამნაშავედ.

ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადო, – რუსთველური შეგონება რომ აგონდებოდა, თავის მხრივ დასძენდა: უსამართლობა კი ნედლსაც გაახმობსო. მაგრამ რა გინდა გეღონა, როდესაც სოფელი თურმე ასე ყოფილიყო მოწყობილი.

აღარ გაამწვავებდა. რაკიღა გაამტყუნებდნენ, თუნდ უმართებულოდ, აღარ გააგრძელებდა დავა-კამათსა და თავისი სიმართლის მტკიცებას. დრო თვითონვე გამოაჩენსო, რაღაც ამდაგვარს ფიქრობდა, ვასილს კი აცნობებდა, ამჟამად თელავში თავად მიხეილ ანდრონიკაშვილთან რომ იმყოფებოა, ბარათიც იქ უნდა მიეწერა და ილიას გადასცემდნენ.

1875 წლის 15 მარტამდე ან აღარაფერი მიეწერა ვასილთან, ანდა აღარ შემოგვრჩენოდა, ეს ბარათი კი გვიმჟღავნებდა, რომ ამ ორ მეგობარს უკმაყოფილება მოსვლოდა და ახლა ილია მის დაშოშმინებას ლამობდა, შეხუმრებითაც რომ შეეხუმრებოდა წყენის გასანელებლად:

გულფიცხო, მაგრამ მაინც კარგო ჩემო მეგობარო ვასოო!..

გულფიცხოო, – ზაქრო მიმართავდა ამ ეპითეტით კაკო ყაჩაღს, მოყვრად მისვლას რომ აუწყებდა და დამშვიდებას ურჩევდა, და ამჯერად ყოფითობა რომ კარნახობდა ილიას ამ ეპითეტის გამოყენებას, რადგანაც ვასილის რისხვით მქუხარე წერილი მიღებით მიეღო დიდი ხანია, მაგრამ უხაროდა, რომ გარეგნული მრისხანების მიღმა მხოლოდ მეგობრული საყვედური ამოეკითხა და არა გაბოროტების ბრაზი.

წინათვე ეცოდინებოდა ილიას, რომ: მისი ტელეგრამა მეგობარს ფრიად და ფრიად ეწყინებოდა, მაგრამ...

– ნაფაიდა.

ისევ ვასილის წყენას ამჯობინებდა, ვიდრე საზოგადო საქმის დაყენებას.

ილიას ეწამებინა და კვლავაც სწამდა ვასილ მაჩაბლის პიროვნულ ბუნებაში ერთი დიდი სიკეთე:

საზოგადო საქმეში ის თავის პირად წყენას უპირატესობას არ ანიჭებდა ხოლმე.

ესა სწამდა, და დაე იმასაც ამით გაემართლებინა და ნუ გაკიცხავდა მისი კიდევ გულფიცხი, მაგრამ კარგი მეგობარი ვასო.

ორივე ქართველი რომ არა ყოფილიყო, დაიჯერებდა ილია: სხვა სხვის ომში ბრძენიაო, – მაგრამ მისი ძამია საქმეს შორიდან რომ სინჯავდა, ამიტომაც ეგონებოდა: საქმის დაყენება შეიძლებაო.

და უბეჯითებდა ილია:

არასგზითო!..

და განუმარტავდა მიზეზს ამ „არასგზისობისას“:

ეგ რომ დაყენებულიყო, თვით თავადაზნაურობის კრება უნდა გადადებულიყო, უნდა გადადებულიყო თვით ბანკის გახსნაო...

კიდევ სხვა მიზეზებიც შეიძლება ჩამოთვლილიყო, მაგრამ ეს ყველას აჭარბებდა, ბანკის გახსნა რომ დაგვიანდებოდა.

ვასილის პირველი ტელეგრამა ძალიან გვიან მისვლოდა, ილიას სახელი შეეცვალათ და მალე ამიტომაც ვეღარ მიაგნებდნენ.

ვასილს ველარ დაჰკითხვოდა ტელეგრამით, იმიტომ, რომ:

რაკიღა მისი ბარათი, პირობისამებრ, მისვლის დღესვე არ დახვდებოდა ილიას, ყოველივე კითხვა და მიწერ-მოწერა უქმი მოეჩვენებოდა და წყლის ნაყვა, რადგანაც აღარაფერი აღარ მოესწრებოდა.

აბა გაეხსენებინა ვასილს, ილიას მისთვის მანდვე რომ ეთხოვა:

– თუ რაიმეს გაარიგებ, უნდა ეცადო გარიგდეს ჩემს იქ მოსვლამდის, და ამასთანაც შენი წიგნი ამ საგანზედ იქ უნდა დამხვდეს.

თუ მართლა ქართველი არ გახლდათ ვასილ მაჩაბელი, რატომ არ დაიჯერებდა, რომ ეს სიტყვა უმიზეზო და უსაბუთო არ შეიძლება ყოფილიყო?!.

და ინატრებდა ილია:

ნეტა როდის ჩამოვარდებოდა ჩვენში მტკიცე ჩვეულებად, რომ თქმული კაცს თქმულად მიეღო და პირველშივე არ ეფიქრა, თქმულს აქეთაც გადაეხვევა და იქითაცაო!..

მართალია ბანკირთან საქმის დაჭერა და გათავება ბევრ დროს ითხოვდა და არც ადვილი იყო, მაგრამ უკვირდა ვასილის კეთილგონიერებისაგან, რომ რაკიღა ამ შემთხვევაში უმთავრეს პირობად და აუცილებლად საჭირო სიჩქარე იყო და ეგ სიჩქარე ვერ ხერხდებოდა, რატომ არ დაენებებინა თავი და რიღასთვის გაეგრძელებინა მოლაპარაკება ვინეკენთან?!.

ამას იმიტომ კი არა სწერდა, ვითომ ამით ვასილს საქმე წაეხდინოს, არამედ იმიტომ, დაე მეგობრის მართლმსაჯულებას დაენახა, ვინ ყოფილა დამნაშავე ამ შემთხვევაში:

– მე თუ შენ, შენ თუ მე, ერთი სიმღერისა არ იყოს.

კვლავ შეხუმრებით უნდა გაენელებინა სიმწვავე: ერთი სიმღერისა არ იყოსო...

რას იწერებოდა, რას საყვედურობდა მეგობარი?

ამისთანა საქმე მალე არ გარიგდებოდა, მაშასადამე ისე მალე, როგორც შენ გინდოდა, ვერ გათავდებოდაო.

ილიამ თუ არ იცოდა, აგერ ვასილს ხომ მოეხსენებოდა. და მაშ ეთქვა და... ილიაც კისრად აიღებდა და დადუმდებოდა.

ჩემო კარგოო, – ამ მიმართვით განამტკიცებდა თავისი ნათქვამის უეჭველობას.

ეს აპელაციის არზა მიერთმია ვასილისათვის მისივე გადაწყვეტილებაზედ. გასჭრიდა ეს არზა თუ არა, ეს აღარ ეცოდინებოდა ილიას, ოღონდ ნურა შეაფიქრიანებდა რა ადრესატს და ილია ყოველჟამს და ყოველ შემთხვევაში დაეგულებინა თავის პატივისმცემლად და მეგობრად.

დაე ეს ყველაფერი აქ დაეტოვებინათ და აქაური ამბები მოეხსენიებინა.

ჩვენი ბანკი კუსავით მიღოღავდა ჯერჯერობით.

„მეფე ლირს“ ცალკე წიგნად აბეჭდინებდა.

დაბეჭდვის შემდეგ კი საზოგადოდ უნდა წაეკითხა ყველას თავისი როლი.

ამბობდნენ: დავით ყიფიანის, „მიროვოი სუდიის“, და თავისთავად ემზადება კორდელიას როლისათვის და თურმე საოცრად არდგენსო. გადაეწერა თურმე შარშანვე მთელი ტრაგედია და ისე მოსწონებოდა, რომ

კორდელიას როლი შეესწავლა თავისი აღტაცების გამო და არა სხვა რაიმე განზრახვით.

ილიას ჯერ არ ენახა, მაგრამ როგორც სმენოდა, ქვეყანას განაცვიფრებდა.

და ისეთი მოუთმენლობითა და მღელვარებით ელოდებოდა ილია იმ დღეს და მეგობარსაც უზიარებდა ამ მოლოდინის განსაკუთრებულობას:

– შენ უყურე, თუ მართლა საქართველომ შესძლო ნამდვილი კორდელიას წარმოდგენა, მაშინ როდესაც კრიტიკოსები ამბობენ, ჯერ მაგისათვის აკტრისა არ დაბადებულაო!..

ილიას უბედურებასაც შეიტყობდა ალბათ:

ვიდრე რუსეთიდან ჩამოვიდოდა, სიმამრი გარდაეცვლებოდა. ივანე მუხრან-ბატონი მამულისა და მემკვიდრეობის თაობაზედ დიდ დავიდარაბას აუტეხდა ილიასა და დიმიტრი სტაროსელსკის. ქალაქში ამის ირგვლივ დიდი აყალმაყალი იტრიალებდა.

სხვა აღარ იცოდა, რა მიეწერა. ისეთი უგემურობა და უჟამურობა სუფევდა ამჟამად ქალაქში, ვერ წარმოიდგენდი. ერთი შესანიშნავი ამბავიც არ არსებობდა, ვასილ მაჩაბლისათვის შეტყობინების ღირსი რომ ყოფილიყო.

ის რაღაც ქაღალდები, ვასილს რომ მიეცა ილიასათვის, აი ის, ვარვარა ილინიშნას რომ ეთხოვა, ის საქმე ილიას გაერიგებინა და ვარაუდობდა, რომ ამ საქმის თაობაზედ საჭირო ქაღალდები აქამდის მიღებული ექნებოდა კიდეც ვასილს.

დაემშვიდობებოდა მეორე ბარათამდე და მოკითხვას დააბარებდა ვანოსთან და დანარჩენ ყმაწვილებთანაც.

სთხოვდა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ კავკასიის მთებს იქით ჰყავდა ერთგული მეგობარი, რომელსაც ეძახდნენ ილია ჭავჭავაძეს.

10 მარტს მიაწვდიდა ვასილს მისგანვე დაბარებულ „ივერიას“ და ახლა იმან იცოდა, როგორ დახმარებოდა!..

მოეწერა:

ვანოს უნდა გავუგზავნოო.

და ილია სთხოვდა:

თუ გიყვარდე, მისი ადრესი შემატყობინე და მე თვითონ გავუგზავნი, პირდაპირ აქედან, რედაქციის მხრითო.

ვასილს თავისი ნომერი გაზეთისა დაე თავისთვის დაეტოვებინა.

ვანოს წიგნების ქება რომ მოეწერა, ვიდრე ვასილს ეცნობებინა, ნიკო ავალიშვილს უკვე ეთქვა დიდი ქება ამ წიგნებისა ილიასათვის. და ენუკვოდა მეგობარს:

რა კარგი იქნება, რომ ეგ წიგნები დამიბეჭდო, თუ შესაძლებელია და თუ ვანო ნებას მოგვცემს. მისწერე შენად და ჩემად, მოგვეშველოს როგორმეო.

თუ ნებას მოგვცემსო...

ეს თავაზიანობისა და გარკვეული ფორმალობისათვის, თორემ არც ეეჭვებოდა, რა სიხარულით შეხვდებოდა ივანე მაჩაბელი ამ შეთავაზებას. ჯერ ისედაც მიწას ფეხს არ აკარებდა ილიასთან დაახლოებისა და შემოქმედები-

თი თანამშრომლობის გამო და აგერ უამისოდ თურმე გამოცემა რიგიანად ვერც გაიმართებოდა წელში.

და ილიასაც როგორ უხაროდა, ქების ეს სიტყვები რომ უნდა გადმოეღვარა ფურცელზედ:

– ჭკვიანი ბიჭია და ამასთანაც კარგი კალმის პატრონი – ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნება. ჰსთხოვე, და არამცთუ ჰსთხოვე, შეეხვეწე ჩემ მაგიერ, რომ სტატიები რამ გამოგვიგზავნოს.

ილია რომ ჭკვიან ბიჭად, კარგი კალმის პატრონად და სულაც დიდ ნუგეშად მოგიხსენიებს, არ გადაირევი სიხარულით?!.

„მეფე ლირი" უკვე დაებეჭდათ და ვასილს ამ დღეებშივე გაუგზავნიდა.

ვანოს მისამართს რომ მიიღებდა, მასაც მიაწვდიდა ცხადია.

ცოტა კორექტურული შეცდომებით დაბეჭდილიყო, მაგრამ არა უშავდა რა.

ეგებ დავით ჩუბინიშვილი ენახა. ილიას გაზეთი მიერთმია, როგორც ჩვენი უხუცესი მწიგნობარისათვის. და ახლა იქნებ ვასილს ეთხოვა ილიას მაგივრად: ლაზისტანზე რუსულად რომ ჰქონდა დაწერილი, ის გამოეგზავნა, ილია თვითონვე თარგმნიდა და ისე დაბეჭდავდა.

– შენი ჭირიმე, ამ წიგნის მიღებისვე უმალ მიდი და ჩემ მაგიერ ჰსთხოვე, მალე გამომიგზავნოს.

დაპირებულიც გახლდათ.

ეგებ ჩვენი ალექსანდრე ცაგარელიც შეეფუცხუნებინა – შემოშველებოდათ.

კიდევ რას დაავალებდა?

ეცადე, შენ გეთაყვანე, მანდ მოსწავლეთაგან მცირე სალიტერატურო წრე შეადგინო. მათთან მისვლა-მოსვლას ნუ დაიზარებო.

დაე ვასილს სცოდნოდა და მის გულშემატკივრობას, ილიას ამ თხოვნას რა ყურადღებით მოეკიდებოდა.

სანდრო ერისთავიც უნდა ენახა და დაემუნათებინა:

სირცხვილია, ქაღალდი რომ არ გაუგზავნე და ილია ამოდენა ტყუილუბრალო ხარჯში ჩააგდეო.

თუ შეიძლებოდა, ფული უკანვე დაებრუნებინა, ან ვასილისათვის გადაეცა და ამას ეყიდა ისეთივე ქაღალდი, „ნედელიას" რომ ჰქონდა.

აქაური ამბები? არც არა ხდებოდა რა ვასილისათვის ღირსსაცნობი.

ემშვიდობებოდა თავის კარგ მეგობარ ვასოს, რათა ერთად ესურვათ „ივერიის" სიკეთე და დღეგრძელობა.

ბარათების ამ რკალს გამოსდევდა საადგილმამულო ბანკის დაარსების ამბები.

გამოსდევდა ამბები „მეფე ლირის" შემოსვლისა ჩვენს საზოგადოებრივ ყოფასა და ცნობიერებაში.

და განსაკუთრებით მაინც ის პასაჟია დამაფიქვრელიც და მნიშვნელოვანიც: თავისთავადაც და მითუფრო – დროის გადასახედიდან.

ივანე მაჩაბელი ჭკვიანი ბიჭი რომ არის და კარგი კალმის პატრონიც.

და დიდ ნუგეშადაც რომ მოჩანს ილიას თვალთახედვაში.

„მეფე ლირი“ თავისებურ ნიშანსვეტად დაიდებოდა ისტორიაში: ჩვენი მთარგმნელობითი ხელოვნებისაც და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისაც.

თავისებურად სიმბოლური იქნებოდა ეს შეკავშირება ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის, შექსპირს რომ უნდა ჩაეყარა საფუძველი მათი დაახლოებისათვის და კიდეც განემტკიცებინა ეს მეგობრობა, არაერთი ერთობლივი საქმე რომ უნდა მოჰყოლოდა.

„მეფე ლირის“ ქართული ვერსიის მომზადებას თავიდან ამხელა მნიშვნელობას ცხადია ვერ მიანიჭებდა ილია, ის კი არა, ბოლომდე თუ მიიყვანდნენ, ესეც საყოყმანო ექნებოდა. ამიტომაცაა, მეუღლეს სახელსაც კი არ მისწერდა იმ ადამიანებისა, ვისთან ერთადაც მოეკიდა ხელი ამ გარჯისათვის. ზოგად აღნიშვნას იკმარებდა: სხვასთან ერთადო.

ბარათი დათარიღდებოდა 20 ნოემბრით 1873 წლისა, წუხილით რომ დაიწყებდა:

კიდევ დამიგვიანდა შენი წიგნი, და უსათუოდ იმიტომ დამიგვიანდა, რომ შენი წიგნი ახლა ქალაქის ფოსტით წამოვიდოდაო.

– ჩემო კარგო! რასა იქ და როგორა ხარ?

თუ ილიას ამბავს იკითხავდა:

ვერ გახლდათ კარგად, რადგანაც ძალიან მოსწყენოდა უოლიკოობა და აქაურობა. ნეტა ახლა იმასთან დაესვათ და ეტიტინა!.. სწორედ ამ სიტყვას შეარჩევდა, ყველაზე ინტიმურსაც და გულის გადასახსნელსაც: მატიტინაო...

ფიცით დაეფიცა:

თუ ამას იქით კიდევ სადმე წასვლა მომიხდა, უოლიკოოდ ფეხი არ გავდგაო.

წუხდა, წუხდა უომისობას, მაგრამ რა გაეწყობოდა.

მისი ბარათი მიეღო ეს ორი კვირა იქნებოდა, ქალი რომ იწერებოდა: ათ თუმანს იაკობ მანსვეტაშვილს გავუგზავნიო, – ქმარი კი ურჩევდა:

მე მგონია, ჩემო კარგო, შენ თვითონ დაგჭირდება ეგ ფული; ჩემი ფიქრით, შენ შენთვის შეინახო ეგ ფული, ისა სჯობია. მაგრამ ნება შენია, როგორც იცოდე, ისეც მოიქეციო.

თვითონ ილიას ამას წინათ რევაზისაგან მისვლოდა ფული, ანდრონიკაშვილისაგან, და იმით იოლად მიდიოდა. ამიტომაც ოლიკოს ილიას ფიქრი ნუ ექნებოდა – თვითონ ყოფილიყო კარგად და თავისი კარგად მყოფობით ესიამოვნებინა და გული გაეკეთებინა ქმრისათვის.

გუშინწინ სამინისტროს ეცნობებინა, რომ ჩვენი საადგილმამულო ბანკის წესდება 1 იანვრამდე უსათუოდ წარდგებოდა „გოსუდარსტვენნი სოვეტში“.

თუმც ეს ამბავი ძალიან შეაწუხებდა, მაგრამ კიდევ კარგი, გადაწყვეტილს რომ მაინც შეიტყობდა.

ილია აქ დარჩენა იმ დრომდე აუცილებელი იქნებოდა და საჭირო.

ჯერ იფიქრებდა: წამოვალ და ეგ იქნებაო.

მაგრამ დაენანებოდა და უსაშველოდაც დაენანებოდა ამხელა შრომის უქმად დარჩენა.

მერე იყო კიდევ და, თავიანთ მოკეთეებს როგორღა გადურჩებოდა?

ისევ იმას ამჯობინებდა, რომ:

რაკილა ამაზედ თავი დაედო, ბოლომდინაც გაეტანა, თორემ სირცხვილს ვერ აუვიდოდა.

თუ „გოსუდარსტვენნი სოვეტში" ეტყოდნენ: საქმე დაგვიანდებაო, – მაშინ იანვარშივე ჩამოვიდოდა და ჩაეხუტებოდა თავის საყვარელ კუკლუშკას. ეს იქნებოდა მისი უკანასკნელი ვადა აქ დარჩენისა.

და ამოიგმენდა და რას ამოიგმენდა:

– მეტი აღარ შემიძლიან.

მაგრამ თუკი ეტყოდნენ: მალე დაგიმთავრებთო, – მაშინ კი საქმის დაბოლოებას მოუცდიდა.

– ესე, ჩემო სანატრებო ოლიკო, მოთმინებითა ჩვენითა მოვიპოვოთ სული ჩვენი, სხვა ნუგეში ჯერ არა გვაქვსრა.

ამ ბარათს კი სწერდა, მაგრამ არ ეცოდინებოდა, მეუღლე კარდანახში იქნებოდა თუ ბაქოს, რადგანაც მოეწერა: ნოემბრის დამლევს წავალთო. ამიტომაც ამ წერილს კარდანახში გაუგზავნიდა.

შინ რომ მივიდოდა ოლღა, ყველაფერი უნდა გაესინჯა – „ფოდრიაჩიკს" გაეკეთებინა თუ არა ყოველივე, რაც ვალად ედო, და ყველაფერი დაწვრილებით ეცნობებინა ქმრისათვის.

თავისი ცხენებისა ვეღარა შეეტყო რა. ვერ წარმოიდგენდა ქალი, რარიგ წუხდა ილია მიშკას დაკარგვაზედ. ბრძენი ცხენი იყო, ბრძენი! და რაღა ის მოეპარათ?!. ნინო მოსწერდა, თავისი და, დიდი იმედია მისი პოვნისაო, – და ილიაც ამით ნუგეშობდა, მაგრამ უკვე შეფიქრიანებულიყო, რომ ნუგეში ნუგეშად დარჩებოდა.

შესთხოვდა: ნეტავი კი როგორმე აპოვნინოო!..

ნიკოლოზისათვის ეთხოვა ილიას მაგივრად, რომ გარჯილიყო და როგორმე ეპოვნა.

და კურცხალს გააყოლებდა: საწყალი მიშკაო!..

თუ ბაქოში მიუსწრებდა ეს ბარათი, ოლიკოს კატო უნდა მოეკითხა თავის შვილებიანად, და თუ კარდანახს – ნინო მოეკითხა და დიდი საყვედურიც გადაეცა, ერთი წერილი რატომ აღარ გაუგზავნე ილიასო.

აქაური რა მიეწერა.

და აი სწორედ ის პასაჟი, სამუდამოდ რომ დამკვიდრდებოდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში და ხშირადაც იტრიალებდა სტატიიდან სამეცნიერო ნარკვევში, მონოგრაფიიდან ბიოგრაფიულ რომანში...

– მე უსაქმობის გამო ანგლიურის ენის სწავლას შევუდექი და შექსპირის ტრაგედიას კოროლ ლირს ვჰსთარგმნი სხვასთან ერთად. აქედამ რომ მოვალ, ანგლიური მეცოდინება იმდვენად, რომ სუბუქს თხზულების წაკითხვა შემეძლოს. სხვა არაფერი გასართობი არა მაქვს რა.

წესდების დამტკიცების მოლოდინში პეტრეს ქალაქში ყურყუტისა და უსაქმრობის გამო თუ მოჰკიდებდა ხელს ინგლისური ენის შესწავლას, და თუკი გაუგრძელებდებოდა იქ ყოფნა, ისე როგორ ვერ გაიწაფებოდა, მსუბუქი თხზულება რომ მაინც ვერ წაეკითხა?!.

ყურსაც აჩვევდა ამ ენას, მის თავისებურებას, რადგანაც თუნდ ჩინებულად მომზადებული პწკარედი ვერ იკმარებდა ქართული ვერსიის შესაქმნელად. ყურში უნდა ჩაწვდომოდა შექსპირის მძლავრი სიტყვა, შექსპირის მეტყველების თავისებურება, შექსპირის ლექსის რიტმიკისა და მელოდიურობის ექსპრესია და ძალმოსილება, შეეგრძნო, გაეთავისებინა და სხვას ისე ამოსდგომოდა გვერდით, ეს ურთულესი ტვირთი იმ სიმსუბუქით აეწიათ, ღვთიური მადლიც რომ გმატებს ძალასა და სიმხნევეს, რის შემდგომადაც თვით შექსპირიც და თვით „მეფე ლირიც“ უნდა: თამაშად და გიჩნდეს მღერად!..

სხვა არაფერი გასართობი არა მაქვს რაო, – ოლიკოს რომ შემოსჩიოდა, თან თავს იმშვიდებდა: ეს ხომ მაინც შემრჩება, „მეფე ლირის“ თარგმნა და ინგლისურის სწავლაო.

ხანდახან ვანო ორბელიანთან შეივლიდა ხოლმე და ზოგჯერაც ვარვარა ილინიშნასთანაც, სხვაგან არსად დადიოდა, სულ შინ ეგდო (მაინცდამაინც ეს სიტყვა უნდა გამოეყენებინა ვითარების ზუსტი წარმოსახვისათვის!) და ოლიკოს ნახვას ნატრულობდა.

ცუდი ქვეყანა იყო ეს პეტერბურგი – ეს სამი თვეა, თითქმის მზე არ დაენახა. ნეტა ეთქვათ, აქ როგორ ცხოვრობდნენ!.. მილიონი რომ მიეცათ, თვითონ აქ ცხოვრებას არ ინდომებდა.

– ახ, ნეტავი მალე მეღირსოს ჩემის თბილის ქვეყნის ნახვა და ჩემი ოლიკოს კოცნა! და თუ ამასთან უსტავიც დამტკიცდება, ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს.

დიდ იმედს კი იძლეოდნენ და აღარ იცოდა ილიამ, ჩვენი ბედი როგორ გაჭრიდა.

იმიტომ კი არ მოწადინებულიყო ასე – ჯამაგირი მექნებაო.

– არა, მე სხვა ათასი ფიქრი და წადილი მაქვს. მე თვითონ იქნება მაგ ბანკის საქმეს სულაც თავი დავანებო. უმადურებთან საქმის დაჭერა ძნელი ყოფილა.

დავიმახსოვროთ ეს სიტყვები:

მე თვითონ იქნება მაგ ბანკის საქმეს სულაც თავი დავანებოო...

გაბეზრებულიყო, გაწვალებულიყო, ლამის ონსილა მიწყვეტოდა, ამდენი დროის ტყუილუბრალოდ დაკარგვა ენანებოდა, თორემ უკვე აღარ გაეძლებოდა პეტერბურგში, მოსკოვშიც უკვე რომ აწყდებოდა ბიუროკრატიული ციტადელის კარიბჭეს და ჯერ კიდევ იქ ეგონებოდა, არაქათი აღარც გამაჩნიაო. და პეტერბურგშიც უკეთესს რას ჰპოვებდა!..

სულაც თავი დავანებოო...

მის ნებაზე რომ არ იყო, დაანებებდა თუ არა?

ზეციური გადაწყვეტილებით მიეგდო ბედს საბანკო საქმიანობაში, საფუძველიც ილიას რომ უნდა გაემზადებინა და შენობაც თვითონვე წამოემართა, გარეგნულად – ბანკი რომ იქნებოდა, ფარული შინაარსით კი – პარლამენტი, ისეთი, სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ მიმსწრაფ ქვეყანას რომ შეჰფეროდა და წარმოსახვითი საკანონმდებლო გარემო კიდეც

უნდა გადაქცეულიყო განმსაზღვრელად მომავალი პარლამენტისა, ილია ჭავჭავაძის მიერ ჩაკირულ საძირკველზე რომ ამოიზრდებოდა 117-წლოვანი ტყვეობიდან თავდაღწევის სიმბოლოდ.

ეგაა: ილიას აჩრდილი ვერ წარმოდგებოდა ეროვნულ საბჭოში იმ მონუმენტურობით, ამხელა ღვაწლის დამდებს როგორც შეჰფეროდა, აქა-იქ თუ გაკრთებოდა კუთხე-კუნჭულებში და ისიც ცალკეულ დეპუტატთა მზერაში, და კიდეც ამიტომ აღმოჩნდებოდა ის შენობა, საქართველოს პირველი რესპუბლიკა რომ დაერქმეოდა, ყოვლად უდღეური...

თუმც თავის დანიშნულებას მაინც რომ შეასრულებდა და სულის მოსათქმელად ამიტომაც დარჩებოდა ხელმეორე გამოხსნამდე, ილიას აჩრდილი უკვე იმ მონუმენტურობით რომ დაადგებოდა თავს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხელახალ გამოცხადებას – 1991 წლის 9 აპრილს, ასე ადვილადაც რომ ვეღარ გამოგვგლეჯდნენ, თუნდ სამხედრო გადატრიალებით ეცადათ მისი დამხობა.

ახალი ცხოვრების დინებას უკვე ვერაფრისდიდებით ვეღარ მოშლიდნენ.

მაგ ბანკის საქმეს სულაც თავი დავანებოო...

მართლა რომ დაენებებინა?..

რაც გამორიცხულია, გამორიცხულია...

განა მოსე წინასწარმეტყველს შეეძლო თავი დაენებებინა უდაბნოში მეგზურობა-წინამძღოლობისათვის?

უდაბნოს გარემო და სიმბოლიკა ეპოქისა და ეროვნული თავისებურების კვალობაზე სხვაგვარად წარმოჩნდებოდა, თუმც შინაარსი იგივე რჩებოდა და უდაბნოში მსვლელობის ნაწილი ამჟამად მოსკოვ-პეტერბურგის გზაზე მიმოწყდომაც უნდა გამხდარიყო, ილიას გარდა სხვა რომ ვერც ვერავინ შეძლებდა შელეწვას ამ ბიუროკრატიული ციტადელისა და გამოგლეჯას იმ ნებართვისა, დიდი განახლების მაუწყებელი რომ უნდა ყოფილიყო ჩვენს მიმკვდარებულ, აქა-იქ ოაზისებით მიმოფანტულ ყოფაში.

ილიას გარდა სხვა რომ ვერც ვერავინო...

მოსე წინასწარმეტყველს რა – შეენაცვლებოდა ვინმე?

1873 წლის 12 ივლისს მშვიდობით და კარგად რომ მივიდოდა მოსკოვს, კიდეც აცნობებდა ოლიკოს და დასძენდა, რომ: მაშინვე შედგომოდა სენოსა და კატკოვის ლიცეის საქმეს. ლეონტიევი თანხმობას ეტყოდა: სენოს მეორე კლასში მივიღებ, თუმც თორმეტზედ მეტი ხნისა არ არისო.

დიმიტრის სენო ისე ადრე უნდა გამოესტუმრებინა, რომ 1 აგვისტოს აქ ყოფილიყო. გამოცდები 16 აგვისტოს იწყებოდა და ყმაწვილს ერთი-ორი კვირა წინ უნდა ჰქონოდა მოსამზადებლად.

ილია დღეს 4 საათზე პეტერბურგს მიდიოდა და თუ იქიდან მალე დაბრუნდებოდა, სენოს გამომცდელებს როგორმე გაიცნობდა და სენოსაც გააცნობდა, რათა გამოცდისას არ შემკრთალიყო. ლიცეი გარედან გაესინჯა და ძალიან მშვენივრად და დიდკაცურად მოწყობილიყო, შინაგანი კი ვერაფერი განეხილა, ვერაფრისათვის თვალი და გონება ვერ დაეკვირვებინა, რადგანაც დრო არ გააჩნდა.

პეტერბურგს მიეჩქარებოდა, რადგანაც ამბობდნენ: ჩვენი ბანკის საქმე ძალიან ცუდად არისო. მინისტრს ეთქვა:

– პროექტს არ დავამტკიცებინებ, რადგანაც ფული ცოტა ჰქონიათ.

და როგორ არ დაეგმინა მწარედ ილიას ბარათის წერისას:

– თუ მართლა ესე იქნება, შენი მტერია ჩვენი საქმე.

თვითონ კი არა უშავდა რა ილიას, იმიტომ, რომ ის და ოლღა როგორც იქნებოდა თავს დაინარჩუნებდნენ, მაგრამ:

– ვაი ჩვენს თავადაზნაურობასა.

ელენე გრუზინსკი აქ, მოსკოვში არ იმყოფებოდა, აგარაკზე გადასულიყო და ილიას იქ წასვლა ჯერჯერობით ვერ მოეხერხებინა. ვეღარც მიხაკო მუხრანსკი ეპოვნა. პეტერბურგიდან რომ მობრუნდებოდა, მაშინღა თუ ნახავდა ყველას.

სენო რომ წამოვიდოდა, ოლიკოს მისთვის ათი თუმანი უნდა გამოეტანებინა. სხვა ფულს კი გაფრთხილებოდა, თორემ მათი საქმეები ძალიან ცუდად იქნებოდა.

თავისთვის სამოსი შეეკერინებინა 18 თუმნად, სამი ხელი ტანსაცმელი და ოთხი შარვალი, ძალიან კარგი. თუ მალე წამოვიდოდა, ფული დარჩებოდა, რათა მეუღლისათვის წამოსასხამი ჩამოეტანა.

ზახაროვი მოენახულებინა და იმას ესიამოვნებოდა, სენო მასთან რომ ივლიდა უქმეებისას, კარგი კაცი აღმოჩნდებოდა, ღარიბად კი ცხოვრობდა.

ბარათის ბოლოს მიაწერდა, რომ:

ოლიკოს საიდუმლოდ გადაეცა დიმიტრისათვის, რომ ილიას კრასნოეოდსკის რაზმთან დაკავშირებული სტატიის თაობაზე მოლაპარაკება გაემართა „მოსკოვსკი ვედომოსტის“ რედაქციასთან. და მოლაპარაკებები ჯერაც არ დასრულებულიყო.

28 ივლისს მოუბოდიშებდა, რაკიღა ის ალბათ ძალიან ჯავრობდა ქმარზე, ეს მეორე წიგნი ასე რომ დაეგვიანებინა. ისეთ ვაივაგლახში იმყოფებოდა, მეტი არ იქნებოდა. თუმც ამათი წესდების დამტკიცების საქმე ძალიან კარგად მიდიოდა, მაგრამ ილიას არა ბანკში არ უშვებდნენ, რომ რაიმე შეესწავლა. საშინელ გაჭირვებაში იმყოფებოდა. ქალაქში მიეწერა ეს გაჭირვებული ყოფა და არ იცოდა, რა პასუხი დაუბრუნდებოდა. ფული თითქმის სულ შემოეხარჯებოდა და ამისთვისაც მოეთხოვა ცოლისაგან ტელეგრამით კიდევ ათი თუმანი, ანუ სულ ოცი თუმანი. ოლიკოს დარჩებოდა 16 თუმან ნახევარი, რომელსაც გროში არ უნდა მოჰკლებოდა, თორემ ილია შინ წამოსვლას ვეღარ შეძლებდა.

ამ ფულიდან ოლიკოს უნდა ტარანტასი გაეკეთებინა. თუ ძალიან ბევრს მოსთხოვდნენ სრული განახლებისათვის, მაშინ მარტო ის გაეკეთებინა, რაც აუცილებლად საჭირო გახლდათ. თადარიგი ისე დაეჭირა, რომ: წასასვლელად 13-14 და თუ გაჭირდებოდა 11 თუმანი მაინც ხელუხლებლად დარჩენილიყო.

დიმიტრის რატომ ვერ მოეხერხებინა სენოს ცოტა ადრე გამოგზავნა, რათა აქ მომზადებულიყო?.. ილიას მაგივრად მადლობა მოეხსენებინა დიმიტრისათვის ოლიკოს, მისი ქმრისათვის ტელეგრამით დღეობა რომ მიელოცა,

სასაცილოდ კი შეეშლებოდათ ეს ტელეგრამა, მაგრამ ილია მაინც ყველაფერს გაიგებდა და... სიტყვა-სიტყვით და თავისი გრამატიკის წესებით რომ გადმოწერდა, თან იცინებდა.

თუ მოესწრებოდა, ეგებ 20 თუმანი სენოს ხელით გამოეგზავნათ.

მიხაკო მუხრანსკი და ელენე გრუზინსკიც ვერ ენახა, რაკილა აგარაკებზე იმყოფებოდნენ. თუმც ეს მოსკოვი დიდი ქალაქი გახლდათ, მაგრამ ილია თითქმის სრულიად მოწყენილი იქნებოდა.

ჯერ ერთი: ყველა დიდი ქალაქი საზოგადოდ და მოსკოვი განსაკუთრებით ფრიად ეჯავრებოდა.

და მეორეც: არავითარი აქაური სიამოვნება არ იზიდავდა.

ნეტა ფული ჰქონოდა, რომ ოლიკოც წამოსულიყო მასთან და ერთად ეცხოვრათ „ერთსულ და ერთხორც“, როგორც საღვთო წერილი შეგვაგონებდა. როდესაც საქმეებს ამთავრებდა, ბრუნდებოდა შინ და მთელი დანარჩენი დღე მარტოკა ეგდებოდა ხოლმე.

ერთ საღამოს პეტროვსკის პარკში წავიდოდა, იქ რაღაც შატო-დე-ფლერი რომ არის და წარმოდგენები იმართება ხოლმე, მაგრამ ისეთ სალახანურ წარმოდგენას ნახავდა, თავს სიტყვას მისცემდა: მეორედ აქ აღარ მოვალო.

დაე წარმოსახვით წარმოედგინა ქალს ფრანგული დასი, ქალი თუ კაცი სულ უნამუსობას რომ აჩვენებდა პუბლიკას, და – ბარემ ესეც სცოდნოდა ოლიკოს – თითქმის მთელი მოსკოვის მაღალი საზოგადოება აქ რომ ატარებდა ყოველ საღამოს.

– დასწყევლოს ღმერთმაო!.. – დასცდებოდა და დალოცავდა ჩვენს ნამუსიან ტფილისსა და უფრო ნამუსიან და მშვიდობიან ბაქოს!.. და აღტაცებისგან თავს ვერ შეიკავებდა:

– ტყუილია ჩვენის დალოცვილის ქვეყნისთანა.

გარემოებისა გამო არ ეცოდინებოდა, როდის მოუხდებოდა თავის ოლიკოსთან ჩამოსვლა. ქალაქში წიგნი მიეწერა რევაზ ანდრონიკაშვილისათვის და იმის პასუხზე ეკიდებოდა ილიას წამოსვლის დრო. დაე ნუ შეწუხდებოდა მისი კარგი ოლიკო! ილიაც ხომ წუხდა უოლიკოობას, მაგრამ ითმენდა მწუხარებას.

ოღონდაც ის საზოგადო საქმე, რომელშიაც ბედს გაერია, კეთილად წარმართულიყო და მათი პირადი მწუხარება იმის ჭირის სანაცვლო ყოფილიყო.

და შეგონებას მიადევნებდა:

რამდენადაც კაცს ვრცელი გრძნობის დატევა შეუძლიან გულში, იმდენადვე დიდიაო.

ილიას რომ მარტო ყვარელი ჰყვარებოდა და ოლიკოს – მთელი კახეთი, ოლიკო მასზე დიდი იქნებოდა, და თუ იმისთანაც გამოჩნდებოდა, მთელი საქართველო რომ ეყვარებოდა, ის ორივეზედ უდიდესი იქნებოდა.

და ლექსს რომ გამოუგზავნიდა, ორ სტრიქონს ბარათშიც ჩაურთავდა: აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა და დაე გვძრახონ – ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენიო, – და თან გამოატანდა თავის საყვარელ ოლიკოსთან ზედ დაკვდომილ კოცნასა და ხვევნას.

გუშინწინ დაბრუნებულიყო პეტერბურგიდან. გუვერნანტები თუმც ბევრნი იყვნენ, მაგრამ იმისთანა, კატოს რომ სურდა სენოსათვის, ჯერ ვერსად ეპოვნა. პეტერბურგში ვერავის ნახავდა, რადგანაც სულ შვიდ დღეს დაჰყოფდა და აქა-იქ საადგილმამულო ბანკის თაობაზედ ირბენდა. შეკვეთით კი შეეკვეთა: თუ კარგი გუვერნანტი შეგხვდეთ, მაშინვე შემატყობინეთო.

თადეოზ გურამიშვილის საქმეზე აი რა შეეტყო, და დიმიტრისთვის დაე ოლიკოს გადაეცა:

იუსტიციის მინისტრს მიეცა წინადადება საერთო კრებისათვის თავადის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ. მინისტრის წინადადებას არ დათანხმებოდნენ სენატორები, და საქმე გადასულიყო სახელმწიფო საბჭოში. თუ სენატორთა ორი მესამედი (საერთო კრების მონაწილეთაგან ამ საკითხის განხილვისას) გადავიდოდა მინისტრის მხარეს, მაშინ თავადი თადეოზი წააგებდა პროცესს საქმის გადაუგზავნელად სახელმწიფო საბჭოში. მაგრამ საბედნიეროდ სენატორთა უმეტესობა შეეწინააღმდეგებოდა მინისტრს. სექტემბრის თვეში საბჭოში გაიმართებოდა მოხსენება ამ საქმის თაობაზე. და არსებობდა იმედი – პროცესი არ წაეგოთ.

ამასაც ამბობდნენ:

„გოსუდარსტვენნი სოვეტში“ ქრთამით ბევრი რამ რიგდებაო.

და კიდევ:

საბჭოს მდივნის ხელში დაჭერა აუცილებელიაო.

3 აგვისტოს, რაც მოსულიყო, მესამე ბარათს უგზავნიდა და ოლიკო მაინც ჯავრობდა. ქალის ერთი წერილი, მდივანთან გამოგზავნილი, პეტერბურგში მიეღო, ორი კიდევ – 15 და 22 ივლისისა – ერთად ერთ დღეს მოსკოვში. ვერ წარმოიდგენდა ოლიკო, რარიგ ეამებოდა ქმარს მისი ბარათების მიღება, ნამეტნავად იმ მხრივ, რომ ქალი ყოჩაღად გრძნობდა თავს, თუმც მათ მომავალს ცოტა ღრუბელი ეპარებოდა. ამას იმიტომ იწერებოდა, რომ მათი ფულიანობა მეტად თხელდებოდა და ოლიკო მაინც გულს არ იტეხდა.

– მადლობელი ვარ და მოხარული, რომ მაგისთანა გულმაგარი მეგობარი მყევხარ, ნუ შევშინდებით, ქვეყანა ღონიერია.

ამას წინათ ტელეგრამით რომ ეთხოვა, 10 თუმანი მომაშველეო, მერე წიგნი მიეწერა და თხოვნა 20 თუმნამდე გაეზარდა. ძალიან გასჭირებოდა. ამჟამად ჯიბეში 4 თუმნის მეტი არ მოეძევებოდა და ფული მალე თუ არ შემოეშველებოდა, სწორედ დიდ განწირულებაში ჩავარდებოდა, ისეთ განწირულებაში, რომ ქალი ვერც წარმოიდგენდა.

და წარუდგენდა ფულის ანგარიშს კაპიკ-კაპიკ, წამოსვლისას სულ 52 თუმანი რომ ექნებოდა, და აი რა დახარჯვოდა: ეს გზაო, ეს მოსკოვში ორი დღე სასტუმროშიო, ეს სამი ხელი სამოსიო, ეს შვიდი დღე პეტერბურგშიო, წასვლა-მოსვლა მოსკოვსო... არ გამოიტოვებოდა შლიაპა, წაღები, ორი საბანი, ბალიში... სხვადასხვა წიგნი თავისთავად, ტელეგრამები ოლიკოსა და რევაზ ანდრონიკაშვილთან... დაჯამდებოდა და 483 მანეთსა და 10 კაპიკს შეადგენდა.

ეს ერთი ყველაზე დრამატული ადგილია ილიას პირად წერილებში.

როგორ გახდომია საქმე – და საერთოდაც როგორ ცდილობდა მცირეოდენი ფული როგორმე ისე გაეწვდინა, ბოლომდე დაენარჩუნებინა თავი და ნაადრევი წამოსვლით ამხელა წამოწყება, ქვეყნის გადარჩენა-არგადარჩენა რაზეც ეკიდა, საბოლოოდ არ დაესამარებინა.

არადა როგორ უჭიანურებენ!.. როგორ დაატარებენ ხან ერთ ქალაქსა და ხანაც მეორეში!.. თან არაფრისდიდებით რომ არ ახედებენ საბანკო საქმიანობაში, რათა თუნდ მცირე ხანში ბევრი რამის შესწავლა-შეთვისება არ მოასწროს!.. ატყობენ, მცირე ხანსაც სავსებით იკმარებს ამ საქმიანობაში გასარკვევად, ალღოს ასაღებად, და ამიტომაც... ამიტომაც ახლოსაც არ უნდა გააკარონ.

თავისი თავი და ცოლი თუ შეეშველება, თორემ ისეა გადმოსროლილი მოსკოვ-პეტერბურგის სულიერ უდაბურებაში, ისე მიტოვებული, თითქოს პირად საქმეს აგვარებდეს და არა საქვეყნოს, საქართველოს მომავალი ბანკის დაარსება-მოღვაწეობას რომ უნდა განესაზღვრა.

თავში ქვა იეც და ისა ჰქენიო, – აჯამი, გულქვა და რეგვენი ბატონი რომ მიმართავდა ზაქროს მამას, დიდად უკეთეს დღეში არც ილია იმყოფებოდა.

თავში ქვა იეც და ისა ჰქენიო, – თითქოს დაჰკიჟინებდა მთელი ქართული საზოგადოება.

და ახლოვდებოდა და ყელზე ძალუმადაც ეხლართებოდა დიდი განწირულება, რაც შესაძლოა სულის ამოხდომით დასრულებულიყო.

თუ ამ თვის ბოლომდე ის 20 თუმანი არ ჩამოუვიდოდა, მტერს არ უსურვებდა, თვითონ რაც დაემართებოდა – სწორედ ყოველნაირად და ყოველი მხრიდან კარდახშული აღმოჩნდებოდა, უსახლო და მშიერ-მწყურვალი.

იცოდა, განა არა, ახლა კატოსათვის ძნელი რომ იქნებოდა ფულის შოვნა, მაგრამ 10 თუმანს რომ აგრანოვიჩი მისცემდა ოლიკოს, 10 თუმანიც კატოსათვის უნდა გამოერთმია, და უსათუოდ, უსათუოდ... და თუკი არ გამოეგზავნა აქამდე, ეს ბარათის მიღების უმალვე უნდა მოეწოდებინა.

პეტერბურგიდან 26 ივლისს ჩამოსულიყო. ყოველ ცისმარე დღეს ჩვენი ბანკის საქმეზე დარბოდა და ვერას გამხდარიყო რას.

არცერთ ბანკში არ უშვებდნენ, რომ შეესწავლა რაიმე.

ამისთანა გულშეუტკივარი ხალხი არ ენახა – ამის გამოისობით ბევრი დრო ეკარგებოდა და იქნებ დიდი ხნითაც დაბრკოლებულიყო აქა.

თუ არ შეისწავლიდა რაიმეს და ისე ხელცარიელი დაუბრუნდებოდა ტფილისს, ხომ წარმოიდგენდა ქალი, რამდენ ცილს დასწამებდნენ მის ქმარს. ვითომ აკლდა ცილი, ესეც რომ არ მიმატებოდა.

აი ბატონოო, – ატუტუნდებოდნენ, აგნიასდებოდნენ, აბობოქრდებოდნენ, – ჩაიჯიბეს 80 თუმანი, გაისეირნეს და ხელცარიელები კი მოვიდნენო.

ვერ შეეგუებოდა ილია, მასზე ამისთანები ელაპარაკათ. ყოვლად უსამართლოდ, მაგრამ რაღაც ხელმოსაჭიდი მაინც ჰქონოდათ დასაბრალებლად. ამიტომაც რაც უნდა მომხდარიყო, თუნდ ერთ წელიწადსაც მონდომებოდა დარჩენა, დარჩებოდა კიდეც, რომ შეესწავლა რაიმე და როგორმე ბანკების კარი გაღებოდა.

საწუხარი მხოლოდ ის იქნებოდა, ოლიკო რომ გვერდით არ ეყოლებოდა, თორემ სხვა რა შეიძლება ედარდა.

– რაკი ეს საქმე ვიკისრე, რიგიანი ბოლოც უნდა მოვუღო.

ამ უბრალოდ წარმოთქმულ ფრაზაში რელიეფურად მოჩანს ილიას პიროვნული ხასიათიც და ცხოვრების წესიც.

დაიწყო რაიმე, ცნო მისი საჭიროება თუ სულაც აუცილებლობა?

მაშ ბოლომდეც უნდა მიიყვანოს და ისე, ამ საქმეს როგორც შეჰფერის.

გამოცლა, შუაგზაზე მიტოვება, ხელის ჩაქნევა და თავის მართლება ობიექტური მიზეზებით სრულიად უცხოა მისთვის – ეს არამარტო მისი ეთიკური მრწამსია, არამედ ის პიროვნული ბუნება, რომელსაც ადამიანი ვერსაით წაუვა. და ილიამაც უეცრად რომ გადაწყვიტოს რომელიმე საქმეს ხელი შეუშვას, ვიდრე ფეხზე დააყენებდეს და გამზადებულს სხვებსაც გაუნაწილებდეს ანდა ჩააბარებდეს, უკვე ვეღარც შეძლებს ასე მოქცევას.

ილიაობა სწორედ ეს არის, რომ: ვეღარც შეძლებს გამორიდებას, გამოცლას, ხელის ჩაქნევას.

და რაკიღა ილიაობა დაჰკისრებია, იმ გულშეუტკივარი ხალხის უდაბურებაც უნდა გაარღვიოს ადრე თუ გვიან.

ჯერჯერობით მაინც სექტემბერ-ოქტომბერში ვარაუდობდა კიდევ დარჩენას.

არა, ოლიკოს შეწუხება კი აწუხებდა, მაგრამ მისი კაი დედაკაცობისა ეიმედებოდა – ამ დროებით მწუხარებას ისევე აიტანდა ქალი, როგორც გადახვეწილი ქმარი უძლებდა.

ნუ ეგონებოდა მის კარგ ოლიკოს, თითქოს ილიას არ აწუხებდა ცოლის დიდი ხნით უნახაობა. უილიკოობა ილიას უფრო სტანჯავდა, ვიდრე ოლიკოს – უილიაობა, იმიტომაც, რომ სრულიად მარტო იმყოფებოდა. ოლიკოს კიდევ რა უჭირდა: თავისიანებში მაინც გრძნობდა თავს.

ანუგეშებდა, რომ ღვთის მადლით ყველაფერი კარგად იქნებოდა და ბოლოს ისე დაბინავდებოდნენ, რომ ერთმანეთს აღარც აღარასოდეს დაშორდებოდნენ.

– ვინძლო ყოჩაღად იყო, თორემ შენი კუკლუშკა ძალიან შეწუხდება.

გუვერნანტის თაობაზედ ბევრსა ცდილობდნენ ისიც და ზახაროვიც, მაგრამ ჯერ ვერას გამხდარიყვნენ.

ათასჯერ დაუკოცნიდა პირისახეს და მოეხვეოდა.

15 აგვისტოს მოსწერდა, რომ:

რაც სენო წამოსულიყო აქეთ, ოლიკოს ბარათი აღარ მისვლოდა. და საყვედურობდა: რად დამივიწყეო?.. თვითონ ილია აგერ უკვე მეოთხე წერილს უგზავნიდა. დაე კატოსათვის გადაეცა, რომ სენო ძალიან ყოჩაღად გრძნობდა თავს და მისი ჯავრი ნუ ექნებოდათ. ილიას თავიდან ეგონებოდა: სენო იწუხებსო, – მაგრამ ჯერხნობით მხიარულად გახლდათ და ალბათ კვლავაც ასე იქნებოდა.

ბევრს აცინებდა სენო, თავისი ამხანაგები როგორ მიიღებდნენ ლიცეუმში, როგორ დაუწყებდნენ ხუმრობას, როგორც ახალშემოსულს, მერე კი როგორ შეიჩვევდნენ.

ძველებს ცალკე პარტია ექნებოდათ, და სენო ახლებისაგან ცალკე პარტიას შეადგენდა და კარგადაც იქნებოდა. ასე რიგიანად აეწყობოდა მისი საქმე, რომ ხუთ დღეში მხოლოდ ათ შენიშვნას მიიღებდა, მაშინ როდესაც სხვებს დღეში ას შენიშვნას აძლევდნენ, და ზოგსაც სულაც აჩოქებდნენ.

ახლა იმის ფიქრში იქნებოდა სენო, კარგად ესწავლა და სტიპენდიაც დაემსახურებინა, და ილიაც აგულიანებდა: უკეთეს სიხარულს ვერ მიანიჭებ შენს მშობლებსო. და ყმაწვილი ამასაც დასძენდა: ბაქოში იმიტომაც ვზარმაცობდი, რომ მანებივრებდნენ, აქ კი – არაო.

თავისი საქმისა და დაბრუნების თაობაზე ამას მისწერდა:

წესდების დამტკიცებაზე იმედი მისცემოდა – აუცილებლად დაამტკიცებდნენ, ოღონდ ბანკში კვლავინდებურად არ უშვებდნენ, რომ იქაური წესი და რიგი შეესწავლა. ეს აბრკოლებდა და ცდილობდა როგორმე შეედგა ფეხი რომელიმე ბანკში. და ჯერხნობით ამ ცდაში გახლდათ.

წესსა და რიგს თუ არ შეისწავლიდა, თავისი ახალი თანამდებობის აღსრულება მეტად ძნელი იქნებოდა და მგონი შეუძლებელიც.

და კვლავ მოსალოდნელი ცილისწამება დაუტრიალდებოდა გონებაში და სულს შეუგუბებდა: ჩაიჯიბა 80 თუმანი, გაისეირნა და ხელცარიელი მოგვივიდაო.

ერთი სიტყვით მტკიცედ გადაეწყვიტა: ვიდრე არ შეისწავლიდა ბანკის ავანჩავანს, არც წამოსულიყო.

სხვა რა მოეწერა? ეგდო ამ ოხერ მოსკოვში, დილიდან საღამომდე გარეთ თითქმის არ გადიოდა და აწუხებდა უოლიკოობა და უსაქმობა.

აგრონოვიჩს მხოლოდ 10 თუმანი მიეტანა, მაშინ როდესაც ილია 20-ს ელოდა, და ახლა ოლიკოს სულს ხელში უდებდა: დანარჩენი ათიც მალე გამომიგზავნეო. ხოლო 17 თუმნამდე რომ დარჩებოდა ქალს, ძალიან უნდა გაფრთხილებოდა, რადგანაც მათი ავლადიდება ეს გახლდათ და ეს.

აშიაზე მიაწერდა, რომ: მაინც აგრონოვიჩისა ეიმედებოდა, ეგებ 10 თუმანიც მოეცა, თუ არადა მტერს არ უსურვებდა, ილიას საქმე რომ იქნებოდა!..

ტარანტასში ძალიან ძვირი გადაეხადა ოლიკოს გასაკეთებლად, ტყავს გარედან ლაქის წასმა არ უნდოდა. და კიდევ: ილიას ნაბადს ჩრჩილს ნუ შეაჭმევინებდა.

25 აგვისტოს შეატყობინებდა, რომ:

ძლივს გაერიგებინა ბანკში შესვლა და ორშაბათიდან დაიწყებდა იქ სიარულს. იქით კვირას მისწერდა, რამდენი ხანი მოუნდებოდა ბანკის წესის შესასწავლად. რაკი შეისწავლიდა, აქ საქმე აღარ ექნებოდა და წამოვიდოდა, თუ ქალაქიდან „ნაბლიუდატელნი კომიტეტი“ მისწერდა: მანდ ნუღა დარჩებიო; და თუ დაავალებდა: დარჩიო, – მაშინ უნდა დარჩენილიყო, ვიდრე წესდება დამტკიცდებოდა, და კიდეც დარჩებოდა. ასეთ შემთხვევაში ფულს მიაშველებდნენ.

საქმე ბანკისა ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ მისი დარჩენა წესდების დამტკიცებამდე საჭირო იქნებოდა.

ახლა ამაზედ ბარათი მიეწერა რევაზ ანდრონიკაშვილისათვის და პასუხს ამ დღეებში ელოდებოდა. თუ მოსწერდნენ: ნუღა დარჩებიო, – ვარაუდობდა, რომ სექტემბრის მიწურულისათვის უკვე ბაქოსაკენ დაადგებოდა გზას.

იაკობ მანსვეტაშვილისაგან რა ცნობა მოსულიყო? სახლი ქირა შეჰქონდა თუ არა „პრიკაზში“? რატომ არას იწერებოდა?

შუბა და საათები ჩამოეტანა იმას, ვისთვისაც ოლიკოს გამოეტანებინა.

31 აგვისტოს აცნობებდა, რომ

აგრანოვიჩი ჩამოვიდოდა პეტერბურგიდან და მისცემდა ილიას კატოსაგან ნაბრძანებ 10 თუმანს. დღესაც მირზოევის კანტორიდან მოუვიდოდა 10 თუმანი – სულ ოლიკოსაგან მიეღო უწინდელითურთ 30 თუმანი, რისთვისაც ცოლს მრავალჯერ ჰკოცნიდა და კატოს კი მადლობას მოახსენებდა.

ერთბაშად გამდიდრებულიყო და უფულობის ფიქრი ველარ შეაშინებდა, როგორც აქამდე აშინებდა. ეს დარდიც მოეშორებინა. მხოლოდ ეს აწუხებდა – ბაქოში ფული აღარ ექნებოდათ და რითი უნდა მოეხერხებინათ მანდედან შინ წამოსვლა ოლიკოსა და მის დას? ეს ღმერთმა იცოდა.

ძლივს შეედგა ფეხი ბანკში და, რაც საჭირო იყო, სწავლობდა. დილის 10 საათიდან 4 საათამდე იქიდან არ გამოდიოდა. ორი ნაწილის საქმის დაწყობა შეესწავლა და ორი კიდევ დარჩენოდა. იმ კვირას სულ ღვთით მოათავებდა.

თუ 15 სექტემბრამდე რევაზისაგან აქ დარჩენის ბრძანება არ მოუვიდოდა (იმიტომ, რომ სხვადასხვა ბანკირთან სალაპარაკო ბევრი გახლდათ), მაშინ 20 სექტემბრამდე წამოვიდოდა. ხოლო თუ მოუვიდოდა ბრძანება, მაშინ ჯამაგირსაც დაუნიშნავდნენ და უნდა დარჩენილიყო იმ დრომდე, ვიდრე წესდება დამტკიცებოდა და ბანკირებთანაც საქმეს მოათავებდა.

– აი ჩემის აქ ყოფნის თავი და ბოლო ეს არის.

გუვერნანტის შოვნა ფრიად და ფრიად გაჭირებულიყო. ბევრნი კი იყვნენ, მაგრამ კარგები – ცოტა. არადა პატიოსანი კაცი როგორ გაბედავდა ჩაეგდო ბავშვების ბედი უვარგისი დედაკაცის ხელში.

კვირას ლიცეუმში ყოფილიყო და ეკითხა სენოს ამბავი. ყმაწვილი მოკეთებულიყო, ფერზეც მოსულიყო, სახეზეც შეშუპება დაცხრომოდა. სწორედ რომ გაკეთებულიყო!..

ამას წინათ კატკოვის შვილთან ჩხუბი მოსვლოდა და სენოს მიეტყიპა მეტოქე, თუმც თვითონაც ლოყა ჩაულურჯდებოდა. ამხანაგების წრეში გაერჩიათ ეს საქმე და სენო გაემართლებინათ.

– ახლა ხელს ველარავინ მახლებს, – ეთქვა ბიძისათვის, – მეხუთე კლასის შეგირდები მექომაგებიან.

აშიაზე მიაწერდა, რომ:

წუხელ ლაზარევთან დაეპატიჟნათ, ჩაესვათ დაწყევლილ ბეზიკში და 13 მანეთი მიეგდოთ. ამ სიკოტრეში რა გუნებაზე წამოვიდოდა შინ!..

იქ ვიღაც თელაველ სომეხს ნახავდა – სტეფანოვს, ცოლიანად. „უჩასტკის უპრავლენიეს პისრად“ მუშაობდა ყვარელში ამ ოცი წლის წინათ 5-მანეთიან ჯამაგირზე. მისი ცოლი ნახევრად მშიერ-მწყურვალი ეგდებოდა. ახლა ეგ სტეფანოვი მილიონერი გამხდარიყო. ილია და იმისი ცოლი პირის-

პირ – ილია „ვიზავის“ თქმას ამჯობინებდა – ისხდებოდნენ ვახშამზედ. გვერდით ამას ვიღაც დოქტორი ეჯდებოდა, რომელსაც სტეფანოვის გომბიო ელაპარაკებოდა დამტვრეული რუსულით: პიკანტური საჭმელები მიყვარსო. ეცინებოდა გუნებაში ილიას: ამ მახოხით გაბერილს ვერ უყურებო?.. გარეგნულად კი მაინც შეიკავებდა თავს, ერთი არ გადეხარხარა. კომიკური სურათი რომ იქნებოდა, რად უნდა ლაპარაკი.

დანატროდა და ეხარბებოდა, რომ ეს ჩვენი უკეთესი და უწარჩინებულესი ივან ალექსეიჩი ხვალ აქეთ მოდიოდა. ნეტა იმას, რომ ყველას ნახავდა, ილიას მონატრებულებს. ოლიკო თუ თავისი და კატოს თათმანების ნომრებს შეუთვლიდა, აქედან წამოსვლისას თითო დუჟინს უყიდდათ, ოღონდ თუკი ფული შემორჩებოდა. საკვირველი მაღაზია ეპოვნა – ამისთანა თათმანის ტყავი არსად ენახა, რეზინივით იჭიმებოდა და თითო წყვილი მანეთ ნახევარი ეღირებოდა, მაგრამ თითო წელიწადს კი გაძლებდა.

6 სექტემბერს ოლიკოს შეკითხვაზე აი რა რჩევას გაუზიარებდა:

ძალიან კარგს იზამდა, თუკი საგინაშვილს ან დიმიტრის გაჰყვებოდა სიღნაღამდე. როდესაც ბაქოდან დაბრუნდებოდა ქალი, ნიკოლოზისათვის მიეწერა და ტარანტასი სიღნაღში დაეხვედრებინათ და იქიდან კარდანახში გადაეყვანათ. ვიდრე ეს აქედან დაბრუნდებოდა, ოლიკო ნინუცასთან უნდა ყოფილიყო, ილიას დასთან. იქიდან ორ კვირაში ერთხელ, თუ საჭიროება მოითხოვდა, ტარანტასით ყვარელს გასულიყო დასახედად. ბინა ნინუცასთან დაედო, თორემ ყვარელში შეაწუხებდნენ: ზოგი მუშა, ზოგი სახლის ხარჯი, ზოგიც საწყალი მამიდა მაკრინეს მოვალეები.

ძალიან წუხდა, ოლიკო უფულოდ რომ რჩებოდა, ძალიან წყინდა, ცოლი ასეთ უნუგეშო დღეში რომ ჩაეგდო, მაგრამ რა გაეწყობოდა მოთმინების მეტი. ოლიკოს ბარათები კი დიდად ანუგეშებდნენ, რომ ქალი ყოველგვარ ნაკლებულობას აიტანდა. აი ახლა მოსულიყო დრო, რომ კაი დედაკაცობა გამოეჩინა.

აქამდე ცოლ-ქმარი ღვთის უბეში გრძნობდა თავს. ამჟამად კი, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, დამდგარიყო დრო: ეწვნიათ მთელი სიმძიმე და გასაჭირი ხელმოკლეობისა. და ილიას ეიმედებოდა ოლიკოსი, როგორც მისი ძვირფასი მეგობრისა. ყოფილიყვნენ ძლიერნი უკეთესი დროის დადგომის მოლოდინში.

ყოფილიყო ქალი ყოჩაღად, განემტკიცებინა მეუღლე თავისი ენერგიულობით, გაემხნევებინა თავისი მზადყოფნით გასაჭირის გადასალახად, და კიდეც დააღწევდნენ თავს უბედურებას და არ დაიღუპებოდნენ ლუკმაპურის ძებნაში. მიეცა საშუალება, ღირსეულად გამოსულიყო ილია საბანკო საქმიდან, რომელსაც, შესაძლოა ნაჩქარევადაც, უკავშირდებოდა ბედი იმ ყველაფრისა, რაც ამისათვის ასერიგად ძვირფასი გახლდათ ამ ცხოვრებაში. და აიძულებდნენ ბედისწერას, დიახ – თვით ბედისწერასაც აიძულებდნენ, კიდევ ერთხელ გაეღიმა და ამათკენ შემოებრუნებინა ეჟვანი.

მესამე დღეა რევაზ ანდრონიკაშვილის წერილი რომ მიეღო, მისი მეოხებით მოეპოვებინა საშუალება, შეეღწია ტულის საადგილმამულო ბანკში,

რომელიც ამჟამად გადადიოდა პეტერბურგში და ვერ გაიმართებოდა ამ ქალაქში 16 სექტემბერზე ადრე. და ამიტომაც ილიას მეცადინეობა ამ ბანკში დაიწყებოდა 16 სექტემბრის შემდგომ.

ამასთან მიეღო ახალი დავალებები, რაც მისგან მოითხოვდა პეტერბურგში დარჩენას ნოემბრამდე. ამჟამად სულ რაღაც 200 მანეთი შემორჩენოდა. ამ ფულით უნდა გაეტანა თავი პეტერბურგში ნოემბრამდე და ტფილისში დაბრუნებაც შეძლებოდა. წარმოედგინა აბა ქალს მისი ყოფა!.. თუკი ყვარელში გამოძებნიდა საშუალებას სარფიანად გაეყიდა მოსავალი, 200 მანეთი ქმრისათვის უნდა გაეგზავნა. თუ ვერა და... ნუ შეშფოთდებოდა ოლიკო – მეუღლე რაღაცას გაახერხებდა.

ხვალ ხუთის ნახევარზე მიემგზავრებოდა პეტერბურგს აღსავსე წუხილით, რომ: კიდევ უოლიკოოდ უწევდა ყოფნა. ქალი ვერც წარმოიდგენდა, უიმისოდ რარიგ მოეწყინა ილიას!.. დღეს სენოს მიაკითხავდა გამოსამშვიდობებლად და საბრალო ისე აქვითინდებოდა, რომ ამასაც ცრემლი წასკდებოდა და ვერა და ვერ დაწყნარდებოდა. რაღაც დროიდან გულჩვილობა დასჩემებოდა და ეგაა.

ახლაც გული ამომჯდარი ექნებოდა სენოს გამოისობით. საწყალი ბევრს იტირებდა, მოეხვეოდა ყელზე და აღარ უშვებდა. ილიას შერცხვებოდა, რადგანაც გარშემო ხალხი ირეოდა. დაე ღმერთს დაელოცა სენო და თავის დედ-მამის ნუგეშად კაი კაცად გამოეყვანა. ტუტორს ჩააბარებდა და შეეხვეწებოდა, თვალყური სჭეროდა და კარგად მოევლო. ის შეპირდებოდა და დასძენდა: სენო კარგადაც იქცევა და რიგიანადაც სწავლობსო.

12 სექტემბერს პეტერბურგიდან მოსწერდა მეუღლეს, რომ:

აქ უფრო არ გახლდათ ისე მარტოდმარტო, როგორც მოსკოვში, რადგანაც ბევრი ქართველი ყმაწვილი იმყოფებოდა და სანდრო ამერიკანელიც მათ შორის. ამათთან ერთად ვაინაჩრობით ატარებდა დროებას. ახ ნეტა ოლიკოც მასთან ყოფილიყო და სხვა აღარა ენდომებოდა რა. საშინლად სწყუროდა თავის ქვეყანაში წამოსვლა და ცოლის მოხვევნა, მაგრამ ბარე გრიგოლ ორბელიანსაც ფუჭად ჩაუვლიდა თავის დროზე მონატრების ეს დაუოკებელი წყურვილი: ამაო, ჩემო იარალი, სად ჩემი ნატვრა და ჩემი როტვაო!..

ეს-ესაა ოლიკოს მოკლე ბარათი მიეღო და გაეხარა, მაგრამ ამუნათებდა: რატომ გრძლად არ მწერ შენებურადო?.. ჯერ დაეჩვია გრძელ-გრძელი წერილების კითხვისათვის და ახლა უზოგავდა. და შემოეხუმრებოდა ცოლს:

დაიცა, ერთი ვნახო ჩემი კუკლუშკა, მე ვიცი რარიგადაც გადავახდევინებ მაგ სიტყვაძვირობასო.

რას იწერებოდა ქალი: თერთმეტი თუმანი დამრჩაო?

ვაი, რომ არა – ილიასათვის აქ აგრონოვიჩსაც მიეცა და მამიკონოვისაგანაც მოსვლოდა, მაშასადამე ოლიკოს სულ ერთი თუმანიღა ექნებოდა.

– ფრიად, ფრიად ცუდი!

ვჰსტირ და ვლრიალებო, – სხვა რაღა ეთქვა ფინანსების გამოლევაზედ, მაგრამ დაე მათი შემწე ყოფილიყო მაღალი ღმერთი, რომელსაც არა ჩვე-

ოდა ფული ზეციდან ჩამოეყარა, თუმც მაინც კიდევ შეიძლებოდა იმედს მოჭიდებოდი კაცი.

რამდენი ადამიანი მოიპოვებოდა, ამათზე უფრო უფულოც და უნუგეშოც? თუკი ისინი თავს არ იტკიებდნენ, ილიასა და ოლიკოს ხომ სიხარული ეკუთვნოდათ. ყოფილიყვნენ ორნი ტოლნი, ორნი მეგობარნი, გულუხვად და ჯიბეკუტრად, უფრო მსუბუქადაც ივლიდნენ, რადგანაც გულუხვობას წონა არ გააჩნდა.

ვერ გაეგო, დღეს რა აოხუნჯებდა, თითქოს ჯიბეში მილიონი სდებოდეს. მეუღლის ბარათს თუ მიენიჭებინა ეს სიამოვნება. სწორედ ასე უნდა ყოფილიყო და ასეც აცნობებდა თავის სანახავად სანატრელ მეგობარს!.. ვაი მილიონერებს, რომ ფული ბევრი ჰქონდათ და გრძნობა ცოტა. და ნეტავი ამათ, რომ: გრძნობა ბევრი ჰქონდათ კაცური და ფული კი ცოტა: ორივ ერთად რომ ყოფილიყო, მეტისმეტი იქნებოდა – დაე ამით ენუგეშებინათ თავი და დადუმებულიყვნენ.

უკვირდა, ღმერთმა ხომ იცოდა, თავისი ბარათების დაგვიანება. ერთი წიგნი, რომელსაც ოლიკო ელოდა, აგრონოვიჩისათვის გამოეტანებინა და კვირას უნდა გადაეცა ქალისათვის. მეორე ბარათი ოთხი დღის წინათ მოეწერა და ისიც აქამდის მიღებული უნდა ჰქონოდა. ამ ბოლო ბარათში მოეწერა ოლიკოს წასვლის თაობაზედ ყვარელში. ამაზედ წუხდა ილია, რომ ცოლი უფულოდ დარჩენოდა, მაგრამ ყვარელს რომ ჩავიდოდა ქალი, გაჰყიდდა რაიმეს და ფულიც შემოუვიდოდა. აბა ვინძლო ყოჩაღად მოქცეულიყო და მამულისათვის კარგად მოევლო. სულ იმას რომ ჩიოდა ოლიკო: მოსავლელი არა მაქვს რა და რა გავაკეთოო, – აი ილიას ის თავისი მამული მისი ჭირის სანაცვლოდ მისთა ფეხთაქვეშ ფიანდაზად გაეშალა.

ილიას საქმეები ახლა ცოტაოდნავ გამოკეთებულიყო, მაგრამ ჯერ ბოლო ვერ მოეღებოდა, რადგანაც ქალაქიდან სხვა ბევრი რამეც მოეხვიათ თავზე გასარიგებლად.

თუმც 30 თუმანი კიდევ დაენიშნათ, მაგრამ ისეთნაირად დაენიშნათ კი, რომ ილიას თავისი ღირსება ნებას არ აძლევდა იმ ფულის მისაღებად. ამიტომაც უარყოფდა იმ თანხას თავისი სრული ადამიანობის საზიზღარობით

რა შეიძლება მის საქციელზე ეთქვათ? გლახა ამპარტავანიაო, ვითომ?

მაგრამ სულ სხვაგვარად განსჯიდა ილია:

თვისი ღირსების დაცვა ყველას მოვალეობააო.

და ეიმედებოდა, რომ ცოლიც დაეთანხმებოდა, ფულიან უკეთურობას უფულო ღირსება რომ სჯობდა.

ძალიან მოლექსეობა კი დაეწყო თავისი ოლიკოსთან!..

დაე სცოდნოდა ქალს, რომ: მასთან ლაპარაკი ილიას ყოველთვის აშორებდა გულიდან სევდიანობას და ამხიარულებდა.

– ამისათვის მინდა, რომ ტუჩებში გაკოცო, მაგრამ შენ სადა და მე სად? მე ვერ წარმომიდგენია ის წუთი, რომელიც მე და შენ შეგვყრის კიდევ!

თავისათვის ფიცი მიეცა: თუ კიდევ ამისთანა შემთხვევა მოუწევდა, ოლიკოც თან წამოეყვანა ხოლმე. უიმისობა მეტად უძნელდებოდა. გრძნობ-

და და ნაღვლობდა. მით უტკბილესი იქნებოდა მათი ერთად ყოფნა – განუყრელობის აზრით შემკული და მორთული.

აქ, პეტერბურგში ილია დადიოდა თავის ძველ პროფესორთან დავით ჩუბინიშვილთან, ვარვარა ილინიშნასთან, რომელიც ოლიკოს სიყვარულით მოიკითხავდა, ვანო ორბელიანთან, ლადო ამილახვართან, ამ დღეებში ნახავდა გიორგი შერვაშიძესაც, რომელიც ილიასთან ყოფილიყო, ეს კი შინ არ დახვედროდა. თუმც პირადად არ იცნობდა, მაგრამ მოსულიყო კი ილიას სანახავად.

აქ უფრო ცოტაოდენი გართობა ექნებოდა, იმიტომ, რომ თავისიანებში იტრიალებდა. ოლიკო რომ აქ ჰყოლოდა, მის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. მაგრამ ნატვრა ნატვრად რჩებოდა.

და ბიბლიურად მოუქცევდა სტრიქონს, ეკლესიასტურად:

– ამაო ამაოდა უშენოდ, ყოველივე ამაო.

ახლა ისეთ გუნებაზე გახლდათ, ძალიან კარგ ლექსს დაწერდა, 12 საათზედ ცარსკოე სელოში წასასვლელი რომ არა ყოფილიყო საქმეების გამო.

მის უფულობაზე ქალი ნუ ინაღვლიდა. აქ ფულის შოვნის სახსარი მოეპოვებოდა, თუკი დაჭირდებოდა. დღეს ჰქონდა სულ 12 თუმანი და სახლის ქირა ერთი თვისა წინ მიღებული. ვერ გაეგო, რად ეხარჯებოდა ეგრე მალე ფული. ალბათ არ დაიჯერებდა ოლიკო, რომ თავის სიამოვნებაზედ ილიას გროშიც არ დაეხარჯა. ჯერ სპექტაკლიც არ ენახა. მოსკოვში კი იმყოფებოდა თეატრში, მაგრამ ისიც აგრონოვიჩის ხარჯზედ. მისი სიამოვნება მხოლოდ ეს იყო, რომ კვირაში ერთ ბოთლ ღვინოს ყიდულობდა – ბოთლს ათ შაურად, სხვა არაფერი.

ყოფილიყო მშვიდად ოლიკო და ენუგეშებინა მეუღლე.

21 სექტემბერს შემოსჩივლებდა, რომ:

ვერ წარმოიდგენდა, რარიგ მოწყენოდა აქაურობა და ცოლისაგან შორს ყოფნა. ეს მეორე კვირა იყო, რაც პეტერბურგში იმყოფებოდა მოწყენილი, დავრდომილი და დაჩაგრული იმით, რომ მისი კუკლუშკა შორს გახლდათ და მის ახლოს არა ტიტინებდა. საშინლად წყუროდა შინ წამოსვლა და მეუღლის კოცნა, მაგრამ რა ეღონა? საქმენი ამის ნებას არ აძლევდნენ.

ჩვენი წესდების საქმე უიმედოდ არ იყო; თუმც ცდილობდნენ, რომ „უსტავი" არ დამტკიცებულიყო, მაგრამ ფინანსთა მინისტრი ამათ ემხრობოდა. სამშაბათს უნდა გამოცხადებოდა ილია და დაღრეჯოდა, რომ მოწყალება თვისი არ მოეკლო ჩვენი წადილის აღსრულებისათვის. იქნება ამ დღეებში კონსტანტინე ნიკოლაევიჩიც ენახა, რადგანაც სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ის გახლდათ. ძალიან ფაცურობდა ილია, მაგრამ არ იცოდა, რა გამოვიდოდა ამ ფაცურობიდან.

აქ ვარვარა ილინიშნა იმყოფებოდა, ვანო ორბელიანი და გიორგი შერვაშიძე – ცოლითა და დით. ხანდახან მათთან დაიარებოდა და დროს ატარებდა.

ძალიან შეწუხებულიყო, რომ ამ კვირია ოლიკოს წერილი არ მიეღო. რა მიზეზით? მოსკოვში თავისი მისამართი დაეტოვებინა და რაწამსაც ოლღას ბარათს მიიღებდნენ, მაშინვე გადმოუგზავნიდნენ, მაგრამ ეს კვირა იწურე-

ბოდა და ოლიკოს წერილი კი არსაით ჩანდა. აღარ იცოდა, რა ეფიქრა და რისთვის მიეწერა ბარათის გამოუგზავნელობა.

– მომწერე ხოლმე, ამ უხეირო და უმადურს ქვეყანაზედ შენღა ხარ ჩემი უკეთესი იმედი და ნუგეში და შენს ამბავს და წიგნსა ნუ დამიძვირებ, თორემ... თორემ... თორემ გაკოცებ.

გუშინ ენახა ირაკლი მუხრანსკის შვილი. ძალიან ეამებოდა ილიას ნახვა. ოლიკოსაც იკითხავდა. თიბათვეს კურსს დაასრულებდა და სურდა აქავ შესულიყო სამსახურში, რათა აკადემიისათვის მომზადებულიყო. და დალოცავდა ილია: ღმერთმა ხელი მოუმართოს, კაი ბიჭს ჰგავსო.

ყვარლის ამბავი ვერა შეეტყო რა. მოსვლოდათ რაიმე თუ არა? საშინლად ეშინოდა, ხომ არ დავისეტყვეთო. თუ არ დასეტყვილიყვნენ, კიდევ იმედი რჩებოდა, რომ როგორმე ხელს მოიცვლიდნენ და ორიოდე გროში გაუჩნდებოდათ. აღარ იცოდა, რაც წელს ასაშენებელი იყო, აეშენებინათ თუ არა?

და გაკილავდა თავის ნათესაობას, როგორც საკვირველ ხალხს: თავის დას, ნინოს, ერთი წერილიც არ მოეწერა, რათა შეეტყო რაიმე და გული დაემშვიდებინა.

უკვირდა, დიმიტრი სიმონიჩს ბარათის პასუხი რატომ არ გამოეგზავნა? თუმც საწყენი, მაგრამ მართალი ამბავი მოეწერა ილიას და ნუთუ ამაზედ შემოწყრომოდა? არ ეგონებოდა.

ოლიკოს ძალიან კი ენდომებოდა შეეტყო, როდის დაუბრუნდებოდა ქმარი, მაგრამ ჯერ თვითონაც არ ეცოდინებოდა ილიას. ვიდრე წესდების დამტკიცებაზედ ან ჰოს, ან არას გადაწყვეტილად არ ეტყოდნენ, მისი აქედან წამოსვლა ყოვლად შეუძლებელი გახლდათ.

26 სექტემბერს რომ მოელოდა მეუღლის ბარათს და არ მოუვიდოდა, ფრიად შეწუხდებოდა, რადგანაც აქ, პეტერბურგში მაგის მეტი ნუგეში არა მოეპოვებოდა რა. და როგორ არ ესაყვედურა: რატომ დამივიწყეო?..

გუშინწინ თავისი დების – ლიზასი და ნინოს – ბარათები მოუვიდოდა. ლიზოს აესრულებინა მისი თხოვნა ბილეთების თაობაზედ და ეს ამბავი ილიას აამებდა. ნინუცას წიგნი კი უსიამოვნო აღმოჩნდებოდა: ჩვენი ვენახი წამხდარა ნაცრისაგან, ასე რომ, აღარა გამოვა რაო. პური ცოტა მოსვლოდათ და სხვაც აღარა შერჩენოდათ. ეს კიდევ არაფერი: მათი ორივე წითელი ცხენი ქურდებს მოეპარათ და გულისტკივილს გულისტკივილი დაერთვოდა:

ჩვენს ბედნიერებასა და სიმდიდრეს ეგლა აკლდა. ახლა მე და შენ ძალიან ლაზათიან მდგომარეობაში ვართ. ერთმანეთზედ შორს, უბინაო, უფულო და უიმედო. ბარაქალა ჩვენს ბედსაო!..

რასა იქმოდა ქალი ამ უხეირო და უპირო ქვეყნიერებაზედ?

ცუდი დრო დამდგარიყო მათთვის, მაგრამ ილია გულს არ იტეხდა, რადგანაც: კასპიის ზღვის პირზედ ერთი გუბერნატორი გახლდათ, იმ გუბერნატორის სახლში ერთი სულიერი იმყოფებოდა, ის ერთი სულიერი მისი კარგი მეგობარი იყო და ის მისი კარგი მეგობარი მისი ცოლი გახლდათ და ის მისი ცოლი ნუგეშად ჰყავდა.

– ეგრე, ჩემო ოლიკო, შენ კარგად მყვანდე და ბედის ჩვენის დაღვრემილობა ბევრს არაფერს დაგვაკლებს.

ბანკის საქმე გვიანდებოდა. ტყუილუბრალოდ აწვალებდნენ და დროს აკარგვინებდნენ, მაგრამ... ძალა რომ აღმართსა ხნავდა?!.

გუშინწინ ეტყოდნენ: ჩვენი წესდება ექვსი კვირის შემდეგ წარედგინება „გოსუდარსტვენნი სოვეტსო", – ახლა ერთი-ორი თვე იქ მოიგვიანებდა და... გამოვიდოდა სამ თვენახევარი ილიას აქ დარჩენის პაემანი.

ეს ამბავი ოლიკოსაც ისევე ვერ ეამებოდა, როგორც ილიას ჩაწყვეტდა გულს, მაგრამ ქვეყნის წინაშე პირშაობას კიდევ თავიანთი უსიამოვნება უნდა ემჯობინებინათ.

ოღონდაც ოლიკო ნუ იწუხებდა და მიეცა თავისი კაი დედაკაცობით იმოდენა დრო ქმრისათვის, რომ მას კისრად აღებული საქმე შეესრულებინა პირნათლად და პატიოსნად.

შინ რომ დაბრუნდებოდა ქალი, თუ საჭირო არ იქნებოდა დიმიტრი, დაეთხოვა. თუ უფულობა შეაწუხებდა, დაე რასაც მოახერხებდა, გაეყიდა, ცხენი იქნებოდა თუ ტარანტასი. სხვა გზა აღარ რჩებოდა. ილიაც აქ ვალში ჩავარდებოდა, როგორც ატყობდა, რადგანაც რაც ფული შემორჩენოდა, ამ თვის დამლევს სრულიად გამოელეოდა; ეგ იყო – იქნება ოქტომბრის ნახევრამდე როგორმე ემყოფინებინა.

და კიდევ ერთხელ გაიმეორებდა, რომ:

რევაზ ანდრონიკაშვილს 30 თუმანი კიდევ შემოეძლია, მაგრამ სხვადასხვა საძაგლობის გამო, რაც ზედ ერთვოდა იმ შემოთავაზებას, ილიას ფულზედ უარი ეთქვა და ლაზათიანადაც გამოელანძღა რევაზიც და სხვა მისი დამქაშებიც.

წარმოიდგენდა, რა ალიაქოთი შეუდგებოდათ, როცა მის წერილებს მიიღებდნენ, და რარიგად დაუწყებდნენ ლანძღვას.

ეჰ, არა უშავდა რა, მითუმეტეს ანდაზა მის მხარეს გახლდათ: საცა წვრილია, იქ გაწყდესო.

ქართველებთან საქმის დაჭერა ძნელი რამ ყოფილიყო, მაგრამ კაცთა უმადურობის სიბილწე არაერთხელ გამოეცადა. და ესეც იმათში ყოფილიყო, სასახელოდ მისთა მოკეთეთა.

ილიასებური სარკაზმი ამოსკდებოდა.

ოლღა კი ამაზედ ნუ ინაღვლიდა, რადგანაც მასზე უკეთ ვინ იცნობდა მის ქმარს:

რასაც იგი იმოქმედებდა, ჯერ ყოველმხრივ აწონ-დაწონიდა ხოლმე.

ამიტომაც არავინ არასოდეს მისთვის საშიში არა ხდებოდა. ავკაცობა ავკაცს შერჩებოდა, თორემ ილიას რა?

ამ ბანკის საქმისათვის ყველაფერი შეეწირა:

ოლიკოს მშვიდობა.

თავისი მშვიდობა.

თავიანთი უზრუნველი ცხოვრება.

თავისი სახელი.

თავისი კარიერა.

დაე ვისაც თვალი ჰქონდა – დაენახა, ვისაც გული ჰქონდა – ეგრძნო, ვისაც ჭკუა ჰქონდა – აეწონა, და ვისაც არ გააჩნდა – იმას პატარა გოშიასავით უკნიდან ყეფა დაეწყო.

დიმიტრი ბარათის პასუხს რატომ არა სწერდა? თუ ოლიკოს ახლოს იმყოფებოდა, ერთი ეკითხა ქალს და ეცნობებინა ილიასათვის, რომელსაც საათები გამოეგზავნა ლაზარევის ხელით და აღარ იცოდა, მიეღოთ თუ არა. ექვსი მანეთი შალიკოვის მაგივრად მიეცა და რვა მანეთი – ამათ მაგიერ.

ამას იქით ბარათები პეტერბურგში უნდა ეგზავნათ, საიდანაც ილია ათასჯერ მოეხვეოდა, ათიათასჯერ აკოცებდა და მისი ნახვის მონატრედ დარჩებოდა.

4 ნოემბრამდე ორი კვირა ოლიკოს ბარათი რომ არ მიუვიდოდა, ძალიან იწუხებდა, მაგრამ ამ დღეს ერთბაშად ორს მიუტანდნენ და რაც ჯავრი და ფიქრი ექნებოდა, სულ გადაეყრებოდა.

იწერებოდა ქალი:

აგრანოვიჩისათვის გითქვამს, თუ დიდი ხანი დავრჩი, ოლიკოს დავიბარებო.

მართლაც ეთქვა ილიას ეს სიტყვები, რადგანაც მოწყენოდა უიმისობა და ძალიანაც წუხდა, ერთმანეთს ასე სულელურად რომ დაშორებოდნენ, მაგრამ როდესაც ჯიბეზედ ხელს დაიკრავდა და ნახავდა, რომ იქ თაგვები თამაშობდნენ, მაგ თავისთვის სასურველ ფიქრს დიდი მწუხარებით გულიდან ამოიღებდა და დაშთებოდა კვალად „უმწედ, უნუგეშ“.

აღარ იცოდა და ღმერთმა თუ უწყოდა, რა შეიძლება ეღონა?

ცოლი ეგრე უფულოდ ჰყავდა უცხო ადგილას და თვითონ არ ეგდებოდა და მის აქ ყოფნას ბოლო არა და არ უჩანდა.

ცუდი მდგომარეობა გახლდა, თუ ოლიკოც იტყოდა.

ეს მამაძაღლები (გაღიზიანებული უკვე ამ სიტყვასაც აღარ მოერიდებოდა) საქმეს უგვიანებდნენ და სწორადაც არ ეუბნებოდნენ, როდის გათავდებოდა. შეპირებოდნენ: 10 ნოემბერს შეგატყობინებთ სწორადო, და მეტი რა ჩარა იყო, იმ 10 რიცხვისათვის უნდა მოეცადა.

აბა რა გვიჭირდაო, – თან ირონიით, თან გულისტკივილით, თან სინანულით, თან გაგულისებული მიადევნებდა, სხვადასხვა გრძნობა ერთმანეთში რომ აირეოდა და თვითონაც ველარ გაერკვია, რომელი ჭარბობდა:

– ჩვენთვის მშვიდობიანად ვისხედით იმ დამპალს დუშეთში და ყურსაც არ ვიბერტყავდით. ეხლა კი თვალზედ ღრუბელი ჩამოვიფარეთ ჩვენ თვითონ და როდის აგვეცლება, ვინ იცის? ცუდი დრო დაგვიდგა.

მშვიდობიანად – იმ დამპალ დუშეთშიო...

ამ ეპითეტს – დამპალს – იმიტომაც არ მოერიდებოდა, რომ იქაურობა აღარ განერჩეოდა იმ სიმბოლური სურათისაგან, „კაცია-ადამიანის?!" დაწუნებულ წინასიტყვაობაში ოთხჯერ რომ აღწერდა და ოთხივეს გადახაზავდა იმ მიზეზით, მოთხრობაში ეს განწყობილება ისედაც კანთიელად გამოსჭვივის და მკითხველი უწინასიტყვაობოდაც ამოიცნობსო; არადა

თვითონ სურათი დაგუბებული, დაჭაობებული, ოხშივარადენილი ყოფისა შემზარავი გახლდათ და... დუშეთში თავის თავზე უნდა ეწვნია იმ გუბის დამთრგუნველი „სურნელი", ქვეყნის სამასხარაოდ ცხოვრებას რომ ეძახდნენ და... თვითონაც თითქოს უკვე ეგუებოდა თანდათან იმ რუტინულ, გულისგამაწვრილებელ მდგომარეობას წვრილფეხა ჩინოვნიკისა, გუბიდან თავდაღწევას სულ უფრო ნაკლებ რომ მოგანდომებდა, რაკიღა სიდამპლის სურნელს ისე შეგაჩვევდა, მის განუყრელ ნაწილად მიიჩნევდი თავს... და უკეთეს ადგილს უკვე ვეღარც ვეღარსად დაიგულებდი.

იმ დამპალ დუშეთშიო...

და ლამის მაინც ის ყოფა დაემჯობინებინა აქ გადმოხვეწისათვის, სრულ გაურკვევლობაში რომ გრძნობდა თავს, და რაღაც ახალ ჭაობში ეფლობოდა, კიდევ უფრო ღრმასა და ლამის მთლად საბედისწერო ოხშივარით გადავსებულში.

ამას წინათ რომ მიეწერა ცოლისათვის: ან კარდანახს წადი და ან ყვარელსო, – ოლიკო იქნებ აქამდეც წასული ყოფილიყო. ძალიან კარგს იზამდა, თუკი წავიდოდა და ისეც მოიქცეოდა, ქმარი როგორც არიგებდა.

ლიზასა და ნინოს ბარათები რომ მიეღო, ყვარლისა ვერაფერი ამბავი შეეტყო: მისი წითელი ცხენების დაეპარათ, ვენახები ნაცარს წაეხდინა, პური ცოტა მოსულიყო. და დაიგმენდა: მოდი და ამ ყოფაში ღმერთს სამართალი სთხოვეო. ამდენი კაი საქმე რაღა ერთმანეთს ზედ დართოდა?

და ოლიკო უნდა შეჭურვილიყო ვაჟკაცობით, გული გაემაგრა და არ დამორჩილებოდა უმსგავსოდ უბედობას. ამის მეტი აღარა დარჩენოდათ რა და... ესეც ნუგეში გახლათ ამ უნუგეშო გარემოში.

და ნატვრით ინატრებდა:

ნეტა ან თვითონ დამჯდარიყო ოლიკოსთან და ან ოლიკო ყოფილიყო მასთან, რომ თავიანთი გულის მწუხარება სიცილად გადაექციათ და ერთმანეთის მოხვევნაში დაევიწყათ, რომ აქ, ამ უმადურ ქვეყანაში უმადურობა ხშირი გახლდათ.

– ფუ, ამ ცხოვრებასა!..

ცალკე ყოველდღიურ ყოფას შეუკურთხავდა და ცალკე თავს დაძრახავდა:

მე მგონია, რომ უშენობამ სრულად გამასულელაო.

მთელი დღე შინ ეგდებოდა და ხალათს არც იხდიდა; თუ წავიდოდა სადმე, ისევ ფინანსთა სამინისტროში საქმის შესატყობად. სულ გამოყრუვდებოდა და გულს ასკდებოდა და კედლებს:

აი დალახვრა ღმერთმა მეორე ჩემისთანა წინდაუხედავი სულელიო!..

გუშინწინ ბარათი მოუვიდოდა იაკობ მანსვეტაშვილისაგან: ოცი თუმანი მოსკოვში გამოეგზავნა. და ესეც ხათაბალა გახდომოდა ილიას – აქ, პეტერბურგში იმყოფებოდა და ფულს კი მოსკოვს უგზავნიდნენ!.. არ იცოდა კი, ეს რა ფული უნდა ყოფილიყო. ოლიკოს ხომ არ მიეწერა და დაეფაცურებინა? თუმც მაგ ფულს სულზე მიესწრო ილიასათვის, მაგრამ მაინც სურდა სცოდნოდა, ვისგან იყო და ვისი მეოხებით. მოსკოვის ფოსტაში არზა გაეგზავნა

და ეთხოვა, ფული აქ მოეწოდებინათ. თხოვნას აუსრულებდნენ თუ არა? ალბათ აუსრულებდნენ და იქ ჩასვლას არ მოსთხოვდნენ.

ფული რომ მიუვიდოდა, ძალიანაც კარგი, მაგრამ... მათი ქონება რომ ნელ-ნელა იწრიტებოდა? შინ რომ დაბრუნდებოდნენ, რა ეშველებოდათ?

ეჰ, რატომ ეგრე დაექვევითა თავის უგულო ბედსა!

მაგრამ გულს არ გაიტეხდა:

არა გვიშავს რა, ნუ გეშინიანო.

და ხალხურ სტრიქონებსაც მიადევნებდა გასამხნევებლად: უქონლობას ის რადა სწუხს, თუ კაცი გონიერია, წავა და ყველგან დარჩება, სოფელი ღონიერიაო.

გლეხური სიმღერაა, მაგრამ კარგიაო, – დასძენდა და დითირამბსაც არ დაიშურებდა: კიდევ დალოცა ღმერთმა გლეხნი – კაცურკაცობა თუ არის სადმე, კიდევ ამათშიაო.

წინა ორშაბათს კანეოელები დაპატიჟებდნენ, ქართულ სადილს დაახვედრებდნენ, მშვენიერი სიმღერით, თარითა და ჭიანურით შეაქცევდნენ, ქებასაც შეასხამდნნ, მაგრამ – როგორც სჩვეოდა – ეს ქება უფრო ეწყინებოდა, ვიდრე ეამებოდა.

ეჯავრებოდა ამისთანები. არამცთუ პირმოთნეობასა და ფარისევლობას, ყასიდად ლაპარაკსაც ვერ ეგუებოდა.

მაგრამ რას უზამდი ჩვეულებას, რომელიც რჯულთუმტკიცესი გახლდათ!..

10 ოქტომბერს მეორე კვირაც იქნებოდა, მეუღლის ბარათი არ მიეღო და უსაყვედურებდა შეწუხებული: ამ ბოლო დროს ძალიან გამიზარმაცდი, ნუთუ შორს კაცი და შორს გულიო!..

დიდი მოუთმენლობით ელოდა ამ წერილს, რათა შეეტყო, მიდიოდა ქალი კარდანახს თუ არა, როგორც ამას წინათ მიეწერა. თუმც კარდანახში წასვლის თაობაზე ბარათი ამ თვენახევრის წინათ გაეგზავნა, მაგრამ პასუხი არ მიეღო და არა.

წუხდა და წუხდა, მაგრამ რა ეშველებოდა წუხილით?

როგორც ეტყობოდა ავ გუნებაზედ იმყოფებოდა ქალი და მეუღლე ცოტაოდნავ ამიტომაც დაევიწყა. და თუ ღმერთი ოლიკომდე მიაღწევინებდა, კი იცოდა ილიამ, რარიგ გადაახდევინებდა ამ გულმავიწყობას.

წესდების საქმე ჯერ კარგად მიდიოდა – ვინც უფრო უშლიდა, ის მოურბილდებოდა ახლა და არ იცოდა ილიამ, რა მიზეზით მომხდარიყო ეს მორბილება.

თვითონ თუ ვერა ხვდებოდა, ჩვენთვის ძნელი ასახსნელი არ უნდა იყოს:

ილიას ხშირ მისვლასა და დაბეჯითებას, ილიას შეუპოვრობასა და მიდეგობას მოერყია იმათი წინააღმდეგობა და ჩათრევისათვის ჩაყოლა ემჯობინებინათ.

20 ნოემბერს წესდება გაიგზავნებოდა სახელმწიფო საბჭოში და დიდ იმედს აძლევდნენ და მართლადაც საიმედოდ გამოიყურებოდა, რომ ამ თვეშივე გადაწყვეტდნენ ამ წესდების საქმეს და სასიკეთოდაც – უარით არ გამოისტუმრებდნენ და დაამტკიცებდნენ.

– ნეტავი შენი სიცოცხლით ეს ჩვენი გულითადი იმედი არ გამტყუნდეს და უსტავი დაგვიმტკიცონ.

მაშინ – ღვთის წყალობა ოლიკოსა ჰქონოდა – რევაზ ანდრონიკაშვილსა და იმის დამქაშებს რა ყოფას დააწევდა ილია!.. ხელებს წინასწარ იფშვნეტდა, როგორ მირეგვ-მორეგვავდა ამ მიღწევით გულმოცემული.

ოლღა ვერც წარმოიდგენდა, რარიგ აბრკოლებდნენ მის მეუღლეს აქაური „ნაბლიუდატელნი კომიტეტი“ და მისი უხეირო მოთავენი. რომ ჩამოვიდოდა, ოლიკოს ყველაფერს უამბობდა და ამას გარდა გაზეთშიაც გამოაცხადებდა მათ საძაგელ ქცევასა და გულის სიმრუდეს.

დიმიტრი ყიფიანი და დიმიტრი ყაზბეგი ხომ – მკათათვეში ერთი და აგვისტოში მეორეც – გამოიქცეოდნენ აქედან და დააგდებდნენ ილიას მარტო. ამასთან შური და მტრობაც იჩენდა თავს „ნაბლიუდატელნი კომიტეტში“ ილიას წინააღმდეგ. ამ ყველაფერს აქ შეტყობით შეიტყობდა, მაგრამ შიშით აბა ვისი შეეშინდებოდა.

ერთი – ოლიკოს დღეგრძელობით – წესდება დაემტკიცებინა და მაშინ ენახათ, სამეთვალყურეო კომიტეტს რარიგად დაგვიდა ცოცხით. მაშინ მთელი თავადაზნაურობა ილიას გვერდით დადგებოდა და ცუდად მოუგრეხდა კისერს ყველა იმას, ვინც ამ საქმეში უსინდისოდ იქცეოდა.

თუ არ დაამტკიცებდნენ და... ცუდად მოწყდებოდა ილიასაც წელი და უღონო შეიქნებოდა.

რა დღესაც დაამტკიცებდნენ, იმავე დღეს ოლიკოსაკენ გამოფრინდებოდა, ერთ წუთსაც, რომ იტყვიან, ერთ წუთსაც აღარ დადგებოდა ამ ცივ ქვეყანაში, რომელშიაც ყოფნა ჭირზე უარესადაც მოსძულებოდა.

რადგანაც კასპიის ზღვაზედ სიარული აღარ მოესწრებოდა, პირდაპირ ტფილის-ქალაქში წამოვიდოდა და იქიდან მეუღლეს ჩააკითხავდა კახეთს.

– ახ, ნეტავი როდის შევესწრობი შენთან ყოფნას!..

როგორც შეგირდი უქმე დღეს, ილიაც ისე მოელოდა იმ დღეს, აქედან რომ წამოვიდოდა და ოლიკოს მოეხვეოდა.

ამას წინათ ნინუცასათვის რომ მიეწერა:

– თუ რამ მოგვივიდა, გაყიდე და ოციოდე თუმანი გამომიგზავნე, ჩვენ შინ არაფერი მოგვსვლია.

იმას ლიზასთვის შეეტყობინებინა, ლიზას კი იაკობ მანსვეტაშვილისათვის ეთქვა. სახლის ქირა აელოთ 15 თუმანი, 5 თუმანი თვითონ ლიზას დაემატებინა (დაუყრიაო, ამ სიტყვას ამჯობინებდა ბარათში) და გამოეგზავნა ილიასთან, ამ დღეებში სწორედ სულის მოსწრებაზე რომ მიიღებდა. თუმც ეს ფული ძალიან ეამებოდა, მაგრამ ის კი ეწყინებოდა, რომ ლიზოს შეეტყო ძმის გაჭირვება. იმის შიში ექნებოდა ილიას, ალექსანდრემ, ჩემმა სიძემ, იჭვნეულობა არ გამოიჩინოსო. რას გაიგებდი – ქვეყანა მეტად საფრთხილო კი ყოფილა და...

არას იწერებოდა ოლღა, დიმიტრი სიმონიჩსა ან კატოს ხომ არა სწყენოდათ ილიას ბარათი, სენოს თაობაზედ რომ მოეწერა დიმიტრისათვის. ერთხანს ეყოყმანა, მოეწერა თუ არა, მაგრამ ბოლოს გადაწყვეტდა: ჩემგან

სიმუხთლე იქნება, დიმიტრის თუ არ შევატყობინებო. ძალიან წუხდა, თუ დიმიტრი ან კატო არ მიუხვდებოდნენ ილიას მათდამი გულითად გულისტკივილებსა და ძმაებრივ სიყვარულს. მაგრამ რაც იყო, იყო – რაღას იზამდი? მთავარია, რომ სინდისი აღარ დაამძიმებდა, თავისი მოვალეობა რომ აღესრულებინა იმის მიწერით, რაც საჭიროდ დაენახა.

ყველასთან მოკითხვას დააბარებდა, ამ ბარათს კი ტფილისის მისამართზე გამოგზავნიდა.

22 ოქტომბრამდე დიდ მწუხარებაში რომ იქნებოდა, რადგანაც მთელი სამი კვირა ოლიკოს ბარათი არ მოსდიოდა, ხან რას იფიქრებდა და ხანაც რას – ეგონებოდა, ბაქოდან კარდანახს გაემგზავრა და წიგნებიც ამის გამო დამიგვიანაო. და აი მის სამ წერილს ერთად რომ მიიღებდა, ჰოი რარიგ ეამებოდა ცოლის ამბის გაგება და მშვიდობით, გულგაუტეხლად ყოფნა.

– ეგრე, ჩემო ოლიკო, ოღონდ შენ ნუ მომინყენ, შენ გულს ნუ გაიტეხ და კაი დედაკაცობა გამოიჩინე და ყველაფერი სხვა ჩემთვის ადვილი ასატანელი იქნება. შენ რომ არაფრისას შიშობ, არც მე არაფრის შიში მექნება. და გულმაგრობა – ხომ იცი – კაცისათვის რა დიდი ღონეა ქვეყნის სიავესთან ბრძოლაში.

მეუღლის წერილები სწორედ ფეხზე დააყენებდნენ და გააცოცხლებდნენ. და მადლობა როგორ არ ეძღვნა თავისი კარგი და დაუვიწყარი ცოლისა და მეგობრისათვის!..

სიღარიბე, რომელიც ამათ მოელოდათ, ისე საშიშიც არ გახლდათ, როგორც ამათ და ათას სხვასაც ეგონებოდა.

სიღარიბე ბრძოლა იყო, სიმდიდრე – განცხრომა, და განცხრომა კი, ილიას მოხვევ როგორც ამბობდა, საფლავშიაც გვეყოფოდა. მინამ ვიყავით, დაე კაცად და ცოცხლად ვყოფილიყავით, და როცა აღარ ვიქნებოდით, მაშინ განგვესვენა შეურყეველი მშვიდობიანობით.

მოწყენოდა აქ ყოფნა და დაღლილიყო მით, რომ ასე დიდხანს განშორებოდა თავის საყვარელ ქვეყანას, სადაც იმყოფებოდა მისი საყვარელი ოლიკო.

დრო შეემთხვეოდა იმისთანა, რომ ეს მოწყენილობა მასთან უნდა დარჩენილიყო, ვიდრე კისრად აღებულ საქმეს ცუდად თუ ავად ბოლო მოეღებოდა.

აღარ ჩაუკვირდებოდა იმ წამს, მერე ხომ აღარ გადაიკითხავდა და აღარ – ბარათი გახლდათ, შინაურული, ლექსი, მოთხრობა თუ სტატია ხომ არა, ეკირკიტა, ეშალაშინებინა, ყოველ ფრაზას დაბრუნებოდა და ხელახლა გაესინჯა კბილი, თორემ აქ „ცუდად თუ კარგად" უნდა ეწეროს, თორემ თუკი ასე გადაწურვოდა იმედი, ცუდისა და ავის იქით ვეღარას ხედავდა, კიდეც დაჰკრავდა ფეხს და გამოეჭარებოდა შინისაკენ, გაუთავებლად კი არ ითავშიცემებდა: ახ, ნეტავი შეძლება გვქონოდა, შენც ჩემთან ერთად ყოფილიყავ, მაშინ რა მიჭირდაო?..

ახლა კი ის უჯობდა, რომ აღუსრულებელი ნატვრა გულიდან ამოეღო, თორემ როდესაც ოლიკო აგონდებოდა და ეს მოშორება, გული ტკივილს დაუწყებდა ხოლმე.

ეჰ, რაც იყო, იყო! უნდა ეთმინა, ვიდრე მოთმინება, ვიდრე ძალა და ღონე კაცადკაცობისა კიდევ ერჩოდა.

ჩვენი საადგილმამულო ბანკის საქმეს ეს რა ხათაბალა დამართოდა. ის უფალი, რომლის ხელშიაც მოქცეულიყო ეს საქმე, საძაგელი, უგულო და უადამიანო კაცი გამომდგარიყო. თუმც იმდენიც არ შეეძლო, საქმე საბოლოოდ გაეფუჭებინა, მაგრამ აგვიანებდა კი და პირდაპირ ყველაფრით აჩვენებდა:

მაგისთანა საქმე უქრთამოდ ვერ გარიგდებაო.

და აბა ქრთამის მიცემა როგორ შეეძლო ჩვენს კუტრ ბანკს!..

ამიტომაც ილია ორშაბათს აპირებდა მასთან წასვლასა და ჩხუბს.

აქამდე ეფერებოდა, ეხვეწებოდა, ხელში აკვდებოდა, ეგონა, ამით იქნებ დავიყოლიოო. მაგრამ რაკიღა ეს ყოველივე ვერ გაჭრიდა, ახლა აპირებდა ჩხუბს და დიდ ჩხუბსაც. და გამოჩნდებოდა, აყალმაყალით რა გამოვიდოდა.

ამას წინათ ეფიქრა:

მოდი წავიდე შინ, რისთვის ვიტანჯები და ვწვალობო?!.

მაგრამ ოლიკოს წიგნები კიდევ გულს მისცემდა და ათქმევინებდა:

ეს ხომ ჩემგან სილაჩრე იქნება, რომ გაუთავებლად საქმე დამრჩეს; ეგ ბრძოლის ველიდან გაქცევა იქნება და სირცხვილიო.

ვინ რას ეტყოდა? ხომ მიწასთან გაასწორებდნენ. მერე მისი ოლიკოც ასე ყოჩაღობას იჩენდა და ილია რაღაზედ უნდა დამფრთხალიყო და საქმეს გაქცეოდა მოღალატესავით? ასე დაიტრიალებდა შერყეულ გულს და კვლავ გაიმაგრებდა.

და ამის მიზეზი ვინ იყო, თუ მიუხვდებოდა ოლღა: ერთი ქალი, შორს, შორს რომ იმყოფებოდა ილიასაგან, იქ, რაღაც ბაქოს ქალაქს რომ ეძახდნენ, და სახელად ოლიკო ერქვა – სულ იმის წყალობით გახლდათ, ეს კიდევ ფეხზედ რომ დამდგარიყო, გულჩვილობასა და სილაჩრეს არ დამორჩილებოდა. და ერთხელ კიდევ დაუმადლებდა თავის ოლიკოს.

რას იწერებოდა ქალი, ილიას ზახაროვისათვის გადაეცა, რომ სენოს გრუზინსკის სახლში ევლო?

დაე ოლიკოს ილიას მაგიერ გადაეცა კატოსათვის, რომ ეს ერთი, ერთადერთი თხოვნა აღესრულებინა და სენოს ნუ მისცემდა ნებას ელენე გრუზინსკისთან სიარულისა.

ამას ილია სთხოვდა როგორც ძმა და კატოს სახლობის გულითადი მეგობარი კეთილის მოსურნე. მიზეზს ნუ ჰკითხავდა – ასე ცარიელი მიეღო ილიას თხოვნა. დაძმობას ჰფიცავდა, რომ ამ თხოვნაში კატოსა და სენოს სიკეთის მეტი არავითარი სხვა განზრახვა არ იმალებოდა. ძალიან ეამებოდა ილიას, თუკი კატო ამ შემთხვევაში მას მიენდობოდა, მისი და მისი სახლობის ბედნიერების მეტი ფიქრად სხვა რომ არა ჰქონდა რა. თუ მაინცდამაინც კატო უარყოფდა ამ თხოვნას, მისი ნება იყო. ოღონდ მაშინ დაე თვითონ კატოს მოეწერა წიგნი ზახაროვისათვის და ებრძანა, სენოს ელენე გრუზინსკისთან ევლო. ილიას კი ამ საქმეზედ ხელი დაებანა.

ძალიან წუხდა, რომ მისი ის ბარათი, დიმიტრისთან მოწერილი, კატოს წაეკითხა, და ასერიგად გულჩვილს, განეცადა უსიამოვნო ამბავი და ამით ილია გახდომოდა ამ უსიამოვნების მიზეზად. რომ არ მოეწერა ის წიგნი – კატოსა და დიმიტრის ღალატად ჩამოართმევდა თავს. მშობლებს უნდა სცოდნოდათ შვილის ცუდიც და კარგიც, და ამის გამო გაებედა დიმიტრისთან მოწერა ღრმა მოფიქრების შემდგომ. ნანობდა, თუკი მის ბარათს ის ვერ მოხერხებინა, რისი ფიქრიც და სურვილიც ამოძრავებდა.

ცოტა არ იყოს ბუნდოვანი რომ დარჩებოდა, რას აეღელვებინა ასერიგად ილია და რას აფრთხილებდა დიმიტრის, გამჭვირვალედ გამოჩნდებოდა ამ სტრიქონებიდან, ის კი არა, მთელი დრამა გადაიშლებოდა.

ეს საწუხარიც გასჩენოდა: ოლიკო აქამდის შინ მისულიც ეგონებოდა, არადა საგინაშვილს ჯერაც ვერ მოეხერხებინა მისი წაყვანა. ეგებ დიმიტრი დახმარებოდა, ანდა ილია ნიკოლოზს მისწერდა და ის მიაკითხავდა.

უსურვებდა მშვიდობას – თავისდა ნუგეშად, თავისდა სასიხარულოდ და გასამხნევებლად. ქვეყანაზე თავის დარჩენა ძნელი არ უნდა ყოფილიყო. ღმერთის მოწყალებით ესენიც გაიკაფავდნენ გზას და გაიმინდვრებდნენ.

4 ნოემბერს ოლიკოს ბარათს რომ მიიღებდა, ის იწერებოდა: ერთი თვეა შენი წიგნი არ მომსვლიაო. მიზეზი ვერ გაეგო ილიას – კვირას არ აცდენდა, ბარათი არ მიეწერა და რატომ არ უნდა ჩასვლოდა ადრესატს? იქნებ იმიტომაც, რომ ამ ბოლო წერილებს ტფილისში უგზავნიდა, რადგანაც – მისი ანგარიშით – კასპიის ზღვაზე მისვლა-მოსვლა შეწყვეტილი უნდა ყოფილიყო. და უსათუოდ ამას უნდა დაეგვიანებინა მისი წიგნები, თორემ სხვა მიზეზი რა უნდა ყოფილიყო?!. ამჟამად რასაკვირველია მიღებული ექნებოდა ქმრის ბარათები. ამ წიგნს უგზავნიდა კი, მაგრამ აღარ იცოდა, ბაქოში მიუსწრებდა თუ არა. მისი ანგარიშით, ოლიკო ამჟამად კარდანახში უნდა ყოფილიყო.

– ნეტავი მეც შენთან ვიყო.

ვერ წარმოიდგენდა ქალი, რარიგ მოსწყენოდა ილიას გარეთ ყოფნა და მარტოობა, სულით და ხორცით ქანცგაწყვეტილად რომ გრძნობდა თავს უალაგო ალაგას გდებით.

როდის მოეღებოდა ბოლო მის იქ ყოფნას, აბა საიდან ეცოდინებოდა. წესდების საქმე – პეტერბურგის მზესავით – ხან იმედით გაბრწყინდებოდა და ხანაც ღრუბლებში ეხვეოდა. ვის ხელშიც მათი წესდება ჩავარდნილიყო, ის საძაგელი კაცი გამოდიოდა და ხან ერთს ამბობდა და ხანაც მეორეს. და ილიაც ხან წახალისდებოდა, ხანაც ფრთებს დაუშვებდა ხოლმე. მაინც იმედს არა ჰკარგავდა, რომ საქმეს კეთილი ბოლო მოებმოდა და თვითონაც გამარჯვებული ჩამოუვიდოდა თავის ოლიკოს და ერთს კარგად მოეხვეოდა და ჩაკოცნიდა.

დღეს მიდიოდა სამინისტროში, რათა შეეტყო, რას აპირებდნენ.

მოუწონებდა ცოლს, იაკობ მანსვეტაშვილისაგან ფული რომ მიეღო. თვითონ მარტო იმას წუხდა, რომ იმ უცხო ქვეყანაში ოლიკო უფულოდ ეგულებოდა. და ახლა ეს ჯავრი მაინც აეხადა გულიდან.

დაავალებდა: კარდანახს რომ მივიდოდა, დაწვრილებით მოეწერა, მათი სახლის ამბების საქმე როგორ მიდიოდა. ხე-ტყე, აგური, კირი, ქვიშა და ქვა მოეზიდათ თუ არა. ამასთან კარ-ფანჯარა „ფოდრაჩიკს“ ყვარელში უკვე მიტანილი უნდა ჰქონოდა. თუ არ მიეტანა, უსათუოდ დაებარებინა ოლიკოს და მიზეზი ეკითხა.

სხვა რაღა მოეწერა ამ უმზეო ქვეყნიდან. აქ არაფერი სასიკეთო ილიასა და ოლიკოსათვის არა ხდებოდა. საშინელი სიცივეები დაეჭირა, ყინვა სწორედ რუსული გახლდათ – შეუბრალებელი და სასტიკი. თუმც ძალზე კუტრად იყო, თბილ წამოსასხამს მაინც შეაკერინებდა.

სანდრო ერისთავი ესტუმრებოდა და შეპირდებოდა: ქალაქში რომ ჩავალ, ფულს გამოგიგზავნიო. თუ არ გაუმტყუნდებოდა ეს იმედი, კარგი იქნებოდა, და თუ გაუმტყუნდებოდა, ოლიკოს მტერი იქნებოდა, ილიას საქმე ყოფილიყო. მაგრამ მაინც ეიმედებოდა, რომ შინიდან მეუღლე გაუხერხებდა რაიმეს და, თუ გაჭირდებოდა, გამოუგზავნიდა.

აწყდებოდა გულს, ვერ აეხსნა და ოლიკოც ვერ უხსნიდა, რაზედ გაეჭირვებინა საქმე? ეჰ, რაც მომხდარიყო, მომხდარიყო! სულელობა იყო მისგან თუ ჭკვიანობა, რაც თავისათვის დაემართა, ის ღმერთს სცოდნოდა, ილია კი თავის ბედს უნდა დასჯერებოდა და რაც ეკისრა, კიდეც შეესრულებინა. სხვა გზა კაცურკაცობისა არა ჩანდა!.. ნავთსაყუდარი მისი ახლა მარტო იმედი თუ იქნებოდა კეთილი საქმის შესრულებისა და სხვა არარა. ეგრემც ყოფილიყო ამიერიდან უკუნისამდე!..

10 ნოემბერს მეუღლის წერილი რომ ჩამოუვიდოდა, მიხვდებოდა: ჩემი ბარათი მიუღიაო, და ღმერთს დაუმადლებდა!.. ილიაც ძალიან წუხდა, რომ მისი წერილების მიუსვლელობას ოლიკო ასერიგად განიცდიდა, მაგრამ რა ამისი ბრალი იყო, როდესაც ყოველ კვირას აუცდენლად წიგნსა სწერდა.

აქამდე კარდანახს მისული რომ ეგონებოდა, ახლა მოეწერა ოლიკოს: ღვინობისთვის მინურულს წავალო. არც ეს იქნებოდა ურიგო, ოღონდ იქ ჩასულს ყველაფერი დაწვრილებით მოეწერა. ძალიან წუხდა პეტრეს ქალაქში, რომ აქამომდე ყვარლიდან სწორად ვერაფერი შეეტყო.

თავს კარგად გრძნობდა, ეგაა ფული აკლდებოდა. სანდრო ერისთავისთვის გამოერთმია ხუთი თუმანი და ისღა შემორჩენოდა. შეეპირებინა, რომ: ქალაქში ჩასულს 30 თუმანი კიდევ გამოეგზავნა. ეს თადარიგი იმიტომაც დაეჭირა, რომ აქედან წესდების დამტკიცებამდე ვერაფრისდიდებით ვერ წამოვიდოდა და ყოველ შემთხვევაში მზად უნდა ყოფილიყო, რათა უფულობას არ აეძულებინა უდროუდროდ საქმის ღალატი და აქეთ წამოსვლა.

ამ დღეებში სანდროსაგან ფულს რომ ელოდა, თუ მოუვიდოდა, ხომ კარგი, თუ არადა უნდა ესესხა და შინისაკენ თითქმის შერცხვენილი გამომგზავრებულიყო. სხვა გზა ღონისძიებისა აღარ არსებობდა მისი აქ დარჩენისა – მეტი რა ჩარა იყო. რა უნდა ეღონა – კედელს კაცი შუბლით ვერ გაამტვრევდა, ბევრიც რომ ეწვალა. ეს კია – ამოდენა ვაი-ვაგლახი და წვალება ტყუილუბრალოდ ჩაუვლიდა და საუკუნო განსვენებას მიეცემოდა. ამასაც მოითმენდა!..

წესდების საქმე ასე გახლდათ:

წინა კვირას ხელმწიფისაგან ნებართვა მოუვიდოდა ფინანსთა მინისტრს, რომ ეს წესდება „გოსუდარსტვენნი სოვეტში“ გადასულიყო გასასინჯად. ახლა „პრედსტავლენიეს“ წერდნენ და ილიას ჰპირდებოდნენ: მალე წარვადგენთო.

ერთი ამ მინისტრის ხელიდან კი გამოსულიყო ქართული საადგილმამულო ბანკის წესდება და მერე კიდევ რაც იქნებოდა, ის ყოფილიყო.

ეს მამაძაღლები აბრკოლებდნენ საქმეს სხვადასხვა გარეშე მიზეზთა გამოისობით. თვითონ მინისტრი უარზედ არ გახლდათ, მაგრამ მისი დირექტორი იყო, რაც იყო – ის ქცეულიყო დამაბრკოლებლად. ქრთამი სურდა, მაგრამ ვინ რას მისცემდა, ისევ კუტრად რომ იყვნენ. ასე გახლდათ ეს საქმე.

ილია თითქმის ყოველდღე დადიოდა სამინისტროში და არ ასვენებდათ.

ახლაც იქ მიდიოდა, იქნებ ამ დღეებში მინისტრიც მოენახულებინა.

ზოგი ურჩევდა: ნახე და უთხარი, დირექტორი რომ საქმეს აგვიანებსო.

ზოგი არ ურჩევდა: დირექტორი უფრო წაახდენს საქმესო.

და აღარ იცოდა, ვისთვის დაეჯერებინა, ორივე მხარე ერთნაირად მართალი რომ ეჩვენებოდა. მაინცდამაინც დღეს საქმესა და მის მდგომარეობას შეატყობდა, აწონ-დაწონიდა და მერე ისე მოიქცეოდა.

მისგან დაუვიწყარი კუკლუშკა როგორღა გრძნობდა თავს, როგორ ატარებდა დროებას, მისი და, კატო, რას შვებოდა, ხომ არა წუხდა სენოზედ? მოსდიოდა წერილები თუ არა? ყმაწვილები და დიმიტრი როგორღა იყვნენ? ნეტა მათთან ყოფილიყო, რომ ეს დაღალული, მოუსვენარი თრევა ნათესავთა შორის მყუდროებად გადაეცვალა. სწორედ სულითა და გულით დაღლილიყო ამ ტიალ ქვეყანაში, როგორც პატარა ბავშვს დედა, ისე რომ ენატრებოდა ოლიკოსა და ნათესავების ნახვა, მათთან ყოფნა.

და ლექსად ამოსკდებოდა: წყალი მწყურია, წყალს დავლევ, დავეწაფები გუბესა, წავალ და ჩავეხუტები ჩემი კუკლუშკის უბესაო!..

არც ლიზოსა და არც ნინოს ამბავი არ მოსდიოდა. არ იცოდა, თუ რა მიზეზით. ვერც წარმოიდგენდა ქალი, ესრეთ გადმოხვეწილისათვის რა სიამოვნება შეიძლება ყოფილიყო სამშობლოდან მოსული წიგნი და ამბავი. მაგრამ რას იზამდი – არც ეს სიამოვნება ღირსებოდა. ნეტა რას ფიქრობდნენ მისი დები და რად არა სწერდნენ? მათთვისაც ხომ ილიასავით ბანკის საქმეს არ წაერთმია ყოველგვარი მოცალეობა. მადლობა ღმერთს, დრო იმდენი ჰქონდათ უსაქმურობის გამოისობით, დილიდან საღამომდე რომ ეწერათ, საქმე არ წაუხდებოდათ.

ემშვიდობებოდა საყვარელ მეუღლეს და მართლა მეუღლეს, თავის კუკლუშკის! და ჰპირდებოდა, რომ: როდესაც ჩამოვიდოდა, მთელ თავის გამოვლილ მწუხარებას წარხოცდა ერთი კოცნით.

19 ნოემბერს ესეც პეტერბურგში მოვიდოდა და – სწორე ეთქვა – დიდ წვალებაში იქნებოდა. დილიდან საღამომდე ცოფიანი ძაღლივით ირბენდა და ჯერ ვერავითარ საქმეს ვერ გაარიგებდა. ბევრი ბანკირი დაელაპარაკებოდა ჩვენი ბანკის „ზაკლადნოი ლისტებზედ“, მაგრამ ეს ჯერ ყურს იყრუ-

ებდა, რათა ეგებ მეტი ფასი აეღებინებინა და მეტადაც გაეყიდა. ჯერჯერობით ამისთანა სანუგეშო არა ჩანდა რა, მაგრამ ბოლოს დადგომას მაინც იმედიანად გაჰყურებდა.

როგორ უნდა გაწვალებულიყო, როგორ უნდა გატანჯულიყო და გამწარებულიყო, მაგრამ ვერაფრისდიდებით ვერ მოაცვლევინებდნენ ფეხს ვერც იმ ტიალი ქვეყნიდან და ვერც იმ ჭირზედ უფრო ჭირად ქცეული ქალაქებიდან.

მეუღლის მშვიდი ცხოვრებაც რომ გაეწირა, ესეც ქცეოდა დამატებით სანაღვლელად, თორემ თავისი მშვიდი ცხოვრების გაწირვას რას დაგიდევდა, თუნდ სახელისაც და კარიერისაც.

რამდენჯერ დააპირებდა ფეხის დაკვრასა და გამოქცევას.

ხომ დაეკრა ფეხი და გამოქცეულიყო დიმიტრი ყიფიანი.

ხომ დაეკრა ფეხი და გამოქცეულიყო დიმიტრი ყაზბეგი.

რამდენჯერ იტყოდა: მორჩა, მივდივარ!.. რაც უნდოდეთ, ის დამწამონ, რაც უნდოდეთ, იმ მომიგონონ, სული ამომხდა და ეგაა, ისე როგორ იქნება, ისეთი სამსახური ვერ ვიშოვნო, ლუკმაპური საძებარი რომ აღარ მქონდესო.

იტყოდა და... ვერ შეასრულებდა.

თავს პირობას მისცემდა და... გადათქვამდა.

ეს იქნებოდა მის ცხოვრებაში შემთხვევები სიტყვის გატეხისა, პირობის შეუსრულებლობისა.

მოდიოდა და... ვერ მოდიოდა.

აქეთ ძაფი ეწეოდა.

იქ თოკი იჭერდა, ვიღაც უხილავს რომ ეპყრა და თავს ვერ დააღწევდი, თითქოსდა ამირანის პალო და ჯაჭვები ყოფილიყოს.

მოვალეობა ერქმეოდა იმ თოკს.

ამქვეყნიური მისია ერქმეოდა.

და როგორ გინდა თავი დაგეღწია მისთვის, თუკი ტრიუმფით არ დაუბრუნდებოდი შენს ქვეყანას, ლამის – ან რაღა ლამის – სულს რომ ღაფავდა სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის დაარსების მოლოდინში.

თავი მეათე

მოკავშირედ...
უილიამ შექსპირი

თითოოროლა ქართულ ოჯახში სტუმრობა ცოტაოდნავ კი უშოშმინებდა სულიერ წყურვილს, მაგრამ არა კმაროდა და როდემდე გაუძლებდა, უეცრად ღვთის წყალობა რომ არ გამოსჩენოდა.

მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსაო, – რუსთველი ნიშნს რომ უგებდა ბედს და არ ეპუებოდა თავისი გმირებივით, ილიას სათქმელსაც ამბობდა, ბედთან ილიას შეტოქებასაც განსაზღვრავდა იმთავითვე და ამ პოეტურ ფორმულაშიც მოაქცევდა.

და გამოუჩნდებოდა სანუგეშოც და სულის მოსათქმელიც.

გამოუჩნდებოდა საქმე, რომელსაც გულსაც გადააყოლებდა და თან ახალი იმედოვნებითაც აღავსებდა.

რა საქმე უნდა ყოფილიყო ამისთანა და...

* * *

ოლიას 27 ოქტომბრის ბარათი დღესღა მიეღო და ამოეკითხა, რომ: ქალი კარდანახში არ გასულიყო. არადა ილიას იქ ეგონებოდა და ტელეგრამასაც იქ მისწერდა ნიკოლოზის სახელზედ. ფულსაც გამოუგზავნიდა: 295 მანეთს. ნეტა მიეღო თუ არა? და ერთი ეს ეთქვა ანუ მოეწერა: რატომ არ გასულიყო კარდანახს, მისთანას რას დაებრკოლებინა?

ჯერ პეტერბურგში არავინ ენახა ილიას – არც სენო, არც ვარვარა ილინიშნა და არც სხვა არავინ. ხვალ სენოს უსათუოდ ნახავდა და ჩურჩხელებსაც მიუტანდა. წინათვე წარმოედგინა, რარიგად გაეხარდებოდა ყმაწვილს მისი ნახვაც და დეიდა ოლიასაგან გამოგზავნილი ჩურჩხელებიც.

შინაურობაზედ მოეხსენებოდა ოლიკოს „ხაზიაიკობის“ ამბავი, თვალი ისედაც ეჭირებოდა, მაგრამ მაინც სთხოვდა, ცხენებსა და გოჭებს გაფრთხილებოდა, არ დაჰკარგოდა.

ამასთან: ღვინოებიც კარგად გადაელებინებინა და მოეწერა, როგორები დამდგარიყვნენ. აქ ერთი წიგნი ეყიდა ღვინომცოდნეობაზე, და იმას რომ წაიკითხავდა, ელდა ეცემოდა. იქ ეწერებოდა: ავდარში დაკრეფილი ყურძენი და ავდარშივე დანურული ძალიან ცუდ ღვინოს დააყენებს, არ დაწმდება და ეყროლებაო.

და გული წყდებოდა: ნუთუ მართლა ჩვენს ღვინოებს ეგ სიკეთე დაემართებაო?.. შენი მტერი!.. ღმერთი გვიხსნიდა ამისთანა ფათერაკისაგან.

დეკემბერში უსათუოდ დაბრუნდებოდა. მეტხანს აღარ დადგებოდა პეტრეს ქალაქში. ამ კვირია თუ არა, იქით კვირას ყველაფერს მოათავებდა და კიდეც წამოვიდოდა. ოღონდ ოლიკო კარგად ჰყოლოდა და ამისი საქმე სულ კარგად იქნებოდა.

რა სიკეთეს უზამდა ქალი, ხე-ტყე ტყიდან გამოტანილი რომ დაეხვედრებინა, თავლა — დახურული, წისქვილი — დაბრუნებული... ხვნაზედ ნეტა როგორ იყვნენ? მოეხნათ და დაეთესათ რამე თუ არა?.. ეგებ მოეწერა. ერთი ოციოდე დღის ნახნავი ყანა რომ დაეხვედრებინა, ძალიან ოლიკო იქნებოდა.

მათი მოურავი კნიაზი გიგო როგორ ირჯებოდა? ოლიკოს ბარათიდან არა ჩანდა, სად იმყოფებოდა გიგო. თუ მანდ იყო, ილიას მაგიერ ეთხოვა, რომ: შეძლებისამებრ მოეხნა და დაეთესა. ამას წინათ სწერდა და ახლა კვლავ უმეორებდა: პურში სიმინდი გაერევინებინა, თორემ პური დააკლდებოდათ და დაიღუპებოდნენ.

ნიკოლოზს ღვინის მუშტარი მოეყვანა თუ არა? თუ – ვითარცა ქართველს – თვალებში მტვერი შემოეყარა და დაპირება ცარიელ დაპირებად დარჩენილიყო?..

განსაკუთრებით ამის შეტყობინებას სთხოვდა: წოურის ვენახი გაეკეთებინათ თუ არა? გიორგის ხომ არ დაეშალა? არა ფიქრობდა ილია, რომ ეგ გიორგი ბატონი ისე გაბრიყვებულიყო, ეს დაეშალა, თუმც მისი ჭკუის პატრონისაგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი.

ეს კი არ მოეწერა და ახლა ამცნობდა:

ვიდრე პეტერბურგში მოვიდოდა, პოლტავაში დაიბარებდნენ ბანკირთან მოსალაპარაკებლად და იქ ექვს დღეს დაჰყოფდა, თუმც გარიგებით ვერას გაარიგებდა.

პოლტავის გუბერნიაში ბევრი ქართველი აღმოჩნდებოდა, უწინდელი გადმოსახლებულნი და ძალიან მდიდრებიც – ბარათაშვილებიც დახვდებოდნენ, ორბელიანებიც, მუსხელიშვილებიც და თითქმის ყველა გვარის კაცი – ჭავჭავაძიანთ გარდა.

და ეს აღმოჩენა ძალიან გაახარებდა, საამაყოდაც დაურჩებოდა და ასე განაზოგადებდა:

როგორ ეტყობათ, რომ ჭავჭავაძიანთ უწინაც თავიანთი ქვეყანა ჰყვარებიათ, რომ თავი არ დაუნებებიათო.

მშვიდობას უსურვებდა ცოლს, ათასჯერაც აკოცებდა და მოეხვეოდა, და ამჯერად ამასაც დასძენდ: მიგულე მარად შენთვის თავდადებულიო.

მერეა, რომ ამცნობდა:

უსაქმობის გამო ინგლისური ენის შესწავლას შევუდექიო.

შექსპირის ტრაგედიას „მეფე ლირს" ვთარგმნი სხვასთან ერთადო.

აქედან რომ მოვალ, ინგლისური მეცოდინება იმდენად, მსუბუქი თხზულების წაკითხვა შემეძლოსო.

ინგლისური ენის შესწავლისა თუ მსუბუქი თხზულების წაკითხვისა რა ითქვას, თორემ „მეფე ლირს" კი დაედებოდა ილიას ხელი, სუსტი თარგმა-

ნის მკაცრი დაწუნებით რომ დაიწყებდა თავის კრიტიკულ-ესთეტიკურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას, აკი ივან კოზლოვის „შეშლილის“ რევაზ ერისთავისეულ ვერსიას გაიგდებდა ფეხქვეშ, მაგრამ თვითონაც რომ მოსინჯავდა ამ სარბიელზე თავს, ბევრს ვერას შესძენდა ჩვენს მთარგმნელობით ხელოვნებას, დიდ სახელებს კი შებედავდა, მაგრამ მათი ლირიკის თითოოროლა ნიმუშიც ვერ აბრჭყვიალდებოდა განსაკუთრებული ელვარებით და მხოლოდღა ისტორიული მნიშვნელობა შერჩებოდათ, მაგრამ აი ივანე მაჩაბელთან ერთად გადმოღებული „მეფე ლირი“ თავისებურ ნიშანსვეტადაც შემორჩებოდა ჩვენი ლიტერატურის მდინარებას და განსაზღვრითაც ბევრ რაიმეს განსაზღვრავდა ჯერ მარტო მარჯვედ მიგნებული სალექსო საზომის წყალობით.

არამარტო მაჩაბელი, შემდგომ კი მთელი ქართული შექსპირიანა გაჰყვებოდა ამ გზას, არამედ სხვა პოეტთა თხზულებანიც ამ მოდელს მოერგებოდა, ეპიკური სტილისტიკის უპირველეს ნიშნად 14-მარცვლიანი საზომი რომ აღმოჩნდებოდა... და ამ საზღვრის გადალახვა ლამის შეუძლებელი შეიქნებოდა...

ივანე მაჩაბლის ბიოგრაფიული ქრონიკის შედგენისას ვახტანგ ჭელიძე საგანგებოდ ჩაუღრმავდებოდა „მეფე ლირის“ ერთობლივი თარგმნის დაწყებას, და გადმოცემებსა და გუმანზე დაყრდნობით შეეცდებოდა წარმოესახა შეხვედრის ის სცენა, რომელიც არაფრისდიდებით არ უნდა მიყრუებულიყო და სწორედ იმ მხატვრულ-დოკუმენტური ხელოვნებით უნდა აღდგენილიყო, ვახტანგ ჭელიძეს რომ სჩვეოდა, თითქოს თვალდათვალ რომ შეჰყურებდა, როგორ გაევსო პაპიროსის კვამლს პატარა სტუდენტური ოთახი, ყელმოტეხილ ბოთლში გამაგრებული სანთელი მკრთალად ანათებდა იქაურობას, სამარისებურ მყუდროებას კი საათის სუსტი ტაკატუკი თუ არღვევდა.

მაგიდასთან იჯდებოდა ილია ჭავჭავაძე, რაღაცას გატაცებით რომ კითხულობდა და დროდადრო თავს ასწევდა და მეგობარს შეხედავდა – ახალგაზრდა ნაფიც ვექილს ვასილ მაჩაბელს, რომელიც ამაყი ღიმილით პასუხობდა ილიას მზერას.

ფანჯარასთან ვანო იდგებოდა, ხელით წიგნის თაროს დაყრდნობილი და... გულაფანცქალებული, თუმც ცდილობდა გარეგნულად არ დამჩნეოდა მღელვარება.

გულის აფანცქალება კი იმისაა, ილია „მეფე ლირის“ იმ ნაწყვეტებს რომ კითხულობდა, რომელიც ვანოს უკვე მოესინჯა 1873 წლის გაზაფხულზე – შიშითა და ყოყმანით, ცოტ-ცოტას რომ იმუშავებდა და თანაც უსისტემოდ. გაზაფხულზე გამოცდებიც შეუშლიდა ხელს გულმოდგინე გარჯაში, მერე ერთ პეტერბურგელ ჩინოვნიკს გაჰყვებოდა აგარაკზე მდივნად და დღეში თითო საათს თუღა დაუთმობდა შექსპირს...

დიდებულიაო, – იტყოდა ილია, – ბარაქალა, ბარაქალაო...

ვის-ვის და ვასილ მაჩაბელს კი ეცოდინებოდა, ილიას გადაჭარბებული ქება რომ არა სჩვეოდა, ახალგაზრდა კაცის შესაგულიანებლადაც კი...

დიდი იმედით შეხედავდა ამ ფრაგმენტებს, ერთი მხრივ ჩვენს ლიტერატურას რომ გაამდიდრებდა, მეორე მხრივ კი თეატრს წამოაყენებდა ფეხზე – ამ მოვალეობას კი შექსპირზე უკეთ ვინ აღასრულებდა?!.

ილიას განსაკუთრებით რომ ეყვარებოდა ეს ტრაგედია, 60-იან წლებში ამ პიესიდან ცოცხალ სურათებსაც დადგამდა და მეფე ლირს თვითონვე ითამაშებდა. და ახლაც სიცილით უნდა აღეთქვა ვანოსათვის:

– შენს თარგმნილ ლირს პირველად მე ვითამაშებ.

მაგრამ როგორ გინდოდა „მეფე ლირის" დროულად მოთავება, როდესაც ჯერ უნივერსიტეტი უნდა დაგემთავრებინა წარჩინებით, სწავლას ვერ მოცდებოდი, თარგმანს შესაფერის დროს ვერ დაუთმობდი... და ასეთ პირობებში ვინმე სხვისა ხომ არა, თვით შექსპირისა და მისი ერთი საუკეთესო ქმნილების გაქართულება?!.

ამას ვასილი ურჩევდა და უბეჯითებდა უმცროს ძმას, თან ილიას ქებაც გულში განსაკუთრებული სიამით ჩაწვდებოდა და დაენანებოდა, ვანოს მიეტოვებინა ეს წამოწყება, ამიტომაც შესთავაზებდათ, რომ: ერთად ეთარგმნათ.

ვანოს სახე გაუბრწყინდებოდა, დაიჯერებდა და ვერც დაიჯერებდა, მისთვის ასერიგად საყვარელ და ძვირფას ადამიანთან თუ მოუწევდა შემოქმედებითი თანამშრომლობა... და ისეთი ათრთოლებული დაელოდებოდა ილიას გადაწყვეტილებას, ისეთი, ისეთი...

სტუმარიც ერთხანს ჩაფიქრდებოდა და... თანხმობას განაცხადებდა.

– შრომისმოყვარეობა არცერთს არ გაკლიათ და აი ნახავთ, ორ-სამ თვეში მორჩებით, – აენთებოდა მოსალოდნელი შედეგის წარმოდგენით წინასწარვე აღფრთოვანებული ვასილი.

შერჩევით უკვე შეერჩია ქართული შექსპირის პოეტურ საზომად ივანე მაჩაბელს თოთხმეტმარცვლოვანი თეთრი ლექსი – ბესიკ გაბაშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის გავლენით, და ახლა ილიას ბეჭედი უნდა დაეკრა ამ მიგნებისათვის და დაედასტურებინა, რომ ამ მხრივ ძიების გაგრძელება აღარ ღირდა – ამ სალექსო საზომს უნდა მორგებოდა „მეფე ლირიც" და შექსპირის დანარჩენი ტრაგედიებიც.

მათი ერთობლივი თარგმნის პროცესს ასე წარმოიდგენდა ვახტანგ ჭელიძე, თავის მხრივ მაჩაბლურ გზასაც უშუალოდ რომ გააგრძელებდა და გაამრავალფეროვნებდა კიდეც – ყველაზე მეტს რომ გადმოიტანდა ქართულ სამოსელში შექსპირულ პიესებს — ცხრა ქმნილებას, და ტრაგედიებთან ერთად კომედიებსაც მოსინჯავდა არანაკლები წარმატებით... დიახ, ასე წარმოიდგენდა:

მაგიდას ერთი მხრიდან ვანო მიუჯდებოდა, ინგლისურ ტექსტს რომ ჩაჰკირკიტებდა და სტრიქონ-სტრიქონი ქართულად გადმოჰქონდა სიტყვა-სიტყვით. ილია მის პირდაპირ იჯდებოდა, მოისმენდა სიტყვა-სიტყვით ვერსიას და ჩაფიქრდებოდა. ოთახში ერთხანს დუმილი ჩამოწვებოდა, ახლა უფრო მკაფიოდ რომ გაისმოდა საათის ტაკატუკიც და გაზეთის შრიალიც – ლოგინზე წამოწოლილი ვასილი გაზეთის კითხვაში რომ ჩაფლულიყო.

ვთქვათ და:

ვანო სიტყვა-სიტყვით ასე გააცნობდა ილიას შექსპირულ სტრიქონს:

– ბედი ნამდვილი გარყვნილი დედაკაცია, ღარიბისაკენ ერთხელაც არ მიიხედავს.

და დასძენდა:

– საოცარი დამთხვევაა, რამდენჯერ გამიგონია ჩვენში, გლეხკაცები რომ იტყოდნენ ხოლმე: ბედი უნამუსო ქალიაო...

– ასეც უნდა იყოს, – მოუწონებდა ილია და... გამართული სტრიქონიც უკვე მზად იქნებოდა:

– ბედი სწორედ უნამუსო ქალია, ღარიბი სძაგს, მდიდრის ეშხით მთვრალია.

ცოტა უფრო გაძნელდებოდა მომდევნო პროზაული სტრიქონების თარგმნა, ხუმარა სიტყვების ფონეტიკური მიმსგავსების კვალობაზე ორაზროვან ფრაზას რომ წარმოთქვამდა. ამბობდა: „დოლარს" ანუ – ვაის, მწუხარებას, მაგრამ თითქოს დოლარსაც გულისხმობდა. სიტყვა-სიტყვით ხუმარა ასე მიმართავდა ლირს:

– სწორედ ამიტომ იმდენ მწუხარებას (ანუ თითქოს დოლარებს) ელოდე შენი ქალებისაგან, რომ ერთ წელიწადში იმის თქმასაც ვერ მოახერხებ.

ეს ადგილი თუმც ძნელი გადმოსატანია, მაგრამ ილიასა და ვანოს არ გაუძნელდებოდათ, რადგანაც მშვენიერ ხალხურ გამოთქმას გამოუძებნიდნენ:

– მაშ ნუღარ გაგიკვირდება, რომ შენმა ქალებმა იმდენი ვაი გაყვირონ, რომ მთელი წელიწადი თ ვ ა ლ ო, ვ ე რ დ ა თ ვ ა ლ ო.

ხან რომ ძალიან გაუჭიუტდებოდათ ორიგინალი და თითო ფრაზას შეესაძლოა თითო საათითაც გაეწვალებინა მთარგმნელები?

შექსპირი გახლდათ და შექსპირულ ჩაღრმავება-ელვარებასაც მოითხოვდა ყოველწუთიერ, შინაგანი სილაღის დაწურვას ნატიფ, დახვეწილ სტრიქონებად, ანდა ისე გაშლასა და გადამეტებას სტრიქონთა რაოდენობით, განწყობილება და დინამიურობა რომ არ დაგეკარგა, და მიუხედავად გვერდების გაზრდისა ქართულ ვერსიაში, ხელშესახებად გეგრძნო, ამ უდიდეს დრამატურგს რომ ეცნობოდი შენს მშობლიურ ენაზე – სრულფასოვანი სახით, მთელი თავისი ძალმოსილებით, და არა მის ანარეკლს, ისიც შორეულს.

ჩაიკითხავდა აგერ ვანო კიდევ ერთ პასაჟს, მოასმენინებდა ილიას ინგლისური ლექსის დინამიურობას, შექსპირული მეტყველების თავისებურებას და ფურცელზე კი ასე გადმოიტანდა:

– ნაღველი ყელში მომებჯინა და გვემა მომდის.

მაგრამ არ მოეწონებოდა, ხაზს გადაუსვამდა და ხელახლა დაწერდა:

– ყელთ მოჰბჯენილო სალმობანო, ნუ დამახრჩობთ მე!

არც ეს მოეწონებოდათ და ისევ წაშლიდნენ.

– შიგნეული სულ ამერია, ყელთ მომებჯინა.

კარნახით კი უკარნახებდა ილია, მაგრამ მაშინვე დაატანდა: წაშალე, არ გამოდგებაო.

– ყელთ მობჯენილო სალმობანო, ძირსა დაეშვით.

დაწერით კი დანერდა ვანო, მაგრამ ილიას არც კი წააკითხებდა, ისე წაშლიდა.

– ნაღველა გასკდა და ბალღამი გულს გადამესხა, წარვედით ჩემგან, ჰოი მწვავო...

დაიწყებდა ილია, მაგრამ ისევ წააშლევინებდა ვანოს, არც ეს მოეწონებოდა და არა. დაითარსნენ თუ რა ხდებოდა?

– ჰოი, რა რიგად მომებჯინა ყელში ნაღველა, თითქოს მიპირებს თვის ბალღამში შთამინთქას გული!

ვერც ეს ივარგებდა და კვლავ ახალს დაიწყებდნენ:

– ზეაღმოსულო ნაღველაო, უკუ დაბრუნდი.

ისევ უკმაყოფილოდ გაიქნევდა თავს ვანო და კალამს მოიმარჯვებდა ახალი ვარიანტის დასაწერად, და გადმოვიდოდა თუ არა ფურცელზე რამდენიმე სიტყვა:

– გულისტკივილნო, სალმობანო, წარვედით ჩემგან...

ილია დამთავრებას არ დააცლიდა: ჩინებულიაო, – წამოიძახებდა და თვითონვე ჩამოაყალიბებდა ორივე სტრიქონს:

– ეშმაკეულნო სალმობანო, წარვედით ჩემგან და შენც, ნაღველავ, გულს მომდგარო, ძირსვე დაეშვი...

ხან რომ ვერ ჩააწვენდნენ სტრიქონს სტრიქონში და შექსპირულ ფრაზებს ორსა და სამ სტრიქონსაც მოანდომებდნენ, ასეთი რამ ყველა მთარგმნელს შეიძლება დაემართოს პოეტური ქმნილებისა, ჩარჩოს გადაცდეს და მეტი მკაფიობისათვის გაშლა-ინტერპრეტაციებიც დაისაჭიროს, მაგრამ ამჯერად – გარდა იმისა, რომ შექსპირული სამყარო ამ სიღრმითა და შთამბეჭდაობით პირველად უნდა გამოხვეულიყო ქართულ სამოსელში, თუმც ცალკეული ცდები მანამდეც არსებობდა – მთარგმნელებს ისიც აგულიანებდათ, თავიანთი ტკივილებიც, პირადულიც, ოღონდ უფრო მაინც საქვეყნო, რომ გამოეხვიათ შექსპირულ მდინარებაში, და „მეფე ლირის“ ქართული ვერსია ლამის ორჯერ მეტი ამიტომაც გამოსვლოდათ ინგლისურ ორიგინალზე.

შექსპირულ ფიქრებს თავიანთ ფიქრებსაც მიადევნებდნენ, – ოთარ ჩხეიძე როგორც ახსნიდა ერთ ფსიქოლოგიურ მიზეზთაგანს ქართული „მეფე ლირის“ სიდიდისა, თუმც ასე ცხადია ვეღარ გაგრძელდებოდა და ივანე მაჩაბელი – ამ გამოცდილების წყალობით – უფრო მიუახლოვდებოდა სხვა ტრაგედიებში შექსპირულ გარეგნულ ფორმასაც, უფრო მარჯვედ რომ ჩატევდა, ჩააწვენდა სტრიქონს სტრიქონში, ყოველ შემთხვევაში ასე ძალიანაც აღარ მოუწევდა გაშლა-გაფუება.

ჩამთავრდებოდა პირველი მოქმედება და... რა გააძლებინებდათ დამთავრებამდე, ივანე მაჩაბელი ისე აფოფინდებოდა და აღტაცდებოდა ამ მონაპოვრით, მოინდომებდა თავი მოეყარა პეტერბურგში მყოფი სტუდენტებისათვის და საჯარო კითხვა უკვე გაემართათ.

ასერიგად დინჯ ილიასაც აიყოლიებდა – ამას ბარემ ხუთივე მოქმედების მოთავება ერჩივნა და თამამად წარდგომა მსმენელისა თუ მკითხველის წინა-

შე, მაგრამ აღარ შეეწინააღმდეგებოდა ვანოს, მითუმეტეს გუნებაში თვითონაც არანაკლებ აღფრთოვანებულიყო და... ახლა უკვე სულიც წაუსწრებდა: რაღას ველოდოთ, ბარემ მოვისმინოთ მსმენელის მსჯავრი, ხარვეზ-ნაკლოვანებებსაც უფრო დავინახავთ და გამოქვეყნებისას გავითვალისწინებთ მათ შენიშვნებსაც და ჩვენს დაეჭვებასაც ზოგიერთი პასაჟითო.

საჯარო კითხვა ძალიანაც უყვარდა და აუცილებლობადაც მიაჩნდა, მაგრამ მხოლოდ დასრულებული ქმნილებისა, აქ კი არამცთუ დასრულება, ხუთი მოქმედებიდან ჯერ მხოლოდ ერთი ზიარებოდა ქართულ ენობრივ სივრცეს... მაგრამ დაე ყოფილიყო ვანოს გუნებისად.

– იქნებ ნახევარს მაინც გადავცდენილიყავით, – გადაუკრავდა.

– როდის იქნება ის კიდევ ორი მოქმედება, მსმენელის მოთხოვნა კი აგვაჩქარებს, განა როდემდე დავალოდინებთ, – ვანო ასე ადვილად არ დაშოშმინდებოდა და ილიასაც მოუთმენლობა დაეუფლებოდა, მსმენელთა გაბადრულ სახეებს რომ წარმოიდგენდა და სიამისმომგვრელ აჟიოტაჟს, რაც იმ ოთახში აღარ ჩაიკეტებოდა და საყოველთაო მოლოდინად გადაიქცეოდა, მუშაობის პროცესის ამაჩქარებლად.

აღტაცებას ელოდნენ, ოღონდ ქალების აცრემლებას კი – არა, და თურმე ესეც უნდა მომხდარიყო!..

და ეს შეხვედრა მოანდომებდა ვასილ მაჩაბელს, სასწრაფოდ ეხარებინა ქართველი საზოგადოებისათვის ასერიგად მნიშვნელოვანი მოვლენა, მართლაც მოვლენა, და სასწრაფოდ მიაწვდიდა „დროებას“ კორესპონდენციას, 1873 წლის 12 ოქტომბრის ნომერში რომ გაეცნობოდა მკითხველი და შეიტყობდა, რომ:

სულის საქმე აღსრულებულიყო პეტერბურგში, რადგანაც ჩვენი ყმაწვილები თარგმნიდნენ პირდაპირ ინგლისურიდან შექსპირის ტრაგედიას „კოროლ ლირი“. აქ შესანიშნავი ის კი არ იყო, უშუალოდ დედნიდან რომ თარგმნიდნენ, არამედ – შექსპირის გარეგანი სიტყვების ფორმაც სრულიად გადმოჰქონდათ ქართულ ენაზედ იმ ლექსთაწყობილებით, რომელიც აქამომდე ჩვენს ლიტერატურაში არ გამოყენებულიყო, ანუ 14-მარცვლოვანი ლექსით ურითმოდ. ამბობდნენ: ეგეთი ლექსთწყობილება ჩვენს ენას უხდება და კეთილხმოვანიც არისო. ისიც ცნობილი გამხდარიყო პეტერბურგელ ქართველთათვის, რომ „კრებულის“ რედაქციას მალე გაუგზავნიდნენ დასაბეჭდად ჯერ მარტო პირველ მოქმედებას იმ აზრით, რომ პირუთვნელ კრიტიკას ეთქვა, რაოდენად მთარგმნელები შეწვდენოდნენ შექსპირს და შესაფერისი იქნებოდა თუ არა ამგვარად თარგმნის გაგრძელება.

დაბეჭდვას ილია მოინდომებდა და ამ გარემოებას ვახტანგ ჭელიძე იმ ფსიქოლოგიური მოტივით ახსნიდა: ვანოს სისწრაფე თითქოს ილიასაც რომ გადაედებოდა, და ამიტომაც აღარ მოუთმენდა გული და, რაღას დალოდებოდა შემდგომ მოქმედებებს, იმ პირველს უკვე მოაწვდიდა პეტრე უმიკაშვილს და აკი იმასაც მიახარებდა: მეორე მოქმედებაც რომ უკვე მოეთავებინათ და სიკეკლუცით პირველს არ ჩამოუვარდებოდა.

19 დეკემბრის ბარათით ოლიკოს რომ შემოსჩივლებდა:

ვერ წარმოიდგენ ჩემს უბედურს და უგუნურს გარემოებას! ვგდივარ დილიდან საღამომდე შინ და თუ გავალ, ისიც სასეიროდო.

მიადევნებდა იმ დიდად სასიხარულოსაც:

იმ დღეს გიორგი შერვაშიძეს რომ ესტუმრებოდა – მთავრის შვილს. ამას წინათ თვითონ ის რომ მოვიდოდა და სთხოვდა:

შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირი" წაგვიკითხეო.

ესეც წავიდოდა წასაკითხად. ხალხი ბლომად მოიყრიდა თავს და ძალიანაც მოიწონებდნენ. კაცები სულ „აფერუმს" იძახებდნენ და ქალები იტირებდნენ კიდეც.

და თავის მხრივ ჩაურთავდა:

– მართლა-და თარგმანი მშვენიერი რამ გამოვიდოდა, ასეთი კარგი, წამკითხველნი მთარგმნელებს დაგვლოცენ.

ქალაქში რომ ჩამოვიდოდნენ, განზრახული ჰქონდათ, სცენაზე წარმოედგინათ.

მშვენიერი რამ იქნებოდა სპექტაკლი.

ვერ წარმოიდგენდა ოლიკო, რარიგად კარგი გამოსულიყო ქართულ ენაზედ. ვერცერთი რუსული თარგმანი ქართულს ვერ შეედრებოდა.

ვერ შეადარებდა სათითაოდ და გულდასმით და პირუთვნელ, მიუკერძოებელ მსჯავრს ვერ გამოიტანდა თუ რა?!.

აი ღვთის მადლით, როცა მშვიდობით დაბრუნდებოდა, მოიტანდა და კარდანახში წაიკითხავდა.

– და თუ არ გატიროთ, ცუდი კაცი ვიყო.

თუ ვინმეს მოეხსენებოდა, ერთ უპირველესს ოლიკოსაც, რარიგ გაურბოდა ოლია თავისი ნაწერის (ნაჯღაბნისო, – ამ სიტყვას ამჯობინებდა) ქებას, სხვისგანაც კი, არამცთუ თვითონ დაცდენოდა რაიმე ქადილისმაგვარი, თუნდ მცირე მოწონებისაც, მაგრამ ეს ისეთი თარგმანი შექმნილიყო, რომ არ შეექო, ცოდვა იქნებოდა. პეტერბურგელი ქართველი სტუდენტობა ამ თარგმანისათვის გაგიჟებულიყო, თორემ აღტაცებით ხომ აღტაცებულიყო.

ეს ბარათი აღმოჩნდებოდა პავლე ინგოროყვასათვის დამადასტურებელი, რომ:

„მეფე ლირის" თარგმანი სრულებითაც არ ყოფილიყო ილიასათვის შემთხვევითი, სასხვათაშორისო საქმე. განსაკუთრებული გატაცებით ემუშავა ამ თარგმანზე და ამ საქმისათვის გაემეტებინა თავისი დიდი ტალანტის მთელი ძალა.

ილია, რომელიც საერთოდ ასერიგად თავდაჭერილი გახლდათ თავისი ლიტერატურული საქმიანობის შეფასების დროს, ასეთი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ამ ტრაგედიის თარგმანზე, ლაპარაკობდა ისე, როგორც არასოდეს ელაპარაკა არცერთი თავისი სხვა ნაწარმოების შესახებ.

და ამ წერილის მიხედვით მკვლევარისათვის ცხადი ხდებოდა, რომ:

ილიას „მეფე ლირის" თარგმანში სრულებითაც არ ეკუთვნოდა მეორე როლი; პირიქით – „მეფე ლირის" ქართული ტექსტის ბრწყინვალე პოეტური რედაქცია, ჩანდა, იყო საქმე ილიასი, ძველი გამოცდილი ოსტატისა.

ხოლო ილიას მანამდე 3 დეკემბერს მიეწერა მონატრებულზე:

ნეტავი შენ, ახლა კარდანახში ზიხარ და გადაჰყურებ ჩვენს მშვენიერ და საკუთრად ჩემთვის საყვარელ ალაზნის მინდორსა და მთებს და მთათა შორის ჩვენს ყვარელს! ნეტავი მეც მანდ ვიყოო!..

ამას წინათ ჯერ ოლიკოს ბარათი არ მოსვლოდა და არც ეცოდინებოდა მისი ნამოსვლა ბაქოდან, რომ კარდანახში ალექსანდრე ლიაზანოვის სახელზე წიგნი მიეწერა, ქალს აქამდის მიღებულიც რომ ექნებოდა.

რამდენი ხანია ერთმანეთი აღარ ენახათ – მეექვსე თვე. და ბარაქალას შეუთვლიდა თავიანთ გულის სიმაგრესა და ვაჟკაცობას.

არა უშავდათ რა, და მითუფრო ტკბილი იქნებოდა კვლავ ერთად თავშეყრა. ოჰ რარიგად ამოიყრიდა გულიდან იმ ჯავრს, რომელიც ახლა სულს უგუბებდა, და რა ნეტარებას მიეცემოდა, როცა ცოლთან დაბრუნდებოდა და გადაეხვეოდა.

მაშინ ვიღას ეხსომებოდა წარსული მწუხარება: ერთი წუთის სიამოვნება მორევად გახდებოდა და იქ დაინთქმებოდა ექვსი თვის მოწყენილობა, ურვა და წუხილი. და რუსთველურ-ავთანდილურად მოუქცევდა:

ვა სოფელო! რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსაო!

ვინ იცის, იქნებ დრო მოსულიყო, თავიანთი ბედი თვითონვეც დაეტრიალებინათ. ჯერხნობით კი დაე აჰყოლოდნენ ამ ცხოვრების უგემურ ჟამთა დენას.

საცა არა ჰსჯობს, დაცლა ჰსჯობს კარგისა მამაცისაგანო, – ასე რომ დაიმოწმებდა რუსთველს, ნუ ეგონებოდა მის დას, ნინოს, თითქოს ილიას არა სცოდნოდეს, „დაცლის“ მაგიერ ტექსტში „გაცლა“ რომ ეწერა. იცოდა, როგორ არ იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ მათ ამჟამინდელ მდგომარეობას „დაცლა“ უფრო უხდებოდა, ვიდრე „გაცლა“.

ახლა ღამის 12 საათი შესრულებულიყო და – რა გასაკვირია – მთელ კარდანახს სძინებოდა. ვინ იცის, ვინ რასა ხედავდა სიზმრად? ერთის სიზმარი კი ილიასაც ესიზმრებოდა – იმ ერთს ძილში თვალწინ ედგა ერთი ბაჯაჯღანა, პირმრგვალი, ბურთივით მრგვალი ლიბერალი, გრძელთმიანი, შავწვერა, ფაშვიანი, და მას ელაპარაკებოდა ზმანებისას.

ნეტა რას ელაპარაკებოდა?

ისიც მოეხსენებოდა ილიას, თუ რას ელაპარაკებოდა, მაგრამ ოლიკოს არ ეტყოდა და არ ეტყოდა იმიტომ, რომ: ქალს უფრო კარგად მოეხსენებოდა, რასაც ელაპარაკებოდა. ეგებ გამოეჩინა ქალობა ოლიკოს და გამოეცნო, ის ერთი ვინ იყო, რომლის სიზმარსაც ახლა ილია ხედავდა.

– აბა გამოიცან და ქალაქი შენი იქნება.

იმ ერთს ამაღამ ილიაც ნახავდა სიზმრად და ბევრსაც აკოცებდა.

ხუმრობაგაშვებით კი:

ერთი დაწვრილებით შეეტყობინებინა, „ფოდრიაჩიკს“ ყველაფერი აღესრულებინა თუ არა, რაც პირობაში ეწერა: ქვიშა, აგური დაეწვათ და მოეზიდათ თუ არა, ანუ ხე-ტყე, კარ-ფანჯარა; ცხენი მიშკა ეპოვნათ თუ არა – ეს ყველაფერი მოეწერა.

როგორც ვარაუდობდა:

იანვარში თავს დაუკრავდათ, პირდაპირ კარდანახში ჩამოვიდოდა, ასე რომ, ქალაქში ორი დღის მეტს არ დარჩებოდა. უჰ, რარიგ სურდა აქეთ წამოსვლა!.. რა სიხარულით, რა აღტაცებით ჩაეგდებოდა ვაგონში, როცა ეს შესაძლო გაუხდებოდა.

არა, თავი ასე როგორ გაემეტებინა!..

ბურთივით მრგვალი ლიბერალიო, – გრიგოლ ორბელიანის ამ სარკასტულ ფრაზას რომ იმეორებდა ხოლმე, მხიარული სიცილით ანელებდა მის სიმწვავეს... თუმც ანელებდა კი? რაც უნდა იყოს თუ როგორც უნდა იყოს – თვითონ არანაკლებ ირონიულ ეპითეტებსა თუ ნიშნებსაც კი შეარჩევდა თვითდახასიათებისათვის: ბაჯაჯღლანაო, პირმრგვალიო, ფაშვიანიო... რაღა თვითონ და რაღა ლუარსაბ თათქარიძე!.. თუმც იმისაგან თავი კი არ განერჩეოდა და... შეჰღიმოდა თავის პერსონაჟს და გულისნადებს უზიარებდა: შენგან ალბათ არც განვსხვავდებოდი, შემოქმედებითი უნარი რომ არ მქონოდაო!..

რაღა მე წამავლე, შე ულმერთოვ, ხელი, ათასია სხვა ჩემისთანაო, – შემოღრიალებდა და ამუნათებდა ლუარსაბი, და ეს რომ არ ეშვებოდა და მოათრევდა მოთხრობისაკენ, თან თავის თავსაც ელაპარაკებოდა: რაღა ამისთვის წამივლია ხელი და რაღა ჩემი თავისთვისვე, ავტოპორტრეტს ვხატავ და ეგაა, ოღონდ ირონიული, გროტესკული შეფერილობითო.

14 დეკემბერს შემოსჩივლებდა ოლიკოს, რომ:

წინა კვირას ყოველდღე აპირებდა წამოსვლას, რადგანაც საქმე თავდებოდა, მაგრამ მამაძაღლები შეეშლებოდნენ და ახლა კვლავ ხელახლა მოუწევდა საქმის დაწყობა და ცდა. წუხდა ძალიან, რომ ამ ცივი ქვეყნისათვის ვერ დაეღწია ჯერ თავი და თავის ოლიკოს ვერ გამოცხადებოდა. იმედოვნებდა, ამკვირია მაინც მოეთავებინა ყოველივე და გამომგზავრებულიყო.

ღმერთი უნდა შეწევნოდა, რომ გამოშორებოდა ამ უმზეო და უსიხარულო ქვეყანას!..

სენო, ოლიკოს დისწული, ხშირად რომ სტუმრობდა ილიას, ამჟამადაც აქ იმყოფებოდა. რიგიანად სწავლობდა და კარგი ბიჭიც დადგებოდა. ახლა ნახევარი წლის გამოცდები ჰქონდა ჩასაბარებელი, ზოგიერთი მოეთავებინა და კარგადაც მოეთავებინა. დიდად ეიმედებოდა, რომ მომავალ წელს „პრავოვედნიაში“ შევიდოდა და ილიაც ლოცავდა: ღმერთმა გზა წარუმართოს თავისი მშობლების სასიხარულოდო!..

სამი კვირაც სრულდებოდა, მეუღლის ბარათი არ მიეღო და მიზეზს ეკითხებოდა: ხომ კარგად ხარო?.. კარგად უნდა ყოფილიყო ქალი, თუ სურდა, რომ ქმარიც კარგად ჰყოლოდა.

რატომ არა სწერდა წიგნებს? ოლიკოსაგან ძალიან უკვირდა. ამას წინათ რომ მიეწერა ბარათი ილიას და ეთხოვა, თავიანთი სახლის ამბავი დაწვრილებით ეცნობებინა, იმ წიგნის პასუხი აქამომდეც არ მოსვლოდა. და აღარ იცოდა, რისთვის დაებრალებინა ეს დუმილი.

ახლა ღვინოები გადაღებული იქნებოდა და შეეტყობოდა, როგორი დადგებოდა. ნეტა სცოდნოდა, კარგი ღვინოები დადგომოდა თუ არა. ძალიან

ეშინოდა, რომ წელს ღვინო არ გაუმართლებდა, რადგანაც წვიმიანში დაკრეფილიყო და დაწურულიყო.

– თუ მართლა ცუდები დადგა, შენი მტერი ჩვენ საქმე დაგვემართება.

მოუწონებდა, რომ: წისქვილი კაი ფასად მიეცა და კაი კაცისთვისაც. აი ესეც პირველი შემოსავალი მათი საკუთარი ხარჯითა და შრომით შემოსული. და ბეჭედივით დაჰკრავდა: სასიამოვნოაო!..

თავლისა რა მოეგვარებინა – გაეთავებინა თუ არა?.. ეგეც მეორე საქმე – მათი შრომით დადგენილი და დაარსებული. და ახლა ილიასაც შეეძლო ეთქვა თადეოზ გურამიშვილივით: რა მოგახსენოს „პომეშჩიკმაო“!.. და ირონიულად დასძენდა: თუ მე და შენ სახლებიც ავიშენეთ, დიდი ვინმეები ვიქნებით და ბინაც გვექნებაო.

ხვნისა და თესვისა რა გაერიგებინა ქალს? და სულს ხელში ჩაუდებდა, რომ: უხვნელ-უთესველოდ არ დარჩენილიყვნენ, თორემ ცუდი საქმე დაემართებოდათ, თუ პური სასყიდელი გაუხდებოდათ. მათი სუსტი ჯიბე ამ ხარჯს ვეღარ აიტანდა და იქამდე მიიყვანდათ, კუტრებს კიდევ უფრო გააკუტრებდათ.

მათი სახლთუხუცესი გიგო როგორღა ირჯებოდა? ყოჩაღი ბიჭიც გახლდათ და ნიჭიერიც, და თუკი მოინდომებდა, ბევრიც შეეძლო და თავის გზასაც თვითონვე გაიკაფავდა. მაგრამ ცოტა კი წაიზარმაცებდა თავის ბიძასავით.

წოურის ვენახი და წვრილ-წვრილი ვენახები შეემუშავებინათ თუ არა? ავყია გიორგის ხომ არ დაებრკოლებინა, ან ხომ არ დაეშალა? მისგან ყველაფერი კი იყო მოსალოდნელი და...

ათასჯერ აკოცებდა ცოლს და დაშთებოდა მისი ნახვის მონატრე.

15 დეკემბერს გახარებული მისწერდა, მისი წიგნი კარდანახიდან რომ მოსვლოდა და ორგვარად ესიამოვნებინა:

ერთი, რომ ოლიკო მშვიდობით ჩასულიყო, და მეორეც – ხუთი ურემი ღვინო შემოსვლოდათ. და მადლს უძღვნიდა უფალს: როგორც იქნება, ხელს მოვინაცვლითო.

სთხოვდა: ყვარელში რომ გავიდოდა, ყველაფერი კარგად გაესინჯა. ილია აქეთ რომ გამოემგზავრებოდა ბანკის საქმეების მოსაგვარებლად, მანამდე თადარიგი დაეჭირა და ისე დაეწყოთ მას და „ფოდრიაჩიკს“, რომ: აგური, კრამიტი ერთად უნდა დაეწვათ; ხე-ტყე სახლისა, კარი და ფანჯარა მოტანილი უნდა ყოფილიყო. და ახლა ოლიკოს ერთი კარგად უნდა შეეტყო და მოეწერა, აგური, კირი, კრამიტი დაეწვათ თუ არა, ხე-ტყე, კარ-ფანჯარა მოეტანათ თუ არა, ან ქვიშა და ქვა მოეზიდათ თუ არა?..

ახ, როდის იქნებოდა, ამ უმზეო ქვეყნიდან თავი დაეღწია და შინ დაბრუნებულიყო? ვერ წარმოიდგენდა ქალი, რარიგად გულჩათუთქული იქნებოდა ილია ამ ცივსა და უმზეო ქვეყანაში და რარიგად მოისწრაფოდა გული სამშობლოსაკენ, დიდი ხნის უნახავი მეუღლე რომ ენახა.

თუ ქალი კარგად მოიქცეოდა, ღვთის მადლით, სახლის მასალა სულ შინ ექნებოდა მოგროვილი ქმრის ჩამოსვლამდე, და ძალიან აამებდა, თუ ასე მოაგვარებდა.

თუმც კუტრები იყვნენ, მაგრამ თუ სახლს როგორმე მოახერხებდნენ, როგორც იქნებოდა თავს გადაირჩენდნენ და იცხოვრებდნენ – თუ ქალაქში არა, სოფელში მაინცა.

ხომ მოეხსენებოდა ოლიკოს ილიას ნატვრა:

სოფლად ეცხოვრათ და ქალაქში მხოლოდ ხილად ჩასულიყვნენ.

სულს ხელში ჩაუდებდა ცოლს, რომ: მისებურად დატრიალებულიყო და ისე გარჯილიყო, სახლის აშენება არ დაბრკოლებულიყო. თუ „ფოდრიაჩიკი“ ფულსა სთხოვდა, როგორმე ეშოვნა და ცოტ-ცოტა ეძლია, ასე – ორ თუმნობით, სამ თუმნობით, რომ ხელი გამართოდა და არ დაბრკოლებულიყო.

ნინო, ნიკოლოზი მოეკითხა შვილებიანად. გაზილას ამბავს რომ არას იწერებოდა? როგორ ბრძანდებოდა მათი ფილოსოფოსი გაზილა? მიშკა ეგებ როგორმე ეპოვნინებინა.

უბოდიშებდა, ასე ცოტას რომ სწერდა თავის კუკლუშკას? ეჩქარებოდა და...

მერეა 19 დეკემბრის ის ბარათი, მანამდე ოლიკოს რომ მოეწერა: ამ დღეებში ყვარელს გავალო, – და ახლა ილია დაინტერესებულიყო, თუ გასულიყო, რა ენახა და რა გაეგო. ყველაფერი დაწვრილებით შეეტყობინებინა. სახლისა და შენობის ვითარება კარგად გამოერკვია და ყოველივე ვრცლად და დალაგებით მოეწერა.

ამას წინათ ფინანსთა სამინისტროდან ქაღალდი მოსვლოდა:

თქვენს „უსტავს“ 1 იანვრამდე გადავცემთ „გოსუდარსტვენნი სოვეტშიო“.

და იჯდა ილია და ელოდა ამ ბედნიერებას მოღრუბლული, ვითარცა პეტერბურგის დღე.

გუშინწინ რევაზ ანდრონიკაშვილისაგან მოსვლოდა ტელეგრამა:

„ნაბლიუდატელნი კომიტეტმა“ ფული დაგინიშნა და ამასთან წიგნიც მოგწერაო.

ვერ მიმხვდარიყო ილია, თუ რა ფული და რა წიგნი იგულისხმებოდა. უსათუოდ რაიმე ახალს სდებდნენ კისრად. ნახავდა, მოიცდიდა, რა გამოვიდოდა რისაგან.

ვარაუდობდა, რომ: იანვარში მოუწევდა წამოსვლა და ჯერ კი მაინცდამაინც სწორად და გადაწყვეტილად არა შეეტყო რა.

მერეა, გიორგი შერვაშიძის შეთავაზებით სტუდენტებს „მეფე ლირს“ რომ წაუკითხავდა და კაცებს „ბარაქალას“ აძახებინებდა და ქალებს აატირებდა.

მერეა, სცენაზეც უფრო კანთიელად რომ წარმოიდგენდა და მოელოდა, რომ მისი გასპექტაკლების შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გაშვებულიყო.

მერეა, კარდანახშიც რომ შეპირდებოდა ოლიკოს ტრაგედიის საჯარო წაკითხვას.

ამ დღეებში „ვიიგრიშები“ ლატარია უნდა გათამაშებულიყო, ილიას ერთი ბილეთი ეყიდა და დიდად ეიმედებოდა, ოცი ათასს თუ არა, შვიდი ათას თუმანს მაინც მოიგებდა. ოოო მაშინ თავის საყვარელ კუკლუშკას მისწერდა, რომ: პეტერბურგისაკენ გამოფრენილიყო.

– ნეტავი, შენის სიცოცხლით, მოვიგო.

მაშინ ენახა ქალს მათი ყოფა – საუკუნოდ ბედნიერნი იქნებოდნენ მით, რომ მრავალი კეთილი საქმის აღსრულება შეეძლებოდათ. ღმერთი მართლა რომ გულთამხილავი და ყოვლისშემძლე ყოფილიყო, სწორედ ილიასათვის უნდა მოეგებინებინა ოცი ათასი თუმანი. რამდენ კეთილს დათესდა თავის ოლიკოსთან ერთად!.. მაგრამ... ეჰ, რაც იქნებოდა, იქნებოდა. ნატვრა ხშირი – გულისა და ქეიფის სისუსტეს მოასწავებდა. ნატვრითაც ბევრი ენატრათ და არა გამოსულიყო რა. რომ გამოსულიყო? მაშინ რაღას იტყოდა მისი კარგი კუკლუშკა? ყოფილიყო ქალი მშვიდობით და... ფიქრი ხვალინდელი დღისა ხვალისათვის მიენებებინათ. მოკითხვას დააბარებდა ყველასთან. ლიზოს წიგნი რომ არ მოსდიოდა, ძალიან წუხდა.

ოლიკო რომ მოსწერდა: ექვსი კვირაა, შენი ამბავი არ მომსვლიაო, – 26 დეკემბრის ბარათში გაკვირვებასა და წუხილს ერთდროულად გამოთქვამდა ილია, რადგანაც ერთი კვირაც არ გაეცდინა, წერილი რომ არ მიეწერა. რა გამოდიოდა – მისდაუნებურად მისი უამბობით ოლღა მოწყენილი რჩებოდა.

ულოცავდა მასაც, ნინოსაც, ნიკოლოზსაც და მათ შვილებსაც დღესასწაულებს – წარსულსა და მომავალს. ღმერთსა სთხოვდა, ყველა მშვიდობით ყოფილიყო ილიასდა სასიხარულოდ და საკეთილოდ.

აჰ, რარიგად სურდა აქეთ წამოსვლა, მაგრამ რა ეღონა? ლამის დღესხვალეობით გული დალეოდა, ჭირივით მოწყენოდა აქაურობა და აღარ იცოდა, როდის დააღწევდა თავს.

საქმე ძლიერ ტაატით მიდიოდა. წესდება ვერ იქნა და ვერ დაეძრა სამინისტროდან. ამას წინათ ქაღალდით რომ ეტყოდნენ: 1 იანვრამდე შევასრულებთ და გაცნობებთო, აი გულის კანკალითა და თრთოლვით მოელოდა იმ დღის დადგომას და... ნეტა რაღას იტყოდნენ?.. ეგებ ახალ წელს ხელახლავ ბედი მისკენ მოეტრიალებინა და სიხარულით და გამარჯვებით გამოეფრინებინა აქეთ, სადაც ახლა ერთი სულიერი ელოდებოდა – ბრწყინვალე თავადის ილია ჭავჭავაძის გულითადი, უგულითადესი და უუგულითადესი მეგობარი.

ნეტა ოლიკოს სიცოცხლითა და დღეგრძელობით ასე მომხდარიყო და მალეც მომხდარიყო, თორემ მოწყენოდა ილიას უმისობა და გარეთ გდება.

სულს ხელში უდებდა, ეგებ როგორმე ხელი შეეწყო მათი სახლების აშენებისათვის. ღვინით იქნებოდა, პურითა თუ ფულით, როგორმე ისე მოეხერხებინა ოლღას, საქმე წინ წაგდებულიყო. აბა მას სცოდნოდა და მის კაი დედაკაცობას – საქმე კარგად დაეწყო და გაერიგებინა.

შენი სამუდამოდ და სამუდამოს იქითაცო, – ასე გამოეთხოვებოდა.

დადგებოდა ახალი წელი: 1874 – წინა დღით რომ მოთავდებოდა „მეფე ლირის“ თარგმნა, მაგრამ ამის თაობაზე კი არას ამცნობდა ოლიკოს, არამედ კვლავ იმ მწუხარე განცდებში უნდა ყოფილიყო, საშინლად რომ დაღლილიყო უმისობით და თუ რაიმეს, ამას ნატრობდა: როდის მოეღებოდა ბოლო მათ ეგრე უერთმანეთოდ გდებას.

წესდება ჯერაც სამინისტროში ეგდებოდა – თავს აკლავდა, მაგრამ იქიდან ფეხი ვერ მოეცვლევინებინა. ხშირად ფიქრობდა, დაენებებინა თავი ყველაფრისათვის და წამოსულიყო, მეორე მხრივ კი რცხვენოდა: რა პირით დაბრუნებულიყო, როგორღა გამოეჩინა თავი, ვის დანახვებოდა.

ამ ორ ცეცხლშუა იმყოფებოდა და იტანჯებოდა.

ევედრებოდა: მიშკა მაპოვნინეო. ძალიან უყვარდა ის შეჩვენებული და იმის დაკარგვას ისევ გაზილას დაკარგვას ამჯობინებდა. ამასთან – თუ რამ მოხერხდებოა და შენობის საქმეს წინ წასწევდა ქალი, ნურა მეცადინეობას ნუ მოაკლებდა.

ვინ იცის – აქედან რომ ჩამოვიდოდა, ეგება ამა ქვეყნის დავიდარაბისათვის თავიც დაენებებინა და თავიანთ ყვარელში ჩაეკეტათ თავი მას და ოლიკოს, თუ სამუდამოდ არა, იმ დრომდე მაინც, რომ პატარა მოსვენებით დამტკბარიყვნენ ერთად ცხოვრებით ქვეყნის ყაყანს მოშორებულნი.

დაღლილიყო, ძალიან დაღლილიყო და... ისეთი გრძნობაც გაუჩნდებოდა:

თანდათან ვბერდები, ღონე და გულის სიმხურვალე თანდათან უკან მიდისო.

მაგრამ შიშით არა შიშობდა, რადგანაც ერთი იმისთანა ოლიკო ჰყავდა, რომ კვლავ გააცოცხლებდა და გადაახალისებდა. ღმერთს წყალობა მოეღო, მეუღლის ნახვა მალე ღირსებოდა.

საძაგელ გუნებაზე იმყოფებოდა. კარგად მოეხსენებოდა ოლიკოს, რარიგ ეჯავრებოდა ილიას უქმეები, და ახლა უფრო გულს უმღვრევდა, მეუღლე მასთან რომ არ იმყოფებოდა.

ტელეგრამის გაგზავნას რომ დააპირებდა ოლიკოსთან, რაკიღა ის იწერებოდა: შენი წიგნები არ მომდისო, – არადა ილია ყოველ კვირას უწერდა ბარათს, მერე ამ კუტრობაში ტელეგრამისათვის ფულის დახარჯვას სიგიჟედ მიიჩნევდა და არჩევდა მოეცადა ცოლის წერილისათვის, 7 იანვარს რომ მიიღებდა და აამებდა იმით, მისი წიგნები ბოლოსდაბოლოს რომ ჩასვლოდა ოლიკოს.

ქალი იწერებოდა, რომ: მისთვის ეხარებინათ წესდების დამტკიცება.

ეჰ, ილიასაც ძალიან ეამებოდა, ეს რომ მართალი ყოფილიყო. ჯერ წესდების დამტკიცებისა არა იცოდა რა და... არც დამტკიცებულიყო. 1 იანვრისათვის რომ შეპირებოდნენ? მოვიდოდა ეს 1 იანვარი, გავიდოდა კიდეც და... წესდება იქავე ეგდებოდათ.

გაეტანჯათ ამდენი მოტყუებითა და დღესხვალიობით.

ვერ წარმოიდგენდა ქალი, რა ხალხი იყო ესენი, ილიას რომ ატყუებდნენ, ილია ამათი სიტყვით სხვებს ატყუებდა და ამის გამო მეტად შეწუხებული და გულნატკენი რჩებოდა.

გუშინწინ რომ მიეკითხა სამინისტროში, ეთქვათ: ამ დღეებში წარვადგენთო.

ეს თავს დაუკრავდათ და წამოვიდოდა, ამას კი დაუგდებდათ:

– ექნება თუ არა ბოლო ოდესმე ამდენ დაპირებასა და მოტყუებას?

აღარ იცოდა, კიდევ მოატყუებდნენ თუ არა.

ეს კი ეჩვენებოდა საიმედოდ, ველიკი კნიაზისათვის რომ მიეწერა მინისტრს:

მალე იქნება „უსტავის“ საქმე შესრულებულიო.

იმედს კი ეჭიდებოდა, მაგრამ ეს სატკივარიც როგორ არ გაეზიარებინა მეუღლისათვის:

ჯერ რუსული „ხვალე“ რა არის, რომ „მალე“ რა იყოსო.

ანდაზასავით გამოვიდოდა თავისი გონებამახვილობითაც და სისხარტითაც.

რა ეანდაზებოდა, თორემ!.. თუმც ანდაზების დრო ყოველთვისაცაა.

ასეთი გახლდათ ილიას გულმოსაწყლავი ამბავი.

საქმე რაკიღა აქამდე და ასე წამოსულიყო, რაც უნდა დამართნოდა, ბოლომდე უნდა მიეყვანა. ამიტომაც მისი დაბრუნება ტფილის-ქალაქს საქმის გათავებამდე თავლაფდასხმა იქნებოდა; თავლაფდასხმას კი არც ილია ინდომებდა და არც ოლიკო. მეტი გზა არ იყო, უნდა ეთმინათ და ეთმინათ უერთმანეთობა. ოლონდ ოლიკო ნუ იწუხებდა და ილიაც არ შეწუხდებოდა. ღმერთი იქნებოდა მოწყალე, კიდევ შეხვდებოდნენ ერთიმეორეს და თავის დღეში – ფიცით დაეფიცა – აღარც მოშორდებოდა მეუღლეს.

„ფოდრიაჩიკი“ ქალაქს რომ წასულიყო, ეს ამბავი ძალიან ეწყინებოდა, მაგრამ იმედს გამოთქვამდა, რომ მალე დაბრუნდებოდა, ყვარელს ეგრე ადვილად თავს ვერ დაანებებდა. ერთი რომ ენახა ოლიკოს, მისებურად შეეფუცხუნებინა და ძალაც დაეტანებინა. კარი და ფანჯარა საძაგლად გაკეთებული რომ ეჩვენებოდა ქალს, თუ ეგ მართალი იყო, ნუ მიიღებდა ოლიკო და თავშიც მიეყარა. მანამდე ამის თაობაზე ეგებ დათიკოს, ცუცასა და გიორგის დაკითხვოდა და ეჩვენებინა.

უკვირდა და გაჰკვირებოდა მიშკას ამბავი. თუ ნიკოლოზმა იცოდა, ვისაც ჰყავდა წაყვანილი, რატომ არ გამოართმევდა?!. მოურავს ილიას „დოვერონოსტი“ რომ ჰქონდა, შეეძლო გამოერთმია ნიკოლოზს და საჩივარიც შეეტანა. რაღას ელოდებოდა. რატომ არაფერს იწერებოდა ნამდვილს – პურისა და სხვა მოსავლისას? ნინუცასაც ეცოდინებოდა ახლა ყველაფერი და... არა რცხვენოდა, ძმას ერთ სტრიქონსაც რომ არა სწერდა?

ლიზოს წიგნი სულ არ მოსდიოდა და ძალიან წუხდა, ვაითუ ავად არის და მიმალავენო. მათი ბილეთების ვადა 11 იანვარს გადიოდა, იქნება გაეყიდათ და ესენი ცარიელზე დაეტოვებინათ?

გამოემშვიდობებოდა და... არ გამორჩენოდა: გაზილას ამბავსაც იკითხავდა.

ამასობაში დადგებოდა 15 იანვარიც და ილიას ღრუბლიან ცაზედ მაინც არ გამოაშუქებდა მზე.

– დასწყევლოს ღმერთმა აქაურობა თავისი სამინისტროებითა და უნუგეშობითა.

არ იქნებოდა და არა, მათი წესდება ვერ გადავიდოდა სახელმწიფო საბჭოში. აღარ იცოდა, რა ელონა. რა ღონისძიებაც ხელთ ჰქონდა, გამოყენებით ყველაფერს იყენებდა, მაგრამ რას უზამდი იმისთანა ხალხს, რომელთათვისაც ღმერთს არც ტვინი ჩაედგა მოტვლეპილ კეფაში და არც გრძნობა – მყრალ გულში.

ატყუებდნენ, ატყუებდნენ და ამ მოტყუებას ბოლო არ უჩანდა.

ღმერთს დაეხსნა ნეტა ყველა ქრისტიანი ამათ ბრჭყალებიან ხელში ჩავარდნისაგან.

ვერ წარმოიდგენდა ოლიკო, რა ხალხი იყო:

ღმეჭია, ღრეჭია, ფლიდი და მურტალი, ერთიერთმანეთს რომ ასხდნენ და რუსეთის იმპერიის საქმეს აწარმოებდნენ.

საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდა ილია, გამოუვალში:

სირცხვილით ვერც წამოსულიყო და მწუხარებით ვერც აქ დამდგარიყო.

აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო:

წამოსულიყო და... ყბად აიღებდნენ, არ წამოსულიყო და... ოლიკოს ასე ყოფნა და თავისი უოლიკოოდ გდება გულს უწყლავდა.

და დაიგმენდა სოფლის მუხთლობას!..

ამ დღეებში კიდევ მოიცდიდა და თუ არა გახდებოდა რა, უნდა ეჩივლა. მეტი გზა აღარ იყო და:

– რაც მოგვივა, მოგვივა. ჯანი გავარდეს, მე კი ჩემი დამემართა მაგათ ლოდინშია და.

ვერ წარმოიდგენდა ოლიკო, კიდევ უმეორებდა, ამ საძაგელ ჩინოვნიკობას. ჩვენებს კიდევ რა უჭირდათ, ამათთან ანგელოზები იყვნენ.

და თუ რუსეთს დაღუპავდა რამე, სწორედ ეს მსუნაგი, ნამუსახდილი, მტაცებელი, ბრიყვი ჩინოვნიკობა დაღუპავდა.

ჩვენ რაღად უნდა შევწიროდით იმათ მსუნაგობას, ნამუსახდილობას, მტაცებლობასა და სიბრიყვეს თორემ!..

ძალიან წუხდა, ოლღა აქამდე ყვარელს რომ არ გასულიყო. ერთი უნდოდა დალაგებით შეეტყო, მოსვლოდა მოსავალი თუ არა; და სახლის შენებას წინ თუ წაედგა ფეხი. ეგებ მოეხერხებინა ქალს და მალე გასულიყო როგორმე და მისებურად დაეწყო და დაელაგებინა ეს მიყრილ-მოყრილი, აქოთებული ყოფა.

გუშინწინ ლიზოს ბარათი მოსვლოდა და ალექსანდრესი. მხიარულ წიგნსა სწერდნენ, ნამეტნავად ალექსანდრე. ნინუცას კი, როდესაც დაბრუნდებოდა, ხმასაც არ გასცემდა – როგორ არა რცხვენოდა, ერთი სტრიქონიც წამლად რომ არ მოეწოდებინა? ჩამოვიდოდა და გადაახდევინებდა.

გაზილას ამბავს რატომ არ იწერებოდა ოლიკო? იქნებ დაეკარგა ან მომკვდარიყო? ძალიან ეწყინებოდა ილიას, თუ ან ერთი გამართლდებოდა და ან მეორე.

მიშკას ვიპოვნიო, რომ ამბობდა ნიკოლოზი, ეს ბურთი და ეს მოედანი – ეპოვნა, რაღა გულს ულევდა ილიას, რომელსაც, ოლიკოსი არ იყოს, ძალიან უყვარდა, და უეცრად სიცილის გუნებაზე დადგებოდა, ამ ფრაზას რომ ჩაურთავდა:

პლატონ იოსელიანზედ უფრო ბრძენი ცხენი იყოო.

ეს რარიგ გაემეტებინა პლატონი, რომელსაც დაცინვა ვითომ ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან აკლდა, ახლა ესეც რომ არ მიმატებოდა?

ეგებ „ფოდრიაჩიკის" ამბავი დაწვრილებით მიეწერა – სად წასულიყო, სად დაკარგულიყო...

23 იანვრის ბარათში კიდევ უფრო შეფიქრიანდებოდა, „ფოდრიაჩიკი" რომ არა და არ ჩანდა. ნუთუ მართლა აღარ მოვიდოდა და შეეჭამა მათი ფული? ვერაფერი საქმე მოუვიდოდა ცოლ-ქმარს, თუ ასე მომხდარიყო.

ნეტა ოლიკო რაიმეს თუ პოულობდა სანუგეშოს ამ უფერულ ცხოვრებაში?..

ბანკის საქმე ჯერაც ისევ ისე რჩებოდა, როგორც აქამდე. დღე არ გავიდოდა, არ დაპირებოდნენ: აი დღეს, აი ხვალეო, – მაგრამ იმდენი დღე და ხვალე გადაიკეცებოდა, თვლას ვეღარც აუხვიდოდი.

ესეც დაცდებოდა:

ცუდად და მოუფიქრებლად გავები ამ ვაივაგლახშიო.

მაგრამ რაც მომხდარიყო, რაღა ეშველებოდა, ახლა მხოლოდ ის უნდა ეცადა, პატიოსანი სახელით მაინც დარჩენილიყო და პატიოსნურად შეესრულებინა თავისი მოვალეობა. ცდილობდა, რაც შეიძლება მალე მოეთავებინა ეს ყველაფერი, ჩქარა წამოსულიყო და ერთი ლაზათიანად მოესვენებინა თავი ოლიკოს კალთაში.

მოწყენოდა აქაურობა – უფერო, უმზეო, უსითბო, უგრძნო, უჭკუო, უღვთო.

ახ ნეტა მის ჩამოსვლამდე მისი სახლები შავად მაინც მომზადებულიყო!.. რა კარგი იქნებოდა?!.

რაც რამ ებადათ, წამოსვლისას ილიას მეუღლის დიდ ზანდუკში ჩაეწყო და ახლა ჩრჩილისაგან სულ დაჭმული იქნებოდა, იმიტომ, რომ შიგ არაფერი ჩაეტანებინა. ილიას მაუდის ტანსაცმელი, ზამთრის საბნები, „ზანავესკები" სულ წამხდარი და გაფუჭებული იქნებოდა და – მისი ფიქრით – აღარც აღარაფერი ეშველებოდა. ზანდუკის გახსნა არ შეიძლებოდა, რადგანაც მათი ვერცხლეული სულ იქ მოთავსებულიყო და ბევრი რამ დაიკარგებოდა, თუ ვინიცობაა უამათოდ გაიხსნებოდა. კიდევ როგორც იყო, ისე დარჩენილიყო. ჩამოვიდოდა და, რაც გადარჩენილი დახვდებოდა, მოუვლიდა.

ეგებ მიშკას ამბავი მოეწერა და გაზილასი.

4 თებერვალს ოლიკოს ასე მიმართავდა: ჩემო სასიხარულოო, – და ამცნობდა, რომ:

მისი ბედი ახლა ცოტაოდნავ ქეიფზედ მოსულიყო: 29-ში მინისტრი ენახა და შეეჩივლა თავისი ამდენი წვალება და აურზაურიც მოეწყო. საქმე ის იყო, რომ მინისტრის ამხანაგს ქრთამი ჩაეყლაპა სლეპცოვისაგან, რომლის წესდებაც საქართველოსათვის კიდეც დამტკიცებულიყო. ამ სლეპცოვს შარშან დაემტკიცებინა წესდება და მინისტრის ამხანაგს უნდოდა, რომ ილიას მიტანილი არ დამტკიცებულიყო. ხახა ლამაზად ჰქონოდა დამბალი – ამბობდნენ: 2 500 თუმანი აქვს სლეპცოვისაგან აკრულიო. ამის გამო მინისტრის ამხანაგი ჩვენს წესდებას აბრკოლებდა და სხვას არც არავის ანებებდა: მე თვითონ დავწერ წარდგენასაო.

დაწერის მაგიერ ამოიდებდა ქვეშ ამ საქმეს და ხელს არ გაანძრევდა. და ილიას მინისტრისათვის ეთხოვა:

– „კრედიტნი კანცელარიის" დირექტორს გადაეცით.

გასჭრიდა მისი ბედი და ორი დღის წინათ მინისტრის ქაღალდი მოუვიდოდა, იწერებოდა: თქვენი საქმე დირექტორს გადავეცი და ძალიან მალე შესრულდებაო.

4 თებერვალს დირექტორს მიაკითხავდა, ძალიან რომ შეეფუცხუნებინა მინისტრს. შემოეხვეწებოდა:

– ზოგიერთი რამ თქვენს წესდებაში არ მესმის და ამიხსენი.

ილია თავს დაიშურებდა თუ რა ასახსნელად!.. მთელ საათს იბაასებდნენ და ბოლოს იმას ეტყოდა დირექტორი:

– ამკვირია თუ არა, იქით კვირაში უთუოდ წარდგენილი იქნება „გოსუდარსტვენნი სოვეტში“.

როგორც ბავშვი, ისე მხიარულად წამოვიდოდა.

და იმედი მოეცემოდა, რომ: თუ თებერვალს არა, მარტში მაინც ჩაეხუტებოდა თავის დაუვიწყარ, საყვარელ, სანატრელ კუკლუშკას. ელოდებოდა და ელოდებოდა ამ ბედნიერებას!..

ოლიკოს მზემ: სულით, გულით, ხორცით, ჭკუით, გონებით დაქანცულიყო. რაღა რჩებოდა რო?!. ეჰ როდის იქნებოდა, რომ თუნდ მშრალ პურზედ ორნი ერთად ყოფილიყვნენ და მათებურად ეტიტინათ ამა ქვეყნის უმადურ ბრუნვაზედ. ასეთი გახლდათ ნესტან-დარეჯანის ამბავი.

მართლაცდა: რაღა ნესტან-დარეჯანის გამოხსნა და რაღა წესდების გამოგლეჯა რუსეთის ბიუროკრატიისათვის – ამ მსუნაგის, ნამუსახდილის, მტაცებლისა და ბრიყვისათვის – საქართველოს საადგილმამულო ბანკის დასაარსებლად.

ხოლო ყვარელში თუ აშენებული სახლი არ დახვდებოდა, ეგებ მოტანილი მასალა მაინც დახვედროდა და უკვე თვითონ დაუტრიალდებოდა.

ნინუცას ძლივს გაებედა ბარათის გამოგზავნა. უკვირდა ილიას: როგორ უნებებიაო. დაეცადა – ჩამოვიდოდა და ხუთ ურემ საყვედურსაც ჩამოუტანდა, თუ საყვედურის წამოღება ძვირად არ დაუჯდებოდა.

აქამდე ოლიკო კი წაიკითხავდა „მეფე ლირის“ ქართულ თარგმანს. და ეგებ მოეწერა, როგორც მოსწონებოდა მასაც და სხვებსაც.

მაგას კაი წაკითხვა უნდა, რომ კაცმა მოიწონოსო, – ურჩევდა ილია.

და ახლაღა ამცნობდა, რაკიღა აქამდე ამის გული არა ჰქონდა:

სწორედ ახალწლის პირველ დღეს სრულად გავათავეთ თარგმანიო.

თვითონ ძალიან მოსწონდა და სხვისა რა ეთქვა. თუმც აგერ „ბარაქალაც“ ბევრი მოესმინა ვაჟებისა და აცრემლებული თვალებიც ბევრი ენახა ქალებისა.

აი, როდესაც ჩამოვიდოდა, თვითონვე წაუკითხავდა ოლიკოსაც და სხვებსაც და მაშინ ნახავდნენ, როგორი თარგმანი გამოსვლოდათ ხელიდან ივანე მაჩაბელსა და ილია ჭავჭავაძეს.

და ღმერთს შესთხოვდა, რომ:

ერთი მალე ღირსებოდა შინ წამოსვლა, რათა თავისი კუკლუშკას კალთაში ლაზათიანად მოესვენა.

საძაგლად მოწყენოდა აქაურობა, თუმც ამჟამად აქ დიდი ამბები ხდებოდა:

ხელმწიფეს ქალი გაეთხოვებინა. ავსტრიის იმპერატორი მოსულიყო და გამართულიყო ჩირაღდნები, ბაირაღები, ჯარების თამაში, ერთი ყოფა და ამბავი. და ოთხშაბათს ილიასაც მოუწევდა ყოფნა იმ ბაღში, სადაც რუსეთის იმპერატორი და სხვა ხელმწიფენი იქნებოდნენ. აბა და!..

* * *

ჩემი ნაჯღაბნის ქება მე თვითონ არ მიყვარსო...

მაგრამ ეს თარგმანი როგორ არ შეექო?

მაინც ვის მიუძღოდა მთავარი ღვაწლი „მეფე ლირის" ქართულად ამეტყველებაში?

ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი არ განარჩევდნენ, რაკილა ორივეს ერთად მოეწერა ხელი თარგმანისათვის; ანკი რა საჩხრეკ-საძიებელია, როდესაც ვერცერთი ვერ ჩამოცილდებოდა ამ პროცესს, მაგრამ კირკიტი უყვარს და ძალიანაც უყვარს ადამიანურ გონებას და ამ შემოქმედებით პროცესშიც მოინდომებდნენ შეჭრას, სხვადასხვა აზრი რომ გამოითქმოდა, მაინც უფრო მაჩაბლისაკენ გადაიხრებოდნენ; და იოსებ გრიშაშვილი მოინდომებდა მათ თავმოყრას, შეჯერებასა და თავისი დასკვნის გამოტანას.

ოღონდ ჯერ უნდა გაეხსენებინა, რომ: არამცთუ „მეფე ლირისადმი" ლტოლვა ეტარებინა ილიას გულში დიდხანს, საზოგადოდ შექსპირი მისი ერთი უსაყვარლესი მწერალი გახლდათ და ერთ დროს ნარკვევსაც ამზადებდა, რომელშიც უნდა შეეპირისპირებინა შექსპირის ჰამლეტი და რუსთველის ტარიელი.

გიორგი თუმანიშვილის ქაღალდებში იპოვნიდა მისი დის, ბარბარეს, ერთ კერძო წერილს, ამ სტრიქონებს რომ ამოიკითხავდა:

– აქ ამას წინად მოხდა ყრილობა ქართველი ლიტერატორებისა... ამბობენ, ილია ჭავჭავაძე სწერს კრიტიკულ სტატიას, სადაც გაყვანილი იქნება პარალელი ჰამლეტსა და ვეფხის-ტყაოსნის გმირ ტარიელს შორისო.

და თუმც ეს კრიტიკული სტატია არ დაიწერებოდა, პოეტი და მწიგნობარი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ:

ილია პირველობას შეინარჩუნებდა შექსპირის ტრაგედიების ლექსად თარგმნის საქმეში, რასაც ასე შესანიშნავად დააგვირგვინებდა ივანე მაჩაბელი.

ერთი მწერალი ირწმუნებოდა: შექსპირის თარგმნის იდეა მაჩაბელს ეკუთვნისო.

მეორე მწერალი ამტკიცებდა: „ლირის" თარგმნა პირველად მაჩაბელმა დაიწყოო.

მესამე მწერალს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ: „ლირის" თარგმანში მთავარი ღვაწლი მაჩაბელს მიუძღოდა.

იაკობ მანსვეტაშვილი კუმშავდა ყველა ამ ნათქვამს და თითქოსდა კიდეც აკანონებდა:

– ივანე მაჩაბელმა ჯერ კიდევ პეტერბურგში სცადა თავისი კალამი და ილიასთან ერთად სთარგმნა ლექსად შექსპირის დრამა „მეფე ლირი", თარგმანი ეკუთვნის ივანე მაჩაბელს, როგორც მცოდნეს ინგლისური ენისა, ილიამ მხოლოდ შალაშინი გაჰკრა, თავისებური შნოთი გაალამაზა, შეკაზმა.

ვერ გაიზიარებდა იოსებ გრიშაშვილი ამ მტკიცებას და სხვადასხვა არგუმენტთან ერთად მოიშველიებდა არისტო ქუთათელაძის მოწმობასაც, სეით იაშვილისაგან რომ სმენოდა:

პეტერბურგის სტუდენტურ ოთახში ერთ მხარეს ილია ჭავჭავაძე იჯდებოდა, მეორე მხარეს – ივანე მაჩაბელი.

ივანე წერდა, ილია კარნახობდა.

როცა რომელიმე ადგილის თარგმნა გაუძნელდებოდათ, ილია წამოდგებოდა და მივიდოდა ფანჯარასთან, რომელიც ფარდით იქნებოდა ჩამობნელებული. იქ შუბლს მოისრესდა და, შესაფერი სიტყვის მოძებნით გახარებული, მიმართავდა ივანეს:

– დასწერე!..

და ამ ჩამობნელებულ ფანჯარას, რა გასაკვირია, ილია მუზის კუთხეს რომ უწოდებდა.

და კიდევ მოიხმობდა ვალერიან გუნიას გადმოცემასაც – როდესაც ერთხელ ერთი მსახიობი ამ პიესის დადგმისას სიტყვებს დაამახინჯებდა, ივანე მაჩაბელი გაეიზიანდებოდა და არც დაფარავდა:

– როგორ შეიძლება ერთი წიხლით ძირს დაანთხიო ილაჯგასაწყვეტი და სათუთი შრომა კაცისა, – ილია ჭავჭავაძის თარგმანი, რომელსაც მთელი ქართველობა გულის ფანცქალით მოელოდა.

ესეც და სხვა საბუთებიც იოსებ გრიშაშვილისათვის საკმარისი აღმოჩნდებოდა, რათა განეცხადებინა:

– „მეფე ლირის“ მთავარი მთარგმნელი, ამ ტრაგედიის ქართულად გადმოღების თავსხმიერი ინიციატორი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძეა და ყოველგვარი ქება თუ აუგი ილიას მიმართ უნდა იყოს განკუთვნილი.

ეს დასკვნაც ისეთივე გადაჭარბება უნდა იყოს, როგორც ის ზედაპირული შთაბეჭდილებანი, რომელსაც შეეწინააღმდეგებოდა პოეტი და მწიგნობარი; არც მაჩაბლის ის სიტყვები უნდა გავიგოთ პირდაპირ და: სჯობს დავეთანხმოთ ვახტანგ ჭელიძის განსჯა-შეფასებას, ორივეს თანაბრად რომ გაუნაწილებდა ამ ღვაწლს, როგორც ორივეს სულიერ ბრძმედში ერთნაირად გამოწრთობილსა და ორივეს ხელდებულს ერთნაირადვე.

და ზედმეტ კირკიმალსაც აღარავინ უნდა გაჰყვეს, რაიმე ვისაც გაეგებათ შემოქმედებითი პროცესის იდუმალებისა.

ვისაც არა და: ზომონ და წონონ, წონონ და ზომონ და არკვიონ და არკვიონ, ერთი ან ორი მისხალით მეტი რომლის ნვლილია — ილიასი თუ ივანესი, ივანესი თუ ილიასი...

ოლიკოს ბარათი ორი კვირაც იყო, არ მიეღო, 17 თებერვალს ჩამოუვიდოდა და წინანდელი შეწუხება ერთბაშად მხიარულებად გადაექცეოდა ცოლის კარგად მყოფობის გამო.

შინაური ანუ ყვარლის ამბები ვერაფერი სანუგეშო აღმოჩნდებოდა, მაგრამ რა გაეწყობოდა მათ ბედსა მაყივნებელსა. ეთმინათ, ვიდრე მოთმინების წყარო დაუშრებოდათ, და მერე, რაც მოსახდენია, მომხდარიყო.

მათ სასიქადულო მოურავსა და გიორგის ვერაფერი კაცობა გამოეჩინათ, ერთს თვითონ გაექურდა პატრონები და მეორე სხვას გააქურდინებდა.

ესეც თავიანთი ბედისათვის ზედ კისერზედ დაეჭდიათ და მოთმინებით მოეპოვებინათ, სული კი არა, დაკარგული. რაც მომხდარიყო, მომხდარიყო, ყველაფერს დაივიწყებდა, როცა ღმერთი აღირსებდა თავისი ოლიკოს ნახვას. ქვეყანა ხომ იმით გახლდათ კარგი, ჭინჭარიც რომ მოჰყავდა და ვარდიც. ანუ – შეწუხებაც სჩვეოდა და ამასთანავე სიამოვნების დაპირებაც. და ესეც იმით სულდგმულობდა, რომ დღესა თუ ხვალ თავის საყვარელ ქვეყანაში თავის საყვარელ კუკლუშკის გულში ჩაეკვროდა, სხვა ყველაფერი კი ოლიკოს ჭირის სანაცვლო ყოფილიყოს.

ბანკის საქმე გაჩაღებულიყო და გაჩარხებულიყო. ახლა დიდი იმედი მოსცემოდა, რომ უსათუოდ დაამტკიცებდნენ. თვითონ მინისტრი ენახა და დალაგებითაც მოლაპარაკებოდა. ძალიან კარგად მიეღო და დიდი ნუგეშითა და იმედითაც გამოესტუმრებინა. ამკვირია, ამკვირია მაინც უსათუოდ გადავიდოდა მათი წესდება „გოსუდარსტვენნი სოვეტში“ მინისტრის თხოვნით: დაამტკიცეთო.

გადასვლის შემდგომ ერთ კვირას კიდევ მოუხდებოდა აქ დარჩენა, და მერე ოლიკოს უმორჩილესი მონა უმორჩილესად თავს დაუკრავდა მას – თავის ხელმწიფეს. ეიმედებოდა, რომ სააღდგომოდ მაინც ნახავდა.

გუშინ სენო, ილიას ძმისწული, აქ, პეტერბურგში მოსულიყო, ეს ენახა და ხვალ კვლავ წასვლას ეპირებოდა. ილია დიდ სამდურავს ეტყოდა: დაგვიწყეო, – და ისიც ბევრს იბოდიშებდა, მაგრამ მასპინძელი შეატყობდა, ოჯახსა და ნათესავებზე სრულიად გულაყრილი რომ გახლდათ. სამხედრო სამსახურში იუნკრად აპირებდა შესვლას, და თუმც ილია გადაუკრავდა: ეგ სისულელეაო, – მაგრამ ის ისე მიიღებდა, როგორც... კედელი ცერცვს. თავისი პორტრეტის გამოგზავნას დაპირდებოდა და ამას ისეთი შეგრძნება გაუჩნდებოდა: მგონი მომატყუებსო. მაინც დაე ღმერთს მშვიდობა მიეცა, თუმც... სენოსი რა იყო, ილიას „იანიჩარივით“ რომ აპირებდა დაემშვენებინა მისი დამლუპველი ჩრდილოეთი?!.

დიდი ხვეწნით რომ იწერებოდა ქალი: ჩემი დისწული სენო მოსკოვში უნახავი არ დააგდოო, – ამას რაღა ხვეწნა უნდოდა, მაგრამ იმის ბიძის დაპირებაზედ კი რა მოეხსენებინა. ცდით მაინც თავისას ეცდებოდა.

თადეოზ გურამიშვილის საქმე ჯერ არ გაესინჯათ „გოსუდარსტვენნი სოვეტში“. ბევრსა ცდილობდა ილია, რომ როგორმე მალე გაესინჯათ მაგრამ ცდა უქმად რჩებოდა, თუმც მოგების იმედს კი იძლეოდნენ. გამოჩნდებოდა, ყველაფერი გამოჩნდებოდა.

ილიასა და ივანე დურგალს აგურისა და კირის დაწვის თადარიგი რომ დაეჭირათ, რა ბოლო მობმოდა ამ თადარიგს, ქალი რატომ არას იწერებოდა?

ძალიან წყდებოდა გული, მიშკას პოვნაზედ იმედი თითქმის რომ გადაწყვეტილიყო. ვერ წარმოიდგენდა ოლიკო, რარიგად უყვარდა მის ქმარს ეგ ცხენი. საწყალიო! – ახლა რომ მისტიროდა.

თავის დას ნინოს, ნიკოლოზსა და მათ შვილებს დაკოცნიდა. თუ მშვიდობა იქნებოდა, დაე სააღდგომოდ დალოდებოდნენ. რა დღესაც გამოვიდოდა, თუ ჯიბეზედ სუსტად არ იქნებოდა, ტელეგრამას მისწერდა. შავი ზღვით წამოვიდოდა და ქუთაისზედ გამოივლიდა.

რა დღეში უნდა ყოფილიყო, სატელეგრამე ფულიც სანატრელი რომ უნდა გახდომოდა.

11 მარტს ცნობისწადილით სავსე მისწერდა: ისე დაწვრილებით რატომ არ მატყობინებ ჩვენი სახლის მდგომარეობასო. ივანე დურგალს პირობა რომ დაედო: აგურსა და კირს ერთად დავწვავო, ასე რატომ არ მომხდარიყო? პურიც წინასწარ წაეღო ამისათვის ივანეს.

ძალიან წუხდა, რომ იმ სასიქადულოს, იმ მამაძაღლ დუდაურს ეგრე დაეღუპა ესენი. რომ მოდიოდა, ნიკოლოზისა და ნინოსათვის ეთხოვა: პირველივე შემთხვევაში დაითხოვეთო. მაგრამ როგორც ჩანს ეს დათხოვნა ვერ მოეხერხებინათ და... ამის გამოისობით ილია და ოლღა შუაში გაჭყლეტილიყვნენ. ნეტა — ოლიკოს სიცოცხლით — ის მაინც შერჩენოდათ, რაც გადარჩენოდა დუდაურს.

ეს კი უკვირდა: ამას წინათ ქალი იწერებოდა, ხუთი ურემი ღვინო მოგვივიდაო. ახლა კი იწერებოდა: ოთხიო. ეს როგორ მომხდარიყო, რომ ხუთი ოთხად გარდაქმნილიყო? ოთხი რომ ხუთად შეცვლილიყო, მაგის გამოძიებას კი არ შეუდგებოდა და ისეც გამოუძიებლივ დაიჯერებდა.

შეემუდარებოდა, რაც შეიძლება სახლის მასალის მოგროვებაზე ემარჯვა, რადგანაც ჩამოვიდოდა თუ არა, შენება უნდა დაეწყო. აგური, კირი დაეწვევინებინა, ქვიშა და ქვა მოეზიდინებინა. რატომ არას იწერებოდა, ცხენების მოსავლელად ვინ დაექირავებინა, და იცოდა თუ არა შებმა ცხენებისა და ტარება?.. მიშკას პოვნის იმედს რომ იწერებოდა ქალი, ილია ნატრულობდა: ნეტა შენი სიცოცხლით ეგ იმედი არ გამტყუნდესო. ძალიან უყვარდა ის დალოცვილი და მაგისთანა მშვიდობიან, გულისხმიერსა და ბრძენ ცხენს თავის დღეში ვეღარ იშოვნიდნენ. ნიკოლოზი უკეთესს ვერას დაავალებდა, როგორც მიშკას პოვნას. ნეტა ღმერთს ხელი მოემართა და ეპოვნინებინა. კაი ცხენი იყო და პატრონის საყვარელი. რაღა ის მოეპარათ!.. და მწარედ ჩაეღიმებოდა: ეტყობა იმის ქურდებს პირში გემო ჰქონიათო.

წესდების საქმე ახლა სწორედ რკინიგზით დადიოდა – ძალიან აჩქარებულიყო. წინა ოთხშაბათს „დოკლადი“ წარედგინათ მინისტრისათვის და მას კარგი აზრი დაედო, ზოგიერთი სტატია კი შეეცვალა, მაგრამ ერთი ცვლილების მეტი სხვა ცვლილებანი მაგდენიც არაფერი გახლდათ.

ვენახების თაობაზედ დიდი ბაასი გამართულიყო სამინისტროში. ილიაც დაებარებინათ. ბევრს იყაყანებდნენ. ბოლოს ქაღალდსაც მისცემდათ. არ უნდოდათ, რომ ვენახები დიდი ხნით მიეღოთ გირაოდ: ვენახი შეიძლება მალე წახდეს, ამით ფასი მოაკლდება და ბანკი დიდ ზარალს ნახავსო, – და სურდათ სამი წლის ვადა დაენიშნათ ვენახებისათვის.

ილია ცდილობდა, რომ: 18 წელი და 7 თვე დაედოთ ვენახების დასაგირავებლად. ბოლოს იქამდე მივიდოდნენ, რომ: 8 წელს მიიღებდა მინისტრი და ამასთან გამოუცხადებდა:

– თუ ეს ვადა ცოტა იქნება, მერეც შეგიძლიათ ითხოვოთ ვადის გაგრძელება და ამის ნებას მოგცემთ.

მეტი გზა აღარ იქნებოდა და ილიაც დაყაბულდებოდა, უფრო იმიტომ, რომ სამინისტროს დირექტორი მალულად ურჩევდა დათანხმებას:

– დეე ჯერ წესდება, როგორც იყოს, დამტკიცდეს, და მერე რა ცვლილებასაც ითხოვთ, სამინისტრო უარს არ გეტყვით.

ამ ვენახების საქმე ცოტა შეაწუხებდა, თორემ სხვაფრივ საადგილმამულო ბანკის წესდების საქმე ძალიან კარგად გახლდათ. თუმც... მაინც არა უშავდა რა – შემდგომ ესეც გასწორდებოდა.

ხვალ დილაზედ წესდება სახელმწიფო რჩევაში გადავიდოდა და არავითარი მიზეზი აღარ რჩებოდა ახლა დაუმტკიცებლობისა; დიდად ეიმედებოდა, რომ დაამტკიცებდნენ, რაკიღა თვით მინისტრი ითხოვდა ამ საქმის მოთავებას. ამას წინათ სამინისტროს თუ არა სურდა წესდების დამტკიცება, ამჟამად – ჩვენდა სასიკეთოდ – აზრი შეცვლოდა.

სააღდგომოდ თავის ოლიკოს ჩაეხუტებოდა, მხიარულად და კარგად რომ დახვდებოდა.

10 მარტს რომ მიიღებდა ოლიკოს ბარათს, გული ეტკინებოდა, რადგანაც მეუღლე იწერებოდა: შენ გაზილა უფრო გახსოვს, ვიდრე მეო.

ეს სიტყვები დიდად შეაწუხებდა უამისოდაც შეწუხებულს. იცოდა ცოლის კეთილი გულის ამბავი, ამ სიტყვებს სახუმაროდ რომ მოსწერდა, მაგრამ უნდა გასტეხოდა, რომ: ასეთი სიტყვები სახუმაროდაც არ ვარგოდა. ვერ გაეგო, საიდან მოსვლოდა ქალს ფიქრად ამგვარების მოწერა. ამ უნათესავო და უმზეო ქვეყანაში ყოფნა არ ეყოფოდა ჯავრად, რომ მაინცდამაინც ეკლებითაც არ დაჩხვლეტილიყო?!. დაეცლია, ერთი ღმერთს ეღირსებინა ილიასათვის ცოლის ნახვა და მოხვევნა და მაშინ შეანანებდა მაგრიგად ავად ხსენებას. ნუ ეგონებოდა კი ოლიკოს, რომ ქმარი ჯავრობდა მასზედ, არა ჯავრობდა, მხოლოდ წყინდა ამისთანა ხუმრობა, მერე ამხელა მანძილი იდო მათ შუა.

ერთად რომ ყოფილიყვნენ და ასე მაშინ შემოხუმრებოდა, სიტყვით, ალერსითა თუ ოხუნჯობით გააქარწყლებდნენ ამგვარი ხუმრობის უგემურობას. ახლა კი გულში უნდა ჩარჩენოდა, რომ მის კუკლუშკას ამისთანა საწყენი ხუმრობა ფიქრად მოსვლოდა.

დაეცლია, დაეცლია, ერთი მოსულიყო მასთან და მის ჯავრს სულ ერთი კოცნით ამოიყრიდა.

ხუმრობისათვის თავი რომ დაენებებინა, ესეც უკანასკნელი ამბავი:

გუშინ ძლივს მათი წესდება „გოსუდარსტვენნი სოვეტში“ გადასულიყო. იქ დიდ იმედს იძლეოდნენ: მალე გავარჩევთ და დავამტკიცებთო.

ილიას ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ უეჭველად დაამტკიცებდნენ.

ვიდრე ყველაფერს დაწვრილებით შეიტყობდა, აქ უნდა დარჩენილიყო და: ან 25 მარტს გამოემგზავრებოდა და ან აპრილის პირველ რიცხვებში. ასე რომ, რაც უნდა ჟამთა დაუდგრომლობას ეღალატა, მაინცდამაინც 15 აპრილს ქალაქში ამოჰყოფდა თავს, და ოთხი-ხუთი დღის შემდეგ ეახლებოდა კუკლუშკას, რომელიც ასე გესლიანად გამოეხუმრებოდა ამ ბოლო დროს, და მაშინ უჩვენებდა, როგორი გადახდევინება მოსდევდა ილიას უბრალო წყენასაც.

თუმც იცოდა, რომ ქალი ამ ბარათზედ გაჯავრდებოდა, მაგრამ არ შეეძლო ის ხუმრობა უყურადღებოდ დაეგდო...

ერთს კი სთხოვდა: ნუ გაჯავრდებოდა, რადგანაც თუკი ილია სწერდა ყოველივე ამას, იმიტომ, რომ: ეგულებოდა თავის უსაყვარლეს და კარგ მეგობრად, კარგ მეგობრობას კი ეს მოსდგამდა, რომ რაც მოხდებოდა, ერთმანეთისათვის პირში უნდა ეთქვათ დ მოურიდებლად; დაფარული მეგობრობაში არა უნდა ყოფილიყო რა, და ამის შემდეგ როგორღა დაუმალავდა იმ პატარა ჩრდილს, რომელსაც ოლიკოს ხუმრობა ილიას ისედაც – უოლიკოობით – მოღრუბლულ გულს მიაყენებდა.

ახ ნეტა ახლა ოლიკოს კალთაში გდებულიყო და მაშინ... ოხ მაშინ... ერთხელ რომ ყურს გაუწევდა, ათასჯერ ტუჩებში აკოცებდა, რათა ყურის გაწევის ტკივილი კოცნით გაექარვებინა. ღვთის მადლით ესეც მალე აუსრულდებოდა. მალე ნახავდა, ბევრი, ბევრი ერთი თვის თავზე, და ამ ბარათს რომ წაიკითხავდა – ორი კვირის შემდეგ: თვითონ ამ წიგნის დამწერი წარდგებოდა მეუღლის წინაშე სრული თავისი ახოვანებით. და მიადევნებდა: არ გაიცინო, რომ ჩემს პაიკობას ახოვანებად ვახსენებო.

თითქოს ირონიულად წაჰკრავდა კბილს თავის აღნაგობას, სიმაღლით რომ ვერ გამოირჩეოდა, და ჭადრაკის ამ ყველაზე მცირე ფიგურას გაუიგივდებოდა, მაგრამ ამ გარეგნულ ირონიაში სიამაყეც ისე ძალუმად, ისე კანთიელად გამოსჭვივის... ისეთი ბრძოლა უნდა მოეგო ამხელა იმპერიასთან, საქართველოსათვის სასიცოცხლო რომ გახლდათ და მის შემძლე მის გარდა სხვა არც არავინ მოიძებნებოდა.

მარტოხელა კაცი შებმოდა ამხელა სახელმწიფოს, ევროპასაც რომ აზანზარებდა და აზიასაც, და კავკასიაც და საქართველოც თავის სამხრეთ პროვინციად რომ მიაჩნდა, გასაქანი აღარც უნდა მიეცა, ვიდრე სულს არ ამოხდიდა და მართლაც სამხრეთ პროვინციად არ მიიკერებდა.

სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის ირგვლივ მოიყრიდა თავს ყოველგვარი იმედი: იმპერიას თუ უნდა ჩაეკლა ეს სწრაფვა, ილიას უნდა რეალობად ექცია და ყველაზე მტკიცე საყრდენად და გაუბზარავ ბალავრად, რომელზედაც საქართველოს ამოგებული სახელმწიფოებრიობა უნდა დაფუძნებულიყო.

რა – ამხელა ორთაბრძოლის მომგები მართლაც არ გაიზრდებოდა როგორც საკუთარ, ისე ყველას თვალში? მართლაც ერთბაშად არ შეიძენდა ახოვანებასა და გოლიათურობას?

ის პაიკი თავისას რომ მიაღწევდა ანუ მერვე ჰორიზონტალზე შედგამდა ფეხს, ლაზიერად გარდაისახებოდა – ყველაზე ახოვან საჭადრაკო ფიგურად, გადამწყვეტ დარტყმას რომ მიაყენებდა მოწინააღმდეგეს.

ილია შეგნებულად გაუიგივებდა თავს პაიკს თუ ქვეშეცნეულად?

განა რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ მერვე ჰორიზონტალი ერთი ხელის გაწვდენაზეღა რჩებოდა და... დაე იმპერიას თავისი სცოდნოდა და ილიას თავისი!..

ჯერ კი 19 მარტს კვლავ უნდა დაემუნათებინა ცოლი, რომლის მოთმინებაც ილეოდა და არც გაემტყუნებოდა მაინცდამაინც, ისეთ ხათაბალაში

გაბმოდა მეუღლე, ახლა ის სტრიქონები რომ გამოჰყავდა: ამ უკანასკნელ დროს ძალიან გამოინადირე შენს ქმარზედაო.

ჯერ იყო და: გაზილა უფრო გახსოვსო.

აგერ იყო და: ჩემს ბარათებს არა კითხულობ და ამიტომაც არცერთზე პასუხს არა მწერო.

ვერ გაეგო, ამისთანა საყვედურები საიდან და როგორ დაემსახურებინა. რომ სცოდნოდა ქალს, რარიგ აწუხებდა ილიას ამგვარი მუნათი, შეიბრალებდა და აღარ მოსწერდა. მის აქაურ ბედნიერებას ესღა აკლდა და... აჰა ესეც ელირსებოდა. ახლა ფიალა უკვე სავსე გახლდათ.

აქამე ფიქრობდა იმაზე, თუ რა მოეწერა ოლიკოს ამისთანა, პასუხი რომ არ მიგებოდა.

„მეფე ლირისას“ იწერებოდა:

გთხოვე ხელნაწერის გამოგზავნაო.

ჯერ ერთი: არ ეთხოვნა.

და მეორეც: გინდ ეთხოვნა, ამ თხოვნას ვერ შეუსრულებდა, რადგანაც ეს ტრაგედია ორმოცდაათ თაბახამდე აღწევდა და ვინ გადაუწერდა, რომ ცოლისათვის გამოეგზავნა?

ამასაც იწერებოდა:

გთხოვე პორტრეტის გამოგზავნაო.

არც ეს იყო მართალი – მოეწერა: თან წამოიღეო, – და დაეცადა, იქნებ კიდეც მოჰქონდა ილიას.

მაშასადამე ეს საყვედურიც უსაფუძვლო გახლდათ და უმიზეზო, და ყოველივე ამისათვის თავის კუკლუშკას აძლევდა სამართალში და სამართალი გადაწყვეტდა, რომ: იგი კუკლუშკა ცილისწამებისათვის უნდა დასჯილიყო. და რითი? იმით, რომ: ბრწყინვალე თავადი ილია ჭავჭავაძე ყურებს გაუწევდა და თითო ყურის გაწევაზედ ასჯერ აკოცებდა. აბა მაშინ იგრძნობდა, რა ძნელი ყოფილიყო ცილისწამება.

– დამაცა, დამაცა, ერთი მოვიდა მანდ და მაშინ ნახავ შენს ყოფასა!..

ცოლის დის წიგნი მოსვლოდა და ცოტაოდნავ ეწყენინებინა. და რატომ სწყენოდა, რას საყვედურობდა ამისთანას? იწერებოდა ეკატერინე გურამიშვილი:

თუმც საზოგადო საქმეზედა ხარ, მაგრამ ოლიკო რომ დაივიწყე, ეგ შენი აღთქმის ღალატიაო.

ღმერთო ჩემოო! – ამოსკდებოდა გულიდან, – სეტყვასავით კი ცვივა ჩემს ბებერ თავზედ ყოველმხრივ საყვედურებიო!..

და რუსთაველი უნდა წამოჰგონებოდა, პუბლიცისტურ სტატიებშიც რომ დაისაჭიროებდა ხოლმე:

კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო.

ოლიკოს და კარგად არ იცნობდა ილიას, და თვითონ ოლიკო კი ფრიად დასაძრახი იქნებოდა, ქმარს თუ ვერ იცნობდა. მის დას მიეტევებოდა, ოლიკოს კი – არასოდეს.

რა ელონა, რა მიზეზი მიეცა, რომ ოლიკოც და მისი დაც ასე უგულოდ ამცირებდნენ და სტაცებდნენ ყოველ კაცობრიულ ფიქრსა და გრძნობას. განა რა ჩაედინა ამისთანა?

ათი თვე დარჩენილიყო რუსეთში?

ნუთუ ეგონათ, რომ ქეიფისათვის დარჩენილიყო?

ეგ იყო, ოლიკო რომ სწერდა: არ დაანებო თავი მაგ ბანკის საქმესო; ეგ იყო, გულს რომ უმაგრებდა და ახალისებდა?

მახლას!..

მოთმინებითა თვისითა უნდა მოეპოვებინა სული თვისი, იგი სული, რომლისთვისაც მაგისთანა ჩრდილი მიეყენებინათ მისთა უკეთესთა მეგობართა და მახლობელთა.

ბიბლიურად მიუქცევდა ფრაზას, მეტი ექსპრესიულობისა და დამაჯერებლობისათვის.

ამას იმიტომ კი არა სწერდა ცოლს, რომ ეწყენინებინათ მისთვის, ანდა თითქოს მასზედ ძალიანა ჯავრობდა. მარტო იმის თქმა უნდოდა, რომ: ალერსი ესაჭიროებოდა ამ თავის მდგომარეობაში და არა საყვედური, და მერე საყვედური იმისთანა, რომელსაც არარაიმე საფუძველი არ გააჩნდა.

მაინც ცდილობდა გაენელებინა წყენა, თავსაც მორეოდა და არც მეუღლე დარჩენოდა უკმაყოფილო, და ამიტომაც ჩვეული ხუმრობანარევი ალერსიანობით მიმართავდა: დაიცა, დაიცა, მოვალ მანდ და ყველაფერში გავსწორდებით, ჩემო კუკლუშკიო!..

ბანკის საქმე ძალიან კარგად მიდიოდა.

ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ დაამტკიცებდნენ.

მაისამდე გათავდებოდა ეს საქმე სრულიად და ღვთით გამარჯვებითაც.

მაინც რომ ჭიანურდებოდა, მაინც რომ გადადიოდა თვიდან თვეში... ერთი კვირა, ერთი კვირაო და: აგერ სადამდე გაიჭიმებოდა!.. მაგრამ ამ გაჭიანურებას რა უშავდა, პროცესი ლოგიკური და სასიხარულო დასასრულისაკენ რომ მიემართებოდა, თორემ ილიას ახსოვდა ის დროც და მწარეზე მწარედაც ახსოვდა, სრულ გაურკვევლობაში რომ ტრიალებდა და, არამცთუ წესდების დამტკიცება, საბანკო საქმიანობის შესწავლასაც არ ანებებდნენ.

მაისამდე გათავდებოდა ეს საქმეო...

მაგრამ ილია აპირებდა მისი გათავებისათვის აღარ მოეცადა, რადგანაც ახლა საჭირო აღარ გახლდათ – უიმისოდაც გარიგდებოდა.

ამიტომაც წამოვიდოდა პეტერბურგიდან ან დიდ შაბათს, ან არადა 2 აპრილს – უსათუოდ და გადაწყვეტილად.

ამ ბარათების შემდგომ ოლიკო ნუღარაფერს მოიწერებოდა, რადგანაც ილია უკვე წამოსული იქნებოდა და ის წერილები ვეღარ მოუსწრებდნენ.

ძლივს არ ჩაეხუტებოდა თავის ცილისმწამებელს, მაგრამ მაინც საყვარელ კუკლუშკასა!..

ქუთაისზედ გამოივლიდა, ოთხიოდე დღე იქ დარჩებოდა, საქმეები ჰქონდა გასარიგებელი და ეს დრო უნდა ემყოფინებინა.

მერე ქალაქში დარჩებოდა ორიოდ დღეს და... გამოფრინდებოდა – და ღიმილით ჩაურთავდა: ძალიან კი მოუხდება ფრენა ჩემს ფაშვსაო – კარდანახისაკენ... და მიუფრინდებოდა... აბა თუ მიხვდებოდა ქალი, ვისა? დიდი გამოცანა იყო და რას გამოიცნობდა!..

ნიკოლოზი, ნინო და მათი შვილები მოეკითხა და ილიას მაგიერ მრავალჯერ ეკოცნა ერთი ქალისათვის, რომელსაც ოლიკოს ეძახდნენ, და ეთქვა, რომ: უბრწყინვალესი თავადი ილია ჭავჭავაძე მისი ქმარი გახლდათ საუკუნოდ და უკუნის იქითაც.

დგებოდა ახალი ერა ყოფილი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში, „ყოფილი“ თანდათან პირობითადღა რომ ითქმოდა და სულ უფრო კანთიელად აღიბეჭდებოდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში საქართველოს წარმოსახვითი სახელმწიფოს კონტურები, ზეციდან მიწისაკენ რომ მოემართებოდა.

და ახალი ერა რომ არა, იდუმალ ნატვრასა და ოცნებას ვერ გასცდებოდა.

ახალ ერას კი გარეგნულად ტფილისის საადგილმამულო ბანკი ერქვა, ქუთაისისაც რომ ამოუდგებოდა გვერდით, და თუმც „სათავადაზნაუროც“ ჩაერთვოდა მის დასახელებაში, არსებითად ეს იქნებოდა ეროვნული ბანკი და საერთოდაც ეროვნულ საქმეთა მოთავე და წარმმართველი: ეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაო, ეს ქართული თეატრიო, ეს ქართული გიმნაზიაო, ეს წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლაო...

და საპარლამენტო ცხოვრების წინასახედაც სავსებით ბუნებრივად გამოიკვეთებოდა, რაკიღა ისეთი კაცი ჩაუდგებოდა სათავეში, მთელი ყოფილი საქართველოს ტერიტორიისათვის რომ მოეხვია ხელი და ყველა სადავეს აქ უყრიდა თავს – სულ ცოტა ხნის წინათ დუშეთში გადაგდებული და ჩინოვნიკურ საქმეებში გაბლანდული, გული რომ უსკდებოდა: მგონი სრულიად ავცდი ჩემს დანიშნულებას და ვეღარც ვეღარასოდეს დავუბრუნდები საჩემო სარბიელსო.

ახალი ერა დგებოდა.

და სადღაც ჩაიძირებოდა და ჩაიკარგებოდა არამცთუ ახალი ერა, მისი მოლოდინიც კი, უკიდურესად გაბეზრებულ, გაწამებულ, ლამის სულამომხდარ ილიას ერთ დღესაც რომ დაეკრა ფეხი და პეტერბურგიდან გამოქცეულიყო: ჯანდაბას ყოველგვარი წესდებაც და მისი დამტკიცებაც, ჯანდაბას ყოველგვარი საადგილმამულო ბანკიო...

ბოლოსდაბოლოს ისეთსაც რას ჩაიდენდა:

რისთვისაც დიმიტრი ყიფიანს ვეღარ გაეძლო და გამოქცეულიყო.

რისთვისაც დიმიტრი ყაზბეგს ვეღარ გაეძლო და გამოქცეულიყო.

ილიაც მათ გზას დადგომოდა — ეგ იყო და ეგ.

წკიპზე კი მიმდგარიყო მისი მოთმინებისა და გაძლების უნარი, წკიპიც ვეღარ შეამაგრებდა და...

ნებისყოფის ნამცეცებს იკრებდა და ვეღარ იკრებდა.

შეუპოვრობის უნარს ინარჩუნებდა და ვეღარ ინარჩუნებდა.

და ზეცის წყალობასავით უნდა მოვლენოდა უილიამ შექსპირი და „მეფე ლირი“, ბედად ივანე მაჩაბელს უკვე რომ მოესინჯა ცალკეული ადგილები და წუხდა, რომ ამხელა წამოწყებისათვის შესაძლოა ჯერჯერობით ძალღონე არა ჰყოფნოდა.

ვანოს ილია მოევლინებოდა მშველელად და ილიას – ვანო, წესდების დამტკიცების სულისშემხუთველ მოლოდინს რომ გაუნელებდა და გაუადვილებდა და, ლამის გამოსაქცევად გამზადებულს, შეამაგრებდა უმზეო და უმთენარო ქვეყანაში, უამურ გუნებაზე მყოფი ილია მწარე-მწარე ეპითეტებს რომ არ იშურებდა პეტრეს ქალაქისა და საერთოდ იმპერიის დასახასიათებლად: რაც დაეშავებინა, დაეშავებინათ მისი სამშობლოსათვის ასე ტრაგიკულად და საბედისწეროდ და... აგერ მცირე ამოსუნთქვის უფლებასა და საშუალებასაც აღარ აძლევდნენ, კინაღამ რომ გადააყოლებდნენ საადგილმამულო ბანკის წესდების დამტკიცებას.

საიდან სად გამოუწვდიდა ხელს უილიამ შექსპირი!..

საიდან სად გაამხნევებდა და გრანდიოზული საქმის მიტოვების უფლებას არ მისცემდა!..

საიდან სად ჩაერეოდა იმპერიასთან მარტოკაცის შერკინებაში!..

როგორ აფასებდა ილია „მეფე ლირის“ თარგმნის მნიშვნელობას?

გაამდიდრებდა ჩვენს ლიტერატურას

და

დიდ როლს შეასრულებდა ჩვენი თეატრის განახლება-აღორძინებაში.

და თვით ილიასაც გამორჩებოდა ის მესამე მნიშვნელობა ამ თარგმანისა, პეტერბურგში გაუსაძლისი ყოფა რომ უნდა შეემსუბუქებინა მისთვის და ტფილისის საადგილმამულო ბანკის საქმე ფეხზე დაეყენებინა.

ეს რა მადლი დაჰყოლოდა „მეფე ლირს“, ეს რარიგ ჩარეულიყო ჩვენს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, ეს რარიგ შემოგვშველებოდა უილიამ შექსპირი, რომელმაც არც თავისი ფასი იცოდა და არც თავისი პიესებისა, თავს იმიტომ რომ იკლავდა მათი შექმნით, ეგებ მათი წყალობით როლები ვიშოვნო სცენაზეო, სადაც ეგრე ადვილად არ უშვებდნენ და თუნდ „ჰამლეტში“ მამის აჩრდილის როლზე მეტს არ გაიმეტებდნენ მისთვის, რათა უფრო მნიშვნელოვანი როლების სუსტი შესრულებით სულაც არ ჩაეფლავებინა სპექტაკლები.

...შენ ხომ იცი, ჩემი ნაჯღაბნის ქება მე თითონ არ მიყვარს, მაგრამ ეს ასეთი თარგმანია, რომ არ ვაქო, ცოდვა იქნებაო, – ადგილს ვერა პოულობდა მღელვარებისაგან ილია ჭავჭავაძე.

ბარაქალაო, — იძახდნენ ვაჟები.

და ცრემლს ვერ იკავებდნენ ქალები.

* * *

ახალი დგებოდა ერა, ახალი გზასავალი იკვეთებოდა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

და თავის წილს დაიდებდა უილიამ შექსპირის აჩრდილიც ამ ახალი დროების, ამ ახალი ეპოქის, ამ სასიკეთო ჟამის დადგომაში.

კარი მეორე

ზეთლემის ვარსკვლავი ყვარელის ცაზე

მესამოცე წლებშიაც, როდესაც მამათა სქესის ახალ-თაობა გამოღვიძებას აპირებდა, ის პატარა ცისარტყელა კახეთში გამოჩნდა და ის ღრუბლის ნაგლეჯებიც აქეთ დავინახეთ. რასაკვირველია, მიხვდებით, რომ აქ იგულისხმება თქვენიერე შვილი ბატონი ილია ჭავჭავაძე. ახლაც კიდევ სადედათ-სქესო ნიშნებსაც აქვე ვპოვებთ. ჩანს, რომ ეს საქართველოს ყოველ კუთხეზე მეტათ წამებული კახეთი ჩვენთვის ახალ-ბეთლემად დაუნიშნავს განგებას და ღმერთმა ინებოს...

აკაკი წერეთელი

და აჰა ვარსკულავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავალით, წინაუძღოდა მათ, ვიდრემდე მოვიდა და დაადგრა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმაი იგი.

სახარება მათესი

კვლავ მკითხველისადმი

შენთან შეხმიანება არ მომბეზრდება, ჩემო ძვირფასო და მოცლილო მკითხველო. მოცლილო – თორემ აბა სხვაგვარად როგორ გამომედევნებოდი წიგნიდან წიგნში, რომანიდან რომანში... ეს ის მოცლილობაა, რუსთველური განსაზღვრებით: აუცილებელი პირობა მიჯნურისა და მიჯნურობისათვის –ამქვეყნიურისა თუ საზეოსათვის. და კითხვაც რა არის, თუ არა სიმბოლო ამ ყოველივესი, შემართები ხიდი სიყვარულის ყოველგვარი გამოვლინებისა და განზომილების, ღვთაებრივი სიყვარულით მოშარავანდებულის.

ამიტომაცაა ღვთაებრივ ემბაზში ამოვლებული კითხვის პროცესი, და ხან ლოცვასთან და ხანაც აღსარებასთან გაიგივებული.

და მოცალეობაც ღვთაებრივი ბუნებისაა, ჩაწნული ლოცვას, აღსარებას ჩაგვირისტებული.

და რა უნდა იყოს უფრო მნიშვნელოვანი, თუ არა შეხმიანება მკითხველთან – ასერიგად ძვირფასსა და უსათუოდ და უთუმცაოდ მოცლილთან.

თუმც ამჯერად, ამავე ქმნილებაში რას შეიძლება გამოეწვია კიდევ ერთი სურვილი გულის გადაშლისა?

რას და:

ესათუის ნაწილი რომანისა მთლიანობას რომ მორგებით მორგებია, მაგრამ რატომღაც დამოუკიდებლობისკენაც მიიწევს: რამე რომ იყოს, ასეც შემიძლია თავის შენარჩუნება და სიცოცხლის გაგრძელებაო.

ასეთი აღმოჩნდა სწორედ ამ ქრონიკაში ეს ორი კარი, სხვადასხვა მთხრობელის მონაყოლზე აწყობილი, რომლის პირველსაფუძველიც „ეკლიანი და პატარა გზაა“, ოდესღაც მართლაც თავისთავადი თხზულება, ახლა რაღაც დიდს რომ უნდა შერწყმოდა, მაგრამ მთლად იმ სახითაც არა, და თავისივე მსგავსი ნაწილიც აუცილებლად უნდა აღმოეცენებინა, ალიკვალი და ტყუპისცალი კომპოზიციური სამოსელით.

და ეს ორი ნაწილი, ერთიმეორის გამაწონასწორებელი, თან დამოუკიდებლობისკენაც მიილტვის, და თუმც თავიანთ ნებაზე უკვე აღარავინ გაუშვებთ და ერთიან სიუჟეტურ ჩარჩოში უნდა ჩარჩნენ, მაინც სურთ გაგრძნობინონ, რომ თავიანთ განსხვავებულობას აფასებენ და დიდადაც აფასებენ.

ამიტომაც გაჩნდა საჭიროება კიდევ ერთხელ შეხმიანებისა შენთან – ძვირფასოც და მოცლილოც!..

პირველსაფუძველი „ეკლიანი და პატარა გზააო“...

და პირველსაფუძვლის პირველსაწყისი ამ შესავალს უნდა გაეხსნა.

ეს პირველი შემთხვევა კი არა ყოფილა ჩვენი რედაქციის ცხოვრებაში.

ხელნაწერს გვარ-სახელიც არ ეწერა ავტორისა, არამცთუ მისამართი და ტელეფონის ნომერი. დატოვა და აღარც გამოჩენილა. წიგნი უფრო იყო, ვიდრე ვრცელი თხზულება და გაგვიკვირდა კიდეც, გაზეთში რამ მოატანინა, გამომცემლობისათვის წარედგინაო.

თუმცა არა მგონია იქ დიდად გამოედოთ თავი.

თხზულება ძალიან გაჭიანურებული გახლდათ, უამრავი გულუბრყვილო, ზედმეტი ჩანართით სავსე და სტილურადაც საკმაოდ დასახვენი. ჟანრის განსაზღვრაც კი ჭირდა ზუსტად. ვერც სახელწოდება შეერჩია ავტორს. რამდენიმე სავარაუდო სათაური მიეწერა ფანქრით, ერთმანეთზე უფრო ბანალური.

ერთი სიტყვით, ძნელად დაუდებდი გულს, რომ ბოლომდე ჩაჰყოლოდი.

პროფესიული კეთილსინდისიერება რომ არა, შუა გზაზე შევწყვეტდი კითხვას და ავტორის გამოჩენამდე სარედაქციო არქივში მივუჩენდი ბინას.

მაგრამ... ბოლოში რომ გავედი, მომეჩვენა, მთლად გადასაგდები არ უნდა ყოფილიყო. ის ზედმეტობები ძალიან უშლიდა ხელს და მისგან თუ გაინმინდებოდა, ანუ დაახლოებით ათი თაბახი ერთ თაბახამდე შემცირდებოდა, იქნებ გამორჩეულიყო დასაბეჭდად მეტ-ნაკლებად ღირებული ნაწილი.

გადამუშავებაზე არ მიზრუნია. ანკი რატომ უნდა მეზრუნა?

მხოლოდ ამოვკრიბე ცალკეული ფრაგმენტები და სტილურადაც იმდენად ჩავასწორე, რის უფლებასაც რედაქტირება მაძლევდა.

სათაურზეც ბევრი ვიფიქრე და ბოლოსდაბოლოს კოლაუ ნადირაძის ლექსს დავესესხე. გახსოვთ არა? — წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა, წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა, წიწამურიდან საგურამომდე ლურჯი მთები და უძირო ცააო.

ავტორს თუ არ მოეწონება, შეუძლია სახელწოდებაც შეცვალოს და სულაც თავისი ვარიანტი აღადგინოს — თუკი ვინმემ მოინდომა გამოქვეყნება.

მე თუ დამიჯერებს, მეეჭვება, გამოსაცემად სხვამაც გამოიდოს თავი, და გამომცემლობიდან გამომცემლობაში სიარულით ამაოდ დაშვრება.

ამ კომპოზიციური აღნაგობით კი პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთ სახეობად წარმოგვიდგება. ჟანრის ზუსტად განსაზღვრა რომ ჭირდა, იქნებ ეს მოდური ლიტერატურული მიმდინარეობა მოგვეშველიებინა და მისი ახსნა ლიტერატურისმცოდნეობისა და ბელეტრისტიკის ზღვარზე გვეძია?! რუსებს ძალიან ეამაყებათ, პოსტმოდერნიზმის ეს სახეობა საუკუნის მიწურულს რომ გამოჩნდა მათ სამწერლო ცხოვრებაში, თუმც ჩვენთვის ეს სიახლე სულაც არ არის და ქართული ლიტერატურა პროზის ამ სახეობას სამ ათეულ წელზე მეტია გამოხატავს ისტორიული ნოველა-ესეების ფორმით.

იოლი მისახვედრია, რასაც ვგულისხმობ და დასამალიც რა არის, თუმც მსჯელობა რომ გავაგრძელო, კრიტიკული ანალიზი უფრო გამომივა, ვიდრე გამომცემლის წინათქმა, რასაც სულ არ ევალება ამგვარი წიაღსვლები თუ ექსკურსები. დაე კრიტიკოსებმა იტეხონ თავი მისი წინამორბედის დადგენაზეც და იმის გამორკვევაზეც, რა ეყრდნობა უშუალოდ მემუარებსა თუ ოფიციალურ დოკუმენტებს და რა შეიძლება იყოს ავტორის წარმოსახვის ნაყოფი.

მე შენ გეტყვი, ისე გაძნელდება, როგორც ვაჟა-ფშაველას ეპიკური თხზულებებიდან გაძნელდა ამოკითხვა იმისა, რა იყო ხალხის ფანტაზიით ნაწყალობევი და რა — თვითონ ეპიკოსისა... თუმც თვითონ რომ გაამჟღავნებდა გულღიად, დაუჯერებდნენ?

წინათქმისაგანაც თავს შევიკავებდი, მაგრამ არ მინდა, ვინმემ ეს თხზულება ჩემად მიიჩნიოს და იმ უცნობი ავტორის ნაცვლად მე მომკითხოს მისი შეცოდება-ნაკლოვანებანი. ჩემი არ მეყოფა რო?!.

...ისე ნეტა დროულად გამოჩნდეს მაინც.

თქვენი არ ვიცი და მაინცდამაინც არ მომდის გონებაში ეს იდუმალებითმოსილი პერსონები.

* * *

ამ თხზულებას „ომეგას“ სალონში რომ წავიკითხავდი, წინასწარვე განვაცხადებდი, მე მხოლოდ დეკლამაციაზე ვაგებ პასუხს-მეთქი.

არ დამიჯერებდნენ. მისტიფიკაციის ხერხი იქნებაო. არადა, ნამდვილი ავტორი იქნებ დარბაზშიც იჯდა.

გამოტეხვით არ გამომტყდარა.

ჩავათავე და:

რატომ უფრო მეტი არ არისო? მეტი არ ამოიკრიბებოდა-მეთქი.

აბა, კიდევ ჩაუკვირდი, იქნებ მოიძებნოს საკმარისი მასალაო.

ერთმა მირჩია:

გიგა ყიფშიძეც ჩაგემატებინაო.

მეორემ:

მიხეილ ჯავახიშვილის არარსებობა დამაკლდა გულსო...

ზოგმა რა და ზოგმა კიდევ რა...

ისიც ითქვა: პოსტმოდერნულ ქმნილებაში პირველადაა გამოყენებული მემუარები და საგამოძიებო ოქმები, და ეს გარემოება სიახლედაც კი შეიძლება ჩაითვალოსო.

პირველობის პალმა გაილანდა ასე მოულოდნელად და, გითხრათ სიმართლე, გულის დაწყვეტა ვიგრძენი — ნეტა მართლა ჩემი ყოფილიყო, ახალი ნაკადის სათავეში აღმოვჩნდებოდი-მეთქი. ისე ნამდვილი ავტორი თუ არა და არ გამოჩნდება, ძალაუნებურად მე მომეწერება და მაშინ თავს ძალიანაც არ გამოვიდებ. დიდია ჟინი პირველობისა და ამ ცდუნებას იქნებ ვერც მე გავუძლო.

ჩემით ისევ დეკლამაციაზე პასუხისმგებლობას ვჯერდები.

ერთი და ორი ეპიზოდის ჩამატება მართლა დამიჯდა გუნებაში. დიდხანს ვატრიალე ის ანონიმური ჩანაწერები და შევატყე, ნამდვილად გამოიკრიბებოდა ერთი და ორი კი არა, გაცილებით მეტი მასალა.

პირვანდელი ვერსია ორ ადგილას შეივსო (ვაჟა-ფშაველასა და ნოე ჟორდანიას მონათხრობები), ხოლო გიგა ყიფშიძე, სამსონ ფირცხალავა, ფილიპე გოგიჩაიშვილი, იროდიონ ევდოშვილი, არჩილ ჯორჯაძე, მიხაკო წერეთელი, ვასო ნაცვლიშვილი, დიმიტრი ჯაში, ფოთოლათ მერცხალა, წყალობა ბიჩნიგაური, კარლო ჩხეიძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი სულ ახალია; მიხეილ ჯავახიშვილი თვითონ არა ჰყვება, თორემ მისი მემუარული ფრაგმენტები სხვადასხვა ეპიზოდში გადანაწილდა, ცხადია, იმ გვარით, როგორც მაშინ იცნობდნენ: ადამაშვილი.

საკმაოდ შევსებულა, არა?

ერთი იმდენით, რაც პირვანდელი ვერსია გახლდათ.

დარბაზის სურვილს ანკი როგორ გადავიდოდი.

მითუმეტეს: კომპოზიციური სტრუქტურა ისეთია, დაუსრულებლად შეიძლება გაიზარდოს.

ხომ შეიძლება კვლავაც მივუბრუნდე?

წინასწარ, აბა, რა მოგახსენოთ!..

...კიდევ ერთხელ ვაცხადებ გულწრფელად — არ არის აქ არავითარი მისტიფიკაცია, ჩემი მხოლოდ მონტაჟია, ეგ არის და ეგ; და თუკი მაინც მე მომეწერება, რა ვუყო... მითუმეტეს, პოსტმოდერნიზმში სიახლის შემოტანა ძალიან მხიბლავს...

და თუ ნამდვილი ავტორი ახლა მაინც გაამჟღავნებს თავს, წაიღოს, უარზე არა ვარ. თანაავტორადაც არ ჩავეზიარები.

ბოლოსდაბოლოს, არც დეკლამატორობაა ხელწამოსაკრავი პროფესია....

და პირველსაფუძვლის შევსებულ-გაორმაგებულ ვერსიას ეს მეორე შესავალიც უნდა მიმატებოდა.

დამთავრებულად კი მიმაჩნდა ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის უკანასკნელი ჟამის აღდგენის ეს ვერსია, მაგრამ უნებურად მაინც დამცდა პირველი გამოცემის ნინასიტყვაში: ხომ შეიძლება კვლავაც მივუბრუნდე-მეთქი.

მასალა იმდენი ჩამვარდნოდა ხელთ შემთხვევითობის წყალობით, იმჟამად არა, მაგრამ დროის მსვლელობასთან ერთად იქნებ კიდევ მეპოვნა ამ მცირე თხზულებაში გადმოსატანი ფრაგმენტები.

მკითხველის ცნობისწადილს შეეძლო ყველაზე მეტად ჩემი შეგულიანება — გამომცემლისათვის, მოგეხსენებათ, ესაა უმთავრესი საზომი და მეც მკითხველთა გამოხმაურებას ვაყურადებდი.

ამ დეტექტიური ცდის ორიგინალურმა აღნაგობამ გამოიწვია ჩემი მიპატიჟება ხან სად და ხანაც სად — ეს თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტიო, ეს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტიო, ეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალიო, ეს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტიო, ეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიო.

მაინც პროფესიის შეცვლაზე ვფიქრობდი და მაინც... და ბარემ გულდასმით მომესინჯა თავი დეკლამაციაში.

სხვათა შორის, ქუთაისური თავყრილობის წინ ტელეკომპანია „რიონის" დილის გადაცემის („დილის კაპრიზი") ლიტერატურულ ციკლში მომიწევდა გამოსვლა ელგუჯა თავბერიძესთან ერთად და ტელემაყურებელთა გამოხმაურებანი — პირდაპირი ეთერის ეს სიუჟეტი ძალიან გააგრძელეს და, გადაცემის ავტორი და ტელეწამყვანი ნინო ნებიერიძე ენერგიულად რომ არ ჩარეულიყო, დამთავრება ალბათ აღარც ეწერა — კიდევ ერთხელ დამარწმუნებდა, რაოდენ ცოცხლად და მძაფრად ტრიალებს ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში ილიას ცხოვრების ყველაზე დრამატული ხანა, ნიწამურის გასროლით დაგვირგვინებული.

თბილისის სკოლა-კომპლექსი „სადუნიც" დაინტერესდა ამ ქმნილებით და საქართველოს რადიოს დრამატულმა რედაქციამ სულაც ახლებური სიცოცხლე მიანიჭა — ხუთსერიან რადიოსპექტაკლად დადგა. პირველად გადაიცა საზოგადოებრივ რადიოში 2006 წლის 30 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე. სცენარიც და რეჟისურაც კობა ცხაკაიას ეკუთვნის, თვითონ ჩინებულ ბელეტრისტს, დრამატურგსა და, სხვათა შორის, მსახიობსაც; და ისე ოსტატურად გაიაზრა და შეჰკრა ეს ახალი ვერსია მსახიობთა კარგად შერჩეული გუნდის წყალობით (ლილი ხურითი, ზურაბ ჯინჭარაძე, სოსო ელიზბარაშვილი, ნუკრი არჩვაძე და დათო როსტომაშვილი), არაერთ შემთხვევაში ძალიანაც მოვიხიბლე რეჟისორული მიგნებებით და შემეხარბა, მე რომ მომფიქრებოდა ეს სიუჟეტური სვლები, ამ წიგნსაც გაამრავალფეროვნებდა-მეთქი:

ვთქვათ, ნოე ჟორდანიას ჩანართი რადიოვერსიაში ინტერვიუდაა წარმოსახული, კარლო ჩხეიძისა — საარჩევნო სიტყვად... თუმც რაც არის, არის, რადიოსპექტაკლს ხომ ძალიან მოუხდა და ესეც საკმარისია.

გორსა და სიღნაღში სტუდენტებიც შემეშველნენ დეკლამაციაში და არ გამკვირვებია მათი საკმაო მომზადება და მსახიობური უნარის გამოჩენა, რადგანაც ერთგან მარინე გიგაშვილი, ნინო ქოქოშვილი და ზაზა ცოტნი-

აშვილი ხელმძღვანელობდნენ სანახაობრივ მხარესაც, მეორეგან კი — მაია თოფურია და სოსო მახარაშვილი.

უკვე მაშინ გამიჩნდა სურვილი, გულდასმით ჩავჯდომოდი უცნობი ავტორის მოტანილ ვეება საქაღალდეს და ცალკეულ ადგილთა ამოკრებამონტაჟი კიდევ მეცადა.

ეს, ცხადია, უფრო იოლია, ვიდრე შემოქმედებითი წვა და გარჯა, მაგრამ თავისი განწყობილება და სულიერი მზადყოფნა ამასაც სჭირდება და შენს ნებაზე ვერაფერს დააძალებ საკუთარ თავს.

და აი ქუთაისის ლიტერატურული თავყრილობა, გია ხოფერიასა და ელგუჯა თავბერიძის თაოსნობით გამართული, აღმოჩნდება საბაბი ამ დეტექტიური ცდის ისე შევსებისა, უკვე ახალი რედაქცია რომ შეიქმნება, რაკიღა ვინ აღარ ჩაემატება:

ეს იაკობ გოგებაშვილიო, ეს სოსო მაჭავარიანიო, ეს მიხა ბოჭორიძეო, ეს სილიბისტრო ჯიბლაძეო, ეს ნოშრევან ჯაფარიძეო, ეს ილია ნაკაშიძეო, ეს ივანე მაჩაბელიო, ეს ვასილ ველიჩკოო, ეს კიტა აბაშიძეო, ეს გიორგი ლასხიშვილიო, ეს გრიგოლ რობაქიძეო, ეს ივანე ინაშვილიო, ეს დავით მესხიო, ეს კოლა ორბელიანიო, ეს ვასილ მაჩაბელიო, ეს ეკატერინე გაბაშვილიო, ეს შალვა დადიანიო, ეს იონა მეუნარგიაო, ეს ყარამან ფაღავაო, ეს კოტე აფხაზიო, ეს სიმონ ქვარიანიო, ეს პეტრე უმიკაშვილიო, ეს მიშო მაჩაბელიო, ეს ნინო პოლტორაცკაიაო, ეს ექვთიმე თაყაიშვილიო, ეს თედო ლაბაურიო, ეს ვასილ კირვალიძეო, ეს ოლღა გურამიშვილიო, ეს გიორგი ჟურულიო.

ჩამოვთვლი იმ თანმიმდევრობით, როგორც ხელნაწერიდან ამოიკრიბა, თორემ წიგნში სულ სხვაგვარად ჩალაგდა ეს ყოველივე.

საკმაოდ არის, არა?..

და გაკვირვებით ახლა გავიკვირვებდი, ზოგიერთი მაინც როგორ ვერ მოხვდა თავდაპირველ ვერსიაში-მეთქი.

რაოდენ ნაკლული ყოფილა თურმე.

ვინ იცის, ნაკლული ახლაცაა, მაგრამ გასაგრძელებლად ველარაფერი შემირჩევია და ისევ ვაცლი, ვიდრე ოდესმე მივუბრუნდებოდე... ანდა აღარც მივუბრუნდებოდე. მართალია, აღნაგობა მაცდურია ამ ყაიდის თხზულებისა და ყოველთვის იოლად მოხერხდება ახალ-ახალი ჩამატებანი, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ გაუთავებლად ვავსებდე და ვავსებდე?!.

ამასობაში კი იქნებ ნამდვილი ავტორიც გამოჩნდეს.

გამოჩნდეს და... მეც მოვისვენებ, თორემ ვინ მე და ვინ კალამი... და აღარც ჩემს საქმეს მოვწყდებოდი ასე უნუგეშოდ.

და ეს ყოველივე სრულიად ახალ გარემოში უნდა მოხვედრილიყო, ვეება ნაგებობა მას და სწორედ მას რომ უნდა დაშენებოდა.

უშუალოდ ეს მონაკვეთი – პერსონაჟთა ეს გალერეა თუ მინიატურათა 55-მარცვლოვანი ასხმულა – არაერთი მონათხრობით უნდა შევსებულიყო: კოტე მესხის, ისიდორე რამიშვილის, რომანოზ ფანცხავას, იპოლიტე ვართაგავას,

ზაქარია მაჭავარიანის, შალვა ნუცუბიძის, გიგლა ბერბიჭაშვილის, შალვა ამირეჯიბის, თედო მეგრელიშვილის, ვასილ წერეთლის, კონსტანტინე გამსახურდიას, გერონტი ქიქოძისა და რეზო ჭეიშვილის. და ამ შევსებას დაკვირვებული მკითხველის გარდა ვერც ვერავინ შეატყობს, რადგანაც პირწმინდად ნარჩუნდება ის ფორმა, ივანე ამირხანაშვილი „მარტივად" რომ მოიხსენიებს, რათა ამ ეპითეტს ეფექტური განმარტება-გაგრძელება მიადევნოს:

მაგრამ მარტივი ფორმის მიღმა რაღაც სხვას ხედავ, სხვა რამეს გრძნობ, სხვა მიმართულებისკენ მიჰყავხარ ფიქრს, ნება-უნებლიეთ ეძებ იმას, რაც აქ არ არის, თუმც გაგონდება, გეგულისხმება, აჩრდილივით წარმოგიდგებაო.

და კიდევ:

უკეთესი ფორმის მოძებნა ალბათ არც შეიძლება ამ ეტაპზე, როცა დასრულებულია ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარემოებათა ძიების ისტორიულ-იურიდიული დრო და დაწყებულია მითოლოგიზაციის პერიოდიო.

და კიდეც უნდა მოხსენიებულიყო გალაკტიონ ტაბიძე, რომლის სტრიქონმაც:

– წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი.

დაიწყო სწორედ ამ ტრაგიკულ-ჰეროიკული აქტის მითოლოგიზირება.

კრიტიკოსი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ:

წიწამურის საიდუმლოს ამოხსნა ნიშნავს, რომ ამოხსნა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფიერება.

და რომ:

თქვენმა მონა-მორჩილმა აირჩია ეს გზა, როგორც ერთადერთი და სწორი.

და არაერთ საგულისხმო მოსაზრებასთან ერთად გამოთქვამდა ივანე ამირხანაშვილი იმ შენიშვნასა თუ რჩევასაც, რომ:

კარგი იქნებოდა, თვითეული მთხრობელის ვინაობაზეც თქმულიყო ორიოდ სიტყვა იქვე, სქოლიოში ან წიგნის ბოლოსო.

და მიაყოლებდა ვარაუდსაც:

ეს წიგნი გაგრძელდება, შეივსება, გაფართოვდება შენიშვნებსა და სქოლიოებში. სქოლიოებშიც უნდა ითქვას სათქმელი, რადგან სქოლიოსაც აქვს თავისი შინაარსი, თავისი მისტიკა, თავისი მარილიო.

კიდეც ვაპირებდი გამეზიარებინა ეს რჩევა და მეკმარა არა ძუნწი აღნიშვნა-მინიშნებანი, არამედ სქოლიური მონაკვეთიც მექცია მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილად თხზულების ისედაც ორიგინალური აღნაგობისა, მაგრამ – ხედავთ თქვენი თვალითვე – პირველსაფუძველი სულ სხვაგვარად გაგრძელდა, სულ სხვაგვარად შეივსო და გაფართოვდა.

თავისივე მსგავსი ნაწილიც აუცილებლად უნდა აღმოეცენებინა, ალიკვალი და ტყუპისცალიო...

და შეივსებოდა პერსონაჟთა გალერეაც (თუმც ერთი-ორი ისტორიული პირი იმ ნაწილიდან აქაც გადმოინაცვლებდა) და ილიას მონუმენტური ფიგურა ახლა მათ მზერაში უნდა არეკლილიყო: ეს ილია წინამძღვრიშვილიო, ეს ლავრენტი არდაზიანიო, ეს გრიგოლ ორბელიანიო, ეს ოლღა გურამიშვილიო, ეს დავით ერისთავიო, ეს სალომე ლოლაძეო, ეს სოფრომ მგალობლიშვილიო, ეს

ივანე პოლტარაცკიო, ეს არტემ ახნაზაროვიო, ეს კოტე ყიფიანიო, ეს ილია ზურაბიშვილიო, ეს ოლღა აგლაძეო, ეს ეკატერინე გაბაშვილიო, ეს ალექსანდრე ყიფშიძეო, ეს ივანე ბუქურაულიო, ეს მაქსიმე შარაძეო, ეს გიორგი საძაგლიშვილიო, შემდგომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი რომ შეიქნებოდა კირიონ მეორის სახელით და... ილიასავით ტრაგიკულ-ჰეროიკული ბედი ერგუნებოდა ავტოკეფალური ეკლესიის ამ პირველ მესაჭეს, ეს იოსებ გრიშაშვილიო, ეს ნატო გაბუნიაო, ეს ალექსანდრე ყაზბეგიო, ეს ნინო ყიფიანიო, ეს ანასტასია ერისთავი-ხოშტარიაო, ეს ზაქარია ყიფშიძეო, ეს ივანე მაჩაბელიო, ეს დანიელ მასლოვიო, ეს ისიდორე რამიშვილიო, ეს აკაკი წერეთელიო, ეს ვასილ წერეთელიო, ეს ვახტანგ ჭელიძეო.

თვალდათვალაც შეატყობდით:

ამ გალერეაში გაცილებით ნაკლები პერსონაჟია – სულ 28, ოღონდ პირველსაფუძვლისაგან განსხვავებით ამჯერად ზოგიერთს ორჯერ და სამჯერაც უწევს მთხრობელის როლში ყოფნა.

და უშუალოდ ავსებს ეს კარი მისტიკურ დეტექტივს.

უშუალოდ, თავისი ტყუპისცალობით, თორემ მთელი ეს ვეება ნაგებობაც აქეთ არ მოისწრაფის: წიწამურ-გოლგოთისაკენ?

სადღაც ხომ უნდა მოთავებულიყო წიწამურის მისტერიის მითოლოგიზირება?

საამისოდ ყოველგვარი პირობა არსებობდა უკვე და მხოლოდღა მოგუმბათება აკლდა.

* * *

გენანებათ, სქოლიოებში რომ გამოუხატველი დარჩა სათქმელი და დაგაკლდათ სქოლიური შინაარსი, მისტიკა და მარილი?

ცალკე თხზულებადაც შეიძლება შედგეს „სქოლიონების" ქვესათაურით... და ეგებ სხვა დროსაც ძალიან გამომადგეს, სხვა პიროვნების ცხოვრების მდინარებაში შესვლისას: შემავსებლად ანდა მაშინაც ცალკე ქმნილებად – არსებული ან არარსებული რომანის თავისებურ გაგრძელებად.

ილია წინამძღვრიშვილი

სადღაც უნდა მქონდეს ჩემი სეხნიას ის ბარათი, აი ის, 1861 წლის თებერვალსა თუ მარტში გამოგზავნილი, თავის იმ სტატიას მე რომ მანდობდა, ამხელა აურზაური რომელმაც გამოიწვია, ვითომ მხოლოდ რევაზ ერისთავის თარგმანს აკრიტიკებდა, ივან კოზლოვის „შეშლილს", და... ძირფესვიანად გადაატრიალა კი ჩვენი ლიტერატურა.

ჰო აგერ:

აი ამ სტატიას გიგზავნი, ჩემი საკუთარია, თუმც სხვა გვარი აწერია; მე არ მინდა გამოვაჩინო, რომ ეს ჩემი დაწერილია მიზეზისა გამო სხვისა და სხვისაო.

შენც ძალიან შეგეხვეწები, რომ არ გამოააშკარაო არავისთან, ხელაღებით არავისთან; ამისთვისაც არ მინდა, რომ შენ მიუტანო კერესელიძეს ეს სტატია, რადგანაც ის მიხვდება, რომ შენ ჩემს მეტი არავინ გიგზავნის სტატიებსაო.

ისე უნდა მოიქცე, რომ თვითონ რედაქტორსა და ცენზორსაც არ შეატყობინო; კანონით იმათ უთუოდ უნდა იცოდნენ, მაგრამ შენ, როგორც იყოს, სხვა მხრივ დააჯერე, რომ მართლადა აზნაური ზუმბერიძე მართალი გვარია და არა მოგონილიო.

ამას გარდა: თუ ვინიცობაა კერესელიძემ არ დაბეჭდოს, უთხარ როგორმე, რომ ეს ზუმბერიძე რომელიმე რუსის ჟურნალსა ან გაზეთში გიჩივლებს ქართველებთან და გაგირჩევს შენს საკუთარ ლექსებსა-თქო.

ვიცი კერესელიძეს თავად რევაზ შალვას ძე ერისთავისა ეშინიან და იქნება იმისთვის არ დაბეჭდოს. მაშინ ეს სტატია ჩიკვაიძე მიხაკოს უნდა მიუტანო, აქამდის ის ქალაქში იქნება მოსული. ასე, შენი ჭირიმე და შენი კუჭისა, როგორც გეუბნები, ისე მოიქეც, ჩიკვაიძისთვის მე აქ ყველაფერი მითქომს, იმან თვითონ იცის, როგორც მიუტანოს კერესელიძესაო.

აქ მემშვიდობება: შენი ძმა და მეგობარიო, – მაგრამ მერე ბოლოში მიაწერს:

ეს ლექსები კი შენ მიუტანე კერესელიძეს. ერთი წიგნი მომწერე, ჩემი „აჩრდილი“ და „ჰაჯი-აბრეკი“ რა ყოფაში არიანო.

ბარათის თავში კი ეს მინაწერია, ვანო პოლტარაცკისთან რომ მაბარებდა მოკითხვას და დასძენდა: უთხარი, რა დავუშავე, რომ წიგნს არა მწერსო?

„აჩრდილისა“ და „ჰაჯი-აბრეკის“ ამბავი ჩემზე უკეთ თუ არა, არანაკლებად თქვენც გეცოდინებათ, ილიას ორიგინალური და თარგმნილი პოემებისა, და აბა მე რაღა უნდა გითხრათ, ჩემს სეხნიას კი მაშინ მივწერე და ყველაფერიც შევატყობინე.

ლავრენტი არდაზიანი

რას ერჩოდა ეს ილია ჭავჭავაძე ჩახრუხაძეს, რატომ უნდა ასტეხოდა, ანდა საზოგადოებისათვის რატომ უნდა ესაყვედურა ასეთი გაბედვით: დიდი მწერლის ხმა აქვს ჩვენში დაგდებული და ვეღარ გვიხსენებია შოთა რუსთველი, იქვე რომ არ წამოაკუნკულონ ჩახრუხაძე, არადა სად რუსთველის ლექსის მჩქეფარება და ლალი მდინარება და სად ჩახრუხაძის ვაი-ვაგლახით და კისრის მტვრევით მოგოგმანე ცხენივით დავარდნილი, ტყვიასავით მძიმე ლექსიო!..

ანტონ კათოლიკოსს ედავებოდა უთუოდ და პლატონ იოსელიანს იმისი სახელის გაბერვისა და ამაღლებისათვის, თორემ არა მგონია ჩვენს საზოგადოებაში ასერიგად აფასებდნენ ამ პოეტს, „ვეფხისტყაოსანს“ უთანაბრებდნენ მისეულ თამარის ქებას.

აფასებდნენ და უთანაბრებდნენ კი არა, მე მკითხეთ აგერ, აღარც აღარავის ახსოვდა და ქუჩა-ქუჩა რომ დაგევლოთ და გეკითხათ გამვლელ-გამომ-

ვლელისათვის ჩახრუხაძეზე, ორი ადამიანიც ვერ მოგიგებდა, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო ამ გვარის კაცი. აღარც აღარავის სმენოდა.

ახლა კი, ჭავჭავაძის სტატიის გამოქვეყნების მერე, ყველა ჩახრუხაძეს ახსენებს, ყველა მისით დაინტერესდა, ეძებენ, თხოულობენ, კითხულობენ. ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც აღტაცებულნი დარჩენილიყვნენ, მაგრამ ამჟამად ლამის სხვა აღარაფერი გაისმის: ჭავჭავაძე და ჩახრუხაძე, ჩახრუხაძე და ჭავჭავაძეო...

ეს არის ჩვენი დღევანდელი სამწერლო ცხოვრება, მოდუნებული, მიყრუებული ერთბაშად რომ გამოცოცხლდა და საკმაოდ შორსაც გასცდა ვიწრო წრეს – ჟურნალ „ცისკარსა“ და მის ორიოდე ხელმომწერს.

ჭავჭავაძეს ეგონა: მოვსპე ჩახრუხაძეო.

საწინააღმდეგო შედეგი კი გამოიღო მისმა იმ მკაცრმა შეფასებამ, გამმეტებელმა, მისდა მოულოდნელად სულაც მკვდრეთით რომ აღადგინეს ჩახრუხაძე. მოიძიეს ანტონ კათოლიკოსის შესხმა: ჩახრუხაძე, უცხო პიიტიკოსი, თამარ დიდისა მმკობი შაირებითა, შოთას შაირთა, თუ სთქვა უკეთესთაცა, მთქმელი მესტიხე, დიდი სიბრძნის მოყვარე, ყოვლად საქები, რიტორთ მესხით გვირგვინიო, – და ჭავჭავაძის აზრების დარღვევა რომ სცადეს, ანტონის ეს სიტყვებიც გამოიყენეს: აი როგორი კაცის დამცირებას ლამობს სრულიად უსაბუთოდ და უსამართლოდაო.

ექვთიმე წერეთელი ჩახრუხაძეს რომ გამოესარჩლა, ეს საბაბი აღმოჩნდა, განა ვერ მივხვდით, იმ სტატიას გაეღიზიანებინა ჭავჭავაძისა, განსაკუთრებით მაინც ანბანიდან ხუთი ასო-ნიშნის ამოგდებას, და ჩახრუხაძეს დასაცავად კი გამოიდო თავი, მაგრამ რად გინდა, ისეთი ფაშარი და მძაღე დომხალი შეაზავა, მისმა ჭამამ ყელი ამოგვიხანძლა. ჩვენ როგორღაც მოვითმინეთ და მოვინელეთ ეს დომხალი, მაგრამ პეტერბურგელმა თერგდალეულებმა ვერ მოითმინეს და დაუშინეს კიდევ გორისელ წერეთელს ქვა და გუნდა, და ისინიც ზედ მიაყოლეს, ვისაც ექვთიმე წერეთელი ზედ გადაეფაფრა, მათ შორის ჩახრუხაძეც საკმაოდ აქიაქეს. მე თუ მკითხავთ, ყველა ქვა სამართლიანად დაკრიბეს, გარდა ჩახრუხაძისა – ნეტა იმას რაღას ემართლებოდნენ!..

ვერ ვიგებთ, გულს რატომ იშფოთებენ ჭავჭავაძე და მისი მომხრენი – დიდი ხანია დაიმსხვრა ჩახრუხაძის ჩანგი, დიდი ხანია აღარ მოისმის მისი გალობის გუგუნი, დიდი ხანია სულაც წყალშია გადაგდებული.

ახალნო მნათობნო, ჩახრუხაძეზედ, რაც გნებავთ, ბრძანეთ, არა მგონია, ვინმეს ეწყინოს, მაგრამ ვალდებულნი კი ბრძანდებით პასუხი გასცეთ საზოგადოებას, რომელსაც, თქვენი ფიქრით, ვითომც არ შეუძლია გაარჩიოს ჩახრუხაძე რუსთაველისაგან.

რაღა დროს ჩახრუხაძე და მისი ლექსის გაკიცხვაა, როდესაც ადამიანი კვლავინდებურად ყურებდაცქვეტილია და ენაგაჩარხული, რათა: ან გაიგოს და ან გადასცეს სხვას ახალი, ცოცხალ-ცოცხალი რამ ამბავი, გინდ სრული სიცრუეც იყოს.

ეს საკაცობრიო სენია, მაგრამ ველურ და გაუნათლებელ ხალხს ისერიგად არ ახასიათებს ეს ავადობა, როგორადაც განათლებულ საზოგადოებას. აგერ

ათენელებს ის დღე დაკარგულად მიაჩნდათ, როდესაც ახალ ამბავს არ შეიტყობდნენ. და ევროპაც რაც უფრო ნათლდება, მითუფრო უძლიერდება ეს სენიც. აღარ სჯერდებიან შინაურ ახალ ამბებს და ისურვეს, რომ მსწრაფლ, ყოველდღე – ცალკე დილით და ცალკე კიდევ საღამოს – შეიტყონ ახალი ამბები უცხო ქვეყნებისაცა, და სიამისთვის მოიგონეს წიგნის ბეჭდვა და ახალი ამბების გადასაცემად გაზეთები, რომელნიც დღითიდღე მრავლდებიან.

გაზეთები დაუყოვნებლივ რომ მიუვიდეთ, გამოიგონეს კურიერები, ორთქლის მოსიარულე ხომალდები, რკინიგზები. ამასაც აღარ დასჯერდნენ და გამოიგონეს ტელეგრაფი, რომელიც ათ წუთში მოგირბენინებს შორი ქვეყნიდან ახალ ამბავსა.

ნუ იფიქრეთ, პარიჟისა და ლონდონის ბულვარებზე და ტროტუარებზე ხალხი დადიოდეს ახალი ამბის შესატყობლად. არა, იქ გუშინ საღამოს რაც მოხდა, იციან დღეს დილითვე, ვიდრე გამოვლენ კარზე, და რაც დღეს დილით მოხდება, იციან დღესვე საღამოს გაზეთებით.

რას ბრძანებთ, რომ საქართველო არა ყოფილა ისე განათლებული როგორადაც იყო უწინ ათენი და დღეის დღეს არის ევროპა?

რაც უნდა იყოს, ეს კურთხეული სენი შემოჰპარვია ქართველების თირკმელებსაც და ჩვენი მამა-პაპანიც ისევე დაუმონებია, როგორადაც ათენელნი და ევროპელნი.

მაინც როდიდან გაგვიძლიერდა ეს სენი?

იქნებ მეთორმეტე საუკუნიდანაც.

ქართველობას არც არასოდეს მოჰკლებია ახალი ამბები – გვიძებნია და გვიპოვნია კიდეც. დაბეჭდილი გაზეთები არა გვქონია? სამაგიეროდ სიტყვიერი გაზეთები მოგვეპოვებოდა.

სიტყვიერი გაზეთები რას ნიშნავს?

თქვენი გამკვირვებია, რომ ვერ მიმხვდარხართ. ტფილისი გადასცემდა ყოველ მხარეს ახალ ამბებს; თვით ტფილისში კი გაისმოდა ამბები სალაყბო მოედნიდან. აქ შეიყრებოდნენ ხოლმე და აქ შეიტყობდნენ ერთმანეთისაგან, ქვეყნის ოთხივე კუთხეს ვინ როგორ იყო და სად რა მომხდარიყო; თითქმის მეფის დარბაზის საპოლიტიკო საიდუმლოებასაც კი, ნამდვილსა თუ გადაკეთებულს, გამოიტანდნენ, გამოიკვლევდნენ, მოიწონებდნენ ანდა დაიწუნებდნენ.

ეს ახალი ამბები და ეს საიდუმლოებანი გინდ სრულიად სიცრუეც ყოფილიყო, თავს არავინ აიტკიებდა ჩხრეკა-დაზუსტებით, რადგანაც მათი ნამდვილობა არც სურდათ შეეტყოთ, და არც საჭირო იყო: სურვილი ხომ მოიკლეს, ახალი ამბები ხომ შეიტყეს, გათავდა, სინამდვილე მათი გამოჩნდებოდა თავისთავად, დროებით! სალაყბოდან გაიფინებოდა ახალი ამბავი მთელს ქალაქში.

და უნდა გენახათ, როგორადაც იმავე დღეს, ანუ მეორე დღეს, დილაადრიანივე, მოხუცი დედაკაცი მიძვრებოდა მეზობლისას ახალი ამბის სათქმელად, როგორადაც მრუნდად გაგონილ სიცრუეს ანუ მართალ ამბავს ენაწყლიანობით დაწმახნავდა, გადააბრუნებდა, თავისით კიდევ დაუმატებ-

და და იტყოდა ისეთ სიცრუეს, რომელიც ჯერ არავის გაეგონა! ესეც კიდევ ახალი ამბავი!.. ამ სახით დაიბადებოდა ერთი ახალი ამბიდან მეორე, მეორედან მესამე, მესამედან მეოთხე... და ხალხს გულითადი სურვილი თითქმის ყოველდღე, ყოველ საათს უსრულდებოდა!

ნუ გაკიცხავთ წინაპართა: ჩვენი დროის საქართველოში, ნამეტნავად ტფილისში, უარესობაა! მაგრამ რად გვიკვირს ჩვენი! ევროპის გაზეთები ყველას ასიამოვნებენ, თუმც აგრერიგად მართალს არ მოგითხრობდნენ.

ახალი ამბავი, ახალი ამბავი, ახალი ამბავი – ყველას ეს სწყურია, დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს, და მოწყენილობის გასაქარვებლად ნატრულობენ ქართულ გაზეთს: მთელმა განათლებულმა ქვეყანამ შეიგნო საჭიროება და სარგებლობა გაზეთისა, ჩვენ კი, ჩვენ არ იქნა და ვერ შევიგენითო!..

ზოგი ძრახავს ჩვენს ყმაწვილკაცებს: მაშ რისთვის გავზარდეთ უმაღლეს სასწავლებლებში და რად მოვითმინეთ მრავალი მწუხარება მათი მოშორებითო, – და ადარებენ მათ ფართიფურთს უნაყოფო ხეებს, ლაპარაკი რომ დიდი აქვთ, საქმით კი ჩხირის გადაბრუნებაც არ შეუძლიათ. იმასაც ამბობენ: ვინ უგუნური იტყვის, რომ მეცნიერნი არ იყვნენ, მაგრამ რადგანაც უნაყოფოა მათი მეცნიერება, გამოდის, რომ ფრანტობის მეტი არა უსწავლიათ რაო.

ამგვარ კიცხვა-ძრახვას ერთხელაც რომ შევესწარი, დამცველიც გამოუჩნდათ:

გაზეთის გამოცემას ღონისძიება უნდა. განა არ მოგეხსენებათ, რომ ქართველის ჯიბე ყოველთვის ცარიელიაო?!.

მაგრამ საყვედურის მთქმელი რას შეეპუებოდა დამცველს და თავისას დაიჟინებდა:

– თქვენ არ მამიკვდეთ აგრე არ იყოს. თუკი უბრალო ნივთებისათვის ანუ ლოტოსათვის გვაქვს ფული, ნუთუ ხუთ მანეთს ან ერთ თუმანსა, გინა ორ თუმანსაც ვერ მოვახერხებთ ჟურნალებისა და გაზეთებისათვის! არა, საზოგადოება დამნაშავე არ არის; ჩვენი ჰაერში მომფრინო მცონარების მოყვარენი არიან დამნაშავე.

– აი ახლა გამოგვიჩნდება, ქალო! – მიუგო მოკამათემ, – ჭავჭავაძე და კერესელიძე ცდილობენ კარგი ჟურნალები გამოსცენ – ვნახავთ რამდენი ხელმომწერი ეყოლებათ! ორნივე უნდა შევიმაგროთ, თორემ თუ ერთ-ერთი იმათგანი დაეცა, დაეცემა უთუოდ ჩვენი მიზეზით, მაშინ ქართული ლიტერატურა წარმატებას ვეღარ ჰპოვებს...

და ახლაც, როგორც უწინ, უქონლობის გამო დაბეჭდილი გაზეთებისა, ახალ ამბებს შევიტყობთ ხოლმე სიტყვიერი გაზეთებით. ეს ამბები იჩეკებიან ტფილისის ტროტუარზედ. ამიტომაც გირჩევთ, კვირაში ერთხელ მაინც ორიოდე საათი ტროტუარზედ დაჰყოთ, და თუ გსურთ ახალი ამბავი ჩქარა შეიტყოთ, უნდა გაისარჯნეთ და ყოველდღეც გაბრძანდეთ, თორემ თუ შინ დარჩით, თქვენამდინ ახალი ამბავი გვიან მოაღწევს.

ერთ დღესაც ჩამოვიარე ტფილისის ტროტუარზედ და ამ მოგზაურობისას რაც წამოვკრიფე, ერთად შევკონე და სტატიის სახით ვუბოძე მკითხ-

ველს, არ შემშინებია, რომ შესაძლოა გამოჩენილიყვნენ ვილაც თერგდალეულები, რომელნიც ჩემს მხრივ სიტყვას მრუდედ გაიგებდნენ და მაგიერ მისა, რომ დაემტკიცებინათ ჩემი შეცდომა, უმად ისაკაზმებდნენ, უთავბოლოდ ირიტორებდნენ, უგზოუკვლოდ გამოერეოდნენ საქმეში.

სამმა თერგდალეულმა ქვით რომ დაკრიბეს ექვთიმე წერეთელი, როგორ თუ წამოიკნავლე ილია ჭავჭავაძის სტატიის დასარღვევადო, და კრინტიც აღარ დააძვრევინეს. ერთი იმათგან ჭირივითაც ჩამოეკიდა და „ცისკრის“ შემდეგ ნომრებშიც დააყოლა და კიდევ დააყოლა ქვა, და ბედი ექვთიმე წერეთლისა, მე რომ გამოვჩნდი და იმ თერგდალეულმა ჩემზე გადმოინაცვლა, და ახლა მე მომდგება ქვითა და კეტით, ვიდრე ახლა სხვა გამოუჩნდებოდეს საცემარი.

ორი ქალის საუბარი რომ მოვიხმე ჩემს სტატიაში, თერგდალეული მომდგომია: არცხვენ და ამდაბლებ ჩვენს ყმაწვილკაცებსაო, – მაგრამ მე ხომ მხოლოდ საზოგადოების განწყობილება გადავიტანე ფურცელზედ, ერთი თუ ამტყუნებს, მეორე ხომ ამართლებს და სად არის აქ ჩემს მიერ შერცხვენა ან დამდაბლება ვისიმე?

მითუმეტეს, რომ მეორე ქალის პირით ვიწვევდი საზოგადოებას, შემწეობა აღმოეჩინათ ჭავჭავაძისა და კერესელიძისათვის, რათა მათ ლიტერატურა გაეჩაღებინათ.

აბა კარგად ჩაუკვირდით, დავცინი უფალ ჭავჭავაძეს თუ პირიქით, მსურს ხელი მოემართოს და ნაყოფი გამოსცეს?

ის კი, ის ვილაც თერგდალეული, მომდგომია, გინდა თუ არა დასცინიო.

ასე შეიძლება ეფიქრა მხოლოდ თერგდალეულს, და მიზეზი რომ არა ჰქონდა, საიდან დაბადა ეს უმსგავსი აზრი, მიკვირს ჭეშმარიტად!

არა, ნუ იფიქრებ, თერგდალეულო, რომ უფალ ჭავჭავაძეს არ ვიცნობდე თქვენზე უკეთესად. თქვენ კი ცილსა მწამებთ და სხვა აზრით მიგიღიათ ჩემი სიტყვები, რაკილა მასში ვერ ამოგიკითხავთ საზოგადოების დრტვინვა.

ერთი მხრივ ძალას ვატანდი, სირცხვილში ვაგდებდი ყმაწვილკაცებს, რათა გაგვახარონ სწავლის ნაყოფით, მეორე მხრივ – მეორე ქალის პირით – ვებრძვი საზოგადოებას, მისცეს მან ყმაწვილკაცებს, ნამეტნავად კი უფალ ჭავჭავაძეს, შემწეობა.

თერგდალეულმა შემწამა ის სიტყვები, რომელნიც თვითონვე დაბადა არარაისგან: თუმცა ილია ჭავჭავაძე, ერთი ყმაწვილთაგანი, აპირებს ჟურნალის გამოცემას, მაგრამ ვნახოთ, რა ნაყოფს მოგვიტანს მისი ჟურნალი და რამდენ ხელმომწერს იშოვნის თავისი ქართული სიკარგითო. თუ რამე იციან, ახლა გამოჩნდებაო, სწავლა საქმით უნდა დამტკიცდესო. ვითომდა ასე უომედოდაა განწყობილი ავტორი, ანუ თქვენი მონა-მორჩილი, რომ ამბობს: ვაი ამისთანა შვილების პატრონ საქართველოსაო, – და ღაღადებს: ჩოჩეთს კალია დასცემია, ახლა აშენდა ჩოჩეთიო.

როგორ არა გკითხოთ, სრული ბეცი არა ყოფილა უფალი თერგდალეული? როდის და სადა ვთქვი ასე? მე ვჩივი თქვენთან ცილისწამებისათვის... თუ თვითონ სურდა თერგდალეულს უფალ ჭავჭავაძის დამდაბლება – და

ეს აშკარაა! – მე რაღას მერჩოდა! ასე გასინჯეთ, თერგდალეულს ვერა გაუგია ისიც, თუ რომელ საგანზედ და ვისზედ არის თქმული ჩოჩეთის ამოგდება კალიისაგან.

ჭეშმარიტად ვინანე, რომ კალამი ავიღე. აბა თქვენი ჭირიმე რას გავაწყობ იმ კაცთან, რომელიც თვალებდახუჭული კითხულობს. თვითონ დასცინოდა გორისეულ წერეთელს, ვერ მიუხვდა ჭავჭავაძესაო; და აგერ თვითონვე გაება იმავე მახეში. ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო. ამიტომ აღარა ვცანი ღირსად, გამერკვია დანარჩენი მოთქმა თერგდალეულისა.

ეს რა ხალხია, რა უნდათ, რას ესწრაფიან?!. ამათი შიშით ტფილისის ტროტუარზედაც ვეღარ გაგივლია და ახალ-ახალი ამბებიც ვეღარ წამოგიკრიფავს... ყველას სადა ვდიო, ვინ როგორ გაგიგებს თუ სულაც შეგიტრიალებს ნათქვამს. მე ის ვიცი, უფალი ჭავჭავაძე ჟურნალის გამოცემას რომ აპირებს, და ხელისმომწერნი საკმაოდ უნდა გამოუჩნდნენ, თორემ თუ ჭავჭავაძე დაეცემა, მაშინ ქართული ლიტერატურის წარმატებას აღარ უნდა ველოდეთ...

გრიგოლ ორბელიანი

რამდენჯერ მინახავს თამარის სახება ბეთანიის ეკლესიაში, წმინდა და მშვენებით სავსე, სახიერებით განსხივებული, ყოველთვისაც კრძალვითა და თაყვანცემით რომ შევყურებდი, მაგრამ ახლა რაღაც სხვა უნდა დამმართნოდა, თითქოს პირველად შემოვსულიყავ ღვთის ამ სავანეში, თითქოს პირველად მეხილოს ეს წმინდა სახე, ცრემლი მომერეოდა და ფეხაკრეფით მივუახლოვდებოდი კედელს, მივუახლოვდებოდი და ფეხთით ვემთხვეოდი სხივოსან ხატებას.

ვემთხვეოდი და ავბუტბუტდებოდი, რომ:

ყვავილოვანი წალკოტი თამარისა, მისი დიდების სხივმოკლებული, აღარ შვენოდა და აღარც გვიბრწყინვდა შავ დროთა ძალით ფერწახდენილი. და იმის დროს ტკბილ სიზმარივითღა თუ მოვიგონებდით, დიდებულად ჩასვენებულ მზედ, რათა გული მაინც გაგვემაგრა და პირწმინდად არ ნავმწყმედილიყავით ცის შემრისხავნი.

და ხნით დამაშვრალი და დაღონებული ვისთან მივსულიყავი ვედრებით, თუ არა ამ მეფესთან, რათა მოეხედა ბედკრულისათვის, თავისი სატრფომამულისათვის და ჯვრით ხელში ეკურთხებინა კვალად, როგორც ოდესღაც უძღოდა სალაშქროდ შეყრილ ჯარს, რათა მისი ივერი აღმდგარიყო ძლიერი და დამდგარიყო ერად სხვა ერთა შორის:

წმინდა საყდრით, მდიდარი ენით და სწავლის შუქით განათებული!.. ზნე ამაღლებით, ძლევის დიდებით, სამშობლო მიწის სიყვარულითა!..

და გაგვცოცხლებოდა და კვლავ გაგვეგონა სიტყვა ქართული რუსთაველისა, რათა გამოგვეღვიძა, სულით განვახლებულიყავით და გამქრალიყო ბნელი უმეცრებისა!..

არადა თამარს ცისათვის მიეჩერებინა მზერა და როგორ იცნობდა თუნდ ამ მავედრებელს: გულშემუსვრილ, დამცირებულ, ხმამიღებულ, ბედდაკარგული ივერიის ძეს! ეჭვით აღვსილს, უსასოქმნილს, გულუიმედოსა და გაუხარებელს!..

და ამომსკდებოდა გულიდან დარდი და ვალალი: ვაჰ თუ რაც წამხდარიყო, ვეღარც აღმდგარიყო, ვეღარც აყვავებულიყო ახალი მშვენებით? და რაც დაცემულიყო, ის წარეტაცა შავ ყორანს ვით უმწეო მსხვერპლი!..

და მეც როგორ არ დამეგმო ეს ცრუ სოფელი, დაუნდობელი, მასში კეთილი სადღა დარჩენილიყო ფერუცველი? დიდება ჩვენი, ცად სხივმიმფენი, ნუთუ ესღა მოგვეპოვებოდა, რასაც შევყურებდით? დაყრუებულს, გზაშეუვალს, უდაბურ ტყეში ტაძარს დარღვეულს, სად სახე მეფის, დიდი თამარის ჩნდა ძველ კედელზე გამოხატულად?!.

ვბუტბუტებდი, მოვთქვამდი, ვკვნესოდი, გულს ვასკდებოდი. გახარებული რომ ვიყავ, აქეთ მოვიჩქაროდი ხოლმე, რათა ამ სახებისათვის მემზირა. ახლა კი ლამის ნუხილში ჩავმხრჩვალიყავი და კვლავ ამ ეკლესიისათვის მსურდა თავშეფარება და მზერა სხივოსანი სახებისა და თამარსა და ღმერთს შევთხოვდი, რომ არ გამოფხიზლებულიყავი და აღარ მეგრძნო ჩემი სამშობლოს სულით დაცემა.

ვბუტბუტებდი და ვიმეორებდი:

არ გამოვფხიზლდე, რომ აღარ ვგრძნობდე ჩემი სამშობლოს სულით დაცემას-მეთქი!

და უეცრად საიდანღაც უნდა გამეგონა:

ეგე სულით დაცემაო!

და თითქოს ვიღაც უხილავს ჩემს მკერდზე მოეშვირა ხელი, ჩინ-მედლებით მოკირწყლულ მკერდზე, სამხედრო მუნდირი რომ არც გამომეცვალა, ისე მოვდგომოდი თამარის წმინდა სახეს სააღსარებოდ.

შევძოძგინდებოდი და აქეთ-იქით მივიხედ-მოვიხედავდი... მარტო ვიდექ და შორეული ჩქამიც აღარ მოაღწევდა, თითქოსდა სამყაროც გახევებულიყო... და კიდევ ერთხელ რომ ამომიჯდებოდა გული და კვლავ ვემთხვეოდი ფეხთით, და კიდევ რომ დამცდებოდა:

არ გამოვხიზლდე, რომ აღარ ვგრძნობდე ჩემი სამშობლოს სულით დაცემას-მეთქი!

კვლავინდებურად უნდა დამტყდომოდა თავზე:

ეგე სულით დაცემაო!

და თითქოს ვიღაც კვლავ მკერდზე მადებდა ხელს, იმ ჩინ-მედლებს შემახსენებდა, რუსხელმწიფის სამსახურში რომ დამემსახურებინა ოფლითა და სისხლით, და არას მოვრიდებოდი იმპერიის გასაძლიერებლად და განსამტკიცებლად, საბოლოოდ ფეხმოსაკიდებლად კავკასიის მიწა-წყალზე.

რა გგონიათ, მე კი არ ვიყავ მოსურნე რუსთა უღლის გადაგდებისა?

მე კი არ ვერიე შეთქმაში მთლად კავკასიის გამოსახსნელად?

მე კი არ შევყურებდი იმედით სოლომონსაც, ალექსანდრესაც და ელიზბარსაც?

მე კი არ ვიყავ მომლოდინე თათრის მოედანზედ ამბოხების დროშის აფრიალებისა?

წარილტვნენ იგი იმედნი, იგი ოცნებანი, იგი სწრაფვანი, და დათვი რომ მოგვერია, განა ბაბა არ უნდა დაგვეძახა?

არ დაუძახებდი და...

ილია ჭავჭავაძესა და მის ტოლ-სწორებს რა ენაღვლებათ – მაგათ არც ყაზარმობა გამოუცდიათ, არც გადასახლება, რომ არც იცი, ოდესმე კიდევ გეღირსება თუ არა შენი სამშობლოს ზეცის ხილვა, კოჯრის ნიავი თუ ქართული შექცევა-ლხინი... და ვილნოს მახლობლად, სამხედრო ბანაკში, გიორგი ერისთავი, გლუხარიჩი, რომ გამოგეცხადება წამიერად, თითქოს სამოთხეში შეგებიჯებინოს, სიხარულმა ისე შეიძლება გადაგრიოს... მხოლოდღა წამიერად, მხოლოდღა გაელვებით...

ხეირს არ დაგვაყრიდა გამუდმებული ჭიდილი რუსეთთან, გაუთავებელი შეთქმანი და აჯანყებანი, უნდა შევგუებოდით ბედს, უნდა დავმორჩილებოდით აღმართის მხვნელ ძალას და რუსეთის წიაღში გვეცადა ჩვენი ვინაობის შენარჩუნება, ჩვენი კულტურისა და თვითმყოფადობის... უფრო მეტს ვერ მივაღწევდით, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, და დრომდე მაინც უნდა მოგვეთმინა, ვიდრე შესაფერის ცოდნას შევიძენდით და გავნათლდებოდით...

ჩემი გზა ეს იყო – სამხედრო კარიერა.

და ერთგულადაც უნდა მივყოლოდი ჩემს მოვალეობას.

ტყუილუბრალოდ მიწყრებიან ილიაც და აკაკი წერეთელიც, და სხვა მათნაირნიც, შამილს გადამწყვეტი დარტყმა მე რომ მივაყენე და არსებითად ჩემი ხელით გადაწყდა კავკასიური ილიადას ბედი: პოლიტიკურად უფრო შორს უნდა გაეხედაო!..

დაე თვითონ გაიხედონ, თუ სადმე გასახედია, მე კი შური უნდა მეძია ლეკებზე, არ მეპატიებინა, რაც მაგათ პაპაჩემ ერეკლეს დამართეს, სიცოცხლე რომ გაუმწარეს და მაგათთან ბრძოლას შეალია რამხელა ენერგია და სისხლი. მაგათ თარეშმა კინაღამ ამოგვიგდო კახეთი და... ესენი კი: შამილი საერთოკავკასიური გმირია და ალექსანდრე ბატონიშვილის უშუალო მემკვიდრე და გზის გამგრძელებელიო.

ვითომ ბიძაჩემ ალექსანდრეს ამბავი ჩემზე უკეთ იცოდნენ!..

შეცდა, ძალიან შეცდა, დაუსრულებელი ბრძოლა რომ გაუმართა რუსეთს – განა არ უნდა სცოდნოდა, რომ ამ ჭიდილით ვერას მიაღწევდა, გარდა უაზროდ დაღვრილი სისხლისა? ირანის იმედად განა შეიძლება რუსეთის გამოწვევა?

მისი დრამატული ხვედრი ადასტურებს, რომ ჩემს მიერ არჩეული გზა სჯობდა.

ილიასა და მის ამყოლთ სხვაგვარად წარმოუდგენიათ?

გამოჩნდება, უეჭველად გამოჩნდება, ვისმა არჩევანმა გაამართლა...

ყველა ისე გაოცდა, ყველა ისე გაოგნდა, საბანკო შეხლა-შემოხლისას ილიას მხარე რომ დავიჭირე და – როგორც მეუბნებიან – ჩემმა საჯარო გამოსვლამ საკმაოდ გადახარა სასწორი ილიას სასიკეთოდ. ძალიანაც კარგი!

ყველაზე ძლიერ მაინც მაგისი მეიმედება, ნეტა ენა ჩვენი, საამაყო და სასიქადულო, ძალიან არ აემჩატებინა და გაეუბრალოებინა და მთლად მსახურადაც დავუდგებოდი.

ხმები კი არ უნდა ითვლებოდეს, არამედ უნდა იწონებოდეს-მეთქი, რომ ვამტკიცებდი, ხელებს ასავსავებდნენ ახალგაზრდები და ილიაც შემომღიმოდა ირონიული ღიმილით: დემოკრატიის წინააღმდეგი ხარ, ახალ ცხოვრებას ფეხს ვერ უწყობო!..

გავიდა ხანი და ერთხელ მითხრა: მგონი მართალი უნდა იყო, უნდა იწონებოდეს ხმები, კი არ უნდა ითვლებოდესო.

მგონიო... ჯერ მხოლოდ დაეჭვებულა თავისი აზრის სისწორეში, გულისხმაში ჩავარდნილა და უფრო შორს აღარ მიდის, თუმც დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან ეგეც განაცხადებს საქვეყნოდ, ხმები წონით რომ უნდა იყოს, წონით და არა დათვლით.

ერთხელ შევესწარი, იაკობ გოგებაშვილს ასე რომ მიმართა:

– ბატონო იაკობ!

ეს გლეხური წარმოშობის კაცი სადაური რა ბატონი გაგვიხდა-მეთქი, გავიფიქრე. თქმით კი არა მითქვამს რა, არ გამომიხატავს ჩემი გაკვირვება არც ილიასთან და არც სხვასთან. ისე ჩვენი საზოგადოება ხომ წამხედურია. ერთი-ორჯერ ეტყობა სხვა დროსაც მიმართა ასე გოგებაშვილს და სადაც მასთან ერთად მოვხვდი, ყველა ბატონობით ელაპარაკებოდა: ბატონო იაკობ და ბატონო იაკობო!.. – და მე ყურს რომ მჭრიდა გლეხისადმი ეს „ბატონო“, ერთხელაც მე თვითონ ასევე არ მივმართე: ბატონო იაკობ-მეთქი?

თავის ჭკუაზე აგვაწყო ყველა ამ ილია ჭავჭავაძემ და ეგ არის!..

ერთხელ მითხრა:

თუ იცით, პირველად სად შევხვდით ერთმანეთსო?

– სად-მეთქი? – დავინტერესდი.

მლეთის აღმართზეო.

– მლეთის? – ერთბაშად გადავვარდი წარსულის სურათებში.

– ჰო, მლეთის. თქვენ ჩამოდიოდით ფეხით, ეტლი უკან მოგყვებოდათ, მე და ჩემი ამხანაგები აღმართს შევდგომოდით. სხვა არავინ ჩანდა გზაზე. კავკასიის მწვერვალები ღრუბლებში გახვეულიყო, მაგრამ ნათელ, კამკამა ღრუბლებში, მზის სხივები რომ ჭიატებდნენ ალაგ-ალაგ, წყნარი ამინდი იდგა, მხოლოდღა ოდნავ შრიალებდა სიო, ბალახებს რომ გადაურბენდა... გახსოვთ ის დღე?

მახსოვდა რომელია, როგორ მივაბიჯებდი დაღმართზე, ის ნათელი, კამკამა ღრუბლებიც დამიდგა თვალწინ, ალაგ-ალაგ გამოჭიატებული მზის სხივებიც აღვიდგინე გონებაში და ბალახებში სიოს შრიალიც ისე კანთიელად, ისე ხელშესახებად ჩამესმა... მაგრამ ილია კი ვერ გავიხსენე... ახლო-მახლო კაციშვილი არა ყოფილა... ვძაბავ გონებას, ვძაბავ, მაგრამ... რა დაგკარგვია, რას ეძებ...

თუ ვინმესი, მაინც მაგისი მეიმედება... რაღაცას იზამს, ისე არ დადგება, რაღაცას იზამს!.. არ დადგება და მაგის შემჩერებელი კი კაცი არ არის!..

მე რაღას მოვესწრები, თორემ...

გადმოვიღებ ხოლმე მონატრებულზე ილიას ბარათებს და ხან სად ჩაუკრავ თვალს და ხანაც სად, როგორც მომხვდება, და წამომეშლება ათასგვარი ფიქრი და განცდა, იმ დღეებისაც და წუთებისაც და საერთოდაც.

მაშინ ბაქოში ვიყავ, 1873 წელს, 23 თებერვალს გამოგზავნილი წერილი რომ მომივიდა და მატყობინებდა, ქუთაისში წასვლა რომ აღარ უხერხდებოდა, რადგანაც აღარ იცოდა, როდის მოუწევდა რუსეთს გამგზავრება.

ჩვენი ბანკის პროექტი უგდია „გლავნი უპრავლენიაში“ ბარანოვსკის და ღეჭავს, ნეტა სამაგისო კბილები მაინც ჰქონდეს. ასეა ჩვენი საქმე და ვითარება, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ აქ ყველაფერი აპრილამდე გათავდება. რაკიღა ასე დაგვიანდა საქმე და მანდეთაც წყლის გზა გაიხსნება, მანდ წამოვალ და ვნახავ ჩემს კუკლუშკასაო.

რამდენჯერაც კუკლუშკას დამიძახებდა, პირადად თუ ბარათში, იმდენჯერვე ჟრუანტელი მივლიდა და გულში რაღაც სიამე მეღვრებოდა, ამოვარდნასაც რომ ლამობდა და გონებაზეც ბინდი მეფარებოდა, ის წუთები მოტივტივებდა, ჩვენი გაცნობისა და პირველი შეხვედრებისა და... ვეღარ ვუძლებდი, ვერა, ვეღარ ვუძლებდი... როდის-როდის დამიმშვიდდებოდა სუნთქვა და გონზეც მოვდიოდი, გული კი კიდევ კარგა ხანს განაგრძობდა ფართხალსა და ფრთხიალს.

ისიც რომ არ მეშვებოდა? ჩემო კუკლუშკა და ჩემო კუკლუშკაო!..

მივწერე: აქ ბევრი სტუდენტია და შენ გიცნობენ-მეთქი.

პასუხად კი მომწერა:

არა მგონია, რომ მანდ მიცნობდეს ვინმეო.

ეს იმიტომ, რომ უნივერსიტეტში თითქმის არავის იცნობდა ზოგიერთის მეტს და ის ზოგიერთები ბაქოში არ წამოვიდოდნენ სამსახურისათვის.

მერე კი ჩაფიქრდებოდა და:

მაგრამ ვინ იცის? იქნება მართლა ჩემი ნაცნობი იყოს ვინმე. ყველაფერი შეძლებია დროსა და დროთა ბრუნვასაო.

სინანულს გამოთქვამდა, რომ მისი საქმე უფულობისა გამო ასე მიდიოდა, რომ ჯერაც ვერ გამოსულიყო სამსახურიდან. ყაზბეგს ფული არ მიეცა. პოლტარაცკის მართებდა მისი ფული და დაპირებოდა: რაცა მმართებს, თავისი სარგებლით მალე გამოგიგზავნიო. ზურაბ სიმონიჩსაც მისი ორმოცი თუმანი რომ მართებდა, უნდა გაეყიდნა, მაგრამ მუშტარი ვერ ეშოვნა. ეს ფული ერთიანად რომ მოეკრიფა, მაშინ კი ჩვენი საქმე მართლაც ლაზათიანად მოეწყობოდა.

1 მარტს კი მომწერა, რომ უჩემობას ძალიან შეეწუხებინა და თავს ამით ინუგეშებდა თუ იმხნევებდა:

მოთმინებითა ჩემითა უნდა მოვიპოვო სული ჩემი. მეტი ჩარა არ არისო.

მარტოობას ძალიან რომ შეეწუხებინა, ამდგარიყო და ამ ოთხი დღის წინათ მამაჩემს სწვეოდა და ორი დღე მასთან დარჩენილიყო. მაგრამ საგურამო თურმე ჩემი და ჩემი დის გარეშე საგურამოდ აღარც სჩვენებია: ისე

მიყრუებულიყო, რომ სევდის მეტს კაცს არავითარ ნუგეშს არ აძლევდა. ამიტომ ვერც იქ გადაუყრია მარტოობის ჯავრი და ნაღველი.

მერე კი, როდესაც თვალს შეაჩვევდა იმ მყუდროებასა და ცარიელობას, საცა გაივლიდა, სულ ჩვენ წარმოვუდგებოდით, მე და კატო თავის ოჯახიანად, და ასე ეგონა, ჩვენც იქ ვიყავით, ჩვეულებრივ მსხდომიარენი. საითაც მიიხედავდა, კატოს პატარები ელანდებოდა, მაგრამ ლანდი ლანდად დარჩებოდა და ილიას უფრო ნაღველი მომატებოდა იმით, რომ ცხადლივ ასე შორს ვიმყოფებოდით მისგან. და მაშინ უფრო გაძლიერებოდა ჩვენი ნახვის წყურვილი და სურვილი.

ერთხელ კატოს ეთქვა მისთვის:

– ადამიანი ცოლეურთა ნათესავებს უფრო ეტრფის, ვიდრე თავის ნათესაობას.

და ილიას მაშინ გუნებაში რომ ჩასცინებოდა: აბა რას ლაპარაკობს, ამისთანა რამე რამ მოაფიქრა, ანდა რა დასაჯერიაო, ახლა გამომიტყდა: ამ აზრის სიმართლე სრულად ვიგემე და სრულადაც გამოვცადე, ალბათ სოფელი ასრე მქმნელი ყოფილაო.

მისი „გლახის ნაამბობი“ სრულად იბეჭდებოდა და შემპირდა: როცა დაიბეჭდება, გამოგიგზავნიო. ვისაც ხელნაწერი წაეკითხა, მოსწონებოდა.

ისიც მაცნობა, რომ ქალაქში მესტამბე სტეფანე მელიქიშვილს შემოეთავაზებინა:

– შენს თხზულებებს სრულად დავბეჭდავ იმ პირობით, რომ ნახევარი მოგებისა ჩემი უნდა იყოს.

ილიას თავისთვის რომ დაეანგარიშა, მისი თხზულებანი სამ ტომს შეადგენდა. თუმც დაბეჭდვის ნება გადაწყვეტილად ჯერ არ მიეცა, რადგანაც მისი თხზულებების გამოქვეყნება ამას წინათ ნიკო ნიკოლაძეს ეთხოვა და დაემატებინა:

– მეტად მდიდრად მინდა გამოვცე და ნურავის მისცემ დასაბეჭდად.

ახლა ნიკო ისევ პარიზში გამგზავრებულიყო და, როდესაც დაბრუნდებოდა, მაშინ გადაწყვეტდნენ ამ საქმის ვითარებას.

ბანკის საქმე ორ-სამ კვირაზედ უნდა გათავებულიყო აქ, „გლავნი უპრავლენიაში“. იმედოვნებდა, რომ არავითარი დაბრკოლება არ შეხვდებოდა. იქნება ღმერთი შეწეოდა და მარტის დასასრულს ან აპრილში ვენახეთ ჩვენ ყველა ბედნიერად და სიმრთელით. ქუთაისში წასვლა უკვე აღარ მოუხდებოდა, რადგანაც მეტად დაგვიანებულიყო.

8 მარტის წერილში გაკვირვებას გამოთქვამდა, მისი ბარათები ასე გვიან-გვიან რომ აღწევდა ჩემამდე, რადგანაც ყოველ კვირა მწერდა. მხოლოდ ერთ კვირას ვერ გამოეგზავნა, თორემ სხვა კვირები კი ერთიც აღარ ჩაეგდო.

1 მარტს რომ წერილი მიმეწერა, 8 მარტსღა მიეღო. და რომ ვთხოვდი: ფული გამომიგზავნე-მეთქი, – თურმე ამას წინათ სოსიკოს სახელზედ 25 მანეთი გამოეგზავნა, და უკვირდა: რატომ არ მიგიღიაო.

მე რომ დავინტერესდი, ლიზა მუხრანსკისა და ასტაფიევს ჩხუბი თუ რაზედ მოსვლოდათ, თურმე:

ელენე პავლოვნა – თუ მიხაილოვნა – რომ მომკვდარიყო, მაშინ ასტაფიევს ბალის გამართვა დაეპირებინა და ველიკი კნეინასათვის ეცნობებინა: ხომ საწყენი არ იქნებაო?!

ველიკი კნეინა გაჯავრებულიყო და ეთქვა:

– ჯერ პანაშვიდი ელენა პავლოვნაზედ არ გადაუხდიათ და როგორ არა სცხვენიან, რომ ბალს აპირებენ.

შემდეგ პანაშვიდი რომ გადაეხადნათ, ასტაფიევს გოფმეისტრინის პირით ეცნობებინა ველიკი კნეინასათვის:

– ახლა ხომ პანაშვიდი შეუსრულეს, ნებას მომცემ თუ არა ბალის გამართვისა?

ეს უფრო სწყენოდა ველიკი კნეინას, დაებარებინა თვითონ ასტაფიევი და დიდი სამდურავი ეთქვა. სხვათა შორის ისიც დაემატებინა:

– ეგ სულ თქვენი ცოლისა და ვიტგენშტეინის ეშმაკობაა.

ასტაფიევს თავისი ცოლისა და ვიტგენშტეინის ერთად ხსენება ძალიან წყენოდა და ენატანიობისათვის მიეწერა; ეფიქრა, ჩემს ცოლზედ და ვიტგენშტეინზედ ლიზა მუხრანსკისა მიუტანდა ენასაო. საკინის სახლში „ვეჩერი“ ყოფილიყო და იქ ასტაფიევი და ლიზა მუხრანსკისა ერთმანეთს შეხვედროდნენ. ასტაფიევი ძალიან ცივად რომ მოქცეოდა, ლიზას მიზეზი ეკითხა. და მაშინ ასტაფიევს ეთქვა:

– არაფრად მიმაჩნია ის პირები, რომლებიც მეფის კარზე ჭორაობის გარდა სხვას არას აკეთებენ.

ლიზას ეს ძალიან წყენოდა და რაღაც მკვახე სიტყვებიც მოეხალა ასტაფიევისათვის. მერე სულაც ამდგარიყო და „ვეჩერიდან“ წამოსულიყო.

ასე ეამბნათ ილიკოსათვის ეს ამბავი და მართალი იყო თუ არა, თავს ვერ დასდებდა. ესეც დაერთოთ, რომ ამის შემდეგ ვითომ ვიტგენშტეინს ლიზასათვის მიეწეროს:

– მე ახლა პეტერბურგში მივდივარ და თუ რამ ჭორები იცი, მიბრძანე, რომ იმპერატრიცას მოვახსენო.

და თითქოს ამით დაეცინოს ლიზასათვის.

მოწერით მომწერდა ამ ამბავს ილიკო და დასძენდა:

მეცინება, ამას რომ გწერ მე, რომელსაც ჭორიკანობაში გარევა მეჯავრებაო.

მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა – ჩემი ხათრით გამოეკითხა ასე საგულდაგულოდ.

ამასაც მამცნობდა:

ქალაქში მე სახლები არ დამიჭერიაო.

მართალია ლიზას ეთქვა, თავის დას, სანდრო ორბელიანის სახლებს გაძლევენო, მაგრამ ილიას დაჭერა ვერ გაუბედავს, რადგანაც მიაჩნდა, რომ ამჟამად სახლებზე ზრუნვა ჩვენთვის გაუმართლებელი და წამგებიანი იქნებოდა. და ეს იმიტომ: რუსეთიდან რომ დაბრუნდებოდა და ქალაქში მოვეწყობოდით, მანამდე საგურამოში უნდა ვყოფილიყავით, ანუ – ოქტომბრამდე მაინც. სწორედ ამის გამო ზედმეტი ხარჯი იქნებოდა ახლა სახლების დაჭერა და ქირის გადახდა.

ბანკის საქმისა ვეღარა შეეტყო რა. თავის „ატსტავკაში“ გამოსვლას ბანკის საქმის მოთავებამდე არ ელოდა. ელოდა მარტო იმას, რომ ერთი სამოციოდ თუმანი მოგროვებოდა როგორმე, რადგანაც პირველ ხანებში ფული საჭირო გახლდათ. მოაგროვებდა თუ არა, იმავე დღეს „ატსტავკას“ მისცემდა. ამჟამად ჰქონდა 15 თუმანი, ამ მარტის ჯამაგირსაც აიღებდა – გახდებოდა 35, პოლტარაცკი რომ დაპირებოდა ვალის დაბრუნებას, ისიც 30 თუმნამდე იქნებოდა, 20 თუმანიც ყაზბეგს უნდა მოეცა – ესეც 45 თუმანი, ზურაბ სემიონოვიჩის ვალსაც ჰყიდდა 40 თუმნად – ეგ სულ თუ მოგროვებულიყო, 25 თუმანი ექნებოდა.

კაი ფულიაო, – გახარებით უხაროდა.

მერეადა: რაც აქ ვალები დაგროვებოდა, სულ მოეშორებინა, სახლის ქირაც გაესტუმრებინა, ყაზაროვისთვისაც ნახევარზე მეტი მიეცა; ვალადა რჩებოდა ამ წლის სამი თვის სახლის ქირა, სამთუმან ნახევარი ყაზაროვისა, ნინოს ჯამაგირი 6 თუმნამდე და დიმიტრის ჯამაგირიც 3 თუმნამდე – სულ 18-თუმან ნახევარი. ამ თვეში ამეებს სულ გაწმენდდა ისე, რომ ეგებ 100 თუმნამდეც თავისუფალი ფული დაგვრჩენოდა.

სულ მე მპირდებოდა მოტანას, რომ პირველ ხანებში მაგითი სული მოგვებრუნებინა.

შემაგონებდა: ახლა მე და შენ დიდი გაფრთხილება გვმართებს ფულებისაო.

და სიცილით დასძენდა: ამას რომ გეუბნები, თხუთმეტი „კარტინა“ პარიზიდან დავიბარე, აი გაფრთხილება თუ გინდა, ამას ჰქვიანო.

თხოვნით მთხოვდა, ჩვენი ბერძნისა საქმისა შემეტყო რამე დიმიტრისაგან და მიმეწერა: საწყალს ლამის სული დალეოდა.

16 მარტს საყვედურით მოეწერა: რარიგ მოუთმენლად მოველოდი ამ კვირია შენს წიგნსა, მაგრამ არ მომივიდა და არ ვიცი, რას მივაწერო, რატომ არა მწერო?

დუშეთში ისეთი ცარიელობა ყოფილიყო, აღარც კი იცოდა, რა მოეწერა და რითი შევექციე. ბანკის საქმე ჯერაც დამში იყო და ამის გამო ილიაც ორ წყალშუა დარჩენილიყო, აღარ იცოდა, საით და როგორ მიწყდომოდა.

თუმც ჩემი მიზეზით ძალიან ეძნელებოდა სამსახურის დატოვება, მაგრამ მაინცდამაინც აპირებდა გამოსვლას. აპრილში ეპირებოდა შესაფერისი ქაღალდის მიცემას, თუ უეცარი რამ მიზეზი არ დააბრკოლებდა კიდევ.

ერთი ფიქრი აწუხებდა:

ვაითუ ამ ვაინაჩრობის ცხოვრებიდან სიღარიბეში ჩავცვენილიყავით და მე, ანუ მას, ეს ვერ აგვეტანა.

ამ ფიქრს რომ არ მოეწყლა, დღესვე ამ ოხერ სამსახურს თავს დაანებებდა.

აი რას მიიჩნევდა კაცის უხეირობად და იმ აღზრდას, რომელიც ჩვენ მიგვეღო: თავით თვისით ცხოვრება გვაშინებდა და გვაფრთხობდა. ცუდად ვიყავით გაზრდილნი და დაგეშილნი და იმიტომაც. ნაცარქექიობით პურის შოვნას კაცის ხასიათი ემცირებინა და ედუნებინა.

მარწმუნებდა:

აბა ახლა მე და შენ ინგლისური ზრდილობა გვქონოდა, რარიგ უშიშრად დავიწყებდით ბრძოლას ბედთანა და რა ძლევამოსილებით ბოლოს გავატანდითო!.. და რადგანაც მე და შენ ინგლისელები არა ვართ და ვეკუთვნით უხეირო ხალხს, რომელსაც ქართველობას ეძახიან, ამისათვის ხვალინდელი დღისა შიშიცა გვაქვს და ფიქრიცა და არც ჩვენს თავზედა გვაქვს დანდობა და იმედიო. კაცი, რომელიც თავის თავს არ ენდობა და თავის თავის იმედი არა აქვს, ის კაცი კაცი აღარც არის. და ნუთუ მე და შენ მართლა ამისთანანი ვართ? ეგ ღმერთმა ნუ ქნასო.

ამ ბარათის წერისას ჩემი წერილიც მისვლოდა და გახარებოდა ძალიან. ვაცნობე: „გრეკის“ საქმე დიმიტრის დავიწყებია-მეთქი. მთხოვდა: შემეხსენებინა, რომ ტფილისში ყოფნისას მას მოენდომებინა, რათა დიმიტრი გიორგიევიჩ თუმანოვს მიეცა მისთვის მოხსენებითი ბარათი. „გრეკის“ მოხსენებითი ბარათი უკვე გაგზავნილი იყო დიმიტრი სემიონოვიჩთან ბაქოში და უკვირდა, ადრესატს ამდენ ხანს რატომ ვერ უნდა მიეღო.

სულს ხელში მიდებდა: შენი ჭირიმე, მოაგონე, თორემ ლამის მაგ „გრეკის“ საქმემ და ცოდვამ დამლიოსო.

ელიმებოდა:

ფული მიგიღია, თუმც ცოტაობაზედ არას იწერები, მაგრამ კი დიპლომატიურად კიდევ ითხოვ. ამ კვირია კიდევ მაგდენს გამოგიგზავნიო.

„გლახის ნაამბობი“ ჯერ არ დაბეჭდილიყო და ამიტომაც ვეღარ მოეწოდებინა ჩემთვის. ბეჭდვით კი იბეჭდებოდა და როდესაც გამოქვეყნდებოდა, მე და კატოს თითო ეგზემპლარს გამოგვიგზავნიდა. თუმც თავის ნაჯღაბნს დიდ არაფრად მიიჩნევდა, მაგრამ იმდენი ხომ მაინც შეეძლებოდა რომ: სახსოვრად შექმნოდა კატოს.

ბაბო მუხრანსკის წერილს რომ მივიღებდი, ილიკოზე სამდურავი ეწერებოდა. და ილიაც ბოდიშობდა, ქალაქში რომ იმყოფებოდა და მათი ნახვისათვის ვეღარ მოეცალა. გაკვირვებით კი უკვირდა, რად მოჰგონებოდათ მუხრან-ბატონებს და მათთან ილიას მიუსვლელობა რად შეემჩნიათ.

– მახლას, ქვეყანა ასრე მქნელიაო, ნათქვამია. უპატარკაცოდ დიდკაცებს ცხოვრება თუ არ შეჰსძლებიათ?! ყველას ღმერთმა მშვიდობა მიჰსცეს და მე და შენაც კარგად ვიყვნეთ ჩვენის ნათესავებითა.

თურმე რა დიდი იმედით ყოფილიყო, რომ ამ მარტში 200 000 მანეთს მოიგებდა.

ახ ნეტავი მომეგოო, – სინანულითღა ამბობდა, – და მაშინ ნახავდი, რა დიდი ყოფით ეწვეოდა კატოს პატარა და ბურთივით მრგვალი ლიბერალი სიძეო.

ჭირი ეს აღმოჩნდებოდა, რომ: გროშსაც ვერ მოიგებდა; და სიხარული კიდევ ის, რომ: მისი ბილეთები ტირაჟში არ გამოსულიყო და ესეც ნუგეში გახლდათ.

იმედსა და სიმხნევეს რომ არა ჰკარგავდა და არა:

არა უშავს რა, თუ წელს ვერ მოვიგეთ, კვლავ კი 200 000 მანეთი ჯიბეშიაო.

დუშეთის ამბავი კი ეს ყოფილა:

ზუბალაანი მაისში საზღვარგარეთ ეპირებოდნენ, კოსტა თუმანოვი ძალიან ავად გამხდარიყო, ისე, რომ დედაც მოსვლოდა, მაგრამ ახლა გამომჯობინებულიყო. მამაჩემს ილიასათვის პური და ღვინო გაეგზავნა და მეტად მადლიერიც დაეტოვებინა.

მე მამუნათებდა: რატომ ჩვენს გაზილას არა კითხულობ, ასეთი ბრძენი ძაღლია, პლატონ იგნატიჩ იოსელიანს ახლავ სჯობიან ფილოსოფიაშიო. ბევრი რაღაც „შტუკებიც“ ესწავლა. და ილიკოს შემაქცევარი და დროის გამტარებელი გაზილა ყოფილიყო. და სანატრელად მიიჩნევდა – დაფარულ ირონიას განა ვერ მივუხვდი – იმ ქვეყანას, სადაც კაცის შექცევა ძაღლზედ დამყარებულიყო.

და წუხდა, წუხდა, წუხდა, ნერვებს იმორჩილებდა და ვეღარც იმორჩილებდა:

უხ რა ყრუ რამ არის ახლა ჩემთვის ეს დარბაისელი დუშეთიო.

იცოდა ხოლმე ამისთანები ილიკომ, ისეთ უცნაურ რასმე იტყოდა, ისე გაასაკვირ ზედშესრულსაც გამოიგონებდა, პირს დაგაღებინებდა. და მაშინაც რამ ათქმევინა დუშეთზედ: დარბაისელიო?

პლატონს ხომ წამდაუწუმ წაჰკრავდა ხელს, თან პატივს სცემდა, განა არა, უფასებდა გარჯილობას და არაერთ სასიკეთო საქმეს, მაგრამ რომ არ ეცინა ხოლმე მასზედ, ისე როგორ მოისვენებდა?!.

რა სჯობს სიცილს სამხიარულოდაც და დარდის გადასაყრელადაც, თორემ ცრემლზედ უფრო მწარე სიცილისაც მოგეხსენებათ, აკაკის აფორიზმივით სტრიქონისა არ იყოს, აი ახლა მე რაც მემართება, ძალიან კი მერიდება თქვენი, მაგრამ თავს ვერ ვიკავებ და უთუოდ გრძნობთ ჩემს სიცილში ცრემლზედ უფრო მეტ სიმწარეს.

დავით ერისთავი

ძალიან ბევრი ლექსი იბეჭდებოდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, ნაგვლეკეს ლამის ამ პოეტებმა. მართლა პოეტები რომ ყოფილიყვნენ, კიდევ რა უშავდა, ვისაც ორიოდე სტრიქონის მიბმა შეეძლო და რითმების არახუნება, ლექსს უნდა დაძგერებოდა დასაწერად. მეც მომისინჯავს კალამი მელექსეობაში და მომწონებლებიც გამომიჩნდნენ, მაგრამ დროზედ ავიღე ხელი, თავი არ გავიცუცურაკე.

რაც ქართული ენა გაჩენილა, არა ყოფილა ისეთი კაცი, ლექსი რომ არ ეწეროს. ლექსსა წერდა მეფეც, სახლთუხუცესიც, სარდალიც, მოლაშქრეც, მდივანიც, თავადიც, აზნაურიც, გლეხიც!.. ვიღა დარჩა რო?.. მაგას არ ვამბობ? აღარც არავინ.

ლექსი და სიმღერა – ეს იყო ჩვენი დევიზი! ვარდ-ზამბახი, ია-ვარდი, ბულბულთ ყეფა, სევდის ბაღი – აი ჩვენი ნაღვაწი! ერთი მითხარით, განა დრო ჰქონდათ სხვა რამეზე ეფიქრათ? რომ შემეძლოს, კანონს გამოვცემდი და ლექსის დამწერს ციმბირს გავაგზავნინებდი!

იქ არის მაგათი ადგილი, იქ!..

პანსიონში ჯერ ლექსების თარგმნით დავიწყე, ლერმონტოვიც მოვსინჯე, ნეკრასოვიც, ბარბიეც, ჰიუგოც, ჩემი ლექსებიც მივაყოლე და პოეტობასაც ვჩემულობდი. „ეხლანდელი ჭირი“ რომ გამოვაქვეყნე, მართალია მიბაძავა გახლდათ, მაგრამ ძალიან კი მოუხდა მაშინდელ ვითარებას – 1868 წელს ახალშემოღებულ სასამართლოს.

იონა მეუნარგია მეუბნებოდა:

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა, აწ განსვენებულმა კალანდარიშვილმა ეს ლექსი გადაგვაწერინა შეგირდებს „დროებიდან“ და ზეპირად დაგვასწავლაო.

ორი სტრიქონი ზეპირადაც მითხრა, ხსოვნაში რაც შერჩენოდა: ჯავრობენ ბევრნი – არ ვმალავ ცუდსა – რომ ახსენებენ მიროვი სუდსაო.

ვისზე რა ნაკლებია, რაც დიდი ამბით იბეჭდება, მაგრამ ავიღე ხელი, რაკიღა ჭეშმარიტი პოეზიისა არა ეცხო რა, და იმას მოვეკიდე, რაც უფრო შესაფერისი მეჩვენა. მე შენ გეტყვი, ცოტა საქმე მქონდა გასაკეთებელი – ეს რედაქტორობაო, ეს ფელეტონისტობაო, ეს თეატრზე ზრუნვაო, ეს კომედიებისა და დრამების გადმოკეთებაო, ეს ყველაფრისათვის ყურის გდება, რაც ხდებოდა ევროპაში, რათა არა გამომპარვოდა რა და, თუკი რაიმე სიახლე გამოჩნდებოდა, ჩვენში შემოტანა მეცადა მაშინვე და დაუხანებლივ.

ეს სურვილი მქონდა და არცა ვმალავდი: თუ რაიმე ახალი გამოგონება იყო, სხვაზე ადრე უნდა გავცნობოდი, თუ რაიმე საინტერესო წიგნი გამოიცემოდა, სხვაზე ადრე მე უნდა წამეკითხა.

ახალი უცხოელი გამოჩნდებოდა ჩვენში? სხვაზე უწინ მე უნდა გამოვცნაურებოდი. მეამაყება და მიხარია, ბარონესა ფონ ზუტნერი და არტურ ლაისტი პირველად მე რომ შემხვდნენ საქართველოში.

იონა მეუბნება: შენი საათი ქალაქის ზარბაზანს უწევს ჯიბრს, ზუსტად 11 საათზე ბულვარში რომ არ გამოჩნდე, წარმოუდგენელიაო.

წესრიგი უპირველეს ყოვლისა: მოწერილ წიგნს ხომ პასუხის გაცემა უნდა, ვიზიტს – მაგიერი ვიზიტი. საქმეს გადადება არ უყვარს. სხვისა არ მომწონს: მერე გავაკეთებო, ხვალ გავაკეთებო, აბანოდან რომ მოვალ, მერე გავაკეთებო!.. თქმა და შესრულება ერთი უნდა იყოს.

ხვალისათვის რომ მიმეგდო საქმეები, ვერც პირველ ტელეფონს გავიყვანდი ქალაქში დავით სარაჯიშვილის სახლიდან, სასახლის ქუჩაზე, მთავარმართებლის სტამბამდის; ვერც ჩემი ნაწერები დაიბეჭდებოდა პირველ პექტოგრაფზე, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე; და თავის საკრეჭი მანქანაც პირველს მე არ ჩამომივიდოდა.

ვითომ რა მნიშვნელობა აქვს, პირველი ვინ იქნება?

რატომაც არა. ასე რომ არ იყოს, პირველობის ჟინი ავადობასავით მოდებული კი არ იქნებოდა.

ნიკო ნიკოლაძესთან თავიდანვე დავმეგობრდებოდი, ასეთი მძლავრი ნიჭი ხომ იშვიათობაა და ის კიდევ უფრო დიდი იშვიათობა, კაცს სამ ენაზე უჭრიდეს კალამი. ისეთი სიამით ჩამეღვარა გულში, „დროების“ ერთ ფელე-

ტონში ლექსი მეც რომ მომიძღვნა: უცხო ქვეყნის ცივ შვილებს შვა გამოვ-
ზრდილვარ მე ქართველი, ნიჭიერმა პოეტმა მშვა ნიჭიერი დამცინველი,
ბრძოლა მძულს და მიყვარს ტკბობა გამარჯვების ტკბილი შვებით, მასწავ-
ლეთ მაშ, თუ გწამთ ძმობა, ვინ იმარჯვებს თავისი ხელითო...

მიყვარს ამ სტრიქონების განმეორება და იონა ყოველთვის მაწყვეტი-
ნებს: თავის ვიწრო წრეში ნიკოლაძე მეფე კი არის, მაგრამ როგორ არ უნდა
უთხრა ამ ლექსის დამწერს ბუალოს სიტყვები: ხელმწიფეო, თქვენი აღმა-
ტებულებისათვის არაფერია შეუძლებელი, თქვენ მოგესურვათ დაგეწერათ
ცუდი ლექსები და უცბადაც შეძელითო!..

სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულების გამო ვემადლიერები
ნიკოს და მიხარია, თორემ რომელი პოეტი ეგ ერის, განა არ ვიცი. კიდევ
კარგი, ადრევე რომ ჩამოეხსნა ამ ხელობას, ჩემი არ იყოს.

თანამედროვე კაზმული სიტყვის ბატონი ვინ არის და: ილია ჭავჭავაძე.

არა მგონია ეს აზრი ვინმემ საცილო გახადოს, გახდის და: აგერ მე და
აგერ ის!.. მსოფლიო კაეშანი მან შემოიტანა ჩვენს მწერლობაში. თვითონ
ილია ნიკოლოზ ბარათაშვილს აღიარებს თავის უშუალო წინამორბედად?..
იმან უფრო სცადა და აღარ დასცალდა, ილიამ კი – ბარათაშვილის წაბიძგე-
ბით იყოს თუნდაც – მსოფლიო კაეშანი ერთ მთავარ მოტივად გამოჰკვეთა
თავის ნაწერებში.

„კაცია-ადამიანი?!" „გლახის ნაამბობი" და „აჩრდილი" მისი საუკეთესო
ქმნილებანია. ქართული ენა მაგან რომ იცის, ვერავინ შეედრება, გარდა რა-
ფიელ ერისთავისა. ენის ძარღვს წვდება, ენის სიღრმეებს ბოლომდე განიც-
დის, თავის ნებაზე ატრიალებს სიტყვას, გამოთქმას, ფრაზას, უნდა იკითხო
და დატკბე, უნდა უსმინო და დატკბე. სიტყვის ჯადოქარი თუ ვინმეზე ით-
ქმის, ერთი უპირველესი სწორედ ილიაა.

ნიკო ნიკოლაძეს ნაკლებად კი არ ეცოდინებოდა ქართული, იმერელი
რომ არ იყოს. „დროება" იმერლების ხელში რომ ჩავარდა, კიდეც იმერულ
გაზეთად გადააქციეს. ვერ ისწავლა მესხიმ წერა, ვერა, ვერაო, – გრიგოლ
ორბელიანი რომ ამუნათებდა, ნიკო ნიკოლაძეც ვერ დაიტრაბახებს ამ
მხრივ და, რა ვქნა, თუმც ასე მიყვარს და ვაფასებ, როგორ არ დამეწერა ეს
საყვედური, ახალ თაობას რომ გამოესარჩლა ნიკო და სამართლიანადაც.
მეც ყოველგვარი სიკეთე ვუსურვე ახალთაობელთ და იმედი გამოვთქვი,
რომ უკეთ ეცოდინებოდათ მშობლიური ენა, ვიდრე მათ დამცველს.

ნიკოს საქმე უფრო იყო ბანკი, ვიდრე ილიასი, რომელსაც ნეტა მხოლოდ
ლექსები და მოთხრობები ეწერა და ბანკის მმართველობა აღარ დაეჩემე-
ბინა.

როდესაც ნიკომ 1876 წელს კრიტიკულად განიხილა ბანკის ანგარიში და
არ მოიწონა, ბანკს ორჯერ მეტი სესხი რომ გაეცა ქალაქის მამულებზე,
ვიდრე სოფლის მიწებზე, მეც მოვუდექი მხარში და „ტიფლისკი ვესტნიკი-
დან" მეც დავგმე ილიას დაუდევრობა ბანკის საქმეებში.

როდესაც „დროებაში" დაიწყებოდა საადგილმამულო ბანკის წესწყობი-
ლების წინააღმდეგ ღაღადი, არადა იმ დროს გაზეთს რედაქტორობდა ილია

ჭავჭავაძე – იმავდროულად ბანკის მმართველიც, „ფალანგაში“ კარიკატურა დავხატე.

გაზეთის რედაქციაში ზის რედაქტორი ილია – ქართულად ჩაცმული, ყურთმაჯებით. მას უახლოვდება ევროპულ სამოსში გამოწყობილი ილია – ბანკის მმართველი, თავით ფეხამდე აღჭურვილი იარაღებით, უმიზნებს დამბაჩას და ეუბნება:

– ბატონო რედაქტორო, თქვენ შეურაცხყოფა მომაყენეთ, როგორც ტფილისის საადგილმამულო ბანკის ხელმძღვანელს. გთხოვთ დანიშნოთ ადგილი, დრო და იარაღი.

როგორც გადმომცეს, ილიას ბევრი უცინია ამ კარიკატურის ნახვისას, თუმც ის აღარ ვიცი, ნანობდა თუ არა, ამ ბანკში სამსახურისათვის მან რომ მომიჭრა გზა, სხვები კი მეუბნებოდნენ წუხილითა და დანანებით: ბანკში რატომ არ მოგინია საქმიანობა, სწორედ საიმისო თვისებებით ხარ შემკული.

ეჰ, ღირსებას დანახვაც უნდა, დანახვაც!.. დამნახავის გარეშე გინდა გქონია შესაფერი თვისებები და გინდა არა.

იონასაც გული წყდება. მან ჩემგან იცის, ვიდრე „კავკაზის“ რედაქტორი გავხდებოდი და როტშილდების სამსახურში შევიდოდი, გული თუ საითმე მომიწევდა, საადგილმამულო ბანკის დირექტორობისაკენ, 27 წლის ყმაწვილი ვიყავ, უნივერსიტეტდამთავრებული, ჩვენი მოწინავე საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი და რატომ არ უნდა დამეჭირა ეს ადგილი, ილიას რომ არ შეეშალა ხელი ჩემი კანდიდატურისათვის, თუმც მომხრეები არ მაკლდა ქალაქში და მეტადრე ქართლის თავადაზნაურობაში.

მეორე არჩევნების დროს ჩემი პარტია უფრო ძლიერი გახლდათ, მაგრამ ბანკში შესვლა მაინც არ მომიხერხდა.

ყველაფერი მზად იყო, დირექტორად რომ ამოვერჩიეთ, მაგრამ... როცა კრების თავმჯდომარე გამოაცხადებდა, რომ რიგი არჩევაზე მიდგებოდა, გრიგოლ ორბელიანი ჩაერეოდა:

– ახალი კაცები სად ვეძებოთ, ვინც არიან ბანკში, უკვე იცნობენ ამ საქმეებს და ისევ მათ ვთხოვოთ, დარჩნენ სამსახურში.

გრიგოლ ორბელიანის წინააღმდეგ ლაპარაკს ვინ გაბედავდა, მითუფრო – კახელებიც მას მისცემდნენ ბანს, რაკილა ამ გამოსვლას ილიას სასარგებლოდ ცნობდნენ.

– დარჩნენ, დარჩნენ!..

იგრიალებდა კრება და... მე და ჩემი პარტია რიყეზე აღმოვჩნდებოდით.

არჩევანი რომ გათავდებოდა, კრებაზე დაიწყებოდა ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა.

– ტივებით და ნავტიკებით ჩამოვიდნენ ქართლელი მეკენჭეები, მაგრამ ვერა გააწყეს რა, – იძახებდნენ კახელები.

– ქიზიყელ ვირებით ჩამოსვლას ტივით მოგზაურობა არა სჯობია? – გულს იკეთებდნენ ქართლელები.

კრება რომ აიშლებოდა, დარბაზში ჯგუფ-ჯგუფად დაეწყობოდნენ ამომრჩეველნი და ლაპარაკს გააბამდნენ, და ერთი ჯგუფიდან, რომელშიც მე ვიყავ გარეული, ილიას თურმე შემოესმოდა ეს მოკლე დიალოგი.

– კაცო, ეს რა მიყავით, – ვსაყვედურობდი ჩემს ერთ-ერთ ამომრჩეველს.

– ასეა, კნიაზ, მტკვარი განა სულ დაღმა მიდის? ხანდახან აღმაც მიედინება, – მომიგებდა იგი.

ილიას ძალიან გაახალისებდა ეს პასუხი და იონას მოუყვებოდა ხელების ფშვნეტით. ძალიან კი აფასებდა მოსწრებულ გამოთქმას, თვითონაც მარჯვედ მოსდევდა სიტყვა.

ჯიბეში ხელის ჩაყოფა არა სჭირდებოდა, მაშინვე შემოგაგებებდა პასუხს – იუმორი და მახვილგონიერება არ აკლდა.

ის მაინც რა იყო, ნიკო ნიკოლაძე რომ გაეხუმრებოდა: საით ეპირები ამ ზაფხულს სააგარაკოდ წასვლას, ბორდჟომი ილი კოდჟორიო? – წინასწარვე მოემზადებინა ეს ზმა და სული ელეოდა, როდის შეხვდებოდა პირადად და სტყორცნიდა ამ მოუგერიებელ ისარს, მაგრამ ილია არც დაფიქრდებოდა, ისე შემოუტრიალებდა: ნი ბორდჟომი, ნი კოდჟორიო! – და კიდეც პირდაღებულს დატოვებდა.

სიტყვა ილიას საუფლოა, გინდ ტრიბუნიდან და გინდ კალმის წვერიდან, პირადი საუბრისასაც როგორ მორაკრაკებს მისი მეტყველება, გინდა რომ სულ უსმინო და უსმინო, და სულ მისი ნაწერები იკითხო და იკითხო.

ვაგლახ: თავის საქმეს რომ არ აცდენოდა, მსოფლიო მწერლობას დაამშვენებდა, ჩვენს ლიტერატურაში რომ ბადალი ისედაც არა ჰყავს, მაგრამ თავიანთი ნამდვილი საქმე რომ არ იციან ადამიანებმა – ილიასაც რა უნდოდა საადგილმამულო ბანკში, რატომ უნდა მოენდომებინა მისი მმართველობა, ეწერა ლექსები, მოთხრობები ეწერა, ეს ფელეტონები, პოლიტიკური და ლიტერატურული წერილებიც ეწერა, როდესაც კაზმული სიტყვისაგან დასვენება მოუნდებოდა, მაგრამ... ბანკი?

იქ ჩვენ უნდა ვყოფილიყავით – მე და ნიკო ნიკოლაძე. ნიკო ქუთაისში კი არ უნდა გადაეგდოთ, ტფილისში უნდა მიეცათ შესაფერისი ადგილი ბანკში, და ჩვენ სამნი – ნიკო, ვანო მაჩაბელი და მე – სულ სხვა ლაზათს მივანიჭებდით ბანკს, სულ სხვა გზაზე გავიყვანდით, სულ სხვა ძალასა და გავლენას შევძენდით...

არ იციან, არა, ადამიანებმა, რა არის მათი ნამდვილი საქმე, თორემ მეფე, სახლთუხუცესი, სარდალი, მოლაშქრე, მდივანი, თავადი, აზნაური, გლეხი ლექსების შესათხზველად ხომ არ მოცდებოდნენ.

იონა მეუბნება: ძალიანაც ნუ უწყრები პოეტებს; ციმბირი მაინც რა სახსენებელია, კიდევ კარგი კანონების გამოცემა შენს ხელთ არ არისო.

სახსენებელი კი არა, რომ შემეძლოს, პოეტობის დამჩემებელთ ყველას იქ ვუკრავდი თავს ორი-სამი კაცის გარდა.

ისე ისინიც იქ არიან გასაშვები, პოეტური ნიჭი რომ აქვთ, მართლაცდა ისეთი გამორჩეული ტალანტი, მსოფლიოს გაკვირვება რომ შეუძლიათ, და... საადგილმამულო ბანკის მმართველობას კი ეპოტინებიან.

„გლახის ნაამბობის“ გამოგზავნას რომ შემპირდა და ვეღარა და ვეღარ გამომიგზავნა, 1873 წლის 23 მარტს მოწერილ ბარათში ნერვებს ვეღარ იოკებდა:

– „გლახის ნაამბობი“ იბეჭდება და ჯერ კი არ დაბეჭდილა. ისიც ბანკის საქმედ გახდა: აღარა თავდება.

თითქოს ბანკის საქმის გაჯანჯლება არა კმაროდა, ესეც ზედ რომ არ დართვოდა.

ჩემი ბარათებიც რომ თავთავის დროზედ არ მოსდიოდა?

ესეც კიდევ ცეცხლს უკიდებდა და აღარ იცოდა, რისთვის მიეწერა ფოსტის ამისთანა უთავბოლობა. აგერ გუშინ და დღეს ჩემი წერილის მისვლის ვადა იყო და... ამაოდ ელოდა.

სოსიკოსათვის ტელეგრამა მოეწერა ბერძნის საქმეზედ, პასუხის ფულიც მიეცა, მაგრამ ამ წყეულს პასუხი არ ეღირსებინა და ილიკოს კი ბერძნისაგან დღედაღამ მოსვენება აღარ ჰქონია.

ამას წინათ დიმიტრი სემიონიჩი რომ ქალაქს ყოფილა, ილიკოს ეთხოვა, ბერძნისათვის ადგილი რამ გამოეძებნა, და იმას პასუხად ეთქვა: „დაკლადნაია ზაპისკა“ მომცესო. საწყალ ბერძენს ქრისტეშობის თვეში ბაქოს გაეგზავნა მისთვის ის „ზაპისკა“ და... აქამდე ვერ შეეტყოთ, სად დაკარგულიყო. და მე მთხოვდა, სოსიკოსაათვის შემეხსენებინა შეეტყო რამე ამ საწყალი ბერძნის საქმისა და ტელეგრამითაც ეცნობებინა ილიკოსათვის.

ჩვენი ბანკის საქმისა კი ვერა გამოერკვია რა გარდა იმისა, რომ: „გლავნი უპრავლენიეს“ პროექტი უკანვე დაებრუნებინა. რაღაცას ცუღლუტობდნენ დიდნი და პატარანი და ვერ გაეგო, როდისღა უნდა დაბოლოვებულიყო ჩვენი ბანკის საქმე.

გაურკვეველი ყოფა, რომელშიაც იმყოფებოდა, ახრჩობდა და სულს უხუთავდა. და მეც რომ არ ვყავდი გვერდით, ეს კიდევ უფრო უზრდიდა მოწყენილობას, რომელსაც განიცდიდა ჩემთან დაშორების დღიდანვე.

დიდ სულელობად მიიჩნევდა ჩემს წასვლას ბაქოში და ღმერთს სთხოვდა, რომ ეს უკანასკნელი სულელობა ყოფილიყო. ხანდახან ფიქრად მოსდიოდა, რომ დავებარებინე, მაგრამ გარემოებანი აბრკოლებდნენ, და კიდევ ის, რომ თვითონაც ძალიან სურდა ბაქოს ჩამოსვლა და დიმიტრისა და კატოს ნახვა.

ამ უქმეებში ქალაქს აპირებდა ჩასვლას და ფიქრობდა, რომ მაშინ კი გადაწყვეტილად დადგებოდა ერთ საგანზედ: ან წამოვიდოდა აქეთ და ან იქით დამიბარებდა, თორემ ასე შორიშორ ყოფნა ძალიან არ ეჭაშნიკებოდა და მოსაწყენიც ეჩვენებოდა.

ახალი ამბავი იქ არა ყოფილიყო რა იმის მეტი, რომ ქალაქში მუხრანიანი ძალიან ცდილობდნენ ველიკი კნეინასათვის დიდი საჩუქარი გაეკეთებინათ. ქალაქის არისტოკრატები დღედაღამ სულ ამ საქმისათვის ფაციფუცობდნენ და ერთი ყოფა ჰქონდათ. ქეთო ქაიხოსრო მუხრანსკის ქალი თურმე ძალიან თაოსნობდა და დიდ მეცადინეობასაც არ აკლებდა.

ქიზიყში დიდი შიმშილი მოდებულიყო, ამის გამო – ქიზიყელთა საშველად – ირაკლი გრუზინსკის დიდ კონცერტი გაემართა და ასი თუმანი მოეგროვებინა. კონცერტში ზაქარიას ცოლს – კაკოს – ემღერა. როგორ და რანაირად ემღერა, ეს ილიკომ აღარ იცოდა, მაგრამ ძალიან მოსწონებოდა, რომ კაკო ამისთანა კარგ საქმეში გარეულიყო და ღარიბთათვის გარჯა არ ეთაკილნა. ამჟამინდელ ქონდრიკაცობასა და ზნეობით დავარდნილ დროში ამისთანა საქმეს კაი დედაკაცობად მოიხსენიებდა. ქალაქში რომ ჩავიდოდა, აპირებდა კაკო უსათუოდ მოენახულებინა და დიდი ქებაც ეთქვა, იქნება უფრო წახალისებულიყო სამომავლოდ.

მაშინაა სწორედ, „გლახის ნაამბობის“ გაჭიანურებასაც ასერიგად რომ განიცდიდა და ბანკის საქმეს ადარებდა: აღარა თავდებაო.

ეგრე ორწყალშუა დარჩენილიყო – გული აღარაფერზედ მისდიოდა, კალამი ხელში ვეღარ აეღო, რომ დაეწერა რამე. თავი გამოყრუებოდა ისე, რომ ერთი ხეირიანი და რიგიანი აზრიც აღარ მოსდიოდა. და ნატრობდა: ნეტა ან შენ იყო აქ და ან მე ვიყო მანდ თქვენთანაო.

ბარათს ბოლოში დაურთავდა, რომ: სოსიკოს სახელზედ ორ თუმანს დღესვე მიგზავნიდა.

31 მარტს მომახარებდა, რომ:

ბანკის პროექტი აქ მიეღოთ და 14 მარტს პეტერბურგს გაეგზავნათ დასამტკიცებლად. ახლა კი დაიმედებულიყო, რომ ბანკის საქმეს ბოლო რიგიანი მოუხდებოდა. იმ დღეს „ატსტავკა“ მიეცა და იმედოვნებდა, რომ აპრილში მნახავდა.

ჩემი ბარათი გუშინ მიეღო და შეწუხებულიყო, რომ საწყალი ბერძნის საქმე დიმიტრის დავიწყნოდა. ისე გასაცოდავებულიყო საწყალი, ისე, რომ სიტყვით არ ითქმოდა. ამ სულელს ცოლი შეერთო იმ იმედით, რომ შეპირებულ ადგილს მიიღებდა და იცხოვრებდა, მაგრამ ავად შემოუტრიალდებოდა თათბირიც და დანაპირებიც. სულითა და გულით იტანჯებოდა ილიკო, მას რომ უყურებდა: ლუკმაპური არ გააჩნდა.

ხვალზევით ქალაქს ეპირებოდა და იქ შეიტყობდა, როდის მისცემდნენ „ატსტავკას“, და რა დღეს მიეცემოდა სიკეთე ჩემი ნახვისა. დეპეშით მაცნობებდა, როდესაც ქალაქიდან გამოვიდოდა. არ იცოდა, ბოლოს რა იქნებოდა, მაგრამ ახლა კი მხიარულ გუნებაზედ იდგა, რომ ბოლოსდაბოლოს მისცემოდა სამსახურიდან გამოსვლის ღონისძიება. მდიდრულად თუ ღარიბულად, მაგრამ თავისუფლად კი ვიცხოვრებდით.

მე რომ ვწერდი: საფენები იაფია-მეთქი, – თურმე საფენები არ დაგვჭირდებოდა, რადგანაც საწყალ მამიდას ბევრი დარჩენოდა. ერთი ძალიან კარგი ხალიჩა მოგვინდებოდა კაბინეტის ტახტისათვის. არ იქნებოდა ურიგო, რომ ამისთანა ხალიჩა ეხლავ შემეგულებინა სადმე. მირჩევდა, იქნება აქ კაბინეტის მოსართავად სპარსული რამ მატერია მაშოვნა ფარდებისა და ავეჯისათვის.

რაც ავეჯი გვქონდა, სულ საგურამოში გზავნიდა, და პატარა ბიჭსაც – დიმიტრას – გზავნიდა კახეთს მის ჩასვლამდე. აქედან რომ წამოვიდოდა ბა-

ქოში, კახეთზედ აპირებდა გამოვლას, რათა შინ ჯეროვანი დარიგება და დაწყობილობა განეწესებინა. აქ რაც ვალები გვქონდა, სულერთიანად გაეს-ტუმრებინა. რაც მე წამოვსულიყავ, 50 თუმნის ეკონომია გაეკეთებინა თა-ვისი ჯამაგირიდან და ამით ყველა ვალი მოეშორებინა...

ჩემთვის ოთხთუმან ნახევარი გამოეგზავნა, შინაც „ფოდრაჩიკისათვის" მიეცა, 19 თუმანი სახლების ქირა გადაეხადა და სხვანი და სხვანი მრავალ-ნი. ამჟამად 20 თუმნამდე თავისუფალი ფული მოეპოვებოდა. ყაზბეგსა და პოლტარაცკის გროში არ მიეცათ მისთვის. ბედი არ გინდა – ეს რა კუტრებს გადაჰკიდებოდა!..

ქალაქიდან ახალი ამბავი არა იცოდა რა. მე კი რა მიმეწერა, ყველაფრის ჩამოტანას მპირდებოდა და მეკითხებოდა: ყმაწვილებს რა მივუტანო სა-ჩუქრადო.

19 აპრილს მოგვილოცავდა წარსულ უქმეებს მეც და ჩემი დის ოჯახო-ბასაც. მებოდიშებოდა, რომ ერთი ფოსტა აეცდინა და ბარათი ვერ მოეწე-რა – ქალაქში იმყოფებოდა თურმე, „ატსტავკა" მიეცა, რომელიც აქამომდე „ოკრუჟნოე სუდს" არ გაესინჯა. და რა დღესაც „ატსტავკა" მიუვიდოდა, მაშინვე ჩემსკენ გამოფრინდებოდა და დეპეშასაც მომწერდა. ჩემს ბოლო წერილებს გული ძალიან გაეკეთებინა მისთვის: ღმერთს შესთხოვდა, რა-საც ვიწერებოდი, ის გაგვემართლებინა მეც და მასაც.

ბანკის პროექტი – როგორც ამას წინათაც მოეწერა – გაეგზავნათ ქალა-ქიდან პეტერბურგს და ახლა უკვე იმედოვნებდა, რომ ბანკის საქმე შეს-რულდებოდა.

ქალაქში ბევრი ახალი ამბავი შეეტყო:

ნიკო ჭავჭავაძის ცოლის და გათხოვილიყო და შეერთო მიხეილ გივის შვილ ამილახვარს; კონას ქალი გათხოვილიყო და შეერთო ალექსანდრე თარხნიშვილის ვაჟს – სტუდენტს; ჩვენი ტერ-სტეფანოვის რძალი მომკვ-დარიყო; დათიკო გლოუხარიჩსა და ზაქარია ატამანის შვილს შარვაშიძის ქალის თაობაზედ დუელში გამოეთხოვათ ერთმანეთი...

ეს ჩვენი „მებელი" და ყოველივე ბარგი და ავეჯეულობა საგურამოში გა-დაეტანინებინა; ნინო დაეთხოვა, სხვა მოსამსახურენი კი არა. ჩვენი სახლი-დანაც გამოსულიყო და ივან იაგორიჩთან დამდგარიყო, ვიდრე „ატსტავკა" მიუვიდოდა. სახლის პატრონი ცოლ-შვილით 5 მაისს საზღვარგარეთ ეპი-რებოდა და ილიკო ნატრობდა, ნეტა იმ დრომდის მაინც მიეღო „ატსტავკა", რომ ჩემსკენ წამოსულიყო და ერთი ლამაზად ჩამხუტებოდა.

ამას წინათ ორი თუმანი რომ გამოეგზავნა სოსიკოს სახელზედ, აღარ იცოდა, მიეღო თუ არა. ჩემი კისაიას კაბა არ მოჰქონდა, ჩემოდანში ადგილი არა ყოფილიყო და წახდებოდა. ემჯობინებინა, ქალაქში მატერია საკაბედ ეყიდა, უფრო ადვილად წამოიღებოდა.

ლიზა მუხრანსკისა თავის ქმართან წასულა პოლკში. ქალაქში ვიღაც მას-ხარას მისთვის ინსტრუქცია დაეწერა და დაერიგებინა, პოლკში თუ როგორ უნდა მოქცეულიყო – სასაცილო რამ ყოფილიყო ეს ინსტრუქცია.

სხვათა შორის ამ ინსტრუქციაში აი რა წერებულა:

— მკაცრად ეკრძალება კნიაჟნას ესაუბროს პოლკის ოფიცრებს (სამეფო) კარის შესახებ, რადგანაც ოფიცრებმა, მათი გულუბრყვილობის გამოისობით, შესაძლოა იფიქრონ, რომ ქალბატონს საუბარი სურს ასეულის კარზე.

ამისთანა დარიგებანი მრავლად ყოფილა. ილიკოს დაზარებოდა გადაწერა, მაგრამ იქნება წამოსვლის დროს კიდევ ეშოვნა და გადმოეწერა ის სახუმარო ინსტრუქცია, რომ ჩვენს გასამხიარულებლად ჩამოეტანა ბაქოს.

ამბობდნენ: ამ ინსტრუქციის დამწერს ერთი ეგზემპლარი ლიზასთვისაც გაეგზავნა. და ილიკო იცოდებდა: საწყალი ლიზაო!.. თუმც ვერ აეხსნა, რაზედ იყვნენ გადაკიდებულნი მასზედ? ქალაქის ქმრიან ქალებში ეგ თუ არა უკეთესი, არავისზე უარესი არ გახლდათ.

კიდევ ერთი ახალი ამბავი ის ყოფილიყო, რომ:

არისტოკრატიის ქალებს მოეგროვებინათ 400 თუმანი, რათა ველიკი კნეინას ათი წლის იუბილისათვის სტიპენდიები გაემართათ. ველიკი კნეინასათვის პეტერბურგში ეცნობებინათ. მას შემდეგ, რაც ლორის-მელიქოვის დიდი იუბილისათვის იმდენი ფული მოგროვებულიყო, ველიკი კნეინას სწყენოდა: ჩემთვის ასე ცოტა შეუგროვებიათო, – და არისტოკრატიის ქალების სტიპენდიების მიღებაზედ უარი შემოეთვალა და ქალები ჯავრით თმას იგლეჯდნენ. აღარ იცოდა, ეს ამბავი სწორე იყო თუ ტყუილი, მაგრამ თვითონ კი ასე შეეტყო.

წამოსვლისას კატოს შვილებისათვის საჩუქრების ყიდვას აპირებდა, მაგრამ არ იცოდა, რა ემჯობინებოდა. ქალებს კიდევ შლაპებს უყიდდა, მაგრამ სენოსი, კოლასა და გივისა კი ვერა გადაეწყვიტა რა და მე მსაყვედურობდა: მოგწერე და შენც არას მწერ ამ საგანზედაო.

წამოსვლის დრო ზუსტად ვერ ეცნობებინა ჩემთვის, რადგან თვითონაც არ იცოდა, როდის მოუხდებოდა წამოსვლა – ეგ ხომ „ატსტავკაზედ“ ეკიდა. უნდოდა კახეთზე წამოსულიყო და ხუთიოდე დღე ყვარელში დარჩენილიყო, რათა რაც იქ საქმე ეგულებოდა, ყველა მოეთავებინა და დაეწყო რიგზედ.

მისი და ლიზა ავად ყოფილიყო ხველებით, ამჟამად გამომჯობინებულიყო. ნინოც, მეორე და, ძალიან ავად ყოფილიყო და ახლა – ღვთის მადლით – ისიც კარგად გრძნობდა თავს.

გამომშვიდობებისას ჩაურთავდა, რომ: ზუბალაანი მოკითხვას მიგზავნიდნენ.

26 აპრილს თავისი წუხილისას მატყობინებდა, მესამე კვირაა ჩემი წიგნი რომ არ მიეღო. მაგრამ დღეს ჩემი დეპეშა ჩასვლოდა და გულიც ცოტაოდნავ დაემშვიდებინა. თუკი ბარათებს საგინაშვილებთან აგზავნიდა, უკვირდა ილიკოს: ლიზა დუშეთში რატომ აღარ აწვდიდა?!.

ყოველდღე მოელოდა „ატსტავკას“ და არ მისდიოდა. მიზეზი კი ვერ გაეგო და ვერა. ახლახან შეეტყო, რომ მის მაგივრად ალექსანდრე სავანელს ნიშნავდნენ. ვერაფრად მოსწონებოდათ იქაურებს მისი დანიშვნა, მაგრამ ძალა რომ აღმართს ხნავდა?..

ისე მოუსვენრად გრძნობდა თავს, რომ მეტი არ იქნებოდა. თითქმის გზაზედ იდგა და... ვერ წამოსულიყო კი. ასეთი ყოფა მეტად მოსაწყენი ეჩვენე-

ბოდა. იმით ცხოვრობდა, რომ დღეს იქნებოდა თუ ხვალე, მნახავდა და ჩამეხუტებოდა. არადა რამდენი ხანია აღარ ვენახე!.. და – ჩემი არ იყოს – მონატრებისაგან ადგილს ვეღარცა პოულობდა.

ცხენები კახეთს გაესტუმრებინა და გიორგი „კუჩერი“ წაჰყოლოდა. ორი „პოვოსკა“ ეყიდნა ქალაქში და გაესტუმრებინა კახეთს მასალის საზიდლად. ამბობდნენ: წელს თუ კალია არ გაჩნდა, დიდი მოსავალი გვექნება პურისა და ღვინისაო. ეგებ ღვთით მართლაც კარგი მოსავალი მოგვსვლოდა, რათა ილიკოსაც და მეც თვალი გაგვეძღო ბევრი პურის ხილვითა.

ახალი ამბავი არა იყო რა გარდა იმისა, რომ ზალიკო ჭავჭავაძე ჩამოსულიყო რუსეთიდან და ისევ მალე აპირებდა გამგზავრებას.

ჩემი მოზდოკის საქმის ამბავი მისვლით კი მისვლოდა, მაგრამ ფრიად ცუდი: მიაკიშოვი სადღაც წასულიყო და ჩემი „ისპოლნიტელნი ლისტიც“ თან წაეღო და... საქმე სრულიად არ ეწარმოებინა. ძალიან ცუდი საქმე დაემართა ჩვენთვის ამ მიაკიშოვს. იქნება ჩვენი „ისპოლნიტელნი ლისტი“ კიდეც მიეყიდა ვინმესთვის და ჩვენ ცარიელზედ დავეგდეთ?!. ეგღა გვაკლდა!.. ახლა ყიფიანისათვის მიეწერა ბარათი, რათა დაწვრილებით შეეტყო ეს ამბავი და ეცნობებინა ილიკოსათვის. კოლჩინისთვის რამდენჯერმე ეთხოვა და მას კი პასუხი არ ეღირსებინა. ერთი სიტყვით – ჩვენი საქმე ვერ მიდიოდა რიგზედ.

იმედოვნებდა, რომ 15 მაისამდე მნახავდა, და ზუბალაანთა მოკითხვასაც გადმომცემდა.

პოსტსკრიპტუმში მებოდიშებოდა: ფოსტა მოდის და ამიტომაც გწერ ასე მოკლე წერილსაო.

ხან ვმალავ ცრემლებს და ხან ვერცა ვმალავ, ამომიჯდება ხოლმე გული, ახლა როგორც დამემართა... მოდი სხვა ბარათები სხვა დროს იყოს... გაჩვენებთ, რატომაც არ გაჩვენებთ, მაგრამ სხვა დროს... სხვა დროს... სხვა დროს...

სალომე ლოლაძე

გაიხსენე და გაიხსენეო... რა გავიხსენო, განა რა მაქვს ისეთი გასახსენებელი. ვინც ღრმად წვდებოდა იმის დიდ ბუნებას, მას მოაგონებინოთ რამე, არა სჯობს? თორემ მე ვინ ვარ, რომ ილიაზე ლაპარაკს მოვყვე... რა გამეგება. რას მოგახსენებთ ან იმის საკადრისს, ან თქვენს შესაფერისს?

მაგრამ აღარ მეშვებით და...

ილიას მამის ოჯახში მიმიყვანა დავით ერისთავმა, ილიას ნათლიამ. ვიქნებოდი ასე 8-9 წლისა და ილიაც ჩემი ხნისა. ანგელოზივით ბავშვი იყო, ანგელოზივით. ცელქობა და თამაშობა აგრერიგად არ იტაცებდა, მეცადინეობა და კითხვა ერჩივნა. მეტად ჯანმრთელი გახლდათ, ძლიერ სრულიც, ის კი არა, კიდეც ეშინოდათ მშობლებს მისი გადაჭარბებული სიმსუქნისა.

პატარაობიდანვე გამოთქვამდა ლექსებს. რაზე გამოთქვამდა? კოშკზე, მარანზე. რა კარგები იყო. სულ ზეპირად მახსოვდა ერთი არ შემეშლებო-

და, მაგრამ დავბერდი და გადამავიწყდა. აი ახლაც თავს ძალას ვატან, ეგებ ნაწყვეტები მაინც წამომაგონდეს, მაგრამ... რა დაგკარგვია და რას ეძებ.

ლექსებისა მოსმენაც უყვარდა, გლეხური ლექსებისა, მოსამსახურეებს დაუძახებდა ხოლმე და სთხოვდა:

– აბა ერთი ლექსი გვითხარ!..

ერთხელ ერთმა რაღაც ბინძური შაირი წამოროტა. ილიას არ ეჭაშნიკა და მოლექსე გააგდო:

– შენ კარგი ლექსები არა გცოდნია.

მისგან უხამსი სიტყვა არავის სმენია.

ძალიან, ძალიან ხათრიანი იყო, ხმა არ აუმაღლებია თავისდღეში მოსამსახურისათვის. მამიდა ხშირად გაგზავნიდა ხოლმე მუშების დასათვალიერებლად და სამუშაოდ დასაძახებლად. ილია მალე ბრუნდებოდა მარტო და თან კი არავინ მოჰყავდა. მამიდა რომ გაუჯავრდებოდა, პასუხობდა:

– ოჰ, მამიდა, ისე ტკბილად სძინავთ ჩრდილში, რომ ვეღარ გავაღვიძე, შემეცოდნენ.

პატარაობისას ჭამა აგრერიგად არ უყვარდა და ძმებთანაც კარგად თავსდებოდა, გარდა უფროსი ძმისა, კოტესი. მასთან როგორღაც უძნელდებოდა ურთიერთობა.

ილიას დედა სახით ლამაზი დედაკაცი გახლდათ, ეგაა მეტისმეტად სრული. შესანიშნავი ქართულით მეტყველებდა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ თავადმა გრიგოლმა, ილიას მამამ, დაიბარა თავისი და მაკრინე, არაგვის ერისთავის მეუღლე, და მას აქეთ ეს ქალი შეიქნა ამ ოჯახის გამგე.

ჩემზედაც დიდი ამაგი აქვს ილიას – მაჩუქა დუქნის ალაგი და ძლიერაც მწყალობდა.

მეტი ვეღარც ვეღარაფერი გამიხსენებია, ჩემგან ანკი რას ელოდებოდით?!. თუ კიდევ რაიმე წამომაგონდება, მე თვითონ მოგნახავთ, თორემ ახლა ისე უხერხულად ვარ თქვენთან...

სოფრომ მგალობლიშვილი

1875 წელი იყო თუ 76, ილია პირველად რომ ვნახე საგურამოში. სადღეობოდ ჩემს ნათესავ მღვდელს ვსტუმრობდი. სოფლის ეკლესია გურამიანთ ზვრების თავში დგას, მაღლა ბორცვზე, ტყიან ადგილას, ჩრდილიანში. ეკლესიასთან ჩვეულებრივ დიდი ცეცხლი დაენთოთ და მის გარშემო ხალხი ფუსფუსებდა.

მოშორებით კი, ხის ქვეშ, ბუნების ხავერდზე ვიღაც წამოწოლილიყო მხართეძოზე და პაპიროსს ეწეოდა, რომლის ცეცხლიც შორიდან ციცინათელას ციალს მიაგავდა.

თურმე ილია ყოფილიყო, ფიქრებში ჩაძირული.

მაშინ რას წარმოვიდგენდი ასეთი სიმძაფრით, მაგრამ ახლა, ამ გადასახედიდან ისე მინდა მივუახლოვდე იმ საიდუმლოების კარიბჭეს, თუ რა

ცეცხლი უტრიალებდა იმ წუთებში ჯერაც ახალგაზრდა ილიას, უკვე შემქმნელს „კაცია-ადამიანის?!“ „გლახის ნაამბობის“, „აჩრდილის“, „მგზავრის წერილების“.

პირველად „მნათობის“ რედაქციის კარი მქონდა შეღებული, მაშინ კი, როდესაც პირველად ვიხილე ილია, „დროებასთან“ ვთანამშრომლობდი, თუმც როგორც კი ილია კვირეულ გაზეთს დააარსებდა, „ივერიას“, კიდეც მასთან გადავინაცვლებდი.

იქ კი, საგურამოში, გაისმა თუ არა:

– ქრისტე აღსდგა!

მაშინღა წარმოდგა და სხვებთან ერთად საყდარს მიაშურა.

1877 წელს ქალაქში რომ ჩამოვედი, შემხვდა ჩემი სკოლის ამხანაგი, პოეტი სოსიკო ბაქრაძე, რომელიც მიდიოდა ბანკში და მეც შემომთავაზა წავყოლოდი: რადგანაც თურმე ილიას თავისი თანამშრომლების ნახვა და მათთან გამოლაპარაკება ჰყვარებოდა. ამ შემოთავაზებაზე, ახლაც მახსოვს, როგორ ამიძაგძაგდა გული სიამისაგან.

მისაღებ ოთახში შემოსულმა ალერსიანად დაგვიწყო მუსაიფი, ტუჩებზე სიამოვნების ღიმილი არ მოშორებია. თქმაც არ უნდა, ბევრ რაიმეს რომ გვეტყოდა და დაგვარიგებდა, მაგრამ განსაკუთრებით ჩამრჩა გონებაში ის, რაც გამოჩენისთანავე გვითხრა:

– პროვინციაში ცოტა მუშაკები გვყავს, ყველა ქალაქში გამორბის, არ გამოექცეთ პროვინციას სხვებივით, იმუშავეთ ხალხში, ცნობიერება შეიტანეთ, ჩვენი ხალხი ნიჭიერი და ჭკუის კოლოფია, ყოველ კარგს მალე მიიღებს, მისი გული თესლისათვის კეთილ ნიადაგს წარმოადგენს.

ის იქნებოდა და ის, „ივერიის“ რედაქციას აღარც გაუშორდებოდი. ერთხანს ვმუშაობდი კიდეც იქ, ისე რა საინტერესოა: მე როდესაც მომიწია იქიდან ჩამოსვლა, ჩემს ადგილზე, სწორედ ჩემს ადგილზე მიიღეს ვაჟა-ფშაველა. ცოტა ხანი გაძლო, ძალიან ცოტა, არ იყო მისი საქმე რედაქცია და ვერც შეეთვისა. თუმც ილიას რაც შეეძლო, ყურადღება არ მოუკლია მისთვის.

თანამშრომლები კი მართლაც განსაკუთრებით უყვარდა. შუაში ჩაგვიჯდებოდა ხოლმე, პაპიროსს ულვაშებზე მიიბჯენდა, ულვაშებქვეშ ტუჩები უცინოდა და ხვდებოდი, ოხუნჯობის გუნებაზე დამდგარაო.

არა, მის იუმორს საზღვარი მართლაც არა ჰქონდა, და ვაი იმის დღეს, ვინც მისი იუმორის კბილებში მოჰყვებოდა.

ნეტა მომეფიქრებინა და ჩამეწერა მისი ის ფრაზები თუ ნაამბობები, მხიარული თუ გამქირდავი, ლაღი თუ წვეტიანი. ისეთი წიგნი შედგებოდა, იმის კითხვას არაფერი ემჯობინებოდა. გადავდე და გადავდე, ერთხელაც იქნება ჩავუჯდები და ყველას ერთადაც გადავიტან ფურცელზე, ამას რა დამავიწყებს-მეთქი... ენდე, თუ არ დამავიწყდა!.. მე ხომ ერთი კაი წიგნი დავკარგე და ილიას სახესაც მოაკლდება რაღაც შტრიხი, რაღაც პენი... ცუდია, აკაკი ნერეთლის ნაკვესები და სხარტულები რომ შეაგროვეს?!. მართალია თედო სახოკიას დიდი დავიდარაბა გადახდა ამ გამოცემის გულისათვის (სულ არტემ ახნაზაროვის ბრალი კი იყო), მაგრამ მაგას ჩივი?!. ის წიგნაკი კი არსე-

ბობს და შევსებაც შეიძლება. ილიას უზღვავი იუმორის გამოვლინებებს კი როგორღა შეავსებ, როდესაც საფუძველი არავის მოუმზადებია?!.

თვითონ კი... თვითონ დაუნანებლად აფრქვევდა ეშხში შესული.

გარს ვინ ვეხვეოდით, რედაქციის თანამშრომლები და ხშირად მიმომსვლელნი?

გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძენი, ძმები, საშა უფრო ფრონელის ფსევდონიმით რომ არის ცნობილი, სტეპკო ჭრელაშვილი, იგივე სანო, ნიკო ხიზანაშვილი, იგივე ურბნელი, ილია აგლაძე, იაკობ მანსვეტაშვილი, იგივე დონ-იაგო, ილია ბახტაძე, არტემ ახნაზაროვი, იგივე ჩიორა.

შემდეგ ჩამოერივნენ: იაკობ ცინცაძე, იგივე თომაანთ კობა, ია ეკალაძის ფსევდონიმით ცნობილი, იროდიონ ევდოშვილი, გრიგოლ რცხილაძე, იგივე ზანგი, ალექსანდრე ნანეიშვილი, იგივე ნალი.

პროვინციიდან გვსტუმრობდნენ: ვაჟა-ფშაველა და მისი ძმები – ბაჩანა და თედო რაზიკაშვილი.

რაო, რას ამბობენ ილიაზე: ზარმაცი იყო და მცონარაო?

ჰაი დედასა!.. იცოდეთ, ამას მხოლოდ ის ვაჟბატონები ავრცელებდნენ, ილიას ცხოვრების წესს დაახლოებითაც რომ არ იცნობდნენ.

მე მკითხეთ აგერ:

განა ზარმაცი და მცონარე ეთქმის კაცს, რომელიც ყოველდღე წერდა გაზეთისათვის მეთაურ წერილებს, ხან ორსაც, მომენტის კვალობაზე, და ასწორებდა მთელი ნომრის სტილსა?

ბოლოსდაბოლოს როდესაც გრიგოლ ყიფშიძემ, ილიკო აგლაძემ, არტემ ახაზაროვმა და სხვებმაც კიდევ შეითვისეს ილიას სტილი, მისი მართლაც წმინდა ენა, იგი მთელს ნომერს უკვე აღარ კითხულობდა.

მეთაურსა და სხვა წერილებს დილით ადრევე გზავნიდა სტამბაში, რომელიც იქვე, რედაქციასთან ჰქონდა გამართული მაქსიმე შარაძეს. და თავისი წერილების კორექტურას თვითვე იჭერდა. ასოთამწყობები დატანჯულები ჰყავდა: ხან მეთაურს სულ წაშლიდა, ახალს დაწერდა, კიდევ გაასწორებდა, გადასხ-გადმოსხამდა წინადადებებს – ვიდრე ძალზე არ „გამოშიგნავდა“, არ გაუშვებდა დასაბეჭდად. გამოშიგნვად ითქმის, აბა სხვა უკეთესი შედარება მე ვერ მოვიფიქრე, რასაც იგი დამართებდა ხოლმე თავის ნაწერს.

მერე შემოიღო წესად:

ნომრის მასალა უნდა წაკითხულიყო რედაქციის წევრთა კრებაზე. აქ სწორდებოდა ენა წერილებისა და ამ სახით იგზავნებოდა სტამბაში.

ძალიან ერიდებოდ გასაკიცხი წერილების ბეჭდვას, იმ წერილებისა, რომლებიც გამოიწვევდნენ მხოლოდღა უკბილო პოლემიკას და რედაქციას რაიმე ჩრდილს მიაყენებდნენ.

იცოდა ხოლმე თქმა:

– რედაქცია იგივე წმინდა ტაძარია, ის უჩირქო უნდა იყოს, პირნათლად ემსახუროს ქვეყანას.

დევს რომ ადარებდნენ, ყოველთვის გულმოსულად და ბოროტულად: ცხოვრების წყაროს გვიგუბებს, მარტო თვითონ უნდა, რომ დალიოს, სხვას

კი გასაქანს არ აძლევს და ჩაჰკლა და ჩახერგა საზოგადოებრივი ცხოვრება, ტაატით ატარებს თავის ნებასა და გუნებაზე, ნაცვლად იმისა, რომ ბუნებრივ კალაპოტში მიუშვას და შიგ უხეშად აღარ ტანტროს ხელებით.

დევის ბუნებისა მართლაც გახლავთ, მაგრამ ამ აზრით კი არა, ბოროტულით, არამედ:

ხშირად მომხდარა, რომ დაისზე დამჯდარა და მეორე დღის 9 საათამდე მჯდარა სამუშაოდ, საერთოდ მუშაობისას დაღალვა არ იცოდა და თავზე დათენება მისთვის ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ.

თუ დაიძინებდა, შეიძლება ორი დღე-ღამეც სძინებოდა.

ფიქრი გაიტაცებდა და... რამდენიმე საათს შეიძლება მჯდარიყო თავის კაბინეტში იდაყვებზე დაბჯენილი, გაყრუმუნჯებული და თუ თვითონვე გამოფხიზლდებოდა, თორემ სხვა ვერც ვერავინ გამოარკვევდა.

მე ეს დიდბუნებოვანი ადამიანის თვისება მგონია და ყველამ თავისი იცოდეს.

1886 წლის ზაფხულში გორიდან რომ ჩამოვედი და „ივერიის“ რედაქციაში დავიწყე მუშაობა, მაშინ „ივერია“ მოთავსებულიყო ახალბებუთოვის ქუჩაზე, და მაშინ იყო სწორედ, ილია რომ წერდა დიდი ტანის მეთაურებს დიმიტრი ყიფიანის წინააღმდეგ ბანკის საქმეების გამო.

მე, როგორც მასწავლებელი, ადრე ვდგებოდი და რვა-ცხრა საათზე უკვე რედაქციაში ვიყავ ხოლმე.

ერთ დილასაც რომ მივედი, ილიას სამწერლო კაბინეტიდან სანთლის სინათლე დავინახე გამოჭიატებული – ერთი ფანჯარა კაბინეტისა სარედაქციო ოთახში გამოდიოდა. ფეხაკრეფით მივუახლოვდი და:

ილია ზის საყელოგახსნილი და წერს, ნაწერი ფურცლები ხრილივით გარშემო შემოუყრია. ჩუმად დავჯექი და გაზეთების კითხვა დავიწყე, მაგრამ ფაჩუნ-შრიალზე შეატყო, რომ რედაქციაში ვიღაც იმყოფებოდა.

– რომელი ხარ მანდ? – შემომეკითხა.

– მე ვარ, სოფრომი.

– კაცო, რა დროა? განა ჯერ არ წასულხარ შინ?

– უკვე გათენდა და აგერ მეათე საათია.

მაშინღა შეწყვიტა მუშაობა და მაქსიმეს უსაყვედურა:

– კაცო, რაზე ჩამკალი, რატომ არ დამეხმაურე?

მაქსიმე ჩვენთან თავს იმართლებდა:

– რამდენჯერმე შევედ-გავედი, მაგრამ ისე იყო მუშაობაში ჩაფლული, ჩემი შესვლა-გასვლისა არა გაუგია რა.

პოლიტიკოსიც დიდი იყო. გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებას, არაერთ შესანიშნავ მომენტს არ გამოტოვებდა, რომ არ აღენიშნა „ივერიის“ ფურცლებზე და ზედდატანებით თავისი აზრიც არ გამოეთქვა.

იმხანად ბალკანეთში მოძრაობა იწყებოდა, ხალხი თავისუფლებას დაეძებდა, თავის დახსნას ლამობდა. ალექსანდრე ბატენბერგი გააგდეს, ალექსანდრე მესამე, რუსეთის ტვინის მწოველი მეფე, გამორიცხეს ბულგარელებმა თავიანთი ჯარიდან.

ამის შეტყობამ ილია ცას დასწია, სახე უბრწყინავდა, სიხარულს არცა ფარავდა:

– აღმოსავლეთში ღრუბლები იშლება, აქ ევროპის დიპლომატიური ხელი ფათურობს.

ამასთან ხმა დავარდებოდა:

ნიკო მინგრელსკის გზავნიან ბულგარეთის მთავრადო.

ნიკო ილიასთან რომ მეგობრობდა, აქედან დიდი იმედებიც დაებადა ილიას. ამისთანა მომენტების დროს იმედი ებადებოდა ხოლმე საქართველოს ბედის წაღმა შეტრიალებისა. და ამჯერადაც იტყოდა:

– მოახლოებულია ჟამი აღმოსავლეთის ქვეყნების გათავისუფლებისა. აღმოსავლეთის პატარა ერები ცხენის გამონასკული კუდია, ამ ნასკვს პატარა ნასკვი აქვს ხოლმე. ეს პატარა ნასკვი საქართველოა; ვიდრე ამ პატარა ნასკვს არ გახსნით, დიდი ნასკვი არ გაიხსნება.

ილიას, აკაკისა არ იყოს, უეჭველად სწამდა, რომ საქართველო ადრე თუ გვიან გათავისუფლდებოდა რუსეთის იმპერიის ჭახრაკიდან. ეს იმედი გაუძლიერა უფრო იმან, რომ ევროპა გაეცნო საქართველოს წარსულს, შოთა რუსთველი ითარგმნა ევროპულ ენებზე. არტურ ლაისტმა, ილიას მეგობარმა, გააცნო ევროპას საქართველო და მისი ლიტერატურა. ილიამ გერმანელი სწავლული ისე შეითვისა, რომ სულ თავისთან ამყოფებდა...

ყოველ კვირა, ხუთშაბათობით ილიასთან დაიარებოდნენ არამარტო რედაქციის წევრები, მთელი ჩვენი დამსახურებული მწერლები, და სხვა ინტელიგენტებიც.

არცერთი ახალი წიგნი არ გადურჩებოდა წაუკითხავი.

ან ამას როდის ასწრებდა, დღემდე გამოცანად რჩება ჩემთვის და, ვისაც ვკითხე მის გარშემომყოფთაგან, ყველამ ის მითხრა: ჩვენ შენთვის უნდა გვეკითხა, ნეტა ამას როდისღა ასწრებდაო?..

და ამ კრებას ყოველთვის უზიარებდა ხოლმე წაკითხულის შინაარსს; და კიდეც შეიქნებოდა სჯა-ბაასი, კამათი, პაექრობა.

ოოო ილია მძლავრი გახლდათ და რა მძლავრი ლაპარაკში.

ვინ ეკამათებოდა ყველაზე ხშირად?

იაკობი, მაინც იაკობ გოგებაშვილი.

ისიც დიდი ნაკითხი გახლდათ და ილიასავით ფეხდაფეხ მიჰყვებოდა თანამედროვე ლიტერატურასაც.

ბოლოს საკითხები თავს ეხვეოდა ჩვენი სამშობლოს ბედსა და ყოფას.

როცა გაჭირდებოდა საქმე რომელიმე საკითხის შესახებ, ილიას გაუშვებდნენ ხოლმე საბრძოლველად.

უწემოდაც გაგახსენდებათ მისი წერილები კირილე იანოვსკისა და მისი ანტისაგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ; ქართული დროშის შეურაცხყოფის გამო, დავით ერისთავის „სამშობლოს“ დადგმისას რომ გამოიტანეს სცენაზე და რუსულმა გაზეთმა აბუჩად მოიხსენია; მეგრული ენის შემოღებაზე სამეგრელოს სკოლებში, იმავე რუსული ანტისაგანმანათლებლო და ანტიქართული პოლიტიკის გაგრძელება. თადა აშორდია რომ ჩართეს ამ

უგვანობაში და ჰოი რა დღე აყარა ილიამ, კევრქვეშ გაატარა და ახიც იყო იმ ახალ ფარნავაზზე, მეგრელებს არაქართულ მოსახლეობად რომ აცხადდებოდა და საკუთარ ანბანსაც უქმნიდა რუსეთის იმპერიით ზურგგამაგრებული...

ილიას სიტყვა მეხი იყო, მეხი!..

ასეთი კრებები მანამდე გაგრძელდა, სანამ „ივერია“ გადავიდოდა დავით მიქელაძის, იგივე მეველის, ხელში.

მას შემდეგ ილია უფრო საგურამოში ცხოვრობდა, განსაკუთრებით ზაფხულობით. იქ მას თუ ვინმე ხშირად სტუმრობდა, არტურ ლაისტი. ნეტა ჩაწერილი ჰქონდეს ილიასთან საუბრები... გერმანელი რაკიღაა, ამიტომაც გამიჩნდა ეს აზრი, ნეტა ეკერმანობა ეკისრა-მეთქი!.. არ ეკუთვნოდა ილიას თავისი ეკერმანი თუ რა?!. არა, იონა მეუნარგიას ვინ არ უფასებს, რაღაც-რაღაცების ჩანიშვნა რომ მაინც მოასწრო... ვისზე რას ვამბობ, მე თვითონ რამხელა შესაძლებლობა მაქვს გაშვებული ხელიდან.

რამდენი რამ მიგრიალებს გონებაში, მაგრამ ყველაზე მძაფრად ამ წუთას წინ გამოვარდა ილიას ის დიდი მღელვარება და გულისტკივილი, როდესაც ბათუმიდან რამდენიმე ბარათი მივიღეთ რედაქციაში სანდრო ყაზბეგისაგან. და ილიას რომ გაუკვირდა მისი ჩამოქვეითება, რედაქციის წევრებმა, სხვათა შორის გიგა ყიფშიძემ, აუხსნეს, რომ სანდრო შეერყია სნეულებას, დაეხშო მისი ბრწყინვალე ნიჭი და გონება...

რაო, დევი იყოო?

მართლაც რომ დევი გახლდათ, დევი, ნამდვილი დევური ბუნებისა, ოღონდ ისეთი კი არა, ზოგიერთები დასაძრახად და სახელის გასატეხად რომ ეძახიან!..

ივანე პოლტარაცკი

ეკატერინე გაბაშვილის გვერდით მოვხვდი სუფრაზე და ილიას სადღეგრძელო რომ შეისვა, ჩავილაპარაკე:

– გასაოცარი რომანტიკოსია ეს თქვენი ბრწყინვალე ლიტერატორი და პირველი სორტის ქართველი ილია.

და მომიტრიალდა ეკატერინე:

– რასა გულისხმობ „გასაოცარ რომანტიკოსში“?

– ისეთს არაფერს, – მივუგე.

– მაინც, მაინც? – ჩამაცივდა.

– აი ბევრი ტანჯვა და ვაი-ვაგლახი რომ გადაიარეს ოლღამ და ილიამ, ვიდრე ერთმანეთს დაუახლოვდებოდნენ და შეუღლდებოდნენ.

გაუფართოვდა თვალები და რა გაუფართოვდა და ვედრებით შემომევედრა:

– აბა ეს რომ არ მომიყვეთ...

– მე მხოლოდ ერთ ფაქტს გიამბობთ მისი გადარეული სიყვარულისას და იქიდან შეგიძლიათ შეიტყოთ, თუ სადამდის ძლიერი იყო იმისი რომანტიკული სიყვარული.

სმენად გადაიქცა.

და თქვენც იმავეს გიამბობთ, რაც იმას მოვუყევი.

ოლღა და ეკატერინე გურამიშვილები ჩვენი სადგურის მიახლოებით ცხოვრობდნენ, ბებიასთან, სავარსამიძის ცოლთან, რომელიც ფრიად შეძლებული და მაღალ საზოგადოებაში მიღებული დედაკაცი გახლდათ და თავის ობოლ, მშვენიერ შვილიშვილს, დიდად ანებივრებდა, ულოლიავებდა, რთავდა და მაშინდელ საზოგადოებაში გამოჰყავდა ინსტიტუტიდან ახალგადმოფრენილი კნიაჟნები.

ბებიასთან რატომ ცხოვრობდნენ და:

თადეოზ გურამიშვილმა მეორე ცოლად შეირთო დავით დიასამიძის ქალი მარიამი, რომელთანაც შეეძინა მემკვიდრე ვაჟიც და ქალიც. ოჯახი თადეოზისა ცხოვრობდა სოფელ ავჭალაში, თვითონ თადეოზი კი – საგურამოს, თავის დიდ და კულტურულად დამუშავებულ მამულში, ვორონცოვის განკარგულებითა და დახმარებით მოწყობილში, ასევე როგორც ზემო ქართლში — დიასამიძის მამულში — და შუა ქართლში — მიხეილ მაღალაშვილის მამულში. ბებიას კი შეუძლებლად მიაჩნდა ინსტიტუტდამთავრებული გოგონები ავჭალის ციხე-გალავანში შეემწყვდია და ისიც დედინაცვალთან და ისიც... ჰმ, ჰმ... იმის ცნობილ იდიოტ შვილებთან.

გურამიშვილის ქალების დიდ მზითვიანობას ვინ იფიქრებდა, როცა მემკვიდრე ვაჟი ჰყავდა თადეოზს, მაგრამ – როგორც ლამაზებსა და მაშინდელი დროების შესაფერისად აღზრდილებს – ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდათ და უკიდურესად გადარეული იყო ჩვენი ილია უმცროსი დის – ოლღას – მშვენებით, მაგრამ... მაშინ ძლიერ ხელმოკლე თავადი ჭავჭავაძე და მასთან მწერალიც და ლიბერალიც სასურველ სასიძოდ ვერ ჩაითვლებოდა და თავის ტრფიალს მალავდა.

და ამის გამო ორ მიჯნურს შორის მალული მიმოწერა იყო შუამავალი.

ილია მთლად გადარეულიყო თვალჭრელა ოლღასათვის და მთელი დღე და ღამე იმის გზასა და კვალს დაეძებდა.

რამდენად ძლიერ გატაცებულიყო ილია თავისი სატრფოთი?

ილიას ჰყავდა ლალა, სახელს ვეღარ ვიხსენებ, შუახნის კაცი, ყოფილი ყმა, რომელიც უნივერსიტეტშიაც თან ახლდა და ნამითაც არა შორდებოდა თავის საყვარელ აღზრდილ ნებიერს, და ახლაც ორ მიჯნურს შუა ეს ლალა გახლდათ მათი მესაიდუმლე.

ერთ საღამოს ჩვენთან უნდა მოგროვილიყვნენ საერთო მეგობრები, ილიას მსახურმა სუყველაფერი დაამზადა, ცხელ-ცხელი სამოვარი მოგვართვა და თვითონ კი სადღაცა მიიმალა.

ილია საშინელ მოუსვენრობას იჩენდა, ერთ ალაგას ვერა ჯდებოდა, ლაპარაკს წყვეტდა, პასუხს შეკითხვებზე რიგიანად ვერ იძლეოდა და მოუთმენლად შედიგადიოდა.

შუაღამე გადასული იყო, როდესაც ქუჩის კარში დარბაისელმა მსახურმა თავი შემოჰყო და... ვერ წარმოიდგენთ რა მოხდა. ეს ჩვენი ლიბერალი და თავისუფლების მოტრფიალე პოეტი სწვდა თავის მოამაგე ლალას საყელო-

ში და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისე დაუწყო ჯანჯღარი და თან უშვერადაც ლანძღავდა და აგინებდა:

– მხეცო, ჩერჩეტო, უგუნურო პირუტყვო, სად იყავი აქამდე? სად ოხრობაში დაეთრეოდი, განა არ იცოდი, რომ გელოდი და სული კბილით მეჭირა! რომ შემეძლოს, კბილებით დაგგლეჯდი!..

– ყმაწვილო, ყმაწვილო, ილიკოჯან, ნუ დამახრჩე, დამაცალე, მათქმევინე, რაშიაც იყო საქმე! – ღრიალებდა საწყალი მოამაგე ბებერი.

თან ჩვენ წავეშველეთ, შევთათხეთ ილია ამგვარი თავხედობისათვის და ხელიდან გამოვგლიჯეთ თავისი ერთგული შიკრიკი, რომელმაც ახლაღა მოახერხა უბიდან გამოეღო ხელისოდენა საიდუმლო ბარათი და, ბრძოლისაგან მოქანცულმა, გადასცა მოუთმენელ არშიყს და თან თავის მართლებას შეუდგა:

– ქალი „ვეჩერში“ ბრძანდებოდა ნამესტნიკთან, 12 საათზე მოვიდა, ვიდრე თავის ოთახში შევიდოდა, ვიდრე მოახლე შენს ბარათს გადასცემდა, ვიდრე საპასუხო უსტარს დაწერდა, დრო იყო საჭირო თუ არა?

– მაპატიე, მაპატიე, ჩემო კარგო მეგობარო! – ლმობიერად დაადო მხარზე ხელი ილიამ ლალას მხოლოდღა მაშინ, როდესაც ბარათი გადაიკითხა.

მერე — რომ იცოდეთ — რა იშვიათი კაცი იყო, რა უზომო ერთგული და მოსამსახურე, როგორი... არამცთუ მამაშვილური, მთლად დედაშვილური სიყვარულით უყვარდა თავისი აღზრდილი, უვლიდა და ყოველ სურვილს უსრულებდა. ვერცერთი დედა, ვერცერთი აღმზრდელი ვერ გამოიჩენდა იმხელა ალერსს, იმხელა სინაზეს, როგორც ის უბრალო გლეხი: გახდიდა ტანთ, როგორც ბალღს, ჩააწვენდა გამზადებულ ლოგინში, დაუჯდებოდა ფეხთით და... თან ზღაპრებსაც უამბობდა, ვიდრე დაეძინებოდა ნებიერს. მერე პირჯვარს გადაწერდა სასოებით და ფეხაკრეფით გადიოდა სამზარეულოში.

ეკატერინე გულდასმით რომ მიგდებდა ყურს, ისეთი, ისეთი გახარებული დარჩა ამ ნაამბობით, და მღელვარედ მითხრა:

– ეს ლაპარაკი უშუალოდ მოწმობს, რომ ილიასა და ოლღას სიყვარული ყოველგვარი ანგარების გარეშე იყო ჩასახული და ეს ორი ახალგაზრდა, სრულნი ყოველგვარი პიროვნული ღირსებით, შეყვარებულნი იყვნენ და დიდხანს, დიდხანს ერთად და ერთგულადაც ეწეოდნენ ღარიბი ცხოვრების ჭაპანს, და მამულის კანონიერი მეთოთხმეტედი მიიღეს მხოლოდ ხანშიშესულობის შემდგომ, როცა თადეოზი გარდაიცვალა და მემკვიდრეობა კანონის ძალით გაინაწილა სუყველა შვილმა.

მეც დავუბეჯითე:

– ოლღა ფრიად მშვენიერი ქალი იყო, ილიაც არ ჩამოუვარდებოდა სილამაზით, და როგორც ყოველთვის ხდება ორ ყმაწვილ და ბედნიერ არსებათა შორის, შეუყვარდათ ერთმანეთი გატაცებით და არავითარ მატერიალურ ანგარიშს ალაგი არა ჰქონია მათ შორის, და არც შეიძლებოდა ჰქონოდა. მე მოწმე ვარ მათი იდეალური სიყვარულისა და რომანტიკული გატაცების, რისი შედეგიც იყო ბებიის სახლიდან ოლღას გამოპარვა და ჩვენი, ამხანაგების დახმარებით, მათი საიდუმლოდ დაქორწინება...

ეკატერინე გაოგნდა, ოლღას გამოპარვა და საიდუმლო ქორწილი რომ ვახსენე, ასეთი რამ არა სმენოდა, მერე კი:

– იცოდეთ ამ ნაამბობს სადღაც უეჭველად გამოვიყენებ, ცხადია თქვენ უნდა მოგიხსენიოთ, აბა მე ეს ამბავი საიდან მეცოდინებოდა, და გთხოვთ უხერხულად არ იგრძნოთ თავი... თუ უხერხულად იგრძნობთ და – წინასწარვე გთხოვთ პატიებას.

მე გამეცინა:

– მწერალს რომ რაიმეს მოუყვები, იგულისხმება, რომ სადღაცა აუცილებლად გამოიყენებს, და ამიტომაც საუხერხულო განა რა არის, მაშინ ხომ არც გიამბობდით.

– სხვა ეპიზოდებს როდისღა მომიყვებით? – შემომაჩერდა ისეთი ცნობისწადილით, იშვიათად რომ მინახავს, – იქნებ ახლავე, აგერ ცალკე დავსხდეთ და...

– სხვა დროს იყოს, სხვა დროს, – ვჩქარობდი, ვილაცებიც მყავდა სანახავი და მოგონებებში ვეღარ ჩავიძირებოდი.

– ეჰ, – ხელი ჩაიქნია ეკატერინემ, – გადადებული საქმე ეშმაკისააო.

ყოველთვის არა-მეთქი, დავაიმედე.

ყოველთვის არა, ცხადიაო, – დაიმედდა ისიც.

ამ შემთხვევაში კი გამართლდა ის ანდაზა და...

თუმც ანდაზები ყოველთვისაც მართლდება.

არტემ ახნაზაროვი

ილიას ხსენებისას – ხშირად შევსწრებივარ – პირველად მის თვალებს მოიგონებდნენ ხოლმე.

მართლაც საოცარი რამ თვალები ჰქონდა, შეხედავდი და... შიგ იმხელა გონიერება და ჭკუა იხატებოდა, მათ მჩქეფარებას ვერ გაუძლებდი.

რარიგ მიმზიდველნი და ალერსიანნი იყვნენ, როცა მათი პატრონი დამშვიდებული ან ნასიამოვნები ბრძანდებოდა, მაგრამ თუ განრისხდებოდა?.. ოო – ცეცხლს აფრქვევდნენ და ნაპერწკლებს ისროდნენ.

ბევრჯერ შევსწრებივარ ცხარე კამათისას და დამეჯერება.

ამ დროს ამ თვალთა მოძრაობას ცხვირის გაფართოებული ნესტოების ხშირი სუნთქვაც დაერთვოდა, მაშინ, როდესაც მის მსუქან ღაწვებთან შედარებით თხელი ტუჩები მუდამ მოკუმული ჰქონდა და კბილებს არ აჩენდა. ახლა რომ ვუკვირდები, მისი კბილებისათვის თვალი არც არასოდეს მომიკრავს.

ეს ტუჩები ადამიანის ყურადღებას იქცევდა მეტადრე მაშინ, როდესაც ილია წერდა და კალმით ხელში ნაწერს უფიქრდებოდა. ამ დროს ტუჩები მოკუმული კი არა, სულაც მოკრუნჩხული ჰქონდა. და ამასაც არა კმარობდა საწერ მაგიდაზე ორივე ხელით დაყრდნობილი – კალმით შეიარაღებულ მარჯვენა ხელს ამ – ასე ძლიერ მოკუმულ – ტუჩებზე მაგრად მიიდებდა, თითქოს ტუჩების დაკეტვას აპირებს და ეშინიან, პირითგან არცერთი სიტყვა არ გაეპაროს და მის სიტყვათა მარაგს არა დააკლდეს რაო.

წერისას ხშირად ათი-თხუთმეტი წუთი ამ სახით მჯდარა და კალმიანი ხელი „დაკეტილი“ ტუჩებისათვის იმ დრომდე არ მოუშორებია, ვიდრე თავისებურად გამოკვეთილი ფრაზა მარგალიტებრ არ შეუწყვია და ფურცელზედ არ აღუბეჭდავს დამარცლული ასოებით, რადგანაც წერისას ასოთა გადაბმა და შეერთება არ უყვარდა.

აბა მიაქციეთ თქვენც ყურადღება:

მისი ნაწერის ყოველი ასო ლამაზად და ცალ-ცალკეა აღნიშნული და ამიტომაც – დიდად გარკვეულია და წასაკითხადაც ადვილი.

დაწერდა და... არავის გაუმჟღავნებდა. როცა დაამთავრებდა, უსათუოდ ცალკე შეინახავდა. ორი-სამი კვირის შემდგომ თვითონვე მუშტრის თვალით გადაიკითხავდა, რამდენჯერმე შეასწორებდა, შალაშინს გაჰკრავდა და მხოლოდღა მერე, როცა საბოლოოდ დარწმუნდებოდა, დაწერილი უკვე მაკმაყოფილებსო, გაუზიარებდა სხვებსაც და დასტამბავდა კიდეც.

ყოველი სიტყვა, ყოველი წინადადება ასჯერ მაინც ჰქონდა აწონილიც და გაზომილიც და ხშირად ბეჭდვის დროსაც კორექტურაშიც ასწორებდა და ამატებდა.

სულ სხვა იყო ალექსანდრე ყაზბეგის წერის ხასიათი. შედარების საშუალება რომ გეძლევა, ყოველთვის საგულისხმოა და დამაფიქრებელიც, და ამიტომ ვერ ვითმენ, ისიც არ გავიხსენო.

ხშირად შევსწრებივარ მისი წერის პროცესსაც და: როდესაც წერდა თავისი მოთხრობის გაგრძელებას გრძლად, საგაზეთოდ დაჭრილ ქაღალდზე და ერთი ფურცლიდან მეორეზედ გადავიდოდა, წინა ფურცელზედ დაწყებულ წინადადებას წერტილამდე მიიყვანდა და... ამ წინა ფურცელს გადაუკითხავად სტამბაში უკრავდა ხოლმე თავს.

ხანდახან სტამბაშიც ვერ მივიდოდა, რომ ენახა, შალაშინი გაეკრა, ხან ქართული წარმოდგენის რეპეტიცია შეუშლიდა ხელს და ხანაც რაიმე სხვა შემთხვევა.

ხოლო ილიას წერისა და შემოქმედებისას რა სჩვეოდა თავისებური?

თავს გაიმარტოებდა ხოლმე კაბინეტში და, თუ წერას მიჰყოფდა ხელს, იმ დრომდე არ მოეშვებოდა, ვიდრე არ დაამთავრებდა. წერისას ყოველ წინადადებას რამდენჯერმე გადაიკითხავდა, სიტყვებსა და სასვენ ნიშნებს შეასწორებდა, ბევრჯერ გადაწერდა ან სულაც დახევდა ხოლმე, დაჭმუჭნიდა, გვერდზე მიაგდებდა და ხელახლა შეუდგებოდა წერას.

წერისას დრო-ჟამის გათვალისწინება არა სჩვეოდა – არც სადილისა, არც ვახშმისა და არც ძილისათვის წერას თავს არ დაანებებდა. საკვირველი იყო, მაგრამ სხვაგვარად ვერ ახსნი:

თითქოს წერის ჟინი ჭამა-სმისა და ძილის მოთხოვნილების საჭიროებასაც უკლავდა.

ან რაღა თითქოს!..

ძალიან ხშირად დილით რედაქციაში რომ მივსულვარ, 10-11 საათზე, და ილიას ნახვა დამჭირებია, ასეთ სურათს შევსწრებივარ:

მზით გაკაშკაშებულ ოთახში ზის საწერ მაგიდასთან ტუჩებმოკუმული და ტუჩებზედ ხელებმიბჯენილი, წინ ანთებული ლამპარი უდგას და... როცა მიკითხავს:

– ბატონო ილია ეს ლამპარი რაღად გინდათ?

ფანჯრისაკენ მიუხედავს და გაოცებით წამოუძახნია:

– განა გათენდა?

და ვრწმუნდებოდი, რომ მთელი ღამე ემუშავა და გათენებისაც კი ვერა გაეგო რა.

ქალბატონი ოლღა მის ხასიათს ისე მიჩვეოდა და შეგუებოდა, რომ ილიას კაბინეტს, როდესაც იგი მუშაობდა, არც გაეკარებოდა, და თუკი შევიდოდა, ძალიან, ძალიან ფრთხილად და ფეხაკრეფით ჭიქა ჩაის ან ყავას დაუდგამდა და კვლავ ფრთხილად, ფეხაკრეფითა და ხმაამოუღებლივ გამობრუნდებოდა.

მოსამსახურე კი სულ ვერ მიეკარებოდა მის სამეცადინეო ოთახს.

ისეთი ახირებული და დაჟინებული მუშაობა სჩვეოდა, ბევრჯერ ორი და სამი დღეც არ გამოვიდოდა ხოლმე კაბინეტიდან. ისე ამ დაჟინებულ და ხანგრძლივ შრომასთან ერთად დასვენებაც ხანგრძლივი და ახირებული იცოდა. წამოწვებოდა საწერ მაგიდასთან პირდაპირ პაწია ტახტზედ და ხშირად დღედაღამ ტანგაუხდელად ეძინა.

წერისას მეტად ფრთხილი და სიტყვადაზოგილი გახლდათ, დიდად აფასებდა ლაკონიზმს და სიტყვის მოკლედ მოჭრას. არამცთუ თვითეულ ფრაზას გადაიკითხავდა ხოლმე მუშტრის თვალით, შეასწორებდა, შეაკეთებდა და გამოჰკვეთდა, ამასაც არა კმარობდა, ხშირად უკვე დაწერილ და დამთავრებულ წერილსაც შანდლის ქვეშ ამოსდებდა და მე ან გიგა ყიფშიძეს, რომელიც შევხვდებოდით იმ წუთას, გვეტყოდა:

– შემდეგ გადავიკითხავ და თუ მომეწონა, დავბეჭდოთ.

„ივერიის“ გაზეთად გადაკეთების პირველ ორ-სამ წელიწადს ილია თითქმის ყოველდღე წერდა მეთაურებს და ეს წერილები ხელმოუწერლად იბეჭდებოდა. თუკი სხვა ვინმე დაწერდა მეთაურს, მხოლოდ მაშინ აღინიშნებოდა ბოლოში დამწერის ვინაობა – ფსევდონიმი ანდა გვარ-სახელის ინიციალები. სტილური თავისებურებითაც ამოიცნობოდა, ილია თუ არ იყო. როგორც უნდა მიგებაძა, მისი სიტყვათწყობის იდუმალ რიტმს ხომ ვერ გაიმეორებდი.

თვითვე ადგენდა ყოველდღე გაზეთისათვის „დამაკვირდის“ – სხვადასხვა მწერლის აზრსა და ბრძნულ ნათქვამს თვითონვე არჩევდა და, თუკი საჭირო იქნებოდა, თვითვე თარგმნიდა კიდეც.

გამუდმებით შრომობდა რედაქციაში.

დილაადრიანვე მოგვცემდა წინაღამით დაწერილ მეთაურს, შემდეგ მიდიოდა საადგილმამულო ბანკში, იქიდან დაბრუნებული, ნაშუადღევის 3-4 საათზე შემოგვხედავდა რედაქციაში და იკითხავდა:

– ხომ არაფერი საქმე გაქვთ?

მოგველაპარაკებოდა და შევიდოდა შინ.

საღამოს 8-9 საათზე, როდესაც შემდგომი დღის გაზეთი უკვე აწყობილი გახლდათ, შევიყრებოდით სარედაქციო ოთახში და მივუსხდებოდით დიდ მაგიდას. ილიაც იქ შემოვიდოდა და ყველა ჩვენგანი, ვისაც რა გვქონდა

თვითონ დაწერილი ან სხვის განსახილველს, რიგრიგობით წავუკითხავდით, და ილია ენას გვისწორებდა, ან შინაარსის შესახებ რაიმე შენიშვნას მოგვცემდა და თავის მოსაზრებას გაგვიზიარებდა. ჩვენსას მოისმენდა, მოსმენა მართლაც რომ იშვიათი სჩვეოდა, თავისას გვეტყოდა, დასაბეჭდ თხზულებას გააშალაშინებდა.

ასე გვასწავლიდა ქართულ ენას და ყოველ სიტყვას გვისწორებდა იმ დრომდე, ვიდრე დარწმუნდებოდა, რომ ცოტად თუ ბევრად ქართული ენა შეთვისებული გვქონდა.

საკვირველი ის იყო, რომ:

წერილების გასწორებისას წერის მანერას ანუ ყაიდას არაფრისდიდებით არ შეეხებოდა, რადგანაც იმ აზრისა იყო, რომ ყოველ მწერალს თავისი წერის ყაიდა და სტილი უნდა ჰქონოდა.

წერისას თვითონ დიდ სიფრთხილეს რომ იჩენდა, ჩვენც გვეტყოდა ხოლმე:

– ყმაწვილებო, გაზეთის ფურცლებზედ საპოლემიკო წერილით გამოსვლა იგივე ბრძოლა არის, ომია, და ვიდრე ასეთ ომს დაიწყებდეთ, საკამათო საგანი კარგად უნა შეისწავლოთ, გაითვალისწინოთ, თქვენს მოწინააღმდეგესა და მოკამათეს რა პასუხის გაცემა შეუძლიან და იმ პასუხსაც ამთავითვე პასუხი მოუმზადოთ. ერთი სიტყვით გარშემო უნდა ზარბაზნები შემოიწყოთ და ბრძოლის ველზედ ისე გახვიდეთ.

ამავე კრებებზდ ვარჩევდით დასაბეჭდად გამოგზავნილ ლექსებსაც: აკაკისა, რაფიელ ერისთავისა, ვახტანგ ორბელიანისა, ვაჟა-ფშაველასი თუ სხვებისას, და აგრეთვე ხალხური პოეზიის ნიმუშებს, რომელთაც უხვად გვაწვდიდნენ პეტრე უმიკაშვილი და დავით ხიზანიშვილი. ილიას ძალიან უყვარდა ხალხური ლექსები და აღტაცებასაც ხშირად გამოთქვამდა. ასეთი მუშაობა ხშირად ღამის ორ საათამდეც გასტანდა ხოლმე, მაგრამ ილიამ დაღლილობა და მოქანცვა არ იცოდა და შრომაში რკინასავით გამძლე და მაგარი გახლდათ.

ამ შინაურ, ასე ვთქვათ დახურული სარედაქციო სხდომების გარდა ილია კვირაში ერთხელ გაზეთის მუდმივ და გარეშე თანამშრომლებს მოუყრიდა ხოლმე თავს შინ სალიტერატურო და საზოგადო საგნებზე ჟამთა სიავისაგან გამოწვეული მოვლენების ირგვლივ საბაასოდ და ერთმანეთის მოსაზრებათა გასაცნობ-გასაზიარებლად.

ამისათვის პარასკევ-საღამო იყო დანიშნული.

ეს პარასკევის კრებები ისეთ ჩვეულებად დამკვიდრდა, რომ ვინც კი რედაქციასთან იყო დაახლოებული, მოუწვეველადაც ესტუმრებოდა ხოლმე. აქავე იყრიდნენ თავს პროვინციიდან ჩამოსული მწერლებიც. საერთოდ კი ამ საღამოებს თითქმის ყველა ქართველი ინტელიგენტი დასწრებია.

გარდა გაზეთის მუდმივი თანამშრომლებისა – რომელთა რიცხვსაც შემდგომ შეემატნენ: ალექსანდრე ნანეიშვილი, იგივე ნალი, სტეფანე ჭრელაშვილი,იგივე სანო, ალექსანდრე ფირალოვი და ალექსანდრე ყიფშიძე, გიგა ყიფშიძის ძმა, იგივე ფრონელი – აქ შეხვდებოდით: პეტრე უმიკაშვილს, იგივე ანჩისხატელს, დავით ერისთავს, იგივე დონენს, რაფიელ ერისთავს, ნიკო

ხიზანაშვილს, იგივე ურბნელსა და პლებსს, არტურ ლაისტს, გრიგოლ ვოლსკის, იგივე უმწიფარიძეს, გიორგი ზდანოვიჩს, იგივე მაიაშვილს, ანტონ ფურცელაძეს, სოფრომ მგალობლიშვილს, ნიკო ლომოურს, იონა მეუნარგიას, როდესაც ისინი ქალაქში ჩამოდიოდნენ.

მეგობრული ბაასისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ილია სტუმრებს ვახშმით გაუმასპინძლდებოდა და ღამის ორ საათზე თუ დავიშლებოდით.

ამ კრებებზე მასპინძელი გაშმაგებით იცავდა ხოლმე ქართულ ენას და მახსოვს ერთხელ დავით ერისთავმა რომ უთხრა:

– ილია, ამ ქართულ გაზეთს ტყუილად აკლავ თავს. ქართველ ხალხს, რაკიღა რუსეთს ჩაუვარდა ხელთ, ვეღარაფერი იხსნის, ეს ასმილიონიანი ხალხი შთანთქავს ერთიმუჭა ქართველობას და ქართული ენაც მოისპობა.

ილიამ პასუხად შეაგება:

– ეგ არასოდეს მოხდება, საქართველომ საუკუნეთა განმავლობაში გარშემორტყმულ და მოზღვავებულ სპარსეთსა და ოსმალოებს დააღწია თავი, დღემდე მოიტანა მშობლიური ენა და კულტურა და დარწმუნებული ვარ, რომ ახლაც თავისას გაიტანს.

ეს მისი დიდებული აზრი ყურში ჩამრჩა და არც არასოდეს დამავიწყდება.

დიდი მამულიშვილი და პატრიოტი გახლდათ, მაგრამ „მჟავე“ კი არა, რომელიც თავის უვარგისსაც კი სხვათა კარგს ამჯობინებს, არამედ – სხვა ეროვნებათა სიცოცხლესთან ერთად სურდა, რომ საქართველოსაც სიკეთე და კეთილდღეობა არ დაჰკლებოდა.

დიდი მომხრე იყო მშვიდობიანი ცხოვრებისა, თუმც ამავ დროს წყინდა, რომ პარიზში რევოლუციონერები დამარცხდნენ.

საზოგადოდ ყოველი საგნის შესახებ თავისი განსაკუთრებული აზრი და შეხედულება ჰქონდა, უფრო ხშირად ყოველ საკითხს უტილიტარიზმის თვალსაზრისით მოუდგებოდა ხოლმე. სხვათა შორის თუმც წინააღმდეგი გახლდათ ყოველგვარი ცენზისა, მაგრამ...

ერთხელ, როდესაც ბანკში გახურებული კრებები მიმდინარეობდა და ილიას მომხრენი და მოწინააღმდეგენი გამწარებით აწყდებოდნენ ერთმანეთს, ილიას ერთ საკამათო წინადადებას კენჭი უყარეს და... ილიას აზრმა დიდი უმრავლესობით გაიმარჯვა.

ღამის პირველი საათი იქნებოდა, კრება რომ გათავდა და ილია და მე არწრუნისეული თეატრიდან, სადაც თავყრილობა იყო გამართული, ნიკოლოზის ქუჩაზე შინ ფეხით ვბრუნდებოდით. როდესაც საუბრისას ჩემი შეხედულება გამოვთქვი:

– როგორც ფარულმა კენჭისყრამ გამოამჟღავნა, საზოგადო კრების წევრთა უმრავლესობა თქვენი მომხრეა.

ილიამ მომიგო:

– ჩემო არტემ, ეგ ფარული კენჭისყრა გამარჯვებულის აზრის ჭეშმარიტების უტყუარ მაჩვენებლად ყოველთვის არ გამოდგება. კენჭი კი არ უნდა დაითვალოს, უნდა აიწონოს.

და ისე დამიტრიალდა ეს სიტყვები გონებაში, ერთბაშად სულ სხვაგვარად დამანახვა ყველაფერი.

მართლაცდა:

კენჭი კი არ უნდა დაითვალოს, უნდა აიწონოს, უნდა აიწონოს, უნდა აიწონოს!..

სიტყვიერი კამათისა და თათბირისას ილიას ერთი განსაკუთრებული თვისება ახასიათებდა:

თავის მოსაზრებას ამათუიმ საგანზედ არასოდეს პირველად, აჩქარებით არ გამოთქვამდა, პირიქით – ყველას აზრს მოისმენდა, ბოლოს ამ აზრებს შეაჯამებდა, ან უარყოფდა, და საგანს ისე მშვენივრად გამოარკვევდა და ახსნიდა, რომ ყველა გაოცებულნი ვრჩებოდით და მის საბოლოო მსჯავრს მივემხრობოდით, თუნდ თავიდან სხვა აზრისაც ვყოფილიყავით.

საზოგადოდ ეს დიდი ლოგიკისა და ერუდიციის ადამიანი ყოველ საგანს ძირიან-ფესვიანად შეისწავლიდა, გულს-ღვიძლს გამოუშიგნავდა, როგორც თვითონ სჩვეოდა ხოლმე თქმა, და ამიტომაც პოლემიკისას ყოველთვის ენამახვილი, გონიერი, ღონიერი და დაუძლეველი გახლდათ.

მისი სახის გამომეტყველებისა და თვისების აღწერის განსამარტად უნდა აღინიშნოს, რომ:

მაშინაც კი, როდესაც მეგობრულად და ალერსიანად ექცეოდა ვინმეს, გულს არავის გადაუშლიდა და საერთოდ მიუკარებელი ადამიანი იყო.

თავისი სახის გამომეტყველებითა და ენაწყლიანობით გიზიდავდა, მაგრამ თავის გულთან ახლო არ მიგიშვებდა – არც ძალიან შორს დაგიჭერდა და არც ძალიან დაგიახლოვებდა.

მიუკარებელი კი გახლდათ, მაგრამ იმდროინდელ საქართველოში არცერთი საზოგადო და კულტურული საქმე არ გაკეთებულა, რომ იგი არა ყოფილიყო თაოსანი ან მონაწილე. ქართველი ხალხის ცხოვრებას ის ედგა სათავეში, ის იყო ამ ცხოვრების მესაჭე, და მიტომაც ყოველი განათლებული ქართველი პატივს მიაგებდა და დიდადაც აფასებდა.

მოდის და მოფრინავს ათასგვარი სურათი თუ დეტალი, ილიაზე როდესაც ვფიქრობ, ანდა – თქვენი დაინტერესებისა არ იყოს – რაღაცას მეკითხებიან ხოლმე, უნდა ჩავინიშნო, უსათუოდ უნდა ჩავინიშნო თუგინდ წვრილმანადაც მოჩანდეს.

თუმც როდესაც ილიას სიმაღლის პიროვნებებს ეხება საქმე, განა იქ რაიმე შეიძლება იყოს წვრილმანი?

იონა მეუნარგიამ გვასწავლა, ის გვეჩიჩინებოდა და გვიბეჯითებდა: წვრილმანი და მსხვილმანი არ არსებობს, როდესაც ამათუიმ პიროვნებას ან საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოვლენას გაიხსენებთ ხოლმე, ამიტომაც ეცადეთ ყველა დეტალი აღიდგინოთ გონებაშიო...

ჩავინიშნავ, უეჭველად ჩავინიშნავ, მაგრამ ის ფრაზა მაინც ისე სახიერად მიკრთის თვალწინ, თითქოს ილია აგერ გვერდით მედგას და შემაგონებდეს მისებური სიმშვიდითა და ცხოველმყოფელობით: კენჭი კი არ უნდა დაითვალოს, უნდა აიწონოსო!..

ილია სიტყვის ამწონავი სად არის თორემ!..

გული კი აღარა მაქვს, ჩემთვისაც კი რომ ვათვალიერებ ამ წერილებს, თვალები მენისლება და ვეღარას ვარჩევ, მაგრამ რაკიღა შეგპირდით, და რამდენჯერმეც გადაგივადეთ, მეუხერხულება ამჯერადაც განბილებულნი გაგისტუმროთ.

4 მაისს მომწერდა, ისევ ის წელია: 1873, რომ: აღდგომას აქეთ დღევანდლამდე ჩემი ბარათი აღარ მისვლოდა, ახლაღა მიეღო, ოღონდ სამი ერთად, და ძალიანაც ესიამოვნებოდა. მე რომ დიდი სამდურავი მიმეწერა, ეს სამდურავი კი მეტად სწყენოდა:

მე მარტო ერთი ფოსტა ამცდა და შენ კი სამივე წიგნში სამჯერ მიჯავრდები. ერთი დანაშაულობისათვის სამჯერ გადახდევინება – რჯულის წინააღმდეგია. მაგრამ რადგანაც მაინცდამაინც შენს წინაშე, ჩემო კუკლუშკი, დამნაშავე ვარ, შენი ყვედრება და სამდურავი „კისრად ვიღე და დავდუმდიო“.

ქალაქში ჩასულიყო 5 აპრილს და 10-ში უკანვე დაბრუნებულიყო. ამ დღეებში აცდენოდა ფოსტა და მე კი ესეც ვერ მეპატიებინა მისთვის. დიდმა მონატრებამ იცის, ლოგიკურად რომ ვეღარა სჯი.

„დამემუქრებოდა“: დამაცა, მანდ მოვალ და შენს ჯავრს სრულად ამოვიყრიო.

აღდგომა დღეს მას, ალექსანდრესა და ლიზოს — მის სიძესა და დას — ტელეგრამა რომ მოეწერათ, უკვირდა: რატომ არ მოგსვლიაო.

ქალაქში თურმე ისე მოწყენილი ყოფილიყო, მეტი აღარ იქნებოდა. არავინ ენახა ირაკლის სახლობის მეტი, ისიც იმიტომ, რომ ეთხოვათ.

მე რომ ვწერდი: მალე ჩამოდი-მეთქი, – თვითონაც ძალიან სურდა წამოსვლა, მაგრამ „ატსტავკა“ აქამდისაც არ მისვლოდა. ლოდინით უკვე გული დალეოდა. მაგრამ აბა ვიდრე „ატსტავკა“ არ გამოუვიდოდა და საქმეებს თავის მოადგილეს არ ჩააბარებდა, როგორ წამოვიდოდა.

ვერ წარმოიდგენ, რარიგ მინდა თქვენი ნახვა და ნამეტნავად შენი, ჩემო კარგო კუკლუშკი. სულითა და გულით თქვენთანა ვარ, ეს ჩემი მსხვილი ტიკჭორა ტანი კი აქა გდიაო, — ხუმრობით ინელებდა გულისტკივილს.

ოდნავადაც არა წყინდა, მის აგებულებაზე რომ გაამახვილებდნენ ყურადღებას, თვითონ სხვაზე მეტადაც ერთობოდა და ხალისობდა ხოლმე ამაზედ.

დაე კატოსათვის გადამეცა, რომ:

ტყუილად დაერქმია მისთვის ტიკჭორობა. ილიკოს ხომ კლასიკური სახელი ჰქონდა, გრიგოლ ორბელიანისაგან ბოძებული: ის ლიბერალი ბურთივით მრგვალი. და სხვა სახელს არა კისრულობდა.

კატოსათვის ისიც მეთქვა და მერჩია, რომ:

მოფერებოდა ილიკოს, თორემ ქართველების ბანკიდან ფულს აღარ ასესხებდა და ცარიელზე დატოვებდა...

წუხდა, რომ არ მიმეწერა, ყმაწვილებისათვის რა ჩამოეტანა. ხომ ვიცოდი, რომ გამოუსადეგარი საჩუქრების მიტანა არ უყვარდა. ქალებს ან კაი

წიგნებს უყიდდა და ან ზაფხულის შლაპებს, კოლასა და გივის სათამაშოებს აჩუქებდა, აი სენოსი კი ვერა მოესაზრებინა რა.

ფიქრობდა, რომ – მისდა საწყენად – მაისსაც აქ გაატარებინებდნენ. ერთი მხრივ ეს კარგი ეჩვენებოდა: 20 თუმანს ჯამაგირად კიდევ აიღებდა, მეორე მხრივ კი, ჩემი ნახვა რომ უგვიანდებოდა, ფრიად სწყინდა და წუხდა. მაგრამ თავს იმშვიდებდა: არა უშავს რა, უფრო ტკბილი იქნება ჩვენი შეყრა. ახ ნეტა ახლა შენთან ვიჯდე და შენს ტიტინს ყურს ვუგდებდე!.. მაგასაც ღვთის მადლით მოვესწრებითო.

დიმიტრისათვის გადამეცა ილიკოს მადლიერება იმ ყურადღებისათვის, ბერძნის მიმართ რომ გამოეჩინა მის თხოვნაზე; მის მიერ რეკომენდირებული ბერძნისა. მის პატიოსნებასა და აკურატულობაზე თავს დასდებდა ილიკო. ამ აზრით მიეწერა დიმიტრისათვის დეპეშა.

დუშეთში 1 მაისიდან სულ სადილებს უმართავდნენ, საზანდრებიც დაებარებინათ ქალაქიდან და, ვიდრე ილიკო წამოვიდოდა, იმ დრომდე საზანდრები აქ ეყოლებოდათ. მაგრამ ნუკი მეგონებოდა, თითქოს ფრიად დიდ სიამოვნებაში იმყოფებოდა: რაკიღა გვერდით არა ვყავდი, ისე ვერა მხიარულობდა.

როცა მასთან ვიმყოფებოდი ხოლმე, ჩემი ფასი აღარ იცოდა, მაგრამ როგორც კი ცოტა მოვშორდებოდი, მაშინღა შეიტყობდა, რა საუნჯეც აკლდა.

კომპლიმენტად ნუ მივიღებდი. ხომ ვიცოდი, რომ ილიკოს ალერსი და პირფერობა არა სჩვეოდა. რასაცა მწერდა, მართალსა მწერდა, მთელი არსებითა და სიწრფოებით.

– ახ, როდის იქნება გნახო!

დიდი იმედი ჰქონდა, რომ ერთ თვეზედ თავს დამიკრავდა.

ილიკოს მაგიერ სავანელი დაენიშნათ, სავანელის მაგიერ – თულაევი და თულაევის მაგიერ – ფურცელაძე. ფიქრობდა, რომ სავანელს მალე გამოგზავნიდნენ. თუ 20 მაისამდე არ გამოჩნდებოდა, ილიკო ავადმყოფობის ქაღალდს მისცემდათ და თავს გაანებებდა სამსახურს. მაშინაც, ვიდრე საქმეებს არ მიაბარებდა, წამოსვლა არ შეეძლებოდა.

მთხოვდა მიმეწერა, ყმაწვილებისათვის რა წამოეღო; და ჩემთვის კი რა საკაბე ეყიდე ზაფხულისა. თუ იაფიანს მივწერდი, თუნდა ორსაც მიყიდდა.

იქაურები თურმე დიდ მოკითხვას მითვლიდნენ. ყოველ სადილზედ ჩემს სადღეგრძელოს დიდი ყოფითა და ამბითა სვამდნენ, „ურასა“ და მრავალჟამიერს ბოლო არ უჩანდა და ილიკო თავის მხრივ დასძენდა:

ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო კუკლუშკი, მრავალჟამიერ ჩემდა ნუგეშად და სასიხარულოდო.

11 მაისს მისაყვედურებდა, რომ: ძალიან შეეწუხებინა ჩემს ჩივილსა და მოწყენილობას, ყოველ წიგნში იმას რომ ვიწერებოდი: გოგო არა მყავს, ბიჭი არა მყავს-მეთქი და ამისთანებს. უკვირდა ეს ყველაფერი, და ჩემი დის სახლში უცხოსავით რომ ვგრძნობდი თავს – მთლად გასაოცარი ეჩვენებოდა!..

„ატსტავკა“ არ გამოსვლოდა და აღარ იცოდა, როდის გამოუვიდოდა. „უატსტავკოდ“ კი მისი იქიდან წამოსვლა შეუძლებელი გახლდათ. თუ მაი-

სის 20-მდე არაფერი ეშველებოდა, ავადმყოფობის ქაღალდს მისცემდა და ეგ იქნებოდა. ადრე რომ მოეხდინა ეს, 20 თუმანს დაჰკარგავდა და 20 თუმნის დაკარგვა ახლა მისთვის მილიონის დაკარგვას უდრიდა.

აქ რომ ჩამოვიდოდა, აქედანაც უსათუოდ რუსეთს მოუხდებოდა გამგზავრება ორი თუ სამი თვით. თუმც ეს ამბავი მე შემაწუხებდა, მაგრამ უნდა მომეთმინა ისე, როგორც ილიკო ითმენდა ჩემს მოშორებას. განა ის კი კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდა უჩემოდ, მე რომ ასერიგად ვჩიოდი? მე ჩემს დასთან მაინც ვიყავი და ის კი ამასაც მოკლებულიყო და ეგდო იქ, დუშეთში, უცხო ხალხში და უცხო სახლში მარტოდმარტო.

ხვალ დილით ზუბალაანი საზღვარგარეთ მიდიოდნენ და ილიკო მათ სახლში რჩებოდა, ვიდრე „ასტავკა" გამოუვიდოდა და მიეცემოდა ამით შეძლება, გამოფრენილიყო ჩემსკენ და ერთი ლაზათიანადაც ჩამხუტებოდა.

მანამუსებდა მისებური ალერსიანობით:

მაგას მიქადდი, რომ შენი გულისათვის, რასაც უნდა, იმას ავიტანო, და ახლა ოთხი თვის მოშორებაც ვერ მოგითმენია ვაჟკაცურადო?

მაგას მიქადდიო: თქვენც შენიშნეთ, არა, ბარათაშვილურად რომ მოუქცია?..

მოშორება – ილიკოცა გრძნობდა – ძნელი რომ იყო, მაგრამ როცა ეს მოშორება საჭიროდ და აუცილებელი ხდებოდა, მაშინ ვაჟკაცობა უნდა გამოეყენებინა კაცს, რათა ეს მოშორება აეტანა. მე კი სულ ვჩიოდი და ვწუხდი და ამით ილიკოსაც ვუმატებდი მწუხარებასა.

და მისებურად „მემუქრებოდა":

განა ეგრე უნდა? დამაცა ერთი მანდ ღვთის მადლით მალე მოვიდე, მაშინ ნახავ შენს ამბავს, სუყველაფერს ერთად გადაგახდევინებო.

ჩემი წერილები, რაც აკლდა, ერთად მიეღო ახლახან ქალაქის ფოსტიდან. მე რომ ვწერდი: შენი ბარათები არ მომდის-მეთქი, – უკვირდა: რატომ არ უნდა მოგდიოდეს? რაც დაგპირდი, რომ ყოველ ფოსტაში მოგწერ-მეთქი, მას აქეთ ვასრულებ ჩემს პირობას, მარტო აღდგომებზე, ქალაქში რომ ვიყავ, ერთი ფოსტა ამცდა, ეგ არის და ეგ. უფრო ის მიკვირს, აღდგომის მოლოცვის დეპეშა რომ გამოგიგზავნეთ და არც ის მიგიღიათო.

დიმიტრისათვის დიდი, უდიდესი და უდიადესი მადლობა უნდა მომეხსენებინა ბერძნის გამწესებისათვის. აღარ იცოდა, როგორ გადაეხადა მადლობა და ღმერთსა სთხოვდა: მაგის კაიკაცობისა და ბედნიერების მეტი არა გამაგონოს რაო.

წუხელ ზუბალაანთ წვეულება რომ ჰქონოდათ, მაშინ მოსულიყო დიმიტრის დეპეშა ბერძნის გამწესების თაობაზედ. დაებარებინათ ბერძენი და ეხარებინათ. ძნელად წარმოიდგენდა ადამიანი, რარიგ ეამებოდა საწყალ „გრეკს" დიდი ხნის სურვილის აღსრულება; ჰოი რარიგ დაელოცა ყველა იქ მყოფს დიმიტრი ამ სამადლო საქმისათვის. დაე ღმერთს დიმიტრისათვის მშვიდობა, დღეგრძელობა და ბედნიერება მიენიჭებინა – ღირსი არ იყო თუ რა?!.

საწყალი ბერძენი სიხარულისაგან სულ გამშრალიყო და აღარ იცოდა, რა ექნა. ბოლოს მისულიყო ილიკოსთან. ამას ეგონებოდა, ჩემი კოცნა ენდომებაო, და თვითონაც კოცნისათვის მომზადებულიყო. მოხვეოდა საწყალი

„გრეკი“ და ისე არეულიყო, რომ... პირის მაგივრად მუცელზედ ეკოცნა. სიცილით დახოცილიყვნენ ამის შემყურენი.

და სიცილითვე ჩაურთავდა ილიკო:

მართალია ჩემი მუცელი, როგორც მოგეხსენება, პატივსაცემად გაბერილია, მაგრამ მაინცდამაინც კოცნისათვის დანიშნული არ არისო.

და სევდიანად აგრძელებდა:

საკვირველი რამ არის ადამიანი, რა ცოტა სდომებია კაცს, რომ სრულიად ბედნიერად იცნოს თავიო.

ვარაუდობდა, რომ გაზეთებში წავიკითხავდი: ჩიქოანი სენატს რომ გაემართლებინა და სრულად მოეშალა ქალაქის პალატის გადაწყვეტილება. ეს ამბავი ყველას ეამა თურმე და, ილიკოს ეჭვი არ ეპარებოდა, მეც რომ მეამებოდა.

გუშინწინ გათავებულიყო თავადაზნაურობის კენჭისყრა. ამოერჩიათ ისევ ის მარშლები, ვინც იყვნენ, სიღნაღის მარშლის გარდა – მის ნაცვლად დაენიშნათ ზაქარია ანდრონიკაშვილი.

ილიკოზედაც დაეყარათ ხმა: ვითომც გუბერნიის მარშლობა სდომებოდეს.

ამის გამო აღარ ჩასულიყო ქალაქს, მეჭორეთა ჩასაჩუმებლად, და არც კენჭისყრას დასწრებოდა.

და ეცინებოდა:

არა, რა ისეთი სულელი მე მიპოვეს, რომ გუბერნიის მარშლობა ვინდომო. აი როცა მე და შენ გავმდიდრდებით, მაგაზედ მაშინ ვიფიქროთ, იმ დრომდე კი შორს ჩვენგანო.

პოსტსკრიპტუმში ჩაწერდა, რომ:

ჩემი დისწულის სენოს ბარათი მისვლოდა მის სურათთან ერთად. გახარებოდა, რომ ძალიან კარგად სწავლობდა. მისი ოსტატები იწერებოდნენ: სენო კლასში პირველია, მაგრამ კი ცელქობსო. ილიკოსაც პასუხი მიეწერა ყმაწვილისათვის და 5 მანეთიც გაეგზავნა.

17 მაისს მომწერდა, რომ:

გუშინ მოსვლოდა ქალაქიდან წერილი, მის ადგილას სავანელი რომ დაემტკიცებინათ და დღედღეზედ „ატსტავკაც“ მოუვიდოდა. რარიგ ეამებოდა ეს ამბავი. ძლივს ეღირსებოდა ჩემსკენ წამოსვლა და ჩემი ნახვა. ჰოი რა მოუთმენლობით მოელოდა „ატსტავკას“, რომ ერთი თავიდან მოეშორებინა სამსახურის ვაი-ვაგლახი და ამ დუშეთს სრულიად და სამუდამოდაც გამოთხოვებოდა.

მოწყენოდა უჩემობაც და აქაურობაც. ზუბალაანი წასულიყვნენ და დარჩენილიყო მათ სახლში სრულიად მარტო.

რაწამსაც „ატსტავკა“ მიუვიდოდა და საქმეებსაც ჩააბარებდა, მაშინვე გამოემგზავრებოდა. სამ დღეს, ანუ ორს, ქალაქს დარჩებოდა, ერთი კვირა კახეთს მოუგვიანდებოდა. და მას შემდეგ უკვე ჩემსკენაც წამოვიდოდა. წინათ არ შემატყობინებდა თავისი ჩამოსვლის დროს. სურდა უეცრად დამდგომოდა თავს და სიურპრიზი გაეკეთებინა. ივნისის პირველ რიცხვებში ვარაუდობდა აქამდე მოღწევას.

ჩვენი ბანკის საქმისა აი რა შეეტყო:

ჩვენი პროექტი „გოსუდარსტვენნი სოვეტში“ გადაეცათ ფინანსთა სამინისტროსათვის. ეს კი ცუდის ნიშანი ჩანდა. დამტკიცდებოდა თუ არა, ღმერთმა იცოდა.

დიმიტრი ყაზბეგი იჯდა ქალაქში, ილიკოს ელოდა და სიცხით იწვებოდა ამ მოლოდინში. ერთად ეპირებოდნენ ბაქოს და იქიდანაც ერთად უნდა წასულიყვნენ რუსეთს, სადაც ორ-სამ თვეს დარჩებოდნენ, მეტი არა. მერე კი ბაქოს დაბრუნდებოდა, რათა მე წამოვეყვანე.

მე რომ მივწერდი: აგარაკზე გადავდივართ-მეთქი, – დაინტერესებულიყო: შორს არის ბაქოდან ის აგარაკი თუ ახლოსო? ხოლო იმ სიტყვებზე: ვიწროდ ვიქნებით-მეთქი, – მპასუხობდა: თუ გაჭირვებაა, კაკლის ნაჭუჭშიც უნდა დაეტიოს კაცი, არამცთუ სამ ოთახში. მეფიცები, ყველაფერს მოვითმენო, და ვიწროობა კი გაშინებს. ახ ნეტა ახლა შენ ჩემთან იყო, ან მე შენთან, და მე ვიცოდე, რასაც გიზამდიო.

სოფია ალექსანდროვნა ქალაქში ბრძანებულა და ერთი კვირა იყო, რაც მოსულიყო. თურმე დიდი ტუალეტები გაეკეთებინა, ფერუმარილის წასმა ესწავლა, პრანჭიაობა მოემატებინა და ყოველ ამ სიკეთესთან ისტერიკაც შესჩეოდა. გაუთავებლად იკვეხნიდა: ისტერიკა მემართებაო. ამ სულელს ისტერიკა დიდკაცობის ნიშანი ეგონა თურმე და მეტად ბედნიერად მიაჩნდა თავისი უხეირო თავი...

იქ, დუშეთში იმისთანა სიცხეები მდგარა, ილიკო შეფიქრიანებულიყო: მანდ, მომწვარ ბაქოში რაღა უნდა იყოს ახლაო. გზაზედ სიცხეები ძალიან არ უჯდებოდა გონებაში:

აბა ჩემი სიმსუქნე და ჩემი სისქე კაცი, და ამისთანა პაპანაქების დროს მაგისთანა შორი მოგზაურობა. მაგრამ ღმერთი მოწყალეა, ყველაფერი კარგად მოგვივაო.

ჩემი მუხრანიანთ ქალები ვერ დათხოვილიყვნენ. და ილიკო მეღიმილებოდა: მგონი ისინი ისე არა წუხან ამაზე, როგორც შენო.

ფიქრობდა, რომ ისინი არც გათხოვდებოდნენ, რადგანაც მეტად დიდკაცობდა იმათი დედა, ასე რომ, ეს ქალები რაღაც მიუწვდომელ ვარსკვლავებად ეგონა ქვეყანას და ყველა ერიდებოდა.

მერე კიდევ: მეტად რუსინკაობდნენ და ჩვენს ახლანდელ ყმაწვილებს კი რუსინკაობა ჭირზედ უარესად ეჯავრებოდათ. ჯერ ასე იყო მათი საქმე და ბოლოს რა იქნებოდა, ღმერთმა უწყოდა.

მავალებდა, რომ: დიმიტრი და კატო თავიანთ შვილებიანად დამეკოცნა, შალიკაშვილი მომეკითხა და გადამეცა, რომ ილიკო სერთუკს უსათუოდ ჩამოუტანდა.

აი აჰა, კიდევ გული ამომიჯდა, კიდევ მიძნელდება ბარათებში ჩახედვა, ლაპარაკის ილაჯიც წამერთვა... და... სხვა დროს რომ მესტუმროთ?.. მერე, მერე, ოდესმე, თუ თავი მექნა... ვეღარ ვუძლებ, რა გგონიათ, ვეღარ ვუძლებ და... ღმერთს შევჩივი, ამდენს ხანს რომ დამტოვა მიწაზედ ჩემი ილიკოს შემდეგ... ნეტა ის ჩემი ჭრილობა სასიკვდილო გამომდგარიყო და გონზე აღარც აღარასოდეს მოვსულიყავი...

ილიას გარეგნობა თითქოს ძალიან სწორადაც და მოხდენილადაც აქვს აღწერილი იაკობ მანსვეტაშვილს, მაგრამ მთლად მაინც ვერ დავეთანხმები.

არ ყოფილა ილია ისეთი უშნო აგებულებისა, როგორი შთაბეჭდილებაც იმ დახასიათებიდან გვრჩება, არც ისეთი მომცრო ტანისა. ცხადია საქანდაკო ფიგურა არა ჰქონია.იყო შუათანაზე ცოტა დაბალი, ჯმუხი, არა ბურთივით მრგვალი, როგორც გრიგოლ ორბელიანმა წაიოხუნჯა თავის მკილავ ლექსში. მერე კი ამ ოიღო ეს სტრიქონი, მაგრამ ხალხის მეხსიერებაში კი დარჩა და დარჩა. ნეტა კარგი რამ რჩებოდეს ასე ადამიანების ცნობიერებაში.

გულმკერდამოზიდულს ის ნაწილი სხეულისა, რაც ნეტარხსენებულ ლუარსაბ თათქარიძეს თავის სიამაყედ მიაჩნდა, ანუ ბურჟუაზიული დარბაისლობის აუცილებელი ატრიბუტი „ღიპი“, ილიას სულ არ ეტყობოდა.

მისი აგებულების ნაკლი? თუ რაიმე, დაბალი კისერი იყო. სამაგიეროდ სახე ჰქონდა იშვიათი სილამაზისა, იშვიათი ნაკვთიანობისა. ამ სახეს აცისკროვნებდა მაღალი, სპეტაკი შუბლი და საამურად მეტყველი თვალები, ხოლო ამშვენებდა სწორე სურათოვანი ცხვირი მგზნებარე ნესტოებით, ენერგიისა და გრძნობის – და არა ვნების – მსახველი ტუჩები.

ნუ გამოგვრჩება კიდევ ერთი მადლი, რაც ამ ჯმუხ და მაგრად შეკრულ ადამიანში საიშვიათო გახლდათ – კანის საკვირველი ფერი, სპილოს ძვლის სითეთრე, რომელსაც ოდნავი მოყვითანობა შეჰპარვია, ასე რომ აკეთილშობილებს ამ სითეთრეს.

ილია პირველად რომ ვნახე, 55-56 წლისა იქნებოდა, მხოლოდ ოდნავ შეღაჭარავებულიყო და შუახნისაზე მეტს არა ჰგავდა. თმა – უკანასკნელ დღემდე შერჩენილი – არა ჰქონდა აკაკი წერეთელივით პოეტურად ფაფრად აქოჩრილი, რაც ასე ამშვენებდა ამ ბიბლიური გარეგნობის ადამიანს. ჯერ კიდევ შავი, შუაზე გაყოფილი თმა ილიას დინჯად, უჟინიანოდ ელაგა ორივე მხრივ, თანასწორ დახვეწილი.

ერთადერთი ფოტოგრაფიული სურათი თუ გვაგრძნობინებს ილიას სახის იერს, ისიც მხოლოდ ანარეკლად. მე თუ მკითხავთ: აი გიგო გაბაშვილის ფერწერული სურათი უფრო გვიხატავს ნამდვილ ილიას, უკვე ხნოვანებით დამძიმებულს, მაგრამ ენერგიით სავსეს.

კახურ სუფრას, კახურ ნადიმს რომ ახსენებენ, ბევრს ამ სიტყვებზე თავაწყვეტილი მადის გახელება, ღრეობა და „დუბე-დუბე“ სმა წარმოუდგება, როდესაც კაცს ავიწყდება დრო და სივრცე, ზომა და საწყაული. დასასრულ კი: „დალიე-არ დავლევ“, ლაწალუნი, ხანჯლების აპრიალება და ხან სულაც საბედისწერო დავიდარაბაც.

თქვენითაც მიხვდებით, რომ ასეთი არ შეიძლება ყოფილიყო და არც ყოფილა ილიას საპატიოდ გამართული თუნდაც ის თელავური ნადიმი. ჯერ ერთი, რომ მას გარშემო ყოველთვისაც დარბაისელი ხალხი ეხვია; და მეორეც, მოქეიფე ახალგაზრდობა თავშეკავებული გახლდათ, რათა არაფრით შეგვებღალა პატივისცემა ამ პიროვნებისადმი. ხალხი როგორ ამბობს? ჭა-

მით უნდა გაძლე და არ გასკდეო. ასეც მოხდა. მართალია დალევით ბევრი ჭიქაც დაილია, ბევრი საგულისხმო სადღეგრძელოც ითქვა, მაგრამ ყანწი და სხვა ამგვარი სასმისი რომ არ დატრიალებულა, ნადიმი ამიტომაც მიმდინარეობდა წესიერად.

თითქო საგანგებოდ შეყრილიყვნენ იმდროინდელი საუკეთესო მომღერალნი – ძმანი კოზმანაშვილები, კიკო ჩოლოყაშვილი, ლევან ჯანდიერი, რევაზ ყარალაშვილი და კიდევ ვინ აღარ. ახალგაზრდებშიც მოჩანდნენ კარგი მომღერლები.

არც წინათ და არც შემდგომ აღარასოდეს მომისმენია კახური ძველი სიმღერები – გრძელი მრავალჟამიერი, ჩაკრულო თუ სხვანი – ასეთი მშვენებითა და მეტყველებით თქმული.

სოსიკო კოზმანაშვილი ამ დროს უკვე კარგად მოჭარმაგებული კაცი იყო, მაგრამ მაინც უზადოდ შეენარჩუნებინა თავისი შესანიშნავი ხმა და ნამეტნავად კი საკვირველი კილო სიმღერისა. როდესაც მისმა ხმამ მრავალჟამიერის ასაკიდებელში საზენიტო წერტილს მიაღწია და სიმივით ჟღერდა, მისი ბიძაშვილის ხმა – გამოძახილი – უსურვაზივით ეხვეოდა და საკვირველ გრეხილებს აკეთებდა, თითქოს ბგერათა გირლანდებს წნავსო. ბანმაც გარდიგარდმო გაიწია და გუგუნი იწყო, მოედანი გაუშალა პირველისა და მოძახილის ნავარდს.

აღტაცდით სიმღერის ამგვარი დახასიათებით, თითქოსდა თქვენი ყურითვე მოგესმინოთ, ისე განგაცდევინეთ? აბა რა მოგახსენოთ, რაღაცნაირად წამომივიდა ეს სიტყვები, ეტყობა მე თვითონაც მთელი არსებით რომ განვიცადე, იმ განწყობილებამ უნებლიეთ იჩინა თავი ასე ძალუმად ამდენი ხნის შემდგომ.

ილიაზე გამიგონია: სმენა არა ჰქონდა, სიმღერა არა ჰხიბლავდაო.

განა მან არ დაწერა საუკეთესო წერილი პირველ ქართულ გუნდზე – ლადო აღნიაშვილისა – ისეთი უნარითა და ხალხური სიმღერების იერის ისეთი ცოდნით, რომ კარგ სპეციალისტსაც მოუცვდებოდა ამგვარი ზედმიწევნილობა. აბა გადაიკითხეთ ის წერილი, აღფრთოვანებასთან ერთად გაოცებულიც თუ არ დარჩებით ილიას ჩახედულებით საქმეში.

იმისთანა შემთხვევაც მომეცა, უკვე კარგა ხნის მერე, ერთ ილიაობა დღეს საგურამოში მომესმინა მისეული კრიტიკა ზოგიერთი კახური სიმღერის აღსრულებისა, როდესაც ტფილისიდან მოსულმა ახალგაზრდებმა სცადეს ამ სიმღერების თქმა:

– არა, ეგ კახური სიმღერა არ არის, დამახინჯებულია, ძველები სხვანაირად მღეროდნენ.

იქ კი, იმ ნადიმზე სიმღერის დროს, როდესაც თვალს ვადევნებთ ილიას სახის მეტყველებას – და განა იყო ისეთი წამი, ილია რომ მიზანში არა მყოლოდეს ამოღებული? – ნათლად ვხედავდი, უზომოდ რომ ტკბებოდა სიმღერით. მისი მწყაზარი, სიცოცხლით სავსე თვალები – აკაკი ჭკუა-გონების სარკმელებად რომ მოიხსენიებს ხოლმე თვალებს – აღტაცებით მისჩერებოდნენ მოხუცებული კოზმანაშვილის სახეს და ხანდახან ცრემლით ცია-

ლებდნენ. ხოლო მთელი არსება, საამო ჟრუანტელაღძრული, თითქოს მზის სხივიაო, ისე გაყუჩებოდა მშვენიერ მელოდიებს.

აბა მითხარით: ვისაც შეუძლია სიმღერით ასე დატკბობა, იმას სმენა როგორ ექნება აღკვეთილი?

მერეადა: აბა მიაპყარით ყური მის საკვირველ რიტმს პროზაში, რიტმს, რომლის მსგავსსაც ჩვენს ლიტერატურაში ვერსად შეხვდებით. რიტმი ხომ იგივე მუსიკაა და უსმენოდ ამას განა როგორ შეიძლებდა – ასეთ მოხდენილსა და ექსპრესიულ რიტმულობას?

თქვენითაც მიხვდებით, ნადიმზე ბევრზე უბევრესი სიტყვა რომ წარმოითქმოდა ქებითა და ხოტბით ილიასადმი მიმართული.

ახალგაზრდობის სახელით ერთმა ჩემმა ამხანაგთაგანმა მიმართა. სიტყვა ურიგოდ არა ყოფილა დალაგებული და ილიას ეხებოდა უმთავრესად როგორც პოეტს. ცხადია იწყებოდა ილიას ლექსით „პოეტი" – მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, ვით ფრინველმა გარეგანმაო – და იშლებოდა ისე, თუ როგორ გაამართლა ილიამ თვითონვე პოეტის მოწოდება.

ეს სიტყვა ექსპრომტი არ გახლდათ, წინასწარვე იყო დაწერილი და ალბათ გაზეპირებულიც, მაგრამ ისეთი აღფრთოვანებითა და უშუალო გრძნობით წარმოთქვა, რომ მთელი საზოგადოება ტაშით შეხვდა.

ალბათ ილიასაც მოეწონა, რადგან მოსმენისას სიამოვნების ღიმილი უკრთოდა ბაგეზე.

სუფრის თამადა ხომ – ლევან ჯანდიერი – აღტაცებული ზეზე წამოიჭრა და კილოშეკიდებით ილიას მიმართა:

– შენმა გენიოსობამ, ილია, აქაც სასწაული მოახდინა. მან სული შთაბერა ამ ბავშვს და ათქმევინა ის, რაც ჩვენ, შენი თაობის ხალხმა, ვერ გითხარით... როგორც სუფრის ბატონ-პატრონი, მოვითხოვ — ამბორით დააჯილდოო.

– დიდი სიამოვნებით! – მიუგო ილიამ ღიმილით და შუბლზე აკოცა ჩვენს ამხანაგს, ხოლო იგი მკერდზედ ეამბორა.

ახალგაზრდობა ძალიან თავმოწონებული დარჩა, რომ ძველ თაობაზე გაიმარჯვა. ამ თავმოწონებამ მითუფრო იმატა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ახალგაზრდა ორატორის სიტყვა გაზეთში გამოჭიმეს. ჩვენ კი სულ დავცინოდით ჩვენს ამხანაგს:

– არამცდაარამც პირი არ დაიბანო, პოეტური მირონი – ილიას კოცნა – არ ჩამოგერეცხოს.

ილაპარაკა ილიამაც, მაგრამ ცოტა. დაიწყო ინდური თქმულებით:

– ბავშვო, შენ ტირი, როს იბადები, შენს გარშემო კი ყველა იცინის და ხარობს! იცხოვრე ისე, რომ იღიმოდე, როს აღსრულდები, და ყველა შენს გარშემო ტიროდეს.

ამ თქმულებაზე ააგო თავისი მოკლე სიტყვა ადამიანის მოვალეობაზე ქვეყნის წინაშე. დასრულებით კი ამით დაასრულა:

– მეტისმეტი ქება-დიდება მოვისმინე თქვენგან, რისი ღირსიც არა ვარ. ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ კახელნი არამარტო ხელგაშლილნი და გულუხვნი არიან, არამედ აგრეთვე წრეგადასული ბედოვლათნიც.

ყველა მიხვდა, ეს „ბედოვლათობა“ მის განდიდებას, ქება-ხოტბის ნაკადს რომ გულისხმობდა.

გაზვიადებული ქება მეც ყურსა მჭრის ხოლმე ყოველთვის, მაგრამ ამჯერად არაფერი ყოფილა გადაჭარბებული.

უკვე კარგა შებინდებისას მივაცილეთ ილია სიმღერით სახლამდე. როგორ არ აღვნიშნო, რომ: იმ ნადიმზე არა ყოფილა არც ტრადიციული ზურნა და საზანდარი და არც... ლეკური.

არის ცხოვრებაში ისეთი შეხვედრა, თუნდ შემთხვევითი, რომელსაც შეუძლიან ღრმა კვალი გაავლოს ადამიანის სულიერ არსებაში.

განა რა იყო, კაცმა რომ თქვას, ამ შეხვედრისას რაიმე განსაკუთრებული?

ილიას ისეთი არა უთქვამს რა, რაც წინადაც არ გამეგონოს ან არ წამეკითხოს, თუნდ მისივე ნაწერებში. მაგრამ რაღაც ახალი შეიტანა მისმა პირადმა ნახვამ ჩემს სულიერ სალაროში. ალბათ ასევე დაემართათ სხვა ახალგაზრდებსაც, რომელნიც ჩემსავით ის-ისაა ცხოვრებაში ფეხს დგამდნენ.

გონებით განუსჯელია და სიტყვით გამოუთქმელი ის, რასაც მე კარგახანს განვიცდიდი ამ შეხვედრის შემდეგ. და აი ახლაც, როდესაც იმ წუთებს ვიხსენებ უკვე სიცოცხლის მიწურულს, წარსულის გახსენება ისეთი ცხოველმყოფელია, რომ ყოველივე, რაც გიამბეთ, მე კი აღარ მეკუთვნის, 65 წლის მოხუცს, ცხოვრებისაგან საკმაოდ ნაქიმუნჯევს, არამედ იმ ოცი წლის ჭაბუკს, რომელიც უზომო სიამითა და თანაც მოკრძალებით შესცქროდა ილიას მშვენიერ სახეს.

ბანკობიადაზეც მინდოდა რაღაც მომეყოლა, ის კრებებიც თვალწინ წამომეშალა, მაგრამ ისე მომიჭირა რაღაცამ ყელში, ისე მომეხვა გულზე, ვაითუ ცრემლი ვეღარც შევიკავო.

ამიტომაც თუ კიდევ მესტუმრებით, მაშინ გიამბობთ დაწყნარებულ და დამშვიდებულ გუნებაზე.

ოლღა აგლაძე

გრიგოლ ყიფშიძე მეტად კეთილი, სათნო და ლმობიერი ადამიანი გახლდათ, მეტადრე ახალგაზრდობას უწყობდა ხელს და მეც მისგან გავიკვლიე გზა „ივერიის“ რედაქციაში.

მეორედ რომ ვესტუმრე იქაურობას, გარდა იმ თანამშრომლებისა, რომელნიც პირველი სტუმრობისას დამიხვდნენ და გავიცანი, ახლა თვითონ ილია ჭავჭავაძეც იქა ბრძანდებოდა. მე გაოცებით შევხედე მის განიერ თვალებსა და შუბლს. ჩემი საქმე სულ დამავიწყდა, მაგრამ გრიგოლ ყიფშიძემ წარმადგინა ილიასთან და უთხრა:

– აი ამ ახალგაზრდა ქალს ჩვენთან თანამშრომლობა სურს, მეტად საჭირო მასალებიც მოაქვს და საზოგადოდაც სურვილი აქვს გაეცნოს რედაქციის მუშაობას.

ილიამ ხელი გამომიწოდა და წარმოთქვა:

– კეთილი, კეთილი!..

იმჟამად ვმსახურობდი თბილისი სადგურში, ტელეგრაფისტად. უჩემოდ არცერთი დეპეშა არ გაიგზავნებოდა და არც მიიღებოდა. საყურადღებო ამბებს, რისი გამხელაც შეიძლებოდა, ჩემს მეგობრებს ვუზიარებდი. ხანდახან გროვდებოდა ისეთი საგულისხმო მასალებიც, რომელთა გამოქვეყნებაც სასარგებლოდ მივიჩნიე, ოღონდ არ ვიცოდი, ვისთვის მიმემართა, ბოლოს, დიდი ფიქრის შემდეგ, გადავწყვიტე „ივერიის“ რედაქციისათვის მიმეკითხებინა. და მაშინ იყო, გრიგოლ ყიფშიძე რომ გავიცანი და მანაც მოიწონა ჩემი სურვილი ამ სადღეისო მასალების მიწოდებისა.

უკვე ხშირი სტუმარიც შევიქენი რედაქციისა. ერთხელაც, როცა ჩვეულებისამებრ მივიტანე მასალები – ახალთახალი ცნობები – და აქ ილია და გრიგოლ დამხვდნენ, უეცრად გაიღო კარი და შემოვიდა ნიკო ხიზანაშვილი.

– დიდ გლეხს გაუმარჯოს, – შესძახა ილიამ.

– დიდ თავადს გაუმარჯოს, – არ დააყოვნა ნიკოს პასუხმაც, რასაც სიცილი და მხიარული ბაასი მოჰყვა. მაშინ ძლიერ გამაკვირვა სტუმრის ასეთმა სითამამემ ილიასთან, მაგრამ მერე შევიტყე, რომ ისინი ერთმანეთთან საკმაოდ შეხუმრებულნი ყოფილიყვნენ. არაერთხელ პირადადაც შევსწრებივარ, როგორც შემოჰქონდა ნიკო ხიზანიშვილს რედაქციაში დიდი მხიარულება და სიცოცხლე.

იმხანად „ივერიაში“ იბეჭდებოდა შიო არაგვისპირელისა და ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები. და მახსოვს, ილია რა ჩაფიქრებით კითხულობდა. ამ დროს შემოიჭრა ნიკო ქაქანით და, ილიამ არ დამასწროსო, კარიდანვე მოაძახა:

– დიდ ბატონს გაუმარჯოს!

ილიამ პასუხად მხოლოდღა წყნარად გაუღიმა, რაკიღა რაღაცას გულდასმით წონიდა გუნებაში.

– ამას თავი დავანებოთ... ნიკო, როგორ მოგწონს ამ ახალგაზრდა მწერლების ნაწერები? როგორც გინდა გასინჯე, ნიჭი ეტყობათ, ნიჭი.

დაიწყეს ამაზედ სჯა-ბაასი და ბოლოს გრიგოლ ყიფშიძემ, ყოველთვის მოსარჩლემ ახალგაზრდებისა, თქვა:

– ნიჭი კი აქვთ, მაგრამ ორივე ძალიან გაჭირვებულია, შველაა საჭირო.

ამ დროს ილიასთან ოლღა შემოვიდა, მისი მეღუღე და ჩემი სეხნია, გიგამ მასთანაც წარმადგინა და შემაქო კიდეც: კარგი მომუშავე და მოსაქმეაო.

ასე დავუმეგობრდი ოლღას, რომელიც ხშირად მიბარებდა თავისთან. და მეც, რაკიღა თავისუფალი დრო ხშირად მქონდა, მუდამაც ვსარგებლობდი მათი კეთილმასპინძლობით.

იქვე გავიცანი ალექსანდრე ყიფშიძის ცოლი და ნადია ჭყონია, ცოლი „მოამბის“ რედაქტორისა, ჩვენ სამნი ხშირად ვსტუმრობდი ოლღას — ხან საუზმეზე, ხან ვახშმად, ხანაც ისე, სასაუბროდ ვიკრიბებოდით. თვითონ ოლღა საქველმოქმედო, საზოგადო საქმეებში ჩაბმულიყო და ჩვენც გვამუშავებდა, რამაც უფრო მეტად დამაახლოვა მასთან. ჩემს ოჯახშიც დაიწყო

სიარული, დედაჩემს გაცნობისთანავე დაუახლოვდა და შეიყვარა. დედაჩემი ბევრის მნახველი და გამგონე გახლდათ. კარგი მოსაქმე და ხელოვანი. მშვენიერი ენითაც საუბრობდა. ოლღას მოსწონდა მისი ნაამბობები. ერთხელაც სთხოვა:

– აბა, მარიამ, შენი პირადი ცხოვრებიდან გაიხსენე რამე, მინდა ილიას გადავცე.

დედაჩემმაც დიდი ხალისით აუსრულა თხოვნა.

რედაქციაში უკვე შინაურად მთვლიდნენ და როცა რაიმე შეკრება ექნებოდათ ხოლმე, ან წვეულება, ან ვახშამი, თანამშრომლებთან ერთად მეც არ მივიწყებდნენ.

მახსოვს: ვახშამი გამართა სოლომონ დოდაშვილმა, იმ გამოჩენილი პიროვნების შთამომავალმა და მოგვარსახელემ, დიდმა პატივისმცემელმა და მოსიყვარულემ ილიასი განსაკუთრებით და საერთოდაც მწერლობისა, რადგან თვითონაც წერდა. ამასთან მსახურობდა რკინიგზაზე – მეექვსე უბნის ლიანდაგის ტექნიკოსად. საუცხოო ვახშამი გააწყო, რომელსაც ესწრებოდნენ: ილია, ნიკო ხიზანაშვილი, გრძელიშვილი... მე გიგა ყიფშიძესა და ვაჟა-ფშაველას შორის ვიჯექი. დიდი ქეიფი და მოლხენა გაიმართა.

იმხანად ასეთ ვახშმებს ბევრი მართავდა – ანტონ ფურცელაძეც, სტეფანე ჭრელაშვილიც, სოფრომ მგალობლიშვილიც, ნიკო ხიზანაშვილიც... მხიარულებასა და სმასთან ერთად ყველგან საგულისხმო ბაასი გაიშლებოად ხოლმე.

მეტად მხიარული მასპინძლები იყვნენ ნიკო და მისი მეუღლე ლიზა ჩერქეზიშვილი. მათ ენამახვილობას, ქილიკსა და ხუმრობას საზღვარი აღარ ჰქონდა.

მათ ხუმრობაზე ილია ჩვეული სიდინჯით იცინოდა ხოლმე. ერთხელაც ლიზას სადღეგრძელო რომ შესვა, დასძინა:

– გისურვებ ნიჭის გაშლასა და გაფურჩქვნას.

ილიამ იცოდა, რომ ლიზა დიდი ხელოვნებითა და მოხერხებულობით უკრავდა გარმონზე, თანაც მშვენივრად მღეროდა, გადასცა საკრავი და მიმართა:

– აბა შენ იცი, როგორ ჩააჭიკჭიკებ.

ელისაბედმა გარმონი ჩამოართვა, ჯერ ქება-დიდება შეასხა ილიას თავისი მახვილი ენით, რაც ყველას ესიამოვნა; მერე მიუჯდა აკვანს, ატირებულ ბავშვს ძუძუ ჩაუდო პირში, თან აწოვებდა, თან სხვადასხვა ჰანგს უკრავდა და ზედ საამურადაც დამღეროდა. სიმღერა რომ დასრულდა, მას „ვაშა“ და ლიზას სადღეგრძელოს გამეორება მოჰყვა.

ილიასაც ჩვეულებად ჰქონდა — გამასპინძლებოდა თავისი რედაქციის თანამშრომლებს შაბათობით.

ერთ შაბათსაც ის იყო რედაქციიდან წამოსვლას ვაპირებდი, ილია შემობრძანდა, საერთო სალამი რომ მოგვახსენა, ნიკო ხიზანაშვილს საგანგებოდ მიუტრიალდა:

– ხომ იცი, დღეს შაბათია და თანამშრომლები მეწვევიან. ის მეკატლეტეც წამოიყვანე.

ნიკო წახუმრებას რას აპატიებდა:

– შენისთანა მეკატლეტე ვიღაა? ჯერზე 10-12 კატლეტიც არა გყოფნის.

წვეულებისას მე ოლღასთან შევედი, სულის მოსათქმელად რომ განმარტოებულიყო. დედაზე შემეკითხა:

– როგორ არის? მინდა მისი ნახვა. იქნება კიდევ რაიმე ძველი ამბავი მომიყვეს.

შევპირდი, რომ უსათუოდ ვაწვევდი.

გავიდა დრო და მსახურმა ვახშმისათვის მიგვიწვია. სასადილო ოთახში რომ შევედით, იქ დაგვხვდა რედაქციის მთელი შემადგენლობა. ილიას მშვენიერი, უხვი ვახშამი სჩვეოდა. სასიამოვნო სჯა-ბაასი, მოსწრებული სიტყვები და ენამახვილობა ხომ თავისთავად.

ერთ დილას ოლღამ შემომითვალა:

– შენ და დედა მეწვიეთ საუზმეზე.

საუზმისას ილია მოუბრუნდა დედას:

– ქალბატონო მარიამ, იქნებ რამ გახსოვთ კიდევ ძველი ამბებიდან?!.

დედამაც მოჰყვა თბილისის დიდი და პატარა „ბუნტის“ შესახებ, ბაჟის გადასახადის გადიდებამ რომ გამოიწვია, და ილიამ დიდი გულისყურით მოუსმინა.

საერთოდ ილია დიდი მოყვარული გახლდათ მყუდრო ოჯახური ცხოვრებისა და თავისი საცხოვრებელი ბინის კულტურულ მოწყობას, რა გასაკვირია, განსაკუთრებულ ყურადღებასაც რომ აქცევდა.

როდესაც ანდრეევის ქუჩაზე სახლი იყიდა, გულმოდგინედ შეუდგა მის გარეგან და შინაგან მოწყობა-მორთვას. ოთხი წყვილი ძველებური სკამ-სავარძელი განაახლებინა სქელი სხვადასხვაფერი ატლასით: მოყვითალო, ყავისფერი, „ბორდოსფერი“ და მუქი ყვითელი. დიდ მისაღებ ოთახში ოთხივე კუთხე დაკავებული იყო ამ რბილი მორთულობით, შუაში იდგა მრგვალი მაგიდა, ლომბერს რომ ეძახდნენ. მაგიდაზე ელაგა აუარებელი სურათი და გამადიდებელი „პონორამა“. მაგიდას გარშემო შემოწყობოდა ჩალის სკამები.

კედლებზე ეკიდა დიდი სურათები, ოქროთი მოვარაყებულ ჩარჩოებში; ერთ-ერთზე გამოხატული იყო გაჭენებული მერანი, რომელზედაც დაკრული გახლდათ მშვენიერი შეხედულების ჭაბუკი, მეორეზე – რაღაც ნადირი და სხვა („მაზეპა“). ამ დიდი სურათების გარდა კედლები სავსე იყო წვრილ-წვრილი სურათებით.

მახსოვს, როგორ დაუკვეთა ილიამ ამ სურათებისათვის ასზე მეტი ოქროსფერი ჩარჩო და სულ მათში ჩასვა ეს წვრილი ნახატები.

სურათების ნაწილი საზღვარგარეთიდან ჩამოიტანა, მეტი წილი კი აქაური ჟურნალებიდან ჰქონდა ამოღებული. კედლებზე მათი განლაგებისათვის ცოტა ენერგია არ დაუხარჯავს, თვითონაც აქტიურად მონაწილეობდა ამ საქმიანობაში, მე და ოლღამ კი თვეზე მეტიც ვიმუშავეთ და ისე მოვაწყეთ, ილიას როგორც სურდა.

როცა ამის შემდეგ ერთ საღამოს ვესტუმრე, ილია ღიმილით შემეგება და მხიარულად მომაძახა:

– მოდი, მოდი, რა გაჩვენოთ! როგორი სურათი გადავიღეთ მე და ოლღამ.

შემიყვანეს საწოლ ოთახში და ოლღას საწოლთან კედელზე ჩამოკიდებულ ნახატზე მიმითითეს. მოხუცი ქალი წინდას ქსოვდა, იქვე იდგა ბერიკაციც, რომელსაც ღვინით სავსე ჭიქა ეპყრა.

– აი ეს მე და ოლღა ვართ!..

საერთოდ ილიას ძალიან უყვარდა სურათები და გატაცებითაც ლაპარაკობდა მათზე. თუ სურათი რომელიმე გამოჩენილი მხატვრისა იყო, დაწვრილებით განმარტებასაც იძლეოდა მათ შესახებ: თუ რა დროისაა, სად ინახება მათი დედნები და რითია შესანიშნავი. იშვიათი მცოდნე და შემგრძნობი გახლდათ მხატვრობისა.

კაბინეტში საპატიო ადგილი ეჭირა საწერ მაგიდას, რომელზედაც კარგი ქარვის – ასე თხუთმეტიოდე მარცვლიანი – კრიალოსანი და საწერკალამი ეწყო. ეს მშვენიერი კრიალოსანი ილიას ძალიან უყვარდა, რადგანაც ნაჩუქარი ჰქონდა მახლობელი მეგობრისაგან: პრელესტ ბაბალესაგან.

კუთხეში იდგა დგამი, რომელზედაც აღმართულიყო ქალის ქანდაკება – ემბლემა თავისუფლებისა. კარგი რბილი ავეჯითაც იყო მორთული იქაურობა. იქვე იდგა კოხტა ტახტი და წიგნების კარადა. კედლებზე სურათები რომ ეკიდა, ერთზე გამოსახული იყო მწყემსი სალამურით ხელში.

სასადილო ოთახში იდგა უბრალო ბუფეტი, შუაში კი — სასადილო მაგიდა. კედელთან – ფისჰარმონი. ერთ-ერთ კედელზე ეკიდა ძველებური საათი — თვით ილიას მიერ გაკეთებული კალენდრით.

საწოლი ოთახი ძალიან უბრალო ჰქონდათ: ძველი საწოლები ვერადავერ მოიშორეს, თუმც ყოველთვისაც ფიქრობდნენ მათ გამოცვლას. საუცხოო იყო სამზარეულო, სულ თეთრი კაფელით მორთული. ჰქონდათ სარდაფიც ჩასაცივებლებით. მართალია ილია დიდ მზრუნველობას იჩენდა თავის სახლებზეც და ბინის მოწყობაზეც, მაგრამ მაინც თავის ინჟინერს სიმონ კლდიაშვილს სულ იმას ჩასციებოდა, რომ რაც შეიძლება შეემოკლებინა ხარჯები. სიმონი სასტიკ უარზე იდგა ხოლმე.

– ბატონო, არ არის ისეთი ხარჯები, რისი შემოკლებაც შეიძლება. ბუხრებსა და ღუმელებს უნდა ჰქონდეთ ღრმა საძირკველი – არაფრით უამისობა არ იქნება.

მიუხედავად ინჟინრის ასეთი მტკიცებისა, ილია მაინც თავისაზე იდგა და... აკი დაინგრა კიდეც ორჯერ ეს კაფელის ბუხრები და ხელმეორედ დასჭირდათ ამოშენება.

სახლი ანდრეევის ქუჩაზე ილიამ იყიდა ღვინიაშვილის ქალისაგან, რომელმაც ილიას კუთვნილი ეზო პირდაპირი ხაზით გადაჭრა. აზომვის შემდეგ ილიამ რომ დაინახა, მისი ეზო იმხელა ფართობისა არ გამოდგა, რაც ხელშეკრულებაში იყო ჩაწერილი, თავისი ეზოს ხაზი გარეთ გადასწია და, რაც აკლდა, შემოიმატა.

ბაბალე ღვინიაშვილმა ძლიერ იწყინა და მოციქულს მოციქულზე უგზავნიდა: ნუ მიზამ მაგ საქმეს, ეზოს ნუ დამიმახინჯებო.

ბაბალემ მეც მთხოვა, უარი ვეღარ ვუთხარი და ვეახელ ილიას, რათა უკან დაეწია თავისი საზღვარი. მან დინჯად მომისმინა და ასევე დინჯად მომიგო:

– იცი, რომ შენზე უფროსი ხალხიც მომივიდა მასეთივე თხოვნით, მაგრამ ყველა უარით გავისტუმრე. მე სოფელთან მაქვს კავშირი და ამ კავშირს ვერ გავწყვეტ. იქიდან ხშირად ურმები მოდიან. ჩამომყვანს ბინა უნდა, კამეჩსა და ცხენს – სადგომი. ყველა ამისათვის მჭირდება შესაფერისი შენობის აგება, რა გიყო, ვერა ყოფილხარ კარგი მოციქული.

და სიცილით დააბოლოვა ეს სიტყვები.

მართლაც მალე ააგო ეზოში თავლაც და პატარა ბინაც სოფლიდან ჩამოსული გლეხებისათვის...

პრელესტ ბაბალეთი დაინტერესდით: ვინ იყო და ეს მეტსახელი რატომ შეერქვა?

ვინ იყო და: ბაბალე ბარათაშვილი – ქალი მეტად დარბაისელი, ლამაზი, მომხიბლავი და მხიარული. ძალიან დაახლოებული ილიას ოჯახთან – მის მეუღლესთანაც და დასთანაც. სადღაც გაღმა აიშენა სახლები, ვორონცოვის ხიდის მიდამოებში და მგონი ილია დაეხმარა ამ საქმეში.

როდესაც იმპერატორი ალექსანდრე მესამე ჩამოვიდა საქართველოში, ჯარის მანევრებისათვის გაემგზავრა თიანეთში. ბაბალე იმავე მაზრის მემამულე გახლდათ და მეფის წვეულებას ისიც დაესწრო. სუფრასთან იმპერატორის პირისპირ მჯდარა. როდესაც საჭმელი მოურთმევიათ, ბაბალეს ჩვენებურად ჩაუმტვრევია პური და თითებით გემრიელად უჭამია. მეფეს შეუნიშნავს და ისე მოსწონებია, რომ აუღია ჭიქა და განსაკუთრებით უდღეგრძელებია:

– პრელესტ, ბაბალე! ვაშე ზდაროვიე!

და მას აქეთ მტკიცედ შეერქვა კიდეც ეს ზედმეტი სახელი.

არ ვიცი, ის ეპიზოდიც გავიხსენო თუ არა. თუმც რა დაშავდება.

ბაბალეს დიდი მოწონება ჰქონდა ქალაქის მაღალ წრეებში. ერთხელ მასთან რომ მოვხვდი ოჯახში, ვიქნებოდი ასე 24-26 წლისა, ოთახში რომ შეველ, ტახტიდან წამოდგა „ველიკი კნიაზის" შვილი. ბაბალემ ქართულად გამაფრთხილა: რევერანსი გაუკეთეო, – და მეც ავასრულე.

იმის დაზუსტება გინდათ, საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა რომ თქვა ოლიამ მეგობართა წრეში? მოგახსენებთ, კარგად მახსოვს და მოგახსენებთ, სხვა ეპიზოდებსაც მოვიგონებ, განაღა ცოტა შემორჩენია ჩემს მახსოვრობას.

ეკატერინე გაბაშვილი

ტასო თუმანიშვილი ჩემი განუშორებელი თანამგზავრი შეიქნა ყოველ საზოგადო კრებაზე დასწრებისა. სულიერადაც სიახლოვეს ვგრძნობდით ერთმანეთთან და გარემოებამაც მოიტანა ისე, რომ მას მხოლოდ ჩემთან, როგორც გათხოვილ ქალთან, ერთად რთავდნენ ნებას საზოგადოებაში გასვლისა.

იმ დღესაც მეწვია და ბილეთი მომაწოდა:

– ხვალ მუხრანსკის სახლში წერა-კითხვის საზოგადოების კონცერტია. ვინ გინდა, რომ არა მონაწილეობდეს: ოპერის არტისტები, მუსიკალური სკოლის პროფესორები და იცი კიდევ ვინ? იშვიათი, იშვიათი დეკლამატორი დავით ერისთავი — გლუხარიჩი!..

მეორე დღეს ადრიანადვე მივადექ ტასოს, რომელიც კლუბის სიახლოვეს ცხოვრობდა, ბარიატინსკის ქუჩაზე, და ისიც ისე ავაღელვე ჩემი მოუთმენლობით, საათი აღარც გვიკითხავს, ადრევე ავედით კლუბში. დარბაზი ოდნავ იყო განათებული, უშველებელ დარბაზში ჯერ სკამებიც არ დაელაგებინათ. მარტო ზალის ბოლოს გამართულ სცენაზე ვიღაცები ფარდას ვერასგზით ვერ აწყობდნენ და გაისმოდა ერთი სიცილ-ხარხარი...

დარბაზის მეორე ბოლოში, კედელთან რამდენიმე გრძელი სკამი დაედგათ, უთუოდ მოსწავლეთათვის, და ჩვენ ფანჯარასთან მივიყუჟენით სოფლიდან ჩამოსული ტეტიებივით.

თანდათან იკრიბებოდნენ კონცერტის მომწყობნი, მონაწილენი, თითოოროლა ჩვენსავით ადრიანად მომსვლელიც შემოგვემატა.

ბოლო სცენიდან ჩამოვიდნენ წერა-კითხვის საზოგადოების მმართველობის წევრები და მათ შორის ილია ჭავჭავაძეც, რომელიც მაშინვე ჩვენსკენ გამოეშურა. როგორ მოვიფიქრებდით, რომ იგი გადმოლახავდა ამ უშველებელ ზალას მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენთვის პატივი ეცა, და გვიკვირდა, განა რა საქმე უნდა ჰქონდეს ცარიელი დარბაზის ბოლოს, ასე რომ გამორბისო. და როცა მოგვიახლოვდა და მდაბლად თავი დაგვიკრა და მოგვესალმა, საშინლად შევკრთით.

ჩვენს თვალში ეს ისეთი მოულოდნელი პატივისცემა იყო იმისთანა მიუკარებელი კაცისაგან, ილიაზე რაც გვსმენოდა, რომ მთლად დავიკარგენით, გავწითლდით, ენა ჩაგვივარდა და ორივე ისე ვიდექით მის წინაშე, როგორც ცუღლუტობაში დაჭერილი ბალღები.

მაგრამ რაც უფრო სასაცილო აღმოჩნდა:

თვით ილიას საქციელი.

ისიც გაწითლდა, ჩვენებრ დაეკარგა სიტყვის თქმის ილაჯი, უხერხულად დაჯდა და აქეთ-იქით დაიწყო ყურება, ცარიელი გარემოს თვალიერება. ჩვენც დავსხედით ცოტა იმის მოშორებით, მაგრამ პირმოკუმულნი, დაფანტულნი...

– შეიძლება არავინ მოვიდეს და წერა-კითხვის საზოგადოება ცარიელი დარჩეს, – ბოლოს ძლივს წარმოთქვა ილიამ და უცებ ადგა, გამოგვემშვიდობა და წავიდა, ვითომ იმის გამოსარკვევად, რომ: თუ არავინ მოვიდოდა, რა ეღონა, რა გზას დასდგომოდა.

ჩვენ სიცილი წაგვსკდა და თან სირცხვილით ერთმანეთს ვაბრალებდით ჩვენს ამ უზრდელურ, სულელურ საქციელს. ამასობაში დარბაზი გააჩაღეს, მოაწყეს, თითოოროლა ჩვენებურად სულსწრაფი მდაბიოც შემოვიდა, მალე ოლღა ჭავჭავაძეც გამოჩნდა, მორთული და მხიარული, რამდენიმე ახალგაზრდა არისტოკრატი ქალიშვილით გარშემორტყმული. კართან დადგა და მოსულ სტუმრებს, როგორც საღამოს დიასახლისი, ესალმებოდა და თითქოს მადლობდა, რომ პატივი სცეს კონცერტს და მობრძანდნენ.

აუარება ხალხი შეიკრიბა, ყველა წრის საზოგადოება – ინტელიგენცია, მოსწავლენი, მასწავლებელნი. ყველა მხიარული, მოძრავი, მოღიმარი. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ბაასობდნენ; ერთი სიტყვით საღამო გაჩაღდა. გაისმა ზარი კონცერტის დაწყებისა და ყველა თავთავის ადგილას გამოიჭიმა.

მე და ტასოც გავეშურეთ ჩვენი ადგილებისაკენ და ოლღას თვალს ვარიდებდით, გვეგონა, რომ მან უკვე იცოდა ჩვენი ინციდენტი ილიასთან და გვრცხვენოდა ჩვენი სისულელისა.

გათავდა თუ არა პირველი განყოფილება, ჩვენც დავიძარით მეორე დარბაზში გასასვლელად. წინ გადაგვეღობა ოლღა და გვთხოვა: მცირე ხანს დავრჩენილიყავით ზალაში. ჩვენ ენაზე ვიკბინეთ. ოლღამ თავისებური სიცილ-ხარხარით და აქეთ-იქით რხევით გადმოგვცა:

– ილიკომ ამიხსნა თქვენი და მისი შეხვედრის ამბავი და დამავალა განმემარტა თქვენთვის, თუ როგორ დაძლია იგი თავისმა ჩვეულებრივმა ხასიათმა, ქალებთან სულელურმა მოკრძალებამ: სრულიად დამავიწყდა იმათ დანახვაზედ მომზადებული ორიოდე სიტყვა, მოხარული რომ ვარ, ქალმა პირველმა რომ აღძრა აზრი ქალთა განათლებაზეო. და თან მინდოდა დავპირებოდი, რომ პირველივე შემთხვევით ვისარგებლებდით ყველა და მათ კეთილ და საჯაროდ ცნობილ აზრს უთუოდ განვახორციელებდითო.

ოჰ რა ბედნიერება იქნებოდა, ეს დანაბარები თვითონ ილიას ეთქვა ჩვენთვის, მაგრამ ალღოთი ვიგრძენი, რომ შესაძლებელი იყო ამგვარი თქმის უხერხულობა.

ამ წუთას უამრავი ამბიდან ის წამომაგონდა:

ჩემი მოთხრობა „რომანი დიდხევაში“ კეკეს რომ მივუტანე, სერგეი მესხის მეუღლეს, ჟურნალ „ივერიაში“ გადასაცემად. მაშინ „დროება“ და „ივერია“ შეერთებული იყო ერთ რედაქციად და ივანე მაჩაბელი რედაქტორობდა. მოთავსებული გახლდათ მუხრანსკის სახლში, და თვითონ სერგეი მესხიც ოჯახით იქვე იდგა. გავიდა კარგა ხანი. მე ვერა ვბედავდი მისვლას მეგობართან, ვშიშობდი რაიმე მეკითხა ჩემს მოთხრობაზე. ბოლოსდაბოლოს გავბედე და ვეწვიე ერთ საღამოს. იგი მწვანე აბაჟურჩამოფარებულ ლამპასთან ჩვეულებისამებრ პაპიროსებს აკეთებდა და ვერ დამინახა.

როცა შემომხედა, ვინც ვიყავი, გაიცინა და მითხრა:

– ნეტა ერთი საათით ადრე მოსულიყავ და შენი ყურით გაგეგონა აი სწორედ ამ დივანზედ ლაპარაკი შენი მოთხრობის შესახებ.

– ჩემი მოთხრობა დაიბეჭდა და არ შემატყობინე? შე ავო ადამიანო, განა არ იცი, როგორ ვღელავ და რა მოუთმენლობით ველი ხოლმე მაგ ამბავს?

– ახლა მაინც ხომ გაიგე, და ბარემ ისიც მოისმინე, თუ რას ლაპარაკობდნენ ამაზე ილია, ვლადიმერ მიქელაძე და სერგეი.

– როგორ მოვიფიქრებდი, რომ ასე სწრაფად დაბეჭდავდნენ, ვანო მაჩაბლის მადლობელი უნდა ვიყო.

– რას არ დაბეჭდავდნენ, როდესაც შენზე მიდგა საქმე, და არ იქნა და აღარავინ გამოგვიჩნდა მოთხრობების მწერალი, – დაცინვით ჩაიღიმა იმან.

– ჰო, ერთ ქვეყანაში რომ მოახლე არ იყო... თუ როგორც ამბობენ ხოლმე, – წავიტუტუნე ამოოხვრით.

– არა, არა! ნუ გეშინიან, დიდი კომპლიმენტებით შეაქვს შენი „რომანი დიდხევაში“. ილიამ თქვა: უთუოდ მაგ ქალს ზეპირად აქვს დასწავლილი ვიქტორ ჰიუგოს რომანები, რომ მაგგვარად მიუღწევია იმისი სტილის მიმ-

სგავსებისათვისო. და დასძინა: ამ „რუსინკების“ გამრავლების დროს ეგ რა მანქანებით გადარჩენილა მაგგვარ უბედურებას, რომ ქართულის ცოდნა არ დაუთურგნავსო.

– მიქელაძემ, მიქელაძემ რაღა თქვა? – დავეკითხე კეკეს, რათა ასე დამეფარა ის საშინელი მღელვარება, რომელიც ვიგრძენი მისი სიტყვების შემდეგ.

– მიქელაძემ? აბა მიქელაძე ვის დაეთანხმება! იმას ყოველთვის თავისი აზრი უნდა ჰქონდეს! ვიქტორ ჰიუგო რა მოგახსენო, მაგრამ ტურგენევს კი თითქო რიღაშიაც მიბაძავსო. აზროვნებაში თუ სულიერ შეთანხმებაშიო. სერგეიმ ხარხარი დაიწყო: რატომ არა გგონიათ, რომ შესაძლებელი იყოს მიუბაძველობაო? და თუ მართლა მაგ ახალგაზრდას ატყობთ რაიმე ჩანასახს მომავლის ბელეტრისტისა, უნდა ხელი წაუმართოთო...

კეკეს ჯერ არ დაესრულებინა მოყოლა, რომ ოთახში შემოვიდა ილია, სკამზედ დარჩენილი ქუდი აიღო და უკან გაბრუნდა. მეც ავედევნე, ვითომ უნდა მეკითხნა, თუ მართალი იყო, რაც მითხრა კეკემ, და მეტიც, მაგრამ...

ვაი, რომ მაგრამ!..

ილიას თითქოს არც კი დავენახე და ტალანში პალტოს ჩაცმა დაიწყო. მე ხელი შევაშველე ჩაცმაში, ჯოხიც მივაწოდე, მაგრამ ზედაც არ შემომხედა და თავჩაღუნულმა ჩაიარა კიბე.

დამბლადაცემულივით დავრჩი კიბის თავზედ და ვწყევლიდი ჩემი ქალად გაჩენის დღეს, თუ მართლა ქალების დანახვა უკრავდა კრიჭას ამ დიდებულ მეტყველებას, რომელიც ქალებს ზედმეტად ესაჭიროებოდათ მოსამენად, შესასუნთქად, იქნებ ასაყვავებლადაც... მაგრამ... ბედი მუხთალი...

შინ დაბრუნებულმა ჩემს მეუღლეს რომ შევჩივლე და მასთან მოვიოხე გული, სანდრომ, რომელიც ასე ჩახედულიყო საზოგადოებრივი ყოფის ტყუილ-მართალსა თუ ჭორაობის ინსტიტუტის რაობაში, გარდა ადამიანის მდაბალი ინსტინქტებისა, ამ პროცესს საიდუმლო სამსახურები რომ წარმართავდნენ და ჭორებისა და სიცრუის გავრცელებას შეგნებულად უწყობდნენ ხელს, ამიხსნა მიზეზი ილიას საქციელისა:

– რას აღარ უგონებენ და რას აღარ უთხზავენ, ერთიბეწო მიზეზიც კმარა, ჭორების ქარბორიაში გახვიონ, და შენთან თუნდ ხანმოკლე გასაუბრება ნიშნავდა ჭორების ახალი ტაღლის აგორებას... შეჩვეულია, ვაი, რომ შეჩვეულია ცილისწამებებს და იმუნიტეტიც აქვს გამომუშავებული, მაგრამ შენ სახელს გაუფრთხილდა, ჩვენი ოჯახის სახელს... ამიტომ იყო, რომ არამცთუ დაგლაპარაკებოდა, არც კი შემოგხედა და გაგექცა კიდეც... როდესაც მისი თანამშრომლები საკმაოდ იქნებიან თავშეყრილნი მის გარშემო, აბა მაშინ გამოელაპარაკე, თუ გაგერიდოს...

– ნუთუ უბრალო დალაპარაკებაც საკმარისია ჩირქის მოსაცხობად? – ვერ ვიჯერებდი და ვერა.

– სწორედ უბრალო დალაპარაკებაც, მარტო შენ და ის თუ იქნებით.

ჰოი ბედო მუხთალო... მუხთალო ბედო!..

„ივერიის" რედაქციაში საიდან მოვხვდი და:

ვმუშაობდი ვასილ აბაშიძის ყოველკვირეულ გაზეთში „თეატრი", ვწერდი ლექსებს, პატარა სცენებს და რედაქტორს სარედაქციო საქმიანობაშიც ვეხმარებოდი.

ოთხმოციანი წლები საქართველოსათვის მეტად უჟმური ხანა იყო. ერთადერთ კულტურულ დაწესებულებას, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, უსახსრობის გამო სული კბილით ეჭირა. ქართული თეატრი ძლივს თუ ბოგინობდა და მსახიობები მშივრები ისხდნენ, და ეს მაშინ, როდესაც მთავრობა ოპერის თეატრს სუბსიდიას აძლევდა. ეს თეატრიც ხომ იმიტომ არსებობდა, ხალხის გამარუსებელი საშუალება ყოფილიყო, და არა იმიტომ, რომ მთავრობა ხელოვნების აყვავებასა და ხალხის ესთეტიკური გემოვნების განვითარებაზედ ზრუნავდა.

ხელისუფლება ქართველებსა და ყოველივე ქართულს ძლიერ სდევნიდა და აჭერდა ქუსლს, რადგანაც სეპარატიზმის შიში არ ასვენებდა. უფრო ლიბერალურად კი სომეხი მოსახლეობის ზედაფენებს ეპყრობოდა და იმიტომ კი არა, თითქოს სომხებსა წყალობდა, არამედ – რუსეთში ბურჟუაზია წელს ის-ის იყო იმაგრებდა და საქართველოში თუ ბურჟუაზიის ნასახი მოიპოვებოდა, ამ ნასახს სომეხთა შორის უფრო მოძებნიდით.

ქართველობას მესამე წოდება არა ჰყავდა. ვაჭრობას დაბეჩავებული და ყოვლად გაუნათლებელი გლეხი ხელს ვერ მოჰკიდებდა, თავადაზნაურობა კი უმეტესწილად თაკილობდა და უკადრისობდა. და ამიტომაც მთელი ვაჭრობა სომეხთა ხელში მოქცეულიყო.

ქართულ ენას თითქმის არსად ასწავლიდნენ, საეკლესიო-სამრევლო სკოლების გარდა. იქ კი უსწავლელი და მოუმზადებელი დიაკონები განაგებდნენ ბავშვების სწავლისა და განათლების საქმეს. გიმნაზიებში ქართულ ენას მხოლოდ რამდენიმე საათი ეთმობოდა და ისიც – უკანასკნელი გაკვეთილების სახით, როდესაც ბავშვები მთლად მოღლილიყვნენ და ხალისი სწავლისა აღარ ჰქონდათ. ამის გამო ამ გაკვეთილებს ბავშვები ნაკლებ და უხალისოდ თუღა ესწრებოდნენ. ქართული ენის შესწავლა სავალდებულოდ არ მიიჩნეოდა და ამიტომ აღარც ყურადღებას აქცევდნენ, მითუმეტეს: მშობელთა შორის – ჩვენდა სამარცხვინოდ – ორიოდე ისეთიც აღმოჩნდა, რომელთაც გიმნაზიის დირექტორს მარკოვს თხოვნა მიართვეს:

ჩვენს შვილებს ქართულს ნუ ასწავლით და ნუ აცდენთ, რადგანაც ქართულის გაკვეთილები რუსული ენის შესწავლას ხელს უშლისო.

ქართველებსა და ქართულ ცხოვრებას ყოველი მხრიდან უტევდნენ და ჩაგრავდნენ და თვით ქართული ჟურნალ-გაზეთობაც შესაბრალის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ცენზურა ხომ ავიწროებდა და ავიწროებდა და ყოველ სიტყვას გულღვიძლს უსინჯავდა და უჩხრეკდა, თვით ქართული ჟურნალ-გაზეთების რაოდენობაც უფრო მცირე იყო, ვიდრე რუსულისა და სომხურისა.

რუსულად ჯერ მარტო ყოველდღიური გაზეთი სამი გამოდიოდა: მთავრობის „კავკაზი“, „ნოვოე ობოზრენიე“, რომელიც შემდგომ გიორგი თუმანიშვილის ხელში გადავიდა და რომელსაც ძმები თუმანიშვილები უძღვებოდნენ – გიორგი, ვასილი და კონსტანტინე, და „ტიფლისსკი ლისტოკი“ – ძმები ხაჩატუროვების გამოცემა.

სომხურადაც კი თვიური ჟურნალების გარდა – „აოდიური“ და „არძაგანკი“ – ორი ყოველდღიური გაზეთი გამოიცემოდა:

„მშაკი“ – გრიგოლ ორწრუნისა, და „ნორდარი“ – სპანდარ სპანდარიანის რედაქტორობით.

და ქართულ ენაზე... ერთადერთი გაზეთი თუ იბეჭდებოდა:

პატარა ტანისა და ზომის „დროება“, ჯერ სერგეი მესხისა და შემდეგ ივანე მაჩაბლის რედაქტორობით, და ისიც – მცირეტირაჟიანი.

ქართულ გაზეთს იშვიათად თუ ვინმე იწერდა და კითხულობდა.

განათლებული ქართველობა ალბათ?

რას ბრძანებთ, განათლებაზე თუ თავს სდებდა რომელიმე ქართველი, ისიც რუსულ გაზეთებს ეტანებოდა, რადგანაც აქ ყოველი ახალი ამბავი უფრო მრავლადაც, ადრეც თუ ვრცლადაც იბეჭდებოდა.

და იმ ერთადერთ ქართულ გაზეთსაც 1885 წლის სექტემბერში აკრძალავდა მთავრობა: უკანასკნელი ნომერი 14 სექტემბერს ელირსებოდა მზის სინათლეს.

„დროების“ აკრძალა აიძულებდა ილია ჭავჭავაძეს, ყოველთვიური ჟურნალი „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაეკეთებინა.

და აი 1886 წლის დამდეგს, თებერვალსა თუ მარტის თვეში, ნიკო ხიზანაშვილმა, რომელსაც თეატრიდან ვიცნობდი, როგორც ელისაბედ ჩერქეზიშვილის მეუღლეს, გადმომცა ილიას დანაბარები, თურმე ჩემი ნახვა რომ სდომებოდა.

მანამდე ილია თვალითაც არ მენახა, თუმც მის სიტყვაკაზმულ ნაწერებს კი ვიცნობდი და ავტორის თაყვანისმცემელიც გახლდით.

ადვილად წარმოიდგენთ, თუ რარიგ ამიტოკდებოდა გული, როდესაც შევიტყობდი, რომ დიდი ილია – რა გგონიათ, მაშინაც უკვე „დიდად“ მიიჩნეოდა და ყოველგვარი უხერხულობის გარეშეც მოიხსენიებდნენ ამ ეპითეტით – თავისთან მიბარებდა და მაშასადამე ჩემისთანა უმნიშვნელო მწერლისთვისაც ყურადღება მოექცია.

ილია ამ დროს ბინადრობდა ახალ ბებუთოვის ქუჩაზედ, ზუბალაშვილის სახლში, 9 ნომერში, და მის ბინაშივე ერთი ოთახი „ივერიის“ რედაქციას ეთმობოდა.

კვირადღე იყო, დილის 10-11 საათზე მივადექი ილიას სახლის კარს და გულაჩქარებულმა ზარი ჩამოვკარი. ასე მოვხვდი დერეფნის გავლით ილიას კაბინეტში და... კიდეც ვიხილე ასე პირისპირ აღელვებისაგან ხმაგაკმედილმა.

საწერ მაგიდასთან იჯდა, აბრეშუმის ხალათი ეცვა და თავზედ ოსმალური ფესი ეხურა. ხელში ეჭირა მოსკოვის „რუსსკიე ვედომოსტი“ და ათვა-

ლიერებდა. მარჯვენა ხელში პაპიროსი მოემარჯვებინა და განუწყვეტლივ ეწეოდა, რისი გამოისობითაც ოთახში ბოლი ჭარბად ტრიალებდა.

ჩემი შესვლისთანავე თავი დაანება გაზეთის კითხვას, ოდნავ გადამავლო თვალი თავიდან ფეხებამდე და ხელგამოუწვდენლად მომმართა:

– დაბრძანდით.

არ დავძრულვარ.

– თქვენ გაზეთ „თეატრში" მუშაობთ. ხომ არ მოისურვებდით „ივერიაში" თანამშრომლობას. ყოველდღე, საღამოობით, გაზეთის კორექტურას უნდა გადაავლოთ თვალი და დილაობით კი სარედაქციო მუშაობა იკისროთ, – მითხრა და პასუხს აღარც მოუცადა, თვითვე განაგრძო, – ჯამაგირად თვეში ოთხი თუმანი მოგეცემათ.

გარინდებული ვიდექ და ენის მოკიდებით იმის თქმაღა შევიძელ:

– არ მეყოფა.

– შენ რომ დიდი მუცელი გქონდეს, ჩემი გაზეთისა რა გადასახდელია, – მოკლედ მომიჭრა ილიამ და ამ სიტყვებმა ისე დამაბნია, ფეხმოუცვლელი, გაქვავებული ვიდექ და კრინტსაც ვერა ვძრავდი, ენა მუცელში ჩამივარდა თუ რა დამემართა.

წუთიერი სიჩუმის შემდეგ, რაკილა მე ვდუმდი და არც ვაპირებდი ხმის ამოღებას, ისევ ილიამ განაგრძო:

– თუ თანახმა ხართ, ხვალ შედით რედაქციაში, გრიგოლ ყიფშიძე იკითხეთ და თქვენს მოვალეობას ის აგიხსნით.

ამ სიტყვებით მივხვდი, რომ აუდენცია დასრულებული იყო და თავის დაკერით, ხელჩამოურთმევლად, ოთახიდან გამოვედი.

ისეთი გაბრუებული წამოველ, იმ დღეს ილიას გარეგნობის დათვალიერებაც ვერ მოვასწარი.

მეორე დღეს სისხამზევე წარვუდექი გიგა ყიფშიძეს, რომელმაც განმიმარტა, რა საქმეც მევალებოდა.

თვით რედაქცია როგორ გამოიყურებოდა?

საკმაოდ მოზრდილ ოთახში ერთი დიდი მაგიდა იდგა და ამ მაგიდის გარშემო თანამშრომლები უსხდნენ.

ჩემი მისვლისას რედაქციაში დამხვდნენ: იაკობ მანსვეტაშვილი, იგივე დონ იაგო, ილია ბახტაძე, იგივე ილია ხონელი, და მოსე ჯანაშვილი, იგივე ესომ.

სარედაქციო ოთახი ილიას კაბინეტის გვერდით იყო მოთავსებული და ამ ორ ოთახს კარი აერთებდა.

ასე მოვხვდი „ივერიის" რედაქციაში და მას შემდეგ 17 წელიწადი ამ გაზეთს აღარც გავშორებივარ. ანკი რაღა გამაშორებდა – ღმერთმა გადმომხედა წყალობის თვალით და ილიას გვერდით მომახვედრა და ამ წყალობას ვინ არ შეირგებდა.

როდესაც ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ მუდმივი თამაშისათვის მიმინვია სცენაზე, ილია ჭავჭავაძემ ეს გადაწყვეტილება საქვეყნოდ მიულოცა დრამატულ საზოგადოებასაც და თეატრის მოყვარეთაც.

ვკითხულობდი და ვკითხულობდი იმ სტრიქონებს და ხან ვწითლდებოდი, ხან ვფითრდებოდი, წამდაუწუმ წყალს ვსვამდი და წყურვილს ვერადავერ ვიკლავდი.

აბა რა იქნება, როდესაც ილია შენზე იტყვის:

ბატონი ყიფიანი საკმაოდ ღონიერი ნიჭია და ნიჭს გარდა დახელოვნებული არტისტიც არის. ეს ორივე სიკეთე მომადლებია და ამიტომაც ძნელად შეხვდება კაცი, რომ მან თავისი სათამაშო ოდესმე გააფუჭოს, რაც უნდა არ უხდებოდეს, არ შეესაბამებოდეს ის სათამაშო მის ნიჭსა და მიდრეკილებასო.

„მეფე ლირი“ ახალი თარგმნილი რომ ჰქონდათ ილიასა და ივანე მაჩაბელს, რამდენიმე პირმა მოინდომა მისი დადგმა ჩვენს სცენაზედ, მაგრამ ისე, რომ ყველა როლი თავიანთ შორის გაენაწილებინათ და არცერთ ჯამაგირიან მსახიობს არ მიეღო ამ სპექტაკლში მონაწილეობა.

ვის უნდა ეთამაშათ და:

თვითონ მთარგმნელებს — ილიასა და ვანოს, და აგრეთვე მამია გურიელს, დავით ერისთავს, ნინო ორბელიანს... ყველა სად ჩამოგითვალოთ.

ილიამ მოიწადინა, რომ ლირის როლი შეესრულებინა მამაჩემს. ამისათვის მისწერა დიმიტრის ბარათი ქვიშხეთში და თავისი თარგმანიც გაუგზავნა.

ბარათის მიღებიდან რამდენიმე დღის თავზე რომ შევედი მამაჩემის ოთახში, რას ვხედავ: შემოუწყვია გარს რამდენიმე წიგნი „მეფე ლირისა“, სხვადასხვა ენაზე თარგმნილი, და ხან ერთს კითხულობს და ადარებს გულმოდგინედ, ხან მეორეს და ხანაც მესამეს... ამდენ გამოცემას მარტო ის თუ შეაგროვებდა...

— ლირით ვარ დაკავებულიო, — მითხრა რუსულად. ჩვენს ოჯახში მომეტებულად რუსულად და ფრანგულად ვლაპარაკობდით.

— ჰმ, ჰმ... თარგმანი არ მომწონს. მინდა მე თვითონ ვთარგმნო ლირის როლი და, თუ ილიკო და ვანო ნებას დამრთავენ, ასე შევეცადო მის წარმოდგენას.

მერე იყო, რომ მისწერა პასუხად ილიას:

თქვენმა თარგმანმა სასიქადულოდ გადაიქცა თავს კრიტიკა მიუკარებელი და შეუბრალებელი... შრომა გაგიწევიათ დიდი და ნიჭი გიხმარიათ შესანიშნავი, მაგრამ უფრო სამწიგნობრო კილოს გაჰყოლიხართ. თუ გნებავთ, რომ ლირი მე წარმოვადგინო, ნება მომეცით, რომ ეს როლი თვითონვე ვთარგმნო, ჩემებურად — მარტო ეს როლი, ამით თქვენს თარგმანს სრულებით არა ევნება რა, ისიც ხომ მომხდარა, ერთი როლი ერთ ენაზე უთარგმნიათ და სხვა როლები — სხვა ენაზედ, აქ კი მთელი წარმოდგენა თავით ბოლომდე ქართულად იქნება — ზოგი სასაუბროზედ და ზოგიც სამწიგნობროზედ.

ამაზე ილიამაც და ვანომაც მამაჩემს უარი შემოუთვალეს.

იმ წელს, გიორგობის თვეში ტფილისს ვიყავი და ილიამ თავისთან დამიბარა და შემომთავაზა:

— დიმიტრი ივანიჩმა „მეფე ლირზე“ უარი შემოგვითვალა. შენ უნდა იკისრო იმისი როლის შესწავლა. კონკურსი იქნება; ლირს ამზადებენ დავით ერისთავი, მამია გურიელი და ანდრია ყარაშვილი. ვინც უკეთესად იტყვის წყევლის ლექსს — იმან უნდა ითამაშოს ლირი. შენ შეგნებული კაცი ხარ, მოამზადე როლი ისე, როგორც გესმის. ნურა კრიტიკოსის თხზულებას, ნურა რეცენზიას „ლირზედ“ ნუ წაიკითხავ, თორემ აგერევა გზა და კვალი; შენად, თვითონ შენად უნდა შეჰქმნა ლირის ხასიათი და მერწმუნე, უკეთესად გამოგივა.

მამაჩემმა როცა შეიტყო, ლირის როლი ჩემთვის რომ მოეცათ, მითხრა:

— აიღე წიგნები, გარს შემოიწყე და რაც რამ სადმე წერია როლის ხასიათსა და სხვადასხვა არტისტის შესრულებაზე, ყოველი რეცენზია და კრიტიკა გადაიკითხე, რომ შენ თვითონვე შეგეძლოს შექმნა ლირის ხასიათისა.

ადვილად მიხვდებით, რარიგ დამაფიქრებდა ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო რჩევა. ჩავვარდი საგონებელში — ვისთვის დამეჯერებინა, მამაჩემისა თუ ილიასათვის; ვიყავი ერთ ვაივაგლახსა და გაჭირვებაში, რომ ეს ორი რჩევა როგორღაც ჩემს თავში მომეთავსებინა... მაგრამ ბოლოს მაინც მამაჩემის რჩევას დავყევ და ჯერ გადავიკითხე ლირის შესახებ რაც ხელთ მქონდა და მერეღა შევუდექი ლექსების ღეჭვასა დაა გაზეპირებას.

— აბა შენ იცი, არ შემარცხვინო, კოსტიუკ, — მამხნევებდა დროდადრო მამა.

ეს ორი საპირისპირო რჩევა საპირისპირო რჩევად და, ის გარემოებაც ძალიან მაფიქრებდა, მე როგორ მოვიდოდი დავით ერისთავთან, მამია გურიელთან და ანდრია ყარაშვილთან ლექსების კითხვაში. და... ვაითუ შევრცხვენილიყავ გამოცდის დროს.

ბევრი ფიქრის შემდგომ ერთმა გარემოებამ გამამხნევა. დავით ერისთავი ლექსებს კითხულობდა დიდი პათოსით, მამია გურიელი კი — სიტყვების უცნაური ტკეპნითა და გაგრძელებით, ორივეს კი თეატრალური მიხვრა-მოხვრა აკლდა, მეტადრე გურიელს...

ასე რომ: გამოცდისას, რომელსაც ძალიან ბევრი ადამიანი დაესწრებოდა ილიას სახლში, ერთხმად მე გამომაცხადეს მეფე ლირად.

მამია გურიელს ეს ეწყინა, მომიბრუნდა, დამაშტერა თავისი დიდრონი თვალები და დამცინავი კილოთი მითხრა:

— შენ უნდა მაჯობო ლექსის კითხვაში? აბა ვნახოთ!

და წვეტიან წვერზე მოისვა ხელი, რასაც ჩადიოდა მხოლოდ გულმოსულობისას.

ილია ჭავჭავაძის, ვანო მაჩაბლისა და მიხეილ ბებუთაშვილის ხელმძღვანელობით ასი რეპეტიციის შემდეგ კიდეც წარმოვადგინეთ „მეფე ლირი“ — ტფილისშიც, მერე ქუთაისშიც და ბათუმშიც.

რომელი წელი იყო? 1880 თუ... 1881?.. არა, ველარ ვიხსენებ, თუმც დაზუსტება თქვენ არ გაგიძნელდებათ...

მამაჩემმა თამაში მომიწონა, ოღონდ ეს კი თქვა:

ლირი მაინც ასე მწიგნობრულად რომ არა მეტყველებდეს, უკეთეს იქნებოდა, მაგრამ რა ვქნა, არ დამიჯერესო.

მე და გიგა, ჩემი ძმა, ერთ საღამოს ილიას რომ ვესტუმრეთ, შემოუტანეს იაკობ გოგებაშვილის სასწრაფო ბარათი. სასწრაფო რატომ? პასუხს დაუყოვნებლივ მოითხოვდა. ბარათი მრისხანე იყო და უკმეხად დაწერილი. ეხებოდა „ივერიაში“ რომელიღაც დაბეჭდილ თუ დასაბეჭდ წერილს, აღარ მახსოვს, რა თემაზე. თუმც ამას ამჯერად არცა აქვს მნიშვნელობა.

შევიდა ილია თავის კაბინეტში პასუხის დასაწერად.

გაიარა ერთმა საათმა, გაიარა მეორემ... მაგრამ ილია არა და არ გამოდიოდა.

ჩვენ გაკვირვებულნი შევცქეროდით ერთმანეთს და თვალებით ვეკითხებოდით: განა რას სწერს ამხელასო?..

ბოლო როგორც იქნა გამოვიდა და წაგვიკითხა, რაც დაეწერა.

რა გგონიათ, სულ რამდენიმე სტრიქონი იყო, ხუთი თუ ექვსი.

პასუხის შინაარსს რომ აღარ გავყვე, ზოგადად მოგახსენებთ, რომ კილო მეტად თავაზიანი და თანაც მტკიცე გახლდათ.

როდესაც მეც და გიგამაც განცვიფრება გამოვხატეთ პასუხის მეტად თავაზიანი კილოსა და პაწია ბარათზე დახარჯული დიდი დროის გამო, ილიამ მოგვიგო:

– იაკობ გოგებაშვილი პატარა კაცი არ არის. ბევრი რამ, რასაც იგი მოიწერება ან რასაც იმას მისწერენ, შესაძლოა ისტორიის ხვედრი გახდეს...

შემდეგ მის კაბინეტში რომ შევიხედე, მთელი იატაკი დახეული ფოსტის ქაღალდებით მოშანშლული ვნახე. ასე ჰქონდა გამახვილებული ილიას გრძნობა პასუხისმგებლობისა.

სხვათა შორის ეს ამბავი ილია ზურაბიშვილს რომ მოვუყევი, მითხრა:

– მართალი ხარ, ილიას პასუხისმგებლობის გრძნობა უკიდურესად რომ ჰქონდა განვითარებული, ეს ეპიზოდი ერთი საუკეთესო ილუსტრაციაა, მაგრამ მოდი ახლა სხვა კუთხითაც შევხედოთ შენს ნაამბობს – იაკობ გოგებაშვილზე რაც თქვა, ეს ხომ მის დიდ პატივისცემასა და აღიარებას ადასტურებს ილიას მხრიდან. და კიდევ მასზე ამბობდნენ ვიღაც კაცუნები: დიდი კი იყო ილია, მაგრამ თავის გვერდით სხვა დიდ კაცს ვეღარ იტანდაო.

– ისე ეს არცთუ საქებური თვისება, თავიანთ ტოლს რომ ვერ იტანდნენ გვერდით, არაერთი დამსახურებული პიროვნებისათვის ყოფილა დამახასიათებელი, – დავეთანხმე.

– აი თუნდაც როგორ ეპყრობოდა იგი აკაკი წერეთელსაც და ვაჟა-ფშაველასაც, როგორც მგოსნებს, – განაგრძო ჩემმა თანამოსაუბრემ და ზეპირად დაიმოწმა ფრაგმენტი აკაკისთან გაგზავნილი ბარათისა 1886 წლის 5 იანვარს:

– თუ აქამდე ეს წერილი დაგიგვიანე, მაგას ნურც ჩემ განთქმულ ზარმაცობას მიაწერ, ნურც ავ-გუნებიან მოძრაობას ჩემი გულისას, რომელსაც შენ ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც უკეთესი მეომარი, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგანწირული...

– ანდა დიმიტრი ყიფიანზე რაც განაცხადა.

– და ეს იმ დიმიტრიზე, – ჩამირთო თანამოსაუბრემ, – რომელსაც პოლე-მიკით სიცოცხლე გაუმწარა, როდესაც დავა პრინციპულ საგანს ეხებოდა.

მაშინ ზეპირად მხოლოდ ზოგადი შინაარსი გავიხსენე და ერთი-ორი ფრაზა, ახლა კი შემიძლია წიგნში ჩავხედო და ზუსტად მოგაგონოთ თუნდ ის ნაწყვეტი, თქვენც რომ არ გამოგრჩებოდათ:

– მძლედ მობურთალნი ქვეყნიერების მოედანზე მარტო დიდხასიათის კაცნი არიან. ამ ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მომადლებია გულთასრულობა, დიდხასიათობა, იმისდა მიუხედავად – ტრიალი ემარჯ-ვათ თუ ემარცხათ. ყოველივე დიდებული საქმე, რითაც-კი კაცობრიობა ქა-დულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათის კაცთა მიერ და არა ვისმე სხვისაგან. ამიტომაც ხასიათიანი კაცის წინაშე ყველა უნებლიედ თავს იხ-რის მოწიწებით და სასოებით. ამიტომაც ყველა, დიდი და პატარა, უკან მის-ტირის, როცა ამისთანა კაცი მიდის უკანდაუბრუნებლად, სამუდამოდ...

ისე რა არის, არა?

ორი საათი და მეტიც განუწყვეტლივ წერო, დახიო, წერო, დახიო და... ბო-ლოს ხუთ-ექვს სტრიქონსღა მოუყარო თავი.

მაგრამ როგორ ხუთ-ექვს სტრიქონს!..

პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობითაც.

იაკობ გოგებაშვილის პატივისცემითაც.

ეპისტოლური ჟანრის პატივისცემითაც.

რასაც იაკობ გოგებაშვილი მოიწერება ან რასაც მას მისწერენ, შესაძ-ლოა ისტორიის ხვედრი გახდესო...

მე რასაც მივწერ ან ჩემთან რასაც მოიწერებიან კი არა, იაკობთანო!..

ილია თუ არა ხარ, ამას როგორ იტყვი...

ივანე ბუქურაული

არ დაიჯერებთ, რასაც ახლა ჩვენს დირექტორზე მოგახსენებთ, სამას-წავლებლო ინსტიტუტისა – დმიტრი ვიკენტიევიჩ კალლოვიჩზე, ისტორიას რომ გვასწავლიდა. იმ დღესაც დინჯად, დარბაისლურად დაჯდა კათედრა-ზე, უკვე ხანშიშესული. სიჩუმე ჩამოვარდა. ჩუმად გვადევნებდა თვალს მო-წაფეებს. ბოლოს კი წარმოთქვა:

– დიახ... ჩვენ, რუსებმა, არ ვიცოდით, რომ ქართველებს გყავთ ასეთი დიდი ადამიანი, როგორიც არის ილია ჭავჭავაძე. ასეთ კაცს რუსებმაც ან-გარიში უნდა გავუწიოთ.

ერთხანს შეყოვნდა და განაგრძო:

– ახლა მესმის... ამის შემდეგ თუ ილია ჭავჭავაძის დაწერილს წარმოად-გენენ რამეს თეატრში, მითხარით და მე თვითონ გაგგზავნით, მხოლოდ რო-ცა მოხვალთ, მიამბეთ, რა ნახეთ და გაიგონეთ.

ეს რა დრო იყო, იცით? ქართულ თეატრში რომ არ გვიშვებდნენ.

მას მერე გაიმართებოდა თუ არა რაიმე წარმოდგენა, მაშინვე ვეტყოდით დირექტორს და ისიც დაუყვედრებლად გვიშვებდა.

ერთხელ რომ გვკითხა:

– აბა მიამბეთ, რა ნახეთ, ვისი პიესა იყო?

მივუგეთ:

– ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილი“.

ისეთი კმაყოფილი დარჩა, ისეთი კმაყოფილი, და თავის ქნევით ჩაილაპარაკა:

– დიახ... მესმის... მესმის!..

კალლოვიჩი ლიბერალი გახლდათ და კარგად და მშობლიურად გვეპყრობოდა. და როგორ არ გავიხსენო ის ეპიზოდი, რასაც – მის ნაცვლად სხვა რომ გვყოლოდა ინსტიტუტის ხელმძღვანელად – საბედისწერო შედეგი მოჰყვებოდა შაქრო კანდელაკისათვის, რომელიც კლასის ერთ კუთხეში იჯდა და წიგნს კითხულობდა, როდესაც მოესმა ხმამაღალი წამოყვირება ბუსლაევისა:

– რას იპრანჭებით ვიღაც რუსთაველით, დაუწერია რაღაც ძაღლის ტყავი – დიდი რამე!..

წამოიჭრა შაქრო, მივარდა გააფთრებული და შეუყვირა:

– რა დაუწერია?

– ძაღლის ტყავი, რა იყო? – იმან აინუნშიც არ ჩააგდო შაქრო, რომელმაც არც აცია, არც აცხელა და ისეთი სილა სტკიცა, ბუსლაევი იატაკზე გაიშხლართა. წამომდგარი კი მაშინვე დირექტორთან გავარდა საჩივლელად. აბა სხვას რას იზამდა. შაქრო დაჯდა თავის ადგილზე და განაგრძო წიგნის კითხვა.

როდესაც კალლოვიჩი გამოიძიებდა სათქმელს, გაკიცხავდა არა შაქროს, არამედ ბუსლაევს:

– არ უნდა შეურაცხყო ერის სიამაყე!

ასე შერჩებოდა შაქრო კანდელაკს სილა იმ შავბნელ ხანაში, რუსიფიკატორობის ჟამს, როდესაც სხვა დირექტორი ამ საქმეს სულ სხვა ხასიათს მისცემდა და, არამცთუ შაქროს გამოაპინტრიშებდნენ ინსტიტუტიდან მგლის ბილეთით, ერთი-ორ სხვასაც თან მოაყოლებდნენ.

არსებობდნენ, თუმც იშვიათად, მაგრამ როგორ არ არსებობდნენ ასეთი ადამიანებიც, დმიტრი ვიკენტიევიჩ კალლოვიჩი რომ გახლდათ.

კიდევ რა მაგონდება?

თავადაზნაურობას კრება რომ ჰქონდა გამართული ქართული თეატრის დარბაზში, არწრუნის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე, მე როგორ უნდა მოვხვედრილიყავი იმ თავყრილობაზე, როდესაც არც თავადი ვყოფილვარ და არც აზნაური და შესასვლელ მანდატსაც არ მიბოძებდნენ? მაგრამ ნაცნობის წყალობით მაინც გავახერხე მანდატი და მოვხვდი კრებაზე.

თეატრი გადავსებულიყო ხალხით. ვის აღარ ნახავდით – სერთუკებითა და პიჯაკები შემოსილ ინტელიგენციას, ეპოლეტებით მხარდამშვენებულ, ჩინ-ორდენოსან სამხედრო პირებსა და სოფლიდან ჩამოსულ ჩოხა-ახალუხ-

სა და ქულაჯაში გამწყობილ, იარაღში ჩამსხდარ თავად-აზნაურებს, თით-ქოს სალაშქროდ ყოფილიყვნენ გამოწყობილნი.

სცენაზე შიგნით იდგა სამი მაგიდა. შუაში, მარჯვნივ და მარცხნივ. შუა მაგიდასთან ისხდნენ გენერალი მუსხელიშვილი, პეტრე გრუზინსკი და ერ-თი-ორიც სხვა. მუსხელიშვილი თავმჯდომარეობდა. მაგიდასთან მარჯვნივ იჯდა ილია ჭავჭავაძე და ერთი-ორიც სხვა კაცი. მარცხნივ – ივანე მაჩაბე-ლი და ერთი-ორიც სხვა კაცი.

ქართლ-კახეთის მთელი თავადაზნაურობა აქ შეყრილიყო. ხალხს ღელ-ვა ეტყობოდა. აშკარად ჩანდა, თავადაზნაურობა ორ ბანაკად გაყოფილიყო: ჭავჭავაძისტებად და მაჩაბლისტებად. სხდომითაც კი განცალკევებით ის-ხდნენ ხოლმე.

იმ ორ ბანაკს შორის კარგი განწყობილება რომ არა სუფევდა, ატმოსფე-რო კიდეც შეკუმშულიყო. შიგადაშიგ ისეც გამწვავებულა ეს განწყობილე-ბა, რომ იარაღითაც კი გაუწევიათ ერთმანეთზე ჭავჭავაძისა და მაჩაბლის მომხრეებს.

დარბაზიდან კიბე იყო ადგმული სცენაზე ასასვლელად. და ლელო ანდ-რონიკაშვილი – ეს სახელგავარდნილი ხულიგანი, რომელიც ქეიფში შესული გააჩერებდა კონკას, ჩამოყრიდა ხალხს, ჩაუჯდებოდა თავისი დამქაშებით და უბრძანებდა მეეტლეს, გაერეკა ცხენები – გაექანა კიბისაკენ, სცენაზე რომ ასულიყო და იქ უბედურება დაეტრიალებინა, მაგრამ დაედევნა რამდე-ნიმე კაცი დარბაზიდან და ჩამოათრიეს ისევ ძირს.

გამოდიოდნენ ორატორები, და შეხედავდნენ თუ არა მსმენელები მათ, უკვე იცოდნენ, ჭავჭავაძის მხარეს ილაპარაკებდა თუ მაჩაბლისა.

გამოვიდა მიშო მაჩაბელიც, თავისი მოგვარის მომხრე. ილაპარაკა პათოსით, სხაპასხუპით, ნახევარი საათი მაინც გაუგრძელდა, თუ მეტი არა. მისი სიტყვა იყო მჩატე, რახარუხით სავსე, თეატრალურს რომ იტყვიან, ისეთი. ბევრი ისა-რი ესროლა ილიას, მაგრამ ის იჯდებოდა ისე, თითქოს ლაპარაკი მას არ ეხე-ბოდა, ხელში ფანქარს ათამაშებდა და გულმოდგინედ უგდებდა ყურს.

როგორც იქნებოდა დაასრულებდა და ივანე მაჩაბლის მომხრენი ტაშს დაუკრავდნენ.

და აი წამოდგა ილია, მძიმედ, ნელი ნაბიჯით, ჩვეული სიდარბაისლით, ხელში კვლავინდებურად ფანქარი ეჭირა, დარბაზში დუმილი ჩამოწვა და ყველა სმენად გადაიქცა.

და დაიწყო ილიამ:

– ბატონებო, ჩვენმა მიშო მაჩაბელმა იმდენი აჭენა თავქვე ცხენი, ვიდრე საკუდარი შემოაწყდებოდა და შემოაწყდა კიდეც!..

იგრიალა ხალხმა. ატყდა სიცილ-ხარხარი, ტაში, „ვაშას“ ძახილი. ივანეს მომხრენიც კი იცინოდნენ. რა გგონიათ, თვითონ ივანესა და მიშო მაჩაბელ-საც ეცინებოდათ და მხიარულად იქნევდნენ თავებს.

ილიამ ამით უკვე გაიმარჯვა და მიშო მაჩაბელი გაანადგურა. კარგახანს იდგებოდა გაყუჩებული, ვიდრე ხალხი დამშვიდდებოდა. და ჩაწყნარდე-ბოდნენ თუ არა, განაგრძობდა სიტყვას, მაგრამ ძალიან მოკლედ მოჭრიდა.

ზუსტად აღარ მაგონდება, 1906 წელი იყო თუ 7, საღამოხანს მეგობარი რომ შემხვდა და მითხრა:

– არ მოხვალ? დღეს 8 საათზე ნიკოლოზის ეკლესიის სამრევლო სკოლის შენობაში ჩვენს მღვდლებს კრება აქვთ. სურთ გამართონ სრულიად საქართველოს სამღვდელოების კრება. მთავრობა ნებას არ იძლევა და ამაზე იქნება სჯა-ბაასი. საინტერესოა და თუ გცალია, წავიდეთ.

ჭკუაში დამიჯდა და გავყევი.

სკოლის დარბაზი სავსე დამხვდა ხალხით. ვინ გინდა, რომ იქ არა ყოფილიყო, სასულიერო თუ საერო პირნი. უკვე დაწყებულს მივუსწარით. გაცხარებული კამათი იდგა. თავმჯდომარეობდა სიონის ტაძრის ბლაღოჩინი ტყემალაძე. დარბაზში იდგა გრძელი მაგიდა. კუთხესთან მივჯექი. ხმაური არა და არა წყდებოდა, შიგადაშიგ სიცილ-ხარხარიც გაისმოდა. უეცრად ყველა ჩაჩუმდა, ფეხზე წამოდგნენ და კარს მიაჩერდნენ. ავდექი მეც და გავიხედე კარისაკენ. და ვინ დავინახე, იცით? ჩვენი დიდი, საყვარელი ილია.

დარბაისლურად, დინჯად შემოვიდა და დაჯდა ჩემს სიახლოვეს, იმავე კუთხესთან ისე, რომ ჩემი მუხლი იმის მუხლს ეხებოდა. ბედნიერი შევიქენ, რომ ილიასთან ვიჯექი ასე ახლოს. პირისპირ შევცქეროდი ამ დიდებულ ადამიანს, რომელიც სახელოვნად წინ უძღოდა თავის ერს ხელში ლამპრით ორმოცდაათი წლის განმავლობაში. განა მის „აჩრდილზე“ არ გავიზარდეთ? მის „განდეგილზე“, „კაკო ყაჩაღზე“, „გლახის ნაამბობზე“, „კაცია-ადამიანზე“, „ოთარაანთ ქვრივზე“... განა ამ თხზულებებმა არ ჩაგვინერგეს დავრდომილისა და სამშობლოს სიყვარული? შევიგენით კლასთა წინააღმდეგობაც და ბატონისა და ყმის ურთიერთობაც.

– განაგრძეთ, რას გაჩუმებულხართ? – მიუბრუნდა ილია ბლაღოჩინს.

განაგრძეს ლაპარაკი. ილია იჯდა დინჯად, თითებში პენსნეს ატრიალებდა და გულმოდგინედ უგდებდა ყურს ყოველ მოლაპარაკეს. მისი გაშლილი, მაღალი შუბლი არც იშლებოდა და არც იკუმშებოდა, მისი დიდრონი, ჭკვიანი და გამომეტყველი თვალები ისე უყურებდნენ მოსაუბრეს, თითქოს გულში უნდა ჩაუძვრნენ და გულისნადები ამოიკითხონო.

ბოლოსდაბოლოს გაჩუმდნენ, ხმას უკვე აღარავინ იღებდა. წამოდგა თავმჯდომარე ტყემალაძე და მიმართა ილიას:

– მოგეხსენებათ, როგორ დიდად გვიღირს თქვენი სიტყვა, დაგვარიგეთ, გვითხარით, როგორ მოვიქცეთ.

ილიამ დადო პენსნე მაგიდაზე და განაცხადა:

– გული სუსტი მაქვს და ბევრს ვერ ვილაპარაკებ, აქ ბევრი კარგი აზრი იყო გამოთქმული. ჯერ კანონიერად მოიქეცით, მიმართეთ ეგზარხოსს, მეფის მოადგილეს, მიმართვა თვით მეფეს, და თუ არაფერი გამოვა, არა უშავს რა, ერთი-ორი მათრახი თქვენს ანაფორებსაც რომ მოხვდეს.

ბევრი ხანი არ გაივლიდა, სულ რამდენიმე დღე – მღვდლები შეიკრიბნენ ტფილისის სასულიერო სემინარიაში, მისცივდნენ ყაზახები და ერთი-ორი მათრახი კი არა, სულ ბურტყლი ადინეს მათ ანაფორებს.

ილიას თუ იცნობდიო? – მეკითხებიან ხოლმე.

ვიცნობდი რომელია.

ის არ მიცნობდა, თორემ...

მაგრამ ჩემს პირდაპირ ხომ იჯდა, მისი სუნთქვა ხომ ჩამესმოდა, მუხლი ხომ მუხლს ეხებოდა... და მეტი რაღა გინდა ადამიანს, ბედნიერების წუთი რომ გამოსცადო, ღვთისაგან ნაჩუქარი!..

მაქსიმე შარაძე

„ივერიის“ რედაქციაში მოლარედ თუ სამეურნეო ნაწილის გამგედ მომიხდა მუშაობა. მოსამსახურე ვიყავ ილიას სახლში და სტამბის პატრონი კი შევიქენ, „ივერია“, სადაც იბეჭდებოდა.

სოფლის სკოლა მქონდა დამთავრებული, მაგრამ წიგნის კითხვა ბავშვობიდანვე ძალიან მიყვარდა და თანდათან ისე გამიტაცა საღვთო წერილისა და სასულიერო შინაარსის წიგნების კითხვამ, ჩემს ამხანაგებთან ერთად სექტისმაგვარი რაღაც დავაარსე და ასე შევარქვით: უდაბურ წყალწმინდის ძმობა – რომლის მეთაურადაც ყველამ ერთხმად ამირჩია. ასკეტური ცხოვრების წესს მივდევდი, სტამბაში კი წმიდა მამათა ცხოვრებიდან სასულიერო შინაარსის პანია წიგნებს ვბეჭდავდი და სულს ვითქვამდი.

ის ამბავი თქვენც გსმენიათ?

ვინ იცის, როგორ გადაკეთებულ-გადმოკეთებული, ამიტომაც მე თვითონ გიამბობთ, სინამდვილეში როგორც მოხდა.

არავის არაფერი დაუძალებია, ჩემი ფეხით შევედი ერთ დღესაც ილიასთან მის კაბინეტში და დარცხვენილმა მოვახსენე:

– თქვენთვის, თქვენი მონდობილებით, სანოვაგეს, სურსათსა და ათას სხვა რასმე რომ ვყიდულობდი, ფულს გადავარჩენდი ხოლმე და ოც თუმანზედაც მეტი შევკრიფე. ახლა ვგრძნობ, რომ ასეთი საქციელი დიდი ცოდვაა და ამიტომ გიბრუნებთ ამ ფულს.

ამოვიღე კიდეც და მაგიდაზე დავუწყე. ილიამ ფული ჯიბეში ჩაიდო და მითხრა:

– ძალიან კარგად მოქცეულხარ, აგრე სჯობს.

როდესაც ხმა გამოვიდა, არ ვიცი, როგორ და საიდან... საერთოდაც ვერ ვიგებ, ხმა საიდან და როგორ ვრცელდება, როდესაც არცერთი მონაწილე არა ჰყვება. მე – ხატზე დავიფიცებ – არავისთვის გამიმხელნია, ანკი რა გასამხელი იყო, სირცხვილით ვიწოდი; ილია რომ არავის მოუყვებოდა, ეჭვიც არ მეპარება. და მაშ საიდან?.. და მაშ როგორ?.. ხომ გეუბნებით, ჩემთვის ეს სამუდამო საიდუმლოდ დარჩება.

რაც მოხდა თუ როგორც მოხდა, ხმა კი გამოვიდა და ატყდა „ივერიის“ რედაქციაში ერთი ყაყანი და საქმის გარჩევა, და საბოლოოდ ყველა მაინც იმ აზრს დაადგა:

– რა კრიჟანგია ილია, იმ ფულიდან მაქსიმეს ცოტა რასმეს მაინც აჩუქებდა.

ილიას ადვილად ვერავინ ვერაფერს შებედავდა, მაგრამ ამის თაობაზე ვიღაცას მაინც ჩამოუგდია სიტყვა და გაფაციცებითაც მისჩერებია, აბადა რას იტყვის, ნეტა რითი გაამართლებს თავის იმ საქციელსო. გასამართლებელი ანკი რა ჰქონდა, მაგრამ მაინც.

ილიას პასუხი ისეთი გახლდათ, წმინდა მამა რომ იტყოდა, ყველა გარემოებას ძირისძირობამდე რომ ითვალისწინებს და ერთი დეტალიც და ნიუანსიც არ გამორჩება დიდი ზნეობრივი გადმოსახედიდან:

– როგორ, მოპარული ფული რომ უკან დამებრუნებინა, თუნდ ნაწილი ამ ფულისა, განა ამით შეურაცხებას არ მივაყენებდი? სად გაგონილა, რომ ქურდს ნაქურდალში წილი დაუდონ?!. ის კაცი მართალ გზას დადგომია და ჩემი ასეთი უმართებულო საქციელით ამ მართალ გზას ხომ გადავაცდენდი.

კრიჟანგიო განა?!.

რა პატარები არიან ადამიანები, ყველაფერს თავიანთი ადლით, თავიანთი ციდამტკავლური ჭკუით რომ ზომავენ.

რა გგონიათ: ამის შემდეგ ილიამ რედაქციის მოლარედ დამნიშნა და უკვე ისე მენდობოდა, სტამბისათვის სწრაფ-მბეჭდავი მანქანაც გამომიწერა და სამასი თუმნის თავდებადაც დამიდგა. ეს ფული ნაწილ-ნაწილ უნდა გადამეხადა და გადავიხადე კიდეც. აბა ილიას ნდობას ხომ არ გავუმტყუნებდი.

ერთ დღეს რედაქციაში ფულისადმი ილიას დამოკიდებულების ირგვლივ ჩამოვარდა ლაპარაკი და ერთმა თქვა:

ფულისა და ანგარიშის საქმეში ულმობელია და სასტიკიო.

მეორე დაეთანხმა:

ივანე მაჩაბელთან გადაკიდებასაც ეს ულმობელობა გაუხდა მიზეზადაო.

გაიხსენეს ილიას ის სიტყვები, ხშირად რომ იმეორებდა და მეც არაერთხელ მომისმენია:

– ფულს ანგარიში უყვარს, ანგარიშს ფული, თუ ფულსა და ქონებას აბუჩად მოეკიდე, ანგარიშის წრესა და ზღუდეს გადაცდები, მერე თავს ვეღარც შეიმაგრებ და კლდეზედ გადაიჩეხები.

ისიც თქვეს:

როგორ უყვარს ამ მხრივ ილიას სენტენციებიო.

და ისიც:

როდესაც ანგარიშს უსწორებს ვინმეს, ყოველ წვრილმანს ყურადღებას აქცევს და ხშირად ამბობს: ნურც შენსას გამატან და ნურც ჩემსას გაიტანო.

არტემ ახნაზაროვმა ერთი ეპიზოდიც გაიხსენა, მე რომ ვიყავი ჩარეული:

მაშინ ექვსი თუმანი ჰქონია ჯამაგირი, ახალწლის მიწურულები იდგა და დღესასწაული ახლოვდებოდა. ახალგაზრდა რომ იყო, ჯამაგირი ყოველ თვე ნაადრევად ეხარჯებოდა. ამ თვეშიაც დეკემბრის ჯამაგირის ნარჩენი მიუციათ – 25 მანეთი, და ეს ფული საახალწლო ხარჯად ეცოტავა. რაკიღა დეკემბერში რედაქციის სალარო უფრო მსუქანი და შემძლე იყო ხოლმე, ამ თვეში შემოდიოდა გაზეთის წლიურ და არაწლიურ ხელმომწერთაგან გამოსაწერი ფული, არტემი კი უკვე რედაქციის დამსახურებული თანამშრომე-

ლი გახლდათ, გაბედა და მე დამაბარა ილიასთან, ეგებ იანვრის ჯამაგირი წინასწარ მიეცათ.

ილიამ მტკიცე უარი შემოუთვალა.

ახალწლისა და აღდგომის დღესასწაულებს გაზეთის მუდმივი თანამშრომლებიც და სხვა მწერლებიც, გაზეთის ცხოვრებაში რომ მონაწილეობდნენ, ილიას ოჯახში ეგებებოდნენ. და უკვე ახალწლის ღამე მოაწევდა და ჩვეულებისამებრ ამ საღამოსაც ილიასთან იყვნენ მიწვეულნი.

11 საათი იქნებოდა, არტემს სტამბიდან ახალწლის ნომერი ჩემი ხელით რომ გადავეცი, წაიღო და ილიასთან ავიდა. სუფრა უკვე გაეშალათ და ზედ სინებით გოზინაყი მდგარა. ილიას კაბინეტში კი ზოგიერთი სტუმარი, მათ შორის დავით გიორგის ძე და ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავები, ბანქოს მაგიდას მისხდომოდნენ მასპინძელთან ერთად, და ახალწლის მოლოდინში „ბაქარას" თამაშობდნენ.

ესეც მიამხანაგებიათ და თავისი 25 მანეთით თამაში დაუწყია. ბედს გაულიმია მისთვის და ილიასთან 33 მანეთამდე ვალი მიუწერია. როდესაც დიაახლისი ახალი წლის მისაგებებლად მიიწვევდათ, ილია ფულს ამოიღებდა და ვალს პირწმინდად გადმოუთვლიდა.

– ბატონო ილია, ჩემი თხოვნა რომ შეგეწყნარებინათ და იანვრის ჯამაგირი მოგეცათ, მე აქ ბანქოს მოთამაშე არ ვიყავი, რადგან ის ფული ოჯახში სახარჯოდ მჭირდებოდა, – უთქვამს არტემს.

და პასუხად ილია:

– ის არ გერგებოდა, ეს კი გერგება.

ასევე ულმობელია ფულის საქმეში სათავადაზნაურო ბანკის მსესხებელთა მიმართო, – დასძინა არტემმა ნაამბობს.

რას ამტკიცებდნენ და იმ დღესაც რა გაიხსენეს?

რამდენადაც ივანე მაჩაბელი ლმობიერია და ყველას შეღავათს აძლევს ბანკის ვალის წლიური გადასახადის შეტანისას, იმდენად ილია ულმობელია და, თუ ვინმეს მამული საჯარო ვაჭრობის წესით გასაყიდად არის დანიშნული, ვაჭრობას არაფრისდიდებით არ გადასდებს, ვიდრე მსესხებელი წლიურ გადასახადს სრულად არ შეიტანსო.

მე კი ეს მომისმენია ილიასაგან და მის ახლობლებს ალბათ ყველასაც მოეხსენებოდა.

ერთ-ერთი საჯარო ვაჭრობის წინა დღეს კახეთიდან ერთი შედარებით შეძლებული თავადიშვილი ჩამოსულა ქალაქში, მამული ბანკში რომ დაეგირავებინა და წლიური გადასახადის შეუტანლობის გამო მამული ეყიდებოდა. 80 თუმანი ჰქონდა შემოსატანი. გამგეობაში შესულიყო და ილიასათვის ეთხოვა:

– წრეულს ცუდი მოსავალი იყო და გთხოვთ ვალის გადახდა მერმისამდე მადროვოთ და მამული არ გამიყიდოთ.

ილიას უარი მოეხსენებინა. ის კარისაკენ წასულიყო და... ისევ შემოტრიალებულიყო.

– მაშ კარგი, ნახევარს შემოვიტან, ნახევარი კი დამაცადეთ.

კვლავ უარი მოეხსენებინა. და ის გამგეობის ოთახიდან რომ გასულიყო, ათი წუთის თავზე შემობრუნებულიყო და გამოეცხადებინა:

– 50 თუმანს შემოვიტან და დანარჩენი მადროვეთ.

ისევ უარს მიიღებდა. წავიდოდა და ორი საათის შემდეგ კვლავ დაბრუნდებოდა:

– კარგი, 60 თუმანს შემოვიტან და 20 თუმანი მაინც დამაცადეთ.

კვლავ უარით გაისტუმრებდნენ. მეორე დღეს ის იყო საჯარო ვაჭრობა უნდა დაწყებულიყო, რომ ის თავადიშვილი კვლავ მისულიყო და შემოევედრებოდათ:

– 70 თუმანს გადავიხდი და 10 თუმანი ჩემზედ დარჩეს.

ისევ უარს რომ გამოუცხადებდა, ძალიან იწყენდა, ამოალაგებდა ჯიბიდან ფულს და წინ დაუყრიდა:

– აჰა თქვენ 80 თუმანი, ესეც თქვენ და ჩემი ცოდოცა.

როდესაც ილია ჰკითხავდა:

– თუ ფული გქონდა, ამდენხანს ან ჩვენ რად გვაწვალებდი, ან თავს რაზედ იმცირებდი, განა შენი მამულის ვალს არ იხდიდი, არ გერჩივნა მთლად გადაგეხადა?!.

თავისი ჭკუით საბუთიან პასუხს გასცემდათ:

– თქვე უღმერთოებო, მინდოდა ქალაქში ერთი მაინც წამექეიფნა და მაგის ნებაც არ მომეცით.

ამ იგავივით ამბავს ილია ამ შეგონებით გაასრულებდა, რიტორიკული შეკითხვა თავისთავად რომ ადასტურებდა:

– განა ასეთ კაცს შეღავათი უნდა მიეცეს?

იგავივით ამბები სხვაც ბევრი წამოიკრიფება ილიას მონაყოლთაგან. ჩამწერი რომ გამოსჩენოდა თავის დროზევე, ერთი მომხიბლავი და სულის სარგო კრებული შედგებოდა. შენ თვითონ ჩაგეწერაო, მეუბნებიან. მე რომელი ჩამწერი ვარ, რომელი ბიოგრაფოსი, რაც შემიძლია, იმას კიდეც შევასრულებდი – ის წიგნი ხელთ რომ მქონოდა, დავსტამბავდი და ხალხში მოვფენდი. ჯერაც არ არის გვიან, ვიდრე კიდევ გვახსოვს და ახსოვთ, ილიას მადლი სხვათა ჩაწერილსაც გადმოჰყვება, მთავარია ვიღაცამ დროზედ იზრუნოს, თორემ მერე ამაოდღა მოვყვებით თავში ცემას: შთაბეჭდილება გვახსოვს, უღრმესი და გამაოგნებელი, მაგრამ... თვითონ ამბები კი ვეღარ მოგვიგონიაო.

ჩემი ამბავიც შევიდოდა იმ კრებულში, განა არა... დაე შესულიყო. მოსანანიებელი მოვინანიე და თვით ილია მენდობოდა მას შემდეგ, თვით ილია, და სხვას ვიღას რაღა ხელი უნდა ჰქონდეს ჩემთან.

არა, ის მაინც რა ღრმა აზრია, იმ ეპიზოდის სულ სხვაგვარად გამნათებელი:

სად გაგონილა, ქურდს ნაქურდალში წილი დაუდონო.

გიორგი საძაგლიშვილი
(შემდგომ: კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე)

კავკასიის ქედების გაცნობის სურვილი დიდი ხანია მიტრიალებდა გუნებაში, მაგრამ სულ რაღაც მიშლიდა ხელს. და აი უნდა დამდგარიყო ის დღეც, როდესაც ნატვრად გადაქცეული ფიქრი კიდეც სინამდვილედ უნდა გარდასახულიყო.

ჯერ სოფრომ მგალობლიშვილი ავანთე ამ სურვილით და კიდეც ავიყოლიე. მერე ნიკო ლომოურმაც გამოთქვა წადილი ჩვენთან შემოერთებისა. სხვებიც გამოჩნდნენ და მცირე გუნდი არ შევკრებილვართ.

გიგა ყიფშიძისაგან ვიცოდი, რომ ილია დიდი მოყვარული არასოდეს ყოფილა მოგზაურობისა, მაგრამ ვიფიქრე, ეგებ ახლა მოინდომოს ჩვენთან ერთად კავკასიის ქედების შემოვლა-მეთქი, და სოფრომს გავუზიარე ჩემი ეს აზრი, როგორც ილიასთან ყველაზე დაახლოებულს ჩვენს ჯგუფში.

იმან ხელები ისე გაატატანა, მივხვდი, შეთავაზებითაც არ შესთავაზებდა.

– ტყუილად ვეტყვით და უხერხულ ყოფაში ჩავაგდებთ, თან ჩვენი უნდა მოერიდოს და თან ადგილიდან დაძვრა არაფრისდიდებით არ ენდომება, – გულდაწყვეტით მომიგო, – თორემ ილიას გვერდით ყოფნას, მასთან ერთად მოგზაურობას არა ემჯობინება რა.

– აკაკი ყოველ წელს რომ შემოივლის ხოლმე მთელს საქართველოს? – ჩავეკითხე.

– აკაკი ამ ბუნებისაა, ერთ ადგილას ძნელად გააჩერებ, ილიას კი თავის საგურამოს ნუ გააცილებ. ასეთია ბუნება ქართლ-კახელისა, თავის კერიას ვერ გასცილდება. სხვაა ბუნება დასავლეთ ქართველისა, ერთ ალაგას ვერ გაჩერდება.

– მე და შენ განა ქართლელები არა ვართ? – შევეპასუხე, – ჩვენ თუ გვიყვარს მოგზაურობა? ბოლოსდაბოლოს ამ ერთხელ მაინც წამოგვყვეს.

– განა მეზარება, მაგრამ ხომ გითხარი, უხერხულობას ვაგრძნობინებთ... ამდენი ხანია ვცხოვრობ გორში და ერთხელაც არ მინახავს ილია ჩვენთან მოსული. არადა გორის ინტელიგენციას ისეთი სახელი აქვს მოხვეჭილი, ვინ აღარ ჩამოდის ჩვენთან. ძალზე ხშირად, ზაფხულობით, ყოველ თვე შემოივლიან ხოლმე აკაკიც, იაკობ გოგებაშვილიც, ალექსანდრე ყაზბეგიც, ივანე მაჩაბელიც, გიორგი წერეთელიც, სერგეი მესხიც, და ილია, როგორც მოგახსენე, ერთხელაც არ მინახავს აქ. ხალხი კი მაინც იცნობს და უყვარს იგი.

სწორედ 20 მკათათვეს, საღამოჟამზე მოვყევით მაღრანდოევლეთის სიმაღლეზე, სადაც მოვინახულეთ ყელის ტბა და საოცარ სიმაღლეზე აშენებული წითელი ეკლესია.

იქ შეგვხვდნენ მეცხვარეები დუშეთისა და თიანეთის მაზრისა. ლაპარაკში ვახსენეთ ილია და სრულიად ბუნებრივად:

– დღეს ილიაობა და საგურამო მხიარულობს და დღესასწაულობს დიდებული კაცის დღეობას.

მეცხვარეებმა თავი გამოიდეს:

– ჩვენ კარგად ვიცნობთ ილიას, ჩვენი ნუგეში იგია, როცა მივმართავთ, გვარიგებს და გვეხმარება.

როდესაც გამოვემშვიდობეთ, სოფრომი მომიტრიალდა:

– აგერ, რომ გეუბნებოდი, უყვარს ჩვენს ხალხს ილია და ნეტა თავს არ დაანატრულებდეს ხოლმე.

– ილიაობაზე არასოდეს ვყოფილვარ, – დანანებით ვთქვი.

– ამ დღეს საგურამო ერობას წარმოადგენს, – სოფრომს ისე, ისე გაუბრწყინდა თვალები და ერთბაშად აღტაცდა, – მთელი საგურამო, ახლომახლო სოფლები, ილია წინამძღვრიშვილი თავისი სკოლით, ლიტერატორები, რედაქციის წევრები, მთლად ჩვენი ინტელიგენცია ილიას სტუმარია. არის დაუსრულებელი ქართული ღრეობა, სიმღერა-თამაში, სიტყვები, ექსპრომტები, მოსწრებული ლაპარაკი და ბოლოს კოლა ერისთავმა უსათუოდ უნდა წარმოთქვას მშვენიერ კილოზე ჩვენი პოეტების ლექსები, ილიასი და აკაკისა – მთელი პოემებიც.

— როგორ, მთელი პოემები? — გავიკვირვე.

— მაშ... თავით ბოლომდე, — დამიქნია თავი.

– დიდებული რამ ყოფილა, ასეც მსმენოდა და აგერ შენც მიდასტურებ, – ვუთხარი და ჩამავალ მზეს გავუსწორე თვალი.

– იაკობ მანსვეტაშვილს რომ ჰკითხო, მისი აღწერა, ილიაობის დღესასწაულისა, მხოლოდ ჰომეროსის კალამს თუ შეუძლია.

– ფრანსუა რაბლეს კალამს ვითომ არა? – გამეღიმა.

– რაბლე იაკობმა ან არ იცის, ან აღარ გაახსენდა, – მომიგო სოფრომმა, – ისე ნეტა აკაკისათვის შეგვეთვალა, მაშინვე ჩვენთან გაჩნდებოდა და წინამძღოლობასაც ვერავინ დავასწრებდით.

– სხვა დროს აუცილებლად შევთავაზოთ... ეხ ნეტა ადრე გაგვხსენებოდა, – თავში შემოვიკარი ხელი.

– სხვა დროს, სხვა დროს, – ჩაილაპარაკა ნიკო ლომოურმა, – რომელიც მანამდე ჩაფიქრებული გვიგდებდა ყურს, – უნდა მოასწრო და ყოველი წუთი გამოიყენო, თორემ დადგება კი ის სხვა დრო?..

და კიდეც ჩაქანდა მზე და ჩაეფარა ქედებს.

ისევ ილია ზურაბიშვილი

ჯარისკაცად რომ გამიწვიეს ადგილობრივ დრუჟინაში, მალევე ტფილისში გადმომიყვანეს ბრიგადის კანცელარიაში. ამ დროს უკვე შემოვდგი ფეხი ლიტერატურაში – ჟურნალმა „კვალმა“ საახალწლო და მომდევნო კვირის ნომერში დაბეჭდა ჩემი პირველი ნოველა. „ივერიას“ ჯერ არ დავახლოვებოდი, მაგრამ მალე იქაც მომიწია სტუმრობამ, რედაქციის გამგედ დავით მიქელაძე რომ დამიხვდა, რომელმაც მისვლისთანავე მიცნო.

თელავში გამართულ ნადიმზე რომ გიამბეთ ამას წინათ, ილიას მაშინ ისიც თან ახლდა და სუფრაზე გავიცანი. მიტანილი ნაწერი რამდენიმე დღეში რომ დაიბეჭდა, ხშირად ვიწყე ამ რედაქციაში სიარული — ხან კორექტურისათვის, ხანაც ხელნაწერის გასწორებაზე დასასწრებად.

შევხვდი ილიასაც, რომელმაც პირველი ნახვისთანავე ჩვეული გულგაშლილობით შემომთავაზა, როგორც უკვე თანამშრომელს, ყოველ ხუთშაბათ საღამოს მეცლო მისას.

რედაქცია და მისი ბინა ერთ სახლში იყო მოთავსებული, ერთსადაიმავე სართულზე, საერთო შესავალი ჰქონდათ და კარი კარში გადიოდა. დიდი სიამოვნებით მივიღებდი ამ მიწვევას, ერთ გარემოებას რომ არ შეეშალა ხელი.

მე ჯარისკაცი ვიყავი. ვიცოდი, ილიასთან – თანამშრომელთა გარდა – ხუთშაბათობით სხვანიც დაიარებოდნენ: სამხედრო პირნი, დიდჩინოსანნი. მართალია მასპინძლის პატიჟი თითქო გვათანასწორებდა სტუმართ, მაგრამ მაინც უხერხულად მივიჩნიე ასეთ საზოგადოებაში ტრიალი და... ამიტომაც ვერ გამოვიყენე ეს შემთხვევა, რათა ილიას დავახლოვებოდი.

ახლა ვნანობ და ძალიანაც ვნანობ, მაგრამ რაღა დროს!..

მაისში ჩვეულებრივი ბანკობია დაიწყო კიდეც, იმ დროს უკვე იმ ზომამდე გახლდათ გამწვავებული ურთიერთობა პოზიციასა – ილია ჭავჭავაძე – და ოპოზიციას – ივანე მაჩაბელი – შორის, რომ მათმა ბრძოლამ თავის წიაღში ჩაითრია მთლად ქართული საზოგადოება...

ისე არა ახასიათებდა რა ასეთ კრებაზე ბანკის საკითხების გადაწყვეტას, როგორც ცნობილი თქმა: კენჭმა გაგვასწოროსო.

ყველაფერი კენჭით წყდებოდა ანუ ხმის უმეტესობით.

ვინ იყო მართალი და ვინ მრუდე ამათუიმ საკითხში, ამას ნამდვილი საზომი არ გააჩნდა. მთავარია: ვის მხარეს აღმოჩნდებოდა წევრთა უმრავლესობა, რომელსაც საკითხისა არა გაეგებოდა რა და არც თავს იტეხდა მის გასაგებად. რა გგონიათ: კიდეც რომ ეტეხნა, სულერთია, აქედან არა გამოვიდოდა რა, რადგანაც საკითხები მეტად სპეციფიკური იყო და მოითხოვდა ამ დარგის კარგ ცოდნასა და წლობით შესწავლას.

დიდი უმეტესობა როგორ მსჯელობდა?

– მე ბანკისა არა ვიცი რა, სამაგიეროდ ილიამ იცის და ეს ჩემთვის კმარა.

– მე ბანკისა არა ვიცი რა, მაგრამ ვანომ იცის და ეს ჩემთვის კმარა.

და კიდეც სასწორის აბრა იქით გადაიხრებოდა ხოლმე, საითაც მეტი მომხრე იმყოფებოდა, არა საკითხისა თავისთავად, არამედ – ილიასი თუ ვანოსი.

კამათი და პაექრობა...

ორატორთა ჯახაჯუხი...

მაგრამ უპირველესად როგორ არ გავიხსენო ერთი გარემოება: ყველას მოგეხსენებათ, რომ ამათუიმ საზოგადო კრებას სათანადო თავმჯდომარე შეჰფერის, განსაკუთრებით კი ისეთ კრებას, სადაც ირჩევა და წყდება სპეციფიკური საბანკო საკითხები. აი ამ მხრივ ჩვენი ბანკის კრებები წყალწაღებული, უფრო კი ყბადაღებული გახლდათ.

ის თავმჯდომარე რა თავმჯდომარეა, რომელიც ბანკის საზოგაო კრებას ხელმძღვანელობს და უბრალო ბალანსშიაც კი ვერ გარკვეულა, არა?

მე პირადად ვიცნობდი — და საკმაოდ კარგადაც — ერთ ასეთ თავმჯდომარეს. რასაკვირველია იგი გავიცანი მას შემდეგ, როდესაც ბანკი უკვე

ჩაწყნარებულიყო და მისი კრებებიც ნირშეუცვლელად მიმდინარეობდა. და ამ პატივცემულ ადამიანს ფეთება ემართებოდა, როდესაც იტალიური ბუჰალტერიის საფუძველზე შედგენილ ანგარიშს ხედავდა.

– არა, რა საჭიროა ამდენი რუბრიკა? ის არა სჯობს, მარცხნივ შემოსავალი და მარჯვნივ – გასავალი? მორჩა და გათავდა, თორემ ამ ოხერ ციფრებში კაცი ფეხს მოიტეხს... – სრული სერიოზულობით ირწმუნებოდა.

და სწორედ ამ ყაიდის თავმჯომარეები ხელმძღვანელობდნენ ბანკის საზოგადო კრებებს...

რა გასაკვირია, რომ ორატორები ხშირად ბოროტად იყენებდნენ თავმჯდომარის ხელმძღვანელობის უნიათობას და ლაპარაკობდნენ რაც უნდოდათ და რაც პირზე მოადგებოდათ. ხელისშემშლელი და ამლაგმავი არავინ ჰყავდათ, თუ თვითონ კრება არ გააჩუმებდათ დამცინავი წამოძახილებით ან თავსაცილად უდროოდროს ტაშის დაკვრით.

ასეთი დაუსრულებელი „პაექრობის" გამოისობით კრება ორ კვირაზე მეტსაც გრძელდებოდა ხოლმე.

თვით საქმეზე ძალიან ცოტა თუ ლაპარაკობდა. მათ შორის ცხადია თვალნათლივ გამოირჩეოდნენ ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი. ორივე შესანიშნავი ორატორი გახლდათ, მაგრამ მანერა მათი ლაპარაკისა სრულიად განსხვავდებოდა.

ილია მოსაუბრე ორატორის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

კრებას ისე ელაპარაკებოდა, თითქო შინაურობაშია და საგულისხმო რასმე უამბობთო – დინჯად, წყნარად, აუღელვებლად. საკვირველი ოსტატობით იყენებდა უხვად მომადლებულ ნიჭს ჰუმორისა, რომელიც შიგადაშიგ სარკაზმში გადადიოდა. ამ საუბრულ კილოს ხშირად ერთვოდა სიტყვის დამადასტურებელი, ჩაქუჩის დამკვრელი დამუჭული მარჯვენა ხელის მაღლა აწევა წინ გაშვერილი და სპირალურად მოძრავი სალოკი თითით – და შემდეგ ენერგიულად მის წინ მდგარ მაგიდაზე დაშვება.

ილიას ორატორობაში თეატრალობა სრულიად არა ჩანდა, არტისტულობა კი – დიდად. არ მოსდგამდა კილოშეკიდებული ლაპარაკი, ხმის აკანკალება და პათოსი, ხელების სავსავი და გადამეტებული ჟესტიკულაცია. სამაგიეროდ – როცა დაისაჭიროებდა – იცოდა სხეულის რაიმე მოძრაობით მიზანში ამოღებული მოწინააღმდეგის სუსტი მხარის გამომზევება.

რას ვგულისხმობ?

მესმის, ძალიან რომ დაინტერესდით და ასე გაფაციცებით მომაჩერდით, რადგანაც ილიას ორატორულ ხელოვნებაზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ამ არტისტულ ხერხზე – ნაკლებად.

ერთხელ ასეთი რამ თქვა:

– საქმე ის კი არ არის, ყველას კარებში მიეგებო: „პაჟალუსტა", რას გვიბრძანებთ? თქვენს სამსახურში მიგულეთო... – და სხვა ამისთანები.

და ამ სიტყვების წარმოთქმისას ისეთი პოზა მიიღო, ისე სხარტად გააქლასუნა ფეხები, თანაც ისე იფშვნეტდა ხელებს და ისე გამოიყურებოდა, რომ... მე და ყველა იქ მყოფთაც თვალწინ წარმოგვიდგა ყველასათვის კარ-

გად ცნობილი, ზრდილობიანი და ყურადღებით სავსე შეხვედრა ივანე მაჩაბლისა; ამავდროულად ილიას მიმოხვრაში იმდენი არტისტული კომიზმი იყო, იმდენი დაცინვა, რომ დარბაზში სიცილი გაისმა.

ამასთან ილია საკვირველად უსინჯავდა აუდიტორიას კბილს. მან ყოველთვის კარგად იცოდა დარბაზში მყოფთა სულიერი განწყობილება და რა დროს რა ოსტატური ხერხისათვის მიმართა.

დარბაზს იშვიათი ალღოთი გრძნობდა!..

ამიტომაც: როგორც კი შეამჩნევდა, ამათუიმ საკითხზე ლაპარაკმა მოჰქანცა კრებული, მიანელა ინტერესი და მოსალოდნელია აქა-იქ ხვრინვაც გაისმასო, მაშინვე ღიმილითა თუ დაცინვით გადმოისროდა რაიმე მოსწრებულ სიტყვას, მცირეოდნავ გუნდრუკს უკმევდა რაიმე საანეკდოტო ამბავს, გაწმენდდა დამძიმებულ ატმოსფეროს, გამოაღვიძებდა მთვლემარეთ და კვლავ განაგრძობდა საქმეზე ლაპარაკს.

პათოსი არ უყვარდა, მაგრამ განრისხება კი იცოდა. ოოო – მრისხანება სჩვეოდა და რა სჩვეოდა. არა ყვირილი, არა ძახილი ხმითა დიდითა, არა ვაიუშველებელი, არამედ ოდნავი ხმის აწევა და ფოლადური სიმტკიცე თვითეულ სიტყვაში, თანაც ცეცხლით ანთებული თვალები და დოღში გამოსული ბედაურივით ამოძრავებული ცხვირის ნესტოები. ამ დროს მთელი მისი არსება უდრეკ ენერგიას განასახიერებდა.

სხვათა შორის: გამოთქმის კილო ქართულში დარბაისლური რომ ჰქონდა, რუსულშიც ასევე დარბაისლური, ოღონდ თვალსაჩინო ქართული აქცენტით.

ივანე მაჩაბელი კი სრული ანტიპოდი გახლდათ ილიასი ორატორობაში.

ლაპარაკობდა ყოველთვის პათოსით, ხმაშეკიდებულად, მგზნებარედ, რაც შიგადაშიგ თეატრალობაშიც გადადიოდა. ლაპარაკობდა სხაპასხუპით, უბორძიკოდ და თითქმის უმახვილებოდ ფრაზაშიაც და სიტყვაშიაც. მეტად წყობილი სიტყვა ახასიათებდა, განსაკუთრებით ქართულად.

დაბეჯითებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ:

შექსპირის ტრაგედიებზე მუდმივმა მუშაობამ შეუქმნა მას ეს იშვიათი წყობილსიტყვაობა.

ამასთან: საერთოდაც უხვად იყო დაჯილდოებული ორატორული ნიჭით, კარგი ქართული კილო მოსდგამდა, ეგაა ზოგიერთი ბგერის გამოთქმას რაღაც სირბილე დაჰკრავდა. რას ვგულისხმობ და: სიტყვას „მაინც“ ისე წარმოთქვამდა, რომ გესმოდა როგორც „მაინთც“, „არ ამცდას“ ნაცვლად მოგეყურებოდა „არ ამცთა“... მაგრამ ეს სრულიადაც არ აუშნოებდა მის ლაპარაკს.

ჰუმორი არ გააჩნდა და მწვავე რეპლიკებს არა წყალობდა, ანდა ეს რეპლიკები მას არა წყალობდნენ.

შეეძლო მსმენელის ადვილად გატაცება, მაგრამ დიდ მანძილზე კი ვეღარ გაიყოლიებდა, რადგანაც წინ მიმავალი მიმყოლს მალე ღლიდა თავისი პათოსით.

დამეთანხმებით: პათოსი გხიბლავს ლირიკულ მომენტებში, მაგრამ როდესაც ამავე პათოსით ისეთ პროზაულ რაიმეზე გესაუბრებიან, როგორიც...

ბანკის ბალანსია, ან გირავნობის ფურცლების კონვერსია, ხანგრძლივად ვეღარ უძლებ იმ ცეცხლს, რომელიც ორატორს უკიდია და უთუოდ მალე განელდება.

საქმის ცოდნა ივანეს ილიაზე ნაკლები არა ჰქონია. ასე ამბობდნენ, თორემ მე ამის შეფასება არც მაშინ შემეძლო და არც ახლა შემიძლია.

მაგრამ საქმის ცოდნით ისეთ კრებაში ფონს გახვიდოდი თუ რა!.. ჯერ ერთი, საქმე, როგორც საქმე თავისთავად, არავის აინტერესებდა რამდენიმე წევრის გარდა, რომელთა ჩამოსათვლელადაც ორივე ხელის თითები სავსებით კმაროდა. და მეორეც, მთელი საზოგადოება უკვე გარკვეულ ბანაკებად დარაზმულიყო. ეულნი თუ გამოჩნდებოდნენ, სულ ცოტა ხნით, რადგან მაშინვე რომელიმე ბანაკს ემხრობოდნენ. მართალია გადამრბენ-გადმომრბენებიც მოიპოვებოდნენ, მაგრამ მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭებოდათ სიმცირის გამოისობით...

ვისაც „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“ წაგიკითხავთ, და ვის აღარ წაგიკითხავთ, ადვილად მიხვდებით, თუ რა უებრო პოლემისტი გახლდათ ილია.

მხოლოდ წერისას კი არა, სიტყვით შეჯიბრებაშიაც არანაკლებად იჩენდა ამ სწორუპოვარ ნიჭსა და უნარს...

მისი რეპლიკა გამანადგურებლად გაისმოდა, მოკლედ, მოკვეთილად გადმოისროდა თუ ვრცელ სიტყვაში მოსწრებულად ჩართულ რაიმე სურათად.

მაგონდება ერთი ამგვარი თქმა ილიასი.

იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებებშიც ამოვიკითხე ეს ეპიზოდი, ოღონდ არა იმ თანმიმდევრობით, როგორც იყო ნათქვამი.

მე როგორც დამამახსოვრდა, ისეც მოგიყვებით.

ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა, მთელი შემადგენლობით, გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც აცხადებდა:

აღარ შეგვიძლია ივანე მაჩაბელთან ერთად მუშაობა მისი აუტანელი ხასიათის გამოო.

ამ დადგენილების გამო მაჩაბელმა ვრცლად ილაპარაკა. კარგად მახსოვს მისი შემდეგი ფრაზა, სხვათა შორის იმ დღეს რუსულად რომ გამოვიდოდა:

– ცამეტი წყვილი თვალი, ცამეტი წყვილი ყური (გულისხმობდა კომიტეტის წევრებს, შეიძლება გამგეობასთან ერთადაც) გაფაციცებით უთვალთვალებდა ყოველ ჩემს მოძრაობას, ყოველ ჩემს ფიქრს... თავს მესხმოდნენ, მაქცევდნენ მიწაზე, მაგრამ მე, როგორც ანთეოსი მიწას, ისე ვეხებოდი სიმართლეს და ყოველთვის ფეხზე ვდგებოდი.

როდესაც ამავე საგნის გამო ილიასაც მოუწევდა გამოსვლა – ისიც რუსულად ლაპარაკობდა – რეპლიკად ჩაურთავდა:

– თავად ივანე მაჩაბელს ძალიან უკვირს, რომ რამდენსაც აქცევდნენ, მაინც ფეხზე დგებოდა. აქ ანთეოსი არაფერ შუაშია. აქ სხვა რამ არის. ყველას მოგეხსენებათ, არსებობს ერთნაირი ფიგურა, რუსები მას „ვანკა-ვსტანკას“ ეძახიან. რამდენიც უნდა გადააგორო, მაინც ფეხზე დგება. აქ

გასაკვირველი არაფერია. აქ ფიზიკური კანონია. საქმე ის არის, რომ მთელი სიმძიმე ფეხებშია წასული!

თანაც ილიამ დამცინავი იერით ისე ელასტიურად შეატრიალა და მერე დაღმა დაუშვა მარჯვენა ხელი, რომ მსწრაფლ ჰაერში გვიჩვენა, როგორ ეშვებოდა სიმძიმე თავიდან ტერფამდე.

წარმოიდგინეთ, ამ სიტყვებს რა მქუხარე ტაში და ხანგრძლივი სიცილი მოჰყვებოდა.

მეორე შემთხვევაც მინდა გავიხსენო... თუმც ღირს კი? ასეთი მკვეთრი ის არა ყოფილა, მაგრამ საკმარისად სასაცილოც იყო და გამაწბილებელიც.

ოპოზიცია მოითხოვდა რომელიღაც კომისიის არჩევას და დარწმუნებული იყო, ილია ამისი წინააღმდეგი იქნებოდა. იგი ამ სხდომას არ დასწრებია, ერთ-ერთი ახლო ნათესავის გასვენებაში მოუწევდა ყოფნა. მხოლოდ მეორე დღეს ილაპარაკებდა და... ილაპარაკებდა მშვენივრად, მიიღებდა კომისიის არჩევის წინადადებას და მას სამოქმედო პროგრამასაც დაუსახავდა.

ამ მოულოდნელმა ამბავმა საერთო აღფრთოვანება გამოიწვია და მთელი კრება ტაშით შეეგება, თვით ოპოზიციაც, და ყველაზე მეტად კი მიშო მაჩაბელი, ოპოზიციის აქტიური წევრი უკრავდა ტაშს.

ამ დროს ილია წინ წამოდგა, თითქოს მოღუშული და ჩაფიქრებული სახით, და მისი შემხედვარე კრება გატყრინდა.

– ბატონებო, – დაიწყო მან, – ტაშისათვის გმადლობთ, მაგრამ ერთმა გარემოებამ ძალიან დამაფიქრა... სხვათა შორის ყველაზე ძალიან მიშო მაჩაბელი მიკრავდა ტაშს და გულში ღარღლი ამეშალა – სისულელე ხომ არა წამოვროშე რა.

ცხადია მის სიტყვებს კვლავ ტაში და ხარხარი მოჰყვებოდა.

მიუხედავად მისადმი ჩემი უზომო სიყვარულისა და პატივისცემისა, ვერ დავფარავ, რომ ხანდახან ცოტა არ იყოს ადამიანის უხეშ აგდებასაც არ ერიდებოდა...

ამ ყოველივეს ბანკის საკითხებთან შორიშორეული კავშირი ჰქონდა?

რასაკვირველია, მაგრამ რაკილა ბრძოლა დაუნდობელი იყო, ილიაც აღარ ინდობდა მოწინააღმდეგეს, იყენებდა ყველა საბრძოლო ფანდს, რაც ამ ბრძოლაში გამოადგებოდა მტრის გასაწბილებლად, და რასაც მისი მახვილი გონება მიაწვდიდა ელვისსისწრაფით.

ესეც გარეგნული სახე იმ თითქოსდა უშინაარსი ბრძოლისა. ასე ეჩვენებოდა ყოველ შემთხვევაში იმას, ვისაც არ შეეძლო ღრმად ჩაეხედა ბანკის საქმეში და სრული შეგნებით აეწონ-დაეწონა ის სერიოზული მიზეზები, რაც ამ ბრძოლის ზედაპირის ქვეშ სუფევდა.

ხოლო ზოგიერთების აზრით მაშინაც და ახლაც:

ეს ბრძოლა ილიას მხრივ უეჭველად იდეური გახლდათ.

ილია უაღრესად აფასებდა ბანკის მნიშვნელობას, როგორც ეკონომიკური ფაქტორისას, რომელიც მოწოდებულიყო დახმარება გაეწია ქართველობის კულტურული განვითარებისა და წინ მსვლელობისათვის ყველა სხვა სფეროშიაც. ამიტომაც ბანკის დაღუპვას საზოგადოებრივ კატასტროფას

უიგივებდა. და რადგანაც თავისი მოწინააღმდეგენი ასეთ „მოსაქმეებად“ მიაჩნდა, ისეთ არარაობად, რომ ადვილად შეეძლოთ ბანკი კატასტროფამდე მიეყვანათ, ამიტომაც ებრძოდათ ამგვარი გააფთრებით.

ეს მითუფრო საგულისხმოა, რომ:

მის მეტოქეებს არ წარმოუდგენიათ ისეთი მთლიანი იდეური სისტემა, რაც ძირიან-ფესვიანად შეცვლიდა ბანკის სახეს და გააუმჯობესებდა მის მუშაობას.

მათი მთავარი არგუმენტი რა იყო და:

ეს არ მოგვწონს, ის არ მოგვწონსო.

და რა – ამის წინაშე უნდა მოეხარა ილიას ქედი, სუბიექტურ მოსაზრებებს დამორჩილებოდა?

მას ასულდგმულებდა მხოლოდ დაღუპვისაგან ბანკის გადარჩენის იდეა.

ამიტომაც – დამიჯერეთ – ილიამ სრული შეგნებით შეწირა ბანკს მსხვერპლად თავისი დიადი მოწოდება მწერლისა.

სწორედ ამით თუ აიხსნება, რომ ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა სიმპათიები ბანკის გარშემო ილიას მხარეს იყო და პრესაშიაც ივანე მაჩაბელს ამ უიდეო ბრძოლისათვის უწოდეს: თამარაშნელი ბულანჟე.

იმის განხილვას ნუღა მომთხოვთ, მართალია თუ არა ასეთი მსჯელობა ჭავჭავაძე-მაჩაბლის ბრძოლაზე. ბოლოსდაბოლოს ჩემი ეს სახელდახელო ნაამბობი ერთი თვალის გადავლებით ნანახისა და ერთი ყურმოკვრით გაგონილის გახსენებაა მხოლოდ და არა მოვლენის – თანაც ასერიგად რთულისა და საბედისწეროსი – მიზეზთა მიზეზებში ჩახედვა და ჩაღრმავება.

იოსებ გრიშაშვილი

არტისტიზმი თუ ვინმეს არა ჰკლებია, ილია ჭავჭავაძეს. და ლექსების წაკითხვაც ამიტომ ეხერხებოდა ასე შთამბეჭდავად, განსაკუთრებით ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ლირიკულ ნიმუშებს რომ გამოარჩევდა დეკლამაციისათვის.

მის დამახასიათებელ თვისებად რა ითქმის და:

სიტყვის კაფიეტად გამოთქმა და სახის ნაკვთთა ათამაშება. და რაც მთავარია: ბუნებრიობა, ბუნებრიობა, ბუნებრიობა

„მეფე ლირის“ თარგმანით ასერიგად რომ აღტაცებულიყო და სცენაზე დადგმასაც ესწრაფოდა, არანაკლებ მონდომებულიყო მის დეკლამაციასაც, და მეუღლესაც ამიტომ მოსწერა პეტერბურგიდან: მაგას კაი წაკითხვა უნდა, რომ კაცმა მოიწონოს. აი, როცა მოვალ, მე თვითონ წაგიკითხავთ და მაშინ ნახავთ, როგორი თარგმანიაო...

ეს იმიტომ, რომ:

სწამდა თავისი სიტყვის ძალა, გამოთქმის ლაზათი, ესმოდა სიტყვის საიდუმლოების შინაარსი.

რაო — ხშირად სიტყვა ილიას ურჩი ბალღივით ებუტებოდაო?

სწორედ მაგიტომაც, მისი საიდუმლოს ამოხსნას რომ ესწრაფოდა ყოველთვის და რაღაც განსაკუთრებული მადლითაც შეიგრძნობდა და თვითონაც მადლს აფენდა. ამიტომაც არ აგდებდა არად მის გაბუტვას, ის კი არა, უხაროდა კიდეც, რადგანაც ხელში უნდა მოეგდო, უნდა მოეთვინიერებინა.

როგორ მინდა ვთქვა, იცით? აი როგორ მინდა ვთქვა:

მისი შემოქმედების ყაბახი სავსე იყო ათასნაირი სიტყვის ფალავნით. იგი სიტყვის ჭეშმარიტი რაინდი გახლდათ.

ხშირად რომ იწვევდნენ ლიტერატურულ საღამოებში მონაწილეობისათვის, სცენიდან სიამოვნებით კითხულობდა თავის მოთხრობებს, ლექსების წაკითხვა კი სხვა ავტორებისა უფრო უყვარდა.

პირველი ლიტერატურული საღამო თბილისში გაიმართა 1875 წლის 4 აპრილს, ნამდვილად 4-ში და არა 22-ში: ერთი კეთილი საქმის შესაწევრადო, – ასე იუწყებოდა აფიშა, – და მასში მონაწილეობას მიიღებდნენ: დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი, დავით ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი და გიორგი ჩიქოვანი. ეს ვიღა იყო და: ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონი“ ეთარგმნა და ნიკოლაი გოგოლის მოთხრობები.

რაფიელ ერისთავი რას წაიკითხავდა და: გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპოდან“ ერთ ნაწყვეტსა და საკუთარ სცენებს.

რაზე მეცინება? ეკატერინე გაბაშვილის ნაამბობი გამახსენდა, რაფიელს ის სცენა რომ წაუკითხავს, „მარილის ყანა“, რომელიც ასეთ სიუჟეტურ ქარგაზეა გაშლილი: ივანიკა და გოგიელა მარილს დათესავენ, მაგრამ ტყუილი მოლიც არ ამოვა. იფიქრეს: სწორედ ვიღაცამ ამოგვაგდო, გაკეთებას ველოდით და ვინცხამ სუმთლად მოგვიჭამა მარილის ყანაო, – მერე დაუდარაჯდნენ ყანას და ქურდის დაჭერა მოინდომეს, მაგრამ... და აი რაფიელი ამ სიტყვებს რომ წარმოთქვამდა:

– არ შეგჭამოს ჭირმა, ყანა მაინც არ ამოვიდა, რავარც ჩემს თავზე ბალანი, ისთე ის ბალახი.

ხელსაც მიირტყამდა მელოტ თავზე და ხალხსაც გააცინებდა.

გიორგი წერეთლის მოგონება მაქვს წაკითხული, ამ გამოსვლას ყაფლან ორბელიანიც რომ დასწრებია, ძველი მომღერალი, მომლხენი, მეტად კოლორიტული პიროვნება, ნიკოლოზ ბარათაშვილიც რომ ახსენებს იმ ლექსში „შემოლამება მთაწმინდაზედ“, ქალები რომ ეხვეწებიან: გვიმღერეო, – და ისიც ალექსანდრე ჭავჭავაძის „თავსა უფლად“ დაამღერებს... გამექცა სიტყვა და ეგაა, ჰო, რომ დასწრებია, ლოჟიდან ხმამაღლა წამოუძახნია:

– დახე ამ უნიჭოსა, აკი ამანაც გააცინა საზოგადოება?

დიმიტრი ყიფიანი რას წაიკითხავდა და: „ვეფხისტყაოსნიდან“ ქაჯეთის ციხეზე მისვლის თათბირს, ნაწყვეტებს უილიამ შექსპირის „ვენეციელი ვაჭრიდან“ და „რომეო და ჯულიეტადან“, აგრეთვე ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩის ტბას“.

დავით ერისთავი რას წაიკითხავდა და: ილიას „მუშას“, ხოლო მისივე „აჩრდილიდან“ და გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოდან“ ნაწყვეტებს.

პეტრე უმიკაშვილი რას წაიკითხავდა და: სცენებს თბილისის ცხოვრებიდან.

აკაკი წერეთელი რას წაიკითხავდა და: მოთხრობას „ქალი რა თვეა", „ადვოკატის დილას", „ზღაპარსა" და „სცენას საპატიმროში".

ილია ჭავჭავაძე რას წაიკითხავდა და: ნაწყვეტს „მგზავრის წერილებიდან", „კაცია-ადამიანს?!" ნიკოლოზ ბარათაშვილის „შემოღამებას მთაწმინდაზედ", გრიგოლ ორბელიანის ყარაჩოღელურ და ბოჰემურ ლექსს „ონიკოვის დარდები", და თავისი მეგობრის დიმიტრი ყაზბეგის მოხეურ სცენას „მავნე სულები", თავით ბოლომდე ამ დიალექტზე დაწერილს.

მოხევურად მოლაპარაკე ილია, საინტერესოა, სად და რომელ სიტყვას დაჰკრავდა მახვილს? ის ხომ „მგზავრის წერილების" ავტორი გახლდათ. და ალბათ თავისი მოხევის კილოს გამოიყენებდა.

მოიცათ რა, დიმიტრის ხსენებაზე მაინცდამაინც იმ ჭორზე ნუ მეკითხებით, იმ მართლაც სასაცილო ჭორზე, თითქოსდა მაგის დაწერილი იყოს ის ყველაფერი, რასაც ალექსანდრე ყაზბეგის სახელით ვიცნობთ. ვაი ჩვენი ბრალი!.. სერიოზულად ამაზე აღარავინ ლაპარაკობს, აღარავინ ამტკიცებს და აღარც საბუთების შეკოწიწებას ცდილობს, რადგანაც ყოვლად შეუძლებელია ნამდვილი ავტორი კავკასიური „ილიადასი" დიმიტრი ყაზბეგი ყოფილიყოს და არა ალექსანდრე ყაზბეგი. ვახტანგ კოტეტიშვილმა საბოლოოდ გააცამტვერა ეს მონაჭორი. შესაძლოა სენსაციას გამოდევნებულმა ერთი-ორმა კაცმა შემდგომშიაც სცადოს ელისაბედ ყაზბეგის მიერ შეთხზული ამ აბსურდის წამოტივტივება, მაგრამ შიშიც არა მაქვს, რომ მაშინვე ბურთს ჩასჩრიან პირში. საწყალი სანდრო – იმის ისედაც გაწამებულ ცხოვრებას კიდევ ეს ჭორი და ცილისწამება უნდოდა?!.

თუ მაინცდამაინც გნებავთ ამ თემაზე საუბარი, გადავდოთ სხვა დროისათვის, ახლა კი მინდა ერთი წუთით თვალი დავხუჭო და წარმოვიდგინო თბილისის საზაფხულო თეატრის სცენა 1875 წელს... აი გამოდის ილია, „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი", როგორც დაახასიათა გრიგოლ ორბელიანმა. პარტერში ტაშის ტკრციალი გაისმის. მერე კი ისეთი სიჩუმე ჩამოვარდება, ბუზის გაფრენასაც რომ გაიგონებს კაცი. ილია ერთ წუთს ჩაფიქრდება და იწყებს „ონიკოვის დარდების" კითხვას:

ეს რა ცეცხლში ჩავვარდნილვარ, სადა ვარ? გული მეწვის, სასიკვდილოდ მზადა ვარ. ძალლსავითა ვგდივარ აიმ ქუჩაში, ვყარაულობ ერთის ვისმეს კარებსა, ერთს მოაჯირს, ორ პატარა ფანჯარას, ეგებ ჩემი მზე იქიდან აღმოჩნდეს...

ვაჰ, მეც როგორ ამანთო და თუ არ გამაჩერებთ, ბოლომდეც ჩავყვები:

შენ რას ნაღვლობ, მე რას გიშლი, რა გინდა? მითილი ხარ, თორემ არა მკითხავდი, მოდი ამ ვირს ეშხზე ელაპარაკე!

ხომ გეუბნებით, გამაჩერეთ, გამაჩერეთ რაღა!..

მე ხომ ამ ლექსის ნაწყვეტი იმიტომ გაგახსენეთ, რომ გვეგრძნო ილია სცენაზე, მისი დეკლამატორობა, წარმოგვედგინა მისი სახის მეტყველება, მისი დინჯი ხმა და მარჯვენა ხელის მალიმალ მაღლა აწევა, რაც ასე უყვარდა თურმე.

ისე, რომ იცოდეთ, ეს ლექსი სიბერემდეც არ დაავიწყდებოდა და 1900 წელს, ახალმოსულის ფსევდონიმით „კვალთან“ კამათისას ციტატები „ონიკოვის დარდებიდან“ ხშირად მოჰყავდა. ანკი როგორ არ წამოგაგონდეს, როდესაც პიტალოს ეჯახები შუბლით: მოდი ამ ვირს ეშხზე ელაპარაკეო!..

გახსოვთ რევაზ ერისთავის თარგმანის დაწუნებისას რას ამბობდა „ონიკოვის დარდებზე“: რამდენი ნამდვილობა და ჭეშმარიტებაა მის წმინდა ქართულ პოეტურ დარდებში, კვნესასა და ნატვრაში. პოეზია განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმული რითმებისაო.

ეკატერინე გაბაშვილისაგან ისიც მომისმენია:

როცა ილიას 1876 წლის 29 იანვარს კავკასიის მუსიკალური საზოგადოების დარბაზში (იარმუკაში) წაუკითხავს „კაცია-ადამიანის?!“ ის ადგილი, სადაც ლუარსაბი და დარეჯანი შვილის ყოლაზე ოცნებობენ, დეკლამაციის გათავებისას „ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი-ჩუპარს“ რომ დასძახებდა და ტაშის შემოკვრით გავიდოდა სცენიდან, ყველას აღტაცების ცრემლებით აენამებოდა თვალები.

რომ იცოდეთ, ეს პირველი ლიტერატურული საღამოები საზოგადოებას ისე ძალიან მოსწონდა, რომ ბილეთები აფიშების გამოკვრისთანავე იყიდებოდა და ბევრი მსურველი უბილეთობის გამო გაწბილებული უკან ბრუნდებოდა, რაც იშვიათი მოვლენა გახლდათ იმდროინდელი ქართული თეატრისათვის.

ერთ ასეთ საღამოს „დროებამ“ მეთაურიც მიუძღვნა და იქვე მოათავსა რეცენზია, სადაც პირველი საღამოს მონაწილეები ცალ-ცალკეც დაახასიათა:

– დიმიტრი ყიფიანი ნამდვილი ოვაციით მიიღო საზოგადოებამ. გამოვიდა თუ არა ეს პატივსაცემი გაჭაღარავებული მოხუცი, ყველამ ერთი ხმით დაჰკრეს ტაში და ეს ტაშის კვრა რამდენიმე წუთის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ამ ოვაციით, სხვათა შორის, საზოგადოებამ, ჩვენი აზრით, თანაგრძნობა გამოუცხადა მკითხველს იმისთვის, რომ ახალგაზრდებთან ერთად ჰკიდებს ხელს საზოგადო საქმის დახმარებას. სცენა საკუთარის ნათარგმნის შექსპირის „შეელოხათგან“ და აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ ერთი თავი დიმიტრი ყიფიანმა კარგათ წაიკითხა. მაგრამ საუბედუროდ, ისე დაბალი ხმით, რომ ზოგიერთებს, ვინც სცენაზე მოშორებით იყვნენ, არ გაუგონიათ. ესევე ნაკლულოვანება ჰქონდა რაფიელ ერისთავის კითხვასაც, რომელმაც „პეპოს“ ნაწყვეტი სუსტი ხმით და წაბორძილებით წაიკითხა. მაგრამ მის მაგიერად მეორედ მოსვლაზე გამოისყიდა ეს ნაკლულევანება: სცენები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან ნამდვილის ხელოვნებით იყო წაკითხული! მაგრამ ნამდვილი დამამშვენებელნი და გამაცოცხლებელნი ამ საღამოსი იყვნენ აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე. ჩვენ იშვიათად გაგვიგონია ისეთი ოსტატური და ხელოვნური წაკითხვა, როგორც აკაკიმ თავისი „ადვოკატის დილა“ და „სცენა საპყრობილეში“ წაიკითხა, ილია ჭავჭავაძემ კი თავისი „კაცია-ადამიანის“ ერთი ალაგი და გრიგოლ ორბელიანის „დიმიტრი ონიკოვის დარდები“.

რა გგონიათ: იმ პირველ საღამოს გრიგოლ ორბელიანიც დასწრებოდა და მეგობრისათვის – იაკინთე მესხიშვილისათვის – 1875 წლის 7 აპრილს მიუწერია:

– 2 აპრილს იყო ქართულ თეატრში სალიტერატურო და სამუსიკო საღამო – ასე ეწერა აფიშკაში. ძალიან ცუდათ გამოჩნდნენ რაფიელ ერისთავი და დიმიტრი ყიფიანი. რაღაცა ღმერთი გაუწყრათ. სულ ვერ წაიკითხეს. და ძალიან კარგად იყვნენ დავით ერისთავი-გლუხარიჩი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

ნიკოლაი გოგოლის ნათქვამი მაგონდება:

მწერლების გამოსვლა სალიტერატურო საღამოებზე მომავალში წარმოდგენის მაგივრობას გასწევსო.

და ჩვენი სალიტერატურო საღამოები წინამორბედი იყო მომავალი ქართული თეატრისა, რომელიც 1879 წელს ჩამოყალიბდა მუდმივი დასის სახელწოდებით. თვით იმ საღამოს შემოსავალიც – 254 მანეთი – ქართული სცენის სასარგებლოდ გადაიდო.

ძალიან თუ არ გამიგრძელდა, ორ სიტყვას კიდევ მოგახსენებთ. თუნდ თავაზიანობითაც მეუბნებოდეთ, სიამოვნებით გისმენთო, მე კი ვისარგებლებ თქვენი თავაზიანობით და გავიხსენებ ილიას ერთ უცნობ მუნასიბს, ცნობილი დეკლამატორის კოლა ერისთავისადმი მიძღვნილ წიგნზე წარწერილს: სხვისა ლექსი შენგან თქმული კეთდება და უფრო შვენისო!..

მწერალი ხალხში გასვლას რომ ჰქადაგებდა, ეს იმიტომაც, სცენიდან ნათქვამი სიტყვა მართლაც რომ ყოველთვის კეთდება, შვენის და მიზანსაც აღწევს. როცა ილია სალიტერატურო საღამოებზე გამოდიოდა, ქართველები ჯერ კიდევ არ შეჩვეოდნენ საჯაროდ კითხვას; და ილია კითხვის კულტურას ხელს უწყობდა თავისი მოხდენილი დეკლამაციითა და ქართულ კაზმულ ლიტერატურას პოპულარობას უქმნიდა.

როგორი იყო დეკლამაციისას და...

არტურ ლაისტის გადმოცემით:

ილია რომ ლაპარაკობდა, ცეცხლი და გატაცება თანდათან ემატებოდა.

იაკობ მანსვეტაშვილის თქმითაც:

ილია კარგი მკითხველი გახლდათ, თუმც ხმა ცოტა მოყრუო ჰქონდა.

ილია ელეფთერიძის მოგონებითაც:

ილიას ხმა დიდი არა ჰქონდა, არც ძალიან მჟღერი, მაგრამ მკაფიო, მკვეთრი და ნათლად გასაგონი. არ იცოდა კილოშეკიდებული ლაპარაკი, ხმის აკანკალება. არც ხელების წარამარა სავსავი. მასში იყო არტისტულობა და არა თეატრალობა. ამათუიმ საგნის გამოხატვა სხეულისა და სახის მოძრაობით იცოდა. ერთი სიტყვით, ილიას ჰქონდა სიტყვის თავისებურად გამოთქმის უნარი და ხმის ოდნავი მოდულაციები ჰქმნიდა მთელ მუსიკას მისი მეტყველებისას.

კოტე მესხი ასე გაიხსენებდა ილიას კითხვას:

1874 წელს პირველად ვნახე ილია ჭავჭავაძე. მაშინ მომრიგებელ მოსამართლედ მსახურობდა სადღაც და თბილისში ჩამოვიდა. ერთ საღამოს ჩვენი რედაქციის, „დროების“, პატარა ოთახებში შეიკრიბა რედაქციის ყველა წევრი და ქართული მწერლობის მოყვარული. ილიაც მოვიდა და თან მოიტანა

თავისი „გლახის ნაამბობი“, წაგვიკითხა. ასეთი ტკბილი, ძლიერი, მკაფიო ქართული კითხვა ან სიტყვა ჯერ არ მსმენოდა. ვატყობდი, ყველა აღტაცებული იყო და მე ხომ სულ დამონებული ვიყავი ძლიერი შთაბეჭდილებითო.

ალექსანდრე ყიფშიძის მოგონების ის ადგილიც როგორ არ გავიხსენო:

ილიამ ბევრი ილაპარაკა, მაგრამ დასვენებით, მოკლედ და მკაფიოდ. ახდენს წარუშლელ შთაბეჭდილებას, ან ვინ გადურჩება დაუმონავებელი მის გონიერ ლაპარაკს, ახდილ შუბლსა და მშვენიერ, წყლიან თვალებსო?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იაკობ გოგებაშვილის მოწმობა ღირს ერთ რამედ:

ილია შემკულია ბუნებრივი მკითხველის ღირსებით – ხმა აქვს მუსიკალური, კილო შესაფერი, ლოგიკური ხმის აწევ-დაწევა რიგზე მიჰყავს, გამომეტყველება და მოძრაობა პირისახისა შეესაბამება წაკითხვის შინაარსსა და საზოგადოდ მისი ხმა მკაფიოდ ხატავს ყოველ აზრსა და გრძნობას, რომელსაც კი იპყრობს სიტყვები და ფრაზებიო.

ალექსანდრე ყიფშიძე ილიას გარეგნობას ორიოდე შტრიხით ასე შთამბეჭდავად რომ წარმოგვიდგენდა, იაკობ მანსვეტაშვილისათვის ილიას თავი ფიდიასის ქანდაკებისაგან არც განირჩეოდა, და სოფრომ მგალობლიშვილიც საგანგებოდ გახაზავდა ილიას გარეგნულ მომხიბვლელობას:

– ისეთი ლამაზი და მარილიანია, კაცი თვალს ვერ მოაშორებს. მშვენიერი ფართო შუბლი, თმა ხშირი, შავი, როგორც გიშერი, შუაზედ გაყოფილი და გრძლად დაშვებული კისრამდე... ტანით თურმე პატარა კახს მიაგავდა, მაგრამ როცა ზის, ჰგონია ადამიანს, ხიზაბავრელის მხარბეჭი აქვსო.

დააკვირდები ილია ჭავჭავაძის პორტრეტს, მეხსიერებაში აღიდგენ თანამედროვეთა ამ დახასიათებებს და:

თითქოს თვალდათვალ შეჰყურებ მის ბადრ სახეს, შუაზე გაყოფილ თმას, მეტყველ თვალებს, გამოქანდაკებულ სოთ ცხვირს – მოძრავი ნესტოებით და მაღალ ფართო შუბლს, წარუშლელად ჩაბეჭდილს „განდეგილიდან“: და მაღალ შუბლსა, ნაოჭად შეკრულს, შარავანდედი გადაჰფენიაო!..

ნატო გაბუნია

ფაშფაშა და ფაშფაშაო, – იმ დღესაც ამიტყდა ვასო აბაშიძე. და იმ დღესაც სიცილით შევხვდი მის შემორქმეულ ამ მეტსახელს, ის კი არა, მეც იუმორით ნავკარი, მანაც იუმორით მიპასუხა, მერე ისევ მე, მერე ისევ ის, მერე ისევ მე... სტუმრები იხოცებოდნენ სიცილით.

ნიკო ხიზანაშვილისა და ლიზა ჩერქეზიშვილის ოჯახში ვიმყოფებოდით, თამადად ჩვეულებისამებრ ვალერიან გუნია რომ ავირჩიეთ და ისიც მოხდენილი ოხუნჯობით გაუძღვა სუფრას.

მასპინძელი თავის იუმორს ამჯერად იმით გამოამჟღავნებდა, რომ შემწვარ ბატკანს მთლიანად თვითონ დაიდგამდა და თითქმის ნახევარზე მეტს გაათავებდა.

აქეთ-იქიდან შემოსძახებდნენ:

– რას სჩადი, ნიკო, ცოტა ჩვენც გვარგუნე, მალულად რომ გიყვარს ბატკნისა თუ გოჭის შეთქვლეფა, ცნობილია, მაგრამ ასე საჯარო და ასე ყველას თანდასწრებით?..

– შეხეთ ილიას, – მიგვითითებდა მასპინძელი, – როგორ შეჰხარის ჩემს მადიან ჭამას თავისი ლამაზის თვალების ჟუჟუნით.

ვალერიანი მოინდომებდა, რომ საფალავნოდ ასპარეზზე სოფრომ მგალობლიშვილი გამოეყვანა.

ჩემს გვერდით მჯდომი დავით კასრაძე გადმომილაპარაკებდა:

– ეს რა მოიფიქრა ვალერიანმა, გააუგემურებს სუფრას, სოფრომმა რა უნდა თქვას, ჭადიდან ნახშირს ვერ გამოიღებს.

ეს გამოთქმა მანამდე არ გამეგონა და დამამახსოვრდა. დავითს კი თავი დავუქნიე, მართალი ხარ-მეთქი, თუმც შიშიც გავუქარწყლე, რადგანაც სოფრომი განა ისეთსაც რას დააშავებდა.

დააშავებდა კი არა, რას ამბობთ, ხალხნო, ის ყოფილა თუ ყოფილა კომიკოსი. მივაძახე კიდეც მერე ვასოს: გეშინოდეს, სოფრომმა თუ ხელობის გამოცვლა მოიწადინა-მეთქი.

შეუვსებდნენ ფიალას და მოჰყვებოდა ტეტიურ კილოზე სადღეგრძელოს, ადგილ-ადგილ უცენზურო სიტყვებსაც გაურევდა, მაგრამ ისე მოხდენილად და თავის ადგილას, აღტაცების კიჟინა გადასდევდა სუფრას. ისე მიამიტად, ისე უეშმაკოდ ლაპარაკობდა, თითქოს საიმისოს არაფერს ამბობსო, მაგრამ არცერთი ნაცნობი თუ უცნობი კნეინა არ დარჩებოდა გაუკენწლავი.

– კაი დღე გაყარათ, – შემომცინებდა დავით კასრაძე.

მე კი არაფერი მწყენია და... არც სხვებს, როგორც შევატყე. იქ მყოფთაგან ყველას ესმოდა ნამდვილი იუმორის, ნამდვილი კომიკურობის მადლი და ფასი.

– აგრე, აგრე, სოფრომ, – ილია ხომ ამხნევებდა და აგულიანებდა, – კიდევ თქვი, კიდევ, ნუ გეშინიან, დავიმსახურეთ მაგნაირი ქება-დიდება, დავიმსახურეთ!..

თან იცინოდა, იცინოდა იმ ლაღი და მხიარული სიცილით, იმ სიალალით, რაც ასეთ მომხიბლავ შტრიხს სძენდა მის პიროვნულ ხასიათს.

დავითი კვლავ ჩამჩურჩულებდა:

– ილიას სმენა არა აქვს და არც არასოდეს მინახავს ამღერებული, მაგრამ სუფრაზე მოლხენა კი ძალიან უყვარს და სიმღერების გარეშე ვერ ძლებს. ნახე დაირა თუ არ მოატანინოს შენთვის.

მოატანინებს, აბა რას იზამს-მეთქი.

და კიდეც გადმომცემდა ლიზა დაირას, მეც გავსწორდებოდი, საკრავს მოვიმარჯვებდი, მცირე პაუზა და... დაირას თითქოს შევტყორცნიდი, ფიფინურებს შევუყრიალებდი და დავამღერებდი: ორთავ თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია-მეთქი.

და... კიდეც წამოუტბორდებოდა ილიას სიხარულის ცრემლები.

– ბატონო ილია, ბატონო ილია! – ვიყვირებდი, დაირას იქით მივაგდებდი და პატარა ბავშვივით მივუალერსებდი, გულზე მივიხუტებდი.

არტურ ლაისტი ვალერიანს გასარჯავდა და ფანჯრების დახურვაში მოიშველებდა: ილია არ გაგვიცივდესო.

ილია შუბლზე გადაისვამდა ხელს და ყველას დაგვამშვიდებდა:

– ნუ სწუხდებით, ბატონებო, არაფერია, გამივლის, საზოგადოდ კი რაც უნდა მოხდეს, არაფერია დასანანი. ლერმონტოვიც ხომ ასე ამბობს: ეს ცხოვრება, მიმოიხედავ თუ არა ცივი მზერით გარშემო, ისეთ ცარიელ და სულელურ ოხუნჯობად მოგეჩვენებაო.

არ დამავიწყდება დავით კასრაძის გაოცებული მზერა, სუფრაზე რომ არას იტყოდა, მაგრამ თეატრში ერთ-ერთი სპექტაკლი რომ დამთავრდებოდა, საგანგებოდ დამელოდებოდა და მკითხავდა:

– შენ ჩემზე უკეთესად იცნობ ილიას და ის სიტყვები წამიერი განწყობილებისა იყო თუ მართლა სულელურ ოხუნჯობად მიაჩნია ჩვენი ცხოვრება?!.

პასუხად მხოლოდღა მხრებს ავიჩეჩდი.

ერთ დღესაც კარზე ზარს რომ ჩამოჰკრავდნენ და გავაღებდი, ილია შემრჩებოდა ხელთ. შევიპატიჟებდი, მაგრამ არ შემომყვებოდა:

– საჩქაროდ გადაიცვი, ეტლი გველოდება!

– სად მიგყავართ?

– გზაში გეტყვი... საჩქაროდ გადაიცვი...

ეტლში მასთან ერთად იონა მეუნარგია და ივანე მაჩაბელი დამხვდებოდნენ.

– აღარ იტყვით, სად მივდივართ? – ცნობისწადილი გამიძლიერდებოდა.

– გრიგოლ ორბელიანთან.

– გრიგოლ ორბელიანთან? – ასე ძალიან არაფერი გამაკვირვებდა.

– ჰო, გრიგოლთან, – ამიხსნიდა ილია, – უკანასკნელ დღეშია და ითხოვა, ისე ნუ მოვკვდები, ნატო გაბუნიას ტკბილი ნამღერი არ ჩამესმასო. აგერ იონას გაუმხილა ეს ნატვრა.

– ნატვრა? სანატრელი აქ განა რა არის?..

– მისთვის ნატვრაა და... იონა მაშინვე ჩემთან გამოვარდა, უშენოდ ეს საქმე არ გამოვა და ეგებ ჩაერიოო. ჩემთან ვანო იმყოფებოდა და: მეც წამიყვანეთო, – ბავშვივით შემოგვეხვეწა. ისე რა, უხვეწნელად არ წამოვიყვანდით? და კიდეც სამივე მოგადექით.

გრიგოლს საამქვეყნო პირი აღარ უჩანდა.

თავთით დავუჯდებოდი და ავმღერდებოდი.

მთელი არსებით შთავინთქმოდი სიმღერებში, ერთიერთმანეთს რომ მოედევნებოდა და, სიკვდილის ჩრდილდაფენილ პოეტს რომ გამოვემშვიდობებოდით და გამომაცილებდნენ, ილია მეტყოდა:

– ეს რა ჰქენ, ქალო, დღეს შენს თავსაც აჯობე... რამდენჯერ მომისმენია შენი სიმღერა და ასეთი გრძნობითა და ხელოვნებით არასოდეს გიმღერია.

– არც ასეთ ყოფაში ჩავვარდნილვარ არასოდეს.

იქ კი, სიმღერით რომ ვაცილებდი პოეტს უკანასკნელ გზაზე, წამიერად გამოვერკვეოდი და ილიას კითხვის მზერით მივაჩერდებოდი: აკაკის „აღმართ-აღმართ“ ვიმღერო თუ თავი შევიკავო-მეთქი?

ილია ხომ გულთამხილავია, მაშინვე მიმიხვდებოდა, რასაც შევეფიქრიანებინე, და თავს დამიქნევდა.

ვმღეროდი და ვხედავდი, როგორ მოჟონავდა გრიგოლ ორბელიანს თვალებიდან ცრემლის კურცხლები. და ამსოფლისა და იმსოფლის შესაყარი მისთვის აკაკის ლექსზე შექმნილი სიმღერა რომ აღმოჩნდებოდა, ილია ამას ძალიან მომიწონებდა:

როგორ შეიძლებოდა შენი რეპერტუარის გვირგვინი არ გემღერაო.

და სიცილით მიუბრუნდებოდა იონას:

ხომ ვიცი, შენ ის გიხარია თუ გიხარია, ეს რა კარგი მასალა ვიშოვნე ჩემი ქრონიკებისთვისო!..

ისევ ეკატერინე გაბაშვილი

სადა მაქვს ოლღა ჭავჭავაძის ის პაწია ბარათი? ჰო აგერ. სულ ორი პწკარია და ბარემ ჩაგიკითხავთ:

– გერმანიიდგან ჩამოვიდა ერთი ყმაწვილი მწერალი, სახელად ლეისტი და სურს გაიცნოს ქართველი საზოგადოება, ქართული მწერლობა და შემდეგ შეეცადოს სთარგმნოს ქართველთა ლიტერატურული საუნჯე „ვეფხვის ტყაოსანი“. ამისათვის ილიას სურს გააცნოს ეს ყმაწვილი მწერალი ქართველებს და ქართველ მწერლებს და თქვენც გთხოვთ, კვირას 3 საათზე გვეწვიოთ, რასაც ჩემის მხრითაც უმატებ ჩემ გულითად თხოვნასაც.

წელი და რიცხვი არ აწერია და ნეტა მე მიმეწერა, ახლა ხომ სამარჩიელო არ გამიხდებოდა, თუ როდის იყო. ამას უკვე თქვენ დაადგენთ? დიდი თავაზიანობა თქვენი მხრიდან, მაგრამ ხომ შეიძლება არ გამეწვალებინეთ?!. ეჰ, რაც არის, არის.

იოლად წარმოიდგენთ, რარიგ გამახარებდა და აღტაცებას მომგვრიდა ეს რამდენიმე სტრიქონი. სხვა რომც არაფერი, პირველად მეძლეოდა შემთხვევა, ვყოფილიყავ ილიას სახში, მენახა მისი ბინა, მოწყობილობა უკანასკნელ წვრილმანამდე, რაც კი დიდებული მწერლის საკუთრებას შეადგენს და მის ვინაობას გამოსახავს...

მაგრამ, მაგრამ... რითი, როგორ უნდა წავსულიყავ იმ კრებულში? არავითარი სამკაული და მორთულობა შესაფერისი არ გამაჩნდა. სასწრაფოდ ჩემ მეგობართან, ნინო ერისთავთან გავიქეცი, ვუამბე ამ უშველებელ მოვლენას რარიგ გავებედნიერებინე, და თან ჩემი უნუგეშობაც, ამ სამოსით როგორ ვწვეოდი ილიას ასეთ ნადიმზე.

ნინოს – სხვათა შორის ჩემი შვილების ნათლიას – კარგად მოეხსენებოდა ჩემი ავლადიდება, და მაშინვე ალერსით მითხრა:

– ნუ გეშინიან! კვირამდე სამი დღეა და, როცა საჭიროა ხოლმე, სამოცი კაბაც შეიკერება, და შენს ერთ კაბას როგორ ვერ მოგისწრებ. შესაძლოა ილიასთან, მწერლების გარდა, მისი და ლიზა ორბელიანისა (საგინაშვილამდე ლიზა აკი ორბელიანზედ გახლდათ გათხოვილი), ოლღას და, დისწულე-

ბიც დიდებულად გამოპრანჭულები მობრძანდებიან, მაგრამ შენ ყველა „ნიგილისტკად“ გიცნობს და სისადავეს შენი ჩაცმულობისა უფრო შესაფერად მიიჩნევენ.

და სიცილით ხელი რომ გადამხვია, უკვე ვიცოდი, რომ კვირას, სამი საათისათვის უკვე გამოპრანჭული ვიქნებოდი მხიარულ იაფფასიან ბარეჟის კაბაში. და არისტოკრატ სტუმრებს რომ უბრალო ვინმედ არა ვჩვენებოდი, თავისი ძვირფასი არშიის მანტილია მომახვია მხრებზედ და გულისპირში ძველებური, ერთადერთი, ბებიის ნაანდერძევი ალმასის ქინძისთავი დამიბნია.

და როდესაც კარზედ ფაეტონი გაჩერდა ჩემს ნასაბრძანებლად ნადიმზე, უეცრად უბიდან ამოიღო პარიზული ხელთათმანები, საპარიკმახეროში გაწმენდილი, მაგრამ ბენზინის მაგივრად იასამნის სურნელით გაჟღენთილი.

– ხელთათმანები! რად მინდა? გაზაფხულია.

ჯერ კიდევ ვერ ვერკვეოდი ჩაცმულობის ეტიკეტში და მხოლოდ პრაქტიკული თვალით ამიტომაც შევხედე. სამაგიეროდ ჩემი მეგობარი ერკვეოდა ჩინებულად.

– არა, ხელთათმანები აუცილებელია იმ საზოგადოებაში, რომელშიაც მოწვეული ხარ, უხელთათმანობას უზრდელობას ჩამოგართმევენ, – ამიხსნა ნინომ და პირჯვარიც გადამწერა.

ყველას შეუძლიან წარმოიდგინოს ყმაწვილქალის გულის რაკრაკი, რომელიც პირველად სტუმრობს თავის სადიდებელ პოეტს, მწერალთა კრებულ საზოგადოებაში უნდა გაერიოს და ზედ დამატებით იასამნის ვიწრო, ვიწრო ხელთათმანებიც ამშვენებს არისტოკრატებთან წარსადგენად!..

დარბაზში შესვლის უმალვე შემიწყდა გულის ფრიალი და პირზე სიხარულის ღიმილი გადამეშალა, როცა დარაზმული კნეინების ნაცვლად გარშემო სულ ნაცნობი პირნი დავინახე: იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ვლადიმერ მიქელაძე, ალექსანდრე ჭყონია, ალექსანდრე სარაჯიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და... არცერთი ქალი! დიახ – ქალის ჭაჭანებაც არა ყოფილა.

ცოტა არ იყოს შევყოყმანდი, მაგრამ... აკაკი შემოვიდა და, თავისი დემონური ღიმილით რომ შემათვალიერა, შეჰყვირა:

– ოჰ! „ფერჩატკები“, იასამანი, კაბა, არშიები, ბრილიანტი! რა ცვლილებაა!

და მთელი კამპანიის ყურადღება რომ მივიპყარ, უნებლიეთ კვლავ ავჩქროლდი. ოთახის შუაგულში ვიდექ და კინაღამ ავტირებულიყავ, ბევრი კი არაფერი მიკლდა.

– ბატონებო, მობრძანდით, სადილი მზად არის! – ტკბილი ღიმილით მოგვმართა ყველას ოლღამ, რომელიც მეორე ოთახის კარში გამოდგა, მე ხელი ხელში გამიყარა და შემიძღვა სასადილო ოთახში, რომლის მეორე კარშიაც გამოჩნდა ილია, ისიც ხელიხელგაყრილი წვეულების მიზეზ რაინდთან ერთად და ყველასთან თითო-თითოდ ჩამოატარა, გააცნო. და კიდეც დაიწყო სუფრაზე დასხდომის ცერემონია:

სუფრის თავს ოლღა, მის მარჯვნივ გერმანელი სტუმარი არტურ ლეისტი, მარცხნივ მე და ჩემს გვერდით აკაკი. სუფრის ბოლოს იჯდა ილია წარბშეკრული, უთუოდ გრძნობდა, რომ გერმანელი სტუმარი ჩვენი სიმუნჯის გამო გაო-

ცებული გახლდათ. ყველაზე მომეტებულად დიასახლისი გრძნობდა უხერხულობას და მუნჯური სიცილით სთხოვდა ყველას, ხელი მიეყოთ ჭამისათვის.

უეცრად ოთახში შემოიჭრა მისებური სისწრაფითა და რიხიანობით ივანე მაჩაბელი, ბოდიშებად რომ იღვრებოდა დაგვიანებისათვის, და ლეისტის გვერდით დაჯდა ცარიელ სკამზე.

და კიდეც გამოცოცხლდა სუფრა და ყველამ ხელი მიჰყო ბაასს.

ლეისტი, იქამდე ცოცხალ-მკვდარივით რომ იჯდებოდა, რუსები როგორც იტყვიან ხოლმე: ჩუჩელო გოროხოვოო, – გამოცოცხლდა, მის უფერულ და არაინტელიგენტურ სახეზედ ორმა ლურჯმა – თუ მწვანე – წყლიანმა თვალმა გამოანათა, გამოაცოცხლეს, აზრი მიანიჭეს მის დატეტკილ სახეს. ივანე მაჩაბლის მასლაათმა ადვილად გამოიწვია მასში სიცოცხლის ნიშნები, ყველაფრისადმი ინტერესი...

ტოლუმბაშობით სხვა ვინ, ილია იტოლუმბაშებდა.

სუფრა პირწმინდად ქართული ხასიათისა გახლდათ – ფლავიდან დაწყებული ტრადიციულ ინდოურამდე.

სადღეგრძელოები – მჭევრმეტყველური, როგორც შეეფერებოდა სახელოვან ტოლუმბაშსა და სახლის პატრონს.

სუფრის მიწურულს ილიას კაბინეტის კედელზედ ჩამოკიდებული შეიერცხლილი ჯიხვიც კი გამოჩნდა სუფრაზედ, მაგრამ არა როგორც გასაჯიბრებელი სასმისი, არამედ როგორც იშვიათი რამ სავაჟკაცოდ მიღებული – და იშვიათი სადღეგრძელოს დასალევადაც.

ილიამ თავისი ხელით მიუტანა უცხო სტუმარს ქართული ლხინის ძლიერების ეს უკანასკნელი სიტყვა და ივანე მაჩაბლის დახმარებით აუხსნა იმისი გმირობა, ვინც ამ ორბოთლიან ჯიხვს გამოცლიდა და ფეხზე დადგომის ძალას არ დაჰკარგავდა.

აკაკი მთელი სადილის განმავლობაში წამითაც არ გაჩერებულა, იშვიათ გუნებაზე გახლდათ, მასხარაობდა, დაგვცინოდა ყველას — თვით უცხო სტუმრიდან დაწყებული:

– ვინ იცის თავის ქვეყანაში მეჩექმის თანაშემწეა, ან აფთიაქის ყოფილი ფარმაცევტი და ეჩოთირება კიდეც რომ ამდენი დარბაისელი, ლიტერატურისა და პოეზიის წარმომადგენელი ახვევია გარს. აი ილიამ თქვენც უთუოდ მოგიწვიათ ერთადერთი მანდილოსანი, რომ ეჩვენებინა, გაეკვირვებინა „ნემენცი“ ამით, რომ განა მარტო კაცები, ქალებიც კი დანავარდობენ ჩვენი პოეზიის პარნასზე. თქვენ კი, როგორც ახალი გლეხის პატარძალი, თვალებდახრილი შესცქერით ვიღაც მაჩანჩალას.

ასე და ამრიგად განუწყვეტლივ ხუმრობდა და პირში ლუკმის ჩადების დროსაც აღარ მაძლევდა.

სტუმარი უეჭველად მიხვდა, ახირებული ოხუნჯობა აკაკისა მასაც რომ შეეხებოდა და შიგადაშიგ ცალი თვალით გამოგვხედავდა ხოლმე.

როდის-როდის დასრულდა სადილი. უკვე შებინდებულიყო კიდეც. ოთახი გააჩაღეს და ახლაღა შევნიშნეთ, რომ კარზედ ქარიშხალი ჰქროდა და თავსხმა წვიმაც მოთხლაშუნებდა.

ყველა აივანზე გავლაგდით, და იქ კუთხეში მდგარ, ლამაზად გაწყობილი ტახტის მუთაქას დავებჯინე, რათა მთელი დღის მღელვარებისა და აკაკის უშინაარსო ლაპარაკით გამოშტერების შემდეგ სული მომებრუნებინა, მაგრამ აკაკი ტახტის წინა კუთხეში გამოიჭიმა, ფეხები განზედ გაშალა და კვლავ მე მომიტრიალდა:

– წაიკითხეთ ჩემი ახალი წიგნი „ხუთნაირი სიყვარული“?

მართალი ბრძანდებით, შემეშალა, „სამგვარი სიყვარული“ უნდა მეთქვა, მას კი მაშინ ღიმილით მივუგე:

– აბა თქვენს დაწერილსა და ისიც მთელს წიგნს რომელი სულდგმული ქართველი არ დაეწაფებოდა!

– ახლაც იტყვით, რომ მე არ შემიძლიან რომანი დავწერო, რომ ჩემს მუზას არ ძალუძს სიყვარულის გრძნობა გამოსახოს? რომ ჩემ ბუნებას, ტემპერამენტს რომანტიული სითბოს, სიმხურვალის ძლიერება არა აქვს მონიჭებული? აი ერთის მაგივრად სამი სხვადასხვა ძლიერების სიყვარული ავანთე.

– სიყვარული ერთია მხოლოდ და განუყოფელი, თქვენ კი სამად გაანაწილეთ და მაგითი დაამტკიცეთ, რომ სიდიადე გრძნობისა სხვადასხვანაირია...

ასე უნებლიეთ კვლავ აკაკის საზოგადოებაში მოვყე და ძლივძლიობით მივხვდი, რომ დაუშვებლად ვიქცეოდი, მითუფრო, რომ აივანზედ თითქმის აღარავინ ჩანდა. წამოვხტი და უზრდელად მივატოვე ჩემი იმდღევანდელი ერთგული კავალერი.

ოთახში სტუმრები ემშვიდობებოდნენ ილიას; მე ოლღას დავუწყე ძებნა, მაგრამ ვერსად დავინახე და მეც ილიას მივმართე მოკრძალებით:

– თუ შეიძლება ჩემთვისაც უბრძანეთ მოსამსახურეს, ფაეტონი მოიყვანოს.

ილია თითქოს გაკვირვებით დამაშტერდა და მკვახედ მითხრა:

– განა თქვენ აკაკისთან ერთად არ მიბრძანდებით ფაეტონით?

– რა გინდათ მაგითი თქვათ? – გაკვირვებით შევძახე და წარბებიც შევიკარ, – ნუთუ თქვენს თვალშიც დედაკაცი გასაკიცხია, როცა იგი კაცთან თავისუფლად ლაპარაკობს!..

– არა, რას მიქვიან...

მაგრამ დასრულება აღარც ვაცადე, აღშფოთებული გავვარდი გარეთ და მუხლებამდე ტალახში ტოპვით ძლივს მივაღწიე შინ.

„ნეტა ამხანადაც არაფერი ეთქვა“, გავიფიქრე.

ჩვენს გვერდით რომ ვხედავთ ადამიანს, გვავიწყდება ხოლმე, ის ვინ არის და ჩვენ ვინ ვართ!.. ახლა კი სირცხვილითაც ვიწვი იმ გამოქცევაზეც, სიტყვა რომ შევატეხე პირში, და იმ განაფიქრზეც, მაგრამ დამალვით როგორ დავმალავ. რაც და როგორც მოხდა, ისეც უნდა გაიხსენო, გადაკეთებისა თუ შელამაზების უფლება ვინ მოგცა... მაინცდამაინც გადაკეთება და შელამაზება თუ გნებავს სინამდვილეში მომხდარი ამბისა, მოთხრობად აქციე, მოგონებებს კი ჩამოეხსენი.

არა რა, ვანოსთან მართალი არ არის, არა. დამეჯერება, რადგანაც თუ ვინმე აფასებს ილიას, თუ ვინმე აღიარებს საზოგადოებრივი ცხოვრების წინამძღოლად, მეც იმათ შორის ვარ. მისი ყურადღებაც მახსოვს და თანადგომაც, მომდიოდა მისი საქებარი სიტყვები, ძალას რომ მმატებდა და მამხნევებდა.

იონა მეუნარგიამ ისიც მითხრა: „მამის მკვლელზე“ ისე დეტალურად მელაპარაკა, ეტყობა რაღაცის დაწერას აპირებსო.

მერე რომ აღარ გამოჩნდა ილიას რეცენზია, არ გამკვირვებია. ისეა ჩაფლული და გაძეძავებული ათასგვარ საზოგადოებრივ საქმეში, ლიტერატურისათვის ვეღარც მოუცლია. ძალიან დასანანია, მაგრამ იმ საქმეებსაც ხომ მიხედვა უნდა – სწორედაც ილიასებური.

ეჰ ნეტა ვანო მაჩაბელს არ გადაჰკიდებოდა.

ვანოს ბრალიაო, – ზოგი მიმტკიცებს, – რად უნდოდა ილიასთან დაპირისპირებაო.

ვითომ რატომ მარტო ვანოს ბრალი, ილია რა, ვითომ არაფერში ტყუის? რაღა ვანოს დაეთმო, ილიას დაეთმო და ყველაფერი რიგზე იქნებოდა. ის თუ უტეხია, ვანოც არ არის ნაკლებ თავისნათქვამა.

მერე კიდევ:

ვანოს რაღაც საზღვრისათვის არასოდეს გადაუბიჯებია, ილიას კი – არაერთხელ.

რას ვგულისხმობ?

აბუჩად რომ იგდებს, დასცინის და შეურაცხყოფს ხოლმე საჯაროდ.

რაო, ეს მისი იუმორია და რა ილიას ბრალია, თუკი ვანოს იუმორის გრძნობა არ გააჩნია?

თავისი სამყოფი იუმორი ყველასაცა აქვს, მაგრამ აბუჩად აგდება სადაური იუმორია, ირონიას, სარკაზმს, თავმოყვარეობის შელახვას რა გამართლება მოეძებნება?

ჩემთან კი არასოდეს გამოუმჟღავნებია თავისი ირონია და სარკაზმი, განსხვავებით აკაკი წერეთლისაგან, რომელსაც ასე ძალიან რომ არ ვაფასებდე, არ მოვუთმენდი აბუჩად აგდებასა და ირონიას პირში თუ ზურგსუკან. რა უნდა ჩემგან, რას გადამკიდებია?!.

„ელგუჯა“ ჯერაც ფელეტონებად რომ იბეჭდებოდა „დროებაში“, რედაქციაში შესულა აკაკი და კბილი გაუკრავს ჩემთვის, და მხოლოდ იმიტომ, რომ გაუგია, გრიგოლ ორბელიანია აღტაცებული ამ მოთხრობითო:

ქვეყნის დიდ ერთგულ კაცად გამოჰყავს სანდროს მისი ნათესავი სვიმონ ჩოფიკაშვილი, რომელმაც ბოლოს უღალატა მეფეს და გაუღო რუსის ჯარს დარიალის კარი. ხალხს დღემდის არ დავიწყებია მისი მოღალატეობა და ლექსად ამბობს: ეს რა ჰქნა ჩოფიკაშვილმა, ფიცი გატეხა ღვთისაო! დარეგვნა ბაგრატიონნი, თვით კი მეფეთა ზისაო!

ეს რომ გადმომცეს, წონასწორობა დავკარგე და კინაღამ ავტირდი. თანაც ვინც მითხრა, ვითომ თანაგრძნობით, მაგრამ გულის მოსაკლავად დასძინა: მაშ შენს გვარში, სამშობლოს მოღალატენი ყოფილანო?

მოვიკრიბე მთელი ძალ-ღონე და არ დავუთმე, ვერ ავიტანე ჩემი გვარის დამცირება, დაე აკაკისთანაც მიერბენინებინათ ენა:

– თუნდაც მასე იყოს – მერე რაო? გარსევან ჭავჭავაძემ ქართლ-კახეთს უღალატა, მაგრამ ახლა ილია ჭავჭავაძე საქართველოს ამშვენებს. ზურაბ წერეთელმა იმერეთი გასცა, მაგრამ აკაკი მამულის დიდებაა. სვიმონს, ჩემს სახლიკაცს, მამულისათვის რომ ელალატოს, მე ჩემდათავად არა მჯერა სვიმონის მოღალატეობა, მაცათ გავათავო მოთხრობა და მაშინ დასდეთ მსჯავრი ჩემს გმირსა.

არტისტთა ამხანაგობამ სიტყვის წარმოთქმა რომ მომანდო, „ივერიაში“ გამოქვეყნდა ჩემი საჯარო გამოსვლა, ჩავიკითხე და... ვერა ვიცანი რა. კორესპონდენტს თვითონ შეეთხზა რაღაც უნიჭობა და ჩემთვის მოეწერა.

კიდევ კარგი გამოსვლის ტექსტი, სახელდახელოდ ნათქვამი, ზუსტად აღვადგინე და ჩავინიშნე, და ახლა სასწრაფოდ ვაფრინე ბარათი „ივერიის“ რედაქციაში, ვაახლე ჩემი ნამდვილი ტექსტი და ვითხოვე მისი დაბეჭდვა, რათა მკითხველის თვალში უმართებულოდ არ დავმცირებულიყავ.

არ ვიცი, კორესპონდენტს რითი დაემართა, გულმავიწყობითა თუ განზრახ გაყალბების, ჩემი გაპამპულების სურვილით, მაგრამ რატომ უნდა შეეყვანათ საზოგადოება შეცდომაში „ივერიის“ საშუალებით. ეს ვერ მოვითმინე, თორემ ჩემზე რაცა სურთ, ის წერონ და ილაპარაკონ, შემაჩვიეს და ყურადღებასაც აღარ ვაქცევ.

ბარათს ილია ჭავჭავაძის სიტყვების მცირეოდნავ შეცვლილი ვერსიით ვამთავრებდი, ბატონი კორესპონდენტისთანა ხალხისათვის სწორედ უპრიანი რომ გახლავთ:

ჩვენი თეატრი,
თქვენ ხელში მკვდარი,
ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად,
და ამასაც თქვენ
ცოდვად გვითვლით ჩვენ,
რაღა პირითა დახვალთ ამქვეყნად?
გვიან თუ მალე,
დღესა თუ ხვალე,
რაც თეატრს ვცოდეთ, ის გასწორდება,
მაგრამ კი თქვენი
მრუდე საქმენი
ისევ ისევე მრუდედ დარჩება.

ილიას „პასუხის პასუხი“ რა კარგად გამომადგა.

ამ აკაკისა მიკვირს, ხან ისე რომ ლაპარაკობს და ხანაც ასე.

და ეს უსტარი თუ დაიბეჭდება „ივერიის“ ფურცლებზე – ანკი რატომ არ უნდა დაიბეჭდოს – გუნებაგანწყობილების კვალობაზე ერთ დღეს შეიძლება ერთი თქვას და მეორე დღეს – მეორე.

და მის ნათქვამს ალბათ ერთი ასე მაცნობებს:

ილიას ის სტრიქონებიც რა შესანიშნავია და სანდრომაც რა მოხდენილ პაროდიად გარდასახაო.

მეორე კი ასე:

ილიას ის სტრიქონებიც არ ექნა ღმერთს და სანდრომ ხომ მთლად წაახდინაო.

უცნაური ზნე კია, მაგრამ აკაკი ეგ არის. და მეც რომ გავნაწყენდე და იმანაც აღარ დამითმოს, ხომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა გადავეკიდოთ ერთმანეთს.

ღმერთმა დამიფაროს ამისაგან, აკაკის ერთ სასახელო კაცად რომ ვაღიარებ და მეამაყება, პირადად რომ ვიცნობ.

თუმც ჩვენს დამდურებას იმხელა ხმაური და ალიაქოთი არ მოჰყვებოდა, რაც ილიას და ვანოს დამდურებას მოჰყვა, მთელი ქვეყანა რომ მონაწილე შეიქნა ამ შუღლისა და დაპირისპირებისა.

მაინც ილიამ გადაამეტა, ისე გაამწვავა, თვითონაც მოიჭრა შერიგების გზა და ვანოსაც მოუჭრა, თორემ ვანო დიდხანს იყო მზად შეთანხმებისა და ერთობლივი მუშაობისათვის.

არა, ასე ადვილად არ ჩამთავრდება ეს ყველაფერი, რაღაც დიდ უბედურებაში გაეხვევა ორივე... რას არ გავიღებდი, სიცოცხლის წლებს დაუნანებლად დავთმობდი, ამ გავეშების ჩაშოშმინება რომ შემეძლოს და ამ ორი ჩემთვის ძვირფასი კაცის შერიგება.

ვანოსაც ვამტყუნებ, განა არა, მაგრამ უფრო ნაკლებად... როცა ილია ხარ, მეტიც მოგეთხოვება და მეტიც მოგეკითხება...

ნინო ყიფიანი

ლუარაბ ყიფიანის ქალი რომ დაინიშნა იმერეთის აზნაურ პეტრე მაჭავარიანზე, ქვიშხეთს ილიაც ესტუმრა ქორწილში დასასწრებად და თან მეგობრებიც ბლომად მოიყოლა: დავით მიქელაძე თუ გიორგი ჟურული, პეტრე ყიფიანი თუ გრიგოლ ყიფშიძე, ნიკო ერისთავი თუ ნიკო ხიზანაშვილი, ლევან ჯანდიერი თუ ალექსანდრე ჩოლოყაშვილი და კიდევ სხვანიც – ცნობილნი ზოგი მწერლობასა და საზოგადო მოღვაწეობაში, ზოგიც ორატორობაში ბანკის ყრილობებზედ, ზოგიც ბანკის მსახური იყო.

მათთან ერთად მოჰყვა ილიას ქართლის თავადაზნაურთა რამდენიმე ოჯახი, მათ შორის სტუმართმოყვარეობით სახელგანთქმული სარდიონ ამირეჯიბი ცოლითურთ – მაკინეთი, არანაკლებ სახელგანთქმულით თავისი შესანიშნავი სიმღერით, ცეკვითა და დაირის დაკვრით.

ტოლუმბაშად ლევან ჯანდიერს აირჩევდნენ. დაილეოდა სადღეგრძელო ახალდაქორწინებულთა, მათი მშობლებისა და... ამის შემდეგ მთელი ყურადღება გადაინაცვლებდა ილიასაკენ. თვითეული წევრი მისი ამალისა ილიას მიმართავდა სიტყვით და ილია გახლდათ ცენტრი მათი გულისა და გონებისა, და სხვაფრივ როგორ იქნებოდა, სადაც კი ილია დაესწრებოდა.

თავიდან სიძის მაყრებიც დიდი პატივისცემით მიმართავდნენ ილიას და სვამდნენ მის სადღეგრძელოს, მაგრამ როდესაც ორი დღის განმავლობაში მხოლოდღა ილიასა და მისი მეგობრების სახელები გაისმოდა და ეს მაყრები თითქმის აღარავის ახსოვდა, უკვე დრტვინვა აუტყდებოდათ.

– რაშია, ბატონებო, საქმე! ჩვენც ხალხი ვართ, ჩვენც მოგვაქციეთ ყურადღება, შორიდან მოსულთ! – ხმამაღლაც გაისმა მათი საყვედურები.

თუმც ეს გარემოება ტოლუმბაშსა და მის თანამომხრეთ ნაკლებ აინტერესებდათ და ის სურდათ, დამსწრეთა გული და გონება მთლიანად ილიათი ყოფილიყო დაპყრობილი. ეს ასეც იყო, რასაც დიდად უწყობდა ხელს საუცხოო დეკლამატორის ნიკო ერისთავის მიერ წარმოთქმული ლექსები ილიასი.

მეტადრე ხაზგასმით წარმოთქვამდა იმ ლექსს – „ლოცვა“ – რომელშიაც ილია ევედრება უფალს: შეუნდოს უვიცებს. და უვიცებად ცხადია ივანე მაჩაბლის მომხრენი იგულისხმებოდნენ...

მე პირადად ყველას ვიცნობდი ილიას ამალიდან, ზოგს – ნათესაური დამოკიდებულებითაც. იცოდნენ, მაჩაბლის მომხრე რომ ვიყავი. და თუმც ილია ძველებურად აღარ მიხსნიდა შუბლს, მაგრამ ხომ ხელი უნდა გამხმობოდა, მისთვის შავი კენჭი ჩამეგდო ოდესმე!..

– რა კარგია ილია, ნინო, რა კარგი! – მითხრა ამალის ერთ-ერთმა წევრმა და მიმითითა მასზე, ვიღაცასთან მუსაიფში რომ გართულიყო.

– რაო? ახლა მაცნობ ილიას? – გაკვირვებით ვუპასუხე.

– როგორ მოგდის, რომ ილიას წინააღმდეგი ხარ?

– ისევე როგორც შენ ვანო მაჩაბლისა.

– ჩვენ არა ვართ წინააღმდეგნი! – წყენით მომიგო, – აი ჩვენ, 50 კაცამდე, ნეიტრალები ვართ, საითაც სიმართლეს ვხედავთ, იქით ვაძლევთ ჩვენს ხმასა. ასე არა სჯობს? აი შენც ჩვენს ჯგუფს შემოუერთდი.

– მერე, თქვენ დალოცვილებო, თუ ნეიტრალები ხართ, – გავცხარდი, – იმდენ საკითხში, რომლებიც ბანკის კრებებზე ირჩევა, ასე ყველაფერში როგორ ტყუის ვანო მაჩაბელი, რომ თქვენი, ეგრეთწოდებული ნეიტრალების, კენჭები მთლად მისი საბუთების გასაშავებლად იყრებიან ყუთებში? მე თქვენი ნეიტრალობა არა მწამს და ვერც შემოგიერთდებით.

არ ეამა ეს პასუხი, მაგრამ იმჟამად მათ სხვა რამ უფრო აწუხებდათ – ილია ორი დღეა ქვიშხეთში იმყოფებოდა და ჩვენს ოჯახში კი არ მოსულიყო. თუკი მას არა სურდა, ჩემი მხრივ როგორლა შევაწუხებდი? არადა ეს გარემოება საჩოთიროდ ეჩვენებოდა ყველას. როგორ? ილია ქვიშხეთშია და... დიმიტრი ყიფიანის ოჯახში არ მიიწვიონ!

მაგრამ სარდიონ ამირეჯიბის ჩარევამ ყველაფერი ერთბაშად მოაგვარა და... აი 12 საათზე გვეწვია ილია თანმხლებლებთან ერთად, შემოვიდა დარბაზში და შემოანათა თავისი ნათელი, მშვენიერი შუბლითა და მოცინარი ლამაზი თვალებით.

და მეც მივეგებე, როგორც შეჰფეროდა ასეთ დიდ სტუმარს.

აათვალ-ჩაათვალიერა იქაურობა, მკითხა კოტეზე, ჩემს მეუღლეზე. გავედით აივანზე და დიდხანს გადაჰყურებდა ბუნების დიდი სილამაზის სურათს.

ვინ იცის, რას ფიქრობდა ილია დიმიტრიზე მისი აივნიდან გადამყურე?

და უეჭველად კი ფიქრობდა იმ დიმიტრიზე, რომელსაც ისე სასტიკად არ ინდობდა მათ შორის ატეხილი პოლემიკისას პრესაში, ბანკის გარშემო რომ მოუვიდათ, მაგრამ რომლის ვერაგულად მოკვლამაც ისეთი მოთქმა-გოდება გამოიწვია მასში.

გულგრილად ვერავინ წაიკითხავს ილიას იმ მეთაურს „ივერიაში", დიმიტრი ყიფიანის გამოსათხოვარს. იმ წერილმა ბევრს აუხილა თვალი, დარწმუნებული ვინც იყო, რომ ილიას სძულდა დიმიტრი, და ცხადად დაანახა ილია, როგორც უდიდესი პატრიოტი, როგორც უკეთილშობილესი მოქალაქე, როგორც დიდბუნებოვანი ადამიანი!..

რა ვუყოთ, რომ უთანხმოება შეემთხვათ ცხოვრებაში საბანკო თემატიკის გამოისობით.

როგორ ამბობენ? ყველა გზა რომში მიდისო.

და ამ ორი ბუმბერაზი ქართველის რომი – ხალხის, სამშობლოს კეთილდღეობა გახლდათ და ორივე მისკენ მიისწრაფოდა. და როდესაც მოწყვიტა ულმობელმა მტერმა სამშობლოს ერთი მათგანი, მეორე ატირდა ვაჟკაცური ცრემლებით.

უკვე მოხუცებულობაში მყოფი ჩემი დედამთილი ნინო სადილობამდე არავისთან გამოდიოდა თავისი ოთახიდან, აქ კი ილიას პატივსაცემად გამოვიდა ისიც.

მსმენია მისგან ილიასადმი საყვედური, როდესაც სიტყვა მოიტანდა ხოლმე:

– საძაგელი, საძაგელი ილია, ჩემს ღვთაებრივ დიმიტრის რომ ასე აწყენინებდა.

მაგრამ მაინც ამას არ დაუშლია მათთვის, მიჰგებებოდნენ ერთიმეორეს დიდი პატივისცემით და გაებათ გულითადი მუსაიფი.

აქაც ლევან ჯანდიერი იტოლუმბაშებდა. პირველი ხსენება რა თქმა უნდა დიმიტრისა გახლდათ. ამ სახელზე პირველი წამოდგა ილია და დიდი შთაბეჭდილების სიტყვა წარმოთქვა, რომლითაც მიმართა დიმიტრის მეუღლეს და მწარედაც აატირა. ჩემდა სავალალოდ ვეღარ ვიხსენებ მთელს მის შინაარსს, თუმც ხსოვნაში გაუხუნარად ჩამრჩა უკანასკნელი ფრაზა:

– ამნაირად დიმიტრი იყო ჩვენი ხუროთმოძღვარი და ჩვენ კი მისი კალატოზები.

მხიარული დროსტარება დიდხანს გაგრძელდა ნიკო ერისთავის დეკლამაციითა და მაკინე ამირეჯიბის წარმტაცი ცეკვა-სიმღერით, ბევრჯერ რომ დაუტკბია ილიასთან მყოფი უცხო სტუმრებიც.

ილიაზე ამბობენ: სმენა არ ჰქონდა და არც სიმღერა უყვარდაო.

მუსიკალური სმენა იქნებ მართლაც არა ჰქონდა, რომ თვითონ ემღერა, მაგრამ სიმღერის უსიყვარულობა კი ძალზე საეჭვოა. აი თუნდ აქ, როდესაც მაკინე მღეროდა მისგან შექმნილსა და მასთან ერთად დასამარებულ შესანიშნავ ხმას ალექსანდრე ჭავჭავაძის სიტყვებზე: ჭმუნვის მახვილი გულსა მსობია, მიკვირს, რომ სული რად არ მხდომიაო, – ილიას სახის, მი-

სი თვალების გამომეტყველებას ემჩნეოდა აშკარად, დიდ სიამოვნებას რომ განიცდიდა.

სუფრის მხიარულებას აღვივებდა თავისი ოხუნჯობით დარდიმანდი ლევან ავალიშვილი, მთელი ცხოვრება ქორწილებსა და დღეობებში სიარულში რომ გაატარა, ახლა კი ერთი სადღეგრძელოს დასალევად ილიას ღვინო ჩაის ჭიქით შესთავაზა.

– თავი მტკივა, ჩემო ლევან, ვერ დავლევ, – მოუბოდიშა ილიამ.

– აბა მაშ თქვენი ჭირიმე ეგ თქვენი ავადმყოფი თავი გამიცვალეთ ჩემსაში, – შეეხუმრა ლევანი.

ილიას გაეცინა და დინჯად მიუგო:

– წააგებ, ჩემო ლევან, დამიჯერე, წააგებ.

იუმორი თუ ვინმეს ჰქონდა, ილიას ჰქონდა, და ეს მოსწრებული პასუხიც იუმორის კლასიკური ნიმუშია, იმ წუთსაც მთელი სუფრა რომ აიყოლია და ყველამ სიცილი დააყარა დარდიმად თავადიშვილს:

– ვაითუ წააგო, ლევან, ვაითუ წააგო!..

მე ვიჯექი ილიას პირისპირ, ერთ გვერდზე მეჯდა ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, მეორეზე – ლევან ჯანდიერი. და უეცრად ალექსანდრემ ჩამიჩურჩულა:

– ნუთუ არაფერს ეტყვით ილიას?

მე შევკრთი და შეშინებულმა მივუგე:

– არაფერს, ბატონო ალექსანდრე, არაფერს. მე ეგ აზრადაც არ მომსვლია!

მის ჩურჩულს ყური მოჰკრა ტოლუმბაშმა და ახლა ის ჩამაცივდა. მაინც რომ ვერ დამითანხმეს, უეცრად წამოდგა ლევან ჯანდიერი და საჯაროდ განაცხადა:

– სიტყვა ეკუთვნის ქალბატონ ნინოს.

– ახა ვაითას! – იცოდა ხოლმე ამისთანა შემთხვევებისას თქმა დიმიტრი ყიფიანმა. და სწორედ ასეთ ყოფაში ჩავვარდი... ილია ისეთი ღიმილით შემომაცქერდა, თითქოს მამხნევებდა... და უპირველესად მაინც მისი სტრიქონები წამომეშველა:

ქართვლის დედაო! ძუძუ ქართვლისა უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა,
დედის ნანასთან ქვითინი მთისა მას უმზადებდა მომავალ გმირსაო!

და ავაშენე კიდეც ამ ლექსზე პატარა სიტყვა გამარუსებელი პოლიტიკის მიზეზით გადაგვარების გზაზე ქართველი ქალის შედგომის გარშემო. და გამოვთქვი ჩემი დიდ წუხილი, რომ უშვილო ქართველი ქალი ვერ ვუსრულებ ილიას ამ დავალებას, ამ უზომო სურვილს.

ატყდა მხურვალე ტაშისცემა, აქეთ-იქიდან დამიწყეს ხელზე კოცნა, მაგრამ ჩემი ყურადღება ილიასკენ იყო მიპყრობილი. მანამდე თავდახრილმა პირველად მას შევხედე... იგი მოშტერებით მიყურებდა. თითქოს ფიქრობდა იმ ქართვლის დედაზე, რომელსაც ლექსად მიმართა და რომლისგანაც მოელოდა კირთებქვეშ მგმინავი ხალხის გამოსახსნელად გმირების აღზრდას.

და რომ მე, ერთ-ერთს იმ დედათა შორის, თურმე გულზე მომხვედროდა მისი მომართვა, ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი იმ კმაყოფილებით სავსე ღიმილისა, რომელიც ბოლოს გადაეშალა სახეზე და რომელსაც – ასე მგონია –

ვერ მიჰგვრიდა მისადმი მიმართული დიდი მჭევრმეტყველებით წარმოთქმული სიტყვაც.

ეს იყო ჩემთვის დიდი განცდის წუთები.

და... მას შემდეგ ჭავჭავაძისტებში ხომ არ გადავინაცვლე?

მე რას გიამბობთ და თქვენ კი გონება საით მიგირბით, სულ გადანაცვლება-გადმონაცვლებისაკენ, სულ ინტრიგისაკენ, სულ ჩახლართვისაკენ.

აღმაფრენა ჩამიფერფლეთ არ შეკითხვით.

ეჰ, რაც არის, არის:

არა, ჭავჭავაძისტებში არ გადამინაცვლებია, ბოლომდე მაჩაბლისტად დავრჩი.

ამტკიცებენ:

ივანე მაჩაბელმა წააგო ილიასთან ბრძოლა და იძულებული შეიქნა ბანკიდან წასულიყოო.

არადა მე სულ სხვაგვარად მახსოვს ის ამბავი.

ბრძოლა მოიგო ვანომ, სწორედაც მოიგო და კიდეც გაისტუმრა ილია ბანკიდან... მაგრამ მისი წასვლა ვეღარ გადაიტანა და თავისი ნებით ჩამოსცილდა იქაურობას. ამ უჩვეულო, გამაოგნებელი გადაწყვეტილების მიზეზი კი მეგობრებს ასე აუხსნა:

– ილია აღარ დადის ბანკში, უთავმჯდომარეოდ კი საქმეები ფერხდება და ბანკი, ჩვენი კულტურული საქმიანობის ეს ერთადერთი მასაზრდოებელი, მე ხომ არ უნდა შევიწირო?!.

რაო, რას ბრძანებთ:

ამას იმიტომ ხომ არ ვიგონებ, რომ ლეგენდური იერით შევმოსო ივანე მაჩაბლის სახელი?

მოსაგონებელი და შესათხზველი რა არის, ან რა ჩემი ხელის წაშველება ესაჭიროება, როდესაც ივანე მაჩაბელი ისედაც ლეგენდის მკვიდრია და ბინადარი.

ანასტასია ერისთავი-ხოშტარია

ყმაწვილქალი ვიყავი, ილუზიები რომ შემომეძარცვა და საყვარელი წიგნებიღა შემრჩა სანუგეშებლად ერთფეროვანი ცხოვრებისათვის განწირულს. წიგნებმა მიხსნეს, არ დამანებეს ხელი ჩამექნია და სასოწარკვეთილების მორევში ჩავძირულიყავ.

გამიტაცა მწერლობამ და კალმის პირველი მოსინჯვისთანავე გამამხნევა აკაკი წერეთლისა და ივანე მაჩაბლის ყურადღებამ, და შთამაგონებდა ილიას ძლიერი კალმით დასურათებული ყოფა.

ბედის გაღიმებად მიმაჩნია, ვანო მაჩაბელი ჩვენს ოჯახს კიდევ უფრო მეტად რომ დაუახლოვდა – შეირთო ჩვენი მეზობლისა და ნათესავის ქალი ტასო ბაგრატიონი. და კიდეც მომეცა საშუალება უფრო ხშირად ვსტუმრებოდი თბილისს და ვზიარებოდი სულიერად ამამაღლებელ ცხოვრებას აკაკისა და ვანოს წრეში.

რარიგ ვესწრაფოდი ილიასთან დაახლოებასა და მისი ცხოველმყოფელი სხივების შეგრძნებას, მაგრამ იქამდე ვერადავერ მივაღწიე, რაკიღა ირგვლივმყოფთა შური, მტრობა, ცბიერება, ფუქსავატი ბრწყინვალება მჭიდროდ შემოხვეოდა სუსტი ნებისყოფის ვანოს სპეტაკ სულს.

ასე აღმოვჩნდი ილიას მოწინააღმდეგეთა ბანაკში.

ერთხელ ბანკის კრებას დავესწარი, ავისრულე ბავშვობიდანვე საოცნებოდ ქცეული სათაყვანებელი ადამიანის ნახვის სურვილი. მოვისმინე დიდებული ორატორის სიტყვა და აღტაცებული დავეჩქარე გამეზიარებინა ჩემი შთაბეჭდილება ვანოსათვის:

– შეურიგდი ილიას, ნუთუ შეუძლებელია შენთვის მასთან შეთანხმება?

– მაშ შევურიგდე? – თითქოს დათმობის კილოთი შემეკითხა ვანო, მაგრამ...

ვაი, რომ „მაგრამ“.

და ეს იმიტომ, რომ მაშინდელი თბილისის მოწინავე საზოგადოებას რაღაც აღმაშფოთებელ სენად მოსდებოდა მაჩაბლისტებად და ჭავჭავაძისტებად დაყოფა.

და მათ შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება იმდენად გამწვავდა, რომ საქმის გამოსარკვევად რუსეთიდან რევიზორებიც კი ჩამოვიდნენ.

ისინი მეორე დღეს ეწვივნენ ვანოს, მაგრამ ილაპარაკეს გარეშე საკითხებზე, ხოლო ბანკის საქმეებთან დაკავშირებული უსიამოვნებანი არც უხსენებიათ.

შემდეგ სადილად იყვნენ მიწვეულნი ილიასთან.

მხოლოდ მესამე დღეს შეხვდა კიდევ მათ ვანო ალექსანდრეს სახელობის ბაღში გამართულ ლატარეა-ალეგრაზე, რომელსაც დიასახლისობდა ვახტანგ ორბელიანის ქალი მარიამი. რევიზორებთან ლაპარაკი საჭირბოროტო საკითხებზე ვერც იმ დღეს მოხერხდა.

რევიზიამ ორ კვირაზე მეტხანს გასტანა.

ამ ხნის განმავლობაში რევიზორები ერთხელაც აღარ მისულან ვანოს ოჯახში, ილიას კი ხშირად სტუმრობდნენ.

ვანო ნერვიულობდა, ამხანაგებთან ერთად ღელავდა.

ბოლოს გამოსათხოვარ ვახშამზე რევიზორებმა სიამოვნებით მიიღეს ვანოსაგან მიპატიჟება.

ვახშამს დაესწრნენ ყველანი, რომელთაც კი ილიასთან უთანხმოება და ბრძოლა ჭეშმარიტ საქმედ მიაჩნდათ. სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე ცლიდნენ, მოუთმენლობა მატულობდა, ყველანი რევიზორებს შეჰყურებდნენ და თითქოს რაღაც ამდაგვარს მოელოდნენ: თქვენ მართალნი ხართ! ილიას გამოისობით ბანკი დაღუპვის გზაზეა შემდგარიო.

და სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ერთ-ერთი რევიზორის სადღეგრძელო, წრფელი და გრძნობით აღსავსე. თითქოს ცივი წყალი გადმოესხას მათთვის. არადა:

მან ურჩია ვანოს, ნაკლებად აჰყოლოდა გაბოროტებას და შეთანხმებოდა უბადლო საზოგადო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს, რომლის წყალობითაც

ბანკის მართვა-წარმოება ღირსეულად დაყენებულიყო და ზარალი არც მომავალში მოელოდა, თუ რასაკვირველია ისეთი ნიჭიერი პირები, როგორც ილია და ვანო იყვნენ, ერთად იმუშავებდნენ. ერთად და მხოლოდ ერთად.

ვანომ რევიზორები სადგურზე რომ გააცილა, იქ შეხვდა ილიასაც, მაგრამ...

მათი ურთიერთობა კვლავინდებურად დაჭიმული დარჩა...

ისევ სოფელს რომ დავუბრუნდი, თან წამოვიღე მეხსიერებაში მკვეთრად აღბეჭდილი ილიას სახე, მისი დინჯი, ენაწყლიანი ლაპარაკი, გულის სიღრმიდან აღმოხეთქილი მგზნებარე სიტყვები.

ვკითხულობდი მის ნაწერებს და: თვითონაც შემოქმედების ალში გახვეული ვესაუბრებოდი ჩემი რვეულის ფურცლებს, თან მეკრძალებოდა, რარიგ მეკრძალებოდა ასეთი ბუმბერაზის გვერდით ჩემი ახალგაზრდული აღმაფრენისა.

და კიდევ უფრო ვემადლიერებოდი ჩემს ძვირფას მასწავლებლებს – მიხეილ ყოფიანს და ნიკო ლომოურს – რომელსაც მაზიარეს და სრულყოფილად განმაცდევინეს ილიას მომაჯადოებელი სიტყვის მადლი.

მხოლოდღა შორიდან: მისი ხილვაც, მისი მოსმენაც, არადა ხომ შეიძლებოდა, ხომ შეიძლებოდა...

ზაქარია ყიფშიძე

არა, ილიას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ზოგიერთი ისეთი დეტალი შემიძლია გაცნობოთ, რასაც სხვაგან ვერსად წააწყდებით, ანდა ამ სახით ვერ იპოვნით.

ჩემი ძმები იცნობდნენ კარგად და ძალიან კარგადაც: გიგაც და საშაც, დიახ, თქვენ რომ ალექსანდრე ფრონელად გსმენიათ. და სწორედ მისი ბარათებიდან შემიძლია ამოგიკრიფოთ ის რეალიები.

იმხანად მოსკოვში ვსწავლობდი, სამხედრო სასწავლებელში.

და აი შემატყობინა ისიც, თუ როგორ დაიწყო ილიამ მოგზაურობა ქართლში, საშა მას ადმირალ აველანს რომ ადარებდა, მის თანმხლებთ კი – აველანის შტაბს.

სტუმრებოდნენ ახალგორს ნიკო ერისთავს, ლექსების ერთ საუკეთესო მკითხველს: დავით მიქელაძე, ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, ლევან ჯანდიერი, ანდრია ღულაძე და ჩემი ორივე ძმა. დიდი ამბით მიიღებდნენ. ეზოში სკოლის შეგირდები იმღერებდნენ: „ტყეს ესხმება ფოთოლი“ და „ქართველო, ხელი ხმალს იკარო“.

და ვიდრე სახლში შევიდოდნენ, მიიწვევდნენ პატარა, ტურფა კარის ეკლესიაში, სადაც ადგილობრივი მღვდელი – საშას ამხანაგი რომ აღმოჩნდებოდა – „რეჩით“ მიმართავდა ილიას და მასაც აკურთხებდა და მის შტაბსაც.

ნიკო ერისთავის ყოფას ნამდვილ ფეოდალურად აღიქვამდნენ. ეზოს ქვის გალავანი ერტყა და შიგნით ხუთი ციხე მოთავსებულიყო.

მოენახულებინათ აგრეთვე ოძისი, შეწირული მეორე ერისთავის მიერ სათავადაზაურო სკოლისათვის. დარბაზი მართლაცდა უშველებელი ჰქონია იმ შენობას.

მოენახულებინათ ყოფა მუხრან-ბატონისაც: მისი შესანიშნავი მარანი, ორ სართულად ჩაშენებული მიწაში, სადაც დაცულიყო 400 000 მანეთად ღირებული ღვინო. და სადილად იგემებდნენ ოცი წლის წინათ დაყენებულ ამ მადლიან წვენს.

ძლიერ მოიხიბლებოდნენ ქსნის ხეობით.

მეორე კვირას ეწვეოდნენ ყიფიანებს ქვიშხეთში. დიდი ამბები იქნებოდა იქაც. დიმიტრი ყიფიანის სახლში საუზმისას იმდენი „რეჩი“ ითქმოდა, რომ საშა სმენით დაღლილიყო კიდეც. ილიას ბევრი ულაპარაკნია, მაგრამ დასვენებით, მოკლედ და მკაფიოდ.

გამაოგნებელ შთაბეჭდილებას რომ ახდენს ილიას საჯარო გამოსვლები, საშა იმასაც დასძენდა:

ანკი ვინ გადურჩება დაუმონებელი მის გონიერ ლაპარაკს, ახდილ შუბლსა და მშვენიერ წყლიან თვალებსო.

მაკინე ამირეჯიბი კინაღამ გადაირეოდა. ქმართან ერთად ახალგორშიც იმყოფებოდა და ქვიშხეთიდანაც დიდი ამბით გამოეცილებინათ მასაც და სარდიონსაც ძვირფასი სტუმარი. ბარბარინოს სადგურამდე ასი ქალი და კაცი გამოჰყოლოდათ. და ილია დიდად ნასიამოვნები დარჩენილიყო. არ მოელოდა. იულიაც, მეუღლე წვერის მემამულე აბელ კალატოზიშვილისა – ესენიც არ ჩამოუვარდებოდნენ ამირეჯიბებს სტუმართმოყვარეობითა და გულთბილობით, ინტელიგენციას მათკენაც ასერიგად რომ მიუხაროდა ხოლმე – მიიწვევდათ წვერში, ილია და მისი ამალის წევრები მეორე დღისათვის რომ შეპირდებოდნენ სტუმრობას. მათთან ერთად მოინდომებდნენ გამგზავრებას პეტრე და მიხეილ გრუზინსკებიც, ბატონიშვილები.

საშა გაკვირვებას გამოთქვამდა ბარათში:

ხედავ: იულია, მოწინააღმდეგე ილიასი და დამწუნებელი მისი „განდეგილისა“ და „დიმიტრი თავდადებულისა“, რა ამბებშიაო?!.

აბელ კალატოზიშვილის სახლშიც განსაკუთრებული პატივით მიიღებდნენ, და იულია, საჯაროდ რომ გაეკიცხა ცოტა ხნის წინათ „განდეგილი“, სულ „რეჩებითა“ და ხოტბით მიმართავდა ილიას, რომელსაც თავის მხრივ შესანიშნავი სიტყვა უთქვამს შესახებ სვინიდისისა, დიდ შთაბეჭდილებას რომ იქონიებდა მსმენელებზე.

თვითონ ილია საშინლად აღელვებული ყოფილა და დიდი დალაგებით, მოხერხებით, გრძნობითა და გამჭრიახობით ულაპარაკნია.

საშას რამდენჯერ მოესმინა ილიას საჯარო გამოსვლისათვის, ვინ დათვლის, მაგრამ გაოცებულმა მამცნო:

აგრე მოლაპარაკე ილია თითქმის არ მინახავს, დღესაც ვერ მივმხვდარვარ, რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზიო.

სიტყვა კი, უფრო ალბათ ქადაგება, ასე შეუჯამებია:

– ნამუსიანმა კაცმა ყელიც რომ გამომჭრას, არ მეწყინება, რადგან ამას ნამუსი და სვინდისი ეუბნება, გულწრფელად არის დაჯერებული, რომ მე მავნე კაცი ვარ და ქვეყნისათვის საჭიროა ჩემი მოშორება. ეს იმისი რწმენაა გულწრფელი, და გულწრფელი კაცისაგან, შეიძლება ცდებოდეს, მაგრამ მაინც არ მეწყინება. მაგრამ უნამუსო კაცს სიტყვის თქმასაც უმართებულოდ არ ვაპატიებ, იგი იმეორებს სხვის ნათქვამს და ამისათვის იგი მავნე და მაშასადამე ღირსია სასჯელისა.

და საშა ილიას ამ დასკვნას დასძენდა:

ხომ მიხვდი, სადა სცემს მათრახებსო!..

1 იანვარს საღოლაშენში ყოფილიყვნენ, იქიდან კი ხვედურეთს გასულიყვნენ. დიდი ქეიფი და „რეჩობა“ ჰქონიათ. ილია იქაურ საზოგადოებაზეც გამაოგნებელ შთაბეჭდილებას რომ მოახდენდა, არავის დასტური აღარ ესაჭიროება.

ერთ ბარათში მომწერდა:

აქაური ამბები ბევრია, მაგრამ როგორ გინდა აღნუსხო მცირე წერილშიო.

ბანკობიანობა გაჩაღებულიყო და „ივერიაზე“ მიმითითებდა: იქიდან შეიტყობ ბევრსაო. თუმც ანგარიში კი უშნოდ ყოფილა შედგენილი.

ივანე მაჩაბელს დიდი დასი ჰყავდა, მაგრამ საშა ვარაუდობდა, რომ: მაინც ვერ გაიმარჯვებდა. კამათისას კი ტყავს გააძრობდნენ საცოდავს, არც მიშა დარჩებოდა გაუწეწელი. ორატორები არა ჰყავდა. ილიას კი შვიდი-რვა კაცი აბა რას გაუხდებოდა.

შეიცოდებდა საშა: საცოდავი ვანიჩკაო. იგი აგონებდა მოწამლულ მგლის ლეკვს.

ხვალ-ზეგ კიდეც გათავდებოდა კამათობა და არჩევნებიც გაიმართებოდა.

პალიკო ყიფიანზე მომწერდა, მეც კარგად რომ ვიცნობდი, ბაქოში ბანკის ფული როგორ გაეფლანგა. და უკვირდა: კაცი წყნარი, ჩუმი, კარგი ამხანაგი, განვითარებული და... ფულის გაფლანგვაო!..

ქაღალდის თამაშმა ეგ იცისო, – ნიშნს უგებდნენ, და საშას ეს პასუხი ჰქონდა:

განა ილია არა თამაშობს ქაღალდსა? მაგრამ სალი კლდესავით მაგრა დგას, საზოგადო კუთვნილებას მოწინებით უყურებს და არწივივით იფარავს მობარებულ ქონებასო...

მაცნობებდა, როგორ წასულიყო ილიასთან აღდგომის მისაგებებლად ძველი ჩვეულებისამებრ. კარგა ხანი იყო, ეს ბედნიერი დღე მასთან აღარ გაეტარებინა. რაკიღა ახალციხეში გადაეყვანათ სამსახურში და იმ დღეებში იქით ეპირებოდა წასვლას, სურდა გამგზავრებამდე დამტკბარიყო დიდებული მოხუცის ცქერით.

მართლაც დატკბებოდა, გულით იმხიარულებდა და გამოთხოვებისას შვილივით ეამბორებოდა.

ასეთი სიამოვნება მისთვის დაუვიწყარი იქნებოდა და, კი უნდა მივმხვდარიყავი, რა გულმოსაკლავად და გულდამწყვეტად იმოქმედებდა მასზე ის უწმაწური სიტყვები ილიას შესახებ, მოსკოვში რომ გავიგონე და ვაცნობე.

თავის მხრივ მამცნობდა: აქაც გაისმის მაგისთანები კანტიკუნტად და ერთნაირად მოქმედებენ ჩემზედო.

ლევან ჯანდიერს საშასათვის ვახშამი გაემართა გაცილების წინ. ილია ყველგან რომ ესწრებოდა, აქ მითუმეტეს დაესწრებოდა. იქ ეთქვა:

– კვირაში ერთხელ შევიკრიბნოთ ხოლმე, ჩვენს გაჭირვებაზე ვილაპარაკოთ და ამ საღამოებს საშას სახელი ვუწოდოთ.

საშას სახელი ვუწოდოთო აბა?!.

და სიამაყით დაურთავდა – ჩემი საფიცარი ძმა:

ეს ამბავი გინდ დაიჯერე და გინდ არა, ნამდვილი კი არისო!..

სხვაც არაერთი დეტალი მოიძებნება საშას ბარათებში, მაგრამ მირჩევნია ორი სხვა ამონარიდი გაგაცნოთ.

ერთი ლადო ედილაშვილის მონაწერიდან:

ყველიერში საშინელი კრივი გამართულიყო გორში, მთელი ქალაქი ფეხზე რომ იდგა. და იქ იქნებოდნენ „ივერიელებიც“: ილია, დავით მიქელაძე და ჩემი ორივე ძმაც – გიგაც და საშაც.

და მეორე ანდრო ნადირაძის წერილიდან:

ამირეჯიბებს საშას ბარათი მიეღოთ ქალაქიდან:

ილია მოდის და ჩვენც კარგა ბლომად ხალხი მოვდევთო.

რასაკვირველია დიდი ამბით მიიღებდნენ: ილიას, დავით მიქელაძეს, ჩემს ძმებს – საშასა და გიგას, გრიგოლ აბაშიძეს, ყიფიანებსა და სხვებს.

ორ დღეს იქ დარჩებოდნენ და მესამე დღეს ხვედურეთში პოსრედნიკი ციციშვილი გაიწვევდათ.

ამ დროს უსახელო წერილები მოსულიყო, ილიას ლანძღვა-გინებით სავსე:

იმიტომ დაეხეტები ქართლში, რომ მეკენჭეები გინდა იშოვნო, შე ასეთისეთოო.

ძალიან, ძალიან კი შებედეს!..

იქამდე გამწვავებულიყო ბრძოლა ორ ჯგუფს შორის, რომ როცა ორი მეზობელი ოჯახის წარმომადგენლები: კალატოზიშვილები, მაჩაბლის მომხრენი, და ამირეჯიბები, მომხრენი ილიასი, დაბრუნდებოდნენ სოფელში არჩევნების შემდგომ, ერთმანეთთან მთელი ორი თვე უბრად იქნებოდნენ.

მაკინე ამირეჯიბი თავისი სიმღერებით ძალიან ასიამოვნებდა ილიას, რომელიც ფეშქაშად გამოუგზავნიდა თავისი ნაწერების ოთხ ტომს და ზედ დააწერდა:

– რაც სიტყვას აკლდეს ბუნებით, თქვენმა ხმამ შეასრულოს.

სხვა ამონაწერებიც მომეძევება, შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი, თუმც ეგებ მაინც გამოგადგეთ... ოღონდ ამ წუთას ხელთ არა მაქვს და კიდევ მოგიწევთ სტუმრობა. თუ სხვარიგად ვერა, იმ ფრაგმენტებით მაინც რიგიანად გაგიმასპინძლდებით.

ილია განსაკუთრებულად ეპყრობოდა ახალგაზრდა მწერლებს, მეტად ფრთხილად და ლმობიერად.

იმხანად შედარებით ბევრსა ვწერდი და ყველა ჩემი ნაწერი იბეჭდებოდა „ივერიაში“. ჰონორარს რასაკვირველია არ მაძლევდნენ და არც მე მომითხოვია. მსმენოდა კი, რომ ხანდახან ჰონორარსაც იძლეოდნენ. და ერთხელაც გადავწყვიტე შემემოწმებინა: ვღირდი რადმე თუ ჩემს ნაწერებს ბეჭდავდნენ ისე, იოლად, მხოლოდღა გაზეთის შესავსებად. თან არც გასამრჯელოს დავიწუნებდი. ბოლოსდაბოლოს ხელმოკლე ჯარისკაცი გახლდით, ჯამაგირს ორ თვეში 9 მანეთსა და 15 კაპიკს ვღებულობდი.

მივიტანე ნოველა „ღუღუნი“ და ჰონორარი მოვითხოვე. გიორგი ლასხიშვილმა განმიმარტა:

– რაკიღა ფულს თხოულობ, შენი ნაწერი ილიამ უნდა წაიკითხოს და გადაწყვიტოს, მოგეცეს თუ არა გასამრჩელო, ასეთი წესია.

ეს ნათქვამი თან მემწარა და თან მეტკბილა... ერთიც ვნახოთ და: დაეწუნებინა... უნდა გამოვმშვიდობებოდი მწერლის სახელს, ხელი ამეღო წერაზე... თუ მოიწონებდა და... ავშენდებოდი, გავკეთდებოდი კაცი... ფულსაც ავიღებდი და მწერლის სახელსაც დავიდასტურებდი... ეჰ, რაც იქნებოდა, იქნებოდა... მომხდარიყო, რაც მოსახდენი იყო... და მივუგე გიორგის:

– წარუდგინე ილიას.

მაშინ აზრადაც არ მომდიოდა, რომ ერთი მოწონება თუ დაწუნება არაფერს მოასწავებდა, სულაც არა წყვეტდა მწერლის ბედს.

დავიწყე ლოდინი, რაც ორ თვეს გაგრძელდა. და ეს ხანი კალამს ხელი ვერ მოვკიდე... ვიყავ მღელვარებასა და სულიერ ტოკვაში.

ილია თავის განაჩენს აგვიანებდა.

ლამის ყოველდღე დავიარებოდი რედაქციაში, თუმც ილიასთან შეხვედრას ვერიდებოდი... მრცხვენოდა... ბოლოს მოთმინების საწყაული რომ ამევსო, ერთ საღამოსაც გადაავზნებული მიველ და მტკიცედ განვუცხადე გიორგი ლასხიშვილს:

– გამომირთვი ილიას ჩემი ნაწერი, სულერთია, წაუკითხავს თუ არ წაუკითხავს.

– კაცო, რა გაღელვებს, – დამიწყო დამშვიდება, – ილია სხვა შემთხვევაში უფრო დიდხანსაც აგვიანებს.

ამ ლაპარაკისას ილია შემოვიდა, მომესალმა და მაშინვე გატრიალდა თავისი ბინისაკენ. გამოვეთხოვე გიორგის და სიტყვა ჩამოვართვი, რომ ხვალისათვის ხელნაწერს დამიბრუნებდა.

მეორე დღეს რომ შევიარე რედაქციაში, უიმედოს გული მიქენჯნიდა. გიორგი სიცილით შემომეგება და დანახვისთანავე შემომძახა:

– ვბეჭდავთ, ვბეჭდავთ!..

გული გადამიქანდა, აკანკალებული ხელით ხელნაწერი ჩამოვართვი, გადავათვალიერე და პირკატა მეცა – ვერსად შესწორება ვერ აღმოვაჩინე. და გულში კიდეც ჩამწყდა რაღაც.

– გიორგი, – წამოვილუღლუღე, – ილიას არ წაუკითხავს...

დარწმუნებული ვიყავ, რომ მართლაც არ წაეკითხა და ჰონორარს მხოლოდღა მოწყალებად იმეტებდა.

– რას ამბობ, კაცო, როგორ არ წაუკითხავს?!. შინაარსიც გვიამბო. შენ რომ წახველ, ილიამ ხელნაწერი გამოიტანა და გვითხრა – დაბეჭდეთ და ფულიც მიეცითო.

– მერედა... არავითარი შესწორება?

– ეგ შენი ბედია, – კვლავ შემომცინა გიორგიმ.

ხელნაწერი ისევ გადავფურცლე და აღმოვაჩინე ორ ადგილას ილიას შენიშვნები, რაც უზომოდ აღელვებულმა პირველად ვერ შევამჩნიე.

ერთ ადგილას სამი-ოთხი სტრიქონი წითელი ფანქრით ფრჩხილებში ჩაესვა და გვერდის კიდეზე მიეწერა:

– წითლებშუა, ჩემი აზრით, მეტია.

ამ სტრიქონებით მგელი მყავდა აღწერილი და, როგორც მეგონა, შნოიანადაც.

მეორე ადგილას სიტყვასთან „ლოდნა" კითხვის ნიშანი დაესვა და კიდეზე მიეწერა: „ლოდინი". სხვა გასწორება არა ყოფილა რა.

რას მოასწავებდა ილიას შენიშვნების ამგვარი სიძუნწე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორფელეტონიან ნოველაში?

რასაკვირველია არა იმას, თითქოს ჩემი ნოველა სრულყოფილი ყოფილიყოს და ილიას არა ჰქონოდეს გასასწორებელი. თვით ილიას რომ დაეწერა ამ შინაარსის ნოველა, თუნდ ასევე ასხმულიც, როგორც მე მქონდა, რაღა თქმა უნდა ერთ სიტყვასაც არ გამოიყენებდა მთელი ჩემი ნაწერიდან. ასევე მოხდებოდა, ილია ჩემი ნაწერის სწორებას რომ შედგომოდა. მართალია ნაწერი გამდიდრდებოდა, გალამაზდებოდა, მაგრამ... ეს ხომ უკვე ილიას თხზულება იქნებოდა და არა ჩემი.

არც ის ყოფილა, თითქოს ილიას არ ემეტებოდა ახალგაზრდა მწერლისათვის ფერუმარილი, თავისი შესანიშნავი სახეები და მადლიანი გამოთქმები. დიდი მხატვარი გახლდათ და კარგად მოეხსენებოდა, რომ ყველა მხატვარს, დიდსაც და პატარასაც, თავისი ინდივიდუალობა აქვს, თავისი ფერადები, თავისი საერთო იერი, მოვლენათა თავისებურად შეცნობისა და თავის არსებაში თავისებურად გარდატეხის უნარი, ავად თუ კარგად, მაგრამ მაინც თავისებურად, და მთავარიც ეს არის, რომ სწორედაც თავისებურად, თავისებურად!..

ეს რომ ნამდვილად ასე უნდა ყოფილიყო, ის შენიშვნებიც ადასტურებდა.

როდესაც ნაწერის კორექტურას ვასწორებდი, შემოვიდა ნიკო ხიზანაშვილი, მკითხველები ნიკო ურბნელად თუ პლებსად რომ იცნობთ, და ვისარგებლე ამ შემთხვევით და ვკითხე:

– ამოვიღო ეს სტრიქონები თუ არა?

და ვუჩვენე ილიას შენიშვნა.

– ილია სხვისადმი იმდენად ფრთხილია, რამდენადაც თვისადმი ულმობელი, – მომიგო მან, – რაკიღა ასეთი შენიშვნა დაურთავს, მართლა მეტი ყოფილა... ენდე იმის გემოვნებას.

და მეც რასაკვირველია ვენდე.

და ილია რომ თავისი თავისადმი მართლაცდა ულმობელი გახლდათ, ამას მოწმობს კორექტურა მისივე ნაწერებისა. არაერთხელ მინახავს ილიას კორექტურა და უნდა მოგახსენოთ, რომ ვერცერთი ტოპოგრაფიული რუკა ვერ შეედრებოდა მას ნახაზობით. ან როგორ ახერხებდნენ ასოთამწყობნი ამ კორექტურის ამოკითხვასა და გასწორებას, საკვირველია პირდაპირ.

აბა არტემ ახნაზაროვი იყო!..

თავის ნაწერებს როგორ ექცეოდა, ვერ გეტყვით, მაგრამ საგაზეთო მასალას ან ბელეტრისტულ თხზულებას მას თუ მიანდობდნენ, მეტისმეტად დაუნდობლად ეპყრობოდა. სულაც არ ანაღვლებდა, რა უძილო ღამეები გაეტარებინა ახალგაზრდა მწერალს, რაოდენი ტვინისა და ნერვების დაძაბვა მოენდომებინა ამათუიმ სურათის ან ფრაზის გამოსაყვანად. კალმის ერთი მოსმით ულმობლად შეეძლო ამოეშალა მთელ-მთელი სურათები, მთელ-მთელი გამოთქმები. თავიდან გაუბედავად, მერე და მერე კი უფრო ენერგიულად ვებრძოდი ამ დაუნდობელ თარეშს ჩემს ნაწერებში, მაგრამ მთლად დასისხლიანებული გამოვდიოდი ამ ბრძოლიდან. კიდევ კარგი დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ქირურგია, უზომოდ მტკივნეული დამწყები მწერლის თავმოყვარეობისათვის.

ჩემი ბედი და მისი უზომო წყალობა, პირადად რომ გადამყარა ილიას!..

ივანე მაჩაბელი

ნინო ყიფიანმაც მითხრა და მერე სხვებმაც, გული გაგვიჩერდა, ილიამ იმ რუსულ სათამაშოს რომ შეგადარა, „ვანკა-ვსტანკასო“.

გულიც გასჩერებიათ და თავზარიც დასცემიათ და უამრავი ადამიანი მომჩერებია თურმე სუნთქვაშეკრული და გაფაციცებული მზერით: აჰადა ტყვიას აქვე ესვრის, ან ხელთათმანს გადაუგდებს დუელში გამოსაწვევადო.

იმაზეც კი აღარ დაფიქრებულან, რომ იარაღს არ ვატარებ და როგორ შეიძლება მესროლა.

რაღაც კი გაყინულა დარბაზში ერთბაშად, ჰაერი გახევებულა და სუსხად შემოჭრიათ სხეულებში.

ეს სუსხი მეც ვიგრძენი, თითქოს ხელ-ფეხი გამიშეშდა, მერე კი ზეზეც წამომაგდო... წამომაგდო სწორედ იმიტომ, ადგილიდანვე შემეძახა თავისი იმ შედარებით მოხიბლული და მისი თაყვანისმცემლების სიცილ-ხარხარსა და ტაშის გრიალში ჩაძირული ორატორისათვის:

– დუელში გიწვევ!..

პირზე მომადგა ეს სიტყვები და... ჰადაჰა კიდეც რომ უნდა გამოერღვია სიმწრით მოკუმული ბაგე.

ეს იგრძნო ნინომაც და იგრძნეს სხვებმაც. ამ სიტყვების მოსალოდნელობამ დაზაფრათ და გააფრთხოთ, სიტყვებისა, რომელსაც ბარიერთან უნდა დავეყენებინეთ ორივე. ნამდვილ ბარიერთან, გამეტაფორებულთან კი არა.

და რა გარანტია გვქონდა, რომ ერთ-ერთი ჩვენგანის სეკუნდანტი ატირდებოდა და ხელს აგვაღებინებდა ორთაბრძოლაზე, ილიასა და ნიკო ნიკოლაძის დუელისა არ იყოს, რაღაც ბედად რომ გადაურჩა ერთ-ერთი მათგანი უეჭველ დაღუპვას, დაღუპვას ერთიმეორის ხელით... და რა შეიძლება მომხდარიყო თურმე: ან ილია ჭავჭავაძე დარჩენილიყო ნიკო ნიკოლაძის მკვლელად და ან ნიკო ნიკოლაძე – მკვლელად ილია ჭავჭავაძისა.

ახლა გელიმებათ ამის თქმაზე... კიდეც უნდა გელიმებოდეთ, მაგრამ რომ არ ატირებულიყო სიმბორსკი?! მაშინ... მაშინ?.. ისე ძალიან რომ არ აქვითინებულიყო: საქვეყნო ტრაგედია იქნება ერთ-ერთი თქვენგანის აღსასრულიო, – მათი შერიგების შემდეგაც რომ ვერა და ვეღარ აწყნარებდნენ და გაიძახოდა: ეს უკვე სიხარულის ცრემლებიაო?!.

ჩვენი შემთხვევა სულაც იმას შეიძლება დამგვანებოდა:

შვილი მამას რომ ესვრის ტყვიას ან მამა – შვილს.

მამაშვილისაგან არც გავერჩეოდით და ერთიმეორის თვალშიც ასევე ვიყავით. ჩემს განცდებს რა დამავიწყებს და მისგანაც არაერთხელ მიგრძვნია მამაშვილური მზერა ჯერ კიდევ იმ წუთებიდან, „მეფე ლირს“ რომ ჩავუჯექით, მე მხოლოდ სახალისოდ და თავის გამოსაცდელად რომ მოვსინჯე ერთი-ორი პასაჟი და სურათი და ეგებ კიდეც გამოვცლოდი... ეგებ კი არა, გამოვეცლებოდი, სხვა საქმეები ისე მეწეოდნენ, ყოველ შემთხვევაში კარგა ხანს აღარც გავიხედავდი შექსპირისაკენ, ილია რომ არა...

მუზის კუთხესაც რომ მიაგნო ჩემს ერთიბეწო ოთახში, შთაგონება სადაც გვეწვეოდა ხოლმე, როგორც კი რომელიმე სტრიქონი გაგვიჯიუტდებოდა და გაგვიჯიქდებოდა და სიტყვაც მოუთვინიერებელი ხდებოდა...

როდის გაიბზარა რაღაც ჩვენს შორის, როდის გაჩნდა ნაპრალი, როდის გადიდდა, გადიდდა და გადიდდა?.. ვფიქრობ, ვფიქრობ და... ვერადავერ მომიგონებია...

რა იყო მაშინ ის „ვანკა-ვსტანკა“ რაღამ გაახსენა?

მე მივეცი საბაბი ჩემდა საუბედუროდ, მანამდე მე რომ გამოვედი სიტყვით და განვუცხადე მოპირდაპირეთ: როგორც უნდა დამანარცხოთ მიწაზე, ანთეოსივით უფრო მეტ ძალას მოვიკრებ, სიმართლეს რომ შევეხები, და უფრო ძალუმადაც წამოვიჭრები-მეთქი.

წინასწარ არა მქონია მოფიქრებული ეს შედარება, იმ წუთას დაიბადა და მეც გამეხარდა ანტიკური პერსონაჟის ეს წამოგონება და ჩემიანებმაც ისეთი ტაში დასცხეს, მახვილგონივრულ და შთამბეჭდავ ფრაზას რომ შეჰფერის, მთლად გამოსვლა გაანათა ამ შედარებამ და უეცრად თითქოს ცაშიც ამტყორცნა მართლაც რომ ანთეოსური ძალმოსილებით, და... ეს რა მიყო ილიამ, უეცრად ზეციდან რომ ჩამომაგდო და სასაცილო სათამაშოსთან გამათანაბრა?!.

მოზიდულია მშვილდი, კენტო, უფრთხილდი ისარს!..

უეცრად ამომიჩნდა ხსოვნის კუნჭულიდან ის შექსპირული სტრიქონიც და ილიას აღტაცებული სახეც: ეს რა კარგად გამოგვივიდა, შექსპირი ქართველი რომ ყოფილიყო, სწორედ ასე ათქმევინებდა მეფე ლირსო.

მოზიდულია მშვილდი, კენტო...

მოზიდულია...

დამიტრიალდებოდა გონებაში ის სიტყვები და კიდეც გამიბურღავდა, სხვა ვეღარაფერი რომ ვერ ჩააშოშმინებდა თავის იმ საშინელ ტკივილს, თვალებიდან ნაპერწკლებსაც რომ მაყრევინებდა, თუკი დუელში არ გამოვითხოვდი.

და უეცრად ილიას ის მამაშვილური მზერა დავიჭირე, ამდენი ხანია სადღაც ჩაკარგული და გამქრალი, თანაგრძნობის, სწორედაც დიდი თანაგრძნობის გამომხატველი.

თურმე ფერი დამიკარგავს, მთლად გათეთრებული ვმდგარვარ და ბევრი შეშფოთებულა: არაფერი დაემართოსო!..

მოზიდულია მშვილდი, კენტო, უფრთხილდი ისარს!..

უკვე ყველა მე შემომცქეროდა ფეხზე წამოჭრილს, უბრალოდ რომ ვეღარ დავჯდებოდი და უეჭველად რაღაც უნდა მომემოქმედა.

დუელი, დუელიო, – წამქეზებლური ხმებიც მომესმა.

თავსლაფი დაგასხაო, – თავმოყვარეობას მიღიზიანებდნენ.

მოზიდულია მშვილდი, კენტო...

მოზიდულია...

და... გამოვარღვიე სკამები, გამოვარღვიე და გარეთ გამოვვარდი, გული ამოვარდნაზე კი არა, გასკდომაზე რომ მქონდა...

...შენმა შემხედვარემ ისეთი საზარელი წუთი გამოვცადეო, – მითხრა მერე ნინო ყიფიანმა, – იმის შემდეგ სიკვდილი თვალნათლივ რომ გამომეცხადოს ცელით ხელში, ოდნავადაც ვეღარ შემაკრთობსო!..

დანიელ მასლოვი

ტულის გუბერნიაში, ბელევსკის მაზრაში, სოფელ კონდრატოვოში დაბადებული კაცი საგურამოში როგორ აღმოვჩნდი?

უკვე ძველი საგურამოელიც კი ვარ და...

იქ, რუსეთში სასოფლო-სამეურნეო კურსები დავამთავრე და მეფუტკრეობას მივყავი ხელი.

გადამწყვეტი აღმოჩნდა ჩემს ცხოვრებაში სოფელ ბუნინში ჩასვლა და იქ საერობო სამინისტრო სკოლის მასწავლებლობა. ამ სოფელში ვეზიარე ტოლსტოის მოძღვრებასაც და აქვე ამოვიკითხე გაზეთში, რომ: კავკასიაში, ტფილისის მახლობლად, სოფელ კიკეთში ესაჭიროებოდათ მეფუტკრე.

დავკარი ფეხი და გამოვემგზავრე. მოვაწესრიგე მიტოვებული საფუტკრე, მთელი ზაფხული ენერგიულად ვიმუშავე, მაგრამ იქაურობა დიდად არ მეჭაშნიკა და თვალყური დავიჭირე უკეთესი სამსახურის საშოვნელად.

ასე ჩამიყვანეს საგურამოში და წარმადგინეს ილია ჭავჭავაძესთან: მეურნეობის სხვადასხვა დარგი რომ გიყვარს, აი ეს მეფუტკრეობის სპეციალისტიაო.

საგურამოში გამიტაცა ადგილმდებარეობამაც და თვით პატრონმაც. თითქოს სამშობლოში მოვხვედრილიყავ, ისე ვგრძნობდი თავს და ყველასა და ყველაფერს ისე დავუახლოვდი, სიკვდილი თუღა დამაშორებს აქაურობას. და ჩემი საფლავიც აქ უნდა გაიჭრას, აქ და მხოლოდ აქ.

საგურამოში დამხვდა, თუმც მოხალისის მიერ გაკეთებული, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდი მეურნეობა. იმდენ შემოსავალს ვერ იძლეოდა, ოჯახს ეცხოვრა, მაგრამ თავის ხარჯს კი ანაზღაურებდა: მოსამსახურეთა ჯამაგირსა და ბეგარას იხდიდა და თანდათანობითაც ფართოვდებოდა.

საქონელი არც ისე ბევრი ჰყავდათ, მაგრამ ბატონმა სეპარატორი მაინც შეიძინა.

მინდვრები დათესილი იყო პურით, სიმინდითა და ქერით. ილია გლეხებისაგან მეოთხედს იღებდა – პირობისამებრ. როცა მიწას ამუშავებდნენ ქვრივ-ობლები, ანდა ცუდი, უმნიშვნელო მოსავალი მოვიდოდა, ილიას აღარაფერი აღარ მიჰქონდა მათგან. ხშირად რომ მაგზავნიდა გლეხებთან, მხოლოდ იმისთვის, რათა მათთვის ადგილზევე მეჩვენებინა, როგორ უნდა გაემრავლებინათ ფუტკარი.

წიწილებს ჩეკდნენ ინკუბატორებით. ამ კრუხების შესახებ ილიას რომელიღაც წიგნში ამოეკითხა: გამთბარი ბუდეებია, წიწილები ბუდეს ეჩვევიან და უკრუხოდ იზრდებიანო.

ილია ხომ ყოველთვის ცდილობდა, რომ მეურნეობის ყველა კულტურული წამოწყება ფართოდ გავრცელებულიყო გლეხებში და ჩაენერგა მათ შორის რაციონალური მეურნეობის ჩვევები.

ხშირად როცა სოფელში გამივლია, გლეხებს ჩემზე უჩვენებიათ:

– აი ეს არის, უკრუხო წიწილებს რომ ჩეკავს!

დიდ ყურადღებას აქცევდა მევენახეობასა და ღვინის დაყენებას, ზუსტად კი ველარ ვიხსენებ, რამდენი სათლი ღვინო მოსდიოდა მამულში.

ვაზის გავრცელებული ჯიშები იყო: რქაწითელი და საფერავი. ჰქონდა კაკლისა და თხილის-ფუნდუკის ბაღები. ბევრი ხეხილი ედგა, განსაკუთრებით კურკოვანი. ტყუილუბრალოდ რომ არაფერი დაკარგულიყო ბაღში, გვქონდა ხილისა და ბოსტნეულის სახმობი და კონსერვების „ქარხანა“. ამ საქმის სპეციალისტად გვყავდა გიგო თოიძე, რომელიც თეთრი ბლისაგან მშვენიერ სიროფებს ამზადებდა.

ნაირნაირი ყვავილი რომ იზრდებოდა, მეპატრონეს განსაკუთრებით უყვარდა იასამანი და ხვიარა ვარდი. ესენი ბლომად მოიპოვებოდა საფუტკრეში.

იმხანად 200 სკა მაინც გვყავდა. იყო შემთხვევები, როცა ილია საათობით დაუჯდებოდა ხოლმე სკებს და ჩაფიქრებული ადევნებდა თვალყურს ფუტკრების ცხოვრებას. რომ დასცლოდა, ეჭვიც არ მეპარება, ამ თემაზე მშვენიერ წიგნსაც შექმნიდა, ფუტკრების ცხოვრებას რომ შეჰფერის, სწორედ ისეთს.

მეურნეობა კი ძალიან უყვარდა.

ლურსმანი ან ხრახნილი რომ გატეხილიყო და სამჭედლოში წავსულიყავ – პატარა სამჭედლოც გვქონდა – და დამეწყო რკინის ნაჭრის გახურება

ლურსმანის გამოსაჭედად, ილიაც უსათუოდ თან უნდა გამომყოლოდა, აელო საბერველი და გაეხურებინა ქურა.

შევსწრებივარ ასეთ სურათსაც:

– თედო, აქ მოდი, აი ორი შაური, ეს შენია, არ გახსოვს? ჯამაგირი რომ მოგეცი, ხურდა არ იყო, აიღე, შვილო, შენი შრომის გასამრჯელოა!

ზედმიწევნით სამართლიანი გახლდათ. ყაირათიანიც იყო, და ეს იმიტომ, რაიმე სერიოზულ საქმეზე დაეხარჯა ფული და არა ტყუილუბრალოდ.

რა დამავიწყებს მის სიტყვებს:

– რისი გაკეთებაც თვითონ შეუძლია კაცს, კიდეც უნდა გააკეთოს. ეს აუცილებელიც არის და სასიამოვნოც.

ყოფილა შემთხვევა, ერთად შეგვიღებავს ბორბლები – ილია მონაწილეობდა საღებავების შეზავებაში, პროპორციის გამოანგარიშებაში და ბოლომდე ადევნებდა თვალყურს მუშაობას.

დაინტერესდა ჩია მცენარეების ბაღით – პატარა, ტანდაბალი ხეებით, რომლებიც ნაყოფს მესამე წელს იძლევიან. მოსე მოურავი გვარწმუნებდა: ასეთი ბაღი აქ არ გაშენდებაო, – მაგრამ მე მაინც გამოვიდე თავი და კიდეც მივაღწიე მიზანს, რითაც დიდად ვასიამოვნე ილიას.

ამ ბაღიდან აღარაფერია დარჩენილი, თუმც აგერ ის ხეები, რომელთაც შეჰყურებთ, აი ეს კაკალი და წაბლი, ილიამ დარგო თავისი ხელით. და როცა ამ წაბლს რგავდა, ნაღვლიანად მითხრა:

– დანიელ, ნუთუ ჩვენ ამ ხეების ჩრდილქვეშ დავსხდებით?

ეჰ ილიას მშვენიერი მეურნეობიდან აღარაფერი შემორჩა – აღარც ბაღი, აღარც ვენახი.

ხშირად სტუმრებთან ერთად აივანზე იჯდა, მე კი აქედან ფუტკრებზე მთელს ლექციას ვუკითხავდი მათ. სტუმრებიდან ყველაზე მეტად ვინ დამამახსოვრდა და: არტურ ლაისტი.

არ მახსოვს, რომ ილიას აქ თხზულებები ეწეროს. მიკვირდა და რამდენჯერმე ვკითხე კიდეც:

– თქვენს ნაწერებს მთელი ევროპა კითხულობს, თქვენ კი ყველაფერი მიატოვეთ.

რა მიპასუხა, იცით?

– არ არის უკვე ის შთაგონება, ის პირობები, და მასთან ახალი თაობაც მოვიდა, ჩემზე უკეთესი... იყო დრო, როდესაც ადვილად ვწერდი, თითქოს ვინმე მკარნახობდა, ახლა კი ისე აღარ არის, თავზე ძალის დატანება კი არაბუნებრივია და აქედან არაფერი გამოვა.

სადილზე ყოველთვის ორ ჭიქა ღვინოს სვამდა, მაგრამ მთვრალი არასოდეს მინახავს, არც შეზარხოშებული, გარდა ილიაობის დღისა.

ამ დღეს ვის აღარ ნახავდით აქ – უარის თქმა არ შეიძლებოდა და ანკი ვის უნდა ეთქვა. სხვა საქმეებს გადადებდნენ და ილიაობას არ გამოაკლდებოდნენ.

იხდებოდა ახალ-ახალი ქვევრები. მცხეთიდან ჩამოდიოდა მზარეული ვანო მღებრიშვილი საგანგებოდ ხაშის მოსახარშად. ილიას კი ყველაზე მეტად ხაში უყვარდა.

სადაც უნდა ყოფილიყო ბატონი, მეუღლე განუყრელად მასთან იმყოფებოდა.

ერთ საღამოსაც მე და ილია ვისხედით აივანზედ წყაროს მახლობლად. ჩვენს წინ გაიარა მოსამსახურემ, პოლონელმა ქალმა.

– მანია! – დაუძახა ილიამ, – ერთი ჭიქა წყალი თუ შეიძლება.

მოსამსახურემ იმ წუთასვე მოართვა წყალი წყაროდან.

ოლღა აივნის მეორე სართულზე იჯდა და ყველაფერს ხედავდა. უეცრად საჩქაროდ ჩამოირბინა კიბე, გაირბინა აივანი, სადაც ჩვენ ვისხედით, დაეცა მინდორში და დაიწყო თავის ხლა მიწაზედ. მე და ილია მივცვივდით მისაშველებლად, ავიყვანეთ, შუბლზე ცივი წყალი ვასხურეთ და გრძნობაზე მოვიყვანეთ.

– ოლღა, გონს მოდი! შენ ისევ შენებურად განაგრძობ. ნუ დაივიწყებ, რომ უკვე 70 წლისა ვარ, – უთხრა ილიამ.

ოლღამ მოუსმინა და მიუგო:

– დაამთავრე, ილია! ახლა მე დამიგდე ყური: ნუ დაივიწყებ, რა ბედნიერებაა ჩემთვის, რომ მოგიტანო ჭიქა წყალი, შენ კი ამ სიამოვნებას მიკარგავ.

აი რარიგ უყვარდა ილია!..

სიყვარული სიყვარულად, მაგრამ თქვენ ცოტა სხვაგვარადაც აღიქვით ეს ეპიზოდი? ეჭვიანობამაც იჩინა თავი? ძველმა განცდებმა გაუხსენა და ველარ მოზომა? ნება თქვენია, მე რაც ჩემი თვალით ვნახე, ის მოგახსენეთ... და ილია საბაბს თუ აძლევდა ოდესღაც? აბა რა გითხრა, მისი ახალგაზრდობისა მე რა ვიცი.

თქვენ ისა თქვით, აქაურობას რომ შევყურებ და ბევრი ველარაფერი მიცვნია.

ეჰ: ბაღი, ბაღი მაინც გადარჩენილიყო, ილიას ძეგლად, ილიას ოაზისად, ილიას ედემად...

ისიდორე რამიშვილი

წელიწადნახევარი დავყავი წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლაში, ვიდრე გამოვემშვიდობებოდი იქაურობას და საკმაოდ კმაყოფილიც დავრჩებოდი: ამ დროს უსარგებლოდ და უნაყოფოდ არ გაევლო ჩემთვის.

გამოცდილება და ცოდნა გამოცდილებად და ცოდნად მივიღე მასწავლებლის ხელობისა, მერეადა უფრო ღრმად შევითვისე იდეები ფართო საზოგადოებრივი მოქმედებისა, ნაცვლად იმ ვიწრო ხაზისა, რომელზედა ასე ფანატიკურად ვიდექი წინათ.

ამას გარდა: ამ სკოლის მეშვეობით გავეცანი უკეთ ქართველ საზოგადოებას, რომელსაც დიდხნობით გურიაში გამომწყვდეული ნაკლებად და მრუდედაც კი ვიცნობდი.

მზრუნველი ილია წინამძღვრიშვილი, აუცილებლად ყოველ შაბათ-კვირას, ზამთარშიაც და ზაფხულშიაც, რა დარიც უნდა ყოფილიყო, უთუოდ მოინახულებდა ხოლმე თავის საყვარელ სკოლას, თან მოიყვანდა ერთ-ორ

– და ხან მეტ – სტუმარსაც და გამართავდა პედაგოგიურ თათბირს, რომელზედაც მასწავლებლებს ანგარიში უნდა წარგვედგინა, თუ რა გაკეთებულიყო კვირის განმავლობაში თვითეულ კლასსა და თვითეულ საგანში.

რაკიღა სულ სხვადასხვა სტუმრები მოდიოდნენ, ამიტომ სხვადასხვაც იყო და დიდად აჭრელებულიც მათი შეხედულებანი სწავლა-აღზრდის შესახებ, და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოც.

მე და მზრუნველი მაინცდამაინც ვერა ვთანხმდებოდით, და თუნდ ის ეპიზოდიც რომ გავიხსენო.

ხელთ გვეპყრა მშვენიერი პროგრამა, რომელიც ბედნიერ ჟამს ებოძა ილია წინამძღვრიშვილს – ეს გახლდათ ქართული ენა, როგორც საფუძველი, რომელზედაც დაშენებული იყო რუსული ენა.

ამ საღ პედაგოგიურ საძირკველზე დამყარებული წესდება დაემტკიცებინა გენერალ სტაროსელსკის, როდესაც მეფის მოადგილის დროებით თანამდებობას ასრულებდა. იგი ილია ჭავჭავაძის ქვისლი გახლდათ და ქართველი ხალხის დიდი მეგობარიც. ამ ორ ქვისლს გაეყო ცოლებისეული დიდი მამული გურამიშვილისა და ცხოვრობდნენ მეზობლად სოფელ საგურამოში. და ამ ორმა გავლენიანმა ქვისლმა, მოწინავე ქართველობის დახმარებით, შეადგინა და დაამტკიცა ეს საუცხოო წესდება.

მზრუნველი თუმც დიდი პატრიოტი და ნაციონალისტი გახლდათ, ძალიან ცდილობდა რუსული ენის გაფართოებას სკოლაში, რათა მადლიერი ჰყოლოდა სამოსწავლებო უწყების წარმომადგენლები, რომელნიც დიდი ქართველოფობები ბრძანდებოდნენ და ლამობდნენ სკოლისათვის ამოეხადათ ქართული სული და ჩაედგათ რუსული, განსაკუთრებით მაინც დირექტორი სახალხო სკოლების დარგში და ინსპექტორი მონასტირცევი.

ამიტომაც ყოველი – თანაც ასერიგად გახშირებული – რევიზიისას მოითხოვდნენ ჩვენგან რუსულის იმდენ ცოდნას, რაც გაემეფებინათ თავიანთ გარუსებულ სკოლებში. ჩვენ კი არც შეგვეძლო და, რაც მთავარია, არცა გვსურდა ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

აქ კი ილია წინამძღვრიშვილი ძლიერ მოიკოჭლებდა, საქმეს პრინციპულად ვერ აყენებდა, რუსულის ნაკლულად ცოდნას ჩვენს სკოლაში შემთხვევითობას მიაწერდა და რევიზორებს ნაკლის გამოსწორებას ჰპირდებოდა.

და აქ, ამ სფეროში მე რევიზორისაც და მზრუნველისაც სასტიკი მოწინააღმდეგე გამოვდექი.

პირველი მოსვლისთანავე მონასტირცევთან მომიხდა შეტაკება. მე განვლილ მასალას რუსულში, წესდების თანახმად, დამაკმაყოფილებლად მივიჩნევდი, რევიზორი კი უკმაყოფილებას აცხადებდა. და როდესაც წესდება გადავუშალე და წავაკითხე, გაანჩხლებით წამოიძახა:

– მე თქვენი წესდება კი არ მინდა, მინდა რუსული ენა!

– თუკი ასეა, – არ შევეპუე, – უფლებაც კი არა გაქვთ ამ სკოლაში სარევიზიოდ შემოხვიდეთ, შეგიძლიათ ახლავე მიბრძანდეთ, აქ კი ისეთი კაცი უნდა მოვიდეს, რომელიც უმაღლესი მთავრობისაგან დამტკიცებულ წესდებას ემორჩილება.

ამ სიტყვებზე ფანატიკოს მონასტირცევს რაღაც ისტერიკული ავადმყოფობა შეეყარა, შემოიხვია გვერდებზე ორივე ხელი, დარბოდა ოთახში და გაჰკიოდა:

– სკოლაში ასეთი არ უნდა იყოს მასწავლებლად.

შეშინდა მზრუნველი, დაუწყო დაყვავება და დამშვიდება სიგიჟემდე მისულ ინსპექტორს, დახურა ყველა ფანჯარა, თითქოსდა დაქარული ყოფილიყოს, წამოახურა ზურგზე პლედი და ორივე დარბოდა ოთახში, როდესაც მე გარეთ დავდიოდი.

რა ილაპარაკეს მზრუნველმა და რევიზორმა, ეს არ ვიცი, თუმც კარგს რომ არას იტყოდნენ, ცხადია. და ინსპექტორის წასვლის შემდეგ მზრუნველმა კიდეც დიდი საყვედური მითხრა:

– როგორ შეიძლება, ყმაწვილო, მთავრობის კაცთან ასეთი ლაპარაკი, ამ ჩვენი წესდების წარამარა გამოჩენა. აიღებენ და წაგვართმევენ ამ წესდებას და სკოლასაც დაგვიკეტავენ.

მაშინ არ მესმოდა, მაგრამ ახლა კი მესმის ილია წინამძღვრიშვილის სიფრთხილეც და შორსმხედველობაც – მართლაც ისე არ უნდა მოვქცეულიყავი. დიპლომატიური ხერხების მომარჯვება ხან არამცთუ საჭირო, აუცილებელიც კი არის.

ჩემი და ჩემი მეგობრების ნაროდნიკული თვალთახედვის გამო უარყოფითად ვუყურებდით ქართულ ლიბერალურ, ვიწრო ნაციონალისტურ ინტელიგენციას, რომელიც უმთავრესად თავადაზნაურთა წრიდან იყო წარმოშობილი და კიდევ არ ეშვებოდა თავის წოდებრივ ბატონობას გლეხებზე.

მთავარი წარმომადგენელი ასეთი ინტელიგენციისა ჩვენში ამ დროს გახლდათ ილია ჭავჭავაძე, ნამდვილი ნატურალური თავადი და მებატონე. არც მას და არც მის „ივერიას“ არ თანავუგრძნობდით.

ინტელიგენტთა შორის ვაფასებდით უფრო მათ, რომლებიც რევოლუციისა და სოციალიზმისაკენ იხრებოდნენ: ნიკო ნიკოლაძეს, ანტონ ფურცელაძეს, გიორგი ზდანოვიჩსა და მათ მსგავსთ. წაკითხული გვქონდა გიორგი ზდანოვიჩისი მონაწილეობა 93-ის პროცესში, მისი კატორღელობის ამბებიც ვიცოდით და ამიტომაც განსაკუთრებულ პატივსაც ვცემდით, დიდი ყურადღებით გავეცანით მის ვეება სტატიასაც „ივერიის“ ფურცლებზე საქართველოს ეკონომიკური და საზოგადოებრივი აღორძინების შესახებ.

ჩვენს წრეში ილიასაც ჰყავდა თაყვანისმცემლები, თუნდ იოსებ დავითაშვილი, რომელიც გვეწინააღმდეგებოდა, როდესაც „ივერიის“ „დამაკვირდის“ განყოფილებაში გავგზავნეთ რამდენიმე უწმაწური და უცენზურო ამბავი თავადაზნაურთა ცხოვრებიდან.

მაგრამ ერთხელ ჩვენი იოსებიც განაწყენებული დაბრუნდა თავისი კერპისაგან.

ილიას შემოღებული ჰქონდა ეგრეთწოდებული ხუთშაბათობები, რომელზედაც თავს იყრიდა რჩეული ინტელიგენცია. ბჭობდნენ, ბაასობდნენ, არჩევდნენ და ჭრიდნენ საქვეყნო კითხვებს. და ერთ ასეთ ხუთშაბათ საღამოს ჩვენი იოსებიც, როგორც მწერალი, სწვეოდა ილია გრიგოლის ძეს – რასაკვირველია მიუპატიჟებლად – და ატუზულიყო კართან.

როცა მასპინძელს შეენიშნა იგი, ეთქვა:

– რახან შემოსულხარ, გარეთ არავინ გაგაგდებს.

შერცხვენილი და შეურაცხყოფილი იოსები ჩუმად გამოძურწულიყო და გამოპარულიყო. მეორე დღეს კი დიდი შეწუხებითა და გულისტკივილით მოგვიყვა ეს ამბავი. ნიშნი მოვუგეთ, ხარხარი დავაყარეთ და გამოფხიზლება ვუსურვეთ.

ამ შემთხვევაში მაკვირვებს ერთი რამ:

ილია ჭავჭავაძემ იოსებ დავითაშვილის კუბოს წინაშე ქებით სავსე სიტყვა წარმოთქვა. არადა იოსებს, როგორც პოეტს, ილია ალბათ მხოლოდ მაშინ გაეცნო საფუძვლიანად, როდესაც მისი ლექსთა კრებული ერთ ტომად გამოვიდა.

წერა-კითხვის მცოდნეთა მომრავლებამ თანდათანობით რომ გამოიწვია სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების დაარსების საჭიროება, შევუდექი ამ მიზნით ფულის შეგროვებას და ყოველ შემოწირულობასა და შემომწირველთა სახელსა და გვარს მუდმივად ვაცხადებდი „ივერიის“ ფურცლებზე, რასაც სააგიტაციო ხასიათი ჰქონდა. ყველას სურდა მისი გვარ-სახელი გაზეთში ჩავარდნილიყო და ამიტომაც ხალისით იძლეოდნენ თავიანთ წილს ბიბლიოთეკის დასაარსებლად. მე განურჩევლად მივმართავდი ყველას – თავადს, გლეხს, მღვდელს, ბერს, კაცს, ქალს, და დაწვრილებით ვუხსნიდი, რა დიდ მიზანსაც ემსახურებოდა მათგან გაღებული ფული.

იმ ფულით, რაც ხელთ მოვიგდეთ, შევიძინეთ მხოლოდ რუსული წიგნები, საუკეთესო ნებადართული ავტორებისა. ქართული წიგნების შესაძენად კი დავუარეთ გამომცემლებს, ავტორებსა და მაღაზიებს. ყველგან სიამოვნებით გვაძლევდნენ თავიანთ გამოცემებს და აქა-იქ ფულითაც გვეხმარებოდნენ, რისი გამოისობითაც გვარიიანად დატვირთულნი დავბრუნდით გურიაში მე და არსენ წითლიძე ნაახალწლევს.

ნაყიდსა და ნაჩუქარ წიგნებს ვაგროვებდით ეგნატე ინგოროყვას, იგივე ნინოშვილის, და მიხა ცხაკაიას ბინაზე, მიხეილის საავადმყოფოს მახლობლად, სარდაფში. აქ ხშირად ვანწყდომივართ ამ ორი ამხანაგის გაცხარებამდე მისულ სჯა-ბაასს. თითქმის ვერაფერში თანხმდებოდნენ, განსაკუთრებით ცხარობდა ეგნატე, რომელსაც იმხანად ჭლექი უმაღლეს ხარისხამდე მოსდებოდა და ნერვებიც უკიდურესად აშლოდა. მას შემდეგ მან წელიწადი და ოთხი თვე ღა იცოცხლა, ლოგინად კი უფრო ადრე ჩავარდა.

ეგნატე ვერ იტანდა ილია ჭავჭავაძის სახელის ხსენებაც კი, და როდესაც 31 დეკემბერს მე და არსენი ვეწვიეთ ილიას და ვთხოვეთ წიგნსაცავისათვის მისი ნაწერები, ეგნატე უკმაყოფილო დარჩა:

– როგორ მიდიხართ ამ კაცთან, რომელსაც თქვენთან და იმ ხალხთან, რომელსაც თქვენ ემსახურებით, საერთო არაფერი აქვს! მე პირდაპირ მეშინია მისი, – და ჩაიცინა, – როდესაც ულვაშებგაპოხილი ეტლით სადმე მიექანება.

ეგნატეს გავლენა იყო ჩვენზე თუ ჩვენ თვითონვე გვიღალატა გამბედაობამ, მაგრამ უარი კი განვაცხადეთ, ახალ წელს ილიას სახლში ერთად შევხვედროდით. ეს მაშინ მიგვიპატიჟა, როდესაც თავისი ნაწერების ოთხივე ტომი ბიბლიოთეკისათვის გამოგვატანა.

ალბათ ილიაც არ იქნებოდა კარგი აზრისა ეგნატეზე, და ეს ორი ვარსკვლავი – ერთი ახალამოშუქებული ჩვენს ცაზე და მეორე კი უკვე ჩამქრალი – ერთმანეთს მტრულად უყურებდა.

როდესაც „ივერიის“ თანამშრომელს, ილიას დიდ მეგობარს დავით მიქელაძეს, იგივე მეველეს, და ეგნატე ნინოშვილს შორის კამათი გაიმართა „კვალისა“ და „ივერიის“ ფურცლებზე, და მეველე ეგნატემ ჩიხში მაგრად მიიმწყვდია, ილიას ესაყვედურა თავისი მეგობრისათვის:

– დაწერ რაღაც ისეთ სისულელეს, რომლის გამოც ლაწირაკები და ბიჭ-ბუჭები სამასხარაოდ გვიგდებენ.

ცხადია „ლაწირაკები და ბიჭბუჭები“ გულისხმობდა ეგნატესა და მის გარემოცვას.

როდესაც ეგნატეს მოთხრობის – „ქრისტიანე“ – კითხვისას ილია მისულა იმ ადგილზე, საცა ქრისტინე მძინარე შვილს აკვანში ტოვებს და თბილისში იპარება, წიგნი დაუკეცავს და წყრომით უთქვამს:

– სიცრუეა, აღმაშფოთებელი ცილისწამებაა, ქართველი დედა შვილს ასე არ გაეპარება!

გიამბობთ, რატომაც არ გიამბობთ, როგორ გაიყო ორ ბანაკად ქართული საზოგადოება... არა, ჭავჭავაძისტებისა და მაჩაბლისტების ბრძოლამ რომ ჩაითრია მთელი ქვეყანა ის კიდევ ცალკე, მაგრამ ილია კიდევ ერთ ბანაკსაც უნდა მოქცეოდა სათავეში, მკვეთრი ზღვარი რომ გაივლო ძველ და ახალ თაობას შორის და ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში თავისი ადგილის დასამკვიდრებლად ხელი გაიწვდინა და მძლავრადაც გაიწვდინა სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ...

იმ ამბების შუაგულში თუ ვინმე, მეც ვტრიალებდი, ჩემს თავზე მაქვს გადატანილი ის ყველაფერი, და დასამალი რა მაქვს, წრფელადაც მოგახსენებთ, მაგრამ ახლა ცოტა მეჩქარება და უფრო შესაფერისი დროისათვის გადავდოთ.

აკაკი წერეთელი

ერთხელ ილიას ასე გავეხუმრე:

– როგორც პოეტი, შვილი ხარ ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ასაკით კი მამად შენ უფრო ერგები.

და გაოცებულმა შემომანათა თვალები:

– ბარათაშვილი ახლა, ამ წუთას რამ გაგახსენა?

მხრები უხმოდ ავიჩეჩე.

– რა არის, იცი, სწორედ ბარათაშვილზე მინდოდა მეკითხა რაღაც...

– მაგაზე იქით უნდა გეკითხებოდეთ, მამა-შვილი თქვენა ხართ და... – ისევ ხუმრობის გუნებაზე დავდექ.

– სერიოზული რაღაც მინდა გკითხო.

– რა არის ამისთანა?

– ბარათაშვილი ჩვენს დროს რომ მოსწრებოდა და... ცენზორი გამხდარიყო, დიახ, ეს თანამდებობა რგებოდა, როგორი ცენზორი იქნებოდა?

– როგორ თუ როგორი? – შეკითხვამ ძალიან გამაკვირვა. ვერ გამეგო, ამით რატომ უნდა დაინტერესებულიყო.

– ჰო, როგორი?

– როგორი და... როგორი და...

– რაფიელ ერისთავივით თუ... თუ ლუკა ისარლიშვილივით?

– რამ მოგაფიქრა მაინც ბარათაშვილის გაცენზორება? – ძალიან დავინტერესდი.

– გეტყვი, ყველაფერს გეტყვი. ლუკა ისარლიშვილმა ვაჟა-ფშაველას ლექსიდან მთავარი სიტყვა ამოაგდო და, ისე რომ გამოქვეყნებულიყო, სრულიად დამახინჯდებოდა.

– ნამეტანი გააზვიადე ეგ ახალგაზრდა კაცი, ის მაინც რამ გათქმევინა, მე და აკაკიმ კალამი ძირს უნდა დავდოთ და...

– ახლა ეგ არ არის მთავარი, – შემაწყვეტინა, – დამენანა ის ლექსი წასახდენად და არტემ ახნაზაროვი გავგზავნე თხოვნით, დაეტოვებინა ის სიტყვა. ლუკა-მელა მოგეხსენება, რა თავხედიცაა, უზრდელად დახვდა არტემს და გამომიგდო: ეგ ვიღაც ფშაველია, ღმერთისა და სარწმუნოების წინააღმდეგიაო. გავცეცხლდი, გავიყოლე არტემი და მივასკდი ლუკას სახლს. ისეთი სახე მქონდა, ის საცოდავი, მანამდე არტემს მრისხანედ რომ ელაპარაკებოდა, ახლა მთლად მოიკუნტა, შეიკუმშა და, მერე არტემი მეუბნებოდა, ერთიორადაც დაპატარავდაო.

– დაპატარავდა, არა? დაპატარავდა, თანაც ერთიორად? – აღტაცებისაგან გადავეხვიე ილიას, – შენ გენაცვალე, რომ მაგის ოხტში ამომიყვანე.

– დიპლომატიაც წავაშველე: ჭკვიანი კაცი რომ არ იყო, რუსის მთავრობა ცენზორად არც დაგნიშნავდა, მაგრამ ეს რა დაგმართნია, რომელი ჭკუათამყოფელი კაცი დაამახინჯებს ასე ლექსს და ყოველად უწყინარ სიტყვას ამოშლის-მეთქი? შემომტირა: რა ვქნა, კნიაზ, მე კი არა ვარ მაგ ლექსის წინააღმდეგი, მაგრამ სამსახურში აღარ დამაყენებენო. რაც იყო და როგორც იყო, დავიყაბულე. ის კი არა, კონიაკიც შემომთავაზა: ოჯახში მეწვიე და ისე როგორ გაგიშვაო. გეგონება დიდი სტუმართმოყვარე ბრძანდებოდეს.

– ასე როგორ დააფრთხე? – ჩავეკითხე და თან სიამით ხელებს ვიფშვნეტდი.

– რა ვიცი, რა ვიცი... მაგრამ ამ ყველაფერს რატომ გიყვები. ცოტა ხანს რომ შევყოვნდი ერთი-ორი ჭიქის დასალევად, ტრაბახს მოჰყვა: მეო ტატოს მეგობარი ვიყავ გიმნაზიაშიო; თავის ლექსებსაც მაკითხებდაო, რჩევასაც მეკითხებოდაო, ასე ვარიგებდი, ისე ვარიგებდი, ცხოვრებაში კაცად რომ გამოსულიყოო; რა დასანანია, ასე ადრე რომ წავიდაო; კიდევ კარგი, ყველა რომ მოვესწარით მის დაფასებას და ამ მხრივ შენი ღვაწლი განუზომელიაო, მისებური მლიქვნელობა და მაამებლობა დამიწყო, რაკიღა ნელ-ნელა გონზე მოვიდა. გამოცილებისას კი მომადევნა: ცოცხალი რომ ყოფილიყო, აი ის იქნებოდა ნამდვილი ცენზორი, თუ იქნებოდა, ეგეთი კეთილსინდისიერი

ადამიანი იშვიათად მინახავს და ამ საქმესაც მთელი გულმოდგინებით მოეკიდებოდა. ისეთი, ისეთი გულმოდგინებითა და კეთილსინდისიერებით, მე უკან ჩამომტოვებდაო.

გაოგნებული მივაჩერდი ილიას, ეგ რამ ათქმევინა-მეთქი.

– მითხარი რა, მითხარი, – ბავშვივით შემომეხვეწა ილია, – რაფიელივით ცენზორი იქნებოდა თუ ამ ისარლოვივით?.. ჰა... ხომ რაფიელივით, რაფიელივით, ყველაფერს გაუშვებდა... რა, განა ყველაფერს არ გაუშვებდა?

– რა გითხრა, იცი? – ჩავფიქრდი.

– ჰო, ჰო, – ისეთი მოუთმენლობა გამოეხატა სახეზე, თითქოს ჩემს პასუხს მისი მომავალი უნდა გადაეწყვიტა.

– მისი ის კეთილსინდისიერება ჩინოვნიკურ საქმეში ვაითუ მართლაც... ვაითუ მართლაც...

– ასე გგონია? – ისე ღელავდა, უკვე კიდეც თუხთუხებდა და ხელებსაც მავედრებელივით შლიდა.

– აი დიმიტრი ბაქრაძე, – ძალდაუტანებლად წამომაგონდა, – ერთადერთი ისტორიკოსი ეგა გვყავს და ორივე რარიგ ვაფასებთ, მის დაკვირვებებსა და მოსაზრებებსაც ხშირად ვიშველიებთ, მაგრამ, გახსოვს, ცენზორი რომ გახდა, რა დღე დაგვანია ყველას?

– მახსოვს, როგორ არ მახსოვს, – ჩაიფერფლა.

– სხვა ცენზორებს თუ რაიმეს გამოვაპარებდით, ანდა ვახერხებდით გზა-კვალი აგვებნია მათთვის და თხზულებანი მაინც ჩვენებურად დაგვებეჭდა, დიმიტრის ვერას ვაპარებდით და სულთამხუთავად გადაგვექცა ეს უწყინარი კაცი, სულთამხუთავად თვალსადახელშუა. კარიერაზე ეგ არა ფიქრობდა და ამით არ მოსვლია, სწორედ კეთილსინდისიერებით დაემართა, რაკიღა ცენზორად დაიწყო სამსახური, კიდეც სრულყოფილად უნდა აღესრულებინა თავისი მოვალეობა. რაფიელი ოქრო იყო, ოქრო, მაგის ბადალი ვინ იქნება ცენზორად... და ნიკოლოზ ბარათაშვილი, – უეცრად გამეცინა, – ცენზორად რომ მოგვევლენოდა, ვინ იცის რა შეხლა-შემოხლა გვქონოდა მასთან მეც და შენც...

– შეხლა-შემოხლა... ბარათაშვილთან? – ენა დაება ილიას.

– ჰო, რა გიკვირს... ლუკა ისარლიშვილი ბოროტებაა, მაგრამ იმას ჩვენზე უკეთ იცნობდა... თანაც კეთილსინდისიერებისა და ერთგული მოსამსახურის განსახიერება რომ იყო, სხვებისგანაც ხომ გვსმენია...

– შეხლა-შემოხლა და... ვისთან... ბარათაშვილთან? – იჯერებდა და ვერც იჯერებდა.

– კიდევ კარგი, რომ ავცდით დროში, – არ ვიცი, რატომ დავდექი ჩემდამოულოდნელად მხიარულ გუნებაზე, ალბათ ილიას ასეთ შეშფოთებულსა და წონასწორობადაკარგულს რომ ვხედავდი, იმიტომაც, მახალისებდა მისი გაღიზიანება.

– როგორ თუ „კიდევ კარგი“?

– გულისგულში შენც ასევე რომ არა ფიქრობდე, არც ჩამომიგდებდი ამაზე ლაპარაკს, ლუკა-მელას ნათქვამზე ერთს გაიცინებდი და ამით მოთავდებოდა.

– შხამივით არ ჩამაწვეთა?

– რაც არ მომხდარა, ნუღარ იფიქრებ და ნუღარც ინაღვლი, – გული გავუკეთე, – იმაზე იფიქრე, პოეტურად ნიკოლოზ ბარათაშვილის შვილი რომ ხარ, ასაკით კი მამად შენ ეკუთვნი.

ოჰ ეს ლუკა-მელა, ესა, ეს ლუკა-მელა, არ წაუხდინა გუნება?!. თითქოს ილიას გუნების წასახდენი და სანერვიულო აკლდეს.

...ისე ვითომ რატომ უნდა ყოფილიყო ცენზორი ნიკოლოზ ბარათაშვილი, სხვა ადგილი რა, არ გამოიძებნებოდა მისთვის???

კიტა აბაშიძე

კონსტანტინე გამსახურდიამ მითხრა ერთხელ:

როგორც გავიგე, ილია ფრიად სასტიკი ყოფილა არამარტო საკუთარი მოვალეობის, არამედ სხვათა მიმართაცო.

რას გულისხმობ და ვისგან შეგიტყვია-მეთქი?

ასოთამწყობ ტოროტაძისაგანო.

რა გითხრა მაინც ამისთანა-მეთქი?

და თურმე:

როცა ილია სტამბაში შემოვიდოდა, ჩვენ ყველა სულს გავკმინდავდითო.

ჩემი მხრივ კონსტანტინეს მოვუყევი ერთი ეპიზოდი და – ამ გახსენებაზე – ბარემ თქვენც იმასვე გიამბობთ:

სიჭაბუკისას ილიას პირადი მდივანი გახლდით და მახსოვს, მთელი ღამე როგორ ძილფხიზლობდა რედაქციაში. მცირე ხანს სადმე წავიდოდა, ისევ რედაქციაში დაბრუნდებოდა და მუშაობას შეუდგებოდა.

ერთხელ „ივერიას“ – მაშინ უკვე გაზეთად გამოდიოდა – დააგვიანდა. ილია დიდხანს იჯდა და მეთაურს წერდა.

უკვე მუშაობის დრო გადასულიყო, მშიოდა და შინ წასვლას ვაპირებდი.

ილია კი იჯდა და წერას განაგრძობდა. ბოლოს ადგა და სახეშეჭმუხვნილმა დაიწყო სიარული თავის კაბინეტში.

ვივარაუდე, სამუშაო დღე გათავდა-მეთქი, წამოვდექი და მოკრძალებულად წავიბუტბუტე:

– ილია ბატონო, შეიძლება წავიდე?

ილიამ ხმა არ გამცა და კვლავინდებურად ბოლთას სცემდა.

ერთი საათის შემდეგ ისევ წამოვდექი და იგივე გავიმეორე. მან ახლაც არა მიპასუხა რა. ბოლოს კვლავ მაგიდას მიუჯდა, თავისი საწერი მოათავა და ნება დამრთო.

– ახლა წადი.

სულ ეს არის? ეს არის რა, ანკი მეტი რაღა გნებავთ. მე პირადად ძალზე მეტყველი, ფსიქოლოგიურად უაღრესად დატვირთული ამბავი მგონია და... თქვენი არ ვიცი.

ილია პატივმოყვარე არა ყოფილა?

რას ამბობთ, როგორ თუ არა.

ასე სიტყვაზე ვერ დამიჯერებთ?

სიტყვაზე რატომ, როდესაც შემიძლია მაგალითით დაგიდასტუროთ და დაგიმტკიცოთ ჩემი მოსაზრების სისწორე.

ნიკო ნიკოლაძემ ერთხელ რუსულ გაზეთში გამოაქვეყნა ლიტერატურული მიმოხილვა, რომელშიაც უპირისპირებდა ერთმანეთს ილიასა და აკაკის.

რას ამტკიცებდა ნიკო და:

დასრულებული მხატვრული თხზულება უნდა იყოს ერთსადაიმავე დროს სრული ფორმით და მდიდარი შინაარსით, ერთი სიტყვით — იდეა და ფორმა ის ორი თვისებაა, რომელიც ახასიათებს დიდ მხატვრულ ქმნილებასო. ჩვენს ახალ ლიტერატურაში კი არ არის ისეთი პოეტი ან პროზაიკოსი, ორივე ეს თვისება თანაბრად რომ მოეპოვებოდეს. ილიას პოეტურ ნაწარმოებებს ნაკლები ღირებულება აქვთ ფორმის მხრივ, აკაკისას კი — შინაარსის მხრივო. მაშასადამე მხოლოდ მაშინ გვექნება ხელოვნების დიდი ქმნილება, როდესაც ერთდროულად მდიდარი იქნება შინაარსით, როგორც ილიას ნაწარმოებნი, და ისეთივე მშვენიერნი ფორმით, როგორც ნაწარმოებნი აკაკისაო.

და აი ამის შემდეგ ერთ მეგობრულ სადილზე შეხვდებოდნენ ერთმანეთს ილია და ნიკო და მათ შორის გაიმართებოდა ასეთი საუბარი.

არა, მე იქ არა ვყოფილვარ, მაგრამ ნიკო ხიზანაშვილმა მიამბო და მას ხომ იცნობდით, თუ არადა ჩემგან იცოდეთ — სიმართლისაგან ოდნავადაც არ გადაუხვევდა.

ნიკო ნიკოლაძეს ქათინაურები არ დაუშურებია ილიასათვის:

— შენ ხარ ქართველ მწერალთა წინამძღოლი, ჩვენი ლიტერატურული ბელადი, სულ შენ უნდა მიგვიძღოდე...

ილიას კი გაუწყვეტინებია და საყვედურის კილოთი შეუნიშნავს:

— ნიკო, შენ მე ვერ მომატყუებ: ერთ დღეს რომ უნიჭოს მიწოდებ და მეორე დღეს გენიოსს, ეგ ვერაფერი გულწრფელობაა, და რასაც ახლა მეუბნები, როგორ უნდა შეათანხმო იმას, რასაც ჩემზე და აკაკიზე წერდი?

უნიჭოო, განა?

მაგრამ ნიკოს მსგავსიც რომ არა უთქვამს რა?!.

მან ხომ მხოლოდ ის აღნიშნა: ფორმის მხრივ აკაკის პოეტურ ნაწარმოებებს აქვთ უპირატესობაო.

მითუმეტეს იქვე შინაარსის მხრივ ილიას პოეტური თხზულებანი დაამჯობინა.

და ესეც კი ილიას საწყენად დარჩენოდა.

ეს თუ პატივმოყვარეობის გამოვლენა არ არის, მაშ მე არა მცოდნია რა არის პატივმოყვარეობა და ეგ არის.

ამას ცუდად სულაც არ ვამბობ. ჩემსავით შესაძლოა ორი კაცი არ აფასებდა ილიას პიროვნებასა და ღვაწლს. უბრალოდ პატივმოყვარეობის გრძნობა დიდ პიროვნებებსაც ახასიათებთ და არც ილია ყოფილა დაზღვეული ამ... დაე ნაკლს ნურც ვიტყვით — ამ თვისებისაგან.

ვახტანგ ჭელიძე

განაგრძობს მაჩაბელი:

– ბანკში დაგირავებულ და შემდეგ გამოუსყიდველ მამულებში მეურნეობის ევროპული წესები უნდა შემოვიღოთ და მოგების ნაწილი ამ საქმეზე დავაბანდოთ. რამდენიმე წლის შემდეგ ამით შემოსავალიც გადიდდება და სოფლად გაუმჯობესებული მეურნეობაც გაძლიერდება. ამ საკითხის გატარებაზე მეტი მეცადინეობა გვმართებს, რადგან ჭავჭავაძე მხარს არ დაგვიჭერს, რატომღაც ორჭოფულად და ურწმუნოდ უყურებს ამ საქმეს. ხოლო დამფასებლების უფლებები რომ უნდა გაიზარდოს და ამიტომ ხელფასიც გაუდიდდეთ, ამის წინააღმდეგი, მე მგონი, ჭავჭავაძეც არ იქნება...

– იყოს წინააღმდეგი, იმდენი ხმოსნები გვყავს, რომ კუდით ქვას ვასროლინებთ! – ვეღარ შეიკავა თავი ოპოზიციის ერთ-ერთმა წევრმა და თავის მოსწრებულ სიტყვებზე თვითონვე აროხროხდა.

მაჩაბელმა წარბები შეიკრა.

– ჩვენ პრინციპული ბრძოლა გვაქვს და ასეთი ლაპარაკი არც ჩვენ დაგვშვენდება, არც ილია ჭავჭავაძის სახელს ეკუთვნის! – ცივად მოუჭრა მან თავშეუკავებელ ოპოზიციელს...

საზოგადოდ მაჩაბელი არასოდეს ცუდად არ ახსენებდა ილიას. მისი ერთი თანამედროვე პირდაპირ წერს:

– ...ივანე მაჩაბელი... არასოდეს თავისთავს და არც სხვა მოკამათეს ნებას არ აძლევდა ილია ჭავჭავაძის სახელი ცუდად მოეხსენიებია.

ასე იყო თავის მხრივ ილია ჭავჭავაძეც.

დიდი ილია კარგად ხედავდა მაჩაბლის ღვაწლს ქართული ლიტერატურის წინაშე და აფასებდა კიდეც მის ლიტერატურულ და საერთო-საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მიუხედავად იმისა, რომ საბანკო საქმეებში დაუზოგავად ებრძოდა მას.

ახლაც, ამ გადამწყვეტი ბრძოლის რამდენიმე თვით ადრე, ილიამ შეუნელებელი ყურადღებით წაიკითხა მაჩაბლის ახლახან თარგმნილი ნაწარმოები – „იულიუს კეისარი“, რომელიც „მოამბის“ პირველ ნომერში იყო დაბეჭდილი, და გამოუთქმელი სიხარული იგრძნო. ანტონიოსის ცნობილ მონოლოგს რომ მიადგა, სცადა ინგლისურად მოეგონებინა ტექსტი, რომელიც მას ერთხელ მაჩაბელმა შეასწავლა, მაგრამ ვეღარ აღიდგინა მეხსიერებაში. თუ საფუძვლიანად არა გაქვს შესწავლილი, ენამ ადვილად იცის დავიწყება.

ეს მონოლოგი ორჯერ გადაიკითხა ილიამ და მოეწონა. საერთოდ თარგმანმა აღტაცებაში მოიყვანა. და ამჯერად თავის შეკავებაც აღარ მოინდომა, თავისი აზრი საჯაროდ გამოთქვა გაზეთის ფურცელზე:

– ჩვენ დიდის სიამოვნებით შევხვდით ამ ახალს თარგმანს და დიდ განძადაც მიგვაჩნია ჩვენი ლიტერატურისათვის თ. მაჩაბლის თარგმანები... იმედი გვაქვს, თ. მაჩაბელი გადაგვითარგმნის კიდევ რამდენიმე საუკეთესო დრამას შექსპირისას. დრამა ინგლისურიდან არის პირდაპირ თარგმნილი და ამით კიდევ უფრო საყურადღებოა...

ილიასაც შეჰკადრეს თავისმა მომხრეებმა, მტრის ასე გაზვიადებული ქება თქვენივე გაზეთში რა საჭირო იყოო, მაგრამ ჭავჭავაძემ მოკლედ მოუჭრა:

– ჩვენ ბრძოლა საბანკო საქმეებზე გვაქვს: სხვა მხრივ მაჩაბელი დაუფასებელია ჩვენი საზოგადოებისათვის...

ისევ ოლღა აგლაძე

ვოსტორგოვმა, რუსმა შავრაზმელმა მღვდელმა, დეპეშები გაგზავნა პეტერბურგს. აბეზღებდა სინოდთან ქართველ სამღვდელოებასა და სამრევლო სკოლებს.

იმხანად იყო სწორედ, ფოსტაში რომ ვმუშაობდი, სატელეგრაფო განყოფილებაში. და თუმც დეპეშები სიფრთხილისათვის გაიგზავნა საიდუმლოდ რკინიგზის სადგურიდან, მაგრამ ისინი მაინც მოხვდნენ სამმართველოში და ხელშიც ჩამივარდნენ.

ეს საიდუმლო სასწრაფოდ ილიას შევატყობინე.

მან ძალიან მომიწონა ჩემი ასეთი სიფრთხილე, მაშინვე დაუძახა სამრევლო სკოლების უფროსს მამინაიშვილს და მასთან ერთად სასწრაფოდვე ინახულა ეპისკოპოსი კირიონი. არ უნდა მეშლებოდეს – კირიონი უნდა ყოფილიყო.

რა შედეგები მოჰყვა ილიას ამგვარ გამოხმაურებას?

დანამდვილებით ვერას მოგახსენებთ, თუმც რაკიღა ილია ჩაერია, ეს ნიშნავს, რომ ვოსტორგოვს განზრახვა ჩაეფუშებოდა და ეს მისი პოლიტიკური დასმენა ფუჭად ჩაივლიდა.

ჩემი სამსახური ტელეგრაფში დიდად არ მეპიტნავებოდა და ერთი სული მქონდა, როდის გამოვეცლებოდი. ოლღას ვთხოვე, ილიას მეუღლეს, ეშუამდგომლა ქმრის წინაშე და ეგებ თავისთან გადავეყვანე, ბანკში.

ილიამ გულდასმით მოისმინა ჩემი თხოვნა, მაგრამ გაზიარებით კი არ გაიზიარა:

– განა კარგი იქნება, რომ ამ ადგილიდან გადახვიდე? ჩემი აზრით, სწორედაც პირიქით – უთუოდ საჭიროა, რომ ასეთ ადგილზე თქვენისთანა ფხიზელი ხალხი გვყავდეს. ამიტომაც გთხოვთ, ისევ მანდვე განაგრძოთ მუშაობა.

არეულ-დარეულად მაგონდება ხან რომელი ეპიზოდი და ხანაც რომელი, და ნუ დამძრახავთ, დალაგებით თქვენვე დაალაგეთ, თქვენვე მიუჩინეთ თავთავისი ადგილი, მე თავს მხოლოდ მათ უტყუარობაზე დავდებ.

ილიას დიდი სიყვარული და პატივისცემა რომ ჰქონდა თავისი სეხნიის, ილია წინამძღვრიშვილისადმი, იცით როგორ ულოცავდნენ ერთიმეორეს თავიანთი სახელწოდების დღეს?

ილია ჭავჭავაძე ჩვეულებრივ ცხენით ესტუმრებოდა ხოლმე წინამძღვრიანთკარში, თავის მხრივ ილია წინამძღვრიშვილსაც აუცილებლად უნდა მოენახულებინა იგი საგურამოში.

ერთხელაც ილია ცხენით რომ მიადგა თავისი სეხნიის სახლს წინამძღვრიანთკარში, მასპინძელი შინ არ დახვედრია, რადგანაც... საგურამოში გამომგზავრებულიყო.

– შენს ცაცხვებს ვესტუმრე, – ეხუმრებოდა ჭავჭავაძე წინამძღვრიშვილს.

– მე შენს კაკალს ვესტუმრე, – პასუხობდა წინამძღვრიშვილი.

და ჰქონდათ ერთი ხუმრობა და ცილობა, რომელი სჯობდა:

ილიას კაკალი თუ ილიას ცაცხვი!..

მაგონდება მათ ოჯახში სტუმრობა ანდრეევის ქუჩაზე, როდესაც სახლის დალაგება მთლიანად დაასრულეს. იქ დამხვდნენ ოლღას დისწულები – ორი ვაჟი დიმიტრი სტაროსელსკისა, რუსუდან მელიქიშვილი და შალიკაშვილის ცოლი ნინო.

ილიასთან ცხოვრობდა მისი ნათესავი ზალიკო ჭავჭავაძეც – ყოფილი სამხედრო პირი, და თუმც სამსახურის ვადა გასული ჰქონდა და სახლში იმყოფებოდა, ფორმას მაინც არ იხდიდა.

ილიას ახალ სახლს სასადილოში გასასვლელად სამსაფეხურიანი კიბე ჰქონდა. კიბესთან ფარდა ჩამოეფარებინათ, რომელიც ხელით შეხებისას იშლებოდა და იხურებოდა. სტუმრებიდან ზოგი ლექსებს ამბობდა – ფარდა გაწეული იყო და ჩვენ სასადილო ოთახიდან ვუცქერდით. ამ მხიარულებისას ილია მივიდა ზალიკოსთან და უთხრა:

– აბა ერთი, შენ გენაცვალე, როგორ გამოეჭიმებოდი ხოლმე გუბერნატორს?

ზალიკომ იუარა:

– ეჰ დამანებე თავი, რა საჭიროა!

ილიამ სტაროსელსკის შვილებს თვალით ანიშნა, რომ მათაც ეთხოვათ. ისინიც თან სთხოვდნენ და თან ტაშითაც იწვევდნენ. ზალიკომ ამდენ თხოვნას ვეღარ გაუძლო და ერთხელ გაითამაშა. აღარ მოეშვნენ და სამჯერაც გაამეორებინეს.

ილია ისე ხმამაღლა იცინოდა და ხარხარებდა, რომ ჩემს სიცოცხლეში ეგრე მოცინარი და მხიარული არ მინახავს.

ზალიკომ დახურა ფარდა და ბავშვებს უთხრა:

– მე რომ გამომიყვანეთ სცენაზე, ახლა ილიაც გამოიყვანეთ.

და ბავშვებმაც კვლავ ასტეხეს ტაშისცემა და ყვირილი:

– ძია ილიკო! ძია ილია! თქვენც გვითხარით რამე.

ილია ჯერ დიდ უარზე იდგა, მაგრამ უკვე ოლღაც შემოეხვეწა:

– შენ გენაცვალე, ილია, თქვი.

ზოგი ეძახდა: „ტყემ მოისხა ფოთოლიო“ – მაგრამ ოლღამ: „კაცია-ადამიანიდან“ „ჩუპრი-ჩუპრიო“ და:

ილიას კიდეც მაშინვე მიურბენინეს მუთაქა და ბალიში, რომელიც მან ბავშვივით დაიჭირა. გასწიეს ფარდა, გამოვიდა ილია და შესანიშნავად წა-

იკითხა ის ადგილი, სადაც აღწერილია ლუარსაბის ალერსი მომავალ, ნანინანატრ შვილთან.

ისეთი აღტაცება და ჟრიამული გამოიწვია ამ გამოსვლამ, რომ ენით არ აღიწერება.

ოლღამ თავი ვეღარ შეიკავა და ილიას აკოცა.

და ილია ასეთი მხიარული, როგორიც მაშინ იყო, აღარასოდეს მინახავს.

რატომღაც ყველას ეგონა, თითქოს ილია დიდი თაყვანისმცემელი ყოფილიყოს ვასილ ველიჩკოსი, სინამდვილეში კი ილია მასთან არ მეგობრობდა, ერიდებოდა, ეძნელებოდა მისი სტუმრობა, მაგრამ სტუმართმოყვარეობა აიძულებდა თავაზიანად მიეღო.

ერთხელაც ველიჩკოს სტუმრობას შევესწარი საგურამოში. ილია ეკითხებოდა ხოლმე სტუმრებს, ვის რა საჭმელი ესიამოვნებოდა. და ველიჩკოს ცოლმა აიჩემა:

– მე ვისურვებდი მუნდირიან კარტოფილს კარაქითა და მაწონით.

ნავახშმევს მოიტანეს მოხარშული კარტოფილი, მაგრამ გაუფცქვნელი. და თან მოაყოლეს სველი ხელსახოციც თითების გასაწმენდად. როდესაც გიახელით ეს კარტოფილი, ოლღას გავეხუმრე:

– აბა რა იყო? სულ ეს არის მუნდირიანი კარტოფილი? მეგონა, ვიღაც მუნდირიანი კაცები მოვიდოდნენ. ეს ხომ ჩვენებურად გაუფცქვნელად მოხარშული კარტოფილია, რაღად უნდოდა მაგას მუნდირის მიმატება?

ჯერ ოლღამ გაიცინა, გადიკისკისა, კარგი სიცილი იცოდა; მერე, როგორც ჩანს, ილიასაც უამბო. და მეორე დილას, ჩაის დასალევად რომ დავსხედით, ილია წამოდგა და ხელების შლით დაიწყო:

– იცით? თურმე ჩვენი ოლღა ელოდა ერთ ბრწყინვალე სამხედრო პირს მუნდირით, რომელიც რევერანსს გაუკეთებდა, და რა გამოვიდა... „მუნდირიანი კარტოფილი“ ჩვენებური ახალმოხარშული, ცხელ-ცხელი, გაუფცქვნელი კარტოფილი ყოფილა!

ყველამ მე შემომხედა და გაიცინა. მე შემრცხვა და ვუპასუხე:

– მე რომ არა ვარ მუნდირების თაყვანისმცემელი?!.

ბევრს ჰგონია, თითქოს ილია ფუფუნებითა და მდიდრულად ცხოვრობდა, მაგრამ არ არის მართალი. საკმაოდ ვიყავი ჩახედული მის ყოფითობაში, მის ყოველდღიურობაში და დამეჯერება.

საგურამოში სახლი უბრალოდ ჰქონდა მოწყობილი, ედგა ტახტები საფენებითა და მუთაქებით.

უკანასკნელ ხანს ხელმომჭირნედაც ცხოვრობდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თავი დაანება ბანკსაც და „ივერიის“ რედაქციასაც.

ისე კი უნდა ითქვას, რომ „ივერიის“ დათმობა ძალიან ეძნელებოდა. სხვებიც ეხვეწებოდნენ: გაზეთს ნუ დატოვებო, – თითქოსდა მის ნებაზე ყოფილიყოს, მაგრამ მასზე არ ყოფილა დამოკიდებული შენარჩუნება. მთელ თავის ფულს ამ გაზეთის გამოცემას ახმარდა და... ვეღარ გაწვდა.

რა დამავიწყებს მის წუხილს:

– კიდევ რომ მქონდეს შესაძლებლობა და პირობები გაზეთის წარმოებისათვის, ავიყვანდი ილია აგლაძეს, შაქრო ბილანიშვილს და მათთან ერთად

ვიმუშავებდი. გაზეთს მე გავუძღვებოდი და დანარჩენ თანამშრომლებსაც გარედან მოვიწვევდი, მაგრამ აღარავითარი სახსარი აღარ გამაჩნია...

ვიდრე საშუალება მოეპოვებოდა, რედაქცია დევნილთა თავშესაფრადაც აქცია.

სასულიერო სემინარიაში დიდი არეულობა რომ მოხდა, თითქოსდა ეკონომიკური მიზეზით, სინამდვილეში კი პოლიტიკური სარჩული უფრო ედო.

სემინარიელები, რომელნიც არეულობაში აქტიურად მონაწილეობდნენ, დაითხოვეს და მათგან უმრავლესობას „მგლის ბილეთი" მისცეს, რაც გულისხმობდა, რომ: არც სამსახური შეეძლოთ სადმე და არც სწავლის გაგრძელება. ეს უფლება ესპობოდათ. მგლის ბილეთიანთა შორის აღმოჩნდნენ: ივანე ახალშენიშვილი, ილია აგლაძე და კობა ცინცაძე. რაკილა სხვაგან ვერსად მოეწყობოდნენ, „ივერიის" რედაქციაში დაიწყეს მუშაობა: ახალშენიშვილი და აგლაძე უშუალო თანამშრომლები გახდნენ, ცინცაძე კი გარედან აწვდიდათ მასალებს...

რა მემართება, რისთვისაც დავიწყე ლაპარაკი, ის მავიწყდებოდა და კინაღამ იმის უთქმელად გამოგემშვიდობეთ. არადა თავს ვერ ვაპატიებდი, ეს რომ არ მეამბნა. ვინ იცის, კიდევ შეგხვდებით თუ არა.

საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ილია მრავალმა მახლობელმა და ნაცნობმა მოინახულა, ძალიან აინტერესებდათ მისი შთაბეჭდილებანიც და მოსაზრებანიც.

და აი ერთხელაც ეს სიტყვები უნდა მომესმინა:

– კარგად იცით, 18 წელიწადია, ეკლესიაში არ შევსულვარ, მაგრამ როცა საზღვარგარეთიდან წამოვედი და ჩემს სამშობლოს მოვუახლოვდი, კავკასიის მთები რომ დავინახე, ცრემლები მომერია, უნებურად მუხლი მოვიყარე და სასოებით პირჯვარი გადავისახე!.. აი ასეთი ძლიერი ყოფილა სამშობლოს სიყვარული.

არა, ეს რომ დამვიწყნოდა.

არა, ეს რომ გამომრჩენოდა.

თითქოს ცოცხლებრივ შევყურებ, როგორ დგას მუხლმოყრილი და ცრემლებგადმომდინარი და როგორ ისახავს სასოებით პირჯვარს კავკასიონის კალთებს შემომდგარი!..

ასეთ სურათებს მწერლები იგონებენ ხოლმე, და ხარობენ მათი ღრმა სიმბოლური შინაარსის მიგნება-წარმოსახვით.

მე რისი რა გამოგონება მჭირდება:

კიდეც ვხედავ თვალდათვალ, თორემ ხმა ხომ ჩამესმის და ჩამესმის...

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

გმირის დამბადი დიდი საგანი

გმირის დამბადი დიდი საგანი თქვენში სპობილა და წაწყმედილა. გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას, დაგინგრევით დიდი მამული, — რაღა დაჰბადავს თქვენში დიდ გრძნობას? რითი აღტკინდეს ქველისთვის გული?

ილია ჭავჭავაძე

თავი პირველი

ოქროს ჯაჭვი თუ თავისუფლება?

ნეტა თავიდან პიესად ვარაუდობდა თუ დიალოგებად შეადგენდა მოთხრობას?

ერთსაც და მეორესაც ამბავი ესაჭიროებოდა, რომელსაც აღარ თუ ვეღარ მიადევნებდა და... რამდენიმე სურათს დატოვებდა ასევე: სცენებად – და ამ ჟანრობრივ თავისებურებას სახელწოდებაშივე აღნიშნავდა: „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენებიო“.

დაუმთავრებლობაზე მიანიშნებდა ეს სათაური, ქვესათაურად რომ უფრო მოუხდებოდა, მართლა პიესა რომ შეექმნა. მაშინ „სცენები“ თავმდაბლობის გამოხატულება იქნებოდა და არა ჟანრისა, რაც თავისთავად სულაც არ არის დასაწუნი და – რიგიანი რეჟისორის ხელში – ამ ყაიდის თხზულებანი შესაძლოა წარმატებთიაც წარმოდგეს სცენაზე, ბოლოსდაბოლოს დივერტისმენტად მაინც ივარგებდა, თუკი თეატრალური ცხოვრება გაიშლებოდა და რეპერტუარიც დასჭირდებოდა – შეავსებდა, რატომაც არა; თუმც ილია იმხელა მნიშვნელობასაც არ ანიჭებდა ამ თხზულებას, როგორც საერთოდაც თავის დრამატურგიულ უნარს, თორემ ისე ახლო იდგებოდა ქართული თეატრის განახლება-აღორძინების საქმესთან, მოახერხებდა როგორმე რეპერტუარში თავისი პიესებიც ეგულისხმა და ამ მიმართულებითაც ისევე გარჯილიყო, როგორც პოეზიისა და პროზის სარბიელზე, მიუხედავად უაღრესი გადატვირთულობისა, უკიდურესად დაძაბული დღის რეჟიმისა, ეგრე ადვილად რომ ვერ მოწყდებოდა ვერც ერთსა და ვერც მე-

ორეს, და ორივე ჟანრს — პროზასაც და პოეზიასაც — დააჩნევდა იმ კვალს, უიმისოდ რომ ვეღარც წარმოიდგენებოდა ეს ორი ნაკადი ქართული ლიტერატურული მდინარებისა, მათ ზეგავლენაზე რომ აღარც აღარაფერი ითქვას თანადროულ თუ მომდევნო ხანის სამწერლო პროცესებზე.

დრამატურგობას გაერიდებოდა.

„მაჭანკალს“ რომ დაწერდა კომედიად და კიდეც რამდენჯერმე ითამაშებდნენ, ეს მცდელობა, მითუმეტეს სცენაზე გაცოცხლებულს იხილავდა, მაინც არ გაუღვივებდა სურვილს, უფრო გულდასმით მოჰკიდებოდა ამ ჟანრსაც?

პიესა იქნებოდა თუ... ისიც უფრო სცენები?

ინსცენირება გახლდათ მისივე მოთხრობისა „კაცია-ადამიანი?!“ – და ამიტომაც არ მიანიჭებდა დამოუკიდებელ მნიშვნელობას, ინსცენირებას კი გამოიწვევდა ნატო გაბუნიას ბენეფისისათვის ზრუნვა, სხვა დროს აკაკი წერეთელი რომ დაფაცურდებოდა და სახელდახელოდ დაუწერდა ორიოდ დღეში პიესას „კინტო“, ავტორისდა მოულოდნელად: მის ყველა დრამატურგიულ ქმნილებას რომ წააჭარბებდა პოპულარობით...

ამჯერად კი, 1881 წლის 31 მაისს ლუარსაბი და დარეჯანი უნდა ასულიყვნენ სცენაზე, ოღონდ მოთხრობის სიუჟეტი მაჭანკლის რაკურსიდან უნდა გააზრებულიყო, რაკიღა ეს როლი მიესადაგებოდა ნატო გაბუნიას.

მაჭანკალი და არა დარეჯანი.

კომედია ისე გადმოკეთდებოდა მოთხრობიდან, საკმაოდ ახლოს გაჰყვებოდა „კაცია-ადამიანის?!“ ტექსტს, და პავლე ინგოროყვა რომ შეადარებდა, ადგილ-ადგილ მოთხრობის დიალოგები უცვლელად აღმოჩნდებოდა გადატანილი პიესაში. თორემ აგერ ა VI და VII თავები ლუარსაბის უმთენარო ცხოვრებისა, მაჭანკლის მეოხებით რომ უნდა გამოჩენილიყო მაყურებლის წინაშე.

ნეტა ნატო გაბუნიამ სთხოვა, საბენეფისოდ ისე გამიმზადე „კაცია-ადამიანი?!“ — მაჭანკალი ვითამაშოო?

თუ ძებნა-ძებნისას შესაფერისი როლისა ილიას მოფიქრებოდა, მაჭანკლად სწორედ საშენო სახეს შექმნი, შენი არტისტული ხელოვნება ამ როლში ჩინებულად გამჟღავნდებაო?

განა რა მნიშვნელობა აქვს?

რატომაც არა – ჯერ საერთოდაც საგულისხმოა ხოლმე შთამაგონებელ რეალიათა გარკვევა, თუკი რაიმე გადმოცემა ან მინიშნება გაქვს ხელთ, ანდა ფსიქოლოგიური ჩაღრმავება მიგახვედრებს პირველბიძგს; ამ შემთხვევაში კი გაცილებით მნიშვნელოვანია, რადგანაც უშუალოდ ეს საბენეფისო დადგმა უნდა ყოფილიყო შთამაგონებელი ავქსენტი ცაგარელისათვის „ხანუმას“ შესაქმნელად – უკვდავი კომედიისა, რომლის შთამბეჭდაობასაც განსაზღვრავდა მაჭანკლის სახე – ნამდვილი აღმოჩენა.

ეს გარემოება არ გამორჩებოდა იოსებ გრიშაშვილს:

თუ „მაჭანკალი“ სუსტი გამოდგებოდა, ერთ კარგ საქმეს მაინც გააკეთებდა – სტიმულს მისცემდა ახალგაზრდა დრამატურგს ასიკო ცაგარელს, რომ

დაეწერა თავისი უკვდავი კომედია „ხანუმა“, რომელიც პირველად 1882 წლის 1 დეკემბერს წარმოადგინეს იმავე ნატო გაბუნიას საბენეფისოდო.

როდესაც იმ დადგმას პოეტი და მწიგნობარი მოიხსენიებდა როგორც სუსტს, დაეყრდნობოდა იმ რეცენზიებს, მაშინვე რომ გამოეხმაურებოდნენ სპექტაკლს.

რუსული ჟურნალის – „ფალანგა“ – ფურცლებზე დავით ერისთავი ასე გამოთქვამდა თავის უკმაყოფილებას:

ათი წელია სდუმს ილია ჭავჭავაძე... როცა აფიშებში მისი გვარი წავიკითხეთ, ისიც მისთვის უჩვეულო, ახალი ნაწარმოებით, გულმა ტოკვა დაგვიწყო და ცნობისმოყვარეობით აღვსილნი წავედით თეატრში, მაგრამ... იმედი გაგვიმტყუნდაო.

რეცენზენტი მიიჩნევდა, რომ:

ილია ამ ბოლო დროს წერდა, მაგრამ არა ჰქმნიდა. და ამ ათი წლის განმავლობაში რაღაც მოჯადოებულ წრეში იმყოფებოდა და ვერ გათავისუფლებულიყო.

და რა გასაკვირია, „მაჭანკალი“ გაჭიანურებული რომ ყოფილიყო. მთელი მოქმედების განმავლობაში – რომელიც ერთ საათს გრძელდებოდა – მაჭანკალი სცენიდან არ გადიოდა და სულ ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა.

დავით ერისთავს არ გამორჩებოდა აღენიშნა ვრცელი მონოლოგის გონებამახვილობა და ქართული ენის სიწმინდე, ამ მხრივ ილიას ძნელად რომ მოეძებნებოდა ბადალი, აგრეთვე მოქმედ პირთა გამოკვეთა ოსტატის ხელით.

გაჭიანურებას – ლაპარაკი ერთობ გრძელი, გაუთავებელი რომ გამოვიდოდა და არავითარი მოქმედება, მოძრაობა არ იქნებოდა სცენაზე – „დროებაც“ მოიხსენიებდა: პირველი მოქმედება ამიტომაც შეიქნა მაყურებლისათვის მოსაწყენიო.

სამაგიეროდ მეორე მოქმედება ჩაივლიდა ისე ჩინებულად და ცოცხლად, პირველი მოქმედებისაგან მოგვრილ ძილს სრულებით დაუფრთხობდათ.

განსაკუთრებით მაინც დააფასებდნენ მსახიობის ოსტატობას:

მშვენივრად, ნამდვილი ხელოვნებით გამოხატა ჩვენებური მაჭანკლის ტიპი მობენეფისემ, ამგვარ საქმეში – მოგეხსენებათ – გაბუნიას ქალი ნამდვილი არტისტიაო.

არც ილია რომ არ ანიჭებდა დამოუკიდებელ მნიშვნელობას, იოსებ გრიშაშვილიც ვერ დაიჩემებდა, რომ ეს იყო სრულყოფილი კომედია თავისი მოულოდნელობითა და ხლართით.

მაჭანკალი მიკარგულიყო ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში, „კაცია-ადამიანის?!“ წამკითხველს უწინარესად სულ სხვა სურათები და ეპიზოდები რომ დაუდგებოდა თვალწინ, და მაჭანკლის სცენებშიც ლუარსაბი და მოსე გრძელაძე იქნებოდნენ მთავარნი... მაგრამ რაღაც საგულისხმოს მიანიშნებდა ეს სახე, საკმაო კოლორიტულობით წარმოსახული, დაკვირვებულ მკითხველს რომ აგრძნობინებდა, მაჭანკლობის ინსტიტუტი არცთუ ურიგო მასალას იძლევა დამოუკიდებელი სიუჟეტისათვის, კომედიისათვის მისწრებაც რომ შეიძლება გახდესო.

საკმაო კოლორიტულობით წარმოსახული მოთხრობაში, მაგრამ თუკი მის ირგვლივ დატრიალდებოდა „კაცია-ადამიანის“ სიუჟეტური ქარგა, რაღაც აკლდებოდა ამ სახეს, განმსაზღვრელად ვერ იქცეოდა მოვლენებისა, არადა ჩაბუდებულიყო მასში სწორედ ის ფარული ენერგია, მაჭანკალი რომ უნდა შექმნილიყო წარმმართველი კომიკური ვითარებისა, სილაღის სადავეს ხელთ რომ აიღებდა.

ჩაბუდებულიყო ის, რასაც ავქსენტი ცაგარელი მიაგნებდა და „ხანუმას“ სიუჟეტს კიდეც მაჭანკლის მიერ შექმნილი მხიარული ფოიერვერკის ირგვლივ დაატრიალებდა.

სად აზიდავდა და ატყორცნიდა, კომიკურ ნიღბად რომ აქცევდა და მსოფლიო კომიკურ ნიღაბთა გალერეას შეუერთებდა!

მაგრამ რომ არა ილიას მაჭანკალი – ხანუმას წინასახე?!.

რომ არა ნატო გაბუნია მაჭანკლის როლში?!.

პიესა ილიას სიცოცხლეში რომ არ დაიბეჭდებოდა, ხელნაწერი დაკარგული ეგონებოდათ, ვიდრე იოსებ გრიშაშვილი მიაგნებდა და იმასაც გაარკვევდა, გარდა იმ ერთი დადგმისა, „მაჭანკალს“ კიდევ ორჯერ რომ ითამაშებდნენ: 1882 წლის 7 იანვარსა (ნ. თომაშვილის საბენეფისოდ) და 1884 წლის 16 დეკემბერს.

ჯერ მარტო ამ სამი დადგმის პატივსაცემად რატომ არ შეიტანდა ილია ამ პიესას თავისი ნაწერების 1892 წლის გამოცემაში, ქართველთა ამხანაგობის თაოსნობით რომ იხილავდა მზის სინათლეს? გადმოკეთება იყო თუ რა იყო მოთხრობიდან, მაინც პიესას დამგვანებოდა და პავლე ინგოროყვას ამიტომაც ენანებოდა: თუმც ილიას ის „კაცია-ადამიანის“ ანარეკლ ორეულად მიაჩნდა მხოლოდ, მაგრამ მაინც გადაჭარბებული სისასტიკე გამოუჩენია, დაბეჭდვა რომ არ აღირსაო.

ბოლოსდაბოლოს ამ გამოცემაში ჩართავდა „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენებსაც“, რომელიც არც წარმოადგენდა პიესას, ამ ჟანრის ანარეკლად უფრო გვევლინებოდა, და – სხვა თუ არაფერი – ცალფად მაინც არ დაეტოვებინა ეს სცენები: ვითომ ურიგო იქნებოდა, ერთმანეთს რომ ამოდგომოდნენ გვერდში დრამატურგიული ყაიდის ეს ნიმუშები?

ავქსენტი ცაგარელის „ხანუმა“ რომ არ შექმნილიყო და ერთბაშად დიდი პოპულარობაც არ მოეპოვებინა, თვითონ ილიაც აღტაცებული რომ შეჰყურებდა ამ სპექტაკლს, თავის „მაჭანკალს“ ასე ულმობლადაც არ მოექცეოდა და, ცალკე თუ არ გამოსცემდა, კრებულში მაინც მიუჩენდა ადგილს, მაგრამ აღარ ღირდა – აშკარად აგებდა „ხანუმას“ ფონზე, და ამჯობინებდა, რომ შელეოდა.

და იკმარებდა მაჭანკლის სახედ იმას, მოთხრობაში როგორც გამოეხატა – დაე კვლავ მიბინარებულიყო და მხოლოდღა მკვლევარებს მიექციათ ყურადღება, ამ სახის გაღრმავება-განვითარებას თუ მიადევნებდნენ მზერას და გენეტიკურ კავშირსაც დაინახავდნენ ილია ჭავჭავაძისა და ავქსენტი ცაგარელის მაჭანკლებს შორის.

„გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენებს“ კი არამარტო ამ კრებულში ჩაურთავდა, არამედ თავის დროზეევეც გამოაქვეყნებდა ცალკე წიგნაკად, რომლის ეგზემპლარებსაც პავლე ინგოროყვა ვერსად მოიძევდა – არსად აღმოჩნდებოდა თბილისის წიგნთსაცავებში, მაგრამ ნიკო ნიკოლაძე ამცნობდა და დაუდასტურებდა, თავისი თვალით რომ ენახა ის წიგნაკი 1869 წელს, ევროპიდან საქართველოში რომ ჩამობრუნდებოდა. გამოცემის თარიღი ზუსტად აღარ ეხსომებოდა და 1865-68 წლებს შორის დაბეჭდილად ივარაუდებდა.

ნიკო ნიკოლაძის მეხსიერებას ჯერ ისედაც ენდობოდა ყველა, და მითუმეტეს ეს სცენები მოგვიანებით რუსულადაც ეთარგმნა და მიეწოდებინა პეტერბურგის ჟურნალისათვის „იზიაშნაია ლიტერატურა“ – 1883 წელს.

რაოდენ საგულისხმო ვითარებაა, არა?

ნიკო ნიკოლაძე... ილია ჭავჭავაძის დრამატურგიული ცდის მთარგმნელად რუსულ ენაზე!..

ხომ შეიძლებოდა სხვისათვის ერჩია, შესაფერისი მთარგმნელი თვითონვე მოეძებნა და თვითონ კონსულტანტის როლიც ეკმარა?

მაგრამ სწორედაც თვითონ რომ მოინდომებდა!..

რა – უკეთესი არაფერი ეგულებოდა ილიას ნაწერებში? ცხადია „სცენების“ მხატვრული ღირებულებით ვერ აღტაცდებოდა, მაგრამ მისი საზოგადოებრივი და სოციალური მხარე დააინტერესებდა და ამიტომაც მიიჩნევდა საჭიროდ მის გაცნობას რუსულენოვანი მკითხველისთვისაც. და მასაც ის მიზანი ამოძრავებდა, რაც თვითონ ილიას – ცალკეც რომ დაბეჭდავდა და არც კრებულში გამოტოვებდა – სწორედ საზოგადოებრივი და სოციალური მნიშვნელობის გამო.

პირადად რომ აკვირდებოდა ნაყმევთა და ნაბატონართა ურთიერთობას დუშეთში მომრიგებელ შუამავლად მუშაობისას, იფიქრებდა, რომ პუბლიცისტურ სტატიაზე უკეთ ამ ყოველივეს დრამატურგიული ყაიდის თხზულება უფრო წარმოსახავდა, და თუმც შესაფერის სიუჟეტს ვერ გამოძებნიდა, სცენებად შექმნას წინ რაღა დაუდგებოდა.

გლახა ჭრიაშვილის სახე მაინც ისე რელიეფურად გამოიხატებოდა და ისერიგაც განზოგადდებოდა, არაერთხელ გაიხსენებდნენ ხოლმე მასაც სხვა პერსონაჟთა გვერდით – მხატვრულად გაცილებით შთამბეჭდავი ჩარჩოდან რომ შემოგვყურებდნენ. თუმც – ლუარსაბ თათქარიძის მრავალშრიანი, რთული ხასიათის ცალმხრივი, გამარტივებული გააზრებისა არ იყოს – გლახა ჭრიაშვილის სახესაც ერთ განზომილებაში აღიქვამდნენ და მის სიტყვა-პასუხში მარტოდენ პაროდიას დაინახავდნენ, აღარ ჩაუკვირდებოდნენ, მხიარული კომიზმის მიღმა კიდევ რა შეიძლება ყოფილიყო ჩამალული.

„მიროვოი პოსრედნიკის“ ოთახში მასპინძელი მაგიდასთან რომ იჯდებოდა, რამდენიმე გლეხკაცი იდგებოდა, ორი მებატონე კი სკამზედ იქნებოდა ჩამომჯდარი. და „პოსრედნიკი“ გლახა ჭრიაშვილს რომ მიმართავდა: შენ ყველაზედ წინ მოხვედი და ჯერ შენ უნდა თქვა, რა საქმე გაქვსო, – ის ასე დაიწყებდა:

– მენა, შენი ჭირიმე, გლახა ჭრიაშვილი გახლავარ, როგორც მოგეხსენებათ. პაპა-ჩემი აზნაური გხლებიათ ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თორემ მენა ეგ ამბავი საიდამ მეცოდინება. დიდი ხნის კაცი ვიყო, კიდევ ჰო, მაგრამ მაგარი ესაა, რომ არა ვარ დიდი ხნისა. ბატონი ჩემი – აი, დამლახვრა ღმერთმა, – სულ არ მავიწყდება, ეხლა ბატონი აღარ არის, მაგრამ ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო, კიდონ ბატონი ნამცდება ხვალმე, ნუ შემრისხამთ, შენი ჭირიმე.

ხანმოკლე დიალოგი რომ გაიმართება ამ ორს შორის, „პოსრედნიკი" უნდა შეუწყრეს: გეუბნები, სთქვი-მეთქი, და შენ კი ხევისბერისავით ლოცვა-კურთხევას მეუბნები, თითქო დასამწყალობელად მოსულხარო. აბა, რა გინდა, სთქვიო, – გლახა კვლავინდებურად:

– მენა? ეს მინდა, შენი ჭირიმე, რომ პაპა-ჩემი აზნაური გხლებიათ ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თორემ მენა რა ვიცი? დიდი ხნის კაცი არა ვარ, რომ ნუგზარ ერისთავი მხსომებიყო. ეს კი ვიცი, რომ სისხლის წვიმების დრო ყოფილა.

„პოსრედნიკი", თითქოს მობეზრდაო, მხრებს აიჩეჩავდა, მთხოვნელი კი:

– არა, ნუ გამიწყრები, შენი ჭირიმე, ერთი დალაგებით მომახსენებინე ჩემი გულის დარდი, როგორც ზაკონის კანონია.

ძალიან ნუ გააგრძელებ, მოკლედ მითხარიო, – ეტყვის დამხვდური, რის პასუხადაც გლახა გაიხარებს: ოო, გადღეგრძელა ღმერთმა! მაშ ისევ თავიდამ დავიწყებ და ბოლომდინ გავალ, თუ მიბრძანებო, – და „პოსრედნიკი" უბეჯითებს: თუნდა თავიდამ დაიწყე, თუნდა ბოლოდამ, ოღონდ კი მალე შემატყობინე, ჩემთან რა საქმე გაქვსო.

და მთხოვნელი კვლავინდებურად:

– ისე დალაგებით მოგახსენებ, შენი ჭირიმე. სიჩქარით, შენი ჭირიმე, თქვენც კარგად მოგეხსენება, სოფელი არავის მოუჭამია. მოსამართლე ხელმწიფის ყურია. უნდა ყველაფერი თავიდამ ბოლომდინ გაგაგებინო. თუ წყალი სათავეშივე აიმღვრა, ბოლომდინ მღვრიედ ივლის, ამიტომ მინდა ისევ თავიდამ დალაგებით მოგახსენო, იმიტომ რომ კარგად დალაგებით დაწყობილი საქმე ბოლომდინ ანკარა წყაროსავით გავა. ეს თქვენ უფრო კარგად მოგეხსენებათ, თორემ მენა ამაებისა რა მეცოდინება?.. ისე სჯობია, თავიდამვე დალაგებით მოგახსენო: პაპა-ჩემი აზნაური გხლებიათ – ეს დიდი ხნის ამბავი გახლავს – ნუგზარ ერისთავის დროსაო, თუ გაგიგონიათ, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თქვენი ღმერთის-რისხვა არა მაქვს, თორემ მენა იმ დროებისა რა მეცოდინება? დიდი ხნის კაცი როდი ვარ... საყდარი ხომ საყდარია, თქვენ ეს უფრო კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ მაგარი ესაა, რომ ხორციელი ადამიანი სულ სხვა არის. ასე, რომა... ეჰ, რაღა გაგიგრძელო, გაგიგრძელდეს სიცოცხლე, მაინც-და-მაინც ადამიანი სულ სხვა არის. თუნდ ეგეც არ იყოს, მაინც ხომ საყდარი ქვა და კირია, ადამიანი კი სულ სხვა არის, ასე რომა...

ერთი მებატონეთაგანი უნდა ჩაერიოს, მოთმინებიდან გამოსული:

ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, კაი დალაგება გცოდნიაო.

და გლახა ჭრიაშვილი დაცინვას რომ ვერ მიუხვდება:

რა ვქნა, შენი ჭირიმე, ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასაო.

იგივე მებატონე დაასრულებს ამ აფორიზმს:

ზოგჯერ, ძმობილო, თქმითაც დაშავდებისო.

და ახლა მეორე მებატონეც ამოიღებს ხმას:

დაეხსენ, სიტყვას ნუ აწყვეტინებ, თორემ, მე რომ მაგისი ამბავი ვიცი, ეგ ისევ თავიდამ მოგვიყვება და შენი მტერი, ჩვენი საქმე იქნებაო.

და გლახა ჭრიაშვილმა კვლავ თავისი უნდა გაიმეოროს:

– სხვა რა, შენი ჭირიმე, რომ პაპა-ჩემი აზნაური გხლებიათ, დიდხნის ამბავს მოგახსენებ – ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო, ასე ამბობენ, თორ...

ცოტა ირონიულია ილია თავისი პერსონაჟის მიმართ, ცოტა გროტესკულად ამძაფრებს მის მონოლოგებს, გვარ-სახელიც ისეთი შეურჩევია – გლახა ჭრიაშვილი – იმთავითვე მიგახვედრებს, საშველი რომ არ დაადგება მის ლაპარაკს, გააჭრიალებს და გააჭრიალებს, და ვერა და ვერ გადავა მთავარ სათქმელზე... მაგრამ ირონიულობისა და გროტესკულობის მიღმა ხელშესახებად ცნაურდება ქართლელი მთხრობელის მეტყველების თავისებურება. იგი იმასაც პირდება „პოსრედნიკს“:

– ჩემთვის ლამაზად გულისყურს მოვიკრებ, ეხლა, გლეხკაცი ვარ, ბევრი რამ მავიწყდება, ასე რომ ნახევრის ნახევარიც ვერ მოგახსენე. რომ მოვიფიქრებ და მოვისაზრებ კი, ყველაფერს ზღაპარსავით მოგახსენებ, ასე რომა თქვენ...

და აქ „ზღაპარი“ შემთხვევით არ არის ნახსენები – გლახა ჭრიაშვილი ზღაპრების მსმენელიც არის და ზღაპრების მთხრობელიც, შეჩვეული და გაშინაურებული ამ ტრადიციასა და ამ სამყაროს, და ამიტომაცაა, რომ სიტყვა წინ არ უსწრებს და სულაც არა ჩქარობს სათქმელის მოთავებას – თანდათან აჩვევს მსმენელს, ნელ-ნელა შეჰყავს იმ გარემოში, რომელშიც მთლიანად უნდა დაიპყროს მისი გული და გონება და სრულყოფილად განაცდევინოს ამბავი, რაც აუცილებლად მიაჩნია, მსმენელს მტკიცედ ჩაუჭედოს გონებაში, რამდენჯერმეც უნდა დაუბრუნდეს და დაუბეჯითოს და დაუბეჯითოს.

ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო...

საუკუნეთა წინათ იყო ნუგზარ ერისთავიც და მისი ლაშქრობაც მთისა და მთიელთა დასაპყრობად, იმ საუკუნეთა წინარე ამბებს გლახა ჭრიაშვილის პაპა აბა როგორ მოესწრებოდა. ცხადია უფრო აქეთა დრო იგულისხმება, საუკუნის დასაწყისი – და სისხლის წვიმებიც რუს მმართველთა მიერ განხორციელებულ რეპრესიებზე მიანიშნებდა „სცენების“ წამკითხველსა თუ მაყურებელს, აჯანყებულ ქართველობას რომ გაუსწორდებოდნენ სისასტიკითა და დაუნდობლობით.

ერთბაშად თუ ვერ მიუხვდებოდნენ, პერსონაჟის დაჟინება, წამდაუწუმ ხსენება სისხლის წვიმებისა, დააყენებდათ სწორ კვალზე.

გლახა ჭრიაშვილს ანდაზები რომ აკერია პირზე, ესეც ჩვეული მანერა გახლდათ იმჟამინდელი მეტყველებისა – და არა მხოლოდ მთხრობელების,

ყველას ძალდაუტანებლად ახსენდებოდა ესათუის შეგონება თუ ფრთიანი ფრაზა, ისე, რომ აღარც უკვირდებოდნენ, ხატოვნად თუ მეტყველებდნენ. და ილიას სულაც არ დასჭირდებოდა თვითონ შემძვრალიყო პერსონაჟის ტყავში და მისი მეტყველება ანდაზებით გადაეცსო, სავსებით კმაროდა რეალისტურად, ის კი არა – ნატურალისტურად გადმოეღო თანადროული მეტყველების სტილი – როგორც თავადაზნაურობის, ისე გლეხობის, ერთმანეთისაგან რომ არ განირჩეოდა.

და ისიც სავსებით ბუნებრივად გაისმის და ყოფითი რეალობიდან პირდაპირ გადმოღებულად, მებატონე გლეხს ასე რომ მიმართავს: ძმობილოო!..

თან იღიმებოდა ილია თავის პერსონაჟზე, გულისხმიერი, კეთილი ღიმილით, თან იხიბლებოდა მისი მეტყველების თავისებურებით, გულსა და სულს რომ სდებდა თხრობაში და მსმენელსაც მოთმინებას აჩვევდა, რათა უფრო ჩაკვირვებოდა, უფრო ჩაფიქრებოდა ნათქვამს, მნიშვნელობა მიენიჭებინა სიტყვებისათვის და არ დაკმაყოფილებულიყო მარტოდენ რაიმეს შეტყობით.

ქრებოდა, იკარგებოდა თხრობის ეს მანერა, ცალკეული პიროვნებანიღა ინარჩუნებდნენ და ილია შეეცდებოდა „სცენებში“ შემოენახა, თან კომიკური ჟანრისთვისაც მოერგო და დრამატული ამბები ხალისიანად გადმოეცა, მკითხველისა თუ მაყურებლის სიცილი რომ აჰყოლოდა, თუმც სიცილ-სიცილში არ უნდა გამოგვრჩენოდა ილიას ხედვის რელიეფურობა თუ შინაგანი სივრცე, სხვადასხვა განზომილებიდან რომ შეჰყურებდა ადამიანებსაც და პერსონაჟებსაც.

ამ პერსონაჟის გვარ-სახელს ამჯობინებდნენ რეჟისორები სპექტაკლის სახელწოდებად, „გლახა ჭრიაშვილის“ სათაურით რომ დგამდნენ, პირველად კი 1870 წლის 23 ნოემბერს წარმოადგენდნენ გიორგი ერისთავისა და რაფიელ ერისთავის პიესებთან – „ძუნწი“ და „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწილეს“ – ერთად, მაყურებელი ყველაზე მეტა ილიას პიესის სცენურ ვერსიას რომ მოიწონებდა.

„დროების“ რეცენზენტს არ ეგონებოდა, თუ წარმოსადგენად ივარგებდნენ ეს მშვენიერი „სცენები“, რაკიღა თეატრისთვის დაწერილად არ მიიჩნევდა, მაგრამ... მისდა სასიამოვნოდ – მოტყუვდებოდა.

მართალია „სცენებს“ არ გააჩნდა სცენიური მოძრაობა, სასცენო ეფექტი, მაგრამ მის ნაცვლად ყოველი სიტყვა მოქმედი პირებისა და ყოველი მათი მიხვრა-მოხვრა, თვით ნამდვილი ცხოვრებიდან გამჭრიახი თვალით შენიშნულიყო და ხელოვანის კალამსაც აღეწერა. და ეს აღმოჩნდებოდა ნამდვილი მიზეზი იმისა, „სცენები“ ასე რომ მოეწონებოდა საზოგადოებას.

რეცენზიიდან ამ ამონარიდს რომ მოიხმობდა იოსებ გრიშაშვილი, თავის მხრივ დასძენდა:

საზოგადოებას იმიტომაც მოეწონა „გლახა ჭრიაშვილი“, რომ აქ არის შესანიშნავი დიალოგი, ილიასებური, ხალხურ სიტყვიერებაზე აშენებული სიტყვა-პასუხი და ბუნებრივი, ქართული კონსტრუქციით აყვავებული სტრიქონები, ილიას ამ ოსტატობაში ბადალი რომ არა ჰყავდაო.

ერთ-ერთი წარმოდგენა 1875 წელს რომ გაიმართებოდა ტფილისში, მომრიგებელი მოსამართლის როლს შეასრულებდა... კირილე ლორთქიფანიძე, რეცენზიას თვითონვე რომ დაბეჭდავდა „დროების“ ფურცლებზე და თავის თამაშს ასე დაახასიათებდა:

მომრიგებელი მოსამართლის როლის აღმასრულებლის მაგიერ სცენაზე რომ მუთაქა დაედოთ, სულერთი იქნებოდაო.

მუდმივი დასი რომ დაარსდებოდა, პიესა გამუდმებით იტრიალებდა რეპერტუარში, გლახა ჭრიაშვილს შესანიშნავად რომ განასახიერებდა კოტე ყიფიანი, აზნაურის ქვრივს კი – ნატო გაბუნია.

იოსებ გრიშაშვილი იმასაც ამცნობდა მკითხველს, რომ:

90-იან წლებში ქვრივის როლს შეასრულებდა ლიზა ჩერქეზიშვილი, ხოლო ჭრიაშვილისას – ვიქტორ გამყრელიძე, ის მსახიობი, რომლის მონაწილეობასაც სპექტაკლში „სამშობლო“ – სვიმონ ლეონიძის როლში – საგანგებო სტატიას მიუძღვნიდა ილია „ივერიის“ 1892 წლის 77-ე ნომერში.

და მკითხველს თავიდანვე გაუზიარებდა თავის აღტაცებას:

ვისაც სურვებოდა ოდესმე ნახვა ნამდვილი დარბაისელი ძველი ქართველი კაცისა, რომელსაც გულში გამონასკვოდა დარბაისლურადვე დიდი სურვილი და დიდი გრძნობა, უნდა დასწრებოდა წარსულ კვირადღეს, 12 აპრილს, „სამშობლოს“ წარმოდგენას ჩვენს თეატრში.

არას იტყოდა სხვა მოთამაშეებზე, უკვე ცნობილებზე, მაგრამ არ შეეძლო არ აღენიშნა ის ფრიად ჭკვიანური, გრძნობიერი, უმეტნაკლებო აღსრულება როლისა, რომლის ცხად მაგალითსაც თვალწინ გაუტარებდა მაყურებელს ვიქტორ გამყრელიძე.

ისევ შესაფერისად მორთულიყო, პირველ დანახვაზევე იგრძნობდი, ასე უბრალოდ, სადად, მაგრამ ფაქიზად ჩაცმული კაცი უსათუოდ შინაგანი ღირსებით უნდა იყოს მდიდარიო.

მერე კიდევ: მისი ყოველი მიხვრა-მოხვრა, ყოველი მოძრაობა, ხელისა თუ სახის ასეთუისე ხმარება ისე შეესაბამებოდა ძველ, დარბაისელ ქართველს, ამასთან დიდსულოვანსა და დიდგულოვან კაცს, როგორიც სვიმონ ლეონიძე გახლდათ, სწორედ რომ აკვირვებდა მაყურებელს.

არც ჭიმვა – აცა დიდსულოვანი კაცის როლსა ვთამაშობ და გავიბღინძოო – არც გრეხა და პრანჭვა, არც გაჭაჭება – აცა გმირად გამოვჩნდეო – არცერთი ამისთანა უმსგავსობა არ მოუვიდოდა და ისეთ ხელოვნებას გამოიჩენდა, რომ ყოველგვარი ამ უგემურობისა და ფერუმარილის გარეშე წარმოსახავდა ნამდვილ გმირს.

არც ბუკს დაუკრავდა, არც ნაღარას, და ჭეშმარიტად დიდსულოვან ძველ ქართველს დაწყნარებით, დიდი ხელოვნებით წარმოჩენილი თავდაჭერით, გადუმეტებლივ დაუხატავდა მაყურებელს გაოცებულ თვალწინ.

მის თამაშს ილია შეადარებდა თვით ბუნებას – არც მეტი რომ იქნებოდა არაფერი და არც ნაკლები. თავიდან ბოლომდე ერთნაირად, თანასწორად, ფრთხილად და ცოდნით, ნამდვილი გმირის ბუნების შეუბღალავად გაატარებდა თავის როლს.

საგანგებოდ აღინიშნებოდა:

სიტყვა-პასუხის კილოსაც მშვენიერს რომ გამოიჩენდა მსახიობი.

მის ლაპარაკში თითქმის ყოველი სიტყვა თავის ადგილას ისეთი შესაფერისი კილოთი იქნებოდა თქმული, როგორც ეკუთვნოდა.

აუჩქარებლივ, დინჯად, მშვიდობიანად მოლაპარაკე სიმხურვალესა და მნიშვნელობას მიანიჭებდა სიტყვას, რომ არა ერთსა და ორს მოჰგვრიდა ცრემლს და აუდუღებდა გულს დიდი გრძნობის ცეცხლით.

უკანასკნელ სცენაში, როცა ლევან ხიმშიაშვილს ეთხოვებოდა და სასიკვდილოდ მიდიოდა, ისეთი ბუნებით სავსე კილოს გამოიყენებდა, პირველხარისხოვან არტისტებსაც ხშირად გაუძნელდებოდათ.

სვიმონ ლეონიძის დიდბუნებოვნების ზარს მთელი თავისი ძალმოსილებით რომ იგრძნობდა ერთიანი კრება მაყურებლისა და ისე განაბავდა ყველა სულს, რომ ვიქტორ გამყრელიძის სიტყვები:

– ლევან, აღთქმა, აღთქმა, არ დაივიწყო აღთქმა.

გასავალ კარში ხმადაბლად, თითქმის ჩურჩულით თქმული, მოეფინებოდა მთელს დარბაზს თეატრისა თავიდან ბოლომდე.

არც მაყურებელი დარჩებოდა უიმისოდ, რომ თავისი მხრივ პატივი არ ეცა და აღტაცება არ გამოეთქვა არტისტისათვის. გარდა იმისა, რომ ბევრჯერ გამოიწვევდნენ ტაშისკვრით თამაშისას, მერეც, როდესაც დასრულდებოდა წარმოდგენა, ბატონ გამყრელიძეს, დიდი ხნის მორჩენილს თავის როლს და ლოჟაში მჯდომარეს, დიდი ძახილით ხელახლა გამოიწვევდნენ და: ერთიანი ტაშის გრიალი აჩვენებდა მსახიობს, რომ ნიჭის დაფასება ჩვენშიაც სცოდნოდათ.

და ილიას როგორ არ გამოერჩია ეს მსახიობი და იმ დღის წარმოდგენა, როდესაც ბევრ არტისტს არ ემოქმედა ასე ძლიერ და ხანგრძლივ მაყურებელზედ, რომ ორი-სამი მოქმედების შემდეგაც, სადაც მას არ ეთამაშა, მაყურებელი იძულებული შექმნილიყო წარსული აღტაცებისაგან ხელახლა გამოეწვია პატივსაცემად აღტაცების მიზეზი.

და ვიქტორ გამყრელიძე იმ კვირადღეს სწორედ ღირსი იქნებოდა ამ სასახელო პატივისცემისა.

შესანიშნავი იქნებოდა ტრაგედიაში.

და არანაკლებ შესანიშნავი – კომედიაშიც, გლახა ჭრიაშვილის ხასიათის გასახსნელადაც შესაფერის კილოს რომ მიაგნებდა და თითქმის ყოველ სიტყვას ისე ზუსტად წარმოთქვამდა, როგორც ეკუთვნოდა ამ ხასიათს.

და ილიას ღიმილსაც, მის ხალისიან და გულიან სიცილსაც შთამბეჭდავად ამოიტანდა სცენაზე.

ღიმილი ღიმილად, ხალისი ხალისად და... მისი იუმორი სარკაზმითა და სატირითაც რომ უნდა გაჟღენთილიყო, საამისო მიზეზს არ მისცემდნენ თურა.

და „გამოცანების“ ორი ციკლი პამფლეტის ჟანრის საუკეთესო ნიმუშად წარმოდგებოდა, მარჯვედ მიგნებული ორიოდ შტრიხით ხელშესახებად რომ აცოცხლებდა თანამედროვეთა სახეებს, უმეტესობა ყოველგვარ

ეროვნულს ადვილად რომ წირავდა კარიერული წინსვლისათვის, და მაშინაც სამარცხვინოდ მოიქცეოდა თავადაზნაურთა კამარილია, იმპერატორი რომ ეწვეოდა საქართველოს 1871 წელს.

თავადაზნაურობა გადაწყვეტდა იმპერატორისათვის ადრესის მირთმევას.

და რა შეიძლება ეთხოვათ იმპერიის მბრძანებლისათვის, ყველაზე ძალიან რა ესაჭიროებოდა ქართველ ხალხს, რისი გამოგლეჯა მოხერხდებოდა ზეიმის დღეებში?

თავადაზნაურთა ყრილობა რომ გაიმართებოდა, საგანგებოდ მოწვეული ამ შემთხვევისათვის, იქ ძალიან გამოიდებდა თავს თერგდალეულთა ჯგუფი და, თუმც ადვილად ვერ მიაღწევდნენ თავისას, მაგრამ დიდი შეხლა-შემოხლისა და მღელვარების შემდგომ მაინც დაიყოლიებდნენ უმეტესობას და დაადგენდნენ ადრესის ამგვარ შინაარსს:

უნივერსიტეტის გახსნა თბილისში.

მაგრამ ჩაერეოდა და უხეშადაც ჩაერეოდა მეფისნაცვალი ბარონ ნიკოლაი და ის ჯგუფი, რომელიც თერგდალეულთა შემოტევის გამოისობით იმ ყრილობაზე მიიჩეხებოდა, ახლა კი ფარულად იმოქმედებდა და მარშალი რევაზ ანდრონიკაშვილიც სიხარულით დათანხმდებოდა ადრესის შინაარსის გამოცვლას, გვერდს აუქცევდა დადგენილებას და იმპერატორს წარუდგენდა სულ სხვა თხოვნას:

კადეტთა კორპუსის გახსნა თბილისში.

ეს ადრესი შემუშავდებოდა კომისიის ამ შემადგენლობით: გიორგი მუხრან-ბატონი, დიმიტრი ჯორჯაძე, იასე ჭავჭავაძე, ბესარიონ ღოღობერიძე და მიხეილ თუმანიშვილი.

თუ ვინ იგულისხმებოდნენ „გამოცანებში“, მათ ვინაობას ჯერ კიდევ როდის გაშიფრავდა ასიკო ერისთავი.

ენდობოდა, განა არ ენდობოდა პავლე ინგოროყვა ამ განმარტებას, მაგრამ ნიკო ნიკოლაძესთან სიახლოვეს ამ მხრივაც არ გაუშვებდა ხელიდან და, ამ სიას რომ აჩვენებდა, ისიც დაადასტურებდა. იმჟამად თბილისში რომ იმყოფებოდა ნიკო, უშუალო მოწმე გახდებოდა იმ აჟიოტაჟისა, რაც ამ სატირული პოეტური ციკლის შექმნას მოჰყვებოდა, ხელნაწერი ხელიდან ხელში რომ იტრიალებდა და გააგულისებდა და გააცოფებდა „გამოცანების“ ადრესატებს.

„გამოცანების“ კიდევ ერთ ხელნაწერს რომ წააწყდებოდა მკვლევარი – როდის და ვის მიერ გადაწერილიყო, არა ჩანდა, მაგრამ სიძველის ნიშნებს კი ატარებდა და დიდად არ დაშორებოდა 70-იან წლებს – აშიაზე ჩამოთვლილი იქნებოდა ყველა ის პირი, რომელთაც ეძღვნებოდა ეს პამფლეტები, იგივენი, ასიკო ერისთავის სია რასაც ირწმუნებოდა, ოღონდ ერთი განსხვავებით: მეექვსე გამოცანის ადრესატად დასახელდებოდა იასე ანდრონიკაშვილი. და პავლე ინგოროყვა ნიკო ნიკოლაძეს რომ მიაკითხავდა დასაზუსტებლად, ის გადაჭრით დაუდასტურებდა:

– არა, ეს გამოცანა ეხება იასე ჭავჭავაძეს, რომელიც იყო წევრი ადრესის შემდგენელი კომისიის.

ჰოი რა დღე დაადგებოდათ ლაქიური სულის შეპყრობილ ამ ადამიანებს ილიას მრისხანე კალმის ქვეშ!..

რევაზ ანდრონიკაშვილი იქნებოდა და:

ულვაშსრული მელოტი, უთაური თავიანი, ხელთა მლოკი, ქონდრისკაცი, დიდგულა და ბოხხმიანი. ტანად პატარა სხვაფრივ დიდად რომ მოჩანდა, ქვეყანა და ქვეყნის თხოვნა კი ფეხებზედ ეკიდა.

ეს მძაფრი ხალხური გამოთქმა გამოჰყვებოდა რეფრენად „გამოცანებს“, როგორც უმთავრესი ამორალური ნიშანი ძლიერთა ამა ქვეყნისათა.

გიორგი მუხრან-ბატონი იქნებოდა და:

კოხტა და ღობემძვრალა, პატარა და ჩამომხმარი, ცხვირნისკარტა, ნიკაპწვეტი, უკამური, განსგამდგარი, ჭკუით და გულით მოცვეთილი, ქვეყანაზედ უქმად დაგდებული, თვითონ მაღლა მჯდომი, ქვეყნის საქმე ფეხებზედ რომ ეკიდა.

ივანე მუხრან-ბატონი იქნებოდა და:

ბუღა, კისერმოკლე, პირმრგვალი და ტანად სრული, ლაზღანდარა და მასხარა, ქვეყნისაგან ლაფდასხმული. გაქნილობა რომ გაუდიოდა, ჭკვიანის ხმა დაეგდოთ მისთვის, მაგრამ ჭკუისა არა ეცხო რა, მხოლოდღა გაქნილი რომ გახლდათ. ტაციობით დღეს აღამებდა, გულმურტალი და ფლიდი, ყველა ლანძღავდა, მაგრამ ყველა იმას ფეხებზედ ეკიდა.

პლატონ იოსელიანი იქნებოდა და:

ცხვირდიდა და თვალდიდრონა, მსუნაგი და ტრაბახა, ერთი უშნოდ აწოწილი, ერთი რაღაც ახმახი. სეხნია სახელდიდი რომ ჰყავდა, თვითონ მარტო გრძელი გახლდათ, ძველის მცოდნე, მაგრამ ყბედი და ჭკუაზედ თხელი. ენაბრტყელი და გულმრუდე, ადვილად მოსასყიდი, და ამ ყლაპიასაც ქვეყანა ფეხებზედ ეკიდა.

იმ კომისიაში არ გარეულიყო პლატონ იოსელიანი და, სასიკეთო საქმეებიც აღესრულებინა, მაგრამ ეს სასიკეთო საქმენი იკარგებოდა მის იმ თხზულებებსა და ცხოვრების წესში, იმპერიას რომ ედგა მსახურად და საქართველოს ბედსაც ამ რაკურსიდან გაიაზრებდა. ამიტომაც ჩართავდა მასაც „გამოცანებში“ ილია, და რაც მისგან გული სტკენოდა, ეროვნულ ღირებულებათა დამცველად რომ ვერ იგულებდა, აქ ამოიყრიდა ჯავრსაც და აცინებდა ქვეყანასაც.

დიმიტრი ჯორჯაძე იქნებოდა და:

თეთრწითელა ვაშლივით, ხაშხაშლოყა და მსუქანი, რაც ნახირში გარეულიყო, არ გახლდათ დიდი ხანი. ქვეშ-ქვეშა და მელაძუა, მორიელი, ფრთხილი, წყნარი, კარგად არ იცნობდნენ, რა კუდიანიც ბრძანდებოდა. ქალაჩუნა და ლუჩუნა, და კიდევ ფარისეველი, ამ მძრომსაც თავისი ქვეყანა ფეხებზედ რომ ეკიდა.

იასე ჭავჭავაძე იქნებოდა და:

პირტიტველა და ჭროღთვალა, თავმდაბლად გამომხედი, არც კარგი და არც ავი მის ხელთ რომ არ მოემოქმედა. ყველას უყვარდა და თვითონაც ყველა უყვარდა, ყველასათვის მეტად ტკბილი გახლდათ, მაგრამ... ზემოთ-

ქმული ღობემძვრალას უკან მიმყოლ ჩრდილობასაც რომ არა თაკილობდა?!. იცოდა, განა არა ილიამ, ქვეყნისადმი გულში დიდი ტრფობა რომ ჩაედო, მაგრამ საქმით კი ქვეყანა მასაც ფეხებზედ ეკიდა.

ბესარიონ ღოღობერიძე იქნებოდა და:

ერთი ვინმე შავგვრემანი, სუსტი და პირადხმელი, დიდებში ბრძნად ქებული, ჭკუამოკლე და ენაგრძელი. დიდთა ქებით გაბერილიყო, ვით ავი სენით ტრიკი, ახალი აღთქმის კაცი გახლდათ და... ახლა ქვემძვრომ ხვლიკად გადაქცეულიყო. ახალსა და ძველს შუა ჩატეხილი ხიდი იყო, და ამ ტყუილ ბრძენსაც ქვეყანა ფეხებზედ ეკიდა.

ახალი აღთქმის ანუ ახალთაობის კაცი, თერგდალეულთა და ილიას სტუდენტობისდროინდელი ამხანაგი ახლა საწინააღმდეგო ბანაკში გადაბარგებულიყო და... მაშ ეწვნია მწვავე ნესტრები.

* * *

მიუტევებდა ამ ცოდვას ადრესზე ხელმოწერისა და მოგვიანებით ძალიანაც დაენანებოდა მისი განშორება წუთისოფელთან 47 წლის ასაკში – ჯერ ისევ ბეჯითის, მშრომელის, ძალითა და ღონით აღსავსესი. თუმც მრავალი რამ ითქმოდა გაზეთებში და ახალ რაღას უნდა დალოდებოდა მკითხველი, მაგრამ ეს ისეთი საზოგადო უბედურება გახლდათ, ილია მოვალედ შერაცხდა თავს რამდენიმე სიტყვით მოეხსენიებინა განსვენებული და მით თავისი მწუხარებაც ჩაერთო საზოგადო გლოვისა და გოდებისათვის.

ნაბიჯ-ნაბიჯ აღადგენდა ბესარიონ ღოღობერიძის ბიოგრაფიულ ქარგას და გამოჰკვეთდა იმ რეალიებს, მის პიროვნულ ღირსებებზე რომ მეტყველებდა და ფსიქოლოგიური პორტრეტის კოლორიტულ შტრიხებად წარმოდგებოდა.

მოიხელთებდა თუ არა საკუთარი შრომით ნაშოვნ ორიოდე გროშს, მაშინვე გასწევდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც დიდ გაჭირვებასა და ვაივაგლახს გამოივლიდა, მაგრამ ძალას შეჰმატებდა განუსაზღვრელი სიყვარული სწავლისადმი და განუქრობელი ნაპერწკალი უმაღლესი მიდრეკილებისა საყოველთაო სიკეთისადმი.

კურსს რომ დაასრულებდა, შესთავაზებდნენ უნივერსიტეტში დარჩენასა და პროფესორად მომზადებას, რაც მოასწავებდა: სახელს, დიდებას, მაღალ ადგილს საზოგადოებაში – მეტადრე ისეთი პროფესორისათვის, ბესარიონი რომ იქნებოდა.

და მაშ რატომ უარჰყოფდა პროფესორობასა და უნივერსიტეტში დარჩენას?

რატომ და:

გარდა ცოდნისა და მეცნიერებისადმი სიყვარულისა, გულში უღვიოდა კიდევ არანაკლები სიყვარული თვისი სამშობლოისა. მოაგონდებოდა დავარდნილი, დაცემული ხალხი, მსხვერპლად მიცემული უმეცრებას, ჭკუითა და ზნეობით სიბნელეს, ჩავარდნილი სხვადასხვა ბოროტმოქმედის ხელში... და გული ვეღარ მოუთმენდა – დატოვებდა გულით საყვარელ სფეროს სა-

მეცნიერო სამსახურისა, გამოსწევდა სამშობლოსაკენ და მიეცემოდა ცხოვრების აყალმაყალს.

და ჩაწვდებოდა ბესარიონ ღოღობერიძის იმჟამინდელ ფიქრსაც ილია:

აქ უჩემოდ სხვანიც ბევრნი იქნებიან, მაგრამ იქ, ბედკრულ საქართველოში პატიოსანი კაცი და მოღვაწე ერთი ათასადა ღირსო.

შინ დაბრუნებული ბესარიონი ტფილისის გიმნაზიის მასწავლებელი გახდებოდა, იქიდან საქალებო ინსტიტუტის ინსპექტორად გადაინაცვლებდა, ხოლო როდესაც – 1874 წლიდან – დაარსდებოდა სახალხო სკოლების დირექტორობა, ამ თანამდებობაზე დაინიშნებოდა ბესარიონ ღოღობერიძე, უკეთეს კაცს რომ ვერც იპოვნიდა მთავრობა ამ საქმისათვის. და ისიც მართლადა ბეჯითად მოეკიდებოდა სკოლების საქმეს, მოივლიდა ქართლსა და კახეთს და საკუთარი თვალით დააკვირდებოდა ხალხის განათლებას, გამართავდა რამდენიმე სკოლას – საგარეჯოში, ყვარელში, ენისელში, გურჯაანსა და სხვაგანაც...

და ხალხის განათლების საქმეს დაურთავდა შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის საქმესაც, რაკიღა კარგად გრძნობდა, თუ რა მჭიდრო კავშირი სუფევს ეკონომიკურ მდგომარეობასა და განათლებას შორის; კარგად ხედავდა, რომ ხალხი დიდ გასაჭირში იმყოფებოდა, სხვადასხვა ვაჭრის ხელთ ჩავარდნილი და ხელფეხშეკრული, და თუკი კუჭსაც ვერ გაიძღობდა, რაღა სწავლა უნდა მოჰგონებოდა.

ამიტომაც მიჰყოფდა ხელს მოძღვრებას შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის დასაარსებლად და დააფუძნებდა კიდეც რამდენიმეს. ამ ამხანაგობათა გამგეობას ჩააბარებდა თვით სოფლის მასწავლებელთ და ამით აღიარებდა ხალხის წინაშე აუცილებელ ურთიერთობას სწავლასა და ეკონომიკურ ყოფას შორის.

დიდხანს ვერ გასტანდა მისი დირექტორობა – მოკლე ხანშიაც რომ დაიმკვიდრებდა ხალხში კეთილ სახელსა და გულითად სიყვარულს – რადგანაც იმერეთის თავადაზნაურობა შეუდგებოდა საადგილმამულო ბანკის დაარსებას, რომლის წესდებასაც ბესარიონი შეადგენდა.

და ამ ახალი საქმისათვის საჭირო რომ შეიქნებოდა თადარიგიანი კაცი, მხნე, მცოდნე, პატიოსანი, საქმისათვის თავდადებული, მარტო საქმისათვის, და არა მიმყოლი ტყუილუბრალო ცილობისა საკუთარი, პირადი სარგებლობისათვის, ამგვარ კაცად გამოჩნდებოდა კვლავ ბესარიონ ღოღობერიძე.

და ისევ უნდა ეცადა მის ფიქრებში შეღწევა, ილიას ეს რომ არც არასოდეს უძნელდებოდა:

მართალია მსხვერპლად უნდა დავდო ჩემი გულის საყვარელი შრომა და მოღვაწეობა, მაგრამ ისიც, თავადაზნაურთა ბანკი, დიდი საქმეა ჩემი ქვეყნისათვის და საჭიროა დასაწყისშივე კარგ გზაზე დადგესო.

და ბანკის გამგედ რომ ამოირჩედნენ, ილია ამ სიტყვებში ჩაწურავდა მის ღვაწლს: უშველებელი შრომით მიჰყო ხელი და ზედ შეაკვდა კიდეცო.

გარდა ამ საჯარო და ყველასათვის აშკარა მოღვაწეობისა, ილიას როგორ გამოეპარებოდა მისი საიდუმლო სიკეთე: ვისაც გროშიც არ გააჩნდა

სწავლისათვის, იშოვნიდა ბესარიონის შემწეობით; და ვისაც წიგნი დააკლდებოდა, იგივე ბესარიონი მიაწვდიდა.

ამგვარ შემწეობას არავინ რომ არა თაკილობდა, ამ გარემოებასაც იოლად ახსნიდა ილია: ბესარიონის გულწრფელობა ყველასათვის უეჭველი იყოო.

წიგნს მიაწვდენდა თუ ფულს, ისე ალალად, ძმურად, რომ საწყენად ვის უნდა დარჩენოდა. ამ სიტყვების თქმაც რომ ჰყვარებოდა:

– ერთ ცისა ქვეშ ვართ დაბადებულნი, ერთიდაიმავე ქვეყნის შვილები ვართ და რად უნდა გვწყინდეს ერთიერთმანეთის შველა და შემწეობა?!.

მართალია თითქმის მთელი საქართველო იგლოვებდა ამისთანა შვილის დაკარგვას, მაგრამ განსვენებულს დაენერგა თავისი სამშობლოსათვის ერთი ნუგეშიც:

ჩანდა სიცოცხლისა და წარმატების სახსარი არ გასწყვეტოდა იმ ქვეყანას, რომელსაც ებადებოდა ამისთანა სახელოვანი შვილი.

თავისი მოღვაწეობით მოენანიებინა ის ცოდვა, უნივერსიტეტის დაარსებას რომ უგანებდა და ძლიერთა ამა ქვეყნისათა გავლენით იმპერატორის სიამოვნებას მოინდომებდა.

მაშინ ჩატეხილ ხიდთან გაიგივდებოდა?

საკმარისი დრო არ მოეზომებოდა წუთისოფელში, მაგრამ იმდენი კი, რომ ეს მძიმე შეცდომა გამოესწორებინა და ქვეყნისთვისაც სასახელო საქმეებით დაემახსოვრებინა თავი, ის ილია რომ დაბეჭდავდა თავისი ბეჭდით, მანამდე მკაცრ განაჩენს რომ გამოუტანდა და გვარიანადაც დასუსხავდა.

არა, არ გაწყვეტოდა სიცოცხლისა და წარმატების სახსარი ჩვენს ბედკრულ ქვეყანას ბესარიონ ღოღობერიძისთანა შვილების იმედადაც.

ბარემ ჯობდა იმ შეცოდებაშიც არ ჩაედგა ფეხი, კადეტთა კორპუსის გახსნა არ დაემჯობინებინა უნივერსიტეტისათვის, მაგრამ ღმერთს მაინც არ გაეწირა წუთისოფლისაგან განაწირი.

* * *

უნდა ცდილიყავ, ილიას მრისხანე კალმის ქვეშ არ მოყოლილიყავი.

მოყვებოდი და... ვიღა რაღას გიშველიდა, თუ შენივე სასიკეთო საქმენი არ გამოგისწორებდა დაისრულ პორტრეტს.

თავისი დანიშნულება დაჰკისრებოდა „გამოცანებს": არ მორიდებოდა მოსარიდებელთ და ეგრძნობინებინა და მკაცრადაც ეგრძნობინებინა მათთვის, იოლად არ ჩაუვლიდათ ლაქიური ცხოვრების წესი და კომპორისეული გადაწყვეტილებანი, იმპერიულ სურვილ-მოთხოვნებს დამორჩილებული.

გრიგოლ ორბელიანი იქნებოდა და:

ჯმუხი მოხუცი, პირად ბადრი, ტანდაბალი, საქმით წმინდა, გულმხურვალე, სიტყვატკბილი, ჭკუამაღალი. ძველთაგან ეგლა დარჩენილიყო გრძნობით სავსე, გონიერი, მაგრამ... გაუბედავი გახლდათ, თუმც უყვარდა თავის ერი. ძველსა და ახალს შუა შემაერთებ ხიდად წარმოდგებოდა, მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა ზოგჯერ, ზოგჯერ, ზოგჯერ, მაგრამ ფეხებზედ ეკიდა ხოლმე.

აშკარად გამოირჩეოდა სხვათაგან გრიგოლი, ამოვარდნილი იქნებოდა ამ წრიდან, მაგრამ... მაინც მათთან დაკავშირებული თავისი გაუბედაობის გამოისობით. არ ენანებოდა მისადმი აღმატებული ეპითეტები ილიას, ის ძველი სიყვარული არ განელებოდა, გრიგოლის სტრიქონები რომ ეკერა პირზე, კვლავაც ეკერებდა, კვლავაც შემოეშველებოდა ხოლმე წერისას თუ საჯარო გამოსვლებისას, მის ფიქრსაც ჩაეწვნოდა იმისი ტკბილი სიტყვაც და სახებაც, უფასებდა ძველსა და ახალს შუა ხიდად რომ გადებულიყო, მაგრამ გაუბედაობას ვერ მოუწონებდა და ვერა ამ თავზეხელაღებულ გენერალს, შუაგულ ბრძოლაში უკანმოუხედავად რომ გადაეშვებოდა ხოლმე, მაგრამ მთავრობის წინაშე მოკრძალებული ხდებოდა, და არამცთუ პროტესტის გამოხატვა, რაღაც განსხვავებულის თქმაც უძნელდებოდა, მძიმედ, ძალიან მძიმედ ჩარჩენოდა ხსოვნაში ყაზარმობის ამბებიც და გადასახლების წლებიც, ის განწყობილებანი სადღაც ჩაეკირა, გულის ყველაზე ღრმა კუნჭულებში, და ცდილობდა მთავრობისთვისაც გადაეცა ეწყებინა, დაემტკიცებინა და დაედასტურებინა, რომ არამარტო გარეგნულად, არამედ შინაგანადაც სხვა გრიგოლი გახლდა, ფერნაცვალი – ახალ დროებასა და ახალ მმართველობას გულითა და სულით დამორჩილებული, შეთვისებული და შერწყმული.

ამიტომაც რჩებოდა თან იმათ ნაწილად, ლაქიური სულით აღვსილნი იმპერიულ მისწრაფებათა ერთგულებას რომ იჩენდნენ თავიანთი ტრაგიკული ქვეყნის საზიანოდ და რუსზედაც უფრო რუსებიც ხდებოდნენ, და თან ამათთანაც ეძებდა დაახლოების გზებს, ამ მმართველობის აღკვეთას რომ მიელტვოდნენ და იმ სახელმწიფოებრიობის ამოგებას, გრიგოლ ორბელიანის პაპისათვის, თავგანწირული და თავდადებული და... ასერიგად კი მოტყუებული მეფისათვის რომ გამოეცლიათ ხელიდან.

ზოგჯერ, ზოგჯერ, ზოგჯერ უწევდა თვალის დახუჭვა გრიგოლ ორბელიანს ეროვნულ ტკივილებზე, მაგრამ ეს „ზოგჯერაც“ არ უნდა პატიებოდა.

ზოგჯერ კი არა, იმათგან არც არაფრით განსხვავდებაო, – იბუზღუნებდა აკაკი წერეთელი, „გამოცანებს“ რომ ჩაიკითხავდა და... ბოლოში კი პირზე შეაშრებოდა სიცილი, რაკიღა მოეჩვენებოდა, რომ ილია ამ შემთხვევაში გაუმართლებელ მოკრძალებას გამოიჩენდა იმ პიროვნების მიმართ, რომელიც ასეთ კრძალვას სულაც არ იმსახურებდა.

მეცხრე გამოცანაც ხომ არა თქმულიყო: ეს ვის დაუწერიაო?

დაე ნუ გაწყრებოდნენ და ნურც იტყოდნენ სატირული გალერეის პერსონაჟები: იგი ჩვენი მტერიაო.

და თუ მაინც გაწყრებოდნენ... რა ენაღვლებოდა თითქოსდა დაფარულ, მაგრამ ყველასათვის ისედაც ცხად ავტორს, რომელსაც თუ რაიმე არა ჰქონდა და არც სურდა ჰქონოდა — ამათი რიდიც, რადგანაც ვით ამათ ქვეყანა, ილიასაც წყრომა მათი ფეხებზედ ეკიდა.

7 დეკემბერს შედგებოდა ეს სატირული სერია და, გულს რომ დააკლდებოდა, გაგრძელება შეიძლებოდა, ჯერ მარტო მიხეილ თუმანიშვილი როგორ უნდა დამძრომოდა ხელიდან, იმ სათაკილო ადრესის მომზადების

მონაწილე, და სხვაც არაერთი ამათი ზნისა და ცხოვრების წესისაო, მიადევნებდა „კიდევ გამოცანების“ სახელწოდებით ახალ პამფლეტსაც და... გალერეასაც უფრო შეავსებდა.

მიხეილ ლორის-მელიქოვი იქნებოდა და:

ოინბაზი და ლაქათა, გრძლად გალეული მელია, ბაზრის ბიჭად გაჩენილი ქვეყნის მმართველად რომ შექმნილიყო. ცუღლუტი, ხერხიანი ენაცქვიტი, ყურმახვილი, დროთა ბრუნვის შესაფერი კარგად რომ იცოდა მოძახილი. მარჯვედ მოდიოდა კოჭის ყრაში, სურდა ალჩუა, სურდა თაფია, ბევრჯერ გაძვრებოდა და გამოძვრებოდა, მაგრამ გრაფი კი ვერ გახდებოდა. გრაფობისათვის ერი დაეკლა, ცოდვა დაედო დიდი, მაგრამ ერიც და ქვეყანაც მას ფეხებზედ ეკიდა.

ნიშნს უგებდა ილია, თერგის ოლქის უფროსობას რომ ვერ გასცილებოდა და ნანატრი ოცნება ვერა და ვერ აეხდინა, გრაფობას ვერა ღირსებოდა, თუმც საამისოდ არას ერიდებოდა... მაგრამ დაუდგებოდა ნაოცნებარი ჟამი ლორის-მელიქოვს, დროთა ბრუნვის შესაფერი მოძახილის კარგ მცოდნეს და... კიდეც გამინისტრდებოდა და გრაფობასაც ხელს გამოჰკრავდა... და ახლა ის მოუგებდა ნიშნს ილიას: აბა თუ ვერ მივაღწიე ჩემსას, აბა თუ კვლავაც გრაფობის ნატრული ვარო!..

ლევან მელიქიშვილი იქნებოდა და:

ტანად მომცრო, კარგად ჩასხმული მხარბეჭიანი, თამამი, უანგარო და ლაპარაკში... ღმეჭია. თუმც ბევრ იმის ჯურის ადამიანს ქართველობა ეთაკილებოდა, იგი მაინც ქართველობდა და ამით ეთქმოდა თვისტომთაგან ქება. ოღონდ სხვა სიკეთე მისი კი არა გაეგონა რა, თუმც სიკეთის ქმნის შემთხვევა არაერთი მისცემოდა. აქედან შორს მას ეჭირა რაღაც დიდი ადგილი. და ნეტა სცოდნოდა ილიას: ქვეყანა მასაც ფეხებზედ ეკიდა?!.

„რაღაც დიდი ადგილი“ დაღესტნის ოლქის უფროსობას გულისხმობდა, და თუმც მთლად სახარბიელოდ ვერ იხატებოდა ლევან მელიქიშვილის პორტრეტი, უფროსთა წინაშე ღმეჭიობას ვინა ჩიოდა, სიკეთის ჩასადენად მაინცდამაინც რომ ვერ მომართულიყო, მაგრამ მთლად იმ წრეშიც ვერ ჩატოვებდა და შეეცდებოდა ცოტაოდნავ გამოერიდებინა მათთვის – გრიგოლ ორბელიანისა არ იყოს. და დაბეჯითებითაც არ აცხადებდა, ქვეყნის დარდი რომ არ ენაღვლებოდა. ნეტა ვიცოდეო, – შანსს უტოვებდა, რომ ამიერიდან მაინც გამოედო თავი და აღესრულებინა ის საქმენი, მკვეთრად რომ აღბეჭდილიყო მისი სახელიც და მოღვაწეობაც ქვეყნის ცხოვრებაში.

რაც უნდა ყოფილიყო, ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობარი გახლდათ, ერთადერთი კაცი, ვინც ტატოს პატრონობას მოინდომებდა და სამსახურსა და ხელფასს გაუჩენდა... და ბარემ თავისი სითამამე და უანგარობა ყველასათვის თვალნათლივ დაემტკიცებინა, რაკიღა საამისო ძალ-ღონე მოსდევდა, და კარიერულ აღმატება-პატივს ნუ გადაჰყვებოდა.

იოსებ თარხნიშვილი იქნებოდა და:

ბაიყუშივით თავდიდა, დაღვრემილი და ბღვერია, მუდამ გაბუტული დადიოდა რაღაც უტყვი და შტერი. თავმძიმე, ჭკუამსუბუქი, ცომივით გათქ-

ვლეფილი, ჯილდოსათვის ბევრი დაექსაქსა მას საქართველოს შვილი. დედათ წყევლას აეგო მისთვის საქოლავი დიდი, მაგრამ წყევლაც და ქვეყანაც იმას ფეხებზედ ეკიდა.

მიხეილ თუმანიშვილი იქნებოდა და:

პირტუჩმრგვალი, მუდამ წმინდად ლოყებჩამოფხეკილი, თავისი თავის მოარშიყე, თუმც ასაკმიდრეკილი. პრანჭია და გრეხია, საკოპწიოდ უტოკდა ტანი, ამბობდნენ: ყურმარჯვეა და ცოტა ენატანიაცო. ჩინოვნიკობაში თურმე ისე გამოქნილიყო, როგორც უღელქვეშ ჩვენი გლეხკაცის ხარი. ეს უსახო და უხამი ქართველი მალჩალინი გახლდათ, და თავი მხოლოდ იმით ეწონებოდა, რომ მალმალე მოსდიოდა ჩინი, წვრილებში – თავმომწონე, მსხვილებში – ფეხის მტვერი, მამის სახელით გამოდიოდა, რაკიღა თვითონ არაფერს წარმოადგენდა. მისი ჯურის ხალხს მწერლად მოსწონდა, ვერ შეეტყოთ მრუდობა, რომ სხვისი წიგნებიდან ფრაზების სჩვეოდა ცოტა რამ ქურდობა. რაგინდ ძნელი საქმე ყოფილიყო, ანუ ძნელი სავეზირო, მაშინვე წაეჩრებოდა, ვითომ მეც ნახირ-ნახირო. ეს გამოცანა ახირებულად გრძელი იმიტომ გამოუვიდოდა, ფუყე, უსახო კაცის მოკლედ აღწერა ძნელი გახლდათ. ვირეშმაკა და ორპირი დიდად მოსარიდი რომ იყო, ქართლიც, სომხეთიც და რუსეთიც სამივ ფეხებზედ ეკიდა.

„მამის სახელით გამოდისო“ – ბირთველ თუმანიშვილს გულისხმობდა, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მდივანს, მერე ერეკლეს კიდევ ერთი ვაჟის, ქართლის ნაწილის მმართველის ვახტანგ-ალმასხანის მდივანი და მრჩეველი რომ შეიქნებოდა, თავისი დროის მწიგნობარი და ლიტერატორი.

1832 წლის შეთქმულების ამბავი ეცოდინებოდა ბირთველს, მაგრამ დაკითხვისას ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს დიდხანს არც არაფერი უწყოდა. საგამოძიებო კომისია VII კატეგორიის დამნაშავედ შერაცხავდა, ანუ იმ პირად, რომელმაც იცოდა შეთქმულების ამბავი, მაგრამ არ ეთანხმებოდა. და სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ დატოვებდნენ თბილისში.

მიხეილი პოეტიც გახლდათ, პუბლიცისტიც, კრიტიკოსიც და მთარგმნელიც. თანამშრომლობდა „ცისკარში“ და ისე მოხდებოდა, პირველ პუბლიცისტურ პამფლეტს ის გამოაქვეყნებდა ჩვენს ლიტერატურაში, იმ ჟანრის ქმნილებას, ილიასათვის ასერიგად მახლობელი რომ აღმოჩნდებოდა და დაახვავებდა კიდეც პუბლიცისტურ პამფლეტს პამფლეტზე.

პოეტობას ადრევე ჩამოეხსნებოდა, პავლე ინგოროყვა მის ლექსებს „მდარეს“ ეპითეტით რომ მოიხსენიებდა, თუმც ივანე მაჩაბელი ასე ძალიანაც არ გაიმეტებდა და მიხეილ თუმანიშვილის გარდაცვალების შემდგომ გამოქვეყნებულ პოეტურ კრებულზე დაწერილ რეცენზიაში „მომცრო პოეტთა“ რანგში მაინც გაიყვანდა და დასძენდა: ჩვენს პოეზიაში ნიკოლოზ ბარათაშვილი მარტოდმარტო არ ყოფილაო.

ბარათაშვილი შემთხვევით არ არის ნახსენები – ისინი გიმნაზიის მეგობრები იყვნენ, გიმნაზიაში კი მიხეილი აშკარად გამოირჩეოდა: კალიგრაფის ხელოვნებით გადაწერდა მისივე თაოსნობით გამოცემულ პირველ ლიტერატურულ ალმანახს „ანთოლოგია“; შეაგულიანებდა თანაგიმნაზიელებს

რუსული ხელნაწერი ჟურნალის „ტფილისის გიმნაზიის ყვავილი“ გამოსაცემად. და აქ მოათავსებდა მის მიერ თარგმნილ ორ ნარკვევს ხელისუფლებისაგან შერისხული, გადასახლებული და იქ დაღუპული სოლომონ დოდაშვილისა: „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა“ და „მეფობა ირაკლი მეორისა“.

იქნებოდა ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი ივან კრილოვის არაკებისა, პირველი გაილაშქრებდა სანტიმენტალური მიმართულების წინააღმდეგ და ქართულ სინამდვილეში პირველი მოიხსენიებდა ჩარლზ დიკენსსა და ნიკოლაი გოგოლს, როგორც მისაბაძ მწერლებს.

არამცთუ განზე არ დარჩებოდა საზოგადოებრივ-კულტურულ წამოწყებათაგან, ერთი თავგამოდებული მოსურნეც შეიქნებოდა ქართული ჟურნალისა და თეატრის დაფუძნება-აღორძინებისა და ესწრაფოდა, რომ 1855 წლის იანვრიდან გამოეცა ყოველთვიური „საქართველოს ჟურნალი“, რომლის ნებართვასაც, მიუხედავად მთავრობასთან სიახლოვისა, ვერ მოიპოვებდა.

სახელმწიფო სამსახურში შესული აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა საგლეხო რეფორმის მომზადებაში ზომიერი ლიბერალის პოზიციიდან.

ტფილისის ერთი მშვენიერი მთვარიანი საღამოს სურათს, როდესაც ხეტიალ-ხეტიალისას უეცრად სასაფლაოზე აღმოჩნდებოდა, ნიკოლოზ ბარათაშვილი სწორედ მიხეილს გაუმჟღავნებდა, 1836 წლის 6 აგვისტოთი დათარიღებულ ბარათში იმასაც რომ ჩაუწერდა გამომშვიდობებისას კახეთში, დედოფლისწყაროში მყოფ მეგობარს:

– ალაზნის ველის მეუდაბნოევ! მაუწყე ხოლმე რამე შენი ველის ქალწულისა.

ვის გულისხმობდა?

ვარაუდობენ: ეკატერინე ჭავჭავაძესო – რომელსაც ორივე ეტრფოდა, თუმც რაყიფობა ვერ დააზიანებდა მათ მეგობრობას.

მიხეილ თუმანიშვილი არ გახლდათ ხელწამოსაკრავი ფიგურა, თუმც ილიას როგორ ეპატიებინა ადრესის შეცვლაში მონაწილეობა. პლატონ იოსელიანი რა – ხელწამოსაკრავი იყო? მაგრამ დერჟავულ-იმპერიული სულის ერთგულება ანკი მას რატომ უნდა შერჩენოდა?!.

ნინო ვახანია ყურადღებას მიაქცევდა, რომ: ივანე მაჩაბლის ის რეცენზია, კეთილგანწყობით დაწერილი, ილიას „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნდებოდა (1881, №7), და ცხადია ილია მოერიდებოდა მის გამომზეურებას, ასეთუისე რომ არ გაეზიარებინა მისი პათოსი. და არ უკვირდა ამგვარი განწყობილების გამომჟღავნება მკვლევარს: შეუძლებელია პატივისცემა არა ჰქონოდა იმ ადამიანისა, რომელიც მისი სულიერი წინაპრის – ნიკოლოზ ბარათაშვილის – მეგობარი იყოო.

დიმიტრი ყიფიანი იქნებოდა და... ოოო – ეს უკვე სულ სხვა პიროვნება გახლდათ ილიასათვის და პამფლეტების ციკლში უეცრად კიდეც იელვებდა დითირამბი, პოეტური შესხმა, რაც მოგვიანებით პუბლიცისტური კალმითაც გამოითქმოდა არანაკლები ექსპრესიითა და შთამბეჭდაობით:

ერთი კარგი საქმის დამწყები და მეთაური, თქმულისა არ იყოს: ნაყოფისაგან ხე რომ იცნობოდა. თუკი ასეა, რატომღა უნდა აღეწერა მისი ნიშნები და მისი სახე, მარტოდენ ნაყოფს დაანახვებდა მკითხველს და მით იცნობდნენ თვითონ ხეს.

ჩვენი ქვეყნის საკეთილოდ მას მარტოს შეეძრა ყველა, ერთმანეთის მტრებისათვის ესწავლებინა ერთიმეორის ძმური შველა. ბანკის ძირი იმას ჩაერგო, ღონე ხსნისა მოეცა ხელთა; ვახ! დაემხოთ ზოგთ ეს საქმეც! დაე წყევლა ჩვენი მისწეოდათ მათ – ჩვენთა მტერთა! ამ უკაცურ კაცთა შორის იგი კაცად რომ დაესახა, იმიტომ, საქმითაც რომ ემჩნეოდა ქვეყნის სიყვარული. ბევრი მოეხსენებოდა მისი ცოდვა და ნაკლულოვნება, მაგრამ კარგი საქმის დამთესს ბევრი რამ მიეტევებოდა. რაც იყო, კიდევ ეგ იყო ჩვენში ხელმოსაკიდი, მარტო მას – ასე ჰგონებდა ილია – ქვეყანა ფეხებზედ არ ეკიდა.

ცოდვად და ნაკლულოვნებად იმას მიუთვლიდა, სახელმწიფო სამსახურში რომ იდგებოდა დიმიტრი ყიფიანი, ქართველ მეფეთა ერთგულება რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე გადაეტანა და ვერაფრისდიდებით ვერ წარმოედგინა, საიმპერატორო კარი დანაშაულებრივ პოლიტიკას თუ წარმართავდა საქართველოს წინააღმდეგ, და ეს სულ დიდ თუ წვრილ მოხელეთა ცოდვები ეგონა, კეთილ მეფეს რომ უმალავდნენ, რა მზაკვრობებსაც ატრიალებდნენ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში და როგორ მიჰყავდათ ქართველობა გადაჯიშებისა და გადაგვარებისაკენ... თორემ ხელმწიფეს რომ სცოდნოდა ეს ყოველივე, ოოო: იმპერატორს რომ შეეტყო...

ვერა, ვერ მოუწონებდა ამ მიამიტობას ილია ჭავჭავაძე.

სამაგიეროდ უფასებდა და ძალიანაც უფასებდა იმ თავგანწირულ ბრძოლასა და შეუპოვრობას, დიდთა მოხელეთა ფანდების გამოაშკარავებისა და ჩასაშლელად რომ იჩენდა, და არ დარჩენილიყო ეროვნულ-საზოგადოებრივი საქმე, რომელსაც დიმიტრი ყიფიანი არ ჩადგომოდა სათავეში, თორემ მონაწილეობით რომ თავგამოდებით მონაწილეობდა და უიმისოდ არც არაფერი კეთდებოდა ჩვენს კულტურულ სივრცეში, ეს თავისთავად.

დიმიტრი ყიფიანს აღიარებდა არქიტექტორად.

თავის თავსა და მოდასეებს კი – მის კალატოზებად.

ბანკის ძირი იმან ჩარგო, ღონე ხსნისა მოგვცა ხელთაო...

არა ეკონომისტს, არამედ მაინცდამაინც და სწორედაც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს უნდა გასჩენოდა ბანკის დაარსების იდეა, საბაბი კი აღმოჩნდებოდა ის თანხა, რომელსაც მთავრობა გადასცემდა მემამულეებს საგლეხო რეფორმის ჩატარებისას. და აი თავადაზნაურთა მარშლის თანამდებობაზე მყოფი დიმიტრი ყიფიანი შესთავაზებდა თავადაზნაურთა წრეებს:

– ამ თანხის ნაწილს ნუ დავარიგებთ, არამედ გადავდოთ ბანკის დასაარსებლადო.

და ქართული ბანკის დაფუძნების მნიშვნელობასა და აუცილებლობასაც განუმარტავდათ და დაითანხმებდათ.

ეს მოხდებოდა 1867 წელს და დადგენილებაც შემუშავდებოდა ბანკის დაარსების თაობაზე, მაგრამ ორგანიზება უნდა მომხდარიყო 1872-73 წლებში, ილია კინაღამ რომ შეეწირებოდა ამ საქმეს.

დიდ კამათსა და ვნებათაღელვას რომ გამოიწვევდა, რა სახისა უნდა ყოფილიყო ბანკი, საბოლოოდ გაიზიარებდნენ ილიას მოსაზრებებს და... კიდეც მას დაავალებდნენ ბანკის წესდების შემუშავებას და კიდეც მოიწონებდნენ მის საბოლოო ვერსიას, საადგილმამულო ყაიდის დაწესებულებისა – იმ თავისებურებით რომ ხასიათდებოდა, იმ ნიშანდობლივი და საყურადღებო თვისებით, სხვა საადგილმამულო ბანკების წესდებათაგან რომ განირჩეოდა:

ბანკის მოგება მოხმარდებოდა არამარტო მიწათმფლობელთა, ანუ თავადაზნაურთა, არამედ მიწათმოქმედთა (გლეხთა) საერთო საჭიროებასაც.

და კიდევ და უმთავრესი თავისებურება:

თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი თითქმის ერთადერთი ისეთი დაწესებულება უნდა ყოფილიყო საადგილმამულო კრედიტისა რუსეთის იმპერიაში, რომლის წესდებითაც სრულიად უარყოფილი გახლდათ კერძო ინტერესი მოგებით სარგებლობისა საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის.

სახელმწიფოს მოდელად წარმოდგებოდა იმთავითვე ილიას თვალთახედვაში საადგილმამულო ბანკი, ეს შეხედულება და რწმენა თანდათანობით საყოველთაოდ რომ უნდა გადაქცეულიყო.

გამოექცეოდა ამ უმძიმეს, სულისამომხდელ საქმეს პეტერბურგიდან დიმიტრი ყიფიანი და ილიას შეატოვებდა: გინდა მოკალი და გინდა აცოცხლეო?

იდეა ხომ მისი გახლდათ და პირველი ნაბიჯებიც მას გადაედგა. ბანკის ძირი ხომ მას ჩაერგო და ხსნის ღონეც მას მოეცა ხელთ და... როგორ არ დაეფასებინა ილიას თავისი წინამორბედის ეს ღვაწლი, ამხელა წამოწყებას რომ გადაიბარებდა მისგან.

თავისი მეამბოხური წარსულის გახსენება აღარ ენდომებოდა დიმიტრი ყიფიანს.

გრიგოლ ორბელიანს ხომ არ ენდომებოდა და არა თავისი მეამბოხური წარსულის მოგონება, ახლა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობაში იმ გადაჭარბებას, იმ უკიდურესობას, იმ რადიკალიზმს რომ ხედავდა, რასაც მაშინ არ გაემართლებინა, იმ საბედისწერო 1832 წელს, და შეეცდებოდა მის დაოკება-დაშოშმინებასა თუ ჭკუაზე მოყვანას, ის თავისას რომ მიჰკვალავდა და დამუნათებით ზოგადად ამუნათებდა ამ ჯურის სხვა ადამიანებს, მრავლად რომ ჰყვაოდნენ გარშემო, მაგრამ ილიას სატირულ კალამს გადარჩენოდნენ, რაკილა თავიანთ ქერქში ჩატეულიყვნენ. დიდთა ნახირში არ ისმოდა მათგან არცერთის ბღავილი, თუმც ზოგიერთს კი ჭირად სჭირდა ენის ქავილი. ბევრი მოიძებნებოდა მათში წურბელა, გველი, ხვლიკი და ლოკოკინა.

გაგახსენდათ „კაცია-ადამიანის?!“ ის ზღაპარივით დასაწყისი?

მაგრამ ჭაობის ამ ბინადართ მოეხსენებოდათ, რომ არაფრად არა ვარგოდნენ, და თავიანთთვის ამიტომაც ისხდნენ შინა.

ხროვა ეგე ანუ ჯოგი საუბედუროდ დიდი გახლდათ, და მათ ყველას ერთად ქვეყანა შინვე ფეხებზედ ეკიდა.

ესეც გამოცანად რომ ითქმოდა:

– ნეტა ამას რისთვის წერსო, მეთაურნი გაგვილანძღა, მით ახარებს ჩვენსა მტერსო.

ილია აუხსნიდათ, რომ:

ჩვენი მტერი სიბრმავე იყო, უვარგის კაცზედ დანდობა, ჩვენი მტერი ზოგზოგის ფლიდობა იყო და თვალთმაქცობა. ის ზოგზოგნი ჩრდილში რომ იყვნენ, ახლა „გამოცანებს“ მზეზედ გამოეფინა, ყველასთვის თავისი მიეწყო და მიეთარჯა და სიმართლე აღედგინა. სურდა, რომ აწ მკითხველს შეერჩია თხა თხისათვის და ცხვარი ცხვრისათვის, და – ვით თქმულიყო – მიენებებინათ მკვდარნი დაფლვად მისთა მკვდართათვის.

სურდა, რომ ვინც ჩვენი ქვეყნის პირმომარიდნი იყვნენ, ისევე დაეკიდებინათ ფეხებზე, ვით „გამოცანების“ იდუმალ და ყველასათვის თვალსაჩინო ავტორს დაეკიდებინა.

იმავე 11 დეკემბერს ამ „გამოცანებს“ რომ გაუგზავნიდა დავით ერისთავს, სთხოვდა: წაეკითხა და დაკვირვებოდა, და კიდეც მიხვდებოდა, ვინ იყვნენ აღწერილნი.

და აფრთხილებდა:

არავის – არც დათიკოს ახლობელსა და არც ილიასი – არ უნდა სცოდნოდა, ვის დაეწერა და გაევრცელებინა ხალხში.

– შენ იცი, როგორ შეინახავ ჩემს სახელს საიდუმლოდ.

სულში ხელში უდებდა, ერთ კაცთანაც არ გაემხილა და არ დაედასტურებინა, მიხვედრით კი ყველაც რომ მიხვედრილიყო, რა ბედენა იქნებოდა. ხოლო დაბეჭდვით ეს ლექსები არ უნდა დაბეჭდილიყო – ისე უნდა გავრცელებულიყო ქალაქში. ამ გავრცელებაშიაც ძალიან ფრთხილად უნდა მოქცეულიყო დავით ერისთავი, თორემ – მათდა სამტროდ – „ისინი“ ყოველგვარ სიმურტლეს იკადრებდნენ და... მაშინ ჩიტი ბრდღვნად აღარ ეღირებოდა.

უცხადებდა, რომ:

მის გარდა ქალაქში არავისათვის ენდო ეს პამფლეტური ციკლი და დაე უკვე მას სცოდნოდა, როგორ უპატრონებდა.

იქვე ამასაც მიადევნებდა, ამას წინათ ვახტანგ თულაშვილის წერილი რომ მოსვლოდა, რომლითაც იგი სთხოვდა, მონაწილეობა მიეღო სალიტერატურო საღამოში. ისეთი ზრდილობიანი წერილი იყო, რომ ილია დათიკოს უგზავნიდა წასაკითხად, რათა იმას თვალი მიედევნებინა იმ აზრებისა და სიტყვებისათვის, რომელთა ქვეშაც ილიას ხაზი გაესვა. თულაშვილი თავისი თავმოყვარეობის მყრალ გუბეში ისეთნაირად ჩაფლულიყო, რომ თავისათვის ნება მიეცა ამის მოწერისა:

– ჩინებულად ვიცოდი და ვიცი, რომ ძალზე ადვილად შეგულიანდები ხოლმე ყოველგვარი კარგი და მადლიანი საქმით.

და როგორ არ განაწყენებულიყო ილია:

თურმე ვახტანგ თულაშვილს უნდა შეეგულიანებინა ყოველგვარი კარგი და მადლიანი საქმით.

და ეკითხებოდა დათიკოს: როგორ მოგწონსო!..

თხოვნით კი სთხოვდა, დაწვრილებით მოეწერა და ძალიან მალეც:

ვინ უნდა გამოსულიყვნენ თავიანთი ნაწერების კითხვით; დათიკოც გარეულიყო თუ არა მათში; და შინაურული განწყობილებისა იქნებოდა ის თავყრილობა თუ საგარეო.

პოსტსკრიპტუმად კი დასძენდა: ვახტანგის წერილი უკანვე დამიბრუნეო.

ივლისის თვეში კი დავით ერისთავის ბარათს რომ მიიღებდა პამფლეტების რუსულ თარგმანებთან ერთად, მოუწონებდა, რომ: ზოგიერთი ხანა ძალიან კარგად გადაერუსულებინა. ჩამოუთვლიდა კიდეც, ოღონდ გაკვირვებას გამოთქვამდა: VII გამოცანა რატომ აღარ გადაეღო?

შეეტყო, რომ:

იმას „პასუხი", „პასუხის პასუხი" და სხვანიც გადაეღო რუსულად, და სთხოვდა:

თუ გიყვარდე, გამომიგზავნე, ან გადმოდი და თან წამომიღე. მე 22 ივლისიდან 26-მდე შინ ვიქნები. თუ ღმერთი გწამს (და ჩაურთავდა: რა კაცს გიხსენებ ღმერთსაო!..), გადმოდი, ერთი მასლაათით სული მოვიბრუნოთო.

არაფერს ვწერო, – ამასაც ამცნობდა, – ამ „აჩრდილმა" ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზედ გაქირ ვირსავით შევდექ და ერთი ბიჯი წინ ვეღარ წავდგი. არ ვიცი, რა ვქნაო?

ლამის თავი დაენებებინა ამ პოემისათვის.

და საყვედურს შეუთვლიდა მემატიანეებს:

ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა. ერი არსადა ჩანსო.

ისეთი აგებულების ადამიანად მიაჩნდა თავი, რომ მეფეებისა და ომების სახე არ იზიდავდა. საქმე ხალხი გახლდათ და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არსად ჩანდა. წუხდა და დრტვინავდა და გამკითხავი არსაით ჩანდა. ერთი გადმოსულიყო დათიკო, რომ ლაზათიანად ემასლაათათ. თორემ ისეთ ყოფაში აღმოჩენილიყო, უკაცურობას ლამის მოედნო.

ეთანხმებოდა ლესინგს: მწერალმა საზოგადოებაში უნდა იცხოვროსო.

და თავის მხრივ დასძენდა: თუ არ ცხოვრების მორევში, საგანს სად იპოვნი წერისათვისო.

„გამოცანები" თვითონაც მოესინჯა რუსულ ენაზე და ორ ნიმუშს ახლა ჭაშნიკად უგზავნიდა დავით ერისთავს.

ეს იქნებოდა ერთადერთი მაგალითი ილიას რუსული ლექსისა, პავლე ინგოროყვას რომ ათქმევინებდა: ილიას რუსული ლექსის ფორმა ძლიერ სუსტად ეხერხებოდაო.

მაშინ ან დათიკო ეტყოდა თავის კრიტიკულ აზრს მოურიდებლად და ან ილია თვითონაც მიხვდებოდა, რომ რუსული პოეტური თარგმანი მისი საქმე არ გახლდათ და... ამ წამოწყებას კიდეც ჩამოეხსნებოდა.

გარდა „გამოცანებისა“, დავით ერისთავს კიდევ სხვა პოეტური ნიმუშებიც რომ გადაეღო რუსულად?

„პასუხი შვილთა“ – გრიგოლ ორბელიანისა

და

„პასუხის პასუხი“ ილია ჭავჭავაძისა.

„გამოცანების“ უშუალო გამოძახილი რომ აღმოჩნდებოდა ეს პოეტური გაპაექრება. მთელ თავიანთ პოლემიკურ უნარს რომ მოიხმობდნენ და სათქმელს ფართო სარბიელს მიანიჭებდნენ.

„ცისკრისეულ“ პუბლიკაციას ეპიგრაფად წაუმძღვარებდა გლეხურ ანდაზას: ასეთმა ფურმა დამწიხლოს, ეგწველელი ამივსოსო, – შემდგომ ამ ეპიგრაფსაც რომ ჩამოაშორებდა და გარკვეულ ცვლილებებსაც შეიტანდა გრიგოლ ორბელიანი, პათოსი კი შენარჩუნდებოდა იმ განუსჯელ და უმადლო შვილთა მიმართ, საუბედუროდ ცუდ დროს რომ დაბადებულიყვნენ, სადღაც მიმალვით რომ როტავდნენ და კნაოდნენ და გაბოროტებით სწყევლიდნენ მამათ. უკადრისობითა და უმეცრებით ვერ დააბნელებდნენ მათ სახსენებელს, მხოლოდ თავიანთი სიტყვებით თვითვე ინანებდნენ, მათივე გულს უკბენდა უსამართლობა!

დრო მამებისა, მამაცობისა, წასულიყო მათთა სახელთა ქებით. და ამ სტრიქონის დაწერისთანავე სქოლიოში როგორ არ ჩაერთო უკიდურესი აღშფოთება, და პატივისცემითა და მოკრძალებით რომ წარმოთქვამდა მისთვის ძვირფას ამ სახელებს: ივანე აფხაზიო, ალექსანდრე ჭავჭავაძეო, ვასილ ბებუთაშვილიო, მოსე არღუთინსკიო, ივანე ანდრონიკაშვილიო, ზაქარია, ილია და სოსიკო ორბელიანებიო, იასონ და ნიკო ჭავჭავაძეებიო, ნიკო ერისთავიო, ნიკო ამილახვარიო, დავით ვახვახიშვილიო, ზაქარია ანდრონიკაშვილიო, ივანე ბაგრატიონიო, იოსებ თარხნიშვილიო, ქობულაშვილიო, სვიმონ შალიკაშვილიო, ბაქრაძეო! და ას სამოცნი კიდევ სხვანი დახოცილნი და დაჭრილნი უკანასკნელ ბრძოლაშიო – როგორ არ მოეკითხა მკაცრად: ესენი უნდა იყვნენ თქვენგან გასალანძღნიო?

დარწმუნებული გახლდათ, ამ სახელთა ჩამოთვლით უკვე ხმას ჩააკმენდინებდათ, არადა ილიაც და მისი თანამოდასენიც... ღიმილით რომ ჩავლებდნენ მზერას ამ სიას, ერთი-ორი კაცის გარდა პატივის მისაგებად არც არავის მიიჩნევდნენ.

გრიგოლ ორბელიანი კი განაგრძობდა ბობოქრობას:

მამანი თქვენნი, თავის დროს ძენი, სახელოვანნი იყვნენ და ოსმალ-სპარსები და დაღესტნის მთები ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ! მათ დაიფარეს, სისხლით დაიცვეს სისხლშემოსილი მამული თვისი, და სასო ღვთისა, მცველი ერისა, ენა, საყდარი, სარწმუნოებაო!..

ამაზე ილიას პასუხი უკვე გაეცა იმ მძაფრი გულისტკივილითა და დრამატიზმით აღსავსე ლექსით „იანიჩარი“, ქებაზეც და ამ სახელოვნებაზეც:

შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსაო!..

მათი რა იყო, რომ ამშვენებდნენ თავიანთ დამღუპველს ჩრდილოეთსა!..

სისხლით იცავდნენ არა მამულს თვისას, მართლაც სისხლშემოსილს, არამედ ემსახურებოდნენ იმპერიის საზღვართა გადაჭიმვა-გაფართოებას. და დაღესტნის მთებს მხოლდღა სირცხვილით თუ მოვიგონებდით...

დრო შეცვლილიყო და გამეფებულიყო სწავლა, გაღებოდათ შვილებს სახლი სიბრძნისა!.. სწავლის მამები, პროფესორები, მათთვის მოცლილნი და მათთვის მქადაგნი, ასწავლიდნენ და გამზადებულს აწვდიდნენ საუკუნეთა მონაპოვარს!.. და უფროსი თაობა რომ ნუგეშობდა და გულით ხარობდა: შვილი მამას ემჯობინებაო! – და მოელოდნენ დიდი იმედით, სიხარულის ღელვით აღსილნი: მოვლენ და გაგვინათებენ სწავლის ლამპრით დავრდომილ მხარეს, ჩვენ კი მივეგებოთ მხიარულებით, ღირსეულ შვილთა კურთხევის სიტყვითაო, – მოსვლით კი მოვიდოდნენ ახალთაობელნი, მაგრამ... რა? სულ ჩაუმწარდებოდათ მოლოდინი მამათა თაობელებს, და ტკივილი აღმოხდებოდათ: ვაი ჩვენს იმედს!.. ვაი თქვენს მოსვლასო!..

სკოლის გამართვით რომ დაიწყებდნენ თავიანთ საქმიანობას რუსეთმოვლილნი, თითქოს ჩვენი მხარე კიდეც უნდა განათებულიყო! მაგრამ... საწყალი ყრმანი, გულუბიწონი, სწავლისათვის მისულნი უნდა წამხდარიყვნენ ზნეობით! რადგანაც უსასოობასა და ურწმუნოებას ჩაუნერგავდნენ უმანკო გულში ყმაწვილებს ამ მოწოდებით:

– ლოცვა რად გვინდა? ღმერთი რად გვინდა? ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი!..

ეს სიტყვები დაბრკოლებად და ცილისწამებად რომ არავის მოსჩვენებოდა, პოეტი-გენერალი მიუთითებდა ნათქვამს სკოლის მოწაფე ლ. მე...სი.

და დაიწყევლებოდა მათი ჩამოსვლა და ნაყოფი მათი სიბრძნისა – შხამი!

ღმერთი არ არსებობდა?.. დაე შენთვის ნუ ყოფილიყო! შენ რა გაწუხებდა, თუკი სუფევდა სხვისათვის?

სხვებს ხელი მიეყოთ კეთილი საქმისათვის: სტამბით მოეფინათ სწავლა მამულისათვის!.. გაჩენილიყვნენ მწერლები, ჟურნალისტები და... დაიგმენდა და რას დაიგმენდა გრიგოლ ორბელიანი: ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენასო!..

და მკითხველს მიუთითებდა „დროების“ ნომრებს, სადაც შეეძლოთ ეხილათ ქართული ენის დაპრანჭვა.

ქართული ენის ძალა და მადლი უწყალოდ წამხდარიყო უწმინდურთ ხელში!.. არადა როგორ არ ესმოდათ და როგორ არ ითვალისწინებდნენ, რომ: ერის ცხოვრება, მისი დიდება, მისი ისტორია დაცულიყო ენით. და ისეთ აფორიზმს მოადევნებდა:

რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... მოეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდასო!..

ილიას თუ რაიმე, ეს სტრიქონები შეეხარბებოდა, და აღტაცებითაც გაიმეორებდა ხოლმე სხვადასხვა თავყრილობაზე.

და ახლა რას მოელოდნენ, მამათ რად სწყევლიდნენ მათი ღვაწლის პატრონები?..

ხომ არსებობდა ძველთუძველესი წესი: რაც ვერ აღესრულებინათ მამებს, ის უნდა აეზიდათ შვილთა... და შეაგონებდათ გრიგოლი: სწავლითა

და საქმით უნდა გამოჩნდეთ, თორემ მამის გალანძღვა შვილს ვერ ადიდებს! ცუდმეტყველებით ვერ ამაღლდებითო!..

დიდებას ეძებდნენ? დაე სიკეთე ჩაედინათ და მათი დიდება მამებსაც ეამებოდათ, მათი სხივის შუქი მამებსაც მოუნათებდათ! აჰა დიდების და სახელ-ქების ასპარეზი მათთვის დაცლილიყო!.. და რაღას ელოდნენ? რატომ გვირგვინით არ შეიმოსებოდა, ვინც ჰყავდათ ღირსი? და სარკაზმს მოიშველიებდა: ბრძოლის ცეცხლი რომ ატყდეს ფიცხელი, ხმლის ტრიალითა და ძლევის ყიჟინით, იმ თქვენმა გმირმა, სულით ძლიერმა, ხელს ბაირაღით ძირს დასცეს ყარსი! რომ მისმა ხმამ, ქუხილის მსგავსმა, შეძრას ქვეყანა მის აღსადგენადო?..

და ერთბაშად მოთქმაზე უნდა გადართულიყო: ვაი საბრალოს, ჩვენს საქართველოს, თქვენ დაებადეთ მას სადიდებლადო!..

ან სად გამქრალიყო, აღარ გაისმოდა თავისუფლების მაღალი ფრაზები:

მოყვასს – შეწევნა, ბოროტს – დევნა, საზოგადოების სულით აღდგენა! ერთობა, ძმობა, ზნეთ ამაღლება, მამულისათვის თავის განწირვა!..

სიტყვა სიტყვად რჩებოდა, საქმე კი სხვა გახლდათ. და კიდევ ერთი აფორიზმივით სტრიქონი უნდა გადმოფრიალებულიყო შვილთა ძრახვა-გაკიცხვის პოეტური ტირადიდან:

ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებასო!..

გრიგოლ ორბელიანის ეთიკური მრწამსიც და ცხოვრების წესიც ეს იქნებოდა ალექსანდრე ყაზბეგისა და მისი „ელგუჯას“ გამოჩენამდე, ხელახლა რომ აუფორიაქებდა და აუღორძინებდა მეამბოხურ სულს და აღავსებდა თავისუფლების იმ წყურვილით, ილია რითაც გათანგულიყო და ამ სენტენციას უკვე ვეღარ მოუწონებდა და ძალიანაც ვეღარ მოუწონებდა მისთვის ასერიგად საყვარელ პოეტს და გუნებაში ამ სტრიქონს ასე გადააკეთებდა: ოქროს ჯაჭვსა სჯობს თავისუფლებაო!..

და უსურვებდათ ახალთაობელთ გრიგოლი: გონების ბრწყინვას, აზრების ელვას, წმინდა გულით კეთილის თესვას, მიხვედრილობასა და მიწვდენას მაღალ ცაში შევარდნის ფრენისა!..

და გულის ოხვრას მიაყოლებდა თავისი და თანამოაზრეთა სახელით, რომელნიც ხედავდნენ ილიასა და მის მოდასეთა სიცოცხლეს – ფუჭად მიმავალს... მათ უქმობას, არარაობას, და უმეცრების ამპარტავნებას!..

და დაჰქვითინებდა გმირთა მამულს სასურველს, ნუთუ მართლა ასერიგად დამცირებულიყო, რომ მის ბედსა და მის იმედს დახელმწიფებოდნენ ცრუპოეტები? ცრუ ლიბერალნი, პატრიოტები – მესხი, მეველე და მელიქ აღები.

დაფიქრებაც არ დასჭირდებოდა მკითხველს, სულ იოლად მიუხვდებოდა, თუ ვინ ამოემიზნებინა პოეტ-გენერალს:

სერგეი მესხი – ყველაზე ძალიან რომ აღიზიანებდა, როგორც „დროების“ რედაქტორი, სტატიასაც სტატიაზე რომ აქვეყნებდა.

მეველის ფსევდონიმით ცნობილი დავით მიქელაძე, ერთი ყველაზე თავგამოდებული ჟურნალისტი.

და სტეფანე მელიქიშვილი – გამომცემელი, მაინცდამაინც ქართული ენის წამხდენელ „დროებას“ რომ უწყობდა ხელს.

და გრიგოლ ორბელიანის ამ სტრიქონების წაკითხვისას ილია პასუხის პასუხის გუნებაზე რომ დადგებოდა, ისე გაიხარებდა, მაჯამურ სიტყვებს რომ იპოვნიდა დასაწყისისათვის, დანარჩენი უკვე ნაკადულივით დაიძრებოდა, მდინარედ გადაიზრდებოდა და თან წაიყოლებდა მოწინააღმდეგეთა ფართიფურთს, გრიგოლ ორბელიანს რომ ამოფარებოდნენ და მის ხელით ეპირებოდნენ ნარის გლეჯას, და კიდევ ვერ წარმოიდგენდნენ, ვისი სატირული კალამიც უნდა დატყდომოდათ ხელახლა რისხვით.

ჩვენ უჩინონი, ჩვენ უჩინონი თქვენ, ჩინიანთა, ბუზად გგონივართო, – რა მარჯვე დასაწყისი აღმოჩნდებოდა, „უჩინო“ ერთ შემთხვევაში უჩინარს რომ გულისხმობდა, მეორეში კი ჩინის უქონელს. ხოლო გრიგოლი „კნავილს“ რომ ახსენებდა, ამ სიტყვას ასე შეუტრიალებდათ: იქიდამ ვკნავით, სად თქვენის მადლით ხაფანგებ-ქვეშე დამწყვდეულნი ვართო.

მოევლოთ რუსეთი, მაგრამ მათი არცერთი ხელობა არ შეესწავლათ და, რაც მთავარია, ქვეყანა თვისი, მამათა ხელში მკვდარი, მათსავით ჩინებზედ არ გადაეცვალათ.

ლიბერალობა, პატრიოტობა სალანძღავ სიტყვად არ გაეხადათ, და იმათგან ჩაგრული და დაბრმავებული ერი ჯვრებზედ არ გაეყიდათ.

ქვეყნის ბედი და ხსნის იმედი იმათსავით ჩვრად არ გახდომოდათ, და არც კაცის მხნეობა და ზნეობა გაეზომათ იმათსავით ჩინებით. და არც სარწმუნოება და სათნოება შეექმნათ ფარისევლობად, და იმათი სლოკინი და ხელთა ფოტინი ღვთისადმი ლოცვად არ მიეჩნიათ.

მოსულიყვნენ თუ არა, მსწრაფლ ამოეცნოთ, ვინც დახვედროდათ, და კიდევ შორს დაიჭერდნენ მათ ანბანს: და რად ჰკვირობდნენ, რომ მათ ანბანს ვერ შეჩვეოდა ვერცერთი ამათგანი?!.

ვითომ რად უკვირდათ, რომ მაღლად ყვიროდნენ მილიონებზედ და სხვაზედ არა! დაე იმ ბრმათ შეეგნოთ, რომ თვით ოკეანეც ერთად თავმოყრილ წვეთთაგან შემდგარიყო.

მაშ რატომღა გმობდნენ, ოდეს ესენი ცდილობდნენ ერთმანეთისათვის მილიონობას? და თუ „ბრმებად“ მოიხსენიებდათ, ახლა არც ნაცარმქექთა და გულნამცეცთა ეპითეტებს მოაკლებდათ: აქაც ძირს რომ უთხრიდნენ ღარიბთ ერთობას.

რატომ გამოიყურებოდნენ ახალუხლები უღონოებად და უგზოუკვლოებად? იმიტომ, რომ ისინი ეყარნენ უქმად ჩვენში, და ესენი – მოკუნტულნი და ისინი – გაბღინძულნი ვერა თავსდებოდნენ ერთმანეთში.

იმით თამამობდნენ, რომ ბეზღით სწამებდნენ ურჯულოებასა და ღვთის უარყოფას? ასეთი ღმერთი – არმობისა და ყალბობის – არ ერწმუნა ილიასა და მის თაობას. ღმერთი მზაკვრობის და თვალთმაქცობის, ღმერთი უქმობისა უარეყოთ, და ღმერთი ხარბობისა და მძარცველობის იმათ მსგავსთათვის დაეთმოთ.

ხოლო სწამდათ ღმერთი:

უქმთა წარმწყმედი, ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი, ღმერთი ტანჯულთა, ღმერთი ჩაგრულთა, ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი. ყოველთა ძმობის, თანასწორობის მოძღვრებისათვის ჯვარცმული, ძლიერთ დამბმელი, უძლურთ ამხსნელი იმათგვარ კაცთაგან გმობილ-დევნილი. ორგულობისა და ორპირობის ძირს დამცემი და დამთრგუნველი, ფარისეველთა, სადუკეველთა გამკიცხველი და გამდევნელი.

მას მორთული კუბოსათვის, სიმყრალით ამოვსებულისათვის, განა ამათგვარი კაცი არ დაედარებინა? და მკაცრად შერისხავდათ: ზაკვით სავსენო, ავმორწმუნენო, ის თქვენ სიტყვით გწამთ და საქმით არაო.

რასაც გრიგოლ ორბელიანი უძრახავდათ, იქით შეუტრიალებდა ილია – სიტყვისა და საქმის დაშორიშორებას. და იმის აფორიზმს თავის აფორიზმსაც დაახვედრებდა:

მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნისო.

ამ აზრს სავსებით იზიარებდნენ, მაგრამ ენის გმობა და მტრობა ბრალად ვის დასდებოდათ – იმათ თუ ამათ?..

ახლა რომ ბღაოდნენ, ისინი არ იყვნენ ენის პატრონად ამათზე უწინ? ესენი ჯერაც ძუძუს წოვდნენ, ისინი რომ... ჰგმობდნენ, სწორედაც რომ ჰგმობდნენ ენასაც და ხალხსაც – გარეთ თუ შინა.

ისინი არა ბრძანდებოდნენ, რომ ღვიძლი ენა ბრძანებით დაეთმოთ აღმოსაკვეთად?!. შიშით – არც კარში და აღარც შინ აღარ იყენებდნენ მათდა სარცხვენად.

ენა მაღალი, მისი სიღრმე და ძალი ილიას მოდასეთაგან კი არა, იმათგან წამხდარიყო. და ამის სათქმელად დიდი რამ მტკიცება არ ესაჭიროებოდა, რაკიღა საზოგადოების თვალთახედვაში ტრიალებდა ის სამარცხვინო და აღმაშფოთებელი დოკუმენტი გიორგი მუხრან-ბატონის წიგნაკის სახით, მცირე ენათა გაქრობას რომ ირწმუნებოდა, და ამ მინიშნებას, ასერიგად გამჭვირვალეს, ყველა ადვილად ამიტომაც ამოიცნობდა: პირველ თქვენგანმა, იმა ბედშავმა, მას მკვდრის სუდარა გადააფარაო.

ენა მდიდარი, მათ ხელში მკვდარი, ამათ მიეღოთ გასაცოცხლებლად, და... ამასაც ცოდვად მიუთვლიდნენ სუდარაგადამფარებლის მომხრენი და თანამოაზრენი, და უკვირდა და გაკვირვებოდა ილიას: რაღა პირით დახვალთ ამქვეყნადო!..

მათგან გმობილი, მათგან ლტოლვილი ენა ამათ მართალია ჯერჯერობით ქოხში, მაგრამ მაინც შეეფარებინათ, კარგად თუ ავად ინახავდნენ და მისი სიკვდილით არ გაახარებდნენ გიორგი მუხრან-ბატონსა და იმის დამქაშებს.

განა თვითონაც არ მოეხსენებოდათ ილიასა და მის მოდასეთ, რომ ალაგ-ალაგ სცოდავდნენ თავიანთ საყვარელ ენას, იმ წმინდა საუნჯეს, რომელსაც კაცი ცოდვილი ხელით არ უნდა შეხებოდა? მაგრამ ეიმედებოდათ, რომ ეს შეცოდება-ნაკლოვანებანი გვიან თუ მალე, დღესა თუ ხვალე აუცილებლად გასწორდებოდა, მაგრამ... მაგრამ ამ წინამორბედთა ის მრუდე საქმენი ისევ და ისევ მრუდედ რომ დარჩებოდა?!.

რაო, რა ესმოდათ მათგან?

უგზოდ მვლელნოო, უსწავლელნოო...

დაე ისეთ ფურს დაეწიხლათ, მათზე ბევრს თვითვე რომ იწველიდა.

და აღმოხდებოდა გმინვად და წუხილად: ვაი თქვენს ხელში ჩვენს საქართველოსო!..

რაო, კიდევ რა ესმოდათ მათგან?

ვინა ყრიხართო, ვირები ხართო...

და დაამუნათებდათ და დაანამუსებდათ: მაგ თქვენს ზრდილობას ვით ეკადრებაო?..

მაგრამ შოთას ხომ ეთქვა და ის აფორიზმი ყველაზე უკეთესი პასუხიც იქნებოდა ამგვარი უდიერი მიმართვებისაც და პოეტური გაპაექრების გვირგვინიც:

რაც კოკაში სდგა, იგივე თურმე წარმოსდინდებაო.

კვლავ რუსთველი შემოეშველებოდა, ის მოათავებინებდა ყველაზე შესაფერის ადგილას მწვავე პოლემიკას, რომელიც დააფრთხობდა გრიგოლ ორბელიანს – არა, თავისას არა ჩიოდა, ილიასა და მის მოდასეთა ბედი არანაკლებ აღელვებდა. ბოლოსდაბოლოს ძველსა და ახალს შუა შემაერთებელი ხიდი თუ ვინმე, გრიგოლიც გახლდათ, და ჯერ „გამოცანებსა“ და ახლა „პასუხის პასუხს“ რომ გაეცნობოდა, გულწრფელად იტყოდა, ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე, ქვეყნის მომავალზე მოფიქრალს რომ შეჰფერის, ოღონდ... ზედმეტად ფრთხილსა და გაუბედავს:

– არა, არა მწყინს, მამას არ უნდა ეწყინოს თავისი შვილისაგან. ერთი რამ მაწუხებს მხოლოდ: იქ, ზემოთ, მივა ეს ამბავი და არ ივარგებს, არავინ უნდა იცოდეს ჩვენი იდუმალი გულის ზრახვანი!..

ილიას რომ გადასცემდნენ, ასე და ასე უთქვამს გრიგოლსო, ამას ჯერ რაღაც თბილი ჩაეღვრებოდა გულში, რაკიღა გრიგოლ ორბელიანი მართლა მამასავით ეგულებოდა, მერე კი ამ სითბოს რაღაც ბალღამის წვეთებით შეერეოდა: როდისღა უნდა გამოიჩინოს სამოქალაქო ცხოვრებაშიც ის გამბედაობა, ბრძოლის ველზე რომ არც არასოდეს ჰკლებიაო.

რაო, რაო – იქ, ზემოთ მივა ეს ამბავიო?

ამაზე კი იცინებდა და რას იცინებდა, მთელი არსებით რომ ათახთახდებოდა ხოლმე, განსაკუთრებით მაინც ზემოურთა წარმოდგენისას, და მთელ თავის განწყობილებას ამ სიტყვებში გამოახვევდა:

– რაღა გვეშველება, იქ, ზემოთ თუ შეგვიტყობენო!..

და კიდევ ერთხელ დაწყდებოდა გული, შეუბრალებელი ყოფა საშუალებას რომ არ აძლევდა მთელი არსებით მისცემოდა მწერლობას, თორემ ზემოურთა პორტრეტები ისე ჩამომწკრივდებოდა მისი ეპიკური ქმნილების ფურცლებზე, ნიკოლაი გოგოლს შეეხარებოდა – პირდაპირ ხელში გიცვიოდნენ. „გამოცანების“ პერსონაჟებიც გამოადგებოდა ზოგადი ფონის წარმოსახვისას, რომანის დასაწერად დრო რომ ჰქონოდა, ახალი ფერხორცითაც რომ შეივსებოდნენ ბელეტრისტული თხრობისას.

რაღა გვეშველება!..

პავლე ინგოროყვა გრიგოლის სიტყვებს რომ მოიხმობდა, დასძენდა: ამ შემთხვევაშიც ამჟღავნებს იმ გაუბედაობას, რასაც ილია საყვედურობდა „გამოცანებშიო“.

და ამ სიტყვებსაც მიადევნებდა:

– გაუბედაობა ყოველ შემთხვევაში გმირობა არ არის... ხოლო ილია გაუბედაობას ერის სამსახურის საქმეში – ღალატს ადარებდა.

მიადევნებდა არა მხოლოდ გარდასული ჟამის სურათის სრულყოფილად აღდგენისათვის, არამედ თანადროული ვითარების გამოსახვევადაც მსჯელობაში – ბოლოსდაბოლოს განა რა შეცვლილიყო ილიას შემდგომ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, თუ არ გაუარესებულიყო რეალობა, კიდევ უფრო დამძიმებულიყო და კიდევ უფროც მოითხოვდა გაბედულებას.

და მკვლევარი და ბიოგრაფოსი გრიგოლ ორბელიანის დამუნათებით თანამედროვეთ შეაგონებდა გაბედულების აუცილებლობას, თორემ სახიფათო საქმეებში ოდნავ თითის რევით სასიკეთოს ვერას მოვეწეოდით. და ილიას სული კვლავაც რომ ჟოლავდა და უთუოდაც ჟოლავდა ცალკეულ ადამიანებში, ეს ჟოლვა უნდა შეკრებილიყო, გაერთიანებულიყო და უკვე ნაკადადაც გამოკვეთილიყო, გაუბედაობით კი გამთლიანებაზე ფიქრიც ილუზიას ემსგავსებოდა.

დაე ნუ მოვიტყუებდით თავს და ნუ გავაიგივებდით გაუბედაობას აუცილებელ სიფრთხილესა და კეთილგონიერებასთან, და გაგვესწორებინა მზერა მკაცრი სინამდვილისათვის, გაუბედაობა ერის სამსახურში – არც მეტი, არც ნაკლები – ღალატს რომ ეტოლებოდა, ერის სამსახურში, თორემ პირად ცხოვრებაში ასე მკაცრად და ასე მძაფრადაც ვერ მოსთხოვდი ადამიანებს სიფრთხილეზე უარის თქმას.

შემაერთებელ ხიდად სიცოცხლის დასასრულამდე დარჩებოდა პოეტი-გენერალი, შემაკავშირებლად ორი თაობისა, არაერთხელ რომ გადაეჯაჭვებოდა გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის ცხოვრება ერთმანეთს, ცალ-ცალკე რომ არც იდინებდა და ვერც იდინებდა, რადგანაც უერთმანეთოდ არ გაეძლებოდათ...

და მამებისა და შვილების ბრძოლის რუსული მოდელი ქართულ სინამდვილეს ვერაფრისდიდებით რომ ვერ მოერგებოდა, ჯერ მარტო მათი თანამშრომლობა დაამტკიცებდა და დაადასტურებდა – ბოლოსდაბოლოს აკაკი წერეთელი რომ გაუნაპირდებოდა ილიას და ბანკობიადის დროს სულაც ივანე მაჩაბლის მხურვალე თანამგრძნობი გახდებოდა, გრიგოლს უნდა დაეჭირა მისთვის მხარი და სატკაცატკუცო სიტყვითაც გამოსულიყო ილიას თანამდგომად.

და იბუზღუნებდა ხოლმე აკაკი, თან რომ ხსნიდა და თან ვერცა ხსნიდა მათ ასეთ დაახლოებას:

სად მონახეს ერთმანეთიო!

* * *

ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალიო...

გამოქვეყნებისას კი ამოიღებდა ამ სიტყვებს, მაგრამ მანამდე ზეპირად რომ იტრიალებდა საზოგადოებაში და ილიას ყურსაც მიწვდებოდა, სასაცილოდაც არ ეყოფოდა ეს – სხვისთვის ალბათ გულმოსაკლავი – შედარება და მხიარულად გაიხსენებდა ხოლმე, და აკი ოლიკოსაც მოსწერდა:

მე კლასიკური სახელი მაქვს, გრიგოლ ორბელიანისაგან მოცემული: ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი და სხვა სახელს არა ვკისრულობო.

ის კი არა, თავისი მხრიდანაც წაამატებდა ისეთ ეპითეტებს, ბურთივით მრგვალ ლიბერალს რომ მისადაგებოდა: ბაჯაჯღანა და პირმრგვალიო. და არც ფაშვის ხსენებას მოერიდებოდა.

* * *

ფელეტონის სტილში გამოცანების შეთხზვა ძალიან მოეწონებოდა დავით ერისთავს. ჯერ როგორც მკითხველსაც, და მერე სულაც რუსულად რომ მოუწევდა მათი თარგმნაც და გავრცელებაც, ასე რომ, იმ მღელვარების შუაგულშიც კი მოექცეოდა.

და ისე მოხდებოდა, რომ ილიას „გამოცანები“ შთააგონებდა, თვითონაც შეეთხზა „გამოცანები“ ფელეტონად.

და ილია დუშეთიდან რომ გამოუგზავნიდა ბარათს მეუღლეს 1873 წლის 1 მარტს, აცნობებდა, რომ: ამ დღეებში ტფილის-ქალაქს დუკელსკის და კონცერტს მართავდა და გლუხარიჩიც – მამის, გიორგის, მეტსახელით მოიხსენიებდა დავით ერისთავსაც – მონაწილეობდა იმ კონცერტში: რუსულად კითხულობდა ლექსებს.

ილიასაც ძალიან ენდომებოდა იქ დასწრება, მაგრამ ვერ მოახერხებდა.

მთავარი მაინც ის იყო, რომ:

გლუხარიჩს რუსულად ძალზე სხარტი ფელეტონი დაეწერა ქალაქის არისტოკრატიაზედ, და ქალი თუ კაცი ძალიან ლაზათიანად გამოცანებივით გამოეხატა.

გიორგი მუხრან-ბატონისათვის დაერქმია კნიაზ ასიმილაძე-სინეკურსკი, როგორც სინეკურისა და რუსულ ენასთან ქართულის ასიმილაციის მქადაგებლისათივს, ვიტგენშტეინისათვის – ვიკონტ დ'არაფერა, ბარონესა საკინისათვის – ბარონესა ნიხტს-ჰაბენი, კოლა ერისთავისათვის – ცუნცულაძე, გიორგი შერვაშიძისათვის – კნიაზ კოკო, ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის ცოლისათვის – კნიაგინია პიკნიკაძე, და ვერც სხვანი გადარჩენოდნენ ირონიასა თუ სარკაზმს.

ისეთი ალიაქოთი ასტეხოდათ ქალაქში ამ არისტოკრატებს, რომ მეტი არ იქნებოდა.

დაწერდა ამ ფრაზას და სიამისაგან ხელებს მოიფშვნეტდა ილია, კიდევ ერთხელ თვალნათლივ რომ წარმოიდგენდა იმ ალიაქოთს.

და ასევე სიამოვნებით, ოღონდ ეს სხვა სიამე იქნებოდა – მოწონებისა, მოიხსენიებდა დავით ერისთავის მოქმედებას:

გლუხარიჩი კი ყურსაც არ იბღერტსო!..

ვაუკაცობა არ აკლდა დავით ერისთავს, მაგრამ ყურსაც რომ არ იბღერტდა, იმისიცაა, ილიას რომ ებაძება: აკი „გამოცანების“ იმ ორი ციკლის გამოქვეყნებისაგან გამოწვეული არცთუ უხიფათო აჟიოტაჟი ნირს ოდნავადაც ვერ შეაცვლევინებდა და მის მაგივრად... აკი გრიგოლ ორბელიანი შეშინდებოდა, იქ, ზემოთ რას გადაუწყვეტდნენ, და არამარტო ილია ჭავჭავაძეს,

რომელიც დავით ერისთავის ფელეტონის გაცნობისას განსაკუთრებით მაინც გიორგი მუხრან-ბატონისათვის შერქმეული სახელით მოიხიბლებოდა: კნიაზ ასიმილაძე-სინეკურსკიო, – და რაღაც ამგვარსაც გაივლებდა გუნებაში: ეს მე უნდა მომფიქრებოდაო!..

* * *

თითქოს თვალდათვალ შეჰყურებდე, თუ როგორ შეიძლება დაწყებულიყო ილიას ავტობიოგრაფიული თხზულება, თუკი დააცლიდნენ:

გრიგოლ ორბელიანის ხატით კავკასიის დათოვლილი მწერვალების ფონზე.

ჩაძირულისა ბუნების მდუმარებაში და მინებებულისა მის იდუმალ ძახილს.

და გატვრინდებოდი, გაყუჩდებოდი და სუნთქვასაც შეიკრავდი, რათა რაც შეიძლება გვიან შეჭრილიყო ამ მდუმარებასა და იდუმალებაში ყოფითი რეალობის მსახვრალი ხელი.

ყველაფერს თავისი დრამატურგია აქვს:

რაღაც — გარეგნული სიუჟეტით უნდა გაიშალოს.

და რაღაც — იმ იდუმალი კანონების მეოხებით, ერთი შეხედვით სცენას რომ არც გასცილდება წამიერი სურათი და პიესას ხომ მთლად ვერ გაიყოლიებს, მაგრამ... ფარულად განსაზღვრავს ბევრ რაიმეს, და რაც მთავარია — მისტიკურობის სულით მონაბერს.

თავი მეორე

სიტყვა: ზეცით მონაბერი

რას იბუზღუნებდა ხოლმე აკაკი წერეთელი?

სად მონახეს ერთმანეთიო!..

1883 წლის 25 მარტს კი ორივ ერთად უნდა წარმომდგარიყო სამგლოვიარო სიტყვით გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვისას, გლოვის ზარი რომ გახმაურებულიყო მთელს საქართველოში და ყოველი ჭეშმარიტი ქართველის გული შეეძრა მართლაცდა ჭეშმარიტი მწუხარებით.

მისმა წარჩინებულმა სახელმა შეჰკრიბა აქ ყოველი წარმომადგენელი ჩვენი ქვეყნისაო, – მოედინებოდა ილიას მჭევრი სიტყვა, – აქ არიან ქალი და კაცი, უცნობი და ნაცნობი, ნათესავი და უცხო, მოხუცი და ჭაბუკი, ღარიბი და მდიდარი, სოფლელი და მოქალაქე, მცირე და დიდი, გლეხი და მუშაკი, რათა ერთად, შეერთებული გლოვით, ამ უკანასკნელს ჟამს საქართველოს ერი, მაგათგან ესრეთის ერთობით წარმოდგენილი, გამოეთხოვოს თავის სასიქადულო კაცს, სახელოვანს შვილს, სიტყვა-მაღალს მოძღვარს, საუკუნოდ ჩვენთვის დადუმებულსა, საუკუნოდ ჩვენგან წასულსაო.

არამარტო მის ხარისხსა და ნამსახურობას, არამარტო მის ღვაწლს მხედრობისა და მოქალაქეობისა მოეწვია აქ, ამ საერთო გლოვის ჟამს, ამოდენი ხალხი სხვადასხვა წოდებისა, სქესისა, ხარისხისა და ასაკისა, არამედ იმასაც, რომ:

– იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა, იგი იყო „მეუფე“ ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცხებული, იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ – სასოებით მისი მსმენელნი.

და ძალდაუტანებლად ამოეკერება სამგლოვიარო სიტყვას ის სტრიქონები გრიგოლ ორბელიანისა, ისედაც ყოველთვის პირზე რომ ეკერებოდა ილიას და სულის მოსაბრუნებლადაც დაისაჭიროებდა ხოლმე.

ჩახედვა აღარც დასჭირდებოდა, ზეპირადვე შეეძლო აღედგინა და მისივე სტრიქონების ფონზე მოეხაზა გრიგოლ ორბელიანის პორტრეტული შტრიხები, კაცისა:

ვის არ შეხებოდა ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად, სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ. ვინც ძლიერებას მძლევის სიტყვით ამცნო სიმართლე და ძმებს დაცემულთ მისცა ხელი აღსადგენადა.

კაცისა, ვინც ქვეყანას უანდერძებდა:

მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებასო!..

კაცისა, რომელიც:

დაჰნატროდა დროთა, როს აქვნდა ტრფობა მამულისადმი გულს აღბეჭდილად.

კაცისა, რომელიც ღაღადებით წარმოთქვამდა:

იცოდეთო, რომ არიან ღარიბნიც, არის სადმე სიმწარითა ცხოვრებაო.

კაცისა, რომელსაც სწყუროდა:

რომ ჩვენ განვახლდეთ, სულით ავმაღლდეთ – და განქრეს ბნელი უმეცრებისაო.

ეგებ ზოგს ეთქვა: ყოველი ეგე სიტყვაა და არა საქმეო?

მაგრამ ამჯერად ილია სიტყვასა და საქმეს შორის ზღვარს არ დასდებდა, რაკიღა თუ ვინმეს, მასაც მოეხსენებოდა, რომ არსებობდნენ ქვეყანაზედ იმისთანა რჩეულნი, იმისთანა ზეგარდმო მადლით ცხებულნი, რომელთაც მინიჭებოდათ ერთი სასწაულმოქმედი ძლიერება: თვითონ სიტყვასაც საქმედ რომ ჰქმნიდა.

და ერთი იმათგანი, ერთი იმ რჩეულთაგანი, ერთი იმ ზეგარდმო მადლით ცხებულთაგანი გახლდათ იგი, რომელსაც დღეს დასტიროდნენ, და ამიტომაც მისი სიტყვაც თვითონ საქმეს განასახიერებდა.

ჩვენი მშვენიერი ქვეყნით თავმოწონებულს აღტაცებით რომ წარმოეთქვა:

სხვა საქართველო სად არისო!

ახლა თვითონ საქართველო დაჰყურებდა მის საფლავს და სასოწარკვეთილებით, გლოვით იძახდა:

სხვა გრიგოლ ორბელიანი სად არისო!..

ეს ფრთიანი სტრიქონი არაერთხელ რომ განმეორდებოდა შემდგომი ხანის პოეტურ ნააზრევში: ციტატად, ასოციაციად, ალუზიად თუ პერიფრაზად – და საკმაო მასალაც მოიყრიდა თავს, ამ რკალის სათავეში აღმოჩნდებოდა ილია ჭავჭავაძე გამოსათხოვარ სიტყვაში ჩაკერებული ამ მარჯვე პერიფრაზით სხვა გრიგოლ ორბელიანი სად არისო.

აღარ იყო გრიგოლი და მის საყვარელ საქართველოს გულში ჩაწყდომოდა კიდევ ერთი ძარღვიც.

როგორ ამბობდა? ფუჭია იგი სიცოცხლე, რომელიც ვერარას არგებს მამულსაო.

შთამომავლობა ამას გრიგოლ ორბელიანზე იტყოდა და ამ სტრიქონსაც მასვე მიუსადაგებდა:

შენ განვლე შენის ცხოვრების გზა და აღბეჭდეცა ნავალიო.

მისი ქვეყნის შვილი ქართველი რომ დააკვირდებოდა ამ ბრწყინვალე ნავალს, მაღალი ნიჭითა და მაღალი სიტყვიერებით შუქმოფენილს, ქვეყნის წინაშე თამამად თავს მოიწონებდა, რომ საქართველოს ამისთანა კაცი ჰყავდა, და იმავდროულად იგლოვებდა კიდეც, რომ ჰყავდა და აღარ ეყოლებოდა.

და ეთხოვებოდა ახალგაჭრილ სამარესთან ენის რესპუბლიკის ახალი მმართველი ამ რესპუბლიკის ძველ მმართველს, როგორც სასიქადულო მამულიშვილს, სახელოვან ქართველსა და დიდებულ მწერალს!..

ჩამოდიოდა მლეთის დაღმართზე პოეტი-გენერალი, ზურგსუკან ხელებშემოწყობილი, პირმღიმარე და დაფიქრებული, თავის ოცნებებს რომ შესთამაშებდა გუნებაში და ლირიკულ წარმოსახვებს ასდევდა კავკასიის მთებითა და ღრუბლებით გარშემოზღუდული, და ილიას, ამ აღმართზე ამავალს, უნდა ჩაეჩუმებინა თანამგზავრნი და აღტაცებით მისჩერებოდა მდუმარებაში ჩაძირულ პოეტს, რომელიც უთუოდ ახალი ლექსის სტიქონებს აქანდაკებდა გონებაში...

და ახლა სამუდამო მდუმარებაში რომ ჩაძირულიყო, მთაწმინდის კალთაზე დაშვებულ ილიას ის თავისივე პერიფრაზი აეკვიატებოდა: სხვა გრიგოლ ორბელიანი სად არის, სად არის სხვა გრიგოლ ორბელიანიო...

თავისი მეამბოხური წარსულის გახსენება დიდხანს რომ აღარც ენდომებოდა, ზედ სიცოცხლის მიმწუხრზე ამოუზიდავდა იმ მღელვარე სულს, ოცდათორმეტიანულს, ალექსანდრე ყაზბეგი, და თუმც ძნელი აღმოჩნდებოდა გრიგოლისათვის ეს გაცნობიერება რეალობისა, ასერიგად რომ დააკვნესებდა ამქვეყნიური ყოფისათვის უკანასკნელად მზერის მიმოვლებისას: გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარითო, – მაინც ეს სჯობდა, სიმართლის შეგნება, გულსაკლავი სინამდვილისათვის მზერის გასწორება და არა ილუზიებში ბორიალი, საქართველოს ამიერიდან რაღა გაუჭირდება რუსეთის მფარველური კალთისქვეშ შეყუჟულს ერთხელ და სამუდამოდო.

ხოლო თავისი მეამბოხური წარსულის გახსენება დიდხანს რომ აღარც ენდომებოდა დიმიტრი ყიფიანს, გადასახლების ბრძანება ამოუზიდავდა იმ მღელვარე სულს, ოცდათორმეტიანულს, და თუმც ძნელი აღმოჩნდებოდა დიმიტრისათვის ეს გაცნობიერება რეალობისა, მაინც ეს სჯობდა, სიმართლის შეგნება, გულსაკლავი სინამდვილისათვის მზერის გასწორება და არა ილუზიებში ბორიალი, საქართველოს ამიერიდან რაღა გაუჭირდება, რუსეთის მფარველური კალთისქვეშ შეყუჟულს ერთხელ და სამუდამოდ, კეთილი ხელმწიფე ადრე თუ გვიან მკაცრად რომ მოჰკითხავს გაქსუებულ და გაპარპაშებულ ჩინოვნიკებს და დაუმკვიდრებს ამ უძველეს მოდგმას ღირსეულ ადგილს იმპერიის საზღვრებშიო.

არქიტექტორად რომ დაესახა ილიას დიმიტრი ყიფიანი თავისი თავი კი – კალატოზად და ბანკის დაარსების იდეასაც შესაფერისად დაუფასებდა: ღონე ხსნისა მოგვცა ხელთაო, – ეს ვერ დააბრკოლებდა, საკმაოდ მწვავე და უშეღავათო კამათი გაემართა მასთანაც უშუალოდ ბანკის ირგვლივ არსებულ პრობლემებზე, 1886 წლის „ივერიის“ ნომრიდან ნომერში რომ გადავიდოდა და საკმაოდაც გაგრძელდებოდა, თანაც წერილების ამავე სერიაში ჩართავდა პაექრობას აკაკი წერეთელთანაც.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი მითქმა-მოთქმა რომ იტრიალებდა ბანკის შესახებ, უჯერო და შეუწყნარებელი, ამ მითქმა-მოთქმაში ილია ყურადღებას მიაქცევდა ორ იმისთანა საგანს, რომელთაც გატაცება შეეძლოთ კაცისა.

ერთი ის: ბანკები რომ არ ყოფილიყვნენ, ვალსაც არ ავიღებდით, მაშასადამე მამულების დაკარგვის განსაცდელშიც არ ჩავცვივდებოდითო.

და მეორე კი: ბანკებმა დაუგირავებელი მამულები არ უნდა ჰყიდოს, ისე ამოქმედოს საადგილმამულო კრედიტიო.

აკაკი წერეთელი აიღებდა და თავის მფარველობის ქვეშ დააყენებდა პირველ აზრს, დიმიტრი ყიფიანი კი – მეორეს.

და ვიდრე ილია თვითეულის საბუთს გაჩხრეკდა, მკითხველისაგან ნებას ითხოვდა ცოტაოდნავ შემდგარიყო ერთ უსიამოვნო თვისებაზედ, რომელსაც ქართულ პოლემიკაში პირველი ადგილი ეჭირა, და ამის მიზეზს ისე აკაკი წერეთლის წერილი არ იძლეოდა, როგორც დიმიტრი ყიფიანისა.

მხცოვანი მოღვაწე თავისი წერილის მოზრდილ ნაწილს იმ ბრალის დამტკიცებას ანდომებდა, რომელსაც – ილიას ვერ გაეგო, როგორ და საიდან – მას სდებდა:

„ივერიაში“ დაბეჭდილია ორი დიდი მოწინავე მუხლი, რომლითაც ტფილისისა და ქუთაისის ბანკების დამფუძნებელნი კარგად საგრძნობლად ვიტუქსებით: ბანკის მნიშვნელობა თქვენ არ გაგეგებათო, – დრტვინვას რომ ჰბედავთო.

და ამის შემდეგ გულისწყრომით კითხულობდა:

ნუთუ შესაძლებელი უნდა იყოს, რომ კაცი, ამხანაგობა, მთელი თავადაზნაურობა, ეს ხალხში უმაღლეს საზოგადოებად წოდებული თავადაზნაურობა, აშენებდეს რასმე და არ იცოდეს კი, რას აშენებს? რა სათქმელია, ღვთის გულისათვისო!..

და გაოცებას გამოთქვამდა ილია: ჩვენდა დაუკითხავად ძალად გვათქმევინებს ბატონი დიმიტრი, გვაბრალებს იმას, რაც ფიქრადაც არა გვქონია და არც სიტყვით წარმოგვითქვამსო.

– ჩვენ იმოდენა პატივისცემა გვაქვს ბ-ნის დიმიტრი ყიფიანისა, რომ ვიფიქრეთ, უსათუოდ მეხსიერება გვღალატობს, უსათუოდ რაიმე უთავბოლო და წინდაუხედავი სიტყვა წამოგვცდა ჩვენს წერილებში, და იმ სიტყვამ მისცა მიზეზი ბ-ნს დიმიტრი ყიფიანს, რომ ჩვენთვის საყვედური ებრძანებინა, თორემ უამისოდ იგი არ ინებებდა უსაბუთოდ გამოკიდებას და ბრალდებას.

გადაიკითხავდა ხელახლა თავის მეთაურ წერილებს და არცერთგან, არცერთ სტრიქონში, არც სტრიქონებშუა, არც მთელი წერილის შინაარსში ნახსენები არ აღმოჩნდებოდა არც ბანკის დამფუძნებელი და არც თავადაზნაურობა იმ აზრით, რომ ეთქვა ან ერთსა და ან მეორეზედ: ვითომ ბანკის საქმეში არა გაეგებათ-რაო.

გულისხმობდა მარტოდენ ცალკეულ პირებს, რომელნიც მიზეზნი გამხდარიყვნენ სხვადასხვა მითქმა-მოთქმისა. ისინი არც მთელ დამფუძნებელ დასს შეადგენდნენ და — მითუმეტეს — არც მთელ თავადაზნაურობას.

და ებადებოდა შეკითხვა:

რად ენებებინა დიმიტრი ყიფიანს ძალად თქმევინება ილიასათვის იმისა, რისი თქმა არც ნდომებოდა და არც ეთქვა? რად ენებებინა გულის ამღვრევა ან ბანკის დამფუძნებელთა და ან მთელი თავადაზნაურობისათვის?

და სწორედ ამ არათქმულის თქმას მიიჩნევდა ილია იმ არასასიამოვნო თვისებად, რომელსაც ქართულ პოლემიკაში, კამათში – ჩვენდა სამწუხა-

როდ – პირველი ადგილი ეჭირებოდა. და ნუთუ უამისოდ არ ეიმედებოდა დიმიტრი ყიფიანს, რომ თავის აზრს მომხრეს მოუპოვებდა? თვით ამ აზრის ბუნებაში იმხელა სანუგბარო და სანეტარო რამ სუფევდა, რომ ბევრს მიიმხრობდა და გაიტაცებდა. და... ილიასაც მიიმხრობდა, რომ შეუძლებელი შესაძლებლად ეცნო.

რაკიღა ძმებად აღიარებდა ყველას, ძმათა შორის მწარე მართალი სჯობდა ტკბილ ოცნებას. ხოლო დიმიტრი ყიფიანის აზრი მართლა სასიამოვნო და სანატრელი ოცნება რომ გახლდათ, ეს არაერთხელ ეთქვა ილიას და იძულებული შექმნილიყო კიდევ ერთხელ გაემეორებინა.

ჭეშმარიტ მოძმედ, მართალ გულშემატკივრად იმას დასახავდა, ისეთ რჩევას რომ იძლეოდა, გარემოებას რომელიც შეეფერებოდა და ასახდენი იქნებოდა და აღსასრულებლად შესაძლებელი. თორემ იმას ვინც გამოუდგებოდა: აცა, რაც ეამება, ის ვუთხრაო, – ეს ხომ მტრობა იქნებოდა და არა ძმობა. ამისთანა შემთხვევაში საქმე ის კი არ იყო – გაჭირვებულის გული მოგეგო ცარიელი სიტყვით, არამედ – თუ საშველი გახლდათ რამ, შველებოდა, თუ არადა მოურიდებლად, პირდაპირ, ღობეყორეს მოუდებლად გეთქვა: საშველი არ არის და ტყუილად გაგიზვიადებია სურვილიო.

გაიხსენებდა იმ დროს, როცა ბატონყმობის გაუქმების ხმებით შეწუხებულ თავადაზნაურობას გულსა ჰფხანდნენ იმით: თითო კომლ კაცზედ 60-60 თუმანს გამოგიტანთ, ნუ გეშინიათო, – და ამ გულისმოსაგებ აღქმას ბევრიც აჰყვებოდა, მაგრამ ბევრი კი დიდი ეჭვით გაიქნევდა თავს და ამ დაუჯერებელ დაპირებას ქარს გაატანდა. ეს უჯერო ხალხი ამბობდა: ნუ გჯერათ, ეგ შეუძლებელი არისო.

60-60 თუმანი თითო კომლზედ კაი ლუკმა როგორ არ იყო, მაგრამ... ვინც ამ ლუკმისათვის მაშინ პირს დააღებდა, ისე პირღიაც დარჩებოდა დღევანდლამდე.

ამისთანა მითქმა-მოთქმას ჩვენი ბანკების თაობაზედ ხომ ბოლო აღარ ექნებოდა. არადა ერთხელ და ერთხელ საჭირო გახლდათ, რომ ბოლო მოღებოდა. ეს მითქმა-მოთქმა თვითონ ბანკებსაც აბრკოლებდა, სახელსა და აბრუს უტეხდა. ბანკიდან ვალის ამღებსაც რაღაც ტყუილ იმედებს აძლევდა და უამისოდაც უზრუნველს უფრო უზრუნველად ხდიდა. ბანკიც აგებდა ამ უზრუნველობის გამოისობით და ვალის ამღებიც. ამ შემთხვევაში ღობეყორეს მოდება ღალატი იყო საქმისა, საჭირო გახლდათ გულახდილად ლაპარაკი, პირდაპირი, პირმოუფერებელი თქმა.

დიმიტრი ყიფიანი ისეთი პატივისცემით შემოსილიყო, მისი სიტყვა განუკითხველად ბევრსა სჯეროდა. ილიას კი – იმედოვნებდა – მიეტევებოდა, თუ განუკითხველად არ უჯერებდა არც მას და არც არავის. ბატონი დიმიტრი იმდენად განათლებული კაცი გახლდათ, რომ ითაკილებდა კიდეც, თუ ვინმე განუკითხველად, ბრმად აჰყვებოდა მის სიტყვას, ნამეტნავად ასეთ საზოგადო საქმეში, ჩვენი ბანკები რომ გახლდათ. და ამით გულმოცემული ილია თამამად შეუდგებოდა მისი წერილის განხილვას.

დიმიტრი ყიფიანი რომ ბრძანებდა:

ჩვენ ასე დავადგინეთ, ასე ავაშენეთ ბანკი, რომელიც 40 თუ 60 ათასი თუმნის ტრიალით ყველას მოგვიხერხებდა გაჭირვებაში ხელის გამართვასო.

არა, ბატონო, ეს მართალი არ არისო, – გამოეპასუხებოდა ილია და ირწმუნებოდა, რომ:

60 ათასი თუმნის ტრიალით ყველას ვერ მოუხერხებდათ გაჭირვებაში ხელის გამართვას. ჯერ თითქმის 10 მილიონს დაატრიალებდა ჩვენი ორი ბანკი და გაჭირვებაში დღესაც ბევრს ვერ უმართავდა ხელს და 60 ათასი თუმნით იმას ვით შეძლებდა, რაც თითქმის 10 მილიონს ვერ მოუხერხდებოდა.

და დასძენდა, რომ:

თვით დიმიტრი ყიფიანის სიტყვითვე დაამტკიცებდა, რომ ეს იმედი არამცთუ ვინმეს ჰქონოდა ბანკის აშენებისა თუ დადგინებისას, არამედ ბატონ დიმიტრისაც ფიქრადაც არ გაეტარებინა. და რად ბრძანებდა ახლა ამას, ილიასათვის გაუგებარი გახლდათ.

ბევრს კი მოაფხანინებდა გულს ის სურვილი რაღაც გასაოცარი ბანკის შექმნისა, რეალობას სრულიად რომ დაცილებოდა, და გულის ფხანა განა საქმეს უშველიდა?!.

და სპეციფიკურ დეტალებს გულმოდგინედ ჩაჰყვებოდა, ისევე როგორც ამ გამოკამათებისას არაერთხელ დასჭირდებოდა ამგვარ წვრილმანებზე შეჩერება, რათა განზოგადებული პასუხები თუ დასკვნები ცალკეული საკითხებისა საფუძვლიანად, დამაჯერებლად და საკმაოდ სუსხიანადაც ჩამოეყალიბებინა.

ნუთუ ბატონ ყიფიანს ყური არ უთხოვებია, რომ ბანკის საფუძველი ერთია და მისი ოპერაცია მეორეო! – ამ შემთხვევაშიც როგორც არ დაერიდებოდა, – ნუთუ არა სცოდნია დღესაქამომდე, რომ ჩვენი ორივე ბანკი, ვთქვათ, ნაღდ ფულზედ აშენებული, სესხს რომ იძლევინება, თვითონაც სხვისგან სესხულობსო? მაშ რა არის მთელი ოპერაცია გირავნობის ფურცლებისა? მაშ რა არის, რომ ჩვენს ორივე ბანკს ძლივს მოუგროვდება ნაღდი ძირის ფული 800 000 მანეთი და ათი მილიონის ოპერაცია კი აქვს დღესაც!.. გასაოცარია ეს ამისთანა ლაპარაკიო.

გასაოცარს კიდევ გაუძლებდა, სამწუხარო რომ არა ყოფილიყო იმისთანა მითქმა-მოთქმა საზოგადო საქმის გამო, საცა არც ბოლო ებმის თავსა და არც თავი ბოლოსა.

შემდგომ რიტორიკულ შეკითხვას რომ დაუსვამდა მოპაექრეს:

როდის ყოფილა იმისთანა ბედნიერი დრო, რომ ჩვენი გირავნობის ფურცლის ათ თუმანში ათი თუმანი ნაღდი ფული ეძლიოთო?

თვითვე დაუბეჯითებდა მკითხველს:

თავის დღეში არა ყოფილა, თავისდღეში ჩვენი ბანკების გირავნობის ფურცელი ათ თუმნიანი 97 მანეთის ზევით არ ასულაო.

აქ დაშვებულ შეცდომას კიდევ არაფრად მიიჩნევდა, ბევრ ზიანს არ მოიტანდა, რადგანაც აქ ციფრი თავის უტყუარ განაჩენს იტყოდა, რაც უნდა საქმე ეხლართათ. სამწუხაროდ და ყოვლად შეუწყნარებლად იმისთანა იმე-

დებს მიითვლიდა უმართებულოდ, მარტოდენ საღერღელის აშლა რომ შეეძლო უმეცარი კაცისა და სხვა არავითარი ღირსება არ მოეპოვებოდა.

მკითხველს რომ მოუბოდიშებდა, სიტყვა გრძლად რომ მოსდიოდა და – დაპირებისამებრ – ასე ადვილად ველარ ამთავრებდა ამ საპასუხო სტატიას, ეს იმიტომ: რაც უფრო უკვირდებოდა დიმიტრი ყიფიანის წერილს, მითუფრო ბევრ გასახსნელ კვანძს პოულობდა შიგნით. ამ კვანძების გახსნას კი ხელს არ მოჰკიდებდა, ისეთი ფერუმარილი რომ არ წაცხებოდათ, რომელსაც – როგორც ყოველგვარ გარეგან მილესვ-მოლესვას – ერთი ღირსება თუ მოეპოვებოდა, მარტო ერთი უნარი: ცთუნება ბეცი თვალისა.

და რაკილა საზოგადო საქმეში ამისთანა ფერუმარილიან აზრებს, ცარიელ ტკბილ-ტკბილ და თბილ-თბილ სიტყვებს, ვნების მეტი არა მოჰქონდა რა, ვერ შეინყნარებდა ილია და ამიტომაც გამხდარიყო იძულებული, ეს უსიამოვნო და უმადური შრომა კიდევ განეგრძო და ფერუმარილი ჩამოებანა.

დაე ისიც შეეტყო მკითხველს, რომ:

ტყუილად გუნებას იფუჭებდნენ ისინი, რომელთაც ეგონათ, რომ გირავნობის ფურცლის სარგებლის დაკლებით შვება რამ მიეცემოდა ბანკიდან ვალის ამღებელს, და ჩვენი ბანკები კი ვითომ ამაში ჯიუტობდნენ და ამ შვებას მარტო ჭირვეულობის გამო არ იძლეოდნენ. აშკარაა, დიმიტრი ყიფიანს რომ მოსურვებოდა სესხის გაიაფება, იმისათვის კი არ მოეკიდნა ხელი, რაც მართლა გააიაფებდა, არამედ – რასაც არავითარი არაქათი არ გააჩნდა ეს სასწაული მოეხდინა. და ესეც ერთ მაგალითად ჩნდებოდა იმისა, დიმიტრი ყიფიანის საქებურ სურვილს საქმის ცოდნა რომ არ ეხმარებოდა.

ამასობაში აკაკი წერეთელთანაც რომ გამართავდა კამათს, დიმიტრი ყიფიანის გამოპასუხებასაც დაბეჭდავდა და კვლავ მასზე გადაერთობოდა: ბევრნაირად შესანიშნავია, მაგრამ საკამათო საგნის ახსნას იოტისოდენადაც არა შველისო.

გამოედავებოდა თუნდ იმ შემთხვევაშიც, მოპაექრე თავსა და ბოლოს რომ გამოაკლებდა ამის ფრაზას და მხოლოდ შუაწელს ამოიღებდა. ნუთუ ნება ჰქონდა ვინმეს ასე მოქცეულიყო ძალმომრეობით? მაგრამ თუკი დიმიტრი ყიფიანს ამისთანა ნება დაეჩემებინა?

როდესაც დიმიტრი ყიფიანის მეორე წერილი დაიბეჭდებოდა, ილია ყურადღებას არ მიაქცევდა თავისი აზრების გადასხვაფერებასა და გადატრიალებას მოპაექრის მხრიდან, რაკილა საკამათო საგანს არსებითად არ შეეხებოდა. და ახლა, როდესაც ამისთანა ქცევას გაიმეორებდა უფრო გაძლიერებით, იძულებული შეიქნებოდა მოეყვანა ეს მაგალითიც, რათა ეგრეთწოდებული მანერა ბ-ნი ყიფიანის კამათისა უფრო ბევრი საბუთით დაემტკიცებინა.

– თქვენ ბრძანებთ, რომ ამ საკრედიტო ფურცლების გამოცემის ნება მთავრობამ უარ-ჰყოო, მაგრამ რომ მიეცა ბანკს ეს უფლება და ძირის ფულის ღირებულობა ერთიათად იქცა, – როგორღა მოხდაო, – კითხულობდა დიმიტრი ყიფიანი, მაგრამ ილია ირწმუნებოდა, რომ: სულ სხვას ამბობდა სინამდვილეში.

ფინანსთა მინისტრის ქაღალდში დიმიტრი ყიფიანის პროექტის უარყოფის მიზეზად სულ სხვა საგანი დასახელებულიყო და არა საკრედიტო ფურცლის გამოცემაზედ უარის თქმა, რა მოსაზრებაც ილიას ასე უმართებულოდ მიეწერებოდა, და ამიტომაც მიიჩნევდა კამათის ამ „მანერას“ უქმად დახარჯულ ტყვია-წამლად.

ისეთ კილოზედ გადასულხართო, – ჯერ კიდევ ადრინდელ გამოპასუხებაში წყრებოდა მოპაექრე, – რომელიც ზღვევას არღვევს, ძველებური ქართული ზრდილობისათვის უზრდელობისაგან დასაცველად დადებულსაო.

და ამჯერად ხელახლა ამუნათებდა:

რა კვალსაც თქვენ ადგიხართ, იმ კვალზე დგომა მე არ შემფერის. თქვენი მრავალმეტყველება იქნება ძალიან წარმატებული იყოს... მაგრამ მე ჩემი დიდხნიერის გამოცდილებით ამას გაგიბედავთ და მოგახსენებთ, რომ მრავალმეტყველება ვერ დაჰფარავს ვერც უზრდელობას, ვერც დედაბრულ ლაქლაქსაო.

და კიდევ:

პირმოთნეობა, მლიქვნელობა, მხიბლაობა მე ჩემს სიცოცხლეში არასოდეს არ მიხმარია, რადგან ჩემთვის საჭირო არასდროს არ ყოფილა, და გარწმუნებთ, რომ არც არასოდეს მომავალში ვიხმართ, როგორც უნდა გამიჭირდეს. და რომ ვაცხადებ, რომ არც ამაში მწადს თქვენ შემოგეცილოთო...

რის პასუხადაც ილია ამას იკმარებდა:

რაში? პირმოთნეობაში, მლიქვნელობაში, მხიბლაობაში?!. ეს რომელი ტიპიკონით არის ზრდილობად მიღებული? აი თუ სწორედ გინდათ, მას ჰქვიან: შეუდგებოდეთ არა მოქმედებასა ჩემსა, არამედ მოძღვრებასა ჩემსაო.

პირობას დებდა, რომ: გულწრფელად და დიდი სინანულით მოიხდიდა ბოდიშს ჯერ დიმიტრი ყიფიანისა და მერე მკითხველის წინაშე, თუკი მის მიერ მოხსენიებული ეპითეტების მსგავსი სადმე გამოეყენებინა არამცთუ ბატონი დიმიტრის, არამედ საერთოდაც ვინმეს შესახებ. ილიას ხომ მოპაექრის მიერ წარმოდგენილ აზრებსა და საბუთებთან ჰქონდა საქმე და არც მის სახელსა და ზრდილობას შეხებოდა და არც მისი ლაპარაკის თვისების აღნიშვნას.

საცა კი ბატონი დიმიტრისაგან ბრალსადები რამ ეთქვა, ეს მარტო ის გახლდათ, რომ მის მიერ უცოდინარობა საქმისა გამოემჟღავნებინა. ეს კი მხოლოდ სამწუხარო შეიძლება ყოფილიყო და არა საწყენი. დაე მკითხველს განესაჯა, მართებულად შეეფასებინა თუ არა მოპაექრის მოსაზრებანი, მაგრამ კაცს კაცისათვის რომ ეთქვა: შენ საქმე არ იციო, – ეს უზრდელობაში არავის უნდა ჩამოერთმია იმისათვის.

და ესეც უნდა თქმულიყო სხვათა შორის:

მართლმსაჯულებას გახურებული რკინის თვისება რომ მოსდგამდა. ის სწვავდა, როდესაც სუსტ მხარეს შეეხებოდა ხოლმე და ამ თვისებას ვერავინ ჩამოართმევდა მართლმსაჯულებას ზრდილობის სახელით. ყველას ემწვავებოდა ხოლმე, როდესაც ვარაყით მოოქროვილ კაკალს დაჰხაროდა,

შიგ კაი გული ძევსო, და თქვენ კი გაუტეხდით და... შიგ გულის მაგიერ ჭიის საბუდარს დაანახვებდით.

ამასაც ამცნობდა მკითხველს, რომ:

დიმიტრი ყიფიანი ერთ დროს სულ სხვა აზრისა ბრძანდებოდა ბანკების თაობაზედ, ოღონდ რაკილა არავის შერჩენოდა ერთი დრო (აქ მსუბუქი ირონია გაერეოდა), არც ამ აზრს შერჩებოდა: დროთა განმავლობაში ისე შეიცვლებოდა, რომ წინა აზრი მიმდევარს აღარაფერში ემგვანებოდა. ისტორია ამ ცვალებადობისა სულ 18 თუ 20 წელიწადს იპყრობდა. და თუმც მოსაწყენი გახლდათ, მაგრამ საგულისხმო კი, კაცს ეს ხანა ჩვენი ბანკების ისტორიისა გადაეთვალიერებინა, და მაშინ ცხადად დაიხატებოდა, რა სდომებოდა მოპაექრეს წინათ, რა სდომებოდა მერმედ და რა სურდა დღეს. და ამ ისტორიის მოკლე ხანას ამ სამი საკითხავის მიხედვით განიხილავდა, რომელიც შეადგენდა არსებასა და ბუნებას ამ კამათის საგნისას.

უსაყვედურებდა მოპაექრეს, ორი-სამი თვის წინათ თქმულს სულ რომ უარყოფდა და ძირეულად შეცვლიდა – სულ წინააღმდეგ თავიდან ბოლომდე. იმავ წერილში რომ ამბობდა დიმიტრი ყიფიანი: იძულებული ვიყავი ზოგიერთ „მეორეხარისხოვან“ საგნებში ჩემი პროექტი შემეცვალაო, – როგორ არ წასდავებოდა ილია: აქციებისა და ურთიერთობის დაწესება ბანკის საქმეში „მეორეხარისხოვნად“ მიუღია და არა „პირველხარისხოვნად“!.. ბევრ ამისთანა წაჯექ-უკუჯექობის მაგალითს კიდევ წარმოვადგენდით, მაგრამ ეს საკმარისიაო.

განხილვა-მსჯელობისას წარმოაჩენდა, როგორ ეცვალა ბატონ დიმიტრის აზრი მამულის გაუსყიდებლობაზედ, რაც გახლდათ აქილევსის ქუსლი მისი მოძღვრებისა, არადა ბევრს წაუხალისებდა გუნებას.

ხოლო საქმით მოკლე და სიტყვით გრძელ ისტორიას იმიტომაც გააბამდა, რათა ეჩვენებინა, როგორ მოქმედებდა დიმიტრი ყიფიანის აზრი და სურვილი დროთა განმავლობაში, რა სიმტკიცე ჰქონდა მის აზრსა და სურვილს ბანკის საქმეში, და თვითონ იგი რა გზაზე მდგარიყო წინათ, როცა ბანკის საქმე მის ხელთ გახლდათ, და რა გზაზე იდგებოდა დღეს, როცა მის ხელთ აღარ იქნებოდა.

არ მოეშვებოდა და არა ილია, მოპაექრის მცირე სტატიებს გრძელ-გრძელ პასუხებს მოადევნებდა, მაგრამ მისი მრავალსიტყვაობა მხოლოდ იმას არ გამოეწვია, რაც შეიძლება ამომწურავად გაებათილებინა უმართებულო მოსაზრებანი და მკითხველისთვისაც ბოლომდე დაეღეჭა სათქმელი, არამედ – რათა აღარც არაფერი დარჩენილიყო ბუნდოვანი თუ დასაზუსტებელი საერთოდაც, ესარგებლა მოპაექრის კრიტიკული შენიშვნებით და განმარტებისას ბარემ ჩამოეყალიბებინა ბანკის მოწყობისა და უკეთესი გზით წარმართვის თეორია, მსხვილმანი და წვრილმანი ერთნაირად საგულისხმო და გასათვალისწინებელი რომ გახლდათ მისთვის, ცდილობდა ეს შეგნება საყოველთაო მორალად დაემკვიდრებინა, რათა სუბიექტური თვალსაზრისებით კი არ განესაჯათ ცალკეული საკითხები, არამედ ობიექტურობის შეუვალი გადმოსახედიდან, ბანკის არსებობის და-

ნიშნულებიდან და მისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის თავგამოდებით.

ბოლოსდაბოლოს წერილების ეს ხანგრძლივი სერიაც დასასრულისაკენ უნდა გადახრილიყო, ილია უკვე თამამად რომ გაიხდიდა მკითხველს თანამოაზრედ:

ნუთუ ამდენი მაგალითის შემდეგაც ცხადი არაა, რომ „მამულის გაუსყიდველობა“ სანატრელი კი არის, მაგრამ ზღაპარიაო!.. და თუ ზღაპარი არ იყო, მაშ რატომ ერთი გარკვეული, დაბეჯითებული, ყოველმხრივ განმარტებული პროექტი არ წარმოედგინათ ამის გამომგონებელთ, და როცა ყოველივე ეს მოეთხოვა მათთვის, ასე მოეგოთ: ეგ „სკოლური ცელქობაა“, რომ თქვენს საკითხავებზედ პასუხი მოგცეთო, – რასაც ილია მკაცრად შეეპაექრებოდა: ეს უილაჯობის პასუხია, ბანზედ სიტყვის აგდებაა! ამნაირად აზრების ცვლა მამულის გაუსყიდველობაზედ უტყუარი ნიშანია, რომ ეგ საქმე მოუთავსებელია, შეუწყნარებელი და შეუძლებელიო.

შორს რად წასულიყო, როდესაც თვითონ დიმიტრი ყიფიანი გვიმტკიცებდა ამას და ილიას შეეძლო მისი სიტყვები მოწმედ მოეყვანა: მაგ გაუსყიდველობის წესად დადება და ბანკის პირქვე დამხობა, ბანკის ფულის დაღუპვა ერთი იქნებაო.

და მოთავებით რომ მოათავებდა ყოველგვარ ბაასს ბატონ დიმიტრისთან, უსამართლობად, უმადურობად მიიჩნევდა, რომ არ ეთქვა, თუ რა სამსახური გაეწია დიმიტრი ყიფიანს ჩვენი ქვეყნისათვის.

არამარტო მას მოუვიდოდა პირველს ფიქრად ბანკის დაარსების საჭიროება, არამედ დიდი ღვაწლი, დიდი მხნეობა და მეცადინეობა ეხმარა ამ სასახელო ფიქრისა და აზრის ხორცშესხმისათვის – დაეყოლიებინა ტფილისისა და ქუთაისის თავადაზნაურობა ფული შეეწირათ ბანკის დასაარსებლად.

ეს ყოველივე მარტოს ედო კისრად და მარტოს შეესრულებინა თვისი სახელის სასიქადულოდ.

იგი მაშინ გუბერნიის მარშლად ბრძანდებოდა და – ილიას დაბეჯითებული განცხადებით – არცერთ მარშალს არც მანამდე და არც მერე ასეთი დიდი ღვაწლი, ასეთი დიდი სამსახური არ გაეწია ჩვენი ქვეყნისათვის.

რაც უნდა ეთქვათ მათ, რომელნიც ბანკის დაარსებაში ბოროტსა ხედავდნენ, ილია ამას იტყოდა, რომ: ბანკი დიდი საქმე გახლდათ ჩვენი ქვეყნისათვის და ამ დიდი საქმის დამწყებად, მეთაურად და შესაძლოდ მქმნელადაც დიმიტრი ყიფიანი წარმოდგებოდა. და სახელი და დიდება ბანკის დაარსებისა განუშორებელი იქნებოდა მის სახელთან.

ჰოი როგორი დითირამბით უნდა დასრულებულიყო ეს მძაფრი, მწვავე პოლემიკა, დიმიტრი ყიფიანი ამ საყვედურს რომ არც იკმარებდა ერთ-ერთი გამოპასუხებისას:

– ჩვენი ვალი არის დაუფარავად წარმოვსთქვათ თქვენ წინაშე ყოველი ჩვენი აზრი და ჩვენი სურვილი ჩვენი ბანკების შესახებ და თქვენი ვალი არის ყურადღებით მოისმინოთ ჩვენგან წარმოთქმული, და თქვენი გამოცდილე-

ბა, თქვენი ცოდნა მოახმაროთ ჩვენი საკუთრების წარმართვას ჩვენი სურვილისამებრ, როგორც ჩვენი არსებობისათვის ემჯობინებოდეს.

და ცხარედ და გულმტკივნეულად დასძენდა:

– და თქვენი დიქტატორული კილო კი უნდა მოიკვეთინოთ. ეს სიტყვა არ უნდა იწყინოთ ჩემგან: სხვა არა იყოს-რა, ხნიერებით მაინც ერთი-ორად უფროსი ვარ თქვენზედ.

რა არის მაინც ბედის ჟინიანი თამაში და ფარული ირონია, დიქტატორი პირველად და ოფიციალურად მაინცდამაინც დიმიტრი ყიფიანს რომ უნდა ეწოდებინა ილიასათვის, სახელი, რომელსაც კიდეც გადააყოლებდნენ და თავის გასამართლებლად ეს ექნებოდათ: გადიქტატორდა და უნდა მოგვეცილებინაო!.. რაღა იულიუს კეისარი და რაღა ილია ჭავჭავაძე – ისიც ხომ დიქტატორის სახელს უნდა შეწირვოდა.

მართალია დიმიტრი ყიფიანი ამ მხრივ მხოლოდ კილოს უწუნებდა ილიას, მაგრამ დიქტატორული კილო განა სხვას ვის შეიძლება ჰქონდეს, თუ არა დიქტატორს?!.

ვერსაით შემოევლო დიმიტრი ყიფიანსაც ილიას შეუვალი ლოგიკისა და მორევივით ჩამთრევი მსჯელობისათვის, მისი სიმტკიცისა და საქმის ბოლომდე ჩაყოლისათვის და, გასაქანს რომ ვეღარ ჰპოვებდა, იმის დიქტატორულ კილოს გადააბრალებდა, რაკიღა ვეღარ გაჰყვებოდა კამათში, კრიტიკული შენიშვნების პასუხად მაგალითი მაგალითზე რომ ხვავდებოდა, არგუმენტი არგუმენტზე და... როგორ გინდოდა გამკლავებოდი?!.

არადა რომელი დიქტატორი გაიმეტებდა ასეთ ხოტბას მოპაექრისადმი?..

ცხოვრების წესით განსხვავებულიყვნენ, თუმც ხშირად კი უნდა გადაჯაჭვოდა მათი ბიოგრაფიები ერთიმეორეს, უერთმანეთოდ რომ არც გაეძლებოდათ და ერთის დაწყებული საქმე მეორეს რომ უნდა აეტაცა და შესაფერისი გვირგვინიც დაედგა.

ტრაგიკული აღსასრულით კი ძალიან დაემგვანებოდნენ ერთმანეთს!..

მართალია ერთს ხელისუფლება გამოუტანდა სასიკვდილო განაჩენს და მეორეს – ხელისუფლების ოპოზიციური პარტია, მაგრამ ორივე – როგორც ხელისუფლება, ისე ის ოპოზიციური ანუ სოციალ-დემოკრატიული პარტია – შემართულიყო ყოველგვარი ეროვნულის გამოვლინების წინააღმდეგ და ქართველი ხალხის ინტერესების დაცვა და უკეთესი მომავლისათვის ზრუნვა არც ერთს ეპატიებოდა და არც მეორეს.

ივანე მაჩაბლის მიერ გაგზავნილი კაცი უნდა ყოფილიყო ამ ავი ამბის მაუწყებელი ილიასათვის, იქვე ახლოს რომ ბინადრობდა ბანკთან, ფრეილინას ქუჩაზე, სადაც „ივერიის“ რედაქციაც ექნებოდა გამართული... და კიდეც უნდა სასწრაფოდ გადასულიყო ბანკში წარბშეკრული და პირმოკუმული, მის შემხედვარე ვანოს, რომელიც ისედაც ძლივას იმაგრებდა თავს, ნერვიული ქვითინი რომ უნდა ავარდნოდა... და რკინის ილიაც ერთბაშად უნდა მოშვებულიყო, ჯერ ქვედა ტუჩს დაეწყო თრთოლვა, და მერე გაწითლებულ თვალთაგან ცრემლებიც წამოსკდომოდა...

გაოგნებული, გახევებული უნდა მისჩერებოდა ამ უჩვეულო სურათს ვალერიან გუნია, რომელსაც ილიას ატირება ვერ წარმოედგინა და ახლა ის აზრი უელავდა: ეს რა დამმართნია, მოჩვენებები რომ დამეწყოო!..

დროის გადმოსახედიდან კი ასე შეაფასებდა ოთახში გამეფებულ განწყობილებას:

არასოდეს მინახავს ასეთი ჩუმი, მუნჯი და ამავე დროს უმაღლესად მეტყველი მწუხარებაო!..

ამ ოთახიდან უნდა დაწყებულიყო საპროტესტო ტალღა, ჯერაც უნახავ ეროვნულ-პოლიტიკურ დემონსტრაციაში რომ უნდა გადაზრდილიყო, დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის პროცესია როგორც უნდა შემორჩენოდა საზოგადოებრივ ცნობიერებასა და ჩვენს ზნეობრივ ისტორიას. და ეს ამხელა პროტესტი უკვე აღარ გააოცებდა ვალერიან გუნიას, რომლის თვალწინაც უნდა აბობოქრებულიყო ხალხის გულისწყრომა და მის აღშფოთებულ სინდისსა და აფორიაქებულ მღელვარებას საზღვარი აღარც ექნებოდა. მთელი საქართველო უნდა ადუღებულიყო სამართლიანი გულისწყრომით და არსება მისი აღვსილიყო მართებული შურისძიებით.

რაიმეს აზვიადებდა ვითომ ვალერიან გუნია?

არც არაფერს, რასაც ემოწმებოდა არჩილ ჯორჯაძე, იმჟამად გიმნაზიის მეორეკლასელი, არასოდეს რომ არ ამოეშლებოდა მეხსიერებიდან ამ თავშეწირული მოღვაწის დასაფლავების დღე.

მოგვიანებით უკვე ყველა მიეჩვეოდა დიდებულ სამგლოვიარო ცერემონიებს?

მაგრამ იმ დროისათვის გასაოცარი და ლამის დაუჯერებელიც იქნებოდა ის ზღვა ხალხი, საქართველოს ყველა კუთხიდან მოგროვილი, ეროვნული გრძნობის ამგვარი აპრიალება და საზოგადოებრივი სოლიდარობის განმტკიცება.

და იმხანად თუ ვერ ახსნიდა იმ საკვირველებას, ყველა იქ შეკრებილი ადამიანი, უზომო მწუხარებასთან ერთად, რაღაც სევდიან სიხარულსაც რომ განიცდიდა:

რისგან შეიძლება შობილიყო ეს სევდიანი სიხარული?

თურმე იმ ფსიქოლოგიური წანამძღვრებიდან, საერთო უბედურების დროს რომ ისადგურებს ხოლმე ხალხის გულში, და ისადგურებს იმიტომ, რომ იღვიძებს საკვირველი სიცხადით გრძნობა საერთო ნათესაობისა, მახლობლობისა და ერთობისა.

და სწორედ ამისთანა გრძნობით შეპყრობილად რომ მოიხსენიებდა არჩილ ჯორჯაძე ქართველ საზოგადოებას დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის დღეს, მის ეროვნულ-პოლიტიკურ მნიშვნელობას ასე განსაზღვრავდა:

ის დარჩება გამორჩეულ დღედ ქართული ეროვნული თვითშემეცნების ისტორიაშიო.

დარჩებოდა იმიტომ, რომ თუ ვინმესი, ილიას ძალა აამოძრავებდა ირგვლივ ყველაფერს და თავის ნებაზედაც დაატრიალებდა.

ხელისუფლებას ეჭვი და შიში რომ შეიპყრობდა, ჯერ იქნებოდა და:

პირველი გიმნაზიის ეკლესიაში დანიშნულ პანაშვიდს აკრძალავდნენ.

და დასაფლავების დღესაც დაბრკოლებას დაბრკოლებაზე გამოძებნიდნენ: სასახლის წინ კუბოს გატარება არ შეიძლებაო.

სიტყვების წარმოთქმა აკრძალულიაო.

ეკლესიის გალავანში ყველას არ შეესვლებაო...

ძალიან არ დაგიდევდა ილია მთავრობის ამ განკარგულებებს?!.

და მას აყოლიებული ხალხიც სასახლის წინაც გაატარებდა კუბოს, სამგლოვიარო სიტყვებსაც მოუსმენდა და გალავნის კარსაც ხელჩართული ბრძოლის შემდგომ გაანგრევდა...

პროცესიას დავით ყიფიანი უმეთაურებდა.

გრიბოედოვის ქუჩის ასავალში პოლიცია რომ გადაეღობებოდათ და განუცხადებდათ: ამ ქუჩით უნდა წახვიდეთო, – შეიქნებოდა ერთი ჩოჩქოლი, ხალხი წინ მიმავალთ მიაწვებოდა, მაგრამ რაღაც გარდამტეხი იყო აუცილებელი და: კიდეც ნიკო დიასამიძე, წაბლისფერ ტაიჭზე მჯდარი და ქართულ ჩოხაში გამოწყობილი, ცხენდაცხენ გაარღვევდა პოლიციის რაზმს და ხალხიც იხუვლებდა და მას გაჰყვებოდა.

და პოლიცია რომ მოინდომებდა, სამღვდელოებას მაინც გადადგომოდა წინ, ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე რომ მიუძღოდათ, თუმც იგი არ გამოირჩეოდა რაღაც განსაკუთრებული გამბედაობით, მაგრამ მაშინ არ შეეპუებოდა პოლიციის რაზმის მეთაურს და აიძულებდა ჩამოსცილებოდა სულიერ მამებს.

საფლავზე პირველ სიტყვას წარმოთქვამდა აკაკი წერეთელი, რომელიც დიმიტრი ყიფიანს გამოაცხადებდა მეორე დიმიტრი თავდადებულად. ექვთიმე თაყაიშვილს კარგად ახსოვდა, რომ: იმ ცნობილ ლექსს – „განთიადი“ – მაშინ არ იტყოდა აკაკი, მერეღა დაწერდა; თუმც დიმიტრი ყიფიანს რომ გულისხმობდა გამჭვირვალე მინიშნებით: თავდადებულიო – ექვთიმესათვის საცილო არც არასოდეს იქნებოდა.

მოელოდნენ ილიას სიტყვასაც, მაგრამ იგი საჯაროდ არ გამოეთხოვებოდა განსვენებულ მოღვაწეს. ისე კი მოუბრუნდებოდა ექვთიმესა და კიდეც რამდენიმე კაცს და ეტყოდათ:

– რა ამბავსაც დღეს აქ ვუყურებთ, ამას არავითარი სიტყვა არა სჯობია!

და გაიფიქრებდა ექვთიმე: მთელი საქართველო მოსულა დაკრძალვაზე და ეგააო!..

ახსოვდა ის ჩურჩულ-ტუტუნიც, ილიას გამოუსვლელობა სიტყვით, ის თავშეკავება რომ გამოიწვევდა გარკვეულ ადამიანებში: ვინ მის სიფრთხილეს მიაწერდა, ვინ – მის იმ საბანკო პოლემიკას ყიფიანთან: აიო და ვერ დაუვიწყაო!..

და თავის მხრივ მოკლედ მოჭრიდა:

ერთიცა და მეორეც რა თქმა უნდა ცილისწამება იყოო!..

მეორე დღეს მთავარმართებელი საბჭოს სხდომას რომ მოიწვევდა სათათბიროდ, თუ რითი გაეცათ პასუხი ამ გამოუთქმელი დემონსტრაციისათვის, აზრთა დიდი გაცვლა-გამოცვლის შემდგომ დაასკვნიდნენ:

რეპრესია მოთავეთა მიმართ კიდევ მეტ გართულებას გამოიწვევს. რაც მოხდა, პოლიციის განცხადებისადმი უბრალო შეწინააღმდეგებად ჩაითვალოს, დავით ყიფიანი 6 მანეთით დაჯარიმდეს და ამით გათავდეს საქმეო.

ილიასათვის კი ძალიანაც უნდოდათ ეკრიფათ მიზეზი, მაგრამ... მაგრამ საბაბს კი ვერას გამოუძებნიდნენ.

და არჩილ ჯორჯაძე ზუსტად აღადგენდა ორივე მხარის გაკვირვებას:

ხალხისასაც – რომელიც დაინახავდა და იგრძნობდა შეერთების ძალასა და მის აზრს.

და ადმინისტრაციისასაც – რომელიც მოუმზადებელი აღმოჩნდებოდა ამგვარი ამბების წინაშე.

და გულისჯავრის ამოყრას რომ მოინდომებდნენ, „ივერიის“ რედაქციას დაატყდებოდნენ თავს ბრალდებით:

შენ თვითონვე თხზავ აუარებელ სამძიმრის დეპეშას, თორემ სრულიად გაუგებარია ამგვარი აზვირთება საზოგადოების აღშფოთებისაო.

დეპეშების შეთხზვას ტყუილუბრალოდ დააბრალებდნენ, მაგრამ ამოცნობით კი შეუმცდარად ამოიცნობდნენ, საიდან იმართებოდა ეს პოლიტიკური პროცესი, ვის დაეძრა და ვინ აღვივებდა და აღვივებდა, ერთი დაბრკოლებაც რომ არ დარჩებოდა ხალხს გადაულახავი, ვიდრე ძვირფას ნეშტს მიაბარებდენ მთაწმინდასა და მამადავითს.

კოტე ყიფიანი გვირგვინების ლენტებს რომ სთხოვდა სამახსოვროდ ვალერიან გუნიას, ეს აცნობებდა, რომ:

ილია ჭავჭავაძეს გადმოეცა მისთვის გუშინ ეს ლენტები, ხოლო რაც შეეხებოდა ტელეგრამებსა და სხვა მრავალ წერილს, ილიას ჯერ არ შეეძლო ჩაებარებინა, რადგანაც საქმე ძლიერ გამწვავებულიყო.

ტელეგრამებისა და წერილების შეთხზვა საპროტესტო მოძრაობის გამოსაწვევად მძიმე პოლიტიკური ბრალდება გახლდათ, და თუ დაუმტკიცებდნენ... და თუ ილიას დაუმტკიცებდნენ, ისედაც გულმოდგინედ რომ ეძებდნენ რაღაც ხელჩასავლებს... ოოო – თუ დაუმტკიცებდნენ...

ამიტომაც მთელი ეს დოკუმენტაცია ილიას ჯერჯერობით ესაჭიროებოდა, როგორც გასამართლებელი საბუთი, თუკი მართლსაჯულება მოსთხოვდა პასუხს.

ახლა პეტერბურგთან მიმოწერა ჰქონდა გამართულიყო აქაურ ცენზურას, ილიას უტრიალებდნენ გარშემო და კოტე ყიფიანს ჯერ უნდა მოეთმინა.

ვალერიან გუნია რომ აპირებდა გამოეცა დიდი წიგნი სახსოვრად დიმიტრი ყიფიანისა, რაღას განახორციელებდა ამ ჩანაფიქრს, როდესაც სულ აუკრძალავდნენ კრინტის დაძვრასაც დიმიტრიაზე, ის კი არა, ნებას არ დართავდნენ „კალენდარში“ ორიოდე სიტყვა მაინც ეთქვა მასზე.

ახლა გინდა აგვიკრძალეთ და გინდა არაო, – ჩაიცინებდა ილია, თვით ყველაზე მწარე წუთებშიც რომ ინარჩუნებდა ღიმილსაც, იუმორსაც, ირონიასაც, სამ სამგლოვიარო სტატიას რომ გამოაქვეყნებდა 1887 წლის „ივერიის“ ფურცლებზე: 30 ოქტომბერს, 3 და 7 ნოემბერს – და ვერა და ვერ შეაჯერებდა გულს: კიდევ მეტის და უკეთ თქმა შეიძლებოდაო.

ყველა წუხდა, ყველა გლოვობდა, ყველა მისტიროდა დიმიტრი ყიფიანს: დიდი თუ პატარა, ყრმა თუ ხნიერი, სწავლული თუ უსწავლელი, მაღალი თუ მდაბალი, ნაცნობი თუ უცნობი, მახლობელი თუ შორეული – ყველა ერთად და თვითეული ცალ-ცალკე გრძნობდა, რომ რაღაც დაკლებოდა, რაღაც დაეკარგა, რაღაც ძარღვი ჩაწყვეტოდა გულში.

რა გახლდათ მიზეზი ყოველივე ამისა მაინც რა – მისი ხარისხი ნამსახურობისა?

არა – რამდენი დიდხარისხოვანი სხვაცა ყოფილიყო და ეგრე საერთო ტკივილით გულს ტეხვა არ დაეწყო.

გამოჩენილი ღვაწლი მეცნიერებაში?

არა – უფრო დიდღვაწლიანი კაცნიც ყოფილიყვნენ და გული ადამიანისა კი არ შეეპყროთ გლოვითა და მწუხარებით ასე საერთოდ და საყოველთაოდ.

თავგამოდებული და ღირსსახსოვარი გარჯა მოძმეთათვის?

არა – ამ სფეროშიაც მჯობნს მჯობნი არ დაელეოდა, მაგრამ აქაც გულს ადამიანისას შავები არ შეემოსა გლოვის ნიშნად ასე საერთოდ და საყოველთაოდ.

და... მაშ რითი აიხსნებოდა იგი საიდუმლოება, რომ ჩვენი სული და გული კვნესოდა და იხუთებოდა დიმიტრი ყიფიანის დაკარგვის გამო?

შეეცდებოდა პოეტურ სტრიქონებზე დაყრდნობით წარმოესახა მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის არსებითი ნიშნები, მაგრამ ყველაზე ზუსტ და რელიეფურ განსაზღვრებად ცნობდა იმ ლაკონიურ და მრავლისდამტევ ფრაზას, რომელსაც ერთ თავის მეგობარს მიაწერდა:

– იგი იყო კაცი, რომელიც თავისდღეში არ იტყოდა „ჰოს“, როცა მისი გული ამბობდა „არას“.

და აღტაცებით დასძენდა:

ძნელია უკეთესად გამოთქმა ადამიანის ღირსებისაო.

და დაუბეჯითებდა მკითხველს:

დიახ, მართალი კაცი იყო; იმიტომ, რომ მართალი მარტო ის არის, რომ „ჰო“ არა თქვა, როცა გული „არას“ ამბობსო.

და სიმართლის საგულისხმო განმარტებასაც დაიმოწმებდა: მართალი ის კი არ არის, რომ კაცმა თქვას, რაც ჭეშმარიტია, არამედ – რასაც ვფიქრობთ და რაც გულში გვაქვსო.

ამ რაკურსიდან ხომ ცხადი ხდებოდა, რა კაციც გახლდათ დიმიტრი ყიფიანი:

გულთასრული კაცი... კაცი ხასიათისა...

და სამწუხაროდ მიითვლიდა ილია, რომ:

ეს დიდი და ძვირფასი სიკეთე მარტო ჩვენს ძველებსღა მოსდევდათ და აი რას მივტიროდით, როცა ისინი მიდიოდნენ...

ეს დიდი და ძვირფასი სიკეთე ისე თვალნათლივ, ისე კანთიელად არ მოჩანდა მისთვის, პეტერბურგიდან და სტუდენტური თვალთახედვით რომ შემოჰყურებდა თავის ქვეყანასა და წინათაობას და სიახლეთა დასამკვიდრებლად შეიმართებოდა, თან რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა დამკვიდრებულიყო სიახლენი მის მშობლიურ მიწა-წყალზე... მერე და მერე, თანდათანობით უნდა შეეცნო

და გაეთავისებინა ის დეტალები, წვრილმანები, ნიუანსები, რომელნიც სულ სხვაგვარი სიმძაფრითა და მღელვარებით უნდა შეჭროდა გულში და მათ გადარჩენას მთელი არსებით მობღაუჭებოდა, მოეზიდა, მოფრთხილებოდა და თავის ემბაზში ამოვლებულნი ხელმეორედ ებოძებინა ხალხისათვის, როგორც ის ძვირფასი და სანუკვარი რამ, ურომლისოდაც მადლი ჩაიშრიტებოდა, ახლა კი ეს მადლი კვლავაც ტრიალებდა, კვლავაც ინარჩუნებდა თავსაც და სულიერების იმ უწყვეტობასაც, ურომლისოდაც ზნეობის ქვაკუთხედიც მოიშლებოდა და ეროვნულ ზნე-ჩვეულებათა ძარღვიც დასაღუპად გაიწირებოდა.

და უკვე ისეთი უკიდურესი სიმწვავით აღიქვამდა იმ მადლის გამოვლინებებს, ის კი არა – მის ნამცეცებსაც, ყოველი ძველი კაცის წასვლა გულს უკუმშავდა და უწყლულებდა შეფიქრიანებულს: თან მიაქვთ და ეგ არის ის დიდი და ძვირფასი სიკეთე და რიღას იმედი შეიძლება გვქონდესო?!.

დიმიტრი ყიფიანის სულიერების კაცის წასვლა ჯერ ისედაც რომ უიგივდებოდა რაღაც დიდი კარის გახურვას...

იმ სიტყვათშეთანხმებათა პოვნა კი ძალიან გაახარებდა ილიას და უკვე ამ ფონზე განუცხადებდა მკითხველს:

არიან ბევრნი დიდხარისხოვანნიც, მეცნიერნიც, მოღვაწენიც, მწერალნიც, და არ არიან მხოლოდ ხასიათის კაცნი, გულთასრულნიო.

არადა:

მძლედ მობურთალნი ქვეყნიერობის მოედანზედ მარტო დიდხასიათის კაცნი შეიძლება ყოფილიყვნენ. ქვეყნის ღერძი მარტო მათ შეიძლება ეტრიალებინათ, ვისაც მომადლებოდა გულთასრულობა და დიდხასიათობა, და ეს იმისდა მიუხედავად, ტრიალი გაუმარჯვდებოდათ თუ დაუმარცხდებოდათ.

ყოველი დიდებული საქმე, რითაც კაცობრიობა ქადულობდა და თავს იწონებდა, ქმნილიყო ხასიათის კაცთა მიერ და არა ვინმე სხვისაგან. ამიტომაც ხასიათიანი კაცის წინაშე ყველა უნებლიეთ თავს იხრიდა მოწიწებითა და სასოებით; და ამიტომაც ყველა, დიდი და პატარა, მისტიროდა, როცა ამისთანა კაცი მიდიოდა უკანდაუბრუნებლად და სამუდამოდ...

დიმიტრი ყიფიანის მონუმენტური ფიგურის წარმოჩენას მოინდომებდა და... მასთან ერთად თავის თავსაც წარმოსახავდა ილია ჭავჭავაძე იმ უნებლიობით, მერეც რომ აღარ ჩაუკვირდებოდა, თავის ამქვეყნიურ მისიასაც თუ აცხადებდა და თავის გულთასრულობასა და ხასიათიანობასაც იმ გადამწყვეტ თვისებად სახავდა, მას და სწორედ მას რომ უნდა გადაებარებინა ოცდათორმეტიანელთა იდეალები და მისწრაფებანი, დიმიტრი ყიფიანიც სწორედ იმ სულით აღვსილი რომ შერკინებოდა და შეჯავახებოდა იმპერიულ ხლართებს და ხსნიდა და გლეჯდა ავთანდილური მორალითა და თავზეხელაღებულობით: ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერადო!..

მოუტივტივებდა მეხსიერებაში ილიას ბრძენკაცის ის სიტყვები: მე რომ ჭეშმარიტად ბედნიერი ვიყო, საჭიროა ყველა სხვა სულიერნიც ბედნიერნი იყვნენო, – რათა ჩაებეჭდა გონებაში თვისტომთათვის, რომ მადლის მოედანი და სარბიელი ეს გახლდათ: ყოველი კაცი ბედნიერებისათვის იღვწოდა, მაგრამ ყოველ კაცს არ მიეჩნია თავის ბედნიერებად სხვისი ბედნიერება.

ამ გაერთებას დიდი ხიდის გადება ესაჭიროებოდა და ამას კი დიდი ღონე უნდოდა სულისა, დიდი შეძლება გულისა, და ყველა კაცს არ მოეკითხებოდა. მაგრამ ვისაც ეს ღონე და შეძლება მომადლებოდა, იგი მით ნაწილი ხდებოდა ყველასი – ჩემიც, თქვენიც და სხვისაც, რადგანაც ჩემს, თქვენსა და სხვის ბედნიერებაში ეძიებდა მხოლოდ და პოულობდა თავის ბედნიერებას... და მაშ იმისი ბედნიერება თუ უბედურება ჩემი, თქვენი და სხვისი ბედნიერება და უბედურება უნდა ყოფილიყო.

ეს ისეთი ძნელად გასადები ხიდი გახლდათ, ისეთი მძიმე და ეკლიანი გზა, რომ თვითეული ბიჯი ღვაწლად გვეკლინებოდა და მსხვერპლად, და ამიტომაც – მადლად. და რაკიღა მადლად წარმოგვიდგებოდა, ამიტომაც ხდებოდა გულთა მიმზიდველიც და განმსჭვალავიც გაოცებამდე, გაკვირვებამდე.

და ასეთი კაცი მზეს ემგვანებოდა, რომელსაც ბრმაც კი გრძნობდა, თუმც ხედვით ვერა ხედავდა.

იხატებოდა დიმიტრი ყიფიანის განსაკუთრებულობა.

უნებლიეთ ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებულობაც იხატებოდა მისივე ხელითა და მისდა გასაკვირად.

და თითქოს წინასწარვე ჭვრეტდა, თუ რა მოჰყვებოდა მის ტრაგიკულ აღსასრულსაც, რა განცდები იტრიალებდა ხალხში და – დიმიტრი ყიფიანისა არ იყოს – თვითონაც როგორ წაიღებდა სხვათა წილხვდომილ მზის სინათლესაც და ბედნიერებასაც, დიახ: როგორ იგრძნობდნენ კაცნი, ჩვენს ბედნიერებასაც ვკარგავთო და... მაშ რაღა გასაკვირი იქნებოდა, რომ გამოტირებოდნენ ამ დაკარგულ ბედნიერებას: სტავროპოლურ ტრაგედიასაც და წიწამურულ ჯვარცმასაც.

თავი გაითავისწინაო, – ავთანდილზე რომ ამბობდა რუსველი, ამ გათავისწინებას მარჯვედ ჩაავლებდა ილია და შესაფერისადაც განაზოგადებდა და შეაგონებდა ყველას, რომ:

დიდად წარმატებული გონება და გული ესაჭიროებოდა კაცს, თავი რომ გაეთავისწინებინა და მსაჯულად გახდომოდა თავს პირუთვნელად, რაკიღა ერთდროულად მსაჯულიც უნდა ყოფილიყო, მოსარჩლეც, ბრალმდებელიცა და ბრალდებულიც.

და წარმატებულობისთვისაც თავი რომ დაგვენებებინა, ყოველ კაცს ევალებოდა შესულიყო ამ საიდუმლო და გათავისწინებულ სამსჯავროში განსაკითხველად, უამისოდ კი ვერც ცალკე კაცი წაიწევდა წინ და ვერც საზოგადოება, ვითარცა ცალკე კაცთა კრებული.

რასაკვირველია ამ საჭიროების აჩენასაც თავისი შესაფერი, თავისი შესაწონი ღონე უნდოდა სულისა, და ვისაც ეს ღონე არ გააჩნდა – ილიას მტკიცე რწმენით – ჩვარი იყო და არა კაცი.

თუმც მარტოდენ ცალკეულ პირებს არ დაამუნათებდა და მიიჩნევდა, რომ:

ამ უღონობაში საზოგადოება სცოდავდა ბევრწილად.

ზოგიერთი კაცთა კრებულის ყოფაცხოვრება ისე ბედნიერად მოეწყობოდა ხოლმე, რომ თითქმის ყოველ კაცს, ღონიერსა თუ უღონოს, ძალას

ატანდა მოეკითხა თავისათვის: რისთვის ვიყავი ან რისთვის ვარო? უამისოდ ამისთანა საზოგადოებაში კაცი ვერ გაიჭაჭანებდა, ვერ ისადგურებდა, გზას ვერ გაიკაფავდა, ვერ იხეირებდა, ერთი სიტყვით თავს ვერ გამოიჩენდა. აქ ცალკე კაცის ღონის ნაცვლად მბრძანებლობით შემოქმედებდა თვითონ იგი ზნე საზოგადოებისა, რომელიც სხვა არა იყო რა, გარდა შეერთებული ღონისა, და ამიტომაც ამ ზნეს ვერავინ უმტყუნებდა თუ კაცური კაცობა სურდა.

დაწერდა ამ ფრაზას და მწარედ ჩაეღიმებოდა: კაცი თავისთავადაც რატომ არ უნდა ნიშნავდეს ღირსებას, როგორც ძველად იყო, რატომ უნდა გვჭირდებოდეს ზედ კაცურის დამატებაცო.

ხოლო ეს მბრძანებლობითი შემოქმედება საზოგადოებისა გახლდათ ილიას თვალთახედვაში სწორედ ის სულიერად და ზნეობრივად ამაღლებული გარემო, საითაც მიეზიდებოდა თვისტომთ და რომელიც ესახებოდა იმ უმთავრეს საფუძვლად, ამოგებული სახელმწიფოებრიობა რომ უნდა დაყრდნობოდა და ფესვიც ისე გაედგა, ვეღარაფერს ამოეძირკვა.

თუკი კაცი თავის თავს არ მოჰკითხავდა პასუხს, მართალია ამ მხრივ საზოგადოებაც სცოდავდა და კერძო პირებზე უფრო მეტადაც, მაგრამ ილიას ქვეყნიერების ზურგზედ არსად ეგულებოდა იმისთანა საზოგადოება, თითო-ორჯერ მაინც რომ არ გამოეფხიზლებინა კაცი, ისეთი რამ არ მოევლინა, რომ კაცს თვალები ძალაუნებურად გულში არ ჩაებრუნებინა თავისი თავის განსაკითხავად.

ამიტომაც ყოველი ამისთანა შემთხვევა ზნეობრივად მწვრთნელი გახლდათ, ყოველი ამისთანა შემთხვევა ცოტად თუ ბევრად ზრდიდა თვითეულ კაცს.

მაგალითი გვენება?

აგერ თვალწინ აღმართულიყო ტრაგიკული შარავანდით გასხივოსნებული.

და დაე ყველას ჩაებრუნებინა თვალი შიგნით და თავის გულში დაეწყო იმის პასუხის ძებნა:

რისთვისა ვარ? რა გამიკეთებია? რითი მომიგონოს ჩემმა შემდეგმაო?

და აგერ ამისთანა მაგალითი მოევლინა განგებას და მის შემხედვარეთ ისღა დარჩენოდათ, თავიანთი თავის განკითხვად მიეჩნიათ ეს დღე, რომელიც წვრთნიდათ, ასწავლიდათ და ზრდიდათ.

ჩაივლიდა რამდენიმე წელი და კვლავ უნდა მოევლინებინა განგებას იმისთანა შემთხვევა თუ მაგალითი, რომელიც ზნეობრივად მწვრთნელი უნდა აღმოჩენილიყო და ყველას კვლავინდებურად ჩაებრუნებინა თვალი შიგნით და თავის გულში დაეწყო იმის პასუხის ძებნა: რისთვისა ვარ? რა გამიკეთებია? რითი მომიგონოს ჩემმა შემდეგმაო?

ეს დღე უნდა ყოფილიყო 1893 წლის 25 აპრილი.

ხოლო მაგალითი, რომელსაც უნდა გაეწვრთნა საზოგადოება, შთაგონებით აღევსო და აღეზარდა: ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება განჯიდან.

კვირა დილას ტფილისის რკინიგზის სადგურზე დიდძალ ხალხს უნდა მოეყარა თავი და ვაგზლის არემარეც და თვით მისასვლელი მოედანიც ერთიანად გადაჭედილიყო.

ბაქანზე იდგებოდა ეპისკოპოსი გორისა ალექსანდრე სამღვდელოებით. აქვე იქნებოდნენ წარმომადგენელნი ქართული ინტელიგენციისა და მაღალი საზოგადოებისა, თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, დეპუტატები სხვადასხვა ქალაქისა და დაწესებულებისა გვირგვინებით პოეტის სასახლის შესამკობად, ათის ნახევარზე რომ ჩამოასვენებდნენ.

მცირე პანაშვიდის გადახდის შემდეგ ნეშტს წამოასვენებდნენ სამგლოვიარო „წმინდაო ღმერთოს“ გალობით.

ეს ამდენი ხალხი მუხლს რომ მოიდრეკდა და ასე მიაგებდა პატივს პოეტის ცხედარს, მერე დაიძრებოდა და გაემართებოდა ლიტანიით დიდუბისაკენ. ამბიონი შემკული გახლდათ ძვირფასი სხვადასხვაგვარი გვირგვინით და კუბო ხელში ეჭირებოდათ ხან ქალებს, ხან ახალგაზრდებს, ხანაც ნათესავებს. გზადაგზა რამდენიმე გუნდი იგალობებდა: ქალების, სასულიერო სემინარიის შეგირდების, სათავადაზნაურო სკოლის მოწაფეების – მაქსიმე შარაძისა და ფილიმონ ქორიძის ხელმძღვანელობით. ქალთა გუნდი შეედგინა ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის კურსდამთავრებულ შეგირდთაგან მღვდელ ვასილ კარბელაშვილს.

როდესაც ლიტანია მიუახლოვდებოდა ეკლესიას, ხალხი კვლავ მოიდრეკდა მუხლს და მისი ყოვლადუსამღვდელოესობა წარმოთქვამდა შესაფერის და გრძნობით სავსე სიტყვას, ხოლო თვით ეკლესიაში სიტყვას იტყოდა მღვდელი კალისტრატე ცინცაძე.

წირვის დასრულების შემდეგ საფლავზე კვლავ რომ გადაიხდიდნენ მცირე პანაშვიდს და სიტყვებსაც წარმოთქვამდნენ, აკაკი წერეთლის გარეშე ეს აქცია აბა როგორ იქნებოდა, და ილიასაც მოუწევდა საჯაროდ გამოთხოვებოდა ძვირფას ცხედარს, რომლის ღექსებზეც სიჭაბუკისას ჰბოდავდა და თაყვანება არც არასოდეს გაუნელდებოდა.

იმ ბრძნულ სტრიქონებს რომ მოიშველიებდა ლუდვიგ ბერნეს სიტყვიდან „ჟან-პოლის სახსოვრად“ (სხვათა შორის ძალიან რომ მოსწონდა ჰაინრიხ ჰაინეს და კიდეც ეპიგრაფად წაუმძღვარებდა პროზაულ თხზულებას „მოგზავრობა ჰარცზე“):

– თვითეული ცემა გულის ძარღვისა გვჭრის და გვაწყლულებს ჩვენ, და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობით ამ სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო.

თავის მხრივ მიადევნებდა, რომ:

ღმერთი როდესაც ერს, ქვეყანას მოწყალების თვალით გადმოხედავდა, მოუვლენდა ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულს. და როდესაც ადამიანს სურდა შეეტყო ღირსება და დიდება ერისა, ყოველთუწინარეს ამას იკითხავდა: რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებასა და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავდა ადამიანი.

და რაკიღა ასე გახლდათ, მაშ ცხადიც უნდა ყოფილიყო ყველასათვის, რა ძვირფას განძს წარმოადგენდა ის მტვერი, რომლის წინაშეც წარმდგარიყვნენ.

პოეზია მადლი იყო და ნიჭი, რომელიც ეძლეოდათ მხოლოდ ღვთის რჩეულთ?

მაგრამ ამასთან ტვირთიც, რადგანაც მოვლენილიყო, რათა ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა მოდგმისათვის შეეყენებინა.

ამ მადლს, ამ ტვირთს დიდი ძალ-ღონე რომ ესაჭიროებოდა სულისა და ხორცისა, ამიტომაც როცა უფალი გამოგვიგზავნიდა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსანონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილს, უკურთხებდა ენას მეტყველებისათვის, თვალთ – ხედვისათვის, ყურთ – სმენისათვის, გულს ჩაუდებდა გაუქრობელ ცეცხლს კაცთა გულის გასათბობად და უბრძანებდა:

– წადი და კაცთა ნათესავს ამცნე უზენაესი მცნება ჩემი და სიტყვით გული აუნთე.

დიდი მადლის გარდა დიდ ტვირთადაც რომ ეცნო პოეზია ამ ჩვენს სახელოვან კაცს, კიდეც ყველაფერს ანაცვალებდა მას, ოღონდაც ეს ტვირთი დაუღალავად ეზიდა, ოღონდაც ერთგულად ემსახურა და ყველაფერს შესწირავდა განწირულ სულისკვეთებამდე.

და: ნუ დავიმარხო ჩემსა მამულშიო, – ამ სიტყვებს რომ ამოიკვნესდა, უნდა გამართლებოდა კიდეც ეს მწვავე წინასწარმეტყველება: არ დაიმარხებოდა თავის მამულში და არ დაედინებოდა ცრემლი თავისი ქვეყნის შვილისა.

ამ ჯავრს თან ჩაიყოლებდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, მაგრამ აი დღეს – ჩვენდა სასახელოდ – მოგვესვენებინა აქ მისი მტვერი, მისი ნაშთი, რომ დღეის ამას იქით მის სამშობლო ცას თვისი ნამი ცრემლად ზედ დაედინა, მის სამშობლო მიწას გული გადაეხსნა და მისი მტვერი მიებარებინა მისდა განსასვენებლად და ჩვენდა სალოცავად.

ეს რომ მოხდებოდა მხოლოდღა 47 წლის შემდეგ, იქნებ ეთქვათ: გვიან არისო?

მაგრამ განა რა შეიძლება ყოფილიყო 47 წელი უკვდავებისათვის – მხოლოდ ერთი წამი. და ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავი რომ გახლდათ, უკვდავისათვის არც რაიმე შეიძლებოდა ყოფილიყო ქვეყანაზედ გვიანი და არც რაიმე ნაადრევი.

და ამ დიდებულ წამს, რომელსაც აქ შეეკრიბა წარმომადგენლობა მთელი საქართველოსი, მაგალითად დასახავდა ილია, რომ:

ჩვენი ერი ამაღლებულიყო სულითა და გულით, რადგანაც მარტო ჭკუა-გახსნილ და გულგაწმენდილ კაცს მოეხსენებოდა ასე დაფასება და ასეთი პატივით ხსენება დიდბუნებოვანი კაცისა.

და ეს დიდბუნებოვანი კაცი რომ იწინასწარმეტყველებდა: ცუდად ხომ მაინც არ ჩაუვლიდა ეს განწირული სულისკვეთება და გზა უვალი, მისი მერანისაგან თელილი, მაინც დარჩებოდა, – აკი აღუსრულდებოდა ეს წინასწარ ნაგრძნობი და განჭვრეტილი და ეს გზა უვალი გადაიქცეოდა თვითეული ქართველის გულად, სადაც მის მერანს ღრმად ჩაეჭდია მისი ანდერძი, მისი ნათქვამი.

გადაწყვეტილიყო მის სამარეზე ძეგლის დადგმა.

მაგრამ რა დასადარი გახლდათ ხელთქმნილი ძეგლი, თუნდ დიდფასიანი, იმ ხელთუქმნელ ძეგლთან, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ბუნებოვნებას თვისტომთა გულში აღეგო!..

არა, არ იტყოდა ილია მის საუკუნო ხსენებას. და ეს იმიტომ, რომ:

თვითეული ქართველის გული ისედაც იქნებოდა მისი საუკუნოდ სახსენებელი.

სატრფოს ცრემლის წილ რომ დაეცემოდა ციურნი ცვარნი და ნათესავთა გლოვისა ნაცვლად უვალალებდნენ სვავნი მყივარნი, ეს წინასწართქმულიც უნდა აღსრულებოდა მაშინ, და დღეს კი მის ნაშთს, მის კუბოს, მის საფლავს დასტიროდნენ მისნი ტრფიალნიც, მისნი ნათესავნიც და მათ ცრემლს ზედ დასდიოდა დიდებული ცრემლი მთელი საქართველოსი.

გახსოვთ, რა აღმატებული ეპითეტებით მიმართავდა ილია გრიგოლ ორბელიანის ნეშტსა და აჩრდილს?

არ ენანებოდა ქების სიტყვები, ქართული ენის თვითმპყრობელადაც რომ გამოაცხადებდა და მოძღვრადაც, თავის თავს მსმენელის როლს რომ არგუნებდა, მაგრამ იმ გამოსათხოვარში არსად გაიელვებდა ბიბლიური წინასწარმეტყველის ნიშნები თუ ზოგადი იერი, რაც ასე კანთიელად, ასე ხელშესახებად უნდა გამოჩენილიყო ნიკოლოზ ბარათაშილის გლოვისას, რომლის მთავარი ძარღვიც ღვთის რჩეულობასა და ღვთისაგან მოვლინების ირგვლივ იტრიალებდა, და წინასწარმეტყველებაც გაისმოდა და მცნებაც, რომელიც კაცთა ნათესავისათვის უნდა ეცნობებინა უღვთოდ განწირულ პოეტს.

ზოგიერთი არაარსებითი დეტალი თუ რეალია რომ შეიცვალოს თუ ჩანაცვლდეს, ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დაგრჩეს, მოსე წინასწარმეტყველის დატირებას ვისმენთო.

ეს იმ შინაარსის – არამარტო რანგის – გლოვაა, ის მოთქმითი ტირილია, თვითონ ილიას ნეშტსაც რომ დაშვენდებოდა.

მაინც ნიკოლოზ ბარათაშვილში ხედავდა საკუთარ თავს.

მაინც მასთან გრძნობდა განსაკუთრებულ სულიერ ნათესაობას.

მაინც მის პოეტურ ტრადიციას აგრძელებდა.

და მისი დატირებისას საკუთარ თავსაც გამოიგლოვდა, წინასწარმეტყველად ყოფნის მადლსაც და ამავდროულად ტვირთსაც, განსაკუთრებული მისიის შეგნებასაც და ამავდროულად ტრაგიზმსაც, უხილავი ზღურბლის იქით რომ არ გადაგაბიჯებინებდნენ და შენს მიერ მოწეულ მოსავალს არ მოგაკრეფინებდნენ.

და რჩებოდი სახიერ მაგალითად, სულიერ ორიენტირად, ზნეობრივ მწვრთნელად – მხოლოდღა ხსოვნაში, მხოლოდღა ლანდად და აჩრდილად... თუმც ამოვლებული შენი ქვეყნის ცრემლიან ემბაზში...

* * *

ნიკოლოზ კანდელაკი ილიას მჭევრმეტყველების თავისებურებათა წარმოსაჩენად ამ ორ გამოსათხოვარ სიტყვას რომ მოიშველიებდა, მათთან ერთად იოსებ დავითაშვილის პანაშვიდზე საჯარო გამოსვლასაც, გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზეც და წინამძღვრიანკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზეც, რათა თვალნათლივი გაეხადა ილიას ორატორული ხელოვნე-

ბის იდეური სილრმეც და სიტყვიერი სისადავეც, მოკლებული სიტყვიერ მოკაზმულობას, ჩუქურთმებს, ბგერითი ჰარმონიის ხერხებს, რიტორიკულ ამოძახილებსა და შორისდებულებს, მაგრამ სამაგიეროდ...

ხშირად რომ მიმართავდა აფორიზმებს, ზოგიერთი მისი სიტყვა მთლიანად და ბევრი სიტყვის ცალკეული ნაწილები აფორისტული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშებად წარმოდგებოდა. მის მეტყველებას ამშვენებდა ანდაზები, მოსწრებული გამოთქმები და სიტყვიერი თვალსაჩინოება. და ნიკოლოზ კანდელაკის მზერა ხშირად ადასტურებდა გონების თვალით მოზომილ შესიტყვაობასაც და ოსტატურად გამოყენებულ ხალხური სიტყვის მასალასაც.

ათვალსაჩინოებდა, რომ:

ორატორი არასოდეს ცდილობდა გარეგნული ეფექტის გამოწვევას, რადგანაც მისი სიტყვა ყოველთვის შინაგანი მღელვარების წყარო გახლდათ. ის მსმენელის ინტელექტს მიემართებოდა და უფრო ადამიანის გონებასა და ნებისყოფაზე ახდენდა გავლენას, ვიდრე გრძნობაზე.

– ილიას სიტყვა აზრით გვხიბლავს და გვაჯადოებს, შინაარსისკენ მიმართავს ჩვენს ყურადღებას და სიბრძნით გვიმორჩილებს.

და კიდევ:

ღრმა ხალხურობა, თვითმყოფადი ენობრივი საუნჯის უხვად გამოყენება და სასაუბრო მასალით სარგებლობა დამახასიათებელია ილია მჭევრმეტყველებისათვისო.

ილიას ანტიკურ ორატორებს მიამგვანებდა იმ მხრივ:

საჯარო სიტყვას ყოველთვის წერილობით რომ ამზადებდა და შემდეგღა წარმოთქვამდა მსმენელთა წინაშე ზეპირად.

ვარაუდით ვარაუდობდა მჭევრმეტყველების მკვლევარი, რომ:

არა ზუსტი და შეუცვლელი ფორმით, არამედ შევსებული და სრულქმნილი სახით. და ამ საბოლოო სრულქმნაში იხატებოდა ილიას ორატორული გზნება, ტემპერამენტი, ხასიათი და მთელი შემოქმედებითი პროცესი. და უკვე აქ, ტრიბუნაზე ვლინდებოდა ეს შემოქმედებითი პროცესი – მაჩვენებელი ილიას ორატორული ოსტატობისაც და ოქროპირული მჭევრმეტყველებისაც.

* * *

მხოლოდ საგანგებო, განსაკუთრებულ ვითარებაში არ ემზადებოდა ილია წინასწარ გულდასმით.

მისთვის ყველა ვითარება საგანგებო და განსაკუთრებული გახლდათ, საჯაროდ როდესაც და სადაც უნდა გამოსულიყო.

მჭევრმეტყველების ნიჭი ისედაც უხვად რომ მომადლებოდა და არც იმპროვიზაციის უნარი აკლდა, განაფვითაც საკმაოდ გაინაფებოდა წლების განმავლობაში, რაც მას საჯარო გამოსვლები და პაექრობანი უწევდა, მაგრამ არასოდეს, არასოდეს იქნებოდა ამ ნიჭისა და მადლის იმედად, იმპროვიზაციის უნარსაც არ მიენდობოდა და ისე გულდასმით მოემზადებოდა,

თითქოსდა ეს უნდა იყოს მისი უკანასკნელი ორატორული სიტყვა და ამიტომ გამორჩეულად დასამახსოვრებელიცო.

ვლადიმერ მიქელაძე, „ივერიის“ თანამშრომელი, ერთხელ სადილად დაპატიჟებდა, ილიასათვის ამ პიროვნებასთან ქეიფი ყოველთვის სანატრელი და სასურველი რომ გახლდა, მაგრამ ახლა დიდზე დიდი ბოდიში უნა მოეხსენებინა ბარათით და მიზეზიც განემარტა.

სწორედ იმ საღამოს სამეურნეო საზოგადოებაში საზოგადო კრება დანიშნულიყო და კირიმ-გირეის მოხსენება უნდა წაეკითხა აქაური ენების გამოყენების შესახებ აქაურ სკოლებში.

ილია აპირებდა დაპირისპირებოდა, თუკი აქაური ენების წინააღმდეგ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი.

და აი მიზეზიც მიპატიჟებაზე უარის თქმისა:

– რადგან ჩვეულებად მიღებული მაქვს მოუმზადებლად არსად წავეჩხირო, ამიტომ დღეს სამსახურიდან რომ შინ წავალ, მაშინვე ამის სამზადისს შევუდგები.

და აბა ვლადიმერთან სადილად როგორღა ისიამოვნებდა, შემდგომისათვის კი დაპირდებოდა, ოღონდ იგულისხმებოდა, რომ იმ საღამოს საჯარო გამოსვლა არ უნდა ჰქონოდა განზრახული.

თემა ისეთია – აქაური ენების გამოყენება აქაურ სკოლებში – ილიასათვის კარგად ნაცნობი, ის კი არა: სისხლხორცეულიც, საგანგებო მომზადება რომ არც უნდა სჭირდებოდეს, მაგრამ არა: კიდევ ერთხელ უნდა ჩაუფიქრდეს და გაიაზროს, კიდევ ერთხელ გადმოიღოს და ჩაუკვირდეს მასალებს, ეგებ კიდევ ახალი მოსაზრება გაუჩნდეს, ახალი არგუმენტი მოიძიოს, მსჯელობა გონებაში ზოგადად უკვე დაწყობილი ჰქონდეს, შემდგომ იმპროვიზაციაც რომ გაუადვილდეს.

მოუმზადებლად არსად წავეჩხიროო...

არსად გამოვიდე კი არა, სწორედ ასე: წავეჩხიროო!..

ეს წაჩხერვა აღიზიანებდა, ეს მოუმზადებელი გამოვარდნა იმ ადამიანებისა, ორატორობას რომ ჩემულობდნენ და სინამდვილეში კი უთავბოლო ლაპარაკით აბეზრებდნენ მსმენელს და გონივრული სჯა-ბაასის ადგილს სალაყბოდ აქცევდნენ.

სალაყბოს განწყობილებას ერთადერთი რამით თუ დაუპირისპირდებოდი: ორატორული თამასის რაც შეიძლება მაღლა აწევით.

ამას კი განსაკუთრებული მომზადება ესაჭიროებოდა თვით ილიასთვისაც.

* * *

ისე ყველაზე უკეთესი შეფასება ილიას ოქროპირობისა მაინც ის ფრაზა იქნება, სხარტი და ამომწურავი, ზუსტი და მოხდენილი, თვითონ ილიას აკაკი წერეთლისათვის რომ გაემეტებოდა ჩვეული გულგადახსნილობითა და ხელგაშლილობით:

აღარ იცი, რა რას დაამჯობინო – სიტყვა აზრს თუ აზრი სიტყვასო.

თავი მესამე

ვარსკვლავი ძველი, ვარსკვლავი ახალი

– მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდიო, – პოეტური ლოზუნგივით რომ გადმოისროდა 1858 წლის 15 დეკემბერს შექმნილ ლექსში „ქართველის დედას“, იქვე იმ რჩევასაც მოადევნებდა, წარსულ დროებზედ დარდის მოკვლის შემდგომ როგორ უნდა ემოქმედათ მის თვისტომთ:

– ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხსო...

უპირველესად თავის თაობელებს იგულისხმებდა და თავის თავს ამ გარდატეხის მოსურნეთა და შესაძლო განმახორციელებელთა შორის.

ეს პასაჟი – და საერთოდაც მთელი ლექსი – დატრიალდებოდა გოტფრიდ ვილჰელმ ლეიბნიცის აფორისტული ფრაზის ირგვლივ: აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისაო, – გარდატეხის აუცილებლობასაც გრძნობდა და ამ პროცესში თავსაც რომ შეჰყურებდა, ამ მკვეთრი ცვლილებისას არავის უნდა დავიწყნოდა, წარსულის ფესვებზე რომ უნდა მდგარიყვნენ, უშუალოდ იმ ფესვებიდან ამოზრდილნი, და შესაფერისადაც დაეფასებინათ მამა-პაპური: მხნეობაც, ხმალიც, მკლავიც ქველური, სახელისათვის ამაყი თრთოლაც და მამულის მტერთან მედგარი ბრძოლაც; არავის უნდა დავიწყნოდა, დიდ ნაღველს, კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედს სრულად რომ მოეკლა ჩვენთვის სიცოცხლის ძალა და შვილნი მამულისა ჩრდილად შეეცვალა – შეფარული გამჭირვალებით რუსთა შემოსვლა და დამკვიდრება რომ იგულისხმებოდა; მაგრამ აღარ უნდა ჩავყოლოდით და ჩავთრევინებოდით წარსულ დროებზედ დარდს და გვედევნა ახალი, მხოლოდ ახალი ვარსკვლავისათვის.

აქ იკვეთებოდა ქართველი ქალის, ქართველი დედის დანიშნულება და საღმრთო ვალი: აღეზარდა შვილი, მიეცა ძალა სულისათვის და საზრდოდ გამოეყენებინა ქრისტეს მცნება – შთაეგონებინა კაცთა სიყვარული, ძმობა, ერთობა, თავისუფლება.

მხოლოდ ასე თუ აუთრთოლდებოდა სიკეთისათვის გული და მომავლისათვის ბედთან შერკინებასაც არ დაერიდებოდა ანტიკური გმირივით.

ქრისტეს მცნებაო და... საფრანგეთის რევოლუციის ლოზუნგს, მათ ტრიადას მოიხსენიებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ იდეალად და ორიენტირად, გარეგნულად გადაჭდობილს ქრისტიანულ მორალთან, სინამდვილეში კი სრულიად დაცილებულსა და სულაც დაპირისპირებულს მასთან, რაკიღა

ამორალურ გზას დაადგებოდნენ მის ხორცშესასხმელად, რევოლუციურ გარდაქმნას მოიწადინებდნენ და ასე სავალალოდ და ტრაგიკულად დააგვირგვინებდნენ განმანათლებელთა ეპოქას – გონების უპირატესობის მტკიცებითა და ღვთისმებრძოლური სულით აღბეჭდილს.

ხოლო რადგანაც ილიას იმხანად ხიბლავდა და ძალიანაც ხიბლავდა რევოლუციური სულიც და მისგან მოტანილი ნაყოფიც, იმ გარეგნულს ასდევდა და „ძმობა, ერთობა, თავისუფლების“ მოწოდებაში ქრისტიანულ მცნებებს ჭვრეტდა – სასურველს რეალობასთან აიგივებდა. ყოველ შემთხვევაში ასე წარმოედგინა საქართველოში რევოლუციური პროცესების გამოწვევა – ქრისტიანული სულით განმსჭვალულად, და ვერაფრისდიდებით ვერ იფიქრებდა, თუ შეიძლებოდა რევოლუცია აცდენოდა წინასწარ დასახულ კალაპოტს და ქაოტურობაში გადაზრდილიყო.

ჯერჯერობით ვერ იფიქრებდა.

ჯერჯერობით ვერ განჭვრეტდა.

მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდიო...

და იდუმალი მზერით ახალ ვარსკვლავს რომ შეჰყურებდა, ესწრაფოდა ეს ხედვა საყოველთაო ხილვად გარდაესახა.

და ქრისტიანულ სულის შენარჩუნებასაც იმიტომ ესწრაფოდა მთელი არსებით, რევოლუციას უკავშირებდა არამარტო სოციალურ გარდაქმნებს, არამედ – და უპირველესად – ეროვნულს, და: მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისაო! – გარიბალდური თავგანწირვით ამიტომაც აღივსებოდა: სიმართლის ხმა ქვეყნად რომ ჰქუხდა – დასათრგუნად მონობისა. აღიტაცებდა ხოლმე ის ხმა და აღუნთებდა იმედს გულში. და თუმც ძნელი ამოსაცნობი არ გახლდათ, რატომაც აღიტაცებდა და გულში რა იმედსაც აღუნთებდა, მაინც აუცილებლობად მიიჩნევდა, გაეხსნა ნაგულისხმევი და მღელვარე განცდა ამ მძაფრი მოწოდებით დაეგვირგვინებინა: ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულშიო!..

დაწერით კი 1860 წლის 29 ივლისს უნდა დაწერილიყო, მაგრამ... 1871 წლამდე ვერ ეღირსებოდა მზის სინათლეს, „კრებულის“ პირველ ნომერში რომ გამოქვეყნდებოდა ამ შენიშვნის დართვით: ეს ლექსი გლეხთა განთავისუფლების დროს ეკუთვნისო.

ილიას ავტოგრაფში ამგვარი შენიშვნა არ არსებობდა, შინაარსის მიხედვითაც პავლე ინგოროყვა უფრო ეროვნულ თავისუფლებას ამოიცნობდა, ამიტომაც დაეჭვდებოდა: ხომ არ არის ეს განმარტება დართული ცენზურის თვალის ასახვევადო, – და ამიტომაც ამ შენიშვნას ჩამოაცილებდა, 1925 წლის გამოცემაში რომ დაბეჭდავდა თავისუფლების ამ ჰიმნს.

წიგნი უკვე გამოსული იქნებოდა, როდესაც პავლე ინგოროყვას მიეცემოდა შემთხვევა მიემართა ნიკო ნიკოლაძისათვის:

– ხომ არა გაქვთ რაიმე მასალა, რომელიც ეხება ამ ლექსს?

რარიგ უხაროდა ხოლმე ნიკოს, როდესაც ილიას სახელს უხსენებდნენ და მათ პირად ურთიერთობაზე ჩამოუგდებდნენ სიტყვას. არაერთი ისეთი დეტალი თუ გარემოება მოეხსენებოდა, სხვათათვის უცნობი ანდა ნაკლუ-

ლად თუ ცალმხრივად ცნობილი, და ახლაც თვალებანთებული გაიხსენებდა, „კრებულის“ გამოცემას რომ მოჰკიდებდა ხელს, როგორ ჩააკითხავდა იმხანად დუშეთში თავშეფარებულ ილიას და – გარდა იმისა, დაბეჯითებით რომ განუცხადებდა: შენისთანა კაცი ტფილისს არ უნდა იყოს მოწყვეტილი, შენს გასაკეთებელ საქმეს სხვა ვერავინ გააკეთებს და დროზე ჩამოდი და ჩამოგვეშველეო, – სთხოვდა მასალებსაც ჟურნალისათვის, მასპინძელი ლექსებს რომ შეურჩევდა, ამ პაწია ლირიკულ ნიმუშს კი ხმამაღლაც ნაუკითხავდა და დასძენდა:

– ეს ლექსი ჯუზეპე გარიბალდს ეხება. ცდით რამდენჯერმეც ვცადე მისი დაბეჭდვა, მაგრამ ამაოდ, ცენზურა ყოველთვის იჭერს...

და ამის მერე ღირდა კი გამოტანებად?

– ღირს, რატომაც არა, – თავს გამოიდებდა ნიკო ნიკოლაძე, – ჩემს თავზე ვიღებ ცენზურისათვის თვალის ახვევას.

და მოიფიქრებდა იმ შენიშვნის დართვას, და თუმც ცენზორი თავიდან მაინც ეჭვით შეხედავდა, ნიკო მოჰყვებოდა მტკიცებას: ლექსი დაიწერა მხარდასაჭერად მთავრობისა, რომელმაც თვითვე გაათავისუფლა გლეხობაო.

– დიპლომატი თქვენ ხართ თუ ხართ, – იცინებდა პავლე ინგოროყვა, ლექსის კომენტირებისას კი ისტორიულ ფონსაც აღადგენდა: 1860 წელს რომ ეკუთვნოდა გარიბალდის ბრწყინვალე გამარჯვებანი იტალიის გასათავისუფლებლად. აპრილში დაიწყებოდა პალერმოს აჯანყება, 10 ივლისს აიღებდა მესინას, სიცილიიდან იტალიის ნახევარკუნძულზე გადმოვიდოდა და იმავე ზაფხულს დაამარცხებდა ნეაპოლის მეფის ჯარს.

და კიდეც უნდა მოჰყოლოდა გამარჯვებათა ამ სერიას ილია ჭავჭავაძის პოეტური გამოხმაურებაც და მხარდაჭერაც, გარიბალდის დიდი თაყვანისმცემლისა, ერთხანს დაბეჯითებითაც რომ ფიქრობდა ვოლონტერად ჩაწერას სახელოვანი მთავარსარდლის რაზმში.

და ამ ჭაბუკურ აღტკინებას ყოველთვისაც ახსენებდა გარიბალდის ის ვეება პორტრეტი, თავისი სამუშაო ოთახის კედელზე რომ ექნებოდა გამოკიდებული.

ასე უნდა გაფანტულიყო ის ყალბი ვერსია, ჩვენს კრიტიკაში გავრცელებული, თითქოსდა „მესმის, მესმის“ გლეხთა გათავისუფლებას ეძღვნებოდა, და ამის გამო საყვედურიც ეკადრებინათ ილიასათვის: უკან ჩამორჩა მოვლენებს და ეს ლექსიც გლეხთა გათავისუფლებაზე მაშინღა დაიბეჭდა, როდესაც გლეხობა კარგა ხნის გათავისუფლებული იყოო.

მკვლევარი და გამომცემელი მიანიშნებდა ფილიპე მახარაძის უმართებულო მუნათს, ის ამ ლექსის დაგვიანებულ გამოქვეყნებას ერთ-ერთ არგუმენტად რომ იყენებდა, თითქოსდა ილიას გლეხობის ყოფა სრულიად არ აღელვებდა და სხვათა დასანახად თუ გამოიღებდა ხელს წლების შემდგომ, როდესაც მის გამოქომაგებას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა.

აქვთ თავისი ბედისწერა ლექსებსაცო, – ძველრომაულ სენტენციას გაახსენებდა პავლე ინგოროყვას ამ ლირიკული ნიმუშის თავგადასავალი.

თავისი ბედისწერა აღმოაჩნდებოდა იმ ლექსსაც — „ჩემი თარიარალი“, რომლის სათაურიც ანაკრეონტულ შინაარსზე მიანიშნებდა მკითხველს, ლხინისა და დროსტარების განწყობილებაზე, რასაც ადასტურებდა მინაწერიც: მიბაძვა ალექსანდრე ჭავჭავაძისაო...

თუმც მიბაძვა გარეგნულ იერში გამოიხატებოდა, საზომისა და პათოსის განმეორებაში, მხატვრული მრწამსით სრულიად რომ დაცილდებოდა თავის წინამორბედს და მისეულ რიტმიკასა და განწყობილებას ერთგვარ საბურველად მოიმარჯვებდა. მაგრამ საბურველი ვერ უშველიდა ლექსს მზის სინათლეზე გასაღწევად, რაკიღა სტრიქონებში აღარ მოერიდებოდა ილია მკვეთრ გამოთქმებს, რაც მოგვიანებით პავლე ინგოროყვას ასე შეაფასებინებდა ამ თითქოსდა თარიარალური ლექსის შთაგონების სათავეს: საყურადღებო დოკუმენტი პოლიტიკური მნიშვნელობისაო.

ამიტომაც გავრცელდებოდა მარტოდენ ხელნაწერის სახით 60-იან წლებში, ხოლო მისი სრული ეგზემპლარი, რომელიც გადარჩებოდა, შემცველი იქნებოდა დაშიფრული ადგილებისა, რომლებიც დაბეჭდვისას ვერ ამოიხსნებოდა სწორად და ლექსის ნამდვილი აზრიც ამოუცნობი დარჩებოდა, ვიდრე პავლე ინგოროყვა დაუკვირდებოდა...

ოღონდ 1925 წლის კრებულის მომზადებისას ჯერ მხოლოდ მის კვალს დაადგებოდა, როდესაც წააწყდებოდა ამ ლირიკული ნიმუშის ფრაგმენტს, უკანასკნელ სტროფს: მაშ მოდით, ქართველნო, ძმობით, ჰარიარალი! ვიშრომოთ ჩვენთვის ერთობით, თარიარალიო!..

თუნდ ამ ნაწყვეტსაც ვერ გაიმეტებდა კრებულის გარეთ დასატოვებლად და კომენტარში აღნიშნავდა, ის ლექსის მოძახილს, რეფრენს რომ ჩამოჰგავდა. ეს აფიქრებინებდა, რომ თვითონ ლექსი კარგა დიდი უნდა ყოფილიყო და წარმოადგენდა მიბაძვას ალექსანდრე ჭავჭავაძის ცნობილი ლექსისა „ლოთებო“, ოღონდ პატრიოტულს ჰანგზე გადატანილს.

ამის შემდეგ აღმოჩნდებოდა კიდეც ლექსის სრული ვერსია, „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე რომ გამოჩნდებოდა (1936, №12). და პავლე ინგოროყვას წაიკითხავდა თუ არა, მაშინვე დაეჭვდებოდა: ან დედანია დაზიანებული და ან პუბლიკატორს არევია რაღაცო.

შეფიქრიანებით ეს ოთხი ტაეპი შეაფიქრიანებდა:

„რა გინდ რომ ცენზორი ღრინავდეს“.

„ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცენზორი“.

„ცენზორმა რა ერთხელ ინება“.

„ჩვენ ცენზორი ვერას დაგვაკლებს“.

„ჩემი თარიარალი“ 8-მარცვლოვანი შაირით დაწერილიყო, ამ სტრიქონებში კი ცხრა-ცხრა მარცვალი გვჭრიდა ყურს.

კვლავ დაუწყებდა ძებნას დედანს და ამჯერად გაუმართლდებოდა, რადგანაც მიაგნებდა ქართული პოეზიის ანთოლოგიას, შედგენილს 60-იან წლებში კირილე ლორთქიფანიძის მიერ, რომელიც – გარდა ილიას ამ ლექსისა – ამ ხელნაწერი ანთოლოგიისათვის შეარჩევდა აკაკი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა

და სხვათა პოეტურ ნიმუშებსაც, ანთოლოგიური კრებული ილიას 31 ლექსითა და პოემით – „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ – რომ გაიხსნებოდა.

და აი იმ ადგილებში, რომელსაც პუბლიკატორი „ცენზორად“ იგულისხმებდა, ეწერებოდა არა „ცენზორი“, არამედ შემოკლებული სიტყვა, რომელიც იწყებოდა ასოთი „ც“ და მოჰყვებოდა წერტილები დაკლებული ასოების სანაცვლოდ.

სიტყვა ოთხასოიანი უნდა ყოფილიყო – ამას წერტილებიც მიანიშნებდა და პოეტური საზომის რვამარცვლიანობაც, და ცხადია შინაარსიც.

და ასე შეანაცვლებდა მკვლევარი „ცენზორს“... „ცარით“ – თვითმპყრობელი მეფით რუსეთისა.

ამგვარი ცვლილების უეჭველობას დამატებით შეამაგრებდა ანალოგიური ყაიდის ლექსი „ქართველ სტუდენტების სიმღერა“, თვით ილიას ხელით გადაწერილი და გახსნილად რომ გვხვდებოდა ეს სიტყვა „ცარი“ ამ სტროფში:

დედამ რომ შვილი გაზარდოს,
ემაგრე ჩვენისთანაო!
ცართან ძმობას არ ვკადრულობთ,
მაგრამ ვნატრობთ გლეხთანაო.

მას შემდეგ, რაც აღდგებოდა „ჩემი თარიარალის“ ნამდვილი შინაარსი, მკვლევარი ამ ლექსს მოიხსენიებდა უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტად ილიას მსოფლმხედველობის გასაცნობად.

ოღონდ აქ ერთ გარემოებასაც უნდა დავუკვირდეთ.

ილიას მონარქისტადაც რომ იხსენიებდნენ, მკვლევარი თითქოსდა გამოეკამათებოდა ამ მოსაზრებას: ამ ლექსიდან ჩანს, რა მონარქისტიც ყოფილაო!..

– პირიქით, ილია პირველია, რომელმაც მე-19 საუკუნის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ხმა აიმაღლა ცარიზმის წინააღმდეგ. „ჩემი თარიარალი“ და „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ პირველი ქართული ლექსებია, რომლებიც ცარის წინააღმდეგ არის მიმართული.

ეს აზრი რომ გამოთქმულიყო ისე, საბჭოთა ცენზურის კლანჭებს გადარჩენოდა, პავლე ინგოროყვა იძულებული შეიქნებოდა იქით გადაეტანა ყურადღება, თითქოსდა ილიას დაპირისპირება რუსეთის იმპერატორთან გამოწვეულიყო არა რუსეთისაგან საქართველოს ჩამოშორების ნატვრით, არამედ მისი ანტიმონარქისტული განწყობილებით, თითქოსდა ქართველ მეფესაც რომ ვერ იგუებდა.

შპონად გამოყენებული ფრაზა: რა მონარქისტიც ყოფილაო! – წაუშლელად დაუტოვებდა მოსაზრებას: ილიამ პირველმა აიმაღლა ხმა ცარის – ანუ რუსული მმართველობის – წინააღმდეგო.

ნოემ რომ ერთხელ ინება ყურძნის წვენისა გემება, თვითონ ნუნუას მიუჯდა, წყალი პირუტყვს მიანებაო, – ლაღობდა და ხარობდა ალექსანდრე

ჭავჭავაძის ანაკრეონტული ლექსის ლირიკული გმირი, „ჩემი თარიარალის“ ლირიკული გმირი ამ სტრიქონებს მძაფრი პოლიტიკური შინაარსით რომ აღავსებდა და სატირულ მახვილს შემოჰკრავდა იმპერატორის ტახტს: ცარმა რა ერთხელ ინება მორჭმულ კაცის დამონება, თვის სხეული კერპად დასვა, სული ეშმაკთ მიანებაო.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სტრიქონებიც უთბოდა ხოლმე გულს წამოგონებისას ილიას, ხან ამშვიდებდა, ხან ალაღებდა და ახალისებდა, ხანაც ასევდიანებდა – როდის როგორ!.. თავისთავად რომ მოტივტივებდნენ გონებაში... ეს მიბაძვაც ამისა გახლდათ – თარგად იმ რიტმიკასა და აღნაგობას რომ დაიდებდა და ფრთებსაც გაშლიდა...

გადაძახილი გადაძახილად, თარგი თარგად და, ერთხელაც ისე აღანთებდა ეს წამოგონება, სულაც მიძღვნით ლექსს შთააგონებდა, მომხიბლავ დითირამბს, ნიუანსობრივად რომ ჩაჰყვებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტურ თავისებურებასა და ღვაწლს, მისი ლექსი შვებით, ლხენით ხან მეჯლისში რომ მოფრინდებოდა, გულს ჩაგეკვროდა, ლაღობდა, ხარობდა, გამღერებდა და ამღერდებოდა. ხან ღონდებოდა ნაზ ქალსავით უიმედო სიყვარულით, ხან იფეთქებდა ჭაბუკსავით და განდევნიდა სევდას გულით. ხან ბუჩქებში მიმალული იჯდებოდა მარტო, ვით იადონი, შეჰყეფდა სატრფოს გულსაკვდავად, ტრფობის ისრით განაწონი. ხან რბოდა ველად, მარტოდ გალობდა უდაბნოში, ვითა მწირი, შეჰკვნესდა შავ ბედს ქვეყნისას – ქვეყნისათვის ანატირი. ხან დაჰყურებდა ნაღვლიანად, დაფიქრებით გოგჩის ტბას და ემდუროდა მწვავე მოთქმით დაუდგრომელ დროთა ბრუნვას...

ჩაამთავრებდა და... თითქოს ბურანიდან გამოერკვაო, მომხიბლავ სტრიქონთა ტყვეობას გამოეხსნაო, კვლავაც სიამით რომ შეჰყოფდა თავს ამ ბურანშიც და ამ ტყვეობაშიც და მკითხველსაც აიყოლიებდა, რათა მეგზურივით განეცდევინებინა მათთვისაც ზეგავლენა იმ ლიტერატურული შტოსი, რომელიც უფრო თვითონ მწერლის გულთა წვა-დაგვას, ჭირსა და ლხინს გვიგალობდა, ვიდრე მოაზრე ცხოვრების აზრთა სვლასა და წარმატებას.

ამ თვისებას მიიჩნევდა ნიშანდობლივად ათწლეულთა შემდგომ გამოქვეყნებულ წერილთა ციკლში ქართულ ლიტერატურაზე, 30-იან წლებში ხელახლა ფეხადგმულს იმ თავისებურებას რომ გამოურჩევდა და დაუდგენდა: უფრო შინაურულ საქმედ რომ წარმოდგებოდა მწერლის ხელობა, ვიდრე საყოველთაოდ, უფრო შესაქცევრად, ვიდრე გარჯით მკვლევარად.

შინაურს იმიტომ ამბობდა, რომ: შინაურობაში იბადებოდა და შინაურობის მოკლე წრეშივე ტრიალებდა, ანკი სხვაგვარად როგორ, როდესაც: მაშინ არც ჟურნალ-გაზეთებში არსებობდა და არც ჩვეულება ცალკე წიგნად გამოცემისა, და... არც სათქმელი მოეპოვებოდა საყოველთაო. არ ამტყუნებდათ: ყველა ასაკს ხომ თავისი შემძლეობა აქვს და ახალფეხადგმულს ვერ მოსთხოვდი ნაბადზე გადახტომას.

თავისთავად სულაც არ ამცირებდა მგალობელი მწერლობის მნიშვნელობას. თუმც თვითონ ილია ამჯობინებდა, რომ არ ემღერა ვით ფრინველს გარეგანს, მაგრამ იმასაც თავისი ადგილი უნდა ჰქონოდა ადამიანის ერთობ

მოწყენილ ცხოვრებაში: აკი ქანცგაწყვეტილი მუშაც საჭიროებას ხედავდა დაეტკბო სიმწარე თავისი ცხოვრებისა სიმღერით და გაექარვებინა თავისი ჭირბოროტი.

და ერისათვის რატომღა არ უნდა ყოფილიყო საჭირო, თვისთა მწერალთა ტკბილი გალობით ასე თუ ისე გაექარვებინა კაეშანი.

ხოლო ამით იმის თქმა სურდა:

– რაკი საზოგადო ცხოვრება ჩვენს კაცს ხელიდამ გამოეცალა, რაკი კაცს ხელთ შერჩა მარტო თავის-თავიღა, სხვა რა ექმნა, რომ უსაგნო გარეშემოსაგან ლტოლვილი თვალი – თავის საკუთარ გულში არ ჩაეხედებინა და იქ არ მოეკლა წყურვილი გულთათქმისა და ჭკუა-გონების ხედვისა.

ამისთანა გახლდათ მწერლობა ალექსანდრე ჭავჭავაძისა, თუ მარტო მისი პოეზიის უმთავრეს ძარღვს გამოვარჩევდით, თორემ ილიას აღუნიშნავი როგორ დარჩებოდა, რომ: ამ ტკბილ მთქმელსაც საყოველთაო უხუგეშყოფა წარმოათქმევინებდა ერთგან თვის სამძიმარს, საცა მოისმოდა მოქალაქური გულისტკივილი, რასაც გულში იმალავდა მაშინდელი ცხოვრება:

ძალი დავალს ღიმით ნაქცევთა ზედა, სად სიმართლე მისგან შენარაზედა, მის ყვავილთა ფერხით ჰლახავს გზაზედა, რომელნი სჭკნებიან მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭითო.

და თუმც ალექსანდრე ჭავჭავაძის მხატვრული აზროვნება სიყვარულისა და ტრფიალების პოეზიად გადმოღვრილიყო, ცალკეული მაგალითები მისი მამულიშვილური გულისტკივილისა იმიტომაც ამოიზიდებოდა ზედაპირზე, რათა მკითხველისათვის გათვალსაჩინოებულიყო: ამისთანა გულისტკივილს, 60-იან წლებში აგრერიგად გაძლიერებულს, სათავე სადა ჰქონდა და მცირე ნაკადულად გამონაწური მერე როგორ გაზრდილიყო და მომატებულიყო.

პირველ ხანებში ალექსანდრე ჭავჭავაძის გზას რომ დაადგებოდა გრიგოლ ორბელიანიც, იმავდროულად პირველს მას უნდა მიეხედებინა მკითხველი დავინყებული წარსულისაკენ, თითქოს იგრძნობდა, რომ უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგი თუ იქნებოდა, თავგაუტანელი, ფეხმოუკიდებელი. და მსჯელობისას კვლავ იელვებდა ლეიბნიცის ის სიტყვები, ოდესღაც ეპიგრაფად რომ მიესადაგებინა ლექსისათვის „ქართვლის დედას“: აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისაო.

და როდესაც შეჰკვნესდა დავიწყებულ წარსულს: წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ყოვლი კეთილი თანა წარიღესო, – ილია განუმარტავდა მკითხველს „კეთილში“ ნაგულისხმევს: ერთგულება და სარწმუნოება – ქართველის თვისებას რომ შეადგენდა და აღარსად მოიპოვებოდა გარშემო; და კიდევ – ვაჟკაცობა და მამაცობა – რომელნიც ქართველის სახელს აღარ ადიდებდნენ უწინდებურად.

მაგრამ... უნდა მოგვეკლა წარსულ დროებზედ დარდი ახალი ვარსკვლავის ბრწყინვას გამოდევნებულთ.

წარსული დროები წარსულ დროებად, მაგრამ... ახლო წარსულს როგორღა მოვპყრობოდით?

ამ მხრივაც უნდა დაფიქრებულიყო ილია და... სიუჟეტური ქარგაც ამოექსოვა ვრცელი ლექსისათვის: „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“.

დაიწყებოდა თუ არა პოეტური თხრობა: ლირიკული გმირი და პაპამისი ერთ ადგილს რომ შეიყრებოდნენ – და მოჰყვებოდა თუ არა მომდევნო სტრიქონებად: ჯერ, როგორც მოგეხსენებათ, მრავალჯერ დავამთქნარევითო, – ადვილად მიუხვდებოდა მკითხველი, პაროდიული, სატირული სურათი რომ წარმოისახებოდა, მკაცრი მუნათით განსჯილი, უკიდურესი შეუვალობით, შვილიშვილი რომ ითხოვდა პასუხად, რითი გვედიდებინა თავი ჩვენი, სახელი რით მოგვეხვეჭა? – და სათითაოდ რომ ჩამოჰყვებოდა თვალსაჩინო ისტორიულ ეპიზოდებს და ყველას შუაგულში ჩახედვას შეეცდებოდა, მეგზურად მოვლენილი პაპა, რომლის თვალწინაც უნდა ჩაევლო საბედისწერო, მღელვარე ამბებს, ხელახლა გაიხსენებდა იმ სურათებს და შეფასებებსაც მიადევნებდა.

როცა მიიწურებოდა ქართლის ბედი და მოგვიკვდებოდა ერეკლე, ის ჩვენი ქვეყნის იმედი, რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

პირლია დავრჩებოდით და ცას მივაჩერდებოდით.

მერე, როცა მეფე გიორგი დაჯდებოდა შერყეულ ტახტზედ, შინ თვისტომნი აუჯანყდებოდნენ და წამოასხდებოდნენ მტრად თავზე, რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

ჩვენც ერთმანეთს გულმოდგინედ ვწეწდით და ვიწეწებოდით.

მერე, როცა ემაგ წეწვით მეფეს საქმეს გავუჭირებდით და ქვეყნის ერთგულებას ურცხვად დავუძვირებდით, რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

რუსეთისკენ სახვეწნელად გავრბოდით და გამოვრბოდით.

მერე, როცა საწყალი მეფე დაგვიყენებდა ლეკებს მცველად და თვის ქონებას სრულად დასდებდა ჩვენი ქვეყნის დასახსნელად, რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

მადლიერნი მუთაქაზედ ვიწვებოდით და ვინებივრებდით.

მერე, როცა მოკვდებოდა მეფე, აიშლებოდნენ მეფის ძენი და ერთმანეთის შურით სულ ძირს დასცემდნენ ქართლის ბჭეთ, რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

ჩვენც ლამაზად სუყველას თითოთითოდ ვუღალატებდით.

მერე როცა დაქსაქსულებს უცხო ხალხი ხელთ გვიგდებდა, და ქართლის ბედს ბურთივით სათამაშოდ წინ გაიგდებდა, რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

ჩვენც ყაბახზედ ვაჟკაცურად ვიჯირითებდით და ვიბურთავებდით.

მერე, როცა გაგვიჭირდებოდა ყოფნა უცხო ხალხის ხელში, როს საშველად მოწვეული წაგვიჭერდა თოკს ყელში, რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

მაშინღა მივხვდებოდით, რომ ყველა ერთ ტაფაში ვიწვებოდით.

მერე, როცა წვა და დაგვა დღეებს ჩვენსას მოგვაწბილებდა, ტანჯვას ველარ ავიტანდით და სინდისიც გაგვამხილებდა, რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

შერცხვენილნი და დამწვარნი აქა-იქღა ვიჩურჩულებდით.

მერე, როცა ამ ჩურჩულს შეგვიტყობდნენ და შეგვამჩნევდნენ, როცა ცხვრის ფარასავით მოგვკრებდნენ და შეგვამწყვდეუდნენ, რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

ფერმიხდილნი ბეზღობაში ერთმანეთს შევეჯიბრებოდით.

მერე, როცა მაგ ბეზღობით ზოგნი თავს გადავირჩენდით, ქვეყნისათვის ზრუნვასა და ფიქრს თავიდან ავიცდენდით, რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

მოვყვებოდით და სიხარულით ყოველდღე ვიბედოვლათებდით.

მერე, როს ბედოვლათობით საქმე ხელთ აღარ მოგვდიოდა, რაც რამ გვებადა, სულ გავფლანგავდით, და არარა შემოგვდიოდა, რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

ერთმანეთს უსინდისოდ მამულებს შევეცილებოდით.

მერე, როცა მაგ ცილობით ერთმანეთს დავლუპავდით, და ამ მტრობით ჩვენს სახლს ცეცხლს ჩვენვე წავუკიდებდით, რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

ჭკვიანურად იმ ცეცხლის წინ დავსხდებოდით და ხელს მოვითბობდით.

მერე, როს ხელის სათბობად ჩვენი სახლი აღარ ევარგებოდა, და როცა დიდ-პატარა გაღარიბდებოდა და გაღატაკდებოდა, რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

თვით შევსხდებოდით მაღლა თაროს, დაბლა ყმებს ტვინს გამოვწოვდით.

მერე, როცა ეს ყმებიც დროთა ბრუნვით ჩამოგვერთმეოდა, და ცხოვრებისა ჩვენისა წყარო მაგ გზობითაც თითქო შეგვიწყდებოდა, რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

მაგას დაე ნუღა იკითხავდა შვილიშვილი... ტირილს მეტს ვეღარას გააწყობდნენ და... იხოცებოდნენ!..

მერე, როცა მაგ ტირილით ყმები აღარ დაგვიბრუნდებოდა და ყმების მოშორების ტკივილიც დაგვიყუჩდებოდა, რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

რაღაც ბანკს მოვიგონებდით და მასზედ ვილაზღანდარებდით.

მერე, როს საშვილიშვილო ბანკს უმუხთლებდა უფროსი თაობიდან ერთი: ჩემთვის ბანკი რა ჭკუაა, არ მომცა შვილი ღმერთმაო, – რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

„ნაპლეჩობა“ გვასწავლეო, მთავრობას შევეხვეწებოდით.

მერე, როცა...

კიდევ როცაო! – უნდა გაწყრომოდა თავგაბეზრებული პაპა შვილიშვილს, – შემაწუხე ამდენი კითხვით, „პოჟოლუსტა“ დამეხსენიო...

რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდითო? – ახლა თვითონ გაიმეორებდა შვილიშვილის შემაწუხებელ შეკითხვას, რათა ახლო წარსულიც და აწმყო ყოფაც ერთნაირად დაეძრახა და ვეღარც საშველი და სახსარი დაენახა მწარეზე მწარე რეალობის შემყურეს:

რას ვშვრებოდით, რომ თქვენსავით უსაქმოდ ვეხეტებოდითო.

და ამ დამთრგუნველი, გულისმომკვლელი სტრიქონებით უნდა დასრულებულიყო ისედაც სავალალო სურათთა წყება, გაგულისებული ილია წინასწარმეტყველის მუნათით რომ წარმოსახავდა და ფერებსაც საკმაოდ

ამკვეთრებდა თვისტომთა შესაჯანჯღარებლად, მცონარებაში ჩაძირული სულის შესაფხიზლებლად.

სახლი გეწოდეს, ხელი მოითბეო, – ანდაზად რომ შემორჩენილიყო და შეგაგონებდა, ჭირს ადვილად რომ არ უნდა გასტეხოდი და სულის სიმტკიცე შეგენარჩუნებინა, სახლი სამშობლოდ განზოგადდებოდა თუ არა, უკვე სულ სხვა შინაარსს შეიძენდა და სატირული ისარი ისე გამოგაფხიზლებდა და აგაფორიაქებდა, რაღაც სასიკეთოს გაკეთების სურვილით აენთებოდი და სურვილს მალევე საქმესაც მიაყოლებდი, რაკიღა საბედისწერო სუნთქვას ძალუმად შეიგრძნობდი.

როგორი გასაცნობიერებელი და წარმოსადგენია:

სამშობლოს ცეცხლი ნაჰკიდებია და შიგ ინთქმევა, შენ კი მოსწრებაზე ხარ, ხელი მაინც მოითბო!..

რომ არა პაროდიული და სატირული თვალთახედვა, ილია გახსნიდა იმ დაფარულ კვანძებს, ალექსანდრე ორბელიანის წყალობით რომ შეეთვისებინა და გაესიგრძეგანებინა, და რაც მოწმობდა, რომ წინააღმდეგობის მოძრაობა გიორგი XII-ის დასამხობად რუსებისაგან მართულიყო და უკვე მაშინ გვიგდებდნენ ხელთ, აღარ დასჭირდებოდათ დაცდა, ქართლის ბჭეთა მოსარღვევად პოლიტიკური პროცესი თავისთავად როგორ წარიმართებოდა.

1832 წლის შეთქმულებასაც სრულყოფილად წარმოაჩენდა და არა ცალმხრივად და რამდენადმე დაკნინებულადაც, თითქოსდა აქა-იქ ჩურჩულის მეტი არა ყოფილიყო რა ის საერთოკავკასიური სამზადისი რუსთა ძალმომრეობის დასამხობად... და კიდევ: ერთმანეთთან შეჯიბრისა ბეზღობაში, საკუთარი ტყავის გადარჩენის გარდა ვითომდა სხვა რომ აღარც აღარაფერი ანაღვლებდათ ფარული შეთქმის მონაწილეთ.

1894 წელს ვახტანგ ორბელიანისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ ნარკვევში რეალისტური თვალით რომ გამოხედავდა ოცდათორმეტიანელთა მცდელობასა და სწრაფვას, უკვე სრულ, ამომწურავ ფორმულად დაწნეხდა:

ეს მაშინდელ ყმაწვილკაცობისათვის თავგამოსაწონებელი, მაგრამ უბედური წელიწადიო.

და... ბანკის დანიშნულებაც და მის დასაარსებლად ზრუნვაც რატომ გამხდარიყო ირონიის სამიზნე?

ნუ დავივიწყებთ ამ ლექსის შექმნის თარიღს: 1871 წლის 24 აგვისტო – როდესაც ეს წამოწყება ჯერაც ლამის იდეად რჩებოდა, მხოლოდ მკრთალ ნაბიჯებად, და შესაძლოა სათავეშივეც ჩაფერფლილიყო. ამიტომაც – სინანულის ნიშნად – შეიძლებოდა ამ სიტყვების გამოყენება: „რაღაც“ და „ვლაზღანდარობდითო“.

ამით ვხსნით – ბიბლიურ წინასწარმეტყველთა მსგავსი პათოსით – ილიას სიმკაცრეს, თუმც მის განწყობილებაში უთუოდ უნდა შეჭრილიყო ის საყოველთაო დამოკიდებულებაც ისტორიისადმი, ზედმეტად მკაცრი და დაეჭვებული, რომანტიკული ხედვა გაზვიადებასა და განდიდებას რომ უიგივდებოდა და ერჩივნათ, უფრო დაეკნინებინათ, ვიდრე რომანტიკული სულისათვის მიეცათ გასაქანი.

ირონია ერჩივნათ რომანტიკას.

ის კი არა: იოლად ხელის წამოკვრაც გარდასული ჟამის გმირებისათვის.

დიდი და ძლევამოსილ ევროპულ სახელმწიფოების შვილებს არად მიაჩნდათ გაქილიკება ისტორიული წარსულისა, ირონიისა და პაროდიის ხერხების მომარჯვება, სატირული თვალთახედვის გამჟღავნება – მითუფრო ახლო წარსულის მიმართ, რომლის დაცინვაც უფრო მტკივნეულად აღიქმებოდა, რაკიღა იმ ამბების მონაწილენი და თვითმხილველნი ჯერაც ცოცხლები იყვნენ.

მაგრამ... სახელმწიფოებრიობადაკარგულ ქვეყანასა და მის შვილებს?

ქვეყანას, რომლის სახელსაც ოფიციალურად ისე არ ახსენებდნენ, თუკი ზედ „ყოფილსაც“ არ წაუმატებდნენ?

უნდა მორიდებოდნენ ცხადია გარდასულ ჟამზე სიცილს, მაგრამ თუ ილია თავზე ხელს აიღებდა ამ შემთხვევაში, იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, ირონიას, პაროდიასა და სატირას რომ არ გაჰყვებოდა მისი სტილისტიკა წარსულის გააზრება-შეფასებისას და: რომანტიკულ გადმოსახედსაც წარმატებით მოსინჯავდა და ეროვნულ ღირებულებათა გაუფასურებასა თუ აბუჩად აგდებასაც არავის აპატიებდა, ერთ უპირველეს მცველად რომ დაუდგებოდა წარსულსაც და თანადროულობასაც, რათა ნიჰილიზმის ჭაობისაკენ არ ცდილიყვნენ საზოგადოებრივი აზრის წათრევას.

და თუ რაიმე აწუხებდა და აღელვებდა, დაკნინებული ეროვნული სულისა და მხნეობის შემხედვარეს გულს უკლავდა და ლამის სასოწარკვეთილებაშიც აგდებდა, გულის ბუხარს „ბედნიერი ერის“ შექმნით ამოიყრიდა, სატირული ლექსისა, რომლის მსგავსი სხვა არც დაწერილიყო ქართულ სინამდვილეში – ასეთი მკაცრი და შეუბრალებელი, სულსა და გულს რომ ამოგიბრუნებდა, მაგრამ სიმკაცრე-შეუბრალებლობის მიღმიდან ისეთი უზომო ტკივილი მოჩქეფდა, იჯერებდი და ვეღარც იჯერებდი, ამხელა ტკივილს როგორ უძლებდა კაცი, რომელიც ლამის მთლიანად ამოვარდნილიყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებიდან და, დუშეთში გამოკეტილი და მომრიგებელ მოსამართლეობას მოკიდებული, შეჰკვნესდა და გმობდა თავის უბედო ბედს, რომელიც საბოლოოდაც განირავდა, თუ რაიმეს არ უსაშველებდა თავს... მაგრამ როდის?!. მაგრამ როგორ?!.

ხუთი დღე ძევს ამ ორ ლექსს შორის — „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“ და „ბედნიერი ერი“: ერთმანეთს რომ ავსებენ და აგრძელებენ, და თითქოსდა ერთმანეთის პოეტურ კომენტარსა თუ ექსკურსს წარმოადგენენ.

„ბედნიერი ერის“ აღნაგობა არასოდეს რომ არ გამხდარიყო საგანგებო დაკვირვების საგანი, თეიმურაზ დოიაშვილი ამ ვითარებას იმ მიზეზით ახსნიდა:

თვალის ერთი შევლებით ფორმა ლექსისა, თუნდაც ვერსიფიკაციის დონეზე, არაფრით იქცევს ყურადღებას: კლასიკური და რომანტიკული ტრადიციის ფონზე რვამარცვლიანი მაღალი შაირი შიდარითმებითა და მოდერნიზებული გრაფიკით რაიმე სიახლეს არ ამჟღავნებსო.

რამდენადმე მოულოდნელი – ილიას ევროპეიზმზე ორიენტირებული ესთეტიკის კონტექსტში – მხოლოდ შიდარითმის გამკვეთრება ჩანდა, მაგრამ ეს გარემოება ნაკლებმნიშვნელოვნად აღიქმებოდა.

და აი მკვლევარი უნდა დადგომოდა კვალს მისი საწყისი, ამოსავალი სალექსო ფორმისაკენ, წარმოესახა ტექსტის თავდაპირველი გრაფიკული ფორმა და... კიდეც გამონაკვთულიყო ძველქართული პოეზიის ერთ-ერთი სახეობა, რომლის ერთადერთი ზუსტი ანალოგიც ჩახრუხაძის „თამარიანში" დასტურდებოდა.

იმ „თამარიანში", რომელსაც ჯერ კიდევ „ორიოდე სიტყვაში" ასერიგად შემუსრავდა: არც აზრი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჭკუა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედშესრულების რახარუხისაო!..

ასეთი გამეტება და... მაინცდამაინც მას დასესხებოდა, არაფრისთანა არაფრის შემქმნელ ჩახრუხაძეს?

სწორედაც რომ!.. და სავსებით შეგნებულად და მიზანმიმართულად:

„ბედნიერ ერში", სატირული ჟანრის თხზულებაში, ილია საგანგებოდ რომ შეარჩევდა და გამოიყენებდა მის მიერვე უარყოფილ სახოტბო ჟანრის სალექსო ფორმასა და სტილს – თეიმურაზ დოიაშვილი იმის ნიშნად მიიჩნევდა, რომ:

პოეტი-რეალისტი ქმნიდა ანტი„თამარიანს" – პაროდიას ჩახრუხაძის „თამარიანზე"!.. ძველ, პანეგირიკულ ტრადიციასთან დაკავშირებულ ფორმაში ახალ შინაარსს, ახალ ესთეტიკურ-ისტორიულ საზრისს შეიტანდა და განახორციელებდა პაროდიულ ჩანაცვლებას სტრუქტურული იერარქიის ყველა დონეზე: ოდურ ჟანრს ცვლიდა სატირა, ოდის ობიექტს, მეფეს – ერის კონცეპტი, ხოტბას – ირონია, მაიდეალებელ სტილისტიკას – პაროდიული შეფერილობის ზედშესრულ-ეპითეტები.

ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერიო?! – ამ რეფრენით რომ დაიწყებოდა ლექსი, ხოტბისა და პანეგირიკის მოსასმენად განგაწყობდა და... მითუფრო მოულოდნელი და თავზარდამცემი აღმოჩნდებოდა ზეციდან მიწაზე დაშვება, მიწას კიდევ რა უჭირდა, იმ გუბეში ჩაყურყუმელავება, ქვეყნის სამასხარაოდ ცხოვრებას რომ ვეძახდით და არხეინადაც ვგრძნობდით თავს, ვიდრე ვიღაც უცნობი ერთ-ერთ ჩვენგანს ხელს არ წაავლებდა და მოთხრობისაკენ არ წააწოლიალებდა: შენ იმათ ჰგავხარ და ისინი შენაო.

ჩვენს ბედნიერებას კი რაღა შეიძლება ჰკლებოდა:

მძიმე ყალნით, ლამაზ ფალნით მორთულისა და მშვენიერისა, უწყინარის, უჩინარის, ქედდრეკილის, მადლიერის, უშფოთველის, ქვემძვრომელის, რიგიანის, წესიერის, ყოვლად მთმენის, ვით ჯორცხენის, ნახედნისა და ღონიერის.

ჩვენისთანა ბედნიერი განა მოიპოვებოდა სადმე ერი?!

ყველა უნჯი, ყველა მუნჯი, გულჩვილი და ლმობიერი, თვალაბმული, თავაკრული, პირს ლაგამი ზომიერი, ყველა ყრუი, ყველა ცრუი, ჭკუადამჯდარიც და გულხმიერიც, მცირე თუ დიდი – ყველა ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერი.

რა მომავალი შეიძლებოდა გვქონოდა, რისი ნუგეში და იმედი, ნუთუ ცოტას, სულ ცოტას მაინც არ ამოგვასუნთქებდა პოეტი-წინასწარმეტყველი?!

მომავალიც ისეთი გვესახებოდა, რაც შეჰფეროდათ:

მტვერწაყრილებს, თავდახრილებს, ყოვლად უქმებს, უდიერებს, უზღუდოებს, გზამრუდოებს, გაუტანელთ და ცბიერებს, მტრის არმცნობებს, მოყვრის მგმობებს, გარეთ მხდალთ და შინ ძლიერებს, არრის მქონეთ, არრის მცოდნეთ, უზრუნველებს და მშიერებს.

ეგებ ფინალში მაინც მოგვებრუნებინა სული, იქ გამკრთალიყო რაღაც ნათლისმაგვარი, ცოტაოდნავ რომ დაგვამშვიდებდა?

მაგრამ კვლავ ის თავზარდამცემი, შემაძოძგინებელი რიტორიკული შეკითხვა უნდა დაგვცემოდა თავზე:

ჩვენისთანა ბედნიერი კიდევ არის სადმე ერიო?!.

მთავრდებოდა ეს ლექსი, მაგრამ არა ეს განწყობილება, სხვაგანაც რომ შეიძლება ამოგვეკითხა ეს წინასწარმეტყველური მკაცრი მუნათი:

აქ არვის – დიდსა თუ პატარასა, – ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული, დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული.

ღმერთთან აიგივებდა ილია იმ მიწას, რომელიც ისევე დავიწყებოდათ გარშემომყოფთ, როგორც უფალი.

და ეს განწყობილება შეიჭრებოდა პოემაში „აჩრდილი", რომლის პირველი ვერსიაც თითქოს ჯერ კიდევ 1859 წლის 26 იანვარს მოეთავებინა, მაგრამ გული ვერა და ვერ შეეჯერებინა და საფუძვლიანად მოჰკიდებდა ხელს მის გადამუშავებას 1872 წელს, დავით ერისთავს რომ შესჩიოდა: ამ „აჩრდილმა" ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზედ გაქირ ვირსავით შევდეგ და ერთი ბიჯიც წინ ველარ წავდგიო.

საფუძვლიანი გადამუშავება რომ არა, ცხადია ამ პოემის მხოლოდღა რედაქციული ჩასწორებანი ტყავს ვერ გააძრობდა. და მის მხატვრულ რეალობაში ტრიალს მოჰყოლოდა ის ერთგვარი გაღიზიანება „ქართლის ცხოვრებით", ომებისა და მეფეების ისტორიით რომ გააბეზრებდა და ხალხს... კი ვერსად აღმოაჩენდა ამ მატიანეთა ფურცლებზე.

ის განწყობილება თუ შეხედულება, რაც კერძო წერილში იჩენდა თვს, რვა წლის შემდგომ პუბლიცისტური ყაიდის სტატიაში – „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ" – საქვეყნოდ უნდა გამჟღავნებულიყო, ისტორიულ მატიანეთა ძირითადი ტენდენციის დაწუნებასაც რომ არ მოერიდებოდა და არა:

– ჩვენი „ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია.

დემოკრატიული იდეები ჰაერში რომ ტრიალებდა და ლამის პირწმინდად გადაელეკა ყველა და ყველაფერი, ილიას მსოფლგანცდაზეც მოეხდინა გარკვეული გავლენა და ეს საყვედური დაეცდენინებინა, თუმც ილიას აზროვნების სიფართოვისა და სიღრმის პიროვნება ასე ადვილადაც არ ირწმუნებდა და არ გაიზიარებდა ანტიმონარქისტულ განწყობილება-შეხედულებებს, ისტორიის მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებასაც გადასინჯავდა, უფრო

სწორად – ცალმხრივობას გაერიდებოდა და თუნდ „მეფე დიმიტრი თავდადებულს“ იმ სულისკვეთებით აღავსებდა, ახალი დროის ნაშობი უარმყოფელნი წარსულისა და მეფეთა სახეების გარომანტიკულება-გაიდეალებად რომ მიიჩნევდნენ და ათვალწუნებითა და გამქირდავად შეჰყურებდნენ, როგორც გულუბრყვილოსა და დრომოჭმულს.

ისტორიულ ნაწილზედ შევდეგ და ერთი ბიჯიც წინ ვეღარ წავდგიო...

„აჩრდილის“ პირვანდელ ვერსიაში დიდი ადგილი დაეთმობოდა ფარნავაზის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, დემეტრე თავდადებულისა და სხვა ისტორიულ პირთა გახსენებას, მაგრამ საბოლოო რედაქციისას მარტოდენ ის ადგილები დარჩებოდა, რომელნიც ზოგადად მიანიშნებდნენ ჩვენი ხალხის ქველობაზე, მის სიმამაცესა და მამულისათვის თავგანწირულობაზე. ამ ვერსიაში უკვე აღარ შეგვხვდებოდა სახელოვან ქართველ მეფეთადმი მიმართული აღტაცების სტრიქონები.

ლადო მინაშვილის ამ დაკვირვებას თეიმურაზ დოიაშვილი თავის მხრივ მიადევნებდა, რომ:

„აჩრდილის“ ისტორიული ნაწილი პოეტს იმ თვალსაზრისის კვალზე შეესწორებინა, დავით ერისთავს რომ შესჩიოდა: ეგ ოხერი ჩვენი ისტორია მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა და ერი არსადა ჩანსო.

რასაკვირველია ეს ასეც უნდა ვიგულისხმოთ, და ეს განწყობილება აკი „ბედნიერ ერშიც“ ასე მკვეთრად იჩენდა თავს, მაგრამ გარდა ამ შეხედულების ზეგავლენისა, ისტორიული ნაწილის შეცვლა-შესხვაფერება იმ მიზეზსაც უნდა გამოეწვია, ძალიან რომ აღარ დამგვანებოდა „აჩრდილი“ გრიგოლ ორბელიანის პოემას „სადღეგრძელო“, ისედაც რომ ამჟღავნებდა მასთან სიახლოვეს ზოგადი აღნაგობითაც და ცალკეულ სტრიქონთა ალუზია-რემინისცენციებითაც, გიორგი შატბერაშვილი უფრო პოეტურ შემღერებაც რომ მონათლავდა და ტექსტუალური მსგავსების ნიმუშად ამ სტროფებს დაიმოწმებდა.

ილია ჭავჭავაძისას:

ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა, ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება,
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა, შორს საუკუნეთ ეტყვის
მის სახელს,
და არა ერთხელ ჭაბუკთა ყრმათა ხმლის ტარზე ძლიერს
აუთრთოლებს ხელს,
იმ სიმღერას რა ისმენს მხცოვანი, სიბერის ჟამსა კვლავ მოიფონებს...

და გრიგოლ ორბელიანისას:

გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება,
თქვენსა სახელსა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა,
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ მოედინება,
მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მისწვდება!

დიალოგზე აგებული ესეის „პოეტური შემღერებანი“ ერთი მონაწილე ამ მსგავსებას რომ გაიხსენებდა, მეორე თარიღებით უნდა დაინტერესებულიყო: პირველთქმა ვისიაო?.. – რის პასუხადაც პირველი მონაწილე ორივე პოემის ვრცელ დათარიღებას გაიხსენებდა: „აჩრდილი“ 1859-72 წლებში რომ შექმნილიყო, „სადღეგრძელო“ კი – 1827-70 წლებში – მაგრამ აუხსნიდა თანამოსაუბრეს, რომ: ამჟამად მონათესავე პოეტურ სულთა შემღერების საკითხი უფრო იზიდავდა, ვიდრე თარიღები... და ამ მხრივ მართლაც საგულისხმოდ ეჩვენებოდა ვახტანგ ორბელიანის მშვენიერი, თუმც მივიწყებული პოემა „იმედი“, რომელიც ორივე ეპიკურ თხზულებას ენათესავებოდა.

მეორე მონაწილე არ უნდა მოშვებოდა: საინტერესოა, ვინ უფრო ადრე გამოაქვეყნა პოემა, ილიამ თუ გრიგოლმაო?

მაგრამ პირველი მოსაუბრე გამოქვეყნებას მნიშვნელობას არ მიანიჭებდა, რადგანაც პოეტი ხშირად გვიან აქვეყნებდა, მაგრამ წინასწარ მეგობრებს უკითხავდა ან ხელნაწერის სახით ავრცელებდა... ერთის გულში დანთებული ნაპერწკალი მეორის გულს ედებოდა და...

პოეტურ შემღერებას დავარქმევდით თუ ალუზია-გამოძახილს, „სადღეგრძელოს“ იმ სტრიქონებს: თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ მოედინება, მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მისწვდებაო, – უნებლიეთ თუ შეგნებულად უნდა ეჩინა თავი ვახტანგ ორბელიანის მოკლე ბიოგრაფიის შედგენისასაც:

– ჯერ კიდევ იყო... თითო-ოროლა ოჯახი, თითო-ოროლა მამულის-შვილი, რომელთაც ასულდგმულებდა ჩვენის ძველის ცხოვრების ანდერძები, აქა-იქ შერჩათ კიდევ ხსოვნა მეთვრამეტე საუკუნის თავგანწირულ გმირთა, რომელთა საქმენი მოხუცს ცრემლს ადენდნენ და მხნეობით აღტაცებულ ჭაბუკს ხმლის ტარზე უთრთოლებდნენ ხელს.

გმირის ძიების მოტივისთვისაც გრიგოლ ორბელიანს უნდა დაედო სათავე, ამ ჯაჭვში ილიაც რომ ჩაერთობოდა „აჩრდილში“ გამოთქმული ღაღადისით:

მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვისაც ვტირიო?..

იგი აღარ გვყავდა... მისი მოედანი ჯაგით აღვსილიყო და ვერანად ქმნილიყო, და ეს იმიტომ, რომ:

გმირის დამბადი დიდი საგანი ჩვენში მოსპობილიყო და წაწყმედილიყო.

ნიმუშად ქვეყნისათვის გმირობა-თავგანწირვისა მეფეთა გალერეა ადრინდელი გაშლილობით რომ აღარ წარმოისახებოდა, ფარნავაზი მაინც ჰპოვებდა თავის ადგილს პოემაში და მისი სახელი და ღვაწლი განზოგადდებოდა და გასიმბოლოვდებოდა იმ სულიერ მხნეობად და ეროვნულ ენერგიად, რომელსაც კვლავაც უნდა მოეტანა ის დღე შურისგებისა, მტარვალს რომ აღუდგებოდა და მძლავრადაც აღუდგებოდა დასათრგუნად ქართველის ქველობა...

და კიდეც აფორიზმივით იელვებდა აჯანყებისაკენ მოწოდება:

მართალი არის ხმალი ზღვევისა, როს ხელს ჰკიდებს მას მამულის ტრფობაო.

მამულის ტრფობას უნდა შემოეცურებინა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეში ჯერ გმირის დამბადი დიდი საგანი... და მერე თვით გმირიც, რომელსაც ეძებდი და რომლისთვისაც ტიროდი, რაკიღა ქართველობა გადასდგომოდა თავის ქართველობას და დაენგრია დიდი მამული... და მაშ რაღას უნდა დაებადებინა ჩვენში დიდი გრძნობა? რითი აღტკინებულიყო სიქველისათვის გული?..

არადა მადლით სავსე ბუნებას გარს შემოეკრიბა ყველაფერი, რათა მისცემოდა ზრდა დიდ ცხოვრებას და ექცია ის ძლიერად და ბედნიერად... მაგრამ ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი, დიდი სამოთხის კუთხე პატარა, ქედმოდრეკილიყო ნაღველით საწყალი, რადგანაც მისადმი ტრფობა შემწყდარიყო.

და... მაშ საიდანღა უნდა გამოჩენილიყო გმირის დამბადი დიდი საგანი?!.

უამისოდ კი იძულებული ხდებოდი იმ პოეტურ პარადოქსში მომწყვდეულიყავი, გაუნელებელი, გაუსაძლისი ტკივილით რომ გავსებდა შენი დიდებული, ლამაზად მორთული და მოკაზმული ქვეყნის შემყურეს:

მაგრამ რამდენადაც მშვენიერი ხარ, იმდენად უფრო მიკვდება გულიო.

ხოლო „აჩრდილში“ მკაცრი მუნათი რომ იტრიალებდა, მსჯავრმდებელი უნდა ყოფილიყო უეცრად მოვლენილი კაცი დიდი, მყინვარზედ მდგომი მოხუცებული, ქვეყანასავით მშვიდი, უძრავი, უხმო და დაფიქრებული.

რაკიღა მყინვარზე გადმომდგარა, მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს – ვითა გოეთე – მშვიდი და უძრავი... ისე მიუწვდომელიც რომ აღარ არის ილიასათვის, ისეთი შორეულიც და მიუკარებელიც, როგორც „მგზავრის წერილებში“ აღქმული და გააზრებული, მაგრამ ისერიგად ჯერაც არ მიჰკვრია მის გულს, როგორც თერგი – ვითა ბაირონი – თავისი მრისხანებით, მბრდღვინვარებით, ბღავილით, ღრიალით, ჭექითა და ქუხილით...

და ამიტომაც მყინვარზე გადმომდგარი მოხუცის ფერხთით თერგს უნდა ედინა და მყინვარსა და თერგს უკვე რაღაც გაეგოთ ერთიმეორისა, ძაფები გაბმულიყო მათ შორის, ხიდი გადებულიყო, და მყინვარის სიმშვიდე და უძრაობა განმსჭვალულიყო რაღაც თერგულითაც.

და მაინც: მყინვარზე დგას მოხუცებული და არა თერგის მჩქეფარებას ჩამოსდევს ჭაბუკი.

რევოლუციური განწყობილება ჯერაც გულში უღვივის ილიას, ჯერაც ცეცხლს უღვივებს და აღანთებს, მაგრამ უკვე იხრება ევოლუციური გზისაკენ, თანდათანობით სულაც მკვეთრად, მთელი არსებით რომ გაემიჯნებოდა რევოლუციურ მისწრაფებებს და კიდეც შეეწირებოდა ამ განდგომას, გამიჯვნას მისგან, და სულაც დაპირისპირებას და მკვეთრსაც, დიპლომატიური მოტივითაც რომ არ მოინდომებდა ლოიალური დამოკიდებულების გამომჟღავნებას.

მოხუცის თვალს კი ვერ მიიზიდავდა საკუთრივ ვერც არაგვი, ვერც თერგი, ვერც ტყე და ვერც მთა, რადგანაც სრულ საქართველოს გადმოჰყურებდა... და კიდეც უნდა გაეფატრა ჰაერი მის დიდებულ ხმას:

მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!.. მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული.

ნეტა იდუმალად, გაუცნობიერებლად თავის თავს ხომ არა გულისხმობდა ამ სიმბოლურ, ფანტასტიკურ სახეში?

გამოხდებოდა ხანი და მყინვარზე გადმომდგარი მოხუცებული შთამომავლობის თვალთახედვაში სწორედ ილიას გაუიგივდებოდა – თანამდევ სულს თვისი მამულისა, ამქვეყნიური მოვლინებით რომ უნდა დაედასტურებინა და სისხლითაც დაეკირა ეს დანიშნულება და მისია და დაქსაქსული, გათითოკაცებული კრებული ადამიანებისა კვლავ ექცია ერთიან ერად უდაბნოს გზის გამოვლით — ამ ღვთიურ ემბაზში გამოწრთობით. და ჩაენერგა, რომ სახელმწიფოებრიობის ამოგების გარეშე ამაოდღა მოვეპოტინებოდით მომავალს.

ისტორიულ ნაწილზედ შევდეგო...

და თუმც მაშინ ორი მოტივის გამოისობით – ჩვენი ისტორია მეფეთა ცხოვრებას რომ გაიგივებოდა და ამ ფონზე ხალხი იკარგებოდა, და მასთან გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ კომპოზიციურ აღნაგობასაც დაცილებოდა – აღარ დატოვებდა პოემაში დემეტრე თავდადებულისადმი მიძღვნილ დითირამბს, მერე მაინც ვერა და ვერ მოუსვენებდა გული და:

მალეც უნდა დამდგარიყო დრო, როდესაც მეფე დიმიტრის სულაც მთავარ გმირად აირჩევდა პოემისა, ის რომანტიკული და გაიდეალებული სული რომ განმსჭვალავდა მის სიუჟეტს, სული, რომელიც ცოტა ხნის წინათ ეხამუშებოდა და მეფეთა ცხოვრების კვალზე ვეღარც ხედავდა იმ ერს, რომლის სიმბოლურ გამოხატულებასაც მეფე წარმოადგენდა და რუსთველიც ასე და მხოლოდ ასე განაზოგადებდა, ილიას მერეღა რომ უნდა ამოეცნო და ბოლომდეც განეცადა ამ აფორისტულ სტრიქონში ნაგულისხმევი: ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიანო!..

ნატვრით რას ნატრობდა „ვეფხისტყაოსანი“, რას ესწრაფოდა, როგორი სამყაროსა და რეალობის დამკვიდრებას?

თხასა და მგელს ერთად ეძოვათ, არა?

სწორედ ამ ნანატრ, საოცნებო, „ვეფხისტყაოსნურ“ სამყაროსა და რეალობას ხედავდა ილია დემეტრესდროინდელ საქართველოში:

ყველგან იმის სამეფოში
თხა და მგელი ერთად სძოვდა,
ერი, ბერი, ობოლ-ქვრივი
სულ იმის დღეს ჰლოცულობდა.

ეს გაიდეალებული წარმოსახვა იმჟამინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა იმ ისტორიული ცნობის გახსენებას მოსდევდა, მეფე დიმიტრი ღამით უბრალო კაბა-ჯუბას რომ ჩაიცმევდა და მოინახულებდა საწყალი ხალხის უბანს, მოივლიდა ქვრივსა და ობერს, დავრდომილსა და ობოლს და თავისი ხელით ურიგებდა მოწყალებასა და საზრდოს. და ვისაც რა დარდი აწუხებდა, მას შემოსჩივლებდა და მეფეც გლახის, ობლისა და ჩაგრულის გამოსარჩლებას არა თაკილობდა.

და ამ ზნეობრივ საწყისზე უნდა ამოზრდილიყო სამოთხის ის გამონაშუქი, მის სამეფოში თხა და მგელი ერთად რომ სძოვდა.

და ეს ხდება არა სადმე სხვაგან — ძლევამოსილ სახელმწიფოსა თუ ბედნიერ კუნძულზე, არამედ... არამედ მონღოლთაგან დაპყრობილ ქვეყანაში!..

და თურმე სულიერებამ შეიძლება წააჭარბოს და ძალიანაც წააჭარბოს ყოფით სინამდვილეს და დაპყრობილი სამეფო – თავისი ზნეობრივი საყრდენების წყალობით – სამოთხის გამონაშუქად შერაცხოს.

პოემა გაჰყვებოდა „ქართლის ცხოვრებისეულ" ქარგას, მეფეთა და ომების ისტორიის იქით რომ არ იხედებოდა მემატიანეთა თხრობა, მაგრამ უკვე სხვაგვარად უკვირდებოდა მის შინაარსს ილია და – „ქართლის ცხოვრების" შემოქმედებივით – ქვეყნის ბედსა თუ უბედობას მეფის ბედისწერაში განჭვრეტდა. და ხალხის ისტორიის შესამეცნებლად იკმარებდა მეფე დიმიტრის ტრაგიკული და ჰეროიკული თავგადასავლის შეცნობას, ოქროს ურდოში თავის გასაწირად ჩასულისა, რათა მის სამშობლოს რბევა-აოხრება არიდებოდა, და წამითაც რომ არ შეინანებდა ყაენის წინააღმდეგ მოქმედებას, რადგანაც ძალა აღმართს კი ხნავდა, მაგრამ ზნეობას ვერას დააკლებდა ის აღმართის მხვნელი ძალა.

და პოემის პერსონაჟი მეფე მხოლოდღა გაახმოვანებდა ისტორიული დემეტრე მეორის განცდილსა და ნაფიქრს, ილია შიგ თავის შეგრძნებებსაც რომ გამოახვევდა:

შენ-წინ მოთქმა რას მიქვიან?
რას მიქვიან შენანება?
ჩემი განმკითხველი არი
ნამუსი და ჩემი ნება.

და მეფის სიკვდილისწინა წუთები იმ ფსიქოლოგიური სიზუსტითა და სიღრმით უნდა წარმოესახა, გუმანით ისედაც რომ გრძნობდა და იესო მაცხოვრის ჯვარცმის სცენა საბოლოოდ დაარწმუნებდა ამ განცდის უეჭველობაში, ამქვეყნიური მისიის შეგნებით განმსჭვალული და ანთებული ძე ღვთისა აღსასრულის წინ მამაღმერთს რომ შეევედრებოდა: ამაცილე სასუმელი ესეო!.. და რაისათვის დამიტევებ მეო!.. თვით მისთვისაც — იესო ქრისტესთვისაც — არ აღმოჩნდებოდა იოლი სულის გაყრა სხეულთან...

და ჯალათის შემხედვარე მეფე დემეტრესაც უფლისათვის უნდა მიეპყრო ნაღვლით სავსე მზერა, მერე თვალი იმავე ნაღველით მოედნისათვის შემოეტარებინა, ის ყოფა და ის ჯალათი სანახავად შეზარვოდა და... შემკრთალიყო, უმისოდაც ქანცგაწყვეტილი, სისუსტე მორეოდა და წაბარბაცებულიყო...

მაგრამ თავისათვის უნდა ეშველა, არ დაეთმო ხორცისათვის სული...

თუმც ტირილი რომ შემოესმოდა, ქვითინი გამწარებული, და დაენახა თავისი დიდებულნი, რომელნიც თან ახლდნენ ურდოში, უნდა მოჰგონებოდა ყველაფერი: სახლი, კარგი, თვისი, ტომი, ქვეყანა და თავის ერი...

ჰა, თითქოს გატყდებოდა რკინის გული, მეფე ამით დაიძლეოდა და თითქოს ხორცი სულსა სძლევდა!.. მობრუნდებოდა და ორივ თვალზედ კვნესით ხელს მიიფარებდა.

მამაო ჩემო, რაისთვის დამიტევებ მეო! – გაუძნელდებოდა ჯვარზე მილურსმულსაც.

არ წაიხდენდა სახელს იესო.

არც მეფე დემეტრე წაიხდენდა სახელს, იესოს მოწამებრივი აღსასრული რომ უნდა გაემეორებინა; ჰა ჯალათოო! – უნდა დაეძახა და კისერიც გაეწვდინა...

– ნეტა მე როგორ მოვიქცეოდიო? – გაიფიქრებდა ილია იმგვარი ფიქრით, თითქოსდა გაოცებას რომ გამოთქვამდა მსოფლიო ნოველის – „სარჩობელაზედ“ – ფინალურ ფრაზაში: ნეტა ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოსო?!. – ვითომდა ღია დასასრულს რომ სთავაზობდა მკითხველს გადასაწყვეტად, არადა უფრო კანთიელად სათქმელს დაბეჯითებული მტკიცებაც ვერ გამოხატავდა, ვიდრე ეს პარადოქსული შეკითხვა წვდებოდა მკითხველის გულისგულს.

მართლადა ილია ჭავჭავაძე ნეტა როგორ მოიქცეოდა?!.

თავის უდაბნოს მიუყვებოდა.

თავისი გოლგოთაც ელოდებოდა, ჯერ ისე მკაფიოდ რომ არა ჩანდა და გუმანი თუ გაუჭვრეტდა, ვიდრე 90-იანი წლებიდან უფრო თვალნათლივ, უფრო ხელშესახებად გამოიკვეთებოდა და ყოფით სურათებს სულაც მოლანდებად გადააქცევდა.

პავლე ინგოროყვა არამარტო ფარულ ძაფებს დაინახავდა ამ პოემასა და ლუარსაბ მეორის მოსახსენებელს შორის, არამედ დაბეჯითებით განაცხადებდა:

„ლუარსაბ წამებული“ წარმოადგენს ერთგვარ „პენდანტს“ (ტოლფასს) „მეფე დიმიტრი თავდადებულისაო“.

მოვალედ მიიჩნევდა თავს ილია, ლუარსაბ წამებულის მოსახსენებელი დღისათვის – 21 ივნისისათვის – შეედგინა ესეი, რომელიც ამ ეთიკურ-ზნეობრივი მრწამსის ირგვლივ ამოეხვეოდა:

მხოლოდ დიდბუნებიან კაცთა თვისება რომ გახლდათ ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაეხადათ თვისი სიცოცხლის საგნად და მის ქვეშ დაეგოთ თავიანთი სიცოცხლე და, თუ საჭიროება მოითხოვდა, შეეწირათ თავიც ნიშნად იმისა, ჭეშმარიტება მეტად გვიღირს, ვიდრე ჩვენივე თავი და ჩვენივე სიცოცხლეო.

ამიტომაც უნდა გაეხსენებინა ამ დღეს საქართველოს ერთი გმირთაგანი, იგი გმირი, რომელსაც ეთქვა: რა მადლია თავი გადავირჩინო და ჩემი ქვეყანა მტერს ავაოხრებინოო, – წასულიყო და წამებულის გვირგვინით შეემოსა სახელოვანი თავი ქვეყნისა და ქრისტეს სახელით.

და დღეს რაღა დარჩენოდა მადლიერ შთამომავლობას გარდა იმისა, რომ ბესარიონ კათოლიკოსთან ერთად ქება-დიდებით წარმოეთქვათ:

ყოფადთა მცნობი, ბრძენი და ახოვანი მეფე ლუარსაბ დღეს იდიდებოდენო.

ლუარსაბის გახსენება ვერ აცდებოდა გამოხმობას გიორგი სააკაძის სახებისა, რომლის მოქმედებაც და ქცევაც აუხსნელი რჩებოდა ჩვენს ისტორიკოსთაგან, და კაცი, რომელიც უხვად შემკულიყო ყოვლისა სამამაცო და საგმირო ღირსებით, დღესაქამომდე არც ავად დაფასებულიყო ჩვენგან და არც კარგად.

და მოითხოვდა ისტორიკოსთაგან მიზანმიმართულ და ენერგიულ კვლევა-ძიებას ილია, ღრმასა და გულდადებულს, და პირუთვნელ განკითხვას, რათა მისი ავკარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარნი მოქმედებანი, მისი ავად და კარგად ასახსნელი დიდნი საქმენი შესაფერისად გააზრებულიყო და შეფასებულიყო.

გულდაჯერებით მხოლოდ იმის აღიარება თუ შეიძლებოდა, რომ:

დიდი მოურავის მოუსვენარი და მღელვარებისაგან დაუცხრომელი ცხოვრება ერთი დიდი ტრაგედია გახლდათ, განსაკვირველი და გასაოცებელი.

ლუარსაბის დროსვე არსებობდა ერთი სხვა გამოჩენილი კაციც, ნუგზარ არაგვის-ერისთავი, სიმამრი სააკაძისა, რომლის სახელიც სახსოვრად ჩარჩენოდა ერს ამ საგულისხმიერო ლექსით: ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო.

საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ:

დიდ მოურავ სააკაძეს, როგორც ერთ უპირველეს კაცს იმ დროში, დიდი გავლენა და ზემოქმედება ჰქონოდა მეფე ლუარსაბის სვე-ბედზედაც და თვით მთელ საქართველოზედაც.

დას სააკაძისა ცოლად რომ შეირთავდა ლუარსაბ მეორე, დიდ მოურავს გაუმრავლდებოდა მტერი და კიდეც გადაჰკიდებდნენ სიძესა და მოყვარეს: მეფესა და ქართლის მოურავს, და გიორგი სააკაძე იძულებული რომ შეიქნებოდა შეჰკედლებოდა შაჰ-აბასს, „ქართლის ცხოვრება“ ბრალს დასდებდა მოურავს, რომ იგი:

– აზრახებდა ყეენსა დაპყრობად ქართლისადა.

როდესაც შაჰ-აბასი შემოუთვლიდა ქართლის მეფეს, ჩამოსულიყო მასთან მაზანდარანში, და ლუარსაბიც გაემზადებოდა წასასვლელად – დემეტრე მეორისა არ იყოს – მასაც ბევრს ურჩევდნენ წარჩინებულნი და დიდებულნი: ნუ მიენდობი ყაენსო, – მაგრამ მეფე უკეთეს გზას ვერ დაინახავდა, გარდა ამ იძულებული და ტრაგიკული გადაწყვეტილებისა, ზნეობრივ პიროვნებას არჩევანს რომ აღარ უტოვებდა:

– უკეთუ არა წავიდე, ამიყრის ქვეყანასა და მოაოხრებს, რა მადლი არს ჩემდა.

და მაზანდარანში ჩასულს რომ გამოუცხადებდნენ: ქრისტეს რჯული უარჰყავი და გამაჰმადიანდიო, – ლუარსაბი ამ შეთავაზებას შორს დაიჭერდა. შვიდ წელიწადს ციხეში იქნებოდა გამოკეტილი, მაგრამ ვერაფრისდიდებით ვერ აიძულებდნენ ქრისტიანობის დაგმობას სიცოცხლის შენარჩუნებისა და სამეფო ტახტის დაბრუნების ფასადაც კი.

და ილია სავსებით გაიზიარებდა „ქართლის ცხოვრების“ იმ პასაჟს და გადმოიტანდა კიდეც თავის ესეიში, მეფე ლუარსაბ მეორე რომ:

– ესრეთ მტკიცედ და შეურყევლად ჰდგა და ბრწყინვალე პირი მისი – ვითარცა ოქრო გამოდნობილი ბრძმედსა შინა, და განკვირვებულ იყვნენ სიმხნისა და ახოვნებისა მისისათვის.

სიკვდილის წინ ითხოვდა ლოცვის ნებართვას და შეევედრებოდა ღვთისმშობელს:

– შენ მომეც შეწევნა წამებისა ჩემისა ამის, და შემრთე წმიდათა მოწამეთა შენთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა, ძესა და წმიდასა სულსა.

დეტალურად მოთხრობილ მეფის ბიოგრაფიაში ილია არ ახსენებს, ლუარსაბის სიკვდილით დასჯაში... გიორგი სააკაძე რომ არის გარეული, პირადად მისი დასმენის გამო: ქართველები აპირებენ მეფის გატაცებას ტყვეობიდან, ამის შემდგომ კი ქართლის დამორჩილება ძალიან გაგიძნელდება, თუკი საერთოდ შეძლებო, – რომ გაიმეტებდა შაჰ-აბასი აღსასრულისათვის, თორემ თავიდანვე მისი მოკვლა რომ განეზრახა, შვიდ წელიწადს რატომლა ეყოლებოდა გამოკეტილი?!.

ილიას ჯერ იმის დაჯერებაც უძნელდებოდა, შაჰ-აბასს ქართლის დასაპყრობად რომ აზრახებდა დიდი მოურავი, და... ახლა მთლად წმინდა მოწამის სისხლში გარევაც?!.

მოეჭიდებოდა იმ გარემოებას, რომ: ყველა საისტორიო წყარო სულაც არ ირწმუნებოდა გიორგი სააკაძის ამ მძიმე ბრალეულობას, და მიანდობდა ისტორიკოსებს მისი ავკარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრების პირუთვნელად გამორკვევას.

თვითონ ყველაფრისათვის სად მოეცალა, თორემ ილიაზე უკეთესად ვინ გამოიძიებდა დიდი მოურავის ფარულ ხლართებს, უკეთესად ვინ გამოხსნიდა და წარმოაჩენდა – დეტექტივის უნარიც რომ მომადლებოდა და ეს ტრაგიკული ბიოგრაფია სწორედ მისი საასპარეზო იქნებოდა: გნებავთ — როგორც მკვლევარის, გნებავთ — როგორც დეტექტივის, გნებავთ — როგორც მწერლისა!..

დაუწერელი დარჩებოდა ეს ვრცელი ნარკვევი ანდა რომანი... თუმც რამდენი მღელვარე თემა აცდებოდა ილიას კალამს, ძლევამოსილი ქვეყნის შვილობა ამ მხრივ ისე რომ გააშლეინებდა ფრთებს, არავის რომ არ დაუდებდა ტოლს, უოლტერ სკოტი იქნებოდა თუ ონორე დე ბალზაკი. დიდი მოურავის ავკარგიან საქმეთა წარმოსახვისას სკოტივით ბელეტრისტიც რომ იქნებოდა და მკვლევარიც, უაღრეს წვრილმანებამდე რომ ჩაჰყვებოდა ეპოქის აღდგენას... და კიდეც შემოეხარჯებოდა ხელში გიორგი სააკაძე, რაკიღა ძალიან დაზარალდებოდა დიდი მოურავი ლუარსაბ მეორის ფონზე, კონსტანტინე გამსახურდიამდე ილიას მხატვრული ქმნილება რომ წარმოაჩენდა, თუ ვინ იყვნენ ნამდვილი გმირები იმ ტრაგიკული ჟამისა: თეიმურაზ პირველი და ლუარსაბ მეორე და არა კონდოტიერი სააკაძე.

ლუარსაბ წამებულის მოსახსენებელი დღისათვის რომ შექმნიდა ესეის, დავით აღმაშენებლის მოსახსენებელი დღე როგორღა გამორჩებოდა – 26 იანვარი, იმ ქრესტომათიული მსჯელობით რომ გახსნოდა:

ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებსო.

როგორც კაცად არ იხსენიებოდა ის მაწანწალა ბოგანო, ვისაც აღარ ახსოვდა – ვინ იყო, საიდან მოდიოდა და სად მიდიოდა, ისედაც ერად სახსენებელი არ გახლდათ იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომოდა და თავისი ისტორია აღარ ახსოვდა.

როგორ შეიძლება განსაზღვრულიყო ისტორიის რაობა და მისი დანიშნულება?

როგორც მთხრობელისა და გადმომშლელის იმ აუცილებლად საცოდნელისა:

რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიყვნეთ კვლავადაცო.

ისტორია თავის გულისფიცარზედ იჭდევდა მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევით, როგორც სარკე, გვაჩვენებდა იმ ღონესა და საგზალს, რომელიც მომადლებოდა ამათუიმ ერს დღეგრძელობისა და გაძლიერებისათვის.

– უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომხატველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა.

დავით აღმაშენებლის აჩრდილსა და ღვაწლს გაჰყურებდა, მის მონუმენტურ სახებას გაიაზრებდა და შესაფერისადაც აფასებდა, როგორც შემქმნელს ისტორიისა, და უნებლიეთ ამჯერადაც თავის თავსაც ამოაკერებდა ზოგად განსჯაში, გარდამტეხი და გადამწყვეტი როლი რომ უნდა შეესრულებინა საქართველოს ისტორიაში – დავით აღმაშენებლის ღვაწლისოდენა: ლამის არაფრიდან ამოეზიდა ქვეყანა, დაკარგული ვინაობა აღედგინა და შთაეგონებინა კვლავაც ჩადგომა საკაცობრიო ცხოვრებაში — თანასწორად სხვა ერთა შორის.

ამისთანა მოქმედნი კი მართლაც დაუვიწყარნი უნდა ყოფილიყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა სურდა და დედამიწის ზურგიდან მტვერსავით ასაგველად არ გადაედო თავი.

დავიწყება მათი – საკუთარი ვინაობის დავიწყებას ედარებოდა, და თუ კაცს საკუთარი ვინაობა არ ახსოვდა, რიღას მაქნისი შეიძლება ყოფილიყო?..

რა საწყაო მოგვეძევებოდა ერის სიკეთის, ძალ-ღონისა და შემძლებლობის აწყვისათვის?

რა საწყაო და:

რამდენადაც დიდბუნებოვანნი გახლდნენ მისთანა შემოქმედნი, რამდენადაც ეს დიდბუნებოვნება ხშირად მეორდებოდა რომელიმე ერის ისტორიაში.

და იმედითა და მხნეობითაც ეს აღავსებდა შთამომავლობას:

თუ გუშინ იყვნენ ჩემი სისხლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანი კაცნი, რა მიზეზი უნდა ყოფილიყო, რომ ხვალაც არ გამოჩნდებოდნენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებდით.

და კიდევ ერთი ქრესტომათიული პასაჟი:

– ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს.

და ამიტომაც ზოგს წმინდანების გვირგვინით მოსავდა და ლოცულობდა მათზე, ზოგსაც დიდებუნებოვნების შარავანდით, და ეთაყვანებოდა სასოებითა და მადლობით.

და მათი ხსოვნის, მათი დაუვიწყარობის საჭიროებაზედ რომ ჩამოაგდებდა სიტყვას ილია, სენეკას შეგონებას მოიხმობდა: ოჰ რა ბედნიერია იგი, ვინც არამცთუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის, არამედ მარტო თავისი სახელის ხსენებითაცო.

ამისთანა ბედნიერი გახლდათ დავით აღმაშენებელი ქართველი ერისათვის.

ამ დიდებულ მეფეს ერთად მოეყარა თავი ქართველობისათვის, აოხრებული ქვეყანა აეშენებინა, მტერი დაეფრთხო და გაეფანტა, და თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვიმყოფებოდით – ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახური უფრო ყოფილიყო.

გამოარჩევდა ერთ არსებით თვისებასა თუ ნიშანს მისი დიდებუნებოვანი კაცობისა: იგი, თავგადადებული მოყვარე თავისი ეროვნებისა და მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი გახლდათ სხვისი ეროვნებისაც და სარწმუნოებისაც. და ეს მაშინაც, როდესაც ყოვლადშემძლებელი მბრძანებელი შეიქნებოდა სხვადასხვა თესლისა და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ზოგავდა.

და მართლაც: ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვისი ეროვნებისა, სხვისი სარწმუნოებისა ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ იყო მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან?!.

მეტიღა დიდებუნებოვნება მოეთხოვებოდა განა XII საუკუნის კაცს მაშინ, როცა XIX საუკუნის დასასრულს საკვირველად მიიჩნევდნენ უილიამ გლადსტონს, ირლანდიის ეროვნებასა და სარწმუნოებას რომ ესარჩლებოდა იმავე კაცთმოყვარეობით, რა კაცთმოყვარეობითაც დავით აღმაშენებელი სხვა ერს პატივს სცემდა!

ამჯობინებდა ილია, ქართველ მემატიანეთა ნაცვლად დაემოწმებინა სხვა ერის მემატიანენი, აღტაცებით რომ მოიხსენიებდნენ დავით აღმაშენებელს, როგორც პატივისმცემელსა და შემწყნარებელს სხვა ერისა და სხვა რჯულისა.

მათე ედესელი იქნებოდა და:

დავითს მოიხსენიებდა წმინდად, კეთილმსახურად, სავსეს ქველმოქმედებითა და მართლმსაჯულს. მის გარშემო რომ იკრიბებოდა დანარჩენი სომეხთა ნათესავი, რომელთათვისაც დააფუძნებდა ქალაქ გორს, სადაც მრავალ ეკლესია-მონასტერს ააშენებდა. და მიაგებდა მათ ნათესავს ყოველგვარ ნუგეშისცემასა და შვებას.

ვარდან დიდი იქნებოდა და:

დავითი ხშირად რომ იდრეკდა თავს სომეხთა ხელქვეშ და ითხოვდა მათ ლოცვა-კურთხევას.

და არამარტო სომხებს ექცეოდა ასე, რაც უნდა იყოს ქრისტიანები რომ გახლდნენ, მისი დიდებუნებოვანი კაცთმოყვარეობა მაჰმადიანებსაც მოე-

ფინებოდათ, დავით მეფესა და მის სარწმუნოებას რომელნიც ერჩოდნენ აღმოსაფხვრელად.

ალ-აინი იქნებოდა და:

დავითი თავის ვაჟთან, დიმიტრისთან, ერთად ყოველდღე რომ დადიოდა უმთავრეს მეჩეთში, ისმენდა სამეფო ლოცვასა და თვით ყურანის კითხვას. უხვად რომ აძლევდა ფულს ქათიბებსა და მუეძინებს. უცხო ტომთათვის ქარვასლებს რომ ააშენებდა და პოეტებს ულუფას დაუნიშნავდა, ტფილისიდან წამსვლელთ კი ხელს უმართავდა სამგზავრო თანხით. საერთო შთაბეჭდილება ისეთი შეიქნებოდა, რომ: დავითი უფრო მეტ პატივსაც მიაგებდა მუსულმანთ, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი.

არც ამჯერად გამორჩებოდა ილიას მითითება, თუ საიდან იმოწმებდა ამ ციტატებს: დიმიტრი ბაქრაძის შენიშვნებიდანო, – ისტორიკოსისა, დაუღალავ მოღვაწედ რომ მოიხსენიებდა და განსაკუთრებული სიხარულითაც შეეგებებოდა იმის გადაწყვეტილებას: აღედგინა და გაეხსენებინა დავიწყებული ისტორია.

„ივერიაში“ დაბეჭდილი პროგრამა მასაც და ყველა მკითხველსაც ამცნობდა, თუ რა სანატრელი სიდიდით შემოეფარგლა თავისი საგანი დიმიტრი ბაქრაძეს ისე, რომ თუ პროგრამა შესრულდებოდა, ქართველობას ხელთ ექნებოდა დიდი და ვრცელი სურათი, და ვისაც კი გაეგებოდა რამ, სიხარულით აღტაცებულნი მოუთმენლად მოელოდნენ იმ დღეს, როცა დაიბეჭდებოდა ეს ისტორია, ვითარცა დიდ დღესასწაულს.

ხოლო მოსახსენებელი იმის აღნიშვნით გრძელდებოდა, რომ:

ყოველივე ეს დიდსულოვნება და სულგრძელობა დავითისა მაშინ ხდებოდა, როცა ძლევამოსილი სრულად გაბატონდებოდა თავის ქვეყანაში, და მაშასადამე ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო მისი დიდბუნებოვანი გულისა და გონებისათვის უნდა მიგვეწერა და სხვა არაფრისათვის.

ამ ფონზე სნეულთა, უღონოთა და საპყართათვის აშენებული სამკურნალო ლამის აღარც აღნიშნულიყო, და ამასთან ის გარემოებაც, თვითონ დავითიც ხშირად რომ დადიოდა იმ უბედურთა სანახავად და მოსაკითხად.

ეს დიდებული მეფე კაცურ-კაცის სახეს რომ მოგვივლენდა თვალწინ და თავმოსაწონებელ საბუთსაც გვაძლევდა, დაე შეგვესმინა, რომ: ამისთანა კაცის ხსენება გამაცოცხლებელი გახლდათ ერისა და დავიწყება კი – მომაკვდინებელი ცოდვა.

რას ირწმუნებოდა ხალხური სიბრძნე?

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს: ერთი აქ დასარჩენი და მეორე – წასაყოლიო.

და ილიას რწმენით:

ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეესრულებინა, როგორც დავით მეფეს.

აქ აღმაშენებლის სახელი დარჩებოდა, ვითა ხელმწიფეს, და იქ, როგორც დიდბუნებოვანი კაცი – წაიყოლებდა სახელს წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილს.

საგულისხმოა და დამაფიქვრელი ეს მოსახსენებელი იმ მხრივ, დავით აღმაშენებლის სასახელო ბრძოლებზე რომ არას ამბობს, თვით დიდგორის ძლევასა საკვირველზე, და დავით აღმაშენებელს უპირველესად წარმოაჩენს ზნეობრივი თვალთახედვით, ვითა დიდბუნებოვანს, აგერ მაჰმადიანთაც როგორი კეთილშობილებით ეპყრობოდა, მიუხედავად ბრძოლის ველზე შეუპოვარი დაპირისპირებისა.

ამ გარემოებას მიაქცევდა საერთოდ განსაკუთრებულ ყურადღებას მატიანეთა ფურცლებზეც – სულგრძელობის, დიდსულოვნების მაგალითებს, და ამიტომაც აქცევდა მომხიბლავ ნოველად ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის ისტორიულ ამბავს, გაელვებით ჩართულს გარდასული ჟამის ქრონიკებში, სახელდობრ: ვახუშტი ბატონიშვილის საისტორიო ქმნილებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

საახალწლო თხზულებად ჩაიფიქრებდა, ბავშვობის მოგონებებსაც რომ გამოახვევდა მის კომპოზიციურ ქარგაში – ვრცელ ექსპოზიციად დაურთავდა ძირითად სიუჟეტს, თუმც ვრცელი ამ პანია მოთხრობისათვის ითქმის,თორემ თუკი გააგრძელებდა ამ ყაიდის თხრობას და საყმაწვილო საისტორიო მოთხრობების ციკლს შექმნიდა, სიყმაწვილის მოგონება, საახალწლო სამზადისის სურათები ამ ფონზე უკვე ერთბაშად შემცირებოდა, შეიკუმშებოდა და სწორედაც შესაფერისი იქნებოდა.

არსაიდან რომ არ დასტურდებოდა დოკუმენტურად, ილიას ასეთი ციკლის შექმნა უზურში თუ ექნებოდა?

კარგი კი იქნებოდა ამ ყაიდის ცნობა, მაგრამ უიმისოდაც იოლად გავალთ სწორედ ამ საახალწლო მოთხრობის აღნაგობაზე დაკვირვებით – კომპოზიციის იშვიათი შეგრძნება უფლებას არ მისცემდა ილიას, მთავარ სიუჟეტზე მოზრდილი შესავალი დაერთო, როგორც უნდა გადავარდნილიყო ბავშვობის სურათებში.

ციკლის განზრახვას კი დაშვენდებოდა და თანაც რარიგად – სწორედაც ამგვარი ექსპოზიცია.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო არ არსებობდა, საყმაწვილო ისტორიის შედგენას ყოველნაირად უშლიდა ხელს იმპერიული პოლიტიკა და მხოლოდ ასე თუ იქნებოდა შესაძლებელი ბავშვების გათვითცნობიერება: ლექსებით, პოემებითა და საბავშვო ისტორიული მოთხრობებით.

აკი ასეთ ციკლს წამოიწყებდა იაკობ გოგებაშვილი.

აკი ასეთ ციკლს წამოიწყებდა აკაკი წერეთელი.

და ილიას საახალწლო მოთხრობის მიღმა ამგვარი ციკლის ჩანასახი თუ დასაწყისი რომ დავინახოთ, დიდი რამ განჭვრეტა და ვარაუდი არც უნდა ესაჭიროებოდეს.

ამბის თხრობას მამას მიაწერდა, თუმც ავტობიოგრაფიაში აღნიშნავდა, რომ ეს ისტორიული ეპიზოდი ხსოვნაში ჩარჩენოდა იმ ოსტატ-მთავარისაგან, რომელთანაც სწავლობდა ბავშვობისას სოფლის სკოლაში, იმ ოსტატ-მთავართან, პროტოტიპად რომ გამოიყვანდა „გლახის ნაამბობის“

პერსონაჟი მღვდლისა, და რომელსაც მომხიბლავი თხრობა სჩვეოდა გარდასული ხანის ამბებისა.

დიმიტრი თავდადებულის ამბავსაც პირველად განა ის არ მოუთხრობდა?!.

სხვა უამრავთაგან მაინც ამ ორს გამოარჩევდა: დიმიტრი თავდადებულსა და ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილს – შესაფერისი მოცალეობა რომ ჰქონოდა, უთუოდ კიდევ არაერთსაც – და ოსტატ-მთავარის შთაგონებულ ისტორიულ ეპიზოდთაგან ერთი პოემის გარსში მოექცეოდა და მეორე – ნოველისა, ხელშესახებად რომ უნდა ნამოტივტივებულიყო მის დასაწყისში ის გულისფანცქალიც, რომლითაც ილია და მისი და-ძმანი მოელოდნენ ახალწლის დადგომას – იმ დღეს მათთვის აღარც კაკანათი არსებობდა, აღარც თოვლის გუნდა, აღარც თოვლში ხტომა და სირბილი, თვალი და გული ხვალისაკენ რომ მიურბოდათ, ხვალე ახსოვდათ და ხვალეს ნატრობდნენ. გარეთ ანკი რა დარჩენოდათ, როდესაც შინ იმდენი ხილეული და ტკბილეულობა ეგულებოდათ.

მას აქეთ ბევრი წყალი რომ ჩაივლიდა და ბევრ კარგს წაართმევდა და თან წაიყოლებდა – დაეხოცებოდა დედ-მამა, მოუკვდებოდა ორი ძმა და გარდაეცვლებოდა ერთი დაც. და როცა ახალი წელიწადი მოდიოდა, სურდა თუ არა, ცრემლიანი თვალით უკან მიახედებდა ხოლმე და შეჰყურებდა თავს იმ პატარა სოფელში, ფუნჩულა და-ძმებს შორის – როგორ დაჰხაროდა შვილებს დედ-მამა და ესენიც როგორ შეჰხაროდნენ ბავშვური სიხარულით მშობლებს.

ახლა ეს ყოველივე ტკბილ სიზმრადღა ქცეულიყო, რადგანაც იმ პატარა სოფელში, სადაც ამხელა სახსოვარი აეგო ილიას გულს, ხუთ სამარეში ემარხა ყოველივე ის, რისთვისაც გული ეწვოდა და ედაგებოდა, და ოჯახის წევრებთან ერთად იქ ემარხა ავტორის ყმაწვილობაც ანუ ის ბედნიერება, რომელიც გამქრალიყო და აღარასოდეს მოუბრუნდებოდა.

თუმც ამბისათვის თითქოს აუცილებლობას არ წარმოადგენდა დაზუსტება, თუ როდის მომხდარიყო ის ისტორიული ეპიზოდი, მაგრამ ილია ხელიდან არ გაუშვებდა საშუალებას, მოეხსენიებინა ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტე. ეპიზოდი კი თავიდანვე ცოტა არ იყოს უცნაურად უნდა დაწყებულიყო, როდესაც ყიზილბაშებთან ფიცხელი ბრძოლისას ერთი იმათგანი გამოქუსლავდა ცხენს და გამოვარდებოდა მოედანზე რაზმიდან, და ისე გაუქროლ-გამოუქროლებდა წინ ქართველებს, თითქოს ჯირითში ყოფილიყოს და არა ომში.

თითქოს რაინდულ ეპოქას უნდა გამოეშუქებინა – ყიზილბაში ორთაბრძოლაში იწვევდა ქართველ მეომრებს, რომელნიც სათითაოდ გამოვიდოდნენ ერთბაშად რაინდულ ასპარეზად გარდაქმნილ მოედანზე და... და ასე ერთმანეთის მიყოლებით ემსხვერპლებოდნენ მტერს, რომელიც ლაღად ათამაშებდა ცხენს ამდენი ქართველის წინ, რომელთაგანაც არცერთს არ მოუვიდოდა აზრად, ეკრა თოფი და ჩამოეგო.

თუ რაინდული შერკინება გახლდათ, მაშ ბოლომდეც რაინდული შერკინება უნდა ყოფილიყო.

და აი გასაჭირში ჩავარდნილთ უნდა გამოეხმოთ შუაგული ბრძოლიდან ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი, ძალზე განთქმული და სახელოვანი ვაჟკაცი, მაგრამ უკვე სიბერემორეული, უწინდებურად აღარც მკლავი რომ აღარ ერჩოდა და აღარც მუხლი.

და აი შეტაკებისას მარჯვედ რომ აუკრავდა ხელს შუბზე ყიზილბაშს, ცხენდაცხენ ეცემოდა, წაწვდებოდა, ერთ-ორს ღონივრად შეჰლერტყავდა და ცხენიდან ძირს დასცემდა ისე, რომ იმას ფეხზე წამოდგომა გაუძნელდებოდა.

მის მოკვლას წინ რაღა დაუდგებოდა, არა? და შურიც ნაძიები იქნებოდა... მაგრამ არსებობს შურისგებაზეც, მტრის გამეტებაზეც გაცილებით უფრო მაღალი გრძნობა, უფრო აღმტაციც და დამათრობელიც, რომელიც აღანთებდა გამარჯვებულ ნიკოლოზს, ფეხზე წამოაყენებდა ყიზილბაშს და ათქმევინებდა:

– ნუ გეშინიან, მე თავს არ მოგჭრი. შენი თავი შენი ვაჟკაცობისათვის მიპატიებია. ცოდვაა შენი გაფუჭება. წადი და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცეს.

და რაინდულ სულგრძელობას რაინდულივე პასუხი უნდა შეგებებოდა:

– მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგან, – და ყიზილბაში პატივისცემითა და მადლიერებით გამოეთხოვებოდა.

ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ცხოვრებაში“ ძუნწად შემონახული ეპიზოდი ჯერ ოსტატ-მთავრის ხელში გადაიქცეოდა მომხიბლავ ამბად, მერე აგერ მოთხრობისმიერ სიცოცხლესაც რომ შეიძენდა და შთამბეჭდავ ზნეობრივ მაგალითადაც განზოგადდებოდა.

ესეიში „პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილი“ თამაზ ნატროშვილი საგანგებოდ რომ დაიმოწმებდა ივანე ჯავახიშვილის სიტყვებს XVII საუკუნის საქართველოს ბედისწერაზე მსჯელობისას:

– როგორ შეიძლება, რომ ხარობდეს პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილი იქ, სადაც ირგვლივ მტრისაგან აოხრებული ქვეყანა იყო და ომისა და სიკვდილის შემზარავი აჩრდილი დაძრწოდა. სწორედ რომ გასაოცარი და სათაყვანებელია ის მამაცური გულგაუტეხლობა და სიცოცხლისა და მშვენიერების დაუშრეტელი წყურვილი, რომელიც თეიმურაზ მეფეს და მის ქართველ თანამედროვეებს და მომდევნო თაობას ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებშიაც ეროვნული ხელოვნებისადმი უანგარო სამსახურის ხალისს არ უხშავდა.

თავის მხრივ მიადევნებდა, რომ:

პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილი ჯიუტად ხარობდა საქართველოს მტრების გულის გასახეთქად. და მხოლოდ ლექსებში კი არ ბინადრობდა, ცხოვრებაშიც ხშირად იელვებდა, რადგან როდესაც საყოველთაო განუკითხაობისა და ძალმომრეობის, სისხლისღვრისა და სიძულვილის აუტანელ პირობებში ადამიანი მაინც ამტკიცებდა თავის ადამიანობას, ესეც ხომ პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილი გახლდათ.

თვალსაჩინოებისათვის გახსენებულ მაგალითთა წყებას კი ილიას ამ ისტორიულ ნოველას ჩაუყენებდა სათავეში:

როდესაც ხუთი ქართველის დამჯაბნელ სპარსელს ქართველი რაინდი დაამარცხებს და სიცოცხლეს აჩუქებს მისი ვაჟკაცობის საზღაურადო.

როდესაც მაჰმადიან მეომარს ეუცხოება მძინარე ქართველების გაულეტაო.

როდესაც სპარსელი პოეტი, თვით მუჰამედის შთამომავლად მიჩნეული კაცი, ეკლესიის ზარების რეკვასა და იესო ქრისტეს დიდებას აღნიშნავს თავის ლექსშიო.

ანდა როდესაც იტალიელი პილიგრიმი აღტაცებით თხზავს ეპიტაფიას დიდი სპარსელი პოეტის საფლავთანო.

და ესეის ექსპრესიული და მომხიბლავი აკორდით შეჰკრავდა და დააგვირგვინებდა:

პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილი ჯიუტად ხარობდა უბრალო მოკვდავთა გულებშიც და ზოგჯერ მაინც ახერხებდა დღის სინათლეზე ამოსვლას. კლდე-ღრეში, ხევ-ხუვში, გახრწნილების ჭაობშიც კი აყვავდებოდა ხოლმე და აღვივებდა დაუსრულებელ ოცნებასა და დაუშრეტელ იმედს მერმისის მოახლოებაზეო.

ვინ იცის, კიდევ რამდენი მოგროვდებოდა ილიას ხელით შეკონილი პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილები, საყმაწვილო ისტორიულ ნოველათა თაიგული.

მაგრამ როდესაც გახსენდება, რა მკაცრი არჩევანის წინაშე დააყენებდა ბედისწერა?

ან მწერლის კარიერა და ან ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური აღორძინება.

და... ისიც უნდა შელეოდა და ჩვენც უნდა შევლეოდით სინანულითა და წუხილით იმ ისტორიულ ეპიზოდებს, მოთხრობისმიერი სიცოცხლე რომ არ ეღირსებოდათ.

თუნდ იმ ეპიზოდებს, გაშლით რომ ველარ მოიცლიდა გასაშლელად და ნაკვესებივით გამოაქვეყნებდა, ამითღა მოიკლავდა ჭიას ამ ეპიზოდების შემონახვისა, თორემ ეს ამბებიც – ერეკლე მეორისა თუ გიორგი მეთორმეტის ცხოვრებიდან – ისე მოხდენილად შეავსებდნენ ნაგულისხმევ ციკლს, უფრო ვრცლადაც აღბეჭდილნი, ვიდრე ვახუშტისეული უწყება გახლდათ ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის რაინდულ საქციელზე.

მეფე ერეკლე გარდაცვალებიდან ასი წლისთავის შესრულებას ორი სტატიით გამოეხმაურებოდა, არც გარომანტიკულება და გაიდეალება რომ არ მოაკლდებოდა არცერთში ამ გმირ და ტრაგიკულ მეფეს და არც პუბლიცისტური პათოსი და მწარე საყვედური მათ მიმართ, რომელნიც ღირსეულ პატივს არ მიაგებდნენ ღვაწლმოსილ გვირგვინოსანს.

11 იანვარს 1898 წლისა წირვასა და პანაშვიდს გადაიხდიდნენ მეფე ერეკლეს მოსახსენებლად ლოცვითა და კურთხევით და დიდძალი ხალხიც მიაწყდებოდა სიონის ტაძარს, ასე რომ, შიგ ეკლესიაში ტევა აღარ იქნებოდა. გარეთ მთელი სიონის ქუჩა ორპირად გადაიჭედებოდა ხალხით და პოლი-

ცია ძლივს შეამაგრებდათ, რადგანაც ყველა ადამიანი ტაძარში შესასვლელად მიიწევდა და იქ კი ადგილი აღარ მოიძებნებოდა.

ამ საუკუნოდ სახსენებელ დღეს მეფე ერეკლეს მიცვალებისას დაესწრებოდნენ მისი ბრწყინვალება მთავარმართებელი თავადი გოლიცინი, ტფილისის გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, გუბერნიის მარშლის მოადგილე, მარშლები, ჩვენი დიდკაცობა, ქალი თუ კაცი, ქართველთა დაწესებულებათა წევრნი და თითოროლა რუსთა მოხელეობის წარმომადგენელნი და მრავალნი სხვანიც.

და ეს პატივსაცემად იმ მეფისა, რომელიც:

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხმალამოღებული პატრონობდა და თავგამომეტებით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ინახავდა ყველა მილეთისა და თესლის კაცს, ვინც კი შემოკედლებულიყვნენ მის საფარველქვეშ.

იმასაც ღვაწლად მიუთვლიდა:

ზედ რომ შეაკლავდა ტფილისს თავის შვილებს, თავის ქართველებს, რათა ტფილელნი გადაერჩინა ძარცვა-გლეჯისა და ტყვეობისაგან, და თუმც უკანასკნელ ჟამს ვერ იხსნიდა ტფილისს წახდენისაგან, მაგრამ თავის უკეთეს ძალ-ღონეს ხომ შეალევდა, უკეთეს მამულიშვილებს ხომ შეაკლავდა და მტლად დაუდებდა.

და სხვა არა ყოფილიყო რა:

ერეკლე ხომ ბრწყინვალე მეფე გახლდათ საქართველოსი და ტფილისი – მისი სატახტო ქალაქი!..

რითი გადაუხდიდა ასეთ ღვაწლს ტფილისი მართლაცდა მისთვის ღვაწლმოსილ მეფეს, როცა ქართველობა მისდა საოხად და სახსენებლად წირვა-ლოცვას გამართავდა?

მით, რომ:

ტფილისის საბჭო და გამგეობა არც კი იკადრებდა წირვასა და პანაშვიდს დასწრებოდა.

და ილია სარკაზმს არ დაიშურებდა: თუ საბჭოს მთელი კრებულისა და გამგეობისათვის მეტისმეტი პატივი იქნებოდა, მათი გაკადნიერებული აღმატებულების ფიქრით, ერთი-ორი წევრი მაინც გამოეგზავნათო!.. თუ ამასაც არ იკადრებდნენ და არ დაიმდაბლებდნენ აღვირაშვებულ თავს, თვით ქალაქის მოურავის მოადგილეს რატომ არ დაენახა საჭიროდ, რომ ამისთანა დღეს პატივი ეცა ქართველებისათვის და მობრძანებულიყო ეკლესიაში? რას შეფრთხობოდა? ნუთუ თავის მომავლინებელთ? ასე მომხდარიყო სწორედაც: მოვლინებულს არ ეღალატა თავის მომავლინებელთათვის და მათი უმართებულობის წინაშე დაევიწყა მოვალეობა ქალაქის მოურავის თანამდებობისა!..

და კიდეც ილიასებური მოურიდებლობით მოითხოვდა პასუხს მათგან, რომელთაც ყურები გამოეჭედა ხალხისათვის ძმობისა და ერთობის ქადაგებითა და ღაღადით:

რას მოასწავებდა ასეთი უმართებულო საქციელი მთელი იმ წყობისა, რომელსაც ამჟამად ხელთ ეჭირა პატრონობა ტფილის-ქალაქისა?

ნუთუ ეს დღე იმისთანა დღე გახლდათ მათთვის, რომ ასე გამოიჭედავდნენ ყურებს ბამბით და სამარცხვინოდ თვალს დახუჭავდნენ: ვითომცდა არაფერიაო? ნუთუ ამის შემდეგაც გაბედავდნენ თქმას, რომ: აწინდელი „მამანი ქალაქისა“ მართლაც ქალაქის წარმომადგენელნი იყვნენ და მისი სურვილების გამომხატველნი და არა მხოლოდ ერთგვარი წყობისა, რომელსაც მეორე ნაწილთან, ქართველობასთან, არავითარი კავშირი და ერთობა არ გააჩნდა და არც სურდა, რომ ჰქონოდა?..

და შეჰყვებოდა და შეჰყვებოდა წინასწარმეტყველური მუნათით, რუსმოხელეთა უსაქციელობას განზოგადებით რომ განაზოგადებდა და ყოველ ფრაზას მოქნეული ხმლის ელვარებას მიანიჭებდა:

განა ასე ექცევიან ძმები ერთმანეთსო?

განა ერთი ძმის სადიდებელი მეორისათვის პატივსაცემელი მაინც არ უნდა იყოს, სადიდებელს ნუღა ვიტყვითო?

სიტყვით რომ ძმობას იძახით, საქმით რად ხართ ეგრე შორსო?

ძმობა განა ჭირისა და ლხინის გაზიარება არ არისო?

ესეც თქვენი მოწონებული და მრავალთათვის თვალებასაფარებელი „კლასობრივი ბრძოლაო“?

ნუთუ აქაც ეგ ბრძოლა, ეგ „ბორბა“ ლაპარაკობს და არა გულჩახვეული, უტყვი ავგულობა იმათ მიმართ, ვის ძმობასა და ერთობასაც ეგრე ებღაუჭებიან და ვის სადიდებელსა და ღირსსახსოვარ დღეს ეგრე უკადრისად, უმართებულოდ და უზრდელად ექცევიანო!..

და იესო ქრისტესავით მოუქცევდა:

ვისაცა გქონან ყურნი სმენად, ისმინეთო!..

ამ ფრაზას კიდევ უფრო გამჭვირვალე უნდა გაეხადა პოლიტიკური ქვეტექსტი, კიდევ უფრო უნდა გაემკვეთრებინა.

22 თებერვალს ასი წელი რომ შესრულდებოდა, რაც მეფე ერეკლე მიებარებოდა მიწას, წინა დღით ილია შეახსენებდა საზოგადოებას, რომ:

საფლავი ქვეყნის მოღვაწე ვაჟკაცისა წმინდა სალოცავი გახლდათ მამულისათვის, თუ ერი ერობდა და სამარისაკენ ფეხი არ გაეშვირა.

მაგრამ კმაროდა კი მარტო სიტყვით, მარტო ლოცვა-კურთხევით ხსენება? ეს ყოველივე ხომ წავიდოდა და გათავდებოდა, სხვა რა დაგვრჩებოდა, რომ მართლა საუკუნოდ სახსენებელი ყოფილიყო ჩვენთვის ამისთანა კაცი?

როგორ ამბობდა ჰაინრიხ ჰაინე?

თვითეული ადამიანის საფლავის ქვეშე დამარხულია მთელი ქვეყნიერების ისტორიაო.

და ბევრრიგად მართალი გახლდათ გრიგოლ ორბელიანი, მეფე ერეკლეზე რომ ეთქვა: დიდება საქართველოსი მასთან მარხიაო სამარესო.

ზეპირად დაიმოწმებდა და პოემისეულ „ივერიას“ „საქართველოთი“ ამიტომაც ჩაანაცვლებდა.

უფრო ზედმიწევნით დაეხატა დიდბუნებოვნება ერეკლე მეორისა თვით ქართველ ერს და ორ-სამ სიტყვაში გამოეხასკვა მთელი ღვაწლმოსილება

გვირგვინოსანი გმირისა, როცა იგრძნობდა, რომ მეფე ერეკლეს დაჰკარგავდა და: მამული ვეღარ იხილავდა ირაკლის ხმალსა მღელვარეს!..

ვერ გაიგითა, ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარიაო, – ასე ამოეკვნესა ერს, როცა დასტიროდა გვამს თავისი სახელოვანი მეფისას და ილიაც თავის მხრივ სავსებით იზიარებდა და ადასტურებდა ამ მეტაფორა-შეფასებას:

მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი. აი მისი ისტორიული ხატი ეს არის, და თუ არ დიდბუნებოვან კაცს, სხვას ვის შეუძლიან რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანასო?

წირვა და ლოცვა რომ გადაიხდებოდა მისი სულის საოხად, ამას უპირველეს მოვალეობად შერაცხავდა ილიაც, რაკიღა ჩვენი რჯული მოითხოვდა ამ წესის შესრულებას; მაგრამ ეს არ უნდა გვეკმარა – სჯობდა რაიმე სამადლო საქმე შეგვექმნა და სახელი ერეკლესი დაგვერქმია.

ბევრგვარი გაჭირვება არსებობდა გარშემო და ძნელდებოდა კაცს ერთი ისე ამოერჩია, მეორე არ დანანებოდა, მეორისათვის გული არა სტკენოდა. არადა სახსარი რომ ყველაფერს ვერა წვდებოდა?!.

აი გუშინ „ივერიის“ ფურცლებზე დაბეჭდილიყო: ტაძარი მცხეთისა შესაკეთებელია, წვიმა ჩამოდის და ლამის ეს ძველი ნაშთი ჩვენი დიდებისა დაირღვეს და ჩამოიქცესო.

განა გულგამგმირავი არ იყო ამის მოსმენა?

მაგრამ... რითი ეშველათ? რა გზა და სახსარი მოიპოვებოდა ამისათვის?

არადა როგორ გინდოდა, ყური მოგეყრუებინა?

მეტი გზა არა რჩებოდა და ილია მკითხველს შეაგონებდა: ბევრი გაჭირვებიდან ერთი იმისთანა უნდა ავირჩიოთ, რასაც ჩვენს ღონეს გავაწვდენთ, და სხვა ყოველი გაჭირვება გულისტკენითა და ნანვით ჯერხანად თავის სვე-ბედს მივაჩემოთო.

ივანე ჭავჭავაძეს ერთი კარგი სარჩიელი დაეყენებინა ჩვენი თავად-აზნაურობისათვის:

არწრუნისეული ქარვასლის შემოსავლიდან, რაც ხარჯს გადარჩებოდა, ყოველწლივ გადადებულიყო რამდენიმე ნაწილი და ამ გზით შეგროვებულიყო იმდენი ფული, რომ: მისი სარგებლით შემწეობა მისცემოდათ ღარიბ მოსწავლეებს უმაღლეს სასწავლებელში.

და ილია აღნიშნავდა:

აზრის მშვენიერებას, შესრულების სიადვილეს, დიდ სარგებლიანობასა და განსახორციელებლად დაუყოვნებლივ საჭიროებას.

თუ ამ საქმეს აღასრულებდა ჩვენი თავად-აზნაურობა, ჟამთაგაუთავებელი საუკუნოდ სახსენებელიც ეს იქნებოდა მეფე ერეკლესი, რადგანაც: თავნი ფულისა უსათუოდ ხელუხლებლად დაიდებოდა, მარტო სარგებელი წავიდოდა ღარიბ მოსწავლეთა შესაწევნად და ამ სახით წყარო განუწყვეტლივ ედინებოდა ჟამთა დათავებამდე.

აი ჭეშმარიტად მადლიანი საქმე და ღირსი მისი დიდი სახელისაო, – ამთავითვე ასე განსაზღვრავდა ილია ამ წამოწყების საზოგადოებრივ მნიშვნე-

ლობას, სწორედაც ერეკლეს სახელი რომ დაშვენდებოდა, ვისთვისაც საქართველოს შვილთა განათლება და სწავლა-ცოდნით შემოსვა დაუძინებელი სურვილი გახლდათ.

ეს ყოველივე ხატოვნადაც რომ არ გამოეთქვა, გულს დააკლდებოდა, და მკითხველს ამ სამზერიდანაც შეახედებდა, რომ:

ამისთანა საქმენი სათნოება მადლისა და დიდება სახელისა ხელიხელ ჩართულნი იქნებოდნენ დაძმურად. და როცა სათნოება და დიდება დაძმურად ერთად ვლიდნენ, ყველა სხვა დაძმობაზე უმაღლესად, უტკბილესად და უმშვენიერესად მოჩანდნენ და: ნეტარ იყო იგი, ვისი დიდებაც მხარს უმშვენებდა სათნოებას და სათნოება – დიდებას.

და ეს ნეტარება ნუთუ უნდა დაგვეშურებინა იმ კაცის სახელისათვის, ვინც 52 წელიწადს რკინის კარი გახლდათ საქართველოსი!..

დაე გაესიგრძეგანებინა მკითხველს, რომ:

ამისთანა სახსენებელი ანდერძს ემგვანებოდა, იმ ანდერძს, რომელიც საქმეს აღასრულებდა ჟამთა დაუთავებლად მეფე ერეკლეს სახელით. და ეს ხელთუქმნელი, მაგრამ დიდად საგრძნობელი სახსოვარი თავისთავად იღაღადებდა დღემუდამ, რომ სახელოვანი ერეკლე მისთანა კაცი ყოფილიყო, რომელსაც შთამომავლობისაგან სამართლიანად ეთქმოდა:

მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარიო.

სულ უფრო იჭრებოდა ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში დემოკრატიული და ახლა უკვე სოციალისტური იდეები, აგერ კლასობრივი ბრძოლის ლოზუნგსაც მოეკიდებინა ფეხი, ილია შეშფოთებული რომ შეჰყურებდა, როგორც ძირს დამცემსა და დამღუპველს ზნეობისა, და მის აღსაკვეთად არას დაერიდებოდა, თვით სიცოცხლის გაღებასაც კი!..

და ასეთ გამწვავებულ ვითარებაში დაისაჭიროებდა მეფის იდეალსაც და რომანტიკული სულის განმტკიცებასაც, ისტორიული ჟამისა და სურათების გახვევას რომანტიკულ, გაიდეალებულ საბურველში, რათა – გარდა პირდაპირი და უშუალო შეხლისა ეროვნულ ნიჰილიზმთან – ამ მხრივაც ეცადა ეროვნული ღირსებისა და მხნეობის ჩანერგვა თვისტომთათვის, მარქსისტული იდეები სახიფათოდ რომ ემუქრებოდა ჩვენს თვითმყოფადობას, თითქოსდა ამ ფარული, მარქსისტული წრეების შემქმნელთ გიორგი მუხრან-ბატონის ბროშურა წაუმძღვარებიათ მეგზურად და გზის გამკვალავადო.

არც კი იცოდნენ იმ ბროშურის არსებობა?

იმასვე კი იმეორებდნენ და...

ეგაა: ნაცვლად მონარქისტული რუსეთისა, დემოკრატიული რუსეთის სტომაქში ჩაძირვას ესწრაფოდნენ, თითქოს რაიმე განსხვავება ყოფილიყოს, მგელი გიმსხვერპლებდა თუ მგლისფერი ძაღლი.

რუსეთის მონარქიზმს არ აღიარებდა ილია საქართველოს უკეთესი მომავლის საწინდრად, თორემ უკვე ძალიანაც მოებღაუჭებოდა ქართული მონარქიზმის აღდგენის იდეასა და სწრაფვას, ცხადია იმ სახელმწიფოებრივ მოდელზე დაყრდნობით, ნაცვლად აბსოლუტიზმისა, პარლამენტი რომ უნდა ამოსდგომოდა გვერდით მეფეს ქვეყნის მართვისას.

ასე პირდაპირ მოერიდებოდა ამის გაცხადებას?

ნამდვილად არა ღირდა წინასწარვე დავა-კამათის გამოწვევა საზოგადოებაში, დაე ჯერ ტერიტორიული ავტონომია მოგვეპოვებინა, მერე უკვე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის გადაგვეღო თავი და... როდესაც მივაღწევდით და აღვიდგენდით სახელმწიფოებრივ სახესა და წყობას, მერე გაცილებით უკეთესი გარემო და პირობები შეიქნებოდა მართვა-გამგეობის მოდელის შესამუშავებლადაც და მის დასამკვიდრებლადაც.

არ დაიჩემებდა მაინცდამაინც მონარქიის გაწყვეტილი ხაზის გამრთელებას, თუკი საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობა ისეთი აღმოჩნდებოდა, ბაგრატიონთა ტახტის აღდგენა შეუძლებელი შეიქნებოდა. თავის მხრივ კი ეცდებოდა ასე თანდათანობით, ასე ნაბიჯ-ნაბიჯ გაელვივებინა სიყვარული ჩვენი მეფეებისადმი და „ქართლის ცხოვრებაზეც“ აღარ დაწყვეტოდა გული: ეს ოხერი ჩვენი ისტორია მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა და ერი კი არსადა ჩანსო.

მეფის თავგადასავალში გამოხვეულიყო ერის ბედისწერაც... და ვეღარც წარსულ დროებზე დარდს მოიკლავდი ეგრე ადვილად, თუმც ის სხვა ვარსკვლავიც არ უნდა დაგეკარგა თვალთაგან.

თუ ამ თვალსაწიერიდან შეხედავდი, „ქართლის ცხოვრებაში“ ხალხი სულაც არ გახლდათ ჩრდილში მიყენებული და ხალხის ისტორიის შესამეცნებლად ძალიან წაგვადგებოდა სწორედაც მეფეთა ისტორიის შემეცნება.

ასე ამჯობინებდა და კრიტიკული მოსაზრების გამოთქმას უკვე მოერიდებოდა ჩვენი საისტორიო ქრონიკების მიმართ, რათა სოციალ-დემოკრატიულად მოაზროვნე ადამიანებს ხელზე არ დაეხვიათ მისი მაინცდამაინც ეს შეხედულებანი... და თუ მაინც რაღაც აკლდა გულს და მეტი უნდოდა, „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელ თხზულებებს რომ ეცნობოდა, ეს უთუოდ ის ცნობები უნდა ყოფილიყო...

თუმც რაღაც ძალიან დავშორდით 70-იანი წლების დამდეგს, ილია ჯერაც დუშეთში რომ ღაფავს სულს და... ცის გახსნასავით უნდა მოვლენოდა ნიკო ნიკოლაძე, საზღვარგარეთიდან ახალი დაბრუნებული ქართული ჟურნალისტიკის გაცხოველებას რომ განიზრახავდა, ილიას ამბავს იკითხავდა და შეიტყობდა, პროვინციაში რომ იხრჩობოდა მომრიგებელ მოსამართლედ...

და მისი პირველი ნაბიჯი ის იქნებოდა, რომ შეაგროვებდა მაშინდელ ახალთაობის მომხრეთ და დააჯერებდათ:

– დუშეთში უნდა ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ.

ამ აზრითა და მიზნით 1871-73 წლებში ხუთჯერ მაინც ააკითხავდა დუშეთში, თან რომ იახლებდა ქართული მწერლობის აღორძინების მოტრფიალეთა „გროვას“:

ეს ლუარსაბ ანუ შაქრო მაღალაშვილიო, ეს სანდრო ერისთავი – „ამერიკელიო“, ეს გიორგი ყაზბეგიო, ეს ნიკო მესხიშვილიო, ეს სერგეი მესხიო, ეს გიორგი წერეთელიო, ეს აკაკიო (ჩამონათვალში მხოლოდ მას მოიხსენიებდა მარტოდენ სახელით), ეს ნიკო ღოღობერიძეო.

ბევრჯერ დაპატიჟებდნენ ტფილის-ქალაქისაკენ, ნიკოც რომ ემუდარებოდა თავგადაგდებული და სხვანიც გულმხურვალედ ასდევდნენ:

– მოდით მეთაურად გაგვიხდით, გვიწინამძღვრეთ, გვიმსახურეთ!..

და საამაყოდ დაურჩებოდა და თავმომწონედაც მოიგონებდა ნიკო ნიკოლაძე:

განახლებული, გაღვიძებული „დროება“ და სხივმოსილი „კრებული“ საქართველოს საქმეს ვუძღვენი და ილიას ხელში ჩავაბარეო.

რატომ გაჭიანურდებოდა და გაძნელდებოდა ასე ილიას დაყოლიება?

ვითომ მარტო ხელფასის გამო?

ამ გარემოებას ხომ მის თანამოაზრეთა და მიმდევართა ეს გუნდიც ითვალისწინებდა და ალალბედზე არ მოინდომებდნენ მის დაბრუნებას ტფილის-ქალაქში.

ცოტა არ იყოს ხელი ხომ არ ჩაუქნევია ილიას, სკეპსისი და სულაც დეპრესია ხომ არ შეჰპარვია, იმედოვნება ხომ არ დაცხრომია და პროვინციის ნაცრისფერ ყოფას ხომ არ მინებებია?

მიზეზი აქ უნდა იყოს საძიებელი ამ ხშირი სტუმრობისა, თხოვნისა და დაძალებისაც, თორემ სხვა შემთხვევაში ილია იქით იქნებოდა მონდომებული და დუშეთში კი აღარ ააკითხავდნენ, არამედ თვითონვე ჩამოაკითხავდათ და შესთავაზებდათ თავის სამსახურს: რაიმეში გამომიყენეთო.

აქ კი მეთაურობას, წინამძღოლობას სთავაზობენ, გაზეთსაც და ჟურნალსაც ფეხქვეშ უშლიან და... ვერა და ვერ დაუყაბულებიათ.

დროებითი დაბრუნება არა ხიბლავს – სამუდამო გარანტიას კი ვერავინ მისცემს. მწარედ ჩარჩენია გულში, „საქართველოს მოამბე“ ერთ წელზე მეტხანს რომ ვერ გასტანდა და ვაითუ ახლაც ერთ-ორ წელზე მეტს ვერ გაწვდენოდა მის თანამოაზრეთა სახსარი.

ადრე ამასაც დათანხმებოდა იმ რწმენით აღვსილი: ყველაფერი საქმეა. ცოტახნით არსებობა აღარც სასიკეთო კვალს დააჩნევს საზოგადოებრივ ცხოვრებასო, – მაგრამ როდესაც ეს განწყობილება შეგრყევია და შენს ძალ-ღონეშიც დაეჭვებულხარ: თუ რაიმეს შემძლებელი ვიყავი, აქ ამდენხანს რატომ უნდა ვგებულიყავიო?! – თვით ჩიჩინიც და დაძალებაც ეგრე ადვილად ველარ გამოგიყვანს საქვეყნოდ და... გაგიჭიანურდებოდა, როგორ არ გაგიჭიანურდებოდა დაბრუნება შენს ამქვეყნიურ მისიასთან.

შეფიქრიანებულნი და დაძმარებულნი მოდიოდნენ ტფილისისაკენ ნიკო ნიკოლაძე და მისი „გროვა“, ზოგი რას რომ იტყოდა და ზოგიც რას, უფრო იქით რომ წარიმართებოდა ლაპარაკი: მორჩა, აზრი არა აქვს ილიასთან განმეორებით სტუმრობას, ეგ აქეთ წამომსვლელი აღარ არისო, – მაგრამ ნიკო ასე იოლად არ დათმობდა:

– თქვენი არ ვიცი და მე კიდევ მივაკითხავ.

– რამდენჯერ?

– რამდენჯერაც დამჭირდება.

– ამაოდ.

– ვისაც „ამაოდ“ ჰგონია, ნუღა წამომყვება.

ერთმანეთს გადახედავდნენ და უსიტყვოდ შეთანხმდებოდნენ და ნიკო მათ უტყვ მზერაზე მიხვდებოდა, ყველა უკლებლივ რომ უნდა შეეკრიბა.

საბოლოოდ მაინც სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის დაარსების პერსპექტივა გადაუშლიდა თვალწინ გზასავალს ილიას, ამ სასიცოცხლო წამოწყებაში მისი ენერგიული ჩართვის აუცილებლობა მოწყვეტდა დუშეთს, მისთვის სამარედ ქცეულს, და უკვე სამუდამოდ დაუბრუნებდა თავის ამქვეყნიურ მისიას, დროებით მიტოვებულს და იქნებ ხელაღებულსაც.

დეპრესიიდან კი თანდათან გამოიყვანდა ის სტუმრობანი, ეს მასზე არანაკლებ მიდეგა ნიკო ნიკოლაძე რომ არ მოისვენებდა, ვიდრე თავისას არ მიაღწევდა, ჯერ კვლავ რომ გაუღვივებდა მხნეობას და ლიტერატურულ საქმიანობასაც მიზანმიმართულად დაუბრუნებდა... და დგებოდა ის წუთები, როდესაც ილია, ასერიგად გამხნევებული, კვლავინდებურად მიმართავდა საქართველოს, როგორც დარიალში შემოსვლისას, გამხნევებულიც და აფორიაქებულიც: ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია? აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენიაო!..

1872 წლის 15 სექტემბერიც ჩამომდგარიყო და ილია, გულმოცემული, მამულს ამხნევებდა და აიმედებდა: თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენიაო...

ტყუილუბრალოდ არ მიდიმოდიოდნენ, წინამძღოლსაც რომ ეწეოდნენ თავისი ნამდვილი ადგილისაკენ, და შესაძლებელი ხდებოდა უკვე ეს დაპირება, ეს სულაც აღთქმა:

მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენიაო.

მისი თვალის სინათლეს მაშ რაღაზედ მოეწყინა?..

წვრილშვილნი წამოსწრებოდა – ნაზარდნი და გულმტკიცები, რომელთა ზრუნვის საგანი მამული შექმნილიყო და სამუდამოდაც მამული იქნებოდა, არ უმტყუნებდნენ, თუკი მიენდობოდა. მათი ღვაწლით შეექმნებოდა სახე – ბედით მთენია.

და მისი თვალის სინათლეს მაშ რაღაზედ მოეწყინა?

მათი გული მამულის ტრფობის ფართო ბუდედ გადაშლილიყო, მათი გულთა ფიცარი მამულის მტკიცე ზღუდედ შექმნილიყო და ვერ წაბილწავდა ამ გრძნობას სიმუხთლე და სიმრუდე! თავიანთი მკერდით რომ შემუსრავდნენ მტერთა სიმაგრეთ.

და მის კარგ ქვეყანას მაშ რაღაზედ მოეწყინა?

მთლად ასეც აღარ იყო: ყველა ყრუი, ყველა ცრუი... მცირე, დიდი ყველა ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერიო... და აღარც ასე: მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერიო...

იმ მკაცრ მუნათს თავისი მნიშვნელობა ჰქონდა.

და თავისი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ გამამხნევებელ სიტყვებს, ომში შესვლის სიმღერასაც.

ჯერ კიდევ უნდა ამოსვლოდა ტფილისიდან ეს გუნდი – ნაზარდი და გულმტკიცები, მაგრამ ილიას არსებაში უკვე ხდებოდა ის სასიკეთო ძვრა, ურომლისოდაც აღარც ილია იქნებოდა ილია და აღარც საქართველო – სა-

ქართველო, თორემ მკერდით ვილა შემუსრავდა მტერთა სიმაგრეებს უწინამძღოლოდ?!.

– ძმაო ნიკოო! – ამ მიმართვით დაიწყებდა 1873 წლის 18 იანვრის ბარათს და მისი ბოლო წერილის საპასუხოდ აუწყებდა, რომ: ტყუილუბრალოდ შეეწუხებინა „გლახის ნაამბობის" კორექტურის ამბავს. ილიას ხომ ეთხოვა, რომ მხოლოდ უკანასკნელი კორექტურა გამოეგზავნათ იმ პირობით, მეორე დღესვე უკანვე რომ დაუბრუნებდათ.

ამ მოთხრობის გასწორება ფიქრად აღარ ექნებოდა, როგორც მიეწოდებინა, ისეც დაებეჭდათ.

– დეე მაგ პირმშო ძემან ჩემმან ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველ შობილა. ვისაც არ მოეწონოს, გზა აუქციოს.

პირმშო ძემანო და: რარიგ გაჭიანურებოდა წლების წინათ წამოწყებული და „საქართველოს მოამბის" ფურცლებზე უნუგეშოდ გაწყვეტილი, ვიდრე „კრებულის" დაარსება ხელახლა არ მიაბრუნებდა ამ პირმშოსთან: გადასამუშავებლად და საბოლოო სახის მისანიჭებლად.

გაგრძელება მზადდებოდა – ოთხი თავი, რომელიც უდრიდა 35 გვერდს „საქართველოს მოამბისას" და მზად იყო კიდეც „კრებულის" სამსახურისათვის. მოთავებისათვის ერთი ამდენი კიდევ დასჭირდებოდა, ასე რომ, თებერვლისა და მარტის ნომრებს თავსაყრელად ეყოფოდა.

– ვწერ კი, მაგრამ არ ვიცი როგორი მოსაწონი გამოვა.

ცუდი საქმე დაემართა მისთვის რედაქციას, რომ ასე ცოტა დრო მიეცა „გლახის ნაამბობის" შესასრულებლად.

თან წუხს, მაგრამ თან უხარია, რადგანაც ამ მოთხოვნისა და დაძალების გარეშე იქნებ სამუდამოდაც დაუმთავრებელი დარჩენოდა. არადა არ ემეტებოდა მისატოვებლად და დასასამარებლად.

რაც ახალი დაეწერა, უნდოდა ნიკოსათვის გაეგზავნა, რათა ნიკოსა და კირილე ლორთქიფანიძეს თვალი გადაეველოთ და მას შემდეგ თავიანთი პირუთვნელი აზრი ავტორისათვის ეცნობებინათ. მაგრამ ამ განზრახვისთვისაც თავი დაენებებინა: რაც იქნება, მოხდესო, – რაკიღა პოეტის სიტყვები წამოაგონდებოდა: ბრძენი სიფრთხილით წახდება, მაგრამ ღლეული ვაჟკაცი ან მოჰკლავს, ან შეაკვდებაო.

ქართველი კაცი გახლდათ და უჯერებდა ქართველ პოეტს: ალექსანდრე ჭავჭავაძეს.

რისი თქმაც სურდა, იმას კი იტყოდა თავის „გლახის ნაამბობში" და კარგად გამოუვიდოდა თუ ცუდად, ამაზე დიდად არ ედარდა.

დღეს ელოდა რევიზორს. და აბა ნიკო ნიკოლაძეს ეფიქრა, რარიგად მოუხდებოდა რევიზორი... „გლახის ნაამბობს".

„აჩრდილის" პირველ ნაწილსაც უგზავნიდა და, თუ მოეწონებოდათ, ეგებ სრულად დაებეჭდათ. წინასწარვე ვარაუდობდა, რომ: XVI ხანის უკანასკნელ ოთხ სტრიქონს ცენზორი ამოშლიდა. ამიტომ ისევ ისა სჯობდა, წინასწარვე დაესწროთ მისთვის ავტორსაც და რედაქციასაც, რათა ცენზორი სხვა მონაკვეთებზე მაინც არ აღელვებულიყო.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ოთხი ბარათის მეტი ილიას დასა და სიძეს არ გააჩნდათ და ილია ოთხივეს უგზავნიდა რედაქციას.

მოათავებდა წერილს და... მერეღა მიადევნებდა, რომ: სხვადასხვა მიზეზის გამოისობით ჯერხნობით „აჩრდილს“ ვერ აწვდიდათ.

ეს ბარათი დუშეთიდან რომ გამოიგზავნებოდა ტფილისში, მომდევნო წერილი, დათარიღებული იმავე 1873 წლის 6 დეკემბრით, უკვე პეტერბურგიდან უნდა ჩამოსვლოდა ნიკო ნიკოლაძეს, ასე მკვეთრად რომ შემოტრიალებულიყო ილია ჭავჭავაძის ყოფა და, მომრიგებელ მოსამართლედ მოჩხირკედელავე, უკვე საბანკო საქმეებს შებმოდა, თავიდან ჩვეულებრივი პროცესი რომ ეგონებოდა და... მოულოდნელად იმპერიულ აზროვნებასთან, მორალსა და ცხოვრების წესთან კი მოუხდებოდა შეჯახება, სწორედაც შეჯახება, ხელჩართული ბრძოლისაგან არც არაფრით რომ არ განსხვავდებოდა, ყოვლად უთანასწორო ბრძოლისაგან, მაგრამ რას დაგიდევდა ილია ჭავჭავაძე ამ უთანასწორობას – ან თავისი რომ უნდა გაეტანა და ან შესწირვოდა დიმიტრი ყიფიანის წამოწყებას, ის უკვე რომ გაერიდებოდა ილიას იმედად: ახლა უკვე მაგის დროაო!..

– ხუთჯერ რამ აგიყვანა დუშეთს? – გაოცებით ეკითხებოდნენ ნიკო ნიკოლაძეს, ის მშვიდად რომ მიუგებდათ:

– ხუთჯერ კი არა, რომ დამჭირებოდა, ხუთასჯერაც ავიდოდი!..

ხუთასჯერვე უარით გამოისტუმრებდა, თუკი ნიკოს დროდადრო გამოჩენას ამაო მცდელობად მიიჩნევდა, მაგრამ პირველ სტუმრობაზევე გრძნობდა ილია, ძველი მეგობარი მართალი რომ იყო, და თუ ფეხს აითრევდა, იმიტომაც: ვაითუ გავუმტყუნო იმედები, შევძლებ კი ძველებურად ჩავუდგე სათავეში სამწერლო-საზოგადოებრივ საქმეებსო?!.

უმთავრესში თუ სავსებით ეთანხმებოდნენ ერთმანეთს, ცალკეული მოსაზრებებისას ვერა და ვერ შეთანხმდებოდნენ, და თუ ნიკო ნიკოლაძეს რაიმე უკვირდა ილიასი, მისი სულ უფრო გადახრაც სამეფო მმართველობის იდეალისაკენ, მართალია პარლამენტური ყაიდისა, მაგრამ სამეფო მაინც სამეფო გახლდათ, უკვე ყავლი რომ გასვლოდა ამ სახელმწიფოებრივ მოდელს ნიკოს თვალთახედვაში, ისტორიის შემობრუნება კი ამაოდ არ უნდა გვეცადა.

აკაკი წერეთელიც რომ ასდევდა ისტორიული წარსულის გარომანტიკულებისა და მეფეთა გაიდეალების რწმენას?

ამ შემთხვევაში კიდევ რაღაც გამართლებას უძებნიდა ნიკო ნიკოლაძე:

რაც უნდა იყოს, ბაგრატიონთა შთამომავალია დედის მხრიდან და ჯერ მარტო სისხლი აღანთებს და შთააგონებს მათი ტახტის აღდგენას, მაგრამ ილიას რაღა შეუჩნდა, რამ გადარია, ამ ანაქრონიზმს რატომ და რისთვის ებღაუჭება, რაღა დროს მონარქიული ხელისუფლება და სამეფო კარია, ბოლოსდაბოლოს აღარ უნდა მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდიო?!.

ზღვა ღელავდა, ზღვა ბობოქრობდა, ტალღები ცასა წვდებოდნენ და უფსკრულში ინქმეოდნენ... და ასდევ-ჩასდევდა ტალღათა ამ სრბოლას ნაფოტივით ორივე გუბერნია, ყოფილ საქართველოს რომ ირეკლავდა...

ქართული ენა იყო და: რუსულ ენას უნდა შერწყმოდა და გაუჩინარებულიყო.

საქართველოს ისტორია იყო და: რუსეთის ისტორიას უნდა შერწყმოდა და გაუჩინარებულიყო.

ამის იქით ვერ მიდიოდა იმპერიული სული და მიზანი და... ვერც ეროვნული ნიჰილიზმი მიდიოდა ამის იქით.

არადა:

ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყებოდა, როცა ერი, თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებდა.

როგორც კაცად არ იხსენიებოდა ის მაწანწალა ბოგანო, ვისაც აღარ ახსოვდა – ვინ იყო, საიდან მოდიოდა და სად მიდიოდა, ისეც ერად სახსენებელი აღარ იქნებოდა იგი, რომელსაც ღმერთი გაუწყრებოდა და თავის ისტორიას ვეღარ გაიხსენებდა.

უნდა მოგვეკლა წარსულ დროებზე დარდი, მაგრამ ისე, რომ... მხოლოდ ისე, რომ...

ჰოი რა სიხარულით შეეგებებოდა ირაკლი ბატონიშვილის ვაჟის დაბადებას.

რა იმედით შეჰყურებდა.

რა სასოებით ადევნებდა გულისყურს უფლისწულის ყოველ დღეს, უკვე დავაჟკაცებულისათვის კიდეც რომ უნდა მოესწრო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, ანდა ერთი ხელის გაწვდენაღა დარჩენილიყო და ის გადამწყვეტი ნაბიჯი სულაც უფლისწულს გადაედგა — და კიდეც შეემოსა გვირგვინით შუბლი თავის პეპერა ერეკლე მეორესავით.

და იმ წუთას მოეჩვენებოდა, ცაც ჩამოიქცა და მიწაც გამომეცალა ფეხქვეშო, როდესაც ჩოჩქოლი და ხმაური მის ყურამდეც მიიტანდა იმ ტრაგიკულ ამბავს, რომ... ძიძა აივანზე ანანავებდა ირაკლი ბატონიშვილის ვაჟს, უეცრად ხელიდან გავარდნოდა და... და ბავშვს მიწამდე სულიც არ დაჰყოლოდა...

შემთხვევითო, უნებლიეთო, — გამართლებას უძებნიდნენ და იბრალებდნენ ძიძას, — ძალიან განიცდის, ეს როგორ უნდა დამართნოდაო...

წამითაც არ დაიჯერებდა ილია ამ ტრაგედიის შემთხვევითობას. და ამ მოსაზრებას ისიც დაუდასტურებდა, ფორმალურადაც რომ არ დაიწყებოდა გამოძიება...

გამოძიების დაწყება ნიშნავდა, რომ რაღაც ეჭვი გაღვივებულიყო, ხელისუფლებას კი ისეთი განწყობილება უნდა შეექმნა, თითქოსდა საბედისწერო შემთხვევითობის იქით ეს ამბავი არ მიდიოდა...

ეს რარიგ შინებოდა ხელისუფლებას ერეკლესა და ალექსანდრეს შთამომავლის წამოზრდისა, ძიძის ხელით უკვე რომ მოეღოთ მისთვის ბოლო...

ცხოვრება კი ისე გაგრძელდებოდა, თითქოს არც ცა ჩამოქცეულიყო და არც მიწა გამოსცლოდათ ფეხქვეშ...

თავი მეოთხე

სიცილი და გამოთამაშება წუთისოფლისა

რა არის მაინც წუთისოფლის ეს ჟინიანი თამაში თუ ირონია, ეს პარადოქსული შეტრიალ-შემოტრიალებანი, ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძეც რომ უნდა მოჰყოლოდნენ ამგვარ პარადოქსში, ცოტა ხნის წინათ სკეპტიკურ გუნებაზე მყოფ ილიას ნიკო რომ გამოიტაცებდა უიმედობისაგან და შეაბამდა საზოგადოებრივი ცხოვრების უღელში, ცოტა ხნის შემდგომ კი ნიკო ნიკოლაძის სკეპსისი უნდა გამხდარიყო გაუსაძლისი, ლამის ნიჰილიზმში გადასული, უიმედობითაც რომ შეიპყრობდა და ხელსაც ჩააქნევინებდა ყველასა და ყველაფერზე; და თუ ვინმეს, ილია ჭავჭავაძეს უნდა გამოეტაცა ამ უიმედობისაგან და შეება საზოგადოებრივი ცხოვრების უღელში.

პეტერბურგში მყოფი 1873 წლის 6 დეკემბერს ბარათს რომ აფრენდა სასწრაფოდ ნიკოსთან, კვლავ ძმად რომ მოიხსენიებდა, ყოველგვარი მიკითხვა-მოკითხვის გარეშე გამოხატავდა გაოცებასაც და საყვედურსაც:

წავიკითხე შენი გამოსალმება – წავიკითხე, მაგრამ წაკითხული აქამდისაც არ მჯერა. ნუთუ მართლა შენ დაწერე ის, რასაც შენი არ უსახელო სახელი აწერია ქვეშო?

„არ უსახელო სახელი“ რას გულისხმობს და: ფსევდონიმს „ნ. სკანდელი“, ყველა მკითხველს რომ მოეხსენებოდა ავტორის ნამდვილი ვინაობა.

რა მომხდარიყო ამისთანა:

ნუთუ მართლაც შეეშინებინათ ჭიაჭუებს და მათ ბზუილზე გამფრთხალიყო?

ილია ნიკოს ისეთ დიდ პატივს მიაგებდა, არაფრისდიდებით არა სურდა იმის დაჯერება, რასაც ის ასე გაცხარებით ცდილობდა, დაეჯერებინა მკითხველი და მათ შორის ილიაც, რომელსაც ვერ წარმოედგინა ნიკო ნიკოლაძისთანა საიმედო კაცი ამისთანა სულმოკლეობას თუ დაებრიყვინებოდა.

მაშ როგორ უნდა აეხსნა იმ გამოსალმების შინაარსი?

როგორ და:

წუთიერი მღელვარების შედეგად გამოწვეულ ფელეტონად და არა დამჯდარი გონების დასკვნად. წუთიერი მღელვარებით გატაცება კი ნიკოსთანა მდუღარე კაცის თვისებად მიაჩნდა და მარტო ამით თუ გაამართლებდა იმ ფელეტონს, თორემ სხვა გასამართლებელი არა ჰქონდა რა.

ამ „მდუღარებას“ პავლე ინგოროყვა ყველაზე ზუსტ ეპითეტად, ყველაზე ზუსტ განსაზღვრებად მიიჩნევდა ნიკო ნიკოლაძის ხასიათისა, ამ ბრწყინვალე ტალანტით შემკული ადამიანისა, რომელსაც თავის რთულ სალიტერატურო გზაზე რამდენიმე ტეხილი გაუჩნდებოდა.

1873 წლის 16 ნოემბრის „დროების“ პუბლიკაციაც – „მშვიდობით, მშვიდობით“ – ერთ-ერთ ასეთ ტეხილად უნდა მიგვეჩნია.

რას აეღებინებინა ამჯერად კალამი ხელში ნიკოსათვის და:

ხვალ-ზეგ იგი ხელახლა აპირებდა დაეტოვებინა „დროების“ ნიადაგი – თანამშრომლობის უმადური და მომაბეზრებელი ღვაწლი.

მკითხველს თავს როდიღა მოაწყენდა მისი ნაწერის კითხვა, და მსმენელს – მის პიროვნებაზე, ნაწერსა და ხასიათზე სჯის მოსმენა.

სხვა, უფრო ახალგაზრდა და გულლმობიერი მწერლები ახალ საგნებსა და მოვლენებზე წერა-ბეჭდვასა და ბაასს გამართავდნენ, და ყველაფერს, რაც კი აღეშფოთებინა ან შეერყია ნიკო ნიკოლაძის ნაწერს, მიყრუებისა და დავიწების მალამო წაეცხობოდა...

ეს რა გუნებაზე დამდგარიყო, ეს რა მტანჯველ გრძნობებს შეეპყრო, ეს რა უკიდურესობამდე მისულიყო:

როგორც მკვდრისთვის, ჩემთვისაც დადგება ჯერ მოსვენებული და პირუთვნელი სჯის, და შემდეგ, მალე, ძლიერ მალე, სრული მივიწყების დროო.

როგორც მკვდრისათვისო, – ეს მაინც რას უნდა ეთქმევინებინა?!.

არადა სულიერი ძალების ამოწურვას გრძნობდა და:

დაღალული, დაქანცული, ილაჯგაწყვეტილი ტოვებდა ჩვენი მწერლობის ასპარეზსა და ჩვენი სამშობლოს ჰაერს. სრული ბედნიერებით ეთხოვებოდა ყველას, ვისაც სძულდა და უყვარდა იგი, და ესალმებოდა ყველას, ვინც თვითონ ებრალებოდა ან უყვარდა, და მტერ-მეგობარს ნეტარებით ეუბნებოდა: მშვიდობით, მშვიდობითო.

იმედოვნებდა, რომ:

შავი ზღვის ზამთრის ქარიშხალი, ევროპის აღელვებული ცხოვრების წრე, ძველი მეგობრები მასაც მალე დაავიწყებდნენ აქაური უთავბოლო ბრძოლის დაღალულობას...

ეს ფელეტონი რომ არა ყოფილა წუთიერი აფეთქების ნაყოფი, დაადასტურებდა შემდგომი მოვლენები:

ნიკო ნიკოლაძე ორი წლის განმავლობაში მართლაც ჩამოშორდებოდა ქართულ პრესას...

და იქნებ სამუდამოდაც გამომშვიდობებოდა, ილიას შეგონებას ბოლოს-დაბოლოს რომ არ ეჩინა თავი, იმწამსვე თუ არა, მერე მაინც ჩაწვდომოდა გულისგულში და ხელახლა გამოეწვია იმ სინამდვილისაკენ, რომელსაც ისე დაეღალა, ისე დაექანცა, ისე წაერთმია ილაჯი, რომ მკვდრისთვისაც კი დაედარებინა თავი... და რა გასაკვირია, აღარ ნდომებოდა კვლავ იმ ყოფაში ჩავარდნა... ყოფაში, რომელიც უკეთესს ვერას სთავაზობდა...

მაგრამ უნდა მოსვლოდა ილიას ბარათი, რომელიც მოგვიანებით პავლე ინგოროყვას უნდა შეეფასებინა, როგორც: წერილი ერის ნამდვილი ბელადისა.

უკან დასახევს უტოვებდა კაცს, რომელსაც ცოტა ხნის წინათ აქეთ გამოეხსნა ილია არანაკლები მტანჯველი განცდებისაგან: მის სულიერ მდუღარებას მიაწერდა ამგვარ გამომშვიდობებას თვისტომებთანაც და სამშობლოსთანაც, იმ წუთიერი მღელვარებით გატაცებას, რომელიც უსათუოდ ჩაწყნარდებოდა და დამჯდარი გონების დასკვნა სწორედაც საპირისპიროს ჩააგონებდა ნიკო ნიკოლაძეს.

ვის ესალმები და რას ესალმები? სად მიხვალ, სადო? – აჯანჯღარებდა.

იქ, სადაც უკეთესი ცხოვრებააო, – პასუხს აძლევდა ფელეტონი და ილიას უკვირდა და ძალიანაც უკვირდა ნიკო ნიკოლაძისაგან ისეთი საქციელი, რასაც... რასაც ლუარსაბ თათქარიძეც არ ჩაიდენდა.

ბრძოლის ველიდან გარბოდა და ვინ – იმისთანა კაცი, ნიკო რომ გახლდათ, და ახლა თბილ ოთახში აპირებდა გადაგორ-გადმოგორებას. მერედა ითვალისწინებდა, რომ: უიმისოდ კბილი ჩაუვარდებოდა იმ რაზმს, რომელშიაც იგი ფალავნად ეგულებოდა ყველას, ვინც ნიკოს თანაზიარი გახლდათ?

ჯერ რიგიანი ბრძოლა არც გამართულიყო და... ამას კი სურდა ახლავე თავისათვის ეშველა. ეს ვერაფერი ძალგულოვნება გამოდიოდა. როგორ, განა წინადვე არ იცოდა, რომ იმ გზაზედ, რომელზედაც შემდგარიყო, ათასი ვაივაგლახი, ბეზღი, ცილი, ლანძღვა და თრევა დახვდებოდა – ერთადერთ ჯილდოდ მისი შრომისა და მოღვაწეობისა?

– ეგ ამბავი არ ახალია, ძველია.

ვითომ რად უკვირდა, რომ: მოსალოდნელი კიდეც მოსულიყო, და რად არ უხაროდა, იმხელა ძალა რომ აღმოაჩნდებოდა, მკვდრებიც კი აეყაყანებინა?.. მაშ მეტი რაღა უნდოდა, რაღას ესწრაფოდა, რაღას მოითხოვდა?!.

ძალიან ყარსო, – რომ ჩიოდა, მძორი ხომ ყოველთვის ყარს ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სადგისს წასჩხვლეტდი.

როგორ დაეჯერებინა ილიას, რომ ეს ყოველივე ნიკომ წინადვე არ იცოდა?!.

და თუკი იცოდა, ისეთი მოულოდნელიც რა დახვედროდა ამ უმადურ ეკლიან გზაზედ, რომ მხდალივით დაეფრთხო?

გაურბოდა რასა და ვის – თავის ქვეყანას, თავის შრომას, თავის მეგობრებსა და თანამოაზრეთ?

ნუთუ კაცობა ამას ნიშნავდა? რას სჩადიოდა, რას? ამ საქციელით ისეთ სირცხვილს იღებდა თავზედ, რომ ველარაფრით ჩამოირეცხავდა შემდგომში.

პირმოთნეობაში ნუ ჩამოართმევდა, ანკი საპირმოთნეო რა სჭირდა:

ილია პატივს სცემდა მას, როგორც ნიჭიერს, რიგიანს, გამბედავსა და დაუშრომელ მოღვაწეს, როგორც კაცს რომელზედაც კაცური კაცის თვალი იმედით შეჩერდებოდა და რომელთან დამეგობრებაც და ერთ უღელში შებმაც სახარბიელო გახლდათ.

თუმც ამ ორს „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ერთმანეთი ისე არ გაეცნოთ, რომ სული სულში გაეყარათ, მაგრამ იმდენად კი იცნობდა, რომ არ დაეჯერებინა ის ცილი, რასაც ნიკო თავის თავს ასე მოურიდებლად და წინდაუხედავად თვითონვე სწამებდა.

ვითომ ნიკო ნიკოლაძე ის გახლდათ, რასაც მისი ეს ფელეტონი, მისდა საუბედუროდ, ამბობდა!..

არა და ათასჯერ არა! – დაბეჯითებით გააპროტესტებდა ილია, რადგანაც მის თვალში ნიკო მაინც ისეთი კაცი გახლდათ, რომლის გულშიაც ადამიანი, თუ მონახავდა, მადანს იპოვნიდა. და აი რას სთხოვდა:

თუ მართლა უყვარდა ის, რისთვისაც ეგრე თამამად და უშიშრად იღვწოდა, თუ ის ყველაფერი, რითაც ნიკო ნიკოლაძე მოსაწონი იყო, ქარის მოტანილი არა ყოფილა, ნუ აღასრულებდა მას, რასაც მკითხველსა და ქვეყანას უქადდა.

დაე დარჩენილიყო თავის უბედურ ქვეყანაში.

ასე სამარცხვინოდ ბოლოს ნუ მოუღებდა მას, რაც აგრე რიგიანად თვითონვე დაეწყო. დარჩენილიყო და ეშრომა – და მხოლოდ ის ჰქონოდა ხსოვნაში, რომ მარტოდენ უბედურთ უნდოდათ შველა და არავის სხვას; კვლავ მოეკიდა ხელი თავისი პატიოსანი საქმისათვის და ესენიც თავიანთ მოძმეს, ცოტაოდნავ წაბარბაცებულს, აპატიებდნენ წუთიერ სისუსტესა და ხელმოკლეობას, და თვით იმ შეურაცხმყოფელ ფელეტონსაც დავიწყებას მისცემდნენ. და თუ ამას არ იქმოდა, მაშინ ეტყოდნენ: ეჰ, ქარის მოტანილი ყოფილხარ და დეე ქარმავე წაგიღოსო.

თქმით კი ეტყოდნენ, მაგრამ... გულში კი ერთი ძარღვი ჩაწყდებოდათ.

თუ ნიკო ნიკოლაძე კვლავ ის სკანდელი გახლდათ, როგორიც იყო, მაშინ მიხვდებოდა, თუ რა სურვილი და რა გრძნობა აწერინებდა ილია ჭავჭავაძეს ამ ბარათს.

დასასრულ ამასაც ეტყოდა:

ქართველი გამოსალმების დროსაც ერთ მშვენიერ სიტყვას იყენებდა: გამარჯვებითო, – მაგრამ ამ სალამს გამოთხოვებისას თავისდღეში არ აღირსებდა მას, ვინც ბრძოლის ველიდან გარბოდა. მას: მშვიდობითო, – ეუბნებოდნენ. და ილიას სურდა ნიკო ნიკოლაძე ისე მოქცეულიყო, რომ შეძლებოდათ მისთვის თქმა: გამარჯვებითო, – და არა: მშვიდობითო.

ბარათის თავში პეტრე უმიკაშვილს მიმართავდა:

ეს წერილი ნიკოლაძეს გადაეცი მიღების უმალვეო.

ბარათი ბარათად და „დროების“ 28 დეკემბრის ნომერში ფელეტონს ამ ფსევდონიმით გამოეხმაურებოდნენ: „ჩვენ უჩინონი“.

ძალდაუტანებლად წამოგაგონდებოდათ ილია ჭავჭავაძის პოლემიკური ლექსის – „პასუხის პასუხი“ – დასაწყისი: ჩვენ უჩინონიო...

სიმონ ხუნდაძე ამ სტატიას ილიას რომ მიაკუთვნებდა, სადავოს არავინ გახდიდა, გარდა პავლე ინგოროყვასი, და ეს მიუხედავად იმისა, თვითონ ნიკო ნიკოლაძესაც ეჭვი რომ არ ეპარებოდა ილიას ავტორობაში.

თავის არქივში რომ შეინახავდა ამ სტატიის შავ პირს ნიკო, ასეთ წარწერას გაუკეთებდა:

– ადრესი, რომელიც 1873 წლის ბოლოს გამომიგზავნეს პეტერბურგის სტუდენტებმა (შავი, ილიას ხელით ნაწერი). გადმომცა 1887-ში ილიკო ბახტაძემ.

მაგრამ პავლე ინგოროყვა გულდასმით რომ დაუკვირდებოდა ამ სტატიას და შეუდარებდა ილიას ბარათს, დაიბეჭითებდა, რომ:

ის არ ყოფილა ილიას დაწერილი.

ვერც სტილით მიამგვანებდა, ვერც ფრაზის წყობით, თვით ლექსიკაც არ იქნებოდა ილიასეული. და პათოსიც საკმაოდ განსხვავდებოდა.

ილიას ბარათი აღბეჭდილიყო მაღალი, უკომპრომისო პრინციპულობით, მაგრამ ამავდროულად განმსჭვალულიყო უდიდესი პატივისცემით ნიკო ნიკოლაძისადმი – სრულად და ღირსეულად რომ აფასებდა მის წარსულ ღვაწლს. აქ ყოველ სტრიქონში ისმოდა მღელვარება და გულისტკივილი ერის მეთაურისა, რომ ერის მებრძოლ მოწინავე რაზმს არ გამოკლებოდა ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წევრი.

ხოლო სტატიას საფუძვლად დაედებოდა ნიკო ნიკოლაძის წარსული მოღვაწეობის... უარყოფითი შეფასება: იყო თუ არა იმჟამად გულწრფელი და ხომ არ ყოფილა მისი წარსული საქმიანობა უბრალო თავის გამოსაჩენი ხმაური?!.

მაინც რა ვითარებაში დაწერილიყო ეს პოლემიკური გამოხმაურება?

პავლე ინგოროყვა გაჰყვებოდა კვალს და, რეალური სურათის აღდგენასთან ერთად გუმანსაც რომ მიაშველებდა, წარმოიდგენდა, რომ: ილია „დროების“ ამ ნომერს გააცნობდა ივანე მაჩაბელს, რომელთა ერთადაც „მეფე ლირს“ თარგმნიდა და ამიტომაც ყოველდღე ხვდებოდა. ვანო პეტერბურგის უნივერსიტეტში რომ სწავლობდა, მასთან დაკავშირებული იქნებოდა ქართველი სტუდენტობა და ნიკო ნიკოლაძის ფელეტონი კიდეც დატრიალდებოდა მათ შორის. და ისინი გულმხურვალედ რომ ეკიდებოდნენ ქართულ საზოგადო საქმეებს, შეადგენდნენ კოლექტიურ წერილს 8 დეკემბერს და შემთხვევას არ გაუშვებდნენ ხელიდან, წინასწარ გაეცნოთ ის ილიასათვის.

სტუდენტებთან პირადი შეხვედრისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდგომ ილია ტექსტში შეიტანდა ცალკეულ შესწორებებს.

სტუდენტები დაწერდნენ:

– პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავიდანვე იგი სულით და გულით არ ჩასჭიდებია იმ საქმეს, რომლისთვისაც ის ისე გაცხარებული სჯიდა და ბაასობდა.

ილია ჩაუსწორებდათ:

– იბრძოდა და რიგიანადაც იბრძოდა.

სტუდენტები დაწერდნენ:

– თუ ეს უგვარო საქციელი და ასე ურცხვად თავის დანებება უფ. სკანდელს გულდაჯერებით განუზრახავს...

ილია სიტყვას „ურცხვად“ ჩაუსწორებდათ სიტყვით „წინდაუხედავად“.

სტუდენტები დაწერდნენ ფინალურ აკორდად:

– მაშინ ჩვენ გულდაჯერებით გვეთქმის: მშვიდობით, მშვიდობით!

ილია გადახაზავდა ამ ფრაზას და ასეთ დაბოლოებას შესთავაზებდათ, რა სახით დაიბეჭდებოდა კიდეც ის პოლემიკური გამოხმაურება:

– თუ უფ. სკანდელის ფელეტონი დამჯდარის გონებით მოსაზრულია, მაშინც ჩვენც გულუმტკივნელად სამუდამოდ გამოვესალმებით უფ. სკანდელს და ვეტყვით, – მაშ თუ ეგრეა, მშვიდობით და მშვიდობით!

ალაგ-ალაგ ხელი კი დააჩნდებოდა ილიასი, მაგრამ სტატია მაინც სტუდენტების შედგენილი გახლდათ და ამიტომაც მიიჩნევდა იგი აუცილებლობად მის გამოქვეყნებას: ქართველი ახალგაზრდების სულისკვეთებისა და მსოფლგანცდის დასტურად, მზად რომ იყვნენ ბრძოლის შუაგულში შესაჭრელად.

მზად – ილიას გზის გასაგრძელებლად.

და საერთო ფსევდონიმად „ჩვენ უჩინონის“ არჩევაც ამას მიანიშნებდა საკმაოდ გამჭვირვალედ, ამ სიტყვის ორმაგი შინაარსით: ჯერ უჩინარნი რომ იყვნენ, როგორც ყმაწვილკაცები, და ჩინების გამოდევნებასაც არ აპირებდნენ.

პავლე ინგოროყვას არ ეეჭვებოდა, რომ:

ილიას იმ 6 დეკემბრის ბარათს ექონია გავლენა ნიკო ნიკოლაძეზე, ორი წლის თავზე ისევ რომ დაუბრუნდებოდა ქართულ პრესას და მკითხველს მიმართავდა სტატიით: „სალამი“, ღრმა გულისტკივილის გამომხატველით, ერთხანს დაშორება რომ მოუხდებოდა თანამებრძოლებთან. ამ სტატიას კი ნიკოლაძისათვის ჩვეული ბრწყინვალებით დაწერილად მოიხსენიებდა და დეტექტიური შეფერილობის თხრობას ვრცელი ამონაწერით გაასრულებდა, უძღები შვილის მონანიების დასაწყისით.

ნიკო მკითხველს მიმართავდა, როგორც ძველსა და ძვირფას მეგობარს, ძლივს რომ ელირსებოდა მასთან პირისპირ შეყრა, მასთან საუბრის გამართვა და მუსაიფი!.. ერთი დრო ხომ იყო, როდესაც ისინი ერთმანეთს ცნობდნენ, ერთმანეთი უყვარდათ, როცა ხშირად, თითქმის შეუწყვეტლივ მუსაიფობდნენ. და ის დრო გამქრალიყო დიდიხანია.

ორ წელიწადზე მეტიც იქნებოდა აგერ, რაც ერთმანეთისათვის ხმა აღარ გაეცათ. ნეტა სცოდნოდა მკითხველს, რა დაუბოლოვებელ საუკუნედ მიიჩნევდა ნიკო თვითეულ დღეს ამ ორი წლისა!.. ახლა, როცა მათი უმძრახობა თავდებოდა, როცა კვლავ საუბარს მართავდნენ, კვლავ უწინდებურად იცნობდნენ ერთმანეთს და უყვარდათ ერთიმეორე თუ მათ შორის ის ძაფები დამწყდარიყვნენ, რომელნიც მათ გულებს აერთებდნენ?..

მას აქეთ, რაც თავის თავს იცნობდა, ნიკო ნიკოლაძეს ერთი წადილის მეტი არა ჰქონოდა რა, ერთი ღმერთის გარდა სხვისათვის თაყვანი არ ეცა... თავისი მკითხველი უყვარდა, თავისი მკითხველი სწამდა, მას ემსახურებოდა ავად თუ კარგად, როგორც შეეძლო და როგორც ჭკუა უჭრიდა...

დაევლო მთელი ევროპა და ბევრ განათლებულ ქვეყანაში მოხვედრილიყო, ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გაეტარებინა თვეები, მაგრამ ყველგან და ყოველთვის, სადაც კი ყოფილიყო, ერთი საგანი ჰქონოდა: თავისი მკითხველის დამზადება, მისთვის სამსახური, მისი სარგებლობა...

იმის მაგიერ, რომ: იქაურ ცხოვრებას მიბარებოდა და სხვასავით დაევიწყა თავისი ქვეყანა და თავისი ხალხი, ნიადაგ თავის მკითხველზე ფიქ-

რობდა, რათა სადმე და როგორმე, სადაც კი ყოფილიყო, მისთვის ცოტაოდენი სარგებლობა მაინც მოეტანა...

და თუ გაუნელებლად თავის ქვეყანასა და მიტოვებულ მკითხველზე ფიქრობდა სადაც მიდგებოდა და მოდგებოდა, ილიას მუნათი რომ არ ასვენებდა, მწარედაც ჩაჩხვლეტდა ხოლმე თვით ყველაზე აღმტაც, სასიხარულო, ნეტარ წუთებშიც... ჩხვლეტდა, ჰკბენდა, ბედნიერებაში ჩაძირვის საშუალებას არ აძლევდა და... კიდეც მალევე შემოაქცევდა უკან, თვითონ ამ დაბრუნებას თუ ხელახალ დაბადებას ილიას შთამაგონებელ სიტყვას რომ მიაწერდა.

მაშინვეც დარჩებოდა, იმ ბარათის მიღებისთანავე, ერთბაშადვე შეცვლიდა იმ გადაწყვეტილებას, მაგრამ დავრდომილად და მიცვალებულად რომ გრძნობდა თავს, ამისათვის რა ეშველა, ილიას სიტყვას სასწაულმოქმედი ძალა კი ექნებოდა მისთვის, მაგრამ მეორედ დაბადების პროცესს თავისი დრო ესაჭიროებოდა, ცხრა თვის მოლოდინი ორი წლის მოლოდინს უნდა გაიგივებოდა და... ილიას მოთმინება იობისა რომ მომადლებოდა, ორ წელიწადს როგორ არ დაელოდებოდა იმ კაცის დაბრუნებას, რომლის გასაკეთებელსაც სხვა ვერავინ გააკეთებდა.

ნიკო ნიკოლაძის აღსასრულებელ საქმეთ სხვანი ვერ გადაინაწილებდნენ.

ის საქმეთათვის მხოლოდ ნიკო ნიკოლაძეს უნდა დაედგა თავი.

გერონტი ქიქოძის თვალში მათუსალას უნდა დასდარებოდა.

ილია ჭავჭავაძისათვის უძღებ შვილად მოინათლებოდა, რა სახელიც ნიკოს ღვაწლს უნდა გაექარწყლებინა და კიდეც გაფანტავდა, ილია რომ არც არასოდეს შეახსენებდა ხუმრობითაც კი – თუმც მეგობრულ შელაღობებას მასთან არასოდეს გაურბოდა – ეს რა გვიყავ მაშინ, ასე როგორ მიგვატოვე ფიცხელ ბრძოლაში შეჭრილნიო.

ილიას ჩამოიყვანდა ტფილისში და.. თვითონ კი გაეცლებოდა იმ საქმეთ, უილიაოდ მეთაურად სწორედაც ნიკო ნიკოლაძე რომ წარმოდგებოდა თანამოაზრეთა თვალში, და ეს აღიარება სათუთად ელოლიავებოდა მის პატივმოყვარეობას... მაგრამ გრძნობდა, გრძნობდა, ილიას შემცვლელი მე არა ვარო, და თავისი ხელით ამიტომაც ჩამოიყვანდა და დააბრძანებდა მეთაურის საკარცხულში, თვითონ კი... თვითონ ფეხს იშვერდა და გამოსათხოვარსაც იმიტომ დააგდებდა, დაე ნურავის ეგონებოდა მისი ეს გამგზავრება დროებითი სტუმრობა ევროპის ქვეყნებში ქართული საქმეების შესაწევნად და მოსაგვარებლად.

ის ფელეტონი უნდა აღმართულიყო ბარიერად ნიკო ნიკოლაძესა და მის თვისტომთა შორის, ახლა გამოთხოვების იმ სტრიქონებს მისალმების სტრიქონებით რომ ანაცვლებდა და, თუ ვინმეს, ილიას გაჰყურებდა ფარული მზერითა და გულის ფანცქალით: შენ თუ მომიტევებ, შენ თუ შემინდობ, შენ თუ მიმიღებ, მართლაც დავბრუნებულვარ და ეგაა ჩემს ქვეყანასა და ჩემს მკითხველსო.

და ილიას ფარული მზერა ამცნობდა: მოშლილია ის ბარიერი, ფიქრი ნუღარასი გაქვსო.

მარტო ჩვენი წინამძღოლი კი არა, ერის ბელადი იყოო, – არაერთხელ ეტყოდა პავლე ინგოროყვას, თავის უმცროს მეგობარს, რომელთანაც არც თვითონ წყინდებოდა ილიაზე ლაპარაკი და არც ის მოასვენებდა ხოლმე, ხან რისი დაზუსტება-შევსება რომ ეწადა და ხანაც რისი.

დაუზუსტებდა, მოუყვებოდა და ნაამბობს ყოველთვის ამ სიტყვებით დაბეჭდავდა:

– ერის ბელადი იყო!..

„რატომღა ჰკლავდი, შე კაი კაცო?!“ – გაიფიქრებდა პავლე, მაგრამ თქმით მოერიდებოდა ამის თქმას, როგორი სიცილითაც უნდა ეთქვა, როგორც უნდა გაეხვია შეხუმრება-შეხალისების საბურველში, მხცოვან მოღვაწეს ვაითუ მაინც საწყენად დარჩენოდა თვით მისი მოთაყვანე კაცისაგან, გულში რომ ჩაეთქვა: საამისოდ როგორ ვერ მოვიცლი, ბატონ ნიკოსაც არ ვუძღვნა მონოგრაფიაო.

ჯერ საიმისოდ რომ იგრძნობდა მოცალეობას, ნიკო ნიკოლაძის ნაწერები შეეკრიბა და ტომებად ჩამოემწკრივებინა, ის თავიდანვე ჩაუფუშავდა ამ ენთუზიაზმს: ჩემი ნაწერები რა სახსენებელია ილიას თხზულებებთან, თავმოსაყრელი ის არის და ტომებადაც გამოსაცემი, ჩემი პუბლიცისტიკა დროს წაჰყვა, ილია კი ძალიან სჭირდება დღევანდელ და მომავლის საქართველოსო.

– ისიც და ესეც, ორივე ტომეული არსებობდეს, თქვენიც და ილიასიც, ერთმანეთს შეავსებს...

– ილიას ტომებს არავის დამატება არ დასჭირდება, ყველაფერს მოიცავს... ილია უნდა აღდგეს... აი ვინ იყო ერის ბელადი, აი ვინ რჩება ერის ბელადად!..

„რატომღა ჰკლავდი, შე კაი კაცო?!.“

და ამის ნაცვლად სხვა რამის თქმას რომ დააპირებდა პავლე ინგოროყვა, შეატყობდა, ის აქ აღარ იყო, სადღაც გაქცეოდა მზერა, რაღაცას თუ ვიღაცას მისჩერებოდა სუნთქვაგახშირებული და... პავლეც თვალს რომ გააყოლებდა მის მზერას, ქალი აღმოჩნდებოდა ნიკო ნიკოლაძის იმწუთიერი დამატყვევებელიც, იშვიათი სილამაზისა, ხორცშესხმული გახლდათ თუ ღვთაებრივი მოლანდება, დანამდვილებით რომ ვერც გაარჩევდი, მაგრამ ნიკო მოლანდებასაც ხორცშესხმულად წარმოიდგენდა, თორემ შველივით გაცურებულ ქალს საამისოდ როგორ გაიმეტებდა, უეცრად თანამოსაუბრეს რომ მოუბრუნებდა და შემოსცინებდა:

– კარგი იქნება ეს აჯამეთის ტყეში ა?

დავიწყებოდა, 80 წელს საგრძნობლად რომ გადაშორებოდა... თუმც ეგებ არც დავიწყებოდა...

გაუღიმებდა პავლე.

არა, ილიას როგორ ჰკლავდა თავისი ხელით – ბერბიჭაშვილამდე 27 წლით ადრე. ყმანვილები იყვნენ თუ რა, წამიერ აღშფოთებას ასერიგად აჰყოლოდნენ – ილია 40 წელს გადასცილებოდა, ნიკო – უკაკუნებდა... მაგრამ რა გაეღებოდა ამ კაკუნზე, კაცმა არ იცოდა, ილიას გასროლა რომ დასცალებოდა, თუმც პირველი სროლა ნიკოსი გახლდათ: მას ეგრძნო თავი ისე

შეურაცხყოფილად, ილიას სისხლის გარდა სხვა ვეღარაფერი რომ ვერ ჩამოჰბანდა ამ უზომო წყენას...

ილიას ედრებოდა მას შემდეგ, რაც პირველად მოისმენდა მის სახელს, ჭკუას რომ დაარიგებდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტში ახალფეხშედგმულს: იმას არ მიბაძოთ, აქ რომ ილია ჭავჭავაძე ბრძანდებოდა და ფრიდრიხ შილერის, უოლტერ სკოტისა და ლოდ ბაირონის კითხვის მეტს არას აკეთებდა, ამიტომაცაა, უდიპლომოდ რომ გაისტუმრეს, თქვენ კი გონივრულად უნდა მოიქცეთ, მასავით რომ არ დაიღუპოთო.

პირველად იმას მოიმოქმედებდა, რომ... შილერს, სკოტსა და ბაირონს ჩაუჯდებოდა ნიკო ნიკოლაძეც.

მერე აგერ დუშეთიდან ძალისძალათი ჩამოიყვანდა ტფილისში: უწინამძღოლოდ რას გავაწყობთო.

მერე აგერ ილია ჩამოიყვანდა საზღვარგარეთიდან: შეუცვლელი ხარო.

და ახლა ერთმანეთის პირისპირ დამბაჩებმომარჯვებულნი უნდა წამდგარიყვნენ, იქიდან კი ან ერთი ველარ დაბრუნდებოდა და ან მეორე.

საბაბად ლიტერატურული პოლემიკა გაუხდებოდათ, პრესის ფურცლებიდან გარეთ რომ გადაინაცვლებდა – ჟურნალისტური ბარიერიდან დუელიანტთა ბარიერთან.

ორი მიდეგა, ორი თავზეხელაღებული კაცი, დაუთმობელი და შეუპოვარი.

თუკი აქამდე ვერ მოხერხდებოდა მათი დაშოშმინება და შერიგება, ახლა რაღა შეაჩერებდათ, რაღა გადააფიქრებინებდათ ამ საბედისწერო შერკინებას!..

რა და...

თუმც ჯერ თავისი პერიოდული გამოცემა უნდა ჰქონოდა ილიას, „საქართველოს მოამბის“ შემნაცვლებელი, სულის კანკანით რომ მოელოდა იმ სანატრელ ხანას, როდესაც ჟურნალის გამოცემა მოუხერხდებოდა და მაშინ კი – პეტრე უმიკაშვილთან გაგზავნილი ბარათის იმ მღელვარე ფრაზისა არ იყოს – მართლაც რომ გადავარდებოდა თუ გადაფრინდებოდა ბახტრიონ-გალავანზედა, მარტოდენ ხატოვანებისათვის რომ არ მოიშველიებდა ამ უცნობი პოეტის სტრიქონს და ისე შეუჟღრიალდებოდა სხეული, თითქოსდა აჰა კიდეც უნდა გადაევლოს ბახტრიონ-გალავანსაო.

კიდეც გადაფრინდებოდა, რა გგონიათ, კვირეული გაზეთის სახსარი რომ გამოუჩნდებოდა, და თუმც „ივერია“ ჯერხნობით კვირეულ გაზეთად ვერ გაიტანდა თავს და ორწლიანი სუნთქვის შემდგომ – 1877-78 წლებში – ყოველთვიურ ჟურნალად უნდა გადაკეთებულიყო 1879 წლიდან; მერე გაზეთად გარდასახვის დროც დაუდგებოდა და მთლად ყოველდღიურიც შეიქნებოდა 1885 წლიდან: დაარსება 3 მარტს, ის ორი სახეცვლილება კი 1 იანვრიდან რომ მოხდებოდა.

სხვაგვარად განეზრახა, სხვაგვარად კი აეწყობოდა საქმე.

1876 წლის 4 მარტს – გაზეთ „დროების დაარსების 10 წლისთავის აღნიშვნისათვის რომ ემზადებოდნენ – შეიქმნებოდა „დროების“ ახალი სარედაქციო ჯგუფი, ამ ოთხეულს რომ გააერთიანებდა: სერგეი მესხს, ილია ჭავჭავაძეს, ნიკო ნიკოლაძესა და აკაკი წერეთელს.

იმჟამად ილიასა და ნიკოს შორის უკვე გამწვავებულიყო უთანხმოება საადგილმამულო ბანკის ირგვლივ. და თუმც საქმე დუელამდე მაშინ არ მივიდოდა, მაგრამ ერთობლივადაც ვეღარ გაწევდნენ სარედაქციო ჭაპანს და ილია ჩამოშორდებოდა ჯგუფს, რომელიც უიმისოდ კიდეც შეწყვეტდა არსებობას. ოთხეული სამეულად ვერ გარდაიქმნებოდა.

მაინც იმ ჯავარზე იდგა კარგა ხანია, ბახტრიონ-გალავანს ფეხქვეშ რომ გრძნობდა, და უკეთესი მიზეზიც რაღა უნდოდა გაზეთის დასაარსებლად.

ძალიან ამოუდგებოდა მხარში იმხანად ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დირექტორი ბესარიონ ღოღობერიძე, „გამოცანების“ ციკლში ასერიგად გამეტებული, მაგრამ საერთოდ მაინც არაერთი ღირსებით შემკული კაცი ილიას თვალში, ამჯერადაც რომ დაამტკიცებდა თავგამოდებას ეროვნული საქმისათვის.

ერთ-ერთი საორგანიზაციო შეხვედრისას ილიას უახლოეს თანამშრომლებად, არსებითად თანარედაქტორებად, შესთავაზებდნენ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელოვან მოღვაწეებს: ბესარიონ ჯაფარიძესა და დავით ჩქოტუას.

და იმავე წლის 18 ივნისს ილია უკვე მიმართავდა კავკასიის საცენზურო კომიტეტს ნებართვისათვის: ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის გამოსაცემად.

და პროგრამასაც წარუდგენდა, ხელშესახებად რომ მოხაზავდა მის აღნაგობასაც და დანიშნულებასაც:

წინამძღოლი წერილები, რომლებშიაც გამოითქმოდა რედაქციის აზრი საზოგადო ცხოვრების სხვადასხვაგვარ საგანთა თაობაზე.

განხილვა ყოველგვარი საგნისა, რაც შეეხებოდა მთავრობით წარმოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას: საქართველოში, რუსეთსა და უცხოეთში.

კორესპონდენციები შესახებ როგორც საქართველოსი, ისე რუსეთისა და უცხოეთისა.

სამეცნიერო განყოფილება: წერილები ყოველგვარი მეცნიერების თაობაზე.

ბელეტრისტიკა: მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა ამგვარები.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

ფელეტონი, ცალკე განყოფილებად რომ დაიგულებდა და კრიტიკაში არ გარევდა.

სასამართლო მატიანე: სასამართლოთა განაჩენის ბეჭდვა და მათი განხილვა.

სხვადასხვა გაზეთთა ნაამბობები.

და კერძო პირთა განცხადებანი და საჭირო ცნობათა სქემა.

ოფიციალური წესი როგორც მოითხოვდა, საცენზურო კომიტეტი კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოდან მოუპოვებდა ნებართვას და, თუმც ნავარაუდევ 1 იანვარს გადაცდებოდა გაზეთის გამოცემის ვადა, ვიღა ჩიოდა მარტს, როდესაც ნაოცნებარ ბახტრიონ-გალავანს გადაევლებოდა.

რა არის მაინც წუთისოფლის ეს ჟინიანი თამაში თუ ირონიაო...

ხელისუფლება ყაბულს იქნებოდა და გზასაც გაუხსნიდა, და თუ ვინმე დაუპირისპირდებოდა და მოინდომებდა, რომ საზოგადოებრივი აზრი და განწყობილება ილიას წინააღმდეგ შეეტრიალებინა, ის და სწორედ ის ნიკო ნიკოლაძე უნდა ყოფილიყო, იმ წუთებში თავში რომ იცემდა ხელს: რამ ჩამომაყვანინა დუშეთიდან, ყოფილიყო იქ და ამომხრჩვალიყო, თავის ნებაზე ხომ აღარ მოინდომებდა საბანკო საქმეების დატრიალებასო.

ვეღარ გაიხსენებდა, რომ:

უილიაოდ საადგილმამულო ბანკის დაარსება მხოლოდღა კეთილშობილურ იდეად და ჩანასახოვან წამოწყებად დარჩებოდა.

ვეღარც იმას გაიხსენებდა, აქაურობას თვითონ კარგა ხნის გამოთხოვებული რომ იქნებოდა და ევროპის რომელიმე ქვეყანაში დამკვიდრებული.

ყურს მოჰკრავდა თუ არა, ილია გაზეთის დაფუძნებას აპირებსო, მაშინვე ეჭვი დარევდა ხელს: რისთვის უნდა სჭირდებოდეს ეს გამოცემა, თუ არა ბანკის მმართველობისათვის ბრძოლაში საზოგადოებრივი აზრის მისამხრობადო, – და მკაცრად დაუპირისპირდებოდა ჯერ დაუბადებელ „ივერიას“:

– მწერლობა დიდი ძალაა, მართალია, მაგრამ ის მწერალი, რომელიც თავის კალამს იმისთვის იღებს ხელში, რომ საზოგადოებას თვალი აუხვიოს და კაი შემოსავლიანი ადგილი იშოვოს, ჩაქოლვის ღირსია... ღალატობს თავის მკითხველ საზოგადოებას და თავის თავს ჰყიდის ფულად, ჯამაგირად... საზოგადო სიკეთის მხრით მე სავნებლად ვთვლი ახალი გაზეთის დაარსებას კი არა, გ ა ზ ე თ ი ს დაარსებას კენჭის ყრის გასამრუდებლად.

ჩაქოლვის ღირსიაო, განა?..

ეს რა ბრალდებანი აეკიდებოდა ჯერ კიდევ განზრახულსა და გამზრახველს!..

საზოგადოებისათვის თვალის ახვევა, თავის გაყიდვა ფულად, მავნებლობა, გამრუდების მიზანი...

სერგეი მესხსაც აიყოლიებდა ნიკო, ეს უფრო თავშეკავებით და ფრთხილად რომ გამოთქვამდა თავის მოსაზრებას, აღნიშნავდა ახალი გაზეთის დაარსების თავისთავად დიდ მნიშვნელობას და კეთილშობილურ განზრახვას, სიხარულსაც, რომ: მის გაზეთს, „დროებას“, ახალი მოძმეც გაუჩნდებოდა, მაგრამ... ეჭვსაც რომ ვერ იშორებდა: იქნებ ეს ახალი გაზეთი ტფილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების გამგებელთათვის არსდებაო?!.

გამოვიდოდა „ივერიის“ პირველი ნომერი და ნიკო ნიკოლაძე მაშინვე გამოეხმაურებოდა, თითქოსდა სიფრთხილეს რომ ამჯობინებდა: ერთი, თანაც – პირველი, ნომრის მიხედვით პერიოდული გამოცემის მიმართულებასა და ხარისხზე მსჯელობა ძნელიაო, – მაგრამ... ჰაინრიხ ჰაინეს სიტყვებს რომ მოიხმობდა: ვერავინ დამაჯერებს, ვითომ ლომი ჯერ თაგვად იბადება და ლომის ბრჭყალები და თვისება კი მას მერე მიენიჭებაო, – ცხადყოფდა თავის გაგულისებას, იმ რჩევასა თუ უფრო აბუჩად აგდებასაც რომ არ დაერიდებოდა:

თავი დაანებოს ილიამ ჟურნალისტიკას, მიატოვოს იქით მეცნიერება, ფილოსოფია და მაღლა ფრენა და ბელეტრისტიკას დაუბრუნდესო.

რაო, ილიას უყვარდა ანდაზებისა და ხალხური სტრიქონების მოშველიება?

მაშ ეპიგრაფად გატანილი ფოლკლორული სტრიქონების სიმწვავეც ეწვნია: მოკვდა იგი მებუკეცა, რომელიცა ბუკსა სცემდაო!..

გაზეთი ერქმეოდა „ივერიას“, ხუთშაბათი რომ დაუდგინდებოდა გამოსვლის დღედ, თუმც ფორმატით, მოცულობითა და შინაარსითაც ჟურნალს უფრო დაემგვანებოდა, ვიდრე გაზეთს. ამიტომაც არის, მკვლევარები ხან ჟურნალადაც რომ იხსენიებდნენ. ეს გარემოება თვალში მოხვდებოდა გიორგი თუმანიშვილსაც, „გამოცანების“ ერთ-ერთი გმირის ვაჟს, და ხელსაყრელ საშუალებას იშოვნიდა თავისი ჭკუით, ირონიული ნესტარი წაეკრა რედაქტორ-გამომცემლისათვის:

ზოგჯერ ივიწყებს თავის გაზეთობას და ჩემულობს ჟურნალობასო.

აბა გრიგოლ ყიფშიძესავით მაღალი სამზერიდან ხომ არ გადმოხედავდა: ეროვნული არსებობის გამამაგრებელიო.

კვირეულ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილთაგან ხშირად გაიხსენებდა ხოლმე იმ პუბლიცისტურ თხზულებას „ოსმალოს საქართველო“ და განსაკუთრებით იმ პასაჟს, რომელიც – გრიგოლ ყიფშიძის მოწმობით – რამდენიმე წლის შემდგომ შეადგენდა ერნსტ რენანის წიგნაკის – „რა არის ერი“ – დედააზრს, იმას თავის აღმოჩენა რომ ეგონებოდა ეს მტკიცება:

ერის დამახასიათებელი თვისება არც ერთტომობაა, არც ერთი სარწმუნოება, არც ერთი ენიანობა. ერთი ერის ერად შემქმნელი, ერთ ერად გარდამქცევი საერთო წარსულია, იმ წარსულში გამოვლილი ჭირი და ლხინიო.

და სხვანიც მის მიგნებად მიიჩნევდნენ, გარდა ქართველებისა, რომელთაც ეს შეხედულება უკვე ამოეკითხათ ილიას სტატიაში, იმ ისტორიული რეალობის გახსენებით რომ იწყებოდა, როცა მესხნი და ტაო-კლარჯნი ჩვენთან იყვნენ ძმურად ერთ ფერხულში ჩაბმულნი და მესვეურობდნენ, პირველობდნენ კიდეც საქართველოს კულტურის აღორძინებაში.

და აი ის განზოგადება, რაც ხელშესახებად ადასტურებდა ამ მხარეების კვლავ შემოკრების აუცილებლობას დედასაქართველოს წიაღსა და ისტორიულ-ტერიტორიულ საზღვრებში:

– ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგი საგანძე, საცა ერი პოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის გულის ბგერას, თვისის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვითებას, ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანთ ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია...

„ოსმალოს საქართველოს“ უშუალო საბაბი რა გამომდგარიყო და:

1877 წელს ატეხილი რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც ძალაუნებურად წამოწევდა ჩვენთვის უმტკივნეულეს თემას: საქართველოს ძველი ისტორიული მიწებისა, რომელიც ოსმალეთს მიეტაცებინა.

ის განზოგადებაც ამ ტკივილს მოჰყოლოდა, მის ფონზე უფრო სარწმუნოდ რომ გაისმოდა მოთხოვნა ამ მიწების შემომტკიცებისა:

თუმც დროთა ბრუნვას ერი განეყო, დაერღვია, მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალვა, იდუმალი მიმზიდველობა იმდენად სუფევდა, რომ კმაროდა ხოლმე ერთი რამე შემთხვევა, რათა ეფეთქა, ეჭექა დაძინებულ ისტორიას, და ერთსულობას, ერთგულებას თავისი ძლიერი ფრთა გაეშალა.

ამ დღეში იმყოფებოდა ორი საქართველო: რუსეთისა და ოსმალეთის.

ქართველი ხალხი დიდ მსხვერპლს რომ გაიღებდა ოსმალეთთან ომის დროს, პავლე ინგოროყვა საგანგებოდ ჩაურთავდა ილიას ბიოგრაფიულ ქრონიკაში, რომ:

დიდმპყრობელურად განწყობილ სახაზინო პრესაში ეს ღვაწლი და თავდადება ქართველი ხალხისა – ისევე როგორც ყველა „ინოროდცისა“ – სავსებით მიიჩქმალებოდა.

როდესაც ამ ომის დასრულების შემდგომ შემოგვიერთდებოდა ოსმალოს საქართველოს ნაწილი (ბათუმი, ართვინი, არტაან-ოლთისი), ამ მოვლენას ილია „ივერიის“ 1879 წლის იანვრის ნომერში ასე გამოეხმაურებოდა თავისი „შინაური მიმოხილვით“:

– ჩვენი ძმები, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“ (კვლავ გრიგოლ ორბელიანის სტრიქონი რომ უნდა შემოშველებოდა!), ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, დღეს ჩვენ შემოგვიერთდა...

ამ ომსაც ბევრი სისხლი დაენთქა ქართველობისა, ბევრ ვაჟკაცს დაედო თავი, ბევრს დაეღვარა სისხლი, ბევრ ჩვენს ოფიცერს თავისი ყმაწვილკაცობის დღენი დაელია ამ ომში, ბევრი დახოცილიყო სახელოვანი სიკვდილით და... მათი სახელი არც კი არავის ეხსენებინა და ელიარებინა...

არადა:

საცა ჭირი იყო, პირველნი ესენი იქნებოდნენ და საცა ლხინი – უკანასკნელნი... სახელი და დიდებაც ეკუთვნოდათ მათაც, რომელთაც ბედი სიკვდილისაგან დაიხსნიდათ, და რომელნიც აჩვენებდნენ ქვეყანას, რომ ვაჟკაცობა ქართველობისა უქმი სიტყვა არა ყოფილა... ესენიც, მათ თავდადებულ ძმათაებრ, ჭირში პირველნი იქნებოდნენ და ლხინში – უკანასკნელნი... მათ სახელსა და დიდებას სხვა დაისაკუთრებდა, სხვა დაინარჩუნებდა, მაგრამ მაინც იმით ენუგეშებინათ თავი, რომ ამ ომს, საცა ამდენი მსხვერპლი მოეტანა ქართველობას, ამხელა ძალგულოვნება და ვაჟკაცობა გამოეჩინა, დიახ ამ ომს ამდენი ხნის დაშორებული ძმანი კვლავ ერთად შეეყარა.

ამ დიდ საქმეს ძმათა შეერთებისა ჩვენი სისხლი ზედ გადასხმოდა. და მიელო კიდეც ჩვენს სისხლში ამოვლებულ ბედს ჩვენი სისხლის შესაწირავი!..

– ნუთუ უსისხლოდ ჩვენ ბედი არას გვითმობს? – ზეცას შეჰღაღადებდა ილია ამ რიტორიკული შეკითხვით.

სახელი სხვას მიჰქონდა, დიდებას სხვა ისაკუთრებდა, თავის საზღვრებს უფრო შორს სხვა გადასწევდა, მაგრამ ჩვენსასაც ხომ მივაღწევდით, გახ-

ლეჩილი სხეულის ერთ ნაწილს მაინც რომ დავიბრუნებდით, სხვა მოგლეჯილი ნაწილის შემოსაერთებლადაც შეგულიანებულნი.

დაბრუნება დაბრუნებად, მაგრამ ძველი ისტორიული მიწები ბუნებრივად რომ შერწყმოდა და მორგებოდა დედასამშობლოს წიაღს, დიდი გარჯა ესაჭიროებოდა მოღვაწეებისა, სისხლი ოფლით უნდა განმტკიცებულიყო, რათა კიდევ უფრო ახასხასებულიყო ის ეროვნული სახე და მშობლიური დედა ენა, აჭარა-ქობულეთის მხარეს რომ შეენარჩუნებინა...

და თუ ვინმე, ილიაც უშუალოდ და ჩვეული თავგამოდებითაც უნდა ჩაბმულიყო ამ პროცესებში და ოფლიც უხვად ჩაეღვარა, რათა ამ მხარის მოსახლეობას ეგრძნო მთელი ქართული საზოგადოების, მათ თვისტომთა დიდი თანადგომა.

ამ დიდ სიკეთეს დიდი ბოროტებაც რომ მოჰყვებოდა?

მუჰაჯირობა სხვაგვარად როგორ თქმულიყო, თუ არა იმპერიული პოლიტიკის ასპექტად: იძულებული გამხდარიყო აჭარა-ქობულეთის ქართველობის ნაწილი, აყრილიყო მშობლიური მიწა-წყლიდან და კვლავ ოსმალთა ქვეყანაში ეძებნა თავშესაფერი.

მხილება ესაჭიროებოდა ამ მზაკვრულ ფანდებსა და ხლართებს, რითაც მიერეკებოდნენ ძლივს შემოერთებულ ქართველობას სამუჰაჯიროდ?

და კვლავ იკავებდა წინასწარმეტყველი ამბიონს „ივერიის“ თებერვლის ნომერში:

ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, თესავდა ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად საანატრელი უნდა ყოფილიყო ცნობიერად მომართული სახელმწიფოსათვის.

მარტო ეს სიყვარული თუ იქნებოდა სათავე ყოველივე იმისა, რაც კი შეადგენდა სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, რადგანაც მარტოდენ სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხი თუ შეიძლება ყოფილიყო საიმედო ყოველ განსაცდელში, რაც კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვეოდა.

სადაც ეს სიყვარული არ არსებობდა?

იქ სახელმწიფო ფულურო ხდებოდა, ფუყე, ლაზათიანი ქარის შემობერვა და... მისი გადამსხვრევა ერთი იქნებოდა.

რა ესაჭიროებოდა ხალხის მახლობელ მმართველობას?

კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგება.

და უამისოდ მთავრობა კი აღარ, წეწვა-გლეჯა წარმოდგებოდა, ზედმისევა და თავზარი ხალხისათვის.

ამ წეწვა-გლეჯისა და ზედმისევისაკენ მიდრეკილებას გამოეწვია მუჰაჯირობის პროცესი, რომლის შენელებაც სწორედ იმ დიდ თანადგომასა და მზრუნველობას თუ შეეძლებოდა, ილია რომ აგულიანებდა თვისტომთ და მთელ დანარჩენ მხარეებს აჭარა-ქობულეთისაკენ მიახედებდა, ვისაც რა სახსარი გააჩნდა, იმათთვის რომ უნდა გაეწიწილებინა, რათა სისხლით შემომტკიცებული მოსახლეობა იმპერიულ პოლიტიკას ასე უღმერთოდ არ გაემეტებინა.

რუსეთს ხომ ტერიტორია ესაჭიროებოდა და არა ხალხი, შემავსებელი ქართველობისა.

ამბიონი ამბიონად, მაგრამ მთლად ისეც ვინ დაანებებდა, წინასწარმეტყველი რასაც გამოგლეჯდა წუთისოფელს ზეპირმეტყველებისას – ცენზორი მისდევდა კვალდაკვალ, ცენზორი უხუთავდა სულს და უძნელებდა არსებობას, რაღაცას რომ არაფრისდიდებით არ გაატანდა ილია და რაღაცა კი უსათუოდ უნდა დაეთმო, რათა ნაგლეჯებად მაინც მიეღწია მკითხველამდე მის გულისტკივილსა და სასოებას – პირდაპირ თუ ვეღარ ამოიკითხავდა, ეგრძნო და მიმხვდარიყო მაინც, რა ნესტრითაც დაჩხვლეტილიყო ეროვნული ბრძოლის წინამძღოლი.

ხოლო „შინაური მიმოხილვის“ ჟანრი...

თუმც მანამდე კვლავ იმ პოემას როგორ არ მივუბრუნდეთ, „მეფე დიმიტრი თავდადებულს“, რომლის გამოქვეყნებაც დიდ მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა მაშინდელ მწერალთა და ახალგაზრდათა პატარა წრეში; და გრიგოლ ყიფშიძის თვალწინ რომ დატრიალდებოდა ის მღელვარება, მოგვიანებით კიდეც აღადგენდა იმ სურათს, თუ როგორ დასდებდნენ ბრალად ილიას პოზიციის შეცვლას, წარსულისაკენ ცქერას, ის კი არა – ცარიზმის პრინციპების მომხრეობასა და იდეალიზაციას.

ერთი ჯგუფი, რომელიც გაზეთ „ობზორის“ გარშემო იქნებოდა შემოკრებილი, მიზანში ამოიღებდა არამარტო „ივერიას“, არამედ მთლად იმ ჯგუფს, ქართული კულტურისათვის რომ იღვწოდა. გამოარჩევდა ერთერთ თანამშრომელს – გ. უთურგაურს, მიზანმიმართულად რომ ებრძოდა ამ ჯგუფს და განსაკუთრებით „ივერიელებს“, მისი სტატიები ამ მოსაზრება-ბრალდებების ირგვლივ რომ იტრიალებდა:

ძველ დროს შესტრფიან, საფლავებისაკენ მიუბრუნებიათ პირი, რაღაც „სექტა“ შეუქმნიათ, საკუთარი სინედრიონი ჰყავთ, მოძულე სინათლისა, ლიბერალიზმისაო. ენა მათი ხომ ანტონ კათოლიკოსის ენაა, ძველისძველი, დაობებული და გაუგებარიო.

და დასძენდა გრიგოლ ყიფშიძე მწარე გულისტკივილით:

თერგდალეულებს თითქმის იგივე გადახდათ და იგივე დაადგათ, რაც თვითონ დააყენეს მამებს, ძველებს, და რაც შემდეგ – დასელების წარმოშობის დროს – ისე გაღრმავდა, გაძლიერდა და გამწვავდაო.

ილია ჭავჭავაძის ენას მოძველებულად, დაობებულად და გაუგებრად რომ შერაცხავდნენ!..

და თვითონ მას, როგორც თავკაცს იმ საკუთარი სინედრიონისა, სინათლისა და ლიბერალიზმის მოძულედ.

სიბერემდე სიქაჩლეო:

გრიგოლ ორბელიანი ლიბერალობას უკიჟინებდა.

„ობზორელები“ – ლიბერალიზმის სიძულვილს.

ისე მართლაც შემოტრიალებულიყო ილიას ყოფა – ზუსტად იმავე მდგომარეობაში რომ ჩააყენებდნენ, თვითონ როგორც და რა არგუმენტებითაც შეეტაკებოდა წინამორბედ თაობას.

და ეამაყებოდა გრიგოლ ყიფშიძეს, როგორც ილიას ერთ უპირველეს თანამოაზრესა და სულაც მის „მარჯვენა ხელს“, რომ:

თუმც დიდ იერიშს მიიტანდნენ ეროვნულ ნიადაგზე მკვიდრად დამყარებული ჯგუფის წინააღმდეგ „ობზორელებიცა“ და „იმედელებიც“, სადაც ტეტიათა მოტრფიალენი მოკალათებულიყვნენ, მაინც ძვრას ვერ უზამდნენ იმ პოზიციას, რომელზედაც იდგებოდა ის ჯგუფი და ილია – თავისი ჟურნალითა და თანამშრომლებით.

ერთ საგულისხმო დეტალსაც გვამცნობდა:

მართალია ერთ მუდმივ და ჯამაგირიან თანამშრომელს, რაც იშვიათობა გახლდათ იმ დროს, ძალზე ნაკლებად ეცოდინებოდა ქართული, მაგრამ სულ რამდენიმე თვეში ისე შეათვისებინებდა ილია დედა ენას, რომ მის ნაწერებს კაცი უკვე ძნელადღა თუ გამოარჩევდა თვით ილიას ნაწერებისაგან. ეს თანამშრომელი გახლდათ ნიკოლოზ ქანანოვი (დავითიშვილი), რომელიც შემდგომ ბაქოს სახელმწიფო ბანკის გამგე შეიქნებოდა.

სიამით მოიგონებდა, როგორ გაუმკლავდებოდა ყველას ერთად ილია „სხარტულათი“, ერთიერთმანეთს აფარებდა „დროებასაც“, გიორგი თუმანიშვილსაც თავისი ალმანახით და ნიკო ნიკოლაძესაც, რომლის შესახებაც რუსთველისეულ სტრიქონთა პაროდიას დაურთავდა პილპილიანი სტატიის ფინალად:

იყო ქართლ-კახეთს, იმერეთს ნიკოლაძეი სვიანი, ერთი ცუღლუტი, მანქანა, გულმშრალი, ენაწყლიანი, „ობზორისა“ რედაქტორი, ტყიბულით ნახშირიანი, და თვით ტრაბახა უებრო, რაღაც ჩხავანა ხმიანიო.

რაო, რასა ბრძანებდა? ჩემი სახელი ამქვეყნად რამ უნდა დაამჭკნაროსაო. თავი მოჰქონდა მწერლობით მწერალთა საბაღნაროსა, თუ მოისურვებდა, ხვალვე დაჯდებოდა სენატის მაღალ თაროსა.

ცოტა რამ ნაკლი-სისუსტე რა სჭირდა ჭირთა უფრო ძნელი და: ტრაბახი სჩვეოდა ხანდახან, რა ეღონა, სოფელი ჭრელი გახლდათ, სხვა რომ არ აქებდა, თვითონ კვეხულობდა, ვითომ დასაწუნი რა იყო, იქ ყველა გამოადგებოდა, სადაც ხალხში სიბნელე სუფევდა.

და „დროებაც“ უნდა მიეჭყლიტა, ასე რომ ააღაღადებდა ამ პაროდიაში ნიკოლაძის მიმართ: ბატონო, რად ბრძანეთ თქვენი მკვეხარობა, როცა მწერალი ტრაბახობს, უმეცართ მართებთ ჯერობა, თქვენივე მეტობს ყოველსა სული და ტურფა ფერობა, ამას გვარწმუნებს თვითონვე თუმანიშვილის მჭევრობაო.

გიორგი თუმანიშვილი ფეხქვეშ რომ გაეგდო და რაც რევაზ ერისთავისათვის დაეკლო, ამისათვის შეესრულებინა, მისი ნათარგმნი „ჟორჟ დანდენი“ გონებამახვილობის ფოიერვერკით რომ გაეცამტვერებინა – კალმის წვერზე თავისით მოეკიდებოდა და ესეც აღარ ჩამოხსნიდა.

„დროება“ ფიანდაზად გადაშლოდა ნიკო ნიკოლაძეს და რაღა როსტევანის ქება და რაღა ამისი, ილიას ხელში მწვავე სარკაზმად რომ გარდაისახებოდა, და ადრესატს კიდევ ერთხელ ჩააკვრევინებდა მჯიღს გულში – რომ ჩამომყავდა, სად ჩამომყავდა, ეს თუ მინდოდა, მივიღე კიდეცო:

მაგას ნუ ბრძანებთ, ბატონო, ჯერ ვარდი არ დაგჭკნობია, თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია, იკვეხე, მინამა ხალხი თქვენი არ არის მცნობია, როცა გიცნობენ, მაშინ კი: „პროშჩაი“, გამარჯობიაო!..

იმ ფელეტონზე გადაუკრავდა გამჭვირვალედ, ლამის სამუდამოდ რომ გამოეთხოვებოდა თავის მკითხველსა და თავის ქვეყანას ნიკო ნიკოლაძე და საიმედო ნავსაყუდელს დაუწყებდა ძებნას ევროპის სახელმწიფოებში. და სხვა ვეღარც ვერაფერი შემოაბრუნებდა, თუ არა წინასწარმეტყველის მუნათი, ახლა რომ ნანობდა ილია თავის იმ ჩარევას იმის მომავლის განსაზღვრაში: რომ ჩამომყავდა, სად ჩამომყავდა, ეს თუ მინდოდა, მივიღე კიდეცო!..

კამათი გაცხარდებოდა, ჯერ აქამდეც არ შეეპუებოდნენ ერთიმეორეს და უფროდაუფრო შეტოპავდნენ და შეტოპავდნენ.

1880 წელს ახალი და საგულისხმო მოვლენა მოხდებოდა ჩვენს ჟურნალისტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში:

„დროება" და „ივერია" შეერთდებოდნენ, რისი გამოისობითაც „დროება" ყოველდღიურად გადაიქცეოდა, „ივერია" კი კრებულად გარდაისახებოდა და იმ წელს ოთხი წიგნის მეტი არ გამოვიდოდა.

პოლემიკა გაზეთის ფურცლებზე გადაინაცვლებდა.

და აი 29 თებერვალს, „დროების" 46-ე ნომერში, დაიბეჭდებოდა ის მეტად მწვავე მეთაური „ობზორის" წინააღმდეგ, ილიას ნიკო ნიკოლაძისაგან გამოგზავნილი სეკუნდანტები რომ მოადგებოდნენ...

სადაც წვრილია, გაწყდესო?

წყდებოდა და ეგაა...

იონა მეუნარგიას ისე რომ ეცოდინებოდა: სეკუნდანტები ილიამ მიუგზავნაო?

გრიგოლ ყიფშიძე უფრო ჩახედული ჩანს ამ ეპიზოდში, უფრო ნიშანდობლივად მოეხსენება ის არსებითი გარემოებანი, რაც იონასათვის საიდუმლოთი შებურვილი დარჩებოდა, და ამიტომაც უფრო მოსალოდნელია, ნიკოს გადაეგდო ხელთათმანი.

და წარსდგებოდა ერთიმეორის პირისპირ დუელიანტთა ბარიერთან ორი მიდეგა, ორი თავზეხელაღებული კაცი, დაუთმობელი და შეუპოვარი.

და... თუკი აქამდე ვერ მოხერხდებოდა მათი დაშოშმინება და შერიგება, ახლა რაღა შეაჩერებდათ, რაღა გადააფიქრებინებდათ ამ საბედისწერო შერკინებას!.. საბედისწეროს არამცთუ მათთვის, მთელი ქვეყნისათვის!..

რა და...

თუმც ჯერ მაინც ეს ითქვას, „შინაური მიმოხილვის" ჟანრის შემქმნელი ქართულ ჟურნალისტიკაში ილია ჭავჭავაძე რომ უნდა ყოფილიყო.

სწორედაც ჟანრის, გრიგოლ ყიფშიძესა და იაკობ გოგებაშვილსაც რომ გაუღვივებდა ცნობისწადილს ამ მიმართულებით და დროდადრო კიდეც შემოიამხანაგებდა ხოლმე ილია: ერთს ხუთჯერ და მეორეს – ორჯერ.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდა პუბლიცისტური წერილის ამ ნაირსახეობას და არ უკვირდა, მანამდე რომ არავის მოეკიდა ხელი.

შინაური მიმოხილვისთანა ჩვენში ძნელი საქმე ჩვენებურ მწერალს არა ჰქონდა.

და ეს იმიტომ, რომ:

ჩვენში შინაური საქმე ისეთი საგანი გახლდათ, რომლისთვისაც ჯერ ხელი სხვას არავის ეხლო, რომელზედაც ვერავითარ მსჯელობას, ვერავითარ მოსაზრებას, ვერავითარ დასკვნას სხვა ქვეყნების ლიტერატურაში ვერ იპოვნიდით პირდაპირ და მოჭრით, რომელზედაც მაშასადამე – გინდოდათ თუ არა – თქვენი აზრი უნდა შეგემუშავებინათ და რომელიც თქვენი საკუთარი საზომით უნდა გაგეზომათ...

ერთი სიტყვით: ჩვენი შინაური საქმეები ჯერ კიდევ გაუკეთებელი ხორბალი გახლდათ, რომელიც ჩვენ თვითონვე უნდა გაგვენიავებინა, გაგვეცხრილა, დაგვეფქვა, მოგვეზილა და საკუთარი ჭკუის თონეში გამოგვეცხო...

ამით ილიას იმის თქმა კი არა სურდა, თითქოს:

ჩვენი შინაური საქმეები ისეთი განსაკუთრებული თვისებისა ყოფილიყოს, რომ სხვა ხალხთა ნაცადი, ნაკვლევი, ნააზრევი არასგზით არ მიუდგებოდა, სხვისი აზრით ჩვენი საქმე არ აიხსნებოდა.

ამ შემთხვევაში უფრო ხშირად ჰო ითქმოდა, ვიდრე არა, რადგანაც ხალხთა ცხოვრებაში ბევრია ზოგადი კანონი, რომელნიც ყველგან ერთნაირად მოქმედებენ. ასე რომ არ ყოფილიყო, თვითონ მეცნიერებაც, რომელიც სხვა არა არის რა, გარდა კრება ზოგადი კანონებისა, ფუჭი სიტყვა იქნებოდა.

მაგრამ ვიდრე ჩვენს საკუთარ ჭირს სხვისაგან ნაცად წამალს შევურჩევდით, ჯერ ჩვენ თვითონვე უნდა გვცოდნოდა – რა თვისების ჭირი გახლდათ, მისი სიგრძე-სიგანეც გაზომილი გვქონოდა, მისი სიმძიმეც – აწონილი.

ერთი სიტყვით: ეს ჭირი თავიდან ფეხებამდე ჩვენ მიერ ცნობილი და გაგებული უნდა ყოფილიყო, თორემ ქარისაგან შეშინებულებივით დოს დავუწყებდით ბერვასა.

კაცს რომ გულის ფრიალი ჰქონოდა და შენ გეთქვა: მწყურვალის წამალი წყალიაო, – რასაკვირველია მართალი იქნებოდი, მაგრამ... სულელობაში ჩამოგერთმეოდა.

სწორედ ასე მოსდიოდა ბევრს, როცა ძალაუნებურად მოახედებდი (მათ მაღალ მსვლელობასო, დამცინავად გადაჰკრავდათ) შინაურ საქმეებზედ. თუ მზამზარეულად გამომცხვარ აზრს ვერ იპოვნიდნენ სხვა ლიტერატურაში – უფრო რასაკვირველია რუსულში – იმ საგანზე, რომელსაც ხანდახან და ძალიან იშვიათად ჩვენი დავარდნილი ცხოვრება დაუყენებდათ ხოლმე, მაშინ გენახათ იმ ზოგიერთი მწერლის ოფლის წურვა და ჭაპანწყვეტა.

– რაზედ იჭირებენ საქმეს? – კითხვის გამომეტყველებით მიაჩერდებოდი ილიას, – თუკი არ შეუძლიათ, ხელს რაღად ჰკიდებენ?

ეღიმებოდა პასუხად გულთამხილავს, თვითონ ამ ეპითეტით შექსპირს რომ მოიხსენიებდა ხოლმე:

უნდა გვცოდნოდა, რა დაუმონავი რამ არის მწერლის საღერღელი! ყველა სხვა საღერღელზე უარესი, რადგანაც ყველა საღერღელის დამორჩილება შეიძლებოდა, ამისი კი – არაფრისდიდებით. ის როცა კაცს აეშლებოდა, ლომებრ უხოკდა გულს. და თუ ამასთან ენის ქავილიც აუტყდებოდა მწერალს, მაშინ ხომ ხსნა არსაით გამოჩნდებოდა.

ვაი მაშინ მწერალს და... უფრო მეტად – ვაი მკითხველს!.. თქვენს მტერს, მაგათ დღე დაადგებოდათ. აქაოდა ენის ქავილი მაქვსო, მწერალი არახუნებდა მოშლილი წისქვილივით და საწყალ მკითხველს ამით ყური უნდა გამოეჭედა.

მართლაც რომ ავი დღე დაადგებოდა ხოლმე ჩვენებურ მწერალს, როცა შინაურ საქმეში მოამწყვდევდა სადმე ბედი და პასუხს ეკითხებოდა.

მაშინ ხან აქეთ ახლიდა თავს და ხანაც იქით, ხან ერთ წაღმა-უკუღმა გაზეპირებულ წიგნს მივარდებოდა, ხანაც მეორეს: ამ წყეულ საგანზე ხომ არავის უთქვამს რამე, რომ სხვისი აზრი ვითხოვო, საკუთარ კაბასავით ზედ გადავიცვა და ქვეყანაში გამოვიდეო.

ცხადია თუ ამ შემთხვევაში საკუთარი ტვინი არ უჭრიდა და სხვა ლიტერატურის მოშველიება ესაჭიროებოდა, შველას მარტოდენ ზოგადად გამოთქმულ აზრთაგან უნდა დალოდებოდა, რადგანაც ყოველივე, რასაც ჩვენი ცხოვრებას თავისი დენისას აღმოგვიჩენდა ხოლმე, კერძოდ მოვლინებული საგანი გახლდათ და მის თაობაზე ზედმიწევნით და მოჭრით კერძოდვე გამოთქმული აზრი არსად იქნებოდა.

არც იმხელა განსჯის უნარი მომადლებოდათ, რომ კერძოდ, განმარტოებით მოვლენილი საგანი ზოგადი აზრის ქვეშ დაეყენებინათ და შესაფერი სხივი მოეფინათ.

მაშინ მეტი რაღა გზა რჩებოდა: გულდაწყვეტილი უნდა მიდგომოდა მათხოვარივით საკუთარი ტვინის სადგურს – რომელსაც ზოგი უსამართლოდ თავს ეძახდა და ზოგიც სამართლიანად გოგრას – და ერაკუნებინა დაბადებითვე დახშული კარისათვის, იქნებ აქედან მაინც მეშველოს რამე და საგანს პასუხი აქ ვუპოვნოო.

მაგრამ როგორ ეთქვა შექსპირს? არარაისგან არ იქნების არარაიცაო.

თუმც ძალიანაც არ ამტყუნებდა ჩვენებურ მწერალს: თვითონ ცხოვრება სად არსებობდა ჩვენში, რომ ცხოვრებას ეკითხა შენთვის და შენ კი პასუხი გეძლია. ჩვენი ცხოვრება ზურგგადაღლეტილი და დავარდნილი სახედარივით ეგდო უძრავად სადღაც კუთხეში და სიცოცხლეს მხოლოდღა იმით იჩენდა, რომ პირუტყვივით იცოხნებოდა.

თუ დროთა ბრუნვა წიხლს დააზელდა, მაშინ მოძრაობასაც იჩენდა, მაგრამ მხოლოდ მით, რომ ერთი ყრუდ დაიბღავლებდა, ერთი გვერდიდან მეორეზედ ფხანვით გადაბრუნდებოდა და ისევ უწინდებურად თვლემით და არხეინად ცოხნას მოჰყვებოდა, ვითომდა არც არა ეტკინა და არც არა ეზიანაო.

აბა შინაურ საქმეებს რომ ახსენებდა და ვინმეს შესაძლოა ჰგონებოდა: ჩვენი ცხოვრება დუღს და გადმოდუღსო?

მაგრამ ილიას აქ ეგულისხმა ის დიდად იშვიათი შემთხვევა, ის ათასში ერთი მაგალითი, როდესაც ჩვენი ცხოვრება რაიმე ღირსშესანიშნავ საგანს მოიგდებდა ხოლმე თავის ზედაპირზედ. უამისოდაც არ იქნებოდა და ზოგჯერ სასწაულიც ხდებოდა.

ამისთანა ქვეყანაში, სადაც ცხოვრება ხავსმოკიდებულ გუბესა ჰგავდა, ანუ ჭიაჭუათა და ქვემძრომთა საბუდარს, იქ მწერალს რა უნდა ეღონა?

კვლავ იმ სურათს შეჰყურებდა, „კაცია-ადამიანის?!“ იმ უარყოფილ წინასიტყვაობას რაზედაც ამოაშენებდა. და... ნუთუ მას მერე არა შეცვლილიყო რა ქვეყანაში თუნდ ილიას თავგამოდებით? ნუთუ სასიკეთო კვალი ვერა და ვერ დაეჩნია ყოფითი რეალობისათვის?

თვითონ არც იმდენად აფასებდა თავის ნაღვაწს და სასიკეთო საქმენი მომავალში უფრო ეგულებოდა, თან გულს აწყდებოდა: როდისღაო?!.

დრო უღვთოდ მიჭენაობდა, მიჰქროდა და ხელჩასაჭიდს თითქოს არას გიტოვებდა... კიდევ კარგი, რომ „თითქოს“...

ჭიაჭუათა და ქვემძრომთა საბუდარში მწერალს რა უნდა ეღონაო...

ჭიაჭუებისათვის რომ ყურში ხელი წაევლო და ეწივლებინა, ეს ერთხელ და ორჯერ კიდევ შესაწყნარებელი იქნებოდა, მაგრამ გამუდმებით კი – მოსაბეზრებელი და მოსაწყენი. კაცს ყოველ სურვილს კითხვისას მოუკლავდა.

გარდა იმისა, რომ ჩვენებურ მწერალს თვითმსჯელობა არ განვითარებოდა, მეორე დაბრკოლებად ის იჩენდა თავს, რომ საგანი არ მოიპოვებოდა გარშემო, მწერალს მასზე შეეჩერებინა თავისი გონების თვალი და მკითხველის ყურადღება.

თუნდ რომ ათასში ერთი მოძებნილიყო კიდეც, თქმაც ძნელდებოდა, რადგანაც წყლით გივსებდნენ პირს, ნაღველს ან სულ არ ამოგათქმევინებდნენ, და თუ ამოგათქმევინებდნენ, ისე ბუნდად, არეულად, გაკვრა-გადაკვრით, რომ არამცთუ კაცი, თვითონ ეშმაკიც კი კისერს მოიტეხდა.

ამის გამო ბევრად შესაწყნარებელი და შესანდობარი გახლდათ სიღარიბე ჩვენებური მწერლობისა და ნამეტნავად ჩვენებური პუბლიცისტიკისა.

რა უნდა გეეღონა:

საფანელი არ არსებობდა ჩვენს ცხოვრებაში და ამის გამოისობით არც აზრის შედედება ჩანდა, და თუნდ ყოფილიყო კიდეც...

და ამ მძიმე რეალობის გადმოშლის შემდგომ როგორ არ ეთხოვა მკითხველისაგან თანაგრძნობა:

ამით შეგვიბრალეთ და განგვიკითხეთ, როცა ჩვენს შინაურ საქმეებზედ სჯას კითხულობთ ჩვენებურ ჟურნალ-გაზეთებშიო.

თუნდ რომ ღონეც ყოფილიყო, დიდს ჩვენ არ გვაღირსებდნენ, და მეტი რა ჩარა რჩებოდა, რომ ნამცეცების კრეფას არ შევდგომოდით, ისიც დიდი სიფრთხილითა და ენის კვნეტით, რომ მეტი არა წაგვცდენოდა რა.

და... მაშ მოვყოლოდით კვლავინდებურად ნამცეცების კრეფას.

– ერის ბელადი იყო!..

„რატომღა ჰკლავდი, შე კაი კაცო?!.“

და იდგა ერთმანეთის პირისპირ დამბაჩებმომარჯვებული ორი მიდეგა, ორი თავზეხელაღებული კაცი, დაუთმობელი და შეუპოვარი.

რას შეიძლება შეეჩერებინა ისინი, დაეშოშმინებინა, გადაეფიქრებინა საბედისწერო გასროლა!.. საბედისწერო მარტო მათთვის ხომ არა!..

რას და...

საპავლეინგოროყვო საკვლევ-საძიებელი უნდა ყოფილიყო ეს ეპიზოდიც და კიდევ სხვა ამისთანა ეპიზოდებიც ილიას ცხოვრებიდან, ლიტერატუ-

რულ დეტექტივებში ასერიგად გაწაფულისა და ამ ჟანრში ქრესტომათიული, კლასიკური ნიმუშების შემქმნელის, დუელის ამბების გამორკვევა სწორედაც მის დეტექტიურ უნარს რომ მოითხოვდა, მითუმეტეს, გრიგოლ ყიფშიძე, ასერიგად ჩახედული ილიას პირად ცხოვრებაში, ზუსტად ვერც ასახელებდა ილიას დუელთა რაოდენობას: რვა თუ ცხრაო... და ნიმუშად – გარდა ნიკო ნიკოლაძესთან იმ ლამის ტრაგიკული შერკინებისა – გაიხსენებდა მისი მოხუცებულობის იმ შემთხვევას, როდესაც ბანკის კრებაზე ილია დაიწყებდა კითხვას საგანგებო სარევიზიო კომისიის მოხსენებისა, და აქეთ-იქიდან შემოსძახებდნენ ოპოზიციური ჯგუფის წევრები:

– თქვენ ნუ კითხულობთ, სხვამ წაიკითხოს.

– მაშ არ მენდობით? – წყრომით მიმართავდა ილია ერთ-ერთ ოპოზიციონერს, რომელიც ყველაზე დაჟინებით მოითხოვდა:

– სხვამ წაიკითხოს კომისიის მოხსენება, ილიას წინააღმდეგ მიმართული.

ის კვლავ თავისას გაიმეორებდა, არც შეკითხვას ჩააგდებდა არად და არც წყრომით კილოს.

და პასუხად ილია:

– კარგი, აი გადამიცია, სხვამ წაიკითხოს, ხოლო თქვენ მე მომცემთ პასუხს მაგისათვის.

ის ეტყობა ვერ გაერკვეოდა, რას გულისხმობდა ეს „თქვენ ნუ მომცემთ პასუხს“, და მაშინღა გაუნათდებოდა გონება, როდესაც მეორე დღეს ილიას სეკუნდანტები ეწვეოდნენ იარაღისა და ადგილის შერჩევაზე მოსალაპარაკებლად.

– მე... მე დიდი პატივისმცემელი ვარ ილიასი, – გაოგნებული ამასღა ამოღერღავდა.

– თქვენი სეკუნდანტები დაასახელეთ, ბატონო.

– საწყენად არა მითქვამს რა.

– ადგილსა და დროზე შევთანხმდეთ... იარაღად ალბათ დამბაჩას ინებებთ.

– გაგიჟდით თუ რა?

– ჩვენ სრულ ჭკუაზე გახლავართ, ოღონდ ამდენი მოცლა კი არა გვაქვს, დროზე გადავწყვიტოთ.

– ბატონ ილიას ბოდიშის მოხდა არ დააკმაყოფილებს?

– დააკმაყოფილებს ცხადია.

– მაშ ჩემგან ბოდიში მოახსენეთ და, თუ ინებებს, პირადადაც გავუმეორებ.

– აღარ გახდება საჭირო... შემონათვალს იყაბულებს.

და ამით მოთავდებოდა.

იდგებოდა 1905 წელი, და ბევრი აღარ რჩებოდა ილიას 70 წლის შესრულებამდე და... წიწამურამდე.

– როგორ შემეშინდა, სისხლი გამეყინა, – ჭირის ოფლი გადასკდებოდა იმ ოპოზიციონერს, როდესაც სეკუნდანტთა იმ სტუმრობას მოიგონებდა ხოლმე.

– არა ხარ მშიშარა და... – უკვირდათ.

– სიკვდილისა კი არ შემშინებია...

– აბა?

– ჩემი სიკვდილი ჯანდაბას, განა რა დააკლდებოდა ქვეყანას, მაგრამ მე რომ... მე რომ შემომკვდომოდა ის დიდებული კაცი, ხომ მოსვენებას ვეღარც ვიპოვნიდი ამქვეყნად.

– კაენივით?

– კაენივით...

ისიც კი არ აღენიშნა გრიგოლ ყიფშიძეს, ილიას სადუელო იარაღები საგანგებოდ რომ გამოედო თაროზე – რედაქტორის კაბინეტში.

არამცთუ არსებობდა ამგვარი რამ – სადუელო დამბაჩები – ილიას კიდეც შეეძინა, არ დასჭირდებოდა თუ რა?!.

იმ დღეს მაინც ძალიან გამოადგებოდა, როდესაც მისი მწვავე გამოხმაურებით თავმოყვარეობაშელახული რედაქტორი კაბინეტში შეეჭრებოდა მუქარითა და ბაქიბუქით, და დუელში გამოითხოვდა. და ელვისისწრაფით გადმოიღებდა თუ არა მასპინძელი იმ სადუელო ყუთს და გაუწვდიდა:

– შენს ნებაზე იყოს, რომელი დამბაჩაც გენებოს, ის ამოირჩიე.

ისე წახდებოდა და რას წახდებოდა, ისე ჩაიფშუკებოდა, ისე დაპატარავდებოდა მობაქიბუქე, ილია ცოტა არ იყოს შეშფოთდებოდა: ემანდ მთლად არ გაქრეს თვალსადახელშუაო. ამასობაში კი შიშისაგან იატაკს გართხმული ამოსძახოდა:

– ეს იარაღი რა შუაშია, ისე შემოგიარე, მოსაკითხად, აქეთ მოვხვდი და...

ნეტა სხვა ამბები როგორღა მომხდარიყო, ყველა მობოდიშებით რომ გათავდებოდა: ეგრე არ გვინდოდა, სხვა რამის თქმა გვსურდა და სულ სხვა რამ კი გამოგვივიდა უნებურადო.

ყველას შეაგროვებდა პავლე ინგოროყვა, ნიკო ნიკოლაძეს რომ არ მორიდებოდა, და ჩემს საძიებლად არ გახდიდა, „ქართული დუელიანასათვის" რომ დავისაჭიროებდი იმ ეპიზოდთა აღდგენას, განსაკუთრებით კი სწორედ ნიკოსთან დუელისა – თავისებურ გვირგვინად რომ ადგას ილიას დუელთა რვა თუ ცხრაეპიზოდიან რკალს.

და იდგა ერთმანეთის პირისპირ ორი მიდეგა.

ორი თავზეხელაღებული.

ორი შეუპოვარი და დაუთმობელი.

იარაღამომარჯვებულნი.

პირგამეხებულნი.

გასალკლდევებულნი.

ნიკოლოზ სიმბორსკის გული ვერ გაუძლებდა და ხან ერთს მივარდებოდა, ხანაც მეორეს: ხელი აიღეთ სროლაზე და როგორმე შერიგდითო!..

რა გინდა გეთქვა – სიტყვა არა ჭრიდა.

რა გინდა მოგემოქმედა – არა ჭრიდა ეს მივარდნ-მოვარდნა და დაჩოქებაც.

და რა შეიძლება მომხდარიყო, თუ არა საბედისწერო გასროლა, ან ერთს რომ გაისტუმრებდა უკეთეს ქვეყანაში და ან მეორეს.

სიმბორსკის კიდევ რაღაცისა ეიმედებოდა, მთლად ეგრე როგორ გაიმეტებენ ერთმანეთსო, მაგრამ იმეტებდნენ და ეს იყო, და... ჩაიჩოქებდა და აქვითინდებოდა ისე გულსაკლავად, ქვასაც კი აატირებდა:

– გონს მოდით, რას სჩადით, გონს მოდით... გონს... რატომ არ ფიქრობთ, რომ რომელიმე თქვენგანის დაღუპვა შეიძლება საბედისწეროდ გაუხდეს ქვეყანას... შეიძლება კი არა, საბედისწერო იქნება... საბედისწერო... თქვენი ხელითვე როგორ ღუპავთ, რაც ამდენი ხანია რუდუნებით და თავდადებით გიშენებიათ...

ქვასაც თუ აატირებდა, გაქვავებულ გულსაც შეათრთოლებდა და უკიდურესი განრისხების გამოისობით დაბინდულ გონებასაც გადაწმენდდა, ურთიერთწყენა უეცრად სადღაც რომ ჩაეკარგებოდათ და წინ ერთბაშად წამოიწევდა სულ სხვა წუთები, სულ სხვა შეხვედრები, ნიკო ძალისძალათი რომ აბრუნებდა პროვინციაში გაქცეულ ილიას საზოგადოებრივ ასპარეზზე და ილია ძალისძალათი რომ აბრუნებდა საზღვარგარეთ გადახვეწილ ნიკოს იმავე ასპარეზზე... და ის საუბრები, საქართველოს უკეთესი მომავლის გზებს რომ ეძიებდნენ და უმთავრესში ყოველთვის თანხმდებოდნენ.

რაო, ილიასათვის ფუჭად ჩაევლო პეტერბურგის უნივერსიტეტის წლებს, რაკიღა ფრიდრიხ შილერის, უოლტერ სკოტისა და ლორდ ბაირონის კითხვის მეტს არას აკეთებდა?

დაე ნიკოსთვისაც ასევე ფუჭად გალეულიყო ეს წლები, უპირველესად ამ მწერლებს რომ დაეწაფებოდა, ილიას სახელისაგან მოგვრილი რაღაც მაგიური ძალით შეპყრობილი... ჯერ არც იცნობდა, ჯერ არც ენახა და უკვე...

რაღაც გალღვებოდა ბარიერთან, რაღაც გათბებოდა... და სეკუნდანტებად მიწვეულნი ამას იგრძნობდნენ თუ არა, მაშინვე ჩაერეოდნენ, მოჰკიდებდნენ ხელს ერთსაც, მეორესაც, ერთმანეთს მიაახლებდნენ და ხელსაც ჩამოართმევინებდნენ.

შეპირებით შეპირდებოდნენ:

– ოქმს გავამზადებთ ისეთს, ორივეს თავმოყვარეობა დაკმაყოფილებული იქნება.

სიმბორსკი ისე იქნებოდა გულამომჯდარი, ტირილს კვლავაც განაგრძობდა, ტკივილი სიხარულად გარდასახულიყო და მთელი არსებით მინებებოდა ერთმანეთში აზელილ განცდებს.

– შერიგდნენ, შერიგდნენ, შეხედე, ხელიც ჩამოართვეს, რა ტკბილად საუბრობენ.

და სიმბორსკი თავისით თუ ჩაწყნარდებოდა როდის-როდის, თორემ ვინ უნდა ყოფილიყო მისი გამჩერებელი.

მერეა ოქმში რომ ჩაიწერებოდა:

ილია ჭავჭავაძე უარყოფდა თავის წერილს „დროებაში“.

ხოლო ნიკო ნიკოლაძე აღარ შეეხებოდა ილიას პირადობას „ობზორში“.

ეს ეპიზოდი რომ ჩაერთვოდა „ქართულ დუელიანაში“, იმ აკორდზე უნდა დასრულებულიყო:

კიდევ კარგი, ნიკოლოზ სიმბორსკი სროლამდე ატირდა და არა სროლის შემდეგო.

და იმ ფრაზას აქაც გავიმეორებ, ოღონდ არა დამაგვირგვინებელ აკორდად.

და ეს იმიტომ, ის ბარათია გასახსენებელი, 1883 წლის 28 თებერვალს რომ მისწერდა ილია თავის მტერ-მოყვარე ნიკო ნიკოლაძეს ამ მეგობრული შელაღობებით: პატივცემულო ნიკოლოზ იაკობიჩო!..

თუმც შინაარსი ბარათისა საკმაოდ საქმიანი იქნებოდა.

უგზავნიდა „გლეხების განთავისუფლების პირველ-დროების სცენებს“ და ამასთან აუწყებდა, რომ:

ეს სცენები არ გადაესწორებინა, ხოლო გიორგი თუმანიშვილს წარმოსადგენად თავისებურად რომ შეემოკლებინა, ის შემოკლებული ვერსია ილიას არ მოსწონდა. სწორედ ეთქვა: არც საჭიროება მოითხოვდა.

„კაცია-ადამიანსაც?!“ უგზავნიდა, უკანასკნელ გამოცემას. თუ რამ შესწორება დასჭირებოდა, ამ გამოცემაში ასახულიყო. კორექტურულ შეცდომებს კი ნიკო თვითონაც მიხვდებოდა და შეასწორებდა კიდეც, ილიას რომ ეს არ ეეჭვებოდა. ეგაა: კორექტურული შეცდომა ბლომად დაგროვებულიყო.

აქ ხეირიანი მთარგმნელი არავინ მოიძებნებოდა. ილია ბახტაძე ტფილისში არ იმყოფებოდა. ილიას შეტყობით, პეტერბურგში უნდა ყოფილიყო. ცხადია დიდ საქმედ მიიჩნევდა ჩვენი მწერლების ნაწერების დაბეჭდვას რუსულ ჟურნალებში, მაგრამ ჭირი ეს იყო, მთარგმნელი ვინ იქნებოდა. კიდევ ნიკო თუ იშოვნიდა იქ, თორემ აქ ილიას არავინ ეგულებოდა.

აქ თხორჟევსკისათვის სურდა ეთარგმნინებინა ერთი რამ, მაგრამ ეტყოდნენ: ბევრ ფულს მოითხოვსო, – და ამიტომაც მოერიდებოდა. და ნიკოს მაინც სთხოვდა, ეგებ გარჯილიყო და გამოერკვია: მისთვის მახლობელ რედაქციებში რამდენს გადაუხდიდნენ თარგმნილ ლექსში.

მოისაზრებდა ილია, მაინც რა დაჯდებოდა თარგმანი, და თუ იქაური ფასები რაიმე შელავათს მისცემდა აქაურთა ჯიბეებს, დანარჩენს ესენი დააყრიდნენ, როგორც იქნებოდა. არ იქნებოდა ზედმეტი, თუ ნიკო აქეთ შემოსთავაზებდა: რა და რა ლექს-თხზულება უფრო შესაფერი იქნებოდა დასაბეჭდად.

1899 წლის 1 სექტემბერს კი ეს მოკლე ბარათი უნდა მიეწერა, ყოველგვარი სალამ-მოკითხვის გარეშე პირდაპირ რომ იწყებდა:

შენი ჭირიმე, ნიკო, უსათუოდ ჩამოდიო.

ზედმეტად მიიჩნევდა განემარტა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა ჩვენთვის, რომ ამ უცხო კაცებს უშუალოდ ჩვენგან შეეტყოთ აქაური ავი და კარგი.

– ეს შენ ჩემზე უფრო უკეთ იცი. აბა, თუ კაცი ხარ, და არ დაიზარებ აქ ჩამოსვლას, ვიდრე ისინი აქ დარჩებიან.

კონვერტში ამ ბარათთან ერთად იდებოდა დავით გურამიშვილის წერილიც, ნიკოს რომ ატყობინებდა ტფილისში ფრანგების გუნდის ჩამოსვლას – ჟურნალისტებისა, და ას კაცზე მეტის. დარჩებოდნენ სამ დღეს. ისურვებდა, რომ არ განმეორებულიყო კუტულის მისტიფიკაცია. ამიტომაც ილიას გადაეწყვიტა გაება მათთან ურთიერთობა და მიეწვია თავისთან საგურამოში.

– იგი მიიჩნევს ულაპარაკოდ აუცილებლად შენს დასწრებას, და ამიტომაც გთხოვს ასე დაბეჯითებით, სასწრაფოდ ჩამოხვიდე ტფილისში... ასე რომ, ველით შენს ტელეგრამას, აქ სასწრაფოდ გამომგზავრების თაობაზე.

ვინ იყო ეს კუტული და რატომ არ უნდა განმეორებულიყო მისი მისტიფიკაცია, ეს ყოველივე ჩვეული სიბასრით გაეშიშვლებინა ილიას პოლიტიკურ პამფლეტში „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი".

სომეხ მეცნიერ-მწიგნობართ რომ წაედავებოდა, უშუალო საბაბად მათი ყოველად მიკერძოებული, მთლად ცრუ და ყალბი შეხედულებანი გაუხდებოდა, უსათუოდ რომ ესაჭიროებოდა მხილებაც და გასწორებაც, და თანაც დროულად, რაკიღა არა კმარობდნენ ისტორიული სინამდვილის მრუდედ წარმოჩენას მარტოდენ იმპერიის საპყრობილეში მომწყვდეული ხალხების თვალში და ევროპაშიც გაეღწიათ ამ სიცრუე-სიყალბით, ჩვენ რომ არსებითად ისტორიის გარეშე გვტოვებდნენ, და თვითონ ისაკუთრებდნენ ჩვენს სასახელო საქმეებსაც და სულიერ მონაპოვარსაც... დიახ, ეს ყოველივე უშუალო საბაბად გაუხდებოდა ილიას, რადგანაც ამ პამფლეტითაც უპირველესად იმპერიულ პოლიტიკასა და აზროვნების წესს შეეტაკებოდა, ყოველგვარი დავა და უთანხმოება, ამ ხალხებს შორის ატეხილი, ხელს რომ აძლევდა, და სიმართლესა და ჭეშმარიტებას ამჯერადაც ტყუილსა და ცრუპენტელობას ამჯობინებდა, მითუფრო – ქართველთა სახელი და გავლენა კავკასიაშიც და მთელს იმპერიაშიც გამორჩეული გახლდათ და ეს სახელი და ეს გავლენა როგორმე უნდა გაქანებულიყო ქვემოთ, თუ მთლად გაქარწყლებაც ვერ მოხერხდებოდა.

სხვა რა გზისათვის მიემართა იმპერატორის კარს, როდესაც ესენი იყვნენ:

ყველაზე დაუშოშმინებელნი და მაშფოთარნი.

ყველაზე ძალგულოვანნი.

ყველაზე მხნენი ეროვნული ენერგიის შეგნებითა და გაცნობიერებით, ეს ენერგია თვალსადახელშუა რომ შემოკრებილიყო, გაღვივებულიყო, მომძლავრებულიყო და ორ გუბერნიად გაცალკევებული და ყოფილ საქართველოდ გამოცხადებული ქვეყანა რატომღაც კვლავ ერთიან სხეულად და სახელმწიფოდაც გრძნობდა თავს, ქობულეთ-აჭარის მხარის შემოერთებით კიდევ უფრო გათამამებული და... ეროვნული ენერგიის ეს შეგნება უნდა შერყეულიყო და მოშლილიყო, თორემ ძალიან წავიდოდნენ თავს და წარმოსახვაში აღდგენილი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის გადმოტანას მოინდომებდნენ ყოფით რეალობაშიც, ან მოინდომებდნენ რომელია, იქით მიდიოდა, იქით მიექანებოდა ყველაფერი, ჯერ კულტურული ავტონომიის მოთხოვნა განეცხადებინათ ხმამაღლა და მერე ისტორიულ-ტერიტორიული საზღვრების აღდგენისა და დამოუკიდებლობისკენაც გაეწვდინათ ხელი...

რატომღაც კვლავ ერთიან სხეულად და სახელმწიფოდაც გრძნობდა თავსო...

სიმართლეს რომ არ უტყდებოდნენ, თითქოსდა შემთხვევითობით მომხდარიყოს ეროვნული ენერგიის ეს სასწავლებრივი თავმოყრა და ამოზიდვა

ზედაპირისაკენ, თორემ ხედავდნენ, განა არა ხედავდნენ ამ სასწაულის მოქმედ კაცს, კარგახანია რომ შედგომოდა უდაბნოს გზებს და მთელი ხალხიც გაეყოლიებინა.

საიმპერატორო კარს თავისი მიზანი და ინტერესები ამოძრავებდა.

სომეხ მეცნიერ-მწიგნობართ სხვა კუჭის წვა, სხვა მიზანი და ინტერესები აღანთებდათ.

მაგრამ გადაჯაჭვით კი გადაეჯაჭვებოდა მათი მისწრაფებანი და... კიდეც მოევლინებოდათ თანამდგომებად და წამქეზებლებად სომეხ ყალბის-მქმნელებს იმპერიისაგან დაგეშილი რუსი ჟურნალისტობა და ჩინოვნიკობა და საქართველოს ისტორიისა და ეროვნული ენერგიის დაცვა სხვას ვის, იმ პიროვნებას უნდა ეთავა, ეს ენერგია ვისაც ამოეზიდა და საყოველთაო განცდად და შეგნებად გადაექცია ერთიანი ისტორიის რწმენა, როგორც თვითმყოფადობისა და ეროვნული მისწრაფებების ქვაკუთხედისა.

და ახლა, ამ სტრიქონების წერისას გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, რომ:

ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვებოდა დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ: ან ზედ გვაბოტებდა, ან გვქელავდა და მიწასთან გვასწორებდა. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გაეჩანაგებინათ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდან აღეგავათ და ჩალასავით ქარისათვის გაეტანებინათ. თითქო არც ოდესმე ვყოფილიყავით და აღარც დღეს ვიყავით...

ჩვენი სულიერი და ხორციელი ავლადიდების სურათს როგორ წარმოაჩენდნენ?

სულით დაბალნიო, ჭკუაგონებით ჩლუნგნიო, ზნეობადაცემულნიო, სულელნიო, უსწავლელნიო, გაუნათლებელნიო, გაღატაკებულნიო, ფლიდნიო, პირისგამტეხნიო, მხდალნი-ლაჩარნიო.

აი რა ვყოფილიყავით და რანი ვიყავით დღესაც იმათი სიტყვით, რომელთაც ასე თვისდა სასარგებლოდ მიეჩნიათ ჩვენი სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება. წერით თუ სიტყვით, შინ თუ გარეთ წელებზე ფეხს იდგამდნენ, რომ ქვეყანა დაეჯერებინათ, ვითომც სწორედ ასეთი უხეირონი და უღირსნი ვყოფილიყავით და დღესაც ასეთნივენი ვრჩებოდით, თუ არ უარესნი.

ჩაიკითხავ ამ დამამცირებელ-დამაკნინებელ ეპითეტთა წყებას და... ძალაუნებურად წამოგაგონდება ის ეპითეტები, „ბედნიერ ერში“ რომ ჩამოითვლებოდა უაღრესი მოურიდებლობით, ზოგიერთი სიტყვა პირდაპირაც რომ ემთხვეოდა ჩვენს მოძულეთა მიერ შეთხზულ შეურაცხმყოფელ გამოთქმებს, ზოგიც იმავეს აირეკლავდა და გიდასტურებდა.

თუ არადა ერთხელ კიდევ ჩავავლოთ მზერა „ბედნიერ ერს“:

ქედდრეკილიო, ქვემძრომელიო, ჯორცხენივით ყოვლისმთმენიო, მუნჯიო, თვალაბმულიო, თავაკრულიო, პირში ლაგამამოდებულიო, ყრუიო, ცრუიო, ფლიდიო, ცუღლუტიო, მანკიერიო, მტვერწაყრილიო, თავდახრილიო, ყოვლად უქმი და უდიერიო, უზღუდო, გზამრუდე, გაუტანელი და ცბიერიო, მტრის არმცნობიო, მოყვრის მგმობიო, გარეთ მხდალიო, შინ ძლიერიო, არრის მქონეო, არრის მცოდნეო, უზრუნველი და მშიერიო.

ის კი არა, მგონი... მგონი აჭარბებდა კიდეც ეს ჩამონათვალი იმ ჩამონათვალს ეპითეტთა სიმრავლითაც და სიმკაცრითაც.

რასაც სხვას არ პატიობდა ილია, თავს ნებას აძლევდა?

კი მაგრამ... რატომ?

იმ არსებითი, ძირეული განსხვავების გამო, თუ რა არის სათავე და მიზეზი ერთისა და მეორისა.

ილიას მწარე-მწარე საყვედურებისა: წინასწარმეტყველური მუნათი – შესაჯანჯღარებლად და გამოსაფხიზლებლად ეროვნული თავმოყვარეობისა, თვითეული ადამიანის არსებაში ძალ-ღონის ნიშატის მოსაძიებლად და ასაღორძინებლად, სულიერი ძაფების განსამტკიცებლად ერთმანეთთანაც და წინაპრებთანაც და თვითშეგნებისა და რწმენის ასამაღლებლად.

იმათ მწარე-მწარე საყვედურებისა კი: მოძალადეობრივი ჟინი – ეროვნული თავმოყვარეობის გასაქელად და ადამიანთა ჩასაძირად სასოწარკვეთილების ჭაობში, სულიერი ძაფების ბოლომდე დასაწყვეტად და თვითშეგნებისა და რწმენის გასაქარწყლებლად, სამუდამოდ რომ ჩაგექნია ხელი თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე და ვინაობანაშლილი და ენადავიწყებული კიდეც სამუდამოდ შეერთებოდი იმპერიულ ოკეანეს.

შეურაცხყოფას – ჩამორეცხვა ესაჭიროებოდა.

დამცირებასა და დაკნინებას – თვითრწმენისა და თვითმყოფადობის შემოგებება ფარად.

და ამ მიზანს ისახავდა ილიას პუბლიცისტიკა, მის ერთ ნაკადსა თუ ციკლს „საქართველოს მატიანეს“ რომ შეარქმევდა პავლე ინგოროყვა, თუმც შესაძლოა ეს სახელწოდება მთელს პუბლიცისტიკასაც გადაწვდეს და წარმოვიდგინოთ ეს მონაპოვარი ახალ ქართლის ცხოვრებად – თანადროული მნიშვნელოვანი სურათებისა და ეპიზოდების შემონახვითაც შთამომავლობისათვის, სიღრმითაც, ხედვის მასშტაბურობითაც, წერის ხელოვნებითაც – ექსპრესიისა და შთამბეჭდაობის იშვიათი უნარით, სილუეტებისა და პორტრეტების გამორევითაც თხრობაში, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური განსჯა-განზოგადებითაც.

არც არასოდეს ეფიქრა ილია ჭავჭავაძეს, ახალ ქართლის ცხოვრებას თუ შექმნიდა, უნებურად გამოვიდოდა ასე, გამოხმაურების გარეშე არცერთ მეტ-ნაკლებად საგულისხმო თუ სახიფათო მოვლენას რომ არ დატოვებდა – არადა ხელთა გვაქვს საქართველოს მატიანის მისეული მოდელი.

ხელთ გვაქვს ახალი ქართლის ცხოვრების აკაკი წერეთლისეული მოდელიც.

ნიკო ნიკოლაძისეული მოდელიც.

და სერგეი მესხისეულიც – ეგაა იმათ მატიანეებზე უფრო მეტად შემოფარგლული, რაკიღა დიდხანს არ დასცალდებოდა ამქვეყნად ყოფნა, და რაც დასცალდებოდა, იმ მონაკვეთში კი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ყველასა და ყველაფერს.

ყველა ეს მოდელი, თავისებურებათა მიუხედავად, ერთ ფესვზე აღმოცენდებოდა, ერთ საძირკველზე ამოშენდებოდა და ერთიმეორესაც ამიტომ

შეავსებდნენ: იმითაც, რაშიც თანხმდებოდნენ, და იმითაც, რასაც განსხვავებული რაკურსიდან უმზერდნენ და დავა-კამათიც მოსდიოდათ, გამწვავებასაც რომ არ ერიდებოდნენ – თვით დუელში გამოწვევამდეც.

– ერის ბელადი იყო!..

„რაღად ჰკლავდი, შე კაი კაცო?!.“

დრო დამდგარიყო, რათა ნიღაბი ახდოდა იმ ერთ გუნდს სომხებისა, რომელთა მეცნიერნიც ასეთ ყოფას გვაწევდნენ ქართველებს დიდ-პატარას გამოუკლებლივ. დრო დამდგარიყო გაგვეთვალისწინებინა ისინი, როგორნიც ნამდვილ იყვნენ უნიღბოდ და უფერმარილოდ. დრო დამდგარიყო გვცოდნოდა, საიდან დაგვყეფდა ჩვენი შავი ყორანი და საიდან მოდიოდა ეს ქვა-სეტყვა ჩვენს თავზე. დროა ჭკუას მოვგებოდით და არ შევშინებოდით ცრუპენტელა ლიბერალებს.

და კიდეც უნდა გადმომდგარიყო ასპარეზზე ილია – როგორც სჩვეოდა – და იმ ცრუპენტელებისათვის მოურიდებლად ეძახა ლიბერალობის ბერიკები, რომელნიც პირში ბურთსა გვჩრიდნენ, რათა თავიანთი ოინბაზობა, ორპირობა და ცალგულობა მიეფუჩეჩებინათ და ზედ ლიბერალობის წმინდა კალთა გადაეფარებინათ.

ამ კალთის გადაფარება რისთვის დაესაჭიროებინათ და:

ნუ გვამხილებთ ჩვენს ცუღლუტობას, ოინბაზობას, თორემ ეროვნული შფოთის აღდგენას დაგწამებთ, რეტროგრადობის ბანაკში თავს ამოგაყოფინებთ, რადგანაც XIX საუკუნის მიწურულს ეროვნული შფოთის ატეხა, ერთა შორის ღვარძლის შთამოთესვა სიბრიყვესა და გონების სიბნელეს მოასწავებს და ლიბერალობის შეგინებასაო.

და ბალღები რომ უფრთხოდნენ ამ ტყუილ ჭექა-ქუხილს ტყუილი ლიბერალობისას, და უფრთხოდნენ ყველანიც, სიტყვას ვინც გაუსინჯავად იჯერებდნენ, ილია დაუბეჯითებდათ, რომ:

ლიბერალობა განა მალვა გახლდათ ანუ ხელის წაფარება ტყუილების, ოინბაზობის, თაღლითობის, თვალთმაქცობისა და ყოველგვარი ნამუსახდილობის, არამედ მხილება ყოველივე ამისა.

თუ საძრახავს არ ამხელდი და სამარცხვინო ბოძზე არ გააკრავდი, მაშ რიღას მაქნისიღა შეიძლება ყოფილიყო ეს მოწონებული, ეს ქადებული, სინამდვილეში კი დოყლაპია ლიბერალობა.

– მაშ ეს გამოჯარება ყოველ საქმისა, ეს მზეზე გამოტანა ყოველის ფარულის და არა ფარულის ბოროტისა – იმისდა მიუხედავად,შფოთს ასტეხს თუ არ ასტეხს, – განა უწმინდესი და უპირველესი ღირსება არ არის ჭეშმარიტის ლიბერალობისა, რომელიცკი მას შეუძენია დიდის ღვაწლითა და ზოგჯერ სისხლის ნთხევითაცა...

სომეხ მწიგნობარ-მეცნიერთა ამბავს დიდ მდინარეს მიამსგავსებდა, ნაპირიდან რაც უფრო შიგ შეტოპავდით, იმდენად უფრო ღრმად რომ შედიოდით და უფრო მეტ სიგრძე-სიგანესაც ხედავდით, აქაც, სომეხ მეცნიერთა საქმიანობაშიც თანდათან მატულობდა მათი სილაღეც, კადნიერებაც და თავგასულობაც, და თავსაც უფრო გაბედულად იქებდნენ.

ხოლო მათ მიერ ერთხელ დადგენილი პროგრამა მოქმედებისა, ერთხელ და ერთხელ შეთვისებული თვალთმაქცური ხერხები და ოინები ისე აშკარად, ისე ცხადად, ისე ვრცლად არსად იხატებოდა, როგორც ერთ ევროპულ გაზეთში, სადაც დაწყობილად მოთხრობილიყო ყოველივე ის, რაც საქებსადიდებელი გახლდათ სომხისა, გასაბათილებელი ქართველისა და რაც აშკარად ჩაგონებულიყო თვით ამ მწიგნობარ-მეცნიერთაგან.

და ილიას ბრაზი და ცეცხლი სულ უფრო ეკიდებოდა, ეს ვაჟბატონები რომ აღარა მალავდნენ, არა სახსარს არა თაკილობდნენ, აღარას მორცხვობდნენ. პირდაპირ და გულახდილად იმისთანა ხერხითა და სახსრებით საქმობდნენ, რომელთა ხელის მოკიდება და სირცხვილის ალმურის მოდება სახეზე ერთი უნდა ყოფილიყო ყოველი სხვა კაცისათვის – სომეხი იქნებოდა თუ სხვა მილეთისა.

და აი „ქვათა ღაღადის“ სიუჟეტურ ქარგაში უნდა გამოჩენილიყო კორესპონდენტი კუტული, რომელიც 1877 წელს ერთ ფრანგულ გაზეთს – „ტემპს“ – გამოეგზავნა ჩვენსკენ.

მას ჯერ კიდევ ბალთაში დახვდებოდა – განგებ თუ შემთხვევითო, ისე ჩაჰკრავს ილია, გაგრძნობინებს, შემთხვევითობაზე მეტად წინასწარი თადარიგი რომ ტრიალებდა – ერთი ოფიცერი არტილერიისა, შუშელი სომეხი, რომელიც ტფილისში ჩამოსვლის უმალვე თავის ახალ სტუმარს წაიყვანდა გრიგოლ არწრუნთან, „მშაკის“ რედაქტორთან, რომელსაც კუტული ასე შეამკობდა გაზეთისათვის გაგზავნილ კორესპონდენციაში:

ლიბერალთა დასის წინამძღომია და თუმც სასულიერო წოდებისა არ არის, მაგრამ სომეხთა შორის იმავე როლს თამაშობს, როგორსაც დელინგერი და მამა გიაცინტე კათოლიკეთა შორის, და რომელსაც უკეთ ესმის სომეხთა საღვთო წერილი, ვიდრე თვით კათოლიკოსსაო.

ეცინებოდა ილიას ამ სიტყვებზე: კუტული გამოცდას ვერ მოუწყობდა სომეხთა კათოლიკოსს და მაშ საიდან შეუტყვია ასეთი უპირატესობა არწრუნისა და ასეთი ქვეითად ყოფნა პატივცემული კათოლიკოსისაო? აშკარა იყო: ან თვითონ არწრუნს გაებერა თავი და ან ვინმე სხვას მაღალ თაროზე შემოესკუპებინა განგებ, რათა უცხო კაცს თვალები აბმოდა და თავისი თვალით არა მოეჩხრიკა რა.

ილია შეახსენებდა მკითხველს, რომ ტიკს მაშინ ბერავდნენ, როცა შიგ არაფერი იდგებოდა, მაგრამ უცხო სტუმარს კი ისე მოამზადებდნენ, მის ყოველ სიტყვას ბაჯაღლო ოქროდ მიიღებდა ქარაფშუტა – ილია არ მოერიდებოდა ამ ეპითეტს – ფრანგი, ცხადია მახეში გაებმოდა და რასაც ჩასძახებდნენ, იმასვე ამოიძახებდა გაუჩხრეკლად და გამოუძიებლად.

და მკითხველი თვალს თუ მიადევნებდა ბალთაში დახვედრასა და მთელ ამ ამბავს, ცხადლივ დაინახავდა, თუ რა ხერხები სცოდნოდათ უცხო კაცის გაბრიყვებისა და ჩათრევისათვის.

რაკიღა ამისთანა შარავანდი შეიმოსებოდა გრიგოლ არწრუნი, კუტულს წაიყვანდა ჯერ ტფილისის საქალაქო საბჭოში, რომელსაც „პატარა პარლამენტად“ დაანახვებდა და საბჭოს წევრებს – მინისტრებად, თვითონ არწრუნი თავისი ლიბერალური დასით კი – ოპოზიციად გაეცნობოდა.

მერე გაუძღვებოდა და დაატარებდა სომხის ეკლესიებს, სადაც კუტუ-ლის გაუკვირდებოდა ტერტერების მშვენიერი და ძვირფასი სამოსელი, ილია ირონიულ ნესტარს რომ წაჰკრავდათ: აბა რა დღისათვისღა შეინახავ-დნენო!..

მერე ასტუმრებდა სომხის სკოლებს, სადაც კუტული ქებით მოიხსენი-ებდა მშვენიერ თვალებს სომხის მოსწავლე ქალებისას, თუმც სახის ერთობ სილამაზეზე კი მოიბოდიშებდა: უკაცრავადაო!..

ხოლო სომეხ ინტელიგენციის წრეში რომ დაატრიალებდა თავის მწე-მქე-ბელს, როგორც უწინ სჩვეოდათ თქმა, გაუმართავდნენ სადილ-ვახშმებს, ალხენდნენ, შეაქცევდნენ შინა თუ გარეთ – ბაღებში, უმღერებდნენ სიმღე-რებს, რომანსებს, და კუტული დაიჩივლებდა: ერთი ამისთანა ლხინიდან ისეთი შეზარხოშებული დავბრუნდი შინ, კალმისათვის ვეღარ მომიკიდნია ხელი, ისე ამერია თავში აზრებიო.

ყველგან, სადაც კი ლხინს დაესწრებოდა, სულ სომხურ საჭმელებს მი-ართმევდნენ და ძალიანაც მოიწონებდა ხელიხელ სატარებელი სტუმარი არწრუნის ლიბერალური დასისა.

და რა უნდა ეღონა ამისთანა მახეში გაბმულ ქარაფშუტა ფრანგს?

პარლამენტი იყო და: სომხებისა, სკოლები იყო და: სომხებისა, ეკლესიე-ბი იყო და: სომხებისა, ინტელიგენცია იყო და: სომხებისა, შექცევა და ლხი-ნი იყო და: სომხებისა, დღეობა იყო და: სომხებისა, დელინგერები და გიაცინტები იყო და: სომხებისა, ფილოსოფოსები იყო და: სომხებისა, საჭ-მელები იყო და: სომხებისა.

და მერე სად ეს ყოველივე? ტფილისში. მაშ აქ სომხეთი ყოფილიყო და ტფილისიც – სომეხთა ქალაქი. და მწარედ ეღიმებოდა ილიას: სხვა რა უნ-და გამოეყვანა ასეთი ოსტატობით თვალახვეულ გუშინ მოსულ კაცსო!.. და აკი სომეხთა სტუმართმოყვარეობით აღტაცებული კუტული საქვეყნოდ დაიწყებდა ძახილს, ჯერაც ტფილისში მჯდომი, აქედან ფეხი რომ გარეთ არც გაედგა: უთუოდ ედემი აქ, სომხეთში ყოფილაო.

ამ სახით საქართველოს, ტფილისითურთ, სომხეთად რომ მოაჩვენებდ-ნენ ევროპელ კორესპონდენტს და ამ ამბავს ქვეყნისთვის მოაფენინებდნენ უცხო კაცს იმისთანა დარბაისელი და გავლენიანი გაზეთის პირით, „ტემპ-სი“ რომ ბრძანდებოდა, მართლაც ოინი უნდა დარქმეოდა, აბა სხვა რა?!. სა-საცილო ცუღლუტობაც და თაღლითობაც.

კუტულის სიტყვით, ამიერკავკასიაში ოთხი ერი სახლობდა: სომხები, ქართველები, თათრები და რუსები. და თუმც სომხების რიცხვი ამჟამად ქართველებზე ნაკლები გახლდათ, სულ 600 000, მაგრამ ამ საუკუნის და-სასრულამდე სომხები მალე გამრავლდებოდნენ და ქართველებზე მეტნი შეიქნებოდნენ. ხოლო თათრებისას და რუსებისას არას იტყოდა, თითქოს ისინი სათვალავში ჩასაგდებნი არც ყოფილიყვნენ.

და ილიას როგორ არ ემხილებინა ისინი, ქართველთა ნამეტანობა ამიერ-კავკასიაში თვალში ეკლად რომ გასჩროდათ და მარტო ამ ეკლის ამოღებას ლამობდნენ ეს „ძალიან განვითარებულნი ფილოსოფოსები“, ეს სომხების

არამკითხე დელინგერები და გიაცინტები!.. სხვას ვის მოუვიდოდა ფიქრად ეს საცუღლუტო ანგარიში სომხების მაღლა ასაწევად და ქართველთა დაბლა დასაწევად იქ, სადაც მათ გარდა თათრებიც და რუსებიც იყვნენ.

არა, სომხების ეს ბღარტობა და გაშენება და ქართველთა დანელება და გადაშენება ვისთვის რა საჭირო გახლდათ? განა აშკარა არ იყო, ვისი ეშმაკობითა და თვალთმაქცობითაც ხდებოდა, რომ უცხო კაცი ასე გაებრიყვებინათ და ამისთანა რამ ქვეყნის სასაცილოდ წამოეროშვინებინათ?

– ჩვენს ხალხს პოეზია არ უყვარს, – უქადაგებდნენ კუტულის არწრუნი და მისი ამქარი, რომელსაც ფრანგი ჟურნალისტი არწრუნის სკოლად მოიხსენიებდა, — ჩვენ უფრო მსჯელობა და კრიტიკა გვიყვარს.

და პასუხად ილია გოეთეს სიტყვებს შეახსენებდა ყველას:

ვისაც პოეტის ხმა არ აუძგერებს გულს, იგი ბარბაროსიაო.

პოეზია არ ჰყვარებოდათ, მაგრამ ფანტაზია კი დიდი ჰქონოდათ და კუტულისათვის ჩაეგონებინათ: სომხები მომავალში შეადგენენ სახელმწიფოს, რომელსაც 30 მილიონი ქვეშევრდომი ეყოლებაო.

და ილიას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ: ყოველი გონიერი სომეხი მოერიდებოდა ამისთანა თავდაუჭერელ ბოდვას განვითარებული ფილოსოფოსისას. ვთქვათ და, კუტულის წინასწარმეტყველებისამებრ, ქართველები და თათრები გასომხებულიყვნენ და ყმადაც დადგომოდნენ სომხებს, ეს ხომ წვეთი იქნებოდა 30 მილიონის შესადგენად და... საიდან დაეპირებინა არწრუნს ამხელა საყმოს შეგროვება? ამის პასუხი უთუოდ თან გაეყოლებინა განსვენებულ ფილოსოფოსს.

კუტულის ცნობით, არწრუნსა და მის ლიბერალურ დასს დევიზად ეღიარებინა ჟირარდენის მოწოდება: უნდა იყვიროო!..

სამართალი მოითხოვს ვთქვათ, რომ მართლა „ყვირიანო“, – სარკაზმის ჩაურთავდა ილია, – და კარგადაც ჰყვირიან, მეტი რაღა ყვირილი გვნებავს, როცა მათი ბამბაცა ჩხრიალებს და სხვისა – კაკალიც არაო.

რათა ფრანგი კორესპონდენტი დაეჯერებინათ, სომხობა რა ჭკვიანი ხალხი გახლდათ და რა ასლად და ზედგამოჭრილად ჩამოსხმული დღევანდელი დღის ყალიბზე, მისთვის დაესწავლებინათ რამდენიმე სომხური ანდაზა და მათ შორის ეს ორი: რად კითხულობ, ვისი გამომცხვარია ეს პური? გინდ ურიისაც იყოს, თუ გემრიელია, ჭამეო; და – სადაც ნახო პური, იქ დაბინავდიო.

ილიას დაკვირვებითაც:

მართალია ამისთანა ანგარიშიან სიბრძნეს დღეს დიდი ბაზარი ჰქონდა, მართალია დღეს ბურთი იმას გაჰქონდა მოედნიდან, ვინც ამ მოძღვრებას მისდევდა, მაგრამ თავმოსაწონებელი და საქებარი კი აქ არა ეყარა რა. პირიქით, რაც ეყარა, ძირიანად უნდა ამოგეთხარა და წყალში გადაგეყარა.

დიდიხანია ქრისტიანული სარწმუნოება გვასწავლიდა: არა გული გითქმოდეს... მისთვის, რაიცა იყოს მოყვასისა შენისაო. დიდიხანია ქვეყნიერებაზედ ამ ანდაზების მხარდამხარ ერთი სხვა მორცხვი, მაგრამ კაცთა საკადრისი და გამაპატიოსნებელი მოძღვრებაც დადიოდა: ნუ ძღები სხვისი რძითა, ნუ იმოსები სხვისი მატყლითაო.

და ილიასათვის კაცთა ურთიერთობის ქვაკუთხედი და ზნეობის დედაბოძი ეს გახლდათ: სხვისა ნურა გინდა რა, შენი იკმარეო.

იმ სომხურ ანდაზებს გვერდით რომ ამოუყენებდა რუსთველურ აფორიზმებს: რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულიაო; და – უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინებისო, – პირველნი ახლანდელ დროში ჭკუათამყოფლობას მოასწავებდა, და მეორენი – ბედოვლათობას, მაგრამ ღმერთმა ხომ უწყოდა: კაცური კაცისათვის რა უფრო სანატრელი უნდა ყოფილიყო – სხვისი პურის ჭამა თუ თავისის გაცემა. ვინ უწყოდა: ზნეობა უფრო მაგარი ქვითკირი გახლდათ კაცთა ცხოვრებისათვის თუ: საცა ვისი რა მოახელო, ჭამე, რაკიღა გემრიელიაო.

მაშ რა გამოდიოდა:

მამული, სამშობლო, მამა-პაპათა მიწა-წყალი, მამა-პაპათა ბინა უქმი სიტყვებიღა ყოფილიყო ადამიანისათვის!.. ამას ილიას მთელ სომხობას როგორ შესწამებდა, მხოლოდ ის სურდა, მათი მწიგნობარ-მეცნიერთათვის შეეგონებინა რუსთველური: ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო.

კიდევ რას ირწმუნებოდა კუტული?

წარსული ქართველებისა ყოვლად უნუგეშო სურათს წარმოადგენს. ღონემიხდილს ცუდი მმართველობით, ერთმანეთის შურითა და მტრობით, არა ჰქონიათ წუთითაც მოსვენებული ცხოვრებაო.

ამ მოსაზრების გაბათილება ილიას ჯერ მარტო კუტულის თანამემამულე აღმოსავლეთმცოდნე მეცნიერის დელორიეს დაკვირვებით შეეძლო, თავისი ღვაწლით რომ იკვლევდა ჩვენს წინანდელ ცხოვრებას და წინამძღოლად არ ეყოლებოდა არწრუნი და მისი ლიბერალთა დასი:

– თუ ერთობ მხნე, თავგანწირული და მამაცი ერი არა ყოფილიყო ქართველობა, შეუძლებელი იქნებოდა გაეძლო იმდენი ბრძოლისათვის ბარბაროსებთან.

დღევანდელ დღეზე რაღა წამოეყრანტალებინათ ფრანგი კორესპონდენტისათვის?

ქართველები შეადგენენ გენერლების, მეურმეებისა და ჩალვადრების ნაციას. თუმც გენერლები ბევრი ჰყავთ, მაგრამ მათი გენერლები გამოჩენილნი არ არიანო.

როგორ მოგწონთ ჩვენი გენერლების ჩაყენება მეურმეთა და ჩალვადართა მწკრივშიო! – ირონიას არ დაიშურებდა ილია, პამფლეტის ამ პასაჟმა კი როგორ არ გაგვახსენოს „მგზავრის წერილების“ ის ადგილი, რუსის ოფიცერი რომ დაინტერესდებოდა: თქვენში ცივილიზაცია როგორ მიდისო? – და ამის გამოსარკვევად მთხრობელს ჰკითხავდა: რამდენი გენერალი გეყოლებათ თქვენ, ქართველებსო?..

და როდესაც მოისმენდა: ოციოდეო, – ჯერ გაოცებული განაცხადებდა: დიდი ცივილიზაცია გქონიათო, – მაგრამ მერე თავისი დაეჭვება უნდა გამოეთქვა:

– იქნება თქვენ, მეცნიერების ენით რომ ვთქვა, დეისტვიტელნი სტაცკის სოვეტნიკებსაც მართალ გენერლებშია სთვლით, ესე იგი, მდაბიურის ენით

რომ ვთქვა, იქნება შტაცკის გენერლებსა, ანუ ამაზედ უფრო მდაბიურად რომ ვთქვა, უპოლეტო გენერლებსა, ანუ ამაზედ უფრო მდაბიურად რომ ვთქვა, უულვაშო გენერლებსაც მართალს გენერლებში სთვლით? უთუოდ ეგრე იქნება.

რუსის ოფიცერი უულვაშობით დაგვიწუნებდა გენერლებს, კუტული – გამოუჩინებლობითა და მეურმეებსა და ჩალვადართა შორის დგომით, სამაგიეროდ სომხის გენერლებს სულ გამოჩენილის იარლიყს მიაწებებდა. მათ შორის ერთი ქართველიც რომ დაესახელებინა – ილიას სარკაზმისა არ იყოს – ეს ხომ ქართველთა კაკლის ჩხრიალი იქნებოდა და მაშინ სომხის ბამბა ისე ველარ დაიჩხრიალებდა.

რასაკვირველია ჩვენს გენერლებს არც არწრუნის ქება ეჭირვებოდათ, არც კუტულისა და არც თვითონ ილიას გამოსარჩლებაც, რაკიღა: ბაშკადიკლარი, კურუკ-დარა, ყარსი, დევაბოინე, ავლიარი, ბეგლარ-ახმედი, არტაანი, ახალციხე, ჩოლოქი, მთელი დაღესტანი და ერთობ მთელი კავკასია (გრიგოლ ორბელიანივით ჩამოჰყვებოდა, და სწორედაც მისი თვალითა და გზნებით შეადგენდა ამ ჩამონათვალს!) ღაღადებდა მათთა სახელოვანთა საქმეთა და ამ ხმამაღალ ღაღადს ვერ დააჩუმებდა ხრინწიანი წრიპინი და ჩხავილი სომეხთა გულნამცეცა მეცნიერებისა.

თითქოს კმაროდა ეს საბუთები იმათ გასაბურთავებლად, მაგრამ ილია ამ აფორისტულ ფრაზასაც დაურთავდა: მარტო იგი ჰხადის ღირსეულს უღირსად, ვინც თვითონ უღირსიაო.

თავადაზნაურობა ქართველებისა გაკოტრებულიაო, — თავისას მიერეკებოდა კუტული, — ქართველებმა არშიყობის მეტი არა იციან რა და მარტო სამსახურში შესვლას ცდილობენ, რადგან ეს ადვილი ხელობაა. ვაჭრობისა და ხელოსნობის ნიჭი არ გააჩნიათ და თუ თითოოროლა ვაჭარი ჰყავთ, ისინიც კი ფულს სომხურად თვლიან. გლეხები ზარმაცნი და ლოთები არიან და ერთი მტკაველი მიწაც არ შეუსყიდიათ მებატონეთაგანო.

ილიას არ უკვირდა, კუტულისათვის რომ დაემალათ ის უეჭველი გარემოება, რომ ჯერ მარტო ქართველ გლეხობას გამოსყიდული ჰქონდა თავის მებატონეთაგან ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მილიონნახევრის მამული, როგორც ირწმუნებოდა მთავრობის ოფიციალური უწყებანი. ეს ამბავი თუმც რაღაც განსაკუთრებულად სულაც არ ესახებოდა ილიას, მაგრამ სომეხთა დელინგერებსა და ფილოსოფოსებს დაემალათ ევროპელისათვის: ვაითუ ეს სიკეთე დავთარში ჩაუწერონ ქართველებს და ჩვენთვის რა სახეიროაო.

ხომ ბევრ საგალობელს უგალობებდნენ თავიანთი თავის შესაქცევადა და სადიდებლად კუტულს სომეხთა ფილოსოფოსნი, ილიას ის გაახალისებდა და აცინებდა გულიანად, რომ: ეს ოინბაზობა დიდხანს თავს ვერ დაიჭერდა და იგივე კუტული მერე მიუხვდებოდათ, რა აღდგომის კვერცხებიც ბრძანდებოდნენ ქებულ-დიდებულნი სომეხნი კავკასიაში.

ვიდრე კუტული ტფილისში იმყოფებოდა და აქ სომეხ ფილოსოფოსთა მიერ დაყენებულ ბუქში ტრიალებდა თავბრუდასხმული, სომეხთა ქება-დი-

დებაში მოიღლებოდა, მაგრამ როდესაც წავიდოდა ერევნის გუბერნიაში და თავისი თვალით დააკვირდებოდა სომხებს, მაშინ – ღვთის წყალობა თქვენა გქონდეთო, ჩაურთავდა ილია – კაი საქმეს იმათ დააწევდა:

– სომხები ერთობ მხდალნი, ერთობ უვიცნი, უმეცარნი, ერთობ თავშეუდებელნი არიან თავიანთ სამშობლოში.

ამისთანა შემთხვევას ვინ გაუშვებდა ხელიდან და მითუფრო – ილია:

მაშ, როგორც ეტყობა, მარტო აქა ყოფილან მეცნიერნიც, თავშედებულნიც, ვაჟკაცნიც, საცა, მათი ანდაზისამებრ, პურის სუნი მისდენიათ. სიტყვამან შენმან გამოგაჩინოს შენო – ამაზეა ნათქვამი თუ სხვა რაზედმეო?

ხოლო ამჟამად ასზე მეტი ფრანგი ჟურნალისტი რომ მოგვევლინებოდა უეცრად და ილია დაფაცურდებოდა, ჯერ ისედაც სამასპინძლონი გახლდნენ და სწორ გზაზედაც დასაყენებელნი, მითუმეტეს, მწარედ რომ ახსოვდათ კუტულის მისტიფიკაცია-ოინბაზობები, ოღონდ ამაში ფრანგ კორესპონდენტს ისე არ ამტყუნებდა, როგორც სომეხ მეცნიერ-მწიგნობართ, და გრიგოლ არწრუნსა და მის ამქარს ისე არა, როგორც... ჩვენივე თავს – რატომ უნდა ეგდოთ ხელთ ევროპელი ჟურნალისტი ტფილისში მცხოვრებ სომხებს და რატომ ვერ უნდა გამოცნაურებოდნენ ქართველები და კიდეც გადაეშალათ თვალწინ მისთვის ის საზოგადოებრივ-კულტურული რეალობა, რასაც ვეღარავინ ვეღარ გაუმრუდებდა და სულ სხვაგვარად ვეღარ მოაჩვენებდა, და ტფილისიც სომხური ქალაქი აღარ ეგონებოდათ და არც ქართველთა მოსალოდნელ გადაშენებას აუწყებდა ზარზეიმით თავის სახელიან და გავლენიან გაზეთს.

ეს ასზე მეტი ჟურნალისტი სომეხთა საკბილო არ უნდა გამხდარიყო, არ უნდა დაპატრონებოდა რომელიმე ახალი არწრუნია და მისი გუნდი და თავდაყირა არ მოეჩვენებინა ყველაფერი.

ილია აბა ამდენ ევროპელ კორესპონდენტს სად გაწვდებოდა და ამიტომაც დაისაჭიროებდა სასწრაფოდ გამოჩენას ნიკო ნიკოლაძისა – ეს ორნი კი თავისუფლად აუვიდოდნენ ჟურნალისტთა ამ უჩვეულო მოზღვავებასაც.

ამას რა სჯობდა, თუკი ხელსაყრელ შემთხვევას შესაფერისადაც გამოიყენებდი.

ამიტომაც: თვითონ ხომ სთხოვდა, დავით გურამიშვილის ბარათითაც გააძლიერებდა თხოვნას.

მხარდამხარ შებმა უღელში არ უკვირდათ. და დაე ამჯერადაც მხარი მიეცათ მხარისათვის.

* * *

ჩემი ნაწერები დროს გაჰყვა, ილიას ნაწერები კი ძალიან სჭირდება დღევანდელ და მომავლის საქართველოს... ილია უნდა აღდგეს... აი ვინ იყო ერის ბელადი, აი ვინ რჩება ერის ბელადადო, – იმეორებდა და იმეორებდა ნიკო ნიკოლაძე და არა წყინდებოდა არც მისი ქება-დიდება და არც ცალკეულ ეპიზოდთა გახსენება, განსაკუთრებული სიამაყითა და თავმოწონებით რომ იგონებდა იმ სურათებს, როგორ ააკითხავდა ხუთჯერ მაინც დუშეთში და

ბოლოსდაბოლოს გატეხდა მის წინააღმდეგობას და შემოაბრუნებდა იმ საქმეებისაკენ, რომელნიც უილიაოდ მიკარგულ-მოკარგულიყვნენ, გაუჩინარებულიყვნენ, სულს ღაფავდნენ, ანდა ბორძიკობდნენ და კორიკობდნენ და ფეხი ვერა და ვერ მოეკიდებინათ.

მხოლოდ ერთ ეპიზოდს ედო ტაბუ და ვერც გაუბედავდნენ შეხსენებას.

პავლე ინგოროყვა ძალიან კი გაუშინაურდებოდა და ნიკოს თავის შვილებში აღარც გამოერჩეოდა, და თუმც ძალიან შეაგულიანებდა ეს მამაშვილური ურთიერთობა და დროდადრო კიდეც იფიქრებდა: ხუმრობაში ხომ არ გავატარო და ისე ავალაპარაკო იმ ლამის საბედისწერო შემთხვევაზეო, – შეხვედრისას მაინც ვერა და ვერ დაძრავდა კრინტს, ენის წვერზე მოადგებოდა და... კვლავინდებურად გულში ჩაიბრუნებდა სათქმელს:

ემანდ არ დავკარგო ეს სათაყვანო კაცი, ამდენი მადლი რომ მოედინება მისგან, ვიღა მომაფენს იმ მადლსაო...

* * *

რა სჩვევია მაინც ამ წუთისოფელს ეს ჟინიანი თამაში?!.

თავი მეხუთე

ლეგენდა და სინამდვილე ბაზალეთის ტბისა

1879 წლის თებერვლის „შინაურ მიმოხილვაში“ ის სატკივარიც იჩენდა თავს:

ჩვენს ენას მოედანი რომ არ გააჩნდა სავარჯიშოდ.

დაწყებით იმით დაიწყებოდა, რომ აჭარლები და ქობულეთელები ძალზე ცუდ ყოფაში იყვნენ დედასამშობლოსთან შემოერთების შემდგომ და ნუგეშსაც ჯერაქამომდე არსაიდან მოელოდნენ.

ომის მოედნად ეს მხარე ექცია ბედს.

გიორგი წერეთელი „დროების“ 32-ე ნომერში ცხოვლად აღწერდა იმ საცოდაობას, რასაც წარმოადგენდა ქობულეთი ომის დროს და მას შემდეგაც. და ილია დარწმუნებული გახლდათ, რომ არამცთუ გადამეტებულიყო, რასაც მწერალი გვაუწყებდა, არამედ იმის ნატამალიც არა მჟღავნდებოდა, რა საცოდაობაც აჭარასა და ქობულეთს მისდგომოდა ომის დროს.

მთავრობის მოხელეთა შორის იმისთანა პატიოსანი კაციც შეიძლება გამორეულიყო, გრიგოლ გურიელი რომ გახლდათ, მაგრამ მისი გულშემატკივრობა იმ ერთი მერცხლის ჭიკჭიკსა ჰგავდა, გაზაფხულს რომ ვერ მოიყვანდა.

ნამეტნავად კინტრიშის მაზრა იმყოფებოდა საშინელ დღეში, და მათი ყოფისა და გაჭირვების საშინელებას ჯერმარტო ის ამტკიცებდა, თვითონ მთავრობა რომ გამომტყდარიყო საქვეყნოდ.

ვის არ მოეხსენებოდა, ამისთანა ამბების გამოცხადება მთავრობას ყოველთვის რომ ეძნელება და ემძიმება ხოლმე, ამიტომაც მართლა დიდი უბედურება უნდა დატრიალებულიყო ამ მაზრაში, ხელისუფლებასაც რომ ვეღარ დაეფარა.

მთავრობა თავს როგორ იმართლებდა? მივეშველეთ, მაგრამ ეს შველა საკმარისი არ აღმოჩნდაო.

და ილიას როგორ არ მოეთხოვა პასუხი მათგან: ისე რატომ არ მიეშველეთ, საკმარისი ყოფილიყოო?

რაო, სახელმწიფოს ამდენი ღონე აღარ შესწევდა თუ სხვა რამ მიზეზი იფარებოდა? უღონობისა არა სჯეროდა: სახელმწიფოსათვის ერთი მაზრის შენახვა, თუნდ მთელ წელიწადს, ზღვაში წვეთი გახლდათ.

ფიქრობდა და ვერ მოეფიქრებინა, რითი აეხსნა რაღაც ნამცეცების მიწვდენა ხალხისათვის, რომელიც შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალი თავის გარშემო ჯოჯოხეთსა გრძნობდა.

მთავრობა მთავრობად, „შინაური მიმოხილვა“ კი მოუწოდებდა ხალხს, რომ გულხელი არ დაეკრიფა და გულგრილად არ ეცქირა თავიანთი ძმების უბედურებისათვის.

გულგრილად და თუნდ ცარიელი გულისტკივილითაც არ ეყურებინათ, როგორ თრთოდა და იკრუნჩხებოდა შიშველი ბავშვი სიცივისაგან, როგორ უკვდებოდა კალთაში შიმშილისაგან ძუძუგამშრალ დედას, როგორ ტყის ნადირივით დაძრწოდა ღონემიხდილი და დამშეული მამა, იმედდანთქმული, რომ რითიმე მიშველებოდა შიმშილისაგან სულთმობრძავ ოჯახს, გარბოდა ამ ოჯახიდან შორს, რომ თავისი თვალით არ დაენახა გულსაკლავი სურათი კარზედ მომდგარი სულთამხუთავისა, არ დაენახა თავისი ცოლის, შვილის, ძმის, დის, თვისი და ტომის სასოწარკვეთილი ყოფა, არ გაეგონა თავისი ყურით ამაო ძახილი ცოლისა: კაცო, გვიშველე, ვიხოცებითო, – და საცოდავი კნავილი ბავშვისა: მამავ, პური, მამავ, პურიო... გარბოდა და გრძნობდა, რომ სამუდამოდ ეცლებოდა ხელიდან ყოველივე ის, რისთვისაც ცხოვრობდა და სულდგმულობდა, რისთვისაც იღვწოდა, ყოველივე ის, რაც მისთვის უძვირფასესი გახლდათ...

ხელის გაწვდენას მოითხოვდა კაცთმოყვარეობაც და ზნეობრივი მოვალეობაც ძმისა ძმის წინაშე. დაე გვეჩვენებინა, რომ ჭირში ჩვენც გვჩვეოდა დახმარება, გვეჩვენებინა, რომ ძმობა, ერთურთობა, ერთმანეთის შველა და გატანა ქართველთათვის უქმი სიტყვები არ გახლდათ, მითუმეტეს იმ ძმებისა და დებისადმი, რომელნიც აქამდე დაკარგულნი იყვნენ და დღეს კვლავ ჩვენთან მოსულიყვნენ.

გაჭირვებულთა ძმები რომ ვიყავით, ეს არასდროს და არაფრისდიდებით არ უნდა დავიწყნოდა ქართველობას – ამ ძმობაში გამოკვანძულიყო ჩვენი ბედი და ამ ძმობას ჩვენი ბედნიერების კვირტი უნდა გამოეტანა.

ქართველობავო, – ღაღადებდა წინასწარმეტყველი, – ჩვენი უწმინდესი ვალია: მივეშველოთო!..

ამიტომაც ეიმედებოდა, რომ ყველაფერში გულუხვი ქართველი ქველ საქმეში უფრო გულუხვობას გასწევდა და არ დაიზარებდა გაჭირვებულ ძმათათვის შესაწირავს. რედაქციები – „ივერია“ და „დროება“ – ყოველდღე მზად იყვნენ ამ შესაწირავის მისაღებად. და ილია შემწირველთ ურჩევდა, რომ უფრო „დროების“ რედაქციისათვის მიემართა, რადგანაც „დროება“ ყოველდღე გამოდიოდა და ამის გამო შეეძლო ყოველდღეც ეუწყებინა საზოგადოებისათვის შეწირული ფულის ანგარიშიც და შემწირველთა სახელებიც.

ახლა გამოჩნდებოდა, ხალხი მარტოდენ დღევანდელ ყოფაზე მიბმულიყო თუ ხვალისთვისაც წუხდა და ფიქრობდა!..

რუსულ გაზეთებში გახმაურებულიყო, აჭარლები აყრას რომ ფიქრობდნენ და ოსმალეთში გადასახლებას, თუმც მიზეზის გახმაურება კი კორესპონდენტებს ვერ მოეხერხებინათ.

აშკარაა: ოსმალეთის ხელში ყოფნას არჩევდნენ, ვიდრე რუსეთისა.

რას მიეყვანა საქმე აქამდე – ამ განწირულებამდე, ამ სასოწარკვეთილებამდე?

როგორც ლაპარაკობდნენ, ახალშემოერთებულ მხარეს კალიასავით მისეოდა ყველა კალიაზედ უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი, უფრო გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა. რამდენიმე კაცის გარდა უმეტესობა ისეთი იყო, მათი ამბების მოსმენისას თმა ყალყზედ დაგიდგებოდა. საცა სამსახურიდან გამოგდებული კაცი იყო, საცა გამოუსადეგარი, უხეირო, თავზეხელაღებული, ამ მხარის მოხელეობა მიეღო. და აბა რა კეთილს დააყრიდნენ ხალხს და ამ მხრივ დაანახვებდნენ მათ ყოფა-ცხოვრებას რუსის მთავრობასა და მმართველობას?

დაე ეჭვი ნურავის შეეპარებოდა: თუკი ეს სამარცხვინო საქმე მოხდებოდა და აჭარა გადასახლდებოდა, ბრალი ამ მოხელეთ უნდა დასდებოდათ, აქამდე ვინც მიიყვანდნენ საქმეს.

უტოვებდა გამოსავალს უმაღლეს ხელისუფლებას – ოღონდაც ამ მხარეს შველებოდა რაიმე და თუნდ მხოლოდ წვრილ ჩინოვნიკებზე გადატეხილიყო ჯოხი... ოღონდაც რაღაც სასიკეთო ნიშნები გამოჩენილიყო... რაღაც საიმედო გამოელვებულიყო...

მოხელის დანიშნულებასა და ცხოვრების წესს კი ზოგადად ასე განსაზღვრავდა:

გარდა ჭკუისა და ზნეობის სიმაღლისა, საჭირო იყო კარგად სცოდნოდა აქაური მოსახლეობის ვითარება, ჩვეულება, ტკივილი და სიხარული და საშუალება ჰქონოდა, ხალხთან უშუამავლოდ ელაპარაკა.

– ჩვენდა სამწუხაროდ, ეს დავიწყებულია დღევანდლამდე ჩვენში და თითქმის უარყოფილიც. ხალხის სამართლის გამძღოლს, ხალხის სიმართლის აღმადგენელს და დამდგენელს რომ კაცმა ენა მოსჭრას და ყური დაუხშოს, – რაღას უნდა გამოელოდეთ მისგან კარგს და კეთილს, თუნდა სხვაში ყოველფერში ციდამ ჩამოსულიც იყოს.

მოსამართლეს რომ თავისი ყურით არ მოესმინა მოწმის ჩვენება, სადაც ხშირად ერთი სიტყვა, ასე თუ ისე გამოთქმული, უფრო დიდი და ცხოველი ნათელით მოჰფენდა საქმის ყოველ გარემოებას, ვიდრე მთელი ლაქლაქი უვიცი და ბრიყვი მთარგმნელისა – რაღა მოსამართლე უნდა ყოფილიყო?

მოხელე, რომელსაც შენ შენსას ვერ გააგებინებდი და ის – თავისას, სადაური შენი მომვლელიღა იქნებოდა?

როცა მოხელეებს იმ ჯურიდან ირჩევდნენ, რომელიც სრულიად უცნობი გახლდათ ხალხისა, მისი ცხოვრებისა, სრულიად უცოდინარი ენისა – ამას აუცილებლად ის მოსდევდა, რომ მათ ხალხისა არა გაეგებოდათ რა და ხალხს კიდევ მათი.

თუ მოხელე კარგი კაცი იყო, მარტო იმას ფიქრობდა, არა ვავნო რა ხალხსაო, და ხალხი კიდევ იმდენად ემადლიერებოდა მოხელეს, რამდენადაც ნაკლებ მავნებლობას იჩენდა.

ამისთანა ყოფაში სხვა საწყაოთი მიდგომა შეუძლებელი ხდებოდა: მმართველობას სიკეთის უპირატესი ღონე ჩამორთმეოდა, სახელდობრ – ენა და ყური.

ამასთან ამ ყრუმუნჯობას ერთი დიდი ვნებაც სხვა დაჰყოლოდა: ხალხის ცხოვრებას არც პატივი ჰქონდა და არც ზემოქმედება არაფერზედ. მრა-

ვალსახისა დ მრავალგვარი საჭიროება ხალხისა, რაც მის ყოველდღიურ დენაში აღმოჩნდებოდა ხოლმე, და აქედან წამომდგარი ვითარება, რომელიც ზოგჯერ კანონმდებლის ღვაწლსა თხოულობდა და რომელიც ყოველთვის საჭიროებს ყურადღებით გასინჯვასა და გულმტკივნეულ შეწყნარებას – რჩებოდნენ არამცთუ უყურადღებოდ, არამედ იქვე სულსა ლევდნენ, სადაც იბადებოდნენ.

ამიტომაც ჩვენში კანონი თუ იბადებოდა, ოთხ კედელშუა იბადებოდა და ზოგჯერ ისე მოუხდებოდა ხოლმე ჩვენს ცხოვრებას, როგორც... და ილია ამჯერადაც მარჯვე შედარებას გამოძებნიდა: როგორც კაცს სხვის ტანზე შეკერილი სამოსიო.

ასე განსაზღვრავდა ჩვენი ყოფის იმ მიზეზს, ცხოვრება ძირს რომ მიედინებოდა თავისთვის, ზემოდან დაჰფარფარებდა აჭრელებული ქაღალდი, სადაც სუფევდა კანონი, და შუაში კი სიცარიელე დასადგურებულიყო. და ამ სიცარიელეში დახტოდნენ, ცხოვრების ზემოთ და კანონქვეშ, ჩვენი მოხელეები. ხალხი მათ ერიდებოდა და ხალხს ისინი ერიდებოდნენ.

ამის ნამალსაც სთავაზობდათ – თვითონ ტკივილიდანაც რომ ჩანდა:

მოხელეთა ამორჩევაში, განათლებისა და ზნეობრივი აღმატებულობის გარდა, ენის ცოდნას უპირველესი ადგილი უნდა სჭეროდა. უამისოდ ამაო იქნებოდა მთავრობის ყოველგვარი მცდელობა ხალხის გულის მოსაგებად; და ეს უნდა ყოფილიყო უპირველესი ღონე მოხელისა, რათა მართალი და ჭეშმარიტი სამსახური გაეწია სახელმწიფოსთვისაც და საზოგადოებისთვისაც.

ეს კარგად მოეხსენებოდათ ევროპელებს და კანონადაც ამიტომ დაედოთ:

თუ ენა არ ეცოდინებოდა, კაცს ფეხსაც არ შეადგმევინებდნენ იმ ხალხში, სადაც მოხელეობას ნდომულობდა. ასე მოქმედებდა მაგალითად ინგლისი – ინდოეთში.

ჩვენში კი სულ სხვა ვითარება გამეფებულიყო:

აქ არამცთუ მოხელისაგან თხოულობდნენ აქაური ენის ცოდნას, არამედ თვითონ აქაურებისთვისაც კი ამოეკვეთათ მშობლიური ენა სასწავლებლებიდან.

იქ, სადაც ჩვენი ხალხის მწყემსნი იზრდებოდნენ, ჩვენი ხალხის მასწავლებელნი, მაგალითად – სასულიერო და საოსტატო სემინარიაში, იქიდანაც კი გამოედევნათ ჩვენი ენა. ქართველებსაც კი გზა აღარ გვქონდა ჩვენი ენის შესასწავლად, თორემ სხვას ვინა ჩიოდა.

კვლავ უტოვებდა საშუალებას მთავრობას, დიდ ნაკლად ეღიარებინა ეს ვითარება და შესაფერისი ყურადღებაც მიექცია მის გამოსასწორებლად და ყველა მოხელისათვის მოეთხოვა ენის ცოდნა იმ ხალხისა, რომელთა შორისაც სამსახურს ნდომულობდა.

ამისათვის კი საჭირო გახლდათ:

ხელახლა შესაფერისი ადგილი მინიჭებოდა აქაურ სასწავლებლებში აქაურ ენებს.

რასაკვირველია ამ წამალს იმხელა მნიშვნელობას სულაც არ აძლევდა, რომ ამით ყველა ტკივილი მორჩებოდა. აქ ბევრი სხვა ტკივილიც არსებობდა, რომელიც სულ სხვა მიზეზებს გამოეწვია და სხვა წამალიც ესაჭიროებოდა... მხოლოდ იმას ამბობდა, რომ: დღეს ესეც დიდი ნაბიჯის წადგმა იქნებოდა, თუ მთავრობას სურდა ხალხისა შეეტყო რაიმე და ხალხისთვისაც კი თავისი გაეგებინებინა.

მერეა ის დაჩივლება:

ჩვენს ენას ჩვენში მოედანი რომ არ გააჩნდა სავარჯიშოდ.

ჩვენი ეგრეთწოდებული მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავისდა სამარცხვინოდ თაკილობდა თავისი დედა ენით ლაპარაკს. იმ ანდაზისა არ იყოს: თევზი თავიდან ყროლდებაო, – ეგრე მოგვდიოდა ჩვენც და ურჩევდა ყველას, დაკვირვებოდნენ ჩვენს ამ ეგრეთწოდებულ მაღალ საზოგადოებას, თუ მოისმოდა მათგან ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართული სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართული სიტყვიერებისა.

რატომ გადაგვეწყებოდა ყოველივე, რაც ენის მშვენებას შეადგენდა?

რატომ და:

ჩვენი აზრი ჩვენი ენით აღარ მოძრაობდა, ჩვენი გული ჩვენი ენით აღარ თბებოდა.

და ამისთანა სავალალო და სამარცხვინო მდგომარეობაში მუდმივი სცენა ესახებოდა ცის ნამად დამჭკნარი ყვავილისათვის.

ამ ბოლო დროს გრიგოლ არწრუნს თავის დიდ ქარვასლაში გაემართა კერძო თეატრი. და ამ შემთხვევას კიდეც ფრთა შეესხა იმ დიდიხნის სურვილისათვის, რომ მუდმივი სომხური და ქართული სცენა გამართულიყო. აქაური სომხები დიდი გულმოდგინებით მოეკიდებოდნენ სომხური სცენის საქმეს და – როგორც ილიას სმენოდა – პირველგასაწყობად 1000 თუმანი მოეგროვებინათ და კიდევ აგრძელებდნენ შეგროვებას.

არც ქართველობას დაეკრიფა გულზე ხელები, ქართველობის მოყვარენიც ამასვე ცდილობდნენ და – ილიამ აღარ იცოდა – რა მადლობა უნდა გადაეხადა ქართველობას იმ კაცთათვის, რომელთა მეოხებითაც ამ ბოლო დროს ჩვენში გაძლიერებულიყო მუდმივი სცენის დადგენის სურვილი და ფეხი აედგა კიდეც, რათა შესაფერისადაც აღსრულებულიყო.

დიდი რამ რომ გახლდათ სცენა საზოგადოდ და ნამეტნავად ჩვენთვის, მთავარია გულგარყვნილობის მოედნად არ გაგვეხადა და რაღაც სალახანური „მშვენიერი ელენეები“ არ გვევარჯიშებინა.

დიდი რამ კი იმიტომ გახლდათ:

ძლივს ერთი საჯარო ადგილი მაინც გვექნებოდა, სადაც ჩვენი ენით ვილხენდით, ჩვენი ენით ვინაღვლებდით, ჩვენი ენის მოწყალებით გავიტარებდით თვალწინ ჩვენს ცხოვრებას მთელი მისი ჭკუისა და გულის მონაგარით.

ამასთან: სცენა იგივე სკოლა იყო, რომელიც ცხოველი სურათებით ელაპარაკებოდა კაცის გულსა და გონებას. ამ თვისების წყალობით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედებდა, ვიდრე სხვა რამ.

ამ მხრივ გახლდათ სწორედაც სანატრელი, გრძნობისა და ჭკუის გამაფაქიზებელი, განმწმენდელი.

სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა ყოფილიყო და თან იმისთანა შემაქცევარიც, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისა ფეხსაც ადგმევინებდა და ფრთასაც აშლევინებდა. უკეთესი შემაქცევარი, უკეთესი დროსგამტარებელი, სულისა და გულის ამამაღლებელი სხვა არც არა ეგულებოდა რა ილიასაც სცენის მეტი.

თუ ამ ძვირფას თვისებას, როგორც ხალხის წვრთნა და ზრდაა, სცენას ჩამოაცილებდნენ?

მაშინ მიკიტანხანად გადაიქცეოდა და სჯობდა წაწყმედილიყო, ვიდრე ეარსება.

ორ ღვაწლს ითხოვდა ილია სცენისაგან:

პირველი: რომ მართლა განმწმენდელი ყოფილიყო ჩვენი ცხოვრებისა, ჩვენი ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი.

და მეორე: უნდა შექმნილყო იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამომდგარიყო მთელი თავისი მშვენიერებითა და სიმდიდრით.

სცენის გარდა სხვა ისეთ სახსარს ვერა ხედავდა ხალხისათვის, რომ: გონებაც, გულიც გაეხსნა და ენაც ევარჯიშებინა საჯაროდ და საქვეყნოდ.

ამიტომაც სცენას ისეთი გონებაგახსნილი ზედამხედველი უნდა ჰყოლოდა, რომ ამ ორ სანატრელ საქმეს თეატრი არ გადადგომოდა და არ გამხდარიყო „მშვენიერ ელენეთა“ სამარცხვინო სასალახნო ასპარეზად.

როგორც სმენოდა: ამ საქმეში მეთაურობას კისრულობდა – ყოველ კეთილ საქმეში დაუღალავი მოღვაწე – დიმიტრი ყიფიანი.

და ილიას დაბეჯითებითაც:

უკეთეს კაცს ვერც ჩააბარებდნენ ამ დიდ და მძიმე საქმეს, რაკიღა მას ჩინებულად მოეხსენებოდა, რაც ძვირფასი რამ გახლდათ ხალხისათვის სცენა.

თვით იმ თხზულებათა ამორჩევა, რომელთაც დიმიტრი ყიფიანი თარგმნიდა, ცხადად ადასტურებდა, რომ მას სცენა მიაჩნდა იმ დიდ სკოლად, სადაც ოსტატებად მოწვეულნი უნდა ყოფილიყვნენ იმისთანა სახელოვანი კაცნი, როგორიც უილიამ შექსპირი და ჟან-ბატისტ მოლიერი გახლდნენ და მრავალი მათი მიმდევარი გამოჩენილი მწერალი.

დიმიტრი ყიფიანის ხელში სცენა თავისდღეში ისე არ დამდაბლდებოდა, რომ შექმნილიყო გულისა და ენის გამრყვნელად. და ილია იმედს გამოთქვამდა, რომ: რამდენადაც დიმიტრი ყიფიანი გულმოდგინედ და გულმხურვალედ მოეკიდებოდა ამ საქმეს, იმდენად გარშემომყოფთაც შემწეობა და გულისტკივილი აღმოეჩინათ მისთვის, და მაშინ ჩვენი სცენა მკვიდრ საფუძველზე დაფუძნდებოდა ჩვენდა სანუგეშოდ და სასიხარულოდ.

რამდენადაც სასიკეთო ზეგავლენა შეიძლება ჰქონოდა სცენას, დიდი და განსაკუთრებული, იმდენად სახიფათო შეიძლება ყოფილიყო, თუკი დანიშნულება გამოეცლებოდა. მაშინ სჯობდა სულაც არა გვქონოდა სცენა, ვიდრე გარყვნილების ბუდედ გადაქცეულიყო და სულისა და გონების დამამდაბლებლად, და ქართული ენის დამმახინჯებლად.

1850 წელს გიორგი ერისთავის მიერ ქართული თეატრის დაარსებას იოსებ გრიშაშვილი მოიხსენიებდა მიხაილ ვორონცოვის მიერ „საკენკგადმოყრილ“ დაწესებულად და აღარ უკვირდა, 1854 წელს ეს წამოწყება რომ მიიხურებოდა.

ვეღარც ზურაბ ანტონოვი დააყენებდა ისერიგად ფეხზე, ვეღარც ივანე კერესელიძე გაუძღვებოდა შესაფერისად... კერძო სახლებში გამართულ წარმოდგენებს რაღაც მნიშვნელობა კი ექნებოდათ, მაგრამ იმ გავლენისაც არა, მაყურებელი მიეზიდა... რუსული თეატრისადმი გულგრილობას რომ იჩენდნენ, ქართველი მოღვაწენი ამ გარემოებას იმით ხსნიდნენ, რომ ქართულად მოლაპარაკე საზოგადოებას სწყუროდა თეატრი გასაგებ ენაზედ, მისი ცხოვრებიდან აღებული სურათები, ნაცნობი და მისახვედრი მხიარულებისა თუ მწუხარების გამომეტყველი სცენები.

წუხდა ყველა, განიცდიდა ყველა, მაგრამ სასიკეთო არა მოჩანდა რა და „დროება“ 1874 წლის 445-ე ნომერში ამ საყოველთაო ჩივილს ამოთქვამდა:

– მაგრამ ამნაირი კაცი რომ არ გაგვიჩნდა? რომ არ გაეწყო რა ქართული ტრუპის დაარსებას? არ შეიძლება საპატიო ხალხმა თეატრის საქმეს მოჰკიდოს ხელი და სცენიდან გააგონოს საზოგადოებას თუ აზრი არა, ენა მაინც?

იოსებ გრიშაშვილისათვის რომ გეკითხათ:

ეს სურვილი და ნატვრა ზოგადად სულაც არ ითქმოდა, არამედ ილიას გულისხმობდნენ, ილიას აგულიანებდნენ და თეატრის ასაღორძინებლადაც იწვევდნენ, რათა:

როგორც გიორგი ერისთავს აღედგინა ძველი ქართული თეატრის ძირები, ისე ილიას რომ განეახლებინა და აეყვავებინა ამ ფესვების რტოთა ლაშქარი.

და მოგვიანო ხანის პოეტი და თეატრალი არც ივანე მაჩაბელს ჩამოართმევდა ზოგად სიტყვებად იმ ნათქვამს და მის მინიშნებაშიც ილიას ამოიცნობდა:

– ჩვენი თეატრი წინ წავა და ხალხში ფესვებს გაიდგამს თუ რიგიანი მოთავე ეყოლება.

იმედით იმიტომაც მისჩერებოდნენ, „მეფე ლირს“ მხოლოდ პიესის გულისათვის არ მოჰკიდებდა ხელს სათარგმნელად, თეატრის აღორძინება რომ არ განეზრახა ქართული „მეფე ლირის“ მეშვეობით.

თავისი მხრივ – როგორც დრამატურგობისათვის ხელის მომკიდებელი – „სცენებს“ ვერ გასცდენოდა, ისიც გლეხთა გათავისუფლების პირველდროების სურათების შემონახვას რომ ესწრაფოდა და უფრო მაინც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზნით?

და ჰადაჰა დრამატულ ეპიზოდს თუ გამოუძებნიდა შესაფერის ქარგას „დედა და შვილში“?

დრამატურგიული სხვა არც არაფერი მოესინჯა?

რეჟისორი ხომ არა ყოფილა და არა?

მაინც მას შეჰყურებდნენ მოლოდინის თვალით:

თუ ვინმე, ისევ ეგ თუ შეძლებს, აბა საშექსპიროდ ტყუილუბრალოდ ხომ არ გაირჯებოდაო?!.

სტუდენტობისას ცოცხალ სურათებად რომ დადგამდა ამ პიესას, მეფე ლირის როლს აკი თვითონ ირგუნებდა; ხოლო პეტერბურგიდან დაბრუნებული ივანე მაჩაბელთან ერთობლივი თარგმანის საჯარო კითხვას რომ მოაწყობდა, არანაკლებ აღტაცებას გამოიწვევდა, ვიდრე პეტერბურგის ქართველ სტუდენტობაში.

„დროება“ იქნებოდა და:

– თარგმანი სწორედ სამაგალითოა. არც ჩვენ, არც სხვებს არ გვეგონა, თუ ეს შესანიშნავი თხზულება ასე მშვენივრად გადმოიღებოდა ქართულ ენაზედ.

კონსტანტინე ბებუთიშვილი იქნებოდა და, 1874 წლის 19 ივლისს ნიკო ნიკოლაძესთან მიწერილ ბარათში ამცნობდა, როგორ მოუსმენდნენ ილიასეულ დეკლამაციას „მეფე ლირისა“ ამასთან შემოკრებილი 30 კაცი:

– მომხიბლავი აღმოჩნდა. ზამთრისათვის შესაძლოა სცენაზეც დავდგათ.

განსაკუთრებით მაინც ორი მონოლოგის წარმოთქმა ეყვარებოდა ილიას, შემთხვევას რომ არ გაუშვებდა ხელიდან არასდიდებით, ზეპირად რომ არ წარმოეთქვა.

ერთი, როდესაც ლირი შეიტყობდა თავის შეცდომას და შვილებისაგან განდევნილი ტყეში დაძრწოდა უსავანო და მიუსაფარი:

იზუზუნე და იქროლე შენ, ქარო მსუსხავო, უბერე, ვიდრე ღაწვნი ზედ არ დაგასკდებიან! გარდმოენთხიეთ წყლისა ღვარნო და შენც, გრიგალო, წამოუბერე, წამობერე ზვირთნი ზღვისანი და სრულად შთანთქე ეს ქვეყანა ძირით თხემამდე!.. მილეწ-მოლეწე და შეშალე ამ ქვეყნის სახე, გაანადგურე, განაბნივე და მტვრად აღგავე თესლნი უმადურთ ადამიანთ დამბადებელნიო!..

და მეორე – კორდელიას სიტყვა მამისადმი, რომელიც თავის უმცროს ქალიშვილს გამოსწირავდა სამეფოს ნაწილს, რადგანაც კორდელია თავისი დებივით პირმოთნეობასა და მლიქვნელობას არ იკადრებდა:

დიდებულებას თქვენსას ერთს ვსთხოვ: თუმც ენა ჩემი არ არს გაქლესილ და გაპოხილ პირფერობითა და ვრჩეობ ჯერეთ საქმე იყოს და მერე სიტყვა... მე არ მაქვს თვალნი მათხოვარნი და ენა მლიქვნი და არ-ქონვა ეგ მე მახარებს და მასულმდგმარებს, თუმც მაგ არ-ქონვამ მამის გული დამაკარგვინაო.

გრიგოლ ყიფშიძეს ახსოვდა სხვათაგან (როგორც გაგვიგონიაო, ამიტომაც ამჯობინებდა ასე თქმას), ამ პიესას სცენაზეც რომ ითამაშებდნენ და ილია ამჯერად კენტის როლს შეასრულებდა.

რაღა მაინცდამაინც კენტისა, ამჯერადაც ვითომ მეფე ლირისას რატომ არ მოინდომებდა?

იოსებ გრიშაშვილი საგანგებოდ დაუკვირდებოდა და წარმოაჩენდა იმ გარემოებას, „მეფე ლირის“ გადმოღებისას ილიას ის ადგილები რომ ექნებოდა განსაკუთრებულად კარგად თარგმნილი, მის სულიერ განწყობილებას რომლებიც ენათესავებოდა.

და თვალსაჩინოებისათვის მოიხმობდა კენტის როლს.

იგი მეფის უსამართლობას აშკარად უნდა შეეწინააღმდეგოს, რადგანაც პირდაპირია, სიტყვა-პასუხს ფერუმარილით არა მოსავს და ტკბილი სიტყვა ფარისევლობისაგან არც განერჩევა. ამიტომაც განდევნილმა კენტმა პირში უნდა მიახალოს მეფე ლირს:

– მშვიდობით, მეფევ, დღეს გვიჩვენე, რომ შენსა ახლოს თავისუფლება და სიმართლე ვერ ისადგურებს.

და პოეტსა და მწიგნობარს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, თითქოს ეს სიტყვები ილიას გულიდან ამოდიოდა, ისევე როგორც ილიას გულისწყრომა გამოიხატებოდა ამ შექსპირული რეპლიკით:

– ბატონიშვილნო, გეთხოვებათ თქვენ ყველას კენტი, უცხო მხარეშიც ის დაშთების იმავე კენტად...

მოიხმობდა მეფე ლირის იმ რეპლიკასაც:

მოზიდულია მშვილდი, კენტო, უფრთხილდი ისარსო!..

და დასძენდა, რომ:

„კენტად“ დარჩენილი ილია მაინც ვერ გადაურჩებოდა შხამიან „ისარს“.

მეფის რუსეთისო, – ამასაც დაურთავდა, რაკიღა სხვაგვარად ვერ იტყოდა კომუნისტური მმართველობის პირობებში, თავიანთ დანაშაულს ილიასა და ქართველი ხალხის წინაშე... იმპერატორს რომ აჰკიდებდნენ.

თუმც მთავარი აქ ისაა, ამ სტრიქონსაც უშუალოდ თავის თავზე რომ გაიცდიდა ილია, უკვე რომ ჭვრეტდა გარდუვალ ხვედრს, მხოლოდღა ადგილი იქნებოდა შესარჩევი, სად ჩაუსაფრდებოდა უკეთურება, სად დაახლიდნენ ტყვიას.

და ნიშანდობლივია, რომ:

როდესაც აკაკი ბაქრაძე ხელშესახებად წარმოსახავდა სოციალ-დემოკრატთა ცოდვას – მომზადებასა და აღსრულებას წიწამურის მისტერია-ტრაგედიისა – მონოგრაფიის იმ თავს სწორედ ამ შექსპირული სტრიქონით დაასათაურებდა:

მოზიდულია, მშვილდი, კენტო, უფრთხილდი ისარსო!..

კოტე ყიფიანი თავის მხრივ გვამცნობდა, რომ:

ილია დიდ სცენაზე ატანასაც მოინდომებდა „მეფე ლირისა“, ოღონდ როლები უნდა შეესრულებინათ მხოლოდ მწერლებს: თვითონ ილიას, ივანე მაჩაბელს, მამია გურიელს, ნინო ორბელიანს, დავით ერისთავს, დიმიტრი ყიფიანს...

და სწორედ დიმიტრი ყიფიანს ერგუნებოდა მეფე ლირის როლი.

ეს მოხდებოდა 1879 წლის 20 ოქტომბერს, დიმიტრი პასუხად რომ მიუგებდა:

– გადავიკითხავ თქვენს თარგმანს და მაშინ გეტყვით, ვიკისრებ თუ ვერა.

დიმიტრი ყიფიანისეული გადაკითხვა რასაც ნიშნავდა, როგორ საფუძვლიან შესწავლასა და გააზრება-შეფასებას, ყველას კარგად მოეხსენებოდა, და ილიას სწორედ ეს გაახარებდა:

დაე ორიგინალსაც შეუდაროს, გულდაგულაც გაჩხრიკოს და მსჯავრიც ისე გამოგვიტანოსო.

და დიმიტრი ამათ თარგმანს რომ გაშლიდა, გვერდით მოიწყობდა სხვა წიგნებსაც: ინგლისურ დედანსაც, სხვადასხვა გამოცემას, და ორ ფრანგულ თარგმანსაც. აგრეთვე სადლერის ლექსიკონს: ინგლისურ-ფრანგულსა და ფრანგულ-ინგლისურს და... კიდეც კვალში ჩაუდგებოდა მედგრად, შეუპოვრად, დაუღალავად.

23 ოქტომბერს დაეწყო და 30-ში ისევ დაეკეცა წიგნები.

რატომ და:

ვისი პატივისცემაც დანერგოდა გულში და არამარტო ენაზედ, და მაშასადამე ვინც უყვარდა, სურდა, რომ მას წუნი არა ჰქონოდა რა და, თუკი შეამჩნევდა რაიმე უზუსტობასა თუ უხერხულობას, მაშინ პირდაპირ ეთქვა... მეგობრულად.

მაგრამ ილია ჭავჭავაძისა და ივნე მაჩაბლის თარგმანი სასიქადულოდ გადივლებდა თავს ამისთანა კრიტიკას, კრიტიკას მიუკარებელს, შეუბრალებელს. და 31 ოქტომბრის ბარათით უმჟღავნებდა თავის აღტაცებას ილიას:

– შრომა გაგიწევიათ დიდი, ნიჭი გამოგიჩენიათ შესანიშნავი.

შეცდომას ხედავდა მხოლოდ ერთადერთს:

კილოს.

შექსპირის თხზულებაში, რომელიც კარგა ძველი გახლდათ, ლექსიც ბევრი მოიპოვებოდა დაძველებული, რომელსაც დიდი ხანია აღარ იყენებდნენ; მაგრამ კილო იყო სასაუბრო, კილო, რომლითაც საპატიო ყრილობაში ლაპარაკობენ ხოლმე.

ილია და ვანო კი უფრო სამწიგნობრო კილოს გაჰყოლოდნენ. მშვენიერება იყო მათი თარგმანი, ეს ყოვლად უეჭველად ითქმოდა, მაგრამ ამ კილოზედ არც სადმე ელაპარაკათ და არც სადმე ლაპარაკობდნენ. სათქმელი თუ გახლდათ რამე ამ თარგმანზედ, მხოლოდ ეს, თორემ სხვა სრულებით არაფერი...

ახლა რაკიღა დიმიტრის ერთიც თვალწინ ედგა და მეორეც, იქნება იგი უფრო გაფრთხილებული გამოსულიყო და სთხოვდათ:

თუ მაინცადამაინც გნებავთ ლირი მე წარმოვადგინო, ნება მომეცით, რომ ეს როლი თვითონ მე ვთარგმნო, ჩემებურად, მარტო ეს როლი. თქვენს ნათარგმნს ამითი სრულებით არა ეზიანება რაო.

განა ბევრჯერ არ მომხდარიყო, რომ: ერთი როლი ერთ ენაზე ეთამაშათ და სხვა როლები – იმავე პიესაში – სულ სხვა ენაზედ? აქ ხომ ამისთანა არა ხდებოდა რა? მთელი წარმოდგენა ქართულ ენაზედ იქნებოდა – ზოგი სასაუბროზედ და ზოგიც სამწიგნობროზედ.

აგრე იყოსო, – თუ ილიასაგან ამ პასუხს მოისმენდა, კიდეც შეუდგებოდა საქმეს დიმიტრი ყიფიანი, ბარათის ბოლოს სულითა და გულით ერთგულებას რომ უდასტურებდა.

რის გამო, რა მოტივით იწუნებდა აკაკი წერეთელი ქართულ „მეფე ლირს" და:

სახარების ენით არის თარგმნილიო.

აგერ თვით აღტაცებული დიმიტრი ყიფიანიც, მისი შეუბრალებელი კრიტიკის ფონზეც რომ შეინარჩუნებდა მთარგმნელთა გარჯა თავის დიდ ღირსებას, კილოს არჩევას უწუნებდათ:

მწიგნობრულიაო.

აკაკი და დიმიტრი არსებითად ერთსადაიმავეს ამბობენ, განსხვავება მხოლოდ ისაა, აკაკი ამის გამო მთელ თარგმანს იმეტებს, დიმიტრისათვის კი — ამისდა მიუხედავად — ქართული „მეფე ლირი“ სასიქადულოდ და მთარგმნელობითი ხელოვნების ნიმუშად წარმოდგება.

აკაკის რომ ცოტა არ იყოს ყურს ჭრიდეს, გასაგებია – მისი მხატვრული მეტყველება გაცილებით უფრო დაახლოებოდა სასაუბრო კილოს – მისგან აღარც კი განირჩეოდა – ვიდრე „მეფე ლირის“ ენობრივი სტილისტიკა, მაგრამ... დიმიტრი ყიფიანსაც რომ აღარ უჯდება გონებაში ეს სტილურ-ენობრივი მანერა? და ეს იმ დიმიტრის, რომელსაც ძალიან გაუძნელდებოდა გამოთხოვება ძველ მართლწერასთანაც და თხრობის კილოსთანაც.

პარადოქსია, სხვა რა შეიძლება დაერქვას:

დიმიტრი ყიფიანი ილია ჭავჭავაძეს ედავება – მეგობრულად, სიყვარულით, პატივისცემით, მაგრამ მაინც ედავება – არა სტილური მანერის გამარტივება-ამჩატებაზე, არამედ: მწიგნობრული ყაიდის შენარჩუნებაზე!..

ისღა აკლდა ილიას, გრიგოლ ორბელიანსაც ამ მხრივ გასჩენოდა მასთან სასაყვედურო: დიდებულია, შესანიშნავია, წარმტაცია, მაგრამ ეს კილო რაღაც მწიგნობრული შემოგპარვიაო.

თუმც რა გაგვიკვირდეს პარადოქსებით სავსე წუთისოფელში, ილიაც – პარადოქსების ეს ხელოვანი – არაერთხელ რომ გამოცდიდა თავის თავზე ყოფითი რეალობის უცნაურ გარდასახვებსა და აბრუნდებს.

მიუხედავად დიმიტრი ყიფიანის ასეთი მაღალი შეფასებისა: სასიქადულოდ გადივლო თავზე შეუბრალებელი კრიტიკაო, – იოსებ გრიშაშვილს მაინც გულს დააკლდებოდა რაღაც, მითუმეტეს „მწიგნობრულს“ „სახარების ენაც“ ემატებოდა ნაკლულოვანების აღმნიშვნელად, და მოვალედ მიიჩნევდა თავს თუნდ სქოლიოში, მაგრამ საგანგებოდ აღენიშნა ილიას მთარგმნელობითი უნარი: საზოგადოდაც კარგი მთარგმნელი იყოო, – და მის მიერ გადმოღებულ ლექსებს – ალექსანდრ პუშკინისას, მიხაილ ლერმონტოვისას, ჰაინრიხ ჰაინესი თუ ლორდ ბაირონისას – პატივისცემით რომ მოიხსენიებდა: აღსავსეა გრძნობითა და ქართული ენის ჟღერადობითო, – სანიმუშოდ ანდრე შენიეს სტრიქონებს მოიხმობდა:

ზღვათა მფლობელის ვენეციის ზღუდეთა თანა, ღამის ციმციმში უდარდელი გონდოლიერი ნავსა აბრძოლებს კიდის პირ-პირ ლაჟვარდ წყალთანა, რინალდოს, ტანკრედს, ერმინიას ჰმღერს ბედნიერიო.

ალექსი ბუვიეს „იზას“ ილიასეულ ვერსიას კი ასე აღამაღლებდა:

შიგ რომ უცხო სახელები არ იყოს, ქართული რომანი ეგონებოდა მკითხველსო.

ერთ დეტალსაც აქვე ჩართავდა:

ილიას 1904 წელს განზრახვა რომ ჰქონოდა, ეთარგმნა ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის ტრაგედია „ღალატი“, და თუმც ეს ჩანაფიქრი ვერ

განხორციელდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ მისი მოწაფე გრიგოლ ყიფშიძე ისე შესანიშნავად გადმოიღებდა, რომ ჩრდილში მოაქცევდა ამ პიესის სხვა მთარგმნელებს: კოტე მესხს, ნიკო ავალიშვილსა და თვით აკაკი წერეთელსაც.

დამაფიქვრელია ეს განსაზღვრება გრიგოლ ყიფშიძის პიროვნებისაც და შესაფერი ენობრივი მანერის შერჩევისაც:

ილიას მოწაფეო.

პოეტ-მწიგნობარს ეჭვიც არ ეპარებოდა:

რომ არა ეს მოწაფეობა, გრიგოლ ყიფშიძე ვერ წააჭარბებდა ამ რანგის შემოქმედთ, თარგმნის ხელოვნებაშიც რომ დაოსტატებულიყვნენ და სცენა-თეატრიც ძირისძირობამდე გაეგებოდათ.

ამ საქმეში მეთაურობას კისრულობდა დიმიტრი ყიფიანიო...

უკეთეს კაცს ვერც ჩააბარებდნენ ამ დიდ და მძიმე საქმესო...

და სხვა ვინ, თუ არა ილია უნდა ამოსდგომოდა გვერდით ამ დიდ და მძიმე საქმეში, და არამარტო კალმით, საორგანიზაციო საქმეშიც, ცალკე კომიტეტი რომ დაარსდებოდა და საჯარო კრების მოსწვევად დაიგზავნებოდა ილია ჭავჭავაძის მიერ ხელმოწერილი ბარათები.

პასუხად რა მოუვიდოდა ვთქვათ გრიგოლ ორბელიანისაგან 1879 წლის 18 მაისით დათარიღებული ბარათით და:

ებოდიშებოდა კნიაზ ილიას, რომ დღეს ვერ იქნებოდა ჩვენი საზოგადოების კრებაზე თეატრის გამო, რადგანაც მიეწვიათ საგანგებო სხდომაზე ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებისა.

მაგრამ ეს არაფერი, თუკი მიზეზი მარტო ეს გახლდათ, ბოლოსდაბოლოს დღეს თუ იქ წასვლას ამჯობინებდა, სხვა დროს ამათ შეკრებას დაესწრებოდა, მთავარი ის იყო, რასაც გაბედავდა და გულწრფელობით მოახსენებდა, რომ:

არ გახლდათ გრიგოლი თანამგრძნობი ქართული თეატრის ა მ ჟ ა მ ა დ დაწესებისა. საერთოდ კი არა, ამჟამად, საგანგებოდ რომ გახაზავდა ამ სიტყვას და დასძენდა: მასზედ დახარჯული ფული მგონია დაკარგულადო.

მიზეზად იმას სახავდა, რომ:

არ ესმოდა, როგორ უნდა დაფუძნებულიყო თეატრი, რომელსაც არ გააჩნდა თავისი შენობა, რომელსაც არა ჰყავდა განსწავლული აქტიორები, რომელსაც არ შეეძლო შენახვა თავისი თავისა. და თუ ქართველი სცენისმოყვარენი წარმოადგენდნენ რაიმეს წელიწადში ორჯერ თუ სამჯერ, ამგვარი თეატრი ხომ ახლაც არსებობდა.

არა ფიქრობდა, რომ ჩვენი ბანკი ისე ყოფილიყო გასუქებული, 300 თუმნის უსარგებლოდ დახარჯვა არაფრად მიეჩნია.

ჩვენი ბანკი – ისე ახსოვდა გრიგოლ ორბელიანს – დაარსდებოდა იმ აზრით, რომ ჩვენს შვილებს მიეღოთ, ბანკის შეწევნით, სწავლა-აღზრდა გიმნაზიებში, და თვით უმაღლეს სასწავლებლებში. ეს აზრი დარჩენილიყო აზრად და... ახლა მოულოდნელად ამას ზედ დართვოდა სახალხო სკოლებიც და თეატრიც.

ვინ იტყოდა, რომ შვილების აღზრდა, სახალხო სკოლები და თეატრი არ გვესაჭიროებოდა?

და გრიგოლი თავის მხრივ ადასტურებდა, რომ:

სამივე ეს საგანი გახლდათ ხალხის სულით ამაღლება, გონების გახსნა და თვით ეკონომიკური შემატება, მაგრამ არა ფიქრობდა, რომ ჩვენს ბანკს ჰქონოდა ისეთი შეძლება, ეს სამივე მეტად დიდი და ძნელი საქმე ერთსადაიმავე დროს დაემკვიდრებინა საფუძვლიანად და შეურყევლად.

მისი შეხედულებით:

ჯერ პირველად უნდა აღსრულებულიყო საზოგადოების სურვილი ანუ მისცემოდათ შვილებს ფართო გზა, დაუბრკოლებლივ, სწავლა-აღზრდისა, რომლის აღსრულებასაც მოუნდებოდა რამდენიმე ათასი თუმანი ყოველწლიურად – და თუ ბანკს დარჩებოდა რაიმე, მაშინ შეძლებისამებრ აშენებულიყო სახალხო სკოლებიც და თვით თეატრიც, მაგრამ კი საფუძვლიანად.

როგორ არ ეთქვა, რომ: ათასი თუმნით ძლივს აშენდებოდა და დაფუძნდებოდა რომელიმე „უეზდში“ მხოლოდ ერთი პაწაწა სკოლა და ამით გათავდებოდა იგი დიდი საქმე, რომელსაც ერქვა „სახალხო სკოლები“, და სხვა „უეზდები“ დარჩებოდნენ ისე, როგორც იყვნენ ამჟამად.

ასე ეგონა და ამბობდა იმას გრიგოლ ორბელიანი, რაც ეგონა, და თუ შემცდარი გახლდათ, ჭეშმარიტად ეამებოდა.

აქ ქართველთა ბუნების ერთ ნაკლს მოიხსენიებდა: გულმსწრაფლნი ვართო. ეს კი ნიშნავდა, რომ გვსურდა ხვალვე ყოფილიყო მზად ყველაფერი, რასაც მოვინდომებდით, თუმც სჯობდა ნელ-ნელა წავსულიყავით წინ, ვიდრე სიჩქარით დავრჩენილიყავით შუა გზაზე დაღალულნი.

ჩვენი ბანკი ისე ყოფილიყო გასუქებული, 300 თუმნის უსარგებლო ხარჯვა არაფრად მიეჩნიაო...

უსარგებლოდ დახარჯვაო, განა?

ეს ის 300 თუმანი გახლდათ, ილია ხშირად რომ შეახსენებდა და უჩიჩინებდა საზოგადოებას: სულ ფეხზე დააყენებს ჩვენს თეატრს იმ მხრივ მაინც, რომ მუდმივმოქმედი დასი ეყოლებაო.

აპრილის „შინაურ მიმოხილვაში“ კი აუწყებდა მკითხველს, რომ:

ამ ბოლო დროს დაწყობილიყო ქართული თეატრის საქმეც, ის საზოგადო მოვლენა, რომელსაც დიდი სიფრთხილით უნდა მოვქცეოდით. და ღმერთს შესთხოვდა, რომ ამ ახლადშობილ საქმეს მაინც აშორებოდა ის მტრობა და შური, რომელიც ბანკების საქმეს შედგომოდა. სახელ-დიდებას უძღვნიდა ტფილისის ბანკის კრებას, რომელსაც ქართული თეატრი საზოგადო საქმედ ეცნო და პირველი 300 თუმანიც შეეწირა.

სხვაგვარი შემწეობაც ესაჭიროებოდა მუდმივმოქმედ დასს – ჩვენი ლიტერატურა კვალში უნდა ჩადგომოდა და კარგიც და ავიც პირში ეძრახა: არც გაენებივრებინა ტყუილი ბარაქალათი და არც გული აეყარა ტყუილი დაწუნებით. და „ივერიაც“ შეეცდებოდა ამ მხრივ სამსახური გაეწია ჩვენი თეატრისათვის.

პიესები პიესებად გამოქვეყნდებოდა მის ფურცლებზე:

ეს რაფიელ ერისთავის „ადვოკატებიო“, ეს ავქსენტი ცაგარლის „მათიკოო“, ეს გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპოო“, ეს დავით ერისთავის „სამშობლოო“, ეს ალექსანდრე ყაზბეგის „ქეთევან წამებულიო“...

რეცენზიები რეცენზიებად დაიბეჭდებოდა:

ამ ბოლო დროს რამდენიმე სპექტაკლი რომ გაიმართებოდა, პირველად წარმოადგენდნენ სამმოქმედებიან კომედიას „გევო, მინას და კომპანია“, ფრანგულიდან გადმოკეთებულს, და მასთან ერთ ვოდევილსაც „სხვაგვარი სიყვარული“. თვითონ კომედიაზე ბევრს ვერას იტყოდა, შენიშნავდა მხოლოდ, რომ ამ თხზულებას სამი ნაკლოვანება ახასიათებდა, თორემ სხვა მხრივ კი არა უჭირდა რა.

და ილიასათვის ჩვეული სარკაზმი:

ერთი ის, რომ დამწერს რად დაეწერა? მეორე – გადმომკეთებელს რად გადმოეკეთებინა? და მესამე – თუ ორივე შემცდარიყო, თეატრში მაინც რატომ წარმოედგინათ?

აქტიორებმა როლები რომ არ იცოდნენ წესიერად, მკაცრად უნდა ემხილებინა ეს უხამსი ჩვეულება. და რეჟისორს ურჩევდა, რომ ამ საგნისათვის სასტიკი ყურადღება მიექცია, თორემ ეს ჩვეულება დრამატურგსაც დააფრთხობდა და მაყურებელსაც.

ვოდევილი კარგად ჩაივლიდა, ხალხიც ბევრს იცინებდა და ზოგი იქნებ იმასაც მიმხვდარიყო, პირად მხურვალე სიყვარულს ხშირად სხვა სარჩული რომ უდევს ხოლმე. ეს დიდი ზნეობის მასწავლებელი ჭეშმარიტება არ გახლდათ, მაგრამ ერთი პაწია ვოდევილისაგან მეტს რას ითხოვდით. და ანდაზა წამოაგონდებოდა: არამწევარმა კურდღელი რომ გაიბრუნოს, დაჭერად ჩაეთვლებაო.

მერე წარმოადგენდნენ მილიერის კომედიას „ეჭვით ავადმყოფი“ – ივანე მაჩაბლის თარგმანს, რომელიც არ გახლდათ ურიგო, მაგრამ მთარგმნელს შიგ ჩაერთო ერთი იმისთანა სიტყვა, ხშირად გამოყენებული პიესაში, რომელიც ზრდილობისმოყვარე ქართველისათვის მეტად სათაკილოდ გაისმოდა. და ამიტომაც ამისთანა სიტყვებს უნდა მორიდებოდნენ სცენაზედ.

დამაფიქვრელი შეგონებაა, შესაფერი განმარტებაც რომ მოედევნებოდა:

თუმც ჩვენ, ქართველებს, ერთობ უწმაწური ლაპარაკი გვჩვეოდა, როცა სალაზღანდაროდ შევიყრებოდით, მაგრამ საჯაროდ კი გვეთაკილებოდა ხოლო უმართებულო სიტყვის ხმარება. ეს პატივსადები ჩვეულება გახლდათ და არ შეიძლებოდა ამისათვის ყური არ გვეთხოვებინა.

ბოლო დროს წარმოადგენდნენ ილია ჭავჭავაძის „ყმების განთავისუფლების პირველ დროების სცენებს“, „აყალმაყალს ცოლ-ქმარ შუა“ და ვოდევილს „ბნელ ოთახში“.

„აყალმაყალი ცოლ-ქმარ შუა“ მოსაწონი აღმოჩნდებოდა, კარგი ენით შედგენილიც და სასაცილოც; სამწუხაროდ ამასვე ვერ იტყოდა ვოდევილზეც, თუმც ზოგიერთი აქაც ენას რიგიანად იყენებდა.

აქტიორთა ღირსებაზედ ჯერხანად არა ითქმოდა რა, ჯერ უჩვევი გახლდათ ბევრი მათგანი და იმედოვნებდა ილია, რომ გაიწვრთნებოდნენ. ხოლო

დიდი ნიჭი ვისთვისაც მოემადლებინა ღმერთს, ამ ნიჭით დაჯილდოებულად მაკო საფაროვი მოჩანდა, და როგორ არ განეცხადებინა ჩვეული სიხარულითა და შეგულიანებით:

ეგ ისეთი აქტრისაა, რომელიც ჩვენი სცენის თვალი იქნება, თვალიო!..

და მკითხველს აუწყებდა თავის აზრსაც და ყველა იმ მაყურებლისასაც, რომელთაც საფაროვის ქალი სცენაზედ ენახათ.

ყოველ სიკეთესთან ერთად ის სიკეთეც ამშვენებდა ამ მსახიობს, რომ ჩინებული ქართული გამოთქმა მოჩქეფდა ბაგეთაგან, და ეს სიკეთე თანადროულობაში, როცა ქართული აღარავის ახსოვდა, მეტად ძვირფასი რამ გახლდათ.

ძალიან მოიწონებდა ავქსენტი ცაგარელს „გლეხთა განთავისუფლების სცენებში“ და იმედს გამოთქვამდა, რომ ამგვარ სცენებში ეს აქტიორი შეუდარებელი იქნებოდა. გაკვირვებით კი დასძენდა: გლახა ჭრიაშვილის როლი ნეტა მისთვის რატომ არ მიუციათო?..

წლები ისე მიჰყვებოდნენ ერთიმეორეს, ერთი იმისთანა წელიც არ გამოჩნდებოდა, ნუგეშით რომ შეგეჩერებინა მასზედ თვალი და მადლიერი გულით გეთქვა: იყავ და განგრძელდიო.

ყოველი ახალი წლის მოსვლასაც ბევრჯერ რომ მიგებებოდი რაღაც იმედითა და ნატვრით, მაგრამ... მოსულიყო, წასულიყო ის ახალი და ფუჭად ჩაეტარებინა „იგი ნატვრა, იგი იმედი“.

თუმც ასე აეცრუებინა ადამიანებისათვის გული ათას ამისთანა მაგალითს, უნაყოფოდ გადაგებულ წელიწადებს, მაგრამ სიმართლე მოითხოვდა შეგემჩნია და გეთქვა, რომ ეს ბოლო ოთხი-ხუთი წელი როგორღაც, მეტ-ნაკლებად სანუგეშონი იყვნენ, და ნამეტნავად ეს უკვე ჩავლილი 1879 წელი ღირსშესანიშნავი აღმოჩენილიყო და მემატიანეს მისთვის მხარი რომ აექცია, არ უნდა პატიებოდა.

ამ წელიწადს ცხადი მაგალითებით დაემტკიცებინა, რომ ქართველობას, აქამდე ერთმანეთს დაშორებულსა და ცალ-ცალკე მოარულს, ეგრძნო: ასე ყოფნა მწვადსაც წვავს და შამფურსაც, თვითეულ კაცსაც აენებს და მთელს საზოგადოებასაცო; ეგრძნო ეს ტკივილი და მალამოც ეპოვნა, რადგანაც ღონე ერთობაში სუფევდა, ერთად თავმოყრაში, ერთად საერთო უღლის წევაში, ერთმანეთის მხარის მიცემაში. და ხელს რომ გაშლიდა, დაქსაქსულ, დაფანტულ, ცალ-ცალკე მოარულ ღონეს – ქონებითსა და გონებითს – ერთ კვალში ჩააყენებდა საყოველთაო მოქმედებისათვის.

შედგებოდა ჯერ თავადაზნაურთა საზოგადოება ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის და გამართავდა ტფილისში ქართულ სკოლას, სადაც სწავლა დედა ენის მეშვეობით მიმდინარეობდა და სადაც 80-მდე ყმაწვილი სწავლობდა, მათში კი 32-ს, თუ ცოტა მეტ-ნაკლებს, ბინაც ჰქონდა აჩენილი.

შედგებოდა საზოგადოება წერა-კითხვის გამავრცელებელ ქართველთა შორის, რომელსაც მიენიჭებოდა უფლება, რომ სასოფლო და პირველდაწყებით სკოლებში სწავლა დედა ენის შემწეობით წარემართა.

თუმც ამ საზოგადოებას ჯერ თავი არაფრით გამოეჩინა, მაგრამ ტვირთი მისი მეტად მძიმე გახლდათ და საგანი მეტად რთული. და ამიტომაც საყ-

ვარელ აფორიზმს მოიშველიებდა ილია: სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსაო.

და შედგებოდა ქართული თეატრის დასიც, მერე იმისთანა, რომ უკეთესი ნატვრა, ჯერხანად მაინც, მეტისმეტი ხარბობა იქნებოდა.

ამ სამ მაგალითსაც იკმარებდა თვალსაჩინოებისათვის, თუ რა შეიძლებოდა ქართველობას საკუთარი თაოსნობით, ღვაწლით, შეწირულობითა და ხელით – რისი აშენება და დამკვიდრება.

ამ ფრთაშესხმულ საკუთარ თაოსნობას, ამ ერთმანეთისათვის გულისტკივილს, ამ ფეხადგმულ თვითმოქმედებით ძალას მიიჩნევდა იმ ნერგად, რომელსაც უნდა ამოეხეთქა ყოველივე, რაც სანატრელად გვეგულებოდა. ეს ნერგი დარგულიყო ჩვენი ყმაწვილკაცობის ხელით – წარსულში, და მომავალი დროების მოღვაწეებს უნდა მოერწყათ თავიანთი მხურვალე ოფლით.

წარსულს ეს ეანდერძა მომავლისთვის, ეს ლარი გაება გზის საჩვენებლად.

ილია ოქრომჭედლიშვილთან გაგზავნილ ბარათში, 1881 წლის 22 ოქტომბრით რომ თარიღდება, სხვა არაერთ საგულისხმო პასაჟთან ერთად ის სტრიქონებიც ჩაიწერებოდა, ბანკს თეატრი რომ გაეკეთებინა და მშვენიერი რამაც გამოდიოდა. ფოიედ ძველებურ ქართულ დარბაზს გადაჭიმავდნენ და, ბარათის ადრესატს რომ ენახა, ისიც აღტაცდებოდა, თვით ისიც, რადგან ყველგან შიგნით-ტიკებს უჩხრეკდა საქმეს და ზიზილ-პიპილები არად მიაჩნდა.

თეატრის გუმბათზე რვა სურათი იქნებოდა დახატული, მათ შორის: შოთა რუსთველი, ალექსანდრ გრიბოედოვი და მოსე ხორენელი.

სომხებისათვის რომ ეთხოვათ:

– გვანიშნეთ სხვათა გენიოსთა შორის მოსაქცევად ერთი ვინმე თქვენიანი.

მოსე ხორენელზედ უკეთესსა და შესაფერის ვერას ურჩევდნენ და ესენიც იყაბულებდნენ: ბალი აღაო.

7 ნოემბერს სხვა სატკივარ-საფიქრალთან ერთად ამასაც აცნობებდა:

თეატრის საქმეს რომ კითხულობდი, ავად შენი მტერი იყოს, ავად ეგ საქმეაო.

ორ აქტიორს – ვასო აბაშიძესა და კოტე მესხს – ანტრეპრენიორობა ეკისრათ და აწინდელი მათი დასი ძალიან კარგიც გამოდგებოდა, კომიკური როლებისათვის კაციც და ქალიც ისეთი ჩინებულნი იქნებოდნენ, ამჟამად უკეთესი რაღა უნდა სდომებოდა ჩვენს საზოგადოებას. ამ მოკლე ხანში ერთი დრამატული აქტიორიც შეეძინა: კახელი ლადო ალექსი-მესხიშვილი, დებიუტითვე ყველას აღტაცებას რომ მოჰგვრიდა.

დასი, სწორე თქმულიყო, ლაზათიანი გახლდათ და ანტრეპრენიორებსაც ძალზე რიგიანად მიჰყავდათ საქმე, მაგრამ რა გინდა გეღონა? ხალხი არ დადიოდა ისე, რომ ხარჯი მაინც აღმდგარიყო.

ამის მნახველი ილია აქეთ ეცემოდა, იქით ეცემოდა და როგორც იქნებოდა, ძალად თუ ნებით, აბონემენტს დაარიგებდა. 12 ლოჟას გაასაღებდა და 22 სავარძელს, მაგრამ მაინც ცოტა იყო და ცოტა, ამით დასი სულს ვერ მოიბრუნებდა.

– ცოდვაა, ღმერთმა იცის, მომაკვდინებელი ცოდვაა, რომ უღონობით და უილაჯობით ჩვენი თეატრი გაუქმდეს.

წელიწადში ერთი 300 თუმანი გარედან რომ როგორმე შემოშველებოდა, თეატრის საქმე გაიჩარხებოდა და ფეხსაც მოიმაგრებდა.

თუ რამ შეეძლო მის სეხნიას, დაე ნუ დაზოგავდა. ხომ იცოდა, თეატრი რა დიდი რამ გახლდათ ჩვენისთანა დაცემული ხალხისათვის, მაგის მეტი ნაციონალობის ნიშანწყალი ჯერჯერობით რომ არა გაგვაჩნდა რა. ეგ ერთი ადგილი შენარჩუნებულიყო, სადაც ჩვენი ენა საჯაროდ გაისმოდა და საჯაროდ მოქმედებდა.

ესეც კმაროდა, რომ კაცს თავი გამოედო, თორემ თეატრს ხომ სხვაც ბევრი სიკეთე მოსდევდა.

შენ იცი, ძმაოო, – აგულიანებდა ილია ოქრომჭედლიშვილს, – თუ შენს უხვსა და მოწყალე ხელს გამოუწვდი ამ სულმილეულ საქმეს, რომელსაც უილაჯობის სულთამხუთავი თავს ადგას და დღესა თუ ხვალ სულს ამოართმევს. იმედი მაქვს, უპასუხოდ არ დაგამაგდებო.

სხვა აქაური ამბები რა მიეწერა:

ყველაფერი ძველებურად იყო და ჩვენებურად: იგივ მთა, იგივ ბარი და იგივე გულაცრუებული ერი. კაცი არ მოიძებნებოდა გარეშემოში, რომ ადამიანის ნიშანწყალი ჰქონოდა.

და გაღიზიანებულსა და გაგულისებულს დასცდებოდა:

ვყრივართ ისე – როგორც ნახირი ბაკშიო.

1881 წლის ნოემბრის „შინაურ მიმოხილვაში“ აღნიშნავდა იმ ხშირ ლაპარაკს, ხშირად რომ იმართებოდა ჩვენი თეატრის თაობაზედ, და იმ ჩივილს: ცოტა ხალხი დადისო. და მიზეზის მაძიებელთ დაეჟინათ: ყველაფერში თეატრალური კომიტეტია დამნაშავეო.

და ილიას აწუხებდა, ამ ბოლო დროს ძალიან რომ გაადვილებოდათ ამგვარი მიზეზების პოვნა. თუ რაიმე საქმეს თვალსაჩინო კაცი ანუ საზოგადოება ჰყავდა, მაშინვე გახარებულნი მისცვივდებოდნენ: აი დამნაშავეო, – და ისე კმაყოფილნი იწყებდნენ ფარფარს, თითქოს კაცი ან საზოგდაოება ყოვლისშემძლებელი ყოფილიყოს.

სვანეთში რომ სკოლა არ იყო, განა დიდხანს დაუფიქრდებოდნენ და სიგრძე-სიგანეს გაუზომავდნენ, ხომ არსებობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და: დაჰკა, მაგისი ბრალიაო!..

თეატრში რომ ხალხი არ დაიარებოდა, ხომ არსებობდა რაღაც უბედური კომიტეტი და: დაჰკა, მაგისი ბრალიაო!..

„ვეფხისტყაოსნის“ რედაქციას ერთ საღამოს ბანკში არ შეუშვებდნენ მოსამსახურეები, და რაკიღა ბანკს გამგებელნი ჰყავდა: დაჰკა, იმათი ბრალიაო!..

იმას კი აღარ კითხულობდნენ, მოეძევებოდა თუ არა იმხელა ძალ-ღონე წერა-კითხვის საზოგადოებას, ამდენ საჭიროებას რომ გაწვდომოდა და სვანეთამდეც ხელი მიეწვდინა?

ანდა თეატრის კომიტეტს – ხალხი ბლომად რომ მიერეკა თეატრში?

ანდა ბანკში, თუ წინდაწინვე არ აცნობებდი, არავინ რომ არ უნდა შეეშვათ, თორემ ჯიბგირები სხვისი სახელით ძალიან ადვილად გაიღებდნენ ბანკის კარს?

თეატრის საქმეს კომიტეტი კი არ აბრკოლებდა, არამედ ხანგრძლივი მოქმედებით უნდა შეეჩვია ხალხი, აუცილებელ საჭიროებად ექცია მათთვის თეატრში დროსგატარება და გართობა. ამისათვის კი თეატრი მართლა თეატრი უნდა ყოფილიყო – საზოგადო ჭირისა და ლხინის თვალწინ წამომყენებელი. ამას კი რიგიანი რეპერტუარი ესაჭიროებოდა, რასაც ბრძანებით ვერავინ შექმნიდა და დრო და გონება ერთობლივად უნდა გადახსნილიყო. ასე რომ – ჩვენდა სამწუხაროდ – აქაც მოცდა გვმართებდა.

თუნდ ესეც არ ყოფილიყო: ჩვენი ქალაქის საზოგადოება თეატრის საზოგადოება არ გახლდათ.

რას გულისხმობდა ეს მოსაზრება?

როგორ თუ რას:

თეატრს არსად არც დაბალი ხალხი ინახავდა და არც მაღალი წრისა. პირველი საამისოდ ვერ იცლიდა და მეორეს უამისოდაც ბევრი გასართობი მოეძევებოდა.

თეატრს ვინ ინახავდა და: კუჭმაძღარი მოქალაქეობა, რომელიც ჩვენში არამცთუ კუჭმაძღარი ყოფილიყო, არამედ ფეხაუდგმელიც.

სამწუხარო იყო ეს თუ სასიხარულო? აბა რა მოეხსენებინა მკითხველისათვის – აღნიშვნით კი აღნიშნავდა და ერთ უმთავრეს მიზეზადაც დასახავდა.

და თუ სხვა რამ წვრილმანი ნაკლოვანებანიც ჰქონდა ჩვენს თეატრს, ეს ყოველივე წარმავალი გახლდათ. სხვა რომ არაფერი, დღევანდელი დასი ბევრად უკეთესად ეკიდებოდა თავის საქმეს, ვიდრე ოდესმე. სპექტაკლების მსვლელობას ვერ დაემდურებოდი – ამ მხრივ საქმე კარგად მიჰყავდათ.

მაგრამ ერთი რჩევა კი უნდა მიეცა მათთვის და, თუ ყურადღებას არ მიაქცევდნენ, იმ ერთიმუჭა ხალხსაც შემოიფრთხობდნენ, რომელნიც ამჟამად დაიარებოდნენ, და თეატრის საქმესაც ძირს მოუთხრიდნენ:

ყოველი ღონისძიებით მორიდებოდნენ კერძო პირთა მასხრად აგდებას სცენაზედ. ეგ თეატრის უკადრისი ქცევა გახლდათ და შეუნდობელი ცოდვა.

მკაცრი მუნათია და ერთი და ორი შემთხვევა რომ ყოფილიყო, შესაძლოა საჯაროდ გამოტანას მორიდებოდა, მაგრამ მიდრეკილებად იჩენდა უკვე თავს და ვერ შეიწყნარებდა ილია ამგვარ საქციელს. მერე რა, რომ სცენა საცთური გახლდათ ამ მხრივ, შური გეძია და პირადი ანგარიში გესწორებინა ამათუიმ ადამიანისათვის.

თეატრს თავისი სიმაღლე ყველა შემთხვევაში უნდა შეენარჩუნებინა, ის სიმაღლე, ილიას მხატვრულ-იდეური და ეთიკურ-ზნეობრივი მრწამსი რომ გახლდათ: საზოგადო ჭირზე ეწერა და არა კერძო პირზედ!.. სპექტაკლებსაც საზოგადო ჭირი უნდა ემხილებინათ და მიზანში არ ამოეღოთ ცალკეული პირნი, თორემ უკადრის საქციელთან ერთად შეუნდობელ ცოდვასაც ჩაიდენდნენ, ცოდვას, რომელშიც თანდათან თავფეხიანად ჩაეფლობოდნენ

და ნება-უნებლიეთ თეატრის დანიშნულებასაც შინაარსს გამოაცლიდნენ. საცთურს დროზე უნდა გარიდებოდნენ, ვიდრე ჩანასახობრივად არსებობდა და ჯერ კიდევ არ მომძლავრებულიყო: სავალალოდ და საბედისწეროდ.

მაშ რა უნდა გეღონა, თუკი არც რეპერტუარი გაგეაჩნდა და არც მაყურებელი გვეყოლებოდა ჯერხანად?

ასეთ დროს ილია ყოველთვის შეუვალი გახლდათ:

როგორც უნდა ყოფილიყო, თეატრი აუცილებლად და ყოველმიზეზგარეშე უნდა შეგვენარჩუნებინა, რაღაცნაირად გვემოქმედა.

მაინც რითი და როგორ?

შეწირულობით, რისი სახსარიც უსათუოდ არსებობდა, მთავარია სწორად წარმართულიყო — ამ მადლიანი და საღვთო საქმისათვის. ვისაც რამდენი შეეძლო, თავი არ უნდა დაეზოგა, და გარდა ამისა ცდილიყო – სხვაც გაეხადა შემომწირველი. ამით ეგებ იმდენი მაინც მოგროვებულიყო, რომ თეატრს თავი ერჩინა.

არ იქნებოდა ცუდი, რომ ქართულ დრამატულ საზოგადოებას ეს შუამდგომლობა საზოგადოების წინაშე ეკისრა. წელიწადში 300 თუმანი სულ ფეხზე დააყენებდა ჩვენს თეატრს იმ მხრივ მაინც, რომ მუდმივი დასი ეყოლებოდა.

და ჩვენი თეატრი კი, რაც უნდა ყოფილიყო, ჩვენი ეროვნების საჯარო ნიშანი გახლდათ.

ეს ყველა ქართველს უნდა ხსომებოდა, თუ თავისი ქვეყნის ბედზედ გული არ აცრუებოდა და არ აყროდა.

ამ საქმეში მეთაურობას კისრულობდა დიმიტრი ყიფიანიო...

დაიწყებდა და აზიდავდა, აზიდავდა და დაიდრიკებოდა – საადგილმამულო ბანკის დაარსებისა არ იყოს, გაძღოლას სხვა ძარღვი ესაჭიროებოდა, სხვა უნარი და ენერგია, სხვა ხორციელი და სულიერი წყობა, ილიას რაც მომადლებოდა და ამიტომაც იყო, ყველა წამოწყება ან მისთვის უნდა გადაებარებინათ, ანდა თვითონვეც გადაიბარებდა.

თითქოსდა შეთანხმებულიყვნენ დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე:

მე დავიწყებ და შენ გააგრძელე და თავიც დაადგიო.

ღვთისაგან განჩინებულიყო ალბათ ასე, რათა საქართველო არ განწირულიყო და ყველა საქვეყნო საქმე შესაფერისადაც აღსრულებულიყო.

ან რაღა „ალბათ“, განჩინებულიყო და ეგაა, თორემ აბა ეს ორი კაცი გვერდიგვერდ რატომ უნდა აღმოჩენილიყო?!.

დაბრკოლებანი არ ილეოდა, სირთულენი არა ქრებოდა და არა.

და შევიდოდა ილია აკაკი წერეთელთან და შესჩივლებდა, რომ თეატრი ხელიდან ეცლებოდათ, ასე კარგად დაწყებული საქმე ამ სეზონში უნდა შეჩერებულიყო და ეს კი დაღუპვას ნიშნავდა.

აკაკისთან იმიტომ, უპირველესად მისი რომ ეიმედებოდა, თუმც პროგრამა თეატრალური კომიტეტის მოღვაწეობისა ილიასაც შეედგინა და ნიკო ნიკოლაძესაც, აწონ-დაწონვის შემდგომ ნიკოსას რომ ამჯობინებდნენ, მაგრამ რეალობაში მთლად ისე ვერა და ვერ აეწყობოდა საქმე, წარმოსახ-

ვა როგორც აგულიანებდათ, და კვლავ ილიაზე მოვარდებოდა მთელი ჭაპანწყვეტა, აკაკის იმ მხრიდან რომ დაუვლიდა და კიდეც აიყოლიებდა:

შენი იმერლობით მოახერხებ რაიმესო.

ილია თავის თავზე აიღებდა ფინანსების მოძიებასა და მატერიალურად უზრუნველყოფას დასისა.

აკაკის კი მიენდობოდა დასის ხელმძღვანელობა და წარმოდგენების გამართვა ანუ: დირექტორიც ის უნდა ყოფილიყო და სამხატვრო ნაწილის გამგეც. რეჟისორობაც კი მოუწევდა, თორემ პიესებით ხომ მოამარაგებდა და მოამარაგებდა დასს, რომელსაც აწ უკვე თეატრალური საზოგადოება შეუწყობდა ხელს და არა კომიტეტი, რომელიც თავის შესასრულებელს შეასრულებდა და სულთმობრძავ, მაგრამ მაინც რეალურად არსებულ მუდმივმოქმედ დასს გზაკეთილს უსურვებდა.

სირთულენი კვლავაც არ მოაკლდებოდა ქართულ თეატრს, არც ფარული თუ აშკარა წინააღმდეგობანი ჩაცხრებოდა და კულუარებში შესაძლოა უფრო მძაფრი დრამებიც თამაშდებოდა, ვიდრე სცენაზედ, ის კი არა, აკაკი წერეთელს ისეთ ცილს დასწამებდნენ, შეურაცხყოფილი კინაღამ გადაყვებოდა დარდსა და ტკივილს; ეს რა მკადრეს, ეს როგორ დაიჯერესო?!. – და კიდევ კარგი უეცრად გამქრალი (თურმე შეგნებულად მიმალული!) საბუღალტრო წიგნი აღმოჩნდებოდა და აკაკისაც ლაქა ჩამოერეცხებოდა, თორემ...

და მაინც:

ქართული თეატრი ისეთ რელსებზე გაცურდებოდა, საშიშროება აღარ იქნებოდა მისი მოშლისა და მუდმივი დასის დაფანტვისა ოდესმე კვლავ აღდგენის მოლოდინში.

და რაღაც განსაკუთრებულს რომ ნატრობდა და ესწრაფოდა ილია, რაღაც სანიშანსვეტოს, ეროვნული განცდების ამომფრქვეველსა და საზოგადოებრივი ცნობიერების გამაერთიანებელს, ეს ისტორიული დღე და მოვლენა სწორედაც და მაინცდამაინც თეატრალურ წარმოდგენას უნდა დაკავშირებოდა და ისტორიული პიესის დადგმას, იმ ყაიდის ქმნილებისა, რომლის დამწერსაც – ილიას დაბეჯითებული რწმენითა და შეგონებით – წინ უნდა გაძღოლოდა დიდი ცოდნა ისტორიისა, დიდი გონებაგახსნილობა, დიდი განათლება, და ეს ყოველივე ღვთითმომადლებული ნიჭის გარდა.

გამართლებულად მიიჩნევდა გადმოკეთებასაც, მაგრამ გონივრული ამორჩევა კი იყო საჭირო, რადგანაც წინ დიდი და გადაშლილი მოედანი შემოგხვდებოდა – რუსული, ფრანგული, გერმანული, იტალიური და ინგლისური სათეატრო თხზულება იმდენი არსებობდა, რამდენიც კი შესაძლოა ადამიანის ხარბ გულს ენატრა და დაეტია. ამ უზარმაზარ ხვავში ბევრი კარგი გახლდათ და ბევრიც ცუდი, და ილიას უკვირდა და გაჰკვირებოდა: ეს ჩვენი მთარგმნელ-გადმომკეთებელნი სათოფე ნადირსავით რომ გაისისწვრივებდნენ, და ივლიდნენ და ივლიდნენ... რატომ წაადგებოდნენ ხოლმე მაინცდამაინც ცუდსა და უფერულს, რომელნიც არც სააქაოს ვარგოდნენ და არც საიქიოს!.. თავის გასამართლებლად კი დაეჟინათ: სასაცილოა და

იმიტომაო, – მაგრამ განა თავი და ბოლო სათეატრო თხზულებისა მარტო სიცილი უნდა ყოფილიყო და სხვა არაფერი?!.

დაბეჯითებით რომ ირწმუნებოდნენ: ჩვენს საზოგადოებას სასაცილო წარმოდგენანი უფრო იზიდავს, ვიდრე ნაღვლიანნი და დამაფიქვრელნიო?

ილია ვერ გაიზიარებდა ამგვარ მტკიცებას, რადგანაც ქართველიც იმისთანა კაცი გახლდათ, როგორც სხვა, და ამიტომაც არარა კაცებრივი მისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო.

ისე თუ ვინმეს ამ თემაზე ილიას მოსაზრება აინტერესებდა, დაე დაკვირვებოდა და გაესიგრძეგანებინა, რომ:

ბუნება ცრემლისა და სიცილისა ერთიდაიმავე სათავიდან მოდიოდა. იგი შეკუმშვა ადამიანის ძარღვისა, რომელსაც სიცილი თუ ცრემლი მოსდევდა, მწუხარებისგანაც მოიცლინებოდა და მხიარულებისგანაც. ამიტომ ხშირად ცრემლსა ვხედავდით იქაც, სადაც დიდი სიხარული ტრიალებდა, და სიცილს იქაც, სადაც დიდი სატირალი დასადგურებულიყო. პირველ შემთხვევაში ცრემლს თუ სიტკბო ჰქონდა სიცილისა და სიხარულისა, მეორეში სიცილს – სიმწარე ტირილისა და მწუხარებისა.

როცა ადამიანის სული და გული ძლიერ აღიძროდა, მაშინ ერთი მეორის ადგილს იჭერდა და მთელი დრამაც სიცილისა და ცრემლისა სწორედ ამაში იბუდებდა.

და ილია ცრემლიან სიცილსა და სიცილიან ტირილს დასახავდა იმ უზენაეს სიტკბოებად, რომლის ფრთებითაც ჭეშმარიტი და უდიდესი ხელოვნება ადამიანისა თავის უმწვერვალეს სიმაღლეზედ მიეზიდებოდა კაცს, და გონებამიუწვდომელი თილისმით დიდ ბოროტსაც, დიდ მწუხარებასაც, როგორც დიდ კეთილსა და დიდ ბედნიერებას, ადამიანის გულში ჩააფენინებდა მადლის მაცხოვარ შუქს სათნოების კვირტის გამოსაკვანძად და მერე მშვენიერი ყვავილის გარდასაშლელადაც.

ესეც მომხიბლავი ძალა და არსებობის მიზეზი ხელოვნებისა საზოგადოდ და სათეატროსი საკუთრივ.

ხოლო ის გრძნობა, ის ღონე, რომელსაც ეს შუქი ჩაჰქონდა ადამიანის გულში, ესთეტიკური განცდა გახლდათ, უზენაეს სიტკბოებას რომ დაეძებდა ყველგან, სიცილი იქნებოდა თუ ტირილი, ბოროტი თუ კეთილი. ამ გრძნობისათვის ზარდამცემი ბოროტებაც ისეთივე მშვენიერება შეიძლება ყოფილიყო, როგორც გულწარმტაცი კეთილი, რადგანაც ხელოვნება თვით ბოროტს აბოროტებდა კეთილისათვის და კეთილი ხომ ისედაც კეთილი გახლდათ.

და ამ გადმოსახედიდან:

სისხლისმსმელი, კაცისმკვლელი მაკბეტის აფთარი ცოლი ისეთივე მშვენიერებად წარმოდგებოდა, როგორც გულკეთილი, გულწრფელი და კეთილმოქმედი კორდელია. თუმც ერთი გძულდა და მეორე გიყვარდა, მაგრამ აქ სიძულვილიც და სიყვარულიც ერთსადაიმავე საგანს მიემართებოდა, ერთსადაიმავე ძარღვს ადამიანის გულისას ძრავდა: ერთი – ბოროტის უარყოფის გზით, და მეორე – სათნოების დამტკიცებით.

და საცნაური ხდებოდა მკითხველისათვის, რომ:

მარილიან, ჯანიან და მარგებელ სიცილს აზრი უნდოდა, მომავლინებლად საბუთი უნდოდა ადამიანის გულის ძარღვთაგან მოქსოვილი იმ მრავალფერობით, რითაც ასე მდიდარი გახლდათ ცხოვრება და ადამიანის გული: ეს უტყუარი სარკე ცხოვრებისა.

და როგორც უმიზეზოდ მტირალი კაცი მოჩანდა საზიზღრად, ისეც უმიზეზოდ, უაზროდ მოცინარიც.

რაო, სასაცილოა და იმიტომაც ვთარგმნეთ ან იმიტომაც გადმოვაკეთეთო?

ეს დაჟინება უნდა ჩაფერფლილიყო იმ ბასრი მახვილით, რომ:

ბევრი რამ ხდებოდა ქვეყნად სასაცილო, მაგრამ ესთეტიკური გრძნობა ყველა სიცილს ვერ შეიწყნარებდა, თავის შვილად ვერ გაიხდიდა. სიცილი თავისდღეში არ უნდა გარდაქმნილიყო ლაზღანდარობად და ტირილი კიდევ – უგემურ კნავილად.

არ მოითმენდა და ყოველთვისაც ამხელდა ავტორებსაც, მთარგმნელგადმომკეთებლებსაც და ზოგ-ზოგ ნიჭიერ არტისტსაც, ხშირად რომ ავიწყდებოდათ ეს ჭეშმარიტება და სადაც გულმართალ სიცილსა და გულმართალ ცრემლს ვერ აჭრევინებდნენ, იქ სიცილი ლაზღანდარობაზედ გადაჰქონდათ და ცრემლი – უმარილო კნავილზედ.

გულისფანცქალით მისჩერებოდა სცენასაც და მაყურებელთა დარბაზსაც, აყურადებდა მაყურებლის გუნება-განწყობილებას და სცენისაგან მოითხოვდა მათი გემოვნების ამაღლებას... და ელოდა, ელოდა რაღაც განსაკუთრებულს, დარბაზის გარეთ რომ გამოიჭრებოდა, აზვირთდებოდა, აზღვავდებოდა და მთელ ქალაქსა და ქვეყანას აღმტაც მღელვარებაში ჩაითრევდა.

დავით ერისთავს „სამშობლო" რომ არ დაეწერა, უფრო სწორად – ვიქტორენ სარდუს პიესა რომ არ გადმოეკეთებინა, არც მისი ნაწერების კრებული დაიბეჭდებოდა არასოდეს და არც მისი ბიოგრაფიული ქრონიკა შედგებოდა. ამას თვით მისი გულითადი მეგობარი იონა მეუნარგიაც კი აღიარებდა, ვერაფრისდიდებით რომ ვერ წარმოიდგენდა, ოდესმე მისი მეისტორიეც თუ გახდებოდა.

გიორგი ერისთავის ცხოვრების ქრონიკის შედგენა სულ სხვა საქმე გახლდათ – დავითის თხოვნით რომ აღწერდა ამ თვალსაჩინო მწერლისა და მოღვაწის, დრამატული ბიოგრაფიის მქონე კომედიოგრაფის თავგადასავალს, მაგრამ თვითონ დავითს, ამ კოლორიტულ პიროვნებას, არ ესაჭიროებოდა იმდენად შესამჩნევი ადგილი არც ჩვენს მწერლობაში, არც ჩვენს ხელოვნებაში, არც საზოგადოებაში, რომ იონას გულში გაევლო აღწერა მისი ცხოვრებისაც, ამ ბედნიერი კაცისა, რომელსაც ქონება ნებას აძლევდა ეცხოვრა თავისთავად, დამოუკიდებლად, წევრი რომ გახლდათ საუკეთესო ქართული საზოგადოებისა, თეატრალიც, ფელეტონისტიც, მოლექსეც, მოსწრებული სიტყვისა და ეპიგრამების პატრონიც, უებრო მკითხველიც ქართულ-რუსული ლექსებისა სალიტერატურო საღამოებზე, მისი დროის კაცი, რომლის მნიშვნელობაც მასთანვე იყო წარმავალი.

„სამშობლო“ რომ არ დაეწერაო...

ესეც მისი ყველაზე დიდი ტიტული შთამომავლობის წინაშე.

და იონას რომ ახსენდებოდა ვიღაცის ნათქვამი გოეთეზე: „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ რომ დაწერა, მეორე დილას შესანიშნავ კაცად გამოიღვიძაო, – ამ ფრაზას დავით ერისთავს მოარგებდა: „სამშობლომ“ იგი ერთბაშად განასხვავა და გახადა შესამჩნევ კაცად ჩვენს მწერლობაშიო.

1882 წელს, როდესაც ქართულ წარმოდგენებს მოუხშირებდნენ, დავითს უნდა ეთქვა იონასათვის ერთ საღამოს:

– დღეს თეატრში ვერ წავალ; მას აქეთ, რაც ქართული წარმოდგენები დაიწყო, ეს პირველად არის, რომ ვაკლდები.

და მართლაც ყოველ საღამოს თეატრში უნდა ყოფილიყო – პირველი რიგის სავარძელში. თუნდ ერთიდაიგივე პიესა ათჯერაც ეთამაშათ – იმ დროში ამდენი პიესა სად იქნებოდა – დავითი აუცილებლად უნდა დასწრებოდა და მისი სამი მანეთი თეატრის სალაროს შემატებოდა.

რა გასაკვირია, თეატრის სიყვარული მემკვიდრეობით რომ ჩანერგოდა.

გადამკვდარი მაყურებლობა გადამკვდარ მაყურებლობად და მონაწილეობას მიიღებდა რუსულ სცენისმოყვარეთა წარმოდგენებშიც და ითამაშებდა ჩაცკის როლსაც ალექსანდრ გრიბოედოვის კომედიაში „ვაი ჭკუისაგან“.

და ქართველ მოღვაწეთა ვიწრო წრე განაახლებდა თუ არა 25-წლიანი დავიწყების შემდგომ ქართულ სცენას – მამამისისაგან დაფუძნებულს, წრეს, სადაც თავს მოიყრიდნენ: დიმიტრი ყიფიანი, მისი ქალი ელენე, ბაბო ხერხეულიძისა, რაფიელ ერისთავი, ნიკო ავალიშვილი, კოლუბანსკი და ბოლოს არტისტები: მაკო საფაროვი, ნატო გაბუნია, მაშო ყიფიანი, კორინთელისა, კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, ლადო ალექსი-მესხიშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ავქსენტი ცაგარელი, შიშნიაშვილი და ზაალ მაჩაბელი (რომელზეც იონა მეუნარგია ვერ მოითმენდა და ჩაურთავდა: თავისი განუშორებელი ყურთმაჯებითო); და ამავე წრეში მონაწილეობდნენ არაარტისტებიც: გიორგი თუმანიშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი და იოსებ ბაქრაძე – უდავითერისთავოდ ეს პროცესი როგორ იქნებოდა.

როდესაც თეატრის საქმეების გამგედ აირჩევდნენ ამხანაგობას, რომელსაც თავდაპირველად შეადგენდნენ: დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ავალიშვილი, გიორგი თუმანიშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი და იოსებ ბაქრაძე – კიდეც არტისტულ მხარეს სცენისა, რეჟისორობას მიანდობდნენ დავით ერისთავს.

პიესები ძნელად რომ მოიპოვებოდა, ერთ ინტერმედიაში, რომელსაც დავითი დაწერდა ვასო აბაშიძის საბენეფისოდ, ასე ალაპარაკებდა თვითონ არტისტს ამ სატკივარზე:

– პირველი ესა, რომ არა არის რა სათამაშო... მოდი და ამოირჩიე ჩვენს რეპერტუარში ხეირიანი პიესა!.. გადაჰქექ, გადმოჰქექ და ვერას იპოვნი. ისეთი უაზრო პიესებია, რომ მათი ყურება კაცს შეაწუხებს, ისეთი ძველი, რომ ყველამ ზეპირად იცის!

მერე უნდა ჩამოეტარებინა მებენეფისე პიესის სათხოვნელად: რაფიელ ერისთავთან, აკაკი წერეთელთან, ივანე მაჩაბელთან, დავით ერისთავსა და

ანჩისხატისუბნელთან ანუ პეტრე უმიკაშვილთან, რომელსაც უნდა დაემუნათებინა:

– ორი სიტყვა ვერ დაგისწავლიათ ზეპირად... შენ არ იყავი, რომ ჩემს პიესაში „შუქის“ მაგიერ „ბუქს“ ამბობდი?.. განა ღირსი ხართ, რომ თქვენთვის კაცმა იშრომოს? თქვენა, შვილო, პამპულაობის მეტი არა იცით რა!.. გირჩევ, ბენეფისის მაგიერ „არსენას ლექსი“ გამოსცე.

ასეთი მწირი რეპერტუარის შემყურე დავითს თვითონვე უნდა მოეკიდა ხელი პიესების თარგმნა-გადმოკეთებისათვის სხვადასხვა ენიდან და კიდეც შეევსო რეპერტუარი კომედიებით: „მეორედ გაყმაწვილება“, „სადაო მფლობელობა“, „გეო, მინას და კამპანია“, „საძაგელი“, „პარიზელი ბიჭი“, „მშვენიერი ელენე“, „კეთილი და უმანკო ანგელოზი“, „დროებითი სიყვარული“ და „დავიდარაბა ანუ ორღანო და ლეკვი“, ყველაფერი ეს რომ უნდა დაგვირგვინებულიყო ისტორიული დრამით „სამშობლო“, იონა მეუნარგია ყველა ამ პიესის ბატონად რომ მოიხსენიებდა.

ყველა ის კომედია დროს კი გაჰყვებოდა, მაგრამ იმხანად ხომ წაადგებოდა და ძალიანაც წაადგებოდა რეპერტუარს, დავითს კომედიებს იქით გახედვა რომ არც უნდოდა: ჩვენს მაყურებელს სასაცილო იზიდავს და, თუ მოვიტყუებთ თეატრში, მხოლოდ კომედიებითო, – და ილია თუ ვინმეს, სწორედ განთქმული კომედიოგრაფის შვილსა და საზოგადოების თვალსაჩინო წევრს რომ ედავებოდა ცალმხრივობას, რადგანაც კომედიას თავისი ადგილი უნდა ჰქონოდა სცენაზე, დრამას თავისი და ტრაგედიასაც თავისი.

და აი კომედიების წყებაში უნდა გამორეულიყო ვიქტორიენ სარდუს ისტორიული პიესის ქართული ვერსიაც, 1881 წლის აგვისტოში „დროების“ რედაქციას რომ მიადგებოდა დავითი და იქ შეკრებილ სერგეი მესხს, კოტე მესხს, ალექსანდრე ყაზბეგს, იონა მეუნარგიას, ვასო აბაშიძესა და გაზეთის კიდევ ორ-სამ თანამშრომელს წაუკითხავდა ამ დრამას, რომელიც მსმენელებზე ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენდა.

არც აციებდნენ, არც აცხელებდნენ და მაშინვე შეუდგებოდნენ „სამშობლოს“ მომზადებას დასადგმელად, თვითონ დავითი და მისი მეგობარი მიხეილ ბებუთოვი რომ იქნებოდნენ მათი მწვრთნელები ყოველ რეპეტიციაზე, და დავითი ჩვეულ სიმკაცრეს რომ იჩენდა, თუკი ვინმე ქართულ სიტყვას დაამახინჯებდა სცენიდან.

და აკაკი წერეთელი კალამბურს რომ გაათამაშებდა მისადმი მიძღვნილ ლექსში: სამშობლოსათვის დადგა „სამშობლოო“, – ამ ისტორიულ დრამას მოიხსენიებდა როგორც: ძღვენს და საკურთხს სამარადისოს!..

ვიდრე თვითონ ჩაუჯდებოდა ამ პიესის გადმოკეთებას, ჯერ გადასცემდა დიმიტრი ყიფიანს, მაგრამ იგი ხელს არ მოჰკიდებდა, დავითი კი კარგა ხანს ვერ შეურჩევდა შესაფერ მომენტს საქართველოს ისტორიიდან, ბოლოს შაჰ-აბასის დროს რომ დაუდებდა ისტორიულ ფონად, გადაიკითხავდა „ქართლის ცხოვრებას“ და შეუდგებოდა კიდეც ჩანაფიქრის აღსრულებას, ქართულ სახელებს კი – როინ, ესტატე, ზაზა, გოგია დიაკონი – ამოკრეფდა პლატონ იოსელიანი წიგნიდან „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“.

1882 წლის 20 იანვრის პრემიერის ხილვით იონა მეუნარგია პირად განცდასაც გამოხატავდა და მთელი დარბაზისასაც, ტანში ჟრუანტელი რომ უვლიდა და გრძნობდა ჭეშმარიტ კმაყოფილებას ქართული ხელოვნებით. საფაროვი, ავალიშვილი, აბაშიძე, გაბუნია, მესხი, მესხიშვილი, ყიფიანი ერთიერთმანეთზე უკეთესნი იქნებოდნენ და თეატრი კინაღამ დაინგრეოდა შედუღებული ხალხის ტაშისკვრისა და ვაშას ძახილისაგან.

წარმოდგენა რომ გათავდებოდა, ავტორს დაფნის გვირგვინს მიართმევდნენ ატლასის აფიშით და მიხეილ ბებუთოვს დაფნისავე ჩანგს ამგვარივე აფიშით. როდესაც ეს ორნი გამოვიდოდნენ დერეფანში, საზოგადოება აიტაცებდათ და ხელდახელ წაიყვანდნენ ეკიპაჟამდე. აქ უცდიდათ გალერეიდან ჩამოსული ხალხი, რომელიც ავტორსა და რეჟისორს ნაბიჯ-ნაბიჯ გააცილებდა ბენგალიის ცეცხლითა და ტაშისკვრით დავით ერისთავის სადგომამდე, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მაყურებლებით მთლად გაიჭედებოდა მიხეილის ხიდი, ასე რომ, მოძრაობა მთლად შეჩერდებოდა.

ორი დღის თავზე წარმოდგენა მეორედაც რომ გაიმართებოდა, ტფილისს მოჰყვებოდა გასტროლები ქუთაისში, ბათუმში, ფოთში... ქუთათურების თხოვნით დავით ერისთავი ამ ქალაქშიც დაესწრებოდა სპექტაკლს, მაყურებელი აქაც იმგვარივე პატივს რომ მიაგებდა ბედნიერ ავტორს, როგორც ტფილისში.

საზოგადოების აღტაცებას საზღვარი აღარ ექნებოდა, როდესაც მესამე მოქმედებაში კოტე ყიფიანი მუხლს მოიყრიდა და საქართველოს დროშით ხელში დაიწყებდა ნარმოთქმას ილია ჭავჭავაძის პოეტური ლოცვისა „აჩრდილიდან“:

დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია... შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა; საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია, ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსაო!..

და ერთი წილი საზოგადოებისა ფეხზეც რომ წამოდგებოდა, მემუარისტი ამ საქციელს იმით ახსნიდა: მწერალი თითით სწვდა მსმენელის გულში პატრიოტულ სიმებსო.

დრამისა და სპექტაკლის მნიშვნელობას კი ასე შეაფასებდა:

„სამშობლო“ იმით განსხვავდება ყველა სხვა დრამატული თხზულებისაგან, რომ მან დაამთავრა ის პატრიოტული აღზრდა ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც „დროებამ“ დაიწყო და „დედა-ენამ“ ვერ მოათავაო. „სამშობლომ“ სამშობლოს სიყვარული განაგრძო იმ წრეებშიაც, რომელთაც კითხვა არ იცოდნენ და მარტო თვალყური ჰქონდათ ამ სიყვარულის სცენაზე დასანახად და გასაგონადო.

სარდუ „სამშობლოს“ წერას რომ დაიწყებდა, თავს ასეთ კითხვას დაუსვამდა:

– რომელია ყველაზე დიდი მსხვერპლი, რომელიც კაცისაგან შეეწირვის მამულს?

და პასუხად შეაგებებდა:

ოჯახის ბედნიერებაო.

და იონა მეუნარგია თავის მხრივ მიადევნებდა, „სამშობლოს“ დადგმისას რაც ყურით მოესმინა და რაც თვალით ეხილა:

ოჯახის ბედნიერება მარტოდენ თავმოყვარეობაა, ნამდვილი, მაღალი, ერთადერთი დიადი გრძნობა მამულის ერთგულება, მამულისათვის თავის განწირვაო.

და ამის გამო სვიმონ ლეონიძის მსხვერპლის ნახვას სცენაზე ის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ უღვიძებდა კაცს და ზრდიდა მასში ამ დიად გრძნობას – მამულის სიყვარულს.

მაგრამ ისე უნდა მომხდარიყო, რომ ამ გრძნობის გამოხატვა ქართულ სცენაზე, საქართველოს დროშის გამოტანა, რომლის გარშემოც მუხლმოდრეკილნი ლოცულობდნენ კურთხეული მამულის დამცველნი, სულ სხვა განცდებს გამოიწვევდა „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქციის თვალში, გაზეთი კატკოვის კალმით უმართებულოდ და უხამსად რომ შეეხებოდა ქართულ დროშას. ამას არ მოითმენდა ტფილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი შაქრო მაღალაშვილი და საყვედურს გამოთქვამდა გაზეთ „გოლოსის“ ფურცლებიდან.

ყოველივე ამას კი შედეგად ის მოჰყვებოდა, რომ:

„სამშობლოს“ წარმოდგენას აკრძალავდნენ და დრამას გამოაძევებდნენ თეატრის რეპერტუარიდან, ვიდრე ბაბო ავალიშვილის თხოვნით მთავარმართებელი შერემეტიევი ხელახლა არ დართავდა ნებას მისი დადგმისას მსახიობის საბენეფისოდ.

მაინც რას ამტკიცებდნენ, როგორ ცდილობდნენ დავით ერისთავის დამცირებას მისი მოქიშპენი თუ მოშურნენი?

დავითისა რაა – პიესა ხომ მისი დაწერილი არ არის, მხოლოდ გადმოკეთებულიაო.

და ვერ მოითმენდა იონა მეუნარგია:

განა ამით უარიყოფა დავით ერისთავის მნიშვნელობა? კაცმა მთელ საქართველოს ტანში თითქო ელექტრონის ძალა გაუტარა, ლამის ისტორიაში ჩააგდო თავი და თქვენ ამბობთ: ეს არაფერიაო?! თუკი ასე ადვილი იყო, რატომ თქვენ არ მოძებნეთ და არ გადმოაკეთეთ ამგვარი პიესა, თქვე კურთხეულის შვილებოო!..

ეს ყველაფერი კარგი და ჩინებული, მაგრამ მთელ იმ აჟიოტაჟსა და მღელვარებას, იმ დიდ გამოცოცხლებას რაღაც სხივი მოაკლდებოდა, რაღაც შარავანდი ჩამოეხსნებოდა, ილია რომ არ ჩარეულიყო და იმ კატკოვს არ გამოპასუხებოდა „დროების“ 1882 წლის მე-40 ნომრიდან, იმპერიულ პოლიტიკას რომ მისდევდა მთელი არსებით და იმ გადმოსახედიდან მოინდომებდა ჩვენი ეროვნული სიწმინდის შებღალვასა და ჩვენი წარსულის აბუჩად აგდებას.

ზურგსუკან იმას ედგებოდა პოლიცია, ჯარი და უშიშროების სამსახური, ილია კალმის ამარა რომ მიეტანებოდა, მიეტანებოდა და ქვას ქვაზე აღარ დაუტოვებდა გულმოდგინედ ნაკოწიწები შეურაცხმყოფელი მოსაზრებებისაგან, პირდაპირ რომ დაარქმევდა პოლიტიკურ ბეზღობას და მიიჩნევ-

და უბედურებად ყოველი ერისა, დიდი იქნებოდა თუ პატარა ეს ერი, როცა პოლიტიკურ ბეზღობას დიდი ავალა მიეცემოდა, ფართო გზა გაეხსნებოდა და აღებ-მიცემობის საგნად გახდებოდა. როცა ბეზღობა – ეს უწმინდური ძალ-ღონე გაცვეთილი კაცისა, პირახდილი დაიწყებდა სიარულს, არამცთუ უსირცხვილოდ, თავმოწონებითაც იფარფაშებდა და ლუკმაპურსაც მიაწვდიდა მაბეზღარს.

მაშინ პირდაპირ შეიძლებოდა თქმულიყო:

საზოგადოების წყობას საძირკველი შერყევია და აღსასრული მოახლოებიაო.

წინასწარმეტყველი წინასწარვე აცხადებდა იმ გარდუვალობას, რის წინაშეც სულ რაღაც მეოთხედ საუკუნეში დადგებოდა იმპერატორის მმართველობა, უკვე მკაფიოდ ხედავდა, უკვე გრძნობდა, უკვე ჭვრეტდა იმ რყევას საძირკვლისა, საბედისწერო ფინალს რომ მოასწავებდა. სისუსტე საზოგადოებისა, დაუძლურება და დარღვევა, აღბეჭდილი პოლიტიკური დასმენის ნიშნით, უკეთესს ანკი რას მიგახვედრებდა, თუკი ყურნი გასხდა სმენად და თვალნი ხედვად.

თვითონ ამ სამარცხვინო ფარ-ხმალის მჭედელს, მაბეზღარს, ადამიანი გაუძლებდა და მოიგერიებდა, მისი წამქეზებელი რომ არა ყოფილიყო იმისთანა წმინდა რამ, ლიტერატურა რასაც წარმოადგენდა. და როცა ლიტერატურა – ილიას რწმენითაც, ადამიანის ჭკუისა და ზნეობის საგანძე – შეიკედლებდა ამ საძაგლობას, როცა მაბეზღარს თავის კარს გაუღებდა, მაშინ თვალსაჩინოვდებოდა თვით საზოგადოების გახრწნილება და უეჭველი – სულთმობრძაობა მისი წყობისა.

განა რამდენჯერ უნდა გაემეორებინა გარდუვალობა მოსალოდნელი ნგრევისა, არადა როგორმე უნდა შეესმენინებინა საიმპერატორო კარისათვის, რათა მას გადაეფასებინა მიზანმიმართული პოლიტიკა „ნაცმენთა" თვითმყოფადობის წასაშლელად – კულტურის გასაქარწყლებლად, ისტორიული ფესვების ამოსაკვეთად, მშობლიური ენის გასაქრობად.

ყველაზე საშიშ და საზიზღარ მაბეზღარობად მაინც რომელ ბეზღობას მიიჩნევდა?

რომელს და:

საგნად მთელი ერი რომ ეყოლებოდა, ნამეტნავად კი იმისთანა, რომელიც შემთხვევისა გამო სხვისა და სხვის ყოველ ღონეს მოკლებულიყო, თავი ემართლებინა და თავისი გულისნადები, გულისწყურვილი საქვეყნოდ გამოეფინა. ამისთანა ერის წინაშე ერთი გაცვეთილი მაბეზღარი უფრო შემძლებელი და ღონიერი გახლდათ, ვიდრე მთელი ერი. და ეს იმიტომ, რომ მაბეზღარს ყოველი იარაღი ხელთ ეპყრა და დაბეზღებული კი იარაღაყრილი გახლდათ. და დაბეზღებულს ისღა რჩებოდა, გულში ჩაეხვია უსამართლოდ გაუპატიურებული, მაგრამ სამართლიანად გაბოროტებული გრძნობა. ასე ჩახვეული გრძნობა კი სალესავი ხდებოდა იმისა, რისი დაჩლუნგებაც სჯობდა.

უფრო მეტად როგორღა გაეფრთხილებინა ხელისუფალნი, პოლიტიკური ბეზღობის წაქეზებით არსებითად თავს რომ იღუპავდნენ.

ოც წელს მოითვლიდა, რაც ბეზღობას ენა ამოედგა რუსეთში კატკოვისა და მისი კომპანიის წყალობითა და მხნეობით, ოღონდ შინარუსეთში ამ ბეზღობას იმხელა სარბიელი ვერ მოეპოვებინა, როგორც იმპერიიის სანაპირო ქვეყნებში.

ილია ამჯერადაც დიპლომატიურ ხერხს მოიმარჯვებდა, თითქოსდა ვერა ხედავდა, საიდან იმართებოდა პოლიტიკური დასმენები, და უმაღლეს მთავრობას საშუალებას უტოვებდა, გამიჯვნოდა მის მიერვე მართული ადამიანების ტყუილს, თვალთმაქცობასა და ცილისწამებას: შორიდან თვალი ადვილად ტყუვდებაო.

ამასთან: სანაპირო ქვეყნებში მცხოვრებნი უცხო ტომის ერნი იყვნენ და მაშასადამე ყოველ ცილისწამებას იმისთანა სარჩული გამოეკერებოდა, იმისთანა სათავე მოეძებნებოდა, ყველაფერი იოლად დასაჯერებელი იქნებოდა და საფიქრებელი.

და თითქოსდა კატკოვი და მისი დამქაშები მხოლოდ ამ გარემოებით სარგებლობდნენ. ისე კი ვისგან შედგებოდა მაბეზღარათა ეს რაზმი? რა ჯურის კაცთაგან? დააკვირდებოდი და... იმ მოხელეთაგან, რომელთაც რუსეთის სიყვარული კი არ ამოქმედებდათ, არამედ საკუთარი დამშეული კუჭი. იმისთანა მოხელენი, რომელთაც თავიანთი ბოროტმოქმედებით ისე შეერცხვინათ თავი, თვით ამგვარებში ყოვლადშემწყნარებელ მთავრობას (ილიასებური მახვილი სარკაზმი, ადვილადაც რომ ვერ დაუმტკიცებდა ცენზურა!) ვეღარ შეეწყნარებინა მათი ყოფნა სამსახურში და გამოეყარა. ან კიდევ იმისთანანი, ჯერაც თავიანთ სავარძლებში რომ ისხდნენ, მაგრამ საღერღელი კი აშლოდათ მაღლა აცოცებისათვის (კვლავ გამჭვირვალე სარკაზმი: მაღლა აცოცებისთვის პოლიტიკური დასმენის უნარი რომ გესაჭიროებოდა!). ან კიდევ იმისთანანი, რომელნიც თავიანთი უხეირობითა და უნიჭობით ვერას გამხდარიყვნენ და სურდათ თავი როგორმე გამოეჩინათ: თვალი ჩვენ უფრო გვიჭრისო და შორს ჩვენ უფრო ვხედავთო.

ამგვარ დამქაშთა წყალობით კატკოვს დიდი ბადე გაება რუსეთის სანაპირო ქვეყნებში და ამიტომაც არ დარჩენოდა რუსეთის არცერთი ქვეშევრდომი ერი, რომლისთვისაც ორგულობა და გადადგომის სურვილი არ შეეწამებინა. ამით თვითონაც იკვებებოდა და თავის დამქაშებსაც მეტ-ნაკლებად საკვებ გზას უხსნიდა.

სულ უფრო მოეკიდებოდა ბრაზი ილიას და მწარე ეპითეტებს არ დაიშურებდა, როდესაც თვალდათვალ შეჰყურებდა:

რაც კი უწმინდურება მოგუბდებდა ხოლმე მის დამქაშთა უწმინდურ გულში, სულერთიანად სანაპირო ქვეყნებიდან მიედინებოდა კატკოვისაკენ და შესაფერი სურნელებით გროვდებოდა იმ თავახდილ და პირმოხეულ აუზში, რომელსაც „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ ერქვა. ოღონდაც კი ორგულობა შეგეწამებინათ რომელიმე ერისათვის და რედაქტორი ხელაპყრობით მოგეგებებოდათ.

ჩვენს საქართველოზედაც არაერთხელ გამოელაშქრა, ორგულობაც შეეწამებინა და გადადგომის სურვილიც დაებრალებინა.

ბარემ არც არა შეეწამებინა და არც არა დაებრალებინა და გადადგომის სურვილი მართლაც სულ უფრო იკიდებდა ფეხს და მძაფრდებოდა ხალხში, მაგრამ ილიას ჯერჯერობით დრო ესაჭიროებოდა განზრახვის ახდილად გამოსაცხადებლად – ტერიტორიული ავტონომიის მოპოვების შემდგომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნაზეც რომ გადავიდოდა, მანამდე კი ეს მიზანი მიმალული უნდა ყოფილიყო, მიყრუებულ-მიბინარებული, მხატვრულ აზროვნებას ამოფარებული, სარედაქციო საქმიანობას ამოკერებული, თეატრის დაფუძნებაში ნაგულისხმევი, სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის დაარსებაში ჩაკირული, ვითომდა მარტოდენ წერა-კითხვის გავრცელების სურვილს შეფარებული...

პოლიტიკურ დამსმენს სწორედ ამ ფარული განზრახვის გამოაშკარავება ევალებოდა.

ილიას კი – პოლიტიკური დასმენის გაქარწყლება და მაბეზღარის გამოჭიმვა სამარცხვინო სკამზე.

ამ ბოლო დროსაც კატკოვის შესაფერ დამქაშს დაებეჭდა გაზეთში კორესპონდენცია ტფილისიდან, პირდაპირ რომ აცხადებდა: ქართველებსა და სომხებში სეპარატისტობა, გადადგომის სურვილი მოქმედებსო.

კარგი დროც შეერჩია: საქართველოში ახალი უფროსი მმართველი მოდიოდა და დამსმენის ფიქრების ამოსაცნობად ილიას დიდი რამ ჩხრეკა-ძიება არ ესაჭიროებოდა: იქნება ღმერთმა მიპრიანოს და ახალმა მმართველმა მომიკითხოს, ვინ არის ასეთი ერთგული რუსეთისაო, და კუჭის გასაძღომი ადგილი მომცეს რამეო.

და ყველაფერი შესაძლებლად მიაჩნდა იქ, სადაც დავთრები დაკარგულიყო და თავი და ბოლო ვეღარავის მიეგნო.

კორესპონდენტს ჩვენი სეპარატისტობისა და გადადგომის სურვილის დასამტკიცებლად ეს საბუთები მოჰყავდა:

ქართველებსა და სომხებს როცა წარმოდგენები აქვთ, თეატრი კარგად განათებული და გამთბარია, და როცა რუსების სპექტაკლებია – მაშინ არაო. ქართულ და ნამეტნავად სომხურ თეატრში ხალხი ბევრი დაიარება და რუსულში კი არაო. ქართველებმა „სამშობლოს“ გადმომკეთებელი ავტორი დიდი ყოფით მიაცილეს შინამდე და სომხებმა კიდევ ბევრი საჩუქარი მიართვეს სომეხ აქტრისა გრაჩიასაო.

სასაცილო ეჩვენებოდა ილიას, საზიზღარი რომ არ ყოფილიყო ამისთანა ბეზღი, ამისთანა საბუთებზედ ამოშენებული!.. ქართველებსა და სომხებს რომ შესცივნოდათ და თეატრი გაეთბოთ, აქ გადადგომა და ორგულობა რა შუაში უნდა ყოფილიყო? ქართველებს რომ მოწონებული თხზულების ავტორისათვის პატივი ეცათ და სომხებს კიდევ თავიანთი აქტრისასთვის საჩუქარი მიერთმიათ, აქ სეპარატისტობა რა მოსაყვანი გახლდათ?

რატომ შეშურებოდა ბატონ კორესპონდენტს, ქართველები და სომხები თავიანთ თეატრში რომ დაიარებოდნენ? რა იყო საკვირველი, შენი უფრო რომ გყვარებოდა, შენი უფრო გაგხარებოდა, შენით უფრო გესიამოვნა და შენისათვის უფრო ხელი შეგეწყო?!.

განა რას გაიგებდა კორესპონდენტი, გული ადამიანისა ფიცარი რომ არ გახლდათ, ერთი წაგეშალა და მის მაგიერ სხვა დაგეწერა. გრძნობა თავისიანის სიყვარულისა ისეთივე ძლიერი ყოფილა ყოველთვის, ისეთივე მკვიდრი, ისეთივე ბუნებრივი, მაშასადამე ისეთივე სამართლიანი და პატივსაცემი, როგორც სიყვარული მამაშვილური თუ დედაშვილური. და ვერა ძალი ამ სიყვარულს ვერ ამოჰკვეთდა ადამიანის გულიდან და ყოველივე იარაღი მის წინაშე უქმი ხდებოდა!..

ვიდრე დიდი მთავარი აქ ბრძანდებოდაო, – ამბობდა კორესპონდენტი, – ქართული და სომხური თეატრი არ არსებობდა და, როცა წაბრძანდა, მაშინ ხელი შეუწყესო.

ადვილად ამოიცნობოდა, ნიშანში ვინც ამოეღო კორესპონდენტს, და ირონიულად ეღიმებოდა ილიას: ახია იმაზედა, რატომ სამსახურში არ მიიღო ბატონი კორესპონდენტი, მაშინ ხომ ქებას დაუწერდაო!..

ვის არ მოეხსენებოდა – და თუ ვინმესთვის უცნობი გახლდათ, აგერ ამცნობდათ – რომ ჩვენ თეატრს ფეხი აედგა დიდი მთავრის აქ ყოფნისას და მის დროსვე მკვიდრად გამართულიყო წელში.

უამრავი ადამიანი, და მათ შორის ფრიად გონიერნიც, უპირველესად დიდ მთავარს რომ მიაწერდნენ ამ ღვაწლს, ილიას რა გამორჩებოდა ან რა გამოეპარებოდა, და დაბეჯითებითაც ამიტომ განაცხადებდა:

რასაკვირველია თვით ქართველების მეცადინეობით მოხდა ეს სასიამოვნო ამბავი და არა გარეშე შემწეობითა: ჩვენმა თეატრმა თავისით ჩაიდგა სული, გარედან შემწეობა არავისგან ჰქონიაო.

მადლიერებასაც თვითონ იგიც რომ გამოთქვამდა დიდი მთავრის მიმართ?

იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, რომ იმას დაშლით არ დაეშალა ეს წამოწყება, თორემ სხვა ვერავინ ვერას დაგვაყვედრებდა.

რუსული თეატრისათვის კი იმავე ხანებში 5 000 თუმნამდე მიეშველებინა მთავრობას, მაგრამ მაინც თავი ვერ დაეჭირა. და ეს იმიტომ, შემოსავალი არ გააჩნდა, და არ გააჩნდა იმ მიზეზით, რომ აქაური რუსები რუსულ თეატრში არ დაიარებოდნენ.

და დახეთ საიდან დაუვლიდა ილია კატკოვის კორესპონდენტს:

მის ადგილას რომ ვყოფილიყავ, აქაურ რუსებს ორგულობას შევწამებდიო.

ასეთი გულგრილობა აქაური რუსებისა რუსული თეატრის მიმართ უფრო ძლიერი საბუთი უნდა ყოფილიყო, რომ აქაური რუსებისათვის სეპარატისტობა შეეწამებინა ბატონ კორესპონდენტს, ვიდრე ის უმანკო გულმხურვალება, რომელიც ქართველებს გამოეჩინათ „სამშობლოს“ ავტორის გაცილებაში და რომელიც ბატონ კორესპონდენტს თავისი ბეზღის სარჩულად და საბუთად დაედო.

ამისთანა საბუთებით აღჭურვილი მაბეზღარი ისე შესაბრალისად არ ეჩვენებოდა ილიას, როგორც მისი გამგონი და წამქეზებელი ბატონი კატკოვი.

ამ მასხარაობას მასხარა კაცისას ყურსაც არ ათხოვებდა, რომ ბეზღობა მარტო ამაზედ შემდგარიყო და მაბეზღარს არ შეეგინებინა, უპატიურება არ მიეყენებინა მთელი ქართველობისა და მისი ეროვნების ღირსებისათვის.

მაინც რა დაეწერა ამისთანა იმ ნამუსწახდენილ კაცს თავისი უწმინდური კალმით?

როგორ თუ რა:

„სამშობლოს“ წარმოდგენაზედ დიდი ხარჯი მოუვიდათ ქართველებს და ქართული დროშები რომ გოდფრუას ცირკს მიჰყიდონ, კარგს იზმენო.

არა, გაცვეთილი კაცისაგან ყველაფერი კი იყო მოსალოდნელი, მაგრამ ასე ყოველგვარ საზღვარს გადაცილება უკვე საგანგაშო გახლდათ და საკადრისადაც უნდა მიხლოდა სახეში ლაზათიანი ალიყური:

ასე უკადრისად მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანს სცემდა, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკვლელად დაცვისთვისაც არამცთუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან დედამიწის ზურგზედ სიცოცხლესაც არა ზოგავდა და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნდა, იმის ეგრე უკადრისად ხსენებისათვის – აღარც კი იცოდა – რა სახელი დაერქმია და მისი ამგვარად მომხსენიებელი რა სულიერებაში ჩაერიცხა.

ეს იმ დროშას ეხებოდა ასე უდიერად მაბეზღარის ხელი, ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველობას სახელითა და დიდებით რომ სჭეროდა, თავის სისხლში ამოევლო და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად და უჩირქოდ გადაეცა; გაჭირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არაერთხელ გამოსულიყო საომარ ველზედ და მისი წინამძღრობითა და სახელით ქართველობას არაერთხელ დაეღვარა თავისი სისხლი რუსებთან ერთად.

არავისგან ესწავლებოდა ილიას მახვილგონივრული ტაქტიკური ხერხები, მარჯვე დიპლომატიური ილეთები, მთავრობისათვის საკბილო რომ არ მიეცა, ისე გაეცამტვერებინა მათგან ფარულად მართული კორესპონდენტი.

ჰოი რა ექსპრესია ემატებოდა სიტყვას, რა მგრგვინავად გაისმოდა ყოველი ფრაზა:

ეგ დროშა, რომელიც ეგეთი სასოებითა და პატივით უტარებია იმდენხანს უწინდელ ქართველს, ეგ დროშა, რომელიც წინ დახვედრია მოზღვავებულ თათრობასა და მუსულმანობას და ქრისტეს ჯვარი თამამად წინ წაუმძღვარებია, ძლევამოსილობით ომიდან გამოუტანია და დაუმკვიდრებია კავკასიაში, ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობითა და თავგამეტებით თან გაჰყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უთხევია მამულისათვის – დღეს ეგ დროშა საცირკოდ გაგვიხადა ერთმა ვიღაცა კორესპონდენტმა და ბატონმა კატკოვმაც ბანი მისცაო.

თუ ჩვეულებრივი გრძნობა მართებულობისა არ შეაყენებდა კატკოვს, იმას მაინც უნდა მორიდებოდა, რომ უპატიებლად ხდიდა მთელ ერს, რომელიც შეჰფარებოდა რუსეთს მარტო თავისი პატიოსნებისა და ღირსების დასაცველად. და თუ თვით ბარბაროსიც კი არ იკადრებდა ეგრე გაუპატიურებას მთე-

ლი ერისა, ილიას სარკასტული ბარაქალა უნდა შეეთვალა კატკოვისა და მისი მომხრეებისათვის, ის რომ ეკადრათ, თვით ბარბაროსი რასაც ითაკილებდა.

და გახედავდა უეცრად თავზე წამომდგარ რუსთველის აჩრდილს და მასვე შესჩივლებდა მისივე სტრიქონით:

ესეღა დაგვრჩა ნუგეშად მის იმედისა დიდისაო?!.

ნუგეშად თუ სანაცვლოდ... სანაცვლოდ თუ ნუგეშად...

ესეღა კი დაგვრჩენოდა და...

* * *

საზოგადოების წყობას საძირკველი შერყეოდა და აღსასრული მოახლოებოდა...

საზოგადოების გახრწნილება ცხადი გახლდათ და სულთმობრძაობა მისი წყობისა – უეჭველი...

თითქოს ხელისგულზე ედო მომავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები – რუსეთის იმპერიისათვის საბედისწერო, და... უხაროდა და ღონდებოდა, ღონდებოდა და უხაროდა... ერთმანეთს შეხლოდა ეს ორი საპირისპირო პოლუსი გრძნობისა ილიას არსებაში, და თუ კიდეც შეეწვნოდა ერთიმეორეს, მაშინვე შორდებოდნენ... და კვლავ ერთმანეთისაკენ მიისწრაფოდნენ...

სიხარულის განცდას რა ახსნა სჭირდებოდა – იმპერიისათვის საძირკვლის შერყევა, სულთმობრძაობა და აღსასრულის მოახლოება მხოლოდღა სასიკეთო შეიძლება ყოფილიყო ქართველობისათვის, თავს რომ დააღწევდნენ ხალხთა საპყრობილეს და ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების ადგილას საქართველოს სახელმწიფოს დაიბრუნებდნენ.

მაგრამ დაღონების შეგრძნება საიდან და რატომღა უნდა გასჩენოდა?

ახსნით როგორ გინდოდა აგეხსნა, მაგრამ რა იყო მაინც ის იდუმალი ხმა, იმპერატორის მმართველობის სავალალო დასასრულს ისეთი კოშმარით რომ მოსავდა და ისეთ საშინელებას გიქადდა, ლამის მობღაუჭებოდი და ენერგიულადაც მობღაუჭებოდი თვით ამ დამთრგუნველი პოლიტიკური რეჟიმის შენარჩუნებას, რაკიღა თურმე უარესიც შეიძლება ყოფილიყო მოსალოდნელი.

როგორ... თვით ამ სულისშემხუთავ სინამდვილეზეც უარესი?

აბა და!..

გაბრიელ ეპისკოპოსი არამცთუ წინასწარმეტყველურ ხილვაში ჭვრეტდა, არამედ ქადაგებითაც ქადაგებდა საზარელი ჟამის მოახლოებას – დამთრგუნველზეც კიდევ უარესის... ამ საშინელ ყოფას კიდეც რომ მოგანატრებდა... ქადაგებდა, რაკიღა დაძრულიყო დასავლეთიდან ის ეშმაკეული ძალა, რომელსაც ევროპა გამოდევნიდა თავისი წიაღიდან, მაგრამ რუსეთი შეიწოვდა, შეითვისებდა და... კიდეც შეეჭმევინებოდა წითელ ეშმას, კბილთა ღრჭენად რომ აქცევდა ირგვლივ ყველაფერს, ძმას ძმაზე აღამართინებდა ხელს და შვილებს მშობლებზე, მამის დახვრეტა და დედის

დახრჩობა დამსახურებად რომ მიგეთვლებოდა, ოღონდ რევოლუციის სახელით თუ მოხდებოდა.

რევოლუცია ყოველგვარ ძალადობას ამართლებდა, ყოველგვარ ამორალობას, ყოველგვარ ცოდვასა და დანაშაულს.

და ილია ოდესღაც მოწონებით რომ ხვდებოდა ამ სიტყვის ყოველ გაელვებას ჰაერში, მერე უკვე შემწყნარედ, მერე – კიდევ უფრო თავშეკავებულად, მერე – შეფიქრიანებული, მერე კიდეც რომ შეეწინააღმდეგებოდა და სულაც მკვეთრად დაუპირისპირდებოდა...

იდგა გაბრიელ ეპისკოპოსი ქუთაისის მთავარ ტაძარში და აფრთხილებდა მრევლს, არ აშინებდა, არამედ აფრთხილებდა უმძიმესი ჟამის მოახლოებას, მისი სიტყვა თუ ვინმემდე, ილია ჭავჭავაძემდე რომ მიაღწევდა, ისედაც უკვე გუმანით ნაგრძნობსა და ხილვაშიც მოლანდებულს რომ დაუდასტურებდა და გადააბარებდა წინ აღდგომას ამ პროცესებისა.

ამას თავის თავზე ვერ აიღებდა გაბრიელ ეპისკოპოსი.

ვერ გაუძლებდა ამ ტრაგიკულ შეგრძნებას, აპოკალიფსურ ხილვას დადარებულს.

ვერ გაუძლებდა და... ნებით გაეცლებოდა წუთისოფელს.

სულიერი მამა, მართლმადიდებელი მოძღვარი და... თვითმკვლელობა?!.

სულიერი აშლილობით ახსნიდნენ, გონების დაბინდვით, როდესაც ვეღარ გაერკვია, რას იქმოდა.

კი მაგრამ... იქამდე რას მიეყვანა – იმ სულიერ აშლილობამდე, იმ გონების დაბინდვამდე?..

ხომ არ უკავშირდებოდა ეს შინაგანი რყევა იმ ხილვას, მრევლის წინაშე კიდეც რომ გადმოშლიდა 1882 წლის 25 მარტს?

ავად იქუფრებოდა მომავალი.

ჯერ თვალწინ რა ტრიალებდა, რა საშიშროებანი ჩასაფრებულიყო, ეროვნული სულისა და ენერგიისათვის საზიანო, თუ მეტი არა, და თურმე ესეც კი... ესეც...

ახალი საფრთხე ჩნდებოდა, საფრთხეზედაც უფრო საფრთხე.

და თუ ვინმე, მასაც ილია უნდა გადადგომოდა და გადაღობებოდა წინ.

მესიანისტური რწმენა იყო აუცილებელი მისთვისაც და ქვეყნისთვისაც, ეს რწმენა მისგან უნდა დაძრულიყო, და ჰა კიდეც დაიძვროდა ბაზალეთის ტბის ლეგენდის შექმნით.

ის ლექსი – „ბაზალეთის ტბა“ – შეთხზული 1883 წლის 14 ივლისს, თითქოსდა ხალხური თქმულების პოეტური ვერსია გახლდათ, ასე ირწმუნებოდა, ასე აიდუმალებდა ილია, დასაწყისშივე ისე რომ წარმოსახავდა, თითქოსდა ფოლკლორულ გადმოცემას იმეორებდა:

ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო წყლის ქვეშე
უცხო წალკოტი ჰყვავისო.

ვითომ მთქმელები ამბობდნენ ასე, ისინი მოგვითხრობდნენ ტბის ძირას იმ ოქროს აკვნის არსებობას და ილია თითქოს მხოლოდღა ლექსად გარდათქვამდა მათ ნაამბობს, საუკუნეთა წიაღში გამოტარებულს.

მწვანე იყო მუდამ ის წალკოტი და თურმე არასოდეს ჭკნებოდა, ქვეყნის დროთა ტრიალს არ ემორჩილებოდა. ვერ ერჩოდა თურმე მის მწვანეს ვერც სიცხე და ვერც ზამთარი და მის მზიან ჩრდილებში მუდმივი გაზაფხული იდგებოდა.

და აი:

წალკოტის შუაგულშია
ის აკვანი ასვენია,
და ჯერ კაცთაგანს იქ ჩასვლა
არავის გაუბედნია.

მარტოდენ სირინოზნი თუ ეხვეოდნენ გარს იმ აკვანს, მარტო ის გრძნეულნი თუ დასტრფოდნენ და დამღეროდნენ...

ამბობენ, – თამარ დედოფალს
ის აკვანი იქ ჩაუდგამს,
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს.

ამას კი აღარ ამბობდნენ, აკვანში ვინ ჩაეწვინა, ანდა თვით ერს თვისი ცრემლი ზედ ტბად რისთვის დაედინა...

და ამას უნდა მოჰყოლოდა სტრიქონები, ცენზურას რომ უნდა ამოეკვეთა, როგორც გამჭვირვალე პოლიტიკური მოწოდება, თითქოსდა მანამდელი სტროფები ნაკლებად აამღელვარებდა საზოგადოებრივ ცნობიერებას, მაგრამ მხატვრულ წარმოსახვებში გახლართული ცენზორი ჩამოეხსნებოდა გადმოცემის პოეტურ ვერსიას და ამ პოლიტიკურ ფინალს დაეტაკებოდა:

იქნებ აკვანში ის ყრმა რომ იწვა, ვისიც არ ითქმოდა სახელი და ვისაც დღედაღამ ნატრულობდა ჩუმის ნატვრითა ქართველი?

და თუკი ასე გახლდათ, შენატრებდა იმ ვაჟკაცს სახელოვანსა, რომლისა ხელიც პირველად დაწვდებოდა იმა აკვანსა!..

და თუკი ასე გახლდათ, შენატრებდა დედასა სახელდებულსა, რომელიც იმ ყრმას პირველი მიაწვდიდა თვის ძუძუს მადლით ცხებულსა!..

ექვთიმე თაყაიშვილი შეესწრებოდა, როდესაც ანასტასია თუმანიშვილიწერეთლისა, საყმანვილო ჟურნალის – „ჯეჯილი“ – რედაქტორი, ცენზორისაგან დაბრუნებული მოიტანდა ორ ლექსს: ილიას „ბაზალეთის ტბასა“ და აკაკის „ღამურას“, და როდესაც ილია ნახავდა ცენზორის მიერ ამოშლილ რამდენიმე სიტყვასა და სამ უკანასკნელ სტროფს, მიუტრიალდებოდა გრიგოლ ყიფშიძეს:

– გიგა, ახლავე ეგ ამოშლილი სიტყვები და სტროფები ჩავწეროთ და შევინახოთ, რომ მერმე არ დაიკარგოს.

შესწორებულ ცალს ილიას გადასცემდნენ და მეორე ცალში იგი თავისივე ხელით შეიტანდა ამოშლილ სიტყვებსა და სტროფებს.

შემდეგ რედაქტორი წაუკითხავდათ აკაკის „ღამურას“, რომელსაც ილია დიდად მოიწონებდა, მაგრამ შენიშნავდა:

– ბოლო ორი სტროფი სრულიად ზედმეტია, აკაკის ნაკლი ეგ არის, რომ ნაწარმოების გათავება არ იცის. სურათი რომ დახატა, ამით უნდა გაეთავებინა.

ეს იქნებოდა და ეს, სხვა შენიშვნას აკაკის ნაწერებზე ილიასაგან ვერასოდეს მოისმენდა ექვთიმე თაყაიშვილი.

მერმე არ დაიკარგოსო...

ასე რომ არ ეზრუნა და მაშინვე არ გადაეწერა, თურმე შესაძლოა კიდეც დაკარგულიყო მთავარი ძარღვი ამ მესიანისტური საგალობელისა, რომლისგანაც ნაშთიღა დარჩებოდა, ისევე, როგორც თვითონ იმ რელიგიური რეფორმისაგან, რომელზედაც ამხელა იმედებს ამყარებდა სეებედნიერი დროის საქართველოს სამეფო კარი.

იაკობ მანსვეტაშვილს რომ გაახარებდა ამ ლექსის გამოქვეყნება – რაღაც განსაკუთრებით. „ჯეჯილის“ რედაქციაში რომ იბუზღუნებდნენ: ჩვენი გამოჩენილი პოეტები თანამშრომლობენ ჩვენთან; აკაკიც, ვაჟაც, კიდევ სხვანიც, შიო მღვიმელი ხომ ნამდვილი შიოს მარანია, და ილია კი განზე დგას და პატივს არა გვცემსო, – ეს გადააკვდებოდა ილიას, მთელი თვე არ მოეშვებოდა და ბოლოს წაგლეჯდა, მართლაც რომ წაგლეჯდა „ბაზალეთის ტბას“, და ახლა სიხარულით აფოფინებული რომ ეტყოდა:

– ასე გამოქვეყნებული არა სჯობს, ვიდრე უჯრაში მაგრად ჩამალული?

ილია მოულოდნელ პასუხს გასცემდა:

– რა გითხრათ? მანამ ლექსი ჩემთან არის – ჩემი მგონია, მახარებს, და რაკი დაიბეჭდება, საქვეყნოდ გახდება, ისეთ გრძნობას განვიცდი, თითქოს გულითგან საყვარელი, ღვიძლი შვილი მომგლიჯეს.

აჰა კიდევ ერთი საყვარელი, ღვიძლი შვილი უნდა მოგლეჯოდა გულიდან...

ამბობენო...

ბევრი ნაამბობი მოესმინა, არაერთი ჩაენიშნა, მოეკრიბა და გული წყდებოდა, საამისოდ რომ ვერ მოეცალა – ფოლკლორისტობისათვის, პეტრე უმიკაშვილს რომ აგულიანებდა და კიდევ ბევრს უღვივებდა გულში ამ განძის შეგროვების ჟინსა და სწრაფვას, თუმც ბაზალეთის ტბის ლეგენდას ამ სახით ვერსად მოისმენდა, რადგანაც მისი გახლდათ, საკუთრივ მისი, ისე შეძერწილი, ერთი შეხედვით ვერც გაარჩევდი ხალხურ-მითოსური გადმოცემებისაგან – ქარგაც ისეთი მოექსოვა, შინაარსიც ისეთი ამოეხვია, გარეგნული იერიც ისეთი მიენიჭებინა, მაგრამ დაუკვირდებოდი, დაუკვირდებოდი და... ხელთ ორიგინალური მესიანისტური საგალობელი შეგრჩებოდა.

* * *

ხუთი ვარიანტი ამ ლექსისა კიტა აბაშიძისათვის უეჭველს გახდიდა, რაოდენ მაღლა აყენებდა ილია „ბაზალეთის ტბას“ და რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ვახტანგ კოტეტიშვილი რაღაც შორეულად მინამგვან ლეგენდას კი მოიძიებდა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, მაგრამ მიიჩნევდა, რომ:

ლექსში მთავარი გახლდათ ამ თქმულების ახალი სემანტიკა, რაც ხალხურს არ გააჩნდა, და შემოქმედებითი გარდაქმნაც ეს გახლდათ.

ლეგენდა ბაზალეთის ტბისა ისეთივე უბრალო არაკ-თქმულებას წარმოადგენდა, როგორც ლეგენდა ბეთლემის ქვაბში მყოფ განდეგილზე, ილია მხოლოდ მასალად რომ გამოიყენებდა მის ასაზიდად ახალ საფეხურზე.

და პავლე ინგოროყვა რომ შეისწავლიდა ხევში ჩაწერილ რამდენიმე თქმულებას, რომელნიც უახლოვდებოდნენ „განდეგილის“ თემას, დაასკვნიდა, რომ:

შეხვედრა ფოლკლორულ თქმულებათა და პოემას შორის მხოლოდ ზოგადი ხაზებით განისაზღვრებოდა.

და პოემას მოუძებნიდა მწიგნობრულ სათავესაც: ვახუშტი ბატონიშვილისეულ აღწერას ბეთლემისა, მყინვარის კლდესა შინა გამოკვეთილისა და ძნელად ასასვლელისა:

— რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა გარდმოკიდებული ქვაბიდამ და მით აღვლენ. იტყვიან უფლისა აკვანსა მუნ, და აბრაამის კარავსა, მდგომსა უსვეტოდ, უსაბლოდ, და სხვათაცა საკვირველთაცა.

რათა გაეთვალსაჩინოებინა, რომ ვახუშტის ამ აღწერილობის ერთგვარ „პენდანტს“ ანუ ორეულს წარმოგვიდგენდა განთქმული შესავალი ილიას პოემისა, სადაც გრანდიოზული ბუნების ფონზე წარმოისახებოდა ბეთლემის სანახაობა:

ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე, და ზედ კარია გამოკვეთილი — ვით კლდის ნაპრალზედ არწივის ბუდე. ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა, — და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსაო.

აქაც ისევე შეზავებოდა ერთმანეთს ფოლკლორული და მწიგნობრული დეტალები ილიას წარმოსახვასა და სულიერ ბრძმედში, როგორც „ბაზალეთის ტბის“ შექმნისას, პატარ-პატარა გამაღიზიანებელთ ფანტაზიისა დიდ შთაგონებამდე რომ უნდა მიეყვანა.

* * *

ხელთ ორიგინალური მესიანისტური საგალობელი შეგრჩებოდაო...

იქნებ დიდი რამ დაკვირვება არც ესაჭიროებოდა და: სირინოზთა ხსენებას უკვე უნდა მიენიშნებინა, დუშელი მთქმელები ასეთს რომ არას ეტყოდნენ. სირინოზები და... ქართული ფოკლორულ-მითოსური წარმოდგენები?

თამარი კი ბუნებრივად მოერგებოდა ლექსს, რაკიღა მითოსში გადასულიყო და მის ერთ გამორჩეულ პერსონაჟადაც ქცეულიყო ზურაბ ერისთავ-

სა და ერეკლე მეორესთან ერთად, მოწყვეტილნი თავთავის ისტორიულ დროს, მითოსური დრო-ჟამის განზომილებაში რომ გადაინაცვლებდნენ.

და ილიაც თუ ვინმეს, სწორედ მის სახელს გამოიხმობდა ფოლკლორიდან, თუმც ამბავს თვითონვე რომ შემოუქსოვდა, ამისათვის... „ქართლის ცხოვრება“ მიმართავდა, შთაგონებას ეს ძეგლი აღუნთებდა და მესიანისტურ ხილვის განწყობილებასაც ის ჩაუდგამდა.

„ისტორიანი და აზმანნი შარავანდედთანი“, ერთ-ერთი კარი თუ ნაწილი ჩვენი ისტორიული თავგადასავლის კრებულისა, თამარის წმინდანობის, თამარის გაღმერთების იდეას იქამდე აზიდავდა, რომ... ღვთისმშობელსაც კი დაადარებდა, რომლისგანაც უნდა შობილიყო ახალი მესია:

– მიუდგა თამარ განწმედილითა გონებითა, და ტაძრისა ღმერთისა აღმსჭვალულისა სანთლისა სხეულისათა, მხურვალითა გულითა, და განათლებულითა სულითა, ტაბახმელისა ბეთლემ-მყოფელმან, – მუნ შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა, და უწოდა სახელი ახოვნისა მამისა თვისისა – გიორგი.

აპოთეოზი, გაღვთაება ამაზე შორს ვეღარ წავაო, – „ქართლის ცხოვრების“ ამ პასაჟს რომ დაურთავდა პავლე ინგოროყვა, იმ ისტორიულ რეალობასაც გადაგვიშლიდა თვალწინ, რომ:

აქ თვით თამარის სიცოცხლეშივე ვხედავდით დასაწყისს იმ წმინდა რელიგიური კულტისა, რომელიც დღემდე არსებობდა საქართველოს მთის თემებში, სადაც თამარის სახელი შეერთებოდა წარმართულ ხალხურ რელიგიურ გადმოცემებს და სადაც თამარს თაყვანს სცემდნენ როგორც ახალ ღვთისმშობელს, და ლაშა-გიორგის – როგორც ახალ მესიას.

შემთხვევითი არა ყოფილა გიორგი უფლისწულისათვის ეს მეორე სახელიც – ლაშა, რომელიც აფსართა ენით მანათობლად ითქმოდა.

და ვინ შეიძლება ყოფილიყო მანათობელი, თუ არა მესია!..

ქართული პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი აზრი XII საუკუნეში დაიჩაჩიროებდა ახალი რელიგიის დაფუძნებას, უფრო სწორად – ახალ ნაკადსა თუ განშტოებას ქრისტიანული მოძღვრების ფარგალში, რათა – სომხებისა არ იყოს – თავი დაეღწიათ ბერძნულ-ბიზანტიური საეკლესიო გავლენისაგან.

სომხები საამისოდ გრეგორიანულ მიმართულებას შექმნიდნენ.

ქართველები უფრო მეტსაც მოინდომებდნენ – საერთოკავკასიური სახელმწიფოს შუაგულში დგომა და ამ ახალი პოლიტიკური სინამდვილის სულისკვეთების განსაზღვრა საქართველოს ავალებდა ქრისტიანულ რწმენაში ახალი განშტოების მოძებნა-შემუშავებას, დიდი რამ ძიება რომ არც დასჭირდებოდათ:

ვინც გახლდათ სიმბოლო საერთოკავკასიური სახელმწიფოსი – თამარ მეფე, სწორედაც მეფე და არა დედოფალი, მის სახელს უნდა დაკავშირებოდა რელიგიური რეფორმაც.

ასე უნდა ქცეულიყო თამარი ღვთისმშობლად.

და ძე მისი, ლაშა-გიორგი, ახალ მესიად.

მონღოლთა შემოსევა დაასრულებდა საქართველოს სამეფოს ძლევამოსილებასაც და მის გავლენასაც კავკასიაში, და ცხადია ბოლოს მოუღებდა

იმ გრანდიოზულ წამოწყებასაც რელიგიური რეფორმის განსახორციელებლად, მისი ნაშთი თუ ანარეკლიც ჩვენი მთიანეთის ფოლკლორს რომ უნდა შემოენახა, ლაშარის კულტი ქრისტიანობის ფარგალში რომ იტრიალებდა და იდუმალი ძაფებით იქნებოდა გადაბმული იმ წამოწყებასთან, თამარ მეფის თანადროულ მატიანეს იმ უჩვეულო, საკვირველი, მრავალმხრივ დამაფიქვრელი პასაჟით რომ უნდა შემოენახა.

ილიას უნდა მოერიგებინა ფოლკლორული წარმოდგენები და „ისტორიანი და აზმანნი შარავანდედთანის“ ის მრავლისმეტყველი უწყება და გამოექანდაკებინა ახალი მესიის სახებაც და მისი მძაფრი, გაუნელებელი მოლოდინიც.

ტაბახმელა ბაზალეთის ტბით უნდა შენაცვლებულიყო, დუშეთში ყოფნისა და ხალხში საგანგებოდ ტრიალი თქმულება-გადმოცემების მოსასმენ-მოსაგროვებლად თვითვე უბიძგებდა, სადღაც შორს აღარ ეძებნა მესიის დაბადების ადგილი და ბაზალეთის ტბა ექცია წმინდა ალაგად, საკულტო დანიშნულებისად – თანაც ტბა მისწრება გახლდათ ცრემლთა ნაღვარევთან გასაიგივებლად.

თან ტბად რჩებოდა და თან კარვის დანიშნულებაც უნდა შეეძინა.

იმ ყრმისა არც არაფერი სმენოდა და მის ამოსვლასაც ტბიდან ჯერ სულაც არა ნატრულობდა დღედაღამ ჩუმი ნატვრით ქართველი?

არ ნატრულობდა აქამდე, თორემ „ბაზალეთის ტბის“ გამოქვეყნების შემდგომ უკვე ინატრებდა და იმ მძაფრი, გაუნელებელი მოლოდინითაც განიმსჭვალებოდა, მესიის მოვლინების შთაგონება რომ იწვევს.

ასე შეიქმნებოდა ბაზალეთის ტბის ლეგენდა – უფრო მწიგნობრული წარმოშობისა, ხალხური გადმოცემებიც რომ შეუზავდებოდა... და ილია სირინოზებსაც გაუგზავნიდა ყრმას ყურთასმენის დამატკბობლად, ვიდრე ის აკვანი ტბიდან ამოიზიდებოდა და... დაკარგული სამეფოც ამოჰყვებოდა... სამეფო არა მხოლოდ გარეგნული ნიშნებით, არამედ ის ოქროს ხანა რომ უნდა გაემეორებინა.

* * *

უკვე ინატრებდაო...

იმ მძაფრი, გაუნელებელი მოლოდინითაც განიმსჭვალებოდაო...

სოფელსა შინა მოვიდოდა მესია, მაგრამ... იცნობდა კი სოფელი მას?

ან ეგებ... ეგებ უკვე მოვლინებულიყო კიდეც და ისე დაიარებოდა, ჩვეულებრივი ადამიანისაგან აღარც განირჩეოდა და – მესიის მოლოდინში – სადღაც მის მიღმა გაიხედავდნენ?

ეგებ მწერლის სახელით მიმოდიოდა, ეგებ რედაქტორის, ეგებ ბანკირის, ეგებ დრამატული საზოგადოების თავმჯდომარის, ეგებ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინამძღოლის... ეგებ ყველასიც ერთად, ყველაფრისათვის რომ დაედო ხელი, რადგანაც უიმისოდ არაფერი ხდებოდა, თავი ვერ ებმოდა, გვირგვინი ვერ ედგმოდა.

თითქოს ყველგან სუფევდა.

ან რაღა „თითქოს“ – სუფევდა და ეგაა.

თავი მეექვსე

„ან გიჟი, ან ღვთისაგან მოგზავნილი“

1879 წლის ღირსშესანიშნაობას იმიტომაც წარმოაჩენდა ასე საგანგებოდ, თეატრალური კომიტეტის დაარსებასთან ერთად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც რომ შექმნილიყო.

და მართალია ამ საზოგადოებას ჯერ თავი არაფრით გამოეჩინა, მაგრამ ტვირთი მისი მეტად მძიმე გახლდათ და საგანიც რთული და ამიტომაც უჯობდა სიწყნარე გმობილი სიჩქარესა ქებულსა.

უფლება მოეპოვებინა, სასოფლო და პირველდაწყებით სკოლებში სწავლა დედაენის შემწეობით წარემართა?

ეს დიდი მონაპოვარი გახლდათ რასაკვირველია, მაგრამ ტვირთის სიმძიმე თუ საგნის სირთულე მხოლოდ ამას არა გულისხმობდა და არც შეიძლება ეგულისხმა, გაცილებით და გაცილებით შორსმიმავალი მიზნები რომ ამოძრავებდა.

დაწყებით წერა-კითხვის გავრცელების ხელმძღვანელობით დაიწყებოდა, ზედ პოლიტიკური ორგანიზაცია რომ ამოშენდებოდა – გარეგნულად ნებადართული, არადა – ფარული, 1832 წლის შეთქმულთა მოძრაობისა არ იყოს, მოგვიანებით დიმიტრი ყიფიანი რომ შეეცდებოდა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დაარსებისათვის ამოეფარებინა იგივე მიზნები, ახლა იმ ჩაშლილი წამოწყების აღდგენა-განახლებასა და შესაფერისადაც წარმართვას წერა-კითხვის გავრცელებას ამოფარებული საზოგადოება რომ კისრულობდა ამ მძიმე და იმავდროულად მსუბუქი ტვირთის სატარებლად.

ამ საზოგადოების რთული და მძიმე საქმის ჯეროვან კვალში ჩაყენება ეგრე ადვილიც ნურავის უნდა ჰგონებოდა, რომ სამ-ოთხ თვეში უკვე თავი გამოეჩინა. ამ საზოგადოებას წინ დიდი მანძილი ედო გასავლელი და დიდ მანძილს კაცი ჭენებით ვერ გაივლიდა – დიდ მანძილს ზომიერი და მტკიცე ნაბიჯი ესაჭიროებოდა.

ამით ილიას იმის თქმა კი არ უნდოდა, რომ ფეხის აჩქარება ამ საზოგადოებისათვის მავნებელი ყოფილიყოს ყველა შემთხვევაში. თუმც არ იყო სასურველი ეს საზოგადოება ისე აჩქარებოდა თავის საქმეს, რომ ზედ წაეკლა არსებითი საგანი, მაგრამ არც ის უნდა მომხდარიყო, რომ მეტისმეტ სიწყნარეს ობი მოეკიდებინა იმ დედააზრისათვის, რომლითაც ამ საზოგადოებას უნდა ესულდგმულა.

აპრილის „შინაურ მიმოხილვაში“ საყვედური რომ დაცდებოდა, რაკიღა ქართველობას ვერაფერი სახელი დაემკვიდრებინა, რაც ეხებოდა თაოსნობას, გამჭრიახობასა და თვითმოქმედებას, დასძენდა, რომ:

გრძნობით ყველა კარგად გრძნობდა ჩვენს ვაივაგლახსა და ყოველმხრივ გაჭირვებულ ცხოვრებას, მაგრამ შვებით კი თითსაც არ ანძრევდა, რომ რაიმე ცოტად თუ ბევრად მტკიცე საშუალება გამოენახა თავის დასახსნელად.

და რჩებოდა ასე – ყურმოჭრილ მონად გარემოებისა. და თავს იმით იტყუებდა: როგორც ეს გარემოება მომევლინა ფათერაკად, იქნება შვებაც ამგვარადვე მომევლინოსო.

გადიოდა ხანი და, თითქმის არავითარი შვება არა ჩანდა არსაიდან.

ამასობაში მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ რაც კი რამ ხალისი და თაოსნობა შეგვრჩენოდა, ისიც დაგვეკარგა.

მაგრამ ამ ბოლო დროს ჩვენს საზოგადოებრივ ყოფას თითქოს ფერი უნდა ეცვალა და ჩვენი ცხოვრებისთვისაც თითქოს ახალ ნიავს დაეკრა, ხალხი თითქოს შემკრთალიყო, თითქოს დაეძახა: როდემდე და სადამდეო, – ხელები გაენძრია, წელში გამართულიყო და თვითონვე განეზრახა თავისი თავის შველა.

ჯერჯერობით ხელი მიეყო სწავლა-განათლების საქმისათვის.

ამისათვის დააარსებდა ჯერ ერთ საზოგადოებას, რომელიც გახსნიდა ეგრეთწოდებულ მოსამზადებელ სკოლას.

და მერე კიდევ სხვა საზოგადოებას, რომელიც ნიშნად დაისახავდა წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების გავრცელებას საქართველოში, და რომლის პროგრამაც იმდენად ვრცელი გახლდათ და იმდენად შორსა წვდებოდა, რომ:

ფრიად დიდ ღვაწლს უქადდა ქვეყანას მომავალში და ამიტომაც ამთავითვე უნდა მიქცეოდა შესაფერი ყურადღება.

ამ საზოგადოებას თავისი დანიშნულების აღსასრულებლად ხელი უნდა მოეკიდა არამარტო სასოფლო სკოლების გამართვისათვის, არამედ დაეარსებინა სახალხო სამწიგნობროები და გამოეზარდა მასწავლებლები ამ თავისგანვე დაფუძნებულ სასწავლებლებში, ანდა სხვაგან თავისი ხარჯით; გაემართა ლექციები ხალხისათვის სხვადასხვა ადგილას...

საქმე საუცხოო ჩანდა, ეგაა ილიას ცოტა ეს აფიქრებდა: ამ საზოგადოების წევრთ ქართველურად მალე არ აცრუებოდათ გული, თორემ დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლოთ.

დაე ერთხელ კიდევ გაგვესიგრძეგანებინა, რომ:

არცერთ ხალხში, რომელიც კი განათლებულებში იგულისხმებოდა, წერა-კითხვა ისე ნაკლებად არ გავრცელებულიყო, როგორც ჩვენსაში.

უწინდელ დროს, როდესაც მამაკაცები სულ ომში ტრიალებდნენ და წიგნის კითხვისათვის ვერ იცლიდნენ, დედაკაცები მაინც არ ანებებდნენ ამ საქმეს თავს, მიიბარებდნენ შეგირდებს და ამრიგად ქართულ მწიგნობრობას უშლიდნენ ძირიდან ამოვარდნას.

თანადროულობაში დედაკაცები ასერიგად ვეღარ ეწყობოდნენ წიგნის კითხვას და მამაკაცებს კი ჯერ გულდადებით არ მოეკიდათ ამ საქმისათვის ხელი. მართალია ჩვენს სოფლებში ამ უკანასკნელ ხანს სკოლები გახსნილიყო, მაგრამ ისე კანტიკუნტად, რომ ერთ სკოლიან სოფელზედ ათზე მეტი უსკოლო მოდიოდა.

ჯერჯერობით ამ საზოგადოებას დიდი შეძლება არ გააჩნდა: მის წევრებს, ჯერ მხოლოდ 126-ს, შეჰქონდა ყოველწლიურად არანაკლებ 20 მანეთისა; ამასთან საზოგადოება მოელოდა სხვადასხვა შემოწირულ ფულს პატივსაცემ წევრთაგან და აგრეთვე ნამდვილ წევრთაგან, რომელთაც ყოველწლიურად უნდა შემოეტანათ არანაკლებ 6 მანეთისა.

ყველა ეს შემოსავალი დიდ თანხას არ შეადგენდა?

მაგრამ ილია შეახსენებდა ყველას, რომ: ეს საქმე ჯერ ახალფეხადგმულ ბავშვსა ჰგავდა და ახალფეხადგმულს ვინ მოსთხოვდა ვაჟკაცივით სწორ სიარულს!..

ამ წელს საზოგადოებას ხუთი სკოლაც რომ გაეხსნა, ისიც დიდი საქმე იქნებოდა.

რასაკვირველია ეს დიდი კი არა, მცირე საქმედაც არ ეჩვენებოდათ იმ პირთ, რომელნიც ყოველ საზოგადო საქმეს თვალახვეულებივით უცქერდნენ და გაიძახოდნენ: წერა-კითხვის გავრცელება ხალხს სარგებლობას არას მოუტანს, ხალხს ჯერ კუჭი უნდა გავუძღოთ და წიგნი მერეღა ვასწავლოთ, გვინახავს სოფლებში ბევრი წერა-კითხვის მცოდნე, უცოდინრებზედ უფრო უსინდისონი და გაფლიდებულნიო.

სალაპარაკოდ ენა გექავებათ და ეგ არისო, – პირში ბურთსა სჩრიდათ ილია ამ ვაჟბატონებს, – რას ამბობთ და რას არა, არ გაგეგებათ. არც ის გესმით, ერთი და ორი წერა-კითხვის მცოდნე თუ გამოერევა სოფლად, თავი ცხვრებში გარეული მგელი ეგონება და უსინდისოდ გამოიყენებს თავის სწავლას; მაგრამ ერთისა და ორის მაგივრად მთელ სოფელს რომ ეცოდინება წერა-კითხვა, მაშინ იმათ ასე არავინ გააპარპაშებსო.

დაე ესეც ყველას შეეგნო:

ხალხის სიღარიბიდან გამოყვანა და სწავლა-ცოდნა ისე გადაჯაჭვოდა ერთიმეორეს, უერთმანეთოდ მნიშვნელობა ეკარგებოდათ.

რაო – ხალხს ჯერ კუჭი გავუძღოთ და მერე ვასწავლოთო?

იმაზედ რატომ არა ფიქრობდნენ, რომ გლეხკაცს რაც უნდა სიმდიდრე შემატებოდა, თუ უკეთეს ცხოვრებას არ შეეჩვეოდა და ქვეყნიერებისას არას გაიგებდა, ისევ ისე ბინძურად და უხეიროდ იცხოვრებდა, როგორც სიღარიბეში ეცხოვრა.

ბევრი გლეხკაცი ენახა ილიას, ათას თუმნამდე შეძლება რომ მოეპოვებოდა, მაგრამ ისეთივე მიწურში იდგებოდა, ისევე ებმეოდა გვერდით საქონელი და იმისგან გამონასუნთქ ჰაერს ისუნთქებდა, როგორც ყოვლად უქონელი ღატაკი.

ერთი სიტყვით თუ ჩვენი ხალხის ბედნიერება გვინდოდა, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას უნდა ვცდილიყავით: სწავლაც შეგვეძინა მათთვის და უკეთესი ცხოვრების ღონეც მიგვეცა.

რაკიღა სწავლა გვესაჭიროებოდა და სახალხო სკოლები კი სწავლის პირველი საფეხური გახლდათ, ილია ურჩევდა ყველას, მხიარულად შეგებებოდნენ ყოველ საზოგადოებას, რომელიც ამგვარი სკოლების გამრავლებას განიზრახავდა.

თუ სოფლებში სკოლები კანტიკუნტად, მაგრამ მაინც იხსნებოდა, ეს უფრო იქ, სადაც 300-400 მცხოვრებზედ მეტი მოიპოვებოდა. აქ გლეხკაცობას არ უძნელდებოდა 3-4 მანეთის გამოღება მასწავლებლისა და სკოლის შესანახად. მაგრამ საქართველოს ზოგიერთ ნაწილში დიდი სოფლები რომ ძვირად შეხვდებოდა კაცს? ზოგან ხალხი ხეობებში ცხოვრობდა და სამი-ოთხი სოფლის მცხოვრებნი ერთად 100 კომლსაც არ შეადგენდნენ. თუ ისინი ძალზე შეძლებულნი არ იქნებოდნენ, სამ-ოთხ სოფელს ერთადაც რომ მოეყარა თავი, სკოლის დაარსება და მასწავლებლის შენახვა გაუძნელდებოდათ.

ამიტომაც ამგვარ ხეობებსა და სხვა პატარა-პატარა სოფლებში სკოლების გამართვისათვის უნდა მიექცია წერა-კითხვის საზოგადოებას განსაკუთრებული ყურადღება.

და კიდევ ის საზრუნავი, რომელსაც თუ ეს საზოგადოება ყურს ათხოვებდა, საუკუნო მადლობას დაიმსახურებდა. აჭარა და ქობულეთი თითქმის ერთი წელიც იქნეოდა, რაც შემოერთებოდა დედასამშობლოს, მაგრამ ისე გამოვიდოდა, რომ მათ ნამდვილ შემოერთებაზე მეტად... მათ განშორებაზედ უფრო ზრუნავდნენ...

აქ რამდენიმე ფრაზას ამოშლიდა ცენზორი, მაგრამ სათქმელი მაინც ითქმოდა ამ ნაკუწიდანაც. მსჯელობა კი ისე გრძელდებოდა, რომ რაღაც საცოდავი 200 თუმანი კი მოკრებილიყო და ქობულეთელებს დარიგებოდათ, მაგრამ სხვა მხრივ ჯერ ზრუნვა არავის გამოეჩინა მათ მიმართ. და ახლა შეეტყობოდათ, მართლა შეეძლოთ მოძმის შეწევნა საქმითაც თუ ღვინით შეხურებული ენით ლამაზ-ლამაზი სიტყვების წარმოთქმა უფრო ესიამოვნებოდათ.

თუ ქართველობის სიხარული სამი საუკუნით დაკარგული ძმების შემოერთებაზედ პირმოთნეობა არ გახლდათ და მათდამი წარმოთქმულ მხურვალე სიტყვებსაც მკვიდრი საფუძველი ჰქონდა, ახლა უნდა გაემართათ ხელი ახალდაბადებული საზოგადოებისათვის და ვალად დაედოთ, რომ აჭარასა და ქობულეთში რაც შეიძლება მომეტებული სკოლები დაარსებულიყო. ეს სკოლები ხომ სხვა ყველა საშუალებაზედ მეტად სულითა და გულით შემოგვიერთებდნენ აჭარისა და ქობულეთის მოსახლეობას და კვლავინდებურად იმ ძმურ სიყვარულს ჩამოაგდებდნენ ჩვენს შორის, როგორც უწინ, ოსმალოს ხელში იმათ ჩავარდნამდე ყოფილიყო.

წერა-კითხვის საზოგადოების განზრახვა და მოქმედება შორს რომ წვდებოდა, თუ გამბედავად მთლად აღასრულებდნენ ყველაფერს, რაც წესდებაში მოეხსენიებინათ, ილიას ეიმედებოდა, რომ:

ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაიდგამდა ფეხს; გავრცელდებოდა სწავლა-განათლება მშობლიურ ენაზედ და მით მიეცემოდა ყოფილ საქართველოდ გამოცხადებულ ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლისოდაც საგვარტომო და თვითმოქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელი გახლდათ.

გავიდოდა რამდენიმე ხანი და მაცხოვარი სხივი განათლებისა მოჰფენდა ნათელს ყოველ კუთხეს ჩვენი ქვეყნისას, რომელიც კი აქამომდე თვალგაუწვდენელ სიბნელეში იმყოფებოდა.

მარტო პირველდაწყებითი სწავლა არა კმაროდა?

ჯერ ერთი – სახლი უსაძირკვლოდ სადა თქმულიყო.

და მეორეც – არსებობდა ჩვენში სკოლა, ჯერჯერობით მოსამზადებელი, რომელიც უნდა გამხდარიყო საშუალო სასწავლებლად და მით შევსებულიყო საქმე, რომლისთვისაც ხელის მოკიდებას აპირებდა ახალდაარსებული საზოგადოება.

ეს საშუალო სასწავლებელი – ჩვენი საკუთარი, ქართული სასწავლებელი – შეიქნებოდა ჩვენი ხალხისათვის სახსარი უფრო მომეტებული სწავლა-განათლების შესაძენად; ეს სასწავლებელი გამოგვიზრდიდა ჩვენს საკუთარ, ქართულ ინტელიგენციას ანუ იმგვარ პირთ, დედაბოძად რომ ედგნენ ყოველი ხალხის განვითარებასა და წარმატებას.

ამ სასწავლებელს ექნებოდა მნიშვნელობა თუ ექნებოდა ჩვენი ლიტერატურისთვისაც, თუმც საამისო საუბარს ილია შემდგომისათვის მოიტოვებდა.

საზოგადოებას წინ დიდძალი, აუარებელი საქმე ედო და... მისი წევრები ჯერ ხელცარიელნი იყვნენ – არც სახელმძღვანელო მოეპოვებოდათ, არც საკითხავი წიგნები, არც სხვა სახსარი სწავლისა. აი ამას უნდა შედგომოდნენ განათლებულნი პირნი, მთავრობისაგან სასაყვედურო და ნიშნის მოსაგები რომ არა ჰქონოდათ რა: მაშ რაღას თხოულობდით, თუკი გამოყენებაც არ იცით და არც შეგიძლიათო?!.

უმთავრესი შემწე ყოველ ამგვარ საქმეთა ჯერჯერობით საადგილმამულო ბანკი რომ გახლდათ — ტფილისისა და ქუთაისისა, ქუთაისის ბანკს უკვე შემოეწირა კიდეც 1 100 თუმანი ამ საზოგადოებისათვის.

იმერთ-ამერთ – ანუ მთელ საქართველოს ამ 1878 წელს (აქ ცენზურას რაღაც ამოეგდო) მხოლოდ ერთი საქმე დაეწყო საკუთარი თაოსნობით, საკუთარი შეწირულობით და საკუთარი ღონით, მხნეობითა და ზედამხედველობით წარემართა კიდეც:

ჩვენი ბანკების დადგინება და მართვა.

და კვლავ ილიასებური მუნათი, მკაცრი და შეუვალი:

ამ სამოცდათვრამეტ წელიწადში ქართველი კაცი როგორღაც, ნებით თუ უნებურად, კუთხეში მიგდებულიყო, მიწოლილიყო და მიეძინა, თითქოს ყველაფერზედ გული აიყარაო, ყველაფერზედ იმედი გადიწყვიტა, ყველაფერზედ ხელი აიღოო – ერთი სიტყვით: ზნეობრივად მომკვდარიყო და ეგაა.

ეს ყოფა ყოველმხრივ რომ დაგვაუძლურებდა, გონებით, ზნეობით, თვალად, ტანად რომ დავპატარავდებოდით და მივილეოდით, არამცთუ ხელის გაძვრის ილაჯი გვქონოდა, თვითონ მოძრაობის სურვილიც შიგ გულში ჩაგვიკვდებოდა და ჩაგვიქრებოდა, რას შეიძლება გამოვეხსენით ამ საცოდაობიდან?

მარტოდენ თვითმოქმედებას და სხვა არაფერს.

ერთი პატარა ბილიკიღა იყო თავისუფალი სავლელად და ერთი პატარა მოედანი სავარჯიშოდ – ისიც ვაინაჩრობით, წეწვითა და გლეჯით.

მოედნად დაგვრჩებოდა ჩვენი ქონების წრე და ბილიკად – გზა ქონების შეძენისა... ანუ გაფლანგვისა.

ერთი ჩვენი კეთილისმყოფელი კაცი ამ ბილიკსა და მოედანს დააკვირვებდა თვალს და იტყოდა:

– ცოტა რამ არის, მაგრამ ამის გამოყენებაც შეიძლება, რომ ჩვენმა თვითმოქმედებამ ცოტათი მაინც ფრთები შეისხას.

იტყოდა და თავის სასახელოდ აასრულებდა კიდეც. და ამაზედ აშენდებოდა ბანკების საქმე.

დიმიტრი ყიფიანს გულისხმობს, დიმიტრი ყიფიანზე მიანიშნებს მკითხველს, მის კეთილისმყოფელობასა და სასახელოობას ახსენებს და ისე გამოჰყავს, თითქოს იმას წამოეწყოს და დაეგვირგვინებინოს კიდეც, და თვითონ ილია არც არაფერ შუაში ყოფილიყოს.

ის საწუხარიც როგორ არ გამოეთქვა: წინდაუხედავად რომ შევსვამდით ხოლმე საზოგადო მძიმე საქმეს ერთმანეთის მტრობისა და შურით საქანელაზედ და ისე უკადრისად წინდაუკან ვაქანებდით, ბოლოს ცხვირში ამოვიკრავდით...

თვალსაჩინოებისათვის მოიხმობდა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის საქმეს, თავდაპირველადვე ერთი შფოთი და არეულობა რომ შეუდგებოდა. დაეწყობოდა დასები, მაგრამ ან ერთ დასს რა წამოეყენებინა წინ ისეთი და ან მეორეს? რად ატეხილიყო ტყუილუბრალო აყალმაყალი? რაზედ დავობდნენ, რაზედ ცილობდნენ? წერდნენ კიდეც მრავალს, ქადაგებდნენ კიდეც, მაგრამ ვერავინ გარკვეულიყო, რა გამხდარიყო ცილობის საგანი.

ყველაფერი, ყველაფერი, გარდა იმისა, რაც საზოგადო საქმეს ესაჭიროებოდა.

ეს არის ჩვენი ოსტატობაო? – გულმოკლული კითხულობდა ილია, – ნუთუ ბოლო აღარ უნდა ჰქონდეს ბზარვასა და ლალვას ისედაც უბედურ ქართველთა შორისო?

ღმერთს ევედრებოდა:

გვიხსენ ამ ჭირისაგან და გვამყოფინე, რაც დღევანდლამდე მაგ ჭირისაგან გადაგვხდენიაო.

კაცთ შეაგონებდა:

გვეყო, ბატონებო, გვეყოო!..

იქ „მე" ხომ უღონო ხდებოდა, სადაც „ჩვენ" გაცუდებულიყო, უარყოფილიყო, გალახულიყო.

მერე ბევრიც გევალალა...

რა სჭირთ ამ ქუთათურებსო, – რაღაც ამგვარს უთუოდ გაიფიქრებდა, ისე არ უჯდებოდა გონებაში იმათ ბანკში ატეხილი აურზაური და გაწევ-გამოწევა, თან რეალური მიზეზიც რომ ვერ გამოერკვიათ დავა-კამათისა, – ტფილისში ხომ ასეთი რამ არ დაგვემართებაო.

სიბერემდე სიქაჩლეო, – საიდანღაც მოესმოდა ქირქილად და შეცბუნდებოდა: მოჩვენებებიღა მაკლდაო!..

ასე ადვილად არ ჩაცხრებოდა მაცილის ქირქილი, ხმაც რომ მოჰყვებოდა, მჭახე და სულისგამყინავი: ბანკში ატეხილი აურზაურისა და გაწევ-გამოწევის ნახვა ტფილისში მოგიწევს თუ მოგიწევს, რეალური მიზეზიც რომ

აღარავის ეცოდინებოდა დავა-კამათისა და ქუთათურებს ბევრჯერ ათქმევინებთ: რა სჭირთ ამ ტფილელებს, ქუთაისში ხომ ასეთი რამ არ დაგვემართებაო!..

გადაჯაჭვოდა ბანკს წერა-კითხვის საზოგადოება – ჯერ ისედაც არ გაეძლებოდათ უერთმანეთოდ და მითუმეტეს ამ ვითარებაში: ერთსაც ილია რომ უძღვებოდა და მეორესაც, იქ კიდევ ჟურნალი, იქ კიდევ დრამატული საზოგადოება და... რამდენად გახლეჩილიყო თუ გაწენილიყო, უკვე თვით მისთვისაც საძნელო ხდებოდა ამდენი საზრუნავი.

ვეღარ იცლიდა, ხან იქ გამოაკლდებოდა, ხან იქ, ხანაც იქ, მაინც მისით მიედინებოდა ყველგან ყველაფერი. კიდევ კარგი ივანე მაჩაბელი რომ ამოსდგომოდა გვერდით, ლამის მისი ალიკვალი, შვილი რომ ჰყოლოდა, ასე ვერ დაემგვანებოდა, ვანო როგორც დამსგავსებოდა.

ილიას ბაძავო, – გადაუკრავდნენ, ასე როგორ გამოგიმგვანაო.

ეგონათ გავაღიზიანებთ, თავმოყვარეობას შევულახავთ, ავიყოლიებთ და ილიას წინააღმდეგ განვაწყობთო.

არადა იმას ისე ეამაყებოდა, ილიას რომ ამგვანებდნენ, გაღიზიანებულიყო კი არა, აღტაცებისაგან ლამის სუნთქვა შეკვროდა...

პეტერბურგის უნივერსიტეტიდან ახალდაბრუნებულ ექვთიმე თაყაიშვილსაც ემახსოვრებოდა ის კეთილი დრო, როდესაც ილიასა და ივანე მაჩაბელს შორის არავითარი უსიამოვნება არ იქნებოდა და სრული თანხმობით იმუშავებდნენ.

ექვთიმეც მოიხიბლებოდა ვანოთი, პატრიოტობასაც დაუფასებდა, ნიჭიერებასაც, განათლებასაც, კარგ მუშაკობასაც, და კიდევ – პიროვნულადაც სიმპათიური ადამიანი რომ გახლდათ.

და საესებით გაიზიარებდა საზოგადოების ყველა წრეში გავრცელებულ მოსაზრებას, სადავოდ რომ არავინ ხდიდა:

ილიას მემკვიდრე საზოგადო საქმეებში ივანე მაჩაბელი იქნებაო.

ბევრად უმცროსიც გახლდათ და მათი შეხმატკბილებული მუშაობა ჯერ კიდევ როდის დაიწყებოდა: „მეფე ლირის“ ქართული ვერსიის მომზადებას რომ უსხდნენ ერთად და ამ ერთობლივ გარჯას ასერიგად მნიშვნელოვანი მონაპოვარითაც რომ დააგვირგვინებდნენ.

რამდენად გახლეჩილიყო თუ გაწენილიყოო...

და ალბათ ხელსაც აიღებდა რომელიმე წამოწყებასა თუ დაწესებულებაზე, ივანე მაჩაბელი რომ არ დაეგულებინა გვერდით, არამცთუ დავალებათა პირნათლად აღმსრულებელი, არამედ ნახევარ სიტყვაზეც რომ მიუხვდებოდა, ის კი არა, ხან ნაფიქრსაც ამოიცნობდა ილიასას და გამზადებულს დაახვედრებდა ხოლმე.

და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაშიც მას რომ მიიწვევდა ილია მოადგილედ, ვანო არამარტო ამ წამოწყების გარეგნულ დანიშნულებაში გაერკვეოდა ძირისძირობამდე, არამედ ვის-ვის და მას არ დასჭირდებოდა არავითარი ახსნა, წერა-კითხვის გავრცელების მიღმა რამხელა განზრახვა ჩათქმულიყო: შემოკრება არამცთუ მთელი საქართველო-

სი, სულაც მთელი კავკასიისა ერთი დროშის ქვეშ, იმ დროშისა, ჯერ წარმოსახვაში რომ ილივლივებდა და მერე კიდეც შეიკერებოდა დავითიან-გორგასლიანის მემკვიდრედ და იმ ანდერძის აღსრულების სიმბოლოდ.

ბევრ რაიმეს რომ წყვეტდა ლიტერატურული სალონი იმჟამინდელ საქართველოში, ამიტომაც ზრუნავდნენ ასერიგად ამ გარემოს გავრცელებაზეც და მოღონიერებაზეც, ერთიერთმანეთზე უკეთესი საქმენი და წამოწყებანი სწორედ იქიდან რომ უნდა მოვლენოდა ქვეყანას.

ლიტერატურული, სახელოვნებო, პოლიტიკური საუბრები საუბრებად, დეკლამატორობასა და ორატორობაში გაწაფვა გაწაფვად და: იქიდან უნდა ამოსულიყო ჟურნალი „ცისკარიც“ და თეატრიც გიორგი ერისთავის ხელით – მანანა ორბელიანის სალონიდან, და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც – იოსებ მამაცაშვილის სალონიდან, იდეა ვახტანგ თულაშვილისა რომ იქნებოდა, საფუძვლიანად კი ხელს იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე მოჰკიდებდნენ მისი წესდების დამუშავება-გატანასაც და მასშტაბის მინიჭებასაც.

წესდების პროექტის დამკვიდრება რეალობაში მათი სახელით შესაძლებელი რომ ვერ იქნებოდა, არც დაიჩემებდნენ თაოსნობას, უკან გადგომას ამჯობინებდნენ და ისეთი კაცის მოძებნას, ავტორიტეტი და გავლენა ერთნაირად რომ ექნებოდა მოპოვებული ხალხშიც და მთავრობაშიც.

იმთავითვე დიმიტრი ყიფიანს ივარაუდებდა ორივე, მაგრამ არ იჩქარებდნენ და ყოველმხრივ დაუწყებდნენ ჩხრეკა-შეფასებას მასაც და სხვა შესაძლო კანდიდატებსაც, და გაიხარებდნენ, გულდასმით დაკვირვების შემდგომაც კვლავ დიმიტრი ყიფიანზე რომ შეაჩერებდნენ არჩევანს.

დიმიტრი ჩვეული გულისხმიერებითა და თავგამოდებით მოეკიდებოდა ამ შეთავაზებას და სახლის კარს გადაუხსნიდათ, რათა ყოველ შაბათს შეკრებილიყვნენ და წესდების პროექტის საბოლოო ვერსიაც შეემუშავებინათ მთავრობაში წარსადგენად – რაც შეიძლება მეტი უფლებანი რომ მინიჭებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ოღონდ ისე დიპლომატიურად შეეცურებინათ ეს ყოველივე, მთავრობას უარით რომ არ გამოესტუმრებინა, ანდა ისეთნაირად არ შეეკვეცა და დაემახინჯებინა მათი პროექტი, სულაც უარი რომ სჯობს ხოლმე.

წესდების ჩამოსატარებლად ხელმოწერისათვის ბესარიონ ღოღობერიძეს შეარჩევდნენ, იმჟამად ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს, და თანაშემწეებად ილია ჭავჭავაძესა და ვახტანგ თულაშვილს გაუმწესებდნენ.

ასე და ამ დროსღა გამოჩნდებოდა ილია ამ წამოწყების მონაწილეთა შორის – ბოლოსდაბოლოს რა ევალება: ხელისმომწერთა დაყოლიებაში უნდა შეეშველოს კაცს, რომელიც ასე გაემასხრებინა „გამოცანების“ ციკლში, თუმც მთლად სხვებთანაც არ ათანაბრებდა – მართალია ძალზე ფრთხილად და გაუბედავად ირჯებოდა ბესარიონი, მაგნრამ მაინც ქვეყნისათვის უძგერდა გული, და აგერ ამჯერადაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა.

ახლაღა უნდა გამოჩნდეს, მაგრამ ერთბაშად გადაიბაროს მთელი ეს წამოწყება და პირველკაცადაც დადგეს.

იაკობ გოგებაშვილი ნაბიჯ-ნაბიჯ რომ გაიხსენებდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების პერიპეტიებს იდეის ჩასახვიდან რეალობად მის გადაქცევამდე, საგანგებოდ აღნიშნავდა:

ილია ამ მომენტამდე ამ საქმის გარეთ იდგაო.

ეს დაზუსტება იმიტომაც გახდებოდა აუცილებელი, ილიას სახელი ამ საზოგადოებასთანაც რომ გაიგივდებოდა და გასიმბოლოვდებოდა და, რაკიღა იგი მართავდა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში და ჩამოცილებით მხოლოდ იმიტომ ჩამოცილდებოდა, სახელმწიფო საბჭოს წევრად რომ აირჩევდნენ, ხალხის თვალში იგი წარმოდგებოდა იდეის გამომთქმელადაც და წამოწყების მოთავედაც.

ილია კი არც ამჯერად მიიწერდა არაფერს, სხვათა წვლილს ანკი როგორ მიიკუთვნებდა, მაგრამ საზოგადოებრივ ცნობიერებაში ასე მკვიდრდებოდა, შთამომავლობაც ასევე გაიზიარებდა და, ვიდრე დრო იყო, უნდა აღდგენილიყო პირუთვნელი და მიუკერძოებელი სურათი ამ დიდებული საქმის ისტორიისა.

და ეს ვის უნდა აღესრულებინა, თუ არა იმ კაცს, ვინც იმთავითვე ჩართულიყო ამ პროცესში, წარმართავდა მის მსვლელობას და განთქმული გახლდათ თავისი სიმართლისმოყვარეობით.

და კიდეც ითავებდა იაკობ გოგებაშვილი მთელი სურათის წარმოსახვას და სანდო და მრავალმხრივ საგულისხმო დოკუმენტის დატოვებას, რომლის ფინალიც ილიას სახებით უნდა ყოფილიყო გასხივოსნებული, მისი გამოსვლით სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე და იმ ძლიერი სიტყვით, ახალდაარსებული საზოგადოების დიდი მნიშვნელობა რომ უნდა წარმოეჩინა და გადაედებინა კრებისათვის მის სასარგებლოდ 11 000 მანეთი, რითაც ფეხზე დააყენებდა წერა-კითხვის გამავრცელებელ დაწესებულებას და გზას გაუხსნიდა ფართო მოქმედებისათვის.

ეს ისტორიული გამოსვლა რომ არა, მთავრობისაგან მართლაც სიმწრით გამოგლეჯილი რეზოლუცია ფარატინა ქაღალდზე მეტი ღირებულებისა არ იქნებოდა და ეს წამოწყებაც მიემატებოდა კეთილშობილურ იდეათა თუ ჩანაფიქრთა ნაადრევად განწირულ რიგს.

წესდების შემუშავებისას თუ რაიმე აფიქრებდათ თვით დიმიტრი ყიფიანსაც, თორემ ბესარიონ ღოღობერიძე თუ სხვანი ხომ რა სათქმელია – „სხვანი“ ცხადია ილია ჭავჭავაძეს არა გულისხმობს – ის მუხლი:

წერა-კითხვის საზოგადოებას თავისი საგანმანათლებლო მიზნისათვის რომ უნდა მიეღწია მშობლიურ, ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე პირველდაწყებითი სწავლების ორგანიზებით.

რასაკვირველია ხელს შეუწყობდა რუსული ენის შესწავლასაც, მაგრამ შემდგომ და მხოლოდ შემდგომ, რაც საფუძველი და საძირკველი ქართულად გაიჭრებოდა და საშიშროება აღარ იქნებოდა ენობრივი და ეროვნული ცნობიერების გაორებისა და ამღვრევისა.

ეს უმნიშვნელოვანესი მუხლი გახლდათ, საბედისწერო მიჯნა, რომლის იქითაც იმპერიული საგანმანათლებლო პოლიტიკა შემართულიყო მთელი თავისი ძალ-ღონითა და ათასგვარი საშუალებით, ძალმომრეობას მათ პოლიტიკურ არსენალში უმთავრესი ადგილი რომ ეჭირებოდა, აქეთ კი იაკობ გოგებაშვილი მოჩანდა და მის მიერ დარაზმული მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომლის გაბევრებასაც ესწრაფოდა და იმ მოთხოვნის გადაქცევასაც საყოველთაო რწმენად, და რომლის ხორცშესხმასაც ან უნდა შეწირვოდი და ან გიორგი მუხრან-ბატონივით შეგუებოდი ქართული ენის გარდუვალ აღსასრულს ორენოვნებისა და ამღვრეული ცნობიერების პირობებში.

ამ მუხლის ჩაწერას აზრი არა აქვს, მთავრობა არ შეიწყნარებს და წესდებას არ დაგვიმტკიცებს, ამაოდღა შევეცდებით წერა-კითხვის საზოგადოების დაფუძნებასო, – ამ მოსაზრებას რომ გაუზიარებდა დიმიტრი ყიფიანი ნიკო ცხვედაძეს, ის დათანხმდებოდა ამოშლას ტაქტიკური თვალსაზრისით: დაე ნუ ჩავწერთ, მთავრობა ოღონდაც ამ საზოგადოების დაარსებაზე დავიყოლიოთ და მერე უკვე ნელ-ნელა შევეცადოთ პირველდაწყებითი სწავლების ორგანიზებას ქართულ ენაზეო.

გაგულისდებოდა და რას გაგულისდებოდა იაკობ გოგებაშვილი:

– ამ მუხლის გარეშე რაღა აზრი აქვს ამ წამოწყებას, თუ წესდებაში არ შევიტანთ ამ მოთხოვნას, მერე აღარავინ დაგვრთავს ნებას მისი დამკვიდრებისა და ხელთ ნაცვლად კეთილი ნერგისა ბოროტი ნერგი შეგვრჩება.

– თუ ამ მუხლს არ შეველევით, არ დაგვიმტკიცებენ.

– არ დაგვიმტკიცებენ და ნუ დაგვიმტკიცებენ, რაღა გამოვა, თუ ამ ქვაკუთხედს, ამ უმთავრეს მიზანს ჩვენივე ხელით ამოვშლით.

– ტაქტიკური მოსაზრებით... თვალის ასახვევად...

– ტაქტიკა და დიპლომატიური სვლები ბევრჯერ დაგვჭირებია და კიდევ ბევრჯერ დაგვჭირდება, მაგრამ ეს მუხლი შეუვალი უნდა იყოს ყოველგვარ ჭოჭმან-ყოყმანზე მაღლა მდგომი. ან უნდა შევინარჩუნოთ, ანდა სულაც უარი ვთქვათ ამ საზოგადოების დაარსებაზე.

– მე კი ვეცდები, თავს არ დავზოგავ მის გადასარჩენად, მაგრამ რა ვიცი... რა ვიცი... – მაინც თავისას ურჩევდა დიმიტრი ყიფიანი.

– ან ეს მუხლი, ან თავს ვანებებთ ამ წამოწყებას.

და ლამის სიტყვა-სიტყვით უნდა განმეორებულიყო ეს დიალოგი ბესარიონ ღოღობერიძესთანაც: მთავრობა ამ მოთხოვნას არაფრისდიდებით არ შეიწყნარებსო, – ისიც ამის ახსნას რომ მოინდომებდა და წესდების „გაუვნებლებლობას“, მაგრამ იაკობ გოგებაშვილის მოდრეკა შეუძლებელი შეიქნებოდა:

ან ეს მუხლიც, ანდა თავს ვანებებთ ამ წამოწყებასო.

ერთადერთი ილია დაეთანხმებოდა, იაკობს არავითარი არგუმენტაციის მოშველიება რომ არ დასჭირდებოდა მასთან, და თავისი დიპლომატიის უნარით განთქმული ილიაც ამჯერად ყოველგვარ სიფრთხილეზე მკაცრ უარს რომ განაცხადებდა:

ან ეს მუხლიც, ანდა თავს ვანებებთ ამ წამოწყებასო.

დასაფარი სხვა რამ ჰქონდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ეროვნული მოძრაობის ბურჯად რომ უნდა გადაქცეულიყო იმ რამდენიმე კერასთან ერთად, რომელთაგან ზოგს ლიტერატურული ერქვა – „ივერია“ და „დროება“ – ზოგს თეატრალური – დრამატული საზოგადოება და ქართული თეატრი – და ზოგსაც ეკონომიკური – სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი – არადა სინამდვილეში ყველა პოლიტიკური სულისკვეთებითა და მიზანდასახულებით რომ განმსჭვალულიყო და სულ უფრო მკვეთრად წარმოაჩენდნენ ეროვნული მოძრაობის ძალასა და ნიშატსაც და იმ სახელმწიფოს იერსაც, ქართველობის დაშლილ-დაღავებულ სხეულს თვითმყოფადობისა და ეროვნული ვინაობის მადლით რომ ჰკრავდა და აღთქმული ქვეყნისაკენ უწალდავდა გზასავალს.

ესეც ოაზისები უდაბნოში!.. სულ უფრო სახიერად ამოჩენილნი!..

წესდებაში კი ჩაიწერებოდა, მაგრამ ხელისუფლება როგორ იყაბულებდა ქართველი ბავშვების პირველდაწყებითი განათლების მოწყობას იაკობ გოგებაშვილის გონებისა და მისწრაფების თარგზე; და კიდეც ახალ რუსიფიკატორულ ტალღას დაძრავდა კირილე იანოვსკის, კავკასიის განათლების მზრუნველის, უშუალო თაოსნობით, შემაშფოთებლად რომ გაცხადდებოდა გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებიდან მისი სამოსწავლო გეგმა სახალხო სკოლებისა, მშობლიურ ენაზე პირველდაწყებითი განათლების მოშლას რომ განიზრახავდა... და თითქოსდა წინ რა შეიძლება გადაღობებოდა ხელისუფლების ამ სწრაფვას.

არ მოითმენდა „დროება“ ამ გამოლაშქრებას განათლების მზრუნველისა ქართული ენის წინააღმდეგ, მის ამოსაგლეჯად ქართველი ბავშვისათვის, და სასწრაფოდ უხმობდნენ რედაქციაში იაკობ გოგებაშვილს:

შენ თუ არა, აბა სხვა ვინო!..

და იაკობ უკეთეს გეგმას შესთავაზებდათ, უფრო მიზანმიმართულსაც და სარგებლის მომტანსაც.

სასურველი და საჭირო გახლდათ უფრო გამოჩენილ და გავლენიან ქართველს გაეცა შესაფერისი პასუხი.

და კიდეც დაუსახელებდათ:

მაგალითად ილია ჭავჭავაძეს.

ყველა საჭირო მასალას იაკობი მიაწვდიდა და ყოველმხრივაც მოამარაგებდა.

ხოლო როცა იანოვსკის „პლანი“ გამოვიდოდა, მის გარჩევას უკვე თვითონ იაკობი იკისრებდა.

და 1881 წლის მარტის „შინაურ მიმოხილვაში“ კიდეც გამოეპასუხებოდა ილია ჩვენს ქვეყანაში სწავლა-განათლების წინამძღოლის დედააზრს საერო სკოლების შესახებ, ენის სწავლების თაობაზედ რომ აღეძრა ბაასი, თუმც აქ საბაასო არა იყო რა, რადგანაც მეცნიერებას ეს საქმე დიდიხანია გაერჩია და თავისი უტყუარი განაჩენიც დაედგინა.

მის სტატიას მოიხსენიებდა ღირსსაცნობად, რადგანაც:

ჯერ ერთი – დამტკიცებულიყო,

და მეორეც – დღეის ამას იქით საერო სკოლების საქმე ამ გზაზედ უნდა ევლო.

რას ირწმუნებოდა განათლების მზრუნველი მისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და:

ბავშვები სამ და ოთხ წელიწადში ძლივს სწავლობენ კითხვას, წერას, ოთხ პირველ მოქმედებას არითმეტიკისას, მოკლე კატეხიზმოსა და საღვთო წერილს, ამიტომაც რუსული ენის სწავლას სადღა მოასწრებენო.

რადგანაც ამათ გარდა საერო სკოლის განსაკუთრებული საქმე მოკლე ისტორიის, გეოგრაფიისა და სამშობლოს შესწავლაც გახლდათ, მაშასადამე საერო სკოლა სამ და ოთხ წელიწადში – ბატონი იანოვსკისავე სიტყვით – თავის ნახევარ საქმესაც ძლივს ასრულებდა. და მაშ უკვე სავსებით დამაჯერებელი პასუხიც გაეცა „დროებას“ მზრუნველისათვის:

აქაური საერო სკოლებისათვის სამი წლის კურსით რუსული ენის დამატება მეტი საპალნეაო.

და ილიაც დასძენდა:

ჩვენს საერო სკოლას, გარდა იმისა, რაც მისი პირდაპირი საქმეა, ერთი ტვირთი კიდევ მოუმატესო.

და სარკაზმსაც გამოურევდა:

განა არ იცით, რომ ვინც ერთ ფუთს ძლივსა ზიდავს, მას მეორე ფუთიც რომ ზედ დაადოთ, უფრო მსუბუქად ივლისო?..

სტატიაში ერთი ყურადსაღები აზრიც გამოთქმულიყო იანოვსკის სახელით. ამ სიტყვათშეთანხმებით — იანოვსკის სახელითო — ილია გამჭვირვალედ მიანიშნებდა, ეს აზრი უფრო ზემოდან რომ მოდიოდა და იმპერიულ საგანმანათლებლო პოლიტიკის მოთხოვნას წარმოადგენდა, ოღონდ ისე შემობურვილს, ადვილად არ ამოიცნობოდა და ერთი შეხედვით შესაძლოა გაგხარებოდა კიდეც: ჭკუას მოგებულან, ყოველ შემთხვევაში ქართულ ენას საფრთხე აღარ ემუქრებაო.

არადა საშიშროება დამოკლეს მახვილივით დაეკიდებოდა ქართული ენის თავზე.

28 დეკემბრის „კავკაზის“ ფურცლებიდან მზრუნველი ასე აყალიბებდა თავის მოსაზრებას:

– ყოველ კეთილად გაწყობილ პირველდაწყებით სკოლაში სწავლება უნდა მიმდინარეობდეს უფრო უმეტესად დედა-ენაზედ.

მაგრამ 12 დეკემბერს ებრძანებინა:

საერო სკოლის მესამე განყოფილებაში სწავლება უფრო უმეტესად რუსულ ენაზედ უნდა მიმდინარეობდესო.

„პოპეჩიტელსკი სოვეტი“ ამ მოთხოვნას ცხადია მიიღებდა და 22 დეკემბერს თვითონ იანოვსკი წარადგენდა და მთავრობისგანაც დამტკიცებას მოიპოვებდა.

მოთხოვნის თანახმად:

რუსულად წაკითხული სტატიები დედაენაზედაც უნდა თარგმნილიყო ამ განყოფილებაში, და საგნები და სტატიები – შესწავლილი დედაენაზედ – რუსულადაც უნდა თქმულიყო.

აქედან ის გამოდიოდა, რომ:

12 და 22 დეკემბერს უპირატესობა საერო სკოლის სწავლებაში, მესამე განყოფილებაში მაინც, რუსულ ენას დარჩენოდა და 28 დეკემბერს კი – დედაენას.

რომელი ერთი უნდა ეწამა მკითხველს?

რასაკვირველია 12 და 22 დეკემბრის განჩინება, რადგან ის თქმულიც გახლდათ და უკვე ქმნულიც.

და 28 დეკემბრისა – მარტო თქმულიყო და „კავკაზის" 348-ე ნომერში დარჩებოდა სახსოვრად იმისა, ზოგჯერ ქმნა ერთი რომ გახლდათ და თქმა – მეორე.

რათა არევდარევა აზრებისა არავის დაეწამებინა, ამ ორივე საქმეს ბატონი იანოვსკისას, ქმნულსა და თქმულს, რუსულადვე ამოწერდა ერთმანეთის პირდაპირ, რათა ამ ფონზე უფრო მძაფრად გადაელვებულიყო ანდაზა, თეიმურაზ პირველს რომ მიეწერებოდა: ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.

იანოვსკისთან კიდევ მოუწევდა შეტაკება, ეს უკვე 1881 წლის „დროების" 33-ე ნომრიდან, რათა გაეთვალსაჩინოებინა მკითხველისათვის, რომ განათლების მზრუნველი ისე არ უყურებდა საერო სკოლას საერთოდ და ჩვენსას საკუთრივ, როგორც ის გამოჩენილი პირნი, რომელთაც დაედგინათ ამ სკოლის ნამდვილი და ჭეშმარიტი მნიშვნელობა.

არადა იანოვსკის ამისთანა სკოლის დანიშნულება და უმაღლესი საქმე უკან დაეყენებინა და საერო სკოლას იმ ტვირთს ჰკიდებდა, რაც მოსამზადებელ კლასს უნდა ეზიდა.

საერო სკოლას ერის შინაურ სკოლად მოიხსენიებდა ილია, იმ მოედნად, სადაც ერის გონებასა და გრძნობას ფეხი უნდა აედგა; და კიდევ – გამზრდელად ერისა, რომელსაც უნდა ეძლია ერისათვის საზრდოებელი სულისა და ხორცისა იმ პატარა საწყაოთი, რომელიც უმეტნაკლებოდ ზედგამოჭრილიყო ერის მოკლედ შემოხაზულ შინაურ ყოფა-ცხოვრებაზედ, მის სულიერ და ხორციელ მოთხოვნილებაზედ.

საერო სკოლის უმთავრეს საგნად და საქმედ მიიჩნევდა მოზარდი თაობისათვის გონების თვალის ახელას, გულისყურის გაჩარხვას, გრძნობის გაწვრთნას და კეთილად მომართვას, შეჩვევას მოზარდის ჭკუა-გონებისა მართლმსჯელობისა და თვითმსჯელობისათვის.

საერო სკოლას უნდა მოემზადებინა ერისათვის გონებითა და გულით გაღვიძებული კაცი იმდენად, რომ იგი საკუთარი ჭკუითა და გულით გაუჭირვებლივ გაძღოლოდა იმ სულიერ და ხორციელ პატარა მოედანს, სადაც ერის უმრავლესობა სულს იბრუნებდა, სულითა და ხორცით იღვწოდა და მოქმედებდა.

მასალები უხვად მოეტანა იაკობ გოგებაშვილს ილიასათვის და მას შეეძლო თავისუფლად ამოერჩია ყველაზე ღრმა და ზუსტი, ყველაზე მახვილგონივრული და შთამბეჭდავი ციტატები, უშინსკის პედაგოგიური ნააზრევი იქნებოდა, დისტერვეგის, პესტალოცის, ვესელის, კომენიუსის, რიხტერის, ტილოსა თუ ბრეალის, რათა ამ ფონზე თვალნათლივ გამოკვეთილიყო

იანოვსკისა და მის წამქეზებელთა ანტიპედაგოგიური, ანტიჰუმანური შეხედულებანი, სამაგიეროდ კი სავსებით სარწმუნოდ წარმოჩენილიყო, რომ:

დედაენა მიჩნეულიყო არამცთუ უკეთეს და აუცილებელ სახსრად, რათა სკოლას თავისი დანიშნულება აღესრულებინა, არამედ უპირველეს საგნადაც, რომელიც ბავშვს უნდა შეესწავლა და სცოდნოდა. მაშასადამე სკოლას საზოგადოდ და საეროს საკუთრივ ეს სამსახური უნდა გაეწია ერისათვის.

მეორე სახსრად და საგნად კი დადგენილიყო იმ ადგილის, ქვეყნის, ერის შესწავლა და ცოდნა, რომელსაც ბავშვი ეკუთვნოდა დაბადებითა და ცხოვრებით.

ამ წლის დასაწყისში ყოფილი საერო სკოლების ოსტატთა კრება პეტერბურგში საქვეყნოდ აღიარებდა, რომ:

რუსეთში, სადაც – ჩვენი არ იყოს – სამწლიანი კურსი მოქმედებდა და ასწავლიდნენ მხოლოდ ერთ დედაენას – რუსულს, ბევრი ყმაწვილი სკოლის შემდგომ წერა-კითხვას ივიწყებდა.

და მაშ რაღა უნდა თქმულიყო რუსული ენის შესახებ ჩვენს სკოლებში, სადაც იგივე სამწლიანი კურსი დამკვიდრებულიყო და სადაც ეს ენა სრულიად სხვა გახლდათ მოსწავლისათვის.

ნუთუ ჰგონიათო, – მწარედ ეღიმებოდა ილიას, – ჩვენში საერო სკოლა სამწლიანივე კურსით იმ სასწაულს მოახდენს, რომ დედა-ენაც შეასწავლოს ბავშვს და რუსულიც იმდენად ცნობიერად და გაგებით, რომ მერე აღარ გადაავიწყდეთო?..

სასწავლებელმა უნდა დააკმაყოფილოს, რაც შეიძლება მომეტებულად, საჭიროება იმ საზოგადოებისა, რომელთ შორისაც და რომლისთვისაც არსებობსო, – იანოვსკი რომ აცხადებდა, ამ მოსაზრებასთან სადავო ანკი რა უნდა გქონოდა, მაგრამ მის პროექტი ამ საჭიროებას არამცთუ რაც შეიძლება მომეტებულად არ აკმაყოფილებდა, არამედ რაც შეიძლება ნაკლებად, რადგანაც საერო სკოლას ისედაც არასაკმარის ღონესა და დროს უფანტავდა და უყოფდა.

ისიც გასათვალისწინებელი გახლდათ, რომ:

ჩვენში საერო სკოლის ენა სხვა იყო და უმაღლესისა კი – სრულიად სხვა. ამიტომაც ჩვენში საკუთრივ საერო სკოლა, თუ მარტო სახელით არ იქნებოდა, თავისდღეში სამი კურსით მოსამზადებელი კლასის საქმეს ვერ იზამდა, რადგანაც ამ მოკლე ხანში დედა-ენაც საკმაოდ უნდა შეესწავლა ბავშვს და უმაღლესი სასწავლებლისაც, ანუ – რუსული ენა; ერთი სიტყვით საქმე ერთიორად ისე გაეძნელებინა, ვერც ერთი შეესრულებინა და ვერც მეორე. და ნუთუ ეს სასურველი იყო ვინმესთვის?

იანოვსკი რუსული ენის სწავლებას საერო სკოლაში იმ საბუთითაც თხოულობდა: აქაურებს სურთ რუსული ენის ცოდნაო.

ილიასაც სურდა და მის თანამოაზრეთაც, ბავშვს რუსული საფუძვლიანად შეესწავლა – არამარტო იმისათვის, რომ ესაჭიროებოდა ვითარცა სახელმწიფო ენა, არამედ – მისი ლიტერატურა ამჟამად იმდენად ძლიერი რომ გახლდათ, შეეძლო გონებაგახსნილი კაცისათვის სულიერი საზრდო მიეცა.

– იგი ღონეა, არამცთუ როგორც მეტის ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხოვრებლად ბრძოლისათვის, იგი ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან, რაკი შინიდან გარეთ ფეხს გამოვდგამთ.

მაგრამ რეალურ საქმედ ის ესახებოდა, ისე მოგვეწყო სკოლა, რომ რუსული ენის ცოდნა ნამდვილი და მართალი ცოდნა ყოფილიყო, იმდენად მაინც, რომ კაცს ცხოვრებაში და ცხოვრებისათვის გამოეყენებინა. თუ უნდა გვდომოდა რუსულის ცოდნა, ისე, რომ სულიერი და ხორციელი სარგებლობა მოგვეპოვებინა მისი შემწეობითაც. ამისთანა ცოდნისათვის არა კმაროდა ის სამი წლის კურსი საერო სკოლისა, იანოვსკის როგორც განეზრახა, არამედ – არანაკლებ ექვსი წლისა, რათა პირველ სამ წელიწადს ჩვენს საერო სკოლას თავისი პირდაპირი დანიშნულებით ემსახურა განსაკუთრებით და მეორე სამ წელიწადს კი ის მეთოდი გამოეყენებინა რუსულის საცოდნელად, იანოვსკის წერილში რაც აღნიშნულიყო.

მაშინ ბავშვი გონებადაუჭაგვრელად იქნებოდა მომზადებული არამცთუ უმაღლესი სასწავლებლისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ შინაც ღონისძიება ჰქონოდა – განეგრძო სწავლა: როგორც დედა-ენის შემწეობით, ისე რუსულითაც. ამასთან: დედა-ენაც და რუსულიც იმდენად შეესწავლა, თუკი დაისაჭიროებდა, შინაც გამოეყენებინა და გარეთაც.

იმ პროგრამით კი, როგორც განათლების მზრუნველს მოეფიქრებინა და ეწინააღმდეგებოდა საღ აზრსაც და პედაგოგიკის კორიფეთა გამოცდილებასაც, ჩვენებური საერო სკოლა ვერც თავის საკუთარ საქმეს გაარიგებდა და ვერც რუსულ გვაცოდინებდა. იმ ვიწრო გზაზედ, რაც საერო სკოლას ჩვენში დადგენოდა, ამ ორი – სულ სხვადასხვა საგნის – შეხვედრა არც ერთს დააყრიდა ხეირს და არც მეორეს.

ვითარება მოიტანდა, სასკოლო საქმეებშიც უშუალოდ ჩარეულიყო და პედაგოგიკის საფუძვლებშიც გარკვეულიყო. და ისე როგორ ჩაერეოდა და ისე როგორ გაერკვეოდა, მისებური უჯიათი გარჯით არ ჩაჯდომოდა ამ მიმართულების ლიტერატურასაც, იაკობ გოგებაშვილი მეგზურად ეყოლებოდა, გზასავალის გამაადვილებლად, თორემ მის მიერ მოწოდებულ მასალებსა თუ ციტატებს რას იკმარებდა და: ამიტომაცაა ილიას პედაგოგიური დაკვირვებანი შორს რომ გასცდებოდა საპუბლიცისტო ცოდნას – რაც თავისთავად სულაც არ დაიწუნება – და სახელმძღვანელო შეხედულებებადაც გამოადგებოდათ მასწავლებლებსაც და თეორეტიკოსებსაც, თვით იაკობ გოგებაშვილიც გულდასმით რომ მოუსმენდა და ხარობდა, თვალსადახელშუა რომ იზრდებოდა სულ ცოტა ხნის წინათ მისი მოწაფეობის ყაბული ილია ჭავჭავაძე – ზღაპრული გმირივით მისი დღეები წლებს რომ გადაწვდებოდა.

ახსოვდათ, როგორ მივარდებოდა ხოლმე ილიასთან გულშეწუხებული იაკობი, ყოველთვის ამ სიტყვებით, ამ შეგულიანებით რომ იწყებდა გულისწყრომის გამოხატვას:

– გაგვიძეხ, ბერო მინდიავ! კარს საფრთხე მოგვდგომია!.. გასრესას, გათელვას გვიპირებენ, ენას პირითგან გვგლეჯენ, შენ უნდა გვიხსნა ამ განსაცდელისაგან, შენ უნდა ამოიღო შენი ძალუმი ხმა!..

და ილია ყველა მასალას თავისი გონების ცხრილში რომ გაატარებდა და განსჯა-გააზრებას თავის შემოქმედებით ნიჭსა და ბუნებით მონიჭებულ მადლს ჩააყოლებდა, კიდეც ყოველმხრივ აშუქებდა ყველა საჭირბოროტო საკითხს, და პედაგოგიკის ღრმა ცოდნას რომ ამჟღავნებდა, სპეციალისტებს უკვირდათ, თორემ იაკობ მანსვეტაშვილს კი – არა, რაკიღა მისთვის საცნაური გახლდათ დიდბუნებოვან ადამიანთა თვისება:

რაღაც შთაგონებით ჩაწვდომოდნენ ისეთ სიღრმეებს და იქიდან ისეთი ძვირფასი მარგალიტები ამოეკრიფათ, სხვათათვის, თვით სპეციალისტებისთვისაც, მიუწვდომელი რომ რჩებოდა.

და წამოაგონდებოდა და მკითხველსაც სთხოვდა გაეხსენებინა ლევ ტოლსტოი, თუ როგორ განაცვიფრებდა მთელი რუსეთის საზოგადოებასა და გამოჩენილ პედაგოგებს, როდესაც გამოაქვეყნებდა თავის პედაგოგიურ წერილებს და ახალ სისტემას სწავლებისა, რომლითაც ხელმძღვანელობდა თვით მისგანვე გამართულ სკოლაში, თავის მამულში – იასნაია პოლიანაში.

ხოლო ილიას „პედაგოგიის საფუძვლები" სტატიების ციკლად რომ გამოჩნდებოდა 1888 წლის „ივერიის" ფურცლებზე, საყრდენად და ამოსავლად თანადროული სკოლის იმ ნაკლოვანების წარმოჩენა დაედებოდა:

რაც შეიძლება ბევრი სწავლა-ცოდნა შეეძინა მოსწავლისათვის და ზნე-ხასიათის წვრთნას კი თითქმის სრულიად უყურადღებოდ ტოვებდა.

იმ სწავლა-ცოდნასაც ისეთი დიდი საწყაოთი იძლეოდა, რომ მოსწავლე ძლივძლიობით ასდიოდა, სულითა და ხორცით იქანცებოდა, არაქათი უწყდებოდა და... ბოლოს გამრჯელი, მხნე, სულითა და ხორცით ღონიერი ადამიანის მაგიერ უძლური, უღონო და ჯანგალეული კაცი გამოდიოდა სკოლიდან.

და თავს ნურავინ მოიტყუებდა, თანადროული სკოლა გონების აღმატებაზედ რომ ზრუნავდა, რადგანაც: სხვა მხარეს ადამიანის ბუნებისა არამცთუ შველოდა, არამედ ჩაგრავდა და ხუთავდა კიდეც.

დედააზრი ევროპული პედაგოგიკის მიმართულებისა ის შეიქნებოდა, რომ: ყმანვილი სკოლაში გაწვრთნილიყო ყოველმხრივ – გონებით, ზნე-ხასიათით, სულითა და ხორცით და არცერთი ამათგანი არ უნდა შეწირვოდა მეორეს.

ამ დედააზრს სათავე ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში მოეპოვებოდა. და პირველი კაცი, რომელიც ჰუმანურობის მოძღვრებაზე ააგებდა სკოლას, იტალიელი ვიტორინო დე ფელტრე იქნებოდა. და ეს მამამთავარი პედაგოგიკისა ისე აღსრულდებოდა, ერთ სტრიქონსაც არ დაწერდა, მარტოდენ საქმით მოქმედებდა და ამბობდა: კარგად მოქმედება სჯობს კარგად წერასაო.

თვითონ ილიასათვის წერა და მოქმედება განუყოფელი გახლდათ და ერთი ჰარმონიული მთლიანობა, მაგრამ არ გამოეკამათებოდა იმ შეხედულებას სახელოვანი იტალიელისა, რაკიღა იმას უმნიშვნელოვანესი საქმე ისეც აღესრულებინა, რისი შემძლეც გახლდათ. და მიმდევრებიც რომ გამოუჩნდებოდნენ, ილიას გულს განსაკუთრებით მოეცხობოდა, ეს ახალი საპედა-

გოგიკო მოძღვრება აღორძინების ეპოქაშივე რომ გაიკვლევდა გზას სხვა ქვეყნებშიც, საფრანგეთი ამ თეორიას ეზიარებოდა სახელოვანი რომანისტისა და უფრო სახელოვანი სატირიკოსის ფრანსუა რაბლეს მეოხებით; რაბლესი, რომელიც შექმნიდა საკუთარ თეორიას აღზრდისა და ამაში დიდ გამჭრიახობას, ცოდნასა და ჭკუა-გონებას გამოიჩენდა; და ეს მაშინ, სულაც რომ არ დაწერდა საგანგებო პედაგოგიკურ თხზულებას და არც თავის სკოლას შექმნიდა.

აღტაცებული დარჩენილიყო ილიაც, თავისი მწვავე ენით როგორ აეგდო სასაცილოდ რაბლეს სქოლასტიკური წესი სწავლებისა სატირულ რომანში „გარგანტუა და პანტაგრუელი“, და იქვე როგორ წარმოესახა იდეალი ახალი, ჰუმანური სწავლა-წვრთნისა. ორივე წესი თვალსაჩინოდ გამოიხატებოდა ორი ყმაწვილის ბედით, ერთი ძველი სისტემით რომ აღიზრდებოდა და მეორე – ახლით.

რაბლეს აღმზრდელობითი მოძღვრება შეგაგონებდა, რომ ბავშვი რაც შეიძლება ნაკლებ უნდა ყოფილიყო მომწყვდეული ოთხ კედელშუა, რადგანაც დახშული და დაბუღებული ჰაერი ოთახისა და უმოძრაობა ჩაგრავდა ყმაწვილს. იგი ბევრწილად გარეთ უნდა ყოფილიყო, ჰაერზედ. და არცერთ საათს დღისა უქმად არ უნდა ჩაეცლო მისთვის – ოსტატს საცოდნელი და საწვრთნელი ყოველთვის უნდა მოეპოვებინა, რათა შეგირდს გახსნოდა ნიჭი დაკვირვებისა, გამორკვევისა, და ამიტომაც საჭირო გახლდათ ბავშვს თავისი დანახვით, თავისი მოაზრებითა და განსჯით შეეცნო ბუნებაცა და ცხოვრებაც.

მოხიბლულიყო ილია, რაბლეს სისტემაში ყმაწვილის ტანისა და აგებულების ვარჯიშობას დიდი ადგილი რომ ეჭირა: ბურთაობა, კენჭაობა, ცხენზედ ჯდომა, ცურვა, ჭიდაობა – ყოველივე ეს საჭიროებდა რაბლეს მიერ ხელდასხმასაც, და ილია აგრძელებდა სატირულ რომანში ამოკითხული პედაგოგიკური მოძღვრების სულისკვეთებას, ოსტატს რომ უნდა ეტარებინა ყმაწვილი ფაბრიკებში, სამსჯავროში, სახელოსნოებსა და ეკლესიებში ქადაგების მოსასმენად და, რაც საჭირო იყო და შესამჩნევი, შეემჩნევინებინა და გაეგებინებინა.

მთელი ეს მსჯელობა თავისებურად უნდა შეეკრა და მოეგვირისტებინა აფორიზმს, რომელიც ამ სტატიაში კი არ გამოითქმოდა, არამედ მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი“:

– არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდან გამოხედვა.

აფორიზმი აფორიზმად, მაგრამ ილია მოვალედ მიიჩნევდა თავს აქ, ამ მოთხრობაში მცირე ტირადაც ჩაერთო, არჩილს რომ ათქმევინებდა თავის გულისწადილს:

უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ჭყაპუჭქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი იგივ წიგნია. ყველა გონიერი კაცი, თუნდა უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია. ეს ტყუილი თაკილიაო...

უწიგნობამ უნებურად შესაძლოა ლუარსაბ თათქარიძე გაგვახსენოს.

მარტო წიგნებიდან გამოხედვამ – თეიმურაზ ხევისთავი, თითქოსდა ღვიძლი შვილი ლუარსაბისა, ამაოდ რომ ელოდა მემკვიდრეს ილიას თხრობაში, მაგრამ უნდა მოვლენოდა ძე თვისი... მიხეილ ჯავახიშვილის თხრობისას.

თითქოს ორი საპირისპირო პოლუსია ჩვენს თვალწინ: დიახ – თითქოს სად ლუარსაბ თათქარიძე და სად თეიმურაზ ხევისთავი – და... სინამდვილეში ერთნი კი არიან, ერთი შტოს, ერთი სულიერების შთამომავალნი – განსაკუთრებით მაინც იმ ღირსებებით, სატირული და ირონიული საბურველის მიღმა ძნელი ამოსაცნობი რომ გახლდათ მკითხველისათვის, მაგრამ ილია ჭავჭავაძესაც ძალიან სურდა – მიგვეგნო ამ ღირსებებისათვის, და მიხეილ ჯავახიშვილსაც. და არც ის გამოგვპარვოდა, თავიანთი თვისებები რომ ჩაექსოვა ორივე მწერალს ბედისაგან ასერიგად განწირულ ამ პერსონაჟებში...

ოთარაანთ ქვრივს უფრო მიამგვანებდნენ ილიას – თავისი უზომო სიკეთით, შეუპოვრობითა და გარეგნული უკმეხობითა და მოურიდებლობით.

რას მიქვიან ტკბილი სიტყვაო, – ოთარაანთ ქვრივის ეს ფრაზა რომ წამოაგონდებოდათ, გუნებაშივე მიადევნებდნენ: ილიაა, ილია, ოღონდ ქალის კაბაში გამოწყობილიო!..

ამ განწყობილებას ადასტურებს გრიგოლ ყიფშიძე.

იაკობ მანსვეტაშვილიც ამასვე ადასტურებს.

1886 წლის ზამთარს ილია რამდენიმე დღეში რომ დაწერდა ამ მოთხრობას, იმხანად ხშირად ესაუბრებოდა არტურ ლაისტს საზოგადოდ მოთხრობის მნიშვნელობის შესახებ. „ივერიას" რომ გააფართოვებდა და გადააქცევდა ყოველდღიურ გაზეთად, ფიქრობდა გაზეთში დიდი ადგილი დაეთმო ქართული ორიგინალური მოთხრობებისათვის.

– მოთხრობა ცხოვრების სწორი ანარეკლი უნდა იყოს, – იტყოდა ხშირად.

ქართველთა ცხოვრებაში მრავალ თავისებურ ზნეობრივ ტიპს რომ ხედავდა, ეიმედებოდა: ახალგაზრდა ქართველი მწერლები უსათუოდ საგულისხმო ლიტერატურას შექმნიანო.

და მწარედ შემოჰკვნესდა გული, თვითონ საამისოდ ათასში ერთხელ რომ იპოვნიდა შესაფერის წუთს, რაც მეტად და მეტად უკმარი გახლდათ იმ დიდი ლიტერატურის შესაქმნელად, რისთვისაც მოწოდებულიყო, მაგრამ ამ არჩევანის წინაშე მდგარს:

დიდი პროზაიკოსობა – თუნდ ქართული „ადამიანური კომედიის" შექმნა – თუ

მოსე წინასწარმეტყველის გზის განმეორება,

აღარც კი დაფიქრდებოდა, ისე შერგავდა თავს უდაბნოს სიმხურვალეში... ეგაა ხანდახან, დროდადრო, შიგადაშიგ, შემთხვევიდან შემთხვევამდე დანისლული მზერითა და აჩუყებული გულით გამოხედავდა იმ ამბებსა და ხასიათებს, რომელთაც არასოდეს ელირსებოდათ მოთხრობებისა თუ რომანების სიუჟეტურ ქარგაში მოქცევა... და დარჩებოდნენ გამქრალ ოცნე-

ბებად თუ გაფანტულ ილუზიებად, დიდ განზრახვათა ნამსხვრევებად, ნაკუწებად თუ ნაფლეთებად...

არტურ ლაისტს დაბეჯითებით მიაჩნდა, რომ:

პირველს თვითონ ილიას ეჩვენებინა გზა „ოთარაანთ ქვრივით“, პირველს თვითონ მოეცა ნიმუში ახლებური პროზისა, მაგრამ მისი ზრახვები უფრო შორს მიდიოდა და ფიქრობდა: ჩვენმა მწერლებმა ისეთი გზა უნდა აირჩიონ, რომელიც მათ მშვენიერებით აღვსილ თხზულებებამდე მიიყვანთო.

ქართველთა ცხოვრებას ძლიერ რომ ამგვანებდა ესპანელებისას და გარშემო უამრავ ქართველ დონ კიხოტს ხედავდა, ეს ცალკე... და არანაკლებ აინტერესებდა ქართლ-კახელი მოურავისა და მემამულის ტიპები, იმგვარი ადამიანები, რომელნიც გაზაფხულზე მრავლად ჩამოდიოდნენ ტფილისში საბანკო კრებებზე დასასწრებად.

ილიას არასოდეს გამორჩებოდა ჩამოსულთა შორის ამ წოდების ფრიად კოლორიტული წარმომადგენელნი, მათ შორის ერივნენ ძველი დროის მემამულეთა მართლაც ჩინებული ტიპები, რომელთა მოდგმაც იმ დროს უკვე გამქრალიყო, გერმანელი სწავლული მოგონებათა ამ ფურცლებს როდესაც ავსებდა.

ინანებდა, ძალიან ინანებდა, მაშინვე რომ არ ჩაიწერდა ყველაფერს, თუ როგორ ახასიათებდა მათ ილია. ეს იქნებოდა მშვენიერი ზეპირი მოთხრობები, ილია ამ ზეპირი დახასიათებით რომ იკლავდა წერის ჟინს, წარმოსახვაში შექმნილი პერსონაჟთა გალერეით.

არასოდეს დამავიწყდება, ოდესმე უსათუოდ აღვადგენ ამ ყოველივესო, – ეჭვი არ ეპარებოდა ლაისტს, მაგრამ დრო გაახუნებდა იმ ზეპირ ამბებსა და პერსონაჟებსაც, დავიწყების მტვერს მიაყრიდა და... თავს ვერ პატიობდა გერმანელი ჩვენიანი, ცოცხლად და მძაფრად მხოლოდ შთაბეჭდილებანი რომ შემორჩებოდა, დეტალური აღდგენა კი, თუნდ მიახლოებითი, უკვე ყოვლად შეუძლებელი გახლდათ.

ასეთ მებატონეებს, ქართულ სამოსში გამონყობილთ, ილია ხან სადილადაც ეპატიჟებოდა და გერმანელ სტუმარსაც მათი გაცნობის საშუალება ეძლეოდა. თავაზიანი ლაპარაკი, სადა ხუმრობა სასიამოვნო და ორიგინალურ იერს ანიჭებდა ამ ადამიანებით წარმოდგენილ სუფრებს.

საუბრისათვის თავშესაქცევი მასალა აუარებელი იქნებოდა. და ამ მასალის თვისება და ხასიათი ერთხელ კიდევ ამტკიცებდა ლაისტის თვალში, რამდენს და როგორი გულდასმით ფიქრობდა ილია ქართული ცხოვრების ყოველგვარ მოვლენაზე და როგორ ბეჯითად ზრუნავდა ქართული მწერლობის აყვავება-განვითარებისათვის.

პირველს თვითონ ილიას ეჩვენებინა გზა „ოთარაანთ ქვრივითო“...

ამ მოთხრობას თითქმის ძალით დააბეჭდინებდნენ „ივერიაში“ მისი თანამშრომლები. თითქმის ძალით იმიტომ, რომ დააჩქარებინედნენ გამომზეურებას, რასაც ილია ისე გაურბოდა.

გახსოვთ, „ბაზალეთის ტბის“ გამოქვეყნება რას ათქმევინებდა?

მანამ ლექსი ჩემთან არის, ჩემი მგონია, მახარებს, და რაკი დაიბეჭდება, საქვეყნოდ გახდება, ისეთ გრძნობას განვიცდი, თითქოს გულიდან საყვარელი, ღვიძლი შვილი მომგლიჯესო.

რა ლექსი და რა მოთხრობა!..

ებუზღუნებოდნენ ახლობლები:

როდემდე უნდა ინახავდე კალთის ქვეშ ამოფარებულ შენს პირმშო შვილებს და ვიდრე ასაკში არ შევლენ, არ იმეტებ საქვეყნოდ, როგორც ჩიტი ბუდიდან არ გამოუშვებს და არ დააფრენს თავის ბარტყებს, ვიდრე მაგარ ფრთებს არ შეისხამენო.

თან ძალიან კარგად გაეგებოდათ მიზეზი, თან სული უსწრებდათ წაეკითხათ ილიას ახალი მხატვრული თხზულება, ამ მხრივ დიდად რომ არ ანებივრებდა მკითხველს.

იაკობ მანსვეტაშვილიც სხვებთან ერთად შეუჩნდებოდა და მოსვენებას აღარ მისცემდა: რამე ახალი, რამე ახალიო!.. – იცოდნენ, რომ ჩანასახად უკვე დაეწყო მოთხრობა, რომლისთვისაც თავიდან „გიორგი“ შეერჩია სათაურად, ვიდრე „ოთარაანთ ქვრივით“ ჩაანაცვლებდა.

იმ დღეს მემუარისტი მოიხსენიებდა მშვენიერად და ქართველებისათვის დიდად სასიამოვნოდ, როდესაც ილია ჩვეულებრივ ხალათში გამოეწყობოდა, თავზე ფესს მოიგდებდა, ჩაიკეტებოდა კაბინეტში და პირიდან გაუგდებელი პაპიროსით მიუჯდებოდა მაგიდას... და რედაქციის თითქმის ყველა თანამშრომელი – შეიძლება ითქვას – მოწმე შეიქნებოდა ამ შემოქმედებითი პროცესისა.

ხანგამოშვებით კიდეც უკითხავდათ დაწერილს, რასაც მოათავებდა; თითქოს სურდა მაშინვე გაეზიარებინა სხვისთვისაც ის შთაგონება და აღფრთოვანება, მუშაობისას რომ გრძნობდა. სხვებშიაც გამოეწვია ეს აღფრთოვანება და ამ გზით მეტი ღონე მოეკრიბა, ფრთები შეესხა თავისი აღმაფრენისათვის, შემოქმედებითი ძალა გაეელვარებინა.

ამასობაში გაივლიდა ერთი თვე და იშვებოდა ეს მოთხრობაც.

ახალშობილს მონათვლა ესაჭიროებოდა.

ნათლია კი, განუყრელი და უცვლელი ილიას თხზულებებისა, სხვა ვინ უნდა ყოფილიყო ამჯერადაც, თუ არა დავით სარაჯიშვილი, იმდენად გულუხვი და პატივისმცემელი ნათლია, რომ ნათლობასაც თვითონ იხდიდა ხოლმე თავის სტუმართმოყვარე სახლში.

აკი ასე მონათლულიყო „განდეგილი“.

და ამ წესრიგს არც ახლა გადაუდგებოდა მეწარმე და მეცენატი.

საღამოს რვა საათი იქნებოდა, სარაჯიშვილის ფართო, მდიდრულად მოწყობილ სახლში, სოლოლაკში, დიდძალი ქართველობა რომ მოიყრიდა თავს. აქ იქნებოდნენ „ივერიის“ თანამშრომლები, მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, მათ შორის: რაფიელ ერისთავი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, პეტრე უმიკაშვილი, გრიგოლ ვოლსკი – საუცხოო მცოდნე ქართული ენისა, პოეტი და საზოგადო მოღვაწე, და კიდევ სხვანი.

და აი ილია წაიკითხავდა თავის მოთხრობას, გაწაფული დეკლამაციაში, თუმც ხმა ცოტა მოყრუო ექნებოდა, თითქოს გულზე ქონი მოჰკიდებია და ეს უშლის სიტყვის მკაფიობასო.

გათავდებოდა კითხვა და ჩამოვარდებოდა სიჩუმე.

ილია აღგზნებული სახით აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედავდა.

პირველად ხმას ამოიღებდა გრიგოლ ვოლსკი:

– მათ მოთხრობას მე „ოთარაანთ ქვრივს“ კი არა „ობოლ მარგალიტს“ დავარქმევდი. ქვრივი, როგორც ტიპი, ჩამოსხმულია, გამოქანდაკებული. ენა ხომ ისეთია, რომ აქ ილიამ თვით ილიასაც კი გადაამეტა, გადააჭარბა. ერთი სიტყვით – მოთხრობა მხატვრობით, ფერადების სიუხვით, ნამდვილი ქართული მოსწრებული სიტყვა-პასუხით, მშვენიერია, შეუდარებელი.

ამ დითირამბების შემდგომ კრიტიკულ მოსაზრებებსაც გაუზიარებდა:

გიორგის დიდბუნებოვნება, მისი სულიერი დიადობა არა ჩანს. მეჯინიბეს მადლიანად სცემაო და მოჯამაგირეს ტყეში გვერდები ჩაამტვრიაო – ეს მაინცდამაინც არც ისეთი დიდი გმირობაა და არც დიდსულოვნება. მაშ რაზე კიცხავთ კესოს, რომ გიორგის სიყვარულს ვერც კი მიუხვდა. რაში გამოიჩინა გიორგიმ სულიერი სილამაზე, გონების წარმტაცებლობა, რომ კესოს თავი დაჰვიწყებოდა და გული შეტოკებოდა? რა ვქნა, ილია, არ მომწონს გიორგი, იგი ლანდია და არა ცოცხალი, ხორცშესხმული ადამიანიო.

ახლა წამოდგებოდა ნიკო ნიკოლაძე და ისიც კესოს გამოესარჩლებოდა:

ილიას არ მოსწონს, რომ კესომ შორს დაიჭირა თავი და გიორგის სულიერი ტანჯვა ვერც კი შეამჩნია, და მიზეზად მათ სხვადასხვა წოდებას ასახელებს, ერთის – თავადის ქალობას, და მეორისა – გლეხის შვილობას, მათ შუა უფსკრულია, სხვადასხვა ნაპირას დგანან, ხმა ვერ მიუწვდენიათ ერთმანეთისათვის, ხელს ვერ აწვდიან ერთიმეორეს, რადგანაც მათ შორის ხიდია ჩატეხილიო.

შეჩერდებოდა, მიმოიხედავდა და განაცხადებდა:

აქ ჩატეხილი ხიდი არაფერ შუაშიაო.

ხიდი რომ გადებულიყო კიდეც, კესო და გიორგი მაინც ერთმანეთს ხელს ვერ მისცემდნენ, რადგანაც მიზეზი აქ ხიდის უქონლობა კი არ იყო, არც გვარიშვილობა, არამედ – კულტურული დაშორება.

აბა გიორგი უბრალო მოჯამაგირე არა ყოფილიყო, უსწავლელ, უწიგნო კაცად არ მისდგომოდა კესოს კარს. დაე წარმოედგინა მსმენელს, რომ გიორგის სწავლა მიეღო, ყოფილიყო ინჟინერი, ექიმი თუ მასწავლებელი. ნუთუ მაშინაც გულცივად შეხვდებოდა კესო, გიორგის თავისი გრძნობა რომ ემცნო?

არა, ეს შეუძლებლად ეჩვენებოდა ნიკო ნიკოლაძეს, როგორც ბუნების საწინააღმდეგო რამ. მისი დაბეჯითებით: კესო არც კი იკითხავდა, გიორგი გლეხია თუ თავადიშვილიო? სწავლა, კულტურა მათ შორის ჩატეხილ ხიდს შეაკეთებდა, გაამაგრებდაო.

ზოგი დაუწუნებდა ილიას გიორგის სიკვდილს:

არაბუნებრივია, შემთხვევითი, თვით მოთხრობის მსვლელობიდან არ გამომდინარეობს, როგორც აუცილებელი, საბედისწერო შედეგი იმ მოვლენათა გადახლართვ-გადმოხლართვისა, რომელსაც ცხოვრება ჰქმნისო.

ერთი იმასაც ეტყოდა:

ასე რამ დაგაწერინა, ასე არაესტიკურად როგორ წარმოსახე გიორგის ტრაგიკული აღსასრული: პირაღმა გადმოქცეული წამოვიდა მაღლიდან და ურმის ჭალს ზედ დაეგო ზურგითაო?..

არც სხვა წვრილ-წვრილ შენიშვნებს მოაკლებდნენ, თუმც ზოგადი შთაბეჭდილება კი დიდებული იქნებოდა, მომხიბლავი. ამასობაში კარგახანი გაივლიდა, შუაღამე გადავიდოდა. პურადი მასპინძელი ყველას ვახშმად მიიწვევდა, მხიარულად რომ გაატარებდნენ დროს.

განსაკუთრებულ ლაზათს დასდებდა სუფრას მოხუცი რაფიელ ერისთავის თამადობა, განთქმულისა ენაწყლიანობით, ჭკუამახვილობითა და ოხუნჯობით – ნამდვილი ძველებური ქართული ოხუნჯობის მადლს რომ შეაგრძნობინებდა ყველას, დარბაისლურის. ვის სადღეგრძელოსაც დალევდა, უსათუოდ სახუმარო სიტყვითაც უნდა მიემართა, რაც საერთოდაც მარჯვედ მიუდიოდა, მაგრამ იმ დღეს მაინც განსაკუთრებულ ჯავარზე იქნებოდა. ხან ექსპრომტად ლექსიც შეეძლო ჩაეკერებინა.

ათი წელიც უნდა გადაკეცილიყო, და 1896 წლის 4 იანვრის „შინაურ მიმოხილვაში“ გულდაწყვეტით რომ გამოხედავდა ჩავლილ 1895-ს ილია, სანუგეშოს ვერას ჰპოვებდა – ვერც სადღეისოდ და ვერც სახვალიოდ, მაგრამ მიიჩნევდა, რომ უმადურობა იქნებოდა, მარტო წყევლითა და ქოქვით გასტუმრებულიყო ის წელიწადი და არავითარი კეთილი მისი მადლობით არ მოხსენიებულიყო.

იმ წელს სხვამხრივ და სხვა ფარგალში ერთი იმისთანა მაგალითი ეჩვენებინა, რომლის მსგავსიც მისებრ უნუგეშო წინა წლებში არ მოიპოვებოდა.

22 ოქტომბერს ქართველობა იდღესასწაულებდა 50 წლის მშვიდობიან მოღვაწეობას რაფიელ ერისთავისა, გატარებულისა სულ სხვა სარბიელზე, სხვა ასპარეზზე.

და რაფიელს სასიქადულო პოეტად რომ მოიხსენიებდა, მის სიტყვასაც იმ ხელთუქმნელ საგანძურს შეადარებდა, რომელშიც ერი ჰპოვებდა თავის უკეთეს ნააზრსა და ნაგრძნობს, თავის უკეთეს სულთასწრაფვას, თავის იმედსა და სასოებას, თავის თავმოსაწონებელ გულთაძვრას, თავის ჭირსა და ლხინს, თავისი ენისა და მეტყველების სიკეკლუცე-მშვენიერებასა და ერთობ თავის სულიერ საუნჯეს, იმ საუნჯეს, რომლითაც ერი ერობს ხოლმე და ადამიანი ადამიანობს.

როგორ განასხვავებდნენ რუსთველური სტრიქონის პერიფრაზად? სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარიო.

მაგრამ რაფიელ ერისთავი ერთ იმისთანა იშვიათ კაცად წარმოდგებოდა, რომლის სიტყვაც თავისთავად საქმე გახლდათ. და ამ დიდ მადლს, რომელსაც ბუნება მიანიჭებდა ხოლმე თავის რჩეულთ და რომელიც თქმას ქმნად ხდიდა, თავადი რაფიელი ამსახურებდა თავის ერსა და მამულს, იმ ხელთუქმნელ საგანძურს გაუხსნიდა და წყობილ მარგალიტს შიგ გულში ჩაულაგებდა: შენი შენვე მიიღეო.

ილიასათვის სანუგეშო და თავმოსაწონებელი აქ ის გახლდათ, რომ თვითონ ერსაც ეცნო თავისი ერთგული შვილი და საქვეყნოდ დიდი ყოფითა და

ამბით მადლი გადაეხადა. ეს ცნობა და დაფასება იმისთანა ღვაწლისა, რომელიც ბუკითა და ნაღარით არა ღაღადებდა ქვეყნად და ზიზილ-პიპილებით არ იმოსებოდა, მოასწავებდა, რომ ერი ცოტად თუ ბევრად გონებაში ჩავარდნილიყო და იმ გაგებამდე მიეღწია, ამისთანა სარბიელზე დადებული ღვაწლი უფრო საგრძნობი რომ გამხდარიყო მისთვის, უფრო პატივსაცემელი, უფრო მადლობის გადასახდელი.

და ნიშანი ამგვარი აღმატებისა სანუგეშოდ მოჩანდა.

ამიტომაც არ ჩაუვლიდა ხოლმე ამისთანა დღეობა ერს ისე, თავი კაცურ კაცად არ ეცნო და ამ ცნობას ჭკუა და გონება უფრო არ გაერჯევინებინა, თვალი ცოტად თუ ბევრად უფრო არ აეხილებინა თავის თავზე, თავის გარეშემოზე და გრძნობა საკუთარი ღირსებისა თავის ფარ-ხმალად არ გამოეყენებინებინა.

ამისთანა ამბებმა რომ იცოდა ატეხა ათასნაირი ფიქრის, ათასნაირი ნატვრისა და სურვილის, ილიას ეს ახარებდა თუ ახარებდა:

საცა ყოველივე ეს დაძრულა და ატეხილა, იქ არის ცხოვრებაცაო.

რას იტყოდა ზოგიერთი, სამართლიანად მეტის მნდომი?

ეჰ ყველა ეს წამი იყო და წავიდაო.

ეთანხმებოდა, იზიარებდა ამ წუხილს ილიაც, განა არა: იქნება ეს მართალიც იყოს და ერთ წამს ძირიდან თხემამდე კაცურად დაძრული ცხოვრება კვლავ თავის ადრინდელ უქმსა უფერულ კვალში ჩადგესო.

მაგრამ ეთანხმებოდა და იზიარებდა ნაწილობრივ, რადგანაც წინასწარმეტყველის მზერით გაცილებით შორსაც გაიყურებოდა და გაცილებით სიღრმეშიც ჩასდევდა:

ამ ცხოვრებით თუნდ ერთი წუთიც რომ გვაცხოვრა, ესეც ჩვენთვის დიდი ღვთის წყალობაა. ჩვენს მდგომარეობაში კაცურად ცხოვრების წუთსაც კი თავისი მადლი და ფასი აქვსო.

მხოლოდ ის შეიძლებოდა ამგვარი შემთხვევებისას, რომ გულისტკივილით გვეთქვა:

ჰე, ნამო სიხარულისავ, ესე სწრაფად რად წახვედიო.

და თუ სინანული უნდა გაგვჩენოდა, მარტოდენ ის უნდა დაგვნანებოდა, ყოველივე ეს წამი რომ იყო და გამქრალიყო.

ასე იყო თუ ისე: 22 ოქტომბერიც საკმაო საბუთს აძლევდა ილიას, მადლობით მოეხსენიებინა აწ განსვენებული წელიწადი და ლოცვა-კურთხევით ცხონებაც ეთქვა, მითუფრო, რომ – აქ ჩაეღიმებოდა – ამის თქმას ბაჟი არ დადებოდა.

სხვას ნუღარას მოჰკითხავდნენ, თორემ დანარჩენში ეს წელიწადიც ისეთივე პირშავი გამოვიდოდა, როგორც ყველა სხვა წელიც ყოფილიყო, და... ახალწლის ტკბილ გოზინაყში ნუ გავურევდით სიმწარეს ბალღამისას.

მკითხველს ურჩევდა:

ეს ბალღამი უამისოდაც არ დამალავს თავს და გამოსაჩენად მუშადღეებიც ეყოფა, უქმეებსა და დღესასწაულს მაინც ნუღა გაგვიმწარებსო.

რამხელა მნიშვნელობას მიანიჭებდა რაფიელ ერისთავის იუბილეს:

ათასნაირი ფიქრის, ათასნაირი ნატვრისა და სურვილის აღმძვრელად შეარაცხავდა, ნამდვილი ცხოვრების გამომხატველად.

დიდ ღვთის წყალობად.

კაცურად ცხოვრების გაელვებად, თავისი მადლი და ფასი რომ დაჰყვებოდა.

ამ ერთ დღესაც კი შეეძლო მთელი წლის ყოფა გაემართლებინა: უქმი და უფერული.

ერი, რომელსაც შეეძლო დაეფასებინა მისი მოამაგე, მისთვის თავგადაკლული კაცი, კვლავაც ინარჩუნებდა თავის სიღრმეებში იმ ძალას, იმ ნიშატს, იმ კეთილშობილებას, იმ ენერგიას, რომელსაც ამოზიდვაღა ესაჭიროებოდა და საქვეყნოდ გადმოშლა, რათა ყველასათვის საცნაური გამხდარიყო ის ვინაობა, რომლის გადასარჩენადაც ღირდა ბრძოლაც კი, არამცთუ თავდადებული გარჯა.

22 ოქტომბერი დიდი გადმოსახედიდან ასე და მხოლოდ ასე უნდა შეფასებულიყო, კიდევ ერთი სანიშანსვეტო თარიღით რომ შეევსო ჩვენი დრამატული რეალობა.

და აუცილებელი გახლდათ, ეს მაღალი თამასა, რაფიელ ერისთავის სახელით აწეული, ძირს არ დაშვებულიყო, არ დამდაბლებულიყო და არ დახურდავებულიყო – საქვეყნო იერი შეენარჩუნებინა და პირადულამდე არ ჩამოქვეითებულიყო.

ჩათავდებოდა ეს იუბილე და, ამ დღესასწაულით აღფრთოვანებული ხალხი გარშემო რომ მიმოიხედავდა: ბარემ ნუღა გადავდებთ ახალ იუბილესო, – დიდი რამ ძებნა არც დასჭირდებოდათ ახალი კანდიდატის შესარჩევად...

და დელეგაცია ესტუმრებოდა ილიას:

ახლა თქვენი რიგიაო.

მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავის აღნიშვნა განზრახულიყო.

ხელებს გაასავსავებდა მასპინძელი, რომელსაც საამისოდ თავი სულაც არ ეღირსებოდა და თავის მხრივ გუნებაში დაუწყებდა ჩხრეკას შესაფერის კანდიდატებს, და დიდი რამ ძებნა რომ არც დასჭირდებოდა, რაკიღა თვალწინ აკაკი წერეთლის სახება ამოჩნდებოდა.

დელეგაციას არაფრის გაგონება არა სურდა, რადგან თავიანთ გადაწყვეტილებას არ გადავიდოდნენ, თანაც ექვთიმე თაყაიშვილს წინასწარვე გაეფრთხილებინა დანარჩენები: თავიდან უარზე დადგება, ეგრე სჩვევია ბანკის არჩევნების დროსაც. ჯერ ამბობს: აღარ შემიძლია, ველარ გავუძღვებიო, – მაგრამ როცა აირჩევენ ხოლმე, ერთბაშად გადაეშვება საქმეშიო.

გაქირს ილია დადგებოდა, გაქირს სტუმრები.

– ეს იუბილე ერთგვარი ყეენობა არის.

– იყოს ყეენობა, რითია დასაწუნი ეს სახალხო დღესასწაული... ის დაუვიწყარი წუთები რომ გვაგონდება, რაფიელს სცენაზე ერთად რომ შემოუძეხით თქვენ და აკაკი, ახლაც ჟრუანტელი გვივლის და ამისთანა წუთების განმეორებას ნუ მოვაკლებთ საზოგადოებას.

– მე ვინა ვარ, რომ...

– კარგი ახლა, თავმდაბლობას რა სჯობს, მაგრამ...

– აი აკაკის იუბილე რომ...

– იქნება, ისიც უსათუოდ იქნება, აკაკისადმი მიძღვნილ დღესასწაულს რა ემჯობინება, მაგრამ რაკიღა ამჯერად თქვენზე შევაჩერეთ არჩევანი, ნუ გაგვაწბილებთ...

– იქნებ მაინც...

– არავითარი მაინც!..

ილიასაგან ესწავლათ შეუპოვრობა, დაუთმობლობაც მისგანვე ესწავლათ ამგვარი ვითარებისას – სწორედაც უკომპრომისობა... დიპლომატიის ხელოვნებაში ასერიგად გაწაფული კაცისაგან.

– ყეენობაში გინდათ ჩამითრიოთ...

– რატომაც არა!..

და ილია ისე მიაჩერდებოდა ექვთიმეს, აგრძნობინებდა: შენგან არიან შეგულიანებულნი, შენ შეუკეთებდი ცეცხლს, თორემ ავირიდებდი იუბილესო.

„არიდებით კი აირიდებდი, მაგრამ ქვეყანას რომ სჭირდება?“ – თავისას დაუბეჯითებდა ექვთიმეს მზერა.

„ეგებ მაინც აკაკისთვის მიგეკითხებინათ?“

მზერას მზერა შეეგებებოდა.

„ხომ იცით, მაინც თქვენთან გამოგვგზავნის... და თვითონაც გამოგვყვება...“

„ჰოო, ეგ კი...“

უკვე ვეღარას აწამებდათ ილია და საიუბილეო კომისიაც მალევე შედგებოდა. საჩუქრების შეგროვებაც კი დაიწყებოდა და ზოგ საჩუქარს წინასწარვეც გაუგზავნიდნენ გაზეთის რედაქციაში.

ხმა რომ დაირხეოდა, საიუბილეო სამზადისიაო, იოსებ იმედაშვილი გადაწყვეტდა, ილიას პოემების სახალხო გამოცემას, რადგანაც ილიას ნაწერნაშრომი ამ დროისათვის ხუთ წიგნად კი გამოცემულიყო, მაგრამ თითო ექვსი აბაზი ღირდა და მდაბიო ხალხს ხელი არ მიუწვდებოდა. და ავტორისაგან ნებართვის ასაღებად იოსები რამდენჯერმე მიაკითხავდა რედაქციაშიც, ბანკშიც, წერა-კითხვის საზოგადოებაშიც, მაგრამ ვერსად მონახავდა. და თავის გულისტკივილს რომ შესჩივლებდა იაკობ გოგებაშვილსა და შიო მღვიმელს, ორივე ერთსადაიმავეს ეტყოდა:

– ალბათ ჩაკეტილია და მუშაობს!

ამიტომ მიმართავდა ილიას მეუღლესაც.

და მერვედ თუ მეცხრედ რომ მიაკითხავდა „ივერიის“ რედაქციას, „ივერიის“ სტამბის პატრონი მაქსიმე შარაძე ბოლოსდაბოლოს ეტყოდა: კნეინა ოლღამ გთხოვათო.

მიადგებოდა ილიას ბინას იქვე, რედაქციის გვერდით, შევიდოდა ტალანში, შემდგომ საერთო დარბაზში, და იქ, მხარმარცხნივ, გრძელი ხავერდის ფარდაჩამოფარებულ კართან, წიგნით ხელში, იჯდებოდა ილიას მეუღლე ოლღა.

და ყველას მოეხსენებოდა და რასაკვირველია იოსებსაც, რომ:

თუმც ილიას, მზარეულისა და მისი ხელქვეითის გარდა, დიასახლისი და ხელზე მოსამსახურეც ჰყავდა, მაინც ამათ გარეშე ილიას პირდაპირი და მუდმივი მეთვალყურე, პირადი „მოსამსახურე"-მზრუნველი მისი მეუღლე გახლდათ, ამჯერად სტუმრის დანახვისთანავე ფეხზე რომ წამოდგებოდა, კარის გასაღებს გადააბრუნებდა და შეუშვებდა.

შებიჯებით კი შეაბიჯებდა, მაგრამ ფეხს წინ ვეღარ წადგამდა შემკრთალი, არაჩვეულებრივი სურათის მოწმე რომ შეიქნებოდა.

მარცხენა კედლის ძირას მიმდგარ ფიცრის საწოლს – „კუშეტკას" – რომელსაც ჭერიდან ჩამოშვებული ხალიჩა გადაფარებოდა – მკერდით დაყრდნობოდა, იატაკზე წამოწოლილიყო ილია და გამალებით წერდა.

ერთ მხარეს ვიწროდ დაჭრილი დაუწერელი ქაღალდის დასტა ელაგებოდა, მეორეზე – უკვე დაწერილი ფურცლები; იქვე აქეთ-იქით და ძირს, გადაშლილი ან ფურცლებჩაწყობილი წიგნები.

ოთახს თვალს რომ მიმოავლებდა:

პირდაპირ დაბალი მაგიდა იდგებოდა – ჩაჩოქილად საწერად;

მეორე მხარეს – ჩვეულებრივი მაგიდა სკამითურთ;

მარჯვნივ, კედელთან – მაღალი დაქანებული მაგიდა, როგორიც ეკლესიებში ენახა – ეს ფეხზე დგომის დროს საწერად.

ყველგან ცალ მხარეს საწერი, მეორე მხარეს ნაწერი ფურცლები ეწყობოდა, გადაშლილი წიგნები ელაგებოდა და საწერ-კალამი იდგებოდა.

დიდი რამ მიხვედრა არ იყო საჭირო, ეს ყოველივე განუწყვეტელი, ბეჯითი წერისათვის მომარჯვებულიყო. ერთ მდგომარეობაში მუშაობით თუ დაიღლებოდა, მეორე ადგილისაკენ გადაინაცვლებდა. ან კიდევ – სხვადასხვა დარგობრივი მასალები თავთავის ადგილას გაემწესებინა.

სუნთქვა შეეკვროდა იოსებს.

„რა ღმერთი გამიწყრა და აქ ფეხი შემოვდგი".

და კარს მიაწყდებოდა და აღმოაჩენდა, რომ გადაკეტილიყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ილიას თავი უნდა აეწია, კალამი სამელნისათვის მიეყრდნო, ხელის ჩამორთმევით მისალმებოდა სტუმარს, მოებოდიშებინა, აქამდე რომ აცდევინებდა, და მოსვლის მიზეზი ეკითხა.

– ამ მოკლე ხანში თქვენი იუბილე უნდა გაიმართოს.

– ჩემი იუბილე?! – შემოხედავდა გაოცებით, – მე რა საიუბილეო კაცი ვარ?! საიუბილეო ვინც გვყავდა, ხომ გადავუხადეთ კიდეც 50 წლისთავის დღეობა.

– რაფიელ ერისთავზე ბრძანებთ განა! მართალია, მაგრამ ჩვენი ქვეყანა სხვა ნაამაგდარ შვილებსაც არ ივიწყებს და ვერც დაივიწყებს.

– მერე რა გნებავთ? – მიუგებდა ოდნავ შუბლშეკვრით.

– რადგან თქვენი უკვე გამოცემული თხზულებანი იმდენად ძვირია, რომ მდაბიო მუშა-ხელოსნებამდე ვერ აღწევს, გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პოემები – „დიმიტრი თავდადებული", „კაკო ყაჩაღი", „განდეგილი" და „აჩრდილი" – ცალკე წიგნებად გამოვცე ხალხში უფასოდ დასარიგებლად.

– უფასოდ დასარიგებლად?! – შემოაჩერდებოდა გაოცებით, – განა ქაღალდს, სტამბას – აწყობა-დაბეჭდვას ხარჯი არ უნდა?!. და მერე ეს ხარჯი ვინ უნდა დაფაროს?

– სხვა წიგნების შემოსავლით დავფარავ.

– გეტყობათ უანგარიშო, ფლანგია ქართველი ბრძანდებით: შრომობთ, ხარჯსა და შემოსავალზე კი არა ფიქრობთ, – ეტყოდა ოდნავ გაღიმებული.

– რაც დაჯდება, იმდენ ფასს დავაწერ.

– არც ეს ივარგებს... თავნმა თუ თავისი სარგებელი მცირედი მოგება მაინც არ შემოიტანა, როგორ იქნება!

სტუმარი თავისას დაიჟინებდა, რომ ამ მხარეს მოუვლიდა და არ იზარალებდა, ოღონდაც ილიას ნება დაერთო, მაგრამ თუმც მასპინძელი ძალიანაც კმაყოფილი დარჩებოდა ამ კეთილი განზრახვით – მდაბიო ხალხისათვის სასარგებლოთი, ნებას ვერ მისცემდა, რადგანაც თავისი ნაწერების უფლება მას აღარ ეკუთვნოდა, არამედ „წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის" გამგეს, რომელსაც მისი ნაწერების გამოცემის უფლება 60 თუმნად შეეძინა. და თუმც 60 თუმანში სამ კაპიკსაც აღარ მისცემდა ავტორს, ილია პირობას ხომ ვერ დაარღვევდა.

– თქვენ რათა? პირობა გამომცემლობას დაურღვევია, რაკიღა კუთვნილი არ მოუცია. თქვენ ამის შემდეგ სრული უფლება გაქვთ – თქვენი ნაწერების გამოცემის უფლება, ვისაც ისურვებთ, იმას გადასცეთ.

– მერე კარგად მოიქცა, რომ „ამხანაგობის" გამგემ პირობა დაარღვია და კუთვნილი არ მომცა? – სოკრატესებურად ჩაეკითხებოდა ილია, ვითომდა მიამიტურად, არადა გამოსაწვევად, რათა იმის მოსალოდნელ პასუხზე:

– რა თქმა უნდა: არა! არასაკადრისად, უპატიოსნოდ მოქცეულა, პირობის გატეხა როგორ შეიძლება!

ერთბაშად მოეჭრა სათქმელი:

– მერე თქვენ მირჩევთ, მეც არასაკადრისად, უპატიოსნოდ მოვიქცე და პირი გავტეხო?!

და ეს ისეთი კილოთი ეთქვა და ისეთი მზერით მისჩერებოდა, სტუმარი გამშრალიყო და გაშეშებულიყო: ეს რა შევკადრე, რატომ მიწა არ გამისკდაო...

ილია რომ შეატყობდა ამ შეკრთომას, სტუმრის გულში ჩაიხედავდა და ტკბილად ეტყოდა:

– დიახ, მეტად კეთილშობილური აზრი მოგსვლიათ. საჭიროა და ძლიერ საჭიროც ჩვენი მწერლობის რჩეული ნაწერები მდაბიო ხალხში გავრცელდეს, თორემ მარტო ბაზრული წიგნებით ხომ არ ისაზრდოებს ხალხი. ჩემი ნაწერების გარდა სხვებისაც უნდა გამოიცეს პატარ-პატარა წიგნაკებად... ჩემი პოემების გამოცემის ნებართვისათვის კი კარგს ინებებთ, თუ „ამხანაგობის" გამგეს მიმართავთ, ეგება ნება მოგცეთ. მე კი, არათუ ნებას გრთავთ, მადლობელიც დაგრჩებით.

სალაპარაკო კიდევ ბევრი ექნებოდა იოსებ იმედაშვილს, მაგრამ ირგვლივ გაშლილ სამუშაოს რომ გადაავლებდა თვალს, მოიბოდიშებდა და თავ-

დაკვრით გამოემშვიდობებოდა. ილიას კარამდე რომ მოაცილებდა, თავაზით ხელს ჩამოართმევდა და გამარჯვებას უსურვებდა... სტუმარი თავბრუდახვეული გამოვიდოდა, აბა რა იქნებოდა!..

„ამხანაგობის“ გამგე იოსების თხოვნას შორს დაიჭერდა, ამიტომაც პოემები პატარა წიგნაკებად ველარ გამოიცემოდა.

და ველარც ილიას იუბილე გაიმართებოდა.

მთავრობის საიდუმლო ხრიკების წყალობითო, – ასე ახსნიდა იოსებ იმედაშვილი.

მთავრობამ არ დართო ნება კომისიას ამ იუბილის მოწყობისაო, – ასე ახსნიდა ექვთიმე თაყაიშვილიც და დასძენდა:

არ ვიცი, ოფიციალურად მოსწერეს უარი თუ წინასწარ, მოლაპარაკებისას გააფრთხილეს საიუბილეო კომისია, მაგრამ უთხრეს კი: სჯობს ნუ ითხოვთ, რადგანაც უსათუოდ უარს მიიღებთო.

მთავრობას რომ არ ენდომებოდა, ეს ისედაც ცხადია და ერთი მოღვაწეც და მეორეც მხოლოდღა ადასტურებს იმას, რასაც დიდი რამ ვარაუდი არც ესაჭიროება, მაგრამ მარტო მთავრობა არ იქნებოდა წინააღმდეგი ამ სახალხო დღესასწაულის გამართვისა, ილიას სახელის ირგვლივ გარეგნულადაც რომ შემოიკრიბებოდა მთელი საქართველო.

ხელისუფლებაზე არანაკლებ – და ეგერ უფრო მეტადაც კი – სოციალ-დემოკრატები შეიქნებოდნენ ამ წამოწყების ჩამშლელნი, არც ფარულ ხრიკებს რომ არ დააკლებდნენ, მაგრამ მთლადაც ვერ დამალავდნენ თავს და გულისწყრომას საქვეყნოდაც გადმოანთხევდნენ – გაზეთების ფურცლებიდან, ისედაც რომ არ მოაკლებდნენ ილიას ლანძღვა-გინებასა და ლაფის სროლას, ცილისწამებასა და შეურაცხყოფას... და ახლა ეს მოსალოდნელი იუბილე წყალში ჩაუყრიდათ მთელ გარჯას, თუკი ჩანასახშივე არ აღკვეთდნენ მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავის აღნიშვნას.

თუმც მანამდე ჯერ ადრეა, ილია წინამძღვრიანკარს სტუმრობს, სამეურნეო სკოლის დაარსებას ზეიმობს და მის სარგებლიანობაზეც სიტყვით გამოდის.

ექვთიმე თაყაიშვილი ილიასთან დიდად დაახლოებულ პირთაგან ილია წინამძღვრიშვილსაც რომ გამოარჩევდა ივანე პოლტარაცკისა და ლევან ჯანდიერთან ერთად, მოიხსენიებდა სპეტაკ ადამიანად და უაღრეს ფიზიოკრატად, რომელიც დარწმუნებული გახლდათ, რომ: საქართველოს მარტო მეურნეობის გაჩაღება და განათლება უშველიდა. ამიტომაც ურჩევდა ყველა შეძლებულ ქართველს:

– ან სამეურნეო სკოლა გახსენით, ანდა ასეთ სკოლას თქვენი ქონება შეწირეთ.

ილიას კერძო მამულზე რას ამბობდა და:

– რა ოხრად უნდა საგურამოს მამული? შვილი არა ჰყავს და ძირი, სჯობს ჩვენს სკოლას შემოუერთოს და ამით გავაფართოვოთ საქმე.

წერილებსაც ბეჭდავდა ჟურნალ-გაზეთებში და დიდ წიგნსაც გამოსცემდა: „ვაზის მოვლა“.

ხოლო ილია თავის სეხნიის ღვაწლზე განაცხადებდა 1883 წლის აგვისტოს „შინაურ მიმოხილვაში“: დიდად დასაფასებელიაო. სწორედ დიდად გასაკვირად კი მოიხსენიებდა მის მხნეობასა და გაბედულებას. და მოინდომებდა, რომ მკითხველს დაწვრილებით სცოდნოდა ამ მეცადინეობის ისტორია – რა ჯაფა და შრომა გამხდარიყო საჭირო, როგორც მისთვის, ისე იმ კერძო პირთათვისაც, რომელნიც შველოდნენ ამ სკოლის გამართვაში – რათა ღირსეულად დაეფასებინა საზოგადოებრივი მნიშვნელობა ამ მოვლენისა.

ბოლოსდაბოლოს: ძალიან იშვიათად ან სრულიად არ გვახსოვდა, რომ საზოგადო საქმისათვის ასეთი შეძლებისა და ჯაფის დაუზოგავად კერძო კაცს თავი გამოემეტებინა. ჩვენში საზოგადო საქმისთვის თავგამოდებას, ქონების დაუშურველობას ბევრი ხომ ისევ სხვა თვალით უცქერდა და... ამიტომაც ჯერ არ შევხვედროდით ჩვენს ცხოვრებაში არამცთუ შემძლებელ მფარველს სახალხო განათლებისას, სკოლისას, მეცნიერებისას, არამედ ლიტერატურისა და მწერლობისასაც კი.

– ბევრ თქვენგანს გააკვირვებს ჩემი მოქმედება, რომ დღეს მე სამეურნეო სკოლას ვხსნი, – ჯერ ილია წინამძღვრიშვილი მიმართავდა თავშეყრილ გლეხობას, – მართლა რომ ეს საქმე სამძიმე საქმეა; მაგრამ ეს საქმე მე გამაბედვინა ერთი მხრივ იმან, რომ ყოველი მამულიშვილის ვალია შეძლებისამებრ შეეწიოს ღარიბსა და უმეცარ ხალხსა, და მეორე მხრივ – აუცილებელმა საჭიროებამ აქაურ ხალხში სასარგებლო და პრაქტიკული ცოდნის გავრცელებისამ.

ამ გზაზედ ბევრი გაჭირვება იყო მოსალოდნელი?

მაგრამ ამ გაჭირვების დაძლევა შეეძლო: საქმისადმი სიყვარულს, გულისდადებასა და ენერგიას, როგორც სახალხო სკოლის ისტორია ამტკიცებდა.

და შეაგულიანებდა ახალგახსნილი სკოლის პირველმოძღვართ, რომელთაც უნდა გაებნიათ საგურამოს ხეობაში თესლი განათლებისა, ებრძოლათ ხალხის ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, აღეძრათ თანაგრძნობა სახალხო განათლებისადმი და ცხადად ეჩვენებინათ ის სარგებლიანობა, რაც გამოცდილებასა და მეცნიერებას ადამიანისათვის მოეტანა.

– ჩვენი სკოლა სამაგალითო იქნება მთელის კავკასიისათვის და თქვენ თქვენი სული უნდა ჩაუდგათ მას...

კავკასიისათვის, მთელი კავკასიისათვის – ეს მასშტაბური აზროვნება ნიშანდობლივია ილია წინამძღვრიშვილისთვისაც, საქართველოს უკეთეს მომავალს ძლიერი კავკასიის არეალში რომ ხედავს და – ამდენად – მის სამეურნეო სკოლას, გარდა საგანმანათლებლო დანიშნულებისა, პოლიტიკური მნიშვნელობაც მიენიჭებოდა, კავკასიის ყველა ერს რომ იწვევდა კარგადახსნილი.

დასასრულ მოვალედ მიიჩნევდა თავს, გამოეცხადებინა ღრმა მადლობა დიმიტრი სტაროსელსკისათვის, სამეურნეო სკოლას რომ თანაუგრძნობდა და თავის მფარველობასაც პირდებოდა.

კვლავ სტაროსელსკი მოქცეულა შუაგულში კიდევ ერთი საქვეყნო საქმისა!..

ხოლო ილიას თავისი გამოსვლისას ის გადმოცემა უნდა გაეხსენებინა, ქრისტეღმერთს თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში რომ დაებღერტა და ამიტომაც იყო საქართველო ბევრ სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარიც და უფრო სავსეც. და არც ჯანიანი, მკლავძლიერი ხალხი გვაკლდა, გამრჯელი და ოფლისმღვრელი... და მაშ რაღად უნდა ვყოფილიყავით ღარიბნი?

იმიტომ, რომ: არ ვიცოდით, სად რა სიმდიდრე მოიძევებოდა, სად რა განძი. არ ვიცოდით – საიდან რა ამოგველო, რა ხერხითა და ოსტატობით, რომ ჯაფაც ადვილი ყოფილიყო და ნაჯაფევიც ბლომად.

ყველაფერი გვქონდა, მაგრამ ერთი რამ კი გვაკლდა: რაც კაცს დედამიწის გულში ჩაახედებდა, რაც წინ გაუძღვებოდა და უტყუვრად ეტყოდა: აი აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის მობარებული, და ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით უფრო ადვილად და უფრო ბლომადაც ამოიღებო.

ამისთანა ღვთისნიერ წინამძღოლს ერქვა ცოდნა, რომელიც თანადროულობაში ყველაფერი გამხდარიყო: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი მოეპოვებინა, ხმალზედაც უფრო მეტად ჭრიდა და ზარბაზანსაც აღემატებოდა სიძლიერით.

ცოდნა თვითონ, თავისთავად სიმდიდრე რომ გახლდათ, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრე, რომ რაც უნდა ბევრისათვის დაგერიგებინა, ბევრისათვის გეწილადებინა, შენ არა დაგაკლდებოდა რა, თუ არ მოგემატებოდა.

და ცოდნას ანთებულ სანთელთან გააიგივებდა:

ერთ სანთელზე რომ ათასი სხვა სანთელი მოგეკიდებინა, სანთელს ამით არც ალი დააკლდებოდა, არც სინათლე და არც სიცხოველე. პირიქით – იმატებდა კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელიც იმასთან ერთად დაიწყებდა ლაპლაპს.

სანთელს კიდევ იმით მიამგვანებდა ცოდნას, რომ თუნდ ცოტად ებჟუტა შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს ხომ აფრთხობდა: იქ სინათლეა, ჩანს ღვიძავთო, – და დაგვიანებულ მოყვარეს კი ახარებდა კიდევ იმით: იქ ღვიძილია, მღვიძარენი დამხვდებიანო.

და თუ რაიმეთი განსხვავდებოდა ცოდნა სანთლისაგან: სანთელი როცა იქნებოდა, ჩაიწვებოდა და გაჰქრებოდა, ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავისდღეში არ გაჰქრებოდა: მამიდან შვილზე გადავიდოდა, შვილიდან შვილიშვილზედ... უფრო გადიდებული და უფრო გაძლიერებული.

ცოდნა კიდევ იმით იყო კარგი, რომ: უფროს-უმცროსობა არ იცოდა. როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც ღმერთი – ერთნაირად შეივედრებდა, ერთნაირად შეიკედლებდა, ერთნაირად იშვილებდა ძონძებში გამოხვეულ გლეხსაც და ბუზმენტებით მორთულ თავადსაც. ყველას ერთნაირად მოუხდებოდა, ყველას ერთნაირად დაშვენდებოდა, ოღონდ კი კაცი გულმონდობილი და მოწადინებული მისულიყო ცოდნის კარამდის.

დალოცავდა ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვანს! დალოცავდა ილია წინამძღვრიშვილს – ამ აკვნის დამდგმელს! დალოცავდა ამ სკოლის ოსტატებსაც, რომელნიც ამ აკვანს დაარწევდნენ დასაძინებლად კი არა, გასაზრდელად, გასაღვიძებლად! დალოცავდა იმ პატარა კაცსაც, თავად ბებუთაშვილს, რომელსაც დაუზოგველად, უსასყიდლოდ, მარტო საქმის სიყვარულის გულისათვის თავისი დრო და ცოდნა ამ სკოლის აშენებისათვის მოეხმარა! დალოცავდა იქ მყოფთაც და ყველასაც, რათა მოსწრებოდნენ ამ სკოლიდან გამოსულ შვილს – მისი ცოდნით ფეხზე წამოყენებულ ოჯახსა და გამოკეთებულ მამულს!..

გადაიკეცებოდა სამი წელი და: 1886-ის 1 ივლისს კვლავ გამოეხმაურებოდა წინამძღვრიანთკარის ქართულ სამეურნეო სკოლას, ერთი კაცის მხნეობით, ღონითა და ღვაწლით გამართულს.

ვინც ამ სკოლის ყოფაცხოვრებას თავისი თვალით ინახულებდა, ილიასავით გაოცდებოდა და მართლაც გასაოცებელი იქნებოდა, როგორ მოეხერხებინა ამდენი ერთ კაცს, რომელსაც ამისათვის არც საკმაო შეძლება მოეპოვებოდა და არც მოცლა. და დღევანდელი ყოფა სკოლისა მარტო მისი გულგაუტეხელი მხნეობის, მისი ზნეობრივი ძალ-ღონის დამსახურება გახლდათ, უანგარო და გულწრფელი სიყვარულის, ერთ სიკეთეზედ დაჟინებით და უკანდაუხევლად მიმართულის.

ამ ყოველივეს სწორედ სასწაულის მოხდენა შეძლებოდა და ილია სასწაულად მიიჩნევდა სკოლის ვითარებასა და გარემოებას, თავისი თვალით რომ ნახავდა:

მშვენიერი ქვითკირის სახლი, მთიდან სკოლისაკენ დაქანებული ასი დღის მინდორი, რომელიც სკოლის საკუთრებად დაემტკიცებინა მის სულის ჩამდგმელსა და დამაარსებელს, სამჭედლო – ყოველმხრივ მოწყობილი, „ფერმა“, სადაც შეგირდებს 70-70 საჟენი კვალი ჰქონდათ მიჩენილი, კაბინეტი, სადაც ელაგა სხვადასხვა სამოსწავლო საგანი, და მცირეოდენი ბიბლიოთეკაც, ოთახი, სადაც სხვადასხვა მცენარეს ზრდიდნენ ზამთრობით და ინახავდნენ, საფუტკრე მრავალგვარი სკებითა და გეჯებით მოწყობილი – ყოველივე ეს ლამაზად, ფაქიზად და საქმის ცოდნით გახლდათ გამართული, მოწყობილი და მოვლილი.

თვითონ შეგირდები, 83-მდე, რომელთა შორის თავადნი და აზნაურნიც ერივნენ, შორიდან მისულიყვნენ – მთიულეთიდან, გურიიდან, კახეთიდან, ქართლიდან... აქ არ შეხვდებოდა დაჩაგრული, დამფრთხალი, დაღვრემილი სახე, რომელნიც ხშირად ენახა ზოგიერთ სკოლაში. აქ ყველა ჯანით მრთელი გახლდათ და სულითაც ჯანმრთელი, მკვირცხლი და სიცოცხლით სავსე. და გახარებული და გაოცებული უსმენდა მათ ცოდნას, გონებაგახსნილობას, წერის, კითხვის, წაკითხულის ახსნის უნარს.

სამწუხაროდ კი ის ეჩვენებოდა და საზოგადოებას ყურადღებას მიაქცევინებდა, დაანამუსებდა და დაამუნათებდა კიდეც, რომ:

ყველაფრით შემკული ეს ფრიად სასარგებლო სკოლა ერთი კაცის ზნეობრივ ძალ-ღონეზედ ტრიალებდა. რასაც კი თავისი პატიოსანი შრომით

შოულობდა, სულ ამ სკოლას ანაცვალებდა, მაგრამ როდემდე გაძღოლოდა ასე ტანჯვითა და ვაებით ამ სკოლას? ილიას ისიც უკვირდა, ან აქამდე როგორ უძღვებოდა და თავი და ბოლო როგორ მოება ამ მარტოხელა, ქონებით ულონო კაცს?

და ნუთუ ჩვენი საზოგადოება არ მოხედავდა, მართებული გულმტკივნეულობით არ მოაწვდიდა ხელს საშველად და ამ სკოლას, ბევრნაირად საგულისხმოსა და სასარგებლოს სახსარს არ მისცემდა, სახსარს არ მოუგროვებდა ცხოვრებისა და არსებობისათვის?

ნუთუ ამ დიდსა და სამაგალითო საქმეს, თითქმის არარაობიდან დაწყებულს, ბოლო უნდა მოღებოდა ჩვენი გულგრილობით, გაუტანლობითა და გულშეუმატკივრობით?

და ჩვეული მოურიდებლობით უნდა განეცხადებინა ილიას:

ცოდვა იქნება ჩვენი ერის, ჩვენი ქვეყნის წინაშეო.

საზოგადოებას უნდა ეგრძნო თავისი მოვალეობა, რადგანაც ეს წამოწყება საქვეყნო საქმე გახლდათ და არა ვინმე კერძო კაცისა.

ილია წინამძღვრიშვილი იმდენად იყო თავდადებული ამ საქმეზედ, თავის უანგარო ჯაფასა და საქმის სიყვარულით გაძლიერებულ მხნეობას არ მოაკლებდა სამეურნეო სკოლას, მაგრამ ხელის გაწვდენა ხომ გაუიოლებდა გარჯას.

ამჯერად მაინც ნუ მოვიქცეოდით ისე, როგორც გვჩვეოდა: ჩვენი გაჭირვების ყავარჯენს ერთ კაცზედ რომ მივაყუდებდით ხოლმე საზოგადო საქმეში და ჩვენ კი გულგრილად დავიკრებდით გულზედ ხელებს, თითქოს არაფერ შუაში ვართო.

ილია წინამძღვრიშვილის საქმე ჩვენს საკუთარ საქმედ უნდა მიგვეღო – ესეც ქვაკუთხედი ილიას მუნათისაც და თხოვნისაც – და მხნე და გამრჯე მესვეურს კვალში უნდა მივყოლოდით, რათა სასახელო სვე ბოლომდის სასახელოდვე გაგვეტანა.

იუწყებოდა რა სამწუხარო გარემოებას სკოლისა, რომელსაც სახსარი მეტად მცირე მოეპოვებოდა არსებობისათვის, იმედს გამოთქვამდა, რომ:

ჭეშმარიტი ქართველი კაცი არ დაიშურებდა ამ სკოლისათვის შესაწევარს თავის შეძლებისამებრ. აქ ყოველი გროში დიდი მადლობით მიიღებოდა და ჩვენი ქვეყნის მოზარდ ყმაწვილს მოხმარდებოდა მისდა და ჩვენდა საკეთილოდ.

ამ საწუხარს, ყოველი გაერთიანება, გაზეთი თუ ჟურნალი ორიოდე კაცის მხნეობით, ხარჯით, ოფლითა და ღვაწლით რომ სულდგმულობდა, თორემ სხვა შემწე და მშველელი არსაიდან ჰყავდა, ხშირად გამოთქვამდა ილია, და დასძენდა, რომ:

დიდი და პატარა ჩვენს საზოგადო საქმეს ჰქელავდა დაუსჯელად, და იმიტომაც ჰქელავდა, რომ მოსარჩლედ და ქომაგად მხოლოდ ორიოდე კაცი ეგულებოდა და არა მთელი ერი, მთელი საზოგადოება ერთად. ხმის ამომღები სხვა არც არავინ ჩანდა ხოლმე.

აი თუნდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება:

დამტკიცებული წესდება მოეპოვებოდა, მთავრობისაგან მინიჭებოდა უფლება – ექონია თავისი სკოლები და ამ სკოლებში მთელი სწავლება მოეწყო დედა-ენის შემწეობით, მინიჭებოდა უფლება, მიეღო თავის განკარგულების ქვეშ სოფლის სკოლები, რომელსაც თვითონ სოფლის საზოგადოება თავისი ყრილობის განაჩენით მას მიანდობდა.

ყოველივე ეს მინიჭებოდა უმაღლესი მთავრობისაგან და... როგორ გინდა წარმოგედგინა, რომ: ერთი სკოლაც კანონის ნებართვით დღემდე არსად გაემართა, ბათუმის გარდა.

ეს სამწუხარო ამბავი იმ მიზეზს კი არ გამოეწვია, რომ თვითონ წერა-კითხვის საზოგადოება ზარმაცობდა, არამედ – მთელი ორი და სამი წელი დადიოდა სკოლის გახსნის თაობაზედ წარდგენილი ქაღალდი ერთი სამწერლოდან მეორეში და... ამ სიარულს ბოლო არ უჩანდა.

გაძლებით გაუძლებდა ილია ამ ბიუროკრატიულ წნეხსაც, ამისთანებისათვის გაეძლო? და ირონიულად გადაჰკრავდა, რომ ჯერ სამწერლოებში რკინიგზები არ გამართულიყო ფეხაჩქარებით სიარულისათვის; მაგრამ ჭირი ის გახლდათ, რომ: ბატონი გუბერნატორი უწინდებურად აღარ ამტკიცებდა სოფლის ყრილობის განაჩენებს. და მიზეზად იმას მოიდებდა: წერა-კითხვის საზოგადოებამ სხვა გზით აიღოს ნებართვა სკოლების გამართვის თაობაზედაო... მაგრამ ამ გზის გაელა საზოგადოებას გაუძნელდებოდა და დღეს წერა-კითხვის საზოგადოება ამ სანატრელ და ბედნიერ ყოფაში ჩავარდნილიყო სკოლების გამართვის შესახებ.

ვინ იყო პატრონი? ვინ იყო ხმის ამომღები?

ამბობდნენ: დონდუკოვს ელიან, რათა ეს ამბავი დაწვრილებით აცნობონო.

და იმედს ეჭიდებოდა ილია: ეგებ მაშინ მაინც ეშველოს ჩვენი საზოგადოების საქმესო.

და ჯერჯერობით ირონიით მოიოხებდა გულს:

ყოველივე ეს დიახაც საგულისხმოა, და თუმც სატკენია, მაგრამ საწყენი კი არ არის. რა ვუყოთ? ჩვენმა ბედმა ეგრე გაჭრაო.

ამ შემთხვევაში ერთი ზღაპარი მოაგონდებოდა დედინაცვალზედ, მაგრამ მეტად გრძელი და ხელს აიღებდა მოყოლაზე: იმის ამბავი შორს წავაო.

თუმც მოყოლა რაღა აუცილებელი იყო: დედინაცვლის ხსენება, ეს გაიგივება სათქმელს უკვე თავისთავადაც ამბობდა – საკმაოდ კანთიელად და გამჭვირვალედ, და ვისაც ყურნი ასხდა სმენად, გაუგებარი არ დარჩებოდა.

* * *

ოთარაანთ ქვრივი თვითონ ილიაა, ოღონდ კაბაში გადაცმულიო...

ეგაა: ვინ აღტაცებით იტყოდა, ვინ გულში ჩაგუბებული ბრაზით, ვინ – აშკარად გამოხატული გაღიზიანებით.

მკითხველს კი მოსწონდა და ძალიანაც მოსწონდა ეს მოთხრობაც და ეს პერსონაჟიც.

და მსმენელიც უნდა მოხიბლულიყო, არამარტო ის ვიწრო წრე, დავით სარაჯიშვილის სახლში პირველად რომ დაუგდებდა ყურს ილიას დეკლამა-

ციას, არამედ წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ დიდ სალიტერატურო საღამოზე შეკრებილნიც 1889 წლის 25 მარტს.

ილია თავს იკავებდა იქ გამოსვლისაგან, მაგრამ არა და არ მოეშვებოდნენ: უთქვენოდ საღამოს ეშხი და ლაზათი მოაკლდებაო, – და დაითანხმებდნენ, საბოლოოდ ის თავყრილობა მართლაც მის ტრიუმფად რომ გადაიქცეოდა.

წასაკითხად შეარჩევდა გიორგის ტრაგიკული აღსასრულის სცენას „ოთარაანთ ქვრივიდან“.

და რა სიამითა და აღტაცებით, იმ წუთებისაგან მოგვრილი რაოდენ ღრმა და გაუნელებელი შთაბეჭდილებით გადაიტანდა იმ განწყობილებას ფურცელზე იაკობ გოგებაშვილი:

აგერ საქმე მიდგებოდა ილიაზედ, ისიც გამოვიდოდა დინჯად, გაშლიდა კათედრაზე რვეულს და დაიწყებდა კითხვას.

ისეთი სიჩუმე ჩამოვარდებოდა, დარბაზში ბუზის ფრენასაც რომ გაიგონებდა კაცი და ეს ყურადღება კითხვის გათავებამდე არ შენელდებოდა...

თითქოს ილია დეკლამატორად არ აღიარებულიყო, ყოველ შემთხვევაში ნაფიც მკითხველთა დასს არ ეკუთვნოდა, მაგრამ სამაგიეროდ შემკულიყო ბუნებრივი მკითხველის ღირსებით: ხმა ექნებოდა მუსიკალური, კილო – შესაფერისი, ხმის ლოგიკურ აწევ-დაწევასაც რიგზე წაიყვანდა, გამომეტყველება და მოძრაობა მისი პირისახისა შეესაბამებოდა წაკითხულის შინაარსს და საზოგადოდ მისი ხმა მკაფიოდ დახატავდა ყოველ აზრსა და გრძნობას, რომელსაც კი იპყრობდა სიტყვები და ფრაზები.

და იოსებ გრიშაშვილი თავს ვერ შეიკავებდა ამ სტრიქონების გახსენებისას, რომ იაკობ გოგებაშვილის დახასიათებისათვის არ დაემატებინა იაკობ მანსვეტაშვილის ის სიტყვები:

ილიას სახის სილამაზე საბერძნეთში ღირსი და დამამშვენებელი იქნებოდა ფიდიასის ქანდაკებისაო.

რათა მკითხველისათვის ცხადად და ცხოვლად განეცდევინებინა და შეეცნობინებინა ილიას სცენური მომხიბვლელობა.

ოთარაანთ ქვრივი თვითონ ილიაა, ოღონდ კაბაში გადაცმულიო...

ვითომ ოთარაანთ გიორგი კი არა?

გიჟის ძახილი არ მოაკლდებოდა ილიას, ამ ძახილისაგან გაბეზრებული „კაცია-ადამიანის?!“ დასაწყისშივე კიდეც საქვეყნოდ რომ გადმოჰფენდა, ამჯერადაც მოველი, გიჟის სახელს რომ არ ამაცილებთო... და აი „ოთარაანთ ქვრივში“ ის თავი, სწორედ ასე რომ დასათაურდებოდა: „გიჟია, თუ რა?“ – და უმთავრესად ამ საფიქრალის ირგვლივაც ამოეხვეოდა, გიორგის სასამართლოზე რომ დაიბარებდნენ: ომარაშვილის მოჯამაგირე რადა სცემე, რა დავა გქონდა მასთანო.

პირადი დავა – არც არავითარი, მაგრამ გიორგის ის აღშფოთებდა, ასეთი ნამუსახდილი კაცებისაგან ქვეყანა რომ იღუპებოდა, კაცი კაცს ვეღარა ნდობოდა და ასეთთა გამოისობით კარგ მოჯამაგირეებსაც სახელი გასტეხოდათ – თვითონ ხომ ეძინებოდა და ეძინებოდა, კამეჩებსაც მიახრჩობდა

ურემზედ, და გიორგის მათი საცოდაობა დასწვავდა, სხვა რომ არა ყოფილიყო რა.

– ბიჭო-და, ეს კაცი ან გიჟია, ან ღვთისაგან მოგზავნილი, – ეტყოდა ერთი იქ დამსწრეთაგანი მეორეს, როდესაც სასამართლოდან ხალხი დაიშლებოდა და შინისაკენ წავიდ-წამოვიდოდნენ, – რომ არ გაგონილა!..

– მე და ჩემმა ღმერთმა, მაგის გულში ან ღვთის მადლი ტრიალებს, ან ერთი რაღაც უბედურებაა მაგის თავს, – დაჰკრავდა კვერს მეორე.

უნდა გაეხსენებინათ ის ამბავიც, ბეჟანიშვილის მოჯამაგირეს ურმით საფქვავი რომ მოჰქონდა შინ, მაგრამ თავმსუბუქად რომ დაედო, კამეჩები ყელში ხრიალებდნენ. ოთარაანთ გიორგი შემთხვევით რომ გადააწყდებოდა, ახტებოდა ურემზედ, საცალოებს გაწევ-გამოწევდა, გამართავდა რიგიანად ურემს და მოჯამაგირესაც ერთს ლაზათიანად ჩათხლეშდა თავში: ვერა ხედავდი, კამეჩები იხრჩობოდნენ! რა პირით მიდიოდი პატრონთანაო.

სხვა დავა იმ მოჯამაგირესთან არა ექნებოდა და ერთი გლეხი კვლავ იტყოდა:

– ეგ კაცი ან გიჟია, ან ერთი რამ ღვთის ნიშანია მაგის თავზედა.

მეორე რომ დაუდასტურებდა და გააგრძელებდა:

– დედაც ხომ მაგისთანა გადარეული და დამთხვეული ჰყავს, მამაც კი – ღვთის წინაშე – ცოტა არ იყოს, მოუსვენარი კაცი იყო. ეგეები იმანაც იცოდა.

და კვლავ პირველი გლეხი:

– აი, ამაზედ არის ნათქვამი: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო. მაგათში ან დიდი ცოდო ჰტრიალებს, ან დიდი მადლი. აქ სხვა ნიშანწყალია.

ვერა და ვერ აეხსნათ, ვერა და ვერ გაერკვიათ.

– გიჟია თუ რა? – გაოცებულნი იძახებდნენ ილიაზეც.

– ან გიჟია, ან ღვთისაგან მოგზავნილი, – იძახებდნენ ილიაზეც.

– მაგის გულში ან ღვთის მადლი ტრიალებს, ან ერთი რაღაც უბედურებაა მაგის თავს, – იძახებდნენ ილიაზეც.

– ეგ კაცი ან გიჟია, ან ერთი ღვთის ნიშანია მაგის თავზედა, – იძახებდნენ ილიაზეც.

და ვერა და ვერ ახსნიდნენ, ვერა და ვერ გაარკვევდნენ.

ვერა და ვერ შეთანხმდებოდნენ.

– ეგ იმაზეა დამოკიდებული, ვინ რა თვალზე შემხედავსო, – იცინებდა ილია ჭავჭავაძე იმ ლაღი, დაუოკებელი სიცილით, ხშირად რომ სჩვეოდა და მერე უკვე იმ სიმღერის სტრიქონებს მიადევნებდა: ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავო, – ძალიან რომ შეუყვარდებოდა და დასჩემდებოდა სიბერის კარიბჭესთან, უფრო იქით რომ აღარც გადაუშვებდნენ.

* * *

ვინ რა თვალზე შემხედავსო, – ჯერ ეს უნდა ჰქონოდა სასაცილოდ და სასეიროდ ილია ჭავჭავაძეს.

თავი მეშვიდე

მოლანდება აპოკალიფსური ჟამისა

8 მაისს ქართული საზოგადოება ერთ თავმოსაწონებელ საქციელში კვლავ იჩენდა თავს.

ამას 1883 წლის „შინაური მიმოხილვით“ აუწყებდა მკითხველს.

თავმოსაწონებელი საქმე რა იქნებოდა და:

„დროების“ ძველი რედაქტორი თავს რომ დაანებებდა ავადმყოფობის გამო რედაქციას, საზოგადოება – ანუ უკეთ რომ თქმულიყო: ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც განუწყვეტლივ გული შესტკიოდა ჩვენი ლიტერატურისათვის და ზედმიწევნით მოეხსენებოდა, რა წვალება გამოევლო სერგეი მესხს ამ 14 წელიწადში – პატივს სცემდა მას და სადილს გაუმართა თავდა ნიშნად მადლობისა და პატივისცემისა.

ამისთანა ამბავი, ამისთანა პატივისცემა საზოგადო ასპარეზზედ მოღვაწეთა მიმართ ილიას ყოველთვის დიდ ნუგეშად და მოვლენად მიაჩნდა და ესწრაფოდა, რომ თანამოაზრენი გაემრავლებინა, და რაც შეიძლება ბევრი ჩაეგდო ამ მხრივაც გულისხმაში.

და აგერ ამისთანა ამბავი, ასეთი გულწრფელი მადლიერება კაცისა, რომელსაც თავისი ძალ-ღონე და სიმართლე შეელია, შეეკლა საზოგადო საქმისათვის, ცხადად ამტკიცებდა, რომ უმადურობა ჩვენი თვისება არ გახლდათ და ჩვენც ვიცოდით პირუთვნელად მადლობის გადახდა საზოგადო ასპარეზზედ მუშაკობისათვის.

თუ რაიმე აწუხებდა ილიას, მათ შორის ერთი უპირველესი:

საზოგადოებაში გამჯდარი უმადურობის სენი.

და ამისთანა შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა, რომ არ განეზოგადებინა და არ ცდილიყო შეეგონებინა ყველასათვის, რომ ეს სენი უხსოვარი თუ ძველი დროიდან არ მოგვდგამდა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდგომ გაგვჯდომოდა. და სულ უფროც მოგვერეოდა და თავის ჭაობში ჩაგვითრევდა, დროდადრო ასეთი ნათელი გაელვებანი რომ არა ყოფილიყო, გაელვებანი, რაც ადრე თუ გვიან სულ უფრო უნდა მომძლავრებულიყო და ერთიანად გაეშუქებინა საზოგადოებრივი ყოფის ყოველი კუთხე-კუნჭულიც და თვითეული ადამიანის სულიც, დაკნინებული და წამხდარი ცხოვრების არაბუნებრივ პირობებში ჩაყენებით, მაგრამ ვიდრე ქვეყანა თავის კანონიერ უფლებებში აღდგებოდა, ეს ქადაგება აუცილებელი გახლდათ უმადურობის სენის მოსარევად.

მთლად გაქარწყლებით იდეალური გარემოც ვერ გააქარწყლებდა ამ სათაკილო, მეტიც – უკეთურ გრძნობას, მაგრამ სად ალაგ-ალაგ მოლივლივე და სად საზოგადოებრივ მორალად დამკვიდრებული: ამორალურ მორალად!..

ხოლო ამ ფრაზაში:

– თავისი ძალ-ღონე და სიმრთელე შეალია, შეაკლა საზოგადო საქმეს.

თავისი ლაკონიურობითა და ელვარებით ხელშესახებად წარმოაჩენდა სერგეი მესხის დრამატულ ბედსაც და ქართული გაზეთის უმძიმეს ყოფასაც, ძალ-ღონესა და სიმრთელეს თუ არ გადაალევდი, თავს თუ არ შეაკლავდი, ისე წელში ვერაფრისდიდებით ვერ გამართავდი.

ზოგიერთ მონაწილეს სადილისა თავის სიტყვასა თუ სადღეგრძელოში წარმოეთქვა:

– ბატონ მესხს თუმც თვალსაჩინო არა დაუწერია რა, მაგრამ...

და ილიას ეს „თუმცა“ იქაც ყურს მოჭრიდა და ახლა პრესის ფურცლებიდან გამოეკამათებოდათ და შეეცდებოდა შეეგონებინა არამარტო მთქმელისათვის, არამედ ყველასთვის, ეს „თუმცა“ რაოდენ უადგილოდ გახმიანებულიყო.

საკმაოა კაცს სცოდნოდა, რომ:

მთელი 14 წელიწადი ტანჯვით, ვაებით, უფულობითა და ათასგვარი დამაბრკოლებელი გარემოებით თითქმის ერთ კაცს ეტარებინა თავის მხრებზედ ეგ მძიმე ტვირთი გაზეთისა.

საკმაოა კაცს სცოდნოდა ეს და მაშინ ცხადი იქნებოდა, რომ სერგეი მესხი ღირსად ეცნო ყველას იმ პატივისცემისა, რაც საზოგადოებას მიეკუთვნებინა მისთვის.

ნუთუ 14 წლის რედაქტორობა, ყოველგვარი „შავბედითი“ გარემოებით თავსმოხვეული, თვალსაჩინო საქმე არ გახლდათ ყველგან და ნამეტნავად ჩვენში?

სერგეი მესხს გაეძლო ყოველივე ამისათვის და ჯანის სიმრთელეს რომ არ ემტყუნა – ილიას ეჭვიც არ ეპარებოდა – კიდევ არ ჩამოეცლებოდა ამ მძიმესა და უმადლო საქმეს, როგორიც რედაქტორობაა ჩვენში.

და არ ჩამოეცლებოდა იმ შეგნებითა და რწმენით, რომ:

თუმც გამოცემა გაზეთისა ჩვენში წვალება და ტანჯვა გახლდათ, მაგრამ აუცილებელი საჭიროებაც ქვეყნისათვის.

ეგაა, მუნათიც უნდა დასცდენოდა, რომ სერგეი მესხი ისე არ მოექცეოდა წინანდელ მოქმედთ გაზეთის საქმეში და შემწეთა, როგორც მოექცეოდა მას საზოგადოება.

მის გამოთხოვების წერილში არ იქნებოდნენ მოხსენიებულნი, ვითარცა გაზეთის პირვანდელი მოღვაწენი: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, დავით მიქელაძე და კირილე ლორთქიფანიძე – რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღოდათ ამ გაზეთის საქმეში.

არანაკლებ წუხილს გამოთქვამდა იმაზედაც, რომ სერგეი მესხის წერილში არ ყოფილა მოხსენიებული სტეფანე მელიქიშვილის სტამბა, რომელიც 14 წელიწადს სრულიად უსასყიდლოდ ბეჭდავდა „დროებას“.

და ძალდაუტანებლად ჩნდებოდა რიტორიკული შეკითხვები:

ნუთუ ღვაწლი ზემოხსენებულ პირთა ღირსი არ იყო ხსენებისა, როცა შემთხვევამ მოიტანაო?

და:

ნუთუ შემწეობა ბატონ მელიქოვის მიერ მცირეოდენი სამსახურია საზოგადოების წინაშე, რომ ეგრე უყურადღებოდ დატოვებულ იქმნაო?

ეს საყედური არ მიემართებოდა მარტოდენ დამაშვრალ და საქმეს შეწირულ რედაქტორს, არამედ კვლავ საზოგადო სენის გამოვლენად ითქმოდა. გამართლება კი მოამაგეთა ღვაწლის აღუნიშნაობისა ვერ იქნებოდა ის საბუთი: ყველამ ისედაც ყველაფერი იცისო!..

მაინც უნდა თქმულიყო საჯაროდ, მაინც უნდა გახმიანებულიყო, უნდა ეტრიალა იმ სახელებს, შესაფერი შემთხვევა თვითონვე რომ მოითხოვდა მათ ხსენებას და შენ მხოლოდღა უნდა დაგედასტურებინა.

ეს ყოველივე კიდევ უფრო განამტკიცებდა მადლიერების გრძნობას, უკვე ისეთ მოთხოვნადაც რომ უნდა დამკვიდრებულიყო, ისეთ საზოგადოებრივ მორალად, ძალიანაც რომ გდომებოდა, ვეღარც გაქცეოდი წინამორბედთა თუ შემწე-დამხმარეთა წვლილის აღნიშვნასაც.

„დროების“ საქმიანობაში ილია ისედაც საკმაოდ ჩახედულიყო, მაგრამ ერთხანს აკი სულაც ამ გაზეთის ბიოგრაფიის უშუალო მონაწილეც უნდა გამხდარიყო, რაც ეს ორი გამოცემა – „დროება“ და „ივერია“ – შეერთდებოდა.

ამ გადაწყვეტილებას 1879 წლის ნოემბრის ნომერში აუწყებდა მკითხველს სერგეი მესხი და 1880 წლის იანვრიდან მათი გაერთიანების აუცილებლობას ასე ახსნიდა:

– ჩვენ არ გვყოლია ჯერ იმდენი მკითხველები, რომელთაც ორი გამოცემის კვება და რჩენა შეეძლოსთ.

ამასთან ილია ჭავჭავაძესთან მოთათბირებას და ყველაფრის აწონ-დაწონას დაერწმუნებინა ორივე, რომ „დროებისა“ და „ივერიის“ მიმართულებას შორის არა ყოფილა ისეთი შესამჩნევი განსხვავება, რომ ამ ორი გამოცემისათვის შეეშალა ხელიხელში ჩავლება და ერთად სვლა საზოგადო მიზნის მისაღწევად და შესასრულებლად.

ამ შეერთებაში ეპოვნათ ძალა ორივე რედატორს, ღონისძიებას რომ მისცემდათ უფრო საფუძვლიანად, უფრო რიგიანად იმ საქმის წაყვანისა, იმ უღლის გაწევისა, რომელსაც სერგეი მესხი და ილია ჭავჭავაძე ცალ-ცალკე ეჭიდებოდნენ და... ნელი ნაბიჯით ამიტომაც მიიწევდნენ წინ.

იმედიანად განწყობილიყო სერგეი მესხი – და უნდა ვიგულისხმოთ, რომ: ილიაც – და მკითხველს აღუთქვამდა:

ჩვენ ერთად, ძმურად ვიმუშავებთ და ამ მუშაობაში მოგვიმართავს ხელს ყველა, ვისაც კი ახლანდელი ჩვენი ქვეყნის დაჩაგრული ბედისათვის გული შესტკივაო.

შეთანხმებითაც შეთანხმდებოდნენ, დაწყებითაც დაიწყებდნენ ერთობლივ მოქმედებას, მაგრამ არამცთუ გაადვილებოდათ საქმიანობა, არაერთი წინააღმდეგობა იჩენდა თავს ერთობლივ ცხოვრებაში და მალევე – 1882

წლიდან – გაიყრებოდნენ, ორივე გამოცემას თავთავისი რედაქტორი რომ წარუძღვებოა.

1883 წელს „დროების“ რედაქციასა და საცენზურო კომიტეტს შორის ურთიერთობა ისე გამწვავდებოდა, კომიტეტი კავკასიის ხელისუფლებას მიმართავდა: ადმინისტრაციული წესით გაეთავისუფლებინა რედაქტორობიდან სერგეი მესხი.

როგორ უნდა გაგრძელებულიყო უიმისოდ გაზეთის არსებობა?

მითუმეტეს რედაქტორი მძიმე და განუწყვეტელ ჯაფას ფიზიკურად უკვე დაეუძლურებინა კიდეც.

ამიტომაც გადაწყვეტდა თავისი ნებით ჩამოშორებოდა გაზეთს და ულაქო, შეუმწიკლელი, პატიოსანი გამოცემა გადაებარებინა ახალი რედაქციისათვის.

გამოსამშვიდობებელ სადილზე წარმოთქმულ სიტყვაში თამამად განაცხადებდა – რაკიღა სჯეროდა, რომ, როგორც თავმდაბალ კაცს, კვეხნად არავინ ჩამოართმევდა – ერთგული გახლდათ იმ დიდი საქმის აღსრულებისა, რომელიც ეკისრა, და პიროვნული არასოდეს დაეყენებინა საზოგადოებრივზე მაღლა.

სერგეი მესხი ივანე მაჩაბელს უნდა შეეცვალა.

და... აქ უნდა გაჩენილიყო პირველი ბზარი ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის ურთიერთობაში, რაკიღა ილია უპირატესობას ანიჭებდა... ნიკოლოზ ქანანოვს, და მის ამ გადაწყვეტილებას გრიგოლ ყიფშიძე იმ გარემოებით ახსნიდა:

ნიკოლოზ ქანანოვი შეძლებული კაცი გახლდათ, შეეძლო გაზეთის ვალების გასტუმრებაც, სერგეი მესხის მკურნალობისათვის საჭირო თანხის გაღებაც და ყველა იმ ფინანსური გასაჭირის მოგვარებაც, რომელთაც „დროება“ მუდმივად განიცდიდაო.

თუმც ილიას თანამოაზრესა და თანამებრძოლს ამ შემთხვევაში ყველა მკვლევარი ერთნაირად არ დაუჯერებდა და შეეცდებოდნენ ამგვარ გადაწყვეტილებაში რაღაც ფარული ჩანაფიქრის მიკვლევას:

ჟურნალ „ივერიის“ რედაქტორობით – აგრეთვე საბანკო და სხვა საზოგადოებრივი საქმეებით – გადატვირთულ ილიას სურდა „დროების“ ხელმძღვანელობა ქანანოვის ხელით განეხორციელებინა, რასაც ივანე მაჩაბლის რედაქტორობის პირობებში ვერ შეძლებდაო.

რატომ ვითომ?

განხეთქილება ჯერ არ მომხდარიყო მათ შორის და, ივანე, რომელიც ილიას ებაძებოდა და თავი ეამაყებოდა მასთან სიახლოვით, არავისზე ნაკლებ არ შეასრულებდა იმის თხოვნას, არავისზე ნაკლებ არ გაითვალისწინებდა იმის რჩევას, არავისზე ნაკლებ არ გაჰყვებოდა იმის შეხედულებასა თუ მიმართულებას.

ასე რომ, ტყუილუბრალოდ ნუ მოვინდომებთ გრიგოლ ყიფშიძის მოსაზრების გადასინჯვას, შიდაგარემოსა და რაც მთავარია ილიას ფსიქოლოგიური კონსტიტუციის კარგად მცნობის.

მითუმეტეს:

იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობას – 1881 წლის მარტში – იმპერიაში პოლიტიკის გამკაცრება რომ მოჰყვებოდა, რეპრესიები დაატყდებოდა „დროებასაც“ და ივანე მაჩაბელსაც, კავკასიის საცენზურო კომიტეტი ხელისუფლების წინაშე არაერთხელ და დაბეჯითებით რომ წამოჭრიდა საკითხს რედაქტორის ჩამოშორებისა.

ივანე მაჩაბელი ძალიანაც ეცდებოდა რედაქტორის ადგილის შენარჩუნებას, მაგრამ 1885 წლის აგვისტოში, რათა ამ ტაქტიკური ხერხით გაზეთი გადაერჩინა დახურვას – ბეჭდვით საქმეთა მთავარ სამმართველოს ოფიციალურად აცნობებდა რედაქტორობიდან გადადგომას.

„დროების“ გაძღოლას იკისრებდა ილია ჭავჭავაძე.

თუმც ვითარება მალე ისე შეიცვლებოდა, რომ რედაქტორად კვლავ ივანე მაჩაბელი დარჩებოდა.

ამ შემთხვევაში ილიას აღარც გაახსენდებოდა ნიკოლოზ ქანანოვი, რაკიღა იგი გაზეთის ფინანსური უზრუნველყოფისათვის ჰყავდა თავის დროზე ნავარაუდევი, და არა პოლიტიკურ ორომტრიალში ჩასართველად, რისგანაც ის ძალზე შორს იდგებოდა.

ისე მაშინ კი შეუძლებელია არა წყენოდა ვანოსაგან, მასთან შეუთანხმებლად რომ დატოვებდა პირშიჩალაგამოვლებულს ქანანოვს, რომელსაც პირველი სიტყვაც მოემზადებინა მკითხველებთან და უკვე რედაქციის შედგენასაც შედგომოდა. ყველასათვის მოულოდნელად ვანო საჭირო თანხას იშოვნიდა, სერგეი მესხის თანადგომითაც მორალურ უპირატესობას მოიპოვებდა და „დროებას“ დაეპატრონებოდა.

ვახტანგ ჭელიძე გულმოდგინედ რომ აგროვებდა ცნობებს თვითმხილველთაგან ივანე მაჩაბლის ცხოვრების ირგვლივ, და გუმანითაც და მხატვრული წარმოსახვითაც განჭვრეტდა იმდროინდელ განწყობილებას, ასე აღადგენდა ქანანოვის გაწბილების ამბავს:

იმ დღეებში ყველას ეს ეკერებოდა პირზე და ხალხი სულ ამაზე იცინებდაო.

ქანანოვზე იცინებდნენ და იხალისებდნენ, მაგრამ მათი სიცილი უნებლიეთ ილიასაც რომ გადაწვდებოდა?

ივანე მაჩაბლის ცხოვრების ქრონიკაში აქვე ის ეპიზოდიცაა გახსენებული, უნებლიეთ კიდევ ერთ წყენას როგორ მიაყენებდა ილიას ეს მისი მოთაყვანე კაცი.

ბანკის საზოგადო კრებაზე, რომელზეც არჩევნებიც უნდა მომხდარიყო, ერთ-ერთი დირექტორი, ნიკო ავალიშვილი, „მნათობის“ ყოფილი რედაქტორი, ჟურნალისტი, ლიტერატორი, თეატრალი, მიგელ დე სერვანტესის „დონ კიხოტისა“ და ჰენრიკ სენკევიჩის რომანის „ვიდრე ჰხვალ?..“ მთარგმნელი, საჯაროდ განაცხადებდა:

– ბანკს თავს ვანებებ და დირექტორობაზე კენჭს აღარ ვიყრი.

მაგრამ თურმე თავპატიჟს იდებდა, რადგანაც მეორე დღეს თავის სიტყვას უკანვე წაიღებდა.

ვანო ისედაც გულმოსული რომ იყო მასზე, ეს თვალთმაქცობა კიდევ უფრო გააღიზიანებდა, განსაკუთრებით კი მაშინ გაცეცხლდებოდა, როდესაც დაინახავდა, კენჭისყრას არც აპირებენ და პირდაპირ ირჩევენ დირექტორადო.

მისი ფიცხი ბუნება სხვაგვარად ვერ დაშოშმინდებოდა, ადგილიდან რომ არ წამოჭრილიყო, ასეთი არჩევანი უწესობად არ შეერაცხა და არ განეცხადებინა: ავალიშვილის ყურთან ჩემს ყუთსაც ვდგამ. გვიყარეთ კენჭიო!..

კენჭისყრას ის მოჰყვებოდა, რომ დირექტორად ივანე მაჩაბელს აირჩევდნენ, ნიკო ავალიშვილს კი „გააშავებდნენ".

არადა: ილია „გაშავებულს" უჭერდა მხარს. შესაძლო მისი ჩაგონებითაც წაელო უკან სიტყვა ნიკო ავალიშვილს, თორემ მეორე დღესვე ასე აშკარად მოერიდებოდა საჯარო განცხადების გადათქმას.

ამ ორ ეპიზოდს როგორ შეაფასებდა ვახტანგ ჭელიძე და:

ინტრიგა დიდი დრამისა გაიკვანძაო.

შემდგომი ამბები და მოვლენები რომ ვიცით, მართლაც აქ შეიძლება დავადასტუროთ ინტრიგის ჩასახვა, თორემ არც ერთი ეპიზოდი და არც მეორე ისეთი სახიფათოც არა ყოფილა, დიდ მღელვარებას რომ მოასწავებდა და... ორად გახლეჩილი ტფილისისა და საქართველოს შემსწრეს გახდიდა ყველას, თითქოს სამოქალაქო ომიაო.

სიმბოლურად, მორალურად მართლაც სამოქალაქო ომს დაემსგავსებოდა ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის შერკინება, ვანოს მისი მომხრენი დავით წინასწარმეტყველს რომ შეადარებდნენ, ილიას კი ფილისტიმელ გოლიათს, და წააქეზებდნენ და რას წააქეზებდნენ ვანოს: მაგის შემმუსრავი შენ თუ ხარ, კიდეც შეგიძლია და ნურც დაგენანებაო!..

იკვანძებოდა ინტრიგა დიდი დრამისა: აუშორებელის, აურიდებელის... საბედისწეროსი და ტრაგიკულის...

მთავრობას თავისი მიზანი დაესახა: „დროების" განადგურება – და კიდეც უკრეფდნენ მიზეზს. იქ ილია ჭყონიას ფელეტონს წაედავებოდნენ: „გურიის ცხოვრებიდან", გაშარჟებულ პორტრეტში ოზურგეთის მაზრის უფროსი თავს რომ ამოიცნობდა და გაზეთს უჩივლებდა.

იქ ივანე მაჩაბლის ფელეტონს არ მოითმენდნენ, ალეგორიულად რომ წარმოსახავდა ლოთ მთავარმართებელს ალექსანდრ დონდუკოვ-კორსაკოვს.

და რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის 1885 წლის 14 სექტემბრის განკარგულებით: „დროება" აიკრძალებოდა სამუდამოდ, როგორც სეპარატისტულ-ტენდენციური იდეების მქადაგებელი ორგანო; და ივანე მაჩაბელსაც აეკრძალებოდა არამცთუ ამ გაზეთის, არამედ საერთოდაც რაიმე გამოცემის რედაქტორობა.

საცენზურო პირობების დარღვევა იმსხვერპლებდა „დროებას".

და ეს აღმოჩნდებოდა პირველი შემთხვევა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში, პერიოდული გამოცემა ამ მიზეზით რომ შეწყდებოდა.

თანამედროვენი „დროების" დახურვის ერთ-ერთ თაოსნად მიიჩნევდნენ ლუკა ისარლიშვილს, ერთ ყველაზე საშინელ ცენზორს, არამარტო განსა-

კუთრებული სიფრთხილით რომ გამოირჩეოდა, არამედ პოლიტიკური რეჟიმისადმი სრული მორჩილებითა და ერთგულებითაც, ლამის სული რომ ამოეხადა მწერლების, ჟურნალისტებისა და რედაქტორებისათვის, ამათი შეუპოვრობა და დაუთმობლობა რომ არა, საბოლოოდაც რომ დააკაბალებდა სალიტერატურო პროცესებს.

„დროების“ აკრძალვისას ივანე მაჩაბელი კახეთში იმყოფებოდა და იქ აცნობებდა დავით მესხი, ის გულგახეთქილი რომ ჩამოიჭრებოდა იქიდან და სულ „გადინას“ უძახებდა ლუკა ისარლიშვილს: გაიტანა ხომ მაინც თავისიო!..

„დროების“ აბრას სამგლოვიარო შავ ბლონდს გადაჰფენდნენ... და მაშინვე შემოეჭრებოდათ კიდეც ბოქაული:

– ამ წამში მოხსენით აბრა თავისი ბლონდით! ეს რა ამბავია?!.

– რა ამბავი უნდა იყოს, გაზეთი მოკვდა და ვგლოვობთ.

– აასრულეთ მთავრობის ბრძანება! მოკვდა! მოკვდა კი არა, მოვკალით, ჩვენ ჩავკალით! ამ წამში მოხსენით! პროტესტები?!

ჩამოხსნიდნენ... რას იზამდი – მთავრობის ქეშიკი თავისებურად მართალი გახლდათ. მათგან სასიკვდილოდ განწირულთა გლოვის უფლება აკრძალულიყო...

გულის მოსაფხანად ლუკა ისარლიშვილს ასე უკბენდნენ, რომ:

იმღამითვე დასტამბავდნენ აკაკის აკრძალულ ლექსს „ხანჯალი“ და კარგა ბლომა ფარატინებს ქალაქში მოჰფენდნენ. ავტორად კი ლექსს მიაწერდნენ... ლუკა ისარლოვს. დაფაცურდებოდნენ და რას დაფაცურდებოდნენ პოლიციაც და ჟანდარმერიაც, მაგრამ ამ პროტესტის ორგანიზატორთა კვალს ვერ მიაგნებდნენ...

– დიდი შთაბეჭდილება იქონია ვანოზედ „დროების“ დაკეტვამ... – ასე ძუნწად რომ აღნიშნავდა თავის მოკლე ბიოგრაფიაში ვასილ მაჩაბელი, ვახტანგ ჭელიძე ამ მშრალი სიტყვების იქით დაინახავდა მრავალ მწარე საათს, მოუსვენარ ღამეებს, მდუღარე ცრემლებს, სულიერ ტანჯვას... და მოგვიანებით აკი თვითონ ვანოც ამ შემთხვევას მოიგონებდა, როგორც დიდ უბედურებას, რომელიც მას ზნეობრივ ტანჯვას მიაყენებდა:

– მიმუხთლა ბედმა, ორი წელიწადი ძლივს დასცალდა ჩემს ხელში გაზეთს...

გაზეთის დაკარგვა გაზეთის დაკარგვად და... ოცწლიან სატანჯველში გამოტარებული „დროება“ მაინცდამაინც მის ხელში რომ დალევდა სულს, ეს ცალკე მძიმე ტვირთად დააწვებოდა სულზედ.

რა გგონიათ – გამოჩნდებოდნენ ის ფუქსავატი ადამიანებიც, ამ ბრალს რომ დასდებდნენ ივანე მაჩაბელს: რას ერჩოდა ამ „დროებას“, რომ მოკლა და მოინელაო!..

ზნეობრივი ტანჯვა ზნეობრივ ტანჯვად და... გაზეთის დახურვა დააკისრებდა 9000 მანეთ ვალს.

ეს ხმა რომ გავრცელდებოდა, 50-მდე პირი შეიყრებოდა იოსებ მელიქიშვილის სადგომში, სოლოლაკში, ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად. ჩამოთვ-

ლით არ ჩამოთვლიდა მათ ვინაობას ივანე მაჩაბელი თავის მოგონებაში, თუმც მინიშნებით მიანიშნებდა, რომ: ესენი იქნებოდნენ ლიტერატურასთან დაახლოებული პირნი, ვინც კი ტფილისში იმყოფებოდნენ.

აქ გადაწყდებოდა ყოველთვიური ჟურნალის – „ივერია“ – ყოველდღიურ გაზეთად გარდაქმნის ბედი.

და აქვე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი „დროების“ ვალზეც – რედაქტორის დაუკითხავად, ყველა ერთხმად რომ იტყოდა:

– ეგ საზოგადო ვალია და საზოგადოებამვე უნდა გადაიხადოს.

ეს იმიტომ, რაკიღა გაზეთისათვის იყო აღებული, გაზეთისათვის, რომელსაც მრავალი გაჭირვების დღე გამოევლო, გზა გაეკვალა, კითხვა მოთხოვნილებად გარდაექმნა.

შეადგენდნენ კომიტეტს.

მოთავეობას იკისრებდა ილია ჭავჭავაძე.

სიებსაც შეადგენდნენ, ფულსაც გააწერდნენ, ბევრს კიდეც გამოუცხადებდნენ: შენ ამდენი და ამდენი უნდა მოგვცეო.

ვანო წინააღმდეგი აღმოჩნდებოდა ვალის განაწილებისა, მისი ზნეობის კაცი არ იყაბულებდა დახმარებას, რადგანაც იურიდიულად მას ეკუთვნოდა ვალის გასტუმრება და ეიმედებოდა, რომ თუკი ერთბაშად ვერა, თანდათაობით აუცილებლად გადაიხდიდა.

საბოლოოდ მაინც ასე მოხდებოდა, რადგანაც კომიტეტი ვერას გააწყობდა და მთელი ვალი კვლავინდებურად ვანოს გადასახდელი შეიქნებოდა.

მთავარი ისაა, რომ ილია მონდომებასა და მეცადინეობას არ დააკლებდა, რათა ივანე მაჩაბელი დაეხსნა ამხელა ვალის გადახდისაგან.

ისე მოხდებოდა, რომ:

დავით მესხს დაევალებოდა ქუთაისის ინტელიგენციასთან მოლაპარაკება, რათა ცოტათი მაინც მიშველებოდნენ „დროების“ უკანასკნელ რედაქტორს დიდძალი ვალის დასაფარად... მოულოდნელი და გასაკვირი აღმოჩნდებოდა მისთვის ქუთათურთა უარი მიშველებაზე, რასაც დავით მესხი ილიას აუწყებდა და მისგან მოუვიდოდა გულისწყრომის ბარათი.

ჩვენ რა გადამხდელები ვართ გაზეთის ვალისაო, – ქუთათურებს ხელები რომ გაესავსავებინათ, ეს ილიას თვალში ვერაფერ საბუთად გამოჩნდებოდა.

მაშ აღმართის მხვნელ ძალას რომ კაცი გაესრისა, შველა არ უნდოდა?

ნუთუ ყოველი მოღვაწე ღვთის ანაბარად უნდა ყოფილიყო ჩვენში მიგდებული?

ნუთუ არავის, ქვეყნისათვის მოღვაწეს, იმედი არ უნდა ჰქონოდა, ფეხი რომ წამასხლტინონ, მოძმენი ხელს მომაწვდიან და ფეხზე დამაყენებენო?..

ასე იყო თუ ისე, სამწუხაროდ ეჩვენებოდა ის ამბავი, რასაც დავით მესხი იწერებოდა. ამგვარი სჯა და ლაპარაკი რასაკვირველია აქაც ხელს აუცრიდათ გულშემატკივარ ადამიანებს, მაგრამ მაინც კიდევ ყოველ ღონისძიებას იხმარდნენ, რომ ეგებ აქ შეეგროვებინათ ფული.

თუ ეს მოხდებოდა, მაგალითი მაინც იქნებოდა, რომ საზოგადოება უმწეოდ არ უშვებდა უსამართლოდ დასჯილს...

და ფინალური ფრაზა ბარათისა:

– გთხოვთ ეს წერილი მე და თქვენს შორის დარჩეს.

ვახტანგ ჭელიძე საგანგებოდ რომ ჩაუკვირდებოდა ზნეობრივი და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით:

ილია ყოველ ღონეს რომ ხმარობს ფულის შესაგროვებლად, მაგრამ არაფრისდიდებით არა სურს, რომ ამ საქმისათვის მისი მონდომება და მეცადინეობა გამჟღავნდეს. სიამაყე არ აძლევს ნებას, ზედმეტი ყურადღება გამოიჩინოს იმ კაცისადმი, რომელთანაც კარგი – მეტიც: საუკეთესო – ურთიერთობა შერყეული აქვს.

არადა აღმართის მხვნელ ძალას კაცს ვერ გაასრესინებს, მოღვაწეს ღვთის ანაბარად ვერ მიაგდებს... ეს მისთვის პირადი შეურაცხყოფა იქნება, კერძოს დაყენება საზოგადოზე მაღლა.

ივანე მაჩაბელს კი... გულის სიღრმეში ეწყინებოდა ილიას თითქოსდა გულგრილობა და უმოქმედობა ამ მართლაც დიდი უბედურებისას. სხვებისაგან დახმარების იმედი და სურვილი რომ არ ექნებოდა, ეს თავისთავად, მაგრამ... ილიაც? ნუთუ ილიასთვისაც სულერთი გამხდარიყო, თავს დააღწევდა თუ გასრესდა ვალები ივანე მაჩაბელს? გააგრძელებდა თუ არა ძველებურად მოღვაწეობას საადგილმამულო ბანკში, წერა-კითხვის გავრცელებისა თუ დრამატულ საზოგადოებაში?

გთხოვთ ეს წერილი მე და თქვენს შორის დარჩეს.

დაფარული დარჩეს თავგამოდება.

დაფარული დარჩეს მიმოწყდომა იმ კაცის გულისათვის, რომელმაც შეესაძლოა იუკადრისოს ილიასაგან გამოწვდილი ხელი და უარი განაცხადოს შეგროვილ თანხაზე.

სად შეგროვდებოდა თანხა, თორემ!..

შეთავაზებაზე უარს იტყოდა ივანე მაჩაბელი, არადა ვერ პატიობდა ილიას, აღმართის მხვნელ ძალას როგორ ასრესინებს ჩემს თავს, ღვთის ანაბარა როგორ უნდა მივეგდეო?!.

ვასილ მაჩაბელი ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის განხეთქილების მიზეზად ამ ფაქტსაც დაასახელებდა: ეწყინა ჩემს ძმას ილიას გულგრილი დამოკიდებულებაო.

გთხოვთ ეს წერილი მე და თქვენს შორის დარჩეს.

ფრაზა – ზნეობის ნიმუში, როგორც ფარული სიკეთის გამოვლენა, სიკეთის სიკეთედ რომ იწოდება.

ფრაზა – საბედისწეროდ გაჩხერილი ამ ორი პიროვნების, ორი დასის, ორი ბანაკის, ტფილის-ქალაქის, ქართლისა და კახეთის და მერე ქვეყნის სხვა კუთხეების შუაშიც.

გაქრებოდა ის კეთილი დრო, ილია და ვანო თანხმობით რომ იმუშავებდნენ.

და დადგებოდა ავისმომასწავებელი ხანა, როდესაც რაღაც კონფლიქტი მოხდებოდა ამ ორ მეგობარს შორის, ერთს შვილივით რომ ეყვარებოდა და მეორეს – მამასავით.

რაღაც, კონფლიქტი...

რაღაც...

უფრო მეტს ვერც ექვთიმე თაყაიშვილი იტყოდა და ვერც სხვა ვერავინ, რადგან არც მას და არც სხვას არ ეცოდინებოდა და ვერც ვერასოდეს გაარკვევდა, როგორ დაიწყებოდა განხეთქილება და რა შეიძლება ყოფილიყო მისი მთავარი მიზეზი.

ცხადად ერთი რამ გამოჩნდებოდა: ბანკის საქმე უკან-უკან წავიდოდა.

ივანე მაჩაბელი განაცხადებდა:

– ილიამ დროზე არ იზრუნა ბანკის ბილეთების კონვერსიაზე და ამიტომაც მსესხებელნი დავკარგეთ.

ექვთიმე, რომელიც მოთაყვანე იქნებოდა ილიასი იმთავითვე და ასეც დარჩებოდა თავისი სიცოცხლის ბოლომდე, საბანკო საქმეებში – როგორც მისი თხრობიდან თვალნათლივ გამოსჭვივის – ივანე მაჩაბლის მხარეს დადგებოდა, ჩარევით არ ჩაერეოდა იმ შეხლა-შემოხლაში, მაგრამ მემუარისტის გადმოსახედიდან ასე შეაფასებდა იმ მოვლენებს, რომელიც შორს გასცდებოდა ვიწრო საბანკო-საფინანსო და თუნდ ეკონომიკურ თემატიკას და მწვავე, დაუნდობელ პოლიტიკურ ჭიდილში გადაიზრდებოდა:

ეს ნაწილობრივ მაინც იყო მართალი, მაგრამ იმას კი არ ითვალისწინებდნენ, რომ როცა ადამიანი წლოვანებაში შედის და დამძიმებას იწყებს, მას ვეღარ მოვთხოვთ პირვანდელ ენერგიასა და შრომას, ეს ბუნების წესია. იმის მაგიერ, რომ ილიასათვის პენსია დაენიშნათ და ისე, პატივისცემითა და მადლობით აღენიშნათ მისი დამსახურება და ამრიგად გამოეცვალათ თავმჯდომარე, მათ საზოგადო კენჭისყრით გაშავება მოუნდომეს და აშკარა წინააღმდეგნი გახდნენ მისიო.

თურმე ილიას დამძიმება დაეწყებოდა და ძველებურად ვეღარ იშრომებდა ენერგიამოკლებული... ოღონდ ივანე მაჩაბელი მას ახდილად კი არ უნდა დაპირისპირებოდა, დიპლომატიური გზით უნდა მოეხერხებინა მისი გამოსტუმრება ბანკიდან.

განა რა ასაკი ჰქონდა ამისთანა, ჩაეგონებინათ: თქვენი დრო წასულია და სჯობს ნებით დათმოთ თავმჯდომარის სავარძელიო?!.

ბარემ დიპლომატიურად და უდავიდარაბოდ ერჩიენებოდათ ივანე მაჩაბელსა და მის მომხრეებს – უფრო მაინც მომხრეებს, ვიდრე თვითონ მეთაურს ამ დასისა – ილიას ჩამოშორება საადგილმამულო ბანკიდანაც, წერა-კითხვისა და დრამატულ საზოგადოებიდანაც, „ივერიიდანაც“, შესაფერის პატივსაც მიაგებდნენ ზარზეიმით და საპატიო წევრადაც დატოვებდნენ, მაგრამ მისი გავლენა საგრძნობლად შემცირდებოდა და შეიკვეცებოდა, და ცხოვრების ურემს ბოლოზედ თუღა მოეჭიდებოდა...

არადა ილიას თავის საქმენი წინ უფრო ეგულებოდა, აქამდე გაკეთებულს მხოლოდღა წამოწყებად მიიჩნევდა, საძირკვლის გაჭრად, საფუძვლის მომზადებად, კედლების ნახევრამდე ამოყვანადაც, მაგრამ ბოლომდე უნდა აზიდულიყო კედლები და ჭერიც ისე დაჰხუროდა თავზე, თვალნათლივ გამოკვეთილიყო ამ წამოწყებათა მონუმენტურობაც და გრანდიოზუ-

ლობაც, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობის უმთავრესი ბალავრისაც და მისი ზოგადი კონტურების მოხაზვისას.

ოცნებით, წარმოსახვით ნაძერწი სახე ქვეყნისა ასეთ საფუძვლებს უნდა მორგებოდა, მხოლოდ ასეთ საფუძვლებს, რათა მმართველობა ადვილად აღმდგარიყო, ეროვნული სულისკვეთებითა და ენერგიით აღვსილი, კავკასიისა და მსოფლიო ოჯახის წევრი, ხოლო იერი თუ სტილი მმართველობისა პარლამენტური მონარქია იქნებოდა თუ დემოკრატიული რესპუბლიკა, ეს დრო-ჟამის შესაფერისად გაირკვეოდა.

და... ეს კაცი თავისი ნებით უნდა გამდგარიყო განზე?!.

ბანკობიადა კი დაიწყებოდა და რა დაიწყებოდა:

წლიური ანგარიშის განხილვა და შემდგომი ბიუჯეტის მიღება-დამტკიცება, რაც წინათ ორ-სამ სხდომაზე მოთავდებოდა ხოლმე, ახლა სამ თვესაც უნდა გაგრძელებულიყო.

იმ კრებას კი „ხანგრძლივ პარლამენტს“ დაარქმევდნენ – ინგლისში რომ გახლდათ, იმის მსგავსად.

ბჭობის დროს მრავლად აღმოჩნდებოდნენ ისეთები, რომელთაც თავიანთი ორატორული ნიჭის გამოჩენა მოუნდებოდათ და უფრო ხშირად ისეთ საკითხებზე იმსჯელებდნენ, რომელთაც ვერაფრით დაუკავშირებდით ბანკის საქმეებს. ბოლოს ზოგი იქამდეც კი მივიდოდა, თავის შეთხზულ ლექსებსაც იტყოდა. ერთი – თუ ექვთიმეს სწორად ახსოვდა – ბაგრატიონის ქალი უნდა ყოფილიყო, სხვების გვარებს ვეღარ მოიგონებდა. ზოგიერთი გამომსვლელი კი ისე გადაუხვევდა და ისე გაიხლართებოდა სიტყვათა ნაკადში, რა სურდა, რისთვის წამოეწყო ლაპარაკი, თვითონაც ვეღარ გაიხსენებდა.

გარდა წამქეზებელთა, ინტრიგების მხლართველთა, მოსისინეთა, ხომ არსებობდა შეგნებული ნაწილიც ქართველობისა? არსებობდა კიდეც და ძალიანაც ცდილობდა დაპირისპირების შენელებას მაინც, თუ მთლად მოშლითაც ვერ მოშლიდნენ.

ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბელსაც მეტად საჭირო ბანკირებად მიიჩნევდნენ და აუცილებლობად ესახებოდათ, ისინი ძველებურად თანხმობით მოთავსებულიყვნენ თავთავიანთ ადგილებზე.

ეს შეგნებული დამოკიდებულება არაერთხელ დადასტურდებოდა კენჭისყრითაც:

ორივე ირჩევდნენ ხმათა უმეტესობით და ვერცერთი მეორეს ვერ „გააშავებდა“. მაგრამ – მიუხედავად ამ კეთილშობილური მცდელობისა – ბოლოს მაინც ძალზე არანორმალური ვითარება უნდა შექმნილიყო მათ შორისაც და მათ გარშემოც: გაძნელდებოდა ერთობლივი მუშაობა ორი ადამიანისა, რომელნიც ერთიმეორეს ხმას აღარ სცემდნენ, თუმც ერთიდაიმავე გამგეობის წევრები გახლდნენ.

თვითეული პარტია რომ ლამობდა თავისი დამხმარე წევრი გაეყვანა მესამე დირექტორად, ექვთიმეს მოაგონდებოდა გიორგი თარხნიშვილი, რომლის გადირექტორებასაც მოინდომებდნენ მაჩაბლისტები — ნაცვლად

სანდო ჩოლოყაშვილისა, მესამე დირექტორად ვინც ირიცხებოდა, ჩამოყალიბებული ინტელიგენტი, მაგრამ... ქართველობა სრულიად არ ეტყობოდა: მშობლიური ენა არც ეცოდინებოდა და უფრო გერმანული ემარჯვებოდა, ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას ეტანებოდა...

წამოაგონდებოდა თუ არა იმისი გაგერმანელება, ასოციაციურად ამოცურდებოდა ხსოვნის კუთხე-კუნჭულებიდან, რომ:

ილიაც, ისევე როგორც ყველა, ხშირად ურევდა საუბრისას რუსულს, თუნდ ბანკის კრებებზეც ხშირად გამოვიდოდა რუსულად და მშვენივრადაც ილაპარაკებოდა. მის ორატორულ ხელოვნებას არა გაუფერმკრთალდებოდა რა რუსულად მეტყველებისასაც, რაკიღა ეს ენა წყალივით ეცოდინებოდა და არც ხატოვნებას მოაკლებდა და არც ანდაზებს, თავისთავად რომ მოადგებოდა ხოლმე ბაგეზე.

ეს რუსულ-ქართული მეტყველება არც თავისი რომ არ ეჭაშნიკებოდა და არც სხვისა, წესად შემოიღებდა:

როდესაც მასთან შეიკრიბებოდნენ ხოლმე – ხუთშაბათობით (რედაქციის წევრებიც და სხვებიც – იმ დღეს რედაქციის სხდომა იმართებოდა ხოლმე მის ბინაზე), ვინც ქართულ საუბარში უცხოურს – უმეტესად მაინც რუსულს – გამოურევდა, ჯარიმად შაური უნდა გადაეხადა.

თვითონ ილია მიაძახებდა ხოლმე, ვისაც წამოსცდებოდა:

– შაური, შაური ამოყაჭე!

ასე ეცოდინებოდა თქმა!..

და ისე სხდომა-საღამო არ გათავდებოდა, რომ ორი თუ სამი მანეთი არ შეგროვებულიყო. ეს წესი ილიაზეც რომ ვრცელდებოდა, რასაკვირველია თვითონაც ხშირად მოუწევდა იმ შაურიანების გადახდა.

ხოლო მაჩაბლისტები რომ მოახერხებდნენ გიორგი თარხნიშვილის გაყვანას ბანკის მესამე დირექტორად, მოულოდნელი ვითარების წინაშე აღმოჩნდებოდნენ: იგი ბანკში ფეხს მოიკიდებდა თუ არა, ივანეს გადაუდგებოდა და მიემხრობოდა ილიას, რომელსაც ყველა საქმეში გამოუცხადებდა თანადგომას.

იაკობ მანსვეტაშვილი ორ ეპიზოდს რომ გაიხსენებდა საბანკო ცხოვრებიდან, მღელვარებამდე და მღელვარების დროიდან, ძალაუნებურად უნდა ეხსენებინა ვინმე ნებიერიძეც, კაცი რაღაც უცნაური და გამოურკვეველი, კარგახანს ნამყოფი რუსეთში, აქ დაბრუნებულზე რომ ამბობდნენ: ბლომად ფული ჩამოიტანაო.

ქართულ თეატრს იჯარით აიღებდა და ქართული დასის მოთავეობას, ანტრეპრენიორობასაც იკისრებდა, თვითონაც აქტიორობდა. მაგრამ საგზალი დიდხანს არ გაჰყვებოდა, საფანელი მალე შემოაკლდებოდა და თეატრს მალე თავს მიანებებდა. მერე კვირეული ჟურნალის გამოცემას მოინდომებდა და ილიასა და „ივერიის“ რედაქციასთანაც მიმოსვლა ექნებოდა და კარგი განწყობილებაც.

ერთხელ თავის ჟურნალში დაბეჭდავდა უკადრის ჭორს ივანე მაჩაბლის შესახებ, იმჟამად ბანკის დირექტორად რომ იქნებოდა და ილიასთანაც მეგობრულად განწყობილი.

ილია იმ ამბავს დიდად იუცხოებდა, იწყებდა. არ გავიდოდა მას მერე დიდი ხანი, რომ ნებიერიძე რედაქციაში შემოვიდოდა. ილიაც იქ იმყოფებოდა და, დაინახავდა თუ არა, მაშინვე მრისხანედ შეიკრავდა შუბლს:

– მიკვირს, როგორ ჰბედავთ ჩემთან მოსვლას მას შემდეგ, რაც თქვენ ჩემს ამხანაგს ასე უკადრისად მოექეცით.

ეს ისე იქნებოდა ნათქვამი, რომ ნებიერიძე დაიბნეოდა, ველარის თქმას მოახერხებდა და მაშინვე უკან გაბრუნდებოდა, „ივერიის“ რედაქციაში ფეხს რომ ველარასოდეს შემოდგამდა.

მეორე ეპიზოდს იმის თვალსაჩინოებისათვის მოიშველიებდა მემუარისტი:

თუ ილია ვინმეზე გულში ძვირს ჩაიდებდა, გათავდა:

მტრად გადაეკიდებოდა და შვილიშვილობამდე ჩაჰყვებოდა. მაშინ ულმობელი ხდებოდა, შეუწყნარებელი, მის გულს ველარაფრით მოინადირებდი, ველარაფრით მოალბობდი.

თუნდ ივანე მაჩაბელთან ჩამოვარდნილი უთანხმოებისა არ იყოს.

ბათუმის ქართულ სკოლაში, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებას ექვემდებარებოდა, მასწავლებლად იქნებოდა მოსე ნათაძე, მეტად პატივსაცემი და ნიჭიერი. ცოლ-შვილი ტფილისში ეყოლებოდა, რადგანაც შვილები აქ სწავლობდნენ.

ერთხელ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში იაკობს მოსეს მეუღლე გულგახეთქილი და მდუღარე ცრემლით შემოსტირებდა, რომ: ქმარი უეცრად გარდაცვლოდა. იხვეწებოდა შველას, რადგან შინ გროშიც არ მოეპოვებოდა, რათა მიცვალებულისათვის საკადრისი პატივი მიეგო.

ეს მაშინვე მიაკითხავდა ივანე მაჩაბელს – როგორც ამ საზოგადოების გამგეობის წევრს. იგი, როგორც გულჩვილი ადამიანი, დიდად შეწუხდებოდა და ურჩევდა:

– დღესვე გამგეობის არაჩვეულებრივი კრება მოვიწვიოთ ილიასთან, როგორც თავმჯდომარესთან, ურომლისოდაც ფულს ვერ გავცემთ.

თანაც გადაწყვეტდნენ წასულიყვნენ მიცვალებულის სანახავად მთაწმინდის უბანში, კარგა ზემოთ. მის ახლოს ცხოვრობდა იაკობ გოგებაშვილი, მასთანაც შეივლიდნენ და ისიც თან გაჰყვებოდათ.

მოსეს სადგურში შესულებს შემაძრწუნებელი სურათი წარმოუდგებოდათ: ტანთჩაცმული, როგორც დაბრუნებულიყო მიცვალებული შინ, ისე იწვებოდა გაგუდული ტახტზე. გარს ეხვეოდა უნუგეშოდ დარჩენილი ცოლ-შვილი. ყველაფერში სიღარიბე, ნაკლულოვანება ეტყობოდა. როგორც ხალხში იცოდნენ თქმა: სწორედ ნატისუსალი ასდიოდა.

აქვე მოითათბირებდა სამივე და გადაწყვეტდა:

იაკობ მანსვეტაშვილი დაუყოვნებლივ წავიდოდა ილიასთან და აცნობებდა საქმის გარემოებას, თანაც გადაწყვეტილებას, რომ: დღესვე მასთან შეიკრიბებოდნენ, რადგანაც საქმის გადადება შეუძლებელი გახლდათ, შვება ოჯახს მსწრაფლ ესაჭიროებოდა. აგვისტო იდგებოდა, ჯერაც დიდი სიცხეები, და მიცვალებული დროულად უნდა მიებარებინათ მიწისათვის.

მივიდოდა ილიასთან და უამბობდა დაწვრილებით საქმის გარემოებას. მასპინძელი თავისებური სიდინჯით მოუსმენდა, მაგრამ როდესაც კი გაიგონებდა:

– დღეს თქვენთან კრება დავნიშნეთ და დაესწრებიან ივანე მაჩაბელი და იაკობ გოგებაშვილი.

ილიას მაშინვე სახე შეეცვლებოდა, კოპებს შეიკრავდა და მკვახედ მიუგებდა:

– მერე ვინ მოგცათ მაგის ნება ჩემს დაუკითხავად? მანამ ცოცხალი ვარ, მაჩაბელი ჩემს სახლში ფეხს ვერ შემოდგამს.

ილიას პასუხი სტუმარს ისე გააოცებდა, რომ დაიბნეოდა, აღშფოთდებოდა და კარგახანს ხმის ამოღებასაც ვეღარ მოახერხებდა. ის სიტყვები სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდებოდა მისთვის.

„იქ მიცვალებული უპატრონოდ გდია, ოჯახი სასოწარკვეთილებაშია და ილია კი... ილია, პირდაპირი პასუხის მაგიერ, რაღაც პირად ანგარიშებზე მელაპარაკება“.

ბოლობოლო გონს მოვიდოდა:

– ილია, მკვდარს ხომ მოვლა უნდა, და ეს ჩვენი მოვალეობაა.

უპატრონოდ რომ არ დააგდებდა მიცვალებულს, ამას დიდი რამ მიხვედრა არა სჭირდებოდა და წესით არც სტუმარი უნდა დაბნეულიყო, მაგრამ ვანოსთან პირად შეხვედრას კი კვლავ უკმეხი პასუხით აირიდებდა:

– ჩემს მაგიერ მოიწვიეთ ჩემი მოადგილე ნიკო ცხვედაძე, და საცა გინდათ, დანიშნეთ კრება. მე კი ვერ მოვალ.

საქმეს არც ამ შემთხვევაში დააზარალებდა, მაგრამ გულიდან ამოღებულ კაცთან გაუძნელდებოდა მოთათბირება თუნდ საერთო საფიქრალ-გადასაწყვეტზეც.

დაპირისპირებისას დაზოგვა რომ არა სჩვეოდა მოწინააღმდეგისა, ესეც მისი შეუპოვრობის გამოვლენა გახლდათ, სულიერი სიმტკიცისა და კლდესავით უდრეკობის. თავმოყვარეობა ასი და ათასი კაცის სამყოფი ექნებოდა და არავის გააბედინებდა მისი ღირსების შელახვას, მის აბუჩად აგდებას. იაკობ მანსვეტაშვილს ასეთ დროს იგი გაალმასებული ლომისაგან არც განერჩეოდა და აღარც უკვირდა, კაცს ზედ რომ შეაკვდებოდა, ვინც უნდა ყოფილიყო. ულმობელობა მაშინ გენახათ ილიასი, თუკი მის წმიდათა წმიდას, მის რწმენას შეეხებოდი.

ექვთიმე თაყაიშვილსაც მისი ყოველი ხსენება ლომს აგონებდა, ივანე მაჩაბელთან დაპირისპირების დაწყებას კი ასეთ სურათად აღიდგენდა:

ამ ბრძოლამ ილია ბოლოსდაბოლოს გამოაცოცხლა. თუ ერთ დროს მართლაც მიძინებულ ლომს წარმოადგენდა, ახლა ლომმა გაიღვიძა, გაშალა ბრჭყალები და მიფანტ-მოფანტა მოწინააღმდეგენიო.

ერთ მხარეს იდგებოდა ილია – თავისი საოცრად მაგარი ნერვებით.

მეორე მხარეს ივანე მაჩაბელი – ერთობ ფიცხი ბუნებითა და სუსტი ნერვებით, რაც სულ დაეგლიჯებოდა საჯარო თუ კულუარული შეჯახებებისას, მითუმეტეს თავისდაუნებურად ილიას მოპირდაპირე დასის სათავეში

რომ აღმოჩნდებოდა და ყველაფერი მასზე აღარ იქნებოდა დამოკიდებული, სურდა თუ არა სურდა: ანგარიში უნდა გაეწია თავის მომხრეთათვის, წრფელ თანამდგომთა თუ ფარისეველთათვის, მხოლოდ ცეცხლს რომ უკიდებდნენ სამოქალაქო ომს დამსგავსებულ საზოგადოებრივ ყოფას და არ აძლევდნენ ჭიდილის ჩაცხრომის, ჩანავლების, დაშოშმინების საშუალებას.

და აღარ უკვირდა ექვთიმეს, ამ ბრძოლას ფიზიკურად რომ ვერ გაუძლებდა ივანე. და თუმც კენჭისყრით არ გაშავდებოდა, თავისი ნებით განაცხადებდა, რომ შორდებოდა ბანკს...

და ჩამოშორდებოდა კიდეც, დემონსტრაციულად რომ დატოვებდა კრებას.

ილია რას განაცხადებდა?

რასაც ისედაც ყველა მოელოდა მისგან:

– მე მასავით არ გავიქცევი: მანამ თქვენი ნდობა მაქვს, აქა ვარ და აქ ვიქნები!..

თავს მეომარს რომ ადარებდა, ამიტომაც მიიჩნევდა საქმისაგან თავის გარიდებას მეომრის უკან დახევად, გამოქცევად ბრძოლის ველიდან, სიმუხთლისა და ღალატისაგან რომ არც განერჩეოდა ბრძოლიდან განზე გადგომა.

ექვთიმე თვალს მიადევნებდა ივანე მაჩაბლის შემდგომ ბედს, თავისი ცოლისძმის, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის დავით ბაგრატიონის დახმარებით რომ შეადგენდა ქართლის თავადაზნაურობის სინდიკატს, რომლის წევრებსაც მასში უნდა შეეტანათ თავიანთი შემოსავალი. ვანო იქ დირექტორი იქნებოდა, მაგრამ ჯამაგირი რასაკვირველია შედარებით მცირე დაენიშნებოდა. მერე დაავადმყოფდებოდა, რაღაც ბრონქიტი დაემართებოდა და...

ბოლოს ისე მოულოდნელად, საარაკოდ გაქრებოდა, დაიკარგებოდა: ერთ დღეს, დილაადრიან შინიდან გასული, აღარც აღარასოდეს დაბრუნდებოდა. ძებნის ყოველი ცდა უშედეგო დარჩებოდა. გავრცელებით ათასგვარი ჭორი გავრცელდებოდა, მაგრამ...

ნეტა ექვთიმე თაყაიშვილმაც თუ იცოდა ის ჭორი, ნამდვილ ვერსიას რომ ჰგავდა, ან რაღა ჰგავდა – ყველაზე რეალურად და სარწმუნოდ ის რომ გამოიყურებოდა?!.

თავს რომ არიდებს ამის აღნიშვნას, რა გასაკვირია: აკი არც შალვა დადიანი, არც თედო სახოკია და არც გერონტი ქიქოძე არსად ჩაწერდნენ იმ ვერსიას – ყველაზე უტყუარს, ყოველ შემთხვევაში: თვითონ უტყუარად რომ მიაჩნდათ, განსხვავებით იმ ათასგვარი ჭორისაგან, რომელთაგანაც გარეგნულად ყველაზე ძალიან მაინც წყალში გაუჩინარების ლეგენდა ხიბლავდათ, აკაკი წერეთლის მიერ შეთხზული და საბოლოოდ „კანონიკურადაც“ აღიარებული!..

ივანე მაჩაბლის ტრაგიკულ ხვედრზე ჩაფიქრება ძალდაუტანებლად წამოუტივტივდებოდა ექვთიმეს აკაკი წერეთლის სახებასაც და დასძენდა:

იგი რა თქმა უნდა დიდი მომხრე იყო ვანო მაჩაბლისა და ბოლო დროს მასთანაც ედო ბინა, მაგრამ ბანკის საქმეებში არავითარი დახმარების გაწევა არ შეეძლოო.

აკაკის სახების წამოტივტივება ამასაც ათქმევინებდა:

ყოველთვის სჩვეოდა ენამწარობა, ისე, რომ ზოგჯერ თავის მოყვარეთა ძვირსაც ამბობდა ხოლმეო.

აკი ამის გამო გავრცელებულიყო ის ფრთიანი სიტყვები, ექვთიმე აფორიზმადაც რომ იხსენიებს და მიუთითებს ვალერიან გუნიას გაზეთს, ერთხელ იქაც რომ დაბეჭდილიყო:

– ღმერთმა გვაშოროს ილიას მტრობა და აკაკის მოყვრობა!..

ილიას რომ სჩვეოდა, როგორც გურულები იტყოდნენ, მეზერში ჩაყოლა, მხოლოდ მტრისა, ხოლო აკაკი... აკაკი თავის მახლობელსა და მოკეთესაც არ დაზოგავდა...

ექვთიმეს ახსოვდა, როგორ მოელოდა ხალხი აკაკისაგან:

თუ ვინმეს, მაგას ეცოდინება ივანე მაჩაბლის გაუჩინარების მიზეზიც და გარემოებაცო...

მაგრამ მისგან ვერავინ ვერაფერს გაიგებდა, რადგანაც ერთ ვერსიას არ ამბობდა: ხან კი ირწმუნებოდა – წყალშია, უნებურად გადავარდა მტკვარში და არა თვითმკვლელობის მიზნითო, მაგრამ ხან სხვა ვერსიასაც იტყოდა და ხანაც კიდევ სხვას. სულ უბნევდა თავგზას ისედაც გაოგნებულ საზოგადოებას.

ღმერთმა გვაშოროს ილიას მტრობა და აკაკის მოყვრობაო...

თუნდ ეს ერთი რეალია თუ დეტალი:

ილია მკაცრად რომ ესხმოდა თავს საჯარო კრებებზე ივანე მაჩაბელს, არა ზოგავდა და მისი ყოველი ნათქვამი ისე გამოჰყავდა, თითქოს აბსურდი ყოფილიყოს, ერთხელ ისე ძალიანაც კი აიგდებდა, რუსულ სათამაშოს შეადარებდა, ვანკა-ვსტანკას: როგორც გინდათ გადააბრუნოთ, საითაც უნდა გადააგდოთ, მაშინვე ფეხზე წამოხტება და ტანში გასწორდება. აი სწორედ ასეთი ბუნება აქვს ჩვენს ვანოსაც, იმ სათამაშოს სეხნიასო.

ხოლო როდესაც უგზოუკვლოდ გაქრებოდა ვანო, მიწა ჩაყლაპავდა თუ ცა შთანთქავდა, ვასილი, მისი უფროსი ძმა მთელ ქალაქს რომ შეძრავდა, მენავეებს დაიქირავებდა და თითქმის მთელ მტკვარს ააჩხრეკ-დააჩხრეკინებდა, ეგებ იქ წაწყდომოდნენ მის ნეშტს, აკაკის ისე მოაწვებოდა პირზე ოხუნჯური სიტყვები, უკვე ველარაფერს გაუწევდა ანგარიშს და... მართლაც კლანჭის გაკვრა გამოუვიდოდა დაღუპულ მაჩაბელზე, მის ერთ ყველაზე ახლობელ და საყვარელ პიროვნებაზე:

– მენავეები რა საჭიროა. თუ ვანო მართლა მტკვარშია გადავარდნილი, ილია ჭავჭავაძე მოიწვიეთ და კუკიის ხიდზე დააყენეთ: სადაც უნდა იყოს ვანო, იმის დანახვაზე მაშინათვე წყლიდან ამოვარდება.

მართლაც რომ ღმერთს უნდა აეშორებინა ყველასთვის ილიას მტრობა და აკაკის მოყვრობა!..

* * *

იოსებ იმედაშვილი საუკუნის მიწურულს რომ დაუახლოვდებოდა „ივერიის“ რედაქციას, იმ დროს მისი თანამშრომლები იქნებოდნენ: გრიგოლ ყიფშიძე, არტემ ახნაზაროვი, დავით მიქელაძე, ია ეკალაძე, ივანე ახალშე-

ნიშვილი, ილია აგლაძე, გიორგი ლასხიშვილი... იქ დაიწყებდა წვრილ-წვრილი ამბების ბეჭდვას, ლექსების, მოთხრობების... აქვე გამოაქვეყნებდა რამდენიმე ნაწყვეტს – როგორც სიამაყით აღნიშნავდა – პირველი ქართულის იუმორისტული რომანიდან „აახ-ვაახ!“

ლექსებს უმეტესად ილია სინჯავდა და იოსებს ხშირად მოუსმენია:

– თუ ილიამ არ მისცა დასტური, აწყობილიც რომ იყოს, ლექსი ვერ დაიბეჭდება.

ლექსი საერთოდ ცოტა იბეჭდებოდა „ივერიის“ ფურცლებზე, სხვა ჟანრის თხზულებების შერჩევისას თუ კიდევ შეიძლებოდა რაღაც შეღავათი გამოეჩინა რედაქტორს, ამ შემთხვევაში სრულიად შეუვალი გახლდათ. რასაც მოთხრობას აპატიებდა, ლექსს – არაფრისდიდებით!..

ენის სისუფთავის დაცვის მხრივ ხომ საოცარ მოვლენად წარმოუდგებოდა ილია იოსებ იმედაშვილს. ყოველ ნაწარმოებს რედაქციის მუდმივი თანამშრომელ-მდივნები – გრიგოლ ყიფშიძე და არტემ ახნაზარი – რომ სინჯავდნენ, მათ მერეც ილია ისე დაუწყებდა კირკიტს, რომ თვით საკუთარ ნაწერსაც კი რამდენჯერმე შეასწორებდა ხოლმე.

არაერთხელ ეთქვათ ასოთამწყობებს:

– ილიას პირველად დაწერილს რომ ავაწყობთ ხოლმე, ერთი ათჯერ მაინც შეასწორებს, პირველი კორექტურა მეათისაგან ისე განსხვავდება, როგორც ცა დედამიწისაგან.

თვით სავაჭროთა განცხადებებსა და ქრონიკასაც კი არ გაუშვებდა ისე, თავის ენობრივ დარჯაკში რომ არ გაეტარებინა.

გრიგოლ ყიფშიძე მისგან ისწავლიდა, რომ უბრალო განცხადებაც არ გაეშვა თავისი მადლიანი ხელის მიუკარებლად.

და იოსებისა და ყველას თვალშიც:

ილიას რედაქტორობა, მის მიერ შექმნილი სარედაქციო შემადგენლობა ნამდვილი ენის აკადემია გახლდათ.

და ერთ გარემოებასაც მიაქცევდა ყურადღებას, გარედანაც რომ თვალნათლივ ჩანდა:

ყველა ავტორის, ყველა თანამშრომლისა – რაც უნდა პატარა კაცი ყოფილიყო – დიდი პატივისცემელი რომ იყო ილია, ყველასთან უზომოდ თავაზიანი. თუ ვინმეს ნაწერი რაიმე მხრივ არ მოეწონებოდა, თავაზიანად ეტყოდა:

– ეს არ გამოგვადგება, სხვა მოგვიტანეთ.

დამწყებ მწერალთა დიდად წამხალისებელი და შემწყნარე რომ იქნებოდა, ილიას ხასიათის ამ თვისებას თავის თავზეც გამოცდიდა იოსები.

ხოლო იაკობ მანსვეტაშვილს „ივერიის“ გამოსვლის პირველი ხანები რომ აგონდებოდა, ისეთი ამოესახებოდა ილია თვალთა წინაშე, ოცი წლის ჭაბუკივით რომ აკვდებოდა საქმეს: ორი-სამი საათიც რომ ყოფილიყო ღამისა, ძილი და მოსვენება ფიქრადაც არ მოუვიდოდა, ვიდრე ახალდაბეჭდილ, სველ-სველ გაზეთს არ მიუტანდნენ. რა სიხარულით, რა სიამოვნებით გადიკითხავდა ხოლმე ნომერს – თითქოსდა მანამდე გულმოდგინედ არა ჰქო-

ნოდა მომზადებული, თვითეულ ფრაზას რომ უკირკიტებდა და სხვადასხვა კუთხიდან სინჯავდა: აბა როგორ გაისმისო!..

გატაცებით კი მუშაობდა, მაგრამ თან გაფრთხილებასაც არ იშურებდა:

– ყმაწვილებო, არ მიღალატოთ, თორემ – ხომ იცით – თუ პაჭიჭს ერთი წვერი მოერღვა, გათავდა, ბოლომდე ჩაირღვევა პაჭიჭი, იმის შველა შეუძლებელია. მეც ასეთი თვისება მაქვს – შუაგზაზე დადგომა არ ვიცი.

კამეჩსაც შეადარებდა თავს, როგორც მისი ჯიშისა:

რაც უნდა მძიმედ დატვირთული ურემი ყოფილიყო, უკან არ დაიხევდა, ხრამიდან ამოიტანდა, თუკი უღელში შესაფერი ტოლები ეყოლებოდა და მხარს დაუჭერდნენ.

მაგრამ ოჩანი ცხენის ზნეც რომ სჭირდა?

რას გულისხმობდა და:

– თუ ერთი შევდექი, დავოჩნდი, გათავდა, მერე კეტებითაც რომ მცემოთ, წინ ფეხს ვეღარ გადამადგმევინებთ.

ეს რომ ლიტონი სიტყვა არ ყოფილა, აგერ მემუარისტიც დაადასტურებდა, წლობით რომ ეტრიალა მის გვერდით – რედაქციაშიც და შინაურ გარემოშიც:

ასეთი გახლდათ მისი ბუნება, ჭირვეული იყო ყველაფერში, როგორც მუშაობაში, ისე ზარმაცობაში, როგორც სიყვარულში, ისე მტრობაშიო.

და საიდანღაც რომ გადაიელვებდა მიხაილ ლერმონტოვის სტრიქონები პოემიდან „დემონი“: სიყვარულშიც და მტრობაშიც, მერწმუნე, თამარა, უცვლელი ვარ და დიადიო, – რაღა დემონს ეთქვა ეს სიტყვები და რაღა ილიას!..

ახსენდებოდა, როგორ წერდა ილია „ოთარაანთ ქვრივს“:

თავის კაბინეტში ჩაკეტილი განუწყვეტლივ უჯდებოდა მაგიდას, თავაუღებლად და დღედაღამ. ღამითაც აბა!.. ხანდახან ამ დროს რომ მოუწევდათ მის კაბინეტში შესვლა რაიმე საჭირო საქმისათვის, ილია უძრავად იჯდებოდა თავის ალაგას გაცხარებულ წერაში ჩაფლული. მოუბრუნდებოდათ სხივოსანი, შარავანდით შემოსილი სახით, თვალებში მშვიდი ნათელი რომ ჩადგომოდა, მიუგებდათ მოკლედ და ისეთი კილოთი, თითქოსდა ოცნების ბურანიდან ვერ გამორკვეულაო, და მიუტრიალდებოდა ისევ წერას.

ახსენდებოდა, როგორ წერდა„ ქვათა ღაღადსაც“:

ასევე კაბინეტში ჩაკეტილი, გაშმაგებული და გაალმასებული.

ავიწყდებოდა ჭამაც და სმაც. ერთ ფინჯან ყავას თუ შეუტანდნენ და პატარა თეთრ პურს, თორემ სხვა საჭმელს არას მიიკარებდა.

ოლღა შესჩივლებდა ხოლმე თანამშრომლებს:

– ღამე წამოვდგები, მივალ ილიას ოთახთან და კარს ცოტათი შევაღებ, მინდა შევიტყო, ხომ არა უნდა რა. ვხედავ, ილია წამოწოლილა ტახტზე, კაბინეტში რომ უდგას, გაუხდელი და ძინავს კურდღლურად. ფეხაკრეფით გამოვბრუნდები, რომ არ გამოეღვიძოს.

და გაშმაგებული მუშაობისას საჭმელს თითქმის რომ არ იკარებდა, მხოლოდ თამბაქოზე ვერ იღებდა ხელს, პირში გაუქრობლად ედებოდა პაპიროსი და მის ისედაც პატარა კაბინეტში, ამჯერად ჩაკეტილ-დახურულში,

ისეთი დახშული, შეკომლილი ჰაერი იდგებოდა, ახალშესულ კაცს თავბრუს დაახვევდა.

ილია ამას აინუნშიც არ აგდებდა, და გაბედვით კი ვინ გაუბედავდა: შეისვენე პატარა, ოთახი ცოტა მოასუფთავე, ჰაერი გაწმინდეო.

მოათავებდა მუშაობას, გამოვიდოდა თავისი დროებითი საპყრობილედან და... ვერავინ შეატყობდა, რამდენიმე დღე უჭმელ-უსმელი ყოფილა და უძილოდაც გაუტარებიაო, ისეთი მხიარული, ჯანსაღი სახით გამოიყურებოდა.

და იაკობი ისეთი სიამაყით ჩაინიშნავდა:

ვინ არ შენატრებდა, ვის არ შეშურდებოდა ილიას ჯანი, სწორედ რომ ქვითკირითა და რკინით იყო ნაშენი მისი აგებულობა, და ძალად რომ არ მოესპოთ მისი სიცოცხლე, ვინ იცის, იქნებ დღესაც ცოცხალი ყოფილიყოო.

ვინმე გადამეტებად ჩამოართმევდა ამგვარ ვარაუდს?

იაკობი ამას ვარაუდად არც მიიჩნევდა, არამედ – ზუსტ განსაზღვრებად, და მიუთითებდათ ელისაბედ ჭავჭავაძეზე – 93 წლისა რომ გარდაიცვლებოდა, არადა რამდენად უფრო სუსტი აგებულებისა იქნებოდა თავის ძმაზედ.

აი მოათავებდა წერას, ამოისუნთქავდა დღეში 24-საათიანი შრომისაგან, გადადებდა კალამს და... მთელი კვირაობით აღარ დაუბრუნდებოდა საქმეს.

გადიცვამდა ჭრელ ხალათს, დაიხურავდა ფესს და ჩაიკეტებოდა კვლავ თავის კაბინეტში, ოღონდ ამჯერად არა მუშაობისათვის:

წამოწვებოდა მხართეძოზე, აიღებდა ხელში გაზეთს და მიეცემოდა აზიურ განცხრომას, ზარმაცობას... მთელი არსებით შეიგრძნობდა გაჩერებული, გაყინული, მარადისობას დამგვანებული დროის მთელ სილამაზესა და ძალმოსილებას, უდროობასა და უჟამობაში გადანაცვლების მადლსა და ჯადოსნურ უნარს, საათებად, წუთებად, წამებად დაგლეჯილი დროის საპყრობილიდან გამოქცევის ნეტარებას...

თუ ამ დროს ვინმე საქმისათვის ესტუმრებოდა, ახლოსაც არ მიიკარებდა.

და სალაზღანდაროდ მისულს? ოოო – მას კი ორივე კარს გადაუხსნიდა და დიდი სიამოვნებითაც გაუმასპინძლდებოდა.

თუ ვინმე ახლობელი შემოვიდოდა და ეტყოდა:

– მოდი ერთი კამათელი გავაგოროთ.

ილია დიდი სიამით დაეთანხმებოდა, მიუჯდებოდა ნარდს და... კამათლებისა და ქვიშნარების ჩახაჩუხში ყველაფერი ავიწყდებოდა.

არამცთუ ჭადრაკის მღერისას, ნარდშიაც გაბედული და თან ჩაფიქრებული თამაში სჩვეოდა.

ბევრჯერ შეესწრებოდა მის მონარდეობას იაკობიც, ბევრთან ენახა ნათამაშევი, მაგრამ ყველაზე საინტერესოდ მის მოკამათლეთაგან დავით ბარათაშვილი ეჩვენებოდა, კაცი ღირსშესანიშნავი, დიდი გვარიშვილი, შთამომავალი ისტორიაში ცნობილ ბორჩალოს მებატონეთა, დიდი მამულის პატრონი, მარტო ერთ ალაგას 10 000 კაკლის ხე რომ ედგებოდა, თუმც აუარებელი სიმდიდრის პატრონი მუდმივ ვალებში ჩაფლულიყო.

მემუარისტს ამ გარემოებისათვის სხვა რა დაერქმია, თუ არა: გადაგვარების კიდევ ერთი ნიშანი.

გარეგნულად მეტად სუსტი აგებულებისა, ჭკუითაც ვერ დაიკვეხნიდა და, ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლო ნათესავი რომ გახლდათ, თავიც დიდ პოეტად მოჰქონდა. ჯღაბნიდა უშინაარსო, უგვანო ლექსებს და ყველას თავს აბეზრებდა, უნდა წაგიკითხოთო. განსაკუთრებით იაკობს ამოიჩემებდა, ალბათ უკეთეს დამფასებლად მიიჩნევდა, და კინაღამ ჭკუიდან გადაიყვანდა თავისი ლექსების კითხვით... კიდევ კარგი იაკობი მარჯვე ხერხს გამოძებნიდა მის მოსაშორებლად, თორემ თავზესაყრელ საქმეებში ჩაფლულს, ათასად რომ გლეჯდნენ, კიდევ ამ უბადრუკი ლექსების მოსმენა უნდოდა?!.

ბანკში ხშირად რომ მიდიოდა და უთავბოლოდ დახეტიალობდა დავითი, თურმე სულ უმიზნოდაც არა, რადგანაც სამ საათს ელოდებოდა, ვიდრე ბანკში სამსახური გათავდებოდა და ილიაც გამოვიდოდა კაბინეტიდან.

– დავითს ვახლავარ! – მიესალმებოდა, რაწამს თვალს მოჰკრავდა მის კართან ატორღიალებულს, – თუ საქმე არა გაქვთ რა, მოდი სადილად მეწვიეთ და ერთი-ორი ხელი ნარდიც გავაგოროთ.

თუ ვინმეს, ილიას მოეხსენებოდა და ძალიან კარგადაც, დავითს საქმე რომ არა ჰქონდა, ისიც კარგად იცოდა, სადილსა და ნარდზე უარს რომ არ ეტყოდა, მაშ რისთვის დაყიალობდა აქ უთავბოლოდ? მაგრამ მაინც ჰკითხავდა ხოლმე ზრდილობისათვის.

როგორც სხვა ყველაფერში, ნარდის თამაშშიაც სიმჩატე მოსდევდა დავითს, ამით სარგებლობდა მასპინძელი და ჯიბეს გვარიანად უბერტყავდა. დღე ისე არ გავიდოდა, შვიდი-რვა თუმანი იქ არ დაეტოვებინა სტუმარს.

დაიჩივლებდა ხოლმე ნაცნობებთან დავითი:

– კაცო, მგონი ეს ილიას სადილები ძალიან ძვირად მიჯდება.

მაგრამ მეორე დღეს ისევ რომ მიცუნცულებდა ილიასთან ნარდის გასაგორებლად და ჯიბის ამოსაბერტყად, მემუარისტს ის ანდაზა აგონდებოდა: მელას თავის მახრჩობელა უყვარსო.

* * *

ილიასა და მის თანამოსაგრეთა წყალობით რომ ჩაეყრებოდა საძირკველი ძველ ხელნაწერთა შეგროვებისა და მათი დაუნჯების საქმეს წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავის სახით, მერე კი საზოგადოდ ბიბლიოთეკას საქართველოს შესახებ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა:

საძირკველი ჩაეყრებოდა მუზეუმსაც.

როცა 1885 წელს მოვიდოდა ამბავი, სამეგრელოს მთავარმა უგანათლებულესმა ნიკოლოზმა თავის ძველ ხელნაწერთა ბიბლიოთეკა შემოსწირა წერა-კითხვის საზოგადოებასო, ილია ისე გაიხარებდა, თვითონვე იკისრებდა გამგზავრებას სამეგრელოს მხარეში, სოფელ გორდს, სადაც სამეგრელოს მთავართა საზაფხულო სასახლე იდგებოდა და სადაც დაცულიყო ის ბიბლიოთეკა. და ეს ის ილია, შინიდან გაუსვლელობა ყველაფერს რომ ერჩივნა.

მასთან ერთად იქნებოდა ვასილ მაჩაბელიც, ამ საქმის მოთავე და მომხერხებელი, რომელსაც იმ წლის 28 თებერვალს მოუვიდოდა ბარათი ნიკოლოზ დადიანისაგან, რომელიც ატყობინებდა, რომ:

დიდი ხანია გულში ედო, მთელი თავისი ბიბლიოთეკა, რომელიც კი შეეხებოდა საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, ლიტერატურას ან საზოგადოდ რაიმე მხარეს ჩვენი სამშობლოსი, გადაეცა წერა-კითხვის საზოგადოებისათვის, რომელსაც რასაკვირველია უფრო მომეტებული სახსარი და ღონისძიება მოეპოვებოდა ამით სარგებლობა მოეტანა ჩვენი ქვეყნისათვის, ვიდრე კერძო პირს. მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო დღემდე ეს სურვილი შეუსრულებელი დარჩენოდა.

და ახლა სთხოვდა ვასილს, მის მაგიერ გადაეცა ამ საზოგადოების მმართველობისათვის, რომ ნიკოლოზ დადიანს მოეხდინა განკარგულება: მთელი მისი ბიბლიოთეკა კონსტანტინე ნიჟარაძეს ჩაეტანა ტფილისში, „დროების" რედაქტორთან, სადაც საზოგადოების მიერ ამორჩეულ პირთ შეეძლებოდათ ჩაებარებინათ ისეთი წიგნები, რომელთაც ისინი დაინახავდნენ საჭიროდ და სასარგებლოდ.

– თუ ამ ჩემის ბიბლიოთეკის შეწირვით საზოგადოება მოუტანს რასმე სარგებლობას ჩვენს სამშობლო ქვეყანას, მით შევრაცხ თავს ბედნიერად.

საგანგებო კომისიაში მათ გარდა შევიდოდნენ: დავით ერისთავი, იონა მეუნარგია, გრიგოლ ყიფშიძე და სამსონ ყიფიანი – რომელნიც გაზაფხულს გორდსა და ზუგდიდში ჩაიბარებდნენ ხელნაწერთა ამ ძვირფას კოლექციას.

საგულისხმო იქნებოდა ის გარემოება, რომ:

კომისიას გამზადებული დახვდებოდა ადგილზე მთელი ამ ბიბლიოთეკის აღწერილობა-კატალოგი, რომელსაც წინასწარ, ვიდრე ეს ჩაბარება მოხდებოდა, შეადგენდა აკაკი წერეთელი.

ბიბლიოთეკის აღწერილობას 1888 წლის „ივერია" დაბეჭდავდა.

გაყმაწვილდებოდა, გაბავშვდებოდა ილია, თავს რომ ძრახავდა, აქამდე სად ვიყავი, როგორ არ მოვიარე ეს მხარე, ყელგადაგდებული არ მეპატიჟებოდა იონა მეურნარგია თუ რაო?!.

– სამეგრელოში ჩამოველ და საქართველო ვნახე!..

იმეორებდა და იმეორებდა – იქაც ყველგან, გზაშიც, ტფილისისაკენ მომავალიც, ტფილისშიც ხომ არა და არ მოწყინდებოდა და ყველას ურჩევდა, ყველას აგულიანებდა: წადით, მოინახულეთ ეს კუთხე, იქაური საქართველოც ნახეთ, იქიდანაც გამოხედეთ სხვა მხარეებს, რა იყო, ეს მაინც რა იყოო!..

კიდევ უფრო დააფასებდა იონა მეუნარგიასაც, მერედამერე კიდეც რომ შეაგულიანებდა და მოწონებით ხომ მოუწონებდა, ის გულმოდგინედ რომ აგროვებდა მწერალთა და მოღვაწეთა ბიოგრაფიულ და ფსიქოლოგიურ ამბებს, რეალიებს, დეტალებს... ეს ყოველივე ერთიერთმანეთს რომ ებმოდა, ივსებოდა, კანთიელდებოდა, იკვეთებოდა სურათებად და პორტრეტებად, თითქოსდა წვრილმანები რაღაც სულ სხვა ძალმოსილებას რომ იძენდნენ და ამათუიმ პიროვნების სულის სიღრმესა და კუთხე-კუნჭულებში ახედებდნენ იმ ადამიანებს, რომელნიც მანამდე იონა მეუნარგიას

სახელდახელო ჩანაწერების, ჩანიშვნების ღირებულებას სრულიადაც ვერ აფასებდნენ და მოცლილი კაცის ჩხირკედელაობაზე მეტ მნიშვნელობას არც ანიჭებდნენ.

– თქვენზეც მაქვს განზრახული ბიოგრაფიული ნარკვევი, – გაუმხელდა იონა, ილია შორს რომ დაიჭერდა: ჩემზე ღირსეული რამდენი ადამიანია გარშემო, სჯობს მათზე იზრუნო, მათი ცხოვრების ქრონიკის შედგენაზე, მათი ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტების გამოკვეთაზე, მათი ცოცხალი სახეების შემონახვაზე შთამომავლობისათვისო.

მოგვიანებით გრიგოლ დადიანზე, კოლხიდელის ფსევდონიმით ცნობილზე, შექმნილ ნარკვევში იონა მეუნარგია რომ ჩაწერდა სინანულით:

ნეტავ ვისმე, ჩემსავით მოცლილ კაცს, აეწერა თამარის დროის კაცი, იმისი ტანისამოსი, ჩვეულება, ქცევა, ლაპარაკი და სხვა... რა დიდად დაავალებდა ჩვენს ისტორიას, რაგვარად დაასურათებდა იგი ერთობ სიტყვაძვირ „ქართლის ცხოვრებასო“.

ეს ხომ არსებითად იგივე საწუხარია, ილია რასაც განიცდიდა და გულს აკლდა ჩვენი ისტორიული მატიანეების კითხვისას. მეფეებსა და ომებს ვერ გაცდენილანო, უფრო ამას აბრალებდა, თუმც სწორედ ისეთ „მოცლილ“ კაცს მოინატრებდა საუკუნეთა სიღრმეში, ადრე თუ გვიან იონა მეუნარგიას სახით რომ უნდა გამოჩენილიყო და სიახლეც შემოეტანა ქართული ლიტერატურის მდინარებაში, სწორედ ეს რომ აინტერესებდა გარშემომყოფი მოღვაწეებისა – მათი სამოსი, ჩვეულება, ქცევა, ლაპარაკი... ის ათასგვარი „წვრილმანი“, დროის გასვლის კვალობაზე სულ უფრო რომ გამსხვილდებოდა, გადიდდებოდა და რას აღარ წარმოგიჩენდა თუ მიგახვედრებდა.

მაშინ სახელი მკაფიოდ ვერ დაერქმია ილიას, თუ რა სურდა და რას მიელტვოდა „ქართლის ცხოვრების“ კითხვისას, რა აკლდა გულს, რას შეეწუხებინა, და თურმე...

თამარის დროის კაციო...

უპირველესად შოთა რუსთველს იგულისხმებდა იონა მეუნარგია, და ილია რომ წარმოიდგენდა მაშინდელ იონას, „მოცლილს“ და მხოლოდ საამისოდ მომართულს, რუსთველის კვალზე ეტრიალა და ზოგი რამ მისგანვე ჩაენიშნა, ზოგიც – მის მეგობართა თუ ახლობელთაგან, გული უჩერდებოდა.

რუსთველის ბიოგრაფიული ქრონიკა რას დაამშვენებდა ჩვენს მწერლობასაც, ჩვენს კულტურასაც, ჩვენს სახელმწიფოებრიობასაც!..

„წვრილმანები“ რუსთველის პიროვნული ხასიათისა და ბიოგრაფიისა.

„წვრილმანები“ იმჟამინდელოი ყოფითი სინამდვილისა.

დაე რუსთველის ცხოვრების აღწერისათვის მოება თავი იმ „მოცლილ“ კაცს და თუნდ სხვათა ბიოგრაფიული ქრონიკებიც ჩამოემწკრივებინა, ჩახრუხაძეც ყოფილიყო თუგინდა რომელიმე ქრონიკის გმირი, ილიას ძალიანაც რომ არა სიამოვნებდა „თამარიანის“ ავტორის ამოყენება „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედის გვერდით, მაგრამ ოღონდაც „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედის ცხოვრება შემონახულიყო და არა დაშავდებოდა რა, ჩახრუხაძის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის გამოსაკვეთადაც თუ იზრუნებდნენ

– ისე ვინ იცის, რაოდენ სახიერი და კოლორიტული თავგადასავალი წარმოსახულიყო და მრავლისმეტყველი დეტალებით ასხმულითაც.

ნეტა ჩემსავით მოცლილ კაცსო, – „ქართლის ცხოვრების“ სიტყვაძვირობა ვერ მოენელებინა იონა მეუნარგიას.

ნეტა იონასავით თავგამოდებულ კაცსო, – ვერა და ვერ ეგუებოდა „ქართლის ცხოვრების“ სტილისტიკას ილია ჭავჭავაძე.

* * *

ცენზურა მიზერში რომ ჩასდევდა ილიას ყველა ნაწერსაც, ზოგჯერ მაინც განსაკუთრებული ულმობელობით მოექცეოდა, თვით ილიაც რომ ვერ გადაარჩენდა ხოლმე არამცთუ ერთსა და ორ პასაჟს, არამედ ლამის ნახევარსაც სტატიისა, ნაშთიღა რომ რჩებოდა პირვანდელი განზრახვისა.

ამ მხრივ ერთი ყველაზე უფრო დაზიანებული აღმოჩნდებოდა 1883 წლის აგვისტოს „შინაური მიმოხილვა“, საერთოდ რომ აკრძალავდა ცენზურა და იძულებულს გახდიდა ავტორს, არაერთი ადგილი ამოეშალა და ეს შემოკლებულ-დამახინჯებული ვერსია დაებეჭდა სექტემბრის ნომერში.

პავლე ინგოროყვა საქართველოს ცენტრალურ არქივში, საცენზურო კომიტეტის საქმეებში, რომ აღმოაჩენდა თვითონ პირველდედანს ამ წერილისა, ცენზურა რომ აკრძალავდა, ილიას ტომებში ამ დედანს აღადგენდა, ოღონდ რათა მკითხველს გაეთვალისწინებინა იმჟამინდელი ცენზურის პირობები, ყველა იმ ადგილს, რომელიც ცენზორის მაკრატელს ამოეკვეთა, გამოაქვეყნებდა კურსივით და მოათავსებდა სწორ რკალებში.

და ამ სახის პუბლიკაცია მეტად მარჯვე ხერხი აღმოჩნდებოდა.

მოერიდებოდნენ ამ ადგილს:

– არც წვიმა სადმე, არც ქარიშხალი; ელვას რომ ათასში ერთხელ ვღირსებოდით, დიდი ღვთის წყალობა იქნებოდა, ხელს აღვაპყრობდით ცისკენ და ღაღადებით ქებასა და მადლობას ვეუბნებოდით უფალს – ელვისა და ქუხილის გაჩენისათვის ერთის წამით მაინც.

ამ ფრაზიდან:

– დრო მიძინებისა და ჩვენის გონებრივისა და ეროვნული მიმძინარებისა, მოქანცულობისა.

ამოაგდებდნენ „ეროვნულს“.

და მერე მიდგებოდნენ და არ დატოვებდნენ:

– ჩვენს არარაობას.

– ჩვენს დავარდნას, ჩვენს განიადაგებას.

ხოლო მაშინდელი მწერლობის ბურუსიან, მიძინებულ გარემო ჰაერს ხანდისხან და იშვიათად რომ დაარღვევდა ხოლმე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია და გრიგოლ ორბელიანის ღრმად პოეტური კალამი, ერთთან „წარსულ დროთა მოგონებით დაწყლულებულის“ ხსენება უნდა ამოშლილიყო, და მეორესთან კვლავ „ეროვნულის“.

არც იმ სტრიქონებს გააჭაჭანებდნენ:

ეს ორი კაცი, სხვა დროს აღზრდილნი, რომ იყვნენ „სხვა ანდერძის გავლენის ქვეშ, სხვაგან რბოდა მათი გონება, სხვა მიმოგონება სწყლავდა მათ გულს“.

გარემოსთან „წყვდიადი“ უნდა გადახაზულიყო.

არ დაანებებდნენ ეხსენებინა ისტორიკოსი ჟიულ მიშლე, „რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდგომ მდგომარეობაზე ლაპარაკობდა“.

როდესაც ახსენებდა ხალხისა და ერის ნატვრას: მხოლოდ ხორციელ ცხოვრებაზედ ფიქრობდაო, – ჩამოეკვეთებოდა მთავარი მონაკვეთი, უამისოდ ის ნაშთი ამ პასაჟისა, აზრს რომ ჰკარგავდა:

– უნდა გავფრთხილდე, თორემ, სულს ხომ აღარა ვჩივი, ხორცითაც არ დავიღუპოვო.

მომდევნო აბზაცში ამოვარდებოდა „ხალხისთვის და მამულისთვის“ და მოზრდილი მონაკვეთი, რომ:

— აღარავის ახსოვდა მაშინ, რომ ეგ საზოგაოებრივი ასპარეზი იყო დიდ სამსხვერპლოდ გადაქცეული, სადაც იკვლოდნენ და იწირვოდნენ ძენი მამულისანი, რომელნიც ამათსავით ძვირად არ აფასებდნენ თავიანთ თავს, თვითონ ხორცსა და ამ ხორცის მხოლოდ ხორციელ არსებობას, უსულოდ, უგულოდ, ქვეყნისათვის თავგამოუდებლად, მისთვის თავშეუწუხებლად.

40-50-იანი წლების წინაპარნი საქმის ხალხი რომ გახლდათ, ბოზბაშისა და ჩიხირთმისათვის რომ არ ეცალათ, არც დრო ჰქონდათ და არც შეჩვეოდნენ ამგვარებზე ზრუნვას, ამის წამკითხველი თვალს ვეღარ მიადევნებდა, რომ:

— მტერი მუდამ კარზე, მმართველობა, წესისა და წყობილების დაცვა, უშიშროების დამყარება, ქვეყნის წინგაძღოლა, მტერსა და მოყვარესთან პირნათლად გამოსვლა და გაძღოლა – ყოველივე ეს თვითეულად და საზოგადოდ შეადგენდა მაშინდელი ქართველის საზრუნავ საგანს, მისი გონებისა და აზრის სავარჯიშოს.

და ყოველივე ეს რომ აღიხოცებოდა, ყოველივე ეს რომ გაჰქრებოდა, ქართველი 40-50-იანი წლებისა... აქ უნდა გადახაზულიყო, რომ:

— დარჩებოდა უსაგნოდ, ვარჯიშობას მოკლებული, მარტო, სულით ობოლი, სასოებამიხდილი.

ის კი არა, ისეთ კონტექსტში დაიმონმებდა, რომ ცენზორი არ გაუშვებდა ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტურ სტრიქონებსაც:

– დრონი, ვაი რა დრონი, ნაქებნი მტკბარად, წარილტვნენ, განჰქრნენ სიზმრებრივ ჩქარად.

და:

– არ ვსდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად.

შემდგომ მონაკვეთში დატოვებდნენ: ეხლა ის დრო აღარ არისო, – მაგრამ გადაშლიდნენ:

– ჟამმა ჩვენმაც მოაღწია.

ახლა სულ სხვაგვარი ლაპარაკი რომ გაისმოდა, უფრო საიმედო, უფრო გამამხნევებელი, დარჩებოდა: რუსეთშიაც-კი, – მაგრამ გადაშლიდნენ:

– არამცთუ მარტო დასავლეთ ევროპაში, არამედ...

აქედან კი ვეება მონაკვეთი პირწმინდად უნდა ამოგდებულიყო, თავის მსჯელობაში ილია რუსი მწერლის ციტატასაც რომ ჩაურთავდა და მარჯვედ გადაჰკრავდა კატკოვს: ამ მწერლის კეთილსაიმედო სახელს ეჭვქვეშ მარტო ის თუ დააყენებსო.

ციტატა კი ეს გახლდათ, რომ:

— საზოგადოდ ინკორპორაცია ქვეყნისა, რომელსაც ჰქონოდა თავისი ისტორიული ეროვნება, ყოველთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენდა და ხშირად უფრო მეტი ვნება მოჰქონდა, ვიდრე სარგებლობა. ისტორიულ ერთა მოსპობა შეუძლებელი გახლდათ; დიდი უბედურებისა და დამცირების შემდეგაც ისინი კვლავ აღდგებოდნენ ხოლმე და გულში ღრმად იმარხავდნენ შეურიგებელ სიმძულვარეს დამჩაგვრელთა და დამპყრობთა მიმართ.

და მიადევნებდა თავის მხრივ ილია, რომ:

— ამჟამად, როცა ასე საყოველთაოდ განმტკიცებულიყო და აღგზნებულიყო ეროვნული გრძნობა და თავისუფლების სურვილი, უფრო ძნელ საქმეს წარმოადგენდა: მოსპობა რომელიმე ერის დამოუკიდებლობისა და თვისებისა და შერიცხვა მისი სხვა ერთა შინა. ეს ნიშნავდა, რომ: ძალად და განზრახ აეღო თავის თავზე ხელი, დაევიწყა თავისი უწინდელი ცხოვრება, თავისი მოგონებანი, თავისი დაცემული დიდება, თავისი ინტერესები, თავისი ზნე, ენა, და სუყველა ეს – მტრის გასახარად, მტრის სასარგებლოდ. ეს საქმე აღემატებოდა კაცთა შემძლებლობას.

და თუ შეუძლებელი გახლდათ გაერთიანება ერთა, რაღა აზრი უნდა ჰქონოდა სახელმწიფოთა გაერთიანებას.

აღარ ჩამოჰყვებოდა სხვა რუს სწავლულთა და მეცნიერთა აზრს და შეხედულებას ამავე საგანზე. აღარ დაასახელებდა ალექსანდრ გრადოვსკის, ამ მჭევრმეტყველ მოსარჩლეს ეროვნული პრინციპისას, პაპინსა და სხვა მრავალ რუს პუბლიცისტსა და ლიბერალურ გაზეთებს.

დღეს თუმც ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა ჯერ კიდევ არ გათავებულიყო და არც მალე გათავდებოდა, იქნებ დიდი განსაცდელიც მოგველოდა მომავალში...

აქედან გრძელდებოდა დაჩეხილი სტატია, ცენზურა კი ან ილიას პოლიტიკური ფორმულების გამომზეურებას როგორ არ აღუდგებოდა წინ, და ან რუს მწერლებსა და პუბლიცისტებს როგორ შეინყნარებდა, თვით რუსებსაც კი, ისტორიულ ერთა მოსპობასა და ინკორპორაციას რომ ეწინააღმდეგებოდნენ.

უნდა გადახაზულიყო სტრიქონი:

– ძველის საუკეთესო ნაანდერძევის აღდგენა.

ამოშლილიყო: „ეროვნულიც“ და „ქვეყნის დამაბნეველიც“.

კვლავ უნდა გამეტებულიყო ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტური სტრიქონები, ამ ფონზე რომ მოხმობილიყო: დიახ, ბევრსაც ერთიანად გვწამს ჩვენი ქვეყნის მომავალი და:

– გლახ ბედისაგან ესრედ დასჯილნი იმედოვნებას ვუწოდებთ ფარად.

მამულთან გადაიხაზებოდა ეპითეტი „დაჩაგრული“, „დიდების კვლავ დაბრუნებაც“ ზედ უნდა მიჰყოლოდა, ისევე როგორც: „მამულის-შვილობა“ და „ნელთა და საშიშ გარემოებათა“ ხსენება.

ან ამ ფრაზას ვინ გააჭაჭანებდა:

– ერთი საერთო კვნესა და ქუხილი აღმოხდა გულიდამ.

ან „ჩვენს უარარაობას“, ან „ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას“, ან ახალი, „მაგრამ მაინც ფრთაშეკვეცილი“ სამართლის წესების შემოღებას, ან თვითმმართველობის „ნამცეცებს“, ანდა:

– ერთობის გრძნობის გაღვიძება საქართველოს სხვადასხვა პროვინციის მცხოვრებთა შორის.

ან იმ სატკივარ-სადარდებელს როგორ არ ჩაგიბრუნებდნენ გულში, რომ:

ოცი წელიწადიც გადიოდა, რაც ქართული ენის უფლებას იცავდა ჩვენი უღონო აზრი და გონება, იცავდა ძლიერად და თავგანწირულად და აქნობამდის არამცთუ სასამართლო უწყებაში:

– და საერთოდ საზოგადოებრივ საქმეებში, არამედ თვით პირველდაწყებით სკოლაში და, ასე გასინჯეთ, სასულიერო უწყებაშიაც კი ვერ დამკვიდრებულა რიგიანად.

ეს გარემოება მიაჩნდა მიზეზად, ასე შეფერხებით რომ მიდიოდა ჩვენი ხალხის განათლება და პირველდაწყებითი სკოლის საქმე. და ამავე გარემოების ბრალით ვეღარა მოგვეხერხებინა, რომ წერა-კითხვა მაინც გაგვევრცელებინა ხალხში:

– რომელიც თანდაან ამავე მიზეზით უფრო და უფრო გვშორდება ჩვენ, განათლებულ საზოგადოებას, აღარა ეყურება-რა ჩვენი და არც რამ იმედი აქვს ჩვენგან. ან კი როგორ უნდა დაგვიახლოვდეს ჩვენი უმეცრებით გარემოცული ხალხი, უბრალო გლეხობა, – ეს უმრავლესობა ქართველობისა, ეს სული და გული ჩვენის ეროვნული იმედებისა.

„შინაური მიმოხილვის“ ეს დაფლეთილი მონაკვეთი მთავრდებოდა სიტყვებით, რომელიც ამ ნამსხვრევებშიც საგულისხმოდ და გულშიჩამწვდომად გაისმოდა, მაგრამ ცხადია სულ სხვა სიმკვეთრე ექნებოდა მთლიანობის ფონზე... თუმც რაც უნდა იყოს, ერთხელ კიდევ უნდა დაედასტურებინა ილიას განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული იმ პიროვნების მიმართ, რომელიც შთამომავლობის თვალში უნდა დარჩენილიყო მისი მოწინააღმდეგე გუნდის, იმ „მამების“ სიმბოლოდ, ილიას რომ არა სწამდა ამგვარი დაყოფა იმჟამინდელი რეალობისა, თითქოსდა ქართული ენის გადარჩენისა და სხვა სატკივართა ირგვლივ „მამები“ და „შვილები“ ასტეხოდნენ ერთმანეთს, და ამგვარი გამიჯვნა რუსული მოდელის განმეორებად მიაჩნდა, ხელოვნურად მიტმასნილ-მიკერებულად ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მდინარებისათვის.

სულ სხვა სიმკვეთრე ექნებოდა მთლიანობის ფონზეო...

განა ჩვენ ვეცადეთო, – ამუნათებდა საზოგადოებას ილია, – რომ ერთი სახალხო სკოლა მაინც, დაგვეარსებინა თუნდ ისე ჩვენგან პატივცემული გრიგოლ ორბელიანის სახსოვრად, რომლის შემწეობითაც შეძლებულიყო

ხალხსაც დაეფასებინა ჩვენთვის ასე ძვირფასი პოეტი, რომ მასაც ჩვენთან ეგლოვნა ეს მძიმე დანაკლისიო.

განათლებული ფენის ჭირი და გლოვა მათ ჭირად და გლოვადვე დარჩენილიყო, ხალხს კი, უმრავლესობას, ვერ მიეგნო მათი წუხილისათვის, იმ ფენისა, რომელსაც ასე თვალდათვალ შორდებოდა... და ლამის კიდეც გამწყდარიყო ის ძაფები, ასერიგად რომ აკავშირებდა ჩვენს გლეხობას თავადაზნაურობასთან საუკუნეთა განმავლობაში.

ჩაავლებდი მზერას ამ პუბლიცისტური სტატიის გამრთელებულ სხეულს, ასერიგად აჭრელებულს და – რაც მთავარია – თვალში მოსახვედრის მახვილგონივრული პუბლიკაციის წყალობით... ჩაავლებდი მზერას და იოლად წარმოიდგენდი იმ პირობებს, რომელშიაც იმყოფებოდნენ XIX საუკუნის ჩვენი მწერლები და ჟურნალისტები, და ცენზურასთან მათი დაპირისპირების სიმწვავეს, ხან რომ ვერ აღწევდნენ თავისას და დასისხლიანებული ნაწერების შემყურენი რჩებოდნენ, მაგრამ ხან რომ გამოგლეჯდნენ ცალკეულ გამოთქმებს, ფრაზებს, აბზაცებს, მოზრდილ მონაკვეთებსაც.

თურმე იმათ კიდევ რა უჭირდათ, ყველგან აღინიშნებოდა ხოლმე სამი წერტილით გაწყვეტილ მონაკვეთებთან: ცენზურამ ამოშალაო. და მკითხველი თავისით რაღაცას მაინც ივარაუდებდა, წითელი იმპერიის სტომაქში მოხვედრის შემდგომ ჩვენს მწერლებსა და ჟურნალისტებს თავიანთ წინამორბედთა ყოფა სანატრელიც რომ უნდა გახდომოდათ, რადგანაც კვალი არ უნდა დარჩენილიყო ტექსტში ცენზურის ჩარევისა... და აღარც უნდა სცოდნოდა მკითხველს, ცენზურა თუ საერთოდ არსებობდა ბედნიერებით გადავსებულ და სიტყვისათვის თავისუფლებამინიჭებულ გარემოში.

გაბრიელ ეპისკოპოსი წინასწარმეტყველებდა აპოკალიფსური ჟამის მოახლოებას და იმ ადამიანებსაც ადებდა ხელს, რომელთაც უნდა დაემკვიდრებინათ მეფისტოფელური ეპოქა.

ამ ჟამის მოახლოებას წინასწარმეტყველებდა ილია ჭავჭავაძეც და არამცთუ ხელს დაადებდა იმ ადამიანებს, რომელთაც უნდა დაემკვიდრებინათ ეს მეფისტოფელური ჟამი, არამედ შეებმოდა კიდეც და შეეწირებოდა ამ საზარელ ტალღას, რომლის გადავლისთვისაც მისი აჩრდილიც ბევრს იღვაწებდა, მოლანდებული ხან საიდან და ხანაც საიდან, გამამხნევებლად და სულის ჩამდგომად, შემაგულიანებლად და გადამწყვეტ ბრძოლებში წამძღომად ეროვნული მოძრაობისა, რომელიც კარგახანს ლიტერატურას შეაფარებდა თავს, ვიდრე მოაწევდა ჟამი ილიას ნაოცნებარი სახელმწიფოს ჩამოსატანად ზეციდან მიწაზე, სახელმწიფოსი, რომლის ეროვნული საფუძვლებიც მოემზადებინა – ახალი დროის შესაფერისი, ის მტკიცე და მკვიდრი საყრდენები, რომელსაც უნდა გაეძლებინებინა ქვეყანა დიდ საერთაშორისო ჭიდილშიც, და თვალდათვალ დაპატარავებულიყო არაერთი ხიფათი, როგორც მრისხანე ცენზორი ლუკა ისარლიშვილი პატარავდებოდა ხოლმე, ილია რომ მიადგებოდა და შეუნგრევდა კარსა და ბანს, როდესაც იმისი ისედაც მკაცრი მოთხოვნები სულაც ზღვარს სცილდებოდა და ილია უკვე წონასწორობას ჰკარგავდა.

სიმბოლურ ნათქვამად ნუ მოგეჩვენებათ ეს თვალდათვალ დაპატარავების პროცესი ცენზორისა.

არტემ ახნაზარი ცასა და მიწას იფიცებდა: ჩემი თვალით მაქვს ნანახიო. და სიამოვნებისაგან დნებოდა იმ სცენის ყოველი გახსენებისას.

* * *

ივანე ჯაბადარი, ციმბირის კატორღას რომ მოივლიდა და საქართველოს დაუბრუნდებოდა 10-წლიანი პატიმრობის შემდეგ, ხშირად მიაკითხავდა „ივერიას“ და რეაქციის კრებებსაც დაესწრებოდა ხოლმე.

კატორღას იმიტომ მოატარებდნენ, რომ:

მონაწილეობდა რუსეთის ხალხოსნურ მოძრაობაში სხვა ქართველ რევოლუციონერებთან ერთად, ყველაზე თვალსაჩინო სახელებად მაინც გიორგი ზდანოვიჩი და ალექსანდრე ციციშვილი რომ შემორჩებოდნენ იმ პოლიტიკურ მოძრაობას.

ამ ნაროდნიკულ ორგანიზაციას აღმოაჩენდა მთავრობა 1875 წელს და მეთაურებს – მათ შორის ივანე ჯაბადარსაც – დაატყვევებდნენ და 1877 წელს გაასამართლებდნენ. ეს სასამართლო ისტორიაში შევიდოდა 50-ის პროცესის სახელწოდებით, თვითონ ივანე ჯაბადარიც რომ შემოინახავდა ამ სათაურის მოგონებებით: „50-ის პროცესი“, და ნიკო ნიკოლაძეც იტვირთებდა მის მემატიანეობას სტატიით „როგორ იწერება ისტორია“.

„ივერიელებს“ რომ მიეკედლებოდა, სულის მოსათქმელად და მათთვის მხარდასაჭერად თუ მხოლოდ საზოგადოების განწყობილებანი აინტერესებდა? მაინც რედაქცია გახლდათ და მიმსვლელ-მომსვლელი არ აკლდა, და იქ ბევრი ახალი ამბის შეტყობაც შეიძლებოდა.

და ერთხელაც ეტყოდა მასპინძლებს:

– ვრცელი წერილი მაქვს დამზადებული რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ჟურნალ „სევერნი ვესტნიკში“ ვაპირებ მის დაბეჭდვას, მაგრამ წინათ მინდოდა თქვენთვის წამეკითხა და თქვენი აზრიც შემეტყო.

როდესაც მოიტანდა და წაუკითხავდათ, იაკობ მანსვეტაშვილსაც და სხვებსაც ის შთაბეჭდილება დარჩებოდათ, რომ კარგად იყო დაწერილი, კარგი ლიტერატურული ენითა და ცოდნით, ხოლო შინაარსის მხრივ კი... ოოო — ამ მხრივ ძლიერ მოიკოჭლებდა, რაკილა ავტორს ვერ დაეცვა ისტორიული სინამდვილე, ვერ შეეგნო რუსთველის გმირთა სულისკვეთება, გულისძგერა, ვერ გაეაზრებინა მათი საქციელი ისტორიული ეპოქის შესაფერისად.

რას უკიჟინებდა ნესტან-დარეჯანსა თუ ტარიელს და:

პასიურობას, უძრავად, გულხელდაკრეფით ჯდომას ერთ ალაგას, განუწყვეტელ ჩივილს, წუწუნსა და ცრემლისღვრას. და თანამშრომლები ერთმანეთს რომ გადახედავდნენ, ყველას მზერაში ეს ამოიკითხებოდა: ეტყობა იმას ედავება რუსთველს, შენი გმირები რატომ ნიკოლაი ჩერნიშევსკის რომანის – „რა ვაკეთოთ?“ – გმირებივით არ იქცევიანო.

ილია ვერ შეიკავებდა თავს, მისებურად რომ გაცხარდებოდა და გაცეცხლდებოდა:

– არა, ბატონო ივანე, ჩვენ ეგრე ადვილად ვერ დაგითმობთ რუსთაველს. დღევანდელი რუსული კრიტიკის თვალთახედვის ისრით არ გაიზომება „ვეფხისტყაოსანი“. მას მეტი დაფიქრება, მეტი მოსაზრება ესაჭიროება. რუსული კრიტიკის ზენაქვერული ნავარდობა არ აქ გამოდგება. აქ უფრო ღრმად უნდა საქმეს ჩახედვა. ვისაც რუსთაველზე წერა უნდა, იმან უპირველეს ყოვლისა უნდა შეითვისოს იგი არა ჭკუით მხოლოდ, არამედ გულითაც, იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩაწვდეს ქართულ გულის სიღრმეს, იგრძნოს მისი მაჯისცემა. ეს იქნება ქართველი კაცის ნამდვილი გულისთქმა, მისი რწმენა, მისი სამართლიანი განსჯა და არა სკაბიჩევსკის კრიტიკა.

კიდევ ბევრი მწარე სიტყვაც შესთავაზაო, – გვამცნობდა მემუარული ჩანაწერი, თუმც მთავარი აქ ისაა, რუსული კრიტიკის ხერხებით რომ არ შეიძლება განიხილებოდეს შუა საუკუნეების ეპოსი და არც რევოლუციურ თემატიკასა და სულისკვეთებას უნდა მოარგო მისი სიუჟეტი და ხასიათები, თორემ არამცთუ აცდები ყველასა და ყველაფერს, უბრალოდ თავს გაიპამპულებ.

იაკობ მანსვეტაშვილს გაუკვირდებოდა, რომ:

ივანე ჯაბადარი სრულიად არას მიუგებდა ილიას, თავისმართლებას არ შეუდგებოდა, იჯდებოდა გატვრენილი.

მერე და მერე რა უნდა გამორკვეულიყო: ნარკვევი სავსებით მისი დაწერილი არ ყოფილიყო, მხოლოდღა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის გადმოცემა ეკუთვნოდა, თორემ დაწერით, გაშუქებითა და კრიტიკული განხილვით მისი ცოლი გარჯილიყო – შთამომავლობით რუსი, ვერა ლიუბატოვიჩი, დიდი ხნის რევოლუციონერი, ნაროდოვოლცების წრის წევრი. სხვთა შორის დიდი მეგობარი გახლდათ – როგორც თვითონ იხსენებდა მოგონებაში თავმომწონედ – იმ ტერორისტისა, რომელიც ჟანდარმთა უფროსს – მეზენცოვს – მოჰკლავდა.

ივანე ჯაბადარს რომ გაიხსენებდა, ვასილ წერეთელიც საგანგებოდ მოიხსენიებდა ვერა ლიუბატოვიჩს, როგორც დიდი ზეგავლენის მქონეს ქმარზე, ევროპულად განათლებულს, რომელსაც არ მოსწონდა ქართული ზნე-ჩვეულებანი და ყოფა-ცხოვრება, მიიჩნევდა ქართველობას კულტურამოკლებულ აზიელ ერად და რასაკვირველია არც ჩვენი ისტორიული წარსული სწამდა. და ისიც მისი ჭკუით მოხდებოდა, ივანე ჯაბადარის სახელით გამოქვეყნებულ ნარკვევში შოთა რუსთველს ნიზამის „ლეილმაჯნუნიანის“ უბრალო გადმომკეთებლად და მეორე-მესამეხარისხოვან მწერლად რომ გამოიყვანდა.

და ეს წერილი საშინელ შთაბეჭდილებას რომ მოახდენდა მთელ ქართველ საზოგადოებაზე, განსაკუთრებით მაინც ილია იქნებოდა აღშფოთებული და რედაქციაში შეკრებილ მეგობრებს განუცხადებდა:

— უნდოდა თავი გამოეჩინა და ეთქვა მთელი განათლებული საზოგადოებისათვის, აბა შემომხედეთ, რა ზომის კაცი ვარო.

თავისი მიზანდასახულება ჰქონდა იმ წერილს, ეროვნული თავმოყვარეობის შემლახველი და ნიჰილისტური განცდა-განწყობილების გამღვივებე-

ლი, და ივანე ჯაბადარი მაინც გამოაქვეყნებდა, რას დაგიდევდა, ილია ნაცარტუტას რომ აუყენებდა ზეპირი განხილვისას და მართლაც სასაცილოდ გამოიყურებოდა შუა საუკუნეების ეპოსის განსჯა-შეფასება იმ კრიტიკული ხერხებით, ჩერნიშევსკის რომანს რომ მიესადაგებოდა და ამ ყაიდის თხზულებებს, და არაფრისდიდებით – „ვეფხისტყაოსანს“.

„ივერიის“ რედაქციაში ფეხს აღარ მიადგამდა, ხოლო როდესაც იაკობ მანსვეტაშვილი თავის ფელეტონში ორიოდე სიტყვას გადაჰკრავდა იმ პუბლიკაციას დაცინვის კილოთი, ქუჩაში შეხვედრისას უსაყვედურებდა:

– შენც ილიას აჰყევი!

ოღონდ რაკიღა მათ კეთილი ურთიერთობა მანამდეც აკავშირებდათ, ეს განწყობილება არ გაქრებოდა.

ივანე ჯაბადარის ნიჰილისტური სულის გაჟღენთილი „წერილები საქართველოზე“ ილიასათვის ხელსაყრელი საშუალება აღმოჩნდებოდა არამარტო ეროვნულ ნიჰილიზმთან დასაპირისპირებლად, ყველაზე დიდ უბედურებად რაც მიაჩნდა საზოგადოებრივი აზროვნების გადმოსახედიდან, არამედ ბევრი ისეთი რამის სათქმელადაც, რაც სხვაგვარად ცალცალკე და გაკვრით უნდა მიმოეფანტა, ამ შემთხვევის წყალობით კი სტატიების ციკლად გამოიკვეთებოდა, გნებავთ პამფლეტების სტრუქტურაზე აგებულ მონოგრაფიად: „აი ისტორია“ – მოგვიანებით ამავე აღნაგობის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“ რომ უნდა ამოსდგომოდა გვერდით, ეს ორი თხზულება უერთმანეთოდ რომ აღარც კი მოიხსენიება და ხელშესახებად გადმოგვიშლიან ილიასეულ ხედვა-გააზრებას ქართული მოდგმის, ამ მოდგმის ისტორიული თავგადასავლისა და დრამატული ბედისწერის.

ივანე ჯაბადარი ამგვარად განმარტავდა თავისი წერილების მიზანს, თითქოსდა ამ ძირეული და თავიდათავი საკითხის გამორკვევა რომ ენება:

საქართველოს ერი მართლა დაბერებულიყო, დაცლილიყო თავისი ღონისაგან თუ ჯერაც დღესაქამომდე არ დაეწყო სრული ინტენსიური ცხოვრება და შემოენახა ძალ-ღონე მერმისისათვის?

ილია შეატყობდა, ავტორს მეტ-ნაკლებად რომ ეწამებინა უკვე დაძველებული და ბევრთაგან გამტყუნებული აზრი ჰენრი დრეპერისა იმის თაობაზედ, რომ: ერსაც, როგორც თვითეულ ადამიანს, თავისი ასაკები ჰქონდა – ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, ვაჟკაცობა და ბოლოს სიბერე, რომელსაც სიკვდილი მოსდევდა აუცილებლად.

დრეპერს ეს მოსაზრება ზოგადკანონად წამოეყენებინა და ყველა ერს ამგვარ ბედს უქადაგებდა – გარდუვალ აღსასრულს.

და ნიჰილისტური წერილების ავტორიც მის კვალს გაჰყოლოდა, თორემ უამისოდ მისი ის შეკითხვა მომცდარი კაცის ჩხირკედელაობა თუ იქნებოდა, ცუდუბრალოდ მოცდენა მთქმელისაც და მსმენელისაც.

მაგრამ დაე ყველას შეეგნო ილიას შეგონება:

სიბერე ერისა უქმი სიტყვა გახლდათ, მისი საგანი არ არსებობდა და ვერც წარმოიდგენდი.

ის გამოთქმა კი გულიანად აცინებდა: ძალ-ღონის შემონახვა მერმისისათვის.

რა გამოდიოდა:

სრული ინტენსიურობით ცხოვრება ღონისაგან ცლიდა ერს ანუ ასუსტებდა და აუძლურებდა, არაინტენსიური ცხოვრება კი ანახვინებდა ღონეს მერმისისათვის.

აქ რაიმე ლოგიკის პოვნას ამაოდ შეეცდებოდით და ავტორის შეკითხვა ორმაგი რწმენიდან მომდინარეობდა, თორემ რატომ იხოცავდნენ თავს ევროპელნი სრული ინტენსიური ცხოვრებისათვის, თუკი ეს გარჯა არამცთუ ღონეს არა მატებდათ, არამედ სულაც ცლიდათ მისგან და სიბერესა და სიკვდილთან აახლოებთან?

ირონიას არ დაიშურებდა ილია:

დღესაქამომდე რომ გვეგონა, ხსნა ერისა სწორედ მაგ ინტენსიურ ცხოვრებაში იფარებოდა, თურმე ნუ იტყვით და დასახრჩობი ფონი სწორედ ეგ ინტენსიური ცხოვრება ყოფილა. ღონისაგან არდაცლა, ღონის შერჩენა ხომ ბედნიერებაა და მაშ ბედნიერი ერიც ისა ყოფილა, ვინც ამ ინტენსიური ცხოვრების მაცთურებას არ აჰყოლია, მისგან არ გაბრიყვებულა და ღონე შეუნახავს მერმისისათვისო.

მსჯელობისას ილიას უშორეს წარსულში რომ დასჭირდებოდა გადახედვა, ისტორიის პირველჟამს მოიხსენიებდა ცხრა კლიტით დაკეტილ სალაროდ, რომლის გასაღებიც ზღვაში გადაეგდოთ... მაგრამ აღიარებდა და იზიარებდა იმ რწმენას, რომ: ადამიანის გონებას ეპოვნა ეს გასაღები და ამ სალაროს კარიც გამოეღო ცოტად თუ ბევრად.

ეს გასაღები იმისთანა ამბებში იმალებოდა, ადამიანს რომ ზღაპრულად დაეხსომებინა.

ეს ზღაპარნარევი ამბები, თქმულებანი ცხადია მოწმედ და საბუთად არ გამოდგებოდნენ ამათუიმ საქმისა, მაგრამ – მთავარიც ეს გახლდათ – ხშირად ამისთანა ამბებშიც ვპოულობდით ბევრ მართალ აღწერას ზნე-ჩვეულებისას. სასაფლაონი და სამარხი ნაშთნი აკლდამებსა და კუბოებში ძველისძველი დროისა მეცნიერებას გამოეყენებინა იმ ცხრა კლიტით დაკეტილის გასაღებად.

აგერ ენა, მისი სიტყვიერება:

მთელი ხელთუქმნელი ისტორია ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ.

ეთნოლოგიური აღწერა კაცთა ნათესავისა, ყოველი ცალკე თესლისა მთელი დედამიწის ზურგზედ, ბევრ რაიმეს მოგვითხრობდა მასზედ, თუ ვინ და რა საიდან წამოსულიყო, როგორ ევლო და სადამდე მოსულიყო.

მაინც ყველაზე უფრო შემძლებელ გასაღებად დაკეტილისა, ყველაზე უფრო სანდო მონამედ ცივილიზაციის ისტორიისათვის ენა ესახებოდა ილიას, რადგანაც უფროს-ერთ შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებდა ერთობას კულტურისა.

სიხარულით ხვდებოდა ფილოლოგიისა და ისტორიის სიარულს მხარდამხარ და ერთმანეთის შველას, რადგანაც ცხოვრება ერისა გადაშლილი-

ყო, გამომზეურებულიყო მის ენაში, როგორც უტყუარ სარკეში ყოველი მისი თავგადასავლისა და ყოფაცხოვრების ცვალებადობისა.

აქედან ჩანდა მისთვის და ცდილობდა ყველასათვის ჩაეგონებინა, ენის გამოკვლევა რა დიდი ღონე ყოფილიყო გონებისათვის, და ფილოლოგია, როგორც ენის მკვლევარი მეცნიერება – რა სამსახურს უწევდა ისტორიას მის წინადროთა აღსადგენად და საცნობელად. და ამ ღონეს გამოიჩენდა ფილოლოგია უფრო მაშინ, როცა ადამიანის გონება მიაგნებდა ერთგვარ გზას კვლევისას, რომელსაც შედარებით მეთოდს დაარქმევდა.

ეს ის მეთოდი იყო, რომელიც – სიფრთხილითა და ცოდნით გამოყენებული – ისეთ უტყუარობას, ისეთ ზედმიწევნილობას გამოიჩენდა, ისეთ სახელს დაიგდებდა, რომ არ დარჩებოდა მეცნიერება, რომელიც – საცა საჭიროა – ამ მეთოდს არ გამოიყენებდა. ამ მეთოდით ბევრ წყვდიადსა და ბნელს ნათელი მოეფინებოდა, ბევრი დაფარული გამომზეურდებოდა.

და მოიშველიებდა ედუარდ ფრიმანის შეფასებას: შედარებითი მეთოდი უდიდესი ძლევამოსილებაა გონებითად ჩვენი საუკუნისაო.

თვითონაც მარჯვედ გამოიყენებდა ამ მეთოდს და გულდასმითაც შეჰყვებოდა ილია პრეისტორიულ ჟამს ჩვენი მოდგმისა, საგანმანათლებლო დანიშნულებასაც რომ დააკისრებდა ამ ნარკვევს, არამცთუ ოპონენტის მარჯვე გაბურთავება ეკმარა სატირული მახვილით.

ძველი წყაროების ჩხრეკისას „ქალდუს“ ხსენებას რომ წააწყდებოდა, დიდი სიფრთხილით, მაგრამ მაინც გამოთქვამდა ვარაუდს: ვინ იცის იქნება ჩვენი „ქართლიც“ გამოდგესო, – რაკიღა ეგ „ქალდუ“ არმენიაშივე იქნებოდა ნაჩვენები, ვითარცა ბინა ქართველთა ნათესავი ცალკე თემისა.

ივანე ჯაბადარი ხელმოსაჭიდს რომ დაეძებდა ჩვენს მეფეთა დასამცირებლად, და ტენდენციურ საბურველში გახვევით ამათუიმ ისტორიული ეპიზოდისა ქართველთა ღირსების შელახვას, ეგონებოდა ხელსაყრელი პასაჟი ვიპოვნე „ქართლის ცხოვრებაში“ ჩემი ნიჰილისტური დამოკიდებულების დასტურადო.

აგერ თურმე რა ჩაედინა თამარ მეფეს – გაელაშქრა ყარსზედ მარტო იმისათვის, რომ თავისი ახალდაბადებული ვაჟის – გიორგის – ბედი გამოეცადა, და ტყუილუბრალოდ დაღვრიდა აუარებელ სისხლს.

არც სურდა და არც შეეძლო ღრმად გაეაზრებინა ისტორიული რეალობა და დასკვნაც შესაფერისი გამოეტანა ამ ეპიზოდიდან ნარონიკ-რევოლუციონერს, ილია რომ აუხსნიდა მასაც და ყველასაც, ვინც კი რაიმე საჭოჭმანოს დაინახავდა თამარ მეფის ამ სამხედრო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში:

მას შემდეგ, რაც სომხეთი შეიმუსრებოდა, სამხრეთი ჩვენი ღია დარჩებოდა მტერთათვის შემოსასევად. ამ მიზეზით, სომხეთის შემუსვრის შემდეგ, არცერთი მეფე არ ყოფილიყო ღირსეული ამ სახელისა, რომ თვალი სამხრეთისაკენ არა სჭეროდეს და აქეთ საბრძოლველად არ გასულიყოს, რომ ან ჩვენი მიჯნა სამხრეთისა საქართველოზედ შორს გაედგა მოსვენებისა და უშიშროებისათვის, ან მტრისათვის ისეთი ზარი დაეცა, რომ დიდ-

ხანს აღარა შემოებედნათ რა საქართველოსათვის. ეს გახლდათ პოლიტიკური საჭიროება, რომელიც ეთავდებებოდა ჩვენს მშვიდობით ყოფნასა და არსებობას.

შამქორის ომსაც განჯისაკენ ასეთივე აზრი ექნებოდა და საჭიროება. ამ მხარეს გალაშქრება და განზედ გაწევა ჩვენი – დიდი ხანია ერთ უპირველეს საქმეს შეადგენდა ჩვენი ისტორიისა.

დავით აღმაშენებელი და მისი შემდგომნი თამარამდე და თამარის შემდეგ სხვა მეფენიც სულ აქეთ რატომ მიიწევდნენ საომრად?

რატომ და:

ქართველებს ამ მხრით გამაგრება რომ მოგვესწრო, ვინ იცის საქართველოს ბედი როგორ დატრიალებულიყო. საუბედუროდ ეს ვერ მოესწრებოდა, ოღონდ ამ გადმოსახედიდან სულ სხვაგვარად მოჩანდა ყარსზე გალაშქრების ეპიზოდი – აუცილებლობად და ჭეშმარიტ სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებად.

ივანე ჯაბადარი ქართულ ენასაც რომ მისდგებოდა, მის დამცირებას იმ კუთხიდან მოინდომებდა:

რაკიღა თანადროული ქართული ისე ცოტათი განსხვავდებოდა ძველქართულისაგან, რომ შუა საუკუნეთა თხზულებებს დღევანდელი ქართველი ადვილად კითხულობდა და ადვილადაც ესმოდა, თურმე ეს გარემოება გვიჩვენებდა, რა ცოტად წარემატნა, რა ცოტად განვითარებულიყო ქართული ენა.

და ირონიას მოიშველიებდა ილია:

დიახ, ეგრე გახლავთ – იტალიელნი დანტე ალიგიერსა და ტორკვატო ტასოს დღეს ადვილად კითხულობენ და ადვილადაც იგებენ წაკითხულსა და ეს გარემოება ამტკიცებს, რომ მას აქეთ იტალიური ენა ძალიან ცოტად წინ წასულა და განვითარებულაო!..

შრადერი ინდოგერმანულ ენებს უარესობასა და ნაკლულოვანებას რომ უკიჟინებდა, იმ საბუთითაც: მრავლობითი ბრუნვის აღსანიშნავად აქვთ ბრუნვა განსხვავებული მხოლობითის ბრუნვისაგან, მაშინ როდესაც ლოგიკა ითხოვს მრავლობითსა და მხოლობითს ერთიდაიგივე დაბოლოება ჰქონდესო, – და როდესაც ახსენებდა უფრო სრულ ენებს, რომელთაც მრავლობითის მაჩვენებელ სუფიქსს ჩაერთოდა მხოლობითის დაბოლოება დასაბრუნებლად, – მის მოწონებულ ენათა შორის... ქართულიც გამოანათებდა.

მეორე განსაკუთრებულ თვისებასაც აღნიშნავდა ილია ჩვენი ენისა, სწორედაც ენის წარმატების მომასწავებელს:

ჩვენს ზმნებსა და ნამეტნავად მათ მართლაცდა გასაკვირველ ფორმებს.

ამ მრავალგვარ ფორმათა წყალობით, მარტო ერთი ზმნით, სხვა სიტყვის ნაწილების დაუხმარებლად, გამოითქმოდა პიროვნებაც მოქმედისა, მიმართულებაც და სხმით-გარდასხმითობაც.

– მაგალითებრ, „ვაკეთებინებ“, და ბევრი სხვა გარემოება მოქმედებისა თუ მდგომარეობისა, არა გვგონია სხვა ბევრმა ენამ გამოსთქვას ერთი ზმნით,

სხვა სიტყვის დაუხმარებლად თუნდ, მაგალითებრ, ეს ქართული: „წავაღებინებ, წამოვაღებინებ“, „გადააზომინა, გადმოაზომინა“ და მებრვე სხვა.

ზმნების ფორმების სიუხვით ბევრი სხვა ენა წინ რომ ვერ წაუვიდოდა ქართულს, ილიას უნდა მოეშველიებინა კარიერისა და ჰუმბოლდტის შეხედულება: მეტყველების ღონე და ძლიერება ზმნა არისო, – და დაერთო:

მაშ ქართული ენა ზედგამოჭრილი ყოფილა ამ ნათქვამზედ, რადგანაც ქართული უფრო ზმნებით ლაპარაკობს, ზმნებით მეტყველებს, ვიდრე სხვა სიტყვის ნაწილებითო.

ნიმუშად დაასახელებდა შოთა რუსთველს, რომლის ფრაზეოლოგიაც გასაოცარ სიუხვეს წარმოგვიდგენდა ზმნების გამოყენებისა, და მიადევნებდა:

დიდ ღირსებად ვუთვლით რუსთაველს, რომ ამ დედაძარღვს ჩვენი მეტყველებისა ასეთი განიერი გზა და ავალა მისცა და თითქმის არცერთხელ არ უმტყუნაო.

კიდევ ერთ განსაკუთრებულ თვისებას აღნიშნავდა:

ჩვენს ენაში არ არსებობდა არცერთი სიტყვის ნაწილი, რომელიც არსებითი სახელივით არ იბრუნებოდა – თუნდ ზმნიზედა, თუნდ თანდებული, თუნდ ზედსართავი, თუნდ ნაცვალსახელი და თუნდ თვითონ ზმნაც, როცა უღვლილების ფორმაში გახლდათ.

და კიდევ ერთი განსაკუთრებული თვისებაც:

ჩვენს ენას არ ეხამუშებოდა, არც ეუცხოებოდა თუნდ მთელი ფრაზის დაბრუნება, როგორც ცალკე სიტყვისა.

და სანიმუშოდ მოიშველიებდა რუსთველურ აფორიზმებს, რომელთაგან პირველი ასე გაისმოდა:

სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი-ს მაგიერ რუსთაველი უკეთესს ვერას იტყოდაო.

იშვიათად რომ კაცს დასჭირებოდა ამისთანა ფორმის გამოყენება?

მთავარი ისაა, რომ ეს ენის წინააღმდეგი არ იქნებოდა, მითუფრო, რომ ამრიგად მიმოხრილი აზრიც ადვილი გასაგები გახლდათ.

და დასძენდა:

არა გვგონია, რომ ენას წარუმატებლობაში ჩამოერთვას, როცა სხვა სიტყვების ჩაუმატებლად და აუჭრელებლად, მარტო ერთი ფლექსიის შემწეობით, ამისთანა სახსარს იძლევა აზრის მიმოხვრისა და განცხადებისათვისო.

ენას სარკედ რომ მოიხსენიებდა, რომლისთვისაც სხვადასხვა ამბის გამოკითხვა შეიძლებოდა, გაიხსენებდა სიტყვათა მწკრივს: წყალობა, მიწყალე, შემიწყალე, მოწყალება – ყველგან „წყალი“ რომ გაისმოდა და ეს ცოცხალი მოწმე გვატყობინებდა, რომ:

პირვანდელი ბინა ქართველებისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილიყო, „წყალობა“ ნატვრისა და ვედრების საგნად გახდომოდა. ტიგროსისა და ევფრატის დაღმა რომ აღარ გავყოლოდით და მარტო არმენიაც გაგვეხსენებინა, სადაც წინათ ბინადრობდა ქართველი და სადაც დღესაც „წყლობა“ მართლა დიდ ღვთის წყალობად მიიჩნეოდა, რადგან მიწა კი მდიდარი გახლდათ, მაგრამ უწყლოდ ვერა მოჰყავდათ რა.

სტატია სტატიას შეემატებოდა „აი ისტორიის“ ციკლში და ღმერთების პანთეონის ირგვლივაც მოუწევდა ჩაფიქრება, ამჯერადაც საბაბი რომ გამოდგებოდა ივანე ჯაბადარის უმეცრული აზრების მხილება, და ილია კვლავ მიუბრუნდებოდა ლურსმულ წარწერებში მოხსენიებულ „ქალდსა“ და „ქალდისს“, რომელსაც „ქართლისად“ ივარაუდებდა, ბიზანტიის ზეგავლენით „ქართლოსად“ რომ გადაკეთდებოდა და ქართული მითოლოგია ასახელებდა ჩვენს პირველყოფილ წინაპრად, ქართველები მერეც თაყვანს რომ სცემდნენ, როგორც „ქართლის ცხოვრება“ იუწყებოდა.

საკითხად წამოჭრიდა და უფრო მეტს აღარ აიღებდა თავის თავზე – ამ ნათქვამს, ამ დაახლოებას ჩვენი მატიანის „ქართლოსისა“ ლურსმული წარწერების „ქალდისთან“ უფრო ძლიერი დასაბუთება ესაჭიროებოდა და რაიმე აუცილებელ მნიშვნელობას სულაც არ ანიჭებდა. ეს ამბავი კი მოეხსენიებინა მხოლოდ იმისათვის, რომ ამ მხრივ ყურადღება მიექცეოდა და ეს საგანი გამოძიებულიყო მასზე უკეთეს მცოდნეთაგან.

არასოდეს მორიდებოდა ილია ამგვარის თქმას: ჩემზე უკეთეს მცოდნისაგანო.

მისი თავმდაბლობა ყოველ დეტალში ცნაურდებოდა, თუკი დაუკვირდებოდი. და ამჯერად აგულიანებდა ახალ თაობას, ამ მიმართულებით დაეწყოთ და გაეგრძელებინათ საფუძვლიანი კვლევა.

მეტად საგულისხმოდ ეჩვენებოდა გამოძიება იმისა, თუ რა მნიშვნელობის ღვთაებანი გახლდნენ: არმაზი, გაცი და გაიმი, და რას მოასწავებდნენ.

ილია ზოგიერთ საბუთს წაწყდომოდა ამ საკითხის ასახსნელს, მაგრამ წერილების ეს ციკლი უამისოდაც მეტად გრძელდებოდა და ამიტომაც მხოლოდ შეპირდებოდა მკითხველს, რომ: ამაზე სასაუბროდ ცალკე მოიცლიდა.

ამჯერად კი მარტოდენ იმის თქმას იკმარებდა, რომ: ჩვენი ღმერთების პანთეონში ბევრი სხვა ღვთაებაც მოიპოვებოდა, მაგალითად ბოჩი, თეიმურაზ ბატონიშვილის აღწერით: შვიდხელა რომ გახლდათ.

ხოლო არმაზზე რომ ირწმუნებოდა თეიმურაზ ბატონიშვილი: ნათელისაგან შობილად იყო წამებულიო?

იქ კიდევ: ზადენი, აინინა, დანინა...

ლამის ყველაფერი მიეტოვებინა და გადაშვებულიყო უშორეს წარსულში, შეჭრილიყო გონებითაც, გულითაც, გუმანითაც, გამოეწურა ყოველი ცნობა, აეხსნა ყოველი ბუნდოვანი პასაჟი, ჩაწვდომოდა ყოველ საიდუმლოს...

საადგილმამულო ბანკს ვიღა მიხედავდა, თორემ...

წერა-კითხვის საზოგადოებას ვინ უმეთაურებდა.

„ივერიას“ ვინ უპატრონებდა.

დრამატულ საზოგადოებას ვინ შეეშველებოდა.

პამფლეტებს, პუბლიცისტურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სასოფლო-სამეურნეო, პედაგოგიკურ, თეატრალურ სტატიებს ვიღა დაწერდა ასეთი ინტენსიურობით, ასეთი ყოვლისმომცველობით, და ასერიგად დაშორიშორებულ თემატიკაზე.

მტრის მოსაგერიებლად წინა ხაზზე ვინ აღიმართებოდა: ყველგან და ყოველთვის.

დასანანია, ძალიან დასანანი ის შეპირება რომ ვერ აღსრულდებოდა?

რა – დასანანი და კიდევ უფრო დასანანი არ გახლდათ, პროზაიკოსობას რომ უნდა ჩამოსცილებოდა და – არამცთუ რომანების სერია ვეღარ შეექმნა – „სარჩობელაზედ" სულაც ცალფად დარჩენილიყო და მსოფლიო ნოველისტიკის ამ შედევრს გვერდით არ ამოსდგომოდა ამავე რანგისა და ღირსების, მართლაც შესანიშნავ ნოველათა მთელი წყება?

გარდა 14 სტატიისა, რომელნიც შეადგენდნენ „აი ისტორიის" სტრუქტურას, ილიას კიდევ ორი წერილიც ექნებოდა გამზადებული, მაგარმ დაბეჭდვისაგან თავს შეიკავებდა, რაკიღა ის საკითხები ვერ მოეჩვენებოდა მთლად გამორკვეულად, საალაბედოს კი ვერ გახდიდა.

ივანე ჯაბადარი ნარ-დონის ფსევდონიმით რომ გამოაქვეყნებდა ორ ფელეტონს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც „აი ისტორიის" ბეჭდვა არ მოთავებულიყო, ილია უპასუხოდ არ დატოვებდა და პოლემიკური გამოხმაურებით „გზა-და-გზა და სხვათა შორის" კიდეც მოუღებდა ბოლოს...

ეგ კი არის, ნიკო ნიკოლაძეს რაღა რჯიდა, ანონიმურად რომ ჩაერეოდა პოლემიკაში სტატიით „ბიზანტიური კამათები" და... ივანე ჯაბადარის გვერდით ამჯობინებდა ყოფნას?

დიახ, დიახ: ივანე ჯაბადარის და არა ილია ჭავჭავაძის.

გასაკვირია? ეგებ არც ძალიან გასაკვირი.

ნეტა ილია თუ მაშინვე ამოიცნობდა ნამდვილ ავტორს, ვიდრე ათი ნომრის მერე გამოტყდებოდა ნიკო, მისი ხელით რომ დაწერილიყო ის სტატია?

რას არ ამოიცნობდა, ნიკო ნიკოლაძის სტილი არ შეეშლებოდა: არც ქართულად და არც რუსულად – ახლა ირონიულ მანერას რომ მოიმარჯვებდა: ძლივს, ძლივს მოვესწარით, რომ აქაურმა რუსულმა გაზეთმა – „ნოვოე ობოზრენიე", – მოიცალა ჩვენთვისაც მრავლად რთულ და მძიმე საქმეებისაგან. ძლივს იკადრა და ხმა ამოიღოო.

იკადრას რატომ ამბობდა?

იმიტომ, რომ ამ ყურმახვილ და გონებაფხიზელ გაზეთს არ უყვარდა რაღაც დაობებულ საგნებზე ლაპარაკი. იგი უფრო მწვავე და უფრო დღევანდელ საჭირბოროტო საქმეებზე გადაგებულიყო, როგორც მაგალითად ბაქოს ნავთი და ბაქო-ბათუმის რკინიგზა გახლდათ, და ნავსმოკიდებული წარსული საქართველოსი კი, რომელიც ჯაბადარ-ლიუბატოვიჩის „წერილებს საქართველოზე" საგნადა ჰქონდა, მიენებებინა საღეჭად და საცოხნელად იმისთანა გაზეთებისათვის, როგორადაც – მათ თვალში – უბადრუკი, უფხო და მკვდარი „ივერია" გამოიყურებოდა.

„ნოვოე ობოზრენიე" ორად ორ დანაშაულს თუ უპოვნიდა ივანე ჯაბადარს:

ერთი ის, რომ... შედგომოდა ძიებას საქართველოს ძველი ისტორიისა ანუ იმისთანა საქმეს, რომელიც ცარიელ კვერცხის ნაჭუჭადაც არა ღირდა.

და მეორე ის, რომ: ცდება, ვითომც ქართველებს თავისი არა ჰქონიათ რა, მაშინ როდესაც ამოდენი საუკუნე უცხოვრიათო.

და მისდგებოდა და რას მისდგებოდა ილია:

პირუთვნელობას „მწყაზარი გაზეთისა“ – სხვა რომ ვერა შეემჩნია რა იმ სახელდაუდებელ კადნიერებაში, უვიცობაში, რომლითაც ნარ-დონს წაეთითხნა თავისი ნაჯღაბნები. ის ათასი სხვა უშვერობა, ის ათასი სხვა განგებ მოგონილი ტყუილები, განგებ თავდაყირა და უკუღმა გადაბრუნებული ამბები კი „ნოვოე ობოზრენიეს“ ეპატიებინა იმისათვის და წაეფუჩეჩებინა.

ხოლო როდესაც ანონიმი პოლემისტი გონებამიხდილობასა და დახშულობას დასწამებდა ქართულ ინტელიგენციას: „წერილები საქართველოზე“ მეტი სალაპარაკო საგანი მათ გონებას ვეღარ მოუპოვებია და მოუხერხებია სავარჯიშოდაო, – ილიას მხიარული სიცილით როგორ არ ეკითხა:

უფროს-ერთი თანამშრომელი ამ გაზეთისა ქართველთა ინტელიგენციას ეკუთვნის და მაშასადამე, რასაც ჩვენს ინტელიგენციას უკიჟინებენ, ის თავის თავსაც უნდა უკიჟინონ, რადგანაც აქ გამოუკლებლივ ლაპარაკია ყველაზე საერთოდ, მთელს ინტელიგენციაზედ. ან იქნება ჰგონიათ, რომ რაკი რუსულადა წერენ, ჩვენგან გაიხიზნენო?

რატომ აპილპილებოდა ქართული ინტელიგენცია ივანე ჯაბადარს?

იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ნიკო მარისთვისაც ვერ ეპატიებინათ „ვეფხისტყაოსნისათვის“ ხელის წამოკვრა:

მისი ამბავი რუსთველმა სპარსელი პოეტებისაგან გადმოიღოო.

და ახლა „ნოვოე ობოზრენიე“ რომ დაძრახავდა „ივერიასაც“ და მის მომხრეთაც, მთელ სვეტ-ნახევარზე მოიტანდა არაერთ მაგალითს: გოეთეც, შექსპირიც და ბევრი სხვა სახელოვანი მწერალიც ამასვე სჩადიოდა, ხშირად სხვის ამბავს გადმოიღებდნენ, მაგრამ ამის გამო მათ სახელს არავითარი ჩრდილი არ მიჰკარებია და მაინც მსოფლიო გენიოსებად არიან შერაცხულნიო.

ვითომ ვერ იგებდა ნიკო ნიკოლაძე, რას გაეგულისებინა ასერიგად ილია და რატომ მიაჩნდა რუსთველის დამცირებად, თუკი სიუჟეტი მისი პოემისა სპარსელ პოეტთაგან იყო დავალებული?

რაო ვითომ – ილიამ, გოეთეს, შექსპირისა და იმ კიდევ სხვა მწერალთა შემოქმედების ერთმა საუკეთესო მცოდნემ, არ იცოდა ის ანბანური ჭეშმარიტება, სიუჟეტის განმეორება სულაც რომ არ ამცირებს მწერალს, თუკი დიდი ხელოვნებით წარმოსახავს სხვისა თუ სულაც სხვათა მიერ გამოძებნილ სიუჟეტურ ქარგას?

მაგრამ როდესაც მკვლევარები პოულობდნენ გოეთეს „ფაუსტის“ თუ შექსპირის ტრაგედიების პირველწყაროებს, მათ ხელთ ჰქონდათ უკვე ეს დოკუმენტური დადასტურება და მხოლოდღა იმას არკვევდნენ, რა როგორ გარდასახულიყო ამ დიდებულ მწერალთა ხელში. გვერდი-გვერდ შეეძლოთ დაელაგებინათ ეს სიუჟეტები, შეესწავლათ და შეეფასებინათ.

ხოლო „საქართველოზე წერილების“ ავტორს რა საბუთი მოჰყავდა თავისი შეხედულების გასამართლებლად?

ამაზე მეტი ვერაფერი:

„ვეფხისტყაოსანსაც“ და სპარსელთა ამბებსაც საგნად სიყვარული აქვთო.

აბა საიდან დაედასტურებინა სპარსულ ეპიკურ პოეზიაში მსგავსი სიუჟეტური ქარგა, თუკი ასეთი რამ არ არსებობდა და ამიტომაც ვერ მიეგნო ვახტანგ VI-საც, მიუხედავად გულმოდგინე ძიებისა.

უსაბუთო მოსაზრებებს ვერ აპატიებდა ვერავის ილია „ვეფხისტყაოსანზე“, თორემ თუკი პირველწყარო დადასტურდებოდა, ცხადია მაშინ უკვე შეიძლებოდა მსჯელობა გოეთეს, შექსპირისა თუ იმ სხვა სახელოვან მწერალთა ანალოგიაზე.

არჩილ ჯორჯაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდა პამფლეტების ამ ციკლსა თუ მოზაიკურ მონოგრაფიას:

„აი ისტორიაში“ ილია ჭავჭავაძე გვაძლევს იმ საზომს, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ საქართველოს ისტორიის უმთავრეს მომენტთა დაფასებაში. ავტორი გულისხმობს პოლიტიკურ და კულტურულ მხარეს ჩვენი ისტორიისაო.

და გულდასმით და ყოველმხრივ გაათვალსაჩინოებდა, რომ:

ილია ჭავჭავაძის მოსარჩლეობა შორს იდგა მყვირალა, ცრუპატრიოტული მოსარჩლეობისაგან. და ყოველი მისი დასკვნა დაფუძნებულიყო დაფიქრებაზე, ფაქტების ცოდნასა და მეცნიერულ ჭეშმარიტებაზედ. სახელმძღვანელოდ მოემარჯვებინა მეცნიერული კრიტიკა და ამ კრიტიკის საშუალებით მიიკვლევდა გზას.

არჩილ ჯორჯაძე ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებასაც, ისტორიის მამოძრავებელი ძალისა და საფუძვლის გამოსარკვევად ჩვენშიაც თანდათან ფეხს რომ იდგამდა მარქსისტული შეხედულება ისტორიული პროცესის მსვლელობაზე: ისტორიის უმთავრესი ფაქტორი და ისტორიის შემქმნელი ძალა მწარმოებლისა და ხალხის ეკონომიკური ურთიერთობააო.

და ამონარიდს რომ მოიხმობდა „აი ისტორიიდან“, გაათვალსაჩინოებდა, სოციოლოგიური კითხვების გადაწყვეტისას ილია რარიგ უფრთხოდა ცალმხრივ დოქტრინალურ მოძღვრებებს და ერიდებოდა ცალმხრივი მოძღვრების საშუალებით რთული და მრავალშტოიანი ისტორიული ცხოვრების განმარტებას.

ამისათვის უარყოფდა იგი სოციოლოგიაში როგორც აბსოლუტურ იდეალიზმს, ისე აბსოლუტურ მატერიალიზმსაც და მიიჩნევდა, რომ: მრეწველობის, სიმდიდრის მეტ-ნაკლებობა (ეკონომიკური ურთიერთობა და მწარმოებელ ძალთა ვითარება) ოჯახურ, საზოგადოებრივ წეს-წყობილებასთან, ცოდნასა და ზნეობრივ განვითარებასთან ერთად ქმნიდა ისტორიას.

ექვთიმე თაყაიშვილისათვისაც მრავალმხრივ მნიშვნელოვანი აღმოჩნდებოდა არამარტო ცალკეული დაკვირვებანი და შეხედულებანი ილიასი ჩვენს ისტორიულ წარსულზე, არამედ ისტორიის მისეული ფილოსოფია, ის შინაგანი ხედვა გარდასული პროცესებისა, ყოველთვის რომ ახერხებდა ისტორიის ქერქში ჩაჯდომას და იქიდან მიმოტარებას მზერისა; მრავალმხრივ მნიშვნელოვანი აღმოჩნდებოდა, რადგანაც მის წინაშე იდგებოდა კაცი – დიდი მოყვარული საქართველოს ისტორიისაც და არქეოლოგიისაც, და

ნიშანდობლივი ეჩვენებოდა, ილიას საუკეთესო შეხედულება რომ მოეპოვებოდა არქეოლოგსა და ისტორიკოსზე დიმიტრი ბაქრაძეზე, ძალიან პატივს სცემდა და აფასებდა.

პირველ ხანებში ექვთიმე სწორედ დიმიტრი ბაქრაძესთან დაიწყებდა მუშაობას და დაიწყებდა იმით, რომ დიმიტრი გაცნობისთანავე გადმოსცემდა ახალდაარსებული საეკლესიო მუზეუმის წესდებას – თავის მიერ რუსულად შედგენილსა და სათანადო მთავრობის მიერ დამტკიცებულს – ქართულ ენაზე სათარგმნელად. ექვთიმეც თარგმნიდა, დაბეჭდავდნენ და კიდეც შეადგენდნენ საეკლესიო მუზეუმის კომიტეტს.

ილია აქტიურ თაოსნობას გამოიჩენდა მცხეთაში, ბაგინეთზე მცირე საცდელი თხრის ჩატარებაში, რასაც დიმიტრი ბაქრაძეს დაავალებდა.

საერთოდ კი ხშირად გაიმეორებდა:

– ერთი კაცი უნდა გავიჩინოთ ისეთი, რომ ჩვენს ისტორიასა და არქეოლოგიაზე მუშაობდეს და სხვა არაფერი საქმე არა ჰქონდეს. ჩვენი სირცხვილია, ამისთანა რომ არავინა გვყავს.

ერთხელ ნიკო ღოღობერიძე მიიწვევდა რამდენიმე კაცს – პირველ ყოვლისა რასაკვირველია ილიას. აგრეთვე: ნიკო ცხვედაძეს, იაკობ ისარლიშვილს, ექვთიმე თაყაიშვილსა და კიდევ სხვებსაც. და გამოუცხადებდათ:

განზრახული მაქვს ქართული საქველმოქმედო საქმისათვის 50 000 მანეთი დავტოვო, და რა მიზნით და რომელ საზოგადოებას გადაეცეს ეს თანხა?

ილია შესთავაზებდა:

– ეგ თანხა გადაეცეს წერა-კითხვის საზოგადოებას, რომელიც მაგის ყოველწლიური პროცენტით ერთ კაცს აიჩენს, არჩენს და ის კაცი ჩვენი ისტორიისა და არქეოლოგიის მკვლევარი იქნება.

იმ თანხის ყოველწლიური პროცენტი შეიძლებოდა 2 500 მანეთიც ყოფილიყო და ეს კი საკმაოდ დიდი ფული იქნებოდა. ექვთიმე გუნებაში შეადარებდა ვიცე-გუბერნატორის ჯამაგირს, რომელიც 3 000 მანეთს შეადგენდა.

ნიკო ღოღობერიძე ამ შეთავაზებას არ გაიზიარებდა:

– მე კი უფრო განათლებისათვის მინდა, რომ ღარიბი ახალგაზრდობის სწავლას მოხმარდეს და ამიტომ მირჩევნია სტიპენდიებისათვის დავტოვო.

ამას რომ გაიგონებდა ილია, აღარაფერს იტყოდა, ოღონდ გულში ხინჯად ჩარჩებოდა, ეს რეალური გზა ისტორიკოსისა და არქეოლოგის გამოზრდისა უეცრად რომ გადაიკეტებოდა.

უცნაური კი ის ეჩვენებოდა ექვთიმე თაყაიშვილს, ასეთი შეხედულების კაცს, ილია რომ გახლდათ და ასე ღრმად ესმოდა ყველაფერი, და იმხელა გავლენაც მოეპოვებოდა, ბანკიც ხელთ ეპყრა და წერა-კითხვის საზოგადოებაც, ერთხელაც არ მოაფიქრდებოდა ამ დაწესებულებათა ხანჯზე მოეწყო ის საქმე, ნიკო ღოღობერიძეს რომ სთავაზობდა და რომლის მოუწყობლობაც ქართველობისათვის სამარცხვინოდ მიაჩნდა.

ასეთი შეუსაბამობა ყოველთვის აკვირვებდა, გულში კი ექნებოდა, მაგრამ რას გაუბედავდა თქმას?

არ გამოიჩენდა ამ მხრივ თაოსნობას.

ექვთიმეს ის შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ილიას ბანკის შემოსავალი სულ აგრარული საქმეებისათვის უნდოდა და მუდამაც იქით მიილტვოდა; და სათავადაზნაურო სკოლის ტიპის შესახებ რომ იქნებოდა მსჯელობა, მაშინაც სულ აგრარულ განხრაზე ილაპარაკებდა...

გავიდოდა ათწლეულები და: როდესაც 1927 წელს ილიას თხზულებათა მეხუთე ტომი გამოიცემოდა, ივანე ჯავახიშვილის ხელთ საკმაო და მრავალფეროვანი მასალა აღმოჩნდებოდა ილიას შეხედულებათა გამოსარკვევად და იმ წვლილის ცხადსაყოფელად, რაც მას საქართველოს ისტორიის გაშუქებაში შეეტანა.

ჩაუჯდებოდა, შეისწავლიდა და მკითხველის თვალწინ გადმოშლიდა ამ წვლილს, იმ ფრიად საგულისხმო შეხედულებებს, რომელთაც ილია გამოთქვამდა როგორც ამ მეცნიერების ზოგად ამოცანებსა და მეთოდოლოგიაზე, ისე საქართველოს ისტორიისა და ისტორიკოსთა ამოცანებსა და სწორი მეთოდოლოგიით მნიშვნელოვანი შედეგის მოპოვების შესაძლებლობაზეც.

თუმც გულმტკივნეულად როგორ არ აღენიშნა ქართული ისტორიოგრაფიის მაშინდელი უმწეო მდგომარეობა, რომ არამცთუ არსად ჩანდა მკვლევარი, რომელიც თვითონვე ნათლად გაითვალისწინებდა, თუ რა იყო უპირველესად გასაკეთებელი და შესასწავლი, როგორი თანდათანობით და რა საშუალებით უნდა ყოფილიყო საქართველოს ისტორიის უამრავი მასალა განხილული, არამედ ილია ჭავჭავაძის „აი ისტორიის“ შემდეგაც არავინ აღმოჩნდებოდა, რომელიც სახელოვანი მგოსნისა და პუბლიცისტის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას შეეცდებოდა და მეთოდების გამოყენებაც შეეძლებოდა.

რას ამბობდა ქართული ანდაზა: კარგ მთქმელს კარგი გამგონეც უნდაო?

და მწუხარედ დასძენდა ივანე ჯავახიშვილი:

ილია ჭავჭავაძეს კარგი გამგონე რომ არ გამოუჩნდებოდა.

თუ თავდაპირველად ილია ახალი ქართული მწერლობისა და ქართული საზოგადოებრივი აზრის უცილობელ ბელადადაც აღიარებულიყო, XIX საუკუნის დამლევიდან მოყოლებული – ივანე ჯავახიშვილი მოიარებით გადაჰკრავდა სოციალ-დემოკრატებს – თავს იჩენდა ისეთი მიმართულება, რომელიც არამცთუ სრულიად უარყოფდა მის ბელადობას საზოგადოებრივ პროცესებში და მიწასთანაც გაასწორებდა, არამედ პოეზიის დარგშიც მოინდომებდა მისი ღვაწლის მთლიანად გაქარწყლებას.

საბედნიეროდ მიითვლიდა, რომ:

ამ უმაგალითო უმადურობას უკვე საბოლოოდ მოღებოდა ბოლო...

და დაბეჯითებით განაცხადებდა და შთამომავლობას შეაგონებდა:

ვინც მომავალში ქართული ისტორიოგრაფიის თავგადასავლის XIX საუკუნის ამბების შესწავლასა და აღწერას შეუდგებოდა, ვალდებული იქნებოდა ისიც აღენიშნა, რომ:

ილია ჭავჭავაძე დიდებული გახლდათ არამარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში, ანდა ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართულის შემქმნელი, არამედ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც ისეთი ღვაწლი მიუძღოდა, რომლის დავიწყების უფლებაც არცერთ ქართველს აღარ ექნებოდა.

თავი მერვე

დროის მეტაფორა: სიბრძნე სიცრუისა

1886 წლის 7 ოქტომბერს ტფილისის სასამართლო პალატა დამნაშავედ არ იცნობდა და სრულიად გაამართლებდა „დროების“ რედაქტორს ივანე მაჩაბელს, რომლისთვისაც შეეწამებინათ ერთგვარი დანაშაულობა, კანონებში დიფამაციად ცნობილი.

საქმე ის იყო, რომ:

რედაქტორს თავის გაზეთში დაებეჭდა ზღაპრად მოწერილი ამბავი და ამ ამბავში თავისი თავი ეცნო ერთ მოხელეს, თუმც არც დასახელებული ყოფილა და არც რაიმე ნიშნით აღნიშნული. და რაკილა თავიც ეცნო და ის საქმენი და საქციელნიც ეთაკილნა, საჩივარი შეეტანა.

ეს ამბავი დიდ ალიაქოთს ასტეხდა ჟურნალისტთა პატარა წრეში და „დროებას“, გულშემატკივართა სამწუხაროდ, ძვირად დაუჯდებოდა.

ამისთანა წინასწარი შედეგი მითუფრო სანაღვლელი იქნებოდა, რომ: პალატა განიხილავდა ამ საქმეს და დაინახავდა, რომ რედაქტორი და გაზეთი აქ არაფერ შუაში არა ყოფილიყვნენ. მოსალოდნელი გახლდათ, რომ პირუთვნელი სამართალი ამ საქმეს სწორედ ასე დააბოლოვებდა, მაგრამ ილიას ის უკვირდა და აღაშფოთებდა:

თვითონ ბრალდება როგორ უნდა აშენებულიყო იმისთანა უსაფუძვლო საბუთზედ, რომელიც სარჩულად დაუდო თავის საჩივარს ტყუილუბრალოდ გულგამწყრალმა მოხელემო.

როგორ არ გაოცებულიყო, რომ საქმე გასამართლებამდე არ იქნა მოსპობილი და საჩივარი უყურადღებოდ დატოვებული.

ვინ იტყოდა, რომ კანონი არ უნდა გაფრთხილებოდა ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობას, მაგრამ განა მეტისმეტი დაქვეითება არ იყო კანონისა, კაცს ზღაპრად დაწერილი ამბავი თავის თავზე მიეღო და კანონისათვის ეთხოვა: გამომესარჩლეო?..

განა არსებობდა ქვეყანაზედ იმისთანა ნაწერი, სადაც კი ადამიანი იხსენიებოდა, რომ გაზვიადებულ გრძნობას თაკილობისა კლანჭი არ გამოეკრა რაიმესათვის და თავის თავზე არ მიეღო?

ყველაფერ ამისათვის კანონს რომ სარჩული და ქომაგობა დაეწყო, სად წავიდოდა!

როდესაც რედაქტორს მისდიოდა მოთხრობა, რომელშიც არც გვარ-სახელი იხსენიებოდა ვინმესი და არც ნიშანდობლივი თვისება, როგორ შეიძ-

ლება მიმხვდარიყო, ვისზე დაეწერათ. ბრალი რომ დასდებოდა რედაქტორს, ჯერ უნდა მინიჭებოდა ნიჭი გულთმისნობისა, და რადგანაც ეს ნიჭი ადამიანის ხელთ არასოდეს ყოფილა, კანონს როგორ შეეძლო ეკისრა დასჯა კაცისა იმ მოტივით: გულთმისანი რატომ არა ხარო?

პალატას რომ ამ გარჩეულ საქმეში რედაქტორი დამნაშავედ ეცნო, მთელს ლიტერატურას თავზარს დასცემდა. მას შემდეგ შეუძლებელი გახდებოდა მოთხრობის, რომანის, კომედიის დაწერა, რადგანაც არცერთი ამისთანა რაიმე ისე არ იწერებოდა, რომ ადამიანის საქციელი ან ავად, ან კარგად არ მოხსენიებულიყო. რაკიღა ასე გახლდათ, რაკიღა ამგვარი ლიტერატურა თავის საგანს ადამიანთა ცხოვრებიდან იღებდა და იმდენადაც ქებულიყო, რამდენადაც ახლო იდგებოდა ცხოვრებასთან, ამიტომ არც ის შეიძლებოდა, ამ თვალგადაუწვდენელ ქვეყანაში ერთი იმისთანა კაცი არ მოძებნილიყო, რომ რაიმე მსგავსება თავისი არ ეცნო და მაშასადამე საბუთიც საჩივრისა ხელთ არ ჩაეგდო დასასჯელად დამწერისა.

მართლაც მტერი ყოფილიყო იმ დღეში, რაც საქმე ლიტერატურას დაემართებოდა, ეს რომ ასე გადაწყვეტილიყო.

ხოლო განაჩენი პალატისა, მწერალთა სასიხარულოდ, დაამტკიცებდა, რომ ეს ასე არ გახლდათ და არც შეიძლება ყოფილიყო.

ილიას უნდა გამოედო თავი ივანე მაჩაბლის მიერ მოგებული სასამართლო დავის გამოსატანად მზის სინათლეზე, მხარიც დაეჭირა მისთვის და ჩინოვნიკობაც გაეფრთხილებინა: არ გაგივათ საჩივრები და ამისთანები, თუკი რაიმეს თქვენს თავზე მიიღებთ, კეთილი ინებეთ და გამოასწორეთ ის ნაკლი თუ ხარვეზი, თუ არადა შეეგუეთ, რომ არ გაპატიებენ და გამხელენო.

მხატვრული განზოგადება ისედაც გაამჟღავნებდა შენს ცოდვა-ბრალს, თუნდ პირადად არც სცნობოდი მის დამწერს.

ილიას ისიც უხაროდა, რომ:

თუმც ივანე მაჩაბელი ამომიზნებული ჰყავდა ხელისუფლებას, სასამართლო პალატა არ იკადრებდა საქმის მრუდედ წაყვანას და რედაქტორის გამტყუნებას.

ნუგეშად ეგულებოდა ილია ჭავჭავაძეს ივანე მაჩაბელი ჯერ კიდევ როდიდან.

ჯერ კიდევ როდიდან ეგულებოდა ივანე მაჩაბელს მფარველად ილია ჭავჭავაძე.

ჯერ კიდევ როდიდან ებაძებოდა ივანე მაჩაბელი ილიას.

ჯერ კიდევ როდიდან იგულისხმებდა ილია, შვილი თუ არა მყავს, ეს სულიერი შვილი ხომ მარგუნა ღმერთმა, ჩემი ცხოვრების წესისა და საქმეების გამგრძელებელიო.

როგორც „მეფე ლირს" დაადებდა ხელს ილია და აქედან შეუყვებოდა ივანე მაჩაბელი შექსპირის ტრაგედიების გადმოქართულებას, სხვა ასევე ხელდებულ საქმეებსაც ილიასი ისევ ის თუ შეუდგამდა მხარს.

სამოქალაქო ომს დაემსგავსებოდა მათი დაპირისპირება საბანკო საკითხების გამო, თავყრილობები პარლამენტისაგან რომ აღარც განირჩეოდა.

ბანკის ამ ყრილობებზე რომ იხარჯებოდა ბევრი დრო, ბევრი ფული და ფუჭდებოდა ბევრი გასაკეთებელი საქმე და იყო ერთი აურზაური ისეთ თითქოსდა ჩვეულებრივ, უბრალო რამეზე, როგორც ბანკის კრებებია, მაგრამ რამდენი უარყოფითი მხარეც უნდა ჰქონოდა ამ ყრილობებს, ნინო ყიფიანს უნდა შეემჩნია და გამოერჩია მისი თუნდ ის სასიკეთო მხარე:

იმ დროს, როდესაც ჩვენი ენა ისე დევნილიყო სასწავლებლებიდან თუ სხვა დაწესებულებებიდან, და როდესაც ჩვენი ინტელიგენცია რუსულ ენაში ვარჯიშობდა ყველგან და საჯარო სიტყვის წარმოთქმა ქართულად სულ არ ეხერხებოდა, ბანკის ყრილობები დიდი ასპარეზი გამოდგებოდა მშობლიურ ენაზე ლაპარაკისათვის, გარდა იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს საერთოდ ლაპარაკს შეასწავლიდა.

ჯერ დაიწყებოდა ასე:

გამოვიდოდა რომელიმე ორატორი და პირველ ფრაზებს იტყოდა თუ არა რუსულად, მაშინვე:

– ქართულად, ქართულად! – იგრიალებდა კრება.

– რა ვქნა, ბატონებო, რომ არ მეხერხება ქართულად, – დარცხვენილი კილოთი მოჰყვებოდა ბოდიშებს ორატორი.

– არ შეიძლება რუსულად, არ შეიძლება, რამდენს არ გვესმის რუსული, როგორც გეხერხებათ, ისე ილაპარაკეთ ქართულად, – მიაძახებდნენ აქეთიქიან, და ისიც უნებურად ალაპარაკდებოდა ქართულად და, რამდენჯერმე წარმოთქმული სიტყვის შემდეგ, ისე გამოასწორებდა მეტყველებას, რომ სასიამოვნოც კი ხდებოდა მისი ყურისგდება. ერთი-ოროლაღა დარჩებოდა ისეთი, რომელნიც სულ ვერ აღიდგენდნენ მშობლიურ მეტყველებას და რუსულად უწევდათ საუბარი.

სამაგიეროდ ყველას ატკბობდა და აღიტაცებდა ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის გამოსვლები:

ერთის მდორედ მღელვარე

და

მეორის მჩქეფარე, იშვიათი მჭევრმეტყველებით სავსე ლაპარაკი.

ესეც ხომ ღირდა რამედო! – ისეთი განცდით დასძენდა მემუარულ ჩანაწერში ნინო ყიფიანი, თითქოსდა აჰა, თვალდათვალ შეჰყურებს ხან ერთის სიტყვას და ხანაც მეორისასო.

და აგრძელებდა მაშინდელი შეგრძნების, საერთო განცდისა და შთაბეჭდილების გადმოცემას:

ჯერ მარტო ის, რომ ერთი მოდგმის ხალხი თავს იყრიდა ერთად, მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდა, საქვეყნო საქმეებზე ბჭობდა, სხვა ვერავინ ვერაფერში რომ ვერ წაედავებოდათ და ვერც თავის ნებაზე ატარებდათ – ეს იქნებოდა თუ იქნებოდა იმ დროს სახარბიელოც და სასურველიც.

მეტადრე იმდროინდელი ქალები გახლდნენ იმ კრებებზე განსაკუთრებულ პირობებში. მამაკაცთა არცერთ საზოგადო კრებაზე არ გრძნობდა ქალი თავს ისე თავისუფლად, როგორც ბანკის კრებაზე. სხვაგან რომ იმას თითქმის არა ეკითხებოდა რა, ბანკის კრებაზე მას თავი მოჰქონდა ცენზით

მინიჭებული კენჭის უფლებით და ეს მცირე უფლებაც კი აძლევდა რაღაც ძალას, სიამაყეს ჰმატებდა.

აქ, ამ თავყრილობებზე მოხდებოდა ქალის გამორჩევა და დაწინაურება, მათთვის უფლებების მინიჭება, მათი აზრის გათვალისწინება, და აქ, ამ ყრილობებზე ჩაისახებოდა ის მოდელი, რომელიც გამეორდებოდა საქართველოს პირველ პარლამენტში, დეპუტატთა შემადგენლობაში არაერთი ქალი რომ მოხვდებოდა და ეს იქნებოდა უჩვეულო მოვლენა ევროპული მასშტაბით, დასავლელი პოლიტიკოსები გაოცებასა და აღტაცებას რომ გამოთქვამდნენ ქართველ პოლიტიკოსთა ამ გადაწყვეტილებით – ქალებისათვის გზის გახსნით უმაღლეს საკანონმდებლო სივრცეში.

რა იცოდნენ – ან ვინ ეტყოდათ – არქეტიპი ამ მოვლენისა ბანკის კრებები რომ გახლდათ: საქართველოს არაოფიციალური პარლამენტი. და ილია ამ მხრივაც იზრუნებდა ოფიციალური პარლამენტის შემადგენლობაზე, ქალის გადეპუტატებას ხელი რომ არ შეშლოდა.

ქალი პარლამენტარების წინაშე ილიას წვლილს ვინ აღნიშნავდა, როდესაც იმასაც უმალავდნენ დასავლეთს, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო ილიას მხრებით რომ მოტანილიყო და მის საძირკველში ილიას სისხლი ჩაკირულიყო – როგორც პირდაპირი, ისე სიმბოლური თვალსაზრისით.

სამოქალაქო ომს დაემსგავსებოდაო...

ამ ომის გამოძახილი იქნებოდა ილიას პუბლიცისტური სტატიების, უფრო კი პამფლეტების სერია, რომელიც მესამე ნიმუშს ვერ გაცდებოდა, თუმც იგი თავიდან უფრო მეტს ვარაუდობდა, თორემ მეოთხე ლექციას ხომ მაინც არ შეპირდებოდა მკითხველს.

იქნება სათაურს გაეოცებინა მკითხველი?

ილია იმდენად მკითხველის გაოცებას არ ესწრაფოდა, რამდენადაც იმის მინიშნებას, რომ ახლანდელი დრო, ეს უთავბოლო დრო-ჟამი, როდესაც დავთრები არეულიყო და ძაღლს პატრონი ვერ ეცნო და პატრონს ძაღლი, შესაფერისად მხოლოდ ასე თუ განისაზღვრებოდა: სიბრძნე სიცრუისა.

გთხოვთ დაიხსომოთ, რომ ამ საგანს პირველად მე მივეკარე, ეს საგანი პირველად მე აღმოვაჩინეო, – რომ განაცხადებდა პაროდიული მიზნით. და ეს იმიტომ, მწარედ გაეკენწლა გიორგი წერეთელი: როცა ამით სახელს ვიშოვნი, ის წამომეცილება, სახელის პირველობას ის დაიჩემებს და სადავოდ გამიხდის საქმეს. ასეთია მისი საქებური ზნე-ჩვეულებაო.

სულხან-საბა ორბელიანს თავისი იგავებისათვის „სიბრძნე სიცრუის წიგნი“ რომ დაერქმია, ილია ხშირად ჩაფიქრებოდა ამ უცნაურ სახელწოდებას. მართლაცდა: სადაც სიბრძნე იყო, იქ სიცრუეს რა ხელი ჰქონდა? სიბრძნესთან სიცრუე რა მოსატანი იყო? სულხან-საბა, ეს ბრძენი, დარბაისელი კაცი, რად იკადრებდა სიბრძნეში გაერია სიცრუე? ან რა სახარბიელო სახელი გახლდათ ეს სიცრუე?

ივარაუდებდა, რომ სულხან-საბას იმის თქმა ენება: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს კი გამცნობო. ზღაპარი მოგონილ ამბავს რომ ერქვა, არანამდვილს, მაშასადამე სიცრუეს, ეს სხვა სიცრუე გახლდათ და არა ის,

რომელიც წამლავდა და შხამავდა ადამიანს და სიცრუის მთქმელს უფრო სთხრიდა და აუწმინდურებდა, ვიდრე სხვას.

და ახლა ბუდე გაეკეთებინა ჩვენი სასიქადულო „მესამე დასის“ ჟურნალში, გიორგი წერეთლის თავმოსაწონებელ „კვალში“, რომელშიაც ჟურნალის დამფუძნებელი კრუხად იჯდა და ჩეკდა ტყუილების წიწილებს და ყოველკვირა გამოჰყავდა ბაზარზე გასაყიდად.

ვიღაცას რომ წამოეროშა: თავისი თავის ქება დამპალ კიტრადაც არა ღირსო, ილია როგორ დათანხმდებოდა, თორემ უამისოდ რა ააცოცებდა ჩვენს ბრძენ გიორგი წერეთელს და დაასკუპებდა მუმიასავით „მესამე დასის“ თავზე?

პამფლეტის სტილისტიკა შესაფერისად გრძელდებოდა, ყველაფერი პირიქით რომ უნდა გეგულისხმა და ყოველ წუთს ირონიული და პაროდიული გადაკვრების მოწმე უნდა ყოფილიყავი.

ბრძენი ვარო, – რომ იტყოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ დაერთო: თუმცა მიშო მაჩაბელივით მარტო მე ვიძახი ამას ჩემს თავზე და სხვისაგან ჯერ არავისგან გამიგონია, მაგრამ რა ვუყოთ, თუ სხვას არ მივაჩნივარ ბრძნად? და თუ გალილეო გალილეის სიბრძნე თავის დროზე ვერ იცნეს, ახლა ხომ მაინც იციან და... მე და თავადი მაჩაბელი ამით ვნუგეშობთო.

გაჰკრავდა და გამოჰკრავდა მიშო მაჩაბელს, ყბედობასაც უხსენებდა, ისეთ გაბმულ ლაპარაკს, ცხრა უღელი ხარიც რომ ვეღარ შეაყენებდა, ის კი არა, წისქვილის ქვაც რომ დაგეკიდათ ენაზე, მისი შემჩერებელი არ იყავით.

განა ერთი და ორი ბედნიერი შემთხვევა გქონიათ გეწვნიათ მთელი სიტკბოება ლაპარაკისა, როცა მიშო მაჩაბელი მოხსნის ხოლმე პირს თავის გუდასო, – ირონია სარკაზმში უნდა გადაზრდილიყო, – თქვენ ამ ჭირს შეჩვეული ხართ და შეჩვეული ჭირი ხომ შეუჩვეველ ლხინსაც ჯობიაო.

რამდენჯერ შემოეკივლათ აქეთ-იქიდან მისი დაუსრულებელი ლაპარაკით თავმობეზრებულთ: კაი, თუ ღმერთი გწამს, გეყოფა, გაგვეცალეო, – მაგრამ იმას წარბიც არ უნდა შეეხარა, ვითომც აქ არაფერი, ფეხიც არ მოეცვალა და ისე მდგარიყო, როგორც გაუტეხელი ციხე.

მეც იმის დარიგებული ვარო, – იცინოდა და რას იცინოდა ილია, – თუ უნდათ თვითონ წავიდნენ და სულ ერთიანადაც გალაგდნენ, შენ შენსას ნუ დაიშლი, თუნდაც მარტო დარჩეო. და ეს უბრალო კაცის სიტყვა ხომ არ იყო, ერთ ყურში შეგეშვა და მეორედან გაგეშვაო?!.

და აჰა – უკვე დრო იყო, მისდგომოდა ივანე მაჩაბელსაც:

როცა გული ფუღურო მაქვს და შიგ არა არის რა, გულში ცემა ვიცი, როგორც ივანე მაჩაბელმა, ვითომდა იმის ნიშნად: ვიწვი და ვიდაგვი ქვეყნისათვისო. მე მირჩიეს, სჯობს ხახვი იქონიო ჯიბეში და, როცა მაგისთანა რამ დაგჭირდება, თვალები ხახვით მოისრისო, ცრემლი მოგედინება და უფრო დაგიჯერებენო. მაგრამ შენც არ მამიკვდე: სად გულში ხელის ცემა და სად ხახვი!.. გულში ცემა ვაჟკაცური საქმეა. ხახვი რას მიქვიან. ეს ჩემი ჩვეულება გულში ხელის ცემისა, ეგრეთ კარგად შეთვისებული თავად მაჩაბლისაგან, იმიტომ მოვიტანე აქ, რომ გაგაფრთხილოთ და ხელის გაშლაზე შორს

იყოთ ჩემგან. რა ვიცი? იქნება ხელის ქნევაში, როცა ძალიან გავფიცხდები, ველარა გავიგო რა და ვისმე ხელიც მოგახვედროთ. გთხოვთ, თუ ეს მოხდა, მეტისმეტს ჩემს გულისტკივილს მიაწეროთ და სხვას არაფერსა. რა ვქნა? გულში რომ ნაპერწკალიც არ იყოს, მაინც ხანდისხან დამჭირდება გაჩვენოთ, რომ შიგ გახურებული თორნეა, თორნე ხომ იცით: პურს არსებისას აცხობსო.

სატირული პორტრეტი ჩაიხატებოდა ორიოდე შტრიხით, ვანოს მღელვარე, აგზნებულ კილოს საჯარო გამოსვლისა, მის ფეთქებად ბუნებას სასეიროდ და საპამპულოდ რომ გახდიდა.

ირწმუნებოდა და მკითხველსაც თანაზიარად იხდიდა, რომ: ყველა ის სიკეთე სჭირდა, რაც მოეთხოვებოდა მეოთხე დასის მეთაურს. თორემ განა ხუმრობა იყო, ერთ კაცს წილად რგებოდა:

უშვერსიტყვაობა გიორგი წერეთლისა,
ყბედსიტყვაობა მიშო მაჩაბლისა
და
ფუღუროსიტყვაობა ივანე მაჩაბლისა.

მართალია ზოგიერთი სწავლული და მეცნიერი ამტკიცებდა, ეს სამივე ერთად დომხალივით რომ აურიო, კარგად დაზილო და ერთ კეცზედ გამოაცხო, ის გამოვა, რასაც რუსები „ნულს“ ეძახიან, ფრანგები – „ზეროს“ და ქართველები – ილია ხონელსო, – მაგრამ ცდებოდნენ და არ უნდა დაგვეჯერებინა.

– ამ სამი კაცის ღირსება მარტო მე მარგუნა ბედმა და სამება იგი ზელით თუ გათქვეფით ერთარსებად ქცეული, მარტო მე ვარ!.. მე ვარ-მეთქი!..

ამ შეყვირებას კი ის უნდა მოჰყოლოდა რომ პამფლეტისტს ისე ეკრა გულში ხელი, კინაღამ გადაქცეულიყო, როგორც იცოდა ივანე მაჩაბელმა, როცა თავის თავს ახსენებდა და თავის მეს მიეყუდებოდა ხოლმე, როგორც ბოძს.

და ახლა იკითხავდა ილია:

აბა რა მიგავს რუსულ „ნულს“, ფრანგულ „ზეროსა“ და ქართველ ილია ხონელსო!

და გრძელდებოდა სიბრძნე სიცრუის განმარტება, რომ:

იგავი, არაკი, ზღაპარი იმისთანა სახე გახლდათ, იმისთანა კანი აზრისა, რომელიც საჭკუო და საზნეო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავდა ხორცშესხმულად. ამ მხრივ ზღაპარი, არაკი, იგავი სიბრძნეც იყო და სიცრუეც. სიცრუე – თვითონ ამბავი, სიბრძნე – შიგ ჩასახული აზრი. და ერთიც, მეორეც და მესამეც ხელოვნურ ხორცშესხმად გვევლინებოდა საჭკუო, საზნეო სწავლა-შეგონებისა, განსახოვნებად აზრისა, ისეთ განსახოვნებად, რომელიც მარტოდენ შემოქმედებითი ნიჭის საიდუმლოებას შეადგენდა.

განსჯას იუმორი უნდა შემორეოდა, ეტიმოლოგია არაკისა ვითომდა შემოკლებული ვარიანტი ყოფილიყო ჩვენი ზღაპრისეული დასაწყისისა: „იყო და არა იყო რა“ ჯერ „არა-კი იყოდ“ რომ გარდაისახებოდა, ვიდრე აქედან უკვე „არაკი“ გამოინასკვებოდა – და მკითხველს სთხოვდა, დაემოწმები-

ნათ მისი პრიორიტეტი, თორემ ამასაც ხელიდან გამოგლეჯდა გიორგი წერეთელი: პირველად ეგ სიტყვა მე ავხსენიო, – და მესამე დასი ხომ დაუჯერებდა და დაუჯერებდა და ერთი ადლით კიდევ მაღლა აასკუპებდა თავის მეთაურს.

როცა მთქმელი ასე იწყებდა ზღაპარს: იყო და არა-კი იყო რაო – თითქოს თავიდანვე გაუწყებდათ, რომ არყოფილ, არარსებულ ამბავს გიყვებოდათ: სულს ადევნე გულისყური და არა ხორცსაო, აზრს და არა ამბავსაო, რადგანაც ამბავი მხოლოდღა აზრის გამოსასახად არის აქ ჩართული და მოგონილიო. ამიტომაც თუ ზღაპარს, არაკს, იგავს აზრი არ მოეპოვებოდა, უგემური და უმარილო ხდებოდა, როგორც ოხუნჯობა კევილეჭია „გზა-კვალისა“, ამ „კვალის“ უქვითკირო და ბურბუშელა დედა-ბურჯისა.

რაკიღა ზღაპარი, არაკი, იგავი სიბრძნე გახლდათ სულით და სიცრუე – ხორცით, სიცრუე ხატება, განსახოვნება გახლდათ სიბრძნისა. ამიტომაც ასეთი სიცრუე არამცთუ ცოდვა შეიძლება ყოფილიყო, ასე სამართლიანად საზიზღარი და ასე მოწონებული „კვალში“, არამედ მადლი, რომლითაც ასე გამოჩენილიყვნენ: ეზოპე, ჟან ლაფონტენი, ძმები გრიმები, ჰანს ქრისტიან ანდერსენი, ივან კრილოვი, სულხან-საბა ორბელიანი და სხვანი, ამ სახით მქადაგებელნი სიბრძნისა და ჭეშმარიტებისა. თვითონ საღვთო წერილის იგავნიც განა ამავე ორკეც თვისებისა და ღირსებისანი არ იყვნენ?

მთელი სიტყვაკაზმული ლიტერატურაც ხომ ამ საფუძველზე აშენებულიყო: მოგონილი ამბით გაცხადებულიყო მართალი. ისიც ამ სათავიდან მოდიოდა. ასეთი გახლდათ ის საიდუმლოება ერთგვარი მადლისა, რომელსაც ზეგარდმო-შთაგონება ერქვა და რომელიც თვით ცოდვილ სიცრუესაც კი მადლს აქმნევინებდა და ყურმოჭრილ მსახურად უხდიდა სიბრძნეს.

კიდევ სხვა მაგალითი შეეძლო მოეყვანა ამისთანა მადლიანი შემოქმედებისა, ზეგარდმო-შთაგონებისა, თუნდ „რუხი მგელი“ გიორგი წერეთლისა, მაგრამ... როგორ არ გამოეთქვა წუხილი, რომ: წაკითხვით არავის წაეკითხა და თაგვებს დარჩენოდათ შესაჭმელად. და სწორედაც თაგვებს უფრო მოეხსენებოდათ ამისთანა სანუკბარის ყადრი.

რითი ჩამოუვარდებოდა ეს „რუხი მგელი“ „ვეფხისტყაოსანს“?

მარტო იმით, რომ... აიღებდი ხელში თუ არა, გადააგდებდი, თორემ სხვა არაფრით.

აი ახლაც რომ ჰპირდებოდა გიორგი წერეთელი მკითხველს:

– ოღონდ „კვალზე“ ხელი მომიწერეთ და ჩემს ახალ ნაწერს „გულქანს“ მუქთად გაგართმევთ!

მოდი და ამისთანა საჩუქრისათვის ზურგი შეგექცია. და თაგვებს კიდეც ახლავე სუნი აეღოთ, თურმე კბილებს ილესავდნენ და გაიძახოდნენ: რა გვეშველებოდა, რომ ბატონი გიორგი წერეთელი არა გვწყალობდესო?!.

მეორე პამფლეტი თუ მეორე ლექცია კვლავ იმ შედარება-შეპირისპირებით უნდა დაწყებულიყო:

საბა ორბელიანისებური სიცრუე ნამუსიანი რომ იყო, არც არავისა მტრობდა და არც არავისა ჰგმობდა, არც არავისა ჰყიდდა და არც არავი-

სა ჰყიდულობდა. ერთგული მსახური გახლდათ სიბრძნისა და ამიტომ მადლიანიც.

და სულ სხვა გახლდათ ამჟამინდელი სიბრძნე-სიცრუე. ახლა სიცრუე, ვით გამოუქნელი ხარი, სიბრძნის უღლიდან გამოშვებულიყო და გაყალაღნებული დაიარებოდა თავისად. თუ სადმე წააწყდებოდა სიბრძნეს, მარტო იმისათვის, რომ თვითონ ბატონად გამოჭიმვოდა და სიბრძნე მსახურად გაეხადა.

კრება რომ გაიმართებოდა სათავადაზნაურო სკოლის თაობაზედ, აკი შეესაფერისი კომისიაც არჩეულიყო და დასკვნაც წარმოედგინა, და საბოლოოდ გადაწყვეტილიყო: აწ არსებული სკოლა დარჩენილიყო იმავე სახითა და პროგრამით, როგორც იყო, და ყოველწლიურად თითო კლასი მიმატებოდა, ვიდრე სრულ გიმნაზიად გადაიქცეოდა. ასე გაიმარჯვებდა ბერძნული და ლათინური ჩვენში. ყველაფრით სავსენი რომ ვიყავით, ეს ბერძნული და ლათინურიღა გვაკლდა და ამასაც ხომ ვისწავლიდით!..

ისე არ მოგვივიდესო, – აფრთხილებდა მკითხველს ილია, – მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე წამიღეო? ან – მინამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო?.. – და თუნდ ასეც არ ყოფილიყო, ეს მკვდრები ჩვენთვის რატომ უნდა შეენახვინებინათ? რა დამტირებელ-ჭირისუფალნი ჩვენ უნდა ვყოფილიყავით ბერძნულისა და ლათინურისა?

და ირონია მწვავე სარკაზმში გადავიდოდა იმ წარმოსახვითი დეპეშის შინაარსის გადმოცემით, გიორგი წერეთელს რომ გაეგზავნა საიქიოში ნეტარხსენებული კატკოვისათვის და მიელოცა: თუმც მოჰკვდი, შენის ანდერძით აწ ისევ ჰსაქმოდ მკვდარიო. ჩვენ, ქართველები, ძლივს მივწვდით შენს სიბრძნე-სიცრუეს. გიხაროდენ, მიხაილ ნიკიფოროვიჩ, შენ მანდ, ვითარცა მიხარიან აქ მე, გიორგი ექვთიმეს ძესაო.

ეს კი აღარ ეცოდინებოდა ილიას, ის სასახელო დეპეშა მარტო თავისი სახელით გაეგზავნა ღვთით ბედნიერად ბრძანებულ გიორგი წერეთელს თუ მესამე დასის სახელითაც. თუმც საძიებელ-დასაზუსტებელი ეს არც უნდა გამხდარიყო – თუ სასახელო სადმე რამ მოიპოვებოდა, სხვას ძნელად უწილადებდა გიორგი-ბატონი. ეს თუ აქამდე არ გაეგო მესამე დასს, მალე შეიტყობდა და უსათუოდაც შეიტყობდა, რაც უნდა ყოფილიყო, იმაზე ადრე მაინც, ვიდრე ბერძნულსა და ლათინურს დაასაფლავებდნენ.

რაკილა ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობდა, კიდეც დაგვედგა ტახტი და ზედ წამოგვესკუპებინა მკვდრები – ბერძნული და ლათინური. და დრო გამოაჩენდა, ვაი ეკუთვნოდა გამარჯვებულთ თუ ვაშა.

როდესაც კრებაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი: საჭირო იყო თუ არა, აწ არსებული სკოლაც გვქონოდა და მასთან ერთად სამეურნეო სკოლაც – აქ კი უნდა გატეხილიყო ტაბიკი და გამოშვებულიყო სიცრუე სიბრძნის უღლიდან და ახლანდელ სიბრძნე-სიცრუეს აქ შემოეყარა თავმოსაწონებელი დოინჯი.

და უნდა წამომდგარიყო მიშო მაჩაბელი, ეს ყველასათვის ცნობილი მეთოფე ივანე მაჩაბლის მეციხოვნეთა, ეს წყნარი და ტკბილმოუბარი ყოველი

აბდაუბდისა და გადასკუპდისა... და წამომდგარიყო განა ერთხელ თუ ორჯერ? ილიას თექვსმეტიც დაეთვალა, ბევრს ილაპარაკებდა და ისე წაიტყუებდა თავისი სიტყვის ლაზათი, კინაღამ დააჯერებდა კრების მონაწილეებს, ვითომდა ჩვენში საკმაოდ გაბრძნობილიყვნენ სამეურნეო ცოდნითა და სწავლით. და სიცილიც არავის წასკდებოდა, ამ ბრძენთა უბრძენესი ორატორი ასე ადვილად რომ ამოარჩევდა ჩვენში ამ უცნაურ ამერიკას.

მისი გამოსვლები მეტყველების ჯაგლაგ მერანსაც აგონებდა ილიას და მამლაყინწასაც, ისე რომ დახუჭავდა ხოლმე თვალებს და ჰყიოდა უპრაგონოდ, თითქოს არა სურდა დაენახა, რა იყო მოსარიდებელი და რა – გვერდასავლელი. და ამ თვალთა ხუჭვაში იდო მიზეზი, რომ თავისივე ნათქვამს გადათქვამდა ხოლმე: მე ეგ არ მითქვამსო.

და ილია სულაც არ ამტყუნებდა: თვითონ ყურს რომ არ უგდებს თავის ლაპარაკს, საიდან დაახსომდება, რა თქვა და რა არაო.

და კარგა ხანს რომ აბურთავებდა მიშო მაჩაბელს სამეურნეო სკოლის წინააღმდეგ გამოსვლისათვის, მესამე პამფლეტსა თუ მესამე ლექციას იმით დაიწყებდა, რომ:

ამ ახალ მიმართულებას სიბრძნე-სიცრუისა სხვებიცა ჰყავდა, არანაკლებ ბრწყინვალე წარმომადგენელნი და ისტორიას არ უნდა დაჰკარგოდა იმისთანა კაცების სახელები, რომელნიც ახალი მიმართულების პიონერებად მოგვევლენოდნენ. ცოდვა იქნებოდა ამისთანა კაცებს საუკუნო სახსენებელი არ აგებოდათ და ილიაც ამიტომ ცდილობდა, თორემ არც ისეთი მოცლილი კაცი გახლდათ, ამისათვის გაეწირა ძვირფასი დრო და ეს ქართველთათვის თავმოსაწონებელი კაცები იმავ ბნელეთში დაეტოვებინა, საიდანაც ახლა გამოჰყავდა სინათლეზე.

მეორე რჩეული ამა ქვეყნისა და ბრწყინვალე წარმომადგენელი უნდა წამოსკუპებოდათ იმავ 23 დეკემბერს სკოლის კრებაზე.

ხომ მოეხსენებოდა მკითხველს, თუ ვინა ბრძანდებოდა ივანე მაჩაბელი?

იგი თავი გახლდათ იმისა, რისი ფეხებიც – მიშო მაჩაბელი თვისი პორთფელით.

ისე კი გადაბმულიყვნენ ერთმანეთზე, ძნელად გამოიცნობდი – სად თავდებოდა ერთი და სად იწყებოდა მეორე.

ივანე როსტომაშვილი განაცხადებდა:

დღეს ჩვენ სკოლა არ გაგვაჩნია. ეს ჩვენი სკოლა თავისად კი არ არის, არამედ მსახურია სხვისი სკოლისა. თუ გვნებავს საკუთარი სკოლა ვიქონიოთ, სხვისა კი არა, ჩვენი მოსაწონებელი უნდა იყოს, ჩვენ და მარტო ჩვენ უნდა გვახეიროს, მარტო ჩვენი გამოსადეგი, ჩვენი სვე-ბედის ამტანი და გამტანი. თუ ასეთი თვალით დავუწყებთ ყურებას ჩვენს სკოლას, ადვილად დავინახავთ – რა სახისა და პროგრამის სკოლაა ჩვენთვის საჭიროო.

ასეთივე ძარღვიან აზრს, ოღონდ სხვა თვალთახედვიდან მოვლინებულს, წარმოთქვამდა ნიკო ცხვედაძეც:

ჩვენც ვიცით, რა სახისა და პროგრამის სკოლაა ჩვენთვის სასურველი, ხოლო დრო-ჟამი და ახლანდელი ჩვენთვის უცხო გარემოებანი ითხოვენ,

რომ ჩვენი სურვილი – ჩვენდა სამწუხაროდ – ჯერხანად მაინც დადუმდეს, თუ გვინდა, რომ ჩვენს სკოლაში კურსშესრულებულთ შემდეგისათვის გზა ჰქონდეთ სწავლის განგრძობისა. ამიტომაც სახე და პროგრამა ჩვენი სკოლისა ამ დრო-ჟამსა და უცხო გარემოებას უნდა შევუფეროთო.

ამგვარად ორტოტად დაიწყებდა აზრი დენას და ორივეს მართლადა ისეთი მძიმე საბუთი ექნებოდა, რომ ერთიც და მეორეც ღირსი გახლდათ განეკითხა კრებას გულდასმითა და ჭკუადაჯდომით.

არანაკლებ საბუთიან და ღირსგანსაკითხავ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ: ბატონი გოგებაშვილი, იოსელიანი, თავადი მიქელაძე და დეკანოზიშვილი. თუმც მათი აზრები ერთმანეთში განირჩეოდნენ, ზოგი აქედან უვლიდა საქმეს და ზოგიც იქიდან, მაგრამ ყველა გარკვეულ თვალსაზრისს იტყოდა და მისცემდა კრებას საბუთს, ან ჰო ეთქვა და ან – არა.

და აი უნდა წამომდგარიყო ივანე მაჩაბელიც.

და ერთ კუნჭულს კრებისა წინათვე მოემზადებინა ხელები ტაშისათვის.

ამას რომ დაინახავდა ილია, გაიფიქრებდა:

ცანგალას ხმაზე ხომ არ აპირებს ლაპარაკსაო?!

აკი სწორედ ასე იცოდნენ ხელების გამოშვერა ტაშისათვის გლეხებმა, როცა ცანგალას აპირებდნენ.

მართალია ივანე მაჩაბლის დინასტიაში – ჩვენი სიტყვა არ არისო, ჩაურთავდა – მგალობელიც იმყოფებოდა, როგორც უკვე შენიშნულიყო ერთ დროს აქაურ გაზეთში, მაგრამ თვითონ მაჩაბელს რომ გალობის უნარი ჰქონოდა, არავის გაეგონა.

ილიასაც არ გაეგონა, თუმც ბევრი სხვა რამ სმენოდა.

და გაკვირვებით რომ გაიკვირვებდა: ვინ მაჩაბელი და ვინ ცანგალაო – შეხედავდა ხელახლა იმ კუნჭულს და... ხელები ისევ ტაშისათვის ექნებოდათ იქ მსხდომთ გამოშვერილი.

და ყურებს რომ დაცქვეტდა: ერთი ვნახოთ ეს უნარი როგორ დაამშვენებს მაჩაბელს ან მაჩაბელი ამ უნარსაო, – ერთშიაც და მეორეშიაც მოტყუვდებოდა, რადგანაც მაჩაბელი არ უმტყუნებდა თავის თავს.

დიახ, არც აქ უმტყუნებდა თავს და იოტისოდენადაც არ დასწევდა იმ სიმაღლიდან, საცა იგი ღვთის განგებას დაეყენებინა ყელმოღერებული. ისევ ძველებურად, თავისებურად მოჰყვებოდა სხაპასხუპს, თითქოს თავზე წვიმა დასდის და ჩქარობს მალე დაროშოს დასაროშელი და სადმე ფანჩატურს შეეფაროსო.

როგორც მოეხსენებოდა მისი კეთილი ამბავი და ჩვეულება მკითხველს:

გაუგორდებოდა და გამოუგორდებოდა ხელისგულზე კრებას, უკმევდა შესაფერ საკმეველს სკოლის მასწავლებელთაც. და მის გამოსვლაში ბევრი იქნებოდა:

– ჰაი საქართველოვ!.. ჰოი ქართველობავ!.. ჰაი ვინ გაბედავს და შესწამებს, რომ ქართულად გული არ უცემთ ჩვენი სკოლის მასწავლებელთა... ვინ, აბა ვინ!.. სად არის ის საწყაო, რომ ასწყონ ამათი ღვაწლი!.. სად!.. ეს კრება!.. ოო ეს კრება!.. ამ კრებამ კარგად იცის, ზედმიწევნით იცის, ვინ არის სკოლის მტერი და ვინ მოყვარე!

აქ ჩაურთავდა: ივანე მაჩაბელმა და გიორგი წერეთელმა ერთმანეთს თვალი უყვეს, თუმც მგონი უმძრახად კი არიანო.

– მე!.. მე!.. მე, რომელიც...

აქ ერთიორჯერ გულში ხელი უნდა ჩაეკრა ივანე მაჩაბელს ჩვეულებისამებრ და გიორგი წერეთელს კი, როგორც სჩვეოდა, ტუჩები ზევით აეწია.

და გრძელდებოდა პაროდირება ივანე მაჩაბლის სიტყვისა:

– მე!.. რა მე?!. აქ, აი ამ კრებაში... ოღონდ კარგი რამ დაეწყოს, თორემ ეს კრება... მე... მე... დარწმუნებული ვარ, ან ვინ გაბედავს დარწმუნებული არ იყოს, რომ ეს კრება... არასფერს დაზოგავს სკოლისათვის, უხვად გასცემს, დიახ, უხვად, უხვად გასცემს, არაფერს დაზოგავს სკოლისათვის!..

იგრიალებდა იმ ერთ კუნჭულში წინათვე მომზადებული ტაში, თუმც კი ძალიან თხლად, თითქოს ქალების უძლური ტაში ყოფილიყოს. მაჩაბელსაც ეს უნდოდა, როგორც ეტყობოდა. გამარჯვებული წავიდოდა და იმ კუნჭულში ყელმოღერებული გამოიჭიმებოდა, ვითომდა ბურთი მოედნიდან გაეტანოს და გაეტანოს. ბუხრის ქუდი რომ ჰხურებოდა, თავმოწონებით ჩაიკეცავდა, ყელს უფრო მოიღერებდა და იქნებ დოინჯიც შემოეყარა.

თავს არ დასდებდა, რომ ეს გამოსვლა სიტყვა-სიტყვით აღედგინა, მაგრამ ვინც იქ იმყოფებოდა, სთხოვდა გულზე ხელი დაედოთ და ეთქვათ: იმ სიტყვაში იმ ჰაი-ჰოის მეტი თუ ეყრებოდა რამე?.. იმ პირფერობის, ლაქუცისა და კუდის ქნევის მეტი ვის რა დარჩენოდა ხსოვნაში, ვის რა გამოეტანა?..

არა ფიქრობდა, რომ:

იმის გაგორ-გამოგორებასაც კრებისა და მასწავლებელთა წინაშე ბევრი რამ კეთილი შეეძინოს თავადი მაჩაბლისთვის. ლილახანა დიდიხანია წართმეოდა ჩვენში ამისთანა კუდის ქნევას და ამისთანა მალაყებს, მითუფრო, რომ ასეთი ამბავი მისგან არახალი და ძველი გახლდათ. წასულიყო ის დრო, როცა ამისთანა ბუჩოიანი ხორბლის მარცვლით წაიტყუებდნენ ხოლმე ბეღურა-ჩიტებს. სხვისა რა მოეხსენებინა მკითხველისათვის, მაგრამ სკოლის მასწავლებლებისა კი ეიმედებოდა, რომ ასეთნი არ იყვნენ და საკუთარი თვალთახედვაც მოეპოვებოდათ და საკუთარი ყურთასმენაც. მათ წინაშე ზიზილ-პიპილები და კუნტრუში ვერაფერი ლარი და ხაზი გახლდათ სვის გატანისათვის. მათ კარგად იცოდნენ, რა ფასის, რა ღირებულებისა შეიძლება ყოფილიყო ის მიწანარევი საკმეველი, რომელსაც თავადი მაჩაბელი ვისაც ჯერ არს და სადაც ჯერ არს ასე უხვად რომ უკმევდა. კიდევ კარგი ამისთანა კმევას ჯერ ბაჟი არ დასდებოდა, თორემ დიდი გადასახადი დააწვებოდა თავზე.

პირში ქებას ჭკუადამჯდარი კაცის თვალში დამპალი კიტრის ფასი რომ ედო, ილიას დაბეჯითებით, პირში მაქებარისათვის თავის თავის პატივისმცემელ კაცს ეს უნდა ეთქვა ხოლმე:

– ეგ ქება შენთვის შეინახე, სხვაგან გამოგადგება, მე კი, ვაი რა ბალღი გგონივარ, რომ ჰფიქრობ მაამო და მით მომატყუო...

თითქოს ოთარაანთ ქვრივი ლაპარაკობდეს.

ან რაღა თითქოს – აკი თავისი ხასიათი გამოეხატა ილიას ამ გმირში და ამიტომ ვეღარც განასხვავებდა მკითხველი: სად იწყებდა ლაპარაკს ოთარაანთ ქვრივი და სად აგრძელებდა ილია, სად იწყებდა ლაპარაკს ილია და სად აგრძელებდა ოთარაანთ ქვრივი.

ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ კრება არ მოტყუვდებოდა, ასე რომ უქებდნენ და უდიდებდნენ გულუხვობასა და თავდაუზოგაობას სკოლისათვის. კრებამ ძალიან კარგად იცოდა, რა უკადრისი გუნდრუკთკმევა შეიძლება ყოფილიყო ამისთანა ბალღური ლათაიები. კრებამ ძალიან კარგად იცოდა, თვითონ რომ არაფერ შუაში იყო ამ გულუხვობასა და თავდაუზოგაობაში.

რა დასამალი იყო – რაც ყველასათვის ცხადი გახლდათ – კრებას საკუთარი ერთი გროშიც რომ არ მოეძევებოდა. და მაშ რა მოსატანი იყო აქ გულუხვობა და თავდაუზოგაობა კრებისა? რაც კაცს თვითონ არ მოეპოვებოდა, იმისი უხვად გაცემა და დაუზოგაობა რა ისეთი ვაჟკაცობა, რა ისეთი სასახელო შეიძლება ყოფილიყო, რომ კაცს კაცი ამისათვის ექო და ედიდებინა?

ან ის კაცი აგდებულიყო საცინლად, ვისაც ამ გზითა და ამ მიზეზით აქებდნენ, ანდა ის, ვინც ამ გზითა და მიზეზით აქებდა და სურდა ლარი ამით გაეტანა.

ნასკვს აქ ხედავდა ილია დღევანდელი სიბრძნე-სიცრუისას და გამოხსნით დაე მკითხველს გამოეხსნა.

როგორც იქნებოდა ჩათავდებოდა ქება-დიდების ზარის რეკვაც და თხლად ტყლაშუნიც ტაშისა ჩაბარდებოდა პატრონს. და დაიწყებოდა ლაპარაკი სამეურნეო სკოლის გამართვაზე. და გამარჯვებული და გამხნევებული ივანე მაჩაბელი რა თქმა უნდა აქაც რომ წამოხტებოდა თავისებურად, ილია გაიფიქრებდა: ახლა იქნება სეირიო.

და მის გაკვირვებას საზღვარი არ ექნებოდა, როდესაც მაჩაბლის ბაგეთ ეს წარმოსდინდებოდა:

– ჯერ რადგანაც მე არ გამომირკვევია ნათლად საჭიროება სამეურნეო სკოლისა, ამიტომაც აი აღვსდექ და მივდივარ და კენჭის ჩამოტარებაში მონაწილეობას ვერ მივიღებ.

ადგებოდა – ეს ვაჟბატონიო, ამ სიტყვას შეურჩევდა – და ისევ ვაჟკაცურად და ყელმოღერებით გავიდოდა კრებიდან. და კიდეც აიშლებოდა ის ერთი კუნჭულიც დედაბუდიანად და უკან გაედევნებოდნენ... და ილია კომიკური სურათის შესაქმნელად ამ შედარებას მოიშველიებდა: როგორც კრუხს წიწილებიო.

თუმც კრება არ იტყოდა: ვაი უიმისოდ რა გვეშველებაო, – მაგრამ ილია დარწმუნებული გახლდათ, გარეთ გასული ივანე რას გადაულაპარაკებდა თანამოაზრეებს: აბა ეხლა დაიღუპნენ აიო!..

ირონია ირონიას მიჰყვებოდა, სარკაზმი სარკაზმს:

ღვთის მადლით კრება მშვიდობით გადარჩა ამ ღვთისრისხვა უბედურებას, რომ ივანე მაჩაბელმა ასე უნუგეშოდ დატოვა და კენჭის ჩამოტარებაში მონაწილეობა არ მიიღოო.

და ილიასაც მადლობა შეეწირა უფლისათვის, რომ თავზე ცა არ ჩამოექცეოდათ, თორემ – შენი მტერი ყოფილიყო – წარმოგედგინა მაჩაბლის გულქვაობა, მოკითხვის კაცსაც რომ არ გამოგზავნიდა, რათა შეეტყო: უჩემოდ დაიხოცნენ თუ კიდევ სული უდგათო.

აქ სიბრძნე-სიცრუე რა შუაში იყო?

ილია ამოაცურებდა სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტის სამ-ოთხი წლის წინანდელ დადგენილებას: აწ არსებულ სკოლასთან საჭიროა გამართულ იქნას სამეურნეო სკოლაცო. და ჩამოითვლებოდა, რა გარემოებანი ჰქონოდა კომიტეტს ამ დადგენილების საბუთად, რათა გზა გახსნოდათ იმ ყმაწვილებს, რომელნიც პროგიმნაზიის დასრულების შემდგომ სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ ახერხებდნენ შესვლას სახელმწიფო სასწავლებელში.

და ვის მოეწერა ხელი ამ დადგენილებაზე?

და ირონიულად ეღიმებოდა ილიას:

არამცდაარამც ივანე მაჩაბელს, რადგანაც 23 დეკემბერს ხომ დაგვიფიცა: სამეურნეო სკოლის საჭიროებაზედ ჯერ აზრი ნათლად არა მაქვს გამორკვეულიო, – და სამი-ოთხი წლის წინათ სად ექნებოდაო.

და მხიარულად ეკითხებოდა თავისი მეტოქის თანამოაზრეთ:

ერთი მიბრძანეთ, სხვა ივანე მაჩაბელიც ხომ არსად არის საქართველოშიო?..

და მათ მაგივრად პასუხობდა:

განა ივანე მაჩაბელი პანტაა, რომ ეგრე წყვილ-წყვილად ცვიოდეს ციდანო?..

გრძლად განმარტებას კი აღარ საჭიროებდა:

ეს ორთავიანობა, ეს ორპირიანობა, ეს ორგულიანობა ერთსადაიმავე საქმეში, ეს ასეთი ჰაშას კვრა იმაზე, რაც გუშინ უთქვამს და რაზედაც ხელი უწერია, თავისთავად გვეუბნება, რას ნიშნავს და რას მოასწავებსო.

და თუ რომელიმე ანდაზას მიუსადაგებდა ივანე მაჩაბლის საქციელს, ყველაზე უპრიანად ამას მიიჩნევდა: ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო, – თეიმურაზ პირველს რომ ჰყვარებოდა მისი ხშირი განმეორება.

ისეთ გარემოებაში ჩაეჭირა ივანე მაჩაბელი, – ხელიდან როგორ გაუშვებდა, რომ არ გაეთელ-გამოეთელა, დიდოელი ლეკისა და ნაბდისა არ იყოს:

თუ დღემდე არ გამოურკვევია საჭიროება სამეურნეო სკოლისა, ამ სამი-ოთხი წლის წინათ სადღა ექნებოდა გამორკვეულიო? ან თუ მაშინ გარკვეული ჰქონდა, ახლა რა ალალმა დაჰქროლა იმისთანამ, რომ რაც სიმღერები იცოდა, სულ დაავიწყაო? განა დასაჯერებელია გულმართლობა ამისთანა ადამიანისა, ან როცა ჰოს ამბობს და ან როცა არასო? ადამიანი ბუმბული ხომ არ არის, რომ ქარი ხან აქეთ ატრიალებდეს და ხანაც იქითო!..

მერე კვლავ მიშო მაჩაბლისათვის უნდა ეცხუნა წკეპლა:

ამ ლილოელმა ვარსკვლავთმრიცხველმა ტელესკოპით თუ დაინახა ის ბოლაზი სამეურნეო ცოდნისა, რაც ივანე მაჩაბელმა იპოვნა ჩვენშიო.

და კვლავ გიორგი წერეთლისათვის უნდა მოერტყა ალიყური:

სხვადასხვაობა აზრისა კაცთა შორის მარტო მას მიაჩნია ცოდვად და სხვას არავის ქვეყნიერებაზედო.

მდგომარეობას იმითაც უმძიმებდა ილია მეტოქეს, მოზარდი თაობის აღზრდას რომ ეხებოდა ის მსჯელობა და კამათი.

ნუთუ ეს იყო ის გულმართლობა, რომლის ნიშნადაც ასე ხშირად გულში იცემდა ხელს მართლაცდა თამარაშნელი ბულანჟე?!

ეს ჰო და არა ერთსადაიმავე საგანზე ერთიდაიმავე კაცისაგან ხომ ან ერთი გახლდათ სიცრუე, ან მეორე, აქ სიცრუე ხომ აშკარა იყო ერთ-ერთში და აშკარა, და... სიბრძნე სადღა გვეძებნა? ამის გამოსარკვევად ივანე მაჩაბელთან გზავნიდა მკითხველს ილია, თავის მხრივ კი დასძენდა:

– აი ამიტომ მოგახსენეთ, რომ ახლანდელი სიბრძნე-სიცრუე სულ სხვაა-მეთქი.

და ეშხში რომ შევიდოდა, კიდეც უნდა მოთავებულიყო პამფლეტების ეს სერია. სერიას ვინ ჩივის, მთავარმართებლის საბჭოს 1896 წლის 10 მაისის სხდომაზე გადაწყდებოდა „ივერიის“ აკრძალვა, დადგენილებას 6 დღის თავზე მთავარმართებლის ხელმოწერა რომ დაამტკიცებდა, და ილიას დიდი დავიდარაბა დასჭირდებოდა გაზეთის აღსადგენად 1897 წლის 1 იანვრიდან.

* * *

ხალხური პოეზიის ნიმუშების შეკრება და ბეჭდვა რომ ხდებოდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, ეს გატაცება როგორ არ გახარებოდა ილიას, თვითონვეც რომ საკმაოდ ზრუნავდა ამ მხრივ ჯერ კიდევ როდიდან, მაგრამ ის კი აღარ ეჭაშნიკებოდა, ცალმხრივი რომ აღმოჩნდებოდა ეს გატაცება და სხვა საგნებს ხალხის შემოქმედებისა სრულიად დავივიწყებდით.

დაე გაეთვალისწინებინა ყველას, მდაბიო ხალხის გონებითი თუ სხვაგვარი საუნჯე მარტოდენ მის პოეზიაში კი არ გამოიხატებოდა, არამედ ეს საუნჯე უხვად დათესილიყო და დარჩენილიყო ისეთ ნაწარმოებებშიც, რომელნიც სრულებით არ ეკუთვნოდნენ პოეზიის სფეროს. ამგვარ მაგალითებს მიეკუთვნებოდა ხალხური ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებოდნენ ეკონომიკურ და იურიდიულ ცხოვრებას.

ილიას იმთავითვე რომ ეცხოვრა მდაბიო ხალხის შუაგულში, მთელი არსებითაც ჩაფლობილიყო მის სიღრმეში და იქ ტრიალისათვის ყოველთვისაც ექნებოდა გადადებული დრო, ზედმიწევნით გამოერკვია, ამ წრეში, ამ ფენაში საკუთარი ეკონომიკური წესწყობილება და იურიდიული ჩვეულებანი რომ მოეპოვებოდათ, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ, როდესაც საჭიროება მოითხოვდა.

მამულის გაყიდვა და დაგირავება, საქონლის გაბარება მოსაშენებლად, ერთურთს შორის აღებ-მიცემობა, სხვადასხვა მცირე დანაშაულის გასამართლება და ათასი ამგვარი მოვლენა – სულ ხალხის ჩვეულების ძალით წარიმართებოდა, ხალხის ადათს ეფუძნებოდა და ემორჩილებოდა.

ჯერ ახლაც, აგერ 80-იანი წლები იწურებოდა, ხალხს დაწერილი კანონისა არა ეცოდინებოდა რა და სასოფლო სასამართლოებში რომ მისულიყავით, შეიტყობდით, სოფლის მსაჯულები ადათითა და ჩვეულებით რომ ხელმძღვანელობდნენ საქმის გადაწყვეტის დროს.

და ხალხის ეკონომიკური და იურიდიული ცხოვრება ჯერჯერობი ისეთი ვიწროდ და მკვიდრად შემოფარგლული წრე აღმოჩნდებოდა, რომელსაც ეგრე მალე და ადვილად დაწერილი კანონი ვერ დაარღვევდა და ვერ შეუვიდოდა.

ამ სფეროს ცხოვრება მთელ სურათს გადაუშლიდა ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახებდა ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულებას სამართალზედ, ერთმანეთთან დამოკიდებულებაზედ და სხვა ამისთანებზედ.

ხოლო ინტელიგენციას ხელი რომ მოეკიდა მარტოდმარტო სახალხო პოეზიის შესაკრებად, ეს არამცთუ არა კმაროდა, ილიას დაკვირვებით, ბევრჯერ მავნებელიც შეიძლება ყოფილიყო.

როგორ – ლექსები და... მავნებელი?

როგორ – ლექსები და... შეცდომაში შემყვანი?

მკითხველის ამ განცვიფრებას ილია იმ არგუმენტით ჩააწყნარებდა, რომ:

პოეზია – და მეტადრე სახალხო – უფრო ფანტაზიის ნაყოფი გახლდათ და ფანტაზია კიდევ აგრერიგად არ ეწყობოდა და არ ემორჩილებოდა ზნეობითი კანონის მოთხოვნებს. ხშირად მდაბიო ხალხი, გატაცებული ფანტაზიის აღმაფრენით, დამღეროდა და დაჰხაროდა ისეთ საგანსა და მოვლენას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა ცხოვრების სიკეთეს და ცრუმორწმუნეობაზედ ამოშენებულიყო.

ეს კი ნიშნავდა, რომ მარტოდენ პოეზიის მიხედვით დასკვნა და მსჯელობა ხალხის ცხოვრების საჭიროებაზედ და მის მოთხოვნილებაზედ შეცდომა იქნებოდა და ამ შეცდომას საზარალო შედეგიც შეიძლება მოჰყოლოდა. და თუ ამ შეცდომის თავიდან აცილება გვსურდა, პოეტური შეხედულების გარდა ხალხის სხვა შეხედულებისა და მსჯელობისთვისაც უნდა გვეთხოვა ყური, და ეს კი მოხერხდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა შევისწავლიდით ყოველგვარ ნაწარმოებს ხალხისა.

და ესეც დედააზრი ილიას ამ მტკიცებისა:

ყოველმხრივ და ჰარმონიულად შესწავლილიყო ხალხის ცხოვრება, შეკრებილიყო მისი ყოველგვარი გონებითი ნაწარმოები.

ამჟამად რატომ ასახელებდა ნაწარმოებს ორი სფეროდან – ეკონომიკური და იურიდიული ცხოვრებიდან?

იმიტომ, რომ: როგორც ერთის, ისე მეორის შეკრებაც და შესწავლაც ყველასათვის სააღვილო საქმე გახლდათ და უფრო ბეჯითობასა და დაკვირვებას მოითხოვდა, ვიდრე სპეციფიკურ ცოდნასა და მომზადებას. ვინც ცოტაოდნავ ნასწავლი იყო და ხალხში ტრიალებდა, თვალყურს ადევნებდა მის ეკონომიკურ და იურიდიულ ჩვეულებებს, ადვილა შენიშნავდა ამ ჩვეულებებს და მათი გადმოტანა ქაღალდზედ ხომ უფრო ადვილი საქმე უნდა ყოფილიყო.

ერთი რომელიმე საგნის ამოჩემება და მისი დაწესება მოდად და სხვა საგნების დავიწყება კარგი რომ არასოდეს ყოფილიყო, აგერ ილიასათვის დაეგდოთ ყური და გაეთვალისწინებინათ.

სახალხო პოეზიას რა სჯობდა, მაგრამ: როცა მარტო მისი შეკრება იზიდავდა მთელი ინტელიგენციის ყურადღებას, როცა ეს შეკრება მოდად ხდებოდა, მაშინ საჭიროება მოითხოვდა, რომ სხვა საგნებისკენაც გაეხედა განათლებულ საზოგადოებას. და ბარემ კიდეც მოეყარათ ერთად თავი, მოელაპარაკათ, აეწონ-დაეწონათ ყველაფერი ამ საგნის შესახებ და პროგრამაც შეედგინათ ხალხის ზნე-ჩვეულებათა შეკრებისა და შესწავლისათვის.

და ეს სტატია-მოწოდება – „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“ – მოხდენილად უნდა დასრულებულიყო რიტორიკული შეკითხვით:

– თუ ყველგან ამას მისდევენ, განა ჩვენთვის კი დრო არ არისო?

* * *

რას პირდებოდა გიორგი წერეთელი მკითხველს?

ოღონდ „კვალზე“ ხელი მომიწერეთ და ჩემს ახალ ნაწერს „გულქანს“ მუქთად მოგართმევთო, არა?

და იცინოდა ილია:

მოდი და ამისთანა საჩუქრისათვის ზურგი შეგექცია, და თაგვებს კიდეც ახლავე სუნი აუღიათ, თურმე კბილებს ილესავენ და გაიძახიან: რა გვეშველებოდა, გიორგი წერეთელი რომ არა გვწყალობდესო?!.

გამოქვეყნდებოდა ეს ვრცელი მოთხრობაც, მუქთად რომ დაურიგდებოდათ „კვალის“ ხელმომწერთ და... რასაც ეს ჟურნალი პუბლიცისტების ხელით უტევდა ილიას, ახლა ეს სიმწვავე და პათოსი „გულქანის“ ფურცლებზეც გადაინაცვლებდა და წარმოჩნდებოდა ილიას დაპირისპირება თერგდალეულთა განაყარ შტოსთანაც და ივანე მაჩაბლის დასთანაც: მხატვრულ-დოკუმენტურ საბურველში გამოხვეულნი საკმაოდ კანთიელად რომ მოჩანდნენ პერსონაჟებიც და ამბებიც ისე გამჭვირვალედ, დიდი რამ ამოცნობა რომ არ ესაჭიროებოდათ.

საქართველო ხორხიანეთად მოიხსენიებოდა მოთხრობაში, რომელიც თავის სიუჟეტურ ქარგას მიჰყვებოდა, მაგრამ აი თხრობაში უნდა შემოჭრილიყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონი, მკითხველს რომ აუწყებდა ქალაქში გაჩენას ახალგაზრდების ერთი პატარა წრისა, რომელსაც გულდასმით მოეკიდა ხელი ლიტერატურული მუშაობისათვის და მიზნად დაესახა, აღეძრა ინტერესი მიძინებული საზოგადოებისათვის საერო საკითხების გარჩევით.

ამ წრეში გარეულიყო რამდენიმე ახალგაზრდა კაცი, უმაღლესი განათლებით დაჯილდოებული, სწავლის დასრულების შემდეგ რომ გამგზავრებულიყვნენ საზღვარგარეთის განათლებულ ქვეყნებში იქაური ცხოვრების სანახავად და სხვადასხვა მეცნიერების საფუძვლიანად შესწავლისათვის.

მათ არ აკლდებოდათ არც ნიჭი, არც შესაფერი მხნეობა, რათა ყოველგვარ დაბრკოლებას გამკლავებოდნენ და პირუთვნელი, მიუდგომელი მსაჯულნი გამხდარიყვნენ ჩვენი დამდორებული და დალაჩრებული ცხოვრების ვითარებისა.

ისინი არც დიდთა ამა სოფლისათა ერიდებოდნენ, არც წვრილთა, მაგრამ უზნეოთა შებრალება არ იცოდნენ, და ყველას ამხელდნენ და ყოველ-

ნაირ საკითხსაც პასუხს აძლევდნენ. ცხოვრების ყოველ ახალ მოვლენას შეძლებისდაგვარად იკვლევდნენ. გაბედულებით, შეუპოვრობით, ცხოვრების მდინარებაში ენერგიული ჩარევით ბევრ მტერს, ბევრ მაგინებელსა და მკიცხავს შეიძენდა ეს პაწია წრე ახალგაზრდებისა, მაგრამ გასაჭირს არ მოერიდებოდნენ.

ასე ჩაიხატებოდნენ თერგდალეულთა განაყარნი, უპირველესად კი ნიკო ნიკოლაძე, ასე ამაღლებულად, ასე გაიდეალებულად, გიორგი წერეთლის თხრობაში, შეფარულად თავის თავსაც რომ არ მოაკლებდა დითირამბებს ავტორი.

სამაგიეროდ ილია ჭავჭავაძის პორტრეტს არ მოაკლდებოდა ირონიული, სარკასტული თუ სულაც სატირული ელფერი, ჯერ მარტო მისთვის შერქმეული სახელი ნახეთ: რუსეთუმედ რომ მოიხსენიებოდა.

დრო კი ის იქნებოდა, რუსეთში მრავლად რომ დაარსდებოდა ბანკი: საადგილმამულო, სავაჭრო თუ ურთიერთნდობისა. თუმც ხალხი, რომელიც სესხად იღებდა ფულს ამ ბანკებიდან, ძალიან უჩიოდა მათ მკაცრ წესდებასა და იმის დიდ სარგებლებს, მაგრამ თვითონ ბანკის მოჭახრაკენი და გამგებელნი დიდ ყოფაში იქნებოდნენ და მილიონობით დაატრიალებდნენ შემოსავალ-გასავალს. ამ გამგებელთ – ჯამაგირს გარდა – სხვა შემოსავალიც კარგი ექნებოდათ: თუ ბანკირებიდან, რომელნიც კარგ პროცენტებსა და საკომისიოს უნიშნავდნენ ბანკის გამგებელთ, ოღონდ კი ამათ გირავნობის ფურცლები მიენდოთ მათთვის გასასაღებლად; თუ ბანკზე დარჩენილი მამულების იაფფასიანი გაყიდვით მესამე პირებზე, რომელნიც ას და ორას თუმნობით საჩუქრებს არ იშურებდნენ, ოღონდ ბანკის გამგებელს მოეხერხებინა, და იმ ფასად მიეყიდა, როგორც მყიდველს სურდა, რათა დარჩენილი მამული ხელში ჩავარდნოდა.

ამას გარდა ბანკების გამგებელთათვის სხვაც მრავალნაირი შემოსავლიანი წყაროები იბადებოდა. და ძლიერ ხშირი გახლდათ რუსეთში იმის მაგალითი, რომ ბანკის მმართველი ორ-სამ წელიწადში ფულიანი კაცი ხდებოდა და ბირჟაზე ათიათას თუმნობით ატრიალებდა.

ხორხიანეთის თერგდალეულთა ახალთაობას კარგად ექნებოდა ეს ამბები გაგებული და, რაკიღა მათ წრეში ბანკის დაარსებაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, მაშინდელი სხვადასხვა სამსახურის კაცები – ინსპექტორები, ნოტარიუსები, მომრიგებელი მოსამართლეები და ნაფიცი ვექილები – თვალებს დაპრაწავდნენ: აქედან ხეირიანი საქმე გამოდნებაო.

ამის შემდეგ თერგდალეულთა თაობა შეერთდებოდა, შეკავშირდებოდა და დაიწყებდნენ სათითაოდ მოქმედებას, მეთაურად კი გაუხდებოდათ რუსეთუმე და მორთავდა ღაღადს ძველ ჰანგზედ.

ეს რუსეთუმე და მისი დასი – უმაღლეს სასწავლებელში ნასწავლნი, მაგრამ... უდიპლომონი – დიდი იმედებით იქნებოდნენ გამხნევებულნი საქვეყნო სარბიელზე გამოსვლისას. ეგონებოდათ: რაკიღა სხვადასხვა გამგეობასა და სასამართლო ნაწილებში ადგილებს დაიჭერდნენ, ქვეყანა ფერს იცვლიდა, დამყარდებოდა სამართალი და ნეტარი დრო, საცა მგელი და კრავი ერ-

თად მოძოვდნენ, უსამართლობა, ძლიერისაგან უძლურის დაჩაგვრა სრულიად მოისპობოდა.

გატაცებულნი იქნებოდნენ ეგოისტური აზრით, რომ:

მხოლოდ მათი მეოხებით მიენიჭებოდა ქვეყნიერებასა და სამშობლო მხარეს განახლების ხანა. ბოლოს კი იქამდეც მივიდოდა მათი წარმოდგენა, რომ ეგონებოდათ მთელი ქვეყნის კეთილმდგომარეობა მათ სიცოცხლესა და მათი კეთილმდგომარეობის წარმატებაზე დამყარებული.

მათი დაბეჯითებით:

პირადად ისინი გახლდნენ სამშობლოს ბედნიერების მიზეზნი, და მათზე იყო დამოკიდებული მამულის ბედისწერა. და წარმოედგინათ თავიანთი „მე" ისე გაზვიადებულად, თითქოს ეს „მე" და სამშობლო სინონიმები ყოფილიყვნენ.

გულმარტივად იწამებდნენ, რომ:

თუ ისინი არ იქნებოდნენ, არც სამშობლო უნდა ყოფილიყო; და თუ არა მათი აზრი, მათი რჩევა, მათი განზრახულობა, სხვა ყოველივე უვარგისი, უგნური და არარაობის წარმომადგენელი გახლდათ. და მათი აზრის მოწინააღმდეგენი უგნურთა და უმეცართა დასში უნდა მოქცეულიყვნენ.

პირველად რუსეთუმე და მისი ამყოლი დასი შემოიღებდა ტერმინად ქართულ ენაზე „ძველ და ახალ თაობას", „ახალი თაობა" სინათლეს რომ გაუიგივდებოდა, „ძველი თაობა" კი – სიბნელეს.

ასეთი მიმართულება და ბრძოლის ატეხა რუსეთუმეს დასისა დიდ განხეთქილებას მოახდენდა ჩვენს საზოგადოებაში.

ძველი მოდგმა, ნამეტურ ძველი დამსახურებული სახელმწიფო მოხელეები, მეტად აიმრიზებოდნენ და მძულვარებით მოექცეოდნენ ამ ახალი მოდის განათლებულებს, რომელთაც არავითარი პატივისცემა არ ექნებოდათ მოხუცებულებისა, მათი ზნეჩვეულებისა და ცხოვრების წესისა. და ისინიც ვერაფერში შეეწყობოდნენ ამ ახალ განათლებულ რუსეთუმეებს და სასტიკად დაუწყებდნენ დევნას ლიტერატურაშიც და ცხოვრებაშიც... და მათი მსუბუქი ხასიათი რომ არ მოსწონდათ, საერთო სახელად შეარქმევდნენ „თერგდალეულებს" ანუ გიჟებს.

და აი მთავარი რუსეთუმე ლიტერატურაშიც მოწონებული კაცი უნდა შექმნილიყო.

იგი დასცინოდა ძველი კაცების მექრთამეობას, მებატონეთა უქმ ცხოვრებას და ტიპად გამოჰყავდა ბუზიყლაპია და ღორის კანჭისჭამია თავადები.

მუდამ მაღალფარდოვან ფრაზებს რომ ისროდა ეს მთავარი რუსეთუმე, ქვეყნისა და სამშობლოს სამსახური მუდამ ენაზე ეკერებოდა, მაგრამ საკვირველი ის იქნებოდა, რომ:

როგორც კი კარგი შემოსავალი და ჯამაგირიანი ადგილები გაუჩნდებოდათ რუსეთუმესა და მის ამხანაგებს, მაშინვე ყველა ეს თერგდალეული ქართულ ლიტერატურაში შრომაზე ხელს აიღებდა. ახალგამოცემულ ჟურნალს, რომელიც თერგდალეულთა თარგმნილი და ორიგინალური თხზულებებით იქნებოდა გავსებული, კუთხეში მიაგდებდნენ, აღარც ეძებდნენ, თვითონვე დახურავდნენ და დადუმდებოდნენ.

ალბათ იფიქრებდნენ: კმარა სამშობლო ლიტერატურის ასპარეზზე მოღვაწეობა, დროა თეორიული ცხოვრების აღნაქვსი პრაქტიკული მოქმედებით გავამართლოთო, – და შეუდგებოდნენ კარგი ჯამაგირიანი ადგილებით კეთილ ცხოვრებას.

გავიდოდა რამდენიმე წელი და:

ეს ახალი თაობა ანუ თერგდალეულები კარგად შეეჩვეოდნენ თავიანთ ჯამაგირიან ადგილებს, შრომას მოუკლებდნენ და განცხრომას მოუმატებდნენ, თუმც ამავდროულად თვითეული მათგანი მოღვაწეობის დაფნის გვირგვინს არ უარყოფდა.

ამასობაში ძველები ნელ-ნელა უნდა გადაშენებულიყვნენ და ბოლოს ცხოვრების ჭაპანწყვეტაში ისევ თერგდალეულებს დარჩენოდათ ბურთი და მოედანი. საზოგადოება თანდათან შეეჩვეოდა ამ გუნდის მეთაურობას და ისიც ზედმიწევნით შეიგნებდა ახალი დროის მოთხოვნებს.

თერგდალეულთა შორის რუსეთუმე და ზოგიერთი მისი ამხანაგი მთავრობის წრეშიც წინ წადგამდნენ ნაბიჯს, პატივსაცემ ალაგებს დაიჭერდნენ. ზოგიერთი დიდი ჯამაგირის გარდა ყოფაცხოვრებითაც შეძლებულად წარმოგებოდა.

თვითონ რუსეთუმე შეირთავდა მზითვიან ქალს, შემდეგ მემკვიდრეობითაც ბევრი მიწა-წყალი და შემოსავლიანი ადგილ-მამული ერგებოდა, ბოლოს წარჩინებულ მთავრობის პირებსაც დაუმოყვრდებოდა და ეს გარემოება ძალიან მოუმატებდა მას საზოგადოებაში პატივსა და გავლენას. ამის შემდეგ ხორხიანეთის ქვეყანაში დიდ ჭკვიან კაცად შერაცხავდნენ და საკმაო ნდობასაც მოიპოვებდა.

სახელმწიფო მოხელეთა რიგში ჩამდგარი თერგდალეულები ამ ლუკმას ისე შეეჩვეოდნენ, რომ ყოველი თვის მეორე დღეს აღდგომის კვერცხივით მოელოდნენ, რაკიღა ამ დროს დაჩვეულიყვნენ ჯამაგირის მიღებას. ამის გამო ისეთ საზოგადოებრივ საქმეს საქმედ აღარ მიიჩნევდნენ, თუკი თვიურად მისაღები ჯამაგირი ბლომად არ იგულისხმებოდა. და ამიტომაც ლიტერატურულ შრომას, ხალხში განათლების შეტანას, მადნეულის წარმოებისათვის გზის გახსნას, ყოველნაირი მეურნეობისა და მრეწველობის წინ წაწევას ხელს აღარ ჰკიდებდნენ, რადგანაც ამ საქმეებს შემოსავალი და დიდი ჯამაგირი მაშინვე არ მოსდევდა, ხოლო შრომა და წვალება კი ბევრი იგულისხმებოდა.

ამიტომაც ზურგს რომ აქცევდნენ ნამდვილ საკეთებელს, ასერიგად აუცილებელს ქვეყნისათვის, დასაბუთებით ასე ასაბუთებდნენ თავიანთ მოქმედებას:

– მაგისთანა საქმეებს დრო ჯერ არ მომწიფებია. ვინც მაგისთანა საქმეებს ჰკიდებს ხელს, ის მოჩხირკედელავე და უმწიფარი ჭკუის პატრონია.

და აი თერგდალეულთა თაობას ბანკის გამოჩენა რომ შეაერთებდათ და შეაკავშირებდათ, რუსეთუმეს თავისი ის ძველი ჰანგი უნდა გაეხსენებინა:

– ჩვენ გვინდა თავი შევწიროთ ჩვენ თავადაზნაურობას, გვსურს გავუმართოთ მათ ბანკები, რომელთა საშუალებითაც შეიძლებოდეს თავადაზ-

ნაურობის ფეხზე წამოყენება, მისი გამდიდრება, მისი შვილების გამოზრდა, მათი განათლება...

და ჩადგებოდნენ ხორხიანეთის თავადაზნაურობაში რუსეთუმეს მომხრენი და დიდსა და მცირეს, მრუდსა და მართალს, ყველას დაუწყებდნენ ქადაგებას საადგილმამულო ბანკების გამართვისა, და იგულისხმებოდა, რომ თვითონვე კისრულობდნენ ამ საქმის თაოსნობას.

– თუ საჭირო იქნება, – დაუმატებდნენ ხოლმე ვითომდა გულმარტივად, – ქვეყნის გულისთვის თავსაც შევწირავთ, სახელმწიფო სამსახურს თავს დავანებებთ და თქვენთან მოვალთ.

ამასთან მოჰყვებოდნენ მტკიცება-შეგონებას:

ბანკები ერთადერთი უკვდავების წყაროა ჩვენი დავალიანებული მამულების საშველადო.

ხორხიანეთის თავადაზნაურობას კერძო და სახელმწიფო ვალები რომ ახრჩობდა, თერგდალეულები წააქეზებდნენ თავადაზნაურობას, ხაზინაში რომ ყმების ფული დარჩენილიყო, ბანკის დასაარსებლად შეეწირათ. ამათი ლაპარაკი თავადაზნაურობას აღაფრთოვანებდა. და ისეთი გულდანდობილნი შეიქნებოდნენ თერგდალეულ მეთაურებზე და ნამეტურ რუსეთუმეზე, რომ ეთქვა: წყალში გადაცვივდითო, – გადაცვივდებოდნენ.

ამის თაობაზე მოხდებოდა კრება და ერთხმად მიანდობდნენ რუსეთუმეს ბანკის პროექტის შედგენას. რუსეთუმეს ბევრი შრომა არ დასჭირდებოდა ბანკის წესდების შესადგენად – გადმოიწერდა ერთი უცხო ქვეყნის წესდებიდან და მხოლოდ სათაურს შეცვლიდა: „ხორხიანეთის თავადაზნაურობის საადგილმამულო ბანკიო“. და ამის შემდეგ ვიღა გაბედავდა დაეჭვებას რუსეთუმეს გენიოსობაში.

თვით თავადაზნაურობა დარწმუნდებოდა, რომ რუსეთუმესთანა ჭკვიანი დედამიწაზე არ მოიპოვებოდა.

მაგრამ დახე უკულმართობას!..

რუსეთუმეს გენიოსობას უცბად უნდა გადაღობებოდა წინ ახალგამოჩენილი წრე ლიტერატორთა, ახალი ახალგაზრდობა რომ შეერქმეოდათ. მეტად ახირებული შეხედულებისანი აღმოჩნდებოდნენ ამ წრის წევრები, რომელნიც იმ დროს ჩაიბუდებდნენ განსაკუთრებით ხორხიანეთის ჟურნალ-გაზეთებში. რუსეთუმეს გენიოსობას არაფრად მიიჩნევდნენ და მის დიდ ღვაწლს ხორხიანეთის საზოგადოების წინაშე ჩირადაც არ ჩააგდებდნენ.

თავისთავად კი ესენი არ დაეძებდნენ არც კაი ჯამაგირიან ადგილებს, არც კეთილ ცხოვრებას, არ ეყვარებოდათ არც კარგი ჩაცმა-დახურვა, არც ფრაკი და კოთხო, არც თეთრი ლაიკის ხელთათმანები, არც ვიზიტებზე ეტლით ჩინდრიკი. ერთი სიტყვით: ყველაფრით განირჩეოდნენ რუსეთუმესებრი დარბაისელი თაობისაგან.

რას ქადაგებდნენ და:

დროა საზოგადოებამ ძილს თავი დაანებოს და გამოფხიზლდეს, თერგდალეულებს ნუ აყოლია, რადგან იმათ საკუთარი ინტერესების მეტი არა ეპრიანებათ რა, მათი ფარისევლური ლაპარაკი სამშობლოსათვის თავგან-

წირულობაზე სხვა მიზეზით არის გამოწვეული! ისინი შეტრფიან მხოლოდ ბანკის კარგ ჯამაგირებს და არაფერს ზოგავენ, ოღონდაც დიდ-დიდი ლაპარაკით საზოგადოების გული მოიგონ და თავიანთ სანატრელ ადგილებს თავზე დაასხდნენო.

დაე ხალხს შეესმინა მათი ეს ნაქადაგარი, რომ:

საადგილმამულო ბანკები კი არ იხსნიდათ, უფრო დაღუპავდათ, რადგან მისი გამოისობით ადგილმამული ხელიდან გამოეცლებოდათ.

დრო იყო, სხვა უფრო დიდ საგნებზე მიექცია თვალყური საზოგადოებას, რადგან მოახლოებულიყო მტერი, რომელიც ლამობდა ხორხიანეთის ყოფაცხოვრების დასაკუთრებას.

თუ რუსეთუმე და მისი პარტია მართლა გულწრფელად იღვწოდა სამშობლოსათვის, ბანკის კარგ ჯამაგირებზე ნუკი გამოეპრანათ თვალები, სხვა უფრო სამძიმო საქმე ეკისრათ, გამხდარიყვნენ დაჩაგრული ერის ქომაგნი და მტერს მათი გულისათვის შებრძოლებოდნენ. ცხადია ასეთ დროს არც არავითარი მწუხარებისა, არც არავითარი ტანჯვისა არ უნდა შეშინებოდათ.

ესენი კი, ახალი ახალგაზრდები, მოიგონებდნენ ერთ ახირებულ ტერმინს: თვითმოქმედება – და წამისწამ ურჩევდნენ ხორხიანელებს ამ თვითმოქმედების გზაზე დადგომას. და მათი თეორია სრულიად შეეწინააღმდეგებოდა რუსეთუმეს პარტიის თეორიას:

– ჯამაგირიანი ადგილების დაჭერა კაცის თვითმოქმედებას ასუსტებს, მეცნიერების მიერ შეთვისებულ პრინციპებს ავიწყებს და მიმართულებას აფუჭებს... ვინც კარგ შემოსავლიან ადგილებს ეძებს, ვინც მდიდარ საცოლეებს მახეს უგებს, ვინც უფროსების წინაშე ქედს იხრის, განა შესაძლებელია, რომ იგი გულწრფელი თანამგრძნობელი იყოს ხალხის გაჭირვებისა?.. და თუ ამისთანა კაცი საზოგადოების წინაშე იწყებს თავგანწირულებაზე ქადაგებას, უცხადებს მას გულშემატკივრობას, უთუოდ იმისათვის, რომ მღვრიე წყალში თევზის დასაჭერად ემზადება. ამისთანა კაცს უსაცილოდ პირბადე აქვს ჩამოფარებული.

აი რა სასტიკი ენით ამხელდა ახალგაზრდების წრე მაშინდელ მეთაურებს, უპირველესად კი ილიას, როგორც მღვრიე წყალში თევზის დაჭერის მსურველსა და სახეზე პირბადეჩამოფარებულს!..

ამ დრო ბევრნი არ იქნებოდნენ ამ პროგრამის ახალგაზრდები, მაგრამ ვინც იყვნენ, თვითეული ლიტერატურულ შრომას ეწეოდა და სასტიკად დევნიდნენ ყველას, ვისაც კი პირფერობასა და უზნეო მოქმედებას შესწამებდნენ.

ბევრ ცუდ საქმეს გამოამჟღავნებდნენ ისინი თერგდალეულებისას. მაშინ ვექილებსაც ბევრი მწარე მათრახი მოხვდებოდათ მათგან. ამის გულისათვის მომეტებული ნაწილი ხორხიანეთის სახელმწიფო მოხელეებისა და განსაკუთრებით ნაფიცი ვექილები დაუწყებდნენ მათ დევნას. გაავრცელებდნენ ახალგამოჩენილ ახალგაზრდებზე საძაგელ ჭორებს, დაყრიდნენ ხმებს: ჩვენს მეგაზეთეებს ღმერთი არა სწამთ, ახლანდელი წესწყობილების მოწინააღმდეგენი და მაშასადამე ქვეყნისა და საზოგადოების მტერნი არიანო.

მაგრამ ყველაზე უფრო უკადრის და უმსგავს ჭორებს მათზე გაავრცელებდნენ რუსეთუმე და მისი მეგობრები, რადგანაც გულში ედებოდათ ახალგახსნილი ბანკების მეთაურობა და შეეშინდებოდათ: ამ წრის წევრებმა საზოგადოება არ გადაგვიყენონ განზეო.

მართლაც ახალი ახალგაზრდობა მეტად კრიჭაში ჩაუდგებოდათ და კრიტიკით მოსვენებას არ მისცემდათ.

და გიორგი წერეთელი პირდებოდა მკითხველს, რომ პირუთვნელად დაუსურათებდა ამ შესანიშნავ მომენტს ხორხიანეთის ცხოვრებისა და ნათლად განარჩევდა, თუ რა განსხვავება არსებობდა თერგდალეულთა ახალთაობასა და იმ დროს ასპარეზზე გამოსულ ახალი ახალგაზრდობის წრეს შორის, ამისათვის კი საჭიროდ მიიჩნევდა აღეწერა მაშინდელი ჟურნალ-გაზეთების შესანიშნავი ბაასი, გამართული თერგდალეულებსა და ახალ ახალგაზრდათა წრეს შორის.

ამ დროს თერგდალეულთა ახალთაობის მეთაურად გამოვიდოდა ის ცნობილი რუსეთუმე, რომელიც კვლავ აიღებდა ხელში დიდი ხნის უხმარ და იმჟამად ჟანგმოკიდებულ სამწერლო კალამს. და მოინდომებდა დაემტკიცებინა საზოგადოების წინაშე ახალი ახალგაზრდობის წრის უმეცრება, რადგანაც ხორხიანეთის საზოგადოება ახალი ახალგაზრდობის გავლენით ცოტა არ იყოს რყევას დაიწყებდა რუსეთუმეზე.

ახალი ახალგაზრდობის წრე მართლაც მედგრად იბრძოლებდა და ერთ უბრალო შემთხვევასაც არ დააგდებდნენ უყურადღებოდ. მისი წევრნი სასტიკად დასცინებდნენ, მასხრად აიგდებდნენ და კრიტიკის დარჯაკში გამოატარებდნენ მოძველებულ და დაობებულ აზრებს რუსეთუმესი და მისი პარტიისა. ამ წრეს არ მოსწონდა რუსეთუმესა და მისი ამხანაგების პირფერობითი ლაპარაკი, არ მოსწონდათ მათი აჩქარებულად შეხანხლული, ანუ – უკეთ თქმულიყო – სიტყვა-სიტყვით გადმოწერილი უცხო ბანკის პროექტი და მიიჩნევდნენ ამგვარი ბანკის დაარსებას უდროოდ, შეუფერებლად და ქვეყნისათვის საზიანოდ.

აი როგორ ახსნიდა ახალი წრის ერთი წევრთაგანი საზოგადოების წინაშე თერგდალეულთა ბანკის პროექტის უვარგისობას:

– ხორხიანეთის ბანკის წესდება ბატონ რუსეთუმეს უცხოეთის ორი ბანკის წესდებიდან გადმოუწერია: ერთიდან – თავი და მეორიდან – ბოლო. ეს კი აღარ უკითხავს, შეეფერება თუ არა ჩვენს ცხოვრებას ამისთანა გესლიანი ნაყოფი.

და კიდევ:

– მთელი წესდება, რამდენიმე მუხლს გარდა, გადმოწერილია უცხო ბანკის წესდებიდან უმიზნოდ და უაზროდ. არცერთ გადმოწერილ მუხლში არ ჩანს შემდგენლის მტკიცე აზრი და საფუძვლიანი შეხედულება ბანკის მომავალსა და დანიშნულებაზე. ამის გამო ხორხიანეთის ბანკის წესდება დღეს ისეთი წესდებაა, რომელსაც შეადგენდა ყოველი კაცი, სრულიად უმეცარი პოლიტიკური ეკონომიკის და ფინანსური მეცნიერების საიდუმლოებაში და რომელსაც ატყვია დაღი მიუგნებლობისა. ამისთანა შრომის ფასი ბევრი-

ბევრი რვა აბაზია, რადგან ამისთანა წესდების გადმოწერაში რვა აბაზზე მეტს არ აძლევენ გადმომწერლებს...

წაიკითხავდა თუ არა ასეთ სიტყვებს გაზეთში, რუსეთუმე და მისი დასი საშინლად გაფიცხდებოდა, რადგანაც ჯერ ამისთანა სასტიკი კიცხვა მათ ყურებს არ მოესმინა.

რუსეთუმესა და მის მეგობრებს კარგად ეცოდინებოდათ თავადაზნაურობის ხასიათი და შეუდგებოდნენ საზოგადოებაში უსინდისო ხმების გავრცელებას ახალი ახალგაზრდობის წინააღმდეგ და შეეცდებოდნენ დაეჯერებინათ ყველა: ამ წრეს ანუ ჟურნალ-გაზეთების მწერლებს ცუდი განზრახვით არა სურთ, ბანკი რომ გაიხსნას და თქვენ ფული მოგეცეთ ცოტა სარგებლითო.

ამგვარი და მრავალი ამისთანა ქადაგება მართლაც საშინლად გააფიცხებდა და გადაამტერებდა ახალი ახალგაზრდობის წრეზე იმ ნაწილს თავადაზნაურობისა, რომელიც ძალიან გახლდათ დავალიანებული და ფიქრობდა მხოლოდ ბანკისაგან შველას.

მაგრამ რუსეთუმე და მისი ამხანაგები არ იკმარებდნენ ასეთი უმსგავსი ჭორების გავრცელებასაც და იძახებდნენ: უსათუოდ თვით გაზეთით უნდა დავუმტკიცოთ ახალ ახალგაზრდობას მისი უმეცრებაო, – და მიანდობდნენ რუსეთუმეს, როგორც მეთაურს, კალმითვე გალაშქრებას ახალ ახალგაზრდათა წრის წინააღმდეგ.

და აი რას უპასუხებდა რუსეთუმე ახალგაზრდების ამ წრეს:

– მე რომ იმისთანა სტატია დამეწერა, რაც ჩვენს წინააღმდეგ მეგაზეთეებმა დაწერეს, ხელს მოვიჭრიდი და იმას კი არ დავწერდი, რომელიც უვიცნობას და უმეცრებას საღერღელს აუშლის და ფრთას შეასხამს...

ეკონომიკური საგანი კრედიტისა განსაკუთრებით ის იყო, რომ იგი უსათუოდ უნდა მოეხმარა კაცს ეკონომიკური წარმატებისათვის: კრედიტი მხოლოდ ამით შეიქნებოდა იმ ეკონომიკურ დონედ, რომლის მეოხებითაც ქვეყნის ნივთიერი კეთილდღეობა და სიმდიდრე მატულობდა, მაშასადამე კრედიტი წმინდა ეკონომიკური თვისებისა გახლდათ, იმისთანა რამ, რომლის ძალითაც ფული ერთი ხელიდან მეორეში გადადიოდა მარტო იმ აზრით, რომ ეკონომიკური წარმატება განეძლიერებინა. ეს წარმოება ერთი მხრივ ეკონომიკური მიზანი იყო კრედიტისა და მეორე მხრივ მხოლოობითი ეკონომიკური სახსარიც, კრედიტიც ნაშოვნი სესხი გადასახადისა...

და მოისმოდა სიცილი გიორგი წერეთლისა „ამისთანა გაუთავებელი ფილოსოფიით", რომელშიაც ბლომად მოიპოვებოდა დამამტკიცებელი საბუთი, ახლა რომ ბანკებს ხსნიდნენ: მისი სიკეთისა არა გამოდიოდა რა და საზოგადოებასაც არც არა გაეგებოდა რუსეთუმეს ფილოსოფიისა, მაგრამ... დაისტამბებოდა თუ არა ამგვარი სქოლასტიკური ტირადა და მიიღებდნენ თუ არა რუსეთუმეს მიერ დასტამბულ პასუხს, თერგდალეულები მაღლა ცაში აფრინდებოდნენ და იძახებდნენ:

– მოხვდათ თუ არა!.. აბა ჩვენი რუსეთუმეს ფილოსოფიას ლაწირაკი ბავშვების ტყიპინი წინ როგორ დაუდგებოდა? გაამტყუნა რუსეთუმემ თავისი ღრმა აზრებით მეგაზეთეები... სულ კუდით ქვა ვასროლინეთ...

და რადგანაც ხორხიანეთის საზოგადოებაც გულის წმინდით დაჯერებულიყო, რუსეთუმემ თავისი ღრმა მეცნიერული კილოთი ახალგაზრდების წრე გაამტყუნაო, ისიც ბანს მისცემდა თერგდალეულებს:

– ახალგაზრდობის წრე გამტყუნდა, გამტყუნდა!

საზოგადოება თვით ამ რუსეთუმეს ფრაზეოლოგიასა და სიტყვების რახარუხში ხედავდა ღრმა აზრის კვალსა და ყოველგვარი სიბრძნის წყაროს და გაიძახოდა:

– გაუგებარი ენით რომ არის დაწერილი, კიდეც იმიტომ აჩნია რუსეთუმეს ნაჭერს ღრმა მოსაზრების კვალი! აბა იფიქრე, თუკი აზრი ადვილგასაგებად არის გამოთქმული, იმაში რაღა სიბრძნის ნამტვრევი უნდა დარჩეს. რა სიბრძნეა იმისთანა სიბრძნე, ექვსი წლის ბავშვისათვისაც თუ გასაგები შეიქნა.

და უბეჯითებდა ავტორი „გულქანის“ მკითხველს:

სწორედ ამნაირი ახირებული რწმენისა იყო მაშინდელი ხორხიანეთის საზოგადოება, რომელსაც რუსეთუმეს უაზრო სიტყვების რახარუხი დაუშრეტელ სიბრძნის წყაროდ მიაჩნდაო.

და სიამაყით განაგრძობდა, რომ:

თერგდალეულთა დაცინვა და საზოგადოების ზურგშექცევა მაინც ვერ გააჩუმებდა ახალი ახალგაზრდობის წრეს, რომლის წარმომადგენელნიც ასე გაათავებდნენ რუსეთუმესთან ბაასს, მისი მაღალფარდოვანი სიტყვების რახარუხს რომ ამხელდნენ, სიტყვებისა და ფრაზებისა, რომელნიც არაფერს ხსნიდნენ და კაცის დაბნელებულ გონებას კიდევ უფრო შავ ნისლებს ახვევდნენ თავზე... ხოლო ვისაც ეჭირვებოდა ნამდვილი საბუთები ბანკების უვარგისობისა, დაე მოეცადათ რამდენიმე წელიწადი და თვითონაც ცხადად დაინახავდნენ:

– როცა თავადაზნაურობის ფულებს ვაჭრები და ურიები იმათივე ბანკების მეოხებით თვით თავადაზნაურობას მიასესხებენ ძველებური სარგებლით და, როცა ის დაჰკარგავს თავის ადგილმამულს, მაშინ წარვდგეთ ხორხიანეთის საზოგადოების წინაშე ერთი მხრივ ჩვენ და მეორე მხრივ რუსეთუმე თავისი თერგდალეულებით და მაშინ შევეკითხოთ მას, იმათგან დაარსებული ბანკების მიერ გაღატაკებულ საზოგადოებას: ჩვენგანი ვინ უფრო ტყუოდა და წუთიერი დიდი ჯამაგირების გულისათვის ვინ უფრო უბამდა თვალებს თავის საზოგადოებას?

ეს სტრიქონები დაიწერებოდა 1876 წელს.

და დღეს კი ამ სტრიქონებში გამოთქმული აზრი უნდა გადაქცეულიყო საოცარ შემაძრწუნებელ წინასწარმეტყველებად — რასაც მაშინ ახალი ახალგაზრდობის წრე წარმოთქვამდა, დღეს ხორხიანეთის თავადაზნაურობას ის ყოველივე ნამდვილ ფაქტად გადაექცეოდა.

იმის ბანკებს ერთი კაციც არ გაემდიდრებინა, როგორც რუსეთუმე და მისი პარტია იძლეოდა მაშინ იმედებს, ხოლო ერთ მესამედს საზოგადოებისას კი ის ბანკები თავიანთ მიწა-წყალზე ხელს ააღებინებდნენ.

ეს კი გამოჩნდებოდა ღვთის წინაშე, რომ:

რუსეთუმესა და მის მომხრეებს, რომელნიც მაშინ ასე გულშემატკივრად ექცეოდნენ და გამდიდრებას უქადდნენ ხორხიანეთის თავადაზნაურობას, ახლა სასახლეები წამოეჭიმათ, ხოლო საზოგადოებას ორკეცი ტყავი გაძრობოდა ბანკის საყოველთაო ვაჭრობის მეოხებით.

* * *

იაკობ მანსვეტაშვილს კარგად დაამახსოვრდებოდა იოსებ დავითაშვილი – მშვიდი, წყნარი, მორიდებული, მორცხვი. მოვიდოდა „იევრიის“ რედაქციაში, შეაღებდა კარს და გაჩერდებოდა.

– გამარჯობა, იოსებ! რას სდგახარ მანდა, მოდი, აი აქ ჩამოჯექ.

იოსები მაინც არ იძროდა ადგილიდან და მხოლოდ ტუჩებზე ოდნავ მოუვიდოდა ღიმილი. ისე ეჭირებოდა თავი, თითქოს რაღაცა დანაშაული მიუძღოდა დამხვდურთა წინაშე და ებოდიშებოდათ.

– იოსებ, შენ უსაქმოდ არ მოხვიდოდი, გექნება რამე – ეტყოდნენ, რომ ცოტათი გაემხნევებინათ და გაბედულება შეემატებინათ. და მაშინ მასაც უფრო მხიარულად უნდა გაეღიმა, წაეღო უბეში ხელი და ამოეძვრინა იქიდან რამდენჯერმე დაკეცილი ფურცელი, თან მორცხვად დაეტანებინა: აი, პატარა ლექსი მოგიტანეთო.

გადასცემდათ და ისევ მოწყენილი სახით დადგებოდა კართან, ვიდრე მის ლექსს გადაიკითხავდნენ. თუ მოუწონებდნენ, ისე ხარობდა, თითქო დიდი, ძვირფასი რამ საჩუქარი მიეცათ. და იაკობიც და ყველაც წარმოიდგენდა მეორე დღის მის ნეტარებას, როდესაც ამ ლექსს დაბეჭდილს ნახავდა.

შეიძლება თქმულიყო, რომ: როდესაც იოსებ დავითაშვილი ლექსს წერდა, მთელ თავს არსებას შიგ აქსოვდა, რადგანაც ლექსი მისთვის დასვენება კი არ გახლდათ, ან გასართობი რამ სათამაშო, არამედ – მთელი მისი სიცოცხლე, მთელი მისი სული და გული. გულუბრყვილო რომ იყო იოსები ბავშვივით, უმეტესი წილი მისი ლექსებისაც ასეთი გულუბრყვილობითაც აღიბეჭდებოდა.

ხელოსანი იქნებოდა, დურგალი, ყოველთვის რაღაც დატანჯული სახით რომ გამოიყურებოდა. როცა კი ნახავდით, სულ ერთიდაიგივე სამოსი ეცმეოდა: ტანზე გარუჯული, გახუნებული შალის ჩოხა, თავზე ისეთივე გახუნებული გარიბალდის ქუდი და ფეხზე ხარაზის ჩუსტები. და ესეც მთელი მისი სამკაული.

ჰოი რარიგ დაღონდებოდა და დაეღრიჯებოდა სახე, თუკი ლექსს დაუწუნებდნენ. სწორედ პატარა ბავშვს ემგვანებოდა, რომელიც ტუჩებს ჰკუმავს და სატირლად ემზადება, თუ მშობლები სურვილს არ აუსრულებენ. და რედაქციის წევრები დასამშვიდებლად და სანუგეშოდ ეტყოდნენ: ხშირად დიდ პოეტებსაც ვერ გამოუვათ ხოლმე კარგი ლექსი, რა უშავს, გულს ნუ გაიტეხ. პირველად ხომ არა წერ. შენს ნიჭს რომ ვაფასებთ, ამიტომაც ამშვენებს „ჯეჯილის“ გარეკანს შენი სტრიქონები: იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო!..

ამ სიტყვებზე ცოტა გული მოულბებოდა და შინ დამშვიდებული მიდიოდა. და ერთი-ორი კვირის თავზე ისევ გამოჩნდებოდა, ისევ კარებში აიტუ-

ზებოდა და ჩვეულებრივი ღიმილით სუფთად დაკეცილ ქაღალდს გადასცემდათ.

იოსებ დავითაშვილის გარდაცვალება ილიასაც განსაკუთრებული გრძნობით უნდა გამოეგლოვა, გამოსათხოვარი სიტყვის დასაწყისში „ერთ ჩვენგანად“ რომ მოიხსენიებოდა და იქვე განმარტებასაც მიადევნებდა:

ერი თუ საზოგადოება მარტო იმას უნდა ეძახდეს „ჩვენგანს“, ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის სიტყვით თუ საქმით და ეს ღვაწლი გაბრწყინებულია, შუქშესხმულია მადლით. აქ სულერთია, თქმაა ეს ღვაწლი თუ ქმნა, იმიტომ, რომ ზოგჯერ თქმა ქმნა არისო.

ერთნაირი უხვებით არ მომადლებულიყო ყველა ადამიანი ამ უნარით და ამაშიც შეიმჩნეოდა დიდპატარაობა?

მაგრამ ილიასთვის ეს „დიდი“ და „პატარა“ უკან გადაიწევდა ამ უნარის შეფასებისას, რადგანაც ვინც ცოტად თუ ბევრად ამ მადლის მექონი გახლდათ, იგი რჩეულად წარმოდგებოდა მრავალთა შორის და ეს რჩეულობა სხვა რა შეიძლება ყოფილიყო, თუ არა სამართლიანი მიზეზი და საბუთი, რომლის ძალითაც ერს შეეძლო ეთქვა თავმოწონებით: ეს კაცი ჩვენგანიაო.

და ერთი ამ რჩეულთაგანი გახლდათ ის გლეხკაცი, ის მდაბიო – და მითუფრო მაღალი, – რომელსაც იოსებ დავითაშვილის სახელით კურთხევით ვიხსენიებდით და ვგლოვობდით.

სტრიქონს სტრიქონზე მოიხმობდა იოსების სიალალის, კეთილშობილების, გლეხთა გულმესაიდუმლოების წარმოსაჩენად, მისი უბოროტობის, მისი სულიერი სიწმინდისა და უჩვეულო უნარისა, გლეხთა გულისძგერის უცნაურ ხმათა შეცნობა და გამორჩევა რომ შეეძლო და საამო ენით უთარგმნიდა მკითხველს იმ შეგრძნებებს.

მოკლე ბიოგრაფიასაც თვითონვე შეადგენდა ილია ამ კოლორიტული კაცისა, მისი ხასიათის იმ თვისებებსაც რომ აღნიშნავდა, საკვირველი თავმდაბალი და უწყინარი რომ გახლდათ იოსებ დავითაშვილი და მისგან წყენა თუ ავი სიტყვა არავის ახსოვდა. დიდ მოყვარულს თავისი ქვეყნისა, ქართული ლიტერატურისა და სიტყვიერებისა, რაც კი რამ დაწერილიყო და დაბეჭდილიყო ამ უკანასკნელ ათ-თხუთმეტ წელიწადში, ყველაფერი გულმოდგინედ რომ გადაეკითხა. ბევრი არა დაეწერა რა, მაგრამ რაც დაეწერა, იმათში ისეთი მარგალიტები ამოირჩეოდა, რომ კაცს დაატკბობდა აზრითაც და სიტყვიერებითაც.

მარგალიტებს ახსენებს ის ილია, რომელიც აგრერიგად იოლად არ აბნევდა აღმატებულ ეპითეტებს.

და დაე ისიც სცოდნოდათ თანამედროვეთაც და შთამომავლობასაც, რომ:

აქეთ-იქით ბევრს დადიოდა განსვენებული, მონასტრებსა და ძველ ნაშთებს სინჯავდა. და სადაც კი რაიმეს შესამჩნევს, ან ჩუქურთმას, ან წარწერილს, ნახავდა, გადმოიღებდა ხოლმე. არაერთი კორესპონდენცია მოეწერა გაგონილისა და თვალით ნანახის თაობაზედ. და მეტად საყვარელი, ტკბილი და ჩუმი კაცი რომ გახლდათ, ამიტომაცაა, ქალაქის ხელოსნებსა და სხვაგანაც, საცა იცნობდნენ, ყველას რომ უყვარდა და ყველა პატივს სცემდა.

და ნუღარავინ იკითხავდა: ვინ იყო აწ განსვენებული იოსებ დავითაშვილიო?..

* * *

და აი მაისის მშვენიერი დღეები რომ დადგებოდა, ხორხიანეთის თავადაზნაურობა უნდა შეკრებილიყო ქალაქ ქვიანაში, სადაც უნდა მომხდარიყო პირველი არჩევნები ახალი ბანკის გამგეობისათვის.

რუსეთუმესა და მის პარტიას დიდი დღესასწაული ექნებოდათ, რადგანაც მის მიერ წარდგენილი ბანკის პროექტი დაემტკიცებინათ. და ეს გარემოება საზოგადოების თვალში კიდევ უფრო აამაღლებდა რუსეთუმეს, რომელიც უნდა ერთხმად ამოერჩიათ ახალი ბანკის გამგებლად. მხოლოდ საქმე ერთ წვრილმანს შეეჩერებინა: უნდა განესაზღვრათ, ჯამაგირი რა ექნებოდა ახალდაარსებული ბანკის გამგებელს, რაკიღა უამისოდ ხელს არავინ ჰკიდებდა ამ სამსახურს.

თერგდალეულები, რუსეთუმეს მხარეზე მყოფნი, ირბენდნენ საზოგადოების სხვადასხვა წრეში საქადაგებლად, თითქოსდა რუსეთუმე უარს ამბობდა: ბანკის გამგებლობა არ მინდაო.

მიზეზად იმას მოიტანდნენ: რუსეთუმე, რაკიღა მომრიგებელი მოსამართლის ალაგი უჭირავს, ვერ ბედავს ამ ალაგის დაკარგვასო.

– ანგარიში არ იყო. ამ კაცს 250 თუმანი ჯამაგირი ახლა ეძლევა, შემდეგ კიდევ ფეხის წინ წადგმას მოელის, ბოლოს საუკუნო პენსიასაც დაიმსახურებს და მერე რა პენსიას?.. პენსიას ღენერლებისას! ეხუმრებით ამისთანა ბედნიერების დაკარგვას? ვთქვათ, სამშობლოსათვის თავგანწირულობა კარგი საქმეა, ვინ იტყვის მაგას? ყოველი სამშობლოს მოყვარული კაცის მოვალეობაც ეგ არის, თავის მოძმეებს დაეხმაროს; მაგრამ სულ სარზეც წამოგება კაცისა უსამართლობა იქნება. განა ცოტა მსხვერპლი მოგვიტანა რუსეთუმემ? ბანკის წესდების შედგენა და მისი დამტკიცება განა ცოტა ღვაწლი იყო მისი მხრით? ამის სამაგიერო რა ერგო საწყალს? გარდა ლანძღვა-გინებისა და ჟურნალ-გაზეთებში გაბიაბრუებისა, სხვა არაფერი. არა, აჰ, ღმერთმა დაიფაროს, რომ ის კიდევ რამე საქმეში შეერიოს. კმარა, ბატონებო, ნუღა შევაწუხებთ...

ასე იმჭევრმეტყველებდნენ თერგდალეულები და, რაც უფრო უარზე იდგებოდნენ, ისე უფრო მიეტანებოდა ხორხიანეთის საზოგადოება რუსეთუმეს კანდიდატობას:

– არა, არ შეიძლება, ღმერთმა ნუ ქნას, რომ რუსეთუმე ბანკის გამგებლად არ დაგვიდგეს. ჯამაგირი, ბატონებო, რა სალაპარაკოა? დავუნიშნოთ სამასი თუმანი, ოთხასი, თუნდ ხუთასიც. ოღონდ კი ეგ იყოს გამგებლად, სხვა აღარავინ გვინდა. ამას გარდა პროცენტებიც მიიღოს მოგებიდან.

რაკიღა ამნაირად ჯამაგირისა და პროცენტების საქმე გამოირკვეოდა, ბევრს აეშლებოდა საღერღელი. ასეთი გულუხვობა საზოგადოებისა ფრთებს შეასხამდა თერგდალეულთა თაობას, შეიქნებოდა ჩურჩული, გახმობ-გამოხმობა, ბოლოს გამოჩნდებოდნენ იმათ შორის რუსეთუმეზე არანაკლები კაცები, რომელთაც აგრეთვე ძალიან დიდი მონაწილეობა ექნებოდათ მიღებული ბანკის წესდების შედგენაში, მაგრამ ხორხიანეთის საზოგადოებას კი აქამდე არ ეცოდინებოდა.

სხვათა შორის ერთი მათგანი, სახელად „მე ვარ კაცი“, ცხადად ამტკიცებდა:

– ბანკის წესდება და მასთან მთავრობის წინაშე მოხსენება მე დავწერე და არა რუსეთუმემ. რუსეთუმესი იქ მარტო სახელი იყო და არა საქმე.

ამ სახით თვით საზოგადოების მოძრაობას დაეტყობოდა, რომ უნდა გახეთქილიყო ორ დიდ პარტიად, რადგანაც თვით თერგდალეულებში მოხდებოდა განხეთქილება.

ასე უნდა ამოჩენილიყო თხრობისას ივანე მაჩაბლის სახება.

და აი მართლაც ორ ჯგუფად გაიყოფოდნენ:

ერთი იქნებოდა რუსეთუმეს მომხრე და მეორე კი – მე ვარ კაცისა (ამ მეტსახელს შეურჩევდა გიორგი წერეთელი ივანე მაჩაბელს).

და ამ სახით წარმოდგებოდა ორი კანდიდატი ბანკის გამგებლისა, ორივე თერგდალეული.

ამათ ორივეს დიდი ნათესაობა და დამოკიდებულება აღმოაჩნდებოდათ საზოგადოებაში, ასე რომ, რაკიღა თერგდალეულებში იჩენდა თავს შური და ქიშპობა, მერე იმათ მთელი საზოგადოება აჰყვებოდა და შეიქნებოდა ერთმანეთზე მითქმა-მოთქმა, ერთმანეთის ძაგება, ლანძღვა, თრევა და ყოველნაირი საძაგლობა.

რუსეთუმეს მომხრეები დააბრალებდნენ მე ვარ კაცს:

მან განთესა ჩვენს საზოგადოებაში უთანხმოების გესლი, დისციპლინა დაარღვია, ქვეყნის მოღალატე შეიქნა და ჩამოსახრჩობია. მაგის პარტიას უნდა, რომ ბანკი ხელში ჩაიგდოს და თავის ნათესავებსა და მეგობრებს ადგილები დაურიგოს. ეგ არის განმსჭვალული მარტო საკუთარი ინტერესებით, მაგას უნდა საზოგადოება თავის ჯიბეს უმსხვერპლოსო...

და სხვა ათჯერ უფრო საძაგელ ჭორებსაც მოჰფენდნენ ყოველ კუთხეში...

მეორე მხრივ მე ვარ კაცის პარტიაც ამასვე აბრალებდა რუსეთუმეს დასს:

– რუსეთუმეს სურს თავისი ჯიბის ინტერესები დაიცვას და ამიტომაც ამბობს: თუ დიდი ჯამაგირი არ მომეცით, ბანკის გამგებლად არ დავდგებიო. რა დროს ჯამაგირებზე ლაპარაკია, როცა ჯერ კიდევ ბანკი არ გახსნილა?.. რა საჭიროა ახლავე ჯამაგირების განსაზღვრა? ჩვენთვის სულერთია, როგორი ჯამაგირიც უნდა იყოს, ოღონდ საქმე გაკეთდეს, და შემდეგ თუ საქმე კარგად წავიდა და შემოსავალმაც იმატა, იმედია, საზოგადოება თვითონ დააფასებს ჩვენს შრომას და დაუჯილდოებლად არ დაგვაყენებს...

ახალი ახალგაზრდობის წრე ისარგებლებდა თერგდალეულთა შორის უთანხმოების ჩამოვარდნით და მიუდგებოდა მე ვარ კაცის პარტიას, რადგანაც იმის მსჯელობას უფრო ეტყობოდა კეთილშობილური მოსაზრების დაღი და ნაკლები ეგოისტობა, თუმც მაინცდამაინც არცერთ მათგანს არ ენდობოდა, ორივეს კიჟინას აყრიდა და დასცინოდა იმათ შინაგან განზრახვებსა და ანგარებისმოყვარეობას, თითქოსდა ამ ანდაზაზე მორგებულს: თაფლი იყოს, თორემ ბუზი სტამბოლიდანაც მოვაო.

მე ვარ კაცსა და მის პარტიას საშინლად ძაგდა ახალი ახალგაზრდობის წრე, მაგრამ რადგანაც ეს წრე თავგამოდებითა და უანგაროდ იბრძოდა საზოგადოებისათვის, და მათი სტატიები იქცევდნენ საზოგადოების ყურადღებას, ამისათვის მე ვარ კაცის მომხრეები დაუწყებდნენ ამ ახალი ახალგაზრდობის წრეს ფერაობასა და ქომაგობას.

როდესაც რუსეთუმეს პარტია მოჰყვებოდა ხოლმე უსაფუძვლოდ მათ ლანძღვა-გინებასა და დევნას, მე ვარ კაცის წარმომადგენლები ყოველთვის მხარს უჭერდნენ ახალ ახალგაზრდობას.

ამ სახით ბანკისავე დაარსება შემოიღებდა ჩვენს ქვეყანაში საოცარი განხეთქილების გესლს, გაჰყოფდა ხორხიანეთის საზოგადოებას ერთიმეორის მოსისხლე მტრებად, შემოიტანდა შუღლსა და ყოველნაირი უბედურების მომასწავებელ განცალკევებას.

რაც უფრო დრო გავიდოდა და მოახლოვდებოდა ბანკის გამგებლის ამორჩევის დღე, ისინი უფრო გაერთიანდებოდნენ, რაც შეიძლება მეტი მეკენჭე ეშოვნათ, რადგანაც გამარჯვება კენჭების რიცხვზე ეკიდებოდა.

მე ვარ კაცისა და რუსეთუმეს მომხრეებს ამოუჩნდებოდათ მეთაურად რამდენიმე თერგდალეული, რომელნიც შეადგენდნენ ამორჩევის კომიტეტებს, და რომელთა მოვალეობაც ეს და მხოლოდ ეს იქნებოდა: დანამდვილებით შეეტყოთ, ვინ გახლდათ მათი მომხრე და ვინ მოწინააღმდეგე... მაგრამ გულუბრყვილო ხორხიანეთის საზოგადოება ჯერ ასე იძახებდა:

– ჩვენთვის სულერთია, რომელიც უნდა იყოს, მე ვარ კაციც კარგი განათლებულია და რუსეთუმეც. როგორც გვაჯერებენ, ორივე კარგი ნასწავლი უნდა იყოს, ორივეს ხომ მაღალ სასწავლებელში დაუსრულებია სწავლა და ორივე ხომ უანგაროდ თავს იტეხს ჩვენი ერთგულებისთვის. მაშ ვერცერთს შავს ვერ ჩავუგდებთ. დაე ბედმა გადაწყვიტოს, რომელი უფრო ღირსი იქნება ამ ადგილისა.

ასეთი გულმარტივი პასუხი თავადაზნაურობისა არაფრად ეჭაშნიკებოდა არც ერთ და არც მეორე ჯგუფს თერგდალეულებისას, რაკიღა ორნივ სულ სხვა გზას ადგებოდნენ.

– ან ჩვენ უნდა ვიქნეთ, ან ისინი, – წამოიძახებდა ერთ საიდუმლო ყრილობაზე რუსეთუმეს ერთი მომხრე, რომელსაც კიდეც ექნებოდა სია ბანკის გამგებელთა წევრებისა, წინდაწინვე შედგენილი: თუ ვინ უნდა ყოფილიყო გამგეობის თავმჯდომარედ, ვინ დირექტორებად, ვინ ზედამხედველი კომიტეტის წევრებად, ვინ მის თავმჯდომარედ, ვინ დამფასებლებად და ბოლოს – ასე გასინჯეთ – მაზრებში აგენტებიც კი არ დავიწყებოდათ, რომელთაც ბანკის ხარჯზე უნდა ემუშავათ თვით ბანკის გამგეობის დაწესებულებაში, რომ შემდგომ ყოფილიყვნენ შუამავლებად მამულის დაგირავებაში, მსესხებელთათვის გაეადვილებინათ გირავნობის მოწმობების აღება და ამით მიეღოთ უხვი ჯილდო გულკეთილი თავადისა ან აზნაურისაგან.

ბოლოს საქმე შემზადდებოდა. როგორც რუსეთუმეს ჯგუფი, ისე მე ვარ კაცის გუნდი წინდაწინვე შეუდგებოდა მომავლის მოსაზრებას, რათა საქმე არ აშორებოდათ და მოსაგებ-გამოსარჩენის ჩარხი მათ ხელში ყოფილიყო სატრიალებლად და არა მოპირდაპირეებისა. ამ სახით რაკიღა ჯგუფის

მოქმედება კუჭის მოთხოვნილებით დაინტერესდებოდა, მოსალოდნელი გახლათ, რომ ამისთანა ბრძოლაში განკითხვა აღარ იქნებოდა და არც არავითარ უზნეო მოქმედებას დაერიდებოდნენ, ოღონდ საქმე გაეტანათ და არხეინად შემოსხდომოდნენ მზამზარეულად განყობილ ჩარხს, რომლის ტრიალითაც უხვად ჩაცვივდებოდა მეთაურთა ჯიბეებში მანეთიანები.

ამიერიდან თერგდალეულები ქვეყნის ერთადერთ საკეთილდღეო საქმედ ბანკს მიიჩნევდნენ. მათ გონებას ისე დააბრმავებდა ლუკმაპურის ძიება, რომ თუ ბანკში სამსახურის გარდა სხვაც რამე გახლდათ ხორხიანეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო, ვეღარც წარმოიდგენდნენ. ისინი სულ იმის ფიქრებსა და ბრძოლაში იქნებოდნენ, ან ერთი ჯგუფი გაებატონებინათ, ანდა მეორე. და ეს კი სულ იმაზე ჩამოეკიდებოდა, ვის საკბილოდ შეიქნებოდა ახალი დაწესებულება.

გასაოცარი საქმე მოხდებოდა:

ყველა ხედავდა, რომ აქ ჯამაგირების გულისათვის გახლდათ გახურებული ბრძოლა, მაგრამ გამხელით კი არავინ ამხელდა; ყველას პირზე ეკერებოდა მხოლოდ ქვეყნის სამსახური, სამშობლოსათვის თავგანწირულება. და პირით სხვის ქადაგება და გულით სხვის წადილი საშინლად დააბნელებდა ჭეშმარიტებას. აღარავის ეცოდინებოდა, ვინ რას ეძებდა, ან ვის რა სურდა. ასეთი ფარისეველური მოქმედება ერთბაშად გარყვნიდა ხორხიანეთის თავადაზნაურობას. შეიქნებოდა მეკენჭეთა ძებნა, გაიმართებოდა იდუმალი ვაჭრობა, საცა მეკენჭეებს მოსაყიდ საქონლად გაიხდიდნენ.

პარტიების მეთაურნი არაფერს დაზოგავდნენ, რათა ხორხიანეთის თავადაზნაურობაში შური, მტრობა და ერთმანეთის გაუტანლობა დაემკვიდრებინათ. ყველაზე უფრო სასაცილო და ამავე დროს სატირალიც ის იქნებოდა, რომ იგივე საზოგადოება დაფნის გვირგვინებს უწნავდა იმათ, რომელნიც საერთო ვაჭრობით ამავე საზოგადოების ადგილმამულებს ყიდდნენ.

* * *

ილიას იმ წერილების ციკლში ქართულ ლიტერატურაზე ნიკოლოზ ბარათაშვილის სახება რომ გამოჩნდებოდა, აღინიშნებოდა, რომ:

ისიც უგალობდა სიყვარულსა და ტრფიალებას, მაგრამ – განსხვავებით ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანისაგან – იგი უფრო სულის მშვენიერებას ხდიდა ტრფიალების საგნად, ვიდრე ხორცისას. და თავის წინამორბედებს იმითაც გადაამეტებდა ლირიკაში, რომ:

მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი იქნებოდნენ, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მისი საკუთარი გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესა იქნებოდა და მისი ჩივილი – კაცობრიობის ჩივილი, მისი ვერმიწვდენა სურვილისა კი – კაცობრიობის უღონობა.

მისი მშვენიერი ლექსი „სულო ბოროტო“ სხვა არა იქნებოდა რა, გარდა ყოველი იმ ადამიანის ჩივილისა, რომელსაც მოხვედროდა „ხელი მსხვრალი“ ეჭვისა, რომელსაც „ვეღარც ღელვანი ვნებათანი უკვლიდნენ წყურვილსა“

და რომელსაც ბედი უქადდა თავისუფლებას ამა სოფლად და უმტყუნებდა, და რომელიც დარჩენილიყო „უსაგნოდ მარტო, ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“.

სწორედ ამისთანა ყოფას უნდა მოჰყოლოდა ის საშინელი კივილი გულისა, ის საშინელი სულისკვეთება, ის თავგანწირული გიჟური ლტოლვა და სრბოლა უგზოუკვლოდ კლდეებსა და ღრეებზედ, რომელსაც „მერანში“ გამოთქვამდა.

განა არა – ვიდრე „მერანს“ იტყოდა, მისი ჭკუა-გონება თავისი მყუდროების სადგურიდან უკვე დაძრულიყო და სასვენ ბინას ველარ ჰპოვებდა დედამიწაზედ და ცასღა შეჰღაღადებდა: გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურსო.

ცასა თუ ცის იქით სწორედ იმისთანა ადგილები არსებობდა მაძიებელი გონებისათვის, რომ თუ არ ირწმუნებდი, ვერას დაინახავდი. და რაკიღა პოეტს ეს რწმენა დაჰკარგოდა, როგორც „სულო ბოროტო“ გვიმტკიცებდა, რაღა გაგვკვირებოდა, რომ რასაც იქ ეძიებდა, ვერ ეპოვნა და ვერა.

და განა ვაება კაცობრიობისა ის არ იყო, რომ მიზეზი ჰქონდა ძებნისა, ეძიებდა და... ვერა ჰპოვებდა?

აი სად ხედავდა ილიაც სათავეს ადამიანის სასოწარკვეთილებისა, თავგანწირულობისა, ჭკუა-გონების არევისა, ყველაფრის უარყოფისა, რომელიც ზოგჯერ, დროდადრო ასე დაიპყრობდა ხოლმე მთელს მოაზრე კაცობრიობას და შავად მღელვარე ფიქრებით ავსებდა ადამიანის ცხოვრებას.

და სანიმუშოდ მოიხმობდა ბაირონს და მის მიერ დაპყრობილ ხანას ევროპის სულიერი ცხოვრებისა.

და ჰამლეტის „ყოფნა-არყოფნასაც“ ასევე სულის უბინაობისაგან ამოკვნესად მოიხსენიებდა.

რაღა შორს მიდიოდა:

ეს დღევანდელი სპირიტუალობა, ბუდიზმობა, გრაფ ტოლსტოის სულისკვეთება იმასვე არა მოწმობდა, რომ დღევანდლამდე ყოფილ ბინას ადამიანისა ფუძე მორყეოდა და თვით თაღიც მთელი შენობისა გარღვეულიყო და ლამობდა გადმოქცევას?

განა ეს ყოველივე იმის მაგალითად არ უნდა მიგვეჩნია, რომ დღესაც მოუსვენარი გონება ადამიანისა ხან რას ეჭიდებოდა და ხანაც რას, რათა სადგური რამ მყუდროებისა სადმე და რაშიმე ეპოვნა უბინაო სულს, რომელიც დღესდღეობით ნაცარტუტასავით დუღდა?

აი სწორედ ამ თვალგადუწვდენელ სარბიელზედ მიეშვა სადავე ნიკოლოზ ბარათაშვილს თავისი „მერანისათვის“.

ილიას თვალში „მერანი“ წინასიტყვაობად გამოიყურებოდა „სულო ბოროტოსი“ არამარტო იმიტომ, რომ უწინ დაწერილიყო, არამედ შინაარსით. ამ ლექსში მიზეზი იქნებოდა ნაპოვნი იმ „გონების და სიცოცხლის აღშფოთებისა“, რომელიც შავად მღელვარე ფიქრად მისეოდა პოეტს „მერანში“, და ის მიზეზი აღმოჩნდებოდა მსუსხავი და მწვავე ეჭვი, რომელსაც პოეტისათვის მოეკლა „ყმანვილის ბრმა სარწმუნოება“, დაეკარგა „სულის მშვიდობა“, აღეთქვა და არ მიეცა კი „თავისუფლება ამ წუთი-სოფლად“.

ამ სახით ნიკოლოზ ბარათაშვილს ჩვენი აზრისთვის, ჩვენი გულისთქმისათვის, ჩვენი ჭკუა-გონებისათვის დიდი განი და სიღრმე მიენიჭებინა, კაცობრიობის წყურვილისათვის ქართველიც თანამოაზრედ გაეხადა და კაცობრიული წყურვილის მოსაკლავი წყაროსათვის ქართველიც დაეწაფებინა.

ამ მიმართულებას ჩვენი აზროვნებისა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდგომ არცერთი მწერალი რომ აღარ ჰყოლოდა ჩვენში, ილიას არ უკვირდა, რადგანაც ბაირონებიც, ლერმონტოვებიც მარტონი დარჩენილიყვნენ და მემკვიდრეები იშვიათად დაეტოვებინათ, რაკიღა ტვირთი მათებრი კაცების მემკვიდრეობისა არ გახლდათ მსუბუქი.

ხოლო რომ არ ყოფილა უიმისო, გულში დარდად არა ჰქონოდა ბედი ქართლისა, ბედი მისი მამულისა, ნიშანდობლივია, რომ: დიდებულ სახეს ერეკლე მეფისა გვერდით ამოუყენებდა არანაკლებ დიდებულ სურათს სოლომონ მსაჯულისა, და ეს იმ განწირულებისას, როცა საქართველოს ბედი წყდებოდა.

და ეს პოემა „ბედი ქართლისა“, თუკი მის ღრმა შრეებს ბოლომდე ჩავყვებოდით, ბევრ საგულისხმოს გვეუბნებოდა და ქართველის ამომშრალ გულში ბევრ ნამს ნატვრისას და ნანვისას აწვეთებდა.

როდესაც თვის მამულს დამშვიდებულს ნახავდა და მტერთაგან უშიშარს, შეიფერებდა მის მიერ ეგრეთწოდებულ ახალ ქართლს და მის ყოფაცხოვრებასაც თითქოს შეურიგდებოდა... სწორედაც თითქოს... რადგანაც ესეც ხომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათქვამი გახლდათ: რა ხელ ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებულიო?..

* * *

გიორგი წერეთლის თხრობაში კი სამი დღეღა დარჩებოდა კენჭისყრამდის. ხორხიანეთის ქალაქი ქვიანა გაიტენებოდა მაზრებიდან მოსული ხალხით. და გულქანისა და სარდიონის სახლში ტევა აღარ იქნებოდა სტუმრებისაგან. თუმც ხმა დაყრილიყო, რომ გულქანსა და სარდიონს რუსეთუმეს მხარე ეჭირებოდათ, მაგრამ ისინი ისე ხერხიანად მოიქცეოდნენ, რომ ხშირად დაპატიჟებდნენ ორივე პარტიის კაცებს, ერთად კი არა, სხვადასხვა დროს, ცალ-ცალკე, რათა ერთიმეორეს არ შეყროდნენ და ეჭვი არ აეღოთ სარდიონის ღალატზე.

გულქანი მთელი კვირა დღისით სხვა ოჯახებში იქროლებდა და საღამოთი თვითონ მიიწვევდა მეკენჭეებს, რათა შეეტყო საქმის გარემოება და ზედმიწევნით გაეგო, რომელი პარტია უფრო ძლიერი იყო. ამასთან არავითარ საშუალებას არა ზოგავდა, კენჭები რომ ეშოვნა რუსეთუმესათვის, ასე გასინჯეთ სატრფიალო ჰანგებსაც კი უხვად დახარჯავდა.

იმ ღამეს მე ვარ კაცის პარტიის მოთავეები მოიტანდნენ სიებს სარდიონთან და მოინდომებდნენ დაწერილებით შეეტყოთ თავიანთი ძალა. ბევრს იანგარიშებდნენ, ბევრ მეკენჭეს უარყოფდნენ, ბევრს შეირევდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც ორმოცდაათი კენჭი დააკლდებოდათ. თუ ამდენ მეკენჭეს ვერ იშოვნიდნენ, საქმე ცუდად იქნებოდა. ჩამოუშვებდნენ ცხვირს მეთაურები. რა ეღონათ, აღარ იცოდნენ. ბოლოს სარდიონი ურჩევდათ ამომრჩეველთა

მოსყიდვას. ყველა დაეთანხმებოდა, მაგრამ რა უნდა ეღონათ: არც მოსასყიდი ფული ეგულებოდათ, და არც კაცი, რომელიც იკისრებდა ამ საქმეს.

ბოლოს სარდიონს უნდა ეთქვა მეთაურებისათვის:

– რას გაჩერებულხართ? თუ საქმე გინდათ, მაგან როგორ შეგაჩერათ. დავიბაროთ ახლავე მე ვარ კაცი და გავაგებინოთ ნამდვილი ამბავი. თუ სურს გავიდეს, მაგ დალოცვილმა მსხვერპლიც იტვირთოს. თუ არადა ჩვენ რად გვაწუხებს, დავანებოთ თავი და ის იქნება.

და თვითონვე ეკისრა შუაკაცობა:

– ბატონო, ფული იყოს და კაციც გამოჩნდება. მე ისეთი პატივისცემა მაქვს მე ვარ კაცისა, რომ მისი გულისთვის ცეცხლში ჩავდგები. მოიტანეთ ფული. თუ კაცი ვარ, მე მოვახერხებ მაგ საქმეს. ბევრნი არიან იმისთანები, რომელთაც დღეს რუსეთუმეს მხარე უჭირავთ, მაგრამ თუ ოცდახუთმანეთიანი დაანახვა კაცმა, საითაც მიუშვერ ხელს, იქით წავლენ. ამისთანა კაცები ჩვენთანაც ბევრი იკრიბება. იქნება თქვენ არ იცოდეთ და ეს ნამდვილად ასეა.

მე ვარ კაცის ბიძაშვილი, ნახევარი საათით რომ გავიდოდა გარეთ და მობრუნდებოდა, ჩაუთვლიდა სარდიონს 250 მანეთს. სარდიონიც, იმის დასამტკიცებლად, რომ ერთგულად მოქმედებდა მათთან, წაიყვანდა მალულად მე ვარ კაცის ბიძაშვილს და შეაჭვრეტინებდა თავისი ქვემო სართულის დარბაზში, სადაც გულქანს შენიშნავდნენ. იქ სუფრის გარშემო ისხდებოდა ათი მეთაური რუსეთუმეს პარტიისა და ილაპარაკებდნენ ზეგის არჩევნებზე. მე ვარ კაცის ბიძაშვილი ახლა კიდევ უფრო დარწმუნდებოდა სარდიონის ერთგულებაში და სრულიად დაიმედებული გაეშურებოდა შინ.

მეორე დღეს ხორხიანეთის ბულვარში მოიფინებოდა ხმა, მე ვარ კაცის პარტიას ფული დაურიგებია მეკენჭეთა მოსასყიდად. ეს ხმა ჯერ საიდუმლოდ გავრცელდებოდა და, ვისაც კი პატიოსნებისა ცოტა რამე გაეგებოდა, ყველა ზიზღით შეაცქერდებოდა მე ვარ კაცსა და მის პარტიას. და ეს გარემოება რუსეთუმეს ერთიორად მეტ მეკენჭეს შესძენდა.

გათენდებოდა კენჭისყრის დღეც. ხორხიანეთის საზოგადოების სადარბაზო სახლში შეგროვდებოდა დიდძალი ხალხი. კენჭისყრის წინ მოხდებოდა დიდი ბაასი და რუსეთუმეს პარტიის ერთი ორატორი სახალხოდ გამოაცხადებდა:

– ის კაცი, რომელიც ფულის დარიგებით ყიდულობს მეკენჭეებს, ამორჩევის ღირსი არ არის.

ეს სიტყვები საშინელ უწესობასა და ყვირილს გამოიწვევდა კრებაზე. ბევრი იძახებდა:

– აბა დაგვისახელეთ, ვინ მოისყიდეს, ვის მისცეს ფული?

პასუხს ამ კითხვაზე ვერავინ გასცემდა. კაცი არ გამოჩნდებოდა, რომ ვინმე მოსყიდული ყოფილიყო, მაგრამ საზოგადოება მაინც ბეჯითად იქნებოდა დარწმუნებული, რომ ეს სამარცხვინო საქმე მართლაც ჩაედინა მე ვარ კაცის პარტიას. ვინც კი მართლა იქნებოდნენ გარეულნი ამ მოსყიდვაში, ისინი მიიმალ-მოიმალებოდნენ, ბრალმდებლებს ვერას ეტყოდნენ რას და ეს უფრო დააეჭვიანებდა ყველა იქ მყოფს.

ბოლოს ყრიდნენ კენჭს და: რუსეთუმე დიდი უმრავლესობით გათეთრდებოდა.

მე ვარ კაცის პარტია კუდს ამოიძუებდა, მალე დაიშლებოდნენ და წავიდოდნენ თავთავის სახლში.

ამ საქმეში მოგებული დარჩებოდა მარტო სარდიონ ენუქიძე, რომელიც შეიხვილიფებდა იმ 250 მანეთს.

იგი იმავე ღამეს გამოუტყდებოდა გულქანს: მე ვარ კაცის პარტია მეკენჭეთა მოსყიდვას აპირებსო.

და გულქანსაც მეტი რა ენდომებოდა: გატაცებულ მომხრეს რუსეთუმესი, რომელიც ამ დროს მართლაც ძალიან დაუახლოვდებოდა გულქანს და დღე და ღამეს თითქმის მის ოჯახში გაატარებდა. გულქანიც არაფერს დაიშურებდა მისთვის და საზოგადოებაში კიდეც ეამაყებოდა თავი, რომ ხორხიანეთის პირველი კაცი მისი მოტრფიალე გამხდარიყო. მისი თავმოყვარეობა სრულიად დაკმაყოფილდებოდა, რომ ერთი უკიდურესად თავმოყვარე და ამპარტავანი, ქალების მიუკარებელი კაცი თავის კუდზე გამოება და ისე ატარებდა. იგი მართლაც სულითა და გულით მონდომებულიყო რუსეთუმეს გამარჯვებისათვის. და ამიტომაც დაარხევდა ხმას ამორჩევის წინა დღეს საზოგადოებაში:

– მე ვარ კაცის პარტიამ 125 თუმანი დაარიგა მეკენჭეთა მოსასყიდად.

ამის შემდეგ მრავალი ჰკითხავდა სარდიონს ამ საქმეზე, მაგრამ იგი ხან გაჩუმებული იქნებოდა და ამით ეჭვს ჩააგდებდა საზოგადოებაში, ხანაც ალაგ-ალაგ ფიცით უარს იტყოდა, რათა მე ვარ კაცის პარტია დაეჯერებინა: არა, მამამან, მე ამ ჭორის გამავრცელებელი არ ვიყავო.

ბოლოს საქმე იმით გათავდებოდა, რომ მაინც ყველა დარწმუნდებოდა მე ვარ კაცის მიერ ქრთამის გაღებაზე, თუმც – სინდისის ქვეშ რომ ეთქვა კაცს – ამ ფულით არავინ მოესყიდათ, გარდა თვითონ სარდიონ ენუქიძისა, რომელიც მთელ ამ ფულს ჯიბეში ჩაიდებდა.

ესეც ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის საბანკო-საზოგადოებრივი ბრძოლის სურათი – გაშარჟებული, მეტიც, კარიკატურული სახით წარმოდგენილ, უფრო სწორხაზობრივად და ნაკლები სისხარტითა და სილაღით, ვიდრე აკაკი წერეთელი წარმოსახავდა ნოველაში „ის“, რომელშიც დრამატული სულისკვეთებაც გაიშლებოდა, რასაც გიორგი წერეთლის მოთხრობის ეს მონაკვეთი სრულიად მოკლებულიყო.

პუბლიცისტური პათოსი უფრო იმძლავრებდა გიორგი წერეთლის არსებაში, როდესაც თხრობისას შეეცდებოდა ანგარიში გაესწორებინა ილია ჭავჭავაძისათვის, და ეს კი, გამკვეთრება პუბლიცისტური პათოსისა, ცხადია მოხდებოდა მხატვრული ელფერის ხარჯზე, ამ მონაკვეთს პირწმინდად ისტორიული და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა რომ რჩება და უმთავრესად გამოგვადგება გიორგი წერეთლის პირადი განწყობილების აღსადგენად, როგორც დამატებითი მასალა „კვალის“ მიერ წამოწყებული პოლიტიკური ბრძოლის სურათთა გვერდით.

და კიდევ:

იმ მითქმა-მოთქმის, იმ ჭორების სიმძაფრისა და სიუხვის გასათვალისწინებლად, საკმაოდ რომ გვიგროვდება, მაგრამ რაც მეტი იქნება, მითუკეთესი ბიოგრაფოსისათვის, ლიტერატურისა თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მკვლევარისათვის.

* * *

გიორგი ერისთავი ილიას წერილების იმ სერიაში, მზერა რომ მიედევნებოდა რამდენიმე ათწლეულის ლიტერატურულ პროცესს, წარმოდგებოდა ორი დიდი ღვაწლით: ჟურნალისა და თეატრის შექმნით, იმავდროულად სათეატრო მწერლობის მამამთავრადაც რომ მოგვევლინებოდა.

ჟურნალის დაარსებით ღონისძიება მიეცემოდა ჩვენთა აზრთა დენას – შინიდან გარეთ გამოსულიყო საქვეყნოდ და მწყურვალისათვის აზრთა წყარო ესმია. მართალია მაშინდელი „ცისკარი“ მეტად ფეხმოკლე და ხელმოკლეც აღმოჩნდებოდა, მაგრამ ეს ეპატიებოდა, როგორც ახალ საქმეს, ჯერ უჩვეულოსა და უასაკოს.

მართალია არც მის შემდეგ „ცისკარს“ არ გამოეჩინა თავი ისე შესანიშნავად, რომ ჩვენთა აზრთა ზრდაში ადგილი რამ დაეჭირა, მხოლოდ მისი კარგი ის გახლდათ, რომ არსებობდა. და ლიტერატურულ და ზნეობრივ ფორმულასავით უნდა გახმიანებულიყო თითქოსდა სასხვათაშორისოდ ჩაგდებული ფრაზა:

ზოგჯერ მარტო არსებობაც ღვაწლია, ნამეტნავად იმ გაჭირვებაში, როგორშიაც იყო „ცისკარიო“.

მარტო არსებობაც კი როგორ შეიძლება ღვაწლი იყოს?

აი თუ არა – და „ცისკარი“ ერთ სახიერ და თვალსაჩინო ნიმუშად წარმოდგება ამ სენტენციისა.

ბევრი ავი დღე გამოევლო – ზოგი იმისაგან, რომ მეშველი მწერალი არა ჰყოლოდა და მარტოსათვის ჟურნალის ტვირთი მართლაც რომ ღვაწლი გახლდათ, და ზოგიც იმისაგან, რომ სახსარიც კი არსებობისა არ გააჩნდა ხოლმე.

მაინც კარგახანს თავს დაიჭერდა და თითქმის აკვნობას გაუწევდა იმ ყმაწვილ მწერლებს, რომელთაც მერე, 60-იან წლებში, წინანდელ მწერლებთან ერთად ისეთი ძლიერი ტალღა უნდა ეკრათ ჩვენი აზრთა დენისათვის.

ხოლო თეატრის დაარსებითა და სათეატრო მწერლობის მამამთავრობით:

მარტო სიყვარულისა და ტრფიალების მორევში მოარულ ჩვენს გულს და მარტო განლტოლვილ ფიქრებში წასულ ჩვენს გონებას ჩვენივე ყოფა-ცხოვრებას დააკვირვებდა, მიახედებდა: და მისი კომედია „გაყრა“ სწორედ ამის მაგალითად უნდა მოვლენოდა საზოგადოებას.

მართალია მისი კალამი უფრო სათავადიშვილო არემარეში ატარებდა მკითხველისა და მაყურებლის გონებას, მაგრამ:

მისგანვე ფრთაშესხმული ზურაბ ანტონოვი, რაკიღა იგრძნობდა, ჩემი საკუთარი ფრთები მასხიაო, თავის ოსტატს გაასწრებდა, მის ვიწრო მოედანს ღობეებს შორის გაუდგამდა, სარბიელს გაუდიდებდა და ეგრეთწოდებული მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ავკარგიანობას, მის ზნე-ჩვეულებას ცო-

ტად თუ ბევრად დაგვანახებდა. მისი „მზის დაბნელება საქართველოში“ და „ხევსურთა ქორწილი“ თუ ყოველივე ამის სრული სურათი არ გახლდათ, ილიას რა გამორჩებოდა, რომ: ამ მხრივ მიმართულების მაგალითი ხომ იქნებოდა და იქნებოდა.

ხოლო როგორც პოეტი, იმით უნდა ყოფილიყო გიორგი ერისთავი შესანიშნავი, რომ ჩვენი პოეზიისათვის ჩაემატებინა ის პირწვეტიანი ეკალი, რომელსაც სატირას ეძახიან და: რომელიც ზოგჯერ გამოსაკეთებლად აწყლულებს იმას, ვისაც კი დაეძგერება, და სხვას კი აფრთხილებს.

ამას ამოწმენდა მის მიერ სასაცილოდ აგდებული ჩვენი თბილისის მაღალი საზოგადოება პოემაში „შეშლილი“ და თითოროლა წვრილი ლექსი ამავე თვისებისა.

დგებოდა დრო, გამოეკვეთა ვახტანგ ორბელიანის პორტრეტული შტრიხებიც, მისი პოეტური პროფილიც, და პირველი შტრიხი კი უნდა ყოფილიყო ვახტანგის გამორჩეული ცოდნა და გონებაგახსნილობა, რითაც გამოირჩეოდა მის ტოლ-სწორთა შორის სიყმანვილიდანვე, და ეს სიყვარული ნიგნისა არ მოაკლდებოდა სიკვდილამდე.

ამას ცხადად ამტკიცებდა თუნდ ლექსი „ძველ მეგობარს“, რომელიც გულისხმობდა სახელოვან დიმიტრი ყიფიანს, დიდად განათლებულ და გონებაგახსნილ კაცს, კარგ მცოდნეს ქართული, რუსული, ფრანგული და ინგლისური ლიტერატურისა, და ვახტანგ ორბელიანი მას თავისთან თუ იწვევდა, ამისათვის: მოდი, აქ მიძევს თვალთწინა რუსთველის დიდი ქმნილება, იმის ფურჩვნილის ლექსებით სული და გული დავიტკბოთ; გეტე, შექსპირი, შილლერი კვლავ ერთად გადავიკითხოთო.

ამ ძიებისას ილიას საგანგებოდ უნდა აღენიშნა ის ზოგადი, იმჟამად ნაკლებ პატივში მყოფი შეხედულება, კერძო ცხოვრება და თავგადასავალი ბევრწილად რომ ხსნიდა და არკვევდა პოეტის შემოქმედებით სამყაროს: რათა ცოტად თუ ბევრად გამონათლებულიყო კაცის თვალწინ პოეტის სულიერი სახე, სათავე და მიზეზი მოძებნილიყო მისი ჩანგის სიმთა ძვრისათვის, სულთა სწრაფვისათვის, გულთა ძგერისათვის, ძარღვის ცემისათვის, მისი ჭირისა და ლხინისათვის, მისი გზისა და მიმართულებისათვის.

და არანაკლებ სამსახურს გაგვიწევდა გარე ცხოვრების ავკარგიანობა, რომელთა შორისაც დიდ ადგილს დაიჭერდა საზოგადო ყოფა-ცხოვრება, ჟამთა ვითარება, ჭირ-ბოროტი ქვეყნისა, პოეტის ოჯახი, პოეტის მახლობლობა და ნაცნობობა.

ამ ზოგადი თვალსაზრისის ფონზე და კვალში მიყოლით უმთავრეს ძარღვად ვახტანგ ორბელიანის პოეზიისა უნდა გამოერჩია გულსაკვდომი, მაგრამ გულწრფელი გოდება წარსულისათვის: თითო სიტყვა მისი უკეთესი ლექსებისა თითო ცალკე მარგალიტად რომ გვევლინებოდა ცრემლისა, ღრმად ნატკენი გულისაგან წარმოდინებულად.

დასტიროდა იმ წარსულის დამხობილ დიდებას, მაგრამ არც იმას უმალავდა მკითხველს, რა ჭირი და ვაგლახი გადახდენოდა საქართველოს: ჩვენი ივერი მშვენიერი არს სისხლის კალო, გმირთა აკლდამა, გულსაკლავი და სავალალო,

– ამბობდა თავის ერთ სახელოვან ლექსში „იმედი“, ერთ უწარჩინებულეს მარგალიტად რომ შერაცხავდა ილია ქართული პოეზიისა. ხოლო ეს ჭირი და ვაი-ვაგლახი ყოფილისა, როგორც უკვე გარდასული ამბავი, ისე არა სწვავდა ადამიანის გულს, როგორც გარდასული ბედნიერება და დაკარგული დიდება.

იმ იმედის გარდასვლასა და დაკარგვას იმ უმწვერვალეს ტკივილამდე უნდა მიეყვანა ვახტანგ ორბელიანიც, როცა ყოველგვარი გრძნობა დუმდება ხოლმე, სასოებასაც ადგილი აღარ აქვს და სადაც მხოლოდღა სასოწარკვეთილება ღაღადებს მთელი თავისი საშინელი ზარით.

გრიგოლ ორბელიანს თავის მოგვარეზე უწინ მივეხედებინეთ წარსულისაკენ და ამით ახალი საგანი გაეჩინა ჩვენი პოეზიისათვის?

მაგრამ ილიას დაკვირვებით:

ამ გზაზედ ისე გადუხვეველად, ისე სისწვრივ ჩვენში არცერთ პოეტს არ ევლო, როგორც ვახტანგ ორბელიანს. იგი თითქმის მთელს თავის პოეტურ ძალ-ღონეს სულ ამ საგანს ამსახურებდა და თავის უკეთეს ლექსებს ამ საგანს უძღვნიდა და შესწირავდა. და დიდ წილსაც დაიდებდა, რომ მამულის სიყვარულის გრძნობას ჩვენში ფეხი მოეკიდა და ფრთა ასხმოდა. დედა მისი წარსულის სიყვარულისა მამულიშვილური სიყვარული გახლდათ და პირველი გაზრდილიყო მეორის ძუძუთი. წარსული უყვარდა, როგორც ფუძე ჩვენი მომავლისა და ამიტომაც სწამდა და ყველასაც შეაგონებდა: დიდ წარსულს დიდი მომავალიც ექნებაო.

ვახტანგ ორბელიანს ნამდვილ ლირიკოსად რომ მოიხსენიებდა რომანტიკული სკოლისა, ილია დაბეჯითებით აღნიშნავდა, რომ:

რომანტიზმს იგი ჰყავდა ჩვენში თითქმის ერთადერთ წარმომადგენლად.

ერთადერთს რატომ ამბობდა?

იმიტომ, რომ მისი პოეზია ამ მხრივ თითქმის შეურეველი გახლდათ და აუჭრელებელი.

რომანტიზმს ევროპულ პოეზიაში იმხანად დიდი ადგილი რომ ეჭირებოდა, მის უდიდეს დედაბოძად ილია მოიხსენიებდა ვიქტორ ჰიუგოს, საფრანგეთის სახელოვან მწერალს, რომლის თხზულებათა კითხვაც ვახტანგ ორბელიანს ხშირად ჰყვარებოდა, რაც დასტურდებოდა მისი ლექსებიდან. და ჰიუგოს ლანდი მოხდენილად უნდა გადაჭდობოდა ქართველი პოეტის ლიტერატურული პორტრეტის ფინალს, როგორც კომპოზიციური ღერძის შემკვრელი.

* * *

ოღონდაც „კვალზე“ ხელი მომიწერეთ და ჩემს ახალ ნაწერს „გულქანს“ მუქთად მოგართმევთო, – ასე შეეცდებოდა მკითხველის გულის მოგებას გიორგი წერეთელი.

ილიას თვალთა წინაშე კი — ნაცვლად მკითხველისა — ერთბაშად და ძალდაუტანებლად უნდა ამოსახულიყო თაგვების გუნდი, უკვე სუნი რომ აეღოთ, კბილებსაც ილესავდნენ და მადლობასაც უძღვნიდნენ გიორგი წერეთელს ამ მოწყალებისათვის.

თავი მეცხრე

სამოქალაქო ომი

ვანო მოგვეშველოს როგორმეო.

ჭკვიანი ბიჭია და ამასთანაც კარგი კალმის პატრონიო.

ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნებაო.

სთხოვე, და არამცთუ სთხოვე, შეეხვეწე ჩემ მაგიერ, რომ სტატიები რამ გამოგვიგზავნოსო.

და დაიწყებოდა და რა დაიწყებოდა, გამოჩნდებოდა ახალი კაცი და რა გამოჩნდებოდა!..

„ივერია“ და: უივანემაჩაბლოდ?!

დრამატული საზოგადოება და: უივანემაჩაბლოდ?!

წერა-კითხვის საზოგადოება და: უივანემაჩაბლოდ?!

სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი და: უივანემაჩაბლოდ?!

ერთი სიტყვით –

ილია ჭავჭავაძე და: უივანემაჩაბლოდ?!

* * *

წიგნაკი „თავადი ილია ჭავჭავაძე და იმისი მოღვაწეობა“, 1892 წელს ჩამობეჭდილი სასწრაფოდ, უნდა გახსნილიყო ლექს-აკროსტიხით, საამდროო ამოცანად რომ მოიხსენიებოდა:

იმას ვერა ჰგავს ვერავინ გრძნობის მცოცხლები მწერალი,
ლომია, ოდეს განრისხდეს, მარად ძმობისა მღერალი,
იტყვის მჭევრსა და გზიანსა, უპყრია მართლის მწვერვალი,
არის გულ-წრფელი, ზნე-ქველი, მხნე, მსრობილი, მოუფერალი.

და ავტორი წიგნაკისა, ივანე მაჩაბელი, მიიჩნევდა, რომ ეს ლექსად თხზული ამოცანა თვითონვე ისედაც ცხადი გახლდათ, მაგრამ შემთხზველი თუ რედაქცია ცდილიყო ცხადზედ უფრო ცხადიც გაეხადა.

თუ ჩამოჰყვებოდი ზემოდან ქვემოთ პირველ ასოებს თვითეული სტრიქონისა, განგებ შავი მელნით აწყობილს, გამოვიდოდა სახელი იმ კაცისა, რომელსაც ასეთ გუნდრუკს უკმევდა ლექსის დამწერი. და თუ ისიც გეცოდინებოდა, რომ ეს ძველებური ფორმა, აკროსტიხად წოდებული, ავტორს აერჩია თითქმის ყველა ქართველი მოღვაწის ხასიათის აღსაწერად, მაშინ ყოველგვარ ეჭვსგარეშე მიხვდებოდი, რომ ეს ლექსი მიეწერებოდა გაზეთ „ივერიის“ რედაქტორს ილია ჭავჭავაძეს.

ხოლო რაკიღა აკროსტიხი დაბეჭდილიყო თვით ილიასავე გაზეთში: „ივერიის“ 1891 წლის 147-ე ნომერში – თუ სულაც იმას არ დაეწერა, მოწონებით ხომ მოეწონებინა და ნებაც დაერთო როგორც რედაქტორ-გამომცემელს.

და ირონიას მოიშველიებდა ივანე მაჩაბელი:

ნუ გაიოცებთ ამ გარემოების აღნიშვნას, რადგანაც ერთ-ერთ ღირსებად ილია ჭავჭავაძისა ლექსში დასახელებულია გულწრფელობა, და გულწრფელმა კაცმა მარტო სხვის შესახებ კი არ უნდა იგულწრფელოს, თავის ღირსებასა და ნაკლულოვანებასაც თავისივე პირით უნდა აღიარებდეს. მაშ რა დასაძრახისია, თუ მართლა ილია ჭავჭავაძე იმისთანა კაცია, რომელსაც ბადალი არსადა ჰყავს, თუ შეუდარებელი „გრძნობის მცოცხლები მწერალია“, თუ ლომია მრისხანების დროს, თუ მჭევრმეტყველი და ლომივით ძლიერია, თუ მართლის მწვერვალი ხელთ უპყრია, თუ ზნექველია, მხნე, მიუფერალი – და სარკასტულადაც ჩაჰკრავდა: „მსრბოლი“ კი ამ შემთხვევაში არ გვესმის, რას ნიშნავსო – თუ ყველა ეს არის, რატომ არ უნდა თქვას თუნდ თავისივე გაზეთში? დიახაც უნდა თქვას და აკი ამბობს კიდეც, მაგრამ ნურავინ გაგვირისხდება, თუ ამ გულწრფელობას გულწრფელობითვე მივაგებთ პასუხს და მოვინდომებთ იმის გარჩევას, ასაბუთებს თუ არა საქვეყნო მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძისა ამ აკროსტიხის სიტყვებსო.

გადაწყვეტდა: არ შეხებოდა ილიას ღვაწლს ლიტერატურაში და ლიტერატურის ისტორიისათვის მიენდო, თუმც „ივერიის“ თანამშრომელთა კალამი წინაუსწრებდა ამ ისტორიას და ხშირად გაზეთისავე ფელეტონებში ქება-დიდება ეძღვნებოდა მის ნიჭსა და შრომას.

ამ პატარა წიგნის აზრი გახლდათ მხოლოდ განხილვა ილია ჭავჭავაძის მონაწილეობისა იმ საზოგადო საქმეებში, რომელიც კი ქართველობას ამ ოციოდ წელიწადში ეთავა.

აიღებდა ამას საგნად ივანე მაჩაბელი და... ეცოდინებოდა კიდეც, როგორ ეუცხოებოდათ და შეზარავდათ ეს სიტყვები იმათ, რომელთაც თვალხილულად გაჩხრეკა მათთვის საყვარელი პირის ავკარგიანობისა მიუტევებელ ცოდვად მიაჩნდათ და ავტორიტეტის ხელშეხება – შარაგზაზედ ავაზაკობად.

მათთვის არა წერდა და თუნდ ლომებივითაც განრისხებოდნენ, კისრულობდა მათ რისხვას.

წერდა მათთვის, რომელთაც სჯეროდათ და სწამდათ, რომ:

ყოველი ავტორიტეტისათვის პატივი უნდა გვეცა, უნდა დავმორჩილებოდით, თუნდ გვედიდებინა კიდეც იმ დრომდე, ვიდრე იგი თავის გავლენასა და ძალას ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეს ახმარდა.

მაგრამ... თუკი ავტორიტეტად მიჩნეულ პირს თავი ყოვლისშემძლებლად, უცოდველ პაპად მოეჩვენებოდა, თუ მოიწადინებდა, რომ თავისი „მე“ ყოველ საზოგადო საქმეში გაერია, ყველგან ეპირველა და, რაკიღა ძალი ქადილისა არ შესწევდა, წინ წაწევის მაგიერ ხელი შეეშალა და უკან დაეყენებინა; თუ ყოველივე სასარგებლო დაწყებულობას, რაშიაც მოთავეობას არ არგუნებდნენ, მტრულად მოკიდებოდა?

მაშინ კი... ოოო მაშინ ყოველი ნამდვილად გულწრფელისა და ქვეყნისათვის მზრუნავის ვალი გახლდათ ეთქვა:

შორს ჩვენგან ამისთანა ავტორიტეტი! უსარგებლო და მავნებელ კერპს ვერ ვიწამებთ და არც გვიწამებიაო!..

წერდა ამ სტრიქონებს და... კისრულობდა არამცთუ დევნას ილია ჭავჭავაძის ბრმა თაყვანისმცემელთაგან, არამედ დამარცხებასაც. დიახ, დამარცხებას:

იმიტომ, რომ თუკი ქართული ანდაზის ძალით ბატონს პირველი მოჩივარი მართალი ჰგონია, საზოგადოება, როდესაც გაზეთებში პოლემიკა იმართება, ეთანხმება მხოლოდ იმას, რომელსაც უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის, და ილია ჭავჭავაძეს „მართლის მწვერვალის“ გარდა ხელთ უპყრია ისეთი საშუალება, რომლის ძალითაც შეუძლიან ყოველთვის უკანასკნელი სიტყვა იკუთვნოს და თავის მოკამათეს ხმა ჩააწყვეტინოსო.

იგი ხომ გახლდათ ერთადერთი ქართული გაზეთის რედაქტორი და ყოველთვის შეეძლო პასუხი გაეცა, ვინც კი მის წინააღმდეგ ან იტყოდა, ან დაწერდა რაიმეს.

ეს კიდევ ცოტა იყო:

თუ გაბედავდი და მის მოქმედებას კრიტიკული თვალით გაარჩევდი, შენი სიტყვები ისეთი სახით ჩაიბეჭდებოდა მის გაზეთში, რომ წაკითხვისას პირჯვარი უნდა გეწერა და უნებურად გეძახა: ღმერთო, მიხსენ ამისთანა „მიუფერებლობისაგანაო“!

როგორ მოვიდოდა ამისთანა იარაღიანთან გარეშე პირი, თუნდ ცამდე მართალიც ყოფილიყო და ნამდვილ საბუთებზე აეშენებინა თავისი მსჯელობა; ვის ჰქონდა შეძლება და მოცალეობა: ბროშურებითა და წიგნებით ებაასა და ეკამათა ყოველდღიურ გაზეთთან?

ეს თუმც ასე გახლდათ, ივანე მაჩაბელი მაინც წინდაწინვე კისრულობდა დამარცხებას იმ იმედით, რომ იქნება ოდესმე პირუთვნელ ისტორიას ჩვენი საზოგადო მოღვაწეობისა თავისი უტყუარი მსჯავრი დაედო და ყველასათვის მისი ღირსებისამებრ მიეწყო.

ვიდრე შეუდგებოდა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის განხილვას, საჭიროდ მიიჩნევდა მოკლედ გადაევლო თვალი, ამ 20-25 წლის განმავლობაში რა შეექმნა ჩვენს საზოგადოებას საზოგადო, გამოეცხადებინა თუ არა სურვილი წინმსვლელობისა და წარმატებისა და ან ეს სურვილი რითი განეხორციელებინა?

და რომელ წოდებას შეეძლო ჩვენში საზოგადოებას სათავეში ჩადგომოდა და მისი წინსვლისათვის ხელი შეეწყო?

ამის პასუხს დიდი თავისმტვრევა არ უნდა მონდომებოდა:

გლეხკაცობას მეტად ბევრი პირადი საზრუნავი ჰქონდა, რომ საზოგადოზედ ეფიქრა.

ვაჭრობის წოდება ჯერჯერობით არ არსებობდა

და

ისტორიის მსვლელობას ჩვენი თავადაზნაურობისათვის მიეჩინა მეთაურობა.

ავად თუ კარგად ეს წოდება წინამძღვრობდა ჩვენს ერს ომისა და ლაშქრობის დროს და მშვიდობიანობაშიც იმდენი შეძლება და მოცალეობა ექნებოდა, რომ ეს საპატიო უღელი კისრიდან არ გადაეგდო და პირნათლად ეზიდნა. ბატონყმობის გადავარდნისასაც კი, როდესაც თავადაზნაურობას ბნელი და გამოურკვეველი მომავალი ელოდა და არ იცოდა, დღევანდელი დღე რა ხვალეს უქადდა, მაშინაც კი მის გუნდში გამოირჩეოდა თითო-ოროლა პირი და იკისრებდა არამცთუ მარტო მის წინამძღოლობას, იმასაც კი, რომ თავადაზნაურობის შემწეობით ხელი შეეწყოთ მთელი ხალხის კეთილდღეობისათვის.

უმთავრესი ამ პირთაგან იქნებოდა დიმიტრი ყიფიანი – იგი ჩააგონებდა თავადაზნაურობას საზოგადო საადგილმამულო ბანკის დაარსებას იმ ფულის ნაწილით, რომელიც გათავისუფლებული ყმების სანაცვლოდ ერგებოდათ, რათა ბანკის მოგება მოხმარებოდა მიწის მფლობელთა – თავადაზნაურთა – და მიწის მუშათა – გლეხთა – საყოველთაო საჭიროებას, და ამ აზრის შესრულებისათვის ეს სამაგალითო და ენერგიით სავსე კაცი არაფერს დაზოგავდა:

თავისი ფეხით მოივლიდა მთელს ქართლ-კახეთს და ყველგან აუხსნიდა თავადაზნაურობას, თუ რა სიკეთე მოელოდა მას ამ საზოგადო საქმის დაწყებით.

მხოლოდ მისი ღვაწლისა და შრომის წყალობა იქნებოდა, რომ დაიძლეოდა ჩვენი ჩვეულებრივი აპათია და სხვისი ხელშემყურეობა. იგი მოჭრიდა კბილს თავისი მჭევრმეტყველური და დაბეჯითებული ლაპარაკით ქართველურ „არა გამოვა რას", რომლითაც დამცონარებული სხეული თავიდან იშორებდა საზოგადო საქმისადმი წახალისებას, და თითქმის არაითგან შექმნიდა ისეთ დაწესებულებას, რომელსაც ნაყოფად უნდა მოჰყოლოდა ჩვენი ეკონომიკური წარმატება და განათლებაში ფეხის ჩადგმა; და მართლაც უბანკოდ ვერ იბოგინებდა ვერც სათავადაზნაურო სკოლა, ვერც სკოლა წინამძღვრიანკარისა და ვერც სხვა ამგვარი, ქვეყნის სასარგებლოდ განზრახული საქმე.

ამისათვის რომ ზრუნავდა დიმიტრი ყიფიანი, თითქმის მთელი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას, მეტადრე წვრილ თავადაზნაურობას, ბანკში მონაწილეობას მიაღებინებდა: მოაწერინებდა ხელს, შეატანინებდა ფულს, დააარსებინებდა თანხას.

სხვა უამისო იკმარებდა ამას – გადმოწერდა რუსეთის ერთ-ერთი ბანკის წესდებას, დაამტკიცებინებდა და ჩაიბარებდა გამგეობაში თავმჯდომარეობას.

მაგრამ დიმიტრი ყიფიანს ეს არ ექნებოდა თავისი ცხოვრების საგნად:

მას ეცოდინებოდა, რომ თუმც ბანკი სასარგებლო დაწესებულებაა, მაგრამ იგივე ბანკი ბევრ თავად-აზნაურს მამულს ხელიდან გამოაცლიდა, თუ ჩვეულებრივი წესდება არ შეიცვლებოდა, და შეეცდებოდა ისე შეეცვალა ეს წესდება, რომ ჩვენი თავადაზნაურობის ზნისა და გარემოებისათვის შეეფერებინა.

ამ ძიებას იქნებ ზოგიერთი იმისთანა აზრიც ჩაეგონებინა მისთვის, რაც შეუსრულებელიც გახლდათ და შეუძლებელიც, მაგრამ განა ქება და დიდება არ ეთქმოდა იმ პირს, რომელიც ცდილობდა არათუ მარტო დაწყებას საქმისა, არამედ იმასაც, რომ ეს საქმე ჩვენი ამ ჩვენი

ყოფაცხოვრებისათვის შეეთანხმებინა და შეემცირებინა შეძლებისამებრ მისი მავნებლური თვისება?!

და აი ამას აქეთ, რაც ბანკის დაარსების აზრი მოუვიდოდა, ამ აზრის შესრულებამდე და შესრულების შემდეგაც დიმიტრი ყიფიანი გულისტკივილით დააკვირდებოდა საქმეს, შეებრძოლებოდა სხვადასხვა საძნელო და მავნე მხარეს ბანკის მოქმედებისა და ზოგიერთ შეუძლებელ და აუსრულებელ ცვლილებათა შორის იმისთანა ცვლილებასაც ურჩევდა, რაც ადვილი აღსასრულებელი გახლდათ და მიღებულიც იქნებოდა მასუკან დაარსებულ სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკის წესდებაში.

ამ უკმაყოფილებას აწინდლურად საქმის წარმოებისა დიმიტრი ყიფიანი ბეჭდურადაც გამოაცხადებდა 1886 წელს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე, მაგრამ ამ გაზეთის რედაქტორი და ამასთან ყიფიანისაგან დაარსებული ბანკის გამგებელი თავადი ჭავჭავაძე ვერაფერ მასპინძლობას გაუწევდა თავის მოკამათეს.

გვაგონდება მაშინდელი პოლემიკა ამ ორ პირს შორისო, – მწარედ დასძენდა ივანე მაჩაბელი, – გვაგონდება ის ლიტერატურაში უარყოფილი ფანდები, რომელთაც მიმართა თავადმა ჭავჭავაძემ მოწინააღმდეგის დასამარცხებლად, და ვგრძნობთ, რა უარეს ფანდებს უნდა მოველოდეთ, თუ თავადი ჭავჭავაძე თავის გაზეთში ჩვენს წინააღმდეგ აღიჭურვებაო.

რაში დაეტყობოდა თავადი ჭავჭავაძის გავლენა ან ბანკს და ან მასთან მჭიდროდ თუ დუნედ დაკავშირებულ დაწესებულებას, და თუ მართლაც ისე მხნე გახლდათ თავადი ჭავჭავაძე, როგორც აკროსტიხის ავტორი ირწმუნებოდა: მხნეაო?

განა ეს საკითხავიაო? – ირონიულა აღნიშნავდა ივანე მაჩაბელი.

გაგვეცნო ყოველი ჩვენი საზოგადო საქმე და თითქმის ყველგან ამ პიროვნებას შევხვდებოდით: ან როგორც თავმჯდომარეს, ანდა როგორც თავმჯდომარის ამხანაგს.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იყო და: ის გახლდათ თავმჯდომარის ამხანაგი.

დრამატულ საზოგადოებაშიც დიდხანს ითავმჯდომარებდა.

ბანკის გამგეობის თავმჯდომარეც ის გახლდათ.

გაზეთის რედაქტორიც ის გახლდათ.

და... ამას წინათ რაღაც საზოგადოება რომ არსდებოდა მწვანილეულობის ყიდვისა, იქაც კი იკისრებდა თავმჯდომარეობას.

და სარკაზმს არ დაიშურებდა ივანე მაჩაბელი:

ამაზედ მეტი სიმხნეველა გინდათ, ამაზედ მეტი მუყაითობა და საქმის სიყვარული! მართლა რომ სამაგალითო მოღვაწეობააო!..

მაგრამ ახლა ისიც გვეკითხა, რას აკეთებდა ეს საყოველთაო თავმჯდომარე ან ერთგან, ან მეორეგან, ან მესამეგან, ან მეოთხეგან?

გამოსარკვევად აგვეღო თუნდ ეს გარემოება: რამდენი კრება ჰქონოდა თვითეული საზოგადოების გამგეობას ამ ბოლო სამ წელიწადს და რამდენჯერ დასწრებოდა ამ კრებებს თავადი ჭავჭავაძე.

წერა-კითხვის საზოგადოებას 1889 წელს 35 კრება რომ ექნებოდა, თავადი ჭავჭავაძე დაესწრებოდა 4-ჯერ; 1890 წელს გამართულ 26 კრებას – ერთხელ; 1891 წელს გამართულ 36 კრებას კი – 3-ჯერ.

სათავადაზნაურო სკოლის საზოგადოების გამგეობას 1889 წლის მაისიდან წლის დასასრულამდე რომ ექნებოდა 9 კრება, დაესწრებოდა 3-ჯერ; 1890 წლის 20 კრებას – ერთხელ, 1891 წლის 9 კრებას კი... არცერთხელ არ დაესწრებოდა.

დრამატულ საზოგადოებას ორ თუ სამ წელიწადს რომ თავმჯდომარეობდა ამ ხუთი წლის წინათ და იქნებ კრებებსაც ესწრებოდა, ივანე მაჩაბელს მთლად ზუსტა აღარ ახსოვდა, მაგრამ როგორ არ ეთქვა: ვაი ამ დასწრებასაცო!

ეს საზოგადოება, რომელსაც დამტკიცებული წესდებაც მოეპოვებოდა და მრავალი ძვირფასი უფლებაც, კინაღამ დაიხურებოდა თავადი ჭავჭავაძის ხელში, და მიხრწნილის, ღონეგამოლეულისათვის სხვებს რომ არ ეპატრონათ და პატარა სული არ ჩაედგათ, აქამდე სამარესაც იქნებოდა მიბარებული, რადგან საზოგადო კრებაც კი არ იმართებოდა მის ხელში და საზოგადოებას არავითარი ანგარიშისა არ ეცოდინებოდა.

იტყოდნენ: ეს უმნიშვნელო ბრალია და კრებებზე დაუსწრებლობა კიდევ არ ამტკიცებს გულხელდაკრეფასა და გულგრილობასო?

იქნება თავადი ჭავჭავაძე სათავადაზნაურო სკოლაში ისე დადიოდა, გაკვეთილებს ან „ეგზამენებს“ ესწრებოდა, ან წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში მუშაობდა, ან პიესებს ათვალიერებდა, წერდა; ერთი სიტყვით: იქნება ორ-სამჯერაც ესწრებოდა კრებას, მაგრამ დასწრებისას ერთიათად მეტს აკეთებდა სხვებზედ, რომელნიც ყოველთვის დაიარებოდნენ?..

თავადი ჭავჭავაძის მომხრეთ მოაგონდებოდათ მისგანვე წარმოთქმული სიტყვა: ერთ კაცს შეუძლიან ერთი თითით იმდენი ასწიოს, რასაც სხვანი ორი ხელითაც ვერ ასწევენო, – და შეეძლოთ ეთქვათ: იქნება ერთი სიტყვით, ერთი რჩევით, რომელიმე ახალი აზრის ჩაგონებით ჭავჭავაძეს მეტი გაუკეთებია, ვიდრე სხვებს მთელი თვეობის მუშაობითო?

მაგრამ ივანე მაჩაბელს შეეძლო ამის მთქმელთათვის თამამად ეპასუხა:

გარეშე უსაქმობასა და კრებებზე დაუსწრებლობასთან შეერთებულია სრული შინაგანი უსაქმურობა, სრული უაზრობა, სრული უშინაარსობაო.

თავადი ჭავჭავაძე არცერთხელ არ დასწრებოდა არც გაკვეთილებს, არც „ეგზამენებს“ სათავადაზნაურო სკოლაში; ახლოსაც არ გაევლო წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიასთან, თუკი ბანკში არ მიემართებოდა (კვლავ ირონიული ჩაკვრა!), და ვერცერთ საქმეში ვერ შეხვდებოდით რაიმე სასარგებლო წინადადებას, საზოგადოებისათვის რაიმე სასარგებლო აზრს მისგან აღძრულსა და შესრულებულს.

და მაშ რა თილისმით, რა ძალითა და მანქანებით ხდებოდა, რომ არავითარი საზოგადო საქმე უჭავჭავაძეოდ არ იწყებოდა?

ივანე მაჩაბლის რწმენითა და მტკიცებით:

იმავე თილისმითა და ძალით, რა ძალითაც თაყვანისცემასა და პატივს არ აკლებდა დიდხანობამდე ბრბო ერისა ერთხელ რაიმე გარეშე მიზეზის გამო ღმერთად მიჩნეულ კერპს.

თავადი ჭავჭავაძისათვის რომ გეკითხათ, ამაყად მოგიგებდათ:

– რა ჩემი ბრალია, რომ ხალხი აგრე პატივსა მცემს და ყველგან პირველობას მაკუთვნებს; ალბათ ღვაწლი და სამსახური მიმიძღვის, ალბათ ჩემში რაღაც ღირსებას ხედავენ და ამიტომაც ასე მოწიწებითა და ქება-დიდებით მეპყრობიან.

და მიადევნებდა ივანე მაჩაბელი:

პირველი შეხედვით იქნება ასეც ეჩვენოს ადამიანს, იქნება მართლა ბრალი ამ შემთხვევაში საზოგადოებას ეკუთვნოს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ყოველი საზოგადო მოღვაწის ვალია, არ იკისროს იმისთანა საქმე, რომელიც სარგებლობას ვერაფერს მოუტანსო.

ეს ნათელი ჭეშმარიტება სრულიად მიევიწყებინა და განზედ მიეგდო ილია ჭავჭავაძეს, მაგრამ ამ საგანს თავისი სარჩულიც ჰქონდა, რომელიც სრულიად სხვა ფერს აძლევდა ჭავჭავაძის პასუხს.

საზოგადოება ხშირად ძალად ახვევდა თავზედ იმისთანა საქმეს, რომლის მოვლასაც იგი ვერ იკისრებდა და არც შეეძლო, მაგრამ ეს ძალად თავზე მოხვევა ისე დააჩვევდა მას ყველგან პირველობას, რომ რა სასარგებლო საქმეც კი დაიწყებოდა, მისი ნებართვა და ლოცვა-კურთხევა უნდა მიეღოთ, თორემ...

თორემ ვაი თქვენი ბრალი და თქვენგან დაწყებული საქმისაც:

თქვენს წადილს, რაც უნდა კეთილშობილური ყოფილიყო და საქვეყნო გულისტკივილითაც ჩაგონებული, აღუსრულებელს უწოდებდა და ცივ წყალსაც გადაასხამდა ისედაც ძნელად წასახალისებელ ჩვენს საზოგადოებას.

ამის მაგალითს რამდენიმეს კიდეც დაასახელებდა, სიტყვის გაგრძელებისა რომ არა შინებოდა და, თუკი დრო და გარემოება მოიტანდა, არც დატოვებდა დაუსახელებლად.

აი ამას მიიჩნევდა ივანე მაჩაბელი დიდ ცოდვად და მიუტევებელ ცოდვადაც ყოველი საზოგადო მოღვაწისათვის.

ჭეშმარიტი გულშემატკივარი საზოგადოებისა ერთგვარად მოეპყრობოდა სასარგებლო საქმეს, თუნდ მისგან ყოფილიყო დაწყებული და თუნდ სხვისაგან, და არ გამოუდგებოდა წვრილმან და საქმის დამაბრკოლებელ შენ-ჩემობას, რაც არცერთ საზოგადო მოღვაწეს არ ეკადრებოდა.

როგორ შეიძლება მართლა ასეთ წვრილმანთა გამოკიდებაო? – ეგებ ესეც ეთქვათ – ჭავჭავაძეს ორი ისეთი საქმე უჭირავს ხელში, რომელთაც უნდება სრული მისი მხნეობა და გამჭრიახობა და სხვა საქმეებისათვის როგორღა მოიცალოსო.

დაეთანხმებოდა ამის მთქმელთ ივანე მაჩაბელი, რომ: გაზეთიც და ბანკიც ისეთი სამძიმო საქმე გახლდათ, სათითაოდაც კარგი გაძღოლა ესაჭიროებოდათ, არამცთუ ორივეს ერთად.

მაგრამ ახლა იმასაც დავკვირვებოდით, რა წილი ედო ჭავჭავაძეს ამ ორივე საქმეში და მისი მოთავეობა მართლა სასიკეთოდ ადგებოდა საქმეს თუ საზარალოდ.

გრძნობდა ივანე მაჩაბელი, რა პასუხისგებაშიც ვარდებოდა ამ სიტყვის წარმოთქმით: როგორ თუ საზარალოო! ჭავჭავაძე და საზარალო? მაშ ჩვენ სულ ბრმანი ვყოფილვართ და მარტო თქვენა გქონიათ თვალები ახილულიო, – იტყოდნენ გაწიწმატებული თაყვანისმცემელნი ჭავჭავაძისა; მაგრამ წიგნაკის ავტორი შეეცდებოდა თავისი სიტყვები ისე დაესაბუთებინა, რომ მოწინააღმდეგეთ არ შეძლებოდათ, ცილისწამება დაებრალებინათ მისთვის.

დაე გახსენებულიყო, თუ როგორ დაბადებულიყო დღევანდელი ყოველდღიური გაზეთი „ივერია“.

ბევრს ეცოდინებოდა, რომ „ივერია“ თავდაპირველად იყო ყოველკვირეული გაზეთი, მერე ჟურნალად გამოდიოდა და მრავალგვარად ფერსაც იცვლიდა, ვიდრე ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდებოდა; მაგრამ ეს ფერისცვალება ვერას უშველიდა და 1885 წელს ის დაემგვანებოდა მისუსტებულ მოხუცს, რომელსაც სული ძლივსღა შერჩენოდა და რომლის სიკვდილ-სიცოცხლეც არავისთვის საყურადღებოდ აღარ გახლდათ.

ამ ჟურნალს მაშინ ასი, ას ოცი ხელმომწერი თუ ეყოლებოდა, და ისიც იმისთანები, რომელთა გაუჭრელი წიგნებიც ხელუხლებლად ელაგებოდა. მაგრამ გაჭრიდა „ივერიის“ რედაქტორის იღბალი, ბედის ვარსკვლავი გამოუნათებდა და ამ წელს დაიხურებოდა „დროება“, ერთადერთი ქართული გაზეთი. მთელი ქართული საზოგადოება უგაზეთოდ დარჩებოდა და სამთვენახევარი ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ვისაც ესმის რა საჭიროებასაც წარმოადგენს შეჩვეულისათვის ყოველდღე გაზეთის გადათვალიერება, ადვილად მიხვდებოდა, თუ რა წყურვილით დაელოდებოდა საზოგადოება ახალ გაზეთს. და აი ბებერი „ივერია“ ერთხელ კიდევ ფერს იცვლიდა, ბავშვის სახვევებში გაეხვეოდა, არტახებს შემოიჭერდა და 1 იანვარს 1886 წლისა წარდგებოდა საზოგადოების წინაშე ახალი მუნდირით – როგორც პირველი ნომერი ყოველდღიური გაზეთისა.

კარგად ემახსოვრებოდა ივანე მაჩაბელს, ჩვეულებრივი წყურვილის გარდა რარიგ უწყობდა ხელს ჯერ დაუბადებელი გაზეთის წარმატებას ერთიერთმანეთის შეგულიანება და წახალისება. მარტო გორის მაზრიდან, საიდანაც სხვა ქართულ გამოცემებს 40-50-ზე ზევით ხელმომწერი არასდროს ჰყოლოდა, დაარსებამდე „ივერიას“ 80 ხელმომწერი გაუჩნდებოდა და რაც მასუკან უნდა მიმატებოდა, ეს კიდევ სხვა.

რა წაეკითხა მერე ამ მრავალ საკითხავად მომზადებულს გაზეთის პირველ ნომერში?

აღსარება რედაქციისა, რომელშიაც რედაქტორი ჰკიცხავდა იმ პირთა „ავყიობასა და წიწლაკიანობას“, რომელნიც ბეჭდვის საშუალებით მავნე მოვლენათა და პირთა გასაკიცხად აღიჭურვებოდნენ, და პირდებოდა „კაცებურის (ეს ახალი სიტყვა ახალმა გაზეთმა შემოიღოო, – მწარედ ჩაუნისკარტებდა) ღირსების გრძნობის პატივისცემას“.

და ამოიწერდა წიგნაკის ავტორი ერთ ალაგს ამ მოწინავე წერილისა, რომელიც შეადგენდა „აღსარების“ უმთავრეს ამონაწურს:

– ის ღვთაებრივი გრძნობა, რომელსაც კაცებურის ღირსების გრძნობას ეძახიან და უძვირფასესი და უდიდესი საუნჯეა ადამიანთათვის მიმადლებული, უნდა პატივცემულ იყოს ყველგან და ყოველს ადამიანში, გლახაა თუ მდიდარი, ავაზაკია თუ ზნეობამაღალი. ასე მოიქცევა იგი, ვისაც თავისის საკუთარი კაცებობის (ესეც ახალი სიტყვააო, – კვლავ ჩაუნისკარტებდა) ღირსების გრძნობა მჩვრად არ გადუქცევია. ადრეც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით: კაცობრიობის დიდებულთა ნაღვაწთა თირკმელები რომ გავუსინჯოთ (ეს კიდევ ერთი ახალი პოეტური შედარებააო, – კვლავ ჩანისკარტება), მთელს კაცობრიობის ახოვანს პროგრესს თავიდამ ბოლომდე გონების ნესტარი გაუტაროთ, ნახავთ, რომ ყოველივე ეს მართლადა დიდებული ნაომარი კაცობრიობის სულისა, გონებისა და მხნეობისა სხვა არა არის რა, თუ არ ძლევა-მოსილი სვლა კაცებურ ღირსებათა გრძნობის აღსამატებლად მიმართული. რამოდენადაც ეს გრძნობა აღმატებულია, იმოდენად ძლიერია როგორც ცალკე კაცი, ისე მთელი ერიც. ჩვენის ფიქრით, ყოველგვარ უბედურებას, უძლურებას ადამიანისას სათავედ ამ გრძნობის ძირს დაცემა აქვს. საცა ეს გრძნობა ცოტად თუ ბევრად ფეხადგმულია, იქ კაცი არამცთუ ვისმეს ან რასმეს გაექელვინება თვითონ, არამედ სხვის გაქელვის დანახვაზედაც მთელის თვისის სამართლიანის გულისსწყრომით გამქელველს გულდაგულ შეეფეთება, როგორც დამრღვეველს იმ ზნეობითის კანონისას, რომელიც საყოველთაო ღირსების ფარია და მაშასადამე მისიცა, როგორც სხივნი მზისაგან, ყველა ნიჭი და მადლი ადამიანისა, სულიერი თუ ხორციელი, ამ გრძნობიდამ წარმომდინარებს და ყოველივე ისევ უკან მიერთმევა, ვით თავის დასაბამს.

– ეს არის ჯერ ხანად ჩვენი აღსარება, ჩვენის გულის-ნადები. ამ გზას დავადგებით და არას შემთხვევაში არ ვუღალატებთ. სხვა დროსა და გარემოებას დავაცადოთ.

რა შთაბეჭდილება დარჩებოდა ამ განსჯის თაობაზე ივანე მაჩაბელს?

რა და:

ეს ნაძალადევი მჭევრმეტყველება, ეს საიდამღაც გამოგონილი ვითომდა ღრმა სიტყვების ახუხულავება, ეს თირკმელებში ქექვა იქნება ფრაზებით გამობრუებულ ზოგიერთ მკითხველს ჭეშმარიტებადაც მოსჩვენებოდა და მეცნიერების უკანასკნელ სიტყვად, მაგრამ ზოგნი კი მიხვდებოდნენ, რა ფასიც უნდა ჰქონოდა ასე გამოცხადებულ „გულისნადებს“, ან ეს შესავალი რა გულგრილობასა და გაზეთის მნიშვნელობის უცოდინრობას გადაჰფარებოდა ფარად.

მართლაცდა რა იყო ეს „კაცებურის ღირსების გრძნობის პატივისცემა“ და ვის ეთქმოდა, მე ეს აზრი ყოველთვის თვალწინა მაქვს წამოყენებული და ამით ვხელმძღვანელობო?

სხვისა რა ეთქვა და ივანე მაჩაბელი კი მიიჩნევდა, რომ:

ვისაც მართლა თავისი კაცური ღირსების პატივისცემა სურდა და სხვებისაც, უნდა პირნათლად შეესრულებინა ის მოვალეობა, რასაც კისრულობდა და რასაც სხვანი მისი სიტყვების ძალით მოელოდნენ.

და ირონია უნდა შემორეულიყო:

ნეტა ვიცოდეთ, რომელი „კაცებურის ღირსების გრძნობას“ გულისხმობდა „ივერიის“ რედაქტორი, როცა თავის გაზეთში მთელი თვეობით ბეჭდავდა დაუსრულებელ წერილებს ღვინის დაყენებაზედ, წერილებს, რომელთა წაკითხვის დროს ამ საქმის მცოდნეთ სახეზედ მორცხვობის სიწითლე მოსდიოდათო!

ან იქნება „კაცებურის ღირსების გრძნობის პატივისცემა“ ეგონა დღემუდამ პოლიტიკაზედ წერა და ბისმარკ-სალისბიურების გაწკეპა „ივერიის“ ფურცლებზედ, რაკი საქმე შინაურ ტკივილს შეეხებოდა?

განა გაზეთის რედაქტორს არ მოეთხოვებოდა – გამორკვეული პროგრამა ჰქონოდა და ამ პროგრამას გაჰყოლოდა?

და ახლა გვეკითხა, რა პროგრამით ხელმძღვანელობდა „ივერიის“ რედაქტორი, როდესაც გაზეთში ბეჭდავდა და თავის მხრივ უხვ თანაგრძნობასაც არ აკლებდა სხვადასხვა სოფლიდან მოსულ ამბებს: ჩვენში ერთკლასიანი სკოლა იყო და ახლა – ღვთისა და თქვენი წყალობით – ნორმალურ სკოლად გვინდა გადავაკეთოთო. განა არ იცოდა, ამ ორგვარ სკოლებს რა და რა პროგრამა ჰქონდათ და რომელი უფრო იყო ღირსი თანაგრძნობისა?

განა გაზეთის რედაქტორი არ უნდა ცდილიყო მკითხველისათვის მისთვის საყურადღებო ამბები რაც შეიძლება მალე მიეწვდინა და მათ შესახებ თავისი აზრი გამოეთქვა?

ახლა გვენახა, თუ როგორ ასრულებდა „ივერია“ ამ თავის პირდაპირ დანიშნულებას და გავცნობოდით მარტო ერთ თვალსაჩინო მაგალითს.

როდესაც 1890 წელს თბილისის ხმოსანთა ამორჩევა მოხდებოდა, 22 ქართველს ამოარჩევდნენ ხმოსნად და ეს ამბავი ძლიერ სასიამოვნოდ დარჩებოდა ქართველობის ყველა გულშემატკივარს, რადგან ოთხი წლის განმავლობაში მაინც ქართველებსაც შეეძლებოდათ ერთგულება დაემტკიცებინათ თავიანთი დედაქალაქის საქმეებისადმი და, თუ ღონე შესწევდათ, მუყაითობაც გამოეჩინათ. მაგრამ ზოგიერთი პირი საჩივარს შეიტანდა საქალაქო საქმეთა გამგე საგუბერნიო კრებულში არჩევნების დარღვევის შესახებ. და რომ დარღვეულიყო არჩევნები, სრულიად გაუქმდებოდა და მოიშლებოდა ძნელად და ფრთხილად დაწყებული საქმე.

თითქმის მთელი ქართველობა გაფაციცებით მიადევნებდა თვალყურს ამ არაჩვეულებრივ მოვლენას ქართველთა ცხოვრებაში და გულისძგერით დაელოდებოდა იმ დღეს, როდესაც საგუბერნიო კრებულს თავისი გადაწყვეტილება უნდა დაედგინა.

დადგებოდა ეს დღეც – 20 დეკემბერი. გადაწყდებოდა: ხმოსანთა ამორჩევა არ გაუქმდესო, – და ქართველობისათვის ამ საამო ამბავს მეორე დღესვე სასწრაფოდ აცნობებდნენ რუსული გაზეთები თავიანთ მკითხველს. ქართველი მკითხველებიც მიმართავდნენ რასაკვირველია „მსრბოლი“ რედაქტორის გაზეთს და რას ამოიკითხავდნენ „ივერიაში“? 21 დეკემბრის ნომერში, პირველ ადგილას, გაზეთის ტექსტში ეს ამბავი იქნებოდა ჩაბეჭდილი:

– ამ თვის 19-ს, რიყეზე, ღამით უეცრად გარდაიცვალა ივანე ეგნატეს ძე ბლეტკინი.

კერძო განცხადება არ გეგონოთო, – აღნიშნავდა წიგნაკის ავტორი, ოღონდ რაც მთავარია: ვინ იყო ეს ბლეტკინი, ვისთვის რა საჭირო გახლდათ ან მისი სიცოცხლის, ან მისი სიკვდილის ამბის შეტყობა, ეს დღესაც „ივერიის“ რედაქტორის საიდუმლოს შეადგენდა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ მკითხველი, არამცთუ სათავეში, მთელს ნომერშიც მიკროსკოპითაც ვერ იპოვნიდა, თუ რა გადაეწყვიტა საგუბერნიო კრებულს ხმოსანთა ამორჩევის შესახებ. მხოლოდღა მეორე დღეს გადმობეჭდავდა „ნოვოე ობოზრენიედან“ და მიჩქმალავდა სადღაც სხვა ამბავთა შორის, რომელნიც ჩვეულებრივ წვრილი შრიფტით იბეჭდებოდნენ.

რომ „ივერია“ ამ მხრივ ვერ ასრულებდა – და რომელი მხრივ ასრულებდა – თავის დანიშნულებას, ერთს კიდევ დაასახელებდა ივანე მაჩაბელი:

იმავე 273-ე ნომერში „ნოვოე ობოზრენიედან“ გადმობეჭდილიყო ამბავი: ფინანსთა მინისტრი თბილისის სათავადაზნაურო ბანკს ნებას აძლევს ბათუმის მამულებზედ სესხის გაცემისაო.

ეს როგორი მოსაწონი გახლდათ?

„ივერიის“ რედაქტორი, რომელიც ბანკის გამგებელიც იყო, მისდა მინდობილი ბანკის შესახებ ამბებს სხვა გაზეთიდან იღებდა და ამბობდა: „ნოვოე ობოზრენიეს“ გაუგონიაო. და შეეპასუხებოდა წიგნაკის ავტორი ილია ჭავჭავაძეს:

ვიდრე „ნოვოე ობოზრენიე“ გაიგონებდა, თქვენ უნდა გაგეგონათ, თქვენგან წარმართულ გაზეთში ჩაგეწერათ და მით მკითხველთა კანონიერი ცნობისმოყვარეობა დაგეკმაყოფილებინათო.

წარმოიდგენდა ივანე მაჩაბელი, რარიგი სიხარულის ღიმილი მოუვიდოდათ „ივერიის“ მომხრეთ, თუკი სადმე მოიძევებოდნენ კიდევ ამისთანები, და იტყოდნენ:

– აი წვრილმანებს გამოუდგნენ და თითოოროლა მაგალითით უნდათ მთელი გაზეთი გაკიცხონ.

მაგრამ წვრილმანებსაც რომ ჩამოვხსნოდით და მსხვილმანებისათვის მოგვემართა, რას ვნახავდით, თუ არა სრულ უარყოფას ყოველივე იმისა, რაც გაზეთის სულსა და შინაარსს უნდა შეადგენდეს. განა გაზეთი იმას არ უნდა ცდილობდეს, რომ ყოველივე სასიამოვნო და სასარგებლო ამბავს უთანაგრძნობდეს და სრული გულისწყრომით აღიჭურვოს მავნე მოვლენათა წინააღმდეგო? – რიტორიკულად კითხულობდა წიგნაკის ავტორი და განაგრძობდა კიცხვას:

მერე როდის ნაუკითხავთ „ივერიის“ მკითხველებს იმისთანა რამ ამ გაზეთში, რაც აღძრავს მათში „კაცებურ ღირსების გრძნობას“, გულს სიამოვნებით აუტოკებთ ან რისხვა-წყრომით აღავსებთო?

იქნება მთელი ექვსი წლის განმავლობაში ერთი და ორი მაგალითი დაეასახელებინათ, მაგრამ ეს შემთხვევით ნაპოვნი ოაზისები განა ამ ბიაბან და უნაყოფო უდაბნოს ხასიათს შეუცვლიდა? და რომ სრული უნაყოფობა

ეტყობოდა თავადი ჭავჭავაძის მოღვაწეობას გაზეთში, ამას საბუთად იკმარებდა ნებისმიერი ნომერი „ივერიისა“, დაე გადაგეთვალიერებინათ, და თუ, მთელ ნომერს რომ წაიკითხავდით, იმასვე არ იგრძნობდით, რასაც გრძნობს მშიერი კაცი ძნელად დასაღეჭი ლუკმის უსარგებლო ცოხნის შემდეგ, შეგეძლოთ თამამად და აშკარად გაგემტყუნებინათ ივანე მაჩაბელი.

ყოველთვის კი ასე ხდებოდა? „ივერია“ მართლა მუდამ ყურმოყრუებულიყო, როდესაც საქმე ჩვენს ცხოვრებას, შინაურ გასაჭირსა და ვარამს შეეხებოდა?

აქ ერთ მაგალითს შემოგვთავაზებდნენ, რომელიც ამ კითხვის პასუხადაც გამოდგებოდა და ნათელსაც მოჰფენდა აკროსტიხის ავტორისაგან ნაქებ მიუფერებლობას თავადი ჭავჭავაძისას. ეს მაგალითი იმასაც ცხადად დაგვანახვებდა, რის იარაღად იყენებდა თავადი ჭავჭავაძე „თავის“ გაზეთს და რამდენად პატივსა სცემდა თავის მოპირდაპირეთა „კაცებურის ღირსების გრძნობას“.

ყოველ წელს რომ დგებოდა სათავადაზნაურო ბანკის კრება თბილისში, ამ უკანასკნელ ათ წელიწადს მეტად საყურადღებოც შეიქნებოდა და თითქმის მთელი ქალაქის სალაპარაკოდაც გადაიქცეოდა ხოლმე. გაზეთებიც, გარდა ერთისა, ამ კრებათა ამბებს საკმაო ადგილს უთმობდნენ. და ეს ერთი გაზეთი, რომელიც რაღაცა მიზეზით ძუნწობდა და ამ ამბებს სრულიად მცირე ადგილს აღირსებდა, გახლდათ „ივერია“, როდესაც მაგალითად 1890 წლის კრებებს მეტად ცხარე ხასიათი დაეტყობოდა, რვა დღეს გაგრძელდებოდა და 400-ზედ მეტი ხმის მქონე დაესწრებოდა – ამდენი ხალხი ჯერ ბანკის კრებებს არ ენახა – „ივერია“ სწორედ სამად სამ სვეტს მიუძღვნიდა მთელ ამ რვა დღის ნაღვაწ-ნალაპარაკევს თავის ნომრებში.

შემდგომ წელსაც, 1891-ში, მოხდებოდა ბანკის კრება, გაგრძელდება მხოლოდ ხუთ დღეს და „ივერია“ რაღაცა მანქანებით აიხსნიდა ჩვეულებრივ დაუდევრობას, გადაშლიდა გულუხვად თავის ნომრებს, მოუყრუებდა ყურს სხვა ყველაფერს, თავს დაანებებდა ბისმარკსაც, სალისბიურისაც, ბლეტკინსაც და 58 – დიახ, ორმოცდა თვრამეტ – სვეტს მოანდომებდა კრებისას მომხდარ ბაასს.

რას გაეცხოველებინა „ივერიის“ რედაქტორისათვის სურვილი, ვრცელი ანგარიშები ებეჭდა ბანკის კრებებისა გაზეთში სწორედ ამ წელიწადს?

დიახაც ამ წელს შესანიშნავი ამბავი უნდა მომხდარიყო:

კენჭი უნდა ეყარათ ბანკის გამგებლის თავადი ჭავჭავაძისათვის, რომელიც „ივერიის“ რედაქტორს ცოტა ახლო ნათესავად მოხვდებოდა, მაგრამ... იმ ნაქებ მიუფერებლობას არ უნდა წაეჩურჩულა ბატონი რედაქტორისათვის: თავისიანების გამოსარჩლება და ქება ჩემს კოდექსში არა წერიაო?!.

იმავე მიუფერებლობას არ უნდა ჩაეგონებინა: რაკიღა შენსა და შენი მომხრეების სიტყვებს გალამაზებულსა და ძალზედ შალაშინგაკრულს ბეჭდავ, შენს მოპირდაპირეთაც უნდა კანონიერი ადგილი დაუთმო და მათი სიტყვები განგებ დამახინჯებული არ დააბეჭდინოო?

მაგრამ არა: ეტყობა „ივერიის“ რედაქტორს შორს გაეტყორცნა „მიუფერებლობაც“, კაცებურ ღირსებათა გრძნობის პატივისცემაც და თავისი გა-

ზეთის ფურცლები – კიდევ დასძენდა წიგნაკის ავტორი, რომ: ერთადერთი გაზეთისა ქართულ ენაზედ – მომხრედ და ძალიან მიფერებულ, მორჩილ მომხრედაც გარდაექმნა.

* * *

თედო სახოკიას რა დაავიწყებდა იმ ტკბილ წუთს, რომელსაც განიცდიდა სხვებთან ერთად „ივერიის“ რედაქციაში 1894 წელს, როდესაც დათა მიქელაძე, ანუ მეველე, წერილს შემოიტანდა, ქართულად ლამაზი ხელით დაწერილს, და ეტყოდათ:

– აი უორდროპის ასულს ილიასათვის ბარათი გამოუგზავნია და ნებართვასა სთხოვს „განდეგილი“ ინგლისურად თარგმნოს.

და ხმამაღლა წაუკითხავდათ:

„ინგლისურად თარგმანი ვჰქმენ თქვენსა „განდეგილსა“, რომელსა უკეთესისა ლექსისაა თქვენი მშვენიერი ენაში რომ მე ვკითხვე და რომელსაც ქონება ყველას მწერლობას დიდება უნდა იყოს.

მე დიდი სურვილი მაქვს გავუზიარო ჩემს თანამემამულეთ ის სიამოვნება, რომელიც მე ამ ლექსმა მაგრძნობინა. ამისთვის გჰკადრებ თხოვნა თქვენი ნება ეს ჩემი თარგმანი გამოცემად.

ვსცადე სიტყვითი სიტყვითად მის გამოთქმა, მაგრამ ბევრი მისი მშვენიერება უნდა იყოს საჭიროდ, დაკარგული უცხო თარგმანში.

ჩემი ძმა დიდი პატივი ქონდა, რაოდენი წელიწადნი უკან, ტფილისში, თქვენი გაცნობა ქმნა, და მე დიდი იმედი მაქვს, რომ მაგასთან მალე მოვალ საქართველოში, ქვეყანა, რომელკენ მე გულწრფელი სიყვარული ვჰგრძნობ, და სურვილი მაქვს, რომ მერე მე შევჰძლებ პირ და პირ გამოთქმა უღრმესი პატივისცემა თქვენის ნიჭისთვის და დიდებულის მსახურობისათვის მოცემული თქვენგან ძველებურს მეფობას საქართველოსთვის.

მე ვარ, ბატონო, მომლოდინე ჩემთვის სასიხარულო ნებისა“.

ესენი თვალებს არ დაუჯერებდნენ, ამ წერილს რომ გაეცნობოდნენ!..

ძნელად წარმოიდგენდნენ, რომ ჩვენს ენას, უცხოელთათვის რთულად სასწავლ ენად მიჩნეულს, ასე ისწავლიდა ინგლისელი ქალი, და ისიც საქართველოს უნახავად, ცოცხალი ენის გაუგონებლად!.. ყველა გამხნევდებოდა, იმედი მოეფინებოდათ, სრულიად დავიწყებულად აღარ მიიჩნევდნენ თავს... და კიდეც ყველა სარბიელს დაულოცავდა ასეთ არაჩვეულებრივ ასულს და თან გულწრფელ კურთხევასაც შეუთვლიდნენ იმ დედას, რომელსაც მისთვის ძუძუ ეწოვებინა, და იმ ქვეყანას, რომელსაც იგი წარმოეშვა...

ამ ბარათს ილია „ივერიის“ ფურცლებზე გამოაქვეყნებდა 8 სექტემბრის ნომერში როგორც ნიმუშს სტილისა. და რაოდენ საგულისხმოა და ნიშანდობლივი, რომ: მარჯორი უორდროპის ეს ბარათი ქართველ ახალგაზრდობას გაუცხოველებდა ინტერესს მშობლიური ენისა და ლიტერატურისადმი.

და 8-20 სექტემბრით დათარიღებულ წერილში ილია პასუხად დიდ სიხარულს გამოთქვამდა, რომ „განდეგილს“ ამ ინგლისელი ქალის ყურადღება მიექცია, სასახელოდ მიეჩნია და მოეწადინებინა მისი თარგმნა ინგლისურად.

ინგლისმა მეტად ცოტა რამ იცოდა ჩვენი უბედური ქვეყნისა და დაობლებული ერისა, რომელსაც ერთ დროს თავისი სახელოვანი წარსული ჰქონოდა, თავისი გმირნი, მეცნიერნი, მწერალნი და პოეტნი ჰყოლოდა და მათი მეოხებით გულდაგულ დახვედროდა განათლების მტრებს – ბარბაროსებს.

ყოველ ქართველს თავმოსაწონებლად ექნებოდა, რომ: მარჯორისა და მის პატივცემულ ძმას, ოლივერ უორდროპს, ჩვენი ყველასაგან დავიწყებული ქვეყანა შეჰყვარებოდათ და ენებებინათ თავიანთი ერისათვის მისი ავი და კარგი ეუწყებინათ იმ სიყვარულით, რომელიც ასე ამშვენებს ადამიანს; და იმ გულისტკივილით, რომელიც დაუფასებელი ნუგეში გახლდათ ბედისაგან დაჩაგრულთათვის.

სასურველი იყო ერს ინგლისისას სცოდნოდა, რომ ამ ჩვენს პატარა ქვეყანაშიც საქმობდა გონება და იძვროდა გული; რომ აქაც ჰქონდათ თავისი ნატვრა და თავისი იმედი; რომ აქაც ხდებოდა თავის წამება და წვალება უკეთეს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ უცხოობდნენ.

ყოველივე ეს ზედ დაჩნეოდა ჩვენს პატარა მწერლობას, რამდენადაც კი გარემოება ნებას იძლეოდა. ამიტომაც გადაღება ინგლისურად ჩვენი მწერლობისა გადაღება გახლდათ ჩვენი გულისცემისა, ჩვენი გულითადი ნატვრისა, ჩვენი ჭირისა და ლხინისა, ჩვენი გონების და გრძნობის ძალ-ღონისა საყოველთაო საცნობელად.

ამ მხრივ მარჯორი უორდროპის განათლებული და გულშემატკივარი მეცადინეობა ჩვენის გონების ნაწარმოებთა თარგმანისათვის დიდ სამსახურად იქნებოდა მიჩნეული ყოველი ქართველისაგან და ჩვენს მადლობას ინგლისელი ქალბატონის მიმართ საზღვარი არ ექნებოდა.

ჩემი „განდეგილი" მომირთმევია თქვენთვის, როგორც გენებოთ, ისე იმსახურეთო, – ნება დაერთო კი არა, იქით ემადლიერებოდა ამ არჩევნისათვის, – დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ნაწერს თქვენზე უკეთეს პატრონსა და მფარველს ვერ ავუჩენდიო.

ქალბატონი მარჯორი გვპირდებოდა ჩვენში ჩამობრძანებას?

ილიაც და მისი თვისტომნიც სიხარულით დაუხვდებოდნენ, ოღონდ უმორჩილესად სთხოვდნენ: წინადვე ეცნობებინა, როდის და რა გზით მობრძანდებოდა.

იმედოვნებდა ილია, რომ ჩვენი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოაწონებდა და დაანახვებდა, რომ ღირსი გახლდათ ქალბატონი მარჯორის ყურადღებისა და სიყვარულისა.

გამოთხოვებით ამგვარად გამოეთხოვებოდა:

თქვენი მობრძანების სიხარულით მომლოდინე და ღრმად პატივისმცემელიო.

მარჯორი უორდროპს უნდა აღესრულებინა ის სურვილი ილიასი, რასაც ვერ მოაბამდა თავს ინგლისელი პროფესორი ქართული ენისა მორფილი, ტფილისს სტუმრებული სასტუმრო „ლონდონში" რომ ჩამოხტებოდა და იქ ეწვეოდნენ ილია, თავმჯდომარე წერა-კითხვის საზოგადოებისა, და იაკობ მანსვეტაშვილი, ამ საზოგადოების მდივანი. მიართმევდნენ საზოგადოების

სახელით ახალგამოცემულ, ძვირფას მხატვრობიან „ვეფხისტყაოსანს“ და მორფილი დიდ მადლობას გადაუხდიდათ და ეტყოდათ:

– მე ეს პოემა კარგად მაქვს გაცნობილი, დიდადაც ვაფასებ, ვეცდები ვთარგმნო და ინგლისს გავაცნო.

მაგრამ რაკიღა იგი ხანშიშესული კაცი იქნებოდა, იაკობს აღარ გაუკვირდებოდა, რომ ვერ მოერეოდა ამხელა საქმეს და დანაპირებს ვეღარ შეასრულებდა.

მაგრამ ბედად მარჯორი უორდროპს უნდა ეტვირთა და კიდეც აემეტყველებინა პროზაული სახით ინგლისურ ენაზე ეს ჩვენი თავმოსაწონებელი ქმნილება და სავიზიტო ბარათი დასავლეთში.

საქართველოში ჩამოსულს, პირველად – 1894 წელს, მწიგნობრული ქართული ეცოდინებოდა, აქ მეტი წარმატებით რომ გააღრმავებდა და ლაპარაკსაც შეეცდებოდა ქართულად. სხვათა შორის იაკობ მანსვეტაშვილს დაამახსოვრდებოდა მისი ერთი ფრაზა:

– ლონდონი ფრიად ნისლიანია.

არამარტო თვითონ გადაიღებდა ინგლისურად „ვეფხისტყაოსანს“, რუსულად თარგმნასაც შეუწყობდა ხელს, გემზე ყოფნისას კონსტანტინე ბალმონტს რომ გაიცნობდა, რუს პოეტს, რომელიც ჩინებულად საუბრობდა ინგლისურად. ლაპარაკისას ძალდაუტანებლად შემოვიდოდა საქართველოსა და ქართული ლიტერატურის თემაც და მარჯორი გააცნობდა თავის თარგმანს და ისე მოხიბლავდა ბალმონტს, იქვე განიზრახავდა მისი რუსული ვერსიის შექმნას, და კიდეც აღასრულებდა დანაქადებს. ლექსად აამეტყველებდა „ვეფხისტყაოსანს“ რუსულ ენაზე, თარგმანისათვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში კი შოთა რუსთველს შეადარებდა ჰომეროსსა და დანტე ალიგიერს.

თედო სახოკია ყოველთვის სიამითა და სიამაყით გაიხსენებდა, რომ ისიც ეკუთვნოდა იმ ქართველთა რიცხვს, რომელნიც 1896 წლის ზაფხულში – ინგლისელი ქალბატონის მეორე სტუმრობისას საქართველოში – განიცდიდნენ უზენაეს სიხარულს: მარჯორი უორდროპის ხილვისა.

რუსეთიდან მომავალი მატარებელი თბილისში ჩამოიყვანდა თითქმის მთელ ოჯახს უორდროპებისა... თუ პირველად მარტო უნდა გამოცხადებოდა ქართველობას ეს წმინდა ასული დიდებული ალბიონისა, ჩვენი ქვეყნის მშვენიერებით მოხიბლულს, მეორედ თავისი მშობლებიც უნდა წამოეყვანა თან.

გზად გაიცნობდა რუსეთიდან საზაფხულოდ დაბრუნებულ ქართველ სტუდენტებს და ისე მოექცეოდათ, თითქოს მისი ღვიძლი, დიდი ხნის უნახავი ძმები ყოფილიყვნენ.

ნავთლუღის პატარა სადგურზე რამდენიმე წუთით რომ გაჩერდებოდა მატარებელი, იქ შეკრებილი ქართველობა დაინახავდა ორ ხანშიშესულ ადამიანს, ნამდვილი ინგლისური სიმაღლისას, ბატონ უორდროპსა და მის მეუღლეს, და მაღალსავე, სათნო სახისა და ქალისათვის უჩვეულოდ მაღალი შუბლის პატრონს მათ ასულს, რომელიც მხურვალედ გამოეთხოვებოდა თანამგზავრთაგანს და ტკბილად, ქართულად მშვიდობით დარჩენას

უსურვებდა. წამერთს თვალთაგან მიეფარებოდათ მატარებელი და მასთან ერთად ძვირფასი სტუმრებიც ჩვენი ქვეყნისა.

– პირველი იყო და სავალალოდ უკანასკნელიცა ჩემთვის ძვირფასი ადამიანის ნახვა, თან წამიერიცა, გარნა მისი ალერსიანი და არაამქვეყნიური სათნოების შუქმფენი სახე იმ სახეთაგანი იყო, რომელნიც მნახველის მახსოვრობაში მკაფიოდ და წაუშლელად აღიბეჭდებიან ხოლმე. ასეთნი სახენი ცხოვრების სიმწარეთა ღრუბლებ შორის შორეულ ვარსკვლავთა მსგავსად ციმციმებენ, ნიადაგ სიამით მოსაგონარნი არიან, ნიადაგ რაღაც შვებას გვანიჭებენ, იარაზე მალამოდ გვედებიან, გვამხნევებენ და გვამეორებინებენ უკვდავი შოთას სიტყვებს: ღმერთი ბოროტს არ დაჰბადებსო... ბოროტსა სძლია კეთილმანო... და: ვინც რა უნდა სთქვას, ქვეყანა სატრფიალოაო...

ასეთი აღმტაცი დითირამბი ბარემ ბევრ შემოქმედს არ ღირსებია, თედო სახოკია ვერლიბრივით რომ დაატრიალებდა სტრიქონებს და მომხიბლავი შედარებებითაც გააცისკროვნებდა.

ილია ჭავჭავაძე საგურამოში დიდი ამბით დაუხვდებოდა ინგლისელ სტუმრებს. და ილიაობას – მისი სახელობის დღის მისალოცად – მისული საზოგადოებაც ესწრაფოდა პატივისცემა და სიყვარული განეცხადებინა იმ ადამიანისათვის, რომელსაც ეს სიყვარული და პატივისცემა ჩვენთვის არ ეშურებოდა.

მარჯორი ეცდებოდა თავის ახალ ნაცნობებთან ქართულად ებაასა, ქართულად გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი, მხოლოდ შიგადაშიგ გაუკვირდებოდა, თანამოსაუბრეთა, განსაკუთრებით მაინც მანდილოსანთა, სახეზე გაოცების ნიშანს რომ კითხულობდა, და ამ გაოცებას ძალიან განიცდიდა: ნუთუ გარკვევით ვერ გამოვთქვი ქართულადო?!.

თითქოს იმედი ჰქონდა, რომ სწორად ლაპარაკობდა... და დიდხანს გაგრძელდებოდა მისი გაკვირვებაც და დარდიც, რომ არ აეხსნათ გაუგებრობის მიზეზი.

მარჯორი უორდროპს ხომ პირველად შეესწავლა არა თანამედროვე ქართული, არამედ – ენა სახარებისა, IX ან კიდევ უფრო ადრინდელ საუკუნეში გამოყენებული. და ძვირფას სტუმარს აუხსნიდნენ: ჩვენმა ქალებმა ძველი ქართული სუსტად იციანო, – და დაამშვიდებდნენ.

თედო სახოკიას ხსოვნას შემორჩებოად ის განწყობილება, თუ როგორ ჩაფიქრდებოდა არა ერთი და ორი: ასე როგორ და რატომ უნდა გვქონდეს დავიწყებული ჩვენი დედაენაო, – და შემდგომ უცხოელი ქალბატონის მაგალითი თვალწინ ედგებოდათ თავიანთი ნაკლის მამხილებლად.

მთავარი კი ის აღმოჩნდებოდა, რომ:

სწორედ ამ ძველი ქართულის ცოდნა გაუადვილებდა მარჯორი უორდროპს შეთვისებას რუსთველის ენისა.

ქართულის შესწავლას რომ მოჰკიდებდა ხელს, მარი ბროსეს გრამატიკითა და მისივე შედგენილი ქართულ-ფრანგული ლექსიკონით. მცოდნე ფრანგული, გერმანული, იტალიური, რუსული და რუმინული ენებისა, არა-

მარტო იყენებდა ამ ენებს სასაუბროდ, არამედ იკვლევდა მათ ბუნებასაც და მათზე შექმნილ ლიტერატურასაც, და ქართული ენის შესწავლა სიცოცხლის საგნად რომ გადაექცეოდა, კიდეც უნდა გაეცნო ბრიტანელი მკითხველისათვის ქართული ხალხური ზღაპრებიც, წმინდა ნინოს ცხოვრებაც და „ვეფხისტყაოსანიც“, როგორც გვირგვინი ამ ენაზე შექმნილი მხატვრული ძეგლებისა; და თანადროულ ქმნილებათაგან კი ლექსადვე აემეტყველებინა ინგლისურად „განდეგილი“, რომელიც ილიას ოლღა გურამიშვილისათვის მიეძღვნა და ილიაობისას მასპინძელი სტუმრებს რომ ჩამოუვლიდა ხოლმე, ოლღასთან მიახლოებისას ყოველთვის ესათუის პაასაჟი თუ სტრიქონი უნდა გაეხსენებინა ამ პოემიდან, რომელიც კიტა აბაშიძეს უნდა მოეხსენიებინა მსოფლიო რანგის მოვლენად, შინაარსითა და აზრით ერთნაირად ძვირფასი რომ შეიქნებოდა ხელოვნების ყველა თაყვანისმცემლისათვის:

თუ ოთარაანთ ქვრივის ტიპის გამოკვეთით ილია უნივერსალიზმს დაუახლოვდა, „განდეგილით“ შექმნა მსოფლიო პოემა, რომელშიც თავი კაცობრიობის მოციქულთა კვარცხლბეკზე დასვა და იქიდან წინასწარმეტყველის მჭვრეტელობით გვამცნო დიადი საგანი, ახლანდელი ევროპული ლიტერატურის მთავარ თემას რომ შეადგენსო.

და მიადევნებდა, რომ:

ტყუილა ვინმეს ხათრითა და პატივისცემით, ანდა სხვადასხვა ლიტერატურის გარეშე მოსაზრებით კი არ ეხელმძღვანელა სამაგალითო ჩვენთვის საუკუნოდ დაუვიწყარ მარჯორი უორდროპს, როდესაც ჯერ ეს პოემა ეთარგმნა და მერე „ვეფხისტყაოსანი“. „განდეგილს“ ევროპული თვალსაზრისითაც მოეპოვებოდა შესამჩნევი მიმზიდველი თვისებანი, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანს“ ამშვენებდა სამარადისო, მსოფლიო, ფასდაუდებელი მნიშვნელობა იმავე მხრივ.

ამ პოემაში რომ იგრძნობოდა ყოველნაირი ღირსება ილიასი, როგორც მწერლისა, კიტა აბაშიძე გამოარჩევდა მის ძლიერ ნიჭს, რომელსაც შეეძლო გარემოება გადაელახა და შეექმნა თხზულება არა პირობათა ზეგავლენის ქვეშე, არამედ მიუხედავად ამ გავლენისა; და მის გამჭრიახ, შორსმხედველ გონებას, რომელიც საზოგადოებრივ ჯანყსა და ბურუსში არჩევდა ნათელ ცასა და მოკაშკაშე ვარსკვლავს.

და კიტა აბაშიძეს თვალწინ ამოესახებოდა 80-იანი წლები, როდესაც ჩვენს ყოფაში, რომელიც ამდენი ხანია რუსეთის ცხოვრებით ცხოვრობდა, იგივე გულის მომშხამველი რეაქციის ატმოსფერო იდგებოდა, რაც რუსეთში, რეაქცია – ტბორის ჭენჭოს, სიდამპლის მომასწავებელი, შმორის სუნადენილი, თითქოს რომელიღაც ბაყბაყდევს ლახტი მოექნიოს, ასმილიონ მცხოვრებიანი სახელმწიფოსათვის თავში დაეკრას და მისი მაჯისცემა შეეჩერებინოს.

რეაქციის საპირისპირო მხარე დადუმებულიყო, თავი მიწაში ჩაეყო, კუპრის წინაშე გართხმულიყო, და კიდევ თავში უროსა სცემდნენ, რათა სულ ჩაეძვრინათ მიწაში. არავინ არავის ებრძოდა, ყველა ჩაჩუმებულიყო, მაგრამ...

სწორედაც რომ „მაგრამ“:

ერთი ვიღაც გალომებული, საომარ იარაღში ჩამჯდარი ხმალს ატრიალებდა, ვიდრე ნაცარტუტს ქვეყნად არ დააყენებდა და სულისთქმას არ შეწყვეტდა.

ამ განსაცდელში იმყოფებოდა მთელი ქვეყანა და ჩვენი სამშობლო კიდევ უარესში. და ალექსანდრ დონდუკოვ-კორსაკოვის რეჟიმი უკანასკნელი ხანა, ეპილოგი უნდა გამომდგარიყო ქართველი ერის ასწლიანი ტრაგედიისა.

და ამ უცნურ ხანაში უნდა დაბადებულიყო ეს საოცარი ნაწარმოები, რომელსაც ცხადლივი უნდა გაეხადა, რომ:

ავტორს სავსებით, მთელი თავისი დიადი ნიჭით ჰქონდა წარმოდგენილი ცხოვრების უკუღმა ტრიალი, რომლის თავზარდამცემი სურათიც თვალწინ უნდა დაეყენებინა თვისტომთათვის.

ცხოვრება უნდა მიღებულ ყოფილიყო და აღსარებულ, თვით ცხოვრებაში უნდა გამოძებნილიყო სახსარი ხსნისა და ბედნიერებისაო, – ასე რომ განმარტავდა კიტა აბაშიძე „განდეგილის“ დედააზრს, მოიხსენიებდა პოემას ილიას უკანასკნელ ჰიმნად ცხოვრებისა, საზოგადოებრივი იდეალების უკანასკნელ ღაღადისად; და ყურადღებას მიაქცევდა, რომ:

„განდეგილი“ ელინური სულით გაჟღენთილიყო, და არამარტო იმით, რომ მასში ცხოვრება და მისი ძალები, სიცოცხლის შეხარება გაღმერთებულიყო, არამედ ელინური სიბრძნით, ელინური ფორმითაც დამშვენებულიყო, ვინაიდან: სრული სიმეტრია დაცულიყო მის კომპოზიციურ აღნაგობაში, სრული შეთანხმება ფორმისა და შინაარსისა, განსახულისა და გამოსახულებისა. ცხოვრების უკვდავება სრულქმნილიყო, სადა, მარტივ ფორმაში ჩამოსხმულიყო, ქანდაკურად გამოკვეთილიყო, და სრულიად ჩვეულებრივი კილოთი წარმოსახულიყო მწყობრი, ხმატკბილი, მელოდიით სავსე სიმფონია, რომელშიაც მრისხანება და ძალი შექსოვილიყო სინაზესა და მშვენიერებასთან.

და გრძელდებოდა დითირამბი, რომ:

ეს პოემა ახალი ეპოქის დამწყები გახლდათ არამარტო ჩვენს ლიტერატურაში. მისი მხნე, გონიერი პესიმიზმი ესოდენ ლამაზად და მოხდენილად ჩაქარგულიყო აქა-იქ იმ სასიხარულო, ცხოვრების სადიდებელ საგალობელში, რომ მხოლოდ აღრმავებდა და ალაღებდა გრძნობას ჭკუადამჯდარი, დინჯი ბედნიერებისას და კმაყოფილებისას, რომელიც გადმოჩქეფდა ამ დიადი ბრძოლის სურათიდან.

და ხშირად წარმოუდგებოდა ხოლმე კიტა აბაშიძეს ეს სურათი, თუ როგორ შეიყრებოდნენ განდეგილისა და ილიას აჩრდილნი სიკვდილ-სიცოცხლის იდუმალებით მოცულ საზღვარზედ და განდეგილი საყვედურის კილოთი ეტყოდა მის შემოქმედ მგოსანს:

– ახლა კიდევ, მას შემდეგ, რაც შენ გამოგიცდია, რაც შენ დაგატყდა თავზედ, ახლაც იტყვი, რომ მაინც ცხოვრება ტკბილია, ცხოვრებაშია მარტო სიხარულის წყარო და ბედნიერების ნიადაგი, რომ მარტო ცხოვრებაა სანატრელი?

და საპასუხოდ უნდა აღმართულიყო სიმშვიდით აღბეჭდილი ლანდი დიადი მოძღვრისა:

– დიახ, დღესაც და მარადჟამსაც მე ცხოვრების თაყვანისმცემელი ვარ. იშრომეთ, იტანჯეთ, იბრძოლეთ ცხოვრებისათვის, თუ იქ არის დამარხული სამსალა, შარბათიც მარტო იქ მოიპოვება, თუ იქ არის დამალული ჭირი და ვიში, იქვე და მარტო იქ მოიძებნება სიხარული და სიცილ-კისკისი. ვაშა ცხოვრებას! გაუმარჯოს მის დიდებულებასა!

თითქოს ყველაფერი ახსნილია და განმარტებული, ზედაპირზეა ამოზიდული პოემის უღრმესი შრე, მაგრამ რატომღაც მაინც სადავოდ გადაიქცეოდა „განდეგილის“ შინაარსობრივი და იდეური რაობა და წარმოსაჩენად იმ გარემოებისა, რაოდენ უცხო გახლდათ ილიასათვის განდეგილობის, მითუფრო ასკეტის, როგორც მონაზვნობის იდეალის, რელიგიური და მსოფლმხედველობრივი საფუძვლები, თამაზ ჯოლოგუა მოიხმობდა იმ შეხედულებას, რაც გამოეთქვა ილიას ქართველი სამღვდელოების მამულიშვილურ ღვაწლზე:

– მამული და ეროვნება მიაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული – მამულსა და ეროვნებას, და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაინძღვარა წინ, ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრით გამოიარა და ქართველს ბინა შეუნახა და ქართველობაცა. ამ სამთა უწმინდესთა საგანთა შეერთებამ ასწია ჩვენი სამღვდელოება და დააყენა ის მაღალ ხარისხზედ, სადაც ყოველი ბიჯი ღვაწლია და სამსახური ქვეყნის წინაშე.

და კიდევ, ქართველი სამღვდელოების ისტორიული და განმსაზღვრელი მნიშვნელობის დამსახურება ამ და მხოლოდ ამ გადმოსახედიდან უნდა შეფასებულიყო:

– ღვაწლი და სამსახური ქვეყნის წინაშე... ეროვნების რჯულამდე გაპატიოსნება და სარწმუნოებამდე ამაღლება.

„განდეგილს“ უნდა გაეღწია დასავლურ სამყაროში – და ჯერ ინგლისურ ენაზე ეპოვნა თავისი მეორე ბინა...

და გული გწყდება, ფრიდრიხ ნიცშეს თვალთახედვაში რომ არ მოხვედრილიყო, თორემ მისთვის მისწრება იქნება ამ პოემის აღმოჩენა და „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“ შემდგომი გამოცემისათვის უთუოდ შეივსებოდა „განდეგილის“ მოხსენიებითა და მისადმი მიძღვნილი მსჯელობითაც, როგორც თვალსაჩინო დასტურისა, თუ როგორ შეიძლებოდა აღდგენილიყო, რაოდენი ექსპრესიითა და მომხიბვლელობით ელინური სიბრძნეც და ელინური ფორმაც ახალ დროებაში.

* * *

ჩვენ გვინდოდა გაზეთისათვის თავი დაგვენებებინა და ბანკზედ დაგვეწყო ლაპარაკიო, – თავისას აგრძელებდა ივანე მაჩაბელი, სულ უფრო და უფრო რომ შედიოდა ეშხში, – მაგრამ ეს ორი საგანი ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული და გაზეთის ხსენებულ ნომრებში, თვით ილია ჭავჭავაძისავე სიტყვებში, იმისთანა მარგალიტებია მოქცეული მისი გამჭრიახობისა და ბანკის საქმეების ცოდნისა, რომ მათი მივიწყება შეუძლებელია, როცა ბანკზედ დავიწყებთ ლაპარაკსო.

თუმც ჭავჭავაძე ცდილიყო თავისი სიტყვები მორთულ-მოკაზმული ჩაებეჭდა და ალბათ იმ განზრახვითვე მაისის 17-ს იმავე წლისა ყოვლის უმიზეზოდ გაზეთს არ გამოსცემდა, რათა თავისი სიტყვისათვის მეორე დღეს მთელი ნომერი მოენდომებინა, როდესაც მოწინააღმდეგეთ ხუთად ხუთ სტრიქონს თუ აღირსებდა, მაგრამ მაინც ეს მორთვა-მოკაზმვა იმდენად ვერ დაეხმარებოდა, რომ ფერუმარილქვეშ მისი სახის ოღროჩოღროები ვერ გამოერჩია ივანე მაჩაბელს – ანეკდოტებსა და სხარტულებს შუა ბანკის საქმეების სრული უცოდინარობა და სრული გაუგებრობა.

იტყოდა ამას და, კიდეც ჩაესმოდა ხმა:

როგორ თუ უცოდინარობა და გაუგებრობა? ვის სწამებენ ამას? იმ ილია ჭავჭავაძეს, რომელიც 17 წელიწადია, რაც ბანკის გამგებელია და რომელმაც ამ ბანკის დამაარსებელს დიმიტრი ყიფიანს მათემატიკის ფორმულებით ყურები გამოუჭედა, ლოგარითმებით „ჩააჩუმა“ და „მტკნარი უმეცრება“ უკიჟინაო?!

მაგრამ მკითხველს შეპირდებოდა წიგნაკის ავტორი:

თუ რამდენიმე წამს ამ რისხვა-წყრომას თავს დავანებებდით და საქმის განხილვას გულდადებით შევუდგებოდით, ცხადად გამოჩნდებოდა, იყო რამ სიმართლე ამ სიტყვებში თუ არა.

რისთვის დაეარსებინა ბანკი ჩვენს თავადაზნაურობას?

ცხადია იმისათვის, რომ საჭიროების დროს კრედიტით ხელი მოემართა და ნაღდი მოგებიდან 35 პროცენტი მაინც მოხმარებოდა სხვადასხვა აუარებელ საზოგადო საჭიროებას მიწისმფლობელთა და მიწისმუშათა ანუ როგორც თავადაზნაურთა, ისე სხვა წოდებათა საჭიროებასაც.

თავადაზნაურობა ამ საქმისათვის პირველადვე გადადებდა 80 000 მანეთს და უმაღლესად ებოძებოდა 160 000 მანეთი ბანკის დასაარსებლადვე.

რა თქმა უნდა ბანკის გამგებელთ ის უნდა ეგულისხმათ, რომ:

რაც შეიძლება მეტი სესხი გაეცათ, და იმისთანა სესხი კი, რომელსაც დაგირავებული მამული ადვილად აუვიდოდა, ადვილადაც გასცემდა პასუხს, და თუ პატრონი მამულისა ვადაზედ შესატანს ვერ შეიტანდა, მყიდველი მალე გამოსჩენოდა და ბანკს ზარალი არ მოსვლოდა.

მეორეც კიდევ:

ბანკის გამგებელნი ყურმახვილად უნდა ყოფილიყვნენ და რაწამს შესაძლებელი შეიქნებოდა სარგებლის შემცირება სესხის ამღებთათვის, მაშინვე მიეღოთ ყოველგვარი საშუალება ამ საქმის შესასრულებლად, რათა სხვას აღარავის მოსვლოდა სურვილი და განზრახვა მეორე ამისთანავე ბანკის დაარსებისა ჩვენი ბანკის გვერდით.

ბანკის გამგებელთ რომ მუდამ ბანკის კეთილდღეობაზე ეზრუნათ, უნდა ცდილიყვნენ მისი მოქმედება მთელს კავკასიაზედ გაევრცელებინათ და ჯეროვანი სიფრთხილით, წინდახედულობითა და თავაზიანობით, რაც შეიძლება მალე, შეესრულებინათ სურვილი სესხის ამღებთა.

ივანე მაჩაბელს თამამად შეეძლო ეთქვა:

თუ ამჟამად – 1892 წლის 1 იანვრამდე – ცხრა მილიონამდე გაცემულიყო, როდესაც ჩვენი ბანკი მთელი კავკასიის ბანკი იქნებოდა, ეს გაცემულო-

ბა ერთი სამად თუ არა, ერთიორად მაინც იმატებდა, და თუ ამასთანავე ბანკი აცდებოდა ზოგიერთ ცხადსა და თვალსაჩინო შეცდომას, წელიწადში წმინდა მოგება ათი ათასი თუმანი კი არა, ერთსამად ამაზედ მეტი უნდა ყოფილიყო.

აქედან – წესდების ძალით – ათი ათას თუმანზედ მეტი ყოველწლივ უნდა მოხმარებოდა ქართლ-კახეთის მიწის მუშათა და მიწის მფლობელთა საყოველთაო საჭიროებას.

და მკითხველს სთხოვდა წარმოედგინა:

რამდენი სასარგებლო საქმის დაწყება იქნებოდა შესაძლებელი, რამდენი არხი განახლდებოდა, რამდენი მინდორი განაყოფიერდებოდა, რამდენი სასწავლებელი დაარსდებოდა, რამდენ მამულიშვილს მიეცემოდა გზა განვითარებისათვის, რომ მასუკან თავისი ცოდნა და გამჭრიახობა საქვეყნოდ მოეხმარებინა!..

ახლა კი გადაავლებდა თვალს წიგნაკის ავტორი, თუ როგორ ასრულებდა თავადი ჭავჭავაძე ამ პროგრამას, რომელიც მაშინვე თვალწინ უნდა გამოესახა, რაკიღა ბანკის გამგეობის უფროსობას ჩააბარებდნენ.

ჯერ ერთი ის, რომ:

ჩვენს ბანკს ცხვირწინ, თბილისშივე დაუარსებდნენ იმისთანა ბანკს, რომელიც იკისრებდა მხოლოდ ნაწილს ჩვენი ბანკის ოპერაციებისა ანუ – თბილისის მამულებზედ სესხის გაცემას.

უთავნოდ, უძირისფულოდ დაიწყებდნენ ამ საქმეს და ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ხუთ მილიონამდე სესხს გასცემდნენ მარტო თბილისში, სესხს, რომელიც უნდა გაეცა ჩვენს ბანკს, თუ ზოგიერთი მისი გამგებელი უგულოდ არ მოეკიდებოდა მის მოვალეობას და ამ სიტყვებით არ მოხდიდა ბოდიშს თავის გულხელდაკრეფას: ჩვენი ბანკი ხომ დუქანი არ არის, რომ მუშტრის შემოტყუება საჭირო იყოსო.

ამით ივანე მაჩაბელს იმის თქმა კი არა სურდა, რომ ჩვენს ბანკს მიეღო ზოგიერთი საეჭვო მამული, საკრედიტო ბანკში დაგირავებულნი, მაგრამ საიმედო მამულები კი პატრონებს სწორედ ჩვენს ბანკში უნდა დაეგირავებინათ, რადგანაც საკრედიტო ბანკს ისე იაფად ვერ უნდა გაეცა სესხი, როგორც საადგილმამულოს.

სხვა ყველაფრისათვის რომ თავი დაგვენებებინა, ახალდაარსებულ ბანკს ახლავე უნდა ეტვირთა ყოველწლიური ხარჯი გამგეობისა, რომელიც არამცირედ ფულს შეადგენდა და რომელიც საადგილმამულო ბანკს თავის ხარჯაღრიცხვაში შეტანილიცა ჰქონდა და წყაროც აღმოჩენილი, მაგრამ – კიდევ იმეორებდა – საკრედიტო ბანკი, ბევრად ჩვენს ბანკზედ გვიან დაარსებული, უკანასკნელ ხუთ მილიონამდე სესხს გამოსწირავდა და მით ყოველწლიურ 5 000 თუმანზედ მეტ მოგებას დააკლებდა.

გამოსწირავდა მხოლოდ იმიტომ, რომ: ახალი ბანკის გამგებელნი უფრო მუყაითად მოეკიდებოდნენ თავიანთ საქმეს, ხალხს თავაზიანად მოეპყრობოდნენ და გულისა და გონების გამომშრობელ კანცელარიზმს არ გაჰყვებოდნენ.

თუნდ ეს კიდევ არაფერიც ყოფილიყო.

თუ თბილისში ჩვენს ბანკს ღონიერი მოცილე გამოუჩნდებოდა და ღონივრადაც შეუშლიდა საქმეს, ბანკის გამგებელნი იმას მაინც უნდა ცდილიყვნენ, რომ სხვაგან მოენაცვლათ ხელი და თავიანთი ბანკისათვის ეს ფრთა გაეშლევინებინათ.

და აი მართლაც 1888 წლიდან განსაკუთრებით გამგეობა ყურადღებას მიაქცევდა ბაქოს, სადაც სესხის აღების მსურველი მრავალი აღმოჩნდებოდა. გამგეობის ზოგიერთი წევრი საჭიროდ სცნობდა ბაქოში ხშირ-ხშირად ეარა, იქაურ მცხოვრებთათვის ბანკის წესდება გაეცნო და სესხი აღების მსურველს პირდაპირ შეჰყროდა, პირდაპირ აეხსნა, თუ რა შეღავათს აძლევდათ ბანკი სხვა მოვალეებთან შედარებით და თვითონაც ალაგობრივ კარგად ჩაჰკვირვებოდნენ ყოველივე ვითარებას საქმისა.

ეს ხშირი სიარული და საქმის პირისპირად ახსნა ბანკს იმ სარგებლობას მოუტანდა, რომ წელიწადნახევარში მარტო ამ ქალაქში 800 000 მანეთამდე სესხი გაიცემოდა და წელიწადში ბანკს 12 000 მანეთი წმინდა მოგება მოემატებოდა ჯერჯერობით; მერე ისე, რომ არცერთი მანეთი ზარალი არ მოუვიდოდა იქაურ მამულებზე, რომელნიც არათუ ბანკს არ დარჩენოდა და არც გაყიდულიყო, გაზეთში გამოცხადებამდეც კი თითქმის არ მისულიყო საქმე.

ძალიან კარგიო, – შეიძლება ეთქვათ, – თუ ბანკის გამგებელმა თავადმა ჭავჭავაძემ თბილისში გამჭრიახობა ვერ გამოიჩინა და გვერდით ისეთი მოცილე გაუჩნდა, რომელმაც მის კუთვნილ ულუფაში წილი ჩაიდო და გაუნახევრა, და გაუნახევრა ისე, რომ არავითარი სარგებლობა და შეღავათი არ მისცემიათ სესხის ამღებთ, სამაგიეროდ ბაქოსათვის გადაუწვდენია თავისი შორსმჭვრეტელი თვალი და ცდილა დანაკარგი ამოეგოო.

დაე ნუ გაიოცებდნენ, თუკი წიგნაკის ავტორი მიუგებდათ:

აქ ჭავჭავაძე არაფერ შუაში გახლდათ, და თუმც ბანკის გამგებელი იყო და ეს გავრცელება ბანკის ოპერაციებისა მისი ნებართვით უნდა მომხდარიყო, მაგრამ ეს ნებართვა თითქოს ძალით გამოეგლიჯათ და თანაგრძნობა ან სურვილი ასე საქმის წაყვანისა კი თან არ გამოჰყოლოდა.

თუკი ჭავჭავაძეს ესმოდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ბანკის ოპერაციების გავრცელებას და თანაუგრძნობდა კიდეც, არ იტყოდა იმას, რაც ეთქვა საზოგადო კრებაზე და საგნის შესახებ და თავის გაზეთშივე დაებეჭდა:

– რა დააკლდა ვითომ ქვეყანას, რომ გამგეობის წევრი აღარ დადის ბაქოში? და რისთვის უნდა წავიდეს? იმისთვის, რომ ბუკსა და ნაღარას დაჰკრას, მოდით მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, მე განგისვენებთო. ვინც გაჭირვებულია, ის თვითონაც კარგად მოგვნახავს, ამისთანა ბუკითა და ნაღარით კი მარტო იმას თუ შემოვიტყუებთ, რომელსაც არ უჭირს და ტყუილად იღებს ვალს („ივერია“, 1891, №114).

ჯერ დაჰხედეთ ამ კაცთმოყვარულ მზრუნველობას ბაქოელი ვაჭრებისთვისო, – მწარედ გაკენწლავდა ივანე მაჩაბელი, – ვაითუ ზოგს არ უჭირდეს და ტყუილად აიღოს ვალიო.

თითქოს თითო გროშობით მოანგარიშე ბაქოელი ვაჭრები ჩვენი ჩათუქესნები ყოფილიყვნენ და ვალს მუსუსივით ედებოდნენ გაჭირვებისა თუ გაუჭირვებლობის დროს.

ახლა გაგვესინჯა, თუ ამ სიტყვებში რა სიმრუდე და საქმის უცოდინარობა იმალებოდა: ვისაც უჭირს, თვითონვე მოგვნახავენო.

ახირებულია, თქვენმა მზემო, – ეს სიტყვებიც კი დაცდებოდა ივანე მაჩაბელს, როდესაც მკითხველს ყურადღებას მიაქცევინებდა, რომ:

ამგვარი დრომოჭმული შეხედულებისათვის თბილისელებსაც ვერ გაეძლოთ და გვერდით სხვა ბანკი ამოეყენებინათ, და ენის უცოდინარ, ბანკის საქმეების უმეცარ ბაქოელთაგან კი ვინ მოელოდა, რომ ათას ორას ვერსს გაივლიდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ ჭავჭავაძისათვის მოკითხვა მოეხსენებინათ და შეეტყოთ, ბანკი თუ რა პირობებით იძლეოდა სესხს.

გამგეობის წევრს რა უნდა ბაქოშიო?

ის უნდოდა სწორედ, რასაც ჭავჭავაძე თავის სიტყვაში ეგრე დაცინვით ბრძანებდა. უნდა მოეწოდებინა „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთათვის“ არა ისე მასხრულად, ბუკნაღარის დაკვრითა და თავზე ჩაჩის დახურვით, არამედ – ადამიანურად, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა და ყოველი მსურველისათვის აეხსნა, რა განსხვავება არსებობდა კერძო ვალსა და ბანკის ვალს შორის; ეჩვენებინა ის გზა, რომელიც შეღავათს მისცემდა სესხის ამღებსაც და ბანკსაც აუარებელ სარგებლობას მოუტანდა.

გამგეობის წევრთა წასასვლელად ბაქოში ბანკი 60 თუ 80 თუმანს რომ დახარჯავდა, რა შედარება იყო იმ მილიონობით გაცემულ სესხთან, რომელსაც ამჟამადაც კი, სარგებლის დაკლების შემდგომ, ათასი თუმანი შემოჰქონდა ყოველწლიურად წმინდა მოგება და ერთბაშადაც ათასი თუმანი დამფასებელთა წასვლა-წამოსვლისა და გირავნობის ფურცლების დაბეჭდვის ხარჯი, საიდანაც კიდევ კარგი ზორბა ლუკმა რჩებოდა ბანკს – დაე ეანგარიშა ჭავჭავაძეს ყველა ეს და პასუხი თვითონვე მოეძებნა თავისი კითხვებისათვის, ასე თამამად და საზოგადოების დასაბრიყვებლად წარმოთქმულს.

მაგრამ რა? რა საბუთები გაჭრიდა და რა ციფრები აუხელდა თვალს იმ ადამიანს, რომლისთვისაც ერთი სიტყვაც სამყოფი გახლდათ საბუთების დასარღვევადაც და ციფრების მოსაშლელადაც!

საკმარისი იყო ილია ჭავჭავაძეს ეთქვა ბაქოში სიარულის გამოვე: ჩვენი ბანკი დუქანი ხომ არ არის, რომ მოხიბლვა და მუშტრის შემოტყუება საჭირო იყოსო, – რომ მის თაყვანისმცემელთ ეს შედარება ყოფნოდათ ციფრებადაც, საქმის გასინჯვადაც და ვაშა-ვაშას ძახილითაც მიგებებოდნენ თავიანთი მოსხარტულეს სიტყვებს.

გაგებედათ ასეთი განგაშის დროს და გეთქვათ ამ ვაშა-ვაშას მაყვირალთათვის, რომ აქ სიტყვებით თვალების აბმით არაფერი გამოირკვეოდა; რომ თუ შედარებაზედ მიდგებოდა საქმე, ბანკიც დუქანივით ვაჭრობდა სხვისი ფულის აღებ-მიცემით, იაფი სარგებლით სესხულობდა, ცოტა ამაზედ ძვირად ასესხებდა და განსხვავებას თავის სასარგებლოდ იღებდა; დუქანიც სხვის საქონელს იაფად ყიდულობდა და ძვირად ჰყიდდა.

მართალია ბანკს თავისი წესდება მოეპოვებოდა, თავისი ზედამხედველი ჰყავდა, გადაჭრილი ფასი ჰქონდა დანიშნული სესხისა ყველა მსესხებლისათვის და ამ წესდებას, ამ ზედამხედველობას, ამ სესხის ფასს ანუ სარგებელს ვერსად წაუვიდოდა, მაგრამ ევროპულად მოწყობილი დუქანი რომ აგვეღო, იქაც გადაწყვეტილი ფასები არსებობდა, იქაც წესი და რიგი, და ამ მხრივ ორ დაწესებულებას შორის არავითარი განსხვავება არ შეიმჩნეოდა. მაგრამ არა – დუქნის მხსენებელმა იცოდა, რომ ამ სიტყვის წარმოთქმის უმალვე მსმენელს თვალწინ წარმოუდგებოდა დამპალი საქონლის გამსაღებელი, ქვეყნის მატყუარა, ჭუჭყიანი მედუქნე და ეს იკმარებდა ფარადაც, ხმალადაც და მრუდე აზრების საბუთადაც.

ნუ შევუშინდებოდით მედუქნეობას სახელწოდებას და ახელილი თვალებით შეგვეხედა საქმისათვის: ბანკი შუამავალი გახლდათ ფულის პატრონსა და ფულის სესხად აღების მსურველს შორის, ფულის მაღაზია, დუქანი, თუ მაინცდამაინც ვინმეს მოსწონდა ეს სიტყვა, მაგრამ ისეთი დუქანი, რომელიც ქვეყნის სასარგებლოდ დაწესებულიყო და არამარტო მედუქნისა; ვისაც ამ დუქანს მიანდობდნენ, მას დამპალი საქონელი კი არ უნდა გაესაღებინა, „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთ“ თავაზიანად უნდა მოჰკიდებოდა და დროზედ, დაუყოვნებლივ, ჯეროვნად შეესრულებინა მათი კანონიერი მოთხოვნილება; ზარმაცობა და მცონარობა საკვეხურად კი არ მიეჩნია, პირნათლად შეესრულებინა თავისი მოვალეობა იმ საქმის წინაშე, რომელიც საზოგადოება მიენდო მისთვის.

დავხსნოდით ბაქოს, თვალი გადაგვევლო მთელი კავკასიისათვის და მიგვეხედა მეორე ზღვის პირად მდებარე ქალაქისათვის – ბათუმისათვის, სადაც გამგეობას მოეწადინებინა თავისი მოქმედების გავრცელება, საზოგადო კრებისთვისაც ნებართვა მოეთხოვა და თხოვნაც გაეგზავნა ამ საქმის შესახებ ფინანსთა სამინისტროში, მაგრამ ამ ქაღალდზედ სამინისტროდან უარი მოსვლოდა.

მას მერე, რაც ფინანსთა მინისტრი კავკასიაში მობრძანდებოდა და ბათუმში გაივლიდა ბათუმის ქალაქის თავი პირისპირ სთხოვდა, ნება მიეცათ თბილისის სათავადაზნაურო ბანკისთვის ბათუმის მამულებიც მიეღო გირაოდ. მინისტრი მიუგებდა: მე წინააღმდეგი არა ვარ, თუ ბანკის გამგეობა დათანხმდებაო. და ამაზედ ოფიციალური ქაღალდიც ჩაეკერებოდა ბანკის საქმეებში.

და ბანკის გამგებელი რომ მისულიყო მინისტრთან და თავის მხრივაც პირისპირ ეთხოვა ამ საქმის გამო, ცხადია მინისტრი მაშინვე დათანხმდებოდა და საქმეც დაუყოვნებლივ გაკეთდებოდა.

მაგრამ ჭავჭავაძეს ან რაღაც ბუნდი წარმოდგენა ჰქონდა სამინისტროში საქმეთა მსვლელობისა, ან სრულიად არ თანაუგრძნობდა ბანკის მოქმედების გავრცელებას და თითქოს ძალდატანებით აწერდა ხელს ქაღალდებს, რომელთა შესრულებაც სრულიად არ ეწადა.

უამისოდ როგორ უნდა ახსნილიყო ის ამბავი, რომ ხელს არ ჩასჭიდებდა მარჯვე შემთხვევას – კავკასიაში მინისტრის ყოფნას და პირადად არ აუხ-

სნიდა, რაც ბანკს ესაჭიროებოდა საზოგადოდ და სხვათა შორის ბათუმის მამულების გირაოდ მიღების უფლებას არა სთხოვდა? სხვა ყველაფრისთვისაც რომ თავი დაგვენებებინა, ამის მოვალე მარტო იმიტომ გახლდათ, რომ ბანკის გამგეობას მიეწერა ბათუმის ქალაქის თავისათვის:

– ჩვენც ვიშუამდგომლებთ პირადად მინისტრთან ამ საქმის გამო, როცა თბილისში ჩამობრძანდება და თქვენც თქვენი მხრივ რომ ითხოვოთ, კარგი იქნება.

მისწერდა ამას გამგეობა, მაგრამ შესრულებით არ შეუსრულებდა თავადი ჭავჭავაძის დაუდევრობის გამო, და მით პირობას გაუტეხდა მეორე დაწესებულებას, რომლის წინაშეც მოვალე იყო სიტყვა შეესრულებინა.

უცნაურად იმართლებდა თავს თავადი ჭავჭავაძე, როდესაც კრებაზე უსაყვედურებდნენ. ჯერ იმას იტყოდა:

– განა ჩემს მეტი არავინ იყო გამგეობაში, რატომ სხვანი არ წავიდნენ?

და დაავიწყდებოდა თავისი განკარგულება, რომლის ძალითაც არავითარი, ცოტაც კი მძიმე საქმე უიმისოდ არ უნდა გადაწყვეტილიყო. და ეს საბუთი რომ ვერას იზამდა, მოკლედ მოჭრიდა, მინისტრის ნახვა რას უშველიდა საქმესაო:

– ვერც ჩემი მისვლა დააჩქარებდა საქმეს და ვერც ჩემი მიუსვლელობა დააბრკოლებდა.

რახან ასეაო, – მიადევნებდა ივანე მაჩაბელი, – მაშ ყველამ გულხელი დავიკრიფოთ, მცონაროობა ვარჩიოთ, ნურას გავაკეთებთ და თავადი ჭავჭავაძის მიბაძვით ვიძახოთ: იშალლაჰ, იშალლაჰ! რაც ღვთის ნებაა, უჩვენოდაც გაკეთდება და ცდითა და საქმიანობით თავი რაღას შევიწუხოთო.

დიახ, სწორედ ეს აზრი, ეს დარიგება, ეს მოძღვრება წარმოთქმულიყო ჭავჭავაძის სიტყვაში და ამ მოძღვრების კათედრად გაეხადა თავისი გაზეთიც, ბანკის თავმჯდომარის ადგილიც და თამამად გაიძახოდა: მოვედით ჩემთან, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე განგისვენებთო, – და მართლაც რომ განუსვენებდა და ამ „განსვენებით“ ცხოვრების წესსაც კარგად გააზეპირებინებდა.

წიგნაკის ავტორის აზრით:

ცხადად ჩანდა, თუ როგორ გამსჭვალულიყო თავადი ჭავჭავაძე ამ სურვილით, რომ ბანკის ასპარეზი გაევრცელებინა და უფრო დიდ მოედანზე აემოქმედებინა; ახლა კი გაგვესინჯა, როგორ ერთგულად მოპყრობოდა ბანკის სესხის გაიაფებას და ესმოდა თუ არა, რას ნიშნავდა ეგრეთწოდებული კონვერსია.

ნუ შეეშინდებოდა მკითხველს, რომ წიგნაკის ავტორი ციფრებით თვალებს აუჭრელებდა და ძნელად გამოსაგნებ ბარდებში გააბამდა, რაკიღა კონვერსიას უხსენებდა. სრულიადაც არა – შეეცდებოდა მოკლედ და ცხადად გამოერკვია, რას წარმოადგენდა ეს სესხის გაიაფება, კონვერსია, და შემდეგ დაწვრილებით გაესინჯა ჭავჭავაძის ცოდნა ამ საქმისა, ბანკის კრებაზედ სახალხო ნაქადაგევი და შემდგომ მის გაზეთშივე განმეორებით გამოქვეყნებული.

ციფრები მართლაც რომ უხვად დატრიალდებოდა წიგნაკის ფურცლებზე და მკითხველთაგან ვის თვალები აუჭრელდებოდა და ვის – არცა, ვიდრე მანამდე მსჯელობა ასე შეჯამდებოდა:

როდესაც ფული იმდენად გაიაფდებოდა, რომ ექვსპროცენტიანი გირავნობის ფურცლები დარქმეულ ფასამდე და კიდევ მეტსაც აიწევდა, მაშინ ყოველი ბანკი მოვალე გახლდათ, რაც შეიძლება მალე მოეპოვებინა უფლება ნაკლებპროცენტიანი გირავნობის ფურცლების გამოცემისა. ეს აუცილებლად საჭირო იყო, თუ სურდათ სესხი გაიაფებულიყო და სესხის ამღებთ დიდი შეღავათი მისცემოდათ, თანაც ისე, რომ ბანკს ზარალი სრულებით არ მოსვლოდა.

ცხადად ჩანდა, რომ:

ვინც კი ახლა იღებდა ვალს, მისთვის დიდი შემატება იქნებოდა ამგვარ ფულის სიიაფეში ხუთპროცენტიანი გირავნობის ფურცლებით აეღო სესხი ექვსპროცენტიანის მაგივრად. მაგრამ ბანკის ძველ მოვალეთ რაღა ეღონათ? მათ, რომელთაც ბანკიდან აეღოთ კიდეც ექვსპროცენტიანი გირავნობის ფურცლები და პირობაც დაედოთ, ვიდრე ჩვენს ვალს სრულად გადავიხდიდე, ექვს-ექვსი მანეთი ვაძლიო ყოველ ას მანეთზე მარტო სარგებელიო?

აი სწორედ ამ ძველ მოვალეთათვის მოგონილიყო კონვერსია ანუ ექვსპროცენტიანი სესხის გადაცვლა ხუთპროცენტიანზე, ან კიდევ – ხუთპროცენტიანისა ორპროცენტიანზე და სხვა...

ყოველი ამ ოპერაციისას ბანკს არაფერი უნდა ეზარალა, რადგან რაც კონვერსიას ხარჯი ესაჭიროებოდა, ისევ სესხის ამღებს უნდა გადაეხადა, რომელსაც დიდი შეღავათი ეძლეოდა. შეღავათი არ იყო განა, რომ წელიწადში ექვსი მანეთის მაგივრად ხუთი მანეთი ეხადა ყოველი ასი მანეთის ვალზედ და მხოლოდ პირველ წელიწადს, ან წელიწადნახევარს, ვიდრე კონვერსიის ხარჯს გაისტუმრებდა, ეხადა ის 6 მანეთი, რასაც წინათ იხდიდა? არც ხელახალი დაფასება და ამისი ხარჯი, არც გირავნობის მოწმობის აღება ნოტარიუსისაგან და ამასთან თანდაყოლილი ხარჯი და წვალება, არც იმის შიში, კონვერსიის დროს ჩემს მამულზედ რაიმე ვალი ან აკრძალვა არ აღმოჩნდეს და ხელი არ შემიშალოსო, რაც გადაგირავებისას ძალიან ადვილად შეიძლება მომხდარიყო.

დაე მკითხველს ეანგარიშა ყველა ეს და ადვილად მიხვდებოდა, რა დიდი ცოდვა გახლდათ ბანკისათვის, თუკი ყოველი ღონით არ ეცდებოდა ამ გზით მოვალისათვის ტვირთის შემსუბუქებას.

1891 წელს რომ მოხდებოდა კონვერსია 75 მილიონის გირავნობის ფურცლებისა ყველა საადგილმამულო ბანკში, ჩვენი ბანკი რა კონვერსიაში გაერეოდა, როდესაც ჯერ უფლებაც კი არა ჰქონდა ხუთპროცენტიანი გირავნობის ფურცლების გამოცემისა. საზოგადოება დრტვინავდა და საყვედურობდა ბანკის გამგეობას ასე საქმის დაგვიანებას, მაგრამ ჭავჭავაძეს ეს ყველაფერი მოსვენებას არ უფრთხობდა.

მას რომ შეგნებული ჰქონოდა, თუ რამდენად საჭირო იყო აჩქარება, განა ისე მოიქცეოდა, როგორც მოიქცა? განა არ გამოიყენებდა ამისთანა ცი-

დან მოვლენილ შემთხვევას, როგორც ფინანსთა მინისტრის ყოფნა გახლდათ თბილისში, და პირისპირ არ აუხსნიდა მალე ნებართვის მიღების საჭიროებას? განა მინისტრი უარს ეტყოდა ისეთ საქმეში, რომელიც მისთვისაც სასურველი იქნებოდა!

მინისტრი თბილისში 1890 წლის სექტემბერში ბრძანდებოდა და მაშინ რომ გამოეთხოვა ხუთპროცენტიანი ფურცლების გამოცემის ნებართვა ჭავჭავაძეს, მის შემდგომ მომხდარ კონვერსიაშიც ადვილად გაერეოდნენ; მაგრამ არა – ამის მაგივრად თავადი ჭავჭავაძე გაგზავნიდა ქაღალდს და იმასაც დაგვიანებით საკრედიტო კანცელარიაში, ყურს მოუყრუებდა და ამას ამჯობინებდა: ველოდოთ, ვიდრე საქმე თავისით გაკეთდებაო.

არც თვითონ დააჩქარებდა და არც სხვას დაანებებდა ასაჩქარებლად ალბათ იმ იმედით: ქაღალდი თავის გზას არ დაჰკარგავს და, როცა იქნება, ხომ მოგვივა ნებართვაო. იმას კი ველარ გამოიანგარიშებდა, თუ ამ დაგვიანებით რამხელა ზარალი მოსდიოდა ბანკს, სახელი როგორ უტყდებოდა სესხის სიძვირის გამო, ნდობა როგორ ეკარგებოდა.

* * *

„განდეგილის“ შთამაგონებელ მიზეზთა თუ ცალკეულ პირველწყაროთა მოძიებას რომ შეეცდებოდნენ, ჯერ კიდევ გრიგოლ ყიფშიძე ივარაუდებდა ერთ-ერთ მასალად გერმანელი ეგვიპტოლოგისა და რომანისტის გეორგ ებერსის ეპიკურ ქმნილებას „რამეთუ კაცი ვარ“, რომლის ბეჭდვაც გაგრძელებებით დაიწყებოდა ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიაში“ 1878 წელს და დამთავრებით კი დამთავრდებოდა ყოველთვიურად გადაკეთებული ჟურნალ „ივერიის“ 1879 წლის პირველივე ნომერში.

და რაც მთავარია:

რომანი ქართულად ეთარგმნა ილია ჭავჭავაძეს და ცხელ კვალზევე — გერმანულ პუბლიკაციას ზედვე რომ მოჰყვებოდა რუსული ვერსია, დიდხანს ესეც არ გადასდებდა მის ამეტყველებას მშობლიურ ენაზე.

ნათელა ჩიტაური ერთმანეთს რომ შეუდარებდა ამ ისტორიული რომანის რუსულ და ქართულ ვერსიებს, გამოარკვევდა, რომ:

ილიასეული თარგმანი ზუსტად არ მიჰყვებოდა რუსულ ტექსტს. ზოგიერთი ადგილი ქართულ ვერსიაში გამოტოვებულიყო ან მოკლედ გადმოცემულიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში შეინიშნებოდა გარკვეული კანონზომიერება.

ამ კანონზომიერებად რა დადგინდებოდა და:

გამოტოვებულიყო ლეგენდები, ისტორიული ცნობები, ბიბლიური ეპიზოდები, ქრისტიანობასთან დაკავშირებული ამბები, ერთი სიტყვით — ის ადგილები, რომლებიც ალბათ — მთარგმნელის აზრით — რომანს ზედმეტად გადატვირთავდა.

ამასთან:

ილიას თარგმანს, რუსული ტექსტისაგან განსხვავებით, მეტი კომენტარი ახლდა. თანაც ილია ერიდებოდა გაუგებარი, უცხო სიტყვების გამოყენებას. ცდილობდა ტექსტი რაც შეიძლება გასაგები გაეხადა ქართველი მკითხველისათვის.

ვითარება თვითვე მოითხოვდა მისგან ამჯერად ამ მთარგმნელობითი მეთოდის მომარჯვებას: საფუძვლიან რედაქტირებასაც რომ დაისაჭიროებდა უცხო ტექსტისა ქართველი მკითხველის ინტერესებისა და გემოვნების გათვალისწინებით.

რომელი ეპოქა და გარემო წარმოისახებოდა გეორგ ებერსის რომანში?

რომელი და:

სინას მთის ბერების ცხოვრება ქრისტეს დაბადებიდან IV საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ეს რელიგიური მოძღვრება ახალი გავრცელებული გახლდათ რომსა და მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში.

და აი ნათელა ჩიტაურსაც ხელშესახებად უნდა წარმოეჩინა ამ ისტორიული რომანის გარკვეული იდეურ-თემატური სიახლოვე და ნათესაობა „განდეგილთან“.

თარგმნილი თხზულება ორიგინალურ ქმნილებას შეუდგებოდა ერთერთ საყრდენად და ორიგინალური ქმნილება თარგმნილ თხზულებას მეტ მნიშვნელობას მიანიჭებდა მკითხველის თვალში.

გარდა გეორგ ებერსის ამ რომანისა, გამომზეურდებოდა კიდევ არაერთი თარგმანი, ხელმოუწერლად გამოქვეყნებულნი, მაგრამ შესაძლებელი რომ გახდებოდა დადგენა, ილიას გადმოულია ქართულადო. და მათ შორის როგორ არ გამოვარჩიოთ ალფონს დოდეს ორი ნოველა: „უკანასკნელი გასაკვეთი, ნაამბობი პატარა ელზასელისა“ და „ტიურკოსი კომმუნელთა შორის“ — და ივან ტურგენევის მინიატურების ციკლიდან „ლექსები პროზად“ შვიდი ნიმუში.

გურამ შარაძისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდებოდა ის, რომ:

თუ „ლექსნი პროზითა“ რუსულ მწერლობაში პირველად ივან ტურგენევს შემოეტანა, მაშინ თამამად შეგვეძლო გვეთქვა, რომ მათი პირველი ქართული თარგმანით ილია ჭავჭავაძე გვევლინებოდა ამ ჟანრის დამამკვიდრებლად ჩვენს ლიტერატურაში.

და საგულისხმოა და ნიშანდობლივი, რომ:

ამ ჟანრის ქართული ნაირსახეობის მდინარებას სათავეში უდგას ვაჟა-ფშაველას მინიატურების წყება.

ლექსები პროზად ხან უსიუჟეტონი არიან და ხანაც სიუჟეტიანნი, და გასაკვირი არ არის, განთქმული ეპიკოსი ივან ტურგენევი თუ უსიუჟეტოდ აქაც ვერ გაძლებდა და ღრმა ლირიზმს მეტ-ნაკლებად გამოკვეთილ სიუჟეტურ ქარგასაც გაუშლიდა, ილია უწინარესად იმ ნიმუშებს რომ გამოარჩევდა 70-მინიატურიანი ციკლიდან, ყველაზე მეტად რომ მოეცხობოდა გულზე, ანდა უშუალო გამოძახილი იქნებოდა თანადროული საზოგადოებრივი ყოფისა.

თუნდ ის მინიატურა: „სულელი“ — ზღაპარივით რომ იწყებოდა: იყო და არა იყო რაო, — თითქოსდა არარეალისტურ ამბავს მოგითხრობდა, არადა...

მიედინებოდა ერთი სულელის ცხოვრება ქეიფითა და შვებით, მაგრამ როდესაც მის ყურამდე მიაღწევდა: ქარაფშუტას გეძახიანო, — იწყენდა და

მოინდომებდა კრიჭა აეკრა ამ უსიამოვნო ხმებისათვის. და კიდეც მიაგნებდა გზას, თუ როგორ დაეფრთხო, დაეშინებინა ყველა და თანამოაზრედაც გაეხადა.

ეს გზა კი იქნებოდა: ყველაფრის დაწუნება, უარყოფა, აბუჩად აგდება, გაბიაბრუება-გაცამტვერება.

შეუქებდნენ ერთ გამოჩენილ მხატვარს და:

— რას ბრძანებთ!.. ამ მხატვარს დიდი ხანია აბრუ გაუტყდა, დაძველდა... ნუთუ არ იცოდით? მე ეგ თქვენგან არ მეგონა... თქვენ, ერიჰა! საიდამ სად ჩამორჩენილხართ ქვეყნიერობასო!..

შეუქებდნენ ერთ მშვენიერ წიგნს და:

— რას ბრძანებთ! როგორ არ გრცხვენიანთ! რის მაქნისია ის წიგნი!.. რამდენი ხანია, რაც ზედ არც კი აფურთხებენ... ნუთუ ეგ არ იცოდით! ერიჰა! საიდამ სად ჩამორჩენილხართ ქვეყნიერობასო!

შეუქებდნენ ერთ კეთილშობილ კაცს და:

— რას ბრძანებთ! იგი ხომ გაქნილ, უნამუსო კაცად არის ყველგან და ყველასაგან ცნობილი. მთელი თავისი გვარეულობა გაყვლიფა. ვინ არ იცის ეს ამბავი? ერიჰა!.. საიდამ სად ჩამორჩენილხართ ქვეყნიერობასო!

და ხანდახან, დროგამოშვებით ესეც უნდა ჩაემატებინა ხოლმე კიცხვით:

— ნუთუ აქამომდე თქვენ ავტორიტეტები გწამთ?

და ატყდებოდა მის ირგვლივ ლაპარაკი:

— გესლიანი კაცია! წინწაკიანია! მაგრამ რა ჭკუაა, რა გოგრა!

— რა ენის პატრონია! უეჭველი ნიჭია, უეჭველი ტალანტი!

ბოლოს კი ისე უნდა გათავებულიყო საქმე, რომ ერთ რედაქტორს გაზეთისა უნდა მიეწვია ის სულელი და ჩაებარებინა კრიტიკის ნაწილი რედაქციისა.

და სულელიც დაიწყებდა კრიტიკას ყველასი და ყველაფრისა. ერთ სიტყვასაც არ გამოაკლებდა თავის ჩვეულებრივ სიტყვა-პასუხს და სულ ერთსა-დაიმავეს იძახებდა.

და ახლა იგი, უარმყოფელი ავტორიტეტებისა, თვითვე შეიქნებოდა ავტორიტეტად და ყმაწვილკაცნი მოთაყვანედ გაუხდებოდნენ, მისი დიდი შიში და რიდი რომ ექნებოდათ. არ ეთაყვანებოდნენ და... იმათ კიდეც ძველებში, უკანჩამორჩენილებში მიუჩენდნენ ადგილს.

და ამ შეგონებით უნდა გასრულებულიყო ეს ლექსი პროზად:

მხდალთა შორის სულელების ბედს ძაღლიც არა ჰყეფსო.

მწარედ ეღიმებოდა ივან ტურგენევს ამ სტრიქონების წერისას და მის ნაღვლიან და ირონიულ ღიმილს შეერეოდა ნაღველი და ირონია ილია ჭავჭავაძისაც, იმავე სინამდვილის შემყურესი ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ სივრცეში, უარმყოფელობას ასე რომ მოეკიდა ფეხი და გაცამტვერებით თუ მთლად ვერა, დაკნინებით ემუქრებოდა ყველა წრფელ სჯასა და გონივრულ აზრს.

აი „ბელურა“ სულ სხვა სულისკვეთების და განწყობილების მინიატურა გახლდათ, სხვაგვარადაც რომ მოეჭდობოდა გულზე მთარგმნელს, პირველივე ფრაზას ისე მარჯვედ რომ მოუნახავდა შესატყვისს, მშობლიური ენის

სიღრმეთა წვდომასთან ერთად ხალხური სიტყვიერების ცოდნაც რომ წაადგებოდა:

— მე ნადირობიდამ მოვდიოდი ბაღ და ბაღ.

მე ბანი-ბანად გეძებდი, შენ ბაღჩი-ბაღად გეძინაო, — აბესალომი რომ საყვედურობდა თუ შენუკვოდა ეთერს შუა საუკუნეთა ეპოსის ამ გახალხურებულ ვერსიაში, აგერ რუსი მწერლის მინიატურასაც რარიგ მოუხდებოდა ეს სიტყვათწყობა.

მონადირესთან ერთად მეძებარი ძაღლიც რომ მოძუნძულებდა, უეცრად მას სიარულისათვის უნდა ეკლო და ფეხაკრეფით მიპარვოდა ბუდიდან გადმოვარდნილ ბარტყს, უძრავად რომ იჯდა და ახალაშლილი ფრთები გადაეფოფხა აქეთ-იქით უნუგეშოდ.

და... ანაზდად იმავ ხიდან შურდულის ქვასავით უნდა დაცემულიყო ძაღლის წინ ხნიერი შავგულმკერდა ბეღურა და აბურძგნულს, გაკაპასებულს, იმედდაკარგული და საცოდავი ხმით ერთი-ორჯერ უნდა ესკუპა პირდაღებული, დაღრენილი ძაღლისაკენ.

ეცემოდა გამოსახსნელად და წინ აეფარებოდა თავის შვილს... პატარა ტანი უთრთოდა შიშისაგან, პაწია ხმა გაუხრინწნიანდებოდა, გაუბოხდებოდა, ათრთოლდებოდა, გული დაელეოდა, მაგრამ თავგანწირული კი იქნებოდა შვილისათვის!..

უშველებელ ვეშაპად მოეჩვენებოდა ძაღლი?

მაინც კიდევ არ დადგებოდა, მაღალ ტოტზედ უშიშრად მჯდომარე... და ძალი, ნებაზედ უფრო ღონიერი, გადმოაქანებდა მას მაღალი ხიდან.

ძაღლი შედგებოდა, უკან დაიწევდა... ჩანდა, მასაც ეცნო ის ძალი.

მონადირეს უნდა ეხმო მყეფარისათვის და წამოსულიყო ბეღურის მიმართ თაყვანისცემით გულავსილი.

და სთხოვდა მკითხველს: ნუ გაეცინებოდათ.

დიახაც მოწინებული თაყვანისცემა ეგრძნო იმ პაწია და თავგანწირული ჩიტის წინაშე, წინაშე მისი სიყვარულის აღფრთოვანებისა!

და ესეც ის შეგონება, ასერიგად მახლობელი ილიასთვისაც და ყველაზე უკეთესი შემკვრელი მის მიერ შერჩეული და გადმოქართული რკალისა:

სიყვარული სიკვდილსაც და სიკვდილის შიშსაც სძლევს. მარტო მითი, მარტო სიყვარულით მძლეობს და მოძრაობს ცხოვრებაო.

* * *

გაივლიდა ეს სახიფათო წელიწადიც, გაიმართებოდა ბანკის საზოგადოდ კრება 1891 წელს და მრავალი იმ საყვედურის გამო, რომელიც გამოწვეულიყო ჭავჭავაძის უქმობითა და გულხელდაკრეფით ამისთანა მძიმე და პასუხსაგებ საქმეში, თავადი ჭავჭავაძე წარმოთქვამდა რამდენიმე თავის გასამართლებელ სიტყვას.

თუმც ეს სიტყვები ჭავჭავაძის გაზეთში დაბეჭდვისას გაეშალაშინებინათ და ზოგიერთი განგებ შეემოკლებინათ კიდეც; თუმც ავტორი ცდილიყო, რომ მხოლოდ მსმენელთა გასამხიარულებლად წარმოთქმული ლათაიები და ბან-

კთან არაფრისმქონე ფრაზები ამოეშალა, მაინც ბევრი რამ დარჩენილიყო ამ სიტყვებში, რაც დაეხმარებოდა მკითხველს იმის გასაგებად, თუ რაოდენი ცოდნითა და ლოგიკით აღჭურვილიყო თავადი ჭავჭავაძე ამ 17 წლის განმავლობაში ანუ მას აქეთ, რაც ბანკის გამგებლად აერჩიათ.

თავადი ჭავჭავაძე ჯერ რისხვა-გრგვინვით მიმართავდა თავის მოსაყვედურეთ და გამგეობის ზოგიერთ წევრსაც, რომელნიც ძალას ატანდნენ გამგეობას, სესხის გასაიაფებლად ჯეროვანი ზომები მიეღო, და აი რას იტყოდა:

კიდეც რომ მენახა მინისტრი, განა შესაძლებელი არ არის, ისევ ის გამოსულიყო, რაც დღეს არის ანუ დღევანდლამდე არ გადაწყვეტილიყო ჩვენი საქმეო.

მინისტრი ბათუმელებს დაპირებით კი დაპირდა, მაგრამ ორი კვირის მერე თხოვნა რომ გავაგზავნეთ, პასუხი აქამდისაც არ მიგვიღიაო.

ვთქვათ ჩემი მისვლით გამეკეთებინა ეს საქმე და ქაღალდის გამოცემის ნებართვაც მიმეღო, რა გგონიათ, ბატონო ფინანსისტებო, შევიძლებდით კი კონვერსიის ეხლავ დაწყებასო?

დიდად დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ დიდი სიფრთხილით და ისიც ოთხი წლის განმავლობაში თუ შეიძლება ამ კონვერსიის დამთავრებაო.

თუნდ დღესაც ხელთა გვქონდეს ეგ ხუთპროცენტიანი გირავნობის ფურცლები, მაინც გირჩევდით, მოვუცადოთ, რა ღონისძიებას გამოიყენებენ და როგორ გაივლიან მაგ კონვერსიის გზას რუსეთის საადგილმამულო ბანკებიო.

აქ ერთი მხრივ ცხრამილიონიანი ექვსპროცენტიანი ფურცლებია გამოსახსნელი და მეორე მხრივ ცხრამილიონი ხუთპროცენტიანი ფურცელი შესატანი ბირჟაზედ და ამას კი დიდი სიფრთხილე, დიდი წინდახედულება და დიდ მანძილზედ თვალის გადაწვდენა უნდა, რომ კაცმა ეს რიგიანად და უზარალოდ მოახდინოსო.

ამ ყოველივეს ვრცლად ამოიწერდა ივანე მაჩაბელი, რაკიღა ეს სათუთად ნაბეჭდი გახლდათ თავადი ჭავჭავაძის ხმალიცა და ფარიც, მისი საგერი იარაღიც და სატევიც. ამოიწერდა და... თან ამოწერისას აგონდებოდა, რა რიხითა და გრგვინვით ამბობდა ჭავჭავაძე ამ ვითომდა უცილობელ ჭეშმარიტებას, რა ძლევამოსილება ეტყობოდა სახეზედ, რაკი დარწმუნებული გახლდათ, რომ თავის თაყვანისმცემელთაგან საქმის განურჩევლად მარტო ბალი-აღას გაიგონებდა.

მაგრამ კარგად თუ ჩავუკვირდებოდით ამ სიტყვებს და გავიგებდით მათ მნიშვნელობას, ყოველ ნაბიჯზედ დავრწმუნდებოდით, რომ მათ წარმომთქმელს სრულიად არა ესმოდა რა იმ საქმისა, რასაც ასეთი სითამამითა და სიამაყით ასწავლიდა თავის მსმენელთ.

თუ ჭავჭავაძის მიერ მინისტრის პირადად ნახვით არა გამოვიდოდა რა, რაკილა აგერ ბათუმში პირადად ეთხოვათ, მაგრამ ვერაფრისათვის მიეღწიათ, ივანე მაჩაბელი კითხვას წამოჭრიდა: დღეს ბანკს უფლება აქვს თუ არა ბათუმში სესხის გაცემისაო?

ჰქონდა, როგორ არა ჰქონდა და ეს ნებართვა მხოლოდ იმიტომ მოსულიყო, რომ ბათუმელებს ეს პირადად ეთხოვათ მინისტრისათვის იქ გავლის დროს, თორემ თუ მარტო ქაღალდის გაგზავნით გამოსულიყო რამე, განა მტკნარი უარი მოუვიდოდა გამგეობას ამ საქმის შესახებვე სამინისტროდან?

ქაღალდი ვერ გაჭრიდა, მაგრამ უცხო პირნი პირდაპირ მოახსენებდნენ მინისტრს საქმის გარემოებას, ეს პირდაპირი ნახვა და გამორკვევა მოახდენდა იმას, რომ დღეს ბანკი სესხს აძლევდა ბათუმის მამულებზედ.

და ახლა ესა ბრძანეთო, – მიმართავდა ჭავჭავაძის თაყვანისმცემელთ, – განა „მჭევრისა და გზიანის" მთქმელს შეჰფერის საბუთად გამოიყენოს ის, რაც მის სიტყვებს ასე აშკარად, ასე თვალსაჩინოდ ამტყუნებს, და რაც პირიქით, ცხადად ამტკიცებს, რის უარყოფასაც ცდილობს „მართლის მწვერვალის" ხელში მჭერელი ორატორიო?

ხოლო როდესაც ირწმუნებოდა: ვერ შევძლებდით კონვერსიის ეხლავ დაწყებასო, – და თითქოს სათანადო საბუთებსაც იშველიებდა, ივანე მაჩაბელს... კალამი აღარ ემორჩილებოდა და მისდაუნებურად იწვევდა თხუთმეტი გაოცების ნიშანი ერთად დაესვა, რაკიღა ასეთი „ფრთხილი, წინდახედული და დიდ მანძილზედ თვალის გადამწვდენი" პირი საქვეყნოდ ქადაგებდა იმისთანა რაიმეს, რაშიაც იოტისოდენა ცოდნაც არ გააჩნდა, და ქადაგებდა იმისთანა საგანზედ, რომლისაც 17 წლის განმავლობაში მოვალე გახლდათ ანაბანა მაინც ესწავლა.

როდესაც ამბობდა: გირავნობის ფურცლების ყიდვა დარქმეულ ფასს ზევით კონვერსიის დროსო, – მხოლოდღა თვალის ნაცრის შესაყრელად ირწმუნებოდა იმ იმედით: მე ახლა სიტყვას ვერავინ შემომიბრუნებს, და თუნდა შემომიბრუნონ კიდეც, ჩემი მომხრენი მალე ჩააჩუმებენო, – თორემ შესრულებით კი ვერ შეასრულებდა, რადგან არამცთუ მოუხერხებელი გახლდათ და შეუსრულებელი, ჭკუაშიც კი არ უნდა მოსვლოდა იმას, ვისაც ცოტაოდნავ მაინც გაეგებოდა ბანკისა და კონვერსიის საქმე.

– კონვერსია რომ მოგვეხდინა, მაინც იმ მსესხებლებს, რომელნიც საკრედიტო ბანკში გადადიან, გზას ვერ შევუკრავდით, რადგან ჩვენი ხუთპროცენტიანი გირავნობის ფურცლები, ეგრე ერთბაშად ბირჟაზედ მისევის გამო, შესაძლებელია 80 მანეთი ღირებულიყო, და იმათი ობლიგაცია კი 98 მანეთი ღირს.

ამას ამბობდა თავმჯდომარე თბილისის სათავადაზნაურო ბანკისა, რომელსაც კარგად უნდა სცოდნოდა, და თუ არ იცოდა, ახლა მაინც უნდა შეეგნო, რომ ნდობა ჩვენს ბანკს თუ მეტი არა, ნაკლები არა ჰქონდა თბილისის საკრედიტო ბანკზედ; და როგორ უნდა მომხდარიყო, რომ ფურცლები ამ ორი ბანკისა, ერთიდაიმავე პროცენტის მიმცემნი, ასე განსხვავებული ყოფილიყვნენ, და განსხვავებულნი ისე, რომ მეტი ნდობის მქონე უფრო დაბლა მდგარიყო ფასში, ვიდრე მეორე? აქ ერთბაშად მისევა რა შუაში გახლდათ? კონვერსიის დროს რომ ჩვენს ბანკს თუნდ ერთბაშად 9 მილიონი ხუთპროცენტიანი გამოეცა, განა ამის სამაგიეროდ არ გააბათილებდა 9

მილიონ ექვსპროცენტიანებს და ფულს არ გაათავისუფლებდა? განა ამით რაიმე ნდობა მოაკლდებოდა ჩვენს ბანკს? და თუ არ მოაკლდებოდა ეს ნდობა, რა დასწევდა მისი ხუთპროცენტიანების ფასს სხვა ბანკის ხუთპროცენტიანებთან შედარებით, და დასწევდა ასე ღონივრად, ასე თვალსაჩინოდ, ას მანეთზე თვრამეტი მანეთით?!.

რომ ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა თავადი ჭავჭავაძისა კონვერსიის შესახებ კარგ მანძილით დაშორდებოდა სიმართლესა და ცოდნას, ამტკიცებდა მისი მოქმედება ბანკის 1891 წლის კრების შემდეგ.

– ახლავ ვერ შევიძლებთ კონვერსიის დაწყებას, – განაცხადებდა და... ერთი თვეც არ გაივლიდა ამ კრების მერე, რომ გაეშურებოდა პეტერბურგს სწორედ კონვერსიის მოსახდენად, თანაც იმისთანა კონვერსიისა, რომლის დროსაც ამერიკაში წასვლა არ დასჭირდებოდა ექვსპროცენტიანი ფურცლების საყიდლად.

თუ დავუჯერებდით გამგეობის მოხსენებას, 1891 წლის 28 ივლისის საგანგებო კრებაზე წარმოდგენილს, კონვერსიის საქმე სავსებით გაჩარხულიყო, და იმედოვნებდა კიდეც პეტერბურგში მყოფი თავადი ჭავჭავაძე, რომ ჩვენი ბანკის გირავნობის ფურცლებს 100 მანეთიანს 99 მანეთადაც დააბინავებდა.

აქ სქოლიოშიც წაჰკრავდა ქიმუნჯს ივანე მაჩაბელი:

შეადარეთ ამ ამბავს მისივე სიტყვები: კონვერსიის დროს ჩვენმა ხუთპროცენტიანმა გირავნობის ფურცლების ფასმა შეიძლება 80 მანეთამდე დაიწიოსო, – და ესეც წინდახედულების ერთი ნაყოფიო.

ძირითად ტექსტში კი ასე გაგრძელდებოდა ავტორის მტკიცება:

მხოლოდ ერთი რამ აკლდებოდა – საზოგადო კრების ნებართვა კონვერსიის შესახებ. და როგორ უნდა მომხდარიყო, რომ ფრთხილს, წინდახედულსა და დიდ მანძილზე თვალის გადამწვდენ ჭავჭავაძეს დავიწყნოდა აღება ამ ნებართვისა, ურომლისოდაც არამცთუ მინისტრს არ უნდა გამოცხადებოდა, თბილისიდან ფეხიც არ უნდა გაედგა.

ზედამხედველი კომიტეტი საჩქაროდ შეჰყრიდა ზაფხულის სიცხეებში საზოგადო კრებას და საჩქაროდვე გაუგზავნიდა ჭავჭავაძეს მოთხოვნილ ნებართვას. რაკიღა ნებართვა ასე მარჯვედ ჩავიდოდა, მაშ კონვერსიის საქმეც უნდა მოთავებულიყო, მაგრამ... მოთავების ნაცვლად მოფრიალდებოდა ბარათი თავადი ჭავჭავაძისა: მინისტრმა არ მირჩია ახლა კონვერსიის მიღებაო.

ჩაუკვირდით ერთი ამ „არ მირჩიასაცო", – ჩაუკრავდა ივანე მაჩაბელი, კიცხვა-ყვედრებას კი არ მოაკლებდა:

მაშ ეტყობა აქ ოთხი წელი არაფრისათვის საჭირო არა ყოფილა და თავადი ჭავჭავაძე რომ პატარა ადრე შედგომოდა საქმეს, კონვერსიას ადვილად მოახდენდა, ასე გამოდის ამ მიმოწერიდანო.

მაგრამ წიგნაკის ავტორი დარწმუნებული გახლდათ და დიდადაც დარწმუნებული, რომ რაც უნდა დროზედ წაბრძანებულიყო თავადი ჭავჭავაძე პეტერბურგს და ერთი დუჟინი ნებართვაც თან წაეღო, მაინც ვერას გახდე-

ბოდა ამისთვის, რომ რაკი კაცი რომელიმე საქმეს იკისრებს, ამ საქმის ვითარება ცოტათი მაინც უფრო კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული, ვიდრე ჭავჭავაძეს კონვერსიის საქმე ამ კრების დროს ესმოდა, ანდა – იტყოდა გაბედვით მოპაექრე – დღესდღეობით მაინც გაეგებოდა.

საოცარიაო, – მოსალოდნელია, რომ პასუხად იტყოდნენ ბანკის თავმჯდომარის თაყვანისმცემელნი, – თუ თავადი ჭავჭავაძე ასე მოკლებულია ბანკის საქმის ცოდნას, როგორღა განაგებს მას დაარსებიდანვე, ან ბანკის საქმეთა სვლას მისი მავნებელი გავლენა არ ეტყობაო?

ესეც, პირველი შეხედვით, ერთი გამოცანა გახლდათ, რომლის ახსნა და გამორკვევაც ივანე მაჩაბელს საძნელოდ სულაც არ ესახებოდა, თუკი მკითხველი არ დაღლილიყო და ცოტაოდენ ხანს კიდევ თავის ყურადღებას არ მოაკლებდა.

ჯერ ერთი, რომ:

სვლაც იყო და სვლაც.

კიბორჩხალას ღოღიალსაც სიარული ერქვა და ორთქლის მავალი მანქანის ფრენასაც, და ჩვენი ბანკი თავადი ჭავჭავაძის ხელში სწორედ კიბორჩხალასავით მიღოღიალებდა; თუ სხვა რაიმე გავლენის წყალობით ფრთას გაშლიდა და ზრდას უმატებდა, რათა აზრი ბანკის დამაარსებელთა უფრო ნაყოფიერად შეესრულებინა, თავადი ჭავჭავაძე მზად იყო ფრთებიც შეეკვეცა მისთვის და ზრდაც შეეჩერებინა.

ეს კიდევ არაფერი: თავადი ჭავჭავაძის ხელში ბანკი არა ერთხელ და ორჯერ ისეთ დღესაც გამოივლიდა, რომ კინაღამ სულს განუტევებდა და თვით ბანკის გამგებელს – ჭავჭავაძეს – მისი გამობრუნების იმედი აღარც ექნებოდა.

ბანკის გამგებელთა უმთავრესი ყურადღება იმაზედ უნდა ყოფილიყო მიქცეული, რომ მამულებზედ ზომიერად გაეცათ სესხი ანუ მამულის პატრონს ვალი დაგირავებული მამულის შემოსავლიდან გაესტუმრებინა შეთანხმებულ ვადაში.

ესეც ანი და ჰო ბანკის მოქმედებისა: სადაც უნდა მიწვდენილიყო მისი ხელი და სადაც უნდა გაეცა სესხი – თბილისს თუ ქუთაისს, დერბენდსა თუ შამახიას, ბაქოსა თუ ბათუმში, ყველგან უნდა აწონილ-დაწონილიყო საქმის ვითარება, გაეთვალისწინებინათ, თუ სად იყო მოსალოდნელი, რომ მამულების შემოსავალს ემატა, სად შემცირებულიყო, და ეს ყოველივე უნდა ყოფილიყო გზის მაჩვენებელი ბანკის გამგებელთათვის.

რასაკვირველია ისიც არ უნდა დავიწყნოდათ, რომ: ერთიდაიმავე ფასის მამულზე თბილისში – მაგალითად – უფრო მეტი სესხი გაიცემოდა, ვიდრე სადმე ბაქოსა თუ ყუბაში; რადგანაც თუ მამული ბანკს დარჩებოდა თბილისსა და თბილისის გუბერნიაში, უფრო ადვილი მოსავლელი იქნებოდა, ვიდრე სადმე სხვაგან.

თუმც სესხის სიფრთხილით გაცემა უმთავრესი საქმე გახლდათ ბანკისა სხვა საქმეთა შორის, მაგრამ არც ისე საძნელო, როგორც ეგებ ზოგს ჰგონებოდა. მამულის ნამდვილი შემოსავლის შეტყობა და გაცნობა ყოველი იმ გარემოები-

სა, რასაც შეეძლო შემოსავლის შესამჩნევად შემცირება ან მომატება, თხოულობდა ბანკის გამგებელთა და დამფასებელთაგან მხოლოდ მუყაითობას, საქმის ერთგულებასა და ცოტაოდენ ცოდნას შემოსავლის ანგარიშისა. და აქ არც დიდი სიბრძნე იყო საჭირო და არც დიდი გამოცდილება.

დაე გაცნობოდა მკითხველი, რამდენი გაეცა ბანკს დაარსებიდან 1891 წლის 1 იანვრამდე და რამდენი ამ მამულთაგანი დარჩენოდა ბანკს მყიდველის უშოვნელობის გამო, ან რა ეზარალა ამ მამულებზე.

ბანკის მოქმედებას ორ ხანად დაჰყოფდა ივანე მაჩაბელი:

დაარსებიდან 1883 წლამდე და 1883 წლიდან 1891-მდე.

რა მოტივით ემჯობინებინა ამგვარი დაყოფა და:

1883 წლამდე ბანკს ხელშეუშლელად და სიტყვის შეუბრუნებლად განაგებდა თავადი ჭავჭავაძე თავის ორ სასურველ ამხანაგთან – ალექსანდრე ჩოლოყაშვილსა და ნიკო ავალიშვილთან ერთად, რომელთაც იმ სახსოვარ 1891 წლის კრებაზე თავადი ჭავჭავაძე რაღაც შემთხვევის გამო საჯაროდ, ათასი მსმენელის წინაშე, ბანკის მხსნელთ, ბანკის ფეხზე დამყენებელთ უწოდებდა და სრული გულისწყრომით აღიჭურვებოდა იმათ წინააღმდეგ, რომელთაც მოეწადინებინათ ამ სამების დარღვევა. მისი ლაპარაკიდან ისე გამოდიოდა, რომ ეს სამნი ფრთხილნიც ყოფილიყვნენ, წინდახედულნიც და დიდ მანძილზე თვალის გადამწვდენნიც, და დიდი შეცდომა მოუვიდოდა იმას, ვინც ხელს შეუშლიდა ამ განუყრელ სამებას.

მაშ რა მოემოქმედა, რამდენი საიმედო სესხი გაეცა ამ საამოდ შეხამებულ ტრიუმვირატს რვა წლის განმავლობაში – 1883 წლამდე, და რამდენი გაეცა ამისთანავე სესხი მას შემდეგ, როცა სამთა კავშირი დაირღვეოდა და ბანკის გამგეობაში ჩაერეოდა არა ფრთხილი, წინდაუხედავი და დიდ მანძილზედ თვალის ვერ გადამწვდენი პირი?

და უხვად მოიშველიებდა ივანე მაჩაბელი – ტრიუმვირატის საქმიანობაში ენერგიულად ჩარეული – დასამტკიცებელ საბუთებსა და ციფრებს, რათა მკითხველს თვითვე განესაჯა საქმის სიმართლე და სიმტყუვნე და მარტო ლიტონ სიტყვას არ დასჯერებოდა.

* * *

1895 წლის 11 ივლისს ილია სოფლიდან რომ დაბრუნდებოდა, თბილისში დახვდებოდა დიდად სამწუხარო ამბავი, რომ: დაეკარგა თავისი ერთი უძვირფასესი ამხანაგი და უკეთესი მეგობარი – პეტრე ნაკაშიძე.

და მის ქვრივს, ბაბალეს, მისწერდა, რომ:

მწუხარებას გაუორკეცებდა ამ უბედურების გვიან შეტყობა და ამის გამო არ მისცემოდა შეძლება პეტრეს სახლობის ცრემლებთან ერთად დაეფრქვია თავისი ცრემლიც, როცა ისინი ეთხოვებოდნენ ძვირფას ნეშტს.

და ნუგეშად რჩებოდა, ჭეშმარიტი თავმოწონებით ეთქვა, რომ ხელი, რომელიც ამ სამძიმარს სწერდათ, ხელთ სჭეროდა მეგობრულად იმისთანა გულუბრყვილო, საყვარელ და პატიოსან კაცს, როგორიც გახლდათ ან უბედური პეტრე.

ეს პეტრე ნაკაშიძე იქნებოდა სწორედ, რომელსაც მიუძღვნიდა ილია დრამატულ პოემას „ქართვლის დედა“, და ხელახლა რომ გადააკეთებდა 1860 წელს დაწერილს, 1871 წლის 19 მარტს გაუგზავნიდა პეტრეს და ბარათსაც მიაყოლებდა, თუკი მოეწონებოდა ეს პოემა, მიეცა ნიკო ნიკოლაძისათვის დასაბეჭდად. სთხოვდა აგრეთვე, რომ: თავისი პირმოურიდებელი აზრი ეცნობებინა ამ პატარა თხზულებაზედ.

– კარგად კი წაიკითხე.

თვითონ ილიას ყველაზე უფრო ჯარის სიმღერა მოსწონდა, გლეხურ კილოზე მოწყობილი.

და თუ მოეწონებოდა დასაბეჭდად, მასთან მიწერილი ძღვნობის ლექსიც დაებეჭდინებინა მასთან ერთა. კორექტურის წაკითხვასაც პეტრეს მიანდობდა.

მიძღვნის ლექსი კი ეს იქნებოდა:

აჰა იმ დროთგან ერთი სახე ამოღებული, რომელნიც ერთად გვინატრია უცხოეთში და რომელთ იმედი, ღვთიური სხივით გაბრწყინებული, დღესაც გულში გვაქვს მტკიცე რჯულადო.

მყობადისათვის აეხადა ერთი კუთხე დიდი ფარდისა და ეს ეხილა – მიტევებას სთხოვდა ამ სითამამისათვის... ეს იყო ნაყოფი აწმყოსაგან შობილი დარდისა, და ამით გაემართლებინა მეგობარს, მიეღო და ნუ გაკიცხავდა.

ყველაზე უფრო ჯარის სიმღერა მოსწონდაო...

ამ სიმღერას – „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ – ცენზურა არ გაუშვებდა „კრებულში“ იმ სახით, ილია რომ მონდომებულიყო, თუმც ამ სტრიქონებს ანკი ვინ გაატანინებდა: თავისუფლების მშოვნელი ამქვეყნად მარტო თოფია, შინ უღლით გაქნილს მშვიდობას ომში სისხლისღვრა სჯობიაო!..

იმ პუბლიკაციისას ქვესათაურად მიეწერებოდა: დრამატიული ეპიზოდი თამარ მეფის ცხოვრებიდან ოსმალოებთან ომის დროსო.

მოგვიანებით „ივერიის“ ფურცლებზე რომ განმეორდებოდა, ქვესათაური ასე შეიცვლებოდა: ეპიზოდი დავით აღმაშენებლის დროთაგან, როცა არაბთაგან ანთავისუფლებდა საქართველოსო.

ავტოგრაფებში კი ქვესათაურად ეს საგულისხმო სტრიქონი აღმოჩნდებოდა: სცენა მომავალ ცხოვრებიდან – რომელსაც პავლე ინგოროყვა გამოიყენებდა ტომებში გამოქვეყნებისას, თავის მხრივ კი დასძენდა:

აქ წარსულისაკენ მიხედვა კი არ არის, არამედ მომავლის განჭვრეტაო.

ხოლო იოსებ გრიშაშვილი თავის მხრივ დაურთავდა, რომ:

ეს პოემა ნამდვილად უნდა გაგვეგო როგორც მოწოდება საქართველოს მომავალი გათავისუფლებისაკენ, რათა სოლომონ რაზმაძის თქმისა არ იყოს, თავი დაეხსნათ სკვითთ დესპოტისგან.

პოეტი და მწიგნობარი ხელიდან არ გაუშვებდა შესაძლებლობას, ეხსენებინა ერთ-ერთი თვალსაჩინო 32-იანელი, პოეტი და მთარგმნელი, რომელსაც აღარ ეღირსებოდა გადასახლებიდან დაბრუნება სამშობლოში.

და ეს თავისუფლების შესანიშნავი ჰიმნი ბრძოლისაკენ მოწოდებად რომ ჟღერდა დედის მონოლოგში:

ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს.
კასპის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთ ფიქრსა ფიქრობს
და ეს ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება.

ამ სტრიქონების მოხმობისას იოსებ გრიშაშვილი საგანგებოდ შავად ააწყობდა გამოთქმებს: „კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა“, და – „მთელ კავკასის", რათა მკაფიოდ ჩაებეჭდა მკითხველის ცნობიერებაში ამ სტრიქონების მნიშვნელობა, მათი განსაკუთრებული იდეური სიღრმე და პოლიტიკური სულისკვეთება და ამ ფონზე დაემოწმებინა პავლე ინგოროყვას განსაზღვრება:

– ილიას წარმოდგენაში საქართველოს თავისუფლება გადაჯაჭვულია მთელ კავკასიის თავისუფლებასთან.

ხოლო ამ პოემას ილია „დრამატულ ეპიზოდად“ რომ იხსენიებდა, პოეტისა და მწიგნობრის დაკვირვებით, არა იმიტომ, რომ ის დრამატული თეატრისათვის დაეწერა, არამედ აქ მთელი მონოლოგები აღვსილიყო ჭეშმარიტი და დიადი დრამატიზმით.

თეატრი კი ძალიან გაითავისებდა და...

და ეს – მიუხედავად იმისა, რომ ცენზურა შანთით დასდევდა და ხშირად კრძალავდა სცენაზე წარმოსადგენად, მაგრამ რომელიმე მობენეფისეს დაჟინებული თხოვნით მაინც იძლეოდნენ ხოლმე ნებართვას.

პირველად „დედა და შვილის“ სახელით დაიდგმოდა 1882 წლის 26 სექტემბერს, დედის როლს ნატო გაბუნია რომ შეასრულებდა, შვილისას კი – კოტე ყიფიანი.

ილიას მოსაგონარ წლიურ საღამოებზე კი დედას ნინო დავითაშვილი შეასრულებდა, შვილს კი – ალექსანდრე იმედაშვილი.

ის კი არა, ამ სიუჟეტურ ქარგაზე კომპოზიტორი მიხაილ იპოლიტოვ-ივანოვი ოპერასაც კი შექმნიდა.

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარიო, – დედას ათქმევინებდა ილია, – შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი, შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა, შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისაო.

* * *

„განდეგილს“ ინგლისურად რომ აამეტყველებდა, ამით უკვე შეუქმნიდა ბრიტანელებს შთაბეჭდილებასა და შეხედულებას ამ ქართველ შემოქმედზე მარჯორი უორდროპი, მაგრამ რაკიღა ჯერ აკაკი წერეთლის პოემებისათვის არ მოეკიდა ხელი და მის გაცნობას კი ეშურებოდა ბრიტანელთათვის, საქართველოში მოგზაურობის დღიურით ასე აღბეჭდავდა მის მნიშვნელობას:

ის პოეტია, რომელსაც თვისტომნი ილიას მსგავს პატივს მიაგებენო.

და თავს ვერ შეიკავებდა, მათი პოეტური თავისებურება რომ არ შეეპირისპირებინა ერთმანეთისათვის:

აკაკის მუზა რომ უფრო ლაღი გახლდათ და მხიარულებას ეტრფოდა, და თუ ილია წარსულს მისტიროდა, აკაკი თავის ძლევამოსილ სატირას იყენებდა აწმყოს გასაქილიკებლად... იგი თავისი ქვეყნის კეთილდღეობას მიელტვოდა და დიდი პოპულარობაც მოეხვეჭა ხალხში. და ინგლისელ ლედის ისეთი შთაბეჭდილებაც დარჩებოდა, რომ: აკაკი წერეთელი ყველას უყვარდა.

საერთოდ ქართველებზე რა შთაბეჭდილება შექმნოდა?

ქართველებს, სხვა მთიელებივით, მდიდარი წარმოსახვა და პოეზიის სიყვარული გამოარჩევდათ.

ასე სახელდახელოდ შეუძლებელად მიიჩნევდა ყველა სახელგანთქმული პოეტი ქალისა და მამაკაცის დასახელებას, მაგრამ ეიმედებოდა, რომ ინგლისელი საზოგადოება მალე უკეთ გაიცნობდა (ჩემი მოწადინებითა და მეცადინეობითაცო, — გაიფიქრებდა) ამ ხალხის ძველ თუ ახალ მდიდარ ლიტერატურას, ხალხისა, რომელსაც ძალზე ცოტა თუ იცნობდა დასავლეთში; და ეს იმის მიუხედავად, რომ:

ქართველები თავიანთ სიმპათიას ყოველთვის დასავლეთისადმი უფრო ამჟღავნებდნენ, ვიდრე აღმოსავლეთისადმი.

მართალია ლიტერატორი გახლდათ მარჯორი უორდროპი, მკვლევარიც და მთარგმნელიც, არანაკლებ — პოლიტიკოსიც, თავისი ძმის, ოლივერ უორდროპისა, არ იყოს.

და საქართველოს მწიგნობრული მიზნებით რომ ესტუმრებოდა, არანაკლებ — პოლიტიკური განზრახვითაც, რათა გულდასმით ჩაეხედა მის რეალობაში და გაეთვალსაჩინოებინა ინგლისისა და საერთოდ ევროპისათვის ის უმძიმესი ყოფა, რომელშიც ჩაეგდო ეს უძველესი კულტურის ქვეყანა რუსულ ძალმომრეობას, ჩაგვრისა და დესპოტიზმის იმ უკიდურეს მისწრაფებას, ქართველი ერის სრულ გადაგვარება-გარუსებას რომ გულისხმობდა; და თუმც ამ უკეთური მიზნისათვის ჯერ ვერ მიეღწიათ, ქართველთა მაღალი ცივილიზაცია კი საკმაოდ დაეზიანებინათ და დაეკნინებინათ...

მაგრამ ამ საზარელი შედეგის თავიდან ასაცილებლად შემართული ქართველობა, წამდაუწუმ რომ უხდებოდა ცბიერ და სასტიკ საფრთხეთა მოგერიება, დასავლეთ ევროპისაგან მოელოდა შემწეობასაც და თანაგრძნობასაც.

* * *

ზარალი და მოგება ძმები არიანო, – ამით მოიბოდიშებდა ხოლმე თავადი ჭავჭავაძე. და თუმც ივანე მაჩაბელიც ეთანხმებოდა: დიახაც ძმები არიანო, – მაგრამ ეს ფრაზა ყველასა და ყველაფერს მაინც ბოდიშს ვერ მოხდიდა. ამ სიტყვებით თავის გამართლება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ყოველ გაკოტრებული ბანკირი თუ ვაჭარი მათ მიმართავდა და ბრალს ადვილად აიხსნიდა, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ ზარალსაც თავისი ზომა უნდა ჰქონოდა და მოგებასაც.

1883 წელს ბანკს მოქმედება რომ შეეჩერებინა, ძვირად დაუჯდებოდა თავადი ჭავჭავაძისა და მის ამხანაგთა გამოცდილების შეძენა. მაშინ ბანკს, მთელი მისი ავლადიდებისათვის ერთად რომ მოგვეყრა თავი, მხოლო 403 000 მანეთის ქონება ექნებოდა, ზარალს კი 600 000 მანეთზე მეტისას მოელოდა.

განა ცხადი არ იყო, რომ ასეთ ზარალს ვერ აუვიდოდა მთელი ბანკის ქონება თავისი ძირის ფულიც და სათადარიგო თანხაც სრულიად ზედ რომ მიეჭყლიტა?

მას აქეთ მთელი რვა-ცხრა წელიწადიც გაივლიდა; ყოველწლივ ნახევარი მოგება და ხშირად მეტიც მხოლოდ ამ ძველი ზარალის დაფარვას მოუნდებოდა და მაინც კიდევ დღესაც ბანკი თავს კარგად ვერ დააღნევდა – და სარკაზმი გაერეოდა მსჯელობას – ამ მხნე და ნაყოფიერი გამგეობის მონაღვაწევს.

ჩვენა ვნახეთ ნიმუში ჭავჭავაძის თავის გამართლებისაო, – გრძელდებოდა მწვავე პოლემიკური პათოსი, – როდესაც მის მოქმედებას კრიტიკული თვალით შეხედეს და გასაკიცხს გასაკიცხი უწოდეს და საქებურს – საქებურიო.

გავიცანით ის ხერხიც, რომელსაც მიმართავს ხოლმე ჭავჭავაძე ხალხში სიცილის გამოსანვევად და იმათ დასამცირებლად, რომელნიც გაბედავენ და რაიმე წუნს დასდებენ ან მის სიტყვას და ან მის ნამოქმედარსო.

მაგრამ ჯერ არ ჩავკვირვებივართ ერთ სხვაგვარ ხერხს, რისი შეტყობაც საჭიროა ამ „მჭევრი და გზიანი“ ორატორის უფრო საფუძვლიანი გაცნობისათვისო.

მე მაბრალებენო, – ბრძანებდა თავადი ჭავჭავაძე, – რომ გულქვა ვარ და მოვალეს შეღავათს არ ვაძლევო. მაგრამ თუ ასეთი გულქვაობით ხალხს შეაჩვევდა ვალის დროზედ შეტანას, სწორედ დიდ სამსახურს გავუწევდით. კარგად იცოდა, რომ ბევრი ათას ბრალს დასდებდა ამ გულქვაობისათვის, მაგრამ ასეთი ბრალისა არ ეშინოდა, როგორც იმ ექიმს, რომელიც ავადმყოფს არჩენდა. ვალის პირნათლად გადაუხდელობა ჩვენი საზოგადოების მუწუკი რომ გახლდათ, ილიას სურდა ეს მუწუკი გამოერწყო, რათა მორჩენილიყო, და ისინი კი ეუბნებოდნენ: რად გვატკინეო, გულქვა ხარო. მაგრამ განა ეს გულქვაობად უნდა მიჩნეულიყო?!.

წარმოგვედგინა, რომ ეს სულ მართალი ყოფილიყო. ივანე მაჩაბელს ვერ აეხსნა, რა საბუთი, რა შეურყეველი საბუთი ეძლეოდა ჭავჭავაძეს, რომ უშიშარი რაინდის შესამოსელში შემოსილიყო და ჭექა-გრგვინვით შეემუსრა თავისი მოწინააღმდეგე წუწუნა ქალაჩუნები, რომელთაც ყოველი მუწუკის გამორწყვაზეც ნერვები ეშლებოდათ და გულს ეყრებოდათ! რაოდენ საქებური და სათაყვანებელი არ გახლდათ ეს მტკიცე და შეურყეველი ხასიათი ჭავჭავაძისა, რომელიც საზოგადოების სიკეთით განმსჭვალულიყო, ოპერაციის ლესული დანა ხელთ აეღო და ჯანაოზ ექიმივით ურჩენდა წყლულსა და იარებს სნეულთა და კეთროვანთ.

მაგრამ დაე ამ შედარებისათვის პატარა ფრთა გაგვეშლევინებინა, ბოლომდე ჩავყოლოდით და გვებრძანებინა:

რას ვეტყოდით იმ ექიმს, რომელიც მუწუკის გამორწყვას გვპირდებოდა და... სიცოცხლესაც მუწუკთან ერთად გამოგვირწყობდა და საიქიოსაკენ გვიზამდა პირსა?

საიქიოს გასტუმრებას არა ჰგავდა განა, როდესაც ორ თუ სამ თუმანში, თუნდა ათსა და ოცში, უყიდდნენ მამულს იმისთანა პირს, რომელსაც თავისი ნაწვავ-ნადაგით ეს ბანკი დაეარსებინა, თუმც დარწმუნებულნი იყვ-

ნენ, რომ ამ ფულის დაცლით ბანკს არა დააკლდებოდა რა და მამული ყოველთვის ერთნახევრადა და ერთიორად მეტ ფასადაც გაიყიდებოდა იმ ფულზედ, რაც დაგირავების დროს გატანილიყო?

ასეთი მაგალითი მარტო ერთი და ორი არ მოიპოვებოდა, მარტო ერთსა და ორს არ გამოეცადა ძალა ჭავჭავაძის საოპერაციო დანისა. მრავალი ბანკისავე დამფუძნებელი ცარიელზე დამჯდარიყო თავისი მამულ-დედულისაგან; მაგრამ ჭავჭავაძეს მაინც ვერავინ უსაყვედურებდა, ასე რად მოიქეციო, რადგანაც იგი ამ შემთხვევაში წესდებას მტკიცედ ასრულებდა, რომელიც ნებას არ აძლევდა მამულზე დაეტოვებინა რაიმე ყოველწლიური შესატანიდან.

მაგრამ ყველას ნება ჰქონდა, დიდსა თუ პატარას, დამფუძნებელსა თუ მხოლოდ სესხის ამღებს, სამართლიანი საყვედურით მიემართა ექიმისა და მუწუკების იგავის ავტორისათვის და ეთქვა:

– დაგეთანხმებით, რომ რადგან წესდებას შესრულება უნდა, არავის შეღავათი აღარ მისცეთ და ერთი მანეთის გულისათვის ათასთუმნიანი მამული თუნდა ას თუმნად გაყიდოთ. ეს თქვენი უფლებაა, უფლება უცილობელი და ხელშეუხებელი და ტყუილად აღჭურვილხართ იმათ წინააღმდეგ, რომელნიც ვითომ ამ უფლების შესრულების გამო თქვენ რაღაც ბრალსა გდებენ და გულქვას გიწოდებენ. განგებ იმისთანა ბრალის კისრად აღება, რომლის უარყოფაც ადვილია და ამ უარყოფის დროს ქვეყნის მხსნელის ხირღაში გახვევა, – ესეც ერთი ფანდია წინააღმდეგთა დასამარცხებლად, იქნება კარგად გამოსაყენებელი, მაგრამ ეკადრება კი საზოგადო მოღვაწეს, თუნდა დიდი გაჭირვება დაადგეს, ამისთანა ფანდებს მიმართოს? გულქვაობას კი არავინ გისაყვედურებდათ, მაგრამ ნება კი გვქონდა მოგვეთხოვა თქვენგან, რომ ყველასათვის ერთი საწყაოთი სწყოთ, ერთის ადლითა ზომოთ. თუკი შ-ს მთელი თავისი ქონება დააკარგვინეთ, ჯ-ი ათის თუმნის გულისთვის ცარიელზედ დასვით, ჩ-სას უკანასკნელი ლუკმა მოუსპეთ, – რა ნება გქონდათ, რომ იგივე წესდება გვერდზედ მისდეთ და ჯ-ს, ა-ს, ო-ს, ქ-ს და მრავალ კიდევ სხვას ხუთას, ექვსას თუმნობით აცლიდით და ყოველგვარს შეღავათს აძლევდით? თუკი თქვენგან ნაქები მუწუკის გამორწყობა ეგეთი უკვდავება გეგონათ, რომ პირველნი დასახოცადაც არ დაინდეთ, მეორეებზედ რატომ აღარა სცადეთ? ამასაც ხომ ვერ იტყვით, პირველთა მამულები საშიში იყო და მეორეებისა არაო, როდესაც თქვენგან ნანატრმა გამოცდილებამ სულ სხვა დაგვანახვა. ვერც იმითი იმართლებთ თავს, რომ აქ რაღაც ასოები დაუსხავთ, რომლისაც არა გამეგებაო; თუ საჭირო იქნება, ეს ასოები გაიზრდება, შეივსება, გადაიქცევა სიტყვებად და ფრაზებად, იმისთანა სიტყვა-ფრაზებად, რანიც ჩინებულად დაასურათებენ თავადი ჭავჭავაძის ენამჭევრობას, სამართლიანობას, მიუფერებლობას.

ამთავრებდა წიგნაკს ივანე მაჩაბელი და დასასრულ სრული სიწრფელით ეკითხებოდა თავის თავს:

რა გაეკეთებინა ჭავჭავაძეს რომელიმე საზოგადო ასპარეზზედ?

ჩამოჰყვებოდა და სათითაოდ შეაფასებდა:

რა გაეკეთებინა დრამატულ საზოგადოებაში?

სხვათაგან ჩინებულად დაწყებული საქმის უფროსობა ჩაებარებინა, ამ უფროსობაში მოვლა-გაზრდის მაგივრად სიკვდილამდე მიეყვანა და მიმკვდარებული, სულთმობრძავი სხვათათვის მიეგდო საპატრონებლად: ახლა თქვენ მოუარეთო.

რა გაეკეთებინა წერა-კითხვის საზოგადოებაში?

არაფერი იმის მეტი, რომ ყოველივე სასარგებლო აზრსა და დაწყებულებას მუხლს უხუთავდა თავისი მოუნდომლობითა და გულცივობით.

რა გაეკეთებინა სათავადაზნაურო სკოლის დამფუძნებელ საზოგადოებაში?

არაფერი, არაფერი, სრულიად არაფერი.

რად გარდაექმნა ქართული ყოველდღიური გაზეთი?

უმნიშვნელო, უსიცოცხლო, უსულო ქაღალდის თაბახად, რომელიც მხოლოდ თავადი ჭავჭავაძის პირად, დიახაც – გაიმეორებდა – პირად ინტერესსა და წადილს ყურმოჭრილი მონასავით ემორჩილებოდა.

დასასრულ რა მიმართულება, რა გზა ეჩვენებინა – რა გაეკეთებინა ყოველი დასახელებული საქმის მსაზრდოებელ ბანკში, რომლის მოთავედაც იგი მიჩნეულიყო დასაწყისიდან დღემდე?

მთელი ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ვერ გაეცნო, ვერ შეეთვისებინა ანბანიც კი ბანკის საქმისა, რომელზედაც ასე თამამად ქადაგებდა ბანკის კათედრიდანაც და „თავისი“ გაზეთის ფურცლებზედაც.

მთელი რვა ნლის განმავლობაში ისა და მისი თანამოაზრე „ბანკის მხსნელნი“ გამოცდილებას იძენდნენ და მათგან ამ გამოცდილების შეძენა ბანკს ნახევარ მილიონზედაც ბევრად მეტი დაუჯდებოდა, და რა დაუჯდებოდა შემდეგში – ეს ღმერთმა უწყოდა. მასუკან, რაც ერთ გამოცდილ დედაბოძთაგანს გვერდიდან ჩამოაცლიდნენ ჭავჭავაძეს, ბანკი პატარა სულს მოიდგამდა და შეიძლებდა თავისი ასპარეზის გავრცელებას თვისდა და სესხის ამღებთა სასარგებლოდ.

მაგრამ... ჭავჭავაძე წინ გადაეღობებოდა და იოტისოდნავადაც არ იზრუნებდა ბანკის კეთილდღეობისათვის. უკან დააყენებდა ხუთპროცენტიანი გირავნობის ფურცლების გამოცემის საქმეს, შეაფერხებდა კონვერსიას; უკან დააყენებდა და შეაფერხებდა იმიტომ, რომ არ გაეგებოდა არც თვით საქმე და არც მისი მრავალფერი მნიშვნელობა.

და როდესაც მოიწადინებდნენ პირუთვნელად გასინჯვას ჭავჭავაძის მოქმედებისა, მიუთითებდნენ ნაკლულოვანებაზედ, უჩვენებდნენ, რომ საქმის ნამდვილ მცოდნეს შეუძლებელია ეთქვა ის, რასაც ლაპარაკობდა კრებებზე ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, სიტყვის შებრუნებას მიუჩვეველი ჭავჭავაძე მიმართავდა თავის გამართლებისას იმისთანა საშუალებას, რომელსაც მიმართავს ხოლმე ის, ვისაც „კაცებურის ღირსების გრძნობის პატივისცემა“ მართლა თავისებურად ესმის.

ყველაფერი მოეთმინებოდა, ის კი არა მიეტევებოდა კიდეც საზოგადო მოღვაწეს: სიზარმაცეც, დროზედ უგულწრფელობაც, თვით თუნდ ისიც, რომ მოპირდაპირე გაეკიცხა, გაეკილა და ათასი კაცის წინაშე ეკითხა:

– გუშინ თქვენ უფრო ჭკვიანი იყავით თუ დღეს უფრო ჭკვიანი ხართ?

და იქვე ფრჩხილებში დასძენდა: ესეც ალბათ მაგალითია ზრდილობისა და „კაცებურის ღირსების გრძნობის პატივისცემისაო“.

მაგრამ იმას კი მოუტევებლად და მოუთმენრად მიიჩნევდა ივანე მაჩაბელი, რომ:

კაცს ფეხქვეშ ეთელა სიმართლეცა და ჭეშმარიტებაც თავისი ამომრჩევლის წინაშე! იმ ამომრჩეველთა წინაშე, რომელთაც თავიანთი ბედი და უბედობა ამორჩეულის კალთაში გაეხვიათ და ისე ბრმად თვალახვეულნი ენდობოდნენ, რომ იმისი პირიდან ამოსული უმეცრებაც მეცნიერებად მიაჩნდათ, მრუდე აზრი და სიტყვა – უმწვერვალეს მჭევრმეტყველებად, ხავსმოკიდებული ოხუნჯობა – დაუსრულებელი სიცილის წყაროდ.

დიახ, ამისთანა დამყოლი, მინდობილი საზოგადოების აბუჩად აგდება კი – იმეორებდა – არც მოსათმენად ეჩვენებოდა და არც მისატევებლად ივანე მაჩაბელს.

მაგრამ ეტყობოდა საზოგადოებაში თანდათან აზროვნება მატულობდა, ბრმად თაყვანისცემას ბოლო ეღებოდა და გზა ეხსნებოდა ცოდნა-კვლევის სურვილს, თუკი ჭავჭავაძეს თავისი სახელის გასაახლებლად და თაყვანისმცემელთა განსამტკიცებლად მიემართა ამისთანა უცნაური საშუალებისათვის – ენაუხვად და გულუხვად თავისქებისათვის თავისივე გაზეთში.

ეტყობოდა მისი მიმკრთალებული შარავანდედის სხივებს მოვარაყება ეჭირვებოდა, გუნდრუკის მკმეველთა საცეცხლურს – ნაკვერჩხლის შეკეთება, თუ თავადი ჭავჭავაძე არა კმარობდა პროზით თავისი სახელის განდიდებას და აწერინებდა თუ სულაც თვითონვე წერდა და ნობათად უძღვნიდა თავისი გაზეთის ხელმომწერთ იმ ლექსს, რომლითაც დაეწყო ივანე მაჩაბელს ეს პატარა წიგნი და რომლითაცვე, ცოტა გადასხვაფერებით, ამთავრებდა.

გადასხვაფერება ის გახლდათ მხოლოდ, რომ თავში გამოცანა იყო ძალიან ადვილი მისახვედრი, და ახლა, რაკიღა გაგვეცნო თავადი ილია ჭავჭავაძის მჭევრმეტყველება, სიმართლე, გულწრფელობა, სიმხნე და მიუფერებლობა, ლექსი პირდაპირ შეიძლებოდა პირველ პირზედ გადაკეთებულიყო და საშვილიშვილოდ გადასცემოდა ჩამომავლობას გაზეთის ფურცლებზე მივიწყებული ეს ამბავი.

დიახ, სამართლიანად უნდა ამბობდეს ილია ჭავჭავაძეო, – ამ სარკაზმით უნდა დაბოლოებულიყო ეს წიგნაკი:

მე არავინ მყავს ბადალი, გრძნობის მცოცხლები მწერალი,
ლომი ვარ, ოდეს განვრისხდე, მარად ძმობისა მღერალი,
ვიტყვი მჭევრსა და გზიანსა, მიპყრია მართლის მწვერვალი,
ვარ ზნემაღალი, გულწრფელი, მხნე, მსრბოლი, მოუფერალი.

* * *

თითქმის გამარჯვებული გახლდათ ივანე მაჩაბელი ბანკის თავმჯდომარის არჩევნების წინ.

ერთი ხელის გაწვდენაღა რჩებოდა, რათა გამოეძევებინა ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკიდან ილია ჭავჭავაძე და სრული ძალაუფლებაც აეღო ხელთ.

გადაებარებინა არამარტო ბანკი, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების წინამძღოლობაც.

საქართველოს წარმოსახვით პრეზიდენტს უკვე გამოსჩენოდა თავისი მემკვიდრე და ჰა – ახლა უკვე იმას უნდა ეგდო ხელთ საპრეზიდენტო სავარძელი.

ბარემღა, განა როდემდე ეცადა?!.

გამოძევება გამოძევებად, მაგრამ ვერ იკმარებდა მაჩაბლის დასი მხოლოდ ბანკის თავმჯდომარის სავარძელს – დღეს თუ დამარცხებულს გაისტუმრებდნენ ილიას, ხვალ ეგება შემობრუნებულიყო და ნაცარტუტა აეყენებინა იქაურობისათვის, სავარძელიც დაებრუნებინა და მაჩაბლისტებისათვის სულ კუდით ქვა ესროლინებინა.

შიშობდნენ, ძალიან შიშობდნენ, და ივანე მაჩაბელს ამ წიგნაკის დასაწერად აქეზებდნენ: აუცილებელია არამარტო არჩევნების მოგება, არამედ სრული განადგურება ილია ჭავჭავაძისა, სამუდამოდ რომ ჩაიქნიოს ხელი და გაეცალოს ასპარეზს, თორემ ეგ ის კაცი არ არის, მარცხს შეეგუოს და რაიმე არ გვიხიმანდროს, და რამდენიმე წელინადში ვაითუ გასაქცევად გაგვიხდეს საქმეო.

არა თანხმებოდა ამ მოთხოვნას ივანე მაჩაბელი.

არ მოეშვებოდნენ და არა, და არც მის იმ არგუმენტს შეისმენდნენ: სრული განადგურება რომ მოვუნდომოთ, ვაითუ საზოგადოებრივი აზრი გადავიკიდოთ და ბევრი მომხრეც დავკარგოთ, ილიას გასტუმრებას ბანკის მმართველობიდან სიხარულითაც რომ შეიძლება შეეგებონ, მაგრამ მისი საზოგადო მოღვაწეობის, მისი წარსული დამსახურების სრულ გაცამტვერებას კი არაფრისდიდებით არ მოითმენენო.

ისინი მაინც თავისაზე იდგებოდნენ: მტკიცედ და შეუვალად.

დავზარალდებითო, – ცდილობდა შეეგონებინა ივანე მაჩაბელს მათთვის.

ჩვენ დაგვიჯერე, ნუ გენანება, თავი თუ არ მოჰკვეთე, ადრე თუ გვიან მოგიბრუნდება და არ დაგინდობს, შენი თავი თუ არ გენანება, ჩვენ რას გვიპირებ, ამ გველეშაპის პირისპირ როგორ გეტოვებო, – ბოლოსდაბოლოს გადამწყვეტი აღმოჩნდებოდა ეს საბუთი, უფრო კი დაჟინება, და... ასე უნდა გამოქვეყნებულიყო ეს წიგნაკი, რომელიც – მოლოდინის საწინააღმდეგოდ – ავად და საბედისწეროდ შემოუბრუნდებოდათ ივანე მაჩაბელსა და მის მომხრეებს.

ხელისგაწვდენაზე დაგულებული გამარჯვება უეცრად ხელიდან გაუქრებოდათ და... არჩევნების მოგებით ილია კვლავინდებურად დაისაკუთრებდა იმ სავარძელს, საიდანაც მისი დაძვრა უკვე აღარც ეჭვებოდათ.

ეს გადამეტება რომ არა, ეს სწრაფვა მთელი მისი მოღვაწეობის გასაბიაბრუებლად და გასაცამტვერებლად, უნდა შეგუებოდა ილია თავისი გამოზრდილის ტრიუმფს, მაგრამ საზოგადოების თანაგრძნობა აშკარად მისკენ გადაიხრებოდა, იმდენ უსამართლობას ამოიკითხავდნენ ამ წიგნაკში, თითქოსდა საბედისწეროდ რომ უნდა გადაქცეოდა ილიას, მაგრამ... საბედისწეროდ მის დამწერს გადაექცეოდა.

მარცხი მარცხად არჩევნებში.

ხელისგაწვდენაზე დაგულებული მწიფე ნაყოფის გაქრობა გაქრობად.

და ვეღარც გაიმართებოდა წელში ივანე მაჩაბელი, დასნეულებულს ლოგინიდან წამოდგომაც რომ გაუძნელდებოდა.

მწარე დამარცხებით, იმედგაცრუების სამსალით ახსნიდნენ მის ასეთ დაძაბუნებას, მაგრამ ასე თუ ვიფიქრებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ არა გაგვეგება რა ივანე მაჩაბლის პიროვნული ბუნების, მისი კეთილშობილებისა და სიწრფელე-სიალალის.

მარცხსა და იმედგაცრუებას კი არა, ამ წიგნაკის დაწერას ვერ გადაიტანდა, ამას ვერ აპატიებდა თავს, და თუნდ ილიას მიეტევებინა და შეენდო, თვითონ უპატიებლად და შეუნდობლად მიიჩნევდა, რაც ჩაედინა, იძულებით, მაგრამ საბოლოოდ ხომ მაინც მას გადაეწყვიტა... და საბედისწეროდაც ეს გაუხდებოდა, თორემ საბანკო არჩევნებში მარცხი რა სათქმელია, დღეს არა, ხვალ მოიპოვებდა წარმატებას, სხვა თუ არაფერი — ასაკით შვილადაც კი ერგებოდა ილიას და მომავალი წინ ჰქონდა...

მაგრამ სადღაც ჩაიკარგებოდა ის მომავალი, ჩაბნელდებოდა და ჩალუსკუმდებოდა, და თალხითაც შეიმოსებოდა, რაკიღა დიდი ხნის სიცოცხლეც აღარ დარჩენოდა ივანე მაჩაბელს.

ლაქაც დააჩნდებოდა ეს წიგნაკი მის ბიოგრაფიას.

და თუ რაიმე გააფერმკრთალებდა ამ ლაქას, მისი უცნაური და აუხსნელი ბედი – გაქრობა, გაუჩინარება, ტრაგიკული შარავანდით რომ მოავარაყებდა მის სახელს, ერთბაშად ამოზიდავდა უფსკრულიდან, აღამაღლებდა და გაასიმბოლოვებდა.

სხვა ვერაფერი გაახუნებდა ამ წიგნაკს „თავადი ილია ჭავჭავაძე და იმისი მოღვაწეობა“:

ვერც უილიამ შექსპირის ტრაგედიების სწორუპოვარი თარგმანები.

ვერც თვალსაჩინო ჟურნალისტური და რედაქტორული მოღვაწეობა.

ვერც მნიშვნელოვანი ღვაწლი თეატრის ასაღორძინებლად.

ვერც შესანიშნავი საბანკო საქმიანობა.

ვერც უდავო და დაუვიწყარი წვლილი ქართული სალიტერატურო ენის სრულყოფა-დაკანონებაში: ილია ჭავჭავაძესა, აკაკი წერეთელსა და იაკობ გოგებაშვილთან ერთად.

მხოლოდღა გამაოგნებელი, უჩვეულო ფინალი მისი დრამატული ბიოგრაფიისა გადაარჩენდა მის სახელს შეუბღალავად.

ახლა ის წიგნაკი გვახსოვს და... აღარც გვახსოვს.

ვკითხულობთ და... ვეღარც აღვიქვამთ.

სადღაც ქრება გაღიზიანება, სადღაც ქრება და ინავლება გაგულისება იმ ტრაგიკული შარავანდის ფონზე... და გვენანება, მხოლოდღა გვენანება ივანე მაჩაბელი ამ წიგნაკის დასაწერად, ისევე როგორც ილიას ენანებოდა, ენანებოდა, ძალიან ენანებოდა... და შვილის დაკარგვასავით განიცდიდა მის უცნაურ ხვედრს, წყალში გაუჩინარებულიყო თუ ზეცაში განლეულიყო, დარწმუნებულით რომ ვერავინ იტყოდა...

თავი მეათე

აჰა კაცი იგი!..

ექვთიმე თაყაიშვილი უნივერსიტეტს რომ დაამთავრებდა და ტფილისში ჩამოვიდოდა, პირველ ორ წელიწადს ილიას იშვიათად თუ ნახავდა – მარტოდენ კრებებზე. სხვაგან კი ვერსად შეხვდებოდა და არც მის რედაქციაში დადიოდა.

მხოლოდ ერთხელ ნახავდა შემთხვევით რედაქციაში, იმჟამად ფრეილინის ქუჩაზე რომ იმყოფებოდა. და იმ საღამოს სულ იმაზე იქნებოდა საუბარი, თუ რა დიდად ევნო ნიკო ნიკოლაძის სტატიას, „ობზორის“ ფურცლებზე დაბეჭდილს, გიორგი ქართველიშვილისა და ზეზემანისათვის. სტატია აღწერდა წარმოუდგენელ ნიაღვარს ატენის ხეობაში, სადაც ეს ორნი ერისთავისაგან იჯარით აღებულ ტყეს ამუშავებდნენ: ნიაღვარი აუარებელ დამუშავებულ ხე-ტყეს იმსხვერპლებდა, მოიტაცებდა და ადიდებულ მტკვარს შერთავდა. ეს დიდ ზარალს მიაყენებდა ამ საქმის თაოსანთ და მათი წარმოებაც შეწყდებოდა.

ნიკოს რატომ კიცხავდნენ და:

სტატიით საჯაროდ არ უნდა გამოეტანა მათი ზარალი, თორემ რა გამოვიდა – მოიჯარადრეებს კომერციული ნდობა დაუკარგაო. ეს ის დრო იყო, როდესაც ნდობას კომერციულ საქმიანობაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა!.. მათ უთუოდ ექნებოდათ ბანკიდან სესხი აღებული და გაზეთი თუ გაუმჟღავნებდათ ზარალს, შემდგომ სესხს ვეღარ მიიღებდნენ.

ილიაც დაამუნათებდა ნიკო ნიკოლაძეს:

– ეს არ უნდა ჩაედინა.

„ივერიის“ რედაქცია შემდგომ გადავიდოდა ავჭალის ქუჩის დასაწყისში, სულ ახალ სახლში, რომელიც აშენდებოდა ილიას თაოსნობითა და მისი დის – ელისაბედ საგინაშვილის ქვრივის – საფასით. ილია თავისი დის ხარჯითა და მის სახელობაზე ორ სახლს ააშენებდა. ეს იმ ადგილას, რომელსაც ვორონცოვის ხიდი პირდაპირ უცქერდა. ერთი სახლი ავჭალის ქუჩაზე გამოდიოდა, მეორე – უკანა ქუჩაზე.

ექვთიმეს ახსოვდა ეს დრო, როდესაც ტფილისში შენობის აგება იაფად შეიძლებოდა. არსებობდა სახლების მაშენებელი რამდენიმე არტელი, რომლებიც ყველა სამუშაოს თვითონ კისრულობდნენ და მზამზარეულს გაბარებდნენ. პატრონები ამ სახლებს ბანკში აგირავებდნენ და მეტწილად ამით იხდიდნენ აშენების ფასს. გირაოს საფასურის შეტანა 20-30 წლობით გრძელდებოდა და ამიტომაც არ უძნელდებოდათ.

ილია სიამოვნებით ჰყვებოდა ხოლმე, თუ რა შესანიშნავად, ღირსეულად აუშენებდა ქართველთა არტელი იმ ორ სახლს – სრულიად ყველაფრით დამთავრებულს – და ბინათა გასაღებებსაც ჩააბარებდა.

თადეოზ გურამიშვილის მიერ აგებული სახლი საგურამოში სულ 25 წელიწადს იდგმებოდა, 1894 წლამდე, ვიდრე ილია გადაწყვეტდა ახალი სახლის აგებას, თუმც კი ის სადა ოთახები და აივანი, სადაც თავისი სიცოცხლის საუკეთესო დღეებს გაატარებდა, ძლიერ ეყვარებოდა.

– ეს სასიამოვნო მოგონებანი არ გაქრებიან, ახალ სახლში ამ მოგონებებით ვისიამოვნებ, – არაერთხელ ეტყოდა არტურ ლაისტსაც ამ ახალი, ლამაზი შენობის აგების დროს, სახლისა, რომლის დამთავრებასაც გერმანელი სწავლული მასპინძელზე ნაკლები სიამოვნებითა და მოუთმენლობით არ ელოდებოდა.

და როდესაც მთის კალთაზე შეფენილ ტყეში ეს სახლი წამოიჭიმებოდა, ილიას სიხარულს საზღვარი არ ექნებოდა და უცხოელ თავისიანს ყმაწვილური აღტაცებითა და ბედნიერებისაგან ათრთოლებული ხმით ეტყოდა:

– ისე მოხარული ვარ ამ საქმის კეთილად დაგვირგვინებითა და ამ მშვენიერი სახლით, თითქოს ჩემს სიცოცხლეში ამის მეტი არა გამეკეთებინოს რა.

– დიახ, ეს სახლი ერთ კარგ ლექსად ღირს, მეტად კი არა, – მიუგებდა არტურ ლაისტი.

– მეტად არა? – ღიმილით ჰკითხავდა ილია.

— რასაკვირველია არა, პირიქით, მგონია თქვენი „ბინდი ალაზნის ველზე“ მეტად ფასობს. ამ სახლის ქვაც აღარ დარჩება, ეს მშვენიერი ლექსი კი ისევე მოხიბლავს უცხოელს, როგორც ქართველს.

ილიას მაშინ უკვე ჭაღარა ექნებოდა გარეული, მაგრამ ჯერაც მხნედ და ჯან-ღონით სავსედ გამოიყურებოდა. აქ ორივე, ამ ფართო ოთახებში, ბევრ სასიამოვნო დღეს გაატარებდა. ახალი სახლის ჩრდილოვანი აივნიდან ყურს დაუგდებდნენ შადრევნის შხუილსა და ღამით არაგვის ბუტბუტს.

— ჩვენო არაგვო, რარიგ მიყვარხარ! ქართვლის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ... შენს კიდეებზედ ჩემი მამული იყო ერთ დროსა გამშვენებულიო! – „აჩრდილში“ თავისებურ სიმბოლოდ უნდა ადინებულიყო არაგვი, რომელიც ამ განზოგადებით დიადდებოდა ილიას თვალთახედვაში, მისი ქვეყნის დიდება ძველი ამ მდინარის წმინდა თვალწინ რომ აყვავებულიყო და მის ზვირთებში ქვეყნის გრძელი მოთხრობა დამარხულიყო.

ნიკოლოზ ბარათაშვილი მტკვრის ტალღებში ჭვრეტდა ქართლის ცხოვრებას.

ილია ჭავჭავაძე – არაგვისა.

ის იქ ჩასტიროდა.

ეს – აქ, გულხელდაკრეფით მის წმინდა წყალს რამდენჯერ ტანჯვით რომ ადევნებდა თვალს. რას დაეძებდა? თავისი ქვეყნის წარსულს, არაგვის წინ დაღუპულ თავის ძველ მამულს, და მხოლოდ სისხლი – მის თვალს დაღალულს – აძლევდა ხოლმე გულსაკლავ პასუხს.

– რისთვის ააგო ილიამ ასეთი სასახლე მოხუცებულობის ჟამს, როცა შვილიც კი არა ჰყავს? – ლაისტსაც გააგონებდნენ.

და უცხოელ სტუმარს ყოველთვის გული ეკუმშებოდა და დროის გადასახედიდან გუნებაში გაეპასუხებოდა სხვის საქმეში ცხვირის ჩამყოფთ, მითუფრო ისეთი შემოქმედისა, ილია რომ გახლდათ:

განა ვინმეს შეუძლია უარყოს, რომ სასიამოვნოდ მორთული სახლი მშვენიერი ბაღით საუკეთესო საჩუქარია მოხუცისათვის? ხოლო ვინც თვითონვე ააგებს ასეთ თავშესაფარს, იგი ბრძენია და მისი საქციელიც ჩვენი ბუნებისა და არსებობის აზრის დასამტკიცებელიო.

ხოლო ტფილისში აგებული სახლებიდან ერთში მოთავსდებოდა თვითონ ილია, მეუღლესთან ერთად, და მათთანვე – ელისაბედიც. შვილი კი არცერთს არ ეყოლებოდა.

სახლი ორსართულიანი იყო, მაგრამ სარდაფიც ექნებოდა, ხოლო შიგნით, ეზოში, მარცხნივ – ორსართულიანი წაგრძელებული დერეფანი, ფლიგელივით. სარდაფსა და დერეფნის ქვედა სართულში „ივერიის“ სტამბა დაიდებდა ბინას.

პირველი შენობის ზედა სართულს საგანგებოდ რომ ააშენებდა ოჯახისათვის, მისი კაბინეტის კედლები, შესავლის მარცხნივ, დაშვენდებოდა ისტორიული სურათებით: შოთა რუსთველის, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის.

დანარჩენი სამი ბინა – ზედა სართულის მარჯვენა მხარე, პირველი სართული და აგრეთვე ილიას ბინის ქვემოთ – გაქირავებული ექნებოდა.

ილიას სადგომი ფართო ოთახებისაგან შედგებოდა, ეზოს მხრივ შუშაბანდიანი აივანი რომ ეკრა – ზაფხულობით შუშაბანდს ჩამოიღებდა და ზამთრობით კვლავ ჩადგამდა ხოლმე.

დიდი მისაღები დარბაზი ორად გახლდათ გაყოფილი – ერთი მამაკაცების მისაღებად, მეორე კი – ქალებისა.

ამ მისაღები დარბაზის გასწვრივ, შუშაბანდისაკენ, დიდი სასადილო ოთახი ჩადგმულიყო და მასში ხუთშაბათობით იმართებოდა საღამოები რედაქციის წევრებისა და თანამშრომლებისათვის, თუმც ესწრებოდნენ ილიას სხვა სამსახურის – თუნდ ბანკის – თანამშრომლებიც და მეგობრებიც. ამ საღამოებზე ხშირად წაიკითხავდნენ ახალ პოეტურ თუ ბელეტრისტულ თხზულებებს, ის კი არა – სტატიებსაც. არა ცხრებოდა მსჯელობა ათასგვარ სატკივარ-საფიქრალზე. ყოველი საღამო მთავრდებოდა უბრალო ვახშმით, რომლისთვისაც ღვინო მასპინძელს ყოველთვის საგურამოს მამულიდან ჩამოჰქონდა. თამადად კი ყოველთვის ანტონ ფურცელაძეს ირჩევდნენ, თუმც დიდი მჭევრმეტყველებით არ გამოირჩეოდა.

ამ ხუთშაბათის საღამოებს ექვთიმეც დაესწრებოდა 1890 წლიდან, რაც „ივერიაში“ თანამშრომლობას დაიწყებდა და მისი „სამი ისტორიული ხრონიკაც“ გამოიცემოდა.

ეს ხუთშაბათობები დემოკრატიული ყაიდისა იქნებოდა, თუმც ექვთიმე იმის გახსენებასაც დაისაჭიროებდა, რომ ილია მიღებული იქნებოდა იმ წრეში, რომელშიაც შედიოდნენ დიდრონი თავადები: ტფილისის გუბერნატორი შერვაშიძე, გენერალი ნინიკა ამილახვარი, გენერალი ზაქარია ჭავჭავაძე... ისინი ჩვეულებრივ რომ მართავდნენ ეგრეთწოდებულ ჟურ-ფიქსებს

და ილიასაც ყოველთვის პატიჟებდნენ, მასაც რასაკვირველია სამაგიერო პატივი რომ უნდა მიეგო მათთვის, და მიაგებდა კიდეც, მაგრამ ასეთ წვეულებაში დემოკრატთა გარევა მათთვისვე იქნებოდა უხერხული და... ილია არც გაურევდათ.

ყველას მოეხსენებოდა, მთავრობის უმაღლესი წრეები გარკვეულ ანგარიშს რომ უწევდნენ ილიას, ყურს უგდებდნენ მის აზრსა და შუამდგომლობას, ექვთიმე კი იმ ფსიქოლოგიურ გარემოებასაც მიაქცევდა ყურადღებას, რომ:

ილია წინდახედულებას იჩენდა და თუ რომელიმე უმაღლესი ხელისუფალი უხეშობით გამოირჩეოდა, მასთან არავითარ ურთიერთობას არ იქონიებდა, არც ეჩვენებოდა და არც საქმისათვის მიადგებოდა.

აგერ თუნდ მთავარმართებელი გოლიცინი – ნამდვილი სალდაფონი: ვინც უნდა ხლებოდა, ყველას უყვიროდა და უკმეხად ელაპარაკებოდა. და ისე წავიდოდა ტფილისიდან, ილია არც გაიცნობდა და არც რაიმე საქმეზე მივიდოდა მასთან, თუმც ყველა შეიტყობდა, რარიგ ესწრაფოდა გოლიცინი ილიას გაცნობას, რადგანაც თავის ადიუტანტს საშიკო ორბელიანს არაერთხელ ეტყოდა:

– გამაცანით ილია!

ის რომ ძალიანაც დაფაცურდებოდა ამ ორი ადამიანის შესახვედრად და, რაკიღა ილია გაერიდებოდა, არაერთ პიროვნებასაც ჩარევდა ილიას გარემოცვიდან და საახლობლოდან მის დასაყოლიებლად, რად უნდა ლაპარაკი, მაგრამ...

ილიას რაიმე არა სდომებოდა და ვინმე დაითანხმებდა?

პირველი შეხვედრისას – თუკი ეს მოხდებოდა – მთავარმართებელი განსაკუთრებული თავაზიანობით რომ მოექცეოდა და ეგებ ფეხქვეშაც გაგებოდა: შენ მხოლოდ ისურვე და ინატრე, შენი ხმალი და ჩემი კისერიო, – დიდი რამ ვარაუდი არ ესაჭიროებოდა, მაგრამ მთავარმართებელი თავის ბუნებას ვერ გადავიდოდა და ერთხელაც იქნებოდ ჩვეული უხეშობითა და უკმეხობით მიმართავდა ილიასაც, რომელიც არაფრისდიდებით არ მოითმენდა და ისე შეეტაკებოდა, იქნებ დუელშიც გამოეწვია... მთავარმართებელთან დუელს ვინ დაანებებდა და... ყოფილიყო თავისთვის გოლიცინი – უიმისოდ გაეძლო ილიას აქამდე და კიდევ გაძლებდა როგორმე...

ვორონცოვ-დაშკოვთანაც და მის წინამორბედ შერემეტიევთანაც დაახლოებული იქნებოდა ილია და ხშირად ქაღალდსაც კი ითამაშებდნენ ერთად. იმათთან მთლად ასე გაშინაურდებოდა, ამასთან კი...

ერთხელ თეატრში მისულ გოლიცინს საშიკო ორბელიანი შორიდან დაანახვებდა:

– აგერ ილია, მოპირდაპირე ლოჟაში.

მთავარმართებელი დურბინდს მოიმარჯვებდა და იქიდან დაუწყებდა თვალიერებას, ეს სიტყვები რომ დასცდებოდა:

– რა შესანიშნავი თვალები აქვს!

ვინ – გოლიცინი და... საქებარს ამბობდა? თანაც კაცზე, რომელსაც ახლოს ვერ მიიკარებდა? და... თანაც მისი თვალები რომ გააოგნებდა, რაკიღა

ასეთი თვალები არასოდეს ენახა... ისე რა საინტერესოა, თვალების დაფასება რომ შეძლებია!..

იყო დრო, საზოგადო მოღვაწეებს როდესაც რაიმე საქმე ექნებოდათ რუსის მთავრობასა და მოხელეებთან, უსათუოდ დიმიტრი ყიფიანს გაიძღოლებდნენ ხოლმე.

ახლა კი ისე მოხდებოდა, რომ დიმიტრის მოვალეობას ილია გადაიბარებდა და უკვე ის უნდა წაემძღვარებინათ. თორემ მის ჩაურევლად მთავრობის წარმომადგენელნი ქართველებს ან არ მიიღებდნენ, ანდა – თუკი მიიღებდნენ – მათ სათხოვარს ერთ ყურში შეუშვებდნენ და მეორედან გაუშვებდნენ.

დიმიტრი ყიფიანი ამ როლს დიდი ხალისით ასრულებდა.

ილია ჭავჭავაძეს კი... ყველა ატყობდა: ეზარებოდა ამ როლის შესრულება და ხშირადაც ყოყმანობდა და მავედრებელი თვალებით შემოჰყურებდა მთხოვნელს: ეგება გადაიფიქროს და უჩემოდ მონახოს მთავრობაში მისასვლელი გზაო.

რამდენ რამეში ჩახედულიყო, თითქმის ყველაფერში გარკვეულიყო, რაც გარშემო ხდებოდა, მაგრამ ხომ მაინც რჩებოდა ესათუის საკითხი, რასაც ნაკლებ იცნობდა?!. მაინც არ მოეშვებოდნენ და ექვთიმე თავსაც იმართლებდა და სხვა მთხოვნელთაც ამართლებდა:

აბა რა გვეღონა, რაკიღა სხვა შესაფერისი ადამიანი არა გვყავდა, მაინც ყოველთვის ილიასათვის უნდა დაგვეკისრებინა ყველა საქმეო.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოსაცხადებლად მზადებაშიც თუ იქნებოდა ილია ჩარეული, ხომ თითქოს ძნელი წარმოსადგენია?

ის კი არა, როდესაც გადაწყდებოდა დიდი დემონსტრაციის გამართვა, სამღვდელოებასთან ერთად მრევლიც რომ აპირებდა მონაწილეობას და მასწავლებლებიც, და ბაირაღებისა და პლაკატების წაღებასაც განიზრახავდნენ, წარწერით: აღგვიდგინეთ ავტოკეფალიაო, – წინასწარ შეკრებებს ილიაც რომ დაესწრებოდა და ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რაღაც ჭიანურდება საპროტესტო გამოსვლაო, უეცრად განუცხადებდათ:

– თუ საჭიროა, მე წაგიძღვებით...

თავშეკავებულობით რომ გამოირჩეოდა და ყველასთვის გასახარი ისიც იქნებოდა, თუკი დემონსტრაციას ისიც აედევნებოდა, აგერ რა გარევა და რომელი გარევა, მთლად წინამძღოლობასაც კისრულობდა.

მაშ არადა მხოლოდღა გაკარებას იყაბულებდა, თუმც სოციალისტები და მარქსისტულ წრეთა წევრები ხან საიდან შემოჰყეფდნენ და ხანაც საიდან: თქვენი თაობის დრო აღარ არის და, თუ მაინცდამაინც ვერ ეშვებით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში გარევას, აჰა და ბოლოში მოეჭიდენითო.

გამოჩენილიყვნენ იმ ყალიბის მწერალნიც – არამცთუ სოციალისტური იდეებით მოხიბლული და დატყვევებული ადამიანები, ეს მსოფლხედვა, მარქსისტული სამოთხის აღთქმით აბრჭყვიალებული, ქრისტიანობის გახალხურებული ვერსიისაგან რომ არც განერჩეოდათ და ამიტომაც მიენდობოდნენ – ერთი სასაცილო ზნე რომ დასჩემებოდათ, როდესაც საპოლემიკოდ გა-

მობრძანდებოდნენ ხოლმე მოედანზედ და სურდათ თავიანთი მოპირისპირისათვის წუნი რამ დაედოთ, ვითომ სახელი გაეფუჭებინათ, საზოგადოებაში აბრუ გაეტეხათ.

აიღებდნენ და: რისი და ვისი ათვალწუნებაც ენებათ, მიაკერებდნენ მხოლოდ ერთ სიტყვას: ძველიაო, – და საქმეს გათავებულად მიიჩნევდნენ და დამში მოსულად.

გასაღიმი კი გახლდათ და გასაცინიც და იმას ჰგავდა: კაცს ახალი ტალახი ძველი ვარდისათვის ემჯობინებინა მარტო იმ მოტივით, ტალახი ახალია და ვარდი კი ძველიო, – მაგრამ წუთისოფელი ისე დატრიალებულიყო, ამ ყალიბის მწერლებიც და მათი მიმდევარნიც იმხელა მოედანს მოიპოვებდნენ ჩვენს უმეცარ წვრილფეხობაში, ჩვენი ბულვარის აკადემია საკმაოდ დიდ წრეს შემოიკრებდა მკითხველებისა, რომელიც ავისა და კარგის გასარჩევად კმარობდა ორად ორ სიტყვას: ძველია, ახალია!.. ამ ორ სიტყვას დაიხვევდნენ ხელზე და, სხვა ყველაფერში უღონონი, თავს „ახლობით“ მოიწონებდნენ, სხვას კი „ძველობით“ დასდებდნენ წუნს.

და შეეცდებოდა ილია შეეგონებინა, ვისაც ყურნი ასხდა სმენად, რომ:

ამისთანა მანერას მწერლობაში დიდი ხანია იქაც თავისი დრო მოეჭამა, საცა დაბადებულიყო და საცა პირველად გაჩენილიყო ქვეყნის სასაცილოდ.

რუსეთს გულისხმობდა და მიადევნებდა:

ჭეშმარიტების უარყოფა მარტო იმით, რომ ძველია, და ტყუილის გაყვანა ჭეშმარიტებად მარტო იმით, რომ ახალია, რაც გნებავთ ბრძანეთ და სასაცილოზედაც მეტია. აგეთი სასწორი, აგეთი გარჩევა კარგისა და ავისა, მართლისა და ტყუილისა მარტო იმის მომავლინებელია, რომ კაცს არც კარგი ესმის, არც ავი, არც მართალი უცვნია, არც ტყუილი, და ამაოდ ჰფქვავს მინდმოკლებული წისქვილივით. სასაცილოზედ მეტი არ არის, მაშ რა ეშმაკი და ქაჯიაო!..

თითქოსდა ამ ვითარებაზე თქმულიყო ის ანდაზა, ილიას ხშირად რომ წამოაგონდებოდა ხოლმე: ახლისა ნამუდრაგალსა ძველის ჯობია ჩანჩალიო.

ბეწვის ხიდი კი იქ გაბმულიყო, რომელზედა გავლას საღი ჭკუა ესაჭიროებოდა, მართლის სიყვარული და ვაჟკაცური გამბედაობა, ნამეტნავად ჩვენში, სადაც უფროსერთი მარტო იმისათვის თრთოდა და ძრწოდა: ბულვარის აკადემია რას მეტყვის, მომიწონებს თუ დამიწუნებსო.

ანუ: ახლობაში ჩამოართმევდა თუ ძველობაში. და ტკივილსაც ამაში ხედავდა, ამ გამოუდეგარი და ყოვლად უხეირო იარაღის გამოყენებაში, სხვისაგან ნათხოვარსა და სხვის გამონაცვალში, ერთ დროს ძალიან ხშირადაც რომ ხმარობდნენ რუსეთში, მაგრამ მალე ნახავდნენ, რომ მარტო ბელურების საფრთხობელად თუ გამოდგებოდა, და დიდი ხანია თავს დაანებებდნენ... ხოლო გამონაცვალს ჩვენები მიესეოდნენ და დაეპატრონებოდნენ, თითქოს სასახელო რამ ყოფილიყოს. გაჩუმებით კი ბევრს აკმენდინებდნენ ხმას ამ უხეირო და ნათხოვარ-გამონაცვალი იარაღით და...

„ბულვარის აკადემიას“ „უარმყოფელობა ჩვენში“ უნდა მოჰყოლოდა, უშუალო გაგრძელება იმ თემისა, ასერიგად საჭირბოროტო რომ გამხდარი-

ყო და ყოფითი რეალობა და ფსიქოლოგიური ატმოსფერო თვალდათვალ იცვლებოდა, დროს რომ შეემთხვეოდა ხიფათი, ადამიანის ლოგიკასაც გზა შეეშლებოდა, მავთულები მოეშლებოდა თუ ღერძი გადაუბრუნდებოდა. ეგ კია: სუყველაფერი აირდაირეოდა, ტყუილი და მართალი ვეღარავის გაერჩია, ქვენაგრძნობა ზენაგრძნობათა ადგილას გამეუფებოდნენ, ცოდვა მადლის პირბადეს ჩამოიფარებდა, ყალბი ხალასად გადიოდა და ნაძირალა – თავანკარად, თითქოს ჭკუისა და გულის აღებ-მიცემობაში აღარ იშოვებოდა საწყაო ცოდვისა და მადლისა, ტყუილისა და მართლისა.

ეს უნუგეშო ყოფა ხშირად რომ ჩააფიქრებდა და მოწყურდებოდა გამორკვევა მიზეზისა, უფრო იმიტომ, რომ: ეს არევდარევა აზრებისა, ეს განურჩევლობა ტყუილისა და მართლისა, ბოროტისა და კეთილისა, არსად სხვაგან ისეთი თავმოწონებით არ გათამამებულიყო, არ გაკადნიერებულიყო, როგორც ჩვენში.

ეს ადვილი მისახვედრი აღმოჩნდებოდა:

სულელობას ოღონდ კი მეცნიერების სახელით გამოსულიყო მოედანზედ და ლიბერალობა მიწეროდა ქვეშ, არსად იმისთანა უვიცობის ხნული არ დახვდებოდა ფეხის მოსაკიდებლად, როგორც ჩვენში, საცა ჭკუა და გული ადამიანისა დღესაქამომდე სხვისი ნასუფრალით იკვებებოდა აუწონ-დაუწონელად.

კმაროდა მხოლოდ ყური მოეკრათ ჰოსა თუ არასათვის, და გათავდებოდა საქმე, ყოველგვარ სასაცილობას წამოაყრანტალებდნენ, გამოუძინებლად, საბუთის უკითხველად, ნამეტნავად მაშინ, თუ ყურში წასჩურჩულებდით: ეს უკანასკნელი სიტყვაა მეცნიერებისა, ახალი მოძღვრებაა, ახალი მიმართულებაა და უეჭველი ნიშანი ლიბერალობისაო.

მაგალითების მოსაძიებლად დიდხანს არ დაშვრებოდი.

კაცი მოგითხრობდათ: საქართველოს სამი ათასი წელიწადი უცხოვრია და ამ სამი ათას წელიწადში არც ხელი გაუნძრევია, არც ჭკუა და გონება უმოქმედებია, არც გული და გრძნობა გამოუჩენია, არც წესი და რიგი ცხოვრებისა გამოურკვევია, არც არაფრის ცოდნა და გაგება ჰქონია, ერთი სიტყვით – ისტორია არ გააჩნიაო.

გამოეპასუხებოდი ისეთი მტკიცე და შეუვალი არგუმენტით:

თუკი ყოველი ეს მართალია, მაშ როგორღა გაუძლია საქართველოს დღემდე, რას შეუნახავს ამ სამი ათას წელიწადში და რატომ მტვრად არა ქცეულა ამდენ მტრებს შორის მოქცეულიო?

წესითა და კანონით უნდა ეღიარებინა იმას შენი სიმართლე, მაგრამ წესკანონს ვინ დაგიდევდა.

– ეჰ თქვენ რა იცით? – მოგიგებდათ, – თქვენ ჰოს მთქმელები ხართ და მე უარმყოფელი, თქვენ ძველ მოძღვრებას მისდევთ და მე – ახალსა.

გამოვიდოდა მეორე და დაიძახებდა:

შექსპირი რა კაცია, ერთხელ ერთ სულელს წამოურახუნებია – დიდი მწერალიაო, და თქვენც, არანაკლებ სულელებს, გჯერათ. აბა რა მწერალია, რომ იმდენი რაღაცები დაუწერია და აბა თუ ერთგან ნახსენები ჰქონდეს „რაბოჩი ვოპროსი“ – მუშათა საკითხიო.

გამოვიდოდა მესამე და დაიძახებდა:

ჩვენი მწერლები სულ მუხანათები და ქვეყნის მოღალატენი იყვნენ, რადგანაც ბატონყმობის სიმწარეზედ ხმა არ ამოუღიათო.

გამოპასუხებით მასაც დამაჯერებლად გამოეპასუხებოდი:

კაცო, ეგ რა ადლი დაგიჭერია ხელში? არისტოტელე არამცთუ სწუნობდა დღეს სამართლიანად გაკიცხულსა და მოსპობილ ბატონყმობას, არამედ უფრო უარესის – მონობის მომხრეც იყო, და აქედან განა ის გამოდის, რომ არისტოტელე სულელი იყო და ქვეყნის მუხანათიო? ეგრე ხელაღებით უარყოფა გაგონილა! მაშ ჰომეროსიც ჩვარში გასახვევია, რომ ბატონყმობა არ უხსენებია თავის „ილიადაში"-ო? მაშ ჩარლზ დარვინიც ქვეყნის მოღალატეა და ჭკუისგლახა, რომ თავის სახელოვან თხზულებაში „სახეობათა წარმოშობა" ერთი სიტყვაც არ დაუხარჯავს ბატონყმობის თაობაზედო?

მაგრამ რას შეასმენდი, კვლავაც თავისას რომ გაიმეორებდა:

იმიტომაც არ გაგეგებათ მათი მუხანათობისა და მოღალატეობისა, ძველი მოძღვრებისათვის თავი რომ ვერ დაგიღწევიათო.

გამოვიდოდა მეოთხე, სულ სხვა ჯურისა და მოდგმის კაცი, და დაიძახებდა:

თქვენ, ქართველები, ვინა ხართო? გუშინ ჩამოთრეულხართ საიდღამაც მთებიდან და დიდად თავი მოგაქვთ – ძველი მკვიდრნი ვართ საქართველოსიო.

თუ დასაბუთებულ სიტყვას შეუბრუნებდი და... ის მაინც თავისას არ დაიშლიდა და მოგიგებდათ:

თქვენ თქვენს თავისმოყვარეობას მთლად გაუტაცნიხართ და მართლმოყვარეობა დაგიკარგავთ. თქვენს თვალში მართალს თავისი ფასი არა აქვს, თუ თქვენთვის სასიამოვნო არ არისო.

– მართალია კია, რაცა თქვი? – ჰკითხავდი დაჟინებულ უარმყოფელს, რომელიც დიდგულად შემოგიტევდა:

მე კი უარვყოფ და მართალია თუ არა, ეგ ჩემი საქმე არ არის. მაგისთვის თავი შენ გაიცხელე, თუ გესიამოვნებაო.

აქაც იგივე ქებული უარყოფა შეგრჩებოდა ხელთ, სხვა სარჩულზედ ამობლანდული.

და ილია განაცხადებდა:

ეს სხვა ჯურის უარყოფაა და სხვა სათავიდან მოდის. ამას ყური არ ეთხოვებაო.

სულ სხვა იყო ჩვენი შინაური უარმყოფელობა.

ის რაღაც სიბრძნეს, ცოდნასა და ლიბერალობას ჩემულობდა, და თუ გამვლელ-გამომვლელი თავს არ უკრავდა და მუხლს არ უყრიდა, ყველა სულელი ეგონა, უცოდინარი და რეტროგრადი. ამის მსმენელ ბალღებსაც სჯეროდათ ეს ყველაფერი და... მისი ვნებაც აქ იჩენდა თავს.

შეეცდებოდა უარმყოფელობის ბუნების, მისი შინაგანი მექანიზმის ახსნას, მისი ზიზილ-პიპილების ჩამოფხეკასა თუ ნიღბის ჩამოგდებას, რუსულ უარმყოფელობას გაიხსენებდა, „ოტრიცანიეს" – და ვინც ამ სიტყვას იყენებდა, მისი სარბიელი ვიწრო ფარგლით შემოევლო, რათა „არას თქმისათვის" ვინმეს

„ჰაშას კვრა“ არ შეეწამებინა, რადგანაც „ჰაშას კვრა“ მტყუანისა და სულელის ხელობად მიიჩნეოდა და არა მართლისა და ჭკუათამყოფელისა.

ამგვარი უარმყოფელობა არსად ყოფილიყო მიღებული და მარტო რუსულ ლიტერატურას როგორღაც აეკვიატებოდა. ეს ძველისძველი ამბავი გახლდათ და ცრუობდნენ ისინი, რომელნიც ამ უარმყოფელობას ახლის სახელით ასაღებდნენ.

ეს უარმყოფელობა არსებობდა ქვეყნიერებაზე და იარსებებდა კიდეც, ვიდრე კაცის გონება არ დაცხრებოდა ჭეშმარიტების ძიებისაგან, ხოლო ამ ძიებაში – დაე შეეგნოთ და გაეთვალისწინებინათ – მარტო „არა“ კი არ მოქმედებდა, „ჰოსაც“ ისეთივე ღვაწლი მიუძღოდა, როგორც „არას“.

და გრძელდებოდა მხურვალე მცდელობა ილიასი, რათა გამოხსნოდნენ მიამიტი ადამიანები უარმყოფლობის გარეგნულ ხიბლსა და ბრჭყვიალებას და დაენახათ, რომ:

ყოველი ჭეშმარიტება, ყოველი საქმე, რაც კაცობრიობას აღმოეჩინა ადამიანთა ცხოვრების გულის, გონების განსაკარგავად, გასაძლიერებლად, წარსამატებლად, ჰოსა და არას ჭიდილით მოეპოვებინა. ჭეშმარიტების აღმოჩენას, საქმეს ცხოვრების ასეთუისე გაწყობისა და გარიგებისას, სხვა გზა არა ჰქონდა ამ ერთადერთი გზის მეტი. მართალია გამარჯვება ერთისა თუ მეორისა, ჰოსა თუ არასი, ყოველთვის არა ნიშნავდა ჭეშმარიტების გამარჯვებას, მაგრამ მაინც ჰოსა და არას ჭიდილი გახლდათ ერთადერთი გზა ჭეშმარიტების აღმოჩენისაც და პოვნისაც.

შეჭიდება ჰოსა და არასი, მათი ურთიერთდაპირისპირება და ამ გზით კვლევა მართლისა, კრიტიკა გახლდათ, კრიტიკა, რომლის ბუნებაც მოითხოვდა, რომ ერთსადაიმავე დროს ერთიდაიმავე საგნის კვლევაში ჰოსაც და არასაც ამოქმედებდა მართლის გამოსარკვევად და გამოსაჩენად. და ნებას არ იძლეოდა, რომ ან ერთს და ან მეორეს ცალკე გაეწია და ცალკერძ ეჭიმა ჭაპანი ძიებისა და კვლევისა.

და სახიერებისათვის ამ სურათს მოიშველიებდა:

როგორც ურემი სწორად ვერ გაივლიდა, თუ ცალმხრივ გააწევინებდი ხარს, ისეც ძიება და კვლევა ჭეშმარიტებისა – ცალკერძ ტარებული და განზიდული.

თუკი უარმყოფელობის სახელქვეშ კრიტიკა ეგულებოდათ, მაშინ მარტო ესღა შეიძლება თქმულიყო ჩვენს შინაურ უარმყოფელებზედ: ღმერთო, შეუნდე, რამეთუ არ იციან რას იქმან, და სწორედაც შესანდობარნიც არიან, რადგანაც არცოდნა არცოდვააო.

დრომოჭმულისა და ძველის იარლიყით მოიხსენიებოდა: ერი და ეროვნულობა.

დრომოჭმულისა და ძველის იარლიყით მოიხსენიებოდა: მშობლიური ენა და ისტორია.

დრომოჭმულისა და ძველის იარლიყით მოიხსენიებოდა: ეთიკა და ზნეობა.

დრომოჭმულისა და ძველის იარლიყით მოიხსენიებოდა: რელიგიური რწმენა.

დრომოჭმულისა და ძველის იარლიყით მოიხსენიებოდნენ: დამცველნი სულიერ და მარადიულ ღირებულებათა, და უპირველესად – ილია ჭავჭავაძე, როგორც წინამძღოლი და სიმბოლური სახება 60-იანელთა თაობისა, რომელნიც ამჟამად განაგებდნენ ყოველივეს და კვალში ჩადგომოდნენ ახალი ჟამის წინასწარმეტყველს უდაბნოს გზებზე მიზანსწრაფვისას აღთქმული ქვეყნისაკენ.

იდგა ამბიონზე გაბრიელ ეპისკოპოსი და წარმოსახავდა სურათს იმ საზარელი მხეცისა, რომელიც ევროპას მოვლენოდა ახირებული, უფრო კი გადარეული პარტიის სახითა და სახელით: მთელი ქვეყნის მოწყობილობის, ჩვეულების, რჯულის, ყოფაქცევის გამოსაცვლელად და გადასაბრუნებლად.

დაეწყო ამ პარტიას თვისი საქმიანობა იმ შეგონებით, რომ:

ქვეყანა ცუდად დაწყობილიყო, რაკიღა ზოგი მდიდარი გახლდათ და ზოგიც ღარიბი, ზოგს ბევრი ქონება მოეპოვებოდა, მიწა-წყალი, ზოგსაც არაფერი. და ამიტომაც:

საკუთრება არავის არაფერი უნდა ჰქონოდა, ყველაფერი საზოგადო უნდა ყოფილიყო.

რაღა კაცთა საზოგადოება და რაღა ნახირი!..

ასე მოჩანდა ზნეობრივი გადმოსახედიდან.

ზნეობას ამაგრებდა წესიერება, საღვთო და სამოქალაქო რჯული?

ამიტომაც უნდა შემუსრულიყო ეს ყოველივე – აღარც ეკლესია უნდა ყოფილიყო ქვეყანაზედ, აღარც ლოცვა, არც არავითარი წესრიგი.

მარტო სიტყვით, ქადაგებით, გარეგნული ხიბლით ბევრს ვერას გახდებოდნენ იმ პარტიის წევრნი, მიმდევრებს კი ბლომად იშოვნიდნენ, მაგრამ იმდენსაც ვერა, დადგენილი წეს-კანონი ამოეყირავებინათ?

და კიდეც მიიღებდნენ ავაზაკურ მიმართულებას, რომლის მსგავსიც არა ყოფილიყო ჯერეთ ქვეყანაზედ.

უბრალო ლაპარაკისას ითქმოდა:

ძალად ღმერთიც კი ვერ აცხონებს კაცსაო.

და ამ პარტიას სურდა ძალით გაებედნიერებინა სამყარო?

კიდეც რომ მათი აზრი და მიზანი ქვეყნის გაბედნიერება ყოფილიყო, ნუთუ შეიძლებოდა სიკვდილით, მოწამვლით, ავაზაკობით გაბედნიერება ქვეყნისა?

იმ დოქტრინის მიმდევარნი, ვინც მათ სიტყვასა და სწავლას არ იჯერებდა, ხოცავდნენ, წამლავდნენ, წვავდნენ და ირწმუნებოდნენ: ქვეყანა უნდა გავაბედნიეროთო!..

იდგა ამბიონზე ამღელვარებული, ძველთა მამათა შესადარი ეპისკოპოსი, გონების თვალით რომ ჭვრეტდა ამ დოქტრინის შემოჭრას კავკასიის ქედს გადმოლმაც და მისით დაბანგულ ადამიანთა ჯგუფს, რომელთაგანაც ყველაფერი იყო მოსალოდნელი, ყოველგვარი ცოდვა და დანაშაული. და კითხულობდა გაოგნებული:

რას დაეცა და დაემახინჯებინა ეს პირნი თანადროულ განათლებულ სინამდვილეში?

დაწვრილებითი ახსნისათვის ოდესმე მოიცლიდა, ამჟამად კი მოკლედ მოჭრიდა:

უმთავრესი მიზეზი ამისა გახლდათ დამცირება, დაცემა სარწმუნოებისა, ქრისტიანული ზნეობისა.

ერთხმად აღიარებდა ყველა, რომ:

იმ დოქტრინის მიმდევარნი იყვნენ ურწმუნონი და გასაოცრად გარყვნილნი, რომელთაც ქვეყანაზედ არაფერი მიაჩნდათ ცოდვად.

უბედურებად მიითვლიდა გაბრიელ ეპისკოპოსი, რომ აწინდელ სწავლა-განათლებას ფრიად სუსტი და შერყეული საფუძველი ჰქონდა, რადგანაც ყოველ სასწავლებელში მოსწავლეს უტენიდნენ გოგრას ათასნაირი სამეცნიერო აზრებით და ჭეშმარიტს კი ნაკლებ ყურადღებას მიაქცევდნენ.

და თანადროულ ჭკუის განმანათლებელთ მიამსგავსებდა ლაზარეს დას მართას, მასავით რომ უმზადებდნენ ყმაწვილებს მრავალ საჭმელს და... რომელიც იყო საუკუნო სახმარი – შიში და სიყვარული ღვთისა – იმას არ აძლევდნენ.

კი მაგრამ... ყველა სასწავლებელში რომ ასწავლიდნენ ღვთის სჯულს, საღვთო მოთხრობას?

თუმც ასწავლიდნენ ვითარცა ერთ სხვა საგანს, სიტყვიერად, ზეპირად, გოგრაში ჩაუდებდნენ აზრებს, და საქმით კი ზნეობასა და ხასიათს არ უსწორებდნენ.

თუ ამისთანა საშინელი შემთხვევაც არ გაგვაღვიძებდა, სხვას რაღას შეიძლება გაველღვიძებინეთ?!.

საუკუნოდ მძინარეს, მკვდარს დავემსგავსებოდით მაშინ და... დაე ეს ღმერთს განეშორებინა ჩვენგან.

გაბრიელ ეპისკოპოსზე ილია დიდი აზრისა რომ იქნებოდა, დიდი რამ მტკიცება არც ესაჭიროება.

ოლღა აგლაძე შეესწრებოდა გაბრიელ ეპისკოპოსის სტუმრობას ილიას ოჯახში, ნიკოლოზის ქუჩაზე. გაბრიელთან ერთად ესტუმრებოდნენ ნიკო ნიკოლაძე და კირილე ლორთქიფანიძე. იქნებოდა 12 საათი. ნასაუზმევს დიდი პატივით ჩააცილებდა ილია სტუმრებს კიბის უკანასკნელ საფეხურამდე. ასეთი პატივით კი არავის ექცეოდა.

მეორედ გაბრიელ ეპისკოპოსი მარტო ეწვეოდა, დიდხანს ისხდებოდნენ სუფრაზე და დიდხანსაც ისაუბრებდნენ დინჯად. მაშინაც კარამდე მიაცილებდა ილია სტუმარს, შემობრუნებული კი იქ მყოფთ განუცხადებდა:

– ეგ დიდი ადამიანია.

შემორჩებოდა ილიას ბარათი, დათარიღებული 1891 წლის 8 თებერვლით და მიწერილი ამ დიდებულ მღვდელმთავართან.

ბარათი იუწყებოდა, რომ:

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საერთო წევრთა კრებას 1890 წლის 21 ნოემბერს ერთხმად ელიარებინა გაბრიელ ეპისკოპოსის მრავალგვარი სამაგალითო მოღვაწეობა საზოგადოდ და ქართული მწიგნობრობის გავრცელებისათვის საკუთრად, და ერთხმადვე დაედგინა:

უმორჩილესად ეთხოვა მისთვის, მიეღო ამ საზოგადოების საპატიო წევრობა, რათა გაბრიელ ეპისკოპოსის ბრწყინვალე სახელი ჩართულიყო საზოგადოების საქმეებში და მის მონაწილეობას გაეადვილებინა საზოგადოებისათვის გზა – მიეღწია თავისი დანიშნულებისათვის.

ილია, როგორც თავმჯდომარე ამ უწყებისა, უმორჩილესად მოახსენებდა რა გაბრიელის ყოვლადუსამღვდელოესობას ამ განაჩენს, ვალად რაცხდა თავის მხრივ დაერთო, რომ შეესრულებინა სულიერ მოძღვარს ეს ნატვრა საზოგადოებისა მისდა სასიქადულოდ და თავმოსაწონებლად.

1891 წლის 15 თებერვალს გაბრიელ ეპისკოპოსი მოიწერებოდა, რომ:

დიდ პატივად და ჯილდოდ რაცხდა წერა-კითხვის საზოგადოების კრების მიერ მის არჩევას საპატიო წევრად და გამოთქვამდა მზადყოფნას, ჯეროვანი მონაწილეობა მიეღო ამ საზოგადოების საქმიანობაში, ამისთანა მოწოდებისათვის უგულითადეს მადლობას რომ შესწირავდა. ხოლო ილიას სთხოვდა მიეღო მისგან უღრმესი და უწრფელესი მადლობა წერილში გამოთქმული პატივისცემისათვის.

როგორც მღვდელმთავრის მოკრძალებულ, თავმდაბალ ბუნებას შეჰფეროდა:

იგი არ რაცხდა თავს ღირსად იმ ქებათა, რომელიც ამოეკითხა ამ წერილში, და ჰგონებდა, რომ მხოლოდ მეგობრულ განწყობილებას ეპისკოპოსის მიმართ ჩაეგონებინა ილიასათვის ამოდენა ქება გაბრიელისა.

ხოლო ერთ ხუთშაბათ საღამოს ილიასთან შეკრებილთა წრეში რომ წამოიჭრებოდა კითხვა:

– მთავრობა უწევს თუ არა რაიმე ანგარიშს ქართველ მოღვაწეთა ნათქვამს?

ილია იტყოდა:

— კაცმა იცის! მაგალითად, რასაც გაბრიელ ეპისკოპოსი იტყვის, დიდ ანგარიშს უწევენ. ეკლესიის საკითხებში ანგარიშს უწევენ ნიკო ამილახვარსაც.

ეს ნიკო ამილახვარი დიდი მორწმუნე გახლდათ და პირდაპირ ეგზარხოსსა და ეკლესიის სხვა მეთაურებს მიმართავდა ხოლმე, საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა.

ექვთიმე თაყაიშვილის თვალსაჩინოებისათვის გაიხსენებდა, თუ როგორ წააღებინებდა უკან ეგზარხოსს ქართული ლოცვანის დაბეჭდვის აკრძალვის ბრძანებას ნიკო ამილახვარი.

გაბრიელ ეპისკოპოსი რომ გარდაიცვლებოდა – 1896 წელს – ქუთაისის ინტელიგენცია ერთობ დააყოვნებდა მის დამარხვას, რათა საუკეთესოდ მოემზადებინა ქართველობა მიცვალებულის პატივსაცემად: სასტიკი, გაჭიანურებული ზამთარი იდგებოდა და უგზოობის გამოისობით ხალხი ვერ ჩადიოდა.

დამარხვა მაისშიღა მოხდებოდა, გელათის მონასტერში. ბოლოსდაბოლოს დაინიშნებოდა დაკრძალვის დღე და ტფილისის ყველა დაწესებულებიდან გაემგზავრებოდნენ დეპუტატები.

ჭირისუფალთა შორის იქნებოდა ილიაც, წინასწარვე რომ გაემზადებინა სიტყვა, რომელიც საფლავზე უნდა წარმოეთქვა.

დახედავდა ექვთიმე თაყაიშვილი ცხედარს და:

ძვალ-ტყავიღა ჩანდა, არც შექანებულიყო, ისე ცივად შენახულიყო.

„მართალია მღვდელმთავარს არ შეშვენის ასეთი გაუთავებელი გლოვაო, – გაიფიქრებდა, – მაგრამ ქართველების, მეტადრე დასავლელების, ამბავი ყველას მოგვეხსენებაო".

მატარებელში ერთად შეიყრებოდნენ: იგი, ილია ჭავჭავაძე, ლევან ჯანდიერი, ვანო რატიშვილი, ანდრია ღულაძე და კიდევ სხვანი.

და ექვთიმეს მემუარულ ჩანაწერებში თანამგზავრთა სილუეტებიც მოიხაზებოდა.

ლევან ჯანდიერს, ტფილისის მაზრის უფროსს, ილიას დიდ მეგობრად და ერთგულ მომხრედ მოიხსენიებდა, უაღრესად კარგ, ჭკვიან და საზრიან ქართველად, ნამდვილ საქმის კაცად, უკეთესი რომ არ შეიძლებოდა. მისი თაოსნობით იქნებოდა, რომ გადმოსახლდებოდნენ მთიელები მანგლისის მხარესა და კავთისხევში.

ივანე რატიშვილს, მასწავლებელს, ექვთიმე დანიშნავდა სათავადაზნაურო სკოლის დეპუტატად გაბრიელის დაკრძალვაზე და კიდეც გაუმართლებდა. რაღაც ღვთიური კაცი რომ იქნებოდა, ასეთ სიტყვებს შესანიშნავად ამბობდა ხოლმე!..

სულ სხვანაირი გახლდათ ანდრია ღულაძე – დიდი ფართიფურთისა და პრეტენზიის კაცი, ხან რას მოედებოდა და ხანაც რას – საბავშვო ჟურნალსაც გამოსცემდა, იცენზორებდა კიდეც და რომელიღაც უცხო გაზეთისა თუ რაღაცის კორესპონდენტიც გახდებოდა. სწორედ გელათში გამგზავრების წინ გაუგზავნიდა დეპეშას საზღვარგარეთულ გაზეთს ერთ-ერთ უცხოელ კორესპონდენტზე:

– ტფილისიდან ინდოეთს გაემგზავრა და ამას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს სამხრეთ აზიისათვის.

ამ შენიშვნას დაურთავდა ვითომდა საქმეში ჩახედულობის გამოსამჟღავნებლად.

ილიას რომ ეყვარებოდა ასეთ პრეტენზიულ ადამიანთა გაქირდვა, გზად სულ ეკითხებოდა:

– როგორი იყო, ანდრია, დიდ პოლიტიკურ ფაქტად რომ გამოაცხადე იმ კორესპონდენტის წასვლა ინდოეთში?

და ანდრიაც იცინებდა, აბა რაღას იტყოდა, სიტყვას შებედავდა თუ რა? და ექვთიმე სხვათა შორის ჩაურთავდა, რომ ამ ფართიფურთა კაცზე ოხუნჯობა აკაკისაც სჩვეოდა...

მატარებელში ერთ ამათგანს ცხვირის ცემინება აუვარდებოდა და ილია იტყოდა:

– მაგისა არაფერი ვიცი!

მაგრამ გელათში რომ ავიდოდნენ მეორე დღეს, იქ ილიასაც დააცემინებდა სინოტივისა და სიცივისაგან და დაიუხერხულებდა:

– გუშინ ტყუილად დავიკვეხე.

მათთან ერთად ნიკო ღოღობერიძეც რომ მგზავრობდა, ის გაუმასპინძლდებოდათ ქუთაისში, სადაც დილით ჩააღწევდნენ ტფილისიდან საღამოს გამოსულნი, გელათისაკენ კი ეტლებით გაემგზავრებოდნენ.

იმ დროს ქუთაისის პოლიცმეისტერად იქნებოდა ვინმე სიმონიშვილი, რომელზეც ამბობდნენ: დაწინაურებისათვის ყველაფერს იკადრებსო. ლევან ჯანდიერი შეიტყობდა და დანარჩენებსაც ამცნობდა, იმ სვიმონიშვილს ტფილისიდან ზედიზედ რომ მოსდიოდა დეპეშები:

– თვალი ადევნეთ ილია ჭავჭავაძეს და ჩაიწერეთ ყოველი სიტყვა, რასაც წარმოთქვამს.

ხალხი მჭიდროდ ერტყმოდა კუბოს გარშემო და იქნებოდა გაუთავებელი სიტყვები, ზედიზედ რომ გამოვიდოდნენ იმერელი ახალგაზრდები და უზომოდ იენამზევებდნენ, რათა საუკეთესო ორატორებად ეჩვენებინათ თავი. და ექვთიმეს ეხამუშებოდა ეს გადამეტებული თავგამოდება:

სრულიად არ შეეფერება ეპისკოპოსს, მეტადრე ასკეტური სულისკვეთებით განმსჭვალულ გაბრიელს, რომელიც სიცოცხლეში სწორედ რომ არ თანაუგრძნობდა ასეთ საქციელსო.

ამ ყოფაში იქნებოდნენ, რომ საღამო შემოესწრებოდათ და ილია ეტყოდათ:

– ჩემი სიტყვის თქმა აღარ ღირს, მაგრამ ცოტახანს კიდევ დავიცადოთ და მერე წავიდეთ.

ბოლოს მასვე უნდა ეთქვა:

– მივიდეთ ახლა და გამოვეთხოვოთ მიცვალებულს.

ექვთიმე წინდაწინ მივიდოდა კუბოს ირგვლივ შემორტყმულ ხალხთან, რამდენადმე გათიშავდა მათ და ხმამაღლა დაიძახებდა:

– ბატონებო, ცოტა ჩამოდექით და გზა მოგვეცით, ბატონ ილია ჭავჭავაძეს აქვს სიტყვა.

მოგვიანებით ძალიანაც იამაყებდა: „პროვოკაცია“ მოვუწყე ილიასო!..

ხალხი მაშინვე დაიშლებოდა.

ილიაც წამოდგებოდა და წარმოთქვამდა სიტყვას, რომელსაც დიდი პატივისცემითა და აღტაცებით მოუსმენდა დიდძალი ხალხი, ეკლესია რომ გადაეჭედა. და ელოდნენ, ელოდნენ რაღაც ისეთს, ამხელა ტკივილს რომ შეუმსუბუქებდათ და იმედს ჩაუსახავდათ გულში. და აჰა კიდეც...

ლევან ჯანდიერს ძალიან ეამებოდა ილიას სიტყვა და მადლობას მოახსენებდა ექვთიმეს:

– რა კარგი ჰქენ, რომ გამოიწვიე!..

შესანიშნავი რომ იქნებოდა ის სამგლოვიარო გამოსვლა, აღნიშვნაც აღარ ესაჭიროება, ჩვეული სიბეჯითით რომ მოემზადებინა და თანამგზავრებისათვის წინასწარვეც გაეცნო. თვითონ ილიაც კმაყოფილი დარჩებოდა, ზეპირ გამოსვლას რომ ხელი არ შეეშლებოდა, თორემ „ივერიაში“ ხომ დაბეჭდავდა და დაბეჭდავდა გამოსათხოვარს.

თავიდანვე იმისთანა კაცად წარმოსახავდა განსვენებულ მღვდელმთავარს, რომელზე სათქმელიც ზღვა გახლდათ, და ამიტომაც უღონოდ

გრძნობდი თავს – მისი თვალგადუწვდენელი კიდეებისათვის მზერა გადაგეწვდინა მთლად და უკლებლივ, და ისიც აღარ იცოდი, რომელი მხრიდან დაგეწყო ყურება, რადგანაც ყოველი მხრიდან დიდებულად მოჩანდა.

დღეს სამუდამოდ ეთხოვებოდნენ იმისთანა დიდბუნებოვან კაცს, რომელსაც ღმერთი მოუვლენდა ხოლმე ამ ცოდვილ ქვეყანას, რომ ადამიანს მის მიხედვით და მაგალითით შეძლებოდა საკუთარი ზნისა და ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცება.

როგორ ამბობდა ერთი ძველთაძველი ბრძენი?

ნეტა იმას, ვინც არამცთუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის, არამედ მარტო თვისი სახელის ხსენებითაცო.

და აი ყველას თვალწინ მდებარეობდა ის მადლითმოსილი კაცი, რომლის მარტო სახელის ხსენებაც წრთვნიდა თვისტომთ. და საკმაო იყო კაცს გაეხსენებინა მარტოდენ სახელი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომ გულში მადლი ჩაჰფენოდა, ვითარცა მზის შუქი.

თვითეულ წამს მისი ცხოვრებისა მოიხსენიებდა მოძღვრებად, მაგალითად, ანდერძად. ერთიანად კი მის ცხოვრებას შერაცხავდა ერთ დიდ სკოლად მაღალსათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა.

ბევრი თქმულიყო ამ მღვდელმთავარზე და კიდევ ბევრს იტყოდა შთამომავლობა, რომელიც ამ საისტორიე კაცს განიკითხავდა თავისი სამართლიანი განკითხვით.

ილიას სურდა აღენიშნა მხოლოდ ერთი იმისთანა მხარე ამ დიდებული კაცისა, რომელშიაც – სხვათა მრავალ შორის – ცნაურდებოდა ერთი მისი დიდი მნიშვნელობაც.

არ ეგულებოდა იმისთანა სხვა კაცი – საერო თუ სამღვდელო – რომლის გულშიაც მომეტებული მშვიდობისყოფით, მომეტებული დაძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება: გაბრიელ ეპისკოპოსი ღრმადმიწევნილი მეცნიერიც გახლდათ და ამდენადვე ღრმადმორწმუნეც.

აქ წარმოჩნდებოდა – ილიას ფიქრით – მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამცთუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრს ეგონებოდა, მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო.

და აგერ მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსების.

ქვეყანა რომ აღვსილიყო ხილულითა და უხილავით ადამიანის სულიერი და ხორციელი თვალისათვის, და ნება-უნებლიეთ ამ ორ სამფლობელოში დადიოდა მოუსვენრად გონება და გული ადამიანისა, რათა ეპოვნა ბინა და იქ დაღალული სული შეესვენებინა გულთაძვრისა და მსოფლიო ღელვისაგან.

და ამ ორ სამფლობელოს შორის შემაერთებელ ხიდს რომ წნავდა სიბრძნე, ასე იშვიათი ამ წუთისოფელში, სამაგიეროდ მისით ასე აღვსილიყო გაბრიელ მღვდელმთავარი, და სხვა არა იყო რა ეს სიბრძნე, გარდა მეცნი-

ერებისა და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებისა, ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად.

და ამისთანა სიბრძნის მწვდომად მოიხსენიებდა ისააკ ნიუტონს, ერთდროულად ღვთისა და ბუნებისმეტყველს.

ვინც თვალს გადაავლებდა მოძღვრებას სახელოვანი მღვდელმთავრისა, ძნელად იპოვნიდა მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისთვის და ან სარწმუნოება – მეცნიერებისათვის. პირიქით – სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა და მთელი სიბრძნე მისი ამაში გამოსახულიყო.

რას ეტყოდა ერთ ქადაგებაში თავის სამწყსოს, რომელიც ყოველთვის სულგაკმენდილი უსმენდა?

ევედრენით ღმერთს, რომ მომცეს მე ძალა, ჯეროვნად ვემსახურო ეკლესიას ანუ თქვენს ცხოვრებას, რადგან თვითეული თქვენგანი და ჩვენგანი ერთად შეადგენს იმ კრებულს, რომელსაც ეკლესია ღვთისა ჰქვიანო.

ვის ბაგეზე ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვა იქნებოდა, საღვთო წერილიდან ამოკითხული და გაზეპირებული.

და ილია ჭავჭავაძე დაბეჯითებით ადასტურებდა, რომ:

ეს იყო გაბრიელ ეპისკოპოსის სიმბოლო.

ეს იყო მისი განათლებული რწმენა.

ეს იყო მისი გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება.

ეს იყო ის, რასაც სიბრძნე ჰქვია და ურომლისოდაც მსახურება თვისი მსახურებად არ მიაჩნდა, ღვაწლი – ღვაწლად, მადლი – მადლად, საქმე – საქმედ.

ჯერ მარტო ის დაუვიწყარი ქადაგება კმაროდა, ქება-დიდება შრომისა, რომ ზეგარდმო შთაგონებით მღაღადებელ მღვდელმთავარზე გვეთქვა:

მისი ბაგით თვით ღმერთი მეტყველებსო.

ვაი, რომ დადუმებულიყვნენ იგი ბაგენი და... ვინ უწყოდა, როდისღა აღირსებდა ღმერთი ქართველობას ამისთანა კაცს, რომელიც დღეს წაერთმია?

„რაღა როდისღა, აგერ არა ხარ?“ – ერთბაშად წამოუტივტივდებოდა ეს ფიქრი ექვთიმესაც და კიდევ ბევრსაც თავშეყრილ ხალხში, მათი გულისთქმა ერთმანეთს რომ მიებმოდა იდუმალი ძაფებით.

ილია კი თავისას განაგრძობდა, რომ:

ეს დიდი გლოვა ერისა არ გამოწვეულიყო მარტოდენ გაბრიელ ეპისკოპოსის სიბრძნით, რადგან მას კიდევ ორი სიკეთეც მომადლებოდა ღვთისაგან.

ერთი ის, რომ:

იგი გახლდათ შვილი, სისხლი და ხორცი ამა ერისა და მაშასადამე მოეხსენებოდა, რა ტკივილით ემტკივნეულა და რა ნუგეშით ენუგეშა.

და მეორე ის, რომ:

მოციქულობდა მშობლიური სიტყვით, იმ ენით, რომლითაც დღესაც ვადიდებდით უფალს, ვპატრონობდით ქვეყანას და სულსა და გულს ვაწვდიდით ერთმანეთს საუკუნიდან საუკუნემდე.

– ღმერთმაც ვერ გაგზავნა მოციქულნი სხვა ქვეყნად, ვიდრე არ მოუვლინა ცოდნა იმ ქვეყნის ენისა, – ქადაგებდა ეს ღვთისაგან გამოგზავნილი კაცი და ამიტომ თვითონაც ქრისტეს ჯვრით ხელში თავგამეტებით იდგებოდა ჩვენი ენის მწედ და მფარველად.

დიდხანს და დიდხანს დარჩებოდნენ საქმენი მისნი ჩვენდა საოხად, სიტყვანი მისნი ჩვენდა ანდერძად და სახელის ხსენება მისი ჩვენდა სანვრთნელად. და შეაგონებდა თვისტომთ ილია, რომ:

თუ დიდება სანატრელი გახლდათ, აჰა გვესწავლა გზანი დიდების შოვნისანი! ამის მართალ გზად და ცხად მაგალითად მოგვევლენოდა მთელი ცხოვრება ამ დიდებული და მადლიანი კაცისა.

გელათში მცირეოდენს ასაუზმებდნენ, მაგრამ არ ეყოფოდათ და ქუთაისში მოშიებულნი ჩამოვიდოდნენ. ნიკო ღოღობერიძე სადილისათვის მიიპატიჟებდათ ხიდის მახლობლად მდებარე სასტუმროში, რომლის დარბაზში შესულებიც დაინახავდნენ სუფრის ირგვლივ მრავლად შემომსხდარ მოქეიფეებს – პოეტ გიორგი შარვაშიძის მეთაურობით.

მათ შორის იმყოფებოდა ლეჩხუმის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი იასონ გელოვანიც. ყველა უკვე შემთვრალიყო და მალიმალ გალობდნენ საეკლესიო ჰანგს: განუსვენე, უფალო, სულსა მიცვალებულისა მონისა შენისაო.

ამათ დანახვაზე ყველა წამოიშლებოდა და გიორგი შარვაშიძე დაიძახებდა:

– ოოო, ილია გრიგორიჩ! რა სასიამოვნო სტუმარია! აბა ახალი სუფრა!

და კიდეც მიუსხდებოდნენ მაგიდას. მთვრალი მასპინძლები დაადგენდნენ, რომ შემოსწრებულთ ჯერ დაელიათ იმათი სადღეგრძელო, რომელნიც იქ მათ შესვლამდე ისხდნენ, და მერე განეგრძოთ სადღეგრძელოები.

მაგრამ ილიას სადღეგრძელოს მაინც პირველად შესვამდნენ.

კაი გვარიანი ჭიქები იქნებოდა; ხუთ-ხუთს დაუდგამდნენ თეფშზე და შესთავაზებდნენ დალევას, თუმც ნიკო ღოღობერიძე ითხოვდა:

– მშივრები ვართ, ცოტა გვაცალეთ, საჭმელი ვჭამოთ და მერე ყველას გიახლებით.

დაყაბულდებოდნენ.

ილია ჩვეულებისამებრ მადიანად შეუდგებოდა ჭამას და თან ღვინოსაც უანგარიშოდ დალევდა. და იმ ლაპარაკსა და სმაში ნიკო ღოღობერიძე გადაუჩურჩულებდა ლაქიას:

– ილიას ააცილეთ ის ხუთი ჭიქა.

ეშინოდა, არ აწყინოსო. და ლაქია მართლაც მოახერხებდა ილიასათვის იმ ხუთი ჭიქის აცილებას და სხვები, შემოსწრებულები, რომელთაც არ შეეძლოთ სმა, უარს იტყოდნენ აზამბარზე, მათ შორის ნიკოც, რომელსაც გულსუსტობის გამო ღვინო წყენდა. უარზე დადგებოდა მისი ძმაც – სიმონ ღოღობერიძე, რომელიც წინათ ისტორიას ასწავლიდა ქუთაისის გიმნაზიაში, იმ დროს კი უკვე გადამდგარი სახელმწიფო სამსახურიდან, კერძო სათავადაზნურო სკოლას გამგებლობდა.

თამადას ღვინო მოეკიდებოდა და მკვახედ მიმართავდა სიმონს:

– ასეა, თქვენ არასოდეს გვიჭერთ მხარს საზოგადო საქმეებში.

მერე მოჰყვებოდნენ შემოსწრებულთა სადღეგრძელოებს და როდესაც ილიას ერთი თანამესუფრის სადღეგრძელოღა ექნებოდა დასალევი და ეტყოდნენ: მიირთვიო, – მიუგებდათ:

– დიდი სიამოვნებით გიახლებით, მაგრამ გულს მაკლია, რომ პირველად დასალევი ხუთი ჭიქა არ შემისვამს.

– ატატატა, ეგ როგორ მოხდა, ახლავე მიართვით ილიას ის ხუთი ჭიქა! – დაიძახებდა თამადა.

ნიკო ღოღობერიძე ხელს წაჰკრავდა ექვთიმეს:

– საკვირველი კაცია ეს ილია!

მიართმევდნენ იმ თითქოსდა აცილებულ ხუთ ჭიქას და ილიაც ნელ-ნელა, გემრიელად შესვამდა, და ბოლოს იმ ერთი შემოსწრებულის სადღეგრძელოსაც დალევდა...

მართლაც საოცარი კაცი იყოო, – სხვა რაღა ეწამებინა ექვთიმეს თავის მემუარულ ჩანაწერებში, – გულს მაკლიაო, როგორ დინჯად, სერიოზულად უთხრა, არა სურდა, რომ ვინმეს ჩამორჩენოდა იქო!..

ილიას სიმონ ღოღობერიძის ბინაზე მოათავსებდნენ. ექვთიმე მეორე დღეს ადრევე გამობრუნდებოდა ტფილისს, ილია კი იქ დარჩებოდა რამდენიმე დღეს. აჩვენებდნენ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლასაც და სხვა მეგობრებსაც...

ხოლო ტფილისში ილია მის მიერ აშენებულ, მაგრამ დის კუთვნილ სახლში რომ იდგებოდა, მისი შინაური ყოფის ამბებს ექვთიმე ელენე ჯაბადარისაგან შეიტყობდა, სპირიდონ ჯაბადარის მეუღლისაგან, რომელსაც სათავადაზნაურო სკოლის გამგე, ექვთიმეს წინამორბედი ალექსი ჭიჭინაძე მიიწვევდა სკოლის პანსიონის ეკონომად: ილიას რეკომენდაციით.

სპირიდონს მემუარისტი დიდ მეგობრად მოიხსენიებდა ილიასი, ერთ-ერთად მასთან დაახლოებულ მოღვაწეთა წრიდან, ილიასთან ერთად რომ ზრუნავდნენ საქვეყნო საქმეებზე: გიორგი ყაზბეგი იქნებოდა, ივანე პოლტარაცკი, ნიკო ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, აკაკი წერეთელი, პეტრე ნაკაშიძე, ილია წინამძღვრიშვილი, სერგეი მესხი თუ კიდევ სხვანი.

როგორ იყენებდა ელისაბედი თავის შემოსავალს ან რა ხარჯი უჯდებოდა ილიასთან ერთად ცხოვრება, ეს ექვთიმეს აბა საიდან ეცოდინებოდა, ერთი რამ კი ცხადი გახლდათ: ილია მის სახლში იდგა და ბინის ქირას არ იხდიდა. სანოვაგე კი – პური, ღვინო, ხილი, ქათამი, ინდოური, გოჭი... – სულ ოლღას მამულიდან, საგურამოდან ჩამოსდიოდა.

ექვთიმესაც ის შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ:

ილიას გაგიჟებით უყვარდა საგურამოს მამული.

მეურნეობასაც დიდს მოაწყობდა იქ. მშვენიერი სასახლე მშვენიერ სასახლედ და მამულიც შესანიშნავი ექნებოდა – ლამაზი მდებარეობით, ჰავითა და მოსავლით. მაგრამ მთელ იმ რთულ მეურნეობას მოურავების ხელით რომ წარმართავდა, ისინი – რა გასაკვირია – ხეირს არ აყრიდნენ საქმეს.

მისი გატაცებული ბუნება მეურნეობაშიც მჟღავნდებოდა: როგორც კი ამოიკითხავდა გაზეთში, ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღები შემოუღი-

ათო, უსათუოდ გამოიწერდა და გაუგზავნიდა მოურავს. იმათ მათი გამოყენებისა არაფერი გაეგებოდათ და იარაღებიც სულ მალე ფუჭდებოდა – ხან ერთი ხრახნი დაეკარგებოდათ, ხანაც მეორე, და შემკეთებელიც არავინ იქნებოდა.

ერთი სასეირო თუ სამწუხარო ამბავიც დაემართებოდა, გააჩნია, საიდან, რომელი კუთხიდან შეხედავდი.

ილია და ივანე პოლტარაცკი გაზეთში წაიკითხავდნენ, შესაძლებელია წიწილების გამოჩეკა უკრუხოდ, და თანაც ერთბაშად 50-ისა და არა 20-ის, როგორც კრუხი ჩეკავს ხოლმეო. გამოიწერდა ორივე მეგობარი ინკუბატორებს და გაგზავნიდნენ თავთავიანთ მამულებში: ილია – საგურამოში, ივანე კი – ოქროყანაში. წიწილებს მართლა დააჩეკინებდნენ მანქანებს, მაგრამ იმ წიწილებს სხვანაირი მოვლა ესაჭიროებოდათ და, რაკიღა ამის მცოდნე არავინ მოიპოვებოდა, ნელ-ნელა ყველა გაწყდებოდა. ასე რომ, ინკუბატორებსაც თავს დაანებებდნენ.

ერთ ილიაობა დღეს ექვთიმეც ეწვეოდა საგურამოში – ეს იქნებოდა მისი ერთადერთი ასვლა იქ ილიას სიცოცხლეში.

იმჯერზეც ჩვეულებისამებრ დიდ ნადიმს გამართავდა მასპინძელი, მთელს იმ კარგა დიდ სოფელსა და მეზობლებს დაპატიჟებდა და დიდძალი მეგობარ-ახლობელიც ესტუმრებოდა. იაკობ მანსვეტაშვილი აკი ჰომეროსის ნიჭს ნატრულობდა ამ ნადიმთა აღსაწერად: შესაფერის პოეტურ საბურველში გაეხვეოდაო.

საღამოს, ხალხი რომ დაიშლებოდა, ექვთიმეც შერჩებოდა ილიას აივანს, საუბრისას მასპინძელი ამასაც რომ გამოურევდა:

– მე ვითომ ჭკვიან კაცს მეძახიან, მაგრამ რომ დავფიქრდები, ჭკუა არა მქონია: ეს სახლი 40 000 მანეთი დამიჯდა, ამ ფულით ტფილისში ორ დიდ სახლს ავიშენებდი და მათი შემოსავალი მარჩენდა, ახლა კი ვალებში ვარ ჩავარდნილი.

ახსოვდა ექვთიმეს ის დრო და განწყობილება, თუ როგორ არ უჯერებდნენ ილიას, როდესაც ირწმუნებოდა:

– ვალები მაქვს და „ივერიის“ გამოცემა შემოსავალს კი არ მაძლევს, ჩემს ფულს მადებინებს.

მაგრამ მართალს რომ ამბობდა და არც არას აჭარბებდა, თვალნათლივ დადასტურდებოდა, როდესაც ილია გამომცემლობას გადასცემდა ერთ მცირე წრეს, რომელსაც მეთაურობდა ალექსანდრე სარაჯიშვილი – ჩინებული პიროვნება, „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილების გამორჩევას რომ ჩაუჯდებოდა და მკითხველს გააცნობდა ჟურნალ „მოამბის“ ფურცლებიდან, ნომრიდან ნომერში; მერე ექვთიმე თაყაიშვილთანაც იმუშავებდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, ხაზინადრადაც, მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგედაც და დიდად ენერგიულ დახმარებასაც გაუწევდა. და ეს ალექსანდრე სარაჯიშვილი და მისი ამხანაგები რამდენიმე თვის თავზე დარწმუნდებოდნენ, რომ გამომცემლობა მართლაც საზარალო გახლდათ და რასაკვირველია მიატოვებდნენ ამ საქმეს.

როდესაც ილიას მოჰკლავდნენ და კომისია მის ქონებას აღწერდა, აღმოჩნდებოდა, რომ ბევრი არაფერი დარჩენოდა.

თავისი საგვარეულო მამული და ნივთიერი ქონება მცირე რომ უნდა ჰქონოდა, მოწმობდა მისი სულ უბრალო სახლი და პატარა მამული ყვარელში.

ცოლის მზითევის – საგურამოს მოზრდილი მამულის – შემოსავლით რომ იცხოვრებდა და დის დახმარებით, ექვთიმეს არ ეცოდინებოდა, სხვა რა მოეპოვებოდა – ფულად თუ ნივთიერად – ელისაბედ საგინაშვილისას, რომელსაც ეყოლებოდა მოურავიც, ილიას სტუდენტობის ნაამხანაგარი მიხაკო ჩიკვაიძე, ილიასთან ერთად რომ განაგებდა ამ სახლებს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ილია რომ მიატოვებდა ბინას ელისაბედის სახლში და იქირავებდა პატარა სახლს ანდრიას ქუჩაზე.

რა შეიძლება ყოფილიყო მიზეზი ილიას ამ უეცარი გადასახლებისა თავისი დის სახლიდან, რომელიც მისი აშენებული გახლდათ და თავის გემოზე ჰქონდა მოწყობილი და მოკაზმული კაბინეტი?

ექვთიმე ვარაუდით ივარაუდებდა, რომ:

დიდი შეტაკება უნდა მოსვლოდა თავის დასთან.

მიზეზი დანამდვილებით არ ეცოდინებოდა, ვინაიდან იმხანად ელენე ჯაბადარი, მოხუცებულობის გამო, თავს დაანებებდა გიმნაზიაში სამსახურს და გადასახლდებოდა თავის პატარა მამულში საგარეჯოს. ექვთიმე მას ისევე ვერ ინახულებდა, როგორც ილიას ოჯახობა, თუმც მემუარისტი ვარაუდს გამოთქვამს: ოლღა ბარათით მაინც აცნობებდა მას ილიასა და ელისაბედის გაყრის მიზეზსო.

ილიასთან ამ ახალ ბინაზე აღარ მოუწევდა სტუმრობა ექვთიმე თაყაიშვილს, რადგანაც მაშინ უკვე აღარ ექნებოდა მასთან საქმე, ის კი იქ წვეულებებს აღარ მართავდა. ვეღარც ისე შეხვდებოდა ხოლმე, რადგანაც ილიას – აწ უკვე სახელმწიფო საბჭოს წევრს – ხშირად და დიდიხნობით მოუწევდა ყოფნა პეტერბურგში.

ვეღარც ელისაბედს ნახავდა მათი გაყრის შემდგომ.

მხოლოდ კარგა ხნის მერე, უკვე ნარევოლუციევს, მოსწერდა ელისაბედი წერილს ექვთიმეს და სთხოვდა მისვლას. ესეც მოინახულებდა და ქალი შემოსჩივლებდა:

— შიმშილით ვკვდები და მიშუამდგომლე, მენშევიკებმა რაიმე თანხა დამინიშნონ სარჩოდ.

მიუგებდა სტუმარი, შეწუხებით ძალიანაც რომ შეწუხდებოდა, მაგრამ რეალურ ვითარებას როგორ დაუმალავდა:

– არა მაქვს იმედი, რომ ამ მთავრობამ ილიას დას რამე დაუნიშნოს, ხომ იცი, რა ცუდი ურთიერთობა და გაუთავებელი პოლემიკა ჰქონდა ნოე ჟორდანიას ილიასთან? მითუმეტეს, სახლები გაქვთ და რატომ თქვენს ნათესავ კოტე აფხაზს არ მოელაპარაკებით ამის შესახებ?

აცნობებდა მასპინძელი:

– სწორედ კოტე აფხაზი მირჩევს, სახლები გავყიდო და ამით ვიცხოვრო, მაგრამ აბა ილიას კაბინეტი როგორ გავყიდო?..

რაც უნდა ყოფილიყო, ექვთიმესათვის ცხადი შეიქნებოდა, თუ რატომ არა ჰყოფნიდა ილიას არც საგურამოს მამულის შემოსავალი, არც ბანკიდან აღებული ჯამაგირი და არც ელისაბედისაგან მიღებული დახმარება. გასაზვიადებელი ანკი რა უნდა ჰქონოდა, როდესაც წუხილით ირწმუნებოდა: ვალები მაქვსო.

ბანკში წინათ მაინცდამაინც დიდი ჯამაგირი რომ არ ექნებოდათ მოსამსახურეებს, როდესაც ბანკოვიადა მოთავდებოდა და აქციების კონვერსია მოხდებოდა, ბანკის შემოსავალი ერთობ მოიმატებდა ისე, რომ – ყველა ხარჯის გამოკლებით – ნახევარი მილიონი მანეთი დარჩებოდა საქველმოქმედო საქმეებისათვის და მოსამსახურეებსაც ჯამაგირი მოემატებოდათ.

თუნდ ილია – როგორც თავმჯდომარე – წელიწადში უკვე ხუთი ათასს მიიღებდა წინანდელი სამი ათასის მაგიერ. ამასთან: ბანკის მოგების გარკვეული პროცენტი მოსამსახურეებს ეძლეოდათ ზედმეტად და ეს პროცენტი მათ თვიურ ჯამაგირს აღემატებოდა.

ილიას გულჩათხრობილობას, როგორც ყველა, ექვთიმეც მიაქცევდა ყურადღებას, და ფიქრობდა, რომ:

არც არასოდეს ჰყოლოდა ისეთი მეგობარი, რომელსაც თავის ინტიმურ დარდებსა და გულისთქმას გაანდობდა.

როდესაც საზღვარგარეთ წასასვლელად ემზადებოდა, ექვთიმე ესტუმრებოდა ნიკო ცხვედაძესთან ერთად.

მასპინძელი ცოტა მოწყენილი დახვდებოდათ, მაგრამ დიდხანს იბაასებდნენ. და სხვათაშორის ეტყოდათ:

– მე დარდიანი ადამიანი ვარ, მაგრამ ჩვეულებად არა მაქვს, რომ ჩემი დარდები სხვას გავუზიარო, მევე ვიკლავ გულში...

იუბილის შეთავაზებას ამიტომაც არ აჰყვებოდა ადვილად, და მის პატივისმცემელთა მოგერიებას რომ შეეცდებოდა, აკი ყაენობის სახალხო დღესასწაულთან გაათანაბრებდა საიუბილეო ზეიმს, მაგრამ იოლად ვერ ჩამოიშორებდა იმ გუნდს გულშემატკივრებისა, ილიას დაფასებას რომ ეშურებოდნენ: ისედაც დაგვიგვიანდა, ყველაზე ეგ რომ არის გადამკვდარი, გულის სითბო და თანადგომა ჩვენც ვაგრძნობინოთ, გავახალისოთ, გავამხნევოთ, გადამწყვეტი მოქმედების წინ დავუდასტუროთ ჩვენი ერთგულებაც და ხალხის მხურვალე მხარდაჭერაცო!..

რა უნდა ყოფილიყო ეს „გადამწყვეტი მოქმედება“, შესაძლოა ბოლომდე არც გაეცნობიერებინათ, მაგრამ ილია რაღაც მეტისათვის რომ ემზადებოდა, ყველა გრძნობდა, ყველა ატყობდა, ყველა გუმანობდა, ყველას სჯეროდა... და ამ გზაზე თავისი როლი უნდა შეესრულებინა იუბილესაც, რომლის კომიტეტიც აირჩეოდა 1897 წლის 17 ოქტომბერს სათავადაზნაურო თეატრის შენობაში, საგანგებო შეკრებაზე, იუბილესთან დაკავშირებული ყველა წვრილმან-მსხვილმანის მოგვარება რომ დაევალებოდა.

საიუბილეო კომიტეტში ვინ გაერთიანდებოდნენ და:

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე გრუზინსკი-ბაგრატიონი, ნიკო ცხვედაძე, კიტა აბაშიძე, კოტე მესხი, ანდრია ღულაძე, გრიგოლ

აბაშიძე, პეტრე ყიფიანი, ვალერიან გუნია. მდივნად ივანე ზურაბიშვილს აირჩევდნენ, თავმჯდომარედ კი – ქრისტეფორე მამაცაშვილს.

2 ნოემბერს სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში რომ შეიკრიბებოდნენ კომიტეტის წევრები, გადაწყვეტდნენ: დიდუბის ეკლესიაში წირვისა და პარაკლისის გადახდის შემდგომ ქართული თეატრის დარბაზში გამართულიყო მილოცვა და მერე – ან ქართული წარმოდგენა, ანდა სალიტერატურო საღამო, რომლის შემოსავალიც დაინიშნებოდა იუბილარის სახელზე სტიპენდიანტის შესანახად.

ილია დიდი იმედით რომ არ შეჰყურებდა იუბილის გამართვას, ეკატერინე გაბაშვილს რა დაავიწყებდა, როგორ შემოვიდოდა ერთხელ ილია კომიტეტის წევრებთან და სკეპტიკური ღიმილით ეტყოდათ:

– მე მგონია, ყმაწვილებო, ტყუილად ირჯებით, ნებას არ მოგვცემენ.

და ყველა ერთხმად რომ შესძახებდა:

– ვის შეუძლია აკრძალოს მთელი ერის სურვილი!

ილიას დიდად ვერ დაარწმუნებდნენ:

– მე კი მითქვამს და, ღმერთმა ჰქმნას, თქვენი რწმენა უფრო ძლიერი აღმოჩნდეს.

საიუბილეოდ ზაქარია ჭიჭინაძე გამოსცემდა წიგნს: „თავადი ილია ჭავჭავაძე როგორც ქართველთა ერთობის მღაღადებელი".

ხოლო საიუბილეო კომიტეტი გამოაცხადებდა კონკურსს:

ჩვენი დიდი მწერლის მოღვაწეობის დასახასიათებლად იუბილარის შესახებ ბიოგრაფიული და კრიტიკული წერილის დასაწერად.

და ამ კონკურსის მონაპოვარი აღმოჩნდებოდა მე გახლავარ-ის ფსევდონიმით გამოცემული მიხეილ ნასიძის წიგნაკი: „თავადი ილია ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი" – გარეკანზე ასეთი შენიშვნა რომ მიედევნებოდა:

– დამზადებულია 24 მაისისათვის, როდესაც ქართველობას უნდა გადაეხადნა თ. ილია ჭავჭავაძის ორმოცი წლის მოღვაწეობის იუბილეი.

დაიბეჭდებოდა კიდევ ერთი წიგნაკიც: ილია ზარაფიშვილის – ნადიკვრელის – „თავადი ილია ჭავჭავაძე".

1893 წლის 9 აპრილისათვის დანიშნული საიუბილეო ზეიმი ჯერ 14 მაისისათვის გადაიდებოდა, ხოლო შემდგომ...

28 მარტით დათარიღებულ ბარათში სოფრომ მგალობლიშვილი შესჩივლებდა ნიკო ნიკოლაძეს:

– ილიას იუბილე შეფერხდა. გუბერნატორმა არ მოგვცა ნება: არაკეთილსაიმედოთა სიაში გახლავთო თქვენი დევგმირი ილიაო. ახლა ვუცდით გოლიცინის მოსვლას. მაინცა-და-მაინც ვაპირებთ კერძოდ გამართვას, თუ ოფიციალურად ვერ მოხერხდა.

მაისის პირველ რიცხვებში ილია კვლავ უნდა შესულიყო საიუბილეო კომიტეტის კრებაზე და უჩუმრად მიმჯდარიყო კუთხეში.

ეკატერინე გაბაშვილსაც და კომიტეტის სხვა წევრებსაც რაღაც ავს შეჰკვნესდათ გული და გატვრინდებოდნენ. და აი ილიას მწარე ღიმილით უნდა ეთქვა:

– ტყუილად ნუ ირჯებით, ბატონებო! მე წინადვე ვიცოდი, რომ ნებას არ მოგვცემდნენ და არც მოგვცემენ.

ამ დილით ბანკისაგან რომ მოდიოდა, გოლოვინის პროსპექტზე პოლიცმეისტერი ჩვეულებისამებრ მიაფრენდა თავის „დროშკას“. დაინახავდა თუ არა ილიას, უცებ მოსწევდა მეეტლეს ხელს და, ვიდრე ის შეაჩერებდა გასუქებულ იორღას, თვითონ საჩქაროდ გადმოხტებოდა და ილიასაკენ გამოეშურებოდა:

– ეს არის თქვენთან მოვდიოდი, კნიაზ ილია გრიგორიჩ, თქვენთან დიდი სათხოვარი მაქვს; თქვენ უნდა იქონიოთ გავლენა და გადაადებინოთ თქვენი იუბილე. დიდი არეულობაა ხალხში, დიდი შეხლა-შემოხლაა პარტიათა ბანაკში, ხომ მოგეხსენებათ, რა დიდი სახელი გაქვთ მთელ საქართველოში, აუარებელი ხალხი შეიყრება თქვენს პატივსაცემად, შეიძლება რაიმე ინციდენტი მოხდეს და თქვენ და ხალხსაც უსიამოვნო შეტაკება მოუხდეთ რაიმე, ხომ მოგეხსენებათ, ბრბოს შეკავება ძნელია.

ილია იძულებული შექმნილიყო აღეთქვა:

– ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რომ გადაიდოს იუბილის ყოველგვარი სამზადისი.

პოლიცმეისტერი სიხარულით მივარდებოდა, ხელს მაგრად ჩამოართმევდა და ეტყოდა:

– მაშ შეიძლება მოვახსენო კნიაზ გოლიცინს, რომ თქვენი დღესასწაულის შიში აღარ ჰქონდეს?

– რასაკვირველია, რასაკვირველია.

დიდი არეულობაა ხალხშიო...

დიდი შეხლა-შემოხლაა პარტიათა ბანაკებშიო...

ვაითუ უსიამოვნო შეტაკება მოხდესო...

სულ ამ უსიამოვნო შეტაკების ჯავრი ექნებოდათ, როგორ არა!..

ჭავჭავაძისტებისა და მაჩაბლისტების დაპირისპირება უკვე ჩამცხრალიყო, ყოველ შემთხვევაში: რაც ივანე მაჩაბელი ბრძოლას წააგებდა და ბანკს ჩამოცილდებოდა, მიზეზიც აღარ იარსებებდა გამწვავებისა და მინელდებოდა და მიყრუვდებოდა ის შეხლა-შემოხლაც, პარტიათა ბანაკებში მართლაც რომ არსებობდა ცოტა ხნის წინათ, მაგრმ ახლა პოლიცმეისტერი ტყუილად თხზავდა ამ ბანაკებში მოსალოდნელ ამოფრქვევას შეურიგებლობისა.

ფარულად, მინიშნებით ემუქრებოდნენ ილიას, რომ:

პროვოკაციულად თვითონვე მოაწყობდნენ არეულობას, რასაც ჭავჭავაძისტებისა და მაჩაბლისტების შეჯახებად გაასაღებდნენ და ბევრ მიამიტსაც ჩაითრევდნენ.

ილიას არ უღირდა ასეთი გამწვავება.

თავის იუბილეს ბრძოლისა და შეხლა-შემოხლის ასპარეზად ვერ გადააქცევდა.

და თუმც ხალხი მოუთმენლად ელოდებოდა იმ დღის დადგომას – ჯერ 9 აპრილისა და შემდგომ 24 მაისის – და დიდი ეროვნული დღესასწაულისთ-

ვისაც ემზადებოდა, ილიას უნდა აეღებინებინა მათთვის ხელი ამ განზრახვაზე უკეთესი დროის მოლოდინში.

ცოტაც მოეცადათ, სულ ცოტაც...

მაინც რას ნიშნავდა ეს „ცოტა"?

ამას უკვე ვიღა გათვლიდა, ვიღა იანგარიშებდა, ვიღა ივარაუდებდა?!.

მაჩაბლისტებს რომ გადააბრალებდნენ შესაძლო არეულობას, სინამდვილეში მსგავსიც არაფერი იქნებოდა მოსალოდნელი და არაერთი მაჩაბლისტი მხურვალე მონაწილეც შეიქნებოდა ილიასადმი მიძღვნილი ზეიმისა.

და თუ ვინმე იქნებოდა უპირველესი მომხრე ამ დღესასწაულის გადახდისა, უთუოდ ივანე მაჩაბელიც, რომელიც გამოჩენას მოერიდებოდა იუბილეზე, მაგრამ გუნებაში მოწონებით შეხვდებოდა ამ სახალხო გადაწყვეტილებას, ისე აწუხებდა, ისე უკლავდა გულს ის წიგნაკი, მისი სახელით დატრიალებული საზოგადოებაში – საბედისწეროდ განსაზღვრული ილიასათვის, აქეთ რომ შემოუბრუნდებოდა საბედისწეროდ ივანე მაჩაბელს და კიდეც ჩაუჩუმქრავდა ლამის ხელისგანვდენაზე მყოფ გამარჯვებას.

მაჩაბლისტები არა, ანდა ძალიან ნაკლებად განაწყენდებოდნენ ამ დღესასწაულის გამართვით, ისიც მათი ერთი ჯგუფი, საკმაოდ მცირე; მაგრამ აი სოციალ-დემოკრატიული წრეები აღშფოთებით შეხვდებოდნენ ამ ჩანაფიქრს და მითუფრო სამზადისს, ჟურნალი „მწყემსი" რომ წაედავებოდა საიუბილეო კომიტეტის წევრებს: კითხვა რომ აღძარით ილია ჭავჭავაძის 41 წლის შემოქმედებითი მოღვაწეობის იუბილის დღესასწაულობაზე, ნეტა რას ფიქრობთ სხვა პირთა იუბილის გამართვის შესახებო?

ნუთუ სხვებს არ შესრულებოდათ 41 წელიწადი მათი მოღვაწეობის დაწყებიდან?

ზოგიერთები ლამის ხელიდან გამოცლოდათ და... არავინ ფიქრობდა მათ იუბილეზე.

და სარკაზმით დასძენდნენ:

– დიაღ, პურ-ღვინოსა და სადილებს ბევრი შეუძლია!.. მრავალს აბრმავებს და მრავალს თვალს უხელს.

გადაუკრავდნენ ილიაობის ზეიმზე, ყოველწლიურად რომ იმართებოდა საგურამოში უამრავი ადამიანის მონაწილეობით, და თითქოს ილიას იმიტომ გამოედო თავი და არა ზოგავდა პურ-ღვინოსა და სადილებს, რათა საზოგადოების გული მოეგო და განეწყო იუბილის მოსაწყობად, თორემ სხვაზე მეტი განა რა დამსახურება ჰქონდა, მისი დღესასწაული ასე საქვეყნოდ რომ აღნიშნულიყო, სხვათა ღვაწლი კი მიყრუებულიყო?!.

„კვალი" ცხადია ბევრად გადააჭარბებდა „მწყემსს" ბრაზის გადმონთხევით იმის გამო, ჟურნალ-გაზეთებს ერთი დაუსრულებელი სჯა-ბაასი რომ აეტეხათ, თუ როგორ ედღესასწაულათ ილია ჭავჭავაძის ორმოცი წლის მოღვაწეობის შესრულება.

ირონიას გესლი უნდა შერეოდა:

რა „დიდი ზეიმით და ამბით" ემზადებოდნენ ამ დღესასწაულისათვის „ინტელიგენტები".

წინწკლებით თუ არ მოიხსენიებდნენ ილიას მომხრეებსა და მათ გარჯას, აბა ისე როგორ იქნებოდა, მწარე-მწარეებს რომ არ დაიშურებდნენ, თითქოსდა ეს წრე ინტელიგენტებისა ორ ნაწილად იყოფოდა.

ერთ – უფრო მცირე — ნაწილს შეადგენდნენ ჭავჭავაძისებრ მხცოვანი „მოღვაწენი“, თვითეული იმათგანი თავისი მეგობრის ბურჯობაზე იმდენად რომ წუხდა, რამდენადაც სტატიის ავტორი და მისი მკითხველი ჩინეთის სახელმწიფოზე. და ცხადი გახლდათ, რომ არცერთი მათგანი ილია ჭავჭავაძეზე ბროშურის შედგენასაც არ მოჰკიდებდა ხელს.

ხოლო მეორე ნაწილი, ანუ წვრილფეხა, მჩხავანა „ინტელიგენცია“, შედგებოდა ამ მოღვაწეთა ბრმა თაყვანისმცემლებისაგან, რომლებიც იმათ სახელზე ლოცულობდნენ და იმათ ნათქვამს იმეორებდნენ. და უნდა გეყურებინათ მათთვის მაშინ, როცა ვინმე რომელიმე „ბურჯის“ მოქმედებას ეჭვის თვალით შეხედავდა.

სოციალ-დემოკრატები ჯერ ისე ვერ მომძლავრებულიყვნენ, არეულობა მოეხდინათ, და ცხადია ვერც კი იფიქრებდნენ საიუბილეო დღესასწაულში რაიმე დისონანსი შეეტანათ, არამცთუ შეხლა-შემოხლა გამოეწვიათ და უსიამოვნო შეტაკებანი.

გაზეთის ფურცლებიდან თუ გადმოანთხევდნენ შხამს და გულს თუ ატკენდნენ ილიას – ეგ იყო და ეგ. თუმც ის ისე გამოჯეკილიყო და გამობრძმედილიყო დაპირისპირებებში, სასაცილოდაც არ ეყოფოდა „კვალის“ გამოლაშქრება. ასე რომ, რას შეიძლება მორიდებოდა მთავრობა, თუ არა დიდ ეროვნულ ზეიმს და ილიას აზიდვას ერის წინამძღოლის სიმბოლოდ!

წარმოსახვაში მაინც აზიდულიყო, მაინც არ განერჩეოდათ მომავალი სახელმწიფოს პრეზიდენტისაგან, მაგრამ საიუბილეო დღესასწაული უფრო ხელშესახებს გახდიდა მის მეთაურობას, იმათთვისაც სახილველს, რომელთა შეგნებაშიც ჯერ ვერ შეეღწია, თუ ვინ მოვლენოდათ წინამძღოლად და რა გზებით მიჰყავდა ვინაობააღდგენილი და ერად გარდაქმნილი ხალხი აღთქმული ქვეყნისაკენ.

ისინიც უნდა მიმხვდარიყვნენ, თორემ მომხრენი და მიმდევარნი ხომ უნდა გამხნევებულიყვნენ ამ თავისებური საბრძოლო დათვალიერებით.

გადამწყვეტი მოქმედების წინ დავუდასტუროთო...

მაგრამ ვერც იმჟამად, ვერც მოგვიანებით ვერ უნდა შემდგარიყო საბრძოლო დათვალიერება.

რაფიელ ერისთავის სახალხო დღესასწაულს ვერ უნდა ეპოვნა ის გაგრძელება, თამასა კიდევ უფრო ზევით რომ აიწეოდა და ის ახალი რეალობა ჩაისახებოდა, რომლის ფონზეც მთავარმართებელი ისევე დაპატარავდებოდა, როგორც ცენზორები პატარავდებოდნენ ილიას წინაშე, და გოლიცინიც ლუკა ისარლოვს დაემსგავსებოდა, ახლა რომ სიამაყისა და ნეტარებისაგან კანში ვეღარ დაეტეოდა, პოლიცმეისტერი გახარებული რომ მივარდებოდა და აუწყებდა: იუბილე აღარ გაიმართება, ილიამ თვითონ აღმითქვა და მისი სიტყვა – მოგეხსენებათ – გაუტეხელია, თანაც მის ნებას ვერავინ გადავა, მხოლოდღა იბუზღუნებენ და სამდურავს შემოგვითვლიანო.

– ისე რა შესანიშნავი თვალები აქვს, არა? – უეცრად წამოაგონდებოდა მთავარმართებელს საოპერო სპექტაკლის დაწყებამდელი ის წუთები.

– თვალები საოცარი, – კვერს დაუკრავდა პოლიცმეისტერი და გაითანგებოდა წყალობით მოლოდინში. აბა ამხელა დამსახურებას – ილიას მოღვაწეობის 40-ნლიანი იუბილის ჩაშლას – უკვალოდ ხომ არ უნდა ჩაევლო.

იმხანად ექვთიმე თაყაიშვილი სათავადაზნაურო სკოლას განაგებდა და იქ ექნებოდა წესად შემოღებული სალიტერატურო საღამოების გამართვა, რომლებზედაც შეგირდები ჩვენი მწერლების პოეტურ თუ პროზაულ თხზულებებს კითხულობდნენ და თან სხვადასხვა საკრავზე – ვიოლინო იქნებოდა, ვიოლონჩელო თუ სხვა – უკრავდნენ, ამ მხრივ მათ ზაქარია ფალიაშვილი და ჩეხი ვიოლონჩელისტი პოლივკა რომ წვრთნიდნენ.

საღამოებს ესწრებოდა ხოლმე დედაქალაქის თითქმის მთელი ქართველობა, მათი მოწყობა კი მხოლოდ პედაგოგიური საბჭოს თაოსნობა გახლდათ და ამაში სრულიად არ ერეოდნენ – არც რაიმეს ეკითხებოდათ ექვთიმე – სასკოლო კომიტეტის წევრები: მათ მხოლოდ ბარათებს უგზავნიდნენ და სტუმრად იწვევდნენ.

ჩაიფიქრებდნენ:

ერთი ასეთი საღამო საგანგებოდ გაემართათ ილია ჭავჭავაძის პატივსაცემად და პროგრამაში შეეტანათ უმთავრესად მისი ლექსები და სხვა ნაწარმოებნი.

მაგრამ განზრახვას საიდუმლოდ შეინახავდნენ: არამცთუ კომიტეტის წევრებს არ აცნობებდა ექვთიმე, არამედ თვით ილიასაც, რომ: საღამო მას ეძღვნებოდა.

რატომ ასეთი გასაიდუმლოება და:

ვინმეს პატივსაცემად სალიტერატურო საღამოს მოწყობის ოფიციალური ნებართვა არა ჰქონდათ – ის კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის უნდა ეთხოვათ.

ილიასათვის რომ გაემხილათ ნამდვილი მიზანი, შესაძლოა არც დასწრებოდა და არც დაერთო ნება ასეთი საღამოს გამართვისა სიფრთხილის გამო – ექვთიმეს რომ არ შეხვედროდა რაიმე უსიამოვნება.

კომიტეტისათვის რომ გაეზიარებინა ეს განზრახვა, მაშინ საიდუმლოდ ველარ დარჩებოდა – ყოველ შემთხვევაში ნიკო ცხვედაძე მაინც გაუმჟღავნებდა ილიას.

ისე კი ცხადია კომიტეტის ყველა წევრს მიიწვევდნენ სტუმრად, და მათ შორის კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგს მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანსაც, საშიკო ორბელიანის მეუღლეს, ეს ორნი თავიანთი შეუღლებით მამულებსაც რომ შეაერთებდნენ... მოსაწვევ ბარათს მასაც გაუგზავნიდნენ, მაგრამ ის შეუძლოდ ყოფნას მოიმიზეზებდა, მერე კი, როდესაც შეიტყობდა: ილიაც დასწრებია, საერთოდ კი ის საღამო ილიას პატივსაცემად იყო გამართული და საუცხოოდაც ჩატარდაო, – მოიწერებოდა:

– ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემატყობინე, თუ ილიას პატივსაცემი საღამო იყო, თორემ უსათუოდ მოვიდოდი.

ასე გამჟღავნდებოდა, რომ: მისი „შეუძლებლობა“ დიპლომატიური მიზეზი ყოფილიყო.

საღამო მეტად კარგად ჩაივლიდა. ბავშვები შესანიშნავად იქნებოდნენ მომზადებულნი, მშვენიერი დეკლამაციით, ნამდვილი არტისტული ხელოვნებით წაიკითხავდნენ ილიას ლექსებს და ადგილებს პოემებიდან – მაგალითად „განდეგილიდან“, და კიდევ – მონაკვეთებს მოთხრობებიდან: „კაცია-ადამიანი?!“ იქნებოდა, „გლახის ნაამბობი“ თუ „ოთარაანთ ქვრივი“. და სხვა მწერალთა თხზულებანიც საკმაოდ იქნებოდა შეტანილი პროგრამაში.

ილია მეტად მხიარული და კმაყოფილი დარჩებოდა და რამდენჯერმე გაიმეორებდა:

– მხოლოდ დღეს ვიგრძენი, რომ რაღაც დამინერია; მაგრამ ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ ახალგაზრდებს შეეძლებოდათ ასე საოცრად შეეგნოთ და შეეთვისებინათ ის, რაც მე მითქვამს.

საღამო რომ გათავდებოდა, ილიას, მის მეგობრებსა და ზოგიერთ სხვა ინტელიგენტს მიიწვევდა ექვთიმე მცირე სერობაზე გიმნაზიის შენობაშივე, დიდ საკონცერტო დარბაზში, და სერობაც ძალზე მხიარულად ჩატარდებოდა.

ექვთიმეს ეცოდინებოდა, რომ ილიას ვერ ჰქონდა მაინცდამაინც კარგი აზრი სათავადაზნაურო სკოლის პერსონალის შესახებ – მეტადრე ექვთიმეს წინამოადგილის ალექსი ჭიჭინაძის გამგეობის დროს...

ეს იმიტომ, რომ ჩააგონებდნენ:

– ყველა იქაური მასწავლებელი მაჩაბლისტია და შენი მოწინააღმდეგე.

ნამდვილად კი ყველა მასწავლებელს, გარდა ერთისა, ნეიტრალური პოზიცია ეჭირებოდა. ის ერთი კი, მოსამზადებელი კლასის პირველი განყოფილების მასწავლებელი ალექსანდრე ნათიძე, მართლაც თვალსაჩინო მომხრე გახლდათ ივანე მაჩაბლისა და არცა მალავდა – სოფელ-სოფელ დაიარებოდა და პროპაგანდას ეწეოდა მაჩაბლის სასარგებლოდ.

ერთ თავის სიტყვაში ილია ამ მოვლენას, ერთი კაცის მოქმედებას, სკოლის მთელს მასწავლებლობას მოახვევდა თავს ორატორულად, და განაცხადებდა:

– პროპაგანდაში ჩვენი სკოლის ოსტატებიც ჩაებნენ.

ბანკის იმ კრებაზე მასწავლებელთაგან მხოლოდ ჯაჯანაშვილი იმყოფებოდა, წამოდგებოდა და ჰკითხავდა ორატორს:

– მეც ამ სკოლის მასწავლებელი ვარ და მაშ – თქვენი აზრით – მეც ვეწევი თქვენს წინააღმდეგ პროპაგანდას?

– არა, თქვენ არა! – მიუგებდა ილია.

ექვთიმე თავს იმით იმართლებდა მემუარებში:

რა თქმა უნდა სკოლის ადმინისტრაცია ვერ აუკრძალავდა რომელიმე მასწავლებელს, ესათუის აზრი ჰქონოდა საზოგადო საქმეთა მიმართო...

ასეთი ეჭვი და უნდობლობა ილიას დიდხანს შერჩებოდა. თუმც 1904 წელს, როდესაც ექვთიმეს აირჩევდნენ სათავადაზნაურო სკოლის გამგედ, ილიას „ივერიაში“ დავით მიქელაძე მას მეთაურ წერილს მიუძღვნიდა, ქებას შეასხამდა და სხვათა შორის იმ გარემოებასაც მოიხსენიებდა:

ბანკოვიადის დროს ექვთიმე თაყაიშვილი ნეიტრალიტეტს რომ იცავდა.

რაკილა ილიას არ ეცოდინებოდა, რომ: ის სალიტერატურო საღამო პედაგოგიური საბჭოს მიერ მის პატივსაცემად იყო გამართული, იფიქრებდა: ეს ჩემი მეგობრის ნიკო ცხვედაძის თაოსნობა უნდა იყოსო, – და სერობისას მას შეასხამდა ხოტბას თავის სიტყვაში. ნიკო კი... შეიფერებდა და ერთი არ დაცდებოდა, საღამოს მომზადებაში არავითარი მონაწილეობა რომ არ მიეღო.

კიდევ კარგი ამ საღამოს გამართვის ნამდვილ გარემოებას ელენე ჯაბადარი აუწყებდა ილიას, რომელსაც ცხადია დიდად ეწყინებოდა ეს ამბავი – სხვას რომ გადაუხდიდა მადლობას სხვის მაგივრად – და ელენეს უსაყვედურებდა:

– შენ რაღად დამიმალე ნამდვილი გარემოება და ასეთ უხერხულ მდგომარეობაში რად ჩამაგდე?

და შემდეგ პირადად რომ შეხვდებოდა ექვთიმე, ილია დიდად მოუბოდიშებდა და დასძენდა:

– დამიჯერებ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ მე რომ იმ საღამოს სიამოვნება განვიცადე, ჩემს დღეში არ განმიცდია და ვერც წარმომედგინა, თუ ისე კარგად შეძლებდა ახალგაზრდობა ჩემი ნაწარმოებების გაგებას. მინდოდა წერილობით შემომეთვალა თქვენთვის მადლობა ამ პატივისცემისათვის, რომელიც არასოდეს დამავიწყდება, მაგრამ მოვერიდე, რომ არ გამეღავნებულიყო და რაიმე უსიამოვნება არ შეგმთხვეოდათ!..

დიდი ზარზეიმით თუ ვერ გადაიხდებოდა ილიას იუბილე, ასე მოკრძალებულად, მაგრამ სულიერი და შინაგანი სივრცით აღსავსედ ხომ მაინც აღინიშნებოდა და ბუნებრივია და ნიშანდობლივი, ექვთიმე თაყაიშვილი რომ მოამზადებდა შეგირდებს ისეთი ხელოვნებით, ისე შეაგრძნობინებდა და შეატკბობინებდა ილიას ნაწერთა სიღრმესა და მომხიბვლელობას, არტისტებივით აამეტყველებდა და ილიას ისეთ სიამეს განაცდევინებდა, თავისდღეში რომ არ განეცადა... და წინაც არა ეგულებოდა რა სანუგეშო და სასიხარულო...

ახალი თხზულების მოთავების შემდეგ ილია რომ შეყრიდა ხოლმე ლიტერატორებს, მწიგნობრებსა და მეგობრებს, წაუკითხავდათ და მათი მოსაზრებებითა და შენიშვნებით ინტერესდებოდა, ერთ ასეთ სხდომაზე ექვთიმე თაყაიშვილსაც მოუწევდა ყოფნა.

ეს მაშინ, როდესაც საჯაროდ წაიკითხავდა პოლიტიკურ პამფლეტსა თუ მონოგრაფიული ყაიდის თხზულებას „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“, რომელსაც ექვთიმე მაშინვე შეაფასებდა, როგორც:

შესანიშნავ, ოსტატურ პოლემიკურ ნაწარმოებს, მწვავე სატირითა და იუმორით აღსავსეს. მომართულს პატკანოვისა და ყველა იმ ავტორის წინააღმდეგ, რომელნიც უწესური ხერხებით ცდილობდნენ ჩვენი ისტორიისა და კულტურის დამცირებას. გადაკეთება-გაყალბება კიდევ ცალკე.

მოსასმენად მიწვეულთაგან სახელდებით გაიხსენებდა:

ნიკო ცხვედაძეს, ნიკო ხიზანაშვილ-ურბნელს, ვლადიმერ (პროკოფი) მიქელაძეს, ბანკის დირექტორს მიშა გრუზინსკის...

ილია კითხვას რომ დაასრულებდა, ყველა ერთხმად მოუწონებდა და ერთ უბრალო შენიშვნასაც არავინ მისცემდა.

ეს ექვთიმეს დიდად გააკვირვებდა.

„სხვებს თუ არა, ნიკო ხიზანაშვილსა და ვლადიმერ მიქელაძეს, როგორც უფრო ნიჭიერთა და საქმეში ჩახედულთ, მაინც უნდა შეემჩნიათ, რომ ილია ზოგ რამეში ცდება“.

მეტი გზა აღარ იყო და წამოდგებოდა:

– თავადო ილია, თუ გაქვთ წაკითხული პატკანოვის წერილი?

– არ წამიკითხავს, – მიუგებდა ის, – მაგრამ ხელთა მაქვს დიმიტრი ბაქრაძის პასუხი იმ წერილზე და იქიდან ამოვკრიბე ყველაფერი.

ექვთიმე მოახსენებდა თავის სათქმელს:

– რასაკვირველია თქვენი თხზულება ნამდვილად შესანიშნავია იმ მრავალი ფაქტის გაშუქებით, რომლებიც მოწმობენ გარკვეულ პიროვნებათა უწესურობას, ჩვენს წინააღმდეგ მომართულს, კუტულის მოგზაურობიდან დღემდე; ასეთი მჭევრმეტყველებით მათი არაკეთილსინდისიერი მოქმედება არავის გამოუმჟღავნებია; შესანიშნავია თქვენი სტილიცა და იუმორიც, მაგრამ ფაქტების აღნუსხვაში უთუოდ უნდა შეიტანოთ ცვლილება, თორემ ადვილად გამოგედავებიან მოწინააღმდეგენი, რადგანაც ზოგან მათ იმას მიაწერთ, რაც ნამდვილად არ უთქვამთ...

ძალიან ეწყინებოდა ილიას, მაგრამ აბა ისე როგორ იქნებოდა, რომ არ გაეთვალისწინებინა ეს კრიტიკული შენიშვნა.

– შეგიძლია მომაწოდო ის წერილი?

– ხვალვე მოგართმევთ, – შეპირდებოდა ექვთიმე და კიდეც მიუტანდა, ილია ჭავჭავაძე პატკანოვის წერილის გაცნობის კვალობაზე შესაფერის ცვლილებებს რომ შეიტანდა ნარკვევში, ხელჩასაჭიდი რომ აღარაფერი დარჩებოდათ შესაძლო ოპონენტებს. მადლობელი იქნებოდა ექვთიმესი, ხარვეზი რომ აღარ შეიპარებოდა მსჯელობაში, მაგრამ გული არ მოუთმენდა, ეს რომ არ ეთქვა:

– მე ქართველებისთვისა ვწერ და არა მეცნიერთათვის.

არას მიუგებდა ექვთიმე, გაფიქრებით კი გაიფიქრებდა: აბა ილია რომ ამას იტყოდა, სხვებისაგან რაღა იყო მოსალოდნელიო? – თუმც სიხარულით გაიხარებდა, „ქვათა ღაღადი“ რომ დაიბეჭდებოდა და – მისი წყალობით – აღარავითარი ლაფსუსი აღარ დაჰყვებოდა თან.

აკი არასოდეს დაგიდევდა ილია, თუ ვინ გაუზიარებდა კრიტიკულ მოსაზრებას, გაცხარებული კამათის დროსაც ჩაუკვირდებოდა ხოლმე შენიშვნებს და, თუკი ტექსტს ნამდვილად მოუხდებოდა, უსათუოდ ჩაასწორებდა და ჩაასუფთავებდა. საჯარო კითხვისას რომ არ დაუმალავდნენ კრიტიკულ შენიშვნებს, მშვიდად უსმენდათ და არც იწყებდა თავისი სტრიქონების დაცვას, ერჩივნა თავის კაბინეტში გულდასმით აეწონ-დაეწონა და, თუ სასარგებლოს ჰპოვებდა თანამოკალმეთა დაკვირვებებში, შესაფერისი ცვლილებაც შეეტანა ნაწერში. გათვალისწინებით ამჯერადაც გაითვალისწინებდა და აგერ ექვთიმე რარიგ კმაყოფილი დარჩენილა, ერთი დეტალიც

რომ არ გამორჩენოდა ილიას, მაგრამ... წყენა რომ დაემჩნეოდა? და მადლობასთან ერთად საყვედურსაც რომ აგრძნობინებდა?

ხომ არ დაჩნეოდა მის ხასიათს რაღაც კვალი იმ სულიერი მღელვარებისა, თუნდ საბანკო ბრძოლები რომ იმოქმედებდა, იუბილის ჩაშლა და ივანე მაჩაბლის გაუჩინარება, და სოციალ-დემოკრატთა სულ უფრო გამძაფრებული სისინი – გაუთავებელი შემოტევები პრესის ფურცლებიდან, ჭორებისა და ცილისწამებათა ბორიაყი კულუარებში, ძალიან მალე მათი ჟურნალისტური შემოტევებიც მთლიანად ამ ქარბორიაზე რომ აიგებოდა: ჭორ-ცილისწამებათა ნიაღვარზე.

ექვთიმე თაყაიშვილის ყოველად უწყინარ შენიშვნასაც ჩვეული გულდინჯობით და იუმორით ვეღარ შეხვდებოდა.

საერთოდ კი ხშირად სთხოვდა ექვთიმეს წიგნებსა თუ სტატიებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე და ესეც ყოველთვის მოუძიებდა და აწვდიდა.

დოკუმენტურად ერთადერთი ბარათი შემოინახებოდა, 1898 წლის 23 ოქტომბრით დათარიღებული, ილია რომ სთხოვდა ეთხოვებინა დიმიტრი ბაქრაძის რუსულად დაბეჭდილი თხზულება „ქრისტიანობის ძეგლები კავკასიაში“:

ძალიან საჭიროა საერთო საქმისათვისო.

საგულისხმოა ეს ფრაზა, ილია მაინც რომ ეჭვობს, ვაითუ ძალიანაც არ გამოიდოს თავი მის მოსაძებნად, მაგრამ „საერთო საქმეს“ რომ გაიგონებს, უფრო დაფაცურდებაო.

არა, „აი ისტორიის“ მომზადებაში არავითარ მონაწილეობას არ მიიღებდა ექვთიმე და გულს აკლდა, ილია იმ პროცესში რომ არ ჩარევდა. საშუალება რომ მისცემოდა, აუცილებლად ეტყოდა: არ მომწონს წერილების ამ ციკლის ასე გაჭიანურებაო. არადა „ქვათა ღაღადამდე“ ექნებოდა დაწყებული – და კარგა ხნით ადრეც – მაგრამ ვერა და ვეღარ დაამთავრებდა, რაკიღა საქართველოს მთელი ისტორიის დაკავშირებას მოინდომებდა ივანე ჯაბადარის შეხედულებათა კრიტიკასთან. ის მწვავე სატირა და იუმორი კი ძალიანაც მოსწონდა, ჯაბადარიც რომ ვერ გადაურჩებოდა ამ სუსხს, თუმც სანიმუშო პასაჟის მოხმობას რომ დაისაჭიროებდა, უპირველესად „ქვათა ღაღადის“ ამ ადგილს მიაქცევინებდა ექვთიმე მკითხველს ყურადღებას:

თუნდაც ის რად ღირს, ნიკო მარზედ რომ დაწერა პატკანოვის გამოქომაგების გამო: კარგია, როცა შეგირდი ოსტატს ესარჩლება, მაგრამ ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილიო!..

ძალიან აფასებდა ექვთიმე ნიკო მარს და ეამაყებოდა, მისი სამეცნიერო ბედის განსაზღვრაში თვითონაც რომ მიუძღოდა სასიკეთო წვლილი, მაგრამ რა ექნა, როცა ეს პასაჟი წამოაგონდებოდა ხოლმე, სიცილს რომ ვერ იკავებდა.

„სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“ ძალიან პოპულარული რომ შეიქნებოდა, ექვთიმეს ახსოვდა ერთი კაცი – გვარი კი ვეღარ მოეგონებინა და ამასღა აღნიშნავს: რევოლუციის შემდეგ დიპლომატად მუშაობდაო – რომელსაც სულ ზეპირად ეცოდინებოდა ეს წიგნი.

რაღა „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნენი და რაღა ის, „ქვათა ღაღადს“ რომ ჩამოარაკრაკებდა თავიდან ბოლომდე.

ექვთიმე სახარებას ახსენებს – იესო ქრისტეს ბიოგრაფიის ზეპირად მცოდნეთაგან არ განერჩევა ის კაცი, ილიას ამ თხზულებაზე რომ ილოცებდა კიდეც...

რუსულად რომ თარგმნიდა ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილი, ილიას სტუდენტობის ამხანაგი, იურისტი, ისტორია-არქეოლოგიის მოყვარული და ლიტერატორი, თვით ილია გაუწევდა რედაქტორობას და შეასწორებდა ტექსტს. და ამიტომაც მოიწონებდა ასე ძალიან ექვთიმე:

– რუსულად დაწერილსა ჰგავს!

ამ ორი თხზულების – „აი ისტორია“ და „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“ – შექმნას ექვთიმე თაყაიშვილი იმ გარემოებითაც ხსნიდა:

ილიას იმიტომაც უხდებოდა ისტორიის საკითხებზეც წერა, რომ იმხანად ნამდვილი ისტორიკოსი აღარ გვყავდა – დიმიტრი ბაქრაძის შემდგომ, ვიდრე ივანე ჯავახიშვილი გამოვიდოდა ასპარეზზეო.

და მზერას რომ მიმოატარებდა, ბარემ იქვე მიადევნებდა:

დიმიტრი ბაქრაძემდე კი მარი ბროსეს შემდეგ პლატონ იოსელიანი სჯობდა ყველას, თუ ცდებოდა, პატიოსნად ცდებოდა, ოღონდ წარწერების კითხვა ნამდვილად არ ეხერხებოდაო!..

ხოლო ილია ანდაზებს რომ მოიშველიებდა: კარგი ვარ, იმას ნუ იტყვი, თავს ნუ დაუწყებ ქებასაო; და: ვაჟკაცი წყნარი სჯობია, ჩალად არა ჰღირს მკვეხარიო, – გულისტკივილით გამოთქვამდა, რომ: ამ ჭკვიანური შეგონებების სიბრძნემდე ჯერაქამომდე ვერ მიეღწია იმ ერთ გუნდს სომხებისას, რომლის მეცნიერნიც ბექა-დიდებას სომხებისას საყვირით გაჰყვიროდნენ და ამასთან – საცა გინდოდა და არ გინდოდა – ქართველებს მიწასთან გვასწორებდნენ, დედაბუდიანად გვთხრიდნენ.

სომხების ქება-დიდება ოდნავ, სულ ოდნავადაც არ აღიზიანებდა და თუნდ გადაჭარბებასაც ყოველთვის შემწყნარედ ხვდებოდა: სხვისათვის უწყინარი და უტკივარი გულუხვობაა და სხვა არაფერიო, – რაკილა სომხებისა არავითარი ღირსება, არავითარი სიკეთე არა შურდა. პირიქით – თუ სიკეთე, ღირსება რამ სჭირდათ, ჩვენთვის, ქართველთათვის მხოლოდღა სანატრელი უნდა ყოფილიყო და არა საშურველი.

და აქვე ამ ორი სიტყვის ფსიქოლოგიური ბუნებაც უნდა გაეხსნა და შინაგანი მექანიკაც გაერკვია:

შურს ისა წყინდა და გულს უკლავდა: სხვას ჩემზე მეტი რადა აქვსო.

ნატვრა კი პატიოსნური სურვილი გახლდათ: მეც ის შევიძინო, რაც სხვას შეუძენია, მისდა სიკეთემდე, ღირსებამდე მივაღწიოო.

შური ვერ იტანდა სხვის ღირსებას, ნატვრა კი შეჰხაროდა. შური ებრძოდა ღირსებას, ნატვრა კი ეტრფოდა.

ამიტომაც ქება-დიდებას სომხებისას საბუთებს არ გამოუჩხრეკდა, თუნდ ცარიელი ბაქიობაც ყოფილიყო. თუ საქებ-სადიდებელი მოეპოვებოდათ რამე, ღმერთს შეერჩინა, თუ არადა – ღმერთს მიეცა. მარტო იმას ჩი-

ოდა, რომ სომხის მაქებმადიდებელი გუნდი ჩვენ, ქართველებს, გვთხრიდა, სულიერად და ხორციელად გვაბათილებდა და სამარისაკენ გვიშვერდა ხელს, თითქოს მარტო ჩვენი არარაობა ყოფილიყოს მათი ღირსების მომასწავებელი, მათი ღირსების მანიშნებელი.

დრო იყო ნიღაბი ახდოდა ამ ერთ გუნდს სომხებისა. დრო იყო ჭკუას მოვგებოდით და არ შევშინებოდით იმ ცრუპენტელა ლიბერალებს, იმ ჭეშმარიტი ლიბერალობის ბერიკებს, რომელნიც განგებ პირში ბურთსა გვჩრიდნენ, რომ თავიანთი ოინბაზობა, ორპირობა და ცალგულობა მიეფუჩეჩებინათ და ზედ ლიბერალობის წმინდა კალთა გადაეფარებინათ:

ნუ გვამხილებთ ჩვენს ცუღლუტობას, ოინბაზობას, თორემ ეროვნული შფოთის აღდგენას დაგწამებთ, რეტროგრადობის ბანაკში თავს ამოგაყოფინებთ, რადგანაც XIX საუკუნის დასასრულს ეროვნული შფოთის ატეხა, ერთა შორის ღვარძლის შთამოთესვა სიბრიყვესა და გონების სიბნელეს მოასწავებს და ლიბერალობის შეგინებასაო.

და უფრთხოდნენ ბალღები ამ ტყუილ ჭექა-ქუხილს ტყუილი ლიბერალობისას, უფრთხოდნენ ისინი, რომელნიც სიტყვას გაუსინჯველად იჯერებდნენ.

ჭეშმარიტი ლიბერალობა თუ რა იყო, დაე ილიასაგან შეესმინა და გულის ფიცარზედაც აღებეჭდა ყველას:

ჭეშმარიტება არავისათვის წაგეწყმედინებინა, არავისთვის გაგექელვინებინა, ბოროტება გემხილებინა, მსჯავრდაუდებლად არ გაგეშვა და, თუკი საჭირო შეიქნებოდა, ცხვირიდანაც ძმარი გედინებინა.

ბაძით ქვეყანა წახდებაო, ნათქვამი რომ გახლდათ, მსჯავრდაუდებელი ბოროტი მაცთურების მახედ გვევლინებოდა და შიგ ადვილად გაიბამდა თავს გულრბილი და ხასიათდაუდგრომელი კაცი.

აქაოდა შფოთი ატყდებაო და: ლიბერალობის ღაღადებით ქართველებს ხმას გვაკმედინებდნენ.

და ილიას როგორ არ მოეთხოვა პასუხი:

თუ მარტო ბალღების საცდენად და საფრთხობელად არ მოგაქვთ აქ უადგილოდ ლიბერალობა, რატომ ამავე მიზეზით იმ გუნდს სომხებისას პირში კაპს არ ამოსდებთ, რომელთა მეცნიერნიც მთელს ქართველ ერს – დიახ, მთელს ქართველ ერს! – თავზე ლაფს ასხამენ ქვეყნის წინაშე და საფლავს უთხრიანო?!.

ღვთის მადლით სამაგისო არა გაგვჭირებოდა რა და გული იმდენად კიდევ შეგვრჩენოდა და იმდენად კიდევ გვერჩოდა, ჩვენი ვინაობისათვის გვეპატრონა და ქართველობის სახელი სალანძღავ-სათრევად არ დაგვენებებინა არავისათვის.

აი კიდევ ერთი ნიმუში, გული კიდევ რომ გვერჩოდა.

აი კიდევ ერთი ნიმუში, ჩვენი ვინაობისა როგორი პატრონობა შეგვეძლო.

და აჰა კაცი იგი, ქართველობის სახელს სალანძღავ-სათრევად რომ არ დაანებებდა არავის, თუნდ იმ გუნდს სომეხთა ოინბაზი მეცნიერებისა რუსეთის იმპერია დადგომოდა ზურგსუკან წამქეზებლად.

პატკანოვს – გარდა იმისა, რომ ყალბისმქნელობასა და მიკერძოებაში ამხელდა – პლაგიატორობაშიც წაწვდებოდა და ლაზათიანადაც შეახურებდა, რომ ლენორმანის მიერ ნათლად გამორკვეულს ვითომდა საკუთარი თაოსნობით გამოიძიებდა და თვითონ მიაგნებდა, რაც უკვე მიგნებულიყო სხვისაგან, ერთი სიტყვით: ლენორმანის გამონარკვევს თავისად გაასაღებდა. აღმოჩენილ ამერიკას ხელახლა აღმოაჩენდა და თავმოწონების დოინჯსაც შემოიყრიდა. ხოლო მისი ამქრის მწიგნობარნი სხვისი მონაპოვრის დაჩემებას ყველაზე დიდ საისტორიო ღვაწლად რომ მიუთვლიდნენ პატკანოვს, ილიას ირონიულად როგორ არ ეკითხა: ეს თუ ყველაზე დიდი ღვაწლია პატკანოვისა, მაშ ყველაზე მცირე რაღა უნდა იყოსო?!.

ნიკო მარს თუმც პატკანოვისებრ ოინებში ჯერ არ ეჩინა თავი, მაგრამ სხვა მხრივ მის გზაზე დამდგარიყო და ისეთი რიხით იჭიმებოდა, თითქოს დაბლა ჭიანჭველას არ გაიტარებს და მაღლა ფრინველს არ გადიფრენსო. და მკითხველს ურჩევდა ილია: გადაეთვალიერებინა იმისი საუბარი აკაკისთან და თვითვე დარწმუნებულიყო, რარიგ იბღინძებოდა თავისი მეცნიერებით, რარიგ იბერებოდა, რა მსხვილ-მსხვილად იხარჯებოდა და დიდ-დიდ სწავლულებში სდებდა თავს.

იქ ქართულ ენას ნაწვდებოდა თავისი ბასრი ხმლით, აქ „ვეფხისტყაოსანს“ გადაგვაფხრეწდა თავზე: ლონდონის ბიბლიოთეკაში ერთი მანუსკრიპტი მეგულება, იმას ვიპოვნი და დაგიმტკიცებთ, რომ იქიდან არის თარგმნილი ან გადმოლებულიო.

ამის საბუთი ხელთ რომ ჰქონოდა, ვინ რაღას იტყოდა და მართალს წინ რაღა დაუდგებოდა, და ილიაც აღიარებდა: მაშინ თუმცა შევწუხდებოდით, მაგრამ მაინც პატივისცემითა და მოწიწებით თავს მოვიხრიდით მართლის წინაშეო, – მაგრამ რაკიღა იმას ჯერ საბუთი არ ენახა – ანკი რას ნახავდა, რაც არ არსებობდაო, ჩაურთავდა – და მაინც დაიქადნიდა, როგორ მოუთმენდა ილია, მთელს ერს რომ შეუგინებდა მარი ამ სახელოვან კაცს, შეუბღალავდა იმ წმინდათაწმინდას, რომელსაც 700-800 წელია შესტრფოდა და შეჰხაროდა ქართველობა. ვინ შეარყევინებდა ძირს იმ დიდებული სახსოვარისათვის, რომლისთვისაც მთელს ერს შიგ ჩაეტანებინა თავისი ცრემლი და სიხარული, შიგ ჩაეხვია თავისი სული და გული, შიგ ჩაეწნა თვისი უკეთესი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი!..

და ის საბუთი რომ ვერ აღმოეჩინა, სადღა იყო ის პატიოსანი და ყოვლად ღირსეული თვისება ჭეშმარიტი მეცნიერისა, რომ ელიარებინა: შევცდი და ვინანიო?!. თუმც იმ ანდაზისა არ ყოფილიყო: ბუისგან ნუ გამოელი ბოლოკარკაზის ბუდესაო.

მსჯელობაში ხეთების სახელიც რომ გაისმოდა, რომელთა ნათესაობასაც ქართველთა მოდგმასთან არაერთი უცხოელი მეცნიერი ირწმუნებოდა, ილია ერთხანს შეჩერდებოდა ამ თემის ირგვლივ, რადგანაც იქნებ სხვა მეორე შემთხვევა აღარც მისცემოდა ამაზე საუბრისა და სანანურად დარჩენოდა, რომ ამისთანა დიდად შესანიშნავ, ლამის ჩვენს ნათესავ ერზე, როგორც ხეთელნი ყოფილიყვნენ, არა თქმულიყო რა ჩვენს ლიტერატურაში ჯერაქამომდე.

ამ ხალხს დიდი და განვითარებული ცივილიზაცია ჰქონოდა, საკუთარი ლიტერატურა და აყვავებული მრეწველობა. ისე კი, რასაც შეიტყობდა მეცნიერება მათზე, სულ ეგვიპტელთა და ასურელთა წყაროებითა და საბუთებით შეიტყობდა, რადგანაც თვით ამ ერის ნაშთი ძალიან ცოტა დარჩენილიყო და ცოტაობით ცნობილი.

წარწერანი მათი იეროგლიფური გახლდათ, სრულიად განსხვავებული ეგვიპტურისაგან და დღევანდლამდე მათ წასაკითხად ამაო გამომდგარიყო სწავლულთა მეცადინეობა.

ახსენებდა მათ ღვანლმოსილებას, მათ დიდ კულტურას და... ირონიულად ჩაეღიმებოდა: ვშიშობ, სომეხ მეცნიერებსა და მათ ამქარს ერთი მიზეზი კიდევ არ მივცეთ სხვისას ხელი ჩაავლონ, ხეთებად თავიანთი თავი გამოატყვრინონ და ამ გზით, როგორც ყოველთვის, სხვისა დაიჩემონ და თავიც მოიწონონ ქვეყნის წინაშე: აი რანი ვყოფილვართო.

როგორც ძველი კულტურის მკვლევარები ირწმუნებოდნენ:

ევროპის ცივილიზაციის სათავე ხეთების ცივილიზაცია ყოფილიყო და ევროპას მადლი უნდა ეძღვნა ხეთებისათვის, რადგანაც მათი კულტურა მოჩანდა საბერძნეთის კულტურის დასაბამად.

და ამჟამადაც ბევრს ადგილას მცირე აზიაში კაცი შეხვდებოდა კვალს აწ გარდასული, მაგრამ ოდესღაც გაბრწყინებული კულტურისა:

დანგრეულ კედლებს უზარმაზარი სრასასახლეებისა, უშველებელი რვაკუთხიანი თლილი ქვებისაგან ნაშენს.გზას, სრასასახლეში მიმავალს, ქვისაგან გამოჭრილი ლომები ინახავდნენ, ჭიშკარი გაემაგრებინა ჯავარიან ქვებს, ზედ ამოჭრილი სფინქსებით.

ორთავიანი არწივი გერმანიის, რუსეთისა და ავსტრიის გერბისა თურმე წარმომდგარიყო ხეთთა აწ გამქრალი ხელოვნებისა და სიმბოლიკისაგან. ეს ორთავიანი არწივი ჯერ თურკომანთა მეფეებს შეეთვისებინათ, მერე ჯვაროსნებს შემოეტანათ ევროპაში და აქედან გამხდარიყო გერმანელ იმპერატორთა ემბლემად, იქიდან კი რუსეთსა და ავსტრიაშიც რომ გადაეღოთ.

როგორ არ შემოეტანა ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში თუნდ ის შეხედულება, რომელიც ირწმუნებოდა: ზოგი დიდბუნებოვანი კაცი ძველი საბერძნეთისა მცირე აზიის შვილი რომ გახლდათ: ჰომეროსი იქნებოდა, თალესი, პითაგორა თუ ჰეროდოტე – და ვისაც მათი ხსენებისას აგონდებოდა ეგეოსის ქალაქები, შეეძლო უფრო ღრმად შეეხედა საქმისათვის და ხეთების კულტურისაკენ მიეპყრო მზერა.

ხეთების ქვეყანას მდებარეობით, მდგომარეობითა და ძლიერებით ეგვიპტის ტოლ-სწორად რომ წარმოაჩენდნენ, არ იშურებდნენ საქებარ სიტყვებს მათი კულტურის, სიმდიდრის, აღებ-მიცემობის, ვაჟკაცობისა და ძლიერების დახასიათებისას.

ნეტა არავინ გამოჩნდება ჩვენს ახალთაობაში, ხეთურ იეროგლიფთა გამშიფრავიო? – ფიქრობდა და ნეტარებით წარმოიდგენდა იმ წუთს, როდესაც ქართველ სწავლულთ ამ დამწერლობის საიდუმლოების გასაღები ხელთ ექ-

ნებოდათ და რამდენი რამ გახდებოდა ხელმისაწვდომი უძველესი ჟამის ლაბირინთებში, რა სამყარო გადაიშლებოდა თვალწინ, რა დაფარული გაცხადდებოდა, სად გადაწვდებოდა ჩვენი ისტორიული ფესვები და ჩვენი ვინაობის მოსაჩხრეკად საიდან სად უნდა გადაგვეხედა...

თუკი გამოგვიჩნდებოდნენ, პირველბიძგი მათი ცნობისწადილის გასაღვივებლად ალბათ „ქვათა ღაღადის“ ეს მონაკვეთი იქნებოდა.

ილია ფრთხილად გამოთქვამდა ამ ნატვრას, არადა „ალბათ“ კი არა, სწორედაც რომ ამ ფურცლებს რომ აეყოლიებინა მიხაკო წერეთელიც და პავლე ინგოროყვაც, ილიას გზის გამგრძელებელნი და სულიერი შთამომავალნი ამ ნატვრას ილიასი გვერდს როგორ აუვლიდნენ, თვითონ რომ არ ეცადათ ხეთურ სამყაროში შეღწევა: მიხაკო წერეთელი ამ ცივილიზაციის ზოგად სურათსა და ხეთების ვინაობის თავისებურებებს რომ შეკონავდა იმ საყრდენად, რომელსაც იეროგლიფური დამწერლობის გაშიფრვა უნდა მოჰყოლოდა და... მოჰყვებოდა კიდეც, პავლე ინგოროყვა ხელს რომ შეახებდა იმ გასაღებს და უამრავი რაიმესაც გაგვათვალისწინებინებდა – ერთიერთმანეთზე საგულისხმოსა და დამაფიქვრელს.

ხეთურ-ქართველური სამყაროს გზა-ბილიკებზე სასიარულოდაც ილიას რომ უნდა შეეგულიანებინე!..

ხოლო მკითხველს რომ ურჩევდა ილია, დაე შეეგონებინათ და: სენკოვსკიდან დაწყებული გოლსტრემამდე, ამ 60 წლის განმავლობაში, ლარი გაებათ, ეს იმიტომ, ყველა თავისი თვალით დარწმუნებულიყო, სომეხ მეცნიერთ ამ ლარზე რომ ეკიდათ ხელი და ერთსადაიმავე პროგრამას ემსახურებოდნენ საოცარი ერთგულებითა და ერთსულოვნებით და ებღაუჭებოდნენ ამ პროგრამას კბილით, ხელით, ფეხითა და მთელი ცხოვრებით მათით, რათა ქვეყნიერებისათვის დაენახვებინათ:

სომეხზე უკეთესი, გამძლე ერი, ყოვლის ნიჭითა და უნარით შემკობილი სხვა არავინ არის მცირე აზიაში და ნამეტნავად ამიერკავკასიაშიო. მართალია ამიერკავკასიაში ეს რაღაც „ვრაცები“ ჰყრიან და ცოტად თუ ბევრად ამათაც ახსენებენ, მაგრამ ისეთ საქმეს დავმართებთ, ისე გავუბიაბრუებთ სახელს, სახსენებელიც კი აღარ დარჩეთო. თუ ისტორია აქვთ, გავუყალბებთ, ან ჩვენ დავიჩემებთ, მიწა-წყალი აქვთ და: ჩვენ ჩამოვართმევთ. და ქვეყანას, ტყუილი იქნება თუ მართალი, დავაჯერებთ, რომ ქართველობა გადაშენების გზაზეა შემდგარი და დღეს თუ ხვალ ან ამოწყდებიან დედაბუდიანად და ან გასომხდებიანო.

დაე ყველას შეესმინა და შეეგნო, რომ:

სწორედ ამ პირმოშვებულ ფილოსოფოსებს გაეფუჭებინათ გული ქართველებისათვის სომხებზე და სომხებისათვის ქართველებზე, თორემ სად ყოფილიყო ჩვენში ამ 40-60 წლის წინათ ერთმანეთის ასე ათვალწუნება!.. ერთმანეთში არ ვირჩეოდით და, თუმც სხვადასხვა მოდგმისა და სარწმუნოებისანი ვიყავით, მაგრამ სომხობით ქართველის ძულება და ქართველობით სომხებისა არასოდეს მომხდარიყო ჩვენდა საერთო საბედნიეროდ და სასახელოდ.

და თუ დღესდღეობით ეს ურთიერთობა ასე შერყეულიყო, სომეხ მეცნიერთა ერთი გუნდის გულნამცეცობას, უვიცობას, ნაცარქექიობასა და ოინბაზობას უნდა მიწეროდა.

თორემ სომხებისა რა უნდა შეგვშურებოდა, რადგანაც კარგად მოგვეხსენებოდა:

წინანდელი საქართველოს უძლურება დაწყებულიყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა კი პირქვე დაემხობოდა სომხეთი – ეს მაშინდელი ზღუდე სამხრეთით. და ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხებს, რომელნიც სამხრეთით გვინახავდნენ.

მას აქეთ, რაც ვახტანგ გორგასალი ჩრდილოეთით უშიშარ და უზრუნველჰყოფდა იმჟამინდელ საქართველოს, მთელი ჩვენი ისტორია იქით მიიმართებოდა, რომ სამხრეთით გაგვემაგრებინა ჩვენი თავი. ვიდრე სომხეთი იქნებოდა, საქართველოს რომ თათრობა მოსეოდა, ჯერ სომხეთი უნდა გადმოელახა. და ამიტომაც ჩვენი უდიდესი მეფენი და სამეფოს კაცნი არას ზოგავდნენ, რომ ეშველათ სომხეთისათვის, როცა კი გაუჭირდებოდათ.

დაეცემოდა სომხეთი და... სამხრეთის კარი ღია დარჩებოდა საქართველოში შემოსასევად.

თუმც სომხეთის დაცემის შემდეგ თითქმის მთელი შვიდი საუკუნე კიდევ მაინც გავუძლებდით ათასჯერ ჩვენზე ძლიერ მტრებს, მაგრამ მთელს ჩვენს ისტორიულ დღეებს მოვღლიდით და შევალევდით სამხრეთის კარის დაკეტვას.

აშკარაა: აქ მეტყველებს არა მხოლოდ მწერალი, არა მხოლოდ ისტორიკოსი, არა მხოლოდ პოლიტიკოსი, არამედ სახელმწიფო მოღვაწე და ერის წინამძღოლი, რომელმაც ამოგებული სახელმწიფო კვლავ იმ გზით უნდა ატაროს, ქართველ მეფეებს რომ სჩვეოდათ, და არც მან დაზოგოს არაფერი და ყოველნაირად გაამაგროს და განამტკიცოს სომხეთი და აღადგინოს მორღვეული სამხრეთის კარიბჭე.

ძალიან და ძალიან არ ეჭაშნიკებოდა ასეთი დაქსაქსულობა სომხებისა და ღმერთს შესთხოვდა, შთაებერა ღონე და უნარი მათთვის, ერთად მოეყარათ თავი იქ, საიდანაც აყრილიყვნენ და აქა-იქ გაფანტულიყვნენ დედამინის ზურგზედ. მაგრამ ჩვენსას კი ნურას გვეცილებოდნენ, ჩვენი სახელის გატეხით ნუ ცდილობდნენ თავიანთი სახელის კეთებასა და შემკობას.

ჩვენ, ბევრი გვქონდა თუ ცოტა, შეგვევრდომებინა ისინი, შემოგვეხიზნა, გვეძმო და... შინ მტრად ნუღა გვეკიდებოდნენ.

– მტერისა შინა ყოლასა ლომისა გზასა ზედა წოლა ჯობიაო, – ასე იტყოდნენ ძველნი ქართველნი.

ასე ამბობდნენ ილიაც და მისი თანამოაზრენიც.

და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ:

ასევე იტყოდა ყოველი გონიერი სომეხი.

ექვთიმე თაყაიშვილს არასოდეს დაავიწყდებოდა, დაავიწყდებოდა კი არა, თითქოს გამუდმებით ყურში ედგებოდა ილიას ხმა – ძალიან საამური ტემბრისა, არც ძალიან მაღალი და არც ძალიან დაბალი, ბოხი. და შესანიშ-

ნავი, სასიამოვნო საუბარი რომ სჩვეოდა, ექვთიმესაც მის მოსმენას არაფერი უჯობდა. არც ყვირილი ეცოდინებოდა და არც აჩქარებული ლაპარაკი, ოღონდ გულმოსული თითქმის კი არასოდეს ენახა და ეგებ მაშინ თუ უწევდა ხმას და უფრო ჩქარაც ლაპარაკობდა?

თუმც ერთხელ კი შეესწრებოდა მის განრისხებას – დავით სარაჯიშვილთან სტუმრობისას. დავითის კარგ ქართველობასა და დიდ პატრიოტობაში ვინ დაეჭვდებოდა, მაგრამ ჩვეულებად კი ექნებოდა ქართველების საზოგადოდ დაწუნება, მათი ნაკლის გაზვიადება და პირიქით – სამაგალითოდ სომხებს ასხამდა ხოლმე ქებას.

ქართველების მიმართ გული რომ გასტეხოდა, ხშირად იცოდა თქმა:

– მე, ბატონებო, პესიმისტი ვარ!

ნიკო ღოღობერიძე დაცინვით დიად პესიმისტსაც შეარქმევდა.

რა საგანზედაც უნდა ყოფილიყო საუბარი, დავითს მაშინვე სომხები უნდა დაეყენებინა მაღლა და განეცხადებინა:

– ჭკვიანი ცხოვრება იციან, ბედოვლათები და მთხოვნელები არ არიან, მუშა და გამრჯე ხალხია, ყველა საქმეში გვჯობიან და მომავალი მათია.

ერთხელ ნამეტანს რომ გადააჭარბებდა, ილიას გული მოუვიდოდა და წამოიძახებდა:

– ამისთანა გაგონილა?! ამ ოჯახში ქართველების ძაგების მეტს ვერას გაიგონებ! თუ ერთი-ორი ვიღაც აწუხებს და ფულსა სთხოვს, ეს მთელ ხალხზე გადააქვს!..

აი მაშინ კი აუწევდა ხმას ილია, მაგრამ მაინც ცოტათი!..

დავით სარაჯიშვილს კი დაუკარგავდა ხალისს ქართველების დამუნათებისა, ილიას თანდასწრებით რომ ყოველთვის მოერიდებოდა, ნამეტანს სხვა დროსაც აღარ იზამდა, ილია იქ რომც არა ყოფილიყო, მაგრამ თავის პესიმიზმზე ხელს როგორ აიღებდა... წუხდა და განიცდიდა, განიცდიდა და წუხდა... ილიასი კი სჯეროდა, მაგრამ ჯერაც უდაბნოში ტრიალებდნენ, ქორშაკსა და გაუსაძლისობაში, და მის გადალახვას არა და არ ადგებოდა საშველი...

* * *

თავისას მოთქვამდნენ ქვანი, თავისას წუხდნენ და თავისას ვალალებდნენ.

ღაღადებით ხომ ღაღადებდნენ და ღაღადებდნენ, ოღონდ პატრონი უნდა გამოსჩენოდათ, ვინც მათ ღაღადისს არ შეცვლიდა და არ გააუკუღმართებდა, და არც სხვებს დაანებებდა შეცვლა-გადაკეთებას, რათა გარდასული ჟამი ყოფილიყო ისეთი და მხოლოდ ისეთი საზოგადოების ცნობიერებაში, როგორიც სინამდვილეში გახლდათ.

მხოლოდ სიმართლისა და სულიერების, მხოლოდ მიუკერძოებლობისა და ზნეობის ფესვზე უნდა აღდგენილიყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მხოლოდ ამ რწმენით უნდა დაწვდენოდი ბაზალეთის ტბის ძირში თამარის მიერ ჩადგმულ აკვანს და ამოგეზიდა ამოგეზიდა ის ყრმა, ვისიც არ ითქმოდა სახელი და ვისაც დღედაღამ ნატრულობდა ჩუმის ნატვრითა ქართველი.

რაღაც დიდი გარდატეხა უნდა მომხდარიყო, რაღაც გადამწყვეტი შემობრუნება, სუნთქვა იგრძნობოდა, მძაფრი, ძალუმი სუნთქვა, მაგრამ რას გაპირდებოდა ეს გარდატეხა თუ ეს შემობრუნება აგნიასებულ, ამღელვარებულ, ზნეობამორღვეულ, ქაოტურობის ნიშნებდაჩნეულ ყოფაში?!.

რაიმე სასიკეთოს თუ... თუ... თუ...

მაინც სადამდე გაწვდებოდა ილიას ძალ-ღონე, თვალბედით შავ ყორანს შეჯახებულ-შერკინებული?!.

ნეტა როდის გამოგვიჩნდება ხეთური იეროგლიფური დამწერლობის წამკითხველიო, – ეს საფიქრალიც რომ უნდა აჰკვიატებოდა, თითქოსდა საფიქრალი და სანატრელი აკლდა.

და ისე ნელიად მიიტალღებოდა ბაზალეთის ტბის ზედაპირი, თითქოს არც არას განიშნებს, არც არას აღგითქვამს, არც არას გაგულიანებსო...

პარი მეოთხე

ეკლიანი და პატარა გზა

წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზა,
წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?
წიწამურიდან საგურამომდე აშრიალებულ ფოთლების ზღვაა.
კოლაუ ნადირაძე

ესტატე ციციშვილი

სწორედ ის საღამო იყო. მაშინ რა ვიცოდი.

სამნი ამომადგნენ, ვანო ინაშვილსა და პავლე ფშავლიშვილს კიდევ ერთი ახლდათ. ესაო თომა წიწამურელიაო. ასეთი გვარი არ გამეგონა და ნამდვილი არც უნდა ყოფილიყო. პარტიულ ფსევდონიმსა ჰგავდა.

ამათ კარგად ვიცნობდი, ორივეს. ბევრჯერაც ამოუკითხავთ. სულ რაღაცას მთხოვდნენ, სულ რაღაც მიჰქონდათ და თავმომწონედ მპირდებოდნენ: ჩვენზე იყოს, როცა ჩვენი დრო დადგებაო.

უკვე მაგათი დრო იყო, აბა ვისი?!

უბატონოდ ხმას ვერავინ სცემდათ, გაგებული ჰქონდათ ფეხქვეშ მთელი ეს არე-მარე. ჩვენაო ხალხისათვის ვიბრძვით, ხალხის მსახურები ვართო, ხალხისათვის ვწირავთ თავსაო და ამისთანები; მუქარასაც გამოურევდნენ, ამ სისხლისმსმელი მებატონეებისაგან მალე გავწმენდთ ქვეყანასაო, ვანანებთ, რაც ხალხს უღელში აბამდნენ და ძაღლებივით ყიდდნენო. ჰაი ესაო, ჰაი ისაო...

ეგ ტყუილია-მეთქი.

რას ამბობო, შენ უკეთ იცი თუ დანიელ ჭონქაძემაო?

დანიელ ჭონქაძეს ტყუილი უწერია-მეთქი, და ჩემს ჭერქვეშ რომ არ ყოფილიყვნენ, ცოცხალი ვერ გამოვასწრებდი: ტყუილი როგორ, როგორ თუ ტყუილიო?!.

ალექსანდრე ორბელიანი ამხელს „სურამის ციხის“ მანკიერებას-მეთქი, და იცინეს და რა იცინეს:

შენც გინახავს რა კაცი, ის ხომ გიჟი იყო, მთელმა დუნიამ იცოდაო.

ამის მერე ვერიდებოდი და რასაც მეტყოდნენ, აღარ ვუხირდებოდი, ერთადერთი ილია ჭავჭავაძის გმობას ვერ ვიტანდი და ვთხოვდი: ჩემს ჭაღარას ეცით პატივი, აღარ გინდათ-მეთქი.

შენ რა გესმის, შენ არაფერი გესმისო, — მამუნათებდნენ და მტკიცებას მიწყებდნენ, — ასეა და ასე თქვე საცოდავებო, გაბრუებული რომ ჰყავხართ ნაციონალური ბანგითო.

ვყავარ და ვყავდე-მეთქი.

ისინიც ძალიან აღარ იდებდნენ თავს: მოულხენდნენ, ბაქიბუქობდნენ, მერე ისევ რაღაცას მთხოვდნენ, მიჰქონდათ და დაპირებით კი მპირდებოდნენ, ჩვენზე იყოს, ჩვენი დროც დადგებაო.

მაგათი დრო არ იყო?

იმ საღამოს კი... რაღაც უცნაურად ილიმებოდნენ, აცუნდრუკებულნი ჩანდნენ და ძალაუნებურად დავინტერესდი, ხომ არაფერი მომხდარა-მეთქი.

იციო, დღეს ერთი დიდი დათვი გავაგორეთო.

თუ ვერა ზიდეთ, ბიჭებს დაგახმართ-მეთქი და:

არაო, იმის ხორცი არ იჭმევა, ეგრე უნდა ეგდოსო.

და უცებ თავში დამკრა:

ჩვენს ტყეებში დათვი რახანია აღარ გამოჩენილა-მეთქი.

თუ არ გამოჩენილა, მაშ როგორ გავაგორეთო, — ისევ უცნაურად იღიმებოდნენ.

აბა, მე რავი-მეთქი.

ისაკა ალხანაშვილი

ეჰ, ველარავის ენდობი ქვეყანაზე.

შვილოო, მამაჩემი მეტყოდა ხოლმე, — თუ ვინმეა დღეს ჩვენი პატრონი, ილია ჭავჭავაძეო. მაგან რომ თქვა, ბატონყმობა უნდა გადავარდეს, ცემაც კი დაუპირესო. ასე მითხრა ზაქარია ჭიჭინაძემაო.

შვილოო, — მეტყოდა, — რევოლუციის ხსენება რომ აშინებთ, არ უნდა გვაშინებდეს, ის იმისთვის გაჩენილა, რომ მშვიდობიანობა მოიტანოს, ილია გვეუბნება ასე და იმას თუ არ დავუჯერეთ, აბა სხვა ვისაო. თანაც, რა ჩვენებურად გვიხსნის, უკეთ რომ გავიგოთ: ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირდაირიოს და მერე დაწმდეს. ესაა ყველაფერი ამ ქვეყანაზეო. ესეც ზაქარია ჭიჭინაძისაგან ვიციო.

შვილოო, — მეტყოდა, — ბატონი თუ გაწყენინებს, უნდა გადმოიღო და ჰკრა შიგ გულში თოფი ზაქროსავით, რა კარგი რამე დაუწერია, ღმერთმა წყალობა არ მოაკლოს ამ ილიას. ზაქარია ჭიჭინაძემ მაჩუქა იმის „კაკო ყაჩაღიო".

შვილოო, — ერთხელაც მიმახედა ქუჩაში, — აგერ, ის კაცია ილია ჭავჭავაძე, მოდი უკან გავყვეთო.

ასე ვდიეთ კარგა ხანს და ვიღაცასთან რომ შეჩერდა სამასლაათოდ და წინ გადავუსწარით: ვაიო, ეგ არა ყოფილა, შემეშალაო, მაგრამ ისე მიბაგუ-

ნებს გული და ისე მიხარია, თითქო იმას მოვყვებოდი, იქნებ ეხლა მაინც გადავეყაროთ სადმე და ვდიოთ და ვდიოთო.

ჩემთვის ილია ჭავჭავაძე და ზაქარია ჭიჭინაძე ერთ კაცში გაიგივებულიყო და ერთხელაც ძია ზაქარიას რომ გააცნო მამაჩემმა, ისეთი აღტაცებით მივაჩერდი, აი და არსენა გამომეცხადა-მეთქი. გარეგნულად ჩია კაცი იყო, მაგრამ რას დაგიდევდი, ჩემს თვალში კი ასე გაზვიადდა და გაგოლიათდა და...

შვილოო, — მამაჩემმა სიკვდილის წინ, ილიას უგდე ყური, ზაქარიას გამოჰკითხე, რასაც ისა ლაპარაკობსო.

სუფრაზე რამდენჯერ მითქვამს:

ეს ილიას დღეგრძელობისა იყოს, იმის კალამს გაუმარჯოს-მეთქი.

ზოგი ამდევდა: შენთანა ვართო. ხოლო: ეგ ვინ არისო? თუ მკითხავდნენ: ჩვენი პატრონი ეგ არის-მეთქი.

ერთხელ მგონი მას გადავაწყდი, ავყევი და მივდიე. ეხლაც არ ვიცი, მართლა ილია იყო თუ არა. გულს კი ბაგაბუგი გაჰქონდა და ისე მიხაროდა, თითქოს ბუმბერაზთ ბუმბერაზი მენახოს.

ეჰ, ველარავის ენდობი ქვეყანაზე.

კიდევ კარგი „კვალის“ კითხვას დავეწაფე, ფილიპე მახარაძისა და ნოე ჟორდანიას სტატიები შევიტკბე და გონების თვალიც ამეხილა და მთელი სამყაროც განათდა.

ეს ჩემი სათაყვანო კაცი კი... სულ გამოცვლილა. რასაც ადრე ამბობდა, საპირისპიროდ შემოუტრიალებია და მთავრობის ყურმოჭრილ მონად დამდგარა. გლეხებს ხომ ყვლეფა დაუწყო, მუშებსაც მტრად მოეკიდა და სოციალ-დემოკრატებს, ხალხისა და ქვეყნის ამ ნამდვილ მხსნელთ, ის შეექმნა უპირველესი მოძულე.

ხალხი ნოლიაო! აბა? ნოლიო! როგორი მოსათმენია. მთავარი ეროვნულობააო, და გაგება აღარ უნდოდა, ის ნაციონალური დროშები გამოფხიზლებულმა ხალხმა უკან რომ მიუყარა. მოძველდა ნაციონალობა და მას კი ვერ გააგებინებდი. თავის თავსაც უღალატა და ხალხსაც.

თავისთვის მაინც ყოფილიყო, თავის მამულში ჩამჯდარიყო, გინდ საგურამოსა და გინდ ყვარელში და ეკმარა. არააა, ხმას აღარ გვაღებინებდა. ხმასაცა, კაცო!..

ჯერ ნოე ჟორდანიას რეები გაუბედა, რა ტალახი და ჭუჭყი ესროლა. ნოეს კი არაფერი მოცხებია და ისევ თვითონ გაილუმპა, მაგრამ რომ არ გვეშვებოდა?! სულ გათავხედდა და... ან ის რაღა გასაკვირი იყო, საწყალ გლეხს, მოხუცსა და ავადმყოფს, თავზე კოკები რომ დაამტვრია. იმ საბრალომ დიდხანს ველარც გასტანა. მკვლელი აბა ის არ გამოდის?! თვითონ კი ვითომც არაფერი, დაუჩემებია შერიგება და შერიგება ორ წოდებას შორისაო. რომელი შერიგება, გლეხსა და თავადს შორის ხიდი როგორ გაიდება. ისინი არიან ჩვენი უპირველესი მტრები და არა რუსები, ყველა უბედურებას იმათ რომ აბრალებდა.

ვერ გაგიჭრა გუმანმა მამაჩემო-მეთქი, ვფიქრობდი.

ეჰ, ველარავის ენდობი ქვეყანაზე.

ზაქარია ჭიჭინაძეს კაიხანია აღარ შევხვედროდი, მე არ ვაკითხავდი და შემთხვევამ კი აღარსად გადაგვყარა. სწორი გითხრათ, გამიხარდა, დუქან-

ში შესულს იქ რომ დამხვდა. გადმოვიპატიჟე, ბიჭები გავაცანი და შევყევით ქეიფს. სიტყვა-პასუხი არ ეშლება და მერე იყო, კოლამ რომ ჰკითხა: ილიაზე ბროშურა შენი ხომ არ არისო. იმის ხსენებაზე ისედაც სისხლმა ამასხა თავში და ისიც რომ შევიტყე გაოგნებულმა, ეს ჩემი პატივდებული კაციც ილიას მეგუნდრუკედ დამდგარიყო, რისი ღირსიც იყო, ის შევუთვალე იმ გაქსუებულ გადაგვარებულს.

კალამი გაყიდა და ესეც ვეღარ მეთქვა?

ამან კი, ამ გლახაკმა:

თქვენ ყველანი ძაღლის თესლიდან ხართ გამოსულებიო.

ჯერ კოლამ დაჰკრა თავში და წაქცეულს ყველა წავესიეთ, გული გვინდოდა გვეჯერა, თითქო თვითონ ილია მოგვყოლოდა წიხლქვეშ. რაღა ის და რაღა მისი ყურმოჭრილი მონა!..

მამაჩემი კი ის მიამიტი: ილიასა და ზაქარიას დაუჯერეო.

ამათთვის რომ დამეჯერებინა, განა კაცილა ვიქნებოდი?!. დავრჩებოდი ეგრე ბნელად და მტერ-მოყვარეს ვერ გავარჩევდი.

არა, ვეღარავის ენდობი ქვეყანაზე.

მარტია ლიქოკელი

რა ეწყინა, ვერ გამიგია. უბატონოდ ხმა არ გაგვიცია, ანკი როგორ გავცემდით — ბატონი თვითონ იყო, ჩვენ კი კარიკარ მოსიარულე ქირის მუშები. შეიძლება არც კი გვენახა — მოურავმა დაგვიქირავა და ის გაგვისტუმრებდა კიდეც. სამუშაო ჩვენა ვთხოვეთ. რამდენი ხანია ამ საქმეს ვადექით და თავი არასოდეს შეგვირცხვენია.

გარსო გვეუბნებოდა — ის იყო ჩვენში მოთავე — აუგი არავის ვათქმევინოთო. მერე რა, რომ სოფელ-სოფელ დავდივართ და იმ ოჯახმა იქნებ ვეღარც ვერასოდეს გვნახოს კიდევ და ვერც ვერაფერი გვისაყვედუროსო. ჩვენ ხომ კაცები ვართ და ქუდიცა გვხურავს. ვინმეს რომ საყვედური დაცდეს ჩვენი წამოსვლის შემდეგ, გულმა უნდა გვიგრძნოს და გვეტკინოსო. ნუ გავიხდით თავს სასაყვედუროდაო.

კაცი ის იყო, საწყალი გარსო. ისე როგორ იქნება, იმის სადღეგრძელო არა ვთქვა ხოლმე, და აი ახლაც ყელში ბურთი მაქვს მობჯენილი. უბედურად კი დაიღუპა ის საცოდავი. ნასვამი ბიჭები დაექანნენ კლდეზე, თავს ვეღარ იმაგრებდნენ და დაღუპვა არ ასცდებოდათ... და გარსო კიდეც წამოვარდა და შეკავება სცადა. ერთი კი შეაოკა, მაგრამ მეორესთან ერთად ჩაიჩეხა უფსკრულში.

მას მერე გული კი არ ამიცრუებია საქმეზე, პირიქით უფროც მოვინდომე. ვფიქრობდი, გარსოს სული მიყურებს და უჯეროდ თუ მოვიქეცი, ტკივილს იგრძნობს-მეთქი.

კარგად აღარ მახსოვს, იმ დღეს რამდენნი ვიყავით — საგურამომდე რომ ჩამოველით. ექვსნი თუ რვანი. ხან ასე ვიყავით ხოლმე და ხანაც ისე. მებატონის მოურავს რომ გამოვეცნაურეთ, კარწინ ბალახის მოთიბვა დაგვავალა და ჩვენც ჩვენებურად მივადექით.

ის სულკურთხეული გარეთ გამოსულიყო სტუმართან ერთად და ჩვენი ხმა რომ გაუგია: ვინ არიანო? — მოურავისათვის ეკითხა.

— ხევსურებიო, — იმას მიუგია და ილიას, ასე რქმევია იმ თავადსა, მაშინვე ვუხმივართ.

გახალისებული მეჩვენა, ყველას სათითაოდ გამოგვკითხა ვინაობა და ღვინოც შემოგვთავაზა: თუ დაჰლევთო.

— რატომ, თუკი თქვენი წყალობა იქნება, სიცხისაგან ხახა ამოგვიშრაო, — გარსომ.

— საქმეო? — შეაპარა მოურავმა.

— საქმე მოიცდისო, — ილიამ. შევატყეთ, გულით ეწადა ჩვენთან საუბარი. — თქვენი სოფელი აქედან რამდენი ხნის სავალიაო, — და ჩვენ: თითქმის ერთი დღისაო.

მერე რაღაც უცნაურად ჩაგვეძია:

— უწინდელი დრო თუ გახსოვთ, აი ჩვენი მეფეები რომ გვყავდაო.

ხსოვნით აბა რა გვეხსომებოდა, გაგონებით კი გაგვეგონა და ასეც მოვახსენეთ.

იმან კი:

— მაშინდელი დრო სჯობდა თუ ეხლანდელი?

დავჩუმდით, დავუწყეთ ერთმანეთს ყურება, ისევ გარსომ იმარჯვა:

— რა სათქმელია: გარეთ ვერ გამოვდიოდით, სოფელს რომ გავცილებულიყავით, ან ლეკი დაგვიხვდებოდა ან შინაური ავი კაცი. სისხლი იღვრებოდა. მოსვენება არა გვქონდა, შველა არსაიდამ იყო. აი დალოცოს ღმერთმა რუსის ხელმწიფე: ეხლა რა გვიშავს, აი თქვენთანაც ჩამოვდივართ სამუშაოდ და ქალაქშიაც დავიარებით. თუ რამ გასაყიდი ან სასყიდელი გვაქვს, ხელს ვიმართავთ. გზაში ხელს არავინ გვახლებს.

თავადს რატომ გადაჰკრა ალმურმა, ვერ გამიგია, ხალისი მაშინვე წაუხდა, ერთი-ორი რაღაც კიდევ გვკითხა, მაგრამ იმ გულით აღარ, ვატყობ, ჩვენი მიტოვება ურჩევნია, მაგრამ წესს იცავს და კვლავ ღვინოს გვთავაზობს.

მაშინ იყო, ვიღაცამ მისი ღობე ლიწინ-ლიწინით რომ გაარღვია და ილიამაც მოურავს მისი მოყვანა უბრძანა. მგონი კიდეც გაეხარდა, სხვა საქმე რომ გამოუჩნდა. ჩვენ წყურვილი მოვიკალით და ისევ ბალახს მივადექით.

მისი წამხდარი სახე თვალებიდან არ ამომდიოდა და, ხომ ამდენი ხანი გავიდა, ეხლაც ცოცხლადა ვხედავ. წყენის მიზეზი კი ვერაფრით გავიგე. ალბათ რაღაც გაახსენდა უნებლიეთ და ფიქრმა შორს გაიყოლია, თორემ გარსომ სულ კარგი ილაპარაკა.

ისე ადამიანისას რას გაიგებ. ერთხელ ქორწილში მოვხვდით სნოში და ლამის ჩხუბი ატყდა. არა, ჩვენ არავინ აგვხირებია. ვიღაცამ დალია რუსხელმწიფის სადღეგრძელო, მოსვენებითა ვართო, — და წამოვარდა ერთი მაყარი და რას წამოვარდა:

ვის სადღეგრძელოს ამბობთო. რუსებმა მოგვსპეს და მოგვინელეს, კევრისქვეშ გვხდიან სულს, რჯულს გვიგინებენ და ეს გველეშაპი თუ არ გამოვფატრეთ დროზე, იქნებ მზე ველარც ვნახოთო.

შენი ჭირიმე, სანდროო, ოღონდ დაწყნარდიო, მე მაპატიეო, — მასპინძელმა, და ისიც ცეცხლმოდებულივით გავარდა გარეთ.

ამათი დიდი ხათრი აქვსო, — გვერდით მჯდომი მოგვიბრუნდა, — თორემ რას დაატრიალებდა, თვითონაც არ იცის, გონებას კარგავს, რუსებზე თუ სიტყვა ჩამოვარდა, გენერლის შვილი მაინც არ იყოს მიხეილ ყაზბეგისაო.

გასაბრაზებელი განა რა იყოო? — გარსომ.

რაღა რა იყო, ეგ იმისთანაა, პაპის საფლავზე, სახელოვანი გაბრიელისა, კინაღამ ძაღლი დაკლა, როგორ თუ რუსებს შემოსვლაში დაეხმარეო.

შეგვზარა იმ კაცის განზრახვამ, თუმც დაჯერებით ვერ დავიჯერეთ.

რას არ მოიგონებს ეს ხალხიო, — გარსომ.

ერთი იმის სახე მახსოვს, ალანძღული და ცეცხლმოდებული, სანდროსი, და მეორე ამისი, ილიასი, ერთბაშად ჩამქრალი და ჩანაცრებული. იმის გაბრაზებაში ჩვენ ხელი არა გვქონია, ამას კი იქნებ ჩვენ ვაწყენინეთ. მაგრამ რა — ვერ გამიგია. არადა, როგორ ხალისით შეგვეგება — ღვინოო, ღვინო მოართვითო.

არა, რაღაც გაახსენდა ნამდვილად.

მეც ხომ ეგრე ვიცი. ვიცინი, ვხალისობ, მაგრამ წარმომიდგება გარსოს ლანდი და ამომიჯდება კიდეც გული.

უცრემლოდ ვერ ვიხსენებ.

ცოდვა არაფერი მიმიძღვის. ვერავინ იტყვის ჩემზე აუგსა — ეს იმიტომ, ჯერ გარსოს მკაცრი მზერა რომ მაკავებდა და მერე მისი ლანდისა.

... რა ვიცი აბა, რა უნდა წყენოდა?!

შიო ჩიტაძე

რა იყო, რა ცეცხლივით გიელავდა თვალებიო, — ვინ აღარ მითხრა, — ილიას ისე მისჩერებოდი, თითქოს ეს-ესაა დაეცემა, გაგლეჯს და გადაყლაპავსო.

დაკვირვებით ვეღარაფრისთვის შეგიხედავს. რა დაცემა და რა გაგლეჯვა. წყნარად ვიჯექი და ქანდარიდან გადმოვყურებდი სცენას. სემინარიელთაგან პარტერში არც არავინ დამინახავს არასოდეს. ფიქრადაც არ გაუვლია რომელიმე ჩვენგანს, იქ მოხვედრილიყო. ქანდარაზე კი ერთმანეთს ვასწრებდით — ამისთანა სანახაობა სხვა არც გვეგულებოდა. სულ ახალ-ახალი სპექტაკლები არ იმართებოდა?

თავი და თავი ილიასა და მაჩაბლის შეხლა-შემოხლა იყო ხოლმე, იმას ველოდით გულისფანცქალით, ის გვაღელვებდა და მოგვმართავდა ერთიანად. სხვები პატარ-პატარა ფალავნებად გვეგულებოდა ორივე დასიდან, უპირატესად ეს ორი გუნდი გამოკვეთილიყო და როგორც ჭიდაობისას — საუკეთესო ფალავნები თავიდანვე არ მოევლინებოდნენ ხოლმე მოედანს. არე-მიდამო ჯერ კარგად უნდა გახურებულიყო და მოლოდინიც სულ უფრო გამძაფრებულიყო, რათა მათი შერკინებისათვის ხალხს სულითა და გულით ედევნებინა თვალი, თითქოსდა თვითონაც უშუალო მონაწილენი არიანო.

იოსებ ლაღიაშვილი გვეუბნებოდა:

ჩვენი პარლამენტი ეს არის, რაკიღა დამოუკიდებლობა და ჩვენი სახელმწიფო არ გაგვაჩნია, არც პარლამენტის ნება გვაქვს, როგორც ევროპულ ქვეყნებს, და დახეთ, ბანკი დამგვანებია უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსო.

ამისა ჩვენ ბევრი კი არაფერი გაგვეგებოდა, მაგრამ ლაღიაშვილისა გვჯეროდა. იმას ძალიან აინტერესებდა ამისთანა რამეები. პარლამენტისა რა გითხრათ და ჩვენი იქიდან გამოდევნა უკვე ძნელი იყო, ისე ჩაგვითრია იქ ატეხილმა ქარიშხალმა და ბრძოლებმა.

ილია და ილიაო, სულ ეს რომ მესმოდა, ცოტა არ იყოს წამიხდა შთაბეჭდილება. მარტო მე კი არა, ვინც ქანდარაზე ვისხედით, მაჩაბლის მხარე გვეჭირა და იმის გამარჯვებას ვნატრობდით. სიალალე ეწერა სახეზე, ალმური გადასდიოდა და ზოგჯერ იმისთანას იტყოდა, ბევრი ძრახავდა:

განა არ იცის, რომ ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო? „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა რომ მოუნდომებია, თავისთვის სარგოც ხომ უნდა ამოიკითხოს და გულისფიცარზე დაიწეროსო.

ჩვენ არა — ქანდარელები, ჩვენ ძალიანაც მოგვწონდა იმისი მოუზომავი სიტყვა-პასუხი, წრფელი იყო და ალალი და წინილასავით რომ მოექცეოდა ხოლმე გაალმასებული ქორის ბრჭყალებში, გული გვიკვდებოდა და აღარ ვიცოდით, რითი მივშველებოდით.

სტვენითაც დავუსტვენდით დროდადრო და ხმაურსაც არ ვაკლებდით, კრების თავმჯდომარე წესრიგისაკენ რომ მოგვიწოდებდა, ეგრე იოლად არ ვემორჩილებოდით. პარტერიდანაც შემოგვყვიროდნენ: დაწყნარდითო. მხოლოდ ლოჟები ინარჩუნებდნენ სიდარბაისლეს, ვითომდა არც არაფერი გვესმისო.

ილიაზე არ ამოქმედებდა ჩვენი გნიასი, ყურადღებასაც არ გვაქცევდა, აინუნშიაც არ აგდებდა ჩვენს თანაგრძნობას მაჩაბლისადმი. ის კი არა, უარესადაც შეუტევდა ხოლმე. მაჩაბელი დათმობით კი არ უთმობდა, მაგრამ ძნელია ქორის კლანჭებში.

ან ის რა იყო.

ილიამ ერთხელაც:

— აი ახლაც მაჩაბელი წამოხტა ზეზე და საპასუხოდ მზად არისო.

რას ხედავდა, მაჩაბლისაგან ზურგშექცევით იდგა, მაგრამ მაინც უკბინა.

— ბატონო, ზურგს უკან რას ხედავთ, მაჩაბელი თავისთვის ზისო, — ვიღაცამ მიაძახა.

იმან კი:

— სულერთია, წამოხტება, ვერ მოითმენსო.

ნეტა ეს ეკმარა.

არააა?

— აი, ბატონებო, რუსებს ერთი სათამაშო აქვთ — „ვანკა ვსტანკას“ ეძახიან, როგორც გინდათ გადააბრუნეთ, საითაც გინდათ გადააგდეთ, ის მაინც წამოხტება და ტანში გასწორდება. აი სწორედ ასეთი ბუნება აქვს ჩვენ ვანოსაც, იმ სათამაშოს სეხნიას.

აბა ის რაღა საკადრისი იყო!..

ვინ აქ ქანდარაზე ჩავიფშხალეთ, სხვა ვერაფერი ვაწამეთ, ქვემოთ ახორხოცდნენ. საბრალო ვანო წამოვარდა ფეხზე და ილიას კი არ შებმია, გავარდა სცენიდან. სიტყვა ვერ მოუჭრა და ამანაც ააღელვა ასე, იქ გადიგამოდიოდა, სული რომ მოეთქვა, მაგრამ დიდხანს ვერ დაწყნარდა. რაც გინდა თქვი და

ილიას ის სიტყვები კარგა ხანს დარჩა ხალხში და მაჩაბელს დაუფარავი ირონიით შეჰყურებდნენ, მარტო აქ კი არა, სცენაზე, ყველგან, სადაც თვალს დაჰკრავდნენ, აცა, დაბზრიალდება იმ რუსული სათამაშოსავით და სადაც გინდა მოისროლო, მაინც ფეხზე დადგებაო.

„ვანკა ვსტანკაო“, — ხითხითებდნენ.

უგზოუკვლოდ რომ გაქრა და მტკვარში უნებლიე გადავარდნა იფიქრა ხალხმა, სულ გადაჩხრიკეს მტკვარი — აქ იქნება გადავარდნილიო. მთელი ქალაქი მტკვრის ნაპირას გამოფენილიყო და რაღას აღარ ლაპარაკობდნენ. და ვითომ მაშინ აკაკი წერეთელს ეთქვას: ილია სად არის, ილიაო. — აქ სადმე იქნება, ან იქნებ ჯერ არც გაუგია, საგურამოში იყოს წასულიო. — ჩქარა მოძებნეთ და აქეთ გამოიყვანეთ, ხიდზეო, — აკაკიმ, ვითომ.

— რა საჩქაროა ან მაინცდამაინც ხიდზე რატომ უნდა გადმოდგესო?

— რატომ და ილია გამოჩნდება თუ არა, ყოვლად წარმოუდგენელია მაჩაბელი წყლიდან არ ამოვარდესო.

აბა ეს რაღა მოსაგონებელი იყო.

არ იტყოდა, არა, ამას აკაკი.

ასეთ დროს ხუმრობა? თანაც მაჩაბელთან მეგობრობდა და თუ ვინმეს დაეწვა გული იმის ამ თავზარდამცემი ბედით, უპირველესად ალბათ აკაკის. მაგრამ ვინც გამოიგონა, ეტყობა, ილიას ის სიტყვები ახსოვდა, იმის თავისებურ ვარიაციად შეთხზა და პერსონაჟად აკაკიც ჩაუმატა.

ცხოვრება მაინც რა არის — აღარც მაჩაბელი იქნებოდა, აღარც ილია, აღარც აკაკი, ეს უშნო ხუმრობა კი გაძლებდა.

არა, სულ იმ „ვანკა ვსტანკას“ ბრალი იყო!..

თქვენ კი:

რა იყო, თვალები რა ცეცხლივით გიელავდაო.

კაცის ჩაგვრას ვერ ვიტან. ქორმა რომ წიწილა წაიღოს, თქვენი რა, დავიჯერო, ერთ „ჰაუ-ჰაუსაც“ არ მიაძახებთ?

ნოშრევან ჯაფარიძე

ეგზეკუციას ითხოვდაო, აბა რა სათქმელია!..

ყვარელს კი არ გამოვცილებივარ, მაგრამ დანამდვილებით ვიტყვი: რასაც მე აქ მელაპარაკებოდა და მავალებდა, იმასვე დაელაპარაკებოდა და დაავალებდა საგურამოელ მოურავსაც.

ვითომ ერთნაირად რატომ არ უნდა განესაჯა, ერთნაირად რატომ არ უნდა მოეგვარებინა მამულის მოვლა იქაც და აქაც.

საგურამოში დამფრთხალი კაცი ვითომ ყვარელშიც დამფრთხალი არ იქნებოდა?!.

აქ ვითომ რა გოლიათის ძალ-ღონით აღივსებოდა...

გლეხები თავადების ტყეებს რომ მიადგნენ და ჩეხვა დაუწყეს, ილიას ტყესაც შეესივნენ.

მე არ მოვითმინე, მე აღვძარ საქმე სასამართლოში.

გარჩევის დღეც დაინიშნა და იმხანებში გამოჩნდა ილიაც.

როდესაც სიამაყით მოვახსენე, ასე იყო და ასე და თქვენს ჩამობრძანებას აღარ დაველოდე, მე თვითონ მივხედე ამ წამხდარ საქმეს და სასამართლო აზღვევინებს გათავხედებულ გლეხებს-მეთქი, წამიც არ დაუკარგავს ჩემთან ლაპარაკში, მაშინვე სასამართლოში გავარდა და მოსპო ის საქმე.

მობრუნებულმა გამიცინა, საწყენად რომ არაფერი დამრჩენოდა, და მისებური ხუმრობით დამამშვიდა:

— არა უშავს, ეს ტყე მეც მეყოფა და იმათაცა, ტყე კი უფრო ხშირი გაიზრდება.

და დასძინა:

— მათი საწინააღმდეგო არაფერი ჩაიდინო.

მეორე დღესვე შეაბმევინა ეტლი და წავიდა სადღაც.

დაბარებით არაფერი დაუბარებია, ეტყობა, გული ეთანაღრებოდა, ჩემსას მივაღწევ თუ არაო, და წინასწარ რაიმეს თქმას ამიტომაც მოერიდა. ბევრი არც მერე ულაპარაკია, ისევ რომ შემოაბიჯა თავის კარ-მიდამოში. — მოხერხდა ეგზეკუციის მოხსნა გრემსა და საბუეშიო, — ისე სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა, თითქოს უნებური შემსწრე გამხდარიყოს ამ სასტიკი სასჯელის არიდებისა და მთავრობისათვის თვითონ არ გამოეყვანინებინოს უკანავე ოჯახებში უკვე ენერგიულად ჩასახლებული ყაზახები.

ეგზეკუციას ითხოვდა საგურამოსთვისო?

ვინ, ასეთი კაცი?

უზარმაზარი ტყუილია, ცილისწამებაა, მაგრამ ყველამაც რომ დაიჯეროს, მე რა დამაჯერებს!..

ოლღა გურამიშვილი

კიდევ კარგი, მოგვიანებით შევიტყვე, როცა ილიკო საღ-სალამათი დაბრუნდა შინ და ის დღეები ისე ჩვეულებრივად იქცეოდა, თითქოსდა არაფერი შემთხვეოდეს. ჩაიკეტებოდა თავის კაბინეტში და, ხომ ვიცი, არც პაპიროსს გააგდებდა ხელიდან და არც კალამს, ვიდრე მაგიდაზე ჩამოსდებდა თავს.

რომელი ყარამან ყათლანი ეგ არის ან რა რჯიდა, დანის ტრიალში რომ შევარდა და სახიფათოდ მოქნეული დანა ჯერ აიცდინა და მერე სულაც წაართვა გავეშებულ კაცს, იმასთან მიბედვაც რომ ვერავინ შეძლო. ვისაც დანას უქნევდა სასიკვდილოდ, გგონიათ, ილიკოს მეგობარი იყო და იმისი გულისათვის წირავდა თავს?.. არც იცნობდა, მაგრამ საყვედურებით რომ ავავსე: შენ რომ მოეკალი, ან მე რა პასუხს მაძლევდი და ან ქვეყანას-მეთქი, -პასუხად ეს მითხრა:

რა ვქნა, მაგდენი აღარ მიფიქრია, დანა ელავდა და ორი კაცი დაიღუპებოდა, მოკლულიც და მკვლელიც, მეც არ ვიცი, რაღაც ძალამ მიმაგდო და-

ნაშემართულზე და იმ ძალამვე იხსნა იმათი ცხოვრებაც და ჩემიცო.

ილიკოს გონიერება და სიდინჯე საარაკოდ აქვს გამხდარი ხალხს და... იმ წამს რას უნდა აეყოლიებინა ასე?..

მანამდე რომ შემეტყო, ვიდრე ცოცხალი გამომეცხადებოდა, ერთ სიკვდილს მე გავათავებდი.

ნეტა ვინმეს უჯერებდეს ან მე მიგდებდეს ყურს.

თუ რამე გადაწყვიტა, მორჩა, გადამთქმელი აღარ არის.

გადაწყვეტილება კი არა, ისეც რომ თქვას, სასხვათაშორისოდ, მოდი და შეაცვლევინე აზრი.

იმ საღამოს რა იყო მაინც, რაც ვიტირე და ვივაგლახე, რაც ვიკვნესე და ვიხვეწე, ხვალ არ გვინდა საგურამოში წასვლა-მეთქი.

რამდენჯერაც გავშალე ქაღალდი, სულ ცუდი კარტი ამოდიოდა!.. საშინელ ამბავს მიწინასწარმეტყველებდა!.. და როგორ შეიძლებოდა არ დამეჯერებინა... მე კი დავიჯერე, მაგრამ ილიკოს შენ დაარწმუნებდი?.. სასაცილოდ არ ეყო, ქაღალდის ამოსვლაზე სწორედაც ვერ ავაწყობ ცხოვრებასო... წინასწარმეტყველებას არ უჯერებ-მეთქი? — და:

წინასწარმეტყველება, ვითომც ღვთის შეპყრობილი გვაფრთხილებდესო!

მარიამ ორბელიანი რომ გვესტუმრა, თვითონვე შემატყო კანკალი, თავს ვერ ვიოკებდი და სტუმარსაც აღარ მოვრიდებივარ. დამშვიდება რომ დამიწყო, უფრო ამომიჯდა გული და შევევედრე: ქაღალდი ცუდ ამბავს მანიშნებს და იქნებ შენ დაარწმუნო, ხვალინდელი მგზავრობა გადადოს-მეთქი.

ძალიან შევეცდები, თუმც იმედი არა მაქვსო, — იმან. კარგად იცნობდა ილიკოს და თავიდანვე ფუჭ გარჯად ეჩვენებოდა მისთვის ნათქვამის გადათქმევინება. მაგრამ ცდა ბედის მონახევრეა, არ იცი, როდის რა გაგიმართლებს და ადამიანმა თავი არ უნდა დაზოგო.

შევიდა ილიკოს კაბინეტში და დიდხანს დაჰყო იქ. თავის მხრივაც გაუფრთხილებია: ხომ ხედავ, რა დროაო. ჩემს შიშზეც ულაპარაკნია: თუნდაც ტყუილად ფორიაქობდეს, ნუღა დაუმატებ და გადადე ეს მგზავრობა, იყავი და იტრიალე ქალაქში, თუ გნებავს, ჩვენ გვეწვიე ლამისყანაში, გზად ერთ მსახურს ნუკი იახლებ, შეიარაღებული ბიჭები გამოიყოლე და იქ იყავი თავშეფარებული, საშიკოსთან არ მოგწყინდებაო.

იუკადრისა თურმე და რა იუკადრისა:

ჯარი ხომ არ ვიახლო გამყოლადაო.

გამოვიდა მარიამი დაძმარებული.

მე მაინც სანუგეშო სიტყვა დამიტოვა: მართლა ისეც არ არის, როგორც ჩვენ ვშიშობთ, რაღა დაგიმალო და შენზე ნაკლებად არც მე მიფრთხიალებს გული, მაგრამ, ღმერთმა ინებოს, ეს მაინც ჩვენი ფანტაზიის ბრალი იყოს, ქაღალდს კი მაინცდამაინც ნუ ჩააცივდები, ხომ შეიძლება ეგეც ცდებოდეს, ან კიდევ, რაკიღა კოშმარული ფიქრები გიტრიალებს, ქაღალდის გაშლასაც ეგ შენი განწყობილება გადაედოო.

ღმერთმა ინებოს-მეთქი.

თითქოს დავმშვიდდი, აქეთურ-იქითურზეც ვილაპარაკეთ... მაგრამ რომ გავაცილე და შემოვბრუნდი, უარესად გამიხდა გული, ისევ ავკანკალდი, ცრემლიც მომერია და გავშალე კიდევ ერთხელ ქაღალდი... გავშალე და კვლავ საშინელმა ამბებმა დამიბნელა მზერა.

ილიკოს კაბინეტის კარი ოდნავ შეღებულიყო.

იჯდა და გაცხარებით წერდა.

დილამდე არც კალმის გამგდებს ჰგავდა ხელიდან და არც პაპიროსისა.

ერთი გაფიქრება გავიფიქრე, იქნებ დილით ისე ჩაეძინოს, შუადღემდე თვალი ვეღარ გამოახილოს და გამგზავრებაც თავისთავად გადაიდოს-მეთქი.

ამისთანებისათვის გაუძლია!.. ღამისტეხვა მისთვის რა იყო, მაგრამ ჭაბუკი ხომ აღარ არის; არ იმჩნევს, მაგასაც რომ ერევა ხანი, მაგრამ დრომ და ასაკმა მორიდება არ იცის და იქნებ... იქნებ...

სოსო მაჭავარიანი

გინდა თუ არა, ყველამ წინასწარვე იცოდა, რაც მოხდებოდაო. ვითომდა ყველა მოველოდით ილიაზე თავდასხმას და ტფილის-ქალაქსაც წინა დღეებში სხვა საჩურჩულო-სატუტუნო არც არაფერი ჰქონია.

როგორც უნდათ, ისე ჭრიან. არა, იქნებ ბევრმაც იცოდა წინასწარ, ვერ დავფიცავ, მაგრამ მე რომ არაფერი ვიცოდი, თავს დავდებ.

ამრეზილი კი მეც ვიყავ ილიაზედ, ჩამქრობოდა იმისი სიყვარული და გახსენებაც აღარ მინდოდა, „გლახის ნაამბობითა“ და „კაკო ყაჩაღით“ ხელში რომ ვაღამ-ვათენებდი. „ოთარაანთ ქვრივიც“ მომწონდა, განა არა, მაგრამ ეს ოთარაანთ გიორგი როგორღაც უნიათო ბიჭი ჩანდა და კიდეც შეეწირა თავის უგერგილობას. აი გაბრიელი, აი ზაქრო, ბიჭები ესენი იყვნენ, ზედ რომ წააკლეს ბატონები თავიანთ უნამუსობასა და გულქვაობას. ტყვიები აი ის იყო, იმათ თოფებში რომ ჩაწყობილიყო და თითო მებატონეს კი არ შეუნგრევდა გულისფიცარს, საზოგადოებას დაუვლიდა ჟრუანტელად, შეაშფოთებდა და აათრთოლებდა.

რაც ნოე ჟორდანიას მოუნდომა სახელის გატეხვა, მუშა ხალხი სულ თავის წინააღმდეგ განაწყო და იმათ ხელში აგრერიგად ვეღარ მოჰკრავდით თვალს ილიას ნაწერებს. მე იქნებ სხვაზე ნაკლებ ამყროდა გული და „რა სასიცოცხლოა-მეთქი“ იმათსავით არ გავიძახოდი, მაგრამ უდიერი სიტყვა კი არ დამიკლია მისი სახელის ხსენებისას და არაერთხელ პირადადაც ველაპარაკე თავხედურად.

უვიცი ვიყავი, ბრიყვი და აჯამი — დამიყრია თავზე ნაცარი და ვაღიარებ, ცოტა ეს მიმშვიდებს გულს, თუ ამასაც დამშვიდება ჰქვია, და ილიას სურათისათვის თვალის გასწორებას ვახერხებ. შევხედავ და — მოვუბოდიშებ ხოლმე, გავივლი, გამოვივლი, ისევ შევხედავ და ისევ დამეძვრის გონებაში მონანიების სიტყვები...

არა, ასე თავქარიანი როგორ უნდა იყო კაცი!..

ცხრაას ხუთში ეს ჩვენი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოქალაქეებში ფულს რომ კრეფდა იარაღის შესაძენად, მე ინტელიგენციის ჩამოვლა დამევალა და ისეთი სიამაყით ავივსე, ქვეყანა ჩემი მეგონა. ამხელა ცვლილება მზადდებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წინანი უკან უნდა მოქცეულიყვნენ, უკანანი დაწინაურებულიყვნენ და გრანდიოზული გარდაქმნის ერთი — თუნდ რიგითი — მონაწილე მეც გახლდით. თანაც ინტელიგენციის ოხტშიც ხომ ამოვიდოდი. არ მეხატებოდნენ გულზე და არა და ჭიას იმით მოვიკლავდი, რომ თავხედურად დავუვლიდი იმათ ბინებს.

პირველად ილიას მივუხტებოდი.

ალექსანდროვის ქუჩაზედ იდგა და ჰოი რა ბრახუნი ავუტეხე სადარბაზოზე!..

ილია დაბლა ცხოვრობდა და, მოსამსახურემ რომ გამიღო კარი და: ვინ ხარო? — მკითხა, მაჭავარიანი ვარ-მეთქი, ისე ყინჩად მივუგე, თითქოს უფრო სახელოვანი კაცი იმ არემარეზე არც დაიარებოდა.

ასეა, როდესაც ზურგსუკან პარტია გიდგას, თანაც როგორი პარტია!..

გაბრუნდა მოსამსახურე ილიასთან, მეც ფეხდაფეხ მივყევ. და ილია რომ ჩაეძია: ვინ მაჭავარიანიაო? — კიდეც შევიჭერ თავხედურად იმის კაბინეტში, დავადექ თავზედ და გათამამებული კილოთი მოვთხოვე ფული.

მოწყალებას კი არა ვთხოვდი, უნდა სცოდნოდა, ვალდებული რომ იყო მოქალაქეობრივი ვალი მოეხადა და ფული არ დანანებოდა იარაღისათვის.

აღელვებისა ვერაფერი შევატყე.

სულში კი მომიფათურა თვალები.

თუმანი ამოიღო, გადმომცა და ღიმილით დაატანა:

— შვილო, თან მლანძღამთ და თან ფულსა მთხოვთ?!.

მხრების თამაშით გამოვბრუნდი.

გინდა თუ არა, ყველამ წინასწარვე იცოდაო.

წინასწარვე კი არა, მერეც ვერ ვიჯერებდი, აბა ეს რა მოსაგონებელი იყო-მეთქი. გაზეთშიც რომ ამოვიკითხე, აი მაშინ კი შევფიქრიანდი, რაღაც მართალსა ჰგავს-მეთქი.

პარტიას ხომ არ დაუშლია ჩვენთვის სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობა?

ძალიან ნუღა მაცივდებით.

არც უარვყოფ და არც დაგიდასტურებთ.

მე როგორ მოვიქეცი?

პანაშვიდებზეც დავდიოდი, დაკრძალვის პროცესიასაც თავით ბოლომდე მივყევი. აკაკი წერეთელმა სიტყვა რომ წარმოთქვა და ტირილით მიადევნა: ილია, მეც მალე შენთან მოვალო, — და იაკობ გოგებაშვილმა კი იყვირა: ილიას მკვლელები აუცილებლად უნდა მოვძებნოთ და სამაგალითოდაც დავსაჯოთო, -სწორედ მის გვერდით ვიდექ და მისი ანაკვერცხლებული თვალები აღარც ამომშლია მეხსიერებიდან აღარასოდეს.

ხმამაც და თვალებმაც ისე დამარეტიანა, იმ ფიქრმაც კი გამიელვა: კიდევ კარგი, მე არაფერ შუაში ვარ-მეთქი.

ახლა ყველა იჩემებს, იაკობმა რომ იყვირა, მის გვერდით ვიდექით და მის მუქარას ჩვენიც მივადევნეთო.

მე მართლა იქ ვიყავ, ოღონდ არც ხმა გამიღია და არც სხვების ყვირილი მაგონდება: დავსაჯოთ, დავსაჯოთო!..

ხშირად გამოვიღებ ხოლმე ილიას ნაწერებს და ვატყობ, ბოლო ხანს „ოთარაანთ ქვრივი" ყველაზე ძალიან მიტაცებს. ოთარაანთ გიორგის არსებაშიც რაღაც უფრო მეტს ვხედავ, ვიდრე უნიათობაა. მართლა სხვა სამყაროდან მოსული კაცია და ის უჩვეულო სუნთქვა მოაქვს, იმ უჩვეულო სუნთქვას გაგრძნობინებს, თუკი კარგად ჩაუკვირდები.

ვებოდიშები იმის სულს, პერსონაჟია თუ რა არის, უსამართლოდ ანკი ლიტერატურულ გმირს რატომ უნდა მოეპყრა ადამიანი, და თუ ოდესღაც უნებურად შეცდი მისი პიროვნული ხასიათის შეცნობაში და აგდებულად ახსენებდი, მონანიებას წინ რა დაუდგება.

ერთი ღამე რა არის, ერთი ღამე არ დამიძინია, ცალკე ილიას წიგნების წინაშე რომ არ მეთხოვა პატიება და ცალკე მისი სურათისა, თავთით რომ მიკიდია.

ვერა და ვერ მომინელებია ჩემი სითამ... ეჰ, რა სითამამე, თავხედობა იყო, რასაც ჩავდიოდი.

რა მიბიძგებდა?

აკი მოგახსენეთ — უვიცი ვიყავი, ბრიყვი და აჯამი.

...ხან ღიმილი ჩაკეცავს ტუჩის კუთხეს, უეცრად აჩრდილი რომ წაეფარება სურათს: შვილო თან მლანძღამთ და თან ფულსა მთხოვთო?!.

და ვინთქმევი უსიზმრო ძილში.

ივანე მაჩაბელი

ხანდახან ყურში ისე გამიწივლებს ხოლმე აკაკი წერეთლის სიტყვები:

— ეს დალოცვილი, როგორი ფრთხილია!

გაღიზიანებულიყო ილიაზე და ჯავრი ამ საყვედურით ამოთქვა.

გული კი ამეყარა ილიაზე მას შემდეგ, რაც ველარაფერზე ველარ ვრიგდებოდით. მაგრამ... ის და სიფრთხილე? მეომრის გაბედულებით გამოჩნდა თავიდანვე. მოსწრებით კი არ მოვსწრებივარ, „ცისკარში" პირველად რომ დაარისხა ზარები და იქიდან „საქართველოს მოამბე" გაიხადა ბრძოლის შუაგულად, მაგრამ ნაკითხვით ყველაფერი წამიკითხავს მისი და სმენითაც რამდენი რამ მსმენია.

სულ მაგის სახელი არ გაისმის?

ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩება, თითქოს ტყვიის წინაშე იდგეს მთელი თავისი დღე და მოსწრება და სხვაგვარად არც უნდოდეს და ვერც წარმოედგინოს.

და ამ ბუნების კაცის სიფრთხილე?

თანაც რა დროს!..

რაღაც ასე კი გამოვიდა მართლა და... ახსნით ვერ ამეხსნა, რატომ არ უნდა წარმოეთქვა სიტყვა დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვისას.

ყველა მოელოდა მის გადმოდგომას ახალგაჭრილ სამარესთან, მთელი ხალხი მას მისჩერებოდა. ისედაც დიმიტრის სულიერი შვილი იყო, მისი მემკვიდრე და ჩამომავალი, ერთი იწყებდა ყველაფერს და მეორე აგვირგვინებდა, და ახლა უპირველესი ჭირისუფალი თუ ვინმე უნდა ყოფილიყო, ამ მართლაც წმინდანისა ილია და მხოლოდ ილია.

სიყვარულით აკაკის ნაკლებ კი არა ჰყვარებია დიმიტრი ყიფიანი. ყველას ყოველთვის რომ აქილიკებდა და შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, ირონიულად არ გადაეკრა განსაკუთრებით მაინც აღიარებულ სახელთათვის, დიმიტრის ხსენებისას — და კიდევ ალექსანდრე ორბელიანისას — ოდნავი გახუმრების უფლებაც არასოდეს მიუცია თავისათვის. გარინდდებოდა მოწიწებითა და მორიდებით.

და ახლა კი, პროცესიის მსვლელობისას განზე მიდგა და ილიას გადააბარა მოვლენათა სადავეები. ხელისუფლებას მაინც ვეღარაფერი გაეწყო და მხოლოდ კბილებს ახრჭიალებდა სიმწრით, რომ დიმიტრი ყიფიანის გადმოსვენება სტავროპოლიდან და მთაწმინდაზე დაკრძალვა დიდ საპროტესტო გამოსვლად გადავუქციეთ.

არადა... ილია ბოლომდე არ მიჰყვა ხალხის გულისთქმას და ის სადავეები როგორღაც განზე გასწია.

როგორი ფრთხილია, ეს დალოცვილიო, — მაშინ მოეკიდა ცეცხლი აკაკის.

დიმიტრის მოკვლის ამბავი რომ შევიტყვე, უპირველესად ილიასთან ვაფრინე კაცი. იქვე იდგა, ბანკის ახლოს, ფრეილინის ქუჩაზე, „ივერიის" რედაქციაც აკი იქ იმყოფებოდა.

მერე ვალერიან გუნიამ მითხრა, ისეთი ნერვიული ქვითინი აგივარდა, ვერაფრით ვერ გაწყნარებდითო.

არ მახსოვს. მაგონდება მხოლოდ ილიას სახე, წარბშეკრული და პირმოკუმული რომ გამოჩნდა, ჯერ ქვემო ტუჩმა დაუწყო თრთოლა და მერე წამოსკდა კიდეც ცრემლები დაწითლებული თვალებიდან.

მე იმას დავუწყე დაწყნარება, ის და სხვანიც თურმე აქეთ მე მამშვიდებენ.

პროცესიას რომ მივუძღოდით, ძალიან დაფრთხა მთავრობა და პოლიციელი პოლიციელზე მოგვადგა, ჩამოცილდით მსვლელობასო. ის ოცდაათამდე კაცი თუ მართლა გამოვეცლებოდით, ის ზღვა ხალხიც შემოიფანტებოდა, და საპროტესტო აქცია ერთბაშად გადაიქცეოდა დაკრძალვის რიტუალად.

ერთი კაციც არ შემდრკალა ჩვენგან, ერთსაც არ გადაუხვევია განზე და არ შეპუებია მოსალოდნელ სასჯელს — სისხლის სამართლის საქმის აღძვრას თვითეული ჩვენგანის წინააღმდეგ. თანაც იმ საბუთსაც მოიმარჯვებდნენ: გავაფრთხილეთ, მაგრამ ყურად არ იღეს და განაგრძეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაო.

ილია იქ იდგა თავიდან ბოლომდე და მისმა სიმტკიცემ ბევრწილადაც გადაწყვიტა პროტესტის ისე ამოხეთქვა, როგორც გვეოცნებებოდა.

მაგრამ სიტყვის წარმოთქმისაგან რომ თავი შეიკავა?!.

ვერ იტყვი, სათქმელს თავი ვერ მოაბაო. ასეთი ორატორის მხილველი არცა ვყოფილვარ და ენაზე ჭალი ან აქ როგორ მოეკიდებოდა. ისეთი სიტყვა უნდა წარმოეთქვა, გაეთანგა იქაურობა და მღელვარებისათვის მღელვარება დაემატებინა.

მივჩერებივართ, ველოდებით... აჰა და აჰა... მაგრამ დუმს, კრიჭა არ ეხსნება.

და აკაკიმ:

როგორი ფრთხილია ეს დალოცვილიო...

რა გითხრათ აბა?!.

თვითონ აკაკი წერეთელიც და სანდრო ყაზბეგიც მეტ რადიკალიზმს იჩენდნენ ყოველთვის, უფრო დაურიდებელნი იყვნენ რუსული მმართველობისა და ექსპანსიის მიმართ, მაგრამ საზოგადოებრივ აზრს მაინც ილია ხელმძღვანელობდა, ეროვნულ სულისკვეთებასაც ის აღვივებდა, დაცემული ვინაობის აღსადგენადაც მას გადაედო თავი და მისი ნაკლები რადიკალიზმი... კაცმა რომ თქვას, ნაკლები აკაკისა და სანდროს უკიდურეს გაფიცხებასთან შედარებით, თორემ თავისთავად სიბასრე და სიმწვავე რომ არა ჰქონია... დიახ, ვითომდა ეს ნაკლები რადიკალიზმი სიფრთხილედ არასოდეს არავის მოსჩვენებია.

შესაძლოა მაინც აკაკის?..

ან იქნებ გაბრაზებულ გულზე დასცდა!..

მაგრამ გამოსათხოვარი სიტყვის თქმას რატომ უნდა მორიდებოდა?

სამგლოვიარო სტატიაც რომ გამოაქვეყნა დიმიტრი ყიფიანზე და მისი ღვაწლისა და ბედისწერის წარმოსახვას შეეცადა, ცოტა არ იყოს გულს დაგვაკლდა. სხვებსაც, მარტო მე ხომ არა. არსად მოჩანდა იქ ილიას მეხი სიტყვა, არსად მოჩანდა ის ექსპრესია და სრულყოფილება, რითაც განთქმულა მისი ნაწერები. სიფრთხილე გასდევდა მთელ ტექსტს, თითქოსდა ვიღაცას ერიდებოდა, რაღა ვიღაცას, მთავრობას უწევდა ანგარიშს და ზედმეტ გამწვავებას გაურბოდა.

თითქოს ერთმანეთს აგრძელებდა თუ ეხმიანებოდა სტატიის მორიდებული კილო და დუმილი სამარესთან.

რაღაც ღრმა აზრი ხომ არ ჩაბუდებულა ილიას ამ საქციელში?

ჩვენთვის, ყველასთვის ჯერჯერობით მიუწვდომელი და აუხსნელი...

რაღაცას უფრო შორს გაჰყურებს, რაღაცას უფრო გულდასმით სწონის და ამ ტაქტიკურ სვლას ამჯობინებს მთავრობასთან ურთიერთობისას.

მაინც მგონია, რომ აკაკი იოლად უნდა განსჯიდეს, როგორი ფრთხილია ეს დალოცვილიო.

ვალერიან გუნიასაც დაველაპარაკე, ნეტა მიზეზი რა უნდა იყოს ილიას ასეთი თავშეკავებისა -მეთქი. აკაკის ნათქვამიც მოვახსენე. შორს დაიჭირა: არ დაიჯერო, მაგას როგორ იტყოდა, ვიღაცა მოუგონებდაო. მე თვი-

თონ მითხრა-მეთქი, და წაუხდა საქციელი ვალერიანს: გაბრაზებულ გულზე ვერ მოზომავდაო. მეც ეგრე მგონია-მეთქი.

მაგრამ ილიას დუმილი?..

და ვალერიანმა: ეტყობა, უფრო დიდ საშიშროებას ხედავს, ვიდრე მთავრობის პოლიტიკაა, უფრო ერთბაშსა და დაუნდობელს, ეს საშინელი მთავრობაც რომ შეიძლება მოგვენატროსო.

ამათ რა მოგვანატრებს-მეთქი, — გადავირიე.

აბა რა მოგახსენო, ეგ არის, ილიას დუმილი მიმანიშნებს რაღაც ამგვარსო.

მეც ხომ ასეთების ირგვლივ ვტრიალებ, გულმა კიდევ ერთხელ შემომკვნესა ავად და... დანახვით კი ვერაფერი დამინახია.

ცუდი, ძალიან ცუდი ამბებია მოსალოდნელი დანიის სამეფოში...

მიხა ბოჭორიძე

ლხინშიც მიმღერია, ქორწილშიც, ნიშნობაშიც და ნათლობაშიც.

„კაკო ყაჩაღი“, დიახაც.

თავით ბოლომდის?

თავით ბოლომდის, აბა რაიმე პატარა რომ გვდომებოდა, ლექსს შევარჩევდით და არა პოემას. ფრაგმენტებად დაშლა კი არა, შემოკლებაც არ გვიფიქრია. ამ პოემის შემოკლება როგორ იქნება — ერთი სტრიქონიც არ არის ზედმეტი, თითქოს ტყვია ტყვიაში ზისო, ისე მორგებია სიტყვა სიტყვასა და ტაეპი ტაეპს.

მოტივი ვინ შეუწყო?

ეს კი აღარ ვიცი.

განა არ დავინტერესდი, მივიკითხ-მოვიკითხე კიდეც, ეჭვი ვისზეც მივიტანე, საგანგებოდ გამოვიძიე, მაგრამ არ იქნა და არა, მელოდიის შემთხზველს ვერ მივაკვლიე.

მაშინაც, კოლა გორელის ქორწილში რომ მიგვიწვიეს და სუფრაზე დასხდომისთანავე შემოგვძახეს აქეთ-იქიდან: აბა, ბიჭებო, მაყრულიო, — არაქელა ოქუაშვილმა თვალი მოგვავლო, რევოლუციონერები ვინც ვიყავით, და: მაყრული კი არა, ჩვენი მაყრულიო, — და კიდეც წამოიწყო.

ჩვენი მაყრული ეს იყო — „კაკო ყაჩაღი“.

ხომ არავის მოწყინდა ამხელა პოემის მოსმენა?

მოწყინდათ კი არა, უფრო მოეკიდათ ცეცხლი და ჟინი და ერთი-ორი ჭიქის შემდეგ ვანო დოლმაზაშვილს შესთხოვეს: სიმღერა სიმღერად, მაგრამ ახლა შენებურად წაგვიკითხეო.

მეჩექმე ყოფილა ვანო, იქ გავიცანი.

წამოდგა, ერთი მორიდებით ჩაახველა და შეუდგა კითხვას. არტისტი ეგა ყოფილა, თუ ყოფილა. აი ხომ ზეპირად ვიცი, არა, აი სულ სიმღერ-სიმღერით არ გავდივარ ბოლოში? მაგრამ ისე დამატყვევა იმისმა ოსტატობამ,

ჩათავება ვერ მოასწრო, მივვარდი და გადავეხვიე: კაცი შენა ყოფილხარ-მეთქი.

ბედნიერებისაგან გაცისკროვნებოდა სახე ხალხს.

რევოლუციას რომ უგანა ასეთი პოემის დამწერმა, თავიდან ვერც ვიჯერებდით. რამდენჯერ მე თვითონ მიმტკიცებია, ჭორებს ნუ ასდევთ, რევოლუციას ყველა რომ გავუდგეთ განზე, ილია არ უღალატებს-მეთქი.

— ნუ ხარ მიამიტიო, — წყრომით მეტყოდნენ. და მე კი არა და არა ვთმობდი:

რევოლუციის წინამძღოლი სულაც ეგ არის-მეთქი.

მუშებში შეგროვებული ფულით სამკითხველო რომ გავხსენით ნახალოვკაში და მღვდელს უნდა ეკურთხებინა, ილიასაც შეეტყო და შემოეთვალა, უსათუოდ გეახლებითო. ინტელიგენციამ მოინდომა მონაწილეობა კურთხევაში და ძალიან შეფიქრიანდნენ ეს ჩვენი მარქსისტული წრეები.

„კვალის“ რედაქციამ ყველაზე მეტად გამოიდო თავი, იქ მიგვიწვიეს, მოწინავე მუშებად ვისაც მიგვიჩნევდნენ, და დაგვარიგეს, ასე და ასე მოიქეცითო.

ინტელიგენციისათვის არ უნდა დაგვეთმო არაფერი და აუცილებლად შევპასუხებოდით. განსაკუთრებით მაინც ილია უნდა ამოგვეღო მიზანში და ღდინამდე ჩავყოლოდით იმის სიტყვას.

ოთხნი გამოგვარჩიეს: გიორგი თელია, ზაქრო ჩოდრიშვილი, ლასა მგელაძე და მე — ილიას ფარდად ერთი კაცი ვერ იკმარებდა. ის კი არა, ერთიორი სხვაც იგულისხმეს უზურში.

ილიასაც ნათლად უნდა დაენახა ჩვენი ძალა და ინტელიგენციასაც.

მიკანკალებდა გული.

ილიასათვის არასოდეს მომესმინა, მაგრამ ლეგენდებად დადიოდა, როგორი შეუპოვრობით უსწორდებოდა მოპაექრეებს, როგორ ათრევდა რკინის ლოგიკითა თუ მახვილი სიტყვით და, თავმომწონე ბიჭს, არ მინდოდა ხალხის წინაშე შერცხვენა. გულს იმით ვიმშვიდებდი, რომ რაოდენობა ბოლოს მაინც გადასწონიდა და, დამარცხებით თუ ვერ დავამარცხებდით, მაინცდამაინც არც გაწბილებულნი გამოვეცლებოდით მოედანს.

თითქოს საბრძოლო დათვალიერებაო, იმდენმა მუშამ მოიყარა თავი.

აგერ ცნობისფურცლელებიც გამოჩნდნენ, წინ არჩილ ჯორჯაძე მოუძღვით.

ძალიან კი იყვნენ დალესილები მასზე ჩვენი პარტიის ბიჭები, ნოე ჟორდანია ხომ წონასწორობას ჰკარგავდა მისი დანახვისას თუ მისი სახელის ხსენებისას — რაღა ილია და რაღა არჩილ ჯორჯაძე მის თვალში. მაგრამ მე ყოველთვის ისეთი პატივისმცემელი ვიყავი ამ კაცისა!.. ხმამაღლა თქმას ვერიდებოდი, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ყველაფერს ვკითხულობდი, რაც მის მადლიან კალამს შეექმნა, და ზოგიერთი ადგილი მაინც განსაკუთრებით მომხვდებოდა ხოლმე გულზე და შემძრავდა.

ახლაც რაღაც სითბო ჩამეღვარა მის შემხედვარეს. და მწარე ტკივილიც — მისი გადატეტკილი სახისა და ხელის მტევნის პროთეზზე წამოცმული თათმანის გამო.

ილია არა ჩანს.

დაგვიანება არა სჩვევია და, ეტყობა, რაღაც გამოეხლართა.

დეკანოზმა სიმონ რცხილაძემ უნდა აკურთხოს სამკითხველო და მერამდენედ გვეკითხება: რაღას ველოდებითო-?...

პასუხად მიკიბ-მოკიბვა გვირჩევნია.

და კიდეც მოგვადგა ილიას ფაეტონი.

მარტო იყო? არა, ორნი ახლდნენ. მოიცა... ჰო... ორნი, ორნი: მარიამ დემურია და არტემ ახნაზაროვი.

მოთავდა კურთხევა და შევყურებთ ყველა ილიას გაფაციცებულნი, აბა და რას იტყვისო.

მომზადებულნი ტყუილა ხომ არა ვართ, „კვალისაგან“ დაგეშილნი.

1 თვით პარტიას ვაბარებთ ანგარიშს, ისე კი არ არის.

ილიამ კი... ამოიღო თუმანი, შესწირა სამკითხველოს, გავიდა გარეთ და ფეხი შედგა ფაეტონზე.

ჩაგვეშალა განზრახვა.

სიტყვები კი წარმოვთქვით, მაგრამ ილია დაგვისხლტა ხელიდან და ვეღარც ჩვენი ძალა ვაჩვენეთ. თუმც წასვლით არ წასულა და ფაეტონზე ცალფეხშედგმული გვისმენდა. მარიამ დემურიასათვის უთქვამს მერე: რა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, ქართველი მუშები ამაღლდნენ ჩემს თვალშიო. განსაკუთრებით ჩემზე ეკითხებოდა თურმე, ვინ არისო, განათლება სად შეუძენიაო.

ჩავიღვენთე და ჩავიფერფლე.

და იმ დღეებში ქორწილში რომ მოვხვდით და აქეთ-იქიდან შემოძახილზე: აბა, ბიჭებო, მაყრულიო, — არაქელამ მართლა მაყრული რომ წამოიწყო, მაშინვე ჩავეჭერ. არა, უხეშად არა, ყოველთვის დიდი ხათრი და რიდი მქონდა მისი, მაგრამ რაღაც ტალღამ ამიყოლია, დამატრიალა და დამაბურბულა და შემჩერებელი მე არ ვიყავი.

— ეს კი არა, ჩვენი მაყრული-მეთქი! — და „კაკო ყაჩაღი“ წამოვიწყე.

ამყვნენ, განა არა, მაგრამ ყველას ხმა რომ გადავფარე, გაილურსნენ და ეგრე ხმაგაკმენდილნი მომაჩერდნენ. მერე ის მახსოვს, ხან ვინ მეხვეოდა და ხან ვინ: შენ ვინ ყოფილხარ, ეს რა ჰქენ, კაცო, სიმღერის უნახავები გაგვხადეო — !..

ვიჩეჩავდი მხრებს, აბა რა გითხრათ-მეთქი.

არაქელა დიდხანს ვერ მოვიდა გონს.

და კიდევ არაერთხელ რომ მოგვიწევდა ჩვენი მაყრულის დაგუგუნება და მოლხინეთა შეჟრჟოლება ერთიანი ძალით, არაქელა ყოველთვის გამახსენებდა: ის მაინც რა იყო, რა გადაგვრიე სუ-ყველა, რა შთაგონება გენვია მაინც ამისთანაო?

მე თვითონაც არ ვიცი-მეთქი.

ნეტა ფეხი მომტეხოდა და იმ დღეს საბაშვილის დუქანში არ შევსულიყავ. რა ხშირად მე შევდიოდი, მაგრამ იქ ყოფნა კი მიყვარდა. სხვაგან უფრო მარტოსულად ვგრძნობდი თავს,-შევიდოდი და საჩქაროდ ვისადილებდი, თითქოს ვილაცას გავურბოდი, საბაშვილთან კი ქეიფის ხალისზეც ვდგებოდი და თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი, არიქა და ვინმე ნაცნობი დავლანდო-მეთქი. განა ერთხელ და განა ორჯერ?! შევყვებოდი და შევყვებოდი და ის სუფრა კაიხანს მყოფნიდა... მერე ისევ მოვიგდებდი ორიოდ გროშს და ჰაიდა...

იმ დღეს კი რატომ ფეხი არ მომტყდა.

არა, მოტეხვით კი მომტყდა, მაგრამ მერე, ერთი ნეკნიც რომ აღარ შემრჩა მრთელი და სახესა და ფერდებს, უღმერთოდ ნაგვემს, დიდხანს ვწამლობდი. ეჰ, გვემას ვინ ჩივის, ან ისიც დიდი ამბავი, მეხსიერების ძაფიც რომ მიწყდება დროდადრო.

იმასაც კი ვფიქრობ, ნეტა ისე გამიწყდეს, ვეღარც ვერაფერი მოვიგონო-მეთქი.

კოშმარებმა უფრო გამტანჯა, ავმა სიზმრებმა სულ მომითავა ხელი და მოსვენებულად ვეღარ მიცხოვრია. სულ ისაკა ალხანაშვილის სიტყვები მიდგას ყურში, ილიას უშვერად რომ აგინებდა. უფრო საძაგელი მანამდე არაფერი მსმენია, თუმც სულ გზაშარაზე ვიყავ გამოდებული. წიგნის კაცის ცხოვრება ჩვენს დროში ეს იყო და სხვა დროსა და სხვა ქვეყანაში რა მოგახსენოთ.

ისაკას დიდი პატივისმცემელი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ კეთილი სალამი გვქონდა და სხვებს რომ უდიერად ექცეოდა, მე მომეტებულის მოწონებით მხვდებოდა: მამაჩემი გაფასებდაო.

იმას წიგნი უყვარდა, ბევრი კი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ რელიგიური განცდა ჰქონდა წიგნისადმი. ეს რომ შევატყე, საჩუქრად ვაძლევდი ხოლმე და ციმციმ მიაქანებდა შინ, რათა ხატივით დაესვენებინა.

ეს ისაკა მამას არ გამომგვანებია, ეგაა, ერთადერთი ჩემი რიდი ჰქონდა და, რა დავმალო, დუქანში მისი შემოსვლა გამეხარდა. სხვა დროსაც არაერთხელ ვმსხდარვართ ერთ სუფრაზე, თვითონ გამოიდებდა ხოლმე თავს და უარი არასოდეს მითქვამს. ახლა კი შორიდან მომესალმა და თავის კაცებთან ერთად მიუჯდა მაგიდას. რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ და ისე ირჯებოდნენ, თითქოს ქეიფის მიწურული ყოფილიყოს — ღრიანცელად იქცნენ. ასე მეგონა, ხუთნი კი არა, ათასნი არიანო. არადა, ჯერ ერთი ჭიქა თუ შეესვათ.

ნეტა ხელი მაინც მომტეხოდა და აქედან მათი სადღეგრძელო არ დამელია. მარტო ჯდომა მომწყინდა და თანამეინახეებს ვეძებდი, მე უკვე კარგა შევზარხოშებულიყავ და მათი ღრიანცელი კიდეც მეამა.

იმათაც იქიდან ჩემი დღეგრძელობისა რომ შესვეს და თავისთან მიმინვიეს, თავპატიჟს რატომ დავიდებდი, მათთან გადავჯექი. ისაკამ ჩემი თავი რომ წარუდგინა, ჯერ კი არაფერი და:

— შენ ის არა ხარო, — როდის-როდის იმათგან ერთმა, — ილიაზე რაღაც ბროშურა რომ დაგისტამბავსო?

— მე ვარ-მეთქი, — გამიხარდა. გესიამოვნება კაცს, შენი ნაწერის მკითხველს რომ აღმოაჩენ.

ისაკამ:

ყოფა უტირე, არაო?

— ვის-მეთქი, — რას მივხვდებოდი, ილიას თუ გულისხმობდა.

იმან კი:

შენ ჭკვიანი კაცი ხარ, სხვებივით არ მოტყუვდებოდი და გადმოაფარჩავებდი, ვინც ბრძანდება სინამდვილეშიო.

— ვინ ბრძანდება და უფრო დიდი კაცი არა გვყავს-მეთქი.

და გაცოფებული ისაკა კიდეც წამოვარდა ფეხზე: როგორ, შენცაო?..

ჩემთვის იმ წამს სხვა არაფერი უკადრებია, მაგრამ ილიას ისე საძაგლად მისდგა. ჯერ კალამი უგინა და მერე ყურო ნუ გაიგონებ: თავის თავს უღალატა და ამიტომ ყველაფრის ღირსიაო.

ისინიც, იმისი კაცები, წამოცვივდნენ და აყვნენ:

მოსაკლავია და ჩვენი ხელითაც მოკვდება, შორს არ არის ის დღეო.

ის მახსოვს, მეც რომ წამოვხტი ფეხზე და პირში მივახალე:

თქვენ ყველანი ძაღლის თესლიდამ ხართ გამოსული. თქვენ სოციალ-დემოკრატები კი არა, ნამდვილი უზრდელი კინტოები ხართ-მეთქი.

ამის თქმა იყო და სკამიც ჩამიშვეს თავში, მერე კი უგონოდ დაგდებულისათვის წიხლებიც უზელიათ. საბაშვილი დახლიდან გამოვარდნილა ძახილით: რას შვრებით, არ მოკლათო, -მაგრამ ერთი გავეშებული ალიყური მისთვისაც გაუკრავთ და სადღაც მოუსვრიათ. ველარავინ გაბედა მათი ხელიდან ჩემი გამოგლეჯა. ჯერ იქ მზილეს ფეხით, მერე გარეთ გამომათრიეს და იქ შემდგნენ. იქაც ვერავინ გაეკარათ. ისევ საბაშვილი წამომშველებია და მაგარი მუჯლუგუნებიც მოხვედრია — შენც მოგკლავთო, იმუქრებოდნენ, ის კი ისევ ჩემს გამორიდებას ცდილობდა.

გული რომ იჯერეს როდის-როდის, დამტოვეს შარაზე და გამშორდნენ. საბაშვილმა მომხედა, დასტაქარიც დამაყენა თავზე და, ვიდრე ფეხზე წამოდგომა არ შევძელ, თავისთან ვყავდი.

ისაკას შემოეთვალა: გზაზე არსად გადამეყაროს, თორემ ეგრე იოლად ველარ გადამირჩებაო.

იოლადაო, კაცო?!

მე თავი გადავდე და იმის მოგზავნილ კაცს დავაბარე:

მამაშენისა არაფერი მოგეცხო, ასეთი უჯიშო ვის გამოემგვანე-მეთქი.

აღარაფრისა მეშინოდა, ბარემ მოვეკალ და მოვესვენებინე.

გონზე მოველ თუ არა, მაშინვე კაცი ვაფრინე ილიასთან:

ძალიან გემუქრებიან-მეთქი.

კაცი რომ დაბრუნდა და მაშინვე ვკითხე: რა თქვა, რას აპირებს-მეთქი. — გაიცინაო. — როგორ თუ გაიცინა, ხუმრობა რატომ ჰგონია-მეთქი; და ფეხზე წამოვჩოჩიალდი თუ არა, რედაქციაში მივადექი.

კაბინეტში ჩაკეტილიყო. ასე იცოდა, სასწრაფოდ რომ ჰქონდა რაღაც დასაწერი, ასე ჩაიკეტებოდა და ცხვირსაც ვერავინ შეყოფდა.

— უნდა შეხვიდეთ, — აღარ მახსოვს, რომელს ვუთხარ, — ძალიან ემუქრებიან და იქნებ სულ გაეცალოს აქაურობას, ჩამოეხსნას ამ სოციალ-დემოკრატებთან ბრძოლას, ეგენი ყველაფრის მკადრებლები არიან-მეთქი.

— ვიცითო, — მწუხარედ მომიგო რამდენიმე კაცმა, — ჩვენც გავიგეთ რაღაცები და რომ ვეუბნებით, გაიცინებს ხოლმეო.

ფეხი არ მომიცვლია, ის ღამე რედაქციაში გავათიე და დილით ილიამ კარი რომ გახსნა, სალამიც არ მითქვამს:

მოკვლას გიპირებენ-მეთქი.

— შენ კარგად იყავი, ჩემო ზაქარიაო, — იმან, — თავის ბედს ვერავინ გადავაო.

ეს ისაკა ნეტა სადმე გადამყროდა და მოვეკალ ბარემ, თორემ გამტანჯა ამ კოშმარებმა, ნახევარ კაცად ვიქეც.

არა, უფრო საძაგელი ცხოვრებაში არაფერი მომისმენია.

ფილიპე მახარაძე

ამათ ხომ ყველაფერი უნდა დაუღეჭო. ჟურნალისტებს კი ირქმევენ. ბარემ მე დავწერდი და ეგაა, ამით გადამკიდე, მაგრამ ყველაფერი მე როგორ ვწერო.

იმ დღესაც ეს ვასო ნაცვლიშვილი ბრიყვის თვალებით რომ შემომყურებდა!.. ვეუბნები:

-წახვალ ახლა საგურამოში, მიივლ-მოივლი იქაურობასაც და ახლო სოფლებსაც, ხალხს გაესაუბრები და მასალებს შეაგროვებ ილია ჭავჭავაძეზე, როგორ ყვლეფს გლეხობას, როგორ აწამებს, ცხრაპირ ტყავს აძრობს, თვითონ აიმხედრა გარშემო ყველა და ახლა აღარ მოსწონს, სოციალ-დემოკრატებს აბრალებს მათ გადაკიდებას, თითქოს ხალხმა თვითონვე არ იცოდეს, ვინ არის მისი მტერი და ვინ მოყვარე.

კარგი იქნება, თუ რომელიმე გლეხკაცის სიკვდილსაც აჰკიდებ, მის ულმობელ საქციელს გადააბრალებ-მეთქი, -დავძინე, და იმან კი: ვინ გლეხკაცი, ვინ დამიდასტურებს, რომ მართლა ილიას სისასტიკეს შეეწირაო.

ასეთი ადამიანები პარტიაში არ უნდა გვყავდეს, მაგრამ რა გინდა ჰქნა, ეს ბრიყვი კიდევ სხვებსა სჯობს, წინადადებას მაინც აბამს წინადადებაზე.

სხვებს დავალებაზე რომ გაგზავნი, შენც უკან უნდა გაჰყვე... თუმცა გაყოლა ლამის ამასაც სჭირდება.

აბა, რომ გეტყვის: ვინ დამიდასტურებსო.

ხალხი, ხალხი დაგიდასტურებს.

იტყვი: ხალხი ამბობსო, და მორჩა და გათავდა — არგუმენტი უკვე მზადაა და იმართლოს თავი, თუ შეუძლია, ამტკიცოს, მკვლელი არა ვარო.

ისიც კარგი იქნება, თუ საგანგებოდ აღნიშნავ, „ბალკონზე" გადმომდგარი ილია გლეხს რომ ურისხდებოდა, ორმოცთუმნიანი ქურქი ეცვა-მეთქი.

— ნამდვილად ორმოცთუმნიანია? რომ თქვას, ასეთი ქურქი საერთოდ არ გამაჩნიაო?

რა უნდა ელაპარაკო-!

კინაღამ გადავიფიქრე მისი გაგზავნა, მაგრამ ამას მოქნილი ენა მაინც აქვს, კაი შემპარავი ლაპარაკიც იცის და ვიღაც-ვიღაცებს მარჯვედაც გააცურებს.

დავისვი და სტატიის გეგმა იქვე შევუდგინე, თანაც წავაქეზე, რაც შემეძლო: გაშლაღა უნდა და ცოტა შენც გაისარჯე-მეთქი.

ბარემ აქვე გავშლი, საგურამოში ხეტიალი რაღად მინდაო.

არა, რა უნდა ელაპარაკო!

ხომ უნდა გნახოს ხალხმა, იქ რომ მიდიმოდიოდი, მართლა გულშემატკივრად გიგულოს და დაგიჯეროს, რომ მთელი ის ამბები იქვეა წამოკრეფილი. შენ მხოლოდ მიუდგომლად ჩაიწერე, ეგაა და ეგ.

ისე ნეტა როგორ ურიგდებოდნენ ერთმანეთს ახალგაზრდა პოეტი ჭავჭავაძე და უკვე დავაჟკაცებული და დინჯი პუბლიცისტი ჭავჭავაძე? ის ლექსი ყველასთვის ცნობილია: „მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისაო“, — მაგრამ განა ვინმე დაფიქრებია — გარდა ნოე ჟორდანიასი, ვიდრე მენშევიზმი თავის ჭკუაზე გადაიყვანდა და რაღაც-რაღაცებს ბუნდოვნად დაანახვებდა — რომ 1860 წელს დაწერილი ეს ლექსი დაბეჭდვით მხოლოდ 1871 წელს დაიბეჭდა, როდესაც უკვე აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა?!

მიკვირს, ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული ლიტერატურის განხილვისას ამ ლექსსაც რომ ახსენებენ ხოლმე.

ლექსის დაწერა და „სტოლის“ უჯრაში შენახვა სხვაა და მისი გამოქვეყნება — სულ სხვა.

ყველას ყველაფერი როგორ უნდა დაუღეჭო!..

ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულად არც „კაცია-ადამიანი“ ჩაითვლება და არც „გლახის ნაამბობის“ დასაწყისი. მართალია 1863 წელს დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“, მაგრამ აქ არსებითად არ არის უარყოფილი ბატონყმური ურთიერთობა, მხოლოდ ზოგიერთი უკიდურესი მხარეა გაკიცხული ამ წეს-წყობილებისა. სიმართლე ესაა. ავტორს არ მოსწონს ზოგიერთ მებატონეთა გაფუქსავატება, ზნეობრივი და გონებრივი გადაშენება, მეტად უდიერი და სასტიკი მოქცევა თავის ყმებთან, თორემ უამისოდ ბატონყმობა საუკეთესო წეს-წყობილებაც კი ჰგონია.

იგი არ იყო, რომ ამტკიცებდა, ანუ სხვა სიტყვებით იმეორებდა ალექსანდრე ორბელიანის აზრს: ძველად საქართველოში ბატონსა და ყმას შორის მხოლოდ მამაშვილური და მეგობრული დამოკიდებულება არსებობდაო?

გამეორება არაა, აბა რა არის, როდესაც ირწმუნები... ჩახედეთ, აბა, მის პუბლიცისტურ წერილს „ცხოვრება და კანონი“... დიახ, ირწმუნები: ჩვენს ძველ ცხოვრებაში დას-დასად დაყოფა ერობისა არ არსებობდა, ერთ წოდებას რაიმე უპირატესობა არა ჰქონია ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და მეორე წოდება არ დაუჩაგრავსო?!

მანაც და „ივერიამაც“ ალექსანდრე ორბელიანისაგან გადმოიღო და იწყო ქადაგება იმ ყოვლად არამარქსისტული აზრისა: თოფმა და ხმალმა უკვე დაკარგეს თავისი მნიშვნელობა და დღეს აუცილებლად საჭიროა სწავლა-განათლება, მიწის ნაყოფიერების გამრავლება და ვაჭრობაო.

ამას კი ამბობდა ეს „ბუნტის“ მოთავე, მაგრამ სრულებით ვერ გრძნობდა, რომ სწავლა-განათლება და ვაჭრობა-მრეწველობა სამუდამოდ მოუღებდა ბოლოს ბატონყმობას და უარყოფდა ძველი დროის პატრიარქალურ-იდილიურ ურთიერთობას ბატონსა და ყმას შორის, რასაც ასე შენატროდა.

ეს ხომ წოდებრივ უპირატესობასაც მოსპობდა, რასაც ალექსანდრე ორბელიანი ვერაფრით ვერ შეურიგდებოდა, მისი გონება აქამდე ვერც ვერასოდეს ამაღლდებოდა.

ამ პიროვნებას გვიხასიათებენ, როგორც მეტად კეთილ ადამიანს კერძო ცხოვრებაში, გლეხების მოწყალესა და შემბრალეს, ყველა შეწუხებულის მფარველსა და საქართველოს დიდ მოყვარულს, მაგრამ როგორც მებატონისათვის, ყმა მისთვისაც მხოლოდ ყმა იყო, ყოველგვარ უფლებას მოკლებული და მეტი არაფერი — უბრალო სახმარი ნივთი.

ილია ჭავჭავაძემ თავიდან თითქოს აუღო ალღო ახალ ცხოვრებას, მაგრამ იმის მაგივრად, გონების ჰორიზონტი უფრო და უფრო გაეფართოვებინა, რა სიკეთეც ჰქონდა, ისიც დაჰკარგა და გადაიქცა ერთ უსულგულო მებატონედ, თავადაზნაურების იდეოლოგად, მუშებისა და გლეხების მტრად, ცარიზმის ყურმოჭრილ მონად და მსოფლიო მნიშვნელობის ჯაშუშად — არამარტო საქციელით, აზრებითაც... ყველას წააჭარბა გულქვაობით. ცხოვრების მიზნად ის დაესახა, გლეხები ეყვლიფა და ეტყუებინა. არცა გვგონია საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი სასტიკი მემამულე, რომელსაც ასე ულმობლად მოყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა.

იმ ჭაობისაკენ ექაჩებოდა ქვეყანას, რომელსაც ათვალწუნებით შესცქეროდა „კაცია-ადამიანში“ და იქიდან ლუარსაბ თათქარიძის გამოთრევას ლამობდა.

ახლა რომ დაინახოს, თათქარიძეები ჭაობიდან გამოღწევას ცდილობენო, თვითონვე მოებღაუჭება და უკანვე მიაბრუნებს.

ალექსანდრე ორბელიანი თავის შეხედულებებს მაინც გამოთქვამდა, გულუბრყვილოს, ანტიხალხურს, ანტიმარქსისტულს, მაგრამ თავისას, ეს კი თუთიყუშივით იმეორებს და თავი ისე მოაქვს, თითქოსდა ქვეყნიერება მას აღმოეჩინოს.

ეს პოლიტიკურ-ტერიტორიული ავტონომიაც რომ აიჩემა?!

თუმცა რა, ეს ნაციონალისტები ხომ ყველგან და ყოველთვის ბურჟუაზიის ინტერესების დამცველები არიან. საქართველოს ავტონომიაც მხოლოდ მჩაგვრელთა ინტერესებისათვის არის გამოსადეგი, ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობისათვის, და არა მშრომელი ხალხისათვის.

ვერც ილია ხედავდა თავისი ეროვნული ცხვირის იქით ვერაფერს და თავის თავს თვითონ ღალატობდა. ეროვნულ ნიადაგს გაიძახოდა და იმპერატორის თვითმპყრობელობას კი ამაგრებდა.

მოჩვენებითი კეთილშობილების გამოჩენა კი ძალიან ეხერხებოდა. ადამიანის ხელშეუხებლობასა და პიროვნების პატივისცემასაც გაიძახოდა, სულ სამართლიანობა ეკერა პირზე, მაგრამ... თვითონ ფეხქვეშ დაუნდობლად სთელავდა და ჯიჯგნიდა ადამიანის ღირსებას.

მინდოდა ესეებიც მეთქვა ვასოსათვის, მაგრამ მაინც ვერაფერს დაიმახსოვრებდა.

მე კი რამდენჯერ დამეწერა.

არა კმაროდა, წერილის გეგმა ჩემი ხელით რომ მოვუხაზე?!

პუბლიცისტები ჰქვიათ და წერა ვერ ისწავლეს... აი ენერგია და უნარი ილიას ჰქონდა, მაგრამ რად გინდა, ქვეყნის სამსახურს არ მოახმარა, ხალხი უარყო და ხალხმაც ზურგი შეაქცია. შემთხვევითი კი არ არის, სტამბის მუშები უარზე რომ დადგნენ, ილიას საპასუხო წერილს არაფრით არ ავაწყობთო.

ლუარსაბ თათქარიძეო! ვითომ გმობდა... არა, თვითონ ნეტა რითი სჯობდა იმ ფუქსავატსა და ზნეობრივად და გონებრივად გადაშენებულ არსებას?..

ისე, კაცმა რომ თქვას, ლუარსაბი ქვეყნის განვითარებას მაინც არ აბრკოლებდა, ეს ილია ჭავჭავაძე გველეშაპად რომ მოგვევლინა და... მის გაუფატრავად ხალხი სიკეთეს ვერ ეწევა... განა ვის უნდა უნდოდეს მაგის მოკვლა, მაგრამ სხვა გზას რომ არ გიტოვებს?!.

გიგა ყიფშიძე

არა, გაზეთი არაფრისდიდებით არ უნდა დაეთმო. ყველა საქმე მაგას ეკიდა ზურგზედ — ან თვითონვე უნდა წამოეწყო, ანდა სხვისი თაოსნობა ჩაებარებინა და ფეხზედ დაეყენებინა. გაბეზრდა, განა არა?! წლები წლებს მისდევდა და არაფერი იცვლებოდა, არავინ გამოუჩნდა, მხარი რომ შეედგა და მისთვის ცოტა მოსვენება მიეცა. მცირე შვებაც არ ახსოვდა მთელი ცხოვრება.

სამწერლო ასპარეზს რომ ჩამოსცილდა, ესეც გულს მიკლავდა და რამდენჯერ ჩემთვის დამიჩივლია, რამდენჯერ მისთვისაც მითქვამს:

— ამხელა მწერალი როგორ ასცდით თქვენს გზას, საამისო მოცალეობა რომ გქონოდათ, ბალზაკისდენსაც შეძლებდით-მეთქი.

მომაპყრობდა ფიქრიან მზერას:

— ჩემო გიგაო, ან მწერალი უნდა დაილუპოს ქვეყნისათვის და ან ქვეყანა — მწერლისათვის, სხვაგვარად ვერ იქნება და, აბა, მითხარი, როგორ სჯობდა, რომელი რომელს შევწირვოდითო.

შეწირვა რა აუცილებელია-მეთქი.

ერთი კაცი განა რამდენს გაწვდებიო.

ისედაც ათასი კაცისას იქმოდა და ათას მეერთეს ტვირთი, ეტყობა, უკვე ებევრებოდა. დაჩნევით კი დააჩნია დიდი კვალი ჩვენს ლიტერატურას, მაგრამ გულით მინდოდა, ევროპაშიც გაქვეყნებულიყო მისი ნაღვაწი, იმათ უკეთეს მწერალთა რიგში ჩამდგარიყო. ვერ შეიშნოვებდა თუ რა?!.

გაზეთი მაინც არ უნდა დაეთმო.

მხოლოდ ბანკი დაიტოვა სამოღვაწეოდ, ხანშიც შევიდა, ძველებურად აღარ ერჩოდა ძალ-ღონე, ქვეყნისათვის კი უპირველეს ხსნად ბანკს ხედავდა და ვერ უღალატებდა. არადა, ისე წამოსეოდნენ ყოველი მხრიდან, ამხელა იარაღის, „ივერია" რომ იყო, ძირს დაშვება როგორ იქნებოდა.

ეტყობა, იმედი ჰქონდა, რა მნიშვნელობა აქვს, რედაქტორი მერქმევა თუ არა, განა ჩემი სახელი და ავტორიტეტი არა კმარა, როცა მოვიწადინებ, ყველა რედაქციის კარი ჩემთვის გახსნილი იყოს, ჩემი „ივერიისა" ხომ ყურთამდე გაღებულიო?

მეფე ლირივით დაემართა.

როგორ უყვარდა ეს პიესა. ივანე მაჩაბელთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა რომ ჰქონდა, მაშინაც არ აცრუებია გული და ხშირად შევსწრებივარ, ედო მაგიდაზე გადაშლილი და ხან თავში კითხულობდა და ხანაც ბოლოში. რამდენჯერ შემკითხვია: როგორი გამოვიდა, დიდი ძალ-ღონე კი ჩავახარჯეთ მე და ვანომაო, — და ყოველთვის აღტაცებას გამოვთქვამდი. არც გადაფურცვლა სწყინდებოდა, არც ეს კითხვა-პასუხი და ხან თუ გაყუჩდებოდა, ხანაც დანანებით ჩაილაპარაკებდა: ამ აკაკი წერეთელს რატომ ვერ მოვაწონეთ, რას ხედავს ამ თარგმანში ურიგოსო.

თვითონ მისთვის კი არაფერი უგრძნობინებია. არც მაშინ უკადრებია საყვედური, აკაკიმ, მისებური ხუმრობა-გამოთამაშებით, საერთო რვეულიდან ლექსი რომ ამოუხია. საღამო იმართებოდა ქართული თეატრის შენობაში და ესენიც მონაწილეობდნენ — ორივეს ლექსი უნდა წაეკითხა. აკაკიმ სულ ზეპირად იცოდა თავისი ლექსები, ილიას კი უჭირდა დამახსოვრება და საღამოებზე რვეული თან დაჰქონდა, დროდადრო რომ ჩაეხედა შიგ. აკაკისაც კარგად მოეხსენებოდა ილიას ეს გასაჭირი და მისი რვეულიდან მალულად ამოეხია ის ახალდაწერილი ლექსი „ერთ ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ".

გამოვიდა სცენაზე ილია, დაიწყო ზეპირად, წაიკითხა ერთი სტრიქონი და დაწვდა რვეულს, მაგრამ რაც აღარ იყო, რაღას ნახავდა. შემოეყარა გულს და გადმომძახა სცენიდან:

— ბიჭო, გიგა! ვინ ამოხია ჩემი ლექსი? ეს უსათუოდ აკაკის საქმე იქნება.

გაიღო კარი და შემოვიდა აკაკი სიცილითა და იმ ფურცლით ხელში. ატყდა ერთი სიცილ-კისკისი და ილიაც აჰყვა საერთო მხიარულებას. აკაკიმ ექსპრომტიც მიაყოლა — „კმარა, კმარა, კმარა! გავჩუმდები, თვარა წამომცდება მეტი, აქ მომხვდება კეტი" — და გადასცა ფურცელი.

ეს ეპიზოდი აღარც არასოდეს გაუხსენებია, „მეფე ლირის" ის გაკილვა კი მწარედ ჩარჩენოდა გულში, სულ კრიტიკული თვალით ზომავდა, თუ მართლა გამოსასწორებელია რამე, ბარემ ჩავასწორებ და ის იქნებაო, ზადს ვერა ჰპოვებდა და თან უხაროდა და თან გაკვირვებას იყო: მაშ აბა რატომ?!.

თვითონაც მეფე ლირივით კი დაემართა.

გინდა გადამიცია სახელმწიფო მემკვიდრეობისათვის და გინდა არა, რაღას ველოდო აღსასრულს, ბარემ ახლავე დავუტოვებ ჩემს მემკვიდრეებს,

მეფე მაინც მე ვიქნები და მაინცო, — უთუოდ ამას გულისხმობდა ლირის საქციელი.

სახელისა და დიდების იმედად იყო. ვერ იფიქრა, წარმავალი რომ არის სახელი და ავტორიტეტი, იარაღიც თუ არ გიპყრია ხელთ.

ილიას ასეთები არ ეშლებოდა, მაგრამ ასეა თუ ისე ზედმეტად კი მიენდო თავის რედაქტორულ ავტორიტეტს, ველარ ჩაუკვირდა, რომ მორალდარღვეულ საზოგადოებაში სახელი და ავტორიტეტი ისეთივე აბსტრაქციაა, როგორც ის სოციალისტური იდეები, ყურები რომ გვქონდა გამოჭედილი მესამედასელთაგან. მარქსის მოძღვრება გაეხადათ თავიანთ სახარებად, აღიარებდნენ მხოლოდ ისტორიულ მატერიალიზმს და ყოვლისავე სათავედ და საფუძვლად დაესახათ მშრომელი ხალხის ეკონომიკური ინტერესები, უფრო კი მუშა ხალხის — პროლეტარიატისა, და არაფრისდიდებით არა სურდათ გაეგოთ, რომ ის პროლეტარიატი, რომელთა გულისთვისაც დაუპირისპირდნენ ჩვენს ცხოვრებაში ცოტაოდნავ ფეხადგმულ ეროვნულ შეგნებას და არც ტერორს დარიდებიან, უბრალოდ არ არსებობდა...

თუ ვინმე ვერ მოუყრუებდა ყურს ასეთ იდეურ მოძრაობას, უპირველესად ილია, თავისი „ივერიით“. სანამ ბრძოლა თეორიული იყო, კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ თანდათან გამწვავდა და ილია ამოიღეს მიზანში, როგორც სრული წარმომადგენელი და გამომხატველი ქართველთა პატრიოტული და ეროვნული მიმართულებისა, როგორც ბაირახტარი და ბურჯი...

და ასეთ დროს... „ივერიის“ დათმობა?!

ჯერ კიდევ თეორიული ბრძოლის ხანაში რამდენჯერ შემითავაზებია ილიასათვის: მეც ჩავერევი-მეთქი... სხვანიც გამოჩნდნენ მხურვალე გულშემატკივარნი, მაგრამ თვითონ დადგა უარზე, ითაკილა თუ რა იყო:

არც შენი ჩარევა მინდა, არც სხვებისა, რა გახდა ეს მარქსიზმით გამოლაყებული ბღარტები, მთელი ქვეყანა ხომ არ დავეხვევით, მეც იოლად ვეყოფი, მალე მოვათავებ მაგათ გნიასს, "ხალხს" რომ გაიძახიან გაუთავებლად. მართლა კი არ უდგათ ფესვი ხალხში, ფესვები საერთოდ არ გააჩნიათ და ნეტა რის იმედად არიანო...

ძალიან დაგვიშალა მეც და სხვებსაც.

იქნებ არ შემეთანხმებინა და ისე ჩავრეულიყავ?.. ახლა ადვილია ამის თქმაც და სინანულიც, მაგრამ რომ წყენოდა? იმის წყენინებას ყველაფერი მერჩივნა.

ეჰ... მალე მოვათავებ მაგათ გნიასსო...

სხვა გზა აერჩია ისტორიას, სხვა კანონ-სამართალი განაგებდა მის მდინარებას, უსამართლო სამართალი დასდებოდა საფუძვლად იდეურ ცხოვრებას და თუ ვინმე გაიწირებოდა, ისევ ილია — ბურჯი და ბაირახტარი, თანაც უკვე უიარაღოდ მდგარი, მეფე ლირივით, იმ საბრალო მეფე ლირივით, ვისი ქართულიც ილიას ასე ეამაყებოდა.

ბახვში მეც თუ ვიყავი?

ამ სოფელში არაერთხელ ვყოფილვარ, გავლითაც, საგანგებო დავალებითაც — იქაურ კომიტეტთან ამბები ჩამეტანა ტფილისიდან და ახალი წევრების შემომატება კი მთავარი კომიტეტისათვის მეცნობებინა. მაგრამ იმ დღეს და იმ კრებაზე არა ვყოფილვარ. რომელ დღესა და კრებაზე? თავს ნუ იგულუბრყვილოებთ. ვითომ სწორედ იმ კრების გამო არ მიხსენებდეთ ბახვს.

ილიას მოკვლის გადაწყვეტილებისა არაფერი ვიცი და მონაწილე, აბა, როგორ ვიქნებოდი.

ნოე ჟორდანიას კი ცილი არც უნდა მისცხობოდა.

ამას იკადრებდა ჩვენი ბელადი, მკვლელობაში გარეულიყო?!.

რისთვის სჭირდებოდა, თორემ კი...

სიტყვით ისედაც ამხობდა ყველას, ისედაც საბოლოოდ მოუთავებდა ხელს და მის ჟურნალისტურ ხელოვნებასა და რკინის ლოგიკას აკი ვერც ილია გადაურჩა.

დასცა და... ვეღარც წამოდგა. მაგრამ დასცა კალმით და არა ტყვიით.

ფილიპე მახარაძის შეშველება სულ არა სჭირდებოდა. ფილიპე ეტმასნებოდა ნოეს და არა ნოე ფილიპეს. ეგაა, ჩვენი ბელადის მთავარი დებულებანი გადაიღო და გაახალხურა, თან ეს „ჯაშუშიც“ დაიხვია ხელზე და წამდაუწუმ სახეში სჩრიდა ილიას. რასაც ნოე გამჭვრივალედ მიანიშნებდა, იმან გაშიფრა ყველა ქარაგმა, მაგრამ მთავარი ხომ მარჯვე ჩავლებაა სუსტი ადგილებისა, ამოწევა და დაფშვნა რკინის მუშტით.

დაცდა თუ არა ილიას: თუ კაცი თვითონ ნულია — გლეხია თუ თავადი — ათასი ამისთანა ნულები რომ ხელიხელ ჩართულად გაგვიმწკრივოთ, მაინც ნულია და ნულიო, — მაშინვე ჩაავლო ნოემ საკბილოს და ბრალადაც წააკეცა: როგორ თუ მუშებს ნულები უწოდეო.

კიტა აბაშიძე ხალხის დარწმუნებას ცდილობს, ილიას მუშები საერთოდ არ უხსენებია და გინდაც ეხსენებინა, ამ ფრაზას ყოველი ადამიანი თამამად მოაწერდა ხელსო.

კიტას როგორ უნდა დაუჯერო კაცმა — საქართველოს ტერიტორიული ავტონომია რომ აზრად მოუვა და ამ გზით პროლეტარიატის დაქსაქსვასა და თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ძალმომრეობის განმტკიცებას მოინდომებს, ის უნდა მოიკვეთო, არამცთუ რაიმე დაუჯერო.

რა გამოდისო — მაშინაც ნაცად რკინის ლოგიკას აამოქმედებდა ნოე — ხალხი თავისთავად არაფერიც არ არის, ნულია, ხოლო როცა მას მიემატება რომელიმე ციფრი, ანუ გაბატონებული ელემენტები, მაშინ ის ხდება ძალაო. ეს, როგორც ხედავთ, განსაზღვრული შეხედულებაა ხალხზეო.

ილიას ნათქვამიდან ეს არ გამოდის?

რა, არა?

თქვენი გამკვირვებია. ამ სოციალისტ-ფედერალისტებმა ასე როგორ აგიმღვრიეს გონება, სავსებით ნათელ ხაზს ვეღარ ამჩნევთ, ლოგიკური რგოლები ხელიდან გაგირბით.

არადა, რა სიღრმეები გადაიშლება ნოეს მსჯელობაში. მაინც რა ოსტატურად მიაკვლია ვითომდა სასხვათაშორისოდ წამოცდენილ ფრაზაში ბოროტულ საწყისს:

ახლა მითხარით, რა არის ეს შეხედულება, თუ არა დემოკრატიზმის ძირიანათ უარის ყოფაო? — მომაკვდინებელ შეკითხვას წამოჭრიდა და პასუხი აღარც იყო აუცილებელი, მაგრამ საქმეში ნაკლებად ჩახედულ ადამიანებზეც ყოველთვის ძალიან ზრუნავდა ჩვენი ბელადი და ამჯერადაც უწვრილმანეს დეტალებამდე ჰფენს ნათელს ჭეშმარიტებას:

— ასმა კაცმა თავისი მსჯავრი გამოიტანა საზოგადო მოვლენაზე... მათ ნულები უწოდეს, ესე იგი მათი აზრი საზოგადო კითხვაზე მოსატანი არ არისო... თუ ხალხს არ შეუძლია თავისი მსჯავრი გამოიტანოს საზოგადო მოვლენაზე, იმიტომ, რომ მას მეცნიერება არ შეუსწავლია, მაშ არც ხმა უნდა მიენიჭოს საზოგადო კითხვების გადაწყვეტაში, მაშასადამე დემოკრატიული წყობილება, ხალხის სუვერენობა სისულელეა. აი, საითკენ მიდის ილიას მიერ გამოთქმული და ფედერალისტების მიერ მოწონებული დებულება.

ამისთანა მარგალიტები იმდენია მიმობნეული ნოეს ნაწერებში, თვლას ვერ აუხვალ.

ამ ნათელ ჭეშმარიტებებს ვინც ვერაფერს გაუგებს, ის ადამიანები კიდევ ხმას უნდა იღებდნენ?

მიხეილ ადამაშვილისა რა უნდა გაგიკვირდეს, ყველამ იცის, ცინიკოსია და მიზანთროპი, სულს უმღვრევს და გონებას ურევს ნოე ჟორდანიას სიდიადე და სულ მის წაკბენაზეა. ამ უზადო მსჯელობაზეც დამდგარა და ყველგან იმეორებს: საიდან სადაო, ლოგიკის ნასახიც არ ეტყობაო.

აი, ვაჟა-ფშაველასაგან კი ძალიანაც გვწყინს, ნოეს ამ ბრწყინვალე მსჯელობას... აბდაუბდად რომ ნათლავს. ასეთი უბირი არ გვეგონა, მაგრამ აღმოჩნდა და... კერპთაყვანისმცემლადაც ამიტომ გადაქცეულა — უსვენია ღმერთად და ხატად ილიას სახება და ისე დაფოფინებს, თითქოს უიმისოდ შთამომავლობას გზა დაეკარგებოდეს.

„ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ შემქმნელს ასეთი რამ არ უნდა დამართოდა, მაგრამ ნიჭი სხვაა, როგორც ეტყობა, და განათლება სულ სხვა. ვერ მიეკარა მის გულს მარქსიზმი და ჩარჩა სიბნელეში, ფშავის ხეობებს ვერ გამოაღწია.

არადა, ახალი დროის გადასახედიდან ეს პოემები დრომოჭმულისა და პროგრესულის ჭიდილზეა აგებული და ზოგადი მოდელი თავისთავად ეხმაურება მარქსიზმის დამკვიდრებას. ის ახალი რჯული, ალუდა რომ აფუძნებს, თუნდ მარქსის მოძღვრებადაც გაიაზრე... მე ასე მესმოდა და ვიხიბლებოდი, ვიდრე ახალი დროის მებაირახტრის ნაცვლად ხელთ უბირი კაცი არ შემრჩა.

თავისთვის რამდენიც ნებავს, იმდენი ილოცოს თავის კერპზე, მაგრამ რევოლუციის ლანძღვას ჩამოეხსნას. მე რა, მე ასე თუ ისე შენარჩუნებული მაქვს რაღაც ხათრი და პატივისცემა მისადმი და მკაცრადაც არ მოვკითხავ პასუხს, მაგრამ არ აპატიებენ, არა, რევოლუციის წამდაუწუმ უდიერ ხსენებას და ერთხელაც იქნება გადააყოლებენ თავის უმეცრებასა და თავხედობას.

მე მითქვამს და...

ილია შენი პოეზიის დიდი თაყვანისმცემელიაო, — ჯერ ერთმა მითხრა, მერე მეორემ, მერე მესამემ და ავივსე კიდეც სიამაყით. თვითონ კი არასოდეს შეუქია ჩემთან ჩემი ლექსები, მაგრამ ამას მის მორიდებულობას მივაწერდი, რაკიღა საზოგადოებაში სწორედ ის აზრი გავრცელებულიყო, რომ ჩემს პოეზიას ილია ძალიანაც მოეხიბლა.

დიდი თავაზით კი მხვდებოდა, როდესაც საგურამოში ამიკითხავს და ერთხელ ზედაზნის მონასტრის სანახავადაც მიგვიწვია. ივლისის თვე იყო, წელი ზუსტად არ მაგონდება, უცნაურად ჭრელმა სტუმრებმა კი მოვიყარეთ თავი — ექიმმა-პროფესორმა ბერლინიდან, თუმც ბერლინი პირობითად უფრო ითქმის, ისე გაქართველებულიყო და შეთვისებოდა, სულაც შერწყმოდა აქაურებს, და მე მოსკოვიდან.

ვის გულისათვის გამოიდო თავი ილიამ, ვერ გეტყვით, მაგრამ ძალიან კი გვეამა ურმით მოგზაურობა ზედაზნის მონასტრისაკენ და იქ ხისქვეშ მწვანე მოლზე სადილი. გადავყურებდით არაგვისა და მტკვრის შესართავს, მცხეთას, და თბილისსაც ვაწვდენდით თვალს. ბოსკოს ველარ ვაჩერებდით — ეს რა ვნახე, რა დიდებულებაა, რა მშვენიერებაა, ნეტა შეიძლებოდეს აქ დარჩენაო.

მცხეთაში რომ ჩამოვბრუნდით, ველარ მოითმინა და იქაც კიდევ მთის კალთას შეუყვა, როგორ არ დავტკბე მყინვარის დიდებულებითო. მეც მექაჩებოდა, მაგრამ დაღლილობა მოვიმიზეზე, გაუთავებლად სად მებღოტიალა მთა-მთა, რაც ვნახე, განა არა კმაროდა?!.

რაფიელ ერისთავის იუბილეზე რომ მიმიწვიეს, სამუდამოდ დამამახსოვრდა ის გრძნობიერება, რითაც აღვსილიყო სცენაც და დარბაზიც. იუბილარი ილიამ და აკაკიმ მოიყვანეს თეთრ ცხენებშებმული ლანდოთი და სცენაზე მის გამოჩენას ისეთი ძლიერი და ხანგრძლივი ტაშისცემა და ვაშას ძახილი მოჰყვა, შემეხარბა და რა შემეხარბა... მისი ვოდევილებიც წარმოადგინეს და საღამო დიდად გაახალისეს. ნადიმიც დიდებული იყო, თეატრის ფოიეში გამართული, ორასზე მეტი კაცი ვესწრებოდით. ჯერ, ცხადია, იუბილარის სადღეგრძელო დაილია, მერე ილია და აკაკი ადღეგრძელეს ერთად, მერე დეპუტატები, და ჩამოჰყვნენ და ჩამოჰყვნენ.

ილიასა და აკაკის ცოტა არ იყოს გამწვავებული ურთიერთობა აბა ვის აღარ მოეხსენებოდა და სახელდახელოდ შეთხზული სალაღობო ლექსით ორივეს ვუსურვე შერიგება და ყოველგვარი წყენის სამუდამო დავიწყება.

ეს აკაკი ვინ ყოფილა!..

რაც მე მისი პოპულარობისათვის ვიღვწი — ამხელა რუსეთს მე გავაცანი მისი ლექსებიც და პიროვნებაც, თორემ ჩაიხარშებოდა საკუთარ წვენში, ქართველ მკითხველს ვერ გაცდებოდა და ამ ერთი მუჭა ხალხის გარდა არავის გაეგონებოდა მაგის სახელი. უსაზღვროებაში მე გავტყორცნე — ცალკე რუსი და რუსულად მოუბარი მკითხველი, ცალკე კიდევ მსმენელნი. მაგის ლექსებიც რომ გადიგამოდის ჩვენს ლიტერატურულ საღამოებზე, უჩემოდ ერთი პწკარი მაინც გაიხმიანებდა?!.

რაც მაგის ვაჟი მლოცავს — შენ გამაცანი მამაჩემიო.

როგორც გონიერ კაცს შეჰფერის, ალექსი აღარც იხედება საქართველოსაკენ. ქართულის შესწავლა არც არასოდეს მოუნდომებია და ამიერიდან სულ რა გადარევს, ტყუილუბრალოდ დაკარგოს დრო ქართულის სწავლაში. რაში წაადგება, თორემ!..

ნეტა ეს მამაჩემი რას წერსო, — ეს ფიქრი თუ უფაჩუნებდა სულში, აგერ მე გამოვეცხადე მშველელად და რაღაც წარმოდგენა შევუქმენი. მართლა გავაცანი ერთმანეთს მამა-შვილი.

არა, ეს მაინც ვინ ყოფილა!.. ჩემი უმანკო სურვილი თავხედურ ჩარევად ჩამომართვა და სადღეგრძელოს პასუხად საკმაოდ სუსხიანი სიტყვები მომაყოლა: ამ უცხო კაცს ჩვენი ვითარებისა არაფერი გაეგება და ამიტომაც მოსდის ასეთი შეცდომაო, მე და ილიას თუ ურთიერთში რაღაც უთანხმოება და კინკლაობა გვაქვს, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთი წავახალისოთ და მეტი და მეტი ვაკეთოთ ამ ჩვენი უბედური ქვეყნისათვისო, ნეტა ჩვენს ურთიერთობაში ცხვირს არავინ ჰყოფდეს, მითუმეტეს, სრულიად ჩაუხედავი კაციო, როდესაც გასაჭირი გვიდგება მთელ ერს, მაშინ ყველა ვერთიანდებითო, ასეო, ისეო... სულ თავბედი კი მაწყევლინა.

ილია?

იჯდა ჩუმად და იღიმებოდა.

ასე იცისო — ამიხსნეს — როცა მის პირადობას შეეხებიანო.

ამ ილიასიც ვერაფერი გამიგია.

ვანო მაჩაბელს ჩემთვის რა უწყენინებია, არასდროს იოტისოდენაც არა, მაგრამ ილიას ესიამოვნება-მეთქი, მივდექი და გავაბურთავე მისი სახელი. ილია შეუძლოდ შექმნილიყო და მოსანახულებლად ვეწვიე. თითქოს ნიკო ცხვედაძესა და არტურ ლაისტს მივმართავდი, მაგრამ თვალი და ყური ილიასაკენ მეჭირა, ნეტარების ღიმილი გადაეფინება და გუნებაზედ მოვა-მეთქი.

რა ნეტარი ღიმილი, მოიღრუბლა და რას მოიღრუბლა, და ექიმს რაღაც გადაულაპარაკა, მერე თვალები დახუჭა და გაირინდა.

ექიმმა ყველას გასაგონად გამოაცხადა რუსულად:

— პატივცემულო ილია, დაიღალეთ? ცუდად გრძნობთ თავს? იქნებ ცოტა ხანს დაიძინოთ! დაისვენეთ, სჯობია.

და მოგვიბრუნდა:

— როგორც ჩანს, ჩვენი ავადმყოფი დაიღალა, მივცეთ საშუალება ცოტა ჩაძინებისა, რათა დაისვენოს.

გამომაძევა და ეგ არის. გეუბნებით, გამომაძევა.

ისეთი სახე ჰქონდა, ექიმს რაღაც რომ გადაულაპარაკა, ნამდვილად მაჩაბლის აუგად ხსენებამ გააგულისა, როგორ თუ ამ ვიღაცამ უდიერი სიტყვა ჰკადრა, როგორმე მომაშორეო. რაღაც ასეთს იტყოდა: ამ ტუტუცმა ეს როგორ გაბედაო. ხომ არ გამიგია, რა თქვა, ნამდვილად „ტუტუცს“ იტყოდა.

მე მაგისკენ და ეგ კიდევ...

მართლა ჩემი პოეზიის თაყვანისმცემელი რომ ყოფილიყო, ეგრე არ გამომაპანღურებდა.

ისე მაწუხებს იმ ამბის გახსენება, ვერა და ვერ ამომიშლია გონებიდან... მაშინვე, იმ წამსვე ვიგრძენი, ამას რას ჩავდივარ-მეთქი. ჯერ კიდევ შეიძლებოდა ჩემი საქციელის გამოსწორება, მაგრამ... ვერ ამიხსნია, რამ დამქაჩა და მაიძულა გავშორებოდი უკანმიუხედავად.

ნეტა ეშმაკი არ შემჯდომოდა და, სხვა თუ არაფერი, ადამიანურობა გამომეჩინა, უფროს-უმცროსობისათვის მეცა პატივი. ეს არც არასოდეს შემშლია... მხოლოდ იმ ერთხელ, ერთადერთხელ, მაგრამ სანანურად კი დამირჩა და, ეტყობა, ისე ჩავალ სამარეში, ამ მტანჯველ განცდას ვერა და ვეღარ მოვიშორებ.

შემსწრე კი არავინ ყოფილა. იმ ორ ფერეიდნელს ოდნავადაც არაფერი უეჭვია — ილიას სახელი არცა სმენოდათ და, რასაკვირველია, ვერც სახეზე სცნობდნენ. ვერც იმას მიუხვდებოდნენ, ამ უცხო კაცს ჩვენთან გამოლაპარაკება სურსო. ასე რომ, იმის ფიქრი არა მაქვს, ვაითუ ვინმემ გამიხსენოს და უკადრისობად ჩამომართვას ჩემი საქციელი, მაგრამ მე თვითონ ვეღარ მიპოვნია ნუგეში და, როგორც აღსარებას, ისე ვწერ ამ სტრიქონებს.

დაე დამგმეთ, დაე გამამტყუნეთ — თავის მართლებას კი არ მოვყვები, ჩემს არსებას მინდა ჩავუკვირდე, რა დამემართა ამისთანა, სანანურად და სააღსარებოდ რომ გავიხადე თავი.

სახელები აღარც მაგონდება იმ ფერეიდნელებისა, გვარად კი ონიკაშვილი და ხუციშვილი გახლდნენ. ერთხელაც გადაეწყვიტათ საქართველოს მონახულება და ალალბედზე დადგომიან გზას. ჯერ ბაქოში ჩასულან და იქაური ქართველები მოუნახავთ. იმათ მოუსწავლებიათ წერა-კითხვის საზოგადოება ტფილისში და სწორედ კანცელარიაში ვიჯექ წიგნის მაღაზიის წინ, იქ რომ სპარსულად გამოწყობილი ორი კაცი შევიდა და დამხვდურებს ქართულად მიესალმა. გუმანმა არ მიმტყუნა, ფერეიდნელები იქნებიანმეთქი. ჩვენს საზოგადოებაში ვთქვი მათი ამბავი და თავმჯდომარის ამხანაგის ნებართვით მე ჩავიბარე საპატრონებლად და საღამოების გასამართავად.

დიდძალი ხალხი გვესწრებოდა. საუკუნეები გასულიყო, რაც შაჰ-აბაზმა სპარსეთში გადაასახლა აუარება ქართველობა, მათი ამბავი აღარ გვსმენოდა და, წარმოიდგინეთ ის ცნობისწადილი, რითაც საღამოზე თავშეყრილი ხალხი უსმენდა იმათ მონათხრობს ფერეიდანის ქართველთა ყოფა-ცხოვრებაზე.

უბრალო ენით ყვებოდნენ, თვალით ნანახს იგონებდნენ შეულამაზებლად და ხალხს კი გულში ღრმად წვდებოდა მათი ნაამბობი. გაუვარდათ სახელი და სად აღარ გვიწვევდნენ. ჩვენც მივყევით ჩვენს კალმასობას.

ესენი დაუზარელნი გამოდგნენ და მეც რა ფეხს ჩავხრიდი. მაშინაც სწორედ ერთი ასეთი მოგზაურობა გვქონდა, მცხეთის სადგურზე მოულოდნელად ილიას რომ შევეჩეხეთ. ეტყობა, საგურამოდან ტფილისში მოდიოდა და გზად ბუფეტში შეევლო. სწორედ ბუფეტიდან გამოდიოდა, ჩვენ რომ

შიგნით შევდიოდით. მისალმებით კი მივესალმე და არც მას დაუგვიანია გამარჯობის თქმა.

დამდურებულნი არა ვყოფილვართ, ნიკო ნიკოლაძესავით არ უუკადრისებია ჩემი ის ფელეტონი, მწარე საყვედური რომ ვკადრე ჩვენს მამებს:

ასეთ ისტორიულ დროში ხმას რატომ არ იღებენ, გულხელდაკრეფილნი რად სხედან ეს ძველი მოღვაწენი, სად არის მათი გაბედულობა, თავგანწირვა, ქვეყნის სიყვარული. ახალგაზრდებს თუ ერის მტრებად გვთვლიან, თვითონ რაღას აკეთებენ, ერთი ხმა მაინც რატომ არ ისმის-მეთქი.

ის „ერთი ხმა“ ილიას გულისხმობდა.

მართლაც და: ის მაინც რას დაედუმებინა ასე. რევოლუცია მან ახსენა პირველად ჩვენში, ნუ გაშინებთ მისი მოვლინებაო, ის ირწმუნებოდა და გვაჩვევდა ამ სიტყვასაც და მისგან მოსალოდნელ შედეგსაც, და ახლა, როდესაც მოახლოებულიყო რევოლუციების ჟამი, ხელის გაწვდენაზე იგრძნობოდა მისი გუგუნი და ცხოვრება დღეს თუ ხვალ სრულიად უნდა გადატრიალებულიყო, არც ილია ჭავჭავაძე და არც მისი მოდასენი ჩვენს გვერდით არ გამოჩენილან.

რევოლუციაო და — აჰა ეს რევოლუციაც, მეტი რაღა უნდოდა ან იმას, ან სხვებს, მის მიმდევართ, ესენი კი დამბლადაცემულნი შეიქნენ, უძრავნი და უმოქმედონი.

„მეფე ლირის“ თარგმანით რომ თავი მოჰქონდა, საახალწლო მილოცვად სწორედ იქიდან ამოუწერეს სტრიქონები, რათა გამოეფხიზლებინათ.

„ცნობის ფურცელმა“ იდო თავს მისი შეჯანჯღარება:

— შეგრჩა სული კიდევ თუ არა? ერთი ხმა გამე, კარგო კაცო! რა დაგემართა?

მესამედასელები გამწარებით რომ უტევდნენ და ლანძღვა-გინებასა და ცილისწამებასაც არ აკლებდნენ, სოციალ-ფედერალისტებს ეს ძალიან არ მოგვწონდა, მაგრამ საყვედურის თქმას კი წინ რა ედგა და ჩემს იმ ფელეტონს ამ დაურიდებელი შეკითხვით ამიტომ ვამთავრებდი:

„მამებო, მოკვდით?“

ყველაზე მეტად ნიკო ნიკოლაძე გავანაწყენე და მას მერე მისი ხეირიანი შემოხედვაც აღარ მახსოვს, თორემ სალამ-მოკითხვას ვიღა ჩივის.

ილიას ვითომ არც წაეკითხოს. ჩემთვის არაფერი უგრძნობინებია. მე კი ყოველდღე ველოდი მის ფერისცვალებას. განა ისეთს რასმე — ძველ ილიას რომ დაბრუნებოდა, ბარიკადებზე მდგომი როგორც წარმოგვედგინა.

ის კი არა, ჩვენმა პარტიამ პროგრამაში საქართველოს პოლიტიკურ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა რომ შეიტანა, ხმა გავრცელდა, ილიამ ეს არ მოიწონა: ავტონომია გულში უნდა გექონოდა და მისი საქვეყნოდ გამოცხადება ზიანს მოგვიტანსო. მაშინ ეს დავიჯერეთ და კიდეც გავგულისდით, თვითონ გვაგულიანებდა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და ახლა უკან როგორ დგებაო, — და არც გვიცდია გაგვერკვია, მართლა მისი ნათქვამი იყო თუ არა. დადასტურებით არავის დაუდასტურებია და, რომ ვუკვირდები, შეთხზულსა ჰგავს.

ახლა კი ვხვდები ამას, მაგრამ რაღა დროს!

მაშინ კი იოლად ვიცილებდით ყველასა და ყველაფერს, ვინც ჩვენს აზრს ან საქციელს ცოტაოდნავ ეჭვითაც თუ შეხედავდა. სრული ჭეშმარიტება ხომ ჩვენ გვეპყრა და მოწინააღმდეგე ვინ უნდა ყოფილიყო, თუ არა მტერი — ჩვენიც და ქვეყნისაც. რას გვიქვია, წუნი დაედოთ...

მისი ის გამოსვლებიც ამიტომ მოგვეჩვენა მკრთალი და ილიასათვის შეუფერებელი. მის ორატორობას რამხელა გამოძახილი ჰქონდა თავის დროზე, ის დიდება ისევ მოჰყვებოდა და... იქამდე კი ველარ აეზიდა სიტყვა. იმ კრებებზე — ერთი მემამულეთა და გლეხთა გამწვავებულ ურთიერთობას რომ ეხებოდა და მეორე საქართველოს ტერიტორიულ-პოლიტიკურ ავტონომიას — ყველა გულისფანცქალით მოელოდა, აი ახლა ამოიტყვის რევოლუციურ მოწოდებებს და აი ახლა, და ერთსულოვნადაც ავყვებითო. ის კი გაჭიანურებულად, მოსაწყენად მსჯელობდა რაღაცას და ვერა გრძნობდა, როგორ ამოვარდნილიყო დროიდან, როგორ ჩამორჩენოდა მის მსვლელობას...

ვერ ამეხსნა — 60-იან წლებში წინ უსწრებდა დროს და 40 წლის შემდეგ ასე უნუგეშოდ რანაირად მოყოლილიყო მის კევრქვეშ?!

ახლა რომ ვუკვირდები, სულ სხვაგვარად მესახება მისი ის გამოსვლები და თავს ვამუნათებ, ნეტა ყური დაგვეგდო, ამდენ ხალხში ვიღაც გამოსჩენოდა თანამოაზრე-მეთქი.

თუმც მეც ვისზე რას ვამბობ.

ის მაინც არ დამმართნოდა ბუფეტის კარში, ილია ყურადღებით რომ ჩააცქერდა ჩემს თანამგზავრებს... ეტყობა სმენოდა მათზე და მიხვდა, ესენი იქნებიან ის ფერეიდნელებიო. ვგრძნობ, უნდა მათთან გამოლაპარაკება და, ნაცვლად იმისა, ერთმანეთს წარვუდგინო და გულითადი საუბრის საშუალებაც მივცე (ილია უკან შემომბრუნებელსა ჰგავს), რატომღაც უხერხულად მივიჩნევ გაჩერებას და მაშინვე ბუფეტში შევდივარ ჩემს თანამგზავრებთან ერთად.

რატომ დამემართა ასეთი სიტლანქე?

უბრალო ზრდილობა და თავაზიანობა მაინც გამომეჩინა... მაგრამ ეშმაკი რომ შეგიჯდება, ძნელია თავის დაღწევა.

ბუფეტშიც კრიჭაშეკრული ვიჯექ და ის საღამოც ჩემი მხრივ მეტად უგემურად ჩავატარე, შესავალი ლექცია მოკლებული იყო გატაცებას. ისევ იმათ გამოასწორეს ჩემი ჩავარდნა და ხალხი ამჯერადაც კმაყოფილი დაიშალა.

ზურგი როგორ შევაქციე?

მხოლოდ იმიტომ, რომ მე მემარცხენეობაზე ვდებდი თავს და ილია კი მემარჯვენე გახლდათ?

ვაი და ვაგლახ!..

რაღაც მიწვავს ზურგს, იმ წამსვე დამწვა, როგორც კი შევბრუნდი და დღემდე არ მეშვება. არც უნდა მომეშვას, დაე მტანჯოს და მანანოს და ისე ჩამიყვანოს სამარეში.

სხვისი გამტყუნება იოლია. უფრო იოლი ალბათ არც არაფერია. აბა თვითონ ყოფილიყვნენ ჩემს ადგილას, ვნახავდი, როგორ დაბეჭდავდნენ.

მე ილიას მომხრე ვიყავი და ახლაც იმის ერთგულებაზე ვრჩები. ამას რომ ვამბობ, ირონიულად რატომ ჩაიღიმებენ ხოლმე, არ მესმის. ოღონდ დაგამუნათონ, ოღონდ ნაკლი და ზადი გიპოვნონ და მაგათ სიხარულს საზღვარი არა აქვს.

ნეტა ეგენი ყოფილიყვნენ მაშინ „ივერიის“ რედაქტორად და ილიას მაგათთვის მიეტანა „მოგზაურის“ საპასუხო წერილი.

მართლა პოლემიკა რომ ყოფილიყო, ვინ დაიხევდა უკან, ესდეკები მე რომ არ მიყვარს, ალბათ ბევრი ვერ შემედრება, მაგრამ მაგათი ზნეობა და მრწამსიც კარგად ვიცი და ისეთ ტერორს დამინიშნავდნენ, სიცოცხლესაც გამიმწარებდნენ და ბოლოსაც მალე მომიღებდნენ.

თავიდან ვაპირებდი, განა არა, გამოქვეყნებას.

ის მართლა უხერხულად მომივიდა, ნაცვლიშვილის ის უმსგავსი სტატია „მოგზაურიდან“ „ივერიაშიც“ რომ გადმოვბეჭდე და სარედაქციო მინაწერიც დავურთე:

ნუთუ ეს აღმაშფოთებელი ამბავი მართალია? ნუთუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან? ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ და გვირჩევნია ჯერჯერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თვითონ თავადი ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენციის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებს-მეთქი.

ილიას სწყენოდა ჩემი საქციელი: ყოვლად უგვანი, გაუგონარი ცილისწამების გავრცელებას შეუწყო ხელიო.

სხვებმაც დაიხვიეს ხელზე, ვითომ განზრახ მოვიქეც ასე, თვალთმაქცური ხერხი გამოვიყენე ესდეკებისათვის მხარში ამოსადგომად და ილიას გასაშავებლად.

ღმერთმა იცის, უკეთური ფიქრი არა მქონია, ალალი გულით მოვინდომე, რათა ილიას აუცილებლად დაეწერა საპასუხო სტატია, ყური არ მოეყრუებინა და სათქმელი არ მიეცა ვინმესათვის, ეტყობა კორესპონდენციაში მართალია ყველაფერი, თორემ ხმას ამოიღებდა და რჩოლის უსამართლობას დაგვიმტკიცებდაო.

წინასწარვე გადაწყვეტილი მქონდა პასუხის გამოქვეყნება და ილია რომ მომადგა „ნუთუთი“ ხელში, იქვე ჩავიკითხე და ჩავგზავნე სტამბაში ასაწყობად... მაგრამ მუშები ამიბუნტდნენ, ამის დაბეჭდვა როგორ იქნებაო. ამბავიც გაიტანეს და ესდეკებისაგან მუქარაც მომწვდა: აბა გაბედეო!..

თუ დაიმუქრებიან, შემსრულებელნიც არიან.

ვინც მე ეხლა ქვას მესვრის, გულზე ხელი დაიდოს და თქვას: თვითონ კი გაბედავდა?

იქნებ იმდენიც ვერ გაებედა, მე რაც ავიღე ჩემს თავზე, ილიას ნება რომ მივეცი, „ნუთუ“ ცალკე ბროშურად დაებეჭდა, როგორც „ივერიის“ დამატება.

მაინც ვეხვეოდი შარში და თავი დავიზღვიე: სტატიიდან ერთი-ორი მწარე გამოთქმა ამოვშალე, თვითონ ილიას რომ არ ეკადრებოდა, და მინანერიც დავურთე: რედაქცია პასუხს არ აგებს-მეთქი.

ესეც ყულფში თავის გაყოფას ნიშნავდა და ძალით რაღას გამომეწვია შურისძიება.

ილიას მაინც არაფერი ეშველებოდა და მე რაღას გადავყოლოდი.

კიტა აბაშიძე თავს რომ იკლავს: გინდა თუ არა, ყველანი პილატეები ვართ, ჩვენც მონაწილენი შევიქენით ილიას მკვლელობისა ჩვენი დანაშაულებრივი დუმილითა და გულგრილობითაო, განა პილატეს, იუდეის პროკურატორს, ვინ ემუქრებოდა ტერორით?

ჩვენში კი ილიას მკვლელობა თუ ნაფოტის ჩამოვარდნად მონათლეს, ჩემსას ნაფოტადაც არავინ მოიხსენიებდა.

ყურს მომწვდა: აი, მიხეილ ადამაშვილი უნდა ყოფილიყო „ივერიის“ რედაქტორი, ის გაბედავდა პასუხის გამოქვეყნებასაც და დევნილს ენერგიულადაც ამოუდგებოდა მხარშიო.

„ნუთუ“ იქნებ კიდეც დაებეჭდა, მაგრამ ენერგიული ამოდგომისა რა მოგახსენოთ. ამდენს ველარ მოასწრებდა. ვერც ილიას იხსნიდა და თავსაც გადააყოლებდა.

მითქვამს და გავიმეორებ:

ვინც უცოდველი იყოს, პირველი ქვა იმან დამკრას.

არჩილ ჯორჯაძე

კითხვას რომ შევუდექ ნოე ჟორდანიას წიგნაკისა „ჩვენი პრესა“, გულმა რეჩხი მიყო: ვაითუ დამასწრო-მეთქი.

ავტორი ცდილობდა გამოერკვია ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ერთი ეტაპი. მადლიანი თემაა!.. ამ ხასიათის ნაშრომი ჩვენს მწერლობაში არ მოგვეპოვებოდა და ამან მაფიქრებინა, მე მომეკიდა ხელი ამ ისტორიის ეტაპთა შესწავლისათვის, რათა მკაფიოდ გამოჩენილიყო კავშირები სხვადასხვა, ერთმანეთთან დაშორებულ იდეურ მიმართულებათა შორის.

თითქოს ბატონ ჟორდანიასაც იგივე ფიქრი და სურვილი გასჩენოდა, მაგრამ... ბოლოში რომ გაველ მისი წიგნაკისა, დავინახე, რომ ნაცვლად რაიმე საპატიო და სალიტერატურო მოსაზრებისა, ავტორს თურმე ერთი განცდა ამოძრავებდა — რამენაირად დაემცირებინა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ეს განზრახვა ეპიზოდად კი არ არის ჩართული ამ მიდგომილსა და ცალმხრივ ნაწარმოებში, გულისგულია მისი. სხვა ყოველივე მხოლოდ ფონია, მოჩვენებითი ქარგაა, რათა წიგნაკი სამეცნიერო კვლევა გვეგონოს და არა პოლიტიკური პამფლეტი.

ჩემს თავზე ბრაზიც მომივიდა, თავიდანვე როგორ ვერ მივხვდი-მეთქი. ბატონი ჟორდანიას მოქმედების მთავარი გეზი ხომ ცხადია და ყველასთვის იოლად დასანახი — როგორმე გააშავოს ეს საჭეთმპყრობელი ქართუ-

ლი აზროვნებისა. რაზეც უნდა ჩამოაგდოს სიტყვა, რა თემასა და იდეასაც უნდა გაშლიდეს, ბოლოს მაინც ილია ჭავჭავაძეს უნდა მიადგეს.

არა, აცდენით ილიას ვერ აცდები, თუკი ქართული აზროვნების ისტორიას უკვირდები, მაგრამ მიუკერძოებლად უნდა განსჯიდე, თორემ აბსტრაქტული პოლიტიკური შეხედულებებით გონდაბინდული როგორ ჩაწვდები მისი ფიქრის უკიდეგანობას. ცოდვაა მისი მოქცევა პროკრუსტეს სარეცელზე და დაღრჯნა-დამახინჯება.

უთანხმოება მეც მომსვლია ილიასთან და უმთავრესი საგანი ამ ჩვენი უთანხმოებისა ეკონომიკური ნიადაგია, მაგრამ ამის გამო თვალზე საბურველი არ ჩამომფარვია. სჯობდა კი ალღო აეღო ახალი პოლიტიკური დროებისათვის და ხალხის კეთილდღეობა დაენახა ახალი საზოგადოების დაფუძნებაში, რომლის არსებობაც შრომაზედ იქნება ამოშენებული, და არა წოდებათა წყობილების გაღონიერებაში. ეს არ დაემართებოდა, მკაფიოდ რომ ჰქონოდა შეგნებული დემოკრატიული პრინციპი.

მესამედასელებმა ხელზე დაიხვიეს ეს გარემოება — ილია შეურიგებელი მტერია დემოკრატიისა, ხალხის მტერიაო.

აბა ეს რაღა საკადრისია!..

ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრში ათენ-აღამებს, მაგრამ ეგ კია: ის ფარხმალი, რომლითაც ხალხს ესარჩლება, ომში გამოუსადეგარია, რადგანაც შეუმჩნეველი რჩება ნამდვილი მიზეზი ხალხის დაქვეითებისა და ძირფესვიანად არ არღვევს წოდებათა შორის ქონებრივ უთანასწორობას.

ამ მიზნისათვის ახალმა თაობამ არ უნდა უარყოს საერთო შეთანხმებული მოქმედება ძველ თაობასთან ერთად, ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მოძღვრებისა და სოციალისტური თეორიების შეთანხმება შესაძლებელია, თუკი ამის სურვილი იქნება ორივე მხრიდან.

თუმც თვითონ ილიას ასეთი შეთანხმებისა არაფერი სწამდა — ბუნებრიობა და უსიცოცხლობა ერთმანეთს როგორ მოურიგდებაო, მე კი იმისთანა კაცს მეძახდა, ვინც სულ იმ ფიქრსა და ცდაშია, ახლებსაც აამოს და არც ძველები მოიმდუროს.

არა სწამდა ჩემი, თუმც ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძესთანაც არ მათანაბრებდა.

უცხოეთში ქართული ჟურნალი რომ დავაარსეთ „საქართველო“, სოციალ-ფედერალისტურმა პარტიამ გიორგი დეკანოზიშვილსა და მე მოგვანდო ამ საქმის გაძღოლა. ხარჯი დიდი სჭირდებოდა და ჩვენებმა თხოვნით მიმართეს ილია ჭავჭავაძესაც, იქნებ დავით სარაჯიშვილთან გვიშუამდგომლო შემწეობისათვისო. ილია კმაყოფილებით შეხვედრია ამ განზრახვას, მაგრამ მოუკრავს თუ არა ყური, ხელმძღვანელობა მეც რომ მეკისრებოდა, გადაჰკვრია ღრუბელი სახეზე და გამოუშვია ჩვენები გაწბილებულები.

იმასაც მიმტკიცებდნენ, ჩვენ რომ ჩვენს პროგრამაში საქართველოს პოლიტიკურ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა შევიტანეთ, ილიამ არ მოგვიწონაო, მაგრამ მე აღარ დავინტერესებულვარ, რა საბუთს მეტყოდნენ; ავიქნიე ხელი, ყველაფრის დაჯერება კი არ შეიძლება, ჩვენ კი არა, სოციალ-დემოკრატებმაც არ უნდა იკადრონ ამისთანა ბრალდება-მეთქი.

თუმც ისინი რაღას აღარ კადრულობდნენ. ამისთვის მოვლენიან ჩვენს უბედურ ქვეყანას, სულიერი ღირებულებანი თავდაყირა დააყენონ, გამოათაყვანონ ხალხი, გამოუბერტყონ თავიდან დამოუკიდებლობასა და სახელმწიფოებრიობაზე ფიქრი და რუსეთის იმპერიის პროვინციად ჩაგვტოვონ...

ღმერთო, მაგათ ნუ გააჯეჯილებ!.. გვიხსენი, ღმერთო, ეშმაკებისაგან!..

მოსე მემარნიშვილი

იმ ღამეს სიზმარი მეც ვნახე ზიანი.

არა, სისხლით კი არ ვიღებავდი წვერსა, არსენასავით. მაშინ ჩემითაც ავხსნიდი და ევას აღარ დავუწყებდი გამოკითხვას, რას უნდა ნიშნავდეს-მეთქი. როდის იყო, სიზმრების ახსნა მეთხოვა, მაგრამ ამან ისე იმოქმედა, გამოლვიძებული კარგახანს გონს ვერც მოვედი.

აი თვალს რომ გაახელ და მაინც მოგდევს ის საზარელი განცდა, სიზმარი კოშმარად რომ გადაგიქცია.

ვითომდა:

დათვი მოეტოტება ჩემსკენ. შინ ვარ, ფიქრი არაფრისა მაქვს, აქ მგელსა და დათვს რა უნდა, მაგრამ შემოანგრევს კარს და შემოვა. თეთრია და უზარმაზარი. გაქცევა მინდა და ფეხსაც ვერა ვძრავ. ის კი მომწვდება და გამგლეჯს და გამომგლეჯს. ჩემი ნაფლეთები აქეთ-იქით ყრია, მაგრამ ისევ ვხედავ, როგორ გალაჯუნდება გარეთ და თავადის სახლისაკენ გაქანდება. აქედან ვუკივი თავადს, დათვი მოდის, სისხლისმსმელი და დროზე თუ არ გაასწარი, არ დაგინდობს-მეთქი. თავადი აივნის ქვეშ დგას პისტოლეტით ხელში, ფეხზე შეუყენებია და თვალს არ აცილებს ამ ვერანა ცხოველს. უეცრად ლიწინ-ლიწინით გადმოირღვევა ღობე ყოველი მხრიდან და დათვების ლაშქარი შემოცვივდება. სად ეტევა ეს ამდენი ცხოველი. ჩემი ნაფლეთები ისევ შეკოწიწებულა, ისევ აღმდგარვარ და თავადს ვეფარები... მაგრამ ლაშქარს რა შეაჩერებს, მოისწრაფიან, მობდღვინავენ. მე რას შევაკავებ, პისტოლეტი რას შეაკავებს.

მეღვიძება და გააქვს გულს ბაგაბუგი. მივჩერებივარ ჭერს და რაღაც ავი მოლოდინი მიღრღნის მთელს სხეულს. ბოლოს ველარ მოვითმინე და ევაც გავაღვიძე. ვუამბობ სიზმარს და თან ვკანკალებ.

— კარგი ერთი, კაცოო, — იმან, — რა მოხდა მერე, არაფერსაც არა ნიშნავსო.

მაგრამ ვატყობ დამფრთხალია. ვითომ ისე წამოდგება, გაივლ-გამოივლის. არაა, ურდულს ამოწმებს, ფანჯრიდანაც მალულად იხედება გარეთ.

ის რამდენიმე დღე არ უძინია.

მე კიდევ წამთვლემს და მალევე გამოვახელ თვალებს. ის — სულ არა.

საფრთხილო ბევრი რამ იყო, განა არა, ამ პავლე ფშავლიშვილის დაქადნებამ — მაცალოს, ცოცხალს არ გავუშვებო, ჩემზე რომ ეთქვა — სულ აუტანელი გამიხადა ყოფა.

სიზმარიც ამისა ხომ არ იყო?!

პავლე მუქარას უეჭველად შეასრულებდა, ჯერ ისედაც აბუნტებდა გლეხებს, ჯერ ისედაც თავად-აზნაურობისა და მათი ერთგულების წინააღმდეგ აქეზებდა და ახლა ხომ სულ რას დამინდობდა.

თავიდანაც ასე კი არ იყო ჩემთან. რამდენჯერმე დამპატიჟა კიდეც, გული გავუხსნათ ერთმანეთსაო. ვანო ინაშვილიც იქ უჯდა, სუფრაზე. მერე და მერე გამენდო, გლეხებს რაც შეიძლება ცუდად უნდა მოეპყრა, ოღონდ ილიას სახელით, იმას გადააბრალე და გადასახადებით სული ამოხადეო.

ეს ვანო იქცეოდა სწორედაც ასე. ჭოპორტის მამასახლისად გაიყვანეს თუ არა სოციალ-დემოკრატებმა, მისდგა და მისდგა გლეხებს: ეს ფოსტის გადასახადიო, ეს მაღაზიისაო, ეს ტყის ფულიო, ეს სოფლის სხვა ხარჯებიო, — დაგაამწარა და რა გაამწარა ხალხი. სახელმწიფოს კი არ აბარებდა. აბაა?!

— კომიტეტსა ჭირდებოდაო, — პავლემ, — და თვითონაც ხომ ცხოვრება უნდოდა ჩვენს ვანოსაო.

ამაყად გადახვია ხელი.

ის ისე ყინჩად წამოიმართა, ისე დიდრაჭულად, ეგაა და ამაზე ჰკიდია ქვეყნის ბედიო.

— შენც ასე უნდა მოიქცეო, — მაგალითიც ხომ დამისახა, — ნაწილი კომიტეტს ჩავაბაროთ, ნაწილი გავიყოთ და ნაწილი შენზე ალალი იყოს, ჩვენთან დემოკრატიაა და პიროვნების უფლებას პატივსა ვცემთო.

ნეტა ამეკრა ხელი და ის სუფრა გადამებრუნებინა.

დაყაბულებით მაინც არ დავყაბულდი. დავუდექ თავადს ქომაგად და არც გლეხებისაგან მსმენია უკმაყოფილება.

რამდენჯერმე გავუფრთხილებივარ ილიას: გლეხებს ძალიან ნუ აუხირდები, ნურაფერს გააფუჭებინებ, მაგრამ უბრალოზეც ნუ გამოეკიდები. დრო მოვა და ყველაფერი დაწყნარდება და გასწორდება. ისეთი დრო დაგვიდგა, ბევრი რამ უნდა ვითმინოთ, ბევრ რამესაც ისე ავუაროთ გვერდი, თითქოს ვერა ვხედავდეთო.

კიდეც ვითმენდი, გვერდსაც ვუვლიდი, არც არავის ვუხირდებოდი, მაგრამ გაფუჭების ნებასაც არავის ვაძლევდი. ამიტომაც სხვა მამულებში ათასი რამ თუ წახდა, ჩვენთან უფრო სიმშვიდე იყო... შედარებით, მაგრამ განა ეს ცოტაა?! სულ თავადის გონიერებისა და სიმარჯვის წყალობით. ბუნტი არ ამტყდარა და ხმა კი გაუვრცელეს, ჯარსა სთხოვს მთავრობას ბუნტის ჩასაქრობადაო.

აბა ეს რაღა მოსაგონებელი იყო?

როგორც კი დაიყარა ეს ავი ხმა დამსჯელი რაზმის გამოჩენისა, ილია ტფილისში ბრძანდებოდა და მაშინვე ბარათი აფრინა ჩემთან:

თუ ვინიცობაა მანდ ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია, ჩემმაგიერ სთხოვე, ხალხი არ დააწიოკონ, ჩვენ თვითონ მოვრიგდებითთქო. თუ მაინცდამაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაეტონი გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ და თვითონვე ვთხოვ უფროსს, მანდ არა იმოქმედონ რა და ხალხი ტყუილუბრალოდ არ გააფუჭონო.

ტყუილი გამოდგა ეს ხმა და აღარც ჩემი შეხვედრა გახდა აუცილებელი უფროსთან და აღარც ილიას ჩამობრძანება.

იმის თქმაც იცოდა დალოცვილმა:

გველი გარედანაა ჭრელი და ადამიანი შიგნიდანაო.

პავლე, ეტყობა, კბილებს ილესავდა.

იმ დღესაც მომადგა:

მენახშირეებმა ფული არ მოგიტანესო?

არ მოუტანათ და·ასეც ვუთხარი, მაგრამ რომ მოუტანათ კიდეც, პავლეს რა, ვითომ რატომ უნდა მიმეცა მისთვის? იმ ღამით ორი კაცი დადგომია თავს, იმ ფულს ელოდნენ მისგან. დღიურ მუშას სანდრო მოძღვრიშვილს დაენახა შემთხვევით და იმისგან გავიგე.

— ვინ კაცები იყვნენ-მეთქი, — გამოვიხმე შინიდან პავლე.

— არა, არავინ, სტაროსელსკის ჩაფრები იყვნენ თიბვის საკითხზეო.

ურიადნიკ ემეცსაც შეეტყო ეს ამბავი და გამოერკვია, რომ ჩაფრები არ ყოფილან, დააკავა პავლე და ჩაიყვანა მცხეთას, საიდანაც დუშეთში უნდა გადაეყვანა, მაგრამ ის გზიდან გაქცეულა და შემოთვლითაც მაშინ შემოეთვალა ჩემთვის: ცოცხალი ვერ გადამირჩებიო.

მე მაბრალებდა, ემეცს ეგ შეატყობინებდაო. ემეცს თავისი თვალი და ყური ჰყავდა საგურამოშიც და ახლომახლოც, რა ჩემი შეტყობინება უნდოდა. თავის მართლება არ დამიწყია. მაინც თვალში არ მოვდიოდი და მოხდეს, რაც მოსახდენია-მეთქი.

მერე იყო, იმ სიზმარმა რომ გამტანჯა.

სოფლის ტუტუნ-ჩურჩულმაც ძალიან შემაწუხა, უფრო კი იმან, მე რომ დამინახავდნენ, შეთქმულებივით გაიყურსებოდნენ.

იმ ღამითაც დაღლილ-დაქანცულმა თავი რომ მივდე: ტკბილ სიზმრებს გისურვებ-მეთქი, — ევას.

გაოცებულმა გადმომხედა:

— რა იყო, კაცო, როდის იცოდი ემაგნაირებიო.

— ეხლა დავიწყე-მეთქი.

— მეცაო, მეც ტკბილ სიზმრებს გისურვებო!..

გრიგოლ რობაქიძე

ეს ტრაგედია წინა დღით ვიხილე სიზმრად.

თვითონ ილიას აჩრდილი არ მომლანდებია, ანგელოსი გამომეცხადა და იმან მამცნო ის, რაც მეორე დღეს გაზეთებს უნდა დაედასტურებინა.

მწერლებს ნაკლებ უჯერებენ ასეთ სიზმრებს, ჰგონიათ, მათი წარმოსახვა ქმნის ზმანებათა სურათებს, რეალობაში ფანტაზია იჭრება და არარსებული სიზმარი მხოლოდ მხატვრულ ხერხადაა გამოხმობილი.

ანგელოსი მართლა ვიხილე, მოსალოდნელმა მკვლელობამაც თვალწინ ჩამიქროლა და კარდუს განცდაც პირველად აქ შემომეგზნო — ეს უკვე თვალი რომ ავახილე და რეალობას დავუბრუნდი.

თუმცა რეალობა ის უფრო იყო, ანგელოსს რომ მივჩერებოდი.

საქართველოში დაბრუნებულს სულ ის მესმოდა, მიხეილ წერეთელმა ისეთი სიტყვა წარმოთქვა ილიას დასაფლავებისას, მთელი ხალხი ააფორიაქა და აიყოლიაო.

სიტყვა კი არა, ცეცხლი იყოო, — ამდენი წლის შემდეგაც ყოველთვის ასე გაიხსენებს ხოლმე გიგო დიასამიძე და იმგვარი გზნება მოსჩქეფს თვალთაგან, თითქოს ის ცეცხლი ახლაც ეკიდებაო.

გლოვა და ვაება რომ ჩაივლიდა, ერის ღრმად განცდილ ტანჯვაში მკვლელობა კიდეც ახლებურად წარმოისახებოდა.

ახლებური რას გულისხმობს?

წიწამური მსხვერპლის სახეს შეიძენდა, მსხვერპლისა, რომლის მისტიკური საიდუმლოებაც სინამდვილის გარდამქმნელი ძალაა.

ამიტომაცაა, რომ წიწამურის ველიდან ვლინდება დღითიდღე, კიდიდან კიდემდე, მთელი საქართველოს არეში ეს უხილავი და, ამასთან, ცხადზე უცხადესი ძალა — ქვეშეცნეული ვლინდება უშუალო ქმედებით.

ივანე ჯავახიშვილს ჰკითხეთ და ის დაგიდასტურებთ, ივანეს იმიტომ, რომ ყველაზე ღრმად იგი განიცდის ამ შინაგან გარდაქმნას.

არასოდეს მომწყინდება ამ თემაზე ფიქრი და ლაპარაკი.

ეს არის არსი და არსება ჩემი და ამიტომაც შევყურებ თვალდათვალ, რომ ყოველ ქართველში — რომელშიც ჯერაც ოდნავ ღვივის ცეცხლი კარდუს თესლისა — იღვიძებს საქართველო, იღვიძებს არა წილობით, არამედ ერთიანად, მთელი თავისი ბედით. არცერთი მექმე ქართველი არ რჩება ახლა განზე განაპირებული, ყოველი მათგანის გზა ამიერიდან მიდის ამ მსხვერპლის ნიშნით.

მართალი ხარო, — დამეთანხმებოდა არჩილ ჯორჯაძე, როდესაც ილიაზე ათასგვარი მსჯელობისას წიწამურზეც ჩამოვარდებოდა სიტყვა და იმ ტრაგიკული დღის სიმბოლიკას ასეთნაირად გავიაზრებდი.

ბევრი მოსაზრება თუ დაკვირვება შემიმოწმებია არჩილთან საუბრებისას, უფრო მირწმუნია თუ გადამიფასებია. მსოფლმხედველობაც და ლიტერატურულ-ფილოსოფიური გემოვნებაც ძალიან დამიხვეწა მასთან შეხვედრებმა, რაკიღა არანაირი დოქტრინით არა ყოფილა შემოზღუდული და მხოლოდ ჭეშმარიტებას ეძიებდა. სამშობლო ჭეშმარიტებას გაუიგივა, ასე იწამა და კიდეც შეეწირა მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ სწრაფვას.

საუკეთესო მსმენელი გახლდათ, ეგაა, როდესაც ვიტყოდი: ქართული კულტურის რენესანსი ახლა იწყება-მეთქი, — ღიმილი აეკიდებოდა სახეზე და თბილი ჰუმორი და ირონია უცნაურად შეეჟღინთებოდა ერთმანეთს: შენი დაბრუნებით იწყება ალბათო.

მე რა შუაში ვარ, უბრალოდ, დადგა ჟამი ჩვენი კულტურის რენესანსისა-მეთქი, — მოგერიებას ასე ვცდილობდი.

ახლა დადგა თუ სოლომონ დოდაშვილის დროსო, — ისევ იმ ღიმილით აგრძელებდა საუბარს და: ან დიმიტრი ყიფიანმა, ან ილიამ და აკაკიმ თუ ვაჟამ და იაკობ გოგებაშვილმა რაღა აკეთეს მთელი ცხოვრება, თუ შენს მოვლინებამდე ნიავიც არსად კრთოდა ჩვენს კულტურულ სინამდვილეში, ნუთუ ასე გაგვიხდა საქმე, აღორძინების დაწყებას ახლა შევაჩერდეთ იმედის თვალითო?!.

გადავიტანდი სხვა თემაზე სიტყვას, წავყვებოდით, წამოვყვებოდით და... კვლავ ვერ ვიკავებდი თავს: დადგა ჟამი ქართული რენესანსისა-მეთქი.

განა მე კი არ ვიყავ მოთაყვანე ამ სახელებისა, მაგრამ ეს ყოველივე მაინც წინა საფეხური გახლდათ უფრო ამაღლებული სწრაფვისა, ის-ისაა რომ ისახებოდა და წარმართვა კი, ბედის განჩინებით, ჩემს მოვალეობად შექმნილიყო.

რა ვქნა — უფალმა ინება ასე, რომ მე მეზიდა ეს ტვირთი.

წიწამურის მსხვერპლის საიდუმლოება და დიდი გარდამქმნელი ძალა მწერალთა და მეცნიერთაგან ყველაზე ღრმად ივანე ჯავახიშვილმა თუ შეიმეცნა, პოლიტიკოსთა შორისაც გამოუჩნდა ილიას ნამდვილი მემკვიდრე და მისი საქმის გამგრძელებელ-დამაგვირგვინებელი. ნოე ჟორდანიამ იდო თავს ეს უძნელესი და უკეთილშობილესი მისია და რეალობად აქცია ილიას ოცნება საქართველოს სახელმწიფოს ფენიქსისებრი აღდგენით.

ილიას მოსე წინასწარმეტყველად ესახებოდა საკუთარი თავი. მის „პოეტს“ ჩაუკვირდით, პოეტის სიმბოლიკის მისეულ გააზრებას, მეტაფორებში ბიბლიური პატრიარქის სახებამ თუ არ შემოგანათოთ.

მე ასე ვკითხულობ ამ ლექსს და სხვაგვარად ვერც თქვენ წაიკითხავთ.

დამონებული ერის ვინაობის აღდგენა და ხელახალი გამოყვანა ისტორიის სამზეოზე მართლაც მოსესებური ღვაწლია და ამ ღვაწლის აღმსრულებლად მოგვევლინა ქართველებს ნოე ჟორდანია, მას გავყავართ მსოფლიო ასპარეზზე და მისი ენერგიისა და მიზანსწრაფვის შემყურეთ ვის შეეპარება ეჭვი, ამიერიდან მსოფლიო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული მოვლენების შუაგულში რომ ვიტრიალებთ.

არ გინდათ, სრულად ფუჭი და ზედმეტია ილიასა და ნოეს პოლემიკის გახსენება.

ამით ვითომ რა გნებავთ თქვათ — რაკიღა ზოგიერთ დეტალზე, დიახ, სწორედაც დეტალზე ვერა თანხმდებოდნენ, სულიერი კავშირი არა ყოფილა მათ შორის?

დაფიქრდით და კიდევ დაფიქრდით:

რასაც მთელი ცხოვრება შესწირა ილიამ და წიწამურის ველზეც ასე გულუშიშრად აღიმართა თავისი რწმენის დასაცავად, ნოემ დაადგა გვირგვინი.

თანამოაზრეობა სხვას რას ჰქვია, სულიერი შთამომავლობა და მემკვიდრეობა!..

ამიტომ იმ კამათს ჩამოეხსენით და უპირველესად 1917 წლის ეროვნული ყრილობა გაიხსენეთ, რომლის უმთავრესი კვანძიც ერის ზეპიროვნული ბუნებიდან ამოზრდილიყო და ხელშესახებს ხდიდა იმ შთაბეჭდილებას, რომ ეს კვანძი აღარასოდეს გაწყდებოდა.

განა ვინ იყო ამ კვანძის მთავარი შემოქმედი?

ნოე ჟორდანია — ილიას მხრებზე ნამომართული.

რაო, ილიას ნეშტზეო?

არ გეკადრებათასეთი ლაპარაკი.

მხრებზე, მხრებზე, ნეშტზე კი არა.

ეეეჰ, არ ეშვებით თქვენსას ნოეს სახელისა და ღვაწლის დასამცირებლად, მაგრამ პირუთვნელი ისტორია ყველაზე უკეთ გამოიტანს მსჯავრს და სწორედ ისეთს, რასაც ამაოდ შეგაგონებთ.

სიზმრად ხომ არ მომვლენია ანგელოსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედს რომ მიმანიშნებდა?

რაც არ მინახავს, არც დავიჩემებ, ანგელოსი მაშინ ვიხილე, გაღვიძებისთანავე ცრემლი რომ მოვიწურე, რადგანაც გული უცნაური ძალით მიცემდა და ვერც აბურდული ფიქრი მატყობინებდა რაიმე სანუგეშოს.

და კიდეც უნდა შეგვეტყო ყველას გაზეთებიდან ის თავზარდამცემი ცნობა...

კოტე მესხი

ილიაზე იმდენი რამის მოყოლა შემიძლია, საიდან დავიწყო, აღარ ვიცი, თქვენ კი აგიჩემებიათ, გვეჩქარება და მაინცდამაინც ის ამბავი მოგვიყევი, წიგნი რომ ათხოვეო.

ანეკდოტივით გავრცელებულიყო თურმე, რას წარმოვიდგენდი, და თქვენც მისი დადასტურების სურვილმა მოგიყვანათ ჩემთან.

სხვა დროსაც მესტუმრებით და სხვა ამბებსაც უსათუოდ დამაზუსტებინებთ?

როგორც გენებოთ, მე კი თუ ეს ამბავი საღერღელს ამიშლის, ჩემთვის მაინც გავიხსენებ სხვა ეპიზოდებსაც.

წიგნი მთხოვა, რა წიგნი იყო, ზუსტად აღარც მაგონდება და არც არის საჭირო მისი დაზუსტება, მთავარია, რომ ძალიან სჭირდებოდა და ვერსად ეშოვნა. და მე გახარებულმა მივურბენინე, რაკიღა აღმომაჩნდებოდა.

ვადა თვითონვე დამითქვა:

ამადაამ დღეს ხელში ჩაგაბარებო.

მაგრამ მოვიდა ის დღე და მომიბოდიშა:

გამოყენებით კი გამოვიყენე, მაგრამ რაღაც-რაღაცებმა კიდევ დამაინტერესა და ცოტა ხანს მადროვეო.

კეთილი-მეთქი.

კიდეც გამიხარდა, კიდევ რომ გამოადგებოდა.

ამ დღეს არ გადავაცილებო, — კვლავ თვითონვე შეარჩია თარიღი.

მაგრამ მოვიდა ის დღეც და... ისევ მომიბოდიშა:

ეს რა საინტერესო წიგნი ყოფილა, კიდევ გამომადგება და ეგებ ცოტა ხანს მადროვოო.

და დღეც დამითქვა:

იმას უკვე აღარ გადავაშორებო.

რა ჩარა იყო, დავყაბულდი.

მაგრამ მოვიდა ის დღეც და... კვლავ შეწუხებულმა რომ მოიფშვნიტა ხელები: ასეო, ისეო, ცოტა ხანს კიდევო, — შევკადრე:

მეც ძალიან მჭირდება და ბოლო ვადაზე შევთანხმდეთ-მეთქი.

— რა იყო, შე კაი კაცო, — ცოტა არ იყოს გაიბუსხა, — ხომ იცი, რომ არ დავკარგავ. მე და წიგნის დაკარგვა?!

მაშინ იყო, რომ მივუგე:

შენ რომ არ დაკარგავ, ეგ კი ვიცი, მაგრამ მე რომ უკვე დავკარგე, მაგაზე მწყდება გული-მეთქი.

ჰოი რა სიცილი უტყდა, მხარზეც კი დამკრა ხელი:

ვიდრე შენ მოყვები, მე თვითონ მოვუყვები ყველას, ეს რა კარგად მითხარი, ჯიბეში რომ არასოდეს გიწევს სიტყვისათვის ხელის ჩაყოფა, ახლაც როგორ მომიჭერი ნათქვამიო...

დაზუსტება გნებავდათ და აჰა დაგიზუსტეთ, როგორც იყო... თუ სხვა დროსაც მომაკითხავთ, არ დაგზარდებით, ოღონდ თქვენც უნდა გეცალოთ... ასე გადარბენაზე ნუღა იქნებით...

ილია ნაკაშიძე

ტექსტი შენ უნდა შეადგინოო, — მითხრა თუ არა იაკობ გოგებაშვილმა, მაშინვე ყაბულს ვიყავ, მის დავალებას როგორ გადავიდოდი, თუმც მეოცა კია, იდეა მისი იყო, შედგენითაც ჩემზე უკეთ და ბევრად უკეთაც შეადგენდა და ჩემთვის რატომ უნდა მოენდო?

მერე მივხვდები, მერე...

ჯერ კი იაკობი რომ დაგვადგა თავზე „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში, სალამიც არ ეთქვა, მაშინვე გულისწუხილი გაგვიზიარა:

ილიას მკვლელებს ჩამოხრჩობა რომ გადაუწყვიტა სასამართლომ, ნუთუ ამას უდრტვინველად უნდა დავთანხმდეთო?..

მე და ივანე ელიაშვილიც ამაზე ემსჯელობდით სწორედ და ასეც მოვახსენეთ, ოღონდ შეჯერებით კი ვერ შევჯერებულიყავით — აუცილებელი იყო თუ არა მკვლელების ჩამოხრჩობა. თვითონ ილია ხომ წინააღმდეგი გახლდათ სიკვდილით დასჯისა და სახელმწიფო სათათბიროში სიტყვაც წარმოთქვა სიკვდილით დასჯის აღსაკვეთად. მაგრამ... ჩვენ ხომ ილიები არ ვიყავით და შურისძიების წყურვილიც გვკლავდა — დაე თოკზე მოქანავენი გვეხილა ის ავაზაკი, ჩვენს სათაყვანო კაცს სიცოცხლე რომ მოუსწრაფეს. თანაც რა — ჩვენ ხომ არ მიგვისჯია მათთვის სიკვდილი, სასამართლომ გადაწყვიტა ასე და ვითომ თავი რატომ უნდა გამოგვედო განაჩენის შესაცვლელად?!.

ასეც მოვახსენეთ იაკობს.

იტკიცა და რა იტკიცა.

— როგორ, ილიას ხსოვნას ოთხი ჩამოხრჩობილი კაცის ხსოვნაც აჩრდილივით უნდა სდევდეს უკან?.. განა ამისათვის იბრძოდა მთელი ცხოვრება სიკვდილის განაჩენის გასაუქმებლად, რომ მორჩილად შევხვდეთ სასამართლოს გადაწყვეტილებას და ილიას შარავანდმოსილ აღსასრულს სამსალის წვეთები გავურიოთ?

ასე განერვიულებული არასოდეს მენახა. სახე ისე შეცვლოდა, ივანემ კიდეც გადმომილაპარაკა: მართლა იაკობია თუ ვინმე სხვაო.

— ნინო სად არის, ნინოო, — ჩემი მეულლე მოიკითხა. ისე იყო აღელვებული, არც დაუნახავს, იქვე რომ იჯდა, საწერ მაგიდასთან. და ისიც მაშინვე რომ გამოეხმაურა, იაკობმა თავი დაიმორჩილა და შედარებით მშვიდად მიმართა:

— როგორც შენ იტყვი, ისე გადავწყვიტოთ — მოვიწონოთ სასამართლოს განაჩენი თუ საზოგადოებრივი აზრი ავიყოლიოთ და ხელახლა გამოვატანინოთ გადაწყვეტილება, სიკვდილით დასჯას პატიმრობით რომ შეცვლის?

და ჩვენ გადმოგვხედა:

— ყური კარგად დაუგდეთ, ქალის სიტყვა კანონი უნდა იყოს ასეთ შემთხვევებში.

ეტყობა, ეჭვი არ ეპარებოდა, ნინო ჰუმანურობას გამოიჩენს, სიკვდილის განაჩენი შეზარავს და დაუფიქრებლად მომემხრობაო.

ნინომ კი:

არ მემეტება სიცოცხლე ილიას მკვლელებისათვისო.

წახდა და რა წახდა იაკობი. მაშინვე დაივიწყა, ქალის სიტყვა კანონად რომ გამოაცხადა და შეეპასუხა:

— მაშ თქვენ არ აფასებთ ილიას მცნებას? პატივს არ სცემთ იმის ანდერძს.

და გამწარებულმა ჩაილაპარაკა, აი ასეა მთელი ქართველი საზოგადოებაო.

— მე მძულს ილიას მკვლელები, — არ დაუთმო ნინომ.

— მაგაში ვინ გაგამტყუნებს, მაგრამ ჩვენ უნდა გვიყვარდეს ილია და მისი სიტყვა გვჯეროდეს.

და ჩვენ მოგვიბრუნდა:

— ხომ ხედავთ, საბოლოოდ მაინც ისე გამოდის ნინოს ნათქვამიდან, რომ ვერ შეეგუება, ილიას ხსოვნას ოთხი ჩამოხრჩობილი კაცის ხსოვნაც გაჰყვეს.

სულ სხვა რამ გამოდიოდა, მაგრამ შეპასუხება ვეღარ ვკადრეთ, ნინომაც ხმა გაკმიდა და იაკობმა თავისი გეგმა რომ გაგვიზიარა: ყველაზე უკეთესი გზა ის იქნება, ოლღა გურამიშვილმა იშუამდგომლოს სიკვდილის განაჩენის შესაცვლელად, ილიას ქვრივს მაინც მეტ ანგარიშს გაუწევენ, ვიდრე თუნდა ყველაზე ავტორიტეტულ პიროვნებებსო, — ისე მხურვალედ დავთანხმდით ყველა, თითქოს საკამათო თუ საორჭოფო არც არაფერი გვქონოდეს.

მაშინ მთხოვა: ოლღას ხვალ ვესტუმროთ და ტექსტი წინასწარვე გვქონდეს გამზადებული, ხომ უკვე იცი, როგორ უნდა დაიწეროს და სჯობს შენ შეადგინოო.

უარს როგორ გავბედავდი, მაგრამ — მოგახსენეთ — მეოცა კია.

თვალებიდან არ გამომდის, როგორ გაუცისკროვნდა თვალები ოლღას ჩვენს დანახვაზე, ოთხივე გადაგვკოცნა და ატირდა.

მოლაპარაკება, ცხადია, იაკობმა ითავა, მიუჯდა ახლოს, აიღო მისი ხელი და დაუწყო მოფერება. და თითქოს ბავშვს ელაპარაკებაო, ისე აუხსნა — ნელა და მკაფიოდ — რისთვისაც ვიყავით მისულნი. ოლღა დამჯერი შეგირდივით უსმენდა, ყურში სასმენი მილი ეკეთა, სახეზე ცრემლი სდიოდა და თავს უქნევდა თანხმობის ნიშნად.

შუამდგომლობაც ეს არისო, — იაკობმა, და ტექსტი წაუკითხა.

კნეინას ტირილი არ შეუწყვეტია:

— ჰო, რასაკვირველია, მე თვითონაც ვფიქრობდი, მაგრამ ბებერი და ყრუ ვარ და არ ვიცოდი, როგორ რა მექნა.

და წამითაც არ უყოყმანია, ისე მოაწერა ხელი.

მერე კი მივხვდები, ტექსტის შედგენა მე რატომ მთხოვა.

არ უნდოდა, ეს განზრახვა ცხოვრების მღელვარე ორომტრიალში ჩაკარგულიყო და გამოხმაურებას თვითონვე აპირებდა, რათა ილიას ქვრივის შუამდგომლობა სამაგიეროდ დაესახა საზოგადოებისათვის. სხვა თუ ვინმეც გამოეხმაურებოდა, რა სჯობდა, მაგრამ იაკობის სიტყვას მაინც განსაკუთრებული წონა და ფასი ჰქონდა და ამიტომაც სურდა საკუთარი ტვიფარით დაებეჭდა ეს ზნეობრივი აქცია.

ცხადია, მთავარი ასეთი შემთხვევისას ტექსტი კი არ არის, არამედ ის, თუ ვინ აწერს ხელს. მაგრამ მაინც იუხერხულებდა, თავის მიერ შედგენილი ტექსტი ქებით რომ მოეხსენებინა. თვითონ ეცოდინებოდა და ჩვენ სამს, ვის სტრიქონებს მოაწერდა ხელს ოლღა გურამიშვილი, მაგრამ საკუთარი თავის წინაშე პირნათელი რომ ყოფილიყო, მე ამიტომაც მომანდო შუამდგომლობის შინაარსის ჯეროვნად გამართვა.

რა გაიხარა, გაზეთი „დროება“ მოწონებით რომ აჰყვა ამ წამოწყებას: მკვლელთა სიკვდილით დასჯა პირდაპირ ეწინააღმდეგება ღრმა კაცთმოყვარულ მიმართულებას უღმერთოდ მოკლული პოეტისასო, — და რუსული გაზეთების — „ზაკავკაზსკიე ობოზრენიე“ და „ნოვოსტი ზაკავკაზია“ — შესაფერისმა ექომ ხომ სულაც მოლოდინით აღავსო: აი ნახავთ, სატახტო გამოცემებიც თუ არ გამოგვეხმაურებიანო.

ჩემსავით მოთაყვანე არა ყოფილა რუსი მწერლების და მოაზროვნეებისა, დიდად არა სწამდა მათი, მაგრამ იმას კი იმეორებდა: ამდენ ლიტერატორში ერთი წესიერი კაცი როგორ არ გამოერევა, ჯეროვნად დააფასოს ილიას ქვრივის მოწადინებაო.

„რუსსკიე ვედომოსტის“ ის ნომერი ჩამივარდა ხელში თუ არა, მაშინვე იაკობთან გავვარდი. დილაადრიან ვერასოდეს გავბედავდი მის შეწუხებას, მაგრამ ახლა რას დაგიდევდი, ისეთი საუნჯე უნდა მიმეტანა, რუსი ლიტერატორი თვისტომთ რომ შეაგონებდა და მთავრობასაც სარკეში ახედებდა: როდესაც მთელ რუსეთში გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე და უკუნეთი და ყოველ ნაბიჯზე გაისმის — მოჰკალ, ჩამოახრჩე, დახვრიტე, და ლამის სასოწარკვეთილების მორევში ჩავიხრჩოთ, ამ დროს საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, ვისაც მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც მხეცურად დაჭრეს, ივედრება, სიკვდილით ნუ დასჯით მკვლელებსაო.

და სტატია ამ სიტყვებით მთავრდებოდა:

აქამდე ვიცოდით, რომ მზე აღმოსავლეთიდან ამოდიოდა, ახლა კი უნდა ვთქვათ, რომ ზნეობრივმა მზემაც აღმოსავლეთიდან — საქართველოდან ამოაშუქაო.

მსახურმა რომ კარი გამიღო და მასპინძელს თავზე დავადექი, გაზეთის ეს ნომერი გაეშალა სწორედ და დაჰხაროდა. ამომხედა:

ხედავ? ზნეობრივი მზე საიდან უშუქებსო რუსეთსაო?

თვითონაც არ ელოდა, მის ჩანაფიქრს ასეთი შარავანდი თუ დაედგმოდა, იმპერიას გადაწვდებოდა და ქართველი საზოგადოების ზნეობრივ სახედ განზოგადდებოდა.

წრფელი გახლდათ იაკობი, განა არა, ილიას ხსოვნას ჩამოხრჩობილ კაცთა ხსოვნასაც ნუ გავაყოლებთ თან აჩრდილივითო, მაგრამ... თან ის მიზანიც უნდა ჰქონოდა, მე ასე მგონია და აბა თქვენც დაფიქრდით: ოთხივე მკვლელი მოწმეებად შემოენახა.

განა როდემდე იპარპაშებდნენ სოციალ-დემოკრატები, როდემდე ეყოლებოდათ დატერორებული ქვეყანა და ადრე თუ გვიან სასამართლოს წინაშე წარმდგარი მკვლელებიც გაამჟღავნებდნენ დამკვეთთა ვინაობას. დაადასტურებდნენ, თორემ გასამჟღავნებელიც რა იყო — განა!...

ჯერ კი, ვიდრე ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძეს დიდი გავლენა მოუპოვებიათ ხალხში და მთავრობაც ძალიან ერიდებათ, მართლა ძაან მოსარიდალნი არიან და ან იაკობს რა დაემართა და ან ვაჟა-ფშაველას, სადაც მიდგებიან და მოდგებიან, სოციალდემოკრატიას რომ სდებენ ბრალს — მაგათი მოკლულიაო.

ველარსად შევხვდი ველარც ერთს, ველარც მეორეს, სიფრთხილე ვურჩიო, და იქნებ ხმა მივაწვდინო, ვიდრე მაგათაც რამე ასტეხიათ!..

გიორგი ლასხიშვილი

ვერ გამიგია, რატომ ვერა და ვერ მოიბრუნა გული ილიამ არჩილ ჯორჯაძეზე.

ისევ თვითონ უცხუნა მწვავე მათრახი სამშობლოში ახალდაბრუნებულ კაცს, ისევ თვითონ გააშავა საზოგადოების თვალში: არც ამის ნდობა შეიძლება, ესეც უარმყოფელობის სენითაა შეპყრობილიო, — თორემ არჩილს კრინტიც არ დაუძრავს. მას შემდეგ, რაც კოსმოპოლიტიზმს გამოეხსნა და ტოლსტოველობასაც სამუდამოდ ჩამოსცილდა, ილია იწამა და იმისი გზა და თავდადებითაც უერთგულა.

არ გაიკარა მაინც ილიამ.

ერთი-ორჯერ მე თვითონ ჩამოვუგდე სიტყვა არჩილზე:

ჩემი ხომ გჯერა და არჩილი ჩემზე უკეთესი კაცი გამოდგა, თვითონ სულ არ მიილტვის პირველობისაკენ, მაგრამ რედაქციის სადავეებიც მას გადავაბარეთ და პოლიტიკური მოძრაობა რომ წამოვიწყეთ, მისი წინამძღოლობაც მას მივანდეთ-მეთქი. ხმა არ გაუღია. სულის მომჩხრეკი მზერა რომ აქვს, იმით ჩამხედა თვალებში და შევატყე, მაინცდამაინც არ იზიარებდა ჩემს აღტაცებას.

ჩემი ხომ გჯერათ-მეთქი, — გავუმეორე.

ერთი შენა ხარ კიდევო, — ჩაიცინა მისებური სიცილით, — რამდენს გაფრთხილებდით შენც და იმ შენი ჭკუისებსაც, ზღვარს არ გადახვიდეთ და

„ივერია“ არ დაახურინოთ მთავრობას-მეთქი. არა, რასა ბრძანებთო, ზღვრამდე მივალთ და იქით ნაბიჯსაც არ გადავდგამთო, სულ რომ მიმტკიცებდით და გენდეთ, ამიტომაც მიგვიკეტეს რედაქციაო.

რამდენიმე თვეში ხომ ისევ აღსადგენი გაუხდათ-მეთქი, — მეგონა სიტყვა მოვუჭერი და... კიდევ უფრო გავაცინე.

აღსადგენი, თორემ სულ თქვენი წყალობით მოხდა, მე რომ არ გადამეკლა თავი და გზები არ გამომეძებნა მთავრობასთან, ეს გაზეთი აღარც იარსებებდაო.

მე მაინც არ მოვეშვი:

ერთგულ კაცად ხომ მაინც მიცნობ, თუ რაიმე გადავაჭარბე, ერთგულებას ხომ ვერ დამიწუნებ და არჩილი ჩემთვისაც სანიმუშოა თავისი ერთგულებით-მეთქი.

ხომ ყოველთვის მიგდებდა ყურს, ყოველთვის ანგარიშს მიწევდა ბოლოსდაბოლოს. მთავრობამ გაზეთი შენი გულისათვის მიგვიხურაო, ეს საყვედურიც სიყვარულით უფრო მითხრა, თან ჭკუას მარიგებდა მამაშვილურად და თან კიდეც ძალიან მოსწონდა, დათმობა რომ არა მჩვეოდა და რუსეთის იმპერიის დანგრევა კი სულაც ჩემი სიცოცხლის აზრად მიმაჩნდა, მაგრამ არჩილზე ვერ შემოვუბრუნე გული და ვერა.

ეს კი აღარ მეგონა, არჩილის გულისათვის საქვეყნო საქმესაც თუ აღარ ინდომებდა.

სამსონ ფირცხალავას რომ არ მოეყოლა, არც დავიჯერებდი, რაღაცას ასხვაფერებენ ან სულაც თხზავენ-მეთქი, მაგრამ სამსონი პატიოსანი კაცია და ილიას დიდი პატივისმცემელიც, ოდნავადაც არაფერს შეცვლიდა — რაც იყო და როგორც იყო, ისეც აღადგენდა.

აქ რომ ძალიან მოგვიჭირეს ხელი და „ცნობის ფურცელი“ ჩვენს ნებაზე ვეღარ გამოვეცით, მთავრობა და ცენზურა ძალიან ჩაგვიდგა კვალში და ლამის სული ამოგვხადეს, საზღვარგარეთ გადავწყვიტეთ გაზეთის გამოცემა და ცალკე ევროპული საზოგადოებრივი აზრის აყოლიება და ცალკე ქართველობის გათვითცნობიერება.

ქართული ვერსია აქ იტრიალებდა, ფრანგული — პარიზულსა და სხვა ევროპულ წრეებში. საფრანგეთი და პარიზი შევიგულეთ ნავსაყუდელად და თამამად იმიტომაც გავდეთ ხიდი იქამდე, რომ საამისოდ ორი თავდადებული კაცი გვეგულებოდა — არჩილ ჯორჯაძე და გიორგი დეკანოზიშვილი. ბედს თვითონ მოევლინებინა ჩვენთვის ეს ორი საუკეთესო მოღვაწე და ამ ღვთიური წყალობის ხელიდან გაშვება დანაშაულიც კი იქნებოდა ჩვენგან, არამცთუ გულარხეინობა და მძიმე შეცდომა.

სახსარს დავით სარაჯიშვილს ვაგულებდით, ყველა ქართულ საქმეს გულით შეეწეოდა ხოლმე და მითუფრო ამჯერად უნდა გამოედო თავი, რაკიღა ასეთი დიდი ცვლილება უნდა მომხდარიყო ჩვენს ჟურნალისტიკასა და პოლიტიკურ ყოფაში.

სარაჯიშვილთან სიტყვა ყველაზე მეტად ილიას ეთქმოდა, თუ ვინმეს უჯერებდა, ილიასი სწამდა და სხვის თხოვნასა ან რჩევას თუ გულდასმით

განსჯიდა და ხან საკმაო დროსაც ანდომებდა აწონ-დაწონვას, ილიას სიტყვაზე მაშინვე დაფაცურდებოდა ხოლმე.

ამიტომაც ეწვივნენ ცნობისფურცლელები ჯერ ილიას.

გულითადად დახვედრია, როგორც სჩვეოდა, და სუფრაც გაუშლევინებია. ამ დიდი განზრახვის სადღეგრძელოც შეუსვამს და ძალიანაც შეუქია ჩვენები:

რამ მოგაფიქრათო, მოფიქრება მოფიქრებად და რა ძალ-ღონეს პოულობთ საკუთარ თავში ამისთანას, რომ პარიზიდან გინდათ შეებათ რუსეთის იმპერიასო.

არჩილ ჯორჯაძისა გვეიმედება, უიმისოდ აზრი არ ექნებოდა ასეთ წამოწყებასო, — რომელიღაცას უთქვამს და... კიდეც მოღრუბლულა მასპინძელი. ერთი ძვირი არ დაცდენია არჩილზე, მაგრამ შეეტყო, რომ გუნება წაუხდა და ხალისიც ნელ-ნელა ჩაეშრიტა. დაპირებითაც ორჭოფულად დაპირებია, მისებური მხურვალებით კი არა. და ვეღარც ვერსაიდან მივუდექით დავით სარაჯიშვილს.

სამსონსაც ის ეჭვი დარჩა და მეც ასე მგონია, არჩილის სახელი რომ არ ეხსენებინათ, ყველაფერი სასიკეთოდ აეწყობოდა. არადა, როგორ არ ეხსენებინათ. მერე ხომ მაინც შეიტყობდა რედაქტორის ვინაობას და კიდევ უფრო გაგვინაწყენდებოდა.

ჩვენ კი ჩვენსას მაინც მივაღწიეთ და არჩილმა და გიორგი დეკანოზიშვილმა კიდეც აამოქმედეს ქართული გაზეთი პარიზის შუაგულში, მოწინავე ევროპული აზრიც განმსჭვალეს საქართველოს ბედითა და ტკივილით და ჩვენშიც ბევრი ახალი მკითხველი იშოვნეს, მაგრამ უილიაოდ ეს საქმე რატომ უნდა გადაწყვეტილიყო?!.

გადგა განზე და გადგა.

რა მოგახსენოთ აბა — მაინც მგონია, ნოე ჟორდანიამ აუყარა გული ასე ძალიან ახალ თაობაზე. მისი რომ არა სწამდა არაფერი, ვეღარც სხვებისა დაიჯერა და არჩილ ჯორჯაძე ამ განწყობილებას შეეწირა, თორემ, საცა სამართალია, გულითადი მეგობრებიც უნდა შექმნილიყვნენ.

ნოე გაუთავებლად იკვეხნის:

— საქართველოში რომ გავბრუნდი, ილიამ თავისთან დამიბარა და „ივერიის“ რედაქტორობა და ყოველმხრივი ხელშეწყობა შემომთავაზა, მაგრამ არ ვიყაბულე, ჩვენ ხომ სრულიად საპირისპირო პოზიციაზე ვიდექით. გამომშვიდობებისას კი ესეც მთხოვა, თუ ვერ ვითანამშრომლებთ, ხელს მაინც ნუ შევუშლით ერთმანეთსო. მაგრამ არ გამოვიდა ეს შეთანხმება — ილიას თუ ხელს არ შევუშლიდით, ქვეყნის ბედი უკულმართად წავიდოდა და რასაც ორმოცი წელია სულს უხუთავდა, ეგრე სულშეხუთული დარჩებოდა და სამუდამოდ ავცდებოდით რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებულ სიარულსო.

ნოე ჟორდანიას რა დაეჯერება, მაგრამ გული მიგრძნობს, ამ შემთხვევაში არ უნდა ტყუოდეს — ის პირადი საუბარი მართლა მომხდარია მათ შორის და უკვე იმ წუთებში იგრძნობდა ილია, რომ ნოეს ცნობიერებას აღარაფერი ეშველებოდა, რუსეთის დემოკრატია და ინტერნაციონალიზმი დაესახა იდეალად და მოსვლით კი ძალიან სახიფათოდ მოდიოდა

— ზვავივით, დიახ, ნამდვილი ზვავივით. არ ჩანდა ეს ის კაცი, ვინმე წინ გაეშვა პოლიტიკურ ასპარეზზე და ყოველნაირად არ ეცადა მისი ჩამოშორება.

ნეტა რა ეგონა, ილიას სიკვდილთან ერთად მისი ეროვნული მრწამსიც დასამარდებოდა? ეჭვიც არ ეპარებოდა და ამიტომაც შეადარა წიწამურის ის თავზარდამცემი დღე, ეს საქვეყნო ტრაგედია... მოჭრილი ხიდან ნაფოტის ჩამოვარდნას. ერთხელ და სამუდამოდ მოვისვენეო, ალბათ ბედსაც შეჰხაროდა.

ახლა ლამის ხორცი დაიგლიჯოს:

ხომ საბოლოოდ გაირკვა, ვინც ყოფილა და რაც ასულდგმულებდა ილია ჭავჭავაძეს, ქვეყნის გადაცდენა სურდა ჰუმანიზმისა და დემოკრატიის გზიდან და ხალხმა თვითონ გამოუტანა განაჩენი, ეს ფედერალისტები კი, პოლიტიკურად გაკოტრებულნი, ნეტა რას ებღაუჭებიან მის სახელს, თავიანთ საკუთარ წმინდანად რომ გამოაცხადესო.

ისღა ეიმედება, რომ მალე აღესრულება ფედერალისტური მოძრაობა და მასთან ერთად ილიას მზეც სამუდამოდ ჩაესვენება.

ფედერალისტებიო და, რა მიხვედრა უნდა, არჩილ ჯორჯაძეს ეჯავახება, მასზეა ასე გამწარებული, რაკიღა უპირველესად მას აღუმართავს ილიას დროშა და წმინდანობამდეც მას აუმაღლებია.

გვეცლება ხელიდან არჩილი, ჯერ კიდევ შვიდი წლის წინათ აღარ სჯეროდათ ექიმებს, სნეულებას თავს თუ დააღწევდა, და ახლა სასწაულისაც აღარავის ეიმედება.

დიდხანს სიცოცხლე აღარ უწერია.

სენს თუ გადაურჩა, ესენი აღარ დაინდობენ.

კაცი აღარა ჩანს მეორე, არჩილ ჯორჯაძის ძალღონისა, ამ ქარაქუცა ჟორდანიას შემჩერებელი...

ივანე ინაშვილი

მადლიერება არავისაგან მესწავლება. თუ ვინმეს სიკეთე გაუწევია ჩემთვის, უპატივცემულოდ არ გამიშვია, როგორც კი შემთხვევა მომცემია. ესტატე ციციშვილს ხშირად რომ გაუწყვია სუფრა ჩემთვის და ჩემი ამხანაგებისათვის, არასოდეს ჩამითვლია ეს მის მოვალეობად, სიკეთედ მივუთვლიდი და რამდენჯერაც მისთვის მითქვამს — ჩვენზე იყოს, ჩვენი დრო რომ დადგება-მეთქი — იმდენი შველა მე და ჩემს ოჯახს. სიტყვაზე ითქმის ასე, თორემ რაღა შველა, გამოვკეტილვარ ამ ვიწრო საკანში და სასამართლოსა და სიკვდილის განაჩენს ველოდები.

არა ვნანობ, არა!..

ქვეყნისათვის თავდადება უზენაესი მოვალეობაა ადამიანისა და ვისაც ეს წყალობა ეღირსება, უკეთესს რაღას უნდა გამოელოდეს წუთისოფლისაგან. გადარჩენა სჯობდა, მაგრამ ავად მიმუხთლა ბედისწერამ.

ბედნიერი თუ ვყოფილვარ ოდესმე?

როგორ არა — ფილიპე მახარაძე რომ მინახავს რამდენჯერმე პირისპირ და დათვი რომ გავაგორეთ წიწამურის ველზე.

ბედნიერების განცდის გარეშე ხომ მაინც არ მივდივარ ამქვეყნიდან.

ღვთის მადლით მოხდა ჩემი შეყრა ამხანაგ ფილიპესთან.

განა მწამსღა ღმერთი... მაგრამ ასე მზრდიდნენ, სულ მის სახელს ჩამაგონებდნენ, „ღვთის მადლსა“ და „ღვთის წყალობას“ ნამდაუწუმ ჩამჩიჩინებდნენ და ახლაც უნებურად წამომცდება ხოლმე.

ამხანაგ ფილიპეს რა უნდა ეთხოვა, თვალისდაუხამხამებლად არ შემესრულებინა. გაუჩენელს გავაჩენდი მისთვის, შეუძლებელს შევძლებდი და ბებერი თავადის ჩაკვლა რაღა იყო. მარტოც ვითავებდი და მოვერეოდი ამ საქმეს, მაგრამ დავალება იყო ასეთი, გუნდი ვყოფილიყავით, რათა ყოველგვარი შემთხვევითობა პირწმინდად გამორიცხულიყო.

რაც მე თავადის წინააღმდეგ მიტრიალებია ენა და ამიტუტუნებია გლეხობა. ჭოპორტის მამასახლისობა ძალიან მიადვილებდა ხალხში მისვლა-მოსვლასა და მათ გადმობირებას. მაგრამ ტფილისელი პროპაგანდისტების სტუმრობას და განსაკუთრებით კი ფილიპე მახარაძისას სულ სხვა ძალა და გავლენა ჰქონდა.

ახლაც თვალწინ მიდგას მისი შემართული მარჯვენა, სახელდახელო ტრიბუნა რომ გავუმართეთ:

— ჯაშუშებისაგან უნდა გაიწმინდოს ქვეყანა და თავადი ჭავჭავაძე უპირველესი ჯაშუშიაო.

ისიც რა ენაწყლიანად და დასურათხატებულად ილაპარაკა: გამწარებული ჰყავხართ გულქვაობითა და სისასტიკით, მაგის კისერზეა ყველა ცოდვა, რაც ახლომახლო და მთელ საქართველოში ტრიალებსო.

რამდენიმე ბნელმა გლეხმა კი წამოიყვირა: რას ამბობთ, რა გულქვაობა და სისასტიკე, თავადის წყალობით გვიდგას სულიო, — მაგრამ კერპთაყვანისმცემლების ნათქვამს როდის რა მნიშვნელობა ჰქონია, მითუმეტეს, თვითონ ამხანაგი ფილიპე ირწმუნებოდა.

ადრეული დროისა რა მოგახსენოთ და ამჟამად უფრო დიდი კაცი ჩვენ არა გვყავს.

წინა ღამითაც თავადის სახლის ზემოთ ფერდობზე რომ გვქონდა თავი შეფარებული და ყოველმხრივ ვწონიდით ჩვენს დავალებას, გაზეთის ის ნომერი მეჭირა ხელში, ფილიპე მახარაძის წერილი რომ მოეფინა ქვეყნისათვის, და სახარებასავით წავიკითხავდი ხმამაღლა.

თუ ვინმე ჩვენგანის სულში ჯერაც კრთოდა ეჭვის ჭია, იმ წუთებში სამუდამოდ უნდა ჩაკლულიყო.

ილიასაგან მადლი არაფერი მახსოვს?

როგორ არა, ავ-კარგიანი კაცი ვარ და არაფერი მავიწყდება.

მაშ იმ შუადღით ბუჩქებში რამ ჩამსვა?

აბა თქვენა ყოფილხართ და —

პარტიული დავალება უზენაესი ვალია და მოკვდავს მისი განსჯის უფლება არა აქვს. თანაც, ტყვია მე ხომ არ მისვრია. მადლიერი კაცი რომ არ ვიყო, ბერბიჭაშვილი დამასწრებდა?.. მაგრამ კაცი ყოველთვის კაცი უნდა იყო...

რამდენმა მისაყვედურა, რამდენმა ვერ დაფარა გაკვირვება, რატომ არ აცნობე ივანე მაჩაბელს ამ ბარათის შინაარსიო.

გაზეთ „ნიშადურს“ მე მივაწვდინე ილიას ეს კერძო წერილი, ჩემთან გამოგზავნილი, და კიდეც გახდა სალაპარაკო, ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა, ვანოს რომ ეს შეეტყო, ილიასთან მისი გამწვავებული ურთიერთობა ცოტაოდნავ მაინც ჩაცხრებოდა, თუ სულაც სასიკეთოდ არ შემოტრიალდებოდა, და იქნებ საზოგადოებრივი ცხოვრებაც სხვა მიმართულებით წასულიყოო.

ასე ადვილი რომ იყოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის გეზის შემოტრიალება — ერთი კერძო ბარათის გახმაურებით.

თანაც, თვითონ რა — გაამჟღავნებდნენ მის შინაარსს, ილიას მათთვისაც რომ ისევე ეთხოვა, როგორც მე მთხოვა: ეს წერილი მე და თქვენს შორის დარჩესო?..

ილიას თუ ასე ენება, მე რა, მისი საიდუმლო გამეცა?..

ვანოს „დროება“ რომ მიუხურა მთავარმართებელმა და დიდძალი ვალიც დააწვა, მე დამევალა ქუთაისის ინტელიგენციასთან მოლაპარაკება, იქნებ ცოტათი მაინც მიშველებოდნენ მაჩაბელს. ისეთი პირშიჩალაგამოვლებული გამომისტუმრეს, ადამიანზე ამეყარა გული და ჩემი გულისტკივილი ილიას შევჩივლე, აღარც დავფიქრებულვარ, ვანოსა და მას შორის შავ კატას რომ გაერბინა.

იმჟამად არაფერი უთქვამს, მაგრამ, ეტყობა, ძალიან დაფაცურებულა და ვიღაც-ვიღაცებიც შეუგულებია შემწეებად. იმათი თანხმობა რომ საიმედოდ მოსჩვენებია, ბარათსაც მაშინ გამომიგზავნიდა, გულისწყრომით აღსავსეს, თითქოს მასთან დაპირისპირებულ კაცს კი არ ეხებოდა საქმე, არამედ უახლოეს მეგობარსა თუ სულაც ოჯახის წევრს.

საზოგადოების უმადურობას ისერიგად აღეშფოთებინა, ველარაფერს დაეშოშმინებინა მისი სულიერი მღელვარება და ქვეყანას დასდებდა საკმაოდ მკაცრ მუნათს:

მაშ აღმართის მხვნელმა ძალამ კაცი რომ გასრისოს, შველა არ უნდა? ნუთუ ყოველი მოღვაწე ღვთის ანაბარად უნდა იყოს ჩვენში მიგდებული? ნუთუ არავის, ქვეყნისათვის მოღვაწეს, იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ფეხი წამასხლეტინონ, მოძმენი ხელს მომაწვდიან და ფეხზე დამაყენებენო?

ყოველ ღონისძიებას ვიხმართ, რომ აქ მაინც მოვაგროვოთ ფულიო, — იმედის დაკარგვა არაფრისდიდებით არ უნდოდა და ფულის შეგროვება სამაგალითო ზნეობრივ აქციად ესახებოდა: ყველა შეიტყობს, რომ უმწეოდ არ დარჩება უსამართლოდ დასჯილიო.

ილიას ეს მონდომება უნდა დარჩენილიყო ჩვენს შორის საიდუმლოდ.

მაგალითის მიმცემი ხალხი არც ტფილისში მოიძებნებოდა და ივანე მაჩაბელს კინაღამ საბოლოოდ გასრესდა ის ვალი.

საიდუმლოდ აღარ დამეტოვებინა და ვანოსათვის მეცნობებინა?

ილია გაფრთხილებით იმიტომ მაფრთხილებდა, რომ ვაითუ ვანომ იუკადრისოს ჩემგან შეგროვებული თანხა და მის აღებაზე უარი განაცხადოსო... მაგრამ რაკიღა ეს მონდომება ჩაიშალა, მაჩაბელს ყურში ახლა მაინც ჩაწვეთებოდა, ილია გულგრილად და უმოქმედოდ რომ არ შეჰყურებდა მის გასაჭირს.

ვასილ მაჩაბელს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ ვანოს ყველაზე ძალიან ილიასაგან ეწყინა ხელის გაუნძრევლობა. ძმისათვის უთქვამს:

სხვა არავის იმედი არა მქონია, მაგრამ ილია როგორ გადგა განზე, ჩემს პირად საქმეს ხომ არ უნდა შეშველებოდა, „დროების“ არსებობა განა ქვეყნისათვის არ არის სასიკეთოო?..

ესეც მერე გავიგე, ვანო რომ დავკარგეთ...

ან ის მაინც მომეფიქრებინა, ილიას სიცოცხლეშივე გამომექვეყნებინა ის ბარათი.

ბოლოსდაბოლოს მის იმ თხოვნაში ის იგულისხმებოდა, რომ მაჩაბელს არ შეეტყო, თორემ საზოგადოებას რომ სცოდნოდა ის გულისტკივილი და მცდელობა, სოციალდემოკრატებსაც ერთ ვითომდა საბუთზე ავაღებინებდი ხელს — ივანე მაჩაბელი მაგან გაინაპირა, კვალში ჩაუდგა მონადირესავით და სიკვდილის პირამდეც მიიყვანაო.

მაგრამ რა ვქნა, იმ ფრაზამ ძალიან შემიბორკა ხელი: მე და თქვენს შორის დარჩესო, — და თავს იმით ვიმართლებ, ვერც სხვანი რომ ვერ გადავიდოდნენ ილიას ნებას.

რას მსაყვედურობენ, რა გაკვირვებას გამოთქვამენ, თითქოს თვითონ უცოდველნი იყვნენ მის წინაშე.

ეჰ, გვიანია, გვიანი ყველაფერი... მონანიებაღა დაგვრჩენია და ამ მხრივ მაინც ნუღა ვიფარისევლებთ, თორემ თავის მოტყუებას ისე დავეჩვიეთ, მალე ღმერთის მოტყუებასაც არაფრად ჩავაგდებთ.

ჩემი მონანიებაც ეს არის — დაფარვა რომ მინდოდეს, ამ ბარათს სულ არ გამოვიტანდი საქვეყნოდ და ყველას სალაპარაკოდ და დასაძრახად არ გავიხდიდი თავს.

სოფიო უნდილაშვილი

ასეთი ხელთუპყარი მთელს დუნიაზე ალბათ ეს ერთია და მაინცდამაინც მე უნდა მრგებოდა. სულ კაკლის ჩრდილქვეშ რომ იწვეს, არ მოწყინდება. გადაბრუნდება და გადმობრუნდება. თან დოქსაც მოიდგამს და წრუპავს და წრუპავს ამ ღვინოს. რომ ჰკითხო, ლოთი არ არის!.. ვეუბნები: კაცო, ხელი გაანძრიე, მარტო ჩემი პურისმცხობლობით რა ხეირი დაგვეყრება-მეთქი, - და: მოგცლია ერთი, სანამ ცოცხალი ხარ, შენი ჭია უნდა ახაროო.

საწყალი გული რომ არა მქონდეს, მივაგდებდი და მოვისვენებდი, მაგრამ რა ვუყო, მებრალება.

ვეჩხუბები და ეგაა, გულს ვიოხებ.

იმ დღესაც შავი დღე ვაყარე: ეგრე ხელთუპყარობით რას უნდა ეწიო-მეთქი.

ისევ თავისი:

— მოგცლია ერთიო.

მერე უეცრად:

— თავადი თუ შრომა-გარჯაში ათენ-აღამებს, რას მიაღწია, დღეს არა, ხვალე წირვას გამოუყვანენო.

— შენ რაღა იცი-მეთქი.

— შენ თვითონ საიდან იცი, რომ არც გაგიკვირდა, რაც გითხარიო.

— როგორ თუ საიდან, მთელი სოფელი მაგას ლაპარაკობს, ხარიტონი დადის და საქვეყნოდ იმეორებს, ნუთუ თავადს არ ეშინია, რომ რამეს აუტეხავენო? პელაგია მკურნალიძემაც მითხრა: საგურამოში თავადთან ერთად რომ ვაპირებდი წამოსვლას... პელაგია ხომ იცი, მაგათი მოახლეა... იმას გეუბნებოდ, იმან მითხრა: თავადთან ერთად რომ ვაპირებდი წამოსვლას, გამაფრთხილეს, ნუ წახვალ, მოკვლას უპირებენო. რაც ის საცოდავი ლომა, მოსე მემარნიშვილი მოკლეს, კნეინა ძალიან დაშინებულია, თავადს კი ვერაფერი შევატყე შიშისაო. სხვებისგანაც მსმენია, ყველას ხომ არ ჩამოგითვლი-მეთქი.

— ეგე, მთელი სოფელი თუ ლაპარაკობს, მე რატომ აღარ მეცოდინებოდაო.

რავი, ქაა, სულ ჩრდილქვეშაა წამოგორებული და ცალი ყურითაც არ აინტერესებს სოფლის ამბები, არადა, ლაპარაკიც რომ არ ეზარებოდეს, ხომ ვიცი, ჩემზე მეტი მაგას ექნებოდა გაგონილი. ნეტა რანაირადა, ქაა!.. ან ასეთი ხელთუპყარი რამ გააჩინა, მთელს დუნიაზე მაგისთანა მეორე არ იქნება და რაღა მე უნდა გადამყროდა.

არტურ ლაისტი

რაც ამ გზაზე მივლია.

მიყვარდა ის თხელი ტყე, გზას ორივე მხარეს რომ გასდევდა.

რამდენჯერ ჩამოვსულვარ და ერთხანს ფეხითაც გავყოლივარ ეტლს. ილიას უყვარდა ასე, მიდიოდა და გვერდით ეტლი მიჰყვებოდა. იმისგან გადავიღე და ილია იქაც რომ არ ყოფილიყო, ფეხით გავლა მომინდებოდა ხოლმე. აქ — როგორც წესი. თითქოს სხვა სამყაროში ამოჰყავი თავიო. ტყის დასაწყისი იმ სხვა სამყაროს კარიბჭესავით იყო. შეხედავ — მშვენიერია, თანაც სულ მალე მეგობარს უნდა შეხვდე...

გამობრუნებისას სევდა მომდევდა, ტყე დამთავრდებოდა და ტფილისშიც შევრგავდით თავს. ზღაპარი უეცრად მთავრდებოდა, თუმც ზღაპარი იმისაა, რომ ერთბაშად უნდა მოთავდეს და რეალობა შეგეხალოს სახეში თავისი ულმობელობითა და გაუტანლობით.

რაღაც ავი წინათგრძნობა ამეკვიატა თუ არა, საგურამოს მივაშურე. ისე ბრუნავდა და გადიგამოდიოდა ილიას სახელი, ისეთი გმობა და მუქარა გაისმოდა, კაცმა რომ თქვას, რა წინათგრძნობა უნდოდა — ისედაც ხელისგულზე გვედო მომავალი. ეგაა, თავს არ უტყდები და რაღაც იმედს ებღაუჭები. მაგრამ განა როდემდე ეს თავისმოტყუება და რაღაც იმედისმაგვარზე მობღაუჭება... წინათგრძნობა ამ იმედს დატაკებოდა, საყრდენს აცლიდა და ტფილისში რა გული გამიძლებდა.

ჩავაკითხე და ერთ კვირას დავრჩი იმასთან. ღამე ძილი არ მეკარებოდა და დღისით ყოველ გაფაჩუნებაზე ვკრთოდი. ვცდილობდი, ილიას არ ეგრძნო ჩემი ასეთი ფორიაქი და რაღაზე აღარ ველაპარაკებოდი. ბოლოს სხვათა შორის მაინც გადავუკარ:

რამდენი ხანია ყვარელში აღარ ყოფილხარ, თუ გინდა ერთადაც წავიდეთ, დაისვენებ, ათასგვარ საზრუნავს რომ გაეცლები, ეს ჭორებიც აღარ შეგაწუხებს, მერე სამკურნალოდ გერმანიასაც ესტუმრე, მაშინ, ხომ გახსოვს, იქაურობა როგორ მოგიხდა-მეთქი.

გაეცინა:

— ბედისწერას არავინ წასვლიაო.

აივანზე როგორ მიყვარდა ჯდომა, ახლა კი გული აღარ მიდგებოდა, ჩამოვჯდებოდი, მივაჩერდებოდი გადაშლილ ხედს და... ბაღში გავლას ვამჯობინებდი, ისევ ამოვიდოდი, ისევ ბაღში მივივლ-მოვივლიდი.

რა ბუზანკალი შეგჯდომიაო, — ილიამ.

არა, არაფერი-მეთქი.

რას გამოაპარებდი.

მზერაზე შეეტყო, თქმით კი არაფერი უთქვამს.

ასეთი გაჩუმებული და თავის თავში ჩაძირული სხვა დროს არც მახსოვს. ღიმილიც აღიკვეთა. მწერლობაზე საუბარიც კი... თითქოს ლიტერატურისა არც არაფერი გაეგებაო... თუ რაიმეს იტყოდა: უმადურები... უმადურებაო, — ოღონდ აღარ დასძენდა, თუ ვის გულისხმობდა. ეს სიტყვა მწარედ მჩხვლეტდა გულში, მაგრამ რა მეღონა, რითი მენუგეშებინა? ნუგეშისცემას არც დაგანებებდა.

განა ამისი ღირსი იყო?

ის საღამო კი არ მავიწყდება და არა.

ერთად რომ ვვახშმობდით — ილიას ბიძაშვილი ზაალ ჭავჭავაძეც ჩვენთან ერთად იმყოფებოდა — იაკობ ბითარაშვილი გამოცხადდა, მსახური ბიჭი, და ილიას მოახსენა, გიგოლა წინამძღვრიშვილმა და თედო ლაბაურმა ყველა მსახურის სახელით დამაბარეს, შიმშილობას ვაცხადებთ, საჭმელი მაინც უვარგისიაო.

ჰოი რას წამოენთო სახე ილიას. მაშინვე გამოიძახა მოურავი და უბრძანა, მომიტანე ერთი, რა ვახშამი დაიწუნეს მსახურებმაო.

იმანაც მოიტანა და ილიამ გემო რომ გაუსინჯა, ჩვენც შემოგვთავაზა:

ნახეთ აბა, თუ დაიწუნებაო...

ნამდვილად გემრიელი ვახშამი იყო და თუ არა განზრახ შარის ძიება, მსახურებს რატომ უნდა ეკრათ წიხლი.

ასეთი გაბრაზებული ილია სხვა დროს არც მახსოვს.

მოურავს უბრძანა:

ყველა მსახურს, ვინც ვახშამზე უარი განაცხადა, ანგარიში გაუსწორე და გაათავისუფლეო.

მეც და თავადმა ზაალმაც ვთხოვეთ დამშვიდებულიყო და ეპატიებინა მსახურებისათვის, მონანიების საშუალება მიეცა. მოურავმაც ძალიან სთხოვა.

ნელ-ნელა დაწყნარდა, ოღონდ ისეც ვერა, განზრახვა გადაეფიქრებინა, მაგრამ მსახურები თვითონ ამოადგნენ თხოვნა-მუდარით, თქვენი საწინააღმდეგო გულში არა გაგვივლია რა, მხოლოდ ასე თუ შეგატყობინებდით, რომ მზარეული ცუდად გვკვებავდა, ანგარიში აღარ გავუწიეთ, რომ მაინცდამაინც ეს ვახშამი გაგვიმზადა რიგიანიო.

თუ რაიმე არ მოგეწონოთ, მაშინვე მითხარით, ასე ნუღა მოიქცევითო, — ილიამ.

შენმა მზემ, აღარაფერი შეგვეშლება, თანაც დატუქსული მზარეული ვეღარაფერს გაბედავს და სხვა ჩვენ არც არაფერს ვუჩივითო.

ასე არ სჯობს, მორიგება-მეთქი? — ვუთხარი ილიას.

სჯობს, როგორ არა, მაგრამ კაცმა სიცრუე არ უნდა იკადროს, ძალით არ უნდა სცადოს წყლის ამღვრევაო.

იაკობს თავად ზაალისათვის უთქვამს:

გიგოლა გასაგდებია და ტფილისიდან რომ მოვბრუნდებით, მასზე ისეთ რამეს გეტყვით თქვენც და ილიასაც, იოლად დარწმუნდებითო.

ნეტა რა უნდა ეთქვა?

ტფილისში ერთად დავბრუნდით. ღრუბლიანი დღე იდგა და წვიმაც წამოვიდა. ძალიან არ მიყვარს ცრიატი, ისედაც ცუდ გუნებაზე მაყენებს და ახლა ხომ... თითქოს ის წვიმა სულში მანვიმდა, მონოტონური სიჯიუტით ხვრეტდა გულისფიცარს.

რა გინდა დაიფარო, რით გინდა აირიდო.

ტყეში რომ შევედით, ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

ეს არ ყოფილა სევდა თუ ნაღველი, რაღაც საზარელი ჟრუანტელი იყო, სიცივესავით გამთოშავი, გულს რომ გიჩერებს და ვერ აგიხსნია, მიზეზი რა უნდა იყოს.

— მეშინია არ გავცივდეო, — ილიამ.

30 აგვისტომდე სულ სამი დღე რჩებოდა... სამად სამი დღე...

არადა, მიყვარდა აქაურობა, როგორ მიყვარდა.

ზღაპარში შესვლის განცდა გქონიათ?!

თქვენც თუ გქონიათ, აი მაშინ კი გამიგებთ...

არ გვინდა, დღეს ნუ წავალთ, გული ცუდს მიგრძნობს-მეთქი, — ილიას ვუთხარი. — ეგ არაფერი, მეც ცუდს მიგრძნობსო, — მომიგო და მომზადება მიბრძანა.

გამიკვირდა.

ჯერ მარტო ჩემთვისაც უნდა დაეჯერებინა და თვითონაც თუ ავად უკვნესდა გული, ბარემ დავრჩენილიყავით ქალაქში და ეგ იქნებოდა. შემატყო გაკვირვება და გამიცინა: ბედს ვერავინ წასვლიაო.

იქნებ მაინც მოგვეცადა ერთი-ორი დღე-მეთქი.

ერთი-ორი დღე თუ კვირა რას შეცვლისო.

სივრცეს გაუშტერა თვალი და:

ეჰ, ნიკო, ნიკოო, — თავისთვის ჩაილაპარაკა.

ხიზანიშვილს გულისხმობდა.

მისმა მკვლელობამ როგორ დაზაფრა. ამის თვალზე ცრემლი არ მახსოვდა და ახლა მოედინა. არა, მიზეზი არ გარკვეულა, ვერც მკვლელებს მიაგნეს, მე კი ვიცოდი, აქეთ მოდიოდნენ უკვე, ილიასაკენ. უახლოეს ადამიანს რომ ასე დაუნანებლად ჩამოგაშორებენ, მეტი გაფრთხილება და მუქარა რაღა გინდა.

ილიას კარგად ვიცნობდი, მაგრამ მაინც ვიფიქრე, შედრკომით თუ არ შედრკებოდა, მწვავე დაპირისპირებაზე მაინც აიღებდა ხელს.

გაგიგონია?!

იმის კალამს თითქოს არც ხიზანიშვილის მკვლელობა შეეტყოს და არც სხვა ამისთანა უბედურებანი, ყოველდღე რომ ჩაგვძახოდნენ.

დაშინებულიყო ყველა და ყველაფერი. ამ საძმოებმა სულ წალეკეს, სადაც სულიერება კიდევ ბოგინობდა, სადაც ქვეყნის ჭირსა გლოვობდნენ და ლხინს ესწრაფოდნენ. შიშის ტალღა ტალღაზე აგორებულიყო და რა გინდა გაგეწყო, გარდა იმისა, გარიდებოდი, სადმე შეგეფარებინა თავი. ღვთის მადლით ილიას თავშესაფარი არ აკლდა, მაგრამ ვერა, ვერავინ დაიყაბულა და ვერც ზაქარია ჭიჭინაძემ.

საბრალო თავისი ფეხით ეახლა რედაქციაში, ძლივას მოათრევდა ფეხებს. რამდენიმე კვირაც გასულიყო, რაც უღვთოდ ეგვემათ, მაგრამ ჯერაც ვერ მოსულიერებულიყო. რაც ის ეხვეწა, რაც ის ემუდარა, სადმე წასულიყო, გარიდებოდა აქაურობას. არა ქნა და არა ილიამ:

სიყრმიდანვე ქართლის ბედსა ვარ აყოლილიო.

ახლა გაცლოდა და ისე ყოფილიყო აყოლილი.

არა ქნა და იმ საღამოს საგურამოსაკენ რომ დავიძარით, კნეინა ოლღაც წამობრძანდა, მეეტლე გავაფრთხილე, თედო ლაბაური, უფრო ჩქარა იარე, ვიდრე დაჩვეულხარ, არსად წამითაც არ შეყოვნდე, თუ ვინმე დალანდო, შეჩერებას გთხოვდეს, კიდევ უფრო გააჭენე ცხენები-მეთქი. თადარიგს ვიჭერდი. და იმანაც ცხენები რომ დააოთხა, ილიამ:

რა იყო, ბიჭო, ასე სად გვეჩქარებაო.

იმანაც მოუნელა, მაგრამ ისიც ვანიშნე და მათრახი უცხუნა.

— ერთი აქ გამიჩერეო, — ილიამ, გზისპირა წყაროსთან, და ეტლიდან ჩამოვიდა.

ეს ადგილი ძალიან უყვარდა, ისე არ ჩაუვლიდა, ცოტახანს არ შეესვენა. იდგა გაყუჩებული და დასალიერს გაჰყურებდა ხოლმე. ახლა კი აღელვებული და გაფითრებული გადიგამოდიოდა მწვანე მოლზე. კნეინა და მე ეტლში ჩავსხდებით. ცხენებმა წყურვილი მოიკლეს. ვისხედით, ველოდით. კნეინამ შეფიქრიანებულმა გამომხედა. დუმილი არ დაურღვევია.

ორმოც წუთზე მეტი გავიდა.

როდის-როდის ამობრუნდა.

სახეზე გატანჯული იერი ედო.

და თედომაც დაუწრუპუნა ცხენებს.

ასე ძალიან მაინც რამ ამაფორიაქა, არ ვიცი... ალბათ ილიას გატანჯულმა იერმა, წამიერ განცდას რომ არა ჰგავდა. გული სულ მიტოკავდა, რაც ტფილისიდან გამოველით, მაგრამ ეს კიდევ სხვა განცდა მიემატა. ბედისწერის გარდუვალობას ხელშესახებად რომ შეიგრძნობ, ალბათ ესაა.

წიწამურს მივადექით თუ არა, თოფებმაც იპრიალეს ბუჩქებში, აი იქ, პატარა სამლოცველო რომ არის. ადრე ხატიც ესვენა. იპრიალეს და ტყვიაც ტყვიაზე წამოვიდა. ფეხზე კი წამოვიჭერ და ნაგანიც დავაცემინე, მაგრამ დაუმიზნებლად, ვერც ვასწრებდი და არც გულმა მომცა სისხლის დაღვრის ნება.

მომელანდა თუ რა იყო, უეცრად გიგოლა წინამძღვრიშვილის სახე არ ამესვეტა? საგურამოდან რომ მოვდიოდით, ყური მოვკარ შემთხვევით, მოურავს ეაჯებოდა, რამდენიმე დღით უნდა გამიშვა, ძმის ნიშნობაა და უჩემოდ არ იქნებაო...

ალბათ ყაჩაღიც რომ ვყოფილიყავი, არსენასავით არავის სისხლს არ დავიდებდი. ვერ გაგიმეტე, გიორგი, ვაი დედიჩემის ღმერთსაო — მაშინაც ასე მომივიდოდა და ახლაც ასე დამემართა. გავისროლე და გულის ფიცარიც შემენგრა.

რას სჩადით, ილია ვარო, მართლა ასე უთქვამს თუ არა ილიას?

აბა რა მოგახსენოთ.

ვიდრე მიწაზე დავეცემოდი, ასეთი რამ არ გამიგონია და მერე ხომ სულიც არ დამყოლია.

სროლით ნამდვილად მე ვისროლე, ილია იარაღს კი ატარებდა და იქნებ ამოეღო კიდეც, მაგრამ გასროლით არ გაისროდა.

მე თუ გავისროლე, რა!..

ვერ გაგიმეტე, გიორგი, ვაი დედიჩემის ღმერთსაო...

შიში რა სათქმელია!.. ვის უნდა შევეშინებინე — ლელო ანდრონიკაშვილსა თუ დათა მიქელაძეს?.. ლელო თავზეხელაღებულიაო. მე რა, მაგაზე ნაკლებ თავზეხელაღებული ვარ? თანაც ქვეყანა შემომყურებდა და იქ უკანდახევა იქნებოდა?..

მე თვითონ გადავიფიქრე, თორემ გაჩვენებდით მაგათ სეირს, მერე კი ილიასი, სულ იმისი ბრალი არ არის ყველაფერი? კაცი ბანკის ბაიბურში არ იყოს და არც ეშვებოდეს!.. თანაც ვის ეცილებოდეს — ვანო მაჩაბელს, ვინც ღმერთს ჩვენს ნუგეშად და იმედად გამოუგზავნია და კიდეც შევეფარეთ იმის კალთას, ვისაც საქართველოს მომავალი გვაღელვებს.

მე ისე ვიწამე ამ კაცისა, თუ ვინმეს უკლავდა გულს ილიას სასტიკი თავდასხმანი მასზე, უპირველესად მე მიკლავდა. გაუმწარა სიცოცხლე და ერთგულნი და თანამდგომნი ხომ ვანოსაც სჭირდებოდა. და ჩემზე უკეთეს თანამებრძოლს კი სად იშოვნიდა, უფრო უშიშარსა და თავგამოდებულს.

წამდაუწუმ ვუმტკიცებდი ჩემს ერთგულებას და გადამწყვეტი გამარჯვებისათვისაც ვაგულიანებდი. უმთავრეს ტვირთს მე ვიკიდებდი ჩემს მხრებზე და ვანოს ისღა დარჩებოდა, რომ მოსუფთავებულ ასპარეზს დაუფლებოდა და ბანკის კეთილდღეობისათვის მოეხმარა თავისი ჭკუა-გონება და ენერგია.

— მოიცადეთ, მე გიჩვენებთ ილიას სეირს! — ვიმეორებდი და ვანოსაც ნათელი გადასდიოდა სახეზე, — ნახეთ, თქვენი ილია როგორ ჩავალბო და გავჭიმო საქალამანო რუმბიელ ტყავივით!

და ველოდი ყველაზე მარჯვე შემთხვევას, ჩემი ქადილის აღსასრულებლად.

ძალიც შემწევდა საამისოდ!..

და მაშინ რევოლვერი რომ გავაძრე პარტერში და სცენისაკენ გავექანე, კრების თავმჯდომარეზე მეტად, ცხადია, ილიას ჯავრი მჭირდა და ის უნდა დამეფრთხო და დამებორიალებინა.

ეს ლელო ანდრონიკაშვილი თითქოს მიწიდან ამოძვრაო. თან ხანჯალიც რომ ააპრიალა!.. ფერიფური ძალიან წაგივიდაო, ერთი-ორმა კი შემომბედა მერე, მაგრამ მე უკეთ არ ვიცი? ოდნავადაც არ შემშინებია. დათა მიქელაძეც მაშინ ჩაგვივარდა შუაში და, იმის ნაცვლად, ლელოსათვის ებრძანებინა ჭკუაზედ მოსვლა, მე არ შემომიტია მისებური გესლიანი ღიმილით?

— ბატონო, მიბრძანდით თქვენ ალაგას, როგორც ვხედავ, თქვენ იარაღის ხმარება არა გცოდნიათ.

მე არა მცოდნია იარაღის ხმარება? გაფრენილ ჩიტს რომელ თვალშიც გნებავთ, იმაში მოვარტყამ, ტყვიას ტყვიაში ჩავსვამ და ეს უნდა ეკადრებინა ჩემთვის?

მაგათ ვითომ რა ჰგონიათ, უკან რომ გამოვბრუნდი, ერთმა შემაკრთო თუ მეორემ? ისედაც დაბრუნებას ვაპირებდი და წინ მხოლოდ უნებურად მივრბოდი. მართლა ხომ არ დავუშენდი ტყვიებს. რაც მინდოდა, მივაღწიე,

დავაფეთე მთელი კრება, ილიასაც დავზაფრავდი და განა როდემდეღა უნდა მერბინა.

შემხვდება სადმე ან ერთი, ან მეორე და მაშინ ვაჩვენებ სეირს.

ვერ გამიგია, ვანოს რატომ უნდა აეყარა გული ჩემზე. განა მაგის გულისათვის არ გამოვინვიე ამდენი ხალხი და ავურ-დავურიე იქაურობა?.. ეტყობა, ავმა ენებმა იტრიალეს ჩვენს შორის და ჩემი უმანკო სურვილი, ჩემი ხალასი გული სულ სხვაგვარად მოაჩვენეს. გადამიდგა ვანო და კიდეც შეეწირა ჩემს ასეთ განაპირებას — ერთგული აღარავინ შემორჩა და მისთვის თავისი სიცოცხლის მტლად დამდებელი.

ეცლია ჩემთვის და რასაც ვპირდებოდი, ავასრულებდი: ჩავალბობდი და გავჭიმავდი ილიას საქალამანო რუმბიელ ტყავივითა!..

ვასილ მაჩაბელი

თვალებს არ ვუჯერებდი, იმ წიგნაკს რომ ვკითხულობდი. ნეტა ვანოს დაწერილი არა ყოფილიყო და სიცოცხლეს გავიღებდი დაუნანებლად.

ყველაფერი რომ მეფიქრა, ყველაზე კოშმარულ წარმოსახვებშიც ვერ დავლანდავდი მტრობის ასეთ გამწვავებას.

ვანო, ნუთუ მართლა შენი დაწერილია-მეთქი, — და... დამიქნია თავი ნირწამხდარმა.

იაკობ მანსვეტაშვილს არაერთხელ უთქვამს: ილია ვაჟას გამოჩენას რომ შეეგება აღტაცებით, ასეთი რამის მომსწრე არა ვყოფილვარ, სკოტისა და ბაირონის შეხვედრა რომ გვსმენია და სკოტის მიერ კალმის დადება, პოეტობას რაღას გავბედავო, ილიამაც თავისი დიდბუნებოვნებით ეს უჩვეულო საქციელი გაიმეორა:

ახლა მე და აკაკიმ კალამი უნდა დავდოთ, გზა ვაჟასიაო.

იმას აღარ ამბობდა, აკაკი რომ ბუზღუნებდა:

თვითონ როგორც უნდა, ისე მოიქცეს, ჩემი კალმისა მე ვიცი, დავდებ თუ რას ვიზამო.

ეს მაინც ახალი ამბავია და ყველას იმიტომ ახსოვს, თორემ მე რა გამაკვირვებდა, ვანოს გამოჩენით აღფრთოვანებული ილიას სიტყვები რომ მახსოვს:

აი ვინ იქნება ჩვენთვის დიდი ნუგეშიო.

და ტოლივით ამოიყენა გვერდით ახალგაზრდა კაცი, ილიას შეგირდობითაც რომ ბედნიერი იქნებოდა, არამცთუ ერთ ჭაპანში შებმით.

ნეტა შექსპირს ჩამოეხსნან და უფრო შესაფერის საქმეს მოკიდონ ხელიო, — არ აკლებდა აკაკი მწარე-მწარეებს, „მეფე ლირის“ ის ერთობლივი თარგმანი რომ გახმაურდა და საზოგადოებამ რაღაც დიდის დასაწყისად იგუმანა ამ ტრაგედიის ქართული ვერსია.

სულ ჩემს თავს ვადანაშაულებ, ასე სამკვდრო-სასიცოცხლოდ რომ გადაეკიდნენ ერთმანეთს ილია და ეს ჩემი ძმა, რატომ უფრო მონდომებით არ

ჩავერიე-მეთქი. „უფრო“, თორემ განა ცდა დამიკლია. მაგრამ შეუსმენელი გამოდგა ორივე ჩემთანაც კი — ერთი ძმა და მეორე უახლოესი მეგობარი. მოგეხსენებათ, ილია კერპია და უჯიათი, და ვანო კი ისე იოლადა სდევს სხვათა ნათქვამს, გაიოცებ მისი გონიერების კაცისაგან.

არა, ეს მაინც რა წავიკითხე...

ჯერ კი მოვებღაუჭე იმედს — ხელმოუწერელ წიგნაკს იქნებ აბრალებენ ვანოს, რაკიღა საქვეყნო გამხდარა მათი მტრობა და ქიშპი-მეთქი, მაგრამ თვითონაც რომ დამიდასტურა?!.

მომეკიდა ცეცხლი და რა მომეკიდა!..

რა გამოდიოდა ვანოს სიტყვით — სადაც კი მიმდგარიყო ილია, ის საქმე წაუმხდარი არ დაეტოვებინა.

დრამატულ საზოგადოებაში სხვათაგან ჩინებულად დაწყებული საქმის უფროსობა ჩაებარებინა და მოვლა-გაზრდის მაგივრად სიკვდილამდე მიეყვანა და სულთმობრძავი სხვებისათვის მიეგდო საპატრონებლად.

წერა-კითხვის საზოგადოებაში თურმე ყოველ სასარგებლო აზრსა და წამოწყებას სულს უხუთავდა მოუნდომებლობითა და გულცივობით.

სათავადაზნაურო სკოლის დამფუძნებელ საზოგადოებაშიც ჩხირი არ გადაებრუნებინა.

ქართული ყოველდღიური გაზეთი გადაექცია უმნიშვნელო, უსიცოცხლო, უსულო ქაღალდის თაბახად, რომელიც მხოლოდ მის პირად ინტერესსა და წადილს ყურმოჭრილ მონასავით ემორჩილებოდა.

ბანკში ჩვიდმეტი წლის მანძილზე ვერ გაეცნო, ვერ შეეთვისებინა ანბანიც კი ამ საქმისა და არა ერთხელ და ორჯერ ისეთი დღეც გამოეტარებინა, კინაღამ სულიც განეტევებინა მისთვის.

ეს ადგილები ვინმემ ხომ არ ჩაგიმატა-მეთქი.

წამოხტა, გავარდა, შემობრუნდა, ისევ გავარდა... თან გავყევი: ვეღარა გცნობ-მეთქი.

განა მე კი მინდოდაო, — ბალღივით შემომკვნესა, — აკი შენთანაც მითქვამს, ჩამოვცილდები ამ ბანკს და მეც მოვისვენებ და ორომტრიალსაც ჩავაცხრობ-მეთქი, მაგრამ რომ არ მომეშვნენ და არა? ხან ვინ მომადგებოდა და ხანაც ვინ, ხან ვისი ბარათი მომდიოდა და ხანაც ვისი — როგორ თუ განზე გადგომა გადაგიწყვეტიაო, როგორ თუ გარბიხარ ბრძოლის ველიდან, ჩვენ სად გვტოვებ, ჩვენზე უნდა აცინო და ასეირო ჭავჭავაძისტებიო? არა გაქვს უფლება, შენს ნებაზე მოიქცე, რაკიღა გვიწინამძღვრე და ჩვენც მოგენდეთ, ბოლომდე ერთგულად ვზიდოთ ჩვენი ჭაპანი და დავამსხვრიოთ ილიას ორმოცწლიანი ბატონობა — ჩვენი ცხოვრების დინების შემაგუბებელი, გზა გავუხსნათ ჭეშმარიტ მამულიშვილებს და ყველა საზოგადო ასპარეზი ისე ავამოქმედოთ, ჩვენისთანა ადამიანებს რომ შეჰფერითო.

შენც რაღა გეღონა, ლაჩრისა და მოღალატის სახელს მოერიდე-მეთქი?

ჩაქინდრა თავი.

თუ იცი ხალხი რას ლაპარაკობს, ილიას ასეთი ლანძღვა ვერ აიტანეს და ვინც შენ გემხრობოდა და გითანაგრძნობდა, ახლა ისე აღშფოთდნენ, ყველამ ილიას ბანაკში გადაინაცვლა, რაც ჩაფიქრებული გქონდათ შენ და შენს წამქეზებელთ, საპირისპიროდ შემოგიტრიალდათ, ნახავ, გადამწყვეტი ბრძოლა თუ არ წააგო, შენს თავს შენვე გამოუტანე განაჩენი-მეთქი.

რა გგონიათ, რა მომიგო?

ეგ ვიცი და წინასწარაც ვგრძნობდი, და ასე ძალიან იმიტომაც გავამწვავე, ილიასათვის დამეთმო ბანკი, ოღონდაც ისე, მშიშრობად და ღალატად აღარ ჩამოერთმიათ. საყვედურის გზა მოვუჭერი, ვინც ჩემს დროშას აფრიალებდა — ვინ წრფელად და ვინ კიდევ ილიას სიძულვილით. რაღა უნდა მითხრან — ერთი მწარე სიტყვაც არ ჩამიტოვებია გულშიო.

ნახავ, თუ მაგათ მალე თავში ხელი არ წაიშინონ, ილიას მტრობით საქართველო დავღუპეთო, მაგრამ გვიანღა იქნება და ქვეყანამ რა დააშავა-მეთქი.

ნუ გეშინიაო, — ვანომ, — აღარაფერი მოხდება, თავი იმიტომ გავწირე სათრევ-საგინებლად, ბანკიდან ჩემი გარდუვალი გაძევებით ეს ორად გაყოფილი საზოგადოება ისევ შემეერთებინა და ყველას ენერგია და სწრაფვა ერთი მიზნისაკენ მიმემართაო.

მაგას რა სჯობს, შენ კი ძალიან მენანები, მაგრამ უპირველესად ეს გაეშებული ჭიდილი უნდა მოთავებულიყო როგორღაც-მეთქი.

აჰა და მოთავდებაო.

თან დაძმარებულია, ასეთი დაძმარებული არც არასოდეს მინახავს.

ღმერთო, იქნებ მართლა დასრულდეს და საზოგადოებრივი ცხოვრებაც თავის ბუნებრივ კალაპოტს დაუბრუნდეს.

მაგრამ ეჭვიც რომ მწინკნის და არა და არ მეშვება ვაითუ ეს წიგნაკი ხელზე დაიხვიონ, და ამჯერად კი იზეიმოს ილიამ ტრიუმფი, მაგრამ საბედისწეროდ ამოჩნდეს ადრე თუ გვიან მისი შინაარსი-მეთქი?!. ასეც ვუთხარი ვანოს და გაიღიმა, ბავშვობისას რომ სჩვეოდა, იმ ღიმილით:

განა ვინ უნდა დაიხვიოს, ახლაა ეს ლაპარაკი და ორომტრიალი და, ხანი რომ გავა, ყველაფერი დავიწყებას მიეცემა, ეგაა, მე თუ აღვიდგინე ძალღონე და ისევ წავადექი რაიმეში ჩემს ქვეყანასო.

ვის უნდა დაეხვია, ეს არ ვიცოდი, მაგრამ გული მიგრძნობდა ცუდს და ამ ლაპარაკმაც ვერ ჩამიქრო ნაკვერჩხალივით მსუსხავი ეჭვი.

არ ჩაივლიდა ეს წიგნაკი ასე უამბოდ. საბედისწეროდ გახვეულიყო ვანო საშიშ მოვლენებში და მისი განზე გადგომაც უკვე ვეღარაფერს შემოატრიალებდა სასიკეთოდ.

ეს რა ცუდად აგვიბრუნდა წუთისოფელი...

დედაო — რეზომ მკითხა ერთხელ — მართლა მოხდა ასეთი რამ, რომ ვიღაც მანდილოსანს ქოლგა გადაუმტვრევია თავზე ერთი თავადიშვილისათვის, როგორ თუ უკადრისი სიტყვა დაუძახა ილიას ლოჟიდანო?

პირდაპირ თქმა ვერ გამიბედა, ნუთუ ქოლგა შენ გადაამტვრიეო.

ვინც ეს უამბო, ჩემს სახელსაც არ დაუმალავდა, მაგრამ რეზომ იფრთხილა და ასე შემომაპარა.

დავუდასტურე, რომ მართლა მომხდარიყო და... კიდეც შემომანათა გაფართოებული თვალები.

ჩემგან ასეთი რამ ვერ წარმოედგინა და სხვებიც არაფრისდიდებით არ დაიჯერებდნენ, ამხელა კრება რომ არც ყოფილიყო შემსწრე.

შესაძლოა სიბერის ბრალია, რომ ეს სიტყვა ზუსტად აღარც მაგონდება, უდიერად წამოსროლილი. მარტო ერთ სიტყვაში არ არის საქმე, განწყობილება ტრიალებდა ისეთი, დაჭიმული მქონდა ნერვები და სადაცაა ვიფეთქებდი.

აქეთ-იქიდან უტევდნენ ილიას და ის კი თავდაჯერებით იგერიებდათ და მახვილსიტყვაობასაც არ იშლიდა, მიშო მაჩაბელსაც მისებურად გადაჰკრა: მასავით ხომ არ ავყვები ბურუსში ძაღლის ყეფასაო — და სხვებსაც კიდევ ერთხელ დაამახსოვრა მწარედ ის საღამო, მაგრამ მე ვერა და ვერ ვწყნარდებოდი და იმ თავადიშვილის წამოხტომამ ის ფიქრი გამიჩინა, ხელახლა იწყება ახალი ტალღა-მეთქი.

ველარ გავიმეტე ილია საამისოდ და მივეჭერი ლოჟაში იმ უკადრისი სიტყვის მთქმელს, მივეჭერი და თავზეც დავალეწე ქოლგა.

დარბაზი გაშრა და კარგახანს გონსაც ველარ მოეგო. იმანაც მხოლოდ თავზე ხელები წაიფარა და დარჩა ასე მწარედ ნაცემი ძაღლივით. ისე ძაღლსაც ვერ გავიმეტებდი სხვა დროს, მაგრამ დგება წუთი ყოველი ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც თავს ვერ იმორჩილებს და მიენდობა ინსტინქტს, ამოუცნობ ძალას და მერე დიდხანს ფიქრობს და არკვევს, მართლა მე ვიყავი თუ არაო.

მეც ასე ვიფიქრე და ვარკვიე და ბოლოს-ბოლოს დავიდასტურე, რომ მე ვიყავ და სხვა მანდილოსნის მოქმედებას არ შევსწრებივარ.

და მერე იმ თავადიშვილმა, გაწყრომის ნაცვლად, თურმე ბოდიში მოიხადა და თავის დამსჯელ ხელს ეამბორაო, — როდის-როდის ამოღერღა რეზომ და ეს კი უარვყავ. არც ვიცოდი, ლეგენდას თუ ასე შეევსო ის ეპიზოდი. თუმც მთლად შეთხზულიც არა ყოფილა. ხელზე ნამდვილად არ უკოცნია, მაგრამ შემოთვლით შემომითვალა, ხანი რომ გავიდა, მერე:

თქვენს მარჯვენას ვენაცვალე, ქალბატონო, ილიას მგმობს იმაზე მეტიც ეკადრებოდაო.

სულ მინდოდა ილიას პორტრეტი გამომეკვეთა. ისეთი ხასიათისა იყო, ახლოს მაინცდამაინც არ მიგიშვებდა, მაგრამ არაერთხელ შევხვედრივარ, ერთადაც გვიმოქმედია წერა-კითხვის საზოგადოებაში, როდესაც მისი მმართველობის წევრად მეც ამირჩიეს; ილიაობასაც არაერთხელ დავსწრებივარ საგურამოში, იმ დიდებულ კარმიდამოში; ოლღასაც ძალიან დავუახლოვდი, განსაკუთრებით

მას შემდეგ, რაც ჩემს სახლში და ჩემი ზედამხედველობით დაწესდა ქალთა პროფესიული სკოლა — ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარედაც ოლღა გურამიშვილი ავირჩიეთ.

ამ საერთო ინტერესებითა და საქმით შეერთებულმა ნაცნობობამ, ბუნებრივია, დაგვამეგობრა და, ხშირად მეც რომ მიწვევდა საგურამოში, ძალიან მერიდებოდა მათი შეწუხება და მიპატიჟებას ვირიდებდი.

ახლა ვნანობ და ძალიანაც ვნანობ, ხელიდან როგორ გავუშვი ილიასთან ახლო ყოფნის ბედნიერება — ღმერთი რომ წყალობის თვალით გადმოგხედავს და შენ კი ხელის განძრევაც არ გინდა, ეს წყალობა რომ შეიგრძნო.

თუმც გამტყუნებითაც არ გამემტყუნება — მერიდებოდა, რა ვქნა...

პორტრეტის გამოკვეთას კი სულ მერმისისათვის გადავდებდი ხოლმე, უფრო მომზადებულად ვიგრძნო თავი ამხელა საქმის ღირსეული აღსრულებისათვის-მეთქი და ვეღარც გავიგე, სიბერე როგორ შემომეპარა და... ახლა ამ უღონობამ ხელიდან გამომაცალა ეს ჩანაფიქრი.

ერთი იმდენი, რაღაც-რაღაცების ჩანიშვნა მაინც შევიძლო, თუნდ წვრილმანისა და გაკვრით, იქნებ სხვას მაინც გამოადგეს სრულყოფილი სურათის აღდგენისას.

შალვა დადიანი

მამათქვენი ჩვეულებრივი ბილიკით მავალი კაცი არ არისო, — ეს რომ მითხრა, ფრთაშესხმული გამოვფრინდი იქიდან.

მამის ქება ყველას ეამება, მითუმეტეს, ილია თუ გეტყვის.

ისე ამხედ-დამხედა, ელოდა, სასწავლო ფორმაში ვიქნებოდი გამოწყობილი და ოდნავი გაკვირვება ჩაუდგა თვალებში, რომ 14-15 წლის ყმაწვილს სამოქალაქო სამოსი მეცვა. მე კი სკოლაში არასოდეს მევლო მამაჩემის გადაწყვეტილებით: სკოლაში წამიხდენენ და ისევ მასწავლებლებს დავუქირავებო, — და გულისკანკალით მოვახსენე, ასეა და ასე-მეთქი. ვაითუ როგორ შეხვედროდა მამაჩემის ამ ნებას.

განსჯა არც დაუწყია. მიზეზი ავუხსენი თუ არა: ჩვეულებრივი ბილიკით მავალი არ არისო, — ეს მომიგო და, ეტყობა, ესიამოვნა, რომ მისთვის საპატივსაცემო კაცს ამ შემთხვევაშიც არ უმტყუნა გამჭრიახობამ.

მისი კულტი გვზრდიდა ყმაწვილებს, მისი და აკაკი წერეთლისა. ჩემს თვალში ილია რაინდად და ბუმბერაზად გადიადებულიყო და დიდად ამიტომაც არ გამკვირვებია, პირველად ბედაურზე ამხედრებული რომ ვიხილე რაინდული ეპოქის პერსონაჟივით. ნიკო დადიანმა მდიდარი ბიბლიოთეკა შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას, ძველი ხელნაწერებით სავსე, და კომისია რომ ჩამობრძანდა ზუგდიდში, იმ კომისიას ილია მეთაურობდა.

ჩვენ ბანძაში ვიყავით ნათესავებთან და, ერთმა წერწეტა მეგრელმა გაშლილ ეზოში ცხენი რომ შემოაჭენა და მამას მიმართა: ჭანჭანიძე მოდის შენთანო, — ბავშვები ვერ მივხვდით, ვინ უნდა ყოფილიყო ეს „ჭანჭანიძე", მაგრამ მამამ რომ გვახარა: ილია მობრძანდებაო, - აგვიტყდა ერთი ჟრიამული.

და კიდეც მოადგა ეზოს ოცი-ოცდახუთი ცხენოსანი, წინ იონა მეუნარგია და ერთი პირბუდაღი და თვალებმცინარე ადამიანი რომ მოუძღოდათ.

— გავიგე აქ ყოფილხარ, ნიკო, და გულმა არ მომითმინა არ მენახეო, — ილიამ, და პირველად მაშინ ჩამეღვარა გულში ის უჩვეულო სითბო, რაც მოგვიანებით კიდევ ერთხელ გამიმეორდა.

ზუგდიდში უკვე ეთქვა და ჩვენთანაც გაიმეორა სუფრაზე:

— სამეგრელოში ვარ და საქართველოს ვხედავ!..

მოქილიკენი ხომ ყველგან გამოჩნდებიან ხოლმე და მეც არაერთხელ გამაგონეს:

ვითომ რატომ არ ელოდა, რომ საქართველოს აქაც იხილავდაო — ?!.

ვერ ჩახვდნენ თუ ძალად იბრმავებენ გონებას, რომ ილიას ამ მხარეში საქართველოს ნახვა კი არ გაკვირვებია, იმ იდეალური საქართველოს იერის აღმოჩენამ აღაფრთოვანა, რომელსაც ყველგან დაეძებდა — ქართლშიც და კახეთშიც, ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთშიც, ხევშიც და სვანეთშიც, იმერეთშიც და გურიაშიც, მესხეთშიც და აფხაზეთშიც, აჭარაშიც და ტაო-კლარჯეთშიც... თვითონ ქმნიდა და ჭედდა ამ იდეალის ყველაზე ხელშესახებ და შთამბეჭდავ ხატს და აღტაცებას ვერა ფარავდა, როდესაც ოცნება-წარმოსახვა რეალობაში ასე კანთიელად დაუდასტურდებოდა ხოლმე.

თორემ მირაჟებს როდემდე გამოეკიდები ადამიანი!..

ის მაინც სულ სხვა წუთები იყო, მე რომ მივეახლე ილიას გელათის ეკლესიის ეზოში, ხალხი გთხოვთ, გამოსათხოვარი სიტყვა ბრძანოთ-მეთქი.

გაბრიელ ეპისკოპოსს ეთხოვებოდა ქვეყანა, მისტიროდა მამასავით თავზე გადაყოლილ ამ საკვირველ კაცს და ამიტომაც გაგრძელდა დიდხანს გამოთხოვების ჟამი. დიდთოვლობას აბრალებენ, მაგრამ ზაფხულიც რომ ყოფილიყო, ასევე ხელოვნურად გაჭიანურდებოდა დაკრძალვა, რათა გულნაკლული არავინ დარჩენილიყო, ჩამოსვლა და გამოთხოვება არ დამცალდაო.

მოწესრიგება მეც მქონდა მონდობილი და რარიგ მეამაყებოდა, მკლავზე საგანგებო ნიშანიც რომ მქონდა გაკეთებული და ხალხი კი ჩემს ყოველ განკარგულებას ემორჩილებოდა.

მოთავდა სასულიერო პირთა სიტყვები.

რუსმა ეგზარხოსმაც ილაპარაკა საკმაოდ თავდაჭერილად, დიდად თუ არ ჩაჰქროდა გულში გაბრიელ ეპისკოპოსი, მაგრამ ხათრი და პატივისცემა მაინც ექნებოდა, რაკიღა მისი სახელი მთელ იმპერიაში ქუხდა და სულიერი მამის გარდა თვალსაჩინო მეცნიერადაც აღიარებდნენ.

თითქოს აღარაფერი უკლია ნეშტის ჩასვენებას სამარეში, მაგრამ წამიერად ყუჩდება ყველაფერი და საერთო გულისთქმა დატრიალდება ხალხში, ყველა ერთობლივ მოელის რაღაცას და ეს „რაღაც“ ილიას საჭირისუფლო სიტყვაა, ურომლისოდაც გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვა ვერ წარმოუდგენიათ.

და კიდეც იყვირებს ერთი კაცი და აჰყვებიან სხვანიც:

— ილია, ილია სად არის?

მამაჩემმა მანიშნა: წადი, მოძებნეო.

მყისვე გაიპო ნაკადი და ილიაც ადვილად მოვნახე, ჯგუფში იდგა და ხალისიანად საუბრობდა, მე რომ მივადექი, უეცრად შეიცვალა, სახე მოეკუშტა და

თითქო წარბებიც შემოუქურუხანდა, მაგრამ სიტყვაშემოუბრუნებლივ დამემორჩილა.

ხალხს ჰგონია, რომ მხოლოდ წინ მივუძღვი, მე კი... ცაში დავფრინავ. დავფრინავ და მწვდება ქვემოდან ხმები: ილია ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძეო... ვინმე უბირი რომ იდგეს ეზოში და მისი სახელი არა სმენოდეს, ისიც მიხვდება, უსათუოდ დიდი კაცი უნდა იყოს, ამხელა მოკრძალებითა და სიყვარულით რომ განმსჭვალულა აქაურობაო.

შევუძეხ ტაძარში, მივაცილე ამბიონთან და მეც გვერდით ამოვუდექ.

დაწყებას აყოვნებს.

მის გულს კი გააქვს ბაგაბუგი.

ვისაც ვეუბნები, არ მიჯერებს, განა ასე რას უბაგუნებდა გული, შენამდე რომ მოეღწიაო.

მე უფრო არ მახსოვს?

სიტყვის დაძვრისთანავე თითქოს დამშვიდდა, გარეგნულად კი არაფერი ეტყობოდა, მაგრამ მკერდი მაინც აუდ-ჩაუდიოდა. სწორედ იქიდან, გულის სიღრმიდან დაძრულა სიტყვათა ნაკადი და უჩვეულო განცდაში ამიტომაც ამოვლებულა.

ისეთი შთაბეჭდილება შემომრჩა, თითქოს ილიას შემოქმედებით ლაბორატორიაში შევჭრილიყავ, სადაც ჩემი თანდასწრებით ითხზვებოდა მისი ნაბეჭდი სიტყვები.

ვინც გადაიკითხავს ამ გამოსვლის ტექსტს, ეჭვი არავის შეუვა, რომ ეს დახასიათება გაბრიელ მღვდელმთავრისა ზუსტად მიესადაგება თვითონ ილიასაც. ის გაბრიელ ქიქოძის მოვლინებას სახავდა ღვთის წყალობად და ჩვენ მისი მოვლინება გვიღიარებია ღვთის მადლის გადმოფენად, ილია ჭავჭავაძისა.

მისი ბაგით თვით ღმერთი მეტყველებდაო, — შეჰხაროდა ილია მღვდელმთავრის აჩრდილს და ღვთის სიტყვა თვითონ მის ბაგეთაგანაც გამოისმოდა.

რამდენჯერ ჩამიკითხავს მისი ეს სიტყვა და ყოველთვის ამბიონზე გადმომდგარი ილიას ხატი ამოშუქდებოდა ჩემს ცნობიერებაში, და მისი გულის ძგერაც ხელშესახებად მოჩქეფდა ფურცლებიდან.

ეგაა, ის პასაჟი ველარ მიპოვნია, ილიამ გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგება რომ ახსენა, ქუთაისის სობოროში 1881 წლის 25 მარტს წარმოთქმული, და: წინასწარმეტყველურიო, — ასე შეაფასა.

იქნებ მომეჩვენა?

რა მომეჩვენა, როცა მერე მამაჩემს ვკითხე და ლამის სიტყვა-სიტყვით მიამბო ქადაგების შინაარსი. თვითონ არ დასწრებია, მაგრამ ის ქადაგება ძალიან გახმაურებულა და სანდო კაცებისათვის გამოუკითხავს.

და იმათ მოუყოლიათ წვრილად:

მღვდელმთავარმა დაუნანებლად შეაჩვენა ის პარტია, ევროპაში რომ გამოჩნდა და ყველა „ახირებულად“ თუ „გადარეულად“ იხსენიებს. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც მოუნდომებიათ მთელი ქვეყნის მოწყობილობის, ჩვეულების, რჯულის, ყოფაქცევის გამოცვლა და გადაბრუნება, კაცთა საზოგადოების დამგვანება ნახირისათვისო. რაკიღა თავიდანვე მიხვედრილიყვნენ, ვიდრე ქვეყანაზე იქნება წესიერება, სალვთო და სამოქალაქო სჯული და უფროს-უმ-

ცროსობა, ჩვენს სწრაფვას ვერ აღვასრულებთო, ამ პარტიას უარეყო ეს ყოველივე. ჯერ თვისი აზრისა და სწავლის გავრცელება სიტყვითა და ქადაგებით მოინდომეს და ბევრნი კი აცთუნეს, მაგრამ უმეტესობა მაინც ძველ წესსა და ადათზე რჩებოდა, ამიტომაც დაადგნენ ძალადობის გზას და იმ კაცთა ჩახოცვა-ჩამოცილებას, ვინც მათ ბოროტგანზრახულებას გადაეღობებოდნენო.

ვაი არსო — მრისხანებდა მღვდელმთავარი — რომელნი იტყვიან ბოროტსა კეთილად დ კეთილსა ბოროტად, რომელნი დასდებენ მწარესა ტკბილად, და ტკბილსა მწარედ, და რომელნი დასდებენ ბნელსა ნათლად, და ნათელსა ბნელადო.

ეს სიტყვებიც ამოუშლელად ჩაბეჭდოდათ მეხსიერებაში:

ძალად ღმერთიც კი ვერ აცხონებს კაცსა და ამ პარტიას უნდა ძალად გააბედნიეროს მთელი ქვეყანა. კიდეც რომ მათი აზრი და მიზანი ქვეყნის გაბედნიერება იყოს, ნუთუ შეიძლება სიკვდილით, მოწამვლით, ავაზაკობით გაბედნიერება ქვეყნისაო?

და ახლა ილიამ ის დღე და ქადაგება რომ მოაგონათ, ძალიან ააფორიაქებდა ხალხს, თანაც „წინასწარმეტყველურის“ თქმაც ძალაუნებურად მიახვედრებდა ყველას, რომ ის ბოროტგანზრახულება კი არ მოთავებულიყო, კიდევ უფრო მოღონიერებულიყო, შორსა და შორს გადმოწეულიყო და ავად შემართულიყო ჩვენი ქვეყნის თავზეც.

მამაჩემმა სწორედ ეს გამიმხილა ძალიან შეწუხებულმა:

რაკიღა ილიამ ის ქადაგება ასე გამაფრთხილებლად გაიხსენა, უფრო მკაფიოდ ხედავს მოსალოდნელ უბედურებას, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია მისი განჭვრეტაო.

განა რა უბედურებას-მეთქი?.. -ოცდაორი წლისა ვარ, ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა ქალამნად.

აღარ გვინდა ამაზე ლაპარაკიო — მამაჩემმა — ღმერთმა ინებოს, ამ ერთხელ უმტყუნოს გუმანმა ილიასო.

სიმონ ქვარიანი

სერგო გერსამია გაკვეთილზე რომ გამოცხადდა, ჯერაც ეტყობოდა ნაცემობა. იქ არაფერი ვუთხარ, მაგრამ გაკვეთილის შემდეგ დავიტოვე და წვრილად გამოვკითხე, რა დამართოდა.

ბულვარში რომ დიდი აყალმაყალი ატყდა, ისედაც ვიცოდი და არ გამკვირვებია. მე თვითონ არაერთხელ შევსწრებივარ ცხარე კამათს სუფრაზეც, ქუჩაშიც, ბულვარშიც. მთელი ქუთაისი ორადაა გახლეჩილი და ეს ნაპრალი ოდესმე ამოივსება თუ არა, აღარც გგონია. ნერვებიც ისეა დაჭიმული და ვნებებიც გამძაფრებული. არა, ჩაცხრება, განა არა, ამისთანები ჩამცხრალა, მაგრამ ჯერჯერობით საამისო პირი არ უჩანს.

იმ დღეს კი დავა ხელჩართულ ჩხუბში გადაზრდილა და ვინ ვის ურტყამდა, უკვე ვეღარც გაარკვევდი თურმე.

ისეთი დარბაისელი ადამიანები აღმოჩნდნენ ჩათრეულნი მუშტი-კრივში, ვერც დაიჯერებო, — მიმტკიცებდნენ.

ამას კი არა, მეტსაც დავიჯერებ. არ გამიკვირდება, სულაც ის დარბაისელი ადამიანები რომ ყოფილიყვნენ ამ აყალმაყალის წამომწყებნი. რა ჩათრევა და რისი ჩათრევა.

იროდიონ ევდოშვილის სახელი მოყოლილიყო ამ შეურიგებელ დავა-კამათში და ქუთაისის საზოგადოებაც მას გაეხლიჩა ორად.

მთელ საქართველოშიც ასევე იყო და ჯერაც არის თურმე, ჩამოდიოდა და ჩამოდის ხმები, მაგრამ მე რაც საკუთარი თვალით მინახავს, იმას მოგახსენებთ.

განა ქუთაისის გახლეჩვა ორ საპირისპირო ბანაკად დაჟდაუნდობელი გადამტერება პატარა ამბავია? განა სათავშისაცემო არ არის გონიერი კაცისათვის? გონიერება არასოდეს ჰკლებია ჩემს ქალაქს, მაგრამ ხან სად ჰქრება ხოლმე ჭკუა, ველარ გაგიგია — ვერც სხვისა და ვერც შენი თავისა.

შევსწრებივარ-მეთქი..

ის კი არა, მე თვითონაც ჩავრეულვარ მთელი არსებით და იმ დღეს ბულვარში რომ ვყოფილიყავი, მეც მუშტი-კრივის შუაგულში აღმოვჩნდებოდი. და მარტო ჩემს მონაფეებს კი არ დაალილავებდნენ, მეც კარგა ლაზათიანად მომხვდებოდა.

არ უჩანს მორიგება-შეთანხმებას სასიკეთო პირი.

როგორ თუ სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გავიდა იროდიონი და თანაც ვისი გულისთვისო.

მარტო ის კი არა, სხვებიც უნდა გასულიყვნენ და სწორედ ამ მიზეზითო.

რეაქციონერსა და რევოლუციის მოძულეს როგორ ანაცვალა მშობელი პარტიაო.

რეაქციონერსა და რევოლუციის მოძულეს კი არა, ერის მამას, ვინც კალთით ეზიდებოდა ქვეყნის ჭირ-ვარამსო.

თვითონაც ხალხის მოღალატედ და ორგულად გადაიქცაო.

ხალხის მოღალატედ და ორგულად კი არა, ახლა იგრძნო თავი კაცად ქვეყანაზეო.

მწარედ ინანებსო.

ვინ გაბედავსო აწყენინოსო.

თქვენი შეეშინდებათ სწორედო.

არა თქვენიო.

მუშტამდე მიდიოდა საქმე და არც მიდიოდა, წამოიქოჩრებოდნენ და თავს იოკებდნენ, მწარე სიტყვა დაცდებოდათ და იქვე ასხვაფერებდნენ.

ნახავთ-მეთქი — ვამბობდი — ნახავთ, თუ ამ განევ-გამონევამ უამბოდ ჩაიაროს-მეთქი.

დიდი რამ გამჭრიახობა სულაც არა ჭირდებოდა ამის მიხვედრას.

ყმაწვილები უფრო სეირის მაყურებელნი იყვნენ და სერგოც ამ განწყობილებამ აიყოლია, კინაღამ საბედისწეროდ რომ გაუხდა. ნათეთქვ-ნაგვემი ისეთი კმაყოფილია და ღმერთს მადლობას სწირავს, ეტყობა, უარესიც იყო მოსალოდნელი.

სად მიიჭყლიტებოდი-მეთქი, — თან ვსაყვედურობ და თან ვანუგეშებ, სიცილითაც დავატან: რევოლუციონერი შენ ყოფილხარ, თუ ყოფილხარ, ასეთ შეხლა-შემოხლებში რომ გამოიწრთობი, კიდეც მოემზადები მომავალი ბრძოლებისათვის-მეთქი.

მშვიდდება, წვრილად მიამბობს იმ ორომტრიალისას, მეფიცება, მოშორებით ვიდექი და მხოლოდ თვალს ვადევნებდი, მაგრამ ხალხის ტალღა რომ აირია და აქეთ-იქით მიაწყდ-მოაწყდა, გამვლელ-გამომვლელნიც შუაში მოიქცია და მეც ვერ გავიგე, ჩხუბის შუაგულში რამ და როგორ ჩამაგდო, ხან ვიღაცას ვიყავ შემდგარი და ხან ვიღაც შემდგომოდა ზედ, ხან ვიღაც მადლიანი გამომათრევდა, ხანაც ვიღაც ისე წამიქიმუნჯებდა, ისევ მიწაზე ვიშხლართებოდიო.

იუმორი არ აკლია ამ ყმაწვილს და ისეთი დაგემოვნებით მიყვება, თითქოს თავშესაქცევი წიგნის შინაარსიაო. თან ვიცინი და თან ბრაზი მომდის ჩემს თავზე: რა ცუდი ამბავი მოხდა და შენ რამ გადაგრია-მეთქი.

რა დრო დადგა — შენი თავიც აღარ გისმენს!..

ვიცინი, ვიცინიიიიი...

ჩვენი გიმნაზიის მეხუთეკლასელ მოწაფეებთან ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი წრე ჩამოვაყალიბე და შაბათ საღამოს ჩემს ოჯახში ვიკრიბებით და რეფერატებს ვისმენთ და ვკამათობთ.

ერთ შეკრებაზეც გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებასა და მოღვაწეობაზეც უნდა წაეკითხათ რეფერატი.

მოწაფის გვარი არ მაგონდება და არც არის აუცილებელი. ისე, თუ ძალიან გნებავთ, სერგო გერსამიას ჰკითხეთ, გვარსაც გეტყვით და იმ დღის ზუსტ თარიღსაც. მეხსიერებაც გაწაფული აქვს და, მგონი, ყველაფერს კიდეც უნდა ინიშნავდეს. ეტყობა, ჩვენი დროის მემატიანეობას უნდა აპირებდეს იონა მეუნარგიასავით და საგულისხმო ცნობებსაც შემოინახავს.

რეფერატი, ცხადია, ვერ აცდებოდა 1865 წელს მომხდარ ტფილისის აჯანყებას ანუ ხელოსანთა ბუნტს. გრიგოლ ორბელიანი იმჟამად მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა და ამბოხი მას უნდა ჩაექრო. ჩააქრო კიდეც. ამ ამბის გახსენებისას ფრთხილი აღნიშვნა ურჩევნიათ: აჯანყების დასამშვიდებლად მიიღო ადმინისტრაციული ზომებიო, — მაგრამ ყმაწვილი ოფიციალურ შეხედულებას რას დაგიდევდა — მისი მოქმედებაც დაგმო და თვითონ გრიგოლ ორბელიანიც აუგად მოიხსენია.

რეფერატის შეფასებისას ჩემი მხრივ ვთქვი, რომ ეს ამბოხი გამოიწვია ცხოვრების სიდუხჭირემ და მთავრობის პოლიტიკამ. ეს ბუნტი რევოლუციური აქტი იყო და, ვიდრე მმართველობის წესი შეიცვლებოდეს, ასეთი მოძრაობა ყოველთვის იქნება-მეთქი. და ყმაწვილებს გავახსენე, რომ ამგვარი მოძრაობა რამდენიმე წლის წინათაც იყო. გრიგოლ ორბელიანი, როგორც მოღვაწე და როგორც პოეტი, რევოლუციის მომხრე არა ყოფილა, რევოლუციის მომხრე და მეხოტბე ირომდიონ ევდოშვილია, ვინც, სხვათა შორის, ახლახან დაუპატიმრებიათ-მეთქი.

მისმა დაპატიმრებამაც იმოქმედა ყმაწვილებზე, თვითონ იროდიონის სახელი შეუძლებელია არა სმენოდათ და შემეხვეწნენ, იქნებ მასზე გვესაუბროთ, არსადაც არ გვეჩქარებაო.

მეც მივდექი და რაც ვიცოდი იროდიონზე, ყველაფერი გადმოვულაგე, ლექსებს სულ ზეპირად ვიმოწმებდი და ისე გაგვიგრძელდა ის შეკრება, ერთ-ორ საათში კიდეც დაგვათენდებოდა თავზე. მაინც არ მეშვებოდნენ: კიდევ და კიდევო. მე ვუთხარი, რამდენიც უნდა გელაპარაკოთ, ამოწურვით ამ თემას ვერ ამოვწურავთ, ისევ სჯობს, მისი ნაწერები მოიძიოთ, პრესასაც თვალი ადევნოთ და გაიგოთ, მის გარშემო რა ხდება-მეთქი.

იროდიონის სიყვარულს ვერაფერი ამომიშლის გულიდან, მისი ლექსისაც, მისი პიროვნებისაც, თუმც შესაძლოა იჩქარა, სოციალ-დემოკრატებს ზურგი რომ აქცია.

უცნაური კი არის, რევოლუციის მეხოტბე რევოლუციის მოწინააღმდეგის გულისათვის რომ ტოვებს პარტიას, მაგრამ მკვლელობა ისეთი რამეა, შეგძრავს ადამიანს და ხან შენთვისვე მოულოდნელ გადაწყვეტილებასაც მიგაღებინებს.

თუმც ასე დაბეჯითებით საიდან გამოარკვია, რომ მაინცდამაინც მისმა თანაპარტიელებმა აიკიდეს ეს ცოდვა?

ხალხში კი ტრიალებს ეს ლაპარაკი და, რაღა დაგიმალოთ, მეც სწორედ ეს ეჭვი მღრღნის, მაგრამ დარწმუნებით და საქვეყნოდ გამოცხადება მაინც საფრთხილოა და სარისკო. სარისკო იმ მხრივაც, რომ ვაითუ სოციალ-დემოკრატები არ ურევიან მკვლელობაში და დაბრალება დიდი ცოდვაა, და უფრო მეტად იმ მხრივ, რომ თუ მართლა ეს პარტიაა ამ ტრაგედიის ორგანიზატორი, ასეთი ულმობელი ადამიანები არავის აპატიებენ მხილებას, მითუმეტეს, თავიანთ გვერდით მდგომს. წარსულ დამსახურებას ვინ ჩაგიგდებს ანგარიშში, ანდაც პოპულარობას.

გადადო თავი იროდიონმა და, როგორც მოსალოდნელი იყო ამ გავლენის კაცისაგან, სხვებიც აიყოლია.

არაერთი პიროვნება ჩამოცილდა სოციალ-დემოკრატებს და ფედერალისტებს მიეკედლა სწორედ იროდიონის ნაბიჯით შთაგონებულნიო, — ხან სად რომ მოვკრავდი ყურს და ხანაც სად, ისევ სერგოს ვთხოვე, იქნებ დამიზუსტო, რამდენად მართალია ეს ხმები და თუნდ ერთი-ორი კაციც დამისახელოთ-მეთქი.

დაზუსტებული მაქვსო, — მაშინვე მომახარა, რაკიღა ასეთი ინტერესი გამოვიჩინე და მას კი შეეძლო ჩემი ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა, და ჩამოჰყვა და ჩამოჰყვა:

ასოთამწყობები ერასტი ტოროტაძე და დავით მელაძეო, ტრამვაელი მუშა გიორგი სულთანიშვილიო, რკინიგზელები ნიკო უსტიაშვილი და ალექსანდრე იოსელიანიო, დურგალი იულონ ქელბაქიანიო, ხილეულობის ქარხნის წყლის მუშა სერგო აბდალაძეო, ესაო, ისაო... კიდევ გააგრძელა, თუმც მე მხოლოდ ესენი დამამახსოვრდა და თუ მაინცდამაინც სრული სია გნებავთ — რა ვიცი, თავისთავად ძალიანაც საინტერესოა — სერგოს მიაკითხეთ.

ამდენი ადამიანის ასეთმა საპროტესტო აქციამ კიდევ უფრო გაახელა სოციალ-დემოკრატები და, მგონი, კარგიც არის, იროდიონს ციმბირში რომ უკრეს თავი, იქ წესით ველარ უნდა მიწვდნენ და ამასობაში დროც ჩაივლის და იქნებ მისი ის თავზეხელაღებული საქციელიც როგორღაც მიბინარდეს.

...ჩემთვის კი ვფიქრობ და ვერა და ვერ გამირკვევია:

გრიგოლ ორბელიანი 32-ში რომ იჩემებდა რევოლუციონერობას, მერე ცხოვრების სხვა გზა ამჯობინა, აგერ მეფისნაცვლობაც დაიმშვენა და რევოლუციურ გაელვებას ჩამხშობად ამიტომაც მოევლინა; მაგრამ ილია ჭავჭავაძე, სიჭაბუკიდანვე რევოლუციური მოძრაობისათვის რომ გადაედო თავი და პირველი დითირამბიც მან მიუძღვნა ამ მოვლენას, გადამწყვეტ ჟამს — როდესაც რევოლუცია თვალსაჩინო შეიქნა ქართულ სინამდვილეში — რატომ გაუდგა განზე ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენას, რატომ ველარ ჰპოვა მასში დიდი და აუცილებელი ფერისცვალების სათავე და გილიოტინაზეც ნებაყოფლობით დადო თავი?..

იონა მეუნარგია

ნიკო ნიკოლაძემ მომწერა, მაგის პატიება როგორ შეიძლება, აუცილებლად გამოეპასუხე, მე შენს გვერდით ვდგავარ და კიდევ სხვანიც გამოჩნდებიან, შენ რომ მოგემხრობიან და არა იაკობს, რა გახდა მართლა და მართლა, როდემდე უნდა ვწონოთ ყოველი სიტყვა მასთან ლაპარაკისას, როდემდე ვფრთხილობდეთ, ვაითუ რამე ეწყინოსო, შენ მაინც ნუღა მოერიდებიო.

როგორ გამოვეპასუხო, — შევუთვალე, — მომხრენი სხვაგან სად ვეძებო, როდესაც შინ მყავს იაკობის დიდი თაყვანისმცემელნი, ჩემი მეუღლეც და შვილებიც მაგას მიემხრობიან და ვაითუ სულაც ამიკრან შინიდან გუდანაბადი-მეთქი.

მაგრამ ხუმრობამ გული ასე ადვილად ვერ დამიშოშმინა.

მეწყინა, განა არა, იაკობ გოგებაშვილის ის შეუბრალებელი გამოლაშქრება ჩემზე. მერედა რისთვის, მხოლოდ იმიტომ, რომ წრფელი განზრახვით მოვინდომე ილიას ლიტერატურული და ფსიქოლოგიური პორტრეტის აღდგენა.

რაც მის გვერდით მიტრიალია, რაც მისი საუბრები მომისმენია, ისეთ წვრილმანებს ვაკვირდებოდი, სხვებისათვის სამუდამოდ დაფარული რომ დარჩებოდა უჩემოდ. წვრილმანები ეძახეთ — ხან ასეთი წვრილმანები გაცილებით ფასეულია და მრავლისმეტყველი, ვიდრე გაცილებით უფრო გრანდიოზული მოვლენების ანალიზი.

წრფელი განზრახვით, თორემ რა მრჯიდა. ორ კაცს არ ეყვარებოდა ჩემსავით ილია და მის ხსოვნასაც თუ ვინმე უფრთხილდება, მეც მათ შორის მეგულება თავი.

ქუთათურებმა მთხოვეს, ილიაზე გვესაუბრეო, და ქალაქის საუკეთესო საზოგადოებამაც მოიყარა თავი. ზოგი თითქოს შეიშმუშნა ჩემს ლაპარაკ-

ზე, მაგრამ უმრავლესობა კმაყოფილი დარჩა და დიდი მადლობაც გადამიხადეს, ილიას სახე შინაურ ყოფაში რომ გაგვაცანიო.

ვინც შეიშმუშნენ, საყვედურივით გადამიკრეს, რა აუცილებლობა იყო, ბანქოს თამაშით ილიას გატაცება ასე საგანგებოდ რომ გაიხსენეო.

რაც იყო, იმას ვამბობ, ხომ არაფერს ვამატებ და ვასხვაფერებ.

ბანქოს რატომ თამაშობდა?

ულმერთოდ იღლებოდა და იქანცებოდა თავაუღებელი შრომით, მაგიდაზე რომ დაათენდებოდა და ზედ ჩამოსდებდა თავს ხოლმე გაბოლილ ოთახში. ამდენ რამეს მოსწრება და თანაც ილიასებური მადლის დატანება არ უნდოდა?.. და სულის მოთქმა ამ ბუმბერაზული ძალ-ღონის კაცსაც სჭირდებოდა. სიცრუე და დაუჯერებელი ის იქნება, მტკიცებას რომ მოვყვეთ, ყოველი დღის ოცდაოთხი საათი საქმეს იყო შებმულიო.

ბანქოს თამაშიც ასვენებდა და დარდს უქარვებდა, სუფრაც, მეგობრული მასლაათიც. სამოგზაუროდ კი ნამდვილად არა ჰყოფნიდა დრო და ზედაზენზე ასვლაც ისეთ ფუფუნებად მიაჩნდა, წელიწადში ერთხელ თუ მოახერხებდა ან ისიც ვერა, და თუკი ესტუმრებოდა იმ ტაძარს ეამაყებოდა, ამისთვისაც მოვიცალეო. სამეგრელოშიც და აჭარაშიც საქმეზე გამოემგზავრა და რაც მოასწრო, ხარბად, მოწყურებულივით მიავლ-მოავლო თვალი. ამითაც დიდი კმაყოფილი და მადლიერი დარჩა.

იმ თავყრილობიდან როგორ გამოაღწია სიტყვამ, როგორ გადასხვაფერდა თუ სულაც საპირისპიროდ შემოტრიალდა, აბა რა ჩემი ბრალია.

იაკობ გოგებაშვილი იმ გამოღწეულმა ხმებმა გააღიზიანა და, კაცმა რომ თქვას, არც გაემტყუნება.

ისე არ ეშვებიან ეს სოციალ-დემოკრატები ილიას აჩრდილსაც და მის ხსოვნას ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეურაცხყოფენ და ლაფში სვრიან, აუცილებელია მათთვის ხმის ჩაკმენდაც და განსაკუთრებული სიფრთხილეც, რაიმე შენს უნებურად ხელზე არ დაიხვიონ და თავისებურად არ გაბუქონ. იაკობსაც და ილიას სხვა მოთაყვანეთაც ამიტომ დასჭირებიათ, გადიდებული თვალებით უმზირონ ყველაფერს, რაც ილიას შეეხება, რომ საკბილო არავის ჩაუგდონ ხელში.

ღმერთის წინაშე ვფიცავ, ჩემს იმ საჯარო გამოსვლაში ერთიბეწო საკბილოსა და ხელჩასაჭიდსაც ვერავინ ვერაფერს იპოვნის, მაგრამ გადასხვაფერებულ-გადაკეთებული ნათქვამი კი რა ჩემი ბრალია?!.

ერთს მიმახვედრა იაკობის მწარე გამოხმაურებამ და ბოლოში მინაწერმა, რომ ეს ჯერ დასაწყისი იყო და რჯულამდე ჩამყვებოდა: საშუალება არ უნდა მიმეცა უკეთური ადამიანებისათვის, ჩემი სახელი ეტრიალებინათ თავიანთი სამარცხვინო მიზნისათვის.

ამიტომაც გადავწყვიტე იმ გამოსვლის განმეორება ტფილისში და იაკობიც საგანგებოდ მივიპატიჟე.

მოსვლით არ მოსულა, მაგრამ წვრილად კი გამოიკითხავდა ყოველ დეტალს, უფრო ღრმად და მიუდგომლად გაერკვეოდა ჩემი მოხსენების შინაარსში და თავის დამოკიდებულებას იმით გამოხატავდა, რომ მკითხველს იმ

დანაპირებს არ შეუსრულებდა და ხელს საბოლოოდ აიღებდა ჩემს მოსაზრებათა და დაკვირვებათა უარყოფაზე.

უარსაყოფი ანკი რა არის?!.

თუნდ გადამეტებული სიფრთხილისათვის — კიდევ ვიტყვი — არავინ გაიმტყუნება, მითუმეტეს, ჩვენს უკუღმართ სინამდვილეში და, მითუმეტეს, იაკობი, სხვებივით მეც საფიცრად რომ მყავს.

თუ ვინმე კვლავ შეეცდება ხოლმე ჩემს წაქეზებას, ის დაუნდობელი სტატია უპასუხოდ როგორ დატოვეო, ისევ იუმორს ვიშველიებ: ცოლ-შვილს, იაკობ გოგებაშვილის თაყვანისმცემელთ, თავი შინიდან გამოვაძევებინო-მეთქი?..

პავლე ფშავლიშვილი

ამ ვანოს ხომ პირზე არაფერი დაადგება.

ესტატესთან რომ ავედით იმ საღამოს, ვანომ: ტყეში ერთი დიდი დათვი გავაგორეთო.

ის კი ვერაფერს მიხვდა: თუ ვერა ზიდეთ, ბიჭებს დაგახმართო, - მაგრამ მერე ეჭვი შეუვიდა: ჩვენს ტყეებში დათვს რა უნდა, რახანია არ გამოჩენილაო.

ამ ვანომ: ეგ ისეთი დათვია, იქ უნდა ეგდოსო.

ბიჭების დახმარება იუარა.

მიახვედრა და ეგაა.

მერე გავუწყერი, ბარემ პირდაპირ გეთქვა და ეგ იქნებოდა-მეთქი.

ვინ რას გაგვიბედავსო.

მაგას ჰგონია, დაშინებული ჰყავს მთელი ქვეყანა.

გაუბედავენ და ეგრე!..

მე რაღას უნდა გამოვეჩხირო.

ისე მოსაკლავი კი იყო, ეგ უფრო, ვიდრე მაგისი მოურავი, თუმცა ისიც ძალიან გვიშლიდა ხელს. მე ხომ სისხლი ყელში მქონდა მობჯენილი. მაგ ლომამ, ეგრე ეძახდნენ მოსე მემარნიშვილს, არ დააჭერინა ჩემი თავი პოლიციას?

აღარ მახსოვს, რომელმა ჩვენგანმა თქვა: ნუ ვიჩქარებთ ლომას მოკვლას, ილია გაფრთხილდება და საგურამოს სათოფეზე აღარ გაეკარება. ჩასახლდება ტფილისში და ისეთ გალავანს შემოივლებს, ანგარიშის გასწორება გაგვიძნელდებაო.

მაგრამ მე ავიჩემე:

არა და არა, მაგას ის საქციელი როგორ ვაპატიო, თქვენ თუ არ წამომყვებით, მე თვითონ გავუსწორდები, ოლონდ პარტიაში ვიტყვი, მიგანეს-მეთქი.

ადგნენ და წამომყვნენ, სხვა რა გზა ჰქონდათ.

არ ვიცი, თავადს რა დაემართა, გაფრთხილდა კი არა, თითქოს ჯიბრზე უფრო უხშირა საგურამოში წასვლა-წამოსვლას.

ბედს ეთამაშებოდა თუ რა!..

— ნეტა ჩემი მოკვლით რა სახელი უნდა შეიძინოთო, — ეს სიტყვები მახსოვს, მაგრამ: რას სჩადით, ილია ვარო, — ეს მე არ მაგონდება. წინწინ გიგლა გარბოდა და იქნებ მას მიაძახა.

როგორ დამასწრო!..

მაგ ტყვიამ უშველა, სპარსეთში ჩვენგან მარტო ეგ რომ გადამალეს. თვითონ იმერელმა იზრუნა მაგაზეც და თავის თავზეც.

არა, სახელი არ უთქვამს, იმერელი იყო და ამის ცოდნა უნდა გვეკმარა.

ჩვენს ტყეებში დათვს რა უნდაო...

მაშ რატომ ეგდო ეგრე იმასავით.

ამ ვანოს პირზე არაფერი დაადგება, თორემ სწორე კი თქვა.

როგორ იქნება, რომ ერთხელაც ჩვენი დრო არ დადგეს.

ეს ბერდენკა და ეს მარჯვენა კი შევალიე იმ დროის მოსვლას.

ძველი საქართველოს მზე იმ წუთას ჩავასვენეთ, გიგლას ტყვია რომ გამოსხლტა თოფს.

ნეტა ჩემი ყოფილიყო.

ვაჟა-ფშაველა

ხატობაში ვიყავ, ილიას მკვლელობა რომ შემატყობინეს.

აღარ დამიხანებია, მოვახტი ცხენს და ტფილისისაკენ გამოვექანე.

მოვეშურებოდი გულდათუთქული და ყურში მწარედ მიწიოდა მწუხარე და თან გაკვირვებული კილოთი ნათქვამი: ილია რო მოკლეს!

არ მიკითხავს მკვლელთა ვინაობა ან კითხვა რად უნდოდა!.. მთელმა დუნიამ იცოდა, ვისგან მოელოდა დამიზნებული ტყვია, ყველა ელოდა თოფის გასროლას და... ბოლოსდაბოლოს აღსრულებულიყო ეს მოლოდინიც.

გამოსათხოვარ სიტყვაში რომ დავწერ: თავზარი დამცა ამ ამბის გაგონებამ და ათასი კითხვა აღმეძრა — ვინ მოჰკლავდა ნეტავ ილიას? განა შეიძლება ამისთანა ადამიანების მოკვლა? ნუთუ ქართველებმა შეახეს ხელი თავის მამას, ქართველთათვის თავდადებულს, თავის ერისათვის მოჭირნახულე ადამიანს? იქნებ უცხოელებს შეჰშურდათ ჩვენთვის ეს მართლაც ერთადერთი ბურჯი ჩვენის ქვეყნისა, ბურჯი ჭკუით, ნიჭით და გამოცდილებით-მეთქი, — ეს პუბლიცისტური ხერხი უფროა, რათა ილიას სიდიადე მოიარებით მიმენიშნებინა, თორემ ყველამ თუ იცოდა, ვინ ილესავდა კბილებს მასზე, მე რატომ არ მეცოდინებოდა?!

მეც იმან გადამაფარა თავისი კალთა. რამდენჯერ ვაამბობინე გიგა ყიფშიძეს:

ის როგორა თქვა, მე და აკაკიმ კალამი ძირს უნდა დავდოთ და გზა ვაჟას უნდა დავუთმოთო?!

ვიჯერებდი და ვერც ვიჯერებდი.

იმან შთამინერგა ჩემი თავის რწმენა, იმან მისცა სადინარი ჩემს გულსა და გონებაში ნაღვერდალივით გამოხვეულ ფიქრსა და განცდას და, სასო-

წარკვეთა თუ შემიპყრობდა და კალმის გადატეხვა მომინდებოდა, ილიას სახე ამომიჩნდებოდა თვალწინ, მისი სიტყვა დარეკდა გულში და დასამტვრევად გამზადებულ კალამს ისევ სათუთად გადავუსვამდი ხელს.

ზრუნავდა დღიური სარჩოც გაეჩინა ჩემთვის და „ივერიის“ რედაქციაშიც ამიტომ მიმიწვია სამუშაოდ. მუყაითად შევუდექ საქმეს, სათარგმნელი ვთარგმნე, ჩასასწორებელი ჩავასწორე და... მივხვდი ვიხრჩობოდი.

ორი-სამი დღე რა სათქმელია, მაგრამ ასე თუ გაგრძელდებოდა, შევეწირებოდი სარედაქციო საქმეს და ეგ იქნებოდა.

დავკარი ფეხი და ამოველ ისევ ჩარგალს. თან გული მეთანაღრება, ილიას როგორ ვაწყენინე-მეთქი, თან იქ გამჩერებელიც რომ არ ვიყავი?.. მაგრამ რისი წყენა.

— განა თავიდანვე არ ვიცოდი, რედაქციას გულს რომ ვერ დაუდებდაო? — იმ სულკურთხეულს ეთქვა, — მე ჩემი მაინც ვცადე, მაგრამ რაკილა არა, არა და მორჩა. რასაც დაწერს, ჩამოიტანოს და ჰონორარით მოვათქმევინოთ სულიო.

იქნებ კიდეც სჯობდა, ერთად რომ არც ვიყავით. სულ ერთად ყოფნამ ილიასა და მაჩაბელს რა ხეირი დააყარა, ჩვენთვის რომ დაეყრია.

მწყინდა, ძალიან მწყინდა ის დავიდარაბა, ტფილისიც რომ ორად გახლიჩა და ქართლი და კახეთიც ცალ-ცალკე წაიყვანა. ცალკე წაყვანაა, აბა რა არის, ჭავჭავაძისტებად და მაჩაბლისტებად რომ დაეწყობიან და კამათი ლამის ცხვირპირის დამტვრევამდე მიდის. ან რაღა ლამის. გარევით არ გავრეულვარ, ჩემი სათავშისაცემო არ მაკლდა, მაგრამ თვალს კი ვადევნებდი შორიდან და მეთუთქებოდა გული. ეგ იყო და ეგ, სხვა აბა რა მელონა, ყურის დამგდები ვიღა მყავდა იმ გამწვავებული ბრძოლისას.

მოვაჭენებ ცხენს და ამეებზე ვფიქრობ. ხან ის გამახსენდება, ხან ეს და ჩემი თავის ყვედრებაში ვარ — რატომ გეგონა, ბეჩავო ჩემო თავო, რომ საქმე აქამდე არ მივიდოდა-მეთქი.

ხელიც რომ გამომეღო, განა რა, რას გავაწყობდი, მაგრამ ასეთი მწარე სინანული არ გამომყვებოდა: მარტო შევატოვეთ ის კაცი ამ ჰეროსტრატეებს-მეთქი.

ყველაფერსა ვფიქრობ, იმის გარდა, ნეტა ვინ გაიმეტა-მეთქი. ბალღისთვის რომ გეკითხათ, ისიც უცდომელად მოგიგებდათ.

შემძრა, სასტუმროს აივანზე გადმომდგარი აკაკი რომ დავინახე, ავადმყოფი წამომდგარიყო, ხმაც უკანკალებდა, ხელიც — ფურცლები რომ ჩაებღუჯა. ეთხოვებოდა გულდათუთქული და მის პიროვნებასა და ღვაწლს იმ საზომით ზომავდა, რომელიც აღარასოდეს გადაფასდებოდა:

თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და გონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინ-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავო!

მარტო ეს სიტყვები კი არა, მთელი ის დატირება ლექსივითა მაქვს ჩაბეჭდილი გონებაში და ჩამოვმარცვლავ ხოლმე.

არ მეგონა, აკაკი თუ ასე ძალიან მიყვარდა.

რაღაც დიდი სიმბოლო ძევს აივანზე მის იმ გადმოდგომაში.

ილიას მოკვლის გამოსარკვევად კომისია რომ დაარსდა, მეც მიმიწვიეს. ასეთი კომისიებისა არაფერი მწამს, ასე მგონია, სიმართლის დასადგენად კი არა, საქმის გასაჭიანურებლად და გზიდან ასაცდენად უფრო იქმნება, მაგრამ უარი მაინც არ მითქვამს, იქნებ იქ ყოფნით რაღაც სარგებელი მოვიტანო-მეთქი. რას მოიტანდი. ხელმძღვანელად ისეთი კაცი დაენიშნათ, სიფრთხილე ყველაფერს ერჩივნა, პარტიებსაც ანგარიშს უწევდა და გავლენიან კაცებსაც. და რას ვარკვევდით, უკვე ვეღარ გამეგო.

ერთ სხდომაზე წამოდგა ახალგაზრდა კაცი — მიხეილ ადამაშვილი — და პირდაპირ აჯახა თავმჯდომარეს: სხვა გზას ვერა ვხედავ, დიმიტრი ჯაში უნდა გავიტაცოთ როგორმე, ილიას მოურავი, სადმე ჯურღმულში ჩავაგდოთ და აღვუთქვათ, სიმართლის თქმა სიცოცხლეს შეგინარჩუნებს, ხოლო კერპობა სიცოცხლეს გამოგასალმებსო. გამოვტეხთ და ყველაფერს წვრილად ვაამბობინებთ, საიდუმლოებას ასე გავხსნით, მტკიცე საბუთებს მოვიპოვებთ, ესდეკების ხელით რომ მოხდა ის საზარელი დანაშაული, და უშუალო მონაწილეებსა და ორგანიზატორებს სათითაოდ მივაგნებთო.

ესდეკების ხსენებაზე წაუვიდათ ფერიფური და ესტატემაც შორს დაიჭირა:

ეგრე არ გამოვა, თანაც ესდეკებს ასე უაპელაციოდ ხელს როგორ ადებ, იქნებ არც არაფერ შუაში არ იყვნენო.

— როგორ თუ არ იყვნენ, მთელმა ქვეყანამ იცის, მაგათი მოკლულია და თქვენ კი არ მოგეხსენებათო? — მიხეილმა.

— ეჭვი ეჭვია, მაგრამო... — გაწელა იმან და სხვანიც მიემხრნენ: ამ გზით სიარული არ გვარგებსო.

— აბა, არ გდომებიათ სიმართლის გამორკვევაო, — ცხარედ მიახალა ამან და მეც ჩავერიე, ზოზინი და ყოყმანი მხოლოდ ავნებს საქმეს, გადავჭრათ გორდიას კვანძი და გამოვიტანოთ სააშკარაოზე, ვინც არიან ქვეყნის დამღუპველები, ახალი საბუთებით დავადასტუროთ ის, რასაც ილია წლების მანძილზე ჩაგვჩიჩინებდა-მეთქი.

— არა და არაო, — გაასავსავეს ხელები.

— მაშინ ის მაინც გაირკვეს, რატომ ეცნობა პეტერბურგს ილიას მოკვლა ამ ტრაგედიამდე რამდენიმე საათით ადრე და ვინ მიაწოდათ ის ცნობაო, — ისევ მიხეილმა.

— არც ეგ გამოვა, ან რისთვის გვჭირდებაო.

— ძაფის გორგალი აქედანაც შეიძლება გამოიხსნას-მეთქი, — მეც ჩავერიე ისევ და იმათ კვლავ ხელები გაასავსავეს: არაო და არაო.

და ჩვენ გამოვიჯახუნეთ კარი და გამოველით გარეთ.

ვიდრე გამოვემშვიდობებოდით, ვუთხარ: „ჩანჩურას" ავტორი შენ თუ ხარ, საიმედო ძალად მეგულები ჩვენს ლიტერატურაში-მეთქი.

— მე ვარო, — მომიგო, — და თქვენი პროზის გავლენაც არის, წერა რომ დავიწყე და რამეს თუ ჰგავს ჩემი ნაწერიო.

გავოცდი. არც მიფიქრია, ჩემს პროზაში რამე თუ ეყარა.

მე სულ ილიაზე მინდა ლაპარაკი, სულ მონანიების გუნებაზე ვარ და თუ ვინმეს არ შესჩივლე, გაგისკდება გული და ეგ იქნება.

მისმენენ, მისმენენ და რომ მგონია, აი ახლა რაღაცას ჩამეკითხებიან-მეთქი, განა ილიაზე: გოგოთურად ვინა გყავს დახატული და აფშინად ვინაო.

ერთხელ წამომცდა:

„გოგოთურ და აფშინა“ პირადმა განცდამ დამაწერინა და გმირებად ვინ გამოვხატე, ჩემი საიდუმლოებაა და საფლავში თან ჩავიყოლებ, მაგას არ ვიტყვი და არც საჭიროა, რადგან თქმა არაფერს შეჰმატებს საქმეს და უთქმელობაც არაფერს დააკლებს-მეთქი.

მაინც არ მეშვებიან.

თუ საიდუმლოებაა, უნდა გამამჟღავნებინონ და საფლავში არ ჩამაყოლონ.

რა უნდათ, ვერ გამიგია, ეს ჩემი პირადული შემარჩინონ, პოემის შინაარსის გასახსნელად მაინც არ გამოადგებათ.

ნეტა არ წამომცდენოდა, ვიქნებოდი მოსვენებული ამისგან მაინც.

იდუმალებით მოცული ილია იყო თუ იყო, ჩვენი ქვეყნის დიდ საიდუმლოდ გაიელვა, ამოუხსნელ მოვლენად, ძალაუნებურად რომ ასდევნებია სიმბოლოებიც და მეტაფორებიც იმის კვალს. ამ კვალს უნდა მისდიოს კაცმა, თუკი კვლავაც ჟოლავს მასში რაღაც მამაპაპური, მაგრამ ამას კი არ უკვირდებიან, არააა, გოგოთურად ვინ დახატე და აფშინად ვინო.

ეს მაინც შემარჩინონ, ეს პატარა საიდუმლო, საფლავში ჩასაყოლებლად.

წყალობა ბიჩნიგაური

მე რა, კაცო, მე რა ვქნა, ყველა მე რად უნდა მომადგეს: როგორ იყო, რანაირადაო... სხვები გაილურსებიან ხოლმე. ისე რას აღარა ლაპარაკობენ, მაგრამ ვინმე ჩაეკითხებათ თუ არა, მოწმედ თუ სჭირდება ვისმე, ალუღლუღდებიან, ასეო, ისეო, მთლად კარგა აღარ გვახსოვსო, მგონი ეგრე იყო, მაგრამ მგონი სხვანაირადაცაო... მე კი, ხბო, ყველას თავდებად ვუდგები, თუ რამ მინახავს ჩემი თვალით, არ გადავფიცავ, გინდ სახლიკაცებთან ვიყვე და გინდ გარეშეებთან. აინუნში არ ვაგდებ, აბა ის რას იფიქრებს, აბა ეს რას იტყვის-მეთქი.

ათასი ხათაბალა კი გადამხდა. დედაკაცი სუ მაფრთხილებს: ყველასა აქვს ჭკუა, შენს გარდა, დაბერდი და ეხლაც ვერ უნდა მოიკრიბო გონებაო?!.

რა მაფრთხილებს — მიტატანებს.

მართლა რა გამოდის, სხვები გაძვრებიან და გამოძვრებიან და ვიღაცას ხელში მე უნდა შევრჩე.

მეყოფა, რაც მიწვნევია.

მე რა, კაცო, მე რა ვქნა... მე ხომ არ უნდა გავასწორო ეს ქვეყანა.

წყენით სხვაზე მეტად მე მეწყინა თავადის მოკვლა. ველოდით კია, მთელი სოფელი ველოდით ამ გასროლას. ჰაერში ტრიალებდა სისხლის სუნი, გეშს

თავადისაკენ მივყავდით და ის ამბავი რომ შევიტყვე, წყენასთან ერთად რაღაც უცნაური შეებაც ვიგრძენი... შეება რაღათა? მოლოდინს ველარ ვუძლებდი, სხეულში თითქო ჭინკები ჩამსხდომოდნენ და ერთხელაც იქნება, ხომ უნდა გამომედევნა... მოვიდა ამბავი და კისრისტეხით გამოცვივდნენ.

მეწყინა და არა კმაროდა?

მომადგა ერთი პენსნეიანი კაცი, საშუალო ტანისა, გამჭოლი თვალები ჰქონდა, თითქო შენს სულში იჩხრიკებიანო.

მეო მიხეილ ადამაშვილი ვარო, გამოძიების დიდი იმედი არ გამაჩნია და იქნებ რაღაც-რაღაცები მე თვითონ დავადგინოო, -კარებწინ მელაპარაკება. შინ ვეპატიჟები, მაგრამ უარზეა, ამდენი დრო არა მაქვსო, და პირდაპირ მეკითხება:

იმ დღეს ყველაზე მოუსვენრად ჯაში ყოფილა, ილიას მოურავი, კაკლის ხეზედაც კი ასულა და ქვევით გაშლილ გზას იქიდან ათვალიერებდა. შენ დაგინახავს და სოფელში გითქვამს, თავი მომჭერით, ამ საქმეში გარეული თუ არ იყოსო. ეჭვი მარტო ამის გამო არ გაგიჩნდებოდა, იქნებ სხვა რამ საბუთებიცა გაქვსო.

ჩემთან ვინ მოგასწავლა-მეთქი, და რომ მიხსენა იმ კაცის სახელი, გავშტერდი. ჯერ იმან შეატყო ჯაშს მოუსვენრობა და, ხეზე რომ ავიდა, თითიც მიმიშვირა:

ეგეო, ეგეც გარეული იქნებაო.

ის ჩიოდა ხოლმე, კაცო, ილიამ ყაზახ-სალდათების ზეკუცია აგვაშორა და სამაგიეროდ ისეთი მოურავი დაგვიყენა, ეგ ყველაფერს შეგვისრულებს, რაც ილიამ აგვაცდინა, აი კაცი ის იყო, საწყალი ლომაო... მე მხოლოდ ვეთანხმებოდი და ახლაც ხეზე ასულ ჯაშს რომ გავხედე, დავუდასტურე, საკაიკაცოდ არ ავიდოდა-მეთქი.

ჩემთან რომ გამოგზავნა, თვითონ უკეთ ვერ ეტყოდა? მაგრამ დაჩვეულან, შვილოსა, და ე ჩემი დედაკაცის ტუტუნიც რომ გამახსენდა:

მე არაფერი ვიცი-მეთქი, მოვახსენე, რაც სხვამ, მეც ისა, გამოიკითხე სოფელში და იქნებ ვინმემ დაგაყენოს გზაზე-მეთქი.

შეცბა ძალიან, ჩამეძია, მაგრამ მეც ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე.

გაბრუნდა გულაცრუებული, ოლონდ გამოთხოვებისას მითხრა:

მეცნობი, ჩვენ აქ შევხვედრილვართ ილიას დღეობაზე, მას მერე ათი წელიც უნდა იყოს გასულიო.

შეიძლება-მეთქი.

გამცილდა და უეცრად ისევ შემობრუნდა:

მომაგონდა, მომაგონდაო. „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ" ილიას აკი გაგიუებით უყვარდა და ჯერ ჩვენმა გუნდმა რომ იმღერა, მაშინ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მოწაფე ვიყავ და ჩვენს გუნდს სანდრო კავსაძე მოთავეობდა, მერე გლეხებმაც გაიმეორეთ. ილია მაშინვე თქვენთან გაჩნდა და ბანიც მოაყოლა, თან ორ გლეხს მხრებზე ხელიც გადახვიაო. მგონი შენ უთხარ: ილიავ, გაჩუმდიო. იმან: ვერ გავჩუმდები, ეგ სიმღერა ძალიან მიყვარს და მეც უნდა ვიმღეროო. — გაჩუმდი, თორემ ჩვენ

გავჩუმდებითო, — შენ უთხარ მგონი და იმასაც რა ეღონა, ჩაიკმინდა ხმა, ეგაა, სამ-ოთხჯერ კიდევ გათქმევინათო.

არა, ვილაცაში გეშლები-მეთქი.

შენი სახე თვალწინ მიდგასო.

არა, მე ნამდვილად არა ვყოფილვარ, ეგ სიმღერა ცხოვრებაში არ მიმღერია და არც ილია გამიჩუმებია-მეთქი.

არადა, მე ვიყავ. ამას მაინც სად მოვაგონდი!.. რამდენჯერ მიმღერია ილიას თხოვნით, დღეობაშიც, სხვა დროსაც ეს „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ". მეც მიყვარდა ეს სიმღერა, განა არა, მაგრამ ვერ გამეგო, ილია ასე რატომ კარგავდა ჭკუას...

ეს რაღა დასამალი იყო, მაგრამ ეშმაკი რომ შეგიჯდება!..

სიბერემდე სიქაჩლეო, ნათქვამია. ამდენ ტყუილს რა მრჯიდა, რაღა იმ უცხო კაცთან გავწბილდი. განა რამე უგრძნობინებია, მაგრამ ისე მომიფათურა სულში ის თავისი მჭრელი თვალები, დაუნახავი არაფერი დარჩებოდა.

... არა, სულ ი ჩემი დედაკაცის ბრალია — სხვებს უნდა დაემგვანო, თორემ ისე ჭკუას ვერ ისწავლიო.

დავემგვანე და... აჰა!

მე რა, კაცო, მე რა ვქნა, განა ჩემი ბრალი არის რამე?

ვასო ნაცვლიშვილი

ამ მარჯვენამ განა ცოტა იღვაწა იმ დიქტატორის მოსაშთობად! როგორი ქვა გასტყორცნა, პირდაპირ შუბლში რომ რეკა და დაარეტიანა. ბერბიჭაშვილმა ტრაბახით რომ აიკლო ქვეყანა: ამ ბერდენკის ტყვიამ მოინელაო, — ჯერ ის ტყვია სად იყო, ან თვითონ ბერბიჭაშვილი რას გაბედავდა, ჩემი სტატია რომ არა.

როგორ დამიმადლა ფილიპემ, მასწავლებელი და გამზრდელი ეგ იყო ჩემი და მის სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ამიტომაც ჰქონდა. შექებას არასოდეს იშურებდა, მაგრამ ახლა მითხრა: მაგის დღეები უკვე დათვლილიაო.

მე, მე გამოვუყვანე წირვა...

ეს რომ მახსენდება, სიამაყით მევსება დემოკრატის გული.

თუ მართლა დემოკრატი ხარ, თავადი და ბურჟუა არ უნდა გაახარო. ჩვენთანაო ბურჟუები არ არიანო, ესეც მსმენია. ეგ მე რა ვიცი. რაც ვიცი, ისაა, რომ ბურჟუას სიცოცხლე უნდა გავუმწარო და არიან თუ არ არიან, ეგეც მე ვინაღვლო!.. მაგათზე დგას ყოველგვარი დიქტატურა და ილია ჭავჭავაძე რომ პირწავარდნილი დიქტატორი იყო, მთელ დუნიას მოეხსენებოდა. ორმოცი წელი გადამჯდარიყო დევივით ქვეყანაზე და სასიცოცხლო წყაროს უკეტავდა ხალხს, შეაგუბა საზოგადოებრივი აზრი, თავის მბრძანებლობას დაუმორჩილა ყველა და ყველაფერი და ერთიანად გაამრუდა ცხოვრების გზა. დრტვინავდა ხალხი მის კირთებქვეშ, გაბეზრდა მისი

მბრძანებლობით და ამოიღო ხმა. გამოფხიზლებაში ხალხს ჩვენ დავეხმარეთ, თორემ ილიას სახელი ისედაც ზიზღს იწვევდა ყველა პატიოსანი ადამიანის თვალში.

ორმოცი წელი როგორი მოსათმენია, თანაც ღირსებას რომ გიქელავენ ფეხქვეშ და გაუთავებლად ჩაგჩიჩინებენ: სამშობლოა უპირველესი, მთავარზე მთავარი მისი დამოუკიდებლობააო.

რაც იმას სამშობლო ეგონა, სინამდვილეში პარტიაა. კაცს რომ ეს არ გაეგება, განა შეიძლება ის აბატონო ქვეყანაზე და მთელი ხალხის დაბეჩავების ილუზია და იმედიც გაუჩინო?! საგურამოელი გლეხობა როგორც გაემწარებინა, ისე უნდოდა მთელი ხალხის გათელვა.

„გლახის ნაამბობში“ რომ წერდა... როგორ მიყვარდა ეს მოთხრობა, რამდენჯერ გადამიკითხავს და უცრემლოდ კი არასოდეს... იქ რომ წერდა: „სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა. მზე რომ ამოდის, ვარსკვლავები მაშინ არა სჩანანო...“ — ეს ყველაფერი მართალი მაშინ იქნებოდა, „ქვეყნის“ მაგივრად „პარტია“ რომ წერებულიყო. თუმც მღვდელს ათქმევინებს ამ სიტყვებს და ბნელეთის მოციქული კარგ რჩევას რას გაიმეტებდა?!

თვითონაც რომ ასე სჯეროდა?!

აიჩემა და აიჩემა: სამშობლოსათვის ყველაფერი უნდა გაწიროო.

პარტიისათვის უნდა გაწირო ყველაფერი, დედ-მამაც დაუნანებლად უნდა გამოიმეტო, და-ძმაც და ნათესავ-მეგობრებიც.

ქვეყნის ბედს გილიოტინა უნდა წყვეტდეს, ოღონდ დემოკრატიული გილიოტინა, და არა ილიასნაირი დიქტატორნი, ცა ქუდად რომ არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად.

ხომ მიაყოლა ამ მარჯვენამ ერთი კაი ქვა.

რჩევა არავისი დამჭირებია. ფილიპემ ერთი კი მითხრა: აბა შენ იცი, შენ განდობთ ამ საპასუხისმგებლო დავალებასო, — და კიდეც გავფრინდი საგურამოსაკენ. ხალხი გვერდით მედგა და იმისთანა სტატია გამოვიდა, მწარე-მწარე საკმაზებით სავსე, იმ საბრალომ ამოლუღლუღების მეტი ვერაფერი მოახერხა:

მეო გლეხებს არ ვაწამებო, ჩემი მიზეზითაო არცერთი გლეხი არ დაღუპულაო და ამისთანები...

ო, რა გავამწარე. და გამწარება მაშინ გენახათ, საპასუხო წერილი „ივერიამ“ რომ არ დაუბეჭდა. ჩვენი ხალხი იქაც გვყავდა შეგზავნილი და იმათ ატეხეს ბუნტი — არ მოგცემთ ნებას გლეხების მყვლეფავსა და მთავრობის ყურმოჭრილ მონას ასპარეზი დაუთმოთო.

გამოქვეყნებით კი გამოაქვეყნა, მაგრამ როგორც „ივერიის“ დამატება — საკუთარი ხარჯით, რაც ამცირებდა მისი ზემოქმედების ძალას და, უნდოდა თუ არ უნდოდა, ადასტურებდა ჩვენს დიდ გავლენას.

არც მერე დამიშურებია ცხელ-ცხელი მათრახები და თვითონ ფილიპეც წამომეშველა. დარწმუნებით ვერ იტყვი, ილიას საბრალდებო დასკვნად რომელი სტატია უფრო გადაიქცა — ჩემი თუ ფილიპესი... მე მაინც მგონია,

რომ ორივე ერთმანეთს ავსებს და იმ განაჩენად ყალიბდება, ბერბიჭაშვილს გზა რომ გაუხსნა.

ბედი არ გინდა!

იმან იმ ერთი ტყვიით მთელი ცხოვრება იშოვნა. რევოლუციამ და საქართველოს გასაბჭოებამ კაცად აქცია და თანამდებობა არ დაუტოვებია, მაინც რამდენი პოსტი მოიარა... ძაღლუმადურად მეც არა ვგრძნობ თავს, პარტიამ იცის თავისი ერთგული შვილების დაფასება, მაგრამ მაინც როგორ არა ვთქვა — იმის ტყვია თუ ტყვიაა, ჩემი ქვა ქვა არ არის? ჯერ ეს იყო — ჩემი მარჯვენის ნამოქმედარი, და მერე ისა...

იმას ყველაფერი და მე — არაფერი?

არაფრად ითქმის იმასთანა შედარებითა, თანაც დროზე მინდა, თორემ პარტიას კი რა შეეშლება, ჯერ პარტიაა, ჩემო შვილებო და შვილიშვილებო, და მერე დედა და მამა.

იმან ესეც ვერ გაიგო, ქვეყნის წინამძღოლად რომ მოჰქონდა თავი, და მარქსიზმსა და დემოკრატიას გაუგებდა რასმე?!.

დიმიტრი ჯაში

კაკლის ხეზე რატომ ახვედიო, ხელზე არ დაიხვიეს?

ეს რა დროება დაგვიდგა, ამათი შიშით ხეზეც ველარ ასულხარ.

გინდა თუ არა, ილიას მოკვლის ცნობას ელოდი, შენც ტერორისტების თანამონაწილე ხარო.

ჯერ ერთი, არ მახსოვს, ხეზე ავედი თუ არა. მეორეც — იქნებ სულ სხვა მიზნით ავედი, ვინ დამიმტკიცებს, რასა ვფიქრობდი. და მესამეც ისა, რომ გინდ მართლა ილიას მოკვლის ამბავს ველოდი, მთელი სოფელი ამის მოლოდინში არ იყო?

ხეებზე იქნებ სხვებიც ავიდნენ, ზოგნიც გზაშარაზეც გამოეფინნენ...

მაინცდამაინც ჩემი დაამახსოვრდათ...

იმასაც მე მითვლიან დანაშაულად, ამბის შეტყობისთანავე წიწამურისაკენ რომ გავეშურე და ნაცემმა და გულშეღონებულმა კნეინამ ძლივს რომ გაახილა თვალი, ჩემს დანახვაზე ერთი ვაიუშველებელი ატეხა:

მომაშორეთ, მომაშორეთ, ნუღა დამანახებთო...

ყოველთვის ამრეზით მიყურებდა, ჩემი დათხოვნა ენება და იმ წუთსაც, ეტყობა, თავი ველარ შეიკავა, მაგრამ ეს რატომ ნიშნავს, თითქოს მკვლელობის თანამონაწილე ვიყო? ადამიანს შეიძლება არ უყვარდე, მაგრამ მაინცდამაინც მკვლელობა არ დაგაბრალოს. ისე რაღა იმ წუთას მოუნდა გონზე მოსვლა!..

ჩემი საბუთი არაფერი გააჩნიათ ჩემს წინააღმდეგ — მხოლოდ ეს ხეზე ასვლა და კნეინას შეცხადება.

მაინც არა მსიამოვნებს ხმების ეს ტრიალი ჩემს გარშემო, არც ეჭვით მომზირალი თვალები. სულ აღარ დავდგები თავადის მამულში და ჩემს გზას

მოვნახავ, მე შენ გეტყვი, ადგილის შოვნა გამიჭირდება, მაგრამ დროზე თუ არ მოთავდა ეს ტუტუნ-ჩურჩული, ვაითუ აღარსად მომასვენონ.

სულ იმის ბრალია ყველაფერი, ამ მიხეილ ადამაშვილისა, იმან ამიბუნტა სოფელი, ის ჩაებღაუჭა იმ ხეზე ასვლას და კნეინას შეცხადებაც საბოლოო მტკიცებულებად მიიღო.

გაგონილა, ხალხნო? ვინ არის, რომ ასე კვალში ჩამდგომია... გამომძიებელია? ჩაფარია? ჟურნალისტია, მეტი ხომ არაფერი.

როგორი მადლიერი ვიყავი მაგისა, კეთილი თვალით რომ შემომხედა, შემაქო, რიგიანი წერა გცოდნიაო, გამომარჩია სტამბის მუშებში და „ივერიის“ რედაქციაში ქრონიკის განყოფილება ჩამაბარა. თანამშრომლებში ეთქვა: ეგ ისეთი ხერხიანი და მცდელი ჩანს, კარი რომ ჩაუკეტო, ფანჯრიდან გადმოვა და შესაფერის მასალას უსათუოდ მოიპოვებსო.

ასე ამოვაღწიე სტამბიდან, მერე და მერე უფრო გავიკვლიე გზა და ეს უკვე აღარ მოეწონა. ვითომ სიცილით მითხრა: შენ რა, პატრიოტებთანაც ხარ, ტერორისტებთანაც, შანტაჟისტებთანაც, ყველა ბანაკთან როგორ თანამშრომლობო, — ოღონდ ისეთი გესლი ერია ამ სიტყვებში, სხვას საკადრის პასუხს გავცემდი, მაგრამ მიხეილს ვერაფერი შევბედე. ბოლოსდაბოლოს მისი გამოყვანილი ვიყავი ხალხში... გულში კი ჩავიხვიე — არ ვაპატიებ-მეთქი.

მე არ უნდა მეპატიებინა და... ისევ იმან არ დამიწყო დევნა?

აბა რა ჩემი ბიოგრაფიის გამორკვევა აუტყდა. გლეხობაში რაც ილაპარაკა, იმას თურმე ვინ ჩივის. ფედერალისტების მიერ შექმნილ კომისიაზე ეთქვა:

გავიტაცოთ ჯაში, გამოვკეტოთ საიდუმლო ალაგას და გამოვტეხოთ, ვინ და როგორ დაგეგმა წიწამურის ტრაგედია, ეგ უთუოდ გარეული იქნება, ყველგან დასუნსულებს, ავაზაკებთანაც კუდი აქვს გადაბმული და ჯერ მარტო სახეზე დააკვირდით, ამ პირისახის პატრონი წესიერი კაცი არ იქნება, ტუჩები მუდამ დუჟიანი აქვს, თვალები კი წირპლიანი, ყინულივით ცივი და დაუნდობარი, ნამდვილი მედუზას თვალებიო.

დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მართლა განაცხადა თუ არა ასეთი რამ, ხმა კი ასე გამოვიდა და გული რომ მიკანკალებდა, თავს როგორ ვუშველო, ვიცოდე მაინც, სად ჩამსაფრებია განსაცდელი-მეთქი, ის სასიხარულო ამბავიც მომწვდა, კომისიის წევრებს შორს დაუჭერიათ ყოველგვარი გამწვავება, არამთუ ვისიმე გატაცება, დაკითხვის მოწყობაც იმ მოსაზრებით — დიდი სიფრთხილით უნდა ვიმოქმედოთ, ათასჯერ ავწონოთ და მერე ან გავჭრათ და ან არაო.

გამოუშვიათ გაწბილებული და იმასაც კარი გამოუჯახუნებია, რალაც ტყუილი კომისია შეგიქმნიათ, არამცთუ ვერაფერს გამოიძიებთ, სურვილიც არ გაგაჩნიათ სიმართლის დადგენისაო.

თუ ნამდვილად ასე იყო ყველაფერი, ნეტა იმისი სახე დამანახა, ნირწამხდარი და კუდამოძუებული რომ მოჩაქჩაქებდა. ჩემს სახეს რომ იწუნებს, ნეტა თვითონ რას დამგვანებოდა, ბაქიბუქი რომ ჩაუფლავდა და გამომძიებლობის სურვილი გაუბიაბრუვდა? არც ისე მყავს მზეჭაბუკი...

მაშ სულ თავიდან გზა რატომ გამიხსნა? წერის ნიჭსა და ხერხიანობას რატომ მიქებდა?

ეტყობა, მერე და მერე შეეხარბა ჩემი დაწინაურება და გავლენა და ეს საბაბი დაიხვია ხელზე ჩემს გასაშავებლად...

ხომ ვერ მივართვი?!.

ისე ეს რა ცხოვრება დაგვიდგა — შიშით ხეზეც ვეღარ ასულხარ, არაფერი დამწამონო.

ფოთოლათ მერცხალა

თვალი შევასწარ თუ არა, ლუკა ცხენს რომ მოახტა და ისარივით გაქანდა, მივხვდი — ილია მოუკლავთ-მეთქი.

იქნებ ოჯახში დაუტრიალდა უბედურება? ეგეც შეიძლებოდა, მაგრამ კი არ ვიგრძენი, ცხადად დავინახე, როგორ დაახალეს ბერდენკა. კიდევ ვიღაც კაცი მოკლეს. კნეინას კონდახები ურტყეს. ის ნიშიც თვალწინ ამომებლანდა, სადაც ის ავაზაკები ეტლს გადაუდგნენ. მერე რომ გამოვიძიე, ზუსტად ეგრე მომხდარიყო ყველაფერი. პოლიცია ძაან რომ მიჰყოლოდა საქმეს და დაედგინა, რაც ხატობაშივე გავანდე რამდენიმე კაცს, იქნებ მეც სატუსაღოში ჩავემწყვდიე, ეტყობა, შენც მონაწილე ხარ, აბა ასე ნიშანდობლივ საიდან იცი, რაც იმსიშორეს მოხდაო.

ასეთი მოლანდებანი კი არ მიკვირს, ბევრჯერ დამინახავს ცხადად, რაც სადღაც მომხდარიყო ან მოხდებოდა, მაგრამ ასეთი მხურვალება არასოდეს ჩამლვრია გულ-გვამში. იქ რა გული დამიდგებოდა, მოვახტი მეც ცხენს და გამოვეჩქარე ქალაქად.

იქ ისე ვიყავ ჩაკარგული ვეება დუნდგოში, ჩემი თვალით არც არაფერი მინახავს, მიმაქანებდა ხალხი, მერე ბილიკებით ამაქანა მთაწმინდაზე. აქ ჩოხა გამერღვა, იქ ახალუხი, წაღმა-უკუღმა მომექცა სამოსი, მაგრამ მაინც ავაღწიე ილიას უკანასკნელ განსასვენებელს. ყველა რომ წავიდ-წამოვიდა, ათი-თორმეტი კაცი შევრჩით სამარეს, ვიდექით მდუმარედ და მარტო ილიას კი არ დავტიროდით, ჩვენი ქვეყნის ბედს ვიგლოვდით.

— ვერ გაიგეთა, ქართველნო, შაგეხსნათ რკინის კარიაო, — მეფე ერეკლეს რომ დასტიროდნენ ხევსურნი, თითქოს ილიაზე ეთქვათ. რკინის კარი კი შეგვხსნოდა და ხსნა აღარსაიდან ჩანდა.

ლუკა იქ სალი კლდესავით იდგა, პირგამეხებული, ხელებდამუშტული, მაგრამ ფშავისაკენ დავადექით თუ არა გზას, ხან სად წასკდა ცრემლი და ხან სად. მაგის სიცილი არ მახსოვდა და მაგისი ერთი კურცხალიც, აქ კი იღვრება ცრემლად და... მის სიცილს კი ალბათ ვერც ვერასოდეს მოვისმენ.

მეწურება გული მის შემხედვარეს და ისე უცნაურად მიფრთხიალებს, მაგრძნობინებს, ესეც დიდი განსაცდელის წინაშე დგას და გააფრთხილეო.

იქ რაიმეს თქმას აზრი არა აქვს, კლდესავითაა შეუსმენელი, მაგრამ მერე კი ვამცნე: ხომ იცი ჩემი გუმანი, მოერიდე იმათ, ხეირს არც შენ დაგაყრიან-მეთქი.

გაგიგონია?! უპირველესი ჭირისუფალი ის შეექნა ილიას, სულ ყვავყორნებს ეძახდა იმის მკვლელებს, ესდეკებს ყველას მკვლელებად იხსენიებდა და პირშიც დაურიდებლად ახლიდა — ახლა გვამზეც მოინდომეთ ყაშყაშიო?

დადექ — ვეუბნები — ვის იკიდებ, რომ იკიდებ, ისედაც თვალში ჰყავხარ ამოღებული, ისედაც განრისხებულან შენზე და მეტს ნუღა ამწვავებ, რა არსენასავით მოგდის, თუ ძალით არავინ მომკლა, ნებით გამოვიჭრი ყელსაო.

განა ერთხელ და ორჯერ მითქვამს? სულაც მიხვენნია... და ერთხელაც მეუბნება:

მამასახლისი და გზირი რომ გაალექსე თავიანთ ქალ-რძალიანად, რომ გაფრთხილებდი, რატომ არ შეისმინე, ხომ ისე დაგილენეს გვერდები, რამდენიმე თვე ფეხზეც ვერ დადექიო?!

რა ვქნა, თავისთავად მოხდა-მეთქი.

ხომ იცოდი, რაც მოგელოდაო.

ენა მე არ მემორჩილებოდა-მეთქი.

არც მე მემორჩილებაო.

არ ემორჩილება და მაგასაც ჩაუსაფრდებიან სადმე, ბუჩქების მეტი რა არის ჩვენს ხეობაში. თუ თავისით არ გასცილდა წუთისოფელს, უსათუოდ მოინელებენ.

მისი მკვლელობის სცენას კი დანახვით ვერა ვხედავ. გული ავს მიგრძნობს, მაგრამ ცხადად არაფერი მებლანდება თვალებში.

ერთხელაც მოდის ლევანთან ერთად, ავ თვალს არ ენახვის, ისეთი ვაჟკაცია, ლუკას შვილი მხოლოდ ასეთი უნდა ყოფილიყო, მოდის ეს მამა-შვილი და... არ ვიცი, რა მემართება, უეცრად ვხედავ, როგორ მიაყენებენ თხრილთან ლევანს და ჩაცხრილავენ. მის გვერდითაც ეცემიან ადამიანები. ვაიმე, ძმაო-მეთქი და მივვარდი... საღ-სალამათია, იცინის, ვერ გაუგია, რატომ შევყურებ ასეთი გაოგნებული და ისე ვსინჯავ, თითქოს საიქიოდან მობრუნებულიყოს... რა მოგივიდაო, ლუკაც მეკითხება. როგორ ვუთხრა ეს ჩემი მოლანდება, ისევ იმას ვამჯობინებ:

ფრთხილად და ფრთხილად-მეთქი, წითელი კალია მოსდებია ქვეყანას, ბურსა და ბორიაყს აყენებს, იზრდება, გველეშაპივით იჩონჩხლება და ეს მამა-შვილი ნუ ჩაუვარდებით პირში-მეთქი.

— შენ გეფრთხილა, გზირი და მამასახლისი რომ გაალექსეო, — გაიცინებს ლუკა და წავლენ, მიეფარებიან თვალს...

სიცილიც ხომ ვნახე ლუკასი.

ახლაც იმავეს ვიტყვი:

ხეს რომ ჭრიან, ნაფოტები ცვივა.

რა ამბავი ატეხეს — მიცვალებულიც არ დაინდო და შეურაცხყოო.

დანდობა და შეურაცხყოფა რა შუაშია. ამ გაუგებარ ადამიანებს არ ესმით, რომ რევოლუციამ რამდენი უდანაშაულო პიროვნებაც უნდა შეიწიროს, მისი დაგმობა მაინც არ შეიძლება. საფრანგეთის რევოლუცია განა ვინმემ დაგმო, ცნობილი ქიმიკოსი ლავუაზიეც რომ შეეწირა მის მიერ დანთებულ ხანძარს კაცობრიობის ხსნისათვის?! მიუკერძოებელ ისტორიასა და შეგნებულ ადამიანებს ვგულისხმობ, თორემ მკილავნი და მაძაგებელნი არც მას დალევია.

რევოლუცია რევოლუციაა, უდანაშაულო მსხვერპლი უდანაშაულო მსხვერპლი, მაგრამ ამხელა ისტორიულ მოვლენას, ცხოვრების გეზს მთლიანად რომ ცვლის, განა მსხვერპლსა და სისხლზე წუწუნი გადაფარავს?

ეს საერთოდ, თორემ ილია ჭავჭავაძე რომელი უდანაშაულო გახლდათ?!.

აუცილებლად უნდა მოეკლათ-მეთქი, იმას როდი ვამტკიცებ, მაგრამ ძალიან რომ უშლიდა ხელს საზოგადოებრივი განვითარების პროცესს, ამასაც ხომ ყველა ხედავდა და აღშფოთებულიც იყო, გარდა იმ ნაციონალისტებისა, რომელთაც ჩვარი რატომღაც ეროვნული დროშა ჰგონიათ, ეროვნული დამოუკიდებლობა კი უზენაესი მიზანი. ჩარჩნენ სამუდამოდ სიბნელეში და ეგაა!.. პროლეტარიატის ისტორიული მისია მათი შეგნების მიღმა დარჩა და ილია ჭავჭავაძეს რომ არ აერია საზოგადოების ცნობიერება, ასე კი არ გაგვიძნელდებოდა მარქსიზმის შემოტანა საქართველოში.

ბარიერად გადაგვექცა, სწორედაც ბარიერად!..

არა, მოსაკლავი იყო-მეთქი, ასე არ გამიგოთ, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ გააგებინებ კაცს, ასეთი ბედი მოელის, აბა როგორ უნდა.

არ გაპატიებს ხალხი გზაზე გადადგომას.

არ გაპატიებს, ნოლებად თუ გამოაცხადებ.

ირწმუნებოდა:

ნოლებად მე არ გამომიცხადებია, სულ სხვა რამ ვიგულისხმე და ნოე ჟორდანიამ შეცვალა ჩემი ნათქვამიო.

ხალხმა ყველაფერი იცის, ხალხს ვერაფერს გამოაპარებ. სწორედ ხალხი იყო, მკაცრად რომ მოსთხოვა რედაქციას, შეწყვიტეთ ნოე ჟორდანიას ლანძღვა, აღარ გაბედოს ჭავჭავაძემ იმ საძაგლობების წერაო.

საქართველოში დაბრუნებულს თუ ვინმე შემეგება სიხარულითა და იმედით, ილია ჭავჭავაძე. შემომითვალა: მინახულეო, -და შეხვედრისთანავე „ივერიაში“ მუშაობა შემომთავაზა:

ყოველგვარ პირობას შეგიქმნი, შენ ოღონდ თავი არ დაზოგოო.

რა ვქნა, გული არ მიმივიდა.

უკვე ათვალწუნებით ვუყურებდი და სხვებმაც გამაფრთხილეს, პარტიულმა ამხანაგებმა: მაგას არ გაეკარო, შუა საუკუნეების ბნელეთშია ჩარ-

ჩენილი, პირწავარდნილი მემამულეა, გლეხების სულთამხუთავი და ნაციონალიზმის გამღვივებელიო.

ისიც დასძინეს:

მაგან თავის თავს უღალატა და სხვას რას უზამს. თავიდან სწორად ხედავდა ყველაფერს, მაგის ნაწერებიდან ეგრე ჩანდა, მებატონის წინააღმდეგ ხელის აღმართვასაც ამართლებდა და რევოლუციაც პირველმა მაგან მოითხოვა, მაგრამ რად გინდა — მერე და მერე ეს ყველაფერი უარყო, ნაციონალიზმის ჭაობში ჩაიძირა და ეგე, რას დაემგვანა, დემოკრატისა და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანისა აღარაფერი შერჩაო.

ჩემითაც ასე ვგრძნობდი და პარტიული ამხანაგების ნათქვამი ამიტომაც ვირწმუნე.

იმან კი:

ჩემთან დაიწყე მუშაობაო.

რას ვეტყოდი. დიდად შორს დავიჭირე და ისე ცივად შემოვბრუნდი, მეორედ რაიმეს თხოვნას მოერიდებოდა.

კარში გამოსულს მაინც დამადევნა:

— იმედი მაქვს, ერთმანეთს გზას მაინც არ გადაუჭრითო.

მაშ, აბა!..

იმას ცხოვრების ბუნებრივი მდინარება აღმა შეეტრიალებინა, წაღმართი უკუღმართად დაესახა, იდეალის ნაცვლად ყალბი იდეალი შეეჩეჩებინა ხალხისათვის და... მე ეს მომეთმინა?

მაჩაბლის სიკვდილიც მაგის კისერზეა, შეუძლებელია, გარეული არ ყოფილიყო. ამ ეჭვსაც გამოვთქვამდი გაზეთის ფურცლებზე, მტკიცებას უფრო, ვიდრე ეჭვს, და არც საკუთარი თავის ღალატს დავუვიწყებდი.

ქართული პრესის გუშინდელსა და დღევანდელ დღეს რომ მიმოვიხილავდი მიუდგომლად და დაუფარავად, სოციალ-დემოკრატებს როგორც გვჩვევია, ისრები უპირველესად ილიას ხვდებოდა და ამომადგა ერთ დილას შინ იოსებ იმედაშვილი: ესაო, ისაო, ქართველი ერის საამაყო შვილს აბიაბრუებო.

ვეუბნები: ჩემო იოსებ, კრიტიკა, პოლემიკა განა საძრახისია-მეთქი, და იმან კი: კრიტიკა და პოლემიკა კი არ არის საძრახისი, არამედ ლანძღვა-გინებაო.

ისე გამოიყვანა, თითქოს ჩემი მეცნიერული ანალიზი, მკაცრად თანმიმდევრული და მარქსისტული ხედვით შემაგრებული, ლანძღვა-გინება ყოფილიყოს. თანაც მისი „კაცია-ადამიანი?!“ „განდეგილი“, „აჩრდილი“ და „კაკო ყაჩაღიც“ მიხსენა, ამათი დამწერი განა მაგისთანა ეპითეტების ღირსიაო?!.

ასეთი გაუგებრობა იმისი ბრალი გახლდა, მარქსიზმი რომ არ გაეგება და ილია კი კერპად დაუსახავს, იმის საცეცებში გაბმულა ობობას ქსელში მომწყვდეული ბუზივით და არაფრით არა სურს შეიტყოს, რა ამბები ხდება ქვეყანაზე.

— ილია რომ მხატვრული სიტყვის ოსტატია, უკვე კლასიკოსი და ჩვენში ძნელად რომ ვინმე შეედაროს, ჩემზე უკეთ შეიძლება ბევრმა არ იცოდეს-

მეთქი, — ვუხსნი იოსებს, — მე მხოლოდ მის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ შეხედულებებს ვებრძვი. ჩვენი განსხვავება აქ არის. დაიმახსოვრე — ილია მიყვარს როგორც პოეტი და ბელეტრისტი, მაგრამ ვებრძვი როგორც პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს. დღეს ჩვენთვის ილიას დროშა აღარ გამოდგება.

განა მისმენს, თავისას მიმეორებს:

— ილია ერთი მთლიანობაა, როგორ შეიძლება მისი გაყოფა ცალკე მხატვრული სიტყვის ოსტატად და ცალკე პუბლიცისტადო, — მერე ამასაც მომაძახებს: მოვა დრო და თქვენც ილიას დროშას შეეფარებით, ვისაც საქართველო უნდა, ილიას დროშას ვერ გაცდებაო, — და ჩარბის კიბეზე გაგულისებული.

ელაპარაკე ამისთანას!.. რედაქტორი ჰქვია და დროს ასე უნუგეშოდ ჩამორჩენია... მაგრამ მონად რომ დაიბადები, აღარაფერი გეშველება, გინდ განათლებაც შეიძინო და კარგი სახელიც დაიგდო პროვინციულ გარემოში.

ეს მაინც რამ ათქმევინა:

ილიას დროშას შეეფარებიო...

ხალხმა ის დროშა უკანვე მიუგდო ილიას, საკუთარი თვალით აყურებინა აღსასრული მისი პოლიტიკური გზისა და მე, ვინც ვმეთაურობ ხალხს ამ დიად ბრძოლაში კაცობრიობის გადარჩენისათვის, განა რა გამიჭირდება ისეთი, ამ დროშას შევეფარო?!

ხალხი ჩემს გვერდით იყო ყოველთვის.

ხალხი ზეიმობდა, იმის ფუყე დიდებას საძირკველი რომ გამოეცალა და ისე დაიჩუტა, ვინმე იფიქრებდა, მორჩა, ბოლო მოეღოო.

მე ასეთი გულუბრყვილო არ გახლავართ, ვერ შემეტყო, დაჩუტვა ჯერ ყველაფერს მაინც არ ნიშნავდა და კიდევ შეეძლო ზიანის მოტანა ჩვენთვის.

„მოგზაური“ სწორად მოიქცა და მხოლოდ რეაქციონერი თუ დაგმობს ჭოპორტისა და საგურამოს მხრიდან გამოგზავნილ კორესპონდენციას, იქაური გლეხობის მიუდგომელ აზრს რომ გამოხატავდა ამ უსასტიკეს მემამულეზე.

თუ „მოგზაური“ გავამტყუნეთ, მაშინ ხომ პრესის თავისუფლებაც გაუქმდება, ეს უდიდესი მონაპოვარი მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოებისა: შეუძლებელი გახდება კერძო პირების შესახებ წერა და აულაგმავი დარჩება ბოროტმოქმედება და ტირანია.

იტყვი მართალ, შეურყეველ აზრს და აუცილებლად უნდა გამოგიხტეს ვილაც, ამ მიხეილ ადამაშვილისა არ იყოს, ჩემი სიდარბაისლე, სიდინჯე, მიუდგომლობა და გულწრფელობა უკიდურეს გაწიწმატებად, დაკოდილი მხეცის ბღავილად, პარტიულ ვექილობად, სოფისტიკად, სიტყვის ბანზე აგდებად და დღესავით ნათელი კითხვის გვერდის ახვევად რომ მიუჩნევია.

ხალხი, ხალხი გასცემს იმას საკადრის პასუხს. ჩემს ხელის გასვრად არცა ღირს. ჯერ თავის საქმეში არ უქნია ღმერთს, იწერს მოპასანის ნოველებს და თავისად გვასაღებს, და რაკიღა სამწერლო დებიუტშივე ხელი

მოეცარა, პოლიტიკაში გარევას ცდილობს და სპეკულაციის საგნად გაუხდია გვამი ილია ჭავჭავაძისა, რომლის ზოგიერთი კეთილი ნამოქმედარი ჩვენ სულაც არ გვავიწყდება, მაგრამ როდესაც მცირე სიკეთეს გადაფარავს დიდი ბოროტება, ჭეშმარიტი დემოკრატი ამას ვერ გაუჩუმდება.

ამ ადამაშვილმა ჩემი გალანძღვა არ იკმარა და სოციალ-დემოკრატიასაც მისდგა, ჩვენთვის ბრალის დასადებად გამოჩხრიკა ისეთი ფაქტები, რაც პარტიულ დისციპლინაზე უფრო მეტყველებს, ვიდრე წიწამურის ინციდენტის ორგანიზებაზე.

ილიას მოკვლა რევოლუციურ აქტად მიგაჩნიათ, რადგანაც ტფილისის კოლექტივმა არ მოისურვა განსვენებულის პატივისცემაო, სოციალ-დემოკრატი სტუდენტობა წინ აღუდგა სამგლოვიარო დეპეშებისა და წერილების გამოგზავნას პეტერბურგიდან, ჟენევიდან, ხარკოვიდან, იურიევიდან თუ სხვა ქალაქებიდანო, თქვენი პრესა კი ირონიულად და ნიშნისმოგებით უყურებს ილიას ჭირისუფალთო.

მაგრამ ეს ყოველივე ხომ ხალხის ნებაა, მისი სულისკვეთების გამოხატვის უზენაესი უფლება და სწორედ ეს ხალხი გაგცემთ შესაფერის პასუხს, ბატონო ადამაშვილო. არ შეგრჩებათ, არა, პოლიტიკაში თავხედური ჩარევა.

ამათ უნდოდათ, მისი მკვლელობა დამეგმო.

ასე უბრალოდ რომ არ არის საქმე?

ხეს რომ ჭრიან, ნაფოტები ცვივა — აბა როგორ გინდათ!..

ხალხმა ყველაფერი იცის, ვერაფერს გამოაპარებ და განაჩენიც მასვე გამოაქვს. ამ განაჩენს ვერავინ შეცვლის. ისტორია? ისტორიაც ეს არის. ხალხს რომ ნოლებად მოიხსენიებ, არ გაპატიებს, ან რატომ უნდა გაპატიოს. ისტორიის მამოძრავებელი ძალა ხალხია და არა ცალკეული პიროვნებანი, მითუმეტეს, ბნელეთში თუ ჩარჩენილან.

ხალხი ბრძენია.

უსამართლოდ არაფერს გადაწყვეტს.

მიცვალებულიც არ დაინდოო.

რა დროს მიცვალებულებია, ამხელა ამბები ხდება, ხალხმა თვითონ აიღო ხელისუფლება და თავის ბედს განაგებს. ამათ მაინც რა უნდათ — რევოლუციამ თუ უცოდველი ადამიანებიც გაიმეტა შიგადაშიგ, ამის გულისათვის თვით რევოლუციები უარვყოთ?

თანაც, ეს რომელი უცოდველი გახლდათ...

ერთმანეთს გზას ნუ გადავუჭრითო.

მე რა შუაში ვარ, ხალხის განაჩენს წინ ხომ ვერ გადავუდგებოდი.

ხალხმა ყველაფერი იცის.

ხალხს ვერაფერს გამოაპარებ.

ხალხი... ხალხი... ხალხი...

რა ფარული ქსელი მაქვს გაბმული, მაინცდამაინც ნუ ჩამაცივდებით. მინიშნებითაც არაფერს მიგანიშნებთ, არამცთუ გასაღები მოგცეთ ხელთ. არც უნდა მოგსვლოდათ აზრად ასეთი შეკითხვა. მაზრის მმართველს ასეთი ქსელი თუ ვერ შეუქმნია, ურჩევნია, დროულად მიატოვოს ეს ადგილი, თორემ ყველა საქმე ჩაუფლავდება და ქვეყნის სასაცილოდ გაიხდის თავს. დუშეთის მაზრაში — სულაც სალექსოდაც.

სალექსოდ სახელს როგორ გავიმეტებდი. და თუ ვინმე დაიქადნის, გაუხსნელი დანაშაული ჩემს არემარეზე არ მოხდებაო, მეც შემიძლია თავი გამოვიდო. ეგ კი არის, დანაშაულის არიდებას ყოველთვის ვერ ვახერხებთ, თუმც ზოგჯერ ესეც შეგვძლებია.

თავადი ჭავჭავაძე როგორ შევატოვე ხელთ ავაზაკებს?

თან ხომ მთელი ქვეყანა გრძნობდა და დაბეჯითებითაც იმეორებდა, უბედურებას მოსწევენო, მაგრამ თან თვითონვე არა სჯეროდათ თავიანთი ეჭვისა თუ შიშის — ამხელა გავლენის კაცს რას გაუბედავენო. სახელმწიფო სათათბიროს წევრობა არც სჭირდებოდა ილიას ჯავშნად, ისედაც თითქოს უხილავი გალავანი ერტყა და ამდენ ხანს ის იფარავდა.

თურმე მოჩვენებითი ყოფილა ის ჯავშანიც და ის გალავანიც — ამ ბოლო წლებმა აქცია მყიფედ და მოჩვენებითად.

და ახლაღა მივხვდით, რა საშიში ძალა ამოდის მიწისქვეშეთიდან, რა ულმობელი და ყოვლისწამლეკავი.

ამათი შეჩერება ყოვლად შეუძლებელია და ვეღარც ილია გადაეღობებოდათ, თუმც ძალიან კი გაუმწარათ სული და არსებობა.

არ შეარჩენდნენ, არა... და აგერ არც შეარჩინეს.

მე აბა რა შემეძლო, ჯებირად როგორ გადავეფარებოდი.

ქვეყნის ისტორიას კი შეეცვალა გეზი და საით გაირეკავენ ხალხს უწინამძღოლო ფარასავით, მხოლო კოშმარულ ფიქრებში თუ განჭვრეტ.

ისე მაქვს გული დამძიმებული, კარგს ვეღარაფერს ვფიქრობ და მივყვები დანდობილად ცხოვრების დინებას.

უპირველესად დიმიტრი ჯაშის ბრალეულობა შემატყობინა ჩემმა ხალხმა, საიდუმლო გორგალის გამოხსნის წვერი მასთან დამაგულეს და მეც მონდომებით მივყევ მათ ცნობებს, მივყევ, მაგრამ ხელშესახები ვერაფერი დავადასტურე.

ეს მაინც როგორ მოუძულებია თავი ყველასათვის, რომ პირველ ყოვლისა ეჭვი მასზე მიიტანეს?!.

არადა, ან ძალიან ვირეშმაკაა და ფრთხილი, მტკიცებულებანი პირწმინდად რომ გააქრო, ანდა მართლა არ ურევია მკვლელობაში.

ეს ჯერ კიდევ გასარკვევია.

აი თედო ლაბაურის ბრალეულობა კი ხელისგულზეც ძევს და ვეღარც თავი დაუძვრენია, მეეტლედ შენიღბული რომ მონაწილეობდა ბოროტგანზრახულებაში და მარჯვე პირობებიც შეუქმნა თავდამსხმელებს.

უცნობები იყვნენ, სამხედროფორმიანებიო, — გამომძიებელს უმტკიცებდა გაქირი ვირის სიჯიუტით, და თუმც რეალური საბუთი არაფერი გააჩნ-

დათ, დროებით მაინც დაამწყვდიეს მეტეხის ციხეში. შეატყეს, წმინდაწყლისა რომ არა ბრძანდებოდა.

იქ დავადექი თავზე და ჩემთანაც თავის მოკატუნებასა და უცოდველად გასაღებას რომ შეეცადა, ის ფარული ცნობები მივარტყი სახეში, მივარტყი და კიდეც ალუღლუღდა ნირნამხდარი: უცნობები კი არა, პაველე ფშავლიშვილი, გიგოლა ბერბიჭაშვილი, გიგოლა მოძღვრიშვილი და ვანო ინაშვილი იყვნენ, და რა სამხედრო ფორმა, ჩვეულებრივი სამოსი ეცვათო, მაშინ დანდობით დამინდეს, მეც ზედ არ წამაკლეს, მაგრამ ისე დამემუქრნენ, სახლკარსაც გადაგიწვავთ და ოჯახსაც ამოგიწყვიტავთო, რომ მათი ვინაობის გამმჟღავნებელი აღარ ვიყავიო.

დამუქრება არა სჭირდებოდა, ისედაც თანამონაწილე გახლდათ, წინასწარვე განდობილი და ამიტომაც მოუნელა ეტლს, შეძახილი მოესმა თუ არა გზიდან: შეჩერდიო.

ამათი დამნდობი არა ვარ და სახრჩობელასაც ვერ გადაურჩებიან, მაგრამ მატულობს და მატულობს ამ ახალი აზრის ხალხი და სად გინდა გაასწრო.

გაქცევასა და გასწრებაზე ფიქრი რა საკადრისია მაზრის მმართველისათვის?

ქვეყნის ბედზე ვჩივი, საბედისწერო ცვლილებებს მივჩერებივარ აფორიაქებული, თორემ ჩემი მხრივ მტკიცედ ვდგავარ, სადაც მომიჩინა ადგილი ბედისწერამ და ფეხს არც არასოდეს მოვიცვლი. თუ შეჩერებით ვერ შევაჩერებ (ანკი რანაირად?), ჩემს ვალს მაინც მოვიხდი პირნათლად ხალხის წინაშე და შეუბღალავი სინდისით ჩავალ სამარეში.

ჩემი ხნისა და ჯანმრთელობის კაცი სამარეზე ჯერ არც უნდა ფიქრობდეს, მაგრამ ცხოვრებამ მოიტანა ასე და საზოგადოებაშიც ისეთი განწყობილებანი ტრიალებს, თითქოს საფლავებად გადათხრილ მიწაზე დავაბიჯებთ ყველა.

კოტე აფხაზი

იმ მღვდელმა მითხრა: ოთხი-ხუთი გასროლა გავიგონე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ თავადს რაღაც შეემთხვაო.

ხომ შეიძლება მონადირენი ყოფილიყვნენ? მაგრამ ყველა ისე დამუხტულიყო და ალღოთი გრძნობდა ამ მოსალოდნელ გასროლას, აგერ მღვდელსაც ეჭვი არ შეჰპარვია, ილიაზე რომ იყო დამიზნებული ის თოფები და არა ნადირსა თუ ფრინველზე.

მისი გვარ-სახელი?

არა, ვინაობა არ მიკითხავს, არ მომფიქრებია, რომ მეკითხა, შინ გული აღარ მიჩერდება და ვარ გაკრული ტფილის-საგურამოს გზაზე, წინამურთან ხომ აქეთ-იქით ვაწყდები და ისე მიფორიაქებს სინდისი, ილია პატარა ღმერთად რომ იხსენიებდა ხოლმე, სასთუმალზე თავს არ მადებინებს, მაშინვე წამომახტუნებს და ისევ გარეთ მეწევა: ეჰ, ბიძაჩემო, ვერ ვივარგე, ვერ გამოვადექი, ვერაფერი ვიღონე, ეს უბედურება რომ არ მოსწეოდა ქვეყანას-მეთქი.

ყველას ყველაფერს ვეკითხები, ვისაც იმ არე-მარეზე მოვკრავ თვალს, ყველა დეტალის გამორკვევას ვცდილობ, ყველაფრის დაზუსტებას, მნიშვნელოვანი იქნება თუ უმნიშვნელო, დიდად აღარც დაგიდევთ. თუმც უმნიშვნელოდ ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს რაიმე, თორემ, ვინ იცის, გადამწყვეტი სწორედ ის დეტალი აღმოჩნდეს ჭეშმარიტების დასადგენად.

2 სექტემბერსაც საგურამოში ვიყავი. წინა დღით ავედი, იქ შევრჩი და წინამძღვრიანთკარის სკოლის მღვდელიც იქ ვნახე. მივყევით, მოვყევით და:

მკვლელობის დღეს ოჯახით ქალაქს მივდიოდი და თავადს შემთხვევით შევხვდი წიწამურის ახლოს დუქნებთან, კნეინასთან ერთად რომ სეირნობდაო, შემდეგ ჩასხდნენ ეკიპაჟში და წავიდნენ და მალევე გავიგონე ოთხიხუთი გასროლის ხმაო.

და კიდეც მიხვედრილა, რა ტრაგედიაც დატრიალებულიყო.

ვიღაც გლეხის ნაამბობიც მომიყვა. იმ დროს ხევში წყლის დასალევად ჩასულა ის გლეხი და სტვენის ხმა გაუგონია, ვიღაცა ნიშანს აძლევდა თუ აფრთხილებდაო.

მცხეთის სადგურში თავად ხიმშიაშვილს რომ შევხვდი, გლეხების მონაყოლი იმანაც მიამბო.

თავდამსხმელები ოთხნი კი არა ყოფილან, არამედ უფრო მეტნი, ასე ათ კაცამდე. მთიდან ვიღაც ბრძანებას თუ მითითებას აძლევდათ: თავადი მოკალით, ოლონდ კნეინას ხელი არ ახლოთო. ბიძაჩემი თითქოს ფაეტონიდან გადმომხტარა და თავდამსხმელებისათვის უთქვამს: წაიღეთ, რაც გენებოთ, ოლონდაც ნუ დაგვხოცავთო. მაგრამ გლეხები ამას აბა როგორ გაიგონებდნენ?.. იაკობს, ილიას მსახურს, ერთ-ერთი თავდამსხმელი მხარში დაუჭრია და იმათ ეს არ უპატიებიათ. ამიტომაც მოუკლავთ იაკობი, დაჭრილი თანამზრახველი კი გაუტაციათ.

კნეინა ოლღა ტფილისში რომ ჩამოიყვანეს, იმ საზარელი წუთების გახსენებისას ესეც თქვა:

ილიამ თავდამსხმელებს ქართულად მიმართა — რას სჩადიხართო.

ილია ვარო, — თითქოს ესეც ეთქვას. ხმებია ასე გავრცელებული და ესეც ალბათ ოლღას ნაამბობი უნდა იყოს, უფრო ზუსტად რომ აღადგინა ის ფრაზა მოგვიანებით. ჩემი თანდასწრებით კი რაც გაიხსენა, ეს იყო: რას სჩადიხართო.

ყველას უკვირდა და მეც ვერ ამეხსნა ილიას მონდომება სახელმწიფო საბჭოს წევრობაზედ. რაკიღა მოიწადინა, კიდეც მიაღწევდა, მაგრამ განა რა აუცილებლობა იყო, მთელი ცხოვრება ხელისუფლებასთან დაპირისპირებული პიროვნება ხანდაზმულობისას ისეთ გზას დასდგომოდა, რაც ხალხში გაავრცელებდა ხმებს, იმპერატორის გვერდით დგომა ამჯობინაო?

ამ ხმების გავრცელების ორგანიზატორები საკმაოდ მომძლავრებულიყვნენ და, მითუმეტეს, არავითარი ხელჩასაჭიდი არ უნდა მიეცა მათთვის, თორემ დაფარული აღარ იყო, საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის მოსაპოვებლად უკვე გადამწყვეტ ბრძოლას რომ იწყებდა და მტრებსა და მოძულეთ, თითქოს აკლდა, კიდევ უფრო იმრავლებდა.

თითქოსდა გაორებულიყო მისი სახება აჭრელებული და მორალურად დაშლილ-დაღავებული საზოგადოების თვალში და გასაკვირიც ეს იყო მისი მომხრეებისთვის, თვითონვე რომ იგდებდა თავს ზედმეტ ხათაბალაში.

აფრთხილებდნენ, განა არა, ეს ნაბიჯი საბედისწეროდ არ შემოგიბრუნდესო.

განა მაშინ კი არ აფრთხილებდნენ, სათავადაზნაურო ბანკის დაფუძნებას რომ მოჰკიდა ხელი: მოლიპულ გზაზე დგებიო?!.

ცხოვრება მართლაც ძალიან გაირთულა იმ წამოწყებით და სიმწარე სიმწარეზე იგემა, მაგრამ... ილია რომ არა, ბანკის დამაარსებელი სხვა არავინ იყო, და ბანკი რომ არა, აღარც შეგვრჩებოდა ქართული მიწა-წყალი, ერთიანად სხვანი დაეპატრონებოდნენ და მისხალსაც აღარ შეგვარჩენდნენ.

ამჯერადაც ასე იქნებოდა.

ეტყობა, იქიდან აპირებდა თავს დაევლო სოციალ-დემოკრატებისათვის, ყველაზე დიდ უბედურებად რომ მიაჩნდა საქართველოსთვისაც და კაცობრიობისთვისაც, ისედაც არ აკლებდა მხილებას და გაბრიელ ეპისკოპოსის შემდგომ ყველაზე მკაცრად და თანმიმდევრულად ის ილაშქრებდა ამ პოლიტიკურ-ეკონომიკური მრწამსისა და მოძღვრების წინააღმდეგ, მაგრამ კიდევ ერთი დასაყრდენიც დაისაჭიროვა შეუპოვარი ბრძოლის წინ და ეს დასაყრდენი სახელმწიფო საბჭო აღმოჩნდა.

ისინიც მიუხვდნენ — მართლა ისეთი ჩლუნგებიც კი არ არიან, როგორც გამოიყურებიან და მათი აზრების მოსმენისას სულაც გონებასუსტები გვგონია — და დამფრთხალი კაცი, მოგეხსენებათ, ყველაზე უფრო სახიფათო ხდება, აღარაფერს დაერიდება, მითუფრო დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებების ხანაში.

იქნებ შეეკავებინა თავი ამ ახალი გამოწვევისაგან, ისედაც სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება კიდევ უფრო აღარ გაემძაფრებინა?

ვინმეს ან რაიმეს რომ მორიდებოდა, მაშინ ხომ ილიაც აღარ იქნებოდა, გადამწყვეტი წუთის მოახლოებას გრძნობდა და აიღო კიდეც თავზე ხელი: ან ყველაფერი, ან არაფერიო.

ჩვენს თავსა და ბედისწერას ანკი ვინ წავუვალთ!..

პეტრე უმიკაშვილი

ილია გამტყუნებას არ მოითმენდა.

გასამტყუნარი ანკი რა ჰქონდა, სიმართლეს ეგრე ვინ უდგა მცველად, მაგრამ ხომ არის კაცის ცხოვრებაში — ხან ისე მარჯვედ ვერ მოგივა ან სიტყვა, ან საქციელი და ადვილად შეუძლიათ ნიშნი მოგიგონ.

არა, ილია ნიშნს არავის მოაგებინებდა.

მაშინაც არ დათმობდა და ვერც ვერავინ დაათმობინებდა. მოსწრებული სიტყვა შველოდა თორემ გაუტეხელობა რომ თავისთავად.

საწყენად კი არა დამრჩენია რა, მის სახელს ვენაცვალე, მაგრამ რაკიღა დაგიჟინიათ, მისი სულის ყოველი მოძრაობა საგულისხმოა მისივე ადამიანური ბუნების შესაცნობადო, და „ვისრამიანსაც“ თქვენვე მიხსენებთ, ყაბულსა ვარ, გულწრფელად მოგახსენოთ.

ილია აღტაცებული იყო ამ ქმნილებით, მაგრამ ამჯერად მთავარი ის არის, რომ გამოცემის მომზადებისას, წერა-კითხვის საზოგადოებამ რომ

იდო თავს, საბოლოო რედაქციის დადგენა და ვარიანტთა ურთიერთშეთანხმება ჩვენ სამს მოგვანდეს: ილიას, ალექსანდრე სარაჯიშვილსა და მე.

ვუზივართ სხვადასხვა ვარიანტებს, ვუკვირდებით, ვაჯერებთ და ამასობაში თვალში გვეცა, რომ ერთ უძველეს ხელნაწერში უ-ს ბრჯგუ არ გააჩნია. რომელმა ჩვენგანმა მიაგნო, ზუსტად აღარ მაგონდება, შესაძლოა მეც ვიყავი, იქნებ ალექსანდრე, იქნებ სულაც ილია, მაგრამ ილია რომ აღტაცდა, ეს კი არ მავიწყდება — არც მისი გაცისკროვნებული სახე და არც დაჟინება:

-მოდი ვის "რამდენი"უ ბრჯგუს გარეშე დავბეჭდოთო.

აღიარებით კი იმთავითვე ვაღიარე ენის რეფორმა, ილიას პირველივე სტატიაში რომ განხორციელდა და კიდეც გადარია მკითხველი, ვიდრე თანდათან შეეჩვეოდნენ. ყველა აკი ვერცა. ვაღიარე, მაგრამ გულში ძალიანაც არ მომწონდა ანბანიდან ასე ერთი ხელის დაკვრით გაძევება ასოებისა, მებრალებოდნენ, და არც სხვა შემთხვევაში ვყოფილვარ არქაიზაციის წინააღმდეგი. არქაიზაციას რასაც ეძახიან, თორემ ჩემთვის მახლობელიც ისაა და მიმზიდველიც.

რა გამოდიოდა — ილია ისე მოხიბლა იმ ხელნაწერის ამ ენობრივმა თავისებურებამ, რომ თავისი პრინციპის დარღვევასაც არ მოერიდა. და ესეც კიდევ: ნაბეჭდში იქნებოდა „ჩუენ" და არა „ჩვენ", „მოსუენება" და არა „მოსვენება"...

დაჟინებით კი დაიჟინა, მაგრამ ჯოხი ჩემზე გადატყდებოდა. კორექტორი მე ვიყავ და პასუხიც მე მომეკითხებოდა. ამიტომაც წინასწარვე დავიჭირე თადარიგი. შევადგინე ამ საკითხზე გადაწყვეტილების ტექსტი და ორივეს მოვაწერინე ხელი, ილიასაც და ალექსანდრესაც.

გამოცემა კი შეიქნა თავმოსაწონებელი, მაგრამ უბრჯგუო უ ყველას თვალში მოხვდა და პირველ ყოვლისა ილიასაგან გაუკვირდათ: ეს რა გიქნიათ, როგორ დაგიბეჭდავთო.

და ილიამ:

— წარმოიდგინეთ! მე რომ რუსეთში ვიყავი, პეტრეს გაუკეთებია. პეტრე, ეს რასა ჰგავს, როგორ დაგიბეჭდია?

პირკატა მეცა, კინაღამ ენა ჩამივარდა, მაგრამ ამოლუღლუღება მაინც მოვახერხე:

— მე ისე დავბეჭდე, როგორც გადასწყვიტეთ.

ის თავისაზე დგას:

— თავის დღეში მე ამგვარი დაბეჭდვა არ მიფიქრია.

ისეთი კილოთი მეუბნება, ხელწერილი რომ არა მქონდეს, ჩავღუნავდი თავს და წყრომას მთლიანად ჩემზე ავიღებდი. წამიერად იმანაც გამკრა გუნებაში, ის გადაწყვეტილება ჩემი წარმოსახვა ხომ არ იყო-მეთქი. მაგრამ არა — უბეში მედო ის ფურცელი, შინ გაქცევა და მოტანა არა მჭირდებოდა.

— გიფიქრია კი არა, გითქვამს კიდეც და ხელიც მოგიწერია, — ცოტა გაჯავრება დამეტყო ხმაში, გავიხსენ ჯიბე, ამოვიღე ხელმოწერილი ბარათი და თვალწინ დავუდე.

გადაატრიალა, გადმოატრიალა. რაღა უნდა თქვას, არა? ხელმოწერა მისია და მისი... მაგრამ ისე შეუკრავს კოპები, უკან დამხევს არა ჰგავს. გაფაციცებით მისჩერებია ყველა, ზოგი შინაგანად გახარებული, სახეზეც რომ დატყობიათ, ზოგი გაკვირვებული, ზოგიც ნირწამხდარი. ვნანობ, ეს ფურცელი რამ ამომაღებინა-მეთქი, მაგრამ უკვე გვიანღაა და ოფლის შემშრალებას ვიწყებ ცხვირსახოცით.

— თავის დღეში მე ეს არ მითქვამს, — არავის ეპუება და არც საკუთარ ხელმოწერას, და თვალს რომ მოავლებს კრებულს, ამ განმარტებას იკმარებს:

— მე სხვაგვარად მქონდა წარმოდგენილი.

ისევ მე გამომიყვანა მტყუანი, მისი სწორი ნათქვამი უნებურად რომ გადამებრუნებინა.

დაე ვყოფილიყავ, მეც რას ჩავაცივდი და რა გადაწყვეტილებათა წერა ამიტყდა. ერთ ხელნაწერში რაღაცამ მოხიბლა და აიყოლია. რა მოხდა მერე, ყველაფერზე განა პასუხს უნდა ვთხოვდეთ ადამიანს!..

ისე ეს კი — არაფრით არ უნდა გამტყუნებულიყო.

მიშო მაჩაბელი

ეგ არის რა — ერთი და ერთი აგიბუებენ და ყველა ზნის დედადაც ლამის შენ დაგსვან. თავი გეამაყება, გგონია, რომ ყველა მორიდებითა და პატივისცემით შემოგცქერის და... უეცრად აღმოაჩენ, რომ შენს სახელს ნაღმა-უკუღმა ატრიალებენ და უნიათობისა და სიმჩატის სიმბოლოდ გამოყავხართ. იქნებ უარესადაც... ჩემს თავზე გამომიცდია და დამეჯერება. შეიქმნება საზოგადოებრივი აზრი, ფესვს გაიდგამს და მერე ძნელია მისი შემობრუნება.

ილიასაც ცოტა არ დაუკლია ჩემთვის. ვანოს რომ არ მივმხრობოდი, ასე როგორ გამიმეტებდა, მაგრამ ახლა ისე წამომკრავდა ხელს და დამაბორიალებდა, სად ნავსულიყავ, აღარ ვიცოდი. შეიფოფრებოდა ტრიბუნაზე და აბდღვინდებოდა. მის შემყურეს აუცილებლად გაგაციებდა, ახლა ამის ყბაში არ მოვყვეო. ვინ გაუსხლტებოდა იმის თვალთა მზერას, მე ნამდვილად ვერა, და ესეც რა ჩემი ბედი იყო.

თვითონ პოეტობაზე სდებს თავს და შენ პოეტურადაც ვერაფერი გითქვამს მაგისი შიშით. იმ კრებაზე ილიას სულ არ შევხებივარ, დიდხანს და გატაცებით ვილაპარაკე და მეტი შთამბეჭდაობისა და სურათოვნებისათვის ის ეპიზოდი ამოვაკერე სიტყვაში, თუ როგორ მივდიოდი ერთხელ თიანეთს საშინელ ბურუსში, გზა დამებნა და აღარ ვიცოდი რა წყალს მივცემოდი, მაგრამ, საბედნიეროდ, შორიდან ძაღლის ყეფა შემომესმა, ალღოთი ავყევი და გზაც გამოჩნდა.

წინასწარ არ მქონია მოფიქრებული, ანაზდად მომადგა ენაზე და მე თვითონ დავრჩი აღტაცებული ჩემი ოქროპირობით.

გამოვიდა ილია და აბურთავებს ამ ჩემს სახელს.

წამომეშველნენ ჩვენიანები, ის ბურთი მისთვისვე რომ ჩაეჩარათ პირში და აქეთ-იქიდან მიაძახეს:

ბატონო ილია, თქვენი ცოდნითა და პრესტიჟით სარგებლობთ და საზოგადოებაზე გავლენას ახდენთ, თორემ მიხეილ მაჩაბელი მართალიაო.

ყველაზე ხაფად არტილერიის გენერალმა მიაყვირა და ილიამაც უპირველესად ის ამოიღო მიზანში:

— ლოლიკისა და ცოდნის წინააღმდეგ ვერავითარ არტილერიას არაფერი შეუძლიან, და რაც შეეხება ალღოს, მე ხომ მიშო მაჩაბელი არა ვარ, ბურუსში ავყვე ძაღლის ყეფას.

მეც წავხდი და გენერალიც, წაღუნეთ თავი და სიცილ-ხითხითი რომ არა და არ ჩაცხრა, მალულად მიმოვიხედე. მარტო ილიას მომხრენი კი არა, ჩვენიანები რომ მეგონა, ისინიც ძალიან გახალისებულიყვნენ და ვერა და ვერ ეჯერებინათ გული სიცილით.

მაშინ კი გავამტყუნე ისინი და ვანოსაც შევჩივლე, არა ყოფილან სანდონი, შენ რომ ერთგულებას გეფიცებიან, ჩუმად ილიას უთანაგრძნობენ, რაკიღა ჩემს დაცინვას აჰყვნენ, ამით მხოლოდ მე კი არა, შენც აბუჩად გიგდებდნენ-მეთქი.

აენთო ვანო: მაინც ვისა გულისხმობო.

სად მოგითვალო, საითაც გავიხედე, სულ ჩვენების მომღიმარი სახეები მეცა თვალში-მეთქი.

არტისტიზმი არ აკლია შენს გამოსვლებსო, — არაერთხელ უთქვამთ და მეც ვცდილობ თეატრალური მხარე სულ უფრო გავაძლიერო, მაგრამ მაინც ვერ მოვიგე დარბაზის გული. ერთი და ორი კაცი იქნებ კიდეც მომჩერებია მოწონებით, მაგრამ საერთო განწყობილება ჩემსკენ ვერა და ვერ გადმოვხარე.

მაშინაც მწარე-მწარე ისრები დავუშინე ილიას. ზის, არც ტოკდება, თითქოს ჩემი ლაპარაკი მას სულ არ ეხებოდეს, ხელში ფანქარს ათამაშებს. შეველი ეშხში და ჩემს თავსაც გადავაჭარბე. სცენაზეც ვიგრძენი და ტაშმა კიდევ უფრო დამარწმუნა, მარჯვე სიტყვა ავაწყე-მეთქი. მოვფრინავ ჩემი სკამისაკენ გახარებული.

ილია ითხოვს სიტყვას და მიდის ტრიბუნასთან, მძიმედ, ნელი ნაბიჯით, ხელში ისევ ფანქარი უჭირავს. გასუსულია დარბაზი, ყველა სმენად გადაქცეულა.

— ბატონებო, — იწყებს, და რომ ვფიქრობ, ნეტა რას ჩაავლებს, რომელ ფრაზას დაიხვევს ხელზე-მეთქი, ერთბაშად არ გადამიწურა წყალი?

— ჩვენმა მიშო მაჩაბელმა იმდენი აჭენა თავქვე ცხენი, სანამ საკუდარი შემოაწყდებოდა და შემოაწყდა კიდეც!..

და აზრიალდა კიდეც დარბაზი. გავხედ-გამოვხედე იმ ჩვენს მომხრეებსაც და გააქვთ ერთი სიცილ-ხარხარი, თვალით მოვძებნე ვანო და... ისიც არ იცინის? შემამჩნია, რომ ვუყურებდი და უხერხულად კი აიწურა მხრები, მაგრამ სიცილი არ შეუწყვეტია. და მეც რომ ტუჩები ამეგრიხა? მე რალა მაცინებდა? აბა ეგა მკითხეთ და...

აცალა ილიამ დარბაზს დაწყნარება და ორიოდე სიტყვით მოსჭრა სათქმელი.

თავი რაღად შეეწუხებინა.

ხომ ვერასოდეს ვისვენებდი ადგილზე, ილია როცა ლაპარაკობდა. ხან რეპლიკებსაც ვტყორცნიდი, უფრო ხშირად კი ახლომახლო გადავძახოდი ხალხს: ვანო გამოვა და აჩვენებს სეირს-მეთქი. რა ვქნა, მეამაყება, ვანოსთან ასე ახლოს რომ ვარ და მისი ყოველი სიტყვა და მგზნებარება კი მალამოდ მედება გულზე.

მაგრამ იმ დღეს ისე მოხდა, რომ ილიას გამოსვლამ მთელი დარბაზი აიყოლია და, ვინ დაგიდევდა მომხრესა თუ მოწინააღმდეგეს, ყველა ერთხმად უკრავდა ტაშს.

ვაღიარებ, რაღაც სასწაულებრივი სიტყვა წარმოთქვა, დიდ ორატორებზე რომ გვსმენია, იმათ დაედარა და იმ წამს ისეთი განცდა გაგვიჩნდა, ყველასაც გადააჭარბაო.

უკრავს მთელი დარბაზი ტაშს და მეც ხელები გადავიტყავე.

როდის-როდის ჩავცხრით.

ილიამ ისევ ითხოვა სიტყვა.

ნეტა რიღას თქმას აპირებსო? — გაიტრუნა დარბაზი.

იმან კი:

— ბატონებო, ტაშისათვის გმადლობთ, მაგრამ სისულელე ხომ არა წამომცდა რა, მიშო მაჩაბელიც კი ტაშს რომ მიკრავს?

და სასოებით დაწყნარებული დარბაზი ისევ აზრიალდა, ეგ არის, მე აღარ ვიყავ ტაშისცემის გუნებაზე.

ეს ვითომდა ჩვენი მომხრეები რაღამ გადარია. ვანოც რამდენჯერ უნდა გავაფრთხილო.

ბედია ყველაფერი — რამდენი კაცი წელამდე ვერ შემომწვდება ორატორობასა თუ სიტყვა-პასუხში, მაგრამ ეგრე ვაგლახად იმათ სახელებს არავინ ატრიალებს... არა რა — ერთი თუ აგიბუეს, მორჩა...

მიხაკო წერეთელი

ნეტა რას შეჰხაროდა ასე გრიგოლ ორბელიანი!..

მის დროს ჯერ კიდევ შენარჩუნებულიყო ქართული ხასიათი თუ... იდეალს ქმნიდა, ოცნებას რეალობად სახავდა და ასე ლამობდა სულში მთვლემარე კეთილი საწყისის აღორძინებას?

როგორ ეამაყებოდა, როგორ თავმომწონეობდა, საქართველოს ბადალს ქვეყნიერების ვერცერთ კუთხეში ვერა ჰპოვებდა და აღმტაც განცდებს ამ სტრიქონებში მოაქცევდა:

ერი — გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა; შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა, იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისაო...

ჰა, პოეტური ფანტაზიაა თუ რეალობა?

თუ რეალობაა, შევყურებ ამ ჩვენს ქვეყანას, ვუკვირდები ჩვენს ხასიათს და... თავმოსაწონს კი ვეღარას ვპოვებ, აღარსად გულადობა, აღარსად შავ ბედთან ბრძოლა, აღარსად გული ანდამატისა, აღარსად სიმხნე და აღარსად სიყვარული თავისი მიწისა...

ერთი პურადობაღა შემოგვრჩენია, ისიც იმიტომ, ყველა გადამთიელმა რომ შეგვიბღალოს და ჩვენი სუფრა ფეხით თელოს.

ოცნება ყოფილა გრიგოლ ორბელიანის ის სტრიქონები და ეგაა... და თუ ვეღარაფერს მოვიძიებთ სულის ღრმა უფსკრულებში, რათა თანდათანობით აღვიდგინოთ ჩვენი ნამდვილი სახე და დავემგვანოთ იმ ძველ ქართველს, ქვეყნის ჭირ-ვარამი შეუბღალავად რომ უტარებია მხრებით და ჩვენთვის გადმოულოცავს, გრიგოლ ორბელიანის სიტყვები ძალაუნებურად უნდა გადაკეთდეს რეალობის შესაფერისად.

მაინც როგორ?

როგორ და:

— ერი ძაბუნი, ლაჩარი, მორჩილი თავის ბედისა; შავთა დროთ სრულად შესცვალეს მის გული ანდამატისა, აღარც მხნე, აღარც მღერალი, მოძულე თავის მიწისა...

ისევ რეალობისათვის თვალის გასწორება სჯობს, როგორი მწარეც უნდა იყოს შეუფერადებელი სიმართლე.

ილია რასაც გვიმოძღვრიდა.

სურვილი მიჩნდება, გადმოვიღო „სადღეგრძელო“ და ამნაირად გადმოვაკეთო, ცხადად გამოჩნდეს შეუსაბამობა ოცნებასა და რეალობას შორის, თუნდაც ძველ საქართველოსა და ახალს ანუ რუსეთის იმპერიის განაპირა პროვინციას შორის, და სიცილ-ტირილით გამოვიგლოვო სასტიკი ბედისწერა, რომელიც გადამწყვეტი ძალით აღმართულა ჩვენს თავზე.

რაღა დაგვრჩენია?

სასონარკვეთილება და ეჭვი ჩვენი მომავლისა.

სხვა რა განცდა შეგიპყრობს, როდესაც მომსწრე შეიქენ, რომ აწმყოში რაც კარგი იყო, სამარეში ასვენია და აღარავინ შემოგვრჩა მისებრ განმკითხავი ქვეყნის ცხოვრებისა. სადინარი გუბდება, ბაყაყნი და ჭია-ღუანი მატულობენ და აღარაფერი უდგას წინ მათ კიდევ უფრო მომძლავრებას.

ნახევარი საუკუნე მხრებით ზიდა ქვეყნის ჭირ-ვარამი, დაცემული ვინაობა კვლავ ფეხზე წამოაყენა, სახელმწიფოებრიობის რწმენა და იმედი შთაგვინერგა და როდესაც მოდის ჟამი განახლებისა, მას ვეღარ შეეგებება ამ მოძრაობის უპირველესი მოთავე.

ვისაც რაიმე გაეგებოდა ცხოვრებისა, ვისაც გულს უტოკებდა სახელმწიფოებრივი შეგნება, ყველა ერთსულოვნად ვხედავდით მასში დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტს, ვინც საუკუნოებრივ ოცნებას რეალობად ააცხადებდა და ნაცვლად ეფემერული, მსწრაფლწარმავალი თავისუფლებისა, დავითისა და თამარის დიდების დღეებს გაიმეორებდა და დაარწმუნებდა ყველას, მტერსაც და მოყვარესაც, რომ შავ დროთ ვერ შეეცვალა

ქართველის გული ანდამატისა, იგივ მხნე დარჩენილიყო და იგივ მღერალი, იგივ მოყვარე თავის მიწისა...

სწორედ პრეზიდენტობისაკენ მოუჭრეს გზა სოციალ-დემოკრატებმა.

ეს ივარაუდეს, ეს განჭვრიტეს წინასწარვე და თავიანთი ადგილი ვეღარ დაინახეს დამოუკიდებელსა და ძლევამოსილ სახელმწიფოში. გეგმა ეფუშებოდათ რუსეთთან მხარდამხარ ცხოვრებისა და კვლავაც მის მორჩილებაში ყოფნისა. რა ვქნა, ეჭვი არა მშორდება, რომ ეს პარტიული განაჩენი დაგეგმილი იყო არა აქ, ჩვენში, არამედ რუსეთში, იქ შემუშავდა მთავარი ძარღვი ამ უკეთურებისა და ბახვში მხოლოდ დეტალები დაზუსტდა.

თან უარზე დგანან, ცილსა გვწამებთ, როგორ თუ ჩვენ გვაბრალებთ ამ მკვლელობას, ჩვენ ხომ ხალხის რჩეულნი გახლავართ და ხალხი არ გაპატიებთ ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებასო; და თან ეამაყებათ და ქადულობენ, აბა კიდევ ვინმემ გაბედოს ჩვენს წინ გადადგომა, ისინიც გვამებად თუ არ ვაქციოთო.

ესენი?

მამებს დახვრეტენ და დედებს დაახრჩობენ, რევოლუცია თუკი უბრძანებთ!..

კარლო ჩხეიძე

მე თვითონ ილია ჭავჭავაძემ შემაყენა აზროვნების იმ საფეხურზე, საიდანაც გამიადვილდა მარქსიზმის შეთვისებაც და სოციალიზმის დიადი მომავლის განჭვრეტაც, იმ გზის შესისხლხორცებაც, საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს მამოძრავებელ ძალად, მთავარ ღერძად რომ არის აღიარებული შეგნებული კაცობრიობის თვალში: შეურიგებელი, სასტიკი ბრძოლა კლასთა შორის.

როდესაც დახავსდა ბატონყმობის ზღუდეები და ახალი ცხოვრების აზვირთებული ტალღები მას მძლავრად შეეჯახა, ილიამ ერთმა პირველთაგანმა დაასურათა უფსკრული ბატონსა და ყმას შორის. ისეთი ხელოვნებით, ისეთი გრძნობითა და შებრალვით ეპყრობოდა ხალხს, მებატონეებს კი ისეთი გესლიანი სიცილით დასცინოდა და სასიკვდილოდ შხამავდა, ყოველი მისი სიტყვა გულზე გვეჭდობოდა და უკვე ვიცოდით, ბოლომდე უნდა მივყოლოდით მის მიერ გაკვალულ გზას კაცობრიობის ბედნიერებისაკენ.

კინაღამ ილია დავირქვი მეორე სახელად. მაშინ ხომ ვერავინ წარმოვიდგენდით, რომ „გლახის ნაამბობისა“ და „კაცია ადამიანის“ ავტორი უეცრად შედგებოდა თავის მიერვე გატკეპნილ გზაზე და... წინ კი აღარ გასწევდა, მხარს უქცევდა კლასთა ბრძოლასაც და სოციალიზმსაც.

ვერ გადალახა ის პირველი საფეხური და მისებურად ვერ გადაუხსნა გული საკაცობრიო მოძღვრებას, მარქსიზმის სახელით დაგვირგვინებულს, ერთადერთს, უცდომელსა და ჭეშმარიტს. რატომღაც მიუბრუნდა თავის მიერვე დაგმობილ გზას და ყველას გული დაგვწყვიტა ასეთი ფერისცვალე-

ბით. და მე მეორე სახელად დავირქვი არა ილია, არამედ კარლო, როგორც თაყვანების გამოხატულება ახალი ცხოვრების ნამდვილი წინასწარმეტყველის მიმართ.

არა მგონია, რომ ხალხმა უარყო ილია ჭავჭავაძე. კი არ უარყო, გამოარჩია და შეისისხლხორცა მისი ნიჭის საუკეთესო ნაყოფი, და მხოლოდ ის დაგმო, რაც უნებლიეთ დაუპირისპირდა ხალხის ინტერესებს მის მოღვაწეობაში.

რაკიღა მარქსიზმამდე ვერ ამაღლდა, განა ის პირველი საფეხური, რომელზეც შეგვაყენა, აღარაფრად არ უნდა ჩავუთვალოთ?

ეგ კია, არავის ვაპატიებთ, ვინც ლამობს ჩირქი მოსცხოს მშრომელ ხალხს და ილიას მკვლელობის გადაბრალებას იმ პარტიისათვის ცდილობს, ხალხმა თავის რჩეულად რომ აღიარა. ეს ხომ ხალხის შეურაცხყოფაა, და მერე ვისგან — მესაკუთრეთაგან, თავადაზნაურთაგან, რომელთაც უკვე აქვთ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი პროლეტარიატის მიერ, და შოვინისტთაგან, რომელთაც მამულიშვილობა, ეს კერძო მოვლენა და უსარგებლო ბარგი, დაუსახავთ სიცოცხლის აზრად და ადამიანის ღირსების უმთავრეს ნიშნად.

იმათ მიერ აღვლენილ ქებათა-ქებას არავითარ ანგარიშს არ გაუწევს მშრომელი ხალხი, აიღებს მარქსისტულ თეორიას და მის ნათელში საბოლოოდ დაადგენს იმ ნაწილს მისი შემოქმედებისა, რასაც გაუფრთხილდება სოციალიზმის მშენებლობის გზაზე, დანარჩენი თავისთავადაა განწირული დასავიწყებლად და ეს ისევ ილიას ბრალია. პოლიტიკური ცხოვრების მდინარებისათვის ალღო რომ აეღო და ნაციონალიზმს ასე ჯიუტად არ ჩაბღაუჭებოდა, დღეს მისი დროშა გვეჭირებოდა ხელთ.

რა ვუყოთ — მე მაინც ვერ დავუვიწყებ, პირველი ფრთა მისმა ლექსებმა და მოთხრობებმა რომ ჰკრეს ჩემს თვითცნობიერებას და დიადი ისტორიული მოვლენების შუაგულისაკენ დამილოცეს გზა.

კიტა აბაშიძე

ისე გამინაწყენდა ყველა, როგორ თუ „ერთი პილატეთაგანი“ მოაწერე წიგნაკსო.

თვითონ წიგნაკზე ძვირი არავის დასცდენია, ის კი არა, სულ სხვა თვალით შემომხედეს:

ეს რა გაბედული ყოფილხარ და აქამდე რატომ არ ვიცოდით შენი თავზეხელაღებულობა, ასე თამამად როგორ დაადე ხელი სოციალ-დემოკრატებსო.

გაბედულება ყველას არ ეჭაშნიკა და მოჰყვნენ მტკიცებას:

აბა ცოტა ადრე გამოექვეყნებინა, ახლა სოციალ-ფედერალისტების მეფობის ხანა უფროა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვიდრე სოციალ-დემოკრატებისაო.

თითქოს ამ შემთხვევაში გავლენა წყვეტდეს რამეს და არა მრწამსი და იდეალი — ფედერალისტებისათვის საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის გამოგლეჯვა რუსეთის ხელთაგან, ჟორდანიელებისა და მახარაძელთათვის კი — ყველაფრის კადრება ძალაუფლების ჩასაგდებად ხელში.

დისკუსიას გაგიმართავენ თუ რა — მიზანში თუ ამოგიღეს, ჯერ სამოქალაქო სიკვდილს გაგიმზადებენ ჭორებისა და ცილისწამებათა ღვართქაფით, და მერე — თუ ისე ვერ დაგცეს, როგორც ეიმედებოდათ — ტერორისტებს გადააბარებენ შენს თავს.

ცოტა ადრე ნეტა როგორ უნდა გამომექვეყნებინა. ამათ წერა, ეტყობა, იოლი საქმე ჰგონიათ, ერთი იმდენი, რაიმე ჩაითქვა და ორ-სამ დღეში კიდეც გააშანშალებ. წიგნაკია თუ რა არის, წლები შევწირე მის მომზადებას, რათა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონი ხელშესახებად შემომენახა, ის განწყობილებანი არ დაკარგულიყო, რაც გაზეთებსა და ჟურნალებშიც იგრძნობა ასე თუ ისე, მაგრამ უფრო კერძო მიმოწერა და მემუარები გადაარჩენენ ხოლმე. ოღონდ ეს ყოველივე შესაგროვებელი და დასახარისხებელი იქნებოდა და, რაც დრო გავიდოდა, მითუფრო გაუძნელდებოდათ ახალ თაობებს ჩვენს რეალობაში გარკვევა.

გზამკვლევი აუცილებლად უნდა დაეტოვებინა ჩვენს თაობას და მეგზურობა მე ავიღე ჩემს თავზე.

დაე ყველა ნურც ჩამომართმევს გაბედულებად.

მიკერძოებაც დამწამონ.

მე ხომ ვიცი, რომ პირნათელი ვარ ღვთისა და ერის წინაშე და შეუძლებელია მიუდგომელმა მკითხველმა ჩემი ამ პოლიტიკური ნარკვევის სიმართლე და სიზუსტე არ იწამოს.

ერთი პილატეთაგანი მაინც რატომ მოაწერეო.

ჩვენ ყველამ ხელი დავიბანეთ, ილიას ჯვარცმა რომ მოუნდომეს-მეთქი.

შენს თავზე თქვი, თუ მაინცდამაინც გინდა, გნებავს პილატე დაირქვი და გნებავს სხვა სახელი ეძიე, ჩვენ ჩამოგვეხსენი, იქნებ არ მიგვაჩნია თავი დამნაშავეებად მის სიკვდილში და ძალით რატომ გვახვევ თავზეო, — ამიხირდნენ და რა ამიხირდნენ.

მიგაჩნიათ თუ არ მიგაჩნიათ, მწარე სიმართლე ესაა, რომ პილატეებად გადავიქეცით მთელი ქვეყანა და სჯობს დროულად მოვინანიოთ, ვიდრე ღვთის სამსჯავროზე წარვდგებით-მეთქი.

შენ მოინანიე, თუ მოსანანიებელი გაქვსო, — გგონიათ ჩაუფიქრდნენ ჩემს ნათქვამს?

ვინანიებ კიდეც — ჩემს ბრალსაც და მთელი ქვეყნის ცოდვასაც-მეთქი.

ეს კი აღარ გვსმენიაო — ირონიაც გამოურიეს გაღიზიანებულ კილოს — კაცი სხვათა ნაცვლადაც ინანიებდესო.

არა სმენიათ და... ახლა გაიგონონ.

სიბერემდე სიქაჩლეო.

ის ხომ კარგი იყო, ყველა რომ გავტვრინდით, დავბრმავდით და დავყრუვდით და ავაზაკებს შევატოვეთ ჩვენთვის ნაჭირნახულევი და თავგადადებული კაცი.

ახლა აღსარებაც აღარ გვინდა, არა?!.

თავი რომ მოვიტყუოთ, უფალსაც ხომ ვერ მოვატყუებთ.

სიყმაწვილისას ხშირად მიტრიალებდა გონებაში გეთსიმანიის ბაღისა და გოლგოთის სურათები, პილატეს მიერ გამოტანილი მსჯავრიც მაფორიაქებდა და გულს ვაწყდებოდი, იმჟამად რომ არ დავიბადე პალესტინაში და იესოს მონაფეთა შორის მეც არ ვირიცხებოდი.

ეჭვიც არ მეპარებოდა, მოძღვარს დავიხსნიდი, გადავეფარებოდი და მის მაგივრად ჩემს თავს მივცემდი საჯიჯგნად რომაელ ჯარისკაცებსა თუ უმადურ ბრბოს, მე გავეგლეჯინებოდი ნაწილ-ნაწილ და მაცხოვარს კი არ დავანებებდი ჯვარცმისათვის.

ნეტა იქ ვყოფილიყავი-მეთქი, ეს მქონდა ბალღობისას საწუწუნო და სავაგლახო და გული მიკვდებოდა, ასე რომ ავცდი ჩემს ნამდვილ საცხოვრისსა და დრო-ჟამს.

პეტრეს რომ დაუშალა იესომ მახვილის ამოღება და რომაელი ჯარისკაცების წინააღმდეგობა?

ეს კი ასე იყო, მაგრამ მე არ დამიშლიდა, ოცნება ასე ჩამაგონებდა, წარმოსახვა ამას ჩამჩიჩინებდა, რწმენა საამისოდ მაგულიანებდა და მებურღებოდა გული და გონება.

ახლა ის ფიქრი ამკვიატებია, კიდევ კარგი, მაშინ არ დავიბადე-მეთქი.

რისი გადამრჩენი ვყოფილვარ, ვის მშველელად გამოვდგებოდი!..

აგერ თვალწინ არა მყავდა ღვთისაგან მოვლენილი კაცი? გეთსიმანიის ბაღით აქვე არ ამოზრდილიყო და ჯვარცმაც ჩემს თვალწინ არ აღსრულდა?

რა ვიღონე დადუმებისა და გულისტკივილის გარდა?

იქაც ეგ მოხდებოდა, მართლა მაცხოვრის გვერდით რომ ამომეყო თავი.

ბრბო ვერ ამიყოლიებდა, ცხადია, მათ ღრიალს არ ავყვებოდი — ბარაბას სიცოცხლე გვირჩევნია ამ ცრუწინასწარმეტყველისასო, მაგრამ გატვრენით გავტვრინდებოდი და პილატეზე უფრო პილატეც შევიქნებოდი.

ვიქნებოდი უფლის ჯვარცმის შემყურე და მხოლოდ მერე შემოვიკრავდი თავში ხელს, ეს რა დაგვემართა-მეთქი.

ოცნებისას ყველაფერი რა ადვილია...

წიგნაკში ეს სურათები აღვადგინე — გეთსიმანიის ბაღიდან ჯვარცმამდე, ის გავეშებული ღრიალი შემოვინახე, ბარაბას გზა რომ არჩიეს მაცხოვრისას, და ის დუმილიც, შემზარავი, დამთრგუნველი, იქნებ იმ გავეშებულ ღრიალზე უფრო უარესი დუმილი...

ეს დუმილია, სულს რომ მიხუთავს და საშველი ვერა გამიწყია რა.

ვინიცის, კიდევ რამდენ ჩემისთანას უხუთავს სულს, რამდენს მერე შეუხუთავს, როდესაც გაისიგრძეგანებენ თავიანთ ცოდვა-ბრალს.

და ოდესმე მონანიების გუნებაზე დამდგარ ქვეყანას მხოლოდ წინ ვუსწარ ჩემი აღსარებით და ის გულისთქმა გამოვხატე საზოგადოებისა, რომლისკენაც ჯერ მიდის ჩვენი ხალხი, მაგრამ მკაფიოდ კი ვერ შეუგნია.

პილატესაც შევებმეოდი-მეთქი, როგორ მჯეროდა.

მასთან შებმა კი არა, მე თვითონ გამოვხვეულვარ იმის ტყავში და ლამის ხორციანად ავიდღლიზო კანი, გამოვუსხლტე იმ საზარელ წლებს და კვლავ ყმაწვილურ ოცნებას შევაფარო თავი.

მაინც რა მკაცრი ყოფილა რეალობა, ის თავშესაფარი უნუგეშოდ დაუნგრევია და სააღსარებოშიც ლამის აღარ მაყენებს.

ეს მაინც რა საშინელი სინდისის ქენჯნა ყოფილა — შენს მაგივრადაც და სხვათა მაგივრადაც.

როგორ გინდა ყველას გაწვდე, მითუმეტეს, ცილისმწამებლობა თუ დაგაბრალეს ანდა სულაც „გიჟიას“ ძახილს მოყვნენ, ეს რა მოლანდებები დაწყებიაო.

როცა გინდა და სადაც გინდა დაიბადე, შენს ჩარჩოებს ვერ დალეწავ, შენს ბედისწერას ვერ გადალახავ...

ნინო პოლტორაცკაია

თქვენი რა გამიკვირდეს — მე თვითონაც ვეღარ დამიჯერებია.

ილია და... მაჭანკლობა?

მაგრამ ასე კი მოხდა. და როგორც ყველაფერი, ეს საქმეც რიგზედ გაანყო.

იმას ვეღარ გეტყვით, ან მანამდე, ან მას შემდეგ სხვაგანაც თუ გამოუჩენია ეს უნარი, მაგრამ ჩემი ბედი კი გადაწყვიტა და...

მამაჩემთან მეგობრობდა და ჩვენთანაც ხშირად დაიარებოდა და მამაჩემიც ხშირად სტუმრობდა. განსაკუთრებით მაშინ, ილიას მოთხრობების თარგმნას რომ მოჰკიდა ხელი რუსულად და „ვეფხისტყაოსნისაც“.

მოთხრობებში ხომ აზუსტებინებდა არაერთ სიტყვასა თუ გამოთქმას და არანაკლებად რუსთველის პოემაში. „ვეფხისტყაოსანს“ ძალიან პატრონობდა ილია, ყველაზე სანდო ტექსტის დასაზუსტებლადაც მონდომებით იღვწოდა და აუგის თქმას ხომ არავინ პატიობდა. რა დღე აყარა ჯერ მარტო ამისათვის ივანე ჯაბადარს!.. ახლა ნიკო მარს!.. ის კი არა, აკაკი წერეთელსაც გაეპასუხა, როდესაც ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, პოემის პერსონაჟებს შესაფერისი განზოგადების ნაცვლად ეთნოგრაფიულ საბურველში ჰხვევსო.

მაშინ ეს ძალიან გახმაურდა, რაკიღა ილიას ძვირს ვერავინ ათქმევინებდა აკაკიზე. ის უფრო კენწლავდა ხოლმე და დაქროდა ხალხში მისი ოხუნჯობანი თუ მწარე გადაკვრანი, მაგრამ ილიას სააუგოდ სიტყვა ვერაფრისდიდებით ვერ ამოაძვრეს პირიდან.

— აბა გავუსინჯოთ კბილიო, — როგორც საერთოდ ჰყვარებია თქმა, მამაჩემსაც ასე ეგებებოდა და გაშლიდნენ მაგიდაზე რუსული „ვეფხისტყაოსნის“ ახალ ფურცლებს.

ყველაფერს მიზერში ჩასდევსო, — მამაჩემი ამბობდა და თან უხაროდა ასეთი ჩაძიება, ქანცის გაცლამდე კირკიტი, თან ცოტა არ იყოს უკადრისობდა, ბევრ ადგილს რომ ჩაუხაზავდა ხოლმე ილია: არ ვარგაო.

— აბა, როგორ სჯობსო? — მამაჩემი ჰკითხავდა თუ არა, ის ირონიით გამოხედავდა:

ყველაფერი თუ მე გირჩიე, მე ვყოფილვარ მთარგმნელი და ეგაა, ყურს რაც მჭრის, არ გიმალავ და დანარჩენი შენ იცი, როგორ გამოასწორებო.

მის ხელში გავიზარდე და ჩემს ბედზე ჩემი მშობლებივით რომ ეზრუნა ვითომ რა მოხდა?

თითქოს არა ყოფილა ამ ბუნების კაცი, თუმც მაჭანკლის სახე კი ჩინებულად გამოხატა „კაცია-ადამიანში“ და მერე პიესადაც გადააკეთა ეს ეპიზოდი. ასიკო ცაგარელმა გადაასწრო მერე ამ ტიპის გამოხატვაში, „ხანუმათი“ დიდი გამოცოცხლება შეიტანა თეატრშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც და, თუ ვინმე შეეგება მოწონებით ამ ახალი ხასიათის აღმოჩენას ჩვენი ლიტერატურისათვის, მართლაც შესანიშნავ მხატვრულ მიგნებას, ერთი უპირველესთაგანი ილია.

მაგრამ თვითონ და... მაჭანკლობა?

ხომ შვილივით ვუყვარდი, მაგრამ მაინც მგონია, რომ ჯერ ექვთიმეზე უფრო იზრუნა. დიდი იმედით შეხედა მის გამოჩენას ქართულ მეცნიერებაში, მალეეცე დაიახლოვა და მისი დაოჯახებაც გულში ჩაითქვა: ვინ იცის, ვის გადაჰყროდა და მეცნიერება სულაც გვერდზე მირჩენოდა. მიავლო, მოავლო გონებაში თვალი და... მე მომაბჯინა. მომაბჯინა და ხელიც მოჰკიდა ამ განზრახვას. იმისი ხელის მოკიდება კი უეჭველ აღსრულებას გულისხმობდა.

ექვთიმეს თურმე ისედაც გულში ჩავვარდნოდი და მაინცდამაინც ილიას პერსონაჟის პირითაც უფიქრია ჩემზე: სად მივწვდები ცაში ვარსკვლავსაო. უფიქრია და... ისე გაუთავისებია გიორგის პიროვნება, ისე შეზრდია მის განცდებს, ძალიან ადარდიანებდა ფინალი: რატომ გაიმეტა ილიამ თავისი გმირი ურმის ჭალზე დასაგებადო.

ილიას „ოთარაანთ ქვრივი“ პირველად რომ წაუკითხავს დავით სარაჯიშვილის ბინაზე, სადაც დიდძალ ხალხს მოეყარა თავი და ექვთიმეც მიეწვიათ, დიდად მოუწონებია და მოთხრობას სულ ობოლი მარგალიტი უძახებს, მაგრამ შენიშვნად ეს მაინც მოახსენებს:

რატომ დაღუპე გიორგი, რად გინდოდა ასეთი ფინალი, ურმის ჭალზე მაინც არ დაგენარცხებინაო.

ექვთიმეს იქ ამაზე ხმა არ გაუღია, მაგრამ მერე და მერე შემოენთო გულზე და თითქოს თავის ბედისწერას განჭვრეტდა ამ ტრაგიკულ დასასრულში.

ისევ ილიამ აარიდა სულიერ გვემასა და სასოწარკვეთას და, რაც გულში ფარულად ჩაჭროდა, რეალობად უქცია.

ბევრმა გაიხარა ჩვენი შეუღლებით, მაგრამ ბევრსაც შეუფერებელნი მოვეჩვენეთ, თითქოსდა უკეთესი ბედი მეკუთვნოდა და ილიას ნაბიჯი შეეშალა, თავისთავად კი ღირსეულ, მაგრამ ცხოვრებას მოწყვეტილ კაცს რომ არგუნა ჩემი თავი: წვალებით გაალევინებს წუთისოფელსო.

საყვედურად ასე პირდაპირ ვერაფერს ჰკადრებდნენ, მაგრამ ხუმრობაში გადაუტანდნენ და მოიარებით მაინც გაკენწლავდნენ ერთი ნადიმისას:

ეს რა ქალი გაიმეტე ამ ინვალიდისათვის, მაინც რა გრჯიდაო.

რა მრჯიდა და საქართველოს მომავალიო, — ილიამ, სიცილით — პოლტორაცკების ამხელა მამულები ვიღაც უცხოს რომ ჩავარდნოდა ხელთ, თავი სად გამოგვეყოფოდა, ახლა კი ჩვენ დავინარჩუნეთო.

და ღვინოს მწყურვალივით დაეწაფებოდა.

იროდიონ ევდოშვილი

არა, მე იქ გამჩერებელი აღარ ვიყავი.

როგორ მეამაყებოდა, თავიანთ გვერდით რომ გამრიეს, მიტინგებსა თუ ფარულ შეკრებებზე მასწრებდნენ და დიდადაც მაფასებდნენ. პოეტი შენ ხარო, მეუბნებოდნენ, წავიდა თავადაზნაურთა დრო და მათი სალონური იწილო-ბიწილო, თუ ხალხი არ დარაზმე, რა პოეტი ხარ, და შენ კი სწორედაც პოეტი ბრძანდები, ხომ ხედავ, ყურს როგორ გიგდებს ხალხი და შენს ნათქვამს იმახსოვრებს, შენისთანები გვჭირდებაო.

სჭირდებოდათ და მეც მზად გახლდით. თავს დავდებდი, არათუ რაიმეს მოვრიდებოდი.

პოლიციასა თუ დევნა-თვალთვალს რომელი ჩვენგანი შეშინებია, მე შევშინებოდი, და წევრად რომ მიმიღეს პარტიაში, არ მეჯერა. მზად ვიყავ, ისედაც შევწიროდი ამ საქმეს, ჩაგრულთა გაბედნიერებას რომ ისახავდა მიზნად, და ასე თუ დამაფასებდნენ და სოციალ-დემოკრატის სახელს მეც მიბოძებდნენ, მთლად შეუძლებელს არ შევძლებდი?

— ილია ვინ არის და აკაკი ვინ არის შენთანაო, — მაგულიანებდნენ.

თითქოს უნდა გავეამაყებინე ამ სიტყვებს, თანაც, ხომ ვიცი, გულით მეუბნებოდნენ, მაგრამ რაღაც უცნაურად ჩამჩხვლეტდა გულს.

— არ გინდათ-მეთქი, ეგრე ნუ ამბობთ, მე იმათობას ვერ გავწევ-მეთქი.

კაცი მართალი უნდა იყო. კაციც მაშინა ხარ.

— იმას დაუკვირდი, ხალხს რომ არ მოსწონს მაგათი ლექსები, ანკი რატომ მოეწონება, გაორებულია ორივე, ეს ილია ხომ მთლად წახდა, ისეთი რეაქციონერი შეიქნა, თვითონვე რომ ვერ იტანდა ახალგაზრდობისასაო.

ხალხს არ მოსწონსო, მე კი პარტიის გარეთ მაგათ ლექსებზე აუგის მთქმელი არ მაგონდება, იქნებ შესდავებოდნენ რაიმეში, იქნებ ძალიანაც გაეკილათ, მაგრამ ლექსები არავის უარუყვია. ზაქროსა და კაკოსათვის თუ არსენა იყო ზღაპრად მოსული, ჩვენთვის თვითონ ეს გმირები გაზღაპრებულიყვნენ, გაბრიელისა არ იყოს. ან კიდევ, ჩვენ რა გაგვემეტებინა ისე თავადაზნაურობა, როგორც ილიას გამოემეტებინა თავისი მშობლიური წოდება ლუარსაბ თათქარიძის სახით და აბუჩად ასაგდები გაეხადა ქვეყნისათვის.

მემღვრეოდა გული, იმის აუგს თუ მოვისმენდი, გაზეთში დაბეჭდილი ხომ კიდევ უფრო მაფორიაქებდა, მაგრამ რა მექნა, ყველასთვის ხმა როგორ მიმეწვდინა. თუმც ვისაც ვუსაყვედურებდი, მიჯერებდნენ კი არა, აქეთ მომდგებოდნენ:

ასეთი კარგი პოეტი მაინც არ იყვე და ხალხის დამრაზმველი, ძველი, დრომოჭმული შთაბეჭდილებებისაგან ჯერაც ვერა და ვერ გათავისუფლებულხარო.

როგორ დავმალო — რაღაც გავლენას ჩემზეც ახდენდა ის გმობა-თრევა ილიასი. არა, აზრი კი არ შემცვლია მასზე, მაგრამ თავისი ადრინდელი შეხედულებანი რომ გადაეფასებინა, ესეც აშკარა იყო. გუნებაში ვამბობ, რად უნდა ასეთი გამწვავება, მიჰყვეს ცხოვრების დინებას, ქონება არ აკლია, ეს სახელი და გავლენაც მოუპოვებია და დაჯდეს და ტკბილად გალიოს წუთისოფელი-მეთქი.

შევუთამამდი, ხომ იცი!..

აი მაშინაც, ქართული ბანკის შენობაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების 25 წლისთავს რომ აღნიშნავდნენ... გამგეობის თავმჯდომარე ილია გახლდათ. მის მოსვლას უცდიდნენ. ერთი წუთიც არ დაუგვიანია. ბეჯითად გამოიარა ხალხით გადაჭედილი დარბაზი, მიუახლოვდა მაგიდას და სავარძელში არ ჩამჯდარა, ისე გახსნა საიუბილეო საღამო.

— ხედავო, — დავით ფაღავამ გადაულაპარაკა ვიღაცას ჩემს გვერდით, — პირდაპირ საქმეს შეუდგა, როგორც საერთოდ სჩვევია, არც არავის დალაპარაკებია და არც არავისთვის ხელი არ ჩამოურთმევიაო.

საიუბილეო განწყობილებას ხელი არ შეუშლია, კავკავის სკოლის გამგისა და მასწავლებლის მოხსნის საქმე გაერჩიათ. ეს სკოლა წერა-კითხვის საზოგადოებას გაეხსნა და რევიზიაზე ფილიპე გოგიჩაიშვილი გაეგზავნა.

ეს დავიხვიეთ ხელზე მასწავლებლის დამცველებმა და ავბუნტდით:

რევიზიაზე უსათუოდ მასწავლებელი უნდა გაგზავნილიყოო.

ილიას გაეცინა:

— ეს რა უბრალო ჭეშმარიტება არ გესმით. მე, მაგალითად, მხატვარი არა ვარ, მაგრამ ნახატებში გავარჩევ, რომელია უკეთესი და რომელი არა. შეიძლება ფილიპე გოგიჩაიშვილი მასწავლებელი არ იყოს, მაგრამ თქვენზე ნაკლებ არ გაარჩევს, სასწავლებელში საქმე კარგად არის დაყენებული თუ არაო.

დამცველთა ამ გუნდს რაკიღა მე ვმოთავეობდი, წამეკიდა ცეცხლი ამ სიტყვებზე და მივაძახე: ჩვენ მაინც პროტესტს ვაცხადებთ-მეთქი.

ჩემთან ერთად წინ წამოდგნენ სხვა დამცველნიც და ახმაურდნენ.

ილიამ:

რამდენი ხართ მანდო?

ამათ დაიწყეს ერთმანეთისაკენ ყურება, გადათვლა-გადმოთვლა და, ვატყობ, ირყევა ერთსულოვნება. ხომ ვითომ არაფერი და ისეთ დროს იცოდა სიტყვის გადატანა თუ შემოტრიალება, მოწინააღმდეგეს აბნევდა და კამათის სადავეებს თვითონ იგდებდა ხელთ. ახლაც ასე მოხდა და არ მოვითმინე:

— ბატონო ილია, თქვენ ბანზე სიტყვას ნუ აგდებთ-მეთქი.

— ბატონო ხოსიტაშვილოო (ჩემი ნამდვილი გვარით მომმართა), თუ ვერ მისწვდებით, კიბე მიუდგითო.

მე აქეთ ჩავიფშხალე და ჩემი გუნდი იქით წახდა. მინდა რაღაც ვუპასუხო, მაგრამ კრინტი ველარ დამიძრავს. დარბაზი კი იცინის და მოგვიღო ბოლო და ეგაა.

ეს ნათქვამიც ძალიან გავრცელდა. ხან ვინ გადმომკრავდა ხუმრობით და ხან ვინ:

რა ჰქენი, მიუდგი კიბე ილიას ნათქვამს თუ არაო.

მერე და მერე ის ეპიზოდი თვალს მიეფარა, აღარც ის ახსოვდათ, ვის უთხრა, მაგრამ ფრთიანი სიტყვა დარჩა და დარჩა. ჯერ მიხაროდა, მე რომ აღარავის მოვაგონდებოდი, ახლა კი მინდა ყველამ იცოდეს — მე მითხრა, მე, ილიამ, იმის სულს ვენაცვალე.

შხამის ტბა იმის გამო ტრიალებს ჩემს გულში და ეს ტბა ჩემმა ვაიმეგობრებმა დაატრიალეს. ნაჭედი ჯაჭვით ვიყავ მიჯაჭვული ესდეკების პარტიას, ძაფით კი არა, ამას თუ რამე გაწყვეტდა, რას ვიფიქრებდი, მაგრამ თვითონვე გაწყვიტეს. გონზე მოველ და ამაში ილია დამეხმარა თავისი სიკვდილით.

ორი აზრი ებრძოდა ჩემს გულში ერთმანეთს, ვისთვის უნდა მემსახურა, ვინ უნდა მემჯობინებინა: საქართველოს ერი, როგორც პოლიტიკურად დაჩაგრული ხალხი, თუ პროლეტარიატი, როგორც ეკონომიკურად დაჩაგრული კლასი? ორივე ერთნაირად ძვირფასი იყო ჩემთვის. მაგრამ ამ ჩემმა მეგობრებმა საქართველოს ხსენებაც რომ სათაკილოდ გაიხადეს, ნელ-ნელა ვანებე თავი „კვალში“ მუშაობას. თანაც ვერა და ვერ ამეხსნა:

რატომ ჰქონდათ ქართველ დემოკრატებს ასეთი უკუღმართი შეხედულება ეროვნებაზე, სხვა ქვეყნის დემოკრატებს კი არა. გინდა ავსტრიელები თქვი, გინდა გერმანელები...

ვინ არის დამნაშავე, ქართველ მუშას ერისა და ეროვნებისა არაფერი რომ არ გაეგება და რაღაც დრომოჭმულ მოვლენად მიიჩნევს?

რასაკვირველია, ჩვენი ესდეკი ინტელიგენცია. და განა მეც მათ შორის არ ვიყავ და ჩემი წილი ცოდვა არ უნდა ვზიდო?

ყოყმანში რომ ჩავვარდი, იმ საზარელმა მკვლელობამ გადამადგმევინა ის ნაბიჯი, ჩემს ლანძღვასა და ჭორვას, გველისებრ სისინს საშველი რომ აღარ დაადგა ჩემი გუშინდელი თანამებრძოლების მხრიდან. იქნებ ეს არც მაკმარონ და სულაც ტერორი დამინიშნონ, ჩრდილოეთიდან რომ ჩამოვბრუნდები. რამდენი ხანიც უნდა გავიდეს, შურისგების წყურვილს ეგრე იოლად ვერაფერი ჩაუცხრობთ. ეს არის აზრიც და შინაარსიც მათი ცხოვრებისა და მე კი თავზე მაქვს ხელი აღებული. რაკიღა მორალურად გავიმარჯვე მაგათზე, რაკიღა სულიერი ბრძოლა მოვიგე, რაღა შეიძლება მაშინებდეს, და იქნებ აღარც იმას მოვერიდო, პირში მივაფურთხო მაგ არაკაცებს.

ძვირად დამიჯდა ეს სულიერი ბრძოლა, იმდენი ნაღველი გამოვიარე, ამ ნაღველმა სიკვდილის ჩრდილი დაჰკრა ჩემს სულს და ვაითუ სულაც აქ, ციმბირში ჩავყარო ძვლები.

ხან ეს ფიქრი ამეკვიატება, ხან კიდევ იმედი დამრევს ხელს, ისე როგორ იქნება, ათი წელი მაინც არ ვისულდგმულო და სარედაქციო ჭაპანი არა

ვწიო. სანდრო შანშიაშვილისა ძალიან მეიმედება, ჩემდამი მოძღვნილმა იმისმა ლექსმა მალამოსავით იმოქმედა... ერთი კაცის გულისთქმადაც ჩავთვალე და მთელი ახალგაზრდობისაც. მე აქ ვადას გავასრულებ, ის იქ, ევროპაში, სასწავლებელს გაათავებს, და ორნივ რომ დავუბრუნდებით ჩვენს დედაქალაქს, იქნებ სარედაქციო საქმე გვერდიგვერდაც ვზიდოთ.

ახლა მკვდარი ვარ, წელიწადნახევარში მკვდრეთით აღვდგები, ბრძოლა კი ისე მწყურია, როგორც მკათათვეში ეხის წყალი.

წიწამურის ტრაგედია რომ არა, ჩავრჩებოდი იმ ჩემს მეგობრებთან, დავკარგავდი აზრსა და მიზანს ცხოვრებისა, უფესვებოდ დავრჩებოდი და გულსა და სულს ჩავდებდი ხალხის გადაგვარებაში.

ტერორიო?

მოვიდეს, რაც მოსასვლელია. იმას მიუვალ, იმის სულს ვენაცვალე. თუ ვერ შევწვდები, კიბითაც თუ ვერ მივაღწევ იმასთან, თვალს ხომ მაინც გადმომავლებს შორიდან და სხვა მე არც არაფერი მინდა.

თედო ლაბაური

განდობილი არა ვყოფილვარ და არც ეტლი შემიჩერებია განზრახ. ძალით გინდათ ამომართვათ პირიდან დანაშაულის აღიარება, მაგრამ სხვების ცოდვა მე რატომ უნდა გავინაწილო!..

წიწამურს რომ გამოვცდით და საფარიდან პირველი გიგლა ბერბიჭაშვილი გადმოხტა და მომაყვირა: შეჩერდიო, — იქნებ კიდეც შევჩერებულიყავ. სამხედრო ბეგარა ერთად გვქონდა მოხდილი, კარგად ვიცნობდი და შიშით რისი უნდა შემშინებოდა. აბა რა ვიცოდი, რა განეზრახათ და თურმე სხვებიც უნდა გამოშლილიყვნენ იმ საფარიდან.

შეჩერება იმიტომ გადავიფიქრე, რომ თავადმა მიბრძანა, გარეკეო. ბრძანებას როგორ გადავიდოდი და აღარც ბერბიჭაშვილისათვის მიმიქცევია ყურადღება, მაგრამ ცხენები იყვნენ დაღალულნი, გზაც ტალახიანი აღმოჩნდა და ბოროტგანმზრახველებმა წინიდან გადადგომა მოასწრეს.

მე რა შემეძლო შეიარაღებულ ხალხთან. იაკობმა სცადა შეწინააღმდეგება და კიდეც გააყოლეს იმისი სული თავადისას.

თავადს გიგლამ ესროლა. ბერბიჭაშვილმა, დიახ, მოძღვრიშვილიც იქ ერია, მაგრამ ამან რომ გაისროლა, თავადი კიდეც გადავარდა ფაეტონიდან გზაზე.

კნეინას როგორ ურტყეს კონდახები ან ისიც გზაზე დაგდებული როგორ აღმოჩნდა, არ მახსოვს, ისე ამერია გონება მომხდარით, იმ წუთებში კი არა, რამდენიმე დღეს ვეღარ გამოვფხიზლდი. შიგადაშიგ ახლაც მებინდება ჭკუა.

ტყუილა ცდილობენ, ბრალი მეც ამკიდონ.

მართალი კაცი ყველგან უშიშრად დადგება და ხელს ადვილად არავის მოაკიდებინებს. მეც ჩემი სიმართლის იმედი მაქვს, მაგრამ ჭორებს რომ

გივრცელებენ, საშინელებაა. ცხოვრება ხომ გინდა იმ არე-მიდამოზე და ვიღა გიგუებს, ცამდეც მართალი რომ იყო.

თუ რაიმეა ჩემი ბრალი, უთუოდ უნებური. იქნებ ბოროტგანმზრახველები საკმაოდ იმიტომაც იყვნენ თავმოყრილნი, რომ საქვეყნოდ მილაპარაკნია: თავადისთანა გაბედული ორი კაციც არ მოიძებნება-მეთქი.

ის გერმანელი სტუმარი რომ დაყვება, ლუსტა თუ ლასტო, ჰო -ლაისტი, არტურ ლაისტი, იმას აქვს ჩემთვის ნათქვამი:

გამაოგნა ილიამაო, ერთ დაღმართზე, დიღმის დუქანთან, იცი ის დუქანიც და დაღმართიც, ცხენებმა გაგვიტაცეს, მეეტლე დაიბნა, შენი წინამორბედი, ილია კი კოფოზე შეხტა, იმას აღვირი გამოსტაცა და კაი წვალებით, მაგრამ ბოლოს-ბოლოს დააოკა ცხენებიო.

არ გამკვირვებია.

ბევრისაგან მსმენია, უშიშარიაო, და სხვების ნათქვამი რად მინდა, განა მე თვითონაც არ გამომიცდია?.. იმას აღარ ვამბობ, ღამით მოგზაურობისას რჩევებსაც რომ მაძლევდა და ხან ხელსაც წამაშველებდა. სახიფათო გზაზე მოვყევით ერთი-ორჯერ და ცოტა რომ შევფიქრიანდი — შევფიქრიანდი, განა შევშინდი და დავფრთხი — თავადი თვითონ დაჯდა კოფოზე და ისეთი სიდინჯით ატარა ცხენები, გამოცდილ მეფაეტონეებს შეშურდებოდათ, თორემ მე თავს როდისა ვდებ, ესა ვარ და ისა-მეთქი.

თუ ამისთანები მითქვამს, ისევ თავადის საქებრად, მის სააუგოდ ენა ანკი როგორ მომიტრიალდებოდა. და თუ ჩემი წრფელი სიტყვა ასე გამოიყენეს და მზადება გააათკეცეს, მეც ბოროტგანმზრახველად რატომ უნდა მოვინათლო.

ის ლუსტაა თუ ლასტო, ჰო -ლაისტ, მარტო მე ხომ არ მომიყვებოდა იმ საშიშარ ამბავს, ილაპარაკებდა ხალხში და, ვინ იცის, მის ნათქვამსაც ჩაჭიდეს ხელი.

რა ახლა, ის გერმანელიც თავდამსხმელთა წამქეზებლად უნდა მიიჩნიოს სასამართლომ და ჩამოხრჩობა მიუსაჯოს?!.

სამართალი ეს არის — ან ის ლუსტაა თუ ლასტო თუ ლაისტი, ბოროტგანმზრახველად აღიარონ, ან მეც დამაბრუნონ ჩემს ცოლ-შვილთან. არა კმარა, თავდამსხმელები იმათი ამონყვეტით რომ მემუქრებოდნენ?.. და ახლა კი სასამართლო აპირებს იმათ დაობლებას?

დაღლილი ცხენებისა და ატალახებული გზის გამოისობით მე რატომ უნდა დავისაჯო, ეს ალალმართალი კაცი?..

თანაც ვატყობ, როგორ მერევა ისევ გონება.

აბა, თქვენ გამოგეცადათ ამისთანა საზარლობა, იქნებ გზა-შარასაც მოსდებოდით სამუდამოდ გამოლენჩებული.

გინდა თუ არა, ილია მაგას არ იტყოდა, მე წაგიძღვებითო.

იქაც რომ არა ვყოფილიყავ და საკუთარი ყურით არ მომესმინა, მე ოდნავადაც არ დავეჭვდებოდი, იტყოდა თუ არა.

არაო, უფრო თავდაჭერილიაო.

განა ეს რა საბუთია. ვითარებას გააჩნია. როდესაც სხვა გზა აღარ რჩება, თავშეკავება თვითონვე იხევს უკან და მღელვარე განცდებს ამოაფრქვევს.

იმ წუთას ილიას არსებაში სწორედ ეს მღელვარება აბობოქრებულიყო, თავშეკავება შეემუსრა და ჩვენს ბჭობასაც და ყოყმანს ამ ორად-ორი სიტყვით მოუღო ბოლო:

— მე წაგიძღვებით.

იქაც კი გაუფართოვდათ თვალები, იმ შეკრებაზე, განა არა, მაგრამ სიტყვა ნათქვამი იყო, ილიას კაცური სიტყვა, და გეზიც და გეგმაც გარკვეული.

არ იტყოდაო.

დამიჯერეთ, მოცლილი კაცის გარდა არავინ გახდის საკამათოდ, რაკილა მის ამ განცხადებასა და მოწოდებას ბევრნი შევესწარით და, არამცთუ მისი ეს სიტყვები არ დაგვავიწყდება არასოდეს, ილიას იმწამიერი სახებაც არ ამოგვეშლება მეხსიერებიდან.

დიდი დემონსტრაციის გამართვაზე ვმსჯელობდით ავტოკეფალიის მოთხოვნით. სხვა გამოსავალი აღარ დაგვიტოვა მთავრობამ და ბაირაღებითა და პლაკატებით გამოშლა დავთქვით ქუჩაში, ყველგან ამ წარწერას რომ ეტრიალა:

აღგვიდგინეთ ავტოკეფალიაო!..

დავთქვით და თან ჭოჭმანში ვართ, მიზეზებს ვებღაუჭებით, იქით და იქით რომ გადავდოთ დემონსტრაციის გამართვა; უმთავრეს დაბრკოლებად კი ის გვეღობება, რომ წინამძღოლს ვერ ვხედავთ, ვინც ამ დიდ საპროტესტო აქციასაც მტკიცე ნებით წარმართავს და ახალ-ახალ დემონსტრაცია-გამოსვლებსაც მოადევნებს.

ილია კი ჩვენს შორისაა, თათბირებს ყოველთვის ესწრება, მაგრამ ნაკლებად გვგონია, რომ სამღვდელოების საქმეში ასე ძალიან ჩაერევა, წინამძღოლად გამოგვიჩნდეს. მეც ასე ვფიქრობ და სხვანიც, რომ მეფისნაცვალთან სტუმრობა ამ თემაზე და მისი დარწმუნების მცდელობა, დაყაბულებოდა არამარტო სასულიერო პირთა, არამედ მთელი ერის მისწრაფებას — საქართველოს ეკლესიას დაბრუნებოდა დამოუკიდებლობა, ყველაზე დიდი მხარდაჭერა იყო მისგან.

უფრო მეტის აღებას საკუთარ თავზე ილია ალბათ აღარ მოინდომებდა. და გაკვირვებას ერთბაშად შეერია აღტაცებაც, როდესაც იგი მძიმედ წამოდგა და გარეგნული სიმშვიდით გამოგვიცხადა:

მე წაგიძღვებითო.

მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი თუ დათანხმდებოდა საქართველოს ეკლესიის თვითმართველობას, ოცნება და მიზანი უფრო რეალურ საძირკველს დაეყრდნობოდა. მასთან კი თუ ვინმეს მიესვლებოდა ჩვენგან, უპირველესად ილიას. მთავრობა ძალიან უწევდა ანგარიშს მის განსაკუთრებულ პოპულარობას და ადვილად ვერ ეუბნებოდა უარს, როდესაც საამისო საჭიროება წამოიჭრებოდა. დახლართვით ძალიანაც უხლართავდნენ გზებს, მაგრამ სხვაზე მეტს მაინც ის მიაღწევდა — მანამდეც ასე ყოფილა და მერეც ასეც იქნებოდა.

ამ მოთხოვნით მთელი მოძრაობა გაიშალა ქართველ სულიერ მამებს შორის და მითუფრო გაძლიერდა და გაცხოველდა, რაც რუსმა სლავიანოფილებმაც თავი გამოიდეს საამისოდ. იმათ თავიანთი მიზანი ჰქონდათ — ვერ ეგუებოდნენ სინოდის არსებობას: ძველად რუსეთში პატრიარქის მმართველობა იყოო. ის ბევრად უკეთესად ესახებოდათ და, პატრიარქობის აღდგენა რომ მოინდომეს რუსეთში, სლავიანოფილებმა თავიანთთვის სახეიროდ სცნეს ქართველ სულიერ მამათა სწრაფვა პატრიარქობის აღსადგენად ჩვენს მიწა-წყალზე.

დაე ყოფილიყო საპატრიარქო რუსეთშიც და საქართველოშიც.

ეს გახდა რუს სლავიანოფილთა მოღვაწეობის იდეური საძირკველი და, რაკილა მეკავშირეებად დაგვიგულეს, ჩვენს მხარში ამოდგომასაც ამიტომ დაეშურნენ.

საკმაოდ გავლენიანი პირნი ჩაერივნენ ამ მოძრაობაში და, საკუთარი თვალით რომ არ წამეკითხოს, ზეპირ ნათქვამს ალბათ ვერც მე ვირწმუნებდი, ისეთი თავგამოდებით ამტკიცებდნენ და იმეორებდნენ:

საქართველო უძველესი ქრისტიანული სახელმწიფოა, მან ეს რჯული ჯერ კიდევ მაშინ მიიღო, როდესაც ჩვენი სახელმწიფო არც არსებობდა და რუსები არც ვიყავით ქრისტიანები. მათი ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც საქართველოში პატრიარქად უნდა იყოს აღსაყდრებული, ჩვენს მთავრობას სამშობლოდან გამოდევნილი ჰყავს და ემიგრანტობაში იტანჯებაო.

შეგეხარბებოდა, ასეთ აზრებს რომ ამოიკითხავდი, ჩვენს გულისთქმაზე მობმულს, ასეთი სიცხადითა და გზნებით გამოკვეთილს.

ბევრი ჩვენგანი აღტაცებით შეეგება ამ თანადგომას, მაგრამ ბევრმაც ასე ადვილად ვერ ირწმუნა მათი გულწრფელობა — ახლა ვჭირდებით და თავს გვიქონავენ, ვითომდა ჩვენი საწუხარით აღარ სძინავთ და კირიონის ტანჯვაც თითქოსდა საკუთარ ტანჯვად მიუღიათ, თორემ რუსეთის საპატრიარქოს დაამკვიდრებენ თუ არა, ჩვენი ეკლესიისთვის მმართველობის მინიჭებას გადაუდგებიანო.

მე მაინც იმ აზრისა ვიყავ, რომ მათთან სიახლოვე უნდა გვეძია და მარჯვედაც მოგვეხმარა.

ეს სულაც არ გვავალდებულებდა, მთელი სიცოცხლე გადაჯაჭვულნი ვყოფილიყავით და უერთმანეთოდ აღარაფერი გვემოქმედა. როდესაც გადაუდგებოდნენ ჩვენს მოძრაობას, დაპირისპირება-დაუთმობლობა მაშინაც გვეყოფოდა, თორემ ახლა რას ვერჩოდით.

საქართველოში საპატრიარქო უნდა აღდგესო.

კირიონი თავის ქვეყანას დაუბრუნდეს და საპატრიარქოს ის ჩაუდგეს სათავეშიო.

ჩვენ კი ვითომ რა — შორს დაგვეჭირა, გულისგულში ჩვენზე სულაც არ ამოგდით ამ სლავიანოფილებს მზე და მთვარეო?

ვორონცოვ-დაშკოვთან მოლაპარაკების აუცილებლობა რომ ვიგრძენით და ეს მოვალეობა ილიას დავაკისრეთ, თავიდან ძალიანაც დადგა უარზე:

მაგ თქვენი კეფალიისა არა გამეგება რა და ვინმე სხვა მიგზავნეთო.

ზოგი ისე აღშფოთდებოდა ამ „კეფალიის“ ხსენებისას:

სარკაზმით ამბობს, და თუ ჩამოგვცილდება, ემჯობინებაო.

სარკაზმით რატომ — იუმორით ამბობდა, და ეს იუმორიც საკუთარი თავისაკენ უფრო იყო მიმართული. რაკიღა ძირისძირობამდე ვერ გარკვეულიყო საეკლესიო საკითხებში, გული ეთანაღრებოდა და უარზეც ამის გამო დადგებოდა... მაგრამ ჩვენც რას მოვეშვებოდით და ყოველნაირად ავუხსენით და განვუმარტეთ საქმის არსი.

ბოლო-ბოლო წავიდა მეფისნაცვალთან და დიდხანსაც ესაუბრა.

ვორონცოვ-დაშკოვს გარეგნულად თავიც გამოედო: დამარწმუნეთ, რომ ეგ ავტოკეფალიაა თუ რაც არის, სასარგებლო იქნება საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც და მაშინ კი მხარს დაგიჭერთო.

მე კი დამარწმუნეს რომ საჭიროც არის და სასარგებლოცაო, — ილიას.

შეჰყოლიან კამათსა და მსჯელობას და ილია გაკვირვებული დარჩენილა, ასე როგორ არის გარკვეული მეფისნაცვალი ამ მოვლენებშიო.

რაკიღა მოძრაობა გაშლილიყო, ჯაშუშები ცალკე მიეყარა პროტესტანტებისათვის, ეკლესიის საქმეთა მცოდნე პირნი კი ცალკე დაებარებინა და ყოველმხრივაც მომზადებულიყო გარდუვალი ჭიდილისათვის. ის კი არა, ილიას სტუმრობაც წინასწარვე რომ სცოდნოდა, სავსებით მოსალოდნელია, და ის მთავარი საბუთიც საგანგებოდ გაემზადებინა, რითაც, დარწმუნებული გახლდათ, პირში ბურთს ჩაჩრიდა საქართველოს ეკლესიის თვითმმართველობის მსურველთ:

— ეკლესია ღმერთს ეხვეწება ყველა ქრისტიანული ეკლესიის შეერთებას და თქვენ კი არსებული ერთობის დაშლა გსურთ; განა გაგონილა, ერთ მართლმადიდებლურ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა საკათალიკოსო არსებობდეს?

არ გაგონილა და ახლა გაიგონონო, — არ შეპუებია ილია, მაგრამ უკან მობრუნებულმა კი შემომჩივლა: ამაზე პასუხის მოძებნა გაგვიძნელდებაო.

მე გამეღიმა:

— ბატონო ილია, განა არ უთხარით, რომ ბიზანტია ერთი მართლმადიდებლური სახელმწიფო იყო, მაგრამ მასში ოთხი ავტოკეფალური საპატრიარქო არსებობდა: კონსტანტინოპოლისა, იერუსალიმისა, ანტიოქიისა და ალექსანდრიისაო?

შეჩერდა ილია, შემომხედა თვალებში და გულნაკლულმა ამოთქვა:

— აკი გითხარით, მაგ თქვენი კეფალიისა არაფერი მესმის და მე ნუ გამგზავნით-მეთქი?!.

ერთი-ორი კაცი შემოგვესწრო და მერე დანანებით მისაყვედურეს:

როგორ შეეპასუხე, გერჩივნა გაჩუმებულიყავი, ვაითუ გულში ჩაიდოს, არ ეხალისება აღიარება, თუ რამეში შეცდება ხოლმეო.

ეს მეც კარგად ვიცოდი, რომ არ ეხალისებოდა, მაგრამ სიმართლეს არაფრისდიდებით არ უღალატებდა — ჯერ ჭეშმარიტება იყო მისთვის და მერე პირადი თავმოყვარეობა. ცოდნას კი ისე იყო მოწყურებული სიბერისასაც, არ ითაკილებდა, ბავშვსაც რომ აეხსნა მისთვის რაიმე. გულში ჩადება? გამორიცხულია. რამდენჯერ შევკამათებივარ, რამდენჯერ გამიზიარებია რჩევა მისთვის და ოდნავადაც არ მიგრძვნია მისი მხრივ გულის აყრა ჩემზედ.

რა გგონიათ, ის საპასუხო საბუთი პირველად ჩემგან მოისმინა?

ბიზანტიის ამბებიც ჩინებულად მოეხსენებოდა, მაგრამ ისე სრულყოფილადაც არა, მეფისნაცვალთან საუბრის დროსაც ერთბაშად წამოჰგონებოდა. ყველაფერი ხომ არ გაგახსენდება კაცს, მითუმეტეს, ოფიციალური მიღებისას...

ამას განიცდიდა, ჩემს რჩევას კი არა.

თავიც ამიტომ დაძრახა: კეფალიისა არაფერი მესმისო.

სარკაზმით რომ ამბობდეს, ხმის კილოზე უსათუოდ შეეტყობოდა. მე ილიას ინტონაცია შემეშლება?..

იმას თუ ეტყოდა მღვდლებს, არა უშავს რა, ერთი-ორი მათრახი თქვენც თუ გიცხუნესო?

მღვდელთა იმ კრებას არ დავსწრებივარ, ნიკოლოზის ეკლესიის სამრევლო სკოლაში რომ გაიმართა და სრულიად საქართველოს სამღვდელოების კრების მოწვევა განეზრახათ. მთავრობა ნებას არ აძლევდათ და იყო ერთი სჯა და გაცხარება, მაინც მოვიწვიოთ თუ უკეთეს დროს დაველოდოთო. შეკრებაზე საერო პირნიც იყვნენ მიპატიჟებულნი და მეც მათ შორის, მაგრამ მისვლა არ მომიხერხდა და არც ილიას ის სიტყვები მომისმენია. თუმც თვითონ მისგანვე ვიცი, რაც ეთქვა, და ამიტომაც ტყუილად ვერა თანხმდებიან, იტყოდა თუ არა იმ ფრაზას.

ის კი სხვებისაგან მაქვს შეტყობილი, რა შთაბეჭდილება მოუხდენია კრებაზე ილიას გამოჩენას. მანამდე ხმაურობა მდგარა და შიგადაშიგ სიცილხარხარიც გადაირბენდა. და უეცრად სიჩუმე ჩამოვარდებოდა, ყველა ფეხზე წამოიჭრებოდა და მიაჩერდებოდა კარს, რომელშიც ის-ისაა ილია ჩამდგარიყო.

მერე მდუმარედ მჯდარა, პენსნეს ატრიალებდა თითებში და ყველა გამომსვლელს გულმოდგინედ უგდებდა ყურს.

თანდათან ჩაჩუმებულან, ამოუწურავთ სათქმელი და კრების თავმჯდომარეს, სიონის ტაძრის ბლაღოჩინს ტყემალაძეს ილიასათვის მიუმართავს:

მოგეხსენებათ, როგორ დიდად გვიღირს თქვენი სიტყვა, დაგვარიგეთ, გვითხარით, როგორ მოვიქცეთო.

ილიას პენსნე დაუდევს მაგიდაზე და წამომდგარა:

— აქ ბევრი კარგი აზრი იყო გამოთქმული, ჯერ კანონიერად მოიქეცით, მიმართეთ ეგზარხოსს, მეფის მოადგილეს, მიმართეთ თვით მეფეს და, თუ

არაფერი გამოვა, არა უშავს-რა, ერთი-ორი მათრახი თქვენ ანაფორებსაც მოხვდეს.

კიდეც მოხვდებოდათ. ის კი არა, ტფილისის სასულიერო სემინარიაში რომ შეიკრიბებოდა სამღვდელოება და ყაზახები შეუცვივდებოდნენ და შეუბრალებლადაც დაარბევდნენ, ერთ-ორ მათრახს ვინ აკმარებდათ... თუმც მაინც სჯობდა ილიასათვის ეგდოთ ყური და ჯერ ოფიციალური გზა მოესინჯათ, სულაც მეფემდე ევლოთ... ამასობაში უკეთაც მოემზადებოდნენ და ხალხსაც აიყოლიებდნენ, მათ თავყრილობას გარედან დიდი დემონსტრაცია რომ შეშველებოდა.

ეს დარბევა ერთ გარდუვალობას კი გვანიშნებსო, — ილიასაგან მახსოვს, — ამ მოძრაობას ველარაფერი შეაჩერებს და ეგ თქვენი კეფალიაც უკვე ისე კანთიელად მოჩანს, ხელისგაწვდენაღა აკლიაო.

მე წაგიძღვებითო?.. ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ამ სწრაფვასაც ის არ მიუძღოდა წინ, ის არ განამტკიცებდა და აღონიერებდა, მარტო საგულვებელ დემონსტრაციას კი არა, საქართველოს ეკლესიის თვითმმართველობის მოპოვებას.

ვინც საქმეს მოცდენილხართ, დადექით და იკამათეთ.

რეზო ჭეიშვილი

ჩემი არ იყოს, ალბათ თქვენც გაიკვირვებთ და შეფიქრიანდებით, როდესაც შალვა დადიანისა და ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებებს გაეცნობით ერთსადაიმავე ისტორიულ ეპიზოდზე: ილიას სამგლოვიარო გამოსვლაზე გაბრიელ ეპისკოპოსის ცხედართან გელათის ტაძარში.

ერთი სხვაგვარად გვიამბობს.

მეორე სულ სხვაგვარად.

და... რომელი შეიძლება იყოს უფრო მართალი, რომლის მოგონებაა რეალური ამბის შეუფერადებელი, ლამის სტენოგრაფიული ასახვა, უფრო რომელს უნდა დავენდოთ და დავეყრდნოთ?

შალვა დადიანის ნაამბობს თუ მივყვებით:

უკვე რომ მოთავებულა სიტყვები სასულიერო პირებისა: რუსი ეგზარხოსისა და ეპისკოპოსებისა, ხალხში ხმა დატრიალებულა: ილია, ილია სად არისო? – და შალვასათვის მამას უნიშნებია, ნიკო დადიანს: წადი და მოძებნეო.

ხალხი გარღვეულა, და ესეც ადვილად მოძებნიდა ეზოში ხალისიანად მოსაუბრეს, შალვას გამოჩენასა თუ თხოვნაზე უეცრად სახე რომ შეეცვლებოდა, კუშტი გაუხდებოდა, თითქო წარბებიც მოუქურუხანდებოდა, მაგრამ სიტყვაშეუბრუნებლივ მორჩილად გამოჰყვებოდა.

ამბიონთან მიიყვანდა და თვითონაც გვერდით ამოუდგებოდა ეს ახალგაზრდა კაცი.

და დაიწყებდა ისიც, გარეგნულად თითქო დამშვიდდებოდა, მაგრამ მკერდი მაინც აუვიდოდა და ჩაუვიდოდა. ისე ახლოს იდგებოდა შალვა, რომ

თვალნათლივ ხედავდა და ესმოდა მისი გულისძგერა, ამ მკერდიდან აღმომხდარი ხმები.

ექვთიმე თაყაიშვილის ნაამბობს თუ მივყვებით და:

ხალხი მჭიდროდ შემორტყმოდა გარს კუბოს და იქნებოდა ერთი ენამზეობა, ამასობაში საღამოს უნდა შემოესწრო და ილიას ეთქვა: ჩემი სიტყვის თქმა აღარ ღირს, მაგრამ ცოტახანს კიდევ დავიცადოთ და მერე კი წავიდეთო, – შემდეგ კი ისევ მას უნდა შეეთავაზებინა: მივიდეთ ახლა და გამოვეთხოვოთ მიცვალებულსაო.

ექვთიმე წინდაწინ მივიდოდა კუბოს ირგვლივ შემორტყმულ ხალხთან, რამდენადმე გათიშავდათ და ხმამაღლა დაიძახებდა: ბატონებო, ცოტა ჩამოდექით და გზა მოგვეცით, ბატონ ილია ჭავჭავაძეს აქვს სიტყვაო.

„პროვოკაციას“ მოუწყობდა ილიას. ხალხი მაშინვე გაიშლებოდა და მერე კი პატივისცემითა და აღტაცებით მოუსმენდნენ. ლევან ჯანდიერს ეს ძალიან ეამებოდა და მადლობას მოახსენებდა ექვთიმეს, რომ აიძულა ილია და ათქმევინა სიტყვა.

ესეც ორი სრულიად განსხვავებული ვერსია, თითქოს ორ სრულიად სხვადასხვა ეპიზოდს გვიყვებოდნენ.

არადა: ამბავი ერთია.

და თქვენ რას იტყვით:

რომელი შეიძლება იყოს უფრო მართალი?

რომლის მოგონებაა რეალური ამბის შეუფერადებელი, ლამის სტენოგრაფიული ასახვა?

უფრო რომელს უნდა დავენდოთ და დავეყრდნოთ?

მაინც ვინ გაუძღვა ილია ჭავჭავაძეს გაბრიელ ეპისკოპოსის ცხედრისაკენ:

შალვა დადიანი თუ ექვთიმე თაყაიშვილი?

ექვთიმე თაყაიშვილი თუ შალვა დადიანი?..

ანონით, დაწონით და... დარწმუნებული ვარ, თქვენც იმასვე იფიქრებთ და დაიბეჯითებთ, რაც საბოლოოდ მეც ვირწმუნე:

ორივე მართალია, ორივე შეუფერადებლად ჰყვება ამბავს, თითქოს სტენოგრაფიული ჩანაწერი იყოს.

ორივე მიარღვევდა ხალხს, ორივე მიუძღოდა და აგულიანებდა ილიას: შალვა დადიანიც და ექვთიმე თაყაიშვილიც.

ასე სწამდა და სჯეროდა აკუტაგავას, როდესაც იმ მისტიციზმით აღსავსე დეტექტიური ყაიდის ნოველას ქმნიდა: „უსიერ ტყეში“.

ასე მწამდა და მჯეროდა მეც, როდესაც მისტიციზმით აღსავსე, ცოტა გროტესკულ და არადეტექტიურ ნოველას ვქმნიდი: „რასემონი“.

სიმართლეს ჰყვებოდნენ აკუტაგავას პერსონაჟებიც.

ჩემი პერსონაჟებიც სიმართლეს ჰყვებოდნენ.

და ამ დიდი სიმართლის ფონზე განა რა მნიშვნელობა აქვს, თუკი ნაამბობები განსხვავდება ანდა სულაც ეწინააღმდეგება ერთმანეთს?!

მისტიკას საბურველი და ნისლის ბლონდები რომ არ ეხვიოს, მისტიკაც აღარ იქნებოდა და ყოველდღიურობაში ისე აგვერეოდა, მისგან ვეღარც გამოვარჩევდით.

და ნუღარავინ იტყვის:
რომ სხვას ჰყვება შალვა დადიანი.
რომ ექვთიმე თაყაიშვილი სხვას ჰყვება.
და ჰა თვალდათვალ ვხედავთ, როგორ მიდის, მიდის და უახლოვდება ილია ჭავჭავაძე გაბრიელ ეპისკოპოსის ცხედარს, თითქოს საკუთარ ნეშტს შეჰყურებდეს.

ისიდორე რამიშვილი

აკაკი წერეთელს სასაფლაოები რომ გაეხადა თავისი საპროტესტო გამოსვლების ასპარეზად, ისე მოხდა, რომ ჩვენც სასაფლაო ნაგვადგა ახდილი პოლიტიკური ბრძოლის დასაწყებად.

10 მაისს 1894 წლისა სოფელ ჩოჩხათში ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებისას გამოვედით სოციალ-დემოკრატები საფარიდან და აშკარად, საქვეყნოდ ვაღიარეთ ჩვენი მოსვლა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე.

მივანდეთ სილიბისტრო ჯიბლაძეს, გამოეცხადებინა ჩვენი პოლიტიკური პროგრამაც და სამოქმედო გეგმაც. და არალეგალურ საქმიანობასთან ერთად კიდეც დავიწყეთ პრაქტიკული მოღვაწეობა.

ამ დღეს ძველი და ახალი თაობის წარმომადგენელნი პირისპირ შეხვდნენ, უფრო კი შეეჯახნენ ერთმანეთს.

ძველ თაობას განასახიერებდა გიორგი წერეთელი.

ახალს კი – სილიბისტრო ჯიბლაძე.

და მათი სიტყვები ძირფესვიანად განსხვავდებოდა და ეწინააღმდეგობა ერთიმეორეს.

რა განაცხადა გიორგი წერეთელმა ეგნატეს დაკრძალვისას და:

– საქართველოა დაბჯენილი სამ დედაბოძზე: თავადაზნაურობაზე, სასულიერო წოდებაზე და გლეხკაცობაზე. ამ სამ ბოძს შორის თანხმობა და ერთსულოვნება ყოველთვის ყოფილა მხსნელი და მფარველი საქართველოსი მის გრძელსა და ტანჯვებით სავსე ისტორიაში. ასე ყოფილა ძველად, ასე იქნება კვლავაც, და ვინც ამ სამება-ერთარსების გათიშვასა და ერთმანეთზე გადამტერებას მოინდომებს, ის საქართველოს მტერია.

ისეთი შთაბეჭდილებაც კი დაგვრჩა, თითქოს ილია ჭავჭავაძის დაწერილ ტექსტს კითხულობდა.

რა განაცხადა სილიბისტრო ჯიბლაძემ და:

– საქართველო ერთი არ ყოფილა წარსულში და არ არის დღესაც. მას ჰყავდა ბატონები, რომლებიც ზემოდან თავს აწვნენ და სჭყლეტავდნენ მშრომელ ხალხს. ამ ბატონების მეოხებით იყო საქართველო უძლური შინაც და გარეთაც. იყო, როგორც ყოველგან, საქართველოშიც კლასები და კლასების ბრძოლა. ჩვენც ამ თვალთახედვის გზაზე ვდგავართ, ვექომაგებით და ვეყრდნობით დაჩაგრულ კლასებს, ვეწინააღმდეგებით და ვებრძვით მათ მჩაგვრელ გაბატონებულ კლასებს, მიუხედავად ეროვნებათა.

მართლაც რომ გრგვინვასავით დაიქუხა საქართველოს ცაზე სილიბისტროს ამ სიტყვებმა და შეძრა ჩვენი ქვეყანა ძირიდან თხემამდის.

და არ შეწყდებოდა დავა და ბრძოლა ეგნატეს საფლავთან დაწყებული მთელს გზაზე თბილისამდე ძველ და ახალ თაობას შორის.

„ივერიის“ თანამშრომლები, გრიგოლ ყიფშიძის მეთაურობით, და გაზეთ „კვალის“ მომხრენი ყოველთვის რომ ეჩხუბებოდნენ და ჭამდნენ ერთმანეთს, უეცრად გაერთიანდნენ და ერთობლივადაც მიიტანეს იერიში ახალი აზრისა და მის მიმდევართა წინააღმდეგ.

ჰოი რა გაცხარებული შეიქნა კამათი, რა დაუზოგველი!.. და თბილისში ჩამოსვლისთანავე ორმა გაზეთმა მორთო ყიჟინი:

– არიქა მზად! ციხე შიგნიდან გვენგრევა, გაგვიჩნდნენ ოჯახშივე ქვეყნის მტრები!..

მეტ დორბლებს ყრიდა – არ დამიწყოთ ახლა, თავაზიანადო, დორბლებს ყრიდა და მე რა ვქნა – რასაკვირველია „ივერია“, რომელიც ვერაფრისდიდებით ვერ შეურიგდა სილიბისტროს სიტყვის იმ ნაწილს, სადაც ნათქვამი იყო, რომ: ყველა ერის მშრომელნი ძმები იყვნენ, და რომ საჭირო იყო ბრძოლა არა ერთა შორის, არამედ კლასთა შორის.

გიორგი წერეთელმა ახალი მოძღვრების მიმდევართა ჯგუფი მესამე დასად მონათლა, აკრიტიკებდა ჩვენს შეხედულებებს, არ მოსწონდა, მაგრამ – მთავარი და ძვირფასიც ეს გახლდათ მის კრიტიკულ გამოსვლებში – რაღაც სასიცოცხლოსაც რომ ხედავდა ჩვენში. მხოლოდ საჭიროდ მიიჩნევდა რაღაც-რაღაცების შეცვლას ახალი კაცების პროგრამაში, შერბილებას, დაკავშირებას საქართველოს ინტერესებთან.

ასე თანდათანობით გაცხოველდა სჯა-ბაასი და კამათი ორ მიმართულებას შორის, დაგროვდნენ და ბანაკებადაც დაიყვნენ ორივეს მომხრენი და არ აკლებდნენ ერთიმეორეს დამამცირებელი სახელების გამოგონებას.

მარქსისტები-პრასისტებიო: გაჰკიოდნენ ნაციონალისტთა ბანაკში, რომელნიც ამ სახელით მონათლულთ ქართველი ხალხის მტრებად და მოღალატეებად აცხადებდნენ. რასაკვირველია ძველს მეტი მომხრე ჰყავდა, ვიდრე ახალს, ჯერ უცნობს, და ეს უმრავლესობა გაბედული იერიშით ესხმოდა თავს უმცირესობაში მყოფ მოწინააღმდეგეთ, მაგრამ ეს უმცირესობა კლდისებური სიმაგრით ვიგერიებდით თავდასხმას და იქით გადავდიოდით იერიშზე – ვამჟღავნებდით და ვააშკარავებდით ძველების საფუძვლის მოლპობას, ახალ ცხოვრებასთან მის შეუსაბამობას.

მესამედასელებს ბრძოლა გაგვიადვილა იმ გარემოებამ, რომ ძლიერ მალე „კვალი“, გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით, „ივერიასთან“ ბრძოლაში ახალი მიმართულების კაცებს ამოუდგა გვერდით და უკვე ერთობლივად მიიტანეს იერიში ილია ჭავჭავაძის ბანაკზე.

გიორგი წერეთლის მიმდევარნი მთლად არა იმ ენითა და იმ საბუთებით რასაკვირველია, რომლითაც ახალი თაობა გამოდიოდა, მაგრამ მაინც ცდილობდნენ, რომ ამათი დახმარებით დაესუსტებინათ კონსერვატორული მიმართულება „ივერიისა“ და მისი მომხრეებისა, რომელთა რაოდენობაც დიდ უმრავლესობას შეადგენდა მაშინდელ საქართველოში.

გიორგი წერეთელი მიისწრაფოდა საქართველოს განახლებას, ცხოვრების დაყენებას ახალ გზაზე – ნაცვლად ძველი თავადაზნაურული გზისა და სულისკვეთებისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ეს იმჟამინდელი საქართველოს „მთიები", როგორც ეძახდნენ; და ამ მიზნისათვის ფრიად ხელსაყრელი აღმოჩნდა მისთვის ახალგაჩენილი ძალა, ახალი მარქსისტები, სოციალ-დემოკრატები, მესამედასელები, რომელთა იდეალებსაც თუმც არ იზიარებდა, მაგრამ ძველის დასანგრევად მაინც გამოდგებოდა, და ახალი კი არც ისე აშენდებოდა, როგორც ახალ კაცებს სურდათ, არამედ ისე, როგორც მოიხოვდა ახალი, განახლებული ქვეყანა.

რასაკვირველია ეს ცვალებადობა არა ყოფილა კლასთა შორის ბრძოლა და სოციალიზმი, არამედ – ბურჟუაზიული დემოკრატიზმი, ნაცვლად ძველებური, ბატონყმური მსოფლმხედველობისა. და აქ, ამ ნიადაგზე გიორგი წერეთელი მეტ სულიერ ნათესაობას ჰპოვებდა მესამედასელებთან, ვიდრე „ივერიელებთან".

ამით აიხსნება, რომ მან ფართოდ გადაუშალა თავისი გაზეთის ფურცლები ახალი თაობის კაცებს და ერთი მათგანი, სახელდობრ ფილიპე მახარაძე, მუდმივ თანამშრომლადაც კი შეუშვა რედაქციაში.

ასე მოვიპოვეთ ლეგალური მუშაობის საშუალება და ჩვენს ხმას ხალხის ქვედა ფენები სიამოვნებით ისმენდნენ, ხოლო ზედა ფენები – ბრაზითა და მრისხანებით.

და კიდეც თანდათან აიდგამდა ფეხს ჩვენი ხალხის ჩამოყალიბება კლასებად, ორ ბანაკად დაყოფა. და თუ წინათ ერის უმრავლესობა ძველებს ემხრობოდა, მალე ეს უმრავლესობა ჩვენს მხარეზე აღმოჩნდა, რადგანაც – როგორც ყველგან – ჩვენშიაც უმრავლესობა ჩაგრულებისაგან შედგებოდა და ჩაგრულთა მომხრე კი მესამე დასი გახლდათ.

ჩვენ, საქართველოში მომუშავე სოციალ-დემოკრატები, იმხანად ნაციონალური კითხვის მიმართ სრულ ნიჰილიზმს ვიჩენდით. ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილად მიგვაჩნდა.

– ბრძოლა თანაბარი ყველა ნაციის დაჩაგრული ნაწილებისა მათივე ნაციების მჩაგვრელი ელემენტების წინააღმდეგ, და არავითარი უპირატესობა თავისი ეროვნების როგორც პროლეტარიატს, ისე – მითუმეტეს – ბურჟუაზიას.

ამ შეხედულებას ვიცავდით ჩვენი მოკამათეების წინააღმდეგ, რომელნიც კითხვას ასე აყენებდნენ:

– ყველა სხვა დანარჩენ თანასწორ პირობებში უპირატესობას ვანიჭებთ როგორც ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატს, სხვა ქვეყნების პროლეტარიატთან შედარებით, ისე ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზიასაც.

ამ მოსაზრების დამცველ ნოე ჟორდანიას რუსის სოციალ-დემოკრატმა ლუზინმა პირდაპირ დაუსვა კითხვა:

– თუკი ეს ასეა, მაშინ რიღათი განსხვავდებით ილია ჭავჭავაძისაგან?

– მე სრულიად არა მაქვს განზრახვა ხელოვნურად ვეთიშებოდე ვინმეს, ვინც ჩემსავით აზროვნებს, – მიუგო ნოემ.

ვიცი, რისთვისაც მომაკითხეთ და უმთავრესად რაც გაინტერესებთ, მაგრამ ამ ყველაფრის გახსენებაც საჭირო იყო, არ მეთანხმებით? ჯერ მარტო ის რად ღირს, რუსი სოციალ-დემოკრატების თვალში ნოე ჟორდანია და ილია ჭავჭავაძე თანამოაზრეებად რომ გამოჩნდნენ!..

აი პრედვარილკა ციხის პირობაზე კარგი საპყრობილეც კი აღმოჩნდა: ცალკე კამერა, სუფთა, ასფალტით მოგებული ფეხსალაგი, მართალია შიგვე იყო, მაგრამ სუნს არ აყენებდა. იდგა კედელზე მიკრული რკინის პატარა მაგიდა და მის გვერდით კიდევ უფრო პატარა რკინის დასაჯდომი, ისიც მიჯაჭვული. ლოგინზე დღისით წოლა არ გვეკრძალებოდა, რაც მდგომარეობას გვიადვილებდა. წამოწოლილს შეგვეძლო გვეკითხა წიგნები. წიგნებს გარედანაც უხვად უშვებდნენ, მაგრამ ესეც რომ არა ყოფილიყო, თვით სატუსაღოს ჰქონდა ფრიად მდიდარი ბიბლიოთეკა, რომლიდანაც შეგვეძლო გამოგვეწერა კატალოგში ნაჩვენები ბევრი კარგი წიგნი – ისტორიულიც, ლიტერატურულიც და მეცნიერულიც. გაზეთები ნებადართული არ ყოფილა, თუმც უხვად კი შემოდიოდა გარედან ყოველი ნახვის დროს, რაც კვირაში ორჯერ ხდებოდა.

თუ ჩაგვივარდებოდა ხელთ გაზეთი ან სხვა რამე საინტერესო, ადვილად გადადიოდა სხვების ხელშიც. საღამოს 6 საათზე, როცა ყოველდღიური ცხოვრება ჩერდებოდა ციხეში – არ გაჰყავდათ ტუსაღები სასეირნოდ, არ ეძახდნენ კანცელარიაში, სასამართლოში და სხვა ასეთები, ციხე აჟრიამულდებოდა, ექვსივე სართულიდან გადმოსძახებდნენ ერთმანეთს გაღმა-გამოღმა, ძირსა და ზევით.

მოსრიალებდა წერილები გრძელი ძაფებით ზევით და ქვევით და განზედაც. ამას ხედავდა შუა ეზოში მაღლობზე მდგომი ზედამხედველი, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. მხოლოდღა ძირს ჩამოვარდნილ რომელიმე ამანათს დაწვდებოდა და კანცელარიისათვის ინახავდა. ასეთი მარცხი ხშირად ხდებოდა. წყდებოდა ხოლმე ძაფი და წერილი ძირს დაეცემოდა. და ნაღვლიანად დასცქეროდნენ ზემოდან გამომგზავნიც და ისიც, ვისთვისაც იყო დანიშნული.

ისიც მომხდარა – ბერლინიდან ჩემს ფანჯრამდე მოაღწია წერილმა და... სწორედ იქ უმტყუნა ბედმა, გაწყდა და ჩავარდა.

გაზეთებისა და წერილების მიღებას გვიადვილებდნენ დამცველებიც. ვისი საქმეც ძიებით გათავებული იყო და საბრალდებო ოქმიც ჩაბარებული ჰქონდათ, ისეთებთან დამცველები თავისუფლად შემოდიოდნენ კამერებში – ადმინისტრაციის დაუსწრებლად. და ჩემი დამცველი სოკოლოვიც მავსებდა წერილებითა და ახალი ამბებით, შემოჰქონდა ქართული გაზეთების ამონაჭრებიც – გრძლად დამრგვალებული.

და ერთ დღესაც, როდესაც გავხსენი „ცნობის ფურცლიდან" ამონაჭერი რგოლი და დავხედე სათაურს, გავშეშდი, გავფითრდი და რეტდასხმული ლოგინზე დავეგდე.

მომვარდა შეშინებული დამცველი და ჩამძახოდა:

– რაშია საქმე, რა შეიტყეთ?

მე ხელმეორედ ავიღე გაზეთის რგოლი, რომელიც გველივით საზიზღარი შეიქნა ჩემთვის, რადგანაც შიგ ეწერა:

„ილია ჭავჭავაძის მოკვლა“.

ეს იყო სათაური წერილისა, ჯერ შინაარსს არც გავცნობოდი, და როცა გავეცანი, სევდას ბრაზიც დაემატა.

ფედერალისტების გაზეთი მკვლელებად ჩვენს პარტიას ასახელებდა, ჩვენ გამოვყავდით ილიას მკვლელებად.

ჩემი სევდისა და გაბრაზების მიზეზი სოკოლოვმა რომ შეიტყო, გამიმტყუნა ერთიცა და მეორეც. იგი მობოლშევიკო სოციალ-დემოკრატი გახლდათ და ასეთ მკვლელობას იოლად უყურებდა. მან არც კი იცოდა, ვინ იყო ჩვენთვის, ქართველთათვის, ილია ჭავჭავაძე. ეს ვერ გავაგებინე და არცა მქონია სურვილი ამ თემაზე მასთან ლაპარაკისა.

მისი გასვლა კამერიდან იმ დღეს არა მწყენია, რადგანაც მომეცა საშუალება მალე შემეტყობინებინა ეს სამგლოვიარო, დიდი უბედურება ჩვენებისათვის. „პარლამენტს“ აღარც დავუცადე და გავძახე გაღმა მსხდომთ – ჭოლა ლომთათიძესა და ირაკლი წერეთელს:

– შეიტყეთ, რა უბედურება დატრიალებულა ჩვენს თავს? ილია მოუკლავთ.

იმათ თითქო ენა წაერთვათ, ვერაფერი თქვეს.

მხოლოდ არჩილ ჯაფარიძე გამომეხმაურა, ჩემს ახლოს რომ იჯდა, და როგორც შევატყე, არ იზიარებდა ჩემს განცდებს.

მას წავუკითხე სამძიმრის დეპეშა, რომელიც უნდა გაგვეგზავნა ჩვენ ყველას:

– გამოვთქვამთ ჩვენს მწუხარებას ილია ჭავჭავაძის მოკვლის გამო და ჩვენს გულისწყრომას და აღშფოთებას მკვლელების მიმართ.

მაგრამ არჩილმა მითხრა:

– არსებითად, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ ამ პირობებში, როცა მკვლელობას ჩვენ გვაბრალებენ, ასეთი ტელეგრამა უტაქტო იქნება ჩვენი მხრიდან. როცა იერიში ჩვენზე მოაქვთ, ჩვენ გვმართებს იერიშის მოგერიება და არა გლოვა-ტირილი.

დიდად შევწუხდი, როდესაც საღამოს მსჯელობისას სხვებმაც გაიზიარეს არჩილის აზრი და... დეპეშის გაგზავნაზე ხელი ამაღებინეს.

მართლაც ძნელი გახლდათ ჩვენი მდგომარეობა. იერიში მოჰქონდათ ჩვენზე და გვსახავდნენ მკვლელებად იმ დროს, როცა ჩვენ შეძრწუნებულნი ვიყავით ამ საზიზღარი მკვლელობით არანაკლებ მათისა, რომელნიც ბრალს ჩვენ გვდებდნენ.

ჩვენები გარეთ აძლევდნენ თავდამსხმელთ ღირსეულ პასუხს, მაგრამ იმაზე უარესი პოზიცია აღარ არის, როცა გიხდება თავდაცვა და თავის მართლება და იქით ველარ ესხმი თავს.

ვინ იყვნენ ფაქტიური მკვლელები – ეს არ ვიცოდით, იდეურ მკვლელებად კი ჩვენ გამოვყავდით, განსაკუთრებით – გაზეთი „მოგზაური“ და მისი ხელმძღვანელი ფილიპე მახარაძე, რომელიც ათავსებდა საგურამოდან გამოგზავნილ კორესპონდენციებს ილიას წინააღმდეგ.

მომაგონდა საგურამოელი გლეხი, ყოფილი მამასახლისი ინაშვილი, რომელმაც 1905 წლის შემოდგომაზე საგურამოში გამართულ დიდ მიტინგზე ტრიბუნიდან გადმოიქნია ხანჯალი და დაიძახა:

– ამ ხანჯალს ვაძგერებ გულში ჩვენი ქვეყნის მჭამელს ილია ჭავჭავაძეს.

ის აუარებელი ხალხია მოწმე, რა საშინლად დავგმე იმ კაცის საქციელი და ჩემი გამოსვლისას ფართოდ შევეხე ილიას პიროვნებას და მის დიდ მნიშვნელობას ჩვენი ერისათვის, გამოსვლა კი ამ სიტყვებით დავასრულე:

– ვინც ილიას ხელს ახლებს, ის იქნება ქვეყნის მტერი და არა მოყვარე.

მაშინ ისეთი ატმოსფერო იყო საზოგადოდ შექმნილი პირველი რევოლუციის აღტყინების გამოისობით, რომ იქ მყოფ სოფლის პროპაგანდისტებსაც არ მოეწონათ ჩემი ასეთი გამოსვლა ინაშვილის წინააღმდეგ და ილიას დასაცავად.

იქ, პრედვარილკის ოთხ კედელშუა მსწრაფლ მომაგონდა ინაშვილიც და მისი ხანჯლის ტრიალიც ჰაერში და გავიფიქრე:

„არა „მოგზაური“ და არა ფილიპე მახარაძე, არამედ ეს მხეცი კაცი იქნება ამ უბედურების ჩამდენი“.

შემდეგ წავიკითხე პატივცემული ფილიპე გოგიჩაიშვილის ფელეტონი „ივერიაში“ სათაურით „გაუსწორებელი ბოროტება“. და იგი სწორედაც ფილიპე მახარაძეს მიიჩევდა „გაუსწორებელ ბოროტებად“.

გოგიჩაიშვილი ჭკუის საკითხავი კაცი გახლდათ, მაგრამ ამ შემთხვევაში ჭორებსა და ცილისწამებას უნდა ყოფილიყო აყოლილი, თორემ სად იდეური შეუთანხმებლობა და სად ასეთი სისხლიანი აქტი!.. რაც დაუჯერებელია, ვერც დავიჯერებ, თორემ გაზიარებით არც ჭოლა ლომთათიძე და ირაკლი წერეთელი იზიარებდნენ ილია ჭავჭავაძის ნაციონალისტურ შეხედულებებს, მაგრამ ჩემზე ნაკლებად არც მათ ჩაწყვეტიათ გული...

ჩამდენმა ერთი ცოდვა ჰქნაო და დამბრალებელმა – ათასიო, გაგეგონებათ და ადვილად და უსაბუთოდ არავის არაფერი უნდა დააბრალოთ.

რომანოზ ფანცხავა

რაც მე და იპოლიტე ვართაგავაზე კეთილი სიტყვა მითქვამს, რაც მე მისი ნაწერები მიქია... ერთ საუკეთესო კრიტიკოსად მიმაჩნია და იმიტომაც... მისგანაც კეთილგანწყობას და სწორე გითხრათ, არ მოველოდი, ერთხელაც ძალიან რომ მომდგა:

დიდი ხანია გულში მქონდა და ვერიდებოდი შენს წყენას, არ მინდოდა მკაცრი საყვედური მეთქვა, მაგრამ ახლა კიდევ ერთხელ მომიხდა შენი ადრინდელი წერილების გადაკითხვა, ილიას ასე უდიერად რომ ეპყრობი, და გულში ვეღარ ჩავიტოვებ, ეს როგორ იკადრე, ეს სიტყვები რამ წამოგაცდენინა, ასე როგორ გადაგიბირეს „კვალელებმა“, რომ უკადრისი გაკადრებინესო.

ასე ერთბაშად ვერც გავიხსენე, რას მამუნათებდა.

თურმე რას და:

ყოველად უმართებულოდ შევხებოდი იოსებ დავითაშვილს და ზედ წამეკეცა ილიაც, როგორც ავტორი ამ სუსტ პოეტზე შეთხზული პანეგირიკისა.

რა ვქნა, პატივით როგორ მოვპყრობოდი „მუჟიკურ“ ლიტერატურასა და „ტეტიათა მოტრფიალეებს“, რომელნიც გაიტაცა სოფლის იდეალიზაციამ, გლეხების იდილიამ, გლეხების დასახვამ უცოდველ, უმანკო არსებებად, ნაცვლად იმისა, რომ სწორად შეეხედათ მათი ეკონომიკური და პოლიტიკური ჩამორჩენილობისათვის, კარჩაკეტილობისათვის, დაყრუებისათვის, მთელი სამყარო გროშადაც რომ არ მიაჩნდათ და გაეღმერთებინათ მხოლოდღა თავიანთი ერთი მტკაველი მიწა და კუჭი.

ამ გაიდეალებაში თავისი წვლილი შეიტანა იოსებ დავითაშვილმაც და მის გარდაცვალებას ილია გულმდუღარედ რომ გამოეთხოვა, მისმა სიტყვამ კი დიდი მოწონება ჰპოვა ხალხში, ამან გამომიწვია საპასუხოდ.

იპოლიტემ კი:

როგორ იკადრე, რომ დაგემცირებინა არა მხოლოდ იოსებ დავითაშვილი, არამედ დაგემცირებინა და სახელი გაგეტეხა ილიასთვისაც, ისე კი იცოდე, შენმა უშინაარსო, საფუძველსმოკლებულმა ზოგადმა ფრაზებმა მკითხველში მხოლოდ დამცინავი ღიმილი გამოიწვიაო.

ისიც გამიხსენა, „კაცია-ადამიანი?!“ „ოთარაანთ ქვრივი“ და „გლახის ნაამბობი“ რუსული ლიტერატურის ცუდ მიბაძვად რომ მოვიხსენიე.

ჭეშმარიტ კრიტიკულ ალღოს მოკლებულ კრიტიკოსს თუ დაემართებოდა ასეთი რამო, — ამის თქმასაც არ მორიდებია, და დასძინა, — შენ თვითონ პისარევის ყურმოჭრილ მონად მოგვევლინე, ტალანტის ყალბი საზომით აღჭურვილი პუშკინს რომ აუმხედრდა და მოინდომა მისი ჩამოგდება ტახტიდანო.

იმის გამოც გადმომკრა გესლიანი სიტყვა, ილიას იუმორის შეფასებისას ეს მოსაზრებაც რომ გამოვთქვი:

გოგოლის დაცინვასავით ილიას დაცინვაც მხოლოდ მშრალი ფსიქოლოგიური და კერძო ინდივიდუალური ხასიათისა არის-მეთქი.

შე საწყალოო, — ეშხში შესულმა თავი ვეღარ მოთოკა, — ილიასა და მისი კლასიკური ნაწარმოებების ამგვარი დახასიათებით ისევე გაწკეპლე შენივე თავი, როგორც გოგოლისეულმა უნტეროფიცრის ქვრივმაო.

კიდევ ბევრი საყვედური მითხრა, ყველა სად გავიხსენო.

ის რატომ აღარ გახსოვს-მეთქი, — ჩემი მხრივ ვუსაყვედურე, — ილიაზე რაც კარგი და აღმატებული სიტყვა მითქვამს?!.

და გადმოვუღე „განთიადის“ 1915 წლის მე-13 ნომერი, რომელშიც ვიხსენებდი, თუ როგორ ვეწვეოდით ილიას მე და ნიკო ხიზანაშვილი კვირაში ერთხელ მაინც. და ილია როგორ დაიწყებდა თავის შესანიშნავ საუბარს კახურ კილოზე...

და იპოლიტე ყელში მეცა:

ილიას მეტყველების კილო ქართლური უფრო იყო, ვიდრე კახურიო.

მთავარი ეს ხომ არ არის, არამედ — ნიკო და მე რომ ვუსმენდით მას დატყვევებულნი. ღმერთო შეგცოდე, მერიდებოდა, არ დავღალო ეს იშვია-

თი მასპინძელი-მეთქი. შუაღამისას წამოსვლას დავაპირებდით, მაგრამ ილია ოდნავ დამცინავი ღიმილით მეტყოდა:

— რა გგონია, ნიკო ვახშმის ეშხით არის მოსული, ვინ იცის სამზარეულოში კიდეც იყო და დასუნა იქაურობა.

დავრჩებოდით და ჰოი რამდენ ხანს — ნავახშმევს ხმასაც ავუმაღლებდით და შეგვექმნებოდა დაუსრულებელი ბაასი და თავზეც ბევრჯერ დაგვთენებია!..

ნიკო ხიზანაშვილს ხშირად უთქვამს ჩემთვისაც:

— ილია პირდაპირ წმინდა კაცია, ყოვლად უზადო და უანგარო, სრულებით არა ჰგავს ჩვენებურ მოღვაწეებს.

და ამ ყველაფრის პასუხად იპოლიტემ:

ამიტომაც მეჩვენება გაუგებრობად შენი დამოკიდებულების ასეთი მკვეთრი ცვლილებაო.

იმას ყველა იმ სტრიქონს ხომ არ წავუკითხავდი, ილიას დიდი პატივისცემით რომ ვიხსენიებდი, თქვენ კი ერთ ამონარიდსაც გაგაცნობთ.

— ეს იყო დიდი ანალიტიკური ტალანტის, ფხიზელი და ძლიერ დინჯი, სულგრძელი ნიჭის პატრონი ქართველი. იგი იყო უსათუოდ თვალსაჩინო ორატორი, ყველას იმორჩილებდა მისი დიდად მეტყველი ენა და შესანიშნავი ერუდიცია. ამასთანავე ის იყო ფრიად უბრალო, სტუდენტივით გატაცებული, ბაასების დიდი მოყვარული და თავმდაბალი, სტუმართმოყვარე და პურმარილიანი კაცი.

ესეც ხომ ჩემი დაწერილია.

და კიდევ ის მობოდიშებაც:

„ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ ნამეტანი მკაცრი კრიტიკა მქონდა დაწერილი. თუმცა ის ტენდენციური ნაწარმოებია, მაგრამ აქ არის ისეთი ძლიერი მხატვრული ადგილები, რომელნიც გენიის კალმის ნაწარმოებს მოგვაგონებს-მეთქი.

გენია ვუწოდე, მეტი რაღა მექნა.

თუმც... ასე რომ ვუყურებდი და ასე ვაფასებდი, მისი კრიტიკა მართლაც რაღამ დამაწერინა?!.

„კვალელებთან“ არ უნდა მოვხვედრიყავი, არა... თორემ ხომ გაგიგონიათ: ხარი ხართან რომ დააბა, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო.

იპოლიტეს კი ჩემი მხრივ რომ ვუსაყვედურე, ასე რატომ მომდექი, შე კაი კაცო, მეგობრები არა ვართ-მეთქი?!.

სიტყვას მოუგებ თუ რა:

არისტოტელესი არ იყოს — პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ძვირფასიაო.

არა რა:

„კვალელებთან“ რა მინდოდა, თუ თავის წაგება არ მინდოდა...

სემინარიაში შევედი თუ არა, მაშინვე მოვინდომე „ივერიასათვის“ თვალი მედევნებინა. მე და ჩემი ამხანაგები რიგრიგობით ვყიდულობდით მის ნომრებს და გულმოდგინედაც ვკითხულობდით. ასე მოვახერხეთ, რომ ერთი ნომერიც აღარ გამოგვრჩენია.

ჯერ კიდევ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში ყოფნისას ვნატრობდი ჩემს ამხანაგებთან ერთად გავცნობოდი ამ გამოცემას, რომელსაც ძალიან გვიქებდა ჩვენი მასწავლებელი ნიკო ჭარაია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზეც რომ გველაპარაკებოდა და მისი „დიმიტრი თავდადებული“ სულაც ზეპირად დაგვასწავლა.

ამ გაზეთის კითხვას რომ შევუდექით, ვერ ვიტყვი, რომ თავიდან არ გაგვძნელებოდეს მასში გარკვევა, არ ვიყავით მანამდე წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვას ჩვეულნი, მაგრამ თანდათან კი შევეჩვიეთ და ბოლოს ისე გაგვიტკბა, რომ მოთხოვნილებადაც გადაგვექცა.

მის იდეურ მიმართულებაში როგორ ვერკვეოდით?

თავიდან აბა ჯეროვნად როგორ შევითვისებდით, მაგრამ მოწინავე წერილების ყოველი სიტყვა და ფრაზა ჭეშმარიტებად მიგვაჩნდა. და ეს იმიტომ, უფროსმა ამხანაგებმა რომ გვითხრეს: ეს წერილები ილიასიაო.

რარიგ ვოცნებობდი, ოღონდ შორიდან მაინც მომეკრა მისთვის თვალი. და აი მოწაფეებში ხმა გავრცელდა:

მალე მოხდება თბილისის თავადაზნაურთა ბანკის რწმუნებულთა ყრილობა და ამ ყრილობაზე ოპოზიცია ძმების — ივანე და მიშო მაჩაბლების მეთაურობით — ილიას ბრძოლას გაუმართავს და სურს მისი გაშავებაო.

ივანე და მიშო, ერთი გვარის გამოისობით, ძმები გვეგონნენ.

მარტო მე კი არა, სხვა არაერთი მოწაფეც მოუთმენლად მოელოდა ამ კრებების დაწყებას ქართული თეატრის შენობაში. გაკვეთილების შემდეგ მივრბოდით თეატრში და ქანდარიდან ვადევნებდით თვალს დიდ შეხლა-შემოხლას.

ილიას წინააღმდეგ გამოვიდნენ ოპოზიციონერები. პირველად — ერთი მოსული, კარგი თვალტანადი კაცი, მიშო მაჩაბელი რომ აღმოჩნდა, კარგად, რიხიანად მოლაპარაკე. ილიას რაღაც სპეციალურ საკითხებში სდებდა ბრალს, ამტყუნებდა.

ისე დარწმუნებით ლაპარაკობდა, შევფიქრიანდი, ვაითუ ილია მართლა მტყუანი იყოს-მეთქი. ოოო, ეს კი ჩემთვის, მისი უაღრესი პატივისმცემელისათვის, დიდად სამწუხარო იქნებოდა.

შემდეგ გამოვიდოდა რამდენიმე ჩოხოსანი, ერთ-ერთზე მითხრეს, დიასამიძეაო, და ილია, როგორც ბანკის ხელმძღვანელი, მოურიდებლად გააკრიტიკეს.

ბოლოს გამოვიდა ივანე მაჩაბელიც.

იგი ნანახი მყავდა ერთხელ ქუჩაში — აკაკი წერეთელთან ერთად მიმავალი.

მშვენივრად ლაპარაკობდა ვანო, მაგრამ ეტყობოდა, რომ ძალზე ნერვიულობდა და ჩქარობდა. ილიას დაუზოგველად ამხელდა და რაღაც-რაღა-

ცებში ბრალსაც სდებდა. გამოგიტყდებით, უსიამოვნოდ ვუსმენდი, ვგრძნობდი, რომ აჭარბებდა და ცდილობდა გარეგნული ეფექტით მოეხდინა შთაბეჭდილება მსმენელებზე. ბევრი კი ილაპარაკა და როდესაც სიტყვა დაამთავრა, დამსწრეებში აქა-იქ ტაშიც გამოიწვია.

ჰოი რა გულისფანცქალით მოველოდი ილიას გამოსვლა. ძლიერ მაინტერესებდა, როგორ გაიმართლებდა თავს იმ ბრალდებისაგან, რომელსაც მიაწერდნენ. თანაც ვშიშობდი, ვაითუ ამ ბრძოლაში დამარცხებულიყო.

და აი გამოვიდა ილია — დინჯად, აუჩქარებლად. ლაპარაკი დაიწყო წყნარად, მერე თანდათან მოუმატა ხმას; მარჯვენა ხელის ცერი სერთუკის ღილებში ჰქონდა გაყრილი, მარცხენათი იშვიათად და ისიც ძუნწი რხევით აკეთებდა ჟესტიკულაციას.

ჩემი პატარა და ჯერაც განუვითარებელი გონებითაც ვატყობდი, რომ ილია დიდი დამაჯერებლობით ლაპარაკობდა და მსმენელებზე ღრმა შთაბეჭდილებასაც ახდენდა.

ამიტომაც დააჯილდოვა მისი გამოსვლა მქუხარე ტაშით დამსწრე საზოგადოებამ.

და მეც, პატარა სემინარიელი, აღტაცებული დავბრუნდი „ბურსაში“ და ამხანაგებს ვახარე ილიას უდიდესი გამარჯვება. არსებითად, პრინციპულად ვინ იყო მართალი, მაშინ ეს მე არ მაინტერესებდა. ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ჩემმა ფალავანმა გაიმარჯვა!..

რამდენიმე ათწლეულის შემდგომ რომ გაიხსენებდნენ ხოლმე ილიას ამ ისტორიულ გამოსვლას, დამსწრენი ერთხმად ამბობდნენ:

— ილიამ სასტიკად გაანადგურა თავისი განსაცვიფრებელი ლოგიკით ოპოზიციის ყველა საბრალდებოდ დებულება.

განსაკუთრებით მაინც დამამახსოვრდა გიგა ყიფშიძის ერთი შედარება:

— ილიას ულმობელი ლოგიკა ისე ეცემოდა ოპოზიციის ფაქტებსა და საბუთებზე, როგორც ვეებერთელა ურო გრდემლზე, და შეუბრალებლად ანადგურებდა და ნამცეცებად აქცევდა მათ.

მაშ არადა!..

მერე იყო და:

სემინარიის მოწაფეებმა 1893 წლის დეკემბერში გადავწყვიტეთ გაფიცვა მოგვეწყო. მიზეზი რა იყო? მოვითხოვდით — და ეს გახლდათ მთავარი პუნქტი — სემინარიაში ქართული ლიტერატურის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის, როგორც სრულუფლებიანი საგნების, შემოღებას.

დავწერეთ პეტიცია, რომელშიც დიდი დამაჯერებლობით დასაბუთდა ჩვენი მოთხოვნა. როდესაც ვითათბირეთ, წინდაწინ ვისთვის გვეჩვენებინა ეს პეტიცია, ვისთვის შეგვემოწმებინა ჩვენი მოთხოვნის სამართლიანობა, ერთხმად გადაწყდა — ამოგვერჩია დეპუტაცია და ჩვენი პეტიცია ილიასათვის მიგვეტანა.

როგორც დაბრუნებულმა ამხანაგებმა გადმოგვცეს, ილიას დაკვირვებით წაეკითხა პეტიცია, მოეწონებინა მოთხოვნის დასაბუთება და ეთქვა:

— თქვენი მოთხოვნა მეტად სერიოზული, საშვილიშვილო და ეროვნული საქმეა. მთავრობა ადვილად, უბრძოლველად არ დაგითმობთ. უეჭველია ამ

ბრძოლას მსხვერპლიც მოჰყვება, მაგრამ რა გაეწყობა, ამას უნდა შეგნებულად შეურიგდეთ.

და დაერიგებინა:

— გაფიცვა უსათუოდ მშვიდობიანად, უექსცესოდ ჩაატარეთ.

სემინარიელებმაც ზუსტად შევასრულეთ ილიას რჩევა — გაფიცვის დროს არ მომხდარა არავითარი აურზაური, ხმაურობა, სიმთვრალე, ადმინისტრაციის წევრების შეურაცხყოფა. დანესებულ დროს უკლებლივ ვესწრებოდით საღამოსა და დილის ლოცვებს, თავის დროზე ვსადილობდით და ვვახშმობდით სრულებით დაწყნარებულად. ხუთ საათზე, როგორც დადგენილიყო, ვცხადდებოდით სემინარიაში.

ამ გაფიცვას მცირე მსხვერპლი არ მოჰყოლია:

გარიცხეს 83 მოწაფე.

მაგრამ ცოტა დაგვიანებით კარგი ნაყოფი კი მოიტანა:

სემინარიაში შემოიღეს ქართული ლიტერატურის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის სწავლება.

ილიამ თავის რედაქციაში მიიღო გარიცხული სემინარიელები: ილია აგლაძე და იაკობ ცინცაძე, ია ეკალაძის ფსევდონიმით რომ წერდა.

საერთოდ ილია აფასებდა ყოფილ სემინარიელებს მათი შრომისმოყვარეობისათვის, ქართულის კარგი ცოდნისა და პატრიოტიზმისათვის. „ივერიის“ რედაქციაში მუდმივ თანამშრომელთაგან თითქმის ყველა — გარდა არტემ ახნაზაროვისა — ყოფილი სემინარიელი გახლდათ: გიგა და ალექსანდრე ყიფშიძეები, ნიკო ხიზანაშვილი, სტეფანე ჭრელაშვილი, ნიკო კურდღელაშვილი, ივანე ახალშენიშვილი... და მათი დახმარებით ბევრმა სემინარიელმა დაიწყო თავისი ლიტერატურული საქმიანობა, მწერლობა. იმათგან ჯერ მარტო შიო არაგვისპირელისა და იროდიონ ევდოშვილის გახსენება რად ღირს.

ჯერ კიდევ სემინარიის მოწაფე ვიყავი, „კვალმა“ და მისმა რედაქტორთანამშრომლებმა პოლემიკა რომ გაუმართეს ძველ თაობას და ნიშანში ამოიღეს „ივერია“.

ეს ბრძოლა განსაკუთრებით რომ გაღრმავდა და გაძლიერდა 1896-97 წლებში, მე მაშინ ყაზანის სასულიერო აკადემიის სტუდენტი გახლდით და, როგორც ილიას თაყვანისმცემელი, იქიდან აქტიურად ჩავები პოლემიკაში და რამდენიმე წერილიც მოვათავსე „ივერიაში“.

1899 წელს აკადემია რომ დავამთავრე, ვაპირებდი გამომეველო თბილისში და ისე წავსულიყავი სოფელში რამდენიმე თვით დასასვენებლად. პირველივე დღეს შემხვდა ვანო ახალშენიშვილი, თქვენ იგი იმით გეცოდინებათ, ნიკოლაი გოგოლის „ტარას ბულბა“ რომ აქვს მშვენივრად ნათარგმნი. ისე პუბლიცისტურ წერილებსაც წერდა და არასოდეს დამავიწყდება მისი ზედმიწევნით ორიგინალური ფელეტონი: „რისთვის უყვარს ქართველ გლეხს რუსის ფარაჯა“.

ვანოს დანახვა ძლიერ გამეხარდა, მაგრამ გული დამწყდა, რომ ეს ჯმუხი, ჯანმრთელი ადამიანი პეტერბურგის საზიზღარ ჰაერს დაეავადებინა. ძალზე გამხდარიყო და რაღაც საეჭვოდ ახველებდა. შემდგომ მას მართლაც ჭლექი გამოაჩნდა, რამაც იმსხვერპლა კიდეც.

ვანომ ბევრი თბილისური ამბავი მომიყვა. არ გამკვირვებია, რომ იგი ამხანაგური სიყვარულით ადევნებდა თვალყურს ჩემს პოლემიკური წერილებს. მომიწონა პოლემიკური ტემპერამენტი და გადმომცა „ივერიის“ რედაქციიდან გამოსული ხმები, რომ ილიას ჩემი წერილები მოსწონდა თურმე, პირადად თვითონ კითხულობდა და შეუმოკლებლადაც ბეჭდავდა.

გადმომცა ისიც, რომ: ილიას არტემ ახნაზაროვისათვის დაევალებინა, შეეტყო, როდის ვიქნებოდი თბილისში, და აუცილებლად მივეყვანე მასთან.

ილია აფასებდა არტემის ერთგულებასა და მკვირცხლ მუშაობა-საქმიანობას. მე იგი ილიას მარჯვენა ხელიც კი მგონია სარედაქციო საქმეებში. და ეს ფხიანი და საინტერესო კალმოსანი ღირსიც გახლდათ ილიას ყურადღებისა და ნდობისა.

არტემი ბოლომდე, სიკვდილამდე დარჩა ილიას ერთგული და თაყვანისმცემელი და მისი მადლიანი აზრებითა და განცდებით ცოცხლობდა და სუნთქავდა. ილიას გულკეთილობამ, მისმა მამობრივმა მზრუნველობამ, ადამიანის პირადი ღირსებისა და არა შთამომავლობის დაფასებამ წარმოშობით სომეხი ახნაზაროვი სულითა და გულით ნამდვილ ქართველ მოღვაწედ გახადა.

ილიას ამ დავალებასაც არტემი ჩვეული ერთგულებით შესდგომოდა, შეეკრიბა ცნობები, თუ როდის თავდებოდა სასულიერო აკადემიაში გამოცდები და დაახლოებით როდის უნდა წამოვსულიყავი ყაზანიდან. დარწმუნებული იყო, რომ უსათუოდ თბილისში უნდა გამომეველო, მოგზაურობის რომელი მარშრუტიც გინდა ამერჩია.

კიდეც მომძებნა პირველ დღესვე და ილიასთან მისვლა დამავალა.

დილით ათ საათზე კიდეც ვესტუმრე „ივერიის“ რედაქციას, სადაც არტემის გარდა დამხვდნენ: ილია აგლაძე, იაკობ ცინცაძე და გრიგოლ ყიფშიძე, რომელმაც ჩვეული გულთბილობით ჩამომართვა ხელი და დაუყოვნებლივ ქათინაურითაც გამიმასპინძლდა:

— ბატონ ილიას ძალიან მოსწონს თქვენი წერილები, ყველას თვითონ კითხულობდა და შეუმოკლებლად გვაბეჭდინებდა.

შევედით თუ არა ილიას კაბინეტში, არტემმა სიცილით მიმართა:

— აი, ბატონო ილია, ის ყმაწვილი, რომლის მოძებნაც, დაჭერაც და მორთმევაც დამავალეთ; ჩამოსვლისთანავე თავს დავესხი, დავიჭირე და მოგართვით.

— კარგი, კარგი! გეყოფა ცუღლუტობა, — ღიმილით უთხრა ილიამ, წამოიწია და ხელი ჩამომართვა.

რა გასაკვირია, რომ გავწითლდი და ვერც მღელვარება დავიოკე, რადგანაც პირველად გავეცანი და ხელი ჩამოვართვი ადამიანს, რომელიც საქართველოს უდიდეს შვილად ითვლებოდა.

ხუთი-ექვსი წლის წინათ ბანკის ერთ-ერთ კრებაზე რომ ვნახე, გამოცვლილი არ მეჩვენა, თითქოს იგივე კოსტუმიც კი ეცვა, რაც მაშინ.

რა დამავიწყებს იმ სიტყვებს, ილიამ რომ მითხრა:

— არ მოგეფერებით. თქვენი წერილები მე მომწონს. გეტყობათ გულწრფელობა, ტემპერამენტი, არა ხართ საკომპრომისოდ განწყობილი, გაბედუ-

ლად მსჯელობთ... ჩემს აზრს თქვენს შესახებ უფრო დაწვრილებით გიგა გეტყვით; მე მასთან რამდენჯერმე მქონდა ლაპარაკი თქვენზე. გირჩევთ განაგრძოთ წერა... ხომ დაამთავრეთ აკადემია? მომავალში რას აპირებთ? სად გინდათ იმუშაოთ.

მივუგე რომ, მინდოდა სადმე საქართველოში მეშოვნა სამსახური, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იყო ჩემთვის:

— საერთოდ ქართველებს, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, იშვიათად აძლევენ ადგილს საქართველოში. მე კი ცოტა არ იყოს აქაური უფროსების ნდობა მაკლია. დარწმუნებული ვარ, რომ უარს მეტყვიან და იძულებული ვიქნები სადმე რუსეთში წავიდე.

— არა, არა! — მტკიცედ მომმართა ილიამ, — ეცადეთ საქართველოში დარჩეთ. რა უნდა გააკეთოთ რუსეთში? შეიძლება სამუდამოდ მოწყდეთ მშობლიურ ნიადაგს!

შეპირებით არას შემპირებია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეცადა ეგზარხოსთან მოლაპარაკებას, მაგრამ მისი თხოვნა უშედეგოდ დარჩა. იმ ყურადღებისათვის მე მაინც უაღრესად მადლობელი ვარ მისი.

1900 წელს ერთი მოზრდილი წერილი დავწერე და „ივერიაში“ გავაგზავნე. განვლო ორმა კვირამ, თვემ და... წერილი არ დაბეჭდილა. ცოტა არ იყოს გამიკვირდა, მაგრამ ვიფიქრე, რომ შესაძლოა ფოსტაში დაკარგულიყო. ანდა სადღეისოდ ვერ ეცნოთ რედაქციაში და ამისათვის გადაედოთ.

განვლო წელიწადმა, შემდეგ რამდენიმე ათეულმა წელმაც და სრულებით გადამავიწყდა ჩემი ის წერილიც და მისი სათაურიც.

და აი 1939 წელს გამოცემულ „ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კრებულში“ პაატა გუგუშვილის წერილს რომ გავეცანი — „ივერია“ ცენზურის რკალში“ — იქ ამოვიკითხე:

— 1900 წელს „ივერიისათვის“ აკრძალულ წერილთა შორის აღსანიშნავია: „თანამედროვე პროგრესი და სიღარიბე“, იპოლიტე ვართაგავასი, ვრცელი ფელეტონი, უნდა დაბეჭდილიყო 16 ოქტომბრის ნომერში.

ამ პატარა ცნობის წაკითხვამ მე ერთხელ კიდევ მაგრძნობინა უღრმესი სიყვარული და პატივისცემა ილიასადმი. ცოცხლად დამიდგა თვალწინ მისი მეტყველი თვალები და მაღალ შუბლზე აღბეჭდილი უსიამოვნება და წყენა იმის გამო, რომ შეატყობინეს:

— „ივერიის“ ნომრისათვის უკვე აწყობილი და დაბეჭდილი ფელეტონი იპოლიტე ვართაგავასი ცენზორმა აკრძალა და ამოიღო.

და მე, უკვე მოხუცებულმა, ამ წუთში ვიგრძენი და განვიცადე ხელმეორედ ის კრძალულება და მოწიწება ილიას ხსოვნისადმი, რაც გამოვცადე 1899 წელს, ახალგაზრდობისას.

ჰოი რა გადამდგარი იყო ილია ახალგაზრდობისათვის და როგორ ზრუნავდა მათ აღზრდა-ჩამოყალიბებაზე. და როგორი შორსმჭვრეტელობით ამზადებდა საქართველოსათვის დიდსა და პატარას — კულტურის დარგში მომუშავე კადრებს.

ეს ამბავი იპოლიტე ვართაგავასთვისაც მაქვს მოყოლილი, ისე მოეწონა, ნებართვა მთხოვა: სადმე გამოვიყენებო. ეგებ კიდეც გამოიყენა, ყოველ შემთხვევაში რაკიღა შეწუხდით ჩემთან მოსასვლელად, გაწბილებულები როგორ გაგიშვათ და თქვენც გიამბობთ:

ჯერ კიდევ სტუდენტობისას ნატვრად გადამქცეოდა ილიას გაცნობა, არამცთუ გაცნობა, მის წრეში შინაურ კაცად ყოფნა. ისე აგიხდეთ ყველა ოცნება, როგორც მე ეს ნატვრა ამიხდა. თბილისში რომ მომიწია ცხოვრება სასამართლო უწყების პატარა მოსამსახურედ, მაშინ დავუახლოვდი ილიას. მისადმი უსაზღვრო სიყვარული რომ იგრძნო, კიდეც მიმიკრა გულზე და შაქროს მეძახდა, შინაურულად. და საშუალება მქონდა ყოველ ხუთშაბათს დავსწრებოდი მის „ურფიქსებს“.

მაშინ იყო, სოფლიდან რომ ჩამოვიდა ერთი ახალგაზრდა, რომანოზ ფანცხავა. დიახ, დიახ, შემდგომ ხომლელის ფსევდონიმით რომ წერდა კრიტიკულ სტატიებს. შეიტყო, ილიასთან დაახლოებული რომ ვიყავი და მთხოვა, მიმეყვანა მასთან, რათა გაეგო ილიას მოსაზრება მისი ერთი კრიტიკული წერილის თაობაზედ.

დავპირდი, კიდეც მოვინახულე ილია და გადავეცი რომანოზის თხოვნა, ის სიამოვნებით რომ დამთანხმდა, ოღონდ დასძინა:

– შენც მოყევი.

ვესტუმრეთ საღამოს 9 საათზე მის კაბინეტში და რომანოზმა აუწყა, კრიტიკული განხილვა დავწერე გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაზეო.

– წამიკითხეთ, ყმაწვილო, – შესთავაზა მასპინძელმა.

რომანოზმა კითხვა რომ დაიწყო, ილია ყურადღებით უსმენდა და ხანგამოშვებით რაღაცას წერდა ბლოკნოტში. და როდესაც რომანოზმა კითხვა გაათავა, ილიამ სთხოვა:

– დავისვენოთ ცოტა, შემდეგ ჩემს აზრს გეტყვით.

და ხუთი წუთის დასვენების მერე გვითხრა:

– ავტორს უცილოდ ეხერხება მხატვრული ნაწარმოების ანალიზი, დამაჯერებლად მსჯელობს, საერთოდ ეტყობა ნიჭი ჭეშმარიტი კრიტიკოსისა, მაგრამ ამავე დროს ძირითადად ცდება გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების შეფასებაში.

მიზეზიც არ დაუფარავს რომანოზისათვის:

– გეტყობა პისარევის შეხედულების აშკარა ზეგავლენა.

შემდგომ თვითონვე დაიწყო გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების დახასიათება. ამასთან დაკავშირებით გველაპარაკა ევროპის რომანტიკოსებზე, მათ შემოქმედებაზე. ვრცლად შეეხო ბაირონს, გოეთეს, ჰიუგოს, რუსეთის მწერლებს...

გატაცებით ლაპარაკობდა და კაბინეტში მიდიმოდიოდა.

ეს იყო ნამდვილად არა ლექცია, არამედ ვრცელი მოხსენება საერთოდ ხელოვნებისა და კერძოდ თვითეული მწერლის შემოქმედების შესახებ.

როგორ არ გამეგონა ილიას დიდ ერუდიციაზე, მაგრამ რაც იმ საღამოს მოვისმინე, პირდაპირ გამაკვირვა. სწორედ არ მოველოდი, რომ ილია ასეთი ღრმა მცოდნე ყოფილა ევროპის, რუსეთისა და ქართული ძველი და ახალი ლიტერატურისა.

არც იმას მოველოდი, რომ ილია, ერთ დროს გრიგოლ ორბელიანის გამკრიტიკებელი და მოწინააღმდეგე, ასე ობიექტურად, მიუდგომლად და სიყვარულით დააფასებდა მის პოეტურ შემოქმედებას და ასეთ დიდ ადგილს დაუთმობდა მას ქართულ ლიტერატურაში.

მე და რომანოზი თითოოროლა სიტყვას თუ ჩავურევდით ამ გაბაასების დროს, ისე კი თვითონ ილია გატაცებით მსჯელობდა, სახე უბრწყინავდა და ოდნავ დაქანცულობა ეტყობოდა. და ჩვენც სულგანაბული ვუსმენდით ამ უხარისხო და უკათედრო მსოფლიო ლიტერატურის პროფესორს. მე მყავდა და მომისმენია უნივერსიტეტის ზოგიერთი ნიჭიერი პროფესორისათვის, მაგრამ ჩემზე ასეთი ღრმა შთაბეჭდილება არ მოუხდენიათ, როგოც მეოთხე კურსიდან გამოსულ პატარა ერის პატარა რედაქციის ხელმძღვანელს.

როდის-როდის ილიამ შეწყვიტა თავისი ლექცია-საუბარი.

გავიხედეთ და... უკვე თენდებოდა.

– დაგღალეთ განა? — ღიმილით გვითხრა და გამოგვემშვიდობა.

ჩვენ მივდიოდით და ხმას არ ვიღებდით, მოვდიოდით როგორც... როგორც მოჯადოებულნი.

შემდგომ რომანოზს ჩემთვის რამდენჯერმე უთქვამს:

– იმ საღამოს ილიას ხუთ-ექვსსაათიანმა ლექციამ ძირიანად შემიცვალა მსოფლმხედველობა და განსაზღვრა ჩემი, როგორც კრიტიკოსის, მოღვაწეობა.

– ეგეთი ბედი, მოესმინა ილიას ხუთ-ექვსსაათიანი ლექცია, განა რამდენ ადამიანს ერგებოდა, — მითხრა იპოლიტემ შემონატრებით.

მართლა და...

ვასილ წერეთელი

ნიკო ხიზანაშვილთან ვიყავით სტუმრად, ცხარე კამათი რომ გაიმართა სოციალიზმისა და ხალხოსნური პროგრამის პრობლემათა გარშემო. კამათში ილიაც ჩაერია და სტეპკო ჭრელაშვილთან ერთად იცავდა ხალხოსნურ პროგრამას მარქსიზმის წინააღმდეგ. მარქსიზმს კი მე და რომანოზ ფანცხავა ვიცავდით, დიახ, თქვენ ხომლელის ფსევდონიმით რომ იცნობთ.

ილია ამტკიცებდა:

– ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების დედაბოძი გლეხობაა და პოლიტიკური ცხოვრების დედაბოძიც გლეხობა იქნება.

იმ სუფრაზე დავამახსოვრდი და მასპინძელს სთხოვა, მივეყვანე მასთან, რათა გაზეთის თანამშრომლად მიეღე. ვეახლებოდით. მარტო დაგვხვდებოდა და მაშინვე დამიწყებდა საუბარს ეკონომიკური საკითხების ირგვლივ.

ნიკომ საყვედურით მიმართა ილიას:

– შენ, როგორც რედაქტორს, დიდი დანაშაული მიგიძღვის, რადგანაც ყველა ნიჭიერი მწერალი ჩამოიშორე და აღარავინ დგას შენს გვერდით. რატომ უნდა ჩამოგეშორებინა დავით კეზელი ანდა ილია ბახტაძე, – და მე გადმომხედა, – ეგ იგივე ხონელია.

ილია დაიღრიალებდა, როგორც ფაფარაშლილი ლომი:

– კეზელი დიახაც ჩამოვიშორე, რადგანაც ის ისეთი კაცია, თუ დასჭირდა, დაგაბეზღებს. რაც შეეხება ხონელს, მას აქვს მცირე ღირებულების იუმორი რუსულ ენაზე, ქართულად კი ეს ღირსებაც აკლია.

რატომ უნდა დაედო ილიას კეზელისათვის ასეთი საშინელი ბრალი?

ალბათ იმიტომ, რომ დავით კეზელი პირში მთქმელი, შეუპოვარი, დამოუკიდებელი ხასიათის კაცი იყო და არავის წინაშე ქედს არ მოიხრიდა, გაზეთის თანამშრომლები კი სიტყვის შეუბრუნებლად ემორჩილებოდნენ ილიას.

იგი არ ყოფილა ორგანიზატორი... კამათს ნუ გამიმართავთ, მე ჩემსას მოგახსენებთ და გნებავთ დამიჯერეთ და გნებავთ – არა. მისი დიდი ღირსება ის გახლდათ, რომ თაყვანისმცემელი იყო ჰუმანიტარული პრინციპებისა. არცერთი ქართველი მწერლისაგან არა მსმენია ისეთი აღფრთოვანებული მსჯელობა ადამიანის პიროვნების პატივისცემის გარშემო, როგორც ილიასაგან. ერთხელ მასთან სტუმრობისას განგვიმარტა ნამდვილი არისტოკრატის რაობა:

– ვისთანაც ყოველი პიროვნება, რაც გინდა დაბლა იდგეს სოციალურ საფეხურზე, კაცად, თანასწორი ღირებულების ადამიანად გრძნობს თავს.

და თვითონ ილია გახლდათ ნამდვილი არისტოკრატი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

შინ, თავის სახლში, სტუმრებთან, ვინც უნდა ყოფილიყვნენ, თავმდაბალი, პატივისმცემელი და მომხიბვლელი მოსაუბრე იყო. რედაქციაში ცივი და მიუკარებელი ილია ოჯახში სულ სხვად გადაიქცეოდა ხოლმე. ვერ გეტყვით, რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი, მაგრამ რომ არ აღმენიშნა ის გარდასახვა, გული არ მომისვენებდა.

ილიას სააღდგომო ვახშამსაც დავსწრებივარ. ჯერ ვისაუბრეთ სხვადასხვა თემებზე და შუაღამისას მივუსხედით სუფრას, რომელიც გადავსებულიყო საჭმელ-სასმელით, სულო და გულო, რასაც ინატრებდი.

ვახშმობის დაწყებამდე ილია წამოდგა და დაიწყო საეკლესიო გალობა „ქრისტე აღსდგა“. ჩვენც ავყევით და სამჯერ გავიმეორეთ, თუმც ვერ ვიტყვი, რომ მუსიკალურად კარგად ვიყავით შეწყობილნი.

ვახშმობისას დროგამოშვებით გვიკითხავდა აღდგომის სადიდებლად შედგენილ ძველ საგალობლებს და აქებდა მათ პოეტურ გამოთქმებსა და ენას.

სხვათა შორის ჩამოვარდა ლაპარაკი ვაჟა-ფშაველას პოეზიის შესახებ.

რომანოზ ფანცხავამ თქვა:

– ვაჟა არც ისე დიდია, როგორც ზოგიერთი ფიქრობს.

ხომლელის შეხედულების გასაქარწყლებლად ილიამ წააკითხა გიგა ყიფშიძეს ვაჟას პოემა „გოგოთურ და აფშინა“ და ამ დეკლამაციისას ილია კიდეც ხმამაღლა კისკისებდა აღფრთოვანებით და გაიძახოდა:

– გენიალურია, გენიალური!..

კითხვის დასრულების შემდეგ კი გვითხრა:

– მართალია აქ უბრალო, მარტივი, პირველყოფილი ცხოვრების ამბებია მოთხრობილი, მაგრამ ისეთივე შეუდარებელი ოსტატობით, როგორც ამგვარივე ამბები „ილიადაში“.

ერთ საღამოს ილია შესჩივლებდა ნიკო ხიზანაშვილს, თავის გულის მესაიდუმლეს:

– ცუდად არის საქმე, ვაითუ ჩვენი ბედი კვლავ უკუღმა დატრიალდეს, ცუდ ნიშნებს ვხედავ.

ნიკო შეეცდებოდა მის ნუგეშისცემას:

– მე ვფიქრობ, რომ პირიქით, საქმე კარგად მიდის. ხომ ხედავ, რომ დემოკრატია გამოდის საზოგადოებრივ ასპარეზზე, მაშასადამე უფრო ინტენსიური საზოგადოებრივი მოძრაობა გაჩაღდება.

– საქმე ის არის, – მიუგებდა ილია, – სწორედ დემოკრატიიდან გამოსული ჩვენი ნახევრად ნასწავლი ინტელიგენცია არ არის საიმედო.

რა არის, იცით?

ამას ილია ამბობდა 1889 წლის დამლევსა თუ 1890 წლის დამდეგს, როდესაც არცერთი სოციალისტური ორგანიზაცია არ ყოფილა საქართველოში ჩამოყალიბებული.

რას უნდა გამოეწვია ილიას ასეთი უიმედობა? რატომ უნდა ჰგონებოდა, რომ ჩვენი საქმე ცუდად მიდიოდა?

ჩემი არ იყოს, თქვენც გეხსომებათ ერთ პუბლიცისტურ წერილში რასაც ჩიოდა:

საქართველოში ყველა წოდება და კლასი, თავადია, ვაჭარი, გლეხი, ხელოსანი თუ მუშა, ერთგვარად დაჩაგრული და უუფლებოაო.

და განა მთელი მისი პუბლიცისტიკა გოდება არ არის ქართველი ერის ჩაგვრისა და დაბეჩავების გამო იმპერიალისტურ-კოლონიალური პოლიტიკის მეშვეობით?

ილიას ისე ესმოდა გამოფხიზლებული საქართველოს მომავალი საზოგადოებრივი მოძრაობა, როგორც გაერთიანებული ეროვნული ფრონტის ბრძოლა იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ.

და სწორედ ასე უნდა გავიგოთ მისი „დედა და შვილის“ იდეაც.

მაგრამ 80-90-იანი წლების მიჯნაზე მან დაინახა ეროვნული მთლიანობის გათიშვის ნიშნები. ამის დანახვა კი მაშინ უკვე ძნელი აღარ ყოფილა, რადგანაც ხალხოსნური ლიტერატურა და მარქსისტული ახალთაობის წარმოშობა – გიორგი ზდანოვიჩი და მისი ჯგუფი იქნებოდა თუ „თეატრის“ თანამშრომლები და მათი მიმდევრები – ახალი მიმართულების მომასწავებელი გახლდათ.

და ილიამ სცადა გაეერთიანებინა ქართველი ერი ეკონომიკურ ნიადაგზე.

დაისახა მიზნად, რომ თავადაზნაურთა მიწები, რომელთაც ბანკი ჰყიდდა ვალების გადაუხდელობის გამო, ვაჭრებს არ ჩავარდნოდა ხელთ და გლეხობას დარჩენოდა. ამ მიზნით დააარსა ბანკთან ერთი განყოფილება, რომელსაც ალექსანდრე ყიფშიძე ჩაუყენა სათავეში. მაგრამ რაკიღა ილია სუსტი ორგანიზატორი გახლდათ – მხოლოდღა მოაზროვნე – ბანკის ეს განყოფილება ამიტომაც ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოიღებდა.

ილიას არავითარი ორგანიზაცია არ დაუარსებია ეროვნული ფრონტის შესაქმნელად. ორგანიზატორობა მისი საქმე რომ ყოფილიყო, საამისოდ აუცილებლად გამოიდებდა თავს. ბოლოდაბოლოს მაშინ მაინც გამოფხიზლდებოდა, როდესაც მესამე დასი ანუ ქართული სოციალ-დემოკრატია დაიწყებდა და მალევეც გაშლიდა მუშაობას.

ხოლო როდესაც შეიქმნებოდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რომელიც თავის პროგრამაში შეიტანდა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნას, ილია ამ პარტიის ხელმძღვანელს გიორგი ლასხიშვილს გულისტკივილით გადასცემდა თავის გაზეთს.

გულისტკივილით რატომ?

იმიტომ, რომ ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხში არ ეთანხმებოდა სოციალისტ-ფედერალისტებს. მეტადრე ეროვნულ ავტონომიას არ მიიჩნევდა საბოლოო იდეალად, არადა ეს პარტია უფრო შორს არ მიდიოდა.

ამას რაზე დაყრდნობით მოგახსენებთ?

უსაბუთოდ არც აქამდე მითქვამს არაფერი და არც ახლა ვაპირებ.

თუ არ გსმენიათ, გამოიკითხეთ და დამიდასტურებთ, რომ:

პირველი რევოლუციის დროს ილიამ ხელი არ მოაწერა ინტელიგენციის მიერ შედგენილ პეტიციას, რომელიც თავადაზნაურობის დეპუტატთა კრების სახელით უნდა წარედგინათ რუსეთის სათათბიროსათვის. ეს პეტიცია მოითხოვდა საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭებას, ილია კი სეპარატისტი გახლდათ.

ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ გიორგი ლასხიშვილის ხელში „ივერია“ უკვე ცოცხალი გაზეთი შეიქნა, რომელიც ყოველ ნომერში ეხებოდა საჭირვარამო ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებს და აწარმოებდა ბრძოლას მოპირდაპირე ორგანოებთან.

რამდენადაც პირადად ვიცნობდი ილიას და მის პუბლიცისტურ მოღვაწეობას, დაბეჯითებით შემიძლია მოგახსენოთ:

იგი გახლდათ ლიბერალური დემოკრატი.

იდეალად ესახებოდა, რომ ქართველი გლეხი შეძლებული გამხდარიყო და თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის წინააღმდეგობა გამქრალიყო ეკონომიკურ ნიადაგზე.

იდეალად ესახებოდა, რომ გლეხსა და ყოფილ თავადსა და აზნაურს თანასწორი უფლებები ჰქონოდათ ადგილობრივ თვითმმართველობასა და საკანონმდებლო დაწესებულებაში.

უმთავრეს იდეალად კი ესახებოდა დამოუკიდებელი საქართველო და ამ მიზნისათვის საჭიროდ მიაჩნდა ეროვნული ფრონტის შექმნა.

და ვიდრე ეს იდეალი ხორცს არ შეისხამდა, აუცილებლად უნდა შენელებულიყო კლასთა შორის შინაგანი ბრძოლა.

ერთი სიტყვით ყველაფერი მსხვერპლად უნდა შეწირვოდა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეალს.

სწამდა თუ არა სოციალიზმი?

რამდენადაც მისი საუბრები მომისმენია, პრინციპულად სწამდა სოციალიზმი, რატომაც არა, მაგრამ ჩვენს პირობებში ნაადრევად მიაჩნდა მისი დამკვიდრება.

მისი მთავარი ღირსება როგორ შეიძლება შეფასდეს?

როგორ და:

ილია გახლდათ შეურიგებელი მტერი ბიუროკრატიულ-იმპერიალისტური რეჟიმის, ერის კოლონიური ჩაგვრისა და დაბეჩავების, ეროვნული პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად გაერთიანებული ეროვნული ფრონტის შექმნის მოწადინე მწერალი ანუ – დიდი პატრიოტი და დიდი მოაზროვნე.

კინაღამ დაგემშვიდობეთ, არადა ის ეპიზოდი რომ არ გიამბოთ, ისე როგორ იქნება. სულ რომ არაფერი ვიცოდეთ ილიაზე, ეს ამბავი რელიეფურად წარმოაჩენს მის ზნეობრივ ბუნებას და მრავალმხრივ არის დამაფიქრებელიც და გასათვალისწინებელიც.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელს რაღაცა ბრალი დასდეს. თუ დამტკიცდებოდა ეს ბრალდება, ძალიან გაუტეხდა სახელს საზოგადოების თვალში. და ერთ კრებაზე თავი მოიყარა რამდენიმე ათეულმა ახალგაზრდამ ამ პიროვნების გასასამართლებლად.

ილია წინ აღუდგა ასეთ საჯარო გასამართლებას ორი საბუთით, სავსებით დამაჯერებლითა და შეუვალით.

ჯერ ერთი:

ბრალდება კიდეც რომ არ დამტკიცდეს, უკვე საჯარო გასამართლება ანუ ბრალდების წაყენება საჯარო თავისთავად სასჯელს ნიშნავსო.

და მეორეც:

ვერასოდეს ასეთი დიდი კრება, შეპყრობილი დასობრივი გულისთქმით და შედგენილი ისეთი ელემენტებისაგან, რომელთა შორისაც ბევრი არ გამოდგება მოსამართლედ, შეუძლებელია იყოს პირუთვნელი სამსჯავროო.

და კიდეც გაიმარჯვებდა მისი აზრი.

აი ასე იცავდა ილია, ასეთი სიფრთხილითა და თავგამოდებით პიროვნების სახელსა და თავმოყვარეობას.

მის სახელს ვინ იცავდა, მის თავმოყვარეობას ვინ უფრთხილდებოდა თორემ...

ისეთიც განა რა მოხდა, თხზულებათა სერიული გამოცემა ხომ ჩვეულებრივი ამბავია?

დიახაც რომ ჩვეულებრივია, ოღონდ: იქ, სადაც კულტურა და განათლება რამდენიმე დღეს მაინც ითვლის.

ხოლო საძნელოა ყველა ჩამორჩენილ ხალხში და, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ჩვენშიც.

ამიტომაც იყო, რომ ილიას თხზულებათა გამოცემამ — ალექსანდრე აბაშელისა და პავლე ინგოროყვას მიერ — ნამდვილი სასწაული დაბადა.

არას ვაჭარბებ — ნამდვილი სასწაული.

და ეს ათი ტომი, სამწუხაროდ ჯერაც არასრული და პოეტის ბიოგრაფიას მოკლებული, იმ მაღალ კვარცხლბეკად იქცა, საიდანაც ილიას მხნე და ახოვანი სახე მთელი გონიერი საქართველოსათვის დასანახი ხდება. მას უბრუნდებიან არამარტო ისინი, რომელნიც მას უწინაც იცნობდნენ, უნახავთ და თავიანთი ქართული სული და გული მისგან აღუზრდიათ, მისი იდეური სახისაკენ მიისწრაფის მთელი ის ახალგაზრდობა, რომელნიც ცხოვრებაში მისი სიკვდილის შემდეგ გამოვიდნენ.

დამეთანხმებით: ეს სავსებით გასაგებია.

ილია ხომ თვით არის განსახიერება ახალგაზრდობის, ახალი სიტყვის, ახალი აზრის, ახალი ენერგიის!

დაუკვირდით აბა:

თითქმის ყველა მისი შესანიშნავი თხზულება, და თუ თვით თხზულება არა, მათი პირველი ვარიანტები, ესკიზები და გეგმები, დაწერილია იმ ასაკში, როდესაც ილია 22-25 წლისა გახლდათ.

მისი ის სტრიქონები განა სულაც წინასწარმეტყველურად არ გაისმის?

დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან, მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან, თქვან: აღასრულა მან თვისი ვალიო...

გაისმის, მაგრამ მაინც მგონია, რომ ილიას წინასწარმეტყველება არა სურდა, თუმც წინასწარმეტყველის ხატება დიდხანს აწვალებდა.

22 წლის ილია გოეთეს „ბედა მქადაგებელს" რომ თარგმნიდა, მომდევნო წელს — პუშკინის ასეთივე ლექსს და კიდევ მომდევნო წელს — ლერმონტოვისასაც ასეთივეს, ეს ყოველივე ნიშანია იმისა, რომ ილიას თავისი ხვედრი აწვალებდა და — როგორც ერის მომავალ მეთაურს — წინასწარმეტყველის ხატება მართლა აფიქრებდა.

მალევე შექმნილი მისი ორიგინალური ლექსი გვიჩვენებდა, რომ წინასწარმეტყველის ხატება ილიასათვის უკვე ალეგორია იყო.

ჩვენს უღმერთო დროში იმაზე ადვილი არაფერია, როგორც ღვთისნიერი კაცისა და წინასწარმეტყველის გაბეზრება.

მაგალითი გნებავთ?

უფრო საუცხოო მაგალითი რაღა უნდა იყოს, ვიდრე ჰინდო განდის ცხოვრება. იგი ისეთი მოწიწებით დაჰყავთ ციხეში, და ინგლისი ამას სჩადის მუხლის ისეთი დაბალი ჩოქით მაღალი პრინციპებისა და საკაცობრიო

იდეალების წინაშე, რომ მალე აღარც გვეცოდინება, რომელია ბოლო-ბოლო აქ წმინდა: განდი თუ მაკდონალდი?

და ეს „ცივილიზაცია“ ილიას დროშიც ისეთი გახლდათ, როგორც ჩვენს დროშია.

შამილი — კავკასიური ისლამის ეს ისუ-ნავინი — ანუ ერთსადაიმავე დროს მეომარიც და წინასწარმეტყველიც — ამავე გაბეზრებამ დაამარცხა.

მიზეზი უბრალო იყო და ცივილიზებული!

სად გაგონილა მართლა, რომ სამოცი წლის განმავლობაში კაცი ერთსადაიმავე თოფს ისროდეს?!.

ამ ხნის განმავლობაში რუსეთმა სამჯერ იცვალა იარაღი, წინასწარმეტყველებს კი ტექნიკის პროფესიისა ნაკლებადა სწამთ...

ილია ამას თავისი თვალით ნახავდა.

ჭმუნვა და სიხარული, ეს ორი სიტყვა და ორი ცნება, „პოეტში“ ჯერ მხოლოდ რიტორიკულად თქმული, ილიამ შემდგომ „განდეგილში“ განავითარა, პოემაში, საიდანაც ცხოვრება ისე ცოცხლად გამოიყურება, როგორც ბუნება — სარკეში.

რად უნდა დავმალოთ?

„ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ და ვაჟა-ფშაველას გამოჩენამდე „განდეგილი“ ის იშვიათი ქმნილება იყო, სადაც ცხოვრების პრობლემამ თავისი ლიტერატურულ-მხატვრული გამოსახულება ჰპოვა, სხვა დანარჩენი კი ჯერ კიდევ მაღალ ლირიკას არ გადასცილებია.

ილიას ეროვნული მრწამსი, უფრო ზუსტად — პირველი ვერსია ამ მრწამსისა, „მგზავრის წერილებში“ გამოიხატა, სადაც რთულ საგანზედ საუბარი ასეთი მარტივი ცნებებითა და ასე ხელდადებით წარიმართებოდა, ილია რომ სავსებით ამ ნიადაგზე დარჩენილიყო, რომელზედაც მისი მოხევე იდგა, მაშინ დაემსგავსებოდა განდისაც და შამილსაც.

განდის — რადგანაც მას ინგლისელობა არ უნდოდა.

და შამილს — რადგანაც არც მას უნდოდა რუსობა.

ასეთია ილიას მოხევეც:

რას მიქვიან შენი ქართული ლაპარაკი, რას მიქვიან შენი ქართული გული, შენ მითხარი, ტალავარ როგორი გაცვიაო?

რას იზამ! ძველისძველი ხერხია სხვადასხვაობის გამოსაცნობად. ხეს ფოთლით არჩევენ, პირუტყვს — ბეწვით, ერებს — ტანისამოსით!

მაგრამ ილია, რომელსაც რუსობა ისევე არა სურდა, როგორც მოხევეს, სავსებით ამ ნიადაგზედ ვერ დადგებოდა: ევროპელობა მაინც საერთო და რაღაც სავალდებულო ცნება იყო იმისთვის.

არ ვიცი, მიგიქცევიათ თუ არა ყურადღება, რომ: სიტყვა „ევროპეიზმი“ ჩვენში იმისი შემოტანილია.

„ტალავარზედ“ რომ აღარაფერი ითქვას, ის ხომ უცილოა, რომ:

ერთი სარწმუნოება ხშირად მრავალ სხვადასხვანაირ ერს აერთებს!

მოხევე და ილია ისე გაშორდებოდნენ ერთმანეთს, ის რუსულ „ტალავარ“ არ ჩაიცვამდა და ეს ევროპულს არ გაიხდიდა.

მაგრამ შეხვედრა დიდი იყო!

ამგვარი შეხვედრანი იშვიათია და მარტოდენ ეპოქათა საზღვარზედ ხდება.

ძნელია გადაჭრით ითქვას, ვინ არის აქ მართალი და ვინ არა?

მაგრამ... ილია რომ სწორედ ამ ევროპულმა „ტალავარმა“ დაამარცხა, თითქოს მართალსა ჰგავს.

ეს იყო მარქსიზმი, რომელიც ისევე ჩქარა მოჰყვა ლიბერალიზმს, როგორც... როგორც მერცხალს უფრო დიდი და მტაცებელი ფრინველი.

ქართველ ლიბერალებსა და ქართველ მარქსისტებს შორის წარმოუდგენელი სხვადასხვაობა აღმოჩნდა.

ადამიანთა შორის განსხვავებას რომ ბოლო მაინც აქვს და ბოლო მხოლოდ ადამიანთა შორის მსგავსებას არა აქვს, ეს მხოლოდ ილიამ იცოდა და არა ქართველმა მარქსისტებმა.

მავნე აზრია, თითქოს მოწინააღმდეგეთა შორის მსგავსება არაფერში უნდა არსებობდეს.

ამ მავნე აზრს სარწმუნოებრივმა ომებმა, რევოლუციებმა და პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლის ისტორიამ შეაჩვია ადამიანები.

მესამე დასელებს ეგონათ, რომ:

არამცთუ იმჟამად, შემდეგშიაც არ დადგებოდა ისეთი დრო, ილია ჭავჭავაძესა და მის აზრებთან რამე საერთო ჰქონოდათ.

ცხოვრებას მწარედ უნდა დაეცინა მათთვის...

შემდეგში აკი სწორედაც იმის კეთება მოუხდათ, რასაც ილია ქადაგებდა, მაგრამ... საამისოდ აღარც თავი ჰქონდათ, აღარც გული და აღარც უნარი!..

გახსოვთ რას ამბობს ჰაფეზი?

ვისაც სროლა ვასწავლე, ყველამ ნიშანში მე ამომიღოო!

და ცხოვრების დასავალზედ ილიასაც თავს დაესხა ყველა, ვისაც თავისუფალი აზროვნება იმის „აჩრდილზედ“ და „გლახის ნაამბობზედ“ ჰქონდა ნასწავლი.

კაცი, რომელსაც ჩვენი დროის საქართველოსათვის პირველს უნდა შთაებერა ახალი იდეები, მართლა პროგრესისტი და მართლა ჰუმანისტი — ამ სიტყვათა უმაღლესი მნიშვნელობით, რეაქციონერად უნდა მონათლულიყო.

25 წელია ჩაელილი ილიას მკვლელობიდან.

ეს არც შურისძიების დღეა, არც ანგარიშის გასწორების, მაგრამ ისტორია პირუთვნელად მაინც უნდა იწერებოდეს. და აუცილებლად საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ განვითარდა ამის შემდეგ ქართული ცხოვრება.

მე ძალდაუტანებლად მახსენდება ერთი წინასწარმეტყველური სიტყვა და დარწმუნებული ვარ, თქვენც თავისთავად წამოგაგონდებოდათ:

— ილია მოკლა ისეთმა ხალხმა, რომელიც, რომ შეეძლოს, თვით საქართველოსაც მოჰკლავდა!..

1921 წელს ესეც გამართლდა.

ეს ათტომეული კი ისეთი სასწაულია, ადრე თუ გვიან რაღაც სასიკეთო შემობრუნების ნიშანსვეტად რომ უნდა იქცეს.

აღდგომა და ხვალეო!..

ეს მხოლოდ ანდაზად წამომაგონდა და... უეცრად აღმოვაჩინე, რომ: ხვალ მართლაც აღდგომაა...

აღარ გინდა ეს ლაპარაკიო, – ხან ერთმა მითხრა, ხანაც მეორემ, — იცვლება რაღაც ეს ვითარება და მაინცდამაინც ნუღა დაიჩემებ ილია ჭავჭავაძის მოკვლასო.

გასაოცარია პირდაპირ — ისე რა შეიძლება შეიცვალოს, ის სასახელო საქმე ავად შემომიტრიალდეს. ჩემი ძმები რომ ჩამოახრჩეს, ძმებივით ვიყავით, აბა მაშ, რა გასაკვირია, მეფის მთავრობა ანკი როგორ გვაპატიებდა იმისი ერთგული მსახურის გაგორებას, მაგრამ ამათ რაღა დაემართათ?!. ამათი გულისათვის ჩავიდინეთ, რაც ჩავიდინეთ, ამათი ხელისუფლება რომ მოსულიყო, და ბუზი ვიღამ უნდა აგვიფრინოს!.. არა, წყალობა არ მომკლებია ბოლშევიკური მთავრობის ხელში, ქერის ორმოში მიბანავია და მეტი არც მსურვებია არაფერი.

ისე რას გაიგებ წუთისოფლისას.

გაზეთებში ერთი ამბავი რომ ატყდა, ეს ვინ მოგვიკლეს, ეს რა კაცი მოგვიკლეს, ეს რამხელა პიროვნება გამოგვაცალეს ხელიდანო, ესაო, ისაო, ცოტა კი შევფიქრიანდით, ხომ იცი...

პავლემ ისიც კი თქვა, ფშავლიშვილმა:

ნეტა სწორად მოვიქეცით თუ არაო?

რაო, შიშისაგან ხომ არა თქვა?

რას ამბობთ, პავლე და შიში? მამალ მგელს არ შეეპუებოდა, დამიზნებულ იარაღზე ნირშეუცვლელად წავიდოდა, მოქნეულ ხანჯალს აიცდენდა... მდევრებისათვის რამდენჯერ უსროლინებია კუდით ქვა და კაცურადაც დაიღუპა ორმხრივ სროლაში.

ამიტომაც მგონია, რომ მართლა შეფიქრიანდა და გაზეთების ისეთ მკითხველად გადაიქცა, პრაფესორებს შეეხარბებოდათ.

ძალიანაც სწორედ მოვიქეცით, მოსაკლავი იყო და მოვკალითო, — ვანო ინაშვილმა ჯერ კი გამოიდო თავი, მაგრამ მერე ყური მოვკარი, გიგოლა მოძღვრიშვილს რომ ეუბნებოდა... თუ გიორგი ხიზანაშვილს... ზუსტად აღარ მაგონდება, მაგრამ განა რა მნიშვნელობა აქვს, რომელს, მთავარია, რომ იჭვნეულად აქნევდა თავს:

ე ამდენი ხალხი რამ გადარია, თუ... ჩვენ ვერ მოგვივიდა მთლად სწორადო?!.

ამის შემდეგ რაღა გამიკვირდეს, გაჩუმებას რომ მირჩევენ ამდენი ხნის მერე.

მუხრანის მამულის გამგედ სწავლული აგრონომი ნიკო ჯანაშია რომ დანიშნეს, ძალიან დავუახლოვდი, მუხრანის ღვინო ყველა ღვინოს მირჩევნია და ნიკოსაც ჩემთვის არ ენანებოდა.

იმ დღეს რომ ვესტუმრე, ვიღაც კაცი დამახვედრა, უნივერსიტეტის პრარექტორი ყოფილიყო, პრაფესორიც, შალვა ნუცუბიძე:

შემთხვევით შემორჩა, თან შენი გაცნობა აინტერესებდა და უარი აღარ მითქვამს, იცის ჩვენი მეგობრული ურთიერთობაო.

შევუბერეთ, ლაპარაკსაც შევყევით და ძალიანც მოვილხინე. და უეცრად ნიკო მეუბნება:

— გიგა, გიგა, მოდი შენ ამდენ ამბებს თავი დაანებე და ის გვითხარი, ილია ჭავჭავაძე როგორ მოკალით.

მე იმის სტუმარს გავხედე. ის ვითომდა არაფერიო, თითქოს სულაც არ აინტერესებდა ეს ამბავი, ისე მიუბრუნდა მასპინძელს:

— შენი ჭირიმე, ნიკო, თავი დაანებე რაღაც სიკვდილზე და მკვლელობაზე ლაპარაკს, ამ სუფრას და ამ მშვენიერ ღვინოს რომ შეჰფერის, იმაზე მელაპარაკეთ და ილიას ამბებს თავი დაანებეთ.

კაი შებერტყილი ჩანდა, აინტერესებდა კი არა, სული უკაწკანებდა, რას მოვყვებოდი, და ასე სურდა გამოვეწვიე — ვითომდა გულგრილობით. მე ნიკოს გავხედე შეეჭვებული მზერით. და იმან ეს გზა აირჩია:

— აინტერესებს, როგორ არ აინტერესებს შალვას იმ ამბის მოსმენა, მაგრამ მსმელი კაცია და ღვინის დალევა ურჩევნია.

და იმან კი უცებ ჭიქა ასწია და:

— ეს მართალ კაცს გაუმარჯოს!..

მე მგულისხმობდა ალბათ, ალბათ კი არა, მე მგულისხმობდა ნამდვილად და ვინანე, მასზე რომ დავეჭვდი. კაცი ასეთ პატივს გცემს და შენ კი...

— გმადლობთ, დიდი მადლობა! — ვალდებული ვიყავი სამადლობელი შემესვა, მაგრამ ის გაფრთხილება გამახსენდა, რაღაც უცნაურად რომ იცვლებოდა დრო და ვითარება, და თუმც მაშინ აინუნშიც არ ჩავაგდე, ახლა ვიფიქრე, რომ აღარ ღირდა თავგამოდება და სჯობდა ისე მომეყოლა, მეორეხარისხოვან როლს დავჯერებოდი.

— მართალია მე მივიღე მონაწილეობა ილიას მკვლელობაში, მაგრამ მე არ მომიკლავს. მე ვიჯექი მეურმედ და მევალებოდა, ილიას ეტლის შეხვედრის დროს ისე უხეიროდ გამეჩერებინა ჩემი ურემი, რომ ილიას ეტლი შემეჩერებინა. და სწორედ ამ დროს უნდა ესროლათ. მართალია მეც მედო თოფი ურემზე, მაგრამ გასროლით არ გამისვრია. მე მხოლოდ მივეცი საშუალება სხვებს, რომ ესროლათ. მე არ მომიკლავს, იმათ მოკლეს. მე ამ საქმეში მართალი ვარ.

კიდეც რომ მესროლა, ჩემი ბრალი მაინც არაფერი იქნებოდა. პირადი გამორჩენით ხომ არა ვმოქმედებდით მე და ჩემი ძმები, ჩვენთვის რა ხეირი რო!.. იმათ სასიკვდილო განაჩენი არ ასცდათ და მე ფეხად გავასწარი ირანში სერგო ორჯონიკიძესთან ერთად. თან მიგვმალეს, მიგვაფარეს, თან იქაურ რევოლუციაში მონაწილეობაც დაგვავალეს. ანკი სხვას ვის დაავალებდნენ!..

თუ მაინცდამაინც პასუხი უნდა მოეთხოვოს ვინმეს, ჩვენი პარტიის ცენტრს, სადაც დაიგეგმა ეს პოლიტიკური, დიახაც პოლიტიკური განაჩენი. იქ გადაწყდა, უამრავი რევოლუციონერის, მთლად წინამძღოლთა მოთხოვნით დადასტურდა და... ჩვენ არ ვიქნებოდით, სხვები იქნებოდნენ წიწამურში იმ დღეს.

რავი, ვითარება შეიცვალაო, ვიღაც მეუბნებოდა.

შეიცვალა და... მეც აგერ გეტყვით, რომ შეიძლება მოსაკლავი არც იყო.

ნუ დაგვავალებდნენ რა!..

თვით ფილიპემ... ჰმ, ჰმ... არა, არაფერი, რაღაც სხვაზე გადამივარდა სიტყვა. ეს სახელი მგონი იმ სუფრაზეც წამომცდა უნებურად და:

— რაო, რაო? — გაფაციცდა ნიკო ჯანაშიას სტუმარი, ჰო, შალვა, შალვა გაფაციცდა. და მაშინაც სულ სხვაგან გადავედი, იქნებ ჩავფარცხო და დავავიწყო-მეთქი.

ამ ნიკომ კიდევ:

— გიგა, სხვებს რომ რაიმე მიზეზით არ ესროლათ, შენ ხომ უნდა გესროლა?

და მე წამსვე მოვუჭერი სიტყვა:

— მაშინ ილია ჭავჭავაძე მე მომკლავდა, რადგან მას იარაღი თან ჰქონდა და თანაც კარგი მსროლელი იყო, როგორც მონადირე.

იმ შალვამ კიდევ:

— სპარსეთში ერთად რომ დაიმალეთ თქვენ და სერგო ორჯონიკიძე... — წამოიწყო და აღარ ვაცალე:

სერგოს იქ რა უნდოდა, სერგო არც მიხსენებია-მეთქი.

ნიკოც რომ პირზე დამადგა?

როგორ არა, ახსენე, ერთად რომ მიგმალეს და მიგაფარესო.

ცოტა გავწყერი და მოვიღუშე და ისინიც ჩამომეხსნენ. წამოდგომა და გამომშვიდობება რომ მოინდომეს, ყოვლადწმინდა სადღეგრძელო შევსვი და მათაც დავალევინე. სუფრის ყაიდის მცოდნენი და... ამ სადღეგრძელოს გარეშე აპირებდნენ დაშლას.

არა რა, იკარგება ქართული სუფრის ლაზათი და ტრადიცია.

სულ სამნი რომ ვიყავით? ვახ — სამი კაცი უკვე პარტიული უჯრედია და სუფრისაც ყველა წესი უნდა შესრულდეს!..

შალვა ნუცუბიძე

ყოვლადწმინდა თუ არ შევსვით, ისე სუფრის დამთავრება როგორ შეიძლებაო, – გადაგვიდგა გიგლა ბერბიჭაშვილი. აბა!.. უარს რატომ ვიტყოდით ამ სადღეგრძელოზე, მაგრამ იმისაგან გამიკვირდა. არ იცის, ეს სადღეგრძელო ღვთისმშობელს რომ გულისხმობს და მის მფარველობას, მისი კალთის გადმოფარებას, თორემ ეს მამალი ათეისტი თვითონ დალევდა კი არა, იმ ჭიქებს თავზე დაგვამხობდა, ჩვენ რომ შეგვეთავაზებინა-მეთქი, — სხვა რა შეიძლება გამეფიქრებინა.

თავზე დამხობას ისე ვამბობ, ფიგურალურად, თორემ ბევრს ვერას გაბედავდა, მოკატუნებული ჩანდა და ძალიანაც მოკატუნებული. მანამდე — მსმენოდა — გაუთავებლად ტრაბახობდა: ამ მარჯვენამ გააგორა ილია ჭავჭავაძე, ამან შეუნგრია გულის ფიცარიო!.. და ახლა კი: მე მხოლოდ მეურმედ ვიყავიო, — თითქოს ყველამ არ ვიცოდეთ, თედო ლაბაური რომ იყო მეურმედ.

მანამდეც მყავდა ნანახი, ვიდრე ნიკო ჯანაშია შემახვედრებდა სუფრაზე. ეს მაშინ, მუხრან-ნატახტარის არეში თავისი რაზმით რომ დათარეშობდა ვიღაც დამცემი ბანდიტი დიონისო, ოსად წოდებული. ყველა დაეშინებინა იმ არემარეზე და რაც შეეძლოთ ერიდებოდნენ და გაურბოდნენ.

და ამ გავარდნილ ყაჩაღს უნდა გადავწყდომოდით ნატახტარის ტყეში ნადირობისას რამდენიმე მონადირე. დიდი მუხის ჩრდილში გაეშალა

რაზმის ბანაკი. ათიოდე კაცი იქნებოდა. გამოცდილი მონადირეების რჩევით, დიონისო და მისი ბანდა თითქოს ვერც შევამჩნიეთ, ძაღლები საძებრად გავუშვით, ჩვენც მათ ავედევნეთ და... საშიშ ზონას ასე დავაღწიეთ თავი.

რატომ არ გამოგვედევნენ? ეტყობა შეიარაღებულ კაცებთან შეხლას მოერიდა ბანდის მეთაური, ამჯობინა მშვიდობიანად დაგვშორებოდა და ხმაც არ გაუცია.

ორიოდე დღის შემდეგ მუხრანში სტუმრები გვეწვივნენ მამია ორახელაშვილის მეთაურობით, მთავრობის თავმჯდომარის.

როცა უკვე გვიან შეღამებულზე სტუმრები მანქანებში ჩასხდებოდნენ და ნატახტარის გავლით, სამხედრო გზით დააპირებდნენ თბილისში დაბრუნებას, უეცრად გიგლა ბერბიჭაშვილი გამოცხადდებოდა, მთავრობის ერთ-ერთი მანქანის საფეხურზე შედგებოდა და ჩვენს გაცილებას დააპირებდა. რაკიღა საფრთხილო დრო იყო, უარს ვინ ეტყოდა, და მთელი კორტეჟიც დაიძვრებოდა ნატახტარის ველის გასავლელად.

ბერბიჭაშვილი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ დიდი სიფრთხილით ბნელში ყველაფერს თვალყურს ადევნებდა.

როდესაც სამხედრო გზისაკენ დავეშვით, ნატახტარის ტყის მახლობლად რამდენიმე შეიარაღებული მხედარი შემოგვეჩეხა.

— ვინ მოდის?! — გაისმა ნახევრად კითხვისა და ნახევრად ბრძანების კილოთი.

ყველა გაიყურსა, მანქანებმა სვლას უკლეს და შეიარაღებული რაზმი კი პირდაპირ ჩვენსკენ წამოვიდა. ამასობაში მანქანები კიდეც დადგნენ.

ბერბიჭაშვილი ჩამოხტა და შეიარაღებული ცხენოსნებისაკენ გაემართა.

ეტყობა მათ იცნეს მუხრანის მილიციის ხელმძღვანელი, შეჩერდნენ და მათ შორის მოკლე დიალოგი გაიმართა.

შორიდან რას გავიგონებდით, მაგრამ ჩანდა, რომ არავითარი გართულება არ იყო მოსალოდნელი. ბერბიჭაშვილი მალევეც დაბრუნდა მანქანებთან და გამოგვიცხადა:

— გზა მშვიდობისა, თბილისამდე არავინ შეგაწუხებთ.

თვითონ იქ დარჩებოდა, დიონისოს რაზმთან, მთავრობის თავმჯდომარის მეტ გაცილებას საჭიროდ აღარ მიიჩნევდა.

როგორია — კაცი მთავრობასთანაც მეგობრობდა და ყაჩაღებთანაც. თუმც... განა რა განსხვავება იყო?!.

ნიკო ჯანაშია ისეთი აფორიაქებული და აფოფინებული იქნებოდა, მუხრანში დარჩენას რომ შემომთავაზებდა და გიგლა ბერბიჭაშვილის გაცნობას:

— წიწამურის ტრაგედიის შესახებ საიდუმლო ბარათს გადაგვიშლის.

ხელი ავიქნიე:

— საიდუმლო ბარათს არა!..

— ნახავ, ნახავ, — შემომახარბა.

რას ვკარგავ-მეთქი, გავიფიქრე. მთლად საიდუმლო ბარათის გადმოშლა თუ არა, ეგება რაღაც-რაღაცები წამოცდენოდა.

სასტუმრო ოთახში, რომელიც ყველაზე მყუდრო გახლდათ მუხრან-ბატონის სასახლეში, უნებურად ჩამძინებოდა. ვიგრძნობდი, ვიღაც მაღვიძებდა, მეც წამოვიჭრებოდი და... ნიკო ჩვენი სტუმრის მიღებად მიწვევდა, საამისოდ კი თავისი კაბინეტი ამოერჩია.

შესულებს ბერბიჭაშვილი უკვე იქ დაგვხვდებოდა. მომესალმებოდა კარგი ნაცნობივით, თავაზიანად ჩამომართმევდა ხელს და ღრმა სავარძელში ჩაეფლობოდა.

ვახშამიც მოიტანეს და მუხრანის ნარჩევი ღვინოებიც, ბერბიჭაშვილმა ერთიც რომ არ გაუშვა გაუსინჯავი. ჰოი რას იფშვნეტდა ხელებს და აწკლაპუნებდა ტუჩებს, რა ნეტარებით ნაბავდა თვალებს. ან ჭამდა, ან ლაპარაკობდა ამ მთისას და იმ ბარისას... და ნიკომ კიდეც შემოუცურა: ილია როგორ მოკალითო?..

ის კი არა: რა მოხდა და როგორო? — არამედ პირდაპირ ასე აჯახა: როგორ მოკალითო?..

ის აილენა, ცოტა წახდა, მაგრამ მერე მტკიცება დაიწყო: მე მეურმეობა მევალებოდაო.

სერგო ორჯონიკიძეც ახსენა და ფილიპე მახარაძეც... მერე კი გადათქვა, მაგრამ ერთხელ ხომ ახსენა!.. სერგოს როლს ძალიან მალავდნენ და თვითონაც ასაიდუმლოებდა, არა ტრაბახობდა ბერბიჭაშვილივით... მაგრამ ერთად რომ გადამალეს ეს ორივე ირანში, ეს განა შემთხვევით შეიძლება მომხდარიყო?!. განა საიდან გადაბმულიყვნენ ორჯონიკიძე და ბერბიჭაშვილი, რა საერთო ჰქონდათ ერთმანეთთან თუნდ პარტიული რანგითა და გავლენით, მაინცდამაინც ერთად რომ ამოყვეს თავი ირანის მღელვარების შუაგულში...

ილიას სისხლმა დააკავშირათ, ილიას სისხლმა შეჰკრათ, ერთობლივმა ცოდვამ გადააჯაჭვათ... დიდი რამ ფიქრი არ ესაჭიროება მათი ვითომდა ფარული სიახლოვის ამოცნობას...

არა, ყოვლადწმინდა რამ დაალევინა!..

ნიკოს ისიც კი უთხრა:

დროულად გამახსენდა, თორემ ჩემი სოფლიდან გადმოვიდოდი, იქ რომ მომგონებოდაო.

ტრადიციების კაცია, ნუ იტყვი!..

ვაი ჩვენი ბრალი...

დანარჩენები რომ არ ჩამოეხრჩოთ და აქამდე მოეწიათ, ყველა იმის მტკიცებას დაიწყებდა: მეურმედ ვიყავი, მხოლოდ ილიას ეტლის შეჩერება მევალებოდაო...

მოიცა, როგორ თქვა?

თოფი რომ არა მქონოდა, მაშინ ილია მომკლავდა, იარაღიც ჰქონდა და მარჯვე მსროლელიც იყოო.

იქნებ კიდეც დაასწრო ილიამ იარაღის შემართვა, მაგრამ... ილია იყო და... კაცის ცოდვას როგორ დაიდებდა, არსენა მარაბდელს არ დაედო, და... ბოლო წამს ვინ იცის ესეც გაიფიქრა შუბლ და მკერდშენგრეულმა:

ვერ გაგიმეტე, გიორგი, ვაი დედიჩემის ღმერთსაო!..

მოდი და ნუ გადაირევი სიხარულისაგან, როცა შენი აზრი და სიტყვა ქართველი ხალხის აზრად და სიტყვად გამოცხადდება. და მერე ვინ გამკობს, ამასაც ხომ მნიშვნელობა აქვს. ვინ და, თვით ის კაცი, ქართველ ხალხს თავის ბელადად რომ მიუჩნევია და, ნაციონალიზმზე ამაღლებული, რუს დემოკრატებსა და მუშათა კლასთან ერთად მიიწევს ახალ საკაცობრიო ცხოვრებაში ფეხის შესადგმელად.

როდესაც ასეთი წინამძღოლი გეყოლება, როდესაც ნოე ჟორდანია აღმართულა გოლიათივით და შესდგომია დევებისა და ქაჯ-ეშმაკების ჟუჟვას, რისი შეიძლება შეგეშინდეს ან თავი დაზოგო და მტლედ არ დაედო ამ აღმაფრთოვანებელ მოძრაობას.

ბედნიერებაა, ასეთ დროში რომ მოგიწია ცხოვრებამ, მთელს ისტორიას რომ ააყირავებს. და შენი ხელიც... მოდი და ნუ გადაირევი, შენი ხელიც იქ იგულისხმება ამყირავებელთა შორის.

გლეხი ხარ თუ მუშა, კარგად ვერ ვიგებთ, ხან ისე ირქმევ, ხან ასეო, — ილიას მონები სულ რაღაცას რომ გვიჩხიკინებდნენ და თვით დიდი ნოეც გააბეზრეს, ახლა მე ჩამციებიან, ვითომ რამეს გამომრჩებიან.

ჩვენმა ბელადმა გასცა იმათ საკადრისი პასუხი, როცა ქართველ ხალხთან გამაიგივა, გლეხიც და მუშაც ერთდროულად დამარქვა და გიორგი წერეთლის დაკრძალვისას წარმოთქმული ეს ჩემი სიტყვა ხალხის მკაფიო, პირდაპირ და მამაცურ ამეტყველებად მოიხსენია. თან ილიასა და იმის მონებსაც ჩვეული სიბასრით ნაჰკრა:

არა თქვენსავით მიკიბულ-მოკიბულად, პირმოთნედ და ფარისევლურად დაიწყებდა ლუღლუღსაო.

თვალებს ვერ ვუჯერებ, „კვალი“ რომ მიჭირავს ხელში, მაგრამ ასეა და — ქებას არ იშურებს ჩემდამი თვით დიდი ნოე და ქართველი ხალხის გაგონიერების, გამოფხიზლებისა და ზნეობრივი ამაღლების დასტურად მსახავს.

ასეთ დროს არტემ ახნაზაროვი, ერთ-ერთი ილიას მონათაგან, ხმის ამოღებას რომ გაბედავს: ვინ დაულოცა მეწვრილმანე კირვალიძეს ხალხის წარმომადგენლობა, რომელმა ხალხმა და სად მიანდო ამ ვითომდა წარმომადგენელს, რომ ესა თუ ის განაცხადეო? — პირში ბურთი არ უნდა ჩასჩარო ას ერთი კაცის ხელმოწერილი დოკუმენტით, ერთხმად რომ მავალებდნენ, მეკისრა თფილისის მოსამსახურეთა წარმომადგენლობა?

ას ერთი კაცი დიდი ძალაა, მართლა ხალხია და ხალხი რომ აგირჩევს თავისი გულისთქმის ამომთქმელად და „კვალის“ ფურცლებიდან შეგთხოვს ყველაფრის დალაგებას თავთავის ადგილას, ან ახნაზაროვი რას დაგაკლებს და ან მათი ფალავანი, ბაქოში რომ გაიძურწა, ვითომდა ბანკის საქმეებზე და ასე დაემალა გიორგი წერეთლის ახალგაჭრილ საფლავზე თავშეყრილი ხალხის რისხვას.

მისმა მონებმა, როგორც სჩვევიათ, ამ აშკარა გაქცევის გამართლებაც დაიწყეს და თავიანთი კერპის ნამუსის მოსაწმენდად ხმებს ავრცელებენ,

ბანკის საქმეები არ იცდიდა და წაუსვლელობა ძალიან აზარალებდა ქვეყანას, იქ კი გიორგი წერეთლის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს დაესწრო, ბაქოელმა ქართველობამ რომ გადაუხადაო.

როდესაც ამხელა კაცი მიდის ცხოვრებიდან, მასთან შედარებით ყველა საქმე უმნიშვნელო და გადასადებია, მითუმეტეს, ბანკისა, რომლისაც ილიას ბევრი არაფერი გაეგება და მხოლოდ ივანე მაჩაბლის უსამართლო დაჩაგვრით განიმტკიცა იქ პირველობა.

ბაქოში პანაშვიდზე დასწრება, ისიც ფარისევლურად, რა ბედენაა, აბა დიდუბეში მოებედა მოსვლა, სულ კუდით ქვას რომ ასროლინებდნენ.

არმაზის ალაგას ილიას კერპი აგვიმართესო, — ჩვენი ბელადი სულ ამას იმეორებს მისებური დამცინავი კილოთი, და სახე გადაებადრება ხოლმე:

როგორც ის კერპი იქცა ნამსხვრევებად,ისე ეს კერპიც დალეწილ მარცვლებად მიმოიფანტება ადრე და მალე, ყველა კერპის ბოლო ხომ ეს არისო.

გუმანში გვქონდა, დაკრძალვის რიტუალი გადაგვექცია კერპის მსხვრევის ადგილად. განა უიმისოდ რამე დავაკელით მის კილვა-გმობას, მაგრამ ის ძალა მაინც არა ჰქონდა, რაც იქ მდგარისათვის ექნებოდა. დაე საკუთარი ბედნიერი თვალით ეხილა თავისი გაკოტრება, ჩვრად გადაქცევა და ნამსხვრევებად მიმოფანტვა.

დღეს თუ არა, ხვალე ვანახებთ.

ნოშრევან მერკვილაძემაც მწარე-მწარეები შეუთვალა, ქართველი ხალხის უსაყვარლესმა პოეტმა და უანგარო მსახურმა, ჭეშმარიტმა გამომთქმელმა ხალხის ჭირ-ვარამისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვისა. მოხდენილად აღნიშნა გიორგი წერეთლის მხრივ ხალხის ალალი სიყვარული და მისი გულისათვის თავგანწირვა, და წყევლა-კრულვით მოიხსენია მისი მტრები — და უპირველესად იმათი კერპი — რომელთაც ძილს უკარგავდათ ხალხის საპასუხო სიყვარული გიორგი წერეთლისადმი და, გაბოროტებულნი, მისი ლანძღვით იჯერებდნენ გულს, დევნასაც კი გამოუცხადებდნენ და სამარის კარამდეც მიიყვანდნენ.

ამ ბრალს ვერც ვერასოდეს ჩამოირეცხავენ.

რა შესანიშნავი სიტყვა თქვიო, — ნოშრევანმა რომ გამიზიარა თავისი შთაბეჭდილება, ჯერ მისმა ნათქვამმა გამხვია ნეტარების ბურანში და მაგრძნობინა, ჩემი მჭევრმეტყველების ხელოვნება დაუფასებელი არ დარჩებოდა. და მერე ნოე ჟორდანიას მხრივ შეწეულმა ძვირფასმა ფრაზებმა ლამის ჭკუაზე გადამიყვანა.

დიდი შემოტრიალების დროა!.. ნახავთ, გიორგი წერეთლის დაკრძალვა ნიშანსვეტივით თუ არ დადგეს ჩვენი მომავალი ბრძოლების გზაზე და, გამარჯვებასაც რომ დავინარჩუნებთ, ამ უკვდავ დღეს გამოვხედავთ სიამაყითა და თავდაჯერებით... იმის შუაგულში კი მეც ვიდგები.

ხომ ვიცი, ვინ აღარ მოინდომებს გამარჯვებაში წილის დადებას, აქ ვიდექითო, იქ ვიდექითო, ამას შემოგძახოდითო, იმას შემოგძახოდითო, ასე გადავდეთ თავი, ისე გადავდეთო... და მოინდომებენ ჩემი ღვაწლი ჩაჩუმქრონ და თვითონ გადაინაწილონ, მაგრამ მიუდგომელი ისტორია ყველაზე უკეთ გამოიტანს განაჩენს და არც ჩემს სახელს დაკარგავს.

უკეთესი რეკომენდატორები ვინ შეიძლება გყავდეს კაცს ისტორიის წინაშე, ვიდრე ქართველი ხალხის უსაყვარლესი პოეტი ან მისი ბელადი არიან?

ნოშრევანის სიტყვა დიდი საბუთია და ნოესი — სულაც კანონი. კანონს კი ვინ გადაუხვევს იმ ახალ ქვეყანაში, რომელიც ხელისგანვდენაზეა და სხვა არაფერი გვაშორებს ისე ძალიან, როგორც არმაზის ალაგას აღმართული კერპი.

არ გეგონოთ, ამ კერპის ძალით დამსხვრევას მოვუწოდებდე ვინმეს. საამისოდ არ გაგვხდომია საქმე. ხალხის მიუდგომელი განაჩენი გასტეხს მორალურად და თვითონვე დაიფანტება ნაკუწებად, ჩვენი ხელის შეშველება არც დაჭირდება.

გაგეცინება — ისე დაიარება და თავიც ისე უჭირავს, თითქოს სამსხვერპლოდ გადაედოს სიცოცხლე!.. ძალიან მიამიტ ადამიანებს თუ აუხვევს თვალს, თორემ დასრულებულია მაგისი პარპაში.

მსხვერპლი აი ის იყო, დიმიტრი ყიფიანი, ვისი პირადი ხილვა და გამოლაპარაკება ჭეშმარიტი ბედნიერება გახლდათ და ჩემს თავზე გამომიცდია ეს ბედნიერება, სასტუმრო „ლონდონში“ რომ შემახვედრა იღბალმა.

ის იმეორებდა, ის სულკურთხეული:

სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ ყოველ ათ წელიწადში თითო მსხვერპლი უნდა შეიწიროსო.

თურმე საკუთარ ბედისწერას გულისხმობდა და ზოგადად კი რაღაც ტრაგიკული კანონი გამოჰყავდა ცხოვრებისა. ალბათ მართლა ასეა, რადგანაც ეს დიდებული კაცი ირწმუნებოდა. აი ვის არ აცოცხლებდნენ და მართლა ზვარაკად გაამზადებდნენ, თორემ ამის სიკვდილი ვის რად სჭირდება, ცოცხალი ისედაც აღარ ეთქმის და როდემდე იბოგინებს არმაზის კერპის ალაგას...

გიორგი ჟურული

ვინ გინდა დააჯერო, რომ ახალი საუკუნის დამდეგიდანვე ჩვენში მარქსისტ რევოლუციონერთა ტერორი გაბატონდა.

ეს ტერორი მეფობდა და არა ხელმწიფე იმპერატორი, ვინც ერთს კი გაიბრძოლებდა, მაგრამ გაბრძოლებაზე მეტად იმისი უნიათო მცდელობა გაფართხალებად უფრო ითქმის... გაფართხალება რომ არა, ცხრაასხუთის რევოლუციური გამოსვლების მარცხით დასრულება და მეამბოხეთა ჩამორიგება ციხეებსა და გადასახლებაში კიდეც საბოლოოდ აღკვეთდა მეფის ტახტის დამხობის ყოველგვარ ზრახვასა და წადილს.

აღკვეთა კი არა, შეუბრუნებელი და დაჩქარებული პროცესი დაიწყო და იმპერატორის ხელისუფლებაც იმას გადაჰყვა.

მარქსისტებს ფერი კი არ გამოუცვლიათ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდგომ — რასაც სჩადიოდნენ, იგივე გააგრძელეს, ეგაა, იატაკქვეშეთიდან ამოვიდნენ და სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნა-შევიწროება სახელმწიფოებრივ ტერორად აქციეს.

ხალხს რატომ გაუკვირდა მათი ეს სასტიკი რეჟიმი, ვერ გამიგია. ნუთუ ლოზუნგებმა აურიეს ასე თავგზა, რომ ცხვრის ტყავში გახვეული მგლები ვერ ამოიცნეს?

ამოსაცნობიც რა იყო — იატაკქვეშეთიდან ნამდვილი ტერორი რომ დაუწესეს პატრიოტებს და ილიაც გადაიყოლეს, ეს ადამიანები ხელისუფლების სათავეში თუ მოექცეოდნენ, სრული ძალაუფლებით აღჭურვილნი ვითომ უფრო ჰუმანურ პოლიტიკას რატომ განახორციელებდნენ?!.

საქართველოს აგონია წინამუხში დაიწყოო, — ყურებიდან არ ამომდის მიხეილ ადამაშვილის ის ფრაზა, რომელიც დაბეჭდილი კი არსად მინახავს, მაგრამ ბაგიდან ბაგეზე გადადიოდა და შემაძრწუნებელი სიცხადით წინასწარმეტყველებდა მომავლის ბედისწერას.

აგონია გარდუვალი ხდებოდა.

წიწამურში ამ ჯაჭვის პირველი რგოლი გამოჭედილიყო.

შარაგზის ყაჩაღებს რომ არ მოეკლათ და პოლიტიკურ დაკვეთას შესწირვოდა საპრეზიდენტოდ ნაგულისხმევი ეს კაცი, არავისთვის ყოფილა დაფარული, და მიხაკო წერეთელმა თავზე ხელი აიღო, როდესაც თვით ტერორისტები გამოიწვია თავის სამგლოვიარო სიტყვაში და ხალხს სამაგიეროს გადახდისაკენ მოუწოდა:

ნურავინ ამბობს, ილიას ხსოვნას შურისძიება არ ეკადრებაო! კი ეკადრება! ამ სირცხვილს მხოლოდ შურისძიებით გავიქარწყლებთ. შურისძიება მთელი ერისა ამ უმსგავსოთა წინააღმდეგ, რომელთაც დღეს მთელი საქართველო ძაძით შემოსეს და მთელ ქვეყანაში გააბიაბრუეს, ერთადერთი საშუალებაა მთელი ერის გასამართლებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვიქნებით ილიას წინაშე! ყოველივე სხვა ერი ჩვენს ალაგას ამასვე ჩაიდენდა. ჩვენი სიჩუმე ჩვენი ჰუმანიური თვისების და დიდსულოვნების დამამტკიცებელი კი არ იქნება, არამედ — ჩვენი სისუსტისა და გულგრილობისაო.

ხომ ამდენი წელი გავიდა ამ სიტყვების წარმოთქმიდან, ისეთი ძალით ჩამებეჭდა ერთი მოსმენითვე, დავიფიცებ, ოდნავ თუ მაინც რაიმე შემეშალოს.

იქნებ მართლაც შურისძიების სულისკვეთების გამძაფრება და გაღრმავება სჯობდა?

ისე კი მოხდა, რომ მიხაკო წერეთელს თითო-ოროლა თანამგრძნობი თუ გამოუჩნდა, შერიგებისა და თავშეკავების მომხრეთ კი უამრავი, და კიდეც გადაწონეს საზოგადოებრივი აზრი.

ახლა რომ ვუკვირდები, საბედისწეროდაც გადაწონეს.

საერთო განწყობილებას აირეკლავდა ის თხოვნაც, ილიას ქვრივს რომ დააწერინეს მასთან დაახლოებულმა პირებმა გენერალ-გუბერნატორის სახელზე: ილიას მკვლელებს სიკვდილით ნუ დასჯითო.

შურისძიებას ვიღა ჩიოდა, მკვლელებს მოევლინნენ მფარველებად, და მერედა ვინ — ილიას გულწრფელი მოთაყვანენი, მისი სახელის მაფიცარნი და გულმხურვალენი, ყველაფერს ვიღონებთ ილიას ხსოვნის უკვდავსაყოფადო.

ეს ვერ გაეთვალისწინებინათ —

აგვისტოს იმ ავბედით დღეს საქართველოს აგონია დაწყებულიყო და სულთმობრძავის გმინვაც სულ უფრო მკაფიოდ მოისმოდა.

ეს წერილი თეიმურაზ ხევისთავებმა დააწერინესო, — იმეორებდა მიხეილ ადამაშვილი, ვისაც მიხაკო წერეთელივით სჯეროდა, რომ ეროვნული შურისგების გარეშე წინამურის ტრაგედია შესაძლოა ამაოდ დაღვრილ სისხლადაც კი დარჩენილიყო.

მაშინ არ ვიცოდით, ვინ იყო ეს თეიმურაზ ხევისთავი და როგორ შეეძლო ოლღა გურამიშვილისათვის რაიმე დაეწერინებინა.

ჯერ მიხეილ ადამაშვილის გონებაში რიალებდა ეს გვარ-სახელიც და ეს ტიპიც, ვინც თურმე ეროვნული ხასიათის გარკვეულ ნაირსახეობადაც უნდა განზოგადებულიყო და ისე უდრტვინველად და თავისდამოულოდნელად ჩაებარებინა ქვეყანა მოძალადეთათვის, საკუთარ მიწა-წყალზე ხიზნად და ემიგრანტად გარდასახულს კიდევ კარგა ხანს ვერ გამოერკვია, ეს რა დამართოდათ ან თვითონ და ან მის უნიათობასა და უსასოობას მინდობილ საქართველოს.

გრენობლში გადმოხვეწილი კიდევ ერთხელ რომ ავტირდებოდი და სხვა ემიგრანტებსაც ავიყოლიებდი, თითქოს ბაბილონის მდინარეთა ზედა მოვთქვამდით, მიხაკო წერეთლის ის სამგლოვიარო გამოსვლა ძალაუნებურად მოწყდებოდა ჩემს ბაგეს, და მიხეილ ქავთარაძე შემომხედავდა მწარე ღიმილით:

ის სიტყვები სიტყვებად დარჩებოდნენ, რადგანაც მოქმედებისაკენ მოუწოდებდნენ თეიმურაზთა საზოგადოებასო.

ამათ უკვე იციან, რასაც ნიშნავს თეიმურაზ ხევისთავთა საზოგადოება. სწორედ მათ იწვნიეს წინამორბედთა აბსტრაქტული, ბუნდოვანი, სადღაც — ოღონდ არაფრისდიდებით ჩვენს ტრაგიკულ მიწაზე — არსებული ჰუმანიზმის მწარე ნაყოფი.

თეიმურაზების საზოგადოება!..

ღმერთო, როგორ მჭრის ყურს ეს ორი სიტყვა... ღმერთო, რა აუტანელია მისი დაუსრულებელი რახუნი გონებაში...

ნუღა გამაგონებ, ღმერთო, ღმერთო, ნუღა გამაგონებ!..

თედო მეგრელიშვილი

მთლად ტრადიციადაც დამკვიდრდა ჩვენს სკოლაში, წინამძღვრიანთკარისა:

უკანასკნელი კლასის მოწაფენი ილიას დღეობას აუცილებლად უნდა დასწრებოდნენ.

ილია წინამძღვრიშვილისაგან მე მქონდა დავალებული ამ საქმის მიხედვა და წინასწარ გულდაგულაც ვზრუნავდი, რათა ღირსეულად წარვმდგარიყავით აუარება სტუმრისა და თვითონ ილიას წინაშე. ყველას ეგრძნო, რომ ჩვენს სკოლაში მარტო სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს კი არა ვზრდიდით, არამედ მრავალმხრივ განათლებულ ადამიანებს და – რაც მთავარია – ქვეყნის გულშემატკივართ და ჭირისუფალთ.

20 ივლისის დილას მოწაფეებს გალობაში კიდევ ერთხელ წავავარჯიშებდი ხოლმე, შევამოწმებდი, სუფთად თუ ეცვათ, და კიდეც ჟრიამულით გავწევდით საგურამოსაკენ.

მოწაფეებმა ყველამ კარგად იცოდა ილიას ვინაობაც, როგორც ჩვენი საუკუნის კლასიკოსისა, მისი რამდენიმე ლექსიც დავასწავლეთ და ჩვენი სკოლის გახსნაზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვაც.

და აი ერთმა ყმაწვილმა მითხრა:

ეს ქართული ორატორული ოსტატობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშიაო.

და კიდეც ყურადღება მივაქციე ამ ყმაწვილს: მიშა ადამაშვილი აღმოჩნდა, ბორჩალოელი. მამა მიწის მუშა ჰყოლოდა და სურდა, მისი შვილიც მიწას არ მოწყვეტოდა. ამიტომაც მოაბარა ჩვენთან, წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში. მანამდე ლორის რაიონში ხუთი წელი დაეყო რუსულ სკოლებში და დედა ენა საყველპუროდღა ახსოვდა, ჩვენს სკოლაში კი ყველა საგანს ქართულად ვასწავლიდით.

ზოგიერთი საგანი – რუსული, გეოგრაფია და სხვანიც – ჩვენს კურსდამთავრებულებზე უკეთაც ეცოდინებოდა, მაგრამ ვინაიდან ქართული და სპეციალური საგნები არ ესწავლა, მესამე კლასში მივიღეთ და საგანგებოდ მივუჩინეთ ქართული ენის მასწავლებელი.

ერთი წლის შემდეგ თავის ტოლებს კი დაეწია, ოღონდ ენა საბოლოოდ მაინც ვერ გაიტეხა – ქართულ მახვილს ვერა და ვერ უპოვნა თავისი ალაგი.

მაგრამ ილიას სიტყვის ორატორული ხელოვნება რომ დააფასა, გულმა მიგრძნო, ეს შემთხვევით არ მოხდებოდა, ლიტერატურით ძალიან უნდა იყოს გატაცებული-მეთქი.

იმ დღესაც ილიას სახლს რომ მივუახლოვდით, ხუთი კილომეტრის გავლა გვიხდებოდა, მეტი კი არა, მგზავრულის კილოთი მისივე ლექსი დასძახეს მომღერალთა გუნდმაც და მოწაფეებმაც:

ქართველო, ხელი ხმალს იკარ, დღე გათენდა დიდებისა, თოფ-იარაღი აისხი, დრო მოდის გამარჯვებისაო!..

და კიდეც გამოგვეგება ილია.

ყველანი გარს შემოეხვეოდნენ და სიმღერას ისე დაასრულებდნენ.

ყმაწვილებს ისეთი განცდა ჰქონდათ წინასწარ, რომ დახვდებოდათ ახოვანი კაცი, ჩოხოსანი ან ქულაჯოსანი, ნამდვილად კი მათ წინაშე იდგებოდა შუატანის 57 წლის მამაკაცი – სრული, პირსავსე, ჭაღარაშერეული.

უღიმოდათ, ეალერსებოდათ, ვინაობას ეკითხებოდათ. მერე წინ გაგვიძღვა ყველას და ხალხით სავსე ეზოში შეგვიყვანა.

ისე მოწაფეების გამოკითხვა დიდხანსაც გაგრძელდა. რიგი მიშაზეც მივიდა. ჩვენს სკოლაში ბორჩალოელი მის გარდა არავინ ყოფილიყო და ამის მოსმენა ილიას გააკვირვებდა და გაახარებდა კიდეც.

მეც რა დამემართა, ილიას ამ ყმაწვილის ის ნაკლი წავჩურჩულე.

– აბა ბარათაშვილის ლექსი მითხარი, – სთხოვა ილიამ.

ამასაც მეტი რა გზა ჰქონდა, წინდაწინვე გაწითლდა და დაიწყო:

მორბის არაგვი არაგვიანი, თან მოსძახიან მთანი ტყიანნიო...

და მახვილი ცხადია ნამდვილი რუსული წესით გამოიყენა.

ილიამ გაიცინა და არც სხვები ჩამორჩნენ.

მიშას ეწყინა და მაშინვე გაჩუმდა.

ილიამ თავზე ხელი გადაუსვა და დააწყნარა.

მე შემრცხვა ჩემი საქციელის და გამოსწორება ასე ვცადე:

– ამ ყმაწვილს ჯერ ქართულის გამოთქმა არ ეხერხება, თორემ მწერლობას ისე ბეჯითად სწავლობს და ისე წერს თხზულებას, რომ მწერალი უნდა გამოვიდეს.

მიშამ ისე გაოგნებულმა შემომხედა, შეეტყო, მწერლად გახდომაზე არასოდეს ეფიქრა.

ეს რამ მათქმევინა? რა ვიცი აბა!.. ჩემდამოულოდნელად დამცდა.

– მართალია? – აბა შენ იცი, – გაამხნევა ილიამ, – ვინძლო არ შეგვარცხვინო.

ხომ შეიძლება ენამ მიყივლოს და ეს ყმაწვილი ხვალ მართლა მწერლად მოგვევლინოს?

შეიძლება, რატომაც არ შეიძლება...

კონსტანტინე გამსახურდია

ჰენრიკ იბსენს აქვს შესანიშნავად ნათქვამი:

მწერლობა არის საკუთარი ცხედრის განბანვა ცრემლით.

მწერლობა, რომელიც უმიზნებს პირად წარმატებას, ჰონორარებსა და ჯილდოებს, გეშეფტმახერობაა და სხვა არაფერი.

ანატოლ ფრანსის სიკვდილის შემდგომ ფრანგმა მწერლებმა შეიძულეს პატრიოტიზმი და ბოლოს ანდრე ჟიდი, ლიდერი ფრანგული მწერლობისა, იქამდე მივიდა, რომ საქვეყნოდ ამტკიცებდა:

მშიშრობა გმირობაზე უფრო დიდი ფაქტორიაო.

აი ილია ჭავჭავაძე სწორედაც პირიქით:

გმირობისა და პატრიოტიზმის აპოლოგეტი გახლდათ. და თავის ლექსებსა და პოემებში, თავის მოთხრობებში კიდეც უმღერა გმირულ სულს სვეგამწარებული ქართველი ხალხისა.

არ უზრუნია რაფინირებული ბოლორითმებისათვის?

ფსალმუნს, სახარებასა და ყურანს ბოლორითმოვნება არ ამშვენებთ, მაგრამ ეს ქმნილებანი გაიზეპირეს ერებმა.

და ილიას ლექსები და პოემებიც ასევე იცის ზეპირად ყველა ჩვენგანმა, საგანგებო დასწავლა არც დაგვჭირებია.

მთავარი და უმთავრესი მაინც ისაა:

ჩვენ, მისმა სულიერმა შვილებმა, რომელნიც მისი ტრაგიკული სიკვდილის შემდგომ ფეხზე ვდგავართ, მისგან ვისწავლეთ მამაცი მამულიშვილობა და კეთილშობილ საქმეთათვის ბრძოლა.

მე პირადად:

რუსთველის შემდეგ არავისაგან იმდენი შთაგონება არ მიმიღია ამ მხრით, როგორც ილიასაგან.

დიახ, ასეა, ასე, თუმც თქვენი გაკვირვება სულაც არ მაოცებს, რადგანაც ილიას მწერლური ტრადიციები, მისი მანერა წერისა ჩემთვის არც ისე მახლობელია.

რომ იცოდეთ, კიტა აბაშიძე იმიტომაც მიყვარდა, ჩემი სათაყვანებელი ილიას უერთგულეს მეაბჯრედ და თანამებრძოლად რომ წარმომიდგებოდა. იგი ხშირად გამოდიოდა ტფილისსა და ქუთაისში ილიას სახელის დასაცავად, და ეს იმ დროს, როდესაც ზოგზოგი ქარიხვეტია ინტელიგენტი გალურსული უსმენდა დიდი ილიას მტრების ენაგესლიან სისინს.

ეს იმიტომ, რომ კიტა აბაშიძე გახლდათ არამარტო დიდი მასშტაბის კრიტიკოსი და ლიტერატორი, არამედ დიდი მამულიშვილიც.

მას მხარს უმშვენებდნენ იმხანად ისეთი შესანიშნავი მამულიშვილნი, როგორებიც იყვნენ: იასონ ბაქრაძე, სილოვან ხუნდაძე და გიორგი ზდანევიჩი.

და მე და ჩემი ტოლები ამ სამ კაცს შევცქეროდით თვალებში.

არ დამავიწყდეს ღვაწლმოსილი იოსებ ოცხელიც, დარბაისელი მესხი და დიდი პატრიოტი, რომელიც ენერგიულად გვაშოშმინებდა ახალგაზრდებს:

– რას ამბობთ, ყმაწვილებო, ილიას მკვლელები ტყვიით რომ მოჰკლათ, აქედან რა გამოვა, ეს გარეწრები სულიერად უნდა გაანადგუროთ.

ერთხელ იოსებ ოცხელმა შემოგვისწრო ჩვენს ბინაზე ქუთაისში ცხრა ყმაწვილის, ცხრამუხელთა, შეკრებას, ერთი ჩვენი მხარბეჭიანი ამხანაგი ჯიქია ჩვენს წინაშე ფიცს რომ სდებდა:

– თქვენ იყუჩეთ, ბიჭებო, მე ჩავალ ტფილისს, ერთი-ორი ბიჭი თან გამატანეთ და ჩემი რევოლვერით კატის კნუტებივით გავჟუჟავ ილიას მკვლელებს.

ამ სიტყვებზე იყო, თავზე რომ დაგვადგა ბატონი იოსები და რევოლვერი ჩამოართვა ჯიქიას.

იასონ ბაქრაძემ შემთხვევით რომ გამაცნო კიტა აბაშიძე, იგი მამობრივი სათნოებით მიმეპყრო. როგორც გვიან გავიგე, იოსებ ოცხელს გაემხილა მისთვის ჩვენი განზრახვა, ცხრამუხელებისა.

ბატონმა კიტამ თავზე ხელი გადამისვა და მითხრა:

– ნუ დარდობთ, შვილებო, ქართველ ხალხს ვაცალოთ და იგი ბოლოს მოუღებს ჩვენი ილიას მკვლელებს უთუოდ. თქვენ კი იბრძოლეთ ამიერიდან სიტყვით და კალმით.

და შემახსენა ილიას ის სტრიქონი, ჩემთვისაც ეგზომ ძვირფასი:

ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავსო.

მერე ისე მოხდა, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას შეჯახებამ მომიწია ნიკო მართან, რომელმაც ლექციისას აუგად მოიხსენია ილია:

იქ ჩაეჩარა, რაც არ გაეგებოდაო.

ვერ აპატია ვერც ის მძაფრი პოლემიკური თხზულება – „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“ – და ვერც ის პასაჟი, რასაც უშუალოდ მარზე წერდა:

ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილიო.

არც ლექციისას დავუთმე და არც დეკანატში, სადაც დამიბარა, რათა შევეხურებინე. არაფერი რომ არ გამოუვიდა, ახლა ის მომდო შარად:

მე ოფიციალური პირი ვარ და გამსახურდია დეკანატში ქართულად არ უნდა დამლაპარაკებოდაო.

ჩიტი რომ ნარზე ზის და ხელის აქნევასღა ელოდება, ისედაც ამ გუნებაზე გახლდით, როდის მოვახერხებდი ევროპაში გამგზავრებასა და იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნის შეწოვას; და ნიკო მართან კონფლიქტმა საბოლოოდ ამიყარა გული პეტერბურგის უნივერსიტეტზე და კიდეც მალე გავუდექი გზას გერმანიისაკენ.

გზას ის შეგონება მინათებდა შუქურასავით:

ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავსო.

დამიჯერეთ, თქვენც იმ სხვა ვარსკვლავს უნდა სდიოთ, თუკი ილიას კვალზე აპირებთ სიარულს.

მე კი მითქვამს და ვიმეორებ:

წინ – გიორგი მერჩულესაკენ!

წინ – გიორგი ხანძთელისაკენ!

წინ – სულხან-საბა ორბელიანისაკენ!

წინ – ილია ჭავჭავაძისაკენ!

და ხშირად რომ მეკითხებით: რომელ სამ ან ხუთ პიროვნებას გამოარჩევდით საქართველოს ისტორიაშიო? – აჰა ბარემღა ჩემი ხუთეულიც ეს იყოს...

გერონტი ქიქოძე

გახსოვთ, „მგზავრის წერილებში“ როგორ უგზავნის ილია შეჩვენებას ბნელ ღამეს, მისი სიზმრებითა და ადამიანის გონების დამაფრთხობელი მოჩვენებებით?

სამაგიერო ჰიმნს მიუძღვნის დღის სინათლეს.

და ეს მზის ჰიმნი დიდად ახასიათებს ილიას, როგორც – ერთი მხრივ – ევროპის განმანათლებელთა მიმდევარს, და – მეორე მხრივ – შოთა რუსთველისა და დავით გურამიშვილის მემკვიდრეს.

აგერ „განდეგილში“ ბუდისტურ-ქრისტიანულ სპირიტუალიზმსა და ასკეტიზმს, რომელიც ყველაზე უკეთ გამოითქვა ბუდას ქადაგებაში: სხეული არ არის ჩემი. ის არ არის მე ან ჩემი მეო; ან ჩვენი „სიბრძნე ბალავარის“ სიტყვებში: ცხოვრება არის ჩრდილი, რომელიც წარვალს, და კვამლი, რომელიც განქარდებისო; დაბოლოს დავით გურამიშვილის სენტენციაში: ამად სჯობს ხორცი უარჰყო, სულსა უწირო, ულოცოო... დიახ, ამ ყოველივეს დაუპირისპირა ელინიზმიდან და საქართველოს ეროვნული ტრადიციებიდან მომავალი ჰუმანიზმი და ბედნიერების მორალი, და სწორედ მას გაამარჯვებინა.

თუმც არსებობდა ერთი დარგი, რომელშიაც ილია შუა საუკუნეების ასკეტებს უახლოვდებოდა, და თუ იდეოლოგიით არა, განცდებით ხომ მაინც.

ეს იყო დარგი ეროვნული მოღვაწეობისა.

მისი პატრიოტიზმი ასკეტური ხასიათისა გახლდათ.

და სამშობლოს სამსახური ისე წარმოედგინა, როგორც მსხვერპლშეწირვა.

ამიტომაც ქადაგება, სწორედაც რომ ქადაგებდა:

ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული, რომ დიდი არის ღვთის წინაშე იგი ცხოვრება, რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი ქვეყანასავე შეეწირებაო.

იგი იმეორებდა ერთი გამოჩენილი მწერლის სიტყვებს:

რაგინდ პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, პატიოსან გულში მას მაინც დიდი ადგილი უჭირავსო.

ილიას უახლოესი თანამშრომელი და პირველი ბიოგრაფოსი გრიგოლ ყიფშიძე გვარწმუნებს:

ბავშვობაში იგი ბერად შედგომაზე ოცნებობდაო.

მაგრამ ისიც ხომ თვალსაჩინოა, რომ შემდგომ არც თავის აზროვნებაში, არც თავის ბუნებაში არაფერი გამოუმჟღავნებია განდეგილობის შესაფერი.

სწორედაც პირიქით:

სტუდენტობისას იტალიაშიც კი აპირებდა წასვლას გარიბალდის რაზმში ჩასაწერად.

ცნობილია, რომ მისი სუფრა არა ჰგავდა სამონასტრო ტრაპეზს.

უყვარდა ქალები – შეიძლება ახალგაზრდობაში უფრო პლატონურად, ვიდრე სიბერისას.

უყვარდა აზარტული თამაშობა.

რამდენჯერმე ბარიერთანაც მდგარა, როგორც ვნებიანი დუელიანტი.

მაგრამ როგორც მებრძოლ პატრიოტს, მას მღვიძარე სული ჰქონდა ექვთიმე მთაწმინდელივით:

მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული, ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება! შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული, ღამე თენდება ეგრედ ჩემი და დღე ღამდებაო.

რარიგ არის შეცვლილი ჩვენი მხატვრული გემოვნება და ჩვენი ზნეობრივი შემეცნება!

გუშინდელი კერპები დღეს ჩვენში აღარ იწვევენ არც მოკრძალებას, არც ოცნებას, არც ღიმილს. ბევრი მათგანი სიძველეთა მუზეუმშიც აღარ გამოდგება ექსპონატად.

მეორე მხრივ: თუმც ბრინჯაოს ქანდაკებანი თითქოს არ უნდა ექვემდებარებოდნენ ორგანულ არსებათა ზრდის კანონებს, მაგრამ ეს უცნაური ბრინჯაოს ქანდაკება, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ჰქვია, აშკარად გაიზარდა ჩვენს თვალწინ.

თვალწინ მიდგას ერთი მისი ფოტოგრაფიული სურათი, საზოგადოდ საუკეთესო ფოტოსურათი, რაც ოდესმე მიხილავს.

ილია დგას მაშინდელი სასახლის ქუჩაზე და ვიღაცას უხმობს მარცხენა ხელის საჩვენებელი თითის ოდნავშესამჩნევი მოძრაობით.

ვის ნეტა – მეეტლეს, მეხილეს თუ გზად მიმავალ მეგობარს?

მე მეჩვენება, თითქოს იგი ჩვენს თაობას უხმობდეს და... ჩვენც მას ვუახლოვდებით.

ამიტომ მისი უმოძრაო ფიგურა თითქოს თანდათან იზრდება ჩვენი დედაქალაქის ქვების ფონზე. და ვგრძნობთ, რომ ჩვენს გარდასულ წინაპართა შორის ჩვენთან ბევრი არა დგას ისე ახლოს, როგორც ეს ჯმუხი ადამიანი.

მას არც აპოთეოზი ესაჭიროება უგნურ რომაელ იმპერატორებივით, და არც იკონოგრაფიული დახატვა შუა საუკუნეთა წმინდანებივით.

ეს მისი სახელის შეურაცხყოფაც მგონია და შეუფერებელიც ჩვენი თაობისათვის, რომელიც ვაჟკაცურად გულწრფელი და მიუკერძოებელი უნდა იყოს საკუთარი თავისა და წინამორბედთა დაფასებაში.

ვაღიაროთ, რომ არაფერი ადამიანური უცხო არა ყოფილა მისთვის.

ადვილად ვერ ითმენდა შეპასუხებას.

თუმც თავის თანამედროვეებშიც და წინაპრებშიც ყველაზე მეტად ხასიათის სიმტკიცესა და ქედის მოუდრეკელობას აფასებდა.

გარშემო მაინც ისეთ თანამშრომლებს იკრებდა, რომელნიც სიტყვის შეუბრუნებლივ ემორჩილებოდნენ მის ნებისყოფას.

და ყოველთვის სამართლიანი სულაც არ გახლდათ მოწინააღმდეგეთა მიმართ.

მაგრამ ისიც თვალნათლივია, რომ იგი სწორად არ ყოფილა შეფასებული მის თანამედროვეთა დიდი ნაწილის მიერ, და არა მხოლოდ მესამე დასელთა, რომელთა ბელადიც აღმაშფოთებელი სიტყვებით შეხვდა ილიას მკვლელობის ცნობას:

როცა ტყეს სჭრიან, ნაფოტები ცვივაო.

როგორც მოწინააღმდეგეთა ეს გააფთრება, ისე მომხრეთა სიმხდალე ტრაგიკულად ანათებს ილია ჭავჭავაძის ცხოვრების დაისს.

მაგრამ მისთვის კიდევ უფრო დიდი ტრაგედია ის გახლდათ, რომ მთელი მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის უდიდესი საკითხი მის სიცოცხლეში გადაუჭრელი უნდა დარჩენილიყო:

როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან,
თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალება
როდის დაადნობს დაჟანგებულს დიდ ხნის ბორკილსა,
და ქართველობა სიქადულად როდის ექნება
ქვეყნის წინაშე ყოველ ქართვლის ერთგულსა შვილსა?

რაც არის თუ როგორც არის:

ჩვენ გვიხმობს, ჩვენ, რასაც ის ფოტოსურათიც გვიდასტურებს.

და ჩვენც მას ვუახლოვდებით, ყველა ისინი, ვინც ვაჟკაცურად გულწრფელი და მიუკერძოებელი იქნება საკუთარი თავისა და წინამორბედთა დაფასებაში.

თაობა წარვალს, თაობა მოვალს, და ეს შეგრძნება შემოგვრჩება უკუნითი უკუნისამდე.

რა დიდი შრომა ვიკისრე, „აკაკი წერეთლის ცხოვრებას“ რომ მოვკიდე ხელი! კრძალვით და არა მცირედი კრთომით დავადექ გრძელსა, მძიმესა, თითქმის გაუკვალავ აღმართიან გზასა და ვინ იცოდა — მივაღწევდი კი ჩემს მიზანს?.. არა, უნდა მიმეღწია, რადაც უნდა დამჯდომოდა, უნდა მიმეღწია, რა ენერგიაც უნდა წამსვლოდა ამ საქმეზე.

იმ წიგნის დაწერამ ძალიან გამახალისა, გამამხნევა და გამათამამა და კვლავ ვიკისრე დიდი შრომა, „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებას“ რომ მოვკიდე ხელი. კვლავაც კრძალვით და არა მცირედი კრთომით დავადექ გრძელსა, მძიმესა, თითქმის გაუკვალავ აღმართიან გზასა და... ვინ იცის — ახლაც მივაღწევ კი ჩემს მიზანს? არა, უნდა მივაღწიო, რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა მივაღწიო, რა ენერგიაც უნდა წამივიდეს ამ საქმეზეც.

ნეტა როდის გაიცნეს პირველად ერთმანეთი ილიამ და აკაკიმ?

სად შეხვდნენ ერთმანეთს?

შეიძლება პეტერბურგის უნივერსიტეტშიც, შორეულ რუსეთში, რამდენიმე ათასი ვერსით დაშორებულნი თავიანთ სამშობლოს.

აი ისტორიული შეხვედრა, აი თარიღი — ასერიგად მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული განვითარებისათვის.

ორი ქართველი სტუდენტი, ორი ჭაბუკი, აღფრთოვანებულნი თავიანთი ხალხის სიყვარულით და პოეტური ცეცხლით აღგზნებულნი.

ამ ორმა ადამიანმა, რამდენიმე თანამედროვეს თანადგომით, შექმნა ჩვენი მეცხრამეტე საუკუნე, ახალი „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, ახალი რენესანსი ჩვენი ეროვნული კულტურისა.

გრძნობდნენ კი მაშინ ისინი თავიანთი მომავალი მოღვაწეობის განუზომელ მნიშვნელობას ჩვენი ერის ცხოვრებაში?

ვინ იცის...

ერთი კი შეურყევლად მწამს:

მათ შეგნებული ჰქონდათ სიდიადე თავიანთი მოწოდებისა და სიმძიმე ნაკისრი მოვალეობისა.

ახლაც მივაღწევ კი ჩემს მიზანს?..

ვესტუმრე ქართული ლიტერატურის მუზეუმს და ჩავუჯექი ილიას კერძო წერილებს. პირებს ვაბეჭდინებდი და ვადარებდი დედანთან. შესანიშნავია ბევრი ის წერილი. დღეს ვკითხულობდი თუნდაც წერილს მარჯორი უორდროპთან — 1896 წელს გაგზავნილს, აგრეთვე წერილს ნიკო ცხვედაძესთან, ბერლინიდან რომ მოსწერდა 1900 წლის ზაფხულში. დიდი ჭკუა, მახვილი გონება, უსაზღვრო სიყვარული მშობელი ქვეყნისა და ფიქრი თავისი ხალხის მომავლისათვის.

მისი პირველი ბარათი დაწერილა სოფელ ტიარლევოში 1858 წლის 13 აგვისტოს — ილია ერთი წლის სტუდენტი იყო, უფულობასა და გაჭირვებას განიცდიდა და „რუსეთელი თაგვები“ დაძვრებოდნენ მის ჯიბეში.

ამოვიწერე კახელ თავად ჭავჭავაძეთა გენეალოგია და ერეკლე მეფის სიგელი, ბოძებული ილიას ერთ-ერთი წინაპრისათვის.

მუზეუმში ხელნაწერის სახით ინახება ანონიმური წერილიც, გაგზავნილი ილიასთან პირველი რევოლუციის ხანაში, ავტორები რომ მოითხოვდნენ მისგან, გამოეთქვა ოფიციალურად თავისი შეხედულება რევოლუციის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოკვლით ემუქრებოდნენ.

პლატონ კეშელავამ მითხრა:

თავის დროზე მაკო საფაროვას არქივში გავეცანი მიმოწერას — რამდენიმე ბარათს — ილიასა და სოლომონ ჭავჭავაძეს შორისო.

ამ მიმოწერიდან ისეთი შთაბეჭდილება დარჩენოდა, თითქოს ილიას პეტერბურგიდან მოეწეროს სოლომონისათვის:

შენი მამული დამიმტკიცე და მაშინ კი შევირთავ შენს ქალსაო.

და სოლომონს ეს შეთავაზება სწყენოდეს და უარი შეეთვალოს ილიასათვის ქალის გატანებაზე.

დავინტერესდი, სად ინახებოდა ამჟამად ეს ბარათები, რომ ჩემი თვალით მენახა და დავრწმუნებულიყავი. პლატონმა მომიგო: ეს წერილები მაკო საფაროვას სიკვდილის შემდეგ დაიკარგა, ყოველ შემთხვევაში აღარსად ჩანსო.

ილია ზურაბიშვილს რომ ვკითხე, მიპასუხა:

იქ არავითარი ილიას ნაწერები არა ყოფილაო.

მე კი ვერც გავუბედე მეთქვა, რომ ამ ბარათების შინაარსს გაცნობილი ვიყავი.

ეჰ, რაც არის, არის...

ახლაც მივაღწევ კი ჩემს მიზანს?..

ყვარელს რომ ვესტუმრე, ილიას მშობლების რესტავრირებული ძველი სახლი მოვინახულე, ის კოშკიც, სადაც დაიბადა მწერალი.ილიას ზრუნვა ამ სახლ-კარის აღდგენისათვის მის პირად წერილებშია და უსათუოდ გამოვიყენებ ამ სიუჟეტურ ხაზსაც.

ცხადია მოვინახულებდი სოლომონ ჭავჭავაძისეულ სახლსაც — ორსართულიანს, აივნიანს, ორი მხრივ მაღალ კოლონადებზე დაყრდნობილს — 13 სვეტს. ფასადი დასავლეთითაა მიმართული, აივანი — დასავლეთით და სამხრეთით. ქვემოთ დიდი მარანია, ზემოთ — საცხოვრებელი. ტიპური ნიმუშია ფეოდალური საქალაქო არქიტექტურისა, რომელშიდაც გათვალისწინებულია სამხედრო და სამეურნეო მოთხოვნილებანი ფეოდალისა.

ამ სახლში იზრდებოდა ელისაბედი — ყოფილი სატრფო ილიასი და დედა კოტე მარჯანიშვილისა. როგორც მითხრეს, ამ სახლის ქვედა სართულში, მარანში, მართავდა პირველ წარმოდგენებს კოტე.

სად აღარ დავდივარ, რას აღარ დავეძებ, რას აღარ ვუკვირდები და გავიაზრებ სრულიად ახლებური თვალით, მიკვირს კიდეც, აქამდე ყურადღება როგორ არ მივაქციე-მეთქი.

აგერ თუნდაც:

1902 წელს ვაჟა-ფშაველამ რომ დაწერა პოემა „ძაღლიკა ხიმიკაური“ და სათაურქვეშ მიაწერა: ვუძღვნი ილია ჭავჭავაძესო, — დაბეჭდვით კი „ივერიაში“ დაიბეჭდებოდა 1902 წლის 218-ე ნომერში, უეცრად დავინტერესდი:

რატომ უნდა მიეძღვნა ვაჟას ეს პოემა ილიასათვის?

ხომ არ ნახულობდა თავისი გმირის ხასიათში საერთოს ილიასთან?

ის ეპიზოდიც რაოდენ საგულისხმოა:

ილია სტუმრად რომ ყოფილიყო სოფელ საღოლაშენში, მაკინე და სარდიონ ამირეჯიბების ოჯახში, ნადიმზე იულია წერეთლის ქალი — აბელ ყარანგოზიშვილის მეუღლე — მას სიტყვით მიმართავდა.

და ილიას... მხოლოდ მეორე დღეს ეპასუხა სიტყვით ამ ქალისათვის.

აგერ კიდევ ერთი დასტური, როგორ უყვარდა დინჯი მოფიქრება და როგორ გრძნობდა პასუხისმგებლობას თავისი სიტყვისათვის, ვის მიმართაც უნდა ყოფილიყო ის განკუთვნილი.

მაკინე ამირეჯიბს დიდი სუფრა რომ ჰქონდა სოფელში და ყველა გამოჩენილი სტუმარი ზედ თავის გვარ-სახელს მიაწერდა, შემდეგ კი ამ ფაქსიმილეს ამოქარგავდნენ ხოლმე მაკინე და მისი შვილები, ეს სუფრა მაკინეს მემკვიდრეებს გადაუციათ ლიტერატურის მუზეუმისათვის და ერთი უნდა ვნახო, არის თუ არა იქ ილიას ხელმოწერაც.

როგორც მსმენია:

1926 წელს კოტე მაყაშვილი, ხელოვანთა კომიტეტისა თუ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, გაგზავნიდა პლატონ კეშელავას ილია ჭავჭავაძის ქვრივთან, ოლღასთან, და დაავალებდა: ნახე, გაიგე როგორ ცხოვრობს, რა სჭირდებაო...

პლატონი წასულიყო ბესიკის ქუჩაზე და ენახა მოხუცი ქალი, რომელსაც მოსამსახურე დედაკაციც ჰყოლოდა. პლატონისათვის მანამდე ოლღაზე ეთქვათ: სრულ გონებაზე არ არისო, — მაგრამ სტუმართან საუბრისას არაფერს გამოიჩენდა ისეთს, რომ პლატონს არანორმალურად მიეჩნია. ხოლო სტუმრის შეკითხვაზე:

— ხომ არაფერი გჭირდებათ, ხომ არაფერი გაკლიათ?

ოლღა მიუგებდა:

— ერთადერთი, რაც მაკლია, ეს არის ჩემი დაუვიწყარი ილია, რომელიც 19 წელიწადია აღარა მყავს, სხვაფრივ კი მე არაფერი მიჭირს, ყველაფერი მაქვს.

ნეტა რატომ უნდა ეთქვათ ვიღაცებს პლატონისათვის: ოლღა სრულ გონებაზე აღარ არისო?

გავიკითხე, გამოვიკითხე და ბოლოს პაპუნა წერეთელმა მითხრა:

— სრულ გონებაზე მართლაც აღარ უნდა ყოფილიყო. გამიგონია: ყოველ დილით ემზადებოდა წასასვლელად, სადღაც მიდიოდა... მოაგროვებდა თავის ნივთებს, ხელსახოცში გახვევდა, ფუთასავით გაკრავდა და სულ ასე...

შემძრა ამ ნაამბობმა.

ეტყობა იმ წუთებსა და განწყობილებებს ვერა და ვეღარ დააღწია თავი, იმ საბედისწერო დღეს რომ გაემგზავრა ილიასთან ერთად საგურამოსაკენ... და სულ იმ წუთებში ტრიალებდა და ტრიალებდა... მიდიოდა და ვერ მიდიოდა საგურამოში, მიდიოდა და ვერ მიდიოდა...

ეს რომ მოვისმინე პაპუნასაგან, ვინანე, მწერალი რომ არ ვიყავი, თორემ უკეთესი ბიძგი რალა გინდა შთაგონებისათვის, მშვენიერი ნოველა რომ შექმნა...

მიხეილ ჯავახიშვილი ცოცხალი რომ იყოს, ამ ნაამბობს ხელიდან არ გაუშვებდა, ის კი არა, რომანის კომპოზიციურ ჩარჩოდაც კი შეიძლება გამოეყენებინა... ნეტა ვის ვუამბო ჩვენი მწერლებიდან, ვინ განვაწყო სანოველედ?!. და ეგებ სარომანედაც?!.

არა, მე თვითონ ვერ გამოვიყენებ ბიოგრაფიული ქრონიკისათვის, მირჩევნია დადგენილ კომპოზიციურ ჩარჩოს მივმართო — დაბადებიდან სიკვდილამდე, „აკაკი წერეთლის ცხოვრების“ წერისას როგორც მოვიქეცი.

ისე ნეტა ახლაც მივაღწევ კი ჩემს მიზანს?..

ქაქუცა ჩოლოყაშვილი

თავიდან ვერაფრისდიდებით ვერ გაიგეს, რამ გამაშვებინა. დარწმუნებულნი იყვნენ, სამაგალითოდაც დავსჯიდი მას მერე, რაც მკვლელობის გარემოებებს ყოველმხრივ გამოვიძიებდი. თვითონ ხელი გაურბოდათ, მაგრამ როგორღაც შეიკავეს თავი — ბელადმა გადაუწყვიტოს სასჯელიო.

ამოთრევით ამომითრიეს ტყეში.

ისე გასაცოდავებულიყო, ადამიანს აღარა ჰგავდა, ფორთხავდა მიწაზე პირიდან დუჟგადმომდინარი და ერთი-ორჯერ ფეხებზეც მომწვდა საკოცნელად.

კაცობრიობა შეგძაგდებოდა იმის შემხედვარეს.

— აბა როგორ იყო, უშუალოდ ვინ დაადგინა ილიას მკვლელობა, მარტო ემოციებს აყოლილნი არ ჩასაფრებიხართ ბუჩქებში-მეთქი, — და:

პარტიამ გვიბრძანა, იმის ბრძანებას როგორ გადავიდოდით, ჩვენი აბა რა ბრალია, თანაც ჩემზე რომ უნდათ ხელის შეხოცვა, იარაღი ყველამ დავცალეთ და იქნებ ჩემმა ბერდენკამ კი არა, სხვისამ იმსხვერპლა, მე ვანო ინაშვილი უფრო მგონიაო.

— ეგეც შეიძლებოდა-მეთქი, — და ისე გაეხარდა, ისე დაიხლაკნა, ვატყობ, უკვე ყველაფრის მთქმელი ჩანს.

— ახლომახლო პარტიული ორგანიზაციები რომ შეამოწმეს და იმათი სხდომის ოქმებში ასეთი ბრძანების ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს, ის როგორ იყო-მეთქი, — და:

ვერ მიაგნებდნენ, წინასწარვე იცოდნენ, სწორედ ახლომახლო ორგანიზაციებს რომ შეამოწმებდნენ და პარტიამ ამიტომაც გამართა ფარული კრება ბახვშიო.

— იმ სიშორეს-მეთქი? — გავოცდები და:

დიახაც იმ სიშორესო.

— გვარები, გვარები-მეთქი.

რა გზა დარჩენოდა:

— ისიდორე ჯიბლაძე, ისიდორე რამიშვილი, ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, პეტრე გელეიშვილი... და კიდევ ორი კაციო.

ის ორნი ვიღა იყვნენ-მეთქი.

კანკალებს, ცახცახებს, მემუდარება:

ერთი ნამდვილად არ ვიცი, მეორეს ვერ ვიტყვიო.

— ფილიპე მახარაძე ხომ არა-მეთქი.

— მე არ მითქვამს, შენ თვითონ ამბობო.

ნეტა ის მეორე ვინ უნდა ყოფილიყო? ნოე ჟორდანია არ იქნებოდა. მიწვევით კი მიიწვიეს რაღაც შეკრებაზე, მაგრამ რომ გაუგია სხდომის მიმართულება, უარი შეუთვლია: მე ხელები დამიბანიაო...

ასე ვიცოდით.

— ის იმერელი ვილა იყო, იმ კრების დავალებით რომ მოგიყარათ თავი-მეთქი?

ეს ისევ იხლაკნება, მუხლებზე უნდა მომეხვიოს, ჭვინტს წავკრავ და უკანვე მივაგდებ.

არცერთმა მონაწილემ მისი ვინაობა არ იცოდა, გარდა ამისა — ბერბიჭაშვილისა, ისიც იმიტომ, რომ ერთად გავიდნენ ირანში, აქ პოლიციას დამალვოდნენ და იქ რევოლუცია მოეხდინათ.

პავლე ფშავლიშვილი გამოტეხილიყო:

ის იმერელი ამ რამდენიმე ხნის წინათ ტფილისში იარაღის ტარებისათვის დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლესო.

ილიას მკვლელობის ბრალდება არ წაუყენებიათ, მხოლოდ რევოლუციური საქმიანობისათვის მოჰკიდეს ხელი. პარტიამ იზრუნა და საგულდაგულოდაც ჩაფარცხა წიწამურის ტერორისტულ აქტში მისი მონაწილეობის კვალი. სხვა მონაწილენი კი პოლიციას შეატოვა, ამის გარდა.

— ვინ იყო ის იმერელი-მეთქი? — ვუმეორებ.

კრიჭა შეჰკვრია, დუჟიც ზედ შეყინვია და ფორთხავს მიწაზე.

— სერგო ორჯონიკიძე? — მე თვითონ შევაშველებ.

— მე არ მითქვამს, შენ თვითონ ამბობო.

გამოვიყვანე გარეთ და ვუბრძანე, ეგრე ფორთხვა-ფორთხვით იარე, ფეხზე წამოდგომა არ გაბედო, თორემ ტყვია გამზადებულია შენთვის-მეთქი.

გამტკნარდა ყველა, ვერ იგებენ, რა ხდება, როდის-როდის დაძრეს ხმა:

როგორ, ცოცხლად უშვებ? ილიას მკვლელს დაუსჯელად ტოვებო?

— დაუსჯელად რატომ-მეთქი, — მინდა სწორად გამიგონ, ოდნავი ხინჯიც რომ არავის ჩარჩეს გულში:

ჩვენი რომელიმე მეგობარი რომ მოეკლა, ერთ წუთსაც არ ვაცოცხლებდი, თქვენც არ ამომითრევდით აქ და სადაც წაასწრებდით, იქვე გამოუყვანდით წირვას, მაგრამ ილიას მკვლელობა სხვაა, საპრეზიდენტო კაცი მოგვიკლეს, ის რომ გვყოლოდა, დამოუკიდებლობას ასე მალე და იოლად არ დავკარგავდით, ქვეყანა ქვეყანას დაემგვანებოდა და მტერიც მოგვერიდებოდა. მართლა რამდენიმე კაცის გამეტებული ხომ არ არის. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გადაუწყვიტა ეს განაჩენი, ჩვენც ეს პარტია უნდა გავასამართლოთ, ბახვის კრება უნდა გამოვააშკარავოთ და იმ სათავესაც მივწვდეთ, საიდან მოსულ დირექტივასაც დაემორჩილა ის თავყრილობა. ბერბიჭაშვილი მოწმედ გამოგვადგება. მოწმის ახლავე დასჯა კი წინდაუხედაობა იქნება ჩვენი მხრიდან, რადგანაც ჩვენი ნებით გავწყვეტთ ასერიგად საჭირო ძაფებს, გულისთქმა შეცდომას ჩაგვადენინებს და მერე უნდა ვინანოთ-მეთქი.

— ესდეკების გასამართლების საშუალება რომ არ მოგვეცესო? — ერთერთმა.

— მთავარი ეგ არის, თუ ძალა მართლა შეგვწევს ქადილისა, ეგ უნდა შევიძლოთ, თორემ მაგ ჭიაღუას გინდა უსხმარტალია დედამიწაზე და გინდ არა-მეთქი.

— ჭეშმარიტად ბელადის სიტყვააო, — ალექსანდრე სულხანიშვილმა და დაუბრუნდა ყველას ფერი.

— ჯერ ქვეყანა გამოვიხსნათ-მეთქი.

— ჯერ ქვეყანაო.

... ნეტა ის მეორე ვიღა იყო?

იმტვრიე თავი, რამდენიც გინდა, ასე რას მიაგნებ?

სასამართლო გამოარკვევს ყველაფერს, ოღონდ ეგ ან ხვალ-ზეგ იქნება... ანდა ოდესმე... მაგრამ მაინც რომ იქნება, ეჭვიც არ მეპარება...

ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროსო.

შალვა ამირეჯიბი სულ „ჰამლეტის" სტრიქონებით ლაპარაკობს და მეც გამაზეპირებინა!..

იაკობ გოგებაშვილი

კარზე შუაღამისას დამიკაკუნეს.

არ გამკვირვებია.

მერე რა, რომ გვიანი იყო. რამდენი ნაცნობი შემიფარებია ამ დროს, მეგობრები ხომ რა სათქმელია!..

ყველამ იცის, როგორ ზუსტად მაქვს აწყობილი დღის რეჟიმი და დროც განაწილებული. მისხალს არ შევიშლი და არც ძილსა და მოსვენებას დავიკლებ. კიდევ რა უძლებს ამხელა ჯაფას და ცოტა სულიც თუ არ მოვითქვი დროდადრო აღარც ღმერთი დამაცლის ჩემი მისიის აღსრულებას.

იციან და მერიდებიან. მაგრამ როდესაც კაკუნი მომესმის, ეს ნიშნავს, რომ სხვა გზა აღარ დარჩენიათ, გარდა ჩემს სახლში შემოფარებისა. და მეც რა გული გამიძლებს, მაშინვე ლოგინიდან არ წამოვხტე, გავეხვიო ჩემს სპარსულ ხალათში, პალტოც შემოვიცვა (ღამის სუსხი მაინც ღამის სუსხია!), ყელსახვევშიც ჩავფლო პირი, ქუდიც დავიმხო და კარიც გამოვაღო.

არასოდეს მიკითხავს, ვინ ხარ-მეთქი.

ახლობლის გარდა ვინ შეიძლება ყოფილიყო.

კარს რომ გავაღებ, ხომ ისედაც გავიგებ, ვინც არის.

ახლაც შუაღამისას გაისმა კაკუნი.

გამეღვიძა და მაშინვეც წამოვხტი, ხალათიც სასწრაფოდ შემოვიცვი, პალტოც მოვირგე, ყელსახვევშიც ჩავფალი პირი, ქუდიც დავიმხე და გასაღებსაც მივწვდი გადასატრიალებლად.

მივწვდი და... ასეთი წამი მანამ არასოდეს განმეცადა. თითქოს ყველაფერი ისევ ისე იყო — არც ოთახს ეცვალა ნირი, არც დერეფანს, კარიც ძვე-

ლებურად ჩალურსულიყო, მაგრამ რაღაც დიდი ცვლილების მოწმე კი ვხდებოდი, ასე თვალდათვალ შევიგრძნობდი წამის დიდ გარდასახვას და ხელდახელ იცვლებოდა დროც.

სულ სხვა დროდან სულ სხვა დროში ამომეყო თავი.

ისევ დააკაკუნეს, ფრთხილად, მორიდებულად, თუმც გაბმულად, და ჩაძინებული კაცის ყურს ეს დაჟინება უნდა მიწვდომოდა... მაგრამ ისე გავილურსე და გავმტკნარდი, ისე გავხევდი, სუნთქვაც შემეკრა.

იქნება... მაინც ნაცნობი იყო?

ვერა, ვერაფერს ვიკითხავდი. ასე მეგონა, ხმა რომ გავიღო, კარს ჩემი შეკითხვა ჩახსნის და კიდეც შემომეჭრებიან-მეთქი.

ძლივს მივლასლასდი ფანჯრამდე.

იქნებ შემთხვევით მომეკრა თვალი სილუეტისა თუ სილუეტებისათვის და ამომეცნო კიდეც ლანდის ვინაობა.

ჰოი, რა გახარებული მივვარდებოდი კარს, ნაცნობ-ახლობლისათვის რომ მიმემსგავსებინა, რა აღტაცებით გადავხსნიდი ორივე ფრთას და ღამეულ სტუმარს მართლაც ღვთის მოციქულის დარად შემოვუძღვებოდი.

მაგრამ ფანჯრიდან ვერაფერი დავლანდე.

კაკუნი გრძელდებოდა.

ვიდექი სუნთქვაშეკრული და ასე გალურსულ-გახევებული გადავდიოდი სულ სხვა დროში.

შიში არასოდეს მეგრძნო. მიკვირდა, როდესაც მაფრთხილებდნენ თუ შემაგონებდნენ, ხელისუფლებასთან დაპირისპირება სიკეთეს არ დაგაყრის და შეეწირები ქართული სკოლის შექმნასო.

იმათ, ეტყობა, ჩემი პასუხი უკვირდათ და ახსნით კი ვერ აეხსნათ:

შევეწირები და შევეწირო, კეთილ მარცვალს ხომ მაინც ჩავაგდებ ხნულში, ადრე თუ გვიან აუცილებლად რომ იხარებს-მეთქი.

ახლა ამ კაკუნმა ეს რა დამმართა.

ახლა ვხვდები, რატომ შემომეფანტებოდნენ ხოლმე, ვინც მანამდე ერთგულებას მეფიცებოდა. საფრთხეს იყნოსავდნენ თუ არა, რომელს რომლისთვის გაესწრო, აღარ იცოდნენ, და მე მხოლოდ მელიმებოდა მათ სულმოკლეობაზე.

თურმე ღიმილი კი არა...

ეს რა დათრგუნვა სცოდნია შიშს.

აღარაფერი აღარ მინდოდა, ოღონდაც კაკუნი შეწყვეტილიყო, ფრთხილი, მორიდებული, ავად გავეშებული ხომ არა, მაგრამ მე კი ჩემი დამემართა.

დრო იყო უკვე სხვა.

იმ სხვა დროში ავწებებოდი ფანჯარას და სადღაც დამკარგოდა გული.

როდის-როდის კაკუნიც შეწყდებოდა, მეც შემოვიძარცვავდი ჩემს ასხმულობას და ლოგინში გავინაბებოდი, სულს ცოტა მოვითქვამდი, რიჟრაჟი კიდევ უფრო მომიყვანდა გუნებაზე და მშვიდად შევუდგებოდი ჩემს მკაცრად განსაზღვრულ დღის რეჟიმსა და მისხალ-მისხალ აწონილ-განაწილებულ დროს, მაგრამ ის იდუმალი კაკუნი აღარც არასოდეს ამომეშლებოდა ფსიქიკიდან.

ასე იყო, ასე — წამის დიდი გარდასახვა ვიხილე, ახალი ჟამის დაბადება —საზარელისა და დამთრგუნველის... ვიხილე და ველარც გამოვეხსენი.

ეს რა შემიკლეს ხელში: დუელი და დუელიო... მართალია, ჭორი კი არ მოუგონიათ, მაგრამ ამ ხალხს რატომ ჰგონია, რომ ჩემი და ილიას ურთიერთობა მხოლოდ ეს იყო — ერთმანეთის პირისპირ რომ აღმოვჩნდით იარაღმომარჯვებულნი. ჩვენს თაობას ჯერ კიდევ შერჩენოდა ძველი თავმოყვარეობა, უბრალო წყენასაც ძალიან ვთაკილობდით და ამიტომაც ვერიდებოდით ერთმანეთის მიმართ პიროვნულ უხეშობას.

ამ სოციალ-დემოკრატების გამოჩენამ ისე გადააგვარა საჯარო თავყრილობებიც და გაზეთებისა და ჟურნალების ენაც, ძნელად წარმოიდგენს კაცი, რომ ჩვენს დროს ცილისწამება საერთოდ არ შეგვიმჩნევია პრესის ფურცლებზე.

მაშინდელი ყველაზე უხეში გამოთქმებიც დღევანდელთან შედარებით ზრდილობისა და თავაზიანობის კოდექსიდან გადმოწერილი გეგონება.

ახლა რომ გავამხილო, რაზე წავეკიდეთ მე და ილია, მაინც არ დამიჯერებთ, რაღაცას მალავ, თორემ საჩხუბარი აქ განა რა იყოო.

უნდა დამიჯეროთ:

სხვა თავმოყვარეობა გვქონდა, სხვა ზნეობა სუფევდა, ჩვენი ძველები კი გარდასულ დროებას მისტიროდნენ — მას შემდეგ ზნეობა სულ დაეცა და წახდა, იმედიც კი გადაგვეწურა მისი აღდგენისაო.

თუმც რა დუელი.

ჩვენი ურთიერთობა ის იყო, თუ იყო, დუშეთში გაქცეული მე რომ მოვაბრუნე ჟურნალშიც და მწერლობაშიც. არა, დაწერით განა იქ არ დაწერდა, მაგრამ ასპარეზიდან მისი გაცლა ბევრს აკლებდა ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებასაც და საზოგადოებრივ ყოფასაც. აქ უნდა ყოფილიყო აუცილებლად, გაცლის, გაქცევის, თავის თავში გამოკეტვის უფლება არა ჰქონდა. ასე ბევრი ფიქრობდა, განა მარტო მე, მაგრამ თავი კი არ გამოუდიათ, თვითონვე მობეზრდება მომრიგებელ მოსამართლედ სადღაც დუშეთში ჩარჩენა და მოუბრუნდება გული ტფილისზეო.

მე სად მეცადა, გული როდის მოუბრუნდებოდა, ან და მოუბრუნდებოდა კი?

ხანი გადიოდა და სიცარიელე რომ შევიგრძენი, დავკარი ფეხი და ავაკითხე დუშეთს — გინდა-არგინდა, მიატოვებ აქაურობას და ტფილისში წამომყვები-მეთქი.

ჯიუტი იყო, როგორი ჯიუტი. არც მომისმინა, სულ სხვა საგანზე ჩამოაგდო ლაპარაკი, მაგრამ ისე მტკიცედ მქონდა ამოჭრილი გულში, ან გამოვიყოლებ და ან თავს აღარ ვიცოცხლებ-მეთქი, მოვტეხე.

ეს კი მითხრა:

— ოდესმე იქნებ გამიგო, რა დღეშიც ვარო.

მაშინ გავუგე, მე თვითონ რომ გავექეცე ტფილისს. აღარც გაზეთი მინდოდა, აღარც ჟურნალი, აღარც არავის დანახვა. რა აზრი აქვს, რასაც ვწერ, ვინ არის ყურის დამგდები, ვის გულს შეატოკებს, მე გონებას რაც მიბურღავს-მეთქი, და თანამგრძნობი რომ ვერ აღმოვაჩინე, ჩავალაგე ბარგი და გავუდექი გზას.

ვინ ჩამომაკითხავდა, ილიას მეტი.

მე უკვე ახალი ცხოვრების დაწყებას შევეგუე და თავზეც დამადგა: ადექი და გამომყევი, უშენობით საქმე წაგვიხდებაო.

— უჩემობა არც არაფერს დაეტყობოდა, მარტო შენ თუ მომისაკლისებდი-მეთქი, — და:

არ არის ეგრე, შენ რომ გგონია, უეცრად რომ ვერ აღმოგაჩინე, მივხვდი, ასე თუ გაგრძელდა, მკვეთრადაც დაეტყობა ჩვენს ყოფას და ძალიანაც დავზარალდებით, შენი შემცვლელი არ არის იოლი მოსაძებნიო.

— მოიძებნება-მეთქი, — ხელი ჩავიქნიე, იმან კი მკლავში წამავლო უჯიათი მარჯვენა:

გადაიცვი და ახლავე წამომყევი, შენთან უაზრო ლაპარაკის დრო არა მაქვსო.

— როგორ, მე აღარ მეკითხები-მეთქი? — გავუძალიანდი, და ილიამ კი:

შენ თუ გკითხე, ახლა ჭკვიანურად ვერ განსჯი, მოედანს გამოქცეული კაცისა რა ვთქვიო.

— შენ არ იყავი? — გადავუკარ და გავუხსენე.

— აბა დროზეო, — არ ეამა დუშეთი რომ წამოაგონდა და უფრო ძლიერადაც გამომწია.

დუელი და დუელიო...

თქვენც რაღა იმას მახსენებთ, რაც არა მსიამოვნებს. არა, სულის გაშიშვლებისა კი არ მეშინია, მაგრამ მაშინ, როდესაც ამის გუნებაზე ვიქნები. ასე, თქვენს ნებაზე, ძალადობა მგონია და ძალადობას კი ვერანაირს ვერ ვიტან.

თქვენ ისა თქვით, ყველას თავი ილია რომ გვეგონა. რაღა გადავფიცო: მეც მათ შორის. იმაზე ნაკლებად თავი არავის გვეღირსებოდა და იმის შემცვლელიც ლამის ყველა ვიყავით.

კიდევ კარგი, იმ წუთას მაინც არა ვფიქრობდი ასე, ილიას დუშეთში რომ დავადექი თავზე. მერე კი მეც სხვებივით შევხედე — ვითომ მართლა ერთადერთია და მისი შემცვლელი ვეღარ დამოგვიძებნია — მეთქი?

აღარ იქნებოდა ილია?

იმ ადგილს ყველაც შევავსებდით.

ახლა?

ახლა რაღა?

თუკი ამ სიცარიელის შევსება შეგვეძლო, აბა შევავსოთ. ილია აღარ არის და... ის ადგილი ცარიელია და, ერთადაც რომ შევქუჩდეთ ყველა, მაინც ცარიელი იქნება.

აკი ყველა ილია ვიყავით.

აბა ახლა გავწიოთ მისი უღელი!..

გამწევი სად არის, თორემ...

მე არა, მე ტყუილად მომჩერებიხართ!..

2018
ოქტომბერი-დეკემბერი
2019
იანვარი-თებერვალი

შინაარსი

მკითხველისადმი 4

პარი პირველი
ჯჩრდილი შარონისა

თავი პირველი
ილია ჭავჭავაძე ხალათში 6

თავი მეორე
ენის რესპუბლიკის პრეზიდენტი 36

თავი მესამე
იდუმალი ხიდი გიორგი მერჩულესთან 66

თავი მეოთხე
გამოკამათება გოგოლთან და... უცნაურობა წუთისოფლისა 100

თავი მეხუთე
ცოლი ფეხმძიმედ: „საქართველოს მოამბე“ 138

თავი მეექვსე
მოსე წინასწარმეტყველის დაკარგული ქადაგება 170

თავი მეშვიდე
ილიას ეპისტოლური რომანი 195

თავი მერვე
უღელი ჩინოვნიკური 224

თავი მეცხრე
დიდი გარდატეხის კარიბჭესთან 260

თავი მეათე
მოკავშირედ... უილიამ შექსპირი 298

ბარი მეორე
წეოლეემის ვარსკვლავი ყვარელის თავზე

კვლავ მკითხველისადმი 326

ილია წინამძღვრიშვილი 333
ლავრენტი არდაზიანი 334
გრიგოლ ორბელიანი 339
ოლღა გურამიშვილი 343
დავით ერისთავი 348
ისევ ოლღა გურამიშვილი 353
სალომე ლოლაძე 357
სოფრომ მგალობლიშვილი 358
ივანე პოლტარაცკი 363
არტემ ახნაზაროვი 366
კვლავ ოლღა გურამიშვილი 372
ილია ზურაბიშვილი 377
ოლღა აგლაძე 380
ეკატერინე გაბაშვილი 385
ისევ არტემ ახნაზაროვი 389
კოტე ყიფიანი 392
ალექსანდრე ყიფშიძე 394
ივანე ბუქურაული 395
მაქსიმე შარაძე 399
გიორგი საძაგლიშვილი (შემდგომ: კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე) 403
ისევ ილია ზურაბიშვილი 404
იოსებ გრიშაშვილი 410
ნატო გაბუნია 415
ისევ ეკატერინე გაბაშვილი 418
ალექსანდრე ყაზბეგი 422

ნინო ყიფიანი 424
ანასტასია ერისთავი-ხოშტარია 428
ზაქარია ყიფშიძე 430
კვლავ ილია ზურაბიშვილი 434
ივანე მაჩაბელი 436
დანიელ მასლოვი 438
ისიდორე რამიშვილი 441
აკაკი წერეთელი 445
კიტა აბაშიძე 448
ვასილ წერეთელი 449
ვახტანგ ჭელიძე 450
ისევ ოლღა აგლაძე 451

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ
გმირის დაბრუნდი დიდი საგანი

თავი პირველი
ოქროს ჯაჭვი თუ თავისუფლება? 455

თავი მეორე
სიტყვა: ზეცით მონაბერი 487

თავი მესამე
ვარსკვლავი ძველი, ვარსკვლავი ახალი 510

თავი მეოთხე
სიცილი და გამოთამაშება წუთისოფლისა 548

თავი მეხუთე
ლეგენდა და სინამდვილე ბაზალეთის ტბისა 583

თავი მეექვსე
„ან გიჟი, ან ღვთისაგან მოგზავნილი“ 621

თავი მეშვიდე
მოლანდება აპოკალიფსური ჟამისა 656

თავი მერვე
დროის მეტაფორა: სიბრძნე სიცრუისა 696

თავი მეცხრე
სამოქალაქო ომი 733

თავი მეათე
აჰა კაცი იგი!.. 777

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ
ეკლიან და ჰატარა გზა

ესტატე ციციშვილი 815
ისაკა ალხანაშვილი 816
მარტია ლიქოკელი 818
შიო ჩიტაძე 820
ნოშრევან ჯაფარიძე 822
ოლღა გურამიშვილი 823
სოსო მაჭავარიანი 825
ივანე მაჩაბელი 827
მიხა ბოჭორიძე 830
ზაქარია ჭიჭინაძე 833
ფილიპე მახარაძე 835
გიგა ყიფშიძე 838
სილიბისტრო ჯიბლაძე 841
ვასილ ველიჩკო 843
სამსონ ფირცხალავა 845
ფილიპე გოგიჩაიშვილი 848
არჩილ ჯორჯაძე 849
მოსე მემარნიშვილი 851
გრიგოლ რობაქიძე 853
კოტე მესხი 856

ილია ნაკაშიძე 857
გიორგი ლასხიშვილი 860
ივანე ინაშვილი 863
დავით მესხი 865
სოფიო უნდილაშვილი 866
არტურ ლაისტი 867
იაკობ ბითარაშვილი 870
კოლა ორბელიანი 872
ვასილ მაჩაბელი 873
ეკატერინე გაბაშვილი 876
შალვა დადიანი 877
სიმონ ქვარიანი 880
იონა მეუნარგია 884
პავლე ფშავლიშვილი 886
ვაჟა-ფშაველა 887
წყალობა ბიჩნიგაური 890
ვასო ნაცვლიშვილი 892
დიმიტრი ჯაში 894
ბოთოლათ მერცხალა 896
ნოე ჟორდანია 898
ყარამან ფაღავა 902
კოტე აფხაზი 903
პეტრე უმიკაშვილი 905
მიშა მაჩაბელი 907
მიხაკო წერეთელი 909
კარლო ჩხეიძე 911
კიტე აბაშიძე 912
ნინო პოლტორაცკაია 915
იროდიონ ევდოშვილი 917
თედო ლაბაური 920

ექვთიმე თაყაიშვილი 922
რეზო ჭეიშვილი 926
ისიდორე რამიშვილი 928
რომანოზ ფანცხავა 933
იპოლიტე ვართაგავა 936
ზაქარია მაჭავარიანი 941
ვასილ წერეთელი 942
შალვა ამირეჯიბი 947
გიგლა ბერბიჭაშვილი 950
შალვა ნუცუბიძე 952
ვასილ კირვალიძე 955
გიორგი ჟურული 957
თედო მეგრელიშვილი 959
კონსტანტინე გამსახურდია 961
გერონტი ქიქოძე 963
ლევან ასათიანი 966
ქაქუცა ჩოლოყაშვილი 969
იაკობ გოგებაშვილი 971
ნიკო ნიკოლაძე 973

